ქართული საშკოლო ენციკლოპედიური დიქციონი

აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის
საერთო რედაქციით

თბილისი 2017 წ.

ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის შექმნას საფუძვლად დაედო საგრანტო პროექტი:

„საქართველოს სამხედრო უსაფრთხოების მდგრადი განვითარებისათვის NATO-ს და მისი წევრი სახელმწიფოების ნორმატიული მასალების, კატეგორიების და ტერმინების მიხედვით, ქართულ ენაზე სამხედრო ცნებების დადგენა და სრული, სისტემატიზებული და კლასიფიცირებული ნაშრომის შექმნა“

სსიპ – ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი (რუსთაველის ფონდი)

2010 – 2012 წლები საგრანტო ხელშეკრულება №A-02-09

ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი

აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის საერთო რედაქციით

სარედაქციო ჯგუფი – ავტორები და შემდგენლები:
ელგუჯა მეძმარიაშვილი სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი – მთავარი რედაქტორი;
თენგიზ შუბლაძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გენერალ-მაიორი – მთავარი რედაქტორის მოადგილე;
ზურაბ აბაშიძე პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **გიორგი ანჩაბაძე** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; **მამუკა გოგიტიძე** ისტორიის დოქტორი, პოლკოვნიკი; **ვახტანგ კაპანაძე** სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, გენერალ-მაიორი; **ავთანდილ საყვარელიძე**; **ნოდარ წიგნაძე** ინჟინერიის დოქტორი.

თბილისი 2017 წ.

UDC 355
უაკ 355

სარედაქციო ჯგუფი წინამდებარე ნაშრომის მომზადებასა და გამოცემაში აქტიური მონაწილეობისათვის მადლობას უხდის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბს, ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარ სამეცნიერო რედაქციას და ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს.

© ე. მეძმარიაშვილი

© სარედაქციო ჯგუფის შემადგენლობა

©

ISBN 978-9941-0-9879-6

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

საქართველოს სახელმწიფო და მისი სამხედრო ორგანიზაცია საჭიროებს ერთიან, გამართულ და მოწესრიგებულ სამხედრო ტერმინებს. ქვეყნისთვის ამის აუცილებლობა განპირობებულია სისტემური სამხედრო აღმშენებლობის და შეიარაღებული ძალების მოქმედებათა შესაბამისი, მიღებული ტერმინებით და ცნებებით ასახვისათვის, რაც ასევე უპირობოდ აუცილებელია ურთიერთობებისას სხვა სახელმწიფოებთან, მით უმეტეს სტრატეგიულ და სამხედრო პარტნიორებთან.

ამ მხრივ, საქართველოს შეექმნა ისტორიული პრობლემები, რაც უმთავრესად განპირობებული იყო თითქმის სამასწლიანი, იძულებითი წყვეტით სამხედრო ხელოვნების თეორიაში საკუთარი, თვითმყოფადი და ქართულ სამხედრო ტრადიციებზე დამყარებული წვლილის შეტანისა. ამის ძირითადი ფაქტორი გახლდათ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა, ჯერ მისი რუსეთის იმპერიაში შეყვანით, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნით, სადაც სამხედრო აზრის და ცნებების ფორმირება მხოლოდ რუსული ტერმინებით აისახებოდა.

მეტწილად სწორედ ამ პერიოდში ხდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, საკუთარ ენაზე, თანამედროვე და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე სამხედრო განმარტებათა და ტერმინთა ფორმირება.

განხილული პრობლემების ფონზე, ქართული სამხედრო ტერმინებისა და მათი განმარტებების კომპლექსური, სისტემური და კლასიფიცირებული წარმოდგენისათვის, ავტორები შეეცადნენ შეექმნათ ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი. ვფიქრობთ, რომ იგი მაინც არ იქნება დაზღვეული გარკვეული შეცდომებისგან, რომლის შემდგომ გასწორებაში ექსპერტთა და მკითხველთა იმედიც გვაქვს.

წიგნში განხილულია ტერმინები და მათი განმარტებები, რომლებიც მიეკუთვნება სამხედრო დარგის ისეთ მიმართულებებს როგორებიცაა:

- სამხედრო თეორიის საერთო საფუძვლები – საერთო თეორიული მიმართულება, რომელიც სამხედრო დარგის მოვლენებისა და პროცესების სტრუქტურულ და სისტემურ კატეგორიებს ასახავს;
- სამხედრო ხელოვნება – სტრატეგიის, ოპერატიული ხელოვნების და ტაქტიკის ტერმინები და მათი განმარტებები;
- შეიარაღებული ძალების მშენებლობა; სამხედრო აღზრდა და სწავლება; შეიარაღება და მისი გამოყენება; შეიარაღებული ძალების მართვა; სამხედრო ეკონომიკა; შეიარაღებული ძალების სახეობები; სამხედრო ისტორია.
- საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკის დარგები და მათი სამხედრო გამოყენება.
- სხვა საკითხები, მათ შორის ბალისტიკა და სამხედრო თანამედროვე ტექნოლოგიები.
- საქართველოში და საზღვარგარეთ მოღვაწე მხედართმთავრები, სამხედრო მოღვაწეები და სამხედრო მეცნიერები.

მიგვაჩნია, რომ ქართული სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონი საინტერესო აღმოჩნდება სამხედრო პოლიტიკური მოღვაწეებისთვის, შეიარაღებულ და სხვა სამხედრო ძალებში მომსახურე პერსონალისთვის, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში მომუშავე სპეციალისტებისთვის, სამხედრო მეცნიერებისთვის, დიპლომატიური კორპუსისთვის, სამხედრო დარგით დაინტერესებული სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტებისთვის, სამხედრო აკადემიის კურსანტებისთვის, მსმენელებისთვის, უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ზოგადად დაინტერესებული მკითხველისათვის.

ა

აალების საშუალებები, დენთის, სარაკეტო საწვავისა და პიროტექნიკური შემადგენლობის ცეცხლის გაჩენის გამომწვევი საშუალებები. მათ განეკუთვნება კაფსულიამნთები, ელექტროამნთები, კაფსულიანი მილაკები, დამრტყმელი ამნთები მილაკები, მექანიკური და სრესილი (გახეხილი) ამნთებები, ცეცხლგამტარი ზონრები.

აბას I, შაჰ-აბას დიდად წოდებული (1571–1629), ირანის შაჰი (1587–1629) სეფიანთა დინასტიიდან. მის დროს სეფიანთა სახელმწიფომ ძლიერების მწვერვალს მიაღწია. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, რისთვისაც საფუძვლიანი რეფორმები გაატარა. კერძოდ, **ა**. I-ის სამხედრო რეფორმამ შეამცირა მომთაბარე ტომებისაგან შედგენილი ლაშქარი და გაზარდა რეგულარული ჯარის მნიშვნელობა (ქვეითი მეთოფეები, ცხენოსანი ღულამები, არტილერია). თავის არმიასა და სახელმწიფო აპარატში **ა**. I ფართოდ იზიდავდა კავკასიელებს. მაგალითად, ღულამთა გვარდია (10 ათ. მხედარი) ძირითადად ქართველებისაგან შედგებოდა. მთლიანად შაჰ-აბასის შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა დაახლოებით 120 ათ. მეომარი (45 ათ. – მუდმივ ჯარში და 75 ათ. – ფეოდალურ ლაშქარში). **ა**. I დამპყრობლურ საგარეო პოლიტიკას აწარმოებდა და მნიშვნელოვნად გააფართოვა სეფიანთა სახელმწიფოს საზღვრები. სასტიკად ახშობდა დაპყრობილი ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობებს (გილანში, შირვანში, საქართველოში). ქართლ-კახეთში **ა**. I-მა 1614–17 სამჯერ ილაშქრა (იხ. *აბას I-ის ლაშქრობები საქართველოში*), ხოლო 1625 წელს აჯანყებული ქართველების წინააღმდეგ თავისი მხედართმთავრები გამოგზავნა (იხ. *მარტყოფის ბრძოლა, მარაბდის ბრძოლა, ქსნის ბრძოლა*).

აბას I-ის ლაშქრობები საქართველოში, აბას I-ის ჯარებმა 1603–07 აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან გააძევეს ოსმალები. ქართლსა და კახეთის სამეფოებმა ირანის შაჰის უზენაესობა აღიარეს, მაგრამ აბასს ქართლ-კახეთის ვასალობა არ აკმაყოფილებდა და მათი მაჰმადიანურ სახანოებად გადაქცევა სურდა. ოსმალეთთან ზავის დადების (1612) შემდეგ, 1614 მარტში, აბასი პირადად დაიძრა საქართველოს წინააღმდეგ, სასტიკად ააოხრა კახეთი და ქართლში გადავიდა. კახეთის მეფემ *თეიმურაზ I*-მა და ქართლის მეფემ *ლუარსაბ II*-მ იმერეთს შეაფარეს თავი. შაჰმა იმერეთის მეფეს მათი
გადაცემა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. *ლუარსაბ II* მაინც ეახლა შაჰს, რათა ქართლი აოხრებისაგან ეხსნა. აბასი ირანში დაბრუნდა და ლუარსაბი ტყვედ წაიყვანა, ხოლო ქართლსა და კახეთში თავისი ჯარის ნაწილი დატოვა. 1615 კახეთში აჯანყებამ იფეთქა, ირანის ჯარები გაანადგურეს (იხ. *კახეთის აჯანყება 1615*). 1616 აბას I კვლავ დაიძრა კახეთის წინააღმდეგ, რათა მისი მოსახლეობა გაეყლიტა ან ირანში გადაესახლებინა, ხოლო მის ადგილას თურქმანული ტომები ჩამოესახლებინა. ირანის ჯარები რამდენიმე მხრიდან შეესივნენ კახეთს და სასტიკად ააოხრეს. ათეულობით ათასი ადამიანი მოკლეს ან ტყვედ წაასხეს. რადგან კახელები წინააღმდეგობას აგრძელებდნენ, აბასმა 1617 წელს კვლავ ილაშქრა მათ წინააღმდეგ. სამწლიანმა უთანასწორო ბრძოლამ კახეთი განადგურების პირამდე მიიყვანა. მტერს 100 ათ. კაცი შეაკვდა, 200 ათ-მდე კი ტყვედ წაიყვანეს ირანში. დაზარალდა ქართლიც. დაპყრობილი კახეთი შაჰმა ორად გაყო: დასავლეთი ნაწილი ქართლის მმართველ ბაგრატ-ხანს გადასცა (ბაგრატ VII), აღმოსავლეთი – განჯის მმართველ ფეიქარ-ხანს.

აბვერი (გერმანული abvehr – თავდაცვა), გერმანიის სამხედრო დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანო 1919–44. განკუთვნილი იყო გერმანიის სამხედრო მზადების გასაიდუმლოებისთვის. ასევე საზღვარგარეთის ქვეყნების შეარაღებული ძალების და სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად, გერმანიის შეიარაღებულ ძალებში და სამხედრო წარმოებაში უცხო ქვეყნის აგენტურის გამოსავლენად. **ა**-ის სადაზვერვო და ძირგამომთხრელმა საქმიანობამ ხელი შეუწყო ფაშისტური აგრესიის წარმატებას აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ბრძოლაში. 1944 სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის წარუმატებლობის გამო **ა**. დაიშალა. მისი განყოფილებები შევიდა იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს შემადგენლობაში.

აბლაცია (ლათინური ablation – მოცილება), სხვადასხვა სახის დასხივების და ცხელი გაზის ნაკადის ზემოქმედების შედეგად მკვრივი სხეულის ზედაპირიდან ნივთიერების მოცილება. **ა**-ის დროს წარმოიქმნება იზოლირების ეფექტის მქონე გაზის ფარდა,

რომელიც სხეულის ზედაპირს გახურებულ გაზთან უშუალო შეხებისგან იცავს.
მოვლენა **ა.** გამოიყენება კოსმოსური აპარატების, რაკეტების, სათაო ნაწილის და ძრავის ელემენტების თბური დაცვისთვის.

აბორდაჟი (ფრანგული abordage – ბორტით მიდგომა), ბრძოლის წარმოების ფორმა ნიჩბიანი და იალქნიანი ფლოტების პერიოდში. იგი გულისხმობდა ხელჩართულ ბრძოლაში შემტევი ხომალდის მიერ მოწინააღმდეგის ხომალდის გადაჭდობით ხელში ჩაგდებას. შემტევი სამხედრო გემი ბორტით მიადგებოდა მტრის გემს, ჭანგებით გადაებმებოდა მას, მეზღვაურები მოწინააღმდეგის გემბანზე გადავიდოდნენ და იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა. ტარანულ დარტყმასთან ერთად **ა.** XIX საუკუნემდე საზღვაო ბრძოლის ტაქტიკის საფუძველს წარმოადგენდა. ორთქლმავალი ფლოტის გამოჩენისა და სახომალდე არტილერიის განვითარების შემდეგ მან თავისი მნიშვნელობა დაკარგა, თუმცა დღემდე გამოიყენება სანაპირო დაცვის ძალების მიერ კონტრტერორისტული და კონტრკრიმინალური მოქმედებების დროს.

აბსოლუტური იარაღი, ბირთვული იარაღის ერთ-ერთი პირველი სახელწოდება. ტერმინი პირველად გამოჩნდა II მსოფლიო ომის დროს გერმანიაში, ვინაიდან იქ იყო ამ იარაღის შექმნის ერთ-ერთი პირველი მცდელობა.

ABC ჯარები, [ABC – ლათინური სიტყვების atom, Biolog, Chemik-ის (აბქ) საწყისი ასოები], გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სპეციალური გვარეობა. განკუთვნილია შენაერთებისა და ნაწილების პირადი შემადგენლობის დაცვის ორგანიზაციისთვის. ასევე მასობრივი განადგურების იარაღისგან დასაცავად და მისი გამოყენების შედეგების სალიკვიდაციოდ. შედის საარმიო კორპუსების (ბატალიონი) და დივიზიების (ასეული) შემადგენლობაში. გამოიყენება აგრეთვე საკვამლე ფარდების დასაყენებლად.

აბუ ლ-კასიმის ლაშქრობა საქართველოში 914, არაბების შემოსევა საქართველოში. არაბთა სახალიფოს ნახევრად დამოუკიდებელი ვასალის, სამხრეთ აზერბაიჯანის ამირა აბუ ლ-კასიმ საჯის ლაშქრობის მიზანი იყო არაბთა შერყეული ხელისუფლების განმტკიცება. აბუ ლ-კასიმმა კახეთის, ქართლის, სამცხე-ჯავახეთის ცალკეული რაიონები დაარბია, მაგრამ კარგად გამაგრებული თმოგვის ციხე ვერ აიღო.

აბჯარი, სამხედრო საჭურველი, რომელიც მეომარსა და მის ცხენს მტრის მჭრელი და საძგერებელი იარაღისაგან იცავდა. უძველესი დროიდან გავრცელებული იყო ხისა და ტყავის **ა.** ხოლო, ლითონის **ა.** ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა.

აბჯრისმტვირთველი, მ ე ა ბ ჯ რ ე: 1. დიდგვარიანი მხედრის (რაინდის) აბჯრის (საჭურვლის) მზიდავი ახალგაზრდა მეომარი; 2. აბჯრის მნე (მოხელე, განმგებელი) ძვ. საქართველოში. ემორჩილებოდა *ამილახორის* თანაშემწეს – მეაბჯრეთუხუცესს.

აგენტურული დაზვერვა, საიდუმლო აგენტების მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების, მისი სამხედრო-ეკონომიკური და სამობილიზაციო შესაძლებლობების, საომარი მოქმედებების თეატრის მოწყობის შესახებ და სხვა.

აგვისტოს აჯანყება 1924, ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. 1922 ჩამოყალიბდა ქართული ოპოზიციური პარტიების გაერთიანება – დამოუკიდებლობის კომიტეტი (დამკომი). ამ ორგანოს ექვემდებარებოდა სამხედრო ცენტრი, რომლის მთავარი ძალა იყო აღმოსავლეთ საქართველოში მოქმედი ქ. ჩოლოყაშვილის (იხ. *ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო*) რაზმი. პარტიზანული რაზმები მოქმედებდნენ დასავლეთ საქართველოშიც. საბჭოთა უშიშროების ორგანოები თვალყურს ადევნებდნენ შეთქმულებს. 1923 დააპატიმრეს და დახვრიტეს სამხედრო ცენტრის მეთაურები და ზოგი სხვა ლიდერი. მიუხედავად ამისა, დამკომმა საერთო აჯანყების გადაწყვეტილება მიიღო. გამოსვლის დღედ დაინიშნა 1924 წლის 29 აგვისტო, მაგრამ ჭიათურაში შეიარაღებული გამოსვლა დაიწყო 28 აგვისტოს, რამაც არია შეთქმულთა გეგმები. მიუხედავად ცალკეული პუნქტების (დუშეთი, სუფსა, სენაკი, აბაშა, ვანი და სხვა) ხელში ჩაგდებისა, აჯანყებულები მოქმედებდნენ დაქსაქსულად, ხალხის მასებმა აჯანყებას აქტიურად არ დაუჭირეს მხარი, ზოგან გლეხობა აჯანყებულთა წინააღმდეგაც გამოვიდა. ყოველივე ამან საბჭოთა ჯარებს საშუალება მისცა რამდენიმე დღეში მოეპოვებინათ გამარჯვება. აჯანყებულთა უმრავლესობა ხელისუფლებას დანებდა, ქ. ჩოლოყაშვილი 26 თანამებრძოლით თურქეთში გადავიდა. მათ გაჰყვა აჯანყების მთავარსარდალი გენერალი ს. ჭავჭავაძე. 1924 აჯანყების ჩახშობას თან სდევდა სასტიკი ტერორი ეროვნული ძალების მიმართ. ხვრეტდნენ ყველას, ვინც „სოციალურად საშიშ ელემენტად“ ითვლებოდა. დახოცილთა რაოდენობამ რამდენიმე ათასს მიაღწია, მათი უმრავლესობა აჯანყების მონაწილე არც ყოფილა.

აგრეგატი, ტერმინი ლოგისტიკური უზრუნველყოფის სფეროდან. **ა.** შედის სამხედრო ტექნიკის შემადგენლობაშიც. მიეწოდება და იცვლება ერთიანი კომპლექტის სახით და, როგორც წესი, შედგება ცალკეული დეტალებისა და ან კვანძებისაგან, რომლებიც შეიძლება ინდივიდუალური წესით შეიცვალოს.

აგრესია (ლათინური სიტყვა – aggressio – თავდასხმა), თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ცნება. გაეროს წესდების თანახ

მად, **ა.** არის ერთი სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალების უკანონო გამოყენება მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტის, მოსახლეობის, ტერიტორიის ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. ითვლება მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ უმძიმეს საერთაშორისო დანაშაულად. **ა**-ის ცნების თანახმად, აგრესორია ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც პირველი გამოიყენებს შეიარაღებულ ძალებს. გაეროს ყველა წევრი ქვეყანა თავს იკავებს საგარეო ურთიერთობებში ძალის გამოყენების და მუქარისაგან. **ა.** შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი (ირიბი). როგორც განსაკუთრებული შემთხვევა გამოყოფენ **ა**-ში თანამონაწილეობას. პირდაპირი **ა.** არის ქვეყნის შეიარღებული ძალების სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეჭრა; სახელმწიფოს ტერიტორიის სამხედრო ოკუპაცია და ანექსია; ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის მიმართ ნებისმიერი იარაღის გამოყენება; ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის სამხედრო ბლოკადა; ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების თავდასხმა მეორე სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებზე. არაპირდაპირი (ირიბი) **ა**. არის შეიარღებული ძალების შენიღბულად განოყენება სხვა სახელმწიფოს წინააღმდეგ. ეს შეიარაღებული ძალები მალავენ თავის ქვეყანასთან კავშირს, თუმცა ფაქტიურად მოქმედებენ მათი სახელით და დავალებით. **ა**-ში თანამონაწილეობა მოიცავს ისეთ მოქმედებებს, როგორიც არის ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ **ა**-ის აქტის განსახორციელება, რათა მესამე სახელმწიფომ დათმოს ტერიტორია. გაეროს გენერალური ასამბლეის 29-ე სესიამ 1974 მიიღო **ა**-ის ტერმინის განმარტება. გაეროს წესდების 51-ე მუხლის თანახმად განსაზღვრულია, რომ აგრესიულ აქტად არ ჩაითვლება მოვლენა, თუ სახელმწიფო იცავს თავს და იგერიებს შემოტევას, თუნდაც შეტევითი მოქმედებების განხორციელების გზით. გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით აგრესორის წინააღმდეგ შეიძლება გამოიყენონ არასამხედრო ხასიათის სანქციები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – გაეროს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალები.

აგრესიის აღკვეთა, სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალის გამოყენება აგრესორის შეიარაღებული თავდასხმის შესაწყვეტად. ხორციელდება მოწინააღმდეგეზე ჯარების (ძალების) საპასუხო დარტყმების მიყენებით. იმავდროულად, ეკონომიკურ-პოლიტიკური, დიპლომატიური და წინააღმდეგობის სხვა ღონისძიებების გამოყენებით საომარი კონფლიქტის ადრეულ სტადიაში შესაწყვეტად, რათა თავიდან აიცილონ მისი ესკალაცია და ხელი შეუწყონ ურთიერთშეთანხმებას.

აგრესიის მოგერიება, შეიარაღებული ძალების ღონისძიებებისა და მოქმედებების ერთობლიობა. მისი მიზანია ჩაუშალონ აგრესორ სახელმწიფოს სხვა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გეგმა. ამ გეგმის განსახორციელებლად მოწინააღმდეგეს აყენებენ დარტყმებს ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაზე და კოსმოსურ სივრცეში, რათა შეინარჩუნონ თავიანთი სამხედრო პოტენციალი, ხოლო აგრესორს შეუქმნან განადგურების პირობები.

აგრიჩაის ბრძოლა 1751, ქართლ-კახეთის მეფეების *თეიმურაზ II*-ისა და *ერეკლე II*-ის ლაშქრობა ჭარელი ლეკების წინააღმდეგ. შაქის ხანმა ჰაჯი-ჩელებიმ ქართველებთან ზავი დაარღვია და ლეკებს მიემხრო. ერეკლემ ალაზანი გადალახა და შაქის სახანოში შეიჭრა. ჰაჯი-ჩელები თავდაცვისათვის კარგად იყო მომზადებული და ლეკის ჯარიც თან ჰყავდა. მდინარე აგრიჩაისთან ბრძოლაში (ალაზნის შენაკადი, ახლანდ. აზერბაიჯანი) ქართველები დამარცხდნენ.

ადაპტაცია (ლათინური adapto – შეგუება), ადამიანის და ტექნიკური მოწყობილობის შეგუება ახალი გამაღიზიანებლების და გარემოს ფაქტორების მოქმედებებთან ან საქმიანობის (ფუნქციონირების) შეცვლილ პირობებთან. **ა**-ის დადებითი ეფექტია ახალ პირობებთან მდგომარეობის და ქცევის შესაბამისობა. ცნობილია **ა**-ის 3 დონე – ნაწილობრივი, საკმარისი და სრული. ადამიანის **ა**-ის ძირითადი სახეებია: ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური. ტექნიკური მოწყობილობები ადაპტაციის პრინციპით იყოფა: თვითშეგუებადი, თვითორგანიზებადი და თვითშემსწავლელი.

აღგილიდან სროლა, სროლის ფორმა, რომელიც წარმოებს ტანკებიდან, საარტილერიო სისტემებიდან, ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან და ჯავშანტრანსპორტიორებიდან ერთი საცეცხლე პოზიციიდან პირდაპირი დამიზნებით. გამოიყენება თავდაცვაში, ჩასაფრებაში მოქმედების, მოწინააღმდეგის ტანკების კონტრშეტევის მოგერიების და დიდ მანძილებზე სროლის დროს.

აღგილმდებარეობა, დედამიწის ზედაპირის ნაწილის ბუნებრივი და ხელოვნური გარემო. მოიცავს ბუნებრივ ელემენტებს, აგრეთვე მიმოსვლის გზებს, დასახლებულ პუნქტებს, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სოციალურ-კულტურულ ობიექტებს და სხვა. საბრძოლო ვითარების ერთ-ერთი ელემენტი. **ა**. ხასიათდება თავისებურებების მიხედვით იგი არის ვაკე, მთაგორიანი, მთიანი; დასერილობის ხარისხის მიხედვით – სუსტად დასერილი, საშუალოდ დასერილი და ძლიერ დასერილი; გამავლობის მიხედვით – იოლად გამავალი, გამავალი, ძნელად გამავალი და გაუვალი; თვალთვალისა და შენიღბვის

პირობების მიხედვით – ღია, ნახევრად დახურული, დახურული; ბუნებრივი პირობების მიხედვით – უდაბნო, სტეპი (უდაბნო-სტეპისა), ტყიანი, ჭაობიანი, ტყიან-ჭაობიანი და სხვა. **ა**-ის თვისებებს, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ საბრძოლო მოქმედების წარმოებაზე, **ა**-ის ტაქტიკურ თვისებებს უწოდებენ.

ადგილმდებარეობის განათება, მანათობელი საშუალებების გამოყენება ღამით საბრძოლო მოქმედებების დროს ჯარებისთვის (ძალებისთვის) ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. **ა.გ**-ის მიზანია მოწინააღმდეგის ობიექტების (მიზნების) აღმოჩენა, საკუთარი საცეცხლე საშუალებების ეფექტურობის, საკუთარი ჯარების ორიენტირების გაზრდა და მოწინააღმდეგის დაბრმავება. **ა.გ**. შეიძლება იყოს უწყვეტი, ადგილობრივი და საერთო.

ადგილმდებარეობის დაზვერვა, ადგილმდებარეობის ელემენტების ამსახველი უტყუარი ინფორმაციის მოპოვება, შეგროვება, განზოგადება და ამ მასალით მეთაურის (სარდლობის) უზრუნველყოფა. იგი გავლენას ახდენს ძალებისა და საშუალებების გამოყენებაზე მომავალი მოქმედებების ზოლში (მონაკვეთზე). **ა.დ**-ის ძირითად ობიექტებს შეტევაში წარმოადგენენ საგზაო ქსელი და მისი მდგომარეობა, წინწაწევის მარშრუტები, სამანევრო გზები, დაბრკოლებები და მათი გადალახვის შესაძლებლობა. თავდაცვაში **ა.დ.** ავლენს (მოწინააღმდეგეს ეს ხელსაყრელია) თავდაცვის ზოლების, პოზიციების, მონაკვეთების, რაიონებისა და საყრდენი პუნქტების შექმნის ადგილებს, ასევე კონტრდარტყმებისა და კონტრიერიშების ზღუდეების შექმნის პროცესებს. **ა.დ.** ხდება თვალთვალის, სახმელეთო, საჰაერო და კოსმოსური ფოტოგრაფირების, დათვალიერების გზით და სხვა ხერხებით.

ადგილმდებარეობის დამცავი თვისებები, რელიეფის, მცენარეულობისა და ადგილობრივი საგნების თავისებურებები, რომლებიც შესაძლებელს ხდიან შესუსტდეს დაზიანების საშუალებათა ზემოქმედება. საუკეთესო დამცავი თვისებებით გამოირჩევა ხევებით, ღრანტეებითა (ღრმა და ვიწრო ხრამი) და ხრამებით დასერილი მთაგორიანი ადგილები. ხრამმა შეიძლება 1,5-ჯერ შეასუსტოს დარტყმითი ტალღის მოქმედება. ტყის მასივები დარტყმით ტალღას ასუსტებენ 2-ჯერ, შუქგამოსხივების ზემოქმედებას ამცირებენ 6–8-ჯერ. მაღლობების პირიქითა ფერდობებზე ბირთვული დარტყმითი ტალღის წნევა 2–2,5-ჯერ ნაკლებია, ვიდრე დაბლობზე. ადგილმდებარეობის ნაოჭები ირეკლავენ შუქგამოსხივებას და გამჭოლ რადიაციას. სხვადასხვა იარაღის დამაზიანებელი ზემოქმედებისაგან საიმედოდ იცავენ მიწისქვეშა გამოქვაბულები, მღვიმეები და გრუნტის სისქეში არსებული სხვა ბუნებრივი წარმონაქმნები.

ადგილმდებარეობის დასნებოვნება, ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით, ბირთვულ და ქიმიურ ობიექტებზე ავარიების ან ბირთვულ-ენერგეტიკული დანადგარის მქონე კოსმოსური აპარატის ჩამოვარდნით გამოწვეული ერთ-ერთი შედეგი. განასხვავებენ რადიოაქტიურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ დასნებოვნებას.

ადგილმდებარეობის დატბორვა, 1. ხელოვნური წყლისმიერი დაბრკოლება, რომლის შექმნის მიზანია შეაკავოს მოწინააღმდეგის წინსვლა, შებოჭოს მისი მანევრი ან აიძულოს დატოვოს დაკავებული ტერიტორია, დაარღვიოს ხიდები, ჩაშალოს საბორნე და სადესანტო გადასასვლელები. შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური. ადგილმდებარეობის აქტიური დატბორვის (ჰიდროსფერული ან ჰიდროლოგიური იარაღი) არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს დამანგრეველი ძალის ტალღით დატბორვა. წყლის მასების ინტენსიური გადაშვების დროს ინგრევა ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ადგილმდებარეობის პასიური დატბორვა იწვევს მოწინააღმდეგის მოძრაობის გზებზე დატბორილ (დაჭაობებულ) უბნებს, რომლებიც წარმოიქმნება მდინარის ან ნაკადულის წყლის დაგროვების შედეგად. 2. ადგილმდებარეობის დაწეული უბნების ხელოვნურად წყლით დაფარვა ხელს უშლის მოწინააღმდეგის ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობას. 3. ადგილმდებარეობის დაწეული უბნების ბუნებრივი დატბორვა წყალდიდობის, წყლის მოვარდნისა და კოკისპირული წვიმების პერიოდში აფერხებს მოწინააღმდეგის გადაადგილებას.

ადგილმდებარეობის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, მნიშვნელოვანი ადგილმდებარეობა, რომელიც ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის უნდა შენარჩუნდეს ან გაკონტროლდეს.

ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობა, საინჟინრო უზრუნველყოფის ღონისძიებათა კომპლექსი. ხორციელდება საკუთარი ჯარების (ძალების) მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულების ინტერესებისათვის, მოწინააღმდეგე ჯარების მოქმედების გართულებისა და მისთვის დანაკარგების მიყენებისათვის. **ა.ს.მ**-ში შედის პოზიციების, რაიონების, ზღუდეების, მართვის პუნქტების საფორტიფიკაციო მოწყობა; საინჟინრო ღობურების მოწყობა და ნგრევის წარმოება; აეროდრომების, გადასასვლელების, ჯარების მოძრაობის და სამანევრო გზების მომზადება; ჯარებისა და ობიექტების შენიღბვის ღონისძიებები; წყალმომარაგების პუნქტების მოწყობა, მათი მოვლა-შენახვა და სხვა.

ადგილმდებარეობის ტაქტიკური თვისებები, ადგილმდებარეობის ელემენტების (რელიეფი, ჰიდროგრაფია, მცენარეული საფარი, მიმოსვლის გზები და სხვა) ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს ჯარების საბრძოლო

მოქმედებებზე. ადგილმდებარეობის ძირითად ტაქტიკურ თვისებებს განეკუთვნება: დაზიანების სხვადასხვა საშუალებისაგან ჯარების დაცვის და ცეცხლის წარმოების პირობები; შენიღბვა, თვალთვალი და ორიენტირება, აგრეთვე გზებსგარე გამავლობა, საფორტიფიკაციო მოწყობა, წყალმომარაგება და სხვა.

ადგილნაცვალი პირები, ომის დროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოწინააღმდეგის მიერ იძულებით გამოდევნილი მოქალაქეები. მოწინააღმდეგე შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფო ან შიგა და გარე აგრესიული ჯგუფები, რომლებიც სარგებლობენ სხვა სახელმწიფოს დახმარებით. პირველად ტერმინი „ადგილნაცვალი პირები“ იხმარეს II მსოფლიო ომის დროს ფაშისტური გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნებიდან გამოყვანილი მოქალაქეების მიმართ. XX საუკუნის 80-იან წლებში ზოგიერთ შემთხვევაში **ა.პ**-ს მიაკუთვნებენ იმ ადამიანებს, რომლებმაც ნებაყოფლობით დატოვეს თავისი ქვეყნის რომელიმე კუთხე და იძულებული არიან დასახლდნენ მის სხვა ნაწილში. ზოგჯერ მათ უწოდებენ „იძულებით გადასახლებულ პირებს“.

ადგილობრივი თავდაცვა, მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში იმ საშიშროებებისაგან დაცვის ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც წარმოიშობა საომარი მოქმედებისა და საგანგებო სიტუაციების დროს. ხორციელდება გარნიზონებში, სამხედრო ობიექტებზე (არსენალი, ბაზა, საწარმოო, ორგანიზაცია, დაწესებულებები, სამხედრო სასწავლებლები) და სამხედრო ქალაქებში; საერთო-სახელმწიფოებრივი დაცვის სისტემის შემადგენელი ნაწილი. ადგილობრივი თავდაცვის ორგანიზებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება სხვადასხვა დონის სამხედრო ხელმძღვანელობას (სარდლებს, მეთაურებს).

ადგილობრივი რესურსები, მატერიალური და ადამიანური რესურსები, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ ჯარებმა საკუთარი მოთხოვნილებებისათვის გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) საბრძოლო მოქმედებების რაიონში (ზონაში). მატერიალურ **ა.რ**-ებს განეკუთვნება: სურსათი, საწვავი, ნედლეული, სარემონტო, ენერგეტიკული, სამკურნალო დაწესებულებები, კავშირის საშუალებები, ტრანსპორტი და სხვა. ადგილობრივი ადამიანური რესურსი შეადგენს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მოცემულ რაიონში მოქმედი ჯარის ინტერესებისთვის შეიძლება ჩაბმული იქნეს სხვადასხვა სახის სამუშაოების შესრულებაში.

ადგილობრივი საჰაერო თავდაცვა, ღონისძიებათა სისტემა, რომელსაც ახორციელებენ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები ჰაერიდან მოწინააღმდეგის თავდასხმისაგან მოსახლეობისა და ობიექტების დასაცავად. მისი მიზანია დარტყმების შედეგების ლიკვიდაცია, სამრეწველო საწარმოების, ელექტროსადგურების, ტრანსპორტისა და სხვა მუშაობის ნორმალური პირობების შექმნა. პირველად განხორციელდა I მსოფლიო ომის დროს. XX საუკუნის 20–30-იან წლებში ადგილობრივი საჰაერო თავდაცვა ჩამოყალიბდა ბევრ ევროპულ ქვეყანაში. 1961 ყოფილ საბჭოთა კავშირში მოხდა **ა.ს.თ**-ის რეორგანიზაცია და შეიქმნა სამოქალაქო თავდაცვის სისტემა.

ადიუტანტი (ლათინური adjutant – დამხმარე), ოფიცრის (ზემსახურის) თანამდებობა, რომელიც უფროსის უშუალო დაქვემდებარებაშია. მისი მოვალეობაა სამსახურებრივი და სხვა დავალებების ან საშტაბო სამუშაოების შესრულება.

ადმინისტრაციულ-ლოგისტიკური ბრძანება, ბრძანება, რომელიც ეხება გადაზიდვებს, მომარაგებას, ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, ევაკუაციას, კადრებს და სხვა ადმინისტრაციულ-ლოგისტიკურ საკითხებს.

ადმინისტრაციულ-ლოგისტიკური გეგმა, გეგმა, რომელიც, როგორც წესი, თან ერთვის ოპერატიულ გეგმას ან ბრძანებას და მათი დანართია. შეიცავს ინფორმაციას და მითითებებს ოპერაციის ლოგისტიკურ და ადმინისტრაციულ საკითხებში მხარდაჭერაზე.

ადმინისტრაციულ-ლოგისტიკური მართვა, უფლებამოსილებების განხორციელება ადმინისტრაციულ-ლოგისტიკურ საკითხებში, ან დაქვემდებარებაში მყოფი სხვა საორგანიზაციო ერთეულების იმ ადმინისტრაციულ-ლოგისტიკური საკითხების ხელმძღვანელობა, რომლებიც არ შედიან საბრძოლო ამოცანების სფეროში (კადრების მართვა, მომარაგება, მომსახურება და სხვა).

ადმინისტრაციულ-ლოგისტიკური საქმიანობა, 1. მმართველობითი და აღსრულებითი საქმიანობა ყველა სამხედრო საკითხზე ტაქტიკისა და სტრატეგიის გარდა. უპირატესად ხორციელდება ლოგისტიკური უზრუნველყოფისა და კადრების მართვის სფეროებში. 2. ნაწილების და ქვედანაყოფების შიდა მართვა.

ადმინისტრაციული გამოძიება, გამოძიების ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც მეთაურის (უფროსის) მიერ დანიშნული პირი აწარმოებს. **ა.გ.** ინიშნება ხელქვეითის გადაცდომის დროს. მან უნდა გამოიკვლიოს დანაშაულის ნიშნები. **ა.გ**-ის მიზანია უზრუნველყოს დამნაშავის სასჯელის მართებულობა, სამართლიანად შეაფასოს მატერიალური პასუხისმგებლობის უგულველყოფოს შემთხვევა. მეთაურმა უნდა მიიღოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული კონტროლი, ძალაუფლების გამოყენება დაქვემდებარებული ან სხვა სტრუქტურების მიმართ ადმინისტრაციულ-

სამეურნეო მოღვაწეობის და მხარდაჭერის სფეროში. გულისხმობს ჯარის მომარაგების სამსახურის უზრუნველყოფას, რესურსების და აღჭურვილობის გაკონტროლებას, პირადი შემადგენლობის მართვას, ქვედანაყოფის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას. **ა.კ.** ამოწმებს ინდივიდუალურ სწავლებას და ქვედანაყოფის წვრთნას, მობილიზაციას, დემობილიზაციას, დისციპლინის დამყარება-შენარჩუნებას და იმ სხვა სფეროებს, რომელებიც უშუალოდ ოპერატიულ მოქმედებებს არ განეკუთვნება.

ადმირალი (ჰოლანდიური – admiraal – ზღვის მბრძანებელი), წოდება სამხედრო-საზღვაო ძალებში, მეთაურთა შემადგენლობის უმაღლესი წოდება. ევროპაში პირველად ეს წოდება გაჩნდა ვენეციასა და გენუაში XII საუკუნეში, მოგვიანებით – ინგლისში, ჰოლანდიაში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

ადრეული გაფრთხილება, წინასწარი შეტყობინება დაზიანების უცნობი საშუალებების გაშვების ან მიტანის თაობაზე. ასევე საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების ადრეული გაფრთხილება. ძირითადად გამოყენება ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეულ და შემდგომ აღმოჩენის ეტაპებზე. **ა.ბ.** ხდება საფრენი აპარატების მიზნისკენ გადაადგილების, წყალქვეშა ნავების წყალზედა საშუალებების სამიზნე კოორდინატებზე გასვლის, ყველა ტიპის სარაკეტო დარტყმის სამზადისის შემთხვევაში და სხვა შესაბამის სიტუაციაში.

ადრიანოპოლის ბრძოლა 378, ადრიანოპოლთან (ახლანდელი ედირნე, თურქეთი) რომის იმპერატორ ვალენტის არმია გაანადგურეს ვესტგუთებმა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ აჯანყებული მონები და კოლონები. ადრიანოპოლთან დამარცხებამ დააჩქარა რომის იმპერიის დაშლა აღმოსავლეთ (ბიზანტია) და დასავლეთ რომის იმპერიებად. ისტორიკოს ამიანე მარცელინუსის ცნობით, **ა.ბ**-ში რომაელთა არმიის ერთ-ერთი სარდალი ყოფილა ბაკურ იბერიელი.

ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებები 1713, 1829, რუსეთ-ოსმალეთის 1710–13 და 1828–29 ომების შემდეგ დაიდო ხელშეკრულებები 1. 1713 წლის 13 (24) ივნისის ხელშეკრულებით, რუსეთმა ოსმალეთს დაუთმო აზოვის ციხე მიმდებარე ტერიტორიით და გაიყვანა ჯარები პოლონეთიდან, რათა ხელები გახსნოდა ბალტიისპირეთში სამოქმედოდ. 2. 1929 წლის 2 (14) სექტემბრის ხელშეკრულებით, რუსეთმა მიიღო დუნაის შესართავი, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო ტამანის ნახევარკუნძულიდან აჭარამდე (ამ სანაპირო ხაზის ჩრდილო მონაკვეთი – აფხაზეთიდან ტამანამდე, ფაქტობრივად, კიდევ დასაპყრობი იყო) და სამცხე-ჯავახეთი ახალციხითა და ახალქალაქით. გარდა ამისა, ოსმალეთმა ცნო ქართლ-კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აგრეთვე ერევნისა და ნახჭევნის სახანოების რუსეთთან შეერთება. გადაუხადა რუსეთს კონტრიბუცია და გახსნა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეები რუსული და უცხოური სავაჭრო გემებისათვის. მოლდოვამ, ვლახეთმა, საბერძნეთმა და სერბიამ ავტონომია მიიღეს, განთავისუფლდნენ ოსმალთა ჩაგვრისაგან.

აეროდინამიკა (ბერძნული aer – ჰაერი, ლათინური dynamic – დარტყმის ძალა), მექანიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც სწავლობს ჰაერის და ზოგადად აირის (აირისმაგვარი გარემოს) მოძრაობის კანონებს და მის ურთიერთქმედებას სხეულებთან. ფართოდ გამოიყენება საავიაციო, სარაკეტო-კოსმოსურ, საარტილერიო და სხვა. ტექნიკის პროექტირების, გამოცდის და ექსპლუატაციის დროს. **ა.** იყოფა თეორიულ (ეფუძნება განტოლების ამოხსნას, რომელიც აღწერს ჰაერის მოძრაობას და მის ურთიერთქმედებას სხეულებთან) და ექსპერიმენტულ (იყენებს კვლევებს აეროდინამიკურ მილებში ან რეალურ საფრენ აპარატებზე ფრენის პროცესში) **ა**-ად. ზებგერითი ფრენის სისწრაფის მქონე საფრენი აპარატების გამოჩენამ განაპირობა დიდი სიჩქარის **ა**-ის, მაგნიტოაეროდინამიკის, სუპერაეროდინამიკის, არასტაციონარული **ა**-ის გამოჩენა.

აეროდინამიკური მილი, დანადგარი, რომელიც ქმნის მოცემული პარამეტრების მქონე ჰაერის ან აირის ნაკადს სხეულის გარსშემოდენის პროცესის ექსპერიმენტულად შესწავლისათვის. გამოიყენება საფრენი აპარატების, სახმელეთო მოძრავი საშუალებების, აგრეთვე სხვადსხვა ნაგებობების მოდელების ან რეალური ნიმუშების აეროდინამიკური მახასიათებლების და სხვა პარამეტრების დასადგენად.

აეროდინამიკური მახასიათებლები, სიდიდეების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს მექანიკურ და სითბურ ურთიერთქმედებას აირისმაგვარ გარემოსა და მასში მოძრავ სხეულს შორის. ძირითადი **ა.მ.** წარმოდგენილია აეროდინამიკური ძალების კოეფიციენტისა და მომენტების პარამეტრების დამოკიდებულების სახით. ის ახასიათებს სხეულის ფორმის ცვლილებებს და მოძრაობის პირობებს (მახის რიცხვებს, შეტევის კუთხეს, სრიალს, საჭის გადახრებს, ფრენის სიმაღლეებს და სხვა). გამოიყენება გარსშემოდენილი სხეულის რაციონალური ფორმის შერჩევის, მისი აეროდინამიკური სრულყოფის შეფასების, ტრაექტორიისა და მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრის, კონსტრუქციის სიმყარის გათვლის დროს.

აეროდინამიკური ძალები, ძალები, რომლებიც ზემოქმედებენ ჰაერში ან სხვა აირის გარემოში მოძრავ სხეულზე. საფრენი აპარატისთვის სახასიათო **ა.ძ**-ია: შუბლა წინააღ-

მდეგობის ძალა, ამწე ძალა, მიმართული ზევით; გვერდითი ძალა, მიმართული პერპენდიკულარულად პირველ ორთან. **ა.ძ**-ის და მათ მიერ შექმნილი მომენტების მართვა ხორციელდება მართვის ორგანოების საშუალებით (საჭით, ელერონებით და სხვა).

აეროდრომების კვანძი, აეროდრომების ჯგუფი, რომელიც განკუთვნილია, როგორც წესი, საავიაციო შენაერთის ბაზირებისათვის. მოიცავს მოქმედ, სათადარიგო და ცრუ აეროდრომებს, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული გზებითა და კავშირგაბმულობის ხაზებით. გამოყოფენ აგრეთვე მანევრის აეროდრომებს. თითოეული საერ-ოდრომო კვანძისათვის დგინდება საზღვრები, ფრენის საერთო რეჟიმი, მუშავდება ფრენის მოწყობის ინსტრუქციები და ინიშნება ზემდგომი საავიაციო უფროსი. საეროდრომო კვანძი ეწოდება აგრეთვე ახლომდებარე აეროდრომების ჯგუფს, საიდანაც ფრენა უსაფრთხოების პირობების მიხედვით მოითხოვს შეთანხმებას. (იხ. აგრეთვე *აეროდრომი*).

აეროდრომების რაიონი, ერთმანეთთან გზებითა და კავშირგაბმულობის საშუალებებით დაკავშირებული რამდენიმე აეროდრომის კვანძის ერთობლიობა. **ა.რ**-ში შემავალი აეროდრომების რაოდენობა განისაზღვრება ავიაციის შემადგენლობით და საავიაციო ნაწილების ბაზირების სიმჭიდროვით. საარედრომო რაიონი შეიძლება მოიცავდეს 2–4 და მეტ აეროდრომების კვანძს.

აეროდრომების ქსელი, სახელმწიფოს ტერიტორიაზე განლაგებული აეროდრომების (აეროპორტების) ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ავიაციის ბაზირებას, ფრენას და მანევრს. განასხვავებენ სამოქალაქო და სამხედრო ავიაციის **ა.ქ**-ებს. იგი მოიცავს საავიაციო შენაერთის ან გაერთიანების ბაზირებისათვის განკუთვნილ აეროდრომების რაიონებს. აეროდრომების რაიონი, თავის მხრივ, შედგება რამდენიმე აეროდრომების კვანძისაგან (აეროდრომთა ჯგუფისაგან), რომელთაგან თითოეულში, როგორც წესი, ბაზირებულია საავიაციო ნაწილი.

აეროდრომზე მორიგეობა, გაფრენისთვის და საბრძოლო ამოცანის შესრულებისთვის საფრენი აპარატების ეკიპაჟების, საავიაციო ქვედანაყოფების (ნაწილების) ყოფნა აეროდრომზე (ხომალდზე).

აეროდრომი, (აერო – aero და ბერძნული dromos – სარბიელი), მიწის ან წყლის (ყინულის) მონაკვეთი, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი საჰაერო ხომალდების აფრენის, დაშვების, მართვის, დგომისა და მომსახურებისათვის. კუთვნილების მიხედვით განასხვავებენ სამხედრო, სამოქალაქო (აეროპორტებად წოდებულს) და ერთობლივი ბაზირების **ა**-ებს. სამხედრო **ა**-ები განსხვავდებიან საბრძოლო დანიშნულების, გამოყენების სპეციფიკის, განლაგების გეოგრაფიული პირობების თავისებურებების, აღჭურვილობის ხარისხის მიხედვით და ტექნიკური მახასიათებლებით.

საბრძოლო დანიშნულების მიხედვით **ა**-ები არის ძირითადი – საავიაციო ნაწილების მუდმივი დისლოკაციისათვის; ოპერატიული – საავიაციო დაჯგუფების შექმნისა და საავიაციო ნაწილების მიერ საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის; დაშორიშორების – საავიაციო ქვედანაყოფების დროებითი ბაზირებისათვის; ზურგის – საავიაციო ნაწილების ფორმირების (ხელახალი ფორმირების), საფრენოსნო ეკიპაჟების დამატებითი მომზადების, საავიაციო ტექნიკის რემონტისა და ომიანობის დროს სხვა სპეციალური ამოცანების შესრულებისათვის. ზურგის **ა**. განლაგებულია ქვეყნის ტერიტორიის სიღრმეში; მის დაქვემდებარებაშია ჯარების სამხედრო ტექნიკის და სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის მიერ სხვა მატერიალური საშუალებების დატვირთვა-გადმოტვირთვის **ა**-ები. აქედან ნებისმიერი შეიძლება გარკვეული პერიოდით დაინიშნოს სათადარიგო, მანევრის, ურთიერთმოქმედების, ჩასაფრების, მეწინავე, კმაგამართვის, აგრეთვე სხვა სპეციალური ამოცანების შესრულების **ა**-ად. სათადარიგო **ა**-ს იყენებენ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ძირითადის გამოყენება;

მანევრის **ა**. გამოიყენება ხანმოკლე ბაზირებისათვის; ურთიერთმოქმედების **ა**. – საერთო ამოცანის შესასრულებლად სხვადასხვა საავიაციო ნაწილებისათვის; შუალედური **ა**. – შუალედური დაფრენისათვის, თუ თვითმფრინავის ან ვერტმფრენის მოქმედების რადიუსი არ იძლევა საიმისო შესაძლებლობას, რომ ამოცანა შესრულდეს ძირითადი **ა**-იდან; ჩასაფრების **ა**. – გამანადგურებელი და საარმიო ავიაციისათვის მოქმედების მოულოდნელობის მისაღწევად. ჩვეულებრივ, განლაგდება მოწინააღმდეგესთან შეიარაღებული ძალების საბრძოლო შეხების ხაზის ან მისი თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ფრენის შესაძლო მარშრუტების სიახლოვეს. მეწინავე **ა**. – მოწინააღმდეგის ობიექტებზე ზემოქმედების სიღრმის ზრდისთვის; კმაგამართვის **ა**-ები – თვითმფრინავების, ვერტმფრენების გამართვისა და ეკიპაჟების დასვენებისათვის.

გამოყენების სპეციფიკის მიხედვით განასხვავებენ საცდელ **ა**-ებს – საცდელი ფრენისათვის; სატრასო **ა**-ებს – საჰაერო ტრასებზე გადაფრენის უზრუნველსაყოფად; სასწავლო **ა**-ებს – სასწავლო ფრენისა და სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულებების საავიაციო ნაწილებისა და ქვედანაყოფების, საავიაციო კლუბების ქვედანაყოფების ბაზირებისათვის და ცრუ **ა**-ებს – ავიაციის ჭეშმარიტი ბაზირების ადგილთან დაკავ-

შირებით მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად.
გეოგრაფიული (ბუნებრივი) პირობების მიხედვით ასევე განასხვავებენ პოლარულ, უდაბნოს ან ტუნდრის **ა**-ებს – ადგილებში, სადაც მცირე რაოდენობით არის ორიენტირები და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კომუნიკაციები; მთის **ა**-ებს – ტერიტორიებზე, რომლებიც 25 *კმ.* რადიუსში ზღვის დონიდან 500 *მ*-ზე მეტ სიმაღლეზე მდებარეობენ ან განლაგებულია 1000 *მ.* და მეტ სიმაღლეზე; წყლის **ა**-ებს (ჰიდროაეროდრომები) – ჰიდროთვითმფრინავების აფრენისა და დაშვებისათვის (განლაგებისათვის); ყინულის **ა**-ებს – გაყინულ წყალსატევებზე, კონტინენტურ ყინულზე, მოდრეიფე ყინულსა და ნაპირის ყინულზე დასაშვებად. ყინულის სისქე 25 *სმ*-დან (მყარი, ბზარის გარეშე) 200 *სმ*-მდეა.
აღჭურვილობის დონის მიხედვით **ა**-ები არის მუდმივი, სადაც ასაფრენ-დასაშვებ ზოლებს, საჭესავალ ბილიკებსა და თვითმფრინავების (ვერტმფრენების) სადგომ ადგილებს აქვთ ხელოვნური საფარი (აეროდრომული საფარი), ხოლო ნაგებობები და მოწყობილობა – სტაციონარული; საველე, რომლებსაც აქვთ გრუნტის ან ასაწყობ-დასაშლელი ხელოვნურ-საფარიანი ასაფრენ-დასაშვები ზოლები, საჭესავალი ბილიკები და სადგომი ადგილები; გარდამავალი ტიპის, სადაც არის დროებითი ტიპის ნაგებობების მინიმუმი და მოძრავი მოწყობილობა. ტექნიკური მახასიათებლების თვალსაზრისით სამხედრო **ა**-ები ძირითადი ასაფრენ-დასაშვები ზოლის სიგრძის, სიგანისა და **ა**-ის საფრების სიმტკიცის მიხედვით იყოფა კლასგარეშე, I, II, III, IV კლასების და დასაშვებ მოედნებად. თითოეული კლასის **ა**. უზრუნველყოფს გარკვეული ტიპის თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ფრენას და ავიაციის სხვადასხვა გვარეობათა საავიაციო ნაწილების ბაზირებას: კლასგარეშე და I კლასის **ა**-ები განკუთვნილია უმთავრესად შორეული ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიაციისათვის; II კლასის – დაჯგუფების და სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციისთვის ასევე საჰაერო თავდაცვის ავიაციისათვის; III და IV კლასების **ა**-ები და დასაჯდომი მოედნები – საარმიო ავიაციისთვის, აგრეთვე მოკლე გარბენისა და განარბენის ყველა ტიპის თვითმფრინავებისათვის. დაფრენის ტექნიკური საშუალებებით აეროდრომების აღჭურვის მიხედვით და ადგილმდებარეობის რელიეფისა და მასზე მაღლივი დაბრკოლებების არსებობის გათვალისწინებით წესდება აეროდრომის ამინდის მინიმუმი. მიღებულია ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლის და ასაფრენ-დასაფრენ ზოლებზე ხილვადობის სიშორის მინიმუმად დასაშვები ნიშნულები, რომელთა დროსაც უზრუნველყოფილია მოცემულ **ა**-ზე უსაფრთხო აფრენის, დასაფრენად შემოსვლისა და დაფრენის შესაძლებლობა. წესდება **ა**-ის ამინდის სამი კატეგორიის მინიმუმი: I კატეგორია – ღრუბლების ქვედა საზღვრის სიმაღლე არანაკლებ 60 *მ*-ისა, ხილვადობის სიშორე ასაფრენ-დასაფრენ ზოლზე არანაკლებ 800-ისა, II კატეგორია – შესაბამისად სიმაღლე 30 *მ*, სიშორე 400 *მ*, III კატეგორია – 30 *მ*-ზე ნაკლები და 400 *მ*-ზე ნაკლები.
აეროდრომის დაცვა და თავდაცვა, ხორციელდება აეროდრომზე (ბაზაზე) განლაგებული ყარაულებით, სამხედრო პატრულებით, შიდა განაწესით, მორიგე ცვლებით და ნაწილების მორიგე ქვედანაყოფებით, ხანძარსაწინააღმ დაცვის და სამაშველო სამუშაობის გუნდებით. დაცვის გაძლიერების მიზნით ხდება ობიექტის შემოღობვა, გამოიყენება დაცვის და სახანძრო სიგნალიზაციის ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე საყარაულო ძაღლები.
აეროზოლი (aero – აერო და გერმანული sol – ზოლი, კოლოიდური ხსნარი), აირის გარემოში არსებული მყარი ან თხევადი ნივთიერების ნაწილაკები, ზომით 10^{-6} – 10^{-2} *სმ.* არსებობს **ა.** კონდენსაციური (კვამლი, ნისლი, სმოგი) და დისპერგაციული (მტვერი, თხევადი ნაწილაკები).
სამხედრო საქმეში გამოიყენება დამცველი და შემნიღბავი **ა.**, რომლებსაც ღებულობენ აეროზოლწარმომქნელი შემადგენლობებიდან აეროზოლური საშუალებების დახმარებით. სპეციალური ნივთიერების **ა**-ები დეტონაციით იწვევს დიდ დამანგრეველ ძალას, რაც გამოიყენება ვაკუუმურ ბომბებში.
აეროზოლური ფარდა, აეროზოლური საშუალებებით ხელოვნურად შექმნილი დისპერსიული სისტემა, რომელიც შედგება საჰაერო (გაზურ) გარემოში ტივტივა თხევადი ან მყარი ნაწილაკებისგან. არის აეროზოლის რამდენიმე ღრუბელი (ორთქლი, ნისლი, მტვერი, კვამლი, სმოგი). გამოიყენება საააეროზოლო წინააღმდეგობისთვის. **ა.ფ**-ს განასხვავებენ: აეროზოლების გამოყენების მიხედვით – საობიექტო, ხაზობრივი, ფართობითი, ეკრანირებადი; მოქმედების დროის მიხედვით – მოკლე და გრძელვადიანი; დაყენების ხერხის მიხედვით – მოძრავი, უძრავი, ჰორიზონტალური, ვერტიკალური, ზედაპირიდან აზიდული და მთლიანი. ზემოქმედების ხერხების მიხედვით – შემნიღბავი, დამაბრმავებელი, დამცავი; **ა.ფ**-ის დაყენება ხდება რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების მიერ საშტატო აეროზოლური და საკვამლე შენიღბვის საშუალებებით.
აერომობილური ოპერაცია, საბრძოლო მოქმედებების ფორმა, რომლის არსია აერომობილური (საჰაერო-მოიერიშე) ფორმირებების ფარული და სწრაფი გადასროლა ჰაერით მოწინააღმდეგის ზურგში, მათ მიერ საჰაერო-

სახმელეთო დარტყმების მიყენება შერჩეული ობიექტებისათვის და სწრაფი მანევრის შესრულება ახალ რაიონებში. **ა.ო**-ის ამოცანებია: ცალკეული რაიონების და ადგილმდებარეობის მონაკვეთების (პლაცდარმები, უღელტეხილები და სხვა) ხელში ჩაგდება და შენარჩუნება; მნიშვნელოვანი ობიექტების განადგურება; მოწინააღმდეგის ორგანიზებული უკანდახევისთვის ხელის შეშლა; მის II ეშელონებთან (რეზერვებთან) ბრძოლა; საჰაერო და საზღვაო დესანტების გადასხმის უზრუნველყოფა და სხვა. **ა.ო**-ის მოსაწყობად სახმელეთო ჯარებისა და საარმიო ავიაციის (სახმელეთო ჯარების ავიაციის) გამოყოფილი ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან იქმნება ტაქტიკური აერომობილური ჯგუფები, რომელთა საბრძოლო წყობა შედგება სამი ეშელონისაგან: მოიერიშე, შემდგომი და ზურგის. ტაქტიკური აერომობილური ჯგუფის გადასხმის წინ ხდება მოწინააღმდეგის საცეცხლე დაზიანება გადაფრენის გზაზე და გადასხმის რაიონში (ზონაში) რაკეტებისა და ავიაციის, მათ შორის, საბრძოლო შვეულმფრენების დარტყმებით. აერომობილური ჯგუფების მოქმედებას მხარს უჭერენ საბრძოლო ვერტმფრენები და ტაქტიკური ავიაცია.

აერომობილური ჯარები, შეიარაღებული ძალების სპეციალურად მომზადებული სამხედრო ფორმირებები ზოგიერთ სახელმწიფოში (აშშ, საფრანგეთი და სხვა). უმთავრესად განკუთვნილია აერომობილური ოპერაციების განსახორციელებლად. შედის, როგორც წესი, სწრაფი რეაგირების ძალების შემადგენლობაში, ორგანიზაციულად გაერთიანებულია დივიზიებსა და ბრიგადებში. ძირითადი საბრძოლო ერთეულია აერომობილური ბატალიონი (ბრიგადა). **ა.ჯ**-ის სტრუქტურა ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რაოდენობის საშტატო ვერტმფრენების, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებისა და სხვა მსუბუქი შეიარაღების არსებობას, უზრუნველყოფს მაღალ მობილურობას და ფართო შესაძლებლობას ჯავშნიან მიზნებთან ბრძოლაში. აერომობილური ბატალიონების (ბრიგადების) ბაზაზე საბრძოლო მოქმედების წარმოების დროს იქმნება აერომობილური ტაქტიკური ჯგუფები. **ა.ჯ**-ბს განეკუთვნება საჰაერო მოიერიშე და სადესანტო-მოიერიშე ფორმირებები.

აერომობილურობა (aero – აერო და ლათინური mobilis – მოძრავი), ჰაერით გადასროლილი სამხედრო ფორმირებების (აერომობილური ძალების) უნარი შეინარჩუნონ საბრძოლო მოქმედებების წარმოების შესაძლებლობა. **ა.** ეფუძნება სრულყოფილ ავიასატრანსპორტო საშუალებებს, შეიარაღებისა და ტექნიკის ავიატრანსპორტაბელურ ნიმუშებს, სახმელეთო და საზღვაო ძალების ავიაციას და მის სწრაფ განვითარებას, პირადი შემადგენლობის მუდმივ მზადყოფნას ამოცანების შესრულებისთვის ჰაერით გადასროლის და დესანტის გადასხმის შემდეგ.

აერონავიგაცია (საჰაერო ნავიგაცია), გამოყენებითი მეცნიერება, რომელიც სწავლობს ერთი პუნქტიდან მეორეში მოცემული ტრაექტორიით დადგენილ დროში საფრენი აპარატების ჰაერში საიმედო და უსაფრთხო ტარებას: ამუშავებს და იყენებს ნავიგაციის მეთოდებსა და საშუალებებს, რომელთა მეშვეობითაც იანგარიშება ოპტიმალური ტრაექტორია და უზრუნველყოფილი ხდება მასზე საფრენი აპარატების მართვა; აგრეთვე განისაზღვრება მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება საფრენი აპარატის ადგილმდებარეობა დროის ნებისმიერი მომენტისათვის. **ა**-ის შემადგენელი ნაწილია (კარია) თვითმფრინავთშორისი ნავიგაცია, რომელიც სწავლობს თვითმფრინავის (თვითმფრინავების ჯგუფის) მანევრების გათვლის და შესრულების მეთოდებს. მისი მიზანია თვითმფრინავების დაწყობის, ადგილის დაჭერის, გადაწყობის, გაშლის, საბრძოლო წყობაში გადასვლის, გაცილების, შეხვედრის, გაყოლის და ჰაერში საწვავით გამართვის განხორციელება.

აერონავიგაციური შუქი, საფრენ აპარატზე დაყენებული მანათობელი ხელსაწყოები, რომლებიც განკუთვნილია საფრენი აპარატის ჰაერში და ხმელეთზე აღნიშვნისთვის და შეტაკების თავიდან ასაცილებლად. მათი ფერი, მოქმედების კუთხეები და საფრენ აპარატზე განლაგების ადგილები რეგლამენტირებულია საერთაშორისო შეთანხმებებით, დარგობრივი და სახელმწიფო სტანდარტებით. დანახვის მანძილი დამოკიდებულია შუქის ძალასა და ატმოსფეროს მდგომარეობაზე, შეიძლება აღწევდეს 15–20 *კმ*-ს. უკეთესი შემჩნევადობის მიზნით შესაძლებელია მუშაობდნენ იმპულსურ (ციმციმა) რეჟიმში.

აეროსანავიგაციო უზრუნველყოფა, იხ. *შტურმანული უზრუნველყოფა.*

აეროსტატი (aero – აერო და ბერძნული statos – მდგომი, უძრავი), ჰაერნაოსნობის საფრენი აპარატი (ჰაერზე მსუბუქი), რომლის ამწევი ძალა იქმნება გარსში მოთავსებული ჰაერზე მსუბუქი აირით (წყალბადი, ჰელიუმი, გამთბარი ჰაერი.). განასხვავებენ თავისუფალი ფრენის (მართვადი, მ.შ. დირიჟაბლები და არამართვადი) და მისაბმელი. **ა**-ებს. შედგება გარსისგან, საკიდი სისტემისგან, ფრენის მართვის აპარატურისა და სასარგებლო ტვირთისგან. სამხედრო მიზნებისთვის გამოიყენება თავისუფალი ფრენის (პილოტირებადი, ავტომატური, რადიოზონდები, ჰაერბურთი) და მისაბმელი (არტილერიის ცეცხლის კორექტირება, საჰაერო დაბრკოლებები) **ა**-ები. არიან ჰაერნაოსნობის ნაწილების შეიარაღებაში. პირველი **ა.** შექმნეს ფრანგმა ძმებმა ჟ. და ე. მონგოლფიებმა 1783.

აეროფოტოგადაღება (აეროფოტოგრაფირება, საჰაერო ფოტოგრაფირება), ადგილმდებარეობისა და ცალკეული ობიექტების ფოტოგრაფირება საფრენი აპარატებიდან. შესრულების დროისა და ხერხის, აეროფოტოაპარატის ოპტიკური ღერძის მდებარეობის, ექსპონირების მეთოდის, ფოტომასალების მიხედვით განასხვავებენ: დღისა და ღამის, დაგეგმილ, პერსპექტიულ და პანორამულ, კადრის და ე.წ. ჭუჭრუტანის, შავ-თეთრ, ფერად და სპექტრზონალურ **ა**-ს. მიღებული მასალა გამოიყენება რუკების შესადგენად და გასაახლებლად, ადგილმდებარეობისა და ობიექტების შესასწავლად, მეცნიერული და ტექნიკური მიზნებისათვის, როგორც საჰაერო დაზვერვის ერთ-ერთი ხერხი. ასევე ჯარების საბრძოლო და სასწავლო-საბრძოლო მოქმედების კონტროლისათვის, ფოტოდოკუმენტების შედგენისთვის, ობიექტების, კოორდინატების განსაზღვრისთვის, მათი ტოპოგეოდეზიური მიბმისათვის და სხვა შემთხვევებში.

აეროფოტოგადაღების უწყვეტი ზოლი, რელიეფის ზოლის ფოტოსურათი, რომელშიც გამოსახულება უწყვეტია ფრენის ხაზის გასწვრივ მის მთელ სიგრძეზე.

აეროფოტოდაზვერვა, ცნობების მოპოვება მოწინააღმდეგის ადგილმდებარეობის (აკვატორიის) და მასზე არსებული ობიექტების შესახებ. კონტროლის განხორციელება საკუთარი ჯარების საბრძოლო მოქმედებებისა და შენიღბვის ხარისხზე ფოტოგრაფირების იმ ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რომლებიც დაყენებულია პილოტირებულ და უპილოტო საფრენ აპარატებზე; საჰაერო დაზვერვის ერთ-ერთი ძირითადი ხერხი. ახორციელებენ სადაზვერვო ავიაციის, აგრეთვე თვითმფრინავების და სხვა გვარეობათა ავიაციის ეკიპაჟები. **ა**. არის ხედვითი და დეტალური. **ა**-ის მასალები, რომლებიც გამოირჩევა გაზომვისა და გამშიფრავი თვისებებით, უზრუნველყოფს ზუსტი კოორდინატების მიღებას და ობიექტების (მათ შორის მცირე ზომის ობიექტების) ტიპის განსაზღვრას. II მსოფლიო ომის წლებში მოწინააღმდეგის შესახებ ინფორმაციის 70–80%-ის მოპოვება ხდებოდა **ა**-ის მეშვეობით.

აეროფოტომოწყობილობა, აეროფოტოგადაღების საბორტო და სახმელეთო საშუალებები, განკუთვნილი სათანადო სურათების მისაღებად და ფოტოსაბუთების შესაქმნელად. საბორტო **ა**. არის მოსახსნელი, (რომელშიც შედის აეროფოტოაპარატის საფრენი კომპლექტი) და სტაციონარული, რომელსაც მიეკუთვნება აეროფოტოდანადგარები და მოწყობილობები ფრენის დროს გადაღებების განსახორციელებლად. სახმელეთო **ა**-ში შედის ფოტომასალების დამუშავების და შესწავლის ტექნიკური საშუალებები, რომელთაც მიეკუთვნება ფოტოლაბორატორიული მოწყობილობა, ფოტოგრამეტრიული ხელსაწყოები, აეროფილმების და ფოტოანაბეჭდების გამშიფრავი მოწყობილობა, ფოტოდოკუმენტების დამზადება. სახმელეთო **ა**-ის უმრავლესობა არის ავტომატები მასალების დამუშავების დიდი მწარმოებლობითი და მაღალი ხარისხით.

აეროფოტოსურათი, ადგილმდებარეობის ან ობიექტის ფოტოგრაფიული (ნეგატიური ან პოზიტიური) გამოსახულება, რომელიც მიღებულია საფრენი აპარატიდან აეროფოტოგადაღების საშუალებით. მისი უმთავრესი ტაქტიკური მახასიათებელია მასშტაბი, ანუ გადაღებული ობიექტების მათ რეალურ ზომებთან შედარებით შემცირების ხარისხი. **ა**. საფრენ აპარატზე დამონტაჟებული სხვა ხელსაწყოებისგან შეიძლება შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას, რომელიც ფიქსირდება კადრშორის მონაკვეთებზე ან კადრის კუთხეში ექსპოზიციის მომენტში (დრო, ფრენის სიმაღლე, სიჩქარე, სივრცობრივი მდებარეობა და ა.შ.).

აეშაბი, ჯაშუში, მზვერავი, მსტოვარი.

ავანგარდი, (ფრანგული avant – წინ და garde – დაცვა, მეწინავე რაზმი), გაძლიერებული ქვეითთა (სატანკო) ქვედანაყოფი, რომელიც გამოიყოფა საერთო-საჯარისო შენაერთისაგან (ნაწილისაგან) და წინ იგზავნება. მარშის დროს **ა**. წარმოადგენს სალაშქრო დაცვის ორგანოს და იგზავნება სათავო შენაერთისგან (ნაწილისგან, სათავო რაზმისაგან) და შენაერთისაგან (ნაწილისაგან), რომელიც ცალკე მარშრუტით მოძრაობს. მისი მიზანია უზრუნველყოს მთავარი ძალების დაუბრკოლებელი მოძრაობა, არ დაუშვას მათზე მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმა და მისი სახმელეთო დაზვერვის შედწევა დასაცველ ჯარებში. შეტევის დროს **ა**. იგზავნება პირველი ეშელონის შენაერთისაგან (ნაწილისაგან) უზრუნველყოფის ზოლში (დაფარვის ზოლში) მოწინააღმდეგის თავდაცვაში მყოფი ქვედანაყოფების გასანადგურებლად. შემხვედრ ბრძოლაში **ა**-ის ამოცანაა მოწინააღმდეგის სალაშქრო დაცვის განადგურება, მისი ძალების შებოჭვა, საკუთარი ჯარების გაშლისა და დარტყმის განსახორციელებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ავანპორტი (ფრანგული – avant-port), 1. პორტის გარეთა ნაწილი, სადაც გემები ღუზაზე დგებიან და ხდება მათი დატვირთვა-გადმოტვირთვა. **ა**-ბის აგება დაიწყეს XIX საუკუნის მიწურულში ახალი, დიდი საოკეანო გემებისათვის. თანამედროვე **ა**-ებს აგებენ ისეთ პორტებში, რომელთა გაღრმავება დიდი ხარჯის გამო მიზანშეუწონილია. **ა**-ებისთვის არჩევენ ღელვისაგან ბუნებრივი საფრით დაცულ ადგილებს; თუ ეს არ ხერხდება, მაშინ აშენებენ სპეციალური მისადგომებით მოწყობილ ნაგებობებს (მოლოებს, ტალღათსაჭრელებს). 2. მდინარის შესართავის შორი

ახლო აგებულ მთავარ პორტთან შეწყვილებული ნავსადგური, რომელიც უშუალოდ ზღვაზე გამოდის. მთავარი პორტისაგან განსხვავებით ა. უფრო ღრმაა ან ნაკლებად იყინება, რაც აადვილებს საზღვაო გემების მიდგომას. უცხოეთის ზოგიერთი ქვეყნის არმიაში ა. არის მეწინავე პოსტი ან სადარაჯო პოსტი მტრის პოზიციის პირისპირ. ა. დასასვენებლად ან თავდაცვაში განლაგებულ ჯარს იცავდა მტრის მოულოდნელი თავდასხმისაგან.

ავანპოსტი (მეწინავე საგუშაგო, ფრანგული avant-poste), ზოგიერთი ქვეყნის არმიაში დამცავი საგუშაგოს სახელწოდება.

ავარია (სამხედრო) (იტალიური avaria – დაზიანება), შემთხვევა, რომლის შედეგად დაზიანებულია ტექნიკა, დანგრეულია სამხედრო-სამრეწველო ობიექტები ან საინჟინრო ნაგებობები. იგი არ არის დაკავშირებული საბრძოლო ამოცანების შესრულებასთან და მოსახლეობის დიდ მსხვერპლთან (კატასტროფისგან განსხვავებით). ა-ის ყველაზე გავრცელებული მიზეზია: პირადი შემადგენლობის არასწორი მოქმედებები; ტექნიკის, მოწყობილობის, მასალების კონსტრუქციული და საწარმოო ნაკლოვანებები; გარე ფაქტორების (ჰიდრომეტეოროლოგიური და სხვა) ზემოქმედება. ა-ის თავიდან აცილება შესაძლებელია: უსაფრთხოების ზომების დაცვით; შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის ობიექტების და ნაგებობების ექსპლუატაციის და შენახვის წესების დაცვით; პროფილაქტიკით, პირადი შემადგენლობის მომზადების და დისციპლინის მაღალი დონით.

ავარიის ადგილის გასაზღვრის შუქურა, ჩამოგდებული საფრენი აპარატის ადგილმდებარეობის მოძებნაში დამხმარე ავტომატური ავარიული რადიოშუქურა.

ავარიის სახანო, ხუნძახის სახანო.

ავარიული გადმოყრა, 1. შექმნილი ვითარების მიხედვით ავარიული სიტუაციის დროს საფრენი აპარატის განთავისუფლება საბრძოლო ტვირთისგან (ბომბები, რაკეტები, ტორპედოები, ნაღმები). მიზანია საფრენი აპარატის მდგომარეობის (მდგრადობის) და მართვის შენარჩუნება. 2. ხომალდის განთავისუფლება საარტილერიო ჭურვების, ნაღმების, სიღრმისეული ბომბებისა და რაკეტებისგან მათი აფეთქების საშიშროების, ხანძრის ან ავარიული მდგომარეობის დროს.

ავარიული განგაში, ავარიულ შემთხვევებში განრიგის მიხედვით პირადი შემადგენლობის გამოძახება საგუშაგოზე ხომალდის გადასარჩენად. გაიცემა სპეციალური სიგნალი (ზარი) ან ცხადდება ხმოვანი შეტყობინება.

ავარიული მარაგი, სურსათის, მედიკამენტების, პირველი საჭიროების საგნების, რადიოკავშირის და სიგნალიზაციის საშუალებების მარაგი. ინახება ხომალდებზე (გემებზე), საფრენ აპარატებზე. განკუთვნილია ავარიულ სიტუაციაში ეკიპაჟის სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად და რამდენიმე დღეღამის განმავლობაში ავტონომიური არსებობისთვის. იყოფა ტარებად და საბორტე მარაგად.

ავარიული შუქები, ორი წითელი შუქი, რომელიც ანთებულია მართვადაკარგული ხომალდის ანძაზე ან სხვა გამოსაჩენ ადგილზე. განლაგებულია ერთმანეთის თავზე 1,8 *მ*-ის დაშორებით, ამასთან ქვედა-ხომალდის (გემის) კორპუსიდან დაშორებულია 4,3 *მ*-ით. სინათლის ძალა უნდა იყოს ისეთი, რომ ჩანდეს არანაკლებ 2 *მილის* (3,7 *კმ*) მანძილზე.

ავარიული წყალქვეშა ნავი, წყალქვეშა ნავი, რომელსაც სრულად ან ნაწილობრივ მწყობრიდან აქვს გამოსული კორპუსის ჰერმეტიზაცია, ძალური დანადგარი, საჭით მართვის სისტემა და ცურვადობის მართვის საშუალებები.

ავგუსტუსი გაიუს ოქტავიანე (ძვ.წ. 63 – ახ.წ. 14), რომის იმპერატორი (ძვ.წ. 27-იდან), იულიუს კეისრის შვილობილი და მემკვიდრე, მისი დის შვილიშვილი. ძვ.წ. 31 აქციუმის კონცხთან დაამარცხა რომის აღმოსავლეთ პროვინციების გამგებლის – ანტონიუსისა და ეგვიპტის დედოფლის კლეოპატრას გაერთიანებული ფლოტი და ხელთ იგდო მთელი ძალაუფლება რომის სახელმწიფოში. სენატმა მას მიანიჭა საპატიო წოდება „ავგუსტუსი“ (ღმერთთაგან აღზევებული). თავისი ერთპიროვნული დიქტატურის მიუხედავად, ა-მა შეინარჩუნა ტრადიციული რომაული რესპუბლიკური ინსტიტუტები. მმართველობის ასეთ სისტემას პრინციპატი ეწოდა. მის დროს რომის შეიარაღებული ძალები საბოლოოდ გადაიქცნენ რეგულარულ არმიად.

ავიამზიდების დამრტყმელი ძალები, ავიამზიდების შენაერთების (ჯგუფების), მათში შემავალი ავიამზიდების და დაცვის ხომალდების განზოგადებული სახელწოდება. შეადგენენ საერთო დანიშნულების ძალების სამხედრო-საზღვაო კომპონენტის საფუძველს და აშშ-ის შემტევი ძალების სტრატეგიულ რეზერვს.

ავიამზიდების დამრტყმელი ჯგუფი, წყალზედა ხომალდების ტაქტიკური ჯგუფი. როგორც წესი მის შემადგენლობაში შედის 1–2 დამრტყმელი ავიამზიდი და 8–10 დაცვის ხომალდი. მისი დანიშნულებაა სახმელეთო და წყალზედა ობიექტების განადგურება.

ავიამზიდების დამრტყმელი შენაერთი, 1. ხომალდების ოპერატიული ფორმირება, რომლის საფუძველს შეადგენენ ავიამზიდები. მისი მიზანია საბრძოლო მოქმედებების რაიონში გაბატონება, ზღვაზე, ბაზებში მოწინააღმდეგის ხომალდების, ავიაციის განადგურება და სანაპიროზე სახმელეთო ობიექტების დაზიანება. ასევე ჯარების უშუალო

საავიაციო მხარდაჭერა, საზღვაო-სადესანტო ოპერაციების უზრუნველყოფა, საკუთარი საზღვაო და საოკეანო კომუნიკაციების დაცვა და მოწინააღმდეგის საზღვაო გადაზიდვების შეფერხება. შედგება საავიაციო, მრავალმიზნობრივი დამრტყმელი და ნავსაწინააღმდეგო ჯგუფებისგან. 2. ზოგიერთ ქვეყნაში სამხედრო-საზღვაო ოპერატიული შენაერთი, რომელიც შედგება შეტევითი საბრძოლო მოქმედებებისთვის მზადმყოფი მხარდაჭერის ერთი ან რამდენიმე ავიამზიდისგან, საბრძოლო ხომალდებისგან და წყალქვეშა ნავებისგან.

ავიამზიდების დაჯგუფებების განადგურების საზღვაო ოპერაციები, იხ. *საზღვაო ოპერაცია.*

ავიამზიდების მრავალმიზნობრივი ჯგუფი, აშშ-ისა და ნატოს ფლოტების
წყალზედა ძალების ტაქტიკური ფორმირება. ჩვეულებრივ მოიცავს 1–2 მრავალმიზნობრივ ავიამზიდს, რომელიც წარმოადგენს ჯგუფის ბირთვს და 6–12 დაცვის ხომალდს. განკუთვნილია მოწინააღმდეგის ობიექტებზე, ხომალდებზე, მის წყალქვეშა ნავებსა და ფლოტის საჰაერო თავდაცვის ძალებზე დარტყმების მისაყენებლად. **ა.მ.ჯ**-ის სიმძლავრის საფუძველს წარმოადგენს საგემბანე ავიაცია (100-მდე თვითმფრინავი და ვერტმფრენი ავიამზიდზე). შესაძლებელია შედიოდეს ავიამზიდთა შენაერთის შემადგენლობაში.

ავიამზიდების საავიაციო ჯგუფი, ორი ან მეტი საავიაციო ესკადრილია, რომელიც საბრძოლო მოქმედებების დროს ადმინისტრაციულ-ლოგისტიკური და ტაქტიკური მართვის ამოცანების გადასაწყვეტად ერთ მეთაურს ექვემდებარება.

ავიამზიდი, წყალზედა ხომალდი, რომლის ძირითად საბრძოლო საშუალებებს წარმოადგენს სახომალდე (საგემბანე) თვითმფრინავები და ვერტმფრენები. **ა**-ები შეადგენენ მოწინავე ქვეყნების ფლოტის საერთო დანიშნულების ძალების საფუძველს და წარმოადგენენ სტანდარტული დამრტყმელი ძალების მნიშვნელოვან რეზერვს. XX საუკუნის ბოლოსათვის საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებში ირიცხებოდა 25-ზე მეტი **ა.. ა**-ს აქვს ასაფრენი გემბანი, 2–4 კატაპულტი, გემბანისქვეშა ანგარები, ლიფტები საფრენი აპარატის ამოსაწევად, ჩასაწევად და სხვა. თავდაცვისთვის იგი აღჭურვილია საზენიტო-სარაკეტო კომპლექსით და უნივერსალური არტილერიით. განასხვავებენ მრავალმიზნობრივ, დამრტყმელ და ნავსაწინააღმდეგო **ა**-ებს.

ავიასადესანტო თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, საჰაერო-სადესანტო ჯარების საბრძოლო მანქანა. იყენებენ მოწინააღმდეგის სხვადასხვა ჯავშნიანი ობიექტის გასანადგურებლად. **ა.თ.ს.დ**. სპეციალიზებული მანქანაა. შეიარაღებულია ქვემეხით, ზოგჯერ ტყვიამფრქვევებით, მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარულია ტყვიაგაუმტარი ჯავშნით, მოძრაობს საკმაოდ სწრაფად და გამოირჩევა დიდი გამავლობით. თანამედროვე **ა.თ.ს.დ**. 3-იდან 20 *ტ*-მდე იწონის. დესანტის გადასხმის რაიონში გააქვთ სატრანსპორტო თვითმფრინავით ან შვეულმფრენით, გადმოტვირთავენ პარაშუტებით ან თვითმფრინავების დაფრენის შემდეგ.

ავიასადესანტო ტანკი, მთლიანად შეჯავშნული მრავალმიზნობრივი საბრძოლო მანქანა (მსუბუქი ტანკი). ახასიათებს კარგი გამავლობა. განკუთვნილია საჰაერო-სადესანტო ჯარების შემადგენლობაში მოქმედებისათვის (აშშ, დიდი ბრიტანეთი და უცხოეთის სხვა სახელმწიფოები); ზოგჯერ სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფებშიც იყენებენ, როგორც სადაზვერვო ტანკს.

თანამედროვე ა.ტ-ს შეუძლია მოწინააღმდეგის ჯავშნიანი საბრძოლო ტექნიკის დაზიანება, ცოცხალი ძალისა და საცეცხლე საშუალებათა განადგურება. იგი აღჭურვილია წრიულად მბრუნავ კოშკში მოთავსებული ზარბაზნითა და ტყვიამფრქვევით. დესანტის გადმოსხმის რაიონში ა.ტ. გააქვთ საჰაერო ტრანსპორტით და გადმოტვირთავენ ავიასადესანტო თვითმავალი საარტილერიო დანადგარის მსგავსად.

ავიასასიგნალო საგუშაგო, ვიზუალური, პიროტექნიკური, რადიოტექნიკური საშუალებებით საფრენი აპარატის ეკიპაჟებისთვის პირობითი სიგნალების გადაცემის და მიზანჩვენებისთვის განკუთვნილი საგანგებოდ მოწყობილი საგუშაგო. შეიძლება იყოს მოძრავი ან უძრავი (სტაციონარული).

ავიაცია (ფრანგული aviation < ლათინური avis – ფრინველი), 1. დედამიწის ირგვლივ საჰაერო სივრცეში ფრენისათვის განკუთვნილი ჰაერზე უფრო მძიმე საფრენი აპარატების განზოგადებული სახელწოდება; 2. იმ ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც საავიაციო საფრენ აპარატებს იყენებენ, აქვთ აეროდრომები და უზრუნველმყოფი ტექნიკა; 3. შეიარაღებული ბრძოლის საშუალება და საჰაერო სატრანსპორტო საშუალება. განასხვავებენ სამხედრო და სამოქალაქო **ა**-ს. ტერმინი „სამხედრო ავიაცია“, ჩვეულებრივ, იდენტურია ცნებისა „სამხედრო საჰაერო ძალები“. პირველი თვითმფრინავები შენდებოდა ემპირიულად, თვითმფრინავმშენებლობის მეცნიერული ბაზები არ არსებობდა. მხოლოდ XIX საუკუნის დამლევს – XX საუკუნის დამდეგს გაჩნდა თეორიული და მეცნიერული გამოკვლევები ავიაციის დარგში. დაიწყო ფრენის თეორიის შემუშავება. თვითმფრინავის პირველი წარმატებული ფრენა მოეწყო 1903 წლის 17 დეკემბერს (ამერიკელ მექანიკოსები ძმები უ. და ო. რაიტები). ამის შემდეგ შეიქმნა სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

მათი სიჩქარე 90–120 *კმ/სთ*-ს შეადგენდა. Ა-ის გამოყენებამ პირველ მსოფლიო ომში განსაზღვრა თვითმფრინავების, როგორც ახალი საბრძოლო საშუალების, მნიშვნელობა, გამოიწვია მათი დაყოფა გამანადგურებლებად, ბომბდამშენებად, მზვერავებად.

თვითმფრინავებზე დაიწყეს ბომბდამშენი და სასროლი შეიარაღების დაყენება. მეომარმა ქვეყნებმა I მსოფლიო ომის წლებში გამოუშვეს 165 ათ-ზე მეტი თვითმფრინავი, გააუმჯობესეს მათი მახასიათებლები. მაგალითად, გამანადგურებლის სიჩქარე აღწევდა 200–220 *კმ/სთ*-ს, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე გაიზარდა 2-დან 7 *კმ*-მდე. მოგვარდა საავიაციო ძრავებისა და მოწყობილობის წარმოება, შეიქმნა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი დაწესებულებები. 20-იანი წლებიდან თვითმფრინავმშენებლობაში ფართოდ გამოიყენება დურალუმინი. 30-იანი წლების შუა ხანებიდან თვითმფრინავების კონსტრუქციაში გადავიდნენ ბიპლანიდან მონოპლანზე, ამან გაზარდა გამანადგურებლების სიჩქარე 560–580 *კმ/სთ*-მდე. 30-იანი წლების დამლევს გაჩნდა საავიაციო რეაქტიული ძრავა. ომის შემდეგ ფართო განვითარება პოვა რეაქტიულმა Ა-მ. აქტიურად ვითარდებოდა შვეულმფრენმშენებლობა. ტურბოხრახნული და ტურბორეაქტიული ძრავების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა არა მარტო გაზრდილიყო ფრენის სიჩქარე და სიმაღლე, არამედ მნიშვნელოვნად გადიდებულიყო თვითმფრინავების ტვირთამწეობა და ფრენის სიშორე. 70-იან წლებში სამხედრო-საჰაერო ძალებში თვითმფრინავების სიჩქარე აღწევდა 3000–3500 *კმ/სთ*, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე – 20 *კმ*-ზე მეტს, ფრენის სიშორე – 10000 *კმ*-ზე მეტს. 80–90-იან წლებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა თვითმფრინავების ფრენის სიჩქარის, სიმაღლის და სიშორის, მარგი დარტვირთვის ზრდას, შემოკლებული აფრენისა და დაშვების თვითმფრინავების შექმნას, ვერტმფრენების სრულყოფას, დაზიანების საავიაციო საშუალებათა ეფექტიანობის ამაღლებას. Ა-ის განვითარებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საჰაერო-კოსმოსური თვითმფრინავის და მრავალგზის გამოყენების საჰაერო-კოსმოსური სატრანსპორტო ხომალდების შექმნაში.

ს ა მ ო ქ ა ლ ა ქ ო **Ა.** განკუთვნილია მგზავრთა გადაყვანის, ტვირთის გადაზიდვისა და ეკონომიკის სხვადასხვა დარგების მომსახურებისათვის. გამოიყენება, აგრეთვე ადგილმდებარეობის

აეროფოტოგადაღებისთვის, წიაღისეულის დაზვერვისათვის და სხვა. მრავალ ქვეყნაში მოიცავს საჰაერო ტრანსპორტის რეგიონულ სამმართველოებს, საწარმოო გაერთიანებებს, ავიაკომპანიებს, აეროპორტებს, სასწავლო-საწვრთნელ ცენტრებს, სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ორგანიზაციებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

ს ა მ ხ ე დ რ ო **Ა.** განკუთვნილია საჰაერო სივრცეში სამხედრო (საომარი) მოქმედებისათვის. დანიშნულებისა და დაქვემდებარების მიხედვით მეტ წილ ქვეყნებში მოიცავს საარმიო (სახმელეთო ჯარების) Ა-ს, დაჯგუფების (ტაქტიკურ), შორეულ (სტრატეგიულ), საჰაერო თავდაცვის, საზღვაო, სამხედრო-სატრანსპორტო და სპეციალურ Ა-ს. გადასაწყვეტი ამოცანებიდან და მოქმედების ხასიათიდან გამომდინარე იყოფა გვარეობების მიხედვით ბომბდამშენ (რაკეტმზიდ), გამანადგურებელ-ბომბდამშენ (ტაქტიკური გამანადგურებლები), გამანადგურებელ, მოიერიშე, სადაზვერვო, ნავსაწინააღმდეგო, სამხედრო-სატრანსპორტო და სპეციალურ Ა-დ.

შეიარაღებაზე არის საბრძოლო, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები და ვერტმფრენები, სხვა საფრენი აპარატები. სამხედრო Ა-ის საბრძოლო ძლიერების საფუძველია მრავალი სახის საავიაციო შეიარაღებით აღჭურვილი ზებგერითი, ნებისმიერ ამინდში ფრენისათვის განკუთვნილი თვითმფრინავები. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რადიოსარადარო სისტემებისთვის „უხილავი“ საფრენი აპარატების და დისტანციური მართვის თვითმფრინავების შექმნას.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი, პირველი საფრენი აპარატის შექმნის ცდა, ზოგიერთი ცნობით, ეკუთვნის შალვა ერისთავს (1835). 1907 წელს ბათუმელმა მექანიკოსმა ვ. ბასენსკიმ ააგო პირველი ზამბარიანი საფრენი აპარატი, რომელიც უპილოტოდ 20 *მ.* სიმაღლეზე აფრინდა. 1908 წელს საქართველოში ჩამოვიდა გერმანელი პილოტი ტაილორი, რომელიც ქუთაისში ტრაგიკულად დაიღუპა 1910 წელს. 1908 წელს თბილისელმა გიმნაზიელმა ა. შიუკაშვილმა ააგო პლანერი და 1908 წლის 5 მაისს მახათას მთიდან გადმოფრინდა. 1910 წელს, წარმოშობით ფრანგი კიეველის, ნ. დელონეს ხელმძღვანელობით თბილისში ააგეს „დელონეს“ სისტემის პლანერი. 1914 წელს შეიქმნა თბილისის აეროკლუბი (უფროსი ნ. ჯიბლაძე). ამ კლუბის თაოსნობით ვაკის მოედანზე საჩვენებელ გაფრენებს ანხორციელებდნენ პირველი ქართველი ავიატორები: ბ. ქებურია, მ. მაჭავარიანი, მ. აბაშიძე, გ. ავალიანი, ვ. ერისთავი, მ. გრიგორაშვილი, ძმები ალ. და ან. იაკობაშვილები, კ. ცომაია და ა. საღარაძე. 1931 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს საჰაერო ფლოტის სამმართველო. 30-იან წლებში შ. ჭანკოტაძემ, Ა-ის გენერალ-მაიორმა, პირველმა გადაუფრინა კავკასიონს. ნ. ხუბულავა იყო პირველი ქართველი ავიატორი ქალი. ცნობილია ამერიკაში მცხოვრები ქართველი კონსტრუქტორი ალექსანდრე ქართველიშვილი (1896, თბილისი – 1974 ნიუ-იორკი).

ავიაციით დაფარვა, გამანადგურებელი ავიაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომლის მიზანია, არ დაუშვას, რომ მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებებმა დარტყმები მიაყენონ ჯარებს, საზღვაო ძალებს და ზურგის ობიექტებს, აგრეთვე აწარმოონ საჰაერო დაზვერვა. მან უნდა მიაღწიოს ჰაერში მოწინააღმდეგის მფრინავი აპარატების განადგურებას გამანადგურებლების აქტიური და გადამწყვეტი მოქმედებით. **ა.დ.** ხორციელდება საჰაერო თავდაცვის საზენიტო საშუალებების დაჯგუფებასთან ურთიერთქმედებით.

ავიაციის ბაზირება, საავიაციო ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების (გაერთიანებების) მიერ სააეროდრომო ქსელის, ავიამზიდი ხომალდების, ბაზების, საწყობების, მიმოსვლის გზების, ადგილობრივი რესურსებისა და იმ საწარმოო ფონდების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ განლაგების, საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების, ყოველდღიური საქმიანობისა და საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის საჭირო პირობებს. ბაზირების სიღრმეს (ფრონტის ხაზიდან დაცილებას) განსაზღვრავს ავიაციის გვარეობების დანიშნულება, შესასრულებელი ამოცანები, თვითმფრინავების (ვერტმფრენების) საფრენოსნო-ტაქტიკური მახასიათებლები, აგრეთვე აეროდრომების (დასაფრენი მოედნების) არსებობა და ავიაციის საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფის ყველა სახეობის შესაძლებლობები.

ავიაციის გადაფრენის ზოლი, საჰაერო სივრცე, რომელიც საავიაციო შენაერთებსა და ნაწილებს განესაზღვრებათ მათ მიერ ფრონტის ხაზის გადაფრენისას. დგინდება, ჩვეულებრივ, ბაზირების აეროდრომიდან მიზნამდე (დესანტირების რაიონამდე) უმოკლესი მანძილის მიხედვით, შეძლებისდაგვარად იმ რაიონების გვერდის ავლით, რომლებიც მჭიდროდ არის დაფარული მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის საშუალებებით.

ავიაციის გამოძახებით მოქმედება, საავიაციო ქვედანაყოფების და ნაწილების მიერ ახლად გამოვლენილი სამიზნეების დაზიანების, დამატებითი დაზვერვის, წყალქვეშა ნავების ძებნის და სხვა. საბრძოლო ამოცანების შესრულება. ისინი მოქმედებენ აეროდრომზე ან ჰაერში მორიგეობის რეჟიმიდან მართვის პუნქტებიდან გამოძახებით.

ავიაციის ზურგი, შეიარაღებული ძალების ზურგის შემადგენელი ნაწილი. განკუთვნილია ავიაციის მატერიალური, საინჟინრო-სააეროდრომო, სააეროდრომო-ტექნიკური, ტექნიკური და სამედიცინო უზრუნველყოფისათვის. შედის სამხედრო-საჰაერო ძალების, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა საავიაციო გაერთიანებებისა და შენაერთების შემადგენლობაში.

ავიაციის მოქმედებების მართვის მრავალეროვნული ცენტრი, ნატოს საჰაერო სარდლობის და მართვის სისტემის ელემენტი, რომელიც ჩრდილო-ატლანტიკური ქვეყნებიდან ერთობლივი სამხედრო პერსონალით არის დაკომპლექტებული. მთავარი ამოცანებია: მშვიდობიანობის დროს, აგრეთვე კრიზისის ან კონფლიქტის პირობებში გამოყოფილი ავიაციის ძალებისა და საშუალებების მოქმედებების დაგეგმვა, ამოცანების დასახვა, კოორდინაცია, კონტროლი და ანგარიშგება. მუდმივ კავშირშია შესაბამის სახმელეთო და საზღვაო ძალებთან. ცენტრი უზრუნველყოფს ეროვნული სამხედრო და ნატოს ორგანოების მოქმედებების კოორდინაციას.

ავიაციის საბრძოლო მოქმედების ზონა, იხ. *საბრძოლო მოქმედების ზონა.*

ავიაციის სარდლობა, იხ. *სარდლობები.*

ავიაციის ტაქტიკური მოქმედებები, სამხედრო-საჰაერო ძალების გამოყენება სახმელეთო ან საზღვაო ძალებთან კოორდინირებით. მიზანი: **1.** ჰაერში უპირატესობის მიღწევა და შენარჩუნება; **2.** საბრძოლო მოქმედებების ზონაში მოწინააღმდეგის ძალების გადაადგილების ბლოკირება, ამ ძალების და მათი მხარდამჭერი ობიექტების აღმოჩენა და განადგურება; **3.** სახმელეთო ან საზღვაო ძალებისთვის ხელშეწყობა მათი მიზნების მისაღწევად. ასევე მრავალეროვნული და/ან ერთობლივი ოპერაციების ჩატარება.

ავიაციის წარმომადგენელი, საავიაციო გაერთიანების (შენაერთის) შტაბის ოფიცერი, რომელიც იგზავნება სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საზღვაო ძალების ან საჰაერო-სადესანტო ჯარების გაერთიანებაში (შენაერთში). მას ევალება ჯარებთან (ძალებთან) ავიაციის მუდმივი ურთიერთქმედების შეთანხმება და უზრუნველყოფა. **ა.წ**-ს შეიძლება მისცენ ავიაციის ჰაერში მართვის უფლება.

ავრალი, (ინგლისური over – მაღლა, all – ყველა), საერთო სახომალდო სამუშაო, რომელსაც ასრულებს ხომალდის მთელი პირადი შემადგენლობა ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი. იგი ცხადდება ხომალდის გენერალური დასუფთავების, დოკში დადგომის მოსამზადებლად და ა.შ.

ავსტრალია (ლათინური australis – სამხრეთით მდებარე), სამხრეთ ნახევარსფეროში მდებარე კონტინენტი, მისი ფართობი შეადგენს 7631,5 ათას *კმ*². ავსტრალიის კავშირის სახელმწიფო. ძირითადი ტერიტორია გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ 3200 *კმ*-ზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ – 4100 *კმ*-ზე. ჩრდილოეთ, დასავლეთ და სამხრეთ სანაპიროები შემოსაზღვრულია ინდოეთის ოკეანით და მისი ზღვებით, აღმოსავლეთი – წყნარი ოკეანის ზღვებით. კონტინენტის აღმოსავლეთი ნაწილი უკავია დიდ წყალგამყოფ

ქედს (უმაღლესი წერტილი – მთა კოსტიუშკო 2228 *მ*), შუა ნაწილი დაბლობი ღრმულით – ეირის ტბას. ტერიტორიის დასავლეთ ნაწილი – დაბალ მთიანეთს (400–500 *მ*) ცალკეული ქედებითა და დატოტვილი მთებით. მატერიკის შიდა ნაწილი მოიცავს გიბსონის, დიდი ქვიშის და ვიქტორიის ვრცელ უდაბნოებს. ჩრდილოეთ ნაწილში კლიმატი სუბეკვატორულია, სამხრეთით – სუბტროპიკული, ცენტრალურ ნაწილში – ტროპიკული. ყველაზე წყალუხვი მდინარეა მურეი, ყველაზე გრძელი – მისი შენაკადი დარლინგი (2740 *კმ*).

ავსტრალიის კავშირი (Commonwealth of Australia), მდებარეობს სამხრეთ ნახევარსფეროში, ავსტრალიის კონტინენტზე, კუნძულ ტასმანიასა და სხვა კუნძულებზე. გარშემორტყმულია ინდოეთის და წყნარი ოკეანეებით. ფართობი 7,69 მლნ. *კმ²*, მოსახლეობა 21,5 მლნ. კაცი (2012), ძირითადად ანგლო-ავსტრალიელები. ოფიციალური ენაა ინგლისური, დედაქალაქი – ქ. კანბერა. **ა.კ.** ფედერაციაა, რომელიც შეიცავს 6 შტატს და 2 ტერიტორიულ ერთეულს. შედის ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ხელისუფლება – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. **ა.კ.** 1770 წლიდან ბრიტანეთის მფლობელობაში იყო. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1931 წელს. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 56,9 ათ. კაცს (2012). შედგება სახმელეთო ჯარებისაგან 28,2 ათ., სამხედრო-საჰაერო 14,5 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან 14,2 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხდება კონტრაქტით (დაქირავებით).

ავსტრია (ავსტრიის რესპუბლიკა – Osterreichische Republik), სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 83,8 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 8,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – გერმანული, დედაქალაქი – ქ. ვენა. ადმინისტრაციული დაყოფა: 9 მიწა (ლანდი). **ა.** ფედერალური რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია ფედერალური კანცლერი. საკანონმდებლო ორგანო – ორ პალატიანი პარლამენტი. **ა.** დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა 1918 წლის 12 ნოემბერს. II მსოფლიო ომის შემდეგ ოკუპირებულ იქნა სსრ კავშირის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ჯარების მიერ. 1955 წლის 15 მაისს აღდგა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. 1955 წლის 26 ოქტომბერს გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. **ა.** განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო შეიარაღებას, ცეცხლსასროლ იარაღს და ტყვია-წამალს, ჯავშანტრანსპორტიორებს, მსუბუქ ტექნიკას. აქვს 6 საერთაშორისო აეროპორტი, მათ შორის – შვეხტი (ვენა). შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 21,7 ათ. კაცს (2012), შეიცავს სახმელეთო ჯარებს 12,8 ათ., რომლის შემადგენლობაშიც შედის სამხედრო-საჰაერო ძალები 8,9 ათ., რეზერვი – 195 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ავსტრია-იტალია-საფრანგეთის ომი 1859, საფრანგეთისა და პიემონტის (ერთ-ერთი იტალიური სახელმწიფო) ომი ავსტრიის წინააღმდეგ, რომელსაც ოკუპირებული ჰქონდა იტალიური ოლქები – ლომბარდია და ვენეცია.

ბრძოლაში ავსტრიელები დამარცხდნენ და ციურიხის ხელშეკრულებით პიემონტს ლომბარდია დაუთმეს (1859), ტურინის ხელშეკრულებით კი პიემონტმა საფრანგეთს დახმარებისათვის გადასცა სავოია და ნიცა (1860).

ავსტრია-იტალიის ომი 1866, იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი ავსტრიის წინააღმდეგ ქვეყნის გაერთიანებისათვის. მიმდინარეობდა *ავსტრია-პრუსიის ომის 1866* პარალელურად. მიუხედავად იტალიის ჯარების დამარცხებისა, პრუსიის არმიის მიერ ავსტრიელთა განადგურების გამო, ვენის ხელშეკრულებით (1866) ავსტრიამ იტალიას ვენეცია დაუთმო.

ავსტრია-ოსმალეთის ომები XVI–XVIII, ომები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე და უნგრეთში ბატონობისათვის. დაიწყო ოსმალთა მიერ ვენის გარემოცვით (1529). ავსტრია-ოსმალეთის 1540–47, 1551–62, 1566–68, 1592–1606, 1660–64, 1683–99, 1716–18 ომების შედეგად, როდესაც ავსტრიის მოკავშირეებად გამოდიოდნენ პოლონეთი, ვენეცია და რუსეთი (1686-იდან), ოსმალეთმა სერიოზული მარცხი განიცადა და ავსტრიას დაუთმო ხორვატია, უნგრეთი, სერბიისა და და ვლახეთის ნაწილები. 1737–39 და 1788–90 ომები ავსტრიისათვის ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდა და მან ოსმალეთს სერბიისა და ვლახეთის ნაწილები დაუბრუნა.

ავსტრია-პრუსია-დანიის ომი 1864, პრუსიის, ავსტრიისა და ზოგიერთი წვრილი გერმანული სახელმწიფოს ომი დანიის წინააღმდეგ. დამარცხებულმა დანიამ დაკარგა შლეზვიგ-ჰოლშტაინი და ლაუენბურგი. ეს ომი პრუსიის ჰეგემონობით გერმანიის გაერთიანების პირველი ეტაპი იყო.

ავსტრია-პრუსიის ომი 1866, ბრძოლა პრუსიასა და ავსტრიას შორის გერმანიაში პირველობისათვის. ავსტრიას სამხედრო მოქმედებების წარმოება მოუხდა ორი მიმართულებით – იტალიის (იხ. *ავსტრია-იტალიის ომი 1866*) და ჩეხიის ფრონტებზე. ვინაიდან ავსტრიამ იტალიის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ძალები გამოყო (დაახლოებით 140 000 კაცი), ჩეხიის ფრონტზე პრუსიელებს გარკვეული უპირატესობა ჰქონდათ (272 000 კაცი 261 000-ის წინაარმდეგ). გადამწყვეტი ბრძოლა

მოხდა ჩეხეთში, სადოვასთან, რომელშიც ავსტრიელები სასტიკად დამარცხდნენ (44 000 მოკლული, დაჭრილი და ტყვედ ჩავარდნილი). პრაღის საზავო ხელშეკრულებით (1866) ავსტრიამ თანხმობა განაცხადა გერმანიის ახლებურ მოწყობაზე პრუსიის ჰეგემონობით. ავსტრია-პრუსიის ომი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო პრუსიის მიერ გერმანიის „ზემოდან“ გაერთიანების გზაზე.

ავსტრია-საფრანგეთის ომი 1809, ავსტრიელთა მიზანი იყო ნაპოლეონის ბატონობისაგან თავის დაღწევა, მაგრამ ისინი დამარცხდნენ *ვაგრამის* ბრძოლაში (5–6 ივლისი). ომი დასრულდა შენბრუნის ზავით (1809), რომლის პირობებით ავსტრია, ფაქტობრივად, საფრანგეთზე დამოკიდებულ სახელმწიფოდ იქცა.

ავსტრია-უნგრეთი, დუალისტური სახელმწიფო, შეიქმნა 1867 წელს ავსტრიის იმპერიის გარდაქმნის შედეგად ავსტრიისა და უნგრეთის გაბატონებული კლასების კომპრომისული შეთანხმების საფუძველზე. იყოფოდა ავსტრიის იმპერიად (ცისლაიტანია), და უნგრეთის სამეფოდ (ტრანსლაიტანია). ავსტრიის იმპერატორი ჰაბსბურგთა დინასტიიდან იმავე დროს უნგრეთის მეფე იყო. დაიშალა 1918 პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შედეგად. მის ტერიტორიაზე შეიქმნა ავსტრია, უნგრეთი და ჩეხოსლოვაკია. ტერიტორიის ნაწილი შევიდა იუგოსლავიის, იტალიის, რუმინეთისა და პოლონეთის შემადგენლობაში.

ავტოდრომი (ბერძნული autos – თვითონ და dromos – სარბენი ადგილი), ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც მოწყობილია ავტომობილების ტარების სწავლებისთვის, მათი გამოცდის და ასევე შეჯიბრებების ჩასატარებლად.

ავტომატი (ბერძნული automatos – თვითმოქმედი), ინდივიდუალური ცეცხლსასროლი იარაღი, შემუშავებული სიმძლავრის მიხედვით შაშხანისა და პისტოლეტის ვაზნებს შორის შუალედურ პოზიციაზე მყოფი ვაზნისთვის. ანალოგიურ იარაღს შესაძლებელია სხვა სახელწოდებაც ჰქონდეს (მაგალითად, საიერიშო შაშხანა). ა. ითავსებს შაშხანების შორს სროლას, სიზუსტეს და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის სისწრაფეს.

ავტომატიზებული მართვის სახმელეთო კომპლექსი, სამეთაურო საზომი კომპლექსი, ყველა ტიპის კოსმოსურ აპარატთან ინფორმაციის გაცვლის, მისი ავტომატიზებული შეგროვების და დამუშავების საბაზო კომპლექსი. მას, კოსმოსურ სივრცეში მოქმედი კოსმოსური აპარატების ერთობლიობის სამართავად საჭირო მათემატიკური უზრუნველყოფა აქვს. უზრუნველყოფს: კოსმოსური აპარატების გამოყენების დაგეგმვას, მათი მოძრაობის მართვას, კოსმოსური აპარატების მოწყობილობის ფუნქციონირების კონტროლს, კოსმოსური აპარატიდან მიზნობრივი სპეციალური ინფორმაციის მიღებას, კოსმოსური კომპლექსების ეკიპაჟებთან კავშირს. **ა.მ.ს.კ**-ის საშუალებები განთავსებულია მთელ დედამიწაზე განლაგებულ სამეთაურო – გამზომ (სახმელეთო გამზომ) პუნქტებში: ცენტრალურ სამეთაურო პუნქტში, სხვადასხვა ტიპის კოსმოსური აპარატების მართვის ცენტრალური პუნქტების და პილოტირებული კოსმოსური აპარატების ფრენის მართვის ცენტრში.

სახმელეთო ავტომატიზებული მართვის კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი საშუალებების ერთობლიობას, რომელიც გამოიყენება ერთი ტიპის კოსმოსური აპარატების დაჯგუფების ან ერთი აპარატის მართვისთვის, ეწოდება მართვის სახმელეთო კომპლექსი. იგი კოსმოსური აპარატების მართვის საბორტო კომპლექსებთან ერთად შედის კოსმოსური აპარატების მართვის ავტომატიზებული სისტემის შემადგენლობაში.

ავტომატური იარაღი, ცეცხლსასროლი იარაღი, რომელშიც გადატენა და შემდეგი გასროლა ხდება ავტომატურად წინა გასროლის ენერგიის ხარჯზე. **ა.ი**-ს განეკუთვნება: ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ავტომატური შაშხანა, პისტოლეტი, ყუმბარმტყორცნი და საარტილერიო ქვემეხი.

ავტომატური სროლა, სროლა ავტომატური იარაღიდან ჯერებით (სროლის რაოდენობა ავტომატურად რეგულირდება საგანგებო მოწყობილობით) ან უწყვეტად (არსებული ვაზნების მარაგის სრულ გახარჯვამდე); ავტომატური იარაღიდან ცეცხლის წარმოების ძირითადი სახეა. გასროლა ხორციელდება ერთიმეორის მიყოლებით განსაზღვრული დროის მოკლე მონაკვეთში, რომელიც სროლის ტემპით განისაზღვრება.

ავტონომიური ცურვა, ცალკეული ხომალდის (გემის) ან ხომალდების (გემების) ჯგუფის ბაზირების რაიონებიდან მოშორებით ზღვაში ყოფნა საბრძოლო მომზადების ამოცანების შესრულების მიზნით. ამოცანა, როგორც წესი, იარაღის, საწვავის, სხვა ხარჯვადი მატერიალური საშუალებების შევსებისა და ეკიპაჟის ცვლილების გარეშე სრულდება.

ავტოპილოტი, საფრენი აპარატის ფრენის ავტომატური მართვის საშუალება. ამაღლებს საფრენი აპარატის მდგრადობას ხელით პილოტირების შემთხვევაშიც. შედის საფრენი აპარატების მართვის ავტომატური სისტემის საპილოტაჟო კომპლექსში. სანავიგაციო, დაფრენის, დამიზნების და სხვა სისტემების მონაცემებით უზრუნველყოფს საფრენი აპარატების მართვას ყველა ეტაპზე – აფრენიდან დაფრენამდე. აქვს საჭის ზედაპირების მართვის 3 არხი (ელერონებით, სიმაღლის და მიმართულების საჭეებით). თითოეული არხი შეიცავს ფრენის კოორდინატების გასაზომ მოწყობილობებს (დახრის, კურსის და ტანგაჟის კუთხეების, საფრენი აპარატის ბრუნვის

კუთხური სიჩქარეების და სხვა), გამოთვლით მოწყობილობას და სერვოამძრავს, რომელიც შედგება გამაძლიერებლისგან, საჭის აგრეგატის და უკუკავშირის ელემენტებისგან. პირველი გაფრენა **ა**-ით განხორციელდა ამერიკული თვითმფრინავით 1914 წელს პარიზის მსოფლიო გამოფენაზე.

ავტოსაგზაო სამსახური, იხ. *საგზაო სამსახური.*

ავტოსატრანსპორტო სამსახური, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ზურგის ერთ-ერთი სამსახური. მისი დანიშნულებაა ჯარების გადაყვანა, სამხედრო ტვირთის გადაზიდვა, ავადმყოფებისა და დაჭრილების, აგრეთვე მწყობრიდან გამოსული ტექნიკის ევაკუაცია.

ავტოტექნიკური უზრუნველყოფა, ზოგიერთ ქვეყანაში მშვიდობიან და ომიანობის პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების კომპლექსი. მისი მიზანია საავტომობილო ტექნიკის გამართულ მდგომარეობაში და მუდმივ მზადყოფნაში შენარჩუნება, მუშაობის საიმედოობის უზრუნველყოფა, დაზიანებული მანქანების სწრაფი აღდგენა და მწყობრში ჩაყენება. **ა.უ**. არის ტექნიკური უზრუნველყოფის სახეობა.

ავღანეთი (ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა), **ა**. მდებარეობს ცენტრალურ აზიაში. მისი ფართობი არის 652,2 ათ. *კმ*², მოსახლეობა 29,1 მლნ. კაცი (2012), აქედან 55% ავღანელი (პუშტუნი), დაახლოებით 20% ტაჯიკი, 9% უზბეკი, 9% საზარი და სხვა. ოფიციალური ენები – პუშტუ და დარი. დედაქალაქი – ქ. ქაბული. ადმინისტრაციული დაყოფა – 29 პროვინცია (ვალაითი) და 2 ცენტრალური დაქვემდებარების ოლქი. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება აქვს პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. **ა**. რესპუბლიკა გახდა 1973 წლის 17 ივლისს. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოა. ქვეყნის ეკონომიკას უდიდეს ზარალს აყენებს უწყვეტი სამოქალაქო და ანტიტერორისტული ომები. საერთაშორისო აეროპორტი – ქაბული. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 132 ათ. კაცს (2012) და ფორმირების სტადიაშია. ამჟამად მის მომზადებას ახორციელებენ აშშ-ისა და ნატოს სამხედრო სპეციალისტები საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით.

ავღანეთის ომი 1973–2001, სამოქალაქო ომი ქვეყნის სხვადასხვა პოლიტიკურ და ეროვნულ ძალებს შორის, უცხოეთის სახელმწიფოთა ჩარევის ფონზე ავღანეთის საშინაო საქმეებში. 1973 წლის ივლისში ავღანეთში სამხედრო გადატრიალების შედეგად დაამხეს მონარქია, რასაც მოჰყვა ხელისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერება ცალკეულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის. წარმოიშვა სამოქალაქო ომის კერები. 1978 წლის აპრილში ახალი გადატრიალებით ძალაუფლება ხელთ იგდო სახალხო-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა ნ. თარაკიმ. სიტუაციას ართულებდა უცხოეთის სახელმწიფოების ჩარევა შიდაავღანურ კონფლიქტებში.

სსრ კავშირი და სოციალისტური ბლოკის ქვეყნები თარაკის უჭერდნენ მხარს, ოპოზიცია კი დახმარებას იღებდა მუსლიმანური ქვეყნებიდან, ჩინეთიდან და სხვა. 1979 წლის სექტემბერს პრემიერ-მინისტრმა ხ. ამინმა ახალი გადატრიალება მოაწყო, ნ. თარაკი მოკლეს. საბჭოთა ხელმძღვანელობამ, რომელსაც ეშინოდა ავღანეთში გავლენის დაკარგვის, მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში თავისი ჯარები შეეყვანა. ინტერვენცია დაიწყო 1979 წლის 25 დეკემბერს. საბჭოთა მედესანტეებმა ამინი მოკლეს, ხოლო სახელმწიფოს მეთაურად დაინიშნა სსრ კავშირისადმი ლოიალურად განწყობილი ბ. ქარმალი. სისხლიანმა გადატრიალებებმა და საბჭოთა აგრესიამ უფრო დაძაბა ვითარება ავღანეთში. საბრძოლო მოქმედებები უფრო ინტენსიური გახდა. ქარმალის სამთავრობო ჯარების ბრძოლისუნარიანობა დაბალი იყო და ოპოზიციის რაზმებთან ბრძოლაში მთავარი სიმძიმე საბჭოთა სამხედრო კონტინგენტს დააწვა, რაც იწვევდა მისი რიცხოვნობის ზრდას (1985 საბჭოთა ჯარების რაოდენობამ ავღანეთში მაქსიმუმს მიაღწია – 108,7 ათ. კაცს). 1987 წელს ავღანეთის პროსაბჭოური რეჟიმის სათავეში მოვიდა მ. ნაჯიბი, მაგრამ მოჯაჰედების პარტიზანული მოძრაობის ჩახშობა ვერ ხერხდებოდა. ოპოზიციის ძალები ავღანეთის ტერიტორიის 75% აკონტროლებდნენ. პარტიზანებთან ბრძოლა განსაკუთრებით გაძნელდა 1986–87 წლებიდან, როდესაც მათ ამერიკიდან „სტინგერები“ (სარაკეტო დანადგარები) მიიღეს. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირში უკვე დაწყებული იყო ე.წ. გარდაქმნა და ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია ავღანეთიდან ჯარების გამოყვანას მოითხოვდა. ეს პროცესი 1989 წლის თებერვალში დასრულდა. სსრ კავშირის დაშლის შემდეგ (1991) ნაჯიბულას რეჟიმს ყოველგვარი დახმარება შეუწყდა, რამაც დააჩქარა მისი დამხობა (1992). ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ოპოზიციური ძალები. პრეზიდენტად აირჩიეს ბ. რაბანი. პროსაბჭოური მთავრობის გადაგდებას ავღანეთისთვის სტაბილურობა არ მოუტანია; ხანგრძლივმა ომმა აქ რადიკალური ისლამის გავლენა გააძლიერა. 1996 წელს ქაბული აიღეს რადიკალური ისლამური მოძრაობის „თალიბანის“ რაზმებმა, რომელთა კონტროლი ქვეყნის დიდი ნაწილზე გავრცელდა. თალიბთა მოწინააღმდეგე დაჯგუფებებმა პოზიციები შეინარჩუნეს ქვეყნის ჩრდილოეთში, ძირითადად, ეთნიკური ტაჯიკებითა და უზბეკებით დასახ-

ლებულ რეგიონში. თალიბების ხელისუფლება დაემხო აშშ-ის სამხედრო ოპერაციის შედეგად (2001).

აზენკური, სოფელი ჩრდილოეთ საფრანგეთში, სადაც 1415 წლის 25 ოქტომბერს, *ასწლიანი ომის* დროს, ინგლისის მეფის ჰენრიხ V-ის ჯარმა (8 ათ. მშვილდოსანი და ათასი ქვეითი რაინდი) დაამარცხა ფრანგების ლაშქარი (7 ათ. მძიმედ შეიარაღებული რაინდი და მეარბალეტე). ბრძოლის ბედი გადაწყვიტეს ინგლისელმა მშვილდოსნებმა. ამ გამარჯვების შედეგად ინგლისელებმა ხელთ იგდეს ჩრდილოეთ საფრანგეთი პარიზის ჩათვლით.

აზერბაიჯანი (Az□rbaycan Respublikasi – აზერბაიჯანის რესპუბლიკა), სახელწიფო ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. საქართველოს მეზობელი აღმოსავლეთით. **ა**-ს აღმოსავლეთით ესაზღვრება კასპიის ზღვა. ფართობი 86,6 ათ. *კმ*². მოსახლეობა 9,2 მლნ. კაცი (2012), დაახლოებით 85% აზერბაიჯანელები, დანარჩენი დაღესტნური ეთნიკური ჯგუფები, რუსები, თათრები და სხვა. ოფიციალური ენა – აზერბაიჯანული. დედაქალაქი – ქ. ბაქო. ადმინისტრაციული დაყოფა – 69 რაიონი, ნახიჩევანის ავტონომიური რესპუბლიკა. აზერბაიჯანის პარლამენტმა 1991 წელს გააუქმა მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის სტატუსი. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – მილი მეჯლისი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ხელისუფლება – მინისტრთა კაბინეტი (მთავრობა). სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შემდეგ, 1991 წლის 30 აგვისტოს, გამოცხადდა თანამედროვე აზერბაიჯანის რესპუბლიკა. **ა**. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება. განვითარებულია ქიმიური, ნავთობქიმიური, მანქანათმშენებლობის, მეტალურგიული, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობა სპეციალიზებული სუბტროპიკული მცენარეების მოყვანასა და მეცხოველეობაზე. რკინიგზის ქსელის სიგრძე – 2,1 ათასი *კმ*. სამანქანო გზების – 27,3 *კმ*, აქედან 25,8 ათასი *კმ*. მყარი საფრით. საზღვაო პორტებია: ბაქო, აფშერონი. საერთაშორისო აეროპორტი – ბაქო. შეიარაღებული ძალები შეიცავს სახმელეთო ჯარებს, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს. საერთო რაოდენობა – 128 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 85 ათ., შეიარაღებაში აქვთ 700-მდე ტანკი, 1100-მდე საბრძოლო დაჯავშნული მანქანა, 700-ზე მეტი ქვემეხი, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და ნაღმსატყორცნი. სამხედრო-საჰაერო ძალებს – 15 ათ. კაცი, შეირაღებაში აქვს 185 საბრძოლო თვითმფრინავი, 115-მდე საბრძოლო ვერტმფრენი, 70 საზენიტო სარაკეტო კომპლექსი. სამხედრო-საჰაერო ბაზები განლაგებულია: განჯაში, დალიარში, სიტალგაიში. სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაშია 3,5 ათ. კაცი, 40-მდე საბრძოლო ხომალდი და კატარღა. სამხედრო-საზღვაო ბაზა – ბაქო. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული მეთოდით.

რეზერვი 300 ათ. კაცი. გასამხედროებული ფორმირებაა სასაზღვრო ჯარები 7 ათ., შინაგანი ჯარი – 15 ათ., ეროვნული გვარდია – 2,5 ათ. კაცი.

აზია, დედამიწის ყველაზე ვრცელი ნაწილი, ევროპასთან ერთად ქმნის ევრაზიის კონტინენტს. ფართობი (კუნძულებით) 43,4 მლნ. *კმ*². ევროპასთან საზღვარი პირობითად გადის ურალის ქედის სამხრეთ ფერდობზე, მდინარე ემბაზე, კასპიის ზღვაზე, მდინარეებზე კუმა და მანიჩი (ზოგჯერ კავკასიონის მთავარი ქედის წყალგამყოფზე), აზოვისა და შავ ზღვებზე, ბოსფორის სრუტეზე, მარმარილოს ზღვაზე, დარდანელის სრუტეზე. ამერიკის კონტინენტისაგან გამოიყოფა ბერინგის სრუტით, ავსტრალიიდან – ტორესის სრუტით, აფრიკას უკავშირდება სუეცის ყელით. ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრულია ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანით, აღმოსავლეთით – წყნარი და სამხრეთით – ინდოეთის ოკეანეებით. **ა**-ს ასევე განეკუთვნება მრავალრიცხოვანი კუნძულები საერთო ფართობით 2 მლნ. *კმ*²-ზე მეტი (მათ შორის ჩრდილოეთის მიწა, ახალი ციმბირის, კურილიის, იაპონიის, ფილიპინების არქიპელაგი, კვიპროსი და სხვა). ტერიტორიის თითქმის 3/4 უკავია მთებს და დაბალმთიანეთს. უმაღლესი მთათა სისტემებია: ჰიმალაი (მთა ჯომოლუნგმა, ზღვის დონიდან 8848 *მ*, წარმოადგენს დედამიწის უმაღლეს მწვერვალს), პამირი, ყარაყუმი, ჰინდიქუში, ტიან-შანი და სხვა. მოსწორებული მთიანეთის უდიდესი ნაწილი უკავიათ უდაბნოებსა და ნახევარუდაბნოებს. ვაკე-დაბლობები (მათ შორის განსაკუთრებით ვრცელია დასავლეთ ციმბირის, ინდოჩინეთის, ინდისა და განგის ვაკე, თურანისა და მესოპოტამიის დაბლობი) ძირითადად მდებარეობს ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ **ა**-ში. კლიმატი – ჩრდილოეთით არქტიკული, აღმოსავლეთ ციმბირში მკვეთრად კონტინენტური და ინდონეზიის კუნძულებზე ეკვატორული. მყინვარების ფართობი შეადგენს 118 ათ. *კმ*² (მაღალმთიანეთი და არქტიკის კუნძულები). ჩრდილოეთ განედის 47^0-მდე მრავალწლიანი გამყინვარებაა. **ა**-ში ბევრი მდინარეა. ჩრდილოეთ **ა**-ის მდინარეები: ობი, ენისეი, ლენა და სხვა წყალუხვია, იყინებიან 8 თვემდე. აღმოსავლეთ და სამხრეთ **ა**-ის მდინარეები ზაფხულში წყალუხვია, ზამთარსა და გაზაფხულზე – წყალმცირე. მათგან ნაწილი შემორტყმულია დამბებით. დიდი მდინარეებია: ამური, ხუანხე, იანძი, ირავადი,

მეკონგი, ბრაჰმაპუტრა, ინდი, განგი. ცენტრალურ და დასავლეთ **ა**-ში ზედაპირული წყლები ნაკლებადაა. წყალუხვი თოვლ-მყინვარული კვებით ხასიათდებიან: ამუდარია, სირდარია, ტიგროსი, ევფრატი, ჰალმეიდი. **ა**-ის მცენარეული ზონები იცვლება ჩრდილოეთის ტუნდრიდან, სამხრეთის ეკვატორული ნოტიო ტყეებით. ჩრდილოეთ **ა**-ის ტერიტორია და აღმოსავლეთ ა-ის ჩრდილოეთი რაიონები უკავია ტაიგას; სამხრეთ-აღმოსავლეთ **ა**-ში ნოტიო ტროპიკული ტყეებია. ტაიმირის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, იმიერბაიკალეთში, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში – ტყე-სტეპები და სტეპები. ცენტრალურ, შუა და დასავლეთ **ა**-ში ნახევრადუდაბნოები და უდაბნოებია. **ა**-ს პირველი ადგილი უკავია კონტინენტებს შორის ნავთობის, ნახშირის, ბუნებრივი აირის, ჰიდროენერგორესურსების მარაგით, მრავლად მოიპოვება ფერადი და იშვიათი ლითონები. მოსახლეობა განაწილებულია არათანაბრად: აღმოსავლეთ და სამხრეთ **ა**-ში 600–700 მლნ. ადამიანზე მეტი, ცენტრალურ, დასავლეთ და ჩრდილოეთ **ა**-ში – მხოლოდ რამდენიმე ადამიანი 1 *კმ*²-ზე. **ა**-ის ტერიტორიაზე არის დაახლოებით 50 სახელმწიფო.

ასიმუტი (არაბული as-sumuti – გზები, მიმართულებები), მიწისზედა საგნის, ციური მნათობის მიმართულება, ორწახნაგოვანი კუთხე დამკვირვებლის წერტილის მერიდიანის სიბრტყესა და ვერტიკალურ სიბრტყეს შორის, რომელიც ამ წერტილსა და ხილულ ობიექტზე გადის. მერიდიანის სახეობის მიხედვით, რომლიდანაც ხდება კუთხის აზომვა. ასხვავებენ ჭეშმარიტ (ასტრონომიულ), გეოდეზიურ და მაგნიტურ **ა**-ს. **ა**. აითვლება შესაბამისი მერიდიანის ჩრდილოეთის მიმართულებიდან საათის ისრის მიმართულებით 0-დან 360⁰-მდე. **ა**-ს იყენებენ მიზანჩვენების, ადგილზე ორიენტირების, საარტილერიო სროლის მონაცემების მომზადებისთვის და სხვა.

ათათურქი (Atatürk) მუსტაფა ქემალ (1881–1938), თურქეთის სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მარშალი (1921), თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელი და მისი პირველი პრეზიდენტი (1923–38). დაამთავრა გენერალური შტაბის აკადემია სტამბულში. მონაწილეობდა იტალია-ოსმალეთის (იხ. *იტალია-ოსმალეთის ომი 1911–12*), ბალკანეთის II (იხ. *ბალკანეთის ომები*) და I მსოფლიო ომებში. დიდი როლი შეასრულა დარდანელის დაცვაში ინგლის-საფრანგეთის ჯარებისაგან (1915). 1918–23 წლებში ხელმძღვანელობდა ოსმალეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ რევოლუციას. 1920 წლიდან ახალი პარლამენტის – ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე, 1921 წლიდან შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. მისი ინიციატივით 1922 წელს ოსმალეთში გაუქმდა მონარქია (ოსმალთა სასულთნო), ხოლო 1923 წლის 29 ოქტომბერს გამოცხადდა თურქეთის რესპუბლიკა.

ათენი ძველი, ქალაქ-სახელმწიფო (პოლისი) ატიკაში, შუა საბერძნეთში, მონათმფლობელური დემოკრატიის კლასიკური ნიმუში, რომელიც წამყვან როლს ასრულებდა ძველი საბერძნეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, ანტიკური პერიოდის სამხედრო ხელოვნების განვითარებაში; ძლიერების მწვერვალს მიაღწია ძვ.წ. V საუკუნეში.

ათეული (სამხედრო), 1. მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში პირველადი (უმდაბლესი) ტაქტიკური ქვედანაყოფი. როგორც წესი, არის ოცეულის (ქვეითი, მოტოქვეითი, სადესანტო, საინჟინრო, კავშირგაბმულობის და სხვა) ძირითადი სტრუქტურული ერთეული. სატანკო და საავიაციო ათეულს შეესაბამება ეკიპაჟი. საზღვაო ხომალდების ეკიპაჟის ათეული აერთიანებს ერთი სპეციალობის პირად შემადგენლობას და შედის კომანდის შემადგენლობაში. 2. პირველადი საორგანიზაციო ერთეული შტაბებში, საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში.

აირწინაღი, ჰაერში არსებული მავნე მინარევებისგან ადამიანის სუნთქვის ორგანოების, სახის და თვალების ინდივიდუალური დაცვის საშუალება. მოქმედების პრინციპის მიხედვით **ა**-ები არის: მფილტრავი, რომელიც სუნთქვისთვის მიწოდებული ჰაერის მავნე მინარევებისგან გაწმენდას უზრუნველყოფს და საიზოლაციო, რომელიც ადამიანის სუნთქვას ჟანგბადის რეგენერაციით ან მისი (ხანდახან ჰაერის) მარაგის საშუალებებით უზრუნველყოფს. დანიშნულების მიხედვით არის: საჯარისო (საერთო-საჯარისო და სპეციალური), სამოქალაქო და სამრეწველო; საერთო-საჯარისო და სამოქალაქო **ა**-ები უზრუნველყოფენ მომწამლავი ნივთიერებებისგან, რადიოაქტიური ნალექებისგან და ბიოლოგიური აეროზოლებისგან დაცვას. საჯარისო და სამრეწველო ა-ებით უზრუნველყოფა ხდება სპეციალური სამხედრო ფორმირებების, ხანძარსაწინააღმდეგო ქვედანაყოფების, საავარიო-სამაშველო სამსახურების, საწარმოების, რომლებიც იყენებენ ან აწარმოებენ ადამიანის ორგანიზმისთვის მავნე ნივთიერებებს.

აკვალანგი (ლათინური aqua – წყალი და ინგლისური lung – ფილტვი), ადამიანის წყალქვეშა სუნთქვისთვის ინდივიდუალური ზურგსაკიდი აპარატი, რომელითაც ბალონებში არსებული დაჭირხნული ჰაერი მიეწოდება მილებით სარქველის გავლით. იყენებენ 40*მ*-დე სიღრმეზე.

აკვატორია, (ლათინური aqua – წყალი და territorium – ტერიტორია), წყლის ზედაპირის

მონაკვეთი ოკეანეების, ზღვების, ტბების, წყალსატევების და დიდი მდინარეების რაიონებში ან პორტებში დადგენილი საზღვრების ფარგლებში. პორტის **ა**-ში ხდება გემების ჩატვირთვა-გადმოტვირთვა; საქარხნო **ა**-ში – გემების მშენებლობა ან შეკეთება; პოლიგონის **ა**-ში მიმდინარეობს გემებისა და წყალთან დაკავშირებული სხვა ტექნიკის გამოცდა. ჰიდროთვითმფრინავების აფრენის და დაფრენის მონიშნული წყლის ზედაპირებიც წარმოადგენენ **ა**-ს.

აკინაკი, 1. რკინის მოკლე (40–60 *სმ*) ორლესული მახვილი, რომელსაც ვადა გულის მოყვანილობისა ჰქონდა, ხოლო კოტას თავი – ნახევარმთვარისებრი ან ბრტყელი. გავრცელებული იყო ირანში, ცენტრალურ აზიაში, ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთსა და კავკასიაში ძვ.წ. VII–III. 2. ლახვრის (იხ. *ლახვარი*) ერთ-ერთი სახეობა, სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით.

აკრძალული ზონა, ადგილმდებარეობის (აკვატორიის ან საჰაერო სივრცის) მონაკვეთი (რაიონი), რომლის ფარგლებში მოსახლეობის, სატრანსპორტო საშუალებების, ჯარების ყოფნა და გადაადგილება აკრძალულია. **ა.ზ.** დგინდება და ცხადდება: მშვიდობიანობის დროს – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ხოლო ომიანობის დროს – სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ. **ა.ზ**-ის დადგენისა და აკრძალვების ხასიათის შესახებ ეცნობება შესაბამის ორგანოებს, სამხედრო მოსამსახურეებსა და მოსახლეობას. ადგილმდებარეობაზე ზონის საზღვრები აღინიშნება კარგად შესამჩნევი ნიშნებით და წარწერებით. **ა.ზ**. შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი.

ალა (ლათინური ala – ფრთა), *ლეგიონის* ფლანგების დამცავი ცხენოსანი რაზმი; თავდაპირველად იყო 300 რომაელი ცხენოსანი, შემდეგ – 500–1000 უცხოელი მოკავშირე.

ალამი, იხ. *დროშა*.

ალაფი (სამხედრო) (ბერძნული tropaion, სიტყვასიტყვით – გამარჯვებულის პატივსაცემად დადგმული ძეგლი), 1. ლაშქრობაში ნაშოვნი ქონება – დავლა, ნადავლი. მოწინააღმდეგის მიერ ბრძოლის ველზე ან კაპიტულაციის შემდეგ დატოვებული დროშები, სამხედრო ტექნიკა და სხვა მატერიალური ფასეულობა. **ა**. ითვლება გამარჯვებული სახელმწოფოს საკუთრებად, გამოიყენება სამხედრო და სხვა საჭიროებისათვის. 2. ძვ. საბერძნეთში – გამარჯვების აღსანიშნავი ძეგლი. თავდაპირველად წარმოადგენდა ხის ბოძს ზედ ჩამოკიდებული მტრის იარაღით. იდგმებოდა ბრძოლის ადგილზე და თან ერთვოდა ტექსტი ბრძოლის შესახებ, გამარჯვებულების და დამარცხებულების სახელებით. ძვ. რომში ძეგლები (ტრიუმფალური ჭიშკარი, თაღები და სხვა) აღიმართებოდა ქალაქში. შემდგომში ეს ტრადიცია გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც.

ალბა ფერნანდო ალვარეს დე ტოლედო (1507–82), ესპანელი ჰერცოგი, მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. ნიდერლანდების გუბერნატორი 1567–73 წლებში. სასტიკი ზომებით ცდილობდა ნიდერლანდებში განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩახშობას. 1580 წელს სარდლობდა არმიას, რომელმაც დაიპყრო პორტუგალია.

ალბანეთი (ალბანეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. დასავლეთიდან ესაზღვრება ადრიატიკის და იონიის ზღვები. ფართობი 28,7 ათ. *კმ*², მოსახლეობა 3,1 მლნ კაცი (2012), 98% ალბანელი. ოფიციალური ენა – ალბანური. დედაქალაქი – ქ. ტირანა. ადმინისტრაციული დაყოფა – 35 რეტი (ოლქი). **ა**. საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და საკანონმდებლო ორგანო – სახალხო კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). ხელისუფლების აღმასრულებელი ორგანო – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). **ა**. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1912 წლიდან. ნატოს წევრი ქვეყანაა. **ა**. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა, ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ღარიბი სახელმწიფო. აწარმოებს ქრომის, რკინა-ნიკელის, ბრინჯაოს მადნის, ნახშირის და ნავთობის მოპოვებას. საზღვაო პორტებია: დურესი, ვლიორა, შემგინი, სარანდა. საერთაშორისო აეროპორტი – რინასი (ტირანა). შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა არის 10,6 ათ. (2012), რეზერვი – 4,5 ათ. კაცი. მათ შორის სახმელეთო ჯარებში 8,1 ათ., სამხედრი-საჰაერო – 1,4 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალებში 1,1 ათ. კაცი.

ალბიგოელთა ომები 1209–29, კათოლიკური ეკლესიის ინიციატივით მოწყობილი ჩრდილოეთ საფრანგეთის რაინდთა ჯვაროსნული ლაშქრობები სამხრეთ საფრანგეთში, სადაც XII–XIII საუკუნეებში ფართო გავლენით სარგებლობდა ალბიგოელთა მწვალებლური სექტა. ალბიგოელები კათოლიკური ეკლესიის დოგმატების, საეკლესიო მიწათმფლობელობისა და გადასახადების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათ მხარს უჭერდა ადგილობრივი აზნაურების ნაწილიც, რომელიც საეკლესიო ქონების სეკულარიზაციიით იყო დაინტერესებული. ჯვაროსნებმა გაანადგურეს ალბიგოელები, გაძარცვეს სამხრეთ საფრანგეთის მდიდარი ქალაქები, სასტიკად ააოხრეს ქვეყანა. დაპყრობილი ტერიტორიის მნიშვნელ--ოვანი ნაწილი 1271 წელს საფრანგეთის მეფის დომენს შეუერთდა.

ალებარდა (ფრანგული hallebarde), ცივი იარაღი, მოგრძო შუბი მასზე დამაგრებული ნაჯახით. ქვეითი ჯარის შეიარაღებაში იყო XIV–XVI საუკუნეების, შემდეგ გამოიყენებოდა, როგორც საპარადე იარაღი.

ალექსანდერი ჰაროლდ (1891–69), ბრიტანელი მხედართმთავარი, ფელდმარშალი. 1943–45 წლებში მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი ხმელთაშუა ზღვის სამხედრო მოქმედებათა თეატრზე. მისი სარდლობით გადასხდნენ იტალიაში ინგლის-ამერიკის ჯარები. სამხედრო მოქმედებებს იტალიაში ხელმძღვანელობდა II მსოფლიო ომის დასრულებამდე. ომის შემდეგ იყო კანადის გენერალ-გუბერნატორი (1946–52) და დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი (1952–54). ჩრდილო აფრიკაში სამხედრო მოქმედებების ხელმძღვანელობისათვის მიენიჭა ტუნისის ლორდის ტიტული.

ალექსანდრე ბატონიშვილი (ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი) (1770–1844), ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. *ერეკლე II*-ის ძე. 17–18 წლიდან მონაწილეობდა ქვეყნის მართვა-გამგეობაში, მეთაურობდა ჯარებს. 1795 წლის ივნისში ერეკლემ ქართული ლაშქრით გაგზავნა ყარაბაღისა და ერევნის სახანოების დასახმარებლად, რომლებსაც აღა-მაჰმად-ხანი ემუქრებოდა; ქართველებმა და ყარაბაღელებმა ირანელთა მოწინავე რაზმი ამოულიტეს ასქერანთან. ალექსანდრე რუსეთთან კავშირის მომხრე იყო *გეორგიევსკის ტრაქტატის* საფუძველზე, მაგრამ არ დაეთანხმა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას და ეროვნული წინააღმდეგობის ლიდერი გახდა. რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა ლეკებთან ერთად და რუსეთ-ირანის ომებში (1804–13, 1826–28), ხელმძღვანელობდა 1812 წლის კახეთის აჯანყებას და სხვა. ქართული ოპოზიცია ალექსანდრეს კანდიდატურას მოიაზრებდა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფო ტახტებზე. მიზანს ვერ მიაღწია, გარდაიცვალა და დაკრძალულია თეირანში.

ალექსანდრე მაკედონელი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე დ ი დ ი (ძვ.წ. 356–323), მაკედონიის მეფე 336 წლიდან. მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე. არისტოტელეს აღზრდილი. სამხედრო სკოლა გაიარა მამის, მეფე ფილიპე II-ის, ჯარებში. შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი ომებში გაატარა. 334 წელს წამოიწყო ლაშქრობა *აქემენიდების სახელმწიფოს* წინააღმდეგ. დაამარცხა სპარსელები გრანიკოსთან (334), ისოსთან (333), *გავგამელთან* (331). ირანის დაპყრობის შემდეგ დალაშქრა შუა აზია (329–328) და შეიჭრა ინდოეთში (327), მაგრამ წააწყდა საკუთარი არმიის წინააღმდეგობას, რომელიც დაქანცული იყო განუწყვეტელი ლაშქრობებით, ამიტომ იძულებული გახდა შეწყვიტა წინსვლა (325). გეგმავდა ახალ ლაშქრობებს, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა. ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ მალე დაიშალა მის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია, რომელიც მოკლებული იყო შინაგან სიმტკიცეს.

ალიანსი, ოფიციალური შეთანხმების (საერთაშორისო ხელშეკრულების) შედეგი, რომელიც ორი ან მეტი ქვეყნის მნიშვნელოვანი და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად შეთანხმებულ მოქმედებას ითვალისწინებს. **ა**-ში გამოიკვეთება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეების საერთო ინტერესები.

ალისფერი და თეთრი ვარდების ომი, იხ. *ვარდების ომი.*

ალმაცერი ცეცხლი (მოძველებული), იხ. *ცეცხლი.*

ალპური მსროლელები, მთებში ბრძოლისათვის განკუთვნილი სპეციალური ნაწილები იტალიისა და საფრანგეთის არმიებში, დაკომპლექტებული ძირითადად მთიელებით. ალპურ მსროლელთა პირველი ფორმირება გაჩნდა საფრანგეთში XVIII საუკუნის ბოლოს.

ალჟირი (ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ფრანგული – République Algérienne Démocratique et Populaire), სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა. ფართობი 2381,7 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 35,4 მლნ. კაცი (2012). შემადგენლობა – ალჟირელი არაბები და ბერბერები. ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ალჟირი. ადმინისტრაციული დაყოფა – 48 ვილაიეთი. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა. **ა**-მა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1962 წლის 5 ივლისს. **ა**. აგრარული ქვეყანაა, განვითარებული სამთო მოპოვებითი მრეწველობით (ნავთობი, ბუნებრივი აირი, რკინის მადანი, ფერადი ლითონი და სხვა). სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილების 1/3-ს. ძირითადი საზღვაო პორტებია: არზვეი, ბეჯაია, სკიკდა, ალჟირი, ანაბა. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა არის 147 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები – 127 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები – 14 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 6 ათ. სახმელეთო ჯარების დაკომპლექტება ხდება გაწვევით, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების – დაქირავებით. გასამხედროებული ფორმირებებია: ჟანდარმერია, ეროვნული (ნაციონალური) უსაფრთხოების ძალები, რესპუბლიკური გვარდია.

ალტერნატიული სამსახური, სამსახური იარაღის გარეშე, მოქალაქეების აუცილებელი სახელმწიფო სამსახური, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით სამხედრო სამსახურს ცვლის. გამოიყენება ბევრ ქვეყანაში, სადაც შემორჩენილია საყოველთაო სამხედრო ვალდებულება (ბეგარა). სამხედრო სამსახურზე უარის თქმის მიზეზი შეიძლება იყოს რელიგიური და ზნეობრივი მრწამსი, რომელიც არ ეთანხმება იარაღის გამოყენებით ძალადობას. ა.ს-ის გავრცელებული სფერო

ებია: სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, სამოქალაქო თავდაცვა, სახანძრო დაცვა და სხვა.

ალფ-არსლანის ლაშქრობები საქართველოში 1064, 1067–68, თურქ-სელჩუკთა შემოსევები საქართველოში სულთან ალფ-არსლანის (1063–72) მეთაურობით. 1064 ივნის-ივლიში სელჩუკებმა ბრძოლით აიღეს ახალქალაქის ციხე, მოარბიეს თრიალეთი და ჯავახეთი. უფრო გამანადგურებელი მეორე ლაშქრობა შედგა 1067–68 ნოემბერ-იანვარში სელჩუკებმა სასტიკად ააოხრეს აღმოსავლეთ საქართველო და არგვეთი. უკან გაბრუნებულმა სულთანმა თბილისი და რუსთავი გადასცა თავის ვასალს, განჯის ამირა ფადლონს. *ბაგრატ IV-მ* 1068 გაზაფხულზე დაამარცხა ფადლონი და ქალაქები დაიბრუნა.

ალფა-გამოსხივება, კორპუსკულური იონიზებული გამოსხივება, რომელიც შედგება ალფა-ნაწილაკებისგან (ჰელიუმის ატომის ბირთვებისგან) და გამოიყოფა ბირთვული აფეთქებების და ბირთვული რეაქტორების მუშაობის დროს. ცნობილია ბუნებრივი წარმოშობის 40-მდე ალფა-რადიოაქტიული და ხელოვნური წარმოშობის 200-მეტი იზოტოპი. მცირე შეღწევადობის გამო პრაქტიკულად პირადი შემადგენლობისთვის ორგანიზმში მოხვედრის შემთხვევაში, საფრთხეს ქმნის პლუტონიუმ-239 ალფა-გამომსხივებელი იზოტოპები.

ალყა, განადგურების ან დატყვევების მიზნით მოწინააღმდეგის დაჯგუფების იზოლაცია მისი დანარჩენი ჯარებისაგან (ძალებისაგან). ხორციელდებოდა სხვადასხვა ეპოქის ომებში. წარმატებული ა-ისთვის უმნიშვნელოვანეს პირობებს წარმოადგენს: საკუთარი ჯარების ხელსაყრელი მდებარეობის გამოყენება მოწინააღმდეგის დაჯგუფების ფლანგებზე და ზურგში სწრაფი გასვლისათვის; საჰაერო და საზღვაო დესანტების მიერ მოწინააღმდეგის ზურგში მნიშვნელოვანი რაიონების, საგზაო კვანძებისა და გადასასვლელების ხელში ჩაგდება; აქტიური მოქმედებების წარმოება ა-ის შიდა და გარე ფრონტებზე გარშემორტყმული მოწინააღმდეგის იმავდროული ბლოკადით ჰაერიდან, ხოლო ზღვისპირა მიმართულებებზე – ზღვიდანაც; მოწინააღმდეგის რეზერვებისა და გარშემორტყმული ჯარების დებლოკირების ცდების ჩაშლა. ა. შეიძლება განხორციელდეს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბებით. ა-ის მიზანს აღწევენ: გადამკვეთ მიმართულებებზე დარტყმების მიყენებით; მოწინააღმდეგის უკანდახეული დაჯგუფების ოპერატიულ სიღრმეში დევნის დროს ყოვლისმომცველი დარტყმის მიყენებით და მოწინააღმდეგის დაჯგუფების ზღვისკენ განდევნით;
რამდენიმე დამანაწევრებელი ფრონტალური დარტყმის მიყენებით და წარმატების განვითარებით მოწინააღმდეგის ფლანგებზე და მის ზურგში გასვლით; დიდი დასახლებული პუნქტების და ქალაქების შემოვლის, მათში არსებული გარნიზონების ბლოკადის გზით და სხვა ხერხებით.

ალყიდან გამოსვლა, საბრძოლო მოქმედებები ალყის ფრონტის გასარღვევად და გარშემორტყმული ჯარების გამოსაყვანად. ხორციელდება დამოუკიდებლად ან ალყის გარეთ მყოფი ჯარების ხელშეწყობით. ზოგიერთი ქვეყნის არმიების გამოცდილება მოწმობს, რომ ალყიდან გამოსვლის ორგანიზებისას ალყის ფრონტის გასარღვევად იქმნება ძალების და საშუალებების ძირითადი დაჯგუფებები. ასევე ალყის ფრონტის და გარღვევის მონაკვეთების ფლანგების დაფარვის ძალები, საერთო-საჯარისო, ტანკსაწინააღმდეგო რეზერვები და დაჯგუფებები (ჯგუფები) დემონსტრაციული მოქმედებებისთვის. გარდა ამისა, განსაზღვრავენ გარშემორტყმული ჯარების გაყვანის (ჰაერით და ზღვით გადასროლის) და ევაკუაციის ცეცხლით დაფარვის წესს. ათანხმებენ ალყის ფარგლებს გარეთ მოქმედ ძალებთან და საშუალებებთან ურთიერთქმედების და ამოცნობის საკითხებს. ამავე დროს ირჩევენ რაიონებს ჯარების ფარული თავმოყრისთვის და მიმართულებას, რომელიც მთავარ ძალებთან სწრაფ შეერთებას უზრუნველყოფს. დემონსტრაციული მოქმედებების (ყურადღების გადამტანი დარტყმების) რაიონებს და მიმართულებებს, რომელთა მიზანია თავგზა აუბნიოს მოწინააღმდეგეს, შებოჭოს მისი რეზერვები და განახორციელოს განყენებული დარტყმები. გარღვევისთვის მთავარი დარტყმის მიმართულებას ირჩევენ ზემდგომი მეთაურის ხელთ არსებული საშუალებებით დარტყმების მიყენების გათვალისწინებით. გარღვევა იწყება ხანმოკლე, მაგრამ მძლავრი საცეცხლე მომზადების შემდეგ (შეზღუდული ხედვის პირობებში, ღამით იგი შეიძლება არც იყოს), ალყის ფრონტის ფარგლებს გარეთ მოქმედი ჯარების დარტყმებთან და ცეცხლით მხარდაჭერასთან ურთიერთქმედებით. ყველაზე ბრძოლისუნარიანი ჯარების დაჯგუფება, რომელშიც შეჰყავთ ტანკების და არტილერიის დიდი ნაწილი, თავბრუდამხვევი ტემპით არღვევს გარემოცვის ფრონტს. ის მიემართება ამ გარემოცვის ფარგლებს გარე ტერიტორიიდან შეტევაზე წამოსული ჯარების შესახვედრად, ხოლო ძალების ნაწილით უზრუნველყოფს გარშემორტყმული ჯარების გამოყვანას და ევაკუაციას. ცრუ მიმართულებით მოქმედი ქვედანაყოფები აქტიურად ახდენენ გარღვევის იმიტაციას. დემონსტრაციული მოქმედება შეიძლება მოეწყოს ნამდვილ გარღვევაზე უფრო ადრე ან იმავდროულად. ალყიდან გამოსვლა დასრულებულად ითვლება მას შემდეგ, რაც მნიშვნელოვანი მანძილით მოსწყდებიან მოწი-

ნააღმდეგეს ან შეუერთდებიან მთავარ ძალებს.

ალყის მდგომარეობა, საომარი მდგომარეობის განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომელსაც ომიანობის დროს აწესებს სახელმწიფო ხელისუფლება ან უფლებამოსილი ორგანოები, მათ – შორის სამხედრო სარდლობა. საალყო მდგომარეობა ცხადდება დიდი პოლიტიკური, სტრატეგიული ან ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე ცენტრების და რაიონების მოწინააღმდეგის მიერ ხელში ჩაგდების საშიშროების შემთხვევაში.

ამაალებელი, მუხტების, სარაკეტო საწვავისა და პიროტექნიკური შედგენილობის წვის აღგზნების მაინიცირებელი საშუალება. შეიძლება იყოს მექანიკური და ელექტრონული. ძირითად მექანიკურ ა-ს მიეკუთვნება კაფსულ-ამაალებელი და მის საფუძველზე – კაფსულის მილი, დამრტყმელი ა. მილი, აგრეთვე ა. ამნთებისათვის, ცეცხლგამტარი ზონარი და სხვა.

ამბრაზურა (ფრანგული embrasure – სათოფური), თავდაცვით ნაგებობებსა და ჯავშნიან კოშკებში დატანებული სარკმელი ქვემეხით, ნაღმსატყორცნით და ტყვიამფრქვევით ცეცხლის დასაშენად. ა-ის ფორმა და ზომა დამოკიდებულია იარაღის სახეობაზე, სროლის სექტორზე და სხვა.

ამაღლების კუთხე, კუთხე ქვემეხის ლულის ღერძსა (სხეულის ხაზსა) და ქვემეხის ჰორიზონტს შორის.

ამერიკა, დედამიწის ნაწილი, რომელიც წარმოქმნილია ორი კონტინენტით – ჩრდილოეთ და სამხრეთ ა-ით. კონტინენტები ერთმანეთისგან გამოყოფილია პანამის ყელით. გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაახლოებით 16 ათ. *კმ*-ზე. ა-ის შემადგენლობაში შედის გრელანდიის და სხვა ახლომდებარე კუნძულები. ფართობი 42.5 მლნ, *კმ*². ჩრდილოეთ ა-ში ხშირად გამოყოფენ ცენტრალურ ა-ს და ვესტ-ინდოეთს. ქვეყნების ჯგუფს, განლაგებულს ჩრდილოეთ ა-ის სამხრეთ ნაწილსა და მთელ სამხრეთ ა-ში, ხშირად მოიხსენიებენ საერთო სახელით – ლათინური ამერიკა. ა. გარშემორტყმულია ატლანტის, წყნარი და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანეებით. ა-ის რელიეფში გამოიყოფა მთები დასავლეთით, ვაკეები და დაბლობები – ცენტრალურ ნაწილსა და აღმოსავლეთ მხარეს. ალიასკიდან კუნძულ ცეცხლოვან მიწამდე, წყნარი ოკეანის სანაპიროს გასწვრივ, გადაჭიმულია კორდილიერების მთიანი სისტემა (სამხრეთ ა-ში მას ანდებს უწოდებენ), ატლანტის ოკეანის სანაპიროზე, ჩრდილოეთ ა-ში – აპალაჩის მთები, სამხრეთ ა-ში – გვიანის და ბრაზილიის დაბალმთიანეთი. ჩრდილოეთ ა-ში კორდილიერებსა და აპალაჩებს შორის, სამხრეთ ა-ში მდინარე ამაზონის, პარანასა და ორინოკოს აუზში – ვაკე-დაბლობების ზონებია გადაჭიმული (დიდი და ცენტრალური ვაკე, ამაზონის დაბლობი, ლაპლასიის ვაკე, ლიანის – ორინოკო, ჩრდილოეთ ა-ში ატლანტისპირა და მექსიკისპირა დაბლობი). ა. მდებარეობს 7 კლიმატურ ზონაში. ა-ის დიდი მდინარეებია: მისისიპი (მისურით), ამაზონი (მადეირათი), პარანა (პარაგვაით). ჩრდილოეთ ა-ში დიდი ტბებია: ზემო ტბა, ჰურონი, მიჩიგანი, დიდი დათვი, ვინიპეგი, ონტარიო და სხვა. მცენარეული საფარი მრავალფეროვანია (ტუნდრა, პრერია, ნახევარუდაბნო და უდაბნო, ტყეები და სავანები). ა-ის წიაღი მდიდარია რკინის და მარგანეცის, ფერადი და იშვიათი ლითონებით, ქვანახშირით, ნავთობით, ბუნებრივი აირით და სხვა. ა-ის მოსახლეობა მრავალფეროვანია. მასში შერეულია ევროპეიდული, მონგოლოიდური და ნეგროიდული რასები. განსაკუთრებით მჭიდროდაა დასახლებული ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და აშშ-ის წყნარი ოკეანის სანაპირო რაიონები, ცენტრალური ა., ვესტ-ინდოეთი, სამხრეთ ა-ის ცენტრალური ნაწილი. თითქმის დაუსახლებელია ალიასკა, კანადის ჩრდილოეთ ნაწილი, ამაზონის აუზი. ა-ში 50 ქვეყანაა, მათ შორის 28 დამოუკიდებელი. ა-ის სახელწიფოები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში. წამყვანი როლი ეკუთვნის აშშ-სა და კანადას.

ამერიკა-ესპანეთის ომი, იხ. *ესპანეთ-ამერიკის ომი 1898.*

ამერიკა-კანადის გაერთიანებული სარდლობა, იხ. *სარდლობა.*

ამერიკა-მექსიკის ომი 1846–48, ამერიკის დამპყრობლური ომი მექსიკის წინააღმდეგ. დაიწყო მექსიკის ტერიტორიის ნაწილის – ტეხასისათვის. ამერიკის ჯარები მექსიკაში შეიჭრნენ და 1847 წლის სექტემბერში აიღეს მისი დედაქალაქი მეხიკო. მექსიკის ჯარებმა შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს აშშ-ის ჯარებს. მექსიკელი ხალხი თავგამოდებით განაგრძობდა პარტიზანულ ომს, მაგრამ მმართველმა წრეებმა დააჩქარეს ზავის დადება. 1848 წლის 2 თებერვალს გვადალუპაიდალგოს საზავო ხელშეკრულებით მექსიკამ დაკარგა თავისი ტერიტორიის ნახევარზე მეტი (დღეისათვის შტატები: ტეხასი, ნიუ-მექსიკა, არიზონა, ზემო კალიფორნია, ნევადა, იუტა, კოლორადოსა და ვაიომინგის ნაწილი). ამ ომში 13 ათასი ამერიკელი დაიღუპა.

ამერიკის სახელმწიფოების ორგანიზაცია, დასავლეთ ნახევარსფეროს სახელმწიფოთა სამთავრობათაშორისი საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1948 წელს. შედის 35 სახელმწიფო აშშ-ის ჩათვლით. საწესდებო მიზნები: რეგიონში მშვიდობის და უსაფრთხოების შენარჩუნება; წევრ ქვეყნებს შორის სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტა;

აგრესიის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება; პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პრობლემების გადაჭრა; სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების ხელშეწყობა. უმაღლესი ორგანო – ყოველწლიური გენერალური ასამბლეა, რომელიც ორგანიზაციის საერთო პოლიტიკას განსაზღვრავს. პერიოდულად ტარდება საგარეო საქმეთა მინისტრების საკონსულტაციო თათბირები. მასთან მოქმედებს თავდაცვის კომიტეტი, რომელშიც შედიან უმაღლესი სამხედრო წარმომადგენლები. მუდმივმოქმედი ცენტრალური აღმასრულებელი ორგანო – გენერალური სამდივნო. ძირითადი ორგანოების ადგილსამყოფელი ვაშინგტონი.

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ), სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში. შედგება სამი ნაწილისაგან: აშშ-ის კონტინენტური ნაწილისაგან, ალიასკისა და ჰავაის კუნძულებისაგან. კონტინენტური ნაწილი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია წყნარი ოკეანით, აღმოსავლეთიდან – ატლანტის ოკეანით, სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – მექსიკის ყურით. ალიასკას ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, დასავლეთით და სამხრეთით – წყნარი ოკეანე. ჰავაის კუნძულები მდებარეობს წყნარ ოკეანეში. საერთო ფართობი 9631 ათ. *კმ*². მოსახლეობა 317,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ვაშინგტონი. ადმინისტრაციული დაყოფა: 50 შტატი და კოლუმბიის ფედერალური ოლქი. **აშშ**-ის მფლობელობაში შედის 20-მდე დამოკიდებული ტერიტორია (იხ. *დამოკიდებული ტერიტორიები*). **აშშ** ფედერაციული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი კონგრესი (სენატი და წარმომადგენელთა პალატა). **აშშ** ნატოს და 70-მდე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი და წამყვანი ქვეყანაა. ჩრდილოეთ ამერიკაში 1775–83 წლებში, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის პერიოდში 13 ინგლისური კოლონია გაერთიანდა და გამოაცხადეს დამოუკიდებელი სახელწიფო, ამერიკის შეერთებული შტატები (1776 წლის 4 ივლისი). 1783 წელს **აშშ**-ის დამოუკიდებლობა ცნო ინგლისმა. XIX და XX საუკუნეების განმავლობაში 13 შტატს დაემატა 37 შტატი ქვეყნის დასავლეთით გაფართოებასთან ერთად. I და II მსოფლიო ომებში გამარჯვებების და ცივი ომის დამთავრების შემდეგ (1991) **აშშ** გახდა მსოფლიოს ყველაზე ძლიერი და ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნა. **აშშ** აწარმოებს მთელი მსოფლიო წარმოების 20%-მდე პროდუქციას და ლიდერობს დამამუშავებელი მრეწველობის თითქმის ყველა დარგში.

მნიშვნელოვანი ადგილი უკავია აგროსამრეწველო კომპლექსს – **აშშ** წარმოადგენს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მსოფლიოს უმსხვილეს ექსპორტიორს, მისი წილი მსოფლიო ბაზარზე 25%-ს აღწევს. მრეწველობის და აგრარული კომპლექსისთვის დამახასიათებელია მაღალი კომპიუტერიზაცია, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების და სხვა სამეცნიერო მეთოდების გამოყენება. **აშშ** არის მსოფლიოში უმსხვილესი იარაღის მწარმოებელი ქვეყანა. განსაკუთრებით მაღალ განვითარებას მიაღწია აერო-კოსმოსურმა, ელექტრო და ატომურმა მრეწველობამ. ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები. განვითარებულია სარკინიგზო, საგზაო და საჰაერო კომუნიკაციების ქსელი. ატლანტის ოკეანეზე უმსხვილესი საზღვაო პორტებია: ნიუ-იორკი, ფილადელფია, ბალტიმორი, ბოსტონი, ნორფოლკი, ნიუპორტ-ნიუსი; მექსიკის ყურეში – ახალი ორლეანი, ჰიუსტონი, კორპუს-კრისტი, ტამპა, ბომონტი; წყნარი ოკეანის სანაპიროზე – ლონგ-ბიჩი, ლოს-ანჯელესი, ოკლენდი, სიეტლი, ვალდიზი. დიდი ტბების მთავარი პორტებია: ჩიკაგო, დულუტი, ბუფალო, დეტროიტი, კლივლენდი. უმსხვილესი საერთაშორისო აეროპორტებია: ნიუ-იორკი (ჯონ ფ. კენედის სახელობის), ჩიკაგო (ოჰარა), ლოს-ანჯელესი, ვაშინგტონი (დალასი), სან-ფრანცისკო, მაიამი და სხვა. შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისგან (არმია), სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (ფლოტი, საზღვაო ავიაცია, საზღვაო ქვეითები და სანაპირო დაცვა). საერთო რაოდენობა შეადგენს 1,309 მლნ. კაცს (2012), 907,1 ათ. – ორგანიზებულ რეზერვში და 46 ათ. – ეროვნულ გვარდიაში. სახმელეთო ჯარების საერთო რაოდენობა შეადგენს 639 ათ-ს, ორგანიზებულ რეზერვში – 497,3 ათასი კაცი. სამხედრო-საზღვაო ძალების და საზღვაო ქვეითთა საერთო რაოდენობა შეადგენს 330 ათ-ს, ორგანიზებული რეზერვი – 218,8 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები – 340 ათ., ორგანიზებული რეზერვი – 191 ათ. კაცს. **აშშ**-ის შეიარაღებული ძალები იყოფა სტრატეგიულ და საერთო დანიშნულების ძალებად. სტრატეგიულ ძალებში შედის – სტრატეგიულ შეტევით და სტრატეგიულ-თავდაცვითი ძალები. სტრატეგიული შეტევითი ძალები შეიცავენ სახმელეთო ბაზირების სტრატეგიულ ძალებს, სტრატეგიულ ავიაციასა და საზღვაო ბაზირების სტრატეგიულ სარაკეტო ძალებს. სტრატეგიულ თავდაცვით ძალებში შედის სარაკეტო-ბირთვული დარტყმის გაფრთხილების (შეტყობინების) სისტემები, კოსმოსური სივრცის კონტროლის სისტემა და საჰაერო თავდაცვის საშუალებები. **აშშ**-ის შეიარაღებული ძალების ნაწილი განთავსებულია საზღვრებს გარეთ. განსაკუთრებით მსხვილი მოწინავე დაჯგუფებები განლაგებულია ევროპის ზონაში, აზია – წყნარი

ოკეანის რეგიონსა და ახლო აღმოსავლეთში. **აშშ**-ის შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხდება დაქირავებული პირებით. **აშშ**-ის შეირაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ქვეყნის პრეზიდენტია. პრეზიდენტი და თავდაცვის მდივანი (მინისტრი) ქმნიან ეროვნულ სამხედრო ხელმძღვანელობას; მათ ქმედითუნარიანობას უზრუნველყოფენ ეროვნული უშიშროების საბჭო და შტაბების უფროსების კომიტეტი.

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო, თავდაცვის სამინისტროს სისტემაში დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც გლობალური მასშტაბით ახორციელებს სპეციალიზებულ სადაზვერვო ფუნქციებს, უცხო ქვეყნების კოდირებული შეტყობინებების გაშიფვრას, სახელმწიფო და საუწყებო კავშირგაბმულობის დახურული ქსელების დაცვას. შექმნილია 1952 წელს აშშ-ის გაუქმებული უსაფრთხოების სამმართველოს ბაზაზე. მთელ მსოფლიოში აქვს რადიოპელენგაციის და რადიოგადაცემის მოსმენის პუნქტების ფართო ქსელი. მთავარი შტაბბინა ფორტ – მიდიშია (მერილენდის შტატი) განლაგებული.

ამერიკული ლეგიონი, სხვადასხვა ომების ვეტერანთა ორგანიზაცია აშშ-ში. შექმნეს 1919 წელს I მსოფლიო ომის ამერიკელმა ვეტერანებმა. ითვლის 2,5 მლნ-მდე წევრს, აფინანსებენ მსხვილი მონოპოლიები. დაკანონებულია აშშ-ის კონგრესის მიერ, შტაბ-ბინა ქ. ინდიანაპოლისში (შტატი ინდიანა). გამოდის აშშ-ის კონსტიტუციის დაცვის პროგრამით, თავდაცვის სამინისტროს ეხმარება სამხედრო სამსახურში ახალგაზრდების მიზიდვაში, ეწევა სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას, ზრუნავს ომის ვეტერანთა კეთილდღეობაზე.

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკა, დამოუკიდებელი სახელმწიფო ამიერკავკასიაში, ცენტრით თბილისში. შეიქმნა 1918 წლის 9 (22) აპრილს. მისი მთავრობა მრავალპარტიული იყო (მთავრობის მეთაური – სოციალ-დემოკრატი ა. ჩხენკელი). ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ახალჩამოყალიბებული სახელმწიფოს წინაშე იდგა, იყო ოსმალეთთან ურთიერთობის მოგვარების საკითხი, ვინაიდან მიმდინარეობდა I მსოფლიო ომი და ამიერკავკასია, როგორც ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილი, ჯერ კიდევ ითვლებოდა *ცენტრალური სახელმწიფოების* მოწინააღმდეგედ. სწორედ ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებების დროს გამოჩნდა, როგორი არამყარი იყო ამიერკავკასიური გაერთიანება. ხელისუფლების ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ნაწილებს შორის მუდმივი უთანხმოება სუფევდა.

აზერბაჯანელები, ფაქტობრივად, ემხრობოდნენ ოსმალეთს, რომელმაც ამიერკავკასიას დიდი ტერიტორიული მოთხოვნები წაუყენა. ამიერკავკასიის რესპუბლიკა უპერსპექტივო წარმონაქმნი აღმოჩნდა და შინაგანი წინააღმდეგობების გამო 1918 წლის 26 მაისს დაიშალა. მის ნაცვლად შეიქმნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები.

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი, საბჭოთა კავშირის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ამიერკავკასიაში. მისი ისტორია იწყება 1921 წლის მაისში შექმნილი ცალკე კავკასიის არმიიდან. **ა.ს.ო**. ჩამოყალიბდა 1935 წლის მაისში საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკების, ჩრდილო ოსეთისა და დაღესტნის ავტონომიური სს რესპუბლიკების ტერიტორიაზე. *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს, 1941 წლის 23 აგვისტოს გარდაიქმნა ამიერკავკასიის ფრონტად. ხელახლა შეიქმნა II მსოფლიო ომის შემდეგ, 1946 წლის მაისში, თბილისის და ბაქოს სამხედრო ოკრუგების (ოლქი) გაერთიანებით. მოიცავდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს, მმართველობის ცენტრით თბილისში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1993 წლის იანვარში გარდაიქმნა რუსეთის ჯარების ჯგუფად ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის ფრონტი, საბჭოთა ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება *გერმანია-სსრ კავშირის ომის (1941–45)* დროს. ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამხედრო ოკრუგის (ოლქი) ბაზაზე 1941 წლის 23 აგვისტოს. ფრონტის ოპერატიულ დაქვემდებარებაში იყო შავი ზღვის ფლოტი და აზოვის სამხედრო ფლოტილია. 1941 წლის ბოლოს გარდაიქმნა კავკასიის ფრონტად, ხოლო 1942 წლის 15 მაისს კვლავ აღდგა ძველი სახელწოდებით. **ა.ფ**-ის ჯარებმა 1942 წელს ჩაატარეს ნოვოროსიისკის, მოზდოკ-მალგობეკის, ნალჩიკ-ორჯონიკიძისა და ტუაფსის თავდაცვითი ოპერაციები, ხოლო 1943 წელს ჩრდილო კავკასიის შეტევითი ოპერაცია. 1945 წლის 25 აგვისტოს **ა.ფ**-ის ბაზაზე შეიქმნა თბილისის სამხედრო ოკრუგი. სარდლები: გენერალ-მაიორი დ. კოზლოვი (1941 აგვისტო-დეკემბერი), არმიის გენენერალი ი. ტიულენევი (1942 მაისი – 1945 ივლისი).

ამილახორი, ა მ ი რ ა ხ ო რ ი, ა მ ი ლ ა ხ ვ ა რ ი (არაბული amir – უფროსი და სპარსული axor – საჯინიბო), გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ცენტრალური სამხედრო აპარატის სახელმწიფო უწყების მოხელე, *ამირსპასალარის* თანაშემწე, სავაზიროს წევრი სათათბირო ხმით. მისი ხელქვეითი მოხელენი იყვნენ მეაბჯრეთუხუცესი და მეჯინიბეთუხუცესი. საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, XV საუკუნეში, მოიშალა სახელმწიფო უწყებები, მ.შ. ამირსპასალარის სამხედრო უწყებაც. **ა**-

მაც დაკარგა სამოხელეო შინაარსი და გვარსახელად იქცა. საისტორიო წყაროებში მოხსენებულია **ა**-თა ორი საგვარეულო: ერთი სამცხე-საათაბაგოში XV–XVI საუკუნეებში და მეორე – ქართლის სამეფოში XV–XVIII საუკუნეებში.

ამინდის დაზვერვა (მეტეოროლოგიური დაზვერვა), ინსტრუმენტული და ვიზუალური დაკვირვება ამინდზე გარკვეულ რაიონში მოცემულ მომენტში (დროის შუალედში). **ა.დ**. წარმოებს ღრუბლიანობის ზონების, ნალექების, ელჭექის მოვლენების, ატმოსფერული ფრონტების და სხვა მოვლენების გადაადგილების მიმართულებისა და სიჩქარის განსაზღვრის მიზნით. ისინი გავლენას ახდენენ ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებაზე. არის რადიოლოკაციური, საჰაერო, სახომალდო და სპეციალური დაზვერვები (ჯარების, ძალების ცალკეული გვარეობის ინტერესებისათვის).

ამინდის მინიმუმი, ღრუბლიანობის და ხილვადობის რეალური სიმაღლის ქვედა ზღვრის მინიმალური მნიშვნელობები, რომლებიც რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, დღისით და ღამით, თვითმფრინავების და ვერტმფრენების აფრენა-დაფრენას უზრუნველყოფენ. **ა.მ**. წესდება აეროდრომების, საფრენი აპარატების და ეკიპაჟის მეთაურისთვის (მფრინავისთვის).

ამირბარი, ა მ ი ლ ბ ა რ ი (არაბული amir al-bahr – ზღვათა ამირა), ქართულ წყაროებში – აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის (ინდოეთის, სპარსეთისა და სხვა) საზღვაო ფლოტის უფროსი.

ამირსპასალარი (არაბულ-სპარსული amir – მთავარი, sefahsalar – სარდალი), საქართველოს ერთიანი სამეფოს ვაზირი (დაახლოებით თანამედროვე მინისტრის ანალოგი), სამხედრო უწყების ხელმძღვანელი. ებარა ლაშქრის ორგანიზაციისა და სამხედრო აღჭურვილობის საკითხები. ომის დროს მეფის შემდეგ ჯარის უშუალო წინამძღოლი იყო. **ა**-ის უწყებაში შედიოდნენ ამილახორი – მისი თანაშემწე, მეჯინიბეთუხუცესი, ზარდახანის უხუცესი (აბჯართსაცავის მთავარი მცველი), ამირჩქარი (მალემსრბოლთა უფროსი) ხელქვეითი მოხელეებით და სხვა. **ა**-ს ემორჩილებოდნენ აგრეთვე სამხედრო-ტერიტორიული ოლქების უფროსები – სპასალარები.

ამოცანა (სამხედრო), 1. მიზნის და აუცილებელი მოქმედებების მოკლე და მკაფიო გადაცემა. 2. საბრძოლო გაფრენა – თვითმფრინავის ან ვერტმფრენის, საავიაციო ქვედანაყოფის, ნაწილის ან შენაერთის გაფრენა საბრძოლო დავალების შესასრულებლად.

ა-ში შედის აფრენა, საბრძოლო მწყობრის მოწყობა. ასევე ფრენის მარშრუტის მიხედვით საბრძოლო მოქმედების რაიონიდან სამიზნე ობიექტამდე გაფრენა, საბრძოლო დავალების შესრულება, საბრძოლო წყობის მოშლა და აეროდრომზე ან დასაფრენ მოედანზე დაფრენა.

ამოცანის (სამხედრო) **მიხედვით შექმნილი დროებითი ორგანიზაციული ერთეული,** განსაზღვრული ოპერაციის განსახორციელებლად შექმნილი დროებითი ორგანიზაციული ერთეული; ნაწილების და ქვედანაყოფების დროებითი ორგანიზაციული ბაზა.

ამოცანის (სამხედრო) **შესაბამისი ორგანიზებული ძალა,** სამხედრო ორგანიზაციული ერთეული, რომელიც დაგეგმილი მოქმედებების ჩატარებაზე პასუხისმგებელ მეთაურს გადაეცემა და დასმული ამოცანის შესასრულებლად აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს.

ამოცნობა, აღმოჩენილი ობიექტის (ჯარების, საფრენი აპარატის, ხომალდის და სხვა) სახეობის, მისი სახელმწიფოებრივი და უწყებრივი კუთვნილების დადგენა. ხორციელდება ვიზუალურად ან სპეციალური რადიო-ელექტრონული სისტემების მეშვეობით. შეიძლება განხორციელდეს ამოსაცნობ ობიექტთან რადიოკავშირის საშუალებით, ხოლო ზღვაზე – ჰიდროაკუსტიკური საშუალებების გამოყენებით.

ამოცნობის კოდი, პირობითი ნიშნების (სიმბოლოების) სისტემა საჰაერო, წყალზედა და სახმელეთო ობიექტების სახელმწიფოებრივი (უწყებრივი) კუთვნილებისა და ინდივიდუალური ნიშნების განსასაზღვრავად, რომლებიც ამ სისტემის მოპასუხეებით არის აღჭურვილი. **ა.კ**-ებს აყენებენ გარკვეული დროით და ამ დროის გასვლის შემდეგ ცვლიან ახლით. **ა.კ**-ები იყოფა იმიტაციამედეგ – მოწინააღმდეგის მიერ შესაძლო იმიტაციისაგან გარანტირებულად დაცულ და არაიმიტაციამედეგ კოდებად. **ა.კ**-ების გადაცემა და მიღება ხდება ამოცნობის ხაზებით, რომლებსაც ქმნიან რადიოლოკაციური, რადიო, რადიოტექნიკური, ჰიდროაკუსტიკური, პიროტექნიკური, შუქტექნიკური და სხვა სისტემები (საშუალებები), მათ შორის, კოდები ალმების სიგნალებით სამხედრო-საზღვაო ძალებში.

ამოცნობის ნიშნები, განმასხვავებელი სიმბოლოები, ციფრული და ასოებრივ-ციფრული აღნიშვნები, აბრევიატურები და სხვა სპეციალური ნიშნები შეიარაღებაზე, სამხედრო ტექნიკასა და სამხედრო მოსამსახურეების ფორმის ტანსაცმელზე. ისინი საშუალებას იძლევიან დაადგინონ სახელმწიფოებრივი კუთვნილება, გაარკვიონ შეიარაღებული ძალების სახეობის, გვარეობის, სპეციალური ჯარების, სამსახურების და კონკრეტული სამხედრო ფორმირების მიმართ კუთვნილება. **ა.ნ**-ის ფუნქციებს ასრულებენ სახელმწიფო გერბი, დროშა და მათი გამოსახულებები, ეროვნული შეფერილობის სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურები. იგივე დანიშნულება აქვს შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების,

სპეციალური ჯარების, სამსახურების ემ-ბლემებს. ამოცნობაში ეხმარება კონკრეტული სამხედრო ფორმირებების სამხედრო დროშები (შტანდარტები), ალმები, სახელმწიფო რეგ-ისტრაციის და პირობითი ტაქტიკური ნიშნები და ნომრები, სამხედრო მოსამსახურეების წარჩინების და განმასხვავებელი ნიშნები, სამკერდე და სამკლავური ნიშნები და სხვა. **ა.ნ**-ის რეგლამენტირება ხდება საერთა-შორისო ნორმებით და წესებით, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის დარიგებებით, სამ-ხედრო ფორმის ტარების წესით და სხვა. სხვადასხვა ქვეყნაში მათ გააჩნიათ თავისე-ბურებები და დამკვიდრებული ტრადიციები.

ამოცნობის სიგნალები, იხ. *სიგნალები.*

ამპულიზებული რაკეტა, თხევადსაწვავიანი რაკეტა, რომელიც მუდმივად არის მზა მდგომარეობაში გამოყენების მთელი ვადის განმავლობაში. **ა.რ**-თვის გამოიყენება გრძელ-ვადიანი შენახვის საწვავი, კოროზიამედეგი მასალები და საწვავის სისტემები გაზრდილი ჰერმეტიულობით. ამ ტიპისაა ამერიკული რაკეტები „ლანსი“ და „ტიტან-2“.

ამუნიცია, სამხედრო მოსამსახურის აღჭურ-ვილობის საგანთა ერთობლიობა.

ამფეთქი, საბრძოლო მასალის მოქმედებაში მოსაყვანი ავტომატური მოწყობილობა. გამო-იყენება საარტილერიო ჭურვებში, საინჟინრო და საზღვაო ნაღმებში, რაკეტების და ტორ-პედების საბრძოლო ნაწილებში, ავიაბომ-ბებში. წარმოადგენს ერთიან დამოუკიდებელ კონსტრუქციას ან შედგება რამდენიმე კონსტ-რუქციულად ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნაწილებისგან. შესაძლებელია იყოს სათავო, ცენტრალური, გვერდითი და სხვა. მოქმედე-ბის პრინციპის მიხედვით: ს ა კ ო ნ ტ ა ქ ტ ო (მექანიკური, ელექტრომექანიკური, ელექტრო-ქიმიური, პიეზოელექტრული; მყისიერი, ინერ-ციული ან შენელებული მოქმედების) – ამო-ქმედდებიან მიზანთან, წინაღობასთან შეხების დროს; დ ი ს ტ ა ნ ც ი უ რ ი (საათიანი, პიროტექნიკური, ელექტრული და ელექტრო-მექანიკური) – ამოქმედდებიან ტრაექტორიაზე დადგენილი დროის გასვლის შემდეგ; ა რ ა კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი (რადიოამფეთქებლები, ელექტრონულ-ოპტიკური, აკუსტიკური, მაგ-ნიტური, ჰიდროდინამიკური, სეისმური და სხვა) – ამოქმედდება ა-ის ფიზიკური ველის მიზანთან ურთიერთობით; კ ო მ ბ ი ნ ი რ ე-ბ უ ლ ი – ითავსებს მოქმედების ჩამოთვლილ პრინციპებს.

პირველად გამოიყენეს XVI საუკუნეში ფეთ-ქებადი საარტილერიო ჭურვების შექმნასთან დაკავშირებით. თავიდან ეწოდებოდა მილები.

ამფეთქი კოჯი, ასაფეთქებელი ნივთიერებე-ბის გარკვეული ფორმის მუხტი. გამოიყენება მზა ასაფეთქებელი მუხტის სახით საინჟინრო ნაღმებისათვის. აქვს ბუდე მაინიცირებელი საშუალებებისთვის, იფარება პარაფინის ფენ-ით და გახვეულია პარაფინით გაჟღენთილ ქაღალდიში. გავრცელებულია ტროტილის დაწნეხილი **ა.კ**. – 75, 200 და 400 *გრ.* მასით.

ამფიბია (ბერძნული amphibios – ორმაგი ცხოვრების უნარი), 1. საბრძოლო ან სატრანსპორტო მანქანა, რომელსაც შეუძლია გადაადგილდება ხმელეთზე და წყალში. ბოლო ხანებში მსგავსი ტიპის მანქანებს დაერქვა მცურავი მანქანები. 2. თვითმფრი-ნავი **ა.,** რომელსაც შეუძლია ხმელეთზე და წყალზე აფრენა-დაფრენა.

ამფიბიური ოპერაცია, ამფიბიური ძალების ფართო გამოყენებით განხორციელებული საბრძოლო მოქმედებები საზღვაო დესანტის გადასხმით. ტერმინი გამოიყენება აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და ზოგიერთ სხვა სახელმ-წიფოში. **ა.ო**-ის სახეობებად ითვლება *საზღ-ვაო სადესანტო ოპერაცია, რეიდი მოწინააღმ-დეგის სანაპიროზე, დესანტის სადემონსტ-რაციო გადასხმა და ჯარების ზღვით ევაკ-უაცია.* მსხვილი **ა.ო**-ის ჩასატარებლად იქმნე-ბა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობები-დან შემდგარი დაჯგუფებები. მცირე მასშ-ტაბის ოპერაციებში, ჩვეულებრივ, მონაწილე-ობენ ამფიბიური (სადესანტო) შენაერთები, ტაქტიკური ავიაცია, დესანტები სახმელეთო ჯარების და საზღვაო ქვეითების შემადგენ-ლობით.

ამფიბიური ძალები, 1. ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებში განზოგადებული დასახელება სადესანტო ხომალდების (გემ-ების), დესანტის გადასასხმელი საშუალე-ბების, საბრძოლო უზრუნველყოფისა და მარ-თვის ხომალდების, რომლებიც განკუთვნილია საზღვაო ოპერაციების ჩასატარებლად. 2. საზღვაო-სადესანტო ოპერაციის ჩასატარებ-ლად განკუთვნილი ოპერატიული შენაერთები. ა.ძ. შედიან საერთო დანიშნულების საზღვაო ძალების შემადგენლობაში.

„ანაბასისი“ (ბერძნული anabasis – აღმასვლა, სვლა ქვეყნის სიღრმეში), ლიტერატურული ნაწარმოები სამხედრო ლაშქრობის შესახებ. ყველაზე მეტად ცნობილია ამ სახელწოდების 2 თხზულება: 1. ქსენოფონტ ათენელის „კირ-ოსის ანაბასისი“ (ძვ.წ. IV საუკუნის I ნახ-ევარი). ამ თხზულებაში აღწერილია სპარს-ელი უფლისწულის კიროსის ლაშქრობა თა-ვისი ძმის, სპარსეთის მეფის არტაქსერქსე II-ის, წინააღმდეგ და კიროსის ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ მისი 10 ათ. დაქირავებული ბერძენი მეომრის უკანდახევა შავი ზღვისაკენ. ბერძნების გზა მნიშვნელოვანწილად ქართ-ველური ტომებით დასახლებულ ტერიტორ-იაზე გადიოდა, ამიტომ „ა“-ში საინტერესო ცნობებია დაცული ამ ტომების ყოფა-ცხოვრებისა და სამხედრო საქმის განვითარე-ბის შესახებ. 2. არიანე ფლავიუსის „ალექ-სანდრეს ანაბასისი“ (ახ.წ. II საუკუნე), რომ

ელშიც აღწერილია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობა.

ანაკოფია, ფეოდალური ხანის ციხე-ქალაქი აფხაზეთში, ახლანდ. ახალი ათონის ტერიტორიაზე. აბაზგების, შემდეგ აფხაზთა სამთავროს პოლიტიკური ცენტრი (VII–VIII საუკუნეები) და ძლიერი ციხესიმაგრე – „თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“ („ქართლის ცხოვრება“). XIV საუკუნიდან თანდათანობით დაკნინდა. XVII საუკუნეში სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა **ა**-ს ზღუდე შემოავლო. XVIII საუკუნისათვის საბოლოოდ იქნა მიტოვებული.

ანაკოფიის ბრძოლა 736, ქართველთა (1000 მეომარი) და აფხაზთა (2000 მეომარი) გაერთიანებული ლაშქრის მიერ *ანაკოფიაზე* არაბთა შეტევის მოგერიება (იხ. *მურვან ყრუს შემოსევა 735–36*). ციხე-ქალაქის დამცველებს მეთაურობდნენ ქართლის ერისმთავრები მირი და არჩილი.

ანალიზის ცენტრალური ჯგუფი, ნატოს ორი ან მეტი მაღალი დონის მეთაურის წარმომადგენლებისაგან შედგენილი ჯგუფი, რომელიც თავის ზემდგომებთან ერთად პასუხისმგებელია ნატოს ფართომასშტაბიანი სწავლებების ანალიზსა და შედეგების მოხსენებაზე.

ანგარი (ფრანგული hangar), ნაგებობა, სადგომი (ავიამატარებელ ხომალდზე) თვითმფრინავების, ვერტმფრენების შენახვის, ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისთვის. არსებობს: **ა**. – საცავი, საფრენი აპარატების შენახვის და ტექნიკური მომსახურებისთვის; **ა**. – საფარი, ჩვეულებრივი და ბირთვული იარაღისგან დასაცავად; **ა**. – სარემონტო-სახელოსნო სამუშაოების ჩასატარებლად. **ა**. შეიძლება იყოს სტაციონარული, ასაწყობი, პნევმოკარკასული და დროებითი (როგორც წესი, ხისგან დამზადებული).

ანგარიშგებითი რუკა, საანგარიშგებო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელშიც ტოპოგრაფიულ რუკაზე გრაფიკულად და ქრონოლოგიური თანამიმდევრობით ასახულია საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობა დროის გარკვეულ პერიოდში. **ა.რ**-ებს ამუშავებენ შეიარაღებული ძალების ყველა დონის შტაბებში. ანგარიშგებითს, სადაზვერვო, საარტილერიო, საინჟინრო უზრუნველყოფის და სხვა რუკებს ადგენენ შესაბამისი შტაბები (სამსახურები).

ანგოლა (Angola – ანგოლის რესპუბლიკა), სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-დასავლეთით. დასავლეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე. ფართობი 1246,7 ათ. *კმ*². მოსახლეობა შეადგენს 18 მლნ. კაცს (2012), მოსახლეობის 98% დასავლეთ ბანტუს და კონგოს ჯგუფის წარმომადგენლები არიან. ოფიციალური ენა – პორტუგალიური. დედაქალაქი – ქ. ლუანდა. ადმინისტრაციული დაყოფა – 18 პროვინცია. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ნაციონალური ასამბლეა. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა 1975 წლის 11 ნოემბერს. **ა**. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. ძირითადია სამთო-მოპოვებითი მრეწველობა (ნავთობი, ალმასი, რკინის მადანი და სხვა) და სოფლის მეურნეობა. საზღვაო პორტები: კაბინდა, ლობიტუ, ლუანდა. შეიარაღებული ძალების საერთო შემადგენლობა არის 109 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 100 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 7 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები – 2 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ანდორა (Andorra – ანდორის სამთავრო), პატარა სახელმწიფო სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. ფართობი 465 *კმ*², მოსახლეობა შეადგენს 84 ათ. კაცს (2012). ოფიციალური ენა – კატალონიური, ასევე მასთან ერთად თანაბარი უფლებებით გამოიყენება ფრანგული და ესპანური. დედაქალაქი – ქ. ანდორა-ლა-ვიეხა. ადმინისტრაციული დაყოფა – 7 რაიონი (parroquia). **ა**. პარლამენტური სამთავროა. სახელმწიფოს კონსტიტუციური მეთაურია საფრანგეთის პრეზიდენტი და ურხელის (ესპანეთი) ეპისკოპოსი. შემოსავლის მთავარი წყარო – ტურიზმი. შეიარაღებული ძალები არ ჰყავს.

ანექსია (ლათინური annexsio – მიერთება), ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ძალადობრივი მიერთება (მიტაცება); მოსახლეობის სხვა ქვეყნის საზღვრებში ძალით დატოვება; ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის სამართალსაწინააღმდეგო გავრცელება იმ ტერიტორიულ სივრცეზე, რომელიც იმყოფება საერთაშორისო თანამეგობრობის ერთობლივ გამოყენებაში (კოსმოსი, ღია ზღვა და სხვა). საერთაშორისო სამართლის მიხედვით, **ა**. არის კანონსაწინააღმდეგო ქმედება და განიხილება როგორც აგრესიის შედეგი.

ანკლავი, ენკლავი (ფრანგული énclave – მიწადაქსაქსულობა), სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის განცალკევებული ნაწილი, რომელსაც სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ტერიტორიები აკრავს გარს და საზღვაო ნაპირი არა აქვს; ხოლო თუ აქვს, სპეციალურ ლიტერატურაში ზოგჯერ მას ნახევარანკლავს უწოდებენ. **ა**-თან საგზაო კავშირისა და სხვა კომუნიკაციის უფლება მისმა მფლობელმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს **ა**-ის მომიჯნავე სახელმწიფოსთან დადებული შეთანხმებით.

ანტანტა (ფრანგული entente – თანხმობა), ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის სამ-

ხედრო-პოლიტიკური ბლოკი (ცნობილია აგრეთვე „სამთა თანხმობის“ სახელწოდებით), რომელსაც 1915 წელს შეუერთდა იტალია. გაფორმდა 1904–07 წლებში *სამთა კავშირის* საპასუხოდ. I მსოფლიო ომის პერიოდში ცენტრალური სახელმწიფოების (ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და აღმოსავლეთის ქვეყნები) წინააღმდეგ **ა**-მ გააერთიანა 30-მდე სახელმწიფო. I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ მალე დაიშალა.

ანტარქტიდა (ბერძნული antu – საწინააღმდეგო, arktikos – ჩრდილოეთი), სამხრეთ პოლარული კონტინენტი. **ა**-ს გარს აკრავს ატლანტის, ინდოეთის და წყნარი ოკეანეების ნაწილები თავისი კუნძულებით და ზღვებით. ფართობი – 52,5 მლნ. *კმ*². ყინულოვანი საფრის ზედაპირის საშუალო სიმაღლე 2.040 *მ*-ს აღწევს. მუდმივი მოსახლეობა არ ჰყავს. ამჟამად **ა**-ში დაბანაკებულია სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო სადგურები.

ანტენების ველი, მიმღები და გადამცემი ანტენების ჯგუფი საანტენო – ფიდერული მოწყობილობით, რომელიც შეზღუდულ ტერიტორიაზეა განლაგებული. იქმნება სტაციონარული ან საველე რადიოსადგურების, რადიოკვანძების და რადიოცენტრების შემადგენლობაში, ასევე ხომალდებზე.

ანტიგუა და ბარბუდა (Antigua and Barbuda), სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს ამავე დასახელების კუნძულებზე და კუნძულ რედონდაზე, კარიბის ზღვაში მდებარე მცირე ანტილის კუნძულების ჯგუფში. საერთო ფართობი შეადგენს 443 *კმ*², ხოლო მოსახლეობა 88,5 ათ. კაცს (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. სენტ-ჯონსი. ბრიტანული თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა აღიარეს 1981 წლის I ნოემბერს. საზღვაო პორტებია: სენტ-ჯონსი (ანტიგუას კუნძულზე), კოდრინგტონი (ბარბადუს კუნძულზე). შეიარაღებული ძალები შეადგენს 170 კაცს (2012).

ანტიდეტონატორი (ბერძნული anti – საწინააღმდეგო და ფრანგული detoner – ამფეთქი), ქიმიური ნაერთი, რომელიც მცირე რაოდენობით 1%-მდე ემატება საავიაციო და საავტომობილო საწვავს მათი ოქტანური რიცხვის ასამაღლებლად. ხელს უწყობს ცილინდრებში მის უდეტონაციო წვას, ყველაზე გავრცელებული **ა**. არის ტეტრაეთილტყვია.

ანტიდოტი (ბერძნული antidoton – საწინააღმდეგოდ მისაცემი), სამკურნალო საშუალება ადამიანის ორგანიზმზე ტოქსიკური ზეგავლენის აღმოფხვრის ან პროფილაქტიკის მიზნით. მოქმედების ხასიათის მიხედვით **ა**. შეიძლება იყოს უნივერსალური – ყველა მომწამლავი ნივთიერების საწინააღმდეგო (სორბიტები, კერძოდ აქტივიზებული ნახშირი), აგრეთვე სპეციფიკური – გარკვეული ჯგუფის ან კონკრეტული სახის მომწამლავი ნივთიერების საწინააღმდეგო. ასეთებს მიეკუთვნება ატროპინი, ტექსოგონინი – ფოსფორორგანული მომწამლავი ნივთიერებისგან; ამილიტრიტი, ნატრიუმის ნიტრიტი – ციანიდებისგან.

ანტიმილიტარიზმი (ბერძნული anti – საწინააღმდეგო და ლათინური militaris – მილიტარიზმი), იდეების და საზოგადოებრივი მოძრაობების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია შეიარაღების ზრდის, რეაქციული სამხედრო ძალადობის იდეოლოგიისა და პრაქტიკის წინააღმდეგ. პაციფიზმისგან განსხვავებით, მიმართულია არა ზოგადად ომის, არამედ სამხედრო ძალის გამოყენების არასამართლიანი, ექსპანსიური მიზნების წინააღმდეგ. **ა**. და ყველა სხვა მოძრაობები, რომლებიც უარყოფენ გამალებულ შეიარაღებას, პოლიტიკის ძალისმიერ მეთოდებს, გამოდიან შიდა და სახელმწიფოთაშორისი წინააღმდეგობების მშვიდობიანი გზით გადაჭრის მოთხოვნით. საერთო ჯამში წარმოადგენს ანტისაომარ მოძრაობას.

ანტისაომარი მოძრაობა, სამხედრო ძალადობის, მილიტარიზმის და კონკრეტული ომების წინააღმდეგ, მშვიდობის და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის მებრძოლი ნებაყოფლობითი ჯგუფების, ორგანიზაციებისა და სხვა საზოგადოებრივი ძალების ერთობლიობა. მისთვის დამახასიათებელია ფართო სოციალური შემადგენლობა, მონაწილეთა მსოფმხედველობის ერთგვაროვნება, მიმდინარეობების მრავალრიცხოვნება. ასევე მოქმედების ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება. ჩაისახა უძველეს დროში, მაგრამ ორგანიზებული ხასიათი მიიღო XIX საუკუნის 20–30-ან წლებში. განსაკუთრებით ფართო გაქანება მოიპოვა II მსოფლიო ომის შემდეგ და ძირითად მიზნად ბირთვული კონფლიქტების აღკვეთა დაისახა.

ანტიტერორიზმი, თავდაცვითი ზომების გამოყენება ტერორისტული აქტებისგან სიცოცხლის და ქონების დასაცავად.

ანტიჰიტლერული კოალიცია, იმ სახელმწიფოებისა და ხალხების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომლებიც II მსოფლიო ომის დროს ებრძოდნენ ფაშისტური გერმანიის, იტალიის, იაპონიისა და მათი სატელიტების ბლოკს. **ა.კ**-ის მთავარი მონაწილეები იყვნენ სსრ კავშირი, აშშ და დიდი ბრიტანეთი, რომლებმაც ყველაზე დიდი წვლილი შეიტანეს გამარჯვებაში. მნიშვნელოვანია აგრეთვე საფრანგეთის, ჩინეთის, ავსტრალიის, ამერიკის, აღმოსავლეთის და ზოგი სხვა სახელმწიფოს დამსახურება, რომლებიც მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში ან ნებდლეულს აწოდებდნენ მოკავშირეებს. კოალიცია

დაიშალა II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1946–47 წლებში, როდესაც აშკარად გამოიკვეთა დაპირისპირება სსრ კავშირსა და მის ყოფილ დასავლეთელ მოკავშირეებს შორის.

ანძა (ჰოლანდიური – mast), 1. სახომალდო **ა.**, ვერტიკალური, ზოგჯერ ოდნავ დახრილი რკინის ან ხის კონსტრუქცია, რომელიც, ჩვეულებრივ, ხომალდის დიამეტრულ სიბრტყეში იდგმება და მის ზედა გემბანზე მაღლა დგას. რადიოელექტრონული და ოპტიკური საშუალებების თვალთვალის, ხომალდტარების, კავშირის, ალმების აღმართვის და სხვა სიგნალების განთავსების ადგილი. სატრანსპორტო გემებზე მაგრდება სატვირთო ისრები. აფრიან გემებზე ანძები რანგოუტის საფუძველს წარმოადგენენ და აფრების დასაყენებლად გამოიყენება. 2. სახმელეთო (სანაპირო) **ა.**, ვერტიკალური ნაგებობა რკინა-ბეტონის, ლითონის ან ხის ბოძის სახით, რომელიც ეყრდნობა ფუნდამენტს და მაგრდება საჭიმებით. არის საყრდენი რადიო, რადიოსარელეო და სხვა ანტენებისთვის, სასიგნალო აპარატურისთვის, ელექტროგადამცემი ხაზებისთვის, თვალთვალისა და კავშირგაბმულობის პოსტებზე რეიდული სიგნალების ასაწევად.

ანწუხელიძე გიორგი ზაურის ძე (1984–2008), საქართველოს ეროვნული გმირი (წოდება მიენიჭა გადაცვალების შემდეგ 2013), საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურე, IV ქვეითი ბრიგადის, 41-ე ბატალიონის უმცროსი სერჟანტი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს, ტყვედ ჩავარდნილი წამების შედეგად მოკლეს ოსმა სეპარატისტებმა. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (2009) და მედლით „სამშობლოსათვის თავდადებული“ (2011).

აპარატები საჰაერო ბალიშზე, სატრანსპორტო და საბრძოლო საშუალება, რომელიც ინარჩუნებს მდებარეობას წყლის ან ხმელეთის ზედაპირზე ჰაერის ჭარბი წნევის ხარჯზე. შედგება პლატფორმის და ენერგეტიკული დანადგარისგან, რომელსაც აქვს რამდენიმე დაბალწნევიანი, მაღალი წარმადობის ვენტილიატორისგან შემდგარი ამწევი სისტემა, რომელიც ჰაერის ბალიშს და მოძრავ კომპლექსს ქმნიან.

აპარელი (ფრანგული appareil – ჩასასვლელი), 1. სამხედრო-საინჟინრო საქმეში – მცირედ დაქანებული ჩასასვლელი ციცაბო ადგილებში. აკეთებენ უმთავრესად სანგრებში, აგრეთვე ავტომობილების სადგომებში; გადასაცურავ საშუალებებზე სამხედრო ტექნიკით დამტვირთავი სპეციალური მოწყობილობა. ციხესიმაგრეებში **ა.** ეწყობოდა ქვემეხების ასატანად შემაღლებულ ადგილებზე; 2. დამრეცი ბაქანი ან მიწაყრილი რკინიგზის მოძრავ შემადგენლობაზე თვითმავალი ტექნიკის დასატვირთად; 3. საგანგებო მისასვლელი შენობის შემადგენელ ნაწილთან.

აპარტეიდი (ლათინური apartheid – განცალკევებული ცხოვრება), რასობრივი დისკრიმინაციის უკიდურესი, ყველაზე მკაცრი ფორმა. გულისხმობს მოსახლეობის გარკვეული რასობრივი ჯგუფებისთვის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევას, მათ ტერიტორიულ იზოლაციას. შეიძლება მოიცავდეს გენოციდის აქტებს. მსოფლიო გაერთიანებამ **ა.** კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულად ცნო. 1973 წლის საერთაშორისო კონვენცია **ა.**-ის დანაშაულის აღკვეთის და მისთვის განკუთვნილი სასჯელის შესახებ ითვალისწინებს იმ პირთა ინდივიდუალურ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვისაც ბრალი მიუძღვის **ა.**-ში.

არაბთა გაერთიანებული საამიროები, სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე. დასავლეთით ესაზღვრება კატარი, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – საუდის არაბეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ომანი, ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით – სპარსეთის და მანის ყურეები. ფართობი 83,6 ათ. *კმ*². მოსახლეობა შეადგენს 4,7 მლნ. კაცს (2012). მოსახლეობის 90% არაბია, დანარჩენი – სხვა არაბული სახელმწიფოებიდან, ინდოეთიდან, პაკისტანიდან. სახელმწიფო ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. აბუ-დაბი. **ა.გ.ს.** ფედერაციული სახელმწიფოა, შედგება 7 ემირატისაგან (სათავადოსგან): აბუ-დაბი, ანჯმანი, დუბაი, რას-ელ-ჰაიმა, უმ-ელ-კაივანი, ელ-ფუჯაირა და შარჯა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო – ფედერაციის უმაღლესი საბჭო, სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. სათათბირო ორგანო – ეროვნული საბჭო (პარლამენტი). აღმასრულებელი ხელისუფლება – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1917 წლის 2 დეკემბრიდან. ქვეყანა გამოირჩევა ცხოვრების მაღალი დონით. ეკონომიკის საფუძველია ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება. ძირითადი საზღვაო პორტებია: ჯებელ-ალი, ჯანელ-დხანი, ფახლტი, დუბაი, რუვაისი, მინა-საკრი. აქვს 6 საერთაშორისო აეროპორტი, მათგან ძირითადებია: აბუ-დაბი, დუბაი, რას-ელ-ხაიმა. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 56 ათ. კაცს (2012). სახმელეთო ჯარები 49 ათ., სამხედრო-საჰაერო 4,5 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 2,5 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება კონტრაქტით (დაქირავებით).

არაბთა ლაშქრობები, არაბთა ლაშქრობები VII–IX საუკუნეებში, რომლის პროცესში ჩამოყალიბდა თეოკრატიული სახელმწიფო – არაბთა სახალიფო. მაქსიმალური ძლიერების ხანაში (VII საუკუნის დასასრული – VIII

საუკუნის შუა წლები) იგი მოიცავდა ტერიტორიებს ატლანტის ოკეანიდან ინდოეთამდე და შუა აზიიდან ცენტრალურ აფრიკამდე. არაბთა წარმატებები განაპირობა მათი სამხედრო ორგანიზაციის თავისებურებებმა და ცხენოსანი ჯარის მასობრივმა გამოყენებამ, რაც უზრუნველყოფდა თავდასხმის მოულოდნელობასა და მანევრულ მოქმედებებს. გარდა ამისა, არაბთა მიერ დაპყრობილი ქვეყნები დასუსტებული იყვნენ შიდა წინააღმდეგობებითა და ხანგრძლივი ომებით. ფეოდალური ურთიერთობების განვითარებისა და დაპყრობილი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად არაბთა სახალიფოს X საუკუნისათვის ჩამოშორდა ტერიტორიების დიდი ნაწილი, ხოლო XIII საუკუნეში მისი ნარჩენები მონღოლებმა გაანადგურეს.

არაბირთვული ზონა, იხ. *უბირთვო ზონა*

არაბობა საქართველოში, არაბი დამპყრობლების მიერ საქართველოში დამყარებული პოლიტიკური რეჟიმი VII საუკუნის შუა ხანებიდან X საუკუნის პირველ ნახევრამდე. 654 წელს არაბებმა პირველად სცადეს ქართლის მოსახლეობის დახარკვა, მაგრამ ქართველები მალე აჯანყდნენ და დამოუკიდებლობა დაიბრუნეს VII საუკუნის 60-იან წლებში. არაბთა შემოსევები ამიერკავკასიაში განახლდა 90-იან წლებში. ისინი უკვე საკმაოდ მტკიცედ იკიდებენ ფეხს ქართლში, თუმცა ქართველთა წინააღმდეგობის საბოლოო გატეხას ვერ ახერხებენ.

არაბთა დამსჯელ ექსპედიციებს შორის მასშტაბითა და სისასტიკით განსაკუთრებით გამოირჩევა მურვან იბნ-მუჰამედის ლაშქრობა VIII საუკუნის 30-იან წლებში (იხ. *მურვან ყრუს შემოსევა საქართველოში*), რომლის შემდეგ არაბთა ბატონობა აღმოსავლეთ საქართველოში გარკვეული დროით გამყარდა. აქ შეიქმნა არაბული სამხედრო-ადმინისტრაციული ოლქი ცენტრით თბილისში, რომელსაც არაბი გამგებელი, ამირა, მართავდა. არაბებმა ქართლის მოსახლეობას ფულადი გადასახადები და შრომითი ბეგარა დააკისრეს. ქართველი ფეოდალები იძულებული იყვნენ თბილისის ამირას სამსახურში ჩამდგარიყვნენ, ხარკი ეძლიათ და არაბთა დასახმარებლად ჯარი გამოეყვანათ. არაბებმა არაერთხელ სცადეს ეგრის-აფხაზეთში გაბატონებაც, მაგრამ უშედეგოდ. მინიმალური იყო მათი გავლენა ქართლის მთიანეთშიც. VIII საუკუნის მეორე ნახევარში იწყება არაბთა სახელმწიფოს (სახალიფოს) დაშლა. საქართველოს ტერიტორიაზე უცხოელ დამპყრობლებთან ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი ფეოდალური სახელმწიფოები – კახეთის სამთავრო, აფხაზთა სამეფო, ჰერეთის სამეფო, ტაო-კლარჯეთის სამეფო. მათი ზეწოლით თბილისის საამიროს ტერიტორია თანდათან შეიკვეცა. IX საუკუნიდან თბილისის ამირებიც ცდილობენ სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას. 853 წელს თბილისი აიღო და მისი ამირა მოკლა არაბთა სარდალმა ბუღა თურქმა (იხ. *ბუღა თურქის შემოსევა*). 914 წელს იყო უკანასკნელი დიდი შემოსევა აბუ ლ-კასიმის მეთაურობით (იხ. *აბუ ლ-კასიმის ლაშქრობა საქართველოში*), რომელმაც, ცალკეული წარმატებების მიუხედავად, საქართველოში არაბთა ადრინდელი ბატონობის აღდგენა ვერ შეძლო. როგორც ნაშთი არაბთა ბატონობისა, XI საუკუნისათვის შემორჩა მხოლოდ თბილისის საამირო, რომელიც მოიცავდა ქ. თბილისს მცირე ოლქით და საქართველოს მეფის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

არაგასამხედროებული ფორმირებები, სამოქალაქო თავდაცვის არასაშტატო ფორმირებები, რომლებიც იქმნება საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებისა, საავარიო, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების განსახორციელებლად მშვიდობისა და ომიანობის დროს. მათი მიზანია საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობისა და ტერიტორიის დაცვა. მთელ რიგ ქვეყნებში შედის საგანგებო სიტუაციათა თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ერთიან სახელმწიფო სისტემაში. მოიცავს საგუშაგოებს, რგოლებს, ათეულებს, ბრიგადებს, ჯგუფებს, გუნდებსა და რაზმებს. იყოფა: დაქვემდებარების მიხედვით – საობიექტო და ტერიტორიულ ფორმირებებად; დანიშნულების მიხედვით – ზოგად, სპეციალური დანიშნულების და სპეციალიზებულ ფორმირებებად (რადიაციულ და ქიმიურად საშიშ ობიექტებზე); მზადყოფნის ვადების მიხედვით – ყოველდღიურ და ამაღლებულ მზადყოფნის ფორმირებებად.

არადეთის ბრძოლა 1483, შინაპოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი ფეოდალურ საქართველოში. ბრძოლა ზემო ქართლში, სოფ. არადეთთან, სამცხის ათაბაგ ყვარყვარე II ჯაყელსა და ქართლელ ფეოდალებს შორის. ქართლელები დამარცხდნენ. დასუსტდა საქართველოს ცენტრალური სამეფო ხელისუფლება, რითაც ისარგებლეს დას. საქართველოს ფეოდალურმა წრეებმა, იქ ალექსანდრე II გაამეფეს და იმერეთი დამოუკიდებელ სამეფოდ გამოაცხადეს. **ა.ბ**-ის შედეგად საქართველოს პოლიტიკური დაშლის პროცესი უფრო დაჩქარდა.

არაკეთილგანწყობილი ქმედებები, ზემდგომი ორგანოების (ხელმძღვანელობის) მიერ დადგენილი მოქმედებების ძირითადი წესები, რომელთა მიხედვით თვითმფრინავის, წყალქვეშა ნავის, სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფების მოქმედებები განისაზღვრება, როგორც არაკეთილგანწყობილი.

არაკონვენციური საომარი მოქმედებები, სამხედრო და არასამხედრო ოპერაციების ფართო სპექტრი, რომელიც მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ კონტროლირებად ან პოლიტიკურად არასაიმედო ტერიტორიაზე ხორციელდება. იგი მოიცავს: პარტიზანულ ომს, თავის დაღწევას და გამოქცევას, ძირგამომთხრელ საქმიანობას, საბოტაჟს და სხვა შეუმჩნეველ, ფარულ და საიდუმლო ოპერაციებს.

არამართვადი რაკეტა, იხ. *უმართავი რაკეტა*

არამეგობრული აქტი, ერთი სახელმწიფოს მოქმედებები მეორე სახელმწიფოს ან მისი იურიდიული და ფიზიკური პირების წინააღმდეგ, რაც აუცილებელი არ არის, რომ კანონსაწინააღმდეგო ხასიათს ატარებდეს, მაგრამ აქვს კონფლიქტურ-კონფრონტაციული არსი.

არამეომარი სახელმწიფო, ტერმინი, რომელითაც II მსოფლიო ომის პერიოდში მოიხსენიებდნენ სახელმწიფოს, რომელიც ცალმხრივად აცხადებდა, რომ დაიცავდა ნეიტრალიტეტს და არ ჩაებმებოდა ომში რომელიმე მხარის სასარგებლოდ. საერთაშორისო სამართალს არ აქვს გამომუშავებული **ა.ს**-ს სტატუსის ზუსტი განსაზღვრება.

არამომაკვდინებელი მოქმედების იარაღი, იარაღის სახეობები, რომლებსაც შეუძლიათ მცირე ხნით ან ხანგრძლივი ვადით მოუსპონ მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა აწარმოოს საბრძოლო მოქმედება, მისთვის აუნაზღაურებელი დანაკარგის მიყენების გარეშე. განკუთვნილია ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც ჩვეულებრივი იარაღის, მით უმეტეს მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენება მიუღებელია პოლიტიკური, ეთიკური ან სხვა მოსაზრებების გამო. ტერმინი გაჩნდა XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს აშშ-ში. იყოფა იარაღად, რომელიც მოქმედებს მხოლოდ ცოცხალ ძალაზე (პოლიციური გაზები, ვაზნები, არამომაკვდინებელი ტყვიები, ფსიქოტროპული პრეპარატები, ინფრაბგერითი იარაღი და სხვა) და მატერიალურ საშუალებებად (ელექტრომაგნიტური იარაღი, ელექტრონულგამომთვლელ მანქანებზე რადიოელექტრონული ზემოქმედებისა და მათი ჩახშობის საშუალებები, ბიოლოგიური და ქიმიური საშუალებანი, რომლებიც შლიან ნავთობპროდუქტებსა და სხვა ნივთიერებებს).

არამონაწილე ქვეყანა, ქვეყნის პოლიტიკური სტატუსი, რომელიც მიუთითებს, რომ ქვეყანა არ არის რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიის ან მიზნის საფუძველზე შექმნილი სახელმწიფოების ბლოკის ან გაერთიანებების წევრი, ან მათთან თავს არ აიგივებს.

არამოწინააღმდეგის მოქმედებით გამოწვეული დანაკარგი, ცოცხალი ძალის დანაკარგი, რომელიც არ არის გამოწვეული უშუალოდ მოწინააღმდეგის მოქმედებით ან ტერორისტული აქტით.

არარეგულარული ჯარები, შეიარაღებული პირები ან ჯგუფები, რომლებიც არ არიან რეგულარული ჯარის, პოლიციის ან ქვეყნის თავდაცვის სხვა ძალების წარმომადგენლები.

არასაბრძოლო ევაკუაციის ოპერაციები, ოპერაციები, რომელთა მიზანია საფრთხეში მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანა. ეს ეხება, როგორც საკუთარი ქვეყნის, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც.

არასამთავრობო ორგანიზაცია, ადგილობრივ, ეროვნულ ან საერთაშორისო დონეზე ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენის არაკომერციული ორგანიზაცია. სახელმწიფო ორგანიზაციებისაგან განსხვავდება ეროვნულ მთავრობასთან კანონით გათვალიწინებული კავშირების არარსებობით.

არასამხედროვალდებული, სამხედრო ვალდებულებების შესრულებისაგან რაიმე მიზეზით განთავისუფლებული მოქალაქე, სამხედრო ვალდებულების არმქონე. ეს ტერმინი გამოიყენება საბუთებში აღნიშვნისათვის.

არასაომარი სამხედრო ოპერაციები, ოპერაციები, რომელთა განსახორციელებლად საჭიროა სამხედრო ძალები, მაგრამ არა უშუალოდ საომარი მოქმედებებისთვის (საგანგებო მდგომარეობა, ჰუმანიტარული დახმარება, სამშვიდობო ოპერაციები და სხვა).

არასაჯარისო მომზადება, მოსახლეობის სამხედრო მომზადების სისტემის ნაწილი, რომელიც ტარდება შეიარაღებულ ძალებში არყოფნის დროს. ა.მ-ის იყენებენ ბევრ სახელმწიფოში.

არაუკუმგორავი ქვემეხი, კუთხვილიანი ან გლუვლულიანი ქვემეხი, რომლის გასროლასაც არ ახლავს ლულის უკუსვლა. გასროლის დროს დენთის აირების ნაწილი გამოედინება ლულის სახაზინო ნაწილის ერთი ან რამდენიმე საქშენიდან; ამის შედეგად წარმოიქმნება რეაქტიული ძალა, რომელიც აწონასწორებს უკუცემის ძალას და გამოირიცხავს ლულის უკუსვლას.

არბალეტი (ფრანგული arbalète), სატყორცნი იარაღი; ხის კონდახზე დამაგრებული ფოლადის მშვილდი სასხლეტი მექანიზმით. გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. **ა**-ით ისროდნენ მოკლე ისრებს.

არგენტინა (Argentina – არგენტინის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. უკავია კონტინენტის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი; დასავლეთით ესაზღვრება ჩილე, ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით – ოლივია, პარაგვაი, ბრაზილია და ურუგვაი, აღმოსავლეთით ეკვრის ატლანტის ოკეანე. ფართობი 2,8 მლნ. *კმ²*. მოსახლეობა 40,9 მლნ. კაცი (2012), 85% – არგენტინელები. ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. ბუენოს-აირესი. ადმინისტრაციულად იყოფა 22 პროვინციად. **ა**. ფედერალური რესპუბლიკაა.

ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულები წარმოადგენენ სადავო ტერიტორიას დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს და ეროვნულ კონგრესს (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებელ სახელმწიფოდ **ა**. გამოცხადდა 1816 წლის 9 ივლისს. იგი ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა ლათინურ ამერიკაში. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ტანკებს, ჯავშან-მანქანებს, რაკეტებს, თვითმფრინავებს, ხომალდებს. აქ მდებარეობს ბირთვული კვლევების სამი ცენტრი. საზღვაო პორტებია: ბუენოს-აირესი, კომოდორი-რივადავაია, ღოსარიო (სამდინარო), ლა-პლატა, ბაია-ბლანკა. ათი საერთაშორისო აეროპორტია. შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა შეადგენს 73,1 ათ. კაცს (2012), შედგება სახმელეთო ჯარებისაგან 38,5 ათ., სამხედროსაჰაერო 14,6 ათასი და სამხედროსაზღვაო ძალებისაგან 20 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.
გასამხედროებული ფორმირებებია ჟანდარმერია (სამხედრო პოლიცია) და სანაპირო დაცვა.

არდენების ოპერაცია 1944–45, დასავლეთის ფრონტზე, არდენების რაიონში (სამხრეთ-აღმოსავლეთ ბელგია), 1944 წლის 16 დეკემბერს გერმანიის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ბელგიასა და ნიდერლანდში ინგლის-ამერიკის ძალების განადგურების მიზნით. გერმანელებმა 90 *კმ*-ით წაიწიეს წინ. დასავლელი მოკავშირეები, რომელთათვის ეს შეტევა მოულოდნელი იყო, კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ ფრონტის სხვა უბნებიდან ჯარებისა და ავიაციის დიდი ძალების გადმოსროლის შემდეგ მათ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. ამერიკელთა კონტრდარტყმით (დაიწყო 22 დეკემბერს) გერმანელების შეტევა შეჩერებულ იქნა. იანვრის ბოლოსათვის მოკავშირეებმა პირვანდელი მდგომარეობა აღადგინეს. **ა.ო.** გერმანელთა უკანასკნელი სტრატეგიული შეტევა იყო II მსოფლიო ომში.

არიერგარდი, (ფრანგული arrière-garde – ზურგის დაცვა), ჯარის ქვედანაყოფი, ნაწილი ან შენაერთი, რომელიც ჯარს იცავს უკან დახევის ან ფრონტის გასწვრივ (ფლანგური მარში) მოძრაობის დროს. **ა**. უზრუნველყოფს ჯარის მთავარი ძალების შეუფერხებელ გადაადგილებას. ის არის სალაშქრო დაცვის ორგანო. **ა**-ის შემადგენლობას და დაშორების მანძილს განსაზღვრავს შენაერთის (ნაწილის) მეთაური. დასაცავი ჯარების შემადგენლობის, მოწინააღმდეგის მდგომარეობის, მისი მოქმედების ხასიათისა და ადგილმდებარეობის პირობების გათვალისწინებით. **ა**-ის ამოცანაა შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის შეჩერება, თავისი მთავარი ძალების მოწინააღმდეგისგან დაშორების უზრუნველყოფა და მათი ორგანიზებული უკუქცევა. **ა**.
სოფლიოს თითქმის ყველა არმიაში გამოიყენება.

არკებუზი (ფრანგული arquebuse – სადგომი შტატივი), ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი პირველსახეობა დასავლეთ ევროპაში. გავრცელდა XV საუკუნის I მესამედში, XVI საუკუნეში შეცვალა *მუშკეტმა*. იტენებოდა ლულიდან. **ა**-ით პირველად ქვებს ისროდნენ, შემდეგ – მრგვალ ტყვიებს.

არმადა (ესპანური armada – ფლოტი, ესკადრა), ხომალდების, თვითმფრინავების ან ტანკების დიდი გაერთიანება (მაგალითად, *უძლეველი არმადა*), რომელიც შეთანხმებულად მოქმედებს.

არმაზციხე, ძველი მცხეთის შიდაციხე (ციტადელი) მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, ბაგინეთის მთაზე. ძვ.წ. უკანასკნელ და ახ.წ. I საუკუნეებში წარმოადგენდა ქართლის (იბერიის) მეფეთა რეზიდენციას. 1943 წლიდან წარმოებული გათხრების შედეგად აქ აღმოჩენილია გალავნის და კოშკების, სამეფო რეზიდენციის ნაგებობათა ნაშთები და სხვა. უძველესი კულტურული ფენა ძვ.წ. IV–III საუკუნეებს განეკუთვნება. **ა**-ის, როგორც პოლიტიკური და სტრატეგიული ცენტრის, მნიშვნელობა დაეცა დედაქალაქის თბილისში გადმოტანის შემდეგ. VIII საუკუნის 30-იან წლებში არაბებმა გაანადგურეს.

არმია (ფრანგული armée და ლათინური – armo – ვაიარაღებ), 1. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ერთობლიობა; შეიარაღებული ძალების ნაწილი (სამხედრო-საზღვაო ძალების გარდა); მხოლოდ სახმელეთო ჯარები; ოპერატიული გაერთიანება; მებრძოლი სოციალური ჯგუფების შეიარაღებული ორგანიზაცია. 2. ოპერატიული ამოცანების გადასაწყვეტად განკუთვნილი გაერთიანება, რომელიც შედგება რამდენიმე შენაერთის და სხვადასხვა გვარეობის ჯარებისგან, სპეციალური ჯარების, ზურგის ცალკეული შენაერთებისა და ნაწილებისაგან. შეიარაღებული ძალების სახეობისადმი კუთვნილების, საბრძოლო შემადგენლობისა და დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ: საერთო-საჯარისო (საველე), სატანკო, სარაკეტო, საჰაერო თავდაცვის, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სხვა **ა**-ებს. ცნობილია აგრეთვე დამრტყმელი, მექანიზებული, საჰაერო-სადესანტო, ცხენოსანთა, მესანგრეთა, სარეზერვო, სასურსათო და სხვა **ა**-ები.

არმიების ჯგუფი, ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში სახმელეთო ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება. ნატოს შეიარაღებული ძალების არმიების ჯგუფში შედის საარმიო კორპუსები და სხვა შენაერთები.

არმიების ჯგუფის ოპერაცია, საომარი მოქმედების თეატრში ნატოს ბლოკის სახმელეთო ჯარების ოპერატიულ-სტრატეგიული გამოყენების ძირითადი ფორმა. მიზნის, ამოცანების, ადგილისა და დროის მიხედვით ურთიერთდაკავშირებული და შეთანხმებული არმიების ჯგუფის ჯარების საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა. ხორციელდება ერთიანი ჩანაფიქრით და სარდლის ხელმძღვანელობით, ტაქტიკურ ავიაციასთან ურთიერთმოქმედებით, ხოლო ზღვისპირა მიმართულებაზე – აგრეთვე სამხედრო-საზღვაო ძალებთან ურთიერთქმედებით. პირველად ტერმინი „არმიების ჯგუფის ოპერაცია“ გაჩნდა I მსოფლიო ომის დროს გერმანიის არმიაში. ეს ოპერაციები შეიძლება იყოს შეტევითი და თავდაცვითი. არმიების ჯგუფის შეტევითი ოპერაციის მიზანს, როგორც წესი, წარმოადგენს ოპერატიულ-სტრატეგიული დაჯგუფების განადგურება და ოპერატიულ-სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონებისა და ზღუდეების ხელში ჩაგდება.

არმიების ჯგუფს (აშშ) შეუძლია აწარმოოს შეტევა (წვრთნების გამოცდილების მიხედვით) 250–400 *კმ* ზოლზე (აშშ კორპუსს – 50–90 *კმ*, დივიზიას – 20–30 *კმ*) 350–600 *კმ* სიღრმეზე. ოპერაციის ხანგრძლივობაა 9-იდან 15-მდე დღე. შეტევის საშუალო ტემპი – თავდაცვის გარღვევისას 10–15-იდან 20–25 *კმ*-მდე დღეში. შეტევის განვითარებისას – 40–45 *კმ*. არმიების ჯგუფის თავდაცვითი ოპერაცია ეწყობა მოწინააღმდეგის შემომტევი დაჯგუფებების გასანადგურებლად, ოპერატიულ-სტრატეგიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი რაიონების შენარჩუნებისათვის შეტევაზე გადასასვლელად ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით. არმიების ჯგუფს (აშშ) შეუძლია, თავს იცავდეს 250–450 *კმ* სიგრძის (არმიის კორპუსს – 60–120, დივიზიას – 30–60 *კმ*) და 300 *კმ*-მდე სიღრმის ზოლში.

არმიის არტილერია, იხ. *საჯარისო არტილერია.*

არმიის ზურგი, იხ. *ოპერატიული ზურგი.*

არმიის ზურგის ზოლი, იხ. *ზურგის ზოლი.*

არმიის თავდაცვითი ოპერაცია, შეთანხმებული თავდაცვითი ბატალიების, საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლების, დარტყმებისა და მანევრების ერთობლიობა. ხორციელდება არმიის შენაერთების, ნაწილების მიერ მეზობლებთან, შეიარაღებული ძალების სახეობების, გვარეობების, სპეციალური ჯარების შენაერთებთან, ნაწილებთან და სხვა ფორმირებებთან ურთიერთქმედებით. ყველანი არმიის ინტერესებისთვის მოქმედებენ. ამ ოპერაციის მიზნებია: მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიება (ზოგიერთ შემთხვევაში – ჩაშლა), მისი დამრტყმელი დაჯგუფებებისთვის ზიანის მიყენება, რაიონების შენარჩუნება, ძალებისა და საშუალებების დაზოგვა, ძირითადი ძალების გაშლის უზრუნველსაყოფად დროის მოგება და შემდგომი ოპერაციების ჩასატარებლად პირობების შექმნა. ამ მიზნების განხორციელება შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ამოცანების შესრულების გზით: მოწინააღმდეგის საჰაერო – კოსმოსური შეტევის მოგერიებაში მონაწილეობა; მასირებული საცეცხლე დარტყმების მიყენება; მტრის ჯარების შეიარაღების დაზვერვისა და რადიოელექტრონული ბრძოლის, მართვის სისტემების დეზორგანიზაცია, მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარების დაჯგუფების წინ წამოწევის ჩაშლა; დაკავებული ზღუდეების, პოზიციების (რაიონების) შენარჩუნება; დანიშნულ რაიონებში რეზერვების დროული გაშლის უზრუნველყოფა; მოწინააღმდეგის სადესანტო – დივერსიული ძალების განადგურება; მისი შემოჭრილი და გარღვევაში მყოფი ჯარების დაჯგუფებების განადგურება; მნიშვნელოვან მიმართულებებზე მდგომარეობის აღდგენა. **ა.თ.ო**-ის პირველი ნიშნები ჩაისახა 1870–71 წლებში საფრანგეთ-პრუსიის ომში და XIX საუკუნის სხვა ომებში. შემდეგ მან განვითარება პოვა I და II მსოფლიო ომებში. **ა.თ.ო**-ის თეორიის და პრაქტიკის მნიშვნელოვანი განვითარება მოჰყვა ზოგიერთი ქვეყნის არმიებში ბირთვული იარაღის შექმნას და დანერგვას, არსებული დაზიანების საშუალებების სრულყოფასა და ახლის შექმნას. არმიას შეუძლია მოამზადოს და დაიკავოს თავდაცვა წინასწარ ომის დაწყებამდე. გადავიდეს თავდაცვაში საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე ან მისი წარმოების დროს. თავდაცვაზე გადასვლა შეიძლება განხორციელდეს განზრახ ან იძულებით მოწინააღმდეგესთან შეუხებლობის ან მასთან უშუალო შეხების პირობებში.

არმიის თავდაცვის ზღუდე, თავდაცვის ზოლი, რომელიც განკუთვნილია თავდაცვის ტაქტიკურ ზონაში შემოჭრილი მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლის აღკვეთისთვის და კონტრდარტყმის მიმყენებელი ჯარების გაშლის უზრუნველსაყოფად. I მსოფლიო ომში მოგერიებითი ზღუდე ეწყობოდა თავდაცვის მთავარი ზოლის წინა ხაზისგან 25–30 *კმ*-ზე და ჰქონდა 5–6 *კმ* სიღრმე. საჭიროების შემთხვევაში მას იკავებდნენ II ეშელონიდან ან მეორეხარისხოვანი მიმართულებებიდან მოხსნილი, აგრეთვე ტაქტიკური ზონიდან უკან დახეული არმიის და ჯარების რეზერვები.

არმიის კონტრშეტევითი ოპერაცია, შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული შეტევითი (ცალკეულ მიმართულებებზე – თავდაცვითი) ბატალიების, საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლების, დარტყმებისა და მანევრების ერთობლიობა. არმიის შენაერთები და ნაწილები კონტრშეტევით ოპერაციას აწარმოებენ მეზობლებთან, შეიარაღებული ძა

ლების სხვა სახეობების, ჯარების გვარეობების შენაერთებთან, ნაწილებთან და არმიის ინტერესების შესაბამისად მოქმედ სხვა ფორმირებებთან ურთიერთმოქმედებით. **ა.კ.ო**. არის დაჯგუფების ან საომარი მოქმედების თეატრში სტრატეგიული კონტრშეტევითი ოპერაციის შემადგენელი ნაწილი. ზოგჯერ – მნიშვნელოვან სიღრმეზე კონტრდარტყმის მიყენებისას სტრატეგიული ან დაჯგუფების თავდაცვითი ოპერაციაც. **ა.კ.ო**., რომელიც შეტევითი ოპერაციის ნაირსახეობას წარმოადგენს, შეიძლება განხორციელდეს, როგორც ომის დასაწყისში, ისე მისი მსვლელობისას. ჩვეულებრივ კი – მოწინააღმდეგის შეტევის დროს ან ამ შეტევის მოგერიების შემდეგ. **ა.კ.ო**-ის მიზანია გაანადგუროს მოწინააღმდეგის შემტევი დაჯგუფება, აღიდგინოს დაკარგული მდგომარეობა, ხოლო ზოგჯერ მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე დაეუფლოს გარკვეულ სასაზღვრო რაიონს (ზღუდეს), რომელიც უზრუნველყოფს შემდგომი შეტევითი მოქმედებების წარმატებას.

იგი მოიცავს ძირითადად I და II ეშელონების შენაერთების და ნაწილების შეტევით, ხოლო ცალკეულ მიმართულებებზე – თავდაცვით საბრძოლო მოქმედებებს, ოპერატიული მობილური რეზერვის, სარაკეტო ჯარების და არტილერიის, სახმელეთო ჯარების, ავიაციის შენაერთების და ნაწილების, საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების, არმიის რეზერვის საბრძოლო და არმიის სპეციალური ჯარების მოქმედებებს. **ა.კ.ო**-ს შეიძლება ახორციელებდეს I ეშელონის არმია დაკავებული ზღუდიდან, თავდაცვიდან შეტევაზე გადასვლით; II ეშელონის არმია – როგორც საწყისი რაიონებიდან, სიღრმიდან წინ წამოწევით, ასევე მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების პირობებში (I ეშელონის ჯარების წინასწარი შეცვლის შემდეგ). მომზადების და განხორციელების მხრივ ყველაზე რთულია ომის საწყის პერიოდში **ა.კ.ო**, რომელიც თავდაცვითი ოპერაციის დროს მოწინააღმდეგის აგრესიის მოსაგერიებლად წარმოებს.

I ეშელონის არმიაში **ა.კ.ო**-ის უშუალო მომზადება, ჩვეულებრივ, ხდება მოწინააღმდეგის შეტევის მოგერიების დროს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა დამატებითი ამოცანების გადაწყვეტა. მათ რიცხვს განეკუთვნება გაბატონება ჰაერში, ხოლო ზღვისპირა მიმართულებით – ზღვაზეც; საცეცხლე უპირატესობის მოპოვება; ჯარების ბრძოლისუნარიანობის აღდგენა; რეზერვების შექმნა და თავმოყრა დადგენილ რაიონებში, ჯარების კონტრშეტევითი დაჯგუფებების გაშლა; მატერიალური საშუალებების მარაგის შექმნა. თანამედროვე საარმიო კონტრშეტევითი ოპერაციის მომზადება და გაძღოლა მთლიანად საარმიო შეტევითი ოპერაციის მომზადებისა და გაძღოლის პრინციპების შესაბამისად ხდება.

არმიის მორალური სულიერი კვეთება, არმიის პირადი შემადგენლობის ცნობიერების მდგომარეობა, რომელიც ასახავს შეიარაღებული ძალების სულიერ უნარსა და მზადყოფნას იმოქმედონ თავიანთი დანიშნულებისა და დასახული ამოცანების შესაბამისად ომიანობისა და მშვიდობიან დროს; სულიერი პოტენციალის გამოვლენისა და რეალიზაციის ფორმა, არმიის საბრძოლო პოტენციალის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. **ა.მ.ს**-ში ყველა სულიერი პროცესი ფუნქციონირებს საზოგადოებრივი ცნობიერების ორ დონეზე: იდეოლოგიურ დონეზე მკვიდრდება ღირებულებრივი წარმოდგენები და მოტივაციური დებულებები ომის, არმიის, მხედრული მოვალეობის მიმართ; სოციალურ-ფსიქოლოგიურ დონეზე ყალიბდება ინდივიდუალური და კოლექტიური მოქმედებების ემოციური და ქცევით-ნებელობითი სახეები და სტერეოტიპები. მათი მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება საბრძოლო ვითარების პირობებში. ომიანობის დროს **ა.მ.ს**-ის სიმტკიცე დამოკიდებულია ომის მიზნებსა და ხასიათზე, პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სამხედრო სარდლობის ავტორიტეტზე, ჯარების მართვის სიმტკიცეზე და სხვა.

არმიის საარტილერიო ჯგუფი, იხ. *საარტილერიო ჯგუფი*

არმიის შეტევითი ოპერაცია, შეთანხმებული, ურთიერთდაკავშირებული შეტევითი (ცალკეულ მიმართულებებზე – თავდაცვითი) ბატალიების, საბრძოლო მოქმედებების, ბრძოლების, დარტყმებისა და მანევრების ერთობლიობა. **ა.შ.ო**-ს შენაერთები და ნაწილები ახორციელებენ მეზობლებთან, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების ჯარების შემადგენლობაში არსებული გვარეობების შენაერთებთან და ნაწილებთან, აგრეთვე არმიის ინტერესების შესაბამისად მოქმედ ფორმირებებთან ურთიერთქმედებით. ხორციელდება გარკვეულ სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე, როგორც დაჯგუფების ოპერაციის შემადგენელი ნაწილი საომარი მოქმედების თეატრში. იგი შეიძლება განხორციელდეს მოწინააღმდეგის აგრესიის დაწყების და აგრესიის მსვლელობის პერიოდში, მისი მოგერიების დროს წარმატებული თავდაცვითი და კონტრშეტევითი ოპერაციების შემდეგ. აგრეთვე შეტევითი ოპერაციების წარმატების გასავითარებლად და მთელი რიგი ოპერატიული ამოცანების შესასრულებლად. ოპერაციის მიზნები შეიძლება იყოს: მოწინააღმდეგის დაჯგუფების განადგურება, გარკვეული ზღუდეების ან რაიონების დაუფლება 1–2 საოპერაციო მიმართულებაზე. არმიის შეტევითი ოპერაცია მოიცავს I და II ეშელონების შენაერთების, ნაწილების შეტევით საბრძოლო

მოქმედებებს, ოპერატიული მობილური რეზერვის სარაკეტო ჯარების შენაერთებისა და ნაწილების, სახმელეთო ჯარების არტილერიის, ავიაციის, საჰაერო თავდაცვის ნაწილების, საარმიო რეზერვების საბრძოლო და საარმიო დაქვემდებარების სპეციალური ჯარების მოქმედებას. საარმიო ოპერაციის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს აგრეთვე ტაქტიკური საჰაერო და საზღვაო დესანტების გადასხმა, მათი საბრძოლო მოქმედება, მონაწილეობა დაჯგუფების პირველ და მომდევნო მასირებულ საცეცხლე დარტყმებში. **ა.შ.ო**. პირველად განხორციელდა XVIII საუკუნეში, როდესაც არმიის გაერთიანებების მოქმედებაში გამოვლინდა დამოუკიდებლობა. პირველ მსოფლიო ომში **ა.შ.ო**. პრაქტიკულად ჩამოყალიბდა, როგორც ერთიანი ჩანაფიქრით მიმდინარე ოპერატიული მასშტაბის საბძოლო მოქმედებების ფორმა.

II მსოფლიო ომის წლებში მისი წარმოების თეორიამ და პრაქტიკამ შემდგომი განვითარება განიცადა, რაც გამოიხატა ოპერაციის მომზადების და წარმოების ხერხების სრულყოფაში, მთავარი დარტყმის მიმართულებაზე ძალებისა და საშუალებების მასირებაში, ჯარების ოპერატიული დაწყობის სიღრმის ზრდაში. ასევე საბრძოლო მოქმედებების მასშტაბების შემდგომ გაზრდაში. **ა.შ.ო**. მოიცავს მოწინააღმდეგის საცეცხლე დაზიანებას და მისი რადიოელექტრონული საშუალებების და სისტემების რადიოელექტრონულ ჩახშობას, ჯარების შეტევაში გადასვლას და მის განვითარებას, მოქმედებებს თავდაცვის გარღვევისთვის, მოწინააღმდეგის დაჯგუფებების დანაწევრებას, გარშემორტყმას და განადგურებას, კონტრდარტყმების მოგერიებას, არმიის ჯარების მიერ განზრახული სამიზნეების ხელში ჩაგდებას. არმიის შეტევითი ოპერაციის მსვლელობის დროს ან დამთავრების შემდეგ არმია, როგორც წესი, იღებს ამოცანას შემდგომ ოპერაციაზე.

არსებული ჯარები (ძალები), ჯარები (ძალები), რომლებიც დეკლარილებულია ნატოს სამხედრო კომიტეტის შესაბამის დოკუმენტებში, როგორც საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი ჯარები (ძალები).

არსენალი (ფრანგული arsenal – სახელოსნო), სამხედრო საწარმო, რომელიც ჯარებისთვის ამზადებს იარაღს და საბრძოლო მასალებს. აქვე მიმდინარეობს რემონტი, აწყობა, შენახვა და გაცემა. წარმოიშვა XVI საუკუნეში და XIX საუკუნემდე ძირითადად დაკავებული იყო ჯარისა და საზღვაო ძალებისთვის იარაღის და საბრძოლო მასალების წარმოებით. ბევრი თანამედროვე **ა.** ასრულებს საწყობის, ბაზის ფუნქციებს. თბილისში **ა**. არსებობდა 1869–1931 წლებში.

„არსენალი“ (ჟურნალი), სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი, რომელშიც აღწერილია ისტორიული და შემეცნებითი პუბლიკაციები, სამხედრო გამოფენები და ექსპოზიციები, თანამერდოვე შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის მიმოხილვა. გამოიცემა 2004 წლის 26 მაისიდან, მთავარი რედაქტორი ი. ალადაშვილი.

არტილერია (ფრანგული atillier – მომზადება, აღჭურვა), 1. ჯარების გვარეობა; 2. იარაღის (შეიარაღების) სახეობა; 3. საარტილერიო შეიარაღების მოწყობილობის, მისი საბრძოლო გამოყენების, თვისებებისა და ხერხების შესახებ მეცნიერული ცოდნის სისტემა. როგორც ჯარების გვარეობა, **ა**. წარმოადგენს საარტილერიო შენაერთებს, ნაწილებსა და ქვედანაყოფებს, რომლებიც ორგანიზაციულად შედიან ოპერატიული გაერთიანების, საერთოსაჯარისო შენაერთის, ნაწილებისა და ქვედანაყოფების შემადგენლობაში ან უმაღლესი მთავარსადლობის რეზერვში. **ა**., როგორც იარაღის სახეობა, მოიცავს საარტილერიო ქვემეხებს მათი გადაადგილების საშუალებებითურთ, მათ საბრძოლო მასალებს, საბრძოლო უზრუნველყოფის საშუალებებს (ცეცხლის მართვის, საარტილერიო დაზვერვის და სხვა) და დამხმარე საშუალებებს. **ა**., როგორც მეცნიერული ცოდნის სისტემა, სწავლობს საარტილერიო შეიარაღების მოწყობილობის, ექსპლუატაციის, დაპროექტების, წარმოების საკითხებს, მის საბრძოლო თვისებებს, სროლისა და საბრძოლო გამოყენების ხერხებს. **ა**-ის შესახებ მეცნიერული ცოდნის სისტემის მთავარი შემადგენელი ნაწილებია: ბალისტიკა, მოწყობილობის და დაპროექტების საფუძვლები, მატერიალური ნაწილის წარმოება, რემონტი, შენახვა და ექსპლუატაცია, საბრძოლო გამოყენება, სროლის ცეცხლის მართვის თეორია და **ა**-ის ისტორია. სახმელეთო ჯარების თანამედროვე **ა**. იყოფა: საჯარისო (ზოგიერთი ქვეყნის არმიებში – საველედ) და უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის **ა**-ად, ხოლო დანიშნულების მიხედვით – სახმელეთოდ და საზენიტოდ. სახმელეთო **ა**. იყოფა: საბრძოლო თვისებების მიხედვით – საზარბაზნო, საჰაუბიცო, რეაქტიულ, ტანკსაწინააღმდეგო, სამთო და ნაღმსატყორცნებად; გადაადგილების ხერხების მიხედვით – თვითმავალ, ბუქსირებად (მექანიკური ან ცხენის წევისა), თვითმოძრავ გადასატან, სარკინიგზო, სასაპალნე და სტაციონარულად. სამხედრო-საზღვაო ფლოტის (საზღვაო) **ა**. მოიცავს სახომალდო და სანაპირო **ა**-ს. საარტილერიო სისტემათა კონსტრუქციების თავისებურებების მიხედვით გამოყოფენ ლულიან კუთხვილ, გლუვლულიან, არაუკუმგორავ, რეაქტიულ, საკაზემატო, უნივერსალურ **ა**-ს. მისი საცეცხლე და ტაქტიკური ქვედანაყოფია ბატარეა, ძირითადი საცეცხლე და ტაქტიკური ქვედანაყოფი – დივიზიონი, რომელშიც შედის 2–4 ბატარეა. საარტილ

ერიო დივიზიონები შეიძლება გაერთიანებული იყოს საარტილერიო პოლკებად ან საარტილერიო ბრიგადებად, ხოლო ბრიგადები (პოლკები) – საარტილერიო დივიზიებად. **ა**-ის შეიარაღებაზე არის სხვადასხვა კალიბრის ზარბაზნები, ჰაუბიცები, ზარბაზან-ჰაუბიცები და ჰაუბიცა-ზარბაზნები, ნაღმსატყორცნები, 57, 85 და 100-*მმ* ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის საბრძოლო მანქანები (გამშვები დანადგარები).

არტილერიისათვის გამოყოფილი ზონა, არტილერიის ძალების და საშუალებების განლაგებისთვის განსაკუთრებულად გამოყოფილი რაიონი.

არტილერიის მანევრირების ზონა, რაიონი, რომლის საზღვრებში არტილერიის გაშლა დაშვებულია, მაგრამ არ არის განკუთვნილი მისი აუცილებელი გამოყენებისათვის.

არტილერიის სიმჭიდროვე (ოპერაციაში, ბრძოლაში), ქვემეხების (ნაღმსატყორცნების) საშუალო რაოდენობა 1 *კმ* ფრონტზე. განისაზღვრება გარღვევის მონაკვეთზე (ზოლში), ძირითადი ძალის თავმოყრის მიმართულებაზე და საცეცხლე მომზადების განხორციელების მონაკვეთზე. წარმოადგენს არტილერიის მასირების ხარისხის მაჩვენებელს და ოპერატიულ-ტაქტიკურ საანგარიშო სიდიდეს არტილერიის საბრძოლო გამოყენების დაგეგმვისას.

არქეოგრაფია (სამხედრო) (ბერძნული archáios – ძველი და gráph – ვწერ), *სამხედრო ისტორიის* სპეციალური დამხმარე დარგი, რომლის ამოცანაა სამხედრო-ისტორიული დოკუმენტების მომზადება გამოსაცემად. **ა**. მჭიდროდაა დაკავშირებული *სამხედრო-ისტორიულ წყაროთმცოდნეობასთან*, სამხ. არქივთმცოდნეობასთან და სხვა სპეციალურ დისციპლინებთან.

არქეოლოგია (სამხედრო) (ბერძნული archáios – ძველი და lōgos – მოძღვრება), *სამხედრო ისტორიის* დარგი, რომელიც სწავლობს ადამიანების საქმიანობას სამხედრო სფეროში შემონახული ნივთიერი ძეგლების (საჭურველი და საბრძოლო ტექნიკა, ფორტიფიკაციული ნაგებობები, სამხედრო-ყოფითი საგნები და სხვა) მიხედვით. ასეთი ძეგლების მოსაპოვებლად აწარმოებენ გათხრებს. **ა**. იყენებს ჩვეულებრივი არქეოლოგიის წესებსა და მეთოდებს. ეყრდნობა სხვა ისტორიული დისციპლინებისა და სამხედრო მეცნიერების დებულებებს.

არქიპელაგი, ერთმანეთთან ახლოს მდებარე კუნძულების ჯგუფი კუნძულების ნაწილებითურთ, რომლებიც აერთიანებენ მათ წყლებს და სხვა ბუნებრივ წარმონაქმნებს. ისინი ისე მჭიდროდ არიან ურთერთდაკავშირებული, რომ ასეთი კუნძულები, წყლები და ბუნებრივი წარმონაქმნები შეადგენენ ერთიან გეოგრაფიულ წარმონაქმს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მთლიანობას ან ისტორიულად ითვლება ასეთად. მათ აქვთ საერთო სახელი. განასხვავებენ კონტინენტურ (ახალი მიწა), მარჯნისა (მარშალის კუნძულები) და ვულკანური (ჰავაის კუნძულები) წარმოშობის **ა**-ებს. საბერძნეთის **ა**. ეგეოსის ზღვის კუნძულების მოძველებული საერთო სახელწოდებაა.

არქიპელაგური წყლები, სახელმწიფო-არქიპელაგის სუვერენიტეტის ქვეშ მყოფი წყლები. სუვერენიტეტი ვრცელდება **ა.წ**-ის ზევით საჰაერო სივრცეზე, აგრეთვე ზღვის ფსკერზე, წიაღისეულსა და წიაღისეულ რესურსებზე.

არქტიკა (ბერძნული arktikos – ჩრდილოეთის მიმართულების), ჩრდილოეთ პოლუსის მიმდებარე პოლარული მხარე. შეიცავს ევრაზიის, ჩრდილოეთ ამერიკის (კუნძულ გრენლანდიის სამხრეთი ნაწილის და ლაბრადორის ნახევარკუნძულის გამოკლებით) ჩრდილოეთ განაპირა რაიონებს, თითქმის მთელ ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეს (ნორვეგიის ზღვის სამხრეთი და აღმოსავლეთი მონაკვეთის გარდა) მასში არსებული ყველა კუნძულით (ნორვეგიის რამდენიმე კუნძულის გარდა), აგრეთვე ატლანტის და წყნარი ოკეანეების მომიჯნავე ნაწილებს. **ა**. სამხრეთიდან შემოფარგლულია ჩრდილოეთ პოლარული წრით. ფართობი 27 მლნ. *კმ*², მათგან ხმელეთი 10 მლნ. *კმ*².

ასაბაი, რკინისპირიანი სატყორცნი შუბი, დაახლოებით 2 *მ.* სიგრძისა. მრავალი აფრიკული ტომის (ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთის ბანტუს) სანადირო და საბრძოლო იარაღი. XIX საუკუნის I ნახევარში ზულუს ტომების ბელადებმა ჩაკამ და დინგაანმა თავიანთ ჯარში საბრძოლო იარაღად გამოიყენეს.

ასაფეთქებელი მანქანა, ელექტროდენის გენერატორი, რომელსაც იყენებენ ელექტრონული ხერხით ასაფეთქებელი მუხტების ასამუშავებლად. **ა.მ**-ის როტორი მოძრაობაში მოჰყავთ სათანადო ზამბარით ან ამძრავი სახელურით.

ასაფეთქებელი მოწყობილობა, ამფეთქი, რომელიც შედგება რამდენიმე ერთმანეთთან კონსტრუქციულად დაუკავშირებელი, მაგრამ ურთიერთმოქმედი ნაწილებისგან. ისინი განლაგებულია საბრძოლო მასალის სხვადასხვა ადგილას. მაგალითად, საინჟინრო ნაღმის მიზნის გადამწოდი აღიქვამს მიზნის ზემოქმედებას ან მართვის პულტიდან კომანდას. იგი შემდეგ გადასცემს სიგნალს **ა.მ**-ის აღმსრულებელ ნაწილს, რომელიც მოიყვანს ნაღმს მოქმედებაში.

ასაფეთქებელი ნივთიერებები, ქიმიური შენაერთები ან მათი ნაერთი, რომლებსაც შეუძლიათ გარე ზემოქმედებით (ხახუნი, გათ

ბობა, დარტყმა და სხვ.) გამოიწვიონ აფეთქება. ხასიათდებიან ასაფეთქებელი ან აფეთქების სითბოს კუთრი ენერგიით, დეტონაციის სიჩქარით, აფეთქების პროდუქტის მოცულობით, წნევით და ტემპერატურით; ბრიზანტულობით, გარეშე ზემოქმედებისადმი მგრძნობელობით, ფიზიკური და ქიმიური მდგრადობით. აგრეგატული მდგომარეობით **ა.ნ**-ები შეიძლება იყოს: მყარი, თხევადი და გაზისებრი, ხოლო დანიშნულების მიხედვით – ინიცირებადი და ბრიზანტული.

ასაფეთქებელი ობიექტი, ობიექტი, რომელიც სამხედრო მიზნების მისაღწევად განსაზღვრულია ასაფეთქებლად.

ასაფეთქებელი ობიექტის დაცვა, ადგილობრივი ძალა, რომელიც აკონტროლებს ობიექტს, რათა არ დაუშვას მოწინააღმდეგის მიერ მისი ხელში ჩაგდება აფეთქებამდე. **ა.ო.დ**-ის ქვედანაყოფის მეთაური პასუხს აგებს აფეთქების რაიონის მახლობლად განლაგებული ყველა ქვედანაყოფის ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე და ამფეთქებელთა რაზმისთვის აფეთქების განხორციელების ბრძანების გადაცემაზე.

ასაფეთქებელი პაკეტი, საარტილერიო ჭურვის, ნაღმის და ყუმბარის იმიტაციის საშუალება. შედგება წყალგაუმტარ გარსში მოთავსებული საკვამლე დენთის (30–80 *გრ*) მუხტისა და ცეცხლგამტარი ზონრისგან. ამოქმედების დრო – ზონრის ცეცხლწაკიდებიდან 7–9 *წმ*, უსაფრთხო ტყორცნის მანძილი – 10 *მ*-ზე მეტი, ხმის გაგონება და კვამლის დანახვა შეიძლება 2 *კმ*-მდე მანძილზე. პაკეტის შენახვა და გამოყენება მოითხოვს უსაფრთხოების ზომებს.

ასაფეთქებელი საქმიანობა, აფეთქების წარმოების და გამოყენების თეორია და პრაქტიკა. ტარდება დაბრკოლებების, საფორტიფიკაციო ნაგებობების ნგრევის, გრუნტის და კლდოვანი ქანების დამუშავების, მიწისქვეშა სანაღმო ბრძოლის ჩატარების, სამხედრო ტექნიკის განადგურებისა და ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის სხვა ამოცანების შესრულების დროს. მოიცავს ასაფეთქებელი ნივთიერების თვისებების, ასაფეთქებელი საშუალებების, მათთან მოქცევის ხერხების და აფეთქების წარმოების შესწავლას.

ასაფეთქებელი საშუალებები, მუხტები და მაინიცირებელი საშუალებები [კაფსულდეტონატორები, ელექტროდეტონატორები, ფალიები (თოფის წამალი), ცეცხლგამტარი და მადეტონირებელი ზონრები, ამფეთქები და ცეცხლგამჩენი მილაკები], რომლებიც აფეთქებისთვის გამოიყენება. ასევე დენის წყაროები (აკუმულიატორები, ასაფეთქებელი მანქანები), საკონტროლო-საზომი ხელსაწყოები და სხვა.

ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, თვითმფრინავების (ვერტმფრენების) აფრენისა და დაფრენისთვის სპეციალურად მოწყობილი აეროდრომის საფრენი მინდვრის მონაკვეთი. შეიძლება გააჩნდეს გრუნტის (თოვლის, ყინულის) ან ხელოვნური – ბეტონის, რკინაბეტონის, ასფალტის, ლითონისა და სხვა საფარი. მისი მოწყობა ხდება დღის და ღამის ორიენტირებით, სასიგნალო და შემზღუდავი ნათებით, ზოგჯერ – სააეროდრომო ავარიული სამუხრუჭე დანადგარებით. განსაკუთრებულად გავრცელებულია 1500–3500 *მ* სიგრძის და 30–50 *მ* სიგანის ზოლები. აეროდრომებს შეიძლება ჰქონდეთ ერთი ან რამდენიმე **ა.-დ.ზ.**, რომლებიც განლაგებულია ერთმანეთის პარალელურად ან გარკვეული კუთხით.

ასეული (გერმანული rutte – მასა, რაზმი), სამხედრო-ტაქტიკური ქვედანაყოფი. **ა**-ის საბრძოლო ერთეული ზოგადად განისაზღვრება ასამდე მებრძოლით, თუმცა მათი რიცხვი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება იყოს ნაკლები ან მეტი. **ა**. შეიძლება იყოს ქვეითი, მოტომსროლელი, სატანკო, ნაღმსატყორცნი, სანაპირო, რადიოტექნიკური, საავტომობილო, საზღვაო ქვეითი და სხვა. როგორც წესი, **ა**. შედის ბატალიონის შემადგენლობაში. ასევე იგი შეიძლება განცალკევებული სახით და დანიშნულებით იყოს ბრიგადის, პოლკის, დივიზიისა და კორპუსის შემადგენლობაშიც. **ა**-ბი შეიქმნა XV–XVI საუკუნეებში დასავლეთ ევროპის დაქირავებულ არმიებში. თანამედროვე არმიებში სხვადასხვა ტიპის **ა**-ები თავის მხრივ შედგება ოცეულებისგან.

ასეულის ჯგუფი, კომბინირებული ჯგუფი, რომელიც ჩამოყალიბებულია სატანკო, მექანიზებულ-ქვეით ან მსროლელ-ქვეით ასეულზე ერთი ან მეტი სატანკო, მექანიზებულ-ქვეითი ან მსუბუქი ოცეულის მიკუთვნებით.

ასი (ფრანგული as – ტუზი, გადატანითი მნიშვნელობით მოხერხებული, თავგადადებული), საფრენოსნო და საბრძოლო ოსტატობით გამორჩეული მფრინავი, რომელიც სრულყოფილად ფლობს თვითმფრინავს, მის შეიარაღებას, საჰაერო და სახმელეთო მიზნების განადგურების ტაქტიკურ ხერხებს. I მსოფლიო ომის დროს **ა**-ს უწოდენდნენ მფრინავებს, რომლებსაც ხუთი საჰაერო ბრძოლა ჰქონდათ მოგებული.

ასისთავი (სამხედრო), 1. ასეულის მეთაური, გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში ეწოდებოდა უზბაში; 2. ქალაქის პოლიციის მოხელე, კვარტლის ზედამხედველი (საქართველოში ეს თანამდებობა XIX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა). 3. არჩევითი თანამდებობა სოფლად 1905 წლის რევოლუციის დროს.

ასპინძის ბრძოლა 1770, ქართველების ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ 1770 წლის 20 აპრილს სოფელ ასპინძასთან 1768–74 წლების *რუსეთ-ოსმალეთის ომის* დროს. ამ ომში ქართველები რუსეთის მოკავშირეებად გამოდიოდნენ. 1770 წლის გაზაფხულზე

ქართლ-კახეთის მეფე *ერეკლე II* 7 ათ-ნი ლაშქრით და რუსი გენერალი ტოტლებენი 1200 ჯარისკაცით *ახალციხის საფაშოში* შეიჭრნენ. ერეკლეს მიზანი იყო ქართული მიწების განთავისუფლება ოსმალთა ბატონობისაგან, მაგრამ ტოტლებენი, რომელსაც, როგორც შემდეგ გაირკვა, ქართლ-კახეთის ხელში ჩაგდება და რუსეთისათვის გადაცემა სურდა, მოულოდნელად უკან გაბრუნდა თავისი რაზმით. ოსმალები შეეცადნენ მოკავშირის გარეშე დარჩენილი ქართველების განადგურებას, მაგრამ ერეკლემ ზედიზედ დაამარცხა ჯერ მათი 1500 კაციანი რაზმი, ხოლო შემდეგ ლეკ-ოსმალთაგან შემდგარი 4 ათ-ნი (სხვა ცნობებით, 8 – ათ-ნი) კორპუსი. მოწინააღმდეგის ნარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

ასტრონავტი (ბერძნული astron – ვარსკვლავი, nautes – ზღვაოსანი), ადამიანი, რომელიც კოსმოსურ სივრცეში კოსმოსური აპარატით დაფრინავს; იგივე, რაც კოსმონავტი. ტერმინი „ასტრონავტი“ მიღებულია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში. პირველი ასტრონავტების მომზადება მიმდინარეობდა 1959 წლიდან პილოტირებული კოსმოსური ფრენების ცენტრში (ქ. ჰიუსტონი). აშშ-ში პირველი კოსმოსური გაფრენა განახორციელა **ა**-მა **ა**. შეპარდმა ერთადგილიანი კოსმოსური აპარატით „მერკური“ 1961 წლის 5 მაისს.

ასტრონავტიკა (ბერძნული astron – ვარსკვლავი და nautike - ზღვაოსნობა), ტერმინი, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში მ.შ. აშშ-ი იხმარება კოსმონავტიკის ნაცვლად. დღევანდელ ვითარებაში **ა**-ს დიდი სამხედრო მნიშვნელობა აქვს (მაგალითად დედამიწასთან კავშირი, სამხედრო ობიექტების მონახვა და ა.შ.).

ასტრონომიული ნავიგაცია, ხომალდების და საფრენი აპარატების ტარების თეორია და პრაქტიკა ასტრონომიული მეთოდების გამოყენებით ადგილმდებარეობის, მიმართულების, ზუსტი დროის დასადგენად და ხელსაწყოების შესასწორებლად.

ასურეთი, ძველი მონათმფლობელური სახელმწიფო თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე. **ა**-ის მეფეები აწარმოებდნენ ფართომასშტაბიან დაპყრობით ომებს. **ა**-მა ძლიერების მწვერვალს მიაღწია ძვ.წ. IX–VII საუკუნეების I ნახევარში, როდესაც მისი საზღვრები ირანიდან ხმელთაშუა ზღვამდე და ეგვიპტემდე იყო გადაჭიმული. ასურელი დამპყრობლების აგრესიული და უკიდურესად სასტიკი პოლიტიკა მეზობელი ხალხების წინააღმდეგობას იწვევდა. VIII საუკუნის ბოლოდან ანტიასურული კოალიციები ჩამოყალიბდა. ხანგრძლივი ომების შედეგად ძვ.წ. 605 წელს **ა**. გაანადგურეს მიდიისა და ბაბილონის სამეფოებმა.

ასწლიანი ომი 1337–1453, ომი ინგლისისა და საფრანგეთის სამეფოებს შორის საფრანგეთში ბატონობისათვის. ინგლისს მხარს უჭერდნენ მასთან ეკონომიკურად დაკავშირებული ფლანდრია (თანამედროვე ბელგიის დასავლეთი ნაწილი) და სეპარატისტულად განწყობილი ფრანგული რეგიონები, საფრაგეთს კი – შოტლანდია და რომის პაპი. **ა.ო**. თავდაპირველად ინგლისის სასარგებლოდ წარიმართა. მისი დაქირავებული ჯარი – რაინდთა რაზმების და თავისუფალი გლეხობისგან შემდგარი ქვეითები იყვნენ, რომელთა საუკეთესი ნაწილს მშვილდოსნები წარმოადგენდნენ. მათ *კრესისთან* (1346) და *პუატიესთან* (1356) დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვეს ფრანგი რაინდების ცხენოსან ლაშქარზე. *აზენკურთან* გამარჯვების (1415) შემდეგ ინგლისელებმა ბურგუნდიელ ფეოდალებთან ერთად მთელი ჩრდილო საფრანგეთი დაიპყრეს პარიზის ჩათვლით. XV საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთში ოკუპანტების წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გაიშალა *ჟანა დ'არკის* მეთაურობით. ამ დროიდან ომის მსვლელობაში მკვეთრი გარდატეხა მოხდა, რაზეც გავლენა ვერ მოახდინა ინგლისელთა მიერ *ჟანა დ'არკის* შეპყრობამ და სიკვდილით დასჯამ (1431). ომი დამთავრდა ინგლისელთა კაპიტულაციით ქ. ბორდოში 1453 წელს. საზავო ხელშეკრულების თანახმად, საფრანგეთის ტერიტორიაზე მათ შეინარჩუნეს მხოლოდ ქ. კალე 1558 წლამდე. ასწლიანი ომი საფრანგეთის მოსახლეობას დიდი მსხვერპლის ფასად დაუჯდა, ქვეყნის ეკონომიკა განადგურდა. ამავე დროს განმათავისუფლებელი ომის მსვლელობაში გაძლიერდა ფრანგი ხალხის ეროვნული თვითშეგნება. **ა.ო**-ის დამთავრების შემდეგ გაგრძელდა საფრანგეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი.

ატამანი, 1. რევოლუციამდელ რუსეთში: კაზაკთა ჯარში და სოფლებში დანიშნული ან არჩეული უფროსი, რომელიც ასრულებდა სამხედრო, პოლიციურ და ადმინისტრაცულ ფუნქციებს. 2. სამოქალაქო ომის ეპოქაში: თეთრგვარდიული ბანდის მეთაური უკრაინაში, დონზე, შუა აზიასა და ციმბირში. 3. საერთოდ, რაიმე ბანდის მეთაური.

ატაშე, დიპლომატიური მუშაკის თანამდებობა ან რანგი; პირი, რომელიც მივლინებულია საელჩოში ან დიპლომატიურ მისიაში და წარმოადგენს თავისი ქვეყნის შესაბამის უწყებას მოცემული ქვეყნის უწყებათა წინაშე. დიპლომატიურ წარმომადგენლობებში შეიძლება იყოს სამხედრო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო **ა**. და სხვა. ყველა კატეგორიის **ა**. დიპლომატიური კორპუსის შემადგენლობაში შედის და დიპლომატიური პრივილეგიებით და იმუნიტეტით სარგებლობს.

ატილა (Attila) (406–453), *ჰუნების* წინამძღოლი 434 წლიდან, რომელსაც ემორჩილებოდა აგრეთვე არაერთი გერმანული, სლავური და სარმატული ტომი. ტომთა გაერთიანები ცენტრი მდებარეობდა პანონიაში (ახლანდელი უნგრეთის ტერიტორიაზე). 443, 447–448 წლებში ილაშქრა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, ააოხრა ბალკანეთის პროვინციები და კონსტანტინოპოლამდე მივიდა. 451 წელს შეიჭრა გალიაში, მაგრამ დამარცხდა რომაელთა და გერმანელ ტომთა გაერთიანებულ ძალებთან ბრძოლაში. 452 წელს ხელახლა ილაშქრა დასავლეთ რომის იმპერიაში და დაარბია ჩრდილოეთ იტალია. **ა**-ს სიკვდილის შემდეგ ჰუნთა გაერთიანება ერთბაშად დაიშალა.

ატლანტიკაზე ნატოს გართიანებული შეიარაღებული ძალების მოკავშირე სარდლობა, ატლანტიკაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის ძველი სახელწოდება. იხ. *ატლანტიკაზე ნატოს გართიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობა.*

ატლანტიკაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, ნატოს სტრატეგიული სარდლობის სარდალი. მიღებული უფლებამოსილების შესაბამისად ჩრდილოატლანტიკურ ზონაში ან მის საზღვრებს გარეთ. პასუხიმგებელია: საერთო დაგეგმვაზე, ყველა სამხედრო საქმიანობის და სამხედრო საქმეების კონტროლსა და წარმოებაზე. ატლანტიკაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდალს ძირითადად ევალება: 1. მშვიდობიანობის დროს – თავისი სარდლობის ზონის თავდაცვის გეგმების მომზადება, სახეობათაშორისი და მრავალეროვნული სწავლებების ჩატარება, საბრძოლო მომზადების ნორმატივების დაწესება, ნაწილების საორგანიზაციო-საშტატო განრიგის განსაზღვრა და თავისი სარდლობის სტრატეგიული მოთხოვნების შესახებ ნატოს ხელმძღვანელი სამხედრო ორგანოების ინფორმირება. გარდა ამისა პასუხისმგებელია პარტნიორ სახელმწიფოებთან „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამით სამხედრო კავშირების განვითარებაზე. 2. კრიზისის ან ომის დროს – ატლანტიკაზე, მოკავშირე სარდლობის მთელ ტერიტორიაზე, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობაში გადაცემული ყველა სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ოპერაციების მართვა. მას პირდაპირი ურთიერთობა აქვს შტაბების უფროსებთან, თავდაცვის მინისტრებთან და მთავრობების მეთაურებთან.

ატლანტიკაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობა, შტაბი განლაგებულია აშშ-ში, ვირჯინიის შტატის ქ. ნორფოლკში. მისი პასუხისმგებლობის ზონა ვრცელდება ჩრდილოეთ პოლუსიდან რაკას ტროპიკამდე და ჩრდილო ამერიკის სანაპირო წყლებიდან პორტუგალიის ჩათვლით ევროპის და აფრიკის სანაპირო წყლებამდე, მაგრამ ლა-მანშის სრუტის და ბრიტანული კუნძულების გამოკლებით, რომლებიც განეკუთვნება ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ სარდლობას.

ატლანტიკის ომის თეატრი, ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთი ნაწილის აკვატორია კუნძულებით და არქიპელაგებით. მოიცავს არეს არქტიკიდან ჩრდილოეთ ტროპიკებამდე კონტინენტების სანაპირო ზონებით და საჰაერო სივრცით მათ თავზე. მის ფარგლებში, აშშ-ებისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის (ნატო) სამხედრო ხელმძღვანელობის შეხედულებით, შეიძლება წარიმართოს სტრატეგიული მასშტაბის სამხედრო მოქმედებები. **ა.ო.თ.** დაყოფილია სამ საოკეანო ზონად: დასავლეთ ატლანტიკად, აღმოსავლეთ ატლანტიკად და იბერიის ატლანტიკად (ფაქტობრივად, დამოუკიდებელი საომარი მოქმედებების თეატრად), რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია რაიონებად.

შეერთებული შტატებისა და ნატოს სარდლობა **ა.ო.თ**-ს მიიჩნევენ ერთ-ერთ მთავარ საოკეანე თეატრად. მის ფარგლებში შექმნილია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობა ატლანტიკაში (შტაბი ქ.ნორფოლკში, აშშ), რომელიც აკონტროლებს 42 მლნ. *კვკმ.* ოკეანის აკვატორიას. ნატოს ატლანტიკის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შედის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, კანადის, ნიდერლანდებისა და პორტუგალიის სამხედრო-საზღვაო ძალები. ისინი განლაგებულია საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის მთავარი სარდლობების ფარგლებში (მშვიდობიანობის დროს ფუნქციონირებენ მხოლოდ შტაბები) დასავლეთის (ნორფოლკი, აშშ), აღმოსავლეთის (ნოტვუდი, ლონდონის გარეუბანი, დიდი ბრიტანეთი) და იბერიის (ლისაბონი, პორტუგალია) ატლანტიკაში. ასევე ატლანტიკის დამრტყმელი ფლოტის სარდლობისა და გაერთიანებული წყალქვეშა ძალების სარდლობის ფარგლებში. ნატოს ატლანტიკის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, გარკვეული პირობებით, შეიძლება გამოიყოს საფრანგეთის, ესპანეთისა და გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები. **ა.ო.თ**-ის სტრატეგიული მნიშვნელობა განისაზღვრება მისი როლით საოკეანო და საზღვაო კომუნიკაციების წარმატებულ ფუნქციონირებაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ჯარებისა და ტვირთის სტრატეგიული გადასროლა ამერიკიდან ევროპაში. **ა.ო.თ**-ს

ეკვრის ევროპის ომის თეატრი. **ა.ო.თ**-ში შექმნილია სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზირების, ლოგისტიკის, თვალთვალისა და დაზვერვის, მართვისა და კავშირგაბმულობის, რადიოსანავიგაციო უზრუნველყოფის განვითარებული სისტემები. თეატრის სამხედრო-საზღვაო ინფრასტრუქტურა განუწყვეტლივ იხვეწება. ამასთან, ფართოდ გამოიყენება რეგიონის ქვეყნების კუთვნილი ტერიტორიები და სამფლობელოები სხვა ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების მფლობელობაშია ან იჯარით აქვს ბაზები ისლანდიაში, დიდ ბრიტანეთში, ესპანეთში; ბერმუდის, ბაჰამის, ანტილის კუნძულები; კუბის კუნძულზე (გუანტანამო), აბორისა და კანარის კუნძულებზე; დიდ ბრიტანეთს – ბაჰამის, ანტილის, ფოლკლენდის (მალვინის) და ამაღლების კუნძულებზე. გათვალისწინებულია ნატოს ძალების მოქმედებისა და მუდმივი ყოფნის ზონის გაფართოება ჩრდილოეთ ტროპიკების სამხრეთით.

ატლანტიკის ქარტია, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის დეკლარაცია, რომელსაც 1941 წლის 14 აგვისტოს ატლანტიკურ ოკეანეში, ბრიტანეთის სახაზო ხომალდ „უელსის პრინცზე“, ხელი მოაწერეს აშშ-ის პრეზიდენტმა ფ. რუზველტმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა. დეკლარაციაში საუბარი იყო ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებისა და ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის შესახებ. აღინიშნა, რომ ქარტიის ხელმომწერი მხარეები უარს აცხადებდნენ ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებაზე და მხარს უჭერდნენ ხალხთა უფლებას, თვითონ აერჩიათ მმართველობის ფორმა. **ა.ჭ**-მ საფუძველი ჩაუყარა ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნას. 1941 წლის სექტემბერში მას შეუერთდა სსრ კავშირი და ცხრა სხვა სახელმწიფო. 1942 წლის 1 იანვარს **ა.ჭ**-ის მხარდამჭერი 26 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს *ვაშინგტონის დეკლარაციას.*

„ატლანტიკური ზღუდე“ (გერმანული – „atlantik Wall“), კოდური სახელწოდება, თავდაცვითი ხაზისა, რომელიც გერმანელებმა შექმნეს დასავლეთ ევროპის სანაპიროზე 1942–44 წლებში ინგლის-ამერიკის ჯარების კონტინენტზე შეჭრის თავიდან ასაცილებლად. იგი გადაჭიმული იყო დანიიდან ესპანეთამდე (4000 *კმ*). 1944 წლის ზაფხულისათვის **„ა.ზ“**-ის მშენებლობა დასრულებული იყო პა-დე-კალეს სრუტის მონაკვეთზე 68%-ით, ხოლო ფრონტის დანარჩენ ნაწილზე – 18%-ით. ამიტომ დასავლელი მოკავშირეების ევროპაში შეჭრის მომენტისათვის **„ა.ზ.“** მათთვის სერიოზულ დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. მან ვერ გაამართლა გერმანიის სარდლობის იმედი; თუმცა საშუალება მისცა მას დასავლეთის ფრონტზე გამოეყენებინა მცირერიცხოვანი, მეორეხარისხოვანი ჯარები და მთავარი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე გაეგზავნა.

ატლანტის ოკეანე (ლათინური – mare atlanticum), სიდიდით მეორე ოკეანე (წყნარი ოკეანის შემდეგ). ჩრდილოეთით ესაზღვრება გრენლანდია, ისლანდია; აღმოსავლეთით – ევროპა და აფრიკა, დასავლეთით – ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკა, სამხრეთით – ანტარქტიდა. ფართობი – 76,7 მლნ. *კმ*², საშუალო სიღრმე 3.500 *მ*, მაქსიმალური – 8.440 *მ*. **ა.ო**-ის მნიშვნელოვანი კუნძულებია მატერიკული წარმოშობის კუნძულების ძირითადი ჯგუფები (დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ნიუფაუნდლენდი, დიდი და მცირე ანტილები, კანარი, ფოლკლენდი და სხვა), რომლებიც მდებარეობენ კონტინენტებთან ახლოს. ოკეანე ყველა კლიმატურ სარტყელშია მოქცეული. წყლის ტემპერატურა ზედაპირზე ეკვატორთან 27^{0}C, ხოლო ზედა განედებში ოკეანე იყინება. ტროპიკულ და სუბტროპიკულ განედებში ზედაპირული დინებები წარმოქნიან ანტიციკლონურ, ჩრდილოეთ ზომიერ და სამხრეთ მაღალ განედებში – ციკლონურ ტურბულენტობას. ჩრდილოეთ სუბტროპიკულ განედში ტურბულენტობა წარმოიქმნება ჩრდილოეთ პასატური, გოლფსტრიმის თბილი და კანარის ცივი დინებებით, სამხრეთი – თბილი პასატური, გოლფსტრიმის და ბრაზილიის დინებებით, ცივი – დასავლეთ ქარებისა და ბენგალის დინებებით. **ა.ო**. I და II მსოფლიო ომებში სამხედრო მოქმდებების მნიშვნელოვან ასპარეზს წარმოადგენდა. მისი მნიშვნელობა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში განისაზღვრება სახელმწიფოებს და რეგიონებს შორის კავშირების განვითარებით, ოკეანური და საზღვაო გადაზიდვების გაზრდით. ოკეანის სანაპიროზე გამავალი ქვეყნები აწარმოებენ მრეწველობის 4/5-ზე და სოფლის მეურნეობის 3/5-ზე მეტ პროდუქციას პლანეტის მასშტაბით. **ა.ო**-ზე მოწყობილია მსოფლიო საზღვაო პორტების 3/4-ზე მეტი. ხორციელდება მსოფლიო საზღვაო გადაზიდვების დაახლოებით 2/3. **ა.ო**-ში მოპოვებული წიაღისეულიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია ნავთობს და გაზს. განსაკუთრებით დიდი მოცულობით ხდება მათი მოპოვება ჩრდილოეთ, კარიბის და ხმელთაშუა ზღვებში, მექსიკისა და გვინეის ყურეში; აგრეთვე მნიშვნელოვანია თევზის რეწვა, რაც შეადგენს მსოფლიო თევზჭერის 2/5-ზე მეტს. თავმოყრილია დასავლეთის მოწინავე ქვეყნების ფლოტების ძირითადი ძალები.

ატომური არტილერია, სპეციალური საარტილერიო ქვემეხები, რომლებიც ისვრიან მხოლოდ ბირთვულ საბრძოლო მასალებს. პირველი ასეთი ქვემეხი გახდა ამერიკული 42,6 *ტ*. მასის 280-*მმ* ზარბაზანი (1951). 50-იან წლებში **ა.ა**. შეიქმნა სსრ კავშირშიც: დამ-

ზადდა 406-*მმ* „კონდენსატორ“ ზარბაზნის და 420-*მმ* „ოკა“ ნაღმსატყორცნის რამდენიმე საცდელი ნიმუში მუხლუხა თვითმავალ შასიზე. მაგრამ ისინი არ მიუღიათ შეიარაღებაში მეტისმეტად დიდი გაბარიტისა და მასის გამო (დაახლოებით 65*ტ*), მიზეზი ისიც იყო, რომ გაჩნდა შესაძლებლობა, შეექმნათ ნაკლები კალიბრის საარტილერიო ბირთვული ჭურვები, რომელთა სროლა შეიძლებოდა საველე არტილერიის ჩვეულებრივი ქვემეხებიდან. ამის გამო ტერმინი ხმარებიდან გამოვიდა.

ატომური ბომბი, იხ. *ბირთვული საბრძოლო მასალები.*

ატომური ენერგიის საერთაშორისო საბჭო, (ინგლისური International Atomic Energy Agency - IAEA), სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია საერთაშორისო თანამშრომლობა ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების სფეროში. შეიქმნა 1957 წელს. შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთო სისტემაში, გაფორმებული აქვს მასთან განსაკუთრებული ხელშეკრულება. ყოველწლიურად წარუდგენს მოხსენებას გენერალურ ასამბლეას და აუცილებლობის შემთხვევაში – გაეროს უშიშროების საბჭოს. მისი მუშაობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის უზრუნველყოფა. ხელმძღვანელი ორგანოები: გენერალური კონფერენცია, მმართველთა საბჭო და სამდივნო. შტაბბინა განთავსებულია ვენაში.

აუნაზღაურებელი ზარალი (ბირთვულ ომში), მოწინააღმდეგის მიერ საპასუხო ბირთვული დარტყმის შედეგად სახელმწიფოს სავარაუდო დანაკარგების ისეთი სიდიდე, რომელიც არამიზანშეწონილს ხდის მის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას. **ა.ზ**-ის დონის გათვლისას, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებენ დაზიანებისთვის ყველაზე მეტად მოწყვლად ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ობიექტებს, სახელმწიფო და უმაღლესი სამხედრო მართვის სისტემებს. მათი განადგურება საბოლოო ჯამში სტრატეგიული მასშტაბის სამხედრო მოქმედებების წარმოებას და სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარის დაკარგვას იწვევს.

აუსტერლიცის ბრძოლა, გადამწყვეტი ბრძოლა აუსტერლიცის (ახლანდელი – ქ. სლავკოვი, ჩეხეთი) მიდამოებში რუსეთ-ავსტრიისა და საფრანგეთის ჯარებს შორის 1805 წლის 20 ნოემბერს (2 დეკემბერს) *რუსეთ-ავსტრია-საფრანგეთის ომის* დროს. ფრანგულმა არმიამ *ნაპოლეონ I*-ის სარდლობით (73 ათ. კაცი, 250 ქვემეხი) დაამარცხა რუსეთ-ავსტრიის ჯარები (81,5 ათ. კაცი, 350 ქვემეხი), რომლებსაც მეთაურობდა გენერალი მ. კუტუზოვი. მოკავშირეთა კოალიციამ დაკარგა – 27 ათ. კაცი და 185 ქვემეხი; ფრანგებმა – 12 ათ-ზე მეტი ადამიანი. ნაპოლეონის გამარჯვებამ **ა.ბ**-ში ცხადყო საფრანგეთის არმიის ახალი სამხედრო სისტემის (გაფანტულ წყობასთან შეჯერებული კოლონების ტაქტიკის) უპირატესობა რუსული და ავსტრიული არმიების მოძველებულ სამხედრო სისტემებსა და ხაზოვან ტაქტიკაზე. **ა.ბ**-ის შემდეგ მესამე ანტიფრანგული კოალიცია დაიშალა.

აუფეთქებელი მასალების განადგურება, ინჟინერ-ამფეთქებელთა ჯგუფის მიერ იმ ადგილის გამოვლენა, სადაც აუფეთქებელი საბრძოლო მასალაა დარჩენილი და ამ მასალის უსაფრთხოდ განადგურება ყველა ზომის გატარებით.

აფეთქება, შეზღუდულ მოცულობაში ენერგიის საგანგებოდ სწრაფი (რამდენიმე მიკროწამში) გათავისუფლების პროცესი. წარმოიქმნება ქიმიური ან შიდაბირთვული ენერგიის გამოყოფის შედეგად (შესაბამისად, ჩვეულებრივ ან ბირთვულ საბრძოლო მასალებში); ელექტრო-რადიაციული და კინეტიკური ენერგიის გარდაქმნა სითბოდ; გარემოს ენერგიის გათავისუფლება და სხვა. ჩვეულებრივ **ა**-სთან ერთად გამოიყენება მიმართული **ა**. (კუმულაციური ეფექტის გამოყენებით) და მოცულობითი **ა**. სამხედრო საქმის გარდა **ა**. გამოიყენება მანქანათმშენებლობაში (ფეთქებადი შედუღება, შტამპვა), მშენებლობაში, სამთო საქმეში და სხვა.

აფეთქებამედეგობა, ობიექტის უნარი შეწინააღმდეგოს აფეთქების ტალღის მექანიკურ ზეგავლენას. ფასდება დარტყმითი ტალღის ფრონტში არსებული დასაშვები ჭარბი წნევით, აფეთქების ადგილიდან მანძილით ან აფეთქებების რაოდენობით. ამ დროს ობიექტი ინარჩუნებს დანიშნულებისამებრ გამოყენების უნარს.

აფეთქების ეპიცენტრი, რეალური ბირთვული აფეთქების ცენტრალური წერტილი დედამიწის ზედაპირზე, ასევე ვერტიკალურად მის ზემოთ ან ქვემოთ.

აფეთქების ეფექტი, მიწის ზედაპირზე ან მის ზევით და ქვემოთ მომხდარი აფეთქების ძალის მიერ გამოწვეული ნგრევა და მსხვერპლი.

აფეთქების სიმაღლე, ვერტიკალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან ან მიზნიდან აფეთქების წერტილამდე.

აფეთქების ტალღა, აფეთქებით გამოწვეული დარტყმითი ტალღა (შეკუმშვის ტალღა), რომელიც მოცემულ გარემოში ზებგერითი სიჩქარით ვრცელდება. **ა.ტ**-ის ფრონტზე (საზღვარზე) გარემოს პარამეტრები (წნევა, სიმკვრივე, ტემპერატურა, სიჩქარე) ნახტომისებრად იზრდება, ტალღის გავლის შემდეგ გარემოს წნევა და სიმკვრივე სწრაფად კლებულობს და გარკვეულ ინტერვალში საწყის სიდიდეზე ნაკლები ხდება. ამიტომ შეკუმშვის ტალღას გაიშვიათების ტალღა მოსდევს. **ა.ტ**-ის წარმოქმნა დაკავშირებულია აფეთქების

აირებთან, რომელთა მოქმედება გარემოზე დარტყმითი ხასიათისაა. მათი გაფართოების პროცესი სწრაფად მთავრდება და ტალღის შემდგომი გავრცელება ხდება აფეთქების აირებიდან დასაწყისში მიღებული ენერგიის საშუალებით. ენერგია თანდათან იხარჯება გარემოს გახურებასა და გადაადგილებაზე. **ა.ტ**. ვრცელდება ყველა მიმართულებით, რის გამოც მისი მოქმედების არე ფართოვდება, ხოლო წნევა, შესაბამისად, მცირდება. **ა.ტ**. თავისი გავრცელების კვალდაკვალ სუსტდება და ბოლოს ჩვეულებრივ ბგერით ტალღად გადაიქცევა (მყარ გარემოში – დრეკად ტალღად).

აფეთქების დამანგრეველი ეფექტი განპირობებულია გარემოზე აფეთქების აირების უშუალო მოქმედებით და **ა.ტ**-ის გავრცელებით. როდესაც **ა.ტ**-ის ფრონტზე ჭარბი წნევა (ჰაერის ნორმალური წნევის ზევით) 0.5 *ატ-ს* შეადგენს, კაპიტალური შენობები ინგრევა; რამდენიმე მეასედი *ატ* იწვევს ფანჯრის ჩარჩოების გამოგდებას; ადამიანს კლავს 2 *ატ* წნევის მქონე ტალღა, ხოლო 0.2 *ატ*-ზე მეტი წნევა კონტუზიას იწვევს. შესამჩნევი ზიანი არ მოაქვს მხოლოდ ისეთ **ა.ტ**-ს, როდესაც წნევა რამდენიმე მეათასედ *ატ*-ს არ აღემატება.

აფრენა, თვითმფრინავის (ვერტმფრენის) აჩქარებული მოძრაობა გარბენის დაწყებიდან 10 *მ* სიმაღლის აკრეფამდე ჰორიზონტალური აფრენის დროს, ხოლო ვერტიკალური აფრენისას საფრენი აპარატის დედამიწის ზედაპირიდან (დასაჯდომი მოედანი, გემბანი) მოწყვეტის შემდეგ მინიმალურად დაშვებული სიჩქარის მიღწევასა და ძალური დანადგარის სამარშო რეჟიმში (ვერტმფრენისთვის – ზედაპირის გავლენისგან თავისუფალი სიმაღლის მიღწევამდე) გადასვლამდე.

აფრიკა, სიდიდით მეორე კონტინენტი ევრაზიის შემდეგ. ფართობი კუნძულებით 30,3 მლნ. *კმ²*. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გადაჭიმულია 8.000 *კმ*-ზე, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (ჩრდილოეთ ნაწილში) 7.500 *კმ*-ზე. **ა**-ს ეკვრის ატლანტის და ინდოეთის ოკეანეები, ხმელთაშუა და წითელი ზღვები. **ა**-ს აზიასთან აკავშირებს სუეცის არხი. გიბრალტარის სრუტე გამოყოფს მას ევროპისაგან. **ა**-ს ეკუთვნის მადაგასკარის, კომორის, სეიშელის, მწვანე კონცხისა და სხვა კუნძულები. **ა**-ის ტერიტორიის 2/3 უკავია უდაბნოებსა და სავანებს. საშუალო სიმაღლე ზღვის დონიდან 750 *მ*, უმაღლესი წერტილი – ვულკანი კილიმანჯარო (სიმაღლე – 5.895 *მ*). რელიეფში ჭარბობს ვაკე, პლატო და დაბალმთიანეთი. ზღვის დონიდან ამაღლების მიხედვით ა. იყოფა ჩრდილო-დასავლეთ დაბალ (200 – 400 *მ*. საჰარის და სუდანის ვაკე და პლატო) და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ზედა ნაწილებად (1.000 *მ*). საჰარის ცენტრში მდებარეობს აჰაგარის, ტიბესტის, დარფურის მთიანი ადგილები. ჩრდილო-დასავლეთიდან მას ესაზღვრება ატლასის მთები, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ეთიოპიის მთიანეთი. ეკვატორულ **ა**-ში კონგოს დაბლობი დასავლეთიდან შემოსაზღვრულია სამხრეთ გვინეის მაღლობით, სამხრეთიდან – ლუნდა-კატანგას დაბალმთიანეთით, ხოლო აღმოსავლეთით – აღმოსავლეთ- აფრიკული დაბალმთიანეთით. სამხრეთით კალაჰარის ვაკე შემოფარგლულია დამარალენდის, დიდი ნამეკვალენდის და დრაკონის მთებით. მდინარეების სისტემა განსაკუთრებით ხშირი და წყალუხვია ეკვატორულ ზონაში. მსხვილი მდინარეებია: კონგო, ნილოსი, ნიგერი, ზამბეზი. **ა**. ყველაზე ცხელი კონტინენტია. კლიმატური ზონები მოიცავს ეკვატორულ, ტროპიკულ, სუბტროპიკულ ზონებს. კონტინენტის ცენტრალურ ნაწილში გვხვდება ხშირი, მარადმწვანე, ნოტიო ტროპიკული ტყეები. ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებში ნალექის რაოდენობის შემცირებასთან ერთად ისინი იცვლებიან მარადმწვანე ტყეებით, შემდგომ მაღალბალახიანი სავანებით, ტროპიკული მეჩხერი ტყეებით და უდაბნოსავანებით, უდაბნო რაიონებში (საჰარა, სუდანი) – უდაბნოს მცენარეულით. **ა**-ს უკავია პირველი ადგილი მსოფლიოში მარგანეცის, ქრომიტის, ბოქსიტის, ოქროს, ალმასის, ფოსფორიტის მადნის მარაგით; მეორე ადგილი – თუჯით, ასბესტით, ურანით, ბერილით, გრაფიტით; მესამე ადგილი – ნავთობით, აირით, ვერცხლისწყლით, რკინის მადნით. **ა**-ის კონტინენტსა და მიმდებარე კუნძულებზე მდებარეობს 54 სახელმწიფო და ზოგიერთი დამოკიდებული ტერიტორია.

აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაცია, აფრიკის ქვეყნების საერთაშორისო, სამთავრობოთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1963 წელს. შედის 53 სახელმწიფო. მიზნები: აფრიკული სახელმწიფოების ერთიანობის და სოლიდარობის მხარდაჭერა; პოლიტიკის, დიპლომატიის, თავდაცვის, ეკონომიკის, განათლებისა და კულტურის სფეროებში მათი მოქმედების კოორდინაცია; კონტინენტზე კოლონიალიზმის და რასიზმის ნარჩენებთან ბრძოლა. უმაღლესი ორგანო – სახელმწიფოების და მთავრობების ხელმძღვანელობის ყოველწლიური ასამბლეა. მუდმივი ადმინისტრაციული ორგანო – გენერალური სამდივნო (ადის-აბება). მოქმედებს მრავალი სპეციალიზებული ორგანოები: ეკონომიკის და სოციალურ საკითხთა; მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის; თავდაცვის კომიტეტები; დროებითი კომიტეტები. **ა.ძ.ე.ო**-ის გადაწყვეტილებებს აქვს საკონსულტაციო ხასიათი. **ა.ძ.ე.ო**. არის მუდმივი მეთვალყურე გაეროში, თანამშრომლობს არაბული სახელმწიფოების ლიგასთან.

აფხაზეთის აჯანყება 1821–27, ანტირუსული აჯანყება აფხაზეთში, რომელიც 1810 წლიდან ავტონომიურ სამთავროს წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში. შეიარაღებული გამოსვლები დაიწყო აფხაზეთის მთავრის გიორგი (საფარბეგ) შარვაშიძის გარდაცვალების (1821 წლის 7 თებერვალი) შემდეგ. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა აფხაზეთის ყოფილი მთავარი, ოსმალური ორიენტაციის ასლანბეგ შარვაშიძე. იმერეთის მმართველი გენერალი გორჩაკოვი რეგულარული ჯარის დანაყოფებით (1,5 ბატალიონი, 2 ქვემეხი) და მილიციით (600 კაცი) გამდგარი აფხაზეთის წინააღმდეგ დაიძრა. ცხარე შეტაკება მოხდა კოდორთან, სადაც 3 ათ. აფხაზი იყო გამაგრებული. მთავრობის ჯარმა გაარღვია აჯანყებულთა პოზიციები და სოხუმში შევიდა. აქედან გორჩაკოვი ბზიფის მხარეში (ახლანდელი გუდაუთის რაიონი) შეიჭრა, სადაც მისმა რაზმებმა მრავალი სოფელი გადაწვეს. გორჩაკოვმა აფხაზეთის მთავრად გამოაცხადა გიორგი შარვაშიძის ვაჟი, რუსეთში გაზრდილი და გარუსებული დიმიტრი, რომლის დასაცავად ლიხნის რეზიდენციაში დატოვა 300 ჯარისკაცი 2 ქვემეხით. მცირე ხნის შემდეგ ასლანბეგმა შეუტია ლიხნის გარნიზონს, მაგრამ მოგერიებულ იქნა და აფხაზეთიდან გადაიხვეწა. სასტიკი რეპრესიების მიუხედავად აფხაზეთში წინააღმდეგობის იდეა არ გამქრალა. დიმიტრი შარვაშიძე პოპულარობით არ სარგებლობდა, ხოლო 1822 წელს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა (ოფიციალური ვერსიით, მსახურმა მოწამლა). 1823 წელს აფხაზეთის მთავრად დაამტკიცეს დიმიტრის უმცროსი ძმა – 13 წლის მიხეილი, მაგრამ არც მისი ხელისუფლება იყო მტკიცე. 1824 წლის 22 მაისს აჯანყებულმა აფხაზებმა რუსთა სამხედრო რაზმი (225 კაცი) გაანადგურეს, მოკლულთა შორის იყო სოხუმის კომენდანტი. ამის შემდეგ აჯანყებამ მთელი სამთავრო მოიცვა. სამშობლოში კვლავ დაბრუნდა ასლანბეგი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ბრძოლას. რუსეთის სარდლობამ ენერგიული ზომები მიიღო აჯანყების ჩასახშობად: აფხაზეთში კვლავ გაილაშქრა გორჩაკოვმა 1400 ჯარისკაცით და 4 ქვემეხით; მას შეუერთდა სამეგრელოს სამთავროს მხედრობაც (1100 კაცი). სევასტოპოლიდან გამოიძახეს სამხედრო გემები. პირველი შეტაკება ენგურთან მოხდა. მთავრობის ჯარი მძიმე ბრძოლებით მიიწევდა წინ. 20 ივლისს დაიწყო შეტევა ბზიფის მიმართულებით. რუსებმა გაფანტეს აჯანყებულები და ბლოკადისგან იხსნეს ლიხნის გარნიზონი. დამარცხებული ასლანბეგი ისევ გადაიხვეწა. სიტუაცია სამთავროში შედარებით დაწყნარდა მხოლოდ 1827 წლისათვის.

აფხაზეთის აჯანყება 1840–42, ანტიკოლონიური აჯანყება მთიანი აფხაზეთის ოლქებში – დალსა და წებელდაში (მდინარე კოდორის ზემო და შუა წელი). დალ-წებელდა, სადაც მარშანიათა ფეოდალური საგვარეულო პირველობდა, 1810 წელს აფხაზეთის სამთავროს რუსეთის იმპერიაში შესვლის შემდეგ 1837 წლამდე ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას. 1840 წლის დასაწყისში ზღვიპირა აფხაზურადიღურმა ტომებმა (უბიხებმა, შაფსუღებმა, ჯიქებმა) გააააქტიურეს ბრძოლა რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. მათ აჯანყებისკენ მოუწოდეს აგრეთვე დალ-წებელდის მოსახლეობას, რომელიც უკმაყოფილო იყო რუსეთის მიერ დამყარებული კოლონიური რეჟიმით. აჯანყებას სათავეში ჩაუდგა დალელი თავადი შაბათ მარშანია. რუსეთის ხელისუფლებამ აჯანყების ჩასახშობად 1840 წლის ზაფხულში დამსჯელი რაზმი გაგზავნა, რომელმაც წებელდა დაიკავა. იმავე წლის დეკემბერში მთავრობის ჯარი (რეგულარული ჯარის 6 ასეული 6 ქვემეხით და 1300 მილიციელი) დალში შეიჭრა. დამსჯელი რაზმის მეთაურს პოლკოვნიკ მურავიოვს განზრახული ჰქონდა დალელები მშობლიური ადგილებიდან გაეძევებინა და მოესპო მთელი აფხაზეთის უკმაყოფილო ელემენტების თავშესაფარი, მაგრამ ტყეში გასულმა დალელებმა მტერს ზურგიდან შემოუარეს და კომუნიკაციები გადაუჭრეს. საექსპედიციო რაზმი დაღუპვისაგან იხსნეს ცარიზმის მომხრე ფეოდალებმა, რომლებმაც მომხდურები მთის ბილიკებით სამშვიდობოს გაიყვანეს. 1841 წელს ანტიკოლონიური ბრძოლა აფხაზეთში გააქტიურდა. 1842 წელს წებელდაში ერთ-ერთი შეტაკების დროს დაიღუპა შ. მარშანია. იგი შეცვალა მისმა უმცროსმა ძმამ – ეშსოუმ,
რომელიც წლების განმავლობაში კიდევ აგრძელებდა პარტიზანულ ომს რუსეთის ჯარების წინააღმდეგ. მას ბაზები ჰქონდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიასა და ფსხუში (მდინარე ბზიფის ზემოწელზე), სადაც არ იყო რუსული ადმინისტრაციის კონტროლი. მარშანიათა საგვარეულოს ზოგი სხვა წარმომადგენელი კი აქტიურად ეხმარებოდა მთავრობის ჯარებს, რისთვისაც მათ აჯანყების მონაწილეთა სამფლობელოები მიიღეს.

აფხაზეთის აჯანყება 1866, აჯანყება აფხაზეთში, რომელიც გამოწვეული იყო კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებით 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და აქ რუსეთის უშუალო მმართველობის შემოღების შემდეგ. მოვლენები დააჩქარა საგლეხო რეფორმის მზადებამ, რომელიც ხალხის აზრს არ ითვალისწინებდა. აჯანყება დაიწყო 26 ივლისს, სოფელ ლიხნში (ახლანდელი გუდაუთის რაიონი), სადაც აფხაზებმა მოკლეს „სოხუმის განყოფილების“ უფროსი პოლკოვნიკი კონიარი თანმხლები პირებით (ოფიცრები, ჩინოვნიკები და კაზაკები). აჯანყებულებმა იმავე დღეს გამოაცხადეს ლაშქრობა სოხ-

უმზე. თავდასხმის სხვა სამიზნეებად აირჩიეს ბიჭვინთისა და წებელდის სიმაგრეები. გამოცხადდა აფხაზეთის სამთავროს აღდგენა და მთავრად აირჩიეს (ფაქტობრივად, მისი სურვილის გარეშე) 19 წლის გიორგი შარვაშიძე, უკანასკნელი მთავრის, მიხეილის, ვაჟი. სასტიკი ბრძოლები გაიმართა სოხუმთან 27–30 ივლისს. აფხაზები ქალაქში შეიჭრნენ, მაგრამ ციხესიმაგრე ვერ აიღეს. 30 ივლისის შემდეგ საბრძოლო მოქმედებებში მკვეთრი გარდატეხა მოხდა, ვინაიდან ამ დროისათვის აფხაზეთში უკვე დიდი რაოდენობით იყო შეყვანილი მთავრობის ჯარები ქუთაისის გენერალ-გუბერნატორ სვიატოპოლკ-მირსკის სარდლობით. მიუხედავად ამისა, სვიატოპოლკ-მირსკი არ ჩქარობდა უკანდახეულ აჯანყებულთა დადევნებას, რადგან პარტიზანული ომის ეშინოდა. მან მოლაპარაკებების გაგრძელება ირჩია. გენერალ-გუბერნატორმა აფხაზებს შესთავაზა წინააღმდეგობის შეწყვეტა და განიარაღება. სამაგიეროდ, რუსული მხარე მხოლოდ სასამართლო გარჩევით დაკმაყოფილდებოდა. ეს პირობები მიღებულ იქნა. მოსახლეობამ ხელისუფლებას ჩააბარა 6 500-ზე მეტი თოფი და დამბაჩა. საველე სასამართლოს გადაეცა აჯანყების აქტიური მონაწილენი, რომელთაგან 30 ადამიანი გააციმბირეს, ხოლო სამი – დახვრიტეს. ხელისუფლებას დანებდა გიორგი შარვაშიძეც. მთავრობამ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ბატონიშვილი აჯანყების ფორმალური მოთავე თავისი სურვილის გარეშე გახდა და მას შედარებით იოლი სასჯელი შეუფარდა – გაამწესეს ორენბურგის სამხედრო ოლქის ჯარებში კავკასიაში დაბრუნების უფლების გარეშე.

აფხაზეთის აჯანყება 1877, აჯანყება აფხაზეთში რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. აჯანყების უშუალო მიზეზი გახდა *1877–78 რუსეთ-ოსმალეთის ომის* დაწყება და აფხაზეთის სანაპიროზე 1877 წლის მაისში ოსმალთა ჯარების გადმოსვლა, რომლებიც მნიშვნელოვანწილად კავკასიელი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. რუსეთის ჯარების რაზმი, რომელსაც აფხაზეთის დაცვა ევალებოდა, უკუიქცა. აფხაზთა დიდი ნაწილი ოსმალებს მიემხრო, შეგროვდა ლაშქარი, რომელიც ოსმალებმა თანამედროვე შაშხანებით აღჭურვეს. ამასობაში რუსეთის სარდლობამ აფხაზეთში დამატებითი ძალები შეიყვანა გენერალ ი. ალხაზოვის (ალხაზიშვილი) სარდლობით, რომელიც აჯანყებულებთან რამდენიმე შეტაკების შემდეგ მდინარე ღალიძგაზე გამაგრდა. აფხაზები და ოსმალები ივნისში ცდილობდნენ ღალიძგის ფრონტის გარღვევას, მაგრამ უშედეგოდ. ივლისის დასაწყისში ალხაზოვის ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და აფხაზებს კოდორამდე დაახევინეს. 2 აგვისტოს დაიწყო აფხაზეთის კამპანიის უკანასკნელი ფაზა. სოხუმზე ერთი მიმართულებით ერთდროულად დაიძრა სამი საჯარისო შენაერთი. გენერალ ალხაზოვის რაზმი უტევდა კოდორის უბნიდან, პოლკოვნიკ შელკოვნიკოვის კოლონა – სოჭის მხრიდან, ხოლო გენერალ ბაბიჩის რაზმი დაეშვა მარუხის უღელტეხილიდან. აფხაზები სერიოზულ წინააღმდეგობას აღარ უწევდნენ რუსებს ისინი ცეცხლს უკიდებდნენ თავიანთ სახლებს და ოჯახებითა და საქონლით სოხუმისკენ გარბოდნენ, სადაც ევაკუაციისთვის გამალებული სამზადისი იყო. 19 აგვისტოსათვის ოსმალებმა დატოვეს სოხუმი, მათ გაჰყვა 40 ათ-მდე აფხაზი მუჰაჯირი.

აქემენიდების სახელმწიფო, ძველი სპარსეთის სახელმწიფო, რომელსაც სათავეში ედგა აქემენიდების დინასტია (ძვ.წ. 558–330). სახელმწიფოს დამაარსებელი იყო *კიროს II* დიდი (558–530), რომელმაც გააერთიანა ირანი, დაიპყრო მცირე აზია, ბაბილონეთი და ცენტრალური აზიის ნაწილი. მისმა შვილმა კამბისემ (530–522) დაიპყრო ეგვიპტე. შემდეგ სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდა დინასტიის გვერდითი შტოს წარმომადგენელი დარიოს I (522–486), რომელმაც დაიმორჩილა ინდოეთისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის მოსაზღვრე რაიონები. *ბერძენ-სპარსელთა ომებმა* (500–449) შეარყიეს ძველი სპარსეთის ძლიერება. **ა.ს.** გაანადგურა *ალექსანდრე მაკედონელმა.* სპარსელთა სამხედრო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი იყო სახმელეთო ძალებისა და ფლოტის კომბინირებული მოქმედებები, ხომალდებიდან ძლიერი დესანტების გადმოსხმა, ცხენოსანთა დიდი მასების გამოყენება. სპარსელები ბრძოლაში უპირატესობას ანიჭებდნენ სატყორცნ იარაღს (მშვილდისარი, ხელშუბი), ამიტომ შეკრული წყობით ეფექტური მოქმედებები უჭირდათ და მარცხდებოდნენ ბერძნულ ღრმა ფალანგასთან შეტაკების დროს.

აქსელბანდი (გერმანული achsel – მხარი, band – ზონარი, თასმა), დაწნული ზონარი (მოოქრული, მოვერცხლილი ან მრავალფეროვანი ძაფებისგან დამზადებული) ლითონის ბუნიკებით, რომელიც მიმაგრებულია მარჯვენა სამხრის ქვეშ. იგი გამოიყენება საზეიმო რიტუალებისთვის განკუთვნილ ფორმის ტანსაცმელზე.

აქტიური თავდაცვა, ისტორიულ ლიტერატურაში ტერმინი, რომელიც აღნიშნავს ერთ-ერთი მებრძოლი მხარის თავდაცვით ქმედებებს. **ა.თ.** მიმართულია არა მარტო ტერიტორიის შენარჩუნებისკენ, არამედ ძირითადად მოწინააღმდეგის მსხვილი ძალების დასუსტებისა და გამოფიტვისკენ.

აქტიური საჰაერო თავდაცვა, პირდაპირი თავდაცვითი ქმედება, მიმართული მოწინააღმდეგის საჰაერო ქმედებების ეფექტურობის ანულირებისკენ ან შემცირებისკენ. გულისხმობს საჰაერო თავდაცვის მიზნით საჰაერო

საფრენი აპარატების, საჰაერო თავდაცვის საიარაღო სისტემების, ელექტრონული ბრძოლის საშუალებების და იმ იარაღის გამოყენებას, რომელიც საჰაერო თვადაცვისთვის არ არის განკუთვნილი.

აქტიურ-რეაქტიული ჭურვი (ნაღმი), საარტილერიო ჭურვი (ნაღმი) რეაქტიული ამაჩქარებლით. აქვს ჩვეულებრივი ჭურვის სახე, რომლის კორპუსშიც ჩამონტაჟებულია რეაქტიული ძრავა. უკანასკნელი ჭურვს ანიჭებს დამატებით სიჩქარეს უკვე ფრენის ტრაექტორიაზე ყოფნის ფაზაში, რითაც ზრდის მისი ფრენის მანძილს 20–40%-ით.

აღა-მაჰმად-ხან ყაჯარი (1742–97), ირანის შაჰი 1796 წლიდან, ყაჯართა დინასტიის დამაარსებელი. გამოსული იყო ყაჯართა ტომის მმართველი ზედაფენიდან. ბავშვობაში დაასაჭურისეს. 80-იანი წლების შუა ხანებში ყაჯართა ძალებზე დაყრდნობით დაიწყო ბრძოლა ირანში პირველობისათვის და 1794 წელს ქვეყნის ფაქტობრივი მბრძანებელი გახდა. გამოირჩეოდა უკიდურესი სისასტიკით. 1795 წელს დალაშქრა ამიერკავკასია, *კრწანისის ბრძოლაში* დაამარცხა ქართული ჯარი, გაძარცვა და დაანგრია თბილისი. საქართველოდან დაბრუნებისა და ირანის შაჰინ-შაჰის ტიტულის მიღების შემდეგ (1796) დაიპყრო ხორასანი. ამიერკავკასიაში მეორედ ლაშქრობისას **ა.** მოკლეს შუშაში მისმა მსახურებმა.

აღლუმი (სამხედრო), (ლათინური parade – საზეიმო სვლა), ჯარების (ძალების) საზეიმო დათვალიერება. ტარდება ოფიციალური დღესასწაულების, სახელმწიფო და სამხედრო მნიშვნელობის ღირსშესანიშნავი მოვლენების აღსანიშნავად ზეიმის დღეებში, მსხვილმასშტაბიანი სწავლების (მანევრების) დამთავრების შემდეგ და სხვა. ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი. სამხედრო **ა.** შეიძლება ჩატარდეს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების მონაწილეობით, ასევე ჯარების საჰაერო (სამხედრო-საჰაერო) და საზღვაო (სამხედრო-საზღვაო) ერთობლივი ან ცალკეული **ა**-ის სახით.

აღმოსავლეთ ტიმორი (Timor – ტიმორ-ლესტის დემოკრატიული რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მოიცავს ტიმორის კუნძულების ჩრდილოეთ-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილებს, პულაუ-ატაუროს და პულაუ-ჯაკოს კუნძულებს. საერთო ფართობი შეადგენს 15 ათ. *კმ²*, ხოლო მოსახლეობა 1,1 მლნ. კაცს (2012), ოფიციალური ენები – ტეტუმი და პორტუგალიური. დედაქალაქი – ქ. დილი. იყოფა 13 ადმინისტრაციულ ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპარტიული ეროვნული პარლამენტი. აღმსარულებელი ხელისუფლება – სახელმწიფო საბჭო (მთავრობა). **ა.ტ**-მა დამოუკიდებლობა მიიღო 2002 წლის 20 მაისს. **ა.ტ**-ის თავდაცვითი ძალები შეიცავენ სახმელეთო ჯარებს და სამხედრო-საზღვაო ძალებს, საერთო შემადგენლობა – 1,3 ათ. კაცი.

აღმოსავლეთის (ყირიმის) ომი 1853–56, ბრძოლა რუსეთსა და ოსმალეთს შორის ახლო აღმოსავლეთში პირველობისათვის. რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებნენ ინგლისი და საფრანგეთი (1854), სარდინიის სამეფო (1855). ძირითადი მოვლენები: 1853 წელს – რუსეთის ჯარების შესვლა მოლდოვასა და ვლახეთში; ოსმალების მოგერიება კავკასიის ფრონტზე; ოსმალეთის ფლოტის განადგურება სინოპთან; 1854 წელს – ბალტიის ზღვის ბლოკადა ინგლის-საფრანგეთის ფლოტის მიერ; მოკავშირეთა საექსპედიციო ძალების გადასხმა ყირიმში, რომელიც ამის შემდეგ ომის მთავარი ასპარეზი გახდა; სევასტოპოლის ალყის (1854–55) დასაწყისი; 1855 წელს – რუსეთის დიპლომატიური იზოლაცია; ოსმალთა შეჭრა დასავლეთ საქართველოში; სევასტოპოლის დაცემა. რუსეთის დამარცხება ომში განაპირობა მისმა სამხედრო და ეკონომიკურმა ჩამორჩენამ. ომი დასრულდა 1856 წელს პარიზის საზავო ხელშეკრულებით, რომლის ძალითაც რუსეთმა დაკარგა დუნაის შესართავი და სამხრეთ ბესარაბიის ნაწილი, მას აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და ბაზების შექმნა. კვლავ იქნა აღიარებული სერბიის, ვლახეთისა და მოლდოვის ავტონომია ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში.

აღმოსავლეთის საკითხი, დიპლომატიასა და საისტორიო ლიტერატურაში მიღებული პირობითი სახელწოდება, რომლითაც აღინიშნება XVIII საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საერთაშორისო წინააღმდეგობები, დაკავშირებული ოსმალთა იმპერიის დაშლასთან. ზოგი მკვლევარი ცნებაში **ა.ს.** გულისხმობს პოლიტიკური პრობლემების უფრო ფართო კომპლექსს კავკასიისა და შუა აღმოსავლეთის საკითხების ჩათვლით.

აღმოჩენისა და ამოცნობის ზღუდე, პირობითი სიბრტყე საჰაერო სივრცეში (პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, აკვატორიაზე), საიდანაც შესაძლებელია საჰაერო თავდასხმის საშუალებების (სახმელეთო ან წყალზედა ობიექტების) აღმოჩენა და კუთვნილების დადგენა. ინიშნება მოწინააღმდეგის საჰაერო, კოსმოსურ, წყალზედა და სახმელეთო ობიექტების (სამიზნეების) საბრძოლო მზადყოფნის ხარისხის დასადგენად და დასარეგულირებლად.

აღმოჩენისა და გამოვლენის ზღუდე, ოკეანის (ზღვის) ზოლი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების აღმოჩენა. განისაზღვრება მათი შემადგენლობა, მოძრაობის მიმართულება და სვლის სიჩქარე.

აღმოჩენის, დამიზნებისა და მიზანჩვენების სადგური, რადიოლოკაციური სადგური, რო-

მლის დანიშნულებაა საჰაერო მიზნების აღმოჩენა, მათი მახასიათებლების და მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრა, ავიაციის დამიზნება და საზენიტო საშუალებებისთვის მიზანჩვენება. შეიძლება იყოს ორკოორდინატიანი (იზომება მიზნამდე დახრილი მანძილი და აზიმუტი, მესამე კოორდინატი განისაზღვრება რადიოლოკაციური სიმაღლისმზომით) და სამკოორდინატიანი. ასევე მიზნის აღმოჩენის მიხედვით მცირე (50 *კმ*-მდე), საშუალო (50–200 *კმ*) და დიდი (200 *კმ*-ზე მეტი) სიშორის. დასამუშავებელი მიზნების რაოდენობა თვალთვალის პერიოდში ოპერატორისთვის არის 5–8, ავტომატიზებული აღმოჩენისთვის 100 და მეტი.

აღმოჩენის სიგანის მახასიათებელი, სიგანე, რომელზეც ნაღმები შეიძლება აღმოჩენილ იქნეს ერთი გავლით.

აღმშენებლობა, შეიარაღებული ძალების სასურველი ძლიერების და აღჭურვილობის სათანადო დონის მიღწევის პროცესი.

აღჭურვილობა, 1. სამხედრო საქმეში – საველე პირობებში შეიარაღების საგნებისა და სხვა ნივთების გადასატანი სამარჯვები (სამხრე ღვედი, სარტყელი, ჩანთა...) ჯარისკაცებისა და ოფიცრებისათვის. 2. ტექნიკაში – მანქანების, დანადგარებისა და მისთანათა სამარჯვები, იარაღები, მოდელები, შტამპები, პრესფორმები, მოწყობილობები, მექანიზმი და სხვა. გემის ანძების, აფრების, ტაკელაჟის, რანჰოუტისა და სხვათა ერთობლიობა – გემის საიალქნო **ა.**

აყვანის ზონა, გეოგრაფიული რაიონი, სადაც ვერტმფრენზე აჰყავთ ცოცხალი ძალა და ააქვთ აღჭურვილობა.

აშოტ I კურაპალატი (გ. 826), ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი. IX საუკუნის 20-იან წლებამდე იყო ქართლის ერისმთავარი. 818 წელს აფხაზთა მეფის დახმარებით **ა. I**-მა მდინარე ქსანზე დაამარცხა კახთა მთავარი გრიგოლი და თბილისის ამირა. 20-იან წლებში არაბთაგან შევიწროებულმა **ა.** I-მა ოჯახითა და ვასალების რაზმით დატოვა ქართლი და სამხრეთ საქართველოში გადავიდა. ფარავნის ტბასთან მას არაბთა ლაშქარი დაეწია, მაგრამ ქართველებმა მტერი დაამარცხეს. შავშეთ-კლარჯეთში, რომელიც ნომინალურად ბიზანტიის ფარგლებში შედიოდა, **ა.** I-მა ბიზანტიის იმპერატორის დასტურით ახალი ფეოდალური სამთავრო შექმნა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახელმწიფოს. **ა. I**. მოკლეს ნიგალისხევში, როდესაც ლაშქარს აგროვებდა არაბთა წინააღმდეგ. მკვლელები, როგორც ჩანს, მოქიშპე ფეოდალური დაჯგუფების წარმომადგენლები იდგნენ.

ახალი ზელანდია (New Zealand), სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. უკავია ორი დიდი კუნძული – ჩრდილოეთი და სამხრეთი (გამყოფი ყუყის სრუტე), სტიუარტი, ორი-კინგსი, ჩატემი, კერმადაკი და სხვა. ფართობი არის 270,5 ათ. *კმ*², ხოლო მოსახლეობა 4,36 მლნ. კაცი (2012), რომლის 75% არის ინგლისური წარმოშობის ახალზელანდიელები. ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ველინგტონი. **ა.ზ.** შედის ბრიტანულ თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. **ა.ზ**. განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, ხორცის, რძისა და ტყავის მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ექსპორტიორი. შეიარაღებულ ძალებში არის 9,8 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 5 ათ., სამხედრო-საჰაერო 2,6 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 2,2 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ახალი ფიზიკური პრინციპების იარაღი, არატრადიციული იარაღი. იარაღის ახალი სახეობები, რომელთა დამაზიანებელი მოქმედება ეფუძნება მასში აქამდე გამოუყენებელ პროცესებსა და მოვლენებს. XX საუკუნის დამლევს კვლევისა და შემუშავების სხვადასხვა სტადიაში იყო გენეტიკური იარაღი, გეოფიზიკური იარაღი, ინფრაბგერითი იარაღი, კლიმატური იარაღი, ლაზერული იარაღი, ოზონური იარაღი, რადიოლოგიური იარაღი, ზემაღალი სიხშირის იარაღი, მაჩქარებელი იარაღი, ელექტრომაგნიტური იარაღი და სხვა. იარაღის ამ სახეობათაგან ბევრზე ვრცელდება კონვენცია გარემოზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვაგვარი მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ (1977) და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები.

ახალციხის საფაშო, ჩილდირის ვილაიეთი, ოსმალთა იმპერიის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული მის მიერ დაპყრობილ სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე. ჩამოყალიბდა XVI საუკუნის ბოლოს. **ა.ს**-ს შემადგენლობაში შედიოდა სამხრეთ ქართული პროვინციები – სამცხე, ჯავახეთი, პალაკაციო, კოლა, არტაანი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა და სხვა. **ა.ს**-ს პოლიტიკური ორგანიზაცია ოსმალურ საფუძველზე იყო მოწყობილი, თუმცა ქართული ფეოდალური გადმონაშთების სახით მთელ რიგ თავისებურებებს ინარჩუნებდა, რითიც გამოირჩეოდა სხვა ოსმალური ვილაიეთებისაგან. ახალციხის ფაშებად, როგორც წესი, გამაჰმადიანებული ქართველი ფეოდალები ინიშნებოდნენ, ძირითადად, ათაბაგთა (ჯაყელების) საგვარეულოდან. **ა.ს**-ს სამხედრო ძალებში შედიოდნენ ციხეებისა და ქალაქების გარნიზონები, დაქირავებულთა რაზმები და *სიპაჰთა* ფეოდალური ლაშქარი. ეს უკანასკნელი ძირი-

თადად გამაჰმადიანებული ქართველი თავადაზნაურებისა და მათი მხლებლებისაგან შედგებოდა და XVII საუკუნის 50-იან წლებში 2 ათ. მხედარს ითვლიდა. **ა.ს.** ოსმალეთისათვის ხელსაყრელი პლაცდარმი იყო, ერთი მხრით, დასავლეთ საქართველოზე სამეთვალყურეოდ, ხოლო მეორე მხრით, ქართლ-კახეთის საწინააღმდეგოდ და დაღესტანთან დასაკავშირებლად. ახალციხეში თავს აფარებდნენ ლეკთა მოთარეშე რაზმები (იხ. *ლეკიანობა*). ქართველ მეფეებს, განსაკუთრებით *ერეკლე II*-ს, არაერთხელ ულაშქრიათ **ა.ს**-ში (იხ. *ასპინძის ბრძოლა 1770*). 1828–29 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, რუსეთის ჯარებმა იერიშით აიღეს ახალციხე და საფაშოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრეს. ეს ტერიტორია 1829 წელს *ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებით* რუსეთის მფლობელობაში გადავიდა. **ა.ს**-ს ოსმალთა ხელში დარჩენილი მიწები XIX საუკუნის შუა წლებში სხვადასხვა ვილაიეთებს (პროვინციებს) შეუერთდა.

ახლო საცეცხლე ბრძოლა, იხ. *ბრძოლა.*

აჯანყება, ორგანიზებული მოძრაობა, რომლის მიზანია შეიარაღებული კონფლიქტის გზით არსებული მთავრობის ან არსებული სოციალურ-ეკონომიკური წყობილების შეცვლა.

აჯენა, აშშ-ის ზოგიერთი რაკეტამატარებლის ბოლო საფეხური, განკუთვნილი კოსმოსურ სივრცეში ხანგრძლივი ფრენისათვის და რაკეტული ძრავების განმეორებითი ჩართვისათვის.

ბ

ბაბური, ზაჰირედინ მუჰამად (1483–1530), ინდოეთის დიდ მოგოლთა სახელმწიფოს მოღვაწე, მისი დამაარსებელი, მხედართმთავარი. *თემურლენგის* შთამომავალი. მემკვიდრეობით ფლობდა ფერღანას შუა აზიაში, საიდანაც 1504 გააძევეს უზბეკებმა. იმავე წელს დაეუფლა ქაბულს. შემდეგ არაერთგზის ილაშქრა ინდოეთში, 1526–27 დაიპყრო ტერიტორია ქაბულიდან ბენგალიამდე და თავი ინდოეთის იმპერატორად გამოაცხადა. მის მიერ დაარსებული დინასტია ევროპულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც დიდი მოგოლების დინასტია (სახელწოდება მოდის „მოღოლისტანიდან“, ასე უწოდებდნენ იმ დროს შუა აზიას). **ბ**. იყო არა მარტო გამოჩენილი მხედართმთავარი, არამედ ნიჭიერი მწერალი და პოეტი. შემონახულია მისი ლექსები, დაწერილი ჩაღათაურ (თურქულ) და სპარსულ ენებზე, ავტობიოგრაფიული თხზულება „ბაბურნამე“, თხზულება მუსლიმანური მართლმსაჯულების საკითხებზე „ბაბურის სამართალი“. მასვე დაუწერია ტრაქტატები სამხედრო ხელოვნების, პოლიტიკისა და მუსიკის შესახებ, რომლებმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. **ბ**-ის ლექსებმა და პროზამ დიდი როლი შეასრულა უზბეკეთის სალიტერატურო ენის განვითარებაში.

ბაგრატ III ბაგრატიონი (X საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისი – 7.V.1014), გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე. გურგენ ბაგრატიონის და გურანდუხტ დედოფლის შვილი, ტაოს მეფის *დავით III* კურაპალატის შვილობილი და აღზრდილი. **ბ**. III-ის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების გადამწყვეტ ეტაპს. 975 **ბ**. III *დავით III*-ის მხარდაჭერით ქართლის მმართველი გახდა, ხოლო 978 აფხაზეთის სამეფო ტახტი დაიკავა, რომლის მემკვიდრე იყო დედის ხაზით. თავისი ხანგრძლივი მეფობის მანძილზე **ბ**. III ებრძოდა უცხოელ დამპყრობლებსა და ურჩ ქართველ ფეოდალებს. თანდათანობით შემოიერთა ქართული მიწები: ჩრდილოეთ ტაო (ამიერტაო), შავშეთი, კლარჯეთი, სამცხე, კახეთ-ჰერეთი. 1010–12 დაამარცხა და დაიმორჩილა განჯის ამირა ფადლონ I, რომელმაც მეფეს ხარკის გადახდა და დამხმარე ჯარის გამოყვანა აღუთქვა. **ბ**. III-ის დროს აშენდა ქართული არქიტექტურის ისეთი ძეგლები, როგორიცაა ბედიის, ნიკორწმინდის და ბაგრატის ტაძრები. გარდაიცვალა ტაოში, დაკრძალულია ბედიაში. XI საუკუნის ქართველი მემატიანე **ბ**. III-ს „დიდ მეფეს“ უწოდებს.

ბაგრატ IV (1018 ან 1020 – 24.XI.1072), საქართველოს მეფე 1027–72. **ბ**. IV-ის უმთავრესი ამოცანა იყო საქართველოს საბოლოო გაერთიანება და მისი დაცვა უცხოელი დამპყრობლებისაგან (ბიზანტიელები, თურქსელჩუკები). მცირეწლოვანი ბაგრატის გამეფებისთანავე, 1028 წელს, საქართველოს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე VIII-ის ჯარი შემოესია. ბიზანტიელებმა თრიალეთამდე და შავშეთამდე შემოაღწიეს, მაგრამ ფართოდ გაშლილი საერთო-სახალხო წინააღმდეგობის გამო იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ. 1032 წელს **ბ**. IV-ს განუდგა მისი ნახევარძმა დემეტრე და ბიზანტიელებს გადასცა ანაკოფიის ციხე. 30-იან წლებში დაიწყო ბრძოლა თბილისის შემოერთებისათვის. 1037–39 წლებში ქალაქი გარემოცული იყო ქართველ მეფეთა (**ბ**. IV და გაგიკი, კახეთ-ჰერეთი) ჯარების მიერ. თბილისელი მუსლიმანები უკვე დანებებას აპირებდნენ, როდესაც **ბ**. IV თბილისის ამირას დაუზავდა და ქალაქის ალყა მოშალა. ეს ფაქტი თბილისის გარემოცვის მთავარი ინიციატორის, კლდეკარის ერისთავის ლიპარიტის (იხ. *ლიპარიტ IV ბაღვაში*) მეფეზე განაწყენების საბაბად იქცა. ამის შემდეგ დაწყებული ბრძოლა **ბ**. IV-სა და ლიპარიტს შორის თითქმის 20 წელი გრძელდებოდა. 1045 წელს სომხეთის დედაქალაქის ანისის თავკაცებმა, რომლებიც შეწუხებული იყვნენ ბიზანტიელთა აგრესიით, ქალაქი **ბ**. IV-ს გადასცეს. მომდევნო წელს მეფეს თბილისის მოსახლეობამაც მიმართა ქალაქის ჩაბარების თხოვნით, მაგრამ ლიპარიტ ერისთავის აჯანყების გამო **ბ**. IV-მ დაკარგა ანისი და თბილისი (1046). ლიპარიტი მეფემ მხოლოდ 1058 წელს იგდო ხელთ და იძულებით ბერად შეაყენა. 1064 წელს დაიწყო თურქსელჩუკთა შემოსევები საქართველოში (იხ. *ალფ-არსლანის ლაშქრობები საქართველოში*). განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო სულთან ალფ-არსლანის მეორე ლაშქრობა 1067 წლის ნოემბრიდან 1068 წლის იანვრამდე. მიუხედავად ამისა, ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობა არ დაცემულა. სელჩუკთა მთავარი ძალების წინააღმდეგ თავდაცვითი ბრძოლების პარალელურად, **ბ**. IV-მ წარმატებული ლაშქრობები მოაწყო მისი ვასალების (განჯის ამირა და სხვა) წინააღმდეგ. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა კულტურისა და სწავლა-აღზრდის საქმეს, მისი მიწვევით 1060–65

წლებში საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც ნაყოფიერი მოღვაწეობა გაშალა. არსებობს მოსაზრება, რომ **ბ. IV**-ს ეკუთვნის კანონები, რომლებიც ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელწოდებითაა ცნობილი. **ბ. IV** გარდაიცვალა ქართლში. ანდერძის თანახმად, დაასაფლავეს ჭყონდიდში. მისი ერთადერთი დაზიანებული ფრესკა შემორჩენილია ატენის სიონში.

ბაგრატ V (გ. 1393), საქართველოს მეფე 1360–93 წლებში. ისტორიული წყაროები მას ახასიათებენ, როგორც გამოჩენილ სარდალს. მისი მეფობის დასაწყისში განუდგა სვანეთის საერისთავო. **ბ. V**-მ თავისი ლაშქარი სამი მხრიდან შეუსია მეამბოხეებს, დაიმორჩილა სვანეთი და შეიპყრო მისი ერისთავი ვარდანიძე (1361). ეს კამპანია ახალდასრულებული ოყო, როდესაც მოვიდა ცნობა სამცხეში მომთაბარე თურქების შემოჭრის შესახებ. მეფე 12 ათ. რჩეული მხედრით სწრაფად დაიძრა სამხრეთისაკენ, დაეწია ალაფით დატვირთულ თურქებს და გაანადგურა ისინი. 1386 წელს საქართველოში შემოიჭრა თემურლენგი (იხ. *თემურლენგის ლაშქრობები საქართველოში*), მძიმე ბრძოლით აიღო თბილისი და დაატყვევა **ბ. V**. 1386–87 წლებში, ზამთარში, ყარაბაღში გამოსაზამთრებლად დაბანაკებულ თემურთან მყოფმა **ბ. V**-მ მოჩვენებით ისლამი მიიღო და თემურმა იგი 12 ათ. მეომრის თანხლებით საქართველოში გამოუშვა. სამშობლოში დაბრუნებულმა მეფემ თავისი ვაჟის, გიორგის, დახმარებით თემურის მეომრები ამოწყვიტა. 1387 წლის გაზაფხულზე განრისხებული თემურლენგი საქართველოში შემოიჭრა და ქვეყნის აოხრება დაიწყო. **ბ. V**-მ და გიორგიმ მტერს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. თემურმა ბრძოლა შეწყვიტა და საქართველო დატოვა, რადგან ცნობა მიიღო ამიერკავკასიაში ოქროსურდოელი ხანის თოხთამიშის შემოჭრის შესახებ.

ბაგრატიონები, სამეფო დინასტია საქართველოში (IX საუკუნე – 1810). წარმოშობით ძველი ქართული პროვინცია სპერიდან (ახლანდელი ისპირი თურქეთში). შუა საუკუნეებში შექმნილი ლეგენდით, **ბ.** არიან ებრაელთა მეფის, დავით წინასწარმეტყველის, შთამომავლები. ქართლში **ბ.** დაწინაურდნენ VI–VIII საუკუნეებში. ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი არაბებთან კონფლიქტის გამო IX საუკუნის I ნახევარში გადავიდა სამხრეთ საქართველოში, სადაც შექმნა ტაოკლარჯეთის სამთავრო. 888 წელს **ბ**-თა უფროსმა შტომ ტაოში მიიღო ტიტული „მეფე ქართველთა“. აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისათვის. ამის მიღწევა პირველმა შეძლო *ბაგრატ III*-მ (978–1014). **ბ**-ების დინასტიის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ: *დავით IV* აღმაშენებელი (1089–1125), *გიორგი III* (1156–84), *თამარ მეფე* (1184–1213), *გიორგი V* ბრწყინვალე (1314–46). ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, XV საუკუნის II ნახევარში, **ბ.** მართავენ ქართლის, კახეთის, იმერეთის სამეფოებს. *ერეკლე II*-ის დროს (1744–98) ქართლი და კახეთი ერთ სამეფოდ გაერთიანდა. რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიასთან ერთად **ბ**-თა სამეფო ხელისუფლება ქართლ-კახეთსა (1801) და იმერეთში (1810) გაუქმდა.

ბაგრატიონი პეტრე ივანეს ძე (1765–1812), თავადი, რუსეთის არმიის გამოჩენილი მხედართმთავარი, ინფანტერიის გენერალი (1809). 1812 წლის სამამულო ომის გმირი. წარმოშობით ქართული სამეფო საგვარეულოდან. ვახტანგ VI-ის ძმის, იესეს, შვილიშვილის შვილი. მონაწილეობდა რუსეთის ომებში კავკასიელ მთიელებთან, საფრანგეთთან, შვედეთთან, ოსმალეთთან. 1787–91 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, თავი გამოიჩინა ოჩაკოვის სიმაგრის აღებაში (1788). 1793–94 წლებში მონაწილეობდა პოლონეთის კამპანიაში. 1798 წელს პოლკოვნიკის ჩინით გახდა უსტიუგის ეგერთა პოლკის მეთაური (შემდგომში ამ პოლკს მისი სახელი ეწოდა). 1799 წელს უკვე გენერალ-მაიორი მონაწილეობდა ა. სუვორვის ლაშქრობებში იტალიასა და შვეიცარიაში. მეთაურობდა ავანგარდს და ყველა დიდ ბრძოლაში გამოიჩინა თავი. 1805–07 წლებში საფრანგეთთან ომში სოფელ შენგრაბენთან (1805 ოქტომბერი) **ბ**-მა 6 ათ-ნი რაზმით შეაჩერა ფრანგთა 30 ათ-ნი ორი კორპუსი და რუსეთის ჯარები ალყაში მოქცევას გადაარჩინა. ამ ბრძოლისათვის მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება. 1808–09 წლებში მონაწილეობდა შვედეთთან ომში, სარდლობდა 21-ე დივიზიას, 1809–10 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომში – მოლდავეთის არმიას. 1812 წელს, რუსეთში ნაპოლეონთან ომის დროს მეთაურობდა მე-2 რუსულ არმიას. *ბოროდინოს* ბრძოლაში **ბ**. რუსეთის გაერთიანებული არმიის მარცხენა ფრთას სარდლობდა. მის პოზიციებზე იყო მიმართული ფრანგების მთავარი დარტყმა. მტრის იერიში მოიგერია, გამოიჩინა განსაკუთრებული სიმტკიცე და სიმამაცე, მაგრამ ბრძოლის ველზე მძიმედ დაიჭრა, რის გამოც შემდეგ გარდაიცვალა სოფელ სიმში. დაკრძალეს იქვე, 1939 წელს კი ბოროდინოს ველზე გადაასვენეს.

ბადალი, ფეოდალურ საქართველოში სხვის ნაცვლად სამხედრო ბეგარის მომხდელი. ბადლობის ინსტიტუტი ქართული სამართლის ძეგლებში XIV საუკუნიდან ჩანს. გამოკვეთილად იგი ჩამოყალიბდა XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის სამეფოში *მორიგე ჯარის* შემოღებასთან დაკავშირებით. ჯარში თავის ნაცვლად ბადალის წარდგენა შეეძლო სოფლის მღვდელს, ვაჭარს, გუთნისდედას, მეწისქვილეს და ზოგი სხვა ხელობის კაცს. ბადალს ან ქირაობდნენ, ანდა ხაზინაში სათანადო

ფულადი თანხა – „მორიგის საბადლო“ შეჰქონდათ, რომელიც მოლაშქრის
თუ ყარაულის დაქირავებას ხმარდებოდა. ბადლობის ინსტიტუტი სხვა ქვეყნებშიც არსებობდა. მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი და სხვა.

ბაზა, 1. ადგილი, სადაც ხდება ოპერაციების დაგეგმვა ან მხარდაჭერა; 2. რაიონი ან ადგილი, სადაც განლაგებულია ლოგისტიკის ქვედანაყოფის ან სხვა უზრუნველყოფის სამსახურის კუთვნილი ნაგებობა – დანადგარები; 3. საკუთარი აეროდრომი ან ავიამზიდი. 4. გარკვეული დაცული პერიმეტრის ფარგლებში საბრძოლო ქვედანაყოფების ან სხვადასხვა მოქმედი ნაწილების დაჯუფება, რომელსაც საკონტროლო პუნქტები აქვს.

ბაზალეთის ბრძოლა 1626, ბრძოლა ბაზალეთის ტბასთან ქართლ-კახეთის მეფე *თეიმურაზ I*-ისა და გიორგი სააკაძის ჯარებს შორის. სააკაძის მისწრაფება იყო ქვეყნის გაერთიანება და თავადთა თვითნებობის ალაგმვა. თავადებმა შეძლეს მტრობა ჩამოეგდოთ გ. სააკაძესა და *თეიმურაზ I*-ს შორის. თეიმურაზის ლაშქარში, გარდა კახელებისა, შედიოდა აგრეთვე ქართლელ ფეოდალთა ნაწილი (მ.შ. იყო სააკაძის ცოლისძმა ზურაბ არაგვის ერისთავი). გიორგი სააკაძეს ქართლელების გარდა მხარს უჭერდნენ იმერლები და მესხები. **ბ.ბ.** მოხდა გვიან შემოდგომაზე, ცუდ ამინდში, მეომრებმა დიდი გზა გამოიარეს. სისხლისმღვრელ ბრძოლაში გ. სააკაძე დამარცხდა და ოსმალეთში გადაიხვეწა. საქართველოს გაერთიანების საქმე და სააკაძის ჩანაფიქრი ჩაიშალა.

ბაზების დაჯგუფება, გეოგრაფიულად ახლოს მდებარე ბაზების გაერთიანება საერთო დაცვის, მართვისა და კონტროლის გაადვილების მიზნით. სახმელეთო ჯარებისთვის ბაზებს შეიძლება არ ჰქონდეთ ერთიანი განსაზღვრული პერიმეტრი, ასეთ შემთხვევაში **ბ.დ.** ლოგისტიკის ოპერაციების მეთაურის მიერ კონტროლის უკეთ განხორციელებას ემსახურება.

ბაზების თავდაცვა, ბაზის განლაგების ადგილის დასაცავად მიღებული ზომები, რომლებიც აუცილებელია მოწინააღმდეგის მხრიდან ბაზაზე შეტევის ეფექტიანობის შესამცირებლად ან აღსაკვეთად, დივერსიის აღსაკვეთად და ბაზის დაცვის გასაძლიერებლად.

ბაზირება, 1. კრებითი ტერმინი, რომელიც სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების ფორმირებებისთვის ხმელეთზე ან ნაპირთან განკუთვნილ მუდმივ ადგილს აღნიშნავს; 2. ცალკეული სამხედრო მოსამსახურეების, მათი ჯგუფების ან ფორმირებების გაგზავნა სამსახურის ადგილებზე, საბრძოლო საგუშაგოებზე ან პოზიციებზე. 3. კოლექტიური თავდაცვის, კრიზისის დარეგულირების ან მშვიდობის შენარჩუნების მიზნით მშვიდობიან პერიოდში ნატოს ერთი ქვეყნის ჯარების, გრძელვადიანი ყოფნა ნატოს მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე.

ბაზირების პუნქტი (ხომალდების), იმ საზღვაო (სამდინარო) სანაპიროსა და მიმდებარე აკვატორიის უბანი, რომელიც მოწყობილია ხომალდების სადგომად და უზრუნველსაყოფად. ჩვეულებრივ, წარმოადგენს სამხედრო-საზღვაო ბაზის ნაწილს. **ბ.პ**-ებს განასხვავებენ ბაზირებული ხომალდების (წყალქვეშა ნავების, სარაკეტო და სატორპედო კატარღებისა და ა.შ.) კლასების (ქვეკლასების), აგრეთვე საინჟინრო მოწყობილობის დანიშნულებისა და ხასიათის მიხედვით (ძირითადი და სამანევრო **ბ.პ**-ები).

ბაზირების რაიონების და საზღვაო კომუნიკაციების თავდაცვის საზღვაო ოპერაცია, იხ. *საზღვაო ოპერაცია.*

ბაზირების რაიონის თავდაცვა, ორგანიზაციული ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა, რომლის მიზანია არ დაუშვას მოწინააღმდეგის მიერ ბაზირების რაიონის ხელში ჩაგდება, უზრუნველყოს მასში განლაგებული ფლოტის ძალების და სანაპირო ობიექტების უსაფრთხოება ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან. **ბ.რ.თ**-ისთვის გამოიყენება ფლოტის (სამხედრო-საზღვაო ბაზის) ძალების გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები, სახომალდო დამრტყმელი და საძიებო-დამრტყმელი ჯგუფები. ასევე სანაპირო რაიონის დაცვის ხომალდების შენაერთები, წყალქვეშა ნავები ან მათი ჯგუფები, საზღვაო ავიაციის და სანაპირო ჯარების ნაწილები. **ბ.რ.თ**. ითვალისწინებს საჰაერო თავდაცვის ორგანიზაციას, ნავსაწინააღმდეგო, რაკეტსაწინააღმდეგო, დესანტსაწინააღმდეგო, ნაღმსაწინააღმდეგო თავდაცვას და ა.შ. ასევე – მოწინააღმდეგის სხვადასხვა სახეობის იარაღისგან დაცვის, შენიღბვისა და რადიოელექტრონული ბრძოლის ორგანიზებას.

ბაზის დაცვა, ადგილობრივი (ლოკალური) სამხედრო ზომები, როგორც ყოველდღიურ, ასევე კრიზისის (განგაშის) პერიოდში. მიმართულია მოწინააღმდეგის შეტევების, საბოტაჟის, დივერსიული აქტების ეფექტურობის აღკვეთისა და შემცირებისკენ, რათა საკუთარი ძალების მიერ ბაზის ინფრასტრუქტურის მაქსიმალური შესაძლებლობების გამოყენება განხორციელდეს.

ბაზის თავდაცვის რეაგირების ძალები, ძალები, რომელთა შემადგენლობაში შედის სხვადასხვა ქვედანაყოფი ან ამ ქვედანაყოფის ელემენტები.

გამოყოფილი არიან სპეციალურად ამა თუ იმ ბაზის დასაცავად და ევალებათ სწრაფად აღმოუჩინონ მხარდაჭერა ბაზას, რეაგირება

მოახდინონ გაუთვალისწინებელ საშიშროებაზე.

ბაზის მდებარეობის შეცვლა, ავიაციის ბაზირების (ფლოტის ძალების ბაზირების) ადგილების შეცვლა ახალი დაჯგუფების შექმნის, არსებული დაჯგუფების გაძლიერების ან საბრძოლო მოქმედებების რაიონთან (ზონასთან) ნაწილებისა და შენაერთების მიახლოების მიზნით.

ბაზის სრულყოფა, საბრძოლო ოპერაციების მხარდასაჭერად გამოყოფილი რაიონის ან ადგილის გაფართოება, ან არსებული რესურსების და პირობების გაუმჯობესება.

ბაზისური ქვედანაყოფი, ტაქტიკურ მოქმედებებში მონაწილე ქვედანაყოფი, რომელიც ახორციელებს მისთვის დაგეგმილ გადაადგილებას ან მანევრს.

ბათო-ყაენი, ბ ა თ უ, ს ა ი ნ-ხ ა ნ ი (1208–55), მონღოლი ყაენი (ხანი), ჯუჩის ძე, ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი. მამის სიკვდილის შემდეგ (1227) სათავეში ჩაუდგა ჯუჩის ულუსს. 1236 წელს დაიპყრო ყივჩაყთა ქვეყანა, 1237–40 წლებში დაიმორჩილა რუსეთი, ეომა ოსებს და ჩერქეზებს, 1240–42 წლებში ილაშქრა ცენტრალურ ევროპაში (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, დალმაცია). 1243 წელს ევროპის ლაშქრობიდან უკან გამობრუნებულმა ვოლგაზე, სადაც დაარსდა მისი სატახტო ქალაქი სარაი-ბათუ, ჩამოაყალიბა სახელმწიფო ჯუჩის ულუსი – ოქროს ურდო, გადაჭიმული ირტიშიდან დუნაიმდე. **ბ.-ყ**-თან ურთიერთობა ჰქონდა საქართველოს, რომელიც ამ დროს მონღოლთა დიდ ყაენს ემორჩილებოდა.

ბაიაზიდ I, ი ლ დ ი რ ი მ ი (თურქეთი – ელვა) (1354 ან 1360 – 1403), ოსმალეთის სულთანი (1389–1402). აგრძელებდა თავის წინამორბედთა დამპყრობლურ პოლიტიკას. მისი ხელმძღვანელობით ოსმალთა ჯარმა დაიპყრო სერბია (1389), ბულგარეთი (1393–96), მაკედონია, თესალია. 1396 წელს ნიკოპოლთან, დუნაიზე, დაამარცხა ჯვაროსანთა ლაშქარი, დაიმორჩილა ბოსნია და განამტკიცა ოსმალთა პოზიციები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე. ანატოლიაში **ბ. I**-მა დაიმორჩილა ოსმალთა საამიროები. 1394–1401 წლებში რამდენიმეჯერ ალყა შემოარტყა კონსტანტინოპოლს. 1402 წელს შეებრძოლა ანატოლიაში შეჭრილ *თემურლენგს*, მაგრამ ანგორასთან (ანკარის ძვ. სახელწოდება) დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. გარდაიცვალა ტყვეობაში.

ბალატონის ოპერაცია 1945 (6–15 მარტი), ბრძოლა *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს. უკრაინის III ფრონტის ჯარებმა (საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ტოლბუხინი) ბალატონის ტბის რაიონში (უნგრეთი) მოიგერიეს გერმანელთა ჯარების კონტრშეტევა და ჩაუშალეს მათ დუნაისკენ გაჭრის გეგმა, რათა აღედგინათ თავდაცვის ზღუდე მის დასავლეთ ნაპირზე. **ბ.ო**-ის წარმატებით დამთავრებამ საბჭოთა ჯარებს საშუალება მისცა დაეწყოთ შეტევა ქალაქ ვენის მიმართულებით.

ბალისტიკა (გერმანული ballistic – ვისვრი), მეცნიერება სროლის პრინციპით ხელოვნური სხეულების მოძრაობის შესახებ. სამხედრო საქმესთან დაკავშირებით სწავლობს საარტილერიო ჭურვების (ნაღმების, ტყვიების, რაკეტებისა და სხვა), როგორც თავისუფლად გასროლილი სხეულების, მოძრაობას. **ბ**-ის ძირითადი შემადგენლებია შიდა და გარე **ბ**. შიდა **ბ.** სწავლობს ჭურვის მოძრაობას ლულის არხში დენთის აირების მოქმედებით. მისი ძირითადი განყოფილებებია: პიროსტატიკა, პიროდინამიკა, იარაღის ბალისტიკური დაპროექტება, აგრეთვე შუალედური **ბ.** (შემდგომი მოქმედების პერიოდი) და დენთის რაკეტების შიდა **ბ**. გარე **ბ**. სწავლობს ჭურვების მოძრაობას ლულასა და მისგან მომდინარე აირებთან თანამოქმედების შეწყვეტის შემდეგ. გარე **ბ**-ის ძირითადი შემადგენლებია: ფრენის დროს ჭურვზე მოქმედი ძალებისა და მომენტების შესწავლა; ჭურვის მოძრაობის შესწავლა ტრაექტორიის ელემენტების გასაანგარიშებლად, აგრეთვე მისი მდგრადობისა და გაფანტვის განსასაზღვრავად.

ბალისტიკური მახასიათებლები, პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ ლულის არხში (გამშვებ დანადგარზე) და ტრაექტორიაზე გასროლის პროცესის (რაკეტის გაშვების) და ჭურვის (ნაღმის, რაკეტის და სხვა), მოძრაობის კანონზომიერებებს. ძირითად შიდაბალისტიკურ მახასიათებლებს განეკუთვნება: იარაღის კალიბრი, ჭურვის მასა, მუხტსათავსის მოცულობა, დატენის სიმჭიდროვე, ლულის არხში ჭურვის გზის სიგრძე, სატყორცნი მუხტის მასა, დენთის ძალა, დენთის აირების გაფართოების პარამეტრები. **ბ.მ**-ს აგრეთვე განეკუთვნება მაქსიმალური წნევა და ფორსირების წნევა ლულის არხში, დენთის წვის პროგრესულობის მახასიათებლები, სარაკეტო მუხტის მასა და ფორმა, სარაკეტო ძრავის კონსტრუქციული პარამეტრები და სხვა. გასათვალისწინებელია ბალისტიკური კოეფიციენტი, ჭურვის საწყისი სიჩქარე და მისი ტყორცნის კუთხე, რეაქტიული წევა, ჭურვის სიჩქარე და მიზანთან მისვლის კუთხე, განბნევა და სხვა.

ბალისტიკური რაკეტა, რაკეტა, რომლის ფრენა, აქტიური მონაკვეთის გარდა, ხორციელდება ბალისტიკური ტრაექტორიით (თავისუფლად ნასროლი სხეულის ტრაექტორიით). ფრთოსანი რაკეტისაგან განსხვავებით, **ბ.რ**-ს არ აქვს სპეციალური აეროდინამიკური ზედაპირები ატმოსფეროში ფრენისას ამწევი ძალის შესაქმნელად. იყოფა მართულ და უმართავ, ერთ და მრავალსაფეხურიან რაკეტებად. გამოიყენება საბრძოლო, რაკეტამატარებლების, საკვლევი რაკ

ეტების სახით და სხვა. საბრძოლო **ბ.რ**-ები შედის სახმელეთო სარაკეტო კომპლექსებისა და წყალქვეშა ნავების სახომალდე-სარაკეტო კომპლექსების შემადგენლობაში. **ბ.რ**-ს, რომლის ფრენის სიშორე აღემატება 6500 *კმ*-ს, საკონტინენტთაშორისო **ბ.რ**. ეწოდება. პირველ საბრძოლო **ბ.რ**-დ ითვლება გერმანული ფაუ-2.

ბალისტიკური რაკეტების ხელში ჩაგდება, 1. ფრენის ტრაექტორიაზე ბალისტიკური რაკეტების ან მათი საბრძოლო ნაწილების დაზიანების ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების კომპლექსი. გულისხმობს: ფრენის დროს მათ ძებნას, ცრუ მიზნების და დაბრკოლებების ფონზე ამოცნობას, მოძრაობის ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრას, ანტირაკეტებით დაზიანებას. 2. ხომალდის საჰაერო თავდაცვის საბრძოლო მოქმედებების შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის მიერ თვითმფრინავებიდან, წყალზედა ხომალდებიდან და წყალქვეშა ნავებიდან გამოყენებული ხომალდსაწინააღმდეგო ფრთიანი რაკეტების წინააღმდეგ ბრძოლა.

ბალისტიკური ტრასა, საარტილერიო პოლიგონზე სპეციალურად გამართული ადგილის მონაკვეთი საარტილერიო ჭურვების (ნაღმების, რაკეტებისა და სხვა) მოძრაობის შესასწავლად. აღჭურვილია ბალისტიკური სამიზნეებითა და ბალისტიკური ხელსაწყოებით. მათი მეშვეობით სროლის პროცესში და სროლის შედეგების დამუშავებისას განისაზღვრება წინსვლითი და რხევითი მოძრაობის აეროდინამიკური მახასიათებლები, განბნევის პარამეტრები და სხვა.

ბალისტიკური ხელსაწყოები, რაკეტის გაშვების, გასროლისა და ტრაექტორიაზე მოძრაობის დროს წარმოქმნილი პროცესების შესწავლისთვის განკუთვნილი სპეციალური მოწყობილობები. უზუნველყოფენ დენთის და სარაკეტო საწვავის მახასიათებლების, შიდა ბალისტიკური ხასიათის, ქვემეხსა და გამშვებ დანადგარზე ზემოქმედი დატვირთვის, ფრენის დროს ჭურვის (ნაღმის, რაკეტა და ა.შ.) მახასიათებლების ექსპერიმენტულ განსაზღვრას. დენთის გაზების წნევის გასაზომად გამოიყენება კრეშერები, პიეზოელექტრონული და ტენზომეტრული ხელსაწყოები, ლულის უკუცემის მანძილის, სიჩქარისა და აჩქარების გასაზომად – ველოსიმეტრები; ჭურვის ფრენის პარამეტრებისთვის – ელექტრომექანიკური და ელექტრული ქრონოგრაფები, ოპტიკური, რადიოტექნიკური, რადიოლოკაციური საშუალებები, ინფრაწითელი ხედვის ხელსაწყოები, ფოტო და კინოთეოდოლიტები.

ბალკანეთის კამპანია 1941, II მსოფლიო ომში (1939–45) ფაშისტური გერმანიის, იტალიის და უნგრეთის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული ოპერაციები ბალკანეთის ქვეყნების – იუგოსლავიის და საბერძნეთის დასაპყრობად, დაიწყო 1941 წლის 6 აპრილს იუგოსლავიაში გერმანია-იტალიის ჯარების შეჭრით. 12 აპრილს ბრძოლაში უნგრეთის ჯარებიც ჩაება. 18 აპრილს იუგოსლავიამ კაპიტულაცია გამოაცხადა. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა 20 აპრილს საბერძნეთმაც მოაწერა ხელი კაპიტულაციას. ჰიტლერელთა სარდლობის ვარაუდით, ოკუპირებულ ბალკანეთს უნდა უზრუნველეყო მათი ფრონტის მარჯვენა ფრთა მომავალ ომში სსრ კავშირის წინააღმდეგ.

ბალკანეთის ომები 1912–13, ბალკანეთის პირველი ომი (1912 წლის 9 ნოემბერი – 1913 წლის 30 მაისი) მიმდინარეობდა ბალკანეთის კავშირსა (ბულგარეთი, სერბია, საბერძნეთი, ჩერნოგორია) და ოსმალეთის იმპერიას შორის. მოკავშირეებმა, რომელთა შორის განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი ბულგარეთის არმიამ, დაამარცხეს ოსმალეთი, რომელიც 1913 წელს ლონდონის სამშვიდობო ხელშეკრულებით იძულებული გახდა გამარჯვებულთათვის თითქმის მთლიანად დაეთმო თავისი ევროპული სამფლობელოები სტამბოლისა და მისი მიმდებარე მცირე ოლქის გარდა. ბალკანეთის მეორე ომში (1913 წლის 29 ივნისი – 10 აგვისტო) ბულგარეთი იბრძოდა საბერძნეთის, სერბიისა და ჩერნოგორიის წინააღმდეგ, რომლებსაც შეუერთდნენ რუმინეთი და ოსმალეთი. ომი დამთავრდა ბულგარეთის დამარცხებით, რომელმაც 1913 წელს ბუქარესტის სამშვიდობო ხელშეკრულებით რუმინეთს დაუთმო სამხრეთ დობრუჯა, ოსმალეთს – აღმოსავლეთ თრაკიის ნაწილი ქ. ადრიანოპოლით, სერბიას – ჩრდდილოეთ მაკედონია, ხოლო საბერძნეთს – სამხრეთ მაკედონიისა და თრაკიის ნაწილები.

ბალტიისპირეთის ოპერაცია 1944 (14 სექტემბერი – 22 ოქტომბერი), სტრატეგიული შტევეითი ოპერაცია *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს. საბჭოთა ჯარებმა ბალტიის ფლოტის მხარდაჭერით გაარღვიეს გერმანიის არმიათა ჯგუფის „ჩრდილოეთის“ თავდაცვა, გაათავისუფლეს ესტონეთი, ლიტვა, ლატვიის დიდი ნაწილი და კურლანდიის ნახევარკუნძულზე ბლოკადაში მოაქციეს მტრის 27 დივიზია.

ბანაკი (გერმანული lager), ადგილი ჯარების განლაგებისთვის დასახლებული პუნქტების მიღმა, რომელიც სპეციალურად არის შერჩეული და მოწყობილი საბრძოლო, სასწავლო და სხვა ამოცანების შესასრულებლად. **ბ.**, როგორც გამაგრებული საბრძოლო პოზიციები, ცნობილია უძველესი დროიდან (რომის ბანაკი). შემდგომში მას იყენებდნენ როგორც ჯარების დასასვენებელ ადგილს ხანგრძლივი ლაშქრობების დროს. მუდმივი **ბ**-ები საფუძვლიანად მაგრდებოდა, ხოლო ზოგიერთი მათგანი გარკვეული პერიოდის შემდეგ ციხესიმაგრედ გადაიქცეოდა. XVII–XIX საუკუ

ნეებში **ბ**-ები ეწოდებოდა სიმაგრეებსაც, რომლებიც იცავდნენ მნიშვნელოვან რაიონებს და მიმართულებებს. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან **ბ**-ების დანიშნულება იყო საველე პირობებში ჯარების სწავლება. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მრავალ ქვეყანაში საბრძოლო მომზადების ძირითად ადგილად იქცა სასწავლო ცენტრები, რომლებშიც ნაწილები და ქვედანაყოფები შეიძლება **ბ**-ად განთავსდნენ.

ბანაკი რომაული, რომაელების საველე გამაგრება, რომელსაც იყენებდნენ ჯარების განლაგებისთვის ბრძოლის დაწყებამდე, ხოლო დამარცხების შემთხვევაში – თავის შესაფარებლად და თავდაცვაზე გადასასვლელად. ცნობილია *პუნიკური ომების* დროიდან (ძვ.წ. III–II საუკუნეები). ლაშქრობაში ერთი დღის სავალი გზის გავლის შემდეგ ახალი ბანაკი შენდებოდა. მას ამაგრებდნენ თხრილითა და მიწაყრილით, რომელზეც აღმართული იყო მოწნული ფარები. **ბ.რ**-ს ოთხივე მხარეს კარიბჭეები ჰქონდა. შემდგომში ასეთი ბანაკის შექმნის გამოცდილება სხვა ხალხებმა გადაიღეს.

ბანგლადეში (ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ აზიაში. სამხრეთით ესაზღვრება ინდოეთის ოკეანე ბენგალიის სრუტით. ფართობი 143,9 ათ. *კმ*². მოსახლეობა 156 მლნ. კაცი (2012), დასახლებულია ძირითადად ბანგლადეშელებით. ოფიციალური ენა – ბენგალური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. დაკა. ადმინისტრაციული დაყოფა – 4 ოლქი. **ბ**. უნიტარული რესპუბლიკაა, შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი ხელისუფლება – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა აღიარეს 1971 წლის 26 მარტს. **ბ**. აგრარული, ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული ქვეყანაა მსოფლიოში. ძირითადი საზღვაო პორტებია: ჩიტაგონგი, მონგლა. საერთაშორისო აეროპორტებია: დაკა, ჩიტაგონგი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 157 ათ. კაცი (2012). შედგება სახმელეთო ჯარებისგან 126 ათ., სამხედრო-საჰაერო – 14 ათასი და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან – 17 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ბანდფორმირება, გარკვეული დანაშაულებრივი მიზნების (არსებულ წყობასთან ბრძოლა, ტერორისტული აქტების ორგანიზება და მოწყობა, დაწესებულებებზე, საწარმოებსა და ცალკეულ პირებზე თავდასხმა, დივერსიების და პროვოკაციების მოწყობა) მისაღწევად გაერთიანებული უკანონო შეიარაღებული ჯგუფი.

ბარაჟირება (ფრანგული barrage – საგუშაგო, ღობურა), თვითმფრინავ-გამანადგურებლების ფრენა მიწისზედა ობიექტების დასაცავად გამოყოფილ ზონებში (რაიონში) განსაზღვრულ სიმაღლეზე. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან იხმარება ტერმინი „ჰაერში მორიგეობა“.

ბარბადოსი (Barbados), სახელმწიფო ვესტინდოეთში, კუნძულ ბარბადოსზე, რომელიც მდებარეობს მცირე ანტილის კუნძულების ჯგუფში. ფართობი 430 *კმ*². მოსახლეობა 256,6 ათ. კაცი (2012), ძირითადად დასახლებულია ბარბადოსელებით. ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ბრიჯტაუნი. ადმინისტრაციულად იყოფა 11 რაიონად. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1966 წლის 30 ნოემბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მიწათმოქმედება. საზღვაო პორტი – ბრიტთაუნი, საერთაშორისო აეროპორტი – გრანტლი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 610 ათ. კაცი (2012). შედგება სახმელეთო ჯარებისაგან – 500 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან – 110 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება მოხალისეებით.

„ბარბაროსა“ („Barbarossa Fall“), საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერული გერმანიის აგრესიული ომის გეგმის კოდური სახელწოდება („რომის საღვთო იმპერიის“ იმპერატორ ფრიდრიხ I ბარბაროსას სახელის მიხედვით). „ბ“-ს შემუშავება დაიწყო 1940 წლის 21 ივლისს, დამტკიცდა 1940 წლის 18 დეკემბერს. ჩანაფიქრი – წითელი არმიის მთავარი ძალების ელვისებური განადგურება მდ. დნეპრისა და დასავლეთ დვინის დასავლეთით, ხოლო შემდეგ არხანგელსკ-ვოლგა-ასტრახანის ხაზზე გასვლა. ომში გამარჯვება ივარაუდებოდა 2–3 თვის განმავლობაში (ე.წ. *ბლიცკრიგის* სტრატეგია). ომის დაწყება გადაწყვეტილი იყო 1941 წლის მაისში, მაგრამ ბალკანეთის კამპანიის *(იხ. ბალკანეთის კამპანია 1941)* გამო ამ ვადამ 22 ივნისისთვის გადაიწია. ასეთმა შეფერხებამ, წითელი არმიის წინააღმდეგობასთან ერთად, საბოლოო ჯამში გამოიწვია „**ბ**“-ს ჩაშლა.

ბარბეტი (ფრანგული – barbette), 1. ბრუსტვერის გადაღმა მდებარე მიწაყრილი საარტილერიო დანადგარის ან ტყვიაფრქვევის დასაყენებლად; 2. ხომალდის ბორტზე არსებული შვერილი ქვემეხის მომსახურების გასაადვილებლად; 3. უძრავი საყრდენი, რომლის გარშემოც ხომალდზე ქვემეხის კოშკურა ბრუნავს. ასევე კოშკურასქვეშა ვერტიკალური დამცავი ჯავშანი.

ბარიერი (ფრანგული barrière, დაბალი ზღუდე, ტიხარი), წინაღობების კოორდინირებული რიგები, განპირობებული ან გამოყენებული მოწინააღმდეგის ძალებისთვის დანაკარგების მისაყენებლად. **ბ**. შეიძლება იყოს ბუნებრივი, ხელოვნური ან მათი კომბინაცია.

ბარიერული ზღუდე, დიდი ბუნებრივი ან ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლება, რომელიც აძნელებს ან შეუძლებელს ხდის ჯარების შეტევით საბრძოლო მოქმედებებს ან წინწაწევას. ბუნებრივი **ბ.ზ. –** დიდი მდინარეები, მთების უღელტეხილები და სხვა. ხელოვნურ **ბ.ზ**-ს მიეკუთვნება დაბრკოლებები, რომლებიც წარმოქმნილია ადგილმდებარეობაზე საბრძოლო საშუალებების ზემოქმედებებით.

ბარიკადი (ფრანგული – barricade), სახელდახელოდ აგებული ხერგილი, ხელოვნური წინაღობა (ძირითადად ადგილობრივი მასალებისაგან – მორები, მიწიანი ტომრები, ქვები და სხვა), რომელიც შეტევაში მყოფი მოწინააღმდეგის შეტევისგან დასაცავად გზების და ქუჩების გარდიგარდმო, მთის გადასასვლელებში აღიმართება. ცნობილია უძველესი დროიდან. საქართველოში მტრის შემოსევისას **ბ**-ებით მთის ვიწროებს ხერგავდნენ. *დავით IV აღმაშენებელმა* **ბ.** 1121 წლის 12 აგვისტოს თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ დიდგორის ბრძოლაში გამოიყენა.

ბარკასი (ჰოლანდიური – barkas), 1. სამხედრო-საზღვაო ფლოტში დიდი სანაოსნო, 14–22 ნიჩბიანი ორანძიანი ნავი, შესალებელია იყოს ძრავიანი. 2. მცირე ზომის თვითმავალი გემი რეიდებზე და ნავსადგურებში გადაზიდვებისთვის, სანაპირო წყლებში თევზჭერისთვის.

ბარჟა (ფრანგული barge), 1. სატვირთო გემი სხვადასხვა ტვირთის გადასატანად. ცურვის რაიონის მიხედვით არის საზღვაო, სარეიდო და სამდინარო; გადაადგილების საშუალებების მიხედვით – თვითმავალი და არათვითმავალი (ბუქსირებადი და ბუქსირის მიწოლით); გადასაზიდი ტვირთების მიხედვით – მშრალსატვირთო, გრუნტსაზიდი და სპეციალიზებული (საარტილერიო, სატორპედო, ტანკსადესანტო და სხვა); კორპუსის მასალის მიხედვით – ხის, ფოლადის, რკინაბეტონის (კომპოზიტური); სახომალდო არქიტექტურის მიხედვით – გემბანიანი და უგემბანო. **ბ**. – ლიხტერები გამოიყენება ლიხტერმზიდებიდან ტვირთის მოუწყობელ სანაპიროებზე მისატანად. **ბ**-ის ტვირთამწეობა მერყეობს რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ათას ტონამდე. 2. XVIII–XIX საუკუნეებში იალქნიანი გემი, რომლის დანიშნულება იყო რეიდზე მდგომი სხვა გემებიდან გადმოტვირთვა, აგრეთვე მდინარეებით და არხებით სხვადასხვა ტვირთის გადატანა. 3. შუა საუკუნეებში იალქნიანი ფლოტის ნიჩბებიანი გემი, რომელიც გამოიყენებოდა სამეთაურო შემადგენლობის მიმოსვლისათვის და რეიდზე მდგომ გემებს შორის კავშირისთვის. 4. სხვადასხვა კონსტრუქციის გადასაზიდი ნავების (ინგლისი) ან ნიჩბებიანი სასწავლო ნავების (აშშ) ძველი დასახელება.

ბასიანის ბრძოლა 1203, ქართული ლაშქრის ბრძოლა თურქ-სელჩუკებთან ბასიანის ველზე, ქ. არზრუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. რუმის სულთანმა რუქნადინ სულეიმანშაჰ II-მ (1196–1204), რომელიც შეშფოთებული იყო ქართველთა გაძლიერებით, გადაწყვიტა საქართველოზე გამოლაშქრება. მრავალრიცხოვანი ჯარით, რომლის რაოდენობას „ქართლის ცხოვრება“ 400 ათ. მეომრით განსაზღვრავს, (რაც საგრძნობლად გადაჭარბებული უნდა იყოს). რუქნადინი ბასიანში დაბანაკდა და მეფე თამართან მოციქული აფრინა შეურცხმყოფელი წერილითა და დამორჩილების მოთხოვნით. საქართველოს სამეფო კარმა მოლაპარაკებები გააჭიანურა, რათა დრო მოეგო ლაშქრის შესაკრებად. ქართველებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და 27 ივნისს დავით სოსლანის სარდლობით მოულოდნელად დაესხნენ მტრის ბანაკს. ქართული საბრძოლო წყობა სამი ელემენტისგან შედგებოდა: ავანგარდში სამხრეთ საქართველოს საერისთავოთა მხედრობა იდგა – მესხები, თორელები, სომხითარები (ქვემო ქართლელები) და სხვა, მარჯვენა ფრთაზე – „აფხაზნი და იმერნი“, მარცხენა ფრთაზე – „ამერნი და ჰერ-კახნი“. დავით სოსლანმა დროულად გამოიყენა ჯარების ასეთი განლაგება. თავდასხმებს მარჯვენა და მარცხენა მხრიდან რუქნადინი არ მოელოდა. სასტიკი ბრძოლა ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. ხელთ იგდეს დიდი ალაფი, სულთნის დროშა და უამრავი ტყვე. რუქნადინმა გაქცევით უშველა თავს. **ბ.ბ**-მ განამტკიცა საქართველოს მაღალი ავტორიტეტი მთელ ახლო აღმოსავლეთში.

ბასმაჩობა (თურქული basmaq – თავდასხმა), შუა აზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რადიკალური ფრთა, რომელიც შეიარაღებული გზით ცდილობდა რეგიონში საბჭოთა ხელისუფლების დამხობას. ბასმაჩთა რაზმები მოქმედებდნენ პარტიზანული მეთოდებით, თავს ესხმოდნენ საბჭოთა დაწესებულებებს, სამხედრო ქვედანაყოფებს, სასოფლო-სამეურნეო და სხვა ობიექტებს. **ბ**-ის იდეოლოგიური საფუძველი იყო პანისლამიზმი, პანთურქიზმი და ბურჟუაზიული ნაციონალიზმი. მისი სოციალური დასაყრდენი იყვნენ ბეგები, ბოლები და ბაები. ბასმაჩების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა ადმინისტრაცია მიმართავდა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ზომებს. ბასმაჩთა ძირითადი დაჯგუფებები საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს 1922 წელს, მოძრაობის საბოლოო ლიკვიდაცია მოხდა 1933 წელს.

ბასტიონი (ფრანგული bastion, ლათინური bastillio – ვაგებ სიმაგრეს), ხუთკუთხოვანი დამცავი ნაგებობა, რომელსაც აღმართავენ ციხესიმაგრის გალავნის კუთხეებში. მისი დანიშნულებაა წინმდებარე ტერიტორიისთვის ცეცხლდაშენა და ციხესიმაგრის კედლების ან მის წინმდებარე თხრილების ფლანგიდან დაცვა. შედგებოდა საარტილერიო ქვემეხის განსათავსებელი 1 ან 2 მიწაყრილისგან. პირველად გამოიყენეს XV საუკუნეში.

ბატალია (ფრანგული bataille – ბრძოლა, შერკინება), 1. ბრძოლის, კვეთების სახელწოდება; 2. ქვეითი ჯარის დაწყობის წესი შუა საუკუნეების (XIV–XVI) დასავლეთ ევროპაში. წარმოადგენდა მჭიდროდ, მიჯრით დაწყობილ კვადრატულ კოლონას, რომელშიც თანაბარი რაოდენობის მეომრები იდგნენ ფრონტზე და მხარეებზე. 3. საბრძოლო მოქმედებების და დარტყმების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ოპერაციის მიზნების მისაღწევად ან მისი კერძო ამოცანების გადასაწყვეტად, შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანების გამოყენების ერთ-ერთი ფორმა. ოპერაციებში შეიძლება ყოფილიყო ერთი ან რამდენიმე **ბ.**, რომლებიც ხორციელდებოდა ერთდროულად, ან თანამინდევრულად მთელ ფრონტზე, ან ცალკეულ მიმართულებაზე. განასხვავებენ საერთო-საჯარისო (მ.შ. სატანკო), საჰაერო, საჰაერო თავდაცვის, დესანტსაწინააღმდეგო, საჰაერო-სადესანტო, საზღვაო-სადესანტო და საზღვაო **ბ**-ს. ის შეიძლება იყოს შეტევითი, მ.შ. შემხვედრი და თავდაცვითი. საერთო-საჯარისო **ბ**-ის წარმოებისას სახმელეთო ჯარების გაერთიანებების ძირითადი ძალები ურთიერთქმედებენ სამხედრო-საჰაერო ძალებთან, ზღვისპირა მიმართულებებზე – სამხედრო-საზღვაო ძალებთან. საჰაერო, საჰაერო თავდაცვის, დესანტსაწინააღმდეგო, საჰაერო-სადესანტო, საზღვაო-სადესანტო და საზღვაო **ბ**-ები, როგორც წესი, მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებით, ხოლო ზოგიერთი მათგანი (საჰაერო, საჰაერო თავდაცვის და საზღვაო) – დამოუკიდებლადაც. **ბ.** ხასიათდება მხარეების მოქმედებების სიმტკიცით, დიდი გაქანებით. ასევე დასახული მიზნების მისაღწევად ჯარების მდგრადობით და მაღალიდინამიკურობით. ოპერაციის ცნების გაჩენამდე **ბ.** იყო მეომარი სახელმწიფოების არმიების, საბრძოლო მოქმედებების ძირითადი სახე. XX საუკუნემდე განასხვავებდნენ კერძო და გენერალურ **ბ**-ს. გენერალური **ბ.** გადამწყვეტ გავლენას ახდენდა საომარი კამპანიის, ხოლო ზოგჯერ თვით ომის ბედზეც. (მაგალითად, აუსტერლიცის 1805 წლის **ბ**). ლიტერატურაში ცნებები „ბატალია“ და „ოპერაცია“ ხშირად იხმარება როგორც სინონიმები. ნატოს სახელმწიფოების არმიებში ცნება **ბ.** გაიგივებულია „ოპერაციის“ ცნებასთან. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების და ნატოს წევრი ქვეყნების არმიების ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას ეწოდება „საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია (ბატალია).“

ბატალიაში (ბრძოლაში) შეყვანა, გაერთიანებების (შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების) ორგანიზებული წინ წაწევა, გაშლა და ჩაბმა ბრძოლაში II ეშელონიდან და რეზერვიდან ძალისხმევის გასაძლიერებლად. ასევე მოწინააღმდეგესთან შედარებით ძალებსა და საშუალებებში უპირატესობის უზრუნველსაყოფად. გაერთიანებები და შენაერთები შეჰყავთ ბატალიაში, ხოლო ნაწილები და ქვედანაყოფები – ბრძოლაში. **ბ(ბ)შ**-ის დაგეგმვა ხდება ოპერაციის (ბრძოლის) მომზადებისას, აგრეთვე მისი მსვლელობისას, როდესაც ჩნდება საამისო საჭიროება. შეტევაში შეყვანა ხორციელდება, როგორც წესი, მთავარი დარტყმის მიმართულებაზე ოპერაციაში (ბრძოლაში) წარმატების გასავითარებლად, ძალისხმევის გადასატანად ახალ მიმართულებებზე, I ეშელონის ჯარების შესაცვლელად, რომლებმაც დაკარგეს ბრძოლისუნარიანობა. ასევე მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი (კონტრმოიერიშე) დაჯგუფებების, მისი II ეშელონის და რეზერვის გასანადგურებლად, აგრეთვე ალყაში მოსაქცევად. სამანევრო (სარეიდო) მოქმედების შესასრულებლად მოწინააღმდეგის ზურგში და სხვა ამოცანების გადასაწყვეტად. **ბ(ბ)შ**-ის მხარდაჭერა ხდება მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობის ძალების და საშუალებების ცეცხლით და დარტყმებით. იგი ყოველმხრივ უნდა იყოს უზრუნველყოფილი. **ბ.(ბ)შ**-ის წინ და მისი მსვლელობისას ეწყობა და ხდება მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანება. შეყვანა წარმოებს როგორც წესი, შეუჩერებლივ (მარშიდან) წინ მოქმედ ჯარებს შორის შუალედებში ან მათი ფლანგებიდან ისეთ პირობებში, როდესაც აუცილებელია უმოკლეს ვადაში ძალისხმევის ზრდა, დასაშვებია ჯარების შეყვანა წინ მოქმედ შენაერთებსა და ნაწილებზე (ქვედანაყოფებზე) გადასწრების გზით.

ბატალიონი (იტალიური battaglia – რაზმი, ათასეული), ძირითადი ტაქტიკური ქვედანაყოფი სახმელეთო, საჰაერო-სადესანტო, სანაპირო და სხვა ჯარებში. შედის ბრიგადის შემადგენლობაში ან შენაერთში (გაერთიანებაში), წარმოადგენს ცალკეულ სამხედრო ნაწილს. **ბ.** შეიძლება იყოს: ქვეითი (მოტომსროლელი, მოტოქვეითი), სატანკო, საპარაშუტო-სადესანტო, ქვეითი აერომობილური, სადესანტო-მოიერიშე, საზღვაო ფეხოსნების, დაზვერვის (სადაზვერვო აერომობილური), არმიის ავიაციის, საინჟინრო-მესანგრეების (საინჟინრო), კავშირგაბმულობის, რადიოელექტრონული ბრძოლის, საავტომობილო, მატერი

ალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სარემონტო-აღდგენითი, სამედიცინო-სანიტარული და სხვა. თავდაპირველად ტერმინი „ბატალიონი“ („ბატალია“-სგან) საბრძოლო წყობას ნიშნავდა. XVII საუკუნეში ეს წყობა შემადგენელ ნაწილებად დანაწევრდა, რომლებსაც **ბ**-ები ეწოდება. აშშ-ში მოტოქვეითი (ქვეითი) **ბ**. მოიცავს მმართველობას, საშტაბო, 3 მოტოქვეით (ქვეით) ასეულსა და საცეცხლე მხარდაჭერის ასეულს. გერმანიაში ჰყავთ შერეული მოტოქვეითი ბატალიონი (2 ასეული ქვეით საბრძოლო მანქანებზე და სატანკო ასეული). დიდ ბრიტანეთში მოტოქვეითი ბატალიონი ძირითადი ტაქტიკური ნაწილია. იგი 700-ზე მეტ ადამიანს, 100 ჯავშანტრანსპორტიორს და ჯავშანავტომობილს ითვლის. რუსეთის ფედერაციის არმიაში მოტომსროლელ **ბ**-ში შედის – მმართველობა, 3 მოტომსროლელი ასეული, ნაღმტყორცნი, კავშირგაბმულობა, ტანკსაწინააღმდეგო, საზენიტო, ყუმბარსატყორცნი, სამეურნეო, ტექნიკური უზრუნველყოფისა და სამედიცინო პუნქტის ქვედანაყოფები, სულ 500 კაცამდე და 50 ქვეით საბრძოლო მანქანამდე (ჯავსანტრანსპორტიორამდე).

ბატალიონის არტილერია, იხ. *საჯარისო არტილერია*

ბატალიონის თავდაცვის რაიონი, ბრიგადის (პოლკის) თავდაცვის ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც ბატალიონს უკავია თავისი გაძლიერების საშუალებებით. **ბ.თ.რ**. მოიცავს ასეულის საყრდენ პუნქტებს, რომლებიც მომზადებულია წრიული თავდაცვისათვის. ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული ცეცხლისა და ღობურების სისტემით. გარდა ამისა, **ბ.თ.რ**-ში ეწყობა არტილერიის, ნაღმსატყორცნების, ტანკების, მართული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების, საზენიტო საშუალებების საცეცხლე პოზიციები და სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტები. ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებსა და ტანკებს ისე განალაგებენ, რომ მათ შეეძლოთ ერთმანეთთან ურთიერთმოქმედება და მოწინააღმდეგის ტანკებისათვის ცეცხლის დაშენა სროლისთვის ყველაზე ხელსაყრელი სიშორიდან. **ბ.თ.რ**-ში შეიძლება მომზადდეს აგრეთვე არტილერიისა და საჰაერო თავდაცვის საშუალებების საცეცხლე პოზიციები, ზემდგომი უფროსის საშუალებების საცეცხლე და გაშლის ზღუდეები; სათადარიგო და ცრუ საყრდენი პუნქტები და პოზიციები. **ბ.თ.რ**-ის სიგანე 5 *კმ*-მდეა, სიღრმე 3 *კმ*-მდე. წყლისმიერი დაბრკოლების თავდაცვისას, მთაში და სხვა განსაკუთრებულ პირობებში, აგრეთვე უზრუნველყოფის ზოლში და მეწინავე პოზიციაზე **ბ.თ.რ**-ის სიგანე შეიძლება მეტი იყოს.

ბატალიონის ტაქტიკური ჯგუფი, დროებითი ფორმირება, რომელიც აშშ-ის არმიაში იქმნება ბატალიონის ბაზაზე ბრძოლის საწარმოებლად. მოიცავს 2–4 სატანკო, მოტოქვეით ასეულს, მართული ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების ქვედანაყოფს, სანაღმსატყორცნო, სადაზვერვო, საინჟინრო და ზურგის ქვედანაყოფებს. ჯგუფს შეიძლება ცეცხლით მხარს უჭერდეს ვერტმფრენთა ასეული, არტილერიის დივიზიონი ან საზენიტო დანადგარების ოცეული, ან მათი შედარებით მცირე რაოდენობა.

ბატარეა (ფრანგული battre – დარტყმა), ძირითადი საცეცხლე (დამრტყმელი) ტაქტიკური ქვედანაყოფი არტილერიაში, სარაკეტო, საზენიტო-სარაკეტო და სხვა ჯარებში. იგი შეესაბამება სამხედრო ძალების სხვა სახეობების ასეულს ან მსგავს ქვედანაყოფებს. მართვის და საბრძოლო უზრუნველყოფის სპეციალური ქვედანაყოფი. **ბ.** შეიძლება იყოს: სასტარტო (სარაკეტო ჯარებში), საარტილერიო, საზენიტო-სარაკეტო, მართვის, საბრძოლო უზრუნველყოფის, ტექნიკური. შედის საარტილერიო (სარაკეტო) დივიზიონის, პოლკის შემადგენელობაში ან არის ცალკეული. თავდაპირველად ტერმინი „ბატარეა“ ნიშნავდა პოზიციაზე საარტილერიო ქვემეხების თავმოყრას. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან მრავალ ქვეყანაში უწოდებდნენ არტილერიის საშტატო საცეცხლე და ადმინისტრაციულ ერთეულს. თანამედროვე არმიებში **ბ.** შედგება 2–3 საცეცხლე ოცეულისაგან (1–2 სასტარტო ათეულისაგან) და მართვის ოცეულისაგან (ათეულისაგან). საარტილერიო **ბ**-ს აქვს 4–9 ქვემეხი, ხოლო სასტარტოს 1–2 სარაკეტო კომპლექსი.

ბაქტერიოლოგიური იარაღი, იხ. *ბიოლოგიური იარაღი.*

ბაღდადის პაქტი, 1955 წლის 24 თებერვალს ერაყსა და თურქეთს შორის ბაღდადში დადებული ხელშეკრულება, რომელსაც შემდეგ შეუერთდნენ ინგლისი, ირანი და პაკისტანი. საფუძველი დაუდო სამხედრო დაჯგუფების – *სენტოს* შექმნას.

ბაჰამის კუნძულები (The Commonwealth of the Bahamas – ბაჰამის კუნძულების თანამეგობრობა), სახელმწიფო ვესტინდოეთში, ბაჰამის კუნძულებზე, ატლანტის ოკეანეში. საერთო ფართობი 13,9 ათ. *კმ*². მოსახლეობა 307,5 ათ. კაცი (2012), 75%-ზე მეტი ბაჰამელები (მულატები და ზანგები). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ნასაუ. ადმინისტრაციულად იყოფა 18 ოლქად. ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1973 წლის 10 ივლისიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმი, საფინანსო და სავაჭრო ოპერაციები. გააჩნია ორი საზღვაო პორტი და ორი საერთაშორისო აეროპორტი. შეიარაღებული ძალები სამხედრო-საზღვაო ძალებთან

ერთად საერთო შემადგენლობით – 860 ათ. კაცი (2012). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ბაჰრეინი (სახელმწიფო ბაჰრეინი), სახელმწიფო აზიაში, ბაჰრეინის კუნძულებზე, სპარსეთის ყურეში. ფართობი 695 *კმ²*. მოსახლეობა 807,1 ათ. კაცი (2012), ძირითადად არაბები. ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. მანამა. **ბ.** კონსტიტუციური მონარქიაა (ემირატი). სახელმწიფოს მეთაური – ემირი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ემირს და ეროვნულ კრებას, აღმასრულებელი – მთავრობას. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1971 წლის 14 აგვისტოს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება. საზღვაო პორტები: სულმანი, სითრა, მანამა. საერთაშორისო აეროპორტი – მუჰარაკი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8,45 ათ. კაცი (2012). შეიცავს სახმელეთო ჯარებს – 6 ათ., სამხედრო-საჰაერო – 1,5 ათ., სამხედრო-საზღვაო – 700 და სანაპირო დაცვის ძალებს 250. დაკომპლექტება ხორციელდება მოხალისეებით.

ბგერათშენიღბვა, ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია შეამციროს გამნიღბავი ხმაურის დონე, აგრეთვე შექმნან ხმაური, რომელიც მოწინააღმდეგეს გაუძნელებს ბგერითი დაზვერვის წარმოებას; ტაქტიკური შენიღბვის სახეობა. ეწყობა მოწინააღმდეგისგან ჯარების (ძალების) გადაჯგუფების, შეცვლისა და მანევრის დასაფარავად, საბრძოლო მოქმედებისათვის მოსამზადებლად.

ბელარუსი (ბელარუსის რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში. დასავლეთით ესაზღვრება პოლონეთი, ჩრდილო-დასავლეთით – ლიტვა, ჩრდილოეთით – ლატვია, ჩრდილოეთით, ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით – რუსეთი, სამხრეთით – უკრაინა. არ აქვს ზღვაზე გასასვლელი. ფართობი 207,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 9,70 მლნ. კაცი (2012), 80% – ბელარუსები, 13% – რუსები, 4% – პოლონელები. ოფიციალური ენა – ბელორუსული, რუსულ ენას მინიჭებული აქვს ბელორუსულთან თანაბარი სტატუსი. დედაქალაქი – ქ. მინსკი. ადმინისტრაციულად იყოფა 6 ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ორპალატიანი პარლამენტი). 1990 წლის 27 ივლისიდან **ბ**-ის უზენაესმა საბჭომ მიიღო დეკლარაცია სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ. **ბ.** ინდუსტიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, (ტრაქტორმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა, ზუსტი ხელსაწყომშენებლობა და სხვა), ქიმიური, ნავთობქიმიური, მსუბუქი და კვების პროდუქტების მრეწველობა, ბამბეულის წარმოება. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია – მეცხოველეობა, კარტოფილის, ხორბლის, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის მოყვანა. საერთაშორისო აეროპორტი – მინსკი-2. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 60 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები – 29,6 ათ., სამხედრო-საჰაერო – 18,1 ათ., სასაზღვრო და შინაგანი ჯარები. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრინციპით.

ბელგია (Koninkrijk van België – ბელგიის სამეფო), სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება საფრანგეთი, ჩრდილოეთით – ნიდერლანდი, აღმოსავლეთით – გერმანია და ლუქსემბურგი, ჩრდილო-დასავლეთით აკრავს ჩრდილოეთის ზღვა. ფართობი 30,5 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 10,6 მლნ. კაცი (2012). 50% – ფლამანდიელები, 35% – ვალონელები. ოფიციალური ენა – ფრანგული, ფლამანდური. დედაქალაქი – ქ. ბრიუსელი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად. **ბ.** კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანონმდებლო უფლებამოსილება ეკუთვნის მეფეს და ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. **ბ.** დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1830 წლიდან. **ბ.** ნატოს წევრი ქვეყანაა. მის ტერიტორიაზე განლაგებულია ნატოს პოლიტიკური და უმაღლესი სამხედრო ორგანოები. **ბ.** განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს თვითმფრინავებს, ქვეითთა საბრძოლო მანქანებს და ჯავშანტრანსპორტიორებს, საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალებს, სანაღმე და ელექტროაღჭურვილობას. უმსხვილესი საზღვაო პორტებია: ანტვერპენი, ბრიუგე, გენტი. საერთაშორისო აეროპორტი – ბრიუსელი. შეიარაღებული ძალების საერთო შემადგენლობა – 37,8 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარების – 26,8 ათ., სამხედრო-საჰაერო – 8,5 ათ. და სამხედრო-საზღვაო – 2,5 ათ.. 2010 წლის 1 იანვრიდან დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობითი გაწვევით.

ბელიზი (Belize), სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში, იუკატანის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. **ბ**-ს აღმოსავლეთით ესაზღვრება კარიბის ზღვა. ფართობი 23 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 312,9 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ბელმოპანი. ადმინისტრაციულად იყოფა 6 ოლქად. **ბ.** დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გებერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა. **ბ.** დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1991 წლის 21 ნოემბრიდან, ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მთავარი საზღვაო პორტი – ბელიზი, საერთაშორისო აეროპორტი – სტენლი-ფილდი. შეიარაღებული ძალები საერ

თო შემადგენლობით 1,1 ათ. კაცი (2012). შედგება სახმელეთო ჯარებისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ქვედანაყოფები. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ბელორუსიის ოპერაცია, (კოდური სახელწოდება „ბაგრატიონი“) 1944 წლის 23 ივნისი – 29 აგვისტო, წითელი არმიის ერთ-ერთი უდიდესი სტრატეგიული ოპერაცია *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს. საბჭოთა ჯარებმა მრავალ ადგილას გაარღვიეს გერმანული არმიის ჯგუფ „ცენტრის“ ფრონტი, ალყაში მოაქციეს და გაანადგურეს მოწინააღმდეგის მსხვილი დაჯგუფებები და აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან გავიდნენ. მნიშვნელოვანია ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების გამოყენების გამოცდილება. გერმანელთა ზურგის კომუნიკაციებზე აქტიურად მოქმედებდნენ პარტიზანული ნაწილები და შენაერთები.

ბელოსტოკ-მინსკის ბრძოლა 1941, საზღვრისპირა ბრძოლა გერმანია-სსრ კავშირის ომის დროს, 1941 წლის 22 ივნისიდან 8 ივლისამდე. გერმანულ არმიათა ჯგუფის „ცენტრის“ (გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბოკი) ჯარებმა ბელოსტოკთან და მინსკთან ალყაში მოაქციეს საბჭოთა ჯარების დასავლეთის ფრონტის (არმიის გენერალი პავლოვი) მთავარი ძალები და გაანადგურეს ისინი სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად. გერმანელებმა ხელთ იგდეს 290 ათ. ტყვე, 2.500 ტანკი, 1.400 ქვემეხი და სხვა სამხედრო ალაფი. **ბ-მ.ბ**-ის შედეგად გერმანულმა ჯარებმა დაიპყრეს თითქმის მთელი ბელორუსია და 300 *კმ*-ით წაიწიეს წინ. სტალინმა **ბ.-მ.ბ**-ში დამარცხება ბრალად დასდო დასავლეთ ფრონტის სარდლობას. პავლოვი და 5 სხვა გენერალი დააპატიმრეს და დახვრიტეს.

ბენინი (République du Benin – რესპუბლიკა ბენინი), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. სამხრეთით ესაზღვრება გვინეის ყურე. ფართობი 112,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 9,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. პორტო-ნოვო. პრეზიდენტის რეზიდენცია – ქ. კოტონუ. ადმინისტრაციულად იყოფა 6 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1980 წლიდან. **ბ**. აგრარული ქვეყანაა. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – კოტონუ. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 4,7 ათ. კაცი (2012); შედგება სახმელეთო ჯარების – 4,3 ათ., სამხედრო-საჰაერო – 0,25 ათ. და სამხედრო-საზღვაო – 0,15 ათ. ძალებისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ბერდანა (ბერდანკა), ზოგიერთი ქვეყნის არმიის შეიარაღებაში არსებული (ამერიკელი კონსტრუქტორ ჰ. ბერდანის მიერ შემუშავებული) ერთმუხტიანი (ერთტყვიიანი) შაშხანების გავრცელებული სახელწოდება. ოფიციალურად **ბ**-ის შაშხანა №1 და №2. ეს უკანასკნელი შეიარაღებაში იყო 1870 წლამდე. შემდგომში ჩაანაცვლეს 1891 წლის ნიმუშის მჭიდიანი შაშხანით. ძირითადი მახასიათებლებია: კალიბრი 10.67 *მმ*, მასა 4.9 *კგ*. (ხიშტით), სროლის სამიზნე მანძილი 1600 *მ*, სროლის სისწრაფე 8 *გასრ/წთ*-ში.

ბერიევი (ბ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი) გიორგი მიხეილის ძე (1903–79), საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი, საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1961). დაამთავრა ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (1930). 1934–68 წლებში საზღვაო თვითმფრინავმშენებლობის საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროს მთავარი ინჟინერი და უფროსი. მისი ხელმძღვანელობით შექმნილია ჰიდროთვითმფრინავები, რეაქტიული მფრინავი ნავები, ამფიბია-თვითმფრინავები, სახომალდე, საკატაპულტე თვითმფრინავები და სახმელეთო მსუბუქი სამგზავრო თვითმფრინავები.

ბერლინის ოპერაცია 1945 (16 აპრილი – 8 მაისი), მნიშვნელოვანი შეტევითი ოპერაცია *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს. **ბ.ო**-ში მონაწილეობდნენ: ბელორუსიის I (მარშალი გ. ჟუკოვი), ბელორუსიის II (მარშალი კ. როკოსოვსკი) და უკრაინის I (მარშალი ი. კონევი) ფრონტები. მსროლელთა დივიზიების მეთაურები იყვნენ: გენერალ-მაიორები ე. კობერიძე, ნ. კალაძე, ვ. ჯანჯღავა; ავიაგამანადგურებელი დივიზიების მეთაურები – გენერალ-მაიორები ვ. სტალინი, ე. ტატანაშვილი და მსროლელთა კორპუსის სარდლის მოადგილე ი. რაზმაძე. საბჭოთა ჯარებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა მდინარე ოდერსა და ნაისეზე და ალყაში მოაქციეს გერმანელთა ჯარების მსხვილი დაჯგუფება ბერლინსა და ბერლინის სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამავე დროს დასავლეთიდან გერმანელებს უტევდნენ ინგლის-ამერიკის ჯარები. საბჭოთა არმიამ სასტიკი ბრძოლით გაანადგურა ალყაშემორტყმული გერმანელების ჯარები. 30 აპრილს ჰიტლერმა თავი მოიკლა, 2 მაისს იარაღი დაყარეს ბერლინის გარნიზონის ნარჩენებმა. გერმანელთა ჯარების ნაწილმა მოახერხა დასავლეთისკენ გაჭრა, რათა ინგლისელებს და ამერიკელებს ჩაბარებოდნენ ტყვედ. **ბ.ო**-ის დამთავრებით საბჭოთა ჯარებმა მოკავშირეებთან ერთად საბოლოოდ გაანადგურეს ნაცისტური გერმანიის სამხედრო მანქანა. 8 მაისს გერმანელთა სარდლობის წარმომადგენელმა ფელდმარშალმა კაიტელმა ბერლინის გარეუბან კარლსჰორსტში ხელი მოაწერა გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია 1945, მიმდინარეობდა 1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე, სსრ კავშირის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობების მეთაურთა კონფერენცია ცეცილიენჰოფის სასახლეში, პოტსდამში, ბერლინის ახლოს. საბჭოთა დელეგაციას ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯომარე ი. სტალინი, აშშ-ის დელეგაციას – პრეზიდენტი ჰ. ტრუმენი, დიდი ბრიტანეთისას – პრემიერ-მინისტრი უ. ჩერჩილი (28 ივლისის შემდეგ კ. ეტლი). კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება გერმანიის დემილიტარიზაციის, დენაციფიკაციისა და დემოკრატიზაციის შესახებ. განიხილეს გერმანელთა მონოპოლიების მოსპობის, რეპარაციების (ზარალის გადახდა), პოლონეთის დასავლეთ საზღვრის საკითხები; ცნეს სსრ კავშირისათვის ქ. კენიგსბერგის გადაცემა აღმოსავლეთ პრუსიის ნაწილით.

ბერლინის პაქტი 1940, ხელშეკრულება აგრესიული სამხედრო კავშირის შესახებ გერმანიას, იტალიასა და იაპონიას შორის; ითვალისწინებდა მსოფლიოს გადანაწილებას ამ სამ იმპერიალისტურ სახელმწიფოს შორის. დაიდო 27 სექტემბერს. მოგვიანებით **ბ.პ**-ს შეუერთდა კიდევ რამდენიმე სახელმწიფო. II მსოფლიო ომში გერმანიის და მისი მოკავშირეების დამარცხებამ გამოიწვია **ბ.პ**-ის ლიკვიდაცია.

ბერძენ-სპარსელთა ომები (ძვ.წ. 500–449, შესვენებებით), ომები *აქემენიდების სახელმწიფოსა* და ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებს შორის, რომლებიც თავის დამოუკიდებლობას იცავდნენ. სპარსელთა ლაშქარში აქემენიდების მიერ დამორჩილებული ქართველური ტომებიც მონაწილეობდნენ. ბერძნებმა გაიმარჯვეს გადამწყვეტ ბრძოლებში მარათონთან (490), კუნძულ სალამინთან (480), პლატეასთან (479), მიკალეს კონცხთან (479) და სხვა. ომში გამომჟღავნდა ბერძენთა სოციალურ-პოლიტიკური წყობილებისა და სამხედრო ხელოვნების უპირატესობა აქემენიდების დესპოტური მონარქიის წინაშე. სპარსეთმა უარი თქვა საბერძნეთის დამორჩილების ცდებზე და დათმო თავისი სამფლობელოები ეგეოსისა და მარმარილოს ზღვების სანაპიროებზე. **ბ.-ს.ო**-ის დროს ბერძნებმა ჩამოაყალიბეს მოქნილი სამხედრო ორგანიზაცია, შექმნეს *ფალანგა*, მეომრების გაწვრთნისა და აღზრდის სისტემა, დაიწყეს სამხედრო მოქმედებათა გამოცდილების განზოგადება.

ბერძნული ცეცხლი, ცეცხლგამჩენი ნაზავი, რომელსაც იყენებდნენ საბრძოლო მიზნებისათვის VII–XV საუკუნეებში. ვარაუდობენ, რომ შედგებოდა ასფალტში არეული ნავთის, გოგირდის, ფისის, გვარჯილისა და დაუშლელი კირისაგან. ისროდნენ სპილენძის მილებიდან (ხომალდებზე) ან სატყორცნი მანქანებით (ციხესიმაგრეთა ალყის დროს). **ბ.ც**-ს წყალი ვერ აქრობდა. ცნობილი იყო იმპერატორ ანასტასიოს I-ის (491–519) დროსაც, მაგრამ მის გამოგონებას მიაწერენ არქიტექტორ კალინიკეს 678 წელს კონსტანტინოპოლში.

ბეტა-გამოსხივება, ელექტრონული ან პოზიტრონული კარპუსკულარული იონიზებული გამოსხივება უწყვეტი ენერგეტიკული სპექტრით, რომელიც ვლინდება ბირთვულ გარდაქმნებში. ცნობილია 1500-ზე მეტი ბეტა – რადიოაქტიური იზოტოპი. მათი უმრავლესობა იქმნება ბირთვული აფეთქების და ბირთვული რეაქტორების მუშაობის დროს. ორგანიზმის გარე დასხივების დროს **ბ.-გ.** აზიანებს ზედაპირულ ქსოვილებს, ხოლო ორგანიზმში შეღწევის შედეგად შესაძლებელია განვითარდეს სხივური დაავადება.

ბეტონგამტანი საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ბეტონგამტანი საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

ბეძა I ჯ ა ყ ე ლ ი (დაახლოებით 1240–1306), სამცხის მთავარი (1285–1306) და საქართველოს მანდატურთუხუცესი. მისი სამფლობელოები გადაჭიმული იყო ტაშისკარიდან არზრუმამდე და შავ ზღვამდე, ხოლო პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა ტრაპიზონის იმპერიაზე, რისი ერთგვარი გამოხატულება იყო იმპერატორ ალექსი II-ის ქორწინება **ბ. I**-ის ასულზე და სამცხის მთავრისათვის ჭანეთის გადაცემა. **ბ. I** აღმოსავლეთ საქართველოს მეფისა და ილხანთა ყაენის ვასალი იყო; ხარკს უხდიდა და ლაშქრით ეხმარებოდა ყაზან-ყაენს. **ბ. I**-ის მმართველობის ხანაში გაძლიერდა მცირეაზიელი მომთაბარე თურქული ტომების თავდასხმები სამხრეთ საქართველოზე. დიდი შემოსევა მოხდა 1302 წელს ვინმე აზატ-მოსეს ხელმძღვანელობით, როგორც მას „ქართლის ცხოვრება“ უწოდებს. ქართველები მომზადებული დაუხვდნენ მტერს. სამხრეთქართული თემების ლაშქარმა (12 ათ. მეომარი) **ბ. I**-ის და მისი ვაჟის, სარგისის, სარდლობით რამდენიმე ბრძოლაში გაანადგურა მომხდურები. თურქთა ნარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. **ბ. I**-ის მეორე ასული ნათელა იყო დემეტრე II თავდადებულის მეუღლე. მათი ვაჟი იყო *გიორგი V* ბრწყინვალე.

ბიზანტია, ბ ი ზ ა ნ ტ ი ი ს ი მ პ ე რ ი ა, სახელმწიფო რომის იმპერიის აღმოსავლეთ ნაწილში; წარმოიშვა IV საუკუნეში რომის იმპერიის დაშლის შედეგად მის აღმოსავლეთ ნაწილში (ბალკანეთის ნახევარკუნძული, მცირე აზია, სამხრეთ-აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთი) და არსებობდა XV საუკუნის შუა წლებამდე. დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი, სახელმწიფო ენა – ბერძნული. ძლიერების მწვერვალს მიაღწია VI საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანე I-ის დროს, როდესაც მის შემადგენლობაში თითქმის მთე

ლი ხმელთაშუა ზღვის აუზი შედიოდა. VII–IX საუკუნეებში არაბების, ლანგობარდების, ბულგარების და სლავების შემოსევების შედეგად მისი ტერიტორია ბალკანეთის და მცირე აზიის რეგიონებით შემოიფარგლა. VIII საუკუნის ბოლოს **ბ**-მ ეგრის-აფხაზეთიც დაკარგა. 1204 წელს კონსტანტინოპოლი აიღეს და გაძარცვეს ჯვაროსნებმა. **ბ**. აღდგა 1261 წელს, მაგრამ უწინდელი ძლიერება ვეღარ დაიბრუნა. 1453 წელს **ბ**-ის არსებობას ბოლო მოუღეს თურქ-ოსმალებმა.

ბი-ზეტი (BZ), ფსიქოგენური მოქმედების, თეთრი კრისტალური მომწამვლელი ნივთიერება. დნობის ტემპერატურა 190^0 C , დუღილის 412^0 C, წყალში ცუდად იხსნება. გამოყენების ფორმა – აეროზოლი. საშუალო გამომყვანი ტოქსიკური დოზა 0,11 *მგ-წთ/ლ*, ზღურბლური – 0,05 *მგ-წთ/ლ*, მოქმედების ფარული პერიოდი 0,5–3 *სთ*. დაცვა – აირწინაღი.

ბილატერალური (ორმხრივი) ინფრასტრუქტურა, ინფრასტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს ნატოს მხოლოდ ორი წევრი სახელმწიფოს ინტერესს და ფინანსდება მათ მიერ ურთიერთშეთანხმებით (მაგალითად, ობიექტები, აუცილებელი ნატოს ერთი წევრი ქვეყნის ჯარების მიერ მეორე წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე გამოყენებისთვის).

ბინარული ქიმიური საბრძოლო მასალები, ქიმიური საბრძოლო მასალების სახეობა, რომელიც შედგება ორი სხვადასხვა კომპონენტისგან – არატოქსიკური ან მცირეტოქსიკური. მათი ერთმანეთში შერევის შემთხვევაში მომწამლავი ნივთიერება წარმოქმნება. სპეციალისტების აზრით, **ბ.ქ.ს.მ**-სათვის უფრო მარტივად წყდება მათი უსაფრთხო მომზადების, შენახვის, ექსპლუატაციისა და განადგურების პრობლემები, ვიდრე ჩვეულებრივი ქიმიური საბრძოლო მასალებისთვის.

ბინოკლი, დურბინდი, ორი პარალელური ჭოგრისაგან შედგენილი ოპტიკური ხელსაწყო, რომელსაც იყენებენ სამხედრო საქმეში ბრძოლის ველის სათვალთვალოდ, მიზნების დასაზვერად, უმარტივესი კუთხური გაზომვისათვის და მანძილის გასაზომად. გადიდების ხარისხის (ჯერადობის) მიხედვით ჩვეულებრივი **ბ**-ები არის საშუალო გადიდების (6–8 ჯერ) და დიდი გადიდების (10–15 ჯერ). არსებობს **ბ**-ები, რომლებსაც გადიდების ჯერადობა მდოვრედ ეცვლება (4–20 ჯერ), არის ასევე ღამის ხედვის ბინოკლები.

ბიოაკუსტიკა (bios – სიცოცხლე, akustika – სმენა), ბიოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ცხოველებში ბგერათწარმომქნელი და ბგერათამთვისებელი ორგანოების მუშაობას. **ბ**-ის მიღწევებს დიდი მნიშვნელობა აქვს მეტყველების სინთეზის ამოცანების გადაჭრაში, ადამიანის მანქანასთან ურთიერთობის მოწყობილობის შექმნაში, მეტყველების ავტომატურ გარჩევაში. ისინი ქმნიან საფუძველს მგრძნობიარე ხელსაწყოების დამუშავებისთვის, რომლებიც გამოიყენება, როგორც ავტომატური თვალთვალის და დაკვირვების საშუალებები ხომალდებზე იარაღის თვითდამიზნების სისტემებში და სხვა.

ბიოლოგიური დაზვერვა, სამხედრო დაზვერვის სახეობა. მისი დანიშნულებაა დაზიანების სპეციალური (ბიოლოგიური) საშუალებების გამოყენებისათვის მოწინააღმდეგის მზადების ამსახველი მონაცემების მოპოვება და შესწავლა; მათი გამოყენების ფაქტის, საშუალებებისა და ხერხების დადგენა; მოწინააღმდეგის მიერ მოხმარებული ბიოლოგიური საშუალების (აგენტის) სახეობის, დასნებოვნების კერების ან გამომწვევთა გავრცელების საზღვრების გარკვევა; დასნებოვნების ზონებში ეპიდემიური საფრთხის შენარჩუნების შესაძლო ხანგრძლივობის განსაზღვრა.

ბიოლოგიური დაზიანება, იხ. *დაზიანება*

ბიოლოგიური დასნებოვნების რაიონი, ტერიტორია (აკვატორია), რომლის ფარგლებშიც გავრცელებულია ადამიანებისა და ცხოველებისთვის საზიანო საშიში პათოლოგიური საშუალებები ან პათოგენური მიკროორგანიზმები. ისინი საფრთხეს უქმნიან ჯარების (ძალების) პირადი შემადგენლობის, მოსახლეობის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, ცხოველებსა და მცენარეებს, აგრეთვე გარემო ბუნებას. **ბ.დ.რ**. იყოფა საშიში (ბიოლოგიურ საშუალებათა აეროზოლით პირადი შემადგენლობის დაზიანების ალბათობა არანაკლებ 50%-ისა), ზომიერი (20–50%-მდე) და სუსტი (1-დან 20%-მდე) დასნებოვნების ზონებად. მიღებულია, რომ დამცავი საშუალებების გარეშე სუსტი დასნებოვნების ზონებში ყოფნა უსაფრთხოა.

ბიოლოგიური ვითარება (ბაქტერიოლოგიური ვითარება), იმ ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა, რომელიც წარმოიშობა განსაზღვრულ რაიონში მოწინააღმდეგის მიერ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების შედეგად. იგი გავლენას ახდენს ჯარებისა და საზღვაო ძალების საქმიანობაზე. **ბ.ვ**-ის ხასიათი დამოკიდებულია მოწინააღმდეგის მიერ ბიოლოგიური იარაღის გამოყენების საშუალებებზე, ხერხებსა და დროზე, მოხმარებული რეცეპტურების სახეობასა და კონცენტრაციაზე; დამაზიანებელი კონცენტრაციის ბიოლოგიური აეროზოლის გავრცელების მიმართულებასა და სიღრმეზე; დასნებოვნებული რაიონების სიდიდესა და საზღვრებზე; რეცეპტურებისა და დაავადების გამომწვევთა მედეგობაზე გარემოში; ბიოლოგიური იარაღისაგან დასაცავად ჯარების მომზადების დონეზე; დაცვის საშუალებათა არსებობასა და ეფექტურობაზე, აგრეთვე სხვა ფაქტორებზე.

ბიოლოგიური იარაღი (ბაქტრიოლოგიური იარაღი), მასობრივი დაზიანების იარაღის სახეობა, რომლის მოქმედება ემყარება ბიოლოგიური საშუალებების გამოყენებას. შეიძლება შეიცავდეს ბიოლოგიური საშუალებებით აღჭურვილ საბრძოლო მასალებს (რაკეტების საბრძოლო ნაწილები, საავიაციო ბომბები, ლულიანი და რეაქტიული არტილერიის ჭურვები და სხვა) და მათი მიტანის საშუალებებს (რაკეტები, თვითმფრინავები, აეროსტატები, საარტილერიო ქვემეხები და სხვა). **ბ.ი**-ის მაღალ ეფექტიანობას განაპირობებს მცირე მაინფიცირებელი დოზა, დიდ ტერიტორიებზე ფარული გამოყენება, ინდიკაციის სიძნელე, მოქმედების შერჩევითობა. იგი გამოირჩევა ძლიერი ფსიქოლოგიური ზემოქმედებით. ყოველივე ეს განაპირობებს ჯარებისა და მოსახლეობის ბიოლოგიური დაცვის და ამ იარაღის გამოყენების შედეგების ლიკვიდაციის სირთულეს. მიუხედავად იმისა, რომ **ბ.ი**-ის შექმნა ბევრ სახელმწიფოს ხელეწიფება, მისი მასობრივი გამოყენება დღემდე არ მომხდარა. 1975 წლიდან ძალაში შევიდა ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნის, წარმოებისა და მარაგის დაგროვების აკრძალვისა და განადგურების 1972 წლის კონვენცია.

ბიოლოგიური საშუალებები (ბაქტერიული საშუალებები), ბიოლოგიური აგენტები, რომლებსაც შეუძლიათ დააზიანონ ცოცხალ არსებათა და მცენარეთა ორგანიზმები; ბიოლოგიური იარაღის მთავარი კომპონენტი. მათ განეკუთვნება დამსნებოვნებელი (პათოგენური) მიკროორგანიზმები (ვირუსები, რიკეტსიები, ბაქტერიები, სოკოები) და მათი ცხოველქმედების მაღალტოქსიკური პროდუქტები (ტოქსინები), რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ადამიანისა და ცხოველების მასობრივი დაავადებები (მუცლის ტიფი, ქოლერა, ყვავილი, შავი ჭირი, ქოთაო და სხვა). ასევე – მცენარეთა დაავადებები (მარცვლოვანთა ჟანგა, ბრინჯის ბლასტი, კარტოფილის ფიტოფტოროზი და სხვა).

ბირემი (ლათინური biremis, bi – ორი, remis – ნიჩაბი), ნიჩბიანი ხომალდი, ნიჩბების ორი იარუსით ძველ რომში ძვ.წ. VIII–I საუკუნეებში (ძვ. საბერძნეთში – ბიერა). დამხმარე მნიშვნელობა ჰქონდა მართკუთხა იალქანს. წყალწყვა – 60–100 *ტ*, სიგრძე – 30–38 *მ*, სიგანე – 5 *მ*-დე. შეიარაღება – წყალქვეშა ტარანი, ბალისტები, კატაპულტები, მშვილდოსანი და შურდულით შეიარაღებული მეომრები.

ბირთვისი, ციხესიმაგრე ქვემო ქართლში, ალგეთის ხეობაში. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XI საუკუნეში. ითვლებოდა მიუდგომელ ციხედ. ბრძოლით დაიპყრო თემურლენგმა 1403 წელს. მისი ისტორიკოსი ნიზამ ად-დინ შამი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თემურის ლაშქარს მრავალი ათასი ციხესიმაგრე აეღო ქვეყნიერების სხვადასხვა მხარეში, მაგრამ ასეთი მაგარი ციხე არსად ენახა. გვიანდელ ფეოდალურ ხანაში **ბ**. თავადი ბარათაშვილების ფეოდალურ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ბირთვული აფეთქება, ბირთვულ მუხტში რეაქციის შედეგად წარმოქმნილი ნაწილაკებით გამოყოფილი კინეტიკური ენერგიის პროცესი. ხასიათდება ენერგიის მაღალი კონცენტრაციით, მისი გამოყოფის მცირე დროით, გარემოზე სხვადასხვაგვარი ზემოქმედებით; ბირთვული რეაქციის ზონაში ტემპერატურა აღწევს რამდენიმე მილიონ გრადუსს, წნევა – რამდენიმე ათას გიგაპასკალს. რეაქციის ზონიდან ენერგია გაედინება შემღწევი რადიაციით, რენტგენური გამოსხივებით, აირული ნაკადით და რადიოაქტიური პროდუქტებით. არსებობს **ბ.ა**-ის შემდეგი სახეები: ს ა ჰ ა ე რ ო – სიმაღლეზე, როდესაც მანათობელი სივრცე არ ეხება მიწის (წყლის) ზედაპირს, მაგრამ არა უმეტეს 10 *კმ*-ისა; მ ა ღ ლ ი ვ ი – დედამიწის ტროპოსფეროს საზღვრის ზევით 10 *კმ*-ზე მეტი; ს ა ხ მ ე ლ ე თ ო – დედამიწის ზედაპირზე, ან ისეთ სიმაღლეზე, როდესაც მანათობელი სფერო ეხება დედამიწის ზედაპირს; მ ი წ ი ს ქ ვ ე შ ა – დედამიწის სიღრმეში გრუნტის ამოხეთქვით ან მის გარეშე; წ ყ ა ლ ქ ვ ე შ ა – წყლის დონეზე დაბლა. **ბ.ა**-ის სახეობის შესაბამისად იცვლება დამაზიანებელი ფაქტორების მოქმედება. მაგალითად, დამრტყმელი ტალღის ჭარბი წნევა სახმელეთო აფეთქების დროს უფრო მეტია, ხოლო მოქმედების რადიუსი ნაკლები საჰაერო აფეთქებასთან შედარებით; მაღლივი აფეთქება ქმნის ძლიერ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას და მისი გავრცელება ხდება დიდ მანძილზე.

ბირთვული აფეთქების აღმოჩენის საშუალებები, ბირთვული იარაღის გამოცდის, მისი განვითარების და გავრცელების კონტროლის სტაციონარული საშუალებები. უზრუნველყოფს აკუსტიკური, ჰიდროაკუსტიკური, მაგნიტური სიგნალების, ელექტრომაგნიტური და სინათლის გამოსხივების, აეროზოლური ნაწილაკების ჩამოცვენის და ბირთვული აფეთქების თანმხლები კეთილშობილი აირების გამოფრქვევის რეგისტრაციას. ამის საფუძველზე განისაზღვრება ბირთვული აფეთქების ეპიცენტრის კოორდინატები, სიმძლავრე და აფეთქების სახეობა.

ბირთვული აფეთქების დამრტყმელი ტალღა, ბირთვული იარაღის ერთ-ერთი ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორი. გავრცელების გარემოს მიხედვით განასხვავებენ დამრტყმელ ტალღებს ჰაერში, წყალსა და გრუნტში. **ბ.ა.ტ**-ის ძირითადი პარამეტრებია მაქსიმალური ჭარბი წნევა და მისი მოქმედების ხანგრძლივობა. ფლობს რა ენერგიის დიდ მარაგს,

დამრტყმელი ტალღა, აზიანებს ადამიანებს, ანგრევს ნაგებობებს და აზიანებს სამხედრო ტექნიკას ეპიცენტრიდან დიდ მანძილზე (30 *კმ.* სიმძლავრის ბირთვული აფეთქების შემთხვევაში ეპიცენტრიდან 1000 *მ.* დაშორებით ჭარბი წნევა შეადგენს 0,5 *კგ.ძ/სმ²*, **ბ.ა.დ.ტ-**ის გავრცელების სიჩქარე 400 *მ/წამ).* დაცვის ძირითადი საშუალებაა საფრები (თავშესაფრები).

ბირთვული ბარიერი, რადიაციის მაღალი დონისა და დიდი ნგრევის ზონები, რომლებიც იქმნება ბირთვული აფეთქებებით მოწინააღმდეგის მოძრაობის გზებზე და მის ზურგში. შეიძლება შეიქმნას საბრძოლო მოქმედების რაიონების ან საომარი მოქმედების თეატრის იზოლაციისათვის ჯარების მისვლისა და მატერიალური საშუალებების მიტანის, გადაყვანა-გადაზიდვის ჩასაშლელად, ჯარების მანევრის გასართულებლად, უპირატესად, ბუნებრივ ზღუდეებზე (მდინარეებზე, მთაგრეხილებზე და ა.შ.).

ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღისგან დაცვის ინდივიდუალური საშუალებები, დამცავი ტანსაცმელი და/ან პირადი აღჭურვილობა, რომელიც ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღისგან დაცვის მიზნით სამოქალაქო და სამხედრო პირებზე გაიცემა.

ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღისგან დაცვის საშუალებები, ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოყენების პირობებში ჯარების ჯგუფური დაცვის საშუალება. იგი ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური დაცვის ინდივიდუალური საშუალებების გამოყენების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა.

ბირთვული დაგეგმვა, ბირთვული ძალების გამოყენების გეგმის დეტალური დამუშავება. იგი გულისხმობს ამოცანების და დასაზიანებელი ობიექტების, ბირთვული ძალების გამოყენების ვარიანტებს და მათი მიზნების მიხედვით განაწილებას. ასევე – ურთიერთქმედების, უზრუნველყოფის და მართვის ორგანიზებას.

ბირთვული დაგეგმვის ჯგუფი, ნატოს ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური ხელმძღვანელი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრები, საფრანგეთის გამოკლებით. მის სხდომებზე, რომელიც წელიწადში ორჯერ ტარდება, განიხილება ბირთვული პოლიტიკის საკითხების ფართო სპექტრი, დაკავშირებული ბირთვული ძალების გაშლის, უსაფრთხოების უზრუნველყოფის და საიმედოობის საკითხებთან. ასევე – სათანადო კავშირგაბმულობის სისტემების, ინფორმაციის გადაცემა-მიღების, მისი სიცოცხლისუნარიანობის აგრეთვე შეიარაღებაზე კონტროლის საკითხები.

ბირთვული დაზიანება, მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) და ობიექტების განადგურება (დანგრევა), დროებით მწყობრიდან გამოყვანა შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარებისა და სპეციალური ჯარების ბირთვული დაზიანების საშუალებების გამოყენებით. ძირითად ფორმებს წარმოადგენს მასირებული, წერტილოვანი, ჯგუფური და ცალკეული ბირთვული დარტყმები.

ბირთვული დაზიანების კერა, ტერიტორია, რომლის საზღვრებში ბირთვული აფეთქების შედეგად ზიანდება (ნადგურდება) პირადი შემადგენლობა, შეიარაღება, სხვადასხვა ნაგებობა და მატერიალური საშუალება. ასევე ხდება ნგრევა, იხერგება ქუჩები, ჩნდება ხანძარი და რადიოაქტიური დასნებოვნების ზონები. ხასიათდება დაზიანების ზონის და გამოსხივების დოზის სხვადასხვა სიძლიერის რადიოაქტიური დასნებოვნებით, ნაგებობების ნგრევის ხარისხით და შედეგების ლიკვიდაციისთვის აუცილებელი სამუშაოების მოცულობით.

ბირთვული დაზიანების ხარისხის შეფასება, ჯარების, მოსახლეობისა და მატერიალური ფასეულობებისთვის ბირთვული დარტყმით მიყენებული ზარალის შედეგების განსაზღვრა. ხორციელდება მოსალოდნელი დარტყმის წინ და მის შემდეგ. ზარალის ოპერატიული მნიშვნელობის შეფასება ამ დროს არ ხდება.

ბირთვული იარაღი, ასაფეთქებელი მოქმედების მასობრივი დაზიანების იარაღი. ეფუძნება შიდაბირთვული ენერგიის გამოყენებას, რომელიც გამოიყოფა ურანისა და პლუტონიუმის ზოგიერთი იზოტოპის მძიმე ბირთვების დაყოფის ჯაჭვური რეაქციების დროს. ასევე ისეთი მსუბუქი ბირთვების სინთეზის რეაქციას, როგორიც არის დეიტერიუმი, ტრიტიუმი (წყალბადის იზოტოპები) და ლითიუმი. ვიწრო თვალსაზრისით **ბ.ი**-ს, რომელიც მსუბუქი ბირთვების სინთეზის ენერგიას იყენებს, თერმობირთვული ეწოდება. **ბ.ი**-ის ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორებია: დამრტყმელი ტალღა, შუქური გამოსხივება, გამჭოლი რადიაცია, რადიაქტიული დასნებოვნება და ელექტრომაგნიტური იმპულსი. მოიცავს ბირთვულ საბრძოლო მასალებს, სამიზნესთან მათი მიტანის საშუალებებს (რაკეტებს, ავიაციას, არტილერიას) და მართვის საშუალებებს. იყოფა სტრატეგიულ (ე.წ. ტრიადა – სტრატეგიული დანიშნულების სახმელეთო სარაკეტო კომპლექსები, სტრატეგიული ბომბდამშენები და ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები), ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ იარაღად. **ბ.ი**-ის ძირითადი მფლობელები არიან აშშ და რუსეთი; დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ბირთვული არსენალები შედარებით მცირეა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ქვეყნების **ბ.ი**-ც არსებით

ფაქტორს წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკაში. თავისი არსებობის მანძილზე **ბ.ი**. მხოლოდ ორჯერ იქნა გამოყენებული. ეს მოხდა მისი არსებობის საწყის ეტაპზე, როდესაც ამერიკელებმა 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს დაბომბეს ჰიროსიმა და ნაგასაკი. შემდგომში **ბ.ი**-ის მფლობელი სახელმწიფოები ბირთვული შეკავების პოლიტიკას ახორციელებენ.

ბირთვული იარაღის გამოცდა, ბირთვული საბრძოლო მახასიათებლების (სიმძლავრე, დამაზიანებელი ფაქტორების ეფექტურობა) შემოწმება ბირთვული აფეთქების გზით. პარალელურად მუშავდება ბირთვული იარაღისგან დაცვის საშუალებები და ხერხები. გარემოს დაცვის მიზნით ყოფილ სსრ კავშირს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის ხელი მოეწერა ხელშეკრულებას კოსმოსში და წყლის ქვეშ **ბ.ი.ბ**-ის აკრძალვის შესახებ (1963), ხოლო ყოფილ სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის – მიწისქვეშა ბირთვული იარაღის გამოცდის შეზღუდვის ხელშეკრულებასაც (1973).

ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულება 1963, სსრ კავშირს, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს შორის დადებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია მხარეთა მთავარი მიზანი – რაც შეიძლება მალე მიაღწიონ შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების თაობაზე. ხელშეკრულება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ბირთვული განიარაღების გზაზე იგი პირველი ნაბიჯი იყო, რომელსაც სხვა შეთანხმებები მოჰყვა.

ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულება 1968, ხელშეკრულება რომელიც შეიმუშავა გაეროს განიარაღების კომიტეტმა და მოიწონა გენერალურმა ასამბლეამ 1968 წლის 12 იანვარს. მისი მიზანია მტკიცე დაბრკოლება შეუქმნას ბირთვული იარაღის შემდგომ გავრცელებას და შემოფარგლოს ამგვარი იარაღის მქონე სახელმწიფოების წრე. იგი ბირთვულ სახელმწიფოს უკრძალავს პირდაპირ თუ არაპირდაპირ ბირთვული იარაღისა და მასზე კონტროლის სხვისთვის გადაცემას, ავალებს არ წაახალისოს უბირთვო სახელმწიფო ბირთვული იარაღის საწარმოებლად, შესაძენად თუ მასზე კონტროლის მოსაპოვებლად. სათანადო განცხადებები ხელშეკრულების მონაწილე უბირთვო სახელმწიფოების უსაფრთხოების გარანტიას წარმოდგენს.

ბირთვული იარაღის დამაზიანებელი ფაქტორები, ფიზიკური პროცესები, რომლებიც წარმოიქმნება ბირთვული აფეთქების დროს და განსაზღვრავს მის დამაზიანებელ მოქმედებას. ბირთვული იარაღის ძირითად დამაზიანებელ ფაქტორებს განეკუთვნება: დარტყმითი ტალღა, შუქური გამოსხივება, გამჭოლი რადიაცია, რადიოაქტიური დასნებოვნება და ელექტრომაგნიტური იმპულსი. **ბ.ი.დ.ფ**-ს შორის დიდი რაოდენობის ენერგიის განაწილება ძირითადად დამოკიდებულია ბირთვული აფეთქების სახეობაზე, სიმძლავრესა და ბირთვული მუხტის ტიპზე. დამაზიანებელი ფაქტორების ერთდროული მოქმედება იწვევს ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის კომბინირებულ დაზიანებას.

ბირთვული ომი, ომი, რომელშიც დაზიანების მთავარ საშუალებას ბირთვული იარაღი წარმოადგენს. II მსოფლიო ომის შემდეგ განიხილებოდა შესაძლებლობა მხოლოდ ყოვლისმომცველი ბირთვული ომისა, რომელიც ხასიათდებოდა ყველა სახის ბირთვული იარაღის ბრძოლის სხვა საშუალებებთან შეხამებით შეუზღუდავი, მასირებული და დროში კონცენტრირებული გამოყენებით. ასეთ ომში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ერთვება ყველა ან მსოფლიოს სახელმწიფოების უმრავლესობა. მისი მეორეული შედეგები (ე.წ. „ბირთვული ღამე“, „ბირთვული ზამთარი“) გავრცელდებოდა მთელ დედამიწაზე. ეს გამოიწვევდა ცივილიზაციის განადგურებას, გლობალურ ეკოლოგიურ კატასტროფას. XX საუკუნის 50-იან წლების მეორე ნახევრიდან წამოყენებულ იქნა ბირთვული იარაღის შეზღუდვის კონცეფცია. დღესაც მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ძალები გამოდიან ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის გასაძლიერებლად და შემდგომში მის ასაკრძალავად. ბოლო პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფოები მსჯელობენ და განიხილავენ ბირთვული იარაღის შეზღუდული გამოყენების საკითხსაც, რაც განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის არა მარტო სახელმწიფოს, რომლის მიმართაც შეზღუდვით უნდა გამოიყენონ ბირთვული იარაღი, არამედ რეგიონს და მთელ მსოფლიოს.

ბირთვული საბრძოლო მასალები, საბრძოლო მასალები, რომელთა დამაზიანებელი მოქმედება ბირთვული აფეთქების ენერგიის გამოყენებას ეფუძვნება. მათ განეკუთვნება რაკეტების (ბალისტიკური, ფრთოსანი, საზენიტო) ბირთვული საბრძოლო ნაწილები (საბრძოლო ბლოკები), ტორპედოების საბრძოლო მუხტების განყოფილება, საავიაციო ბომბები, საარტილერიო ჭურვები და ნაღმები, სიღრმისეული ბომბები და საინჟინრო ნაღმები. **ბ.ს.მ**-ის ძირითადი ელემენტებია: ბირთვული მუხტი, ავტომატიკის სისტემა და კორპუსი. საბრძოლო მასალების სიმძლავრე ხასიათდება ტროტილის ეკვივალენტით, რომლის სიდიდის მიხედვით განასხვავებენ უმცირეს (1*კტ*-მდე), მცირე (1–10*კტ*), საშუალო (10*კტ*-ის ზევით 100*კტ*-მდე), მსხვილ (100*კტ*-ის ზევით 1*მგ.ტ*-მდე) და უმსხვილეს (1*მგ.ტ*-ის ზევით) **ბ.ს.მ**-ს. ის წარმოადგენს ბირთვული იარაღის ძირითად შემადგენელს. პირველი **ბ.ს.მ**. იყო ბირთვული საავიაციო ბომბი (ადრე ეწო

დებოდა „ატომური ბომბი“). მას შემდეგ, რაც გამოჩნდა წყალბადის ბომბი, რომელიც დაფუძნებულ იქნა თერმობირთვულ რეაქციაზე, შემოვიდა საერთო ტერმინი „ბირთვული ბომბი“.

ბირთვული საბრძოლო მასალის სიმძლავრე, ბირთვული საბრძოლო მასალის ენერგეტიკული მახასიათებელი, რომელიც ჩვეულებრივ ტროტილის ეკვივალენტით გამოიხატება. განპირობებულია აფეთქების მექანიკური და სითბური ზემოქმედებით. ასევე ნეიტრონული და გამა-გამოსხივების მყისიერი ენერგიით. ბირთვული საბრძოლო მასალები აფეთქების სიმძლავრის მიხედვით პირობითად იყოფა: უმცირეს (1-დან 10 ათ. *ტ*), საშუალო (10-დან 100 ათ. *ტ*), მსხვილ (100 ათ-დან 1 მლნ. *ტ*-მდე) და უმსხვილეს (1 მლნ. *ტ* – დან და მეტი) მასალებად.

ბირთვული სტრატეგია, კონცეფცია, რომელიც გამოხატავს ბირთვულ სახელმწიფოთა სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეხედულებებს ბირთვული ძალების მშენებლობაზე, გამოყენების პრინციპებსა და მათ როლზე ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. ყოველ ბირთვულ სახელმწიფოს აქვს თავისი სტრატეგია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებებით. სახელმწიფოების **ბ.ს**-ის არსია, განიხილონ ბირთვული იარაღი, როგორც სტრატეგიული სტაბილურობის, ეროვნული და სამხედრო უსაფრთხოების გარანტი, პოტენციური მოწინააღმდეგეების შეკავებისა და დაშინების საშუალება.

ბირთვული უსაფრთხოება, 1. ბირთვულ ობიექტებზე ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია ხალხზე, გარემოზე საშიში, მავნე ფაქტორების ზემოქმედების მაქსიმალური შემცირებისა და გამორიცხვისკენ. 2. ბირთვული საფრთხის შემცველი ობიექტების თვისება, არ დაუშვან მათი გამოვლინება მოთხოვნილი ალბათობით მოცემული დროის განმავლობაში.

ბირთვული შეტევა, ბირთვული იარაღის გამოყენების ხერხი ომის საწყის ეტაპზე. ტერმინი „ბირთვული შეტევა“ გაჩნდა აშშ-ში 50-იან წლებში სამხედრო თეორეტიკოსების შეხედულებისამებრ, **ბ.შ**. შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე მასირებული ბირთვული დარტყმისაგან და გრძელდებოდეს შემდგომ პერიოდშიც. გლობალური მასშტაბის **ბ.შ**-ში მთავარი როლი განეკუთვნება სტრატეგიულ ძალებს: საკონტინენტთაშორისო ბალისტიკურ რაკეტებს, ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილ ატომურ წყალქვეშა ნავებს და სტრატეგიულ ბომბდამშენებს; ომის თეატრსა და საომარი მოქმედების თეატრში – საშუალო სიშორის ტაქტიკური და საგემბანო (ავიამზიდების) ავიაციის ფრთოსან და ბალისტიკურ რაკეტებს, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ რაკეტებს, აგრეთვე არტილერიას, რომელიც ბირთვულ საბრძოლო მასალებს იყენებს. **ბ.შ**-ში გადამწყვეტად ითვლება პირველი მასირებული ბირთვული დარტყმა. პირველი შეტევის შესაძლო არეალია კოსმოსური სივრცე და კოსმოსური აპარატებიდან დედამიწაზე განხორციელებული პირველი შეტევა.

ბირთვული ცენტრი, 1. სამეცნიერო-საკონსტრუქტორო ან საცდელ-საკონსტრუქტორო დაწესებულება, რომლის დანიშნულებაა ბირთვული საბრძოლო მასალის ცალკეული ტექნიკური მახასიათებლების სრულყოფა; 2. საწარმოო გაერთიანება, რომელიც დაკავებულია შეიარაღებული ძალების ინტერესებისთვის გახლეჩადი ნივთიერებების და ბირთვული იარაღის წარმოებით.

ბირთვული ძალები, კრებსითი დასახელება სამხედრო ფორმირებების, რომელთა დანიშნულებაა ბირთვული იარაღის გამოყენებით სამხედრო ამოცანების შესრულება. ცნება **ბ.ძ**. მოიცავს სამხედრო ნაწილებს, შენაერთებს, გაერთიანებებს. მათ შეიარაღებაში აქვთ ბირთვული იარაღის სხვადასხვა დანიშნულების მატარებლები და მართვის საშუალებები (ტაქტიკური, ოპერატიულ-ტაქტრიკური, სტრატეგიული) სათანადო ბირთვული საბრძოლო მასალების მისატანად. მის საფუძველს შეადგენენ ასევე სტრატეგიული **ბ.ძ.,** რომლებიც იყენებენ სტრატეგიული დანიშნულების ბირთვულ იარაღს.

ბირთვული ძალების დაწყობა, ტერმინი, რომელიც გამოიყენება ნატოში ბირთვულ ძალებთან და ისეთ თანმხლებ საკითხებთან მიმართებაში, როგორიცაა ბირთვული იარაღის და მისი მიტანის საშუალებები, ასევე მათი საბრძოლო მდგომარეობა, რომელიც მოიცავს მიტანის სისტემების საბრძოლო მზადყოფნის ხარისხს და იარაღის შენახვის ადგილის მდებარეობას.

ბირთვული ძალების სიმძლავრე, ტერმინი, რომელიც გამოიყენება ნატოში ბირთვულ ძალებთან დაკავშირებით და მოიცავს ისეთ მონაცემებს, როგორიცაა: ბირთვული იარაღის და მისი მიტანის სისტემების რაოდენობა, სახეობები, განლაგება, ასევე მიტანის სისტემების საბრძოლო მზადყოფნის ხარისხი და შენახვის ადგილმდებარეობა.

ბირთვულ-ნაღმური ღობურები, ბირთვული ნაღმების (ფუგასების) ჯგუფები ან ცალკეული ბირთვული ნაღმები (ფუგასები), რომლებსაც ადგილზე ან ობიექტებზე აყენებენ ნგრევის, ხერგილების, რადიაქტიული დასნებოვნების, ხანძრებისა და წალეკვის ზონების შესაქმნელად, აგრეთვე ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დაზიანების მიზნით. მათი გამოყენება შეიძლება მოხდეს როგორც განცალკევებულად, ასევე სხვა ღობურებთან და ბუნებრივ დაბრკოლებებთან ერთად. მათი - ამოქმედება ხდება რადიოთი, სადენებით ან

ავტომატურად დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ.

ბირთვულ-ნაღმური ღობურების დაზვერვა, მონაცემების მოპოვება ბირთვული ღობურების, ცალკეული ბირთვული ნაღმების (ფუგასების) არსებობისა და დაყენების ადგილების, მათი დაცვისა და მართვის სისტემების შესახებ, მათი ხელში ჩაგდებისა და განადგურებისთვის გამიზნული ხერხების განსაზღვრის მიზნით. წარმოებს დაზვერვის მთელი ძალებითა და საშუალებებით.

ბირთვულ-სარაკეტო დარტყმის შესახებ გაფრთხილების სისტემა, აშშ-ის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს კოსმოსურ საშუალებებს, ბალისტიკური რაკეტების გაშვების დროს აღმოჩენის (ჩანიშვნის) სისტემას („იმეუს“) და ბალიტიკური რაკეტების ფრენის ტრაექტორიებზე აღმოსაჩენ სახმელეთო რადიოლოკაციურ სისტემებს („ბიმიუსი“, „პარქსი“ და სხვა). მშვიდობიან დროს ამ საშუალებების ნაწილი გამოიყენება კოსმოსური და საჰაერო სივრცის კონტროლისა და დაზვერვისათვის.

ბისმარკი (Bismarck) ოტო ფონ შენჰაუზენი (1815–98), თავადი, 1871–90 წლებში გერმანიის იმპერიის პირველი რაიხსკანცლერი. გააერთიანა გერმანია პრუსიულ-მილიტარისტულ საფუძველზე; გამოდიოდა კლერიკალურ-პარტიკულარისტული ოპოზიციის წინააღმდეგ („კულტურკამპფი“). მიიღო განსაკუთრებული კანონი სოციალისტების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ჩაატარა გარკვეული სოციალური რეფორმები. **ბ**-ს უმნიშვნელოვანეს საგარეო პოლიტიკურ ამოცანად მიაჩნდა ჩაეშალა ანტიგერმანული ბლოკის შექმნის ყოველგვარი ცდა, არ დაეშვა საფრანგეთის ძლიერების აღორძინება. იყო ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი 1882 წლის სამთა კავშირის (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია) შექმნის, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. ამ კავშირმა საფუძველი ჩაუყარა ევროპის გახლეჩას ორ მტრულ კოალიციად. 1890 წელს ახალგაზრდა იმპერატორმა ვილჰელმ II-მ **ბ**. რაიხსკანცლერის პოსტიდან გადააყენა. „რკინის კანცლერის“ ეპოქა დასრულდა.

ბლანკური რუკა, გეოგრაფიული რუკა, რომელიც დაბეჭდილია მკრთალი ტონის ერთი ან რამდენიმე საღებავით. გამოიყენება დამატებითი გრაფიკული დატვირთვის (ტაქტიკური ოპერატიული ვითარების და ა.შ.) დასატანად, როგორც საფუძველი საბრძოლო გრაფიკული დოკუმენტების სპეციალური რუკების შემუშავებისას, აგრეთვე ტოპოგრაფიული რუკების ნაცვლად.

ბლინდაჟი (ფრანგული blindage – საფრით გადახურვა), დახურული ტიპის საველე ფორტიფიკაციული ნაგებობა. თავშესაფრისგან განსხვავებით, ვერ უზრუნველყოფს ქიმიური და ბიოლოგიური დასნებოვნებისგან დაცვას. შედგება ძირითადი ფართისგან 4–8 კაცზე, აქვს შესასვლელი კარი და მიწით არის დაფარული. შენდება ადგილობრივი ან სპეციალურად დამზადებული მასალისგან. პირველად გამოიყენეს სევასტოპოლის დაცვის (1854–55) დროს. ფართოდ იყენებდნენ I და II მსოფლიო ომებში.

„ბლიცკრიგი“, ელვისებური ომი (გერმანული blitzkrieg, blitz – ელვა და Krieg – ომი), აგრესიული ომის წარმოების ხერხი, დამყარებული მოულოდნელ და სწრაფ მოქმედებებზე, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის განადგურება უმოკლეს ვადაში, სანამ ის თავისი შეიარაღებული ძალების მობილიზაციასა და გაშლას მოასწრებს. **ბ**-ის თეორია სრულად იქნა ჩამოყალიბებული გერმანიაში XX საუკუნის დამდეგს. იგი საფუძვლად ედო გერმანიის სამხედრო სტრატეგიას I და II მსოფლიო ომებში.

ბლოკირება, ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედების ხერხი, რომლის მიზანია საგარეო კავშირებისაგან იზოლაციის გზით რომელიმე სამხედრო ობიექტის ფუნქციონირების აღკვეთა: 1. სახმელეთო ჯარებში ტერმინი **ბ.** ყველაზე ხშირად იხმარება ტაქტიკური მასშტაბის საბრძოლო მოქმედების დახასიათებისათვის – მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილების, საყრდენი პუნქტების, წინააღმდეგობის კვანძების, ქვედანაყოფებისა და ნაწილების **ბ**. მათი შემდგომი განადგურების მიზნით. **ბ**-ს, ჩვეულებრივ, ახორციელებენ შემტევი ჯარები, I ეშელონის ძალების ნაწილი, ტაქტიკური დესანტები; 2. ავიაციაში **ბ.** არის მოწინააღმდეგის ავიაციასთან ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი: მაგალითად, გარკვეული დროით მოწინააღმდეგის აეროდრომზე მისი თვითმფრინავების აფრენისა და დაფრენის ხელის შეშლა. ხორციელდება აეროდრომის თავზე ავიაგამანადგურებელთა ჯგუფების, აგრეთვე ბომბდამშენებისა და ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენების მოქმედებით, რომლებიც ბომბავენ თვითმფრინავის სადგომებსა და ასაფრენ-დასაფრენ ზოლებს. გამოიყენება აგრეთვე აეროდრომის დანაღმვა; 3. პარტიზანების საბრძოლო მოქმედებაში **ბ**. საშუალებაა მტრის იმ გარნიზონების იზოლაციისთვის, რომლებიც საიერიშო ობიექტის მახლობლად არიან განლაგებული.

ბოლივარი (Bolívar) სიმონ (1783–1830), სამხრეთ ამერიკის ესპანური კოლონიების განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. 1819–30 წლებში დიდი კოლუმბიის პრეზიდენტი. 1824 წელს მისმა არმიამ პერუში დაამარცხა ესპანეთის ჯარები და 1825 წელს **ბ**. სათავეში ჩაუდგა ზემო პერუს ტერიტორიაზე დაარსებულ რესპუბლიკას, რომელსაც მის პატივსაცემად ბოლივია ეწოდა.

ბოლივია (Bolivia – ბოლივიის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. არ აქვს ზღვაზე გასასვლელი. ფართობი 1098,6 ათ. *კმ²*, მოსახლეობა 10,9 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური, კეჩუა და აიმარა. დედაქალაქი – ქ. სუკრე, ფაქტობრივი – ქ. ლა-პასი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 დეპარტამენტად. **ბ.** უნიტარული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნულ კონგრესს (ორპალატიანი პარლამენტი). სახელმწიფოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1825 წელს. **ბ.** ერთ-ერთი ნაკლებგანვითარებული ქვეყანაა სამხრეთ ამერიკაში. მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგებია: სამთომოპოვებითი მრეწველობა, რომელშიც ძირითადი ადგილი უკავია თუთიის მოპოვებას. მსხვილი აეროპორტებია: ლა-პასი, სანტა-კრუსი, ტრინიდადი, კაჩაბამბა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 46,1 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 34,8 ათ., სამხედრო-საჰაერო 6,5 ათ. და სამხედრო-სამდინარო 4,8 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ბოლნისის ბრძოლა 1227, ქართველების ბრძოლა ხვარაზმელებთან (იხ. *ჯალალედინის ლაშქრობები საქართველოში*). 40-ათ-ანი ქართული ლაშქარი, რომელშიც დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი მეომრებიც შედიოდნენ, ბოლნისის მახლობლად დამარცხდა ხვარაზმშა ჯალალედინის მთავარ ძალებთან ბრძოლაში. ხვარაზმელებმა ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი მოარბიეს.

ბომბარდა (ფრანგული bombarde – ზარბაზანი), ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ევროპული ქვემეხი (XIV–XVI საუკუნეებში). გამოიყენებოდა ციხესიმაგრეების ალყისა და დაცვის დროს. 300–400 *კგ*-იან ქვის ჭურვებს (ბირთვებს) ისროდა დაახლ. 700 *მ*-ის მანძილზე. ძველად ზოგჯერ **ბ**-ს უწოდებდნენ ხელის ცეცხლსასროლ იარაღსაც.

ბომბდამშენი, საბრძოლო თვითმფრინავი, რომელიც ძირითადად განკუთვნილია საავიაციო ბომბებით და რაკეტებით სახმელეთო და საზღვაო სამიზნეების დასაზიანებლად. მას იყენებენ ასევე ჰაერიდან დასანაღმავად. შედის ავიაციის შეიარაღებაში. თანამედროვე **ბ**-ები იყოფა შემდეგ სახეობებად: დაჯგუფების მიხედვით, რომელიც აზიანებს სამიზნეებს ძირითადად ოპერატიულ სიღრმეზე, ბომბდამშენ-გამანადგურებელთა მოქმედების ზღვარს მიღმა; შორეულ და სტრატეგიულ **ბ**-ებად, რომლებიც აზიანებენ სამიზნეებს ოპერატიულ და სტრატეგიულ სიღმეებზე და მოიცავენ ერთ ან რამდენიმე საომარი მოქმედების თეატრს. ზოგიერთ ქვეყანაში ტერმინი გამოიყენება მხოლოდ სტრატეგიული (შორეული) **ბ**-ის მიმართ. თანამედროვე **ბ**-ებს აქვთ უნარი განახორციელონ დარტყმა ნებისმიერ მეტეოპირობებში ჩვეულებრივი და ბირთვული ბომბებით, მართვადი ფრთოსანი რაკეტებით, დააყენონ საზღვაო ნაღმები. აღჭურვილი არიან სამიზნე-სანავიგაციო სისტემებით, ავტომატური მართვის აპარატურით და თავდაცვის საბორტე კომპლექსებით.

ბომბდამშენი ავიაცია, საბრძოლო ავიაციის სახეობა, სამხედრო-საჰაერო ძალების ძირითადი დამრტყმელი საშუალება. მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფებების, ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ძალების განადგურება; მნიშვნელოვანი სამხედრო, სამხედრო-სამრეწველო, ენერგეტიკული ობიექტების დაზიანება უმთავრესად ოპერატიულ და სტრატეგიულ სიღრმეში; შეუძლია გადაწყვიტოს საჰაერო დაზვერვის და ჰაერიდან დანაღმვის ამოცანები. დაჯგუფების **ბ.ა**-ს იყენებენ სახმელეთო ჯარებთან ერთობლივი მოქმედებისათვის, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ოპერაციებში. ძირითადი იარაღია საავიაციო ბომბები, მართული და უმართავი რაკეტები.

ბომბდამშენი შეიარაღება, ავიაციის შეიარაღების სახე, რომელიც შეიცავს დაზიანების საშუალებებს (საავიაციო ბომბებს, კასეტურ ბომბებს, ბომბების გადაბმებს, ცეცხლგამჩენ ავზებს, საავიაციო ნაღმებს, მცირე კალიბრის ბომბების კონტეინერებს და სხვა), დანადგარებს (ბომბდამჭერებს მექანიზმებით, ჩატვირთვის საშუალებებს და სხვა), დამიზნებით სანავიგაციო და მართვის სისტემებს.

ბომბი (გერმანული bombe, ლათინური bombus – ხმაური, გუგუნი), ტექნიკური ასაფეთქებელი მოწყობილობა. დამაზიანებელი ბომბდამშენი საშუალებების ძირითადი სახეობა; 1. საარტილერიო ჭურვის მოძველებული სახელწოდება. **ბ**-ის მუხტი ფეთქდება მილში ჩაწნეხილი დენთის ამოწვის შემდეგ. XIX საუკუნიდან ზოგიერთი ქვეყნის არტილერიაში **ბ**-ს უწოდებდნენ 1 ფუთზე (16 *კგ*) მეტი წონის ჭურვებს. I მსოფლიო ომში ბომბმტყორცნის მსხვრევადი ჭურვის დასახელება; XX საუკუნის 30-იანი წლებიდან სახელწოდება **ბ.** ამოღებულია საარტილერიო ტერმინოლოგიიდან. 2. საავიაციო **ბ.** – საავიაციო საბრძოლო მასალის ერთ-ერთი სახეობა (იხ. *საავიაციო ბომბები, ბირთვული ბომბები*). 3. წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ჭურვი (იხ. *სიღრმის ბომბი*). წყალქვეშა მიზნების დამაზიანებელი საბრძოლო მასალა. 4. ხელყუმბარა, დამზადებული კუსტარული წესით დივერსიული და ტერორისტული მიზნებისთვის.

ბომბების დარტყმის სიმჭიდროვე, სამიზნეებზე ჩამოსაყრელი საავიაციო ბომბების მასის თანაფარდობა სამიზნის ფართობთან. იზომება *ტ/კვ.კმ*-ზე. საჭირო **ბ.დ.ს**-ს ზოგჯერ უწოდებენ დაზიანების ოპერატიულ სიმჭიდ

როვეს და იყენებენ გაანგარიშებებში ოპერაციის დაგეგმვისას.

ბომბსატყორცნი, 1. სატრანშეო არტილერიის სახე, რომელსაც იყენებდნენ I მსოფლიო ომის პერიოდში. აქვს 20–150 *მმ.* კალიბრი, მასა 100 *კგ.* და სროლის მანძილი 1000 *მ*-მდე. შეეძლო ეწარმოებინა მხოლოდ მორტირული სროლა ძირითადად მსხვრევადი ბომბებით. ჩამორჩებოდა ნაღმსატყორცნებს სროლის მანძილით და შეჯგუფებით, საბრძოლო მასალის სიმძლავრით, რის გამოც ომის დასასრულისთვის იგი ჩაანაცვლეს ნაღმსატყორცნებით. 2. წყალზედა ხომალდის წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო იარაღი.

ბომბსაძებნი, მაგნიტომეტრული ხელსაწყო, რომელიც განკუთვნილია მიწისქვეშ (წყალქვეშ) ფეთქებადსაშიში საგნების (აუფეთქებელი ავიაბომბები, საარტილერიო ჭურვები, ნაღმები და ა.შ.) აღმოსაჩენად. ამ საგნების კორპუსები გაკეთებულია ფერომაგნიტური მასალებისგან. მოქმედების პრინციპი დაფუძნებულია ფერომაგნიტური საგნების ზემოქმედების შედეგად დედამიწის მაგნიტური ველის ცვლილებების ფიქსირებაზე. შედგება საძიებო ხელსაწყოსგან, გალვანომეტრ-გამაძლიერებლისგან, მართვის პულტისა და კვების წყაროსგან.

ბომბტყორცნა, 1. საბრძოლო გამოყენებითი საგნის „დაზიანების საავიაციო საშუალებების საბრძოლო გამოყენება“ განყოფილება. ძირითად შინაარსს შეადგენს: საავიაციო ბომბების ბალისტიკა, დამიზნების თეორია, დამიზნებითი სანავიგაციო სისტემები, საფრენი აპარატების ბომბდამშენი შეიარაღება. **ბ.** ფართოდ გამოიყენება ბომბდამშენ, გამანადგურებელ-ბომბდამშენ და მოიერიშე ავიაციაში, სარაკეტო და საარტილერიო შეიარაღებასთან ერთად. ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ავიაციის სხვა სახეობების მიერ; 2. საფრენი აპარატის ეკიპაჟის მოქმედება საავიაციო ბომბების დამიზნების და ჩამოყრისთვის მოცემულ ობიექტზე (სამიზნეზე). მოიცავს მიზნის აღმოჩენას, დამიზნებას, შეიარაღების მომზადებას და ბომბების ჩამოყრას. განასხვავებენ **ბ**-ის შემდეგ ხერხებს: ჰორიზონტალური ფრენით, ლოგარითმული ტრაექტორიიდან, პიკირებით, პიკირებიდან გამოსვლით და კაბრირებით.

ბომბტყორცნის ზღუდე, ადგილმდებარეობის პირობითი ხაზი, რომლის მიღწევისას ხორციელდება ბომბების ჩამოყრა საფრენი აპარატიდან. განისაზღვრება საფრენი აპარატის ფრენის სიმაღლისა და სიჩქარის, ბომბების ბალისტიკური მახასიათებლების, ფრენის სიმაღლეზე ქარის სიჩქარისა და მიზანზე გასვლის მიმართულების გათვალისწინებით. ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „ბომბტყორცნის ზღუდე“ არ იხმარება.

ბორანი, მცურავი საშუალება პირადი შემადგენლობის და ტექნიკის გადასაყვანად, წყალზე სამუშაობების ჩასატარებლად მცურავი ხიდის ელემენტის სახით გამოსაყენებლად. შესაბამისად, განასხვავებენ გადასაზიდ (იკრიბება საპონტონო პარკების ელემენტებისგან, თვითმავალი საბორნე და საბორნე-სახიდე მანქანებისგან, სადესანტო ნავებისგან და ადგილობრივი რესურსებისგან), სპეციალურ (წყალზე საინჟინრო სამუშაოების ჩასატარებლად) და სახიდე **ბ**-ს. თანამედროვე საპონტონო პარკებისგან შეკრებილი **ბ**-ის ტვირთამწეობა შეადგენს 20–360 *ტ*, გადაადგილების სისწრაფე – 15 *კმ/სთ*, აწყობის დრო 6–15 *წთ.* გადაადგილდებიან კატარღების, მოტორიანი რგოლების, ამფიბიური მანქანების მეშვეობით, რომლებიც საპონტონო პარკების შემადგენლობაშია.

ბოროდინოს ბრძოლა 1812, უმნიშვნელოვანესი ბრძოლა ნაპოლეონის არმიასა და რუსეთის ჯარებს შორის 1812 წლის 26 აგვისტოს (7 სექტემბერს), ნაპოლეონის რუსეთში ლაშქრობის დროს, რომელიც გაიმართა მოსკოვის ახლოს, სოფელ ბოროდინოსთან (იხ. *ნაპოლეონის ომები*). რუსეთის არმიას (120 ათ. კაცი, 640 ზარბაზანი) ფელდმარშალ კუტუზოვის სარდლობით კარგად გამაგრებული პოზიციები ეკავა. ნაპოლეონმა 130-ათ-ანი არმიითა და 587 ზარბაზნით ძლიერად შეუტია რუსებს. ფრანგთა მთავარი ძალების (86 ათ. კაცი) დარტყმა მიმართული იყო რუსების მარცხენა ფრთაზე, რომელსაც სარდლობდა გენერალი პეტრე ბაგრატიონი. ბაგრატიონმა გაუძლო მტრის შეტევას, მაგრამ მძიმედ დაიჭრა. ბოროდინოსთან ნაპოლეონმა ვერ შეძლო რუსების განადგურება, მაგრამ ვერც რუსებმა შეაჩერეს ფრანგები. კუტუზოვმა არმიის გადასარჩენად უკან დაიხია და მოწინააღმდეგეს მოსკოვი ჩააბარა. **ბ.ბ**-ში მარტო მოკლულთა სახით ფრანგებმა 12 ათ. ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს, რუსებმა – 13 ათ.. დანაკლისის საერთო რაოდენობა ორივე მხრიდან 94 ათ-ს აღწევდა. ფრანგების ნახევარზე მეტი დაეცა ბაგრატიონის ჯარებთან ბრძოლაში. ბრძოლის გაურკვეველი შედეგი რუსებსაც და ფრანგებსაც საშუალებას აძლევს თავის თავს მიაწერონ ბოროდინოსთან გამარჯვება. **ბ.ბ**. 1812 წლის სამამულო ომის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, რომელმაც განაპირობა ნაპოლეონის დამარცხება.

ბოსნია და ჰერცეგოვინა (Bosna i Hercegovina), სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში. შედგება ბოსნიის და ჰერცეგოვინის ფედერაციისა და სერბეთის რესპუბლიკისაგან. აქვს ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელი (სანაპირო ხაზი – 20 *კმ*). ფართობი 51,1 ათასი *კმ²*. მოსახლეობა 3,7 მლნ. კაცი (2012), 44% – ბოსნიელები, 32% – სერ

ბები, 18% – ხორვატები. ოფიციალური ენები – ბოსნიური, სერბული და ხორვატიული. დედაქალაქი – ქ. სარაევო. სახელმწიფო ხელმძღვანელობის უმაღლესი ორგანოა – **ბ.დ.ჰ**-ის პრეზიდიუმი, რომელსაც ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – საპარლამენტო ასამბლეა (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). **ბ.დ.ჰ**. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1992 წლის 1 მარტიდან (1992 წლამდე შედიოდა იუგოსლავიის შემადგენლობაში). ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ფედერაციის შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 9,9 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 1,1 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრონციპით.

ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტი 1992–95, ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტი ყოფილ იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში – ბოსნია და ჰერცეგოვინა. იუგოსლავიის ფედერაციის დაშლის პროცესი ყველაზე მძიმე აღმოჩნდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში, რომლის მოსახლეობა ეროვნულ-კულტურული სიჭრელით გამოირჩეოდა (მუსლიმანი ბოსნიაკები 44%; მართლმადიდებელი სერბები 32%; კათოლიკე ხორვატები 24%). 1992 წლის აპრილში ბოსნია-ჰერცეგოვინის პარლამენტმა, რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამის პასუხად ბოსნიის ჩრდილოეთ ნაწილში კომპაქტურად მცხოვრებმა სერბებმა გამოაცხადეს სერბეთის რესპუბლიკის შექმნა იუგოსლავიის ფარგლებში. 1992 წლის ივლისში ქვეყნის დასავლეთ ნაწილში შეიქმნა ხორვატიული ავტონომია. ამას მოჰყვა სამოქალაქო ომი სერბებს, ხორვატებსა და მუსლიმანებს შორის. სამხედრო მოქმედებებს თან სდევდა მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურება და ეთნიკური წმენდა. საერთო ჯამში მოკლეს დაახლოებით 100 ათ. ადამიანი, ხოლო ლტოლვილად იქცა 2 მლნ. მეტი. ომის შესაჩერებლად ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია ღიად დაუპირისპირდა სერბებს, რომლებსაც იუგოსლავიის რეგულარული არმიის დახმარების გამო სამხედრო უპირატესობა ჰქონდათ. ნატოს ავიაციამ დარტყმები განახორციელა სერბთა პოზიციებზე და აიძულა ისინი დათანხმებოდნენ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შეთავაზებულ გეგმას. 1995 წელს აშშ-ის შუამდგომლობით დაიდო დეიტონის სამშვიდობო შეთანხმება, რომლის ძალით ბოსნია და ჰერცეგოვინა გადაიქცა კონფედერაციად (იხ. *ბოსნია და ჰერცოგოვინა*), რომელშიც გაერთიანებულია ორი სუბიექტი – სერბთა რესპუბლიკა, ბოსნიელების და ხორვატების ფედერაცია. ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნება და შეთანხმების პირობების შესრულება ნატოს კონტროლის ქვეშ ხორციელდება.

ბოტსვანა (რესპუბლიკა ბოტსვანა), სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 600,4 ათ. *კმ*². მოსახლეობა 2,02 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ტსვანა და ინგლისური. **ბ**. საპარლამენტო რესპუბლიკაა. დედაქალაქი – ქ. გაბორონე. ადმინისტრაციულად იყოფა 9 რაიონად და 4 საქალაქო საბჭოდ. **ბ**. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლებას ფლობს პრეზიდენტი და ერთპალატიანი ეროვნულ ასამბლეა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1966 წლის 30 ოქტომბერს. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 9 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 8,5 ათ. და სამხედრო-საჰაერო 0,5 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ბოძალი, ისრის ერთ-ერთი სახეობა, ორწვერა ისარი.

ბოძკინტები, არაასაფეთქებელი ტანკსაწინააღმდეგო ხერგილები ძელებისგან (არანაკლებ 25 *სმ* დიამეტრით), ლითონის და რკინაბეტონის კოჭებისა ან ქვებისაგან, რომლებიც ვერტიკალურად ან მოწინააღმდეგის მხარეს გადახრილი 0,5–1,2 *მ* სიმაღლეზეა ამოშვერილი გრუნტიდან.

ბოჯორმა, დიდი ციხესიმაგრე კახეთში (ახლანდელი თიანეთის რ-ნი), გომბორის ქედის კალთაზე. X საუკუნეში **ბ**. კახეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი იყო. სამხედრო დანიშნულებას **ბ**-ის ციხე XVIII საუკუნის ბოლომდე ინარჩუნებდა.

ბრაზილია (República Federativa do Brazil – ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში. ესაზღვრება: საფრანგეთის გვიანა, სურინამი, გაიანა, ვენესუელა, კოლუმბია, პერუ, ოლივია, პარაგვაი, არგენტინა და ურუგვაი. აღმოსავლეთით აკრავს ატლანტის ოკეანე. ფართობით და მოსახლეობის რაოდენობით ლათინურ ამერიკაში ყველაზე დიდი ქვეყანაა. ფართობი 8512 ათ. *კმ*², მოსახლეობა 195,4 მლნ. კაცი (2012). დედაქალაქი – ქ. ბრაზილია. ოფიციალური ენა – პორტუგალიური. ადმინისტრაციულად იყოფა 26 შტატად და ფედერალურ (დედაქალაქის) ოლქად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლებას ფლობს ეროვნული კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1822 წლის 7 სექტემბერს. **ბ**. ლათინური ამერიკის ქვეყნებს შორის ყველაზე დიდი ეკონომიკური პოტენციალის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უმსხვილეს ქვეყანას წარმოადგენს. მთლიანი შიდა პროდუქტის მიხედვით მსოფლიოში მე-10 ადგილი უკავია. განსაკუთრებით განვითარებუ

ლია მანქანათმშენებლობა. სამხედრო-სამრეწ-ველო კომპლექსი აწარმოებს ტანკებს, ჯავ-შანტრანსპორტიორებს, საბრძოლო თვითმფრი-ნავებს, ხომალდებს, რაკეტებს, საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს. ძირითადი საზღ-ვაო პორტებია: ბელენი, ვიტორია, რესიფი, სანტუსი, რიო-დე-ჟანეირო, პორტუ-ალეგრი, რიუ-გრანდი, ფორტალეზა. ქვეყანას აქვს 10 საერთაშორისო აეროპორტი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 318,4 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 190 ათ., სამ-ხედრო-საჰაერო 69,4 ათ. და სამხედრო-საზღვაო 59 ათ.. დაკომპლექტება ხორციელ-დება გაწვევით.

ბრანდერი (გერმანული – brander), ცეცხლ-წამკიდი ან ფეთქებადი ნივთიერებებით დატ-ვირთული გემი, რომლის დანიშნულება იყო ცეცხლის წაკიდება მტრის ხომალდებისათვის. სამიზნეს **ბ**. უახლოვდებოდა ქარის ან წყლის დინების ძალით. XIX–XX საუკუნეების დასაწ-ყისში **ბ**-ს უწოდებდნენ ძველ გემებს, რომლე-ბსაც ძირავდნენ მოწინააღმდეგის ნავსად-გურის შესასვლელში მისი ჩახერგვის მიზნით.

ბრესტის ზავი 1918, სამშვიდობო ხელშეკ-რულება, ერთი მხრით, რუსეთსა და მეორე მხრით, გერმანიას, ავსტრია-უნგრეთს, ოსმა-ლეთსა და ბულგარეთს შორის. ხელი მოაწ-ერეს 1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში (ახლანდელი ბრესტი). რატიფიცირებულ იქნა სრულიად რუსეთის საბჭოების საგანგებო IV ყრილობის მიერ 15 მარტს; გერმანიის რაიხს-ტაგმა მოიწონა 22 მარტს და რატიფიცირე-ბულ იქნა გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-ის მიერ 26 მარტს. გერმანიაში დაწყებულმა 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამ დაამხო იმპერატორ ვილჰელმ II-ის ხელისუფლება და საბჭოთა მთავრობამ 1918 წლის 13 ნოემბერს გააუქმა ბრესტის ზავი.

ბრიგადა (ფრანგული brigade – რაზმი, გუნდი), უმცირესი ტაქტიკური შენაერთი მრავალი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში. შედის უფრო მსხვილი შენაერთების ან გაერთიანე-ბების შემადგენლობაში, არის ცალკეული შენაერთებიც. საბრძოლო შემადგენლობის მი-ხედვით უკავია შუალედური მდგომარეობა პოლკსა და დივიზიას შორის. შედგება სახ-მელეთო ჯარებში – რამდენიმე ბატალი-ონისგან (უფრო იშვიათად – პოლკებისგან), ჯარების (იარაღის) ძირითად გვარეობათა დივიზიონებისგან, სპეციალური ჯარების, სა-ბრძოლო, ტექნიკური და ლოგისტიკური უზრ-უნველყოფის ქვედანაყოფებისაგან; სამხედრო-საჰაერო ძალებში – ესკადრილიებისაგან; საჰაერო თავდაცვის ჯარებში – დივიზიონე-ბისაგან (ბატალიონებისაგან); სამხედრო-საზღ-ვაო ძალებში – ხომალდებისაგან ან ხომალდ-ების დივიზიონებისაგან. ბრიგადული ორგან-იზაციის განმასხვავებელი თავისებურებაა საბრძოლო დანიშნულებისადმი შესაბამისო-ბის უფრო მაღალი დონე (მაგალითად, პოლ-კთან შედარებით), დამოუკიდებლად მოქმედე-ბის უნარი, ხოლო სპეციალური ჯარების **ბ**-სა – ამოცანების კომპლექსურად გადაწყვეტა. **ბ**., როგორც საბრძოლო წყობის ფორმა, პირ-ველმა გამოიყენა 1630 წელს შვედეთის მეფემ გუსტავ II ადოლფმა. XVII საუკუნის მეორე ნახევარში **ბ**. გახდა ქვეითი ჯარისა და კავ-ალერიის ტაქტიკური ფორმირება თითქმის ყველა ევროპულ არმიაში. ამავე დროს მშვიდ-ობიანი დროის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულად რჩებოდა პოლკი. **ბ**-ს, პირიქით, განიხილავდნენ როგორც ომიანობის დროის საბრძოლო ფორმირებას, რომელიც საომარი მოქმედების მოლოდინში იქმნებოდა ბატალი-ონებისა და ესკადრონებისაგან. დასავლეთის არმიებში ყველაზე ფართოდ არის წარმოდ-გენილი საერთო-საჯარისო **ბ**-ები (ქვეითი, მოტოქვეითი, სატანკო, ჯავშანსატანკო, საჰაე-რო-სადესანტო და სხვა). ამერიკის შეერთე-ბული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის სახმელეთო ჯარებში, როგორც წესი, **ბ**-ებს არ გააჩნიათ მუდმივი ორგანიზაცია და ისინი იქმნებიან საბრძოლო მოქმედების პერიოდი-სათვის როგორც ტაქტიკური ჯგუფის **ბ**-ები, თუმცა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს არმიებში დღესაც არის ქვეითი **ბ**-ები – ქვეითი დივი-ზიების შემადგენლობაში და ცალკეული ბრიგადები. სპეციალური ჯარებიდან **ბ**-ები არის კავშირგაბმულობის ჯარებში (საკვანძო და სახაზო კავშირგაბმულობის **ბ**-ები), საინ-ჟინრო ჯარებსა და რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარებში. ბრიგადულმა ორგანიზაციამ ყველაზე ფართო გავრცელება პოვა საინჟინრო ჯარებში. ცნობილია **ბ**-ები, რომლებიც განკუთვნილია საფორტიფიკაციო სამუშაოებისთვის, ღობურების მოწყობისა და განღობვისთვის, გამაგრებული დასახლებული პუნქტების შტურმისთვის, გზების, გადასასვ-ლელების, ხიდების მშენებლობისა და შენიღბ-ვისათვის. რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ძირთიადი ტიპებია საინჟინრო და საინჟინრო-მესანგრეთა **ბ**-ები. შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის შემადგენლობაში არის მატერი-ალური უზრუნველყოფის, საავტომობილო, სამილსადენო, საგზაო-საკომენდანტო, სახიდე, სამედიცინო, სარკინიგზო და სხვა **ბ**-ები.

ბრიგადის გენერალი (ინგლისური brigadier general, ფრანგული general de brigade), მრავალი ქვეყნის (აშშ, გერმანია, თურქეთი, იტალია, საფრანგეთი, საქართველო და სხვა) შეიარა-ღებულ ძალებში შუალედური საჯარისო სამ-ხედრო წოდება პოლკოვნიკსა და გენერალ-მაიორს შორის, უმაღლესი ოფიცრების პირ-ველადი წოდება. **ბ.ბ**. ატარებს ერთვარსკლა-ვიან სამხრეულებს (ინგლისური one-star general – ერთვარვსკლავიანი გენერალი).

ბრიგადის ზურგი, იხ. *საჯარისო ზურგი.*

ბრიგადის ტაქტიკური ჯგუფი, იხ. *საერთო-საჯარისო ტაქტიკური ჯგუფები.*

ბრიგანტინა (იტალიური – brigantino), 1. XVIII–XIX საუკუნეებში ორანძიანი აფრიანი ხომალდი, წინა ანძაზე პირდაპირი, უკანა ანძაზე კი – ირიბი აფრებით. სამხედრო ფლოტში ძირითადად სადაზვერვო და სატრანსპორტო სამსახურისათვის გამოიყენებოდა. წყალწყვა – 300 *ტ*-მდე, შეიარაღება – 6–8 ქვემეხი; 2. კომერციული ორანძიანი აფრიანი ხომალდი საზღვაო გადაზიდვებისთვის. კარგი საზღვაოსნო და მანევრული თვისებების გამო ხშირად იყენებდნენ კაპერები *(იხ. კაპერი)* და მეკობრეები.

ბრიგი (ინგლისური brig, იტალიური brigantino-ს შემოკლებული ფორმა), 1. XVIII–XIX საუკუნეებში საბრძოლო ორანძიანი ხომალდი პირდაპირი აფრებით. გამოიყენებოდა სადაზვერვო, საპატრულო, საბადრაგო სამსახურისათვის და საკრეისერო ოპერაციებისათვის. წყალწყვა – 200–800 *ტ*, შეიარაღება – 10–28 ქვემეხი; 2. კომერციული აფრიანი ხომალდი.

ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერებები, კლასი ფეთქებადი ნივთიერებებისა, რომელთა აფეთქებას დეტონაციის სახე აქვს. **ბ.ფ.ნ**-ს იყენებენ ჭურვების, ყუმბარებისა და სხვა. საბრძოლო მასალის დასამზადებლად, აგრეთვე აფეთქებითი სამუშაოების შესრულებისას.

ბრიზანტული ჭურვი (ფრანგული brisant – მსხვრევადი), მსხვრევად – ფუგასური საარტილერიო ჭურვი დინსტანციური ამფეთქით. იყენებენ დამიზნებისა და მიზანჩვენებისათვის, აგრეთვე იმ ცოცხალი ძალისა და საცეცხლე საშუალებების გასანადგურებლად, რომლებიც განლაგებულია სანგრებში, ხევებსა თუ ღრმულეში ან მთის გადაღმა ფერდობებზე.

ბრიზანტულობა (ფრანგული brizant – დამსხვრევა), ფეთქებადი ნივთიერებების უნარი აფეთქების დროს გამოიწვიოს მიმდებარე გარემოს ნგრევა აფეთქების პროდუქტების მკვეთრი დარტყმის შედეგად. ვლინდება ცილინდრული მუხტის 2–2,5 რადიუსის მანძილზე. იზრდება ასაფეთქებელი ნივთიერების სიმკვრივის და დეტონაციის საჩქარის ზრდასთან ერთად.

ბრუნეი (Brunei darussalami – ბრუნეის სახელმწიფო), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კუნძულ კალიმანტანის (ბორნეო) ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე. ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ესაზღვრება სამხრეთ ჩინეთის ზღვა. ფართობი 5,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 407 ათ. კაცი (2012), აქედან – 65% მალაელები, 20% ჩინელები. ოფიციალური ენებია მალაიური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ბანდარ-სერი-ბეგავანი. **ბ**. კონსტიტუციური მონარქიაა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის შემადგენლობაში. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური – სულთანი. **ბ**-მ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1984 წლის 1 იანვარს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება. ძირითადი საზღვაო პორტები: მუარა, სერია, ლუმუტი. საერთაშორისო აეროპორტი: ბანდარ-სერი-ბეგავანი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 7 ათ. კაცი (2012); სახმელეთო ჯარები 4,9 ათ., სამხედრო-საჰაერო 1,1 ათ., სამხედრო-საზღვაო ძალები 1 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ბრძანება, იძლევა მეთაური (უფროსი) წერილობითი ფორმით ან ზეპირად. იგი მიმართულია ხელქვეითებისადმი და მოითხოვს გარკვეული ქმედებების აუცილებელ შესრულებას, ამა თუ იმ წესის დაცვას, ან გარკვეული წესრიგის დამყარებას. წერილობითი **ბ**. არის სამხედრო მართვის ძირითადი განმკარგულებელი სამსახურებრივი დოკუმენტი (სამართლებრივი აქტი), რომელსაც გამოსცემენ სამხედრო ნაწილის მეთაურები (სამხედრო დაწესებულებების ხელმძღვანელები) ერთმმართველობის უფლებით. ქვედანაყოფის მეთაურებს აქვთ მხოლოდ ზეპირი **ბ**-ის გაცემის უფლება. **ბ**. უნდა შეესაბამებოდეს კანონის და სამხედრო წესდების მოთხოვნებს. **ბ**-ის მეშვეობით ჯარებამდე (ძალებამდე) დაიყვანება საბრძოლო ამოცანები (იხ. *საბრძოლო ბრძანება*), ხდება მათი ყოველდღიური მოღვაწეობის რეგლამენტირება და სხვა.

ბრძანებულება, სახელმწიფოს მეთაურის (მონარქის, პრეზიდენტის) მიერ გამოცემული აქტი. შინაარსის მიხედვით **ბ.** შეიძლება იყოს ნორმატიული, რომელშიც დადგენილია სამართლებრივი ნორმა; უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე კანონი და არანორმატიული, ინდივიდუალური (მაგალითად, **ბ**. ამა თუ იმ კონკრეტული პირის ორდენით დაჯილდოების შესახებ). შეიარაღებულ ძალებში – სამსახურებრივი დოკუმენტი, რომელსაც გამოსცემს მეათაურის სახელით შტაბის უფროსი. **ბ.** უნდა შეესაბამებოდეს კანონების და სამხედრო წესდებების მოთხოვნებს.

ბრძოლა, ჯარების (ძალების) ტაქტიკური მოქმედების ძირითადი ფორმა; მეომარი მხარეების შენაერთების, ნაწილების, ხომალდების, საფრენი აპარატებისა და ქვედანაყოფების ორგანიზებული შეიარაღებული შეტაკება, რომელიც მოიცავს მიზნის, დროისა და ადგილის მიხედვით შეთანხმებულ დარტყმებს, ცეცხლსა და მანევრს. ჩვეულებრივ, ხორციელდება მოწინააღმდეგის განადგურების (შემუსვრის) და სხვა საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით შეზღუდულ რაიონში დროის მოკლე პერიოდში. **ბ**. შეიძლება იყოს საერთო-საჯარისო, საჰაერო თავდაცვითი, საჰაერო და საზღვაო. **ბ**-ის წარმოებისათვის ჯარები (ძალები) იღებენ საბრძოლო წყობას.

ბ-ის წარმოების წესები იცვლებოდა შეიარაღებული ბ-ის საშუალებების განვითარების შესაბამისად. ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენამდე ბ. იყო ცივი იარაღით შეიარაღებული მეომრების ცალკეული ჯგუფების ხელჩართული ორთაბრძოლა. ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენისა და სრულყოფის შემდეგ ბ. იწყებოდა ცეცხლით მოწინააღმდეგის დაზიანებით და მთავრდებოდა ხელჩართული ბრძოლებით. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში და XIX საუკუნის დამდეგს ბ. მიმდინარეობდა შეზღუდულ ტერიტორიაზე. იარაღის სწრაფსროლის, სროლის სიშორისა და სიზუსტის შემდგომმა ზრდამ განაპირობა ბ-ის მიმდინარეობის სივრცის ზრდა. პირველ მსოფლიო ომში ჯარების ტყვიამფრქვევებით, არტილერიით მასობრივ აღჭურვას, ავიაციის, ტანკების გამოყენებას შედეგად მოჰყვა ის, რომ ბ-ში წარმატების მიღწევა შეიძლებოდა მხოლოდ ჯარების ყველა გვარეობის შეთანხმებული ძალისხმევით. XX საუკუნის 20-იანი წლების დამლევს და 30-იანი წლების დამდეგს შემუშავდა ღრმა ბ-ის თეორია, რომლის არსი იყო მოწინააღმდეგის ერთდროული დაზიანება მისი საბრძოლო წყობის მთელ სიღრმეზე ბ-ში მონაწილე ყველა ძალისა და საშუალების გაერთიანებული ძალისხმევით. ბ-ის ამ უმთავრესმა თავისებურებებმა შემდგომი განვითარება პოვა II მსოფლიო ომის წლებში. XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა შეიარაღებაში შეიტანეს ბირთვული იარაღი და რაკეტები, ბ-ის ხასიათი მნიშვნელოვნად შეიცვალა. თანამედროვე ბ-ის ძირითად ნიშან-თვისებებს (სივრცობრივ გაქანებასა და დინამიკურობასთან ერთად) დაემატა ვითარების სწრაფი და მკვეთრი ცვლილებები, ბ-ის განვითარების არათანაბარზომიერება ფრონტზე და სიღრმეში, მისი წარმოების ხერხების მრავალფეროვნება, პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური დაძაბულობის ზრდა, ცოცხალი ძალისა და შეიარაღების გაზრდილი დანაკარგები. 70–90-იან წლებში, როდესაც ჯარები აღიჭურვა ახალი, ყოველმხრივ უფრო სრულყოფილი ტანკებითა და სხვა ჯავშნიანი მანქანებით, თვითმფრინავებითა და ვერტმფრენებით, სადაზვერვო-საცეცხლე (დამრტყმელი) კომპლექსებით, საჰაერო თავდაცვის, დაზვერვის, მართვისა და რადიოელექტრონული ბ-ის კომპლექსური საშუალებებით, სხვადასხვა დანიშნულების რაკეტებით, მაღალი სიზუსტის იარაღით, მოცულობითი აფეთქების და მომეტებული სიძლიერის საბრძოლო მასალებით და ა.შ., კიდევ უფრო გაიზარდა ჯარების (ძალების) და საშუალებების ურთიერთქმედების როლი ბ-ში, გაიზარდა მათი შესაძლებლობები მოწინააღმდეგის ღრმა ცეცხლითი დასაზიანებლად და მის საბოლოო გასანადგურებლად. თანამედროვე ბ-ის წარმატებით წარმოებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ძალებისა და საშუალებების მასირებას და მჭიდრო ურთიერთქმედებას, მოწინააღმდეგის ერთდროულ განადგურებას (ჩახშობას) მისი საბრძოლო წყობის მთელ სიღრმეზე, ჯარების დაშორიშორებას, მუდმივ ბ-ს მასობრივი დაზიანების საშუალებებთან და მაღალი სიზუსტის იარაღთან; ჯარების (ძალების) ბრძოლისუნარიანობის დროულ აღდგენას, საიმედო საჰაერო თავდაცვას და საბრძოლო მოქმედების ყოველმხრივ უზრუნველყოფას. საერთო-საჯარისო ბ-ში მკვეთრად გაიზარდა მეომარი მხარეების განლაგების მთელი სიღრმისა და საჰაერო სივრცის ქვედა ეშელონის მომცველი მოქმედებების ხვედრითი წილი. ბ-ის საჰაერო-სახმელეთო ხასიათი ქმნის წინაპირობას იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს ახალი, მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელი ტაქტიკური ხერხები, მაგალითად, ჰაერიდან გარშემორტყმა, ფრონტიდან და ფლანგებიდან კომბინირებული სახმელეთო-საჰაერო დარტყმების მიყენება ზურგიდან დარტყმასთან შეხამებით. განსაკუთრებული პირობები (ქალაქი, უდაბნო, მთა, ჩრდილოეთის რაიონები და სხვა) განსაზღვრავს ბ-ის მომზადებისა და წარმოების თავისებურებას.

ა ხ ლ ო ც ე ც ხ ლ ი თ ბ. აწარმოებენ I ეშელონის მოტოქვეითი (ქვეითი), სატანკო, საჰაერო-სადესანტო (სადესანტო-მოიერიშე) ქვედანაყოფები როგორც თავდაცვაში, ისე შეტევაზე საშტატო იარაღის ყველა სახეობის ცეცხლის შეხამებით, უპირატესად – პირდაპირი დამიზნებით. გარკვეულ პირობებში შეიძლება გაჩაღდეს ხელჩართული ბ., რომელშიც მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთს აზიანებენ, როგორც წესი, ცივი იარაღით, ხელის სასროლი იარაღის მიბჯენით და ხელყუმბარების ცეცხლით.

ს ა ზ ღ ვ ა ო ბ. არის საზღვაო ძალების სხვადასხვა გვარეობის შენაერთების, ნაწილებისა და ხომალდების ორგანიზებული შეიარაღებული მოქმედება. საზღვაო ბ. წარმოადგენს მიზნის, დარტყმების, ცეცხლისა და მანევრის ადგილისა და დროის მიხედვით შეთანხმებულ ერთობლივ მოქმედებას. მისი მიზანია მოწინააღმდეგის განადგურება. იგი წარმოებს ოპერაციის ან ბატალიების ფარგლებში, აგრეთვე ფლოტის ძალების სისტემატური საბრძოლო მოქმედებების დროს. ისტორიულად საზღვაო ბ. ვითარდებოდა ხომალდების, ფლოტის ძალების, მათი ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნების ცვლილებებისა და სრულყოფის შესაბამისად. ნიჩბოსანი ფლოტის პერიოდში საზღვაო ბ. ამოიწურებოდა მეომარი მხარეების გემების მიჯრით მიახლოებით ტარანისებური დარტყმების მისაყენებლად ან გემების ხელში ჩასაგდებად ხელჩართული ბრძოლით (აბორდაჟის). XVII–XVIII საუკუ-

ნეებში, იალქნიანი ფლოტის განვითარებისა და მისი გლუვლულიანი ქვემეხებით შეიარაღების შემდეგ საზღვაო ბ-ს ხომალდებს შორის მცირე მანძილზე საარტილერიო ორთაბრძოლის ხასიათს ატარებდა; კვლავინდებურად დიდი ადგილი ეთმობოდა აბორდაჟს. XIX საუკუნეში, ორთქლის ფლოტისა და კუთხვილი არტილერიის გაჩენის შემდეგ, საზღვაო ბ-ში უფრო აქტიურად დაიწყეს მანევრის გამოყენება და ცეცხლის წარმოება შორი დისტანციიდან. XX საუკუნის დამდეგს ახალი კლასის ხომალდების (სახაზო ხომალდების, სახაზო კრეისერების), წყალქვეშა ნავების, საზღვაო ავიაციის წარმოშობამ გაზარდა საზღვაო ბ-ის სივრცობრივი გაქანება. ფლოტის სხვადასხვა ძალების, განსაკუთრებით, საგემბანო ავიაციის, მათი შეიარაღების საშუალებების, თვალთვალისა და მართვის ტექნიკური საშუალებების შემდგომმა განვითარებამ გამოიწვია ფლოტის ძალების როლის გადანაწილება საზღვაო ბ-ში. II მსოფლიო ომის დროს ყველაზე განვითარებული ფლოტების ძირითადი დამრტყმელი ძალა ხდება საზღვაო ავიაცია და წყალქვეშა ნავები. შემდგომში საზღვაო ბ-ის მთავარი იარაღი გახდა რაკეტები, განსაკუთრებით ფრთოსანი რაკეტები, ამაღლდა მუხტების სიზუსტე და სიმძლავრე, თვისებრივად გაუმჯობესდა რადიოელექტრონული საშუალებები. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად გააფართოვა თანამედროვე საზღვაო ბ-ის სივრცობრივი საზღვრები, მის საწარმოებლად მოსაზიდი ძალებისა და საბრძოლო საშუალებების ნაირგვარობა.

საზღვაო დესანტის გადმოსხმის მოსაგერიებლად ბ-ს აწარმოებენ სახმელეთო ჯარები, ავიაციის ნაწილები, შენაერთები და ფლოტის ძალები საზღვაო სანაპიროს (კუნძულების) თავდაცვის დროს. მათი მიზანია არ დაუშვან მოწინააღმდეგის დესანტის გადმოსხმა, ხოლო გადმოსხმის შემთხვევაში გაანადგურონ იგი. გადმოსხმული დესანტის განადგურება ხდება ერთდროულად გადმოსხდომის მთელ ფრონტზე ან ნაწილნაწილ.

საჰაერო ბ. არის თვითმფრინავების (ვერტმფრენების), საავიაციო ქვედანაყოფებისა და ნაწილების ორგანიზებული შეიარაღებული შეტაკება საჰაერო მოწინააღმდეგის განადგურების, მისი იერიშების მოგერიების მიზნით. იგი მიმდინარეობს საჰაერო ოპერაციის ან საჰაერო ბ-ის ფარგლებში, აგრეთვე საერთოსაჯარისო (საერთო-საზღვაო) ოპერაციაში ავიაციის საბრძოლო მოქმედებების დროს. საჰაერო ბ. შეიძლება იყოს შეტევითი და თავდაცვითი. სამხედრო ავიაციის გაჩენისა და მისი საბრძოლო გამოყენების დაწყების შემდეგ საჰაერო ბ-ები მიმდინარეობდა ცალკეულ თვითმფრინავებს შორის ეპიზოდური დუელის სახით. მაგრამ უკვე I მსოფლიო ომის დროს საჰაერო ბ-ს მნიშვნელოვანი გაქანება მიეცა. შეტევითი საჰაერო ბ-ის წარმოებისათვის შეიქმნა ავიაგამანადგურებელი თვითმფრინავები. სხვა ტიპის თვითმფრინავებზე აყენებდნენ იარაღს მოწინააღმდეგის საჰაერო იერიშების მოსაგერიებლად. II მსოფლიო ომის დროს ასეთმა ბ-მა მასობრივი და გააფთრებული ხასიათი მიიღო. ისინი წარმოებდა დღისით და ღამით, ყველაზე უკეთ მომზადებული ეკიპაჟების მიერ პრაქტიკულად ყოველგვარი ამინდისა და კლიმატის პირობებში. მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით ბ-ები იყო ცალკეული და ჯგუფური. ავიაციის სწრაფმა განვითარებამ XX საუკუნის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად შეცვალა საჰაერო ბ-ის ტაქტიკა, გაართულა მისი წარმოების პირობები, მკვეთრად აამაღლა მოთხოვნები თვითმფრინავების ეკიპაჟების მომზადებისადმი. თანამედროვე პირობებში საჰაერო ბ. შეიძლება წარმოებდეს „ჰაერი-ჰაერი“ მართული რაკეტების, საავიაციო ზარბაზნების გამოყენებით, ამავე დროს რადიოელექტრონული ბ-ის საშუალებების ინტენსიური ამოქმედებით ისეთ მანძილებზე, რომლებიც მრავალგზის აღემატება ვიზუალურ სიშორეს (შორი სარაკეტო ბ.) და ვიზუალური ხედვის ფარგლებში (ახლო სამანევრო ბ.). საჰაერო ბ., შეიძლება წარმოებდეს ავიაგამანადგურებლებს, სხვა ტიპის თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებს შორის. თანამედროვე ბომბდამშენებს, ავიაგამანადგურებელ ბომბდამშენებს (ტაქტიკურ ავიაგამანადგურებლებს) და მოიერიშეებს ასევე შეუძლიათ წარმატებით მიიტანონ იერიში საჰაერო მოწინააღმდეგეზე. საჰაერო ბ., ჩვეულებრივ, მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ხელსაყრელი მდებარეობის დაკავება (მიახლოება), იერიში (ერთი ან რამდენიმე), იერიშებს შორის მანევრირება და საჰაერო ბ-დან გამოსვლა. მიახლოება იწყება მას შემდეგ, რაც აღმოაჩენენ მოწინააღმდეგეს საბორტო საძებნი საშუალებების მეშვეობით, ვიზუალურად ან სამეთაურო პუნქტიდან დამიზნების შედეგად. საჰაერო ბ-ის ყველაზე პასუხსაგები ეტაპია იერიში; მასში შედის სამიზნის მიმართულებით მანევრი, დამიზნება და რაკეტის გაშვება ან ზარბაზნების სროლა.

ქალაქში ბ. ახასიათებს ხედვისა და სროლის ზონების შეზღუდულობა, დიდი ნგრევა, ხერგილებისა და ხანძრების გაჩენა, მანევრისა და მართვის სირთულე. ასევე – საბრძოლო მოქმედების დანაწევრება მთელ რიგ ადგილობრივ ბრძოლებად, განსაკუთრებული გააფთრება, შეუპოვრობა, მოიერიშე რაზმებისა და ჯგუფების ფართო გამოყენება. ჯარების ძირითადი ძალისხმევა ხმარდება ქალაქის მნიშვნელოვანი რაიონების, ცალკეული შენობების, ხიდებისა და სხვა ნაგებობების ხელში ჩაგდებას (შენარჩუნებას).

შ ო რ ი ც ე ც ხ ლ ი თ **ბ.** არის დაზიანების შორსმსროლელი საშუალებების, მ.შ. მაღალი სიზუსტის იარაღის (საერთოსაჯარისო შენაერთებისა და ნაწილების გასაძლიერებლად გამოყოფილი სადაზვერვოსაცეცხლე, სადაზვერვო-დამრტყმელი კომპლექსებისა და ავიაციის) საბრძოლო გამოყენების ფორმა. შორი ცეცხლით **ბ.** წარმოებს მოწინააღმდეგის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების დასაზიანებლად და მისი მანევრის შებოჭვის მიზნით. შორი ცეცხლით **ბ**-ს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შემტევი მხარის სიღრმიდან ჯარების წინ წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფის განხორციელების დროს, ასევე მოწინააღმდეგის დაწინაურებული დაჯგუფებების ცეცხლით დაზიანებისას. შორეულ, წინ წაწეულ თავდაცვაში მყოფი მხარის იერიშის საცეცხლე მომზადების ფარგლებში, როდესაც იგი დროის მიხედვით ემთხვევა თავდაცვაში მყოფი ჯარების საცეცხლე კონტრმომზადებას.

ხ ი შ ტ ი თ **ბ.** ხელჩართული ბრძოლის ფორმას წარმოადგენს. ზოგჯერ ლიტერატურასა და სხვა ბეჭდვით გამოცემებში შეიძლება წავაწყდეთ ზოგიერთი ქვეყნის არმიაში მიღებულ ტერმინს „შემაკავებელი ბრძოლა“, რომელიც XX საუკუნის 70-იან წლებამდე გამოიყენებოდა. ეს **ბ.** უნდა ეწარმოებინათ შენაერთებს, ნაწილებსა და ქვედანაყოფებს შემაკავებელ პოზიციებზე უკან დახევისას, ხანმოკლე დროის მანძილზე, მოწინააღმდეგის მთავარი ძალების შეკავებისა და მათთვის მაქსიმალურად შესაძლო დანაკარგების მიყენების მიზნით. წარსულში გამოიყენებოდა, აგრეთვე ტერმინი „სატანკო ბრძოლა“ – მხარეების სატანკო ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების შეტაკება. მის ერთგვარ ნაირსახეობად შეიძლება ჩაითვალოს არაბეთ-ისრაელის 1948–49 და 1973 წლების „ბრძოლადუელი“ სატანკო ქვედანაყოფებს შორის – ორმხრივი საცეცხლე დაზიანება საცეცხლე მიჯნებიდან (პოზიციებიდან პირდაპირი სროლის ფარგლებში).

ბრძოლაში (ბატალიაში) შეყვანის ზღუდე, ადგილმდებარეობაზე (ადგილმდებარეობის ზოლზე) გამავალი პირობითი ხაზი, რომლიდანაც საჯარისო რეზერვი იწყებს საბრძოლო მოქმედებებს. სათანადო გადაწყვეტილებით აწესებს მეთაური (სარდალი) და აზუსტებს ბრძოლის (ოპერაციის) მსვლელობისას.

ბრძოლაში ჩაბმის წესები, კომპეტენტური სამხედრო ორგანოების მიერ მოცემული მითითებები, რომლებითაც განისაზღვრება შეიარაღებული ძალების მიერ, სხვა ძალების არსებობის გათვალისწინებით, ბრძოლის დაწყების ან გაგრძელების პირობები და შეზღუდვები.

ბრძოლიდან გამოსვლა, ნაწილების (ქვედანაყოფების) საბრძოლო მოქმედება მოწინააღმდეგისგან იმ მანძილზე მოწყვეტის მიზნით, რაც უზრუნველყოფს მათთვის უკან დახევის ან სხვა მიმართულებით მანევრის შესაძლებლობას; ხორციელდება ზემდგომი უფროსის ბრძანებით არტილერიის მისაწვდომობის გათვალისწინებით. **ბ.ბ**-ის სიღრმე პირველ მსოფლიო ომში შეადგენდა 6–8 *კმ*, II მსოფლიო ომში 8–10 *კმ*-ს. შემდეგ დაზიანების საშუალებათა განვითარებასთან, განსაკუთრებით სროლის (გაშვების) სიშორის ზრდასთან დაკავშირებით, **ბ.ბ**-ის სიღრმე კიდევ უფრო გაიზარდა. **ბ.ბ.** ხდება უეცრად და ფარულად, ჩვეულებრივ, ღამით და შეზღუდული ხედვის სხვა პირობებში. დღისით ფართოდ გამოიყენება ადგილმდებარეობის ნაოჭები, შენიღბვის საშუალებები – საკვამლე და აეროზოლური ფარდები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მასობრივი დაზიანების იარაღისაგან, მაღალი სიზუსტის იარაღისა და საჰაერო თავდაცვის საშუალებებისაგან დაცვას. მთავარი ძალების **ბ.ბ**-ის უზრუნველსაყოფად, მოწინააღმდეგისგან მოწყვეტის მიზნით და ორგანიზებული დახევის უზრუნველსაყოფად ინიშნება დაფარვის ქვედანაყოფები და არიერგარდები (ზურგის სალაშქრო საგუშაგოები). მათ შემადგენლობაში შეიძლება გამოიყოს 1/3-მდე ქვეითი ქვედანაყოფი, რომელიც გაძლიერებულია ტანკებით, თვითმავალი არტილერიით, ტანკსაწინააღმდეგო და სხვა საშუალებებით. უკან დახევა იწყება შეტევაზე გადმოსული მოწინააღდეგის ავიაციით, რაკეტებითა და არტილერიის ცეცხლით მძლავრი დარტყმის მიყენების შემდეგ, ხოლო თუ შესაძლებელია, კონტრშეტევების შემდეგაც. პირველად გამოჰყავთ ნაწილები (ქვედანაყოფები), რომლებიც არ არიან ბრძოლაში ჩაბმული და განლაგებული არიან ზურგში, შემდეგ – წინა ხაზზე მყოფი ნაწილები. მთავარი ძალები პოზიციებს ტოვებენ ცეცხლისა და დარტყმების, გადამღობი აეროზოლური ფარდების დაფარვით და გადადიან შეკრების რაიონებში. აქ ხდება მათი ფორმირება კოლონებად შემდგომი მოქმედებისათვის. არტილერია გამოჰყავთ ისეთი თანამიმდევრობით, რომ არ შეწყდეს ცეცხლი მოწინააღმდეგეზე. დაფარვის ქვედანაყოფები რჩებიან დაკავებულ პოზიციებზე, რათა არ დაუშვან მოწინააღმდეგის გარღვევა მთავარი ძალებისაკენ. როდესაც მთავარი ძალები გაივლიან არიერგარდის მიერ დაკავებულ ზღუდეს, ზემდგომი უფროსის ბრძანებით დაფარვის ქვედანაყოფები მალულად და ერთდროულად გამოჰყავთ. შემდეგ ისინი უერთდებიან მთავარ ძალებს და მათ გამოიყენებენ არიერგარდების გასაძლიერებლად ან შესაცვლელად.

ბრძოლიდან გამოსვლის დაფარვა, იხ. *ბრძოლიდან გამოსვლა.*

ბრძოლით შესვლა, სამხედრო ოპერაცია რაიონის დასაკავებლად, სადაც ადგილი აქვს შეიარაღებულ წინააღმდეგობას.

ბრძოლის ველზე გადაადგილების კონტროლი, სამხედრო პოლიციის ამოცანა, რომლის მიზანია გადაადგილების მიმართულების წინასწარი დაზვერვა და თვალთვალი, მომარაგების მიწოდების მთავარი მარშრუტების რეგულირება, ნაწილებს ჩამორჩენილი სამხედროებისა და ლტოლვილების გადაადგილების კონტროლი.

ბრძოლის ველი, ლიტერატურაში გამოყენებული იმ სივრცის აღმნიშვნელი ტერმინი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს (მიმდინარეობდა) საბრძოლო მოქმედებები.

ბრძოლის ველის აგებულება, ბრძოლის ველის მთლიანი სტრუქტურა, რომელიც ომის ტაქტიკურ დონეზე შედგება ოთხი ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისგან: ინტერესის რაიონი, ბრძოლის სივრცე, მოქმედების რაიონი და ბრძოლის ველის ორგანიზაცია.

ბრძოლის ველის კოორდინაციის ელემენტი, სახმელეთო ძალებში სარდლის მიერ განხორციელებული კავშირი საჰაერო ოპერაციების ცენტრთან. **ბ.ვ.კ.ე.** ანაწილებს სახმელეთო ძალების მოთხოვნებს ტაქტიკური საჰაერო მხარდაჭერისთვის, ამუშავებს სახმელეთო საბრძოლო მდგომარეობის სურათს საჰაერო ოპერაციების ცენტრისთვის. ასევე ახდენს დაზვერვის და მიმდინარე აუცილებელი ოპერატიული მონაცემების გაცვლას.

ბრძოლის ველის ლოგისტიკური მომზადება, საბრძოლო მოქმედებების უზრუნველმყოფი ქვედანაყოფის მიერ განხორციელებული ყველა მოქმედება, რომლის მიზანია ქვედანაყოფის მეთაურის დახმარება ბრძოლის გეგმის მაქსიმალურად შესრულებაში.

ბრძოლის ველის სურათის შექმნა, ანალიტიკური პროცესი, რომლის საშუალებითაც მეთაურს ექმნება მკაფიო წარმოდგენა საკუთარი ძალების მდგომარეობაზე, მოწინააღმდეგის მდგომარეობის და არსებული გარემოს გათვალისწინებით.

ბრძოლის მართვა, საბრძოლო გადაწყვეტილების მიღებისა და ბრძოლის მართვის პროცესი. იგი ასევე გულისხმობს ჯარისკაცების მოტივირებას და მათ ორგანიზებას ამოცანის შესასრულებლად.

ბრძოლის სივრცე, კონცეპტუალური ფიზიკური სივრცე, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ბრძოლა და მეთაური ცდილობს მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას. იგი სამგანზომილებიანია და მისი ზომები დამოკიდებულია ოპერაციის ჩატარების საშუალებებზე, დროზე, ტემპსა და სინქრონულობაზე.

ბრძოლისუნარიანობა, ჯარების (ძალების) მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით აწარმოონ საბრძოლო მოქმედებები დანიშნულების შესაბამისად ნებისმიერი ვითარების პირობებში და გამოავლინონ თავიანთი საბრძოლო შესაძლებლობები; საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. დაზიანების საშუალებების მასირებულმა გამოყენებამ შეიძლება მკვეთრად შეამციროს ჯარების (ძალების) **ბ**. იგი შეიძლება დაიკარგოს ნაწილობრივ (ომების გამოცდილების მიხედვით – პირადი შემადგენლობის და საბრძოლო ტექნიკის 50–60%-მდე დანაკარგები და მართვის შენარჩუნება) ან მთლიანად (ძალებისა და საშუალებების 50–60%-ზე მეტის მწყობრიდან გამოსვლა ან მართვის დარღვევა).

სამხედრო თეორიის ახალ კვლევებში **ბ**-ის დაკარგვა განიხილება მისი ორი შემადგენელი ნაწილის **ბ**-ის სიმტკიცის და მდგრადობის დაკარგვის მიხედვით. ამასთან, **ბ**-ის მდგრადობა თავადაც მოიცავს საერთო მდგრადობას და ადგილობრივ მდგრადობას, **ბ**-ის სიმტკიცის დაკარგვა კი – პირადი შემადგენლობის და შეიარაღების პარამეტრების დაზიანებასა და განადგურებას. **ბ**-ის მდგრადობის ცნება გულისხმობს საბრძოლო ელემენტებს შორის კავშირის, მართვისა და კომუნიკაციების საშუალებების რღვევას.

ბრძოლისუნარიანობის აღდგენა, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეზე ქვედანაყოფების და ნაწილების მიერ დროებით დაკარგული **ბ.ა.** ეს ნაწილებს და ქვედანაყოფებს აძლევს საშუალებას აღიდგინონ საბრძოლო ეფექტურობის მისაღები დონე. **ბ.ა**-ში შედის როგორც ბრძოლისუნარიანობის სიმტკიცე, ასევე მდგომარეობის აღდგენა, რაც პირველ შემთხვევაში მიიღწევა პირადი შემადგენლობის შეიარაღების და დახმარების საშუალებების შევსებით, მეორე შემთხვევაში კი – ნაწილების და ქვედანაყოფების შიგა, მართვის სისტემების, გარე საკომუნიკაციო და საბრძოლო კავშირების აღდგენით.

ბრძოლის წესები, სტანდარტული ქმედება, რომლსაც მიმართავენ ბრძოლის ველზე სხვადასხვა ვითარების შესაბამისად. მათი დანიშნულებაა, ნებისმიერმა ქვედანაყოფმა შექმნილ ვითარებაზე სწრაფი და სწორი რეაგირება მოახდინოს.

ბრძოლისწინა წყობა, ფრონტის ხაზზე და სიღრმეში ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების დანაწევრებული დაწყობა, რაც გამოიყენება ბრძოლის ველთან მიახლოებისას და შეტევის დროს. **ბ.წ**-ს იყენებენ მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ჯარების მინიმალური დანაკარგი მასობრივი დაზიანების იარაღისგან, არტილერიის ცეცხლის და ავიაციის დარტყმებისაგან. **ბ.წ**-ის დროს მებრძოლებს უნდა შეეძლოთ სწრაფი მანევრირება და საბრძოლო წყობად გაშლა დასნებოვნების, ნგრევის, ხერგილებისა და ხანძრების ზონების სწრაფი

ტემპით გადასალახავად. **ბ.ფ**. შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე მოწინააღმდეგის თავდაცვაზე იერიშის დროს. ჯარები **ბ.ფ**-ში, ჩვეულებრივ, გადადიან სალაშქრო ან საბრძოლო წყობიდან. შენაერთის (ნაწილის) **ბ.ფ**. შედგება ნაწილების (ქვედანაყოფების) **ბ.ფ**-ისაგან; ქვეითი ბატალიონისა – ფრონტის მიხედვით და სიღრმეში დანაწევრებული ასეულების კოლონებისაგან ერთ ხაზზე, კუთხით წინ (უკან), საფეხურით მარჯვნივ (მარცხნივ).

ბრძოლისწინა წყობად გაშლა, შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების) სალაშქრო კოლონების თანამიმდევრული დანაწილება ბატალიონის (ასეულის, ოცეულის) კოლონების ხაზზე, ხოლო ქვეით მწყობრად მოქმედებისას – ათეულების კოლონებში დაშორიშორების და საბრძოლო წყობად გაშლის დაჩქარების მიზნით.

ბუკი, სამხედრო საყვირი, ლითონის სასიგნალო, ჩასაბერი, დიდი ზომის საკრავი. აქვს მკვეთრი და ძლიერი ხმა. **ბ**. ქართულ წერილობით წყაროებში პირველად IX საუკუნეში იხსენიება. უკრავდნენ აღლუმებზე, ლაშქრობისას, სამეფო კარისა და საკულტო ცერემონიალების დროს. ასევე თავდასხმის საშიშროების ან ომის დაწყების საუწყებლად, საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის მიზნით ხალხის შესაკრებად.

ბულგარეთი (Republic of Bulgaria – ბულგარეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. აღმოსავლეთით აკრავს შავი ზღვა. ჩრდილოეთით ესაზღვრება რუმინეთი, დასავლეთით – სერბეთი, მაკედონია, სამხრეთით – საბერძნეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – თურქეთი. ფართობი 110,9 ათ. *კმ*². მოსახლეობა 7,4 მლნ. კაცი (2012), 85% ბულგარელები. ოფიციალური ენა – ბულგარული, დედაქალაქი – ქ. სოფია. ადმინისტრაციულად იყოფა 9 მხარედ. **ბ**. საპარლამენტო რესპუბლიკაა, სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო – სახალხო კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). თანამედროვე **ბ**. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1908 წლიდან. იგი ნატოს წევრი ქვეყანაა. **ბ**-ში განვითარებულია ინდუსტრიულ-აგრარული მეურნეობა, ტურიზმი, შავი ზღვის კურორტები საერთაშორისო მნიშვნელობისაა. მთავარი პორტები – ბურგასი, ვარნა. მთავარი საერთაშორისო აეროპორტი – სოფია. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 26,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 16,3 ათ., სამხედრო-საჰაერო 6,7 ათ. და სამხედრო-საზღვაო 3,5 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ბუმერანგი (ინგლისური – boomerang), ხელის სატყორცნი იარაღი უმეტესად ნამგლის ფორმის. ზოგიერთი სახის **ბ**. ფრენის დროს აღწერს შეკრულ მრუდს და უბრუნდება მტყორცნელს. **ბ**. გავრცელებული იყო ძველ ეგვიპტეში, ინდოეთში, მექსიკასა და სხვა ქვეყნებში. სამონადირეო და სპორტული იარაღის სახით **ბ**. შენარჩუნებული აქვთ ზოგიერთი ქვეყნის ხალხს დღემდე.

ბუნდესვერი (გერმანული bundeswehr – ფედერალური თავდაცვა), გერმანიის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო ადმინისტრაციის სახელწოდება. შეიქმნა 1955 წელს, დასავლეთ ევროპის კავშირსა და ნატოში გერმანიის შესვლის შემდეგ. მისი შეიარაღებული ძალები შეიცავს სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს. სამხედრო ადმინისტრაცია ასრულებს შეიარაღებული ძალების უზრუნველყოფის ფუნქციებს. უმაღლეს მთავარსარდალს საომარ პერიოდში წარმოადგენს ფედერალური კანცლერი, ხოლო მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას ახორციელებს თავდაცვის მინისტრი.

ბუნიკი, ხმლის ტარი.

ბუნკერი, 1. თავშესაფარი და ცეცხლის დასაშენი ნაგებობა. 2. გემის მყარი სათბობის სარეისო მარაგის შესანახი სათავსი.

ბურთულოვანი საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ბურკინა-ფასო, სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი. ფართობი 274,2 ათ. *კმ*². მოსახლეობა 16,2 მლნ. კაცი (2012), ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. უაგადუგუ. ადმინისტრაციულად იყოფა 30 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 5 აგვისტოს ზედა ვოლტის რესპუბლიკის სახელწოდებით. სახელი გადაერქვა 1989 წელს. **ბ.-ფ**. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტები: უაგადუგუ, ბობო-დიულასო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11,2 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 6,4 ათ., სამხედრო-საჰაერო 1,6 ათ. და ჟანდარმერია 3,2 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება მოხალისეებით.

ბურუნდი (Burundi), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. არ აქვს ზღვაზე გასასვლელი. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს ესაზღვრება ტბა ტანგანიკა, ზაირი, ჩრდილოეთით – ღუანდა, სამხრეთ-ამოსავლეთით – ტანზანია. ფართობი 27,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 8,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – კირუნდი, ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ბუჟუმბურა. ადმინისტრაციულად იყოფა 15 პროვინციად. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა 1966 წლის 28 ნოემბერს. **ბ**. ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მთავარი საერთაშორისო

აეროპორტი – ბუჟუმბურა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 20 ათ. კაცი (2012). შედგება სახმელეთო ჯარებისგან, რომელშიც შედის სამხედრო-საჰაერო ქვედანაყოფები და ჟანდარმერიისაგან. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ბუსოლი (ფრანგული boussole), გეოდეზიური ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ჰორიზონტალურ სიბრტყეში გაიზომოს კუთხე მაგნიტური მერიდიანის მიმართულებასა და დაკვირვების ქვეშ მყოფი ობიექტის მიმართულებას შორის. სამხედრო საქმეში (საარტილერიო **ბ**.) გამოიყენება მიზნის აზიმუტის განსაზღვრისთვის, ნავიგაციის აპარატურის მქონე სამეთაურო და სხვა მანქანების ორიენტირებისთვის; საარტილერიო ცეცხლზე დაკვირვებისა და კორექტირებისთვის, საცეცხლე პოზიციების და სათვალთვალო პუნქტების ადგილმდებარეობაზე ტოპოგრაფიული მიბმისთვის და სხვა. **ბ**. – ოპტიკური და კუთხმზომი ხელსაწყოები, რომლებიც შერწყმულია დიდ მაგნიტურ კომპასთან ან ორიენტირ-ბუსოლთან (პერისკოპული საარტილერიო **ბ**.).

ბუფერული ზონა, დაინტერესებულ სახელმწიფოებთან შეთანხმებული და აღნიშნული ტერიტორიის მონაკვეთი, რომელიც განლაგებულია კონფლიქტური მხარეების პოზიციებს შორის. მის ფარგლებში ყოფნა დაშვებულია მხოლოდ იმ პირების, ორგანოების, ძალებისა და სტრუქტურებისთვის, რომლებსაც **ბ.ზ**-ის ორგანიზატორებისგან მიღებული აქვთ სპეციალური ნებართვა.

ბუქსირებადი არტილერია, სახმელეთო საარტილერიო ქვემეხები, რომელთა გადაადგილება მარშის დროს ხდება საარტილერიო გამწევებით, ავტომობილებით და სხვა გამწევი საშუალებებით. მათ ასევე განეკუთვნება თვითმავალი ქვემეხები. გამწევი მექანიზმების შემოღებამდე მისი გადაადგილების მთავარ საშუალებას ცხენები წაროადგენდნენ.

ბუღა თურქის შემოსევა 853–854, არაბთა ლაშქრობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ხალიფას ძალაუფლების გასამტკიცებლად და თბილისის ამირას – საჰაკის დასასჯელად, რომელიც ხალიფას ეურჩებოდა. დამსჯელ ექსპედიციას სათავეში ედგა გამოცდილი სარდალი ბუღა თურქი. სომხეთის დამორჩილების შემდეგ იგი საქართველოში შემოიჭრა, 853 წლის 5 აგვისტოს თბილისი აიღო, გადაწვა, ამირა საჰაკი მოკლა (თავი მოკვეთა) და ქალაქის მოსახლეობის დიდი ნაწილი გაჟლიტა. არაბებმა დაამარცხეს აგრეთვე ქართლში გადმოსული აფხაზთა მეფე თევდოს II. ბუღა არაგვის ხეობაშიც შეიჭრა, მაგრამ მთიულებმა იგი ზარალით უკუაქციეს. არაბების დამარცხებას ხელი შეუწყო ამინდის გაუარესებამ, მოვიდა თოვლი, ცხენები კი დაეხოცათ იელის ჭამით. 854 წელს ბუღა თურქი ისევ შემოესია საქართველოს, მისმა ჯარებმა ააოხრეს კახეთის პროვინცია გარდაბანი. მიუხედავად ბუღას გარკვეული წარმატებებისა, მისი ლაშქრობის მთავარი მიზანი – არაბთა ბატონობის განმტკიცება – მიუღწეველი დარჩა.

ბჰუტანი (სამეფო ბჰუტანი), სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, აღმოსავლეთ ჰიმალაიში. ფართობი 46,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა 800 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – დრუკე (ბჰოტია). დედაქალაქი – თიმფუ. ადმინისტრაციულად იყოფა 8 ძონგად (პროვინცია). **ბ**-ში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – მეფე. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეა. აღმასრულებელ ძალაუფლებას ახორციელებს მეფე მინისტრთა კაბინეტის საშუალებით. **ბ**. აგრარული ქვეყანაა. ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებულია მსოფლიოში. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8 ათ. კაცი (2012). შედგება სახმელეთო ჯარებისგან, ეროვნული მილიციისა და სამეფო გვარდიისაგან.

გ

გაბნევა, შეზღუდულ ფართობზე (სივრცეში) სროლის (რაკეტების გაშვების, ბომბდაშვნის) პრაქტიკულად ერთნაირ პირობებში საარტილერიო ჭურვების (ტყვიების, ყუმბარების, რაკეტების, ბომბებისა და სხვა) ვარდნის წერტილების (საჰაერო გასკდომების) გაფანტვა. **გ**. ექვემდებარება შემთხვევითი სიდიდეების განაწილების (ჰაუსის განაწილების კანონი) ნორმალურ კანონს, ვინაიდან თითოეული ჭურვის ფრენაზე შემთხვევითი ფაქტორები ახდენენ გავლენას. ამიტომ ერთი და იმავე კორის (სამიზნის) დანადგარებზე სროლის დროსაც წარმოიქმნება ე.წ. ტრაექტორიის კონა, რომელიც წინაღობის ზედაპირის გადაკვეთისას ელიფსის (**გ**-ის ელიფსი) ან წრიული (წრიული **გ**.) ფორმის **გ**-ის ფართობს წარმოადგენს. **გ**-ის მნიშვნელოვანი მახასიათებელია საშუალო (ალბათობითი) გადახრა, ე.ი. მოცემულ მიმართულებაზე ისეთი გადახრა, რომლის მიმართაც როგორც დიდი, ასევე მცირე შემთხვევითი გადახრები ერთნაირადაა შესაძლებელი (P_h - სიმაღლით, P_d – მანძილით, P_l - გვერდითი მიმართულებით). რიცხობრივად **გ**-ის კანონი გამოისახება შკალით D, რომელიც რომელიღაც მიმართულებაზე შუა გადახრის სიდიდის და მათი მიღების ალბათობის დამოკიდებულებას გვიჩვენებს. **გ**. სროლის ეფექტურობაზე არსებით გავლენას ახდენს: რაც უფრო ნაკლებია D, მით უფრო მაღალია მიზანში მოხვედრის ალბათობა.

გაბონი (Gabon – გაბონის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ, ეკვატორულ აფრიკაში. დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით – ეკვატორული გვინეა, კამერუნი, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – კონგო. ფართობი 267,7 ათ. *კმ* ^{2}, მოსახლეობა 1,545 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ლიბრევილი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად. სახელმწიფოსა და მთავრობის
მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. **გ**. დამოუკიდებელი რესპუბლიკაა 1960 წლის 17 აგვისტოდან. წარმოადგენს აფრიკის ერთ-ერთ ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს. ეკონომიკის საფუძველი სამთო-მოპოვებითი მრეწველობაა (ნავთობი,
მარგანეცი, ურანი, და სხვა), საზღვაო პორტებია: ლიბრევილი, პორტ-ჟანტილი, ოვენდო, მაიუმბა. **გ**-ში ოთხი საერთაშორისო აეროპორტია. შეიარაღებული ძალების საერთო შემადგენლობა 4,7 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 3,2 ათ., სამხედრო-საჰაერო 1 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 0,5 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

გადაადგილების კონტროლი, პირადი შემადგენლობისა და ტვირთის საკომუნიკაციო ხაზებზე გადაადგილების დაგეგმვა, მარშრუტის შერჩევა, სქემის დადგენა და კონტროლი.

გადაადგილებული პირები, II მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გაყვანილი პირები, რომლებსაც იყენებდნენ სხვადასხვა ტერიტორიებზე იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად. უკანასკნელ წლებში ტერმინს „გადაადგილებული პირები“ იყენებენ იმ პირთა მიმართ, რომლებიც ე.წ. „შიდა“ ლტოლვილებს ეკუთვნიან. მათ იძულებით დატოვეს თავიანთი ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი და დასახლდნენ მის მეორე ნაწილში. ამ კატეგორიის პირთა აღსანიშნავად იყენებენ ტერმინს „იძულებით გადაადგილებული პირები“.

„გადაბუგული მიწის“ ტაქტიკა, მოწინააღმდეგის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე დასახლებული პუნქტების, საწარმოების, ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვა ნაგებობების, გზების, მატერიალური საშუალებების მარაგების, ნათესების, კულტურის ძეგლებისა და ა.შ. განზრახ განადგურება. ცნობილია ვანდალების, ჰუნების გამაჩანაგებელი შემოსევების, თათარ-მონღოლთა დამპყრობლური ომების დროიდან. „**გ.მ.“ტ**-ის მეთოდების გამოყენება გადაჭრით არის დაგმობილი საერთაშორისო შეთანხმებით, კერძოდ, ჰააგის 1899, 1907 და ჟენევის 1949 წლების კონვენციების გადაწყვეტილებებით, აგრეთვე გაეროს გენერალური ასამბლეის 1970 და 1974 წლის დეკემბრის გადაწყვეტილებებით.

გადაზიდვები (სამხედრო), ჯარების (ძალების), გუნდების, ცალკეული სამხედრო მოსამსახურეებისა და სამხედრო ტვირთის ორგანიზებული გადაადგილება ერთი რაიონიდან (პუნქტიდან) მეორეში სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის გამოყენებით. მასშტაბის მიხედვით შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური; შინაარსის, მიზნებისა და დანიშნულების მიხედვით – ხალხის, სამობილიზაციო, ოპერატიული, მომარაგებისა და საევაკუაციო; ტრანსპორტის სახეობების მიხედვით – სარკინიგზო, წყალსანაოსნო (საზღვაო და სამდინარო), საჰაერო, საავტომობილო და კომბინირებული. **გ**. შეიძლება იყოს ცენტრალიზებული (სახელმწი-

ფოთაშორისი, დაჯგუფებათაშორისი), დაჯგუ-ფებისშიდა და შიდასაფლოტო.

გ. მ ო მ ა რ ა გ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ, მა-ტერიალური საშუალებების (სამხედრო ტვირ-თის) გადაადგილება ერთი პუნქტიდან (რაი-ონიდან) მეორეში ჯარების (ძალების) ყოველ-დღიური ცხოვრებისა და საბრძოლო მოქ-მედებების უზრუნველსაყოფად.

პ ე რ ა ტ ი უ ლ ი **გ.**, სამხედრო ნაწილების (შენაერთების) და ქვედანაყოფების (დაწესე-ბულებების) გადაადგილება განსაზღვრულ რაიონებში ახალი დისლოკაციის ადგილი-საკენ, ბანაკებში, სასწავლო ცენტრებში წვრთნებზე, მანევრებზე და სხვა.

ს ა ე ვ ა კ უ ა ც ი ო **გ.**, საბრძოლო მოქ-მედებების რაიონებიდან დაჭრილი და ავად-მყოფი სამხედრო მოსამსახურეების, დაზიან-ებული შეიარაღებისა და სხვა მატერიალური საშუალებების გადაადგილება. ასევე სამხედ-რო მოსამსახურეთა ოჯახების გაყვანა და სამხედრო ქონების გატანა სავარაუდო საბრ-ძოლო მოქმედებების რაიონებიდან.

ს ა მ ო ბ ი ლ ი ზ ა ც ი ო **გ.**, ადამი-ანების, სამხედრო ტექნიკისა და მატერიალ-ური რესურსების გადაადგილება, რაც საჭირ-ოა სამხედრო ნაწილებისა და დაწესებულებე-ბის დაკომპლექტებისა და უზრუნველყო-ფისათვის მობილიზაციისა და შეიარაღებული ძალების გაშლის პერიოდში.

ხ ა ლ ხ ი ს გ ა დ ა ყ ვ ა ნ ა, რესურსის შევსების მიზნით (ომიანობის დროს) ხალხის, წვევამდელების, თადარიგში დათხოვილი სამ-ხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე იმ ჯგუფე-ბის ან ცალკეული სამხედრო მოსამსახურეე-ბისა და მათი ოჯახის წევრების გადაადგილე-ება, რომლებიც მიემგზავრებიან მივლინებაში, სასწავლებლად, შვებულებაში, სამკურნალოდ და ა.შ.

გადაზიდვები მომარაგების მიზნით, იხ. *გა-დაზიდვები.*

გადაზიდვების და ტრანსპორტირების უზრუნველყოფის შტაბი, შტაბი, რომელიც მრავალეროვნული ჯარების ბაზირების ერთი ადგილიდან მეორეში ან ჩასხდომის (ჩატ-ვირთვის) პორტებში გადაზიდვების ან ტრანს-პორტირების დროს დაგეგმვის, კონტროლის, მართვის, შეთანხმებისა და ურთიერთქმედების ორგანიზაციის ამოცანებს ასრულებს. იგი ასევე ახორციელებს კონტროლს დისლოკა-ციის ადგილის შეცვლაზე, ჩასხდომასა (ჩატ-ვირთვასა) ან გადასხდომაზე (გადატვირთვის პორტებში). ასეთ ამოცანებს შტაბები მიღე-ბული მითითებების და აღებული პასუხისმ-გებლობების შესაბამისად ასრულებენ.

გადაზიდვების კოორდინაციის ეროვნული ცენტრი, მიმღები ქვეყნის მიერ გამოყოფილი ორგანო, რომლის დანიშნულებაა საკუთარ ტერიტორიაზე გადაზიდვების მართვა და კოორდინაცია.

გადაზიდვის ტემპი, იხ. *ტემპი.*

გადაზიდვის ხერხები, გადაადგილების (გა-დაზიდვის) სხვადასხვა მეთოდი და შესაბამი-სი სატრანსპორტო საშუალება.

გადაიარაღება, ჯარების (ძალების) აღჭურვა ახალი, უფრო სრულყოფილი სამხედრო ტექ-ნიკით. იგეგმება და ხორციელდება პროგ-რამებით, რომლებიც მოიცავენ სამხედრო ტექნიკის მეცნიერულ კვლევას, წარმოებასა და ექსპლოატაციას; ასევე სხვა სახელმწი-ფოებიდან ახალი, უფრო მაღალეფექტური იარაღის შეძენას და ჯარების (ძალების) აღჭურვას. შეიარაღების სრული გამოცვლის ციკლი სახელმწიფოთა მეცნიერულ-ტექნიკური შესაძლებლობების ამაღლების შესაბამისად განუწყვეტლივ მცირდება: XX საუკუნის დამ-დეგს არმიას **გ**-ისათვის სჭირდებოდა 20–30 წელიწადი, თანამედროვე პირობებში ეს პროცესი განვითარებულ სახელმწიფოებში 2–3-ჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

გადაკვეთის პუნქტი, განსაზღვრული ადგი-ლი, სადაც ქვედანაყოფებმა წინ წაწევის ან უკან დახევის დროს ერთმანეთის პოზიციები უნდა გადაკვეთონ.

გადამანაწილებელი ინსტანცია, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სა-რდალი, რომელიც უფლებამოსილია გადაანა-წილოს მშვიდობიან დროს ოპერაციების უზ-რუნველსაყოფად მის დაქვემდებარებაში და-ნიშნული, გამოყოფილი და ქვეყნების მიერ გადაცემული განსაზღვრული სახეობის რე-სურსები.

გადამიზნება (ავიაციაში), ფრენის დროს ავი-აციის ძალებისთვის წინასწარ დასახული საბრძოლო ამოცანების შეცვლა (დაზუსტება).

გადამკვეთი დერეფანი, ტერიტორიის ნაწი-ლი, ზოლი, რომლის მთავარი მიმართულება კვეთს შეიარაღებული ძალის გადაადგილების მიმართულებას.

გადამფარავი ქვედანაყოფი, იმ მიმართულე-ბის დასაფარავად გამოყოფილი ქვედანაყოფი, რომელზეც გამოვლენილია მოწინააღმდეგის გადაადგილება ან მისი მზადება დარტყმისთ-ვის. მისი ფუნქციაა, აგრეთვე ალყიდან გამო-მავალი ჯარების ფლანგების დაცვის უზრუნ-ველყოფა. შეტევის დროს **გ.ძ**-ს ზოგჯერ გა-ნალაგებენ უკვე შემოვლილი ან საკუთარი ძა-ლებისაგან მოწყვეტილი მოწინააღმდეგის დაჯგუფებების, მისი გადმოსხმული საჰაერო დესანტების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ არ აპირებენ მათ დაუყოვნებლივ განადგურე-ბას. **გ.ძ**-ის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, შეჰყავთ ქვეითი და სატანკო ქვედანაყოფები, რომლებიც გაძლიერებულია არტილერიით, ტანკსაწინააღმდეგო, საინჟინრო და საზენიტო საშუალებებით.

გადამღობი, წინაღობების დასაყენებელი საშუალება. არსებობს საზღვაო და სახმელეთო. ს ა ზ ღ ვ ა ო გვხვდება სანაღმე (წყალზედა და წყალქვეშა) და ბადური. სანაღმე **ბ.** არის სპეციალური კონსტრუქციის ან სხვა მცურავი საშუალებიდან გადმოკეთებული ხომალდი. აღჭურვილი არიან სატვირთო ამწეებით, რელსებით მოწყობილი სანაღმე გემბანით, დეტონატორების სათავსებით, ნაღმების მოწყობილობების საწყობებით, სპეციალური ნაგებობებით. ამის გარდა – სანაღმე ტრიუმებით, გემბანზე ნაღმების მისაწოდებელი ლიფტებით და ა.შ. მსოფლიოში პირველი სანაღმე **ბ**-ები შეიქმნა რუსეთში 1802 წელს. თანამედროვე ზედაპირულ საზღვაო **ბ**-ს აქვს წყალწყვა დაახლოებით 3000 *ტ*, სვლის სიჩქარე 15–20 *კვანძი*, 400-მდე ნაღმი და სხვადასხვა კალიბრის საარტილერიო დანადგარი. წყალქვეშა **ბ.** წარმოადგენს საგანგებო კონსტრუქციის წყალქვეშა ნავს ნაღმების ფარული დაყენებისთვის. გამოიყენებოდა I და II მსოფლიო ომებში (წყალქვეშა ნავებს ჰქონდათ ორ-ორი საგემბანო და ვერტიკალური ნაღმების მილები ოცი-ოცი ნაღმით). თანამედროვე ფლოტებში წყალქვეშ ნაღმებს აყენებენ მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავების სატორპედო აპარატების გასაშვები მოწყობილობებიდან. ბადური **ბ**-ები წარმოადგენენ სპეციალური კონსტრუქციის ან სხვა გემებიდან გადაკეთებულ ხომალდებს. აყენებენ სპეციალურ ბადეებს ნავსადგურების, საზღვაო ბაზების, პორტების შესასვლელების, მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების, ტორპედოების და წყალქვეშა დივერსანტებისგან დაცვის მიზნით (დაყენების სიჩქარე 1–2,5 *კვანძი*). ს ა ხ მ ე ლ ე თ ო **ბ.** (ნაღმური **ბ**-ები) დგება მუხლუხიან და თვლიან ტრანსპორტიორებზე ან მისაბმელებზე. ნაღმები ლაგდება არხში შესაბამისი შენიღბვით. გრუნტის ზედაპირზე ნაღმების დამწყობ მოწყობილობას ეწოდება ნაღმების დამლაგებელი.

გადამღობი რადიოდაბრკოლებები, ერთდროული, ძლიერი ელექტრომაგნიტური დაბრკოლებები, რომლებიც სიხშირეთა დიდ დიაპაზონს მოიცავენ.

გადამღობი რაზმი (ჯგუფი), 1. დროებითი ფორმირება, რომელიც შედგებოდა საინჟინრო ჯარების ქვედანაყოფებისგან (ნაწილებისგან) და განკუთვნილი იყო მოწინააღმდეგის შემოტევის მიმართულებებზე ღობურებისა და ნგრევის მოსაწყობად. II მსოფლიო ომის დასაწყისში იქმნებოდა თავდაცვაში, ხოლო 1942 წლიდან – შეტევაშიც. 1943 წლიდან **ბ.რ.(ჯ)**-ს ოფიციალურად ეწოდება მოძრავი **ბ.რ.(ჯ).** 2. სამხედრო-საზღვაო ძალებში სპეციალურად შექმნილი რამდენიმე ხომალდის ან ისეთი ხომალდების (კატარღების) დროებითი ფორმირება, რომლებიც გამოიყენება ნაღმური, ბადის და ბონების (მორტივტივას) ღობურების დასაყენებლად.

გადამღობი ცეცხლი, სროლა, რომლის დანიშნულებაა არა იმდენად კონკრეტულ მიზანში მოხვედრა, რამდენადაც საკუთარი ძალების მხარდასაჭერად სივრცის ან რაიონის გარკვეული ნაწილის ცეცხლის ტალღით დაფარვა; მთლიანი ცეცხლის ფარდა, რომელსაც წარმოშობს ჭურვების აფეთქებები, დიდძალი რაოდენობის ტყვიების ცვენა მოწინააღმდეგის შემტევი ტანკებისა და ქვეითების გადაადგილების გზებზე. აგრეთვე – სატორპედო კატარღების მოძრაობის, საზღვაო დესანტის გადასხმის საშუალებების ან საფრენი აპარატების ფრენის გზებზე, ერთ ან ერთდროულად რამდენიმე ზღუდეზე; საარტილერიო და ცეცხლსასროლი იარაღის ცეცხლის სახეობა. არის უძრავი და მოძრავი. უძრავი **ბ.ც.** წარმოებს ერთ ან ერთდროულად რამდენიმე ზღუდეზე, რომლებიც წინასწარ არის გამიზნული. მოძრავი **ბ.ც.** წარმოებს ერთ ან ერთდროულად ორ (ორმაგი **ბ.ც.**) ზღუდეზე და თანამიმდევრულად გადადის მორიგ ზღუდეებზე. მანძილი ზღუდეებს შორის, რომლებზეც ერთდროულად წარმოებს ცეცხლი, არის 150–200 *მ*, ხოლო ზღუდეების ჯგუფებს შორის – 400–600 *მ*. საზენიტო არტილერიაში **ბ.ც.** წარმოადგენს ჰაერში ჭურვების გასკდომის შედეგად წარმოშობილ ცეცხლის ფარდას, რომელსაც ქმნიან ბატარეების ჯგუფები მოწინააღმდეგის თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ფრენის გზაზე. სასროლი იარაღის, ტყვიამფრქვევებისა და შაშხანების ზალპური **ბ.ც.** გამოიყენება თავდაცვაში იმ მიზნით, რომ არ დაუშვან მოწინააღმდეგის ქვეითი ჯარის გადაადგილება მოცემულ მიმართულებაზე ცეცხლის დასაშენად გამიზნული ზღუდის გავლით.

გადამღობი ცეცხლის ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, რომლისკენაც მიმართულია არტილერიისა და ნაღმსატყორცნების გადამღობი ცეცხლი. ინიშნება მოწინააღმდეგის მოიერიშე (კონტრმოიერიშე) ტანკებისა და ქვეითი ჯარების მოძრაობის გზაზე.

გადამწყვეტი ადგილი, 1. ტერიტორია რომლის შენარჩუნება მეთაურს მოწინააღმდეგეზე მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს. 2. მოწინააღმდეგის სუსტი ადგილების არსებობის დრო ან განლაგება, რაც საშუალებას იძლევა თავმოყრილ იქნეს ძალების უპირატესობა მათ წინააღმდეგ. ეს შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის სისუსტეების გამოყენება ან დრო, როდესაც მოწინააღმდეგის საბრძოლო პოტენციალი შესუსტებულია. 3. დაქვემდებარებულთათვის ადგილების მითითება, რომლებიც მეთაურმა მოინიშნა ამოცანაში გარკვევის პროცესში საბრძოლო უპირატესობის მიღწევის მიზნით.

გადამწყვეტი იერიში, (გერმანული sturm – იერიში, შეტევა), მოწინააღმდეგის გამაგრებული რაიონის, პოზიციის, მძლავრი დაცვითი ნაგებობების აღების ხერხი. მოწინაარმდეგის დათრგუნვისთვის იყენებდნენ არტილერიას, ავიაციას, ხოლო საყრდენი პუნქტების ბლოკირებისა და განადგურებისთვის – საშტურმო ჯგუფებსა და რაზმებს.

გადანაწილებული ცეცხლი, ცეცხლის წარმოების მეთოდი, რომელიც მიზნის ეფექტური და ფართო დაზიანებისკენ არის მიმართული.

გადასასვლელი (წყლით), 1. ჯარების მიერ წყლისმიერი დაბრკოლების [მდინარის, არხის, ტბის, ლიმანის (დაბალი სანაპირო), ყურის, სრუტის, წყალსაცავის და ა.შ.] გადალახვა; 2. წყლისმიერი დაბრკოლების მონაკვეთი, რომელიც აღჭურვილი და მოწყობილია გადასალახავად. **ბ**-ზე საინჟინრო ჯარების ძალებით ტექნიკური და სამედიცინო უზრუნველყოფის ძალებთან ერთად ორგანიზება უკეთდება საკომენდანტო, საევაკუაციო და სამაშველო სამსახურებს. განასხვავებენ შემდეგ გ-ებს:

ს ა ბ ო რ ნ ე **ბ**., ემსახურება ჯარებისა და საბრძოლო ტექნიკის გადაყვანას თვითმავალი და ბუქსირებადი გადამყვანი ბორნებით, რომლებიც აწყობილია პონტონის პარკებისგან, ამფიბია-ბორნებისა ან ადგილობრივი მცურავი საშუალებებისაგან. მას იყენებენ მაშინ, როდესაც შეუძლებელია, ხიდის აშენება ან დაგება. სპეციალური გემებით – ბორნებით შეიძლება გადაიზიდოს სარკინიგზო შემადგენლობები ან ცალკეული ვაგონები. ასეთ **ბ**-ებს სარკინიგზოსაც უწოდებენ.

ს ა დ ე ს ა ნ ტ ო **ბ**., ეწყობა ჯარების მიერ საშტატო მცურავი საშუალებებით: დესანტგადამყვანი მანქანებით, კატარღებით, სადესანტო ნავებითა და ადგილობრივი **ბ**. საშუალებებით წყლისმიერი დაბრკოლების გადასალახავად.

ს ა ხ ი დ ე **ბ**. განკუთვნილია ჯარების წყლისმიერ დაბრკოლებებზე გადასასვლელად დროებითი და/ან მუდმივი ხიდებით. უზრუნველყოფს ჯარების მიერ წყლისმიერი დაბრკოლების უწყვეტ ან წყვეტილ გადალახვას და აქვს სათანადო გამტარუნარიანობა. ეწყობა სამშენებლო კონსტრუქციების, პონტონის პარკების, ასაწყობი კონსტრუქციების, გასაშლელი კონსტრუქციებისა და ადგილობრივი მასალებისაგან.

ტ ა ნ კ ე ბ ი ს წ ყ ა ლ ქ ვ ე შ ა **ბ**., განკუთვნილია ტანკების საკუთარი სვლით გადასასვლელად ღრმა წყლისმიერი დაბრკოლებების ფსკერზე სპეციალური მოწყობილობის გამოყენებით.

ფ ო ნ ი ო **ბ**., ეწყობა ჯარების გადასასვლელად წყალმცირე დაბრკოლებებზე, მყარგრუნტიან უბნებზე, საჭიროებისას სუსტ გრუნტს ამაგრებენ ქვით, ხრეშით, ღორღითა და სხვა მასალებით.

ყ ი ნ უ ლ ი ს **ბ**. (ქ ა შ ა ნ ი – თოვლზე გაქელილი გზა), გამოიყენება ჯარების გადასასვლელად. წყლისმიერ დაბრკოლებებზე ბუნებრივი ან ხის კონსტრუქციებით გამაგრებული ყინულით.

ც რ უ **ბ**., განკუთვნილია მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანად მოქმედი **ბ**-ების ადგილმდებარეობის დასამალავად. შეიძლება აიგოს ხიდური, საბორნე, სადესანტო და სხვა **ბ**-ის იმიტაცია.

გადასასვლელი საშუალებები, წყლისმიერ და უწყლო დაბრკოლებებზე ჯარების გადასაყვანი საშუალებები. სატაბელო **ბ.ს**. არის დესანტგადამყვანი (სადესანტო ნავები, თვითმავალი ბორნები, საბორნე-ხიდური მანქანები და ა.შ.), პონტონის პარკები, მექანიზებული ხიდები, ხისტსაყრდენიანი დასაშლელი ხიდები და სხვა. ადგილობრივი რესურსებიდან დამზადებულ **ბ.ს**-ს განეკუთვნება მებადურთა და სასეირნო ნავები, კატარღები და ბორნები, მოტივტივე ხიდები ბარჟებისაგან (კარჭაპებისაგან) და ა.შ.

გადასასვლელის გამტარუნარიანობა, იმ ქვედანაყოფების, პირადი შემადგენლობის ან სამხედრო ტექნიკის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის გადაყვანა-გადატანა შეიძლება წყლისმიერ დაბრკოლებაზე მოწყობილ გადასასვლელზე დროის გარკვეულ ერთეულში (საათში ან დღე-დამეში).

გადასვლის სტრატეგია, მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის ამოცანის განუყოფელი ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს ასეთი ოპერაციის დასრულების პირობების მისაღწევად წარმატებულ დინამიკას. ეს არის სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს მხარეების მიერ შესაბამისი ხელშეკრულებების დებულებების დაცვას, საშუალებას იძლევა შემცირდეს მშვიდობის შენარჩუნების ძალების რიცხოვნობა, როლი და მნიშვნელობა იმის შესაბამისად, რომ პოლიტიკურ და სამოქალაქო ინსტიტუტებს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს სამხედროებისგან გადაეცემათ უფრო მეტი პასუხისმგებლობა.

გადასროლის ბაზა, ბაზა, რომელიც განსხვავდება მშვიდობიანი პერიოდის ბაზისაგან იმით, რომ აქვს მხოლოდ მინიმალურად აუცილებელი ოპერატიული და მხარდამჭერი ნაგებობები, საიდანაც დაძაბულობის ესკალაციის ან ომის შემთხვევაში ნაწილი (შენაერთი) იქნება გადასროლილი.

გადასროლის კოორდინაციის ეროვნული ცენტრი, ორგანო, ჩამოყალიბებული და წამოდგენილია მიმღები ქვეყნის მიერ თავის ტერიტორიაზე ჯარების გადასროლის, მავისა და კოორდინაციისთვის.

გადასხმის ძალები, საზღვაო ძალების დროებითი ფორმირებები, რომლებიც განკუთვნილია საზღვაო დესანტის ზღვით გადასვლის, გადასხმისა და ნაპირზე მოქმედების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. მის შემადგენლობაში შედიან: სადესანტო რაზმები, საცეცხლე მხარდაჭერის ხომალდების რაზმი; საავიაციო და სახომალდე დამრტყმელი და საძიებო-დამრტყმელი ჯგუფები; მტრალავი და უზრუნველმყოფი ჯგუფები; წყლის რაიონის დაცვის ხომალდების რაზმი და სხვა.

გადატენა, მორიგი გასროლისთვის იარაღის მომზადების პროცესი. იარაღის ტიპის მიხედვით ეს ოპერაციები ნაწილობრივ ან სრულად შეიძლება წარმოებდეს ავტომატურად ან ხელით.

გადატენის მექანიზმები, მორიგი გასროლისთვის იარაღის მოსამზადებელი ოპერაციების შემსრულებელი ხელსაწყო. **ბ.მ**-ს განეკუთვნება ჩამკეტები, საბრძოლო მასალის მიმწოდებლები, ამომგდებლები (ექსტრაქტორები) და სხვა. შეიძლება მუშაობდეს ავტომატურად ან ხელით.

გადატვირთვის რაიონი, 1. ტერიტორიის მონაკვეთი სატრანსპორტო კომუნიკაციაზე სადგურებითა და სამდინარო (საზღვაო) პორტებით, საავტომობილო გზებით, მილსადენებით, სასაწყობო მოწყობილობებით და მექანიზმებით ჯარებისა და სამხედრო ტვირთის ეშელონიდან ეშელონში, ან ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორეში გადასატვირთად, ხალხის გადასაყვანად; აგრეთვე სხვა სიგანის სარკინიგზო ლიანდაგზე ან ბარიერული ზღუდეების რაიონებში რკინიგზაზე ვაგონების გადასაყენებლად. დიდ წყლისმიერ დაბრკოლებებთან და სხვა ბარიერულ ზღუდეებთან სატრანსპორტო კომუნიკაციებზე შეიძლება შეიქმნას დროებითი **ბ.რ**-ები. 2. საზღვაო დესანტის გადასხმის აკვატორიის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ჯარების გადასხმა ტრანსპორტიდან დესანტის გადასასხმელ საშუალებებზე, ასევე სამხედრო ტექნიკის და ყველა სახის მატერიალური საშუალებების მარაგის გადატვირთვა.

გადაცემის ხაზი, რელიეფის ადვილად შესამჩნევ ორიენტირთან უშუალო სიახლოვეს შერჩეული ხაზი, სადაც ხდება საბრძოლო პასუხისმგებლობის გადაცემა ერთი გაერთიანებიდან (შენაერთიდან, ნაწილიდან) მეორეზე, რაც კონტროლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

გადაცილება, დამკვირვებლის ან მეთვალთვალის მითითება, რომ ჭურვი ან ჯერი სასურველ მიზანს გადასცდა.

გადაწყვეტილება ოპერაციაზე (ბრძოლაზე), სარდლის (მეთაურის) მიერ განსაზღვრული საბრძოლო ამოცანის შესრულების წესი და ხერხები. მოიცავს ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრს; ამოცანებს ჯარებისადმი (ძალებისადმი); ურთიერთქმედების ძირითად საკითხებს; მართვის ორგანიზაციის საფუძვლებს; ამოცანებს უზრუნველყოფის ძირითად სახეობებში. **ბ.ო.(ბ)** ჯარების (ძალების) მართვის საფუძველია. იგი მიიღება დასახული ამოცანის გააზრების, ვითარების შეფასების და გაანგარიშების (ოპერაციის მოდელირების) ჩატარების შედეგად. მონაცემებს გადაწყვეტილების მისაღებად ამზადებენ შტაბები ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარებისა და სამსახურების უფროსები. ოპერაციაზე (ბრძოლაზე) გადაწყვეტილებას, ჩვეულებრივ, იღებენ რუკაზე და პირველი შესაძლებლობისთანავე აზუსტებენ ადგილმდებარეობას. სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფებში გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იღებენ ადგილმდებარეობის მიხედვით. ოპერაციაზე (ბრძოლაზე) გადაწყვეტილების დეტალიზება ხდება დაგეგმვის პროცესში, ფორმდება რუკაზე ლეგენდის (განმარტებითი ბარათის) თანდართვით.

გადაწყვეტილების მიღების ადგილი, რაიონი, ზღუდე ან წერტილი ბრძოლის ველზე, სადაც საომარი გათამაშების პროცესიდან გამომდინარე ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღება არის აუცილებელი. **ბ.მ.ა**. არ მოქმედებს მეთაურის გადაწყვეტილებაზე, ის მხოლოდ მიანიშნებს, სად და როდის არის გადაწყვეტილება მისაღები, რათა საკუთარი ან მოწინააღმდეგის ძალების მოქმედებიდან გამომდინარე მაქსიმალური ეფექტი იქნეს მიღწეული.

გადაწყვეტილების მიღება, ნებისყოფის პროცესის პერიოდი, რომლის დროსაც რამდენიმე შესაძლებლობიდან მეთაური ირჩევს რომელიმეს და ამის საფუძველზე წარმართავს თავის მოქმედებას. მართვად სისტემებში პრაქტიკის მოთხოვნილებებმა წარმოშვა გადაწყვეტილების მიღების საკითხის ღრმად შესწავლის აუცილებლობა, რამაც განაპირობა **ბ.მ**-ის თეორიის ჩამოყალიბება.

გადაწყობა, მანევრი, რომელსაც ხომალდები ახორციელებენ ერთობლივი ცურვის დროს ორდერის ან წყობის (სალაშქრო და საბრძოლო) შესაცვლელად, რომელშიც ისინი თავდაპირველად იმყოფებოდნენ.

გადაჰერის საბორტო რადიოლოკაციური სისტემა, აღმოჩენისა და ცეცხლის მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს ბომბდამშენ – გადამჭერის საბორტე რადიოლოკაციურ მოწყობილობას.

გადაჰერის სადგური, გამანადგურებლის საბორტო მოწყობილობის კომპლექსი საჰაერო მიზნების აღმოჩენისთვის, ამოცნობისა და ავტომატური თანხლებისთვის. ასევე შეიარაღების გამოყენებისთვის მონაცემების გამოსამუშავებლად და მიზანთან მისაახლოებლად მანევრის უზრუნველსაყოფად. **ბ.ს**-ის საფუძველია საბორტო რადიოსარელეო სადგური

და სამიზნებელი მოწყობილობა (ოპტიკური, ოპტიკურ-ელექტრონული).

გადახრის ალბათობა, იხ. *საშუალო გადახრა.*

გადმოსხმის რაიონი, 1. ამოცანის შესრულების რაიონის ის ნაწილი, სადაც საზღვაო დესანტის გადმოსხმა ხორციელდება. 2. მთავარი რაიონი, სადაც ჰაერიდან ან მიწაზე დაშვებით ჯარების გადმოსხმა და საომარი ტექნიკის გადმოტვირთვა ხდება 3. ნებისმიერი წინასწარ შერჩეული და მომზადებული ხმელეთის ან წყლის ზედაპირის ნაწილი, ასევე გემბანი, რომელიც თვითმფრინავის აფრენისა და დაშვებისთვის გამოიყენება.

გადმოსხმის ჯგუფი, ერთიანი ტაქტიკური ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი სადესანტო ჯარების პირველი ეშელონის შემადგენლობაში ჩამოყალიბებული ფორმირება, რომელიც მზად არის დესანტირების ამოცანებისა და პოზიციების (ან პოზიციების ჯგუფის) დაკავების ამოცანების შესასრულებლად.

გადმოტვირთვის პორტი, გეოგრაფიული პუნქტი (საზღვაო პორტი ან აეროდრომი), სადაც ხდება ცოცხალი ძალის გადმოსხმა და ტვირთის გადმოტვირთვა.

გაერთიანება, ოპერატიული (სტრატეგიული) მასშტაბის და დანიშნულების სამხედრო ფორმირება, რომელშიც საერთო ხელმძღვანელობით არის გაერთიანებული რამდენიმე შენაერთი ან არამრავალრიცხოვანი **ბ**. ჩვეულებრივ, **ბ**. ატარებს ოპერაციას, შენაერთებისა და ნაწილებისაგან (ტაქტიკური მასშტაბი) განსხვავებით, რომლებიც ბრძოლას აწარმოებენ. **ბ**-ის შემადგენლობა, როგორც წესი, არ არის მუდმივი და დამოკიდებულია შექმნილ ოპერატიულ ვითარებასა და შესასრულებელ ამოცანებზე. განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ-სტრატეგიულ, ოპერატიულ-სტრატეგიულ ტერიტორიულ, ოპერატიულ, ოპერატიულ-ტერიტორიულ და ოპერატიულ-ტაქტიკურ ტერიტორიულ **ბ**-ებს. სათავეში უდგას სარდალი (მთავარსარდალი).

ო პ ე რ ა ტ ი უ ლ ი **ბ**., არმია, ფლოტილია და სხვა. იქმნება მშვიდობიანობის და ომიანობის დროს, ძირითადად ოპერატიული ამოცანების შესასრულებლად საერთო-საჯარისო, დამოუკიდებელი და ერთობლივი ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მოწყობის გზით. შედგება სხვადასხვა გვარეობის ჯარებისგან (ძალებისგან), სპეციალური ჯარების რამდენიმე შენაერთისა (ნაწილის) და სამსახურისაგან. ორგანიზაციულად შეიძლება შედიოდეს ოპერატიულ-სტრატეგიულ **ბ**-აში ან იყოს დამოუკიდებელი. II მსოფლიო ომის დროს იქმნებოდა დროებითი ოპერატიული **ბ**-ები – თავდაცვითი რაიონები.

ო პ ე რ ა ტ ი უ ლ - სტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი **ბ**. (ზოგჯერ უწოდებენ უმაღლეს ოპერატიულ გაერთიანებას), დაჯგუფება, არმიების ჯგუფი, ფლოტი და სხვა. იქმნება როგორც ომიანობის დროს, ისე მშვიდობიანობისას (მაგალითად, ფლოტი). ოპერატიულ-სტრატეგიული **ბ**. დაჯგუფებებისა და არმიების ჯგუფების სახით (თავდაპირველად ითვლებოდა სტრატეგიულ გაერთიანებად) ჩამოყალიბდა I მსოფლიო ომის დასაწყისში.

ო პ ე რ ა ტ ი უ ლ - სტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი **ბ**., ჯარების ჯგუფი, რომელიც ომიანობის დროისათვის აყალიბებს დაჯგუფებებს და სხვა. იქნება მშვიდობიანობის დროს, როგორც ქვეყნის ტერიტორიის სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული.

ო პ ე რ ა ტ ი უ ლ - ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი **ბ**. (ზოგჯერ უწოდებენ ოპერატიულ-ტაქტიკურ ან უმაღლეს ტაქტიკურ შენაერთს), კორპუსი, ესკადრა და სხვა. შედგება შენაერთებისა და ნაწილებისაგან. განკუთვნილია ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ამოცანების შესასრულებლად. შედის ოპერატიული, ოპერატიულ-სტრატეგიული **ბ**-ის შემადგენლობაში. ოპერატიულ-ტაქტიკურ ტერიტორიულ გაერთიანებას წარმოადგენს სამხედრო-საზღვაო ბაზა.

ო პ ე რ ა ტ ი უ ლ - ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ ი **ბ**., ჯარების დაჯგუფება, რომელიც აყალიბებს (თავისი შემადგენლობიდან გამოყოფს) არმიას, საარმიო კორპუსს.

ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი **ბ**., შეიარაღებული ძალების დაჯგუფება (კოალიციური შემადგენლობისას გაერთიანებული შეიარაღებული ძალები) საომარი მოქმედებების თეატრში, რომელიც განკუთვნილია სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად. შეიძლება შეიცავდეს რამდენიმე დაჯგუფებას: არმიას, საარმიო კორპუსს, აგრეთვე გაერთიანებისადმი ოპერატიულად დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალების გვარეობებისა და სპეციალური ჯარების შენაერთებსა და ნაწილებს.

გაერთიანებების (შენაერთებების, ნაწილების) გაძლიერება, ზემდგომი ინსტანციების (მეთაურების) მიერ განხორციელებული ორგანიზაციული, საბრძოლო და სპეციალური ღონიძიებებისა და მოქმედებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) ოპერაციაში (ბრძოლაში) ოპერატიული (საბრძოლო) ამოცანების გადაწყვეტის შესაძლებლობების გაზრდას. **ბ.(შ.,ნ.)ბ**. ხორციელდება გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) შემადგენლობაში ახალი შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების ჩართვით; ჯარების (ძალების) დაქვემდებარების შეცვლით; გასაძლიერებლად შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობების, სპეციალური და სხვა ჯარების მიკუთვნებით; გაერთიანების (შენაერთის, ნაწი-

ლის) მოქმედებების ზემდგომი უფროსის ძალების მხარდაჭერით. ჯარების (ძალების) დაქვემდებარების შეცვლა ითვალისწინებს ჯარების (ძალების) უფროსი მეთაურის გადაწყვეტილებით ერთი სარდლის (მეთაურის) დაქვემდებარებიდან მეორის დაქვემდებარებაში გადაცემას. გასაძლიერებლად მიკუთვნებული ძალები და საშუალებები სარდლების (მეთაურების) დროებით დაქვემდებარებაში გადადიან, ხოლო მხარდამჭერი ძალები და საშუალებები თავიანთი უშუალო უფროსების დაქვემდებარებაში რჩებიან.

გაერთიანებული, ცნება, რომელიც ასახავს სხვადასხვა სამხედრო ფორმირებებში შეიარაღებული ძალების რამდენიმე სახეობის ნაწილებისა და ქვედანაყოფების მონაწილეობას. ასევე გამოიყენება სამხედრო ფორმირებების აღსანიშნავად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო United Nations Organization - UNO), საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა სუვერენულ სახელმწიფოთა ძალისხმევის ნაბაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე და მიზნად ისახავს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების ხელშეწყობას და განმტკიცებას, სახელმწიფოების თანამშრომლობის განვითარებას. ჩამოყალიბდა ანტიჰიტლერული კოალიციის წამყვანი სახელმწიფოების – ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ინიციატივით. გაეროს შემადგენლობაში შედის 185 სახელმწიფო. გაეროს წესდებაში (ხელმოწერილია 1945 წლის 26 ივნისს, ძალაში შევიდა 1945 წლის 24 ოქტომბერს) დამკვიდრებულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპები: გაეროს ყველა წევრის სუვერენული თანასწორობა; საერთაშორისო დავების გადაწყვეტა მშვიდობიანი საშუალებებით; წესდებით ნაკისრი ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება; საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოყენების მუქარაზე ან ძალის გამოყენებაზე უარის თქმა; გაეროს ჩაურევლობა საქმეებში, რომლებიც არსებითად შედის ნებისმიერი სახელმწიფოს შიდა კომპეტენციაში, გაეროს წესდებით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებების გამოყენების შემთხვევების გარდა. გაეროს მთავარი ორგანოებია: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამეურვეო საბჭო, საერთაშორისო სასამართლო და სამდივნო. ჰააგაში განთავსებული საერთაშორისო სასამართლოების გარდა ყველა ეს ორგანო განლაგებულია ნიუ-იორკში. გაეროს სისტემაში შედის მთელი რიგი დამოუკიდებელი ავტონომიური საერთაშორისო ორგანიზაციები: გაეროს სპეციალიზებული დაწესებულებები (მაგალითად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა) და გაეროსთან დაკავშირებული სამთავრობოთაშორისი დაწესებულებები (მაგალითად, ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია (United Nations Disarmament Commission), გაეროს გენერალური ასამბლეის ორგანო, რომელიც შეიქმნა 1979 წელს განიარაღების შესახებ გაეროს გენერალური ასამბლეის X სპეციალური სესიის გადაწყვეტილებით. განიარაღების კომისიის შემადგენლობაში შედის გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო. კომისია ვალდებულია არსებითი საკითხები გადაწყვიტოს კონსენსუსის საფუძველზე. მას გამოაქვს რეკომენდაციები განიარაღების სხვადასხვა პრობლემაზე და თვალყურს ადევნებს სესიის გადაწყვეტილებების და რეკომენდაციების შესრულებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციები საზღვაო სამართლის საკითხებზე, შეიმუშავეს მსოფლიო ოკეანის ერთიანი საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი: პირველი კონფერენცია მიმდინარეობდა 1958 წლის 24 თებერვალიდან – 27 აპრილამდე, მონაწილეობდა 79 სახელმწიფო, მიიღეს 3 კონვენცია (ტერიტორიული ზღვის და მიმდებარე ზონის შესახებ, ღია ზღვის შესახებ, კონტინენტური შელფის შესახებ) და ფაკულტატიური ოქმი ამ კონვენციების განმარტება-გამოყენების საკითხებზე დავების მოწესრიგების შესახებ. მეორე კონფერენცია – 1960 წლის 16 მარტიდან – 26 აპრილამდე, მონაწილეობდა 84 სახელმწიფო, განიხილავდა საკითხებს ტერიტორიული წყლებისა და თევზჭერის ზონის სიგანის შესახებ. კონფერენცია უშედეგოდ დამთავრდა მონაწილეებს შორის წამოჭრილი უთანხმოების გამო. მესამე კონფერენცია – 1973 წლის დეკემბერში, 1982 წლის სექტემბერში მონაწილეობდა 164 სახელმწიფო, განიხილა საზღვაო სამართლის 82 აქტუალური საკითხი და მიიღო გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენცია, რომელსაც ხელი მოაწერა 117 სახელმწიფომ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო დამკვირვებლების მისია, მსოფლიო თანამეგობრობის წარმომადგენლობა, რომელიც საერთაშორისო კონფლიქტების რაიონებში გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა (1948). მიზანი: სამხედრო-პოლიტიკური და ოპერატიული ვითარების, ცეცხლის შეწყვეტის ან დაზავების შეთანხმებების შესრულების, აგრეთვე მსოფლიოსთვის საფრთხის აცილების ან ლიკვიდაციის ზომებზე ინფორმაციის დროული, ობიექტური მიღება. მშვიდობის აღდგენის და შენარჩუნების ოპერაციების ერთ-ერთი ფორმა.

თავის ამოცანებს ასრულებს სტაციონარული და მოძრავი საგუშაგოებიდან დაკვირვებით, დემილიტარიზებული ზონების და ჯარების დისლოკაციის რაიონების პატრულირებისა და ინსპექტირების, ადგილობრივი მცხოვრებლების გამოკითხვის გზით. გაეროს ამ მისიის დაკომპლექტება ხორციელდება უპირატესად ოფიცრებით, რომლებსაც გაეროს წევრი ქვეყნები შესაბამისი შეთანხმებების საფუძველზე გამოყოფენ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური კომიტეტი საერთაშორისო ტერორიზმის საკითხებზე (Ad Hoc Committee on International Terrorism), გაეროს გენერალური ასამბლეის დამხმარე ორგანო. დაარსდა 1972 წელს, მის შემადგენლობაში შედის 35 წევრი-სახელმწიფო. სპეციალური კომიტეტის მუშაობა დაფუძნებულია კონსესუსის პრინციპზე. კომიტეტმა ჩაატარა საერთაშორისო ტერორიზმის გამომწვევ ძირითად მიზეზთა გამოკვლევა. დასახელებული იქნება: აგრესია, საშინაო საქმეებში ჩარევა, კოლონიალიზმი, რასიზმი და რასობრივი დისკრიმინაცია, ფაშიზმი, ნეოფაშიზმი, არათანასწორი და არასამართლიანი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის შენარჩუნება. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ქმედითი ღონისძიებები საერთაშორისო ტერორიზმის აქტების აღსაკვეთად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უმაღლესი კომისრის სამმართველო ლტოლვილების საკითხებში (Office of the United Nations High Commissioner for Refugees – UNHCR), შეიქმნა 1949 წელს, მას დაეკისრა განეგრძო ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთათავის იმ დახმარების გაწევა რომელსაც 1947 წლამდე ახორციელებდა ლტოლვილთა საქმეების სპეციალური საერთაშორისო ორგანიზაცია (1944–47). სამმართველოს საქმიანობა წმინდა ჰუმანიტარულია და არ ატარებს პოლიტიკურ ხასიათს. მისი ფუნქციებია: ლტოლვილთა დაცვა, მათი უფლებების გარანტირება, მატერიალური დახმარების გაწევა, საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნებისთვის პირობების შექმნა. სამმართველოს აქვს აღმასრულებელი კომიტეტი, მის შემადგენლობაში არიან 42 სახელმწიფოს წარმომადგენლები. ადმინისტრაციული ხარჯები შედის გაეროს ბიუჯეტში. საქართველოში გახსნილია უმაღლესი კომისრის წარმომადგენლობა ლტოლვილების საკითხთა გადასაწყვეტად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალები, გაეროს წევრი ქვეყნების საჯარისო კონტინგენტები, რომლებიც გამოყოფილია გაეროს წესდების თანახმად. მათი მოვალეობაა თავიდან აიცილონ ან აღმოფხვრან საფრთხე საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროებისათვის ერთობლივი იძულებითი მოქმედების (სამხედრო ძალის დემონსტრირება, ბლოკადა და სხვა) გზით, თუ ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები არ იქნება საკმარისი. გადაწყვეტილებას ამ ძალების შექმნის, შემადგენლობის, გამოყენებისა და დაფინანსების შესახებ იღებს გაეროს უშიშროების საბჭო; სტრატეგიული ხელმძღვანელობა ევალება სამხედროსაშტაბო კომიტეტს.

გაერთიანებული კოსმოსური სარდლობა, იხ. *სარდლობა.*

გაერთიანებული ოპერატიული ცენტრი, გაერთიანებული სარდლობის ორგანო, რომელიც შტაბის ნებისმიერ რგოლში ან ნებისმიერი ოპერაციისთვის შეიძლება შეიქმნას. მის ამოცანას წარმოადგენს მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შესახებ მეთაურის ინფორმირება და ჯარებში მეთაურის ბრძანებების გადაცემა. ოპერაციის ტიპის შესაბამისად **გ.ო.ც.** შესაძლოა, სხვადასხვა სექციებს შეიცავდეს, რომლებიც რიცხობრივი შემადგენლობით განსხვავდებიან. მაგალითად, დაზვერვის, კავშირგაბმულობის, მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების, ლოგისტიკისა და დაგეგმვის. **გ.ო.ც.** შეიძლება მუშაობდეს მშვიდობიანობის დროსაც, როგორც წესი, კრიზისის დარეგულირების პროცესში ოპერაციების კოორდინაციისა და დაგეგმვისთვის. სტრატეგიულ დონეზე ასეთი ცენტრი სარდლობის და მმართველობის სტრუქტურას წარმოადგენს მშვიდობიანობიდან კრიზისულზე და ომიანობის დროზე გადასვლის უზრუნველსაყოფად. ის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის ან ატლანტიკაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის და მათი შტაბების კრიზისზე რეაგირების შესაძლებლობების და შეშფოთების გამომწვევი სიტუაციების შეფასებაში.

გაერთიანებული სარდლობები, იხ. *სარდლობები.*

გაერთიანებული ტაქტიკური საავიაციო სარდლობები, იხ. *სარდლობები.*

გაერთიანებული შეიარაღებული ძალები, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ ერთობლივი მოქმედებისთვის გამოყოფილი შეიარაღებული ძალები და საშუალებები. თითოეული მხრიდან მათ შემადგენლობაში, როგორც წესი, ყველაზე მომზადებული და თანამედროვე შეიარაღებით აღჭურვილი შენაერთები და ნაწილები შედიან.

გაერთიანებული შტაბი, 1. ამერიკის შეერთებულ შტატებში შტაბების უფროსების კომიტეტის სამუშაო ორგანო, რომელიც თავისთავად არის უმაღლესი მთავარსარდლის – აშშ-ის პრეზიდენტის და აშშ-ის თავდაცვის

მდივნის ძირითადი სამუშაო ორგანო შეიარაღებული ძალების ოპერატიული მართვისთვის. 2. ნატოს მიერ წინასწარ შექმნილი მრავალეროვნული სახეობათაშორისი შტაბი, რომელიც მრავალეროვნული გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური დაჯგუფებების შტაბების საბაზისო შემადგენლობას შეიცავს.

გაერთიანებული შტაბების კომიტეტი, შექმნილია სხვადასხვა სახელმწიფოებში. აშშ-ში იგი არის უმაღლესი მთავარსარდლის – აშშ-ის პრეზიდენტის და აშშ-ის თავდაცვის მდივნის ძირითადი სამუშაო ორგანო შეიარაღებული ძალების ოპერატიული მართვისთვის. მის შემადგენლობაში შედიან არმიის შტაბების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბების უფროსები, ასევე საზღვაო ქვეითების კომენდანტი. საფრანგეთში იგი არის თავდაცვის მინისტრის საკონსულტაციო ორგანო, დიდ ბრიტანეთში კი წარმოადგენს თავდაცვის შტაბის კოლეგიალურობას.

გავგამელა (ახლანდელი თელ-გომელი), ძველი ქალაქი მესოპოტამიაში, ქ. ერბილის ახლოს (ერაყი); **ბ**-სთან ძვ. წ. 331 წელს *ალექსანდრე მაკედონელის* არმიამ (47 ათ. კაცი) გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა სპარსეთის მეფის დარიოს III-ის ლაშქარზე (70–90 ათ. კაცი, 200 საომარი ეტლი, 15 საომარი სპილო).

გავლის დრო, დრო კოლონის სათავო სატრანსპორტო საშუალების მიერ მოცემული პუნქტის გავლასა და იმ მომენტს შორის, როდესაც ამ პუნქტს კოლონის ბოლო სატრანსპორტო საშუალება გაივლის.

გავლის პუნქტი, საწყის ზღუდეზე დადგენილი ადგილი, სადაც ქვედანაყოფმა უნდა გადაკვეთოს ეს ზღუდე, როგორც წესი, ღამით ან შეზღუდული ხილვადობის პირობებში.

გათვლა, ქვემეხის, ტყვიამფრქვევის, შეიარაღებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის უშუალო მომსახურე სამხედროების ჯგუფი. არტილერიაში, კავშირგაბმულობის ჯარებში პირველადი (უმდაბლესი) საორგანიზაციო ერთეული. ჩვეულებრივ, **ბ**-ს სათავეში უდგას მეთაური. **ბ**-ში შემავალი სამხედრო მოსამსახურეები სახელდებიან ნომრებით (პირველი ნომერი, მეორე ნომერი და ა.შ.), ყოველი მათგანი ასრულებს გარკვეულ მოვალეობას. **ბ**-ში ნომრების რაოდენობა დამოკიდებულია შეიარაღების (სისტემის) სახეობაზე.

გაიანა (Gayana – კოოპერაციული რესპუბლიკა გაიანა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყნის ჩრდილოეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე, დასავლეთით – ვენესუელა, სამხრეთ-დასავლეთით – ბრაზილია, აღმოსავლეთით – სურინამი. ფართობი 215 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 761,4 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ჯორჯტაუნი. ადმინისტრაციულად იყოფა 10 ოლქად. **ბ**. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1966 წლის 26 მაისს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და სამთომოპოვებითი მრეწველობა. მსოფლიოში მოწინავე ადგილი უკავია ბოქსიტების მოპოვებაში. საზღვაო პორტებია: ჯორჯტაუნი, ფორტ-უელინგტონი, ნიუ-ამსტერდამი. საერთაშორისო აეროპორტია ტიმეხრი (ჯორჯტაუნი). შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა 1,1 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 0,9 ათ., სამხედრო საჰაერო ძალები 0,1 ათ. და სანაპირო დაცვა 0,1 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

გალავანი, 1. ძვ. ქალაქის, ციხის, არქიტექტურული კომპლექსის ირგვლივ შემოვლებული ქვის ან აგურის კედელი, რომელსაც თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა. **ბ**-ის სისტემაში ჩართული იყო სხვადასხვა სახის საფორტიფიკაციო ელემენტები: საბრძოლო კოშკები, ქონგურები, სალოდეები, შესასვლელი კარიბჭეები. **ბ**-ში კარიბჭეები, ჩვეულებრივ, იმ ადგილებში ეწყობოდა, სადაც ქალაქში საქარავნო თუ სხვა გზები შედიოდა. 2. თავდაცვითი ნაგებობის ტიპი XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში. ჩვეულებრივ, გეგმით კვადრატული ან სწორკუთხა, კედელშემოვლებული ეზო, რომელსაც ჰქონდა ფართო ჭიშკარი და კოშკები. მტრის შემოსევის დროს **ბ**-ს თავს აფარებდა სოფლის ან კუთხის მთელი მოსახლეობა საქონლიანად.

გალერა (იტალიური galera), ნიჩბიანი საბრძოლო ხომალდი ერთ რიგზე ჩამწკრივებული 16–50 წყვილი ნიჩბით. შექმნეს ვენეციელებმა. VII–XVIII საუკუნეებში გამოიყენებოდა ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს ფლოტში. შეიარაღება: ტარანი, სატყორცნი მანქანები, არბალეტები, XIV საუკუნიდან – ზარბაზნები.

გალიონი (ესპანური – galéon), XVI–XVIII საუკუნეების ესპანურ-პორტუგალიური დიდი სამანძიანი სამხედრო ხომალდი. გამოიყენებოდა აგრეთვე ძვირადღირებული ტვირთების გადასატანად. წყალწყვა – 500-დან 2000 *ტ*-მდე; შეიარაღება – 100-მდე ქვემეხი. აძლიერებდნენ ჯარისკაცთა რაზმით (500 კაცამდე).

გამაგრებული ბანაკი, ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც მოწყობილია ჯარების თავმოყრისათვის (განლაგებისათვის), მომზადებულია მოწინააღმდეგის თავდასხმის მოსაგერიებლად და წარმოადგენს საწყის პუნქტს სხვადასხვა ამოცანის შესასრულებლად; საველე სიმაგრეების ერთ-ერთი პირველი სახეობა. ჰქონდათ ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში, ხოლო მოგვიანებით – სხვა სახ

ელმწიფოებსა და ხალხებსაც. XV–XVII საუკუნეებში ფართოდ გამოიყენებოდა მოძრავი **ბ.ბ**-ები (ვაგენბურგები). XVII–XIX საუკუნეებში არსებობდნენ როგორც საბრძოლო პოზიციები მთავარ მიმართულებებზე. XX საუკუნის დამდეგიდან აღარ გამოიყენებოდა.

გამაგრებული პუნქტის დაცვა, საბრძოლო პოზიციის დაცვის ფორმა, რომელიც მოითხოვს საინჟინრო ღონისძიებების მთელი კომპლექსის განხორციელებას და ყველა საშუალებით პოზიციის შენარჩუნებას. ის არ აძლევს მოწინააღმდეგეს მნიშვნელოვანი ტერიტორიის დაკავების საშუალებას.

გამაგრებული რაიონების ჯარები, სამხედრო ფორმირებები, რომელთა დანიშნულებაა, დამოუკიდებლად და სხვა ჯარებთან ურთიერთქმედებით სახელმწიფო საზღვრის იმ ცალკეული დიდმნიშვნელოვანი მონაკვეთების ხანგრძლივი და შეუპოვარი დაცვა, რომლებიც მომზადებულია როგორც გამაგრებული რაიონები. **გ.რ.ჯ**-ის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, შედის სატყვიამფრქვევო-საარტილერიო (საარტილერიო-სატყვიამფრქვევო), სატანკო, მესანგრეთა, კავშირგაბმულობისა და სხვა შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები. **გ.რ.ჯ**-ის საარტილერიო, სატანკო, ტანკსაწინააღმდეგო და სატყვიამფრქვევო შეიარაღება გამოიყენება ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობებში და ამ ნაგებობების ფარგლებს გარეთ.

გამაგრებული რაიონი, 1. ადგილმდებარეობის რაიონი (ზოლი), რომელიც აღჭურვილია ხანგამძლე და საველე საფორტიფიკაციო ნაგებობათა სისტემით სხვადასხვა საინჟინრო ღობურებთან შეხამებით და მომზადებულია სპეციალურად განკუთვნილი ჯარების ხანგრძლივი და შეუპოვარი თავდაცვისთვის დამოუკიდებლად ან საერთო-საჯარისო ნაწილებთან (საველე ჯარებთან) ურთიერთქმედებით. II მსოფლიო ომის წინ მთელ რიგ სახელმწიფოებში **გ.რ**-ები შენდებოდა გამაგრებული ზღუდეების სისტემაში, სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით, ხოლო უმნიშვნელოვანეს მიმართულებაზე – სიღრმეში. იგი შედგებოდა რამდენიმე თავდაცვითი ზოლის (პოზიციის) და წამკვეთი პოზიციისგან; 2. თავდაცვითი ამოცანების შესასრულებლად განკუთვნილი საშტატო სამხედრო ფორმირება სათანადო მოქმედების ტერიტორიით. იგი შედგება რამდენიმე სატყვიამფრქვევო-საარტილერიო ბატალიონის, უზრუნველყოფის და მომსახურების ქვედანაყოფებისგან. **გ.რ**-ები ფართოდ გამოიყენებოდა II მსოფლიო ომის წლებში.

გამაგრებული რაიონის გარღვევა, მოწინააღმდეგის გამაგრებული რაიონის თავდაცვაში რღვეულის შექმნა ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობების დანგრევის, მათი გარნიზონების შემუსვრის და თავდაცვაში მყოფი ჯარების განადგურების გზით, სიღრმეში და ფლანგების მხარეს შეტევის გასავითარებლად. **გ.რ.ბ**-ისთვის იქმნება ძალების და საშუალებების მაღალი სიმჭიდროვე, საბრძოლო წყობის ღრმა განლაგება, რომლის შემადგენლობაში შედის მოიერიშე რაზმები (ჯგუფები), გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. ასევე ტანკებით, დიდი სიმძლავრის ქვემეხებით, ცეცხლსატყორცნებით, საინჟინრო ჯარების ძალებითა და საშუალებებით გაძლიერებული ქვეითთა ქვედანაყოფები. II მსოფლიო ომში **გ.რ.ბ** ხორციელდებოდა მძლავრი ხანგრძლივი საარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ. არც თუ იშვიათად მას წინ უძღოდა აღმოჩენილი ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობების დაზიანება. იერიშის მხარდაჭერა ხორციელდებოდა ცეცხლის ტალღით. მოიერიშე ჯგუფები ხელთ იგდებდნენ ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობებს, ხოლო მოიერიშე რაზმები – წინააღმდეგობის კვანძებს.

თანამედროვე პირობებში გათვალისწინებულია გამაგრებული რაიონის ყოველმხრივი მომზადების შემდეგ მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების მდგომარეობიდან ან სიღრმიდან წინ წაწევით, ერთდროულად ან დროის ინტერვალით რამდენიმე მონაკვეთზე გარღვევა. შენაერთებსა და ნაწილებს შეუძლიათ განახორციელონ შეტევა უფრო ვიწრო ზოლებში. ბირთვული იარაღის გამოყენების შემთხვევაში **გ.რ.ბ** ხორციელდება ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობებისა და გამაგრებული რაიონის სხვა ობიექტების ბირთვული დარტყმებით განადგურების, ნგრევის გზით. შედეგად შემტევი ჯარები იპყრობენ გამაგრებულ რაიონს, როგორც წესი, სიღრმიდან წინ წაწევით. ნატოს ქვეყნების არმიებში **გ.რ.ბ** უნდა განხორციელდეს იმავე პრინციპების საფუძველზე, როგორც თავდაცვის გარღვევა საჰაერო-სახმელეთო ოპერაციის (ბატალიის) ფარგლებში.

გამაგრებული ხაზი, ერთ ხაზზე განლაგებული სიმაგრეების ან ცალკეული საფორტიფიკაციო ნაგებობების რიგი, რომელიც ერთიან უწყვეტ თავდაცვით პოზიციას ქმნის. გამაგრებული ხაზი ცნობილია უძველესი დროიდან (ჩინეთის დიდი კედელი და სხვა). II მსოფლიო ომის წინ ზოგიერთ სახელმწიფოში შეიქმნა მთელი რიგი თავდაცვითი სისტემები, რომლებსაც „ხაზები“ ეწოდა, მაგალითად, „ზიგფრიდის ხაზი“ (გერმანია), „მაჟინოს ხაზი“ (საფრანგეთი), „მანერჰაიმის ხაზი“ (ფინეთი).

გამალებული შეიარაღება, იარაღის და ტექნიკის დაჩქარებული შექმნის, წარმოებისა და დაგროვების თვისებრივი სრულყოფის პროცესი. ხორციელდება, ეკონომიკის, მეცნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების მილიტარიზაციის ბაზაზე. ომის შემდგომ პერიოდში **გ.შ**-ის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა: სტრატეგიული და

ოპერატიულ-ტაქტიკური ბირთვული იარაღის არსებული სახეობების განუწყვეტელი სრულყოფის გზით ახალი ნიმუშების შექმნა, გამოცდა და დანერგვა; იარაღის ახალი კლასის თავდაცვითი, დამრტყმელი და უზრუნველმყოფი კოსმოსური ბაზირების საშუალებების შემუშავება; ისეთი მასობრივი დაზიანების იარაღის შექმნა, რომელიც ეფუძნება სხვაგვარ (გამოყენებულთან შედარებით) ფიზიკურ პრინციპებსა და თვისებებს (ლაზერული, ნეიტრონული, კონური, გეოფიზიკური და სხვა); მაღალი სიზუსტის იარაღის სხვადასხვა სისტემების შემუშავება და სხვა.

გამანადგურებელ-ბომბდამშენი, საბრძოლო თვითმფრინავი, რომელიც განკუთვნილია სახმელეთო (საზღვაო), მ.შ. მცირე ზომის მოძრავი მიზნების გასანადგურებლად მოწინააღმდეგის ტაქტიკურ და უახლოეს ოპერატიულ სიღრმეში; აგრეთვე საფრენი აპარატების წინააღმდეგ საბრძოლველად ჰაერში, დაზვერვის საწარმოებლად და ნაღმური ღობურების დასაყენებლად. გამანადგურებელს იგი აღემატება თავისი საბრძოლო დატვირთვით. **ბ.-ბ.** შეიძლება აღჭურვილი იყოს ბირთვული და ჩვეულებრივი ბომბებით, ამნთები ავზებით, მართვადი და უმართავი რაკეტებით, საარტილერიო შეიარაღებით. მას აგრეთვე აქვს მრავალფუნქციური რადიოსალოკაციო დასამიზნებელი სისტემა ავტომატიზებული დაბომბვის განსახორციელებლად.

გამანადგურებელ-გადამჭერი, საჰაერო თავდაცვისთვის განკუთვნილი საბრძოლო თვითმფრინავი მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებების (თვითმფრინავების, ფრთოსანი რაკეტების) წინააღმდეგ საბრძოლველად. აქვს მრავალფუნქციური საბორტო რადიოსალოკაციო სამიზნე, რომელსაც დიდ სიშორეზე შეუძლია საჰაერო სამიზნეების და მართვადი რაკეტების (მცირე, საშუალო და დიდი სიშორის) აღმოჩენა. აღჭურვილია საარტილერიო შეიარაღებით.

გამანადგურებელი საბრძოლო თვითმფრინავი, მის უმთავრეს დანიშნულებას წარმოადგენს მოწინააღმდეგის საფრენი აპარატების განადგურება ჰაერში. იგი აგრეთვე გამოიყენება სახმელეთო და საზღვაო სამიზნეების (ობიექტების) გასანადგურებლად და საჰაერო დაზვერვის საწარმოებლად. თანამედროვე გამანადგურებელი რეაქტიული ზებგერითი თვითმფრინავია, რომლის გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ამინდში, აღჭურვილია სარაკეტო, ბომბდამშენი და საარტილერიო შეიარაღებით, რადიოელექტრონული და სხვა კომპლექსებით. გამანადგურებლის სპეციალიზებული სახეობებია გამანადგურებელ-ბომბდამშენი და გამანადგურებელ-გადამჭერი (დამჭერი).

გამანადგურებლებით დაფარვა, (იხ. *საავიაციო დაფარვა).*

გამანადგურებლების აწევის ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, რომელთანაც საჰაერო მოწინააღმდეგის მიახლოება განსაზღვრავს გამანადგურებლების ძრავების ამუშავების კომანდის გაცემის მომენტს.

გამანადგურებელსაწინააღმდეგო მანევრი, საფრენი აპარატის (ჯგუფის) ფრენის (მიმართულების, სიჩქარის, სიმაღლის) პარამეტრების შეცვლა აღმოჩენისაგან თავის არიდების, დამიზნების ჩაშლისა და მოწინააღმდეგის გამანადგურებლის (გამანადგურებლების) მიერ საბორტო იარაღის გამოყენების ეფექტურობის შესამცირებლად.

გამანეიტრალებელი ცეცხლი, ცეცხლდაშენა, რომლის დანიშნულებაა: სამიზნის გაუვნებლება ან ჩახშობა; მოწინააღმდეგის და მისი ცეცხლის მანევრის შეზღუდვა, შეწყვეტა ან მიზნის დროებით მწყობრიდან გამოყვანა.

გამგედაობა, მეომრის მორალურ-ფსიქოლოგიური და საბრძოლო თვისება, რომელიც ვლინდება მის უშიშრობაში, მზადყოფნასა და უნარში ეფექტურად იმოქმედოს საშიშ ვითარებაში, შეასრულოს სიცოცხლის რისკთან დაკავშირებული დავალება. ეფუძნება მეომრის ღრმა რწმენას, რომ საქმე, რომლსაც იგი ემსახურება რისთვისაც იბრძვის, არის სამართლიანი.

გამბია (Gambia – რესპუბლიკა გამბია), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. დასავლეთიდან ესაზღვრება ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით, სამხრეთით და აღმოსავლეთით – სენეგალი. ფართობი 11,3 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 1,7 მლნ. კაცი (2012). სახელმწიფო ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ბანჯული. ადმინისტრაციულად იყოფა 6 ოლქად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1965 წლის 18 თებერვლიდან. **გ.** ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, მთავარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტია არაქისი. საზღვაო პორტი – ბანჯული. საერთაშორისო აეროპორტი – იუნდუმი ბანჯული. შეიარაღებული ძალების საერთო შემადგენლობა 0,8 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარებში შედიან სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ქვედანაყოფები. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

გამგზავნი ქვეყანა, მრავალეროვნული ჯარების (ძალების) გადაადგილებისა და ტრანსპორტირებისას – სახელმწიფო, რომელიც ეროვნულ ჯარებს ან ეროვნულ ფორმირებებს მრავალეროვნული ძალების შემადგენლობაში აგზავნის, ან მონაწილეობს გაგზავნაში; **გ.ქ**-მ შესაძლებელია, მიმართოს მიმღებ ქვეყანას

ლოგისტიკის და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მოთხოვნით.

გამიზვნა, მართვის ხერხი, რომლის დროსაც ძალებს (წყალქვეშა ნავი, საფრენი აპარატი) ან იარაღს მიეცემა მოძრაობის პარამეტრები (კურსი, სიჩქარე, სვლის სიღრმე, ფრენის სიმაღლე და სხვა). ეს პარამეტრები მათ გაიყვანენ დაზიანებისთვის შერჩეულ მოწინააღმდეგის ობიექტებთან იმ მანძილზე, რომელიც დასახული ამოცანის შესრულების საშუალებას იძლევა.

პ ი ლ ო ტ ი რ ე ბ ა დ ი ს ა ფ რ ე ნ ი ა პ ა რ ა ტ ე ბ ი ს **გ**.

შეიძლება ხელსაწყოებით (ავტომატური) და თვალზომით. ხორციელდება მართვის პუნქტებიდან, სადაზვერვო და მიზანჩვენების თვითმფრინავებიდან (ვერტმფრენებიდან) საბორტო რადიოლოკაციური სადგურებით მის გადაჭერამდე ან ეკიპაჟის მიერ მიზნის ვიზუალურ აღმოჩენამდე. გამანადგურებლების **გ**. უშუალოდ საჰაერო მიზანზე ხორციელდება. სახმელეთო (წყალზედა, წყალქვეშა) მიზნებზე **გ**. შეიძლება მიზნის რაიონში დამხმარე ორიენტირის მეშვეობით განხორციელდეს.

რ ა კ ე ტ ე ბ ი ს **გ**. არის ავტონომიური, დისტანციური, თვითდამიზნებადი და კომბინირებული. ავტონომიური გ-ის დროს ფრენის მართვის კომანდები რაკეტის ბორტზე გ-ის პუნქტის მონაწილეობის გარეშე გამომუშავდება. დისტანციური **გ**. გამიზვნის პუნქტიდან ხორციელდება. კომბინირებული **გ**. წარმოადგენს ავტონომიური, დისტანციური **გ**-ის და თვითდამიზნების შეხამების სხვადასხვა ვარიანტს. იგი გ-ის რამდენიმე სისტემის თანამიმდევრობით ხორციელდება.

ტ ო რ პ ე დ ო ე ბ ი ს **გ**. ავტონომიური მართვის, ტელემართვის და თვითდამიზნების სისტემების მეშვეობით ხორციელდება.

წ ყ ა ლ ქ ვ ე შ ა ნ ა ვ ი ს **გ**. შეიძლება ხორციელდებოდეს: მოწინააღმდეგის ხომალდების (სატორპედო წყალქვეშა ნავები) მოძრაობის ზოლში; სროლის ფართობში (სარაკეტო წყალქვეშა ნავები); თვალთვალის ზონაში (წყალქვეშა ნავები, რომლებიც თვალთვალის და თვალყურის მიდევნების ამოცანებს ასრულებენ). ჩვეულებრივ, ხორციელდება სანაპირო სამეთაურო პუნქტიდან წყალქვეშა ნავის მიერ დანიშნული პოზიციის დაკავებამდე.

გამიზვნის წერტილი, განსაზღვრული ადგილი, რომლისკენაც მიმართული ცეცხლის დანიშნულებაა გამიზვნის მონაცემებში შესწორებების შეტანა.

გამიზნული რადიოაქტიურობა, გარემოს (ჰაერის, ნიადაგის, წყლის, საგნების) ნეიტრონული დასხივების დროს ხელოვნურად წარმოქმნილი რადიოაქტიურობა. ნეიტრონების წყაროები შეიძლება იყოს ბირთვული აფეთქებები და ბირთვული რეაქციები, რომლებიც ბირთვულ რეაქტორებში და ნაწილაკების ამაჩქარებლებში მიმდინარეობს. ბირთვული აფეთქების დროს **ბ.რ**. წარმოადგენს რადიოაქტიური დასნებოვნების ერთ-ერთ მიზეზს.

გამკვეთი დარტყმა, შეტევის დროს ჯარების საომარი მოქმედების ხერხი, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება ოპერატიულ-სტრატეგიული მასშტაბით და გულისხმობს მოწინააღმდეგის დაჯგუფების იზოლირებულ ნაწილებად დაშლას შემდგომში მათი ცალ-ცალკე განადგურების მიზნით.

გამმიჯნავი ხაზი, 1. ადგილმდებარეობაზე (ზღვაზე) გამავალი პირობითი ხაზი, რომელიც განაცალკევებს მეზობელი გაერთიანებების (შენაერთების, ნაწილების, ხომალდების, ბატალიონების) მოქმედებების ზოლებს (მონაკვეთებს, რაიონებს). 2. კონტროლის განხორციელების მეთოდი, რომელიც გულისხმობს **ბ.ხ**-ის გავლებას საბრძოლო მოქმედებების რაიონის საზღვრების დასადგენად. აწესებს ზემდგომი მეთაური (სარდალი), რუკაზე დააქვთ პირობითი ნიშნებით, ხელქვეითებს აცნობენ ამოცანების დასახვისას.

გამნაღმელები (ფრანგული mineur – მიწის მთხრელი), 1. სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც მომზადებული არიან, ადგილმდებარეობის, სხვადასხვა ნაგებობების, ობიექტების დანაღმვისთვის, დაზვერვისა და განაღმვისთვის. 2. სამხედრო-საზღვაო ძალების სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც სანაღმე და ნაღმსაწინააღდეგო იარაღის მომზადების და მომსახურების სპეციალური მომზადება აქვთ.

გამოსახულების გაშიფვრა, სხვადასხვა აპარატურის საშუალებით (ფოტოგადაღება, რადიოლოკაცია, სითბური, სატელევიზიო, ლაზერული და სხვა) მიღებული სურათების მიხედვით ობიექტების აღმოჩენა და შეფასება. ხორციელდება სხვადასხვა ხელსაწყოს, მათ შორის ოპტიკურ-ელექტრონულის გამოყენებით, რომელიც გამოსახულების მახასიათებლების ავტომატიზების საშუალებას იძლევა მათი შემდგომი კომპიუტერული დამუშავებისთვის. კომპლექსური გაშიფვრა ზრდის შედეგების სისრულეს და სანდოობას მოწინააღმდეგის მიერ შენიღბვის საშუალებების გამოყენების პირობებში.

გამოსვლის მარშრუტი, მარშრუტი, რომლითაც ჯარები ამოცანის შესრულების, ღრმა შეტევის ან რეიდის განხორციელების შემდეგ გამოდიან მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ტერიტორიიდან.

გამოსრულის კუთხე, კუთხე საარტილერიო ჭურვის ლულიდან გამოვარდნის მომენტში საწყისი სიჩქარის ვექტორსა და ქვემეხის განთავსების ჰორიზონტს შორის.

„გამოუცხადებელი ომი“, მოწინააღმდეგის მოქმედებების პირობითი სახელწოდება, რომ-

ელსაც ერთი სახელმწიფო (სახელმწიფოთა ჯგუფი) უწევს ორგანიზაციას და ახორციელებს, როგორც წესი, სხვა ხალხებისა და ქვეყნების წინააღმდეგ შეიარაღებული საშუალებებისა და საომარი მეთოდების გამოყენებით ისე, რომ არ წარმოადგენს მეომარ მხარეს. ხორციელდება მრავალფეროვანი ხერხებით, რომელთა შორის არის: ეკონომიკური ბლოკადა, დიპლომატიური იზოლაცია, პოლიტიკური კონფრონტაცია; სასაზღვრო ინციდენტებისა და კონფლიქტების პროვოცირება; ძალის დემონსტრაცია, სამხედრო ყოფნის და ძალის გამოყენებით მუქარის გაძლიერება; სეპარატისტული, ნაციონალისტური და სხვა მოძრაობების გაღვივება და მხარდაჭერა და ა.შ.

გამოფრენის კუთხე, კუთხე გასროლამდე ქვემეხის ლულის არხის ღერძსა და ჭურვის ლულიდან გამოვარდნის ვექტორს შორის.

გამოფრქვევა, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენების პირობებში სითხის ან აეროზოლის სახით დაზიანების საშუალებების გამოშვება.

გამოყოფადი, მაგრამ არა ცალკეული, პრინციპი, რომელიც არეგულირებს დასავლეთევროპული კავშირის ხელმძღვანელობით ჩატარებულ ოპერაციებში ჩრდილოატლანტიკური კავშირის მხრიდან მხარდაჭერის გაწევის საკითხს. ევროპული უსაფრთხოებისა და თავდაცვის განვითარების შემადგენელი ნაწილი. მხარდაჭერილია 1994 წელს ბრიუსელის უმაღლესი დონის შეხვედრაზე და შემდგომ პერიოდში არაერთხელ დადასტურებული. უსაფრთხოებისა და თავდაცვის ძალები და საშუალებები ერთჯერადად შეიძლება გამოეყოს ჩრდილოატლანტიკური კავშირის ძალებისა და საშუალებების ერთობლიობას.

გამოძახებით გაფრენა, საავიაციო მხარდაჭერის დროს საბრძოლო დავალება, რომლის შესრულებაზე განაცხადი წინასწარ არ არის მიცემული, რაც გაფრენის წინ მფრინავების საგულდაგულო ინსტრუქტაჟის საშუალებას არ იძლევა. თვითმფრინავები, რომლებიც ამ ტიპის საბრძოლო გაფრენებისთვის არიან გამიზნული, იმყოფებიან ჰაერში, მიწაზე ან ავიამზიდის საბრძოლო ბორტზე მორიგეობაზე კუთვნილი საბრძოლო კომპლექტებით.

გამოხტომა, ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის ან გარშემორტყმული ქალაქის გარნიზონის ძალების ნაწილის უეცარი თავდასხმა ალყის შემომრტყმელ ჯარზე დაზვერვის, საალყო ქვემეხების განადგურების ან ხელში ჩაგდების, ტყვეების დახსნის, საალყო სამუშაოთა დაბრკოლების, მოწინააღმდეგის საინჟინრო ნაგებობების დანგრევის, აგრეთვე მოიერიშე ჯარების ფლანგზე და ზურგში დარტყმების მიყენების მიზნით.

გამრღვევი ძალა, კომბინირებული ქვედანაყოფი, რომელშიც შედიან სხვადასხვა სახეობის (მათ შორის სამანევრო და საინჟინრო) ქვედანაყოფები, რომელთა ამოცანაა დაბრკოლებების რაოდენობის შემცირება და მთავარი მოიერიშე ძალისთვის გასასვლელების შექმნა.

გამსახურდია ზვიად კონსტანტინეს ძე (1939–93), საქართველოს პირველი პრეზიდენტი, სამხედრო ძლების უმაღლესი მთავარსარდალი (1991–92), საქართველოს ეროვნული გმირი (2013). დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (1962). საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი (1973–90). მეცნიერი, მწერალი, მთარგმნელი, პოლიტიკოსი, დისიდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1972–77 და 1983–90 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1970–77 წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. **ზ**-მ შექმნა პოლიტიკური ალიანსი „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ (1990). 1991 წლის 26 მაისს აირჩიეს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად. 1991 წლის 22 დეკემბერს ოპოზიციამ იერიში მიიტანა საქართველოს პარლამენტის შენობაზე, სადაც **ზ**. იმყოფებოდა. 1992 წლის 6 იანვარს მან და მისმა მთავრობის წევრებმა დატოვეს საქართველოს ტერიტორია და თავი შეაფარეს მცირე ხნით სომხეთს, ხოლო იქიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკაში გადავიდნენ. 1993 წლის 24 სექტემბერს **ზ**. საქართველოში დაბრუნდა. საქართველოს პრეზიდენტი დაიდუპა 1993 წლის 31 დეკემბერს (სოფელი ძველი ხიბულა, ხობის რაიონი). 1994 წლის თებერვალში იგი გადაასვენეს გროზნოში, ხოლო 2007 წლის 28 მარტს გადმოასვენეს საქართველოში, დაკრძალულია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.

გამტარუნარიანობა, ტვირთის ან მგზავრთა საშუალო რაოდენობა, რომელიც პორტებმა და სარკინიგზო სადგურებმა შეიძლება ერთ დღეში გაატარონ.

გამშვები დანადგარი, სარაკეტო კომპლექსის საბრძოლო საშუალება, რომელიც საჭიროა რაკეტის შესაბამის საბრძოლო მზადყოფნაში შესანარჩუნებლად, წინასასტარტო მომზადებისა და გაშვებისათვის. შედგება გამშვები მოწყობილობისა და მიმმართველებისგან, რომლებიც აუცილებელია სტარტისას რაკეტის მოძრაობის მიმართულების განსაზღვრისათვის. არის შემდეგი სახის გ.დ-ები: ვერტი-

კალური და დახრილი გაშვების; მიწისზედა, საშახტე, მიწისქვეშა, საავიაციო და სახომალდე; სტაციონარული, მოძრავი (მობილური, თვითმავალი) და გადასატანი. ყველაზე რთულ **გ.დ**-ად ითვლება საშახტე და მიწისქვეშა. მათ შეიძლება ჰქონდეთ ბირთვული იარაღისგან დაბალი, საშუალო, მაღალი, უმაღლესი და აბსოლუტური დაცულობა. თანამედროვე საშახტე **გ.დ**-ში რაკეტა განთავსებულია სატრანსპორტო-გამშვებ კონტეინერში. ყველაზე გავრცელებულია მოძრავი **გ.დ**-ები. ისინი გამოიყენება პრაქტიკულად ყველა სახის სარაკეტო კომპლექსებში, მათ შორის – სტრატეგიულში.

გამწვევი კომისია, ზოგიერთ ქვეყანაში ორგანო, რომელსაც სამხედრო სამსახურში გაწვევისას მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების და მათი სამხედრო სამსახურში გაწვევის, ალტერნატიულ სამსახურში გამწესების, ვადის გადაწევის, სამხედრო სამსახურისგან გათავისუფლების, თადარიგში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ეკისრება. იქმნება ყველა რაიონში, რაიონული დაყოფის არმქონე ქალაქში, სხვა მუნიციპალურ წარმონაქმნში.

გამჭოლი რადიაცია, მაიონიზებელი გამოსხივება მაღალენერგეტიკული ნეიტრონების და გამა-კვანტების სახით, რომელიც ბირთვული აფეთქების ზონიდან გარემოში გაიფრქვევა. ორგანიზმზე ზემოქმედებისას, ცოცხალი უჯრედების ატომების და მოლეკულების იონიზების დროს, ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იწვევს. ასევე არღვევს ცალკეული ორგანოების ცხოველმოქმედებას, ავრცელებს სხივურ დაავადებას. ხასიათდება მაიონიზებელი დასხივების დოზით და დოზის სიმძლავრით. **გ.რ**-ისგან დაცვის საშუალებებია: ფორტიფიკაციური ნაგებობები, ჯავშნიანი ტექნიკა და სხვა.

განა (Ghana – განის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. სამხრეთით ესაზღვრება გვინეის ყურე, დასავლეთით – სპილოს ძვლის ნაპირი (კოტ-დ'ივუარი), ჩრდილო-დასავლეთით – ზემო ვოლტა, აღმოსავლეთით – ტოგო. ფართობი 238,5 ათ. კმ². მოსახლეობა 24,3 მლნ კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. აკრა. ადმინისტრაციულად იყოფა 10 ოლქად. **გ.** შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი. დამოუკიდებლობა მიიღო 1957 წლის 6 მარტს. **გ.** აგრარული ქვეყანაა, მსოფლიოში მოწინავე ადგილი უკავია კაკაოს წარმოებაში. განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა (ოქრო, ალმასი, მარგანეცი, ბოქსიტი). საზღვაო პორტები – თემა, ტაკორადი, აკრა, კეიპკოსტი, სეკონდი. საერთაშორისო აეროპორტი – აკრა. შეიარაღებული ძალების საერთო შემადგენლობა 15,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 11,5 ათ., სამხედრო საჰაერო ძალები 2 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 2 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

განადგურება, იხ. *დაზიანება*.

განადგურების ზონა, სივრცის ნაწილი საჰაერო თავდაცვის შენაერთის საბრძოლო მოქმედებების რაიონის თავზე, საითკენაც საჰაერო მოწინააღმდეგის მთავარი ძალების განადგურებლად ძირითად ძალისხმევას მიმართავენ. განისაზღვრება საჰაერო თავდაცვის ორგანიზაციის დროს თავდასაცავ ობიექტებზე მოწინააღმდეგის მოქმედებების შესაძლო მიმართულებებზე.

განაღმვა, ნაღმების, მუხტების, აუფეთქებელი საბრძოლო მასალების, ფეთქებადსაშიში მოწყობილობების დაზვერვა (აღმოჩენა), ამოღება ან განადგურება, მათგან ადგილმდებარეობის, აკვატორიის, ნაგებობების და სხვა ობიექტების გაწმენდა; ბრძოლის (ოპერაციის) საინჟინრო უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ღონისძიება. როგორც წესი, ახორციელებენ საინჟინრო ქვედანაყოფები ხელით ან ტექნიკური საშუალებების, მტრალავი ხომალდების, აგრეთვე სპეციალურად მომზადებული ქვედანაყოფების გამოყენებით.

განაღმვის დაჯავშნული მანქანა, საინჟინრო მანქანა სანაღმო-ამფეთქ წინაღობებში გასასვლელების მოსაწყობად. შექმნილია ტანკის ბაზაზე. აღჭურვილია საგორავი (საგორავდანებიანი) სანაღმო ტრალით და მბრუნავი კოშკით, რომელშიც განთავსებულია სათადარიგო მართვის პუნქტი.

განაღმვის საშუალებები, საშუალებები საინჟინრო და საზღვაო ნაღმების აღმოსაჩენად, ამოსაღებად და გასანადგურებლად. ხელით განაღმვის დროს გამოიყენება ნაღმსაძებნები, განაღმვის კომპლექტები; მექანიკური ხერხისას – დიდი ფართობის მომცველი ნაღმსაძებნები და სანაღმო ტრალები და გამრღვევები, განღობვის საინჟინრო მანქანები და სხვა; აფეთქებით განაღმვის დროს – ასაფეთქებელ ნივთიერებათა შეჯგუფებული და წაგრძელებული მუხტები.

განაწილება, უპირატესი მოთხოვნების გათვალისწინებით შეზღუდული რესურსების გეგმური განაწილება.

განაწილების ადგილი, ადგილი, სადაც დაქვემდებარებულ ფორმირებებში დივიზიის ან სხვა შენაერთის (ნაწილის) უზრუნველყოფის ორგანოდან მიღებული მომარაგების საშუალებების, ან/და აღჭურვილობის განაწილება ხორციელდება. **გ.ა**-ები, როგორც წესი, მოკლებულია სასაწყობო ნაგებობებს, რათა მოხდეს მატერიალური საშუალებების მაქსიმალურად სწრაფი განაწილება.

განაწილების და გაცემის პუნქტი, პუნქტი, სადაც ზემდგომი მომარაგების პუნქტებიდან მიღებული მარაგი დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებს შორის ნაწილდება.

განაწილების სისტემა, დაწესებულებებისა და ობიექტების, განაწილების მეთოდებისა და პროცედურების ერთობლიობა, რომელიც სამხედრო სისტემის შიგნით სამხედრო მასალების მიღების, შენახვის, დაცვისა და განაწილების კონტროლისთვის არსებობს.

განგაში, 1. ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც ხორციელდება შეიარაღებულ ძალებში ნაწილების (ხომალდების) საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად მოკლე ვადებში მზადყოფნაში მოსაყვანად, ასევე საგანგებო ვითარებებში სამოქმედოდ. 2. სიგნალი (კომანდა) ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებისთვის მზადყოფნაში მოსაყვანად. გაიცემა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით და ხმით. 3. გამაფრთხილებელი სიგნალი არსებული ან მოსალოდნელი საფრთხის შესახებ. 4. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაში შენარჩუნებულია მზადყოფნის შესაბამისი დონე.

განეიტრალება, 1. სამხედრო ოპერაციების თვალსაზრისით, მოწინააღმდეგის მოქმედების შედეგიანობის შემცირება; მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის ან მატერიალური საშუალებების ისეთ მდგომარეობამდე მიყვანა, რომ მას არ შეეძლოს საბრძოლო ოპერაციაში ჩართვა; 2. ნაღმების, ჭურვების, ყუმბარებისა და ქვეითი მახე-ნაღმების გაუვნებელყოფა; ქიმიური ნივთიერებით დაბინძურებული გარემოს გაწმენდა.

განთავისუფლებული ტერიტორია, ქვეყნის ნებისმიერი რაიონი, რომელიც მოწინააღმდეგეს ჰქონდა დაკავებული და საკუთარმა ძალებმა დაიბრუნეს.

განიარაღება, ღონისძიებათა სისტემა, რომელიც მიმართულია ომის წარმოების საშუალებების შეზღუდვის, შემცირების ან ლიკვიდაციისკენ. შეიძლება ხორციელდებოდეს, როგორც ცალკეული სახელმწიფოს ცალმხრივი აქცია ან როგორც საერთაშორისო პროცესი ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმების საფუძველზე, ან/და, როგორც გამარჯვებულის მიერ დამარცხებული მოწინააღმდეგისთვის იძულებით თავსმოხვეული ღონისძიება. საყოველთაო და სრული **გ.** გულისხმობს ომის წარმოების მთელი მატერიალური საშუალებების ლიკვიდაციას, მათ შორის შეიარაღებული ძალების დაშლას, სამხედრო დაწესებულებების გაუქმებას, შეიარაღების წარმოების შეწყვეტას, სამხედრო სწავლებისა და სამხედრო მიზნებისთვის სახსრების ხარჯვის შეწყვეტას და ა.შ. II მსოფლიო ომის შემდეგ განსაკუთრებით ბირთვული იარაღის გაჩენის გამო **გ.** იქცა თანამედროვეობის ერთ-ერთ გლობალურ პრობლემად, გახდა გაეროს მუდმივი ყურადღების საგანი გაეროსათვის, რომლის წესდებაც **გ**-ის პრინციპს თანამშრომლობის ზოგად საერთაშორისო – სამართლებრივ პრინციპებად მიიჩნევს, მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების საქმეში. დაიდო მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო შეთანხმებები ზოგიერთი სახეობის შეიარაღების შეზღუდვის, შემცირებისა და ლიკვიდაციის შესახებ. მაგრამ XXI საუკუნის დამდეგს **გ.** არ გამხდარა საყოველთაო და შეუქცევადი პროცესი. მთელი რიგი სახელმწიფოები არათუ უარს არ ამბობენ იარაღზე, არამედ მნიშვნელოვან ძალისხმევასაც მიმართავენ მისი სრულყოფისა და მარაგის ზრდისათვის. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება **გ**-სა და შეიარაღებაზე კონტროლს, რაც მიმართულია ჯარების და შეიარაღების რაოდენობის შემცირებისკენ, შეთანხმების, ნდობის ამაღლებიკენ და საერთაშორისო ურთიერთობის სტაბილურობის განმტკიცებისკენ.

განიარაღების კონფერენცია, მუდმივმოქმედი საერთაშორისო ორგანო გამალებული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე მოლაპარაკებისა და შეთანხმებების შემუშავებისთვის. შეიქმნა გაეროს გენერალური ასამბლეის პირველ სპეციალურ სესიაზე, რომელიც 1978 წელს განიარაღების საკითხებზე გაიმართა; ფუნქციონირებს ჟენევაში. 1984 წლამდე ეწოდებოდა განიარაღების კომიტეტი. მისი წინამორბედი 1957–78 წლებში იყვნენ: 10 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი, 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტი, განიარაღების კომიტეტის თათბირი. **გ.კ**-ის შემადგენლობა: 5 ბირთვული სახელმწიფო (აშშ, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი) და სამხედრო თვალსაზრისით მძლავრი მთელი რიგი სახელმწიფოები.

განიარაღების საყოველთაო კონფერენცია 1932–34 (შეიარაღების შემცირებისა და შეზღუდვის კონფერენცია), მიმდინარეობდა ჟენევაში. მასში მონაწილეობდნენ 54 სახელმწიფო, ერთა ლიგის წევრები და სხვა სახელმწიფოები. განიხილეს ორი პროექტი: საერთო, სრული და დაუყოვნებლივი განიარაღების და შეიარაღებული ძალების პროგრესულ-პროპორციული შემცირების შესახებ. კონფერენციაზე პროექტები არ მიიღეს.

განკარგულება, ხელქვეითებამდე ამოცანების დაყვანის ფორმა; წერილობითი სახით – საბრძოლო ან სამსახურებრივი დოკუმენტი. საბრძოლო ამოცანები სარდალს (მეთაურს) დაჰყავს საბრძოლო **გ**-ით; მომავალი საბრძოლო ამოცანების შესახებ ხელქვეითების ორიენტირება ხდება წინასწარი **გ**-ის საშუალებით. საბრძოლო მოქმედებების, კავშირგაბმულობის, ჯარების ფარული მართვის, საკომენდან

ტო სამსახურის ორგანიზაციის უზრუნველ-ყოფის ამოცანები, ასევე ყოველდღიური ამოცანები **ბ**-ის სახით მეთურის სახელით გაიცემა შტაბის უფროსის მიერ. ჯარების სახეობების, სპეციალური ჯარების, სამსახურების უფროსები **ბ**-ს აძლევენ მათ დაქვემდებარებაში მყოფ ქვედანაყოფებს, ნაწილებს, დაწესებულებებს. ქვედანაყოფის მეთაური **ბ**-ს გასცემს ზეპირად.

ბანმარტებითი ბარათი, გრაფიკული დოკუმენტის ტექსტობრივი დანართი. შეიცავს მის დამატებებს (განმარტებები, გათვლები და სხვა მონაცემები, რომლებიც გრაფიკულად ვერ გამოისახება).

ბანმასხვავებელი ნიშნები (სამხედრო მოსამსახურეების), ნიშნები ფორმის ტანსაცმელზე პერსონალური სამხედრო წოდების, შეიარაღებული ძალების სახეობის, ჯარების გვარეობის, სპეციალური ჯარისადმი, სამსახურისადმი კუთვნილების აღსანიშნავად. **ბ.ნ**-ს განეკუთვნება: სამხრეები, საყელოს ფერადი დანაკერები, ეპოლეტები; სამკერდე და სამკლაური ნიშნები (მინაკერები, შევრონები); ნიშნები ქუდზე, სამხრეებზე, საყელოს ფერად დანაკერებზე, ეპოლეტებზე (კოკარდები, ემბლემები, ვარსკვლავები და სხვა), არშიები და ლამპასები.

ბანმუხტული ნაღმი, საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ნაღმი,
რომელიც უსაფრთხო მდგომარეობაშია გადაყვანილი.

ბანიღბვა (ფრანგული demasquer – გამომჟღავნება), შენიღბვის დარღვევა, რომელიც მოწინააღმდეგეს საშუალებას აძლევს **ბ**-ის ნიშნების ანალიზით გამოავლინოს ჯარების (ძალების) არსებობა, მათი დაჯგუფება, საბრძოლო მოქმედებისთვის მზადება, ცეცხლის სისტემა, ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობის ხასიათი და ა.შ. **ბ**-ის ნიშნებს შეიარაღებული ძალების ყოველ სახეობასა და ჯარების თითოეულ გვარეობაში აქვთ დამახასიათებელი თავისებურებები. **ბ**-ის ძირითადი ნიშნებია: შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკისა და ტრანსპორტის ხასიათი და რაოდენობა; ჯარების განლაგების რაიონების და პოზიციების რაოდენობა, სიდიდე და მდებარეობა ადგილზე, მათი დაშორება მოწინააღმდეგისა და ერთმანეთისგან; კოლონების სიგრძე და შემადგენლობა, მათი გადაადგილების მიმართულება; დაზვერვის და ცეცხლის წარმოების რეჟიმი; რადიოელექტრონული საშუალებების მდებარეობა, მუშაობის ხასიათი და ინტენსივობა; ჩასასვლელების, ახალი გზების, ბილიკების გაჩენა; სამზარეულოების, კოცონების, ღუმლების კვამლი, ფარების, ფარნების შუქი; სხვადასხვაგვარი ხმაური გადაადგილების და სამუშაოების შესრულების დროს.

თავდაცვითი ბრძოლისთვის მზადება შეიძლება დადგინდეს არტილერიის საცეცხლე პოზიციების და საყრდენი პუნქტების განლაგების, წინა ხაზთან საინჟინრო ღობურების მოწყობის მიხედვით; ზურგში ჯარის ნაწილების გაყვანის და ეშელონების დაწყობის მიხედვით; ავიაციის უფრო დაშორებულ აეროდრომებზე გადაყვანით და სხვა. შეტევისთვის (კონტრშეტევისთვის) მზადების **ბ**-ის ნიშნები შეიძლება იყოს დაზვერვის და რეკოგნოსცირების ჯგუფების მოქმედების გააქტიურება; ჯარების (ძალების) თავმოყრა გარკვეულ მიმართულებებზე და რაიონებში; ავიაციის გადაყვანა მეწინავე აეროდრომებზე; დამატებითი გზების მოწყობა, მატერიალური საშუალებების მიწოდება; ღობურებში გადასასვლელების გაყვანა; ლოდინის პოზიციების მოწყობა და ტანკების წაწევა თავდაცვის წინა ხაზისკენ; ჯარების გადაჯგუფება და შეცვლა. სარაკეტო ნაწილების (ქვედანაყოფების) გასაშვებად მზადების მაჩვენებელი **ბ**-ის ნიშნები შეიძლება იყოს: საბრძოლო მართვის სიგნალების გადაცემა; მორიგე ცვლების შემადგენლობის გაძლიერება; ძირითად სასტარტო პოზიციებზე მოძრავი სარაკეტო კომპლექსების გაყვანა. საბრძოლო მოქმედებისთვის ავიაციის მზადების ნიშნებია: საჰაერო დაზვერვის აქტივობის ამაღლება; საავიაციო ნაწილების გაშლა და გადაყვანა ოპერატიულ აეროდრომებზე; აეროდრომებზე მატერიალური საშუალებების მომეტებული მარაგის შექმნა; რადიოგაცვლის გაძლიერება; აეროდრომების დიდი ნაწილიდან თვითმფრინავების ერთდროული აფრენა. საბრძოლო მოქმედებისთვის საზღვაო ძალების მზადებაზე შეიძლება ვიმსჯელოთ საბრძოლო უზრუნველყოფის გაძლიერების, ხომალდებზე და ბაზებში მატერიალური საშუალებების შევსების, ზღვაში ხომალდების გასვლის, წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ძალების საქმიანობის გაძლიერების მიხედვით და სხვა.

ბანიღბვის ნიშნები, იხ. *განიღბვა.*

ბანსაკუთრებულ ვითარებაში მოქმედებების გეგმა, შესაძლო საბრძოლო მოქმედებების გეგმა, რომლის შემუშავების დროსაც გამოვლენილ ან მოსალოდნელ ფაქტორებს ითვალისწინებენ. ასეთი გეგმა განიხილება, როგორც მომავალი დაგეგმვის საფუძველი და მუშავდება გულმოდგინედ მასში ჯარებისთვის საჭირო რესურსებისა და გაშლის ვარიანტების ასახვით.

ბანსაკუთრებული დანიშნულების ზონა, რაიონი, რომელსაც მეთაურისთვის (სარდლისთვის) განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიმდინარე და მოსალოდნელი საბრძოლო მოქმედებების მიზნების თვალსაზრისით. მოიცავს შემდეგ ზონებს: საბრძოლო ზემოქმედების, საბრძოლო მოქმედებების, პასუხისმგებლობის ზონასა და მის მეზობელ ზონებს.

განღობვის რაზმი (ჯგუფი), დროებითი სამხედრო ფორმირება, რომელიც იქმნება ნაღმასაფეთქებელ და სხვა ღობურებში გასასვლელების გასაყვანად, ნაღმების, აუფეთქებელი ჭურვების, ავიაბომბების, ფუგასების და სხვა ფეთქებადსაშიში საგნებისგან ადგილმდებარეობის გასაწმენდად. **გ.რ.(ჯ)**-ის საფუძველს, ჩვეულებრივ, შეადგენენ საინჟინრო ჯარების ქვედანაყოფები დაზვერვის და განღობვის (განაღმვის) საშუალებებითურთ. მის შემადგენლობაში შეიძლება აგრეთვე შეყვანილ იქნეს ქვეითი (საზღვაო ქვეითი) ჯარის, სატანკო, ქიმიური და სხვა ქვედანაყოფები.

განღობვის საინჟინრო მანქანა, დაჯავშნული მანქანა (უკოშკურო ტანკი, საწევარი), რომელიც აღჭურვილია სამუშაო მოწყობილობით ხერგილებში, ნანგრევებსა და ღობურებში გასასვლელების მოსამზადებლად. მუშა ორგანოებია: ბულდოზერული მოწყობილობა, ძალური მანიპულატორი, საჭრელი სალიანდო ტრალი, ხოლო ზოგჯერ მიმმართველებიც დისტანციური განაღმვის წაგრძელებული მუხტების ასამოქმედებლად. საჭრელი სალიანდო სანაღმო ტრალი არის **გ.ს.მ**-ის ინდივიდუალური საშუალება, რომელიც განკუთვნილია დანაღმული ველების გადასალახავად. სხვადასხვა ქვეყნის არმიებში ანალოგიური მიზნებისათვის გამოიყენება სასანგრე ტანკები.

განწესი, 1. სამხედრო მოსამსახურეების ქვედანაყოფი ან ჯგუფი სამხედრო ნაწილში, ხომალდზე და გარნიზონში, რომელიც ინიშნება შიდა, საყარაულო, საბაზო (საგარნიზონო) სამსახურის ან სხვა ამოცანებისა და სამუშაოების შესასრულებლად (მაგალითად, საკომენდანტო **გ**., სასაზღვრო **გ**., სამუშაოების **გ**. და ა.შ.) 2. ძალებისა და საშუალებების გარკვეული რაოდენობა, რომელიც საჭიროა ან გამოიყოფა ამა თუ იმ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. 3. საბრძოლო გაფრენების საჭირო რაოდენობიდან გამოყოფილი საავიაციო საშუალებების გათვლა თვითმფრინავების ტიპის შესაბამისად საბრძოლო ამოცანების მიხედვით.

განჭვრეტა სამხედრო საქმეში, სამხედრო თეორიის და პრაქტიკის მომავალი განვითარების პროცესების, სტრატეგიული, ოპერატიული ან ტაქტიკური ვითარების შესაძლო ცვლილებების განსაზღვრა და წინასწარ გათვალისწინება. მსჯელობის, დასაბუთების და კატეგორიების მიხედვით, **გ.ს.ს**. შეიძლება იყოს ვარაუდი, წინასწარმეტყველება (წინათგრძნობა) და პროგნოზი. ემპირიული განჭვრეტა ემყარება ინტუიციას, საღ აზრს, უშუალოდ სამხედრო გამოცდილებას. მეცნიერული განჭვრეტა ეფუძნება ომის და შეიარაღებული ბრძოლის ობიექტური კანონების ცოდნას, საერთო-მეცნიერული მეთოდებისა და სამხედრო მეცნიერების სპეციალური მეთოდების გამოყენებას (როგორიც არის ექსტრაპოლაცია, საექსპერტო შეფასება, სამხედრო თამაშები, სამეთაურო-საშტაბო სწავლება და სხვა). სამხედრო საქმეში განჭვრეტის სირთულეს განაპირობებს ამ სფეროში მოქმედი შემთხვევითი ფაქტორების სიმრავლე, მოწინააღმდეგის შესახებ არსებული ინფორმაციის არასაკმარისობა. განჭვრეტის უნარი სამხედრო კადრების უმნიშვნელოვანესი თვისებაა, რომელიც ყალიბდება სწავლის, ჯარებსა და შტაბებში პრაქტიკული მუშაობის შედეგად.

გარდამავალი სტრატეგია, მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის განუყოფელი ნაწილი, რომლის მიზანია პირობების უზრუნველყოფა ამ ოპერაციის წარმატებით დასასრულებლად. ეს სტრატეგია ითვალისწინებს მხარეების მიერ შესაბამისი შეთანხმების მკაცრ შესრულებას და მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებში მონაწილე სამხედრო ძალების რაოდენობის, როლის და მნიშვნელობის შემცირების საშუალებას იძლევა. პოლიტიკური, საზოგადოებრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ სამხედროებისგან დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხის მიღების შესაბამისად, პერიოდულად ოფიციალური შეფასებითი პროცესი ხორციელდება. ის ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს რეკომენდაციებით ძალების შემცირების, მათი შემდგომი სრული გამოყვანის შესახებ.

გარდაქმნის პოლიტიკა და მისი სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ახალი კურსი (1985–91), რომელიც ითვალისწინებდა მნიშვნელოვან გარდაქმნებს ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ასევე საგარეო ურთიერთობებში. მ. გორბაჩოვმა და მისმა გუნდმა შეიმუშავა ე.წ. „ახალი აზროვნების პოლიტიკა“, რომლის უმთავრესი ნიშანი იყო საერთაშორისო ურთიერთობებში ძალისმიერი მეთოდების გამოყენების უარყოფა. კერძოდ, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ ყურად იღო მსოფლიო თანამეგობრობის აზრი და გამოიყვანა ჯარები ავღანეთიდან. აშშ-თან ხელი მოაწერეს შეთანხმებებს ბირთვული იარაღის შემცირების შესახებ. საგრძნობლად გაუმჯობესდა ურთიერთობა დასავლეთის ქვეყნებთან. მაგრამ სსრ კავშირი წინ აღუდგა ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებას. ამასთანავე, თბილისის (1989), ბაქოს (1990), ვილნიუსისა და რიგის (1991) მოვლენებმა ცხადყო, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა არ იყო მზად, ბოლომდე და ყველა სფეროში გაეტარებინა გარდაქმნები. ამან, საბოლოო

ჯამში, საბჭოთა კავშირის დაშლას შეუწყო ხელი.

გარე გაძლიერების ძალები, გაძლიერების ძალები, რომლებიც მშვიდობიან პერიოდში ძირითადად ნატოს მთავარი სარდლობის ოპერაციის რაიონის გარეთ არიან ბაზირებული.

გარე სამხედრო საფრთხე, სამხედრო უსაფრთხოების საფრთხე, რომლის წყარო იმყოფება ეროვნულ საზღვრებს გარეთ. შეიძლება გამოწვეული იყოს: ტერიტორიული პრეტენზიებით; ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევით; სახელმწიფოს საზღვრის სიახლოვეს ან მოკავშირეების საზღვრებთან შეუიარაღებელი კონფლიქტების კერების არსებობით; ჯარების (ძალების) დაჯგუფებების შექმნით (გაძლიერებით), რაც იწვევს (ძალების) ჩამოყალიბებული ბალანსის რღვევას.

გარემოსთან დაკავშირებული ინტერესების სფერო, გარემოს დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რაიონი, რომელიც მომიჯნავე რაიონებთან შედარებით უნიკალური და მნიშვნელოვანი თვისებების გამო, სპეციალური ზრუნვის ობიექტად შეიძლება ჩაითვალოს.

გარემოცვა, სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფი (გუნდი, ქვედანაყოფი), რომელსაც გარკვეულ ზღუდეებზე (პუნქტებზე) აყენებენ, რათა არ დაუშვან გარეშე პირთა შეღწევა დასაცავ ობიექტში (რაიონში) ან ამ ობიექტიდან (რაიონიდან) გასვლა. **ბ**-ის დაყენების მიზანია, უზრუნველყოს უსაფრთხოება, საბრძოლო სროლით, ბომბმტყორცნით, რაკეტების გაშვებით წვრთნების ჩატარების დროს, საველე აეროდრომებიდან თვითმფრინავების ფრენისას და სხვა. **ბ**-ის საგუშაგოებს უზრუნველყოფენ კავშირგაბმულობისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

გარიბალდი (Garibaldi) ჯუზეპე (1807–82), იტალიის ეროვნული გმირი, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალი. 1833 წელს ჩაება განმათავისუფლებელ ბრძოლაში. 10 წელიწადზე მეტი იბრძოდა სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისათვის. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1848–49 წლებში, მის მიერ ჩამოყალიბებული მოხალისეთა რაზმის სათავეში იბრძოდა ავსტრიელთა წინააღმდეგ. ავსტრია-იტალიის ომში. 1849 წელს საფრანგეთის ჯარებისაგან რომის დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. 1859 წელს, *ავსტრია-იტალია-საფრანგეთის ომის* დროს, წარმატებით მეთაურობდა ალპურ მსროლელთა კორპუსს. 1860 წელს სათავეში ჩაუდგა „ათასეულის“ ლაშქრობას ნეაპოლის სამეფოში. 1862 და 1867 წლებში შეიარაღებული გზით ცდილობდა რომის განთავისუფლებას პაპის ხელისუფლებისაგან. მონაწილეობდა 1866 წელს *ავსტრია-იტალიის ომში.* 1870–71 წლებში, *საფრანგეთ-პრუსიის ომის* დროს, მეთაურობდა ფრანგულ ვოგეზების არმიას.

გარისის ბრძოლა 1556, ბრძოლა ქართველებსა და ირანელ დამპყრობლებს შორის. ქართლის მეფე *ლუარსაბ I-მა* არ ცნო ირან-ოსმალეთის 1555 წლის ამასიის ზავი, რომლის მიხედვით აღმოსავლეთ საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო – ოსმალეთის სამფლობელოდ გამოცხადდა. ირანის შაჰმა, თამაზ I-მა, ლუარსაბის წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა ამიერკავკასიის ყიზილბაშ ხანებს განჯის ბეგლარბეგის, შაჰვერდი-სულთან ზიად ოღლის, მეთაურობით. 1556 წელს შაჰვერდი-სულთანი ქართლში შემოიჭრა. ქართველები სოფ. გარისთან შეეგებნენ მტერს. ლაშქარს *ლუარსაბ I*-ის ვაჟი, სიმონი, სარდლობდა. თვითონ მეფეს ხანდაზმულობის გამო ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია და მცირე ამალით ბრძოლის ველის ახლოს იმყოფებოდა. ქართველებმა მტერი სასტიკად დაამარცხეს და გააქციეს, მაგრამ ლტოლვილი ყიზილბაშების ერთი ჯგუფი *ლუარსაბ I*-ის ამალას გადაეყარა. შეტაკებაში მეფე მოკლეს.

გარნიზონი (ფრანგული – garnison), 1. სამხედრო ნაწილები, სამხედრო სასწავლებლები და დაწესებულებები, რომლებიც მუდმივად ან დროებით არიან განლაგებული დასახლებულ პუნქტში, ან მის ფარგლებს გარეთ და საჯარისო სამსახურის საკითხებში ექვემდებარებიან ერთიან სარდლობას. 2. გამაგრებულ რაიონში, ციხესიმაგრეში ან სხვა ცალკეულ თავდაცვით ნაგებობაში განლაგებული ჯარები (ნაწილები, ქვედანაყოფები).

გარნისის ბრძოლა 1225, ბრძოლა ქართველთა ლაშქარსა და ხვარაზმელებს შორის. მონღოლ დამპყრობლებთან ბრძოლის მიზეზით ხვარაზმშაჰმა ჯალალედინმა გადაწყვიტა წინა აზიის ქვეყნების გაერთიანება. მის მოწოდებას ქართველებმა უარით უპასუხეს. მაშინ ჯალალედინი საქართველოს წინააღმდეგ დაიძრა. წყაროები მის ლაშქრში 140–200 ათ. მეომარს ვარაუდობენ, რაც გადაჭარბებული უნდა იყოს. სისხლისმღვრელი ბრძოლა მოხდა გარნისთან (ერევნის აღმოსავლეთით), რომელშიც ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის სარდლობით გამოსული ქართველთა ლაშქარი (სხვადასხვა ცნობით – 30-იდან 70 ათ. მეომრამდე) სასტიკად დამარცხდა. დაიღუპა 4000 ქართველი. გარნისთან დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი იყო შური და მტრობა დიდ ფეოდალთა შორის.

გარღვევაში შეყვანა, II ეშელონებისა და რეზერვების ნაწილების (შენაერთების, გაერთიანებების) ორგანიზებული წინ წაწევა, გაშლა და ბრძოლაში (ბატალიაში) ჩაბმა მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის დროს შეტევის განვითარების მიზნით. ხორციელდება, ჩვეულ

ებრივ, მთავარი დარტყმის მიმართულებაზე ან მისი დასრულებისას წარმატების გამოკვეთის შემთხვევაში, ხოლო ზოგჯერ – ჯარების მიერ თავდაცვის მთავარი ზოლის, ან ტაქტიკური ზონის I ეშელონის სრული გარღვევის შემდეგაც. II მსოფლიო ომის დროს ფართოდ გამოიყენებოდა არმიისა და დაჯგუფების მოძრავი ჯგუფების **ბ.შ.** გარღვევაში შესაყვან ჯარებს მოუნიშნავდნენ დაწინაურების მარშრუტებს ან ზოლებს, რეგულირების მიჯნებს, უსახავდნენ საბრძოლო ამოცანებს, განუსაზღვრავდნენ I ეშელონის შენაერთებთან, არმიების (კორპუსების) მეწინავე რაზმებთან, მხარდამჭერ ავიაციასთან და არტილერიასთან ურთიერთქმედების წესს. XX საუკუნის 50-იანი წლების დამლევიდან ცნება „გარღვევაში შეყვანა“ სამხედრო ხელოვნების თეორიაში არ გამოიყენება.

გარღვევაში შეყვანის ზოლი, საერთოსაჯარისო გაერთიანების შეტევის ზოლის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც II მსოფლიო ომის დროს მოძრავი ჯგუფის ჯარები წინ იწევდნენ, იშლებოდნენ და იწყებდნენ საბრძოლო მოქმედებას შეტევის განვითარების მიზნით. სატანკო (მექანიზებულ) კორპუსს ენიშნებოდა 6–8 *კმ* სიგანის **ბ.შ.ზ.**, სატანკო არმიას – 8–12 *კმ* სიგანისა.

გარღვევის განვითარების ეშელონი, ჯარების ოპერატიული დაწყობის ელემენტი, რომელიც გამიზნული იყო მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში გარღვევისთვის. დამრტყმელ არმიაში **ბ.ბ.ე**-ში რეკომენდებული იყო შეეყვანათ მექანიზებული და კავალერიის კორპუსები და ჩაებათ ისინი ბატალიაში იერიშის ეშელონის მიერ მოწინააღმდეგის თავდაცვის ტაქტიკური ზონის გარღვევის შემდეგ. „გარღვევის განვითარების ეშელონი“ ცნების გაჩენა უკავშირდება „ღრმა ოპერაციის“ თეორიას. **ბ.ბ.ე**-ის შექმნის იდეამ II მსოფლიო ომის წლებში ხორცი შეისხა მოძრავი ჯგუფების შექმნის სახით.

გარღვევის მონაკვეთი (ზოლი), გაერთიანების, შენაერთის, შეტევის ზოლის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის მიზნით თავს უყრიან ჯარების ძირითად ძალას. განსაზღვრავს სარდალი (მეთაური) ან ზემდგომი უფროსი ოპერაციაზე (ბრძოლაზე) გადაწყვეტილების მიღებისას მოწინააღმდეგის თავდაცვის ხასიათის, გარღვევისთვის განკუთვნილი ძალებისა და საშუალებების რაოდენობის, ადგილმდებარეობის პირობების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. **ბ.მ.(ზ)**-ის სიგანე II მსოფლიო ომის გამოცდილებით, 1944–45 წლებში შეადგენდა: დაჯგუფებაში 20–30 *კმ* (საერთო სიგანე 1–2, ზოგჯერ 3 მონაკვეთისა); არმიაში 6–14 *კმ;* კორპუსში – 4–6 *კმ;* დივიზიაში – 2–2.5 *კმ.* კორპუსისა და დივიზიისათვის **ბ.მ.(ზ).** ხშირ შემთხვევებში ემთხვეოდა შეტევის ზოლის სიგანეს.

გარშემოვლა, 1. მოწინააღმდეგის განლაგებაში ჯარების ღრმად შესაღწევად და ზურგიდან მასზე დარტყმების მისაყენებლად წარმოებული მანევრი. ხორციელდება მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობაში ღია ფლანგების ან შუალედების არსებობისას, ფრონტიდან მოქმედ ჯარებთან (ძალებთან) და საჰაერო (საზღვაო) დესანტთან ურთიერთქმედებით. ჩვეულებრივ, ხორციელდება გარშემორტყმასთან ერთად. **ბ.** გამოიყენება მოწინააღმდეგის დაჯგუფების გარშემორტყმისა და განადგურებისთვის, ჯარების მართვის დარღვევის, მათი უკუქცევის დროს გზებზე მნიშვნელოვანი ობიექტების (ზღუდეების) ხელში ჩაგდებისთვის. სამხედრო-საზღვაო ფლოტში **ბ.** ხორციელდება ხელსაყრელი პოზიციების დაკავების და მოწინააღმდეგის მთავარი დაჯგუფებისთვის (ობიექტისთვის) დარტყმის მისაყენებლად მისი დაფარვის ძალებთან (მეწინავე რაზმებთან) საცეცხლე შეხებაში ჩაბმის გარეშე. ზოგ შემთხვევაში **ბ.** შესაძლოა გამოყენებულ იქნეს საკუთარი ჯარების განლაგების სიღრმეში ახალ პოზიციებზე (ზღუდეებზე, რაიონებში) ჯარების გამოსაყვანად. 2. დასნებოვნების, ნგრევის, ხანძრებისა და წყალდიდობების მონაკვეთების გადალახვის ერთ-ერთი ხერხი.

გასასვლელი დანაღმულ ველში, დანაღმულ ველზე მონიშნული გასასვლელი, რომელიც თავისუფალია წინაღობებისგან და დაზიანების ზონის გარეთაა.

გასროლა, 1. ცეცხლსასროლ იარაღში სატყორცნი მუხტის ფეთქებადი (წვის) პროცესის გარდაქმნა. გამოიყენება საარტილერტიო ჭურვების (ნაღმების, ყუმბარების, ტყვიების) სატყორცნელად. **ბ**-ისას, დროის მოკლე მონაკვეთში (წამის მეათასედიდან მეასედამდე), ხდება აირწარმოქმნის ქიმიური პროცესი, რომლის დროსაც მაღალია ტემპერატურა (3000–3500*K*) და წნევა (400–800*მპა*); 2. საბრძოლო მასალა საარტილერიო ქვემეხიდან სროლისთვის. 3. მოწყობილობა ხომალდზე, რომელიც ხის ან რკინის ძელის სახით არის გადაკიდებული და მიმაგრებული მის ბორტზე სახსრის მეშვეობით. მისი დანიშნულებაა ანჯოების და კატარღების დაყენება და დამაგრება საღუზე დგომის დროს, ასევე მათში პირადი შემადგენლობის ჩასასხდომად.

გაუვრცელებლობა, სარაკეტო, მასობრივი განადგურების და სხვა სახის იარაღის გავრცელების აღსაკვეთად მიღებული ზომები, რომელთა განხორციელება ხდება შეიარაღებისა და ტექნოლოგიების ექსპორტზე კონტროლის დაწესების გზით.

გაუსნებოვნება, პირადი შემადგენლობის, შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკის და სხვა ობი

ექტების მომწამლავი, რადიოაქტიური ნივთიერებებით და ბიოლოგიური საშუალებებით დასნებოვნების სალიკვიდაციო სანიტარიულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი. დასნებოვნებული ადამიანების და ობიექტებისგან დასნებოვნების სხვადასხვა აგენტის მოცილებისთვის ხდება ჯარების სპეციალური დამუშავება. აუცილებლობის შემთხვევაში ტარდება პირადი შემადგენლობის სანიტარიული დამუშავება. მატერიალური საშუალებების, ადგილმდებარეობის და საფორტიფიკაციო ნაგებობების გაუსნებოვნება ტარდება დეგაზაციის, დეზინფექციისა და დეზინსექციის მეშვეობით.

გაფანტული მწყობრი, ფრონტზე განცალკევებული საბრძოლო წყობა. საერთოდ მას იყენებდნენ მთავარი ძალების წინ მოქმედი მსუბუქი ქვეითების რაზმები (ნაწილები, ქვედანაყოფები). მათი საბრძოლო დანიშნულება იყო ბრძოლაში ჩაბმა და მთავარი ძალების შეტევის მომზადება. **გ.მ**. ცნობილი იყო უძველესი დროიდან (მშვილდოსნები, მეშურდულეები და სხვა მოქმედებდნენ **გ.მ**-ით). XVII საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა მსუბუქი ქვეითების ახალი ნაირსახეობა – ეგერები, რომლებიც მოქმედებდნენ **გ.მ**-ით. XIX საუკუნის მეორე ნახევარში მსუბუქმა ქვეითებმა და მათთან ერთად **გ.მ**-მა დაკარგეს თავისი დანიშნულება, ვინაიდან ქვეითები გახდნენ ერთგვაროვანი, მაგრამ გ.მ-ის ელემენტები ჯარების საბრძოლო მოწყობაში შენარჩუნდა XX საუკუნის დასაწყისამდე.

გაფართოება, ნატოს ვაშინგტონის შეთანხმების მე-10 მუხლის მიხედვით, ორგანიზაციის **გ**. იმ ახალი წევრის მიღების ხარჯზე, რომელიც პასუხისმგებელი იქნება შესაბამისი მოთხოვნების შესრულებაზე.

გაფრქვევა, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენების პროცესში თხევადი ან აეროზოლის სახით დაზიანების აგენტების გამოშვება.

გაღრმავებული პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, ღონისძიებების ფართო წრე, რომელიც მიღებულ იქნა 1997 წელს, პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ სამი ძირითადი მიმართულებით მნიშვნელოვანი გაძლიერების მიზნით. კერძოდ: პოლიტიკური კონსულტაციები ამ პროგრამის ჩარჩოებში, მისი ოპერატიულობის ხარისხის ამაღლება და პარტნიორობის საკითხებში გადაწყვეტილების მიღების პროცესი და ოპერატიულ დაგეგმვაში სახელმწიფო-პარტნიორების მონაწილეობის გაფართოება.

გაშლის ზღუდე, 1. პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, საიდანაც ნაწილები (ქვედანაყოფები) სალაშქრო წყობიდან გადადიან ბრძოლისწინა წყობაზე ან ბრძოლისწინა წყობიდან – საბრძოლოზე. **ზ.ზ**. ინიშნება სიღრმიდან წინ წაწევით შეტევაზე გადამსვლელი ჯარებისათვის, რომლებიც წინ გადიან შემხვედრი ბრძოლის, (ბატალიის), კონტრდარტყმების (კონტრიერიშების) მიყენებისთვის; 2. ზღუდე, რომელზეც ტანკსაწინააღმდეგო რეზერვი გაიშლება საბრძოლო წყობით და მოწინააღმდეგის ტანკების იერიშს (კონტრიერიშს) იგერიებს.

გაძლიერების ძალები, ევროპისა და ჩრდილო ამერიკის ქვეყნების სამხედრო ფორმირებები, რომლებიც არ შედიან ნატოს მთავარი ძალების შემადგენლობაში და განკუთვნილი არიან ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების რეგიონული ან საზღვაო სარდლობების გასაძლიერებლად, ასევე – შეკავების, კრიზისების დარეგულირების და დაცვის ამოცანების შესრულებაში ხელშეწყობისთვის.

გაძლიერების ძალების განსაკუთრებული შემადგენლობა, ჯარების შემადგენლობის ვარიანტი, რომელიც არსებულ სპეციალურად დამუშავებულ ან ტიპურ ვარიანტებში გათვალისწინებული არ არის. შეირჩევა ვითარების მოთხოვნების საფუძველზე.

გაწვევა (სამხედრო სამსახურში), მოსახლეობის შეიარაღებული ძალების რიგებში და სხვა სამხედრო ფორმირებებში კანონით დადგენილი მიზიდვა სამხედრო ვალდებულების (ბეგარის) მოსახდელად; შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების შემადგენელი ნაწილი. გარდა ამისა, გათვალისწინებულია რეზერვში მყოფ მოქალაქეთა **გ**. სამხედრო შეკრებებზე, აგრეთვე მობილიზაციით **გ**. საომარი მდგომარეობის შემოღებისა და ომიანობის დროს.

გაწმენდა, 1. ტაქტიკური ამოცანა, რომლის მიზანია მოცემული ადგილის, რაიონის ან ზონის მოწინააღმდეგისგან **გ**. მოწინააღმდეგის ძალების დატყვევების, განადგურების ან იძულებით მისი უკან დახევის გზით ისე, რომ მათ ხელი ვერ შეუშალონ დასახული ამოცანის შესრულებას. 2. ოპერატიული რადიოქსელით ურთიერთკავშირის შეწყვეტა უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის გადაცემის გაადვილების მიზნით. 3. წინაღობის სრული ლიკვიდაცია ან მისი ნეიტრალიზება.

„გახანგრძლივებული ბირთვული ომის დოქტრინა“ (გახანგრძლივებული ომი – protracted war), აშშ-ის სტრატეგიული დოქტრინა, ფორმულირებული პრეზიდენტ რ. რეიგანის ადმინისტრაციის მიერ. დოქტრინის მიღება გამოწვეული იყო სსრ კავშირის გამალებული შეიარაღებით და ითვალისწინებდა აშშ-ის მომზადებას ხანგრძლივი ომისათვის. საბჭოთა კავშირში „გარდაქმნის პოლიტიკამ“ და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის დაძაბულობის განმუხტვამ, ფაქტობრივად, დღის წესრიგიდან მოხსნა ამ დოქტრინის აქტუალობა.

გ-დღე, დღე, როდესაც, ჩვეულებრივ, ეროვნული ხელმძღვანელობის ბრძანების შესაბამისად, იწყება ძალების გადასროლა-გადაჯგუფება.

გეგეჭკორი სერგო ლავრენტის ძე (1920–2000), რაკეტული სისტემების კონსტრუქტორი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1950), ინჟინერ-პოლკოვნიკი. დაამთავრა ლენინგრადის კავშირგაბმულობის სამხედრო-ელექტროტექნიკური აკადემია (1947). ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1952). სსრ კავშირ-გერმანიის ომის მონაწილე. იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. მონაწილეობდა თეირანის (1943), იალტის (1945) და პოტსდამის (1945) კონფერენციების მომზადებასა და ჩატარებაში (ასრულებდა სპეციალურ სამხედრო დავალებებს). მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც შექმნა ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტული სისტემის პროექტი. 1990 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის „კომეტას“ კიევის ფილიალის დირექტორი და მთავარი კონსტრუქტორი.

გეგმური მარაგი, მოთხოვნების წინასწარ განსაზღვრის შედეგად დაგეგმილი მარაგი.

გეგმური მიზანი, მიზანი, რომლის მიმართაც ცეცხლის გახსნა წინასწარ არის დაგეგმილი.

გეკსილი, ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერება. ყვითელი კრისტალური ფხვნილი. აფეთქების ტემპერატურა 250^0 C, აფეთქების სითბო 4,5 *მჯოული/კგ*, დეტონაციის სიჩქარე 7000 *მ/წმ*-ზე მეტი, 1,65 *გრ/სმ*^{3} სიმკვრივის პირობებში. **გ**. გამოიყენება საბრძოლო მასალის და დეტონატორების დასამზადებლად.

გეკსოგენი, ბრიზანტული ფეთქებადი ნივთიერება. უფერო კრისტალური ფხვნილი. აფეთქების ტემპერატურა დაახლოებით 230^0 C, აფეთქების სითბო 5,4 *მ ჯოული/კგ*, დეტონაციის სიჩქარე 8350 *მ/წმ*, 1,7 *გრ/სმ*^{3} სიმკვრივის პირობებში. **გ**. გამოიყენება საბრძოლო მასალის და დეტონატორების დასამზადებლად, ხოლო ასაფეთქებლად ძირითადად ტროტილთან, ალუმინიუმთან, ამიაკის სელიტრასთან შერევით ან ფლეგმატიზატორების დამატებით. პირველად მიიღეს 1838 წელს.

გელოვანი არჩილ ვიქტორის ძე (1915–78), საბჭოთა მხედართმთავარი, საინჟინრო ჯარების მარშალი (1977). დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (1936), 1939 წლიდან ინჟინერ-მშენებელია. სამხედრო სამსახურში იყო 1939 წლიდან. II მსოფლიო ომის დროს ხელმძღვანელობდა სამხედრო-საზღვაო და საფორტიფიკაციო მშენებლობებს. ომის შემდეგ ეკავა საპასუხისმგებლო თანამდებობები შავი ზღვის ფლოტის საინჟინრო სამმართველოში. შემდეგ იყო სამხედრო-საზღვაო სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1959 წლიდან – სამმართველოს უფროსი, შემდეგ – ფლოტის სარდლის თანაშემწე მშენებლობის დარგში. 1962 წლიდან ხელმძღვანელობდა სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სამხედრო-სამშენებლო სამმართველოებს, 1974–78 წლებში თავდაცვის მინისტრის მოადგილე მშენებლობისა და ჯარების დაბინავების დარგში.

გემის დათვალიერების უფლება, საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმა, რომელიც მიზნად ისახავს ღია ზღვაში გემების უკანონო მოქმედების აღკვეთას. ამ უფლებით სარგებლობს სამხედრო ხომალდი უცხოეთის ისეთი გემის მიმართ, რომელსაც არ გააჩნია იმუნიტეტი და ეჭვმიტანილია მეკობრეობაში, მონათვაჭრობასა და ნარკოვაჭრობაში, უსანქციო რადიო-ტელემაუწყებლობაში და ა.შ. **გ.დ.უ**-ით სარგებლობენ აგრეთვე ზღვისპირა სახელმწიფოები განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში თავიანთი სუვერენული უფლების განხორციელების დროს.

გენერალი (ლათინური generalis–საერთო, მთავარი), უმაღლეს ოფიცერთა სამხედრო წოდება (ჩინი). პირველად მიიღეს საფრანგეთში XVI საუკუნეში. უმეტეს ქვეყნებში გვხვდება ბრიგადის გენერლის, გენერალ-მაიორის, გენერალ-ლეიტენანტის, გენერალ-პოლკოვნიკის, არმიის გენერლის წოდებები. ზოგიერთ ქვეყანაში **გ**-ის ჩინის გრადაციისთვის გამოიყენება ტერმინები: ერთვარსკვლავიანი, ორვარსკვლავიანი, სამვარსკვლავიანი, ოთხვარსკვლავიანი და ხუთვარსკვლავიანი **გ**-ები. ასევე ანალოგიური ჩინები შეიძლება განისაზღვროს ბრიგადის, დივიზიის, კორპუსის, არმიის გენერლის სამხედრო წოდებაში. მინიჭების უფლება ჩვეულებრივ, აქვს ქვეყნის პრეზიდენტს.

გენერალისიმუსი (ლათინური generalisimus – ყველაზე მთავარი), უმაღლესი სამხედრო წოდება ზოგი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. ენიჭებოდათ მხედართმთავრებს, რომლებიც ომის დროს სარდლობდნენ რამდენიმე არმიას (უფრო ხშირად კი მოკავშირეთა არმიებს) ან სამეფო დინასტიის ოჯახის წევრებს და სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორც საპატიო წოდება. 1569 წელს საფრანგეთის მეფე შარლ IX-მ **გ**-ის წოდება მიანიჭა თავის 18 წლის ძმას (შემდეგში მეფე ანრი III). მას შემდეგ ეს წოდება ჰქონდათ: საფრანგეთში – ჰერცოგ ა. დე გიზს (1550–88), პრინც ლ. კონდეს (1621–88), ჰერცოგ კ. ლ. ვილარს (1653–1734), ჰერცოგ ა. რიშელიეს (1696–1788); ავსტრიაში – თავად რ. მონტეკუკოლის (1609–80), პრინც ოიგენ (ევგენი) სავოიელს (1663–1736), გრაფ ლ. დაუნს (1705–66), ერცჰერცოგ კარლს (1771–1847), თავად ფ. შვარცენბერგს (1771–1820); გერმანიაში – გრაფ ა. ვალენშტაინს (1583–1634); რუსეთში – მხედართმთავარ ა. შეინს (1662–1700), თავად ა. მენშიკოვს

(1673–1729), პრინც ანტონ ულრიხ ბრაუნშვაიგელს (1714–74), ა. სუვოროვს (1729–1800); სსრ კავშირში საბჭოთა კავშირის **გ**-ის წოდება შემოიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით და 1945 წლის 27 ივნისს მიანიჭეს ი. ბ. სტალინს.

გენერალური ბატალია, მეომარი მხარეების მთავარი ძალების გადამწყვეტი ბრძოლების ერთობლიობა ადგილმდებარეობის (აკვატორიის) ერთ შეზღუდულ რაიონში, როდესაც ერთ-ერთი მოწინააღმდეგის არმიის განადგურებით, როგორც წესი, წყდებოდა კამპანიის ან მთელი ომის ბედი. **გ.ბ**-ის სტრატეგია დამახასიათებელია XVII–XIX საუკუნეების სამხედრო ხელოვნებისთვის. მისი აქტიური მომხრე იყო ნაპოლეონ პირველი. მასობრივი არმიების განვითარების შემდეგ **გ.ბ**-ამ დაკარგა მნიშვნელობა. უკვე 1812 წლის ომმა ცხადყო, რომ **გ.ბ**-ის სტრატეგიამ თავისი დრო მოჭამა, თუმცა მას ბევრი მიმდევარი ჰყავდა (კ. კლაუზევიცი, ა. ჟომინი და სხვა).

გენერალური შტაბი, სახელმწიფოს სამხედრო მართვის ძირითადი და ოპერატიული მართვის მთავარი ორგანო, რომელიც ყველა ჯარის, საჯარისო ფორმირების და ორგანოს მოქმედებების კოორდინაციას ახორციელებს. პირველად შეიქმნა XVI–XVII საუკუნეებში დასავლეთ ევროპის მსხვილ სახელმწიფოებში. **გ.შ**-ის შექმნას სათავე დაუდო არმიაში გენერალ-კვარტირმაისტერის თანამდებობის შემოღებამ და შესაბამისად, საკვარტირმაისტრო ნაწილების ჩამოყალიბებამ. მათ ევალებოდათ დაზვერვა, ადგილმდებარეობის და გზების შესწავლა, ჯარების გადაადგილებისა და განთავსების ორგანიზაცია და სხვა.

II მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ყველა ქვეყანაში არსებითი ცვლილება განიცადა **გ.შ**-ის სტრუქტურამ და ფუნქციებმა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათ მიერ გადასაწყვეტი ამოცანების მოცულობა. გერმანიაში უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის სტრუქტურა მოიცავდა შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობის შტაბს, ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბს (ემორჩილებოდა უშუალოდ ა. ჰიტლერს), სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების **გ.შ**-ებს. აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში შეიარაღებული ძალების მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა შტაბების უფროსთა კომიტეტი, რომელიც, ფაქტობრივად, ასრულებდა **გ.შ**-ის ფუნქციებს. 1942 წელს შეიქმნა ამ ქვეყნების შტაბების უფროსთა გაერთიანებული (სამოკავშირეო) კომიტეტი. მისი სამუშაო ორგანო იყო ინგლისურ-ამერიკული შტაბი, რომელსაც კავშირი ჰქონდა წითელი არმიის **გ.შ**-თან. შეიარაღებული ძალების მართვის უმაღლესი ორგანოს მიერ II მსოფლიო ომის დროს ჩამოყალიბებული ორგანიზაციის საფუძვლები და მუშაობის პრინციპები ძირითადში შენარჩუნებულია.

გენეტიკური იარაღი, ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დაფუძნებული იარაღის სახეობა, რომელსაც უნარი შესწევს დააზინოს ადამიანთა გენეტიკური (მემკვიდრეობითი) აპარატი. არსებობს ვარაუდი, რომ **გ.ი**-ის საწყისი შეიძლება იყოს ზოგიერთი ვირუსი, რომელიც გამოირჩევა მუტაგენური აქტიურობით (მემკვიდრეობითი ცვლილებების გამოწვევის უნარით), ინერგება დეზოქსირიბონუკლეინმჟავის (დნმ) შემცველ უჯრედის ქრომოსომაში, აგრეთვე ქიმიური მუტაგენები, რომლებიც ბუნებრივი წყაროებიდან მიიღება. ასეთ ზემოქმედებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მძიმე დაავადებები და მათი მემკვიდრეობით გადაცემა.

გენოციდი (ბერძნული genos – გვარი, მოდგმა, ტომი და ლათინური caedo – ვკლავ), რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა ან ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს. **გ**. კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია. იგი უკავშირდება რეაქციულ თეორიებს, რომლებიც ქადაგებენ რასობრივ და ეროვნულ სიძულვილს, ე.წ. „უმაღლესი“ რასის ბატონობას „დაბალ“ რასაზე და სხვა. **გ**. შეიძლება განხორციელდეს როგორც მშვიდობიან, ასევე ომიანობის პერიოდში.

გენტის ხელშეკრულება 1814, ცნობილია აგრეთვე როგორც ამერიკა-ინგლისის 1814 წლის ხელშეკრულება. დაიდო 24 დეკემბერს გენტში (ბელგია). განსაზღვრა ზავის პირობები და დააფიქსირა აშშ-ის ომის დამთავრება ინგლისთან (1812–14). **გ.ხ.** ითვალისწინებდა მშვიდობის დამყარებას და საზღვრების შენარჩუნებას, განისაზღვრა ღონისძიებები მონათვაჭრობის წინააღმდეგ.

გენუის კონფერენცია 1922, საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებზე, მიმდინარეობდა 1922 წლის 10 აპრილიდან 19 მაისამდე, მონაწილეობდა 29 სახელმწიფო და ინგლისის 5 დომინიონი. ექპერტების სპეციალურმა კომისიამ მოამზადა რეზოლუციის პროექტი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებისგან მოითხოვდა ეცნო მეფის რუსეთის ყველა სესხი და ფინანსური ვალდებულება. კომისიის გაანაგრიშებით, რუსეთის მთელი ვალი შეადგენდა 18,5 მილიარდ მანეთს ოქროთი, ხოლო ზარალი, რომელიც რუსეთის მთავრობას მიაყენეს – 39 მილიარდ მანეთს ოქროთი. საბჭოთა მთავრობა თანახმა იყო ეცნო ომამდელი ვალები და ყოფილ მესაკუთრეთა უპირატესი უფლება, თუ დე იურედ (ლათინური de jure) ცნობდნენ საბ

ჭოთა მთავრობას, ფინანსურ დახმარებას გაუწევდნენ მას, გააუქმებდნენ მის სამხედრო ვალებს. **ბ.კ.** უშედეგოდ დამთავრდა. (იხ. *ჰაგის კონფერენცია 1922*).

გეოგრაფიული კოორდინატები, კუთხური სიდიდეები (განედი და გრძედი), რომლებიც დედამიწის ზედაპირზე ეკვატორისა და საწყისი მერიდიანის მიმართ წერტილის მდებარეობას განსაზღვრავენ. გეოგრაფიული განედი წარმოადგენს კუთხეს ვერტიკალურ ხაზსა და ეკვატორს შორის მოცემულ წერტილში. აითვლება 0^0-დან 90^0-მდე ეკვატორის ორივე მხარეს. გეოგრაფიული გრძედი წარმოადგენს კუთხეს მერიდიანის სიბრტყესა და საწყისი მერიდიანის სიბრტყეს შორის, გამავალს მოცემულ წერტილში. გრძედები 0^0-დან 180^0-მდე საწყისი მერიდიანიდან აღმოსავლეთით იწოდება აღმოსავლეთ გრძედად, დასავლეთით – დასავლეთ გრძედად.

გეოგრაფიული რუკები, დედამიწის ზედაპირის ამსახველი, გარკვეული მათემატიკური კანონების მიხედვით შედგენილი შემცირებული, განზოგადებული სქემა, რომელიც გვიჩვენებს ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების არეალს, მდგომარეობასა და ურთიერთდამოკიდებულებას. ახასიათებს გაზომვის უნარი (უზრუნველყოფილია კარტოგრაფიული პროექციების და მასშტაბის გამოყენებით), თვალსაჩინოება (აღწევენ სპეციალური კარტოგრაფიული პირობითი ნიშნების გამოყენებით) და გამოსახულების გენერალიზება (უზრუნველყოფენ ყველაზე არსებითი და ტიპური ობიექტების, მოვლენების შერჩევით, მათი მოხაზულობისა და მახასიათებლების განზოგადებით). კლასიფიცირდება შემდეგი ნიშნების მიხედვით: შინაარსის (ზოგადგეოგრაფიული და თემატიკური), დანიშნულების (უნივერსალური და სპეციალური) და იმის მიხედვით, თუ ტერიტორიის რომელ ნაწილს მოიცავს (მსოფლიოს, კონტინენტების, ოკეანეების, ქვეყნების, რეგიონების და ა.შ. რუკები).

გეოდეზიური აზიმუტი, იხ. *აზიმუტი.*

გეოდეზიური პუნქტი, წერტილი დედამიწის ზედაპირზე, რომლის მდგომარეობა განსაზღვრულია კოორდინატების სწორკუთხა სისტემით და აღნიშნულია ადგილმდებარეობაზე გეოდეზიური ნიშნით. გეოდეზიური ნიშანი შედგება გეოდეზიური ცენტრისგან, გარე ნიშნისგან და ორი საორიენტირო პუნქტისგან. გ.პ-ის კოორდინატები აღინიშნება **ბ.პ**-ების კოორდინატების კატალოგში.

გეოდეზიური ქსელი, დედამიწის ზედაპირზე გეოდეზიური პუნქტების სისტემა, რომელთა ურთიერთგანლაგება განსაზღვრულია კოორდინატების ერთიან სისტემაში აბსოლუტური სიმაღლეების გეოდეზიური აზომვების საფუძველზე. გამოიყენება ტოპოგრაფიული გადაღებების გეოდეზიურ დასაბუთებად, მთელი რიგი საინჟინრო-ტექნიკური ამოცანების შესასრულებლად, ჯარების ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფისთვის, დედამიწის ფორმისა და ზომების შესასწავლად.

გეონი, ლახვრის ერთ-ერთი სახეობა.

გეოპოლიტიკა, პოლიტოლოგიური კონცეფცია, რომელიც განიხილავს ლოკალურ, რეგიონულ და გლობალურ საერთაშორისო პროცესებზე სახელმწიფოს მდებარეობის, ტერიტორიულ-სივრცობრივი თავისებურებების ზემოქმედების ხასიათსა და კონკრეტულ-ისტორიულ ფორმებს. წარმოიშვა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე. განიხილავდა სახელმწიფოებს, როგორც ზებიოლოგიურ ორგანიზმებს. რომელთა არსებობისთვის აუცილებელია „ბუნებრივი საზღვრები“ და „სასიცოცხლო სივრცე“. ეს კონცეფცია გამოიყენებოდა გარეშე ექსპანსიების გასამართლებლად, განსაკუთრებით – გერმანიის ფაშიზმის მიერ. XX საუკუნის მეორე ნახევარმა ცხადყო სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზე **ბ**-ური ფაქტორების (ტერიტორიული მდებარეობა, ბუნებრივი რესურსები, ჰავა და სხვა) გავლენის გაძლიერება. ქვეყნის გეოგრაფიულ უპირატესობათა გამოყენება იქცა გრძელვადიანი საგარეო-ეკონომიკური და პოლიტიკური საქმიანობის უმნიშვნელოვანეს წინამძღვრად. შესაბამისად გაიზარდა მისწრაფება, აინახღაურონ **ბ**-ური არახელსაყრელი მომენტები შინაგანი ტექნიკურ-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური საშუალებებით (სამხედრო ბლოკების, ბაზების შექმნა, საზღვარგარეთის ქვეყნების მტრული რეჟიმების პოტენციალისთვის ძირგამოთხრა, მეგობრული რეჟიმების მხარდაჭერა და სხვა). XXI საუკუნის დამდეგს სამხედრო-კოსმოსური და სამხედრო რაკეტმშენებლობის პროგრამების დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება პოტენციური მოწინააღმდეგეების შეიარაღებების **ბ**-ური პროფილი; სახელმწიფოების სივრცობრივ-გეოგრაფიული თავისებურებები გამოხატულებას პოვებს სახმელეთო და სამხედრო-საზღვაო ძალების, სატრანსპორტო-საჰაერო, სამხედრო-საჰაერო და საავიამზიდო ფლოტების პროპორციული განვითარების კონცეფციებში.

გეორგიევსკის ტრაქტატი 1783, ხელშეკრულება რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის, დადებული 24 ივლისს (4 აგვისტოს) რუსულ ციხესიმაგრე გეორგიევსკში (ჩრდილოეთ კავკასია). ტრაქტატს ხელი მოაწერეს რუსეთის მხრიდან გენერალმა პავლე პოტიომკინმა, ქართლ-კახეთის, მხრიდან ივანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ. **ბ.ტ**-ით რუსეთი აღიარებდა ქართლ-კახეთის სამეფოს ავტონომიას და ვალდებულებას იღებდა დახმარებოდა მას გარეშე მტრებთან ბრძოლაში. ქართლ-კახეთის მეფე,

თავის მხრივ, აღიარებდა რუსეთის იმპერატორის უზენაესობას და აღუთქვამდა მას ერთგულებას; აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო ურთიერთობები უნდა შეჯერებულიყო რუსეთის ინტერესებთან. **ბ.ტ.** „საუკუნოდ“ დადებულ „მეგობრობის პირობად“ ცხადდებოდა. მასში ცვილებების შეტანა შეიძლებოდა მხოლოდ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მაგრამ ეს პირობები რუსეთის მხარემ არ შეასრულა. 1795 წელს დაუშვეს ირანის მბრძანებლის *აღა-მაჰმად-ხანის* თავდასხმა საქართველოზე, ხოლო შემდეგ, იმპერატორების პავლე I-ისა და ალექსანდრე I-ის 1800 და 1801 წლების. მანიფესტებით, გამოცხადდა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და აღმოსავლეთ საქართველოს შეერთება რუსეთის იმპერიასთან.

გეოსტრატეგიული რეგიონი, დედამიწის ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც გლობალური მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად, უპირველეს ყოვლისა – სამხედრო საფრთხეების ფორმირების, რეალიზების, ნეიტრალიზაციისა და გაფრთხილების ღონისძიებების სისტემის განხორციელების გზით.

გეოსტრატეგიული სივრცე, დედამიწის ზედაპირის ტერიტორიებისა და მასზე განლაგებული ობიექტების, შიდა ზღვების და მსოფლიო ოკეანის აკვატორიების, აგრეთვე დედამიწისირგვლივი საჰაერო-კოსმოსური სივრცის ერთობლიობა, რომელიც გეოპოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიის შესწავლისა და აღრიცხვის საგანს წარმოადგენს. **გ.ს.** განიხილება კონტინენტური და საოკეანო სტრატეგიული რაიონების, რეგიონების, საოკეანო და საზღვაო ზონების, სტრატეგიული მიმართულებების, სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულებებისა და საჰაერო მიმართულებების სისტემაში.

გეოფიზიკური დაზიანება, იხ. *დაზიანება.*

გეოფიზიკური იარაღი, ბუნების ძალების სამხედრო მიზნით გამოყენებისთვის გარემოზე ან დედამიწის მყარ, თხევად თუ აირისებრ გარსებში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებზე განზრახ ზემოქმედების საშუალებების ერთობლიობა. არსებობს ვარაუდი, რომ **გ.ი**-ის მეშვეობით შეიძლება შეიცვალოს ამინდი ან ჰავა, წარმოიშვას წყალდიდობები, მიწისძვრები, შტორმები, „სარკმლები“ ოზონის შრეში და სხვა. ბუნებაზე ზემოქმედების საშუალება შეიძლება იყოს ბირთვული და ჩვეულებრივი იარაღი, სპეციალური ქიმიური რეაგენტები, ელექტრომაგნიტური გამოსხივების მძლავრი გენერატორები და სხვა. ასეთი იარაღის შექმნასა და გამოყენებაზე ვრცელდება გარემო ბუნებაზე ზემოქმედების საშუალებათა სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული გამოყენების აკრძალვის 1977 წლის კონვენცია.

გეოფიზიკური რაკეტა, რაკეტა დედამიწის ატმოსფეროს ზედა ფენების გეოფიზიკური კვლევისათვის. აქვს 1–3 საფეხური, მასა რამდენიმე ათეულ ტონამდე, სასარგებლო ტვირთის მასა 2 *ტ*, აწევის სიმაღლე 60–1000 *კმ* და მეტი. მის სახესხვაობას წარმოადგენს მეტეოროლოგიური რაკეტა

გერბი, (გერმანული Erbe – მემკვიდრეობა) ემბლემა, მემკვიდრეობითი განმასხვავებელი ნიშანი, საგანგებოდ განლაგებული ფიგურები და საგნები, რომელთაც სიმბოლური მნიშვნელობა ენიჭებათ და მფლობელის ისტორიულ ტრადიციებს გამოხატავენ. **გ.** იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად: სახელმწიფო **გ.**, სამიწაწყლო **გ.** – შუა საუკუნეების ამქრების; საგვარეულო **გ.** – თავადაზნაურული და ბურჟუაზიული გვარების. **გ.** სპეციალური ისტორიული წყაროა, რომელსაც დამხმარე ისტორიული დისციპლინა – ჰერალდიკა შეისწავლის. **გ.** გამოსახულია დროშებზე, ბეჭდებზე, მონეტებზე და სხვა. **გ**-ს, როგორც საკუთრების აღმნიშვნელ ნიშანს, ხშირად გამოსახავენ არქიტექტურულ ნაგებობებზე, საყოფაცხოვრებო ნივთებზე, იარაღზე, ხელოვნების ნაწარმოებებზე, ხელნაწერებზე, წიგნებსა და სხვა.

გერმანია (Bundesrepublik Deutschland – გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. მდებარეობს ევროპის შუა ნაწილში. ჩრდილოეთით ესაზღვრება დანია, ჩრდილოეთის და ბალტიის ზღვები, რომლებიც შეერთებულია კილის არხით; სამხრეთ-აღმოსავლეთით – ჩეხეთი, აღმოსავლეთით – პოლონეთი, სამხრეთით – ავსტრია და შვეიცარია, დასავლეთით – საფრანგეთი, ლუქსემბურგი, ბელგია და ნიდერლანდი. ფართობი 357 ათ. *კმ*². მოსახლეობა 82,8 მლნ. კაცი (2012), 94% – გერმანელები. სახელმწიფო ენა – გერმანული. დედაქალაქი – ქ. ბერლინი. ადმინისტრაციულად იყოფა 30-მდე მიწად (ოლქად). სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, შემდგარი ბუნდესტაგისა და ბუნდესრატისგან, აღმასრულებელი – ფედერალური მთავრობა ფედერალური კანცლერის ხელმძღვანელობით. თანამედროვე სახით **გ.** ჩამოყალიბდა 1990 წლის 3 ოქტომბერს **გ**-ის ფედერაციული რესპუბლიკისა და **გ**-ის დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანებით. **გ.** არის ნატოს წევრი ქვეყანა. **გ.** განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. უკავია ერთ-ერთი მოწინავე ადგილი მსოფლიოშო სამრეწველო წარმოებით, არის კაპიტალის მსხვილი ექსპორტიორი. სამხედრო მრეწველობა უშვებს ტანკებს, საბრძოლო ჯავშნიან მანქანებს, ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემებს, მრა

ვალმიზნობრივ თვითმფრინავებს, ავიაგამანდგურებლებს, ყველა ტიპის ვერტმფრენს, სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფინავებს, დიზელის წყალქვეშა ნავებს, სარაკეტო ფრეგატებს, სანაღმე-სატრალავ ხომალდებს, სარაკეტო კატარღებს, საზენიტო მართვად რაკეტებს, საარტილერიო-ცეცხლსასროლ იარაღს. სამხედრო ტექნიკის მნიშვნელოვანი რაოდენობა გადის ექსპორტზე. სოფლის მეურნეობა ინტენსიური და მაღალპროდუქტიულია, უზრუნველყოფს საკუთარი მოსახლეობის მოთხოვნებს კვების პროდუქტებზე 90%-ით. მთავარი საზღვაო პორტებია: ჰამბურგი, ბრემენი, ლუბეკი, ვილჰელმსჰაფენი, როსტოკი. საერთაშორისო აეროპორტებია: შიონეფჰელდი, ტემპლ-ჰოპი (ბერლინი), კელნი, ბონი, მაინის ფრანკფურტი, დიუსელდორფი, ჰამბურგი, ჰანოვერი, ლაიფციგი, მიუნხენი, ნიურნბერგი, შტუტგარტი. შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისაგან, საჰაერო და საზღვაო ძალებისგან, საერთო რაოდენობა 250,6 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 163,9 ათ., შეიცავს სამ საარმიო კორპუსს, 4 სატანკო, 2 მოტოქვეით და 1 სამთოქვეით დივიზია, 26 ბრიგადას, 8 საარტილერიო პოლკს, საჰაერო თავდაცვის 7 პოლკს, 8 სადაზვერვო ბატალიონს, სახმელეთო ჯარების შეიარაღებაშია დაახლოებით 3250 ტანკი, 2100 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 3700 ჯავშანტრანსპორტიორი, 3200 ქვემეხი, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და ნაღმსატყორცნი, 2435 ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო სისტემა. 1700-ზე მეტი საზენიტო ქვემეხი, 140 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, 620 ვერტმფრენი. სამხედრო-საჰაერო ძალები 62,3 ათ. კაცი, 23 ესკადრილია, საზენიტო-სარაკეტო დივიზიონი 26 ბატალიონი, საბრძოლო თვითმფრინავი 445. სამხედრო-საზღვაო ძალებს 24,4 ათ. კაცი, 16 წყალქვეშა ნავი, 55 წყალზედა ხომალდი, 47 საბრძოლო კატარღა, საზღვაო-საავიაციო 53 საბრძოლო თვითმფრინავი, 17 საბრძოლო ვერტმფრენი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრინციპით, გაწვევით სამსახურის ვადა 9 თვეა, დაქირავებით – 10 – 23 თვე. მომზადებული რეზერვი – 162 ათ. კაცი.

გერმანია-თურქეთის ხელშეკრულება ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და მეგობრობის შესახებ 1941, ხელი მოაწერეს 18 ივნისს ანკარაში. ხელშეკრულება ითვალისწინებდა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, აგრეთვე ისეთი მოქმედებების დაუშვებლობას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართული იქნებოდა მეორე მხარის წინააღმდეგ. ითვალისინებდა აგრეთვე ეკონომიკურ თანამშრომლობას.

გერმანია-იტალიის ინტერვენცია ესპანეთში 1936–39, 1936 წლის 17–18 ივლისს, გერმანიისა და იტალიის ფაშისტური მთავრობების მხარდაჭერით, ესპანეთში ოფიცერთა ჯგუფმა რესპუბლიკური მთავრობის დამხობის მიზნით სამხედრო აჯანყება წამოიწყო. მეამბოხეთა ლიდერს, გენერალ ფ. ფრანკოს, გერმანია და იტალია ფართო ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უწევდნენ. 3 წლის განმავლობაში ესპანეთში 300 ათ. იტალიელი და გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გაიგზავნა. რესპუბლიკურ ესპანეთს სამხედრო და პოლიტიკურ დახმარებას უწევდა საბჭოთა კავშირი. საგარეო და საშინაო არახელსაყრელი პირობების გამო რესპუბლიკელებმა მარცხი განიცადეს. ესპანეთის სამოქალაქო ომი, ფაქტობრივად, იქცა II მსოფლიო ომის დაწყების მიზეზად.

გერმანია-იტალიის ხელშეკრულება 1939, ხელშეკრულება პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის შესახებ, ეწოდა „ფოლადისებრი პაქტი"; ხელი მოაწერეს 22 მაისს ბერლინში. ხელშეკრულება ომის შემთხვევაში ითვალისწინებდა მხარეთა ვალდებულებას ურთიერთდახმარებისა და კავშირის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, იტალია ომში ჩაება 1940 წლის ივნისში გერმანიის მხარეზე. 1940 წლის 27 სექტემბერს ხელი მოაწერეს სამთა კავშირს (გერმანია-იტალია-იაპონია).

გერმანია-პოლონეთის ომი 1939, ნაცისტური გერმანიის აგრესია პოლონეთის წინააღმდეგ, მისი, როგორც დამოუკიდებლი სახელმწიფოს, ლიკვიდაციისა და ტერიტორიის ანექსიის მიზნით. 1939 წლის 1 სექტემბერს პოლონეთში შეიჭრა ვერმახტის 54 დივიზია (1,5 მლნ კაცი, 3,6 ათ. ტანკი, 6 ათ. ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 1,9 ათ. თვითმფრინავი). პოლონეთის შეიარაღებული ძალები (დაახლოებით 1 მლნ. კაცი, 870 ტანკი და ტანკეტი, 4,3 ათ. ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 824 თვითმფრინავი) მედგარი წინააღმდეგობის მიუხედავად ერთ თვეში დამარცხდნენ. პოლონეთის მოკავშირეებმა, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა, გერმანიას ომი გამოუცხადეს, მაგრამ პრაქტიკული დახმარება პოლონეთისათვის არ გაუწევიათ. სამაგიეროდ, ამ კამპანიაში გერმანიას აღმოაჩნდა ფაქტობრივი მოკავშირე საბჭოთა კავშირის სახით, რომლის ჯარები 1939 წელს გერმანია-სსრ კავშირის ხელშეკრულების (იხ. *გერმანიის სსრ კავშირის თავდაუსხმელობის პაქტი*) საიდუმლო დამატებითი პროტოკოლის თანახმად, 17 სექტემბერს შეიჭრნენ პოლონეთში და ხელთ იგდეს მისი აღმოსავლეთი ნაწილი. პოლონეთის არმიამ გერმანიასთან ბრძოლაში დაკარგა მოკლულთა სახით 66,3 ათ. კაცი, 133,7 ათ. დაიჭრა, დაახლ. 420 ათ. ტყვედ ჩავარდა. გერმანელთა ზარალი: 10,6 ათ. მოკლული, 30,3 ათ. დაჭრილი, 3,4 ათ. უგზოუკვლოდ დაკარგული. **გ.-პ**-ის ომმა ცხადყო შეტევითი ოპერაციების დროს ჯავშანსატანკო და სამხედრო-საჰაერო ძალების გაზრდილი მნიშვნელობა.

გერმანია-საფრანგეთის დეკლარაცია 1938, ხელი მოაწერეს 6 დეკემბერს პარიზში. დეკლარაციის თანახმად, ორივე მთავრობა ყველა ღონეს იხმარდა ორ ქვეყანას შორის მშვიდობიან და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა განვითარებისათვის. აღინიშნული იყო, რომ ორ სახელმწიფოს შორის არ იყო არავითარი ტერიტორიული დავა და არსებული საზღვარი მათ შორის იყო საბოლოო.

გერმანია-სსრ კავშირის თავდაუსხმელობის პაქტი 1939, *რიბენტროპ – მოლოტოვის* **პაქტი,** ხელი მოეწერა მოსკოვში სსრ კავშირისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრების – ვ. მოლოტოვისა და ი. რიბენტროპის მიერ. ორივე ქვეყანა დათანხმდა გაეტარებინათ ათწლიანი პერიოდი ერთმანეთის მიმართ აგრესიის გარეშე. ორივე მხარე კისრულობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, თუ რომელიმე მათგანი დაიწყებდა ომს მესამე სახელმწიფოს წინააღმდეგ. პაქტის საიდუმლო დამატებით პროტოკოლში გამიჯნული იყო ორივე ქვეყნის „ინტერესთა სფეროები“ (სსრ კავშირს – ბალტიისპირეთი, აღმოსავლეთ პოლონეთი, ფინეთი, ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა). პაქტის დადების შემდეგ გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, რითაც დაიწყო *მეორე მსოფლიო ომი.* საბჭოთა კავშირმა ჯარები შეიყვანა პოლონეთის აღმოსავლეთ ნაწილში, რომელიც გერმანიასთან დადებული ხელშეკრულებით მისი „ინტერესების სფეროს“ წარმოადგენდა. პაქტმა არსებობა შეწყვიტა საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის შედეგად (22 ივნისი. 1941).

გერმანია-სსრ კავშირის ომი 1941–45, II მსოფლიო ომის სამხედრო მოქმედებების მთავარი სახმელეთო თეატრი (აქ მოქმედებდა გერმანული დივიზიების 70%). ომი დაიწყო 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმით. ამ ლაშქრობაში ვერმახტს მხარს უჭერდა რუმინეთის, უნგრეთის, ფინეთისა და ევროპის ზოგი სხვა ქვეყნის ჯარები. 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე განადგურებული იყო წითელი არმიის მრავალი შენაერთი, ასობით ათასი ჯარისკაცი ტყვედ ჩავარდა. გერმანელებმა ხელთ იგდეს უკრაინა, ბელორუსია, ბალტიისპირეთი და სხვა რეგიონები, მათი შეტევა შეჩერებულ იქნა მხოლოდ მოსკოვთან. ვერმახტის დამარცხება 1941–42 წლებში *მოსკოვის ბრძოლაში* ნიშნავდა *ბლიცკრიგის* კრახს. წითელი არმიის გამარჯვებებმა 1942–43 წლებში *სტალინგრადის ბრძოლაში* და 1943 წლის *კურსკის ბრძოლაში* ძირეული გარდატეხა შეიტანა ომის მსვლელობაში. 1944 წელს გათავისუფლებული იყო სსრ კავშირის თითქმის მთელი ტერიტორია და წითელი არმია შეიჭრა ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. 1945 წლის 2 მაისს აიღეს ბერლინი. ომის უკანასკნელი მსხვილი ოპერაცია იყო ვერმახტის ნარჩენების განადგურება პრაღის რაიონში 1945 წლის 6–11 მაისს. გერმანია-სსრ კავშირის ფრონტზე შეიარაღებული ბრძოლა განსაკუთრებით გააფთრებულ ხასიათს ატარებდა. საბჭოთა კავშირთან ომში გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა დაკარგეს დაახლოებით 5–7 მლნ. კაცი (ამ რაოდენობის 15–20% მოკავშირეებზე მოდის), საბჭოთა მხრიდან დაიღუპა 27 მლნ (მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით). საერთო ჯამში ეს რაოდენობა II მსოფლიო ომში დაღუპულთა ნახევარს აღემატება.

გესტაპო (გერმანული gestapo, შემოკლებული geheime Staatpolizei-დან), ფაშისტური გერმანიის საიდუმლო პოლიცია, მასობრივი პოლიტიკური ტერორის იარაღი. თავდაპირველად შეიქმნა პრუსიაში 1933 წლის მარტში, შემდგომ – გერმანიის სხვა მხარეებში. 1935 წლის გაზაფხულზე **გ**-ს თანამშრომლები ოფიციალურად შეიყვანეს სს-ის რიგებში. **გ.** ახორციელებდა ფაშიზმის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების და წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეების ძიებასა და ლიკვიდაციას. იგი ოკუპირებულ ტერიტორიებზე აქტიურ როლს თამაშობდა აგრესიის აქტების პროვოცირებაში, ადამიანების მასობრივ განადგურებაში და ხელს უწყობდა კოლაბორაციონისტულ აქტიურობას. ნიურნბერგში საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა აღიარა დამნაშავე ორგანიზაციად.

გეტიზბერგის ბრძოლა 1863, აშშ-ის სამოქალაქო ომის (1861–65) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი, ბრძოლა ქ. გეტინბერგთან 1863 წლის 1–3 ივლისს. ეს იყო ყველაზე სისხლისმღვრელი ბრძოლა აშშ-ის სამოქალაქო ომის დროს (იხ. *სამოქალაქო ომი აშშ-ში*). ჩრდილოელთა არმიამ (90 ათ. კაცი, 300 ქვემეხი; გენერალი ჯ. მიდი) მოიგერია სამხრეთელთა (70 ათ. კაცი, 250 ქვემეხი; გენერალი *რ. ლი*) ძლიერი შეტევა და მოწინააღმდეგე აიძულა უკან დაეხია. ჩრდილოელთა ამ წარმატებამ გარდატეხა შეიტანა ომში მათ სასარგებლოდ. მხარეთა ზარალი გეტიზბერგის ბრძოლაში დაახლოებით თანაბარი იყო: 23 ათ. მეტი თითო მხრიდან.

გვარდია (იტალიური guardia – დაცვა), საუკეთესო, რჩეული ჯარები. გაჩნდა მონათმფლობელობის ეპოქაში მონარქების და მხედართმთავრების პირადი დაცვის რაზმების სახით (ძველ საბერძნეთში – „წმინდა რაზმი“, ძველ სპარსეთში – „უკვდავთა კორპუსი“, მაკედონიაში – „მეფის ნებიერები“, ძველ რომში – პრეტორიანელები); ჯარების ამ ნაწილს ეკისრებოდა აგრეთვე ყველაზე რთული ამოცანები საომარი მოქმედების დროს. ტერმინი „გვარდია“ გაჩნდა იტალიაში (XII საუკუნეში) და ნიშნავდა სახელმწიფო დროშის დამცველ

რჩეულ რაზმს. მოგვიანებით **ბ**. შეიქმნა საფრანგეთში (XV საუკუნეში), ინგლისში, შვედეთში, პრუსიაში (XVII საუკუნეში), თუქეთში, იაპონიაში (XIX საუკუნეში) და სხვა სახელმწიფოებში. თანამედროვე არმიებში **ბ**., როგორც სახელმწიფო მეთაურის პირადი დაცვა, არსებობს დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და სხვა (იხ. *სახალხო გვარდია და ეროვნული გვარდია*).

გვატემალა (Guatemala – რესპუბლიკა გვატემალა), სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში, ქვეყნის სამხრეთ დასავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, ჩრდილოეთით – მექსიკა, სამხრეთით – სალვადორი, დასავლეთით – ბელიზი და გონდურასი, აღმოსავლეთით – კარიბის ზღვა. ფართობი 108,9 ათ. *კმ*². მოსახლეობა 14,3 მლნ. კაცი (2012), ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. გვატემალა. ადმინისტრაციულად იყოფა 22 დეპარტამენტად. ქვეყნის და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კონგრესი (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1821 წელს. **ბ**. აგრარული ქვეყანაა, მოჰყავთ ტროპიკული კულტურები საექსპორტოდ. ამზადებენ ცეცხლსასროლი იარაღის ტყვია-წამალს. საზღვაო პორტებია დასავლეთში: სან ხოსე, ჩამპერიკო; აღმოსავლეთში – პუერტო-ბარიოსი. საერთაშორისო აეროპორტი – გვატემალა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 15,2 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 13,5 ათ., სადაც გაერთიანებულია სამხედრო-საჰაერო 0,7 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 1 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

გვინეა (Guinée – გვინეის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება სენეგალი და მალი, აღმოსავლეთით – კოტ-დ'ივუარი, სამხრეთით – სიერა ლეონე და ლიბერია, აღმოსავლეთით – ატლანტის ოკეანე. ფართობი 245,9 ათ. *კმ*². მოსახლეობა 10,3 მლნ. კაცი (2012), ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. კონაკრი. ადმინისტრაციულად იყოფა 8 ოლქად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1958 წლის 2 ოქტომბერს. **ბ**. აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა (ავსტრალიის შემდეგ მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში ბოქსიტის მოპოვებით და ექსპორტით). საზღვაო პორტებია: კონაკრი, კამსარი. საერთაშორისო აეროპორტი – კონაკრი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 12,3 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 10,6 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,8 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 0,9 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

გვინეა-ბისაუ (Guiné-Bissau – რესპუბლიკა გვინეა-ბისაუ), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. დასავლეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე, ჩრდილოეთით – სენეგალი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – გვინეა. ფართობი 36,1 ათ. *კმ*². მოსახლეობა 1,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – პორტუგალიური. ედაქალაქი – ქ. ბისაუ. ადმინისტრაციულად იყოფა ავტონომიურ სექტორად ბისაუ და 8 ოლქად. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული სახალხო კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1973 წლის 24 სექტემბერს. **ბ.-ბ**. აგრარული ქვეყანაა, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული სახელმწიფო. საზღვაო პორტებია: ბისაუ, კაშეუ, კატიო; საერთაშორისო აეროპორტი – ბისაუ. შეიარაღებული ძალები საერთო რაოდენობით 4,9 ათ. კაცი (2012), გაერთიანებულია სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები. 2010 წლის 1 აპრილს მოხდა პუტჩი. მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების რეფორმა.

გზამკვლევები, 1. თვითმფრინავის გამოცდილი ეკიპაჟი, რომელიც უძღვება საჰაერო ფორმირებას, დესანტის გადმოსხმას ზონაში, ტვირთის გადმოყრას პუნქტში. 2. საჰაერო დესანტის ჯგუფი (პარაშუტით დაშვებული ან თვითმფრინავის მიწაზე დაფრენის შემდეგ მიზანთან ახლოს გადმოსხმული). იგი აღჭურვილია სანავიგაციო საშუალებებით და ეხმარება თვითმფრინავს დესანტის გადმოსხმის ან დაფრენის ზონისკენ გზის გაკვლევაში. 3. რადარის აპარატურა, რომელიც მიუთითებს გზას დანიშნულების ადგილისკენ, როცა ხილვადობის გაურესების გამო ზუსტი ვიზუალური ნავიგაცია შეუძლებელია. 4. საჰაერო გზით მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასროლილი ჯგუფები მიზანთან მისადგომების, უკან დასახევი გზებისა და დაფრენის ზონების მონაკვეთების დასადგენად.

გზა-ხიდების კონსტრუქციები, მზა კონსტრუქციები, რომლებიც გამოიყენება სამხედრო გზების მოსამზადებლად და სახიდე გადასასვლელების მოსაწყობად; მათ რიცხვს განეკუთვნება: საგზაო ფარები, დრეკადი (ბადისებრი ქსოვილისა და ა.შ.) ფენილები, წყალგამტარი მილები, პატარა ხიდები, საყრდენი კედლები და სხვა **ბ.-ხ.კ**. შეიძლება იყოს სამრეწველო ან საჯარისო დამზადების.

გზების აღდგენა, ორგანიზაციულ-ტექნიკური და სამშენებლო ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია დანგრეული (დაზიანებული) საავტომობილო გზების ან რკინიგზის ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომ გამოდგეს ჯარების გადაადგილების განახლებისთვის, მატ

ერიალური საშუალებების მიტანისა და ევაკუაციისათვის. **ბ.ა.** მოიცავს: გზების დაზვერვას, განღობვას, რკინიგზების აღდგენას (აგებას), გზების, ხიდების ახალი მონაკვეთების და სხვა ნაგებობების მშენებლობას; აგრეთვე შემოვლითი გზების და იმ ობიექტების მშენებლობას, რომლებიც აუცილებელია გზების ექსპლოატაციისათვის. ახორციელებენ საგზაო, სარკინიგზო საინჟინრო ჯარების, სატრანსპორტო სამინისტროებისა და უწყებების სამშენებლო ორგანიზაციების სპეციალური ფორმირებები.

გზების დაზვერვა, იმ მონაცემების მოპოვება, რომლებიც საჭიროა სამხედრო-საავტომობილო გზების მომზადებისა და ექსპლოატაციისთვის, ტექნიკური დაფარვის და აღდგენის ამოცანების შესრულებისთვის; საგზაო უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. **ბ.დ**-ის დროს განისაზღვრება საავტომობილო გზების მდგომარეობა და საგზაო-ხიდური სამუშაოების მოცულობა, ადგილობრივი საგზაო-სამშენებლო მასალებისა და კონსტრუქციების არსებობა, მათი გამოყენების შესაძლებლობა. **ბ.დ.** გულისხმობს რეკოგნოსცირებას და დეტალურ დაზვერვას. განხორციელების ხერხის მიხედვით **ბ.დ.** შეიძლება იყოს სახმელეთო, საჰაერო და კომბინირებული.

გზის ორიენტირი, საავიაციო ოპერაციებში საორიენტაციო წერტილი ან წერტილების რიგი საჰაერო სივრცეში, რომლისკენაც შესაძლებელია თვითმფრინავის ვექტორის მიმართვა. სახმელეთო ჯარებისთვის განსაზღვრული პუნქტი ან პუნქტების რიგი, რომელიც ჩატვირთულია და შენახულია გლობალური პოზიციის დამდგენ სისტემაში, ან სხვა ელექტრონულ საავიაციო-სანავიგაციო დამხმარე სისტემაში გადაადგილების გასაადვილებლად.

გზის ჩამკეტი, ბარიერი ან წინაღობა, რომელსაც ცეცხლით იცავენ. გამოიყენება მოწინააღმდეგის ტრანსპორტის გადაადგილების შესაჩერებლად ან შესაზღუდად.

გიორგი III (გარდაიცვალა 1184), საქართველოს მეფე 1156 წლიდან, დემეტრე I-ის ძე. **ბ. III** ატარებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას. 1156 წელს დალაშქრა აშორნი მდინარე არეზზე, ხოლო 1161 წელს ანისთან სასტიკად დაამარცხა მუსლიმანი ამირების გაერთიანებული 40-ათასიანი ლაშქარი. 1163 წელს აზერბაიჯანის ათაბეგმა ილდენიზმა თურქ-სელჩუკთა მხარდაჭერით დაამარცხა ქართველები და დაიპყრო გაგის ციხე (ახლანდელ წითელ ხიდთან). სამაგიეროს გადახდის მიზნით **ბ. III**-მ 1165 წელს მოაოხრა ილდენიზის სამფლობელოები ქ. განჯამდე. 1167 წელს მეფემ კასპიისპირეთში ილაშქრა და ქ. შაბურანი აიღო. 1177 წელს ქართველ ფეოდალთა ნაწილმა მეფის ძმისწულის დემეტრე ბატონიშვილისა და ამირსპასალარ ივანე ორბელის მეთაურობით აჯანყება მოაწყო **ბ. III**-ის წინააღმდეგ, მაგრამ მეფის ერთგულმა ლაშქარმა გაფანტა მეამბოხენი და აიღო მათი მთავარი საყრდენი პუნქტი – ლორეს ციხე. აჯანყების მოთავენი მეფემ სასტიკად დასაჯა. 1178 წელს **ბ. III**-მ საქართველოს სამეფო ტახტზე აიყვანა თავისი ქალიშვილი თამარი. მამა-შვილის ერთობლივი მმართველობა **ბ. III**-ის გარდაცვალებამდე გაგრძელდა.

გიორგი V ბრწყინვალე, საქართველოს მეფე 1314–46, დემეტრე II-ის ძე. **ბ. V** ფრთხილი და გონიერი პოლიტიკოსი იყო, ნდობით სარგებლობდა მონღოლთა ილხანის კარზე, რამაც საშუალება მისცა გამოესწორებინა საქართველოს საშინაო მდგომარეობა; 1329 წელს მან შემოიერთა ლიხთიმერეთის სამეფო, ხოლო 1334 წელს ცენტრალური ხელისუფლების გავლენა განამტკიცა სამცხის საათაბაგოში. ამრიგად, აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა. 1335 წელს ილხან აბუ საიდის გარდაცვალების შემდეგ დაიწყო საილხანოს სწრაფი დაშლა. **ბ. V**-მ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით, საქართველოდან გააძევა მონღოლთა რაზმები და ქვეყანას ფაქტობრივი დამოუკიდებლობა დაუბრუნა. საქართველოს წინაშე გაწეული დიდი ღვაწლისათვის შთამომავლობამ **ბ. V**-ს „ბრწყინვალე“ უწოდა.

გიორგი VII, საქართველოს მეფე 1393–1407, *ბაგრატ V*-ის ძე. მისი მეფობა დაემთხვა საქართველოს ძნელბედობის ხანას – თემურლენგის შემოსევებს (იხ. *თემურლენგის ლაშქრობები საქართველოში*). თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ საქართველო ჩაბმული აღმოჩნდა ომებში მის მემკვიდრეებთან და მომთაბარე თურქმანულ ტომებთან. 1407 წელს შავბატკნიანთა გაერთიანების თურქმანებთან ბრძოლაში ქართველებმა მძიმე მარცხი განიცადეს. **ბ. VII** ბრძოლის ველზე დაეცა.

გიორგი XI, ქართლის მეფე 1676–88 და 1703–09 წლებში, ვახტანგ V-ის ძე. მისი მეფობის პირველი პერიოდი ხასიათდება ირანთან ურთიერთობის გამწვავებით. 1688 წელს **ბ. XI** აუჯანყდა შაჰს და თავიდან წარმატებით ებრძოდა ქართლში შემოჭრილ ყიზილბაშებს. მიუხედავად ამისა, ფეოდალთა ნაწილის ღალატის გამო იგი დამარცხდა და იძულებული გახდა იმერეთისთვის შეეფარებინა თავი. ქართლის მმართველად შაჰმა ერეკლე I დანიშნა. ამასობაში ირანის წინააღმდეგ განმათავისუფლებელი ბრძოლა გაძლიერდა ავღანელ ტომებშიც; განსაკუთრებით აქტიურობდნენ ყანდაარის ოლქში მცხოვრები ღილზაები. შაჰ-ჰუსეინმა გადაწყვიტა შერიგებოდა **ბ. XI**-ს და დაუბრუნა მას ქართლი, რათა მისი სამხედრო გამოცდილება და ბრძოლისუნარიანი ქართული ჯარი გამოეყენებინა ავღანელთა წინააღმდეგ. **ბ. XI** დათანხმდა ამ

წინადადებას. ქართულ-ირანული ჯარებით იგი ავღანეთში შეიჭრა, დაამარცხა აჯანყებულები და ყანდაარის ოლქი დაიმორჩილა, მაგრამ 1709 წელს ღალატით იქნა მოკლული ღილ-ზაების ბელადის – მირ-ვეისის მიერ.

გიროკომპასი, სანავიგაციო გიროსკოპული ხელსაწყო, გეოგრაფიული მერიდიანის მიმართ მოძრავი ობიექტის მოძრაობის კურსის მაჩვენებელი. გამოიყენება საფრენ აპარატებში და ხომალდებზე კურსის განსაზღვრისა და სანავიგაციო ორიენტირების მიმართულებების გაზომვისთვის, ხომალდის ავტომატური მართვისთვის კურსის მაჩვენებლად. აგრეთვე საბრძოლო და სხვა მანქანებზე რთულ პირობებში (წყალქვეშ, ცუდ გზებზე, ცუდი მხედველობისას) მათი მართვის უზრუნველსაყოფად.

გირომაგნიტური კომპასი, სანავიგაციო გიროსკოპული ხელსაწყო, გეოგრაფიული მერიდიანის მიმართ მოძრავი ობიექტის მოძრაობის კურსის მაჩვენებელი; გიროაზიმუტისა და მაგნიტური კომპასის კომბინაცია. მისი მოქმედება ეფუძნება გიროაზიმუტის მუშაობის კორექციას მაგნიტური კომპასის მაჩვენებლებით. გამოიყენება საფრენ აპარატებში, მცირე ხომალდებში.

გიროსკოპი (ბერძნული giros – წრე და skope – უყურებ), სწრაფად მოძრავი როტორი დაკიდებულ მდგომარეობაში, რომლის ბრუნვის ღერძს (**გ**-ის მთავარი ღერძი) შეუძლია შეიცვალოს მდგომარეობა სივრცეში. განსაკუთრებით გავრცელებულია **გ**-ები კარდანული დაკიდებით, რაც უზრუნველყოფს ბრუნვის ღერძის მიხედვით თავისუფლების 3 ხარისხს. **გ**-ის ძირითადი დამახასიათებელი თვისებებია: გარე ძალების არარსებობის პირობებში მთავარი ღერძის მიმართულების შენარჩუნება; გარე ძალების ზემოქმედებისას მთავარი ღერძი მოძრაობს (პროეცირდება) მუდმივი კუთხური სიჩქარით. **გ.** გვხვდება ასტატიკური (როტორის მასის ცენტრი ემთხვევა დაკიდების ცენტრს) და მძიმე (არდამთხვევის პირობებში). შესაძლებელია **გ.** იყოს მოთავსებული კარდანულ ჩარჩოში თავისუფლების 2 ხარისხით და უკარდანო (როტორი მდებარეობს გაზოსტატიკური, გაზოდინამიკური, ელექტროსტატიკური ან ელექტრომაგნიტური დაკიდებებით). XX საუკუნის ბოლო წლებიდან მუშავდება და გამოიყენება ეროტორო **გ.** – ლაზერული, ბოჭკოვანი და სხვა. ის გამოიყენება გიროსკოპულ მოწყობილობებში მთავარ ელემენტად.

გლაივიცის პროვოკაცია 1939, გერმანელთა საიდუმლო სამსახურის მიერ განხორციელებული ოპერაცია პოლონეთზე თავდასხმისათვის. 1939 წლის 31 აგვისტოს ესესელებმა მოაწყვეს გლაივიცის (ზემო სილეზია) რადიოსადგურზე თავდასხმის ინსცენირება. ჰიტლერელთა საინფორმაციო საშუალებებმა მაშინვე გაავრცელეს ცნობა პოლონეთის ამ „თავდასხმის“ შესახებ. დილით, 1 სექტემბერს, გერმანელებმა დაიწყეს ომი პოლონეთის წინააღმდეგ.

გლუვლულიანი იარაღი, იარაღი, რომლის ლულის არხი არის გლუვი. XIX საუკუნემდე ყველა იარაღი იყო გლუვლულიანი, წინა მხრიდან დასატენი და ისროდა სფერულ ჭურვს (ტყვიას). იგი შეიცვალა კუთხვილიანი იარაღით. XX საუკუნეში გამოჩენილ **გ.ი**-ს (ნაღმსატყორცნები, არაუკუმგორავი ქვემეხები, ყუმბარსატყორცნები და ზოგიერთი სატანკო და ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები) აქვს პრინციპული განსხვავება – ისვრის დაგრძელებული ჭურვით (ნაღმით, ყუმბარით), რომელიც ფრენის დროს დაბოლოების ფრთებით სტაბილურდება. განსხვავდება რა კონსტრუქციის სიმარტივით, კუმულაციური საბრძოლო მასალის მოქმედების ამაღლებული ეფექტით (ტრიალი ამცირებს კუმულაციურ ეფექტს) და ლულის გამძლეობით, **გ.ი**. ვერ უზრუნველყოფს დიდ მანძილზე სროლას, პირველ რიგში ჭურვის ფორმის ცუდი აეროდინამიკურობით.

გმირობა (ძვ. ბერძნული heroes – გმირი, ლეგენდარული ბელადი), საზოგადოებრივი მნიშვნელობით გამორჩეული საქციელის ჩადენა, რომელიც შეესაბამება ხალხის მასების ინტერესებს და ადამიანისგან მოითხოვს განსაკუთრებულ ვაჟკაცობას, სიმტკიცეს, თავგანწირვისთვის მზადყოფნას. ატარებს ინდივიდუალურ ან მასობრივ ხასიათს, დამახასიათებელია ყველა ხალხისა და ყველა დროის წარმომადგენლებისთვის.

გმური, ლახვრის ერთ-ერთი სახეობა.

გოგავა ზაზა ზურაბის ძე (დ. 1971), გენერალ-მაიორი (2008), გაერთიანებული შტაბის უფროსი (2006–08). დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტი (1994), გაიარა ანტიტერორისტული და კონტრტერორისტული მომზადების კურსები აშშ-ში (1995–2002). მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში (1995–99), ანტიტერორისტული ცენტრის სწრაფი რეაგირებისა და სპეციალური ოპერაციების სამმართველოში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (1999–2004), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სპეციალური დანიშნულების ბრიგადის მეთაური (2004–06); საქართველოს შსს მინისტრის მოადგილე, შსს სასაზღვრო პოლიციის უფროსი (2008–12).

გოგრიჭი, ქვის სასროლი იარაღი.

გოდოლი, სიმაგრის ერთ-ერთი სახე. წერილობითი წყაროების მიხედვით, ტერმინი „გოდოლი“ ადრინდელ ფეოდალურ ხანაში იხმარებოდა, შემდეგ კი კოშკმა შეცვალა.

გოლი (Gaulle) შარლ დე (1890–1970), გენერალი, საფრანგეთის პოლიტიკური, სახელმ-

წიფო და სამხედრო მოღვაწე, სამხედრო თეორეტიკოსი. სამხედრო სამსახურში იყო 1911 წლიდან, მონაწილეობდა I და II მსოფლიო ომებში. 1940 წელს დააარსა პატრიოტული მოძრაობა „თავისუფალი საფრანგეთი“ (1942 წლიდან „მებრძოლი საფრანგეთი“), რომელიც შეუერთდა *ანტიჰიტლერულ კოალიციას*. 1941 წლიდან „საფრანგეთის ეროვნული კომიტეტის“ ხელმძღვანელი, შემდეგ – „ეროვნული განთავისუფლების საფრანგეთის კომიტეტის“ თავმჯდომარე. 1944–46 წლებში და 1958 წელს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი, ხოლო 1958–69 წლებში – პრეზიდენტი.

გორდა, მოკლე, უვადო, მოხრილი და დრეკადი ხმალი, რომელსაც შუაში ერთი ფართო, ხოლო ყუისკენ დამატებით ორი ვიწრო ღარი გასდევს. აქვს თავისებური დამდა – ხმლის ყუაზე გამოყვანილი ტალღოვანი რკალები ან ხმლის პირზე ორი მოპირდაპირე, დაკბილული პატარა ნახევარრკალი. რკალის ბოლოები სამმარცვლოვანი ნიშნებით აქვს დაწინწკლული (გადმოცემის თანახმად, ბრძოლებში მონაწილეობის ან მოკლული მტრის რაოდენობის აღსანიშნავად). ასეთი დამდა დამახასიათებელია აღმოსავლური, კავკასიური თუ ევროპული წარმომავლობის ხმლის პირებისათვის. გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში **გ**. ფართოდ იყო გავრცელებული და, საბას სიტყვით, „ამას ქართველი ჰყვარობენ“. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შემოინახა როგორც ადგილობრივი, ისე XVI–XVII საუკუნეების ცნობილ იტალიელ ოსტატთა ნახელავი **გ**. ხმლები, რომლებიც გენუელ ვაჭრებს შემოჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში. საქართველოში დამზადებულ ხმლის პირებს სადამღო რკალები ყუაზე მიჯრით ჰქონდა გამოყვანილი.

გორის ციხე, ისტორიული ციხესიმაგრე გორში, მაღალ კლდოვან ბორცვზე. წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება XIII საუკუნეში, მაგრამ არქეოლოგიური კვლევის შედეგები მოწმობენ, რომ გამაგრებული პუნქტი ამ ადგილას ძვ.წ. I ათასწლეულის უკანასკნელი საუკუნეებიდან არსებობდა. **გ.ც**. მნიშვნელოვანი სტრატეგიული საყრდენი პუნქტი იყო, რომლის დაუფლება მთელ შიდა ქართლზე ბატონობას ნიშნავდა. ამიტომ **გ.ც**-ისათვის მრავალი ბრძოლაა გადახდილი. XVI საუკუნის იმ მონაკვეთში, როდესაც თბილისს უცხოელი დამპყრობლები აკონტროლებდნენ, გორი, ფაქტობრივად, ქართლის პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. საუკუნეების მანძილზე **გ.ც**. არაერთხელ ყოფილა განახლებული და გადაკეთებული. დღევანდელი სახე მან 1774 წელს მიიღო, როდესაც, *ერეკლე II*-ის ბრძანებით, საფუძვლიანი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა.

გრავიმეტრიული პუნქტი, წერტილი დედამიწის ზედაპირზე, რომლისთვისაც განსაზღვრულია თავისუფალი ვარდნის აჩქარების მნიშვნელობა, მისი სწორკუთხა კოორდინატები და სიმაღლე. მონაცემები **გ.პ**-ის შესახებ ფორმირდება სიების (კატალოგების) ან გრავიმეტრიული რუკების სახით.

გრანტი (Grant) ულის სიმფსონ (1822–85), აშშ-ის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. 1843 წელს დაამთავრა უესტ-პოინტის სამხედრო აკადემია. 1846–48 წლებში მონაწილეობდა აშშ-ის ომში მექსიკის წინააღმდეგ (იხ. *ამერიკა-მექსიკის ომი 1846–48*), 1861–65 წლებში სამოქალაქო ომში (იხ. *სამოქალაქო ომი აშშ*). 1864 წელს დაინიშნა ჩრდილოელთა არმიის მთავარსარდლად. 1869–77 წლებში იყო აშშ-ის პრეზიდენტი (რესპუბლიკური პარტიიდან).

გრენადა (Grenada), სახელმწიფო მცირე ანტილის კუნძულთა ჯგუფში, კარიბის ზღვაში. საერთო ფართობი 344,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა 97 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. სენტ-ჯორჯეზი. ადმინისტრაციულად იყოფა 7 რაიონად. **გ**. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1974 წლის 7 თებერვალს. **გ**. აგრარული ქვეყანაა. აწარმოებს მუსკატის (ჯავზი) თხილს (მსოფლიო მოპოვების 1/3). შეიარაღებული ძალები წარმოდგენილია ეროვნული პოლიციით – 600 კაცი (2012). დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

გრენადერები (ფრანგული grenadiers < grenade – გრანატა), ქვეითი ჯარის გვარეობა XVII–XX საუკუნეებში ევროპულ არმიებში. თავდაპირველად **გ**-ს უწოდებდნენ გრანატმტყორცნელ ჯარისკაცებს (ასეულზე 3–4 კაცი). შემდეგ საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში, ქვეით და ცხენოსან პოლკებში შეიქმნა ტანმაღალი და ღონიერი **გ**-ის ასეულები. XVIII საუკუნეში, როდესაც უარი თქვეს მაშინდელი პრიმიტიული და ნაკლებად ეფექტური გრანატების (ხელყუმბარების) გამოყენებაზე, **გ**. რჩეულ საჯარისო ნაწილებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც შეიარაღებითა და მოქმედების ხასიათით სხვა სამხედრო ფორმირებებისაგან არ განირჩეოდნენ. პირველი მსოფლიო ომში პოზიციური ომის თავისებურებებმა გამოიწვიეს სპეციალური გრანატმტყორცნელი **გ**-ის აღორძინება.

გრიგოლ ბაკურიანის ძე (გ. 1086), XI საუკუნის ბიზანტიის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. ეროვნებით ქართველი, ერის

თავთერისთავ ბაკურიანის ძე. წარმოშობით **ბ.ბ.ძ**. იმიერტაოდან იყო, რომელიც XI საუკუნის დიდ მონაკვეთზე ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა. ბიზანტიის არმიაში მსახურობდა დაახლოებით 1060 წლიდან და მაღალ მდგომარეობას მიაღწია. იყო იმპერიის ჯერ აღმოსავლეთის, ხოლო შემდეგ დასავლეთის დიდი დომესტიკოსი (მთავარსარდალი). თურქ-სელჩუკთა შემოსევების დროს, 1072–73 წლებში, **ბ.ბ.ძ**-მ საქართველოს მეფეს გიორგი II-ს გადასცა ციხე-ქალაქი კარი მისი მიმდებარე ქვეყნით. 1081 წელს **ბ.ბ.ძ**-მ აქტიური ხელშეწყობით ბიზანტიის იმპერიის ტახტზე ავიდა ალექსი I კომნენოსი. **ბ.ბ.ძ**-მ თავი გამოიჩინა აგრეთვე ნორმანებთან ბრძოლაში. 1083 წელს მან პეტრიწონში (ახლანდელი ბაჩკოვო, ბულგარეთი) დააარსა ქართული მონასტერი, რომელსაც დიდძალი ქონება შესწირა. პეტრიწონის მონასტერი მალე გადაიქცა უცხოეთში ქართული კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კერად. **ბ.ბ.ძ**. დაიღუპა პაჭანიკებთან ბრძოლაში.

ბრიგორაშვილი (ბრეგორი) მიხეილ ლეონტის ძე (1888, ქუთაისის გუბერნია – 1953, თრენთონი, ნიუ-ჯერსი), ამერიკელი ავიაკონსტრუქტორი წარმოშობით ქართველი. აშშ-ის და კანადის საავიაციო მრეწველობის ერთ-ერთი შემქმნელი. დაამთავრა პეტერბურგის საგზაო ინჟინერთა ინსტიტუტი (1913). იყო რუსეთში საიმპერატორო აეროკლუბის დამაარსებელი და ერთ-ერთი პირველი მფრინავი. შექმნა და წარმოებაში დანერგა საკუთარი კონსტუქციის საჰაერო ხრახნები. 1921 წლიდან მოღვაწეობდა აშშ-ში, იყო ფირმა „ბერდ ეარ-კრფტ კორპორეიშენის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი კონსტრუქტორი. 1944 წლიდან გარდაცვალებამდე **ბ.(ბ)** მუშაობდა ფირმა „ჩეიზ ეარკრაფტ კორპორეიშენში“ მთავარ კონსტრუქტორად. ავტორია მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო გამანადგურებელ-ბიპლანის – „გრეგორ FDB-1“.

ბრიუნვალდის ბრძოლა 1410 [გერმანულ ლიტერატურაში ბრძოლა ტანენბერგთან (ახლანდელი გრუნვალდი, პოლონეთი)], 15 ივლისს პოლონეთისა და ლიტვის გაერთიანებულმა ლაშქარმა (32 ათ. კაცი) პოლონეთის მეფის ვლადისლავ II იაგაილოს სარდლობით სოფლებთან გრიუნვალდთან და ტანენბერგთან ალყაში მოაქცია და გაანადგურა ტევტონელი რაინდების ჯარი (27 ათ. კაცი). ამ ბრძოლამ ბოლო მოუღო ტევტონთა ორდენის ძლიერებას და აღკვეთა მისი წინსვლა აღმოსავლეთში.

გუდერიანი (Guderian) ჰაინც ვილჰელმ (1888–1954), გერმანელი მხედართმთავარი, გენერალ-პოლკოვნიკი. II მსოფლიო ომში სარდლობდა სატანკო კორპუსს, სატანკო ჯგუფსა და არმიას (1941 წლის დეკემბრამდე). 1944–45 წლებში სახმელეთო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი. „სატანკო“ ომის ერთ-ერთი იდეოლოგი. შრომების ავტორი სატანკო ჯარების გამოყენების შესახებ.

გუნდი (საშუალო სპარსული გუნდ-ჯარი, ლაშქარი, არმია), ძველ ქართლში ჯარის ნაწილი, სამხედრო ერთეული 6 ათასი მეომრის შემადგენლობით.

გურიის აჯანყება 1841, ანტიკოლონიური აჯანყება საქართველოში, რომლის მიზეზი იყო გლეხთა ექსპლუატაციის ზრდა, სახელმწიფო გადასახადების სიმძიმე, რუსი მოხელეების თვითნებობა. აჯანყების საბაბი გახდა კანონი, რომლის მიხედვით 1841 წლიდან სახელმწიფო გადასახადი ფულადი სახით უნდა აკრეფილიყო. 22 მაისს დაწყებულმა აჯანყებამ აგვისტოში პიკს მიაღწია და მთელი გურია მოიცვა; მასში მოსახლეობის ყველა ფენამ მიიღო მონაწილეობა. გურულებმა 9 აგვისტოს სოფელ გოგორეთთან დაამარცხეს პოლკოვნიკ ბრუსილოვის რაზმი, ხოლო 10 აგვისტოს განაიარაღეს ნიკოლაევის საგუშაგოს გარნიზონი. აჯანყების ხელმძღვანელი „მთავარი შტაბის“ კონტროლის ქვეშ გადავიდა გურიის თითქმის ყველა სტრატეგიული პუნქტი, ადმინისტრაციული ცენტრის, ოზურგეთის, გამოკლებით. ხელისუფლებამ აჯანყებულთა წინააღმდეგ, რომელთა რაოდენობა 7 ათასს აღემატებოდა, დამსჯელი რაზმი დაძრა პოლკოვნიკ მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მეთაურობით (რეგულარული ჯარის 2500 ჯარისკაცი, სამეგრელოსა და იმერეთის მილიცია). აჯანყება ჩაახშვეს. მოძრაობის მეთაურები (50 კაცი) შეიპყრეს და სამხედრო წესით გაასამართლეს.

გუსტავ II ადოლფი (Gustaf Adolf) (1594–1632), შვედეთის მეფე 1611 წლიდან, გამოჩენილი სარდალი და სამხედრო რეფორმატორი. ებრძოდა დანიას, რუსეთს, პოლონეთს. ხელთ იგდო ვრცელი ტერიტორიები. 1630 წლიდან ჩაება *ოცდაათწლიან ომში* ანტიჰაბსბურგული კოალიციის მხარეზე. გაიმარჯვა ბრაიტენფელდთან (1631), მდინარე ლეხთან (1632), ლიუტცენთან (1632). ლიუტცენის ბრძოლაში **ბ. II** დაიღუპა.

გუშაგი, ყარაულის შეიარაღებული წევრი, რომელიც ახორციელებს მისთვის მინდობილი საგუშაგოს (ობიექტის) დაცვასა და თავდაცვასთან დაკავშირებულ საბრძოლო ამოცანას.

ბ. არის ხელშეუხებელი პირი. მისი უფლებები და პირადი ღირსება განსაკუთრებით არის დაცული კანონით.

დ

დაბინავების რაზმი, ქვედანაყოფის ნაწილი (ჯგუფი), რომელიც გაგზავნილია საბრძოლო მოქმედებების სავარაუდო რაიონში ქვედანაყოფის მთავარი ძალების მოსვლამდე. მისი მიზანია: ქვედანაყოფის მისვლამდე ადგილის დაზვერვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ადგილის სათანადო მოწყობა და დაბინავებისთვის პირობების შექმნა.

დაბინძურება, 1. რადიოაქტიური, ბიოლოგიური ან ქიმიური მომწამლავი ნივთიერებების დაგროვება ნაგებობებზე, ადამიანებზე, ბუნებრივ გარემოში. 2. საკვების ან წყლის გამოუსადეგრობა გამოწვეული მათში არსებული რადიოაქტიური, მომწამლავი ნივთიერებების, ბაქტერიებისა და სხვა მიკროორგანიზმების ხრწნით, რომელიც იწვევს საკვები პროდუქტის და წყლის **დ**-ს.

დაბნევა, რადიოგამოსხივების სიგნალების მიღების და იმავე სიხშირეზე მათი ხელახლა გადაცემის სისტემა, რომელსაც ნავიგაციაში არეულობა შეაქვს.

დაბომბვა, საავიაციო ბომბდამშენი საშუალებებით (ბომბები, ცეცხლგამჩენი ავზები, კასეტები და ა.შ.) სახმელეთო ან საზღვაო ობიექტებზე დარტყმების მიყენება. XVII საუკუნიდან **დ.** ეწოდებოდა ერთ ფუთზე მეტი (16.38 *კგ*) წონის საარტილერიო ჭურვების, რომლებსაც ბომბები ეწოდებოდა დაშენას. XX საუკუნის დასაწყისიდან ეს ტერმინი გამოიყენებოდა ხომალდებით სანაპიროს ობიექტებზე ცეცხლდაშენის აღსანიშნავად. სამხედრო ავიაციის შექმნის შემდეგ **დ.** ეწოდება, მხოლოდ სახმელეთო (საზღვაო) ობიექტებზე საავიაციო ბომბების საშუალებებით დარტყმების მიყენებას.

დაბრკოლებადაცულობა, იმ ღონისძიებების ეფექტურობის მაჩვენებელი, რომლებიც დაბრკოლების პირობებში ტექნიკური საშუალებების სტაბილურ მუშაობას უზრუნველყოფენ. მიიღწევა ტექნიკური (დაბრკოლებების ზეგავლენის შემცირება ან გამორიცხვა; სელექციის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება და სხვა) და ორგანიზაციული ღონისძიებების (რადიოელექტრონული საშუალებების სამუშაო სიხშირეების და ორმხრივი ტერიტორილი განლაგების, დროის, მათი გამოსხივების სიმძლავრის და მიმართულების რეგლამენტაცია; პოზიციების შეცვლა და სხვა) განხორციელებით.

დაბრკოლებამდგრადობა, დაბრკოლებების პირობებში ტექნიკური საშუალებების სტაბილურად მუშაობის უნარი. რაც უფრო მაღალია დაბრკოლებების დონე, რომლის დროსაც ტექნიკური საშუალება მუშაობისუნარიანი რჩება, მით უფრო მაღალია **დ.**

დაბრკოლებები, წინაღობები, რომლებიც აფერხებენ ან აჩერებენ ჯარების წინსვლას. **დ.** არის ბუნებრივი (მდინარეები, ტბები, ხევები, მთები, ტყეები და ა.შ.), ხელოვნური (არხები, მიწაყრილები, სხვადასხვა ნაგებობები, ღობურები და ა.შ.) და კომბინირებული – ბუნებრივი გაძლიერებული ხელოვნურით.

დაბრკოლებები (ტექნიკაში), მოვლენები, რომლებიც აფერხებენ ტექნიკური საშუალებების ნორმალურ მუშაობას. **დ.** არის სხვადასხვა სახის: მაგნიტური, ელექტრომაგნიტური, ელექტრონული, აკუსტიკური, გრავიტაციული და ვიბრაციული; ხელოვნური და ბუნებრივი; კოსმოსური, ატმოსფერული, ჰიდროაკუსტიკური და სეისმური.

დაბრკოლების შექმნა (რადიოსიხშირის), მოწინააღმდეგის მიერ ინფორმაციის მოპოვებაში ხელის შეშლის მიზნით ელექტრომაგნიტური ენერგიის წინასწარ განსაზღვრული გამოსხივება ან არეკვლა უპირატესად რადიომიმღებით.

დაბა, ევროპული ხანჯლის ნაირსახეობა. გაჩნდა ესპანეთში XVI საუკუნეში. ჰქონდა 30–40 *სმ.* სიგრძის საჩხვლეტი პირი და განვითარებული ვადა. ფარიკაობის დროს **დ.** ეკავათ მარცხენა ხელში.

დაგეგმვის დაწყების დირექტივა, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, სამხედრო კომიტეტის ან ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის სარდლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, ოპერატიულ-სტრატეგიულ დონეზე დაგეგმვის დაწყებისა და მისი ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით.

დაგეგმვის მრავალეროვნული გაერთიანებული შტაბი, 1997 წლის აპრილში შექმნილი ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ორი სტრატეგიული სარდლობის მუდმივი შტაბი, რომელიც ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის ტერიტორიაზე მდებარეობს. მის საქმიანობაში მონაწილეობა ღიაა ყველა მოკავშირე ქვეყნის წარმომადგენლებისთვის. აუცილებლობის შემთხვევაში შტაბი შეიძლება გაძლიერდეს. მისი მთავარი ამოცანაა მხარი დაუჭიროს: 1. სტრატეგიულ სარდლობებს სტრატეგიულ-ოპერატიული დაგეგმვის დროს; მრავალეროვნული გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების კონცეფციის დამუშავების, განხორციელებისა

და შეფასების დროს; 2. ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილეს მასზე დაკისრებული განსაკუთრებული მოვალეობების შესრულების დროს, რაც უსაფრთხოების და თავდაცვის, ასევე დასავლეთევროპის კავშირის ევროპულ შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება.

დავით III დიდი, კუროპალატი (გ. 1001), ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ტაოს მეფე. მისი მმართველობის ხანა ტაოს სამეფოს პოლიტიკური გაძლიერებისა და ტერიტორიული გაფართოების პერიოდია. 979 წელს **დ. III** 12 ათ. მეომრით დაეხმარა ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას ამბოხებული მხედართმთავრის – ბარდა სკლიაროსის დამარცხებაში. ამისთვის **დ. III**-მ ევფრატისა და ჭოროხის სათავეებში მდებარე მიწები მიიღო. 988 წელს **დ. III** კვლავ ჩაერია ბიზანტიელთა შინაომში, ამჯერად იმპერატორის წინააღმდეგ აჯანყებული ფეოდალების მხარეზე. აჯანყების ჩახშობის შემდეგ **დ. III** იძულებული გახდა პატიება ეთხოვა იმპერატორისათვის და აღუთქვა, რომ გარდაცვალების შემდეგ მისი სამფლობელო იმპერიას გადაეცემოდა. **დ. III** აქტიურად იბრძოდა, აგრეთვე დასავლეთ სომხეთში გაბატონებული მუსლიმანი ფეოდალების წინააღმდეგ: 990 წელს მაჰმადიან მფლობელებს წაართვა ქ. მანაზკერტი, 997 წელს ალყა შემოარტყა ქ. ხლათს ვანის ტბის სანაპიროზე, 998 წელს დაამარცხა აზერბაიჯანის ამირა მამლანის ლაშქარი. **დ. III**-ის მხადაჭერით განხორციელდა მისი შვილობილის ბაგრატის (იხ. *ბაგრატ III*) გამეფება ქართლსა და აფხაზეთში (975–978), რამაც საფუძველი ჩაუყარა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას.

დავით IV აღმაშენებელი (1073–1125), საქართველოს მეფე 1089–1125 წლებში, გიორგი II-ის ძე. გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. მისი გამეფების დროს საქართველო სელჩუკთა სულთნის მოხარკე ქვეყანას წარმოადგენდა; თბილისი, დმანისი, სამშვილდე, რუსთავი და სხვა მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები თურქ-სელჩუკთა გარნიზონებს ეკავა, ქვეყნის სამხედრო ორგანიზაცია დარღვეული იყო. 1099 წელს **დ. IV**-მ ხარკი შეუწყვიტა სულთანს და აღადგინა ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა, დაიმორჩილა მეამბოხე ფეოდალები, 1104 წელს შემოიერთა კახეთ-ჰერეთის სამეფო. ქვეყნის გაძლიერებას ემსახურებოდა **დ. IV**-ის საეკლესიო და სამხედრო რეფორმები. 1120 წლისათვის საბოლოოდ ჩამოყალიბდა გაერთიანებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურა, რომელიც მუდმივი ჯარისა (*ტაძრეულები, მონასპა*, ციხეებისა და ქალაქების გარნიზონები) და ფეოდალური მილიციისგან შედგებოდა. ფეოდალური მილიცია (დაახლოებით 40 ათ. კაცი) ლაშქრის ყველაზე მასობრივი ნაწილი იყო. როგორც მუდმივი ჯარი, ასევე მილიცია, ძირითადად ქართველებისაგან შედგებოდა. მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ყივჩაყთა როლი, რომლებიც მეფემ 1118–20 წლებში ჩამოასახლა. დამხმარე ძალას წარმოადგენდნენ მოქირავნეთა და მოკავშირეთა კონტინგენტები. იმ ძალთა რაოდენობა, რომლებიც **დ. IV**-ს შეეძლო ერთდროულად გამოეყვანა ველზე, აღწევდა 60 ათ. მეომარს. ძირითადად ეს იყო ცხენოსანი ჯარი. მრავალწლიანი განმათავისუფლებელი ომი, რომელსაც **დ. IV** აწარმოებდა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ, დაგვირგვინდა დიდგორის (იხ. *დიდგორის ბრძოლა*) ბრწყინვალე გამარჯვებით (1121) და თბილისის აღებით (1122). 1123 წლიდან მეფემ სამხედრო მოქმედებები ძირითადად ამიერკავკასიის მეზობელ ქვეყნებში გადაიტანა, ამის შედეგად საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოვიდნენ ჩრდილო სომხეთი და შირვანი (1124). **დ. IV**-ის მხედართმთავრულ ხელოვნებას ახასიათებდა მოქმედებების შეტევითი ფორმა, სისწრაფე და მოულოდნელობა. თავდაპირველად ამით მეფე თავისი მცირე ძალების კომპენსაციას ახდენდა, შემდეგ კი, როდესაც უკვე მრავალრიცხოვანი ლაშქარი ჰყავდა, მან შეტევითი ოპერაციები წამოიწყო სელჩუკებთან შეხების მთელ ფრონტზე – ჭოროხის ხეობიდან კასპიის ზღვამდე. მოულოდნელობა **დ. IV**-ის სტრატეგიის მნიშვნელოვანი მომენტი იყო. მაშინაც კი, როდესაც შეტევა მოწინააღმდეგის დაწყებული იყო, მეფე ასწრებდა მას მოულოდნელი, გამბედავი მოქმედებებით და ინიციატივას თვითონ იგდებდა ხელთ. ასე იყო გადამწყვეტი ბრძოლების დროს თრიალეთში (1110), დიდგორსა და შამახასთან (1123). საველე ბრძოლები **დ. IV**-ს საბოლოო გამარჯვებამდე მიჰყავდა და აგვირგვინებდა მათ გაქცეულთა ენერგიული დევნით. მეფე მუდმივად ცვლიდა დარტყმების მიმართულებებს, სწრაფად გადააჯგუფებდა თავის მთავარ ძალებს და იქ გამოჩნდებოდა, სადაც მოწინააღმდეგე არ ელოდა. მაგალითად, მარტო 1124 წლის განმავლობაში **დ. IV**-მ 6-ჯერ ილაშქრა ჭოროხისა და არაქსის ველებიდან დარუბანდის სანახებამდე. **დ. IV**-ის მოღვაწეობის შედეგად საქართველო დასავლეთ აზიის ერთ-ერთი უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. მისი მეფობიდან იწყება ე.წ. ფეოდალური საქართველოს ოქროს ხანა, რომელიც 100 წელიწადი გრძელდებოდა **დ. IV**-ის გარდაცვალების შემდეგ.

დავით სოსლანი (გ. დაახ. 1203–04), თამარ მეფის მეორე ქმარი (იქორწინეს 1187). წარმოშობით ოსთა სამეფო დინასტიიდან.

ქართული წყაროებით, **დ.ს**-ის წინაპრები ოსეთში დამკვიდრებული ბაგრატიონები იყვნენ. მემატიანე მას ახასიათებს როგორც რაინდული თვისებებით შემკულ პიროვნებას. **დ.ს**. სარდლობდა ქართულ ლაშქარს თითქმის ყველა დიდ ბრძოლასა და ლაშქრობაში 1180-იანი წლების ბოლოდან XIII საუკუნის დასაწყისამდე (ლაშქრობები არზრუმის, გელაქუნის, განძა-ბარდავის მიმართულებით, 1195 წელს შამქორის ბრძოლაში, 1203 წელს ბასიანის ბრძოლაში). როგორც თანამმართველი, **დ.ს**. სახელმწიფოს გამგებლობაშიც მონაწილეობდა.

დაზავება, საომარი მოქმედებების დროებითი შეწყვეტა მეომარ მხარეთა ორმხრივი თანხმობით. განასხვავებენ ადგილობრივ (ნაწილობრივ) და საერთო **დ**-ს. ადგილობრივი **დ**. საომარ მოქმედებებს ცალკეულ ნაწილებსა და ქვედანაყოფებს შორის ფრონტის შეზღუდულ მონაკვეთზე გარკვეული ვადით აჩერებს. საერთო **დ**. საომარ მოქმედებებს მთელ თეატრში წყვეტს და იგი შეიძლება იყოს უვადო.

დაზარალებულთა შეკრების პუნქტი, საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი, სადაც თავს უყრიან დაზარალებულებს შემდგომში სამედიცინო პუნქტებში გადასაყვანად.

დაზვერვა ბრძოლით, სპეციალურად გამოყოფილი ქვედანაყოფების შეტევის გზით მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების მოპოვება. ეწყობა იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ხერხებით მოწინააღმდეგის შესახებ საჭირო მონაცემების მოპოვება შეუძლებელია. ბრძოლით დაზვერვისთვის შეიძლება დაინიშნოს გაძლიერებული ქვეითი ან სატანკო ბატალიონი (ასეული) და სადაზვერვო ქვედანაყოფები, რომელთა მოქმედებებს ავიაციის დარტყმებით, არტილერიის და სხვა საშუალებების ცეცხლით უჭერენ მხარს. მეთაურები, რომელთა ზოლებში (მონაკვეთებზე) **დ.ბ**. მიმდინარეობს, თვალს ადევნებენ მის მიმდინარეობას, შედეგებს და მზად არიან, მიღწეული წარმატება განავითაროონ. **დ.ბ**. მრავალი სახელმწიფოს არმიებში არის გათვალისწინებული.

დაზვერვა სამოქალაქო თავდაცვის ინტერესებისათვის, ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც ჯარები (ძალები) ატარებენ, რათა შეაგროვონ და მართვის ორგანოებსა და საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის ძალებს გადასცენ ობიექტური მონაცემები ტექნოგენური, ეკოლოგიური და ბუნებრივი ხასიათის საგანგებო სიტუაციების, ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების, აგრეთვე მოწინააღმდეგის მიერ დაზიანების თანამედროვე საშუალებების გამოყენების შედეგების შესახებ. გამოყოფენ დაზვერვის სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და კოსმოსურ სახეობებს. **დ.ს.თ.ი**. ამოცანების ხასიათის მიხედვით არის ზოგადი და სპეციალური. ზოგადი დაზვერვა მოიპოვებს პირველი რიგის სადაზვერვო მონაცემებს შექმნილი ვითარების შეფასების, მისი პროგნოზირებისა და საჭირო ღონისძიებების გატარების მიზნით. სპეციალური დაზვერვა აგროვებს კონკრეტულ ინფორმაციას. სპეციალური დაზვერვის სახეობებს წარმოადგენს: რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაზვერვა, საინჟინრო დაზვერვა, სახანძრო დაზვერვა, სამედიცინო დაზვერვა, სავეტერინარო დაზვერვა, ფიტოპათოლოგიური დაზვერვა და სხვა.

დაზვერვითი ნიშნები, იხ. *ნიშანი.*

დაზვერვის გამოსახულებითი მონაცემები, მონაცემები, რომლებიც მიღებულია ფოტოგრაფირებით ან ინფრაწითელი სენსორების, დაზვერვისა და სხვა ელექტრონულ-ოპტიკური ხელსაწყოების საშუალებებით მოპოვებული ინფორმაციის გადამუშავების შედეგად.

დაზვერვის ზოლი, ადგილმდებარეობის ზოლი მოწინააღმდეგის განლაგებაში, რომელიც მარჯვნიდან და მარცხნიდან შემოფარგლულია გამმიჯნავი ხაზებით და რომელშიც გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) ძალებითა და საშუალებებით დაზვერვა უნდა წარმოებდეს. **დ.ზ**., ჩვეულებრივ, გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) საბრძოლო მოქმედებების ზოლზე უფრო განიერია, ხოლო სიღრმეში – არანაკლებ მისი საბრძოლო ამოცანის სიღრმისა.

დაზვერვის მზირნი, იხ. *მზირნი.*

დაზვერვის ჯგუფი, ტაქტიკური დაზვერვის ორგანო, რომელიც მოწინააღმდეგის ზურგში იგზავნება. **დ.ჯ**-ის ძირითადი ამოცანაა: გამოავლინოს მოწინააღმდეგის მასობრივი დაზიანების იარაღის და დაზიანების სხვა საშუალებების, ჯარების, მართვის პუნქტების, აეროდრომების, რადიოელექტრონული საშუალებებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების განლაგების ადგილები. **დ.ჯ**-ის შემადგენლობა, როგორც წესი, არის ათეული. მოწინააღმდეგის ზურგში ჯგუფი იგზავნება შვეულმფრენებით, წყალქვეშა ნავებით, მანქანებით ან ქვეითად.

დაზიანება, ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე შეიარაღებული ბრძოლის სხვადასხვა ძალებითა და საშუალებებით, რის შედეგადაც იგი მთლიანად ან ნაწილობრივ (დროებით) კარგავს ბრძოლისუნარიანობას; **დ**-ის საშუალებების გამოყენების შედეგი (მომხდარი ან მოსალოდნელი). მაგალითად, სამხედრო დარგში ეს არის მოწინააღმდეგის განადგურება შეიარაღებული ძალებით ომში, ბატალეაში, ოპერაციაში, ბრძოლაში; ობიექტზე

(სამიზნეზე) სხვადასხვა სახეობის იარაღის (საბრძოლო ტექნიკის) ზემოქმედების შედეგი.
Დ. არის: საბრძოლო, ბიოლოგიური, გეოფიზიკური, ინფრაბგერითი, კოსმოსური, სხივური, რადიოლოგიური, ზემაღალი სიხშირით, თერმული (დამწვრობა), ქიმიური, აგრეთვე ცეცხლით Დ., ბირთვული Დ. და სხვა.
ბ ი ო ლ ო გ ი უ რ Დ-ს იღებეს ადამიანი და ცხოველი მათზე ბიოლოგიური იარაღის ზემოქმედების შედეგად. ამ იარაღის ახალ თაობას შეუძლია დააზიანოს ცოცხალი ორგანიზმები ინფექციური დაავადებების პრინციპულად ახლებური გამომწვევებითა და ტოქსინებით, რომლებიც მიღებულია გენური ინჟინერიის გზით, აგრეთვე მიკროორგანიზმებისა და მათი ცხოველქმედების პროდუქტების მეშვეობით.
გ ე ო ფ ი ზ ი კ უ რ ი Დ. ხდება იარაღით, რომლის მოქმედებაც ეფუძნება ბუნების ძალების გამოყენებას სამხედრო მიზნებისათვის. გულისხმობს ლითოსფეროში, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროში მიმდინარე ფიზიკურ პროცესებზე აქტიურ ზემოქმედებას. ლითოსფეროში დედამიწის მყარი გარსის გარკვეულ რაიონებში მიწისქვეშა თერმობირთვული აფეთქებებით იწვევენ ხელოვნურ მიწისძვრებს. წყალქვეშა (ჰიდროსფერო) ბირთვულ აფეთქებებს მოსდევს ხელოვნური ცუნამის, ტაიფუნების წარმოშობა, ზღვის დინებების შეცვლა. ატმოსფერული, გეოფიზიკური იარაღი არის მეტეოროლოგიური და ოზონური. მეტეოროლოგიური – ზემოქმედებას ახდენს ღრუბლებზე სპეციალური აეროზოლების გამოყენებით, იწვევს კოკისპირულ წვიმებს მოწინააღმდეგის ჯარების განლაგების რაიონებში, ჰიდროტექნიკური ნაგებობების ნგრევასა და წყლის მოვარდნას. ოზონური ატმოსფერული გეოფიზიკური იარაღი გამოიყენება იმ რაიონების თავზე ხელოვნური ოზონური „ხვრელების“ შესაქმნელად, სადაც ნავარაუდევია მოწინააღმდეგისათვის ზიანის მიყენება.
ი ნ ფ რ ა ბ გ ე რ ი თ ი Დ. ახორციელდება ინფრაბგერითი იარაღით, რომელიც ეფუძნება მიზანმიმართული აკუსტიკური (ბგერითი) ტალღური ენერგიის გამოყენებას ცოცხალ ძალაზე უარყოფითი ზემოქმედების მოსახდენად. Დ. ხორციელდება ინფრაბგერით; ადამიანის ყურისათვის აღუქმელი დაბალი სიხშირის ბგერითი ტალღები მოქმედებენ ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და საჭმლის მომნელებელ ორგანოებზე, იწვევენ საერთო სისუსტეს, თავის ტკივილს, პანიკურ მდგომარეობას და საკუთარ თავზე კონტროლის დაკარგვას. უფრო მაღალმა სიგნალმა შეიძლება გამოიწვიოს გონების დაკარგვა ან სიკვდილი. ინფრაბგერითი იარაღის მასობრივი გამოყენების დროს შეიძლება დაიკარგოს ცოცხალი ძალის ბრძოლისუნარიანობა ისეთი პერიოდით, რომელიც საკმარისია შეზღუდული ხასიათის საბრძოლო ოპერაციების საწარმოებლად.
ზ ე მ ა ღ ა ლ ი ს ი ხ შ ი რ ი თ Დ., ცოცხალი ძალისა და საბრძოლო ტექნიკის Დ. ზემაღალი სიხშირის იარაღით, რომელიც ეფუძნება ზემაღალი სიხშირის ელექტრომაგნიტური რხევების გენერაციის პრინციპს. ადამიანის ორგანიზმის უჯრედებზე ამ იარაღის ზემოქმედების დროს შეიძლება დაირღვეს მისი ფსიქიკა. საბრძოლო ტექნიკას აზიანებენ მასზე მაგნიტოთერმული ზემოქმედების გზით.
თ ე რ მ უ ლ (დ ა მ წ ვ რ ო ბ ი თ) Დ-ს აღწევენ ცეცხლგამჩენი საშუალებების (ჭურვების, ბომბების, რაკეტების, ცეცხლსატყორცნებისა და სხვა) გამოყენებით, რის შედეგადაც პირადი შემადგენლობა იღებს დამწვრობით დ-ებს, იწვება ტექნიკა და მატერიალური საშუალებები, ჩნდება ხანძრები ჯარების განლაგების რაიონებში.
კ ო ს მ ო ს უ რ ი Დ. ხორციელდება კოსმოსური შეიარაღების საშუალებების კომპლექსით. ეს საშუალებები განკუთვნილია კოსმოსური შეიარაღების, საჰაერო თავდაცვის სისტემებისა და სატელეკომუნიკაციო საჰაერო თავდაცვისა და სატელეკომუნიკაციო კოსმოსური კომპლექსების გასანადგურებლად კოსმოსში; აგრეთვე კოსმოსიდან დედამიწაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების დასაზიანებლად.
რ ა დ ი ო ლ ო გ ი უ რ ი Დ. ეფუძნება რადიაქტიული ელემენტების გამოყენებას ატომური რეაქტორების ნარჩენებითა და სხვა ხლეჩადი მასალებით ადგილმდებარეობის დასნებოვნებისთვის. არსებობს რადიოლოგიური იარაღის ორი ტიპი – ხანმოკლე (გამოიყენება ტაქტიკური მიზნებისათვის) და ხანგამძლე (გამოიყენება ოპერატიულ-სტრატეგიული მიზნებისათვის) იზოტოპების გამოყენების საფუძველზე.
ს ა ბ რ ძ ო ლ ო Დ., მოწინააღმდეგის ან მისი ცალკეული დაჯგუფებების საბრძოლო წყობის ელემენტების, ობიექტებისა და მიზნებისათვის საბრძოლო ამოცანის შესრულებისას მიყენებული დაზიანება.
ს ხ ი ვ უ რ Დ-ს აღწევენ ლაზერული და კონური იარაღის გამოყენებით. ლაზერული იარაღით ელექტრომაგნიტური გამოსხივების ვიწრო კონის მეშვეობით ოპტიკური დიაპაზონით აზიანებენ მცირე ზომის, მაგრამ მნიშვნელოვან სამიზნეებს. განასხვავებენ ლაზერული იარაღის სამ ტიპს: მცირე, საშუალო და დიდი სიმძლავრის. მცირე და საშუალო სიმძლავრის კომპლექსებს შეუძლიათ, ჩაახშონ მართვის პუნქტები, სახმელეთო იარაღის დამიზნების საშუალებები, დააბრმაონ ტანკე-

ბის ეკიპაჟები, ქვემეხებისა და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების გათვლები, მძღოლები და პილოტები. დიდი სიმძლავრის ლაზერული იარაღი გამოიყენება საჰაერო თავდაცვის ძირითადი საშუალებების გასაძლიერებლად, დაბლა მფრინავი საჰაერო მიზნების გასანადგურებლად, აგრეთვე მნიშვნელოვანი მიზნების დასაზიანებლად ბრძოლის ველზე. კონური იარაღი ახდენს ცოცხალი ძალისა და შეიარაღების კომბინირებულ **დ**-ს (რადიაციულსა და თერმომექანიკურს). რადიაციულ **დ**-ს იწვევს მაღალი ენერგიის ელემენტარული ნაწილაკების ზემოქმედება ცოცხალი ორგანიზმის უჯრედებზე, რადიოელექტრონულ საშუალებებზე, შეიარაღებისა და ტექნიკის ელექტრონულ კომპონენტებზე. მიზნის **დ**-ს აღწევენ აგრეთვე დასხივებით, რომელსაც იწვევს დამუხტული ნაწილაკების კონა მაღალი ენერგიის ფოტონების სახით ჰაერის გარემოში გავლისას. მათ აქვთ უნარი, მოახდინონ თერმომექანიკური ზემოქმედება ადამიანებზე, შეიარაღებასა და ტექნიკაზე, გამოიწვიონ დასაზიანებელი მიზნის მასალების აალება, ლღობა და აორთქლება. კონური იარაღი შეიძლება გამოიყენონ დაბალ სიმაღლეზე მფრინავი ვერტმფრენების, თვითმფრინავებისა და ფრთოსანი რაკეტების, აგრეთვე ტანკებში, ფოლადისა და რკინაბეტონის ნაგებობებში მყოფი ცოცხალი ძალის დასაზიანებლად.

ქ ი მ ი უ რ **დ**-ს იწვევს ქიმიური იარაღის გამოყენება ცოცხალი ძალის განადგურების (ჩახშობის) და საბრძოლო ტექნიკის, საინჟინრო ნაგებობების, მატერიალური საშუალებებისა და ადგილმდებარეობის დასნებოვნების მიზნით. ქიმიური იარაღის ახალ თაობას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ადამიანსა და ტექნიკაზე ფსიქოტროპული და ქიმიურად აქტიური საშუალებების გამოყენებით, სპეციალური ბომბების, ჭურვების, რაკეტების, ფუგასებისა და სხვათა მეშვეობით აეროზოლური ღრუბლების შექმნის გზით.

დაზიანების ალბათობა, იხ. *სავარაუდო დაზიანება.*

დაზიანების ზონა, 1. სივრცე (ფართობი, მოცულობა) საბრძოლო მასალის აფეთქების ცენტრის (ეპიცენტრის) ირგვლივ, რომლის ფარგლებში გარანტირებულია მიზნის დაზიანება. წარმოადგენს იმ საბრძოლო მასალების (რაკეტების, ჭურვების, ბომბების და ა.შ.) დამაზიანებელი მოქმედების მახასიათებელს, რომლებითაც დაზიანება მიზანში პირდაპირ მოხვედრას არ მოითხოვს. ჩვეულებრივ, განისაზღვრება კომბინირებული **დ.ზ.**, რომელიც საბრძოლო მასალების სხვადასხვა დამაზიანებელი ფაქტორის ზემოქმედების შედეგია. გაფანტვის სივრცეში ნამსხვრევები მომაკვდინებელ ძალას ინარჩუნებენ. ამ ზონაში შესაძლებელია თვითმფრინავის (ვერტმფრენის) შეჯახება მათთან. **დ.ზ**-ის ფარგლებში მიზნის დაზიანება უტყუარი ფაქტია. საბრძოლო მასალებით **დ.ზ**. განისაზღვრება საცდელ პოლიგონზე სროლით (ბომბდაშენით), საბრძოლო მასალის აფეთქებით ან ანალიტიკური გზით. მონაცემები, რომლებიც საბრძოლო მასალების დამაზიანებელ მოქმედებებს ახასიათებს სპეციალურ ცხრილებში აღინიშნება. მათი მეშვეობით ხდება სარაკეტო დარტყმების მიყენება, საარტილერიო სროლა, ბომბდაშენა და **დ.ზ**-ის გათვლები. **დ.ზ**-ის მახასიათებლები უჩვენებენ ზომებს, რომლის ფარგლებშიც საბრძოლო მასალის აფეთქების დროს მიზანი მოცემული ალბათობით ზიანდება. 2. სივრცე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის გარშემო, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია საჰაერო მიზნის დაზიანება გათვალისწინებულზე არანაკლები ალბათობით. **დ.ზ**. ხასიათდება შორეული, ახლო, ზედა და ქვედა საზღვრების მდებარეობით.

დაზიანების რადიუსი, დაზიანების ზონის რადიუსი, მანძილი საბრძოლო მასალის აფეთქების ცენტრიდან (ეპიცენტრიდან), რომლის საზღვრებში შესაძლებელია ობიექტების დაზიანება.

დაზიანების საიმედოობა, მიზნის (ობიექტის) დაზიანებით გათვალისწინებული შედეგის მიღების ალბათობა. **დ.ს**-ის მაჩვენებლებია: წერტილოვანი მიზნის – დაზიანების ალბათობა; ჯგუფური მიზნის – გარანტირებული ალბათობა, ე.ი. გარანტირებული (გათვალისწინებულზე არანაკლები) ზარალის მიყენების ალბათობა. გადასაწყვეტი ამოცანის მასშტაბის შესაბამისად, გარანტირებული ალბათობის მნიშვნელობას იღებენ 0,9–1,0-ის ფარგლებში. **დ.ს**-ის მაჩვენებლებია აგრეთვე საბრძოლო საშუალებების (რაკეტების, ხომალდების, თვითმფრინავების, ქვემეხების და სხვა) მოზიდვის და იმ საბრძოლო მასალის ხარჯვის ნორმები, რომლებიც დგინდება იარაღის საბრძოლო გამოყენებისა და თეორიული გაანგარიშების გამოცდილების საფუძველზე.

დაზიანების სიმჭიდროვე, საარტილერიო ცეცხლით მიზნის დაზიანების (ჩახშობის ან განადგურების) საიმედოობის ერთ-ერთი მახასიათებელი. გამოიხატება სროლის მოცემული პირობებისთვის ჭურვების (ნაღმების) ხარჯვის დადგენილი ნორმის წილებით, მიზანზე ფაქტობრივად დახარჯული ჭურვების ან მისი ფართობის 1 *ჰა*-ზე (მიზნის ფრონტის 100 *მ*-ზე), დაზიანების მთელი დროის განმავლობაში, ფაქტობრივად დახარჯული ჭურვების რაოდენობით.

დაზიანების ხარისხი (ობიექტის), მწყობრიდან გამოსული პირადი შემადგენლობის

სამხედრო ტექნიკისა და ნაგებობების რაოდენობის შეფარდება დაზიანებამდე არსებულ მათ საერთო რაოდენობასთან. ზოგადად გამოისახება პროცენტებში.

დაკავება, 1. ტაქტიკური ამოცანა, რომლის შესრულების დროს შეიარაღებული ძალა მიზნის, გადამწყვეტი მნიშვნელობის ადგილის, ხელოვნურად შექმნილი თუ ბუნებრივი ობიექტების მიმართულებით გადაადგილდება ისე, რომ არ ხვდება წინააღმდეგობას და მთლიანად იკავებს მოცემულ რაიონს. 2. დაკავებულ რაიონში დარჩენა და მასზე კონტროლის შენარჩუნება.

დაკავშირება, ინფორმაციის გაცვლა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

დაკომპლექტების ექსტერიტორიული პრინციპი, ჯარების (ძალების) შევსება პირადი შემადგენლობით საჯარისო ნაწილებისა და შენაერთების დისლოკაციის (ფორმირების) რაიონების ფარგლების გარეთ მცხოვრები გასაწვევი კონტინგენტის ხარჯზე. საშუალებას იძლევა, შეივსოს საჯარისო ნაწილები საჭირო რაოდენობისა და სათანადო მომზადების პირადი შემადგენლობით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მთელ რიგ ქვეყნებში შეხამებულია ტერიტორიული ჯარების დაკომპლექტების ტერიტორიულ პრინციპებთან.

დაკომპლექტების მილიციური სისტემა, იხ. *ტერიტორიულ-მილიციური სისტემა.*

დაკომპლექტების ტერიტორიული პრინციპი, ჯარების (ძალების) შევსება პირადი შემადგენლობით იმ წვევამდელი კონტინგენტის ხარჯზე, რომელიც ცხოვრობს სამხედრო ნაწილების დისლოკაციის ადგილის მახლობლად. შემორჩენილია ზოგიერთ ქვეყანაში ტერიტორიული ჯარების შესავსებად.

დამაბრკოლებელი ვითარება, სივრცეში და დროში, სიხშირეების დიაპაზონსა და სხვა განზომილებებში არსებული ფიზიკური ველების, პროცესებისა და მოვლენების ერთობლიობა. **დ.ვ.** საჭირო სიგნალების მიღებას აძნელებს ან უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მათზე, აუარესებს რადიოელექტრონული საშუალებების, კომპლექსების, მართვადი იარაღის და სამხედრო ტექნიკის ან ინფორმაციის დამუშავების სისტემების ფუნქციონირების ხარისხს.

დამატებითი დაზვერვა, შექმნილი მდგომარეობის შესახებ ხელთ არსებული მნიშვნელოვანი, მაგრამ ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემების შემოწმება. ასევე მოწინააღმდეგის ჩანაფიქრის, მოქმედებების და განლაგების შესახებ სარწმუნო და სრული მონაცემების მოპოვება. ძირითადად ხდება კოორდინატების დაზუსტება მათზე დარტყმების განხორციელების წინ უკვე დაზვერილი ობიექტების რაიონებში. უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება დაზვერვის ტექნიკური ძალები და საშუალებები. მათ შეუძლიათ მოიპოვონ საკმაოდ ზუსტი ახალი მონაცემები და დააზუსტონ არსებული ძველი მონაცემები, ისე, რომ მოწინააღმდეგის ობიექტმა ვერ შეძლოს მდებარეობის შეცვლა მასზე დარტყმის განხორციელებამდე.

დამატებითი ძალები, ძალები, რომლებიც გადაჰყავთ მხარდაჭერის უზრუნველმყოფი ძალების მეთაურის დაქვემდებარებიდან ბრძოლაში მონაწილე ძალების მეთაურის განკარგულებაში.

დამბაჩა, პისტოლეტი, ინდივიდუალური ცეცხლსასროლი იარაღი. განკუთვნილია მოკლე მანძილზე მოწინააღმდეგის დასაზიანებლად. ცნობილია საბრძოლო, სასიგნალო, სპორტული დამბაჩები.

დამენია ზაზა გრიგოლის ძე (1972–2004), საქართველოს ეროვნული გმირი (წოდება მიენიჭა 2004 წელს, გარდაცვალების შემდეგ). 1992 წლიდან მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების სადაზვერვო ბატალიონში, 1993 წლიდან იბრძოდა აფხაზეთში. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (2003). დაიღუპა 2004 წელს ცხინვალში. შეტევის დროს გადაეფარა ხელყუმბარას და თანამებრძოლებს გასასვლელი გზა მისცა.

დამიზნება, გასროლის (გაშვების) წინ იარაღისთვის სივრცეში ისეთი მდგომარეობის მიცემა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილი იქნება დაზიანების საშუალებების მიზანში მოხვედრა. იგი მოიცავს სამიზნეზე (სამიზნე მოწყობილობებზე, **დ**-ის სისტემაზე და სხვა) ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სიბრტყეში გათვლილი კუთხეების დაყენებას და ნიშანში ამოღებას (იარაღისთვის ამ კუთხეების შესაბამისი მდგომარეობის მიცემა).

დამიზნების კუთხე, კუთხე დამიზნებული ქვემეხის ლულის არხის ღერძსა და დამიზნების ხაზს შორის.

დამკრძალავი საქმიანობა, ფართო სამხედრო პროგრამა, რომელიც გარდაცვლილებზე ზრუნვას ითვალისწინებს. ის სამი ქვეპროგრამისგან შედგება: ახალგარდაცვლილთა დაკრძალვის პროგრამა, საფლავების რეგისტრაციის პროგრამა და მოწინააღმდეგისთვის ცხედრების დაბრუნების პროგრამა.

დამოკიდებული ტერიტორიები, სახელმწიფო – მეტროპოლიების სამფლობელოები, რომლებიც ექვემდებარებოდნენ მათ სრულ ან ნაწილობრივ მმართველობას. როგორც წესი, ეს არის არქიპელაგები, ცალკეული კუნძულები ან უმნიშვნელო ზღვისპირა ტერიტორიები. ბევრ **დ.ტ**-ზე იმყოფებიან ჯარები, არის სამხედრო ბაზები, მეტროპოლიებისა და მათი

მოკავშირეების სხვა ობიექტები. მათ თვალს ადევნებს გაეროს დეკოლონიზაციის სპეციალური კომიტეტი.

დამოუკიდებელი კომისია, განიარაღებისა და უშიშროების საკითხებში (პალმეს კომისია), საერთაშორისო არასამთავრობო ჯგუფი, რომელიც შეიქმნა 1980 წლის სექტემბერში შვედეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის უ. პალმეს ინიციატივით. კომისიამ მოამზადა მოხსენება „უშიშროება ყველასთვის, განიარაღების პროგრამა“, რომელშიც მითითებული იყო ომის მზარდ საშიშროებაზე და კონკრეტულ ღონისძიებებზე შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების შესახებ. კომისიის დასკვნები და რეკომენდაციები განსახილველად გაეროს კომისიას გადაეცა.

დამოუკიდებელი ძებნის რაიონი, საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებში საფრენი აპარატების ეკიპაჟები საჰაერო და სახმელეთო მიზნების დამოუკიდებელ ძებნასა და განადგურებას აწარმოებენ. საჰაერო მიზნების დ.ძ.რ. ინიშნება ფრონტის ხაზის მიღმა ან საკუთარი ტერიტორიის თავზე.

დამოუკიდებლობისათვის ომი ჩრდილოეთ ამერიკაში 1775–83, 13 ინგლისური კოლონიის განმათავისუფლებელი ომი ინგლისელთა კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ. ატარებდა ბურჟუაზიული რევოლუციის ხასიათს. დაიწყო კონკორდთან და ლექსინგტონთან ბრძოლებით (1776 წლის აპრილი). 1776 წლის 4 ივლისს აჯანყებული კოლონიების წარმომადგენლებმა მიიღეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია, რომლითაც გამოცხადდა მათი გამოყოფა მეტროპოლიისაგან და დამოუკიდებელი სახელმწიფოს – აშშ-ის შექმნა. ამერიკულმა არმიამ (მთავარსარდალი *ჯ. ვაშინგტონი*) დამაჯერებელი გამარჯვებები მოიპოვა სარატოგასთან (1777) და იორკტაუნთან (1781). ვერსალის საზავო ხელშეკრულებით 1783 წელს ინგლისმა ცნო აშშ-ის დამოუკიდებლობა.

დამრტყმელი სარდლობა, იხ. *სარდლობები.*

დამრტყმელი ჯგუფი, 1. ზოგიერთი ქვეყნის არმიის ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობის ელემენტი, რომელიც განკუთვნილია შეტევისას (თავდაცვაში კონტრშეტევისას), მთავარი დარტყმის მისაყენებლად. **დ.ჯ**-ის შექმნა დაკავშირებულია ღრმა ოპერაციის (ღრმა ბრძოლის) თეორიის შემუშავებასთან. 2. სამხედრო-საზღვაო ძალებში – ფლოტის ძალების დროებითი ფორმირება, საბრძოლო წყობის (ოპერატიული დაწყობის) ელემენტი, რომელიც განკუთვნილია ბრძოლაში (ოპერაციაში) კერძო ამოცანის გადასაწყვეტად; 3. სამხედრო-საჰაერო ძალებში – ტაქტიკური დანიშნულების ძირითადი ჯგუფი; ქვედანაყოფის, ნაწილის, შენაერთის საბრძოლო წყობის მთავარი ელემენტი, განკუთვნილი მოწინააღმდეგის სახმელეთო, საზღვაო ობიექტების და საჰაერო სამიზნეების გასანადგურებლად. რიგ ქვეყნებში მთავარ მიმართულებაზე იქმნება მთავარი დარტყმის დაჯგუფება, დამხმარეზე – დამხმარე დარტყმის დაჯგუფება.

დამსწრენი დარტყმა, დარტყმა, რომელიც მოწინააღმდეგეს მისი მხრიდან აქტიური მოქმედებების დაწყებამდე მიეყენება. **დ.დ**-ის მიზანია მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი შეტევა მისი ძალების და საშუალებებისთვის დიდი ზარალის მიყენება და საბრძოლო მოქმედებებში ინიციატივის მოპოვება. **დ.დ**-ის მომზადება მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, ფარული მოქმედებების და შენიღბვის ყველა ღონისძიებების (საწყისი რაიონების, საცეცხლე პოზიციების დაკავება, ამოცანების დასახვა და ა.შ.) განხორციელების დროს.

დამსჯელი ექსპედიციები, სამხედრო აქციები, რომლებსაც ჯარები და სხვა სახელმწიფო შეიარაღებული ფორმირებები ახორციელებენ ამბოხებების, აჯანყებების, მასობრივი სახალხო გამოსვლების რაიონებში მათი ჩახშობის, მონაწილე და თანამგრძნობი მოსახლეობის მიმართ რეპრესიების განხორციელების მიზნით. შიდასახელმწიფოებრივი **დ.ე**. ყველაზე მეტად არის დამახასიათებელი რევოლუციების და სამოქალაქო ომების პერიოდებისთვის. სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე **დ.ე**. გამოიყენება ოკუპაციის პერიოდში პარტიზანებისა და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, ხოლო მშვიდობიანობის დროს არცთუ იშვიათად მიმდინარეობს სხვადასხვა ყალბი საბაბით (უცხოელ მოქალაქეთა გადარჩენა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და სხვა). **დ.ე**-ისთვის დამახასიათებელია შედარებითი შეზღუდვა ძალების, ადგილის და დროის მხრივ, მათი განხორციელებისას დაშვებული სამართლებრივი ნორმების, ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების სერიოზული დარღვევები, სპეციალურად მომზადებული ჯარებისა და დაქირავებული სამხედრო მოსამსახურეების მოზიდვა.

დამტენი, სპეციალურად გამოყოფილი სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც ევალება საარტილერიო ქვემეხის, ნაღმსატყორცნის, ტანკის ქვემეხის დატენა.

დამფარავი კვამლი, მოწინააღმდეგის და საკუთარ ძალებს შორის არსებულ სივრცეში ან უშუალოდ მოწინააღმდეგის პოზიციებზე დაბნევის, ან დეზორიენტირების მიზნით კვამლის გაშვება.

დამძირავებლობა, შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების ხერხი, სამხედრო სამსახურში პირების დაქირავებით მოზიდვა. გამოიყენება უძველესი დროიდან, ყველაზე მეტად გავრცელდა XV–XVII საუკუნეებში გერმანიაში, ესპანეთში, ინგლისში, საფრანგეთსა და

დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. თანამედროვე ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში კონტრაქტით გაწვევა ფაქტობრივად არის **დ.**

დამცავი კვამლი (მიზნის აღმოჩენისთვის), დამცავი სისტემების მოქმედების ან მართვადი იარაღის გამოყენებისთვის ხელის შესაშლელად გაშვებული კვამლი.

დამცავი ნაგებობები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომელთა დანიშნულებაა დაიცვან პირადი შემადგენლობა, სამხედრო ტექნიკა და მატერიალური მარაგი დაზიანების სხვადასხვა საშუალებებისგან. შეიძლება იყოს ღია და დახურული. ღია **დ.ნ**-ის რიცხვს განეკუთვნება: სანგრები, ტრანშეები, სანგარსავალები, თხრილები, ქვაბულები, მიწაყრილის საფრები სამხედრო ტექნიკისთვის და სხვა. დახურული **დ.ნ**. არის: ბლინდაჟები, თავშესაფრები, სამხედრო ტექნიკისა და მატერიალური მარაგის სპეციალური საფრები. ამ უკანასკნელებს შეიძლება ჰქონდეს ინდივიდუალური ან კოლექტიური დაცვა მასობრივი დაზიანების იარაღისგან.

დამხმარე ავიაცია, განკუთვნილი იყო ჯარების მართვის, დაჭრილებისა და ავადმყოფების გადაყვანის უზრუნველსაყოფად. მოიცავდა კავშირგაბმულობის, სატრანსპორტო და სანიტარულ ავიაციას. თანამედროვე არმიებში ანალოგიურ ამოცანებს წყვეტს სპეციალური ავიაცია.

დამხმარე გეგმა, გეგმა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული განსაკუთრებულ ვითარებაში მოქმედებების განსაზღვრულ გეგმასთან ან ოპერაციის გეგმასთან. იგი მოიცავს მოქმედებების ფართო, ყოვლისმომცველ ან კონკრეტულ მიმართულებებს, ასევე საერთო და კერძო ამოცანებს. ასეთ გეგმაში დაწვრილებით განიხილება საკითხები, რომლებიც არ შეიძლება საწყის გეგმაში იყოს ჩართული.

დამხმარე დარტყმა, ძალების და საშუალებების ნაწილის მიერ მთავარი დარტყმის მიმართულებისაგან მოშორებით (დამხმარე ან სხვა მიმართულებით) მიყენებული დარტყმა. **დ.დ**-ის მიზანია შექმნას ხელშემწყობი პირობები მთავარი ძალების წარმატების მისაღწევად, მოწინააღმდეგის შესაბოჭად, მთავარი დარტყმის მიმართულებაზე მისი ძალების და საშუალებების მანევრის აღსაკვეთად; **დ.დ**-მ უნდა უზრუნველყოს მთავარი დაჯგუფების დაცვა ფლანგზე მოწინააღმდეგის კონტრდარტყმებისგან (კონტრიერიშებისგან); მოწინააღმდეგის მთავარი ძალების გარშემოვლა მისი უსწრაფესი განადგურების განსახორციელებლად ან ალყაში მოსაქცევად.

დამხმარე მიმართულება, ადგილმდებარეობის (წყლის ან საჰაერო სივრცის) ზოლი, სადაც ოპერაციის (ბრძოლის) დროს ძალებისა და საშუალებების მცირე ნაწილი აწარმოებდა საბრძოლო მოქმედებებს ან სადაც ხორციელდებოდა დამხმარე დარტყმა. ოპერაციის (ბრძოლის) დროს, შექმნილი ვითარების შესაბამისად, **დ.მ**. არაერთგზის გამხდარა მთავარი მიმართულება.

დამხმარე სათვალთვალო პუნქტი, საარტილერიო ქვედანაყოფების საბრძოლო წყობის ელემენტი. მისი დანიშნულებაა სამეთაურო სათვალთვალო პუნქტებთან ერთად საკუთარი ჯარების წინა მხარის წინ და მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობის უახლოეს სიღრმეში ვიზუალური დაზვერვის წარმოება. იგი ხორციელდება საერთო საჯარისო ქვედანაყოფების ურთიერთქმედების მხარდაჭერის და სროლის კორექტირების მიზნით. ცნობილია მეწინავე და გვერდითი **დ.ს.პ**-ები.

დანაღმვა, ნაღმების ველების მოწყობა, ჯგუფური და ცალკეული ნაღმების (ფუგასების) დაყენება მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენების, მისი მანევრის შეზღუდვის და ნაგებობების ნგრევის მიზნით. ძირითადად ხორციელდება საინჟინრო ჯარების ძალებით. **დ.** შეიძლება განხორციელდეს როგორც ნაღმების დასაყენებლად მექანიზებული საშუალებების გამოყენებით, ასევე ხელით. მექანიზაციის საშუალებებს განეკუთვნება სანაღმე ღობურების დასაყენებელი და დისტანციური **დ**-ის საშუალებები. სანაღმე ღობურების მოწყობის ძირითადი დანიშნულებაა მიწაში ან მის ზედაპირზე ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების დაყენება. დისტანციური **დ.** ხდება სანაღმე ღობურების ათეული მეტრიდან ასეულ კილომეტრამდე მანძილზე ძალიან მოკლე ვადებში. სისტემების შემადგენლობაში შედის ტანკსაწინააღმდეგო, ტრანსპორტსაწინააღმდეგო, ფეხოსანთსაწინააღმდეგო ნაღმები, მათი დაყენების და გადატანის საშუალებები (მანქანა, საარტილერიო ჭურვი, რაკეტა, თვითმფრინავი ან ვერტმფრენი).

დანაღმვის ზღუდე, ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც გამიზნულია დანაღმული ველების მოსაწყობად და ცალკეული ობიექტების (ხიდების, ვიადუკების და ა.შ.) ნგრევისთვის მოწინააღმდეგის წინსვლის შეყოვნებისა და მისთვის დანაკარგის მიყენების მიზნით. **დ.ზ**-ს ნიშნავენ მოწინააღმდეგის იერიშების, კონტრიერიშების (კონტრდარტყმების) მიმართულებებზე, საკუთარი ჯარების გაშლის ზღუდის, საშიში ფლანგების, პირაპირებისა და შუალედების ღობურებით დასაფარავად.

დანაღმვის საშუალებები, სპეციალური საშუალებები ნაღმასაფეთქებელი ღობურების შესაქმნელად. განასხვავებენ საინჟინრო ჯარების (ნაღმურ გადამღობებს და ჩამწყობებს, დისტანციური დანაღმვის კომპლექსებს), საავ-

იაციო (კიდულ კონტეინერებს და სატვირთო კაბინების სპეციალურ მოწყობილობებს საინჟინრო და საზღვაო ნაღმებით), საზღვაო (წყალზედა და წყალქვეშა ნაღმური გადამღობები) და საარტილერიო **დს**-ს (საინჟინრო ნაღმებით აღჭურვილი კასეტური საარტილერიო და რეაქტიული ჭურვები).

დანაღმული ველი, ადგილმდებარეობის (აკვატორიის) მონაკვეთი, რომელშიც ნაღმები გარკვეული წესით არის დაყენებული. **დ.ვ.** ნაღმასაფეთქებელი ღობურების საფუძველია და აქვს ყველაზე მაღალი გადამღობავი თვისება. **დ.ვ.** ნაღმების დანიშნულების მიხედვით იყოფა: ტანკსაწინააღმდეგო, ქვეითსაწინააღმდეგო, ტრანსპორტსაწინააღმდეგო,
დესანტსაწინააღმდეგო და შერეულ ველებად; ამოქმედების ხერხის მიხედვით ისინი შეიძლება იყოს: უმართავი და მართვადი. ნაღმებს აყენებენ წინასწარ, ბრძოლისთვის მზადების და ბრძოლის დროს, შენიღბვით (გრუნტში, თოვლში ჩაფლობით) და შეუნიღბავად (გაფანტვით) მექანიზაციის საშუალებების გამოყენებით, დისტანციურად და ხელით.

დ.ვ. იქმნება: ტანკსაწინააღმდეგო – ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანების, ჯავშანტრანსპორტიორების და სხვა სამხედრო ტექნიკის დასაზიანებლად; ქვეითსაწინააღმდეგო – ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების ფუგასური მოქმედებით ან ნამსხვრევებით მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დასაზიანებლად; დესანტსაწინააღმდეგო – წყლისმიერ დაბრკოლებაზე, ზღვისპირა ზოლზე, მცირე სიღრმეზე, მოწინააღმდეგის მცურავი სამხედრო ტექნიკის, სადესანტო-გადასასხმელი და გადასასვლელ-სადესანტო საშუალებების დაზიანების მიზნით. **დ.ვ.**-ის დასაყენებლად გამოიყენება სპეციალური დესანტსაწინააღმდეგო ნაღმები. შერეული **დ.ვ.** ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების დაყენებით იქმნება. აგრეთვე მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანისა და ღობურებში გასასვლელების შენიღბვის მიზნით იქმნება ცრუ **დ.ვ.**-ები. საჰაერო დესანტებთან და აერომობილურ ჯარებთან ბრძოლისთვის გათვალისწინებულია სპეციალური **დ.ვ.**-ების შექმნა. უმართავი **დ.ვ.**-ები ისეთი ნაღმების დაყენებით იქმნება, რომლებიც ფეთქდება ადამიანის, ტანკის, ავტომობილის ამფეთქზე უშუალო ზემოქმედების შედეგად. მართვადი **დ.ვ.** ნაღმების, უსაფრთხო მდგომარეობიდან საბრძოლო მგომარეობაში და პირიქით გადაყვანის საშუალებას იძლევა, აგრეთვე შერჩევით ან ერთდროულად კომანდით (რადიო ან სადენებით) მათ აფეთქებას იწვევს. ნაღმებს, რომლებიც დისტანციური დანაღმვის საშუალებების მეშვეობით გამოიყენება, როგორც წესი, განსაზღვრული ვადით აყენებენ, რის შემდეგ მათი თვითლიკვიდაცია ხდება.

გარდა ამისა, განასხვავებენ ხელშემშლელ **დ.ვ.**-ებს (იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეს ხელი შეუშალონ, გამოიყენოს ადგილმდებარეობის ზოგიერთი რაიონი, გზა, ხიდი; დეზორგანიზაცია შეიტანონ მის მოქმედებაში და სხვა); აგრეთვე დამცავ (ქვედანაყოფების, ობიექტების, პოზიციების დასაფარავად და ა.შ.), გადამღობ (შეტევაში მყოფი მოწინააღმდეგის შესაკავებლად, ცეცხლით და დარტყმებით მისთვის ზიანის მისაყენებლად, აგრეთვე ფლანგების და ზურგის დასაფარავად); თავდაცვით (ფრონტის, თავდამცველი ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო წყობაში ფლანგების და პირაპირების დასაფარავად) **დ.ვ.**-ებს. მისი ძირითადი მახასიათებლებია: 1 *კმ*-ზე ნაღმების ხარჯი; სიგრძე და სიღრმე ფრონტზე, მოწინააღმდეგის მოსალოდნელი დანაკარგები და მისი შეყოვნების ხანგრძლივობა.

დანაშაული მშვიდობისა და კაცობრიობის წინაშე, იხ. *საერთაშორისო დანაშაული.*

დანია (Danmark – დანიის სამეფო), სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, იუტლანდიის ნახევარკუნძულსა და ბალტიის ზღვაში მდებარე კუნძულებზე. ფართობი 43 ათ. *კმ*². მოსახლეობა 5,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – დანიური. დედაქალაქი – ქ. კოპენჰაგენი. ადმინისტრაციულად იყოფა 22 ამტად (ოლქად). **დ**-ის შემადგენლობაში ავტონომიად შედიან კუნძული გრენლანდია და ფარერის კუნძულები. **დ**. საკონსტიტუციო მონარქიაა. სახელმწიფოს ხელმძღვანელობს მონარქი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს მონარქს და ფოლკეტინგს (ერთპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მონარქს, რომლის სახელითაც მას ახორციელებს მთავრობა. **დ**. ნატოს წევრი ქვეყანაა. განვითარებულია იდუსტრიულ-აგრაგული დარგი. ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია ექსპორტზე. სამხედრო მრეწველობა სპეციალიზებულია სამხედრო ხომალდების და შეიარაღების ცალკეული სახეობების წარმოებაზე. მთავარი საზღვაო პორტია კოპენჰაგენი. საერთაშორისო აეროპორტი – კასტრუპი (კოპენჰაგენი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 18,8 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 10,7 ათ., სამხედრო-საზღვაო 3,9 ათ. და სამხედრო-საჰაერო 4,2 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული ფორმით. გასამხედროებული მოხალისეთა ორგანიზაცია „ჰამვერი“, საერთო შემადგენლობით 53,5 ათ. კაცი (2012), რომელიც მხარს უჭერს ტერიტორიული თავდაცვის და შეიარაღებული ძალების ამოცანების გადაწყვეტას.

დაპირისპირებული მხარეების დაშორიშორება, სამშვიდობო ოპერაციის ერთ-ერთი ეტაპი. მისი დანიშნულებაა შეიარაღებული შეტაკებების აღკვეთა, ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება, სამოქალაქო მოსახლეობის კონფლიქტის ზონიდან ევაკუაცია, კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პირობების შექმნა და მებრძოლ მხარეებს შორის განმცალკევებელი ზოლის მოწყობა.

დაპირისპირებული ძალები, 1. ძალები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების დროს წარმოადგენენ ორ მოწინააღმდეგე მხარეს; 2. ძალები, რომლებიც ნატოს სწავლებებში მოწინააღმდეგის როლს ასრულებენ.

დარდანელის ოპერაცია 1915, 1916 (19 თებერვალი, 9 იანვარი), I მსოფლიო ომის დროს ინგლისისა და საფრანგეთის სადესანტო ჯარები საბრძოლო ხომალდების მხარდაჭერით გალიპოლის ნახევარკუნძულზე გადასხდნენ დარდანელის, ბოსფორის სრუტეებისა და სტამბოლის ხელში ჩასაგდებად, მაგრამ დამპყრობლები დიდ წინააღმდეგობას წააწყდნენ ოსმალთა ჯარების მხრიდან. ოპერაციაში მოკავშირეებმა დაკარგეს 145 ათ. კაცი და 6 სახაზო ხომალდი, თურქებმა – 186 ათ. კაცი და 1 სახაზო ხომალდი. **დ.ო**-ის წარუმატებლობას შედეგად მოჰყვა ბულგარეთის ჩაბმა ომში გერმანიის მხარეზე.

დარიგება, საწესდებო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მითითებებს საბრძოლო მოქმედებების, ჯარების მართვის, იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენების, აგრეთვე საბრძოლო მომზადების შესახებ.

დარიოს I, *დ ა რ ა ი ა ვ ა ჰ უ შ*, სპარსეთის მეფე აქემენიდების დინასტიიდან ძვ.წ. 522–486 წლებში, (იხ. *აქემენიდების სახელმწიფო*), ჩაატარა ადმინისტრაციული, საგადასახადო და სხვა რეფორმები, გააფართოვა სახელმწიფოს საზღვრები დასავლეთით და აღმოსავლეთით, მაგრამ წარუმატებლად ეომა სკვითებსა და ბერძნებს. **დ. I**-ის პერიოდი ძველი სპარსეთის ძლიერების მწვერვალია.

დარტყმა, აგრესიული ან ძალისმიერი სამხედრო ზემოქმედება, რომელიც ჩვეულებრივ, მოულოდნელად ხორციელდება. ოპერაციასა და ბრძოლაში სარაკეტო ჯარების, სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიული (საბრძოლო) გამოყენების ფორმა. მისი არსია მოწინააღმდეგის ხანმოკლე მძლავრი დაზიანება ბირთვული, ჩვეულებრივი იარაღით ან ჯარების შეტევით (ჯარების **დ.**). მასშტაბის მიხედვით **დ.** შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური; გამოყენებულ საშუალებათა კვალობაზე – ბირთვული (ბირთვულ-სარაკეტო) და საცეცხლე (საარტილერიო, სარაკეტო და საავიაციო). სარაკეტო **დ.** შეიძლება იყოს ცალკეული, ჯგუფური ან მასირებული. ამ **დ**-ის მიყენება ხდება მოწინააღმდეგის ერთ ან რამდენიმე ობიექტზე შეიარაღებული ძალების ერთი, ან რამდენიმე სახეობის საშუალებებით ერთდროულად. საავიაციო **დ.** შეიძლება იყოს ცალკეული, ჯგუფური (თავმოყრილი) ან მასირებული. მას ახორციელებს რამდენიმე შენაერთი (ნაწილი, ქვედანაყოფი) ერთდროულად ან თანამიმდევრულად. ქვეითი ან სატანკო ჯარებისათვის **დ.** გამოიხატება მოწინააღმდეგის საცეცხლე (ბირთვული) დაზიანებით, ქვეითებისა და ტანკების სწრაფი იერიშით სარაკეტო ჯარების, არტილერიის, ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო (ზღვისპირა მიმართულებებზე) ძალების მხარდაჭერით. ოპერაციებში ჯარებმა შეიძლება მოწინააღმდეგეს მიაყენონ რამდენიმე **დ.**, რომელთაგან ერთ-ერთი არის მთავარი. შეტევაში მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევასთან ერთად, ჩვეულებრივ, ხორციელდება ფრონტალური **დ**-ებიც; მოწინააღმდეგის დაჯგუფების გარშემორტყმის ან შემოვლის მიზნით მას მიაყენებენ ფლანგურ **დ**-ს, ხოლო გახლეჩისთვის – გამკვეთ **დ**-ს. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებს შეუძლიათ **დ.** განახორციელონ ტორპედული იარაღით და წერტილოვანი **დ**-ით სხვადასხვა სახეობის იარაღის გამოყენებით.

დარტყმიდან ჯარების (ძალების) გამოსვლა (გამოყვანა), შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების სწრაფი და მალული გამოსვლა რაიონებიდან, პოზიციებიდან, მარშრუტებიდან, აეროდრომებიდან, ბაზირების პუნქტებიდან ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით. წარმოებს საფრთხის წარმოშობისას ან მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგე დარტყმების მოყენებას იწყებს. **დ.ჯ.(ძ.)ბ.(ბ)**-ის ძირითად ღონისძიებებს განეკუთვნება: ნაწილების (ხომალდების), ქვედანაყოფების გამოყვანა მუდმივი დისლოკაციის ადგილებიდან, თავმოყრის რაიონებიდან (ბაზირების პუნქტებიდან); მათი დაშორიშორება; ავიაციის გადაფრენა გადარჩენილ აეროდრომებზე ან საავტომობილო გზატკეცილის მონაკვეთებზე; შენაერთების ნაწილების, ქვედანაყოფების წინასწარგანზრახული გადაყვანა თავდაცვის სიღრმეში წინასწარმომზადებულ პოზიციებზე (ზღუდეებზე); სარაკეტო ჯარებისა და საჰაერო თავდაცვის ჯარების პოზიციური რაიონების, არტილერიის საცეცხლე პოზიციების, მართვის პუნქტების განლაგების რაიონების შეცვლა; საბრძოლო პატრულირების მარშრუტების შეცვლა და სხვა.

დასავლეთევროპული კავშირი (Western European Union – WEU), სამხედრო პოლიტიკური დაჯგუფება, შეიქმნა 1955 წელს. მასში გაერთიანებული იყო ბელგია, დიდი ბრიტან

ეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (შეიქმნა 1949 წლის 7 ოქომბერს). ამ კავშირმა შეიარაღებაზე კონტროლის ვალდებულება იკისრა. **დ.ძ**-ის უმაღლესი ორგანოა ასამბლეა. კავშირის საქმიანობა საკონსულტაციო ხასიათს ატარებს. მასში მონაწილე ქვეყნები არიან ნატოსა და ევროპის ეკონომიკური გაერთიანების წევრები.

დასაზიანებელი სივრცე, სივრცე (ადგილმდებარეობის მონაკვეთი), რომლის ფარგლებშიც მიზანი შეიძლება დაზიანებულ იქნეს პირდაპირი მოხვედრით ან მოცემული საცეცხლე პოზიციიდან ჭურვის, ტყვიის სროლით. **დ.ს.**, ჩვეულებრივ, განისაზღვრება ისეთ სიშორეზე სროლისას, რომელიც აღემატება პირდაპირი გასროლის სიშორეს. **დ.ს**-ის სიღრმე დამოკიდებულია მიზნის სიმაღლეზე, ტრაექტორიის დაქანებაზე, ადგილმდებარეობის დახრილობის კუთხესა და სხვა პარამეტრებზე.

დასაკავშირებელი გასასვლელი, ღია ტიპის ფორტიფიკაციური ნაგებობა პირადი შემადგენლობის ფარული გადაადგილებისთვის. მისი ზომებია: სიღრმე 40–60 *სმ* ხოხვით, 110 *სმ* მოხრილი და 150 *სმ* სრული სიმაღლით (ბრუსტვერის სიმაღლე 30–40 *სმ*) გადადგილებისას. **დ.ბ**-ის გარკვეულ მონაკვეთებზე შესაძლებელია მსროლელისთვის უჯრედების მოწყობა.

დასაფრენი მოედანი, ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც მოწყობილია ვერტმფრენების და მოკლე გარბენით თვითმფრინავების აფრენის და დაფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. **დ.მ**-ზე შეიძლება ბაზირებული იყოს ცალკეული თვითმფრინავები (ვერტმფრენები) ან დამხმარე ავიაციის ქვედანაყოფები.

დასვენების რაიონი, ადგილმდებარეობის მონაკვეთი, სადაც ჯარები დიდ მანძილზე მარშის შესრულებისას სადღეღამისო გადასვლის შემდეგ, პირადი შემადგენლობის დასვენების, ტექნიკის მომსახურების, მარაგის შევსების მიზნით ჩერდებიან. ირჩევენ მოძრაობის მარშრუტების მახლობლად. 3–5 დღიანი გადასვლის შემდეგ ინიშნება სადღეღამისო დასვენება.

დასნებოვნებასთან ბრძოლა, რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური დასნებოვნების გამორიცხვის, შემცირების ან აღმოფხვრის ღონისძიებები. მათი მიზანია, საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის მხარდაჭერა ან მათი ეფექტურობის გაზრდა. აქვს მუდმივი ან დროებითი საფუძველი.

დასნებოვნების სიმჭიდროვე, მომწამლავი ნივთიერების რაოდენობა, რომელიც დასნებოვნებული ფართობის (ზედაპირის) ერთეულზე მოდის; ქიმიური ვითარების მახასიათებელი ერთ-ერთი ფაქტორი. იზომება *გ/მ²*–ში. **დ.ს**-ით განისაზღვრება დასნებოვნებულ ადგილმდებარეობაზე მოქმედი ჯარების პირადი შემადგენლობის საფრთხის ხარისხი.

დასნებოვნებული ზონების გადალახვა, დასნებოვნებულ ზონებში (მონაკვეთებში) ჯარების (ძალების) ორგანიზებული გადაადგილება, რაც უზრუნველყოფს ბრძოლისუნარიანობის მაქსიმალურად შენარჩუნებასა და საბრძოლო ამოცანების შესრულებას. ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ასეთი ზონების გვერდის ავლა ან მათზე ჯარების გადასროლა ჰაერით. რადიოაქტიური **დ.ზ.ბ**. ხორციელდება შეუჩერებლივ ან გამოსხივების დოზის მაღალი სიმძლავრის დაცემის შემდეგ. ქიმიური და ბიოლოგიური დასნებოვნების ზონებს გვერდს უვლიან, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, გადალახავენ შეუჩერებლივ დაცვის საშუალებების გამოყენებით ან ადგილმდებარეობის დეგაზაციის, დეზინფექციის, ან ბუნებრივი გაუსნებოვნების შემდეგ.

დასხივების საბრძოლო ნორმა, ბირთვული გამოსხივების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც დასაშვებია მიიღოს ქვედანაყოფმა საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს.

დასხივების შესახებ გაფრთხილების სადგური, მოწყობილობა, რომლითაც საფრენი აპარატის, ხომალდის ან საბრძოლო მანქანის ეკიპაჟს ატყობინებენ, რომ მოწინააღმდეგემ დაზვერვის რადიოელექტრონული საშუალებით და მართვადი იარაღით დასხივება მოახდინა. საშუალებას იძლევა განისაზღვროს დასხივების წყაროს პელენგი, მისი დაშორება, მუშაობის რეჟიმი, რაკეტის გაშვების ფაქტი და სხვა. **დ.შ.ბ.ს**. შეიძლება იყოს რადიოტექნიკური, ოპტიკურ-ელექტრონული და ჰიდროაკუსტიკური. მიღებული ინფორმაციის შესაბამისად ეკიპაჟი ღებულობს სათანადო გადაწყვეტილებას. ზოგიერთი **დ.შ.ბ.ს**. მართავს დაბრკოლებების შემქმნელ და ავტომატურ რეჟიმში აქტიური დაცვის განმახორციელებელ მოწყობილობებს.

დატენის სიმჭიდროვე, მუხტის მასის შეფარდება საარტილერიო ქვემეხის მუხტის კამორის მოცულობასთან. რაც უფრო მეტია **დ.ს.**, მით მეტია წნევა ლულის არხში და ჭურვის საწყისი სიჩქარე. ლულიანი არტილერიისთვის **დ.ს**. უდრის 0,4–0.8 *კგ/დმ³*.

დატოვებული ძალა, ძალა, რომელიც რჩება ძველ პოზიციაზე განსაკუთრებული ამოცანის შესასრულებლად, როდესაც სხვა ძალები უკან იხევენ ან საბრძოლო მოქმედებების რაიონს დროებით ტოვებენ.

დაუყოვნებელი რეაგირების ძალები, ძალები, რომელთა შერჩევა და გაშლა ნატოს ქვეყნების მიერ მაღალ საბრძოლო მზადყო

ფნაში მყოფი ნაწილების საფუძველზე წარმოებს. შედგება: სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომპონენტებისგან. დაუყოვნებელი რეაგირების სახმელეთო ძალებმა შეცვალეს ევროპაში მოკავშირე სარდლობის მობილური სახმელეთო ძალები. დაუყოვნებელი რეაგირების სამხედრო-საჰაერო ძალების შერჩევა და გაშლა ხდება არსებული ესკადრილიების საფუძველზე, რომლებსაც ნატოს ქვეყნები გამოყოფენ და მაღალ საბრძოლო მზადყოფნაში არიან. დაუყოვნებელი რეაგირების საზღვაო ძალები შედგებიან: 1. ატლანტიკაზე სამხედრო-საზღვაო ძალების მუდმივი ოპერატიული შენაერთისგან. 2. ხმელთაშუა ზღვაზე ნაღმსაწინააღმდეგო ბრძოლის ძალებისგან; 3. ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში ნაღმსაწინააღმდეგო ბრძოლის ძალებისგან. (იხ. *სწრაფი რეაგირების ძალები*).

დაუძლურების სტრატეგია, სამხედრო მოქმედებების წარმოების ხერხი, რომელიც გულისხმობს საომარი მოქმედების თეატრში, მეთოდური მანევრირებით და მოწინააღმდეგის კომუნიკაციებსა და მომარაგების ბაზებზე ზემოქმედებით ომის მიზნების მიღწევას. ფართოდ იყო გავრცელებული XVI– XVII საუკუნეებში. მისი ერთ-ერთი უდიდესი მომხრე იყო პრუსიის მეფე ფრიდრიხ II. **დ.ს**-ის იდეები აისახა გ. ლოიდის, ა. ბიულოვის და სხვების შრომებში. **დ.ს**-ის ცალკეული ელემენტები გამოიყენება თანამედროვე ომებში.

დაფარვა, ჯარების (ძალების) განლაგების და საქმიანობის შენიღბვის ხერხი, აგრეთვე სხვადასხვა ობიექტის გამნიღბველი ნიშნების აღმოფხვრა ან შესუსტება. აღწევენ შენიღბვის დისციპლინის და ჯარების ფარული მართვის მოთხოვნების დაცვით, პირადი შემადგენლობის სიფხიზლით, ჯარების (ძალების) და ზურგის ობიექტების დაშორიშორებით, მათი განლაგების რაიონების შეცვლით, ადგილმდებარეობის და შენიღბვის საშუალებების მარჯვე გამოყენებით და სხვა ღონისძიებებით.

დაფარვის არმია, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ნაწილი, რომელიც წინასწარ იშლება საზღვართან ახლოს მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმის მოსაგერიებლად, მობილიზაციის, სამხედრო მოქმედებების თეატრზე მთავარი ძალების თავმოყრის და სტრატეგიული გაშლის უზრუნველსაყოფად, მათთვის და საომარ მოქმედებებში ორგანიზებული ჩართვისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. კატეგორია **დ.ა**. გაჩნდა I მსოფლიო ომის შემდეგ და დაკარგა თავისი მნიშვნელობა XX საუკუნის მეორე ნახევარში. თანამედროვე პირობებში **დ.ა**-ის ფუნქციებს ასრულებენ საზღვრისპირა სამხედრო დაჯგუფებების დაფარვის ჯარები.

დაფარვის ზონა, შეიარაღებული ძალების თავდაცვაში საბრძოლო მოქმედებების ზონის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფო საზღვრისა და თავდაცვაში მყოფი ჯარების მთავარი დაჯგუფებების დასაცავად მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარების უეცარი შემოჭრისაგან; აგრეთვე მეწინავე (ძირითადი) თავდაცვითი ზღუდის განლაგების თაობაზე მის შეცდომაში შესაყვანად, რაც გამოიწვევს მოწინააღმდეგის ჯარების დროზე ადრე გაშლას, გადაადგილებას და მათთვის ზიანის მიყენებას. **დ.ზ.** შემოიფარგლება ფრონტიდან სახელმწიფო საზღვრით, ზურგიდან – მეწინავე თავდაცვითი ზღუდის წინა კიდით, ფლანგებიდან – საომარი მოქმედების თეატრის საზღვრებით. დაზიანების ზონის სიღრმეა 15–70 *კმ*. მის ფარგლებში გათვალისწინებულია დაფარვის ჯარებისთვის პოზიციების, ცალკეული საყრდენი პუნქტებისა და თავდაცვის რაიონების მოწყობა, აგრეთვე საინჟინრო ღობურების განვითარებული სისტემის შექმნა. **დ.ზ**-ის მონაკვეთები, რომლებიც შედის გაერთიანებებისა და შენაერთების მოქმედების ზოლებში, შეადგენენ მათი უზრუნველოფის ზოლებს.

დაფარვის ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, სადაც განლაგებული არიან და ბრძოლას აწარმოებენ ქვედანაყოფები, რომლებიც გამოყოფილი არიან მთავარი ძალების ბრძოლიდან გამოსვლისა და უკანდახევის დასაფარავად. **დ.ზ**., ჩვეულებრივ, ბრძოლიდან გამოსვლის დაწყებისას მხარეთა შეხების ხაზს წარმოადგენს.

დაფარვის კუთხე, საფრის თხემსა და ქვემეხის ჰორიზონტს შორის არსებული კუთხე.

დაფარვის ძალები, 1. საჯარისო გაერთიანება, რომელიც მოქმედებს ძირითადი დაჯგუფებისგან განცალკევებით. მისი მიზანია დასაფარავ დაჯგუფებაზე თავდასხმის თავიდან აცილება, მოწინააღმდეგესთან შეხებაში შესვლა, საბრძოლო მოქმედებების წარმოება, შეკავება, მოწინააღმდეგის დეზორგანიზაცია და დაბნევა. 2. ნაწილები ან გამოყოფილი ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფენ შედარებით მსხვილი დაჯგუფებების დაცვას. ხორციელდება თვალთვალის, დაზვერვის, შეტევითი ან თავდაცვითი მოქმედებების გზით, ან ყველა ამ სახეობის შერწყმით. 3. ხომალდების შენაერთი (ჯგუფი, რაზმი), რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის წყალზედა ხომალდების თავდასხმისაგან დაიფაროს ფლოტის ძალების დაჯგუფება (შენაერთი), რომელიც დიდმნიშვნელოვან ამოცანას ასრულებს საბრძოლო მოქმედების პროცესში. **დ.ძ**. შეიძლება გამოიყოს ბადრაგის, სადესანტო რაზმების ზღვით გადასვლის უზრუნველსაყოფად და სხვა მიზნებისათვის.

დაშარვის ხომალდების რაზმი (შენაერთი), ერთი ან რამდენიმე კლასის ხომალდების დროებითი ფორმირება, რომლის მოვალეობაა ოპერაციის (ბრძოლის) დროს მოწინააღმდეგის დარტყმებისგან მთავარი ძალების, აგრეთვე საზღვაო გადაზიდვების განმახორციელებელი ბადრაგის დაფარვა, რომლებიც ხომალდების საბრძოლო (სალაშქრო) მწყობრში იმყოფებიან მოწინააღმდეგის შესაძლო დარტყმების მიმართულებაზე.

დაშარვის ჯარები, 1. ძირითადი დაჯგუფებისგან განცალკევებით მოქმედი სამხედრო ძალები, რომელთა მიზანს წარმოადგენს მოწინააღმდეგესთან შეხებაში შესვლა, საბრძოლო მოქმედებების წარმოება, მოწინააღმდეგის შეკავება, დეზორგანიზება და შეცდომაში შეყვანა, რათა აცილებულ იქნეს დაფარვის ქვეშ მყოფ ძალებზე მისი თავდასხმა. 2. უფრო მსხვილი ძალების დასაცავად გამოყოფილი ნაწილები ან ქვედანაყოფები, რომლებიც ამოცანას თვალთვალის, დაზვერვის, შეტევითი, ან თავდაცვითი მოქმედებების კომბინირებით ასრულებენ. 3. საზღვრისპირა გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები, რომლებიც განლაგებულია სახელმწიფო საზღვრის მახლობლად მოწინააღმდეგის უეცარი შემოჭრის მოსაგერიებლად, აგრეთვე საზღვარზე მოწინააღმდეგის აგენტურის, დივერსიულ-სადაზვერვო და სპეციალური ძალების გადმოსვლის აღსაკვეთად. **დ.ჯ.** სასაზღვრო ჯარებთან, აგრეთვე გამაგრებული რაიონების შენაერთებთან ურთიერთქმედებით უზრუნველყოფენ პირველი ეშელონის ჯარების ოპერატიულ გაშლას. ქმნიან ხელსაყრელ პირობებს საომარი მოქმედებების წარმოებისთვის. **დ.ჯ.** თავიანთი საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად იცავენ დანიშნულ ზღუდეებს მნიშვნელოვან მიმართულებებზე. **დ.ჯ**-ის გამოყენება დაიწყეს XVI საუკუნიდან; XX საუკუნის დამდეგიდან **დ.ჯ**-ის შემადგენლობაში შეჰყავდათ ჯარების სხვადასხვა გვარეობების (ფლოტის ძალების) შენაერთები და ნაწილები. აშშ-ის არმიაში **დ.ჯ.** ეწოდება შენაერთებსა და ნაწილებს, რომლებსაც გამოყოფენ მარშზე მთავარი ძალების დასაფარავად, დაფარვის ზონაში და ბრძოლიდან გამოსვლის დროს მოქმედებისათვის.

დაფრენისთვის წრეზე შემოსვლა, ხელსაწყოებით დაფრენისთვის შემოსვლის სქემის დამატება, რომელიც დაფრენის წინ აეროდრომის თავზე, წრეზე, ვიზუალურ ფრენას ითვალისწინებს.

დაქვემდებარების წესი, ოფიცერთა შემადგენლობის ხელმძღვანელი პირების მიერ ზემდგომიდან დაქვემდებარებულზე უფლებამოსილების გადაცემის წესი, რომლის მეშვეობით ჯარების მართვა ხორციელდება.

დაქირავება (გადაბირება), 1. ადამიანების დაქირავება სამხედრო სამსახურში ხელშეკრულების საფუძველზე, შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების ერთ-ერთი ხერხი. თანამედროვე არმიებში გამოიყენება სამხედრო სამსახურში კონტრაქტის საფუძველზე მიღების სახით. 2. სადაზვერვო სამსახურებში – ცალკეული პირების მოზიდვა საიდუმლო აგენტებად.

დაქირავებულები, 1. პროფესიონალი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის არიან დაქირავებული; 2. სპეციალურად დაქირავებული პირები, რომლებიც ანგარების მიზნით მონაწილეობენ შეიარაღებულ ბრძოლაში და არ ეკუთვნიან არც ერთ მეომარ მხარეს. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი **დ**-ის საქმიანობას დანაშაულებრივად მიიჩნევს. ისინი არ სარგებლობენ შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ნორმების მფარველობით, ვერ ექნებათ კომბატანტების ან სამხედრო ტყვეების სტატუსი, მათზე არ ვრცელდება თავშესაფრის უფლება.

დაქირავებული არმია, პროფესიონალ მეომართა ჯარები, რომლებსაც სახელმწიფოები, ქალაქები და ცალკეული ფეოდალები სამხედრო სამსახურისთვის ქირაობდნენ. გაჩნდა ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში (ძველ ეგვიპტეში), კომპლექტდებოდა ძირითადად დაქირავებული უცხოელებით. XV საუკუნის ბოლოდან ასეთი **დ.ა**-ები სახელმწიფოების ძირითად სამხედრო ძალად იქცა. XVII–XVIII საუკუნეებში დასავლეთ ევროპა გადავიდა ეროვნულ **დ.ა**-ებზე, რომლებიც კომპლექტდებოდა თავისი ქვეყნის მოქალაქეებით და მთლიანად იყო დამოკიდებული ცენტრალურ ხელისუფლებაზე. XVIII–XIX საუკუნეების დამლევს **დ.ა**-ები შეცვალა რეგულარულმა არმიებმა, რომლებიც კომპლექტდებოდა სამხედრო ბეგარის საფუძველზე. XX საუკუნის მეორე ნახევარში მთელ რიგ სახელმწიფოებში რეგულარული არმიების დაკომპლექტება დაიწყო კონტრაქტის საფუძველზე, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში არსებობდა დაკომპლექტების შერეული (სამხედრო ბეგარა და კონტრაქტი) პრინციპი.

დაძსაძვის ადგილი, ადგილი (რაიონი), რომელიც შერჩეულია კონცენტრაციისა და მოწყვლადობის დონის დასაქვეითებლად, სხვა სამხედრო მიზნებისგან ან გამოვლენილი საფრთხის რაიონიდან გამოყოფის (დაშორების) მიზნით.

დაშვება, 1. წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დასაცავი ობიექტის გახსნის და ყარაულისათვის დასაცავად ჩაბარების უფლებას იძლევა. აგრეთვე განსაზღვრავს დასაცავი ობიექტის გახსნის და ამ ობიექტზე **დ**-ის

ფესს. შეიძლება იყოს მუდმივი ან ერთჯერადი; 2. ტექნიკაში – ინტერვალი, რომლის ფარგლებში დასაშვებია პარამეტრის რიცხობრივი მახასიათებლის გადახრა მისი ნომინალური გაანგარიშებული მნიშვნელობისგან. 3. გრიფით „საიდუმლო“, „სრულიად საიდუმლო“ და „განსაკუთრებული მნიშვნელობის“. მასალების გასაცნობად – სპეციალური წერილობითი ნებართვა, რომელიც გაიცემა უწყების მიერ. იგი შეიძლება იყოს ერთჯერადი ან გარკვეული ვადით. მას გააჩნია გრადაცია საიდუმლოების ხარისხის მიხედვით.

დაშნა (იტალიური – Spade), საჩხვლეტი ან საჩხვლეტ-საჩეხი ცივი იარაღი. არის სწორი, გრძელი (1 *მ* და მეტი), ერთი ან ორპირიანი, ბრტყელი, ან წახნაგოვანი ფორმის და სხვადასხვა ფორმის ტარით. სატევრის სახესხვაობა, მოკლე მახვილი. ფორმითა და ზომით მოგრძო ხანჯალს წააგავს, მაგრამ მისგან განსხვავებით იკიდებენ გვერდზე და ვერტიკალურად. გაჩნდა XV საუკუნის დასაწყისში ესპანეთისა და იტალიის დიდგვაროვნებში, XVI საუკუნეში – ცხენოსნებსა და ქვეითებში მახვილის ნაცვლად. შენარჩუნებულია როგორც სპორტული, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში – როგორც საპატიო, საპარადო და ასევე საზღვაო ცივი იარაღი.

დაშორიშორება, 1. შეზღუდული ფართობის რაიონებში თავმოყრილი ჯარების, საბრძოლო ტექნიკის ან ორგანიზაციების მცირე ნაწილებად განლაგება, ან ერთმანეთისგან დაშორება, მოქმედების უნარისა და შესაძლებლობების ამაღლების მიზნით. 2. ჰაერიდან დესანტირების დროს, გადმოყრის ზონაში დაშვებისას, პირადი შემადგენლობის და/ან ტექნიკის გაფანტვა. 3. სავაჭრო ნაოსნობაზე სამხედრო-საზღვაო კონტროლის დროს გემების თავმოყრის შემცირება პორტის აკვატორიაში მათი სადგომების გადანაწილებით. ასევე ხომალდის გადაყვანა ღუზიან ახალ სადგომზე, რომელიც მდებარეობს პორტის აკვატორიის საზღვართან ან პორტთან ახლოს. მისი მიზანია ხომალდის უსაფრთხოების უზრუნველყოფა და თავდასხმის შემთხვევაში დაზიანების ალბათობის შემცირება.

დაშორიშორებული ბაზირების პუნქტი, ხომალდების (საბრძოლო კატარღების ჯგუფის) დგომის, მომარაგებისა და რემონტის ადგილი საზღვაო ძალების ბაზირების რაიონში (ზონაში), რომელიც შერჩეულია მოწინააღმდეგის მიერ მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების საფრთხის წარმოშობისას ხომალდების დაშორიშორების მიზნით. **დ.ბ.პ**-ში შეიძლება მოეწყოს სამანევრო ბაზირების პუნქტი, ამავე დროს იგი შეიძლება წარმოადგენდეს ქარისა და ტალღებისაგან ბუნებრივი საფრებით დაცულ ღუზაზე სადგომს.

დაცემის კუთხე, კუთხე დაცემის წერტილში ჭურვის ტრაექტორიის მხებსა და ქვემეხის ჰორიზონტს შორის.

დაცვა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ყველა სახეობის ბრძოლაში, გადაადგილებისა და ადგილზე განლაგების დროს, სახმელეთო მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმის აღკვეთის მიზნით. **დ**-ის მოვალეობაა არ დაუშვას მოწინააღმდეგის დაზვერვის შეღწევა მთავარ ძალებთან, უზრუნველყოს მათთვის ბრძოლაში ორგანიზებული და დროული ჩაბმის ხელშემწყობი პირობები. საბრძოლო უზრუნველყოფის სახეობა – ამ ტერმინით განზოგადებულად მოიხსენიებიან ძალები და საშუალებები, რომლებიც **დ**-ის ამოცანას ასრულებენ. განასხვავებენ საბრძოლო, სალაშქრო, საგუშაგო **დ**-ს. ქვედანაყოფებში და სამხედრო ობიექტებზე ორგანიზება უკეთდება უშუალო **დ**-ს.

ს ა ბ რ ძ ო ლ ო **დ.,** ძალები და საშუალებები, რომლებიც გამოიყოფა ბრძოლაში ჯარების დასაცავად, რათა არ დაუშვან მოწინააღმდეგის დაზვერვის შეღწევა საბრძოლო და წინასაბრძოლო წყობაში. ამასთან თავიდან აიცილონ ჯარებზე (ძალებზე) მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმა. სახმელეთო ჯარებში დაცვის ერთ-ერთი სახეობა. საბრძილო **დ**. იგზავნება თავდაცვის ორგანიზების დროს მოწინააღმდეგესთან დაშორიშორების პირობებში ან მეწინავე პოზიციის არარსებობისას. საბრძოლო **დ**-ის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, შეჰყავთ გაძლიერებული ქვეითი (სატანკო) ოცეული, რომელიც I ეშელონის ბატალიონებისაგან კომპლექტდება. შეტევაში საბრძოლო **დ**-ის ფუნქციებს ასრულებენ I ეშელონის მეწინავე ქვედანაყოფები. სამხედრო-საზღვაო ძალებში ეწყობა ფლოტის სახომალდო ძალების **დ**.

ს ა გ უ შ ა გ ო **დ**. იგზავნება ნაწილიდან (შენაერთიდან) მისი ადგილზე განლაგებისას, როდესაც მოსალოდნელია სახმელეთო მოწინააღმდეგის თავდასხმა. დ-ის განსახორციელებლად გამოიყოფა სადარაჯო რაზმები, სადარაჯო საგუშაგოები რომლებსაც ენიშნებათ დაცვის და დაზვერვის ზოლები, ასევე თავდაცვის ზღუდე. გარდა ამისა აყენებენ სადარაჯო საგუშაგოებს და აგზავნიან პატრულებს.

ს ა ლ ა შ ქ რ ო **დ**. სახმელეთო ჯარებში ხორციელდება ფრონტიდან ავანგარდებით და სათაო სალაშქრო საგუშაგოებით, საფრთხის შემცველი ფლანგიდან – გვერდითი სალაშქრო საგუშაგოებით და უძრავი გვერდითი საგუშაგოებით, ზურგიდან – ზურგის სალაშქრო საგუშაოებით.

უ შ უ ა ლ ო **დ**. ხორციელდება ყველა სახის ბრძოლაში ქვედანაყოფში, მართვის პუნქტე

ბზე და სხვა ობიექტებზე თვალთვალის, პატრულირების და საგუშაგოების დაყენების გზით.

დაძაბულობის ესკალაცია, სახელმწიფოთა შორის კონფლიქტური ურთიერთობების მძაფრ კრიზისულ ფაზაში გადასვლის პროცესი, რომელსაც თან ახლავს შეიარაღებული კონფლიქტის ან ომის წარმოქმნის მაღალი ალბათობა.

დაწყებითი სამხედრო მომზადება, ზოგიერთ ქვეყნაში სამხედრო სამსახურისათვის მომზადების შემადგენელი ნაწილი. იგი ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო ასაკის ახალგაზრდებში.

დაჭრილები და ავადმყოფები (სამართლებრივი მდგომარეობა), სამხედრო მოსამსახურეებისა და არმიაში ოფიციალურად მყოფი იმ სხვა პირების მდგომარეობა, რომლებიც დაჭრის ან ავადმყოფობის შედეგად გამოვიდნენ მწყობრიდან და მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ; განსაზღვრულია ჰაგის 1899 და 1907 წლების კონვენციებით, განვითარება პოვა ჟენევის 1949 წლის კონვენციებსა და 1977 წლის დამატებით ოქმებში. ქვეყნები, რომლებიც ამ დოკუმენტებს შეუერთდნენ, ვალდებულებას კისრულობენ ეძებონ **დ.დ.ა** ბრძოლის ველზე, მოახდინონ მათი ევაკუაცია საშიში ზონიდან, რეგისტრაციაში გაატარონ და აცნობონ მათ შესახებ სახელმწიფოს, რომლის შეიარაღებულ ძალებშიც შედიოდნენ ისინი. მოწინააღმდეგის ხელში გადასული **დ.დ.ა** სამხედრო ტყვეებად ითვლებიან. კატეგორიულად არის აკრძალული მათი დახოცვა, წამება, რაიმე ექსპერიმენტების ობიექტებად გამოყენება. მიუხედავად ამისა, პრაქტიკულად, **დ.დ.ა**-ის უფლებები ხშირად ირღვევა.

დახარისხება, 1. დაჭრილების გადანაწილება სამედიცინო დათვალიერების შემდეგ მათი ევაკუაციისა და მკურნალობის მიზნით. ითვალისწინებს დაჭრილების მოყვანისთანავე მათ **დ**-ს ჭრილობის ტიპისა და სიმძიმის ხარისხის, აგრეთვე გადარჩენის ალბათობის მიხედვით და გულისხმობს მკურნალობისა და ევაკუაციის რიგითობის დადგენას, მაქსიმალური რაოდენობის დაჭრილების სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის მიზნით; 2. ბრძოლის ველზე ტექნიკური უზრუნველყოფის განხორციელებისას სარემონტო-ტექნიკური ქვედანაყოფების მიერ ტექნიკის დათვალიერება და გადანაწილება ჯგუფების მიხედვით მათი შემდგომი რემონტის მიზნით. 3. სროლის ტემპის შენარჩუნების მიზნის მასალების პარტიებად, მუხტებად და წონითი ნიშნებით **დ**..

დახმარება უბედურების დროს, უბედურების დროს და მის შემდგომ დაზარალებული მოსახლეობისთვის დახმარების გაწევა და/ან ჩარევა სიცოცხლის შენარჩუნებისა და არსებობისთვის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფის მიზნით. შეიძლება იყოს საგანგებო ან ხანგრძლივი ხასიათის.

დახურულ და სანაპიროს მიმდებარე ღია ზღვებში მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების განადგურების საზღვაო ოპერაცია, იხ. *საზღვაო ოპერაცია.*

დახურული ზღვა, ზღვა, რომელსაც ეკვრის ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ნაპირები და თავისი გეოგრაფიული მდებარეობით არ შეიძლება იყოს გამოყენებული სხვა ზღვაში გასასვლელად. **დ.ზ**-ის სამართლებრივი რეჟიმი, ჩვეულებრივ, შეიცავს სავაჭრო ნაოსნობის ნებართვას და არაზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო გემების ცურვის შეზღუდვას ან სრულ აკრძალვას.

დახურული ნავსადგური, 1. ნავსადგური, რომელშიც სპეციალური ნებართვის გარეშე აკრძალული აქვთ შესვლა უცხოეთის გემებს, აგრეთვე საკუთარ გემებს, რომლებზეც უცხოელები არიან. არ არის შეტანილი ნავსადგურების ნუსხაში, რომელიც „ზღვაოსნების უწყებებში“ ქვეყნდება; 2. ნავსადგური, რომელიც შედგება ზღვისგან რაბებით ან ნახევარრაბებით გამოყოფილი აუზებისგან.

დახურული საცეცხლე პოზიციებიდან სროლა, მიზნის მიმართულებით არტილერიის (რომელიც არ ჩანს საცეცხლე პოზიციიდან) სროლა, რომლის დროსაც ქვემეხის დამიზნება ხდება: ჰორიზონტალურ სიბრტყეში – დამიზნების წერტილის მეშვეობით, ვერტიკალურში – გვერდითი თარაზოს მეშვეობით. ცეცხლის მართვა ხორციელდება საარტილერიო ქვედანაყოფების (ნაწილების) მეთაურების მიერ სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტებიდან, რომლებიც საცეცხლე პოზიციებიდან მოშორებითაა განლაგებული. სახმელეთო არტილერიაში საცეცხლე ამოცანების უმეტესობა დახურული საცეცხლე პოზიციებიდან სროლით ხორციელდება.

დაჯგუფების ლოგისტიკა, ლოგისტიკის შენაერთები, ნაწილები და დაწესებულებები, რომლებიც იმყოფებიან დაჯგუფების ლოგისტიკის მართვის ორგანოების დაქვემდებარებაში. მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს ასრულებს დისლოცირებული, საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ან დაჯგუფების საზღვრებში არსებული ჯარების (ძალების) ლოგისტიკურ მომსახურებას. **დ.ლ**-ის საფუძველია სტაციონარული ბაზები და საწყობები საერთო-საჯარისო ნომენკლატურის მატერიალური საშუალებების მარაგით. ასევე საავტომობილო, საგზაო, მილგამყვანი ნაწილები და დანაყოფები. გარდა ამისა, სამედიცინო, ვეტერინარული და სხვა ლოგისტიკურ

ნაწილები და დაწესებულებები. **დ.ლ**. განეკუთვნება *ოპერატიულ ლოგისტიკას.*

დებლოკირება, საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც წარმოებს ქვედანაყოფის (ნაწილის, შენაერთის) ან ტაქტიკური მნიშვნელობის ობიექტის ბლოკირებისგან გათავისუფლების მიზნით. **დ**-ს აღწევენ ბლოკირებული ქვედანაყოფის (ნაწილის, შენაერთის) მიერ დაკავებული რაიონის (ობიექტის) მიმართულებით დარტყმების მიყენებით. ამ დარტყმების მიზანია აღნიშნული ძალების მთავარ ძალებთან მდგრადი კავშირის აღდგენა ან ბლოკირებული რაიონიდან გამოყვანა.

დებრიფინგი, სარდლობის მიერ გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად, ინფორმაციის წყაროს წარმომადგენელი პიროვნების გამოკითხვა სტრატეგიული ან ოპერატიული გარემოს შესახებ.

დეგაზაცია, ობიექტებისა და ადგილმდებარეობის ზედაპირიდან მომწამლავი ნივთიერებების მოშორების (განადგურების, ნეიტრალიზაციის) ღონისძიებები. ხორციელდება სპეციალური ტექნიკური საშუალებების მეშვეობით – ხელსაწყოებით, კომპლექტებით, სადეგაზაციო მანქანებით, სადეგაზაციო ხსნარების (რეცეპტურების) გამოყენებით. აგრეთვე გამოიყენება დამხმარე (ხელთ არსებული) საშუალებები: წყალი, ორგანული გამხსნელები, სარეცხი ხსნარები და ა.შ. განასხვავებენ ნაწილობრივ და სრულ **დ**-ას.

დე გოლი, იხ. *გოლი შარლ დე*

დე-ესკალაციის ფაზა, დროის პერიოდი, რომლის განმავლობაში კრიზისის ინტენსივობის შემცირება ხდება.

დევნა, შეტევა უკუქცეულ მოწინააღმდეგეზე საბოლოო განადგურების მიზნით, რათა არ დაუშვან სიღრმეში ხელსაყრელ ზღუდეებზე მისი თავდაცვაში ორგანიზებული გადასვლა. **დ**-ს ახასიათებს გაბედული მოქმედებები, ვითარების სწრაფი და მკვეთრი ცვლილებები, დაძაბული ბრძოლა დროის მოსაგებად, ჯარების მართვის სირთულე. უკუქცეული მოწინააღმდეგის განადგურებას აღწევენ მის ძირითად ძალებზე საავიაციო, სარაკეტო და საცეცხლე დარტყმებით, ფრონტიდან შემტევი ჯარების ნაწილის სწრაფი წინ წაწევითა და მთავარი ძალების სწრაფი გასვლით მოწინააღმდეგის უკანდახევის გზაზე, მისი დაჯგუფებების დანაწევრებით და ნაწილ-ნაწილ განადგურებით. **დ**. შეიძლება ხორციელდებოდეს ფრონტიდან ან მოწინააღმდეგის უკანდახევის მიმართულების პარალელური გზებით, ფლანგების შემოვლით და უკანდახევის გზების გადაჭრით, აგრეთვე კომბინირებულად – ერთდროულად ფრონტიდან და პარალელური მიმართულებებით. **დ**. წარმოებს განუწყვეტლივ, დღისით და ღამით, ნებისმიერ ამინდში. საბრძოლო წყობა **დ**-ის დროს, ჩვეულებრივ, იგება ერთ ეშელონად, ძლიერი საერთო-საჯარისო ეშელონის გამოყოფით.

დევნის უფლება, საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმა, რომლითაც რეგლამენტირებულია ზღვისპირა სახელმწიფოს სამხედრო ხომალდების (საფრენი აპარატების) მიერ ამ სახელმწიფოს წყლის სივრცეების რეჟიმის დამრღვევი უცხოური გემების დევნა და დაკავება ღია ზღვაში. დევნა მართლზომიერია, თუ იგი დაიწყო დამრღვევი გემის მეორე სახელმწიფოს წყლის სივრცეებში ყოფნისას და განუწყვეტლივ გრძელდება ღია ზღვაში.

დევოლუციური ომი 1667–68, ომი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. დაიწყო საფრანგეთის მეფე ლუი XIV-მ, რომელმაც საბაბად გამოიყენა ე.წ. დევოლუციური უფლება, რომელიც ადგენდა მამის მეორედ დაქორწინების შემთხვევაში მიწის მემკვიდრეობით გადაცემას პირველ ქორწინებაში შეძენილი შვილებისათვის. საფრანგეთის ერთი არმია შეიჭრა ესპანეთის ნიდერლანდში (ფლანდრია და სხვა ტერიტორიები), მეორე არმიამ დაიკავა ფრანშ-კონტე (ისტორიული პროვინცია აღმოსავლეთ საფრანგეთში). ფრანგების წარმატებებით შეშფოთებულმა ჰოლანდიამ, ინგლისმა და შვედთმა კავშირი შეკრეს და მეომარ მხარეებს შორის შუამავლობა იკისრეს. აახენის ზავით (1668) საფრანგეთმა შეინარჩუნა ნიდერლანდის მიერ დაპყრობილი ესპანეთის 11 ქალაქი, მაგრამ ფრანშ-კონტე ესპანეთს დაუბრუნა.

დეზერტირობა (ლათინური desertor, < ფრანგული désertor – გაქცეული, მოღალატე), მძიმე სამხედრო დანაშაული; სამხედრო მოსამსახურის მიერ სამხედრო ნაწილის ან სამსახურის ადგილის მიტოვება სამხედრო სამსახურისათვის თავის არიდების მიზნით; სამხედრო პირის დანიშვნის თუ გადაყვანის დროს ან მივლინებიდან, შვებულებიდან თუ სამკურნალო დაწესებულებებიდან სამსახურში გამოუცხადებლობა.

დეზინფორმაცია (dez ცრუ და ლათინური informatio – ახსნა, გადაცემა), ოპერატიული (სტრატეგიული) შენიღბვის ხერხი, რომელიც გულისხმობს საკუთარი ძალების (ჯარების), მათი დაჯგუფების, შემადგენლობის, შეიარაღების, ბრძოლისუნარიანობის, საბრძოლო მოქმედებების გეგმების და ა.შ. შესახებ ცრუ მონაცემების მიზანმიმართულ გავრცელებას მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის მიზნით. **დ**-ისთვის გამოიყენება კავშირგაბმულობა, ბეჭდვითი ორგანოები, რადიო-ტელემაუწყებლობა და სხვა. **დ**. ხორციელდება დემონსტრაც-

იულ ქმედებებთან, იმიტაციასა და დაფარვით ღონისძიებებთან კომპლექსში.

დე-იურე (ლათინური de jure, სიტყვასიტყვით- სამართლის საფუძველზე), კანონზე დაფუძნებული უფლება, სტატუსი. სახელმწიფო სამართალში ახალი სახელმწიფოს ან მთავრობის სრული, ოფიციალური ცნობა.

დეკლარაცია (ლათინური declaratio – განცხადება), ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს განცხადება თავისი პრინციპების, მიზნების ან პოზიციის შესახებ.

დეკურია (ლათინური decuria), უმცირესი ქვედანაყოფი ძველი რომის არმიაში. შედგებოდა 10 მხედრისაგან, რომელსაც სათავეში ედგა დეკურიონი 3. **დ.** შეადგენდა ტურმას.

დელბრიუკი (Delbrück) ჰანს გოტლიბ ლეოპოლდ (1848–1929), გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი და პოლიტიკოსი, 1885–1921 წლებში ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, 1884–90 წლებში რაიხსტაგის წევრი. მისი მთავარი ნაშრომია 7-ტომიანი „სამხედრო ხელოვნების ისტორია პოლიტიკური ისტორიის ჩარჩოებში“, რომელიც მოიცავს პერიოდს ანტიკური ხანიდან 1870–71 წლების საფრანგეთ-პრუსიის ომამდე.

დელტაპლანი (ბერძნული delta – ასო **Δ** დასახელება და ლათინური lanum – სიბრტყე), ბერძნული ასო „დელტას“ ფორმის დრეკადი ფრთის მქონე ბალანსირებადი პლანერი. მართვას ახორციელებს მფრინავი, რომელიც საგანგებო საკიდი სისტემით მაგრდება **დ**-ზე ქანქარის მსგავსად. **დ**-ს პატარა ძრავით (50 *კვტ*-მდე სიმძლავრის) და საჰაერო პროპელერით, მართავს მფრინავი, რომელსაც ეწოდება მოტოდელტაპლანი. მისი გამოყენება შესაძლებელია საჰაერო დაზვერვის, ცეცხლის კორექტირების, დესანტის გადასროლის და სხვა მიზნებისთვის.

დემარში (ფრანგული démarche, სიტყვასიტყვით – გამოსვლა), დიპლომატიურ პრაქტიკაში სახელმწიფოს მთავრობის, საგარეო საქმეთა უწყების ან დიპლომატიური წარმომადგენლის მიმართვა მეორე სახელმწიფოს მთავრობისადმი. **დ.** შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს როგორც ფორმით (ნოტა, მემორანდუმი, განცხადება და სხვა), ისე შინაარსით (თხოვნა, პროტესტი, გაფრთხილება, მუქარა – გარდა ძალისმიერი მუქარისა, რაც საერთაშორისო სამართლით აკრძალულია).

დემეტრე (დიმიტრი) II თავდადებული, (დაახლოებით 1259–89), საქართველოს მეფე 1271–89 წლებში, დავით VII ულუსა და გვანცა დედოფლის ძე. ტახტის მემკვიდრე გახდა 1268 წლიდან. **დ. II**-ის დროს ქვეყანა კიდევ უფრო დაქვეითდა ეკონომიკურად, გაიზარდა მონღოლური გადასახადები. 1282 წელს საქართველოს ლაშქრით ხორასანში იბრძოდა აჰმედ-ყაენის (1282–84) მხარეზე. **დ. II** ყაენის ბრაძანებით სიკვდილით დასაჯეს. სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის შთამომავლობამ მას თავდადებული უწოდა.

დემილიტარიზაცია (ტერიტორიისა), მშვიდობიანობის დროს განსაზღვრულ ტერიტორიაზე სამხედრო ობიექტების, იარაღისა და შეიარაღებული ძალების განლაგების აკრძალვა საერთაშორისო შეთანხმებით. **დ.** ნაწილობრივია, როცა აკრძალვა ეხება შეიარაღების ამა თუ იმ სახეობას. **დ**-ის მიზანია სახელმწიფოებს შორის სამხედრო კონფლიქტის თავიდან აცილება და ამიტომ მას იყენებენ ისეთ რაიონებში, სადაც კონფლიქტის უშუალო საფრთხე არსებობს.

დემილიტარიზებული ზონა, საერთაშორისო შეთანხმებით დადგენილი ტერიტორია, რომელზეც აკრძალულია ჯარების ყოლა, სამხედრო-ტექნიკური ნაგებობების აშენება, სამხედრო-სამრეწველო საწარმოების შექმნა. უმთავრესად გავრცელებულია საზღვრისპირა **დ.ზ**-ები, რომლებიც იქმნება პოტენციურად მტრული მხარეების დაშორიშორებისთვის და მათ შორის სამხედრო კონფლიქტების ასაცილებლად.

დემობილიზაცია (ფრანგული démobilisation < de თავსართი, აღნიშნავს გაუქმებას, შეწყვეტას და mobiliser – ამოძრავება), ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და ეკონომიკის გადაყვანა საომარი მდგომარეობიდან მშვიდობიანზე; მობილიზაციის საპირისპირო პროცესი. ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს გადაწყვეტილებით. გულისხმობს შეიარაღებული ძალების რიცხოვნობის შემცირებას, სამხედრო წარმოების შეკვეცას, შრომითი და საფინანსო რესურსების გადანაწილებას; ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამეცნიერო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნას და სხვა.

დემონსტრაციული მოქმედებები, ჯარების (ძალების) საომარი და სხვაგვარი მოქმედებები, რომლთა მიზანია, შეიყვანოს მოწინააღმდეგე შეცდომაში. მომავალი საბრძოლო მოქმედებების ხასიათის, მთავარი დარტყმის მიმართულების (ძირითადი ძალისხმევის თავმოყრის) შესახებ და გადაასროლინოს ძალები სულ სხვა მიმართულებით. ითვალისწინებენ ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) ჩანაფიქრში. **დ.მ.** სტრატეგიული (ოპერატიული) შენიღბვის ერთ-ერთი ხერხია. ხორციელდება კომპლექსურად დაფარვის, იმიტაციის და დეზინფორმაციის ღონისძიებებთან ერთად.

დემორალიზაცია (ფრანგული – démoralisation), მორალური გახრწნა, ზნეობის, დისციპლინის, სულისკვეთების დაცემა. **დ**-ის დროს

ჯარების პირადი შემადგენლობა კარგავს აუ-ცილებელ მორალურ-საბრძოლო თვისებებს, სირთულეების გადატანის უნარს, განწყო-ბილია უკან დახევისთვის, ტყვედ ჩაბარების-თვის, კაპიტულაციისთვის. **დ.** შეიძლება იყოს ომის მიზნებისადმი ჯარისკაცების უარყო-ფითი განწყობის შედეგი. **დ**-ის პროცესის დაჩ-ქარებას ხელს უწყობს ომის არასასურველი მიმდინარეობა, პირადი შემადგენლობის მრა-ვალრიცხოვანი დანაკარგები და გადაღლა, არადამაკმაყოფილებელი მატერიალური უზ-რუნველყოფა, მოწინააღმდეგის იდეოლოგიური ზემოქმედება.

დენთი, მყარი მრავალკომპონენტიანი ნივთი-ერება, რომელსაც ქიმიური გარდაქმნის შედ-ეგად დიდი რაოდენობით სითბოს და აირის მაგვარი პროდუქტის გამოყოფის უნარი შეს-წევს. ქიმიური ენერგიის წყარო, რომელიც გამოიყენება ტყორცნისთვის ცეცხლსასროლ იარაღსა და რაკეტაში. ქიმიური გარდაქმნის ძირითადი ფორმაა წვა, ასაფეთქებელი ნივთი-ერებისთვის დამახასიათებელი დეტონაციის-გან განსხვავებით. **დ.** შეიძლება იყოს ნიტრო-ცელულოზური (უკვამლო) და ნარევი. ყვე-ლაზე მეტად გავრცელებულია ნიტროცელულ-ოზური **დ.**: პიროქსილინის, ბალისტიტის (უკვამლო დენთის სახეობა) და კორდიტული. პიროქსილინის **დ.** (წვის სითბო 3,0–4,5 *მჯ/კგ*) საფუძველია პიროქსილინი და პლასტიფი-ცირებული სპირტ-ეთეროვანი ნარევი. ძირითა-დად გამოიყენება ცეცხლსასროლი იარაღის სატყორცნ მუხტად. ბალისტიკური **დ.** (2,7–6,5 *მჯ/კგ*) გამოიყენება საარტილერიო სატყორცნ მუხტებად და სარაკეტო სათბობად. კორდი-ტული **დ.** (2,7–5,4 *მჯ/კგ*) – ცეცხლსასროლი იარაღის სატყორცნ მუხტად. ნარევიანი **დ.** სამი კომპონენტის მექანიკური ნარევია. მათ განეკუთვნება: კვამლიანი (2,7–3,0 *მჯ/კგ*), რე-აქტიული (მყარი სარაკეტო სათბობი), ამონი-ური (სუროგატული) დენთი.

დერივაცია (ლათინური derivatio – გადახრა), ბალისტიკური ტრაექტორიით მოძრაობის დროს ტყორცნის სიბრტყიდან გიროსკოპული სიჩქარით მბრუნავი ჭურვის სისტემატური გვერდითი გადახრა. **დ**-ის სიდიდე ძირითადად დამოკიდებულია სროლის მანძილზე, ტრაექ-ტორიის დახრილობასა და ჭურვის ბრუნვის სიჩქარეზე (იზრდება მისი მომატების დროს), ხოლო მიმართულება – ჭურვის საკუთარი ბრუნვის მიმართულებაზე. **დ**-ს ითვალის-წინებენ სროლისთვის მონაცემების გათვლის დროს.

დესანტგადამსხმელი საშუალებები, სატ-რანსპორტო საშუალებები, (კატარღები, პლა-შკოუტები, ბარჟები, ჰაერბალიშიანი აპარა-ტები, ვერტმფრენები), რომლებიც განკუთვ-ნილია დესანტის პირადი შემადგენლობის სადესანტო ხომალდებიდან და ტრანსპორ-ტიდან მოუწყობელ სანაპიროზე გადასაყვა-ნად, აგრეთვე სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მასალების გადასატვირთად და სხვა. **დ.ს.** არის სადესანტო ხომალდები და ტრანს-პორტი, რომლებიც აღჭურვილია აპარელით, დოკ-კამერით ან შესაბამისი ტვირთამწე სა-შუალებებით, ვერტმფრენების ასაფრენ-და-საფრენი მოედნებით. **დ.ს**-ის ტვირთამწეობაა 170–200 *ტ*-მდე, სიჩქარე 10–20 *კვანძამდე* (18,5–37 *კმ/სთ*).

დესანტი (ფრანგული descente – გადასხმა, დაშვება), ჯარები, რომლებიც სპეციალურად არის მომზადებული და გადასხმული (გად-ასროლილი) თვითმფრინავებიდან (ვერტმ-ფრენებიდან) ან საზღვაო გემებიდან, აგრეთვე განკუთვნილია საბრძოლო ამოცანების გა-დაწყვეტისთვის მოწინააღმდეგის ტერიტორი-აზე გადასასხმელად (გადასასროლად). შემად-გენლობის (მოზიდული ჯარების რაოდენობის) და შესასრულებელი ამოცანების ხასიათის მიხედვით **დ.** შეიძლება იყოს სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული), ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური, ტაქტიკური, სპეცი-ალური დანიშნულებისა და დემონსტრაცი-ული, ხოლო გადასროლის ხერხების და საშ-უალებების მიხედვით – საჰაერო, საზღვაო (სამდინარო, ტბის), სატანკო, სატანკერო და სახომალდო. მასშტაბის შესაბამისად **დ**-ს შეუძლია შეასრულოს საბრძოლო ამოცანები, რომლებიც მთლიანად ოპერაციის (ბრძოლის) მიზნის მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. სტრატეგიული **დ**-ის მიზანია: მოწინააღმდეგის ადმინისტრაციულ-პოლიტი-კური ცენტრებისა და სამრეწველო-ეკონ-ომიკური რაიონების ხელში ჩაგდება, მისი სახელმწიფოებრივი და სამხედრო მმართველ-ობის დეზორგანიზაცია, სრუტის ზონების და კუნძულების დაუფლება, შემტევი სახმელეთო ჯარების (ფლოტის ძალების) ხელშეწყობა მოწინააღმდეგის დაჯგუფებების იზოლაციასა და სწრაფ განადგურებაში, შეიარაღებული ბრძოლის ახალი ფრონტის გახსნის მიზნით მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრა და სხვა. ოპერატიული **დ**-ის ამოცანას შეადგენს: მაღალი სიზუსტის იარაღის ელემენტების, დიდმნიშვნელოვანი მართვის პუნქტების გა-ნადგურება, ოპერატიული რეზერვების შემ-ოსვლის აღკვეთა და ბატალიაში მათი შეყვა-ნის ჩაშლა, შემტევი ჯარების ხელშეწყობა მოწინააღმდეგის დაჯგუფებათა გარშემორტ-ყმაში, დიდი წყლისმიერი ზღუდეების, სამთო დაბრკოლებების, დასნებოვნების, დატბორვის და ხანძრების ზონების შეუჩერებლივ გადალ-ახვა, აეროდრომების, სამხედრო-საზღვაო ბაზ-ების, სანაპიროს მონაკვეთების ხელში ჩაგდ-ება ან განადგურება აქედან შემდგომი მოქმე-

დებების გაშლისთვის და სხვა. მსგავს ამოცანებს შეიძლება ასრულებდნენ აგრეთვე ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური დ-ები, მათი ძალებისა და გადასხმის სიღრმის შესაბამისად.

სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) დ. შეიძლება შედგებოდეს საჰაერო-სადესანტო ჯარების, საზღვაო ქვეითი ჯარის, ჯარების სხვა გვარეობებისა და სპეციალური ჯარების შენაერთებისა და ნაწილებისაგან. სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) დ-ის გამოყენება იგეგმება და ხორციელდება სტრატეგიული მასშტაბის შეტევით ოპერაციებში, საჰაერო-სადესანტო ოპერაციის, საჰაერო-საზღვაო სადესანტო ოპერაციის ან საზღვაო – სადესანტო ოპერაციის ფორმით. ასეთი დ-ის გადასხმის უზრუნველსაყოფად შეიძლება მოზიდულ იქნეს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ძალები და საშუალებები. ოპერატიული დ., ჩვეულებრივ, მოიცავს საჰაერო-სადესანტო, საჰაერო-მოიერიშე, აგრეთვე საერთო-საჯარისო და საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებსა და შენაერთებს. გამოიყენება სტრატეგიულ შეტევით ოპერაციებში, დაჯგუფებების (არმიების ჯგუფების) და ფლოტების ოპერაციებში. ოპერატიული დ-ის გამოყენება იგეგმება და ხორციელდება აგრეთვე სადესანტო ოპერაციის ფორმით, ხოლო გადასხმული ჯარების მოქმედების მხარდაჭერა ხდება დაჯგუფების (არმიების ჯგუფის), ფლოტის, არმიის, ფლოტილიის ძალებითა და საშუალებებით. ოპერატიულ-ტაქტიკური დ. საზღვაო ქვეითი ჯარის (საჰაერო-მოიერიშე ან მოტოქვეითი) ბრიგადის შემადგენლობაში გამოიყენება დაჯგუფების (არმიების ჯგუფის) შეტევით ოპერაციაში, ხოლო ტაქტიკური – პოლკის, ბატალიონის, ზოგჯერ ასეულის შემადგენლობაში – არმიის (კორპუსის) ოპერაციაში, ზოგჯერ კი დივიზიის ბრძოლაშიც. იგი შეიძლება გამოიყენონ სადესანტო-საიერიშო მოქმედებების ფორმით ან გადასხან ვერტმფრენებიდან (თვითმფრინავებიდან), ფლოტის სადესანტო საშუალებებიდან ისეთ სიღრმეზე, რომ შემტევმა ძალებმა შეძლონ მისი მოქმედების რაიონში რამდენიმე საათში მისვლა და მის მიერ მიღწეული წარმატებების გამოყენება. თავდაცვაში ქვედანაყოფების (ნაწილების) ჰაერით გადასროლა და გადასხმა გამოიყენება უპირატესად მოწინააღმდეგის დ-თან ბრძოლისათვის. დ-ს გადასხამენ (გადაისვრიან) აგრეთვე თავიანთი ჯარების კონტრდარტყმების (კონტრიერიშების) მიმართულებებით. სპეციალური დანიშნულების დ. გამოიყენება დივერსიული და სადაზვერვო ხასიათის ამოცანების შესასრულებლად მოწინააღმდეგის ტაქტიკურ ან ოპერატიულ სიღრმეში. დ-ის შემადგენლობაა ათეულიდან ასეულამდე. გარკვეულ რაიონში მოწინააღმდეგის ობიექტებზე ხანმოკლე სწრაფი თავდასხმის განსახორციელებლად შეიძლება ერთდროულად გამოყენებულ იქნეს რამდენიმე ასეთი დ. მათ გადასასროლად (გადასასხმელად) გამოიყენება ვერტმფრენები, სატრანსპორტო თვითმფრინავები, მცურავი ტანკები და ჯავშანტრანსპორტიორები (ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები), წყალქვეშა ნავები, წყალზედა ხომალდები და სხვა საშუალებები. დემონსტრაციული დ. არის ნაწილი ან ქვედანაყოფი, რომლის გადასხმა (გადასროლა) მოწინააღმდეგის ზურგში ხდება მეორეხარისხოვანი მიმართულებით იმ მიზნით, რომ მოწინაღმდეგეს აურიონ გზა-კვალი ძირითადი (მთავარი) დ-ის გადასხმის (გადასროლის) მიმართულებასთან დაკავშირებით. საჰაერო დ. შეიძლება გადასხმულ იქნეს საპარაშუტო, დასაფრენი ან საპარაშუტო-დასაფრენი მეთოდის გამოყენებით. საპარაშუტო ხერხი შეიძლება გამოიყენონ ადგილზე, სადაც შეარჩევენ საჭირო რაოდენობის სათანადო ზომის მოედნებს ისეთი ზედაპირით, რომელიც არ დააბრკოლებს ადამიანებისა და საბრძოლო ტექნიკის პარაშუტებით უსაფრთხო დაშვებას დედამიწაზე. დაფრენის ხერხის გამოყენების დროს დ-ს გადაისვრიან თვითმფრინავებით, ვერტმფრენებით და გადასხამენ დაპყრობილ აეროდრომებსა და დასაფრენ მოედნებზე. ასეთი დ-ის შემადგენლობაში, როგორც წესი, შეჰყავთ სპეციალურად მომზადებული საერთო-საჯარისო ქვედანაყოფები და ნაწილები. საპარაშუტო-დასაფრენი ხერხით დესანტირებისას პირადი შემადგენლობისა და შეიარაღების ნაწილს გადაისვრიან პარაშუტებით, დანარჩენი შემადგენლობა კი თვითმფრინავებითა და შვეულმფრენებით ეშვება საპარაშუტო ჯგუფის (ეშელონის) მიერ ხელში ჩაგდებულ აეროდრომებსა და დასაფრენ მოედნებზე. საზღვაო დ. წარმოადგენს სახმელეთო ჯარებისა და საზღვაო ქვეითი ჯარის დაჯგუფებას, რომელსაც გადასხამენ მოწინააღმდეგის მიერ დაცულ სანაპიროზე (შეტევა ზღვიდან ხმელეთზე). დ. გადაჰყავთ სადესანტო ხომალდებითა და სატრანსპორტო გემებით. გადასხმა შედარებით მცირე სადესანტო ხომალდებიდან, განსაკუთრებით ისეთებიდან, რომლებიც მოქმედებენ ზედაპირზე დინამიკური გაჩერების პრინციპებით (მაგალითად, „ჰაერბალიში“), წარმოებს უშუალოდ საზღვაო სანაპიროზე, ხოლო დიდი ხომალდებიდან და ტრანსპორტიდან – დესანტის გადასასხმელი საშუალებების მეშვეობით, რომლებზეც ჯარები გადადიან სადესანტო რაზმების გადასხდომის რაიონში მისვლის შემდეგ. საზღვაო დ-ის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, გამოყოფენ საერთო-საჯარისო და საზღვაო ქვეითი ჯარის

შენაერთებსა და ნაწილებს. სახომალდო **დ.** არის საბრძოლო ქვედანაყოფი, რომელიც გათვალისწინებულია სახომალდო განრიგით და ყალიბდება ხომალდის საშტატო პირადი შემადგენლობისაგან ნაპირზე გადასასხმელად ცალკეული ობიექტების ხელში ჩასაგდებად და გასანადგურებლად, სახმელეთო ჯარებთან კავშირის დასამყარებლად და სხვა. სატანკო **დ.** წარმოადგენს ქვეითი ჯარის (მოტოქვეითი, მოტომსროლელი) ქვედანაყოფს, რომელიც გადაჰყავთ ტანკებით (თვითმავალი საარტილერიო დანადგარებით) მათთან ერთობლივი საბრძოლო მოქმედებისათვის. ფართოდ გამოიყენებოდა II მსოფლიო ომის დროს, უპირატესად მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში შეტევის (კონტრშეტევის) განვითარების დროს. ტანკში (თვითმავალ საარტილერიო დანადგარზე), ჩვეულებრივ, ეტეოდა 8–10 კაცი (ათეული). სატანკო **დ**-ის შემადგენლობაში შეჰყავდათ მსროლელთა (მეავტომატეთა) ოცეულიდან ასეულამდე, რომლებიც მოქმედებდნენ სატანკო ასეულთან (სატანკო ბატალიონთან) ერთად.

დესანტირება, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ჯარების საჰაერო ტრანსპორტით გადასროლა. წარმოებს საპარაშუტო, დასაფრენი ან კომბინირებული (საპარაშუტო-დასაფრენი) ხერხით. **დ**-ის მომზადების დროს ინიშნება **დ**-ის საწყისი რაიონი. **დ.** მოიცავს: ჯარებთან ერთად თვითმფრინავების (ვერტმფრენების) აფრენას, ჰაერში სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის ნაწილების საბრძოლო წყობით განლაგებას, **დ**-ის რაიონში გადაფრენას, პირადი შემადგენლობის გადასხმას და სამხედრო ტექნიკის გადმოყრას. მანძილს საწყისი რაიონიდან **დ**-ის რაიონამდე ეწოდება **დ**-ის მანძილი, ხოლო მხარეების საბრძოლო შეხების ხაზიდან **დ**-ის რაიონამდე – **დ**-ის სიღრმე.

დესანტირების რაიონი, ადგილმდებარეობის მონაკვეთი მოწინააღმდეგის ზურგში, რომელზეც საჰაერო დესანტს გადაისვრიან (გადასხამენ). **დ.რ.** მოიცავს ერთ ან რამდენიმე დაშვების მოედანს (საპარაშუტო ხერხით დესანტირებისთვის), ერთ ან რამდენიმე აეროდრომსა და დასაფრენ მოედანს (დაფრენის ხერხით დესანტირებისას).

დესანტირების ტემპი, იხ. *ტემპი.*

დესანტის გადასხმის ნაპირი, სანაპირო ზოლის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც ბატალიონის სადესანტო ჯგუფის გადასხმა ხორციელდება.

დესანტის გადასხმის რაიონი, სანაპიროს ნაწილი მიმდებარე აკვატორიითურთ, სადაც გადასხამენ საზღვაო დესანტს და მოქმედებენ მისი გადასხმის უზრუნველმყოფი ხომალდები. მოიცავს: გადასხმის ძირითად და სათადარიგო მონაკვეთებს, ცეცხლით მხარდამჭერი ხომალდების მანევრირების რაიონს, გადასხმის ძალების ტაქტიკური გაშლის რაიონს, ტრანსპორტიდან დესანტის გადასხმის საშუალებებზე ჯარების გადასხმის, სამხედრო ტექნიკის და მატერიალური საშუალებების გადატვირთვის რაიონს, გადასხმის პუნქტებში გადაადგილებისთვის სადესანტო გემებისა და გადასხმის საშუალებების ფორმირების რაიონს. **დ.ბ.რ**-ში საზღვაო დესანტის გადასხმისთვის იშლება ბაზა.

დესანტის გადასხმის საცეცხლე მომზადება, ცეცხლი განხორციელებული საზღვაო დესანტის გადასხმის წინ, გადასხმის რაიონის ნაღმებისგან გაწმენდის, წყალქვეშა აფეთქებების და სხვა მოსამზადებელი მოქმედებების განსახორციელებლად. აწარმოებს ავიაცია და ცეცხლით მხარდამჭერი ხომალდების რაზმი (ჯგუფი). იწყება გადასხმის ძალების გაშლის წინ ან გაშლისას და გრძელდება გადასხმის პუნქტებთან საზღვაო დესანტის მეწინავე რაზმების ქვედანაყოფებით დატვირთული (I ეშელონი) დესანტის გადასასხმელი საშუალებების მოსვლამდე. ძირითადი ძალისხმევა ხმარდება მოწინააღმდეგის დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვის იმ ობიექტების განადგურებას, რომლებიც შეიძლება წინ აღუდგნენ მეწინავე რაზმების გასვლას და მტრალავი ძალების მოქმედებას. **დ.ბ.ს.მ.** დესანტის გადასხმის საცეცხლე მხარდაჭერაში გადაიზრდება.

დესანტის გადასხმის საცეცხლე მხარდაჭერა, იწყება სადესანტო-გადასასხმელი საშუალებების გადასხმის პუნქტებთან იმ მანძილზე გასვლით, რომლიდანაც მოწინააღმდეგეს შეუძლია პირდაპირი დამიზნების ცეცხლით დესანტის მეწინავე ქვედანაყოფებზე ეფექტური ზემოქმედება. ხორციელდება ამ მიზნებისთვის გამოყოფილი ავიაციით, საცეცხლე მხარდაჭერის ხომალდებით და დესანტში მყოფი არტილერიით. ძირითადი ძალისხმევა მიმართულია მოწინააღმდეგის დაზიანებაზე უშუალოდ ნაპირზე და მისი თავდაცვის უახლოეს სიღრმეში.

დესანტის მიახლოების გრაფიკი, საზღვაო-სადესანტო ოპერაციების დროს – გრაფიკი, რომელშიც ყველა დაგეგმილ ეშელონს მითითებული აქვს: შეკრების რაიონიდან გასვლის დროს; დესანტირების რაიონიდან გასვლის დრო; სხვა საკონტროლო პუნქტების გადალახვის სავარაუდო დრო; დესანტის გადასხმის ადგილთან მისვლის გათვლილი დრო.

დესანტის ფორმირების რაიონი, აკვატორიის ნაწილი, რომლის ფარგლებში საზღვაო დესანტის ჩასხმის შემდეგ თავს უყრიან სადესანტო ხომალდებს და ტრანსპორტს, სადე-

სანტო რაზმების სალაშქრო ორდერებად დაწყობისთვის.

დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვა, საერთოსაჯარისო გაერთიანებების (შენაერთების) ფლოტის ძალებთან, სამხედრო-საჰაერო ძალებსა და საჰაერო თავდაცვის ძალებთან ურთიერთქმედებით, სანაპირო ზოლის დაცვა მოწინააღმდეგის საზღვაო და საჰაერო დესანტების გადმოსხმისაგან. მისი არსია ჯარების თავდაცვითი დაჯგუფების, თავდაცვითი ზღუდეებისა და პოზიციების, საინჟინრო ღობურების დასაცავად მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების სისტემის შექმნა და საჰაერო დესანტებთან ბრძოლის ორგანიზაცია. დ.თ-ის ორგანიზაციასა და წარმოებას საფუძვლად უდევს ზოგადი მოთხოვნები თავდაცვისადმი.

დესანტსაწინააღმდეგო ოპერაცია, მიზნის, ამოცანების, ადგილისა და დროის მიხედვით შეთანხმებული საერთო-საჯარისო გაერთიანებებისა და ფლოტის ძალების საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის გაერთიანებებთან ურთიერთქმედებით ხორციელდება. ტარდება იმ მიზნით, რომ აღკვეთოს მოწინააღმდეგის ზღვიდან შემოჭრა, ჩაშალოს (მოიგერიოს) მისი საზღვაო და საჰაერო დესანტების გადმოსხმა და შეინარჩუნოს დასაცავი ზღვის სანაპირო. ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: მოწინააღმდეგის დესანტისთვის თავმოყრის, სადესანტო რაზმების ჩასხდომის (ჩატვირთვის) და ფორმირების რაიონებში ზიანის მიყენებას; ზიანის მიყენებას დესანტის ძალებისა და საშუალებებისთვის მათი ზღვით გადასვლისას (გადაფრენისას); საზღვაო და საჰაერო დესანტების გადმოსხმის მოგერიებას; გადმოსხმული დესანტის ნაპირზე განადგურებას; ევაკუაციის ჩაშლას და უკუქცეული მოწინააღმდეგის დესანტის განადგურებას ზღვაში; მთელი ოპერაციის მანძილზე – მოწინააღმდეგის საჰაერო დარტყმების მოგერიებას. **დ.ო**-ის ორგანიზებისა და განხორციელებისთვის პასუხისმგებლობა, ჯარებისა და ძალების დაქვემდებარების წესი განისაზღვრება ვითარებიდან გამომდინარე ზემდგომი სარდლობის მიერ. **დ.ო**-ს, ჩვეულებრივ, ორგანიზებას უწევს საერთო-საჯარისო გაერთიანების სარდლობა. ცალკეულ შემთხვევებში (კუნძულების რაიონის, ფლოტის დიდმნიშვნელოვანი ობიექტების თავდაცვა) სარდლობა შეიძლება დაეკისროს ფლოტის გაერთიანების სარდალს. მთავარია, მიღწეულ იქნეს სარდლობისა და ხელქვეითების ერთიანობა.

დესანტსაწინააღმდეგო რეზერვი, საერთოსაჯარისო ქვედანაყოფი, რომელიც განკუთვნილია საჰაერო დესანტებთან საბრძოლველად. ინიშნება შენაერთის (ნაწილის) II ეშელონში (საერთო-საჯარისო რეზერვში) მოქმედი ქვედანაყოფებისგან.

დესანტსაწინააღმდეგო ღობურები, წყალში დაყენებული დესანტსაწინააღმდეგო და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმები, ბეტონის და ლითონის ბოძკინტები და სხვა ღობურები. აყენებენ მოწინააღმდეგის საზღვაო დესანტის შესაძლო გადმოსხმის ადგილებში იმ მიზნით, რომ დააზიანონ (გაანადგურონ) მისი სადესანტო გემები და დესანტის გადასასხმელი საშუალებები, აგრეთვე საბრძოლო ტექნიკა და ცოცხალი ძალა.

დესანტსაწინააღმდეგო ღობურების გადალახვა, სადესანტო ხომალდების და დესანტის გადასასხმელი საშუალებების ორგანიზებული გავლა გადასხმის პუნქტებისაკენ ღობურებში. საზღვაო დესანტის გადასხმისათვის ბრძოლის საწყისი ფაზა. წყალზე განღობვას ახორციელებენ მტრალავი ხომალდებით და გემებზე (კატარღებზე) და ვერტმფრენებზე მყოფი განღობვის გუნდების ძალებით, ზონრიანი (წაგრძელებული) მუხტების, ღობურების ნაწილ-ნაწილ დაშლისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მუხტების აფეთქების გზით. ნაპირზე არსებულ ღობურებს დესანტი გადალახავს იმ ხერხებით, რომლებსაც სახმელეთო ჯარები იყენებენ.

დეტონატორი, მაღალბრიზანტული, მგრძნობიარე ფეთქებადი ნივთიერების მცირე მუხტი, რომლის აფეთქება იწვევს ძირითადი მუხტის ფეთქებადი დაშლის რეაქციას. აფეთქებითი სამუშაოების დროს იყენებენ კაფსულ-დეტონატორებს, ელექტროდეტონატორს ან სადეტონაციო ზონარს. როცა ფეთქებადი ნივთიერება ნაკლებმგრძნობიარეა, **დ**-სა და ძირითად მუხტს შორის ათავსებენ მაღალმგრძნობიარე ფეთქებად ნივთიერებას. ავიაყუმბარების, საარტილერიო ჭურვების, ნაღმების და სხვათა **დ**-ები ფეთქდება დარტყმით ან ჩხვლეტით.

დეტონაცია (ფრანგელი détoner – აფეთქება < ლათინური detono ვგრგვინავ), 1. ასაფეთქებელი ნივთიერებების ქიმიური გარდაქმნის პროცესი, რომელიც მასზე ვრცელდება ზებგერითი სიჩქარის მქონე (9000 *მ/წმ*-მდე მკვრივ და თხევად ასაფეთქებელ ნივთიერებებში და 4000 *მ/წმ*-მდე აიროვანში) **დ**-ური ტალღით და თან ახლავს ენერგიისგან გათავისუფლება. **დ**-ის დროს უეცრად წარმოიქმნება დიდი რაოდენობით მაღალი წნევის მქონე აირები (მაგალითად, ტროტილისთვის დაახლოებით 20 გიგაპასკალი), რომელთა გაფართოების შედეგად ხდება აფეთქება. 2. სათბობის ნარევის სწრაფი, აფეთქებასთან მიახლოებული წვის პროცესი ნაპერწკლით ანთების შიდა წვის დგუშიან ძრავებში (10–20 *მ/წ* ნორმის ნაცვლად

აღწევს 1500–2500 *მ/წმ*. **დ.** ნარევში ორგანული მინარევების კრიტიკული კონცენტრაციის დაგროვებისას წარმოიქმნება. **დ**-ის შემცირების მიზნით საწვავში ანტიდეტონატორებს ამატებენ (მაგალითად, ტეტრაეთილოტყვიას).

დეტონირებადი თასმა, ინიციაციის საშუალება, რომელიც გამოიყენება ასაფეთქებელი მუხტის დეტონირების გამოსაწვევად. წარმოადგენს ფხვნილისებრი ბრიზანტული (საარტილერიო ჭურვი) ასაფეთქებელი ნივთიერებით (5–6 *მმ.* დიამეტრის 1 *მ.* თასმაში მოთავსებულია 10–13 *გრ.* ასაფეთქებელი ნივთიერება) შევსებულ ელასტიკურ მილაკს. გამოიყენება მუხტების ჯგუფის ასაფეთქებლად.

დეფილადა, 1. მოწინააღმდეგის თვალთვალისგან ან მისი ცეცხლისგან მთით, თხემით, ნაპირით, ან სხვა სახის ბუნებრივი წინაღობებით წარმოქმნილი დაცვა. 2. ვერტიკალური მანძილი, რომლის საშუალებით პოზიციები მოწინააღმდეგის თვალთვალისგან არის დაცული. 3. მოწინააღმდეგის ცეცხლის ან თვალთვალისგან დასაცავად ბუნებრივი, ან ხელოვნური წინაღობებისგან შექმნილი ფარი.

დეფილე (ფრანგული défilé – ხეობა, სივიწროვე), ვიწრო გადასასვლელი ადგილმდებარეობაზე ბუნებრივ წინაღობებში. ადგილმდებარეობის ხასიათიდან გამომდინარე, **დ.** შეიძლება იყოს მთიანი, ტბის, ტყის, მდინარის და სხვა.

დიდგორის ბრძოლა 1121, გადამწყვეტი ბრძოლა, რომელიც გაიმართა თბილისის დასავლეთით 1121 წლის 12 აგვისტოს *დავით აღმაშენებლის* ლაშქარსა (40 ათ. ქართველი, 15 ათ. ყივჩაყი, 500 ოსი, 100 თუ 200 დასავლეთევროპელი მეომარი) და საქართველოში შემოჭრილ თურქ-სელჩუკებს შორის, რომლებსაც სარდლობდა ჯვაროსნებზე გამარჯვებით სახელმოხვეჭილი სარდალი ნაჯმ ად-დინ ილ-ღაზი. დავით მეფემ ტაქტიკური თვალსაზრისით კარგად გამოიყენა მთაგორიანი ადგილის თავისებურება. ლაშქრის მთავარი ძალა მისი სარდლობით ნიჩბისის ხევით დასავლეთიდან უტევდა მტერს, ხოლო დიდგორის ერთ-ერთი მთიდან დემეტრე დავითის ძე დაეშვა თავისი ჯარით და მთის ძირში საომრად დაწყობილ თურქ-სელჩუკთა ლაშქარს ეკვეთა. ამ ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს, რაც დაგვირგვინდა გაქცეული მტრის დევნით. **დ.ბ**-ის შემდეგ დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა თბილისი (1122) და საომარი მოქმედებები გადაიტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

დიდი ბრიტანეთი (Great Britain – დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფო), სახელმწიფო ჩრდილოდასავლეთ ევროპაში, ბრიტანეთის კუნძულებზე; დასავლეთით აკრავს ატლანტის ოკეანე, აღმოსავლეთით და სამხრეთით – ჩრდილოეთის ზღვა, ლა-მანშისა და პა-დე-კალეს ვიწრო სრუტეები. ფართობი 244,1 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 61,9 მლნ. კაცი (2012), აქედან 80% – ინგლისელები, 10% – შოტლანდიელები, 4% – ირლანდიელები, უელსელები და სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ლონდონი. **დ.ბ**-ში შედის 4 ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქი: ინგლისი (39 საგრაფო, 6 მეტროპოლიური საგრაფო და დიდი ლონდონის განსაკუთრებული ადმინისტრაციული ერთეული), უელსი (8 საგრაფო), შოტლანდია (12 ოლქი), ჩრდილოეთ ირლანდია (26 ოლქი); კუნძული მენი და ნორმანდიის კუნძულები დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენენ. **დ.ბ**. ხელმძღვანელობს დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობას, რომელიც შედგება მისი ყოფილი კოლონიებისგან. ასევე აქვს დამოკიდებული ტერიტორიები. **დ.ბ**. პარლამენტური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე (დედოფალი). საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს მეფეს და პარლამენტს (შედგება ლორდთა და თემთა პალატებისგან). აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში დგას პრემიერ-მინისტრი. **დ.ბ**. გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრი და ნატოს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა. **დ.ბ**. განვითარებული ქვეყანაა. მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია სამრეწველო წარმოებით, კაპიტალის უმსხვილესი ექსპორტიორია. ექსპორტის 90%-ს შეადგენს სამრეწველო საქონელი. უმნიშვნელოვანესი დარგებია: მანქანათმშენებლობა (ელექტროტექნიკური, რადიოელექტრონული, ხელსაწყოებისა და ჩარხების წარმოება, მანქანათმშენებლობა, გემთმშენებლობა და სხვა), ქიმიური, ნავთობქიმიური, ნავთობგადამამუშავებელი, მეტალურგიული მრეწველობა. სწრაფი ტემპით ვითარდება ატომური მრეწველობაც – მოქმედებს 14 ატომური ელექტროსადგური. სოფლის მეურნეობა განვითარების მაღალ დონეზეა. აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნების 75%-ზე მეტს. იზრდება მსხვილი ფერმერული მეურნეობები. სამხედრო მრეწველობა აკმაყოფილებს ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოთხოვნებს შეიარაღებისა და ტექნიკის მიმართ. მათი ნაწილი გადის ექსპორტზე. აწარმოებენ თანამედროვე საბრძოლო ტექნიკისა და შეიარაღების ყველა სახეობას (წყალქვეშა ნავები, ავიამზიდები, სარაკეტო ფრეგატები, საბრძოლო თვითმფრინავები და ა.შ.) და საბრძოლო მასალის ყველა ტიპს (მათ შორის ბირთვულს). ქვეყანაში 300 პორტზე მეტია, მათ შორის ყველაზე მსხვილია: ლონდონი, აბერდინი, ბელფასტი, ბრისტოლი, გლაზგო, ლივერპული, მანჩესტერი, პლიმუნთი, პორტს-

მური და სხვა. 20-ზე მეტი საერთაშორისო აეროპორტია, მათ შორის უმსხვილესია ჰიტროუ (ლონდონი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 178,4 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 102,6 ათ., სამხედრო-საზღვაო 34,9 ათ., სამხედრო-საჰაერო 40,9 ათ. გასამხედროებული ფორმირება – ტერიტორიული ჯარები 40,3 ათ. შეიარაღებული ძალების კონტინგენტები განთავსებულია მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. სამხედრო მრჩევლები ამოცანებს ასრულებენ მსოფლიოს 30 ქვეყანაში. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

დიდი და განსაკუთრებული სიმძლავრის არტილერია, სახმელეთო არტილერია, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში განსაკუთრებით მტკიცე ნაგებობების ნგრევისა და დიდმნიშვნელოვანი ობიექტების განადგურებისთვის (დაზიანებისთვის). მათ რიცხვს, ჩვეულებრივ, განეკუთვნება 175–240 *მმ* კალიბრის ზარბაზნები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები.

„დიდი თურქობა“, თურქ-სელჩუკების მიერ ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციების დაპყრობის შემდეგ საქართველო ერთადერთი დამოუკიდებელი ქრისტიანული სახელმწიფო დარჩა წინა აზიაში. ამიტომ 1070-იანი წლების ბოლოდან სელჩუკთა მთავარი დარტყმები მის წინააღმდეგ იქნა მიმართული. 1080 წელს თურქები მთელ საქართველოს მოედვნენ ქართლიდან ოდიშამდე და აჭარამდე. მათ გადაწვეს ქუთაისი, არტანუჯი, კლარჯეთის უდაბნოები, რბევა-აკლება დაზამთრებამდე არ შეწყვეტილა. ამ გამანადგურებელ შემოსევას ქართველებმა „დიდი თურქობა“ უწოდეს. ამის შემდეგ სელჩუკებმა წესად შემოიღეს ყოველწლიური შემოსევა საქართველოში. გაზაფხულიდან ზამთრის დადგომამდე თარეშობდნენ, არბევდნენ, რისი წაღებაც შეიძლებოდა, მიჰქონდათ, დანარჩენს ანადგურებდნენ.

დივერსია (ლათინურა divercio – გადახრა, ყურადღების გადატანა), 1. სპეციალურად მომზადებული ქვედანაყოფების (ჯგუფების) ან ცალკეული პირების მოქმედებები მოწინააღმდეგის ზურგში კომუნიკაციების, კვანძების და კავშირგაბმულობის ხაზების დასანგრევად, სამხედრო-სამრეწველო და სხვა ობიექტების მწყობრიდან გამოსაყვანად, ჯარების მართვის დასარღვევად, ცოცხალი ძალისა და სამხედრო ტექნიკის გასანადგურებლად, მოწინააღმდეგის ჯარებისა და მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზემოქმედების მოსახდენად; 2. სახელმწიფოს და მისი სპეცსამსახურების, აგრეთვე რადიკალური ორიენტაციის სხვადასხვა ორგანიზაციების ძირგამომთხრელი საქმიანობის ნაირსახეობა, რომელიც მიზნად ისახავს პოლიტიკური ძალების დესტაბილიზაციას, მათი სიცოცხლისუნარიანობის, გამძლეობის დასუსტებას. მშვიდობიანობის დროს სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე სპეცსამსახურების ძირგამომთხრელი საქმიანობა საერთაშორისო სამართლით დანაშაულად არის მიჩნეული.

დივერსიულ-სადაზვერვო ფორმირებები, სპეციალურად მომზადებული ქვედაყოფი (რაზმი, ჯგუფი), რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ზურგში სადაზვერვო, დივერსიული და ძირგამომთხრელი საქმიანობის საწარმოებლად. პირად შემადგენლობას აქვს ზოგადი და სპეციალური მომზადების მაღალი დონე, დაუფლებულია სხვადასხვა სახეობის იარაღის, შხამების, ნარკოტიკული საშუალებების და სხვა გამოყენებას. მათი გადასროლა (შეგზავნა) მოწინააღმდეგის ზურგში ხორციელდება ფრონტის ხაზის ფარული გადაკვეთით; ჰაერით – ავიაციის (სპეციალური საფრენი აპარატების, პლანერების და დელტაპლანების) მეშვეობით; ზღვით – წყალქვეშა ნავების, წყალქვეშ მოძრაობის სხვადასხვა მცირე საშუალებების, კატარღების გამოყენებით და სხვა. **დ.-ს.ფ** გამოიყენებოდა II მსოფლიო ომში, ყველა შემდგომ ლოკალურ ომსა და შეიარაღებულ კონფლიქტში.

დივიზია (ლათინურად division – დაყოფა), ძირითადი ტაქტიკური შენაერთი მრავალი სახელმწიფოს სხვადასხვა სახეობების შეიარაღებულ ძალებში. შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობებისადმი კუთვნილების, დანიშნულების, ორგანიზაციის და შეიარაღების მიხედვით, შეიარაღებული ძალების მშენებლობის ისტორიაში ცნობილია: ქვეითი, მსროლელთა, მოტომსროლელთა, მოტორიზებული, მექანიზებული, საკავალერიო, სატანკო (ჯავშანსატანკო), საარტილერიო, საავიაციო, საჰაერო-სადესანტო, საჰაერო-მოიერიშე, აერომობილური, საჰაერო თავდაცვის, საზღვაო ქვეითი ჯარისა და სხვა **დ**-ები. განკუთვნილია ბრძოლის (საერთო-საჯარისო, საჰაერო, საზღვაო) წარმოებისთვის უფრო დიდი ფორმირებების (არმია, კორპუსი, ესკადრა და სხვა) შემადგენლობაში, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – დამოუკიდებლადაც. ჩვეულებრივ, შედგება პოლკების ან ბრიგადებისგან, ცალკეული ბატალიონებისგან (**დ**-ების), უზრუნველყოფისა და მომსახურების ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან. პირველად **დ**-ები გაჩნდა ზოგი სახელმწიფოს იალქნიან ფლოტებში XVII საუკუნეში, როგორც ხომალდების ესკადრის მნიშვნელოვანი ნაწილი. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში **დ**-ები გაჩნდა საფრანგეთის, შემდეგ ავსტრიის, პრუსიის არმიებში, ხოლო XIX საუკუნეში **დ**-მ მყარად მოიკიდა ფეხი მრავალ ქვეყანაში. **დ**-ის ახალი ტიპების შექმ-

ნას განაპირობებდა შეიარაღებული ძალების ახალი სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების გაჩენა, სამხედრო ტექნიკის განვითარება.

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების ძირითადი შენაერთია სარაკეტო **დ.** პირველი სარაკეტო **დ.** 60-იანი წლების დამდეგს ჩამოყალიბდა. სახმელეთო ჯარებში **დ.** არის ძირითადი საერთო-საჯარისო შენაერთი. II მსოფლიო ომამდე ძირითადი ტიპი იყო ქვეითი **დ.**, რომელიც თანამედროვე არმიებში დღესაც არის. მაგალითად აშშ-ში, გფრ-ში, საფრანგეთში, თურქეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში. აშშ-ში ქვეითი **დ.** შედგება ბრიგადების 3 შტაბისაგან, 8 ქვეითი, 1 მოტოქვეითი და 1 სატანკო ბატალიონისგან, **დ**-ის არტილერიის (155 *მმ* და 203,2 *მმ* ჰაუბიცების დივიზიონისგან და 105 *მმ* ჰაუბიცების 3 დივიზიონისაგან), საზენიტო დივიზიონის, სადაზვერვო აერომობილური, დაზვერვისა და რადიოელექტრონული ბრძოლის, კავშირგაბმულობის, საინჟინრო, არმიის ავიაციის ბატალიონებისგან. საავტომობილო და ჯავშანსატანკო ტექნიკით ჯარების შევსების შემდეგ ქვეითი **დ**-ები გარდაიქმნა მოტოქვეით, მოტორიზებულ, მექანიზებულ, მოტომსროლელ და ა.შ. **დ**-ებად, რომლებიც არის სხვადასხვა სახელმწიფოს არმიებში. მაგალითად, გერმანიაში მოტოქვეით **დ**-ში შედის 2 მოტოქვეითი და 1 სატანკო ბრიგადა, საარტილერიო პოლკი, პოლკის საზენიტო არტილერია, საარმიო ავიაციის ესკადრილია, სადაზვერვო, მესანგრეთა, კავშირგაბმულობის ბატალიონები და სხვა ნაწილები და ქვედანაყოფები. მექანიზებული **დ**-ის ნიმუშია აშშ-ის **დ.**, რომელშიც შედის ბრიგადების 3 შტაბი, 5 მოტოქვეითი და 5 სატანკო ბატალიონი, **დ**-ის არტილერია (155-*მმ* თვითმავალი ჰაუბიცების სამი დივიზიონი და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის ბატარეა), საზენიტო დივიზიონი, არმიის საავიაციო ბრიგადა, დაზვერვისა და რადიოელექტრონული ბრძოლის, კავშირგაბმულობის, საინჟინრო და სხვა ბატალიონები. მექანიზებული დივიზიები იყო ყოფილი სსრ კავშირის სახმელეთო ჯარებში 1945–46 წლიდან 1963 წლამდე, ხოლო შემდეგ ისინი მოტომსროლელ დივიზიებად გარდაიქმნა. სატანკო **დ.** (გერმანია, იაპონია, რუსეთი, ჩინეთი და სხვა) და ჯავშანსატანკო **დ.** (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვა) საერთო საჯარისო შენაერთებს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანი საცეცხლე ძლიერება და მანევრულობა ახასიათებს გერმანიის სატანკო **დ**-ს. იგი შედგება 2 სატანკო და 1 მოტოქვეითი ბრიგადებისგან, საარტილერიო, საზენიტო-საარტილერიო პოლკებისგან, არმიის საავიაციო ესკადრილიისგან, უზრუნველყოფის ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან. ანალოგიურია მოტოქვეითი **დ**-ც. აშშ-ში ჯავშანსატანკო **დ.** შედგება ბრიგადების 3 შტაბისგან, 6 სატანკო და 4 მოტოქვეითი ბატალიონისგან, საარტილერიო დივიზიონებისგან და სხვა ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან, რომლებიც მექანიზებული **დ**-ის ანალოგიურია. რუსეთში სატანკო **დ.** შეიცავს 3 სატანკო, აგრეთვე მოტომსროლელ, თვითმავალი არტილერიის და საზენიტო-სარაკეტო პოლკებს, უზრუნველყოფის ნაწილებს და ქვედანაყოფებს. საჰაერო-სადესანტო **დ.** არსებობს მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს არმიებში. მაგალითად, აშშ-ში **დ**-ის შემადგენლობაშია: 9 საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი, 105-*მმ* ჰაუბიცების 3 დივიზიონი, საზენიტო დივიზიონი, ავიაციის ბრიგადა და სხვა ნაწილები (ქვედანაყოფები). აშშ-ის საჰაერო-მოიერიშე **დ.** (1975 წლამდე – აერომობილური **დ.**) მოიცავს 9 ქვეით აერომობილურ ბატალიონს, სხვა ნაწილებსა და ქვედანაყოფებს, რომლებიც საჰაერო-სადესანტო **დ**-ის ანალოგიურია. 1985 წელს საფრანგეთში ჩამოყალიბდა აერომობილური **დ.**, რომელიც განკუთვნილია საერთო-საჯარისო ქვედანაყოფების მხარდაჭერისთვის, ტანკებთან და ვერტმფრენებთან ბრძოლისათვის. შედგება საარმიო ავიაციის 3 ბატალიონისა და 1 მოტოქვეითი აერომობილური ბატალიონისაგან. საარტილერიო **დ.** (გარღვევის) ზარბაზნების, ნაღმსატყორცნებისა ყოფილ სსრ კავშირში ჩამოყალიბდა II მსოფლიო ომის წლებში. გარღვევის საარტილერიო **დ**-ში იყო 6–7 საარტილერიო ბრიგადა, საზარბაზნე საარტილერიო დივიზიაში არის 3–4 ბრიგადა. 1943 წლიდან **დ**-ები საარტილერიო კორპუსებად გარდაიქმნა. მთელი რიგი სახელმწიფოების საჰაერო თავდაცვის ჯარებში, სამხედრო-საჰაერო ძალებში შედის საჰაერო ჯარების ერთი ან რამდენიმე გვარეობის, სპეციალური ჯარების ნაწილები. ძირითადი ტაქტიკური შენაერთია საჰაერო თავდაცვის **დ.**, რომელიც მოიცავს საზენიტო-სარაკეტო ბრიგადებს (პოლკებს, დივიზიონებს), გამანადგურებელ საავიაციო პოლკებს, რადიოტექნიკურ ბრიგადებს, რადიოელექტრონული ბრძოლის, კავშირგაბმულობის, ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილებს. ბევრი სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალებში საავიაციო **დ**-ები გაჩნდა 30-იან წლებში. ისინი განკუთვნილი იყო ტაქტიკური და ოპერატიული ამოცანების შესრულებისათვის, რაც დამოკიდებული იყო ავიაციის გვარეობაზე, რომელსაც ეკუთვნოდნენ. ცნობილია საავიაციო **დ**-ის შემდეგი ძირითადი ტიპები: ბომბდამშენი, მძიმე ბომბდამშენი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი,

გამანადგურებელი, მოიერიშე, შერეული, სამ-

ხედრო-სატრანსპორტო და სხვა. საავიაციო **დ**-ის ჩვეულებრივი შემადგენლობაა ავიაციის ერთი ან რამდენიმე (შერეულ საავიაციო **დ**-ებში) გვარეობის რამდენიმე საავიაციო პოლკი (ფრთა, ესკადრილია). მაგალითად, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებში არის საავიაციო მხარდაჭერის **დ**. და საჰაერო თავდაცვის **დ**. საავიაციო მხარდაჭერის **დ**. შეიცავს 4–5 გამანადგურებელ-ბომბდამშენ ესკადრას, საჰაერო თავდაცვის საავიაციო **დ**. – გამანადგურებელ საავიაციო ესკადრას, საზენიტო მართული რაკეტების 1–2 პოლკს და რადიოსალოკაციო უზრუნველყოფის 2 პოლკს. აშშ-ში სამხედრო-საჰაერო ძალებში საავიაციო **დ**-ს არ აქვს ერთიანი ორგანიზაცია, მისი საბრძოლო შემადგენლობა განისაზღვრება დანიშნულებით. მთელი რიგი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალებში (სამხედრო საზღვაო ფლოტში) არის ხომალდების საზღვაო ავიაციისა და საზღვაო ქვეითი ჯარის **დ**-ები. ხომალდების **დ**-ებში შეიძლება შედიოდეს პირველი რანგის რამდენიმე ხომალდი ან სხვა რანგის ხომალდების რამდენიმე ბრიგადა და დივიზიონი. იყოფა წყალზედა ხომალდების **დ**-დ და წყალქვეშა ნავების **დ**-დ. წყალზედა ხომალდების **დ**-ებს განასხვავებენ შემადგენლობისა და დანიშნულების მიხედვით (სარაკეტო, ნავსაწინააღმდეგო ხომალდების, წყლის რაიონის დაცვის, კატარღების). აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში 1974 წლამდე იყო ავიამზიდების **დ**. უცხოეთის თანამედროვე ფლოტები სადივიზიო ორგანიზაციას არ იყენებენ. ისინი შედგებიან ფლოტილიებისგან, ესკადრებისა და დივიზიონებისაგან. წყალქვეშა ნავების **დ**-ში შეიძლება, შედიოდეს სხვადასხვა კლასის, ტიპისა და დანიშნულების წყალქვეშა ნავები. არის მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავების, ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი სარაკეტო წყალქვეშა ნავების, სარაკეტო-სატორპედო წყალქვეშა ნავებისა და სხვა **დ**-ები. საზღვაო ავიაციის **დ**. შეიძლება იყოს რაკეტმზიდი, ნავსაწინააღმდეგო, მოიერიშე და გამანადგურებელი. გერმანიაში საზღვაო ავიაციის **დ**. შეიცავს 4 ესკადრას: გამანადგურებელ-ბომბდამშენს, შერეულს, საპატრულო და დამხმარე ესკადრებს. აშშ-ში არის საზღვაო ქვეითი ჯარის 4 **დ**. თითოეული მათგანში არის საზღვაო ქვეითი ჯარის 3 პოლკი, საარტილერიო პოლკის და ბატალიონები: მსუბუქი მოტოქვეითი, სატანკო, სადაზვერვო, საინჟინრო და სხვა.

დივიზიის არტილერია, იხ. *საჯარისო არტილერია*

დივიზიონი (ფრანგული division – დაყოფა, გამოყოფა), 1. ძირითადი საცეცხლე და ტაქტიკური ქვედანაყოფი თანამედროვე არმიების საზენიტო-სარაკეტო, სარაკეტო ჯარებში და არტილერიაში. შედის ნაწილის (შენაერთის) შემადგენლობაში, ასევე შეიძლება იყოს ცალკეული **დ**-ები. არსებობს: ზარბაზნების, ჰაუბიცების, ნაღმსარტყორცნების, რეაქტიული, გამანადგურებელ-ტანკსაწინააღმდეგო, თვითმავალი არტილერიის, სარაკეტო, საზენიტო-სარაკეტო და სხვა. როგორც წესი, სარაკეტო (საარტილერიო) **დ**-ში შედის 2–4 სასტარტო (საცეცხლე) ბატარეა, მართვის და უზრუნველყოფის ქვედანაყოფები. მაგალითად, გერმანიის მოტოქვეითი დივიზიის საარტილერიო **დ**. შედგება ორი 203,2 *მმ*. თვითმავალი ჰაუბიცების ბატარეისა და ორი 155 *მმ* ჰაუბიცების ბატარეისგან. 2. XIX საუკუნის ბოლოს – XX საუკუნის პირველ ნახევარში ზოგიერთი ქვეყნის კავალერიის ტაქტიკური ქვედანაყოფი. როგორც წესი, შედგებოდა 2–3 საკავალერიო ესკადრონისაგან. 3. ზოგიერთ ქვეყანაში სამხედრო ავიაციის ცალკეული სამხედრო ნაწილი, რომელშიც შედის რამდენიმე საავიაციო რაზმი 4. ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებში 1-ლი რანგის ხომალდებზე – ქვედანაყოფი, რომელიც შედის საბრძოლო ნაწილის შემადგენლობაში. 5. სასწავლო ქვედანაყოფი ზოგიერთ სამხედრო-სასწავლო დაწესებულებაში.

დინამიტი (ფრანგული dynamite < ბერძნული dynamis-სგან – ძალა), ბრიზანტული ფეთქებადი ნარევი, რომელიც ნიტროგლიცერინისა და დანამატებისაგან (პირომჟავა, ხის ფქვილი, დინიტროგლიკოლი და სხვა) მზადდება. **დ**-ის თვისება განისაზღვრება მისი კომპონენტების შეფარდებით. ყველაზე მძლავრი **დ**-ის სიმჭიდროვე შეადგენს 1,*6გრ/სმ*³, აფეთქების სიმხურვალე 6,*5მ.ჯ/კგ*, დეტონაციის სიჩქარე 8*კმ/წმ*. გამოგონებულია დანიელი ა. ნობელის მიერ 1867 წელს. XX საუკუნის შუა წლებამდე გამოიყენებოდა სამთო საქმეში, მაგრამ მაღალი მგრძნობელობის გამო შეიცვალა ნაკლებად საშიში ფეთქებადი ნივთიერებით. სამხედრო საქმეში გავრცელება ვერ პოვა.

დიპლომატიური ბრძოლა ომში, მეომარი მხარეების მიერ დიპლომატიური საშუალებების გამოყენება საომარი ინტერესებისთვის ყველაზე ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების შესაქმნელად. **დ.ბ.ო**. არის დაპირისპირების სპეციფიკური ფორმა და ამავე დროს მისი ერთ-ერთი საშუალება, რომელიც ექვემდებარება შეიარაღებული ბრძოლის მოთხოვნილებებს. დიპლომატიური ბრძოლის სფეროებს შეადგენენ სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და საკუთრივ სამხედრო ურთიერთობები. დიპლომატიურ ბრძოლაში გამოიყენება სხვადასხვა საშუალება, ფორმა და მეთოდი, მათ შორის – სახელმწიფოთაშორისი განსხვავებული დონის და სახეობის კონტაქტები, რომლებიც ატარე-

ბენ ორმხრივ და მრავალმხრივ ხასიათს (ხორციელდება უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით); დიპლომატიური მიმოწერა; ვიზიტები და მოლაპარაკებები, თათბირები და შეხვედრები; კონფერენციები და კონგრესები; მზადება ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დასადებად და სხვა დოკუმენტების ხელმოსაწერად; მონაწილეობა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მათი ორგანოების მუშაობაში და სხვა. დიპლომატიურ ბრძოლაში გამოიყენება როგორც მისი წარმოების ღია ფორმები, რომლებიც გარკვეულ საჯაროობას გულისხმობენ, ისე დახურული, ფარული დიპლომატიის მეთოდები.

დირექტივა (სამხედრო) (ფრანგული directive-სგან, ლათინურიდან dirigo-სგან – გიგზავნი), ჯარების (ძალების) მართვის ოპერატიული (საბრძოლო) ან სამსახურებრივი დოკუმეტი, რომელიც შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მომზადებისა და წარმოების, ჯარების წვრთნის, საშტატო ორგანიზაციის, მომარაგებისა და მათი ცხოველმოქმედების სხვა საკითხებზე. **დ.** გამოიყენება უმთავრესად შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის სისტემაში სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული და ოპერატიული გაერთიანებების მართვისთვის. **დ**-ში ჩამოყალიბებულია განსახორციელებელი ღონისძიებების მიზანი, ამოცანები, მათი შესრულების წესი და ვადები. ისინი შეიძლება იყოს ოპერატიული, საორგანიზაციო – სამობილიზაციო, ჯარების (ძალების) ოპერატიული და საბრძოლო მომზადების, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოგისტიკის.

ოპერატიული **დ**. – დოკუმენტი, რომლის მეშვეობით საბრძოლო ამოცანებს დაიყვანენ დაქვემდებარებულ გაერთიანებამდე (ფლოტის ძალების დაჯგუფებამდე). იგი შეიცავს მონაცემებს, რომლებიც სარდლებისთვის აუცილებელია საბრძოლო ამოცანაში გასარკვევად, გადაწყვეტილების მისაღებად, ურთიერთქმედების ორგანიზაციისთვის, ჯარების (ძალების) მართვისა და მომზადებისთვის. ოპერატიულ **დ**-ს სრული მოცულობით ეცნობა პირების მკაცრად შეზღუდული წრე. ოპერატიული და საბრძოლო მომზადების **დ**. ასახავს უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის ორგანოს გადაწყვეტილებას ოპერატიული და საბრძოლო მომზადების ორგანიზებაზე. მასში მითითებულია: ოპერატიული და საბრძოლო მომზადების პროგრამების, გეგმების შესრულების, სამხედრო დისციპლინის განმტკიცების შედეგები და დაშვებული ძირითადი ნაკლოვანებები. ბრძანებით ნაწილში დასახულია ამოცანები საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის, ოპერატიული და საბრძოლო მომზადების ჯარების სახეობების, გვარეობების, სპეციალური ჯარების მიხედვით და ა.შ., **დ**-ის ტექსტური ნაწილის საერთო ფორმა განსაზღვრულია საბრძოლო დოკუმენტების გაფორმებისა და დამუშავების დადგენილი წესებით.

დირექციული კუთხე (ფრანგული direction – მიმართულება), კუთხე, რომელიც განსაზღვრავს ნებისმიერი წრფის მიმართულებას საწყისი მიმართულების (კოორდინატების ღერძის) მიმართ. ტოპოგრაფიულ რუკებზე **დ.კ**. არის კუთხე კოორდინატების ბადის ჩრდილოეთ მიმართულებასა და საგნის მიმართულებას შორის; აითვლება საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით 0^0-დან 360^0-მდე. გამოიყენება ტოპოგრაფიული მიბმის, სროლის მიმართულების განსაზღვრის, კოორდინატების გამოთვლის და სხვა მიზნებისთვის.

დირიჟაბლი (ფრანგული dirigeable – მართვადი), ჰაერზე მსუბუქი მართვადი საფრენი აპარატი. ძირითადი ნაწილებია: აირით (ჩვეულებრივი წყალბადით ან ჰელიუმით) გავსებული კორპუსი, კორპუსის ბოლოში ჯვარედინად განლაგებული ჰორიზონტალური და ვერტიკალური უძრავი სიბრტყეები (სტაბილიზატორი და კილი), სიმაღლის და მიმართულების საჭეები, აგრეთვე ერთი ან რამდენიმე გონდოლა ეკიპაჟის, მგზავრების, ძრავების და მოწყობილობების მოსათავსებლად. არსებობს რამდენიმე სახეობის **დ**.: რბილი სისტემის, ნახევრად ხისტი და ხისტი სისტემის. I მსოფლიო ომის დროს **დ**-ს იყენებდნენ დაბომბვისა და დაზვერვისათვის, ხოლო II მსოფლიო ომის დროს ნაღმების და ჩაძირული გემების ძიებისთვის, ტვირთის ტრანსპორტირებისათვის და მედესანტეების სავარჯიშოდ. თანამედროვე **დ**-ს იყენებენ ძირითადად სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებისათვის, სახანძრო დაცვისა და სამეცნიერო მიზნებისათვის. სამხედრო მიზნებისთვის მისი გამოყენება შეზღუდულია.

დისკრეციული უფლებამოსილება, სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურისათვის კანონით მინიჭებული უფლება განსაკუთრებულ პირობებში (მაგალითად, საგანგებო მდგომარეობის დროს) იმოქმედოს პირადი შეხედულებისამებრ.

დისკრიმინაცია (ლათინური discriminatio – განსხვავება), სახელმწიფოში განსაზღვრული მოქალაქეებისათვის იმ უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა, რომლითაც სარგებლობენ სხვა მოქალაქეები.

დისლოკაცია (ლათინური dislocatio – გადაადგილება), სახმელეთო ჯარების განთავსება სპეციალურ სამხედრო ქალაქებში, ბანაკებსა და სხვა ადგილებში. ავიაციაში გულისხმობს მათ განთავსებას ბაზირების აეროდრომებზე, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალებში გემების

განთავსებას პორტებში და სამხედრო- საზღვაო ბაზებზე.

დისლოკაციის ადგილის შეცვლა (ფრანგული dislocation – გადაადგილება), მშვიდობიანობის დროს სამხედრო ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებების განლაგების (დაბინავების) ადგილის შეცვლა.

დისპოზიცია (ლათინური disposition – განთავსება, განლაგება), 1. ბრძოლის (ბატალიის) საწარმოებლად სახმელეთო ჯარების, ფლოტის ძალების ერთმანეთისა და მოწინააღმდეგის მიმართ განლაგების გეგმის სახელწოდება, რომელიც გამოიყენებოდა XX საუკუნის დასაწყისამდე. შემდგომში ეს ტერმინი შეიცვალა ტერმინებით „საბრძოლო წყობა“, „ოპერატიული დაწყობა“; 2. XVIII-XIX საუკუნეებში მეთაურის (სარდლის) წერილობითი ბრძანება დაქვემდებარებული სახმელეთო ჯარებისადმი ბრძოლის (ბატალიის) ან მარშის შესახებ.

დისციპლინური პასუხისმგებლობა, სამხედრო მოსამსახურის პირადი პასუხისმგებლობა გადაცდომებზე, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო დისციპლინის, მორალის ნორმებისა და მხედრული ღირსების დარღვევასთან. სამხედრო მოსამსახურეებს **დ.პ**-ს აკისრებენ მეთაურები (უფროსები). იმავდროულად დამრღვევები შესაძლოა დისციპლინური სასჯელითაც დაისაჯონ.

დისციპლინური პრაქტიკა, შეიარაღებული ძალებში მიღებული წახალისებისა და დასჯის სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს სამხედრო დისციპლინის განმტკიცებასა და სამხედრო საქმიანობის სტიმულირებას. იგი ეფუძნება კანონიერების პრინციპებს, სამხედრო ნაწილში (ქვედანაყოფში) რეალურ მდგომარეობას, სამხედრო ფიცისა და წესდებების მოთხოვნათა ზუსტად დაცვას. დისციპლინური ზემოქმედების ზომების გამოყენება შესაბამისობაშია ნაწილში (ქვედანაყოფში) სამხედრო დისციპლინის სისტემატურ ანალიზთან და ამის საფუძველზე მისი განმტკიცების ზომების შემუშავებასთან **დ.პ**-ის აღრიცხვა წარმოებს ყველა ქვედანაყოფში, ნაწილში, დაწესებულებაში და ორგანიზაციაში.

დისციპლინური სასჯელი, სასჯელი, რომელიც გამოიყენება მხედრული დისციპლინის ან საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი სამხედრო მოსამსახურეების მიმართ.

დისციპლინური წესდება, განსაზღვრავს სამხედრო დისციპლინის არსს, სამხედრო მოსამსახურეთა მოვალეობებს მისი დაცვისთვის, წახალისების და დისციპლინური სასჯელის სახეობებს, მეთაურთა (უფროსთა) მოვალეობებს მათი გამოყენებისთვის.

დიუნკერკის ოპერაცია 1940, პირობითი სახელწოდება – „დინამო“, II მსოფლიო ომის დროს გერმანელთა მიერ დიუნკერკის რაიონში (ჩრდილოეთ საფრანგეთის სანაპიროზე) ბლოკირებული ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის ჯარების ევაკუაცია ინგლისში (26 მაისი – 4 ივნისი). გერმანული სარდლობის შეცდომამ, ინგლისელი და ფრანგი მეზღვაურების, მფრინავებისა და ფრანგული არიერგარდის გმირობამ შესაძლებელი გახადა ჯარების დიდი ნაწილის ევაკუირება (215 ათ. ინლისელი, 123 ათ. ფრანგი და ბელგიელი) გერმანული ავიაციის ინტენსიური დარტყმების მიუხედავად. მოკავშირეთა სამხედრო ტექნიკა ნაპირზე იქნა დატოვებული.

დიფოსგენი, არამდგრადი მომწავლელი ნივთიერება მახრჩობელა მოქმედებთ. უფერო სითხე, რომლის დუღილის ტემპერატურა არის 128^0 C, დნობის – 57^0 C და სიმკვრივე 1,64 *გრ/სმ*^{3}. მოქმედების ფარული პერიოდი 6–8 *სთ*-მდე. მისგან დაცვის საშუალებაა აირწინაღი. გამოიყენეს პირველ მსოფლიო ომში.

დოზიმეტრული კონტროლი, ღონისძიებათა სისტემა, რომლის ორგანიზება ხდება პირადი შემადგენლობის რადიოაქტიური დასნებოვნების ხარისხის განსზღვრისათვის. **დ.კ**-ს ახორციელებენ ქიმიური ჯარების ქვედანაყოფი, ქიმიკოს-ინსტრუქტორები და სპეციალურად მომზადებული სამხედრო მოსამსახურეები დოზიმეტრული ხელსაწყოების გამოყენებით.

დოზიმეტრული ხელსაწყოები, იონური გამოსხივების შესაფასებელი ხელსაწყოები. უზრუნველყოფენ რადიაციული დაზვერვის წარმოებას, პირადი შემადგენლობის რადიოაქტიური დასხივების დოზიმეტრულ კონტროლს, გარემოს რადიაქტიური დასნებოვნების განსაზღვრას. მათ განეკუთვნება დოზის სიმძლავრის განმსაზღვრელი დოზიმეტრები, რადიოაქტიურობის ინდიკატორები, რადიომეტრები, სპექტომეტრები და სხვა.

დოზის ნორმა, ბირთვული ან იონური რადიაციის ნორმა, რომელიც დასაშვებია პიროვნებამ მიიღოს განსაზღვრული დროის მანძილზე.

დოზის სიმძლავრე (მაიონიზირებელი გამოსხივების რადიაციის დონე), დროის მცირე მონაკვეთში იონური გამოსხივების დოზის შეფარდება ამ მონაკვეთთან. მისი ერთეულია: გრეი წამში (*გრ/წმ*) შთანთქმელისთვის, ამპერი კილოგრამზე (A/*კგ*) ექსპოზიციურისთვის და ზივერტი წამში (*ზვ/წმ*) **დ.ს**-ის ექვივალენტური. მისი ზომის სისტემგარეშე ერთეულია: რად საათში (*რად/სთ*), რენტგენი საათში (*რ/სთ*) და ბერი საათში (*ბერ/სთ*).

დომინიკა (Dominica – დომინიკის თანამეგობრობა), სახელმწიფო მცირე ანტილის კუნძულების ჯგუფში მდებარე იმავე დასახელების კუნძულზე ვესტინდოეთში. ფართობი 749,8 *კმ*^{2}. მოსახლეობა 72,6 ათ. კაცი (2012).

ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. როზო. **დ.** შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის შემადგენლობაში. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1978 წლის 3 ნოემბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – როზო. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია.

დომინიკის რესპუბლიკა (República Dominicana), სახელმწიფო რომელიც მდებარეობს კუნძულ ჰაიტის ნაწილსა და დიდი ანტილის კუნძულთა ჯგუფის რამდენიმე მცირე კუნძულზე, ვესტინდოეთში. ფართობი 48,7 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 10,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. სანტო-დომინგო. ადმინისტრაციულად იყოფა 26 პროვინციად და დედაქალაქის ოლქად. სახელმწიფოს და მთავრობას ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). **დ.რ.** სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. აწარმოებს რკინის, ნიკელის და ბოქსიტის მოპოვებას საექსპორტოდ. საზღვაო პორტებია: სანტო-დომინგო, პუერტო-პლატა, ლა-რომანა, ბარაონა. საერთაშორისო აეროპორტი – პუერტო-კაუსედო (სანტო-დომინგო). შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა 24,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 15 ათ., სამხედრო-საჰაერო 5,5 ათ. და სამხედრო-საზღვაო 4 ათ.. შეიარაღებული ძალების 40%-მდე გამოიყენება უსაფრთხოების ამოცანების შესასრულებლად. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

დონჯონი (ფრანგული donjon – დრაკონი), ფეოდალური ციხე-დარბაზის მთავარი კოშკი. სიმაგრის მცველთა ბოლო თავშესაფარი.

დრაბანტები (გერმანული trabant, *ძხ.რ.*), ძველად მეფე-მთავრების, სარდლებისა და უმაღლესი არისტოკრატიის ცხენოსანი და ქვეითი მცველები ევროპის ზოგ სახელმწიფოში (ბრანდენბურგი, ავსტრია, შვედეთი, რუსეთი და სხვა). XX საუკუნის დასაწყისისათვის შემორჩნენ მხოლოდ ავსტრია-უნგრეთში. **დ.** ბევრ ქვეყანაში გვარდიის უშუალო წინამორბედები იყვნენ.

დრაგუნები (ფრანგული Dragon), კავალერიის სახეობა XVII–XX საუკუნის ევროპულ და რუსულ არმიებში. განკუთვნილი იყო როგორც ცხენდაცხენ, ასევე ქვეითად საბრძოლველად. **დ.** პირველად გაჩნდნენ საფრანგეთში XVI საუკუნეში.

დრეზდენის ბრძოლა 1813, ბრძოლა მოკავშირეთა (რუსეთი, პრუსია, ავსტრია) ჯარებსა (227 ათ. კაცი, ავსტრიელი ფელდმარშალი კ. შვარცენბერგი) და ნაპოლეონის არმიას (165 ათ. კაცი) შორის 14–15 (26–27) აგვისტოს. მოკავშირეებმა ვერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა, მარცხი განიცადეს და იძულებული გახდნენ ჩეხეთში დაეხიათ. ბრძოლაში მათ დაკარგეს 24 ათ. კაცი (მ.შ. 14 ათ. ტყვედ ჩავარდა), ფრანგებმა – დაახლოებით 10 ათ..

დრეიკი (Drake) ფრენსის (1540–96), ინგლისელი ზღვაოსანი, ვიცე-ადმირალი (1588). ხელმძღვანელობდა მეკობრულ ექსპედიციებს ვესტ-ინდოეთში; 1577–80 წლებში იმოგზაურა დედამიწის ირგვლივ. 1588 წელს, ესპანეთის „უძლეველი არმადის“ განადგურების დროს, ფაქტობრივად მეთაურობდა ინგლისის ფლოტს.

დროებითი ორგანიზაციული ერთეული, ფორმირება, რომელიც გარკვეული ამოცანის შესასრულებლად დროებით იქმნება. მისი შექმნა გულისხმობს არსებული ძალებისა და საშუალებების შტაბისთვის დროებით ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადაცემას.

დრო „ს“, ჯარების (ძალების) მოქმედებების დაწყების პირობითი აღნიშვნა. დგინდება ჯარების (ძალების) სხვადასხვა სახეობების საბრძოლო მოქმედებების შეთანხმებისა და ერთდროული დარტყმების მიყენების მიზნით, როდესაც საბრძოლო მოქმედებების რეალური დრო არ არის განსაზღვრული ან უსაფრთხოების მიზნით იგი არ ხმაურდება. ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვა და მომზადება წარმოებს „ს“-დან, როგორც დროის ნულოვანი მნიშვნელობიდან.

დროშა, სახელმწიფოს, მისი შეიარაღებული ძალების, დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კავშირების, სპორტული საზოგადოებების ნიშანი. წარმოადგენს დადგენილი ფერის, ფორმისა და ზომის ქსოვილის ნაჭერს, ჩვეულებრივ, აქვს გერბი, ემბლემა, წარწერები და სხვა, მაგრდება ტარზე.

დუბლირება (ფრანგული doublez – გაორმაგება), საომარი მოქმედებების და მათი უზრუნველყოფის პერიოდში ერთი და იმავე მოქმედების ორჯერ ან მრავალჯერ შესრულება, მიმართულია ერთი მიზნის გარანტირებული მიღწევისთვის. რაიმეს ორი ან რამდენიმე ეგზემპლარად შესრულება, გამეორება. **დ.** ფართოდ გამოიყენება ჯარების (ძალების) და შეიარაღების მართვის პროცესში. წყლიანი დაბრკოლებების ფორსირებისას ყველა გადასასვლელის **დ.** ხდება. ასევე გათვალისწინებულია დაზვერვის, რადიოელექტრონული ჩახშობის და დაცვის **დ.** შეიძლება იყოს მუდმივი ან დაცალკევებული.

დუე (Duhet) ჯულიო (1869–1930), იტალიელი გენერალი და სამხედრო თეორეტიკოსი. 1918 და 1922–23 ხელმძღვანელობდა ავიაციის ცენტრალურ სამმართველოს. ჩამოაყალიბა თეორია ბომბდამშენი ავიაციის წამყვან როლ-

ზე, რომელსაც, მისი აზრით, მოწინააღმდეგის სახელმწიფო და ეკონომიკური ცენტრების განადგურებით ომის ბედის გადაწყვეტა შეუძლია („დუეს დოქტრინა“).

დუმანი (თურქული-მონღოლური tümen – ათი ათასი), მონღოლთა ლაშქრის უმაღლესი ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთი XIII–XIV საუკუნეებში, რომელიც ითვლიდა 10 ათ. მხედარს. **დ.** აღნიშნავდა აგრეთვე ტერიტორიას, რომლის მოსახლეობას 10 ათასი მოლაშქრის გამოყვანა შეეძლო. მაგალითად, მონღოლთა მიერ დამორჩილებული საქართველო XIII საუკუნის 40-იან წლებში რვა დუმნად იყო დაყოფილი.

დუპლექსი (ლათინური duplex – ორმაგი), უნიფიცირებული ლაფეტის მქონე ორი სხვადასხვა კალიბრის საარტილერიო ქვემეხი. **დ**-ის გამოყენება ამცირებს ქვემეხის შექმნის და წარმოების ვადებს და დანახარჯს, ამარტივებს მათ ექსპლუატაციას და რემონტს.

დღე - „დ“, – დღე, როდესაც საომარი მოქმედებები (ოპერაცია) იწყება ან სავარაუდოა, რომ დაიწყოს. შეიძლება აღინიშნებოდეს საომარი დაპირისპირებისა ან ნებისმიერი მოქმედების დაწყება.

დღის განრიგი, სამხედრო ნაწილში (ხომალდზე) დღე-ღამის დროის განაწილება პირადი შემადგენლობის ყოველდღიური სამსახურის, სწავლის და ცხოვრების რეგლამენტირების მიზნით. განრიგს ადგენს ნაწილის მეთაური. ხომალდზე **დ.გ**-ის შედგენა ხდება კვირის განრიგის შესაბამისად, რომელსაც ამუშავებს შენაერთის შტაბი. ფორმდება სპეციალური დოკუმენტის სახით და ინახება სადღეღამისო განწესის დოკუმენტაციაში. იგი ითვალისწინებს დილით ადგომის, დილის ფიზიკური ვარჯიშის, სასწავლო მეცადინეობის, საკვების მიღების, კულტურული, სპორტულ-მასობრივი მუშაობის დროს და სხვა.

ე

ეგერები (გერმანული Jäger – მონადირე), 1) მსუბუქი ქვეითი ჯარისა და კავალერიის სახელწოდება XVIII–XIX საუკუნეების ევროპულ და რუსულ არმიებში. თავდაპირველად (XIX საიკუნის შუა ხანებამდე) იქმნებოდა ყოფილი მონადირეებისა და კარგი მსროლელებისაგან; 2) პროფესიონალი მონადირეები, რომლებიც მსახურობენ სამონადირეო მეურნეობებში, ემსახურებიან მოყვარულ მონადირეებს და თვალყურს ადევნებენ ნადირობის კანონების დაცვას.

ეგვიპტე (ძველი ბერძნული – Aigyptos, ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა), სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. უჭირავს აფრიკის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი და სინის ნახევარკუნძული (სამხრეთ-დასავლეთ აზია). ქვეყანას ჩრდილოეთით ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთით – წითელი ზღვა, დასავლეთით – ლიბია, სამხრეთით – სუდანი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ისრაელი. ფართობი 1001,4 ათ. კმ². მოსახლეობა 844 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ქაირო. ადმინისტრაციულად იყოფა 27 მუჰაფაზად (საგუბერნატოროდ). სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლება აქვს ეროვნულ კრებას (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ხელისუფლება – პრეზიდენტს. ე. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს იარაღს, საბრძოლო მასალებს, მყარ სარაკეტო საწვავს, ელექტრონულ ხელსაწყოებს, ჯავშანტრანსპორტიორებს; აწყობს თვითმფრინავებს და ვერტმფრენებს. ქვეყნის მთავარი საზღვაო პორტებია: ალექსანდრია, პორტ-საიდი. მნიშვნელოვანი საერთაშორისო აეროპორტი – კაირო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 468,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 340 ათ., სამხედრო-საზღვაო 18,5 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 110 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ეგვიპტის ექსპედიცია 1798–1801, ფრანგული არმიის ლაშქრობა გენერალ ნაპოლეონ ბონაპარტის სარდლობით ეგვიპტის დაპყრობისა და ინგლისის ინდოეთთან დამაკავშირებელი კომუნიკაციების დარღვევის მიზნით. 1798 წლის ივნისში ფრანგები (38 ათ. კაცი) ალექსანდრიასთან გადასხდნენ, ქაიროსთან, ე.წ. პირამიდებთან, ბრძოლაში სძლიეს *მამლუქთა* ლაშქარს და ეგვიპტე ხელთ იგდეს, მაგრამ საფრანგეთისგან მოწყვეტილები აღმოჩნდნენ, ვინაიდან ფრანგული ფლოტი ინგლისელებმა გაანადგურეს საზღვაო ბრძოლაში აბუკირთან (1798 აგვისტო). 1798 წლის სექტემბერში ომში ოსმალეთი ჩაება. სირიაში უშედეგო ლაშქრობის შემდეგ (1799) და საფრანგეთში შიდაპოლიტიკური მერყეობის გამო, ბონაპარტმა არმია მიატოვა და საფრანგეთში დაბრუნდა. 1801 წელს ფრანგული არმიის ნარჩენები ეგვიპტეში მოწინააღმდეგეს დანებდნენ.

ეგრისის დიდი ომი 542–562, ბრძოლა ბიზანტიის იმპერიასა და ირანს შორის ეგრისში ბატონობისათვის. 541 წელს ეგრისის მეფე გუბაზ II-მ ისარგებლა ირანსა და ბიზანტიას შორის 540 წელს ახალი ომის დაწყებით, ბიზანტიელებს აუჯანყდა და დახმარებისათვის ირანს მიმართა. 542 წელს ირანის მეფე ხოსრო I ანუშირვანი დიდი ჯარით შევიდა ეგრისში, გუბაზის დახმარებით აიღო ბიზანტიელთა მთავარი საყრდენი პუნქტი პეტრა (ახლანდ. ციხისძირი) და შიგ თავისი გარნიზონი ჩააყენა. ეგრისი ირანის პოლიტიკური გავლენის სფეროში მოექცა. 548 წელს ირანელთა ბატონობით შეწუხებული ეგრისელები კვლავ ბიზანტიელთა მხარეზე გადავიდნენ და იმპერატორს სპარსელთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს. იუსტინიანე I-მა ეგრისში ლაშქარი გამოგზავნა. ბიზანტიელთა და ეგრისელთა გაერთიანებულმა ძალებმა სპარსელები დაამარცხეს და ქვეყნიდან განდევნეს. მდგომარეობის გამოსასწორებლად ეგრისში ირანის ახალი ჯარი შევიდა. სპარსელებმა მოახერხეს ქუთაისისა და მის მახლობლად მდებარე უქიმერიონის ციხეებში გამაგრება, 553 წელს კი მოულოდნელი თავდასხმით აიღეს ტელეფისის ციხე (ახლანდ. ტოლები). ამ მარცხს გუბაზი ბიზანტიელთა სარდლობას აბრალებდა. ამით უკმაყოფილო ბიზანტიელმა მეთაურებმა 554 წელს გუბაზ II ვერაგულად მოკლეს. აღშფოთებულმა ეგრისელებმა ირანელებთან ბრძოლას თავი დაანებეს. მოკავშირეთა გარეშე დარჩენილმა ბიზანტიელთა 50-ათასიანმა არმიამ სპარსელებისაგან მწარე დამარცხება იგემა. 555 წელს ეგრისის დიდებულებმა ქვეყნის პოლიტიკური ორიენტაციის საკითხის გადასაწყვეტად სახალხო კრება მოიწვიეს. კრების მონაწილეთა ერთი ნაწილი აიეტის მეთაურობით მოითხოვდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტას და ირანის მხარეზე გადასვლას; მეორე – ფარტაზის ჯგუფი – ირანთან კავშირის მოწინააღმდეგე იყო. იგი საჭიროდ თვლიდა იმპერატორ იუსტინიანესათვის ეთხოვათ გუბაზის მკვლე-

ლების დასჯა და ეგრისის მეფედ გუბაზის უმცროსი ძმის, წათეს, დამტკიცება. გაიმარჯვა ფარტაზის აზრმა. იმპერატორმა დააკმაყოფილა ეგრისელთა მოთხოვნები: გუბაზის მკვლელები სიკვდილით დასაჯეს, ეგრისის მეფედ კი დაამტკიცა წათე II. 555 წელს ირანელებმა იერიში მიიტანეს ფაზისზე, მაგრამ დამარცხდნენ და უკან დაიხიეს. 562 წელს ირანსა და ბიზანტიას შორის დაიდო 50-წლიანი ზავი, რომლის პირობებით ეგრისის სამეფო ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში დარჩა.

„ე“-დღე, დღე, როდესაც იწყება ნატოს სწავლებები.

ევაკუაცია (ლათინური evacuatio – დაცლა, დაცარიელება), საბრძოლო მოქმედებების, მასობრივი დაზიანების იარაღის ზემოქმედების და სტიქიური უბედურების რაიონებიდან დაჭრილებისა და ავადმყოფების, მოსახლეობის, სამხედრო ტყვეების გამოყვანა, ასევე – დაზიანებული იარაღისა და ტექნიკის, სამხედრო და სხვა ქონების, სამეურნეო დანადგარებისა და ფასეულობების გამოტანა; მოწინააღმდეგის მიერ ბლოკირებული რაიონებიდან ჯარების გამოყვანა.

ევაკუაციის რაზმი, საშტატო ან დროებით შექმნილი ფორმირება, რომელიც განკუთვნილია ნგრევის, დასნებოვნებისა და ხანძრების რაიონებიდან (ზონებიდან) დაჭრილების და ავადმყოფების, აგრეთვე ტექნიკის და მატერიალური საშუალებების ევაკუაციისთვის.

ევაკუაციის ძალები, ხმელეთზე, ზღვაში ან ჰაერში საევაკუაციო ოპერაციების განმახორციელებელი ძალები. მსგავსი ოპერაციები, ჩვეულებრივ, ტარდება გაურკვეველ ან არახელსაყრელ პირობებში. ისინი მოიცავენ ღონისძიებების ფართო სპექტრს. კერძოდ: სამედიცინო ევაკუაციას, მძევლების აყვანის მცდელობის აღკვეთას, ევაკუაციის მხარდაჭერასა და სხვა. ასევე მათ ფუნქციებში შედის კონკრეტული გეოგრაფიული რაიონიდან ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეების ან ძალების გადარჩენა და გამოყვანა.

ევგენი სავოიელი (Eugen von Savoyen) (1663–1736), ავსტრიელი მხედართმთავარი, გენერალისიმუსი (1697). მისი მეთაურობით ავსტრიის ჯარებმა იტალიაში დაამარცხეს ფრანგები, უნგრეთში – ოსმალები (1697). *ესპანური მემკვიდრეობისათვის ომში* **ე.ს**-მა 1704, 1706, 1709 წლებში გამარჯვებები მოიპოვა ფრანგებსა და ბავარელებზე, მაგრამ 1712 წელს დამარცხდა ფრანგებთან ბრძოლაში დენენთან. ავსტრია-თურქეთის ომის დროს დაამარცხა ოსმალები და აიღო ბელგრადი (1717). 1703 წლიდან სამხედრო, ხოლო შემდეგ საიდუმლო საბჭოს თავმჯდომარე იყო ავსტრიის იმპერატორის კარზე, დიდ გავლენას ახდენდა ავსტრიის საგარეო პოლიტიკაზე.

ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო, ნატოს ყველა წევრსა და პარტნიორ-სახელმწიფოს (მათ შემადგენლობაშია საქართველო) შორის რეგულარული კონსულტაციების და თანამშრომლობის საკითხების შეთანხმების მრავალმხრივი სათათბირო ორგანო. მისი საქმიანობა დაფუძნებულია ორწლიან სამოქმედო გეგმაზე, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხების ფართო სპექტრს. მათ შორის: რეგიონალურ შეიარაღებაზე კონტროლის, საერთაშორისო ტერორიზმის, სამშვიდობო ოპერაციების, სამხედრო-ეკონომიკური საკითხების, სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის, სამეცნიერო და გარემოს დაცვის პრობლემების გადაწყვეტაში თანამშრომლობას.

ევროპა (ბერძნული Eurōpē – დასავლეთი), ევრაზიის კონტინენტის დასავლეთი ნაწილი. მდებარეობს აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ჩრდილო-დასავლეთით. ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე, დასავლეთით და სამხრეთით – ატლანტის ოკეანე ზღვებით, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით საზღვარი გასდევს ურალის ქედს, მდინარე ემბას, კასპიის ზღვის ნაპირს, კუმა-მანიჩის ღრმულს. ფართობი 10 მლნ. *კმ*². არქიპელაგებს და კუნძულებს უკავიათ 730 ათ. *კმ*², აქედან ყველაზე დიდია: ბრიტანეთი, ისლანდია, ახალი მიწა, შპიცბერგენი. სანაპირო ხაზი დანაწევრებულია. ევროპის 25% მოდის ნახევარკუნძულებზე: სკანდინავიის, პირინეის, აპენინის, ბალკანეთის. მრავლად გვხვდება ყურეები და სრუტეები. რელიეფში ჭარბობს ბორცვიანი ვაკეები (აღმოსავლეთ ევროპის, შუა ევროპის, შუა და ქვედა დუნაის, პარიზის აუზი და სხვა). ტერიტორიის 17% უკავია მთებს (ალპები, კარპატები, პირინეები, აპენინები, ურალი, სკანდინავიის მთები და სხვა). ზედაპირის საშუალო სიმაღლე დაახლოებით ზღვის დონიდან 300 *მ*, მაქსიმალური – 4807 *მ*. (მთა მონბლანი ალპებში). ტერიტორიის დიდ ნაწილზე კლიმატი ზომიერია, ხმელთაშუა ზღვისპირეთში – სუბტროპიკული. უმნიშვნელო ფართობი მოქცეულია არქტიკულ და სუბარქტიკულ კლიმატურ სარტყელებში. **ე**-ში დიდი, განიერი და წყალუხვი მდინარეებია: ვოლგა, დუნაი, დნეპრი, დონი, პეჩორა, რეინი, ელბა (ლაბა), ვისლა, ოდერი (ოდრა), სენა. ტერიტორიის 1/3 უკავია ტყეებს. მოიპოვება ნავთობი, გაზი, ნახშირი, რკინის მადანი, ფერადი ლითონები და სხვა. ფართოდაა წარმოდგენილი სარკინიგზო და საავტომობილო გზები, სამდინარო და ავიახაზები. **ე**. ერთ-ერთი ყველაზე განვი-

თარებული რეგიონია მსოფლიოში. მოსახლეობა 731 მლნ. ადამიანი (2012). ეროვნებების განსახლება ძირითადად ემთხვევა სახელმწიფოების საზღვრებს. ე-ის ტერიტორიაში შედის რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთისა და თურქეთის ტერიტორიების ნაწილები. ევროპის 42 სახელმწიფოდან 26 ნატოს წევრი ქვეყანაა.

ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მოკავშირე სარდლობა, ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობა.

ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის მობილური ძალები, მცირერიცხოვანი მრავალეროვნული ძალები, რომლებიც დაწესებულ ვადებში ევროპაში მოკავშირე გაერთიანებული სარდლობის რეგიონის ნაწილში საფრთხის შემთხვევაში შესაძლოა გაიგზავნოს. ძალების შტაბი მდებარეობს გერმანიის ქალაქ ჰაიდელბერგში. მათი ამოცანაა ჩრდილოატლანტიკური კავშირისადმი სოლიდარობის დემონსტრაცია, მისი უნარი და სიმტკიცე წინ უნდა აღუდგეს ნატოს ნებისმიერი წევრის წინააღმდეგ ყველა სახის აგრესიას. მობილური ძალების შემადგენლობა ნატოს სწრაფი რეაგირების ძალების ჩარჩოებში ახალი როლის შესაბამისია. ისინი მოიცავენ საავიაციო და სახმელეთო ელემენტებს, რომელთა დაკომპლექტებაში მონაწილეობენ ნატოს წევრი უმეტესი ქვეყნები.

ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის სწრაფი რეაგირების კორპუსი, მრავალეროვნული კორპუსი, რომლის შტაბი გერმანიის ქალაქ რეინდალენში მდებარეობს. წარმოადგენს ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის სწრაფი რეაგირების სახმელეთო კომპონენტს. შესაძლებელია ძალების სტრატეგიული სარდლობის ჩარჩოებში მათი გამოყენება ადგილობრივი ძალების გაძლიერებისთვის ან შევსებისთვის, აგრეთვე განსაკუთრებულ შემთხვევაში ოპერაციაში მონაწილეობისთვის. მშვიდობიანობის დროს ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის ოპერატიულ დაქვემდებარებაშია კორპუსის შტაბი და ორი მრავალეროვნული დივიზია, ხოლო დანარჩენი დივიზიები და ნაწილები მხოლოდ გაშლის შემდგომ გადადიან მის ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), შეიქმნა 70-იანი წლების დასაწყისში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის (ეუთთ) ბაზაზე. სახელწოდების შეცვლის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სახელმწიფოებისა და მთავრობების 1994 წლის ბუდაპეშტის შეხვედრაზე. ეუთო აერთიანებს ევროპის, აზიისა და ჩრდილო ამერიკის 55 ქვეყანას. არის მოლაპარაკებების, კონსულტაციებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საკონსულტაციო ორგანო, რომელიც დაფუძნებულია კონსესუსზე. მონაწილე სახელმწიფოების მეთაურებისა და მთავრობების ხელმძღვანელების შეხვედრა, როგორც წესი, ხდება 2 წელიწადში ერთხელ. მასზე განისაზღვრება მნიშვნელოვანი პრიორიტეტები, მიიღება ძირითადი დოკუმენტები. მნიშვნელობით მეორე ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ეუთოს მინისტრთა საბჭო. მისი სხდომები (არანაკლებ ერთისა) ტარდება წლის განმავლობაში. ორგანიზაციის ძირითადი სამუშაო ორგანოა მუდმივი საბჭო. იგი შედგება მონაწილე სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლებისაგან. ყოველდღიური სხდომები ტარდება ვენაში. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა შეიქმნა 1991 წელს. მისი სამდივნო განთავსებულია კოპენჰაგენში. უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის ფორუმის ფარგლებში წარმოებს მოლაპარაკებები შეიარაღების კონტროლზე, განიარაღებაზე, ნდობისა და უსაფრთხოების ზომების გაძლიერებაზე. ეუთოს ეგიდით ხორციელდება მშვიდობის აღდგენისა და მხარდაჭერის ოპერაციები.

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების გამოყენების რაიონი, არეალი, რომელიც მოიცავს ხელშეკრულების მონაწილე წევრი ქვეყნების მთლიან სახმელეთო ტერიტორიას ევროპაში, ატლანტიკის ოკეანიდან ურალის მთებამდე. მოიცავს: 1. ხელშეკრულების მონაწილე ევროპის ქვეყნების ყველა კუნძულოვან ტერიტორიას, დანიის სამეფოს, ფარერების კუნძულების, ნორვეგიის სამეფო სფალბარდის (შპიცბერგენი), მედვეჟი (დათვის) კუნძულის, პორტუგალიის რესპუბლიკის აზორისა და მადეირას კუნძულების, ესპანეთის სამეფოს კანარის კუნძულების, რუსეთის ფედერაციის ფრანც-იოსებისა და ახალი მიწის კუნძულების ჩათვლით; 2. ყაზახეთის და რუსეთის ტერიტორიებს, მდინარე ურალიდან კასპიის ზღვამდე; 3. თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის და 39-ე პარალელის გადაკვეთის წერტილიდან ჩრდილოეთით და დასავლეთით: მურადი, პატნოსი, კარიაზი, თეკმანი, კემელი, ფეკე, ჯეიჰანი, დოგანკენტა, გეზნემდე და ზღვამდე.

ევროპის თავდაცვითი გაერთიანება, ასე ეწოდება სამხედრო დაჯგუფებას, რომლის შექმნის ხელშეკრულებას 1952 წლის 27 ივნისს მოაწერეს ხელი პარიზში 6 დასავლეთევროპული ქვეყნის: საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ბელ-

გიის, ნიდერლანდისა და ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. მაგრამ ცდა, შეექმნათ ახალი სამხედრო დაჯგუფება, რომელიც გერმანიის რემილიტარიზაციას გამოიწვევდა, წააწყდა წინააღმდეგობას ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. **ე.თ.ბ**-ის შექმნა ჩაიშალა. პარიზის 1954 წლის შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ გერმანიის რემილიტარიზაციის გეგმა და მისი ნატოში შეყვანა განხორციელდა მეორე სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციის, დასავლეთ ევროპის კავშირის, ეგიდით. ამ კავშირის მონაწილე. იმ სახელმწიფოების გარდა, ვისაც განზრახული ჰქონდა შესულიყო ევროპის თავდაცვით გაერთიანებაში, გახდა დიდი ბრიტანეთი.

ევროპის ომის თეატრი, ნატოს დებულების მიხედვით, ომის თეატრი, რომელიც მოიცავს ევროპის ტერიტორიას ჩრდილოეთ ნორვეგიის ნორდკაპის კონცხიდან ჩრდილოეთ აფრიკის სანაპირომდე და ატლანტის ოკეანიდან (ესპანეთის და პორტუგალიის ტერიტორიის გამოკლებით) აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების დასავლეთ საზღვრამდე. **ე.ო.თ**. აერთიანებს ნატოს ჩრდილო-დასავლეთ ევროპის საომარი მოქმედების თეატრს, ცენტრალური და სამხრეთ ევროპის საომარი მოქმედების თეატრებს. **ე.ო.თ.,** ნატოს სარდლობის შეხედულებებით, არის შესაძლო საომარი მოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზონა, რომლის საზღვრები ომის შემთხვევაში შეიძლება გაფართოვდეს. **ე.ო.თ**-ში შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისათვის შექმნილია ნატოს სტრატეგიული უმაღლესი სარდლობა ევროპაში (შტაბი ქ. კასტრო, ბელგია).

ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურა, ევროკავშირს, ნატოსა და გაეროს შორის არსებული სტრუქტურა, ჩამოყალიბებული ეფექტური თანამშრომლობის განსახორციელებლად. მის მიზანს წარმოადგენს ევროატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცება ამ ორგანიზაციების ურთიერთქმედებისა და ურთიერთძალისხმევის უზრუნველყოფის საშუალებით. ეს თანამშრომლობა მიმართულია ევროატლანტიკური რეგიონის ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღრმავებისა და კრიზისების დარეგულირებისკენ.

ევროპული კორპუსი, შეიქმნა 1992 წლის მაისში ფრანგულ-გერმანული ბრიგადის საფუძველზე, რომლის ფორმირება მოხდა 1991 წელს. შტაბი მდებარეობს ქალაქ სტრასბურგში. დასავლეთევროპის კავშირის სხვა წევრებსაც შეუძლიათ მას შეუერთდნენ და კორპუსის შემადგენლობაში უკვე შევიდნენ ბელგიის, ლუქსემბურგისა და ესპანეთის ქვედანაყოფები. 1993 წლის 23 იანვარს მიღწეულია შეთანხმება კრიზისის დროს **ე.კ**-ის ნატოსთვის გადაცემის მექანიზმების თაობაზე. **ე.კ**-სა და ნატოს შორის ურთიერთობები ორ პრინციპზეა დაფუძნებული: ამ ახალი „მრავალეროვნული ევროპული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფის“ განსაკუთრებულ ხასიათზე, რომელიც „შეცვლას არ ექვემდებარება“ და **ე.კ**-ის ნატოს სტრუქტურებთან და პროცედურებთან ადაპტაციაზე იმისთვის, რომ ჩრდილოატლანტიკურ კავშირში მისი სწრაფი ინტეგრაცია მოხდეს საბრძოლო გამოყენების შემთხვევაში. 1993 წლის 19 მაისს კორპუსში მონაწილე ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება მისი გადაცემის შესახებ დასავლეთევროპის კავშირის განკარგულებაში.

ეთიოპია (Ethiopia – ეთიოპიის ფედერალური დემოკრატიული რესპუბლიკა), სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, წითელი ზღვის სანაპიროზე. ფართობი 1096 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 85 მლნ. კაცი (2012), შედგება 100 ეთნოსზე მეტი ხალხისაგან. ოფიციალური ენა – ამჰარული. დედაქალაქი – ქ. ადის-აბება. ადმინისტრაციულად იყოფა 9 შტატად. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლებას ფლობს პარლამენტი, აღმასრულებელს – მთავრობა. **ე**. სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. ექპორტს წარმოადგენს ყავა. იყენებს მეზობელი ქვეყნის პორტს – ჯიბუტს. საერთაშორისო აეროპორტი – ადის-აბება. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 138 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 135 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 3 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ეიზენჰაუერი (Eisenhower) დუაიტ დეივიდ (1890–1969), ამერიკელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. 1953–61 წლებში აშშ-ის 34-ე პრეზიდენტი რესპუბლიკური პარტიიდან. არმიის გენერალი (1944). 1943 წლის დეკემბრიდან – დასავლეთ ევროპაში მოკავშირეთა ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. 1945 წლიდან მეთაურობდა აშშ-ის საოკუპაციო ძალებს გერმანიაში. 1950–52 წლებში ნატოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. მის სახელთანაა დაკავშირებული ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების საშინაო საქმეში აშშ-ის ეკონომიკური და სამხედრო ჩარევის პროგრამა, რომელიც ცნობილია „ეიზენჰაუერის დოქტრინის“ სახელით.

ეკვადორი (Ecuador – რესპუბლიკა ეკვადორი), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ქვეყანას დასავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, ჩრდილო-დასავლეთით – კოლუმბია, სამხრეთ-დასავლეთით – პერუ. ფართობი (გალაპაკოსის კუნძულის ჩათვლით) 283,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 13,7 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. კიტო. ადმინისტრა-

ციულად იყოფა 21 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელი – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კონგრესი. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1830 წლიდან. **ე.** აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა მსხვილი ნავთობმრეწველობით. სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტებია: ბანანი, ყავა, კაკაო და ბამბა. საზღვაო პორტებია: გუაიაკილი, ესმერალდასი. საერთაშორისო აეროპორტებია: კიტო, გუაიაკილი, სან-ლორენსო, ლა-ლიბერტადი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 58,4 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 46,5 ათ., სამხედრო-საზღვაო 7,4 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 4,5 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხდება შერეულად.

ეკვატორული გვინეა (Guinea Ecuatorial – ეკვატორული გვინეის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალური აფრიკის დასავლეთ ნაწილში, გვინეის ყურის სანაპიროზე. ფართობი 28,05 ათ. კმ². მოსახლეობა 693,3 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. მალაბო. ადმინისტრაციულად იყოფა 7 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სახალხო წარმომადგენელთა პალატა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1968 წლის 12 ოქტომბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის კულტურების ექსპორტი (ყავა, კაკაო, ბანანი და სხვა) და ხე-ტყის დამუშავება. საზღვაო პორტები და საერთაშორისო აეროპორტებია: მალაბო, ბატა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1,4 ათ. კაცი (2012) მოიცავს სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო ნაწილებს და ქვედანაყოფებს. შეიარაღებული ძალები კომპლექტდება ნებაყოფლობით.

ეკიპაჟი (ფრანგული équipage – კოლექტივი, გუნდი), 1. პირველადი (ყველაზე პატარა) ქვედანაყოფი მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, რომელიც თვითმფრინავის (ვერტმფრენის), ტანკის, ქვეითთა საბრძოლო მანქანის და სხვა თვითმავალი ტექნიკის უშუალო მომსახურებას ეწევა. ჩვეულებრივ, თვითმფრინავის **ე.** – 1–10, ტანკის – 3–5, ქვეითთა საბრძოლო მანქანის – 3–4 ადამიანია. 2. ხომალდის პირადი შემადგენლობა 3. ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო – საზღვაო ძალების (ფლოტის) სანაპირო სამხედრო ნაწილი.

ეკიპირება (ფრანგული équiper – მოწყობა, მომარაგება), 1. სამოსი, სამხედრო აღჭურვილობისა და სხვა ქონების კომპლექტი, რომელსაც სამხედრო მოსამსახურე ატარებს და თან დააქვს. საბრძოლო ამოცანების და სპეციალობის მიხედვით შეიძლება მოიცავდეს სათვალთვალო, დაზვერვის, კავშირის და ნავიგაციის სხვადასხვა საშუალებებს; დაცვის ინდივიდუალურ საშუალებებს; რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის საშუალებებს, სპეციალურ, საინჟინრო და სამედიცინო საშუალებებს; სასურსათო მარაგს, აგრეთვე საძილე ტომარას, გადასარჩენ პირადი დაცვის კომპლექტებს, გასაბერ ნავს, სახის გრიმს და სხვა. 2. სამხედრო მოსამსახურეების ეკიპირების დაწესებული საგნებით უზრუნველყოფა.

ეკოლოგიური ომი, მოწინააღმდეგისთვის ზიანის მიყენება მისი ბინადრობის გარემოზე ზემოქმედებით (ჰაერის, წყლის, ნიადაგის გაჭუჭყიანება ან დასნებოვნება, ფლორის, ფაუნის განადგურება და სხვა). 1978 წელს ძალაში შევიდა გაეროს მიერ მიღებული კონვენცია გარემო ბუნებაზე სამხედრო ან ნებისმიერი სხვა მტრული ზემოქმედის აკრძალვის შესახებ.

ეკოლოგიური უზრუნველყოფა, მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში ორგანიზაციულ, ტექნიკურ და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რომლიც ხელს უწყობს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებას, გარემო ბუნების დაცვას და პირად შემადგენლობაზე ზემოქმედების შემცირებას ასევე მოსახლეობაზე ჯარების (ძალების) ყოველდღიური საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი არაკეთილსაიმედო ფაქტორების ზემოქმედების შემცირებას. **ე.უ.** ხდება ეკოლოგიური ავარიებისა და კატასტროფების დროს, რომლებიც გამოწვეულია საბრძოლო მოქმედებების პერიოდში საკუთარი ჯარებისა (ძალების) და მოწინააღმდეგის მიერ შეიარაღებული ბრძოლის სხვადასხვა საშუალების გამოყენებით.

ეკონომიკის სამობილიზაციო მომზადება, ომის პერიოდში მდგრადი ფუნქციონირებისთვის ეკონომიკის მომზადების ღონისძიებების კომპლექსი. ამ ღონისძიებების შინაარსი და რეალიზაციის ვადები დგინდება სახელმწიფო სამობილიზაციო გეგმით. მათ რიცხვს განეკუთვნება: ეკონომიკის მართვის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა; შრომითი, მატერიალური და საფინანსო რესურსების სახელმწიფო რეზერვების შექმნა, რაც საჭიროა სამხედრო წარმოების ზრდისათვის; სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საწარმოებში სარეზერვო საწარმოო სიმძლავრეების შექმნა; სამხედრო პროდუქციის გამოსაშვებად არასამხედრო დარგების მომზადება; კომუნიკაციების (ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის) სახელმწიფო სისტემის მომზადება ომის პირობებში ფუნქციონირებისთვის; ომის პირობებში სამხედრო წარმოების, შეიარაღებული ძალებისა და აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის მომზადება ქვეყნის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციით უზრუნველყოფისთ-

ვის; წყაროების განსაზღვრა გაფართოებული სამხედრო წარმოების შრომითი რესურსებით დასაკომპლექტებლად; ომის პირობებში ეკონომიკის დარგში ყველა ღონისძიების დაფინანსების წყაროების და წესის განსაზღვრა.

ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობა, სახელმწიფოს ეკონომიკის უნარი, ომის ან საომარი კონფლიქტის პერიოდში, შეინარჩუნოს და საჭიროებისას სწრაფად აღიდგინოს პოტენციალი. **ე.ს**-ს უზრუნველყოფს წინასწარ შემუშავებული ღონისძიებების სისტემის განხორციელება, მათ შორის, ეკონომიკის საიმედო მართვა, ეკონომიკური რეგიონების კომპლექსური განვითარების უზრუნველყოფა, წარმოების დაშორიშორებული განლაგება სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) ტერიტორიაზე, უმნიშვნელოვანესი სახეობების პროდუქციის, განსაკუთრებით სამხედრო წარმოების დუბლირება, მატერიალური რეზერვების დაგროვება და რაციონალური განლაგება, მუშა-მოსამსხურეთა დაცვა დაზიანების საშუალებებისგან, შეუფერხებელი მომარაგება ყველა სახეობის რესურსით, კომუნიკაციების საშუალებების მდგრადობის უზრუნველყოფა და ა.შ.

ეკონომიკური ბლოკადა, სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფის) იზოლაცია ომის დროს ან საერთაშორისო ურთიერთობების გამწვავების პერიოდში ამ სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ეკონომიკის ძირის გამოთხრის მიზნით. **ე.ბ**-ის განსახორციელებლად დასაბლოკ ქვეყანას (ქვეყნებს) მკვეთრად უზღუდავენ ან უწყვეტენ ეკონომიკურ ურთიერთობებს სხვა ქვეყნებთან, ტოვებენ მას (მათ) ნედლეულის, მოწყობილობის, სავალუტო შემოსავლების გარეშე და ა.შ., რასაც შედეგად მოსდევს სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგების და მთლიანად მრეწველობის მუშაობის დეზორგანიზაცია. **ე.ბ**-ს ხშირად ახორციელებენ სამხედრო ბლოკადასთან ერთად, რაც ომში ეკონომიკური დაპირისპირების სახეობას წარმოადგენს.

ეკონომიკური დაპირისპირება ომში, სახელმწიფოთაშორისი ბრძოლის სახე: მეომარი მხარეების მისწრაფება, რაც შეიძლება ეფექტიანად გამოიყენონ არსებული და პოტენციური სამხედრო რესურსები მოწინააღმდეგეზე სამხედრო-ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური უპირატესობის მოსაპოვებლად; ეკონომიკური და არაეკონომიკური ხასიათის ღონისძიებების, რომლებიც, ერთი მხრივ, ემსახურება მოწინააღმდეგის წარმოების დეზორგანიზაციას, მისი ეკონომიკური მობილიზაციის ჩაშლას და მეორე მხრივ – საკუთარი ეკონომიკური ზურგის განმტკიცებას; პირდაპირი შეიარაღებული ზემოქმედება მოწინააღმდეგის ეკონომიკურ პოტენციალზე და საკუთარი ეკონომიკური ბაზის დაცვის ღონისძიებები. ომში ეკონომიკური დაპირისპირების ძირითადი ფორმებია: სამხედრო ბიუჯეტების ზრდა, სამხედრო-ეკონომიკური ბაზის გაფართოება, ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა, სამხედრო სესხები და სამხედრო გადასახადები, ეკონომიკური ემბარგო, ეკონომიკური ბლოკადა, სამრეწველო ცენტრების საჰაერო დაბომბვა, სარაკეტო დარტყმები და ა.შ.

ეკონომიკური პოტენციალი, სახელმწიფოს შესაძლებლობები, დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნილება მატერიალურ დოვლათსა და მომსახურებაზე, უზრუნველყოს მისი სტაბილური და უსაფრთხო განვითარება. იგი განსაზღვრავს მატერიალური წარმოების მოცულობის დიდ ნაწილს, რომელსაც სახელმწიფომ მთელი თავისი ძალების და რესურსების მაქსიმალური გამოყენებით შეიძლება მიაღწიოს. **ე.პ**-ის სტრუქტურის შემადგენელი ნაწილია ადამიანური რესურსი, სახელმწიფო ტერიტორია, დაზვერილი და სამეურნეო ბრუნვაში მოქცეული ბუნებრივი, უწინარეს ყოვლისა, სანედლეულო და სათბობ-ენერგეტიკული რესურსები, საწარმოო და არასაწარმოო ფონდები, სავალუტო-საფინანსო სისტემა, სახელმწიფო რეზერვები. რაოდენობრივი თვალსაზრისით, ეს კომპონენტები ფასდება ან ნატურალურ-ნივთიერი, ან ღირებულებითი (ფულადი) ფორმებით. **ე.პ**-ის ნაწილს, რომელიც სახელმწიფოს შეუძლია საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს თავისი სამხედრო ორგანიზაციის შექმნისა და შენახვისთვის, მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფისთვის, შეადგენს სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი. **ე.პ**. სამხედრო პოტენციალის მატერიალურ საფუძვლად გვევლინება.

ელ-ალამეინის ბრძოლა 1942, II მსოფლიო ომის დროს ბრძოლა ეგვიპტეში, ალექსანდრიის დასავლეთით. **ე.ა**-ის რაიონში ინგლისის მე-8 არმიამ (230 ათ. კაცი, 1440 ტანკი, 2,3 ათ. ქვემეხი, 1,5 ათ. თვითმფრინავი) გენერალ ბ. მონტგომერის სარდლობით 1942 წლის ნოემბრის დასაწყისში გაარღვია იტალიისა და გერმანიის ჯარების (დაახლოებით 80 ათ. კაცი, 540 ტანკი, 1219 ქვემეხი, 350 თვითმფრინავი; მხედართმთავარი – გენერალი ე. რომელი) ფრონტი, რაც გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა ჩრდილოეთ აფრიკის კამპანიაში.

ელექტროდეტონატორი, ფეთქებადი ნივთიერების მუხტის ასაფეთქებელი საშუალება; კაფსულ-დეტონატორისა და ელექტროამნთების ერთობლიობა. **ე.** არის მყისიერი, დაყოვნებული და მცირედ დაყოვნებული მოქმედებისა. დაუყოვნებელი მოქმედების **ე.**, პრაქტიკულად, დენის ჩართვასთან ერთად ფეთქდება. დაყოვნებული და მცირედ დაყოვნებული მოქ-

მედების **ე**-ში აალებად ნივთიერებასა და კაფსულ-დეტონატორის მუხტს შორის შემანელებელი საწვავი ნივთიერებაა, რომლის შედგენილობასა და სვეტის სიმაღლეზე დამოკიდებულია დაყოვნების ინტერვალი.

ელექტროდული ტრალირება, საზღვაო სანაღმო ომის სფეროში – მაგნიტური საკაბელო ტრალირება, რომლის დროსაც მარილიანი წყალი და წყლის ზედაპირი ელექტრული წრედის ნაწილს ქმნის.

ელექტრომაგნიტური იარაღი, იარაღი, რომელშიც დამაზიანებელ ფაქტორად გამოიყენება რადიოსიხშირული ელექტრომაგნიტური გამოსხივების მძლავრი იმპულსური ნაკადი. ასეთი დასხივების ზემოქმედებისას მის წრედებში გადადის დენი, რომელიც იწვევს ნახევარგამტარი ელემენტების დროებით ან სტაბილურ დაზიანებას. ელექტრომაგნიტური იარაღის საფუძველს შეიძლება წარმოადგენდნენ ენელექტრომაგნიტური ენერგიის მძლავრი წყაროები – ფეთქებადმაგნიტური გენერატორები და გამომსხივებლები, რომლებსაც შეუძლიათ ამ ენერგიის კონცენტრირება ვიწრო სივრცულ კუთხეში და სიხშირეთა მცირე დაფანტვით შექმნილ გამოსხივების სპექტრში (ვირკატორები, გიორტრონები, მაგნეტრონები და სხვა). ენერგიის წყაროს და გამომსხივებლის შედარებით მცირე გაბარიტი შესაძლებელს ხდის, შეიქმნას ელექტრომაგნიტური საბრძოლო მასალები რაკეტების და თვით საარტილერიო ჭურვების საბრძოლო ნაწილების სახით.

ელექტრონული ნეიტრალიზება, რადიოელექტრონული ბრძოლის კონტრზომების სფეროში – ელექტრომაგნიტური ენერგიის მიზანმიმართული გამოყენება მოწინააღმდეგის უშუალოდ ელექტრომაგნიტურ სპექტრზე დამოკიდებული საშუალებების დროებით ან მუდმივად მწყობრიდან გამოსაყვანად.

ემბარგო (ესპანური embargo – აკრძალვა), საერთაშორისო სამართალში ნიშნავს ქვეყანაში საქონლის, ვალუტის, იარაღის შეტანის ან ქვეყნიდან გატანის აკრძალვას. ომიანობის დროს, არსებითად, არის ეკონომიკური ბლოკადის ფორმა, მშვიდობიანობის დროს – ეკონომიკური და ფინანსური ზეწოლის საშუალება.

ემბლემა (ბერძნული emblema – რელიეფური მორთულობა, ამობურცული სამკაული), რაიმე ცნების სიმბოლური ან პირობითი გამოსახულება; საკუთრების კუთვნილების, იდენტიფიკაციის განმასხვავებელი ნიშანი და სხვა. სახელმწიფოს **ე**-ს წარმოადგენს სახელმწიფო გერბი და დროშა. ბევრ სახელმწიფოში თავისი ემბლემა აქვთ შეიარაღებულ ძალებს და სხვა ჯარებს, შეიარაღებული ძალების სახეობებს, ჯარების (ძალების) გვარეობებს, სპეციალურ ჯარებსა და სამსახურებს, კონკრეტულ სამხედრო ფორმირებებს, ხომალდებს, აგრეთვე სპეციალისტ სამხედრო მოსამსახურეთა ცალკეულ კატეგორიებს. **ე**-ს იყენებენ სამხედრო მოსამსახურეების განმასხვავებელ, ასევე შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ამოსაცნობ ნიშნებად. სამხედრო ფორმის ტანსაცმლზე **ე**-ს განათავსებენ სამხრეებზე, საყელოზე, ქუდზე, სახელოზე და სხვა. **ე**-ის გამოსახულება გადააქვთ დროშებზე, ალმებზე, ვიმპელებზე, წარჩინების ნიშნებზე, აგრეთვე შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკაზე, სხვადასხვა სამხედრო ქონებაზე, სამსახურებრივ დოკუმენტებზე და სხვა.

ეპამინონდა (Epameinondas) (დაახლოებით ძვ.წ. 418–362), ძველი საბერძნეთის პოლიტიკური მოღვაწე და მხედარმთავარი. სათავეში ედგა დემოკრატიულ დაჯგუფებას თებეში. 379 წლიდან თებესა და ბეოტიის კავშირის ერთ-ერთი ლიდერი. ბეოტიის ომის (378–362) დროს არაერთხელ დაინიშნა მთავარსარდლად. 371 წელს დაამარცხა სპარტელები *ლევქტრასთან*, სადაც სამხედრო ხელოვნების ისტორიაში პირველად გამოიყენა ფრონტზე ჯარების არათანაბრად განაწილების პრინციპი გადამწყვეტ უბანზე მთავარი ძალებით დარტყმის მიზნით. შემდეგ რამდენიმეჯერ დალაშქრა პელოპონესი. უკანასკნელი ლაშქრობის დროს წარმატებას მიაღწია მანტინეასთან (362), მაგრამ ბრძოლაში დაიჭრა და მალე გარდაიცვალა.

ერაყი (Iraq – ერაყის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აზიაში. დასავლეთით ესაზღვრება თურქეთი, სამხრეთ-დასავლეთით – საუდის არაბეთი, აღმოსავლეთით – ირანი და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ქუვეითი. ფართობი 435 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 31,2 მლნ. კაცი (2012). დედაქალაქი – ქ. ბაღდადი. ოფიციალური ენები – არაბული და ქურთული. ეროვნული დღესასწაული 14 ივლისი – რესპუბლიკის ეროვნული დღე. ადმინისტრაციულად იყოფა 18 მუჰაფაზად (პროვინცია). სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი, მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი. **ე**-ის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობს ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა. ბუნებრივი რესურსები: ნავთობი, ბუნებრივი აირი, ფოსფატი, გოგირდი. ექსპორტი: ნავთობი, შალეული, ფინიკი. მთავარი საზღვაო ნავსადგურია ბასრა, წარმოებს სამდინარო ნაოსნობაც. მთავარი აეროპორტები: ბაღდადი, ბასრა, მოსული. შეიარაღებილი ძალების შემადგენლობაშია სახმელეთო ჯარები, სამხედრო-საჰაერო ქვედანაყოფები და სახალხო ლაშქარი. შეიარაღებული ძალების

დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით და დაქირავებით.

ერეკლე II, პატარა კახი (1720–98), 1744 წლიდან კახეთის, 1762 წლიდან ქართლ-კახეთის მეფე, *თეიმურაზ II*-ის ძე, *ბაგრატიონთა* კახეთის შტოდან. სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი. კახეთის ტახტზე ავიდა როგორც ირანის ვასალი, მაგრამ *ნადირ-შაჰის* მკვლელობის შემდეგ **ე. II** და მისი მამა – ქართლის მეფე *თეიმურაზ II*, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი მმართველები გახდნენ. ამის შემდეგ ამიერკავკასიაში დაწყებულ ხანგრძლივ ომებში ქართული ჯარი **ე. II**-ის სარდლობით მეტწილად გამარჯვებული გამოდიოდა. *თეიმურაზ II*-ის გარდაცვალების შემდეგ (1762) **ე. II**-ის ხელში ქართლისა და კახეთის სამეფოები გაერთიანდა, რაც საქართველოს გაერთიანებისაკენ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო. გარდა ამისა, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური გავლენა ვრცელდებოდა ერევნისა და განჯის სახანოებზე, რომელთა მმართველები აღმოსავლეთ საქართველოს მეფის ვასალები და მოხარკეები იყვნენ. საგარეო პოლიტიკაში **ე. II**-მ საბოლოო არჩევანი რუსეთთან კავშირზე შეაჩერა, რომელთანაც *გეორგიევსკის ტრაქტატი* გააფორმა. მისი საშინაო პოლიტიკა მიმართული იყო ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისკენ, პოლიტიკური ცენტრალიზაციისა და თავდაცვისუნარიანობის გაზრდისაკენ. ცდილობდა ქვეყანაში ევროპული ყაიდის რეფორმების გატარებას. ამ მხრივ მეფის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიება იყო *მორიგე ჯარის* შექმნა, რომელიც თავისი მაქსიმალური აღმავლობის ხანაში (1770-იან წლებში.) ნახევრადრეგულარულ ფორმირებას წარმოადგენდა. **ე. II**-ის პერიოდი ქართული ფეოდალური სამხედრო ხელოვნების განვითარების უმაღლესი საფეხურია. როგორც ტაქტიკოსს, მეფეს ახასიათებდა ინიციატივის ხელში ჩაგდების მიზნით სწრაფი მარშების მოწყობა და მტრისთვის მოულოდნელი დარტყმების მიყენება. მისი მხედართმთავრული ოსტატობა გამოიკვეთა აგრეთვე ჯარების სახეობათა როლის სწორ შეფასებასა და ბრძოლის დროს მათი ურთიერთქმედების ორგანიზებაში. მეომრების საბრძოლო სულის ამაღლების მიზნით მეფე, როგორც წესი, პირადად მიუძღოდა ჯარს ბრძოლაში და მონაწილეობდა შეტაკებებში. საქართველოს აღორძინების ერეკლესეული გეგმა არ განხორციელდა ქვეყნის ეკონომიკური სისუსტის, უცხოელთა შემოსევებისა და რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

ერთეული (ცალკეული) მომზადება, შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ახალწვეულების მომზადება მათ მიერ ცოდნის, უნარჩვევების შეძენის მიზნით, რაც აუცილებელია ბრძოლაში მოვალეობების შესასრულებლად, იარაღის, სამხედრო ტექნიკის გამოყენებისთვის და ყოველდღიური სამსახურისთვის.

ერთიანი მართვა, ყველა გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) მოქმედება ერთი პასუხისმგებელი მეთაურის განკარგულებით, რომელიც ფლობს ბრძანებით მინიჭებულ უფლებამოსილებას წარმართოს ძალების მოქმედება საერთო მიზნის მისაღწევად.

ერთიანი ცეცხლის ზონა, ადგილმდებარეობის ზოლი (მონაკვეთი), რომელზეც თავდაცვაში მყოფი ჯარები ამზადებენ და აწარმოებენ ეფექტურ ცეცხლს ყველა სახეობის იარაღიდან შეტევაში მყოფი მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ინიშნება თავდაცვის მეწინავე ხაზის წინ, ფლანგებზე, თავდაცვის სიღრმეში, შუალედებში ნაწილებსა და ქვედანაყოფებს შორის (სოლივით შემოჭრილი მოწინააღმდეგის გასანადგურებლად).

ერთიანი ძალისხმევა, კოორდინირება და თანამშრომლობა ყველა გაერთიანებას (შენაერთს, ნაწილს) შორის, რომელთა ძალისხმევა მიმართულია დასახული მიზნისკენ. არ არის აუცილებელი ყველა გაერთიანება (შენაერთი, ნაწილი) იყოს ერთიანი სარდლობის დაქვემდებარებაში.

ერთმმართველობა (შეიარაღებულ ძალებში), სამხედრო მშენებლობის, შეიარაღებული ძალების ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის პრინციპი, რომლის არსია მეთაურისთვის (უფროსისთვის) ხელქვეითების მიმართ მთელი განმკარგულებელი ძალმოსილებისა და უფლებების მინიჭება, ჯარების (საზღვაო ძალების) ცხოვრების და საქმიანობის ყველა მხარეზე პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრება. **ე**-ს განაპირობებს შეიარაღებული ორგანიზაციის დანიშნულება, განვითარების კანონზომიერებები და საქმიანობის თავისებურება. იგი გამოიხატება მეთაურის (უფროსის) უფლებით, ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილებები, გასცეს ბრძანებები და კანონის მოთხოვნების, სამხედრო წესდებების მკაცრი შესაბამისობით უზრუნველყოს მათი შესრულება. **ე.** წარმოადგენს ჯარების (ძალების) მართვის ყველაზე ოპერატიულ და ეფექტიან მეთოდს, რომელიც ომის პირობებში უზრუნველყოფს მეომრების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებას, მათი ქმედებების ერთიანობას, ბრძანებების შესრულებას.

ერთობლივი ინფრასტრუქტურა, ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია ნატოს ჯარების (ძალების) საბრძოლო მომზადებისთვის ან ჩრდილოატლანტიკური კავშირის ოპერატიული გეგმებისთვის. ერთობლივად ფინანსდება ნატოს წევრი ქვეყნების მიერ გამო-

ყენების ხარისხის დაინტერესების მიხედვით, აგრეთვე იმ კრიტერიუმების შესაბამისად, რომლებსაც ჩრდილოატლანტიკური კავშირი პერიოდულად აწესებს.

ერთობლივი ოპერაციების ცენტრი, გაერთიანებული სარდლობის ორგანო, რომელიც ნებისმიერი რგოლის შტაბში და ნებისმიერი ოპერაციისთვის შეიძლება შეიქმნას. მისი ამოცანაა მეთაურის ინფორმირება მიმდინარე საომარი მოქმედებების შესახებ და ჯარებისთვის მეთაურის ბრძანების გადაცემა. ოპერაციის ტიპის მიხედვით **ე.ო.ც.** შეიძლება შეიცავდეს სხვადასხვა სექციას (მაგალითად, დაზვერვის, კავშირგაბმულობის, მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვის, ლოგისტიკის და სხვა), რომლებიც განსხვავდებიან პირადი შემადგენლობის რაოდენობით. ცენტრი შესაძლებელია მოქმედებდეს მშვიდობიან პერიოდშიც, როგორც წესი, კრიზისების დარეგულირებისკენ მიმართული მოქმედებების დაგეგმვის და კოორდინაციისთვის. სტრატეგიულ დონეზე ასეთ ცენტრს წარმოადგენს ხელმძღვანელობის და მართვის სტრუქტურა მშვიდობიანობის პერიოდიდან კრიზისულ და საომარ მდგომარეობაზე გადასვლის უზრუნველსაყოფად. ის მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპასა და ატლანტიკაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის, მისი შტაბის მიერ საფრთხის შემცველი მდგომარეობის შეფასების და კრიზისზე რეაგირების საკითხებზე მუშაობის უზრუნველყოფაში.

ერთობლივი საბრძოლო მოქმედებების ზონა, დროებითი რაიონი, რომელიც განსაზღვრულია ნატოს სტრატეგიული ან რეგიონული სარდლის მიერ; მის ფარგლებში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის მიერ დანიშნული სახეობათაშორისი სარდალი საბრძოლო მოქმედებების ოპერატიულ დონეზე ახორციელებს გარკვეული ამოცანების დაგეგმვასა და შესრულებას.

ერთობლივი საგანგებო ოპერაციების რაიონი, ხმელეთის, ზღვის ან საჰაერო სივრცის რაიონი, რომელიც განსაზღვრულია საგანგებო ოპერაციების ჩატარების დროს, როგორც ერთობლივი საგანგებო ოპერაციების სარდლობის განკარგულებაში მყოფი.

ერთობლივი საზღვაო-სადესანტო ოპერაცია, საზღვაო-სადესანტო ოპერაცია, რომელიც შეიარაღებული ძალების ორი ან მეტი სახეობის მსხვილი ფორმირების მონაწილეობით არის განხორციელებული.

ერთობლივი სპეციალური ოპერაცია, სხვადასხვა უწყების სპეციალურად გაწვრთნილი, აღჭურვილი და ორგანიზებული ფორმირებების საბრძოლო გამოყენების ფორმა, რომელიც კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება. სპეციალური ოპერაციები შეიძლება იყოს სამხედრო ოპერაციების შემადგენელი ნაწილი ან განხორციელდეს დამოუკიდებლად.

ერთობლივი ქმედებები, ცნება, რომელიც სხვადასხვა სამხედრო ქმედებებში რამდენიმე სახეობის სამხედრო ფორმირებების მონაწილეობას ასახავს.

ერიტრეა (Stete of Eritrea – სახელმწიფო ერიტრეა), სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, მდებარეობს წითელი ზღვის სანაპიროზე. ფართობი 121,3 ათ. კმ². მოსახლეობა 5,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ტიგრინეა და არაბული. დედაქალაქი – ქ. ასმერა. ადმინისტრაციულად იყოფა 6 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის (სახელმწიფო საბჭოს) ხელმძღვანელი – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1993 წლის 24 მაისს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა და მეცხოველეობა. საზღვაო პორტებია: მასაუა, ასები. საერთაშორისო აეროპორტი – ასმერა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 201,7 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 200 ათ., სამხედრო-საზღვაო 1,4 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 0,3 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხდება გაწვევით.

ეროვნებათაშორისი კონფლიქტი, მრავალეროვნულ სახელმწიფოებში მოსახლეობის სხვადასხვა ეთნოპოლიტიკური ინტერესების შეჯახება. ცალკეულ შემთხვევაში აქვს შეიარაღებული კონფლიქტის სახე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, დაჩაგრული და დამოკიდებული ხალხების და ქვეყნების ბრძოლა ეროვნული თვითგამორკვევისთვის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, თავისუფალი და დამოუკიდებელი ეკონომიკურ-კულტურული განვითარებისთვის კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. ეს მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა XX საუკუნეში, ძირითადად – აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სამხედრო და კოლონიური ექსპანსიის ობიექტებს წარმოადგენენ. II მსოფლიო ომის შემდეგ 100-ზე მეტი კოლონიური სამფლობელოს ადგილზე მრავალი ახალი სახელმწიფო შეიქმნა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომი, დამოკიდებული და ჩაგრული ხალხის და ქვეყნების ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვებას, აღდგენას ან დაცვას სამხედრო საშუალებების გამოყენებით. ეროვნულ-განმათავისუფლებელი

მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ხისტი და რადიკალური ფორმა. **ე.-ბ.ო**. შეიძლება იყოს უცხო სახელმწიფოს წინააღმდეგ ეროვნული აჯანყება; დიქტატორული, საოკუპაციო ან მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ – პარტიზანული მოძრაობა; გარეშე აგრესიის წინააღმდეგ – სამამულო ომი. მიზანი მხარდაჭერას პოულობს ხალხის მასებში, რაც განსაზღვრავს **ე.-ბ.ო**-ის, საერთო-ეროვნულ ხასიათს. **ე.-ბ.ო**-ს დასაწყისში აქვს საბრძოლო მოქმედებების კეროვანი ხასიათი, რომელსაც პარტიზანული მეთოდებით ეწევიან დიდ ტერიტორიებზე ფრონტის მთლიანი ხაზის არარსებობის დროს; შემდეგ ხდება ნახევრად რეგულარული ან რეგულარული ტიპის არმიის ფორმირება, მისი ორგანიზაციის სრულყოფა, შეიარაღებული ძალების აღჭურვა თანამედროვე იარაღით და სამხედრო ტექნიკით. ეს საშუალებას იძლევა, გავრცელდეს საომარი მოქმედებები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის დიდ ნაწილზე.

ეროვნული გვარდია, 1. შეიარაღებული სამოქალაქო ლაშქარი, რომელიც XVIII–XIX საუკუნეებში არსებობდა საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. პირველად შეიქმნა პარიზში 1789-99 წლებში. 2. ტერიტორიული სამხედრო ფორმირებები ჩრდილო და ლათინური ამერიკის, აფრიკის, ახლო და შუა აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში. კომპლექტდება ტერიტორიული პრინციპით და გამოიყენება მშვიდობიანობის დროს საგანგებო სიტუაციებში საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების დასაცავად; ომიანობის დროს – რეგულარული შეიარაღებული ძალების გაშლისა და შევსებისთვის. ყველაზე მასობრივია აშშ-ის **ე.გ.** (500 ათ-ზე მეტი კაცი). 3. 1990 წლის 20 დეკემბერს საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, შეიქმნა შინაგანი ჯარები – **ე.გ**. სახელმწიფო სამხედრო გადატრიალების შემდეგ დროებითმა მთავრობამ 1992 წლის მარტიდან აღადგინა **ე.გ**-ის მთავარი სამმართველო. 1993 წლის პირველ ნახევარში **ე.გ**. შევიდა თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში და მის ბაზაზე შეიქმნა პირველი საარმიო კორპუსი. **ე.გ**-ის ნაწილები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამაჩაბლოსა და აფხაზეთში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებში. აფხაზეთის ომის შემდეგ თავდაცვის მინისტრის ბრძანებით კორპუსი გაუქმდა. 2005 წლიდან **ე.გ**. საქართველოს შეიარაღებული ძალებისათვის რეზერვისტებს ამზადებს.

ეროვნული სამხედრო მისია, ნატოს წევრი ქვეყნის წარმომადგენელი, რომელიც არ მონაწილეობს ინტეგრირებულ ხელმძღვანელ სტრუქტურაში. იგი უშუალოდ ემორჩილება თავისი ქვეყნის გაერთიანებული (გენერალური) შტაბის უფროსს და ამყარებს კავშირს ამ შტაბსა და სტრატეგიული ხელმძღვანელობის სარდლობებთან ან მათ შტაბებთან.

ეროვნული სამხედრო წარმომადგენელი, მოკავშირე ქვეყნის აკრედიტებული სამხედრო წარმომადგენელი, რომელიც მონაწილეობს ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის ინტეგრირებულ სამეთაურო სტრუქტურაში. პასუხს აგებს ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობასა და თავის ქვეყანას შორის კავშირზე, კოორდინაციასა და ინფორმაციის გაცვლაზე. უშუალოდ ექვემდებარება თავისი ქვეყნის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელს.

ეროვნული სარდლობა, სარდლობა, რომელიც შექმნილია ქვეყნის მთავრობის მიერ და ფუნქციონირებს მისი ხელმძღვანელობით.

ეროვნული უსაფრთხოება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდგომარეობა, რომელიც არის პიროვნების, საზოგადოების და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების გარე და შიდა საფრთხეებისგან საიმედო დაცვის გარანტი. **ე.უ**-ის ძირითად ობიექტებად გვევლინება: პიროვნება, მისი უფლება-თავისუფლებები; სოციალური და ეროვნული ჯგუფები, მათი შინაგანი მთლიანობა, თვითმმართველობა; საზოგადოება, მისი მატერიალური და სულიერი ღირებულებები; სახელმწიფო, მისი კონსტიტუციური წყობილება, სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა. შესაძლო საფრთხეების სფეროდან გამომდინარე გამოყოფენ **ე.უ**-ის ძირითად ელემენტებს: ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საინფორმაციო, ეკოლოგიურ, სამხედრო და უსაფრთხოების სხვა სახეობებს. **ე.უ**-ის შესანარჩუნებლად სახელმწიფოს, საზოგადოების, ორგანიზაციების, მოქალაქეების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები შეესაბამება ამ ელემენტებს და, ამავე დროს, აქვს სპეციფიკა თითოეული მათგანის ფარგლებში. **ე.უ**-ის უზრუნველყოფის ზოგად პრინციპებს განეკუთვნება: პოტენციური და რეალური საფრთხეების ობიექტური შეფასება; უსაფრთხოების სისტემის მშენებლობა ამ საფრთხეების შესაბამისად; ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა ძალისხმევის კოორდინაცია, სამხედრო მეთოდებთან შედარებით შიდა და საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის პოლიტიკური და სამართლებრივი საშუალებების პრიორიტეტი; ურთიერთკავშირი ეროვნული, საერთაშორისო და რეგიონული უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტაში; ეროვნული კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და ვალდებულებების განუხრელი დაცვა. **ე.უ**-

ის დარგში მიმდინარე საქმიანობას უძღვებიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით. **ე.უ**-ის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტებია შეიარაღებული ძალები, სახელმწიფოს სხვა ძალოვანი სტრუქტურები, ეკონომიკის დარგებსა და სოციალურ სფეროში სამუშაოთა უსაფრთხოების სპეციალური ორგანოები და სამსახურები.

ერწუხის ბრძოლა 1104, დავით აღმაშენებლის მიერ კახეთ-ჰერეთის სამეფოს დაკავების შემდეგ (1104), რომელიც სელჩუკთა სულთნის ვასალური სამფლობელო იყო, სელჩუკები შეეცადნენ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას. განჯის ამირა დიდი ლაშქრით შეიჭრა ჰერეთში, მაგრამ დავით აღმაშენებელმა ერწუხთან (ახლანდელ საინგილოში) გზა გადაუღობა მტერს და სასტიკად დაამარცხა. **ე.ბ**-ის შემდეგ კახეთ-ჰერეთი საბოლოოდ შევიდა გაერთიანებული საქართველოს სამეფოში, რამაც საქართველო ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით საგრძნობლად გააძლიერა.

ესკადრა (ფრანული escadre – რაზმი), 1. ოპერატიულ-ტაქტიკური გაერთიანება (შენაერთი) ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალებში (სამხედრო-საზღვაო ფლოტში), რომელიც განკუთვნილია საომარი მოქმედების საზღვაო (საოკეანო) თეატრის გარკვეულ რაიონებში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის. **ე**-ის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სხვადასხვა კლასის წყალზედა ხომალდების და წყალქვეშა ნავების რამდენიმე დივიზია ან ბრიგადა, ცალკეული დივიზიონი, აგრეთვე უზრუნველყოფის გემები. შემადგენლობის, გადასაწყვეტი ამოცანების და მოქმედების რაიონის მიხედვით შეიძლება ეწოდებოდეს ოპერატიული **ე**., სხვადასხვა გვარეობის ძალების **ე**., ხმელთაშუა ზღვის **ე**. და სხვა; 2. ტაქტიკური შენაერთი ნატოს მთელი რიგი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებში, რომელიც შედგება ერთი კლასის ხომალდების რამდენიმე დივიზიონისგან; 3. იმ ხომალდებისა და გემების ჯგუფი (შეანაერთი), რომელიც ერთობლივ ნაოსნობაში ან ექსპედიციაში იმყოფებიან; 4. თვითმფრინავების ან ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების ტაქტიკური შენაერთი მრავალი სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალებში (გერმანია, საფრანგეთი და სხვა).

ესკადრილია (ფრანგული escadrille – შემცირება, escadre – ესკადრა), 1. ძირითადი ტაქტიკური საავიაციო გამანადგურებელი ქვედანაყოფი, რომელიც შედგება რამდენიმე საავიაციო რგოლის და რაზმისგან. მათ შეიარაღებაში, როგორც წესი, აქვთ ერთი ტიპის თვითმფრინავები და ვერტმფრენები (10–24 ერთეული და მეტი). 2. სარაკეტო (საზენიტო-სარაკეტო) ქვედანაყოფები ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში (აშშ, გერმანია, იტალია).

ესკადრონი (ფრანგული escadron – გუნდი), 1. XX საუკუნის შუა წლებამდე მრავალი ქვეყნის რეგულარული კავალერიის ძირითადი ტაქტიკური ქვედანაყოფი. XVI საუკუნეში **ე**. ეწოდებოდა საბრძოლველად დაწყობილ, 15–20 მწკრივისგან (400-მდე მხედარი) შემდგარ ცხენოსნების კვადრატულ კოლონას. 2. ზოგიერთი ქვეყნის სატანკო და სადაზვერვო ქვედანაყოფი (მაგალითად, საფრანგეთი).

ესკარპი (ფრანგული – escarpe), 1. სიმაგრის გარეთა თხრილის უკანა, დამრეცი კედელი. 2. ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლება სიმაგრის გარეთა თხრილის ციცაბო კედლის სახით.

ესკორტი (ფრანგული – escorte), 1. საბრძოლო ქვედანაყოფი (ქვედანაყოფები), გამოყოფილი სხვა ძალების ან ბადრაგის დასაცავად და მხარდასაჭერად. 2. საფრენი აპარატი, რომლის ფუნქციაა ამოცანის შესრულების დროს სხვა საფრენი აპარატის დაცვა. 3. შეიარაღებული დაცვა, რომელიც მიჰყვება ბადრაგს, მატარებელს, ტყვეებს და ა.შ. 4. შეიარაღებული დაცვა, რომელიც პიროვნებას პატივისცემის ნიშნად მიჰყვება.

ესპანეთ-ამერიკის ომი 1898 (22 აპრილი – 13 აგვისტო), დაიწყო კუბისა (1895 წლიდან) და ფილიპინების (1896 წლიდან) მოსახლეობის აჯანყების ფონზე ესპანეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. აშშ-მა, რომელიც გამოდიოდა აჯანყებულთა მხარდაჭერის ლოზუნგით, დაამარცხა ესპანეთის არმია და ფლოტი; ხელთ იგდო ფილიპინები, კუნძული გუამი, პუერტო-რიკო. პარიზის ზავით (1898 წლის დეკემბერს) ეს ტერიტორიები აშშ-ის ხელში გადავიდა. კუბამ დამოუკიდებლობა მიიღო, მაგრამ აშშ-ის გავლენის სფეროში მოექცა. ომმა ხელი შეუწყო სამხედრო-საზღვაო ხელოვნების შემდგომ განვითარებას ჯავშნოსანი ფლოტის გამოყენებით.

ესპანეთი (España – ესპანეთის სახელმწიფო), სახელმწიფო სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში. უჭირავს პირენეს ნახევარკუნძულის 5/6, ბალეარის კუნძულები ხმელთაშუა ზღვაში და კანარის კუნძულები ატლანტის ოკეანეში. ჩრდილოეთით აკრავს ბისკაის ყურე, ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ატლანტის ოკეანე, სამხრეთით და აღმოსავლეთით – ხმელთაშუა ზღვა. **ე**-ის მმართველობაში ასევე იმყოფება ჩრდილოეთ აფრიკის სანაპიროზე მდებარე ქალაქები სეუტა და მელილია მიმდებარე ტერიტორიებით. ფართობი 504,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 45,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედა-

ქალაქი – ქ. მადრიდი. ადმინისტრაციულად იყოფა 17 ავტონომიურ მხარეში შემავალ 50 პროვინციად. **ე.** საპარლამენტო მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის გენერალურ კორტესებს (ორპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მთავრობას. **ე.** ნატოს წევრი ქვეყანაა. **ე.** განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. დასავლეთ ევროპაში მეხუთე ადგილი უკავია სამრეწველო წარმოების პროდუქციის მხრივ. **ე.** საერთაშორისო ტურიზმის მსხვილი რეგიონია. სამხედრო მრეწველობა უშვებს საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, ჯავშანტრანსპორტიორებს, სამხედრო ხომალდებს, საბრძოლო მასალებს. მთავარი საზღვაო პორტებია: ბილბაო, ალხესირასი, ტარაგონა, ბარსელონა, ვალენსია, ხიხონი, ლა-კორუნია, კარტახენა. მთავარი საერთაშორისო აეროპორტებია: მადრიდი, ბარსელონა, ბილბაო, პალმა (კუნძული მალიორკა). შეიარაღებული ძალების საერთო შემადგენლობა 128,2 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 78,1 ათ., სამხედრო-საზღვაო 21,6 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 28,5 ათ. გასამხედროებული ფორმირებაა სამოქალაქო გვარდია – 72,6 ათ. კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხდება დაქირავებით.

ესპანური მემკვიდრეობისათვის ომი 1701-14, ომის საბაბი გახდა საფრანგეთის მმართველი დინასტიის (ბურბონების) ცდა, ხელთ ეგდოთ ესპანეთი და მისი კოლონიური სამფლობელოები. ამას წინ აღუდგა ძლიერი კოალიცია (ავსტრია, ინგლისი, ჰოლანდია, პორტუგალია, პრუსია, გერმანიისა და იტალიის ზოგიერთი წვრილი სახელმწიფო წარმონაქმნები). საბოლოო ჯამში ბურბონებმა შეინარჩუნეს ესპანეთის ტახტი, მაგრამ ესპანეთის სამფლობელოთა ნაწილი მათი მოწინააღმდეგეების ხელში გადავიდა. ომის შედეგად განსაკუთრებით გაძლიერდა ინგლისი, ხოლო საფრანგეთმა დაკარგა ევროპაში პოლიტიკური ჰეგემონობა.

ესტაკადა (ფრანგული – estacade), მიწისზედა სახიდე ნაგებობა, რომელზეც დედამიწის ზედაპირიდან გარკვეულ სიმაღლეზე გაყვანილია რკინიგზა, საავტომობილო გზა და ა.შ., რათა შესაძლებელი იყოს ესტაკადის ქვეშ მდებარე სივრცის გამოყენება მოძრაობისათვის ან სხვა მიზნით. იგი შედგება საყრდენების და მალის ნაშენისაგან. მასალის მიხედვით **ე.** არის რკინაბეტონის, ფოლადის, ხის, ხოლო კონსტრუქციის მიხედვით – კოჭური, ჩარჩოიანი და სხვა.

ესტონეთი (Eesti – ესტონეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ფართობი 45,2 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 1,34 მლნ. კაცი (2012). მათ შორის 65% ესტონელები, 30% – რუსები, 2,5% – უკრაინელები, 1,5% – ბელორუსები, 1% – ფინელები. ოფიციალური ენა – ესტონური. დედაქალაქი – ქ. ტალინი. ადმინისტრაციულად იყოფა 11 მხარედ (უეზდი). სახელმწიფოს ხელმძღვანელია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – რიიგიკოგუ (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა. **ე.** ნატოს წევრი ქვეყანაა. თანამედროვე **ე.** გამოვიდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან და 1991 წლის 6 სექტემბერს გამოაცხადა დამოუკიდებლობა. **ე.** ინდუსტრიალურ-აგრარული ქვეყანაა. აწარმოებს საწვავი ფიქლების მოპოვებას და დამუშავებას. განვითარებულია მანქანათმშენებლობა, ელექტრო-რადიოტექნიკური ხელსაწყოების წარმოება, გემების რემონტი, ქიმიური, ხე-ტყის დამამუშავებელი, ქაღალდის, საკვების წარმოება. სოფლის მეურნეობის საფუძველია მეცხოველეობა. მთავარი საზღვაო პორტებია: ტალინი, კუნდა, პიარნუ. საერთაშორისო აეროპორტი – ტალინი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 5,4 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 4,2 ათ., სამხედრო-საზღვაო 0,8 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 0,24 ათ., რეზერვი 16 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხდება გაწვევით.

ეტაპი (ფრანგული étape – გადასვლა), ოპერაციის გარკვეული მონაკვეთი, რომელიც განსხვავდება წინა და მომდევნო მოვლენებისგან. ოპერაციების ე-ებად დაყოფა მოსახერხებელია დაგეგმვისა და კონტროლისთვის. განასხვავებენ: დროის, მანძილის, ადგილმდებარეობის ან ახალი მოვლენის მიხედვით.

ეტაპირების რაიონი, 1. ადგილი საზღვაო ან საჰაერო-სადესანტო ოპერაციებში ტრანსპორტზე ჩატვირთვის რაიონსა და ოპერაციის საბრძოლო მიზანს შორის. იყენებენ საწვავის მარაგის შესავსებად, ხომალდების გადაჯგუფებისთვის და ცოცხალი ძალის გადასანაწილებლად. 2. სხვა სახის გადაადგილების დროს – ადგილი, რომელიც მომზადებულია შეიარაღებული საბრძოლო ქვედანაყოფების ან ტრანზიტული პირადი შემადგენლობის თავმოსაყრელად.

ეტაპის ჯარები, სპეციალური სამხედრო ფორმირებები, რომლებიც იცავდნენ და ემსახურებოდნენ მოქმედი არმიის სამხედრო გზებს. მოიცავდა ქვეითი ჯარის ქვედანაყოფებს, საგზაო ნაწილებს, კავშირგაბმულობის ქვედანაყოფებს და სხვა.

ეუთოს ხელშეკრულებით შეზღუდული ჩვეულებრივი შეიარაღება და ტექნიკა, ნებისმიერი საბრძოლო ტექნიკა, რომელიც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად შეზღუდვას ექვემდებარება.

ეუთოს ხელშეკრულების მოქმედების რაიონი, რაიონი, რომელიც მოიცავს ეუთოს წევრი ქვეყნების მთელ სახმელეთო ტერიტორიას.

ექსპლუატაციის ნორმები (სამხედრო ტექნიკის), სამხედრო ტექნიკის სახეობის (ტიპის) სხვადასხვა რეჟიმში (სამუშაო რეჟიმი, ტექნიკური მომსახურება, შენახვა, ტრანსპორტირება) ექსპლუატაციის ოფიციალურად დაწესებული ზღვრული მოცულობები (საათებში, კილომეტრებში, ჩართვის რაოდენობაში). მუშავდება საიმედოობის თეორიის, დაწესებული რესურსების და ექსპლუატაციის გამოცდილების საფუძველზე საბრძოლო გამოყენებისთვის მზადყოფნის საჭირო ხარისხამდე. ასევე – საბრძოლო მომზადების გეგმების შესრულების, სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციის და რემონტის, მის ნიმუშებში ცალკეული ელემენტების შეცვლის წესის და ვადების უზრუნველყოფისათვის. მითითებულია ბრძანებებსა და საექსპლუატაციო დოკუმენტებში.

ექსტერიტორიულობა (ლათინური exterritoriali – ქვეყნის გარეშე), საერთაშორისო სამართალში ნიშნავს განთავისუფლებას მისი ადგილსამყოფელი სახელმწიფოს იურისდიქციისგან. ითვალისწინებს უცხოეთის წარმომადგენლების მიერ დაკავებული შენობების (საელჩო, მისია) ხელშეუხებლობას, გადასახადებისგან განთავისუფლებას, საკუთარი დროშის აღმართვის უფლებას და სხვა. **ე**-ით სარგებლობენ, აგრეთვე სამხედრო ხომალდები უცხოეთის ნავსადგურებში, საჯარისო ნაწილები და თვითმფრინავები, რომლებიც იმყოფებიან უცხოეთის სახელმწიფოების ტერიტორიაზე სპეციალური ნებართვით.

ექსტრემალური სიტუაცია, სიტუაცია, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულად სასწრაფო, გადაუდებელ მოქმედებებს გარდაუვალი მსხვერპლის მინიმალიზების მიზნით და პოლიტიკური ან სამხედრო სიტუაციის მკვეთრი გაუარესების თავიდან ასაცილებლად.

ექსფილტრაცია, მოწინააღმდეგის კონტროლის ქვეშ არსებული ტერიტორიიდან ქვედანაყოფების გამოყვანა.

ეშელონი (ფრანგული échelon), 1. სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დაჯგუფების ნაწილი, გამიზნული სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად. 2. ჯარების (ძალების) ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტი. ოპერატიულ (საბრძოლო) დაწყობაში შესაძლოა იყოს ერთი ან რამდენიმე **ე.** – პირველი **ე.**, მეორე **ე.** და ა.შ. 3. ერთი სარკინიგზო მატარებლით ან გემით გადაყვანილი სამხედრო ნაწილი ან რამდენიმე ქვედანაყოფი. 4. საავიაციო ნაწილის ბაზირების ადგილის შეცვლის დროს – თვითმფრინავები (ვერტმფრენები), რომლებიც ახალ აეროდრომზე გადაფრენას ახორციელებენ, შეადგენენ საფრენ **ე**-ს, ხოლო ხმელეთზე გადაყვანილი მისი ქვედანაყოფები – სახმელეთო **ე**-ს. 5. შტაბის ქვედანაყოფი. 6. სარდლობის ცალკეული რგოლი. 7. ჯარების დაჯგუფების ნაწილი, რომელიც განლაგებულია სიღრმეში და დასახული აქვს მთავარი საბრძოლო ამოცანა.

„ეშელონური ომი“, იმ საბრძოლო მოქმედების სახელწოდება, რომელიც უმთავრესად სამხედრო ეშელონების გამოყენებით სარკინიგზო მაგისტრალების გაყოლებით ჯარების მანევრისა და ბაზირებისთვის წარმოებდა. „**ე.ო**“-ის წარმოშობას განაპირობებდა საბრძოლო მოქმედების რაიონებში ჯარების სიმცირე, ერთიანი ფრონტების არარსებობა, დაპირისპირებული მხარეების ძალების არამდგრადობა და დაქსაქსულობა. მის გამოყენებზე უარი ითქვა 1918 წლის შუახანებისთვის, არმიების რიცხოვნების ზრდის, სტაბილური ფრონტების წარმოშობისა და შეიარაღებული ბრძოლის გაქანების გაძლიერების გამო, თუმცა ხშირ შემთხვევაში მისი ცალკეული ელემენტები უფრო გვიანაც არსებობდა.

ვ

ვაგენბურგი (გერმანული wagen – ოთხთვალა და burg – თავშესაფარი), სამხედრო აღალის გადასატანი ოთხთვალებისაგან აგებული სიმაგრე, რომელსაც იყენებდნენ ძველად, განსაკუთრებით შუა საუკუნეებში, მტრის იერიშის მოსაგერიებლად. ოთხთვალებს განალაგებდნენ ოთკუთხედად ან წრიულად, შუაში კი ხალხი და ცხენები იდგნენ.

ვაგრამის ბრძოლა ერთ-ერთი გადამწყვეტი ბრძოლა ავსტრიაში, სოფელ ვაგრამთან, ვენის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სადაც 1809 წელს, *ავსტრია-საფრანგეთის ომის* დროს, 5–6 ივლისს, *ნაპოლეონ I*-ის არმიამ (170 ათ. კაცი) დაამარცხა ავსტრიის ჯარები (110 ათ. კაცი). ამ დამარცხების შემდეგ ავსტრია იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. ორივე მხარემ 25–25 ათ. კაცი დაკარგა. 1809 წლის 14 ივლისს დაიდო შენბრუნის ზავი.

ვადიანი სამხედრო სამსახური, ნამდვილი ვადიანი სამხედრო სამსახური, კანონით დადგენილი ვადის განმავლობაში შეიარაღებული ძალების რიგებში გასაწვევი ასაკის მოქალაქეთა სავალდებულო სამსახური. ბევრ სახელმწიფოში, სადაც შენარჩუნებულია მოქალაქეთა სამხედრო ვალდებულება (ბეგარა), არის მათ მიერ სამხედრო სამსახურის გავლის ძირითადი ფორმა.

ვაზნა, ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალა, რომელშიც ტყვია (ჭურვი), აალების საშუალება და სასროლი მუხტი მასრაში ერთადაა მოთავსებული. ასეთ ვ-ს ხანდახან ეძახიან უნიტარულს. შესაძლებელია უმასრო ვ-ის გამოყენებაც, რომელსაც აქვს საკმაოდ მყარი და თერმომედეგი სატყორცნი მუხტი. განასხვავებენ სასროლი იარაღის და საარტილერიო ვ-ებს, რომლებსაც შეიძლება მივაკუთვნოთ მცირეკალიბრიანი (20–57*მმ*) უნიტარული დატენვის საარტილერიო გასროლა. ცეცხლსასროლი იარაღის ვ. არის პისტოლეტის (პისტოლეტებისთვის და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისთვის), რევოლვერის, შაშხანის (შაშხანებისთვის, კარაბინებისთვის, ხელის და დაზგის ტყვიამფრქვევებისთვის) და ავტომატის (ავტომატებისთვის, საიერიშო შაშხანებისთვის, კარაბინებისთვის და ხელის ტყვიამფრქვევებისთვის). ვ-ების ცალკე ნაირსახეობას შეიძლება მივაკუთვნოთ სანათი, სანათი-სასიგნალო და სასიგნალო, ასევე სპორტული და სანადირო იარაღის ვ-ები. ვ. გაჩნდა XVII საუკუნეში. პირველი უნიტარული ვ-ები ქაღალდის მასრებით ნემსიანი თოფისთვის გამოჩნდა 1840 წელს პრუსიაში, ფოლადის ვ-ებით კი XIX საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში. საარტილერიო ვ-ების მასობრივი გავრცელება XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო.

ვალენშტაინი, ვ ა ლ დ შ ტ ა ი ნ ი (Wallenstein, Valdštejn) ალბრეხტ ვენცელ ეუსებიუს (1583–1634), წარმოშობით ჩეხი, „საღვთო რომის იმპერიის“ ჯარების მთავარსარდალი (გენერალისიმუსი 1625 წლიდან) *ოცდაათწლიან ომში.* გაიმარჯვა გერმანელი პროტესტანტი მთავრებისა და დანიის მეფე კრისტიან IV-ის ჯარებზე. 1632 წელს დამარცხდა ლიუცენთან შვედეთის მეფე *გუსტავ II ადოლფთან* ბრძოლაში. შვედებთან საიდუმლო მოლაპარაკებების გამო გადააყენეს თანამდებობიდან. მოკლეს თავისივე ოფიცრებმა.

ვანუატუ (Republic of Vanuatu – ვანუატუს რესპუბლიკა), სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ახალი ჰებრიდების კუნძულებზე. ფართობი 12,2 ათ. *კმ*². მოსახლეობა 221,4 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ინგლისური, ფრანგული. სახელმწიფო ენა – ბისლამა (ინგლისურის ადგილობრივი ვარიანტი). დედაქალაქი – ქ. პორტ-ვილა. ვ. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. ქვეყნის ხელმძღვანელი – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1980 წლის 30 ივლისს. ვ. სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურაა ქოქოსის პალმა. აწარმოებს მარგანეცის, ალმასის, ოქროს, ვერცხლის მოპოვებას. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია.

ვარდების ომი (war of the roses), ალისფერი და თეთრი ვარდების ომი (1455–85), შინაფეოდალური ომი ინგლისის სამეფო ტახტისათვის პლანტაგენეტების დინასტიის ორ შტოს – ლანკასტერებსა (მათ გერბზე გამოსახული იყო ალისფერი ვარდი) და იორკებს (გერბზე – თეთრი ვარდი) შორის. ბრძოლაში ორივე დინასტიური ხაზის მთავარი წარმომადგენლებისა და ფეოდალური არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის დაღუპვამ ნიადაგი შეუმზადა ტიუდორების აბსოლუტიზმის.

ვარშავის ხელშეკრულება 1955, მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ, სამხედრო კავშირი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ალბანეთი, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი

და ჩეხოსლოვაკია. შეიქმნა *ნატოს* საპირისპიროდ, გაფორმდა ვარშავაში 14 მაისს. **ვ.ხ**-ის შტაბი მოსკოვში იყო. ხელშეკრულება ითვალისწინებდა მონაწილე ქვეყნების შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სარდლობის შექმნას; რომელიმე მონაწილე ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევაში დანარჩენი სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ აგრესიის ობიექტისათვის დაუყოვნებლივ აღმოეჩინათ დახმარება. 1956 წლის უნგრეთის და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის ცდები, გასულიყვნენ **ვ.ხ**-იდან, სამხედრო ძალებით იქნა ჩახშობილი. ალბანეთმა, რომელიც 1962 წლიდან აღარ მონაწილეობდა **ვ.ხ**-ის მუშაობაში, 1968 წელს ერთმხრივი წესით მოახდინა ამ ხელშეკრულების დენონსირება. **ვ.ხ**. ოფიციალურად გაუქმდა 1991 წელს სსრ კავშირის დაშლის შემდეგ.

ვატერლოო, დასახლებული პუნქტი ბელგიაში, ბრიუსელის სამხრეთით; ნაპოლეონის მმართველობის „ასი დღის“ პერიოდში, 1815 წლის 18 ივნისს, **ვ**-ს ახლოს ინგლის-ჰოლანდიის ჯარებმა ა. უელინგტონის და პრუსიის ჯარებმა გ. ბლიუხერის სარდლობით (საერთო რიცხვი 130 ათ. კაცი), გაანადგურეს *ნაპოლეონ I*-ის მთავარი ძალები (72 ათ. კაცი). **ვ**-სთან დამარცხების შემდეგ ნაპოლეონის იმპერიამ სრული კრახი განიცადა.

ვატიკანი (Vaticano – სახელმწიფო ვატიკანი), სახელმწიფო იტალიის დედაქალაქ რომის დასავლეთ ნაწილში, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ცენტრი, მისი მეთაურის, რომის პაპის, რეზიდენცია. ფართობი 0,44 *კმ²*. მოსახლეობა 830 კაცი (2012). ოფიციალური ენები – ლათინური და იტალიური. **ვ**-ის წყობა აბსოლუტური თეოკრატიული მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია რომის პაპი. მას ირჩევს სიცოცხლის ბოლომდე კარდინალების კოლეგია (კონკლავი), რომელსაც აქვს უმაღლესი საკანონმდებლო და აღმასრულებელი უფლებამოსილება. **ვ**-ის და კათოლიკური ეკლესიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ მოღვაწეობას ახორციელებს რომის კურია (**ვ**-ის მთავრობა). **ვ**-ის სახელმწიფო ჩამოყალიბდა 1929 წელს. ის მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კაპიტალდამბანდებელი და აქციების მფლობელი სახელმწიფოა. **ვ**-ის დაცვის ვალდებულება აღებული აქვს იტალიას. შვეიცარიელთა გვარდია იცავს პაპისა და **ვ**-ის შესასვლელს.

ვაქცინა, ტოქსიკური ან ინფექციური მიკრობის შედარებით გაუვნებელყოფილი მასალისგან დამზადებული პროდუქტი, რომელიც შეყვანის შემდეგ ორგანიზმში წარმოშობს ხელოვნურ იმუნიტეტს.

ვაშინგტონი (Washington) ჯორჯ (1732–99), აშშ-ის პირველი პრეზიდენტი, 1775 წლის ივნისიდან კოლონისტების არმიის მთავარსარდალი ჩრდილოეთ ამერიკის დამოუკიდებლობისათვის ომში ინგლისის წინააღმდეგ, რომლის მსვლელობაში გამოცხადდა აშშ-ის დამოუკიდებლობა (იხ. *დამოუკიდებლობისათვის ომი ჩრდილოეთ ამერიკაში 1775–83*). 1787 წელს **ვ**-ის თავმჯდომარეობით შეიმუშავეს აშშ-ის კონსტიტუცია, რომელიც ზოგიერთი ცვლილებებით დღესაც ძალაშია.

ვაშინგტონის დეკლარაცია 1942, 1 იანვარს, ხელი მოაწერა 26-მა სახელმწიფომ, რითაც საფუძველი ჩაეყარა *ანტიჰიტლერულ კოალიციას*. მისი მონაწილენი კისრულობდნენ მთელი თავისი სამხედრო და ეკონომიკური რესურსი გამოეყენებინათ გერმანია-იტალია-იაპონიის ბლოკისა და მათი მოკავშირეების წინააღმდეგ, რომლებთანაც საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ვაშინგტონის ხელშეკრულება, იხ. *ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება.*

ვახტანგ I გორგასალი, ქართლის მეფე (დაახლოებით 449–502) და მხედართმთავარი. ტახტზე ავიდა როგორც ირანის ვასალი. იბრძოდა სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის; ქვეყნიდან გააძევა მისი პოლიტიკის მოწინააღმდეგე არქიეპისკოპოსი და ქართლის ეკლესიას სათავეში კათალიკოსი ჩაუყენა. მის დროს განაშენიანდა თბილისი და შემზადდა ნიადაგი მცხეთიდან დედაქალაქის გადმოსატანად. 458 წელს ილაშქრა ჩრდილოეთ კავკასიაში; V საუკუნის 50–60-იან წლებში ეომებოდა ბიზანტიელებს. **ვ. I** მძიმე ბრძოლას აწარმოებდა ქართლის გასათავისუფლებლად სპარსელთა ბატონობისაგან. მისი პირველი აჯანყება ირანის წინააღმდეგ მოხდა 482–84 წლებში, როდესაც ქართლელები იბრძოდნენ სომხების მხარდამხარ ბრძოლებში ჭარმანაინის ველზე (483) და მცხეთასთან (484); მეორე აჯანყება – 502 წლის ახლოს (ბრძოლა უჯარმასთან). დაიღუპა ირანელებთან ომში. **ვ. I** დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

ვახტი (გერმანული wacht – გუშაგი, დამცველი), 1. სახომალდე-სავახტო სამსახური, ხომალდებზე მორიგეობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ხორციელდება საბრძოლო მზადყოფნის, ცურვის და ღუზაზე დგომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. არსებობს სახომალდე, სპეციალური (საბრძოლო ნაწილებსა და სამხედრო სამსახურში), სავალი და საღუზე **ვ. ვ**-ზე პირადი შემადგენლობა ინიშნება დღეღამურად და ნაწილდება 2–3 ცვლაზე. **ვ**-ზე მორიგე პირი იწოდება მევახტედ, ხოლო მისი შემცვლელი – ვახტქვეშად. სახომალდე **ვ**-ს ახორციელებენ: **ვ**-ის ოფიცერი, მისი თანაშემწე, სავახტო საგუშაგოს მეთაური, სამაშველო კანჯოს მეთაური, შეიარაღებული მევახტე ტრაპთან (ჩასასვლელთან), მევახტე კანჯოზე, მეკავშირე

და სხვა. 2. დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც სავახტო ცვლა ახორციელებს მორიგეობას (2–4 *სთ*); 3. მომდევნო სავახტო ცვლის შემადგენლობა. 4. მორიგეობა გემზე, დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მორიგეობს თითოეული ცვლა. ს ა ვ ა ხ ტ ო ჟ უ რ ნ ა ლ ი გემზე – სპეციალური ჟურნალი, რომელშიც ქრონოლოგიური თანამიმდევრობით (ვახტიდან ვახტამდე) იწერება ყველაფერი, რაც ხდება გემის ცხოვრებაში.

ვეგეციუსი (Vegetius) ფლავიუს რენატუს, IV საუკუნის დასასრულისა და V საუკუნის დასაწყისის რომაელი სამხედრო ისტორიკოსი და თეორეტიკოსი. 390–410 წლებში ოთხ წიგნად დაწერა ტრაქტატი „სამხედრო საქმის შესახებ“ – ჩვენამდე მოღწეული პირველი სისტემური ნაშრომი რომაული სამხედრო ხელოვნების შესახებ.

ველიტები, მსუბუქი ქვეითი მებრძოლები რომაელი ლეგიონერების შემადგენლობაში (ძვ.წ. V–II საუკუნეებში). ბანაკებში და ლაშქრობაში ასრულებდნენ დაცვით სამსახურს. მოწინააღმდეგესთან შეხვედრის შემთხვევაში მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლაში, რითაც უზრუნველყოფდნენ ლეგიონის მთავარი ძალების საბრძოლო გაშლას. შეიარაღება – ხმალი, მშვილდისარი, შურდული და 6 ხელშუბი. დაცვითი შეიარაღება – ფარი და ტყავის ან ქეჩის ჩამოსაცმელი.

„ველური დივიზია“, ამ სახელით იყო ცნობილი მოხალისე მებრძოლებით დაკომპლექტებული კავკასიური ცხენოსანი დივიზია, შექმნილი I მსოფლიო ომის დასაწყისში კავკასიის მაჰმადიანი ხალხების წარმომადგენლებისაგან. „**ვ.დ**“-ში შედიოდა 6 ცხენოსანი პოლკი: დაღესტნური, ყაბარდოული, თათრული, ჩეჩნური, ინგუშური და ჩერქეზული, რომლებიც 3 ბრიგადაში ერთიანდებოდნენ. „**ვ.დ**“-ზე მიმაგრებული იყო აგრეთვე ოსური ქვეითი ბრიგადა და დონის მე-8 საარტილერიო დივიზიონი. დივიზიას მეთაურობდა დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე (მეფის ძმა), ხოლო 1916 წლიდან – თავადი დ. ბაგრატიონი. ოფიცრები იყვნენ ძირითადად მთიელი ხალხების წარჩინებული გვარებიდან ან რუსი, ქართველი და უცხოური წარმოშობის თავად-აზნაურები. „**ვ.დ**“-ს მაღალი რეპუტაცია ჰქონდა რუსულ არმიაში და წარმატებით იბრძოდა გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის ჯარების წინააღმდეგ. 1917 წლის აგვისტოში რუსეთის ჯარების მთავარსარდალმა გენერალმა ლ. კორნილოვმა სცადა „**ვ.დ**“-ის, როგორც დამრტყმელი ძალის, გამოყენება სამხედრო გადატრიალებისათვის და მისი 1 ბრიგადა რევოლუციური პეტროგრადის წინააღმდეგ დაძრა, მაგრამ ცდა უშედეგო აღმოჩნდა.

ვენესუელა (Venezuela – ვენესუელის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში, კარიბის ზღვისა და ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება კოლუმბია, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ბრაზილია, აღმოსავლეთით – გაიანა. ფართობი 916 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 29,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. კარაკასი. ადმინისტრაციულად იყოფა 22 შტატად, ფედერალურ დედაქალაქის ოლქად და ფედერალურ სამფლობელოებად (კუნძული კარიბის ზღვაში). **ვ**. ფედერალური რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1811 წელს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის მოპოვება (მსოფლიოში მოწინავე ადგილი უკავია). სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ძირითადად საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს; არემონტებენ მსუბუქ თვითმფრინავებს და მათ ძრავებს. საზღვაო პორტებია: ლა-გუაირა, მარაკაიბო, პუერტო-კაბელიო, პუერტო-ლა-კრუსი, პუნტო-ფიხო. საერთაშორისო აეროპორტებია: კარაკასი, მარაკაიბო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 83,1 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 63 ათ., სამხედრო-საზღვაო 18,3 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 1,8 ათ. გასამხედროებული ფორმირებებია ეროვნული გვარდია და ეროვნული მილიცია. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ვერდენის ბრძოლა 1916 (21 თებერვალი–21 დეკემბერი), I მსოფლიო ომის დროს. მე-5 გერმანული არმია ცდილობდა ფრანგული ფრონტების გარღვევას ვერდენის რაიონში, წაიწია 7–10 *კმ*-ით, მაგრამ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა. ფრანგებმა მოახერხეს გერმანელების შეტევის მოგერიება და დაკარგული პოზიციების დაბრუნება. გააფთრებულ ბრძოლებში ორივე მხარემ მძიმე ზარალი განიცადა (გერმანელებმა 600 ათ-მდე, ფრანგებმა – 358 ათ.). **ვ.ბ**-ში პირველად იქნა ფართოდ გამოყენებული ავტოტრანსპორტი ოპერატიული გადაჯგუფებისათვის (მაგალითად, 27 თებერვლიდან 6 მარტამდე 3900 ავტომანქანით გადაისროლეს 190 ათ. ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი და 25 ათ. *ტ*. ტვირთზე მეტი).

ვერმახტი (გერმანული wehrmacht < wehr – იარაღი, თავდაცვა და macht – ძალა), 1935–45 წლებში ნაცისტური გერმანიის შეიარაღებული ძალები. შეიქმნა 1919 წელს *ვერსალის საზავო ხელშეკრულების* დარღვევით. რაოდენობა 1939 წლისათვის იყო 3 მლნ. კაცი, 1943 წელს – 11 მლნ. შედგებოდა სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან. 1940 წლი-

დან **ვ**-ში შედიოდნენ აგრეთვე სს-ის (SS ჯარები) საველე ჯარებიც. **ვ**-ის უმაღლესი მთავარსარდალი იყო რაიხსკანცლერი ა. *ჰიტლერი.*

ვერსალის საზავო ხელშეკრულება 1919, ხელშეკრულება, რომლითაც ოფიციალურად დასრულდა *პირველი მსოფლიო ომი* (1914–18). ხელი მოაწერეს ვერსალში 28 ივნისს, ერთი მხრივ, გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა: აშშ-მა, დიდი ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და სხვა, მეორე მხრივ – გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა. **ვ.ს.ხ**-ით გერმანიამ საფრანგეთს გადასცა ელზასი და ლოთარინგია (1870 საზღვრებში); ბელგიას – მალმედისა და ეიპენის ოლქები, პოლონეთს – პოზნანი, პომორიესა და დასავლეთ პრუსიის ტერიტორიების ნაწილი; დანციგი (გდანსკი) გამოცხადდა თავისუფალ ქალაქად; ქ. მემელი (კლაიპედა) გადავიდა გამარჯებული სახელმწიფოების მფლობელობაში (1923 წელს ლიტვას შეუერთდა); შლეზვიგის, აღმოსავლეთ პრუსიის სამხრეთ ნაწილისა და ზემო სილეზიის სახელმწიფოებრივი კუთვნილების საკითხი პლებისციტს უნდა გადაეწყვიტა; ჩეხოსლოვაკიას გადაეცა სილეზიის მცირე ნაწილი; საარი 15 წლით გადავიდა ერთა ლიგის გამგებლობაში, შემდეგ კი მისი საკითხი პლებისციტს უნდა გადაეწყვიტა. გერმანიამ დაკარგა აგრეთვე კოლონიური სამფლობელოები. იგი აღიარებდა ავსტრიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას. გერმანია გამოცხადდა დამნაშავედ I მსოფლიო ომის გაჩაღებაში, მას დაეკისრა რეპარაციის გადახდა. გერმანიის შეიარაღებული ძალები იზღუდებოდა 100 ათანი სახმელეთო არმიით, უქმდებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახური. **ვ.ს.ხ**-ის პირობებმა გააძლიერა გერმანული ნაციონალიზმი და ხელი შეუწყო ქვეყანაში ნაციონალ-სოციალისტური იდეების გამარჯვებას, რაც დაგვირგვინდა სახელმწიფოს სათავეში *ჰიტლერის* მოსვლით.

ვერტიკალურად აფრენისა და დაფრენის თვითმფრინავი, თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია აფრენა და დაფრენა გაქანებისა და გარბენის გარეშე. ამ დროს ამწევი ძალა იქმნება ძალური დანადგარის ჯამური ვერტიკალური მდგენელით. ვერტიკალური აფრენა და დაფრენა ხორციელდება: ტურბორეაქტიული ამწე-სამარშო ძრავით მოსახვევი მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს წევის ვექტორის გადახრას 90^0-მდე თვითმფრინავის გასწვრივი ღერძის მიმართ; სპეციალური ძრავით, რომელიც ფუნქციონირებს მხოლოდ აფრენის და დაფრენის დროს; ფუზელაჟში ან ფრთებზე მბრუნავ განდოლებში მოთავსებული რეაქტიული ძრავით; ტურბოსავენტილაციო აგრეგატით და ეჟექტორული დანადგარით, რომლებიც მუშაობენ სამარშო ძრავიდან ართმეული გაზებით. **ვ.ა.დ.დ.თ**-ის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მას აქვს უნარი შეასრულოს ფრენები მოუმზადებელი შეზღუდული ზომის, ფრონტის ხაზის სიახლოვეს განლაგებული მოედნებიდან, ხომალდების გემბანებიდან.

ვერტიკალური გარშემორტყმა, ტაქტიკური მანევრი, რომლის დროს ცოცხალ ძალას ან პარაშუტით დაუშვებენ, ან გადმოსხამენ თვითმფრინავის დაჯდომის შემდეგ. მისი მიზანია განახორციელოს შეტევა მოწინააღმდეგის ზურგში, ან ფლანგებზე მისი ძალების ერთმანეთისგან გათიშვის, ან ალყაში მოქცევის მიზნით.

ვერტმფრენი, საავიაციო საფრენი აპარატი, რომლის ამწევი ძალა და წინსვლითი მოძრაობის ძალა წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე მზიდი ხრახნით. **ვ**-ის მთავარი თავისებურებაა ვერტიკალური აფრენა და დაფრენა, მოცემულ წერტილზე დაკიდება, ნებისმიერი მიმართულებით გაფრენა. ხრახნის (ხრახნების) გარდა **ვ**-ს აქვს ფიუზელაჟი, ძარა, ძალური დანადგარი, მთავარი რედუქტორი და ტრანსმისია, აგრეთვე **ვ**-ის და ძრავის მართვის სისტემა და სხვა. **ვ**-ების ძირითადი მახასიათებლებია: დაკიდების მაქსიმალური სიმაღლე (სტატიკური სიმაღლე) 2000–3500*მ*, ფრენის მაქსიმალური სიმაღლე 4500–6000*მ*, მაქსიმალური სიჩქარე 350*კმ/სთ*, ტვირთამწეობა 40*ტ*.-მდე. **ვ**-ები შეიძლება იყოს რეაქტიული და ტრანსმისიური ამძრავებით; ეს უკანასკნელი – ერთხრახნიანი საჭის ხრახნით, ორხრახნიანი გრძივი, განივი და თანაღერძული სქემებით, აგრეთვე მრავალხრახნიანები. დანიშნულების მიხედვით სამხედრო **ვ**-ები შეიძლება იყოს: საბრძოლო (საცეცხლე მხარდაჭერის, ტანკსაწინააღმდეგო, ნავსაწინააღმდეგო), სატრანსპორტო-საბრძოლო (მრავალმიზნობრივი, საერთო დანიშნულების), სატრანსპორტო – სადესანტო და სპეციალური. საბრძოლო **ვ**-ები საარმიო ავიაციის დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ. მათი დანიშნულებაა სახმელეთო და საზღვაო მიზნების, აგრეთვე დაფარვის და თანხლების სატრანსპორტო-საბრძოლო და სატრანსპორტო-სადესანტო **ვ**-ების დაზიანება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტანკებსა და წყალქვეშა ნავებთან ბრძოლას. საბრძოლო **ვ**-ების შეიარაღებას წარმოადგენს უმართავი და მართვადი (მათ შორის ტანკსაწინააღმდეგო) რაკეტები, საარტილერიო და ბომბდამშენი შეიარაღება. მიუხედავად იმისა, რომ **ვ**-ების ძირითადი კონსტრუქციული გადაწყვეტა თვითმფრინავების შექმნის შემდეგ მოხდა, პრაქტიკული გამოყენებისთვის **ვ**-ები XX საუკუნის 40-იან წლებში გამოჩნდა.

ვერტმფრენსაწინააღმდეგო თავდაცვა, ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი და საბრძოლო მოქმედებები, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის ვერტმფრენების აღმოჩენა და დაზიანება; ჯარების საჰაერო თავდაცვის შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება საბრძოლო მოქმედებების, ოპერაციებისა და ბრძოლის ყველა სახეობის, გადაადგილების, ადგილზე ჯარების განლაგების დროს. **ვ.თ.** მოიცავს: მოწინაამდეგის საბრძოლო ვერტმფრენების, ტაქტიკური დესანტებისა და აერომობილური ჯგუფების აღმოჩენას ჰაერში და ამის შეტყობინებას ჯარებისათვის; საბრძოლო ვერტმფრენების განადგურებას, ჩასაფრების ადგილებიდან მათი მოქმედების აღკვეთას; ჯარების, განსაკუთრებით სატანკო შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების დაფარვას წინ წაწევისა და მანევრის შესრულების დროს; ვერტმფრენებისთვის მოწინააღმდეგის ჯარების თანხლებისა და საცეცხლე მხარდაჭერის ჩაშლას; ჰაერში მოწინააღმდეგის აერომობილურ ჯარებთან და დესანტებთან ბრძოლას; ვერტმფრენებიდან დაზვერვის, მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარების მოქმედებების მართვის აღკვეთას.

ვესტფალიის ზავი 1648, ორი საზავო ხელშეკრულება, ერთი მხრივ, „საღვთო რომის იმპერიასა“ და მის მოკავშირეებს, მეორე მხრივ კი, შვედეთს, საფრანგეთსა და მათ მოკავშირეებს შორის. ორივე დოკუმენტს ხელი მოეწერა 1648 წლის 24 ოქტომბერს ვესტფალიის ქალაქებში მიუნსტერსა და ოსნაბრიუკში. **ვ.ზ**-ით დასრულდა *ოცდაათწლიანი ომი.* შვედეთმა მიიღო სამფლობელოები ჩრდილოეთ გერმანიაში, საფრანგეთმა – ელზასსა და ლოთარინგიაში. აღიარებული იქნა გერმანელი მთავრების სრული დამოუკიდებლობა „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორისაგან. **ვ.ზ**-მა იურიდიულად გაამაგრა გერმანიის დაქუცმაცება.

ვეტერანი (ლათინური veteranus < vetus – ძველი, გამოცდილი), 1. ძველ რომში ჯარისკაცი, რომელმაც ამოწურა სამხედრო სამსახურისთვის განკუთვნილი ვადა და მიიღო განსაზღვრული შედავათები 2. გამოცდილი მებრძოლი, წინა ომების, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების მონაწილე. 3. ადამიანი, რომელმაც ხანგრძლივად იმსახურა შეიარაღებულ ძალებში (სამხედრო სამსახურში), ერთ შენაერთში, ნაწილში ან იმუშავა საწარმოში, დაწესებულებაში, რომელიმე დარგში (შრომის ვეტერანი).

ვეტერინარულ-სანიტარიული ექსპერტიზა (სურსათის), ცხოველური და მცენარეული წარმოების პროდუქციის გამოკვლევა კვებისთვის მათი ვარგისიანობის განსაზღვრის მიზნით; ვეტერინარული უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. ატარებენ ვეტერინარული სამსახურის სპეციალისტები სტაციონარულ და მოძრავ (საველე) ლაბორატორიებში.

ვეტერინარული დაზვერვა, ჯარების (ძალების) მოქმედების (განლაგების) ზოლში (რაიონში) ვეტერინარული ვითარების შესახებ ცნობების მოპოვება, შეგროვება და შესწავლა.

ვეტერინარული ვითარება, ფაქტორები და პირობები, რომლებიც გაერთიანების (შენართის, ნაწილის) მოქმედების ზოლში ვეტერინარულ მდგომარეობას ახასიათებენ; ზურგის ვითარების შემადგენელი ნაწილი. **ვ.ვ.** მოიცავს: ტერიტორიის ეპიზოოტიურ მდგომარეობას; სასურსათო სამსახურის და სამხედრო ვაჭრობის ობიექტების ვეტერინარულ-სანიტარიულ მდგომარეობას; დაჭრილი და დაავადებული ცხოველების არსებობას; ვეტერინარული უზრუნველყოფისთვის ადგილობრივი რესურსების გამოყენების შესაძლებლობას და თავისებურებებს. **ვ.ვ**-ის შესახებ ცნობები მიიღება ვეტერინარული დაზვერვის და სხვა წყაროებისგან.

ვეტერინარული სამსახური, მრავალ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც განკუთვნილია ჯარების (ძალების) ვეტერინარული უზრუნველყოფისთვის. **ვ.ს**-ის ხელმძღვანელობის გასაწევად შეიარაღებული ძალების ყველა სტრუქტურულ საფეხურზე შენაერთების ჩათვლით იქმნება შესაბამისი ორგანო.

ვეტერინარული უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც ახორციელებს ვეტერინარული სამსახური მშვიდობიანობის და ომიანობის პერიოდში პირადი შემადგენლობის ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების, საპალნე და საკვებად გამოსადეგი ცხოველების დაავადებების თავიდან აცილების და გადარჩენის, სურსათით ჯარების (ძალების) უზრუნველყოფაზე ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობის მიზნით.

ვიეტ კონგი, სამხრეთვიეტნამელი კომუნისტი პარტიზანები, რომლებიც ებრძოდნენ საიგონის მთავრობასა და აშშ-ის ჯარებს *ინდოჩინეთის II ომის* დროს. პირველი დაქსაქსული გამოსვლების შემდეგ მოძრაობა ჩამოყალიბდა სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტად (1960). ვიეტკონგელები ეყრდნობოდნენ ჩრდილო ვიეტნამის კომუნისტური რეჟიმის მხარდაჭერას, რომელმაც თანდათანობით თავის კონტროლს დაუქვემდებარა მათი მოქმედებები.

ვიეტნამი (Vietnam – ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთაღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე. ქვეყნის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი შემოსაზღვრულია სამხრეთ ჩინეთის ზღვით. ფართობი 332 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 89 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ვიეტნა-

მური. დედაქალაქი – ქ. ჰანოი. ადმინისტრაციულად იყოფა 57 პროვინციად და 4 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქად. სახელმწიფოს უმაღლესი და საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი ეროვნული კრება. აღმასრულებელი ორგანოა მთავრობა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, მძიმე მრეწველობა (სამთომოპოვებითი, მანქანათმშენებლობა, ფერადი მეტალურგია, ქიმიური, ხის დამუშავება და მსუბუქი მრეწველობა). მთავარი პორტებია: ხოშიმინი, ჰაიფონი. საერთაშორისო აეროპორტებია: ჰანოი, ხოშიმინი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 453 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 410 ათ., სამხედრო-საზღვაო 13 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 30 ათ. რეზერვი 4 მლნ. კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ვიეტნამის ომი, იხ. *ინდოჩინეთის II ომი.*

ვითარება (სამხედრო), იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომელშიც ოპერაცია (ბრძოლა) მზადდება და წარმოებს. მათგან ძირითადია: მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) შემადგენლობა, დაჯგუფება და მოქმედებების ხასიათი; საკუთარი ჯარების (ძალების) განლაგება, მდგომარეობა, გადასაწყვეტი ამოცანები, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა; მეზობლების განლაგება და მოქმედება; ადგილმდებარეობის ხასიათი; კლიმატური და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები; წელიწადის და დღე-ღამის დრო; საბრძოლო მოქმედებებისთვის მზადების და ამოცანების შესრულების ვადები. მასშტაბის მიხედვით **ვ**. შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული ან სტრატეგიული.

ო პ ე რ ა ტ ი უ ლ ი **ვ**., გაერთიანების და მისი მეზობლების მოქმედების ზოლში ან საზღვაო-საოპერაციო ზონაში გარკვეული დროისთვის ყალიბდება. ოპერატიული **ვ**-ის გათვალისწინებით იგეგმება ოპერაცია, რომელიც მიზნების მისაღწევად ჯარების (ძალების) მოქმედების ხასიათს და ხერხებს განსაზღვრავს.

ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი **ვ**., ყალიბდება ომში, საომარი მოქმედებების თეატრში (ომის თეატრში) ან სტრატეგიულ მიმართულებაზე გარკვეული დროისთვის. ფასდება საომარი მოქმედების თეატრში სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ, ხოლო შეიარაღებული ძალების და საომარი მოქმედებების თეატრში – მთავარსარდლობის მიერ. სტრატეგიულ **ვ**-ზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს მეომარი სახელმწიფოების პოლიტიკური ვითარება, ეკონომიკური მდგომარეობა, მათი შეიარაღებული ძალების შემადგენლობა და ბრძოლისუნარიანობა. იმ გარემოს მიხედვით, რომელშიც წარმოებს საბრძოლო მოქმედებები, განასხვავებენ სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო **ვ**-ს. ზოგადი **ვ**-ის ელემენტებია: ბიოლოგიური, საინჟინრო, ყინულოვანი, სამედიცინო, ნაღმური, საზღვაო, სანავიგაციო, რადიაციული, რადიოელექტრონული, ტექნიკური, ლოგისტიკური, ქიმიური, ელექტრომაგნიტური, ეპიდემიური, ეპიზოოტიური **ვ**-ები. ჯარების (ძალების) ეფექტიური მართვის მიზნით სარდლები (მეთაურები) და შტაბები გამუდმებით აწარმოებენ **ვ**-ბის ამსახველი ცნობების მოპოვებას ყველა შესაძლო ხერხით, სწავლობენ და აფასებენ მათ. **ვ**-ის შეფასებიდან გაკეთებული დასკვნები ხდება საფუძველი ოპერაციის (ბრძოლის) წარმოების გადაწყვეტილების მისაღებად და საბრძოლო მოქმედების ამოცანების დასაზუსტებლად. მანევრებზე, ტაქტიკურ სწავლებებსა და მეცადინეობებზე სასწავლო საკითხების დასახვეწად ხელმძღვანელობა რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ სასწავლო **ვ**-ს ქმნის.

ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი **ვ**., ყალიბდება შენაერთის (ნაწილის, ქვედანაყოფის) და მისი მეზობლების ბრძოლისთვის მზადების და ბრძოლის წარმოების ზოლში (მონაკვეთზე, რაიონში). ტაქტიკური **ვ**-ის გათვალისწინებით განისაზღვრება საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკურ ზონაში მოწინააღმდეგის განადგურების ხასიათი და ხერხები.

ვითარებაში შეყვანა, ახალი მონაცემები ტაქტიკური (ოპერატიული) ვითარების, ზოგჯერ სამომავლო ამოცანების შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელი აცნობს სწავლების პროცესში შემსწავლელებს. **ვ.შ.** ხდება კავშირგაბმულობის და ავტომატიზაციის საშუალებით, ზეპირად ან საბრძოლო დოკუმენტების ჩაბარებით. ვითარების ზოგიერთი მონაცემი შესაძლებელია იმიტირებული იქნეს ან აღინიშნოს ჯარების (ძალების) მოქმედებებით.

ვითარების ასახვა, თავისი და მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) მდებარეობის, მდგომარეობის, მოქმედებების, ვითარებისა და სხვა პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, რაც საჭიროა ჯარების (ძალების) და საბრძოლო საშუალებების მართვის პროცესში გამოყენებისთვის. ხორციელდება შეიარაღებულ ძალებში მიღებული პირობითი ნიშნების მეშვეობით ტოპოგრაფიულ და სპეციალურ რუკებზე, სქემებზე, პლანშეტებზე და სხვა. **ვ.ა**. ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზებულ სისტემებში ხდება ეკრანებზე, ტაბლოებზე, ტერმინალებზე, დისპლეებზე.

ვითარების შეფასება, იმ ფაქტორების და პირობების შესწავლა და ანალიზი, რომლებიც გავლენას ახდენენ საბრძოლო მოქმედებების მომზადებასა და წარმოებაზე. ამასთან ერთად განისაზღვრება საბრძოლო ამოცანის

შესრულების ხელშემწყობი და ხელისშემშელელი ფაქტორები და პირობები. მოიცავს მოწინააღმდეგის და საკუთარი ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებების რაიონის მეტეოროლოგიური და კლიმატური პირობების, დროის ამსახველი მონაცემების შესწავლას და ანალიზს. ჯარების მართვას ახორციელებენ სარდლები (მეთაურები) შტაბების, ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების უფროსების დახმარებით ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და საომარი მოქმედების დროს.

ვი-ექსი (VX), ნერვულ-პარალიტიკური მოქმედების მაღალტოქსიკური, ლეტალური მომწამლავი ნივთიერება. უფერო და უსუნო სითხე, დუღილის ტემპერატურა 300^0 C, დნობის ტემპერატურა -50^0 C. სუნთქვის ორგანოებიდან შეღწეული პირობითად ლეტალური დოზა 0,01 *მგ-წთ/ლ*, კანიდან – 0,09 *მგ/კგ*, კუჭ-ნაწლავის ტრაქტით – 0,07 *მგ/კგ*. დაცვა – აირწინაღი და კანის დაცვის ინდივიდუალური საშუალება.

ვიკინგები (შვედური vike – ზღვაში გასვლა), სკანდინავიელების (დანიელები, ნორვეგიელები, შვედები) საზღვაო ლაშქრობების მონაწილენი VIII–XI საუკუნეებში. დასავლეთ ევროპაში მათ უწოდებდნენ ნორმანებს, რუსეთში – ვარიაგებს, ბიზანტიასა და აღმოსავლეთის ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში) – ვარანგებს. **ვ**-ის ლაშქრობათა მიზანი იყო ახალი მიწების აღმოჩენა და მათი კოლონიზაცია, ვაჭრობის განვითარება, მეკობრეობა და ყაჩაღური თავდასხმები სანაპირო ოლქებზე. **ვ**-ის სამხედრო ხელოვნების თავისებურებები: თავდასხმის მოულოდნელობა, სამხედრო რაზმების სწრაფი მოქმედებები.

ვირაჟი (ფრანგული – virage), მარტივი პილოტაჟის ფიგურა. სრულდება საფრენი აპარატის 360^0-ზე მობრუნებით, მცირე (45^0-მდე) ან ღრმა (45^0-ზე მეტი) ფრენის დახრით. ფასდება რადიუსით და შესრულების დროით.

ვისლა-ოდერის ოპერაცია 1945, მიმდინარეობდა 12 იანვრიდან 3 თებერვლამდე, *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს. საბჭოთა ჯარებმა (ბელორუსიის I და უკრაინის I ფრონტები, საბჭოთა კავშირის მარშლები გ. ჟუკოვი და ი. კონევი) გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვითი ხაზი ვისლაზე, აიღეს ვარშავა (17 იანვარი), ბრესლაუსა და პოზნანში ალყაში მოაქციეს გერმანელების დიდი დაჯგუფებები, გაათავისუფლეს დასავლეთ პოლონეთი, შეიჭრნენ გერმანიის ტერიტორიაზე და დაიკავეს ხელსაყრელი პოზიციები ბერლინზე შეტევისათვის.

ვიშის მთავრობა, ჰიტლერელების საფრანგეთში შეჭრის შემდეგ საფრანგეთის მთავრობამ ხმების უმრავლესობით კაპიტულაციას დაუჭირა მხარი. მთავრობის მეთაური პ. რეინო გადადგა. მის მაგივრად მარშალი ფ. პეტენი დაინიშნა, რომელმაც მაშინვე მიმართა ჰიტლერს დაზავების თაობაზე. მთავრობის შეკრება მოხდა ქ. ვიშში, სამხრეთ საფრანგეთში.

ვიცე-ადმირალი (ლათინური Vice – მაგივრად, ნაცვლად; მნიშვნელობით შეესატყვისება მოადგილეს, თანამშეწეს, შემცვლელს), ერთ-ერთი უმაღლესი სამხედრო წოდება საზღვაო ფლოტში, ადმირალზე დაბალი და კონტრ-ადმირალზე მაღალი.

ვობანი (Vauban) სებასტიან ლე პრეტრ დე (1633–1707), მარკიზი, სამხედრო ინჟინერი, საფრანგეთის მარშალი (1703). შეიმუშავა ფორტიფიკაციის მეცნიერული საფუძვლები, ააშენა და გადააკეთა 300-ზე მეტი ციხესიმაგრე, შეიმუშავა ციხესიმაგრეების თანდათანობითი იერიშის მეთოდი, რომელსაც XX საუკუნემდე იყენებდნენ. იყო ნაღმსაფეთქებელი საქმის თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. **ვ**-ს ეკუთვნის ნაშრომები სამხედრო, საინჟინრო და ეკონომიკურ საკითხებზე.

ვოლტიჟიორები (ფრანგული – voltigeur), მსუბუქი ქვეითი ჯარისკაცები საფრანგეთში 1804–71 წლებში. იკრიბებოდნენ იმ პირებისაგან, ვინც მომცრო ტანის გამო ვერ მოხვდა საკადრო არმიაში. შეიარაღება: შემსუბუქებული თოფი და ხმალი, როგორც წესი, კარგი მსროლელები იყვნენ, ხშირად გამოიყენებოდნენ მზვერავებად.

ზ

ზავი, შეთანხმება მეომარ მხარეთა შორის საომარი მოქმედებების შეწყვეტის და მშვიდობიანობის დამყარების შესახებ.

ზალპი, 1. რამდენიმე საარტილერიო ქვემეხის, სატორპედო აპარატის, ბომბსატყორცნის, სასროლი და სხვა იარაღის ერთდროული გასროლა, რაკეტების გაშვება, საავიაციო საფრენი აპარატების (ჯგუფის) მიერ ბომბების ერთდროული ჩამოყრა. ლულიანი არტილერიის და სასროლი იარაღის **ზ**. შეიძლება განხორციელდეს საბრძოლო საარტილერიო გასროლებით ან ფუჭი საბრძოლო მასალებით. **ზ**. შეიძლება განხორციელდეს მისროლის, მიზნის დასაზიანებლად სროლის, ადგილმდებარეობის უწყვეტი განათების, შუქური ორიენტირების დაყენების დროს, აგრეთვე გადამღობი ცეცხლის წარმოებაზე, ცეცხლის ტალღის და თანამიმდევრულად თავმოყრილ ცეცხლზე გადასვლის დროს. **ზ**. მოწინააღმდეგეზე უეცრად, დიდი რაოდენობის საშუალებებით ძლიერი საცეცხლე დარტყმის მიყენების საშუალებას იძლევა, აადვილებს სროლის შედეგების თვალთვალს. 2. ამოცანის შესასრულებლად (მიზნის დაზიანება) გახარჯული რეაქტიული ჭურვების აღრიცხვის ერთეული. ჭურვების ხარჯს **ზ**-ების რაოდენობით ან **ზ**-ის წილით მიუთითებენ. 3. პირობითი ერთეული, რომლითაც შენაერთის, ნაწილის მთელი შეიარაღების საცეცხლე სიმძლავრე (საბრძოლო მასალების ჯამური მასა, რომელიც იხარჯება ერთი გასროლის დროს) იზომება.

ზამა, ძველი ქალაქი ჩრდილოეთ აფრიკაში (ახლანდელი ტუნისის ტერიტორია), სადაც ძვ.წ. 202 წლის 19 ოქტომბერს რომის არმიამ (31–38 ათ. კაცი) სციპიონ უფროსის სარდლობით დაამარცხა *ჰანიბალის* კართაგენელთა არმია (37–38 ათ. კაცი, 80 საბრძოლო სპილო). ამ ბრძოლამ რომის სასარგებლოდ გადაწყვიტა II პუნიკური ომის ბედი.

ზამბია (Zambia – ზამბიის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 752,6 ათ.*კმ*². მოსახლეობა 13,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ლუსაკა. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად. **ზ**. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელი – პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვს ეროვ
ნულ ასამბლეას (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1964 წლის 30 ოქტომბერს. **ზ**. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. განვითარებულია სამთომოპოვებითი მრეწველობა (სპილენძი, თუთია, კობალტი, ქვანახშირი, ტყვია) და ფერადი მეტალურგია. სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას პროდუქტებზე. საერთაშორისო აეროპორტია ლუსაკა. შეიარაღებული ძალები საერთო შემდგენლობით 15,1 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 13,5 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 1,6 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ზარალის უშუალო შეფასება, დაზიანებული რაიონის უშუალო შესწავლა საჰაერო თვალთვალით, აეროფოტოგადაღებით ან პირდაპირი დაკვირვებით.

ზარბაზანი, საარტილერიო ქვემეხი ძირითადად ფენილი, საზენიტო და შორსდამრტყმელი სროლისთვის. XIV–XV საუკუნეებში **ზ**-ის (გლუვლულიანი) გამოჩენამ არსებითად გაზარდა სროლის მანძილი, ხოლო თუჯის ქვემეხის ლულის ჩამოსხმამ (XVI საუკუნე) – მისი კალიბრი და სიგრძე. ფოლადის კუთხვილლულიანი **ზ**. შეიქმნა XIX საუკუნეში. დანიშნულების მიხედვით არსებობს: საველე, ტანკსაწინააღმდეგო, საზენიტო, სახომალდე, სანაპირო თავდაცვის, საავიაციო და სხვა **ზ**-ები. თანამედროვე **ზ**-ის თავისებურება სხვა ტიპის ქვემეხებთან (ჰაუბიცებთან, ნაღმსატყორცნებთან) შედარებით არის ჭურვის დიდი საწყისი სიჩქარე (800–1200 *მ/წმ*, ქვეკალიბრის – 1700 *მ/წმ*-მდე). შედეგად პირდაპირი გასროლით აღწევენ დიდ მანძილს (2000 *მ*-მდე, მიზნის 2 *მ* სიმაღლის დროს), ჭურვის დიდ ძალას და მანევრირებას; ასევე მიზნის დაზიანების დიდ ალბათობას პირდაპირი დამიზნებით სროლის დროს; საშუალო და მსხვილი კალიბრის **ზ**-ის სროლის დიდ მანძილს. მომატებულ საწყის სიჩქარეს აღწევენ ძირითადად სატყორცნი მუხტის (ჩვეულებრივ ჭურვის მასის 30–40%-მდე) და ლულის სიგრძის 50–60 კალიბრამდე გაზრდის ხარჯზე. **ზ**. ქვემეხის ყველაზე გავრცელებული სახეობაა; საჯარისო (საველე) არტილერიაში გამოიყენება ჰაუბიცებთან და ნაღმსატყორცნებთან ერთად.

ზარდახანა (სპარსული – zarradxane), არსენალი, სამხედრო საჭურვლის საწყობი, სადაც ინახავდნენ სამხედრო აღჭურვილობას, ცხენის აღკაზმულობას და სხვა. **ზ.** სამხედრო უწყების დაწესებულება იყო და უშუალოდ ამილახორს ემორჩილებოდა. მას განაგებდა **ზ**-ის უხუცესი. **ზ**-ის მოხელეები იყვნენ მოლარე და მწიგნობარი, აგრეთვე მისრატულთუხუცესი და მისრატულები (უზანგის დამჭერები),

რომლებიც მეფეს ემსახურებოდნენ ცხენით მგზავრობის დროს. **ზ**-ს წელიწადში ერთხელ ამოწმებდნენ ამილახორი, მეაბჯრეთუხუცესი, **ზ**-ის უხუცესი და მწიგნობარი (მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელის მოხელე).

ზაქარია მხარგრძელი, ქართველი დიდებული, ამირსპასალარ სარგის მხარგრძელის ძე, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი, „მთავარი თემისა ლორისა“. 1177 წელს, დემნა უფლისწულის აჯანყების დროს, **ზ.მ**. და მისი მამა სარგისი აჯანყებულთა ბანაკში იყვნენ, მაგრამ მალე მიატოვეს იგი და *გიორგი III*-ის მხარეზე გადავიდნენ. **ზ.მ**-მა აქტიური მონაწილეობა მიიღო გიორგი რუსის ამბოხების ჩახშობაშიც (1191). ამის შემდეგ მალე მას ამირსპასალარობა ებოძა. XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისში **ზ.მ**. მონაწილეობდა საქართველოს ყველა ძირითად ომში. 1202 წელს ბასიანის ბრძოლაში იგი სარდლობდა ქართული ლაშქრის მარჯვენა ფრთას, დავით სოსლანის გარდაცვალების შემდეგ **ზ.მ**., როგორც ამირსპასალარი, ხელმძღვანელობდა ქართული არმიის სტრატეგიულ ოპერაციებს: ლაშქრობებს არდებილზე (1208), არჭეშ-ხლათის მიმართულებაზე 1204–10 წლებში (იხ. *ქართველთა სამხრეთის ლაშქრობები*), სპარსეთში 1210 წელს (იხ. *ქართველთა სამხრეთ-აღმოსავლეთის ლაშქრობა*). წარმატებული ლაშქრობებისათვის მეფემ **ზ.მ**-ს ვრცელი სამფლობელოები უბოძა ჩრდილოეთ სომხეთის გათავისუფლებულ ტერიტორიაზე. **ზ.მ.** კონფესიურად მონოფიზიტი იყო, მაგრამ იგი ცდილობდა ზოგიერთი ცვლილების შეტანას სომხურ სარწმუნოებაში, რათა დაეახლოვებინა ის ქართველთა სარწმუნოებასთან. ამ მიზნით, **ზ.მ**-ის ინიციატივით, იყო მოწვეული ლორისა (1205) და ანისის (1207) საეკლესიო კრებები.

ზემაღალი სიხშირის დაზიანება, იხ. *დაზიანება*

ზემაღალი სიხშირის იარაღი, მიმართული ენერგიის იარაღი, რომლის დამაზიანებელ ფაქტორს ზემაღალი სიხშირის დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება წარმოადგენს. განკუთვნილია სამხედრო ტექნიკის დასაზიანებლად იმ რადიოელექტრონული ელემენტების მწყობრიდან გამოყვანის გზით, რომლებიც ელექტრომაგნიტური ველებისადმი მგრძნობიარობას იჩენენ. მოიცავს გამოსხივების წყაროებს (მძლავრ რელატივისტურ მაღალი სიხშირის გენერატორებს, ციკლოტრონული რეზონანსის ლაზერებს) აპერტურული ანტენებით (სარკისებრი, რუპორული) ან ფაზირებული ანტენური ცხაურებით (ღია, გახსნილი), მიზნის აღმოსაჩენ და გამოსხივების მართვის საშუალებებს. **ზ.ს.ი**-ს განეკუთვნება, აგრეთვე ე.წ. ელექტრომაგნიტური ბომბები, რომელთა მოქმედება ეფუძნება ასაფეთქებელი ნივთიერებების ენერგიის გარდაქმნას მაღალი სიხშირის ნაწილაკების გამოსხივებად (მაგნიტური აფეთქების გენერატორები).

ზემოქმედების რაიონი, გეოგრაფიული რაიონი, რომელშიც მეთაურს ოპერაციის მსვლელობაზე უშუალო ზემოქმედება შეუძლია მანევრის ან ცეცხლით მხარდაჭერის სისტემების გამოყენებით.

ზენიტსაწინააღმდეგო მანევრი, თვითმფრინავის (ვერტმფრენის) კურსის, ფრენის სიჩქარის და სიმაღლის შეცვლა საზენიტო არტილერიის ცეცხლის ზონაში დაზიანების ალბათობის შემცირების მიზნით. როგორც წესი, ფრენის ყველა პარამეტრი ერთდროულად იცვლება. **ზ.მ.** შეხამებულია მოწინააღმდეგის საზენიტო არტილერიის ცეცხლის მართვის საშუალებათა რადიოელექტრონულ ჩახშობასთან.

ზიაპი ვო ნგუენ (1911–2013), ვიეტნამელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, გენერალი. ვიეტნამის სახალხო არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. 1945–54 წლების განმათავისუფლებელ ომში ფრანგების წინააღმდეგ (იხ. *ინდოჩინეთის I ომი*) იყო ვიეტნამის არმიის მთავარსარდალი და მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება დიენბიენფუსთან (1954). **ზ**. იყო ჩრდილოეთ ვიეტნამის თავდაცვის მინისტრი და ჯარების მთავარსარდალი ვიეტნამის ომის (იხ. *ინდოჩინეთის II ომი*) ძირითად პერიოდში. იგი უპირატესობას ანიჭებდა ხანგრძლივ პარტიზანულ ომს მოწინააღმდეგის ძალების გამოფიტვამდე, თუმცა ხელსაყრელ პირობებში მსხვილმასშტაბიან შეტევის ოპერაციებსაც აწარმოებდა. **ზ**-ს სამართლიანად უწოდეს ჩრდილოეთ ვიეტნამის გამარჯვების არქიტექტორი. გენერალი **ზ**-ის მდიდარი საბრძოლო გამოცდილება განზოგადებულია მის რამდენიმე ნაშრომში.

ზიმბაბვე (Zimbabwe – ზიმბაბვეს რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 390,8 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 12,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ჰარარე. ადმინისტრაციულად იყოფა 8 პროვინციად. **ზ**. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის ხელმძღვანელი – პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვს ეროვნულ ასამბლეას (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1980 წლის 18 აპრილს. **ზ**. აფრიკის ერთ-ერთი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სამთომოპოვებითი (ოქრო, ვერცხლი, ფერადი ლითონების მადანი) და გადამამუშავებელი მრეწველობა. სოფლის მეურნეობა სრულად აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას პროდუქტებზე. საერთაშორისო აეროპორტია ჰარარე. შეიარ-

აღებული ძალები საერთო შემადგენლობით 29 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 25 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 4 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ზნეობრივი აღზრდა (შეიარაღებულ ძალებში), სამხედრო მოსამსახურეებისთვის მორალური თვისებების, ქცევის ნორმებისა და პრინციპების ჩამოყალებების პროცესი, რომლის მიზანია პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის განმტკიცება. **ზ.ა**-ის დროს წყდება ორი ამოცანა: მეომრებს გამოუმუშავდებათ წარმოდგენა მორალური ნორმებისა და ქცევის წესების, ზნეობრივი იდეალების შესახებ; მორალური პრინციპები და ნორმები იქცევა პირად მრწამსად, ზნეობრივ ჩვევად, რომელთა საფუძველზე სამხედრო მოსამსახურე საკუთარი ნებით, იძულების გარეშე ასრულებს თავის მოვალეობას და მორალის პოზიციებიდან აფასებს სხვების საქციელს. მეომრის მორალური თვისებები ყალიბდება ცხოვრების, სამსახურის ობიექტური პირობების ზემოქმედებით და მის ცნობიერებაზე მიზანმიმართული გავლენის შედეგად.

ზუავები (ფრანგული zouaves, ალჟირის ერთ-ერთი ბერბერული ტომის არაბული სახელწოდებიდან – ზუაუა), მსუბუქი ქვეითი ჯარის გვარეობა XIX–XX საუკუნეებში საფრანგეთის *კოლონიურ ჯარებში*. შედგებოდა ფრანგებისა და არაბებისაგან. **ზ**. ეწოდებოდათ აგრეთვე მოხალისეთა ფორმირებებს აშშ-ში 1861–65 წლების სამოქალაქო ომის დროს, პოლონელთა აჯანყების დროს რუსეთის წინააღმდეგ (1863–64) და სხვა.

ზუმბა, თოფის საწმენდი და გასატენი დგუში (ძველ თოფებში).

ზურგი, 1. მეომარი ქვეყნის მთელი ტერიტორია მოსახლეობასთან და ეკონომიკურ რესურსებთან ერთად, გარდა საბრძოლო მოქმედებების რაონისა (ზონისა). 2. მწყობრის, საბრძოლო წყობის, ჯარების (ძალების) ოპერატიული დაწყობის ნაწილი, რომელიც ფრონტის საწინააღმდეგოა.

ზურგის ზოლი, ადგილმდებარეობის ზოლი, რომლის დანიშნულებაა ლოგისტიკის ქვედანაყოფების გაშლა და მათ მიერ ამოცანების შესრულების უზრუნველყოფა.

ზურგის ოპერაციები, მოქმედებები ზურგის რაიონში დაზიანების ზონის კონტროლის ჩათვლით, რომელსაც ცოცხალი ძალის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოწინააღმდეგის მოქმედების განეიტრალების ან მისი დამარცხების მიზნით ყველა სახის ქვედანაყოფი ცალ-ცალკე თუ ერთობლივად ახორციელებს. **ზ.ო**. ღრმა ოპერაციების ნაწილია.

ზურგის რაიონის რეაგირების ძალები, ქვედანაყოფები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მთავარი თავდაცვითი ძალების ფარგლებს გარეთ მდებარე რაიონის უსაფრთხოებაზე.

ზურგის ხაზის საფრთხის დონეები, მოწინააღმდეგის მხრიდან აქტიურ მოქმედებებზე რეაგირების დონეები. პირველი დონე – საფრთხე, რომლის გამკლავებაც შესაძლებელია ბაზის თავდაცვითი საშუალებებით; მეორე დონე – საფრთხე, რომელიც სცილდება ბაზის ან ბაზების ჯგუფის საკუთარი ძალებით თავდაცვის შესაძლებლობებს, მაგრამ შესაძლებელია მისი თავიდან აცილება რეაგირების ძალების (სამხედრო პოლიცია) მხრიდან საცეცხლე მხარდაჭერის პირობებში; მესამე დონე – საფრთხე, რომლის შემთხვევაშიც აუცილებელია მეთაურის გადაწყვეტილება ბრძოლაში საბრძოლო ნაწილების ჩართვის შესახებ.

ზუშანი, ლახვრის ერთ-ერთი სახეობა, ცივი სატყორცნი იარაღი.

ზუჩი, იხ. *მუზარადი.*

ზღვაზე ბატონობა, 1. წყალზე, წყალქვეშ და წყალზევით საზღვაო (საოკეანო) რაიონების შეუზღუდავად გამოყენების უპირატესი უფლება და ამ შესაძლებლობის მოწინააღმდეგისთვის აკრძალვა. 2. ერთ-ერთი მეომარი მხარის გადამწყვეტი უპირატესობა საზღვაო (საოკეანო) საბრძოლო მოქმედებების თეატრზე ან მის ცალკეულ რაიონში (ზონაში), რაც საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად მისთვის ხელსაყრელ პირობებს უზრუნველყოფს. მასშტაბების მიხედვით შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. **ზ.ბ**. იმავდროულად ითვალისწინებს ჰაერში ბატონობასაც.

ზღვაზე და მის ზევით საჰაერო სივრცეში ინციდენტების პრევენცია, სხვადასხვა ქვეყნის გემების ღია ზღვაში სვლის და საფრენი აპარატების ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მიზანს აღწევენ საერთაშორისო წესების დაცვით, რომლებიც განსაზღვრავენ ზომებსა და რეკომენდაციებს სამხედრო ხომალდების და საფრენი აპარატების გაუფრთხილებელი და მარლთსაწინააღმდეგო მოქმედებების აღსაკვეთად.

ზღვაზე უბედურების სიგნალი, შუქურა, ხმოვანი, ვიზუალური, რადიოსატელეფონო და რადიოსატელეგრაფო სიგნალი, რომელიც ამცნობს, რომ მის გამომგზავნ ხომალდს (გემს) და ეკიპაჟს ემუქრება საფრთხე და ესაჭიროება დახმარება. **ზ.უ.ს.** შაიძლება იყოს: ქვემეხით გასროლა ან ერთწუთიანი ინტერვალით აფეთქება; ნისლში უწყვეტი ბგერითი სიგნალი, წითელი შუქი, რომელსაც ნასროლი რაკეტები ან ხელყუმბარები ტოვებენ; მორზეს ანბანი, რადიოტელეგრაფი და სხვა სასიგნალო სისტემით გადაცემული SOS სიგნალი; რადიოქერქეჭელებით (რადიოსასიგნალო ტივტივა) გადაცემული სიგნალი, რომელიც აღნიშნავს უბედურებაში მყოფი ხომალდის ყო-

ფნის ადგილს. **ზ.უ.ს**. გათვალისწინებულია 1972 წლის საერთაშორისო კონვენციით და გამოქვეყნებულია „ზღვაზე გემების შეჯახების თავიდან აცილების საერთაშორისო წესებში“. მათი გამოყენება დაუშვებელია დახმარების თხოვნის გარდა სხვა შემთხვევებში.

ზღვით გადასვლა, ხომალდის (ჯგუფის, რაზმის, შენაერთის, ბადრაგის) სვლა ერთი (საწყისი) პუნქტიდან ან ზღვის (ოკეანის) რაიონიდან მეორეში ამოცანის შესასრულებლად. **ზ.გ**. სრულდება ოპტიმალური მარშრუტით, რომელსაც ირჩევენ გადასვლის რაიონის, თავისი ძალების საბრძოლო და სამანევრო შესაძლებლობების, მოწინააღმდეგის მოსალოდნელი მოქმედებებისა და მისვლის ვადების შეფასების გათვალისწინებით. ხომალდების შენაერთები, რაზმები და ჯგუფები მიდიან სალაშქრო წყობით (მწყობრად ან ორდერებად).

ზღვის ავადმყოფობა, რწევა, ადამიანის ორგანიზმის ავადმყოფური რეაქცია, ხომალდის (გემის) რწევაზე, საფრენი აპარატის ფრენაზე, როდესაც ისინი სივრცეში ზღვაზე, ან ჰაერში მკვეთრად იცვლიან მდგომარეობას. ასევე – უსწორმასწორო გზებზე საავტომობილო და სხვა სახის სახმელეთო ტრანსპორტით სწრაფი სვლის დროს. ადამიანების 90% აქვს მიდრეკილება **ზ.ა**-ისკენ. განასხვავებენ გამოკვეთილს (ნერწყვის მკვეთრი გამოყოფა, გულისრევა) და ფარულს (აპათია, შრომისუნარიანობის დაქვეითება). პირველადი დახმარება: მწოლიარე მდგომარეობა, სუფთა ჰაერი, სოდიანი სითხის უხვი რაოდენობით მიღება და სხვა.

ზღვის დახურული რაიონი, ტერიტორიული წყლების რაიონი, რომელშიც ზღვისპირა სახელმწიფო დროებით ან მუდმივად კრძალავს (ზღუდავს) თავისი და უცხოეთის გემების ნაოსნობას, ასევე მათ გარკვეული სახეობის საქმიანობას. ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ სახიფათო მოქმედებების (მაგალითად რაკეტების გამოცდის) განხორციელებისას ცხადდება არა **ზ.დ.რ.,** არამედ ნაოსნობისათვის სახიფათო რაიონები, რომელთა რეჟიმმა არ უნდა მოუტანოს ზიანი ღია ზღვის თავისუფლების პრინციპს.

ზღვის ნაპირის გამტარუნარიანობა, შეფასება, რომელიც გამოხატავს, თუ რამდენი ტონა ტვირთი შეიძლება გადმოიტვირთოს გემიდან და მიზნობრივი დანიშნულებით იქნეს გატანილი მოცემულ ნაპირზე ერთ დღეში.

ზღვის სივრცის კონტროლი, უპირატესობა, როდესაც დროის გარკვეულ მონაკვეთში ერთ მხარეს შეუძლია თავისი ინტერესების სასარგებლოდ დაბრკოლებების გარეშე იმოქმედოს ზღვის რაიონის წყლის ქვეშ, წყალზე და წყლის ზევით.

ზღუდე, ადგილმდებარეობის ზოლი ან მონაკვეთი, რომელიც მოცემულ რაიონში საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას ტაქტიკური, ოპერატიული ან სტრატეგიული თვალსაზრისით გარკვეული ბუნებრივი უპირატესობებით გამოირჩევა; ადგილმდებარეობის (აკვატორიის) პირობითი ხაზი, ზოლი (მონაკვეთი), სიბრტყე სივრცეში, საიდანაც ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების და მსვლელობის დროს ჯარების, ძალების და საშუალებების რაიმე მოქმედებების გარკვეული ეტაპი იწყება (წყდება). დანიშნული **ზ**., როგორც წესი, დააქვთ რუკაზე და, შეძლებისდაგვარად, ადგილზე მონიშნავენ.

ზღუდეების გადაკვეთა, ოპერაცია, რომლის დროსაც სამხედრო ნაწილები (ქვედანაყოფები) წინ ან ზურგისკენ მეორე ძალის საბრძოლო პოზიციების გავლით გადაადგილდება.

ზღუდის გამაგრება, მოწინააღმდეგისთვის წართმეული, ტაქტიკური და ოპერატიული თვალსაზრისით ხელსაყრელი ზღუდის თავდაცვისთვის მომზადება. ახორციელებენ შეტევაში (კონტრშეტევაში) I და II ეშელონების (რეზერვის) ჯარები, თავდაცვაში – ჯარები, რომლებმაც განახორციელეს კონტრიერიში (კონტრდარტყმა) ან მანევრი. **ზ.გ**-ისას, უწინარეს ყოვლისა, ეწყობა ცეცხლის, გადაღობვის და საჰაერო თავდაცვის სისტემების დაზვერვა, ტაქტიკური (ოპერატიული) თვალსაზრისით ხელსაყრელი მონაკვეთების (რაიონების) დაკავება, ძალებისა და საშუალებების გაშლა, საბრძოლო წყობაში უმარტივესი თავდაცვითი ნაგებობებისა შენება.

თ

თადარიგი (შეიარაღებული ძალებისა), სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი სამხედრო ვალდებულები, რომლებმაც სამხედრო სამსახური გაიარეს ან განთავისუფლდნენ მისგან სხვადასხვა მიზეზით, ომის დროს კი სამსახურისათვის ვარგისი არიან.

თავდასხმასთან დაუკავშირებელი რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური გამოფრქვევა, რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური დამაბინძურებელი ნივთიერებების შემთხვევით გაფანტვა, რომელიც არ არის დაკავშირებული თავდასხმასთან მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენებით. ამასთან უნდა გამოირიცხოს საკუთარი ჯარების დარტყმები მოწინააღმდეგის მასობრივ დაზიანების იარაღზე ან მოწინააღმდეგის იმ ობიექტზე, სადაც ინახება მასობრივი დაზიანების იარაღი.

თავდასხმითი ოპერაციები, საბრძოლო ოპერაციები, რომელთა უპირველესი მიზანია მოწინააღმდეგის განადგურება. **თ.ო**-ს მიმართავენ მთავარი ან გადამწყვეტი ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მოწინააღმდეგისათვის რესურსების და გადამწყვეტი ადგილის წასართმევად, მის შეცდომაში შესაყვანად და ყურადღების გადასატანად, სადაზვერვო მონაცემების მოსაპოვებლად და მოწინააღმდეგის შესაკავებლად.

თავდაუსხმელობა, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპი, რომლის თანახმად დაუშვებელია პოლიტიკური, ეკონომიკური ან სტრატეგიული ხასიათის ნებისმიერი მოსაზრებით ომის გაჩაღება ასევე დაუშვებელია, რომ რომელიმე სახელმწიფომ მეორე სახელმწიფოს წინააღმდეგ პირველმა გამოყენოს შეიარაღებული ძალა. ეს პრინციპი დამკვიდრებულია გაეროს წესდებაში და სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში. იგი ავალდებულებს თითოეულ სახელმწიფოს, პირველმა არ გამოიყენოს შეიარაღებული ძალა პირდაპირ ან არაპირდაპირ; თავი შეიკავოს აგრესიული ომის პროპაგანდისგან; ძალის გამოყენების მუქარისგან სახელმწიფო საზღვრის დარღვევის და საერთაშორისო დავის გადაწყვეტის დროს.

თავდაცვა, ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედების სახეობა, რომელიც როგორც წესი, გამოიყენება, მოწინააღმდეგის უპირატესი ძალების შეტევის, კონტრშეტევის და იერიშის (დარტყმების) მოსაგერიებლად.

ასევე დასახული მიმართულებების (ზღუდეების, რაიონების, ობიექტების) შესანარჩუნებლად (დასაფარავად), ერთ მიმართულებაზე ძალების და საშუალებების ეკონომიისა და მეორეზე მოწინააღმდეგის შემომტევი დაჯგუფებებისთვის ზიანის მიყენების, თავისი ჯარების კონტრშეტევაზე (შეტევაზე) გადასაყვანად პირობების შექმნის მიზნით. **თ**. შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული, იძულებითი ან წინასწარ განზრახული. საბრძოლო მოქმედებების პროცესში **თ**-ის არსია მოწინააღმდეგის დაჯგუფებების დამარცხება მათი წინწაწევის, შეტევისთვის საწყისი მდგომარეობის დაკავების, **თ**-ის წინა ხაზის იერიშის დროს და **თ**-თი ზღუდეების შესანარჩუნებლად. ამის მისაღწევად მოწინააღმდეგეს ცეცხლით დარტყმებს აყენებენ სხვადასხვა სახეობების იარაღით, ახორციელებენ კონტრმომზადებას, მტკიცედ იცავენ საკვანძო პოზიციებს და **თ**-ის რაიონებს, აწარმოებენ კონტრდარტყმებს (კონტრიერიშებს). **თ**-ის წარმოების ძირითადი ფორმები მთელი რიგი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში არის **თ**-ითი ოპერაცია საომარი მოქმედების თეატრში; დაჯგუფების (არმიების ჯგუფის), არმიისა და კორპუსის **თ**-ითი ოპერაციები; დივიზიის, ბრიგადის, პოლკის, ბატალიონის ქვედანაყოფების **თ**. ყველა **თ**-ითი ოპერაცია (საბრძოლო მოქმედებები) საერთოსაჯარისოა. **თ**-ის მოწყობა მოიცავს: ჯარების (ძალების) დაჯგუფებას და მათ ოპერატიულ დაწყობას (საბრძოლო წყობას); **თ**-ითი ზღუდეების, ზოლების, პოზიციების სისტემას; მოწინააღმდეგის კომპლექსური ცეცხლით დაზიანების სისტემის (ცეცხლის სისტემის) ორგანიზაციას, ტანკსაწინააღმდეგო, საჰაერო, დესანტსაწინააღმდეგო **თ**-ის სისტემების და საინჟინრო ღობურების შექმნას. **თ**-ს განსაკუთრებულ პირობებში (ქალაქში, მთებში, უდაბნოებში, ტყიან და ჭაობიან ადგილებში ყინვაში, თოვლში და სხვა) დამახასიათებელი თავისებურებები აქვს.

თავდაცვითი ბრძოლა, ბრძოლის სახეობა, რომელიც, ჩვეულებრივ, გამოიყენება მოწინააღმდეგის უპირატესი ძალების შემოტევის მოსაგერიებლად, მისთვის მნიშვნელოვანი ზარალის მიყენების, დიდმნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების, ობიექტების, აკვატორიების) შენარჩუნების და ამის მეშვეობით შეტევაზე გადასასვლელად პირობების შექმნის მიზნით. **თ.ბ**. შეიძლება წარმოებდეს მრავალგვარ ვითარებაში, სხვადასხვა ადგილმდებარეობაზე, წელიწადის და დღე-ღამის სხვადასხვა დროს, ქალაქში (დასახლებულ პუნქტში), მთებში, უდაბნოში, ტყეში, თოვლში, ყინვაში, ზღვისპირა მიმართულებაზე და ა.შ.

თავდაცვითი ზღუდე, ადგილმდებარეობის ზოლი (მონაკვეთი), რომელიც თავდაცვითი მოქმედებების საწარმოებლად ჯარების მიერ დაკავებულია ან საინჟინრო თვალსაზრისით მომზადებულია დასაკავებლად. განასხვავებენ პირველ ზღუდეს (მთავარი ზოლი), შუალედურ და სათადარიგო ზღუდეებს (თავდაცვაში და უკან დახევისას), არმიის, დაჯგუფების ზღუდეებს (ზოლებს). თავდაცვის სიღრმეში შეიძლება შეიქმნას წამკვეთი **თ.ზ**-ები.

თავდაცვითი ნაგებობები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, რომლებიც აგებულია ადგილმდებარეობაზე თავდაცვისთვის. განასხვავებენ **თ.ნ**-ს ცეცხლის წარმოებისთვის (სანგრები, ტრანშეები და სხვა); სხვადასხვა სახეობის იარაღისგან პირადი შემადგენლობის და ტექნიკის დაცვისთვის (თხრილები, ტრანშეების გადახურული მონაკვეთები, ბლინდაჟები, თავშესაფრები, სპეციალური საფრები); ფარული მიმოვლისთვის (სანგარსავალები, დარანები).

თავდაცვითი ოპერაცია, მიზნის, ამოცანებისა და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების, ბატალიების, ბრძოლებისა და დარტყმების ერთობლიობა. მას ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით აწარმოებს გაერთიანება მოწინააღმდეგის უპირატესი ძალების შემოტევის (შემოჭრის) ჩასაშლელად, მისთვის ზიანის მისაყენებლად, მნიშვნელოვანი ზღუდეების, რაიონებისა და ობიექტების შესანარჩუნებლად, დროის მოსაგებად, ძალებისა და საშუალებების დასაზოგად და შეტევაზე (კონტრშეტევაზე) თავისი ჯარების გადასვლისთვის პირობების შესაქმნელად. მასშტაბების მიხედვით **თ.ო**. შეიძლება იყოს სტრატეგიული, დაჯგუფების (არმიების ჯგუფის), არმიის (კორპუსის). ჩვეულებრივ, **თ.ო**-ები ხორციელდება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის გაერთიანებების (შენაერთების) ერთობლივი ძალისხმევით.

თავდაცვითი პოტენციალი, იხ. *სამხედრო პოტენციალი.*

თავდაცვითი სამრეწველო კომპლექსი, იმ საწარმოების, დაწესებულებების, სამეცნიერო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის შექმნასა და წარმოებას ახორციელებენ.

თავდაცვითი შემოვლება, სიმაგრეების ხაზი სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ობიექტის (ქალაქი, ციხესიმაგრე, გამაგრებული ბანაკი, სამხედრო-საზღვაო ბაზა და ა.შ.) პერიმეტრზე ან მის მისადგომებზე. განსაკუთრებით დიდ ობიექტებს ჰქონდათ რამდენიმე **თ.შ**., რომელთაგან თითოეული მოწყობილი იყო, როგორც თავდაცვითი ზოლი (ზღუდე).

თავდაცვის აქტიურობა, თავდაცვაში მყოფი ჯარების უწყვეტი ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე; თავდაცვის ორგანიზაციისა და წარმოებისადმი წაყენებული ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა. **თ.ა**-ის არსია მოწინააღმდეგისთვის საავიაციო და საცეცხლე დარტყმების მიყენება შეტევისთვის მისი მზადების და იერიშის პერიოდში, აგრეთვე თავდაცვითი ბრძოლის (ბატალიის) ყველაზე საშიშ მონაკვეთებზე (მიმართულებებზე) რეზერვებისა და ცეცხლით მანევრის დროს.

თავდაცვის გარღვევა, შეტევითი მოქმედებების ხერხი, რომლის მიზანია, შექმნას მოწინააღმდეგის ჯარების მიერ დაკავებულ მომზადებულ თავდაცვით ზღუდეებში (ზოლებში, პოზიციებში) რღვეული (რღვეულები), რათა შემდგომ განავითაროს შეტევა სიღრმეში და მანევრი – ფლანგების მხარეს. გამოიყენება მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის თავდაცვაში არ არის ღია ფლანგები ან როდესაც შემტევ ძალებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა განახორციელონ შემოვლა. **თ.ბ**-ის არსია, მოწინააღმდეგის თავდაცვაში ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით (დარტყმებით) ნაპრალის გაჩენა და შემტევი ჯარების მტკიცე წინსვლა შერჩეულ მიმართულებებზე თავდაცვითი ზღუდის (ზოლის, პოზიციის) მთელ სიღრმეზე. იმავდროულად უნდა მოხდეს გარღვევის მონაკვეთის (მონაკვეთების) გაფართოება. XX საუკუნის 50-იანი წლების შუახანებიდან, ბირთვული იარაღის შეიარაღებაზე მიღების, შეიარაღებული ბრძოლის სხვა საშუალებების განვითარების შემდეგ, მოწინააღმდეგის მომზადებული **თ.ბ**. უნდა განხორციელებულიყო ბირთვული დარტყმების მიყენებით მისი წყობის მთელ სიღრმეში. ასევე ქვეითი (მექანიზებული ქვეითები) და სატანკო შენაერთების გადამწყვეტი შეტევით ცალკე მიმართულებებზე გარშემორტყმის და შემოვლის ფართო გამოყენებით, მათ შორის, ჰაერიდან. ფრონტის ვიწრო მონაკვეთებზე ჯარების მრავალრიცხოვანი დაჯგუფებების თავმოყრა მოწინააღმდეგეზე მრავალგზისი უპირატესობის შესაქმნელად დაუშვებლად ითვლებოდა. დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებების გამოყენებით **თ.ბ**-ის თანამედროვე თეორია ითვალისწინებს **თ.ბ**-ის სხვადასხვა ხერხების გამოყენებას გარღვევის შერჩეულ მონაკვეთებზე ძალების და საშუალებების გადამწყვეტი მასირებით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს მოწინააღმდეგეზე უპირატესობის მოპოვებას, მისი თავდაცვის მთელ სიღრმეში, გარღვევის მონაკვეთებსა და მიმდებარე ფლანგებზე, საიმედო საცეცხლე დაზიანებას, საჰაერო დესანტის და სხვა სწრაფად მოძრავი ჯარების ფართო გამოყენებას. ასევე საბრძოლო მოქმედებების იმავდროული გაშლისთვის, მოწინააღმდეგის ჯარების ოპერატიული დაწყობის მთელ სიღრმეზე, ძალვის დროულ და სწრაფ ზრდას მთავარი დარტყმის მიმართულებაზე, ტაქტიკური გარღვევის ოპერატიულ გარღვევად განვითარების მიზნით. სხვადასხვა ქვეყნის არ

მიებში **თ.ბ.** შეტევაში მანევრის ერთ-ერთ ძირითად ფორმად ითვლება (აშშ-ის არმიაში – გარღვევა, გერმანიის არმიაში – ფრონტალური დარტყმა, დიდი ბრიტანეთის არმიაში – ფრონტალური გარღვევა). იგი, ჩვეულებრივ, მოიცავს სამ ეტაპს: მოწინააღმდეგის **თ.ბ.** (რღვეულების შექმნა); გარღვევის მონაკვეთის გაფართოება, მოწინააღმდეგის შემოვლა, ბლოკირება და განადგურება; სიღრმეში არსებული დიდმნიშვნელოვანი ობიექტების ხელში ჩაგდება და შენარჩუნება.

თავდაცვის ზოლი, ადგილმდებარეობის ზოლი, რომელიც განკუთვნილია გაერთიანების ან შენაერთის თავდაცვისთვის იმ მიზნით, რომ პოზიციური მოგერიებისას ზიანი მიაყენონ მოწინააღმდეგეს, მოიგერიონ მისი შეტევა, შეინარჩუნონ მნიშვნელოვანი ზღუდეები და ადგილმდებარეობის რაიონები; მანევრული თავდაცვისას – შეტევაზე გადმოსულ მოწინააღმდეგეს ზიანი მიაყენონ სიღრმეში ეშელონირებული ზღუდეების თანამიმდევრული შენარჩუნების გზით. **თ.ზ**-ში განლაგდებიან ჯარების (ძალების) დაჯგუფებები, ეწყობა მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების სისტემა (ცეცხლის სისტემა), საფორტიფიკაციო ნაგებობები და ღობურები. **თ.ზ** შემოფარგლულია ფრონტიდან წინა ხაზით, ფლანგებიდან – გამმიჯვნელი ხაზებით, ზურგიდან – პოზიციურ თავდაცვაში II ეშელონებისა და რეზერვების განლაგების (თავმოყრის) რაიონებით, მანევრულში – თავდაცვის საბოლოო ზღუდის ზურგის საზღვრით. გაერთიანების (შენაერთის) **თ.ზ**-ის სიგანე განისაზღვრება ძირითადად მისი საბრძოლო შესაძლებლობებით, ე.ი. მოწინააღმდეგის შეტევის ფრონტის სიდიდით, რომლის დარტყმაც მას შეუძლია მოიგერიოს, ხოლო სიღრმე – თავდაცვაში მყოფი ჯარების ეშელონირების სიღრმით. დაჯგუფების, არმიის, საარმიო კორპუსის **თ.ზ**-ებში იქმნება პოზიციური თავდაცვისას – რამდენიმე თავდაცვითი ზღუდე [პირველი, მეორე, არმიის (კორპუსის), ერთი ან ორი ფრონტისა], ხოლო შენაერთების **თ.ზ**-ში – რამდენიმე თავდაცვითი პოზიცია; მანევრული თავდაცვისას ყოველ თავდაცვის ზღუდეზე და შენაერთების **თ.ზ**-ში (უზრუნველყოფის ზოლში) – რამდენიმე შუალედური პოზიცია. **თ.ზ**-ში მზადდება აგრეთვე წამკვეთი ზღუდეები (პოზიციები) და თავდაცვითი პოზიციები სატანკო და ქვეითი (ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებზე) ნაწილების (ქვედანაყოფების) საცეცხლე ზღუდეები, რომლებიც II ეშელონებში და რეზერვებში იმყოფება, ტანკსაწინააღმდეგო რეზერვების, II ეშელონების გაშლის ზღუდეები, სარაკეტო ჯარების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების ძირითადი, სათადარიგო და დროებითი პოზიციური რაიონები, არტილერიის საცეცხლე პოზიციები, საჰაერო თავდაცვის ნაწილების (ქვედანაყოფების), პოზიციური რაიონები, სასტარტო (საცეცხლე) პოზიციები, თავდაცვის ცრუ რაიონები (საყრდენი პუნქტები, პოზიციები) და ა.შ.

თავდაცვის ზონა, 1. საინჟინრო თვალსაზრისით მოწყობილი ადგილმდებარეობის რაიონი (ზოლი), რომელშიც გაერთიანებები (შენაერთები) საბრძოლო წყობაში (ოპერატიულ წყობაში) იშლებიან და თავდაცვითს ბრძოლას (ბატალიას) აწარმოებენ. თავდაცვის ოპერატიული ზონა მოიცავს ოპერატიული გაერთიანების **თ.ზ**-ის ნაწილს არმიის და დაჯგუფების ზღუდესთან ერთად და იშლება თავდაცვის ტაქტიკური ზონის ზურგის საზღვრიდან ოპერატიული დაწყობის მთელ სიღრმეზე. თავდაცვის ტაქტიკური ზონა მოიცავს ადგილმდებარეობის ზოლს, რომლის ფარგლებშიც თავს იცავენ გაერთიანების I ეშელონის ნაწილები და შენაერთები. 2. მონაკვეთი ჯარების ნებისმიერი დაჯგუფებისათვის თავდაცვის წინა ხაზიდან ზურგის საზღვრამდე. **თ.ზ**-ში წარმოებს გადამწყვეტი თავდაცვით ბრძოლები (ბატალიები).

თავდაცვის ზღუდე, იხ. *თავდაცვითი ზღუდე.*

თავდაცვის მინისტრი, თავდაცვის სამინისტროს უმაღლესი თანამდებობის პირი. თავის ფუნქციებს ახორციელებს ერთმმართველობის საფუძველზე და პერსონალურად აგებს პასუხს იმ ამოცანების შესრულებაზე, რომლებიც დაკისრებული აქვთ თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებულ ძალებს. უშუალოდ ემორჩილება ქვეყნის უმაღლეს მთავარსარდალს და მთავრობის მეთაურს.

თავდაცვის რაიონი, იხ. *ბატალიონის თავდაცვის რაიონი.*

თავდაცვის საკმარისობა, სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) სამხედრო ძლიერების მდგომარეობა, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია პოტენციური მოწინააღმდეგის შეკავება აგრესიისგან და მისი მოგერიება, მაგრამ გამორიცხულია უეცარი თავდასხმისა და ფართომასშტაბიანი შეტევითი ოპერაციების მოწყობა შეიარაღებული ძალების დამატებითი გაშლისა და მათი საბრძოლო ძლიერების ზრდისთვის სხვა ღონისძიებების გატარების გარეშე; სამხედრო აღმშენებლობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს ყველა ღონისძიების გატარებას სამხედრო დარგში სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობების და ომის რეალური საფრთხის დონის შესაბამისად. სამხედრო-სტრატეგიულ სფეროში **თ.ს**-ის პრინციპის რეალიზაცია გულისხმობს: სამხედრო დოქტრინისთვის თავდაცვითი ხასიათის მინიჭებას; სტრატეგიული ბირთვული ძალების სახელშეკრულებო კვოტების დაცვას, უარის თქმას პირველობაზე ბირთვული იარაღის გამოყენებაში; საერთო დანიშნულების ძალების შემადგენლობაში შეტევითი ფორმირებების შეზღუდვას და სხვა.

თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის საავიაციო თანხლება, საავიაციო ნაწილების საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში შემტევი ჯარების უწყვეტი ხელშეწყობის მიზნით, მოწინააღმდეგის რეზერვებზე, ტანკებზე, სარაკეტო დანადგარებზე, არტილერიასა და საყრდენ პუნქტებზე დარტყმების მიყენებით; თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლების შემადგენელი ნაწილი. ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ეს ტერმინი გაიგივებულია ტერმინებთან „საავიაციო მხარდაჭერა“ და „საავიაციო დაფარვა“.

თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის საარტილერიო თანხლება, არტილერიის საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის სიღრმეში შეტევის განვითარების დროს. ხორციელდება არტილერიის ცეცხლით და ჩვეულებრივი აღჭურვის რაკეტებით დარტყმით, რაც მიზნად ისახავს ახალაღმოჩენილი ან გამოცოცხლებული მიზნების დაზიანებას, რომლებიც ხელს უშლიან შეტევის განვითარებას; თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლების შემადგენელი ნაწილი. იწყება შეტევის საარტილერიო მხარდაჭერის შემდეგ და გრძელდება ჯარების საბრძოლო ამოცანის შესრულებამდე. მისი მსვლელობის დროს შეიძლება ადგილი ჰქონდეს შეტევის საარტილერიო მომზადებას და საარტილერიო მხარდაჭერას, მონაწილეობას კონტრშეტევის მოგერიებაში, ტაქტიკური საჰაერო დესანტის მოქმედებების მხარდაჭერას.

თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლება, ცეცხლით დაზიანების პერიოდი, რომელიც მოიცავს მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში საერთო-საჯარისო ქვედანაყოფების ნაწილებისა და შენაერთების შეტევის დროს არტილერიის ცეცხლს, საარაკეტო ჯარების და ავიაციის დარტყმებს. მისი მიზანია ერთდროულად ან თანამიმდევრულად არტილერიის ცეცხლით, რაკეტების და ავიაციის დარტყმებით დაზიანოს მოწინააღმდეგე, ბირთვული თავდასხმის აღმოჩენილი საშუალებები, მაღალი სიზუსტის იარაღის ელემენტები, ავიაცია აეროდრომებზე (მოედნებზე), არტილერია, ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო და სხვა საცეცხლე საშუალებები. გარდა ამისა – საჰაერო თავდაცვის, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები და მოწინააღმდეგის სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები (მიზნები) წინააღმდეგობის კერებში, მისი რეზერვები; ჩაშალოს არსებული ძალების და საშუალებების მანევრი, კონტრიერიშები; ხელი შეუწყოს თავისი ჯარების II ეშელონების (რეზერვების) ბრძოლაში (ბატალიაში) შეყვანას, მეწინავე რაზმების, საჰაერო დესანტების მოქმედებებს, წყლისმიერი დაბრკოლებების გადალახვას, მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციების გარღვევას, შემტევი ჯარების ფლანგების და შუალედების დაფარვას, აგრეთვე მათ მიერ დაკავებული ზღუდეების და ობიექტების განმტკიცებას. ჯარების ცეცხლით თანხლების შემადგენელი ნაწილებია შეტევის საარტილერიო და საავიაციო თანხლება.

თავდაცვის სიმლიერე, *იხ. თავდაცვა*

თავდაცვის შესახებ ხუთმხრივი შეთანხმება (ANZIUK) 1971, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, მალაიზიისა და სინგაპურის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. სახელი ეწოდა ძირითადი მონაწილე სახელმწიფოების სახელწოდების საწყისი ასოების მიხედვით – ANZIUK. ხუთმხრივი შეთანხმება დაიდო ამ ქვეყნების ლონდონის თათბირზე (15–16 აპრილს) თავდაცვის მინისტრების ერთობლივი კომუნიკეს ფორმით, ძალაში შევიდა 1971 წლის 1 თებერვალს. ხუთმხრივი შეთანხმების მიზნად გამოცხადდა „მალაიზიისა და სინგაპურის დაცვა გარეშე თავდასხმისაგან“. ხუთმხრივი შეთანხმების შესაბამისად, შეიქმნა ANZIUK-ის გაერთიანებული შეიარაღებული ძალები. დიდი ბრიტანეთი ასე აკისრებდა თავისი სამხედრო ხარჯების ნაწილს ხუთმხრივი შეთანხმების მონაწილე მოკავშირეებს. აშშ ANZIUK-ს მიიჩნევდა ამერიკის პარტნიორთა სამხედრო კოალიციის ერთ-ერთ პოტენციურ კომპონენტად მსოფლიოში ან რეგიონში ვითარების მკვეთრი გამწვავების შემთხვევაში.

თავდაცვის ზონა ხაზი, პირობითი ხაზი, რომელიც მოწინააღმდეგესთან ყველაზე ახლოს მდებარე ქვეითების და საცეცხლე საშუალებების, ასევე I ეშელონის ქვედანაყოფების ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების, ქვეითი საბრძოლო მანქანების სანგრებს (პოზიციებს) აკავშირებს. ტრანშეების არსებობისას **თ.ზ.ხ**-ს შეიძლება წარმოადგენდეს ჯარების მიერ დაკავებული I (მთავარი) თავდაცვითი ზღუდის I პოზიციის ტრანშეა, რომელიც მოწინააღმდეგთაგან ყველაზე ახლოს არის. განასხვავებენ აგრეთვე II და მომდევნო თავდაცვითი ზღუდეების **თ.ზ.ხ**-ს. როგორც წესი, **თ.ზ.ხ**-ს ოპერატიული გაერთიანების სარდლობა რუკაზე განსაზღვრავს და ადგილმდებარეობაზე შენაერთის მეთაური აზუსტებს.

თავის არიდება და გამოსვლა, ოპერაციები, რომლის საშუალებითაც სამხედრო პერსონალს და სხვა პირებს ეძლევათ საშუალება გამოვიდნენ მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ან აკრძალული ტერიტორიიდან მოკავშირე ან საკუთარი ძალების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

თავის გადარჩენის უნარი, 1. გულისხმობს პირადი შემადგენლობის, იარაღისა და მარაგების დაცვის ყველა ღონისძიებას, განსაკუთრებით – მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანას.

2. მოიცავს პოზიციების დაგეგმვას და მოწყობას, სათანადო დაცვის ამოცანების დასახვას, ადგილობრივი პირობების გაანალიზებას, სანგრების გათხრის მეთოდების შერჩევას, პირდაპირი ან არაპირდაპირი დამიზნებით ცეცხლის მოგერიებას და მსხვერპლის თავიდან აცილებას.

თავის გადასარჩენი მოქმედებები, მოწინააღმდეგის იარაღის ზემოქმედების შემცირების მიზნით თავდაცვითი პოზიციების (მიწურები, სანგრები, საფარი და სხვა) შექმნა და გამაგრება, თვალთვალის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენება.

თავისუფალი სროლა, საჰაერო თავდაცვაში გამოყენებული ცეცხლის მართვის ხარისხი, როდესაც გაცემული მითითება ნიშნავს სროლის შესაძლებლობას ნებისმიერი მიზნის მიმართულებით, თუ დადგენილია, რომ ის არ ეკუთვნის საკუთარ ძალებს.

თავისუფალი სროლის ზონა, საჰაერო თავდაცვის ზონა, რომელიც შექმნილია მნიშვნელოვანი მატერიალური ქონების, აღჭურვილობის დასაცავად (გარდა საჰაერო ბაზების) და რომელშიც იარაღის სისტემების მოყვანა მოქმედებაში შეიძლება ნებისმიერი მიზნის მიმართულებით, თუ დადგენილია, რომ ის არ ეკუთვნის საკუთარ ძალებს.

თავისუფალი სროლის რაიონი, საგანგებოდ დადგენილი რაიონი, რომლის ფარგლებშიც ნებისმიერი იარაღის სისტემიდან გასროლა შეიძლება მთავარ შტაბთან დამატებითი კოორდინირების გარეშე.

თავმოყრილი ცეცხლი, იხ. *ცეცხლი.*

თავმოყრის მეწინავე რაიონი, დროებითი შეკრების რაიონი, სადაც თავს იყრიან და ამოცანის შესასრულებლად ემზადებიან საავიაციო ქვედანაყოფები.

თავმოყრის რაიონი, ტერიტორია, რომელზეც დააშორიშორებენ (განალაგებენ) ჯარებს. **თ.რ**-ები შენაერთებსა და ნაწილებს შეიძლება დაენიშნოს საბრძოლო მოქმედების ყველა სახეობაში, აგრეთვე მშვიდობიანობის დროს. **თ.რ**-ს ირჩევენ ისეთ ადგილებში, რომლებიც მოსახერხებელია მასობრივი დაზიანების იარაღისგან დასაცავად, ჯარების განლაგებისა და მათ მიერ მანევრის სწრაფი განხორციელებისთვის. ჯარების **თ.რ**-ებს განალაგებენ ქვედანაყოფების მიხედვით, დაშორიშორებულად, ისე, რომ სწრაფად მოემზადონ ბრძოლისთვის ან გამოვიდნენ დაკავებული რაიონიდან. ინიშნება აგრეთვე თავმოყრის (განლაგების) სათადარიგო რაიონები.

თავმოყრის შუალედური რაიონი, 1. რაიონი, რომელიც მდებარეობს საწყის რაიონსა და მიზნების მდებარეობის რაიონს შორის. საწყის რაიონში მომზადების შემდეგ მთელი ჯარები (ან მათი ნაწილი) მარაგდებიან საწვავით, გადიან ინსპექტირებას, ახორციელებენ გადაჯგუფებას, მომზადებას, ჯარების და მატერიალური საშუალებების გადანაწილებას; 2. რაიონი, რომელიც გადაჯგუფების პერიოდში გამოყოფილია საჯარისო ნაწილების, ქვედანაყოფების და ცვალებადი პირადი შემადგენლობის კომუნიკაციის ხაზებზე თავმოყრისთვის.

თავს დაცემა, სახმელეთო ჯარების სადაზვერვო დივერსიული ჯგუფების (რაზმების), პარტიზანების უეცარი თავდასხმა მოწინააღმდეგის ზურგში მის შტაბებზე, საწყობებზე, აეროდრომებზე, ბაზებსა (გარნიზონებზე) და სხვა. ავიაცია ახორციელებს საჰაერო **თ.დ**-ს, არტილერია – საცეცხლე **თ.დ**-ს.

თავს დაცემის სიმჭიდროვე (საჰაერო, სარაკეტო, კოსმოსური), მოწინააღმდეგის თვითმფრინავების (უპილოტო საშუალებების), რაკეტების, კოსმოსური თავდასხმის საშუალებების რაოდენობა, რომელიც, დროის ერთეულში საჰაერო თავდაცვის შენაერთის ან ჯარების დაჯგუფების საზღვრებში შედის. შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე რაიმე მიმართულების ან ზონის მიმართ (გამანადგურებელი ავიაციის მოქმედების, საზენიტო-სარაკეტო ჯარების ცეცხლის, რადიოლოკაციური აღმოჩენის, რადიოელექტრონული ჩახშობის).

თავსებადობა, დაწესებული მოთხოვნების შესასრულებლად, მოცემულ პირობებში პროდუქციის, სხვადასხვა პროცესების ან მომსახურების ვარგისიანობა ერთობლივი გამოყენებისთვის.

თავშესაფარი, საფორტიფიკაციო (ჩვეულებრივ ჩაღრმავებული) ჰერმეტული ნაგებობა, რომელიც სპეციალურად არის აშენებული ან მოწყობილი დაცვის ინდივიდუალური საშუალებების არმქონე ადამიანების ხანგრძლივი ყოფნისათვის მოწინააღმდეგის მიერ დაზიანების ყველა საშუალების გამოყენების პირობებში. აღჭურვილია ტამბურებით, ფილტრსავენტილაციო დანადგარებით, გამთბობი და სანათი საშუალებებით, ფიცარნაგებით (საწოლებით), წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემებით. საჯარისო თავშესაფრები, ჩვეულებრივ, მრავალჯერადი გამოყენების ასაწყობ – დასაშლელი კონსტრუქციებია. სამოქალაქო **თ**-ები განლაგებულია საწარმოო და საზოგადოებრივ ნაგებობებში (შეიძლება ეკავოთ როგორც სარდაფები, ისე ცალკე შენობები). იგი 100–150-დან რამდენიმე ათას კაცამდე ტევადობისაა.

თავშესაფრის უფლება, სახელმწიფოს უფლება დართოს ნება უცხოელ მოქალაქეებს, თავის ტერიტორიაზე შესვლისა და ცხოვრების, რომლებსაც საკუთარ ქვეყანაში დევნიან პოლიტიკური, ეროვნულ-განმათავისუფლებელი, რელიგიური, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის გამო. არ ვრცელდება პირებზე, რომლებსაც ბრალი ედებათ საერთაშორისო

(მათ შორის სამხედრო) და სისხლის სამართლის დანაშაულში.

თათარაშვილი ნოდარ ივანეს ძე (დ. 1941), გენერალ-ლეიტენანტი (1996), მთავარი შტაბის უფროსი (1994–96). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარი (1984–92), მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე, საქართველოს სამშვიდობო ძალების სარდალი ცხინვალის რეგიონში (1993–94), საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (1994–98), საქართველოს სამხედრო კომისარი (1998). აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

თამარი (დაახ. 1160–1213, სხვა ცნობებით, 1207, 1210), საქართველოს მეფე 1184 წლიდან, *გიორგი III*-ის ასული. მისი მმართველობის პერიოდში ფეოდალურმა საქართველომ პოლიტიკური ძლიერების მწვერვალს მიაღწია. 1190-იანი წლებიდან ქართული ლაშქარი შეტევას აწარმოებდა სამხრეთით მდებარე მუსლიმანურ სახელმწიფოებზე, მოიპოვეს უმნიშვნელოვანესი გამარჯვებები *შამქორთან* (1195) და *ბასიანის ბრძოლაში* (1203). 1204–10 წლებში **თ**-ის ჯარებმა ილაშქრეს მცირე აზიაში, ვანის ტბის რეგიონსა და ირანში, 1212 წელს ჩაახშვეს მთიელთა აჯანყება. საქართველოს სამეფოს საზღვარმა სამხრეთით მდინარე არაქსს მიაღწია, ხოლო პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ შირვან–დარუბანდი, არზრუმი, ტრაპიზონის იმპერია და ჩრდილო კავკასიის ნაწილი. 1185 წელს **თ**-ის ქმარი გახდა რუსი უფლისწული იური (გიორგი), მაგრამ ორი წლის შემდეგ ისინი განქორწინდნენ და იური საქართველოდან განდევნეს. მეორედ **თ**. გათხოვდა *დავით სოსლანზე*, რომელიც გარდაცვალებამდე საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდალი იყო. **თ**. ისე, როგორც ფეოდალური საქართველოს სხვა მეფეები, პირველ რიგში გაბატონებული ფეოდალური კლასის ინტერესების გამომხატველი იყო და მისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა ამ ინტერესების დაცვას ემსახურებოდა.

თანამგზავრსაწინააღმდეგო ბრძოლა, ღონისძიებებისა და ჯარების მოქმედების კომპლექსი, რომლის მიზანია, კოსმოსში და კოსმოსიდან მოწინააღმდეგის თავდასხმის მოგერიება. **თ.ბ**. შეიარაღებული ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. **თ.ბ**-ის ინტერესებისათვის მშვიდობიანობის დროს ხორციელდება კოსმოსური სივრცის კონტროლი, მიზნების კატალოგის შექმნა და დაზუსტება, ცალკეული კოსმოსური აპარატის ინსპექცია, **თ.ბ**-ის საშუალებების შენარჩუნება მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში. საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას **თ.ბ**-ის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს: კოსმოსში ბატონობის მოსაპოვებლად მოწინააღმდეგის გეგმების ჩაშლა, მისი საინფორმაციო და საბრძოლო კოსმოსური სისტემებისა და ცალკეული კოსმოსური აპარატების დაზიანება, საკუთარი ჯარების მოქმედების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით მტრის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის კოსმოსური ეშელონის დაზიანება. **თ.ბ**-ის წარმოებისათვის შეიძლება შეიქმნას სახმელეთო, საზღვაო, საჰაერო და კოსმოსური ბაზირების თანამგზავრსაწინააღმდეგო საშუალებებით (გამშვები დანადგარი, თანამგზავრსაწინააღმდეგო რაკეტა და კოსმოსური აპარატის უშუალო დამჭერი) შეიარაღებული სპეციალური ფორმირებები. **თ.ბ**-ის ძალების გამოყენების ფორმებია მოწინააღმდეგის კოსმოსური სისტემების ორბიტულ დაჯგუფებაზე მასირებული, ჯგუფური და ცალკეული დარტყმები.

თანამგზავრსაწინააღმდეგო იარაღი, თანამგზავრსაწინააღმდეგო ბრძოლაში კოსმოსური აპარატების დასაზიანებელი იარაღი. მოიცავს დაზიანების კოსმოსურ საშუალებებს (ჩვეულებრივ, საბრძოლო კოსმოსურ სადგურს) და ორბიტაზე მათი გატანის საშუალებებს (სხვადასხვა ბაზირების სარაკეტო-კოსმოსური კომპლექსებს). უშუალო დაზიანებისთვის ყველაზე მისაღებად ითვლება კინეტიკური და სხივური იარაღი. **თ.ი**-ის შექმნა აშშ-სა და ყოფილ საბჭოთა კავშირში დაიწყო პრაქტიკულად დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გაჩენისთანავე.

თანამგზავრული კავშირგაბმულობა, კავშირი დედამიწისეულ პუნქტებსა და კოსმოსურ აპარატებს შორის, ორ ან რამდენიმე დედამიწისეულ ობიექტს შორის კოსმოსურ აპარატზე დაყენებული რეტრანსლატორების მეშვეობით, ორ ან რამდენიმე კოსმოსურ აპარატს შორის. ხელოვნური თანამგზავრ-რეტრანსლატორების გამოყენება საშუალებას იძლევა, გადაიჭრას ცალკეულ რაიონებს შორის გლობალური კავშირის პრობლემა, აგრეთვე ამ რაიონებში განლაგებული ჯარების (ძალების) მართვის ამოცანა. **თ.კ**-ის სადგურები წარმოადგენენ **თ.კ**-ის კომპლექსის შემადგენელ ელემენტებს. ისინი განკუთვნილია ჯარების მართვის ინტერესების შესაბამისი მრავალარხიანი სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირის უზრუნველსაყოფად.

თანამდებობის პირთა დროშები, სპეციალური დროშები, რომლებსაც აღმართავენ და დაუშვებენ ხომალდებზე, რომლებსაც ისინი აქვთ მიკუთვნებული მეთაურების (უფროსების) ბრძანებით. **თ.პ.დ**-ები არის სამხედრო-საზღვაო ფლოტში (ძალებში).

თანამედროვეობის გლობალური პრობლემები, პლანეტარული ხასიათის იმ ურთიერთდაკავშირებული პრობლემების ერთობლიობა, რომლებიც ეხება კაცობრიობის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინტერესებს და რომელთა გადაწყვეტაც მოითხოვს ყველა სახელმწი-

ფოსა და ხალხთა ერთობლივ ძალისხმევას. **თ.ბ.პ**-ის სისტემა მოიცავს ორ ძირითად ჯგუფს – საკუთრივ სოციალურს და ეკოლოგიურს. საკუთრივ სოციალურს წარმოადგენენ: ბირთვულ ხანაში ომისა და მშვიდობის პრობლემები, დემოგრაფიის, ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ჩამორჩენილობის პრობლემები; მასობრივი ხასიათის სოციალური კატაკლიზმები (შიმშილი, სიღარიბე, სიღატაკე, ავადმყოფობები, ეპიდემიები და სხვა); ატმოსფეროს შესწავლა, ათვისება და შენარჩუნება; ბუნების, როგორც კაცობრიობის არსებობისათვის აუცილებელი გარემოს, რაციონალური გამოყენება; კაცობრიობის ადაპტაცია ბუნებრივი და სოციალური გარემოს შეცვლისადმი და სხვა. პრობლემების მეორე ჯგუფს განაპირობებს ბუნებაზე, როგორც კაცობრიობის ბინადრობის ბუნებრივ გარემოზე, ადამიანთა საქმიანობის ზემოქმედების დამანგრეველი ხასიათი: ნაყოფიერი ნიადაგის ეროზია, გარემოს, უწინარეს ყოვლისა ბიოსფეროს გაჭუჭყიანება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, ფლორის და ფაუნის განადგურება, ბუნებრივი წიაღისეულის, ნედლეულისა და ენერგეტიკული რესურსების უგუნური გამოყენება და ა.შ.

თანამიმდევრული პოზიციები, თავდაცვითი პოზიციები, რომლებიც ბრძოლის ველზე ერთმანეთის მიყოლებით არის განლაგებული.

თანმხლები მარაგი, ყველა სახის მარაგი, რომელიც ოპერაციის ან საწვრთნელი ვარჯიშის დროს ქვედანაყოფებს და ჯარისკაცებს თან მიაქვთ.

თანხლების არტილერია, ბატალიონების ან ბრიგადების შემადგენლობაში გადაცემული თვითმავალი არტილერიის ქვედანაყოფები, რომლებიც ძირითადად II მსოფლიო ომის დროს მოქმედებდნენ ქვეითი ჯარებისა და ტანკების საბრძოლო წყობაში იმ საშუალებების დასაზიანებლად, რომლებიც აბრკოლებდნენ მათ წინსვლას. ცეცხლი უპირატესად პირდაპირი დამიზნებით წარმოებდა.

თარეში, მოულოდნელი თავდასხმა მოწინააღმდეგეზე, ხმელეთსა და ზღვაზე საბრძოლო მოქმედებების წარმოების ერთ-ერთი ხერხი. ხორციელდებოდა სწრაფად, მოკლე დარტყმით, უმეტეს შემთხვევაში ცხენოსანი ჯარის ძალებით. მიზნად ისახავდა ტყვეების აყვანას, ცოცხალი ძალის განადგურებას, მოწინააღმდეგის კომუნიკაციების დარღვევას, მნიშვნელოვანი ობიექტების დანგრევას. ახასიათებდა სწრაფი გაცლა საპასუხო მოქმედებების თავიდან ასაცილებლად. **თ**. გამოიყენებოდა ხმელეთზე XX საუკუნის დამდეგამდე, ხოლო ზღვაზე – I და II მსოფლიო ომების დროს.

თარეშობა (საზღვაო ძალების), უეცარი, სწრაფი, ხანმოკლე დარტყმები, რომლებსაც ახორციელებდნენ ფლოტის წყალზედა ძალები მოწინააღმდეგის ბაზებსა და ნავსადგურებზე, დიდმნიშვნელოვან სანაპირო ობიექტებზე, ფლოტის ძალებზე ბაზებში და ზღვის სანაპირო რაიონებში; ფლოტის წყალზედა ძალების შეტევითი მოქმედების ნაირსახეობა. სხვა მოქმედებასთან შეხამებით ხელს უწყობს ზღვაზე ინიციატივის მოპოვებას. ფართოდ გამოიყენებოდა I და II მსოფლიო ომების დროს. 80-იანი წლების შუახანებიდან ფლოტის ძალების მოქმედების ასეთმა ხერხმა თანდათან დაკარგა მნიშვნელობა და 90-იანი წლების დამლევს გამოვიდა სამხედრო-საზღვაო ხელოვნების არსენალიდან.

თბილისის ციხე, ფეოდალური ხანის ციხესიმაგრე თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სოლოლაკის კლდოვან თხემზე. წყაროებში პირველად IV საუკუნის ამბებთან დაკავშირებით იხსენიება. შემდეგ ხანებში წარმოადგენდა ქალაქის *ციტადელს*. წერილობით წყაროებში მოიხსენიება სახელწოდებებით: კალა, შურისციხე, ნარიყალა, ქალაქის ციხე. მრავალრიცხოვან ომებში ბევრჯერ დანგრეულა, მაგრამ შემდეგ აღუდგენიათ და გადაუკეთებიათ. ჩვენამდე მოღწეული ნაგებობები ძირითადად XII–XIII და XVII საუკუნეებს განეკუთვნება. საბრძოლო კოშკებისა და კედლების გარდა ციხის ტერიტორიაზე ყოფილა აგრეთვე სასახლე, ეკლესია, აბანო და სხვა სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. **თ.ც**-მ სამხედრო მნიშვნელობა დაკარგა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ (1801).

თევზაძე დავით დავითის ძე (დ. 1949), გენერალ-ლეიტენანტი (1998), საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1998–2004). დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტი (1971), უცხო ენების ინსტიტუტი (1978), ფილოსოფიის დოქტორი, საქართველოს კარატეს ფედერაციის თანადამფუძნებელი და პირველი პრეზიდენტი (1989). მონაწილეობდა საქართველოს სამოქალაქო და აფხაზეთის ომებში (1992–93), საქართველოს პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველი (1997–98), 2004 წლიდან თადარიგშია.

თეთრი პროპაგანდა, პროპაგანდა, რომელსაც ხელს უწყობს და ავრცელებს დადგენილი (არაგასაიდუმლოებული) პირი ან ცნობილი (აკრედიტებული) სააგენტო.

თეთრი სიები, იმ პიროვნებების დამადასტურებელი მონაცემების ნუსხა, ვინც წარმოადგენდა დაზვერვის ან კონტრდაზვერვის ინტერესს და ვისგანაც მოსალოდნელი იყო ინფორმაციის, ან სხვა სახის დახმარების მიღება სადაზვერვო ინტერესების რაიონში.

თეიმურაზ I (1589–1663), კახეთის მეფე 1606–48 წლებში, ქართლ-კახეთის მეფე 1625–32 წლებში, გამოჩენილი პოეტი. გამეფდა 16 წლის ასაკში, მისი მცირეწლოვნობის გამო სამეფოს ერთხანს დედამისი ქეთევანი გან-

აგებდა. აღმოსავლეთ საქართველოში ირანის შაჰის *აბას I*-ის ლაშქრობის დროს **თ. I** და ქართლის მეფე ლუარსაბ II იმერეთში გაიხიზნენ. 1615 წელს **თ. I** კახეთში დაბრუნდა და ანტიირანულ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში (იხ. *კახეთის აჯანყება 1615*), მაგრამ 1616 წელს შაჰ-აბასის ახალმა შემოსევამ **თ. I** აიძულა კვლავ იმერეთისთვის შეეფარებინა თავი. 1625 წელს, როდესაც ქართველები კვლავ აღდგნენ ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, **თ. I** ქართლ-კახეთის მეფედ მიიწვიეს. *მარაბდის ბრძოლაში* იგი გ. *სააკაძესთან* ერთად მეთაურობდა ქართულ ლაშქარს. შემდეგ ქართველ ლიდერებს შორის მტრობა ჩამოვარდა, რაც დაგვირგინდა საakაძის დამარცხებით *ბაზალეთის ბრძოლაში.* **თ. I** ქართლ-კახეთის მმართველი გახდა. შაჰ-აბასი იძულებული გახდა ამ ფაქტს შერიგებოდა, ვინაიდან **თ. I**-მა ფორმალურად მისი უზენაესობა აღიარა. 1632 წელს **თ. I** კვლავ აუჯანყდა ირანელებს და ყარაბაღი მოარბია, მაგრამ ამ ახალ ომში ირანის წინააღმდეგ ქართლის თავადების დიდმა ნაწილმა მას მხარი აღარ დაუჭირა. შაჰმა სეფი I-მა 1632 წელს ქართლის ტახტი გამაჰმადიანებულ ქართლელ უფლისწულს – როსტომს გადასცა. **თ. I** კიდევ დიდხანს განაგრძობდა ბრძოლას, მაგრამ 1648 წელს საბოლოოდ დამარცხდა. მისმა მცდელობამ მიეღო დახმარება უცხოეთის ქრისტიანი მმართველებისგან (რომის პაპი, რუსეთის მეფე) რეალური შედეგი არ გამოიღო. ამიტომ იმედგაცრუებული **თ. I** ბოლოს იძულებული გახდა ისევ შაჰს დამორჩილებოდა და ირანში ჩავიდა. შაჰის კარზე იგი პატივით მიიღეს, მაგრამ შემდეგ, როდესაც შაჰის მიერ დაბარებული მისი შვილიშვილი, ერეკლე, შაჰის კარზე არ გამოცხადდა, **თ. I**-ს გაურისხდნენ და ასტრაბადის ციხეში დაამწყვდიეს, სადაც მალე გარდაიცვალა.

თეიმურაზ II (1700–62), კახეთის მეფე 1709–15 წლებში, გამგებელი 1733–44 წლებში, ქართლის მეფე 1744–62 წლებში. მოქნილი დიპლომატიით შეძლო ქართლის და კახეთის შემომტკიცება, კახეთში თავისი ვაჟი *ერეკლე II* გაამეფა, თვითონ კი ქართლი დაიჭირა და ამ გზით ქართლ-კახეთის გაერთიანებას ჩაუყარა საფუძველი. *ნადირ-შაჰის* მკვლელობის შემდეგ (1747) ამიერკავკასიაში დაწყებულ ომებში **თ. II** და *ერეკლე II* მეტწილად გამარჯვებულები გამოდიოდნენ, რისი შედეგიც იყო ქართლ-კახეთის პოლიტიკური გავლენის გავრცელება განჯის, ერევნისა და ნახჭევანის სახანოებზე (დროებით). საგარეო პოლიტიკაში **თ. II** რუსეთის ორიენტაციის მომხრე იყო. 1760 წელს იგი დახმარების სათხოვნელად გაემგზავრა რუსეთში, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია და პეტერბურგში გარდაიცვალა. **თ. II** ცნობილია, როგორც პოეტი და მთარგმნელი. მისი თხზულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია პოემა „დღისა და ღამის გაბაასება“, ანუ „სარკე თქმულთა“, რომელშიც ავტორი გვიხატავს საქართველოს ყოფაცხოვრების ამსახველ სურათებს; მათ შორისაა ცნობები ქართული სამხედრო ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების შესახებ, რაც თხზულებას მნიშვნელოვან სამხედროისტორიო წყაროდ აქცევს.

თეირანის კონფერენცია, ქალაქ თეირანში 1943 წლის 28 ნოემბერი – 1 დეკემბერი გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი მოკავშირე სამი სახელმწიფოს (დიდი ბრიტანეთი, სსრ კავშირი, აშშ) ლიდერთა (უინსტონ ჩერჩილი, იოსებ სტალინი, ფრანკლინ დელანო რუზველტი) შეხვედრა. სათავე დაედო „დიდ სამეულს“, განიხილებოდა მეორე ფრონტის გახსნის პერსპექტივა.

თემურლენგი (1336–1405), გათურქებული მონღოლი შუა აზიიდან, სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი, ემირი (1370-დან). 1362 წელს ფეხში დაიჭრა და სამუდამოდ დაკოჭლდა, რის გამოც შეარქვეს „თემურლენგი“ (კოჭლი თემური). **თ**-მა ახალგაზრდობიდანვე სახელი გაითქვა ფეოდალურ შინაომებში, ჩამოაყალიბა სახელმწიფო, რომლის დედაქალაქი იყო სამარყანდი. ჩაატარა დაპყრობითი და მძარცველური ლაშქრობები ირანში, კავკასიაში, ვოლგისპირეთში, ინდოეთში, მცირე აზიასა და სხვა. **თ**. მოქმედებდა განსაკუთრებული სისასტიკით.

თემურლენგის ლაშქრობები საქართველოში 1386–1403, *თემურლენგის* დამპყრობლურ გეგმებში საქართველოს, როგორც ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოს, რომელიც იმავდროულად აკონტროლებდა კავკასიონის მთის გადასასვლელებს, დიდი ადგილი ეკავა. თემურმა შვიდჯერ ილაშქრა საქართველოში და ქვეყანას უდიდესი ზიანი მიაყენა. პირველად იგი 1386 წელს შემოიჭრა საქართველოში, 21 ნოემბერს იერიშით აიღო თბილისი და დაატყვევა მეფე *ბაგრატ V*. ბაგრატმა მალე მოახერხა ტყვეობიდან გათავისუფლება და კვლავ სათავეში ჩაუდგა ქართველთა წინააღმდეგობას, რასაც მოჰყვა თემურის ახალი შემოსევა 1387 წლის გაზაფხულზე. 1394 წელს თემური კვლავ წამოვიდა საქართველოზე, ოთხი სარდალი სამცხის ასაოხრებლად გაგზავნა, თვითონ კი დარიალის ხელში ჩასაგდებად არაგვის ხეობაში შეიჭრა, მაგრამ ქართველთა წინააღმდეგობის გამო ამ მიზანს ვერ მიაღწია. 1399 წელს ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნებულმა თემურმა, მეფე *გიორგი VII*-ზე შურისძიების მიზნით, რომელმაც წინა წელს ნახჭევანთან მისი რაზმები გაწყვიტა, სასტიკად დაარბია ჰერეთ-კახეთი. კიდევ უფრო მასშტაბური იყო თემურის მეხუთე შემოსევა 1400 წელს, როდესაც მან დაამარცხა ქართული ლაშქარი, ბრძოლით

აიღო თბილისი და სასტიკად მოაოხრა მთელი ტერიტორია ტაომდე. ამ ლაშქრობის შედეგად საქართველოდან 60 ათ. ტყვე წაიყვანეს. 1402 წელს თემურლენგის ჯარებმა იერიშით აიღეს და დაანგრიეს თორთუმის ციხე ტაოში. თემურის ბოლო, მეშვიდე, შემოსევა საქართველოში 1403 წელს შედგა, როდესაც მან რბევა-თარეშით გადაიარა ქართლი და შეიჭრა იმერეთში, სადაც 700-მდე დასახლებული პუნქტი გაანადგურა. ქართველები მას ყველგან მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ, მსხვერპლი ორივე მხარეს დიდი იყო, ომს ბოლო არ უჩანდა. თემური დარწმუნდა, რომ საქართველოს იგი ვერ დაიპყრობდა. ქართველებიც სისხლისაგან იყვნენ დაცლილი. ამიტომ მოწინააღმდეგეებს შორის დაიდო ზავი, რომლის პირობითაც გიორგი VII-მ ფორმალურად აღიარა თემურლენგის უზენაესობა.

თერმოპილეს ბრძოლა, ბერძნებსა და სპარსელებს შორის ძვ.წ. 480 წელს (*ბერძენ-სპარსელთა ომების* დროს) გამართული ბრძოლა თერმოპილესთან, მთის ვიწრო გასასვლელში, თესალიისა და შუა საბერძნეთის საზღვარზე. ბერძნების 5 ათ-ანმა ლაშქარმა სპარტელი მეფის ლეონიდის მეთაურობით სცადა სპარსეთის მეფის ქსერქსეს მრავალრიცხოვანი არმიის შეჩერება. მაგრამ როდესაც სპარსელებმა შემოვლითი გზის არსებობა შეიტყვეს, რომლითაც შეიძლებოდა ბერძენთა პოზიციისათვის გვერდის აქცევა, ლეონიდმა მოკავშირეები ათენისაკენ გაგზავნა, თვითონ კი 300 სპარტელი მეომრით თ-ს დასაცავად დარჩა. უთანასწორო ბრძოლაში ყველა სპარტელი დაიღუპა.

თერმული გამოსხივება, 1. სიმხურვალე და სინათლე, რომელიც წარმოიქმნება ბირთვული აფეთქების შედეგად. 2. ელექტრომაგნიტური გამოსხივებები, რომელსაც გამოსცემს სიმხურვალის ან სინათლის წყარო საკუთარი ტემპერატურის შედეგად.

თერმული (დამწვრობითი) დაზიანება, იხ. *დაზიანება.*

თვალთვალი, მოწინააღმდეგის და საკუთარი ჯარების (ძალების) მოქმედების, ადგილმდებარეობის, ამინდის და ვითარების სხვა პირობების შესახებ მონაცემების მიღების ხერხი. წარმოებს უწყვეტად ყველა სახის საბრძოლო მოქმედების დროს, ყველანაირი ამინდის პირობებში და დღედაღამ, ვიზუალურად ან ტექნიკური საშუალებების (რაიოლოკაციური, სატელევიზიო, ჰიდროაკუსტიკური და სხვა) დახმარებით. მიმდინარეობს სათვალთვალო პუნქტებიდან, ვერტმფრენებიდან, თვითმფრინავებიდან, ხომალდებიდან და კოსმოსური კომპლექსების გამოყენებით. თ-ს, რომელიც ხორციელდება შეუიარაღებელი თვალით ან ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენებით, ეწოდება ვიზუალური. თ-ის შედეგები აისახება რუკებზე (სქემებზე) და თ-ის ჟურნალებში.

თვალთვალის ზოლი, ადგილმდებარეობის (აკვატორიის) და მის თავზე მდებარე საჰაერო სივრცის ზოლი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს თვალთვალი მოწინააღმდეგეზე იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს ცნობები მისი ძალებისა და საშუალებების, დაჯგუფებისა და მათი ცვლილებების, მოქმედების ხასიათის შესახებ და ა.შ., აგრეთვე საკუთარ ჯარებზე (ძალებზე) მათი მართვისთვის საჭირო მონაცემების შესაგროვებლად. შემოფარგლულია ადგილობრივი საგნებით (ორიენტირებით).

თვალთვალის სექტორი, სივრცის ნაწილი, რომელიც ენიშნება მეთვალყურეს (სათვალთვალო საგუშაგოს, რადიოსალოკაციო სადგურის ჯგუფეულს, მსროლელ-მეზენიტეს და ა.შ.) მოწინააღმდეგის, თავისი ჯარების (ძალების) და ადგილმდებარეობის (აკვატორიის, საჰაერო სივრცის) თვალთვალის, ობიექტების (მიზნების) გამოვლენისა და ამოცნობის მიზნით.

თვალთვალის სტაციონარული ჰიდროაკუსტიკური სისტემა, ჰიდროაკუსტიკური კომპლექსების, მოწყობილობების, ხელსაწყოების და სხვა საშუალებების ერთობლიობა. მათი მიზანია სტაციონარულად მოწყობილ საზღვაო (საოკეანო) რაიონებში წყალქვეშა ნავების და სხვა წყალქვეშა ობიექტების აღმოჩენა, კლასიფიკაცია, მიმდინარე კოორდინატების დადგენა. ასევე თ.ს.ჰ.ს-ის მოქმედების ზონაში წყალქვეშ შექმნილი მდგომარეობის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეკრება, ანალიზი და სპეციალურ ნავსაწინააღმდეგო ცენტრებისთვის გადაცემა წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო ძალების მოქმედებების უზრუნველსაყოფად. შეიძლება შედგებოდეს სანაპირო, საბარიერო, ღუზის აქტიური და პასიური ჰიდროაკუსტიკური სადგურებისგან.

თვალთვალის ძვეშ მყოფი მარშრუტი, საგზაო მოძრაობისას – გზა მოძრაობის შეზღუდული რეგულირებით, რომელსაც ახორციელებენ რეგულირების პუნქტები ან საგუშაგოები, ასევე კომბინირებულად. ასეთ გზებზე არასტანდარტული ზომის ან წონის ავტომანქანების, ან სატრანსპორტო საშუალებების კოლონის გავლისათვის საჭიროა შესაბამისი ნებართვა (განწესი).

თვალთვალის ხელსაწყოები (მანძილის და კუთხის საზომი), ხელსაწყოების დანიშნულებაა: სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიზნის აღმოჩენა, საკუთარი ძალების და მოწინააღმდეგის მოქმედებების თვალთვალი, მიზნებამდე კუთხის და მანძილის გაზომვა, მიზანჩვენების და ცეცხლის კორექტირების უზრუნველყოფა. ასეთ ხელსაწყოებს განეკუთვნება ბინოკლი, ბუსოლი, პერისკოპი, ტეოდოლიტი და სხვა.

თვალთვალის ხელსაწყოების ორიენტირება, დირექციული კუთხის მეშვეობით ხელსაწყოების ოპტიკური ღერძისთვის განსაზღვრული ფიქსირებული მიმართულების მიცემა. აუცილებელია დაზვერვის, მიზანჩვენების, მიზნების (ორიენტირების, რეპერების) დაფიქსირებისა და ცეცხლის მართვის წარმოებისთვის. **თ.ხ.ო**-ის ხერხებია: საორიენტირო მიმართულების დირექციული კუთხით ან სროლის ძირითადი მიმართულებით, ურთიერთვიზირებით, საერთო ორიენტირით და სხვა.

თვალყურის მიდევნება, ხანგრძლივი მეთვალყურეობა უცხოეთის სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების ობიექტებზე იმ მიზნით, რომ მიღებულ იქნეს ინფორმაცია ზღვებისა და ოკეანეების ოპერატიული მნიშვნელობის რაიონებში, საჰაერო-კოსმოსურ სივრცეში მათი მოქმედების შესახებ და აღიკვეთოს მოწინააღმდეგის თავდასხმის მოულოდნელობა. სამხედრო-საზღვაო ძალებში **თ.მ**. შეიძლება ხორციელდებოდეს ფარულად ან ღიად, განუწყვეტლივ, ან დისკრეტულად, მანევრული ან სტაციონარული საშუალებებით, ცალკეული ხომალდებით, თვითმფრინავებით და შვეულმფრენებით, ან მათი ჯგუფებით. საჰაერო თავდაცვის ჯარებში საჰაერო ობიექტებისადმი **თ.მ**-ს ახორციელებენ შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის საჰაერო თავდაცვის ჯარების (ძალების) ძალები და საშუალებები.

თვითდამიზნება, მოძრავი ობიექტის მართვის სისტემის სახეობა. დაზიანების საშუალებების (რაკეტები, ტორპედები და ა.შ.) საბორტო აპარატურის მეშვეობით ავტომატური დამიზნების ხერხი; ხორციელდება მიზნის გამოსხივებული ან არეკლილი ენერგიით (თბური, ხმოვანი, სინათლის და ა.შ.), რაც კონტრასტულად გამოყოფს მიზანს. შესაძლებელია გამოიყენონ მიზნის საკუთარი გამოსხივება – პასიური **თ**. ან დაზიანების საშუალებაზე განლაგებული გამოსხივების წყაროს მიერ გამოშვებული და მიზნიდან არეკლილი გამოსხივება – აქტიური **თ**. ასევე ცალკეული დამიზნების პუნქტიდან გამოსხივებით ნახევრადაქტიური **თ**.

თვითდამიზნებადი თავი, დაზიანების საშუალებების (რაკეტები, ტორპედოები, ავიაბომბები, ჭურვები და ა.შ.) ავტომატური მოწყობილობა მისი თვითდამიზნების უზრუნველსაყოფად. **თ.თ**-ის ძირითადი ელემენტებია: მიზნის კოორდინატორი, რომელიც ახორციელებს მიზნის ავტომატურ ძიებას, აღმოჩენას, ხელში ჩაგდებას, მიზნის გაცილებას და აყალიბებს მართვის კომანდებს. ყველაზე გავრცელებული **თ.თ**-ებია: ოპტიკურ-ელექტრონული (ინფრაწითელი, ლაზერული, სატელევიზიო) – იყენებენ ოპტიკური დიაპაზონის ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს, გააჩნიათ კომპაქტურობა, მაღალი გარჩევადობა და დამიზნების სიზუსტე, მაგრამ მათი მოქმედების მანძილი დამოკიდებულია მეტეოპირობებზე; რადიოტექნიკური (რადიოლოკაციური, რადიომეტრიული) – იყენებენ რადიოდიაპაზონის ელექტრომაგნიტურ ტალღებს, გააჩნიათ ნებისმიერი ამინდის პირობებში მოქმედების უნარი (ისევე როგორც ოპტიკურ-ელექტრონული, გამოიყენება სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო მიზნების დასაზიანებლად); აკუსტიკური – იყენებენ სმენად ბგერებს და ულტრაბგერით ტალღებს. ბგერის დაბალი სიჩქარიდან გამომდინარე გამოიყენება ძირითადად წყლის გარემოში, სადაც აკუსტიკურ ძალებს გააჩნიათ სხვებთან შედარებით მილევადობის ნაკლები ხარისხი.

თვითდატენადი იარაღი, სასროლი იარაღი ცალკეული სროლისთვის ავტომატური გადატენით. **თ.ი**-ს მიეკუთვნება თითქმის ყველა თანამედროვე პისტოლეტი, თვითდატენადი შაშხანები და ტანკსაწინააღმდეგო თოფები. მისი ავტომატიკა და ავტომატური იარაღის კონსტრუქცია მსგავსია. ძირითად განსხვავებას წარმოადგენს გაცალკევებული სასხლეტი მექანიზმი, რომელიც გამორიცხავს ჯერებით სროლას.

თვითმავალი არტილერია, არტილერიის სახეობა, რომელიც შეიარაღებულია სანახევროდ ან მთლიანად დაჯავშნული საარტილერიო დანადგარებით. ტანკის წონის მქონე თვითმავალი საარტილერიო დანადგარი შეიარაღებულია მძლავრი ზარბაზნებით, ჰაუბიცებით, ნაღმსატყორცნებით და რეაქტიული იარაღით. **თ.ა**. გამოირჩევა დიდი ძვრადობით და გამავლობით. განკუთვნილია მოწინააღმდეგის ტანკებთან და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიასთან საბრძოლველად და თან ახლავს ქვეით (სატანკო) ქვეგანაყოფებს (ნაწილებს).

თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, გამოიყენება ბრძოლაში ქვეითების და ტანკების უშუალო საარტილერიო თანხლების და მხარდაჭერისთვის. ტერმინი II მსოფლიო ომის დროს და ომის შემდგომ წლებში დამკვიდრდა ძირითადად თვითმავალ ქვემეხებზე. **თ.ს.დ**-ის შექმნისას თვითმავალ ბაზად გამოიყენეს ტანკი კოშკურის გარეშე, ხოლო ქვემეხად ბუქსირებადი ქვემეხი. **თ.ს.დ**. ჩვეულებრივად ქვემეხის სიმძლავრით აღემატებოდა ტანკს.

თვითმავალი საარტილერიო ქვემეხი, თვითმავალ მუხლუხაზე ან თვლიან ბაზაზე დამონტაჟებული საარტილერიო ქვემეხი. ფართო მნიშვნელობით **თ.ს.ქ**-ს მიეკუთვნება საზენიტო თვითმავალი დანადგარები, საარტილერიო თვითმავალი დანადგარები და საველე თვითმავალი ქვემეხები (ზარბაზნები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები). ვიწრო გაგებით ტერმინი ხშირად ვრცელდება საველე თვითმავალ საარტილერიო ქვემეხზე, რომლებიც დანიშნულების და საორგანიზაციო კუთვნილებით შესაბამისი საველე ბუქსირებადი ქვემეხ-

ების ანალოგიურია, მაგრამ აღემატება მათ მოძრაობის ან გადაადგილების უნარით, საბრძოლო მზადყოფნით, გათვლის დაცულობით, დატენვის პროცესების მაქანიზაციისა და ავტომატიზაციის დონით და სხვა.

თვითმოძრავი ქვემეხი, ბუქსირებადი საარტილერიო ქვემეხი, რომელიც მომარჯვებულია მოკლე მანძილებზე შეზღუდული სიჩქარით დამოუკიდებელი გადაადგილებისთვის. მსგავსი უნარი, ჩვეულებრივ, აქვთ ტანკსაწინააღმდეგო და საველე ქვემეხებს საცეცხლე პოზიციების ოპერატიული შეცვლისთვის და ბრძოლის ველზე ფარული გადაადგილებისთვის, აგრეთვე ქვემეხის გათვლის მუშაობის შემსუბუქებისთვის. მარშზე **თ.ქ.**, როგორც ჩვეულებრივი, ბუქსირებადი საწევარით გადაადგილდება. თვითმოძრაობის ძირითადი აგრეგატია მცირე სიმძლავრის დგუშიანი შიგაწვის ძრავა, ტრანსმისია და მართვის მექანიზმები.

თვითმფრინავ-გამმართველი, თვითმფრინავი, რომელსაც იყენებენ სხვა საფრენი აპარატების ფრენის დროს მათი საწვავით კმაგაწყობისთვის. შეიძლება იყოს როგორც ჩამონტაჟებული მოწყობილობით (ე.წ. „ტელესკოპური შტანგით“ და „შლანგ-კონუსიანი“ გამართვის სისტემით, სათანადო მოწყობილობის შიდა განლაგებით), ასევე საკიდი სისტემით („შლანგ-კონუსი“ აგრეგატების განლაგებით ფრთების ქვეშ ან ფლიუზელაჟზე). გამართვის საკიდი სისტემა შესაძლებელია დაიდგას ნებისმიერ თვითმფრინავზე უმნიშვნელო გადაკეთებით. ხისტი ტელესკოპური შტანგის ან დრეკადი შლანგის კონუსის გარდა შეიცავს საწვავის დამატებით ავზებს და გადამქაჩავ ტუმბოს. გამართვის სისტემის მწარმოებლობა შეადგენს: „ტელესკოპური შტანგით“ – 4000–6000 *ლ/წთ*-ში, „შლანგ-კონუსით“ – 1500–3000 *ლ/წთ*-ში (ჩამონტაჟებული სისტემა) და 1000–4600 *ლ/წთ*-ში (საკიდი სისტემა).

თვითმფრინავ-გაფრენა (ვერტმფრენ-გაფრენა), თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების ავიაციის საბრძოლო საქმიანობის მოცულობის საანგარიშო ერთეული, გამოიყენება ასევე გარკვეული პერიოდის (დღე, დღე-ღამე, თვე) საბრძოლო დატვირთვის დასადგენად ან მისი ბრძოლაში (ოპერაციაში) მოქმედების დაგეგმვისთვის. **თ.-გ.** გამოიყენება სასწავლო პრაქტიკაშიც. დაგეგმვის დროს საფრენი რესურსი შესაძლებელია გაანგარიშდეს ესკადრილიის, პოლკის, დივიზიის და არმიის გასაფრენად.

თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების მართვის ავტომატიზებული სისტემა, საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფენ თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების მოძრაობას გათვალისწინებული პროგრამის მიხედვით აფრენიდან დაფრენამდე პილოტების მონაწილეობის გარეშე, აგრეთვე ხელით მართვისას მდგომარეობის და მართვადობის გაუმჯობესებას. მოიცავს დასამიზნებელ-სანავიგაციო სისტემას და საპილოტაჟო კომპლექსს, რომელშიც ავტოპილოტის გარდა შედის ძალური დანადგარის წევის მართვის ავტომატი, დასამიზნებელ-სანავიგაციო სისტემასთან, დაფრენის და სახმელეთო მიზანმიმართვის სისტემებთან კავშირის ბლოკი, ავტოპილოტით მართვის სიგნალების გამომთვლელები. ეს სისტემა საშუალებას იძლევა, განხორციელდეს საბრძოლო მოქმედებები რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში და უკიდურესად მცირე სიმაღლეებზე.

თვითმფრინავი (ძველი დასახელება აეროპლანი), ჰაერზე მძიმე საფრენი აპარატი, რომელიც ფრინავს წნევის შემქმნელი ძალური დანადგარისა და უძრავი ფრთების მეშვეობით. დიდი სიჩქარის, ტვირთამწეობისა და მოქმედების რადიუსის, ექსპლოატაციაში საიმედოობის და მაღალი მანევრულობის გამო **თ.** სხვა საფრენ აპარატებთან შედარებით ფართოდ გავრცელდა. მას იყენებენ მგზავრებისა და ტვირთის ტრანსპორტირებისათვის, აგრეთვე სამხედრო და სპეციალური მიზნებისათვის. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ სამოქალაქო და სამხედრო **თ**-ებს; **თ**-ები არის ხრახნიანი და რეაქტიული; ბგერის სიჩქარემდელი, ზებგერითი და ჰიპერბგერითი; სახმელეთო ბაზირების, სახომალდე, ჰიდროთვითმფრინავები და **თ.** – ამფიბიები; ვერტიკალური, მოკლე და ჩვეულებრივი აფრენა – დაფრენის; მონოპლანები და ბიპლანები; ერთფიუზელაჟიანი, ორკოჭიანი და უფუზელაჟო („მფრინავი ფრთა“); **თ.** შედგება პლანერისგან (ფიუზელაჟი, ფრთა და შასი), ძალური დანადგარისა და საბორტე მოწყობილობისაგან. საბრძოლო **თ**-ებს აქვთ საავიაციო შეიარაღება. სამხედრო **თ**-ის ეკიპაჟში ერთი ან ორი პილოტის გარდა შეიძლება შედიოდეს შტურმანი, ბორტინჟინერი, ბორტრადისტი, მსროლელი და საბორტე მოწყობილობების ოპერატორები. ეკიპაჟის ყველაზე მეტი რაოდენობა სპეციალური რადიოელექტრონული მოწყობილობით აღჭურვილ **თ**-ს ჰყავს (მაგალითად, შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის **თ**-ებს, 17 კაცამდე).

თვითმფრინავის ავარიული დატოვების საშუალებები, სპეციალური მოწყობილობები ავარიულ სიტუაციაში ეკიპაჟის გადარჩენისათვის. მათ განეკუთვნება პარაშუტები და კატაპულტირების საშუალებები.

თვითმფრინავის ტარება (აერონავიგაცია), მეცნიერება საფრენი აპარატების სივრცის ერთი წერტილიდან მეორეში გადაადგილების მეთოდების და საშუალებების შესახებ. ტრაექტორია განპირობებულია ამოცანების ხასიათით და მისი შესრულების პირობებით.

თვითმფრინავსაწინააღმდეგო თავდაცვა, არაოფიციალური სახელწოდება ძალების, საშუალებების და ღონისძიებებისა, რომლე-

ბიც ხორციელდებოდა მოწინააღმდეგის თვითმფრინავების და სხვა ფრთოსანი საფრენი აპარატების წინააღმდეგ. ისინი ამოცანებს სამხედრო მიზნებისთვის სიმაღლეზე, სტრატოსფერულის ჩათვლით, ასრულებდნენ. **თ.თ**-ის საფუძველს შეადგენდნენ გამანადგურებელი ავიაცია, საზენიტო არტილერია, საზენიტო სარაკეტო იარაღის სისტემები და საჰაერო მიზნების აღმოჩენისა და მათ შესახებ ინფორმაციის გაცემის სისტემები. შეერთებულ შტატებში ჩრდილოეთ ამერიკის საჰაერო თავდაცვის ამერიკა-კანადის გაერთიანებული სარდლობის ფუნქციერების პერიოდში **თ.თ.** იგულისხმებოდა მის შემადგენელი ნაწილად. 1982 წელს ამ სარდლობას ეწოდა საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სარდლობა და ტერმინი „თვითმფრინავსაწინააღმდეგო თავდაცვა“ შეიცვალა საჰაერო თავდაცვით.

თორი, თორნი, აბჯრის ერთ-ერთი სახე ძველ საქართველოში. მეომრის რკინის ტანსაცავი (მთლიანი ჯავშანი). საქართველოში გავრცელებული სხვა ტანსაცავი აბჯრებისაგან განსხვავებით **თ.** დიდხანს იხმარებოდა, რადგან უკეთ იცავდა მეომარს. მას ცეცხლსასროლი იარაღის შემოღების შემდეგაც ხმარობდნენ.

თორნიკე ერისთავი (გ. 985), ქართველი სახელმწიფო და სასულიერო მოღვაწე, *დავით III* დიდი კურაპალატის სახელგანთქმული სარდალი, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი აქტიური მშენებელი. 975 წელს **თ.ე**-ს ბიზანტიის სამეფო კარმა შუამდგომლობა სთხოვა დავით კურაპალატთან, რათა დახმარებოდა ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩახშობაში. დავით კუაპალატმა **თ.ე**-ის სარდლობით ბიზანტიაში გაგზავნა 12 ათ. მხედარი, რომლებმაც სძლიეს სკლიაროსს და ხელთ იგდეს დიდი ნადავლი. ნადავლის ნაწილი **თ.ე**-მა ათანასეს ლავრას და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, ხოლო უდიდესი ნაწილი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა.

თოფანქჩიაღასი, (თურქული tüfenkçi – მეთოფე, aga – უფროსი), მეთოფეთა უფროსი. ოსმალეთში თუფენქჩი ეწოდებოდა თოფით შეიარაღებულ იენიჩარებს. ირანში შაჰ-აბას I-ის დროს ჩამოყალიბდა მუდმივი ჯარი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა თოფანქჩიების (მეთოფეთა) 12 – ათასკაციანი კორპუსი. სათათბირო ორგანოში – „უმაღლეს მეჯლისში“ შედიოდა 7 დიდი მოხელე, რომელთაგან ერთი **თ.** იყო. ეს თანამდებობა ირანში ქართველებსაც ეკავათ.

თოფი, ცეცხლსასროლი ხელის იარაღი. ევროპაში გაჩნდა XIV–XV საუკუნეებში, ხოლო საქართველოში – XV–XVI საუკუნეებში. XVI საუკუნის მეორე ნახევარში შიდა ქართლის ციხესიმაგრეებს სათოფურები ჰქონდათ. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთა ლაშქრის 40% **თ**-ებით იყო შეიარაღებული. საბრძოლო **თ**-თან ერთად გავრცელებული იყო სანადირო **თ**-ებიც. სანადირო **თ.** არაბებმა შექმნეს XII საუკუნეში. იგი დიდხანს არ განირჩეოდა საბრძოლო **თ**-ისგან. XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოიგონეს კაფსული და ნემსიანი ჩახმახი. საყურადღებოა ქართველი მეფეების (ბაქარი, კონსტანტინე, ერეკლე II, გიორგი XII, სოლომონ I, სოლომონ II) და ნიკო ბურის წარწერიანი **თ**-ები.

თოფჩი, არტილერისტი.

თოფჩიბაში (თურქული topçu – მეზარბაზნე, baş – თავი), მეზარბაზნეთა უფროსი, სამხედრო თანამდებობა ირანსა და ოსმალეთში. შაჰ-აბას I-ის დროს ირანში შეიქმნა თოფხანა (არტილერიის პარკი) და არტილერისტთა (თოფჩიების) რეგულარული ნაწილები, რომელსაც სათავეში **თ.** ედგა. ოსმალეთში ზარბაზანის მსროლელ თოფჩიების უფროსს თოფჩუბაში ეწოდებოდა.

თოფხანა, თ ო ფ ხ ა ნ ე, (თურქული Topş – ზარბაზანი, სპარსული Xane – სახლი), ირანში – არტილერიის პარკი, თურქეთში – ზარბაზნის ჩამოსასხმელი ქარხანა. პირველი **თ.** საქართველოში ერეკლე I-მა დააარსა.

თულქითეფეს ბრძოლა 1752, ბრძოლა ქართლ-კახეთის ჯარებსა (ერეკლე II) და შაქის სახანოს ლაშქარს (აღა-ქიში, შაქის ხანის ჰაჯი-ჩელების ვაჟი) შორის თულქითეფესთან, შამშადილში (ახლანდელი აზერბაიჯანი). ქართველებს ჩერქეზთა მხედრობა ეხმარებოდა, შაქელებს – ლეკების ჯარი. *ერეკლე II*-ის ჯარებმა დაამარცხეს მოწინააღმდეგე და შამქორამდე სდიეს მას. **თ.ბ**-ის შედეგად ნათლად გამოიკვეთა ქართლ-კახეთის უპირატესობა ამიერკავკასიაში.

თურქეთი (Turkey – თურქეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის უკიდურეს მონაკვეთში. ესაზღვრება აზერბაიჯანი, სომხეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, საქართველო, ერაყი, ირანი, სირია. **თ.** მთაგორიანი ქვეყანაა. ცენტრალურ ნაწილში გადაჭიმულია მაღალი ანატოლიის ზეგანი, ხმელთაშუა, შავი და მარმარილოს ზღვისპირა ვიწრო დაბლობები. დარდანელის და ბოსფორის სრუტეები აერთიანებენ შავ და ხმელთაშუა ზღვებს. ფართობი 780,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა 75,7 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – თურქული. დედაქალაქი – ქ. ანკარა. ადმინისტრაციულად იყოფა 81 ვილაიეთად (ილა, პროვინცია). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვს დიდ ეროვნულ კრებას. აღამასრულებელი უფლებამოსილება ეკუთვნის პრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). 1923 წლის 29 ოქტომბერს **თ.** რესპუბლიკად გამოცხადდა, ნატოს წევრია 1952 წლიდან. არის ევროპის საბჭოს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროპის თანა-

მეგობრობის ასოცირებული წევრი. 1974 წლიდან ოკუპირებული აქვს კვიპროსის ნაწილი და მფარველობს არაღიარებულ ე.წ. „ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის რესპუბლიკას“. **თ.** აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. მისი ეკონომიკა თანამედროვე მრეწველობის და კომერციის სინთეზია ტრადიციულ სოფლის მეურნეობასთან ერთად. ქვეყანაში სწრაფად და ძლიერად ვითარდება კერძო სექტორი, თუმცა სახელმწიფო გადამწყვეტ როლს თამაშობს მრეწველობის, საბანკო სექტორის, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფეროებში. განვითარებულია სამთომოპოვების, კვების, ქიმიური მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ნავთობგადამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება. სოფლის მეურნეობაში მთავარია: მარცვლოვანი კულტურების, ბამბის, თამბაქოს, ხილის მოყვანა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ცხვრის, თხების მოშენება. რკინიგზის სიგრძე 104 ათ. *კმ*, საავტომობილო გზების სიგრძე 320,6 ათ. *კმ*, მათგან 30 მტკიცე საფრით. ძირითადი საზღვაო პორტებია: სტამბოლი, ისქენდერუნი, მერსინი, იზმითი, იზმირი, სამსუნი. საერთაშორისო აეროპორტები: ეიშილქოი (სტამბოლი), ესენბოღა (ანკარა), ჩიგლი (იზმირი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 511 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 402 ათ, სამხედრო-საჰაერო 60 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 49 ათ., სანაპირო დაცვა 2,2 ათ. სახმელეთო ძალების შეიარაღებაშია: 3,4 ათ. ტანკი, 5 ათ. ჯავშანმანქანა, 6 ათ. საარტილერიო სისტემა. სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაშია: 75 თვითმფრინავი, 19 ფრეგატი, 7 კორვეტი, 14 წყალქვეშა ნავი, 108 სწრაფმავალი ხომალდი. სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია: 411 საბრძოლო, 103 სატრანსპორტო, 192 სასწავლო თვითმფრინავი, 40 ვერტმფრენი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით. გაწვევის ასაკი 20 წელი. რეზერვი 379 ათ. კაცი.

თურქმენეთი (Türkmenistan – თურქმენისტანი), სახელმწიფო შუა აზიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ყაზახეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთით – უზბეკეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთით – ავღანეთი, სამხრეთით – ირანი, დასავლეთით ეკვრის კასპიის ზღვა. ფართობი 488,1 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 5,1 მლნ. კაცი (2012), მათ შორის თურქმენი 77%, დარჩენილი უზბეკები, რუსები და სხვა ეროვნების ხალხი. ოფიციალური ენა – თურქმენული. დედაქალაქი – ქ. აშხაბადი. ადმინისტრაციულად იყოფა 5 ვალაიეთად (მხარე, ოლქი). უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო – ჰალკ მასლაჰატი (სახალხო საბჭო, შედის ხელისუფლების ყველა შტო), სახელმწიფოს ხელმძღვანელია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი (პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოცხადდა სსრ კავშირიდან გამოსვლის შემდეგ, 1990 წლის 22 აგვისტოს. **თ.** დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. მრეწველობის ძირითადი დარგებია: ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება, ქიმიური, ნავთობქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: ბამბის და ბოსტნეულის მოყვანა. ძირითადი პორტი კასპიის ზღვაზე – თურქმენბაში (კრასნოვოდსკი). საერთაშორისო აეროპორტია აშხაბადი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 29,7 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 26,7 ათ., სამხედრო-საზღვაო 2 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 1 ათ., სასაზღვრო ჯარები – 5 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

თუტმოს III, ეგვიპტის ფარაონი (ძვ.წ. 1525–1473), ძვ.წ. 1503 წლიდან აწარმოებდა ომებს, რომელთა შედეგად აღდგა ეგვიპტის მბრძანებლობა პალესტინასა და სირიაში მდინარე ევფრატამდე. სამხრეთით ეგვიპტის საზღვარმა ნილოსის მე-4 ჭორომს მიაღწია. **თ.** ცნობილია როგორც პირველი მხედართმთავარი, რომელიც ომებს აწარმოებდა წინასწარ შედგენილი გეგმების მიხედვით.

O

ᲘᲐᲚᲢᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ 1945, *იხ. ყირიმის კონფერენცია*

ᲘᲐᲚᲥᲐᲜᲘ, მამოძრავებელი, რომლის დანიშნულებაა ქარის ენერგიის გარდაქმნა ხომალდის წევის სასარგებლო მუშაობად. წარმოადგენს ნავის, ხომალდის ანძაზე დამაგრებულ ტილოს ან სინთეტიკურ ქსოვილს. O-ებს განეკუთვნება აეროდინამიკური ეკვივალენტები ან ხისტი გარსები. არსებობს: ფორმის მიხედვით – სწორი და ირიბი; განლაგების ადგილის მიხედვით – ზედა, ქვედა, მფრინავი, უკან ან წინ მდებარე; დანიშნულების მიხედვით – ჩვეულებრივი და გრიგალის.

ᲘᲐᲛᲐᲘᲙᲐ (Jamaica), სახელმწიფო ვესტ-ინდოეთში, კარიბის ზღვაში, კუნძულ იამაიკასა და კარიბის ზღვის მიმდებარე მცირე კუნძულებზე. ფართობი 11,1 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 2,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კინგსტონი. ადმინისტრაციულად იყოფა 3 საგრაფოდ. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1962 წლის 6 აგვისტოს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ბოქსიტის მოპოვება, სოფლის მეურნეობა, საერთაშორისო ტურიზმი. ძირითადი საზღვაო პორტებია: დისკავერ – პონდი, კინგსტონი, პორტ-ენონიო, პორტ-როიალი, სავანნა-ლა-მარი. საერთაშორისო აეროპორტები: კინგსტონი, მონტეგო-ბეი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 2,8 ათ. კაცი (2012), შეიცავს ერთ ქვეით პოლკს, საავიაციო ფრთას, სანაპირო დაცვის დანაყოფს და მხარდამჭერ საინჟინრო დანაყოფებს. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ (Japan – იაპონიის სახელმწიფო), სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში, წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, კუნძულებზე: ჰოკაიდო, ჰონსიუ, კიუსიუ, არქიპელაგი რიუკიუ და სხვა (სულ დაახლოებით 4 ათ. კუნძული). მატერიკისგან გამოყოფილია O-ის და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვებით. ფართობი 372,8 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 127,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – იაპონური. დედაქალაქი – ქ. ტოკიო. ადმინისტრაციულად იყოფა 47 პრეფექტურად. O-ში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია იმპერატორი, რომელიც წარმოადგენს „სახელმწიფოსა და ხალხის ერთიანობის სიმბოლოს“. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი (მრჩეველთა და წარმომადგენელთა პალატა), აღმასრულებელი ორგანო – მთავრობა (მინისტრთა კაბინეტი). O. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. აშშ-ის შემდეგ მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში ეკონომიკური სიმძლავრის მიხედვით, კაპიტალის უმსხვილესი კრედიტორი და ექსპორტიორია. განვითარებულია: მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, მსუბუქი, ხის დამამუშავებელი მრეწველობა. სწრაფად ვითარდება მრეწველობის ახალი და უახლესი დარგები: კავშირგაბმულობა, ინფორმატიკა, ბიოტექნოლოგია, რადიოელექტრონიკა; აგრეთვე – ელექტროხელსაწყოების, გემების (მსოფლიო წარმოების 52%) და ავტომობილების (მსოფლიო წარმოების 30%) წარმოება. განვითარებულია სოფლის მეურნეობა. უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ქვეყანას 70%-ით. თევზჭერისა და ზღვის პროდუქტების მოპოვებით O-ს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. მისი ეკონომიკა დამოკიდებულია ნედლეულისა და სათბობის იმპორტზე. სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი საშუალებას იძლევა აწარმოოს შეიარაღების თითქმის ყველა სახის სისტემა. კონსტიტუციის შესაბამისი ე.წ. „ნებაყოფლობითი“ შეზღუდვის შესაბამისად, O. არ აწარმოებს სარაკეტო-ბირთვულ და სხვა სტრატეგიულ შეიარაღებას. ძირითადი საზღვაო პორტებია: კობე, ტიბა, ნაგოია, იოკოჰამა, კავასაკი, ტომაკომაი, საკაი, ტოკიო, ოსაკა. საერთაშორისო აეროპორტებია: ნარიტა (ტოკიო), კონსაი (ოსაკა), იტაძუკი (ფუკუოკა), ტიტოსე (საპორო), ნიიგატა, ნაჰა, ნაგასაკი. შეიარაღებული ძალები (თავდაცვის ძალები) საერთო რაოდენობით 230 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 138,4 ათ., სამხედრო-საზღვაო 42,8 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 48,8 ათ. უმაღლესი მთავარსარდალი – პრემიერ-მინისტრი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ᲘᲐᲠᲐᲚᲘ, 1. (იურიდიული) მოქალაქეთა ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებული O-ის სხვადასხვა სახეობები. იყოფა სამსახურებრივად და სამოქალაქოდ. სამსახურებრივი O. (ჩვეულებრივ, ცეცხლსასროლი) განკუთვნილია ბუნებისა და მისი რესურსების, სახელმწიფო და კერძო საკუთრების, ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად. საბრძოლო O-საგან განსხვავებით სამსახურებრივს აქვს შეზღუდვები სროლის სიშორის, დამაზიანებელი მოქმედების კალიბრის (არა უმეტეს 25 *მმ*) მიხედვით. სამოქალაქო O. არის

თვითდაცვის (აირის პისტოლეტები, რევოლვერები, მექანიკური საფრქვეველები და აეროზოლური მოწყობილობები, რომლებიც აღჭურვილია მცირე ხარისხის დაზიანების გამომწვევი ცრემლსადენი გამაღიზიანებელი ნივთიერებებით); სპორტული და სამონადირეო, (კუთხვილიანი და გლუვლულიანი სასროლი, ცივი და სატყორცნი 0.) და საკოლექციო. 0-ის შეძენის, ტარების შენახვისა და გამოყენების წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. 2. საბრძოლო 0. შეიარაღებულ ბრძოლაში მოწინააღმდეგის განადგურების საშუალებაა. გამოიყენება, როგორც თავდასხმისთვის, ასევე თავდაცვისთვის. არის: ჩვეულებრივი 0., მასობრივი დაზიანების 0. და ახალ ფიზიკურ პრინციპებზე შექმნილი 0..

იარაღი ბირთვული აფეთქების ენერგიის გამოყენებით, ბირთვული იარაღი, რომელიც ეფუძნება ბირთვული აფეთქების ენერგიის გარდაქმნას გარკვეული მიმართულების ე.წ. მეორეულ დამაზიანებელ ფაქტორებად. შეიცავს მცირე სიმძლავრის ბირთვულ მუხტს და ენერგიის გარდამქმნელს. ამ უკანასკნელის სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბირთვული დამუხტვის რენტგენული ლაზერები, რადიოსიხშირული დიაპაზონის ენერგიის გამომსხივებლები, მაღალენერგეტიკული ნაწილების გენერატორები შესაბამისი აჩქარებით, ბირთვული მუხტის სპეციალური გარსი, რომელიც აფეთქებისას წარმოშობს მიმართული მოქმედების მაღალი სიჩქარის ლითონის ნაწილების ნაკადს [ე.წ. „ბირთვულ შრაპნელს“ (მსკდომი საარტილერიო ჭურვი)]. ექსპერიმენტები ამ სახეობების იარაღის შესაქმნელად ტარდება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან.

იარაღით ვაჭრობა, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის, სამხედრო დანიშნულების სამუშაოების და მომსახურების, სამხედრო-ტექნიკურ სფეროში ინფორმაციის და ინტელექტუალური საქმიანობის შედეგების, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის წარმოებაზე ლიცენზიის და შესაბამისი ტექნოლოგიების, ასევე სამხედრო დანიშნულების პროდუქციის მიწოდება მსოფლიო ბაზარზე.

იარაღის ბალისტიკური მოძნილობა, ცეცხლსასროლი იარაღის თვისება, მოახდინოს თავისი საბრძოლო შესაძლებლობების გაფართოება ბალისტიკური მახასიათებლების ცვლილებების ხარჯზე. აღწევენ უმთავრესად ბალისტიკური კოეფიციენტის (მაგალითად, ჭურვებზე სამუხრუჭე რგოლების გამოყენება) და ჭურვის საწყისი სიჩქარის (ცვალებადი მუხტების გამოყენება) ცვლილებით. ლულის ამაღლების კუთხის ცვალებასთან ერთად ხდება მიზნების ეფექტური დაზიანება ტრანშეებში და სიმაღლეების უკანა ფერდობებზე.

იარაღის გამოყენება, სამხედრო მოსამსახურეების (სახელმწიფო გასამხედროებული ორგანიზაციების თანამშრომლების), სამხედრო ქვედანაყოფების და ნაწილების (ხომალდების) მიერ შეიარაღებაში არსებული იარაღის საბრძოლო გამოყენება, რაც სანქცირებულია შესაბამისი კანონებით, წესდებით, დარიგებებით და ინსტრუქციებით, აგრეთვე მეთაურების (უფროსების) ბრძანებით (კომანდებით, სიგნალებით).

იარაღის ნორმალურ მოხვედრამდე მოყვანა, ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის დროს შუა წერტილის (ტყვიების გაფანტვის ცენტრის) სამიზნის საკონტროლო წერტილთან დამთხვევა. ხორციელდება საცეცხლე საქმის დარიგების შესაბამისად.

იატაგანი (თურქული იათაღანი – yatagan), პირმოღუნული და ყუაამოზნექილი მახვილი (გარდამავალი ხმალსა და სატევარს შორის). საერთო სიგრძე 65–90 *სმ*, მასა ქარქაშის გარეშე – დაახლოებით 0,8 *კგ*., ქარქაშით – დაახლოებით 1,2 *კგ*. ცნობილია XVI საუკუნიდან, როგორც უპირატესად *იენიჩართა* იარაღი, თუმცა გავრცელებული იყო მთელ ოსმალეთის იმპერიაში, მის როგორც მაჰმადიანურ, ასევე ქრისტიანულ მოსახლეობაში.

იდენტიფიკაცია, ამოცნობის სისტემა – „ჩემიანი თუ მოწინააღმდეგე“, რომელიც იყენებს ელექტრომაგნიტურ სიგნალებს, რაზეც საკუთარი ძალების ხელთ არსებული მოწყობილობა ავტომატურად უპასუხებს. სახმელეთო ჯარებისთვის – ხელსაწყო, რომელიც გამოსცემს სიგნალს, რაც ერთმნიშვნელოვნად ამოიცნობა როგორც საკუთარი ძალების სიგნალი.

იდეოლოგიური ბრძოლა ომში, ომში გამარჯვების მისაღწევად სულიერ სფეროში მეომარი მხარეების დაპირისპირება. იწყება, როგორც წესი, ომის დაწყებამდე, ხოლო მისი დაწყების შემდეგ იღებს სრულმასშტაბიან და ღია ხასიათს. იდეოლოგიური ბრძოლის ხასიათს განაპირობებს მოწინააღმდეგე მხარეების სამხედრო პოლიტიკა, მათი სამხედრო დოქტრინები, ასევე თავად ომის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი. იდეოლოგიური ბრძოლის ძირითადი სუბიექტია სახელმწიფო, პოლიტიკური, სამხედრო, რელიგიური, საზოგადოებრივი ორგანოები და ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ჯარების სპეციალური ქვედანაყოფები. იდეოლოგიური ბრძოლის ძირითადი ობიექტებია: მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო მოსამსახურეები, მოსახლეობა და სამხედრო ტყვეები. იდეოლოგიური ბრძოლა მიმართულია სულიერ სფეროში მოწინააღმდეგის ძალისხმევის საწინააღმდეგოდ, მისი ჯარების დემორალიზაციისკენ, საკუთარი და მოკავშირე ქვეყნების არმიების და მოსახლეობის სულიერების გაძლიერებისკენ. იდეოლოგიური ბრძოლის თანამედროვე ინსტიტუტები და აპარატი აღჭურვილი არიან მრავალფეროვანი ტექნიკური

საშუალებებით (ტიპოგრაფიებით, ტელევიზიით, ვიდეოჩამწერი აპარატებით, რადიოსადგურებით, საავიაციო-პროპაგანტისტული მასალების მიწოდების და გავრცელების საშუალებებით, მათ შორის თანამგზავრების, სარაკეტო-საარტილერიო და საავიაციო საბრძოლო მასალების საშუალებით და ა.შ.).

იემენი (Yemen – იემენის რესპუბლიკა), სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ესაზღვრება წითელი და არაბეთის ზღვები. ფართობი 531,5 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 24,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. სანა. ადმინისტრაციულად იყოფა 17 მუჰაფაზად (პროვინცია). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – დეპუტატთა საბჭო (პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. თანამედროვე **0**-ის რესპუბლიკა შეიქმნა 1990 წლის მაისში, **0**-ის არაბთა რესპუბლიკისა და **0**-ის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გაერთიანების შედეგად. **0**. ეკონომიკურად ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა. მთავარი საზღვაო პორტები: ადენი, ჰოდეიდა, სალიფი, სანა. საერთაშორისო აეროპორტები: სანა, ადენი, ელმუკალა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 64,7 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 60 ათ., სამხედრო-საზღვაო 1,7 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 3 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

იენიჩარები (თურქული yeniçeri – ახალი ჯარი), ოსმალეთის იმპერიის რეგულარული ქვეითი ჯარის განსაკუთრებული ნაწილები XIV–XIX საუკუნეებში. თავდაპირველად **0**-თა კორპუსი სამხედრო ტყვეებისაგან კომპლექტდებოდა, შემდეგ კი – ოსმალთა ქვეშევრდომი ქრისტიანი ხალხებისაგან ბიჭებისა და ჭაბუკების იძულებითი გაწვევით, რომლებსაც ამაჰმადიანებდნენ და სამხედრო საქმეს ასწავლიდნენ. **0**. მონაწილეობდნენ დამპყრობლურ ლაშქრობებში, იდგნენ გარნიზონებად ციხესიმაგრეებში და სხვა. ოსმალთა იმპერიის საერთო დაცემასთან ერთად დაეცა **0**-თა დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა. ისინი გადაიქცნენ რეაქციული ძალების დასაყრდენად, აქტიურად მონაწილეობდნენ სასახლის კარის პოლიტიკურ ბრძოლებში. 1826 წელს სულთანმა მაჰმუდ II-მ სასტიკად ჩაახშო **0**-ების მორიგი ამბოხი და გააუქმა მათი კორპუსი.

იერიშების სექტორი, წყლის სივრცის ნაწილი, რომელშიც ყოფნის დროს მოიერიშე ხომალდს შეუძლია დაიკავოს ზალპის (სროლის) პოზიცია. მისი გათვლა ხდება ძირითადად წყალქვეშა ნავებისთვის იმ მიზნით, რომ განსაზღვრონ მოწინააღმდეგის წყალზედა ხომალდების და ტრანსპორტის ტორპედული იერიშის შესაძლებლობა და შეარჩიონ ამ იერიშის ხერხი.

იერიშზე გადასვლის ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, რომლიდანაც ჯარები საბრძოლო წყობით იერიშს იწყებენ. ინიშნება რაც შეიძლება ახლოს მოწინააღმდეგესთან იმ ვარაუდით, რომ მოიერიშე ქვედანაყოფებმა თავდაცვის წინა ხაზს დანიშნულ დროს მიაღწიონ.

იერიში (ფრანგული attague – თავდასხმა), 1. შეტევითი მოქმედებების ყველაზე გადამწყვეტი პერიოდი: საბრძოლო წყობით ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების, აგრეთვე ცალკეული თვითმფრინავების, შვეულმფრენების, ხომალდებისა და მათი ჯგუფების სწრაფი, შეუჩერებელი და მიზანმიმართული მოძრაობა ინტენსიურ ცეცხლთან შეხამებით, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის განადგურება. მოქმედების დროის მიხედვით **0**. არის დღის და ღამის. მიმართულების მიხედვით – ფრონტალური, ფლანგური და ზურგიდან. განასხვავებენ ქვეითი (მოტომსროლელი, მსროლელი) ჯარების, სატანკო, ცხენოსანთა, საჰაერო, საზღვაო **0**-ებს.

ს ა ზ ღ ვ ა ო **0.,** არის: 1. ხომალდების (კატარღების) ან მათი ტაქტიკური ჯგუფების თავბრუდამხვევი მანევრი მოწინააღმდეგის გასანადგურებლად იარაღის ერთდროული ან თანამიმდევრული გამოყენებით. **0**-ზე გადადიან ცალკეული წყალქვეშა ნავები, წყალზედა ხომალდები (კატარღები) და მათი ჯგუფები დამოუკიდებლად ან ერთმანეთთან და საზღვაო ავიაციის მოიერიშე თვითმფრინავებთან (შვეულმფრენებთან) ურთიერთქმედებით. **0**-ის ობიექტები შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავები, წყალზედა ხომალდები და ტრანსპორტი, როგორც ცალკეული, ისე სხვადასხვა გვარეობის შენაერთების, სადესანტო რაზმებისა და ბადრაგის შემადგენლობაში. გამოყენებული იარაღის სახეობის მიხედვით **0**. შეიძლება იყოს სარაკეტო, საარტილერიო, სატორპედო, საბომბე ან კომბინირებული. 2. შეტევის კულმინაცია, როდესაც მოწინააღმდეგესთან მიახლოება პირისპირ ბრძოლაში გადადის. ხანმოკლე, სწრაფი, კარგად ორგანიზებული შეტევა ადგილობრივ ობიექტზე (საარტილერიო პოზიცია, პორტი და სხვა). საზღვაო-სადესანტო ოპერაციაში – ოპერაციის ეტაპი, ამოცანის შესრულებაში მონაწილე მცურავ საშუალებებში მყოფი შენაერთის **0**-ის ობიექტის რაიონში გადასხმიდან დავალების საბოლოო შესრულებამდე. საჰაერო-სადესანტო ოპერაციის ეტაპი, რომელიც მოიცავს მოიერიშე ეშელონის გადაყვანას ამოცანის რაიონში, შეტევის სხვადაასხვა ობიექტზე და დესანტირების საწყისი პლაცდარმის გამაგრებას. 3. შტურმი (გადამწყვეტი **0**.), მოწინააღმდეგის გამაგრებული რაიონის, პოზიციის, მძლავრი თავდაცვითი ნაგებობის დაუფლების ხერხი. თავიდან იგი გულისხმობდა შეტევაში მყოფი ქვეითების ციხესიმა-

გრის კედლებისკენ სწრაფ გადაადგილებას, საალყო საშუალებების გამოყენებით მათ სწრაფ გადალახვას და თავდაცვაში მყოფი მოწინააღმდეგის ხელჩართულ ბრძოლაში განადგურებას. ცეცხლსასროლი იარაღის გამოჩენის შემდეგ (განსაკუთრებით საალყო არტილერიის) შემუშავებულ იქნა ქვეითთა არტილერიისა და საინჟინრო ჯარების მოქმედებების ტაქტიკა ციხესიმაგრეების ერთობლივი შტურმის დროს.

ს ა ტ ა ნ კ ო **0**-ს ახორციელებენ სატანკო ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები არტილერიისა და ავიაციის მხარდაჭერით. ტანკები მოძრაობენ მაქსიმალური სიჩქარით, რის შესაძლებლობასაც იძლევა ადგილმდებარეობის პირობები, აწარმოებენ ცეცხლს შეუჩერებლივ, ანადგურებენ მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებებს, ცოცხალ ძალასა და ტექნიკას. სატანკო **0**-ში შეიძლება მონაწილეობდნენ ქვეითი (მოტომსროლელი) ქვედანაყოფები.

ს ა ჰ ა ე რ ო **0**., ეს არის თავბრუდამხვევი თავდასხმა მოწინააღმდეგის ობიექტზე ჰაერიდან (ჰაერში) დაზიანების საავიაციო საშუალებების გამოყენებით. იგი წარმოადგენს საავიაციო დარტყმის და საჰაერო ბრძოლის მთავარ ელემენტს. ასრულებენ საბრძოლო თვითმფრინავები (გამანადგურებელ-ბომბდამშენები, მოიერიშეები, ბომბდამშენები, გამანადგურებლები), აგრეთვე საბრძოლო შვეულმფრენები.

ქ ვ ე ი თ ი (მ ო ტ ო მ ს რ ო ლ ე ლ ი, მ ს რ ო ლ ჯ ლ ი) ჯ ა რ ე ბ ი ს **0**. ხორციელდება, როგორც წესი, სატანკო ჯარებთან მჭიდრო ურთიერთქმედებით **0**-ის საცეცხლე მომზადების შემდეგ და სარაკეტო ჯარების, არტილერიის, ავიაციის (მათ შორის საბრძოლო შვეულმფრენების) **0**-ის ცეცხლით მხარდაჭერის პირობებში. ქვეითი ქვედანაყოფების **0**. შეიძლება განხორციელდეს შეუჩერებლივ ან მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების მდგომარეობიდან. შეუჩერებლივი **0**-ის ძირითად ხერხად ითვლება **0**. ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებით და ჯავშანტრანსპორტიორებით. ქვეითი (მოტომსროლელი) ქვედანაყოფების **0**. წარმოებს მოწინააღმდეგის წინასწარ მომზადებულ და საინჟინრო თვალსაზრისით კარგად მოწყობილ თავდაცვაზე, გამაგრებული რაიონების გარღვევისას დიდ დასახლებულ პუნქტებში, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებისათვის ძნელად მისადგომ ადგილებში და შეზღუდული ხილვადობის პირობებში მოქმედებისას. **0**., ჩვეულებრივ, ხორციელდება მოწინააღმდეგის I ეშელონის ნაწილების თავდაცვის სიღრმეში.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲗ ᲒᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ, გარღვევის ტაქტიკა, რომელსაც მოწინააღმდეგის გამაგრებული ზღუდის გადალახვის და მისი თავდაცვის რაიონში შეღწევის მიზნით პატარა ქვედანაყოფები (ასეული, ჯგუფი, ოცეული) იყენებენ.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲔᲨᲔᲚᲝᲜᲘ, ჯარების ოპერატიული დაწყობის ელემენტი, რომელიც განკუთვნილია თავდაცვის ტაქტიკური ზონის გარღვევისა და შეტევის შემდგომი განხორციელებისთვის. „იერიშის ეშელონის“ ცნების გაჩენა უკავშირდება ღრმა ოპერაციის თეორიას. დამრტყმელი არმიის **0.Ე**-ში რეკომენდებული იყო ტანკებით და არტილერიით გაძლიერებული მსროლელი კორპუსების შექვანა.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ, კუთხე საფრენი აპარატის გრძივი ღერძისა და სიჩქარის ვექტორს შორის.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲚᲝᲒᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲐᲖᲐ, დროებითი ლოგისტიკური უზრუნველყოფის ბაზა, რომლის ტრანსპორტირება ხდება შვეულმფრენით ღრმა საჰაერო-საიერიშო ოპერაციების და რეიდების მომსახურების უზრუნველსაყოფად.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲠᲘᲔᲑᲐ, თავდაცვაში მყოფი ჯარების საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც წარმოებს შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის შესაჩერებლად, მისთვის მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად და თავდაცვის გარღვევის არდაშვების მიზნით. **0.Მ**. ხდება სარაკეტო ჯარებისა და ავიაციის დარტყმებით, არტილერიის, ტანკების, ტანკსაწინააღმდეგო, ცეცხლსატყორცნი საშუალებებისა და სასროლი იარაღის ცეცხლით, ღობურების გამოყენებით. ასევე I ეშელონის ჯარების მიერ დასაცავი პოზიციების შეუპოვარი შენარჩუნებით, საშიშ მიმართულებაზე ძალების და საშუალებების მანევრირებით და II ეშელონისა და რეზერვების გადამწყვეტი კონტრიერიშებით. **0.Მ.** არის თავდაცვითი ბრძოლის ეტაპი.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, შეტევის დროს საწყისი პოზიცია იერიშის ზღუდესა (საიდანაც მიაქვთ იერიში) და იერიშის ობიექტს შორის.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲘᲐᲪᲘᲝ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ, ავიაციის საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის დასაზიანებლად სახმელეთო ჯარების იერიშის წინ; იერიშის საცეცხლე მომზადების ძირითადი შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება საარტილერიო მომზადებასთან ერთად. **0.Ს.Მ**-ში ჩართულია დაჯგუფების ავიაცია და სახმელეთო ჯარების ავიაცია. **0.Ს.Მ**-ის დროს, უწინარეს ყოვლისა, აზიანებენ მოწინააღმდეგის ბირთვული თავდასხმის საშუალებებს, მაღალი სიზუსტის იარაღს, მართვის პუნქტებს, ტანკებსა და არტილერიას თავმოყრის ადგილებში, საყრდენ პუნქტებს, ავიაციას უახლოეს აეროდრომებზე, გადასასვლელებს. II მსოფლიო ომის დროს **0.Ს.Მ**. წარმოადგენდა საავიაციო შეტევის საწყის პერიოდს. ძლიერი თავდაცვის გარღვევისას ზოგჯერ იყოფოდა წინასწარ (იწყებოდა შეტევამდე 1–3 დღით ადრე) და უშუალო (ხანგრძლივობა 10–15 წუთიდან 1.5–2 საათამდე) მომზადებად

იერიშის საავიაციო მხარდაჭერა, ავიაციის საბრძოლო მოქმედება ოპერაციის (ბრძოლის) დროს სახმელეთო ჯარების გაერთიანების (შენაერთის) ინტერესებისათვის; იერიშის ცეცხლით მხარდაჭერის შემადგენელი ნაწილი. იწყება ჯარების იერიშზე გადასვლასთან ერთად. ხორციელდება ზემდგომი დაჯგუფების ავიაციის და სახმელეთო ჯარების ავიაციის ძალებით. პირველ რიგში ანადგურებენ (ახშობენ) მოწინააღმდეგის ბირთვული თავდასხმის საშუალებებს, წინ წამოწეულ უახლოეს რეზერვებს, მართვის პუნქტებს, საყრდენ პუნქტებს, საცეცხლე საშუალებებს. II მსოფლიო ომში წარმოადგენდა საავიაციო შეტევის ძირითად პერიოდს.

იერიშის საარტილერიო მომზადება, არტილერიის საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც უშუალოდ წინ უძღვის ჯარების იერიშს; იერიშის საცეცხლე მომზადების შემადგენელი ნაწილი. **ი.ს.მ.** ხორციელდება მოწინააღმდეგის ბირთვული, საარტილერიო და სხვა საცეცხლე საშუალებების, ცოცხალი ძალის დაზიანების, აგრეთვე თავდაცვითი ობიექტების დანგრევისთვის წინასწარ ორგანიზებული ცეცხლით. მისი მიზანია მოწინააღმდეგეს წაართვას მოიერიშე ჯარებისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობა. იწყება დადგენილ დროს და მთავრდება მაშინვე, როდესაც მოიერიშე ქვედანაყოფები იერიშზე გადასვლის ზღუდეს გაივლიან. **ი.ს.მ**-ის ხანგრძლივობა, თანამიმდევრობა და საბრძოლო მასალების ხარჯი განისაზღვრება იმის გათვალისწინებით, თუ როგორია ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრი, მოწინააღმდეგის თავდაცვის ხასიათი და დაჯგუფება, მისი დაზიანებისთვის საჭირო ხარისხი, აგრეთვე იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ სარაკეტო ჯარებმა, ავიაციამ, ტანკებმა. **ი.ს.მ**. შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ცეცხლით თავდასხმისგან.

იერიშის საარტილერიო მხარდაჭერა, არტილერიის საბრძოლო მოქმედებები თავისი ჯარების იერიშის დასაწყისში და მსვლელობისას, რაც გამოიხატება მოწინააღმდეგის განუწყვეტელი ცეცხლით დაზიანებით ფრონტის წინ და მოიერიშეთა ფლანგებზე მათი შეუჩერებელი წინსვლისთვის პირობების შესაქმნელად; იერიშის ცეცხლით მხარდაჭერის შემადგენელი ნაწილი. **ი.ს.მ**. იწყება იერიშის საარტილერიო მომზადების დამთავრებისთანავე. მისი ძირითადი მეთოდებია: ცეცხლის ერთმაგი ან ორმაგი თანამიმდევრული თავმოყრა; ერთმაგი ან ორმაგი ცეცხლის ტალღა; ცეცხლის თავმოყრა და ცეცხლი ცალკეულ მიზნებზე, აგრეთვე მათი შერწყმა. არტილერიის ცეცხლი **ი.ს.მ**-ის დროს ესადაგება ტანკების და მოტოქვეითების მოძრაობას და მისი გადატანა ხდება ბრიგადების (პოლკების, ბატალიონების) მეთაურების სიგნალებით. იმავდროულად გრძელდება მოწინააღმდეგის მიზნების დაზიანება თავდაცვის სიღრმეში.

იერიშის ცეცხლით მომზადება, მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების პერიოდი, რომელიც მოიცავს არტილერიის ცეცხლს, სარაკეტო ჯარების, ავიაციის და სხვა საშუალებების დარტყმებს, რაც იერიშზე გადასვლას უშუალოდ უძღვის წინ. ხორციელდება შეტევაში (კონტრშეტევაში), განსაკუთრებით – მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის, ბატალიაში (ბრძოლაში) მეორე ეშელონების (რეზერვების) შეყვანის დროს და სხვა შემთხვევებში, აგრეთვე – თავდაცვაში კონტრდარტყმების და კონტრიერიშების განხორციელებისას. **ი.ც.მ**-ის მიზანია ჩაახშოს და გაანადგუროს მოწინააღმდეგის მასობრივი დაზიანების საშუალებები, არტილერია, ტანკები, ტანკსაწინააღმდეგო და საცეცხლე საშუალებები, ცოცხალი ძალა, მართვის პუნქტები, რადიოელექტრონული საშუალებები, რაკეტსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის საშუალებები, მოწინააღმდეგის სხვა მნიშვნელოვანი ობიექტები, მისი თავდაცვის ტაქტიკურ და უახლოეს სიღრმეზე მოიპოვოს საცეცხლე უპირატესობა. **ი.ც.მ**-ის შემადგენელი ნაწილებია იერიშის საარტილერიო და საავიაციო მომზადება. იგი შეიძლება შედგებოდეს არტილერიის ერთი ან რამდენიმე საცეცხლე თავდასხმისგან, ავიაციის და რაკეტული ჯარების ერთი ან რამდენიმე დარტყმისაგან.

იერიშის ცეცხლით მხარდაჭერა, კომპლექსური ცეცხლით მოწინააღმდეგის დაზიანების ერთ-ერთი პერიოდი, რომელიც მოიცავს არტილერიის ცეცხლს, ავიაციის, სარაკეტო ჯარებისა და სხვა საშუალებების დარტყმებს, რომლებიც მოწინააღმდეგეს მოიერიშე ჯარების წინ თანამიმდევრულად აზიანებენ. მისი მიზანია, არ დაუშვას მოწინააღმდეგის დარღვეული ცეცხლის სისტემის მართვის აღდგენა, ხელი შეუწყოს იერიშს, დააბრკოლოს მოწინააღმდეგის მიერ ცეცხლის წარმოება, ძალების და საშუალებების მანევრი, ჩაახშოს მისი საცეცხლე საშუალებები და გაანადგუროს ცოცხალი ძალა, შეინარჩუნოს ცეცხლით უპირატესობა მოწინააღმდეგეზე. **ი.ც.მ**. იწყება მას შემდეგ, რაც ქვეითი და სატანკო ქვედანაყოფები გადიან იერიშზე გადასვლის ზღუდეზე დივიზიის (პოლკის) მეთაურის სიგნალით და, ჩვეულებრივ, გრძელდება, სანამ ჯარები დაეუფლებიან თავდაცვის რაიონებს I-ლი ეშელონის ბრიგადების (პოლკების) სიღრმეზე (8–10*კმ*, ზოგჯერ უფრო მეტი). **ი.ც.მ**-ის შემადგენელი ნაწილებია იერიშის საარტილერიო და საავიაციო მხარდაჭერა. **ი.ც.მ**-ის მეთოდები შეიძლება იყოს: მოძრავი საცეცხლე ზონა, ცეცხლის ტალღა, ცეცხლის თანამიმდევრული თავმოყრა, თავმოყრილი ცეცხლი და ცეცხლი ცალკეულ მიზნებზე, აგრეთვე მათი შეხამება.

იერიშის ტემპი, იხ. *ტემპი*

** იერიშის ფაზა**, 1. საზღვაო-სადესანტო ოპერაციაში – ოპერაციის ეტაპი, დავალების შემსრულებელი ძალის იერიშის ობიექტის რაიონში გადასხმიდან მათ მიერ დავალების მთლიანად შესრულებამდე. 2. საჰაერო-სადესანტო ოპერაციაში – ეტაპი, რომელიც იწყება მოიერიშე ეშელონის საჰაერო გზით საიერიშო ობიექტის რაიონში გადასროლით, გრძელდება შეტევის განმავლობაში და მთავრდება ჩატვირთვა-გადატვირთვის აეროდრომის ან პლაცდარმის გამაგრებით. 3. სახმელეთო ჯარებისთვის – ა. საჰაერო-სადესანტო, საჰაერო ან საზღვაო იერიშის, ან მდინარის გადალახვის ოპერაციის ეტაპი, რომელიც იწყება მოიერიშე ძალის გადასროლით ობიექტის რაიონში და მთავრდება ყველა ობიექტის ხელში ჩაგდებით. ბ. შეტევის ის ეტაპი, რომელიც იწყება მოიერიშე ძალების წინ წაწევით თავიანთი პოზიციებიდან და მთავრდება ობიექტის ხელში ჩაგდებით და მისი განადგურებით.

ივანე I (ყვარყვარე) ჯაყელ-ციხისჯვარელი, ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის პირველ ნახევარში, მეჭურჭლეთუხუცესი და სამცხის სპასალარი. 1190-იან წლებში იყო მეფის მომხრეთა ბანაკში და ებრძოდა ამბოხებულ დიდებულებს. აქტიურად მონაწილეობდა ხვარაზმელებთან და მონღოლებთან ბრძოლებში. მონღოლებთან დაზავების შემდეგ დატოვებულ იქნა სამცხის გამგებლად. უმეფობის ხანაში **ი. I** სათავეში ჩაუდგა სამხრეთ საქართველოში ქართული თემების ბრძოლას მომთაბარე თურქული ტომების წინააღმდეგ. 1247 წელს ვანის ვაკეზე **ი. I**-მა 10 ათასიანი ლაშქრით შემუსრა ტაოში შემოჭრილი თურქთა მხედრობა. მესხებმა გაათავისუფლეს ოლთისი და ბუღათაყურის ციხე და საქართველოს ტერიტორიიდან გააძევეს მომხდურნი.

ივანე ახალციხელი (გ. 1225), XII საუკუნის ბოლოსა და XIII საუკუნის I მეოთხედის ქართველი სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი. *შალვა ახალციხელის* ძმა. 1203 წელს *ბასიანის ბრძოლაში* ქართული ავანგარდის ერთ-ერთი მეთაური. კარის (ყარსის) აღების შემდეგ (1206) დაინიშნა ამ ციხე-ქალაქის მცველად და მონაპირედ. დაიღუპა 1225 წელს ხვარაზმელებთან *გარნისის ბრძოლაში*.

იზოლაცია, ტაქტიკური ამოცანა, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის მოწყვეტა მხარდამჭერი ძალებისგან.

იზოლირებული რაიონი, რაიონი, რომელსაც ორი მხრიდან მაინც ესაზღვრება ჩამდინარე წყლები და ისეთი რთული რელიეფი, როგორიცაა ტყეები, მთაგრეხილები ან ღრმა ხეობები.

იმერეთის აჯანყება 1810, ბრძოლა იმერეთის სამეფოს დამოუკიდებლობისათვის. აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ რუსეთის მთავრობა ცდილობდა იმერეთის სამეფოს გაუქმებასაც, თუმცა 1804 წელს, რუსეთ-იმერეთის ტრაქტატით (ელაზნაურის ხელშეკრულება), იმერეთი რუსეთის იმპერიის მხოლოდ ვასალური სამფლობელო უნდა ყოფილიყო შინაგანი ავტონომიის შენარჩუნებით. ურთიერთობა იმერეთის მეფე სოლომონ II-სა (1789–1810) და რუსეთის კავკასიურ ადმინისტრაციას შორის თანდათანობით მწვავდებოდა. მეფე მოითხოვდა ტრაქტატის პირობების დაცვას, მაგრამ რუსებმა, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ იმერეთის ანექსია ქართლ-კახეთის მსგავსად, 1810 წლის 20 თებერვალს იმერეთის სამეფო გაუქმებულად გამოაცხადეს, ხოლო სოლომონი მოტყუებით შეიპყრეს და თბილისში ჩაიყვანეს, საიდანაც პეტერბურგში უპირებდნენ გაგზავნას. მეფემ 11 მაისს მოახერხა თბილისიდან გაქცევა და *ახალციხის საფაშოს* შეაფარა თავი. აქედან მან წინააღმდეგობისაკენ მოუწოდა იმერეთის მოსახლეობას, რომლის უკმაყოფილება რუსი სამხედროებისა და მოხელეების ქცევით სულ უფრო იზრდებოდა. 1810 წლის მაის-ივნისში იმერეთში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ახალციხიდან დაბრუნებული მეფე. რუსეთის ჯარებმა სამეგრელოსა და გურიის მთავართა მიერ გამოყვანილი რაზმების დახმარებით შეძლეს აჯანყებულთა ძალების დამარცხება. სოლომონი სამხედრო რაზმით ერთხანს კიდევ იყო ხანისწყლის ხეობაში გამაგრებული, მაგრამ სექტემბრის მიწურულს იძულებული გახდა კვლავ ახალციხეში გადასულიყო. იმერეთში დამყარდა დროებითი მმართველობა, რომელსაც რუსი მოხელეები ჩაუდგნენ სათავეში.

იმერეთის აჯანყება 1819–20, საეკლესიო ამბოხი, ანტიკოლონიური სახალხო აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. იმერეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შედეგად გაიზარდა სამოხელეო აპარატი, სახელმწიფო გადასახადები და შრომითი ბეგარა მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას. უკმაყოფილო იყო თავადაზნაურობაც, რომლის პრივილეგიები მნიშვნელოვნად შეიკვეცა. 1818 წლიდან რუსული რეჟიმის შემდგომი განმტკიცების მიზნით ხელისუფლებამ დაიწყო საეკლესიო წესწყობილების შეცვლაც, რათა ქართული ეკლესია მთლიანად რუსული ეკლესიის დარად მოეწყო. 1819 წლის ივნისში იმერეთში დაიწყო საეკლესიო ყმა-მამულის აღწერა, რათა ეს ქონება ხაზინის მართვა-გამგეობაში გადაეცათ. დასავლეთ საქართველოს სამღვდელოება და მოსახლეობის ფართო ფენები უარყოფითად შეხვდნენ საეკლესიო რეფორმას. ხალხი ღია პროტესტს გამოთქვამდა და ქონების აღსაწერად მისულ მოხელეებს უკან ერეკებოდა. 1819

წლის ივნისში აჯანყება დაიწყო. რუსეთის ხელისუფლებამ აჯანყებულთა დაშინების მიზნით 1820 წლის 4 მარტს დააპატიმრა მიტროპოლიტები ექვთიმე გენათელი და დოსითეოს ქუთათელი, *სოლომონ I*-ის ასული დარეჯან ბატონიშვილი და რამდენიმე გავლენიანი თავადი და მათი რუსეთში გაგზავნა გადაწყვიტა, მაგრამ ამ აქციამ აჯანყების ახალი აღმავლობა გამოიწვია. განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო ბრძოლამ გურიაში, სადაც 1820 წლის აპრილში მოკლეს იმერეთის მმართველი პოლკოვნიკი პუზირევსკი. ფიცხელი ბრძოლები გაიმართა შემოქმედში, ჩოხატაურსა და სურებში. აჯანყების ჩახშობის მიზნით მთავრობამ იმერეთში დამატებითი ჯარის ნაწილები შეიყვანა გენ. ველიამინოვის სარდლობით. იმერეთის დამორჩილების შემდეგ რუსთა ჯარმა რაჭა და გურია დალაშქრა. აჯანყება ყველგან სასტიკად ჩაახშვეს. დამსჯელი რაზმები წვავდნენ სოფლებს, ჩეხდნენ ბაღ-ვენახს. აჯანყების ზოგიერთი მოთავე საზღვარგარეთ გაიქცა, ბევრი აჯანყებული შეიპყრეს, მათგან ნაწილი რუსეთში გადაასახლეს, ზოგი კი სიკვდილით დასაჯეს.

ინგლისისათვის ბრძოლა 1940–41, საჰაერო ბრძოლა ბრიტანეთის კუნძულებზე II მსოფლიო ომის დროს, 1941 წლის აგვისტო – 1941 წლის მაისი. გერმანული სარდლობა ცდილობდა მასირებული საჰაერო დარტყმებით გაეტეხა დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგობა, რათა უზრუნველეყო თავისი ზურგი მომავალ ომში აღმოსავლეთის ფრონტზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ბრძოლის პროცესში გერმანელების სამხედრო-საჰაერო ძალებმა დაკარგეს 1500-ზე მეტი თვითმფრინავი, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალებმა – 900-ზე მეტი.

ინდივიდუალური აფთიაქი, სამხედრო მოსამსახურის თვითდახმარების სამედიცინო საშუალებების კრებული. მოიცავს ორგანიზმში მოხვედრილი შხამების გასანაიტრალებელ საშუალებებს, ტკივილგამაყუჩებელ, რადიაციის საწინააღმდეგო პრეპარატებს, ასევე ფართო სპექტრის მოქმედების ანტიბიოტიკებს.

ინდივიდუალური დაცვა, 1. ცალკეული ჯარისკაცის მიერ თავის გადასარჩენად და ამოცანის ბოლომდე შესასრულებლად მიღებული ზომები ბირთვული, ბიოლოგიური ან ქიმიური იარაღის მოქმედების პირობებში 2. ცალკეული ჯარისკაცის მიერ პირდაპირი და არაპირდაპირი ცეცხლით დაზიანებისაგან თავის დასაცავად ზომების მიღება.

ინდივიდუალური თავდაცვის უფლება, საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მართლზომიერი გამოყენების ერთ-ერთი სახე, რომელიც სახელმწიფოზე თავდასხმის შემთხვევაში მას საპასუხო შეიარაღებული მოქმედებების უფლებას (გაეროს 51-ე მუხლი) ანიჭებს.

ინდოეთი (India – ინდოეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე, ინდოეთის ოკეანის აუზში. ფართობი 3287,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 1214 მლნ. კაცი (2012), დაახლოებით 500 ტომი და ეთნიკური ჯგუფი. ოფიციალური ენებია ჰინდი და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. დელი. ადმინისტრაციულად იყოფა 25 შტატად და 7 მოკავშირე ტერიტორიად. **0**. ფედერაციული რესპუბლიკაა, შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვს პრეზიდენტს და ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო (მთავრობა). კონსტიტუცია ძალაში შევიდა 1950 წლის 26 იანვარს. **0.** აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობაში დაკავებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის 60%, მრეწველობაში – 20%. მრეწველობის წამყვანი დარგებია: სამთომომპოვებელი (ქვანახშირი, მარგანეცი, რკინის მადანი, ნავთობი, ბუნებრივი აირი, ბოქსიტი), მანქანათმშენებლობის, კვების და სხვა. განვითარებულია კომპიუტერული პროგრამირების ინდუსტრია. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგებია მცენარეული კულტურები. **0**-ს უჭირავს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი მსოფლიოში შაქრის ლერწმის, არაქისის, ჩაის, ბამბის წარმოებით. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ცეცხლსასროლ და საარტილერიო შეიარაღებას, ტანკებს, თვითმფრინავებს, რაკეტებს, ხომალდების გარკვეულ ტიპებს. **0**. ბირთვული იარაღის მქონე სახელმწიფოა. მთავარი საზღვაო პორტები: მუმბაი (ბომბეი), ჩანაიმ (მადრასი), კალკუტა. საერთაშორისო აეროპორტები: დელი, მუმბაი (ბომბეი), კალკუტა, ჩანაი (მადრასი), ტირუვანანტაპერამი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 132,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 113 ათ., სამხედრო-საზღვაო 5,8 ათ და სამხედრო-საჰაერო ძალები 13,7 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით. გასამხედროებული ფორმირებებია სასაზღვრო ძალები, პოლიცია, სამრეწველო უსაფრთხოების ძალები.

ინდოეთის ოკეანე, სიდიდით მესამე ოკეანე დედამიწაზე (წყნარი და ატლანტის ოკეანეების შემდეგ). მდებარეობს აზიას (ჩრდილოეთით), აფრიკას (დასავლეთით), ავსტრალიასა (აღმოსავლეთით) და ანტარქტიდას (სამხრეთით) შორის. ფართობი (კუნძულების გარეშე) 68,5 მლნ. *კმ²*. საშუალო სიღრმე 3700 *მ*, მაქსიმალური – 7729 *მ*. სანაპირო ხაზი ჩრდილოეთ ნაწილის გამოკლებით სუსტადაა დანაწევრებული. შელფი ფართო არ არის, აღწევს 100 *კმ*-მდე. კუნძულები მადაგასკარი, შრი-ლანკა, სოკოტრა და სხვა კონტინენტური წარმოშობისაა; მასკარენის, კომორის, ანდამ-

ანის, სეიშელის და სხვა – ვულკანური წარმოშობისა; ლაკადივის, მალდივის, ჩაგოსის და სხვა – მარჯნის. **ი.ო.** იყოფა დასავლეთ (ნაკლებ ღრმა) და აღმოსავლეთ (ღრმა) ნაწილებად. ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში კლიმატი მუსონურია, სამხრეთ ნაწილის ტროპიკულ და სუბტროპიკულ განედებში გაბატონებულია პასატური ქარები, ზომიერ განედებში – დიდი სიმძლავრის ტროპიკული ციკლონები. მნიშვნელოვანი ზედაპირული დინებებია: სამხრეთპასატური, მუსონური, მოზამბიკის, დასავლეთავსტრალიური. შელფებზე არსებობს ნავთობისა და გაზის საბადოები (სპარსეთის და მანის ყურეები, რიფტურ ზონებში – ქრომის, მარგანეცის, რკინის მადანი და სხვა სტრატეგიული ნედლეული. **ი.ო**-ზე მოდის მსოფლიო ტვირთბრუნვის 10%. ძირითადი საზღვაო გზები გადის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში. ძირითადი საზღვაო პორტებია სპარსეთის ყურეში: რას-ტანურა (საუდის არაბეთი), ხარქი (ირანი), ბანდეო-აბასი (ირანი), მენა-ელ-აჰმადი (ქუვეითი) და სხვა.

ინდოეთ-პაკისტანის ომები, სამი სამხედრო შეჯახება ინდოეთსა და პაკისტანს შორის მათი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1947). პირველი ომი (1947–49) დაიწყო ქაშმირის (მთიანი ოლქი ჰიმალაისა და ტიბეტის საზღვარზე) მფლობელობის თაობაზე. გაეროს შუამავლობით 1949 წლის იანვარში დაიდო დროებითი ზავი და ქაშმირის ტერიტორია ორ სახელმწიფოს შორის გაიყო. მეორე ომი (1965–66) პოზიციური ხასიათისა იყო. გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მიღებულ იქნა სტატუს-კვოს შენარჩუნების პირობით. მესამე ომი (1971) ყველაზე მასშტაბური იყო. მისი მიზეზი გახდა ინდოეთის ჩარევა აღმოსავლეთ პაკისტანში მიმდინარე სამოქალაქო ომში. საბრძოლო მოქმედებების შედეგად პაკისტანი დამარცხდა, ხოლო აღმოსავლეთ პაკისტანი (ბანგლადეში) დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადდა. ქაშმირის პრობლემის მოსაგვარებლად 1972 წელს ქ. სიმლაში მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომლის მიხედვით ქაშმირის ინდურ და პაკისტანურ ზონებს შორის ახალი სადემარკაციო ხაზი დაწესდა. მიუხედავად ამისა, ვითარება ქაშმირში კვლავ დაძაბული რჩება. პერიოდულად მწვავდება სიტუაცია და ადგილი აქვს შეიარაღებულ შეტაკებებს. დღეისათვის მდგომარეობას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ ინდოეთიცა და პაკისტანიც ბირთვულ იარაღს ფლობენ და აქტიურად ზრდიან თავის სამხედრო პოტენციალს.

ინდონეზია (Indonezia – ინდონეზიის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მალაის (ინდონეზიის) არქიპელაგის კუნძულებზე და კუნძულ ახალი გვინეის დასავლეთ ნაწილში. ესაზღვრება ინდოეთის და წყნარი ოკეანეები. ფართობი 1904,3 ათ. კმ². მოსახლეობა 232,7 მლნ. კაცი (2012), აქედან 96% ინდონეზიელები, დანარჩენი ჩინელები, პაპუასები და სხვა. ოფიციალური ენა – ინდონეზიური. დედაქალაქი – ქ. ჯაკარტა. ადმინისტრაციულად იყოფა 27 პროვინციად. **ი.** უნიტარული რესპუბლიკაა. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა სახალხო კონსულტაციური კონგრესი. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ფუნქციებს ასრულებს სახალხო წარმომადგენელთა საბჭო (ერთპალატიანი პარლამენტი). აღმასრულებელი ძალაუფლება აქვს პრეზიდენტსა და მთავრობას. **ი**-მ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1945 წლის 17 აგვისტოს. **ი.** აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. მსოფლიოში უჭირავს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ბუნებრივი აირის, ნავთობის, სპილენძის, ნიკელის მოპოვების, ბუნებრივი კაუჩუკის, ყავის, ჩაის, თამბაქოს, სუნელების წარმოების მხრივ. სამხედრო მრეწველობა უშვებს ცეცხლსასროლ იარაღს, მსუბუქ თვითმფრინავებს, საბრძოლო კატარღებს და მხარდამჭერ გემებს. ძირითადი საზღვაო პორტები: ბელავანი, ტანჯუნგ-პრიოკი, სურაბაია, ჯაკარტა, კუპანგი, პალემბანგი, სემარანგი, ჩილაჩაპი. 7 საერთაშორისო აეროპორტია, რომელთაგან უმსხვილესია: სუკარნო-ჰატა (ჯაკარტა). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 302 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 233 ათ., სამხედრო-საზღვაო 45 ათ და სამხედრო-საჰაერო ძალები 24 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

ინდოჩინეთის I ომი, განმათავისუფლებელი ომი ვიეტნამში საფრანგეთის წინააღმდეგ, რომლის მთავრობა ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი გავლენა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილზე (ვიეტნამი, კამბოჯა, ლაოსი), რომელიც XIX საუკუნის II ნახევრიდან საფრანგეთის კოლონიური სამფლობელო იყო. ეს ტერიტორიები II მსოფლიო ომის დროს იაპონელების მიერ იყო ოკუპირებული. 1945 წელს, იაპონელთა წასვლის შემდეგ, აქ ფრანგები დაბრუნდნენ. მათ არ ცნეს ვიეტნამელი კომუნისტების მიერ 1945 წლის 2 სექტემბერს გამოცხადებული დამოუკიდებლობა და 1945 წლის სექტემბერში დაიწყეს სამხედრო მოქმედებები, ხელთ იგდეს საიგონი და განავითარეს შეტევა ჩრდილოეთ ვიეტნამზე, სადაც დაიკავეს ხანოი და სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები. მაგრამ კომუნისტების სამხედრო ფორმირებების წინააღმდეგობამ (გადამწყვეტი ბრძოლა დიენბიენფუსთან, 1954 წლის მარტი–მაისი) საფრანგეთის მთავრობა აიძულა დაეწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები. 1954 წელს საფრანგეთმა ცნო ვიეტნამისა და ლაოსის დამოუკიდებლობა. უფრო ადრე (1953) დამოუკიდებლობა მიიღო კამბოჯამ (კამპუჩიამ). ვიეტნამის ტერიტორიაზე

ჩამოყალიბდა განსხვავებული პოლიტიკური რეჟიმების მქონე ორი სახელმწიფო: ჩრდილო ნაწილში კომუნისტური ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა (ვდრ), დედაქალაქი – ხანოი, ხოლო სამხრეთში – ვიეტნამის რესპუბლიკა, დედაქალაქი – საიგონი, რომლის მთავრობა აშშ-ზე იყო ორიენტირებული.

ინდოჩინეთის II ომი, ვიეტნამის ომი, ჩრდილოეთ ვიეტნამის (ვდრ) ბრძოლა აშშ-ისა და სამხრეთ ვიეტნამის მთავრობის წინააღმდეგ ქვეყნის გაერთიანების მიზნით. *ინდოჩინეთის I ომის* წარმატებით დასრულების შემდეგ ვიეტნამელმა კომუნისტებმა 1959 წელს დაიწყეს ბრძოლა საიგონის მთავრობის წინააღმდეგ. *ვიეტკონგის* რაზმებს ეხმარებოდა ჩრდილო ვიეტნამის ხელისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, სსრ კავშირისა და ჩინეთის მხარდაჭერით სარგებლობდა. ამიტომ აშშ-ის მთავრობამ 1961 წლიდან საიგონის რეჟიმს დაუწყო მატერიალური დახმარების გაწევა, ხოლო 1964 წელს, როდესაც ვიეტნამის სანაპირი წყლებთან კომუნისტებმა იერიში მიიტანეს ამერიკულ სამხედრო ხომალდზე, აშშ-მა დაიწყო ომში საკუთარი შეიარაღებული ძალების გამოყენება. 1969 წელს აშშ-ის ჯარების რაოდენობამ ვიეტნამში 550 ათ-სს მიაღწია. კომუნისტების მხრიდან სამხრეთ ვიეტნამში იბრძოდნენ როგორც ვიეტკონგელთა შენაერთები, ასევე ჩრდილო ვიეტნამის რეგულარული არმიის ფორმირებები. სამხრეთში ჯარებისა და სამხედრო ტვირთების გადასასროლად კომუნისტები იყენებდნენ ნეიტრალური ლაოსისა და კამბოჯის (კამპუჩიის) ტერიტორიებს, რამაც ამერიკული სარდლობა აიძულა ამ ქვეყნებშიც შეეყვანა თავისი ძალები. საბრძოლო მოქმედებები ამ ქვეყნების ტერიტორიებზეც გავრცელდა. ომი თანდათანობით ჩიხში შევიდა, ხოლო აშშ-ში ძლიერდებოდა ანტისაომარი მოძრაობა. ასეთ ვითარებაში ამერიკის მთავრობამ ინდოჩინეთიდან სახმელეთო ჯარების გაყვანა დაიწყო, რათა ისინი საიგონის არმიას შეეცვალა, რომელსაც ჰაერიდან მხარდაჭერას აღმოუჩენდა ამერიკული ავიაცია. 1973 წლის მარტში ვიეტნამი ამერიკის არმიის უკანასკნელმა სახმელეთო დანაყოფებმა დატოვეს. კომუნისტებმა კარგად გამოიყენეს შექმნილი ვითარება. მათ გატეხეს სამხრეთის სამთავრობო ჯარების წინააღმდეგობა და 1975 წლის აპრილში საიგონში შევიდნენ. ვიეტნამი ერთიანი სოციალისტური რესპუბლიკა გახდა. **ი.ს.ო**-ში დაიღუპა 2 მლნ. ადამიანზე მეტი, მათ შორის 56 ათ. ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე.

ინვერსია (ტემპერატურისა ატმოსფეროში), ტროპოსფეროში ჰაერის ტემპერატურის აწევა სიმაღლის მატებასთან ერთად, ნაცვლად ჩვეულებრივი კლებისა. **ი**-ს ახასიათებენ ჰაერის ინვერსიული ფენის სიმაღლით მიწის ზედაპირიდან, გენის სისქით და ტემპერატურათა სხვაობით ფენის ზედა და ქვედა საზღვრებს შორის. თერმოდინამიკის თვალსაზრისით, ინვერსიული ფენები ძალზე მდგრადია და ხელს უშლის ატმოსფეროში ჰაერის ვერტიკალური ნაკადების გავრცელებას, კერძოდ, გროვა ღრუბლების გაჩენას.

ინიციატივა ოპერაციაში, ბრძოლაში, (ლათინური initium – დაწყება), შექმნილი ვითარების შესაბამისად, უფროსი მეთაურის ჩანაფიქრით განსახორციელებელი ამოცანების შესრულებაზე პირადი პასუხისმგებლობის აღება.

ინიციატივა მასობრივი დაზიანების იარაღის სფეროში, ინიციატივა, რომელიც წამოყენებულ იქნას ნატოს წევრი ქვეყნების სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურების მიერ უმაღლესი დონის შეხვედრაზე, რომელიც შედგა 1999 წლის აპრილში ქ. ვაშინგტონში. იგი მიზნად ისახავდა მოკავშირეების მიერ მასობრივი დაზიანების იარაღის გავრცელების საკითხში ურთიერთგაგების გაღრმავებას, ამ საკითხში პოტენციური საფრთხეების შექმნაზე ყურადღების გამახვილებას, ასევე ნატოს იმ ორგანოების კოორდინაციას, რომლებიც დაკავებული არიან ამ იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის საკითხებით. აღნიშნული ინიციატივა აერთიანებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მოღვაწეობის პოლიტიკურ და თავდაცვის ასპექტებს მასობრივი დაზიანების იარაღის სფეროში. იგი ასევე ავსებს ძალისხმევას შეიარაღებაზე კონტროლის სფეროში და გავრცელების საწინააღმდეგოდ.

ინიცირების დირექტივა, დოკუმენტი სტრატეგიული და ოპერატიული დონის დაგეგმვის დაწყების და მისი ძირითადი მიმართულებების განსაზღვრის შესახებ. იგი შეიძლება გამოცემული იყოს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს, სამხედრო კომიტეტის ან ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის მიერ.

ინტეგრაცია, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთქმედების შედეგად გარკვეული სახელმწიფოს აღიარება. იგი გულისხმობს ამ სახელმწიფოს წინასწარ განსაზღვრულ და მისაღებ მონაწილეობას ამ ჯგუფის ინსტიტუტების საქმიანობაში.

ინტეგრირებული ლოგისტიკური უზრუნველყოფა, მართვის ტექნიკური პროცესი, რომლის მეშვეობით კომპლექსურად ხდება მომსახურების და ლოგისტიკური უზრუნველყოფის ფაქტორების გათვალისწინება. იგი მიიღება მხედველობაში სისტემების/მოწყობილობების სიცოცხლისუნარიანობის მთელი ციკლის განმავლობაში. მათი მეშვეობით დროულად და რენტაბელურად ხორციელდება ლოგისტიკური მხარდაჭერის ყველა ელემენტების გამოცდა და უზრუნველყოფა.

ინტეგრირებული სამხედრო სტრუქტურა, წევრი ქვეყნების მიერ ნატოსთვის გადაცემ-

ული ძალები, რომლებიც ამ სტრუქტურაში მონაწილეობენ წინასწარ შეთანხმებული პირობების გათვალისწინებით. ეს ძალები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად: დაუყოვნებლივი და სწრაფი რეაგირების ძალები, თავდაცვის ძირითადი ძალები და შევსების ძალ-ები.

ი.ს.ს. რჩება უმაღლეს დონეზე პოლიტიკური მართვისა და ხელმძღვანელობის ქვეშ. იგი ასევე არის ჯარების ერთობლივი სწავლებისა და თანამშრომლობის საფუძველი ისეთ სფეროებში, როგორიცაა კავშირგაბმულობის და ინფორმაციის სისტემები, საჰაერო თავდაცვა, ჯარების (ძალების) ლოგისტიკური მხარდაჭერა, სამხედრო ტექნიკისა და პროცედურების სტანდარტიზაცია და ოპერატიული თავსებადობა.

ინტეგრირებული საომარი მოქმედებები, ნებისმიერ საბრძოლო გარემოში ჩატარებული საბრძოლო ოპერაციები, რომლებშიც დაპირისპირებული ძალები კონვენციურ იარაღთან ერთად არაკონვენციურ იარაღსაც იყენებენ.

ინტეგრირებული სისტემა, საბრძოლო საჰაერო სივრცის მართვის და კონტროლის სისტემა, რომელითაც ხორვციელდება ურთიერთაკავშირი და კოორდინირება საჰაერო სივრცის გამომყენებელ ყველა შეიარაღებულ ძალასა და მასპინძელ ქვეყანას შორის. იგი აწესებს შეზღუდვებს, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს თვითმფრინავების, საჰაერო თავდაცვის, სარაკეტო არტილერიის, უპილოტო საფრენი აპარატებისა და მაღალი ტრაექტორიის იარაღების გამოყენებაზე.

ინტეგრირებული შტაბი, შტაბი, რომლის საორგანიზაციო-საშტატო განრიგი ითვალისწინებს ყველა თანამდებობაზე მხოლოდ ერთი ოფიცრის დანიშვნას. ეს დანიშვნა არ არის დამოკიდებული მის მოქალაქეობასა და შეიარაღებული ძალების კონკრეტული სახეობის კუთვნილებაზე. ეს ტერმინი ასახავს ნატოს ნებისმიერი შტაბის სამი ძირითადი მახასიათებლიდან ერთ-ერთს. სხვა განმასხვავებელ ნიშნებს განეკუთვნება მათი მრავალეროვნული და სახეობათაშორისი ხასიათი.

ინტენდანტი (ფრანგული intendant – მმართველი, გამგე), შეიარაღებულ ძალებში, თანამდებობის პირი, რომელსაც ეკისრებოდა ჯარის ნაწილებისა და სამხედრო დაწესებულებათა მომარაგება სურსათით, ფურაჟით, ტანისამოსით; აგრეთვე – პირადი შემადგენლობის განსახლების ორგანიზება, მათი საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარება და სხვა. **ი**-ის თანამდებობა პირველად გაჩნდა საფრანგეთში XV საუკუნეში. თანამედროვე არმიებში **ი**-ის ფუნქციებს ლოგისტიკის სათანადო სამსახურები ასრულებენ.

ინტერესების რაიონი, მეთაურის ინტერესების სფეროში მოქცეული რაიონი. მოიცავს ზეგავლენის რაიონს, მის მომიჯნავე ტერიტორიებს და ვრცელდება მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მიმდინარე ან დაგეგმილი ოპერაციების მიზნის ფარგლებში. ეს რაიონი ასევე მოიცავს მოწინააღმდეგის ძალების მიერ დაკავებულ ტერიტორიებს, საიდანაც შეიძლება მოხდეს მიზნის მიღწევის ხელშემშლელი ზემოქმედება.

ინტერვალი (ლათინური intervallum – მანძილი, შუალედი), 1. მანძილი: ა. გაშლილ მწყობრში სამხედრო მოსამსახურეებს შორის; ბ. საბრძოლო მანქანებს შორის ოცეულების (ასეულების) კოლონების ხაზზე; გ. საცეცხლე პოზიციებზე განლაგებულ საარტილერიო ქვემეხებსა და სხვა საცეცხლე საშუალებებს შორის. 2. ნებისმიერი შუალედები ან რღვეული ტაქტიკურ პოზიციებსა, ან მოწყობის თანამიმდევრობაში, რომელსაც მცირე კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღის მოქმედება ვერ მისწვდება 3. ტერიტორიის გარკვეული ნაწილი, რომელიც არ არის დანაღმული, რათა საკუთარ ძალას მიეცეს საბრძოლო წყობით მისი გავლის საშუალება

ინტერვენცია (ლათინური intervention – ჩარევა), ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს ძალადობრივი ჩარევა მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში, ან მის ურთიერთობაში მესამე სახელმწიფოსთან ტერიტორიის მიტაცების, პოლიტიკური დომინირების, ეკონომიკური დამორჩილების, სხვადასხვაგვარი პრივილეგიების შეძენის და ა.შ. მიზნით. განხორციელების ფორმის მიხედვით განასხვავებენ შეიარაღებულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ **ი**-ებს. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, **ი**-ის ყველა ფორმა კანონსაწინააღმდეგოა.

ინტერნირება, საერთაშორისო სამართალში – ერთი მეომარი სახელმწიფოს მიერ მეორე მეომარი სახელმწიფოს სამოქალაქო პირების ან ნეიტრალური სახელმწიფოს მიერ მეომარი მხარეების იმ სამხედრო მოსამსახურეების იძულებითი დაკავება, გადასახლება ან გადაადგილება ქვეყნის შიგნით, რომლებიც მის ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ. **ი**-ის რეჟიმს არეგულირებენ ჰაგის 1907 წლის და ჟენევის 1949 წლის კონვენციები.

ინფანტერია (მოძველებული იტალიური infanterian < infanta – ახალგაზრდა ქვეითი ჯარისკაცი), ქვეითი ჯარის სახელწოდება საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნაში.

ინფორმაციის დამუშავება, ოპერაციების ერთობლიობა, რომლის მიზანია სამხედრო ინფორმაციის ისე დახვეწა, რომ იგი ჯარების და იარაღის მართვისთვის ეფექტურად იყოს გამოყენებული. განასხვავებენ ინფორმაციის შინაარსობრივ და ფორმალურ დამუშავებას. ჯარების (ძალების) მართვის სისტემებში მუშავდება ინფორმაცია, რომელსაც მოიცავს სხვადასხვა ოპერატიული (საბრძოლო), სამობილიზაციო, ადმინისტრაციულ-საორგანიზა-

ციო და სხვა დოკუმენტები, ასევე რომელიც მიღებულია კავშირგამბულობის ჩვეულებრივი ან ავტომატიზებული სისტემებით, ან საშუალებებით. თანამედროვე იარაღის მართვის სისტემებში ობიექტების (მიზნების) და დაზიანების საშუალებების შესახებ **ი.ჯ.,** როგორც წესი, ავტომატური ან ნახევრად ავტომატური ხერხებით წარმოებს.

ინფორმაციის მიღების და ასახვის პუნქტი, საჰაერო ჯარების შენაერთის ავტომატიზებული სამეთაურო პუნქტის ელემენტი. განკუთვნილია ვითარების შეფასების და გადაწყვეტილების მიღებისთვის კოლექტიური და ინდივიდუალური სარგებლობის საშუალებებით ინფორმაციის მიღებისა და ასახვისთვის.

ინფორმაციის რეალიზება, ტაქტიკური ან ოპერატიულ-სტრატეგიული მიზნებისთვის ნებისმიერი მიღებული ინფორმაციის მაქსიმალური გამოყენება.

ინფორმაციის შეგროვება, იმ ცნობების და მონაცემების შეკრების, განზოგადებისა და ანალიზის პროცესი, რომლებიც სარდალს (მეთაურს) საომარი მოქმედების დროს სჭირდება ოპერაციის (ბრძოლის) და ჯარების (ძალების) მართვაზე გადაწყვეტილების მისაღებად. **ი.შ**-ს განუწყვეტლივ ახორციელებენ მართვის ორგანოები პირდაპირი ურთიერთობის და მართვის ზემდგომი, ქვემდგომი და ურთიერთმოქმედი ორგანოებიდან შემოსული ცნობების და მონაცემების შესწავლის გზით, როგორც საბრძოლო მოქმედების მომზადებისას, ასევე ამ მოქმედების მსვლელობის დროს. **ი.შ**-ისთვის მუშაობის უშუალო ორგანიზატორია შტაბის უფროსი.

ინფორმაციის ძირითადი ელემენტები, გადამწყვეტი ინფორმაცია მოწინააღმდეგის და გარემოს შესახებ, რომელიც სჭირდება მეთაურს განსაზღვრულ მომენტში საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად დაზვერვის მონაცემებთან შედარებისთვის.

ინფორმაციული იარაღი, იხ. *ფსიქოლოგიური ბრძოლა*

ინფორმაციული უზრუნველყოფა, ინფორმაციის ანალიზის და დამუშავების სპეციალიზებული ცენტრების საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს სამშვიდობო ოპერაციების ორგანიზებასა და ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირების და ორგანოების ინფორმაციით უზრუნველყოფას, ასევე მის მსვლელობაზე და შედეგებზე მოსახლეობის ინფორმირებას.

ინფორმაციული უსაფრთხოების მუქარა, ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც საზოგადოების ინფორმაციული არეალის ფუნქციონირებისთვის, შენარჩუნებისა და განვითარებისთვის მუქარას წარმოადგენს. წარმოიქმნება, როგორც წესი, ინფორმაციული დაპირისპირების შედეგად.

ინფრაბგერითი დაზიანება, იხ. *დაზიანება.*

ინფრაბგერითი იარაღი, არამომაკვდინებელი მოქმედების იარაღის შესაძლო სახეობა, რომლის მოქმედება და ადამიანზე გავლენა ხორციელდება მძლავრი ინფრაბგერითი რხევების მიმართული დასხივებით. შეიძლება გამოიწვიოს საორიენტაციო ორგანოების და მოძრაობის კოორდინაციის მოშლილობა, თავბრუსხვევა, ნერვულ-ფსიქოლოგიური აშლილობები, სმენის და მხედველობის დაკარგვა. **ი.ი**-ის შექმნა უკავშირდება სიძნელეებს, რომლებიც თან სდევს საკმაოდ მძლავრი მობილური ინფრაბგერითი დანადგარების (ელექტროაკუსტიკური გარდამქმნელების და რამდენიმე კილოვატი სიმძლავრის ცვლადი დენის გენერატორის) შექმნის სიძნელეებს, აგრეთვე – მომსახურე პერსონალის დაცვის ვეებერთელა სისტემას.

ინფრასტრუქტურის აღდგენა, 1. სამხედრო მოქმედებების უზრუნველსაყოფად საჭირო ობიექტების და საშუალებების მოქმედ მდგომარეობაში მოყვანა. 2. იმ ობიექტების მოქმედ მდგომარეობაში მოყვანა, რომლებიც უზრუნველყოფენ საომარი მოქმედებების და საგანაგებო სიტუაციების დროს მშვიდობიანი მოსახლეობის და დაზარალებულების ცხოველმოქმედებას.

ინფრაწითელი ტექნიკა, მეცნიერების და ტექნიკის დარგი, რომელიც ამუშავებს და იყენებს თვალით შეუმჩნეველი ინფრაწითელი გამოსხივების გენერირების და აღმოჩენის მეთოდებს და საშუალებებს. სამხედრო საქმეში ღამის ხედვის ხელსაწყოები, რომლებიც დაფუძნებულია ინფრაწითელი გამოსხივების მოქმედებაზე. გამოიყენება: მიზნების თვალთვალის, პელენგირების, თანხლებისა და ფოტოგრაფირებისთვის; ღამის პირობებში ბრძოლის წარმოების, ტექნიკის ტარების და იარაღის თვითდამიზნებისათვის; სახმელოეთო და კოსმოსური კავშირისათვის და სხვა. განასხვავებენ აქტიურ და პასიურ ინფრაწითელ ხელსაწყოებს.

ინფრაწითელი შენიღბვა, იხ. *ოპტიკურ-ელექტრონული შენიღბვა.*

ინციდენტის თავიდან აცილება ღია ზღვაში და მის თავზე საჰაერო სივრცეში, ღია ზღვაში სამხედრო ხომალდების უსაფრთხო ნაოსნობის და მათ თავზე სხვადასხვა ქვეყნის საფრენი აპარატების უსაფრთხო ფრენის უზრუნველყოფა. საყოველთაოდ აღიარებული სპეციალური ნორმები, რომლებიც ღია ზღვაში და მის თავზე სამხედრო ხომალდების და საფრენი აპარატების ურთიერთობებს არეგულირებენ, საერთაშორისო საზღვაო სამართალში არ არსებობს. პრობლემას წყვეტენ დაინტერესებული სახელმწიფოების მიერ დადებული შესაბამისი ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. 1972 წელს, ამის შესაბამისად, დადეს შეთანხმება სსრ კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. 1973 წელს მას

დაერთო ოქმი არასამხედრო გემების მიმართ საშიში მოქმედების დაუშვებლობის შესახებ. შემდეგ კი შემუშავდა სპეციალური სიგნალების ცხრილი და ინსტრუქცია.

ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ (Iordania – იორდანიის ჰაშიმიდთა სამეფო), სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში, წითელ ზღვაზე გასასვლელით. ფართობი 89,4 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 6,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ამანი. ადმინისტრაციულად იყოფა 12 მუჰაფაზად (პროვინცია). Ი-ში კონსტიტუციური მონარქიაა. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს მეფეს და ეროვნულ კრებას (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მეფეს, რომელიც მას ახორციელებს მთავრობის საშუალებით. Ი-მ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1946 წლის 25 მაისს. Ი. აგრარული ქვეყანაა მრავალწყობიანი სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურით. საზღვაო პორტია ელ-აკაბა. საერთაშორისო აეროპორტები: ამანი, აკაბა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 100,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 88 ათ., სამხედრო-საზღვაო 0,5 ათ და სამხედრო-საჰაერო ძალები 12 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ᲘᲠᲐᲜ-ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲝᲛᲔᲑᲘ VI–VII ᲡᲡ, 502–506, 527–532, 572–591, 602–629 წლებში. ომები სასანურ ირანსა და ბიზანტიის იმპერიას შორის წინა აზიაში ბატონობისათვის. გარდამავალი წარმატებით მიმდინარეობდა ამიერკავკასიის (იხ. *ეგრისის დიდი ომი*), მცირე აზიის, მესოპოტამიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკის ტერიტორიებზე. ხანგრძლივმა ბრძოლამ ორივე სახელმწიფო დაასუსტა, რამაც ხელი შეუწყო *არაბთა დაპყრობების* წარმატებებს.

ᲘᲠᲐᲜ-ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲝᲛᲘ 1980–88, ომი ირანის ისლამურ რესპუბლიკასა და ერაყის რესპუბლიკას შორის, გამოწვეული ნაციონალურ-რელიგიური წინააღმდეგობებითა და ბრძოლით სპარსეთის უბის აუზსა და ისლამურ სამყაროში ლიდერობისათვის. ოფიციალური საბაბი – ძველი ტერიტორიული პრეტენზიები სასაზღვრო რაიონებში. ბრძოლა მიმდინარეობდა ცვალებადი უპირატესობით და დასრულდა დაზავებით 1988 წლის 20 აგვისტოს. ორივე მხარემ საერთო ჯამში 1,5 მლნ. ადამიანი დაკარგა; მატერიალური ზარალი: ერაყის – 200 მილიარდ დოლარზე მეტი, ირანისა – 400 მილიარდი დოლარი.

ᲘᲠᲐᲜᲘ (Iran – ირანის ისლამური რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. მისი ჩრდილოეთ მონაკვეთი გადის კასპიის ზღვაზე, სამხრეთ-დასავლეთი და სამხრეთი – ინდოეთის ოკეანის სპარსეთისა და ომანის ყურეებში. ფართობი 1648 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 75 მლნ. კაცი (2012), აქედან 65% – სპარსელები, 18% – აზერბაიჯანელები, ასევე – ქურთები, არაბები, თურქმენები და სხვა. ოფიციალური ენა – სპარსული. დედაქალაქი – ქ. თეირანი. ადმინისტრაციულად იყოფა 27 ოსტანად (პროვინცია). სახელმწიფოს უმაღლესი ოფიციალური პირი ქვეყნის მეთაურის შემდეგ (ქვეყნის სულიერი ლიდერი) არის პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ისლამის საბჭოს კრება (მეჯლისი, ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. Ი. აზიის ერთ-ერთი ყველაზე ძველი სახელმწიფოა. ისლამური რესპუბლიკა გამოცხადდა 1979 წლის 1 აპრილს, ანტიმონარქისტული რევოლუციის შედეგად. ეკონომიკის მნიშვნელოვანი დარგებია: ნავთობის მოპოვება და ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა. სუსტადაა განვითარებული სამხედრო მრეწველობა. მთავარი საზღვაო პორტები: ჰარკი, ბენდერ-მაჰშაპრი, ბენდერ-აბასი, ორმუზი, აბადანი. საერთაშორისო აეროპორტებია: თეირანი, შირაზი, ზაჰედანი, აბადანი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 523 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 350 ათ., სამხედრო-საზღვაო 18 ათ და სამხედრო-საჰაერო ძალები 35 ათ., „ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის“ ძალები 120 ათ. გასამხედროებული ფორმირება „ბასიჯი“ (სახალხო ლაშქარი) – 300 ათ. კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ᲘᲠᲐᲜ-ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲝᲛᲔᲑᲘ XVI–XVIII, ბრძოლა ოსმალთა იმპერიასა და სეფიანთა ირანს შორის ერაყში, ქურთისტანში, ამიერკავკასიასა და სამხრეთ აზერბაჯანში ბატონობისათვის; მოიცავდა ომების სამ სერიას: 1514–55, 1578–1639 და 1723–46 წლები. ამასიის (1555), ქასრე-შირინისა (1639) და ქერდანის (1746) სამშვიდობო ხელშეკრულებებით დასავლეთ ამიერკავკასია, დასავლეთ ქურთისტანი და ერაყი გამოცხადდა ოსმალეთის სამფლობელოებად, ხოლო ცენტრალურ და აღმოსავლეთ ამიერკავკასია, აღმოსავლეთ ქურთისტანი და სამხრეთ აზერბაიჯანი – სეფიანთა ირანის შემადგენლობაში დარჩა.

ᲘᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ (ლათინური irregularis – არასწორი), ჯარები, რომლებსაც არ აქვთ ერთიანი, მუდმივი ორგანიზაცია ან განსხვავდებიან რეგულარული ჯარებისგან დაკომპლექტების, სამსახურის გავლის წესით და სხვა.

ᲘᲠᲘᲑᲘ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲬᲧᲝᲑᲐ, ჯარების სახაზო საბრძოლო წყობის ნაირსახეობა. ჯარებს განალაგებდნენ საფეხურებად, ხოლო ერთ-ერთ ფლანგს აძლიერებდნენ დამატებითი ხაზით, მისთვის მეტი დამრტყმელი ძალის მისანიჭებლად. შეტევა ხორციელდებოდა მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობისადმი კუთხით, იმ მიზნით, რომ მიეყენებინათ დარტყმა მისი ფლანგისთვის. პირველად გამოიყენა პრუსიი

მეფემ ფრიდრიხ II-მ 1756-63 წლებში შვიდწლიანი ომის დროს.

ირლანდია (Ireland – ირლანდიის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. უჭირავს კუნძულ ირლანდიის უმეტესი ნაწილი. ფართობი 70,3 ათ. კმ². მოსახლეობა 4,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ირლანდიური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. დუბლინი. ადმინისტრაციულად იყოფა 26 საგრაფოდ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი ეროვნული პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. 0-მ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1949 წელს და გამოვიდა დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობიდან. 0. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, მრეწველობის მოწინავე ტექნოლოგიური დარგებით (საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოების და რადიოაპარატურის წარმოება, ელექტროტექნიკა, ავტომობილების აწყობა, ქიმიური მრეწველობა). სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მეცხოველეობა. ძირითადი საზღვაო პორტებია: დუბლინი, ლიმერიკი, კორკი. საერთაშორისო აეროპორტებია: დუბლინი, შენონი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10,4 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 8,5 ათ., სამხედრო-საზღვაო 1,1 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 0,8 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ისარი, მშვილდით, არბალეტით და სასულე თოფით სატყორცნი იარაღი. უფრო გავრცელებულია მშვილდის 0. მეზოლითში, ნეოლითსა და ბრინჯაოს ხანაში ისრის პირს მაგარი ქვისაგან (ძირითადად კაჟისაგან), იშვიათად ძვლისაგან აკეთებდნენ. ბრინჯაოს ისრის პირი ფართოდ იყო გავრცელებული ადრინდელ რკინის ხანაში. ძვ.წ. VI–II საუკუნეებში ევროპაში, შუა აზიასა და ციმბირში გავრცელებული იყო მილიანი სამწახნაგა ან სამფრთიანი ბრინჯაოს ისრის პირები, ძვ.წ. I საუკუნეში ისინი სარმატულმა რკინისყუნწიანმა ისრის პირმა შეცვალა. ზოგი ხალხი (მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელები) ცეცხლგამჩენ და მოწამლულ 0-ებს იყენებდნენ.

ისლანდია (Island – ისლანდიის რესპუბლიკა), სახელმწიფო ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე იმავე დასახელების კუნძულზე. ფართობი 103 ათ. კმ². მოსახლეობა 306,6 ათ. კაცი (2012), აქედან 99% ისლანდიელია. ოფიციალური ენა – ისლანდიური. დედაქალაქი – ქ. რეიკიავიკი. ადმინისტრაციულად იყოფა 23 ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს პრეზიდენტს და ალთინგს (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1944 წლის 17 ივნისიდან. არის ნატოს წევრი. ეკონომიკის საფუძველია თევზის რეწვა. მთავარი საზღვაო პორტია რეიკიავიკი. საერთაშორისო აეროპორტები: რეიკიავიკი, კებლავიკი. 0-ს არ ჰყავს რეგულარული შეიარაღებული ძალები. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას უზრუნველყოფს 0-ის თავდაცვის ძალები, რომლებსაც ხელმძღვანელობს აშშ-ის სამხედრო უწყება, რომლის შტაბი არის კებლავიკში.

ისრაელ-არაბების ომები 1948–49, 1956, 1967, 1973, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციით (1947), პალესტინაში, რომელიც დიდი ბრიტანეთის მმართველობის ქვეშ იყო, უნდა შექმნილიყო ორი სახელმწიფო – ებრაული და არაბული. ამან არაბების პროტესტი გამოიწვია, მით უმეტეს, რომ ამ გადაწყვეტილებით, პალესტინის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უნდა შესულიყო ებრაული სახელმწიფოს შემადგენლობაში. ამიტომ გამოცხადდა თუ არა ებრაული სახელმწიფოს, ისრაელის, შექმნა (1948 წლის მაისი), მის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყეს არაბულმა ქვეყნებმა: ეგვიპტემ, ტრანსიორდანიამ, ერაყმა, სირიამ, ლიბანმა და სხვა. ეს იყო ისრაელის I ომი არაბების წინააღმდეგ (1948–49). იგი დასრულდა ებრაელეთა გამარჯვებით, რომლებმაც ხელთ იგდეს პალესტინის ტერიტორიის 75%. II, ანუ სუეცის ომი. 1956 წლის ოქტომბერში ისრაელი, ინგლისთან და საფრანგეთთან ერთად თავს დაესხა ეგვიპტეს. ისრაელის ჯარებმა ხელთ იგდეს სინას ნახევარკუნძული და მიუახლოვდნენ სუეცის არხს. ეგვიპტის ტერიტორია ინტერვენტებმა რამდენიმე თვის შემდეგ დატოვეს გაეროს მოთხოვნისა და სსრ კავშირის მხრიდან სამხედრო მუქარის გამო. ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ, 1967 წლამდე გაეროს ჯარები იცავდნენ მათ შორის მშვიდობას. III, ანუ ექვსდღიანი, ომი (1967 წლის ივნისი). ეგვიპტე, სირია და იორდანია რევანშისთვის მოემზადნენ. მათი ჯარები ისრაელისას აღემატებოდნენ: ცოცხალი ძალით – თითქმის 2-ჯერ, არტილერიით – 2,5-ჯერ, ტანკებითა და თვითმფრინავებით – დაახლოებით 1,5-ჯერ. არაბული მხარის მოთხოვნით, კონფლიქტის ზონიდან გაყვანილ იქნა გაეროს სამშვიდობო ნაწილები, ამავე დროს ეგვიპტელებმა ბლოკადაში მოაქციეს ისრაელის ნავსადგური აილათი. პასუხად ისრაელის არმიამ ომის გამოუცხადებლად მოულოდნელი დარტყმები მიაყენა ეგვიპტეს, სირიასა და იორდანიას, დაამარცხა მათი ჯარები და ხელთ იგდო ღაზის სექტორი, სინას ნახევარკუნძული, გოლანის მაღლობები და მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირი. მთავარი მიზეზები, რამაც განაპირობა ისრაელის არმიის სწრაფი და შთამბეჭდავი გამარჯვება რიცხობრივად ძლიერ მოწინააღმდეგეზე, იყო: 1. არაბთა ჯარების დაბალი საბრძოლო მომზადება და მორალური სულისკვეთება; 2.

ისრაელის მიერ ინიციატივის ხელში ჩაგდება და პირველი დარტყმის მიყენება. IV, ანუ იომ-ქიფურის, ომი (1973 წლის ოქტომბერი). რადგანაც ებრაელებმა ამჯერად აღარ დატოვეს ოკუპირებული ტერიტორიები, ეგვიპტისა და სირიის სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ რამდენიმე წლის უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ მიიჩნია, რომ მხოლოდ ახალი ომით შეიძლებოდა სიტუაციის გამოსწორება. სსრ კავშირის დახმარებით მათ აღიდგინეს სამხედრო პოტენციალი და 1973 წლის 6 ოქტომბერს, იუდეველთა დღესასწაულის იომ-ქიფურის დროს მოულოდნელად შეუტიეს ებრაელთა პოზიციებს სინას ნახევარკუნძულსა და გოლანის მაღლობებზე. პირველ დღეებში არაბებმა ორივე ფრონტზე შეძლეს რამდენიმე კილომეტრით წინ წაწევა, მაგრამ ისრაელის ჯარებმა მალე მოახერხეს მდგომარეობის გამოსწორება და ინიციატივის ხელში ჩაგდება. ეგვიპტის ჯარები ბლოკირებული აღმოჩნდნენ სუეცის არხის აღმოსავლეთ ნაპირზე, უკუაგდეს სირიელებიც. ეს უკვე ნამდვილი გარდატეხა იყო ომის მსვლელობაში. 22 ოქტომბერს გაეროს ჩარევით ცეცხლი შეწყდა. ამრიგად, ისრაელმა მოახერხა მეზობელი არაბული სახელმწიფოების სამხედრო შეტევების მოგერიება, მაგრამ პალესტინელი არაბების პარტიზანული მოძრაობის ჩახშობა შეუძლებელი აღმოჩნდა. 1978 წელს აშშ-ის შუამდგომლობით დაიდო შეთანხმება ისრაელსა და ეგვიპტეს შორის, რასაც მოყვა 1979 წლის საზავო ხელშეკრულება, რომლის შედეგად ისრაელმა დაცალა სინას ნახევარკუნძული. 1993 წელს ისრაელი დათანხმდა პალესტინის არაბული ავტონომიის შექმნაზე. 2003 წელს აშშ-ის, ევროკავშირის, რუსეთისა და გაეროს მონაწილეობით შემუშავდა „საგზაო რუკა“, რომელიც გულისხმობს პალესტინის არაბული სახელმწიფოს შექმნას. მიუხედავად ამისა, პალესტინაში ებრაელებსა და არაბებს შორის საბოლოო მშვიდობა ჯერ არ დამყარებულა.

ისრაელი (Israel – ისრაელის სახელმწიფო), სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში. მდებარეობს დასავლეთ აზიაში, ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სამხრეთი ნაწილი გადის წითელ ზღვაზე. სახელმწიფოს ფართობი განისაზღვრა გაეროს გადაწყვეტილებით 1947 წლის 29 ნოემბერს და შეადგენს 14,1 ათ. კმ², 1948–49 წლების ომის შედეგად მიერთებული ტერიტორიებით – 20,7 ათ. კმ². მოსახლეობა 7,2 მლნ. კაცი (2012), აქედან 80% – ებრაელები, 20% – არაბები და სხვა. ოფიციალური ენები – ივრითი, არაბული. დედაქალაქი – ქ. თელ-ავივი (გაეროს რეზოლუციების საწინააღმდეგოდ, ისრაელი დედაქალაქად მიიჩნევს იერუსალიმს). **0**. რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაური – პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ქნესეთი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. **0**. განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის 40%-მდე მოდის სამხედრო წარმოებაზე (ცეცხლსასროლი იარაღი და საარტილერიო შეიარაღება, საბრძოლო მასალები, რადიოელექტრონული აპარატურა, ჯავშანტექნიკა, საბრძოლო თვითმფრინავები, რაკეტები და სხვა). **0**. შედის იარაღის უმსხვილეს ექსპორტიორთა რიგებში. აქვს ბირთვული იარაღის წარმოების ლაბორატორიულ-სამრეწველო კომპლექსი, 2 ატომური რეაქტორი. მთავარი საზღვაო პორტები: ხაიფა, აშდოდი, აილათი (ელათი). საერთაშორისო აეროპორტი: ბენ-გურიონი (თელ-ავივი), ლოდი (თელ-ავივის მახლობლად). შეიარაღებული ძალები (ისრაელის დაცვის ძალები) საერთო შემადგენლობით 178 ათასი კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 133 ათ., სამხედრო-საზღვაო 9 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები და საჰაერო დაცვის ძალები 36 ათ.. რეზერვი – 565 ათ. კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

იტალია (Italia – იტალიის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში, აპენინის ნახევარკუნძულზე, კუნძულებით სიცილია და სარდინია. დასავლეთით ესაზღვრება ტირენის, აღმოსავლეთით – ადრიატიკის ზღვა. ფართობი 301,2 ათ. კმ². მოსახლეობა 60,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – იტალიური. დედაქალაქი – ქ. რომი. ადმინისტრაციულად იყოფა 20 ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. **0**. ნატოს წევრი ქვეყანაა. განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანა. შიდა ეროვნული პროდუქტის მოცულობით ის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების რიგშია. მრეწველობის ყველაზე განვითარებული დარგებია: მანქანათმშენებლობა (ავტომობილები, გემები, ელექტროტექნიკური აღჭურვილობა, დაზგები, რადიო-ელექტრონული, ზუსტი ხელსაწყოები), შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობგადასამუშავებელი, ქიმიური და ნავთობქიმიური, საფეიქრო, კვების პროდუქტების წარმოება. შექმნილია ატომური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო ბაზა. სამხედრო მრეწველობა უშვებს თვითმფრინავებს, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემებს, ტანკებს, ჯავშანმანქანებს, საბრძოლო მასალას, ცეცხლსასროლ იარაღს, ყველა კლასის ხომალდს. ძირითადი საზღვაო პორტები: გენუა, ლივორნო, ნეაპოლი, ტრიესტი, ვენეცია, აუგუსტა, პიომბინო. საერთაშორისო აეროპორტები: ფიუმიჩინო (რომი), მილანი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 184,6 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 107 ათ.,

სამხედრო-საზღვაო 34,7 ათ და სამხედრო-საჰაერო ძალები 43 ათ.. რეზერვი 42 ათ. კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება საყოველთაო სამხედრო ვალდებულების კანონის საფუძველზე და მოხალისეების დაქირავებით.

იტალია-ოსმალეთის ომი 1911–12, ტ რ ი პ ო ლ ი ტ ა ნ ი ი ს ა ნ უ ლ ი ბ ი ი ს ომი, იტალიის მიერ გაჩაღებული ომი ოსმალთა იმპერიის წინააღმდეგ, რომლის მიზანი იყო ჩრდილო აფრიკაში ოსმალთა სამფლობელოების – ტრიპოლიტანიისა და კირენაიკის (ახლანდელი ლიბია) ანექსია. დამთავრდა ოსმალეთის დამარცხებით, რომელიც იძულებული გახდა ლოზანის საზავო ხელშეკრულებით (1912) ეს ტერიტორიები იტალიისათვის დაეთმო.

იტალიის კამპანია 1943–45, სამხედრო მოქმედებები, ერთი მხრივ, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის, მეორე მხრივ კი – გერმანიისა და იტალიელი ფაშისტების შეიარაღებულ ძალებს შორის II მსოფლიო ომის დროს. დაიწყო ინგლის-ამერიკის ჯარების მიერ სიცილიის დაკავებით (1943 წლის ივლისი-აგვისტო), რასაც მოჰყვა იტალიის კაპიტულაცია (3 სექტემბერი). პასუხად გერმანიის ჯარებმა ქვეყნის ოკუპაცია დაიწყეს. 1943 წლის სექტემბერში მოკავშირეები გადასხდნენ სამხრეთ იტალიაში, ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ, დაიკავეს რომი (1944 ივნისი) და 1945 წლის დასაწყისში გავიდნენ ხაზზე სპეციარავენა. 1945 წლის აპრილში იტალიელი პარტიზანების დახმარებით გათავისუფლდა ჩრდულოეთ იტალია. გერმანელების ჯარებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს.

იტალიური ომები 1494–1559, ომები საფრანგეთს, ესპანეთსა და „საღვთო რომის იმპერიას“ შორის (ზოგი სხვა სახელმწიფოს მონაწილეობით) იტალიაში ბატონობისათვის. დასრულდა კატო-კამბრეზის ზავით (1559), რომლის მიხედვით საფრანგეთი უარს ამბობდა იტალიაზე; იტალიის დიდ ნაწილში ესპანეთი გაბატონდა. **ი.ო**-ში პირველად იქნა ფართოდ გამოყენებული გაუმჯობესებული ცეცხლსასროლი იარაღი (მუშკეტები, ბრინჯაოს ზარბაზნები ბორბლებიან ლაფეტებზე), არტილერია საველე ბრძოლებში, ქალაქების ალყისა და თავდაცვის დროს, ციხესიმაგრეების ბლოკადა.

იუპურიძე გიორგი ლუარსაბის ძე (დ. 1956), გენერალ-მაიორი (2002), გენერალური შტაბის უფროსი (2004). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გორის №1 სასწავლო ცენტრის უფროსი (1992–96), საქართველოს პრეზიდენტის უმაღლესი მთავარსარდლის მთავარი სამხედრო ინსპექციის უფროსი (1996–98). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

იულიუს კეისარი, ც ე ზ ა რ ი (Julius Caesar) გაიუს (ძვ.წ. 100–44), ძვ. რომის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, მხედართმთავარი, მწერალი. თავდაპირველად თანაუგრძნობდა დემოკრატიულ დაჯგუფებებს. ძვ.წ. 60 წელს შეკრა კავშირი მარკუს კრასუსთან და პომპეუსთან (I ტრიუმვირატი, ძვ.წ. 60–53 წლებში), სამართავად მიიღო გალია, რომელიც ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად მთლიანად დაუმორჩილა რომს, ილაშქრა გერმანიასა და ბრიტანეთში. ძვ. წ. 49 წელს დაიწო სამოქალაქო ომი ერთპიროვნული მმართველობის დასამყარებლად. ძვ. წ. 48–45 წლებში, პომპეუსის და მისი მომხრეთა ჯარების განადგურების შემდეგ, რომის ფაქტობრივი მბრძანებელი გახდა. **ი.კ**-მა ბევრი სიახლე შეიტანა სამხედრო ხელოვნებაში. მის კალამს ეკუთვნის მემუარული ხასიათის თხზულებები „გალიის ომების შესახებ“ და „სამოქალაქო ომების შესახებ“, აგრეთვე სხვა ნაწარმოებები. მოკლეს შეთქმულებმა.

იუნკერი (გერმანული – Junker), თავადაზნაურული წარმოშობის უნტერ-ოფიცერი XVIII საუკუნესა და XIX საუკუნის I ნახევარში. მოგვიანებით (1864 წლიდან) **ი**-ს უწოდებდნენ იუნკერთა სასწავლებლის კურსანტს, რომელსაც ოფიცრის ჩინისათვის ამზადებდნენ.

იურიდიული სამსახური, ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სპეციალური სამსახური, რომელიც სამართლებრივ მუშაობას ახორციელებს.

იძულება, ზემდგომი მეთაურის მიერ საკუთარი ნების კარნახი, თუ როგორ უნდა იმოქმედონ დაქვემდებარებულმა მეთაურებმა, რაც ზღუდავს მათ თავისუფლებას დავალების შესრულების დაგეგმვის პროცესში.

იძულებითი ზომები (გაეროს), ზომების სისტემა, რომელსაც გაერო იყენებს მისი წესდების საფუძველზე იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც საფრთხეს უქმნის მსოფლიოს, არღვევს მშვიდობას ან განახორციელა აგრესია. ეს ზომები შეიძლება განხორციელებულ იქნეს შეიარაღებული ძალების გამოყენების (ეკონომიკური ბლოკადა, საავიაციო ან სარკინიგზო მიმოსვლის შეწყვეტა და სხვა) გარეშე ან მათი გამოყენებით.

კ

კ“-დღე, დღე, რომლის დროსაც კონვოირება იწყება.

კადეტები (ფრანგული cadet – უმცროსი), 1. ფეოდალურ საფრანგეთსა და პრუსიაში ჯარისკაცის წოდებით მომსახურე აზნაურები ან დიდგვაროვან არისტოკრატთა შვილები, რომლებიც სამხედრო სამსახურში ირიცხებოდნენ ოფიცრის ჩინის მინიჭებამდე; 2. XVIII საუკუნესა და XX საუკუნის დასწყისში ზოგიერთ სახელწიფოში პრივილეგირებულ სამხედროსასწავლო დაწესებულებათა (კადეტთა კორპუსების) აღსაზრდელები; 3. ავსტრია-უნგრეთში *პირველ მსოფლიო ომამდე* სამხედრო წოდება, დაახლოებით შეესატყვისებოდა უფროს უნტერ-ოფიცერს.

კადრის არმია, 1. მუდმივი რეგულარული არმია (შეიარაღებული ძალები), რომელიც შექმნილია და ფუნქციონირებს საკადრო სისტემის (შეიარაღებული ძალების საკადრო მოწყობის) პრინციპებით. მშვიდობიანობის პერიოდში შემცირებული შემადგენლობით ჰყავთ მზადყოფნაში, საომარი მოქმედებების დაწყებისას კი – პირველი რიგის ოპერატიული (საბრძოლო) ამოცანების შესასრულებლად, უზრუნველყოფს რეზერვების სამხედრო მომზადებას და მობილიზაციურ გაშლას. **კ.ა**-ის საბრძოლო და რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს სამხედრო დოქტრინა, კონკრეტული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და მისი შეფასება ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ, აგრეთვე სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობები. **კ.ა**-ის შექმნა უკავშირდება შეიარაღებული ძალების მასობრიობის ზრდას, ეკონომიკური თვალსაზრისით კი იმის გათვალისწინებას, რომ მშვიდობიანობის დროს მრავალრიცხოვანი არმიის შენახვა (უზრუნველყოფა) არ არის მიზანშეწონილი. თანამედროვე **კ.ა**-ის პირველსახე იყო XVII–XVIII საუკუნეებში ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში შექმნილი მუდმივი რეგულარული არმიები, რომლებიც ომის დროს ივსებოდა რეკრუტების დამატებითი გაწვევით, დაქირავებით და სხვა; 2. ლიტერატურაში გვხვდება ისეთი არმიის (შეიარაღებული ძალების) სახელწოდებად, რომელსაც აქვს თანამედროვე ომის წარმოების მოთხოვნების შესაბამისი ორგანიზაცია, ტექნიკური აღჭურვილობა, მომზადება და საბრძოლო გამოცდილება.

კადრის ნაწილი, სამხედრო ფორმირება, რომელსაც მშვიდობიანობის დროს განსაკუთრებული შტატით ინახავენ, როგორც ორგანიზაციულ და მატერიალურ ბაზას ომიანობის დროის სრული შტატით გასაშლელად. **კ.ნ**-ის მშვიდობიანობის დროს შტატი ითვალისწინებს პირადი შემადგენლობის მინიმალურ რაოდენობას, შეიარაღებას და სამხედრო ტექნიკას ომიანობის დროის შტატით, რომელსაც, ჩვეულებრივ, ინახავენ კონსერვაციის პირობებში. ზოგჯერ ეწოდება კადრირებული ნაწილი.

კავალერია (ფრანგული cavalerie, ლათინური caballus – ცხენი), ცხენოსანი ჯარი, სახმელეთო ჯარების გვარეობა, რომელიც გადაადგილდებოდა და იბრძოდა ცხენებით. **კ.** შუა საუკუნეებში ჯარების მთავარი გვარეობა იყო, XIX საუკუნეში მისი როლი შემცირდა, ხოლო XX საუკუნის 30–50-იან წლებში არსებობა შეწყვიტა.

კავალერიის კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

კავკასიის გამაგრებული ხაზები, რუსეთის არმიის მიერ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ XVIII–XIX საუკუნეებში შექმნილი თავდაცვითი გამაგრებების სისტემა, უპირატესად – ჩრდილო კავკასიაში, ხოლო ნაწილობრივ – ამიერკავკასიაში. შეიცავდა ციხესიმაგრეებს, ფორტებს (რედუტებს), კაზაკთა სტანიცებსა და საგუშაგოებს (პიკეტებს). შედგებოდა ყიზლარის, მოზდოკის, ლეკეთის, შავი ზღვისა და სხვა გამაგრებული ხაზებისაგან.

კავკასიის ომები 1817–64, რუსეთ-მთიელთა ომები, გამოწვეული რუსეთის იმპერიის აგრესიით ჩეჩნეთ-დაღესტნისა და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხების წინააღმდეგ. სისტემატური შეტაკებები რუსეთის ჯარებსა და კავკასიელ მთიელებს (ჩეჩნებს, ყაბარდოელებს, დაღესტნელებს) შორის დაიწყო XVIII საუკუნის 70–80-იან წლებში, ხოლო მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელში გადავიდა საქართველო (1801–10) და თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორია (1803–13), კავკასიის მთიელთა დამორჩილება, რომლებიც რუსეთისაგან გამოყოფდნენ სამხრეთ კავკასიის მიწებს, იმპერიის მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ამოცანა გახდა. მთიელთა წინააღმდეგობამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო ჩეჩნეთსა და დაღესტანში სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფოს – იმამატის – ჩამოყალიბების შემდეგ (1820-იანი წლების დასასრული), როდესაც საბოლოოდ გაფორმდა რუსეთთან ბრძოლის იდეოლოგია *ღაზავათის* (საღვთო ომის) ლოზუნგით. 1834–59 წლებში იმამატის სათავეში იდგა *შამილი,* რომლის მაქსიმალური წარმატ-

ებების ხანა 1840-იანი წლებია. ამ დროს შამილის მთავარი ძალების რაოდენობა 15–20 ათ-ს მეომარს აღწევდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის სარდლობამ იმამატის წინააღმდეგ 200 ათასიანი არმია გამოიყვანა, მოხერხდა მისი განადგურება და შამილის დატყვევება (1859). დასავლეთ კავკასიის მთიელებთან (ჩერქეზები, უბიხები, აფხაზთა ცალკეული ტომები) ბრძოლა, რომელთა წინააღმდეგ რუსებმა თავისი (კავკასიის) არმიის მთავარი ძალები დაძრეს, კიდევ 5 წელი გრძელდებოდა. 1864 წლის 21 მაისს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს მთიელთა უკანასკნელი საყრდენი პუნქტი – გბაადა (ახლანდელი „კრასნაია პოლიანა“). ეს დღე ითვლება **კ.ო**-ის დასრულებისა და რუსეთის მიერ კავკასიის დამორჩილების თარიღად.

კავკასიისათვის ბრძოლა, 1942 წლის 25 ივლისსა და 1943 წლის 9 ოქტომბერს, *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს. საბჭოთა ჯარებმა (ჩრდილოეთ კავკასიის და ამიერკავკასიის ფრონტები) შავი ზღვის ფლოტის მხარდაჭერით 1942 წლის შემოდგომაზე შეაჩერეს გერმანიის ჯარების (არმიათა ჯგუფი „ა“) შეტევა ნოვოროსიისკთან, ტუაფსეს, ორჯონიკიძის, გროზნოს მისადგომებთან და კავკასიონის უღელტეხილებზე. 1943 წლის იანვარში საბჭოთა ჯარები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და გაათავისუფლეს მთელი ჩრდილოეთ კავკასია ტამანის ნახევარკუნძულის გამოკლებით, რომელიც გათავისუფლებული იყო 1943 წლის სექტემბერ-ოქტომბერში.

კავშირგაბმულობა (სამხედრო), ინფორმაციის გადაცემა და მიღება ჯარების (ძალების) და იარაღის მართვის სისტემებში; ჯარების (ძალების) მართვის უზრუნველყოფის ძირითადი საშუალება. სამხედრო ამოცანებია: უზრუნველყოს დაქვემდებარებული ჯარებისთვის (ძალებისთვის) სარდლების, მეთაურების, უფროსების დირექტივების, ბრძანებების, განკარგულებების დროული, ზუსტი და ფარული მიწოდება და მათგან შექმნილი ვითარების ამსახველი მოხსენებების მიღება; ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა შეიარაღებული ძალების სახეობების ურთიერთმოქმედ ჯარებს, ჯარების გვარეობებსა და სპეციალურ ჯარებს შორის; მართვის ინფორმაციის გადაცემა ოპერატიული და საჯარისო ლოგისტიკისთვის და სხვა. **კ**. თავის ამოცანებს ავტომატიზაციის საშუალებებთან ურთიერთქმედებით ასრულებს. **კ**-ის საშუალებები და ავტომატიზაციის საშუალებები ერთიანდება **კ**-ის კვანძებად, ხაზებად და სისტემებად.

შეიძლება იყოს ელექტრონული, სასიგნალო და ფელდეგერულ-საფოსტო; ხორციელდება ინფორმაციის ღია ტექსტით გადაცემის ან წინასწარ კოდირებული, დაშიფრული, ან გასაიდუმლოებული სახით. გადასაცემი (მისატანი) ცნობების (დოკუმენტების) სახეობისა და გადამცემი მოწყობილობის მიხედვით განასხვავებენ: სატელეფონო, სატელეგრაფო, ტელეკოდურ, ფაქსიმილურ, (ფოტოსატელეგრაფო), სატელევიზიო, ვიდეოსატელეფონო, ჰიდროაკუსტიკურ, სასიგნალო და ფელდეგერულ-საფოსტო **კ**-ს. გამოყენებული სახაზო საშუალებების და სიგნალების გავრცელების გარემოს მიხედვით არის: სადენიანი, ბოჭკოვან-ოპტიკური, რადიოკავშირგაბმულობა, რადიოსარელეო, ტროფოსფერული, თანამგზავრული და მოძრავი საშუალებებით განსახორციელებელი. **კ**-ისადმი ძირითადი მოთხოვნებია: გადასაცემი ინფორმაციის დროული, ზუსტი, უტყუარი შინაარსის, ფარული და საიმედო მიწოდება. **კ**-ის ორგანიზაცია მოიცავს დაგეგმვას, **კ**-ის ჯარებისათვის ამოცანების დასახვას, მათ მართვას სისტემების, კვანძებისა და ხაზების გაშლის, ფუნქციონირებისა და აშლის პროცესში. ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს **კ**-ის ორგანიზაციას ოპერაციაში (ბრძოლაში), წარმოადგენს **კ**-ის გეგმა.

კავშირგაბმულობის ავტომატიზებული სისტემა, კავშირგაბმულობის ურთიერთდაკავშირებული ავტომატიზებული ქსელების, კვანძების, ხაზების და მართვის სისტემის ერთობლიობა, რომელიც ჯარების (ძალების) მართვას უზრუნველყოფს. იგი წარმოადგენს შეიარაღებული ძალების მართვის სისტემის ნაწილს. **კ.ა.ს**. უზრუნველყოფს ბრძანებების, განკარგულებების, დირექტივების და სხვა ტექსტობრივი და გრაფიკული საბრძოლო დოკუმენტების დაყვანას ადრესატებამდე, მონაცემების ავტომატიზებულ გაცვლას და აბონენტთა ავტომატური შეერთებით სატელეფონო საუბრების მიმდინარეობას. კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაციის გადაცემისას **კ.ა.ს**-ში აპარატულ-პროგრამული ხერხით ხორციელდება მისი ავტომატური გასაიდუმლოება. **კ.ა.ს**-ისადმი წაყენებულია მოთხოვნებია: მუდმივი მზადყოფნა მუშაობისათვის, სიცოცხლისუნარიანობა, დაბრკოლებამედეგობა, საიმედოობა, დაცულობა, იმიტაციამედეგობა, გამტარუნარიანობა, მობილურობა, ინფორმაციის დროული, უტყუარი და ფარული გადაცემა. განასხვავებენ სტაციონარულ და საველე (მოძრავ) **კ.ა.ს**-ებს. სტაციონარული სისტემები მუდმივ სამუშაო მზადყოფნაშია და გამოიყენება ჯარების (ძალების) ყოველდღიური და საბრძოლო მართვისათვის მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს. კავშირგაბმულობის საველე (მოძრავი) ავტომატიზებული სისტემები, რომელთა გაშლა ხორციელდება საომარი მოქმედების დაწყების წინ ან დაწყებისას, უზრუნველყოფენ ჯარების მართვას ოპერაციებში. გარდა ამისა, კავშირგაბმულობის საველე (მოძრავი) ავტომატიზებულ სისტემათა საშუალებები საჭიროა კავშირგაბმულობის სტაციონარული ავტომა-

ტიზებული სისტემების და მათი ელემენტების რეზერვირებისთვის, გაზრდის, გაძლიერებისა და კავშირგაბმულობის აღდგენისათვის.

კავშირგაბმულობის არხი, გადამცემი და მიმღები ტექნიკური მოწყობილობები და სიგნალების გავრცელების არე, რომელიც კიდური მიმღებ-გადამცემი აპარატურის ჩართვისას ერთი ან მეტი კავშირის განხორციელების საშუალებას იძლევა. კიდური აპარატურის მიხედვით **კ.ა**-ები არის: სატელეფონო, სატელეგრაფო, ფაქსიმილური, ტელეკოდური, სატელევიზიო და სხვა. საკაბელო საშუალებების და სიგნალის გავრცელების არის მიხედვით – სადენებიანი, რადიოარხი და კომბინირებული **კ.ა**-ები. ასევე განსხვავდებიან ხაზებში გადასაცემი სიგნალების ხასიათით და გატარების შესაძლებლობით ან მათი გადაცემის სიჩქარით. **კ.ა.** შეიძლება იყოს სიმპლექსური და კომპლექსური.

კავშირგაბმულობის კვანძი, კავშირგაბმულობის ძალების და საშუალებების, ჯარების ავტომატიზებული მართვის საშუალებების საორგანიზაციო-ტექნიკური გაერთიანება, რომელიც გაშლილია მართვის პუნქტზე. იგი იშლება ჯარების (ძალების) მართვის პროცესში ინფორმაციის გაცვლის მიზნით. არის კავშირგაბმულობის სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი. იგი უზრუნველყოფს არხების შექმნას და ინფორმაციის გასაიდუმლოებას. საბრძოლო გამოყენების, განთავსების და აღჭურვილობის მიხედვით **კ.კ.** შეიძლება იყოს სტაციონარული ან მოძრავი, დანიშნულების მიხედვით კი – მართვის პუნქტის, დამხმარე და საყრდენი. მის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს: საკომანდო-საშტაბო მანქანების ჯგუფი, რადიოცენტრი ან საშუალო სიმძლავრის რადიოსადგურების ჯგუფი, სატელეგრაფო კავშირგაბმულობის ცენტრი (სადგური), სატელეფონო კავშირგაბმულობის ცენტრი (სადგური), არხწარმოქმნის ცენტრი (სადგური), ავტომატური საკომუნიკაციო ცენტრი, ჯარების მართვის ავტომატიზებული საშუალებების ცენტრი, ელექტროკვების ცენტრი (სადგური), **კ.კ**-ის მართვის პუნქტი, ფელდეგერული საფოსტო სადგური, ვერტმფრენებისთვის დასაჯდომი მოედანი, ტექნიკური მომსახურების ჯგუფი.

გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი დ ა ნ ი შ ნ უ ლ ე ბ ი ს **კ.კ.**, კავშირგაბმულობის სტრატეგიული და ოპერატიულ-სტრატეგიული ელემენტი, განკუთვნილია სტაციონარული და საველე ქსელების დაწყვილებისთვის.

დ ა მ ხ მ ა რ ე **კ.კ.,** კავშირგაბმულობის სისტემის ელემენტია. მისი დანიშნულებაა ზემდგომი შტაბის მართვის პუნქტიდან მნიშვნელოვან მანძილზე მოქმედ ჯარებთან (ძალებთან) კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა.

მ ა რ თ ვ ი ს პ უ ნ ქ ტ ი ს **კ.კ.**, როგორც გაერთიანების (შენაერთის) კავშირგაბმულობის სისტემის ელემენტი, განკუთვნილია ზემდგომ და ქვემდგომ ურთიერთმოქმედ შტაბებთან კავშირგაბმულობის უზრუნველყოფისთვის, აგრეთვე მართვის პუნქტის შიდა კავშირისთვის.

მ ო ძ რ ა ვ ი **კ.კ.**, მოძრავი მართვის პუნქტის ელემენტი, უზრუნველყოფს კავშირს ოპერაციებში, ხოლო მშვიდობიანობის დროს – სწავლებებსა და მანევრებზე.

ს ა ყ რ დ ე ნ ი **კ.კ.**, არის კავშირგაბმულობის საყრდენი ქსელის ელემენტი. ეწყობა კავშირგაბმულობის ღერძების გადაკვეთაზე.

ს ტ ა ც ი ო ნ ა რ უ ლ ი **კ.კ.**, სტაციონარული მართვის პუნქტის ელემენტი, განკუთვნილია კავშირის უზრუნველსაყოფად ჯარების ყოველდღიური საქმიანობის პირობებში. არის სტაციონარული ქსელის საფუძველი და შედის ტერიტორიული კავშირგაბმულობის ქსელის შემადგენლობაში.

კავშირგაბმულობის მიმართულება, მართვის ორ პუნქტს (მეთაურებს, შტაბებს) შორის ხაზით (არხით) კავშირგაბმულობის ორგანიზების ხერხი, რომელიც მათ უშუალოდ აკავშირებს. შეიძლება გამოყენებულ იქნეს კავშირგაბმულობის ყველა სახეობის (რადიო, რადიოსარელეო, ტროფოსფერული და სხვა) ორგანიზაციისას.

კავშირგაბმულობის საყრდენი კვანძი, იხ. *კავშირგაბმულობის კვანძი.*

კავშირგაბმულობის საშუალებები, ჯარების (ძალების) მართვის სისტემებში ცნობების გადაცემისა და მიღების საშუალებები. განასხვავებენ ელექტრონულ, მოძრავ და სასიგნალო-კოდურ **კ.ს**-ს. ელექტრონული **კ.ს**. იყოფა არხწარმომქმნელ (რადიოკავშირი, თანამგზავრული, რადიოსარელეო, ტროპოსფერული, სადენიანი და სხვა), საკომუტაციო, ხაზის ბოლოში არსებული (სატელეფონო, სატელეგრაფო და ფაქსიმილური აპარატები, ტრანსმიტერები, პერფორატორები, დისპლეები და სხვა) და სპეციალურ (ცნობების გასაიდუმლოების აპარატურა) **კ.ს**-ად.

მ ო ძ რ ა ვ ი **კ.ს.**, (ფელდიეგერულ-საფოსტო **კ.ს.**), უზრუნველყოფენ ყველა სახეობის საფოსტო გზავნილის (სახმელეთო, საავიაციო და საზღვაო ტრანსპორტის) ფელდიეგერების (ფელდიეგერი – მთავრობის ან სამხედრო უწყების საიდუმლო შიკრიკი) მიერ დანიშნულებისამებრ მიტანას, ხოლო ს ა ს ი გ ნ ა ლ ო - კ ო დ უ რ ი **კ.ს.**, წინასწარ მომზადებული აკუსტიკური, ვიზუალური ან რადიოტექნიკური სიგნალების სახით ცნობების გადაცემას.

კავშირგაბმულობის საშუალებების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყენების საიდუმლოების დაცვა, რაც გულისხმობს არაკომპეტენტური

პირებისთვის ღირებული ინფორმაციის მოპოვების საშუალების მიუწვდომლობას.

კავშირგაბმულობის საშუალებების ჩახშობა, მოწინააღმდეგისთვის კავშირგაბმულობის გამოყენებაში ხელშესაშლელად ელექტროაპარატებით დაბრკოლების შექმნა.

კავშირგაბმულობის სისტემა, კავშირგაბმულობის ძალების და საშუალებების ორგანიზაციულ-ტექნიკური გაერთიანება, რომელიც მთლიანად შეიარაღებულ ძალებში, გაერთიანებაში, შენაერთში, ნაწილში ოპერაციის (ბრძოლის) და ყოველდღიური საქმიანობის დროს ჯარების (ძალების) მართვისთვის იქმნება. მოიცავს: კავშირგაბმულობის საყრდენ ქსელს; მართვის პუნქტების კავშირგაბმულობის კვანძებს; პირდაპირი კავშირგაბმულობის ხაზებს; საყრდენ ქსელთან მართვის პუნქტების კავშირგაბმულობის კვანძების მიბმის ხაზებს; ფელდიეგერული საფოსტო კავშირგაბმულობის ქსელს; კავშირგაბმულობის ტექნიკური უზრუნველყოფის და ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზებულ სისტემას; კავშირგაბმულობის მართვის სისტემებს; კავშირგაბმულობის ძალების და საშუალებების რეზერვებს. **კ.ს.** შეიძლება იყოს სტაციონარული ან საველე (მოძრავი). სტაციონარული **კ.ს.**-ის საფუძველს შეადგენენ შეიარაღებული ძალების კავშირგაბმულობის სტაციონარული კვანძები, ხაზები და კავშირგაბმულობის სახელმწიფო ქსელები. საველე **კ.ს.** კავშირგაბმულობის საველე საშუალებების მეშვეობით იშლება. **კ.ს.**-ის მიმართ წაყენებული ძირითადი მოთხოვნებია: მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა, მდგრადობა, მაღალი მობილურობა, საჭირო გამტარუნარიანობა, ყველა სახის ინფორმაციის გადაცემის ფარულობის, უსაფრთხოებისა და უტყუარობის უზრუნველყოფა.

კავშირგაბმულობის სისტემის გამტარუნარიანობა, ინფორმაციის რაოდენობა, რომელიც დროის ერთეულში დადგენილი ან მოცემული მიმართულებით შეიძლება გადაიცეს (მიღებულ იქნეს). დამოკიდებულია კავშირგაბმულობის არხების რაოდენობაზე, მათი მუშაობის ეფექტიანობაზე, ინფორმაციის გავლის დროზე.

კავშირგაბმულობის ქსელი, 1. ზემდგომ და დაქვემდებარებულ (ურთიერთმოქმედ) მართვის პუნქტებს (მეთაურებს, შტაბებს) შორის ოპერაციებში (ბრძოლაში) ინფორმაციის გაცვლის მიზნით სამ ან მეტ მართვის პუნქტს შორის კავშირის ორგანიზების ხერხი. გამოიყენება ძირითადად რადიო და თანამგზავრულ ქსელებში. 2. კავშირგაბმულობის სისტემის ნაწილი, რომელიც გამოყოფილია სტრუქტურული ან ფუნქციური ნიშნის მიხედვით, წარმოადგენს კვანძების და მათი დამაკავშირებელი კავშირგაბმულობის ხაზების ერთობლიობას. სტრუქტურული ნიშნის მიხედვით განასხვავებენ სამეთაურო კავშირის და საერთო დანიშნულების ქსელებს. ფუნქციური ნიშნის მიხედვით განასხვავებენ პირველად და მეორეულ ელექტროკავშირის ქსელებს, ასევე საფელდიეგერო-საფოსტო კავშირის ქსელებს. სამხედრო კავშირის ქსელები მათი ელემენტების დაძვრის ხარისხის მოძრაობის მიხედვით არის ორ სახეობის: სტაციონალური და მობილური.

კავშირგაბმულობის ხაზი, გადამცემიდან მიმღებამდე სიგნალების გავრცელების ტექნიკური საშუალებების და ფიზიკური გარემოს ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთი ან რამდენიმე კავშირგაბმულობის არხის წარმოქმნას; კავშირგაბმულობის სისტემის ელემენტი. გამოყენებული სიგნალების ხასიათის მიხედვით კავშირგაბმულობის ხაზები არის: ელექტრონული, ხმოვანი (აკუსტიკური) და ოპტიკური.

კავშირგაბმულობის ჯარები, სპეციალური ჯარები, რომლებიც განკუთვნილია მშვიდობიანობის და ომიანობის დროს კავშირგაბმულობის სისტემების გაშლის და ჯარების (ძალების) მართვის უზრუნველყოფისთვის. უმეტეს სახელმწიფოთა არმიებში **კ.ჯ.** შედიან შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის და ჯარების ყველა გვარეობის შემადგენლობაში; **კ.ჯ.** უზრუნველყოფენ გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების მართვას. ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ასრულებენ, აგრეთვე მართვის პუნქტებში ავტომატიზაციის სისტემების და საშუალებების ექსპლუატაციის ამოცანებს. მოიცავენ საკვანძო და სახაზო შენაერთებსა და ნაწილებს, კავშირგაბმულობის და მართვის ავტომატიზებული სისტემების ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილებსა და ქვედანაყოფებს, კავშირგაბმულობის უსაფრთხოების, საფელდიეგერო-საფოსტო კავშირის სამსახურებს და სხვა.

კავშირები, ორ სამხედრო ქვედანაყოფს შორის კონტაქტი ან ურთიერთკავშირი საერთო მიზნის მისაღწევად ურთიერთშეთანხმებული მოქმედებების უზრუნველყოფის მიზნით.

კავშირი და ურთიერთქმედება, ურთიერთგაგების, მიზნების და მოქმედებების ერთობის მიზნით შეიარაღებული ძალების ნაწილებსა და ქვედანაყოფებს შორის კონტაქტი ან ინფორმაციის გაცვლა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მრავალეროვნული ოპერაციების დროს, რომელშიც მონაწილეობენ ნატოს არაწევრი ძალები. მისი მიზანია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდალსა (მეთაურსა) და ეროვნულ სამხედრო კონტინგენტებს შორის ურთიერთობის და ურთიერთგაგების უზრუნველყოფა.

კავშირის და ინფორმაციის სისტემა, ინფორმაციის გადაცემის და დამუშავების განსაზღვრული ფუნქციების შესასრულებლად გამოყენებული საშუალებები, მეთოდები, აგრე-

თვე აუცილებლობის შემთხვევაში, პირადი შემადგენლობა.

კავშირის და ურთიერთქმედების სამხედრო მისია, ოფიცერი ან ოფიცრების ჯგუფი, მივლინებული სხვა საორგანიზაციო ერთეულში, სხვადასხვა სამხედრო ნაწილში, მართვის რგოლებში, სააგენტოებში, სამმართველოებში, ოფისებში, დეპარტამენტებში ან სხვა მსგავს ორგანიზაციებში კონტაქტების, ან ურთიერთკავშირის შესანარჩუნებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მიზნების ერთიანობა და ურთიერთქმედება საერთო ამოცანის შესასრულებლად.

კავშირის ზონა, ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია კავშირი კავშირგაბმულობის საყრდენი ქსელით. განასხვავებენ ოპერატიულ (მოწინააღმდეგესთან ჯარების შეხების ხაზიდან ლოგისტიკის მართვის პუნქტის განლაგების ზღუდემდე) და ლოგისტიკის (ლოგისტიკის მართვის პუნქტის განლაგების ზღუდიდან გაერთიანების ზურგის საზღვრამდე) **კ.ზ**-ებს.

კაზაკობა, გასამხედროებული ფენა მეფის რუსეთში XVIII–XX საუკუნეების დასაწყისში. პირველად კაზაკები XIV საუკუნეში მოიხსენიებიან, როგორც დაქირავებული მეომრები საზღვრისპირა რაიონებში. XV–XVI საუკუნეებში სტეპების ზონაში, მდინარე დნეპრის, დონის, ვოლგის, ურალის, თერგის ნაპირებზე კაზაკთა გასამხედროებული თვითმმართველი თემები ჩამოყალიბდა, რომელთა შევსება ძირითადად გაქცეული გლეხებით ხდებოდა. რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა **კ**. საზღვრების დასაცავად და სამხედრო სამსახურისათვის გამოეყენებინა. XVIII საუკუნისათვის სახელმწიფომ დაიმორჩილა კაზაკები და გადააქცია ისინი პრივილეგირებულ სამხედრო წოდებად. XX საუკუნისათვის რუსეთის იმპერიაში არსებობდა კაზაკთა 11 ლაშქარი (დონის, ყუბანის, ორენბურგის, თერგის, ამურის და სხვა), რომელთაგან *პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე* 300 ათ. კაცი იბრძოდა. 1920 წელს **კ**., როგორც სოციალური ფენა, საბჭოთა ხელისუფლებამ გააუქმა.

კაზუს ბელი (ლათინური Casus belli – ომამდე მიყვანა), ფაქტი ან მოვლენა, რომელიც ომის ფორმალური საბაბია და არა მისი გამომწვევი ნამდვილი მიზეზი. მაგალითად, I მსოფლიო ომის **კ.ბ**. იყო ბოსნიის ქ. სარაევოში ავსტრიის ერცჰერცოგის ფერდინანდის მკვლელობა 1914 წლის 28 ივნისს.

კაზუს ფედერისი (ლათინური casus foederis – საბაბი კავშირისთვის), გარემოებები, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებენ, სამხედრო კავშირის ხელშეკრულების თანახმად, ჩაებას ომში, რომელსაც უკვე აწარმოებს მისი მოკავშირე ან დაიწყოს ომი მის დასაცავად.

კალანდაძე გიორგი ზურაბის ძე (დ. 1980), ბრიგადის გენერალი (2012), გაერთიანებული შტაბის უფროსი (2012). დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი (1995–97), გაერთიანებული სამხედრო აკადემია (1997–2001). მუშაობდა საქართველოს თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში (2001–06), მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაური (2006–09), სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე (2009–10), სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი (2010–11), გაერთიანებული შტაბის უფროსის პირველი მოადგილე (2010–12). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

კალაშნიკოვი მიხეილ ტიმოთეს ძე (1919–2013) ცნობილი კონსტრუქტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1971), პოლკოვნიკი (1969), ორგზის სოციალისტური შრომის გმირი (1958, 1976). მისი შექმნილია АН და АКМ ავტომატები, ავტომატური ტყვიამფრქვევები АК, РПК, ПК, ПКТ და სხვა. ლენინური (1964) და სახელმწიფო (1949) პრემიების ლაურეატი. მის მიერ შექმნილი იარაღი არის უნიკალური კონსტრუქციის ნებისმიერ პირობებში (წყალქვეშ, უდაბნოში, ყინვაში და სხვა).

კალიბრი (ფრანგული – calibre), 1. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის არხის მიმმართველი ნაწილის დიამეტრი. თანამედროვე ცეცხლსასროლი იარაღის **კ**. ხშირ შემთხვევაში გამოისახება მილიმეტრებში. გამონაკლისს წარმოადგენს სასროლი იარაღის **კ**., რომელიც აშშ-ში ტრადიციულად აღინიშნება დიუმის მეასედ ნაწილებში, ხოლო დიდ ბრიტანეთში – მეათასედებში. არტილერიაში **კ**., რომელიც ჭურვის მასით განისაზღვრებოდა, შემოიტანეს XVI საუკუნის შუა წლებში; 2. საავიაციო ბომბის **კ**. – მისი მასა კილოგრამებში.

კამერუნი (Cameroun – კამერუნის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში. ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი გადის ატლანტის ოკეანის გვინეის ყურეში. ფართობი 475,4 ათ. *კმ*². მოსახლეობა 19,9 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ფრანგული და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. იაუნდე. ადმინისტრაციულად იყოფა 10 პროვინციად. **კ**. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს და ეროვნულ კრებას (ერთპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1972 წლის 20 მაისს, 1984 წელს ახლანდელი დასახელება ეწოდა. **კ**-ს უკავია მოწინავე პოზიციები ცენტრალურ აფრიკაში ეკონომიკის მაჩვენებლების მიხედვით. მთავარი საექსპორტო პროდუქციაა: ნავთობი, კაკაო, ყავა, ბამბა, ალუმინი და ხის მერქანი. საზღვაო პორტებია: დუალა, კრიბი. საერთაშორისო აეროპორტებია: დუალა, იაუნდე, ტიკო და მარუა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 14,1 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 12,5 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 300, სამხედრო-საზღვაო ძალები 1,3 ათ., გასამხედროე-

ბული ფორმირება – ჟანდარმერია 9 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

კამპანია (ფრანგული champagne, ინგლისური campaign – ლაშქრობა), საომარი მოქმედებების კონტინენტურ და საოკეანო (საზღვაო) თეატრზე სხვადასხვა გვარეობის ჯარების (ძალების) იმ დაჯგუფებების ოპერაციების, ბატალიების, დარტყმების და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო ჩანაფიქრით და ომით მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევას ისახავენ. ომის გარკვეული ეტაპი. ჩვეულებრივ, აღინიშნება კალენდარული ჩარჩოებით (წელიწადი, წელიწადის დრო და ა.შ.) და საომარი მოქმედების თეატრის დასახელებით.

კამპანიის გეგმა, ერთმანეთთან დაკავშირებული სამხედრო ოპერაციების სერიის ჩატარების გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სტრატეგიული ან ოპერატიული ამოცანის შესრულებას დადგენილი დროის ფარგლებში და განსაზღვრულ ადგილას.

კანადა, (Canada) სახელმწიფო ჩრდილოეთ ამერიკაში. უჭირავს ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის ნაწილი მიმდებარე კუნძულებით. ჩრდილოეთით ესაზღვრება ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე, სამხრეთ-დასავლეთით – წყნარი ოკეანე და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ატლანტის ოკეანე. ფართობი 9976,2 ათ. *კმ*². მოსახლეობა 33,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ინგლისური, ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ოტავა. ადმინისტრაციულად იყოფა 10 პროვინციად და 3 ტერიტორიად. **კ.** ფედერალური სახელმწიფოა და შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის შემადგენლობაში. სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1931 წლიდან, ნატოს წევრი ქვეყანაა. სამრეწველო წარმოების მიხედვით შედის მსოფლიოს 10 ყველაზე განვითარებული ქვეყნების რიგში, **კ.** ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მოწინავე ადგილი უჭირავს მინერალური მასალების წარმოებისა და ექსპორტის მიხედვით (ნიკელი, ალუმინი, ტყვია, ურანი, ბრინჯაო, ოქრო, რკინის მადანი, ნავთობი, გაზი, ქვანახშირი, და სხვა). განვითარებულია მანქანათმშენებლობა (ავტომობილების, თვითმფრინავების, ელექტროტექნიკური, რადიოელექტრონული, სამრეწველო აღჭურვილობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების), ხის დამამუშავებელი, ცელულოზა-ქაღალდის, ქიმიური და ნავთობპროდუქტების, საკვები პროდუქტების და სხვათა წარმოება. სოფლის მეურნეობა მთლიანად აკმაყოფილებს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს და არის მსოფლიოს მოწინავე ექსპორტიორი. **კ.** ნატოს ქვეყნებისთვის იარაღის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმწოდებელია. ძირითადი საზღვაო პორტებია: ვანკუვერი, სეტ-ილი, მონრეალი, ჰალიფაქსი და კვებეკი. საერთაშორისო აეროპორტებია: მირაბელი (მონრეალი), აპლეიდსი (ოტავა), ტორონტო, ვანკუვერი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 66,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 34,7 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 19,9 ათ., სამხედრო-საზღვაო ძალები 11,9 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

კანე, სოფელი სამხრეთ-აღმოსავლეთ იტალიაში, რომლის მახლობლად ძვ.წ. 216 წლის 2 აგვისტოს, II პუნიკური ომის დროს, კართაგენელთა არმიამ (50 ათ. კაცი) *ჰანიბალის* მეთაურობით ალყაში მოაქცია და სასტიკად დაამარცხა რომაელთა 70 ათ.-ანი არმია. **კ**-ს ბრძოლა ითვლება მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების ალყაში მოქცევისა და სრული განადგურების კლასიკურ ნიმუშად.

კანონი სამხედრო ვალდებულების შესახებ, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც მიიღება კონსტიტუციური დებულების გასავითარებლად და მოქალაქეების მიერ სამხედრო ვალდებულებების რეალიზაციის პირობებისა და წესის რეგლამენტირებისთვის.

კანონიერება შეიარაღებულ ძალებში, სამხედრო მმართველობის ორგანოების, თანამდებობის პირების, სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პერსონალის მიერ სახელმწიფო და სამხედრო კანონმდებლობის შესრულება; სახელმწიფო-სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ამკვიდრებს მართლწესრიგს, შეიარაღებული ძალების ცხოვრების და საქმიანობის მწყობრ ორგანიზაციას, კანონების დაცვის კონტროლისა და ზედამხედველობის სისტემას.

კაპანაძე ვახტანგ მიხეილის ძე (დ. 1960), გენერალ-მაიორი (2013), საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი (2013–16). სამხედრო მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი (2014). დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალობა – ოკეანოლოგია (1978–83), ჯ. მარშალის სახელობის სამხედრო ბიუჯეტის დაგეგმარებისა და უსაფრთხოების კოლეჯი (გერმანია, 1997), თავდაცვის ნაციონალური აკადემიის ოპერატიულ-ტაქტიკური ფაკულტეტი ოქროს მედლით (უკრაინა, 1999), სახმელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯი (აშშ, 2003). ავღანეთის ვეტერანთა ბატალიონის შტაბის უფროსი (1991–92), სპეციალური დაზვერვის ბატალიონის მეთაური (1992), საქართველოს გენერალური შტაბის საჯარისო დაზვევრის სამმართველოს განყო-

ფილების უფროსი (1993–95), დაზვევრის მთავარი სამმართველოს საჯარისო დაზვერვის სამმართველოს უფროსი (1995–99), საქართველოს შეიარაღებული ძალების მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური (1999–2001), საქართველოს გენერალური შტაბის J-2 დაზვევრის დეპარტამენტის უფროსი (2001–02), საქართველოს გენერალური შტაბის სახმელეთო ძალების (სწრაფი რეაგირების ძალების) შტაბის უფროსი (2003–04), საქართველოს გენერალური შტაბის უფროსი (2004–05), საქართველოს პრეზიდენტის სამხედრო მრჩეველი (2005–06), აფხაზეთის მთავრობის მინისტრის მოადგილე და აფხაზეთის მთავრობის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი (2006), საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი (2007), სრულუფლებიანი და საგანგებო დესპანი პოლონეთის რესპუბლიკაში (2007–08), საქართველოს საგარეო დაზვევრის სპეციალური სამსახურის უფროსის მოადგილე (2008–12),. დაჯილდოებულია ღირსების (1992) და „ვახტანგ გორგასლის“ III ხარისხის ორდენებით, აშშ-ის ეროვნული გვარდიის საპატიო მედლით. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების წევრი და აშშ-ის სახმელეთო ძალების ომის წარმოების კოლეჯის „ღირსების დარბაზის“ საპატიო წევრი.

კაპარჭი, ისრის ბუდე.

კაპელანი (ლათინური – capellanus), 1. კათოლიკეებში – სამეფო კარის მღვდელი. 2. ზოგ ბურჟუაზიულ ქვეყანაში – არმიის მღვდელი.

კაპერი (ჰოლანდიური – Kaper), 1. XVI–XVII საუკუნეებში კერძო ხომალდი, რომელიც ხელისუფლების ნებართვით შეიარაღებული იყო მოწინააღმდეგის სავაჭრო გემებთან საბრძოლველად; 2. კერძო პირი, რომელსაც სახელმწიფოსგან კაპერობის სპეციალური ნებართვა აქვს აღებული.

კაპიტანი (ფრანგული – capitane), ოფიცრის ჩინი მრავალ ქვეყანაში. გაჩნდა შუა საუკუნეებში საფრანგეთში. ყოფილ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში 1935 წელს დააწესეს სამხედრო წოდებები: **კ.** (სახმელეთო ძალებში და სამხედრო-საჰაერო ძალებში), 1-ლი რანგის, მე-2 რანგის, მე-3 რანგის **კ.** და **კ.** – ლეიტენანტი (სამხედრო-საზღვაო ფლოტში).

კაპიტულაცია, საერთაშორისო სამართალში საომარი მოქმედების შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა, დამარცხებული მხარის დათანხმება იმ პირობებზე, რომლებსაც გამარჯვებული უკარნახებს. გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, დამარცხებული მხარის მიერ შეიარაღებული წინააღმდეგობის შეწყვეტას და განცხადებას, რომ აბარებს შეიარაღებულ ძალებს, რომელთა პირადი შემადგენლობა მოწინააღმდეგეს გადაეცემა სამხედრო ტყვეების სახით. განასხვავებენ **კ**-ის ორ სახეობას: ნაწილობრივს და უსიტყვოს (სრულს). ნაწილობრივი **კ.** (უბრალო ან საპატიო) არ იწვევს სახელმწიფოს სახელით პოლიტიკური ვალდებულებების აღებას. უსიტყვო **კ**-ს, ჩვეულებრივ, ხელს აწერენ შეიარაღებული ძალების სრული განადგურებისას გამარჯვებულის მიერ წარმოდგენილი პირობებით. მაგალითად, II მსოფლიო ომის დასრულების დროს გენერალმა ვ. კეიტელმა ხელი მოაწერა გერმანიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო **კ**-ს.

კაპონირი (ფრანგული – caponniere), 1. თავდაცვითი ნაგებობა, რომლიდანაც შესაძლებელია ცეცხლის წარმართვა ორი ერთმანეთის საპირისპირო მიმართულებით, 2. თვითმფრინავის საფარი, თავშესაფარი.

კაპრალი (ფრანგული Caporal – გუნდის უფროსი), ზოგიერთი ქვეყნის არმიაში უმცროს მეთაურთა შემადგენლობის სამხედრო წოდება.

კაშიანი იარაღი (თოფი, დამბაჩა), ცეცხლსასროლი იარაღი (გლუვლულიანი ან დაკუთხვილი) კაჟიანი საკეტით, რომელშიც მუხტის აალება ხდებოდა კაჟის ნატეხის (ტალი) ფოლადის ფირფიტაზე (კვესი) დარტყმის შედეგად წარმოქმნილი ნაპერწკლებით. გამოიყენებიდა XVI საუკუნიდან. XIX საუკუნის შუა ხანებში შეცვალა კაფსულიანმა იარაღმა.

კარა, ძველი ქალაქი ჩრდილო-დასავლეთ მესოპოტამიაში (ახლანდელი ქ. ჰარანი, თურქეთი), რომლის მახლობლად ძვ.წ. 53 პართიელებმა (10 ათ. მხედარი, სურენა) დაამარცხეს რომაელთა არმია (40 ათ-ზე მეტი, მ. კრასუსი). ბრძოლა **კ**-სთან გარდატეხის მომენტი იყო რომსა და პართიას შორის მიმდინარე ომში.

კარაბინერები (ფრანგული carabiniers – მსუბუქი კავალერიის ჯარისკაცი), 1. XVII საუკუნის დასაწყისიდან *კარაბინებით* შეიარაღებული რჩეული მსროლელები არაერთი ევროპული ქვეყნის არმიაში; 2. ჟანდარმერიის პირადი შემადგენლობა იტალიასა და ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში.

კარაბინი (ფრანგული – carabine), მოკლე და მსუბუქი თოფი (შაშხანა). შეიქმნა XV საუკუნეში. XVIII–XX საუკუნეების I ნახევარში ძირითადად გამოიყენებოდა კავალერიისა და არტილერიის პირადი შემადგენლობის შესაიარაღებლად; *მეორე მსოფლიო ომის* შემდეგ ავტომატური **კ**-ებით შეიარაღებულია არმიათა უმეტესობა. **კ**-ს უწოდებენ აგრეთვე ზოგიერთ კუთხვილიან სანადირო თოფს.

კარავი, ქსოვილის გასაშლელი საცხოვრებელი საველე პირობებში პირადი შემადგენლობის, სამხედრო ტექნიკის, სამედიცინო დაწესებულებების, სახელოსნოების, საწყობების განლაგებისთვის და სხვა. განასხვავებენ სალაშქრო (საზაფხულო და საზამთრო), საბანაკო (გამოიყენება ზაფხულობით) და უნიფიცირებულ (წელიწადის ნებისმიერი დროისთვის) **კ**-ებს.

კარანტინი (იტალიური quaranta giorni – ორმოცი დღე), 1. სარეჟიმო, ეპიდემიის საწინააღმდეგო და სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ეპიდემიის კერის სრულ იზოლაციას და მასში ინფექციურ დაავადებათა ლიკვიდაციას მოითხოვს. ეწყობა დაავადების კერიდან ინფექციების გავრცელების პროფილაქტიკისათვის და ინფექციების, დაავადებების გადატანის თავიდან აცილების მიზნით. **კ.** პირველად დააწესეს იტალიაში XIV საუკუნეში. შავი ჭირის გავრცელების ადგილებიდან ჩამოსულ გემებს რეიდზე 40-დღე აჩერებდნენ (აქედან მომდინარეობს სახელწოდება **კ.**). შეიარაღებულ ძალებში **კ.** შეიძლება დაუწესონ ცელკეულ სამხედრო მოსამსახურეებს, მათი ოჯახის წევრებს, ქვედანაყოფებს, ნაწილებს (ხომალდებს), შენაერთების დისლოკაციის რაიონებს, რკინიზის ეშელონებს და ა.შ. **კ**-ის დაწესებისას აკრძალულია **კ**-ის რაიონიდან გასვლა, მკაცრად იზღუდება შესვლა, რეჟიმის უზრუნველსაყოფად ეწყობა სპეციალური საკომენდატო სამსახური; ორგანიზაციას უწევენ რაიონების, ნაწილების, მოსახლეობის ჯგუფების შეიარაღებულ დაცვას; 2. სპეციალური სანიტარიული დაწესებულება საკარანტინო დაავადების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მოიცავს სნეულთა იზოლატორს; **კ**-ში მყოფ პირთა შენობას; სანიტარიულ გამშვებს, აგრეთვე სამედიცინო და სამეურნეო დანიშნულების სხვა შენობებს, სანიტარიულ და სამეურნეო ტრანსპორტს.

კარე (ფრანგული carré – კვადრატი), XVII–XIX საუკუნეების ევროპულ არმიებში ქვეითი ჯარის საბრძოლო წყობა ერთი ან რამდენიმე კვადრატის (მართკუთხედის) ფორმის.

კართაგენი, ძვ. ქალაქ-სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში (ახლანდელი ტუნისის რაიონში). დააარსეს ძვ.წ. 825 ფინიკიელებმა. ძვ.წ. III საუკუნისათვის **კ**-მა დაიპყრო ჩრდილოეთ აფრიკა, სიცილიის დიდი ნაწილი, სარდინია, სამხრეთ ესპანეთი და გადაიქცა ხმელთაშუაზღვისპირეთის მძლავრ სახელმწიფოდ, რამაც გამოიწვია მისი შეჯახება რომთან. *პუნიკურ ომებში* (264–146) დამარცხების შემდეგ **კ.** რომაელებმა დაანგრიეს (ძვ.წ. 146). მისი ტერიტორიები რომის სახელმწიფოს შემადგენლობაში შევიდა.

კარიბის კრიზისი, კუბის კრიზისი (1962, ოქტომბერი), პოლიტიკური კრიზისი სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის, რომელმაც მსოფლიო ატომური ომის რეალური საფრთხის წინაშე დააყენა. წარმოიშვა მას შემდეგ, რაც საბჭოთა მხარემ კუბაზე განათავსა ბირთვული რაკეტები, რომელთა დაფარვის რადიუსში აშშ-ის ტერიტორიის $^2/_3$ შედიოდა, იქ განლაგებული უმნიშვნელოვანესი სამრეწველო და ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრებით. სსრ კავშირის მთავრობა ამ აქციას განიხილავდა, როგორც საპასუხო ნაბიჯს თურქეთსა და იტალიაში ამერიკული რაკეტების განთავსებისა და კუბის საზღვაო ბლოკადის გამო. კრიზისმა პიკს მიაღწია 27 ოქტომბერს, როდესაც საბჭოთა ჯარებმა კუბის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს ამერიკული მზვერავი თვითმფრინავი (პილოტი დაიღუპა). მესამე მსოფლიო ომის დაწყებამდე ნაბიჯიდა რჩებოდა, მაგრამ მხარეთა ლიდერებმა, აშშ-ის პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ და საბჭოთა ხელმძღვანელმა ნ. ხრუშჩოვმა, შეძლეს კომპრომისის მიღწევა: საბჭოელებმა კუბიდან გაიტანეს თავისი რაკეტები, ხოლო ამერიკელებმა შეწყვიტეს კუბის ბლოკადა და გაიტანეს სარაკეტო ბაზები თურქეთიდან და იტალიიდან.

კარლოს დიდი (ლათინური – Carolus Magnus) (742–814), ფრანკების მეფე 768 წლიდან, 800 წლიდან იმპერატორი, კაროლინგების დინასტიიდან. დაპყრობითი ომებით შექმნა ვრცელი იმპერია. მისმა პოლიტიკამ (ეკლესიის მფარველობა, სასამართლო და სამხედრო რეფორმები და სხვა) ხელი შეუწყო დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

კარლოს XII (1682–1718), შვედეთის მეფე 1697 წლიდან, მხედართმთავარი. 1700–21 წლებში, ჩრდილოეთის ომის დასაწყისში, მოიპოვა მნიშვნელოვანი გამარჯვებები, მაგრამ მისი რუსეთში ლაშქრობა *პეტრე I*-ის წინააღმდეგ დამთავრდა პოლტავასთან სასტიკი დამარცხებით (1709). **კ. XII** ოსმალეთში გაიქცა. 1715 წელს შვედეთში დაბრუნდა. მოკლეს ნორვეგიაში ლაშქრობის დროს.

კარტეჩი, იხ. *ფინდიხი.*

კარტოგრაფიული პირობითი ნიშნები, იხ. *პირობითი ნიშნები.*

კასეტური საარტილერიო ჯურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

კატალაუნის ბრძოლა 451, საფრანგეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კატალაუნის ველზე, ივნისის II ნახევარში გამართულ ე.წ. „ხალხების ბრძოლაში“ დასავლეთ რომის იმპერიის არმიამ აეციუსის სარდლობით ფრანკებთან, ვესტგუთებთან, ბურგუნდებთან და ალანებთან ერთად დაამარცხა ჰუნებისა და მათი ქვეშევრდომი ტომების (ოსტგუთები, გეპიდები და სხვა) ლაშქარი, რომლსაც მეთაურობდა *ატილა.* ამ ბრძოლამ შეარყია ჰუნების ძლიერება და შეაჩერა მათი წინსვლა დასავლეთ ევროპაში.

კატაპულტა (ლათინური – catapulta), 1. ქვების, ისრების ან ცხელფისიანი კასრების მტყორცნელი მანქანა, რომელიც მოქმედებაში მოჰყავს დაგრეხილი ბოჭკოს (ძარღვების, თმისა და სხვა) დრეკად ძალებს. იყენებდნენ ძვ.წ. V საუკუნის ბოლომდე (ძველი საბერძნეთი და რომი), ახ.წ. XIV საუკუნიდან XV საუკუნის ბოლომდე (ევროპა), უმთავრესად

ციხესიმაგრეების ალყის დროს, შემსუბუქებულ ნიმუშებს კი – საველე ბრძოლებშიც; 2. მოწყობილობა, რომელიც საფრენ აპარატებს (თვითმფრინავებს, პლანერებსა და სხვა) გზის მოკლე მონაკვეთზე აძლევს საწყის (სასტარტო) სიჩქარეს; 3. მფრინავებისა და ასტრონავტების სავარჯიშო სტენდი კატაპულტირების მეთოდიკის ასათვისებლად.

კატარი (Qatar – სახელმწიფო კატარი), სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. ესაზღვრება სპარსეთის ყურე. ფართობი 11,4 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 1,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. დოჰა. **კ**-ში აბსოლუტური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – ამირა. საკანონმდებლო ძალაუფლებას ფლობს ამირა, აღმასრულებელს – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1971 წლის 1 სექტემბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის, გაზის მოპოვება და გადამუშავება. საზღვაო პორტებია: უმ-საიდი, დოჰა, ელ-ჰაური. საერთაშორისო აეროპორტი დოჰა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11,8 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 8,5 ათ., სამხედრო-საჰაერო 1,5 ათ. და საჰაერო დაცვის ძალები 1,8 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

კატარღასაწინააღმდეგო თავდაცვა (ხომალდის, ხომალდების შენაერთის, ბადრაგის), იმ ღონისძიებებისა და მოქმედებების კომპლექსი, რომელთა მიზანია არ დაუშვან ხომალდების დაზიანება მოწინააღმდეგის საბრძოლო კატარღების სარაკეტო და სატორპედო იარაღით. ხორციელდება შორეულ და ახლო ზონებში ტაქტიკური დაზვერვის თვითმფრინავების, ვერტმფრენების და ხომალდების, ნავსაწინააღმდეგო დაცვის ჯგუფების, სახომალდო და საძიებო დამრტყმელი დაჯგუფების, სახომალდო და სანაპირო ბაზირების მოიერიშე ავიაციის დაჯგუფებების, შენაერთის ძირითადი ძალების მიერ. ასევე რადიოლოკაციური დაზვერვის და რადიოელექტრონული ბრძოლის, ხომალდების საცეცხლე საშუალებებით. ხომალდების **კ.თ**. ეწყობა სექტორების მიხედვით და ხორციელდება ხომალდის ყველა საცეცხლე საშუალების და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების გამოყენებით.

კატარღასაწინააღმდეგო უზრუნველყოფა, ფლოტის ძალების ხომალდების (ხომალდთა ჯგუფების), ნაწილებისა და ქვედანაყოფების საბრძოლო მოქმედებები, სპეციალური ღონისძიებები, რომლებიც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება ხომალდებისა და გემების გადასვლისას ზღვით, ბაზირების პუნქტებსა და საბრძოლო მოქმედებების რაიონებში, ასევე სანაპირო ობიექტების დასაცავად სარაკეტო, სატორპედო და საარტილერიო კატარღების დარტყმებისაგან ან მათ მიერ დაზვერვის წარმოების, ნაღმების დაყენების, დესანტებისა და მზვერავ-დივერსანტთა ჯგუფების გადმოსხმის აღკვეთის მიზნით. ფლოტის ძალების მოქმედებების ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა.

კატასტროფაგანცდილი წყალქვეშა ნავი, მწყობრიდან გამოყვანილი წყალქვეშა ნავი, რომელიც ფსკერზეა და ზედაპირზე ამოსვლის საშუალება არ გააჩნია. ნატოს ქვეყნებში წყალქვეშა ნავის ასეთ მდგომარეობას „NDISSUB“ ეწოდება.

კატასტროფის დროს ხომალდებისთვის დახმარების აღმოჩენა, სამაშველო და სხვა ხომალდების, თვითმფრინავების (ვერტმფრენების) მოქმედებები ხომალდების გადასარჩენად, რომლებიც დაზიანდნენ ბრძოლაში ან სხვა ხომალდთან შეჯახებისას. ასევე – ხანძრის, მეჩეჩზე დასმის, მთავარი ძრავების ავარიის, სვლის და მართვის დაკარგვის შედეგად. გულისხმობს ძებნას, ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ავარიული ბრიგადების ხომალდთან მისვლას და მგზავრების, ეკიპაჟის გადმოსხმას, ხომალდის ვარგისიანობისათვის ბრძოლას, სვლადაკარგული ხომალდის ბუქსირებას. თუ ხომალდის გადარჩენა შეუძლებელია, მაშინ მთავარია ეკიპაჟის გადასარჩენად ზომების მიღება.

კატაფრაქტები (ბერძნული katafracto – დაცულები), 1. გრძელი შუბებითა და დამცავი აბჯრით აღჭურვილი მძიმე ცხენოსანი ჯარი ძვ.წ. IV საუკუნის მაკედონიაში; 2. საბრძოლო ხომალდები საბერძნეთში ძვ.წ. III საუკუნიდან; ჰქონდათ მთლიანი გემბანი და ფიცრული მენიჩბეთა დასაცავად. **კ**-ის გაჩენამდე ხომალდებს გემბანი ჰქონდათ მხოლოდ ცხვირსა და კიჩოზე.

კატასტროფა (ბერძნული catastrophe – გადატრიალება, განადგურება, მსხვერპლი), უეცარი მოქმედება, მოვლენა, რომელსაც მოსდევს ტრაგიკული შედეგები – ნგრევა, განადგურება, ვინმეს ან რამეს დაღუპვა, დიდი სამხედრო მარცხი. შეიარაღებულ ძალებში **კ**. – სამხედრო ტექნიკასთან (თვითმფრინავთან, ხომალდთან, ტანკთან და სხვა) დაკავშირებული შემთხვევა, რომელსაც შედეგად ადამიანთა დაღუპვა მოჰყვა.

კახეთის აჯანყება 1605, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა სეფიანთა ირანის წინააღმდეგ. აჯანყების უშუალო მიზეზი გახდა შაჰ *აბას I*-ის დავალებით კახეთის მეფის ალექსანდრე II-ისა და მისი თანხმლები პირების დახოცვა 1605 წლის 12 მარტს ყიზილბაშთა მიერ, რომლებსაც მეთაურობდა მეფე ალექსანდრეს ვაჟი, ირანში გაზრდილი და გამაჰმადიანებული კონსტანტინე. ხალხმა მამის მკვლელი მეფედ არ მიიღო და კახეთში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებს სამხედრო დახმარება

აღმოუჩინა ქართლის მეფე გიორგი X-მ. ქართველებმა ბელაქნისწყალზე მომხდარ ბრძოლაში დაამარცხეს კონსტანტინეს ლაშქარი, ხოლო თვითონ – მოკლეს. **კ.ა**-მ აიძულა შაჰი დათმობაზე წასულიყო. 1606 წელს მან კახეთის მეფედ დაამტკიცა კონსტანტინე II-ის შვილიშვილი, ქრისტიანი თეიმურაზ დავითის ძე (*თეიმურაზ I*).

კახეთის აჯანყება 1615, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა სეფიანთა ირანის წინააღმდეგ. 1614 წელს *აბას I*-ის ჯარების შემოსევით აოხრებული კახეთის მოსახლეობა (იხ. *აბას I-ის ლაშქრობები საქართველოში*) შესაფერის მომენტს უცდიდა აჯანყების დასაწყებად. ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებისას, 1615 წლის 15 სექტემბერს, კახეთში აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა ამოხოცეს ალავერდის გალავანში გამაგრებული ყიზილბაშთა რაზმი და ეს ამბავი ქუთაისში მყოფ *თეიმურაზ I*-ს აცნობეს. იგი სასწრაფოდ ჩავიდა კახეთში, სათავეში ჩაუდგა აჯანყებას და განაგრძო კახეთის ციხეების გაწმენდა ირანული გარნიზონებისაგან. შაჰმა აჯანყების ჩასახშობად 15 ათ-ანი ლაშქარი გამოგზავნა ალიყული-ხანის სარდლობით, მაგრამ თეიმურაზ I-მა, რომელმაც მტრის გეგმების შესახებ შაჰის სამსახურში მყოფი ქართველებისგან შეიტყო, 6 ათასი მეომრით არაგვზე ბრძოლა გაუმართა ალიყული-ხანს და დაამარცხა იგი. ყიზილბაშთა დახოცვამ შაჰ-აბასი სასტიკად განარისხა. 1616 წლის გაზაფხულზე იგი პირადად ჩაუდგა სათავეში დამსჯელ ლაშქრობას, შემოიჭრა კახეთში და სასტიკად ააოხრა ქვეყანა. *თეიმურაზ I* იძულებული გახდა ისევ იმერეთისთვის შეეფარებინა თავი.

კახეთის აჯანყება 1659, კახეთის მოსახლეობის ბრძოლა სეფიანთა ირანის წინააღმდეგ. აჯანყების საბაბი გახდა ირანის მმართველთა გადაწყვეტილება მათ მიერ დაპყრობილ კახეთში თურქმანული ტომების ჩასახლების შესახებ, რაც გამოიწვევდა ამ კუთხიდან ქართველთა განდევნას და ტერიტორიის საბოლოო ჩამოცილებას საქართველოდან. აჯანყებას მეთაურობდნენ თავადი ბიძინა ჩოლოყაშვილი, ზაალ არაგვის ერისთავი, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები. აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თუშებმა და ფშავ-ხევსურებმა ზეზვა გაფრინდაულის, გოგოლაურისა და ნადირა ხოშარაულის წინამძღოლობით. სწრაფი და ენერგიული მოქმედებებით ქართველებმა აიღეს ყიზილბაშთა საყრდენი პუნქტები – ბახტრიონისა და ალავერდის ციხეები და ჩამოსახლებული თურქმანები ზოგი დახოცეს, სხვები კი ქვეყნიდან გააძევეს. შაჰი იძულებული გახდა ხელი აეღო კახეთის „გათათრების“ გეგმაზე, თუმცა ქართველთა გათიშვისა და დაქსაქსვის გზით მოახერხა აჯანყების შეჩერება. ამრიგად, 1659 წელს აჯანყების შედეგად კახეთის მოსახლეობა გადაურჩა ფიზიკურ გადაშენებას, მაგრამ ირანელთა ბატონობის უღელი საბოლოოდ ვერ მოიცილა. რაც შეეხება 1659 წელს აჯანყების მეთაურებს, ზაალ არაგვის ერისთავი ქართლის მეფე ვახტანგ V-მ მოაკვლევინა (1660), ხოლო შალვა და ელიზბარ ერისთავები და ბიძინა ჩოლოყაშვილი 1662 წელს შაჰს ეახლნენ და პატიება ითხოვეს (ამჟამად არიან წმინდანებად აღიარეს). შაჰმა ისინი 1659 წელს კახეთში გაწყლეტილი თურქმანების თანატომელებს გადასცა, რომლებმაც ტყვეები საშინელი სისატკით დახოცეს.

კახეთის აჯანყება 1812, აჯანყება საქართველოში რუსეთის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ. ხალხის მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა მას შემდეგ, რაც რუსეთი ირანთან და ოსმალეთთან ომებში ჩაება. მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა სასურსათო გადასახადი და შრომითი ბეგარა. კრიზისი გაართულა 1810–11 წლებში სტიქიურმა უბედურებებმა და შავი ჭირის ეპიდემიამ. საქართველოში შიმშილობა დაიწყო. ასეთ პირობებში კახეთის სოფლებში ჩამდგარი რუსეთის ჯარი გლეხებს უკანასკნელ ლუკმას ართმევდა; არა მარტო ძარცვავდნენ, არამედ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ მათ ოჯახებს. უკმაყოფილო იყო თავადაზნაურობაც, რომელიც მისტიროდა ძველ პოლიტიკურ პრივილეგიებსა და ბაგრატიონთა მონარქიას. ამ ნიადაგზე 1812 წლის იანვარში კახეთში აჯანყებამ იფეთქა და მალე მასობრივი ხასიათი მიიღო. აჯანყებულებმა ცალკეულ სოფლებსა და ქალაქებში ჩამდგარი რუსთა რაზმები გაანადურეს და ბლოკადაში მოაქციეს თელავისა და ყარაღაჯის გარნიზონები. აჯანყებას შეუერთდნენ ფშავ-ხევსურები და თიანელებიც, რომლებმაც საქართველოს სამხედრო გზა გადაკეტეს. თბილისში უკვე აჯანყებულების დედაქალაქზე გამოლაშქრებას ელოდნენ, მაგრამ რუსთა ახალი ძალების გამოჩენამ მთავარმართებელ პაულუჩის სარდლობით მდგომარეობა შეცვალა. პაულუჩიმ 1 მარტს სოფელ ჩუმლაყთან აჯანყებულთა 4 ათ-ანი რაზმი დაამარცხა და თელავის რუსული გარნიზონი ბლოკადისაგან იხსნა. აჯანყების პირველი ეტაპი ამით დასრულდა, თუმცა ქართველთა ცალკეული რაზმები პარტიზანულ ბრძოლას განაგრძობდნენ. 1812 წლის ზაფხულში რუსეთს დიდი საფრთხე დაემუქრა ნაპოლეონის მოსკოვზე გალაშქრების გამო. დამთავრებული არ იყო რუსეთ-ირანის ომიც. კახეთის აჯანყების ლიდერები ამ ფაქტორებსაც ითვალისწინებდნენ. აჯანყებამ ახალი ძალით იფეთქა სექტემბრის დასაწყისში, როცა კახეთში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაუღლელი მებრძოლი *ალექსანდრე ბატონიშვილი* გამოჩნდა. მასთან მრავალი გლეხი და თავად-

აზნაური შეიკრიბა; მივიდა ლეკების რაზმიც. ბრძოლები, რომლებშიც ორივე მხარე დიდ ზარალს განიცდიდა, შემოდგომის მიწურულამდე გაგრძელდა, მაგრამ გადამწყვეტ შეტაკებაში 26 ნოემბერს სოფელ მანავთან ალექსანდრე დამარცხდა. ამ დროისთვის უკვე ნათელი იყო, რომ აჯანყების განგრძობას აზრი არ ჰქონდა. საერთო სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია რუსეთის სასარგებლოდ იყო შეცვლილი; ნაპოლეონი უკუიქცა, სპარსელებიც დამარცხდნენ. ამიტომ ბატონიშვილმა დატოვა კახეთი და მცირე რაზმით ხევსურეთს შეაფარა თავი. აჯანყების ჩახშობისას რუსეთის ჯარები ულმობლად უსწორდებოდნენ მოსახლეობას, წვავდნენ სოფლებს, კაფავდნენ ბაღ-ვენახებს; მოსახლეობას მძიმე კონტრიბუცია დააკისრეს. მაგრამ ამასთან ერთად, კოლონიურმა ადმინისტრაციამ გაითვალისწინა აჯანყების მიზეზები და შემდგომში მეტი ყურადღებით ეკიდებოდა ხალხის მოთხოვნებს; მიღებულ იქნა ზომები მმართველობის სისტემაში არსებული უსამართლობის შესაზღუდავად.

კევლარი, ბოჭკოვანი მასალისაგან დამზადებული ტყვიაგაუმტარი ქსოვილი, შექმნა ქიმიკოსმა მეცნიერმა ქალმა სტეფანი კვოლეკმა (Stephanie Kwolek 1923–2014), 1964 წელს. ქსოვილისაგან მზადდება ტყვიაგაუმტარი ჟილეტები, რომლებიც გაცილებით მსუბუქია მისი წინამორბედისაგან. **კ**-ს იყენებენ 200-ზე მეტი ნივთის დასამზადებლად.

კენია (Kenya – კენიის რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში. სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ინდოეთის ოკეანე. ფართობი 582,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 40,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – სუაჰილი და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ნაირობი. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და ეროვნული კრება – პარლამენტი. პრეზიდენტი არის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. **კ**. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. დამოუკიდებლობა აღიარა 1963 წლის 12 დეკემბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მიწათმოქმედება (ჩაი, ყავა). საზღვაო პორტი: მომბასა, მალინდი. საერთაშორისო აეროპორტებია: ნაირობი, მომბასა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 24,1 ათ. კაცი (2012) სახმელეთო ჯარები 21,3 ათ., სამხედრო-საჰაერო 1,5 ათ. და საჰაერო დაცვის ძალები 1,3 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

კვამლი (აეროზოლი), ხელოვნურად შექმნილი აეროზოლური სისტემა, რომელიც შედგება უწვრილესი მყარი ან თხევადი ნაწილაკებისგან. გამოიყენება მოწინააღმდეგის ხედვის არიდან ჯარების (ძალების) დასაფარავად; მოწინააღმდეგისთვის თვალთვალის გასართულებლად და მისი ცეცხლის ეფექტურობის შესამცირებლად; ოპტიკურ-ელექტრონული აპარატურის, თვალთვალის და იარაღის მიზნისკენ მიმართვის (ტელე, ლაზერული და სხვა) საშუალებების მოქმედების ეფექტურობის დასაქვეითებლად. ფერადი **კ**. გამოიყენება სიგნალის გადასაცემად.

კვამლის გაშვების ზღუდე, ადგილმდებარეობის მონაკვეთი, საიდანაც კვამლის ფარდების დაყენებისას ჯარების (ძალების) ადგილმდებარეობის, მანევრის ან სხვა მოქმედების დაფარვის მიზნით კვამლის გაშვება ხორციელდება.

კვამლის ფარდა (აეროზოლის ფარდა), აეროზოლის (კვამლის ან ნისლის) ხელოვნურად შექმნილი ღრუბელი, გამოიყენება მოწინააღმდეგისთვის ხილვადობის შესაზღუდავად, საკუთარი ჯარების (ძალების) და ობიექტების მოქმედების შესანიღბავად. **კ.ფ**-ები საკვამლე კოჭების, ხელყუმბარების, ნაღმების, ჭურვების, ბომბების, საკვამლე აპარატურის მეშვეობით იქმნება. **კ.ფ**-ებს განასხვავებენ: განლაგების მიხედვით – ფრონტალურს, ფლანგურს, ზურგის და ცრუ მიმართულების; დაყენების ხერხის მიხედვით – მოძრავს და უძრავს; მიზნის მიხედვით – დამაბრმავებელს და შემნიღბავს. შემნიღბავი **კ.ფ**-ები დიდ ფართობებზე შეიძლება იყოს მჭიდრო, ნახევრად გამჭვირვალე (ტრანსპარანტული) ან შემცირებული სიმჭიდროვისა (მბოლავი). სამხედრო მიზნებისათვის პირველად გამოიყენეს პირველ მსოფლიო ომში.

კვანძი ნ ა ვ ი გ ა ც ი ა შ ი, სიჩქარის სისტემის გარეშე ერთეული. უდრის 1 საზღვაო მილს *სთ*-ში: 1 **კ**. = 1 *მილ/სთ* 1,852 *კმ/სთ* = 0,5144 *მ/წმ*. ს ა ზ ღ ვ ა ო, **კ**-ები და საჭერები საზღვაო-სართავებზე; სართავების ერთმანეთთან ან რანჰოუტთან დამაგრების ადგილები. საზღვაო **კ**-ს უფრო ხშირად სატაკელაჟო სამუშაოების შესრულებისას იყენებენ. იგი თვითნებურად არ უნდა იხსნებოდეს, მაგრამ მისი გახსნა ადვილად უნდა ხდებოდეს. საზღვაო **კ**-ს ნასკვავენ დროებით და მხოლოდ მცენარეულ ბაგირებზე.

კვესელავა მიხეილ ალექსანდრეს ძე (1913–81), ქართველი ლიტერატურათმცოდნე, გერმანისტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1964), პროფესორი (1964), საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწე (1976), სსრ კავშირ-გერმანიის ომის მონაწილე. ომის დამთავრების შემდეგ ნიურნბერგში მთავარ სამხედრო დამნაშავეთა პროცესის ერთადერთი ქართველი მონაწილე. 1967 წელს გამოსცა ნაშრომი „ას ერგასის დღე“ („თემიდას თვალები“). ეძღვნება II მსოფლიო ომში ფაშისტთა დანაშაულებრივ ქმედებებს, თარგმნიდა და ამზადებდა მასალებს სასამართლო

პროცესისათვის. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები.

კვინიტაძე (ნამდვილი გვარი – ჩიქოვანი) გიორგი (1874–1970), ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. 1909 წელს დაამთავრა მოსკოვის გენერალური შტაბის აკადემია. მონაწილეობდა *რუსეთ-იაპონიისა* და *I მსოფლიო ომებში*. რუსეთის არმიაში მიაღწია გენერალ-მაიორის ჩინს. 1918–21 წლებში **ბ.** ქართულ ჯარში იყო. ეკავა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლის თანამდებობა, იყო სამხედრო სკოლის უფროსი. დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სამხედრო მშენებლობის საქმეში, მეთაურთა კადრების მომზადებაში. 1921 წლიდან **ბ.** ემიგრაციაში იყო, ცხოვრობდა საფრანგეთში.

კვიპროსი (Cyprus – კვიპროსის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აზიაში, კუნძულ კვიპროსზე, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. ფართობი 9,2 ათ. *კმ*². მოსახლეობა 1,1 მლნ. კაცი (2012), აქედან 80% – კვიპროსელი ბერძნები, 19% – კვიპროსელი თურქები. ოფიციალური ენები – ბერძნული და თურქული. დედაქალაქი – ქ. ნიქოზია. **ბ.** დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება ეკუთვნის წარმომადგენელთა პალატას, აღმასრულებელი – პრეზიდენტს (ბერძენს) და ვიცეპრეზიდენტს (თურქს). ისინი ნიშნავენ მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 16 აგვისტოს. დიდმა ბრიტანეთმა შეინარჩუნა ტერიტორიის 256 *კმ*² სამხედრო ბაზისთვის. საბერძნეთმა და თურქეთმა მიიღო უფლება ჯარების განლაგებაზე ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. 1975 წლის 13 თებერვალს ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში (ტერიტორიის 37%) გამოცხადდა „კვიპროსის რესპუბლიკის ფედერაციული თურქული სახელმწიფოს“ შექმნა. **ბ.** აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. საზღვაო პორტებია: ლიმასოლი, ლარნაკა, ფამაგუსტა. საერთაშორისო აეროპორტებია: ლარნაკა, ნიქოზია. **ბ.**-ის ბერძნული მხარის შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10 ათ. კაცი (2012) შედგება ეროვნული გვარდიისგან, რომელშიც შედის საზღვაო და საჰაერო კომპონენტები. **ბ**-ის თურქული მხარის შეიარაღებული ძალები, საერთო შემადგენლობით 3,5 ათ. კაცი, შედგება კვიპროსის უსაფრთხოების ძალებისაგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ორივე მხარეს ხორციელდება გაწვევით. **ბ**-ზე განლაგებულია გაეროს სამშვიდობო ძალები – 1,05 ათ. კაცი (2012) და დიდი ბრიტანეთის ორი სამხედრო-საზღვაო ბაზა (აკროტირი, დეკალეა).

კიბერომი (ბრძოლა), კომპიუტერებისა და ინტერნეტის საშუალებით კიბერ-სივრცეში წარმოებული ბრძოლა. ტერმინ „კიბერომის“ ქვეშ იგულისხმება კომპლექსური ზემოქმედება სახელმწიფო და სამხედრო მართვის კომპიუტერულ და საინფორმაციო სისტემებზე პარალიზების მიზნით, საკუთარი საინფორმაციო სისტემებისა და ინფრასტრუქტურების დაცვით.

კიბერტერორიზმი, საერთაშორისო ჯგუფების ან სპეციალური აგენტების მიერ საინფორმაციო, კომპიუტერულ სისტემებზე, პროგრამებსა და მონაცემებზე დაზიანების, რღვევის ან ბლოკირების მიზნით განხორციელებული წინასწარმომზადებული, არასამხედრო, პოლიტიკურად მოტივირებული დარტყმა.

კიდული სროლა, ადგილმდებარეობაზე საარტილერიო ქვემეხებიდან ლულის 20^0 მეტი ამაღლების კუთხეებზე სროლა. **ბ.ს**-ის ეფექტურობა იზრდება ამაღლების კუთხეების მატებით, ვინაიდან ამ დროს ჭურვების ვარდნის კუთხე მატულობს. ამის შედეგად იზრდება მათი მსხვრევადი ან ფუგასური მოქმედება. 45^0 მეტი ამაღლების კუთხის პირობებში სროლას მორტირული ეწოდება. **ბ.ს**. ყველაზე მეტად დამახასიათებელია ჰაუბიცებისა და ნაღმსატყორცნებისთვის, რომლებსაც ამაღლების დიდი კუთხეების გარდა ცვალებადი მუხტები აქვთ.

კიევის ბრძოლა 1941, (საბჭოთა და რუსულ ლიტერატურაში: კიევის თავდაცვითი ოპერაცია 1941), ფართომასშტაბიანი ბრძოლა *წითელ არმიასა* და *გერმახტს* შორის *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს (1941 წლის 7 ივლისი – 26 სექტემბერი). გერმანიის მხრიდან მონაწილეობდნენ არმიათა ჯგუფი „სამხრეთი“ (გენერალი-ფელდმარშალი ფონ რუნდშტედტი), II სატანკო ჯგუფი და არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ II არმია. საბჭოთა მხრიდან – სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის (გენერალ-პოლკოვნიკი კიპრონოსი) ჯარები და პინსკის ფლოტილია (კონტრ-ადმირალი როგაჩოვი); საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებდა მარშალი ბუდიონი. სმოლენსკის აღების შემდეგ (1941 წლის ივლისი) ჰიტლერმა აღმოსავლეთის არმიას უბრძანა კიევის რაიონში მყოფი საბჭოთა ჯარების განადგურება, უკრაინისა და ყირიმის ხელში ჩაგდება. გერმანელებმა ძლიერი ორმხრივი დარტყმებით (ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან) კიევის აღმოსავლეთით ალყაში მოაქციეს მსხვილი საბჭოთა დაჯგუფება, რომელიც სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად რამდენიმე ნაწილად იყო გახლეჩილი, განადგურებული ან დატყვევებული. საბჭოელებმა დაკარგეს მოკლულების, უგზოუკვლოდ დაკარგულებისა და ტყვეების სახით 616 ათ-ზე მეტი ჯარისკაცი, დაჭრილი იყო 84 ათ-ზე მეტი. დაღუპულთა შორის იყო გენერალი კიპრონოსიც.

კ.ბ-ის შედეგებით რთული მდგომარეობა შეექმნა მთელ საბჭოთა ფრონტს, ხოლო გერმანელებს გზა გაეხსნათ აღმოსავლეთ უკრაინის, დონბასისა და აზოვის ზღვისაკენ. ამავე დროს მძიმე ბრძოლებმა კიევთან 2 თვით შეაფერხეს გერმანელთა შეტევის დაწყება მოსკოვზე, რამაც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად განაპირობა მათი დამარცხება მოსკოვთან ბრძოლაში.

კინეტიკური იარაღი, იარაღის სახეობა, რომლის მოქმედება ემყარება დამაზიანებელი ელემენტების კინეტიკური ენერგიის გამოყენებას და ხასიათდება უმთავრესად დაბრკოლებასთან ამ ელემენტების შეხვედრის მნიშვნელოვანი სიჩქარით (1000 *მ/წმ* მეტი). დამაზიანებელ ელემენტებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მცირე გაბარიტის მართვადი და უმართავი რაკეტები, საარტილერიო ჭურვები, ლითონის ნაწილაკები. ყველაზე მიზანშეწონილად ითვლება **კ.ი**-ის გამოყენება რაკეტსაწინააღმდეგო და თვითმფრინავსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებში.

კირასა (ფრანგული – cuirasse), დამცავი აღჭურვილობა; შედგება ზურგისა და გულმკერდის ფორმის ლითონის 2 ფირფიტისაგან, რომლებიც მხრებსა და გვერდებზე ბალთებით იკვრება.

კირასირები (გერმანული kürassier < ფრანგული cuirassier, აბჯროსნები), მძიმე კავალერიის გვარეობა XVII საუკუნისა და XX საუკუნეების დასაწყიში ევროპულ ყველა არმიაში. ატარებდნენ *კირასებსა* და ჩაფხუტებს. **კ**-ები დაცული იყვნენ კირასით (ბექტარით).

კირიბატი (Kiribati – კირიბატის რესპუბლიკა), სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში. შეიცავს 33 კუნძულს, მათ შორის – გილბერტის, ფენიქსის, ლაინის კუნძულებს. ფართობი 811 ათ. *კმ*². მოსახლეობა 110 ათ. კაცი (2012) ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ტარავა. ადმინისტრაციულად იყოფა 6 ოლქად. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კრების პალატა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1979 წელს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება და კორპის წარმოება. **კ**-ს შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. მის თავდაცვაზე პასუხისმგებელია ავსტრალია და ახალი ზელანდია.

კიროს II დიდი (გ. ძვ.წ. 530), *აქემენიდების სახელმწიფოს* პირველი მეფე ძვ.წ. (558 წლიდან). დაიპყრო მიდია, ლიდია, მცირე აზიის ბერძნული ქალაქები, შუა აზიის ნაწილი, ბაბილონი და მესოპოტამია. მოკლეს შუააზიელ მომთაბარე ტომებთან ომში.

კლასის კვალიფიკაცია, გარკვეულ სამხედრო სპეციალობებში პროფესიული ვარგისიანობის ხარისხი, რომელსაც მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში ანიჭებენ სამხედრო მოსამსახურეს. იმ თანამდებობებისა და სპეციალობების ნუსხა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება იქნეს მინიჭებული **კ.კ.**, აგრეთვე მისი მიკუთვნების დადასტურებისა და ამაღლების წესი განისაზღვრება სპეციალური დებულებებითა და ინსტრუქციებით.

კლაუზევიცი (Clausewitz) კარლ (1780–1831), გერმანელი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი. პრუსიელი გენერალი. მონაწილეობდა საფრანგეთთან ომებში (1806–07, 1812–15). 1818–30 წლებში იყო ბერლინის სამხედრო სასწავლებლის დირექტორი. მისი მთავარი ნაშრომია „ომის შესახებ“. ჩამოაყალიბა დებულება ომზე, როგორც პოლიტიკის გაგრძელებაზე. **კ**-ის სამხედრო-თეორიულმა მემკვიდრეობამ მთელი ეტაპი შექმნა XIX საუკუნის სამხედრო აზროვნების განვითარებაში.

კოალიცია (ლათინური coalition – გაერთიანებული), სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის წინააღმდეგ ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი.

კოალიციური ომი, სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ომი ცალკეული სახელმწიფოების ან მეორე სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წინააღმდეგ. **კ.ო**-ები ისტორიისთვის ძველი წარსულიდან არის ცნობილი. **კ.ო**-ში მოკავშირე სახელმწიფოთა სამხედრო თანამშრომლობის მთავარი და ყველაზე ეფექტიანი ფორმაა კოალიციისადმი მტრული ძალების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის ერთობლივი წარმოება. გარდა ამისა, **კ.ო**-ში მოკავშირე სახელმწიფოების ურთიერთქმედებას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა დონე და ფორმა: პოლიტიკური სოლიდარობა, მოკავშირე ქვეყნების ეკონომიკური ან სხვაგვარი დახმარება, სხვადასხვაგვარი სანქციები მოპირისპირე მხარის სახელმწიფოების მიმართ, ეროვნული შეიარაღებული ძალების მიერ საომარი მოქმედებების სხვადასხვა თეატრში განხორციელებული ოპერაციები, სტრატეგიული კოორდინაცია მიზნების, ამოცანების, დროისა და ადგილის მიხედვით (მეორე ფრონტი II მსოფლიო ომის დროს); ეროვნული ჯარების ოპერატიული დაქვემდებარება ერთიანი სარდლობისადმი (მრავალეროვნული ძალების მოქმედება); სხვადასხვა არმიების ნაწილების და ქვედანაყოფების ტაქტიკური ურთიერთქმედება; სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო ძალების ორგანიზაციული ერთიანობა მათი მოქალაქეებით სამხედრო ნაწილების ცალ-ცალკე ან შერეული დაკომპლექტების დროს. **კ.ო**-ის წარმოებისთვის, არცთუ იშვიათად, წინასწარ იქმნება ბრძოლის შეიარაღებული და სხვა ფორმებისათვის ხელმძღვანელობის საკოორდინაციო პოლიტიკური და სამხედრო ორგანოები, სამოკავშირეო სამხედ-

რო დაჯგუფებები ან გაერთიანებული შეიარაღებული ძალები.

კოალიციური შეიარაღებული ძალები, ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების დროებითი გაერთიანება ერთიანი სარდლობის დაქვემდებარებაში ერთობლივი თავდაცვის, კოალიციური ომის წარმოების ან კოალიციის მიზნების სხვა ხერხებით (სამხედრო-პოლიტიკური ზეწოლის, ძალის დემონსტრაციის და ა.შ.) მისაღწევად. ჩვეულებრივ, **კ.შ.ძ**-ის შემადგენლობაში შეჰყავთ ეროვნული ძალების ნაწილი. **კ.შ.ძ**-ის არსს განსაზღვრავს კოალიციის ხასიათი, სამხედრო-პოლიტიკური მიზნები, რომლებსაც იგი ისახავს.

კოდი, 1. პირობითი ნიშნების სისტემა კავშირის ტექნიკური საშუალებებით საიდუმლო ხასიათის ცნობების ფარული გადაცემისთვის. პირობით ნიშნებად გამოიყენება ციფრები, ასოები ან სხვა სიმბოლოები, რომლებსაც შეესაბამება ინფორმაციის ელემენტები; 2. ელექტრონული იმპულსების, მათ შორის პაუზების ნაკრები კავშირგაბმულობის, ამოცნობის და ავტომატური მართვის სისტემებში, გამომთვლელ ტექნიკასა და ტელემექანიკაში.

კოდირება, 1. კოდების მეშვეობით ღია ტექსტის პირობითში გადატანა მოწინააღმდეგისთვის კავშირგაბმულობის არხებით გადასაცემი ინფორმაციის შინაარსის დასამალავად. წარმოებს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ან ხელით; 2. ინფორმაციის ერთი ნიშანთა სისტემიდან მეორეში გადაყვანის პროცესი.

კოდოგრამა, კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებებით გადაცემისთვის დადგენილი წესების შესაბამისად კოდირებული და გაფორმებული ცნობა (ინფორმაცია).

კოლაბორაციონისტები (ფრანგული collaboration – თანამშრომლობა), პირები, რომლებმაც უღალატეს თავიანთი სამშობლოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს და II მსოფლიო ომის წლებში აშკარად ან ფარულად თანამშრომლობდნენ ფაშისტური გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებასთან საფრანგეთის ტერიტორიაზე. ტერმინი ფართოდ გავრცელდა მტერთან სხვადასხვაგვარი თანამშრომლობის გამოსახატავად. სინონიმია კვისლინგელები (ნორვეგია).

კოლექტიური დაცვის საშუალებები, ნაგებობები და სპეციალური დანადგარები, რომელთა დანიშნულებაა ჩვეულებრივი და მასობრივი დაზიანების იარაღისგან პირადი შემადგენლობის და მოსახლეობის ჯგუფური დაცვა. მათ განეკუთვნება: ფორტიფიკაციური ნაგებობები (სანგრები, ტრანშეები, ბლინდაჟები, თავშესაფრები, საფრები, და სხვა). სამოქალაქო თავდაცვის დაცვითი ნაგებობები; მოძრავი და გადასატანი საშუალებები (დაჯავშნული მანქანები, სპეციალური კარვები და სხვა), შეიძლება იყოს ჰერმეტული (ფილტრსავენტილაციო დანადგარით) და არაჰერმეტული.

კოლექტიური თავდაცვა, ევროპაში ან ჩრდილოეთ ამერიკაში ნებისმიერი მოკავშირისთვის, ან მოკავშირეებისთვის, რომლებმაც შეიარაღებული თავდასხმა განიცადეს, მოკავშირეების მიერ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის თანახმად (და გაეროს წესდების 51-ე მუხლით დამკვიდრებული ინდივიდუალურ, ან **კ.თ**-ზე უფლების განხორციელებით) დახმარების მიზნით წამოწყებული სამხედრო ოპერაციები და მოქმედებები.

კოლექტიური თავდაცვის უფლება, საერთაშორისო ურთიერთობებში მართლზომიერი ძალის გამოყენების ერთ-ერთი სახე, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოების ერთობლივი მოქმედებით აგრესიის თავიდან ასაცილებლად ურთიერთდახმარების ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით (გაეროს წესდების 51 მუხლი).

კოლექტიური სამშვიდობო ძალები, იხ. *მშვიდობის დამყარების ჯგუფი.*

კოლექტიური უსაფრთხოება, მთელი მსოფლიოს ან ამა თუ იმ რეგიონის სახელმწიფოების ერთობლივ ღონისძიებათა სისტემა, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებას ემყარება და მიმართულია საერთაშორისო მშვიდობის უზრუნველსაყოფად. **კ.უ**-ის ხელშეკრულებაში მთავარია მონაწილე სახელმწიფოების ურთიერთდახმარების ვალდებულება – ერთობლივად იმოქმედონ აგრესიის საფრთხის აღსაკვეთად, თითოეულმა მათგანმა თავის წინააღმდეგ ჩადენილ აგრესიად მიიჩნიოს სხვა სახელმწიფოს თავდასხმა ხელშეკრულების ნებისმიერ მონაწილეზე. შესაბამისად, სამხედრო და სხვა დახმარება გაუწიოს აგრესიის მსხვერპლს.

კოლონა (სამხედრო), მწყობრი, რომელშიც სამხედრო მოსამსახურეები განლაგებული არიან ერთმანეთის ზურგს უკან, ხოლო ქვედანაყოფები (მანქანები) ერთმანეთის უკან, დაწესებულ დისტანციაზე. გამოიყენება სალაშქრო ან გაშლილი მწყობრის, ასევე ბრძოლისწინა წყობის შესაქმნელად. სამხედრო-საზღვაო ძალებში – ხომალდების მწყობრი, რომელშიც ისინი ერთმანეთის უკან კილვატერში (ერთმანეთის მიყოლებით) გადაადგილდებიან; სამხედრო-საჰაერო ძალებში – თვითმფრინავების (წყვილების, რგოლების) საბრძოლო წყობის ერთ-ერთი ფორმა.

კოლონების და გაფანტული მწყობრის ტაქტიკა, ბრძოლის (ბატალიის) წარმოების თეორია და პრაქტიკა XVIII–XIX საუკუნეებში. ამ ტაქტიკის არსი იყო მსუბუქი (ეგერების) და სახაზო (მეტწილად ბატალიონების) ქვეითების კოლონების გაფანტული მწყობრის კომბინირებული გამოყენება, რასაც მხარს უჭერდნენ

ცხენოსნები და არტილერია. რუსეთის არმიაში დამკვიდრდა 1756–63 წლების შვიდწლიანი ომის დროს. დასავლეთში მიმართავდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის (XVIII საუკუნის დამლევს) რევოლუციური ომების და ნაპოლეონის ომების დროს. XIX საუკუნის დამდეგს ევროპის არმიების სამხედრო ხელოვნებაში გაბატონებული ადგილი დაიკავა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში არმიების კუთხვილი სასროლი იარაღითა და არტილერიით მასობრივი აღჭურვა, **კ.დ.ბ.მ.ტ**-ის კრიზისის მიზეზი გახდა. იგი შეცვალა მსროლელთა ჯაჭვების ტაქტიკამ.

კოლონის ჩამკეტი, გაერთიანების, შენაერთის, ნაწილის ან ქვედანაყოფის მიერ გამოყოფილი ძალები და საშუალებები. მათი ამოცანაა გადაადგილების დროს მწყობრიდან გამოსული შეიარაღების და ტექნიკის აღდგენა, მათი ევაკუაცია, პირადი შემადგენლობისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. ჩვეულებრივ, მოიცავს სარემონტო-საევაკუაციო ძალებსა და საშუალებებს, ტრანსპორტს სამხედრო-ტექნიკური ფასეულობის მარაგით, გასამართავ, სამედიცინო და სხვა საშუალებებს. როგორც წესი, იქმნება ყველა მარშრუტზე და გადაადგილდება კოლონის ბოლოში.

კოლონიური ომები, ომები ქვეყნებისა და ტერიტორიების დასაპყრობად მათი კოლონიებად გადაქცევისა და ამ ქვეყნებში გაბატონების მიზნით, აგრეთვე – კოლონიების გადანაწილებისთვის. პირველი ამგვარი ომები, ე.წ. კოლონიზაციური ომები, განეკუთვნება მონათმფლობელური იმპერიების წარმოქმნის პერიოდს. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყებიდან ყველაზე განვითარებული ქვეყნების შეიარაღებული დაპყრობის ობიექტები ხდებოდნენ უცნობი ტერიტორიები. ეს მოასწავებდა **კ.ო**-ის წარმოშობას საკუთრივ ამ სიტყვის მნიშვნელობით.

XX საუკუნის დამდეგს მსოფლიო ტერიტორიული განაწილება დასრულებული აღმოჩნდა და გაჩაღდა ბრძოლა მსოფლიოს გადანაწილებისთვის. **კ.ო**. წარმოებდა ნედლეულის ახალი წყაროების და გასაღების ბაზრების შეძენის, კაპიტალის დაბანდების სფეროს გაფართოების მიზნით. ამ მიზნებით იყო გამოწვეული ორი მსოფლიო ომი. ამჟამად, **კ.ო**. ისტორიის კუთვნილებად იქცა.

კოლონიური ჯარები, სახელმწიფო-მეტროპოლიების საჯარისო ფორმირებები, რომლებიც განკუთვნილი იყო კოლონიების დასაპყრობად და მათზე ბატონობის შესანარჩუნებლად, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. პირველად გაჩნდა XVII საუკუნეში ინგლისის, ჰოლანდიისა და საფრანგეთის ოსტინდური და ვესტინდური კომპანიების გამგებლობაში, რომლებსაც ადგილობრივ ტომებთან საომარი მოქმედების წარმოებისთვის ფართო უფლებამოსილება მიენიჭათ. შემდგომში **კ.ჯ**. ითვლებოდა სახელმწიფო-მეტროპოლიების შეიარაღებული ძალების შემადგენელ ნაწილად.

კოლუმბია (Colombiac – კოლუმბიის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვა, დასავლეთით – წყნარი ოკეანე. ფართობი 1,5 მლნ. *კმ*². მოსახლეობა 46,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. ბოგოტა. ადმინისტრაციულად იყოფა 23 დეპარტამენტად, 4 ინტენდენციად, 5 კომისარიად და დედაქალაქის ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კონგრესი, აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. **კ**. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის საფუძველს ყავის ექსპორტი წარმოადგენს. მრეწველობის ძირითადი დარგებია: ქვანახშირის, ნავთობის, ზურმუხტის (მსოფლიოს 90%) მოპოვება. საზღვაო პორტებია: კარტახენა, ბარანკილია, ბუენავენტურა. საერთაშორისო აეროპორტი ბოგოტა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 285,2 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 237,5 ათ., სამხედრო-საჰაერო 13,2 ათ და სამხედრო-საზღვაო ძალები 34,5 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

კომანდოსი (ინგლისური commando – რაზმი), 1. დიდ ბრიტანეთში საზღვაო ქვეითების და საჰაერო-სადესანტო ჯარების განსაკუთრებული დანიშნულების ფორმირებები. განკუთვნილია დივერსიულ-სადაზვერვო მოქმედებისთვის მოწინააღმდეგის ზურგში. აშშ-ში ასეთ ფორმირებებს ჰქვიათ რეინჯერები, ისინი გაჩდნენ II მსოფლიო ომის წლებში. 2. ინგლის-ბურების ომში (1899–1902) ბურების არმიის მოლაშქრეთა ჯგუფები.

კომბატანტები (ფრანგული combattant – მეომარი, მებრძოლი), მებრძოლები; საერთაშორისო სამართლის მიხედვით, მეომარი მხარის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი პირები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ ბრძოლაში. **კ**-ს მიეკუთვნებიან აგრეთვე ლაშქრის, მოხალისეთა რაზმების მთელი შემადგენლობა, წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეები, აგრეთვე მოსახლეობა, რომელმაც სტიქიურად მოკიდა ხელი იარაღს მტრის მოახლოებისას. **კ**-ად არ ითვლებიან, ე.ი. არაკომბატანტები არიან სამხედრო ჟურნალისტები, სამედიცინო, საინტენდანტო, სამხედრო-იურიდიული და სხვა მომსახურე პერსონალი. არაკომბატანტებზე ვრცელდება ომის კანონები და ჩვეულებები, თუ მათ აქვთ სამხედრო ხელისუფლების სათანადო მოწმობა. **კ**-ისა და არაკომბატანტების შესახებ არსებული წესების დარღვევა განიხილება, როგორც საერთაშორისო დანაშაული.

კომბინირებული დაზიანება, ადამიანებზე, სამხედრო ტექნიკაზე, ნაგებობებსა და მატერიალურ საშუალებებზე საბრძოლო მასალის აფეთქების შედეგად რამდენიმე დამაზიანებელი ფაქტორის ერთდროული ზემოქმედების შედეგი. ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის აფეთქების შედეგად **კ.დ**-ს იწვევს ნამსხვრევები, დარტყმის ტალღა და სითბური ენერგია, ხოლო ცეცხლგამჩენი ბომბის და ჭურვის შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნულის გარდა – ცეცხლგამჩენი ნივთიერების წვის ენერგია. ამის შედეგად პირადი შემადგენლობა შეიძლება დაიჭრას, მიიღოს კონტუზია, დამწვრობა, ხოლო ტექნიკა და ნაგებობები, შეიძლება დაზიანდეს, დაინგრეს, დადნეს, დანახშირდეს და აალდეს. ძლიერი **კ.დ**. ხდება ბირთვული აფეთქების დროს. ამ დროს ტრავმებსა და კონტუზიებს, რომელიც პირადმა შემადგენლობამ შეიძლება მიიღოს დარტყმის ტალღიდან, თან ახლავს დამწვრობა სხივური გამოსხივების შედეგად და სხივური დაავადება, გამოწვეული გამჭოლი რადიაციით და ადგილმდებარეობის რადიაქტიული დასნებოვნებით. სამხედრო ტექნიკის და ნაგებობების დარტყმის ტალღისაგან დაზიანებას ემატება აალება სხივური გამოსხივების შედეგად, ასევე რადიოელექტრონული აპარატურის და ხელსაწყოების მწყობრიდან გამოსვლა მათზე გამჭოლი რადიაციის და ელექტრომაგნიტური იმპულსის ზემოქმედების შედეგად. ახალი ფიზიკური პრინციპების იარაღის გამოყენებისას **კ.დ**. შეიძლება მოხდეს არა მარტო აფეთქებისაგან, არამედ სხვადასხვა გამოსხივების და იმპულსების ზემოქმედების შედეგადაც. ობიექტების **კ.დ**-ის ხარისხი ნებისმიერი აფეთქების დროს დამოკიდებულია თითოეული მისი ფაქტორის დამაზიანებელი მოქმედების ზონის ზომებზე.

კომბინირებული დაზიანების კერა, ტერიტორია, რომლის ფარგლებში სხვადასხვა იარაღის (ცეცხლსასროლი, ცეცხლგამჩენი, ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური) ზემოქმედების შედეგად მოხდა პირადი შემადგენლობის, ტექნიკის და ობიექტების კომბინირებული დაზიანება და შეიქმნა რთული ვითარება, რომელიც მოითხოვს სამაშველო და საავარიო-აღდგენითი სამუშაოების დაუყოვნებლივ ჩატარებას. **კ.დ.კ**-ში ხდება ტექნიკის, იარაღის, ადგილმდებარეობის ობიექტების გაუსნებოვნება, დაზიანებულებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა, დაზიანების ზონებიდან მათი უმოკლეს ვადებში ევაკუაცია.

კომბინირებული საომარი მოქმედებები, საომარი მოქმედებები, რომლებსაც საერთო საბოლოო მიზნის მისაღწევად კოორდინირებულად ახორციელებენ ორი ან მეტი მოკავშირე ქვეყნის (მრავალეროვნული) ძალები.

კომბინირებული ტრალვა, იხ. *ტრალვა*

კომბინირებული ღობურები, არაასაფეთქებელი და ასაფეთქებელი მოქმედებით შექმნილი ხელოვნური დაბრკოლებები, მაგალითად, მავთულხლართები, ბოძკინტები, თხრილები, ესკარპები დანაღმულ ველებთან შეხამებით, დანაღმული ხერგილები და სხვა: სამხედრო-საზღვაო ძალებში – ნაღმური ღობურების შეხამება ბონურ და ბადისებრ ღობურებთან.

კომენდანტი (ფრანგული commandant – მეთაური, უფროსი), თანამდებობის პირი სხვადასხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში. XVI საუკუნიდან **კ**-ს უწოდებდნენ ციხესიმაგრის გარნიზონის უფროსს. ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში **კ.** უზრუნველყოფს გარკვეულ რაიონში ან პუნქტში სამხედრო მოსამსახურეების და ჯარების მიერ სამხედრო დისციპლინის დაცვას, ასევე სხვადასხვა სამსახურის ნორმალურ საქმიანობას.

კომენდანტის საათი, დღე-ღამის დადგენილი დრო (როგორც წესი, საღამოს და ღამით), როდესაც მოცემული დასახლებული პუნქტის ან ადგილის მცხოვრებთ განსაკუთრებული ნებართვის გარეშე ქუჩაში გამოსვლა ეკრძალებათ. **კ.ს**-ს აწესებენ საომარი ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისას.

კომორის კუნძულები (Union des Comores – კომორის კუნძულების კავშირი), სახელმწიფო კომორის კუნძულებზე, მოზამბიკის სრუტეში (ინდოეთის ოკეანე). ფართობი 2,2 ათ. *კმ*². მოსახლეობა 750 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ფრანგული და არაბული. დედაქალაქი – ქ. მორონი. ადმინისტრაციულად იყოფა 4 ოლქად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ფედერალური კრება. დამოუკიდებელობა გამოცხადდა 1975 წლის 6 ივლისს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება. საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროდრომე – მორონი. შეიარაღებული ძალები შედგება სახმელთო ჯარებისა და პრეზიდენტის გვარდიისგან, საერთო შემადგენლობით 1,5 ათ. კაცი (2012).

კომპლექსური საგანგებო სიტუაცია, ჰუმანიტარული კრიზისი ქვეყანაში, რეგიონში ან საზოგადოებაში, სადაც შიდა, ან გარე კონფლიქტის შედეგად მოხდა ხელისუფლების სტრუქტურების სრული, ან მნიშვნელოვანი რღვევა, რაც საერთშორისო დონის ზომების მიღებას საჭიროებს. ეს შეიძლება განხორციელდეს გაეროს ნებისმიერი ორგანოს და/ან მიმდინარე პროგრამის მანდატის, ან შესაძლებლობების მიღმა.

კომპლექტი (ლათინური completus – სავსე, სრული), 1. შენაერთებში და ნაწილებში შტატითა და ტაბელით განსაზღვრული შეიარაღება და ტექნიკა. აგრეთვე სათადარიგო ნაწილების და აღჭურვილობის საგნები გათვალისწინებული ინსტრუქციებითა და ფორმულარებით; 2. დადგენილი იარაღის ერთეულზე,

საბრძოლო მანქანაზე, ხომალდზე, თვითმფრინავზე გათვლით-უზრუნველმყოფი ერთეული საბრძოლო მასალის რაოდენობის მიხედვით.

კომპონენტური სარდლობა, 1. ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობაში მესამე დონის ორგანიზაციული რგოლი, რომელსაც აქვს განსაკუთრებული საავიაციო, საზღვაო ძალები და საშუალებები. იგი პასუხისმგებელია ნატოს საერთო რეგიონული გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის მითითებით ჩატარებული დამხმარე ოპერაციების საერთო დაგეგმვასა და ჩატარებაზე. მისი შტაბი არ შედის რეგიონული სარდლობის შტაბის შემადგენლობაში. 2. მრავალეროვნული გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების კონტექსტში –სარდლობა, რომელიც პასუხისმგებელია სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და სპეციალური ოპერაციების ჩატარებაზე.

კომუნიკაციები (ლათინური communico – ვაკავშირებ, ვურთიერთობ), სახმელეთო, საწყალოსნო და საჰაერო გზების კომპლექსი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მოქმედი ჯარების დაჯგუფებასა და ერთ ან რამდენიმე ოპერატიულ ბაზას შორის მატერიალური საშუალებების და გაძლიერების ძალების გადასროლა.

კომუნიკაციების ზონა, სამხედრო მოქმედებების თეატრის რაიონი, რომელიც საბრძოლო მოქმედებების ზონას ესაზღვრება. **კ.ზ**-ში შედის კომუნიკაციის ხაზები, განლაგებული არიან ლოგისტიკის მართვის ორგანოები, ლოგისტიკის ნაწილები და დაწესებულებები, არმიის ჯგუფების რეზერვები, სამხედრო მოქმედებების თეატრში ჯარების (ძალების) სარდლობები და სხვა.

კომუნიკაციების კვანძი, რამდენიმე ერთგვაროვანი ან ნაირგვაროვანი კომუნიკაციების გადაკვეთის (შეერთების) პუნქტი (რაიონი). შეიძლება იყოს რკინიგზის, გზატკეცილების, საჰაერო, სამდინარო, სანაოსნო და საზღვაო მიმოსვლის. საომარი მოქმედებისთვის **კ.კ**-ებს სტრატეგიულ-ოპერატიული ან ტაქტიკური მნიშვნელობა აქვთ.

კომუნიკაციების რღვევა, მოწინააღმდეგისთვის იმ შესაძლებლობების ნაწილობრივი ან სრული წართმევა, რომ გამოიყენოს მიმოსვლის გზები ჯარების (ძალების) გადაადგილებისთვის, შეიარაღებისა და მატერიალური საშუალებების მიტანისთვის (მათ შორის, მილსადენებით საწვავის მიწოდების), ენერგომომარაგებისა და ყველა სახეობის ევაკუაციის განხორციელებისთვის. სრულდება სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მასშტაბით. მისი არსია შეიარაღებული ძალების სხვადასვა სახეობის გაერთიანებებმა, შენაერთებმა, ნაწილებმა და ქვედანაყოფებმა დარტყმები მიაყენონ მოწინააღმდეგის ჯარებს ტრანსპორტით გადაყვანის (ქვეითად გადასვლის) დროს, მის სატრანსპორტო საშუალებებს, სახმელეთო, სანაოსნო მიმოსვლის გზებს; ხელთ იგდონ (დაუნგრიონ) კომუნიკაციების (მილსადენები, სადგურები, პორტები და სხვა) მნიშვნელოვანი ობიექტები (ელემენტები). საომარი მოქმედების საოკეანო და საზღვაო თეატრებში კომუნიკაციების დარღვევა ხდება სპეციალური საზღვაო ოპერაციების მოწყობით და სისტემატური საბრძოლო მოქმედებით.

კომუნიკაციის მიმართულება, ადგილმდებარეობის (აკვატორიის) და მის თავზე საჰაერო სივრცის ზოლი (ზონა), სადაც სამხედროების კომუნიკაციების გზები გადის. ყოველი კომუნიკაციის მიმართულება მოიცავს ისეთი რაოდენობის გამჭოლ ფრონტალურ გზებს, საჰაერო ტრასებს, წყალსანაოსნო გზებს, მილსადენის ხაზებს, რომ უზრუნველყოფს საჯარისო და სხვა გადაზიდვების დაგეგმილი მოცულობის შესრულებას; ასევე – საჯარისო გადაზიდვების გადართვას ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორეზე, კომპლექსურ ტექნიკურ დაფარვას, აღდგენითი სამუშაოების სწრაფ განხორციელებას, ვიწრო ადგილების და ბარიერული ზღუდეების გადალახვას. **კ.მ**-ები მომავალი მოქმედების ზოლში მათი შესაძლებლობის ზრდის გათვალისწინებით ინიშნება.

კონგო (Congo – კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე. ფართობი 2,345 მლნ. *კმ*². მოსახლეობა 70,9 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. კინშასა. ადმინისტრაციულად იყოფა 11 მხარედ. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კონსტიტუციური კრება. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1960 წლის 15 აგვისტოს. **კ.** აგრარული ქვეყანაა, განვითარებული სამთომოპოვებითი მრეწველობით (კობალტი, ალმასი, ოქრო, ბრინჯაო და სხვა) და ფერადი მეტალურგიით. საზღვაო პორტი პუენტ-ნუარი, საერთაშორისო აეროპორტი კინშასა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 130 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 124 ათ., სამხედრო-საჰაერო 3,5 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 2,5 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

კონგო (Congo – კონგოს რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე. ფართობი 342 ათ. *კმ*². მოსახლეობა 3,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ბრაზავილი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 მხარედ და დედაქალაქის კომუნად. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული გარდამავალი საბჭო (დროე-

ბითი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 15 აგვისტოს. **კ.** აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია ნავთობის მოპოვება და ხის დამუშავება. საზღვაო პორტებია: პუენტ-ნუარი, ბრაზავილი. საერთაშორისო აეროპორტებია: ბრაზავილი, პუენტ-ნუარი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11 ათ. კაცი, სახმელეთო ჯარები 8 ათ., სამხედრო-საჰაერო 1,8 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 1,2 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

კონდახი, ცეცხლსასროლი იარაღის ერთ-ერთი ნაწილი, რომელსაც გასროლის დროს მხარზე იბჯენენ. მზადდება მთლიანად ან ცალკეულ ნაკეთობად. მაგრდება ლულის ყუთთან ხისტად ან სახსრით (დასაკეცი). შეიძლება იყოს ხის, ლითონის ან პლასტმასის.

კონდოტიერები (იტალიური – condottieri), XIV–XVI საუკუნეების იტალიაში დაქირავებული სამხედრო რაზმების მეთაურები, რომლებიც მეფე-მთავრებისა და რომის პაპების სამსახურში შედიოდნენ. XIV საუკუნის ბოლომდე ისინი უპირატესად უცხოელი რაინდები იყვნენ, შემდეგ კი – იტალიელები. **კ-თა** რაზმები ძირითადად ცხენოსანი მეომრებისაგან შედგებოდა.

კონვენცია ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის შექმნის, წარმოების, დაგროვების, აკრძალვის და განადგურების შესახებ 1972, შეიმუშავა გაეროს განიარაღების კომიტეტმა და მოიწონა გაეროს გენერალური ასამბლეის 26-ე სესიამ 1971 წელს. ღია ხელმოწერისთვის გადაეცა მოსკოვს, ვაშინგტონსა და ლონდონს 1972 წლის 10 აპრილს, ძალაში შევიდა 1975 წლის მარტში.

კონვენცია ბუნებრივ გარემოზე სამხედრო ან ნებისმიერი სხვა ზემოქმედების საშუალებების მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ 1977, ძალაში შევიდა 1978 წლის 5 ოქტომბერს. XX საუკუნის ბოლოს მისი მონაწილე იყო 60-მდე სახელმწიფო. ღიაა მიერთებისთვის სხვა სახელმწიფოებისთვისაც. კრძალავს ბუნებაზე სამხედრო და ზემოქმედების სხვა საშუალებების მტრულ გამოყენებას დედამიწის ან კოსმოსური სივრცის დინამიკის, შედგენილობის, სტრუქტურის შესაცვლელად (ბუნებრივი პროცესების მართვის გზით). არ კრძალავს ზემოქმედებას შემოქმედებითი მიზნებისთვის.

კონვენცია ვადის ხანდაზმულობის გამოუყენებლობის შესახებ (ომის დანაშაულობების და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობების მიმართ), მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის 23-ე სესიაზე 1968 წლის 26 ნოემბერს. დაამკვიდრა საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებული პრინციპი, რომ არ შეიძლება ხანდაზმულობის ვადის გამოყენება აღნიშნული დანაშაულობების მიმართ. გამოავლინა მათი შინაარსი, დაადგინა იმ პირთა წრე, რომლებზეც არ ვრცელდება ხანდაზმულობის ვადა. დაავალა მონაწილე სახელმწიფოებს, კონვენციის დებულებების შესაბამისობაში მოეყვანათ თავიანთი კანონმდებლობა და მიეღოთ ზომები ამ დანაშაულებების ჩამდენი პირების გადასაცემად.

კონვენცია ქიმიური იარაღის შექმნის, წარმოების, დაგროვებისა და გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ 1993, შეიმუშავა ჟენევაში განიარაღების კონფერენციამ. ხელმოწერისთვის ღიაა 1993 წლიდან. ძალაში შესვლის მომენტისათვის (1997 წლის 20 აპრილი) კონვენციას ხელი მოაწერა 165-მა და რატიფიკაცია მოახდინა 87-მა სახელმწიფომ. კონვენციის მონაწილეებს ეკრძალებათ შექმნან, აწარმოონ, დააგროვონ, შეიძინონ და გამოიყენონ ქიმიური იარაღი. ისინი ვალდებული არიან გაანადგურონ მთელი მისი მარაგი არა უგვიანეს 10 წლისა კონვეციის ძალაში შესვლის შემდეგ.

კონვენცია ჩვეულებრივი იარაღის კონკრეტული სახეობების გამოყენების აკრძალვის ან შეზღუდვის შესახებ 1981, შემუშავებულია გაეროს კონფერენციაზე, ძალაში შევიდა 1981 წლის 2 დეკემბერს. XX საუკუნის დამლევისთვის მისი მონაწილე იყო 55 სახელმწიფო. კონვენციის დებულებები გამოიყენება იმავე შემთხვევებში, როგორც ჟენევის 1949 წლის კონვენცია ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. კონვენცია კრძალავს ან ზღუდავს ჩვეულებრივი იარაღის იმ სახეობების გამოყენებას, რომლებმაც შეიძლება მეტისმეტი დაზიანება გამოიწვიონ, ან ჰქონდეთ არაშერჩევითი მოქმედება.

კონსერვაცია, სამხედრო ტექნიკის (ლათინური – conservation), ტექნიკური ღონისძებების კომპლექსი, რომელიც ხანგრძლივი შენახვის და ტრანსპორტირების დროს სამხედრო ტექნიკის კოროზიისგან, დაძველებისა და ბიოლოგიური დაზიანებისგან დასაცავად ხორციელდება. ამ მიზნებისთვის ყველაზე ფართო გამოყენება პოვა საკონსერვაციო ზეთებმა და საპოხებმა, სამუშაო-საკონსერვაციო ზეთებმა, ინჰიბირებულმა (დამცავმა) აპკწარმომქმნელმა ნავთობის შედგენილობამ, ინჰიბირებულმა დაფარვამ, კოროზიის საკონტაქტო და აქროლადმა ინჰიბიტორებმა, სპეციალურმა ბიოციდურმა შედგენილობებმა, დამცავმა გარემომ (გარსებმა, რომლებიც ივსება ნეიტრალური აირით, ინჰიბირებული მშრალი ჰაერით).

კონსულტაცია, პოზიციების დაახლოების და რეკომენდაციების გამომუშავების მიზნით წარმოებული დისკუსია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უმაღლეს ხელმძღვანელობასა და წევრ ქვეყნებს შორის იმ საკითხების ირგვლივ, რომლებიც იწვევენ საერთო შეშფოთებას.

კონსულტაციები, ხელმძღვანელობა და მართვა, პოლიტიკური კონსულტაციების გა-

მართვისას პოლიტიკური, სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელი ორგანოების მოვალეობა და საქმიანობა. იგი მოიცავს კონსულტაციებს კრიზისის დარეგულირების, ბირთვული საკითხებისა და სამოქალაქო საგანგებო დაგეგმვის შესახებ. გარდა ამისა, სარდლების (მეთაურების) უფლებამოსილებაზე, მოვალეობებსა და საქმიანობაზე შეიარაღებული ძალების მოქმედებების ხელმძღვანელობის და კოორდინაციის მიზნით, იმ ბრძანებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ოპერაციების ჩატარებასთან.

კონტაქტური ტრალვა, იხ. *ტრალვა*

კონტეინერული გადაზიდვები, ტვირთის ტრანსპორტირების ხერხი სტანდარტული მოსახსნელი სატრანსპორტო სამარჯვების (სათავსების) – კონტეინერების გამოყენებით. სატვირთო, დამხარისხებელი და გადასატვირთი ოპერაციები ხორციელდება საკონტეინერო პუნქტებში, რომლებიც ამწესატრანსპორტო მოწყობილობით არის აღჭურვილი, ხოლო გადაზიდვა – საამისოდ მომარჯვებული ან საგანგებო სატრანსპორტო საშუალებებით.

კონტინგენტი (ლათინური contigens – წილხვედრი), 1. რაიმე თვალსაზრისით ერთგვაროვანი კატეგორიის ადამიანების გარკვეული ჯგუფი, მაგალითად, სამხედრო აკადემიის მსმენელების **კ.**; 2. გარკვეული მიზნების მისაღწევად დადგენილი ზღვრული რაოდენობა, ნორმა, მაგალითად, კოალიციური არმიის შემადგენლობისთვის გამოსაყოფი ჯარების **კ.**.

კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტა, იხ. *ბალისტიკური რაკეტა.*

კონტინენტური შელფი, იხ. *შელფი*

კონტრდარტყმა, დარტყმა, რომელსაც ახორციელებენ დაჯგუფების (არმიის, არმიების ჯგუფის) ჯარები თავდაცვითი ოპერაციის დროს, რათა გაანადგურონ თავდაცვაში შემოჭრილი მოწინააღმდეგის დაჯგუფება, აღიდგინონ დაკარგული მდგომარეობა და შექმნან პირობები კონტრშეტევაზე (შეტევაზე) გადასასვლელად. **კ.** შეიძლება მოეწყოს ერთ ან რამდენიმე მიმართულებაზე II ეშელონის, საერთო-საჯარისო რეზერვის ძალებით, I ეშელონის ძალების ნაწილით, აგრეთვე სხვა მიმართულებებიდან მოხსნილი ჯარებით. **კ**-ის მიმართულებაზე შეიძლება გადასხან საჰაერო დესანტი, გამოიყენონ სარეიდო რაზმები. **კ**-ს, როგორც წესი, ახორციელებენ სოლივით შემოჭრილი მოწინააღმდეგის დაჯგუფების ფლანგებზე, ჩვეულებრივ, იმ მომენტში, როდესაც მისი შემოტევა შეჩერებულია, ხოლო რეზერვების დაუყოვნებლივ შემოყვანა – შეუძლებელი.

კონტრდარტყმის (კონტრიერიშის) მოგერიება, შემტევი ჯარების საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც წარმოებს მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი (კონტრმოიერიშე) დაჯგუფებების გასანადგურებლად და შემტევი ჯარების ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) სიღრმეში მათი შემოჭრის აღსაკვეთად და შეტევის გაგრძელებისთვის პირობების შესაქმნელად. II მსოფლიო ომში **კ.(კ.)მ**. მეტწილად ხორციელდებოდა გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) ძალთა ნაწილის ან მთელი ძალების თავდაცვაზე გადასვლით, ცალკეულ შემთხვევებში – მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი (კონტრმოიერიშე) დაჯგუფების წინააღმდეგ აქტიური შეტევითი მოქმედებებით. ომის შემდგომ პერიოდში სამხედრო ხელოვნების თეორიით გათვალისწინებულია **კ.(კ.)მ.** და მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი (კონტრმოიერიშე) დაჯგუფებების განადგურება. **კ.(კ.)მ**. შეიძლება განხორციელდეს მათი საცეცხლე (ბირთვული) დაზიანებით, მათ შორის, მაღალი სიზუსტის იარაღით, დისტანციური დანაღმვის და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების მასირებული გამოყენებით თავმოყრის რაიონში. ასევე წინ წაწევის მარშრუტებზე და გაშლის ზღუდეებზე, მათი თავდაცვითი ძალისხმევის ჩახშობით და შეტევითი მოქმედებებით საბოლოო განადგურება. ამასთან, განსაკუთრებით მოწინააღმდეგის მანევრის და გაშლის ჩასაშლელად გათვალისწინებულია საჰაერო დესანტების (სადესანტო-მოიერიშე ჯარები), მეწინავე რაზმების ფართოდ გამოყენება და მოწინააღმდეგეზე შემხვედრი დარტყმების მიყენება. შექმნილი ვითარების, განსაკუთრებით მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი დაჯგუფების შემადგენლობის მიხედვით, **კ.(კ.)მ.** შეიძლება ხორციელდებოდეს მთელი შემტევი ძალებით ან ძალების ნაწილით, I, II ეშელონების შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების), ყველა სახეობის რეზერვის, ძალისა და საშუალების მოზიდვით, რომლებსაც გადმოაჯგუფებენ სხვა მიმართულებებიდან. ამასთან, შეიძლება გამოყენებულ იქნეს კონტრდარტყმის (კონტრიერიშის) სხვადასხვა ხერხები. ერთი მათგანია მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელი (კონტრმოიერიშე) დაჯგუფების საცეცხლე (ბირთვული) დაზიანება ბატალიაში (ბრძოლაში) მის შეყვანამდე ან შეტევაზე გადასვლით. მეორე ხერხი შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის შემუსვრა დარტყმებით შემხვედრი ბატალიის (ბრძოლების) მოწყობის გზით. ასეთი ხერხი, მაგალითად, გათვალისწინებულია აშშ-ის არმიის წესდებით.

მოწინააღმდეგის უპირატესი ძალების **კ.(კ.)მ**-ისას ჯარებს შეუძლიათ წინასწარ ან იძულებით გადავიდნენ თავდაცვაზე და განახორციელონ თავდაცვითი ოპერაცია (თავდაცვითი ბრძოლა). შესაძლებელია ხერხი, როდესაც შემტევი ჯარების (ძალების) ნაწილი დროებით გადადის თავდაცვაზე (თავისი დაწყობის სერიოზული ცვლილებების გარეშე) და ბოჭავს მოწინააღმდეგის კონტრდამრტყმელ (კონტრმოიერიშე) დაჯგუფებას, ხოლო მთა-

ვარი ძალები იმავდროულად ან შემდეგ აყენებენ დარტყმას მოწინააღმდეგეს ფლანგზე და ზურგში, ან ორივე ფლანგზე მოკვეთის და საბოლოო განადგურების მიზნით.

შესაძლებელია **კ.(კ.)მ**-ის ისეთი ხერხიც, როდესაც შემტევი ძალების ნაწილი ბოჭავს მოწინააღმდეგის დაჯგუფებას, ხოლო მთავარი ძალები გადაჭრით ავითარებენ შეტევას მისი თავდაცვის სიღრმეში; ამით აიძულებენ მოწინააღმდეგეს, ხელი აიღოს კონტრდარტყმის (კონტრშეტევის) განხორციელებაზე. მოწინააღმდეგის მიერ კონტრდარტყმის (კონტრიერიშის) რამდენიმე მიმართულებიდან განხორციელებისას ძირითადი ძალისხმევა თავმოყრილია მისი მთავარი, ყველაზე საშიში დაჯგუფების მოგერიებაზე.

კონტრესკარპი (ფრანგული – contreescarpe), 1. ტანკსაწინააღმდეგო ღობურა, ფერდობის შვეული (3–4 *მ.* სიმაღლის) ჩამონაჭერის სახით მიმართული თავდამცველი მხარისკენ. ფართოდ გამოიყენებოდა II მსოფლიო ომში; 2. მოწინააღმდეგისკენ მიმართული უახლოესი ციხესიმაგრის თხრილის ფერდობი, რომელიც XIX საუკუნემდე გამოიყენებოდა შტურმსაწინააღმდეგო დაბრკოლებად. შეიძლება იყოს გრუნტის, ხის, ქვისა და სხვა.

კონტრვალაციური ხაზი (ლათინური contra – წინააღმდეგ და vallatio – გამაგრება), სიმაგრეების უწყვეტი ხაზი, რომელსაც აშენებდნენ ციხესიმაგრის მოალყენი ალყაში მყოფების უეცარი გამოხტომების თავიდან ასაცილებლად. იქმნებოდა ციხის გალავნიდან 300–600 *მ*-ზე მიწაყრილიანი და კოშკურებიანი ერთიანი თხრილის სახით. **კ.ხ.** გამოიყენებოდა უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. მოალყეებს ზურგიდან რომ არ დასხმოდნენ, თავის დასაცავად აშენებდნენ ცირკუმვალაციურ ხაზს.

კონტრიბუცია (ლათინური – contribution), 1. ფულადი თანხა, რომელსაც საზავო ხელშეკრულების პირობებისამებრ უხდის დამარცხებული სახელმწიფო გამარჯვებულ სახელმწიფოს. 2. იძულებითი ფულადი და სხვა ბეგარა, რომელსაც მოწინააღმდეგე ართმევს ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას. დღესდღეობით ცნება „კონტრიბუცია“ ამოღებულია საერთაშორისო სამართლიდან.

კონტრიერიში, (ფრანგული contre – საწინააღმდეგო და იერიში), თავდაცვაში მყოფი ჯარების მიერ შემტევი ჯარების გასანადგურებლად ჩატარებული იერიში. მისი მიზანია თავდაცვაში შეჭრილი მოწინააღმდეგის განადგურება და თავდაცვის სრული ან ნაწილობრივი აღდგენა. მიმდინარეობს ავიაციის, რაკეტების, არტილერიის ცეცხლით და სხვა საშუალებებით. შეჭრილი მოწინააღმდეგის გასანადგურებლად გარკვეულ პირობებში შესაძლებელია შემდგომი იერიში II ეშელონის (რეზერვის) ძალებით ტაქტიკურ საჰაერო დესანტთან ურთიერთქმედებით და I ეშელონის ძალების მონაწილეობით. **კ.**, როგორც წესი, ტარდება იმ მომენტში, როდესაც შემოჭრილი მოწინააღმდეგე შეჩერებულია, მაგრამ ჯერ არ გამაგრებულა დაკავებულ ზღუდეებზე ან მისი წინ წაწევა შენელებულია. რაც შეეხება რეზერვს, იგი, უკვე გამოყენებულია ან მათი ბრძოლაში დაუყოვნებლივ ჩართვა შეუძლებელია. **კ.** მთავრდება დანიშნული ზღუდის ხელში ჩაგდების შემდეგ.

კონტროლი (სამხედრო), გეგმური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობის, ოპერატიული და საბრძოლო მომზადების (სასწავლო პროცესის), სამხედრო ნაწილების (ხომალდების), შენაერთების, შეიარაღებული ძალების სასწავლებლებისა და დაწესებულებების პირადი შემადგენლობის მიერ თავდაცვის სამინისტროს წესდებების, რჩევა-დარიგებების, დირექტივების, ბრძანებების და განკარგულებების შესრულების **კ**-ის მიზნით. **კ**-ის ფორმები შეიძლება იყოს მასობრივი, შერჩევითი და ერთჯერადი შემოწმებები, ჯარების (ძალების) ინსპექტირება, რევიზია, გამოკვლევა, თვალყურის მიდევნება და სხვა.

კონტროლირებადი საჰაერო სივრცე, განსაზღვრული განზომილების საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც საჰაერო გადაადგილების კონტროლის უზრუნველყოფა ხორციელდება. სახმელეთო ჯარებისთვის – საჰაერო სივრცე, რომელშიც ოპერაციას ატარებს სხვა ქვედანაყოფი და სივრცის მაკონტროლებელი ქვედანაყოფებისგან ნებართვას ითხოვს.

კონტროლირებადი ურთიერთგაცვლა, მწყობრიდან გამოსული აღჭურვილობიდან, რომლის რემონტი ეკონომიურად არახელსაყრელია, ვარგისი ნაწილების მოხსნა და მათი გადატანა სხვა მსგავს აღჭურვილობაზე, რომლის მუშა (საბრძოლო) მდგომარეობაში მოყვანა უფრო ადვილია.

კონტროლირებადი ცეცხლი, ცეცხლი, რომლის გაკონტროლება და კორექტირება შეუძლია მეთვალთვალეს (მაკორექტირებელს), რომელიც ხედავს მიზანში მოსახვედრ ან ასაფეთქებელ ადგილს.

„კონტროლირებული ომი“, 1. საზღვარგარეთის ქვეყნების, უპირატესად აშშ-ის, სამხედრო თეორიებში – ომის წარმოების გეგმა, რომლის დროსაც ძალების და საშუალებების გადამწყვეტი უპირატესობის საფუძველზე გამორიცხულია საომარი მოქმედების არასასურველი ესკალაცია, მინიმალური საკუთარი დანაკარგებით შენარჩუნებულია ნებისმიერი მტრული აქტების დროული და ეფექტიანი ჩახშობის გარანტირებული შესაძლებლობა; 2. ისეთი ომის პირობითი სახელწოდება, რომელშიც იცავენ ომის კანონებს და წესებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

კონტროლის განხორციელების საშუალებები, მეთაურის მიერ სიტყვიერად ან გრაფიკული ნიშნების სახით გაცემული მითითებები, რომელთა მიხედვით განისაზღვრება დაქვემდებარებული ქვედანაყოფების პასუხისმგებლობა, ცეცხლისა და მანევრირების კოორდინაცია და საბრძოლო ოპერაციის კონტროლი.

კონტრსაბატარეო ბრძოლა, საცეცხლე უპირატესობის მოპოვების მიზნით არტილერიის (ნაღმსატყორცნების) და დაზიანების სხვა საშუალებების ცეცხლით მოწინააღმდეგის საარტილერიო (ნაღმსატყორცნი) ბატარეების და მათი მომსახურე ელემენტების (მართვის პუნქტების, რადიოლოკაციური დაზვერვის აღმოჩენის კომპლექსების, მსროლელი ქვემეხების და ნაღმსატყორცნების გამიზვნის კომპლექსების) ჩახშობა (განადგურება).

კონტრსაჰაერო მოქმედებები, საჰაერო ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება ჰაერში სასურველი უპირატესობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად, მოწინააღმდეგე ძალების განეიტრალების ან განადგურების გზით.

კონტრშეტევა, შეტევის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც თავდაცვაში მყოფი ჯარები მიმართავენ მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიების დროს ან მოგერიების შემდეგ. კ-ის მიზანია, გაანადგურონ შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგე, ჩაუშალონ შეტევა, აღიდგინონ დაკარგული მდგომარეობა და შექმნან პირობები შეტევითი ოპერაციისთვის, მნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების) დაკავების და სტრატეგიული ან ოპერატიული ინიციატივის ხელში ჩასაგდებად, ან ახალ ზღუდეებზე გამაგრებისას თავდაცვაზე გადასასვლელად. კ. შეიძლება იყოს სტრატეგიული ან ოპერატიული მასშტაბის და ხორციელდებოდეს სტრატეგიული, დაჯგუფების, ან არმიის (კორპუსის) კ-ითი ოპერაციის ფორმით. კ-ზე გადასვლა ხდება, როგორც წესი, ისეთ პირობებში, როდესაც მოწინააღმდეგემ ნაწილობრივ ან მთლიანად ამოწურა თავისი შეტევითი შესაძლებლობები (გამოიყენა მთელი რეზერვები, ან მათი მეტი ნაწილი), განიცადა მნიშვნელოვანი დანაკარგი და ვერ მოასწრო თავდაცვითი დაჯგუფების შექმნა და თავდაცვაზე გადასვლა. კ. შეიძლება დაიწყოს თავდაცვითი ოპერაციის დროს წარმატებით მიყენებული კონტრდარტყმების შედეგად. კ-ისათვის დამახასიათებელია წინასწარ, მშვიდობიანობის დროს, დაგეგმვა (პირველი თავდაცვითი ოპერაციებისათვის) ან მზადება და შეტევითი დაჯგუფებების შექმნა თავდაცვითი ბატალიის დროს. ჩვეულებრივ, კ-ის განსახორციელებლად იხმობენ დამატებით ძალებსა და საშუალებებს უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვიდან.

კონური (ამაჩქარებელი) იარაღი, იარაღის შესაძლო სახეობა, რომელშიც დამაზიანებელ ფაქტორად გამოყენებულია იმ ნაწილაკების (მაგალითად, წყალბადის ატომების ან ელექტრონების) კონა, რომლებსაც სპეციალურ ამაჩქარებლებში სინათლესთან მიახლოებული სიჩქარე აქვთ. ასეთი იარაღის დამაზიანებელი მოქმედება შეიძლება გამოიხატოს რაკეტის საბრძოლო ქობინის მექანიკური დაზიანებით და აფეთქებით, ელექტრონულ აპარატურაზე რადიაციული ზემოქმედებით, ქიმიური რეაქციის ინიცირებით. ლაზერული იარაღისგან განსხვავებით, კ.(ა.)ი-ს ნებისმიერი ამინდის პირობებში შეუძლია მოქმედება. ნავარაუდევია კ.(ა.)ი-ის გამოყენება საჰაერო თავდაცვის, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის და სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის სისტემებში განაღმვის საშუალებად და სხვა.

კონფლიქტი (ლათინური conflictus – შეჯახება), პოლიტიკური და სამხედრო ვითარება, როდესაც იწყება ორგანიზებული პოლიტიკური დაპირისპირება. საომარი მდგომარეობისაგან განსხვავდება იმით, რომ კ-ის მოსაგვარებლად უპირატესობა ეძლევა პოლიტიკურ მეთოდებს.

კონფლიქტის გაყინვა, საერთაშორისო საზოგადოების ან სხვა გარემოებების ზეწოლით კონფლიქტის მონაწილეების მიერ კონფრონტაციული ინტერესის რეალიზებაზე უარის თქმა კონფლიქტის მიზეზების აღმოფხვრის გარეშე.

კონფლიქტის დასასრული, მიჯნა, სადაც მთავრდება კონფლიქტი და იწყება პოსტკონფლიქტური მოქმედებები.

კონფლიქტის თავიდან აცილება, კონფლიქტის წარმოქმნის შესაძლო მიზეზების დროული გამოვლენა და აღმოფხვრა. იგი გულისხმობს პოლიტიკური, დიპლომატიური, სამხედრო და სხვა ღონისძიებების გატარებას კონფლიქტის განვითარების სხვადასხვა ფაზაში. სხვადასხვა მოქმედება, დიპლომატიური ინიციატივიდან, ჯარების პრევენციულ გაშლამდე. მიმართულია უთანხმოების გაღრმავების ან შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის თავიდან აცილებისკენ. ამ მიზნით შეიძლება მოქმედებდნენ ფაქტების დამდგენი, კონსულტაციების, გაფრთხილების, ინსპექტირების და თვალთვალის მისიები.

კონფლიქტის მხარეები, მხარეები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ მტრულად მოქმედებენ ან დროებით დაზავებული არიან, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტის საბოლოო შეწყვეტისთვის ურთიერთხელსაყრელ შეთანხმებას ვერ მიაღწიეს.

კონფლიქტის მხარეების დაშორიშორების ზონა, დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმებული ტერიტორიის (ადგილმდებარეობის) მონიშნული მონაკვეთი, რომლიდანაც მითითებულ რაიონებში გამოყვანილია კონფლიქტის მხარეების შეიარაღებული ფორმირებები. ამ რაიონების დაშორება გამორიცხავს კონფლიქტის რომელიმე მხარის მიერ სასროლი,

საარტილერიო და სხვა შეიარაღების გამოყენებას.

კონფლიქტის შემდგომი მოქმედებები, სტაბილურობის და მხარდაჭერის ოპერაციები, რომლებიც კონფლიქტის დასრულების შემდეგ იწყება.

კონცენტრირების რაიონი, 1. ტერიტორია, როგორც წესი, მოქცეული საომარი მოქმედებების თეატრის ფარგლებში, სადაც ჯარების საბრძოლო მოქმედებების დაწყების წინ შეკრება და განლაგება ხორციელდება. 2. განსაზღვრული რაიონი, რომელშიც შეზღუდული დროის ფარგლებში საცეცხლე ზემოქმედება ხორციელდება.

კონცენტრირებული ცეცხლი, განსაზღვრულ რაიონში განსაზღვრული დროის განმავლობაში მიმართული საარტილერიო ცეცხლი.

კონცეფტუალური გეგმა, კონცეფციის ფორმატით შედგენილი ოპერატიული გეგმა.

კოოპერატიული გამოყენება, იმ რესურსების გამოყენება, რომლებიც გამოყოფილია სახელმწიფოების მიერ და გადაცემულია სხვა სახელმწიფოებისთვის გამოსაყენებლად. ასეთი გამოყენების კომპენსაციის და/ან ანაზღაურების აუცილებლობის შემთხვევაში, მონაწილე მხარეებს შორის იდება შესაბამისი ხელშეკრულება.

კოორდინატები, რიცხვები, რომლებიც განსაზღვრავენ წერტილის მდებარეობას სიბრტყეზე, ზედაპირზე ან სივრცეში. ყველაზე ადრე იყენებდნენ გეოგრაფიულ კ-სა და ცის კ-ს. ფართო გამოყენება აქვთ მართკუთხა კ-ს, პოლარულ კ-ს და ზოგიერთ სპეციალურ მრუდწირულ და სფერულ კ-ებს.

კორდონი (ფრანგული Cordon – ზონარი, ლენტი), მცირე სასაზღვრო პოსტი XVIII–XIX საუკუნეებში. 1. გარკვეული ხაზის ან სახელმწიფოს საზღვრის გასწვრივ ჯარების მცირე რაზმებად გაშლილი განლაგება. მაგალითად, გამაგრებული საგუშაგოების ხაზები რომის იმპერიის განაპირა მხარეებში; 2. სასაზღვრო ან გადამღობი რაზმი, აგრეთვე მისი მდებარეობის ადგილი. ტერმინი „კორდონი“ დღესაც იხმარება საფრანგეთის და ზოგიერთ სხვა არმიებში. ზოგჯერ კ. ეწოდება ტყეებისა და ნაკრძალი ზონების დამცველ პოსტებსაც.

კორდონული სტრატეგია, ომის წარმოების ხერხი, რომელიც დასავლეთ ევროპაში XVII–XVIII საუკუნეებში ბატონობდა. არმიის მთელ არსებულ ძალებს თანაბრად განალაგებდენ სახელმწიფო საზღვრის გაყოლებით და ქმნიდნენ ერთგვარ კორდონს, რომელსაც უნდა დაეფარა მოწინააღმდეგის მოქმედების ყველაზე შესაძლო მიმართულებები. საზღვრისპირა ციხესიმაგრეების თავდაცვისთვის გამოიყოფოდა ძლიერი გარნიზონები. შეტევაზე გადასული არმია ვერ ბედავდა გადასულიყო მტრის სიმაგრეებზე და თავისი კომუნიკაციებისათვის შეექმნა ზურგში დარჩენილი მოწინააღმდეგის თავდასხმის საფრთხე. კ.ს-ის თავისებურებაა მკაფიოდ გამოხატული თავდაცვითი ხასიათი და საბრძოლო მოქმედებების პასიურობა, რაც დაქირავებული არმიების ეპოქას ახასიათებდა.

კორეა (Korea – კორეის რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში, მდებარეობს კორეის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში. აღმოსავლეთით ესაზღვრება იაპონიის ზღვა, დასავლეთით – ყვითელი ზღვა, სამხრეთით – კორეის სრუტე, რომელიც გამოყოფს მას იაპონიისაგან. ფართობი 98,5 ათ. კმ². მოსახლეობა 48,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – კორეული. დედაქალაქი – ქ. სეული. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად და 5 პროვინციის სტატუსიან ქალაქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ეროვნულ კრებას (ერთპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – პრეზიდენტსა და მთავრობას. კ-ის რესპუბლიკა აღიარეს 1948 წლის 15 აგვისტოს. 1951 წელს შეიჭრა ჩრდილოეთ კორეა, ომი რამდენიმე წელი გრძელდებოდა. 1961 და 1980 წლებში მოხდა სამხედრო გადატრიალებები. 1991 წელს ჩრდილოეთ კორეასთან ხელი მოეწერა თვადაუსხმელობის აქტს. 1992 წლიდან გაეროს წევრია. 2000 წლიდან დაიწყო „დათბობის პერიოდი“ მხარეებს შორის. კ-ის რესპუბლიკა დინამიკურად განვითარებადი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ელექტროტექნიკური, რედიოელექტრონული, ქიმიური მრეწველობა და გემთმშენებლობა. სოფლის მეურნეობის საფუძველში – მცენარეული კულტურების მოყვანა. სამხედრო მრეწველობა უშვებს ტანკებს, თვითმფრინავებს, ჯავშან-ტექნიკას, ვერტმფრენებს, ხომალდებს, ცეცხლსასროლ იარაღსა და ტყვია-წამალს. საზღვაო პორტებია: ინჩხონი, პუსანი, ულსანი, ფხოპანი. საერთაშორისო აეროპორტებია: კიმპხო (სეული), კიმხე (პუსანი), ჩეჯუ. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 653 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 520 ათ., სამხედრო-საჰაერო 65 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 68 ათ.. რეზერვი – 320 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული ფორმით.

კორეა (Korea – კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ აზიაში, მდებარეობს კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში. აღმოსავლეთით ესაზღვრება იაპონიის ზღვა და აღმოსავლეთ კორეის ყურე. დასავლეთით – კორეის ყურე და ყვითელი ზღვა. ფართობი 120,5 ათ. კმ². მოსახლეობა 24 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – კორეული. დედაქალაქი – ქ. ფხენიანი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 მიწად (პროვინცია) და 4 სტატუსიან ქალაქად. სახელმწიფოს მეთაურია თავდაცვის

კომიტეტის თავმჯდომარე. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს უმაღლეს სახალხო კომიტეტს. აღმასრულებელი – მინისტრთა კაბინეტს (მთავრობა). 1948 წლის 9 სექტემბერს ჩრდილოეთ **კ.** გამოცხადდა სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად. სამხრეთ **კ**-სთან დაპირისპირება გადაიზარდა **კ**-ის ომში (1950–53). 1970 წლის დეკლარაციის თანახმად, **კ**-ის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა გარდაიქმნა სოციალისტურ-ინდუსტრიულ სახელმწიფოდ. **კ**-ის რესპუბლიკის მრეწველობის მთავარი დარგებია: მეტალურგია, სამთომოპოვებითი, სამშენებლო მასალის წარმოება, ქიმიური მრეწველობა. სოფლის მეურნეობის საფუძველია – ბრინჯის და სიმინდის მოყვანა. ქვეყანა განიცდის საკვები პროდუქტების დეფიციტს. სამხედრო მრეწველობა უშვებს ტანკებს, თვითმფრინავებს, ჯავშანტექნიკას, ვერტმფრენებს, ხომალდებს, ცეცხლსასროლ იარაღსა და ტყვია-წამალს. საზღვაო პორტებია: ნამფხო, ვონსანი, ჰინამი, ჩხონჯინი, კოსონი და უნსანი. საერთაშორისო აეროპორტია სუნანი (ფხენიანი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1,2 მლნ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 1 მლნ., სამხედრო-საჰაერო – 103 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 97 ათ.. რეზერვი – 820 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

კორეის ომი 1950–53, სამხედრო კონფლიქტი ჩრდილო კორეასა (მხარს უჭერდნენ ჩინეთი და სსრ კავშირი) და სამხრეთ კორეას შორის, რომლის დასაცავად გამოვიდნენ გაეროს ძალები და, განსაკუთრებით, აშშ. კონფლიქტის წინაპირობები შეიქმნა 1945 წელს კორეის გაყოფით 38-ე პარალელზე საბჭოთა და ამერიკულ საოკუპაციო ზონებად. 1948 წელს საბჭოთა ზონაში (კორეის ჩრდილო ნაწილი) ჩამოყალიბდა კომუნისტური კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთ კორეაში კი – კორეის რესპუბლიკა, რომელიც აშშ-ზე იყო ორიენტირებული. 1950 წლის ივნისში ჩრდილო კორეის ჯარები შეიჭრნენ სამხრეთ კორეაში და დაიკავეს მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ქ. პუსანის რაიონის გარდა. გაეროს უშიშროების საბჭომ, რომლის მუშაობაში იმ დროს სსრ კავშირი არ მონაწილეობდა, მიიღო გადაწყვეტილება სამხრეთ კორეისათვის აღმოეჩინათ სამხედრო დახმარება. კორეაში გადასხდნენ აშშ-ისა და მისი მოკავშირეების ძალები, რომლებმაც სამხრეთ კორეის ჯარებთან ერთად უკუაგდეს კომუნისტები, ხოლო 1950 წლის ბოლოსათვის დაიკავეს ჩრდილო კორეის ტერიტორიის დიდი ნაწილიც. ამ ვითარებაში კორეაში შეიჭრნენ კომუნისტური ჩინეთის ჯარები (ოფიციალურად – „მოხალისეები“) და ფრონტმა ისევ ძველი საზღვრის რაიონში გადმოინაცვლა. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ მოწინააღმდეგეები ერთმანეთს დაუზავდნენ (1953 წლის 27 ივლისს). სხვადასხვა მონაცემით ომში დაიღუპა 2,5-დან 4 მლნ-მდე ადამიანი (მშვიდობიანი მოსახლეობის ჩათვლით). ჩინელი „მოხალისეების“ დანაკარგი 1 მლნ-ს აღწევდა; დაიღუპა, აგრეთვე 33 ათ. ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. კორეის მშვიდობიანი გაერთიანების ცდებს დღემდე არ გამოუღია შედეგი.

კორვეტი (ფრანგული – corvette), 1. XVIII–XIX საუკუნეებში აფრიან სამხედრო ფლოტში მსუბუქი ხომალდი, დაზვერვისა და დამხმარე ამოცანების შესასრულებლად; 2. II მსოფლიო ომის პერიოდში ბრიტანულ და ამერიკულ ფლოტებში – ნავსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო საბრძოლო ხომალდი; 3. მცირე სადარაჯო ხომალდი ზოგიერთი ქვეყნის (იტალია, დანია, პორტუგალია და სხვა) სამხედრო ფლოტებში.

კორპუსი (ლათინური corpus – სხეული, მთლიანი), ოპერატიულ რგოლში ჯარების ორგანიზაციის ფორმა, რომელიც ბევრ სახელმწიფოშია მიღებული. ოპერატიულ-ტაქტიკური (უმაღლესი ტაქტიკური) გაერთიანება (შენაერთი) შედის უფრო დიდი გაერთიანების შემადგენლობაში ან ცალკეა. ჩვეულებრივ, შედგება რამდენიმე გვარეობის ჯარების შენაერთებისა და ნაწილებისგან, საბრძოლო, ტექნიკური და ლოგისტიკური უზრუნველყოფის ნაწილების, ქვედანაყოფებისა და დაწესებულებებისგან. როგორც მუდმივი ფორმირებები, **კ**-ები პირველად 1800 წელს საფრანგეთში ჩამოყალიბდა. ნაპოლეონის ომების პერიოდში საკორპუსო ორგანიზაცია გავრცელდა საფრანგეთის მთელ არმიაში, შემდეგ – ევროპის სხვა ქვეყნებში. XIX საუკუნის დამლევს საარმიო (ქვეითი) და კავალერიის **კ.** მტკიცედ დამკვიდრდა თითქმის ყველა სახელმწიფოს არმიების შემადგენლობაში. შედგებოდა 2–4 დივიზიისგან (50 ათ-მდე კაცი). ქვეითი და კავალერიის **კ**-ების ანალოგები გახდა მსროლელ და ცხენოსანთა **კ**-ები. სამხედრო მშენებლობის ისტორიაში ცნობილია, აგრეთვე **კ**-ები: მექანიზებული, მოტორიზებული, საჰაერო-სადესანტო, სატანკო, სარაკეტო, საავიაციო, სარკინიგზო და სხვა. გასული საუკუნის 90-იანი წლების დამლევს საკორპუსო ორგანიზაცია ინარჩუნებდა თავის მნიშვნელობას უპირატესად სახმელეთო ჯარებში. მიღებულია მთელი რიგი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებში.

ს ა ა ვ ი ა ც ი ო **კ.**, სამხედრო-საჰაერო ძალების გაერთიანება. შეიქმნა მთელ რიგ ქვეყნებში გასული საუკუნის 30-იან წლებში. დიდი სამამულო ომის დროს წითელ არმიაში 1942 წლის II ნახევრიდან საავიაციო **კ**-ში გაერთიანებული იყვნენ საფრონტო ავიაციისა და მთავარსარდლის რეზერვის ავიაციის შენაერთები და ნაწილები. ჩამოყალიბდა საავიაციო **კ**-ები – ბომბდამშენი, საიერიშო, გა-

მანადგურებელი და შერეული, რომლებიც შედიოდნენ საჰაერო არმიაში ან მოქმედებდნენ დამოუკიდებლად დაჯგუფებების, საერთო-საჯარისო და სატანკო არმიების ინტერესებისათვის. ჩვეულებრივ, საავიაციო ᲓᲐ-ში შედიოდა 2–3 საავიაციო დივიზია (200–375 თვითმფრინავი). არსებობდა აგრეთვე საჰაერო თავდაცვის გამანადგურებელი საავიაციო ᲓᲐ. 1954–55 წლებში საავიაციო ᲓᲐ-ები ბევრ არმიაში გაუქმდა.

ᲙᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲘᲡ (ᲪᲮᲔᲜᲝᲡᲐᲜᲗᲐ) ᲓᲐ., სტრატეგიული კავალერიის შენაერთი, განკუთვნილი იყო შეტევით ოპერაციებში წარმატების განვითარებისათვის. პირველად შეიქმნა საფრანგეთში 1804 წელს, XIX საუკუნის შუახანებში ყველა არმიაში გაუქმდა. I მსოფლიო ომის დამდეგს იყო გერმანიასა და საფრანგეთში, რუსეთში შეიქმნა 1916 წელს.

ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲕᲠᲪᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ., სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის ჯარების გაერთიანება. მოიცავს კოსმოსური სივრცის კონტროლის შენაერთებსა და ნაწილებს, აგრეთვე კავშირგაბმულობის მართვის, მონაცემების გადაცემისა და უზრუნველყოფის ნაწილებსა და ქვედანაყოფებს. მშვიდობიანობის დროს თავის ამოცანებს ასრულებს საინფორმაციო-სადაზვერვო მოქმედებით.

ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ., სსრ კავშირში ჯავშანსატანკო და მექანიზებული ჯარების საერთო-საჯარისო შენაერთი. უპირატესად განკუთვნილი იყო შეტევითს ოპერაციებში წარმატების გასავითარებლად. პირველად ჩამოყალიბდა 1932 წელს. ომის შემდეგ მექანიზებული ᲓᲐ-ები მექანიზებულ დივიზიებად გარდაიქმნა.

ᲛᲝᲢᲝᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ., საერთო-საჯარისო შენაერთი გერმანიის შეიარაღებულ ძალებში II მსოფლიო ომის დროს. განკუთვნილი იყო მთავარი დარტყმის მიმართულებით შეტევის განვითარებისათვის თავდაცვაში – ზოლის შენარჩუნების ან კონტრდარტყმებისთვის. მოიცავდა 1–2 სატანკო, 1–2 მოტორიზებულ ან მსუბუქ დივიზიას, ხოლო ზოგჯერ ქვეით დივიზიასაც. შედიოდა, როგორც წესი, საველე არმიის ან სატანკო დაჯგუფების (არმიის) შემადგენლობაში 60–70 ათ. კაცითა და 350–700 ტანკით და სხვა.

ᲛᲡᲠᲝᲚᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ., მსროლელთა ჯარების საერთო-საჯარისო შენაერთი. პირველად გაჩნდა 1904–05 რუსეთ-იაპონიის ომში და მუდმივი შემადგენლობა არ ჰყავდა. II მსოფლიო ომის დაწყებისას მსროლელთა ᲓᲐ-ში შედიოდა 2–3 მსროლელთა დივიზია, 2 საარტილერიო პოლკი, საზენიტო-საარტილერიო დივიზიონი და სხვა ნაწილები. 1941 წელს თითქმის ყველა მსროლელთა ᲓᲐ. დაშალეს, ხოლო 1942–43 წლებში კვლავ აღადგინეს, 50-იან წლებში დაიშალა.

ᲡᲐᲐᲠᲛᲘᲝ ᲓᲐ., სახმელეთო ჯარების საერთო-საჯარისო გაერთიანება. სტაბილური ორგანიზაციული სტრუქტურა არ გააჩნია იშვიათი გამონაკლისის გარდა. წარმოიშვა მასობრივი არმიების გაჩენის შემდეგ, I და II მსოფლიო ომების პერიოდში იყო ბევრი სახელმწიფოს არმიებში. თანამედროვე საარმიო ᲓᲐ. მოიცავს 2–4 და მეტ დივიზიას (მათგან 1–2 სატანკოს), ჯარების გვარეობებისა და სპეციალური ჯარების საკორპუსო ნაწილებს, კორპუსის ლოგისტიკის ნაწილებსა და ქვედანაყოფებს.

ᲡᲐᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲝ ᲓᲐ., მთავარსარდლის რეზერვის არტილერიის შენაერთი II მსოფლიო ომში, განკუთვნილი იყო არტილერიის მასირებისთვის დაჯგუფების ძალისხმევის თავმოყრის მიმართულებებზე. ზოგიერეთი ქვეყნის არმიებში იქმნებოდა, როგორც გარღვევის საარტილერიო ᲓᲐ.. თითოეული საარტილერიო ᲓᲐ. მოიცავდა 2–2 გარღვევის საარტილერიო დივიზიას, ხოლო თავდაპირველად – ერთ ნაღმსატყორცნების დივიზიას (სულ 1000-ზე მეტი ქვემეხი, ნაღმსატყორცნი და გამშვები დანადგარი).

ᲡᲐᲢᲐᲜᲙᲝ ᲓᲐ., საერთო-საჯარისო შენაერთი, განკუთვნილია არმიის (დაჯგუფების) მოძრავი ჯგუფის შემადგენლობით მოქმედებისათვის. სსრ კავშირში პირველად ჩამოყალიბდა 1938 წელს მექანიზებული ᲓᲐ-ის ბაზაზე. გერმანიაში II მსოფლიო ომის დროს სატანკო ᲓᲐ., ჩვეულებრივ, შედგებოდა 2 სატანკო და 1 მოტორიზებული დივიზიისაგან (დაახლოებით 500 ტანკი და საიერიშო ქვემეხი). ზოგჯერ მათში შეჰყავდათ ქვეითთა შენაერთებიც. საბრძოლო მოქმედებას სატანკო ᲓᲐ-ები აწარმოებდნენ საველე არმიების, სატანკო დაჯგუფებისა და სატანკო არმიების შემადგენლობით.

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲓᲐ., განკუთვნილია ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, სამრეწველო, ეკონომიკური ცენტრებისა და რაიონების, აგრეთვე შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებისა და სამხედრო ობიექტების დასაცავად ჰაერიდან მოსალოდნელი დარტყმებისაგან.

ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ-ᲡᲐᲓᲔᲡᲐᲜᲢᲝ ᲓᲐ., საჰაერო-სადესანტო ჯარების საერთო-საჯარისო შენაერთი; II მსოფლიო ომის პერიოდში განკუთვნილი იყო ამოცანების გადასაწყვეტად მოწინააღმდეგის ზურგში საჰაერო-სადესანტო ოპერაციების დროს. ზოგიერთი ქვეყნის არმიებში მათი შექმნა დაიწყო 1941 წლის აპრილიდან: ომის დაწყებიდან გამოიყენებოდა, როგორც მსროლელთა შენაერთი. 1942 წელს გარდაიქმნა მე-10 გვარდიის საჰაერო-სადესანტო დივიზიად. გერმანიაში ლუფტვაფეს შემადგენლობაში ჰყავდათ საავიაციო ᲓᲐ., რომელშიც შედიოდა საპარაშუტო-სადესანტო დივიზია, პლანერისტთა მოიერიშე

პოლკი, საბრძოლო-საავიაციო დაჯგუფება და სხვა ნაწილები. 1943 წლის დამლევს ჩამოყალიბდა ორი საჰაერო-საავიაციო **კ.**, რომლებიც გაერთიანდა საჰაერო-სადესანტო (საპარაშუტო) არმიად. აშშ-ში საჰაერო-სადესანტო დივიზიები **კ**-ად ერთიანდებოდა მხოლოდ საბრძოლო მოქმედების პერიოდისათვის.

ქ ვ ე ი თ ი **კ.**, საერთო საჯარისო შენაერთი (გაერთიანება) ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში. განკუთვნილი იყო საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის მცირე ტევადობის საოპერაციო მიმართულებებზე. ჩვეულებრივ, შედგებოდა შტაბისგან, 2–4 ქვეითი დივიზიისგან, ზოგჯერ აგრეთვე 1–2 კავალერიის დივიზიისგან, **კ**-ის ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან. რიცხოვნობა მერყეობდა 30-დან 100 ათ. კაცამდე.

ც ა ლ კ ე უ ლ ი ს ა რ ა კ ე ტ ო **კ.**, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების შენაერთი არსებობდა სსრ კავშირში 1961–70 წლებში. განკუთვნილი იყო მოწინააღმდეგის სტრატეგიული ობიექტების დაზიანებისათვის დაშორებულ ტერიტორიებზე. შედგებოდა სხვადასხვა ტიპის საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი სარაკეტო დივიზიებისაგან. ნაწილი გარდაიქმნა სარაკეტო დივიზიებად, ნაწილი – დაიშალა.

კორპუსის არტილერია, იხ. *საჯარისო არტილერია.*

კორპუსის ლოგისტიკა, ლოგისტიკის ნაწილები და დაწესებულებები, რომლებიც ემსახურება კორპუსის შენაერთების და ნაწილების ლოგისტიკურ უზრუნველყოფას; განეკუთვნება ოპერატიულ ლოგისტიკას.

კორპუსის ოპერაცია, მიზნის, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული ბრძოლების, დარტყმების და მანევრის ერთობლიობა, რომელსაც ოპერატიულ-ტაქტიკური (ოპერატიული) მიზანი აქვს. ახორციელებენ საარმიო კორპუსის შენაერთები და ნაწილები ერთიანი ჩანაფიქრის და გეგმის მიხედვით დაჯგუფების (არმიის, არმიების ჯგუფის) და შეიარაღებული ძალების სახეობების სხვა გაერთიანებებთან და შენაერთებთან ურთიერთქმედებით. **კ.ო**-ის ძირითადი დებულებები მომზადების და ჩატარების წესი, არმიის ოპერაციის ანალოგიურია.

კორსარი (იტალიური corsaro – მეკობრე), 1. ზღვის მეკობრე; თავდპირველად, XIV საუკუნეში, ასე უწოდებდნენ მხოლოდ ჩრდილოაფრიკელ მეკობრეებს; 2. იგივე, რაც *კაპერი* XVI საუკუნიდან.

კოსმოსური აპარატები, კოსმოსში მიზნობრივი ამოცანების შესასრულებლად განკუთვნილი საფრენი აპარატების საერთო სახელწოდება. შეიძლება იყოს დედამიწის ირგვლივი და საპლანეტთაშორისო, სამეცნიერო-კვლევითი და გამოყენებითი, ავტომატური და პილოტირებადი. **კ.ა**-ის ყველაზე გავრცელებული სახეობებია: ავტომატური საპლანეტთაშორისო სადგური, დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, კოსმოსური ხომალდი, ორბიტული სადგური, სატრანსპორტო ხომალდი.

კოსმოსური აპარატების მართვის ავტომატიზებული სისტემა, კოსმოსური აპარატების მოძრაობის ავტომატიზებული მართვის და საბორტე მოწყობილობების ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფის დედამიწისეული და საბორტე საშუალებების ერთობლიობა. შედგება მართვის დედამიწისეული და საბორტე კომპლექსებისგან. დედამიწისეული კომპლექსი აყალიბებს მართვის პროგრამებს და შეჰყავს ისინი საბორტე კომპლექსში, გასცემს მართვის ბრძანებებს ტელეკონტროლისა და კოსმოსური აპარატის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე, ზომავს კოსმოსური აპარატის ორბიტის პარამეტრებს მისი მოძრაობის პროგნოზირებისათვის. საბორტე კომპლექსი მართავს კოსმოსური აპარატის საბორტე აპარატურას შეყვანილი პროგრამის შერსაბამისად.

კოსმოსური აპარატის საბორტე მოწყობილობა, კოსმოსური აპარატის ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა. მისი მიზანია მოძრაობის მოცემული მახასიათებლების, ყოფის შიდა პირობების უზრუნველყოფა, ასევე მიზნობრივი ამოცანების გადაწყვეტა. უზრუნველმყოფი საბორტე მოწყობილობა შეიცავს ფრენის მართვის, ენერგომომარაგების, სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების, ბიოლოგიური დაცვის, თერმორეგულირების, თერმოდაცვის, კოსმონავტების ავარიული გადარჩენის, დაჯდომის, რადიოკავშირის, ტელემეტრიის და სხვა საშუალებებს. მიზნობრივი საბორტე მოწყობილობა მოიცავს სამეცნიერო-კვლევით, მეტეო და ფოტომოწყობილობებს.

კოსმოსური დაზიანება, იხ. *დაზიანება*

კოსმოსური დაზვერვა, ერთმანეთთან ორგანიზაციულად, ტექნიკურად და ინფორმაციულად დაკავშირებული თანამგზავრული კოსმოსური სისტემების და დედამიწისეული საშუალებების გამოყენებით გარკვეული სამხედრო ობიექტების, რაიონების, ჯარების დაჯგუფებების განლაგების და მდგომარეობის ამსახველი მონაცემების მოპოვების, დამუშავებისა და მომხმარებლებისთვის გადაცემის ღონისძიებების კომპლექსი. სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) დაზვერვის შემადგენელი ნაწილი. **კ.დ**-ის წარმოებისთვის გამოიყენება ხედვითი, რადიო და რადიოტექნიკური სისტემები. დაზვერვის ძალებსა და საშუალებებს იშველიებენ იმ მონაცემების მისაღებად, რომლებიც ეხება საკონტინეტთაშორისო რაკეტების, სამხედრო-საჰაერო ძალების, საჰაერო თავდაცვის ჯარების დაჯგუფებებს, სახმელეთო ჯარების დისლოკაციას, საომარი მოქმედების თეატრის ოპერატიულ

და საინჟინრო მოწყობას, აგრეთვე საზღვაო და სახმელეთო მიზნების ყოველგვარ ამინდში დაზვერვის წარმოებას, საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების მობილური გამშვები დანადგარების ძებნას და სტრატეგიული სისტემების იარაღის ბაზირების პუნქტების თვალთვალს.

კოსმოსური ვითარება, ყველა კოსმოსური ობიექტის, კოსმოსური სივრცის, იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ კოსმოსური აპარატების (ორბიტული სადგურების, კოსმოსური კომპლექსებისა და სხვა) მომზადებაზე, მსვლელობაზე და ფუნქციონირების შედეგზე. მასშტაბის მიხედვით **კ.ვ**. შეიძლება იყოს სტრატეგიული და ოპერატიული ან ტაქტიკური. სტრატეგიულია **კ.ვ.**, რომელიც ყალიბდება დედამიწის ირგვლივ, კოსმოსურ სივრცეში და მხარეების კოსმოსური ძალების პოზიციურ რაიონებში. ოპერატიული (ტაქტიკური) **კ.ვ**. იქმნება გარკვეული დროისთვის მხარეების კოსმოსური ძალების ფორმირების ზონაში (რაიონში). **კ.ვ**-ის შეფასება მოიცავს კოსმოსური ძალების დაჯგუფებების, იმ ფაქტორებისა და პირობების შესწავლას და ანალიზს, რომლებიც კოსმოსში და კოსმოსიდან ამოცანების შესრულებაზე ახდენენ გავლენას.

კოსმოსური თავდაცვა, თავდაცვის საშუალებები, რომლებიც გამოიყენება მოწინააღმდეგის საიერიშო იარაღის (რაკეტების ჩათვლით) გასანადგურებლად, როცა ის კოსმოსურ სივრცეშია ან მსგავსი იერიშის აღსაკვეთად, ან შესასუსტებლად.

კოსმოსური კავშირი, ინფორმაციის გაცვლა **კ.კ**-ის დედამიწისეულ სადგურებსა და კოსმოსურ აპარატებს შორის. **კ.კ**. ფართოდ გამოიყენება ტელემეტრიული, სატელეფონო, სატელეგრაფო, ფოტოსატელეგრაფო, სატელევიზიო და სხვა ინფორმაციის გადასაცემად. მისი სისტემები საშუალებას გვაძლევს, გადავწყვიტოთ რეგიონებს, ქვეყნებს, შორეულ რაიონებს შორის გლობალური კავშირის პრობლემა, უზრუნველვყოთ საიმედო მობილური კავშირი ჯარების (ძალების) ძირითადი დაჯგუფებების მოქმედების უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე. **კ.კ**-ის ორგანიზაციის ყველაზე გავრცელებული ფორმაა **კ.კ**-ის დედამიწისეული სადგურების გამოყენება. ყველაზე ფართო განვითარება **კ.კ**-მა პოვა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალებში. აქ 80-იანი წლების დამდეგს შეიქმნა სამხედრო თანამგზავრული კავშირის ეროვნული სისტემები. ნატოს ძირითადი ქვეყნების სახმელეთო ჯარებში მშვიდობიანობის დროს **კ.კ**-ის გამოყენება გათვალისწინებულია მართვის ოპერატიულ-სტრატეგიულ რგოლში, ხოლო წვრთნების დროს და საშიშროების პერიოდში მართვის ტაქტიკურ რგოლსაც ემსახურება.

კოსმოსური მიზნის (ობიექტის) გადაჯერა, ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების კომპლექსი, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის კოსმოსური ობიექტის აღმოჩენა და დაზიანება (მწყობრიდან გამოყვანა). კოსმოსური მიზნის (ობიექტის) აღმოჩენა ხდება კოსმოსური სივრცის კონტროლის საშუალებების გამოყენებით. კოსმოსური მიზნების (ობიექტების) დაზიანება (მწყობრიდან გამოყვანა) ხორციელდება ავტომატური თანამგზავრ-გადამჭერების გაშვების და გამიზვნის კომპლექსების, საავიაციო-სარაკეტო სისტემების, აგრეთვე რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების მეშვეობით.

კოსმოსური ოპერაციები, კოსმოსური სისტემების გამოყენება მართვისა და კონტროლის გასაძლიერებლად, რაც გააადვილებს მანევრირებას, გააუჯობესებს საცეცხლე მხარდაჭერას, საჰაერო თავდაცვას, ასევე დაზვერვას, მეთაურის უზრუნველყოფას ზუსტი მონაცემებით და საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ოპერაციებს. ყოველივე ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური ამოცანების შესრულებას მთელი ოპერაციის მანძილზე, რომელიც დაგეგმილია უახლოეს, მომდევნო ან შორეულ პერიოდში.

კოსმოსური სანავიგაციო სისტემა, თანამგზავრული სისტემა, რომლის მეშვეობითაც მოძრავ ობიექტებს (წყალქვეშა ნავებს, წყალზედა ხომალდებს, მობილურ სარაკეტო კომპლექსებს) შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი კოორდინატები, მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება. შეიცავს სპეციალური სანავიგაციო აპარატურით აღჭურვილ ერთი ტიპის დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების ორბიტულ დაჯგუფებას, მომხმარებელთა სანავიგაციო კომპლექსის აპარატურას და დედამიწისეულ მართვის კომპლექსს.

კოსმოსური სატრანსპორტო ხომალდი, ავტომატური ან პილოტირებული კოსმოსური აპარატი, რომელიც განკუთვნილია ორბიტულ სადგურში ეკიპაჟის მისაყვანად და ტვირთის მისატანად, კოსმოსური აპარატის გასაყვანად კოსმოსური სივრცის გათვალისწინებულ რაიონში და დედამიწაზე დასაბრუნებლად. ერთჯერადი გამოყენების **კ.ს.ხ**-ებს განეკუთვნება რუსული კოსმოსური ხომალდები „სოიუზი“ და „სოიუზ ტ“, ავტომატური სატვირთო კოსმოსური აპარატი „პროგრესი“, ხოლო მრავალჯერადი გამოყენების – ამერიკული სატრანსპორტო ხომალდი „სპეის შატლი“.

კოსმოსური სივრცის კონტროლი, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება კოსმოსურ სივრცეში არსებულ კოსმოსურ ობიექტებზე, სისტემებზე ინფორმაციის მოპოვების, შეგროვების, დამუშავების, ანალიზის მიზნით მათი ამსახველი საჭირო ინფორმაციის (შემადგენლობა, მდებარეობა, მდგომა-

რეობა, დანიშნულება და სხვა) და მთლიანად კოსმოსური ვითარების შესახებ ცნობების დროულად მისაღებად. **კ.ს.კ**-ის ძირითადი ეტაპებია: კოსმოსური ობიექტების აღმოჩენა, ინფორმაციის ანალიზი და გადაცემა დამუშავების ცენტრში, მათი კატალოგიზაცია, ამ ობიექტების თანხლება, ამოცნობა, კოსმოსური ობიექტების ამსახველი საჭირო ინფორმაციის გაცემა. **კ.ს.კ**. ხორციელდება ტექნიკური საშუალებებით, რომლებსაც შეუძლიათ კოსმოსური ობიექტების თვალთვალი. ყველა ერთად ქმნის **კ.ს.კ**-ის სისტემას, რომელსაც აქვს ინფორმაციის მიღება-დამუშავების ერთიანი ცენტრი.

კოსმოსური სივრცის კონტროლის ცალკეული კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

კოსმოსური სისტემა, კოსმოსში და კოსმოსიდან გარკვეული სამხედრო და სამოქალაქო ამოცანების გადასაწყვეტად განკუთვნილი დედამიწისეული საშუალებების და კოსმოსური კომპლექსების ერთობლიობა. განასხვავებენ საინფორმაციო-ტექნიკურ და სატრანსპორტო-ტექნიკურ **კ.ს**-ებს. საინფორმაციო-ტექნიკური **კ.ს**-ების მეშვეობით ხორციელდება: სხვადასხვა ობიექტის დაზვერვა კოსმოსში და დედამიწაზე; ბალისტიკური რაკეტების გაშვების და ბირთვული აფეთქებების აღმოჩენა; კავშირგაბმულობის და ტელევიზიის უზრუნველყოფა; ნავიგაციის, გეოდეზიის და კარტოგრაფიის ამოცანების გადაწყვეტა; ამინდის და ჰიდრომეტეოროლოგიური ვითარების პროგნოზირება; დედამიწის ბუნებრივი რესურსების კვლევა, ეკოლოგიური კონტროლი და სხვა. სატრანსპორტო-ტექნიკური **კ.ს**-ები უზრუნველყოფენ ორბიტული საშუალებების ტრანსპორტირებას და მათ მუშა მდგომარეობაში შენარჩუნებას, კოსმონავტების გადაყვანას და ტვირთების გადატანას.

კოსტა-რიკა (Costa-Rica – კოსტა-რიკის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ქვეყანას დასავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, აღმოსავლეთით – ატლანტის ოკეანე კარიბის ზღვით. ფართობი 51,1 ათ. *კმ*². მოსახლეობა 4,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. სანხოსე. ადმინისტრაციულად იყოფა 7 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი საკანონმდებლო კრება. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1821 წელის 15 სექტემბერს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება. საზღვაო პორტებია: გოლფიტო, პუნტარენასი, ლიმონი. საერთაშორისო აეროპორტია სან-ხოსე. **კ.-რ**-ს კონსტიტუციის მიხედვით არ გააჩნია შეიარაღებული ძალები. გასამხედროებული ფორმირებებია: სამოქალაქო და სოფლის გვარდია, სასაზღვრო დაცვა, პოლიცია.

კოტ-დივუარი (Côte d'Ivoire – კოტ-დივუარის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. სამხრეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე გვინეის ყურით. ფართობი 322,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა 21,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. იამუსუკრო, ფაქტობრივად – ქ. აბიჯანი. სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 7 აგვისტოს. არის აგრარული ქვეყანა, ყავის, კაკაოს, პალმის ზეთის უმსხვილესი მწარმოებელი. საზღვაო პორტებია: აბიჯანი, ტაბუ, სასანდრა. საერთაშორისო აეროპორტი – აბიჯანი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 17ათ. კაცი (2012), შედგება სახმელეთო ჯარებისგან, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

კოჰორტა (ლათინური – Cohors), ტაქტიკური ქვედანაყოფი (360–600 კაცი) ძველი რომის არმიაში (ძვ.წ. 107 წლიდან). იყოფოდა 3 მანიპულად; 10 **კ**. შეადგენდა ლეგიონს. გადატანითი მნიშვნელობით – მჭიდროდ დარაზმული ადამიანების ჯგუფი.

კრებსი, შენაერთის შტაბის ან ლოგისტიკის შტაბის საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც შეიცავს განზოგადებულ მონაცემებს დღე-ღამის განმავლობაში საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების მდგომარეობისა და მოქმედებების შესახებ. **კ**. არის სხვადასხვა სახის: ოპერატიული, დაზვერვის და ლოგისტიკური. ზემდგომი შტაბის მოთხოვნით ინფორმაცია წარედგინება გარკვეული პერიოდის ან მთელი ოპერაციის შესახებ.

კრეისერი (ჰოლანდიური kruiser < kriusen – ზღვაზე ცურვა), წყალზედა საბრძოლო ხომალდი, რომლის დანიშნულებაა ბრძოლა მოწინააღმდეგის ფლოტის მსუბუქ ძალებთან, საბრძოლო ხომალდების შენაერთების და ბადრაგის დაცვა, საზღვაო დესანტის გადასხმის უზრუნველყოფა, სახმელეთო ჯარების ზღვისპირა ფლანგებისათვის ცეცხლით მხარდაჭერა, სანაღმე ღობურების დაყენება და სხვა საბრძოლო ამოცანების შესრულება. **კ**. პირველად ააგეს დიდ ბრიტანეთში. სხვადასხვა სახელმწიფოს ფლოტებში გაჩნდა სარაკეტო, საჰაერო თავდაცვაში, ნავსაწინააღმდეგო და სხვა **კ**-ები. თანამედროვე **კ**-ის მთავარი იარაღია კუთხვილლულიანი (102–20*3მმ კალიბრის*) არტილერია და სარაკეტო კომპლექსები. ამასთან, **კ**. შეიარაღებულია საზენიტო არტილერიით, ტორპედოებით და ნაღმებით, უმრავლესობა აღჭურვილია 1–2 მსუბუქი თვითმფრინავით ან ვერტმფრენით. **კ**-ის ძირითადი ზომებია: სიგრძე 200–220 *მ*-მდე, სიგანე 20–2*3მ*, წყალშიგი 8 *მ*-მდე. წყალწყვა 7-იდან 30 ათ. *ტ*-მდე. **კ**-ის ეკიპაჟი 600-დან 1300 კაცამ-

დეა, სვლის სიჩქარე – 30–35 *კვანძი* (55–65*კმ/სთ*).

კრესის ბრძოლა, სოფელი ჩრდილოეთ საფრანგეთში. 1346 წლის 26 აგვისტოს, *ასწლიანი ომის* (1937–1453) დროს, ინგლისის მეფის ედუარდ III-ის ჯარებმა (მშვილდოსნები და ქვეითი რაინდები) დაამარცხეს საფრანგეთის მეფის ფილიპე VI-ის ლაშქარი, რომლის ბირთვს შეადგენდნენ ცხენოსანი რაინდები. ბრძოლა მოხდა ჩრდილოეთ საფრანგეთში, სოფელ კრესთან. ინგლისელთა გამარჯვებაში მთავარი როლი შეასრულეს მშვილდოსნებმა; მათი ისრები ხვრეტდნენ რაინდების ჯავშანს.

კრიზისებზე რეაბირების ოპერაციები, ნატოს სამხედრო ოპერაცია, რომელიც ხორციელდება კრიზისების დარეგულირების მიზნით.

კრიზისი, შიდასახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო ვითარება, რომლის დროსაც დაინტერესებული მხარეების ძირითად ფასეულობებს, ინტერესებს ან მიზნებს ემუქრება საფრთხე.

კრიზისის განვითარების ციკლი, კრიზისის ინტენსივობის ზრდა მისი სხვადასხვა ფაზაში გადასვლის პროცესში.

კრიზისის დარეგულირება, შეთანხმებული მოქმედებები, რომლებიც მიმართულია კრიზისული მდგომარეობის განმუხტვისკენ. **კ.დ.** ხდება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის აღკვეთის მიზნით და საბრძოლო მოქმედებების საშიშროების წარმოქმნის შემთხვევაში.

კრიზისის ინტენსივობა, კრიზისის დროს, განსაზღვრულ პერიოდში, არსებული ძალადობის დონე. გარკვეულწილად განისაზღვრება ერთი ან რამდენიმე მხარის მოქმედებების აგრესიულობით და მერყეობს ძალადობის სრული არარსებობიდან მცირე შეიარაღებულ შეტაკებასა და ომის დაწყებას შორის.

კრიზისის მენეჯმენტი, სახელმწიფო ორგანოების და ინსტიტუტების ღონისძიებების კომპლექსი, რომელის მიზანია მომწიფებული კრიზისის დროული ამოცნობა, შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის საფრთხის შეფასება და მისი დეესკალაციის მიზნით ადეკვატური ზომების გატარება.

კრიზისის პერიოდი, კრიზისის განვითარების ციკლი, რომელიც მოიცავს მშვიდობის, უთანხმოების, კონფრონტაციის, შეიარაღებული კონფლიქტის, შერიგებისა და ახალი სტაბილურობის წარმოშობის სტადიებს.

კრიზისის სერიოზულობა, კრიზისის შეფასება მასში ჩაბმული მხარეების თვალსაზრისით, ხასიათდება მათ უმთავრეს ფასეულობებზე, ინტერესებსა და მიზნებზე მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბებით და სიახლოვით.

კრიზისული მდგომარეობის მონიტორინგი, მოქმედებები, განხორციელებული კრიზისების დარეგულირების სფეროში. გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას, სადაზვერვო მონაცემების შეკრების, დამუშავებას და ვითარებაზე წარმოდგენის ფორმირებას. მდგომარეობის მონიტორინგი ხორციელდება კრიზისის ყველა სტადიაზე.

კრიტიკული ზერტილები, წერტილი დროში, სივრცესა და საინფორმაციო გარემოში, საიდანაც შეიძლება საფრთხე დაემუქროს საკუთარი ან მოწინააღმდეგის უსაფრთხოებას.

კრომველი (Cromwell) ოლივერ (1599–1658), XVII საუკუნის ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მოღვაწე, მხედართმთავარი. პარლამენტის არმიის ერთ-ერთი ორგანიზატორი, რომელმაც გამარჯვებები მოიპოვა მეფის ჯარებზე I (1642–46) და II (1648) სამოქალაქო ომში. ამ პერიოდში კარგად გამოვლინდა **კ**-ის მხედართმთავრული ხელოვნება (ბრძოლები მარსტონ-მურთან 1644 წლის და ნეიზბისთან 1645 წლის). 1649 წელს **კ**-მა ინგლისი გამოაცხადა რესპუბლიკად. 1650 წელს დაინიშნა ლორდ-გენერლად – რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად, 1653 წელს გახდა ლორდ-პროტექტორი და დაამყარა სამხედრო-დიქტატორული რეჟიმი – პროტექტორატი. **კ**-ის გარდაცვალების შემდეგ ინგლისში აღდგა სამეფო ხელისუფლება (1660).

კრწანისის ბრძოლა 1795, ბრძოლა ქართლ-კახეთის (*ერეკლე II*) და ირანის (*აღა-მაჰმად-ხანი*) ჯარებს შორის თბილისთან, კრწანისის ველზე. 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანი 50 ათ-ანი ჯარით ამიერკავკასიაში შემოიჭრა და ადგილობრივი პოლიტიკური ერთეულების დამორჩილებას შეუდგა. მან *ერეკლე II*-ს მოსთხოვა რუსეთთან კავშირის გაწყვეტა და ირანის უზენაესობის ცნობა. ერეკლემ, რომელსაც რუსეთის დახმარების იმედი ჰქონდა (იხ. *გეორგიევსკის ტრაქტატი 1783*), უარი შეუთვალა და სამხედრო სამზადისს შეუდგა, მაგრამ აღა-მაჰმად-ხანი სწრაფად დაიძრა 30–35 ათ. კაცით და 8 სექტემბერს უკვე თბილისის მისადგომებთან იყო. რუსებს დახმარება არც უფიქრიათ, ერეკლეს ჯარი კი დაახლოებით 5–6 ათ. მეომარს ითვლიდა. მიუხედავად ამისა, ბრძოლის პირველ დღეს (10 სექტემბერი) ქართველებმა წარმატებით მოიგერიეს ირანელთა ავანგარდის (3 ათ. კაცი) შეტევა, მაგრამ 11 სექტემბერს აღა-მაჰმად-ხანმა თავისი მთავარი ძალები გამოიყვანა; ბრძოლა დილიდან საღამომდე გაგრძელდა და ქართველთა დამარცხებით დამთავრდა. ერეკლემ 150-მდე მხედრით მთიულეთს შეაფარა თავი. ირანელებმა თბილისი აიღეს, სასტიკად ააოხრეს და 10 ათ-მდე ტყვე წაიყვანეს. კრწანისის კატასტროფამ დიდი ზიანი მიაყენა აღმოსავლეთ საქართველოს და რუსეთის მიერ მისი ანექსიის ნიადაგი შეამზადა.

კუბა (República de Cuba – კუბის რესპუბლიკა), სახელმწიფო ვესტინდოეთში, განლაგებული კუბის, ხუვენტუდისა (პინოსი) და ახლომდე-

ბარე 160-მდე მცირე კუნძულზე. ფართობი 110,9 ათ. კმ². მოსახლეობა 11,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. ჰავანა. ადმინისტრაციულად იყოფა 14 პროვინციად და კუნძულ ხუვენტუდის საგანგებო მუნიციპიად (თვითმმართველობა). სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი და საკანონმდებლო ორგანოა სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). სახელმწიფოს და მთავრობის (მინისტრთა საბჭოს) მეთაურია სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე. 1902 წლის 20 მაისს კ. დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადდა. 1959 წლის 1 იანვარი დამოუკიდებლობის დღეა. კ. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. ეკონომიკის წამყვანი დარგები ეკუთვნის სახელმწიფოს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს შაქრის ლერწმის წარმოება, ნიკელის მადნის მოპოვება. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. ძირითადი საზღვაო პორტებია: ჰავანა, სანტიაგო-დე-კუბა, გუანტანამო, კარდენასი. საერთაშორისო აეროპორტი – ხოსე-მარტი (ჰავანა). კ-ის ტერიტორიაზე განლაგებულია აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზა გუანტანამო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 49 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 38 ათ. სამხედრო-საჰაერო 8 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 3 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

კუთხვილი იარაღი, ცეცხლსასროლი იარაღი, რომლის ლულის არხის მიმმართველ ნაწილს ჭურვის (ტყვიის) ბრუნვის ჰიროსკოპიული სიჩქარის მიცემისთვის ხრახნული კუთხვილია ქვს. ამის შედეგად ჭურვი მდგრადია ტრაექტორიაზე, რაც ხელს უწყობს მისაღები მანძილის და შეჯგუფების მიღებას. ლულის არხში მოძრაობის დროს ჭურვის ბრუნვა ხდება კუთხვილის წახნაგების ჭურვის გამონაშვერზე საბრძოლო (სამუშაო) წნევის შედეგად. ყველა ქვეყნის კუთხვილ იარაღს ჩვეულებრივ სწორკუთხოვანი ფორმის მარჯვენა კუთხვილი აქვს.

კუთხმზომი (საარტილერიო), 1. არტილერიაში მიღებული ჰორიზონტალური კუთხის დასახელება. აითვლება დამიზნებული ქვემეხის დგომის წერტილში საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ ლულის მიმართულების საწინააღმდეგო მხარესა და გამიზვნის მიმართულებას შორის. 2. საარტილერიო სამიზნის და სადაზვერვო ხელსაწყოების კუთხის საზომი ნაწილი. კ-ის საშუალებით მოსახვევი მექანიზმის მეშვეობით ხდება საარტილერიო ქვემეხის დამიზნება ჰორიზონტალურ სიბრტყეში იმ მიზანზე, რომელიც არ ჩანს (დახურული საცეცხლე პოზიციებიდან).

კუმულაციური საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

კურსანტი, იმ სამხედრო მოსამსახურის წოდება და თანამდებობა, რომელიც სამხედრო სასწავლებელში სწავლობს და არა აქვს ოფიცრის წოდება.

კურსი (ლათინური cursus – სრბოლა, მოძრაობა, მიმდინარეობა), 1. გადაადგილების გზა, ხომალდის (საფრენი აპარატის) მოძრაობის მიმართულება; 2. რომელიმე სამეცნიერო დისციპლინის ან საგნის (მაგალითად ტაქტიკის კ.) გარკვეული მოცულობით შესწავლის დამთავრება; 3. სახელმძღვანელო დოკუმენტი (დარიგება), რომელიც განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეების მომზადების (სწავლების) თანმიმდევრობას და შინაარსს (ტარების კ., სროლის კ.); 4. უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებლებში სწავლების პერიოდი (საფეხური); 5. მსმენელთა (კურსანტთა) შემადგენლობის სასწავლო ქვედანაყოფი სამხედრო სასწავლო დაწესებულებაში.

კურსკის ბრძოლა 1943, *გერმანია-სსრ კავშირის ომის* დროს. ეს იყო *ვერმახტის* უკანასკნელი ცდა დაებრუნებინა სტრატეგიული ინიციატივა აღმოსავლეთის ფრონტზე. **კ.ბ.** იყოფა თავდაცვით (5–23 ივლისი) და შეტევით (12 ივლისი–23 აგვისტო) ოპერაციებად. თავდაცვით ბრძოლებში ცენტრალური და ვორონეჟის ფრონტების ჯარებმა მოიგერიეს გერმანიის არმიის ჯგუფების „ცენტრისა“ და „სამხრეთის“ ცდა, ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ საბჭოთა ძალები კურსკის შვერილზე. ივლის–აგვისტოში კი კონტრშეტევაზე გადასულმა ცენტრალური, ვორონეჟის, დასავლეთის, ბრიანსკის, სტეპისა და სამხრეთ-დასასავლეთის ფრონტების ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის 30 დივიზია და გაათავისუფლეს ქალაქები: ორიოლი, ბელგოროდი, ხარკოვი. გერმანელებმა ბრძოლაში 500 ათ. კაცი დაკარგეს, საბჭოელებმა – 850 ათ., მაგრამ გერმანელთა შეზღუდული რესურსების გამო დანაკლისი მათთვის უფრო საგრძნობი იყო. კ.ბ-ის შედეგად გერმანია-სსრ კავშირის ფრონტზე გადამწყვეტი გარდატეხა მოხდა, გერმანია იძულებული გახდა თავდაცვაზე გადასულიყო ომის მთელი დარჩენილი პერიოდის მანძილზე.

კურტრე, ქალაქი ბელგიაში. მის მახლობლად 1302 წლის 11 ივლისს ფლანდრიის საქალაქო ქვეითმა ლაშქარმა დაამარცხა ფრანგი რაინდების მხედრობა; ეს ბრძოლა ითვლება დასავლეთ ევროპაში ქვეითი ჯარის აღორძინების დასაწყისად.

ᲚᲐᲑᲐᲓᲐ-ᲙᲐᲠᲐᲕᲘ, სამხედრო აღჭურვილობის საგანი. წარმოადგენს 180×180 *სმ* ზომის ტილოს, რომელიც დამზადებულია დამცავი ფერის ბამბის (ბრეზენტის) ქსოვილისგან. შეიძლება გამოიყენონ წამოსასხამ ლაბადად ავდრისას, სალაშქრო კარვის ასაგებად (ჩვეულებრივ, 6 ტილოსგან), საკაცედ, სათრეველად და სხვა.

ᲚᲐᲑᲐᲛᲘ, ცხენის აღკაზმულობის (ავშარის) ნაწილი, რომელიც დასამორჩილებლად პირში ამოედება ცხენს. ცხენის საკბილაკე (საბა).

ᲚᲐᲖᲔᲠᲣᲚᲘ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ, მიმართული ენერგიის იარაღის სახეობა, რომელიც მაღალენერგეტიკული ლაზერების მიერ ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას ემყარება. მისი დამაზიანებელი ფაქტორებია მიზანზე (სამხედრო ტექნიკა, ცოცხალი ძალა) თერმომექანიკური და დარტყმით – იმპულსური ზემოქმედება. **Ლ.Ი**-სთვის ყველაზე მისაღებია მკვრივორგანული, ქიმიური და ექსიმერული ლაზერები, ასევე ბირთვული დატუმბვის რენტგენული ლაზერები. ხელსაყრელი ატმოსფერული პირობების შემთხვევაში შესაძლებელია ამ იარაღით 6 *კმ*-ზე (კოსმოსში – რამდენიმე ათ. *კმ*-ზე) საჰაერო მიზნის დაზიანება. XXI საუკუნის დასაწყისის მდგომარეობით ყველაზე სრულყოფილად ითვლება ლ.ი. ოპტიკურ-ელექტრონული საშუალებების და ადამიანის მხედველობის ორგანოების დასაზიანებლად.

ᲚᲐᲘᲤᲪᲘᲖᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ 1813, 16–19 ოქტომბერს რუსეთის, პრუსიის, ავსტრიისა და შვედეთის ომის დროს მომხდარი გადამწყვეტი ბრძოლა ნაპოლეონის საფრანგეთის წინააღმდეგ. მოკავშირეთა ჯარებმა (დაახლოებით 300 ათ. კაცი, 1385 ქვემეხი) დაამარცხეს ნაპოლეონის არმია (დაახლოებით 200 ათ. კაცი, 700 ქვემეხი). ფრანგებმა დაკარგეს 80 ათ-მდე კაცი და თითქმის მთელი არტილერია, მოკავშირეებმა – 54 ათ. კაცი. **Ლ.ბ**-მ დაჩქარა ნაპოლეონის დამხობა.

ᲚᲐᲜᲓᲡᲙᲜᲔᲮᲢᲔᲑᲘ, (გერმანული land – ქვეყანა და knecht – მოჯამაგირე, ჯარისკაცი), დაქირავებული გერმანელი ქვეითი ჯარისკაცები XV–XVII საუკუნეები. **Ლ**-ის სამშობლო იყო შვაბია (სამხრეთ გერმანია). ისინი ბრძოლაში მოქმედებდნენ დიდი ჯგუფებით, ერთ მწყობრად შეკრულ ოთხკუთხა კოლონად.

ᲚᲐᲝᲡᲘ (Laos – ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე, ფართობი 236,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 6,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ლაოსური. დედაქალაქი – ქ. ვიენტიანი. ადმინისტრაციულად იყოფა 14 კხუენგად (პროვინცია). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სახალხო კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1945 წლის 12 ოქტომბერს, სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკად – 1975 წელს. **Ლ**. აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მიწათმოქმედება. მოჰყავთ ბრინჯი, სიმინდი, ბოსტნეული, ზეთოვანი კულტურები და სხვა. საერთაშორისო აეროპორტებია: ვიენტიანი, ლუანგპრაბანგსა და სავანაქეტი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 29,1 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები, სამდინარო ფლოტილია 25,1 ათ. და სამხედრო-საჰაერო ძალები 4 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ᲚᲐᲢᲕᲘᲐ (Latvija – ლატვიის რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ფართობი 64,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა 2,2 მლნ. კაცი (2012), აქედან 55% – ლატვიელები, 33% – რუსები, ასევე, ბელორუსები, პოლონელები და სხვა. ოფიციალური ენა – ლატვიური. დედაქალაქი – ქ. რიგა. ადმინისტრაციულად იყოფა 8 ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სეიმი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა კაბინეტი. თანამედროვე **Ლ**. გამოვიდა სსრ კავშირიდანდან და გამოაცხადა დამოუკიდებლობა 1991 წლის 6 სექტემბერს. **Ლ**. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი, მსუბუქი, კვების პროდუქტების წარმოება. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეცხოველეობა და რძის წარმოება. საზღვაო პორტებია: რიგა, ვენტსპილსი, ლიეპაია. საერთაშორისო აეროპორტი – რიგა. **Ლ**. ნატოს წევრი ქვეყანაა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 5,7 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 1,9 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,32 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 0,58 ათ. გასამხედროებული ფორმირება – ეროვნული გვარდია 2,9 ათ. კაცი. რეზერვი – 10,8 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲘ, 1. სამხედრო (გასამხედროებული) ფორმირებები, რომლებიც იქმნებოდა იმ მოქალაქეებისგან (უპირატესად მოხალისეებისგან), რომლებიც, როგორც წესი, სამხედრო

სამსახურში მობილიზაციით გაწვევას არ ექ-ვემდებარებოდნენ; სახელმწიფოს სამხედრო დაცვაში ხალხის მასების მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა. გამოიყენებოდა უძველესი დროიდან. ფეოდალიზმის დროს მასობრივი სახალხო **ლ**. იყო ჯარის ძირითადი კომპონენტი, რომლის ბირთვსაც შეადგენდა სამთავროს (სამეფოს, საფაშოს) რაზმი. 2. სამხედრო ვალდებულების კატეგორია, რომლებსაც ომის დროს მობილიზაციით იწვევდნენ დამხმარე ამოცანების შესასრულებლად.

ლაშქარნივისი, სამეურნეო დარგის მოხელე ფეოდალურ საქართველოში. **ლ**-ს ევალებოდა დაქირავებული და მუდმივი ჯარის მეომართა აღრიცხვა, მათი მომარაგება და ჯამაგირის გაცემა.

ლაშქრობა, არმიის (ფლოტის) მოქმედებები, რომლებიც მოიცავენ ჯარების (ხომალდების) გადაადგილებას დიდ მანძილებზე, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შეჭრას, ბრძოლების და ბატალიების წარმოებას; მოიცავდა ომის ერთ პერიოდს (კამპანიას) ან მთლიანად ომს. XX საუკუნის დამდეგიდან ტერმინი „ლაშქრობა“ დარჩა მხოლოდ სამხედრო-საზღვაო ძალებში, სადაც იგი შეიძლება იყოს სასწავლო (საშტურმანო, შეკრება-ლაშქრობანი და სხვა) და საბრძოლო.

ლახვარი, საჩეხი და საჩხვლეტი იარაღი, რომელსაც ხმარობდნენ პირისპირ ბრძოლის დროს. ძვ.წ II ათასწლეულში გავრცელებული იყო მესოპოტამიაში, კავკასიასა და დასავლეთ ევროპაში. **ლ**-ს ხმარობდნენ უძველესი ხანიდან XX საუკუნემდე. ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული იყო **ლ**-ის რამდენიმე ტიპი – ჰოროლი, შუბი, ხიშტი, ზუფანი და სხვა.

ლახტი, გ უ რ ზ ი, რკინის კეტი; უმკვეთლო საცემი, საომარი იარაღი. არსებობდა მისი რამდენიმე ნაირსახეობა. იყენებდნენ უძველესი ხანიდან XVIII საუკუნემდე. ზოგან ლ. მხედართმთავრის ძალაუფლების სიმბოლო იყო.

ლეგიონი (ლათინურიდან lego – ვაგროვებ, ვკრებ), ძირითადი ორგანიზაციული ერთეული ძველი რომის არმიაში. თავდაპირველად ეწოდებოდა რომის მთელ ჯარს, რომელიც წარმოადგენდა მონათმფლობელურ მილიციას – 3 ათ. ქვეითი ჯარისკაცი და 300 მხედარი შეძლებული მოქალაქეებისაგან, რომლებიც იკრიბებოდნენ მხოლოდ ომის დროს ან სამხედრო წვრთნისას. ძვ.წ. V–IV საუკუნეებში ლეგიონების რაოდენობა 2–4-მდე და მეტადაც გაიზარდა. **ლ**-ის შემადგენლობაში იყო მძიმე ქვეითი ჯარი – 3000 კაცი (პრინციპები, გასტატები, ტრიარიები), მსუბუქი ქვეითი ჯარი – 1200 კაცი (ველიტები) და 300 ცხენოსანი. მძიმე ქვეითი ჯარი იყოფოდა 30 ტაქტიკურ ქვედანაყოფად – მანიპულად (თითოეულში 60–120 მეომარი, რომლებიც 2 ცენტურიონს შეადგენენ), მათ ემატებოდათ ველიტები. რესპუბლიკის დროს **ლ**-ს სათავეში ედგა ტრიბუნი, იმპერიის დროს – ლეგატი. ძვ.წ. II საუკუნის ბოლოს მარიუსმა შეცვალა **ლ**-ის ორგანიზაცია, ჯარისკაცებს ხელფასი მოუმატა და რომის არმია გახდა პროფესიონალური, დაქირავებული არმია. იმპერატორ ავგუსტუსის დროს **ლ**-ის შემადგენლობა 7 ათ. კაცამდე გაიზარდა. **ლ**-ს მიენიჭა ნომერი, სახელწოდება; ჰქონდა „დროშა“ – ჯოხზე დამაგრებული ვერცხლის არწივი. რომის იმპერიის გაყოფის დროს (ახ.წ. IV საუკუნის ბოლოს) აღმოსავლეთ იმპერიაში იყო 70 **ლ**., დასავლეთში – 63. XVI–XIX საუკუნეებში **ლ**. ეწოდებოდა სხვადასხვა სამხედრო ფორმირებას საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და რუსეთში.

ლევქტრას ბრძოლა, ქალაქი ლევქტრა მდებარეობს ბეოტიაში (შუა საბერძნეთი), რომლის მახლობლად ძვ.წ. 371 წლის 5 აგვისტოს თებელთა ლაშქარმა (დაახლოებით 7,5 ათ. კაცი, ეპამონონდა) დაამარცხა სპარტელებისა და მათი მოკავშირეების ლაშქარი (11 ათ. კაცი, კლეომბროტე). ეპამინონდამ პირველად ისტორიაში გამოიყენა ფრონტზე ძალთა არათანაბარი განაწილების ტაქტიკური პრინციპი.

„ლეკიანობა“, დაღესტნელი ფეოდალებისა და სამხედრო ბელადების მიერ მოწყობილი თავდასხმები აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე. მიზნად ისახავდა ტყვეების, საქონლის, მატერიალური ფასეულობების ხელში ჩაგდებას; ცალკეულ შემთხვევაში ტერიტორიების დაპყრობასა და მოსახლეობის დახარკვას. დაღესტნელთა შემოსევები XVI საუკუნეში დაიწყო და პიკს მიაღწია XVIII საუკუნეში, როდესაც წვრილ-წვრილი თავდასხმების პარალელურად რამდენიმე დიდი ლაშქრობა მოეწყო ხუნძახის ხანების წინამძღოლობით. XIX საუკუნის დასაწყისში „**ლ**.“ შესუსტდა და რუსეთის მიერ დაღესტნის დაპყრობის შემდეგ (1859) საბოლოოდ შეწყდა.

ლენდ-ლიზი, (ინგლისური lend-lease – გასესხება, იჯარით გაცემა), II მსოფლიო ომის პერიოდში აშშ-ის მიერ *ანტიჰიტლერული კოალიციის* მონაწილე ქვეყნებისათვის იარაღის, საბრძოლო მასალების, სტრატეგიული ნედლეულის, სურსათის და ა.შ. სესხად ან იჯარით მიცემის სისტემა. სსრ კავშირმა **ლ**-**ლ**-ით მიიღო 14,8 ათ. თვითმფრინავი, 7 ათ-ზე მეტი ტანკი, 8,2 ათ. საზენიტო ქვემეხი, 131,6 ათასი ტყვიამფრქვევი; გარდა ამისა, ავტომანქანები, ტრაქტორები, ლოკომოტივები, სურსათი და სხვა.

ლესოთო (Lesotho – ლესოთოს სამეფო), სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში, მთლიანად გარს აკრავს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. ფართობი 30,3 ათ. *კმ*². მოსახლეობა 2,1 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ინგლისუ-

რი და სესუთო. დედაქალაქი – ქ. მასერუ. ადმინისტრაციულად იყოფა 10 ოლქად. ლ-ში კონსტიტუციური მონარქიაა, სახელმწიფოს მეთაური – მეფე, საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. ლ. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1966 წლის 4 ოქტომბრიდან. ლ. აგრარული ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტი – მასერუ. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 2 ათ. კაცი (2012), შედგება სახმელეთო ჯარებისა და ავიაციისაგან.

ლი (Lee) რობერტ ედუარდ (1807–70), ამერიკელი გენერალი. 1861–65 წლების სამოქალაქო ომის დროს (იხ. *სამოქალაქო ომი აშშ-ში*) სამხრეთელთა არმიის მთავარსარდალი. რამდენიმეჯერ გაიმარჯვა ჩრდილოელებზე, მაგრამ დამარცხდა *გეტიზბერგის ბრძოლაში (1863)*, ხოლო 1865 წელს გამოაცხადა კაპიტულაცია. ამერიკის ისტორიოგრაფიაში ლ. ითვლება გამოჩენილ მხედართმთავრად და აშშ-ის ეროვნულ გმირად.

ლიბანი (Lebanon – ლიბანის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აზიაში, ახლო აღმოსავლეთში. ქვეყანას დასავლეთით ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა. ფართობი 10,4 ათ. კმ². მოსახლეობა 4,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ბეირუთი. ადმინისტრაციულად იყოფა 6 მუჰაფაზად (გუბერნია). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო – დეპუტატთა პალატა. ლ-ის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1943 წლის 22 ნოემბერს. მის ტერიტორიაზე მოქმედებს შეიარაღებული რადიკალური შიიტური პარტია „ჰეზბოლა“, აგრეთვე თავისი სამხედრო კონტინგენტი ჰყავს წარმოდგენილი სირიას. ეკონომიკის ძირითადი დარგებია საბანკო-საფინანსო საქმიანობა, ვაჭრობა, ტურიზმი. საზღვაო პორტებია: ბეირუთი, ტრიპოლი, საიდა, ჯუნია, ჯუბაილი, ბატრუნი. საერთაშორისო აეროპორტი – ბეირუთი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 59,1 ათ. კაცი (2012) სახმელეთო ჯარები 57 ათ., სამხედრო-საჰაერო 1 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 1,1 ათ.. დაკომპლექტება 2007 წლიდან ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ლიბერია (Liberia – ლიბერიის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 111,4 ათ. კმ². მოსახლეობა 4,1 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. მონროვია. ადმინისტრაციულად იყოფა 15 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. სახელმწიფო ლ. შეიქმნა 1847 წელს ამერიკიდან გადმოსახლებული ყოფილი მონების მიერ. ლ. არის ხის, ნატურალური კაუჩუკის და სხვა ნედლეულის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყანა. მისი დროშის ქვეშ დარეგისტრირებულია მსოფლიოს უდიდესი სავაჭრო ფლოტი (დაბალი ბაჟის გამო). საზღვაო პორტებია: ბიუკენენი, მონროვია, გრინვილი, ჰარპერი. საერთაშორისო აეროპორტი – მონროვია. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 2 ათ. კაცი (2012). შედგება სახმელეთო ჯარებისგან. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით

ლიბია (Lybia – ლიბიის რესპუბლიკა), სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა. ფართობი 1,8 მლნ. კმ². მოსახლეობა 6,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ტრიპოლი. ადმინისტრაციულად იყოფა 15 მუნიციპალიტეტად. სახელმწიფოს უმაღლესი ორგანო – საერთო სახალხო კონგრესი და მისი აღმასრულებელი ორგანო უმაღლესი სახალხო კომიტეტი (მთავრობა). ლ-მ დამოუკიდებლობა მოიპოვა 1951 წელს, როგორც გაერთიანებულმა სამეფომ. 1969 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად დამხობილ იქნა სამეფო რეჟიმი და გამოცხადდა ლიბიის არაბული რესპუბლიკა. ქვეყნას თანამედროვე სახელწოდება მიენიჭა 1977 წელს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობისა და გაზის მოპოვება და ექსპორტი. ლ. აწარმოებს კვების აუცილებელი პროდუქტების 75%-ის იმპორტს. მთავარი საზღვაო პორტებია: ტრიპოლი, ელ-ხუმსი, ბენღაზი, დარნა, მისრათა, ტობრეკი. საერთაშორისო აეროპორტი – ტრიპოლი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 76 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 50 ათ., სამხედრო-საჰაერო 18 ათ., სამხედრო-საზღვაო ძალები 8 ათ. და რეზერვი 400 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ლიდელ გარტი (Liddel Gart) ბაზილ (1895–1970), ინგლისელი სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი. I მსოფლიო ომის მონაწილე. ე.წ. არაპირდაპირი მოქმედებების სტრატეგიის ერთ-ერთი ავტორი, რომელიც მოითხოვს მტერთან გადამწყვეტი შეტაკებების შეძლებისდაგვარად თავიდან აცილებას.

ლიტვა (Lithuania – ლიტვის რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ ევროპაში, ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ფართობი 65,2 ათ. კმ². მოსახლეობა 3,2 მლნ. კაცი (2012), აქედან 80% – ლიტველები, ასევე რუსები, პოლონელები და სხვა. ოფიციალური ენა – ლიტვური. დედაქალაქი – ქ. ვილნიუსი. ადმინისტრაციულად იყოფა 10 ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სეიმი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. ლ. გამოვიდა სსრ კავშირიდან, დამოუკიდებლობა გამოაცხადდა 1991 წლის 7 სექ-

ტემბერს. **ლ**. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი, მსუბუქი, კვების პროდუქტების წარმოება. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეცხოველეობა. საზღვაო პორტია კლაიპედა, სამდინარო – კაუნასი. საერთაშორისო აეროპორტი – ვილნიუსი. **ლ**. 2009 წლიდან ნატოს წევრი ქვეყანაა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 9,7 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 8,2 ათ., სამხედრო-საჰაერო 1 ათ და სამხედრო-საზღვაო 500 კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ლიუნეტი, ზურგიდან ღია საველე ან გრძელვადიანი თავდაცვითი ნაგებობა, რომელსაც XVII–XX საუკუნეების დასაწყისში თავდაცვითი პოზიციების მნიშვნელოვან მონაკვეთებზე აგებდნენ. ზურგის მხარე დაფარული იყო სპეციალურად გამოყოფილი რეზერვის მიერ. შედგებოდა ფრონტალური და გვერდითი მიწაყრილებისგან. **ლ**-ის გარნიზონი 1–4 ასეულისგან შედგებოდა.

ლიუპტვაფე (გერმანული Luftwaffe – საჰაერო იარაღი), გერმანიის (1945 წლამდე) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხედრო-საჰაერო ძალების დასახელება. მისი ჩამოყალიბება უკავშირდება 1884 წელს მისაბმელი აეროსტატების რაზმის შექმნას. პირველი საავიაციო სამხედრო ნაწილი შეიქმნა 1912 წელს; I მსოფლიო ომის **ლ**. ითვლიდა 2.730 თვითმფრინავს, 1939 წელს – 4.093 თვითმფრინავს, 9.300 საზენიტო ქვემეხს და 373.000 პირად შემადგენლობას, 1941 წლის ივნისისათვის – 10.000-ზე მეტ თვითმფრინავს. თანამედროვე გერმანიაში **ლ**. შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელი სახეობაა. მისი ნაწილი შედის ნატოს სამხედრო-საჰაერო ძალებში.

ლიხტენშტაინი (Liechtenstein – ლიხტენშტაინის სამთავრო), სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში. ფართობი 157 *კმ²*. მოსახლეობა 35,8 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – გერმანული. დედაქალაქი – ქ. ვადუცი. ადმინისტრაციულად იყოფა 11 თემად. **ლ**-ში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მთავარი. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის მთავარს (სახელმწიფოს მეთაურს) და ლანდტაგს (პარლამენტს), აღმასრულებელი – მთავრობა. **ლ**. თანამედროვე საზღვრებში, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ჩამოყალიბდა 1866 წელს. ამავე წელს გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. **ლ**. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. მის ინტერესებს საზღვრებს გარეთ ახორციელებს შვეიცარია. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია, იცავს შვეიცარია.

ლოგისტიკა (ბერძნული logistikē – გამოთვლის, განსჯის ხელოვნება), ჯარების (ძალების) ლოგისტიკური უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი მართვის ორგანოების, ძალების და საშუალებების სისტემა;

ლოგისტიკის გაშლა, ლოგისტიკის ყველა რგოლის გადაყვანა მშვიდობიანი მდგომარეობიდან საომარზე, უზრუნველსაყოფი ჯარების (ძალების) მოქმედებების მიმართულებებზე ლოგისტიკის დაჯგუფებათა შექმნა, აგრეთვე მატერიალური საშუალებების მარაგის წინ წაწევა გაერთიანებების საბრძოლო მოქმედების ზოლებში (რაიონებში).

ლოგისტიკის დაცვა და თავდაცვა, ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება ლოგისტიკის ობიექტებზე, ინფრასტრუქტურაზე საჰაერო და სახმელეთო მოწინააღმდეგის ზემოქმედების აღკვეთის და მაქსიმალური შესუსტების მიზნით. **ლ.დ.თ**-ის სისტემა მოიცავს: ლოგისტიკის ობიექტებს, შენაერთებს, ნაწილებს, ქვედანაყოფებსა და დაწესებულებებს, მათი დაცვისა და თავდაცვისათვის გამოყოფილ ძალებს და საშუალებებს; მართვის ორგანოებს. ეწყობა საობიექტო, საბაზო ან საგარნიზონო პრინციპით. ხორციელდება ლოგისტიკის შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების, დაწესებულებების ძალებითა და საშუალებებით მათი პასუხისმგებლობის ზონებში იმ ჯარებთან ურთიერთქმედებით, რომლებიც ლოგისტიკის ზოლში იმყოფებიან. ლოგისტიკის საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფა, გარდა თავისი საშუალებებისა, ხორციელდება საჰაერო თავდაცვის საერთო სისტემით.

ლოგისტიკის დაწყობა, ლოგისტიკის იმ ძალების და საშუალებების დაჯგუფება, რომლებიც ჯარების (ძალების) ლოგისტიკის უზრუნველყოფის ამოცანების გადასაწყვეტად ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) მომზადების და მსვლელობის დროს იქმნება; ჯარების (ძალების) ოპერატიული დაწყობის ელემენტი. ჩვეულებრივ, ლოგისტიკის დაწყობა მოიცავს: ლოგისტიკის დაჯგუფებას დაფარვის ჯარების (I ეშელონის) უზრუნველსაყოფად მთავარ და სხვა მიმართულებებზე, ლოგისტიკის დაჯგუფებას გაერთიანების მთელი ჯარების უზრუნველსაყოფად, ლოგისტიკის დაჯგუფებას და მატერიალური საშუალებების მარაგს II ეშელონის (რეზერვების), მობილური ძალების შემადგენლობაში შემავალი გაერთიანებების და შენაერთების წინ წაწევის და ბრძოლაში შეყვანის უზრუნველსაყოფად.

ლოგისტიკის ეშელონი, ლოგისტიკის შესაბამისი რგოლის ძალების და საშუალებების ნაწილი, რომელიც ოპერაციაში (ბრძოლაში, მარშზე) ჯარების უზრუნველყოფის ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყოფა. ზოგიერთ შემთხვევებში ლოგისტიკის თითოეული რგოლი იშლება ორ, ზოგჯერ უფრო მეტ ეშელ-

ონად, რაც საშუალებას იძლევა, დროულად უზრუნველყოს ჯარები, რაციონალურად გამოიყენოს ძალები და გაზარდოს ლოგისტიკის უზრუნველყოფის საშუალებები.

ლოგისტიკის ზოლი (საერთო-საჯარისო გაერთიანების, შენაერთის), ადგილმდებარეობის ზოლი ლოგისტიკის, ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილების, ქვედანაყოფების გასაშლელად და მათ მიერ ამოცანების შესასრულებლად. დაჯგუფების (არმიის, კორპუსის, დივიზიის) **ლ.ზ**. შემოფარგლულია: მარჯვნიდან და მარცხნიდან – მეზობლებთან გამმიჯვნელი ხაზებით, ზურგიდან – გაერთიანების (შენაერთის) ლოგისტიკის საზღვრით, ფრონტიდან – ჯარების საბრძოლო შეხების (თავდაცვის წინა ზოლის) ხაზით.

ლოგისტიკის მართვის პუნქტი, ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების და მსვლელობის დროს პუნქტი, საიდანაც ლოგისტიკის და ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილების, ქვედანაყოფების და დაწესებულებების მართვა ხორციელდება. იქმნება სახმელეთო ჯარების და ზოგიერთი სხვა სახეობის შეიარაღებული ძალების გაერთიანებებში (შენაერთებში, ნაწილებში). **ლ.მ.პ.** შეიძლება იყოს სტაციონარული და მოძრავი (საველე). მათ ხელმძღვანელობენ შესაბამისი შტაბების ლოგისტიკის უფროსები.

ლოგისტიკის მეწინავე ბაზა, რაიონი, რომელშიც განლაგებული არიან ბრძოლის მომსახურების ბატალიონის, ჯგუფის ან სხვა ქვედანაყოფის მეწინავე ელემენტები. ისინი ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციას იმ დროს, როდესაც ზემოთ აღნიშნული ქვედანაყოფები მებრძოლ ძალებს გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მომარაგებას მიაწვდიან.

ლოგისტიკის მეწინავე ეშელონი, მოიცავს ლოგისტიკის ნაწილებსა და დაწესებულებებს მატერიალური საშუალებების მარაგით. **ლ.მ.ე**. განკუთვნილია ჯარების უზრუნველსაყოფად მათი გადაჯგუფების, ბატალიებში ჩაბმისა და სხვა ამოცანების გადაწყვეტის დროს.

ლოგისტიკის მეწინავე ქვედანაყოფი, ლოგისტიკის მრავალფუნქციური ქვედანაყოფი, რომელიც ორგანიზებულია შეტევითი ოპერაციების ადრეულ ფაზაში მომარაგების და მისი მიწოდების გზებიდან დაშორებული ქვედანაყოფების საბრძოლო უზრუნველყოფისათვის.

ლოგისტიკის ორგანოები, შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის შენაერთების, ნაწილების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, ქვედანაყოფების, მართვის ორგანოების, აგრეთვე სხვა სამინისტროების და უწყებების ფორმირებათა კრებსითი სახელწოდება. მათი მიზანია ჯარების (ძალების) ლოგისტიკური უზრუნველყოფა.

ლოგისტიკის სამსახურების ტექნიკური საშუალებები, საშუალებები, რომლებიც ჯარების (ძალების) ლოგისტიკის ტექნიკური უზრუნველყოფისთვის გამოიყენება. მათ განეკუთვნება: ჯარების გადასაყვანი, მატერიალური საშუალებების გადასატანი და ევაკუაციის სატრანსპორტო საშუალებები; საწვავის ტრანსპორტირების, გადატუმბვის, გამართვის, შენახვის, გაწმენდისა და ხარისხის კონტროლის ტექნიკური საშუალებები; სარკინიგზო და საავტომობილო გზების აღდგენის და მშენებლობის ტექნიკური საშუალებები; სამედიცინო, სასურსათო, სანივთე და ლოგისტიკის სხვა სამსახურების ტექნიკური საშუალებები.

ლოგისტიკური ბაზა, ადგილი, სადაც არის სპეციალური ნაგებობები და დანადგარები ლოგისტიკური მომსახურების განხორციელებისთვის.

ლოგისტიკური დაზვერვა, ჯარების (ძალების) უზრუნველყოფის მიზნით მონაცემების შეგროვება ლოგისტიკის ქვედანაყოფების, ნაწილებისა და დაწესებულებების განლაგების რაიონების და მათი მუშაობის პირობების შესახებ. **ლ.დ**-ის დროს, როგორც წესი, ზუსტდება: ლოგისტიკის ქვედანაყოფების, ნაწილების და დაწესებულებების განლაგების რაიონები; მიწოდების და ევაკუაციის გზები; წყლის წყაროები; ადგილობრივი რესურსების არსებობა და მათი გამოყენების შესაძლებლობები; მომავალი საბრძოლო მოქმედების რაიონის სანიტარიულ-ეპიდემიური და სავეტერინარო-ეპიზოოტური მდგომარეობა; სხვა ცნობები, რომლებიც საჭიროა ჯარების (ძალების) ლოგისტიკური უზრუნველყოფის დაგეგმვისა და ორგანიზაციისთვის. **ლ.დ**-ს ორგანიზებას უწევს: ტაქტიკურ რგოლში – ნაწილის შტაბის ლოგისტიკის უფროსი, ოპერატიულში – ლოგისტიკის შტაბი. ხორციელდება ლოგისტიკის ნაწილების და დაწესებულებების ძალებითა და საშუალებებით.

ლოგისტიკური ვითარება, იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომლებშიც ხორციელდება ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების და მიმდინარეობის დროს ჯარების (ძალების) ლოგისტიკური უზრუნველყოფა; საბრძოლო ვითარების ნაწილი. მოიცავს: ლოგისტიკის მდგომარეობას და განლაგებას; მატერიალური საშუალებების მარაგის არსებობას, მათი დაშორიშორების და დაფარვის ხარისხს; საჭირო სამხედრო გადაზიდვების მოცულობას, აგრეთვე სამედიცინო ვითარებას; ლოგისტიკის ობიექტებზე მოწინააღმდეგის ზემოქმედების დონეს; ლოგისტიკის დაცვის და თავდაცვის, მართვის პირობებს და სხვა. **ლ.ვ**-ის შეფასებისას, გარდა ამისა, მხედველობაში მიიღება ადგილმდებარეობის ხასიათი, კლიმატური, ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები, წელიწადის და დღე-ღამის

დრო, საბრძოლო მოქმედებების მომზადებისთვის საჭირო დრო.

ლოგისტიკური მარაგის გადაცემის პუნქტი, მომარაგების მარშრუტზე განსაზღვრული პუნქტი, სადაც ხდება უზრუნველყოფის ქვედანაყოფების და იმ ქვედანაყოფის შეხვედრა, რომელსაც სჭირდება მხარდაჭერა და მარაგის გადაცემა.

ლოგისტიკური უზრუნველყოფა (ჯარების, ძალების), ღონისძიებების სისტემა, რომლებიც ხმარდება ჯარების (ძალების) მატერიალურ, სატრანსპორტო, საყოფაცხოვრებო და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, მათი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნების, დასახული ამოცანების შესრულების ან ყოველდღიური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით. საომარი მოქმედების უზრუნველყოფის სახეობა. მოიცავს: მატერიალურ, სატრანსპორტო, საინჟინრო, სააეროდრომო, სააეროდრომო-ტექნიკურ, სამედიცინო, სავეტერინარო, სავაჭრო – საყოფაცხოვრებო, საბინაო-საექსპლუატაციო და საფინანსო უზრუნველყოფას. **ლ.უ**-ის ორგანიზებას უწევენ: გაერთიანებაში (შენაერთში, ნაწილში) – შესაბამისი შტაბის ლოგისტიკის უფროსები, ქვედანაყოფში – ქვედანაყოფის მეთაური.

ლოგისტიკური უზრუნველყოფის შეფასება, შეფასება: 1. ლოგისტიკური უზრუნველყოფის, რომელიც აუცილებელია ქვეყანაში სამხედრო მოქმედებების თეატრში ან რაიონში გარკვეული მოქმედებების მხარდასაჭერად; 2. ფაქტიური და/ან სავარაუდო ლოგისტიკური უზრუნველყოფა, რომელიც გამოყოფილია სარდლობის დაქვემდებარებაში ქვეყანაში, რეგიონში, სამხედრო მოქმედებების თეატრში საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად.

ლოდინის პოზიცია, ადგილმდებარეობის მონაკვეთი სარაკეტო ქვედანაყოფის ფარული განლაგებისთვის – სასტარტო პოზიციაზე მისი გასვლის წინ, რეაქტიული არტილერიის ქვედანაყოფისთვის – საცეცხლე პოზიციაზე გასვლის წინ, სატანკო ქვედანაყოფისთვის – შეტევაზე გადასვლის ზღუდეზე წაწევის წინ.

ლოდინის რაიონი, ადგილმდებარეობის მონაკვეთი ჩასხდომის პუნქტების (აეროდრომების) მახლობლად, რომელიც ინიშნება საზღვაო (საჰაერო) დესანტის ჯარების ფარული განლაგების, გადასხმისა (დესანტირების) და საბრძოლო მოქმედებებისთვის მათი მომზადების დასასრულებლად.

ლოკალური ომი (ლათინური localis – ადგილობრივი), პოლიტიკური მიზნებით, საომარი მოქმედებების სივრცობრივი გაქანებით, გამოყენებული შეიარაღებული ძალებისა და საშუალებების რაოდენობით და ხარისხით შეზღუდული ომი. კონკრეტული მასშტაბების მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით ზოგიერთი მათგანის დასახელებისთვის, რომლებსაც შეიარაღებული ბრძოლის შედარებით დაბალი ინტენსივობა ახასიათებთ, ზოგჯერ გამოიყენება სამხედრო-ისტორიული ტერმინი – „მცირე ომები“. თანამედროვე **ლ.ო**-ების უმრავლესობა ომის ფორმალური, იურიდიული გამოცხადების გარეშე დაიწყო.

ლ.ო-ის შეზღუდვა მათი მონაწილეებისათვის ხშირად არ არის ცალმხრივი; რადგან, როდესაც ერთ-ერთ მეომარ სახელმწიფოს მოქმედებაში მოჰყავს თავისი სამხედრო ძალების მხოლოდ ნაწილი, ამ დროს მეორეს სჭირდება ერის მთელი ძალების მობილიზაცია. ცალკეულ შემთხვევებში ომები, რომლებიც გლობალური თუ რეგიონული მასშტაბით ლოკალურად წარმოგვიდგება, არ არის ასეთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ან ეთნოპოლიტიკური განზომილებისა (მაგალითად, ირან-ერაყის 1980–88 წლების ომი). თანამედროვე **ლ.ო**-ებისათვის დამახასიათებელია აგრეთვე მათი ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია. ამის შედეგად **ლ.ო**. იძენს კოალიციური ომის ნიშან-თვისებებს.

XXI საუკუნის დამდეგს მთელ რიგ **ლ.ო**-ებს ახასიათებდა შეიარაღებულ ბრძოლაში ჩაბმული ძალების ფართო დიაპაზონი – ორივე მხრივ ოპერატიულ-სტრატეგიულ დაჯგუფებამდე; ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული მასშტაბის საომარი მოქმედების წარმოების სხვადასხვა ხერხის და ფორმის გამოყენება; შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების მთელი არსებული არსენალის ამოქმედება. არ არის გამორიცხული დაზიანების ბირთვული საშუალებების შემთხვევითი ან წინასწარგანზრახული (პროვოკაციული) გამოყენების ვარიანტი.

ლოკატორი (ლათინური lokus – განვალაგე, ვათავსებ), ობიექტებისაგან არეკლილი ელექტრომაგნიტური ან ბგერითი ტალღების (აქტიური **ლ**.), ან მათი საკუთარი გამოსხივების მიხედვით (პასიური **ლ**.) ამ ობიექტების ადგილმდებარეობისა და მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრის საშუალება. გამოყენებული ტალღების ფიზიკური ბუნების მიხედვით განასხვავებენ რადიოლოკატორებს, ოპტიკურ და ჰიდროლოკატორებს (ჰიდროლოკაციურ სადგურებს). მიზნობრივი დანიშნულებით იყოფა მიზნების აღმოჩენისა და თანხლების, იარაღის გამიზვნის, სადაზვერვო, სანავიგაციო, მეტეოროლოგიურ და სხვა **ლ**-ებად. პირველი **ლ**-ები (ჰიდროლოკატორები) გაჩნდა I მსოფლიო ომის პერიოდში. რადიოლოკატორები – II მსოფლიო ომის წინ, ხოლო ოპტიკური დიაპაზონის **ლ**-ები - XX საუკუნის 60-იანი წლებიდან.

ლოკაცია (ლათინური lokatio – განლაგება, მდებარეობა), ელექტრომაგნიტური ან ბგერითი ტალღების მეშვეობით ობიექტების ადგილმდებარეობის და მოძრაობის პარამეტრე-

ბის განსაზღვრა. ტალღების ფიზიკური ბუნების მიხედვით განასხვავებენ რადიოლოკაციას, ოპტიკურ და ბგერით ლ-ს. სამხედრო საქმეში ლ-ის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა კოსმოსური, საჰაერო, სახმელეთო, წყალზედა და წყალქვეშა ობიექტების აღმოჩენა, ამოცნობა და თანხლება; მონაცემების მიწოდება ცეცხლის მართვისა და იარაღის გამიზვნისთვის; ნავიგაცია; დაზვერვა და სხვა.

ლონდონის კონფერენცია 1930 (21 იანვარი – 22 აპრილი), გაიმართა შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, საფრანგეთის და იტალიის მონაწილეობით. მხარეებმა (საფრანგეთის და იტალიის გარდა) ვალდებულება იკისრეს, 1931–36 წლებში არ ჩაეშვათ წყალში ახალი სახაზო ხომალდები და შეემცირებინათ არსებულთა რაოდენობა; შეეზღუდათ ასაშენებელი წყალქვეშა ნავების ტონაჟი 2 ათ. *ტ*-მდე, ხოლო კრეისერების, საესკადრო ნაღმოსნების და წყალქვეშა ნავების კრებსითი ტონაჟი – დიდ ბრიტანეთს 542 ათ. *ტ*-მდე, აშშ-ს 526 ათ. *ტ*-მდე, იაპონიას – 367 ათ. *ტ*-მდე; განისაზღვრა მძიმე კრეისერების რაოდენობა, შესაბამისად, 15, 18 და 12 ერთეული. მაგრამ ლონდონის კონფერენციას არ შეუწყვეტია მისი მონაწილეების სამხედრო-საზღვაო მეტოქეობა.

ლონდონის საზღვაო კონფერენცია 1935–36 (9 დეკემბერი – 25 მარტი), გაიმართა საზღვაო შეიარაღების რეგლამენტაციის საკითხებზე დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის და იაპონიის მონაწილეობით. შემუშავდა შეთანხმება (იტალიამ და იაპონიამ მას ხელი არ მოაწერეს), რომელიც ზღუდავდა ხომალდების წყალწყვას და მათი ქვემეხების კალიბრს: სახაზო ხომალდებისთვის 35 ათ. *ტ* და 14 *დუიმით* (355,6 *მმ*), ავიამზიდებისთვის – 23 ათ. *ტ* და 6 დუიმით (159,94 *მმ*), კრეისერებისთვის – 8 ათ. *ტ* და 6,1 *დუიმით*, წყალქვეშა – ნავებისთვის 2 ათ. *ტ* და 5,1 *დუიმით* (129,54*მმ*). 1936 წელს შეთანხმებას შეუერთდნენ სსრ კავშირი და გერმანია, 1938 წელს – სკანდინავიის ქვეყნები.

ლოჟემენტი (ფრანგული logement – ბუდე), 1. მოძველებული სანგარი, რომელშიც თავსდებოდა მსროლელი (დაწოლილი ან ჩაჩოქილი მდგომარეობიდან სროლისათვის), ქვემეხი (საქვემეხო ლ.) ან იწყებოდა ნაღმების გალერეის გაყვანა (სანაღმე ლ.); 2. საყრდენი მოწყობილობა დიდი გაბარიტის ტვირთების (რაკეტების, ავიაბომბების და ა.შ.) სატრანსპორტო საშუალებებზე დაყენებისა და დამაგრებისათვის.

ლტოლვილი, საერთაშორისო სამართალში, პირი, რომელმაც თავად ან ხელისუფლების განკარგულებით დატოვა თავისი ქვეყანა საბრძოლო მოქმედებების, ძალადობის, დევნის და სხვა საგანგებო ვითარებების შედეგად. ლ-ის შესახებ მიღებულია საერთაშორისო ხელშეკრულებები. 1951 წლიდან ფუნქციონირებს გაეროს ლ-თა უმაღლესი კომისრის ოფისი. ტერმინი „ლტოლვილი“ ცალკეულ ქვეყნებში გამოიყენება იმ პირების მიმართაც, რომლებმაც საგანგებო ვითარების შედეგად დატოვეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, მაგრამ იმყოფებიან თავიანთი ქვეყნის ფარგლებში.

ლუარსაბ I (გ. 1556), ქართლის მეფე 1527–56 წლებში. დავით X-ის ძე. მეომარი და მხედართმთავარი. 1522 წელს თავი გამოიჩინა ირანელებთან ბრძოლაში. **ლ. I** ცდილობდა ირანის და ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ქართლის სამეფო და სამთავროების ძალების გაერთიანებას. 1545 წელს დაეხმარა იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს ოსმალებთან ომში (იხ. *სოხოისტას ბრძოლა*). წინააღმდეგობა გაუწია ირანის შაჰის თამაზ I-ის ლაშქრობებს ქართლის სამეფოში (1541, 1547, 1551, 1554). არ ცნო ირან-ოსმალეთის 1555 წლის ამასიის ზავი, რომლის ძალით აღმოსავლეთ საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო – ოსმალეთის სამფლობელოდ გამოცხადდა. 1556 წელს დაიღუპა *გარისის ბრძოლაში*.

ლუიტიზი, გამაღიზიანებელი და საერთო მომწამვლელი მდგრადი ნივთიერება. ტექნიკური ლ. მუქი, რუხი ფერის სითხეა, რომელსაც აქვს ჰერანის სუნი. დუღილის ტემპერატურა დაახლოებით 190^0 C, დნობის – მინუს $10–15^0$ C. ცუდად იხსნება წყალში, კარგად – ორგანულ გამხსნელებში, ცხიმებში, ზეთებში. ინჰალაციით ლეტალური ტოქსიკური დოზა 1,3 *მგრ. წთ/ლ*, კანის დაზიანების 20 *მგ/კგ*-ზე, პერორალური შეღწევით 10 *მგ/კგ*. დაცვის საშუალება – აირწინაღი და კანის დაცვის სპეციალური საშუალებები.

ლულა, ცეცხლსასროლი იარაღის ძირითადი ნაწილი განსაზღვრული სიჩქარით და საჭირო მიმართულებით ჭურვის (ნაღმის, ყუმბარის, ტყვიის) ტყორცნისათვის. არის დაკეტილი ერთი ბოლოდან (სახაზინო ნაწილი) ფოლადის მილის საკეტით. შიდა ღრუ (ლ-ის არხი) შედგება კამორისგან (სავაზნისგან), რომელშიც განთავსებულია სატყორცნი მუხტი მასრაში ან კარტუზში მიმმართველი ნაწილისგან, რომლის დანიშნულებაა ჭურვისთვის მიმართულების მიცემა, გაქანება და ბრუნვითი მოძრაობის მინიჭება. საარტილერიო ქვემეხების ლ-ებს აქვთ სახაზინო, ხოლო ზოგიერთ მათგანს ლ-ის მუხრუჭი. ლ-ებში გასროლის დროს წარმოიქმნება დიდი წნევა (5000 *კგძ/სმ²*) და ტემპერატურა (3500 *K*), ამიტომ იარაღის შექმნისას მისი სიმტკიცე და უცვეთობა პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს. კონსტრუქციის მიხედვით ლ-ები არის მონობლოკური (ერთი ნამზადისგან დამზადებული), შეკრული და თავისუფალი

მილით ან ლეინერით. თანამედროვე ტექნოლოგიები მრავალი ქვემეხებისთვის საკმარისი სიმტკიცის ლულა-მონობლოკების დამზადების საშუალებას იძლევა.

ლურჯების მეთაური, ნატოს სამხედრო სწავლებების პერიოდში, საერთო გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვადით საკუთარი ძალების ოპერატიული მართვისთვის დანიშნული ოფიცერი.

ლურჯების ძალები, საკუთარი ძალები ნატოს სამხედრო სწავლებების დროს.

ლუქსემბურგი (Luxemburg – ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგო), სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში, ფართობი 2,6 ათ. *კმ*². მოსახლეობა 500 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ფრანგული და გერმანული. დედაქალაქი – ქ. ლუქსემბურგი. ადმინისტრაციულად იყოფა 3 ოლქად. **ლ**-ში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ჰერცოგი. საკანონმდებლო ორგანო – დეპუტატების პალატა, აღმასრულებელი – მთავრობა. **ლ**. თანამედროვე საზღვრებში ჩამოყალიბდა 1839 წელს. არის განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანა. 1949 წლიდან – ნატოს წევრი ქვეყანა. საერთაშორისო აეროპორტი – ფინდელი (ლუქსემბურგი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 900 კაცი (2012). სახმელეთო ჯარებში შედის საავიაციო ესკადრილია. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

მ

მადაგასკარი (Madagascar – მადაგასკარის რესპუბლიკა), სახელმწიფო ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნაწილში, კუნძულ მადაგასკარსა და მის ახლომდებარე მცირე კუნძულებზე. ფართობი 595,8 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 20,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – მალაგასიური და ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ანტანანარივუ. ადმინისტრაციულად იყოფა 6 პროვინციად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. დამოუკიდებელობა მიიღო 1960 წლის 26 ივნისს. **მ**. აგრარული ქვეყანაა. საზღვაო პორტებია: ტუამასინა, ტულიარა, ანცერანანა. საერთაშორისო აეროპორტი – ანტანანარივუ. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 13,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 12,5 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,5 ათ და სამხედრო-საზღვაო 0,5 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

მავთულის ღობურები, ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ღობურები ეკლიანი ან გლუვი მავთულისგან, მავთულხლართი. აწყობენ თავდაცვითი პოზიციების დასაფარავად, მათ შორის შუალედებში და ფლანგებზე. განასხვავებენ მუდმივ **მ.ღ**-ს, რომლებიც ადგილზე მზადდება (მავთულის ბადეები და მესრები, წნულები და სხვა), და გადასატანს, რომლებიც წინასწარ არის დამზადებული (ზღარბულები, მავთულის და ლენტის სპირალები, ნაკლებად შესამჩნევი **მ.ღ**.). შესაძლებელია დაელექტროებული **მ.ღ**-ის გამოყენებაც, რომლებსაც მოწინააღმდეგის მწყობრიდან გამოყვანა შეუძლიათ (დენის ძაბვა 750–1500*ვ*).

მავრიკი (Mauritius – მავრიკის რესპუბლიკა), სახელმწიფო, განლაგებული ინდოეთის ოკეანის დასავლეთ ნაწილში კუნძულებზე: მავრიკი, როდრიგესი, აგალეგა, კარგადოს-კარახოსი. ფართობი 2,04 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 1,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური, ფრანგული. დედაქალაქი – ქ. პორტ-ლუი. **მ**. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეა, აღმასრულებელი –მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1968 წლის 12 მარტს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს შაქრის ლერწმის მოყვანა. ძირითადი საზღვაო პორტი პორტ-ლუი. აეროპორტი: პორტ-ლუი, პლეზანსი (ქ. მაებური). შეიარაღებული ძალები – გასამხედროებული ფორმირება 2 ათ. კაცის შემადგენლობით (2012). შეთანხმების თანახმად, დიდი ბრიტანეთი ინარჩუნებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ბაზებად გამოიყენოს პორტ-ლუი და პლეზანსი.

მავრიტანია (In Mauritania – მავრიტანიის ისლამური რესპუბლიკა), სახელმწიფო ჩრდილოდასავლეთ აფრიკაში. ქვეყნას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე. ფართობი 10,3 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 3,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ნუაქშოტი. ადმინისტრაციულად იყოფა 12 პროვინციად და დედაქალაქის რაიონად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. **მ.** დამოუკიდებელი ისლამური რესპუბლიკაა 1960 წლის 28 ნოემბრიდან. ეკონომიკის საფუძველია რკინის მადნის მოპოვება და მეთევზეობა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 15,9 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 15 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 0,3 ათ, სამხედრო-საზღვაო 0,6 ათ.. შეიარაღებული ძალების და ეროვნული გვარდიის დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

მაზნიაშვილი გიორგი (1872–1937), ქართველი სამხედრო მოღვაწე, გენერალი. მეფის რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი. მონაწილეობდა *რუსეთ-იაპონიისა* და *პირველ მსოფლიო ომებში*. დაჯილდოებული იყო წმ. გიორგის ჯვრით. 1918–21 წლებში იყო საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკის არმიაში. ებრძოდა თურქეთის ჯარებს (1918, 1921), რუს ბოლშევიკებს (1918, 1921), სომეხ დაშნაკებს (1918). 1918 წელს იყო აფხაზეთის, ხოლო 1919 წელს ახალციხისა და ახალქალაქის გენერალ-გუბერნატორი, 1920 წელს – თბილისის გარნიზონის უფროსი. 1921 წლის მარტში **მ**-მა ქართული ჯარის ნარჩენებით დაიცვა ბათუმი თურქებისაგან და ქალაქი ბოლშევიკებს გადასცა, რითაც ბათუმი (აჭარასთან ერთად) საქართველოს შეუნარჩუნა. 1921–23 წლებში მსახურობდა წითელ არმიაში. 1923 წელს დააპატიმრეს. შემდეგ რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა საზღვარგარეთ (სპარსეთში, საფრანგეთში). ბოლოს სამშობლოში დაბრუნდა და სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას ჩამოშორებული ცხოვრობდა საკუთარ სოფელ სასირეთში, ეწეოდა სოფლის მეურნეობას. მიუხედავად ამისა, 1937 წლის რეპრესიების

დროს **მ**. კვლავ დააპატიმრეს და დახვრიტეს. 2013 წლის 26 სექტემბერს, **მ**-ს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა.

მაიორი (ლათინური magor – დიდი, უფროსი), მრავალი სახელმწიფოს უფროსი ოფიცრის საჯარისო სამხედრო წოდება კაპიტნის სამხედრო წოდების შემდეგ. პირველად XVI საუკუნეში გაჩნდა ესპანეთსა და გერმანიაში. სამხედრო-საზღვაო ძალებში **მ**-ის სამხედრო წოდებას შეესაბამება სახომალდე წოდება III რანგის კაპიტანი.

მაკედონია (Makedonija – მაკედონიის რესპუბლიკა), სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხერეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდინარე ვარდარის აუზში. ფართობი 25,3 ათ. *კმ*². მოსახლეობა 21,1 მლნ. კაცი (2012). აქედან 67% – მაკედონელები, სერბები, თურქები, ბოშები და სხვა. ოფიციალური ენა – მაკედონიური. დედაქალაქი – ქ. სკოპიე. ადმინისტრაციულად იყოფა 30 თემად. **მ**. საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 17 ნოემბერს, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, სადაც შედიოდა რესპუბლიკის სტატუსით. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სამთო-მოპოვებითი დარგი (ქრომიტი, ტყვია, ცინკი, სპილენძი და რკინა). სოფლის მეურნეობიდან – ხილ-ბოსტნეულის, თამბაქოს წარმოება, მევენახეობა. საერთაშორისო აეროპორტია სკოპიე. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები (გაერთიანებული ოპერატიული სარდლობა) 6,7 ათ., სამხედრო-საჰაერო 1,3 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

მაკოორდინირებელი ინსტანცია, მეთაური (სარდალი) ან პასუხისმგებელი პირი, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება კოორდინაცია გაუწიოს ორი და მეტი ქვეყნის, სარდლობის, შეიარაღებული ძალების სახეობების, ან შეიარაღებული ძალების ერთი სახეობის ორი, ან მეტი დაჯგუფების მიერ კონკრეტული ამოცანების, ან ღონისძიებების შესრულებას. იგი უფლებამოსილია მოითხოვოს დაინტერესებულ სუბიექტებს შორის კონსულტაციები, მაგრამ არ აქვს უფლება აიძულოს ისინი მიაღწიონ შეთანხმებას. უთანხმოების დროს იგი მოლაპარაკებების გზით უნდა ეცადოს პრინციპული შეთანხმების მიღწევას. წარუმატებლობის შემთხვევაში კი აღნიშნული საკითხი განხილვისთვის უნდა გადასცეს შესაბამის ინსტანციას.

მალავი (Malawi – მალავის რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ნიასას ტბა. ფართობი 1185,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა 15,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ინგლისური და ჩიჩევა (ჩინიანჯა, მალავის ენა). დედაქალაქი – ქ. ლილონგვე. ადმინისტრაციულად იყოფა 3 პროვინციად. არის ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება. **მ**. აგრარული ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტებია: ლილონგვე, ბლანტაირ-ლიმბე. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 5,3 ათ. კაცი (2012), სახმელეთო-საჰაერო ჯარები, 5 ათ., სამხედრო-საზღვაო (ტბის ფლოტილია) 0,3 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

მალაიზია (Malaysia), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მდებარეობს მალაკის ნახევარკუნძულის სამხრეთ და კუნძულ კალიმანტანის (ბორნეო) ჩრდილოეთ ნაწილში. ფართობი 329,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 27,9 მლნ. კაცი (2012), აქედან 59% – მალაიზიელები, 32% – ჩინელები და სხვა. ოფიციალური ენა – მალაიზიური. დედაქალაქი – ქ. კუალალუმპური. ადმინისტრაციულად იყოფა 13 შტატად და 2 ფედერალურ ტერიტორიად. **მ**-ში კონსტიტუციური მონარქიაა. არის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანა. სახელმწიფოს მეთაური აირჩევა შტატებისსულთანატების მმართველების მიერ. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1957 წლის 16 სექტემბერს. **მ**. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. აწარმოებს კაუჩუკს. განვითარებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება (კალა, რკინა, სპილენძი, ქვანახშირი, ნავთობი, ოქრო, ალუმინი, ბოქსიტი და სხვა.) მსხვილი საზღვაო პორტებია: პინანგი, კუანტანი, კუდატი, ლახუანი, მირი, სიბუ, სანდაკანი, ტავაო, კუჩინგი. აქვს 5 საერთაშორისო აეროპორტი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 109 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 80 ათ., სამხედრო-საჰაერო 15 ათ. და სამხედრო-საზღვაო 14 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

მალდივები (Maldives – მალდივის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ინდოეთის ოკეანის მალდივის კუნძულებზე. ფართობი 298 *კმ*². მოსახლეობა 305 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – მალდივური (დივეხი). დედაქალაქი – მალე. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი ძალაუფლება აქვს პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1965 წელს. 1968 წლამდე იყო სასულთნო, 1968 წლიდან – რესპუბლიკა. ეკონომიკის სა-

ფუძველს წარმოადგენს თევზჭერა და თევზის გადამუშავება. სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურაა ქოქოსის პალმა. განვითარებულია ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტი და აეროპორტია ქ. მალე. **მ**-ს ჰყავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების ძალები (ეროვნული გვარდია, პოლიცია, საზღვაო რაზმი), საჰაერო დანაყოფი.

მალი (Mali – მალის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 1,240 ათ. კმ². მოსახლეობა 13,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ბამაკო. ადმინისტრაციულად იყოფა 8 პროვინციად და დედაქალაქის რაიონად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. **მ**. დამოუკიდებელი რესპუბლიკაა 1960 წლის 22 სექტემბრიდან. განეკუთვნება მსოფლიოს ღარიბ ქვეყნებს. აგრარული ეკონომიკის შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველს წარმოადგენს მეცხოველეობა. საერთაშორისო აეროპორტი ქ. ბამაკო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 7,35 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 7,3 ათ., სამდინარო ფლოტი 0,01 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 0,04 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

მალტა (Malta – მალტის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, მალტის არქიპელაგზე, ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში. ფართობი 316 კმ². მოსახლეობა 410 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – მალტური და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ვალეტა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – წარმომადგენლობითი პალატა, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1964 წელს, 1974 წლიდან – რესპუბლიკა. 1987 წელს გამოაცხადა ნეიტრალიტეტი. ეკონომიკის საფუძველია საფეიქრო, სამკერვალო, ტყავ-ფეხსაცმლის, კვების პროდუქტების დარგები, გემთმშენებლობა და გემთსარემონტო საწარმოები, საერთაშორისო ტურიზმი. საზღვაო პორტებია: ვალეტა, მარსალფორნი. საერთაშორისო აეროპორტი – ვალეტა, ლუკა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1,9 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები შედგება სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

მამლუქები, მ ა მ ე ლ უ ქ ე ბ ი (არაბული – თეთრი მონა), არამუსლიმური წარმოშობის თეთრკანიანი მეომარი მონები ახლო აღმოსავლეთის ზოგ მუსლიმანურ ქვეყანაში. ეგვიპტეში **მ**-ების პირველი შეიარაღებული ფორმირება XII საუკუნეში გაჩნდა. 1250 წელს მათ ხელთ იგდეს ძალაუფლება და 1517 წლამდე მართავდნენ ეგვიპტესა და მის მეზობელ ქვეყნებს. XIII საუკუნეში მოიგერიეს მონღოლთა თავდასხმა და სირია-პალესტინიდან განდევნეს ჯვაროსნები. ცნობილია **მ**-ების სულთნების ორი დინასტია: თურქული წარმოშობის ბაჰრელები (განსაკუთრებით ყივჩაყები) (1250–1390) და კავკასიელი ბურჯელები, რომლებსაც ზოგადად უწოდებდნენ ჩერქეზებს (1383–1517). სახელმწიფოს უმაღლესი მბრძანებელი იყო სულთანი. XIII–XIV საუკუნეებში ეგვიპტე ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო ახლო აღმოსავლეთში 1517 წელს ეგვიპტე ოსმალებმა დაიპყრეს, მაგრამ **მ**-ების სამხედრო ორგანიზაცია შენარჩუნდა და სისტემატურად ივსებოდა უპირატესად კავკასიიდან ჩამოყვანილი მონებით (ქართველები, ჩერქეზები, აფხაზები და სხვა). 1646 წელს **მ**-ის სამხედრო-ფეოდალურმა კასტამ დაიბრუნა რეალური ძალაუფლება ეგვიპტეში და მთლიანობაში XIX საუკუნის დასაწყისამდე განაგებდა ქვეყანას. ერაყში **მ**-თა ბატონობა დაიწყო 1749 წლიდან. მათ 82 წლის განმავლობაში მართეს ერაყი და მნიშვნელოვანი ღონისძიებებიც გაატარეს. ერაყის გაძლიერებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით წარმოშობით ქართველ **მ**. ფაშებს სულეიმან აბუ ლაილს (1749–62), სულეიმან ბუიუქს (1780–1802), ჰაფიზ ალის (1802–07), სულეიმან ქუჩუქს (1807–10) და დაუდ-ფაშა გურჯს (1816–31). 1829 წელს დაუდ-ფაშა სულთანს განუდგა, 1831 წლის 16 სექტემბერს იგი სულთნის ჯარებმა დაამარცხეს და ერაყიდან განდევნეს, სხვა **მ**. ბეგები დახოცეს. ამით **მ**-თა ბატონობა დასრულდა.

მამული, ადამიანის, ადამიანების სოციალური თუ ეროვნული ერთობლიობისთვის მშობლიური ქვეყანა. წარმოადგენს ადამიანთა ბინადრობის სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ გარემოს, რომელიც რაზმავს მათ ერთობად და იმავდროულად აცალკევებს სხვებისგან. **მ**. შეიცავს „მარადიულ“ ნიშნებს, რომლებიც ძირითადად უცვლელი რჩება მოცემული ერთობის ისტორიული განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე (მისი კუთვნილი ტერიტორია, ეთნიკური შემადგენლობა, მოსახლეობის ენა და ეროვნული თავისებურებები, სახელმწიფოებრიობა, როგორც მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმა და სხვა). **მ**-სადმი კუთვნილება გამოიხატება და მკვიდრდება მამულიშვილობით, პატრიოტიზმით, რომელიც აკავშირებს თანამემამულეებს, სხვადასხვა სოციალური მდგომარეობის და ეროვნების ადამიანებს სოლიდარობის გრძნობით, საერთო მზადყოფნით, ემსახურონ **მ**-ის ინტერესებს, მისი დაცვის საერთო ზნეობრივი ვალით და მოვალეობით.

მამულის დაცვა, ხალხის, სახელმწიფოს და მისი სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს, ქვეყნის სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის

დაცვას და დამკვიდრებას; მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას; მთელ რიგ ქვეყნებში სახელმწიფოს ყველა მოქალაქის სამართლებრივი და მორალური ვალდებულება. **მ.დ.** ხორციელდება სხვადასხვა მშვიდობიანი ფორმით, ხოლო როდესაც აუცილებელია – შეიარაღებული ბრძოლის გზითაც. ამასთან, მამულის დასაცავად განხორციელებული მოქმედებები სამართლებრივი და კანონიერია არა მარტო ისტორიული ტრადიციების და ზნეობრივი ნორმების, არამედ სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისითაც. მამული ისტორიული კატეგორიაა. მისი სათავეების ნიშნებს ვაწყდებით ჯერ კიდევ უძველეს საზოგადოებაში. ჯერ კიდევ მაშინ თანატომელები ვაჟკაცურად იცავდნენ მომხდურთა შემოსევებისგან წინაპართა დანატოვარ ტერიტორიას და თავიანთ ტრადიციულ ცხოვრების წესს. ხალხთა მასებს, რომლებიც სხვადასხვა, არცთუ სასიკეთო ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებში ცხოვრობდნენ, კარგად ესმოდათ, რომ უცხოელ დამპყრობთა მიერ ქვეყნის დამონება დამატებით სოციალურ უბედურებებს დაატეხდა თავს და ამიტომ, როგორც წესი, გამოდიოდნენ იარაღით ხელში საზოგადოების პატრიოტული ძალების ერთიან ფრონტად მამულის დასაცავად. ამას ხელს უწყობდა სახელმწიფოების ჩამოყალიბება, ეროვნებისა და ერების შექმნა. თანამედროვე პირობებში **მ.დ**-ის იდეებმა ახლებური გააზრება პოვეს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების უფრო ფართო კონცეფციის ფარგლებში.

მანათობელი და საბრძოლო ჭურვების კოორდინირებული ცეცხლი, ცეცხლის ნაირსახეობა, რომლის დროსაც მანათობელი და საბრძოლო ჭურვებით წარმოებს კოორდინირებული სროლა მიზნის და ადგილმდებარეობის გასანათებლად იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა მიზანჩვენების, გამიზვნისა და ცეცხლის კორექტირებისთვის.

მანათობელი საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

მანათობელი საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

მანათობელი საშუალებები, ღამით საბრძოლო მოქმედებების დროს, ადგილმდებარეობის და ცალკეული ობიექტების განათების საშუალებები. **მ.ს**-ს განეკუთვნება: პროჟექტორები, მანათობელი საარტილერიო ჭურვები, ნაღმები, ვაზნები (რეაქტიული და სასიგნალო პისტოლეტებიდან სროლისთვის). ასევე – მანათობელი საავიაციო ბომბები. მიზნის მკაფიო ამოცნობისთვის განათების სიდიდე უნდა იყოს არანაკლებ 2 ლუქსისა, ხოლო განათების ხანგრძლივობა – რამდენიმე ათეული წამი.

მანდატი (ლათინური mandatum – დავალება), გაეროს უშიშროების საბჭოს ან აშშ-ის მთავრობის, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის, ან ცალკეული სახელმწიფოს მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც განსაზღვრავს ამ რეზოლუციის შემსრულებელი ძალის მიზანს, რესურსებს, როლს და ამოცანას.

მანდატი მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციის ჩატარებაზე, ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტი, დამტკიცებული გაეროს უსაფრთხოების საბჭოს, კოლექტიური უსაფრთხოების სხვა ორგანოს ან ცალკეული სახელმწიფოს მიერ. წარმოადგენს იურიდიულ საფუძველს კონფლიქტის ზონაში მშვიდობის მხარდაჭერის მიზნით კოლექტიური ძალების განსათავსებლად, აგრეთვე – საწყის დოკუმენტს მშვიდობის მხარდასაჭერად ოპერაციის გეგმის დასამუშავებლად.

მანევრები, სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) მასშტაბის ორმხრივი სწავლება, რომელშიც მონაწილეობენ მართვის ორგანოები, ერთი ან ორი დაჯგუფების ჯარები და ძალები. გარდა ამისა – შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ჯარების გაერთიანებები და შენაერთები, რომლებიც დიდ სივრცეზე მოქმედებენ. **მ.** ტარდება ადგილმდებარეობაზე, ზღვაში ან ჰაერში. მის მიზანს წარმოადგენს საბრძოლოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ პირობებში ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მნიშვნელოვანი დეტალების მომზადება და ჩატარება. **მ.** ჯარების (ავიაციის, ფლოტის ძალების), მეთაურების და შტაბების სწავლების, მათი საბრძოლო მზადყოფნის, მართვის სისტემის მდგომარეობის, საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნილობის შემოწმების უმაღლეს ფორმაა.

მანევრი, ჯარების (ძალების, მატერიალური საშუალებების) გარკვეული ნაწილის ორგანიზებული გადაადგილება საბრძოლო მოქმედების მზადების და მსვლელობის დროს ახალ მიმართულებაზე (ზღუდეზე, რაიონზე), აგრეთვე ცეცხლის, სარაკეტო ჯარების და ავიაციის დარტყმების გადატანა. ჯარების **მ.** ხორციელდება მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელი მდებარეობის დაკავების, ძალების და საშუალებების საჭირო დაჯგუფების შექმნის, მოწინააღმდეგის დარტყმების არიდან ჯარების გაყვანის მიზნით. მასშტაბის (მონაწილე ძალების და საშუალებების რაოდენობის) მიხედვით განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ, ტაქტიკურ **მ**-ს. სტრატეგიული **მ.** სრულდება უმაღლესი სამხედრო სარდლობის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე საომარი მოქმედების თეატრის ფარგლებში. ოპერატიული **მ.** ეწყობა გაერთიანების სარდლის გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით, ერთი ან რამდენიმე საოპერაციო მიმართულების ფარგლებში (ოპერაციის ამოცანების შესრულების ინტერესებისთვის). ტაქტიკური **მ.** ეწყობა შენაერთის (ნაწილის, ქვედანაყოფის) მეთაურის გადაწყვეტილებით და ხელმძღვა-

ნელობით ბრძოლაში ამოცანების შესრულების ინტერესებისთვის. ჯარების (ძალების) **მ.** შეიძლება ხორციელდებოდეს საშტატო საბრძოლო და სატრანსპორტო საშუალებებით, აგრეთვე საავტომობილო, სარკინიგზო, წყალსანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებით.

მანევრირება, 1. შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების ფორმირებების უნარი, სწრაფად განახორციელონ გადაადგილება საბრძოლო მოქმედებების მომზადების და მსვლელობის დროს; 2. სამხედრო ტექნიკის შესაძლებლობა, სწრაფად შეიცვალოს მოძრაობის სიჩქარე და მიმართულება (თვითმფრინავებისთვის – ასევე ფრენის სიმაღლე, ხოლო წყალქვეშა ნავებისთვის – ჩაშვების სიღრმე).

მანევრის, მიწოდების და ევაკუაციის გზები, შენაერთის (ნაწილის) მოქმედებების ზოლში არსებული გზების ქსელი, რომლის დანიშნულებაა მომზადებული II ეშელონით (რეზერვით) მანევრი, მატერიალური საშუალებების მიწოდება, დაჭრილების და ავადმყოფების, დაზიანებული ტექნიკის, შეიარაღების და ქონების ევაკუაცია. მოიცავს სამხედრო ფრონტალური და როკადული მიმართულების ძირითად და სათადარიგო გზებს, ასევე – ჯარების განლაგების რაიონებთან და ლოგისტიკის ობიექტებამდე მისასვლელ, შემოვლით და საკოლონო გზებს მძიმე მუხლუხა ტექნიკის მოძრაობისთვის.

მანევრული თავდაცვა, მოძრავი თავდაცვა; თავდაცვის სახეობა, რომლის მიზანია, მოწინააღმდეგისთვის ზარალის მიყენება, დროის მოგება და ტერიტორიის ნაწილის შესაძლო დაკარგვისას, საკუთარი ძალების შენარჩუნება. გამოიყენება, როგორც წესი, პოზიციური თავდაცვისთვის საჭირო ძალების და საშუალებების უკმარისობისას. თავდაცვის სამანევრო ფორმებს უძველესი დროიდან მიმართავდნენ. XX საუკუნის 20–30-იან წლებში ტაქტიკური მასშტაბით მრავალი ქვეყნის არმიის წესდებით იყო გათვალისწინებული. დაზიანების საშუალებების, მეტადრე ბირთვული და მაღალი სიზუსტის იარაღის გამოგონებამ, ჯარების მკვეთრად გაზრდილმა მანევრულობამ 70-იან წლებში მოითხოვეს გამოყენებული ყოფილიყო **მ.თ**-ის პრინციპები უკან დახევისას, ხოლო 80-იანი წლების დამლევს **მ.თ**. ოფიციალურად ცნეს თავდაცვის სახეობად ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. მრავალი სახელმწიფოს არმიებში ასევე გათვალისწინებულია რაიონის თავდაცვასთან (პოზიციურ თავდაცვასთან) ერთად აწარმოონ მობილური თავდაცვა (მოძრავი თავდაცვა) რაც ფორმით და შინაარსით **მ.თ**-ის ანალოგიურია.

მანევრული ომი, ომი, რომელსაც ახასიათებს ფართო მასშტაბის სამანევრო მოქმედება ფრონტის სტაბილური ხაზის გარეთ და სწრაფცვალებადი ვითარება ხმელეთზე, ზღვაში, ჰაერსა და კოსმოსში. შეიძლება ადგილი ექნეს მთელი ომის დროს ან მის ცალკეულ ეტაპებზე. ომის მანევრულ ხასიათს განსაზღვრავს პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების ხასიათი, ჯარების უნარი, აწარმოონ მანევრული მოქმედება, დაზიანების ეფექტიანი საშუალებების საკმარისი რაოდენობის არსებობა, ჯარების სწრაფად მოძრავი გვარეობების არსებობა, კომუნიკაციების ქსელის განვითარება, საომარი მოქმედების თეატრის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და სხვა. **მ.ო**-ის ცნება ხმარებაში შემოვიდა I მსოფლიო ომის შემდეგ. მანევრულ ხასიათს ატარებდა I მსოფლიო ომის საწყისი პერიოდი და მთლიანად II მსოფლიო ომი.

მანევრული ტაქტიკა, შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) და შენაერთების მიერ საბრძოლო მოქმედების წარმოების თეორია და პრაქტიკა, რომელიც ყველა სახეობის მანევრის ფართო გამოყენებას ემყარება. **მ.ტ**. მჭიდროდ არის დაკავშირებული შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და ჯარების თვისებრივი შემადგენლობის განვითარებასთან. მის ცალკეულ ელემენტებს იყენებდნენ XVIII–XIX საუკუნეების ომებში, პირველ მსოფლიო ომში. შემდგომი განვითარება პოვა II მსოფლიო ომში. მისი არსია: შეტევაში – მოწინააღმდეგის დაზიანება ცეცხლით დიდ სიღრმეზე, საბრძოლო წყობის სწრაფი წინსვლა, საჰაერო დესანტების გამოყენება, დიდმნიშვნელოვანი საყრდენი პუნქტების და წინააღმდეგობის კვანძების გვერდიდან შემოვლა ან გარშემორტყმა, მოკლე ვადაში მოწინააღმდეგის ტაქტიკური დაჯგუფებების ალყაში მოქცევა მათი შემდგომი განადგურების მიზნით; თავდაცვაში – ცეცხლით და ქვედანაყოფებით (ნაწილებით) მანევრის მოწყობა საშიშ მიმართულებაზე, ჯარების (ძალების) გამოყვანა მოწინააღმდეგის შესაძლო დარტყმების არეალიდან, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების ფართო გამოყენება და კონტრშეტევები. სამხედრო-საზღვაო ძალებში **მ.ტ**-ს ახასიათებს ბრძოლაში შეუჩერებლივ ჩაბმა, ცეცხლისა და მანევრის შეხამება, მოწინააღმდეგის ნაწილ-ნაწილ განადგურებისკენ სწრაფვა. მანევრული მოქმედება არის თანამედროვე არმიების და სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო ტაქტიკის ძირითადი შინაარსი. მას ახასიათებს მაღალი დინამიზმი, სივრცული გაქანება, მკვეთრად ცვალებადი ვითარება და ბრძოლის წარმოების ხერხების მრავალფეროვნება.

მანერჰაიმი (Mannerheim) კარლ გუსტავ ემილ (1867–1951), ფინელი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, მეცნიერი და ეროვნული გმირი, მარშალი (1933). წარმოშობით ფინურ-შვედური არისტოკრატიული ოჯახიდან. სამხედრო სამსახური რუსეთში დაიწყო (გენერალ-ლეიტენანტი, 1917). ფინეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა ფინურ არმიას, სარდლობდა მას 1939–40 წლებში *სსრ კავშირი–ფინეთის ომის* და 1941–44 წლებში, როდესაც ფინეთი გერმანიის მხარეზე მონაწილეობდა *გერმანია-სსრ კავშირის ომში.* 1944–46 **მ.** ფინეთის პრეზიდენტი იყო. ამ პერიოდში მან მიაღწია ისეთ შეთახმებას სტალინთან, რომ ფინეთს დამოუკიდებლობა შეუნარჩუნა.

მანიპულა (ლათინური – manipulus), რომაული ლეგიონის ტაქტიკური ქვედანაყოფი. გაჩნდა ძვ.წ. V საუკუნეში. სხვადასხვა დროს ითვლიდა 60–120 მეომარს. იყოფოდა 2 ცენტურიად. ძვ.წ. 107 წელს **მ**-ები შეიყვანეს *კოჰორტებში.*

მანქანის გამავლობა, მანქანის მოძრაობის უნარი სხვადასხვა პირობებში დამხმარე საშუალებების გარეშე. ძვრადობის (დაძვრის) ერთ-ერთი მახასიათებელი. **მ.გ.** შეიძლება იყოს: ჩვეულებრივი (ავტომობილები ბორბლების ფორმულით 4x2, ჩვეულებრივი საბურავებით და არაბლოკირებული დიფერენციალით), გაძლიერებული (სამხედრო ავტომობილები ბორბლების ფორმულით 4x4, 6x4, 6x6, 8x8, ფართოპროფილიანი სალტეებით და რეგულირებული წნევის სალტეებით), ნაწილობრივ ან სრულად ბლოკირებული (დიფერენციალებით) და მაღალი (მუხლუხიანი მანქანები და სრულამძრავიანი სამხედრო ავტომობილები უმდაბლესი წნევის სალტეებით და სხვა). **მ.გ.** ფასდება გრუნტზე კუთრი წნევით, გადასალახავი წინაღობების პარამეტრებით და სხვა.

მანძილმზომი, ადგილმდებარეობაზე უშუალო გაზომვების გარეშე ობიექტამდე მანძილის გასაზომი ხელსაწყო. გამოიყენება საარტილერიო სროლების, ბომბდაშენის, ტოპოგრაფიული აგეგმვის დროს. აგრეთვე – ნავიგაციაში, ასტრონომიაში, ფოტოგრაფიასა და სხვა. განარჩევენ შუქურ, რადიო, აკუსტიკურ, ოპტიკურ-მექანიკურ **მ**-ებს. შუქური **მ**-ების ყველაზე გავრცელებული სახეა ლაზერული (კვანტური) **მ**-ები, რომელთა მოქმედება დაფუძნებულია გაშვებული და ობიექტიდან არეკლილი იმპულსის ინტერვალის ფიქსაციაზე. მათი გაზომვების დიაპაზონი 30 *მ*-დან 25 *კმ* მდეა, სიზუსტე 5 *მ,* წონა 15–20 *კგ* (ბინოკლი) და 1,5–2 *კგ* (ბინოკლ-მანძილმზომი). რადიომანძილმზომებში გამოიყენება რადიოტალღები პასიური და აქტიური არეკვლით, იმპულსური და უწყვეტი გამოსხივებით. წყალში მანძილის გასაზომად გამოიყენება აკუსტიკური (ულტრაბგერითი) **მ**-ები. ოპტიკურ-მექანიკური **მ**-ებიდან ყველაზე ფართო გავრცელება პოვა ბინოკულარულმა (სტერეოსკოპურმა) და მონოკულარულმა **მ**-ებმა, გაზომილი მანძილის შესაბამისად 0,01 და 0,1% გაზომვის სიზუსტით.

მაო ძედუნი (1893–1976), ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწე, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე (1943–76). 1931 წლიდან ხელმძღვანელობდა ჩინეთის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში გამოცხადებული საბჭოთა რესპუბლიკის სტრუქტურებს. 1934–36 წლებში ჩან კაიშის ჯარების ზეწოლამ კომუნისტები აიძულა დაეტოვებინათ დაკავებული ტერიტორიები და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში გადასულიყვნენ. **მ.ძ.** ამ ოპერაციის (ე.წ. „დიდი ლაშქრობის“) ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. მძიმე დანაკლისის მიუხედავად ჩინეთის წითელმა არმიამ მოახერხა შენსის პროვინციაში გადასვლა, სადაც მისი ახალი სამხედრო ბაზა ჩამოყალიბდა. 1937–45 წლებში, *ჩინეთ-იაპონიის ომის* დროს, კომუნისტებმა კავშირი დაამყარეს ჩან კაიშისთან, მაგრამ იაპონიის დამარცხების შემდეგ ჩინეთში კვლავ იფეთქა სამოქალაქო ომმა (1946–49). კომუნისტებმა სსრ კავშირის დახმარებით დაამარცხეს ნაციონალისტები და განდევნეს ისინი ჩინეთიდან. ჩან კაიშიმ შეინარჩუნა მხოლოდ კუნძული ტაივანი. 1949 წელს გამოცხადდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლის ცენტრალური სამთავრობო საბჭოსა და სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე გახდა **მ.ძ.** მას სიკვდილამდე ეკავა ჩინეთის ხელმძღვანელი პოსტები. 1959 წლისათვის ჩინეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდა **მ.ძ**-ის კულტი.

„მაჟინოს ხაზი“, ფრანგული სიმაგრეების სისტემა გერმანიის საზღვართან. შენდებოდა 1929–40 წლებში. ა. მაჟინო, ვისი სახელიც ეწოდა გამაგრებულ ხაზს, 1924–31 წლებში საფრანგეთის სამხედრო მინისტრი იყო. **„მ.ხ.“** წარმოადგენდა 400*კმ* სიგრძისა და 6–8 *კმ* სიღრმის გამაგრებულ ზოლს, რომელიც დაახლოებით 5600 ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობას ითვლიდა; მისი მუდმივი გარნიზონი შედგებოდა 200 ათ. კაცისაგან.

მარაბდის ბრძოლა 1625, ქართლ-კახეთის ლაშქარსა და ირანის შაჰის *აბას I*-ის ჯარებს შორის. ქართველთა აჯანყების ჩასახშობად (იხ. *მარტყოფის ბრძოლა*) შაჰმა საქართველოში დიდი ლაშქარი გამოგზავნა ისა-ხან *ყორჩიბაშის* სარდლობით. ირანელები მარაბდის ველზე იდგნენ. ქართველთა სამხედრო საბჭოზე გადაწყდა მტერზე თავდასხმა. 1 ივლისს 20 ათ-ანი ქართული ლაშქარი *თეიმურაზ I*-ისა და გიორგი სააკაძის სარდლობით კოჯორ-ტაბახმელას მაღლობებიდან ჩამოვიდა და ირანელებს შეუტია. ქართველებმა მტრის ავანგარდი დაამარცხეს და მის ბანაკში შეიჭრნენ. ირანელთა დამარცხება გარდაუვალი

ჩანდა, მაგრამ გამოცდილი სარდალი ისა-ხანი ბრძოლას არ წყვეტდა. აქ თავი იჩინა ქართული ფეოდალური მხედრობის დაბალმა დისციპლინამ; მეომართა ერთი ნაწილი ბრძოლას გამოეთიშა და მტრის ბანაკის ძარცვას მიჰყო ხელი. ამ დროს ისა-ხანს მაშველი ჯარი მოუვიდა, აზერბაიჯანის ბეგლარბეგის შაჰბენდეხანის ლაშქარი. ქართველებმა მტრის ახალი რაზმების დარტყმას ვეღარ გაუძლეს და უკუიქცნენ. ბრძოლაში 9 ათ. ქართველი და 14 ათ. ირანელი დაეცა. **მ.ბ**-ში დამარცხების მიუხედავად, ქართველებს იარაღი არ დაუყრიათ, ბრძოლა მეორე დღეს კოჯრის მიდამოებში გაგრძელდა.

მარაგის ეშელონირება (მატერიალური საშუალებების ოპერაციაში, ბრძოლაში), მატერიალური საშუალებების მარაგის განაწილება ლოგისტიკის რგოლებისა და დაჯგუფებებისთვის საბრძოლო მასალებზე, საწვავზე, სურსათსა და სხვა მატერიალურ საშუალებებზე, ჯარების (ძალების) მოთხოვნილების დროულად დასაკმაყოფილებლად; აგრეთვე ამ მარაგის მოწინააღმდეგის ზემოქმედებისგან დასაცავად და ჯარების (ძალების) ხანგრძლივი ავტონომიური მოქმედების უზრუნველასყოფად. განისაზღვრება ზემდგომი სარდლობის დირექტივებით (ბრძანებებით).

მარაგის მიწოდების ალტერნატიული მარშრუტი, მარშრუტი ან მარშრუტები, ტრანსპორტის გადაადგილებისთვის, რომლებსაც იყენებენ სამოქმედო რაიონის ფარგლებში იმ შემთხვევაში, თუ მთავარი მარშრუტი მწყობრიდან არის გამოსული.

მარაგის მიწოდების მთავარი მარშრუტი, საბრძოლო მოქმედებების რაიონში დადგენილი მარშრუტი ან მარშრუტები, რომელთა წილად მოდის საბრძოლო მხარდაჭერისათვის აუცილებელი გადაზიდვის ძირითადი დატვირთვა.

მარადიული ცეცხლი, დაღუპული გმირების და მათი გმირობის ხსოვნის სიმბოლო. საგანგებო ქურით ორგანიზებული მუდმივი ცეცხლი მონუმენტებთან, მემორიალურ კომპლექსებთან, სასაფლაოებთან, საფლავებთან. პირველად **მ.ც**. აანთეს პარიზში 1920 წელს, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. **მ.ც**. ანთია ბევრ ქვეყანასა და ქალაქში. ასევე – მნიშვნელოვანი მოვლენების ადგილებში.

მარათონის ბრძოლა, ბრძოლა მარათონის ველზე (ათენის ჩრდილო-აღმოსავლეთით 40 *კმ*) ძვ.წ. 490 წლის 13 სექტემბერს, *ბერძენ-სპარსელთა ომების* დროს. ბერძენთა ლაშქარმა (11 ათ. ქვეითი) მილტიადეს სარდლობით სძლია სპარსელებს, რომელთა ქვეითი და ცხენოსანი რაზმები აღემატებოდნენ ბერძნებს რაოდენობით, მაგრამ ჩამორჩებოდნენ ორგანიზებულობითა და მომზადებით. **მ.ბ**-ის შემდეგ სპარსელებს 10 წელიწადი აღარ უცდიათ საბერძნეთში შეჭრა.

მარაო (არტილერიაში), 1. ლულების შეთანხმებული მიმართვა ერთი მიზნის დასაზიანებლად ერთ საცეცხლე პოზიციაზე განლაგებული ბატარეის (ოცეულის) საარტილერიო ქვემეხების (ნაღმსატყორცნების, საბრძოლო მანქანების) ცეცხლის წარმოებისთვის. **მ.** შეიძლება იყოს პარალელური, თავმოყრილი, ასევე მიზნის სიგანის მიხედვით. პარალელური **მ**-ს დროს ქვემეხის ლულის ღერძები ერთმანეთის პარალელურად არის განლაგებული, თავმოყრის დროს – ლულის ღერძების გაგრძელება იკვეთება მიზნის მანძილზე. მიზნის სიგანის და მანძილის მიხედვით – მეზობელი ქვემეხების ლულის ღერძების გაგრძელებებს შორის მანძილი, ტოლია მიზნის ფრონტი გაყოფილი ბატარეის (ოცეულის) ქვემეხების რაოდენობაზე. 2. გასკდომის **მ**. – ჭურვების (ნაღმების) გასკდომის ერთობლიობა ბატარეის (ოცეულის) ჯერებით ან ზალპებით სროლის დროს, რომელიც მიღებულია აწევის ერთ კუთხეზე. ის შეიძლება იყოს თავმოყრილი ან გაფანტული მიზნის სიგანის მიხედვით.

მარგველაშვილი გიორგი თეიმურაზის ძე (დ. 1969), საქართველოს პრეზიდენტი, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი 2013 წლის 27 ოქტომბერიდან. დაამთავრა თბილისის 1 საჯარო სკოლა, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1987–92), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (1993–94), ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი (1998). მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე სასწავლო დაწესებულებებში (1992–2010). 2011 წლიდან აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში, 2012 წლის 25 ოქტომბერს დაინიშნა განათლების მინისტრად. 2013 წლის 11 მაისს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა.

მარდი ცეცლხლი, იხ. *ცეცხლი*.

მართვადი რაკეტა, რაკეტა, აღჭურვილი აპარატურით (მართვის სისტემით), რომლის მიზანია მიცემული პროგრამით მისი ფრენის უზრუნველყოფა. მართვა შეიძლება განხორციელდეს მთელ ტრაექტორიაზე ან მის ცალკეულ მონაკვეთზე (მაგალითად, ბალისტიკური რაკეტები იმართება მხოლოდ ტრაექტორიის აქტიურ მონაკვეთზე). **მ.რ**-ები არის: თვითდამიზნებადი, ტელემართვადი, ავტომატური და კომბინირებული მართვის სისტემებით; აღმასრულებელი მართვის ორგანოების მიხედვით – აეროდინამიკური, გაზოდინამიკური და კომბინირებული.

მართვადი (კორექტირებადი) საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

მართვადი ჭურვი, საარტილერიო ჭურვი (ნაღმი), აღჭურვილი მართვის აპარატურით, რომელიც უზრუნველყოფს მის მიზანში დამიზნებას. **მ.ჭ**-ებს განასხვავებენ: თვითდამიზნებადი ქობანით, სატელევიზიო დამიზნების

სისტემით, რადიოდამიზნებადს, ოპტიკა – ელ-ექტრონულ დამიზნებადს და სხვა. მართვისთ-ვის გამოიყენება აეროდინამიკური საჭეები ან იმპულსური კორექტირებადი რეაქტიული ძრა-ვები. პირველი **მ.ჭ**. იყო ამერიკული 155*მმ* ჭურვი „კოპერჰედი“ (1982) ნახევრადაქტიური ლაზერული თვითდამიზნებით და აეროდინა-მიკური ძრავებით.

მართვის დამხმარე პუნქტი, შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების მართვის პუნქტი, რო-დესაც მართვა სამეთაურო ან სათადარიგო მართვის პუნქტებიდან გართულებულია, ან შეუძლებელია. **მ.დ.პ**. შეიძლება შეიქმნას საბ-რძოლო მოქმედებების თეატრში ან გაერთია-ნებაში გარკვეული დროით შეიარაღებული ძალების სახეობების და დაჯგუფებების მარ-თვისთვის. ასევე იმ ჯარების (ძალების) დაჯ-გუფებების მართვისთვის, რომლებიც ერთობ-ლივი ოპერაციების ჩატარების დროს მოქმე-დებენ დაშორებულ ან იზოლირებულ მიმარ-თულებებზე (რაიონებში).

მართვის კონტროლი ბრძოლის დროს, ოპე-რაციის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, სამ-ხედრო დეზინფორმაციის, ფსიქოლოგიური ოპერაციების, ომის ელექტრონული საშუალე-ბებისა და ფიზიკური განადგურების საშუა-ლებების ერთობლივი გამოყენება (ინტეგრი-რება) სამხედრო დაზვერვასთან ურთიერთ-მხარდაჭერით. ამ მოქმედებების მიზანია: მო-წინააღმდეგეს არ მიეცეს ინფორმაციის მოპო-ვების საშუალება, განახორციელონ ზემოქმე-დება მოწინააღმდეგის საბრძოლო ქვედანაყო-ფების მართვისა და კონტროლის პროცე-სებზე, რათა დაასუსტონ ან გაანადგურონ მართვისა და კონტროლის საშუალებები და იმავდროულად საკუთარი ქვედანაყოფები და-იცვან მსგავსი ზემოქმედებისაგან.

მართვის მანქანა, ჯავშნიანი, მაღალი გა-მავლობის სპეციალური მუხლუხა ან ბორ-ბლებიანი მანქანა, აღჭურვილი ჯარების ან იარაღის მართვის საშუალებებით. ჯარებში **მ.მ**. გამოიყენება, ჩვეულებრივ, როგორც სარ-დლების (მეთაურების) და მათი შტაბების მო-ძრავი მართვის პუნქტები. იარაღის **მ.მ**., რო-გორც წესი, შეიარაღების კომპლექსის ელე-მენტს წარმოადგენს.

მართვის მეწინავე პუნქტი, ზოგიერთი ქვეყ-ნის შეიარაღებულ ძალებში, საერთო-საჯა-რისო გაერთიანების სამეთაურო პუნქტის ელემენტი, რომლის დანიშნულებაა უზრუნ-ველყოს სარდლისთვის დაქვემდებარებული გაერთიანებების (შენაერთების) ხელმძღვანე-ლობა ცალკეულ დიდმნიშვნელოვან მიმარ-თულებებზე ოპერაციის ყველაზე საპასუხისმ-გებლო პერიოდებში, საბრძოლო მოქმედების რაიონთან ახლოს გასვლისას, აგრეთვე სამე-თაურო პუნქტის გადაადგილებისას.

მართვის მოუშლა, ჯარების (ძალების), იარა-ღის და სამხედრო ტექნიკის მართვის ორგა-ნოებისა და ტექნიკური საშუალებების ფუნქ-ციონირების შესაძლებლობის არსებითი შემ-ცირება ან სრული შეწყვეტა მათ მიერ საბრ-ძოლო, საცეცხლე და სხვა ამოცანების შე-სრულებისას. **მ.მ**-ს აღწევენ მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) და იარაღის, უწინარეს ყოვლისა, მისი მართვის პუნქტების და კავ-შირგაბმულობის კვანძების მართვის სისტემე-ბის დაზიანების და ჩახშობის გზით.

მართვის ოპერატიულობა, სარდლების (მე-თაურების) და შტაბების უნარი, განახორ-ციელონ ჯარების ხელმძღვანელობა ისეთ ვადებში, რომელიც დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას უზრუნველყოფს. ამის მისაღწევად საჭიროა: ვითარების ცოდნა, ოპერაციის (ბრძოლის) დროული მომზადება, მართვის ორგანოების და პუნქტების მუდმივი მაღალი საბრძოლო მზადყოფნა, შეთანხმე-ბული მოქმედება და მარჯვე გადაადგილება; კავშირგაბმულობის სისტემის საიმედო მუ-შაობის უზრუნველყოფა, ვითარების ამსახვე-ლი ინფორმაციის შეგროვების და დამუშავე-ბის მწყობრი ორგანიზაცია, მართვის და კავ-შირგაბმულობის ყველა ტექნიკური საშუალე-ბის კომპლექსური გამოყენება, ჯარების (ძა-ლების) მართვის ავტომატიზაცია, შტაბების მუშაობის ყველაზე ეფექტიანი მეთოდების გამოყენება, მართვის პუნქტების სიცოცხლი-სუნარიანობის ამაღლება, დარღვეული მარ-თვის სწრაფი აღდგენის ორგანიზაცია, დაქვემ-დებარებული შენაერთებისთვის (ნაწილები-სათვის, ქვედანაყოფებისთვის) საბრძოლო ამოცანების დროული დასახვა (დაზუსტება).

მართვის პუნქტები, სპეციალურად მომზადე-ბული და აღჭურვილი ადგილები, საიდანაც მართვის ორგანოები ახორციელებენ ჯარების (ძალების) და იარაღის მართვას, ამასთან ასრულებენ საბრძოლო მორიგეობის ამოცა-ნებს. ჯარების (ძალების) მართვისთვის შეია-რაღებულ ძალებში იქმნება **მ.პ**-ის სისტემა. ძირითად **მ.პ**-ს წარმოადგენს სამეთაურო პუნქტი (სამხედრო-საზღვაო ძალებში I, II და III რანგის ხომალდებზე – მთავარი საკომან-დო პუნქტი). სამეთაურო პუნქტების ელემენ-ტებია: მართვის მეწინავე პუნქტი, მართვის საჰაერო პუნქტი, მართვის სარკინიგზო პუნქ-ტი. საკომანდო პუნქტის მწყობრიდან გამოს-ვლის ან ამ პუნქტიდან ჯარების (ძალების) მართვის შეუძლებლობის შემთხვევაში შე-ნაერთებსა და გაერთიანებებში, ხოლო სამ-ხედრო-საზღვაო ძალებში – ხომალდებზეც იქმნება სათადარიგო სამეთაურო პუნქტი. ლოგისტიკის ქვედანაყოფების, ნაწილებისა და დაწესებულებების (მათ შორის ტექნიკური, სპეციალურ-ტექნიკური და სამედიცინო უზრუ-ნველყოფისა) მართვა ხორციელდება ლოგის-ტიკის **მ.პ**-დან. ცალკე იზოლირებული მიმარ-თულებით მოქმედი ჯარების დაჯგუფების მართვისათვის ეწყობა დამხმარე **მ.პ**. შეტევის

წარმოებისას შენაერთებში შეიძლება შეიქმნას აგრეთვე მეწინავე სამეთაურო პუნქტი. ქვედანაყოფების მართვისთვის სახმელეთო ჯარებში იქმნება სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტები.

მ.პ. შეიძლება იყოს სტაციონარული და მოძრავი. სტაციონარულ **მ.პ**-ებს განალაგებენ კარგად დაცულ მიწისქვეშა და მიწისზედა ნაგებობებში. მოძრავ **მ.პ**-ს აწყობენ სამეთაურო-საშტაბო და საშტაბო მანქანებზე, ვერტმფრენებსა და თვითმფრინავებში, მატარებლებში, ასაწყობ-დასაშლელ საინჟინრო ნაგებობებში. **მ.პ**-ის გადაადგილება წინასწარ იგეგმება და ხდება ვითარების პირობების გათვალისწინებით. ხოლო სამეთაურო პუნქტებისა – ზემდგომი შტაბის ნებართვით, ხელქვეითებთან კავშირისა და ჯარებთან (ძალებთან), ზემდგომ შტაბთან და მეზობლებთან კავშირის დაურღვევლად. **მ.პ**-ების პირადი შემადგენლობის ნაწილი, განსაკუთრებით ოპერატიულ რგოლში, შეიძლება გადაადგილდეს ვერტმფრენებითა და თვითმფრინავებით. **მ.პ**-ის გადაადგილების დაწყებისა და ახალ რაიონში ჩასვლის შესახებ დაუყოვნებლივ მოახსენებენ ზემდგომ შტაბს და აწვდიან ინფორმაციას დაქვემდებარებული, ურთიერთმოქმედი ჯარების (ძალების) და მეზობლების შტაბებს.

მართვის პუნქტის დაცვა და თავდაცვა, ხორციელდება საკომენდანტო სამსახურის (სამხედრო პოლიციის), დაცვის, მომსახურების და უზრუნველყოფის ქვედანაყოფებით. ზოგიერთ შემთხვევაში – საბრძოლო ქვედანაყოფებითაც, რომელთაგან ამისათვის იქმნება ნაკრები ფორმირებები (რაზმები, გუნდები, ჯგუფები). მართვის პუნქტის განთავსების რაიონი მზადდება წრიული თავდაცვისთვის, მისკენ მიმავალ მისასვლელებზე და მარშრუტებზე საგუშაგოებს და სეკრეტებს აწყობენ. მნიშვნელოვან ობიექტებთან აყენებენ გუშაგებს.

მართვის სიგნალები, იხ. *სიგნალები*

მართვის უზრუნველყოფის ელემენტი, საშტაბო-საორგანიზაციო ერთეული, რომელიც მოიცავს პირად შემადგენლობას, ტექნიკას და მოწყობილობებს. იგი აუცილებელია მითითებების მომზადების, ბრძანებების და დირექტივების გაცემის საკითხებში მეთაურის დასახმარებლად.

მართვის ხომალდი, სპეციალურად აღჭურვილი ხომალდი, რომელიც განკუთვნილია ოპერაციებში (საბრძოლო მოქმედებებში) საზღვაო ძალების, ხოლო მშვიდობიანობის დროს – ძალების დაჯგუფებების მართვის უზრუნველყოფისთვის ოკეანეს (ზღვის) დაშორებულ რაიონებში. **მ.ხ**-ებს აქვთ მაღალი სანაოსნო თვისებები, ცურვის დიდი სიშორე და ავტონომიურობა. მათი, როგორც მოძრავი მცურავი სამეთაურო პუნქტების, ტექნიკური მოწყობილობა უზრუნველყოფს სარდლის და შტაბის ოფიცრების მუშაობას, დაქვემდებარებული ძალებისთვის ბრძანებების და განკარგულებების დროულ გადაცემას, ორმხრივ დუბლირებულ კავშირს ზემდგომ სარდლობასთან და ურთიერთმოქმედ ძალებთან. **მ.ხ**-ები აღჭურვილია სხვადასხვა დანიშნულების რადიოელექტრონული კომპლექსებით, მიმდინარე ინფორმაციის შეგროვების, დამუშავების, ასახვისა და გადაცემის მოწყობილობებით, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანებით ოპერატიულ-ტაქტიკური გაანგარიშებების საწარმოებლად, ძალების და იარაღის გამოყენებაზე გადაწყვეტილებების მისაღებად, კავშირგაბმულობის და მართვის საშუალებებით. თვითდაცვისთვის აქვთ თანამედროვე სანავიგაციო კომპლექსები, სარაკეტო-საარტილერიო, საზენიტო, ნავსაწინააღმდეგო და სხვა შეიარაღება. **მ.ხ**-ები შეიძლება იყოს სპეციალურად აგებული ან სხვა კლასის ხომალდებისგან გადაკეთებული. ზოგიერთ საზღვაო ძალებში ეწოდება საშტაბო ხომალდები (ამფიბიების ძალები და სხვა).

მართვის ჯარები, ჯარების გვარეობა სხვადასხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში. მისი დანიშნულებაა შტაბების უზრუნველყოფა კავშირგაბმულობით, სადაზვერვო მონაცემებით, ჯარებში საერთო წესრიგის და დისციპლინის დაცვა. შეიცავს კავშირგაბმულობის, რადიოტექნიკურ, რადიო, რადიოტექნიკური დაზვერვის და რადიოელექტრონული ბრძოლის, ტოპოგრაფიულ, სამხედრო პოლიციის და ფსიქოლოგიური ომის ნაწილებს და ქვედანაყოფებს.

მართვის ჯაჭვი, ხელმძღვანელ ოფიცერთა შემადგენლობაში ზემდგომიდან ქვეშევრდომებზე უფლებამოსილების გადაცემის წესი, რომლის საშუალებითაც ჯარების მართვა ხორციელდება.

მართლმსაჯულება შეიარაღებულ ძალებში, სახელმწიფო საქმიანობის ფორმა, სამხედრო სასამართლოების კომპეტენციაში შემავალი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეების აღნიშნულ სასამართლოებში განხილვა-გადაწყვეტილებისათვის. მოწოდებულია, იცავდეს სამხედრო მოსამსახურეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ებრძოდეს სახელმწიფოს უსაფრთხოების, შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის ყოველგვარ ხელყოფას. ჩვეულებრივ, **მ.შ.ძ**. ხორციელდება ქვეყნის კონსტიტუციის საფუძველზე, ყველა სასამართლოსთვის ერთიანი კანონმდებლობის შესაბამისად და ემყარება უდანაშაულობის პრეზუმციის პრინციპს.

მართლწესრიგის ოპერაციები, სამხედრო პოლიციის ამოცანები, რომელშიც შედის წესრიგის დამყარება, დანაშაულის გამოძიება და სამხედრო ტყვეების ციხეში მოთავსება.

მარიუსი (Marius) გაიუს (დაახ. ძვ.წ. 157–86), რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. კონსული ძვ.წ. 107, 104–101, 100, 86 წლებში. დაამარცხა ნუმიდიის მეფე იუგურთა (105), ტევტონები (102) და კიმბრები (101). **მ**-ის მიერ ჩატარებულმა გარდაქმნებმა არმიაში ჯარების პროფესიონალიზაციას შეუწყო ხელი.

მარნაზე ბრძოლა 1914, მიმდინარეობდა I მსოფლიო ომის დრო 5–12 სექტემბერს, მდინარე მარნაზე. პარიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა (64 დივიზია, 3000 ქვემეხი, ჟ. ჟოფრი) შეაჩერეს გერმანული არმიების შეტევა (49 დივიზია, 3364 ქვემეხი, ჰ. მოლტკე-უმცროსი) და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ. ამით ჩაიფუშა საფრანგეთის სწრაფი განადგურების გერმანული სტრატეგიული გეგმა.

მაროდიორობა, სამხედრო მოსამსახურეების მიერ ბრძოლის ველზე (მათ შორის რაიონში, რომელიც დაბომბვის ზონაში მოექცა) საკუთარი, მოკავშირე ან მოწინააღმდეგის არმიის დაღუპულების, დაჭრილების, სამოქალაქო პირების ნივთების ფარული, ან ღია დატაცება. **მ**-დ ითვლება, აგრეთვე ბრძოლის ველიდან დაჭრილების ევაკუაციის დროს მათი ნივთების მოპარვა.

მაროკო (Marocco – მაროკოს სამეფო), სახელმწიფო ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა, ხოლო დასავლეთით – ატლანტის ოკეანე. ფართობი 446,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა 33,7 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. რაბატი. ადმინისტრაციულად იყოფა 37 პროვინციად და 2 პრეფექტურად. **მ**-ში კონსტიტუციური მონარქია. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს მეფეს და ორპალატიან პარლამენტს. აღმასრულებელი – მეფის მიერ დანიშნულ მთავრობას. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1956 წელს. **მ**. აგრარული ქვეყანაა, შედარებით განვითარებული სამთომოპოვებითი მრეწველობით. საზღვაო პორტებია: კასაბლანკა, რაბატი, აგადირი, საფი, ტანჟერი, ელ-ჯადიდა. საერთაშორისო აეროპორტები – კასაბლანკა, მარაქეში. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 37,5 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 17,5 ათ., სამხედრო-საჰაერო 13 ათ. და სამხედრო-საზღვაო 7 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით და დაქირავებული პირებით.

მარტყოფის ბრძოლა 1625, ბრძოლა ქართველებსა და სეფიანთა ჯარებს შორის. შაჰ *აბას I*-ის მხედართმთავარი ყარჩიხა-ხანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა კახელების ამოწყვეტა და ქართლელების ირანში გადასახლება, 30 ათ-ანი ჯარით მარტყოფის ველზე იდგა. მასთან ბანაკში იმყოფებოდა გიორგი სააკაძე რამდენიმე ქართველი მეომრის თანხლებით. სააკაძეს კავშირი ჰქონდა აჯანყებულ ქართლელებთან, რომლებიც 25 მარტს, გამთენიისას, ირანელთა ბანაკს მიუახლოვდნენ. როდესაც მოწინააღმდეგის გუშაგებმა ქართული ლაშქარი შენიშნეს და განგაში ატეხეს, გიორგი სააკაძემ და მისმა მხლებლებმა თათბირზე სასწრაფოდ შეკრებილი ყარჩიხა-ხანი და კიდევ რამდენიმე ირანელი სარდალი დახოცეს, რამაც არევ-დარევა შეიტანა მტრის ჯარში. ფიცხელი ბრძოლა საღამომდე გაგრძელდა და ქართველების სრული გამარჯვებით დამთავრდა.

მარშალი, 1. სამეფო კარის მოხელის ტიტული საფრანგეთში. პირველად შემოიღეს შუა საუკუნეებში მეფის საჯინიბოების მთავარი ზედამხედველისთვის. XII საუკუნიდან სამეფო კარის დიდგვაროვანი, რომელიც განაგებდა პირად მცველებს, საცხენოსნო დაცვას და საჯინიბოებს. 2. უმაღლესი სამხედრო წოდება მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. გაჩნდა XVI საუკუნეში საფრანგეთში. ჰქონდა განსაკუთრებული განმასხვავებელი ნიშანი – მარშლის კვერთხი. XIX საუკუნეში მარშლის წოდება შემოიღეს ესპანეთში, თურქეთში (მუშირი), იტალიაში, იაპონიაში. XX საუკუნეში – სხვა ქვეყნებშიც. ავსტრიაში (მოგვიანებით ავსტრია-უნგრეთში), პრუსიასა (გერმანიაში) და რუსეთში შეესაბამებოდა გენერალ-ფელდმარშლის რანგს, ხოლო დიდ ბრიტანეთში და სხვა ქვეყნებში – ფელდმარშლისას. 3. პოლონეთში – ზოგიერთი სამოქალაქო თანამდებობრივი პირების წოდება (მაგალითად სეიმის მარშალი).

მარში (ფრანგული Marche – რიტმული სვლა), 1. ჯარების ორგანიზებული გადაადგილება კოლონებით საბრძოლო მანქანებზე, სატრანსპორტო საშუალებებზე ან ქვეითი წესით დადგენილ დროს დანიშნულ რაიონში (მითითებულ ზღუდეზე) მისასვლელად და საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. ომიანობის დროს ჯარებს შეუძლიათ შეასრულონ **მ**. ფრონტისკენ, ფრონტის გაყოლებით ან ფრონტიდან ზურგში; მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩაბმის მოლოდინში ან მაშინ, როდესაც არ არსებობს შეტაკების საფრთხე; მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების პირობებში ან მაშინ, როდესაც არსებობს მისი გამოყენების საფრთხე. **მ**. სრულდება მალულად, როგორც წესი, ღამით, ხოლო საბრძოლო მოქმედების დროს და თავისი ჯარების ღრმა ზურგში – დღისითაც. **მ**-ის ძირითადი მაჩვენებლებია: სიღრმე (მარშრუტის სიგრძე *კმ*-ში) საწყისი ზღუდიდან (პუნქტიდან) დანიშნულ ზღუდემდე (თავმოყრის რაიონის შორეულ პუნქტამდე), ხანგრძლივობა (საათებში ან დღეებში – საწყისი ზღუდის, ან პუნქტის გავლის დროიდან გათვალისწინებულ რაიონში სრულ თავმოყრა-

მდე); გამოყოფილი მარშრუტების რაოდენობა ან მოძრაობის ზოლის სიგანე; სადღეღამისო გადასვლების რაოდენობა – მანძილი, რომელსაც ჯარები გადალახავენ დღე-ღამეში **მ**-ის შესრულებისას; სადღეღამისო გადასვლის მანძილი (*კმ*-ში); კოლონების მოძრაობის საშუალო სიჩქარე (**მ**-ის სიჩქარე) დღე-ღამის (საათის) განმავლობაში უშუალო მოძრაობის დრო.

მ. დიდ მანძილზე არის გადაადგილება ერთზე მეტი დღის სავალზე. ტანკები და თვითმავალი არტილერია, სხვა მუხლუხა ტექნიკა და სვლის მცირემარაგიანი ტექნიკა შეიძლება გადაზიდულ იქნეს ავტომატარებლებით (ტრაილერებით). ყოველი სადღეღამისო გადასვლის ბოლოს ინიშნება დღის (ღამის) დასვენების რაიონები, ხოლო 3–5 გადასვლის შემდეგ – სადღეღამისო დასვენება. 2. ტერიტორიის დატოვების ძალისმიერი იძულება 3. პროტესტის ან დემონსტრაციის პროცესი (სამოქალაქო).

მარშის სიჩქარე, მილების ან კილომეტრების საშუალო რაოდენობა, რომელიც ქვედანაყოფებმა დროის გარკვეულ მონაკვეთში დაგეგმილი შეჩერებების ჩათვლით უნდა გაიარონ. გამოიხატება საათში გავლილი მილებით ან კილომეტრებით.

მარშლის კვერთხი, ზოგიერთ ქვეყანაში მარშლის (ფელდმარშლის) განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც წარმოადგენს ძალაუფლების და საპატიო მდგომარეობის სიმბოლოს.

მარშ-მანევრი, ჯარების გადაადგილება სალაშქრო წყობით, რომელიც ხორციელდება საბრძოლო მოქმედების დაწყებისას მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელი მდებარეობის დაკავების, საჭირო დაჯგუფების შექმნის ან მოწინააღმდეგის დარტყმის არიდან ჯარების გამოყვანის მიზნით; ჯარების გადაჯგუფების ერთ-ერთი ფორმა. XX საუკუნეში ტერმინი „მარშ-მანევრი“ ხმარებიდან გამოვიდა.

მარშ-ნახტომი, სახმელეთო ჯარების (საზღვაო ქვეითი ჯარის) ქვედანაყოფების სწრაფი გადაადგილება მცირე მანძილზე წინასწარ-დასახული ან უეცრად წამოჭრილი საბრძოლო ამოცანის შესრულების მიზნით. ჩვეულებრივ, სრულდება ქვეითი წესით, დაჩქარებული ტემპით (სიარულისა და სირბილის მონაცვლეობა). შესაძლებელია შერეული **მ.-ნ**., როდესაც გზის ნაწილს გადიან ქვეითად, ნაწილს – ავტომობილებით, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებით, სატანკო დესანტით. **მ.-ნ**. შეიძლება იყოს, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეების წვრთნის ერთ-ერთი მეთოდი, რომლის მიზანია მათი ამტანობის, მოქმედების სისწრაფის გამომუშავება.

მარშრუტი (მარში და ფრანგული route – გზა), ჯარების (ძალების), ავიაციისა და სატრანსპორტო საშუალებების დადგენილი გადაადგილების გზა. **მ**. აისახება რუკაზე (სქემაზე) ძირითადი პუნქტების მითითებით, რომლებზეც იგი გადის ან აზიმუტების აღნიშვნით. როგორც წესი, **მ**. არ უნდა გადიოდეს დიდ დასახლებულ პუნქტებზე, გზების კვანძებზე, ვიწროებზე, რკინიგზის სადგურების, პორტების მახლობლად და ა.შ. ავიაციაში **მ**-ის შერჩევა ხდება ობიექტების მისაწვდომობის, ორიენტირების, ფრენის უსაფრთხოების და ფარულობის, დარტყმის მოულოდნელობის, მიზანზე გასვლის და მიზნიდან წამოსვლის სიზუსტის გათვალისწინებით. სამხედრო-საზღვაო ძალებში ხომალდების (გემების) ზღვით გადასვლის **მ**-ს ირჩევენ საბრძოლო მოქმედებების თეატრში ოპერატიული ვითარების, სანავიგაციო-ჰიდროგრაფიული და ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით და დანიშნულ რაიონში (პუნქტში) დროული მისვლის ვარაუდით.

მარჯნის ზღვა (Coral sea) ნახევრად დახშული ზღვა წყნარ ოკეანეში, ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით. II მსოფლიო ომის დროს, 1942 წლის 4–8 მაისს, აქ გაიმართა საზღვაო ბრძოლა იაპონიისა და აშშ-ის ძალებს შორის, რომელიც იაპონელთა დამარცხებით დამთავრდა. ეს იყო მათი პირველი სერიოზული დამარცხება *ფერლ-ჰარბორზე* განხორციელებული თავდასხმის შემდეგ 1941 წლის დეკემბერში. **მ.ზ**-ში დაპირისპირებულ მხარეთა ხომალდები უშუალო კონტაქტში არ შესულან. საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა ძირითადად ავიამზიდებზე განლაგებული თვითმფრინავების ძალებით. ეს ბრძოლა შემდგომ წყნარ ოკეანეში მომხდარი სხვა ბრძოლების მოდელი გახდა.

მასირებული ცეცხლი, იხ. *ცეცხლი*.

მასის ნიშნები, პირობითი ნიშნები, რომლებიც უჩვენებენ საარტილერიო ჭურვის (ნაღმის) მასის გადახრას ნორმის (ტაბელურის) მნიშვნელობისგან. დააქვთ ჭურვის კორპუსზე განსაზღვრული რაოდენობის პლიუსების ან მინუსების სახით. მაგალითად, ერთი პლიუსი ან მინუსი ნიშნავს, რომ მოცემული ჭურვის მასის გადახრა შესაბამისად მეტ ან ნაკლებ მხარეს 1/3–1%-ის ფარგლებშია. მანძილის შესწორება მასის გადახრაზე მითითებულია სროლის ცხრილებში. თითოეული სროლისთვის ერთნაირი მასის ნიშნების ჭურვები შეირჩევა.

მასობრივი არმია, მრავალრიცხოვანი შეიარღებული ძალები, რომელსაც სახელმწიფო, ჩვეულებრივ, ომიანობის დროს რეზერვში მყოფი მოქალაქეების (სამხედრო ვალდებულების) მნიშვნელოვანი მასების მიზიდვით ქმნის. მშვიდობიანობის დროს მეტი წილი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებს აქვთ საკადრო მოწყობა და მათი შენახვა ხდება მინიმალური საჭირო შემადგენლობით. სახელმწიფოს სამობილიზაციო შესაძლებლობები-

დან გამომდინარე, ომიანობის დროს (მობილიზაციით) წარმოებს **მ.ა**-დ გაშლა.

მასობრივი დაზიანების იარაღი, იარაღის სახეობები, რომლებსაც შეუძლიათ ძალების და საშუალებების შეზღუდული გამოყენების პირობებში გამოიწვიონ მასობრივი დანაკარგები და ნგრევა გარემოს შეუქცევად ცვლილებებამდე. **მ.დ.ი**-ის ძირითადი განმასხვავებელი თვისებებია: დამაზიანებელი მოქმედების მრავალფაქტორიანობა; ხანგრძლივი დამაზიანებელი მოქმედება და გავრცელება დაზიანების ობიექტის ფარგლებს გარეთ; ხანგრძლივი ფსიქოტრავმატული ეფექტი; მძიმე გენეტიკური და ეკოლოგიური შედეგები; **მ.დ.ი**-სგან ჯარების და მოსახლეობის დაცვის და მისი გამოყენების შედეგების ლიკვიდაციის სირთულე. **მ.დ.ი**-ს განეკუთვნება ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი, აგრეთვე, მოქმედების სხვაგვარ პრინციპებზე დაფუძნებული **მ.დ.ი**-ის სხვა სახეობები, რომლებიც ეფექტურობით არ ჩამორჩებიან **მ.დ.ი**-ის ტრადიციულ სახეობებს.

მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვა, მოწინააღმდეგის ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღისაგან ჯარების, მოსახლეობისა და ეკონომიკის ობიექტების დასაცავად მიღებული ზომების კომპლექსი. ჯარების **მ.დ.ი.დ**. ითვალისწინებს ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენების ეფექტიანობის მაქსიმალურად შესუსტებას, ასეთი იარაღის დარტყმის არეში მოხვედრილი ჯარების ბრძოლისუნარიანობის სწრაფად აღდგენასა და დაზიანებულ რაიონებში მოქმედების პირობების უზრუნველყოფას. ჯარების დაცვის ღონისძიებებში შედის: მათი გაშლით განლაგება, საგულდაგულო შენიღბვა, განლაგების რაიონების პერიოდული გამოცვლა, დროული შეტყობინების საიმედო სისტემის შექმნა, ინდივიდუალური და სპეციალური კოლექტიური დაცვის საშუალებების გამოყენება, ტექნიკური და მატერიალური საშუალებებისათვის საფრების შექმნა. მოსახლეობის, პირუტყვის, მცენარეების, წყლის და წყალსაცავების **მ.დ.ი.დ**. ხორციელდება სამოქალაქო თავდაცვის ძალების და საშუალებების მიერ.

მასობრივი დანაკარგი, დიდი რაოდენობის დანაკარგი დროის შედარებით მცირე მონაკვეთში.

მასპინძელი ერი, სახელმწიფო, რომელიც მოკავშირე, კოალიციურ ან სხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებსა და/ან მათ საბრძოლო აღჭურვილობას, ან სხვა სახის მომარაგებას მიიღებს და განალაგებს თავის ტერიტორიაზე, მისცემს ოპერაციის ჩატარების საშუალებას, ან გაატარებს თავის ტერიტორიაზე.

მასპინძელი ერის მხარდაჭერა, სამოქალაქო და/ან სამხედრო დახმარება, რომელსაც მასპინძელი ერი აღმოუჩენს უცხო ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს თავის ტერიტორიაზე მშვიდობიანობის დროს, კრიზისის, ან საგანგებო შემთხვევების, ან საომარი მოქმედებების დროს ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

მასპინძელი ქვეყანა, ქვეყანა, რომელშიც იმყოფებიან სხვა სახელმწიფოს წარმომადგენლები ან ორგანიზაციები ადგილობრივი მთავრობის ინიციატივით და/ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე.

მასრა, (გერმანული hülse – გარსი), საარტილერიო გასროლის უნიტალური და დაცალკევებულ-მასრული დატენის ელემენტი. ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნა, რომელშიც განთავსებულია გამტყორცნი მუხტი და მისი აალების საშუალება. არის კონუსური ფორმის თხელკედლიანი ჭურჭელი, დამზადებული თითბრის (ლატუნის), ფოლადის, პლასტმასის ან მუყაოსაგან. **მ.** გასროლის დროს შესაძლებელია დაიწვას მთლიანად ან ნაწილობრივ.

მატერიალური პასუხისმგებლობა, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში კანონით დაწესებული ვალდებულება სახელმწიფოსთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ფულადი ფორმით ანაზღაურებაზე.

მატერიალური საშუალებები, პროდუქცია, რომელიც შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებების უზრუნველსაყოფად მშვიდობიანობის და ომიანობის დროს გამოიყენება. **მ.ს**-ს განეკუთვნება ყველა სახეობის შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები, სხვადასხვა სახეობის სათბობი, საწვავი, სურსათი, სანივთე, საინჟინრო, ქიმიური, სამედიცინო, სავეტერინარო და სხვა სახეობების სამხედრო ქონება.

მატერიალური საშუალებების მარაგი, განსაზღვრული რაოდენობის იარაღი, საბრძოლო ტექნიკა, საბრძოლო მასალები, საწვავი, კვების პროდუქტები, საინჟინრო, სამედიცინო, სანივთე და სხვა სამხედრო ქონება, რომელიც ინახება შეიარაღებული ძალების არსენალებში, ბაზებსა და საწყობებში, ასევე უშუალოდ ქვედანაყოფებში (ხომალდებზე). მისი დანიშნულებაა ჯარების (ძალების) მოთხოვნების დაკმაყოფილება მშვიდობიანობის და ომიანობის პერიოდში. მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, როგორც წესი, იგი იყოფა: მიკუთვნების მიხედვით – სტრატეგიულ, ოპერატიულ და საჯარისო მარაგად, მიზნობრივი დანიშნულების და გახარჯვის თანამიმდევრობის მიხედვით – მიმდინარე უზრუნველყოფის და ხელშეუხებელ მარაგად.

მ ი მ დ ი ნ ა რ ე უ ზ რ უ ნ ვ ე ლ ყ ო ფ ი ს მ ა რ ა გ ი, გამიზნულია მშვიდობიანობის დროს – ჯარების (ძალების) საბრძოლო მომზადების და ყოველდღიური ცხოვრების მიმდინარე მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ომიანობის პერიოდში – მათი საბრძოლო მოქმედებების, საბრძოლო მომზადების და

ყოველდღიური ცხოვრების უზრუნველსაყოფად.

ო პ ე რ ა ტ ი უ ლ ი მ ა რ ა გ ი ინახება გაერთიანებების ბაზებსა და საწყობებში. მისი გამოყენება შეიძლება შესაბამისი გაერთიანების მეთაურის განკარგულებით.

ს ა ჯ ა რ ი ს ო მ ა რ ა გ ი ინახება შენაერთებისა და ნაწილების (ხომალდების) საწყობებში, ქვედანაყოფების სატრანსპორტო საშუალებებზე, საბრძოლო მანქანებზე და სხვა.

ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი მ ა რ ა გ ი ინახება შეიარაღებული ძალების ცენტრალურ არსენალებში, ბაზებში და საწყობებში, გარდა ამისა, ასეთი მარაგის ნაწილი შეიძლება ინახებოდეს სახელმწიფო რეზერვების ბაზებში. მისი გამოყენება შეიძლება უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის განკარგულებით.

ხ ე ლ შ ე უ ხ ე ბ ე ლ ი მ ა რ ა გ ი მოიცავს საჯარისო მარაგის ნაწილს, რომლის გახარჯვა შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაბამისი მეთაურის (უფროსის) ნებართვით.

მატერიალური საშუალებების მიზიდვა, ჯარებისთვის (ფლოტის ძალებისთვის) მატერიალური საშუალებების მომზადების და მიწოდების ღონისძიებების კომპლექსი. მას იყენებენ მშვიდობიანობის დროს და საბრძოლო მოქმედებების მსვლელობისას მათი მოთხოვნების, ხარჯვის და დანაკარგების დაკმაყოფილების მიზნით. **მ.ს.მ**. ხორციელდება სტრატეგიულ, ოპერატიულ, ტაქტიკურ დონეზე და წარმოადგენს მატერიალური უზრუნველყოფის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს.

მატერიალური საშუალებების ხარჯი, 1. საბრძოლო და სხვა ამოცანების შესრულების დროს ჯარების (ძალების) მიერ გამოყენებული (მოხმარებული) მატერიალური საშუალებები. 2. ბრძოლის, ოპერაციის, გადაჯგუფების ან გარკვეულ დროში მოხმარებული (გამოყენებული) მატერიალური საშუალებების მოცულობა. შეიძლება გამოსახული იყოს საანგარიშო-სამომარაგებო ერთეულებში, მოცულობით ერთეულებში, მასის ერთ და სხვა საზომ ერთეულებში.

მატერიალური უზრუნველყოფა (შეიარაღებული ძალების), ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება მშიდობიანობის და ომიანობის დროს ჯარების (ძალების) ყოველდღიური ცხოვრების და საბრძოლო საქმიანობისთვის საჭირო მატერიალური საშუალებით დაკმაყოფილების მიზნით; ლოგისტიკური უზრუნველყოფის სახეობა. **მ.უ**. მოიცავს: სხვადასხვა სახეობის მატერიალურ საშუალებებზე (რაოდენობის და ნომენკლატურის მიხედვით) არსებული მოთხოვნილების განსაზღვრას, მათ წარმოებას, მარაგის გამოთხოვას, მიღებას, შენახვას, ხარჯების და დანაკარგების შევსებას, მომხმარებლებთან გაგზავნას და მიტანას. აგრეთვე მარაგის მანევრს.

მატერიალური უზრუნველყოფის ორგანოები (შეიარაღებულ ძალებში), საშტატო და არასაშტატო სამხედრო ფორმირებების და მართვის ორგანოების კრებსითი სახელწოდება, განკუთვნილია ჯარების (ძალების) მატერიალური უზრუნველყოფისთვის. გასული საუკუნის 80-იან წლებამდე უწოდებდნენ მომარაგების ორგანოებს. **მ.უ.ო**-ის ძირითადი ფორმირებებია მატერიალური უზრუნველყოფის ბრიგადები, ბატალიონები, ასეულები და ოცეულები. **მ.უ.ო**-ის შემადგენლობაში შედის, აგრეთვე ლოგისტიკის ბაზები და უზრუნველყოფის ბაზები (სტაციონარული და მოძრავი), საწყობები მატერიალური საშუალებების სახეობების მიხედვით, ტექნიკის საწვავით გამართვის ქვედანაყოფები და სხვა.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სარდლობა, იხ. *სარდლობები.*

მატროსი (ჰოლანდიური – matros), რიგითი მეზღვაური. 1. ბევრ ქვეყანაში სამხედრო მოსამსახურეების პირველი (უმცროსი) სახომალდე სამხედრო წოდება. შეესაბამება საჯარისო სამხედრო წოდებას – ჯარისკაცი. 2. სამოქალაქო საზღვაო (სამდინარო) ფლოტის გემებზე მატროსი ეკიპაჟის (გუნდის) წევრის თანამდებობაა.

მატყუარა თვითმფრინავ-სიმულატორი, თვითმფრინავი, რომელიც თავდაცვითი ოპერაციების სწავლების დროს მოწინააღმდეგის როლს ასრულებს.

მაუზერი, სასროლი იარაღის დასახელება. დაკავშირებულია ძმები მეიარაღეების ვილჰელმ და პაულ მაუზერების სახელთან. ერთ-ერთი პირველი მძლავრი ავტომატური პისტოლეტი; კალიბრი 7,63 *მმ.* 1896 წლიდან ამზადებდა გერმანული ფირმა „მაუზერი“. 1908 წლიდან მოდერნიზებულია. **მ**-ით შეიარაღებული იყო ზოგიერთი არმია (გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ჩეხოსლოვაკია და სხვა). **მ**-ის მოქმედების პრინციპი დაფუძნებულია ლულის მოკლე სვლისას ლულისა და საკეტის უკუცემის გამოყენებაზე.

მაქსიმალურად ეფექტური მანძილი, მაქსიმალური მანძილი, რომელზეც იარაღიდან ხორციელდება ზუსტი გასროლა და მიიღწევა სასურველი შედეგი. (სახმელეთო ჯარებისთვის), 1. დაშორება იარაღის სისტემიდან, რომლის დროსაც მიზანში მოხვედრის სიზუსტე დაახლოებით 50 პროცენტია, 2. მგეზავი ტყვიის ნათების მანძილი.

მაქსიმალური მანძილი, იარაღის გასროლის უდიდესი მანძილი გაბნევის გაუთვალისწინებლად. სახმელეთო ჯარებისთვის – ჭურვის ან რაკეტის მიზნისთვის მიწვდომის მანძილი ოპტიმალური კუთხის შემთხვევაში.

მაღალი სიზუსტის იარაღი (ზუსტი დამიზნების საბრძოლო მასალები), მართვადი იარაღი

(ჭურვები, რაკეტები, ავიაბომბები), რომლის ეფექტიანობას უმთავრესად მიზანში ზუსტი მოხვედრა განაპირობებს. ტერმინი გაჩნდა XX სუკუნის 70-იან წლებში იმ იარაღის აღსანიშნავად, რომლის მიზანში პირდაპირი მოხვედრების ალბათობა შეადგენს არა ნაკლებ 0,5-ს სროლის (გაშვების) ნებისმიერ სიშორეზე მისაწვდომობის ზონის ფარგლებში. თანამედროვე **მ.ს.ი.** ფასდება წრიული შესაძლო გადახრით 1–5 *მ* ფარგლებში.

მაღალი ღირებულების მიზანი (საკუთარი ძალებისათვის), მიზანი, რომლის განადგურება მოწინააღმდეგისთვის დიდი დანაკარგია, საკუთარ ძალებს კი ხელს შეუწყობს საბრძოლო მოქმედებების წარმატებით განვითარებაში.

მაყაშვილი მარო (მარიამ) კონსტანტინეს ასული (1901–21), პირველი ქალი, რომელსაც საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭა. რუსი საბჭოთა ინტერვენტებისგან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად წარმოებული ბრძოლების მონაწილე 1921 წლის თებერვალში. ცნობილი პოეტის და საზოგადო მოღვაწის კოტე მაყაშვილის ქალიშვილი. დაამთავრა თბილისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი (1919). სწავლა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. იყო სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წევრი, ჩინებული ტანმოვარჯიშე. 1921 წლის თებერვალში, როდესაც საბჭოთა რუსეთის XI არმიამ თბილისს შემოუტია, ივ. ჯავახიშვილის მოწოდებით ფეხზე დადგა ქართველი სტუდენტობა. **მ.** 17 თებერვალს ჩაწერა წითელ ჯვარში მოწყალების დად და სანიტარულ რაზმთან ერთად კოჯორს მიაშურა. ორი მომცრო ფრონტული ბარათის გამოგზავნა მოასწრო. 19 თებერვალს კი, როცა დაჭრილებს თბილისისაკენ აცილებდა, მტრის ყუმბარამ სიცოცხლეს გამოასალმა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პირველი მსხვერპლი ქალის დაღუპვა, მძიმედ განიცადა ქართველმა საზოგადოებამ. მას ქართველი ჟანა დარკიც კი უწოდეს. 2015 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა, გ. მარგველაშვილმა **მ**-ს გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა.

მაშველი ჯარი, ძალები და საშუალებები, რომლებიც ჯარების გასაძლიერებლად შემოდის. **მ.ჯ**-სთვის იყენებენ რეზერვებს და ნაწილებს, რომლებსაც გადმოისვრიან სხვა უბნებიდან ან რომლებიც შემოდიან სიღრმიდან.

მახვილი, ძველებური საჩეხ-საჩხვლეტი ცივი იარაღი. შედგებოდა ჩვეულებრივ 0,5–1,5 *მ*ის ფართე, პირდაპირი, ორმხრივ ბასრი ზედაპირისგან და ტარისგან. თავსდებოდა ქარქაშში. XVI საუკუნეში გამოიყენებოდა ფეხოსნებსა და კავალერიაში. შეიცვალა უფრო მჩატე ხმლებით და დაშნებით.

მგლის ორმო, მიწაში წაკვეთილი კონუსის ფორმის მქონე ჩაღრმავება (2*მ*მდე), ზოგჯერ ფსკერზე ჩამაგრებული წაწვეტებული სარებით; ქვეითთა საწინააღმდეგო დაბრკოლების სახეობა. ეწყობა ჭადრაკულად ჩვეულებრივ ტყიან ადგილმდებარაობაზე, ბილიკებზე და ინიღბება.

მდინარისპირა ოპერაციები, ოპერაციები, რომლებსაც ახორციელებენ მდინარისპირა რაიონში საბრძოლველად თავმოყრილი ქვედანაყოფები. მათ უნდა გამოიყენონ ამ რაიონის განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისებები მოწინააღმდეგის ადგილსამყოფელის დასადგენად და გასანადგურებლად და/ან მოცემულ რაიონზე კონტროლის მოსაპოვებლად ან მის შესანარჩუნებლად.

მდინარისპირა რაიონი, ქვეყნის შიდა ტერიტორიის ან უშუალოდ **მ.რ.**, რომელიც მოიცავს როგორც ხმელეთის, ისე წყლის ნაწილს, რომელიც ხასიათდება შეზღუდული სახმელეთო საკომუნიკაციო ხაზებით, წყლის ზედაპირის დიდი ფართობით და/ან ქვეყნის (ტერიტორიის) სანაოსნო მიმოსვლის გზებით, რომლებიც ბუნებრივი გზებია გადაზიდვებისა და კომუნიკაციებისთვის.

„მ“-დღე, დღე, როდესაც იწყება ან შესაძლებელია დაიწყოს მობილიზაცია.

მეაბჯრე, აბჯრისმტვირთველი, 1. წარჩინებული მხედრის (რაინდის) აბჯრის (საჭურვლის) მზიდავი ახალგაზრდა მეომარი; 2. აბჯრის მნე (მოხელე) ძველ საქართველოში. ემორჩილებოდა ამილახორის თანაშემწეს – მეაბჯრეთუხუცესს.

მეამბოხეების არმია, არსებული ხელისუფლების ან უცხოეთის სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ შეიარაღებულ აჯანყებაში ჩაბმული ძალების სამხედრო და გასამხედროებული ფორმირებების სახელწოდება. მეტწილ შემთხვევაში მთავრობას ან ხელისუფლებას, რომელიც წარმოადგენს მეამბოხეთა მოძრაობას და მის შეიარაღებულ ძალებს, არ ცნობს მოწინააღმდეგე მხარე. მათ, ანტისაზოგადოებრივ და მართლსაწინააღმდეგო ძალებად მიიჩნევენ.

მებრძოლი, 1. ბრძოლაში უშუალოდ მონაწილე მეომარი; 2. გადატანითი მნიშვნელობით – რომელიმე სახის საქმიანობის, მოვლენის, მოძრაობის აქტიური მონაწილე.

მედალი (ფრანგული – médaille, ლათინური metallum – მეტალი), განსაკუთრებული ნიშანი, რომელსაც უშვებენ რაიმე ისტორიული ან პოლიტიკური მოვლენის აღსანიშნავად, ან რომელიმე გამოჩენილი მოღვაწის პატივსაცემად, ან ჯილდო მხედრული და სხვა დამსახურების და წარჩინებისთვის. მზადდება ლითონის (ოქრო, ვერცხლი, ბრინჯაო და სხვა) ან სხვა მასალისაგან (მარმარილო, ფაიფური, მინა, პლასტმასა) მონეტის, რომბის, ვარსკვლავის ფორმით და სხვა. ორივე მხარეს

მოთავსებულია რელიეფური წარწერები და გამოსახულება. არის განსაკუთრებული წარჩინების, დასაჯილდოებელი და სამახსოვრო (მათ შორის საიუბილეო) **მ**-ები. ატარებენ მკერდზე მიმაგრებულს, უფრო იშვიათად – ლენტით კისერზე. არსებობს აგრეთვე სამაგიდო და საკედლე (მემორიალური) **მ**-ები.

მეზღვაურების სანავიგაციო შეტყობინება, ინფორმაციის ძირითადი სახეობა ნავიგაციური მოწყობილობების მდგომარეობის, ნავიგაციური საფრთხეების და ვითარების სხვა ელემენტების შესახებ. **მ.ს.შ**. გამოიცემა ბიულეტენების სახით, ხოლო ექსტრემალურ შემთხვევაში გადასცემენ რადიოთი.

მეთაური, 1. თანამდებობის პირი შეიარაღებულ ძალებში, რომელსაც ეკისრება ქვედანაყოფის, ნაწილის (ხომალდის), შენაერთის **მ**-ობა (ხელმძღვანელობა). ჩვეულებრივ, შეიარაღებულ ძალებში არის ერთმმართველი და პასუხს აგებს მისთვის მინდობილი სამხედრო ფორმირების საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნასა და საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულებაზე, საბრძოლო მომზადებაზე, სამხედრო დისციპლინასა და სხვა. 2. სამხედრო-საზღვაო ძალებში – სავახტო სამსახურის პირი წყალზედა ხომალდზე (სავახტო საგუშაგოს **მ**.). **მ**-ის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება სამხედრო წესდებით.

მეთაური (სარდალი) ნატოში არაწევრი სახელმწიფოდან, მეთაური (სარდალი), რომელიც დაქვემდებარების სისტემის ჩარჩოებში მონაწილეობს ნატოს მიერ ჩატარებულ ოპერაციაში ან ოპერაციაში, სადაც გამოყენებულია ნატოს ძალები და საშუალებები.

მეთვალყურე, სამხედრო მოსამსახურე, რომელიც დანიშნულია, რათა, თვალი ადევნოს მოწინააღმდეგეს, თავისი ჯარების (ძალების) მდგომარეობას და მოქმედებას, აგრეთვე შეისწავლოს ადგილმდებარეობა, ამინდი და ა.შ. ინიშნება სადაზვერვო და ჯარების (ძალების) სხვადასხვა გვარეობის და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფებში ჯარისკაცების, სერჟანტების, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – ოფიცრების რიცხვიდან.

მეთოდური მომზადება, სამეთაურო მომზადების შემადგენელი ნაწილი, რომლის მიზანია ხელქვეითების სწავლების და აღზრდის საქმეში ოფიცრების, ზემსახურების და სერჟანტების დახელოვნების დონის ამაღლება. მთავარი მიზნები: პირადი შემადგენლობის სწავლებასა და აღზრდაში ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება; თანამედროვე სასწავლო ბაზის შექმნაზე ძირითადი მოთხოვნების გამომუშავება; სწავლების ტრადიციების ათვისება, ახალი მეთოდების და ფორმების დამუშავება.

მეთოდური ნამუშევარი, სასწავლო და მეთოდური მასალების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს მეცადინეობების თემის ან ცალკეული სასწავლო საკითხის შინაარსს, ჩატარების თანამიმდევრობას და მეთოდს. მუშავდება და ეძლევა მეცადინეობების ხელმძღვანელებს. ისინი შეისწავლიან და იყენებენ მეცადინეობების ჩატარების ერთიანი მეთოდიკის მისაღწევად მოსამზადებელი კატეგორიების, მათი მომზადების დონის, ხელმძღვანელის (მასწავლებლის) გამოცდილების და სასწავლო – მატერიალური ბაზის გათვალისწინებით.

მეთოდური ცეცხლი, იხ. *ცეცხლი.*

მეთოფე, თოფით შეიარაღებული მებრძოლი.

მეკობრეობა (ბერძნული peirates – მძარცველი, ყაჩაღი), სავაჭრო და სხვა სამოქალაქო გემების და საფრენი აპარატების უკანონო ხელში ჩაგდება, ძარცვა ან ჩაძირვა, რასაც ღია ზღვაში ახორციელებენ კერძო მფლობელობაში შემავალი ან სახელმწიფო ხომალდები (საფრენი აპარატები); საერთაშორისო ხასიათის დანაშაული, საზღვაო ყაჩაღობა. **მ**. უტოლდებოდა ომის დროს მეომარი მხარეების სამხედრო ხომალდების და საფრენი აპარატების თავდასხმას ნეიტრალური ქვეყნების სავაჭრო გემებსა და საფრენ აპარატებზე. **მ**-ის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო სამართლის ნორმებს შეიცავს გაეროს 1982 წლის კონვენცია საზღვაო სამართლის შესახებ.

მეომარი, 1. მშობლიური მიწა-წყლის შეიარაღებული დამცველი; 2. მებრძოლი, ჯარისკაცი; 3. რიგითების წოდება ზოგიერთი სახელმწიფოს არმიაში.

მეომარი მხარე (საერთაშორისო სამართალში), ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე, რომელიც ვალდებულია დაიცვას ომის დადგენილი კანონები და წეს-ჩვეულებები. სახელმწიფო **მ.მ**-დ განიხილება საომარი მდგომარეობის გამოცხადების ან საომარი მოქმედებების ფაქტობრივი დაწყების მომენტიდან. **მ.მ**. შეიძლება იყოს პოლიტიკური მოძრაობა, ორგანიზაცია, რომელიც იბრძვის ეროვნული ან სოციალური განთავისუფლებისთვის, აგრეთვე სამოქალაქო ომის დროს ძალაუფლების მოპოვებისთვის (შენარჩუნებისთვის). **მ.მ**-ის ოფიციალური სტატუსი ამ პოლიტიკურ ძალებს ეძლევა მათი ხელმძღვანელი ორგანოების საერთაშორისო აღიარების შემდეგ, რაც პოლიტიკურ მოძრაობას (ორგანიზაციას) აძლევს შესაძლებლობას, დაამყაროს სახელშეკრულებო ურთიერთობა საერთაშორისო სამართლის სუბიექტებთან. **მ.მ**-ის სტატუსი წარმოშობს მთელ რიგ იურდიულ შედეგებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში.

მეომარი მხარეების განიარაღება, იძულებითი ზომების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც დაპირისპირებული მხარეების შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებას, კონფლიქტის ზონაში მოსახლეობისგან იარაღის ამოღებას, ამოღებული იარაღის და ტექნიკის განსაზღვრულ ადგილებში დაწყობას და მათ შემგომ დაცვას ითვალისწინებს.

მეომრის აღზრდა, საქართველოში **მ.ა.** 5–6 წლიდან, ზოგჯერ უფრო ადრეული ასაკიდანაც იწყებოდა და დაახლოებით 16–17 წლამდე გრძელდებოდა. ითვალისწინებდა მოზარდის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას, მის ზნეობრივ ჩამოყალიბებას. ქართველი ჯარისკაცი, მოლაშქრე ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული, ზნეობრივად სრულყოფილი უნდა ყოფილიყო. არისტოკრატ ახალგაზრდებს წვრთნიდნენ აღმზრდელები, რომელთაგან ნაწილს, უმეტესად სამხედრო მოსამსახურეებს, მათი ფიზიკური აღზრდა ევალებოდათ. დაბალ სოციალურ ფენაში კი ვაჟის სამხედრო აღზრდა მამის მოვალეობა იყო. მეომართა აღზრასა და წრთვნაში განსაკუთრებული ადგილი ფიზიკურ ვარჯიშებს, სპორტულ თამაშობებსა და შეჯიბრებებს, ნადირობას ეკავა. სამხედრო იარაღის ხმარებას ბავშვი 3–4 წლიდან ეჩვეოდა. თავდაპირველად თამაშით (ხის იარაღით), შემდეგ – ვარჯიშით (ნამდვილით იარაღით). 10–12 წლის ბიჭები სამხედრო იარაღს კარგად ფლობდნენ. 16–17 წლის ახალგაზრდა კი უკვე მეომრად იყო ჩამოყალიბებული.

მეორე ეშელონი, დაჯგუფების ქვედანაყოფები, რომელთა საბრძოლო მოქმედებებში ჩაბმის მიზანი წინასწარ არ არის გარკვეული.

მეორე მსოფლიო ომი 1939–45, უდიდესი საერთაშორისო კონფლიქტი, რომელსაც თავისი მასშტაბებით, დაღუპულთა რაოდენობითა და მატერიალური დანახარჯებით ანალოგი არ აქვს მსოფლიო ისტორიაში. ომში მონაწილეობა მიიღო 61-მა სახელმწიფომ (მთელი მსოფლიოს მოსახლეობის 80%-ზე მეტი), სამხედრო მოქმედებები გავრცელდა 40 სახელმწიფოს ტერიტორიაზე და აგრეთვე საზღვაო და ოკეანის თეატრებზე. ომი გამოწვეული იყო ევროპაში გერმანიისა და შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის ექსპანსიონისტური პოლიტიკით. დაიწყო 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანიის ჯარების თავდასხმით პოლონეთზე (იხ. *გერმანია-პოლონეთის ომი*), რომლის შემდეგ ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას (3 სექტემბერს). 1940 წელს გერმანიამ, *ბლიცკრიგის* სტრატეგიით, დაიპყრო დანია, ნორვეგია, ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი და საფრანგეთი. დიდი ბრიტანეთის დამარცხება გერმანელებმა ვერ შეძლეს, რადგან ვერ მოიპოვეს ჰაერში უპირატესობა (იხ. *ინგლისისათვის ბრძოლა*). იტალია, ალბანეთის ანექსიის (1939) შემდეგ გერმანიის მოკავშირე გახდა. 1941 წელს მათ დაიპყრეს იუგოსლავია, საბერძნეთი და გაინაწილეს მათი ტერიტორიები (იხ. *ბალკანეთის კამპანია*). 1941 წლის 22 ივნისს გერმანია თავს დაესხა სსრ კავშირს (იხ. *გერმანია-სსრ კავშირის ომი*). ჩრდილოეთ აფრიკაში ინგლისელთა გამარჯვებამ იტალიის ჯარებზე აიძულა გერმანია აფრიკაში გადაესროლა თავისი საექსპედიციო კორპუსი (იხ. *ჩრდილოეთ აფრიკის კამპანიები*). 1941 წლის 7 დეკემბერს იაპონიის თავდასხმით *ფერლ-ჰარბორზე* ომში ჩაბმული აღმოჩნდა აშშ. იაპონიის ჯარებმა სწრაფად დაიკავეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (იხ. *წყნარი ოკეანის კამპანიები*). 1942 წლიდან მოვლენები ევროპაში გერმანიისათვის არასახარბიელოდ განვითარდა. ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიისა და გერმანიის ჯარების დამარცხების შემდეგ ინგლის-ამერიკის არმიები გადასხდნენ იტალიაში (იხ. *იტალიის კამპანია*), რომელიც იძულებული იყო სეპარატული ზავი დაედო (1943 წლის სექტემბერი). 1944 წელს გერმანიის ჯარები გააძევეს სსრ კავშირის თითქმის მთელი ტერიტორიიდან და *წითელი არმია* ევროპის ქვეყნებში შეიჭრა. ამავე წლის ივნისში ინგლის-ამერიკის ჯარები გადასხდნენ საფრანგეთში (იხ. *ნორმანდიის სადესანტო ოპერაცია*), სადაც გაიხსნა *მეორე ფრონტი.* მიუხედავად გერმანიის არმიის წინააღმდეგობისა (იხ. *არდენების ოპერაცია*), მიადგნენ გერმანიის საზღვრებს. მოკავშირეები, ანტიჰიტლერული კოალიცია (აშშ, სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი), ერთმანეთს შეხვდნენ მდინარე ელბაზე (1945 წლის აპრილი). 2 მაისს საბჭოთა ჯარებმა აიღეს ბერლინი (იხ. *ბერლინის ოპერაცია*), გერმანიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს (1945 წლის 8 მაისი). იაპონია წინააღმდეგობას განაგრძობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მის ტერიტორიაზე 1945 წლის აგვისტოში აშშ-მა ჩამოაგდო 2 ატომური ბომბი (იხ. *ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა*), კაპიტულაცია გამოაცხადა (1945 წლის სექტემბერი). მიახლოებითი მონაცემებით, **მ.მ.ო**-ში დაიღუპა 50 მლნ-ზე მეტი და დასახიჩრდა 28 მლნ. ადამიანი. პირდაპირმა სამხედრო ხარჯებმა შეადგინეს 1384 მილიარდი დოლარი.

მეორე ფრონტი, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში II მსოფლიო ომის დროს. გადაწყვეტილება **მ.ფ**-ის გახსნის შესახებ მიღებულ იქნა სსრ კავშირის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების მიერ 1943 წლის თეირანის კონფერენციაზე. გაიხსნა 1944 წლის 6 ივნისს ნორმანდიაში ინგლის-ამერიკის საექსპედიციო ძალების შეჭრით (იხ. *ნორმანდიის სადესანტო ოპერაცია*). დასავლელმა მოკავშირეებმა გაარღვიეს *ატლანტიკური ზღუდე,* გაათავისუფლეს საფრანგეთის, ბელგიისა და ლუქსემბურგის ტერიტორიები და 1945 წლის გაზაფხულზე გავიდნენ მდინარე ელბაზე, სადაც წითელ არმიას შეხვდნენ.

მეორე ფრეზე შესვლის პროცედურა, მოქმედებების რიგი, რომელიც უნდა იყოს დაცული საფრენი აპარატის დაფრენისთვის შემ-

ოსვლის შეუძლებლობის დროს. ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში: 1. მფრინავის ინიციატივით, დასაფრენ ზოლთან ვიზუალური კონტაქტის არქონის შემთხვევაში. 2. მფრინავის ინიციატივით, დაფრენისთვის შემოსვლის პერიოდში ვიზუალური კონტაქტის არსებობისას, მაგრამ მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის შეუძლებლობების შემთხვევაში; 3. ავიადისპეჩერის მითითებით.

მეორეული დამაზიანებელი ფაქტორები, მოვლენები და პროცესები, რომლებიც წარმოიშობა მოწინააღმდეგის მიერ ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა იარაღის გამოყენების შედეგად, როგორც ძირითადი (პირველადი) ფაქტორების ხალხზე, ობიექტებზე და გარემოზე ზემოქმედების შედეგი. მათ განეკუთვნება ადგილმდებარეობის, იარაღის და სამხედრო ტექნიკის, მატერიალური საშუალებების მარაგის, კვების პროდუქტების და წყლის წყაროების რადიოაქტიური, ქიმიური, ბიოლოგიური (ბაქტერიოლოგიური) დასნებოვნება, ასევე გეოფიზიკური რხევები დედამიწის ზედაპირზე, ზღვის და ოკეანის ფსკერზე. ყველაზე საშიში და ხანგძლივმოქმედი **მ.ჯ.ფ.** შეიძლება წარმოიქმნას ატომური ელექტროსადგურის, ქიმიური, ნავთობ-ქიმიური, გაზის, სათბობი და მრეწველობის სხვა სახის ობიექტების ნგრევის შედეგად.

მესამე რაიხი (გერმანული Drittes Reich – მესამე იმპერია), გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური სახელმწიფოს სახელწოდება 1933–45 წლებში. ნაცისტური დოქტრინის მიხედვით, პირველი რაიხი იყო „*საღვთო რომის იმპერია*“ (962–1806), მეორე რაიხი – გერმანიის იმპერია (1871–1918).

მესანგრე, საინჟინრო ნაწილის ჯარისკაცი. XVII საუკუნის დამდეგს **მ**-ს უწოდებდნენ მუშებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც ძირს უთხრიდნენ და ანგრევდნენ მოწინააღმდეგის ციხესიმაგრეებს. მოგვიანებით **მ**-ს ევალებოდა ყველა იმ სამხედრო-საინჟინრო სამუშაოების შესრულება, რომელიც ბრძოლასთან იყო დაკავშირებული. თანამედროვე სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებში **მ**. საინჟინრო ჯარების საფუძველია.

მესაწოლე, მეფის საწოლის მომსახურე და მცველი ფეოდალურ საქართველოში. „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, **მ**-თა რაოდენობა 700 სახლი იყო, მათგან გლეხები 8 სახლი, დანარჩენი – აზნაურები. როდესაც მეფე სადმე მიემგზავრებოდა, მას შვიდასივე **მ**. მცველად მიჰყვებოდა. **მ**-ები მესაწოლეთ-უხუცესს ემორჩილებოდნენ, რომელიც მსახურთუხუცესის უწყებაში შედიოდა.

მეტეოროლოგია (ბერძნული metēors – ციური, logos – სწავლება) (სამხედრო), ზოგადი **მ**-ის დარგი, რომელიც სწავლობს **მ**-ური პირობების გავლენას ჯარების (ძალების) საქმიანობაზე და სამხედრო ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობაზე, აგრეთვე საომარი მოქმედებების თეატრის, ჯარების (ძალების) დისლოკაციის რაიონების **მ**-ურ და კლიმატურ თავისებურებებს. ეფუძნება ატმოსფეროს ფიზიკის, სინოპტიკური **მ**-ის, აეროლოგიის, კლიმატოლოგიის და სხვა მიღწევებს. არის სამხედრო-საავიაციო, სამხედრო-საზღვაო, საართილერიო, სამხედრო-ქიმიური, სინოპტიკური **მ**. და კლიმატოლოგია.

მეტეოროლოგიური ბიულეტენ, მომხმარებლისთვის ოპერატიული მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიწოდების ფორმა. **მ.ბ.** შიძლება შეიცავდეს დაწესებული სქემით და ფორმით ამინდის მიმოხილვას ან პროგნოზს დროის განსაზღვრულ პერიოდში, კლიმატურ და სხვა მონაცემებს ტექსტის, რუკების, გრაფიკების და ცხრილების სახით. **მ.ბ**-ს შეიძლება დაემატოს ფაქტობრივი, პროგნოზირებადი და საცნობარო მეტეოროლოგიური ინფორმაცია.

მეტეოროლოგიური დაზვერვა, იხ. *ამინდის დაზვერვა.*

მეტეოროლოგიური დაკვირვება, სპეციალური გაზომვები ან მეტეოროლოგიური ელემენტების და ხარისხის იმ რიცხობრივი მნიშვნელობების განსაზღვრა, რომლებიც ატმოსფერულ მოვლენებს ახასიათებს (მაგალითად, ღრუბლების ფორმა, ნალექების სახეობა და ინტენსივობა). იხ. (*მეტეოროლოგიური სადგური.)*

მეტეოროლოგიური ინფორმაცია, ცნობები მეტეოროლოგიური პირობების შესახებ. გამოიყენება მეთაურების და შტაბების მიერ ჯარების (ძალების) მოქმედების, იარაღისა და ტექნიკის გამოყენების ეფექტურობის ასამაღლებლად. ასევე იგი შეიძლება გამოიყენონ ავიაციის ფრენის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, მასობრივი დაზიანების იარაღისგან ჯარების (ძალების) დასაცავად. მოიცავს ინფორმაციის სამ ძირითად სახეობას: ფაქტობრივს, პროგნოზულს და საცნობაროს.

მეტეოროლოგიური პირობები, ატმოსფეროს მდგომარეობა კონკრეტულ რაიონში, განსაზღვრულ მომენტში ან დროის მონაკვეთში, განპირობებული მათში მიმდინარე ფიზიკური პროცესებით, რომლებიც მეტეოროლოგიური ელემენტების განსაზღვრული შეხამებით ხასიათდება. **მ.პ.**, რომლებიც საბრძოლო ვითარების ელემენტს წარმოადგენს, გავლენას ახდენს იარაღის, სამხედრო ტექნიკის გამოყენებაზე, ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებებზე, ლოგისტიკის საქმიანობაზე. **მ.პ**-ის ანალიზი, პროგნოზირება და შეფასება ჯარების (ძალების) ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) უზრუნველყოფის დროს ხორციელდება.

მეტეოროლოგიური პირობითი ნიშნები, იხ. *პირობითი ნიშნები.*

მეტეოროლოგიური რაკეტა, გეოფიზიკური რაკეტა ატმოსფეროს მაღალი ფენების პარა-

მეტრების სტრუქტურების კვლევებისთვის. მასა 300–400 *კგ*, სიმაღლეში ასვლით 100–150 *კმ*-ს აღწევს. **მ.რ**-ის გაშვება ხორციელდება სხვადასხვა გეოფიზიკურ რაიონში როგორც სახმელეთო პუნქტებიდან, ასევე ხომალდებიდან.

მეტეოროლოგიური სადგური, 1. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ქვედანაყოფი შესაბამისი საშუალებებითურთ. მისი დანიშნულებაა მეტეოროლოგიური ინფორმაციით ჯარების (ძალების) უზრუნველყოფა. 2. ტექნიკური საშუალებების კომპლექსი მეტეოროლოგიური დაკვირვებისა და დამუშავებისთვის. 3. პუნქტი, რომელიც აღჭურვილია დადგენილ ვადებში და გარკვეული თანამიმდევრობით მიმდინარე მეტეოროლოგიური დაკვირვებების საშუალებებით.

მეტეოროლოგიური სამსახური, განკუთვნილია სარდლობის, შტაბების და ჯარების (ძალების) ფაქტობრივი და პროგნოზირებული მეტეოროლოგიური ვითარების შესახებ ინფორმირებისათვის, აგრეთვე ცალკეული რაიონების და საომარი მოქმედების თეატრის კლიმატური პირობების შესახებ ცნობებით უზრუნველსაყოფისათვის.

მეტეოროლოგიური სიდიდეები, მეტეოროლოგიური ელემენტების (მათ შორის ამინდის საშიში მოვლენების) რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც ატმოსფეროს მდგომარეობას ახასიათებენ. გამოიყენება მეტეოროლოგიური პირობების ანალიზის, პროგნოზის და შეფასების დროს. აისახება ერთეულებში, რომლებიც ფიზიკაში, ჰიდრომექანიკაში და სხვა დისციპლინებში არის მიღებული.

მეტეოროლოგიური ცნობა, ხომალდებზე, თვითმფრინავებზე, კოსმოსურ აპარატებსა და სანაპირო მეტეოროლოგიურ სადგურებზე მეტეოროლოგიური დაკვირვების შედეგების განზოგადებული მონაცემები. გამოიყენება ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) ვითარების პროგნოზის დასაზუსტებლად.

მეტეოროლოგიური ხელსაწყოები, გამოიყენება ჰაერის ტემპერატურის (თერმომეტრები, თერმოგრაფები), ტენიანობის (ფსიქომეტრები, გიგროგრაფები), წნევის (ბარომეტრები, ანეროიდები, ბაროგრაფები), ქარის სიჩქარის და მიმართულების (ანემომეტრები, ანემორუმბომეტრები, ფლუგერები, ანემოგრაფები) გასაზომად.

მეტროლოგია სამხედრო (ბერძნული metron – ზომა, logos – სწავლება), საერთო მეტროლოგიის დარგი, რომელიც სწავლობს გაზომვების ერთიანობას, სიზუსტეს და დრულობას ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების მიზნით. სამხედრო **მ**-ის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება **მ**-ური უზრუნველყოფის სამეცნიერო საფუძვლების განვითარება.

მეტროლოგიური სამსახური, მისი დანიშნულებაა ძალების (ჯარების) მეტეოროლოგიური უზრუნველყოფა. არსებობს უმეტეს წამყვან ქვეყნებში. გაზომვების ერთიანობას და სიზუსტეს უზრუნველყოფენ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრები, მეტროლოგიური ბაზები, ლაბორატორიები, სახელოსნოები, პუნქტები და სხვა. აღჭურვილი არიან სიდიდის ერთეულების სამხედრო ეტალონებით, სამუშაო ეტალონებით და მოძრავი მეტროლოგიური კომპლექსებით.

მეტროლოგიური უზრუნველყოფა, სამეცნიერო-მეთოდური, საორგანიზაციო და ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია გაზომვების საჭირო სიზუსტის, დროული და უტყუარი ერთიანობის დასაცავად, შეიარაღების და ტექნიკის მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში შესანარჩუნებლად. **მ.უ**. მოიცავს: გაზომვების ერთიანობის და სიზუსტის მიღწევისთვის მეცნიერული საფუძვლების და საორგანიზაციო-ტექნიკური პრინციპების დამუშავებას; ჯარების უზრუნველყოფას აუცილებელი საზომი ხელსაწყოებით, სისტემებით, კომპლექსებით და გაზომვის მეთოდებით; შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის მეტროლოგიურ ექსპერტიზას მისი დამუშავების, წარმოების და ექსპლუატაციის ეტაპებზე; სამხედრო მეტროლოგების კადრების მომზადებას. **მ.უ**. ხორციელდება ჯარების ძალებით.

მეფარიშვილი ზურაბ სანდროს ძე (დ. 1934), გენერალ-ლეიტენანტი (1997), მთავარი შტაბის უფროსი (1996). მოტომსროლელი ბრიგადის მეთაური (1992–95), მთავარი შტაბის უფროსის მოადგილე (1995–96), თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (1996–98). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

მექანიზებული კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

მექანიზებული ხიდი, ტაბელური სამხედრო ხიდის სახეობა. დამონტაჟებულია სპეციალურ სატრანსპორტო საშუალებებზე, რომლის დანიშნულებაა ხიდის ტრანსპორტირება, დაბრკოლებაზე გადება და ისევ ტრანსპორტირებად მდგომარეობაში გადაყვანა. არსებობს სატანკო ხიდგამდები, რომელიც შედგება ხიდური კონსტრუქციისაგან და ძარად გამოყენებულია ტანკი და მძიმე **მ.ხ**-ი, რომელშიც შედის ერთი ტიპის ხიდგამდებები, დამონტაჟებული მაღალი გამავლობის დიდი ტვირთამწეობის ავტომობილებზე.

მექანიზებული ჯარები, მექანიზებული საჯარისო ფორმირებები, რომელთა ძირითადი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის დაცვის გარღვევის განვითარება და შეტევის წარმართვა მაღალ ტემპებში, თავდაცვაში – II ეშელონში სამოქმედოდ, კონტრიერიშების და კონტრდარტყმების გასახორციელებლად.

მექსიკა (Mexico – მექსიკის შეერთებული შტატები), სახელმწიფო ჩრდილო ამერიკის

სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დასავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, სამხრეთ-აღმოსავლეთით მექსიკის ყურე და კარიბის ზღვა, გვატემალა და ბელიზი. ფართობი 1,970 მლნ. კმ². მოსახლეობა 114 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. მეხიკო. ადმინისტრაციულად იყოფა 31 შტატად და 1 დედაქალაქის ოლქად. **მ.** ფედერაციული რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). **მ**-მ ესპანეთისგან დამოუკიდებლობა 1821 წელს მოიპოვა და რესპუბლიკად გამოცხადდა 1826 წელს. **მ.** ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სახელმწიფოა ლათინურ ამერიკაში, შედის მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობმომპოვებელ და ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების რიგში. სოფლის მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს მცენარეული კულტურების (მარცვლეული, შაქრის ლერწამი, ყავა, ტროპიკული ხილი, ბოსტნეული) მოყვანა. მსხვილი საზღვაო პორტებია: კოაცაკოალკოსი, ტამპიკო, ვერაკრუსი, აკაპულკო, სალინა-კრუსი და სხვა. საერთაშორისო აეროპორტებია: მეხიკო, გვადალახარა, აკაპულკო, მონტერეი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 280 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 212 ათ., სამხედრო-საჰაერო 12 ათ. და სამხედრო-საზღვაო 56 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

მეცნიერული პოტენციალი, მეცნიერების შესაძლებლობა, ეფექტიანად წყვეტდეს საზოგადოების წინაშე მდგარ მიმდინარე და პერსპექტიულ ამოცანებს. ახასიათებს მეცნიერების განვითარების მაღალი დონე, ორგანიზაციული მზადყოფნა წამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად, აგრეთვე შესაბამისი კადრები, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები. **მ.პ**-ის შემადგენელი ელემენტია სამხედრო-მეცნიერული პოტენციალი, რომელშიც იგულისხმება მეცნიერების შესაძლებლობა, ეფექტიანად წყვეტდეს სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების და მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების ამაღლების ამოცანებს. სამხედრო-მეცნიერული პოტენციალი გავლენას ახდენს სამხედრო ტექნიკის განვითარებაზე, ჯარების ორგანიზაციულ სტუქტურაზე, ჯარების მართვაზე, ხოლო მათი მეშვეობით – საბრძოლო მოქმედებების ხერხებსა და ფორმებზე, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სამხედრო-თეორიული მომზადების მთელ სისტემაზე.

მეძმარიაშვილი ელგუჯა ვიქტორის ძე (დ. 1946) გენერალ-მაიორი (1999), პირველი ქართული კოსმოსური ობიექტის გენერალური კონსტრუქტორი, რომელიც ორბიტაზე გავიდა (1999), სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1994). საქართველოს მენიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი (2013). დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებელი (1969). სამხედრო-კოსმოსური ტექნიკის მოსკოვის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრალური გაერთიანება „კომეტა"-ს თბილისის ქვედანაყოფის მთავარი კონსტრუქტორი და ხელმძღვანელი (1981–88). საქართველოს კოსმოსურ ნაგებობათა ინსტიტუტის გენერალური დირექტორი და გენერალური კონსტრუქტორი (1989–2006). საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პრეზიდენტი (2000). საქართველოს პარლამენტის წევრი (1999–2004). საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი ჯარების საინჟინრო უზრუნველყოფის დარგში (1999–2002). მის მიერ დაარსებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის გენერალური კონსტრუქტორი 2006 წლიდან. **მ**-ის მიერ განხორციელდა და დაინერგა 1981 წლიდან: ბალისტიკური რაკეტების სტარტის ადრეული აღმოჩენის, კოორდინატების განსაზღვრის და თვალთავლის კოსმოსური სისტემის ორბიტალური, ავტონომიური, თანამგზავრული, საინჟინრო კომპლექსი, აგრეთვე ბალისტიკური რაკეტების, მ.შ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე „პერშინგ–2"-ის სტარტის ადრეული აღმოჩენის მობილური საინჟინრო კომპლექსი, ორივე გადაცემულია შეიარაღებაში. ორბიტალურ სადგურ „მირ"-ის საინჟინრო უზრუნველყოფის ნაგებობის „სოფორა"-ს საბაზო კონსტრუქცია, აგრეთვე სარადარო, დიდი ზომის კოსმოსური გაწყვილებული წრიული ანტენა დიამეტრით 20*მ* – „კრაბ"-ი, რომლის გაშლაც განხორციელდა კოსმოსურ ხომალდ „პროგრეს–40"-ზე, აკადემიკოს ბორის პატონის თანამონაწილეობით ღია კოსმოსურ სივრცეში. მობილური, ინვენტარული, სამხედრო მრავალმალიანი ხიდები – КМ-01Т, КМ-02Т, მათზე გაცემულია სახელმწიფო სერტიფიკატი. საქართველოს სამგანზომილებიანი სამხედრო-საინჟინრო ციფრული რუკა მასშტაბით 1 : 200 000. საქართველოს ტერიტორიის და მასზე განლაგებული ობიექტების სამხედრო-საინჟინრო დანიშნულების კატალოგი, რომლებიც დანერგილია დანიშნულების მიხედვით. ასევე მნიშვნელოვანია ინტენსიური სამუშაოები საიერიშო ხიდის შექმნის მხრივ. მისი ხელმძღვანელობით მიმდინარეობს ერთობლივი სამუშაოები „Daimler-Benz Aerospace" (გერმანია), „Alenia Aerospazio" (იტალია), მიუნხენის ტექნიკური უნივერსიტეტი (გერმანია), ევროპული კოსმოსური სააგენტო „ESA" და სხვა ქვეყ-

ნებთან. გამოქვეყნებული აქვს საქართველოში და საზღვარგარეთ 300 სამეცნიერო შრომა, მათგან 19 მონოგრაფია და 75 გამოგონება. მიენიჭა სახელმწიფო და გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემიები. დაჯილდოებულია საქართველოს, რუსეთის, საბჭოთა კავშირისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სახელმწიფო და საუწყებო ორდენებითა და მედლებით, მათ შორის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

მეწინავე ბაზირება, 1. სამხედრო-საზღვაო ძალების განლაგება საომარი მოქმედებების რაიონისგან წინ წაწეულ ბაზირების პუნქტებში, რომლებიც იქმნება ამ მიზნებისთვის მოსახერხებელ ნავსადგურში, ყურეში ან უბეში და რომლებსაც შემდეგ დამატებით აღჭურავენ (ხელახლა აღჭურავენ) ამ ბაზიდან მოქმედი ფლოტის ძალების ბაზირების უზრუნველყოფის მცურავი და მოძრავი საშუალებებით; 2. მშვიდობიანობის დროს შეზღუდული რაოდენობის ჯარების (ძალების) განლაგება უცხოეთის ტერიტორიებზე, რომლებიც ფაქტობრივი ან პოტენციური საომარი კონფლიქტების რაიონებს წარმოადგენენ. იმავდროულად საკუთარ ტერიტორიაზე ინარჩუნებენ მნიშვნელოვან რეზერვებს **მ.ბ**-ის არსებულ დაჯგუფებების გასაძლიერებლად და ახალი დაჯგუფებების შესაქმნელად.

მეწინავე ბატალიონი, გაძლიერებული ქვეითი (მოტოქვეითი) ბატალიონი, რომელიც გამოიყოფა შეტევის დაწყების წინ მოწინააღმდეგის მომზადებული თავდაცვის ბრძოლით დაზვერვისთვის. პირველად **მ.ბ**-ების გამოყენება დაიწყეს II მსოფლიო ომის დროს, 1942 წელს, იმ მიზნით, რომ დაეზუსტებინათ თავდაცვის წინა ხაზის მოხაზულობა და ხასიათი, გამოერიცხათ საარტილერიო და საავიაციო მომზადების ჩატარება იმ პოზიციების მიმართ, რომლებიც წინასწარგანზრახვით დატოვა მოწინააღმდეგემ და სხვა. **მ.ბ**-ები, ჩვეულებრივ, ასრულებენ თავიანთ ამოცანას მთავარი ძალების შეტევის დაწყებამდე ერთი დღით ადრე ან შეტევის დღეს. 50-იანი წლების შუა ხანებიდან ტერმინი „მეწინავე ბატალიონი“ აღარ იხმარება.

მეწინავე ოპერატიული ბაზა, ბაზა, რომელიც განსაკუთრებული ოპერაციების დროს, ჩვეულებრივ, განლაგებულია საკუთარ ტერიტორიაზე ან მცურავ საშუალებებზე. მისი დანიშნულებაა მართვის, კონტროლის, ან კავშირის გაფართოება, წვრთნის და ტაქტიკური ოპერაციების მომსახურების უზრუნველყოფა.

მეწინავე რაზმი, გაძლიერებული სატანკო (ქვეითი, საზღვაო ქვეითი ჯარის) ქვედანაყოფი (ნაწილი), რომელიც ბრძოლის (ოპერაციის) დროს ამოცანების დამოუკიდებელი შესრულებისთვის გამოიყოფა; საბრძოლო წყობის ელემენტი. **მ.რ**-ის დანიშნულებაა: შეტევაში – უზრუნველყოს მთავარი ძალების ორგანიზებული ჩაბმა ბრძოლაში; სწრაფად შეაღწიოს მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში; ხელში ჩაიგდოს მნიშვნელოვანი ზღუდეები და ობიექტები; გამოედევნოს მოწინააღმდეგეს, შეუჩერებლივ გადალახოს წყლისმიერი დაბრკოლებები და შეასრულოს სხვა ამოცანები; თავდაცვაში – იმოქმედოს უზრუნველყოფის ზოლში. **მ.რ**-ები შეიძლება წინ გაიგზავნოს მარშზე სავარაუდო ბრძოლაში ჩაბმის მოლოდინში (მეტადრე შემხვედრ ბრძოლაში). **მ.რ**-ები საბრძოლო ამოცანების შესრულებისას ხშირად მთავარი ძალებისგან 15–20 *კმ*-ით დაწინაურდებიან.

მეწინავე საბრძოლო ბაზა, აეროდრომი, რომელიც გამოიყენება ტაქტიკური ოპერაციების მხარდასაჭერად, თუმცა საამისოდ აუცილებელი სრული აღჭურვილობა არ აქვს. ბაზის გამოყენება შესაძლებელია ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

მეწინავე სათვალთვალო პუნქტი, იხ. *სათვალთვალო პუნქტი.*

მეწინავე სამეთაურო პუნქტი, მართვის პუნქტი, რომელსაც ჯარების მართვის ოპერატიულობის ასამაღლებლად სახმელეთო ძალების შენაერთში მთავარი დარტყმის (ძირითადი ძალისხმევის თავმოყრის) მიმართულებაზე განალაგებენ. **მ.ს.პ**-ის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, შედიან შენაერთის მეთაურის მოადგილე, შტაბის, ჯარების გვარეობებისა და სამსახურების ოფიცრები. **მ.ს.პ**-ს უზრუნველყოფენ კავშირით სამეთაურო პუნქტთან, ლოგისტიკის მართვის პუნქტთან და შენაერთის ჯარებთან. განალაგებენ რაც შეიძლება ახლოს I ეშელონის ნაწილებთან.

მეხაზეები, სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც აღლუმის ან სამწყობრო დათვალიერების წინ გამოყოფენ სამხედრო ნაწილების დაწყობის ადგილების, აგრეთვე ჯარების საზეიმო მარშით გავლის ხაზსა და ქვედანაყოფებს შორის დისტანციების მოსანიშნად. გარდა ამისა ისინი აღლუმის ბოლოს სამხედრო ორკესტრთან ერთად გადიან საზეიმო მარშით.

„მეხუთე კოლონა“, ზოგადი სახელწოდება სახელმწიფოს ან პოლიტიკური მოძრაობის შიგნით მყოფი მტრის აგენტურისა, რომელიც მოწინააღმდეგის ინტერესებისთვის ძირგამომთხრელ მოქმედებას ეწევა. გაჩნდა ესპანეთში 1936–39 წლებში, სამოქალაქო ომის დროს.

მეხუთე მუხლის ოპერაციები, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის (და კოლექტიური დაცვის უფლების გაეროს 51-ე მუხლის) შესაბამისად ჩატარებული სამხედრო ოპერაცია ნატოს წევრი ერთი ან რამდენიმე პარტნიორი სახელმწიფოს დასახმარებლად, რომელიც შეიარაღებული თავდასხმის ობიექტი გახდა.

მეხუთე მუხლის ფარგლებსგარე ოპერაცია, სამხედრო ოპერაცია, ჩატარებული ნატოს მი-

ერ, რომელზედაც არ ხორციელდება კოლექტიური დაცვის ვალდებულებები, განსაზღვრული ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის მიხედვით.

მზადყოფნის ვადა, ვადა, რომლის განმავლობაში გაშლისა და ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის შესაბამისი სარდლის მიერ დასახული ამოცანის შესასრულებლად, ნაწილი მოიყვანება მზადყოფნაში.

მზვერავი, პირი, რომელიც მოიპოვებს, სწავლობს, აზოგადებს ცნობებს მოქმედი და სავარაუდო მოწინააღმდეგის შესახებ. დაზვერვის წარმოების და შესასრულებელი ამოცანების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ საჯარისო და აგენტურულ დაზვერვას. უფრო ვიწრო გაგებით, **მ.** არის სამხედრო მოსამსახურე, რომელიც ფარულად გადადის ცნობების შესაგროვებლად მოწინააღმდეგის განლაგებაში სამხედრო ფორმით შემოსილი. მსტოვრისგან განსხვავებით, საერთაშორისო სამართლის მიხედვით, **მ**-ზე ვრცელდება ომის კანონები და წეს-ჩვეულებები.

მზირნი, 1.სახმელეთო ჯარების საჯარისო დაზვერვის ან სალაშქრო დაცვის რაზმი. გზავნიან ქვედანაყოფები და ნაწილები, რომლებიც მარშს ასრულებენ ან საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებენ – მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობის, რადიაციული და ქიმიური ვითარების შესახებ მონაცემების მოპოვების, ან მოწინააღმდეგის გამოჩენის (თავდასხმის) შემთხვევაში დასაცავი ჯარების გაფრთხილების მიზნით. **მ**-თა შემადგენლობა, ჩვეულებრივ, ოცეულამდეა. 2. ხომალდი ან საფრენი აპარატი, რომელიც დაზვერვის ჩასატარებლად გამოიყენება.

მთავარი დარტყმა, 1. ჯარების (ძალების) შეტევითი მოქმედებები არჩეულ მიმართულებაზე (რაიონში), რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგის განადგურებისა და ოპერაციაში (ბრძოლაში) დასახული ამოცანის შესასრულებლად. **მ.დ**-ის მიმართულებით ქმნიან და ინარჩუნებენ ძალების და საშუალებების გადამწყვეტ უპირატესობას. ამასთან, მხედველობაში მიიღება მოწინააღმდეგის დაჯგუფების დაზიანების ყველაზე მაღალი ხარისხი. **მ.დ**-ის მიყენების თეორია და პრაქტიკა ვითარდებოდა შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების ცვლილებების შესაბამისად. ეპამინონდით და ალექსანდრე მაკედონელით დაწყებული, **მ.დ**-ის მიმართულების არჩევანი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ბატალიის (ოპერაციის, ბრძოლის), მთლიანად კამპანიების და ომების წარმატებას. მაგალითად, სტრატეგიული ინიციატივის მოპოვებისთვის ბრძოლის პერიოდში **მ.დ**-ებს აყენებდნენ ყველაზე მძლავრ და საშიშ დაჯგუფებებს. **მ.დ**-ის განხორციელების დროს მნიშვნელოვანია არა მარტო მისი მიმართულების სწორი განსაზღვრა, არამედ მთავარი დაჯგუფების ფარული გაშლა და მისი ყოველმხრივი მომზადება და უზრუნველყოფა. ბირთვული იარაღის გაჩენის შემდეგ **მ.დ**-ის არჩევაში განმსაზღვრელი გახდა მოწინააღმდეგისთვის მისაყენებელი ბირთვული დარტყმები. დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებების გამოყენების პირობებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ძალების და საშუალებების გადამწყვეტ მასირებას, ცეცხლით საიმედო დაზიანების ორგანიზაციას და ჯარების (ძალების) ძალისხმევის მუდმივ ზრდას. 2. მეთაურის (სარდლის) განკარგულებაში მყოფი ძალების და საშუალებების გამოყენება გადამწყვეტი შეტევის განსახორციელებლად. 3. მთავარ ობიექტზე მიმართული დარტყმა კამპანიის, მსხვილი ოპერაციის ან ბატალიის მიმდინარეობის დროს.

მთავარი დარტყმის მიმართულება (სახმელეთო ჯარებისთვის), ქვედანაყოფი, საბრძოლო პოზიცია, სექტორი, ზონა, შეტევის მთავარი მიმართულება, მიახლოების მიმართულება, საბრძოლო მოქმედებების რაიონი, ასპარეზი (თეატრი) და სხვა, რაც უფროსი მეთაურის მიერ განსაზღვრულია, როგორც მოცემული დროისთვის ძირითადი მიზანი. მის წარმატებით განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზემდგომი მეთაურის მიერ დასახული საერთო ამოცანის შესრულებისთვის.

მთავარი თავდაცვითი ძალები, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო კომპონენტების რეგულარული და მობილიზებული ძალები, რომლებიც გამოიყოფა ნატოს სტრატეგიული სარდლობის მიერ და აუცილებლობის შემთხვევაში ნატოს რეგიონული სარდლობის დაქვემდებარებაში გადადის, აგრესიის, ზეწოლის, შეკავების და მისგან თავდაცვის მიზნით.

მთავარი კალიბრი, სახომალდე არტილერიის ნაწილი, რომელსაც აქვს ყველაზე დიდი კალიბრი. ადრე ის აღწევდა 457 *მმ*-ს. ხომალდებზე სარაკეტო შეიარაღების გამოჩენით საარტილერიო ამოცანები შეიცვალა – ის გახდა უნივერსალური, ანუ საზღვაო, სახმელეთო და სანაპირო მიზნების დაზიანების შემძლე; შემცირდა მისი კალიბრიც 127–130 *მმ*-მდე.

მთავარი ოპერაცია, მრავალრიცხოვანი ძალების კოორდინირებული საბრძოლო მოქმედებები საომარი კამპანიის გარკვეულ ეტაპზე (ფაზაში). **მ.ო**. შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე საბრძოლო მოქმედებისაგან ან წარმოადგენდეს ერთ გადამწყვეტ ბრძოლას.

მთავარი საბრძოლო მოქმედებების რაიონი, ბრძოლის ველის ნაწილი, სადაც მოწინააღმდეგის დამარცხებისთვის გადამწყვეტი ბრძოლა მიმდინარეობს.

მთავარი შეტევა, გადამწყვეტი შეტევა ან მოქმედება, რომლისთვისაც მეთაური მის ხელთ არსებულ მთელ პოტენციალს იყენებს

შეტევითი ოპერაციების მთელი კამპანიის, ან კონკრეტული ბრძოლის მთავარ მიზანზე.

მთავარი შტაბი, სახელმწიფოს შეიარაღებული ჯარების (ძალების) სახეობის მართვის შემადგენელი ორგანო. ჩვეულებრივ, შედგება დეპარტამენტებისგან, სამმართველოებისა და განყოფილებებისგან; მასში შეიძლება შედიოდნენ სხვადასხვა ინსპექციები და სამსახურები. ზოგიერთ ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვა) შეიარაღებული ძალების სახეობების მართვის ორგანოებს უწოდებენ შტაბებს, ხოლო შტაბის უფროსები ასრულებენ შესაბამისი მთავარსარდლების (სარდლების) ფუნქციებს.

მთავარი ძალები, გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) ძირითადი ძალების და საშუალებების დაჯგუფება, რომელიც განკუთვნილია ოპერაციაში (ბრძოლაში) მთავარი ამოცანების შესასრულებლად. ჩვეულებრივ, **მ.ძ**. შეიცავენ საშტატო, მიკუთვნებული და მხარდამჭერი ძალების და საშუალებების დიდ ნაწილს. თავდაცვაში **მ.ძ**. საბრძოლო მოქმედებას აწარმოებენ ძირითადი ძალისხმევის თავმოყრის მიმართულებაზე. შეტევაში (კონტრშეტევაში) მოქმედებენ მთავარი დარტყმის მიმართულებაზე. მარშზე **მ.ძ.** მიჰყვებიან სალაშქრო დაცვას მარშრუტებზე, რომლებიც შესაძლებლობას აძლევენ, დროზე ჩავიდნენ დანიშნულ რაიონებში, დროულად და ორგანიზებულად ჩაებან ბატალიაში (ბრძოლაში).

მთავარი ძალების მოქმედების დაწყების უზრუნველმყოფი ჯარები, ფორმირებები, რომლებიც იქმნება განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად და წინასწარ იგზავნება სამხედრო მოქმედებების თეატრში მთავარი ძალების სრული გაშლის მოსამზადებლად.

მთავარსარდალი, უმაღლესი სამხედრო თანამდებობის პირი საბრძოლო მოქმედებების თეატრში ან სტრატეგიულ მიმართულებაზე, ასევე შეიარაღებული ძალების სახეობებში.

მთავარსარდლობა, საომარი მოქმედებების თეატრში ან სტრატეგიულ მიმართულებაზე ჯარების (ძალების) ხელმძღვანელობის სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) ორგანო. სათავეში უდგას მთავარსარდალი, რომელსაც ექვემდებარება შტაბი და შეიარაღებული ძალების სახეობების ოპერატიული გაერთიანებების სარდლობა. **მ**-ის საქმიანობას კოორდინაციას უწევს უმაღლესი **მ**.

მთიულეთის აჯანყება 1804, ანტიკოლონიური აჯანყება აღმოსავლეთ საქართველოს მთიულეთში. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების და რუსული კოლონიური რეჟიმის დამყარების შემდეგ საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ მცხოვრებ მთიულებს მძიმე დრო დაუდგათ. ამ გზაზე მიმომავალი რუსთა ჯარებისთვის მთავრობა მოსახლეობისაგან გზის ხშირ შეკეთებას, ტრანსპორტისა და სურსათის მიწოდებას და სხვა სამსახურს მოითხოვდა. ამას ემატებოდა მოხელეთა თვითნებობა და უსამართლობა. თავისუფლებისმოყვარე მთიულებმა ვერ აიტანეს ჩაგვრა და შეურაცხყოფა და რუსების წინააღმდეგ ბრძოლა გააჩაღეს. აჯანყება დაიწყო 1804 წლის მაისში. ივნის-აგვისტოში განმათავისუფლებელი ბრძოლა გაფართოვდა, აჯანყებულ მთიულებს მიემხრნენ გუდამაყრელები, ფშაველები, ხევსურები, ოსები, ქართლელების და კახელების ნაწილი. საქართველოს სამხედრო გზა რუსებისთვის გადაიკეტა. მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ფარნაოზ ბატონიშვილი, ერეკლე II-ის ძე. აჯანყებულები ქართული სამეფოს აღდგენაზე ოცნებობდნენ. **მ.ა.** დაემთხვა რუსეთსა და ირანს შორის დაწყებულ ომს (იხ. *რუსეთ-ირანის ომი 1804–13*). საქართველოს მთავარმართებელი პ. ციციანოვი, რომელიც ერევანზე სალაშქროდ იყო წასული, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი სექტემბერში თბილისში დაბრუნდა და აჯანყებულების წინააღმდეგ დაიძრა; რუსეთიდან კი მათ მეორე რაზმმა შემოუტია. აჯანყებულებმა ვერ შეძლეს რეგულარული ჯარის წინააღმდეგ დიდხანს ბრძოლა და დამარცხდნენ (1804 წლის ოქტომბერი). რუსები სასტიკად გაუსწორდნენ მოსახლეობას, გაანადგურეს და გადაწვეს სოფლები. ფარნაოზ ბატონიშვილი შეიპყრეს და რუსეთში გადაასახლეს. **მ.ა.** საქართველოში პირველი მასობრივი შეიარაღებული გამოსვლა იყო რუსეთის წინააღმდეგ. აჯანყების შედეგად რუსული ადმინისტრაცია იძულებული გახდა სამხედრო გზაზე მუშაობისათვის სათანადო ქირა დაეწესებინა.

მთლიანი ფრონტი, დიდ სიგრძეზე გადაჭიმული თავდაცვითი ზღუდე, რომელიც დაკავებულია ჯარებით ხოლო მათ შორის არსებული შუალედები დაფარულია არტილერიის, ტანკების, სასროლი და სხვა იარაღის ცეცხლით, აგრეთვე საინჟინრო ღობურებით. **მ.ფ**-ის გაჩენა უკავშირდება მასობროვი არმიების და პოზიციური თავდაცვის შექმნას, მან განაპირობა თავდაცვის გარღვევის საჭიროება.

მიანმარი, ბირმა (Burma, Myanmar – მიანმარის კავშირი), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. ქვეყანას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ინდოეთის ოკეანის ანდამანის ზღვა და ბენგალის ყურე. ფართობი 678,5 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 50,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – მიანმანური (ბირმული). დედაქალაქი – ქ. ნაიფიიდო. ადმინისტრაციულად იყოფა 7 ეროვნულ და 7 ადმინისტრაციულ მხარედ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სახალხო კრება (პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. ბირმის კავშირის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1948 წელს. მიანმარის კავშირი ეწოდა 1989 წლის

18 ივნისს. **მ**. აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურაა ბრინჯი. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ცეცხლსასროლ იარაღს, ნაღმსატყორცნებს, საბრძოლო მასალებს, მცირე წყალწყვის კატარღებს. საზღვაო პორტებია: იანგონი, მოულმეინი, ტავოი, ბამო, აკიაბი, მოლამიაინი, მანდალაი. საერთაშორისო აეროპორტი – მინგალადონი (იანგონი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 406 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 375 ათ., სამხედრო-საჰაერო 15 ათ. და სამხედრო-საზღვაო 16 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

მიახლოების ძირითადი მიმართულება, ძირითადი საჰაერო ან სახმელეთო მარშრუტი, რომლითაც მოიერიშე ძალა უახლოვდება მიზანს ან დანიშნულების ადგილს.

მიზანგანაწილება, მიზნების განაწილება შეიარეთებს (ნაწილებს, ქვედანაყოფებს), საცეცხლე საშუალებებს (კომპლექსებს), თვითმფრინავებსა და ხომალდებს შორის, რომლებიც მოზიდული არიან ამ მიზნების დაზიანებისთვის. ხორციელდება სარდლის (მეთაურის), შტაბის მიერ ამოცანების გადაჭრის ეფექტურობის გაანგარიშებით. **მ**. შესაძლებელია განხორციელდეს ზღუდეების, რაიონების (ზონების), სიმაღლეების მიხედვით.

მიზანი, მოწინააღმდეგის ობიექტი, რომლის დაზიანებაც არის განსაზღვრული. **მ**-ს განასხვავებენ: სივრცეში განლაგების მიხედვით – სახმელეთო, მიწისქვეშა, საჰაერო, საზღვაო, წყალზედა და წყალქვეშა. შემადგენლობის მიხედვით – ერთეული და ჯგუფური; ზომების მიხედვით – წერტილოვანი და გარკვეული ზომების მქონე; მოქმედების ხასიათით – აქტიური და პასიური; დაცვის ხარისხის მიხედვით – ღია, დაფარული (საინჟინრო ნეგებობებში) და დაჯავშნული; გარდა ამისა **მ**-ები არის: უძრავი (სტაციონარული), მოძრავი; თვალთვალის პირობების მიხედვით – ხილვადი და უხილავი. დასაზიანებელი ობიექტების ტიპის მიხედვით – ბალისტიკური (ფრთოსანი) რაკეტა (მისი ნაწილები), თვითმფრინავი (ვერტმფრენი), ხომალდი (წყალქვეშა ნავი), ცრუ მიზანი, ნაღმი (ამოტივტივებული), ტორპედო, ჯავშანობიექტი და სხვა. **მ**. შეიძლება დახასიათდეს სხვა ნიშნებითაც.

მიზანჩვენება, მიზნის ხასიათზე, განლაგებასა და მოქმედებაზე მონაცემებს გადასცემენ მეთაურები, შტაბები, დაზვერვის და თვალთვალის ორგანოები, ხომალდების და მფრინავი აპარატების ეკიპაჟები. მონაცემები გადაეცემა მართვის პუნქტებს, საცეცხლე კომპლექსებს, თვითმფრინავებს, ხომალდებს, ასევე საბრძოლო საშუალებების მართვის ხელსაწყოებს. **მ**. ხორციელდება რომელიმე ორიენტირიდან (ადგილობრივი საგნიდან), მასზე ხელსაწყოს ან იარაღის დამიზნებით, პოლარულ ან სწორკუთხოვან კოორდინატებში, რუკაზე, აეროფოტოსურათზე, მგეზავი ტყვიებით (ჭურვებით), სასიგნალო ვაზნებით, საორიენტაციო – სასიგნალო საავიაციო ბომბებით, საარტილერიო ჭურვის აფეთქებით, რადიოლოკაციური სადგურის, საჰაერო თავდაცვის ბადის და სპეციალური ტექნიკური საშუალებების მეშვეობით.

მიზანჩვენების სიგნალები, იხ. *სიგნალები.*

მიზიდვის მხარი, მანძილი ჩატვირთვის და გადმოტვირთვის პუნქტებს შორის, რომელზეც ლოგისტიკის ერთი რგოლის ტრანსპორტით მატერიალური რესურსების მიტანა ხდება. **მ.მ**-ს შეიძლება ჰქოდეს სხვადასხვა სიდიდე და დამოკიდებულია ოპერაციის (ბრძოლის) ხასიათზე. ასევე – ჯარების (ძალების) მატერიალური მომარაგების წყაროებიდან დაშორებაზე, სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარებაზე, ლოგისტიკის დაწყობაზე, სატრანსპორტო საშუალებების არსებობაზე და მიზიდვის ორგანიზაციაზე.

მიზნების განლაგების ადგილები, რაიონები, რომლებიც დადგენილია ხმელეთის ზედაპირზე, როგორც მოწინააღმდეგის იმ მიზნების სავარაუდო განლაგების ადგილები, რომელთა წინააღმდეგ მიმართავენ ჰაერიდან ზემოქმედებას.

მიზნების დაზვერვა და კოორდინატების განსაზღვრა, იხ. *სროლის მომზადება.*

მიზნების კონცენტრაცია, გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოს მდებარე მიზნების დაჯგუფება.

მიზნების ნაკადის სიმჭიდროვე, განსაზღვრულ ზღუდეზე დროის ერთეულში, ჩვეულებრივ 1*წთ*-ში, საჰაერო (კოსმოსური) მიზნების რაოდენობა. **მ.ნ.ს**-ს განიხილავენ საჰაერო მიზნების განადგურების ზღუდესთან, საზენიტო-სარაკეტო ჯარების დაზიანების ზონის საზღვართან, შორეული აღმოჩენის ზღუდესთან (რადიოტექნიკური ჯარებისთვის), თავდაცვის ობიექტის საზღვართან მიმართებაში.

მიზნების ჩამონათვალი, დადასტურებული ან სავარაუდო მიზნების ცხრილები, რომლებიც ნებისმიერ ქვედანაყოფს სჭირდება ინფორმაციისთვის და ცეცხლით დაზიანების დაგეგმისთვის.

მიზნის ადგილის კუთხე, კუთხე მიზნის ხაზსა და ქვემეხის ჰორიზონტს შორის.

მიზნის არეკვლის უნარი, მიზნის თვისება აირეკლოს (გაფანტოს) ელექტრომაგნიტური ტალღები. ხასიათდება გაფანტვის ეფექტური ზედაპირის სიდიდით, რომელიც ზეგავლენას ახდენს რადიოლექტრონული საშუალებებით მიზნის აღმოჩენის მანძილზე. იგი ძირითადად დამოკიდებულია მისი კონფიგურაციის ზომებზე და მასალების თვისებებზე. **მ.ა.უ**-ის შემცირების ერთ-ერთი საშუალებაა რადიოშთანმთქავი მასალის და დაფარვის გამოყენება.

მიზნის აღმოჩენა, სივრცის (სახმელეთო, საჰაერო, კოსმოსური, წყლის ზედაპირზე და

წყალქვეშ) განსაზღვრულ რაიონში მიზნის არსებობის დადგენა, რაც ხდება ტექნიკური საშუალებებით და ვიზუალურად, სიგნალების და მათი დაბრკოლებების (რადიოლოკაციური, აკუსტიკური, ჰიდროაკუსტიკური და სხვა) მიღების და დამუშავების პროცესში.

მიზნის დაზიანების კანონი, მიზნის დაზიანების ალბათობის დამოკიდებულება საბრძოლო მასალის აფეთქების ცენტრის (ეპიცენტრის) მდგომარეობასთან (დაზიანების საკოორდინატო კანონი) ან მოხვედრილი ჭურვების რიცხვის რაოდენობასთან (დაზიანების რიცხობრივი კანონი). **მ.დ.კ**. განისაზღვრება მიზნის მოწყვლადობით და საბრძოლო მასალის დამაზიანებელი ფაქტორების პარამეტრებით. ის გამოიყენება სროლის (დარტყმების) და საბრძოლო მასალების ეფექტურობის შეფასების დროს.

მიზნის კოორდინატები, კუთხური ან ხაზობრივი რიცხვითი სიდიდეები, რომლებიც განსაზღვრავენ მიზნის მდებარეობას სიბრტყეზე ან სივრცეში კოორდინატთა სისტემის შესაბამისად. **მ.კ**. საჭიროა მიწისზედა, წყლისზედა, საჰაერო და სხვა მიზნებზე დარტყმების მისაყენებლად. აგრეთვე საჰაერო და კოსმოსური სივრცეების კონტროლისათვის. მიწისზდა და წყლისზედა მიზნების კოორდინატები განისაზღვრება ბრტყელ მართკუთხა გეოდეზიურ, პოლარულ და ბიპოლარულ კოორდინატთა სისტემაში; საჰაერო მიზნებისთვის – გეოგრაფიულ (გეოდეზიურ) მართკუთხა, სფერულ და პარამეტრულ. ბრტყელი მართკუთხა კოორდინატებში **მ.კ**. განისაზღვრება ხაზობრივი სიდიდეებით (აბსცისით X და ორდინატით Y) კილომეტრებში და მეტრებში ზონის ღერძის კოორდინატებთან მიმართებაში; გეოდეზიური კოორდინატების სისტემაში – კუთხური სიდიდეებით (განედი B და გრძედი L) ეკვატორის სიბრტყის და ნულოვანი მერიდიანის მიმართებაში, გამოისახება გრადუსებით, წუთებით, წამებით და რუმბებით.

მიზნის მაჩვენებელი საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

მიზნის მდებარეობის რაიონი, განსაზღვრული გეოგრაფიული რაიონი, რომელშიც განლაგებულია ჯარების მოქმედების მიზანი (ობიექტი). ჯარების ეფექტური ხელმძღვანელობისა და მართვის მიზნით, მიზნის რაიონს სამეთაურო ინსტანცია განსაზღვრავს.

მიზნის მიღების (გადაცემის) ზოლი, ადგილმდებარეობის ზოლი საჰაერო თავდაცვის მეზობელი შენაერთების შესაყარზე, რომლის თავზეც საჰაერო მიზნის ფრენის დროს ხდება მისი მოძრაობის პარამეტრების ერთი შენაერთის გადასცემა და მიზნის აღება რადიოლოკაციური საშუალებებით თანხლებისთვის. ინიშნება საჰაერო მიზნების უწყვეტი თანხლების უზრუნველსაყოფად.

მიზნის ხელში ჩაგდება, მიზნის თვალთვალის და ხელში ჩაგდების სისტემის მოქმედება, რომლის დროსაც უზრუნველყოფილია მიზნის უწყვეტი თვალთვალი ავტომატურ რეჟიმში, ერთი ან რამდენიმე პარამეტრის გათვალისწინებით.

მიკრონეზია (Micronesia – მიკრონეზიის ფედერაციული შტატები), სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში მდებარე კუნძულების ჯგუფზე (პონაპე, ტრუკი, კოსრაზი). ხმელეთის ზედაპირის ფართობი 702 *კმ²*. მოსახლეობა 111 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. პალიკირი (პონაპეს კუნძული). ადმინისტრაციულად იყოფა 4 შტატად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი კონგრესი. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1986 წელს აშშ-თან თავისუფალი ასოცირების ხელშეკრულების შესაბამისად. ეკონომიკა შედგება ნატურალური სოფლის მეურნეობისა და თევზჭერის დარგებისაგან. საზღვაო პორტებია: კოლონია (იაპი), კოლონია (პონაპე), ლელე, მოენი. 6 აეროპორტი. თავდაცვის საკითხებში მთლიანად დამოკიდებულია აშშ-ზე.

მიკუთვნებული ძალები და საშუალებები, ქვედანაყოფები, ნაწილები, რომლებიც საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად საერთოსაჯარისო შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების მეთაურების დროებით დაქვემდებარებაში მათი გაძლიერებისთვის გადავიდა. **მ.ძ.დ.ს**-ის დაქვემდებარებიდან გამოსვლა ხდება ზემდგომი უფროსის მითითებით.

მილი (ინგლისური – mile), სიგრძის ერთეული, რომელიც გავრცელდა ერთეულთა ნაციონალურ არამეტრულ სისტემებში და რომელსაც ახლა უმთავრესად საზღვაო საქმეში იყენებენ. საზღვაო **მ**. საერთაშორისო ჰიდროგრაფიული კონცეფციის თანახმად უდრის 1,852*კმ.* დიდ ბრიტანეთში 1 საზღვაო **მ**. = 1,853*კმ*, 1 სახმელეთო საწესდებო **მ**. – 1,609*კმ.* (იყენებენ აშშ-შიც).

მილიტარიზმი (ლათინური militaris – სამხედრო), სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების აქტიური ზრდის იდეოლოგია და პოლიტიკა. სახელმწიფო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სამხედრო და გასამხედროებული ორგანოების და ინსტიტუტების დომინირება. ტერმინი „მილიტარიზმი“ თავდაპირველად გამოიყენეს XIX საუკუნეში საფრანგეთში ნაპოლეონ III-ის პოლიტიკური რეჟიმის დახასიათებისთვის. როგორც პოლიტიკური მოვლენა, ჩაისახა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სამხედრო დემოკრატიის უფრო მაღალ ფორმებში გადასვლის პირობებში და სხვადასხვა ეპოქაში ზოგიერთი თავისებურება ახასიათებდა. ამავე დროს **მ.** განვითარების ყველა ეტაპზე ხასიათდებოდა საერთო თვისებებით. მათ განეკუთვნება: შიდა და გარე პოლიტი-

კური საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობა სამხედრო ძალადობაზე, საზოგადოებაში მილიტარისტული სულისკვეთების დანერგვა, ომის „აუცილებლობის“ და „სარგებლიანობის“, აგრეთვე წინააღმდეგობების სამხედრო ხერხებით გადაწყვეტის პროპაგანდა; ნაციონალური შეუწყნარებლობის, შოვინიზმის და რასიზმის გაღვივება; ჰეგემონიზმისკენ სწრაფვა; საზოგადოებრივ ცხოვრებაზე შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი და მდგრადი ზემოქმედება. XX საუკუნეში **მ**-მა თავის ევოლუციაში მიაღწია ყველაზე მაღალ საფეხურს. ბევრ ქვეყანაში საზოგადოებრივი ცხოვრების მრავალი სფერო მოიცვა და საერთაშორისო ხასიათის მოვლენად იქცა. საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების მაღალი ხარისხის მილიტარიზაციის ქვეყნებში **მ**-ის სულისკვეთების ძირითად მატარებლად არმია გვევლინება. **მ**-ის სისტემაში შედიან ექსტრემისტული, ნეოფაშისტური, ტერორისტული და სხვა მრავალრიცხოვანი არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. **მ**-ის მატერიალური საფუძველია მილიტარიზებული ეკონომიკა, რომლის ბირთვს შეადგენენ მძლავრი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები და სამხედრო მონოპოლიები. **მ**-ის სფეროში ჩაბმულია ბევრი ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის უმეტესობა. თანამედროვე **მ**-ის სულიერი საფუძველი არის მილ;იტარისტული იდეოლოგია. **მ.** არსებობის ყველა ეტაპზე დამღუპველ ზეგავლენას ახდენდა ცივილიზაციის განვითარებაზე და სხვადასხვა ქვეყნის და ხალხისთვის სამხედრო საფრთხის შემცველი იყო. ამიტომ მასთან ბრძოლა მსოფლიოს დემოკრატიული თანამეგობრობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

მილიციური არმია, ტერიტორიულ-მილიციური სისტემის საფუძველზე შექმნილი არმია (შეიარაღებული ძალები). მშვიდობიანობის დროს **მ.ა**-ში მილიციური ჯარების პირად შემადგენლობას ადგილობრივი მოსახლეობა შეადგენს. უშუალოდ ჯარის ნაწილებში გადიან სამსახურს ძირითადად მეთაურები და ზოგიერთი სპეციალისტი. ჰყავს მცირე საარღრიცხვო აპარატი. სამხედრო სწავლება წარმოებს არასაჯარისო მომზადების მეთოდებით და ხანმოკლე სასწავლო შეკრებებზე. რეგულარულ არმიასთან შედარებით **მ.ა**-ის უპირატესობა მისი მოვლა-შენახვის ხარჯების სიმცირეა. არსებობს შვეიცარიაში.

მიმართული ენერგიის იარაღი, ახალ ფიზიკურ პრინციპებზე დაფუძნებული ირაღის სახეობა, რომლის დამაზიანებელი მოქმედება ხორციელდება ვიწრო კონად კონცენტრირებული ენერგიის გამოსხივებით. განასხვავებენ სხივურ იარაღს, რომელიც გამოიყენება ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკაზე თერმომექანიკური ზემოქმედების ძირითად დამაზიანებელ ფაქტორად (იხ. *ლაზერული იარაღი,* მაჩქარებელი იარაღი), ზემაღალი სიხშირის და ინფრაბგერით იარაღად. **მ.ე.ი**-ის ყველა სახეობა პრაქტიკულად უინერციოა და ინფრაბგერითი იარაღის გამოკლებით, ახასიათებს მყისიერი მოქმედება, ვინაიდან ენერგიის გადატანა ხდება სინათლის ან მასთან დაახლოებული სიჩქარით.

მიმდებარე ზონა, ტერიტორიული წყლების გარე საზღვრის მომიჯნავე ღია ზღვის რაიონი, რომელსაც ზღვისპირა სახელმწიფო აწესებს უცხოეთის გემებისთვის სპეციალურ არეში წესების დაცვის კონტროლის განსახორციელებლად. ზღვისპირა სახელმწიფოს სუვერენიტეტი **მ.ზ**-ზე არ ვრცელდება; მისი ზღვრული სიგანე განსაზღვრულია გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონცეფციით და შეადგენს 24 საზღვაო მილს, რომელიც იზომება ტერიტორიული წყლების სიგანის საანგარიშო საწყისი ხაზებისგან.

მიმდინარე სადაზვერვო მონაცემები, სადაზვერვო მონაცემები, რომლებიც მიმდინარე მოვლენებს ოპერატიულ-სტრატეგიულ ან ტაქტიკურ დონეზე ასახავენ.

მიმდინარე ტექნიკური მომსახურება, ტექნიკის მუშა მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით მისი გასუფთავება, შეზეთვა, გამართვა, დათვალიერება და მცირე რემონტი. ზოგიერთ შემთხვევაში ტექნიკურ მომსახურებას შეიძლება განეკუთვნოს საბრძოლო მასალით შევსებაც.

მიმოსვლის გზები, სატრანსპორტო გზები, ტექნიკური ნაგებობები და მათზე არსებული მოწყობილობები, რომლებიც ერთი პუნქტიდან მეორეში სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას, ხალხის გადაადგილებას და სხვადასხვა დანიშნულების ტვირთის გადატანას უზრუნველყოფენ.

მიმოსვლის გზების გამტარუნარიანობა, სატრანსპორტო ერთეულების (ტვირთის მასის ან მოცულობის) მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება გატარებულ იქნეს გზის მონაკვეთზე დროის ერთეულში. რკინიგზების გამტარუნარიანობა განისაზღვრება დღე-ღამეში ერთი ან ორი მიმართულებით გავლილი მატარებლების (მატარებლების წყვილების) რიცხვით; წყალსანაოსნო გზების – იმ ტვირთის რაოდენობით ან გემების რიცხვით, რომელთა გატარება შეიძლება ლიმიტირებულ მონაკვეთში ნავიგაციის მანძილზე ან დღე-ღამეში; საავტომობილო გზების – იმ ავტომობილების რაოდენობით, რომელმაც შეიძლება გაიაროს საათში (დღეღამეში); საჰაერო ტრასების – თვითმფრინავების რაოდენობით საათში (დღეღამეში). მილსადენების გამტარუნარიანობა იზომება კუბურმეტრობით საათში.

მიმოხილვით-გეოგრაფიული რუკები, ზოგადგეოგრაფიული მცირე მასშტაბის სპეციალური რუკები, რომლებიც ასახავენ ადგილმდებარეობის ძირითად ელემენტებს მნიშვნე-

ლოვანი განზოგადებით. განკუთვნილია მართვის ორგანოებში საომარი მოქმედების თეატრის, საოპერაციო მიმართულებების სამხედრო-გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლის, სამხედრო დანიშნულების ღონისძიებათა დაგეგმვისა და მოწყობისათვის.

მიმღები ქვეყანა, ქვეყანა, რომელიც შეთანხმების თანახმად: 1. იღებს ნატოს ქვეყნების და სხვა ქვეყნების ჯარებს (ძალებს), სამხედრო ტექნიკას, რომლებიც მოქმედებენ მისი ტერიტორიიდან ან მისი ტერიტორიის გავლით (ტრანზიტით). 2. უფლებას აძლევს ნატოს განალაგოს ძალები და სამხედრო ტექნიკა საკუთარ ტერიტორიაზე.

მიმღები ქვეყნის მხარდაჭერა, მიმღები ქვეყნის დახმარება მის ტერიტორიაზე მყოფი, მოქმედი ან ტრანზიტული გადაადგილების პროცესში მყოფი ნატოს შეიარაღებული ძალებისათვის ან/და სხვა ძალებისათვის; აგრეთვე ჩრდილოატლანტიკური კავშირის ორგანიზაციებისათვის სამხედრო და სამოქალაქო სფეროში მშვიდობიანობის, კრიზისის ან ომის დროს.

მიმყოლი, თვითმფრინავების, ვერტმფრენების წყვილის, რგოლის (რაზმის) მფრინავი, რომელიც ახორციელებს ფრენას წამყვანის მითითებების (კომანდების) შესაბამისად.

მინიმალური მანძილი, 1. ქვემეხის დამიზნების უმცირესი მანძილი, რომელზეც ჭურვს შეუძლია გადაუფრინოს წინაღობას ან საკუთარ ძალებს, რომლებიც განლაგებული არიან ქვემეხსა და მიზანს შორის. 2. უმოკლესი მანძილი, რომელზეც მოცემული პოზიციიდან შესაძლებელია ქვემეხის გასროლა. სახმელეთო ჯარებისათვის – მანძილი, რომელზეც ჭურვი ან ამფეთქი მოქმედებს.

მინიმალური რისკის მარშრუტი, დადგენილი განზომილების მქონე დროებითი დერეფანი, რომლის გამოყენება რეკომენდებულია მაღალი სიჩქარის უძრავფრთიანი თვითმფრინავის მიერ და მიჩნეულია მინიმალური რისკის მქონედ დაბლა მფრინავი თვითმფრინავისათვის, რომელიც გაივლის საბრძოლო მოქმედებების ზონას. სახმელეთო ჯარებისათვის –მარშრუტი, რომელიც უნდა დაამტკიცოს საჰაერო სივრცის კონტროლის ორგანომ საარტილერიო, საზენიტო არტილერიის, დესანტის გადმოსხმის, მიზნის გადაჭერის ზონების, შეიარაღების და საწვავის შევსების მეწინავე პუნქტების და სახმელეთო ჯარების აეროდრომების გვერდის ავლით.

მისიის ხელმძღვანელი, ოფიციალური პირი, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციას (გაერო, ეუთო და სხვა) ან ცალკეულ ქვეყანას და აღჭურვილია სტაბილურობის და მშვიდობის ინტერესებისთვის აღნიშნული ორგანიზაციის პრინციპების, ნორმების დაცვის და განმტკიცების უფლებამოსილებით.

მიტანის საშუალება, შეიარაღების ნაწილი, რომელიც საშუალებას იძლევა საბრძოლო მასალა მიზნამდე იქნეს მიტანილი.

მიუმხრობლობის მოძრაობა, იმ ქვეყნების ზოგადდემოკრატიული მოძრაობა, რომლებიც არ მონაწილეობენ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში (დაჯგუფებებში), იბრძვიან მშვიდობის და საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის, სახელმწიფოების, ხალხების თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისთვის. ორგანიზაციულად **მ.მ**. გაფორმდა 1961 წელს მიუმხრობელი ქვეყნების, სახელმწიფოების და მთავრობების მეთაურების ბელგრადის კონფერენციაზე. შემდგომი კონფერენციები (**მ.მ**-ის უმაღლესი ორგანო) ჩატარდა ევროპის, აზიის, ამერიკის სახელმწიფოების დედაქალაქებში. **მ.მ**-ს არ აქვს თავისი წესდება, ბიუჯეტი, შტაბბინა. სახელმწიფო, რომელიც მორიგ კონფერენციას მასპინძლობს, ხდება მოძრაობის კოორდინატორი ქვეყანა, ხოლო მისი ხელმძღვანელი – **მ.მ**-ის თავმჯდომარე. „ცივი ომის“ დამთავრების შემდგე **მ.მ**-მ დაკარგა აქტუალობა და პრაქტიკულად შეწყვიტა არსებობა.

მიუღებელი ზარალი, ბირთვულ ომში მოწინააღმდეგის მიერ საპასუხო ბირთვული დარტყმის შედეგად, სახელმწიფოს მოსალოდნელი ზარალის ისეთი სიდიდე, რომელიც შეუძლებელს ხდის მის წინააღმდეგ ომის გაჩაღებას. **მ.ზ**-ის დონის გაანგარიშების დროს უწინარეს ყოვლისა მხედველობაშია მისაღები ეკონომიკის და სამხედრო პოტენციალის ობიექტები. სახელმწიფო და უმაღლესი სამხედრო მმართველობის სისტემები, რომელთა ნგრევა გამოიწვევს ქვეყანის მოსახლეობის ქმედითუნარიანობის და სტრატეგიული მასშტაბის სამხედრო მოქმედებების წარმოების უნარის დაკარგვას.

მიყენებული ზარალის უშუალო შეფასება, საჰაერო თვალთვალის, აეროფოტოგადაღების და პირდაპირი თვალთვალის გზით დაზიანებული რაიონის უშუალო შესწავლა.

მიჩმანი (ინგლისური – midshipman), სახომალდო სამხედრო წოდება მრავალი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებში. დიდ ბრიტანეთში **მ**-ის წოდება სამხედრო-საზღვაო კოლეჯის, ხოლო აშშ-ში – სამხედრო-საზღვაო აკადემიის უფროსკურსელებს ენიჭებათ.

მიწაყრილი, 1. მიწის (მთებში ქვის, ზოგჯერ წყლით გაყინული თოვლის) მაღალი ნაყარი, ჩვეულებრივ, წინ მოწყობილი თხრილით, რომელიც წარმოადგენდა დაბრკოლებას შემტევთათვის და საფარს დამცველებისთვის. 2. გამაგრებული ზოლებისა და პოზიციების სისტემა. 3. ციხესიმაგრის ელემენტი (კედლების შემადგენელი ნაწილი ან მათი მაგიერი). ჩვეულებრივ, ჰქონდა ბრუსტვერი და ვალგანგი.

მიწისქვეშა ნაგებობები, დამცავი ნაგებობების ნაირსახეობა, რომლებიც ქანების

(გრუნტის) სისქეში სამთო ან სპეციალური ხერხებით ქანის მასივის დაურღვევლად კონტურზე იგება. გამოიყენება მართვის პუნქტების, კავშირგაბმულობის კვანძების, პირადი შემადგენლობის და სამხედრო ტექნიკის საფრების, საწყობების, სამხედრო ქარხნების განლაგებისთვის და სხვა. იყოფა სტრატეგიულ (სტაციონარულ), ოპერატიულ (ხანგამძლე) და ტაქტიკურ (ხანგამძლე და საველე) **მ.ნ**-ად.

მკვდარი სივრცე (დაუზუსტებელი სივრცე), სივრცე, რომელშიც მოცემული საცეცხლე (სასტარტო) პოზიციიდან წერტილოვან მიზანში სროლისას შეუძლებელია უშუალო მოხვედრით მიზნის დაზიანება. **მ.ს**-ის სიდიდე დამოკიდებულია იარაღის კონსტრუქციასა და ბალისტიკურ თვისებებზე, ადგილმდებარეობის რელიეფზე, საფრის ზომებზე, რომლის მიღმაც მოთავსებულია იარაღი (მიზანი) და ამ საფრიდან საცეცხლე (სასტარტო) პოზიციის დაშორებაზე.

მნიშვნელოვანი ინფორმაციის ბოლო ვადა, დრო, რომლის დადგომამდე სადაზვერვო სტრუქტურამ ან შტაბმა მოთხოვნის შესაბამისად უნდა გადასცეს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რათა მან დროულად მიაღწიოს გადაწყვეტილების მიმღებ პასუხისმგებელ პირამდე.

მობილიზაცია, ომის მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებების კომპლექსი, რომელთა მიზანია არსებული რესურსების, ძალების და საშუალებების აქტიურ მდგომარეობაში მოყვანა, თავის მოყრა. ეს პრაქტიკულ გამოხატულებას პოულობს ქვეყნის შეიარაღებული ძალების, ეკონომიკის და სახელმწიფო ინსტიტუტების (საერთო **მ**.) ან მათი რაიმე ნაწილის (ნაწილობრივი **მ**.) სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანაში. შეიძლება განხორციელდეს ღია ან ფარული ხერხით. **მ**-ის გამოცხადება არის სახელმწიფოს მეთაურის (პრეზიდენტის) და სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კომპეტენცია. **მ**-ის გამოყენება დაიწყო მასობრივი არმიების შექმნის შემდეგ, რომლებიც კომპლექტდებოდა საყოველთაო სამხედრო ბეგარის საფუძველზე (XVIII–XIX საუკუნეები). **მ**-ის შინაარსში არსებითი ცვლილებები შეიტანეს XX საუკუნის დამდეგის ომებმა და განსაკუთრებით პირველმა მსოფლიო ომმა, რომელმაც მოითხოვა არმიაში ადამიანების უზარმაზარი რესურსების მოზიდვა და სახელმწიფოს ეკონომიკის დიდი დაძაბვა. II მსოფლიო ომმა კიდევ უფრო მეტად გამოავლინა ომისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება, მნიშვნელოვნად გაიზარდა **მ**-ის მასშტაბი. **მ**-ის ძირითად შინაარსს შეადგენს შეიარაღებული ძალებისა და ეკონომიკის **მ**.

ე კ ო ნ ო მ ი კ ი ს **მ.** შეადგენს ქვეყნის საერთო **მ**-ის ძირითად ნაწილს იმ მიზნით, რომ გაიშალოს იარაღის, სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მასალების, ეკიპირების, აღჭურვილობისა და სხვა მატერიალური საშუალებების მასობრივი წარმოება. აღნიშნული საშუალებები ომის მსვლელობის დროს საჭიროა შეიარაღებული ძალების, სახელმწიფო საქმიანობისა და მოსახლეობის საჭიროებების ყოველმხრივი უზრუნველყოფისათვის. მოიცავს: სამრეწველო წარმოების გაშლას, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ორგანოებისა და საშუალებების მუშაობის გარდაქმნას, ადამიანური რესურსების გადანაწილებას და სხვა.

შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ძ ა ლ ე ბ ი ს **მ**-ის არსია ჯარებისა და ფლოტის ძალების გეგმაზომიერი გადაყვანა ომიანობის დროის ორგანიზაციასა და შემადგენლობაზე. ამასთან, იზრდება შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა რეზერვში მყოფი მოქალაქეების **მ**-ით გაწვევის ხარჯზე, ხორციელდება ჯარების **მ**., ახალი სამხედრო ფორმირებების გაშლა და საბრძოლო შერწყმა. შეიარაღებული ძალების **მ**-ის წარმატებით ჩატარების ფაქტორებია: მომზადებული ადამიანების რესურსის არსებობა, შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და სხვა მატერიალური საშუალებების საჭირო მარაგი, მიწერილი შემადგენლობის და სამობილიზაციო სატრანსპორტო საშუალებების მოგვარებული სამხედრო აღრიცხვა, შეტყობინება და შეგროვება.

მობილიზაციის გეგმა, იმ დოკუმენტების ერთობლიობა, რომლებიც გამოხატავენ მთლიანად შეიარაღებული ძალების, მისი თითოეული სახეობის, დაჯგუფების, გაერთიანების, შენაერთის, ნაწილის, დაწესებულების სამობილიზაციო გაშლის, აგრეთვე ქვეყნის ეკონომიკისა და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ომიანობის პერიოდის საქმიანობის რეჟიმზე გადაყვანის ღონისძიებების შინაარსს, მოცულობას, წესსა და ვადებს.

მობილიზაციის ჩატარება, ღონისძიებების კომპლექსი მართვის ორგანოების, შენაერთების, ნაწილების (ხომალდების) და დაწესებულებების გადასაყვანად ომიანობის პერიოდის ორგანიზაციასა და შტატებზე; ჯარების (ძალების) სამობილიზაციო გაშლის შემადგენელი ნაწილი. **მ.ჩ**-ის დასაწყისია ბრძანება (სიგნალი) იმის თაობაზე, რომ შენაერთები (ნაწილები, ხომალდები) და დაწესებულებები მოიყვანონ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში ან მობილიზაციის ჩატარებაზე განკარგულების მიღება; დასასრულია – ამოცანების განსახორციელებლად მათი მზადყოფნაში მოსაყვანად დაგეგმილი ღონისძიებების შესრულება. ხორციელდება მუდმივი დისლოკაციის პუნქტებში, თავმოყრის, საბრძოლო მორიგეობის რაიონებში, პოზიციებზე, აეროდრომებზე, სასწავლო ცენტრებში და სხვა.

მობილური თავდაცვა, თავდაცვის ხერხი, რომელიც გათვალისწინებულია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს არმიებში. გულისხმობს თავდაცვითი, შეტევითი და შემაკავებელი მოქმედებების შეხამებას, რომელთა დროს შეტევაზე გადასული მოწინააღმდეგის მთავარ ძალებს თავდაცვის სიღრმეში მოსახერხებელ რაიონებში (ტომრებში) იტყუებენ, სადაც მუსრავენ ყველა საშუალებით: ცეცხლით, კონტრიერიშებით და კონტრდარტყმებით. ამ მიზნით ძალების და საშუალებების დაახლოებით ორ მესამედს, უპირატესად ჯავშანსატანკოს, განალაგებენ II ეშელონში (რეზერვში), ხოლო მესამედს – I ეშელონში. **მ.თ**-ას მიმართავენ ისეთ პირობებში, როდესაც დასაშვებია ტერიტორიის დროებითი დაკარგვა, ადგილმდებარეობა ხელს უწყობს მანევრის განხორციელებას, თავდაცვაში მყოფი ჯარები არ ჩამორჩებიან მოწინააღმდეგეს მობილურობით და ჰაერშიც ნაწილობრივი უპირატესობა აქვთ. ჩვეულებრივ, გამოიყენება პოზიციურ თავდაცვასთან შეხამებით. **მ.თ**-ს იყენებს, როგორც წესი, დივიზია და უფრო მრავალრიცხოვანი შენაერთი.

მობილური ძალები, 1. სწრაფადმოძრავი მრავალეროვანი ფორმირება, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობას. შეიქმნა 1960 წელს ვითარების მკვეთრი გამწვავების რაიონებში უპირველესი ამოქმედების მიზნით, აგრეთვე ალიანსის ერთიანობის და იმის დემონსტრირებისთვის, რომ მზად არის იარაღის ძალით დაიცვას კოლექტიური ინტერესები. შედგება მობილური სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან, რომლებიც მოიცავენ ნატოს ზოგიერთი ქვეყნის ტაქტიკური ავიაციის ესკადრილიებს და გაძლიერებულ ბატალიონებს. მშვიდობიანობის დროს დისლოცირებულია ეროვნული შენაერთების და ნაწილების განლაგების ადგილებში, მუდმივ მზადყოფნაშია ჰაერით გადასროლისა და ახალ ბაზაში გადასვლისთვის. 2. ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ოპერატიული კომპონენტი, რომელიც შეიცავს შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების საბრძოლო მზდყოფნის მხრივ გამორჩეულ შენაერთებს, ნაწილებსა და ქვედანაყოფებს.

მობილურობა (ლათინური mobilis – მოძრავი), ჯარების (ძალების, ობიექტების) შესაძლებლობა სწრაფად გადაადგილდეს, შეიცვალოს პოზიცია, გაიშალოს (წინასაბრძოლო და საბრძოლო წყობად) და სხვადასხვა ვითარებაში სწრაფ ტემპში აწარმოოს საბრძოლო მოქმედებები.

მობილურობა და სიცოცხლის გადარჩენა, ბრძოლის დროს მოქმედი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საკუთარი სამანევრო ქვედანაყოფების თავისუფლად გადაადგილებას, მოწინააღმდეგის შექმნილი წინაღობების გადალახვას, მიმოსვლის გაძლიერებას, ბუნებრივი გზების გამოყენებით და იცავს მათ მოწინააღმდეგის გახსნილი ცეცხლისგან ან შემთხვევით მიყენებული ზიანისაგან.

მობილურობის უზრუნველყოფის დერეფანი, რაიონი, რომელშიც სამხედრო ძალა გადაადგილდება ერთი მიმართულებით, რაც გამოწვეულია რელიეფის თავისებურებით. **მ.უ.დ.** შედარებით თავისუფალია წინაღობებისაგან და საშუალებას აძლევს სამხედრო ძალას, გამოიყენოს სწრაფი გადაადგილების ხერხები.

მობილურობის უზრუნველყოფის ოპერაციები, ბუნებრივად არსებული და ხელოვნურად შექმნილი წინაღობების გადალახვა ან მათი რიცხვის შემცირება. ასეთი ოპერაციის მიზანია ქვედანაყოფების, შეიარაღებისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მარაგის თავისუფლად გადაადგილების და გადატანის უზრუნველყოფა.

მოდელირება (სამხედრო საქმეში), რეალური სისტემის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, მისი ანალოგის შექმნა-შესწავლა და ამ გზით ობიექტის (მოვლენის, სისტემის, პროცესის) სამხედრო-თეორიული ან სამხედრო-ტექნიკური გამოკვლევა. რეალურ სისტემას და მის ანალოგს შორის წესდება განსაზღვრული შესაბამისობა (ანალოგია) იმ ნიშნებით (ფაქტორებით), რომლებიც ამა თუ იმ სახის კვლევის მიზნის მისაღწევად აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. სამხედრო საქმეში გამოიყენება **მ**. შეიარაღებული ბრძოლის (ოპერაციის, ბრძოლის, ჯარების გადაჯგუფების და სხვა), ჯარების (ძალების) მართვის, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, შეიარაღების განვითარების პროგრამების და სხვა პროცესების.

მოდერნიზაცია სამხედრო ტექნიკის (ფრანგული moderne – უახლესი), მოძველებული სამხედრო ტექნიკის განახლება. მისი მიზანია ცალკეული ნაწილების კონსტრუქციის სრულყოფა, მოწყობილობის შემადგენლობის შეცვლა, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების გაუმჯობესება და/ან საექსპლუატაციო და ტექნიკური ხარისხის ზრდა. მოდერნიზებული ტექნიკის ძირითად დასახელებას (ინდექსს), ჩვეულებრივ, ასოები ან ციფრები ემატება.

მოდიფიკაცია სამხედრო ტექნიკის (ფრანგული – modification), ერთგვაროვანი სამხედრო ტექნიკის კონსტრუქციული ვარიანტების შექმნა, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვადებიან ეფექტურობით, მიზნობრივი დანიშნულებით ან გამოყენების პირობებით. ხორციელდება საბაზო (საწყისი) ვარიანტის საფუძველზე ისეთი გათვლით, რომ უზრუნველყოს კონსტრუქციული მონაცვლეობა, უნიფიკაციის მაღალი

დონე, ექსპლუატაციის და რემონტის ერთიანი სისტემა.

მოვლენების განვითარების პროგნოზირება, მოდელი, რომლითაც ხდება მოწინააღმდეგის მიერ განსხვავებული მოქმედებების პროგნოზირება. იგი წარმოადგენს მოვლენების განვითარების თანამიმდევრულ შეფასებას. ის ეხება მოქმედებებს, რომელსაც მოწინააღმდეგე განავითარებს საბრძოლო ველზე.

მოზამბიკი (Moçambique – მოზამბიკის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკაში, ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 801,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა 23,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – პორტუგალიური. დედაქალაქი – ქ. მაპუტუ. ადმინისტრაციულად იყოფა 11 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – რესპუბლიკის ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). **მ.** პორტუგალიისგან განთავისუფლდა, დამოუკიდებლობა მიიღო და სახალხო რესპუბლიკად გამოცხადდა 1975 წლის 25 ივნისს. **მ.** სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. საზღვაო პორტებია: მაპუტუ, ბეირა, ნაკალა, კელიმანე, ნაკალა-ველია. საერთაშორისო აეროპორტებია: მაპუტუ, ბეირა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 11,2 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 10 ათასი, სამხედრო-საჰაერო 1 ათ. და სამხედრო-საზღვაო 0,2 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

მოთხოვნილი მიზანი, საარტილერიო და საზღვაო ქვემეხიდან ცეცხლით მხარდაჭერისას სავარაუდო, მაგრამ არა დაგეგმილი მიზანი, რომლის მიმართ ცეცხლდაშენა მხოლოდ მოთხოვნის შესაბამისად მოხდება.

მოიერიშე ავიაცია, სამხედრო ავიაციის გვარეობა, განკუთვნილი მოწინააღმდეგის ჯარების, სახმელეთო (საზღვაო), უმთავრესად მცირე ზომის და მოძრავი ობიექტების დაზიანებისთვის უპირატესად წინა ხაზზე. ასევე ტაქტიკურ, უახლოეს ოპერატიულ სიღრმეში და ჰაერიდან დანაღმვისთვის. მას შეუძლია ჰაერში ვერტმფრენების და თვითმფრინავების განადგურება, საჰაერო დაზვერვის ამოცანების გადაჭრა. **მ.ა.** აღჭურვილია მოიერიშე თვითმფრინავებით და არის ჯარების საჰაერო მხარდამჭერი საშუალება.

მოიერიშე ეშელონი, სამხედრო ძალის ის ელემენტი, რომელსაც სქემის მიხედვით მინიჭებული აქვს ობიექტის რაიონზე თავდაპირველი იერიშის ფუნქცია.

მოიერიშე თვითმფრინავი, საბრძოლო თვითმფრინავი მცირე ზომის და მოძრავი მიწისზედა (საზღვაო) მიზნების დაზიანებისთვის მცირე და ზემცირე სიმაღლეზე. აქვს ბომბდამშენი, სარაკეტო, საარტილერიო შეიარაღება და ჯავშანი დაცვისთვის. უმთავრესად გამოიყენება ტაქტიკურ ზონაში სახმელეთო ჯარების და ფლოტის ძალების მხარდასაჭერად.

მოიერიშე ძალა, 1. საზღვაო, საჰაერო-სადესანტო ან საჰაერო-მოიერიშე ოპერაციებში მონაწილე ის ქვედანაყოფები, რომელთაც ევალებათ მოწინააღმდეგის კუთვნილი ტერიტორიის ხელში ჩაგდება. 2. ძალები, რომლებსაც მოწინააღმდეგის გამაგრებული პოზიციის პუნქტის გარღვევა და ობიექტის ხელში ჩაგდება ან მოწინააღმდეგის განადგურება ევალებათ. 3. ძალები, რომლებსაც ევალებათ შეტევის გზით მოწინააღმდეგის ობიექტის ხელში ჩაგდება.

მოიერიშე ძალების თავმოყრა, ძალების, სადესანტო გემების, თვითმფრინავების, საზღვაო-სადესანტო საშუალებების დაჯგუფება, რომელიც დაახლოებით ერთსა და იმავე დროს ზღვიდან და ჰაერიდან ხმელეთზე უნდა აღმოჩდნენ.

მოკავშირე ტაქტიკური სამხედრო საჰაერო ძალები, იხ. *ტაქტიკური საავიაციო შენაერთი.*

მოლაპარაკების პროცესი, სახელმწიფოებს შორის კამათის და უთანხმოების გადაჭრის და დარეგულირების ხერხი. ითვალისწინებს სადავო საკითხების განხილვის პროცესს. მისი მიზანია წინასწარი, შუალედური ან დასკვნითი ხასიათის ურთიერთმისაღები გადაწყვეტილების შემუშავება.

მოლდოვა (Moldova – მოლდოვას რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. ფართობი 33,7 ათ. *კმ*². მოსახლეობა 3,5 მლნ. კაცი (2012). სახელმწიფო ენა – მოლდავური. დედაქალაქი – ქ. კიშინიოვი. ადმინისტრაციულად იყოფა 40 რაიონად და 9 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. **მ.** დსთ-ს წევრი ქვეყანაა, მაგრამ არ მონაწილეობს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში. სსრ კავშირიდან გამოვიდა 1991 წლის 27 აგვისტოს. **მ.** ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგი – კვების პროდუქტების წარმოება. განვითარებულია მსუბუქი მრეწველობა. სოფლის მეურნეობის საფუძველი არის მედვინეობა და მეხილეობა. საერთაშორისო აეროპორტი – კიშინიოვი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 9 ათ., სამხედრო-საჰაერო 1 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით – გაწვევით და დაქირავებული პირებით.

მოლტკე უფროსი (Moltke) ჰელმუტ კარლ (1800–91), გრაფი (1870), პრუსიელი და გერმანელი სამხედრო მოღვაწე, სამხედრო თეორეტიკოსი, გენერალ-ფელდმარშალი (1871). 1858–88 წლებში გენერალური შტაბის უფროსი, ფაქტობრივად, სარდლობდა ჯარებს

დანიასთან (1864), ავსტრიასთან (1866) და საფრანგეთთან (1870–71) ომების დროს. გერმანული მილიტარიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი. მოწინააღმდეგეზე მოულოდნელი თავდასხმისა და მისი ელვისებური განადგურების მომხრე.

მომარაგების ნორმები (მატერიალური საშუალებებით), მატერიალური საშუალებების რაოდენობა, რომელიც დაწესებულია სამხედრო მოსამსახურეებზე, ქვედანაყოფებზე, სამხედრო ნაწილებზე ან შენაერთებზე გასაცემად. **მ.ნ.** განსაზღვრული დროის განმავლობაში გამოიყენება.

მომარაგების ოპერატიული დონე, მატერიალური საშუალებების რაოდენობა, რომელიც აუცილებელია ოპერაციის უწყვეტობის შესანარჩუნებლად იმ ინტერვალში, რომელიც იჩენს თავს მოთხოვნებსა და მიწოდებას შორის.

მომარაგების ორგანოები, მართვის დაწესებულებები (არსენალები, ბაზები, საწყობები, პურის ქარხნები და სხვა) და ორგანოები, რომლებიც განკუთვნილია ჯარების (ძალების) მატერიალური საშუალებებით მომარაგებისთვის.

მომზადებული თავდაცვა, საინჟინრო თვალსაზრისით წინასწარ მოწყობილი თავდაცვითი ზღუდეები (ზოლები), რაიონები და პოზიციები; მათში წინასწარ განლაგებული ჯარების დაჯგუფებები (საბრძოლო წყობა); ცეცხლისა და ღობურების განვითარებული სისტემები; ძალებისა და საშუალებების მომზადებული მანევრი, ავიაციისა და რაკეტების დარტყმები.

მომწამვლავი ნივთიერებები, მაღალტოქსიკური ქიმიური შენაერთები, რომლებიც ცოცხალი ძალის დაზიანებას იწვევენ. გამოიყენება ქიმიური საბრძოლო მასალების აღჭურვისთვის. მისი დამაზიანებელი მოქმედება განისაზღვრება მათი საბრძოლო მდგომარეობით და ხორციელდება სუნთქვის ორგანოების, კუჭ-ნაწლავის, კანის და ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის მეშვეობით. **მ.ნ**-ის საბრძოლო თვისებებია: ტოქსიკურობა, საბრძოლო კონცენტრაცია, დასნებოვნების სიმჭიდროვე, ჰაერის დასნებოვნების გავრცელების სიღრმე და სხვა. განასხვავებენ: ნერვულ-მაპარალიზებელ, კანის დამაჩირქებელ და გამაღიზიანებელ **მ.ნ**-ს. **მ.ნ**. შეიძლება იყოს: სიკვდილის გამომწვევი, პირადი შემადგენლობის დროებით მწყობრიდან გამომყვანი, სწრაფი და ნელა მოქმედი; მდგრადი (მოქმედებს რამდენიმე კვირა) და არამდგრადი (რამდენიმე წუთს).

მომწამვლავი ნივთიერებების საბრძოლო მდგომარეობა, მომწამლავი ნივთიერებების ისეთი საფაზო-დისპერსიული მდგომარეობა, როცა მათ შეუძლიათ მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალაზე დამაზიანებელი ზემოქმედება მოახდინონ. განისაზღვრება ორგანიზმში მოხვედრის გზებით (აპლიკაციის სახეობებით): სუნთქვის ორგანოებიდან და ლორწოვანი გარსებიდან – ორთქლი და წმინდა დისპერსიული აეროზოლი; კანის დია არეებიდან და ტანსაცმლიდან – აეროზოლი და წვეთები. **მ.ნ.ს.მ**-ში გადაყვანის ძირითადი ხერხებია: აფეთქება, მექანიკური, (გაფრქვევა ფრქვევანებიდან ჰაერის სწრაფი ნაკადით) და თერმული (აორთქლება გაცხელების დროს).

მონაკო (Monaco – მონაკოს სამთავრო), სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე, ხმელეთის მხრიდან გარს აკრავს საფრანგეთი. ფართობი 1,95 *კმ²*. მოსახლეობა 32,5 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. მონაკო. ადმინისტრაციულად იყოფა 3 ოლქად. **მ**-ში შთამომავლობითი კონსტიტუციური მონარქიაა. მოქმედებს 1962 წლის კონსტიტუცია. საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის ეროვნულ საბჭოს (პარლამენტს) და სახელმწიფოს მეთაურს – მთავარს. აღმასრულებელ ხელისუფლებას მთავრის სახელით ახორციელებს მთავრობის საბჭო. შემოსავლის მთავარი წყაროა საერთაშორისო ტურიზმი, უძრავი ქონებით ვაჭრობა, საბანკო საქმიანობა და სხვა. ჰყავს კარაბინერების ასეული და პოლიცია. ქვეყნის თავდაცვას ახორციელებს საფრანგეთი.

მონასპა, სამეფო გვარდია ფეოდალურ საქართველოში (*ღულამთა* რაზმების ანალოგი იმდროინდელ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში). დააარსა დავით აღმაშენებელმა და მის დროს ითვლიდა 5 ათ. მეომარს. შედგებოდა ტყვე ან ნაყიდი და გაქრისტიანებული უცხოელებისაგან. **მ**. მეფის მცველი კორპუსი იყო, მაგრამ დავითი თავისი „მონებით“ ზოგჯერ სპეციალურ ოპერაციებსაც ატარებდა თურქების წინააღმდეგ. XII საუკუნეში, როგორც ჩანს, სამეფო „მონათა“ ნაწილი ყმა-მამულით იქნა შეწყალებული და ქართველ ფეოდალთა რიგებს შეერია. 1184 წლის შემდეგ **მ.** აღარ იხსენიება.

მონიტორი (ინგლისური Monitor – მაკონტროლებელი), ჯავშნიანი, დაბალბორტიანი ხომალდი მცირე წყალწყვით და მძლავრი საარტილერიო შეიარაღებით. მისი დანიშნულება იყო საარტილერიო დარტყმების მიყენება მოწინააღმდეგის ჯარებისა და სანაპირო ობიექტებისთვის, ხომალდების განადგურება მდინარეებზე და ზღვის სანაპირო რაიონებში. სახელწოდება წარმოიქმნა პირველი კოშკურიანი დაჯავშნული ხომალდის „მონიტორისგან“, რომელიც ააგეს აშშ-ში 1862 წელს. **მ**-ები ფართოდ გამოიყენებოდა I და II მსოფლიო ომებში. XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს მათი მშენებლობა შეწყდა.

მონოპლანი (ბერძნული მონოს – ერთი, პლანუმ – სიბრტყე), ერთფრთიანი თვითმფრინავი. ბიპლანტთან შედარებით აქვს ნაკლები აეროდინამიკური წინააღმდეგობა. ფიუზე-

ლაჟის მიმართ ფრთის განლაგებით **მ**. არის დაბალი, საშუალო და მაღალი; ფიუზელაჟზე ფრთის დამაგრებით – დოინჯიანი, თავისუფლად გადამტანი და სხვა. **მ**. განსაკუთრებით გავრცელდა 30-იანი წლებში, მაღალი სიმტკიცის მჩატე მასალების – ალუმინის და ტიტანის გამოყენების წყალობით.

მონტგომერი ალამაინელი (Montgomery of Alamein) ბერნარდ ლოუ (1887–1976), ინგლისელი ფელდმარშალი (1944). I და II მსოფლიო ომების მონაწილე. II მსოფლიო ომის დასაწყისში მეთაურობდა დივიზიას, შემდეგ კორპუსსა და არმიას, რომელმაც 1942 წელს ჩრდილოეთ აფრიკაში *ელ-ალამაინთან* დაამარცხა გერმანია-იტალიის ჯარები. 1944 წელს სარდლობდა მოკავშირეების 21-ე არმიის ჯგუფს, რომელიც ნორმანდიაში გადასხეს. 1945 წელს გერმანიაში ბრიტანეთის საოკუპაციო ჯარების მთავარსარდალი. 1946–48 წლებში საიმპერიო გენერალური შტაბის უფროსი. 1948–51 წლებში დასავლეთის კავშირის თავდაცვის საბჭოს მთავარსარდალთა კომიტეტის თავმჯდომარე. 1951–58 წლებში ევროპაში ნატოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის პირველი მოადგილე.

მონტეკუკოლი, მონტეკუკული (Montecuccoli, Montecucculi) რაიმონდო (1609–80), იტალიური წარმოშობის ავსტრიელი სამხედრო თეორეტიკოსი, ფელდმარშალი (1658). *ოცდაათწლიან ომში* (1618–48) სარდლობდა კორპუსს. შვედეთთან ომის დროს (1657–58) ავსტრიის ჯარებმა **მ**-ის სარდლობით რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს. 1664 წელს ოსმალეთთან ომის დროს ხელმძღვანელობდა ავსტრია-საფრანგეთ-უნგრეთის გაერთიანებულ ძალებს, დაამარცხა ოსმალები დასავლეთ უნგრეთში. 1672–76 წლებში, საფრანგეთთან ომის დროს, იყო იმპერიის ჯარების მთავარსარდალი გენერალისიმუსის ტიტულით. მის კალამს ეკუთვნის წმინდა სამხედრო-თეორიული ნაშრომები, აგრეთვე ვრცელი მემუარები, პოლიტიკური ხასიათის სტატიები, უნგრეთის აღწერა და სხვა.

მონტენეგრო (ჩერნოგორია) (Montonegro – მონტენეგროს რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელით. ფართობი 13,8 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 625 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – სერბულ-ხორვატული. დედაქალაქი – ქ. პოდგორიცა. ადმინისტრაციულად იყოფა 21 მუნიციპალიტეტად. 2006 წლის რეფერენდუმის საფუძველზე გამოეყო სერბეთს. **მ.(ჩ.)** საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლებას ფლობს პარლამენტი, აღმასრულებელის – პრეზიდენტი და მთავრობა. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იუგოსლავიის ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკა დაიშალა ეთნიკურ ერთეულებად, სერბეთმა და **მ.(ჩ.)**-მ შექმნეს იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა. 2006 წელს ურთიერთშეთანხმებით და რეფერენდუმის საფუძველზე იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა დაიშალა სერბეთისა და **მ.(ჩ)**-ს დამოუკიდებელ რესპუბლიკებად. **მ.(ჩ.)** ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია ექსპორტზე. არის ხილის კონსერვების მოწინავე ექსპორტიორი ევროპაში. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. საზღვაო პორტები: ბარი, კოტორი. საერთაშორისო აეროპორტი – პოდგორიცა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 3,2 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 2,3 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,3 ათ. და საზღვაო 0,6 ათ..

მონტრეს კონფერენცია 1936, კონფერენცია შავი ზღვის სრუტეების რეჟიმის შესახებ. ჩატარდა 22 ივნისსა და 21 ივლისს. მონაწილეობდნენ: სსრ კავშირი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, იუგოსლავია, ავსტრალია და იაპონია. მიიღეს კონვენცია სრუტეების რეჟიმის შესახებ, რომელმაც შეცვალა 1923 წლის ლოზანის კონვენცია. კონვენციის შესაბამისად, აღდგა თურქეთის სუვერენიტეტი სრუტეებზე, კომერციული გემებისათვის ამ სრუტეებში გავლა მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს გახდა თავისუფალი. შავიზღვისპირა ქვეყნების სამხედრო ხომალდებს სრუტეებში ატარებენ არსებითი შეზღუდვების გარეშე. სხვა ქვეყნების სამხედრო გემების გატარება იზღუდება მათი კლასის, ტონაჟის და შავ ზღვაში ყოფნის ვადების მიხედვით.

მონტსერატი, იხ. *დამოკიდებელი ტერიტორიები.*

მონღოლეთი (Mongolia), სახელმწიფო ცენტრალურ აზიაში ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 1,565 მლნ. *კმ²*. მოსახლეობა 3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – მონღოლური. დედაქალაქი – ქ. ულან-ბატორი. ადმინისტრაციულად იყოფა 21 აიმაკად (მხარედ). **მ.** საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – დიდი სახელმწიფოებრივი ხურალი, აღმასრულებელი – მთავრობა. 1924 წლიდან **მ.** სახალხო რესპუბლიკაა. 1992 წლიდან იწოდება **მ**-დ. **მ**. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის 70%-ს შეადგენს მეცხოველეობა. მრეწველობის ძირითადი დარგებია: სამთამადნო, მსუბუქი, კვების და ელექტროენერგეტიკა. საერთაშორისო აეროპორტი – ულან-ბატორი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 9,2 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,8 ათ., რეზერვი – ათასი კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

მონღოლთა დაპყრობები, მონღოლ ფეოდალთა ლაშქრობები და ომები აზიისა და ევროპის ხალხების წინააღმდეგ XIII საუკუნეში. დაიწყო 1206 წლის შემდეგ, როდესაც სრულიად მონღოლთა მბრძანებლად აირჩიეს *ჩინგიზ-ყაენი*. მან დაიპყრო მთელი ცენტრალური აზია, სამხრეთ ციმბირი და ჩრდილოეთ ჩინეთი. მისი მემკვიდრეების დროს დამორჩილებულ იქნა ჩინეთის დანარჩენი ნაწილი, კორეა, ირანი, ერაყი, მცირე აზია, კავკასია, აღმოსავლეთ ევროპა რუსეთის ჩათვლით და ბევრი სხვა ქვეყანა. მონღოლთა ჯარებმა მიაღწიეს აღმოსავლეთში იაპონიის კუნძულებს, დასავლეთში – ადრიატიკის ზღვას, სამხრეთში – არაბეთის უდაბნოებსა და ზონდის კუნძულებს.

მოპიკირე ბომბდამშენი, საბრძოლო თვითმფრინავი მცირეზომიან მიზნებზე პიკირებით ბომბური დარყმების მიყენებისთვის. ფართოდ გამოიყენებოდა II მსოფლიო ომში. ომის შემდგომ პეროდში მნიშვნელობა დაკარგა, ვინაიდან პიკირებით ბომბდაშენა საბრძოლო თვითმფრინავების ყველა ტიპისთვის გახდა შესაძლებელი.

მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა, პიროვნების, კოლექტივის თვისებრივი განსაზღვრა, რომელიც ახასიათებს კოლექტივში მიმდინარე ფსიქიკური პროცესების, პიროვნებათშორისი ურთიერთობის მიმართულებას და დინამიკას; გვევლინება არმიის სულიერი პოტენციალის და მორალური სულისკვეთების გამოვლინებისა და რეალიზაციის კონკრეტულ ფორმად, ჯარების საბრძოლო შესაძლებლობების დიდმნიშვნელოვან მახასიათებლად. **მ.-ფ.მ.** განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეებისა და სამხედრო კოლექტივების ქცევის მდგრადობას, განჭვრეტასა და მართვას. სამხედრო მოსამსახურეთა **მ.-ფ.მ**-ის განმტკიცების პრობლემები წყდება პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადებისა და ჯარების საქმიანობის მორალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის პროცესში.

მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადება (სამხედრო მოსამსახურის), ღონისძიებების სისტემა, რომლებიც ქვედანაყოფებში, ნაწილებში, ხომალდებზე ხორციელდება პირადი შემადგენლობისთვის იმ მორალური, ფსიქოლოგიური და სამხედრო-პროფესიული თვისებების გამოსამუშავებლად, რომლებიც აუცილებელია მეომრისთვის მშვიდობიანობის და ომიანობის დროს დაკისრებული მოვალეობების წარმატებით შესასრულებლად. არმიის მაღალი მორალური სულისკვეთების ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი საშუალება. **მ.-ფ.მ**-ის მიზნებს წარმოადგენს: დაამკვიდროს მეომრის ცნობიერების და ქცევის მორალური ღირებულებები, რომლებიც მის საქმიანობას განსაზღვრავენ (პატრიოტიზმი, მხედრული მოვალეობის გრძნობა, დისციპლინა, პატიოსნება); ჩამოაყალიბოს მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებები (სიმტკიცე, თავდაჭერა, თავგანწირვა, მხედრული მამაცობა და ა.შ.), რომლებიც ბრძოლის ნებისმიერ ვითარებაში მეომრის ფსიქოლოგიურ სიმტკიცეს უზრუნველყოფენ; განავითაროს სამხედრო მოსამსახურეების ურთიერთობის ნორმები და წესები (მხედრული მეგობრობა, ურთიერთგამტანობა, უფროსების და ხელქვეითებისადმი პატივისცემა და სხვა), რაც მხედრულ კოლექტივში ჯანსაღ მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატს ქმნის.

მორალურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფა (ჯარების საქმიანობის), იმ ღონისძიებების სისტემა, რომლებიც ხელს უწყობენ არმიის მაღალი მორალური სულისკვეთების, პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის და დისციპლინის, მხედრული მართლწესრიგის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას, მეომართა კოლექტივების შეკავშირებას და მოწინააღმდეგის საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისადმი მდგრადობას. საომარი (საბრძოლო) მოქმედებების წარმატებით უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. შეიარაღებულ ძალებში ჯარების საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის შემადგენელი ნაწილი. ოპერაციებში იგეგმება და ხორციელდება სარდლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მორიგე ქვედანაყოფი, 1. სამხედრო ნაწილის სადღეღამისო განაწესის შემადგენლობაში შემავალი ქვედანაყოფი (ოცეული, ასეული და ა.შ.). ინიშნება ნაწილის მეთაურის (ბაზის, გარნიზონის უფროსის) ბრძანებით – გუშაგების გაძლიერების, ხანძარზე, სტიქიურ უბედურებაზე სასწრაფო რეაგირების მიზნით და სხვა შემთხვევებში. 2. საბრძოლო პირობებში – ქვედანაყოფი, რომელიც ადგილზე განლაგებისას ინიშნება გადმომსხდარი საჰაერო დესანტების, დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფების გასანადგურებლად, საგუშაგო დაცვის გასაძლირებლად და სხვა.

მორიგე ძალები და საშუალებები, საბრძოლო მორიგეობის შესრულებისთვის სპეციალურად დანიშნული ქვედანაყოფები, ნაწილები (ხომალდები) ან შენაერთები. **მ.ძ.დ.ს**-ის რაოდენობრივი შემადგენლობა, მიზნობრივი დანიშნულება, საბრძოლო ამოცანები, საბრძოლო მზადყოფნის დასადგენი ხარისხი, საბრძოლო მორიგეობის შესრულება, საბრძოლო მზადყოფნის და საბრძოლო შემადგენლობის ხარისხის ზრდა, საბრძოლო ამოცანების განხორციელების წესი და მართვის ორგანიზება განისაზღვრება შესაბამისი სარდლის (მეთაურის) მიერ ბრძანებებით (დირექტივებით). **მ.ძ.დ.ს** მჭიდროდ ურთიერთქმედებენ წინასწარი გაფრთხილების სისტემასთან. ომიანობის დროს **მ.ძ.დ.ს** ინიშნება იმ პერიოდში, როდესაც ჯარები აწარმოებენ შე-

ზღუდულ საბრძოლო მოქმედებებს, უპირატესად – თავდაცვითი ხასიათისას.

მორიგე ჯარი, მ ო რ ი გ ე ლ ა შ ქ ა რ ი, სახელმწიფო ჯარის გვარეობა XVIII საუკუნის II ნახევრის ქართლ-კახეთის სამეფოში, სავალდებულო სამხედრო სამსახურის პრინციპზე შექმნილი შეიარაღებული ორგანიზაცია. ჩამოყალიბდა XVIII საუკუნის 50-იან წლებში ლეკთა თარეშის (იხ. „*ლეკიანობა*“) აღსაკვეთად. **მ.ჯ**-ში უნდა ემსახურა ყველა წოდების სრულასაკოვან მამაკაცს წელიწადში ერთი თვე ანაზღაურების გარეშე. თავისუფლდებოდნენ მხოლოდ ზოგიერთი სახელმწიფო გადასახადისგან; რეგულარულ ულუფასა და ჯამაგირზე იმყოფებოდა მხოლოდ მეთაურთა შემადგენლობა. თავისი მაქსიმალური აღმავლობის ხანაში (1770-იანი წლები) **მ.ჯ**. ითვლიდა 3 ათ. მეომარს. ამ დროს მისი საერთო ხელმძღვანელი იყო ლევან ბატონიშვილი (ერეკლე II-ის ძე). ამ პერიოდში შემცირდა ლეკთა შემოსევები, მოსახლეობა სამალავებიდან გამოვიდა, მოშენდა სოფლები. მაგრამ ლევანის სიკვდილის შემდეგ (1781) დაიწყო **მ.ჯ**-ის დაქვეითება დარღვევა, თუმცა ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ხანაში ოფიციალურად იგი არ გაუქმებულა.

მორიგეობა (ფრანგული de jour – დღევანდელი დღისთვის განკუთვნილი), 1. სამხედრო სადღეღამისო განწესის შემადგენლობაში ნაწილის (ხომალდის), ქვედანაყოფის, დაწესებულების, საგარნიზონო განწესის მიერ სამსახურის შესრულება. ხორციელდება ყველა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში. 2. საშტატო მორიგეების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება (მაგალითად, ზოგიერთ შტაბში, მართვის პუნქტების საბრძოლო გათვლების შემადგენლობაში და სხვა). 3. სამორიგეო ქვედანაყოფების, ძალების და საშუალებების მიერ საბრძოლო მორიგეობის პერიოდში ამოცანების შესრულება.

მორიც ორანელი, ნ ა ს ა უ ე ლ ი (Maurits van Oranje, Nassau) (1567–1626), გაერთიანებული პროვინციების რესპუბლიკის (ნიდერლანდი) სახელმწიფო მოღვაწე, მხედართმთავარი და სამხედრო რეფორმატორი. მთავარსარდალი 1590 წლიდან ესპანეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ესპანეთის ჯარები დაამარცხა ტორნგუტთან (1597) და ნიუპორტთან (1600). მიისწაფოდა ქვეყნის ცენტრალიზაციისაკენ. შექმნა მძიმე კავალერია (რეიტარები) და მსუბუქი არტილერია.

მორტირა (ჰოლანდიური – mortier), საარტილერიო ქვემეხი მოკლე ლულით და ჭურვის დამრეცი ტრაექტორიით. მისი დანიშნულება უმთავრესად იყო ციხესიმაგრეების, ფორტიფიკაციული ნაგებობების საფრებში განლაგებული ჯარების მიმართ ე.წ. მორტირული სროლის (ამაღლების კუთხე 45^0-ზე მეტი) წარმოება. ცნობილია XV საუკუნიდან. ნაღმსატყორცნების გავრცელებასთან ერთად **მ**-მ თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

მოსადი, ისრაელის საგარეო პოლიტიკური დაზვერვის ძირითადი ორგანო. მთავარი ამოცანები: სადაზვერვო ინფორმაციის შეკრება და ამით სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების უზრუნველყოფა, საგარეო პოლიტიკურ აქციებში „სადაზვერვო ზემოქმედება“, ებრაელების დაცვის კოორდინაცია მათი განსახლების ქვეყნებში, ფარული დიპლომატია და სხვა. თანამშრომლების რაოდენობა დაახლოებით 2,5 ათ. კაცს შეადგენს. ისრაელის საზღვრებს გარეთ ტერორისტული აქტების ჩასატარებლად აქვს სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფი.

მოსახლეობის დაცვა საგანგებო სიტუაციების დროს, დროის, რესურსების და ადგილის მიხედვით ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება მოსახლეობის დაცვის, მისი დანაკარგის თავიდან აცილების ან მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. მიმართულია საგანგებო სიტუაციების გამომწვევი მიზეზებისა და დამაზიანებელი ფაქტორების წინააღმდეგ მოქმედებისკენ.

მოსახლეობის მიერ მოპოვებული სადაზვერვო მონაცემები, სადაზვერვო მონაცემების კატეგორია, რომელსაც მოსახლეობისაგან იღებენ.

მოსახლეობის სამედიცინო დაცვა (ომიანობის პერიოდში ან საგანგებო სიტუაციების დროს), საორგანიზაციო, სამკურნალო-პროფილაქტიკური, სანიტარულ-ჰიგიენური, ეპიდემიოლოგიური და სამკურნალო-საევაკუაციო ღონისძიებების კომპლექსი. მისი მიზანია მოსახლეობის დაცვა დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებისგან, აგრეთვე მათთვის სამედიცინო დახმარების გაწევა და მკურნალობა.

მოსახლეობის სამხედრო მომზადება, მოსახლეობის სამხედრო სწავლების ღონისძიებების კომპლექსი. მსოფლიოს სხვადასხვა სახელმწიფოში სამხედრო სამსახურისთვის მოქალაქეთა მომზადება ხორციელდება რეზერვის მომზადების გზით (ტერიტორიული თავდაცვის, სამოქალაქო თავდაცვის და სხვა დანიშნულებისთვის).

მოსკოვის ბრძოლა 1941–42, ბრძოლა მოსკოვისათვის II მსოფლიო ომის დროს (1941 წლის 30 სექტემბერი – 1942 წლის 20 აპრილი). თავდაცვის პერიოდში (1941 წლის 4 დეკემბრამდე) საბჭოთა ჯარებმა მძიმე ბრძოლებით შეაჩერეს არმიათა ჯგუფ „ცენტრის“ შეტევა მოსკოვის მისადგომებთან (დედაქალაქიდან 25–30 *კმ*-ზე), ხოლო 5–6 დეკემბერს კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მოწინააღმდეგეს უკან დაახევინეს 100–250 *კმ*-ით. **მ.ბ**-ში ვერმახტმა პირველი სერიოზული დამარცხება განიცადა. საბოლოოდ ჩაიშალა ბლიცკრიგის გეგმა და

დაიწყო სიტუაციის შეცვლა სსრ კავშირის სასარგებლოდ. **მ.ბ.** II მსოფლიო ომის ერთ-ერთი გადამწყვეტი მომენტია.

მოსკოვის ხელშეკრულება 1997, რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობათა პრინციპებისა და მშვიდობის შესახებ. გაფორმდა 12 მაისს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბ. ელცინისა და ჩეჩნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. მასხადოვის ხელმოწერებით. მხარეებმა ოფიციალურად უარი თქვეს საბრძოლო მოქმედებების გაგრძელებაზე, საკამათო საკითხების გადაწყვეტისას ძალის გამოყენებაზე და გამოთქვეს მზადყოფნა ურთიერთობების საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების მიხედვით წარმართვისთვის. **მ.ხ**-ს წინ უძღოდა ა. მასხადოვისა და რუსეთის მთავრობის თავმჯდომარის ვ. ჩერნომირდინის მიერ 1996 წლის ნოემბერში ხელმოწერილი „დროებითი შეთანხმება რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთობათა საფუძვლების შესახებ“, რომლის ძალითაც რუსეთი იურიდიულად არ ცნობდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ ფაქტობრივად თანხმდებოდა მის განსაკუთრებულ სტატუსზე. ჩეჩნეთის საბოლოო სტატუსი უნდა განსაზღვრულიყო 5 წლის შემდეგ, ე.ი. 2001 წელს.

მოსმენის სადგური, ინფორმაციის ხელში ჩაგდების სადგური, კავშირგაბმულობის ხაზებით ან ხმით გადაცემული ინფორმაციის მოსმენის საშუალება. შეიძლება იყოს აკუსტიკური (ბგერათდამჭერი, მიკროფონი), ინდუქტორული (უზრუნველყოფს გამტარებით გადასაცემი ელექტრული სიგნალების დაჭერას), რადიოტექნიკური, ლაზერული (უზრუნველყოფს მემბრანაზე მოქმედი ხმოვანი რხევების მიღებას).

მოტომსროლელი ჯარები, სახმელეთო ჯარების გვარეობა ზოგიერთ სახელმწიფოში; სატანკო ჯარებთან ერთად შეადგენენ სახმელეთო ჯარების საფუძველს. ამოცანები: თავდაცვაში – დაკავებული რაიონების, ზღუდეების და პოზიციების შენარჩუნება, დარტყმების მოგერიება და მოწინააღმდეგის დამარცხება; შეტევაში (კონტრშეტევაში) – მოწინააღმდეგის თავდაცვის გასარღვევად, მისი ჯარების დაჯგუფებების განადგურება, ტერიტორიების ხელში ჩაგდება, წყლისმიერი დაბრკოლებების გადალახვა და სხვა. **მ.ჯ.** შედგება მოტომსროლელი შენაერთებისგან, ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან. თანამედროვე **მ.ჯ.** სახმელეთო და საჰაერო მიზნების დასაზიანებლად აღჭურვილია მძლავრი და მრავალფეროვანი შეიარაღებით. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და სხვა სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში **მ.ჯ**-ის ანალოგიურ გაერთიანებებს მოტოქვეითი ჯარი ეწოდება.

მოტომსროლელი (მსროლელი) ჯარების იერიში, იხ. *იერიში.*

მოტორესურსი, ძრავის (მანქანის) ნამუშევარი ექსპლუატაციის დაწყებიდან ან რემონტის შემდეგ განახლებიდან ზღვრულ მდგომარეობაში გადასვლამდე. იზომება მუშაობის მოტოსაათებით ან გარბენის კილომეტრებით. წესდება საკონსტრუქტორო დოკუმენტაციით, დამკვეთის მოთხოვნების შესაბამისად.

მოტორიზებული კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

მოტორიზებული ჯარები, იმ სახმელეთო ჯარების შენაერთების და ნაწილების კრებსითი დასახელება, რომლებიც აღჭურვილი არიან მექანიზებული გამწევი საბრძოლო, სპეციალური და სატრანსპორტო საშუალებებით. ტერმინი „მოტორიზებული ჯარები“ გავრცელდა XX საუკუნის 20-იან წლებში ჯარების მასობრივი მოტორიზაციით და მექანიზაციით. II მსოფლიო ომში **მ.ჯ**-ის ძირითად საორგანიზაციო ერთეულს მოტორიზებული დივიზიები წარმოადგენდნენ.

მოტოქვეითი, მოტორიზებული ქვეითები. ქვეითების თანამედროვე დასახელება ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში (ბელგია, გერმანია, ნიდერლანდები და სხვა). შეუძლია აწარმოოს ბრძოლა როგორც საბრძოლო მანქანაზე, ასევე ქვეითად.

მოტოციკლეტიანი ნაწილები (ქვედანაყოფები), სპეციალური სამხედრო ფორმირებები მოტოციკლეტებზე მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. მათი დანიშნულებაა დაზვერვის, პატრულირების და კავშირის, აგრეთვე საგზაო-საკომენდანტო სამსახურის განხორციელება და სხვა.

მოულოდნელი მოქმედება, ომის ერთ-ერთი პრინციპი. მოწინააღმდეგეზე მიაქვთ იერიში ისეთ დროს და ადგილზე ან ისეთი მეთოდით, რომელიც მოულოდნელია მისთვის და რომლისთვისაც ის მზად არ არის.

მოულოდნელობა, სამხედრო ხელოვნების ერთ-ერთი პრინციპი. მოწინააღმდეგისთვის უეცარი მოქმედება, რომელიც მას აბნევს და ხელს უწყობს მეორე მხარის წარმატებას ბრძოლაში, ოპერაციაში, ხოლო ზოგჯერ მთლიანად ომშიც. მოწინააღმდეგეზე ზემოქმედების დონის მიხედვით **მ.** შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი, ხოლო მასშტაბების მიხედვით – სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ომის დასაწყისში, ასევე მისი მსვლელობისას, სტრატეგიული ოპერაციის ჩატარების დროს.

მოქალაქეთა სამხედრო სამსახურისთვის მომზადება, ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც ახორციელებენ სახელმწიფო თავდაცვითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის მოქალაქეების (ახალგაზრდობის) მომზადების მიზნით; მოსახლეობის სამხედრო მომზადების

შემადგენელი ნაწილები არის სავალდებულო და ნებაყოფლობითი. სავალდებულო მომზადება მოიცავს: დაწყებითი ცოდნის მიღებას თავდაცვის დარგში, მომზადებას სამხედრო სამსახურის საფუძვლებში, სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას, მომზადებას სამხედრო-საადრიცხვო სპეციალობებში, სამედიცინო შემოწმებასა და გამოკვლევას, სამკურნალო-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს. ნებაყოფლობით მომზადებაში იგულისხმება მეცადინეობა სპორტის სამხედრო-გამოყენებით სახეობებში, სწავლება დამატებითი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, რომელთა მიზანია არასრულწლოვანი მოქლაქეების სამხედრო მომზადება, მაგალითად, კადეტთა კორპუსებში.

მოძმედების რადიუსი, მაქსიმალური მანძილი, რომელითაც ხომალდს, თვითმფრინავს ან სატრანსპორტო საშუალებას შეუძლია დაშორდეს თავის ბაზას მოცემული კურსით, დადგენილი საბრძოლო მარაგით და უკან დაბრუნდეს საწვავის მარაგის შეუვსებლად, უსაფრთხოების დაცვისა და ყველა ოპერატიული ფაქტორის გათვალისწინებით.

მოძნილი რეაგირება, 1967 წლის შემდგომ, „ცივი ომის“ პერიოდში, ნატოს სტრატეგიის გადამწყვეტი ასპექტი, რომლის მიხედვით ჩრდილოატლანტიკური კავშირის წინააღმდეგ აგრესიის მოცულობის და მასშტაბების მიხედვით განიხილებოდა საომარი მოქმედების სხვადასხვა ვარიანტი, ბირთვული იარაღის გამოყენების ჩათვლით.

„მოძნილი რეაგირების“ სტრატეგია, აშშ-ის სამხედრო დოქტრინის ერთ-ერთი ელემენტი. მიიღეს XX საუკუნის 60-იან წლებში „საყოველთაო შურისძიების“ სტრატეგიის ნაცვლად. 1967 წელს გახდა ნატოს ოფიციალური სტრატეგია. მისი ძირითადი დებულებებია: ბირთვული იარაღის გამოყენების ან მის გარეშე „შეზღუდული ომის“ ადიარება, როგორც ყველაზე სავარაუდო ომის ტიპი; ამ ომისთვის ძალებისა და საშუალებების შემდგომი ყოველმხრივი განვითარება (სახმელეთო ძალების, სტრატეგიული სატრანსპორტო ავიაციის, სატრანსპორტო ფლოტის და სხვა); კონტინენტური საჰაერო თავდაცვის, რაკეტსაწინააღმდეგო და სამოქალაქო თავდაცვის განვითარება. გამოიყენებოდა ევროპაში განლაგებული აშშ-ის „მეწინავე ბაზირების“ ძალების და საშუალებების გაზრდისათვის. XX საუკუნის 70-იან წლების დასაწყისში აშშ-ში ჩაანაცვლეს „რეალისტური შეკავების“ სტრატეგიით.

მოცულობითი აფეთქება, საწვავი ნივთიერებების და მჟანგველის აირისებრი ან აეროზოლური ნაზავის აფეთქება, რომელიც მოქცეულია დახშულ (ნახევრად დახშულ) სივრცეში, ან წარმოადგენს გარემოში არსებულ თავისუფალ ღრუბელს. **მ.ა**-ის აუცილებელი პირობაა საწვავის და მჟანგველის გარკვეული თანაფარდობა და მაინიცირებელი იმპულსი. **მ.ა**-ისათვის ატმოსფეროს ჟანგბადის გამოყენების შესაძლებლობამ განაპირობა ისეთი მოცულობითი დეტონირების საბრძოლო მასალების შექმნა, რომლებიც გამართულია მხოლოდ საწვავი კომპონენტებით (ეთილენის ჟანგი, პროპილენის ჟანგი, მეთანი, ბენზინი, ალუმინი და სხვა). აირ-ჰაერის ნაზავის ღრუბლის აფეთქების ენერგია შეიძლება რამდენჯერმე აღემატებოდეს იმავე მასის ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერების აფეთქების ენერგიას. **მ.ა**-ის დამაზიანებელ მოქმედებას აძლიერებს ამ ნაზავის უნარი ჯერ კიდევ აფეთქებამდე შეაღწიოს ადგილმდებარეობის ნაოჭებსა და ნახევრად დახშულ არეებში.

მოძრავი გადამღობი რაზმი, დროებითი სამხედრო ფორმირება, რომელიც შეიარაღებულ ძალებში ოპერაციის (ბრძოლის) მსვლელობისას ნაღმის ასაფეთქებელი ღობურების მოსაწყობად და ნგრევისთვის იქმნება; ჯარების ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტი. **მ.ბ.რ**-ის საფუძველს შეადგენენ საინჟინრო ჯარების ქვედანაყოფები (ნაწილები). **მ.ბ.რ**-ებს შეუძლიათ იმოძრაონ და განახორციელონ დანაღმვა შვეულმფრენებიდან. თავიანთ ამოცანებს რაზმები ასრულებენ I და II ეშელონების ჯარებთან, საერთო-საჯარისო და ტანკსაწინააღმდეგო რეზერვებთან თანამოქმედებით, ზოგჯერ – დამოუკიდებლად. ადრე მას ეწოდებოდა გადამღობი რაზმი.

მოძრავი თავდაცვა, იხ. *მანევრული თავდაცვა.*

მოძრავი მიზნების სელექცია, მოძრავი მიზნებისგან ერთ-ერთის (მაგალითად, თვითმფრინავები) არეკლილი რადიოლოკაციური სიგნალებით გამორჩევა. **მ.მ.ს**. არ ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც ძნელდება მოძრავი მიზნის სიგნალის გამოყოფა ბუნებრივი ან ხელოვნური წინაღობების ფონზე. **მ.მ.ს**-ის მეთოდები დაფუძნებულია ძირითადად დოპლერის ეფექტის გამოყენებაზე.

მოძრავი საბრუნტო სარაკეტო კომპლექსი, სტრატეგიული დანიშნულების სახმელეთო სარაკეტო კომპლექსი, რომლის გამშვები დანადგარი დამონტაჟებულია მაღალი გამავლობის მუხლუხიან ან თვლიან შასიზე. კომპლექსის მალულობას უზრუნველყოფს სპეციალური საშუალებებისა და შენიღბვის ხერხების გამოყენება, გეგმური პოზიციების დაშორიშორება და გადაადგილების სპეციალური რეჟიმები მოწყობილ რაიონებში.

მოძრავი საცეცხლე ზონა, საარტილერიო ცეცხლის სახეობა, იერიშის საარტილერიო მხარდაჭერის მეთოდი. წარმოადგენს აფეთქებების ღრმა ერთიან ზონას, რომელიც ერთდროულად იქმნება მოიერიშე ჯარების ფრონტის წინ, სამ და მეტ ზღუდეზე და გადაინაც-

ვლებს სიღრმეში მათი წინსვლის მიხედვით, **მ.ს.ზ**. გამოიყენება მთავარი დარტყმის მიმართულებაზე მომზადებული თავდაცვის გარღვევისას, სადაც მაღალია ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების სიმჭიდროვე, არის დიდძალი არტილერია, საბრძოლო მასალები და შეიძლება წარმოებდეს მოწინააღმდეგის I ეშელონის ბატალიონების თავდაცვის სიღრმეში. მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში **მ.ს.ზ**-ის პირველი ზღუდე ინიშნება მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა ხაზზე, მომდევნოები – 150–200 *მ*-ზე ერთმანეთისაგან. მოსახერხებელი მართვისათვის ყველა ზღუდე იყოფა ჯგუფებად, რომელთაგან თითოეულს მიაკუთვნებენ სხვადასხვა სახელწოდებას.

მოძრაობის რეგულირების საგუშაგო, სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფი, აღჭურვილი კავშირგაბმულობის, გადაადგილების, სასიგნალო საშუალებებით და სხვა, რომელიც ინიშნება კოლონების და მანქანების მოძრაობის რეგულირებისთვის. ეწყობა იმ ადგილებში, სადაც კოლონის სამარშო სიჩქარე კლებულობს (გზის საშიში მონაკვეთები, მ.შ. ერთმხრივი მოძრაობით, ციცაბო და გაჭიანურებული აღმართები და დაღმართები, გზაჯვარედინები და სხვა).

მოძრაობის უზრუნველყოფის რაზმი, დროებითი ფორმირება, რომელიც შედგება, უმთავრესად, საინჟინრო-მესანგრეთა, ქვეითი (სატანკო), ქიმიური და სხვა ქვედანაყოფებით გაძლიერებული საინჟინრო-საგზაო ქვედანაყოფებისგან. განკუთვნილია მარშრუტის მოსამზადებლად და შესანარჩუნებლად, მოძრაობისა და ჯარების შეუფერხებელი გავლის უზრუნველსაყოფად. იქმნება შეტევის და ჯარების გადაადგილების დროს. **მ.უ.რ**. ახდენს მარშრუტის დაზვერვას, გაჰყავს გასასვლელები ნანგრევებსა და ღობურებში, აღადგენს გზების დანგრეულ უბნებს, აწყობს გადასასვლელებს ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებებზე (ვიწრო მდინარეები, არხები, ხერგილები და ა.შ.), გაჰყავს საკოლონო გზა გზატკეცილების ფარგლებს გარეთ ნგრევისა და ხანძრების რაიონების (კერების) გვერდის ავლით.

მოძრაობის უნარი, ჯარების (ძალების, საშუალებების) სწრაფად გადაადგილების უნარი ოპერაციის (ბრძოლის) დაწყებამდე და საბრძოლო მოქმედების მსვლელობისას. ახასიათებს მოძრაობის საშუალო სიჩქარე და საბრძოლო (ბრძოლისწინა) წყობად გაშლის, აგრეთვე პოზიციებიდან მოხსნის დრო.

მოწინააღმდეგე, მტერი; მეომარი სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) დასახელება ომში დაპირისპირებული სახლემწიფოს (სახელმწიფიების კოალიციის) მიმართ მტრის ჯარების საერთო დასახელება.

მოწინააღმდეგეზე უპირატესობა (ბრძოლაში, ოპერაციაში), უპირატესობა ჯარების (ძალების) რიცხოვნობაში, მათ აღჭურვაში, მორალურ მდგომარეობაში, საბრძოლო მოქმედებების წარმოების ხელოვნებაში.

მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხება, სახმელეთო ჯარების (საზღვაო ძალების) განლაგება, რომლის დროსაც მეწინავე შენაერთებს (ნაწილებს, ქვედანაყოფებს) ან მთავარი ძალების I ეშელონს უნარი შესწევთ, განახორციელონ ვიზუალური დაკვირვება მოწინააღმდეგეზე და აწარმოონ მასთან ბრძოლა ძირითადი საშტატო საცეცხლე საშუალებებით. ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფის კვალობაზე მოპირისპირე მხარეების დაშორიშორება ბრძოლის დაწყებამდე და ბრძოლის დროს განუწყვეტლივ იზრდებოდა. II მსოფლიო ომის წლებში ეს დაშორიშორება შეადგენდა რამდენიმე ათეული მეტრიდან რამდენიმე ასეულამდე მეტრს. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ლოკალურ ომებში მოპირისპირე მხარეთა ჯარების დაცილება განისაზღვრებოდა ტანკების და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების პირდაპირი დამიზნებით სროლის სიშორით და შეადგენდა 3–4 *კმ*-ს.

მოწინააღმდეგის გადაადგილების შეზღუდვა, გადაადგილების შეზღუდვა ისე, რომ მოწინააღმდეგე იძულებული გახდეს, იმოძრაოს მხოლოდ ერთი მიმართულებით, ვიწრო ზონაში. ასეთი შეზღუდვა ხორციელდება არსებული ან დამატებითი დაბრკოლების შექმნით, სროლით ან დაბომბვით.

მოწინააღმდეგის მართვის რღვევის მოქმედებები, ღონისძიებების კომპლექსი, რომლისთვისაც გამოიყენება ყველა სამხედრო საშუალება მათ შორის (ჯარების მოქმედებების დაფარვის უზრუნველყოფის, რადიოელექტრონული ბრძოლის ოპერატიული საშუალებები და სხვა). ხორციელდება მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობის და მართვის ორგანოებში ინფორმაციის მიწოდების აღკვეთის, მათზე ზემოქმედების, რღვევის და განადგურების მიზნით, ამავე დროს საკუთარი ხელმძღვანელი და მართვის ორგანოების დასაცავად ანალოგიური ქმედებებისგან.

მოწინააღმდეგის საოკეანო (საზღვაო) გადაზიდვების ჩაშლის (დარღვევის) საზღვაო ოპერაცია, იხ. *საზღვაო ოპერაცია.*

მოწინააღმდეგის სახმელეთო ობიექტების ნგრევის საზღვაო ოპერაცია, იხ. *საზღვაო ოპერაცია.*

მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ჩახშობა, მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ნეიტრალიზების, ეფექტურობის დროებითი დაქვეითების ან მოშლის კომპლექსური ზომები. ხორციელდება განადგურების და/ან დეზორგანიზების საშუალებების გამოყენებით.

მოწინააღმდეგის უკან ჩამოტოვება, ბრძოლიდან გამოსასვლელად ჯარების მოქმედების ბოლო ფაზა. ხორციელდება არიერგარდის მიერ დაფარვით ისეთ მანძილზე, რომელიც

მთავარი ძალებისთვის უზუნველყოფს მანევრის თავისუფლებას და გამორიცხავს მათ დაზიანებას მოწინააღმდეგის არტილერიის ცეცხლით. **მ.უ.ჩ.**, ჩვეულებრივ, ხდება შეზღუდული ხედვის პირობებში.

მოწინააღმდეგის შეზღუდვა, მოწინააღმდეგის შეჩერება, გარშემორტყმა ან ალყაში მოქცევა, მისი წინსვლის და უკან დახევის აღკვეთა.

მოწყვლადობა, სხვადასხვა უბედურების შედეგების ლიკვიდაციის ტერმინოლოგიაში – პოტენციური დამანგრეველი მოვლენის შედეგად მოსალოდნელი დანაკარგების ხარისხი (0%-დან 100%-მდე).

მოხალისეობა, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების ერთ-ერთი ხერხი, რომელიც ემყარება **მ**-ების მოზიდვას. ძირითადი პრინციპებია: ნებაყოფლობა, უანგარობა, მხედრული და მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულების იდეური მოტივაცია. ოდითგან არის ცნობილი, როგორც სოციალური მოვლენა, რომელსაც იწვევს პატრიოტიზმის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების აღმავლობა, საზოგადოებაში ინტერნაციონალიზმის იდეების გავრცელება და ა.შ. ყველაზე ფართო მასშტაბს იღებს სამართლიანი, გამათავისუფლებელი ომების დროს. XX საუკუნეში **მ.** ფართოდ იყო გავრცელებული ეროვნულ-რევოლუციური ომების დროს ესპანეთში (1936–39), ჩინეთში (1937–45), ინდოჩინეთში (1946–75) და სხვა. მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალების დაკომპლექტებისთვის **მ.** მეტწილ ქვეყნებში არ გამოიყენება, სამხედრო სასწავლებლებში შესვლის გარდა.

მოხვედრის ალბათობა (მიზანში), რიცხობრივი მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს მოცემული იარაღიდან განსაზღვრულ პირობებში მიზანში მოხვედრის შესაძლებლობას. გამოისახება ათწილადში ან პროცენტებში და იზომება 0-დან 1-მდე (0-დან 100%-მდე). დამოკიდებულია მიზნის ზომებზე, ჭურვების (ტყვიების და სხვა) გაფანტვის სიდიდეზე, გაფანტვის ცენტრის მდებარეობაზე მიზნის ცენტრთან შეფარდებით და სხვა პირობებზე. **მ.ა**-ის თეორიული გათვლა ხდება ალბათობის თეორიის საფუძველზე. პრაქტიკაში **მ.ა.** სროლის უცვლელი პირობების შემთხვევაში ტოლია მოხვედრის რაოდენობის და გასროლის რაოდენობის შეფარდების.

მოხსენება ვითარების შესახებ, ზუსტი, ზეპირი მოხსენება მოვლენების ან გარემოების შესახებ, რასაც შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მიმდინარე დაგეგმვისთვის და ოპერაციებისთვის. მოითხოვს სათანდო უსაფრთხოების დაცვით უსწრაფეს მიწოდებას.

მოჰაჩის ბრძოლა 1526, გაიმართა 26 აგვისტოს ქ. მოჰაჩთან (უნგრეთი) ოსმალთა სულთან სულეიმან I კანონის არმიასა (100 ათ. კაცი, 300 ქვემეხი) და უნგრეთის მეფის ლაიოშ II-ის ლაშქარს (25 ათ. კაცი, 80 ქვემეხი) შორის. დამთავრდა უნგრელთა დამარცხებით. ლაიოშ II უკან დახევის დროს დაიღუპა. **მ.ბ**-ის შემდეგ უნგრეთის სამეფოს დიდი ნაწილი ოსმალეთის იმპერიამ მიიტაცა.

მრავალარხიანი კავშირგაბმულობა, ელექტროკავშირის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კავშირის ერთი ხაზით რამდენიმე შეტყობინების ერთდროულ და დამოუკიდებელ გადაცემას. შეიძლება განხორციელდეს საკაბელო, რადიოსარელეო, ტროფოსფერული და კოსმოსური ხაზებით.

მრავალეროვნული, ცნება, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის მოქმედებების, ოპერაციების, ფორმირებების და ა.შ. განსაზღვრისთვის, რომელშიც მონაწილეობენ ორი ან მეტი სახელმწიფოს სამხედრო ნაწილები, ქვედანაყოფები, ან სხვა ორგანიზაციები.

მრავალეროვნული ბრიგადა, ტაქტიკური ფორმირება, რომლის პირადი შემადგენლობა შედგება კონტინგენტის გამომყოფი რამდენიმე ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეებისგან. ნატო, ჩვეულებრივ, გამოყოფს „საბაზო“ სახელმწიფოებს, რომელთა სამხედრო მოსამსახურეებისგან ყალიბდება ბრიგადის შტაბი და ინიშნება მეთაური. საბაზო სახელმწიფოები ახორციელებენ ძირითადი ლოგისტიკური უზრუნველყოფის კოორდინირებას და გამოყოფენ ბრიგადის პირადი შემადგენლობის მნიშვნელოვან ნაწილს, სხვა მონაწილე სახელმწიფოები კი – სამხედრო მოსამსახურეებს, რომელთაგანაც ყალიბდება ბრიგადა.

მრავალეროვნული გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ძალები, მრავალეროვნული სახეობათაშორისი შენაერთი, რომელიც შექმნილია განსაკუთრებულ სამხედრო-პოლიტიკურ გარემოში სამოქმედოდ. იგი მრავალეროვნული სახეობათაშორისი მართვის სისტემას და ოპერატიულ დაქვემდებარებას მოითხოვს; მისი საორგანიზაციო სტრუქტურა დასმული ამოცანის შესაბამისად განისაზღვრება. **მ.გ.ო.-ტ.ძ**-ის კონცეფციის განხილვის საკითხი დღის წესრიგში დადგა 1994 წლის ბრიუსელის უმაღლესი დონის შეხვედრაზე. ის ითვალისწინებს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის დასავლეთევროპული კავშირის ქვეყნების შეიარაღებული ძალების ერთობლივ გამოყენებას ფართო მასშტაბის ოპერაციების განსახორციელებლად. ამასთან დგება ამოცანა, რათა შეიქმნას განცალკევებული, მაგრამ არა ცალკეული შეიარაღებული ძალები და საშუალებები, რომელთა გამოყენება შესაძლებელი იქნება როგორც ნატოს, ასევე იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებიც არ შედიან ჩრდილოატლანტიკურ კავშირში.

მრავალეროვნული ერთობლივი ოპერაცია, სამხედრო ოპერაცია, რომელიც ტარდება ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალე-

ბით და რომელშიც შეიარაღებული ძალების არანაკლებ ორი სახეობის ნაწილები და ქვედანაყოფები მონაწილეობენ.

მრავალეროვნული ინტეგრირებული ლოგისტიკური უზრუნველყოფა, ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების საფუძველზე ლოგისტიკური უზრუნველყოფის საშუალებების გადაცემა. ხორციელდება ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლის ოპერატიულ დაქვემდებარებაში მყოფი მრავალეროვნული ძალების ლოგისტიკური მხარდაჭერის ამოცანის გადასაწყვეტად. ყალიბდება მრავალეროვნული ლოგისტიკური ფორმირებისთვის.

მრავალეროვნული ლოგისტიკური მხარდაჭერა, ნატოს წევრი სახელმწიფოების მიერ გარკვეული რესურსების გაერთიანება მაკოორდინირებელი ინსტანციის გადაწყვეტილებით, ამ რესურსის ნატოს ქვეყნების მიერ გამოყენების მიზნით.

მრავალეროვნული ლოგისტიკური უზრუნველყოფა, ოპერაციის ლოგისტიკური მხარდაჭერის ხერხების მთელი კომპლექსი, რომელიც მიმართულია ამოცანების მიხედვით გაერთიანებული, მრავალეროვნული, სპეციალიზებული, აგრეთვე წამყვანი ქვეყნების მიერ სამხედრო ოპერაციების ლოგისტიკური უზრუნველყოფისკენ.

მრავალეროვნული ფორმირება, ფორმირება, რომლის შემადგენლობაში შედის ჯარები ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყნისგან. მის ამოცანებს წარმოადგენს: კოლექტიური თავდაცვა, შიდაევროპულ ან ტრანსატლანტიკურ დონეზე დაჯგუფების გაძლიერების უზრუნველყოფა, გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების მრავალეროვნული შტაბების შექმნა და სხვა. კრიზისების დარეგულირების ან სამშვიდობო ოპერაციების დროს **მ.ფ**. შეიძლება შედგებოდეს როგორც ნატოს წევრი, ასევე არაწევრი ქვეყნების ჯარებისგან.

მრავალეროვნული შენაერთი, ორი ან მეტი ქვეყნის მიერ ფორმირებული სამხედრო ნაწილები და ქვედანაყოფები.

მრავალეროვნული ძალა, ორი ან მეტი ქვეყნის ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან შემდგარი ფორმირება.

მრავალეროვნულობა, ნატოს წევრი რამდენიმე სახელმწიფოს ან მისი პარტნიორი ქვეყნების მიერ გამოყოფილი ძალების და საშუალებების სამხედრო-სამეთაურო სტრუქტურების, ან სამხედრო მოქმედებების მახასიათებელი. შეიცავენ სხვადასხვა სახეობების და რიცხობრივი შემადგენლობის ნაწილებს, ქვედანაყოფებს, აგრეთვე სხვა რესურსებს.

მრავალლულიანი რეაქტიული ნაღმსატყორცნი (გერმანული raketensalvenverfer), ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის გამშვები დანადგარის გერმანული სახელწოდება, რომელიც II მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა. პირველად მისი დანიშნულება იყო ქიმიური საბრძოლო მასალებით სროლა, მაგრამ ომის დროს გამოიყენებოდა ფუგასური, მსხვრევადი, ცეცხლგამჩენი და საკვამლე ტურბორეაქტიული ჭურვები. ყველაზე ცნობილი **მ.რ.ნ**-ი არის ექვსლულიანი ბუქსირებადი და ათლულიანი თვითმავალი (კალიბრი 158,5 *მმ*, ჭურვის მასა 34,15 *კგ*, სროლის მანძილი 6,7 *კმ*), ხუთლულიანი ბუქსირებადი (210 *მმ*, 111 *კგ*, 7,8 *კმ*), ექვსლულიანი ბუქსირებადი (300 *მმ*, 127 *კგ*, 4,5 *კმ*).

მრავალსაფეხურიანი რაკეტა, ორი ან რამდენიმე საფეხურისგან შემდგარი რაკეტა, რომელსაც ფრენის დროს საწვავის გახარჯვის შემდეგ გამოყენებული საფეხური სცილდება. საფეხურების შეერთება შეიძლება იყოს თანამიმდევრული, პარალელური და კომბინირებული. საფეხურების რაოდენობა ძირითადად დამოკიდებულია რაკეტის ფრენის მანძილზე და სასარგებლო ტვირთის მასაზე (ჩვეულებრივ, არ აღემატება ხუთს). **მ.რ**-ებს განეკუთვნება რაკეტა-მატარებლები და სტრატეგიული რაკეტები.

მსოფლიო კავშირი „ქალაქები მშვიდობისთვის“, ქალაქების საერთაშორისო გაერთიანება, რომელიც მშვიდობის დასაცავად გამოდის; თანამედროვე ანტისაომარი მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა. იყენებს ომის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა საშუალებებს და ფორმებს. დაარსდა ქ. ვერდენში (საფრანგეთი), 1987 წლამდე ეწოდებოდა „გმირი და ომის მსხვერპლი ქალაქების მსოფლიო კავშირი“. XX საუკუნის ბოლოს, 90-იან წლებში, კავშირის წევრად გაერთიანებული იყო 24 ქვეყნის 60 ქალაქი.

მსოფლიო ომი, გლობალური ხასიათისა და მასშტაბის საერთაშორისო წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის გამოყენებით გადაწყვეტის ფორმა. მის არსს შეადგენს მსოფლიოს პოლიტიკურ-სამართლებრივი მოწყობის და განვითარების საერთო გეზის, ხოლო საბოლოო ანგარიშით – კაცობრიობის ცივილიზაციის მომავლის საკითხი. ნიშნებს, რომლებიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს საომარი შეტაკება როგორც მსოფლიო ომი, წარმოადგენს: სახელმწიფოების კოალიციების დაპირისპირება; მსოფლიოს ქვეყნების მნიშვნელოვანი ნაწილის ჩართვა, პრაქტიკულად ყველა დიდი სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობა; მოპირისპირე მხარეების პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების ხასიათი; საომარი მოქმედებების წარმოება უდიდეს ტერიტორიაზე, რომელიც სხვადასხვა კონტინენტზე და მსოფლიო ოკეანის აკვატორიებში საომარი მოქმედებების მრავალ თეატრს მოიცავს; სტრატეგიული ოპერაციების, ოპერაციების და სხვა საბრძოლო მოქმედებების მასშტაბურობა და ინტენსივობა დიდი დამანგრე

ველი ძალის იარაღის და სამხედრო ტექნიკის მაქსიმალური გამოყენების პირობებში.

მსოფლიოს გამოჩენილი სამხედრო მოღვაწეები, იხ. *დანართი №2*

მსროლელების ჯაჭვი, ათეულის, ოცეულის და ასეულის საბრძოლო წყობა, რომლის დროსაც სამხედრო მოსამსახურეები განლაგებული არიან ერთ ხაზზე ინტერვალით 6–8 *მ* (8–12 ნაბიჯი). გამოიყენება ქვეითად შეტევის დროს. **მ.ჯ.,** როგორც ქვედანაყოფის საბრძოლო წყობის ფორმა, შეტევით ბრძოლაში გამოიყენეს XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში.

მსროლელთა კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

მსროლელი არტილერიის დაზვერვის სადგური, რადიოლოკაციური სადგური მოწინააღმდეგის არტილერიის, ზალპური ცეცხლის სარაკეტო საშუალებების და ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსების საცეცხლე პოზიციების კოორდინატების აღმოჩენისა და განსაზღვრისთვის. დამატებით უზრუნველყოფს ქვემეხების გამიზვნას და საკუთარი არტილერიის სროლის კონტროლს, ფიქტიური რეპერის შექმნას და სხვა. არის საარტილერიო ნაწილების სადაზვერვო ქვედანაყოფების შეიარაღებაში. მუშაობის პრინციპი დაფუძნებულია ჭურვების და რაკეტების აღმავალ (დაღმავალ) უბანზე რადიოლოკაციური დაკვირვების შესაძლებლობაზე და შემდგომ ტრაექტორიის ექსტრაპოლაციაზე გამოფრენის (დაცემის) წერტილისკენ.

მსროლელი ჯარები, ევროპის ბევრ ქვეყანაში (ავსტრია-უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი, პრუსია, საფრანგეთი და სხვა) შეიარაღებული ძალების ზოგიერთი ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების მსუბუქი ქვეითების ზოგადი დასახელება XVIII–XX საუკუნეების I ნახევარში.

მსხვილმასშტაბიანი ომი, ომი, რომელშიც მონაწილეობს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონი სახელმწიფოების მნიშვნელოვანი რაოდენობა. მიზნად ისახავს რადიკალური სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევას.

მსხვრევადი საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

მსხვრევადი საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

მსხვრევად-ფუგასური საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

მსხვრევად-ფუგასური საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

მტერთან გადასული, მოწინააღმდეგის განლაგებაში წინასწარი განზრახვით გადასული სამხედრო მოსამსახურე. საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება უცხო ქვეყნის დახმარების მიზნით. ფასდება როგორც სახელმწიფო ღალატი.

მტრალავი, საბრძოლო ხომალდი, რომელიც განკუთვნილია საზღვაო ნაღმების ძებნის, აღმოჩენის, განადგურების და ნაღმსაშიშ რაიონებში ტრალებით ხომალდების (გემების) გაყვანისათვის. განეკუთვნება ნაღმსატრალავი ხომალდების კლასს. აღჭურვილია ნაღმების საძებნ-გამანადგურებელი აპარატურით, სახომალდო ტრალებით დისტანციურად სამართავი ნაღმსაძებნ-გამანადგურებლებით. სიჩქარეა 18 *კვანძამდე*, ავტონომიურობა 7–15 დღე, ცურვის სიშორე დაახლოებით 1500 *მილი*; შეიარაღებაზე აქვს 1–2 უნივერსალური 76-*მმ* საარტილერიო დანადგარი. წყალწყვის, შეიარაღების, ზღვაოსნობის ავტონომიურობის და სხვა ტაქტიკურ-ტექნიკური ელემენტების კვალობაზე განასხვავებენ: საესკადროს – შენდებოდა II მსოფლიო ომამდე დაშორებულ რაიონებში საბრძოლო ხომალდების ესკადრებთან მოქმედებისათვის; საზღვაოს – 660–1300*ტ* წყალწყვისა, დაშორებულ საზღვაო რაიონებში მოქმედებისათვის; საბაზოს – 600 *ტ*-მდე წყალწყვისა, სანაპირო და შქერების (მარადმწვანე ბუჩქი) რაიონებში მოქმედებისათვის; რეიდულს – 250*ტ*-მდე წყალწყვისა, ყურეებში, ნავსაყუდლებში, რეიდებზე მოქმედებისათვის; სამდინაროს – 100 *ტ*-მდე წყალწყვისა მდინარეებზე, ტბებზე, წყალსაცავებში მოქმედებისათვის; კატარღა-მტრალავებს – 50 *ტ*-მდე წყალწყვისა, შიდა რეიდებზე ნაღმებთან ბრძოლის საზღვაო და რეიდული **მ**-ების ნაღსაწინააღმდეგო უზრუნველყოფისათვის. **მ**-ების ფუნქციებს ცალკეულ შემთხვევებში ასრულებენ ვერტმფრენი – **მ**-ები.

მუდმივი არმია, არმია (შეიარაღებული ძალები), რომელსაც სახელმწიფო, ლაშქრის და მილიციური არმიისგან განსხვავებით, ინარჩუნებს მუდმივად (მშვიდობიანობის და ომიანობის პერიოდში) და გაშლის მხოლოდ ომის დროს. (იხ. ასევე *რეგულარული არმია*).

მუზარადი (ფრანგული – casque), დამცავი თავსახურავი. საბრძოლო **მ.** ცნობილია უძველესი დროიდან. ამზადებდნენ ხისაგან, არყის ხის ქერქისაგან, წნელებისა და ტყავისაგან. უძველესი ლითონის **მ.** (სპილენძის და ოქროსი) მესოპოტამიაშია აღმოჩენილი (ძვ.წ. III ათასწლეული). ბრინჯაოს **მ**-ები ფართოდ გავრცელდა ძვ.წ. II–I ათასწლეულიდან. შუა საუკუნეებში **მ.** ძირითადად რკინის და ფოლადისაგან მზადდებოდა. ძველ საქართველოში, წერილობითი წყაროების ცნობებით, იხმარებოდა ხის, ტყავისა და სპილენძის **მ**-ები. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი უძველესი ბრინჯაოს **მ.** ძვ.წ. XIII საუკუნით თარიღდება. ფეოდალურ საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა ტიპის **მ.** (კვერცხისებური, ჩაფხუტი, ჩაჩქანი, ჩაბალახი). I და II მსოფლიო ომების პერიოდში ტყვიისა და ჭურვის ნამსხვრევებისაგან თავის დასაცავად ფართოდ იხმარებოდა ფოლადის **მ.** თანამედროვე არმიებში სულ უფრო ხშირად

ვხვდებით შერეული მასალებისაგან დამზადებულ **მ**-ებს.

მუნდირი (ლათინური mundus – ჩაცმულობა), სამხედრო მოსამსახურეების სააღლუმო, საფორმო სამოსის ზედა ნაწილი. XVIII საუკუნემდე იგულისხმებოდა ყველა სახის სამხედრო სამოსი; მისი გაყოფისას გამოიყო სააღლუმო, ყოველდღიური, საველე და სხვა. **მ**-ზე გათვალისწინებულია ყველა განმასხვავებელი ნიშნის, სააღლუმო ქამრის, თეთრი ხელთათმანების ტარება და ა.შ.

მურვან ყრუს შემოსევა საქართველოში 735–736, საქართველო საბოლოო დამორჩილების მიზნით დალაშქრა ამიერკავკასიის გამგებელმა არაბმა სარდალმა მარვან იბნ მუჰამადმა, რომელსაც ქართველებმა სისასტიკისათვის „მურვან ყრუ“ შეარქვეს. ქართული წყაროების ცნობით, მურვანმა ააოხრა აღმოსავლეთ საქართველო, გადავიდა სამცხეში, იქიდან ეგრისში შეიჭრა და მიაღწია ანაკოფიას (იხ. *ანაკოფიის ბრძოლა*). აფხაზეთიდან უკანდახეულმა მურვანმა განვლო გურია, შავშეთ-კლარჯეთი და ჭოროხის ხეობა. მურვან ყრუმ მნიშვნელოვნად განამტკიცა არაბთა ბატონობა საქართველოში და საერთოდ ამიერკავკასიაში. მისი ლაშქრობის შემდეგ არაბების მიერ დაპყრობილ ქართულ მიწებზე ჩამოყალიბდა ცალკე ადმინისტრაციული ერთეული – თბილისის საამირო. თბილისში, რუსთავში, დმანისში და სხვა ციხე-ქალაქებში მუსლიმანთა გარნიზონები ჩადგნენ.

მუსოლინი (Mussolini) ბენიტო (1883–1945), იტალიის ფაშისტი დიქტატორი 1922–43 წლებში. 1919 წელს დააარსა ფაშისტური პარტია, 1922 წელს მოვიდა ხელისუფლების სათავეში, შეზღუდა სამოქალაქო თავისუფლება, გაანადგურა ოპოზიცია და ერთპარტიული სახელმწიფო ჩამოაყალიბა. **მ**-ს მთავრობა ატარებდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას და ნაცისტურ გერმანიასთან ერთად გააჩაღა II მსოფლიო ომი, რომელშიც სრული კრახი განიცადა. 1945 წლის აპრილში **მ**. იტალიელმა პარტიზანებმა შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

მუშკეტერები, მუშკეტებით შეიარაღებული ქვეითი ჯარი XVI–XVII საუკუნეების ევროპაში. საფრანგეთში XVII–XVIII საუკუნეებში გვარდიული კავალერიის ნაწილი. ევროპის ზოგ ქვეყანაში (პრუსია, რუსეთი და სხვა) XVIII–XIX საუკუნეების დასაწყისამდე ქვეითი ჯარის დიდ ნაწილს **მ**-ს უწოდებდნენ.

მუშკეტი (ფრანგული – mousquet), ლულიდან დასატენი მძიმე, მსხვილი კალიბრის იარაღი. გაჩნდა XVI საუკუნის 20-იან წლებში ესპანეთში, შემდეგ – დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში. ყველაზე გავრცელებული **მ**-ების მახასიათებლები იყო: კალიბრი 25 *მმ*-მდე, მასა 8–10 *კგ*, ტყვიის მასა დაახლოებით 50 *გ*, სროლის მანძილი 250 *მ*-მდე. სროლის დროს **მ**-ის საყრდენად გამოიყენებოდა ორკაპი, ხოლო უკუდარტყმის შესარბილებლად მსროლელი მხარზე ტყავის ბალიშს ჩამოიცვამდა. XVII საუკუნეში **მ**-ები უფრო მსუბუქი კაჟიანი იარაღით შეიცვალა.

მუშტრა (გერმანული mustern – დათვალიერება), სამხედრო მოსამსახურეების სწავლების და აღზრდის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია მწყობრში და სხვა პირობებში მოქმედებების ხერხების იძულებით მექანიკურ შესწავლაზე. **მ**. პიროვნებას თრგუნავს, ბოჭავს ინიციატივას და მას ბრმა შემსრულებლად აქცევს. **მ**. ყველაზე ფართოდ გამოიყენებოდა XVIII საუკუნეში პრუსიის არმიაში. თანამედროვე პირობებში პირადი შემადგენლობისთვის სწრაფი და უშეცდომო მოქმედებების დაუფლება სისტემატური ვარჯიშებით ხორციელდება.

მუხლუხი, სახსრებით დაკავშირებული რგოლების ჩაკეტილი სისტემა, რომელიც გამოიყენება მუხლუხა სვლისთვის. განსაკუთრებით გავრცელებულია ლითონის და რეზინა-ლითონის (რეზინის საფენებით) **მ**-ები.

მუხტი (ფეთქებადი ნივთიერებისა), ფეთქებადი ნივთიერებების დენთის, მყარი სარაკეტო-საწვავის ან ბირთვული საწვავის გარკვეული რაოდენობა, რომელიც, როგორც წესი, აღჭურვილია მაინიცირებელი საშუალებებით. არის: სატყორცნი, სკდომადი, ამომგდები, ამფეთქი, სარაკეტო და ბირთვული **მ**-ები.

მყისიერი მოქმედებების ოპერაციები, საგანგებო ძალების მიერ ჩატარებული ხანმოკლე თავდასხმითი ოპერაცია დადგენილი მიზნის ხელში ჩასაგდებად, გასანადგურებლად, ზიანის მისაყენებლად ან პირადი შემადგენლობის ტყვედ ასაყვანად, ან მოსაგერიებლად, მატერიალური ქონების ხელში ჩასაგდებად, ან გასანადგურებლად.

მყისიერი მოქმედების ამოცანა, განსაკუთრებული ოპერაციის დროს სასწრაფოდ ჩატარებული ღონისძიება, რომელშიც შედის აშკარა, ფარული ან ძნელად შესამჩნევი ხასიათის სასწრაფო ოპერაციები, რომელთაც წარმართავენ ძირითადად საგანგებო საოპერაციო ძალები.

მშვიდობა, 1. ურთიერთობა ხალხებს, სახელმწიფოებს, სოციალურ ჯგუფებს შორის, რომელსაც არ ახასიათებს ომი, შეიარაღებული ბრძოლა. იგი ეფუძნება პოლიტიკას შეიარაღებული ძალადობის გარეშე. მტკიცე **მ**. გულისხმობს არა მარტო ომის არარსებობას (ასეთ მდგომარეობას ზოგჯერ „ნეგატიურ მშვიდობას“ უწოდებენ), არამედ სახელმწიფოების, მსოფლიო პოლიტიკის სხვა სუბიექტების ფართოდ გავრცელებულ თანამშრომლობას. მათ შორის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში პარტნიორული

ურთიერთობის დამყარებას. XX საუკუნეში **მ**-ის პრობლემები გამოიყო სოციალური ცოდნის დამოუკიდებელ დარგად – პაქსოლოგიად. ბევრ ქვეყანაში სპეციალიზებული ინსტიტუტები გაერთიანდა **მ**-ის კვლევის საერთაშორისო ასოციაციად. **მ**-ის არსებულ კონცეფციებში, როგორც წესი, განიხილება შემდეგი ძირითადი პრობლემები: **მ**-ის არსი; შესაძლო **მ**-ის სივრცული, გეოპოლიტიკური საზღვრები; მისი სოციალური და სამართლებრივი ბაზა; **მ**-ის უზრუნველყოფის გზები და საშუალებები და სხვა; 2. მეომარი ქვეყნების შეთანხმება ომის შეწყვეტის და **მ**-იანი ურთიერთობის აღდგენის შესახებ (იხ. *საზავო ხელშეკრულება*).

მშვიდობიანი თანაარსებობა, მსოფლიო გაერთიანების ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის პრინციპი, რომელიც გამორიცხავს სამხედრო ძალადობის გამოყენებას. **მ.თ**. გულისხმობს: უარის თქმას ომზე, როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის საშუალებაზე და მათ გადაწყვეტას მოლაპარაკების გზით; სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობას, ურთიერთგაგებას და ნდობას, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებას; ყველა ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განუხრელ დაცვას; სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების კეთილსინდისიერ შესრულებას და სხვა. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საერთაშორისო-სამართლებრივი ხასიათი მიანიჭა **მ.თ**-ის ძირითად პრინციპებს. „ცივი ომის“ პერიოდში, 1970-იან წლებში, **მ.თ**-ის პრინციპი საფუძვლად დაედო ე.წ. განმუხტვის პოლიტიკას საბჭოთა ბლოკის ქვეყნებსა და დასავლეთს შორის.

მშვიდობიანი მოსახლეობა (სამოქალაქო მოსახლეობა), საერთაშორისო სამართალში პირები, რომლებიც არ ეკუთვნიან მეომარი მხარეების შეიარაღებულ ძალებს და საომარ მოქმედებებში უშუალო მონაწილეობას არ იღებენ. **მ.მ**-ის სტატუსს არეგულირებს ჰააგის 1907 წლის კონვენცია სახმელეთო ომის კანონების და წეს-ჩვეულებების შესახებ; ჟენევის 1949 წლის კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ, „შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის ძირითადი პრინციპები“, რომელიც 1970 წელს დაამტკიცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. **მ.მ**-ის მიმართ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევები მიჩნეულია სამხედრო დანაშაულად.

მშვიდობიანობის დროის საორგანიზაციო-საშტატო განრიგი, დოკუმენტი ცხრილის სახით, რომელშიც მითითებულია ნაწილის, ფორმირების ან შტაბის პირად შემადგენლობაზე მშვიდობიანი დროის დამტკიცებული მოთხოვნილება.

მშვიდობის აღდგენა, შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომი მოქმედებები, ძირითადად დიპლომატიური და ეკონომიკური ხასიათის, რომლებიც ხორციელდება შეიარაღებული კონფლიქტის განახლების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო ინსტიტუტების აღდგენის და გაძლიერების ხელშესაწყობად.

მშვიდობის აღდგენის და შენარჩუნების ოპერაციები, აქციები, რომლებიც ძირითადად ხორციელდება გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით მოქმედი რეგიონული უსაფრთხოების სტრუქტურების გადაწყვეტილებით და ხელმძღვანელობით. სპეციალურად ქმნიან სამშვიდობო ძალებს (სამხედროების მეთვალყურეობით მოქმედ მისიებს ან სამხედრო კონტინგენტებს) საომარი კონფლიქტის ზონაში შეიარაღებული ბრძოლის თავიდან აცილების, ლოკალიზაციის, ან შეწყვეტის მიზნით; არის მშვიდობისმყოფლობის ფორმა და ხერხი. მანილის 1995 წლის დეკლარაციის და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ „ყველა დარგში საერთაშორისო მშვიდობის, უსაფრთხოების შენარჩუნების და საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ მიღებული რეზოლუციის თანახმად, **მ.ა.ღ.შ.ო**-ს განეკუთვნება: სამხედრო ძალის დემონსტრაცია; კონფლიქტის რაიონის ბლოკირება საერთაშორისო გაერთიანების მიერ მიღებული სანქციების შესრულების მიზნით; კონფლიქტის მხარეების შეიარაღებული დაჯგუფებების დაშორიშორება; სამოქალაქო მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდების უზრუნველყოფა და კონფლიქტის ზონიდან მისი ევაკუაცია; განიარაღება და კონფლიქტის მონაწილეთათვის ჩამორთმეული იარაღის დაცვა და სხვა. **მ.ა.ღ.შ.ო**. ხორციელდება გაეროს უშიშროების საბჭოს ან გაეროს ეგიდით მოქმედი რეგიონული ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების სპეციალური მანდატის საფუძველზე, მოშუღლე მხარეების თხოვნით, ან თანხმობით.

მშვიდობის აღმშენებლობა, პოსტკონფლიქტური მოქმედებები, მიმართული იმ სტრუქტურების გამოსავლენად და მხარდასაჭერად, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირება, კონფლიქტის განახლების არიდება. ისინი შეიცავენ მექანიზმებს იმ სტრუქტურების გამოსავლენად და მხარდასაჭერად, რომლებსაც შეუძლიათ გაამყარონ მშვიდობა, შექმნან უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის შეუქცევადობის შეგრძნება და მხარი დაუჭირონ ეკონომიკურ აღმშენებლობას. ამ მოქმედებებში გათვალისწინებულია სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურების მონაწილეობა.

მშვიდობის დამყარება, სახელმწიფოების კოლექტიური მოქმედებები, რომლებიც ტარდება კონფლიქტის დასრულების შემდეგ. იგი მიზნად ისახავს იმ სტრუქტურების გამოვლე-

ნას, მხარდაჭერას და მათთვის დახმარების აღმოჩენას, რომელთაც ხელეწიფებათ მშვიდობის შენარჩუნება და გამყარება, კონფლიქტის განახლების თავიდან აცილება, სახელმწიფო ინსტიტუტების და ეკონომიკის აღდგენა, მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი ნდობის გაღვივება.

მშვიდობის დამყარების ჯგუფი, დროებითი მრავალეროვნული ფორმირება, რომელიც იქმნება მშვიდობის დამყარების ოპერაციის ჩატარების პერიოდში. მის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან მშვიდობის დამყარების კოლექტიური ძალები და სამხედრო დამკვირვებლების ჯგუფი.

მშვიდობის ზონა, რეგიონი, სადაც, დაინტერესებულ ქვეყნებს შორის დადებული შეთანხმებების საფუძველზე, ხორციელდება ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია უზრუნველყონ ორმხრივი უსაფრთხოების, სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის და ყოველმხრივი თანამშრომლობის უზრუნველყოფა. **მ.ზ**-ების კონკრეტულ შინაარსს და მისი შექმნის გზებს განსაზღვრავენ საერთაშორისო ხელშეკრულებების მონაწილენი, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების და ნორმების, გაეროს წესდების საფუძველზე, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა, საერთაშორისო მასობრივი მოძრაობა ომის და მილიტარიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, უსაფრთხოების და ხალხთა თანამშრომლობისთვის. აერთიანებს სხვადასხვა პოლიტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური შეხედულებების ადამიანებს. გაფორმდა მშვიდობის მომხრეთა პირველი მსოფლიო კონგრესზე (1949 წლის აპრილი). ხელმძღვანელი ორგანოა მშვიდობის მსოფლიო საბჭო, რომელშიც მსოფლიოს 150-ზე მეტი ქვეყნის 200-მდე ეროვნული ორგანიზაცია შედის.

მშვიდობის მხარდამჭერი ფსიქოლოგიური ღონისძიებები, დაგეგმილი ფსიქოლოგიური ოპერაციები, რომლებიც ტარდება როგორც მშვიდობის მხარდამჭერი ქმედების განუყოფელი ნაწილი. მიმართულია საბრძოლო მოქმედებების ზონაში კონფლიქტის მონაწილეებსა და სამოქალაქო მოსახლეობას შორის მხარდაჭერის, თანამშრომლობის ატმოსფეროს შესაქმნელად, მშვიდობის მხარდაჭერის ძალების დაცვის და ოპერაციის მიზნების მისაღწევად.

მშვიდობის მხარდაჭერა, საერთაშორისო ორგანიზაციების კოლექტიური მოქმედებები შეიარაღებული ძალების, სამხედრო დამკვირვებლების, პოლიციის (მილიციის), სამოქალაქო პერსონალის გამოყენებით. მიმართულია სახელმწიფოთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტისკენ და მშვიდობის აღდგენის პოლიტიკური პროცესების ხელშეწყობისკენ. როგორც წესი, ხორციელდება **მ.მ**-ის ოპერაციების ფორმით.

მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაცია, ნატოს სამხედრო ოპერაცია სამშვიდობო საქმიანობის მხარდასაჭერად. ჩართულია კრიზისებზე რეაგირების ოპერაციების კატეგორიაში. ისევე, როგორც მშვიდობისმყოფელთა საქმიანობა, წარმოადგენს კრიზისების დარეგულირების ერთ-ერთ ასპექტს.

მშვიდობის შენარჩუნება, სახელმწიფოებს შორის ან მათ საზღვრებში საბრძოლო მოქმედებების ინტენსივობის შესუსტება, შეკავება და/ან შეწყვეტა მესამე ნეიტრალური მხარის შუამავლური ჩარევით. ორგანიზებულია და ხორციელდება საერთაშორისო დონეზე სამხედრო-სამოქალაქო პირების მიერ კონფლიქტის დარეგულირების პოლიტიკური პროცესისა და მშვიდობის აღდგენის მხარდაჭერისათვის.

მშვიდობის ძალით დამყარება, სამხედრო ძალის გამოყენება ან მისი გამოყენების მუქარა, რომელიც, ჩვეულებრივ, ნებადართულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მათ უნდა აიძულონ ცალკეული სახელმწიფო, გარკვეული ძალები, დაემორჩილონ საერთაშორისო რეზოლუციებს და სანქციებს, რათა თავიდან აიცილონ შეიარაღებული კონფლიქტი, შეინარჩუნონ ან აღადგინონ მშვიდობა და წესრიგი.

მშვიდობისმყოფლობა, 1. ცალკეული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო მშვიდობის და უსაფრთხოების განმტკიცებას; 2. გაეროს, რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა საერთაშორისო მშვიდობის მხარდასაჭერად ან აღსადგენად, აგრეთვე მათი ძალისხმევა, რომლის მიზანია, აიძულოს ქვეყნის შიგნით მოშუღლე დაჯგუფებები, თავიდან აიცილონ, ან შეწყვიტონ შეიარაღებული დაპირისპირება. შეიძლება განხორციელდეს როგორც მშვიდობიანი (პრევენციული დიპლომატია, კოლექტიური სანქციები და სხვა), ისე სამხედრო (ძირითადი ფორმა – მშვიდობის აღდგენის და შენარჩუნების ოპერაციები) ღონისძიებების გამოყენებით.

მშვილდი, ისრის სატყორცნი ხელის იარაღი. ხმარობდნენ მეზოლითის ეპოქიდან XVII საუკუნემდე (ზოგიერთი ხალხი – XX საუკუნეშიც). ეფექტური სროლის მანძილი – 200 *მ*-მდე. **მ**. არის მარტივი და რთული. რთულ **მ**-ს ხმარობდნენ ძველი აღმოსავლეთის ხალხები (შუმერები, ეგვიპტელები). შუა საუკუნეებში **მ**. კონკურენციას უწევდა ცეცხლსასროლ იარაღს. მშვილდოსნობა სპორტის ერთ-ერთი უძველესი სახეა. როგორც სპორტული იარაღი გამოიყენება XIX საუკუნის ბოლოდან.

„მცირე არმიების“ თეორია, სამხედრო ხელოვნების კონცეფცია, რომელიც ავითარებს

მცირერიცხოვანი, კარგად აღჭურვილი, პროფესიული არმიებით ომში გამარჯვების იდეას. წარმოიშვა I მსოფლიო ომის შემდეგ შეიარაღებული ბრძოლის მძლავრი ტექნიკური საშუალებების განვითარებასთან ერთად. ოფიციალურ სამხედრო-სტრატეგიულ კონცეფციად არ აღიარა მსოფლიოს არც ერთმა ქვეყანამ. II მსოფლიო ომის და შემდგომი ლოკალური ომების გამოცდილებამ უარყო **„მ.ა.“თ**-ის სისწორე და დაადასტურა მასობრივი არმიების შექმნის აუცილებლობა. აჩვენა, რომ ომში გამარჯვების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის და გვარეობის შეთანხმებული ძალისხმევით.

„მცირე ომი“, მცირერიცხოვანი ძალებით მიმდინარე საბრძოლო მოქმედება, რომლის მიზანია, ქანცი გააცალონ მოწინააღმდეგეებს და საკუთარ ჯარებს შეუქმნან ხელსაყრელი პირობები გადამწყვეტი ბრძოლებისთვის. ტერმინი „მცირე ომი“ გაჩნდა XVIII საუკუნეში და მოიცავდა ჯარების დაცვას, მოწინააღმდეგის დაზვერვას, ცხენოსანი არმიის რეიდებს და ცალკეული ნაწილების სხვა მოქმედებებს მთავარი ძალების ინტერესებისთვის კამპანიების და მხარეების გენერალურ ბატალიებს შორის შუალედებში. XIX საუკუნეში **„მ.ო“**-ს მიაკუთვნებდნენ პარტიზანულ ომს დამპყრობლების წინააღმდეგ და სამხედრო-საზღვაო ძალების მცირე მასშტაბის მოქმედებას. XX საუკუნიდან ტერმინი ზოგჯერ იხმარება კოლონიური, შეზღუდული და ლოკალური ომების, მცირე ინტენსივობის კონფლიქტების დახასიათებისათვის.

„მცირე სტრატეგია“, „დიდი ტაქტიკა“, ზოგიერთ ქვეყანაში გავრცელებული სამხედრო ხელოვნების ნაწილის დასახელება, რომელიც ოპერატიულ ხელოვნებას განეკუთვნება.

მცირეკალიბრიანი არტილერია, არტილერია, რომლის შეიარაღებაში არის ქვემეხები 20-დან 75 *მმ*-დე (საზენიტო და სახომალდო არტილერიაში 60 *მმ*-დე, სანაპირო არტილერიაში – 100 *მმ*-დე).

მცირეკალიბრიანი სასროლი იარაღი, 6,5 *მმ*-ზე ნაკლებკალიბრიანი საბრძოლო და სპორტული სასროლი იარაღი. პირველ თანამედროვე საბრძოლო მცირეკალიბრიან სასროლო იარაღად ითვლება ამერიკული ავტომატური 5,56 *მმ* შაშხანა M-16 (1962) და ხელის ტყვიამფრქვევი Mk-23. სპორტული **მ.ს.ი.**, ძირითადად, 5,6 *მმ* ვაზნებისთვისაა განკუთვნილი და ცნობილია XIX საუკუნიდან.

მცურავი ლოგისტიკა, ფლოტის მუდმივი ან დროებითი ფორმირება, რომელიც შედგება სხვადასხვა ხომალდებისგან. ისინი განკუთვნილია ზღვაში, სამანევრო ბაზირების პუნქტებში, მოუწყობელი სანაპიროს რაიონებში და სხვა ვითარებაში, ხომალდების უზრუნველსაყოფად მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით.

მცურავი მანქანები, მანქანები, რომლებსაც შეუძლიათ ხმელეთზე და წინასწარი მომზადების გარეშე წყალზე გადაადგილება. წყალზე გადაადგილებისთვის აქვთ წყალგაუმტარი კორპუსი, სპეციალური წყლის მამოძრავებელი (ხრახნიანი, როტორიან-ხრახნიანი და სხვა). ამ მიზნისთვის გამოიყენება სახმელეთო გადამაადგილებელი (თვლები, მუხლუხები), წყალზე მართვის მექანიზმები და სხვა. სამხედრო **მ.მ**. არის: დანიშნულების მიხედვით – საბრძოლო, სადესანტო-სატრანსპორტო და სპეციალური. წყალზე მოძრაობის შენარჩუნების ხერხით – წყალწყვის (სიჩქარე 10–16 *კმ/სთ*), გლისერის (50–60 *კმ/სთ*), წყალქვეშა ფრთებზე (55–65 *კმ/სთ*), ჰაერის ბალიშზე (75–130 *კმ/სთ*).

მძევლები, მეომარი მხარის მოქალაქეები, რომლებიც ძალადობით მოიტაცა მოწინააღმდეგემ და დატყვევებული ჰყავს, რათა აიძულოს მეომარი მხარე, მიიღოს მისთვის ნაკარნახევი მოთხოვნები, როგორც ამ მოქალაქეების განთავისუფლების პირდაპირი ან არაპირდაპირი პირობა. **მ**-ის აყვანას მშვიდობიანობის დროს ხშირად მიმართავენ სხვადასხვა ექსტრემისტული ორგანიზაციები, ტერორისტები და სხვა დანაშაულებრივი ელემენტები. **მ**-ის აყვანა და მკვლელობა აკრძალულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლით და დანაშაულად არის კვალიფიცირებული.

მძიმე ავიამზიდი კრეისერი, ავიამზიდი ხომალდი, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის წყალზედა ხომალდების, გემების და წყალქვეშა ნავების ძებნისა და განადგურებისთვის, სახმელეთო ობიექტებზე საავიაციო და სარაკეტო დარტყმების განხორციელებისთვის. ასევე მისი დანიშნულებაა საბრძოლო პატრულირება და საოკეანო (საზღვაო) რაიონებში სახომალდო მარშრუტებზე დაჯგუფების და სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო წყალქვეშა ნავების საბრძოლო მდგრადობის უზრუნველყოფა. **მ.ა.კ**-ს შეუძლია საზღვაო დესანტის გადასხმა, ნაპირზე მის მიერ საბრძოლო მოქმედებების წარმოების და სხვა ამოცანების შესრულების ორგანიზება.

მძიმე არტილერია, საველე არტილერია, განკუთვნილი საფრებში მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის დასაზიანებლად. ასევე – დიდ მანძილებზე მტკიცე საფორტიფიკაციო ნაგებობების დასანგრევად. გაჩნდა XX საუკუნის დასაწყისში.

მწკრივი, მწყობრი, რომელშიც სამხედრო მოსამსახურეები განლაგებული არიან ერთ ხაზზე, ერთმანეთის გვერდით ინტერვალზე, რომელიც განსაზღვრულია წესდებით ან მითითებულია მეთაურის მიერ.

მწყობრი (სამხედრო), სამხედრო მოსამსახურეების, ქვედანაყოფების, ნაწილების, ხომალდების, თვითმფრინავების წესდებით განსაზღვრული განლაგება ერთდროული გადაადგილებისა და მოქმედებებისთვის. **მ**-ს აქვს ფლანგი (მარჯვენა და მარცხენა დაბოლოება), ფრონტის მხარე (რომლისკენაც სამხედრო მოსამსახურეები მიმართული არიან სახით, ხოლო მანქანები – შუბლა ნაწილით), ზურგის მხარე (ფრონტის საწინააღმდეგო მხარე), სიგანე (მანძილი ფლანგებს შორის), სიღრმე (მანძილი სამხედრო მოსამსახურებსა და მანქანების პირველი მწკრივიდან ბოლო მწკრივამდე). განასხვავებენ გაშლილ და სალაშქრო მწყობრს.

მწყობრში შეყვანა, სამხედრო-ადმინისტრაციულ საქმიანობაში დასახული ამოცანის შესასრულებლად ბრძანების საფუძველზე დაწესებული სამხედრო ორგანიზაციული ერთეულის მწყობრში შეყვანა.

მჯიდი (სავაზნე), სწრაფი დატენისთვის (სავაზნე კოლოფის აღჭურვისთვის) გამიზნული ზოგიერთი სახეობის სასროლი იარაღისა და მცირეკალიბრიანი ქვემეხის მოწყობილობა. ცნობილია ორი ტიპის **მ**.: 1. ვაზნებთან ერთად თავსდება სავაზნე კოლოფში და ვაზნების გახარჯვამდე იქ რჩება. 2. გამოიყენება მხოლოდ მიმმართველად ვაზნის სავაზნე კოლოფში მიწოდებისას, რის შემდეგაც გვერდზე ვარდება. **მ**-ის მოცულობა, როგორც წესი, იარაღის სავაზნე კოლოფის მოცულობას შეესაბამება.

მჯიდური იარაღი, ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც მრავალვაზნიანი მჯიდის გამოყენებით ხელით მიეწოდება ვაზნა. **მ.ი**-ის მასობრივი წარმოება დაიწყო XIX საუკუნის 80-იან წლებში, უნიტალური ლითონის ვაზნის გამოჩენის შემდგომ. მჯიდების გამოყენებამ იარაღის სროლის სისწრაფე წუთში 7–8 გასროლიდან 10–12 გასროლამდე გაზარდა. მოგვიანებით გამოჩენილი თვითდამტენი და ავტომატური იარაღი, მიუხედავად მჯიდის არსებობისა, იარაღის სახესხვაობას წარმოადგენს.

მხარდამჭერი სარდალი (მეთაური), სარდალი (მეთაური), რომელიც ახორციელებს მეორე სარდლის მხარდაჭერას ძალებითა და სხვა საშუალებებით.

მხარდამჭერი შეტევა, შეტევითი ოპერაცია, რომელიც ხორციელდება ძირითად შეტევასთან ერთად და რომლის დანიშნულებაა ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ან რამდენიმე მიზნის მიღწევა: მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა, მისი ძალების (რომლებიც ხელს უშლიან შეტევის განხორციელებას) განადგურება, ან შებოჭვა, ტერიტორიის გაკონტროლება, რომლის დაკავებაც მოწინააღმდეგის მიერ ჩაშლის მთავარ შეტევას, ან მოწინააღმდეგის იძულება გამოიყენოს რეზერვი დროზე ადრე, ან ისეთ რაიონში რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს.

მხარდამჭერი ძალები და საშუალებები, ქვედანაყოფები, ნაწილები (ხომალდები), შენაერთები, რომლებიც გამოყოფილია ზემდგომი უფროსის მიერ საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად სახმელეთო ჯარების (ფლოტის ძალების) იმ ქვედანაყოფების (ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების) ინტერესებისთვის, რომლებიც ბრძოლაში (ოპერაციაში) ძირითად ამოცანებს წყვეტენ. მიკუთვნებული ძალების და საშუალებებისგან განსხვავებით, **მ.ძ.დ.ს**. რჩებიან თავიანთი უშუალო უფროსების დაქვემდებარებაში.

მხარდასაჭერი სარდალი (მეთაური), სარდალი (მეთაური), რომელიც ახორციელებს ნატოს ზემდგომი სამხედრო ინსტანციის მიერ მისთვის დაკისრებული ამოცანის შესასრულებლად პასუხისმგებლობის ყველა ასპექტს და იღებს ერთი ან მეტი მხარდამჭერი სარდლის (მეთაურის) დახმარებას.

მხარდაჭერა, სამხედრო ფორმირების ან მისი ნაწილის მოქმედება სხვა ფორმირებების დასახმარებლად, მისი დაფარვის, პირადი შემადგენლობის შევსების ან ხანგრძლივი პერიოდით მოქმედებების უზრუნველსაყოფად.

მხარდაჭერა და ურთიერთქმედება, საბრძოლო მოქმედებები, რომლის დროსაც განსაზღვრული ნაწილი მოქმედებს გარკვეული შენაერთის ან ჯგუფისგან დამოუკიდებლად, მაგრამ მისი ამოცანაა, წარადგინოს ინფორმაცია მხარდამჭერი შენაერთისთვის მოწინააღმდეგესთან შეხების შესახებ, მისგან მიიღოს სადაზვერვო ინფორმაცია და შესაბამისი ბრძანებების მიღებისას განახორციელოს მასთან ურთიერთქმედება. ამასთან ნაწილი რჩება სამეთაურო ინსტანციის ტაქტიკურ დაქვემდებარებაში მეთაურის მოთხოვნების შესაბამისად.

მხარდაჭერის გეგმა, გეგმა, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული საგანგებო გარემოებაში მოქმედებების ან ოპერაციის გეგმასთან. ის მოიცავს ფართო, ყოვლისმომცველი ან კონკრეტული მიმართულებების მოქმედებებით განხორციელებას, აგრეთვე საერთო, ან კერძო ამოცანებს. ამ გეგმაში დაწვრილებით განიხილება საკითხები, რომლებიც ვერ იქნა შეტანილი საწყის (ძირითად) გეგმაში.

მხარდაჭერის ეროვნული ქვედანაყოფი, ქვედანაყოფი, რომელიც ეროვნული მართვის და ეროვნულ-ოპერატიულ დაქვემდებარებაში იმყოფება. იგი ასრულებს ამოცანებს ეროვნულ დონეზე და ურთიერთქმედებს გადაზიდვების კოორდინაციის ეროვნულ ცენტრთან ან სამხედრო მოქმედებების თეატრში გადაზიდვების კოორდინაციის ცენტრთან.

მხარდაჭერის ძალები, 1. შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობებისა და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფები,

ნაწილები და შენაერთები, რომლებიც ზემდგომი უფროსის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან და განკუთვნილი არიან საერთო-საჯარისო ქვედანაყოფების ნაწილების, შენაერთების გასაძლიერებლად. მართვის ცენტრალიზაციის ხარისხის კვალობაზე **მ.ძ**. ახორციელებენ ზოგად ან უშუალო მხარდაჭერას. 2. II ეშელონის საერთო-საჯარისო ნაწილები, რომლებიც შეტევაში ასრულებენ I ეშელონის ნაწილების ძალვის ზრდის ამოცანებს. ისინი ანადგურებენ გარშემორტყმულ საყრდენ პუნქტებს, უზრუნველყოფენ ფლანგებს და ხელს უწყობენ შეტევის ტემპის გაძლიერებას.

მხედართმთავარი, სამხედრო მოღვაწე, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს ან მსხვილ სამხედრო ფორმირებებს ომის დროს და მიაღწია მაღალ შედეგებს საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და წარმოების ხელოვნებაში. ხელმძღვანელი პირი, რომელსაც სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში უკავია მაღალი სამეთაურო ან საშტაბო თანამდებობა.

მხედრული აღზრდა, შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეებისთვის მაღალი მორალური, ფსიქოლოგიური და საბრძოლო თვისებების სისტემატური და მიზანმიმართული ჩამოყალიბება. **მ.ა.** აუცილებელია წარმატებული სამხედრო-საბრძოლო საქმიანობისთვის. ემყარება სახელმწიფოს კონსტიტუციის მოთხოვნებს, ქვეყნის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფას, მხედრულ ტრადიციებს. დედაარსი არის საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული, ზნეობრივი, ფიზიკური და სხვა. აღზრდა, რომელიც ხორციელდება სამხედრო სამსახურის სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

მხედრული ვალი, სამხედრო მოსამსახურეების მორალურ-სამართლებრივი ვალდებულება ხალხის და სახელმწიფოს წინაშე იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც შეიარაღებულ ძალებზეა დაკისრებული. **მ.ვ**-ის ფორმირების ობიექტურ საფუძვლად გვევლინება სახელმწიფოს და საზოგადოების მოთხოვნები შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისადმი, მისი მორალურ-საბრძოლო თვისებებისადმი, მხედრული მოვალეობის შესრულებისადმი. სამხედრო მოსამსახურის უნარი დამოკიდებულია მის პოლიტიკურ და მოქალაქეობრივ სიმწიფეზე, სამხედრო-პროფესიულ მომზადებაზე, ფსიქოლოგიურ წრთობაზე, სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის, სამხედრო სამსახურის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებაზე. სამხედრო მოსამსახურის ქცევის ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმა, მისი ძირითადი მოთხოვნები გამყარებულია ქვეყნის კონსტიტუციაში, სამხედრო ფიცში, სამხედრო წესდებებში.

მხედრული მისალმება, ურთიერთპატივისცემის და სამხედრო პატივის მიგება, ერთ-ერთი მხედრული რიტუალი. ყველა სამხედრო მოსამსახურე უნდა ესალმებოდეს ერთმანეთს, ამასთან ხელქვეითები და უმცროსები – პირველნი. სამხედრო მოსამსახურეების, სამხედრო ნაწილების და ქვეყნების მიერ **მ.მ**-ის წესები და თანამიმდევრობა განსაზღვრულია წესდებებით.

მხედრული სიმამაცე, სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე სამხედრო კოლექტივების მიერ მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური და საბრძოლო თვისებების გამოვლენა მხედრული ვალის შესრულებისას. ემყარება პატრიოტიზმს, სამხედრო ფიცის ერთგულებას, მაღალ პროფესიულ მომზადებას. ყალიბდება სამხედრო აღზრდის და სწავლების პროცესში, თავისი შინაარსით გამოხატავს ომების და შეიარაღებული ბრძოლის ისტორიულ, პოლიტიკურ, სოციალურ პირობებს, ხასიათს. **მ.ს**-ს დიდად აფასებენ საზოგადოება და სახელმწიფო. იგი აღინიშნება სამხედრო ჯილდოებით, წარჩინების სხვა ნიშნებით.

მხედრული პატივის მიგება, შეიარაღებულ ძალებში დადგენილი პატივისცემის, პატივის მიგების გამოვლენის ფორმა; მხედრული რიტუალების შემადგენელი ნაწილი. **მ.პ.მ**-ის დროს, ჩვეულებრივ, მწკრივდება საპატიო ყარაული (ესკორტი), სრულდება სახელმწიფო ჰიმნი, იმართება სალუტი და სხვა.

ნ

ნაგანი, რევოლვერის სახელწოდება, რომელიც ბელგიელმა მეიარაღემ ლ. ნაგანმა (nagant) შექმნა XIX საუკუნის ბოლოს. 1895 წლის **ნ**-ის ნიმუშის კალიბრია 7.62 *მმ,* სროლის სიშორე – 100 *მ*-მდე, დოლის ტევადობა – 7 ტყვია, ტყვიის საწყისი სიჩქარე 280*მ/წმ.*

ნადიბაიძე ვარდიკო მიხეილის ძე (დ. 1939), გენერალ-ლეიტენანტი (1993), საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1994–98). დაამთავრა რიაზანის სამხედრო-საავტომობილო სასწავლებელი (1961), ლენინგრადის ზურგისა და ტრანსპორტის აკადემიის საავტომობილო ფაკულტეტი (1972). ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის მოადგილე შეიარაღების დარგში (1992–94). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ნადირ-შაჰ ა ვ შ ა რ ი (1688–1747), ირანის შაჰი 1736–47 წლებში. ტახტს დაეუფლა მას შემდეგ, რაც ირანიდან გააძევა ავღანელთა და ოსმალთა ჯარები. 1737–38 წლებში **ნ.-შ**-მა დალაშქრა ინდოეთი, გაძარცვა ქ. დელი. დაპყრობითი ომების შედეგად შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო, რომელშიც ირანის გარდა შევიდა ავღანეთი, ბუხარა, ხივა, აღმოსავლეთ ამიერკავკასია და სხვა ტერიტორიები. 1735 წელს მძიმედ დახარკა ქართლი. 1742 წელს დაღესტანში შეიჭრა დიდი ჯარით, მაგრამ დამარცხდა. **ნ.-შ.** მოკლეს შეთქმულებმა ხორასანში.

ნავსაწინააღმდეგო ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაციის გვარეობა. განკუთვნილია მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების ძებნის, აღმოჩენის, თვალთვალისა და განადგურებისათვის საომარი მოქმედებების საზღვაო (საოკეანო) თეატრზე; ნავსაწინააღმდეგო ძალების ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებში **ნ.ა.** ორგანიზაციულად გაერთიანებულია ცალკეულ პოლკებად და ესკადრილიებად, სხვა სახელმწიფოებში – ესკადრილიებად, ავიაჯგუფებად, ესკადრებად, ფლოტილიებად. შეიარაღებაში აქვთ სანაპირო და სახომალდო ბაზირების ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავები და ვერტმფრენები, ჰიდროთვითმფრინავები და თვითმფრინავ-ამფიბიები, რომლებიც აღჭურვილია წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის საშუალებებით. პირველად თვითმფრინავები წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა პირველ მსოფლიო ომში. **ნ.ა**. ფართოდ გამოიყენებოდა II მსოფლიო ომშიც. ყველა დიდ სახელმწიფოში, როგორცსაზღვაო ავიაციის გვარეობა გამოეყო XX საუკუნის 60-იან წლებში.

ნავსაწინააღმდეგო ბრძოლა (ომი), ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ნატოს სხვა ქვეყნებში მიღებული ტერმინი. მოიცავს იმ ღონისძიებების კომპლექსს, რომლებსაც ასრულებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობა. მათი მიზანია, აღმოაჩინონ და გაანადგურონ მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავები, აგრეთვე მათი საბრძოლო საქმიანობის უზრუნველმყოფი ძალები და საშუალებები. ეწყობა საომარი მოქმედების ყველა საზღვაო, საოკეანო თეატრზე და ეყრდნობა მუდმივი ნავსაწინააღმდეგო თვალთვალის სისტემას. სამხედრო-საზღვაო ძალებში განიხილება, როგორც ზღვაზე გაბატონების ამოცანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. **ნ.ბ**-ის მიზანია საპასუხო სარაკეტო-ბირთვული დარტყმის თავიდან აცილება მნიშვნელოვან სახმელეთო ობიექტებზე საოკეანო და საზღვაო მიმართულებებიდან. ასევე ხელშემწყობი პირობების შექმნისთვის წყალზედა საბრძოლო ხომალდების შენაერთებისთვის მეწინავე რაიონებში მოქმედების დროს, საზღვაო და საოკეანო კომუნიკაციების უზრუნველყოფა (დაცვა).

ნავსაწინააღმდეგო დაცვა, ზღვით გადასვლის დროს შენაერთის ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის შემადგენელი ნაწილი. არის შორეული და ახლო საჰაერო **ნ.დ.** მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების დროული აღმოჩენა და დარტყმების მიყენება. ხორციელდება ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავებით და ვერტმრენებით, შენაერთის ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის სხვა ძალებთან ურთიერთქმედებით.

ნავსაწინააღმდეგო ზღუდე, 1. ეშელონირებული ნავსაწინააღმდეგო პოზიციების სისტემა. აღჭურვილია სტაციონარული ჰიდროაკუსტიკური კომპლექსებით, ნაღმური და ბადეების ღობურებით; 2. ნავსაწინააღმდეგო ძალების მოქმედებების ზოლები (რაიონები). შეიძლება იყოს ფარდა წყალქვეშა ნავისათვის, რომლის წინ და უკან მოქმედებენ სახომალდო, საავიაციო ნავსაწინააღმდეგო ჯგუფები; იქმნება ოკეანის (ზღვის) ღია რაიონებში და არის მოძრავი (გადაადგილდება საჭიროებისას სათანადო მიმართულებით). **ნ.ზ**-ის მიზანია, არ დაუშვას მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავი დასაცავ რაიონებში (საბრძოლო მოქმედებების რაიონებში).

ნავსაწინააღმდეგო ზღუდის ფორსირება, წყალქვეშა ნავის გარღვევა მოწინააღმდეგის

სხვადასხვა ნავსაწინააღმდეგო ძალებისა და საშუალებების მოქმედების ზონაში, რომლებიც ნაღმსაწინააღმდეგო ზღუდეს ქმნიან. ეწყობა წყალქვეშა ნავების საბრძოლო დანიშნულების რაიონებში სვლისას ან ბაზირების პუნქტებში დაბრუნებისას, როდესაც არ არსებობს ნავსაწინააღმდეგო ზღუდის შემოვლის შესაძლებლობა. ნაღმსაწინააღმდეგო ზღუდის წარმატებულ ფორსირებას აღწევენ წყალქვეშა ნავების ფარული მოძრაობით, დარტყმების მიყენებით მოწინააღმდეგის ნავსაწინააღმდეგო ძალებსა და სტაციონარულ ჰიდროაკუსტიკურ საშუალებებზე, შენიღბვისა და დემონსტრაციული მოქმედებების მოწყობით.

ნავსაწინააღმდეგო თავდაცვა (ხომალდის, ხომალდების შენაერთის, ბადრაგის), იმ ღონისძიებებისა და მოქმედებების კომპლექსი, რომელთა მიზანია, არ დაუშვან მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების სარაკეტო და სატორპედო იარაღის დარტყმები შენაერთის (ბადრაგის) ხომალდებზე (გემებზე) ზღვით გადასვლისას ან დგომის პუნქტებში. ეწყობა და ხორციელდება შორეულ, ახლო ზონებში და შენაერთის (ბადრაგის) თავდაცვის ზონაში. **ნ.თ.**-ის ამოცანაა: მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების ძებნა და აღმოჩენა; შენაერთებისათვის (ბადრაგისათვის) წყალქვეშა ნავების აღმოჩენის შეტყობინება; აღმოჩენილი წყალქვეშა ნავების განადგურება, მათი არდაშვება იარაღის გამოყენების სიშორეზე; წყალქვეშა ნავის მიერ გამოშვებული რაკეტებისა და ტორპედოების განადგურება; მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავის დარტყმების შედეგების ლიკვიდაცია. ხომალდის **ნ.თ.** მოიცავს ღონისძიებებს მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავთან შეხვედრის ალბათობის შესამცირებლად, ხომალდის შენიღბვას, წყალქვეშა ნავის დროულ აღმოჩენას, განადგურებას, მის მიერ იარაღის გამოყენების აღკვეთას, დაბრკოლებების შექმნას მათი თვალთვალის, მართვის საშუალებებისა და იარაღის თვითგამიზვნის სისტემებისათვის.

ნავსაწინააღმდეგო პოზიცია, აკვატორიის მონაკვეთი სტაციონარულად დაყენებული ნაღმური და ბადიანი ღობურებით, რომლებიც სრუტეს (შევიწროებულ ადგილებს) კეტავენ. ღობურების წინ და უკან პატრულირებენ ნავსაწინააღმდეგო ხომალდები, წყალქვეშა ნავები და თვითმფრინავები (ვერტმფრენები). მათი მიზანია დასაცავ რაიონში (ზონაში) არ დაუშვან წყალქვეშა ნავების შეღწევა.

ნავსაწინააღმდეგო საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ნავსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, სარაკეტო კომპლექსის სახეობა, რომელიც მნიშვნელოვან მანძილზე აზიანებს წყალქვეშა ნავებს. არის წყალზედა ხომალდების (უმთავრესად დიდი ნავსაწინააღმდეგო და სადარაჯო) და წყალქვეშა ნავების, აგრეთვე ნავსაწინააღმდეგო საფრენი აპარატების შეიარაღებაში. ტორპედოსთან შედარებით რაკეტის უფრო სწრაფი გადაადგილება ჰაერში მიზნების რაიონში **ნ.ს.კ**-ს აქცევს წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის საკმაოდ ეფექტურ საშუალებად. **ნ.ს.კ**-ის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, შედის მართვადი რაკეტები (რაკეტა-ტორპედოები), გამშვები დანადგარები (სატრანსპორტო-გამშვები კონტეინერი, სატორპედო აპარატი), ავტომატიკის გამშვები აპარატურა, სროლის მართვის სისტემა და სხვა. მონაცემები რაკეტების გაშვებისა და გამიზვნისათვის მოდის ხომალდის ან საფრენი აპარატის ჰიდროაკუსტიკური საშუალებებიდან. მიზნების რაიონის მიღწევისას რაკეტის საბრძოლო ნაწილი (ტორპედო ან სიღრმული ბომბი) გამოიყოფა და პარაშუტით ეშვება წყალზე. გარკვეულ სიღრმეზე ჩასვლის შემდეგ ტორპედო იწყებს მიზნების ძებნას, ხოლო ბომბი ფეთქდება.

ნავსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ხომალდების შენაერთების (ჯგუფების, რაზმების) საბრძოლო მდგრადობის ამაღლებას. იგი ხორციელდება შენაერთების გაშლის, საბრძოლო მოქმედებების წარმოების, ზღვით გადასვლის, ბაზებში დგომის დროს, მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების შეტევის პერიოდში. **ნ.უ.** მოიცავს წყალქვეშა ნავების თვალთვალს, ძებნას და განადგურებას, ბაზირების პუნქტებთან მისასვლელებზე ნავსაწინააღმდეგო ღობურების დაყენებას.

ნავსაწინააღმდეგო ღობურა, წყალქვეშა ღობურები საზღვაო ნაღმებისა (ზონური, ღუზიანი) და ნავსაწინააღმდეგო ბადეებისაგან (სასიგნალო, ასაფეთქებელი), რომლებიც დაყენებულია მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების მოქმედების გაძნელების ან განადგურების მიზნით სრუტეებში (ვიწრობებში) გავლის, თავიანთი ბაზებიდან გამოსვლის, დასაცავ ბაზებში (პორტებში) შეღწევის დროს. ნავსაწინააღმდეგო პოზიციის (ზღუდის) შემადგენელი ნაწილი ან დამოუკიდებელი ღობურა.

ნავსაწინააღმდეგო ძალები, სამხედრო-საზღვაო ძალების ან მისი ერთ-ერთი ფლოტის წყალქვეშა ნავების, წყალზედა ხომალდებისა და საფრენი აპარატების ზოგადი სახელწოდება. განკუთვნილია მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის. **ნ.ძ**-ს უწოდებენ აგრეთვე ფლოტის სხვადასხვა გვარეობის ძალების ფორმირებებსაც, რომლებიც გამოიყოფა საზღვაო ოპერაციების დროს საბრძოლო მოქმედებებისათვის მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ. **ნ.ძ.** მოქმედებენ განსაზღვრულ რაიონებში (ზოლებზე), ნავსაწინააღმდეგო ზღუდეებზე და ზღვით გადასვლისას ხომალდების (გემების) ნავსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის დროს. XX საუ-

კუნის 80-იანი წლების დამდეგს უდიდესი სახელმწიფოების სამხედრო ფლოტებში შეიქმნა **ნ.ძ.**, რომლებშიც შედიან მრავალმიზნობრივი ატომური წყალქვეშა ნავები, სპეციალურად ნაგები ნავსაწინააღმდეგო წყალზედა ხომალდები, სანაპირო და სახომალდო ბაზირების ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავები და ვერტმფრენი.

ნავსაწინააღმდეგო ძალების დაჯგუფებათა განადგურების საზღვაო ოპერაცია, იხ. *საზღვაო ოპერაცია.*

ნავსაწინააღმდეგო ხომალდი, საბრძოლო ხომალდი, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების აღმოჩენა და განადგურება, საკუთარი წყალქვეშა ნავების გაშლის და დაბრუნების უზრუნველყოფა, ხომალდების, ბადრაგის, დესანტის ნავსაწინააღმდეგო დაცვა, ბაზირების რაიონების დაცვა და სხვა. წყალწყვის, შეიარაღებისა და დანიშნულების მიხედვით არსებობს ნავსაწინააღმდეგო კრეისერები, დიდი და პატარა **ნ.ხ.**, დაცვის ხომალდები. ნავსაწინააღმდეგო კრეისერები და დიდი **ნ.ხ**. მოქმედებენ ზღვების და ოკეანეების დაშორებულ რაიონებში შენაერთების შემადგენლობაში, დაცვის ხომალდები – ნაპირისპირა ზღვებში, პატარა **ნ.ხ**. – ნაპირისპირა ზღვებში, საკუთარი ბაზების მახლობლად. **ნ.ხ**-ს შეიარაღებაში აქვთ ნავსაწინააღმდეგო რაკეტები, ტორპედოები, რეაქტიული ბომბმტყორცნები, სიღრმისეული ბომბები, ნავსაწინააღმდეგო ვერტმფრენები, თავდაცვის საშუალებები.

ნაირგვაროვანი ძალები (ფლოტის), სამხედრო-საზღვაო ძალების სხვადასხვა გვარეობების შენაერთები და ნაწილები, რომლებიც გაერთიანებული არიან საშტატო (დროებით) ფორმირებად გარკვეული საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. **ნ.ძ**. ასრულებენ დასახულ ამოცანებს საომარი მოქმედების საზღვაო თეატრის (საომარი მოქმედების საოკეანო თეატრის) დანიშნულ სანაპირო – საოპერაციო ზონაში, ფლოტის ძალების ბაზირებისა და გაშლის, საბრძოლო პატრულირების რაიონებში მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავების საბრძოლო მდგრადობის უზრუნველსაყოფად, მოწინააღმდეგის ნავსაწინააღმდეგო ძალებთან და სხვა სახომალდო ძალებთან საბრძოლველად. მათი მიზანია, მოიპოვონ ბატონობა ზღვაზე და დაარღვიონ კომუნიკაციები, უზრუნველყონ საზღვაო გადაზიდვა-გადაყვანა, საზღვაო დესანტის გადასხმა, ხელშემწყობი ოპერატიული რეჟიმის შენარჩუნება და სხვა. ამოცანების შესასრულებლად, როგორც წესი, ისინი შედიან ოპერატიულ და ოპერატიულ-ტაქტიკურ (ფლოტილიები და ესკადრები) გაერთიანებებში.

ნაკრები ფორმირება, არასაშტატო ფორმირება, რომელიც იქმნება დიდი დანაკარგების მქონე ქვედანაყოფებისგან საბრძოლო მოქმედების გაგრძელების მიზნით. **ნ.ფ**-ის შექმნა ჯარების (ძალების) ბრძოლისუნარიანობის აღდგენის ერთ-ერთი ღონისძიებაა.

ნამდვილი სამხედრო სამსახური, სამსახური უშუალოდ შეიარაღებული ძალების რიგებში, განსხვავებით რეზერვში ყოფნისგან.

ნამიბია (Namibia – ნამიბიის რესპუბლიკა), სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 825,4 ათ. *კმ*². მოსახლეობა 2,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური და აფრიკაანსი. დედაქალაქი – ქ. უინდჰუკი. ადმინისტრაციულად იყოფა 13 რაიონად. შედის ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოაცხადდა 1990 წლის 21 მარტს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სამთომოპოვებითი მრეწველობა (ალმასი, ოქრო, ვერცხლი, ურანი, ცინკი, ტყვია და სხვა) და სოფლის მეურნეობა (ძირითადად მეცხვარეობა). მსხვილი საზღვაო პორტებია: უოლფიშ-ბეი, ლიუდერიცი. საერთაშორისო აეროპორტია უინდჰუკი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 9,2 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 9 ათ., რომელშიც შედის სამხედრო ავიაცია და სამხედრო-საზღვაო 0,2 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ნამსახურობა, სამხედრო სამსახურში მოქალაქის ყოფნის ხანგრძლივობა. წარმოადგენს აუცილებელ პირობას და საფუძველს სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეების, მოქალაქეების და მათი ოჯახის წევრებისთვის კანონით დაწესებული დამატებითი უფლებების და შეღავათების მისაკუთვნებლად.

ნაოსნობის მანძილი, მანძილი, რომელიც ხომალდს (გემს) შეუძლია მოცემული სიჩქარით გაიაროს საწვავის სრული მარაგის დახარჯვით ან ხომალდის ავტონომიურობის ვადის ამოწურვამდე; ხომალდის ერთ-ერთი მთავარი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებელი. **ნ.მ**. განსაზღვრული წყალწყვის დროს ხომალდის (გემის) სხვადასხვა სიჩქარეებზე გაითვლება. **ნ.მ**. მოწმდება ხომალდის (გემის) აგების, რემონტის ან მოდერნიზაციის შემდგომ მისი სვლით გამოცდის დროს საწვავის ხარჯვის მონაცემების საფუძველზე. ხომალდებისთვის (გემებისთვის) ბირთვული დანადგარებით **ნ.მ**. განისაზღვრება მთავარი, დამხმარე მექანიზმების და სისტემების უწყვეტი მუშაობის მაქსიმალურად დასაშვები დროით.

ნაოსნობის სამხედრო მართვის ინსტანცია, სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი, რომელიც, თანახმად ნატოს ქვეყნების სავაჭრო ფლოტის მართვის განხორციელების პირობებ-

ისა, პასუხს აგებს მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში სავაჭრო ნაოსნობის მართვაზე.

ნაოსნობის უსაფრთხოება, პირობები, რომლის დროსაც ხომალდს (გემს), ეკიპაჟს, შეიარაღებას და მატერიალურ საშუალებებს ნაოსნობის დროს საფრთხე არ ემუქრება.

ნაოსნობის ცხრილები, საზღვაო-სანავიგაციო სახელმძღვანელოები, რომლებიც შეიცავენ სანავიგაციო, მათემატიკურ და სხვა საცნობარო მონაცემებს. ისინი აუცილებელია ხომალდის ადგილსამყოფელის და სხვა ნავიგაციური გათვლების საწარმოებლად.

ნაპალმი, ლაბისებრი ცეცხლგამჩენი ნივთიერება, რომელიც შედგება თხევადი ნახშირწყალბადისგან, საწვავისგან (ბენზინი, ნავთი, ბენზოლი) და გამასქელებლისგან (ორგანული მჟავის ალუმინის მარილი, სინთეტიკური კაუჩუკი, პოლისტიროლი და სხვა). კარგად ეკვრება ქსოვილების ზედაპირს, სამოსელს, ძნელი მოსაცილებელია. 200–300 *გ*. მასის ნაპალმი იწვის 5–10 *წუთს* და 1200^0*C* ტემპერატურას წარმოქმნის. გამოიყენება ცეცხლსატყორცნი, საავიაციო ცეცხლგამჩენი ბომბების და ავზების, საცეცხლე ფუგასების და სხვათა აღჭურვისთვის.

ნაპოლეონ I, ნაპოლეონ ბონაპარტი (Napoléon Bonaparte) (1769–1821), მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე, საფრანგეთის იმპერატორი (1804 წლის 14 მარტი და 1815 წლის ივნისი). დაიბადა კუნძულ კორსიკაზე. არმიაში სამსახური დაიწყო 1785 წელს არტილერიის უმცროსი ლეიტენანტის წოდებით; საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში ბრიგადის გენერლის წოდებას მიაღწია (1793). 1796 წლიდან არმიას სარდლობდა. 1799 წლის ნოემბერში მოახდინა სამხედრო გადატრიალება, რომლის შედეგად პირველი კონსული გახდა და მალე მთელი ძალაუფლება იგდო ხელთ. 1804 წელს იმპერატორად ეკურთხა. წარმატებული ომებით მნიშვნელოვნად გააფართოვა იმპერიის ტერიტორია და თავისი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია დასასვლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების უმრავლესობა. 1812 წელს, რუსეთში წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ (იხ. *ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში*), იწყება მისი იმპერიის ნგრევა. 1814 წელს ანტიფრანგული კოალიციის ჯარების პარიზში შესვლამ **ნ. I** აიძულა გადამდგარიყო. იგი გადაასახლეს კუნძულ ელბაზე. 1815 წლის მარტში ხელახლა დაიკავა საფრანგეთის ტახტი, მაგრამ ვატერლოოსთან დამარცხების შემდეგ (იხ. *ვატერლოო*) ხელმეორედ გადადგა (1815 წლის 22 ივნისს). სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა ინგლისელთა ტყვეობაში წმინდა ელენეს კუნძულზე. სამხედრო ისტორიოგრაფია **ნ. I**-ს, როგორც მხედართმთავარს, მაღალ შეფასებას აძლევს. სამხედრო საქმის განვითარებისათვის მან ოსტატურად გამოიყენა საფრანგეთის რევოლუციის მიერ შექმნილი ობიექტური პირობები. მისმა მხედართმთავრულმა ხელოვნებამ დიდი გავლენა მოახდინა XIX საუკუნის სამხედრო საქმის განვითარებაზე.

ნაპოლეონის ლაშქრობა რუსეთში 1812, ნაპოლეონის რუსეთზე გალაშქრების მიზეზი იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა *კონტინენტური ბლოკადის* დაცვასთან დაკავშირებით. 1812 წლის 24 ივნისს ნაპოლეონის „დიდი არმიის“ (600 ათ. კაცი, 1372 ზარბაზანი) მოწინავე რაზმებმა სასაზღვრო მდინარე ნემანი გადალახეს და რუსეთის ტერიტორიაზე შეიჭრნენ. 1812 წლის 7 სექტემბერს *ბოროდინოსთან* ბრძოლაში რუსეთის არმიამ მ. კუტუზოვის სარდლობით თავი დააღწია განადგურებას და უკან დაიხია. 1812 წლის 14 სექტემბერს ფრანგებმა მოსკოვი დაიკავეს. ნაპოლეონის იმედი, რომ მოსკოვის დაცემით ომი დასრულდებოდა, არ გამართლდა. რუსეთის უკიდეგანო სივრცეებზე გაფანტული მისი არმიის ნაწილების გამოკვება მოახლოებული ზამთრის პირობებში შეუძლებელი იყო. ამიტომ ნაპოლეონს მოუხდა მოსკოვის დატოვება 1812 წლის 19 ოქტომბერს. ფრანგებს უკუსვლა უხდებოდათ ომით გაჩანაგებულ ტერიტორიაზე, დაწყებული ყინვების პირობებში. ამ ფონზე და რუსი პარტიზანების განუწყვეტელი თავდასხმების გამო ფრანგული არმია დიდ ზარალს განიცდიდა. ნაპოლეონმა ნემანს მიაღწია მხოლოდ 30 ათ. კაცით, რომელთა შორის ბევრი ავადმყოფი და დაჭრილი იყო, 1812 წლის დეკემბერში საფრანგეთის ჯარებმა რუსეთის ტერიტორია დატოვეს.

ნაპოლეონის ომები, საფრანგეთის ომები ნაპოლეონ ბონაპარტის კონსულობისა (1799–1804) და *ნაპოლეონ I*-ის იმპერიის (1804–14 და 1815) პერიოდში ევროპული სახელმწიფოების კოალიციებისა და ცალკეული ქვეყნების წინააღმდეგ. **ნ.ო**-ის მთავარი მიზანი იყო საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური ჰეგემონობის დამკვიდრება ევროპაში, ტერიტორიული დაპყრობები და მსოფლიო იმპერიის შექმნა, რომლის ცენტრი საფრანგეთი იქნებოდა. თავდაპირველად **ნ.ო**. მიმართული იყო ყველა ანტიფრანგული კოალიციის ორგანიზატორის – დიდი ბრიტანეთის და კონტინენტზე მისი მოკავშირეების წინააღმდეგ. 1799 წელს ნაპოლეონმა ავსტრიის ჯარები გააძევა იტალიიდან, შემდეგ გაიმარჯვა რუსეთ-ავსტრია-საფრანგეთისა (1805) და რუსეთ-პრუსია-საფრანგეთის (1806–07) ომებში. 1806–14 წლებში ნაპოლეონმა სავაჭრო ბლოკადა მიაწყო ინგლისის წინააღმდეგ („კონტინენტური ბლოკადა“). 1808 წელს საფრანგეთის ჯარები ესპანეთში შეიჭრნენ, მაგრამ მოსახლეობის მხრიდან პარტიზანულ ომს წააწყდნენ, რამაც ხანგრძლივი

დროით (1814-ამდე) შებოჭა ფრანგული არმიის მნიშვნელოვანი კონტინგენტი. 1809 წელს, ავსტრია-საფრანგეთის ომში გამარჯვების შემდეგ, საფრანგეთის არმიის კონტროლის ქვეშ თითქმის მთელი ევროპა აღმოჩნდა. 1812 წელს ნაპოლეონი რუსეთში შეიჭრა და მოსკოვს მიაღწია, მაგრამ მალე იძულებული გახდა მძიმე პირობებში დაეწყო უკანდახევა. ამ წარუმატებელმა ლაშქრობამ და 1813 წელს ლაიფციგთან დამარცხებამ (იხ. *ლაიფციგის ბრძოლა*) დააჩქარეს ნაპოლეონის დამხობა და ევროპის გათავისუფლება ფრანგთა ბატონობისაგან. **ნ.ო**. დამთავრდა 1815 წლის *ვატერლოოს* ბრძოლით. **ნ.ო**-ის დროს შეიქმნა მასობრივი არმიები (ასეულობით ათასი ჯარისკაცი), რამაც გამოიწვია არა მარტო ომის ფორმების, არამედ ბრძოლის წარმოების ხერხების შეცვლაც. ხაზოვანი ტაქტიკა შეიცვალა კოლონებისა და გაფანტული წყობის ტაქტიკით, რომლის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ სახაზო ქვეითობა ბრძოლისათვის ეწყობოდა ბატალიონების კოლონათა ორ ხაზად, რომლებსაც გაფანტული წყობით წინ მიუძღოდა მსუბუქი ქვეითობა, ფლანგებზე იმყოფებოდა კავალერია, უკან კი – სარეზერვო კოლონები.

ნარიყალა, იხ. *თბილისის ციხე.*

ნარჩენი რისკი, რისკის დონე, რომელიც მაინც რჩება მას შემდეგ, რაც დადგენილია ქვედანაყოფის ბრძოლისუნარიანობის დაქვეითების გამომწვევი საფრთხე და განხორციელებულია მისი აღკვეთის ღონისძიებები.

ნატო, იხ. *ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია.*

ნატოს გადასროლის საკოორდინაციო ცენტრი, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადასროლის მართვის ორგანიზებაზე.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამოკავშირეო სარდლობა ატლანტიკაზე, ატლანტიკაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის ყოფილი დასახელება.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამოკავშირეო სარდლობა ევროპაში, ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის ყოფილი დასახელება.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალები, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების ძირითადი ნაწილი. შეიქმნა ნატოს საბჭოს მე-5 სესიის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1950 წლის სექტემბერში. 1991 წელს მიღებულ იქნა „ჩრდილოატლანტიკური კავშირის ახალი სტრატეგიული კონცეფცია“, რომელიც ნატოს ქვეყნების უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფასთან ერთად ითვალისწინებს ძალებისა და შესაძლებლობების შექმნას, მათ შორის, სამშვიდობო ოპერაციების ჩასატარებლად. 1994 წელს მოწონებულ იქნა „ეროვნებათაშორისი ოპერატიული ძალების“ კონცეფცია, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს ოპერაციების განხორციელებას გაეროს ეგიდით ან ეუთოს სანქციით, მათ შორის, იმ სახელმწიფოებთან ერთად, რომლებიც არ შედიან ნატოში. **ნ.ბ.შ.ძ**-ის შემადგენლობაში შედის ომის თეატრის ბირთვული ძალები და საერთო დანიშნულების ძალები. ბირთვულ ძალებში შედის გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების თვითმფრინავ-მატარებლები, აგრეთვე ატომური არტილერია. საერთო დანიშნულების ძალები წარმოდგენილია გაერთიანებული სახმელეთო ჯარებით გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალებითა და გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ძალებით. **ნ.ბ.შ.ძ**-ს აქვთ სამკომპონენტიანი სტრუქტურა და ოპერატიული დანიშნულების მიხედვით იყოფიან რეაგირების ძალებად, მთავარ თავდაცვით ძალებად და გაძლიერების ჯარებად (ძალებად). საბრძოლო მზადყოფნის მხრივ უპირველესნი არიან რეაგირების ძალები, რომლებიც მოიცავენ სწრაფი რეაგირების ძალებს და სწრაფი გაშლის ძალებს. მთავარი თავდაცვითი ძალები ქმნიან **ნ.ბ.შ.ძ**-ის I ეშელონს და განკუთვნილი არიან დიდი მასშტაბის საომარი მოქმედების წარმოებისათვის მსოფლიო ომში ან შეზღუდულ ომში ევროპის ტერიტორიაზე და ატლანტიკაში. ამ ძალების მეტი ნაწილი მშვიდობიანობის დროს ეროვნულ დაქვემდებარებაშია და **ნ.ბ.შ.ძ**-ის სარდლობას გადაეცემა სტრატეგიული გაშლის დაწყებისას. გაძლიერების ჯარების გამოყენება გათვალისწინებულია **ნ.ბ.შ.ძ**-ის პირველი ეშელონის გასაძლიერებლად სტრატეგიული და ოპერატიული რეზერვების შესაქმნელად.

ნ.ბ.შ.ძ-ში შედის: 1. ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობის დაქვემდებარებაში უკვე მშვიდობიანობის დროს გადაცემული ჯარები (ძალები). 2. ძალები, რომლებიც ნატოს სარდლობის ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადაეცემა ნატოს გაფრთხილების სისტემების განგაშის გამოცხადების შემდეგ. 3. ძალები, რომლებიც განკუთვნილია გადასაცემად სტრატეგიული გაშლის დროს. ნატოს პასუხისმგებლობის მთელი ზონა, რომელიც წევრი ქვეყნების ტერიტორიას, ხმელთაშუა ზღვის და ჩრდილოეთ ატლანტიკის აკვატორიას მოიცავს, დაყოფილია **ნ.ბ.შ.ძ**-ის ორი სტრატეგიული (უმაღლესი) სარდლობის პასუხისმგებლობის ზონებად – ევროპაში და ატლანტიკაზე (მთავარი სარდლობა ლა-მანშის სრუტის ზონაში 1994 წელს გაუქმდა) და აშშ-კანადის სტრატეგიული დაგეგმვის რეგიონული ჯგუფის ზონად. თავის მხრივ, უმაღლესი სარდლობების პა-

სუხისმგებლობის ზონები იყოფა საომარი მოქმედებების თეატრებად ან ცალკე რაიონებად, რომლებიც წარმოადგენენ შესაბამისი მთავარი სარდლობების პასუხისმგებლობის ზონებს. მათ დაქვემდებარებაში გამოყოფილი ძალები და საშუალებები შედიან კოალიციური შემადგენლობის ოპერატიულ-სტრატეგიულ (ოპერატიულ) გაერთიანებებში. ამასთან, ეროვნული სარდლობების უფლებები გამოიხატება ძირითად ადმინისტრაციულ ფუნქციებში და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში. **ნ.გ.შ.ძ**-ის ყველაზე ძლიერი დაჯგუფება განლაგებულია ცენტრალური ევროპის საომარი მოქმედებების თეატრებზე.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების რეგიონული სარდლობის სარდალი, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო სარდლობის სტრუქტურის II რგოლის სარდალი, პასუხისმგებელი ჩრდილოატლანტიკური კავშირის ყველა სამხედრო ღონისძიების და ამოცანის დაგეგმვასა და აღსრულებაზე. მათ შორის: 1. ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ სარდლობაში, მიღებული მითითებების შესაბამისად დანიშნულ რეგიონში ან მის ფარგლებს გარეთ, მისთვის განსაზღვრული ვალდებულებების ჩარჩოებში; 2. ატლანტიკაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიულ სარდლობაში, მიღებული მითითებების შესაბამისად, ატლანტიკაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის პასუხისმგებლობის ზონაში და მის ფარგლებს გარეთ, განსაზღვრული ვალდებულებების ჩარჩოებში.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდალი, ნატოს დაქვემდებარების სისტემაში მყოფი სარდალი.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადმოცემული ძალები, ჯარები, რომლებიც ნატოს ქვეყნების ხელშეკრულებით გადაცემულია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლის ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში. გადაეცემა განსაზღვრულ ეტაპზე, მზადყოფნის მითითებული დონის მიღწევის დროს ან ნატოს გამაფრთხილებელი ზომების სისტემაში ღონისძიებების ჩატარებისას, ასევე განსაკუთრებული შეთანხმებების, დებულებების შესაბამისად.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობის ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადასაცემი ძალები, ჯარები, რომელთა გადაცემაზე ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში შესაბამის ვადებში ნატოს ქვეყნები თანახმა არიან. ამ ჯარების გამოყოფის შემთხვევაში ნატოს ქვეყნებმა უნდა მიუთითონ მათი გადაცემის ვადები, როგორც ეს არის დამტკიცებული ნატოს სამხედრო კომიტეტის მიერ.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სახეობათაშორისო სუბრეგიონული სარდლობის სარდალი, სახეობათაშორისო სარდლობის სარდალი ნატოს სამხედრო სარდლობის სტრუქტურის III რგოლში.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის სარდალი, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო სარდლობის სტრუქტურის I რგოლის სარდალი, რომელიც პასუხისმგებელია სარდლობის საერთო ფუნქციების შესრულებაზე, დაგეგმვაზე, ჩრდილოატლანტიკური კავშირის ყველა სამხედრო საქმიანობის (მოღვაწეობის) ხელმძღვანელობასა და წარმოებაზე მისთვის დანიშნულ პასუხისმგებლობის ზონაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. თავისი უფლებამოსილების ჩარჩოებში სარდალი აგრეთვე პასუხისმგებელია ინფრასტრუქტურის განვითარებასა და შენახვაზე. არსებობს ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის ორი სარდალი. ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი ატლანტიკაზე.

ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრუქტურა, იხ. *ინტეგრირებული სამხედრო სტრუქტურა.*

ნატოს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში ჩაბმისთვის გამოყოფილი ძალები, მონაწილე სახელმწიფოს მიერ ნატოს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში ჩაბმისთვის გადაცემული ჯარები იყოფა შემდეგ კატეგორიებად: 1. ნატოს სარდლობას დაქვემდებარებული ჯარები; 2. ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერატიულ სარდლობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადაცემული ჯარები; 3. ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერატიულ სარდლობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადაცემისთვის წინასწარ დანიშნული ჯარები; 4. ნატოს სხვა ჯარები.

ნატოს დაზვერვის ორგანოები, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც უძღვებიან ბლოკის წევრი ქვეყნების ეროვნული დაზვერვების ძალისხმევის კოორდინაციისა და ურთიერთქმედებების ორგანიზაციას, აგრეთვე სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავებას და მართვის უმაღლესი ორგანოებისათვის მიწოდებას. ნატოს ძირითადი სადაზვერვო ორგანოებია: გაერთიანებული

საერთაშორისო სამხედრო შტაბის დაზვერვის სამმართველო, ნატოს ოპერატიული ცენტრი და ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების კოალიციური შტაბების სადაზვერვო სამმართველოები (განყოფილებები). სამხედრო დაზვერვის დარგში ბლოკის მონაწილე ქვეყნების ურთიერთქმედებების ზოგად პრინციპებს და მათდამი მოთხოვნებს ამუშავებს ნატოს სამხედრო კომიტეტი – ბლოკის სამხედრო სტრუქტურის უმაღლესი ორგანო. ცენტრალური რგოლის ფუნქციებს ნატოს სამხედრო კოალიციური სადაზვერვო ორგანოების სისტემაში მთლიანად ასრულებს ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის სამმართველო, რომელიც გამოირჩევა დაკომპლექტებისა და საბრძოლო მზადყოფნის მარალი ხარისხით. სადაზვერვო ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროებს წარმოადგენენ ნატოს ქვეყნების სადაზვერვო სამსახურები.

ნატოს დაქვემდებარებული ძალები, ჯარები, რომლებიც ნატოს ქვეყნების მიერ გადაცემულია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლის ოპერატიულ ხელმძღვანელობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

ნატოს ერთობლივი ოპერაცია, სამხედრო ოპერაცია, განხორციელებული ნატოს ორი ან მეტი წევრ-სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებით, რამდენიმე სახეობის ქვედანაყოფებისა და ნაწილების მიერ.

ნატოს მოკავშირე ჯარების სარდალი, იხ. *ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდალი.*

ნატოს პრესცენტი, ორგანო, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს აწვდის ზუსტ და დროულ მონაცემებს ნატოს შესახებ, შესაბამისი სარდლის ზონაში წარმოებულ ღონისძიებებსა და ოპერაციებზე. ყალიბდება ნატოს სხვადასხვა შტაბების სპეციალისტებით, რომლებიც საზოგადოების ინფორმირებით არიან დაკავებულები.

ნატოს სააგენტო, დამოუკიდებელი ბიურო ან ორგანიზაცია, რომელიც იქმნება ნატოში და ეკისრება პასუხისმგებლობა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს წინაშე ცალკეული ამოცანების (მაგალითად, კავშირგაბმულობა, სამეცნიერო კვლევები, სტანდარტიზაცია) შესრულებაზე. სააგენტო ექვემდებარება დირექტორთა საბჭოს ან ხელმძღვანელ კომიტეტს, რომელიც პასუხს აგებს მისი საქმიანობის კონტროლზე.

ნატოს საბარეო ადაპტაცია, პროცესი, რომელიც „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობის განმტკიცების, უსაფრთხოების და სტაბილურობის მიზნით ნატომ განახორციელა და ადაპტირებისთვის საჭირო ზოგ ინიციატივას მოიცავს. კერძოდ: პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“, ჩრდილოატლანტიკური პარტნიორობის საბჭო, ნატოს გაფართოება, ხმელთაშუა ზღვის რეგიონის დიალოგი და ა.შ.

ნატოს სამხედრო დაგეგმვის სისტემა, განსაზღვრული სამუშაო მეთოდების ერთობლიობა, რომელთა საშუალებით ხორციელდება ნატოს ცალკეული ქვეყნების სამხედრო დაგეგმვის პროცესების ჰარმონიზაცია ისეთ სფეროებში, როგორიცაა: შეიარაღება, სამოქალაქო-საგანგებო დაგეგმვა, კონსულტაციები, მართვა და კონტროლი, ჯარები, ლოგისტიკა, ბირთვული შეიარაღება და რესურსები. ნატოს სავარაუდო სამხედრო მოთხოვნების მთელი კომპლექსის დასაკმაყოფილებლად საჭირო თავდაცვითი რესურსების ეფექტური გამოყენება. ჰარმონიზაცია წარმოებს ჩრდილოატლანტიკური კავშირის საერთო მოთხოვნების გათვალისწინებით ერთიანი, თანამიმდევრული და კოორდინირებული პროცესის ფარგლებში. ეს პროცესი საშუალებას აძლევს სახელმწიფოებს ისარგებლონ კოლექტიური თავდაცვის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, სამხედრო და რესურსული უპირატესობით, სამხედრო მოღვაწეობის სხვა სახეებით უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცებისთვის, სამხედრო პოლიტიკის რენაციონალიზაციის თავიდან ასაცილებლად. **ნ.ს.დ.ს.** თავდაცვის სფეროში ქვეყნებს აბსოლუტური სუვერენიტეტის შენარჩუნების საშუალებას აძლევს.

ნატოს სამხედრო კომიტეტი, ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ექვემდებარება ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, სამხედრო დაგეგმვის კომიტეტს და ბირთვული დაგეგმვის ჯგუფს. მისი ამოცანაა ნატოს ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანოებისთვის სამხედრო საკითხებში მხარდაჭერის აღმოჩენა და მათი კონსულტირება. არის ნატოში გადაწყვეტილების მიღების და კონსულტაციების პროცესის საერთო სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი. მისი სესიები ტარდება არჩეული თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. ასევე რეგულარულად, მაღალ დონეზე ტარდება სამხედრო კომიტეტის სხდომები, კერძოდ, გენერალური შტაბების უფროსების დონეზე. ამ კომიტეტის ძირითადი მოვალეობები და ამოცანებია: 1. ნატოს ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანოებისთვის რეკომენდაციების წარდგენა ნატოს თავდაცვითი ზონის ერთობლივი თავდაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო ზომების შესახებ; 2. სამხედრო პოლიტიკის და სტრატეგიის საკითხების შესახებ მოქმედების და კონსულტირების საერთო მიმართულებების უზრუნველყოფა; 3. ნატოს სტრატეგიული სარდლობისთვის სამხედრო საკითხებში დირექტივების მიცემა; 4. ჩრდილოატლანტიკური კავშირისთვის საერთო სტრატეგიული კონცეფციების შემუშავებაში მხარდაჭერის აღმოჩენა; 5. ნატოს ინტერესებისათვის პოლიტიკური საფრთხის მქონე რაიონების, სახელმწი-

ფოების სიძლიერის და პოტენციალის ყოველ-წლიური გრძელვადიანი შეფასების მომზადება; 6. კრიზისის, დაძაბულობის ან ომის შემთხვევაში – ჩრდილოატლანტიკური საბჭოს და სამხედრო დაგეგმვის კომიტეტის კონსულტირება სამხედრო მდგომარეობის შესახებ, სამხედრო ძალის გამოყენების საკითხებში რეკომენდაციების შემუშავება და წარდგენა.

ნატოს სამხედრო ხელმძღვანელი ორგანო, საერთაშორისო შტაბი ან სხვა სამხედრო ორგანიზაცია, რომელზეც ვრცელდება საერთაშორისო სამხედრო შტაბის სტატუსის შესახებ არსებული ოქმის მოქმედება (ე.წ. „პარიზის ოქმი“), ასევე ნებისმიერი სხვა სამხედრო ხელმძღვანელი ორგანო, რომლის მიმართაც ნატოს საბჭოს მიერ გამოიყენება შეთანხმება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტატუსის, ეროვნული წარმომადგენლობის და საერთაშორისო სამდივნოს შესახებ (ე.წ. „ოტავის ხელშეკრულება“).

ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობის სტრუქტურა, იხ. *სარდლობის ინტეგრირებული სტრუქტურა.*

ნატოს საჰაერო თავდაცვის გაერთიანებული სისტემა, ჩრდილოატლანტიკური ბლოკის მონაწილე ქვეყნების საჰაერო თავდაცვის კოალიციური სისტემა ევროპის ომის თეატრზე. შეიქმნა 1961 წელს. მოიცავს ოთხ ზონას: ჩრდილოეთის (ოპერატიული ცენტრი კოლსოსი, ნორვეგია), ცენტრალურს (ოპერატიული ცენტრი ბრიუნსიუმი, ნიდერლანდი), სამხრეთის (ოპერატიული ცენტრი ნეაპოლი, იტალია) და ატლანტიკისა (ოპერატიული ცენტრი სტანმორი, დიდი ბრიტანეთი), რომლებიც დაყოფილია რაიონებად, სექტორებად და ორ ცალკე სექტორად – მალტისა და კვიპროსის. პირველი სამი ზონის საზღვრები ემთხვევა, შესაბამისად, საომარი მოქმედებების ჩრდილო-დასავლეთის, ევროპის, ცენტრალური ევროპის და სამხრეთ ევროპის თეატრების საზღვრებს. ატლანტიკის ზონა მოიცავს დიდი ბრიტანეთის ტერიტორიას, ფარერის კუნძულებს (დანია) და მათი მიმდებარე ზღვების აკვატორიებს.

XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ნატოს საჰაერო თავდაცვის გაერთიანებული სისტემის საბრძოლო შემადგენლობაში იყო საზენიტო მართვადი რაკეტების 1700-მდე გამშვები დანადგარი და საჰაერო თავდაცვის 600-ზე მეტი ავიაგამანადგურებელი თვითმფრინავი. საზენიტო მართვადი რაკეტების გამშვები დანადგარების 70%-მდე და გადამჭერი ავიაგამანადგურებლების დაახლოებით 30% თავმოყრილია ცენტრალურ ზონაში. ნატოს საჰაერო თავდაცვის გაერთიანებული სისტემის ორგანიზაციული სტრუქტურა შესაძლებლობას იძლევა, განხორციელდეს საჰაერო თავდაცვის ძალებისა და საშუალებების საბრძოლო მოქმედებების როგორც ცენტრალიზებული (ძირითადი მეთოდი), ისე დეცენტრალიზებული მართვა. საჰაერო თავდაცვის გაერთიანებული სისტემის ძალებისა და საშუალებების მართვას თავისი შტაბის მეშვეობით ახორციელებს ნატოს ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსადლობა. ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდლები საომარი მოქმედებების თეატრებზე მართავენ საჰაერო თავდაცვის ძალებსა და საშუალებებს შესაბამის ზონებში, ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი დიდ ბრიტანეთში – ატლანტიკის ზონაში, ხოლო გაერთიანებული ტაქტიკური საავიაციო სარდლობისა და ტაქტიკური საავიაციო სარდლობის სარდლები – საჰაერო თავდაცვის რაიონებში. მართვისათვის შექმნილია შემდეგი ორგანოები: საჰაერო თავდაცვის ზონების, რაიონების, სექტორების ოპერატიული ცენტრები, მართვისა და შეტყობინების ცენტრები, საგუშაგოები, აგრეთვე რადიოლოკაციური საგუშაგოები. მართვის საფუძველია ავტომატიზებული სისტემა „ნეიჯ“, რომელიც განკუთვნილია ნატოს სარდლობის შეტყობინებისათვის საჰაერო ვითარების შესახებ, საჰაერო მიზნებზე გამანადგურებლებისა და მართვადი საზენიტო რაკეტების გამიზვნის თაობაზე. ნატოს საჰაერო თავდაცვის გაერთიანებული სისტემა მჭიდროდ ურთიერთქმედებს „ნორად-თან“, საფრანგეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, საჰაერო თავდაცვის ეროვნულ სისტემებთან და ხმელთაშუა ზღვაში მყოფი აშშ-ის VI ფლოტის საჰაერო თავდაცვის სახომალდო საშუალებებთან.

ნატოს სიფრთხილის ზომების სისტემა, კრიზისის დროს სიფრთხილის ზომების სისტემა, რომელიც შექმნილია 1992 წელს. ნატოს სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურის საერთო მზადყოფნის უზრუნველსაყოფად. იგი მოიცავს კრიზისული სიტუაციების ფართო სპექტრს და ასევე ადაპტირებულია მშვიდობის დამყარების ოპერაციებთან. მოიცავს სამოქალაქო და სამხედრო ხასიათის მრავალფეროვან ზომებს.

ნატოს სტრატეგიული კონცეფცია, სამხედრო-პოლიტიკური დირექტიული დოკუმენტი, რომელიც უსაფრთხოების და თავდაცვის საკითხებზე ჩრდილოატლანტიკური კავშირის მიდგომას გადმოსცემს. დამტკიცებულია 1999 წლის აპრილში ნატოს ქვეყნების მთავრობების ხელმძღვანელთა მიერ. მასში განისაზღვრება ნატოს გრძელვადიანი მიზანი და ამოცანები; პირველხარისხოვანი ამოცანები უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, გარემოების ახალი თავისებურებები; კონკრეტდება უსაფრთხოების საკითხებისადმი ჩრდილოატლანტიკური კავშირის მიდგომის ასპექტები, ასევე მოცემულია ნატოს შეიარაღებული ძალების შემდგომი ადაპტირების დირექტივები.

ნატოს სხვა მოკავშირე ჯარები, ჯარები, რომლებიც არ არის გამიზნული ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში გადასაცემად, მაგრამ შეიძლება თანამშრომლობდნენ ნატოს ძალებთან და გარკვეულ ვითარებაში გადავიდნენ მის ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

ნატოს უპირველესი ამოცანები უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში, ჩრდილოატლანტიკური კავშირის ძირითადი ფუნქციები, რომლებიც ასახულია ნატოს სტრატეგიულ კონცეფციაში. ეფუძნება მის როლს ნატოს ყველა წევრის თავისუფლების და უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფის და ევროატლანტიკურ რეგიონებში მშვიდობის და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში.

ნატოს ფართომასშტაბიანი სწავლებები, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის და დაქვემდებარებული სარდლობების უმრავლესობის, ასევე ეროვნული სამხედრო შტაბების მონაწილეობით ჩატარებული სწავლებები.

ნატოს ქვეყნების დაზვერვის სამსახურები, სპეციალური სამსახურები (დაწესებულებები, უწყებები), რომლებიც ახორციელებენ სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობას. ყველაზე განშტოებული სადაზვერვო სამსახურები აქვს აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და გერმანიას. აშშ-ში **ნ.ქ.ს.დ.** მოიცავს: ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს, სამხედრო დაზვერვას (თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველო, ეროვნული უსაფრთხოების სააგენტო, საჰაერო-კოსმოსური დაზვერვის ეროვნული სამმართველო, სახეობების დაზვერვისა და კარტოგრაფიის ეროვნული სამმართველო, შეიარაღებული ძალების სახეობებისა და გაერთიანებული სარდლობების დაზვერვის ორგანოები), ფედერალური გამოძიების ბიუროს (ფგბ), სახელმწიფო დეპარტამენტის, ფინანსთა და ენერგეტიკის სამინისტროს სადაზვერვო ორგანოებს. ისინი შედიან „სადაზვერვო გაერთიანებებში“, რომლებსაც სათავეში უდგას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი. დიდ ბრიტანეთში ე.წ. „სადაზვერვო ალიანსში“ შედის: სამთავრობო კავშირგაბმულობის შტაბ-ბინა, ინტელიჯენს სერვისი, თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველო და უსაფრთხოების სამსახური (მი-5). მათი საქმიანობის კოორდინაციას ახორციელებს გაერთიანებული სადაზვერვო კომიტეტი პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით. გერმანიაში დაზვერვას აწარმოებენ: ფედერალური სადაზვერვო სამსახური, ბუნდესვერის მთავარი შტაბის სადაზვერვო სამმართველო და კონსტიტუციის დაცვის ფედერალური უწყების დაზვერვის ორგანოები. სპეციალური სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას ბლოკის ინტერესებისათვის ახორციელებენ ნატოს სადაზვერვო ორგანოები.

ნატოს შეთანხმება სტანდარტიზაციის შესახებ, შეთანხმების დოკუმენტი ნატოს წევრ ქვეყნებს შორის, რომელიც შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის, ტყვია-წამლის, მატერიალური საშუალებების და მატერიალური ფასეულობების მსგავსი ან ანალოგიური ნიმუშების მიღებას, აგრეთვე ოპერატიული, მატერიალურ-ტექნიკური და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის პროცედურების განხორციელებას ეხება.

ნატოს შიდა ადაპტირება, პროცესი, რომელიც მოიცავს „ცივი ომის“ დამთავრების შემდგომ ნატოს შიდა სამხედრო და პოლიტიკურ სფეროში განხორციელებულ ზომებს. მიზნად ისახავს შექმნას სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია და სტრუქტურა მე-5 მუხლის და მის ჩარჩოებს გარეთ განხორციელებული ოპერაციების ჩატარებისთვის საჭირო მოთხოვნების შესასრულებლად. ეს პროცესი შეიცავს ნატოს სამხედრო ხელმძღვანელობის და ნატოს ძალების სტრუქტურის ადაპტირების, მათ შორის მრავალეროვნულ გაერთიანებულ ოპერატიულ-ტაქტიკური დაჯგუფების, თავდაცვის და უსაფრთხოების ევროპული შემადგენლის განვითარების კონცეფციას.

ნატოს შორეული საჰაერო-რადიოლოკაციური აღმოჩენის და კონტროლის ძალები, ნატოს ყველა სარდლობისთვის 1978 წელს შექმნილი საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები, რომელთა ამოცანაა ამ სარდლობებისთვის საჰაერო თვალთვალის, მართვის და ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა. შორეული საჰაერო-რადიოლოკაციური აღმოჩენის და მართვის ძალების შტაბი განლაგებულია ევროპაში, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის ტერიტორიაზე. ნატოს საფრენი აპარატების E-3A შერეული ეკიპაჟები დაკომპლექტებულია თერთმეტი ქვეყნის სამხედრო მოსამსახურეებით, ეს ქვეყნებია: ბელგია, გერმანია, საფრანგეთი, დანია, კანადა, იტალია, ჰოლანდია, ნორვეგია, პორტუგალია, აშშ და თურქეთი. E-3A კომპონენტი ძირითადად ბაზირებულია ოპერატიულ ავიაბაზაზე ქ. ჰელეკირხენში (გერმანია). E-3D წარმოადგენს დიდი ბრიტანეთის წვლილს ამ ძალებში და მათი ეკიპაჟები დაკომპლექტებულია ბრიტანელი სამხედრო მოსამსახურეებით. E-3D ბრიტანული კომპონენტი განლაგებულია ავიაბაზაზე ქ. ვიდინგტონში (დიდი ბრიტანეთი).

ნატოს ჩრდილო-დასავლეთ ევროპის საომარი მოქმედებების თეატრი, ევროპის ომის თეატრის ნაწილი. მოიცავს ნორვეგიის, დიდი ბრიტანეთის ტერიტორიებს და ზღვებს, რომლებიც მათ ეკვრიან. შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისთვის შექმნილია ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში ნატოს გაერთიანებული

შეიარაღებული ძალების სარდლობა (შტაბი ქ. ჰაი-უიკომში, დიდი ბრიტანეთი). მის შემადგენლობაში შედიან ძირითადი დაქვემდებარებული სარდლობები: ჩრდილოეთ ევროპაში გაერთიანებული შეიარაღებული ძალების (შტაბი ქ. სტავანგერში, ნორვეგია), ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალების (შტაბი ქ. ჰაი-უიკომში) და ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში გაერთიანებული სამხედრო-საზღვაო ძალების (შტაბი ქ. ნორტვუდში, დიდი ბრიტანეთი). თეატრის გეოგრაფიული მდებარეობა საშუალებას იძლევა, გაკონტროლდეს საზღვაო კომუნიკაციები ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, წარმოებდეს დაზვერვა ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. ნატოს სარდლობის შეხედულებით, მსოფლიო აკვატორიების კონტროლი და ჩრდილო-დასავლეთ ევროპის საომარი მოქმედების თეატრის ტერიტორიის შენარჩუნება ცენტრალურ ევროპასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ატლანტიკაში მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს შესაძლო ოპერაციების მიმდინარეობასა და შედეგზე.

ნატოს ცენტრალური ევროპის საომარი მოქმედებების თეატრი, ევროპის ომის თეატრის ნაწილი; მოიცავს გერმანიის, დანიის, ბელგიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის, პოლონეთის, ჩეხეთის ტერიტორიებს და მათ მიმდებარე საზღვაო სივრცეს. საფრანგეთის, ესპანეთის და პორტუგალიის ტერიტორიები ომიანობის პერიოდში სტრატეგიული რეზერვების განლაგებისთვის ზურგის რაიონად განიხილება. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ საომარი მოქმედების თეატრის სიგრძეა 1100 *კმ*, სიღრმე – 200 *კმ*, საერთო ფართობი – დაახლოებით 2 მილიონი *კვ. კმ*. ნატოს სარდლობის გეგმებში ცენტრალური ევროპის საომარი მოქმედებების თეატრს მთავარი როლი ეთმობა; მის ფარგლებში განლაგებულია ბლოკის შეიარაღებული ძალების ყველაზე მსხვილი დაჯგუფება – ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობის 45%. შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობისთვის შექმნილია გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარი სარდლობა ცენტრალურ ევროპაში (შტაბი ქ. ბრიუნცუმში, ნიდერლანდი). მის შემადგენლობაში შედის ძირითადი დაქვემდებარებული სარდლობები: ცენტრალურ ევროპაში გაერთიანებული სახმელეთო ძალების (შტაბი. ჰაიდელბერგში, გერმანია), ცენტრალურ ევროპაში გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალების (შტაბი ქ. რამშტაინში, გერმანია), ბალტიკის მისადგომებზე გაერთიანებული შეიარაღებული ძალების (შტაბი ქ. კარუპში, დანია).

ნატოს წევრობისთვის მომზადების საოქმედო გეგმა, უმაღლეს დონეზე ვაშინგტონის შეხვედრაზე 1999 წლის აპრილში წამოყენებული ნატოს საქმიანობის პროგრამა. იგი მიზნად ისახავდა ნატოში შესვლის მსურველი (პრეტენდენტი) სახელმწიფოებისათვის მომავალ გაწევრიანებაში დახმარება.

ნატოს ჯარების გაშლის და გადაადგილების უზრუნველყოფის სისტემა, ნატოს ჯარების ლოგისტიკის კომპონენტი, რომელიც ევროპაში მოკავშირეთა სარდლობის ჯარების მართვის და ხელმძღვანელობის ავტომატიზებულ საინფორმაციო სისტემაში შედის. გამოიყენება ნატოს ამოცანების გადაწყვეტის პერიოდში ძალების (ჯარების) გადაადგილების და ტრანსპორტირების დაგეგმვის, შეფასების და კონტროლისათვის. ის ეხმარება ჯარების და ტექნიკის ტრანსპორტირების დაგეგმვაზე პასუხისმგებელ ორგანოებს გადასროლის გეგმების შემუშავებასა და რეალიზების შეფასებაში. უზრუნველყოფს გეგმების სწრაფ მომზადებას, ნატოს წევრ-ქვეყნებსა და სარდლობაში მათ დამტკიცებას და დაგზავნას. ამის გარდა, გეგმების შესრულების ეტაპზე სისტემა საშუალებას აძლევს დამგეგმავ ორგანოებს განახორციელონ კონტროლი დაგეგმილ ღონისძიებებზე და საბრძოლო ამოცანების შესაბამისად გეგმებში კორექტივები შეიტანონ.

ნატოს ჯარების და ფლოტის წვრთნები და მანევრები, ერთ-ერთი ძირითადი ფორმა ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ჯარების, ფლოტების, სარდლობებისა და შტაბების საბრძოლო მოქმედებების მომზადებისთვის. მისი მთავარი მიზანია, საბრძოლო მზადყოფნისა და საველე (საფრენოსნო, საზღვაო) გაწვრთნის მაღალი დონის შენარჩუნება, საომარი მოქმედების ორგანიზაციისა და წარმოების დახვეწა ომის საწყის პერიოდში. ფართო მასშტაბის საბრძოლო მოქმედებისათვის შტაბებისა და ჯარების მომზადებასთან ერთად მეტი ყურადღება ეთმობა იმ გეგმების დახვეწას, თუ როგორ გამოიყენონ ბლოკის გაერთიანებული შეიარაღებული ძალები ლოკალურ საომარ კონფლიქტებში საომარი მოქმედების ერთი ან ორი მომიჯნავე თეატრის ფარგლებში, როგორც ევროპის ომის თეატრზე, ისე მის ფარგლებს გარეთ რთულ, სწრაფადცვალებად ვითარებაში. სტრატეგიული სწავლებები (მანევრები) ეწყობა ევროპისა და ატლანტიკის ომის თეატრებში განლაგებულ შეიარაღებულ ძალებთან, ოპერატიულ-სტრატეგიული შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებთან საომარი მოქმედების თეატრზე; ოპერატიულ გაერთიანებებთან და შენაერთებთან საოპერაციო მიმართულებების ფარგლებში. XX საუკუნის 90-იანი წლების შუა ხანებიდან ყოველწლიურად ეწყობა ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მართვის უმაღლესი ორგანოების 4–5 სამეთაურო-საშტაბო ვარჯიში, რომლის მიზანია ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების ბირთვული ძალების მართვა რეგიონული

კონფლიქტებისა და ომის საწყისი პერიოდის პირველი ოპერაციების დროს. ნატოს გეგმების მიხედვით, ყოველწლიურად ეწყობა 150-მდე სასწავლო ღონისძიება, მონაწილე ქვეყნების ეროვნული გეგმების მიხედვით – 500-მდე, საბრძოლო მომზადების აქცენტის გადატანით ტაქტიკურ რგოლზე. სწავლებები, როგორც წესი, ეწყობა ორმხრივი მეთოდით შემდეგი ხანგრძლივობით: კორპუსის რგოლისა – 2 კვირამდე, დივიზიონისა – 10 დღემდე, ბრიგადისა – 6–8 დღემდე; საბრძოლო მოქმედების ორგანიზაციის და წარმოების საკითხების დამუშავებას ეთმობა სასწავლო დროის 70–80%. ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მეტი წილი, წვრთნების ჩანაფიქრით, ევროპაში ომის გაჩაღების ძირითად მიზეზებად განიხილავს კრიზისულ სიტუაციებს ცალკეული ქვეყნების შიგნით, სახელმწიფოებს შორის და მათ შეიარაღებულ კონფლიქტებში ესკალაციას. საბრძოლო ამოცანები წვრთნის დროს იხვეწება უპირატესად დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებების პირობებში მაღალი სიზუსტის იარაღის, ავიაციისა და ფლოტის ძალების მასირებული გამოყენებით. ბირთვულ იარაღს განიხილავენ როგორც აგრესორის „დაშინებისა და შეკავების“ საშუალებას. ოპერატიულ-სტრატეგიული დონის სწავლების დაახლოებით 60% ეწყობა კომპიუტერული სამეთაურო – საშტაბო წვრთნების ფორმით და დაახლოებით 30% სამეთაურო-საშტაბო წვრთნების სახით ჯარების ნაწილობრივი გამოყენებით.

ნატოში უფლებამოსილების გადაცემა, მოქმედება, რომლის შედეგად წევრი სახელმწიფო ან ნატოს სარდლობა ოპერატიულ ხელმძღვანელობაში, ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში გამოყოფილ ძალებს და საშუალებებს ნატოს სხვა სარდლობას გადასცემს.

ნაურუ (Republic of Nauru – ნაურუს რესპუბლიკა), სახელმწიფო ნაურუს კუნძულზე, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. ფართობი 22 *კმ²*. მოსახლეობა 13 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ნაურუული და ინგლისური. ოფიციალური დედაქალაქი არ გააჩნია. დიდი ქალაქია სეტლემენტი. მთავრობის რეზიდენცია იარენის ოლქშია. ადმინისტრაციულად იყოფა 14 ოლქად. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1968 წლის 31 იანვარს. ეკონომიკის საფუძველია ფოსფატის მოპოვება და ექსპორტი. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. ჰყავს მცირე ზომის პოლიციური დანაყოფი. **ნ**-ს თავდაცვის უზრუნველყოფა ეკისრება ავსტრალიას.

ნაღმგადამღობი მოქმედებები, ფლოტის ძალების საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის ფლოტის ძალებისათვის დანაკარგების მიყენებისა და მათი მოქმედების შებოჭვის, მოწინააღმდეგის საზღვაო (საოკეანო) კომუნიკაციების დარღვევის, ხომალდების ბაზირების პუნქტებისა და პორტების ბლოკირების მიზნით; აგრეთვე თავისი სანაპირო-საზღვაო მიმოსვლის დაფარვისთვის, ნავსაწინააღმდეგო ზღუდეების და ზღვის სანაპიროს დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნისა და გაძლიერებისათვის. **ნ.მ**-სთვის იყენებენ მრავალმიზნობრივ წყალქვეშა ნავებს, ავიაციას და წყალზედა ხომალდებს.

ნაღმდამცველი, ავტონომიური მოწყობილობა საზღვაო საღუზო ნაღმების დაცვისთვის მოწინააღმდეგის კონტაქტური ტრალებისგან. შედგება ღუზისგან, ტივტივების მოწყობილობისგან, ფოლადის ჯაჭვური ტივტივებისგან. **ნ**-ები არსებობენ ერთჯერადი და მრავალჯერადი მოქმედების.

ნაღმები (ფრანგული – mine), საბრძოლო მასალების სახეობა, რომელიც გამოიყენება სახმელეთო და საზღვაო ღობურების შესაქმნელად, ასევე ნაღმსატყორცნებიდან სროლის საწარმოებლად. ამის შესაბამისად განასხვავებენ საინჟინრო, საზღვაო და საარტილერიო **ნ**-ს. თავდაპირველად **ნ**-ს ციხესიმაგრის კედლების ქვეშ გაყვანილ თხრილებს უწოდებდნენ, ხოლო შემდგომში ამფეთქ მუხტს, რომელსაც ამ თხრილებში ათავსებდნენ. XVIII საუკუნეში იწყება სახმელეთო და საზღვაო **ნ**-ების დამუშავება, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში გაჩნდა საარტილერიო **ნ**-ები.

ნაღმების ამოტრალვა, ნაღმების აღმოჩენა და განადგურება; მტრალავი სპეციალური დანიშნულების ხომალდებისა და ვერტმფრენების საბრძოლო მოქმედების სახეობა, რომლის მიზანია ზღვებზე, ტბებსა და მდინარეებზე ხომალდების და ტრანსპორტის უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა. ნაღმური დაბრკოლებების აღმოსაჩენად, მათი საზღვრების დასადგენად ეწყობა სადაზვერვო ან საკონტროლო ამოტრალვა, ხომალდების უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად თავდაპირველად ამოტრალავენ ფარვატებს, ხოლო ამოტივტივებულ ნაღმებს ქვემეხის ცეცხლით, ან ასაფეთქებელი ვაზნებით ანადგურებენ. ლულაზე დაყენებული **ნ.ა**-ს კონტაქტური ამოტრალვა ეწოდება, ხოლო საფსკერე ნაღმებისას – არაკონტაქტური.

ნაღმების გალერეა, ხელოვნური მიწისქვეშა გასასვლელი მოწინააღმდეგის სიმაგრეებთან მალულად მისასვლელად ასაფეთქებელი მუხტით (ნაღმით) ამ სიმაგრეების დანგრევის მიზნით. **ნ.გ**-ის განივი კვეთის ფართობი, ჩვეულებრივ, 2 *კვ.მ*-ს არ აღემატებოდა. ფართოდ გამოიყენებოდა XVI–XIX საუკუნეებში ე.წ. ნაღმურ ომებში, შეზღუდულად – I და II მსოფლიო ომებში.

ნაღმების განეიტრალება, ტერმინი იხმარება განაღმვის ოპერაციაში იმის აღსანიშნავად,

რომ ნაღმი ამა თუ იმ საშუალებით მოცემული მიზნის მიმართ გაუვნებელყოფილია, თუმცა შესაძლოა კვლავ დარჩეს ფეთქებადსაშიშად.

ნაღმების გაუვნებელყოფა, საბრძოლო ნაღმების ნეიტრალიზების პროცესი, მათი უსაფრთხო მდგომარეობაში გადაყვანის, შეგროვების ან განადგურების გზით.

ნაღმების დაყენება, მოცემულ რაიონში (ადგილზე) აქტიური (თავდაცვითი) ნაღმური ღობურების შექმნის მიზნით წყალზედა ხომალდების, წყალქვეშა ნავების, ვერტმფრენების და თვითმფინავების მოქმედებები.

ნაღმებისგან ადგილმდებარეობის გაწმენდა, სამოქალაქო მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ადგილმდებარეობის განსაზღვრულ რაიონებში ნაღმების, ნაღმი-მახეების, თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების, გამოუყენებელი ასაფეთქებელი საგნების სრული ამოღება. ადგილმდებარეობის გაწმენდა წმინდა სამხედრო ღონისძიებას არ წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ მასში მონაწილეობის მიღება სამხედრო ნაწილებს და ქვედანაყოფებს შეუძლიათ.

ნაღმი დამცველზე, ნაღმი, რომელიც გადაყვანილია საბრძოლო მდგომარეობიდან უსაფრთხო მდგომარეობაში.

ნაღმი-მახე, სპეციალური საინჟინრო ან საზღვაო ნაღმი, რომელიც უსაფრთხო საგნის სახით არის შენიღბული. მას უნარი შესწევს მიქციოს ადამიანის ყურადღება ან ფარულად არის განლაგებული ხალხის თავმოყრის ადგილებში. **ნ.-მ**-ს ზოგჯერ იყენებენ ჯარების უკუქცევისას. ფართოდ გამოიყენება ტერორისტული მიზნებისთვის.

ნაღმი-რაკეტა, საზღვაო ნაღმი, რომლის საბრძოლო ნაწილს წარმოადგენს თვითდამიზნების რაკეტა წყალქვეშა ან წყალქვეშა-საჰაერო ტრაექტორიით. მისი დანიშნულებაა წყალზედა ხომალდების და წყალქვეშა ნავების დაზიანება. შედგება ერთმანეთთან შეერთებული საბრძოლო და საღუზო მოდულებისგან. მოდულების შემადგენლობაში შედის: საბრძოლო მოდულის – წყალქვეშა რაკეტა ან კონტეინერი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტით კონტაქტური და არაკონტაქტური ამფეთქებლებით; მიზნის აღმოჩენის და ამოცნობის აკუსტიკური სისტემა; გარდა ამისა, სპეციალური გამოთვლითი მოწყობილობა მიზნის მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრისთვის. ღუზიანი – ღუზა, ჰიდროსტატები და სხვა აპარატურა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოდულების გაყოფას და მოცემულ სიღრმეზე მათ გრუნტზე (ღუზაზე) დაყენებას. **ნ.-რ**-ის დაყენება ხდება წყალქვეშა ნავებიდან, წყალზედა ხომალდებიდან და თვითმფრინავებიდან. სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაშია XX საუკუნის 80-იან წლებიდან. მისი სრულყოფა ხდება რაკეტის საბრძოლო ეფექტურობის, მანძილის და სვლის სიჩქარის განვითარებით. ასევე თვითდამიზნების და მართვის სისტემების საიმედოობის და სიზუსტის ზრდით.

ნაღმი-ტორპედო, საზღვაო ნაღმი, რომელსაც საბრძოლო ნაწილის სახით თვითდამიზნების ტორპედო აქვს. მისი დანიშნულებაა წყალქვეშა ნავების წყალქვეშ დაზიანება. შედგება ერთმანეთთან შეერთებული საბრძოლო და საღუზო მოდულებისგან. მოდულების შემადგენლობაში შედის: საბრძოლო მოდულის – კონტეინერი თვითდამიზნების ტორპედოთი, აღმოჩენის, კლასიფიკაციის და ამოცნობის აპარატურა; ასევე სპეციალური გამოთვლითი მოწყობილობა მიზნის მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრისთვის. ღუზიანი – ღუზა, ჰიდროსტატები და სხვა აპარატურა, რომლებიც უზრუნველყოფენ მოდულების გაყოფას და მოცემულ სიღრმეზე მათ გრუნტზე (ღუზაზე) დაყენებას. **ნ.-ტ**-ს აყენებენ წყალქვეშა ნავებიდან, წყალზედა ხომალდებიდან და თვითმფრინავებიდან. მიზნის აღმოჩენის შემდეგ ხდება მისი კლასიფიცირება და ამოცნობა, გადაადგილების პარამეტრების განსაზღვრა, საბრძოლო მოდულის მიზანთან გადაკვეთის წერტილში დამიზნება. კონტეინერიდან გამოსვლის შემდეგ ტორპედო უახლოვდება მიზანს, თვითდამიზნების სისტემით ეძებს, იჭერს და აზიანებს მას. სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაშია XX საუკუნის 70-იან წლების დასაწყისიდან.

ნაღმის პასიური მდგომარეობა, საბრძოლო ნაღმის გარდამავალი მდგომარეობა, როდესაც კონსტრუქციული მოწყობილობა ხელს უშლის მის ამოქმედებას.

ნაღმის საბრძოლო მდგომარეობა, სახმელეთო ნაღმის მდგომარეობა, როდესაც ამოქმედებაზე სიგნალის მიღებამდე მას მოხსნილი აქვს დამცავი და აფეთქების შემაყოვნებელი მოწყობილობები.

ნაღმის უსაფრთხო მდგომარეობა, ნაღმის მდგომარეობა, რომლის დროსაც მას არ შეუძლია ამოქმედება და ტრანსპორტირების და დაყენების დროს საფრთხეს არ წარმოადგენს.

ნაღმმზიდი, საბრძოლო ხომალდი, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის ხომალდების ტორპედოებით განადგურება. მისი პირველი სახეობა იყო კატარღა ჭოგრიტიანი ნაღმებით, რომლებიც გამოიყენეს 1861–65 წლებში, აშშ-ში სამოქალაქო ომის დროს. **ნ**-ების შემდგომი განვითარება მოხდა წყალწყვის, ენერგეტიკული დანადგარების სიმძლავრის, სვლის სიჩქარის, ნაოსნობის მანძილის, სატორპედო და საარტილერიო შეიარაღების გაძლიერების და სრულყოფის გზით. ამის შედეგად შეიქმნა სანაღმე კრეისერები, კონტრნაღმმზიდები და საესკადრო **ნ**-ები. მათი გამოჩენით I მსოფლიო ომის წინ **ნ**-ის მშენებლობა შეჩერდა.

ნაღმოსანი, საბრძოლო ხომალდების კლასი, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის განადგურება ტორპედოებით. პირველად გამოჩნდა აშშ-ში 1863 წელს, სამოქალაქო ომის დროს.

ნაღმსატორპედო ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაციის გვარეობა – XX საუკუნის 70-იან წლებამდე განკუთვნილი იყო ზღვაში და ბაზირების პუნქტებში ხომალდების (გემების) გასანადგურებლად, აგრეთვე აქტიური დანაღმული ღობურების დასაყენებლად. **ნ.ა**-ის მთავარი იარაღია საავიაციო ტორპედოები და ნაღმები; შეუძლია აგრეთვე ავიაბომბების გამოყენება. გაჩნდა მთელ რიგ სახელმწიფოებში I მსოფლიო ომის წლებში. XX საუკუნის 80-იან წლებში **ნ.ა**-ის ფუნქციები მოწინააღმდეგის ხომალდების განადგურების საქმეში გადავიდა სანაპირო და სახომალდო ბაზირების მოიერიშე ავიაციასა და საზღვაო რაკეტამზიდ ავიაციაში, ხოლო დანაღმული ღობურების დაყენება და ტორპედოების გამოყენება (უმთავრესად წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ) – ნავსაწინააღმდეგო ავიაციაში.

ნაღმსატრალავი ძალები, მთელი რიგი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ძალების (სამხედრო-საზღვაო ფლოტის) შენაერთები და ნაწილები, რომლებიც განკუთვნილია ნაღმური, და ქსელური ღობურების დაყენებისთვის, საზღვაო ნაღმების ძებნისა და განადგურებისთვის, აგრეთვე ნაღმური და ტრალების მიღმა ხომალდებისა და გემების გაყვანისათვის. მოიცავს ნაღმურ და ქსელურ ღობურებს, მტრალავებს, გამრღვევებსა და ნაღმსაწინააღმდეგო ვერტმფრენებს. აშშ-ში შექმნილია, **ნ.ძ**-ის სარდლობა, ხოლო ხომალდები შეყვანილია ესკადრებსა და დივიზიონებში, რომლებიც გადაეცემა ოპერატიული ფლოტების შემადგენლობაში. დიდ ბრიტანეთში **ნ.ძ**. შეყვანილია ფლოტილიაში, სხვა ქვეყნებში – ესკადრებში, ბრიგადებსა და დივიზიონებში.

ნაღმსატრალავი ხომალდი, მრავალი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალებში საბრძოლო ხომალდი, რომელიც განკუთვნილია ნაღმების და ბადის ღობურების დასაყენებლად, საზღვაო ნაღმების ძებნისა და განადგურებისთვის, ხომალდების (გემების) გაყვანისათვის სანაღმე ტრალებს მიღმა. იყოფა ნაღმგადამღობებად და ბადეგადამღობებად, სხვადასხვა ქვეკლასის მტრალავებად (საზღვაო, საბაზო, სარეიდო, ნაღმების საძებნ-გამანადგურებლები და სხვა), ნაღმგამრღვევებად. მრავალ სახელმწიფოში **ნ.ხ**-ები შეყვანილია ნაღმსატრალავ ძალებში. ახორციელებენ კომუნიკაციების, სამხედრო-საზღვაო ბაზების, ნავსადგურების, საზღვაო დესანტების გადასხმის რაიონების, ფლოტის სახომალდო ძალების დაჯგუფებებისა და საბრძოლო მოქმედებების რაიონების ნაღმსაწინააღმდეგო თავდაცვას. **ნ.ხ**-ების განვითარების ძირითადი მიმართულებაა ეფექტიანი ჰიდროაკუსტიკური, ოპტიკური, თერმოვიზუალური და ტელემართვადი ნაღმების აღმოჩენისა და კლასიფიკაციის სისტემების განადგურების საშუალებების შექმნა, სანავიგაციო მოწყობილობის, ინფორმაციის დამუშავებისა და მართვის საშუალებების სრულყოფა. **ნ.ხ**-ების გარდა, ნაღმგადამღობი მოქმედებისათვის შეიძლება მოზიდულ იქნეს სხვა კლასების წყალზედა ხომალდები (კრეისერები, საესკადრო ნაღმოსნები, სადარაჯო ხომალდები), მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავების და საზღვაო ავიაცია.

ნაღმსატყორცნი, ქვემეხი საარტილერიო ნაღმებით მორტირული სროლისთვის. ეფექტურად აზიანებს მიზნებს, რომლებიც განლაგებულია სანგრებში, თხრილებში, ადგილმდებარეობის ნაოჭებში, სიმაღლეების პირუკუ ფერდობებზე. ძირითადად სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფების და ნაწილების შეიარაღებაშია. ჩვეულებრივ, შედგება გლუვი ლულისგან, ორფეხა ლაფეტისგან, საყრდენი ფილისგან და სამიზნისგან. სროლა წარმოებს ლულის 45–85^0 ამაღლების კუთხის პირობებში. როგორც შედარებით პატარა სიმძლავრის ქვემეხს (ლულაში დენთის გაზების წნევა 3–4 – ჯერ ნაკლებია ვიდრე ზარბაზანში ან ჰაუბიცაში) მას აქვს შედარებით ნაკლები მასა და სროლის მანძილი. **ნ**-ის კონსტრუქცია რთულდება გადატენის პროცესის ავტომატიზაციის, უნივერსალიზაციის, სიმძლავრის ზრდის და სხვა ხარჯზე. არის: მსუბუქი (კალიბრი 60 *მმ*), საშუალო (60–120 *მმ*) და მძიმე (120 *მმ*-ზე მეტი). ლულიდან და სახაზინო დასატენიანი, გადასატანი, ბუქსირებადი და თვითმავალი; პირველად გაჩნდა 1904–05 წლებში, რუსეთ-იაპონიის ომში. გავრცელება პოვა I და განსაკუთრებით II მსოფლიო ომებში.

ნაღმსატყორცნის გასროლა, საბრძოლო მასალა ნაღმსატყორცნიდან სროლისთვის. შედგება საარტილერიო ნაღმისგან, ძირითადი (აალების) და დამატებითი სატყორცნი მუხტებისგან. ძირითადი მუხტი იდება ქაღალდის მასრაში და კაფსულ-ამგზნებით თავსდება სტაბილიზატორის მილში, დამატებითი კი ეცმება ამ მილზე. **ნ.ბ**. შეიძლება იყოს: საბრძოლო, სპეციალური (საკვამლე, სააგიტაციო და სხვა) და დამხმარე (სასწავლო, პრაქტიკული და სხვა).

ნაღმსაძებნი, გრუნტში, თოვლში და წყალქვეშ დამალული ნაღმების აღმოსაჩენი ხელსაწყო. ცნობილია: ინდუქციური ნაღმსაძებნი, რომელიც რეაგირებს ნაღმის ფერომაგნიტურ დეტალებზე. ასევე რადიოსიხშირული, რომელიც აღმოაჩენს როგორც ლითონის, ისე არალითონის დეტალებს; გადასატანი და ჩაშენებული კიდული მოწყობილობის სახით დამონტაჟებული, მაგალითად, ავტომობილის ბამპერზე. აფეთქებასაშიში მოწყობილობის

ძებნის საშუალებებს განეკუთვნება აგრეთვე: ასაფეთქებელი ნივთიერებების საძებნები, რომლებიც მათ აღმოაჩენენ მაღალმგრძნობიარე გაზანალიზატორების მეშვეობით; ელექტრონული სტეტოსკოპები საათის მექანიზმის სვლის მოსასმენად; ოპტიკურ-ელექტრონული ხელსაწყოები და სხვა.

ნაღმსაწინააღმდეგო დაცვა (ხომალდისა), ტექნიკური საშუალებებისა და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია უზრუნველყოს ხომალდის დაცვა ნაღმური იარაღის ზემოქმედებისაგან. მოიცავს: ხომალდის წყალქვეშა კონსტრუქციულ დაცვას [ბორტისა და ძროს (ფსკერის)]; ხომალდის ფიზიკური ველების ინტენსივობის შემცირების ღონისძიებებს; ხომალდის მექანიზმების, მოწყობილობისა და სისტემების აფეთქებამედეგობის ამაღლებას; ხომალდის ნაღმსაწინააღმდეგო საშუალებებს. მიიღწევა არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტით ხომალდების მშენებლობის დროს სპეციალური არამაგნიტური, შთანმთქმელი და სხვა მასალებისა და დაფარვის გამოყენებით, ხომალდების განმაგნიტების მოწყობით, ხომალდებისა და მექანიზმების ხმაურის შემცირებით, მაღალეფექტიანი ნაღმსაწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებით და სხვა.

ნაღმსაწინააღმდეგო თავდაცვა (ხომალდის, ხომალდების შენაერთების, ბადრაგის), სპეციალური ღონისძიებების და მოქმედებების კომპლექსი, რომელსაც ახორციელებენ ფლოტის ძალები ხომალდების (ტრანსპორტის) და ხომალდების შენაერთების (ბადრაგების) ნაღმზე აფეთქებისაგან დასაცავად ზღვაში. გულისხმობს მოწინააღმდეგის ნაღმური ღობურების დროულ აღმოჩენას შენაერთის (ბადრაგის) მოძრაობის მარშრუტზე, აგრეთვე ხომალდების მიერ ღობურების უსაფრთხო შემოვლას ან ფორსირებას. **ნ.თ**-ისათვის ხდება ნაღმსაწინააღმდეგო თვალთვალის ორგანიზება, აღმოჩენილი ნაღმების შესახებ შეტყობინება, მათთვის თავის არიდება, ხომალდების ნაღმსაწინააღმდეგო დაცვის მოწყობა. **ნ.თ**-ისათვის გამოიყენება მტრალავები, ნაღსაწინააღმდეგო ვერტმფრენები, ნაღმების გამრღვევები, ნაღმების საძებნები, სახომალდო ტექნიკა და თვალთვალის ვიზუალური საშუალებები. ხომალდის **ნ.თ**. ითვალისწინებს ღონისძიებებს ფიზიკური ველების დონის დადგენილი ნორმების ფარგლებში შესანარჩუნებლად, აგრეთვე ნაღმების ჰიდროაკუსტიკური, რადიოლოკაციური და ვიზუალური აღმოჩენის ორგანიზაციას და ამ ნაღმებისაგან თავის არიდების წესს.

ნაღმსაწინააღმდეგო საშუალებები (ხომალდის), ტექნიკური სისტემები, მოწყობილობები და ხელსაწყოები, აგრეთვე იარაღი, რომლებიც განკუთვნილია ნაღმების აღმოჩენისა და განადგურებისათვის. მოიცავს მაღალი გამრჩევი უნარის მქონე ჰიდროლოკაციურ და რადიოლოკაციურ სადგურებს, ნაღმების ძებნის სპეციალურ სადგურებს (ჰიდროაკუსტიკური კომპლექსების ტრაქტებს), ბუქსირებად ან თვითმავალ ტელემართვის სისტემებს (ჰიდროაკუსტიკური, ოპტიკური, მაგნიტური, ელექტრომაგნიტური, ელექტრული, სითბური ან ლაზერული), ხომალდის ტრალებს, ასაფეთქებელ (ზონრიან) მუხტებს, სიღრმულ ბომბებს, სახომალდო არტილერიის საშუალებებს და სხვა.

ნაღმსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება იმ მიზნით, რომ არ დაუშვან ხომალდების (გემების) აფეთქება მოწინააღმდეგის ნაღმებზე ბაზირების რაიონებში, ბაზებიდან გასვლის, ზღვით გადასვლის და საბრძოლო მოქმედებების რაიონში; ფლოტის ძალების მოქმედების ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა. მოიცავს წყლის ზედაპირის თვალთვალს და ნაღმური საფრთხის შეტყობინების სისტემას; ფარვატერების ნაოსნობისათვის რეკომენდებული რაიონებისა და კურსების სისტემას; ხომალდთა ფიზიკური ველების მდგომარეობის კონტროლის ღონისძიებებს; ხომალდების (გემების) გადასვლის მარშრუტებზე აღმოჩენილი ნაღმური ღობურების განადგურებას; ნაღმების დამყენებლების (ხომალდების, საფრენი აპარატების) განადგურებას; ხომალდების გატარებას ტრალების კვალდაკვალ და სხვა.

ნაღმური გამრღვევი, ნაღმური ღობურების გამრღვევი სპეციალური ან გადაკეთებული, გაზრდილი სიცოცხლისუნარიანობისა და ჩაუძირვადობის გემი. იგი განკუთვნილია შეზღუდული დროის პირობებში ნაღმსაწინააღმდეგო მოქმედებების განსახორციელებლად დიდი სიმჭიდროვის დანაღმულ ღობურებში ხომალდებისთვის (გემებისთვის) გასასვლელების გასაყვანად. **ნ.ბ**. კონტაქტურ ნაღმებს აფეთქებს თავისი კორპუსით, ხოლო არაკონტაქტურ ნაღმებს – ამ ნაღმებზე საკუთარი ან ხელოვნურად შექმნილი ფიზიკური ველების (აკუსტიკური, მაგნიტური, ჰიდროდინამიკური და სხვა) ზემოქმედებით. **ნ.ბ**-ებად, ჩვეულებრივ, იყენებდნენ სპეციალურად მომარჯვებულ 12 ათ. ტონამდე წყალწყვის გემებს ან სწრაფმავალ კატარღებს. ფართოდ გამოიყენებოდა II მსოფლიო ომში. **ნ.ბ**-ის ფუნქციებს XX საუკუნის 70–80-იან წლებში ასრულებდნენ რადიომართვადი მტრალავი კატარღები და დანაღმული ღობურების სამდინარო გამრღვევები.

ნაღმური დაბრკოლებები, მოწინააღმდეგის ხომალდების გასანადგურებლად, მათი მიმოსვლის დასაბრკოლებლად ზღვებზე, ტბებსა და მდინარეებზე ნაღმებისაგან მოწყობილი დაბრკოლებები. ტაქტიკური მოთხოვნების შესაბამისად, ნაღმებს განალაგებენ 1, 2 ან 3 მწკრი-

ვად, კლაკნილად, ნაღმების მეჩეჩისა და ფარდის სახით (ანტენები, რომლებიც ფეთქდება გამტართან – შვეულ ანტენასთან ხომალდის შეხებისას). თავდაცვითი (საკუთარ წყლებში) და აქტიური (მოწინააღმდეგის წყლებში). **ნ.დ.** ეწყობა წყალზედა და წყალქვეშა სანაღმე გადამღობებით, კრეისერებით, საესკადრო ნაღმოსნებით, მტრალავებითა და სხვა ხომალდებით, აგრეთვე – თვითმფრინავებითა და ვერტმფრენებით.

ნაღმური დაზვერვა, ღონისძიებების და მოქმედებების კომპლექსი ნაღმური ვითარების გამოსავლენად ძალების ბაზირების რაიონში, გადასვლის მარშრუტებზე, წყალქვეშა ნავებისა და წყალზედა ხომალდების (გემების) საბრძოლო მოქმედებების წარმოების რაიონებში. **ნ.დ.** არის დაზვერვის შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება ნაღმსაწინააღმდეგო თვალთვალის სისტემით, ხომალდებით (გემებით) ღუზაზე დგომის ადგილებში და ზღვით გადასვლისას, აგრეთვე თვითმფრინავებით (ვერტმფრენებით), რომლებიც ახორციელებენ ფრენას ზღვის თავზე, მყვინთავების ძალებით, რომლებიც იკვლევენ ნავსაყუდელებს, რეიდებს, ღუზაზე დგომის ადგილებს და ა.შ.

ნაღმური დამცველი, ავტონომიური მოწყობილობა საზღვაო ღუზიანი ნაღმების მოწინააღმდეგის ხომალდების საკონტაქტო ტრალებით და სხვა საშუალებებით გამოტრალვისაგან დასაცავად. შედგება ღუზის, ტივტივებიანი სავაზნის, ფოლადის გვარლის (ჯაჭვის) ტივტივისა და ნაღმსაბამებისაგან, რომლებსაც ამაგრებენ ტივტივაზე წყლის ზედაპირთან და ღუზაზე წყლის ფსკერზე **ნ.დ**-ის გარკვეულ სიღრმეზე გასაჩერებლად. ტივტივასაბამს (ნაღმსაბამს) ამაგრებენ სპეციალურ დანებს ან ასაფეთქებელ ვაზნებს. მტრალავი ნაწილი **ნ.დ**-ის გვარლზე სრიალისას გადაიჭრება დანით ან გაიგლიჯება ვაზნით. **ნ.დ**-ს აყენებენ ხაზზე (ერთ ან ორ მწკრივად) ნაღმური გადამღობის წინ. **ნ.დ**-ები არის ერთჯერადი ან მრავალჯერადი მოქმედებისა. მრავალჯერადი მოქმედების **ნ.დ**-ებში ასაფეთქეელი ვაზნის ამოქმედებისას სავაზნიდან ავტომატურად ამოტივტივდება მორიგი მომართული ტივტივა.

ნაღმური ვითარება, პირობები, რომლითაც ხასიათდება ნაღმური საფრთხის ხარისხი ხომალდებისა და გემებისათვის საომარი მოქმედების საოკეანო (საზღვაო) თეატრში ან მის ცალკეულ რაიონში, დროის გარკვეულ შუალედში. ნ.ვ. მოიცავს მონაცემებს საკუთარი ნაღმური ღობურების, მოწინააღმდეგის გამოვლენილი ან სავარაუდო ნაღმური ღობურების, მცურავი და მოდრეიფე ნაღმების აღმოჩენის ადგილს. ასევე მონაცემებს ნაღმებზე აფეთქებული ხომალდების (გემების) ადგილისა და დროის შესახებ.

ნაღმური ომი, 1. საბრძოლო მოქმედების წარმოების ხერხი, რომლის დროსაც გამოიყენება თხრილები და მიწისქვეშა ხვრელები და ასაფეთქებელი ნივთიერებების (მიწისქვეშა ნაღმების) ჩაღრმავებული მუხტები. მიმართავდნენ შემტევი ნაწილები ციხესიმაგრის გალავანთან მიახლოების მიზნით, რათა გაენგრიათ და ნანგრევებიდან შეჭრილიყვნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში. ალყაშემორტყმული ჯარები ასევე იყენებდნენ მიწისქვეშა ხვრელებს და კონტრნაღმებს მოწინააღმდეგის ნაღმების გალერეების დასანგრევად. 2. ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია სანაღმო, ნაღმსაწინააღმდეგო იარაღის გამოყენება სახმელეთო ჯარებისა და ფლოტის ძალების მოქმედების გასართულებლად, მათთვის ზარალის მისაყენებლად.

ნაღმური ღობურების გარღვევა, იხ. *ღობურებისა და დაბრკოლებების გადალახვა.*

ნაღმური ღობურების ფორსირება, წყალქვეშა ნავების ჯგუფების (ცალკეული წყალქვეშა ნავების) ან წყალზედა ხომალდების (გემების) რაზმების გარღვევა საზღვაო ნაღმების ღობურებში მტრის წინააღმდეგობის დაძლევით. ხორციელდება მაშინ, როდესაც შეუძლებელია ღობურების შემოვლა ან არ რჩება დრო ამ ღობურებში გასასვლელების გასაყვანად. გულისხმობს მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებების ჩახშობას, ხომალდების (გემების) სვლას კილვატერული კოლონით მტრალავების ან ხომალდების კვალდაკვალ, რომლებსაც გაჰყავთ ფარვატერი ასაფეთქებელი საშუალებების დახმარებით. II მსოფლიო ომის დროს გამოიყენებოდა ნაღმების გამრღვევები.

ნაწილის დაშლა, შეიარაღებულ ძალებში საშტატო ორგანიზაციის და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეულის ლიკვიდაცია.

ნაწილის თვითნებური მიტოვება, დანაშაული, რომელიც გამოიხატება როგორც სამხედრო მოსამსახურის მიერ ნაწილის ან სამსახურის თვითნებური მიტოვებით, ისე დათხოვნიდან, შვებულებიდან, სამკურნალო დაწესებულებიდან, მივლინებიდან დაბრუნებისას, სამსახურებრივი დანიშვნის და გადაყვანის დროს საპატიო მიზეზის გარეშე 2 დღეზე მეტი ხანგრძლივობის გამოუცხადებლობით.

ნახევრად დაფარული პოზიცია, ჯავშანსატანკო ერთეულის ისეთი მდებარეობა, როცა ზედაპირზე ჩანს მხოლოდ ქვემეხის ღულა ან გამშვები დანადგარი.

ნახევრად დახურული ზღვა, ყურე, აუზი ან ზღვა, შემოსაზღვრული ორი, ან მეტი სახელმწიფოს ტერიტორიით და დაკავშირებული ზღვასთან, ან ოკეანესთან ვიწრო გასასვლელით. ასევე – ორი ან მეტი ზღვისპირა სახელმწიფოს ტერიტორიული ზღვებით და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებით მთლიანად, ან ძირითადად შემდგარი სივრცე, რომელიც დაკავშირებულია ოკეანესთან.

ნახევრად ჯავშანგამტანი საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

ნახიდურის ბრძოლა 1599, ბრძოლა ქართლისა და ოსმალეთის ჯარებს შორის. ქართველების მიერ ოსმალთაგან გორის ციხის გათავისუფლების პასუხად, სულთნის ბრძანებით, საქართველოში გამოილაშქრა თავრიზის და ვანის ბეგლარბეგმა ჯაფარ-ფაშამ. ქართლის მეფე სიმონ I მტერს სოფელ ნახიდურთან დახვდა, ალგეთის ხეობაში. ქართველებმა ოსმალთა რამდენიმე რაზმი გადაქელეს, მაგრამ მოწინააღმდეგის უპირატესობამ ჯარის სიმრავლესა და ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვაში თავისი გაიტანა. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ ქართველები დამარცხდნენ. არაორგანიზებული უკან დახევის დროს სიმონ I ტყვედ ჩავარდა და სტამბოლში წაიყვანეს.

ნახიმოვი პავლე სტეფანეს ძე (1802–55), რუსი ადმირალი (1855), დაამთავრა საზღვაო კადეტთა კორპუსი (1818). 1822–25 წლებში ფრეგატ „კრეისერით“ იმოგზაურა დედამიწის გარშემო. მონაწილეობდა ნავარინის ბრძოლაში (1827), ყირიმის ომში (1853–56), მეთაურობდა შავი ზღვის ფლოტის ესკადრას. სინოპის ბრძოლაში (1853) გაანადგურა ოსმალეთის ფლოტის მთავარი ძალები. **ნ**-მა საზღვაო ბრძოლების დროს გამოამჟღავნა საუკეთესო ბრძოლისუნარიანობა. **ნ**-ის სახელი მიენიჭა სამხედროსაზღვაო ფლოტის ერთ-ერთ კრეისერს.

ნახტომი, 1. ხმელეთზე წარმოებული საბრძოლო მოქმედებების დროს ერთჯერადი გადაადგილება ერთი სამალავიდან მეორემდე მოწინააღმდეგის ცეცხლის ქვეშ. 2. ერთი გადაადგილებით დაფარული მანძილი იმ ქვედანაყოფის მიერ, რომელიც ნახტომისებური სვლით მიიწევს წინ.

ნგრევა, ცეცხლის, წყლის, ასაფეთქებელი ნივთიერებების, მექანიკური ან სხვა საშუალებების ზემოქმედებით შენობების, ობიექტების, ან საბრძოლო ტექნიკის განადგურება.

ნგრევის რაიონების გადალახვა, ჯარების წინსვლა საბრძოლო, ბრძოლისწინა და სალაშქრო წყობით ნგრევის რაიონების (ზონების) გავლით, როდესაც შეუძლებელია მათი შემოვლა. **ნ.რ.ბ**-ს ჯარები საინჟინრო ტექნიკის, ასაფეთქებელი მუხტების და სხვა საშუალებების გამოყენებით ახორციელებენ. ამასთან, საინჟინრო ნაწილებს და ქვედანაყოფებს გაჰყავთ გასასვლელები ნანგრევებში, აწყობენ საკოლონო გზებს, გადასასვლელებს, მოქმედებენ განღობვის რაზმების (ჯგუფების), მოძრაობის უზრუნველყოფის რაზმების შემადგენლობაში.

ნგრევების, ხერგების და ხანძრების ზონა, ადგილმდებარეობის რაიონი, რომელშიც ბირთვული ან ჩვეულებრივი საბრძოლო მასალის აფეთქებამ გამოიწვია მასობრივი ნგრევა, წარმოიქმნა ტყემასალის, ქვების, მიწის და სხვა ხერგები და გაჩნდა ხანძრები. განასხვავებენ სრულ, ძლიერ, საშუალო და სუსტ **ნ.,ხ.დ.ხ.ზ**-ებს. გარდა საბრძოლო მოქმედებებისა, ეს ზონები შეიძლება ატომურ ელექტროსადგურებზე, სხვა ობიექტებსა და საწარმოებში ავარიების შედეგად წარმოიშვას.

ნდობის ზომები, სამხედრო სფეროში სახელმწიფოების კოლექტიური და ცალმხრივი მოქმედებები, რომელთა მიზანია დაძაბულობის და სამხედრო დაპირისპირების დონის შემცირება, ერთმანეთის სამხედრო საქმიანობის არასწორი შეფასების საფუძველზე შეიარაღებული კონფლიქტის წარმოქმნის აღკვეთა.

ნდობის ღონისძიებები, კოლექტიური და ცალმხრივი აქციები, რომლებსაც მეორე მხარის დასარწმუნებლად მიმართავენ სახელმწიფოები. ეს ღონისძიებები არ ისახავს მიზნად ზიანი მიაყენოს მეორე მხარის ეროვნულ უსაფრთხოებას. ჩვენს დროში **ნ.ღ**. ატარებს როგორც შეტყობინების, ისე შეკავების ხასიათს და ითვალისწინებს: სამხედრო ინფორმაციის გაცვლას, მათ შორის – შეიარაღების სისტემების და ტექნიკის გაშლის გეგმების, სამხედრო ბიუჯეტების შესახებ და სხვა; გარკვეული სამხედრო საქმიანობის შესახებ წინასწარ შეტყობინებას; სამხედრო წარმოების კონვერსიის დარგში თანამშრომლობას და სხვა.

ნდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების ზომები, დებულება ინფორმაციის გაცვლაზე, **რომელიც** დაკავშირებულია მონაწილე ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან და სამხედრო საქმიანობასთან, მის შემოწმებასთან, აგრეთვე მონაწილე ქვეყნების თანამშრომლობის განსაზღვრული მექანიზმების განვითარებასთან სამხედრო საკითხებში ურთიერთნდობის და შეშფოთების მოხსნის მიზნით. **ნ.ღ.უ.ბ.ზ**. მოიცავს: 1. სამხედრო ინფორმაციის ყოველწლიურ გაცვლას; 2. რისკის შემცირების ზომებს, კერძოდ, კონსულტაციების და თანამშრომლობის მექანიზმებს, დაკავშირებულს განსაკუთრებულ სამხედრო საქმიანობასთან; 3. სამხედრო კონტაქტების და თანამშრომლობის დებულებებს; 4. განსაზღვრული სახეობის სამხედრო საქმიანობის წინასწარ შეტყობინებას; 5. განსაზღვრული სახეობის სამხედრო საქმიანობის დაკვირვებას; 6. სამხედრო საქმიანობის სახეობების ყოველწლიური კალენდარული ჩამონათვალის გაცვლას; 7. სამხედრო მოღვაწეობის შეზღუდვების დებულებებს; 8. შეთანხმებების დაცვის და შემოწმების ზომებს; 9. დედაქალაქებს შორის პირდაპირი კავშირის ქსელებს; 10. სხვადასვა შეთანხმების რეალიზაციის შეფასებისთვის ყოველწლიურ შეხვედრებს; 11. ლოკალიზებულ კრიზისულ სიტუაციებში სტაბილიზაციის ზომებს; 12. იარაღის გადაცემის მარეგულირებელ პრინციპებს.

ნეიტრალიზაცია (ტერიტორიის), საერთაშორისო შეთანხმებით ისეთი რეჟიმის დაწესება, რომელიც აკრძალავს საომარ მოქმედებას ამა

თუ იმ ტერიტორიაზე და მის გამოყენებას საომარი მოქმედების დასაყრდენ ბაზად. **ნ**-ის ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო ტერიტორიის ნაწილი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეზობელი სახელმწიფოების უშიშროებისათვის ან საერთაშორისო ეკონომიკური კავშირურთიერთობისათვის. **ნ**. ამცირებს შესაძლებელი ომის მასშტაბს. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგიერთი საერთაშორისო ტერიტორიის, სახელდობრ, ანტარქტიდისა და კოსმოსური სივრცის (ციური ცხეულების ჩათვლით) **ნ**-ს.

ნეიტრალიტეტი (ლათინური nauter – არც ის, არც სხვა), სახელმწიფოს განსაკუთრებული საერთაშორისო-სამართლებრივი სტატუსი. განასხვავებენ **ნ**-ის ორ სახეობას. 1. **ნ**. ომიანობის დროს (ვენტუალური), რაც გულისხმობს გარკვეული სახელმწიფოს განცხადებას, რომ კონკრეტულ ომში არ იღებს მონაწილეობას არც ერთი მეომარი სახელმწიფოს მხარეზე და არც დამოუკიდებლად. ასეთ **ნ**-ს იცავენ მხოლოდ მოცემულ ომში და იგი შეიძლება გაუქმდეს ამ სახელმწიფოს ცალმხრივი აქტით. საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორია ხელშეუხებელია და არ შეიძლება იყოს საომარი მოქმედების თეატრი. მეომარ სახელმწიფოებს ეკრძალებათ მის ტერიტორიაზე ჯარების გატარება, იარაღის და სამხედრო მასალების გადატანა და ა.შ. 2. მუდმივი **ნ**. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვალდებულებას კისრულობს, არ მიიღოს მონაწილეობა სხვა სახელმწიფოებს შორის შესაძლო შეიარაღებულ კონფლიქტებში, არ შევიდეს სამხედრო კავშირებსა და ბლოკებში, არ დაუთმოს თავისი ტერიტორია უცხოეთის ჯარებსა და სამხედრო ბაზებს. საერთაშორისო აქტების თანახმად, მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოებია: შვეიცარია, ავსტრია, მალტა. **ნ**-ის პოლიტიკას ადგას შვედეთი, მაგრამ რამდენადაც ეს არ არის დაფიქსირებული არც მის კონსტიტუციურ აქტებში, არც საერთაშორისო ხელშეკრულებებში, მის **ნ**-ს ტრადიციულს უწოდებენ.

ნეიტრალური ზონა, ტერიტორია, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულების გამო ვერ იქნება საომარი მოქმედებების ადგილი ან ბაზა საომარი ოპერაციებისათვის. **ნ.ზ.** არის მუდმივი (მაგელანის სრუტე, სუეცისა და პანამის არხები, შპიცბერგენი, ანტარქტიდა, ტერიტორია ერაყსა და საუდის არაბეთს შორის, მთვარე და სხვა ციური სხეულები) და დროებითი (ომის, მოლაპარაკებების პერიოდისათვის). **ნ.ზ**-ის შექმნას ზოგჯერ თან სდევს დემილიტარიზაცია (მაგალითად, კორეის დემილიტარიზაცია 1953 წლის დაზავების მიხედვით).

ნეიტრალური წყლები, 1. ომის პერიოდში ნეიტრალური და არამეომარი სახელმწიფოების ტერიტორიული და შიდა წყლები; 2. საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნეიტრალიზებული ზღვის სივრცეები, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საომარი მოქმედების წარმოების ან მომზადებისათვის; 3. ღია ზღვის წყლების პირობითი სახელწოდება, რომელიც არ არის დამკვიდრებული საერთაშორისო სამართალში.

ნეიტრალური ხომალდი, ნეიტრალური სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავი ხომალდი. ტერმინი დაფიქსირდა 1780 წლის დეკლარაციაში შეიარაღებული ნეიტრალიტეტის შესახებ. საერთაშარისო-სამართლებრივი მდგომარეობა – ლონდონის 1909 წლის დეკლარაციაში საზღვაო ომის სამართლის შესახებ.

ნეიტრონული საბრძოლო მასალები, ბირთვული საბრძოლო მასალების სახეობა მცირე სიმძლავრის თერმობირთვული მუხტით, რომელიც განსხვავდება ნეიტრონების მომატებული გამოყოფით. ამის გამო აფეთქების ენერგიის დიდი ნაწილი გამჭოლ რადიაციაზე მოდის. ზოგიერთი სპეციალისტი **ნ.ს.მ**-ს აიგივებს უფრო „ჰუმანურ“ ჩვეულებრივ იარაღთან.

ნელსონი (Nelson) ჰორაციო (1758–1805), ინგლისელი ზღვაოსანი, ვიცე-ადმირალი (1801). 1798 წლიდან მეთაურობდა ესკადრას ხმელთაშუა ზღვაში. რამდენიმე გამარჯვება მოიპოვა ფრანგულ ფლოტზე (მ.შ. აბუკირთან 1798), ხოლო 1805 წელს დაამარცხა ფრანგულ-ესპანური ფლოტი ტრაფალგართან ბრძოლაში (იხ. *ტრაფალგარის ბრძოლა*), სადაც სასიკვდილო ჭრილობა მიიღო. **ნ**-ის საქმიანობამ ხელი შეუწყო ბრიტანეთის საზღვაო ძლიერების გაზრდას. იყო გაბედული მოქმედებების მომხრე, იყენებდა მანევრულ ტაქტიკას.

ნეპალი (Nepal – ნეპალის სამეფო) სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ჰიმალაის მთების ცენტრალურ ნაწილში. ფართობი 140,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 29,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ნეპალური. დედაქალაქი – ქ. კატმანდუ. ადმინისტრაციულად იყოფა 14 ზონად. სახელმწიფო წყობა – კონსტიტუციური მონარქია. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს მეფეს და ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მეფეს და მთავრობას. **ნ**. აგრარული, ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე განუვითარებელი ქვეყანაა. საერთაშორისო აეროპორტი კატმანდუ. შეიარაღებული ძალები წარმოდგენილია სახმელეთო ჯარებით – 95,7 ათ. კაცი (2012), რომელშის შედის სამხედრო-საჰაერო ფორმირებები. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ნიგერი (Niger – ნიგერის რესპუბლიკა) სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 1,267 მლნ. *კმ*². მოსახლეობა 15,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი

– ქ. ნიამეი. ადმინისტრაციულად იყოფა 7 დეპარტამენტად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული ასამბლეა, აღმასრულებელი – მთავრობა. **ნ**-მა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წლის 3 აგვისტოს. 1974 წლის 15 აპრილს მოხდა სამხედრო გადატრიალება. **ნ**. მსოფლიოს ერთ-ერთი უღარიბესი ქვეყანაა, ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ურანის მოპოვება და სოფლის მეურნეობა. საერთაშორისო აეროპორტებია: ნიამეი, აგადესი და ზინდერი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 5,3 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 5,2 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,1 ათ.. გასამხედროებული ფორმირებები, მათ შორის ჟანდარმერია 5,4 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ნიგერია (Nigeria – ნიგერიის ფედერაციული რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, მდინარე ნიგერის ქვემო დინების აუზში. ქვეყანას სამხრეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანის გვინეის და ბენინის ყურეები. ფართობი 923,8 ათ. კმ². მოსახლეობა 158,2 მლნ. კაცი (2012), ცხოვრობს 200-მდე ეროვნების ხალხი. ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. აბუჯა, უდიდესი ქალაქი ქ. ლაგოსი, ყოფილი დედაქალაქი 1991 წლამდე. ადმინისტრაციულად იყოფა 30 შტატად და დედაქალაქის ოლქად. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1963 წლის 1 ოქტომბერს. **ნ**. აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია ნავთობმოპოვებითი მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა ამზადებს ცეცხლსასროლ და საარტილერიო აღჭურვილობას, სამხედრო ავტომობილებს, აწყობს სასწავლო-საწვრთნელ თვითმფრინავებს, აწარმოებს სხვადასხვა კლასის ხომალდების მშენებლობას. მსხვილი საზღვაო პორტებია: პორტ-ჰარკორტი, ვარი, კალაბარი, ლაგოსი. საერთაშორისო აეროპორტებია: აბუჯა, ლაგოსი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 80 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 62 ათ., სამხედრო-საჰაერო 10 ათ. და სამხედრო-საზღვაო ძალები 8 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ნიდერლანდები (Nederland – ნიდერლანდების სამეფო), სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ქვეყანას ჩრდილოეთით და დასავლეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთის ზღვა. ფართობი 41,5 ათ. კმ². მოსახლეობა 16,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ნიდერლანდური. დედაქალაქი – ქ. ამსტერდამი. მთავრობის რეზიდენცია – ჰააგა. ადმინისტრაციულად იყოფა 12 პროვინციად. მის მფლობელობაში შედის ვესტ-ინდოეთში მდებარე ანტილის კუნძულთა ჯგუფი. **ნ**-ში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს მეფეს და გენერალურ შტატებს (ორპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მეფეს და მთავრობას. **ნ**. ნატოს წევრი ქვეყანაა. მაღალგანვითარებულია ინდუსტრიულ-აგრარული დარგები: მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება. სოფლის მეურნეობა – მეცხოველეობა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საავიაციო, ჯავშანსატანკო და სამხედრო-საზღვაო შეიარაღებას, საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, ტყვია-წამალს, რადიო-ელექტრონულ მოწყობილობას და სხვა. მსხვილი საზღვაო პორტებია: როტერდამი, ამსტერდამი. საერთაშორისო აეროპორტი – ამსტერდამი (სხიპჰოლი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 37,3 ათ. კაცი (2012) სახმელეთო ჯარები 20 ათ., სამხედრო-საჰაერო 8,8 ათასი და სამხედრო-საზღვაო 8,5 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ნიკარაგუა (Nicaragua – ნიკარაგუას რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ქვეყანას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება წყნარი ოკეანე, ხოლო აღმოსავლეთით – ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვა. ფართობი 130 ათ. კმ². მოსახლეობა 5,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური, დედაქალაქი – ქ. მანაგუა. ადმინისტრაციულად იყოფა 15 დეპარტამენტად და 2 თვითმმართველ რეგიონად. **ნ**. დამოუკიდებელი ქვეყანაა 1821 წლის 15 სექტემბრიდან. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). **ნ**. აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მიწათმოქმედება. მოჰყავთ: ყავის, შაქრის ლერწმის და ბამბის კულტურები. მრეწველობა სუსტადაა განვითარებული. ამუშავებენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებს. მსხვილი საზღვაო პორტებია: პუერტო-კაბესასი, ბლუფილდზი, ელ-მორიტო, კორინტო, სან-ხუან-დელ-სური. საერთაშორისო აეროპორტია მანაგუა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 12 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 10 ათ., სამხედრო-საჰაერო 1,2 ათ. და სამხედრო-საზღვაო 0,8 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ნიკოლეიშვილი ლევან თამაზის ძე (დ. 1967), გენერალური შტაბის უფროსი (2005–06), პოლკოვნიკი. დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1984–92), გერმანიის ბუნდესვერის სავერიფიკაციო და

ენობრივი კურსები (1995), დიდი ბრიტანეთის სამხედრო ენობრივი ინსტიტუტი (1997), აშშ-ის არმიის სამეთაურო და გენერალური შტაბის კოლეჯი (2001), დაამთავრა ნატოს თავდაცვის კოლეჯი (2003). მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (1992–97), ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვის საკითხთა სამსახურის რეფერენტი (1997–98), გენერალური შტაბის სავერიფიკაციო ცენტრის უფროსი (1998–2000), გენერალური შტაბის მთავარი ოპერატიული სამმართველოს უფროსი (2001–02), ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის თავდაცვისა და სამხედრო აღმშენებლობის დეპარტამენტის დირექტორი (2003–04), სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილე და გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე (2004). მიღებული აქვს სახელწიფო ჯილდოები.

ნიშა (ფრანგული – niche), ჩაღრმავება სანგრის (ტრანშეის) კედელში, პირადი შემადგენლობის ჩვეულებრივი და მასობრივი დაზიანების იარაღისგან დასაცავად. ასევე შეიარაღების, საბრძოლო მასალების, სურსათ-სანოვაგის შესანახად. ერთადგილიანი ნიშის ზომები, ჩვეულებრივ, 110–70–100 *სმ*-ს არ აღემატება.

ნიშანი, ვიზუალური ან სმენითი ეფექტი, რომელსაც წარმოშობს იარაღიდან გასროლა, ან აღჭურვილობის ცალკეული დასახელების მოქმედება (ხმაური, კვამლი, ალი, სიმხურვალე ან მტვერი).

ნომოგრამა (ბერძნული nomos – კანონი, gramma – გამოსახულება), ნახაზი, რომელიც ასახავს ურთიერთკავშირს ცვალებადი სიდიდეების მოცემულ მნიშვნელობასა და ფუნქციის საძებნ სიდიდეს შორის. **ნ**-ები გამოიყენება სპეციალური საანგარიშო მოწყობილობების სახით, სამხედრო საქმეში – გამოიყენება სარაკეტო დარტყმების, არტილერიის სროლის, იარაღის კომპლექსების და სისტემების საბრძოლო შესაძლებლობების ეფექტიანობის შეფასებისთვის. ასევე, თვითმფრინავების ფრენის მანძილის, ხანგრძლივობის და სხვადასხვა საინჟინრო გათვლებისათვის.

ნორვეგია (Norge – ნორვეგიის სამეფო), სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულის დასავლეთ და უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში. ესაზღვრება ატლანტის ოკეანე ნორვეგიის ზღვით. ფართობი 387 ათ. *კმ*². მოსახლეობა 4,9 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ნორვეგიული. დედაქალაქი – ქ. ოსლო. ადმინისტრაციულად იყოფა 20 ფიულკედ (ოლქი). **ნ**-ში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაური – მეფე. საკანონმდებლო ორგანო – სტორტინგი (ორპალატიანი პარლამენტი). აღმასრულებელი ძალაუფლება აქვს მეფეს, რომელიც ნიშნავს სახელმწიფო საბჭოს (მთავრობას). დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1905 წლიდან **ნ**. ნატოს წევრი ქვეყანაა. განვითარებულია ინდუსტრიულ-აგრარული მრეწველობის დარგები: ნავთობმოპოვება, ნავთობქიმიური, ელექტრომეტალურგიული, ელექტროქიმიური, მანქანათმშენებლობა, ცელულოზა-ქაღალდის დამუშავება, თევზჭერა. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მეცხოველეობა და მარცვლეული კულტურები. მსხვილი საზღვაო პორტებია: ნარვიკი, ბერგენი, ოსლო, ტრონჰეიმი. საერთაშორისო აეროპორტებია: ოსლო, ბერგენი, სტავანგერი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 32,7 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 15,8 ათ., სამხედრო-საჰაერო 7,9 ათ. და სამხედრო-საზღვაო 9 ათ., რეზერვი – 235 ათ. კაცი. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ნორმანდიის საღესანტო ოპერაცია 1944, 6 ივნისი – 24 ივლისი, II ფრონტის გახსნა II მსოფლიო ომის დროს. ინგლის-ამერიკის საექსპედიციო ძალების მიერ ლამანშის სრუტის გადალახვა, ნორმანდიაში გადასხდომა და სტრატეგიული პლაცდარმის ხელში ჩაგდება, საიდანაც დაიწყო შეტევითი ოპერაცია ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში. **ნ.ს.ო**. მსოფლიო ისტორიაში ყველაზე მასშტაბური იყო ამ სახის ოპერაციებს შორის. დესანტის ძალები ითვლიდნენ 2,9 მლნ. კაცს, 6 ათ. ტანკსა და თვითმავალ საარტილერიო დანადგარს, 15 ათ. ქვემეხსა და ნაღმსატყორცნს. დესანტირებას უზრუნველყოფდა დაახლოებით 7 ათ. გემი, 11 ათ. საბრძოლო და 2,3 ათ. სატრანსპორტო თვითმფრინავი, 2,6 ათ. პლანერი. მიუხედავად ოპერაციაში მონაწილე უზარმაზარი ძალებისა, მიღწეულ იქნა მოულოდნელობა და მოუმზადებელ სანაპიროზე გადასხდომის პროცესში ფლოტის, ავიაციისა და სახმელეთო ჯარების შეთანხმებული მოქმედებები.

ნორმატივები (სამხედრო) (ლათინური normatio – მოწესრიგება), მეცნიერულად დასაბუთებული მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ჯარების ყოველდღიურ საქმიანობას, საბრძოლო მოქმედებების წარმოების და ყოველმხრივი უზრუნველყოფის პროცესებს. **ნ**-ს ყოფენ რამდენიმე ჯგუფად. პირველ ჯგუფს განეკუთვნება **ნ**., რომლებიც ახასიათებენ სამხედრო მოსამსახურეების (ეკიპაჟების, ქვედანაყოფების და სხვა) მიერ განხორციელებულ გარკვეულ მოქმედებებს; დროის, რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც დაკავშირებულია შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციასთან. მეორე ჯგუფს შეადგენს **ნ**., რომლებიც ახასიათებენ შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ექსპლუატაციის პროცესს. მესამე ჯგუფს განეკუთვნება **ნ**., რომლებიც განსაზღვრავენ მატერიალური საშუალებების ხარჯვას. ცაკლე ჯგუფს წარმოადგენს კომპლექსური **ნ**., რომლებიც ჯარების (ძალების) გამოყენების ოპერატიულ – ტაქტიკურ ასპექტებს ახასიათებენ.

ნორმატიული გადახრები, შესაფასებელი სიდიდის ზღვრული მნიშვნელობა, რომელიც შეფასების საზომად მიიღება. სამხედრო ავიაციაში გამოიყენება პილოტირების ხარისხის, საჰაერო ნავიგაციის და საბრძოლო გამოყენების შეფასებისათვის. **ნ.ბ**. განისაზღვრება დიდი რაოდენობით ფრენის (საბრძოლო გამოყენების) შედეგების სტატისტიკური დამუშავების საფუძველზე. ზუსტდება გამოცდილების და სტატისტიკური მასალების დაგროვების შედეგად და მიეწოდება სამხედრო ნაწილებს საბრძოლო მომზადების კურსისთვის დანართების სახით.

ნოტამი, იხ. *შეტყობინება მფრინავებისთვის.*

ო

ობიექტების დაზიანება, ობიექტებზე (მიზნებზე) დაზიანების სხვადასხვა საშუალებებით ზემოქმედება, რის შედეგადაც ისინი დანიშნულებისამებრ მოქმედების, საბრძოლო ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას და ბრძოლისუნარიანობას მთლიანად ან ნაწილობრივ (დროებით) კარგავენ. ობიექტებისთვის (მიზნებისთვის) მიყენებული ზარალის მიხედვით დასაშვებია მათი განადგურება (ნგრევა), დაზიანება, დეზორგანიზაცია და ობიექტის ცოცხალი ძალის დაუძლურება.

ობიექტების (მიზნების) ჩახშობა, ობიექტისთვის (მიზნისთვის) ზარალის მიყენება (დაზიანება) და ისეთი პირობების შექმნა, რომელშიც იგი დროებით კარგავს ბრძოლისუნარიანობას, იზღუდება (აღიკვეთება) მისი მანევრი და ირღვევა მართვა. გამოცდილებით დადგენილია, რომ ჯგუფური მიზნის ჩახშობა ხდება მასში შემავალი ცალკეული მიზნების ან მისი ფართობის 25–30%-ის დაზიანებით.

ობიექტის რაიონი, 1. განსაზღვრული გეოგრაფიული რაიონი. რომლის ფარგლებში მდებარეობს ის ობიექტი, რომელსაც სამხედრო ძალებმა უნდა მიაღწიონ ან ხელში ჩაიგდონ. 2. ქალაქი ან სხვა გეოგრაფიული პუნქტი, სადაც მოსალოდნელია ან დაწყებულია სამოქალაქო არეულობა და საჭიროა სამხედრო ნაწილების გამოყენება.

ობსერვაცია (სამედიცინო) (ლათინური observatio – დაკვირვება), იზოლაციის პირობებში იმ პირებზე სამედიცინო დაკვირვება, რომლებიც საკარანტინო ინფექციებით დაავადებულებთან კონტაქტში იმყოფებიან ან საკარანტინო დაავადებების კერის გარეთ გადიან შესაბამისი დაავადების საინკუბაციო პერიოდს მაქსიმალური ვადით; საიზოლაციო-შემზღუდავი ერთ-ერთი ღონისძიება. **ო.** ითვალისწინებს: გაძლიერებულ სამედიცინო დაკვირვებას, პირადი შემადგენლობის გადაადგილების შეზღუდვას, მასობრივი ღონისძიებების დროებით აკრძალვას და ა.შ.

ობსერვაციული არმია, სამეთვალყურეო არმია, რომელიც გაშლილია მეომარი ან საომარ მდგომარეობაში მყოფი მეზობელი სახელმწიფოს მიერ არამეომარი სახელმწიფოს საზღვარზე მისი ჯარების მოქმედებებისთვის თვალყურის სადევნებლად და მათი თავდასხმის მოსაგერიებლად. ხშირად **ო.ა**-ს აყენებდნენ ნაკლებად სანდო მოკავშირის საზღვარზე, რათა აეძულებინათ იგი ომში მის მხარეზე ჩაბმულიყო ან დაეცვა ნეიტრალიტეტი. ამ მიზნით სახელმწიფო ჯარების ნაწილის გამოყოფა, რომელსაც „ობსერვაციული არმია“ ეწოდა, შემოიღეს XIX–XX საუკუნეებში დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

ობტიურაცია (ლათინური obturo – დაკეტვა), სროლის დროს ცეცხლსასროლი იარაღის ლულის არხის ჰერმეტიზაცია დენთის აირების განსაზღვრული წნევის შესაქმნელად. მისი მიღწევა ხდება ლულის სახაზინო ნაწილის (უძრავი **ო.**) ჰერმეტიზაციით მასრის შემჭიდროების ხარჯზე ან ხაზინით (უმასრო დატენის დროს) და ლულის არხის მიმმართველი ნაწილით (მოძრავი **ო.**) – ჭურვის მიმმართველი მოწყობილობებით.

„ოვერლორდი“ (ინგლისური overlord – სიუზერენი, ბატონი), აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და მათი მოკავშირეების შეიარაღებული ძალების ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთში შეჭრის გეგმა II მსოფლიო ომის დროს ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის მიზნით (იხ. *ნორმანდიის სადესანტო ოპერაცია 1944).*

ოზონური იარაღი, გეოფიზიკური იარაღის შესაძლო სახეობა. დანიშნულებაა დედამიწის ატმოსფეროში ულტრაიისფერი რადიაციის გარკვეული სიგრძის ტალღების გავლის შედეგად ზოგიერთ გეოგრაფიულ რაიონში ხელშემწყობი პირობების შექმნის ხარჯზე ბიოლოგიური პროცესების და ორგანული სიცოცხლის არსებითი შეცვლა. ასეთი პირობები შეიძლება ჩამოყალიბდეს ატმოსფეროს ოზონის შრის წარმოშობის (რღვევის) ბუნებრივი პროცესების განზრახ შენელების (დაჩქარების) გზით. **ო.ი.** შეიძლება მოიცავდეს ქიმიურ რეაგენტებს (წყალბადის, აზოტის ოქსიდის ნაერთებს და სხვა), მათი მიტანის (რაკეტები, თვითმფრინავები, აეროსტატები, კოსმოსური აპარატები და სხვა) და გაფრქვევის (უშუალოდ აფეთქებით ან სპეციალური გენერატორებით) საშუალებებს. ტექნიკური სირთულეები **ო.ი**-ის შექმნაში არ არის. მაგრამ არსებობს სირთულეები მისი გამოყენების შედეგების გარკვევაში. უცნობია, თუ რა შედეგს მოუტანს იგი მოპირისპირე მხარეებს ან მთლიანად პლანეტას.

ოკუპაცია (ლათინური occupatio – ხელში ჩაგდება, დაუფლება), მეომარი სახელმწიფოს ჯარების მიერ მოწინააღმდეგის ტერიტორიის (მისი ნაწილის) დროებითი დაკავება და მასზე ამ ჯარების უმაღლესი სამხედრო ინსტანციების ძალაუფლების დაწესება. **ო.** არ გულისხმობს დამპყრობი ქვეყნის სუვერენიტეტის გავრცელებას დაკავებულ ტერიტორიაზე. სამხედრო-საოკუპაციო ადმინისტრაციის ძალა-

უფლება ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების ფარგლებში (იხ. *ჰაგის 1899, 1907 წლების და ჟენევის 1949 წლის კონვენციები*). **ო**-ის რეჟიმის დარღვევები განიხილება, როგორც საერთაშორისო დანაშაულობები, ხოლო ამ დარღვევებზე პასუხისმგებლი პირები – როგორც სამხედრო დამნაშავეები.

ომანი (Oman – ომანის სასულთნო), სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, არაბეთის ზღვის სანაპიროზე. ქვეყანას ჩრდილოეთით ესაზღვრება ომანის ყურე, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – არაბეთის ზღვა. ფართობი 309,5 *კმ²*. მოსახლეობა 3,9 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. მასკატი. ადმინისტრაციულად იყოფა 59 ვილიეთად (პროვინცია). **ო**-ში აბსოლუტური მონარქიაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია სულთანი, სათათბირო ორგანო – **ო**-ის საბჭო (ორპალატიანი პარლამენტი). ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის და ბუნებრივი აირის მოპოვება. ძირითადი საზღვაო პორტები: მასკატი, ელ-ჰაიდი. საერთაშორისო აეროპორტი – სიბი (მასკატი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 42,6 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 25 ათ., სამხედრო-საჰაერო 8,1 ათ., სამხედრო-საზღვაო 6,2 ათ და სულთნის გვარდია 3,3 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ომების ისტორია, მთლიანობაში სამხედრო ისტორიული-მეცნიერების ფაქტოლოგიური საფუძველი, რომელიც იკვლევს ომის სოციალურ ბუნებას, როგორც განსაკუთრებული საზოგადოებრივი მოვლენის არსს, ხსნის მის მიზეზებს და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებს, კონკრეტული ომების ხასიათს და თავისებურებებს, აფასებს მხარეების ძალებს და გეგმებს, იხილავს სამხედრო კამპანიის, ოპერაციების და ბრძოლების მსვლელობას, აანალიზებს მათ შედეგებს, განსაზღვრავს მოცემული ომის საზოგადოების განვითარებაზე ზემოქმედებას. **ო.ი.** გამოავლენს ომების კანონებს, კანონზომიერებებს და წარმოადგენს მდიდარ მასალას შედეგების და გაკვეთილების მისაღებად, სამხედრო თეორიის თანამედროვე პრობლემების დასაბუთებულ გადაწყვეტას. **ო.ი.** განიხილება, როგორც სამხედრო ისტორიის შემადგენელი ნაწილი.

ომი, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოებს, ხალხებს, ერებს, კლასებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური, აგრეთვე ეროვნული, რელიგიური, ტერიტორიული და სხვა წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის საშუალებებით გადაწყვეტის უკიდურეს ფორმას. შეიარაღებული ძალადობის სხვა ფორმებისაგან განსხვავებით (როგორიცაა სამხედრო კონფლიქტი, შეიარაღებული აჯანყება და სხვა), **ო**-ის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, არის სიღრმისეული სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. მისი შინაარსი შეესაბამება სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ მიზნებს, რომლებსაც აღწევენ შეიარაღებული ძალადობის საშუალებებით. **ო**-ს შედეგად მოსდევს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს – სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი – მდგომარეობის თვისებრივი ცვლილება, ვინაიდან ხდება მათი კარდინალური გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე. ამ პროცესის განსახორციელებლად იქმნება სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაცია. **ო**-ის წარმოების მთავარი იარაღია შეიარაღებული ძალები და სხვა შეიარაღებული ფორმირებები, რომლებსაც შესწევთ უნარი, აწარმოონ ფართომასშტაბიანი შეიარაღებული ბრძოლა.

ო-ის არსია მეომარი მხარეების საშინაო და საგარეო პოლიტიკის გაგრძელება შეიარაღებული ძალადობის საშუალებებით. პოლიტიკა შეადგენს **ო**-ის არსის ძირითად ელემენტს, ვინაიდან იგი წარმოშობს **ო**-ს როგორც საზოგადოებრივი წინააღმდეგობების გადაწყვეტის საშუალებას, განსაზღვრავს **ო**-ის მიზნებს, მის სოციალურ-პოლიტიკურ და სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათს; ახდენს გადამწყვეტ ზემოქმედებას საზოგადოებაზე საჭირო სამხედრო ძლიერების შექმნისა და გამოყენების მიზნით; უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას არა მარტო შეიარაღებული ძალადობის მეშვეობით, არამედ **ო**-ში ბრძოლის სხვა საშუალებებითაც (ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, დიპლომატიური, იდეოლოგიური); განაპირობებს ომისშემდგომი მსოფლიოს ხასიათსა და მიმართულებას. **ო**-ის არსის მეორე სპეციფიკური მხარეა შეიარაღებული ბრძოლა, რომელსაც აქვს პოლიტიკაზე უკუქმედების უნარი. მაგალითად, შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობამ შეიძლება საჭირო გახადოს არა მარტო **ო**-ის პოლიტიკური მიზნების, არამედ მეომარი მხარის (მეომარი მხარეების) მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკის გადასინჯვაც. ისტორიისათვის ცნობილია შემთხვევები, როდესაც **ო**-ში შეიარაღებული ბრძოლის შედეგს შეუცვლია საზოგადოების მთელი პოლიტიკური სისტემა, მისი სულიერი ცხოვრება, ეკონომიკა და ა.შ., მაგრამ თანამედროვე **ო**-ის არსი არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ შეიარაღებულ ბრძოლამდე. უახლეს ისტორიაში თანდათან იზრდება ე.წ. „არატრადიციული“ **ო**-ების როლი, რომლებშიც პრიორიტეტული არის მოწინააღმდეგის სულიერი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვაგვარი დათრგუნვისა და განადგურების ამოცანები. ასეთ პირობებში

დამოუკიდებელ ხასიათს იძენს ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალურ-ფსიქოლოგიური, სპეცსამსახურებრივი, საინფორმაციო და სხვა სახეობების კონფრონტაცია, რომელიც წარმოებს ომის კანონების მიხედვით.

ო-ე ბ ი ს კ ლ ა ს ი ფ ი კ ა ც ი ა, თანამედროვე ისტორიაში ო-ების კლასიფიკაცია ხდება იმ ყველაზე არსებითი ნიშნების მიხედვით, რომლებიც საფუძვლად მიიღება. მათ შორის ყველაზე ზოგადი და ხშირი ნიშნებია: სოციალურ-პოლიტიკური (რომლებიც **ო**-ებს ჰყოფენ გვარეობების, ტიპებისა და სახეობების მიხედვით მსგავსი სოციალურ-პოლიტიკური ნიშნების საფუძველზე, მაგალითად, სამართლიანი და უსამართლო **ო**-ები), სამხედრო-ტექნიკური (შეიარაღებული ბრძოლის გამოყენებული საშუალებების დახასიათება და სხვა), ისტორიული და სხვა. **ო**-ების კლასიფიკაციისათვის ყველაზე ინტეგრაციულ საფუძვლად იქცა რაოდენობრივ-მასშტაბური საფუძველი, რომლის შესაბამისადაც გამოიყოფა მსოფლიო, რეგიონული, ლოკალური და მცირე **ო**-ები, აგრეთვე სხვადასხვა მასშტაბის სამხედრო კონფლიქტები. ამჟამად **ო**-ების ყველაზე გავრცელებული სახეობა ატარებს სუბრეგიონულ, ლოკალურ ანუ ადგილობრივ, შიდასახელმწიფოებრივ ხასიათს. შეიარაღებული დაპირისპირების ახალი, ნაკლებად შესწავლილი სახეობა ხდება სხვადასხვაგვარი სამშვიდობო ოპერაციები: მშვიდობის ხელშეწყობისა და შენარჩუნების, უფრო ხშირად – მშვიდობის იძულების.

ო-ე ბ ი ს ს ო ც ი ა ლ უ რ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი დ ა ს ა მ ხ ე დ რ ო - ს ტ რ ა ტ ე - გ ი უ ლ ი ხ ა ს ი ა თ ი, ეს არის **ო**-ის ორი ურთიერთდაკავშირებული მხარე, რომლებიც გამოხატავენ მის შინაარსსა და რაობასთან კავშირს. **ო**-ის სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი ავლენს მის მრავალფეროვან კავშირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგთან და სფეროსთან (პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სულიერ, სამართლებრივ, მორალურ და ა.შ.). მაგალითად, როდესაც კონკრეტული **ო**-ის სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათს ვაანალიზებთ, უნდა განვსაზღვროთ მორალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მისი სამართლიანობა თუ უსამართლობა; აღიარებული საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, კანონიერი ან უკანონო ხასიათი; სოციალურ-ისტორიული განვითარების თვალსაზრისით – პროგრესული, ან რეაქციული ხასიათი და ა.შ. **ო**-ის სამხედრო-სტრატეგიული ხასიათი, თავის მხრივ, ავლენს მის მრავალფეროვან ურთიერთდამოკიდებულებას საქმიანობის საკუთრივ სამხედრო დარგთან. **ო**-ის სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის ანალიზი მოითხოვს, განისაზღვროს მისი სამხედრო-სტრატეგიული მიზნები, მეომარი მხარეების მიერ გამოყენებული დაზიანების საშუალებანი და სამხედრო ტექნიკა, საომარი მოქმედების სახეობები და მასშტაბები, წარმოების ხერხები, ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები და ა.შ. **ო**-ის სოციალურ-პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის განსაზღვრას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თანამედროვე პერიოდში კვლავინდებურად მწვავედ დგას **ო**-ებისა და სამხედრო (საომარი) კონფლიქტების წარმოშობის სიხშირის შემცირების პრობლემა. ორგანიზებული და აქტიურად მოქმედი **ო**-ის მოწინააღმდეგე ძალების არსებობასთან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის შემდგომ სრულყოფასთან, გლობალურ და რეგიონულ დონეებზე სახელშეკრულებო-შეთანხმებითი
პროცესებისა და პროცედურების განტოტვილ სისტემასთან ერთად **ო**-ების თავიდან აცილების ძირითად ელემენტად რჩება ეროვნული შეკავების ძალები.

ომიანობის პერიოდი, მეომარი მხარეების ომის მდგომარეობაში ფაქტობრივი ყოფნის პერიოდი. **ო.პ**-ის დასაწყისად ითვლება ერთი მეომარი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ომის გამოცხადება ან მათ შორის საომარი მოქმედებების ფაქტობრივი დაწყება. მეომარ მხარეებს შორის საომარი მოქმედებების ფაქტობრივი შეწყვეტა ან შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერა **ო.პ**-ის დამთავრებას ნიშნავს. **ო.პ**-ს მოსდევს საერთაშორისო-სამართლებრივი და შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და იურიდიული შედეგები – დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ხელშეკრულებების მოქმედების შეწყვეტა და სხვა.

ომიანობის პერიოდის კანონები, სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, რომლებიც ომიანობის პერიოდში გამოიყენება. შეიძლება მიიღონ როგორც მშვიდობიან დროს (წინასწარ), ისე ომიანობის პერიოდში. ვრცელდება ომის მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ რაიონებზე, რაც თვით კანონებით არის დათქმული. **ო.პ.კ**. გულისხმობენ მოქმედი კანონმდებლობის ფუნქციების გამკაცრებას.

ომის ბაზა, ომის ბაზისი, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო-გეოგრაფიული და სხვა პირობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ომის (საომარი მოქმედებების) წარმოების მატერიალურ საფუძველს. ტერმინი „ომის ბაზა“ იხმარებოდა XX საუკუნის დამდეგამდე და გამოხატავდა მასობრივი არმიების ორგანიზაციის, მათ მიერ საომარი მოქმედებების წარმოების, ზოგჯერ – ომის მიმდინარეობისა და შედეგის დამოკიდებულებას ქვეყნის განვითარების დონეზე, მოსახლეობისა და სამხედრო ტექნიკის რაოდენობასა და ხარისხზე. ზოგჯერ ტერმინს „ომის ბაზა“ აიგივებდ-

ნენ საოპერაციო ბაზასთან. სამხედრო თეორიაში აღარ იხმარება I მსოფლიო ომის შემდეგ.

ომის გათამაშება, საომარი მოქმედებების იმიტირება ორი ან რამდენიმე მოწინააღმდეგის მონაწილეობით რეალურად არსებული, ან გამოგონილი მდგომარეობის წარმოდგენის მიზნით. ამისთვის იყენებენ სხვადასხვა მეთოდის გარკვეულ წესებს, მონაცემებს და ხერხებს.

ომის გამოცხადება, რომელიმე ქვეყნის განცხადება ამა თუ იმ სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოების კოალიციასთან მშვიდობიანი ურთიერთობის შეწყვეტის და ომის მდგომარეობაზე გადასვლის შესახებ. შედის ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების კომპეტენციაში. მეტი წილი სახელმწიფოების კანონმდებლობის შესაბამისად, ომის მდგომარეობას აცხადებს ქვეყნის პრეზიდენტი.

ომის და მშვიდობის პრობლემების შემსწავლელი საერთაშორისო კვლევითი ცენტრები, სპეციალიზებული სამეცნიერო დაწესებულებები, რომლებიც სწავლობენ ომებს და საომარ კონფლიქტებს, საერთაშორისო უსაფრთხოებას და სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას. ისინი ან თავიანთ შემადგენლობაში იღებენ ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ წევრებს – სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეებს და ორგანიზაციებს, ან მოქმედებენ გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით. ასეთი ცენტრების საქმიანობას აფინანსებენ კერძო ფონდები, კორპორაციები, მთავრობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, აგრეთვე ფინანსდებიან საკუთარი საგამომცემლო პროდუქციის ხარჯზე. ომის და მშვიდობის პრობლემების შემსწავლელ ყველაზე ცნობილ, ფართოდ აღიარებულ საერთაშორისო კვლევით ცენტრებს წარმოადგენენ: სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი IISS, შეიქმნა 1958 წელს, მდებარეობს ლონდონში; სწავლობს მსოფლიოს ქვეყნების სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალებს, სამხედრო დოქტრინებს და შეიარაღებული ძალების მდგომარეობას, საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკურ და სამხედრო პრობლემებს. გამოსცემს ყოველწლიურ ჟურნალს – „სტრატეგიული მიმოხილვა“, ყოველწლიურ ბიულეტენს – „სამხედრო ბალანსი“, ჟურნალს – „გადარჩენა“.

მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი IIP, შეიქმნა 1957 წელს, მდებარეობს ვენაში. იკვლევს ევროპის განიარაღების, შეიარაღების კონტროლის, სამხედრო კონვერსიის პრობლემებს. გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს – „მშვიდობა და მეცნიერება“. მშვიდობის და ევროპის უსაფრთხოების პრობლემების კვლევის ცენტრი, შეიქმნა 1983 წელს, მდებარეობს მოსბახში (გერმანია). სწავლობს საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებრიობის როლს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ოსლოს მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი PRIO, შეიქმნა 1959 წელს, იკვლევს დასავლეთის და აღმოსავლეთის, აგრეთვე სამხრეთ აზიის, ინდოჩინეთის, აფრიკის, ახლო აღმოსავლეთის სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებს. გამოსცემს ჟურნალს – „მშვიდობის პრობლემები“ და ბიულეტენს – „მშვიდობის წინადადებები“. სტოკჰოლმის მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი SIPRI, შეიქმნა 1966 წელს, იკვლევს უსაფრთხოებისა და შეიარაღების, სამხედრო წარმოების და იარაღით ვაჭრობის კონტროლის პრობლემებს. გამოსცემს ყოველწლიურ ჟურნალს – „მსოფლიო შეიარაღება და განიარაღება“.

ჟენევის მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი JIPRI, შეიქმნა 1980 წელს, იკვლევს საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემებს. გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენს.

მშვიდობის პრობლემების კვლევის საერთაშორისო ასოციაცია IPRA, შეიქმნა 1964 წელს, მდებარეობს ბოულდერში (აშშ, კოლორადოს შტატი). იკვლევს სამხედრო ტექნოლოგიის, საერთაშორისო და შიდა კონფლიქტების მოგვარების, არაძალადობის პრობლემებს. გამოსცემს მაცნეს – „მშვიდობის პრობლემების საერთაშორისო კვლევის ახალი ამბები“.

ომის ესკალაცია, სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტის კრიზისულ სიტუაციად და ომად თანდათან გადაქცევის პროცესი, მისი მასშტაბების გაფართოებით თვით მსოფლიო ბირთვულ ომამდე. ამასთან, მუქარის და სამხედრო ძალვის ეტაპობრივი გაძლიერებით შესაძლებელია ომის წინ ან ომის მსვლელობისას აიძულო მოწინააღმდეგე მხარე, დათანხმდეს დათმობებს ან სრულ კაპიტულაციას. **ო.ე**-ის კონცეფცია შემუშავდა აშშ-ში XX საუკუნის 60-იან წლებში. განასხვავებენ ვერტიკალურ (შეიარაღებული ძალების და საშუალებების ზრდა კონფლიქტის ზონაში) და ჰორიზონტალურ ესკალაციას (კონფლიქტის ზონის გეოგრაფიული საზღვრების გაფართოება).

ომის თავიდან აცილება, იმ ობიექტური წინააღმდეგობების დროული გადაწყვეტის და სუბიექტური ფაქტორების ნეიტრალიზაციის პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა ღონისძიებების სისტემა, რომლებიც შეიძლება ომის ან საომარი კონფლიქტის მიზეზი გახდეს. **ო.თ.ა**-ის პოლიტიკური ღონისძიებების რიცხვს განეკუთვნება კოლექტიური უსაფრთხოების და საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის სტრუქტურებისა და ორგანიზაციების საქმიანობა, ნდობის ღონისძიებების გატარება სამხედრო დარგში, სახელმწიფოების მიერ თავდაცვითი ხასიათის სამხედრო დოქტრინების განხორციელება და სხვა. **ო.თ.ა**-ის სამართ-

ლებრივი ღონისძიებები მოიცავენ სხვადასხვა სახეობების შეიარაღების შეზღუდვის, შემცირების და აკრძალვის საერთაშორისო შეთანხმებებს, ცალკეული სახეობების სამხედრო საქმიანობის შემზღუდავ ხელშეკრულებებს, დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ პასუხისმგებლობას საერთაშორისო დანაშაულობებისთვის და სხვა. **ო.თ.ა**-ის ღონისძიებების ეკონომიკური ნაწილი მიზნად ისახავს, სახელმწიფოების ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებას შრომის საერთაშორისო დანაწილების, ფინანსების, კავშირგაბმულობის და სხვა სფეროებში. **ო.თ.ა**-ის სამხედრო ღონისძიებებს შორის არსებით როლს ასრულებს სახელმწიფოების სამხედრო დაპირისპირების დონის, მათი სამხედრო ძლიერების შემცირება, სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ყოფნის შეკვეცა, იარაღით ვაჭრობის შემცირება, მშვიდობის აღდგენის და შენარჩუნების ოპერაციები და სხვა. ეროვნულ დონეზე **ო.თ.ა**-ის ფუნქციას შესაძლო მოწინააღმდეგის ექსპანსიონისტური ზრახვების შეკავების მეშვეობით სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები ასრულებენ.

ომის თეატრი, 1. ზოგიერთ ქვეყანაში მიღებული ცნება, რომელიც გულისხმობს ხმელეთის ტერიტორიას, ოკეანის აკვატორიას და მათ თავზე მდებარე საჰაერო-კოსმოსურ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოების (სახელმწიფოების კოალიციების) შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ აწარმოონ ომი ან სტრატეგიული მასშტაბის საომარი მოქმედებები. **ო.თ**-ს არ გააჩნია მკაცრად შემოფარგლული საზღვრები; ჩვეულებრივ, მასში შეჰყავთ ერთი კონტინენტი მიმდებარე აკვატორიებითურთ ან ერთი ოკეანე კუნძულებითა და კონტინენტების სანაპირო ზონით. **ო.თ**. შეიძლება იყოფოდეს რამდენიმე საომარი მოქმედების თეატრად; 2. საერთაშორისო სამართალში **ო.თ**. არის მეომარი სახელმწიფოების სახმელეთო ტერიტორია, საზღვაო აკვატორია და საჰაერო სივრცე, აგრეთვე ღია ზღვა და მის თავზე მდებარე საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც მეომარ მხარეებს შეუძლიათ აწარმოონ ან აწარმოებენ საომარ მოქმედებებს. ამასთან, მასში არ შედის ნეიტრალური სახელმწიფოების და ნეიტრალიზებული ტერიტორიები.

ომის თეატრში გადასროლის კოორდინაციის ცენტრი, ორგანო, რომელიც პასუხს აგებს გადასროლის კოორდინაციის ეროვნული ცენტრის ფუნქციების, ამოცანების და ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუკი მიმდებ ქვეყანაში არ არსებობს ასეთი ორგანო, ან მიმდებ ქვეყანას არ შეუძლია ასეთი ამოცანების შესრულება.

ომის ინვალიდი (ლათინური invalidus – სუსტი, უძლური), სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც ბრძოლაში მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად შრომის უნარი დაკარგა.

ომის კანონები, მეომარ მხარეებს შორის ობიექტური, არსებითი, საჭირო, მყარი, ხშირი ურთიერთობები, რომლებიც განაპირობებენ ომის წარმოშობას, მიმდინარეობას და შედეგს. **ო.კ**-ის სისტემაში გამოყოფენ მთლიანად ომის წარმოშობის, მიმდინარეობის, დასრულების კანონებს (სისტემური კანონები) და ომში შეიარაღებული და სხვა სახის ბრძოლის კანონებს, როგორც შედარებით დამოუკიდებელ ნაწილებს (ქვესისტემური კანონები). ომის წარმოშობის, მიმდინარეობის და შედეგის კანონთა სისტემაში განასხვავებენ: 1. კანონებს, რომლებიც წარმოაჩენენ ომის მიზეზებს; 2. კანონებს, რომლებიც გამოხატავენ მეომარი მხარეების მატერიალური, სულიერი ძალების თანაფარდობას; 3. კანონები, რომლებიც გამოხატავენ ომის ძირითადი ფაქტორების მოქმედებას (ომის მიმდინარეობის და შედეგის დამოკიდებულება სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური, სოციალური, მორალური ფაქტორების თანაფარდობაზე); 4. კანონები, რომლებიც მოიცავენ კანონზომიერ კავშირებს ომსა და მისი წარმოების ბუნებრივ ფაქტორებს შორის: 5. კანონები, რომლებიც წარმოაჩენენ, თუ რა გავლენას ახდენს ომის მიმდინარეობასა და შედეგზე მეომარი მხარეების სამხედრო-ორგანიზაციული, სამხედრო-სამეცნიერო და სამხედრო-მმართველობითი ფაქტორები.

შეიარაღებული ბრძოლის კანონებში ტრანსფორმირებული სახით არის მოქცეული ის ზოგადი მიმართულებები, რაც ახასიათებს სისტემურ **ო.კ**-ს და სპეციფიკური შინაარსი, რომელიც გამოხატავს სწორედ შეიარაღებული ბრძოლის თავისებურებებს. ისინი მოიცავენ: 1. კანონებს, რომლებიც ახასიათებენ დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობასა და შედეგს, და მეორე მხრივ, მოპირისპირე შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების ძირითად ფაქტორებს შორის; 2. კანონები, რომლებიც ახასიათებენ შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობის და შედეგის დამოკიდებულებას მოპირისპირე შეიარაღებული ძალების საბრძოლო და დამხმარე ნაწილების (შენაერთების) რაოდენობის და ხარისხის თანაფარდობაზე; 3. ისეთი საბრძოლო ფაქტორების მოქმედებასთან დაკავშირებულ კანონებს, როგორიც არის საბრძოლო მოქმედების ხერხების ეფექტიანობა, შეიარაღებული ბრძოლის მართვის ხელოვნება და შეიარაღებული ძალების ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობა შეიარაღებული ბრძოლის ხასიათთან. იმის გამო, რომ ომის ყოველი ფაქტორი რთული წარმონაქმნია, მათი შესაბამისი კანონები შეიძლება დაკომპლექტდეს და თითოეული მათ

განი წარმოდგენილ იქნეს უფრო კერძო ხასიათის რამდენიმე კანონზომიერი კავშირის სახით. რაც უფრო კონკრეტულად განისაზღვრება შეიარაღებული ბრძოლის კანონები, მეტია მათ საფუძველზე ჩამოყალიბებული სამხედრო ხელოვნების ამა თუ იმ პრინციპის პრაქტიკული მნიშვნელობა. **ო.კ**-ის რთული სისტემის ღრმა გაგება სამხედრო საქმეში მეცნიერული განჭვრეტისა და პროგნოზირების დიდმნიშვნელოვანი წანამძღვარია.

ომის კანონები და ზეს-ჩვეულებები, ომის დროს იმ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების და მორალური პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ მეომარი მხარეების და ნეიტრალური სახელმწიფოების უფლება-მოვალეობებს. მათი მიზანია, აღმოფხვრან საომარი მოქმედებების ყველაზე სასტიკი ფორმები, შეამსუბუქონ დაჭრილების, ავადმყოფების და სამხედრო ტყვეების ხვედრი, დაიცვან მშვიდობიანი მოსახლეობა.

ო.კ.დ.ზ.-ჩ-ის სისტემა იქმნებოდა ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის მანძილზე. საომარი მოქმედებების წარმოების, ტყვეებისადმი მოპყრობის და მთელ რიგ სხვა სამართლებრივ ნორმებს შეიცავდნენ საფრანგეთის კანონმდებლობა, რუსეთის XVII–XVIII საუკუნეების სამხედრო წესდებები, აშშ-ის სამხედრო დოკუმენტაცია. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს პრინციპები მკვიდრდება საერთაშორისო სამართალში. **ო.კ.დ.ზ.-ჩ**-ის შესახებ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო შეთანხმებებს წარმოადგენს ჰააგის 1899, 1907 და 1954 წლების კონვენციები, ლონდონის 1909 წლის დეკლარაცია საზღვაო ომის სამართლის შესახებ, ჟენევის 1925 წლის ოქმი, ჟენევის 1949 წლის კონვენციები და მათი 1977 წლის დამატებითი ოქმები, XX საუკუნის 70–90-იანი წლების საერთაშორისო კონვენციები კონკრეტული სახეობის მასობრივი დაზიანების იარაღის აკრძალვის შესახებ და სხვა. **ო.კ.დ.ზ.-ჩ**-ის დარღვევა აღიარებულია კაცობრიობის წინააღმდეგ ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულად.

ომის მატერიალური დანახარჯები, იმ მატერიალური საშუალებების ერთობლიობა, რომლებსაც ომი შთანთქავს. აქვს ღირებულებითი და ნატურალურ-ნივთობრივი გამოხატულება. იყოფა პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯებად. ომის პირდაპირი მატერიალური ხარჯები მოიცავენ სამხედრო ტექნიკის, იარაღის, საბრძოლო მასალების, აღჭურვილობის დანახარჯებს, პირადი შემადგენლობის შენახვის და სხვა ხარჯებს, აგრეთვე საბრძოლო მოქმედებებით გამოწვეულ მატერიალურ ზარალს: განადგურებული საწარმოო ობიექტების, ტრანსპორტის საშუალებების, საცხოვრებელი ფონდის, ადმინისტრაციული შენობების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების, მოსახლეობის პირადი ქონების ღირებულებას და სხვა. ამ ღირებულების ნაწილი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტით იფარება, შეადგენს ომის საბიუჯეტო ხარჯებს. ომის არაპირდაპირ მატერიალურ ხარჯებში შედის ფინანსური დანახარჯები, რომლებიც ხმარდება ეკონომიკური ზარალის დაფარვას, ომის ინვალიდების და მათი ოჯახებისთვის პენსიების გაცემას, ომიანობის წლების სახელმწიფო სესხების პროცენტების გასტუმრებას და სხვა.

ომის მდგომარეობა, სახელმწიფოების ურთიერთობა ომის გამოცხადების მომენტიდან (ანუ საომარი მოქმედების ფაქტობრივი დაწყებიდან) მის დამთავრებამდე. გამოიხატება დიპლომატიური, ეკონომიკური, სავაჭრო, საფინანსო კავშირების გაწყვეტით, მოწინააღმდეგის სახელმწიფო საკუთრების კონფისკაციით (დიპლომატიური წარმომადგენლობების ქონების გარდა), სავაჭრო გემების რეკვიზიციით, მოწინააღმდეგე ქვეყნის მოქალაქეების ინტერნირებით და სხვა. **ო.მ**-ის შეწყვეტის ძირითად საერთაშორისო-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს საზავო ხელშეკრულება, რომელსაც შეიძლება წინ უძღოდეს საომარი მოქმედებების შეწყვეტა.

ომის მდგომარეობის შეწყვეტა, იურიდიული აქტი, რომელიც ამტკიცებს მეომარი მხარეების მშვიდობიან ურთიერთობაზე გადასვლას. **ო.მ.შ**-ის ძირითად საერთაშორისო-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს საზავო ხელშეკრულება. **ო.მ.შ**-ის შედეგად სახელმწიფოები, როგორც წესი, აღადგენენ ომით შეწყვეტილ დიპლომატიურ ურთიერთობებს, აგვარებენ ომთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებს (მაგალითად, სამხედრო ტყვეების გაცვლა, რეპატრიაცია), პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ტერიტორიულ და სხვა პრობლემებს.

ომის მსხვერპლნი, მეომარი სახელმწიფოების ადამიანთა დანაკარგები ფრონტსა და ზურგში, მათ შორის, ადამიანების, რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგეს შრომის უნარი დაჭრის, ან ომთან დაკავშირებული დაავადების შედეგად. **ო.მ**-თ მიაკუთვნებენ აგრეთვე იმ პირებს, რომლებიც ომის დროს უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩნენ, საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ ტყვეებს, ობლებს და სხვა. **ო.მ**-თა დაცვის ძირითადი საერთაშორისო დიპლომატიური დოკუმენტია ჟენევის 1949 წლის კონვენციები.

ომის ოპერატიული დონე, საომარი მოქმედებების დონე, რომელზეც ხდება ოპერატიული ამოცანების შესასრულებლად საომარი კამპანიების და მთავარი ოპერაციების დაგეგმვა, ხელმძღვანელობა და უზრუნველყოფა. ამ დონეზე განხორციელებული მოქმედებები ერთმანეთთან აკავშირებენ ტაქტიკასა და სტრატეგიას.

ომის პერიოდიზაცია, ომის დაყოფა ერთმანეთისგან თვისებრივად განსხვავებულ დრო-

ის მონაკვეთებად (პერიოდებად). ყოველ მათგანს ახასიათებს თავისი შინაარსი, საომარი მოქმედებების წარმოების ფორმები და დროის ჩარჩოები, რომლებიც განისაზღვრება გარდამტეხი მომენტებით – ომის დროს მისი მიზნების და ხასიათის კვალობაზე. ომის კვლევისას მათ ყოფენ პერიოდებად, კამპანიებად, ეტაპებად, ცალკეულ ლაშქრობებად. მაგალითად, პირველ მსოფლიო ომს აქვს 2 პერიოდიზაცია: 3 პერიოდი (მანევრული, პოზიციური და დამამთავრებელი); 5 კამპანია – ომის თითოეული წლის მიხედვით.

ომის პროპაგანდა, ომის საქებარი შეხედულებების გავრცელება, მისი საჭიროების დასაბუთება, საომარი მოწოდებები სიტყვიერად, წერილობით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან ნებისმიერი სხვა ფორმით. **ო.პ**. დაგმო გაეროს გენერალურმა ასამბლეამ (1947). საჯარო მოწოდებები აგრესიული ომის გაჩაღებისკენ სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს.

ომის საფრთხე, სახელმწიფოთაშორისი და საერთაშორისო ურთიერთობების მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს ომის საშიშროება. **ო.ს**. წარმოადგენს იმ სახელმწიფოების, კოალიციების, სოციალური ჯგუფების პოლიტიკის შედეგს, რომლებიც სამხედრო ძალის მეშვეობით ისწრაფვიან თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული და სხვა მიზნების მიღწევისკენ. **ო.ს**. შეიძლება იყოს პოტენციური და რეალური. პოტენციური **ო.ს**. წარმოიშობა იმ პოლიტიკურ დაჯგუფებათა ხელისუფლებაში მისვლის შედეგად, რომლებიც მთელ იმედებს ამყარებენ არსებული საშინაო და საგარეო პრობლემების ძალისმიერ გადაწყვეტაზე. **ო.ს**. რეალური ხდება მაშინ, როდესაც ეს დაჯგუფებები იწყებენ თავიანთი მისწრაფებების რეალიზაციას და იწყენებ ომისთვის მზადებას. **ო.ს**-ის კონკრეტული ნიშნებია: საერთაშორისო სფეროში – დაძაბულობის და კონფლიქტების კერების წარმოშობა, აგრესიული სამხედრო ბლოკების შექმნა და აქტივიზაცია; სავარაუდო საომარი მოქმედებების თეატრებზე სამხედრო ყოფნის გაძლიერება; „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოება, სადაზვერვო საქმიანობის გააქტიურება და სხვა; საშინაო პოლიტიკის სფეროში – ეკონომიკის და საზოგადოების სულიერი ცხოვრების მილიტარიზაცია, სამხედრო ხარჯების ზრდა, მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის „მტრის ხატის“ ჩანერგვა და სხვა; სამხედრო მშენებლობის დარგში – შეიარაღებული ძალების დამატებითი დაკომპლექტება პირადი შემადგენლობით და შეტევითი შეიარაღებით, მათი სტრატეგიული გაშლა, შესაბამისი წვრთნების და მანევრების ჩატარება, ჯარების მორალურ-ფსიქოლოგიური, საბრძოლო მომზადების მიმართულების შეცვლა და სხვა. საკუთრივ სამხედრო დარგში მხოლოდ აღნიშნული ნიშან-თვისებების ერთობლიობა შეიძლება ობიექტურად ახასიათებდეს ომის საფრთხის წყაროსა და დონეს.

ომის საშიშროება, საერთაშორისო ურთიერთობის მდგომარეობა, რომლის დროსაც არსებობს მოქიშპე მხარეებს შორის საომარი კონფლიქტის წარმოშობის შესაძლებლობა; ომის აშკარა ალბათობა, ხასიათდება რომელიმე სახელმწიფოს (კოალიციის) მზადყოფნით სხვა სახელმწიფოზე თავდასხმის განსახორციელებლად. **ო.ს**-ის წყაროებია: სამხედრო დოქტრინები და პოლიტიკა, რომელიც აღიარებს ექსპანსიონისტური მიზნებისთვის სამხედრო ძალადობის დაშვების შესაძლებლობას; სხვა სახელმწიფოების სამხედრო ძლიერების ზრდა თავდაცვითი მოთხოვნილებების გადამეტებით; სამხედრო-პოლიტიკური არასტაბილურობის გაძლიერება; საომარი კონფლიქტების კერების არსებობა სახლმწიფოს საზღვართან; სამხედრო უსაფრთხოების საკითხებზე არსებული ხელშეკრულებების დარღვევა და სხვა. მოპირისპირე სახელმწიფოს საომარი მისწრაფებები შეიძლება შეფასდეს: განცხადებების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავენ მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას; პროვოკაციული აქციების მიხედვით (გემების დაკავება და სხვა); შეიარაღებული ძალების ფარული სამობილიზაციო გაშლის დაწყებით; სამხედრო ასიგნებების, მოკავშირეებისათვის სამხედრო მიწოდების ზრდით; საზღვრებთან მრავალრიცხოვანი სამხედრო წვრთნების ჩატარებით; შეიარაღებული ინციდენტების მიხედვით და სხვა. **ო.ს**-ის სისტემატური და რეალური შეფასება მშვიდობისმოყვარე მხარეს საშუალებას აძლევს განსაზღვროს შესაძლო აგრესიის დაწყების დრო, რათა დაყოვნების გარეშე, დროულად მოამზადოს შეიარაღებული ძალები და ხალხი მისი მოგერიებისთვის.

ომის საწყისი პერიოდი, დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც მეომარი მხარეები უპირველესი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ომამდე შექმნილი და ომის დაწყების შემდეგ დამატებით გაშლილი შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებით საომარ მოქმედებებს აწარმოებენ. ამავე დროს შეიძლება ხორციელდებოდეს ღონისძიებები მობილიზაციის და შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლისთვის, სახელმწიფოს ეკონომიკის გადასაყვანად ომის პირობებში მუშაობაზე და ჩატარდეს შესაბამისი პოლიტიკური აქციები. ომის შედეგისთვის **ო.ს.პ**. შეიძლება იყოს ყველაზე დაძაბული, მნიშვნელოვანი, ხოლო ზოგჯერ – გადამწყვეტიც.

ომის სტრატეგიული დონე, ომის დონე, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ან სახელმწიფოების ჯგუფები საზღვრავენ უსაფრთხოების ეროვნულ და მრავალეროვნულ

მიზნებს და მათ მისაღწევად იყენებენ ეროვნულ რესურს, მ.შ. სამხედროსაც.

ომის ტაქტიკური დონე, ომის დონე, რომლის მიხედვითაც იგეგმება ბატალიები და ბრძოლები, ტაქტიკური ფორმირებების, ნაწილების და ქვედანაყოფების წინაშე დასახული მიზნების მისაღწევად.

ომის ხელოვნება (პირდაპირი მნიშვნელობა – სუნ ძუს სამხედრო სტრატეგია), ჩინური სამხედრო მოძღვრება, შექმნილი ძვ.წ. VI საუკუნეში სუნ ძუს მიერ. შედგება 13 თავისაგან და თითოეული მათგანი ეთმობა ომის წარმოების თითო ასპექტს. დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა სამხედრო ტაქტიკისა და სტრატეგიების სრულყოფილ სწავლებად. ეს ერთ-ერთი ყველაზე განთქმული სტრატეგიული ნაშრომია და მან დიდი წვლილი შეიტანა სამხედრო დაგეგმვის საქმეში. პირველად ითარგმნა ფრანგი მისიონერის მიერ დაახლოებით ორასი წლის წინ. როგორც ცნობილია, მას დიდი ზეგავლენა მოუხდენია ნაპოლეონზე, გერმანიის გენშტაბზე II მსოფლიო ომში და ასევე სპარსეთის ყურეში ოპერაცია უდაბნოს შტორმის – დაგეგმვაზე.

ომში გამარჯვება, ერთ-ერთი მეომარი მხარის (სახელმწიფოს, კოალიციის, პოლიტიკური მოძრაობის) მიერ მოწინააღმდეგის დამარცხება, ომში პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მიზნების მიღწევა. გამარჯვების უშუალო შედეგი არის საომარი მოქმედებების შეწყვეტა გამარჯვებულის პირობებით, რაც ფორმდება საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტებით: კაპიტულაციის აქტით, დაზავების შეთანხმებით, საზავო ხელშეკრულებით და სხვა. **ო.ბ**-ის მთავარი გამოვლინებაა შეიარაღებული ბრძოლის წარმოებაში მოპოვებული წარმატება, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების განადგურება და მისი ტერიტორიის უმნიშვნელოვანესი ნაწილების ან მთელი ტერიტორიის ოკუპაცია. დაპირისპირების სხვა სფეროებში გამარჯვების ძირითადი გამოხატულებაა: მოწინააღმდეგის ეკონომიკური პოტენციალის რღვევა, ხელისუფლების ორგანოების სტრუქტურის და საქმიანობის დეზორგანიზაცია, მისი სამხედრო-პოლიტიკური კავშირების დაშლა, მოსახლეობასა და არმიაში წინააღმდეგობის სულისკვეთების დაკარგვა და სხვა. **ო.ბ**-ის წყაროა სახელმწიფოს მთელი მატერიალური და სულიერი ძალების ერთობლიობა და მათი გამოყენების ეფექტურობა, რაც სამხედრო ძლიერებაში გამოიხატება. უშუალოდ **ო.ბ**. წარმატებას აღწევს შეიარაღებული ძალების საბრძოლო საქმიანობით. XX საუკუნის ბოლოსთვის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბირთვულ **ო.ბ**-ს. ბირთვულ-სარაკეტო პოტენციალის მქონე სახელმწიფოს წინააღმდეგ ბირთვული იარაღის გამოყენებას მოჰყვებოდა საპასუხო ბირთვული დარტყმა აგრესორისათვის მიუღებელი ზარალის მიყენებით, რაც გამორიცხავს გამარჯვების მიღწევას. გარდა ამისა, ბირთვული იარაღის შეუზღუდველი გამოყენება გამოიწვევდა დესტრუქციულ ეკოლოგიურ პროცესებს, დედამიწაზე სიცოცხლის საფუძვლების რღვევას.

ოპერატიული ამოცანა, ამოცანა, რომელიც ზემდგომმა უფროსმა გაერთიანებას დაუსახა დადგენილი ვადისთვის ოპერაციაში გარკვეული მიზნის მისაღწევად. **ო.ა**-ის შესრულება ხელს უწყობს მთელი ოპერაციის წარმატებით ჩატარებას.

ოპერატიული გადაზიდვა, იხ. *გადაზიდვები.*

ოპერატიული გაერთიანება, იხ. *გაერთიანება.*

ოპერატიული გამოყენება, შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების ნაწილების (ხომალდების), შენაერთების, გაერთიანებების ორგანიზაციული მოქმედების შერჩეული ვარიანტი ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე. აგრეთვე, სხვადასხვა სახეობის (ბუნებრივი, ეკონომიკური და სხვა) რესურსების გამოყენება ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტის მიზნით, როგორც მშვიდობიანობის და/ან საფრთხის მოლოდინის პერიოდში, ისე ომის მიმდინარეობისას. ჯარების (ძალების) **ო.ბ**-ის ფორმებს წარმოადგენს ოპერაცია, ბატალია, საბრძოლო მოქმედებები (მათ შორის საჰაერო თავდაცვის ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ძალების და საშუალებების სისტემატური საბრძოლო მოქმედებები), აგრეთვე დარტყმები და მანევრები.

ოპერატიული დაგეგმვა, პროცესი, რომლის დროსაც ხდება ოპერატიული გეგმების ინიცირება, დამუშავება და დამტკიცება. გულისხმობს სამუშაოების დროულ, ეფექტურ, სტანდარტიზებულ და თანამიმდევრულ განხორციელებას.

ოპერატიული დაგეგმვის დირექტივა, სტარატეგიული სარდლობების მიერ დაქვემდებარებული სამეთაურო შემადგენლობისთვის შექმნილი ოპერატიული დაგეგმვის ძირითადი დირექტიული დოკუმენტი. **ო.დ.დ**. მზადდება ორი სტრატეგიული სარდლობის მიერ და განკუთვნილია ნატოს სამეთაურო შემადგენლობისთვის და მონაწილე სახელმწიფოებისთვის. ეს დოკუმენტი შეიცავს სტრატეგიული მდგომარეობის ფართო მიმოხილვას, იძლევა მითითებებს მოქმედებების კოორდინაციაზე და ჩრდილოატლანტიკური სტრატეგიული სარდლობის განმარტების საფუძველზე საერთო მიდგომას. მასში მითითებულია სტრატეგიული სარდლობების საერთო და კონკრეტული ამოცანები და მოვალეობები. აგრეთვე განსაზღვრულია ხელქვეითი სარდლობების ამოცანები და მოვალეობები, მათ შორის – მშვიდობის მხარდაჭერის, კრიზისების რეგულირების და კოლექტიური თავდაცვის. შეიცავს

სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც განსაზღვრავენ ჯარების დამოუკიდებლად ან კოალიციური გაშლის მომზადების შესაძლო ხერხებს და ადგილებს. **ო.დ.დ.** მტკიცდება სამხედრო კომიტეტის მიერ და ცნობისათვის წარედგინება ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს ან სამხედრო დაგეგმვის კომიტეტს.

ოპერატიული დაზვერვა, კამპანიების დაგეგმვის და განხორციელებისთვის ოპერატიულ დონეზე წარმოებული დაზვერვა.

ოპერატიული დაფარვა, სპეციალურად გამოყოფილი ჯარების (ძალების) მოქმედებები, რომლებიც უზრუნველყოფენ I ოპერატიული ეშელონის შენაერთების გაშლის და პირველი ოპერაციების ორგანიზებული დაწყებისთვის ხელშემწყობ პირობებს. ჯარების (ძალების) ოპერატიული გაშლის შემადგენელი ნაწილი. მიზნად ისახავს ძალების (ჯარების) სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანისთვის, გაშლისა და ბატალიაში ორგანიზებული შეყვანისთვის საჭირო პირობების უზრუნველყოფას. ხორციელდება შეიარაღებული ძალების სპეციალურად გამოყოფილი სხვადასხვა სახეობის საბრძოლო მზადყოფნაში არსებული შენაერთებისა და ნაწილების მიერ.

ოპერატიული დაქვემდებარება, ცალკეული საბრძოლო ამოცანის შესრულების დროს გაერთიანების, შენაერთის (ნაწილების), იმ მთავარსარდლობის, სარდლობის (მეთაურის) დროებით დაქვემდებარებაში გადასვლა, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ოპერაციის მომზადება და ჩატარება. **ო.დ.** შეიძლება ხორციელდებოდეს ოპერაციის დაწყებამდე ან ოპერაციის მსვლელობისას. ასევე – მეთაურის (სარდლის) ნაწილობრივი უფლებამოსილება, უხელმძღვანელოს ფორმირებების ან სხვა ორგანიზაციული ერთეულების საქმიანობას, რომლებიც, როგორც წესი, მანამდე არ იყვნენ მის დაქვემდებარებაში.

ოპერატიული დაწყობა, ჯარების (ძალების) და საერთო-საჯარისო გაერთიანებების (შეიარაღებული ძალების სახეობის გაერთიანებების) საშუალებების მთლიანად და დაჯგუფებებში (მთავარსა და სხვაში) ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) საწარმოებლად ადგილმდებარეობაზე (ჰაერში, ზღვაზე) გარკვეული სისტემით განლაგება. **ო.დ.** ხდება ოპერაციის ჩანაფიქრის შესაბამისად, უნდა შეესაბამებოდეს ოპერატიული ვითარების პირობებს. საერთო-საჯარისო გაერთიანების **ო.დ.** შეიძლება შედგებოდეს ერთი, ორი, ზოგჯერ უფრო მეტი ეშელონისგან, რომლებიც მოიცავენ საერთო-საჯარისო გაერთიანებებს (შენაერთებს), სარაკეტო ჯარების და არტილერიის, ავიაციის, საჰაერო თავდაცვის ჯარების, სპეციალური ჯარების დაჯგუფებებს; საჰაერო, საზღვაო დესანტებს, მობილურ გადამღობ რაზმებს, სხვადასხვა დანიშნულების რეზერვებს, აგრეთვე ლოგისტიკის დაჯგუფებებს. სამხედრო-საჰაერო ძალების და საჰაერო თავდაცვის ჯარების გაერთიანების **ო.დ.,** როგორც წესი, მოიცავს ერთ ან რამდენიმე ეშელონს, რეზერვებს და ლოგისტიკას. ოპერაციის ამოცანების გადასაწყვეტად საზღვაო ძალების **ო.დ.** შეიძლება შეიცავდეს ერთ ან რამდენიმე დაჯგუფებას; ძალების უზრუნველმყოფ დაჯგუფებებს; ოპერატიულ რეზერვს და ლოგისტიკას. თითოეული დაჯგუფება შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა გვარეობის ან ერთი გვარეობის ფლოტის ძალების შენაერთებისა და ნაწილებისაგან, აგრეთვე მოიცავდეს მათთან ურთიერთმოქმედ შენაერთებსა და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობათა ნაწილებს.

ოპერატიული დრო, პირობითი დრო (თარიღი, საათები, წუთები), რომელიც ოპერატიული და საბრძოლო მომზადების ღონისძიებების ჩასატარებლად განკუთვნილ ასტრონომიულ დროში დიდი რაოდენობის სასწავლო საკითხების დამუშავების მიზნით გამოიყენება.

ოპერატიული ვითარება, იხ. *ვითარება.*

ოპერატიული თავსებადობა, ნატოს ძალებისა და საჭიროების შემთხვევაში სხვა პარტნიორი სახელმწიფოების ძალების უნარი, ერთობლივად აწარმოონ საბრძოლო მომზადება, სწავლებები და ეფექტურად იმოქმედონ მათ წინაშე დასახული საერთო და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის დროს.

ოპერატიული თავსებადობის ამოცანები, გეგმური დავალებები, შეთანხმებული ჩრდილოატლანიკურ კავშირსა და ცალკეულ პარტნიორ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც მონაწილეობენ პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ დაგეგმვის და ანალიზის პროცესში მისი ციკლების დროს 1995 წლიდან 1999 წლის პერიოდში. ისინი მიმართულია პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ოპერაციების ჩატარების ჩარჩოებში ნატოს ხელმძღვანელობით პარტნიორი სახელმწიფოების ჯარების (ძალების) მოკავშირე ჯარებთან (ძალებთან) ოპერატიული თავსებადობის სრულყოფაზე. დაწყებული 2000 წლიდან ოპერატიული თავსებადობის ამოცანები „პარტნიორობის ამოცანებით“ შეიცვალა.

ოპერატიული თვალთვალის რადიოლოკაციური ზონა, საჰაერო თავდაცვაში – ზონა, რომელშიც დაწესებული კრიტერიუმების (მიზნის კუთვნილება, ტიპი და ადგილმდებარეობა) საფუძველზე ხდება პოტენციურად მნიშვნელოვანი მიზნების ავტომატური გადაცემა რადიოლოკაციური სადგურის მეზობელ პოზიციაზე.

ოპერატიული ლოგისტიკა, დაჯგუფებების (ფლოტების), შეიარაღებული ძალების გაერთიანებული სახეობების შემადგენლობაში შემავალი ლოგისტიკის შენაერთები, ნაწილები და დაწესებულებები; წარმოადგენს სტრატე-

გიულ და საჯარისო ლოგისტიკას შორის შემაკავშირებელ რგოლს, განკუთვნილია გაერთიანებებისა და შენაერთების ლოგისტიკური უზრუნველყოფისათვის. იშლება დაჯგუფებების (ფლოტების) ზურგის ზოლებში, საზღვრისპირა და შიდა ტერიტორიაზე. იყოფა დაჯგუფებების, საფლოტო, საარმიო (საკორპუსო), საფლოტილიო და საესკადრო ლოგისტიკად.

ოპერატიული მანევრის ფორმები, ტერმინი, რომელიც XX საუკუნის 60-იან წლებამდე გულისხმობდა შეტევით ოპერაციებში მოწინააღმდეგის დაჯგუფებების განადგურების ხერხებს. **ო.მ.ფ**-ს განეკუთვნებოდა: ფრონტალური დარტყმა ერთ ან რამდენიმე მიმართულებაზე; მოწინააღმდეგის დაჯგუფების ოპერატიული შემოვლა ან გარშემორტყმა; მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფების ალყაში მოქცევის და განადგურების მიზნით დარტყმები მიმართულებების დამთხვევის ადგილებში, დარტყმები უკან დახევის გზებიდან და ძნელად გასასვლელ ადგილებში განდევნის და მომწყვდევის მიზნით, მოწინააღმდეგის ძირითადი ძალების მოსაკვეთად და სხვა. შემდგომში **ო.მ.ფ**-ს, მიაკუთვნებენ წამკვეთ დარტყმებსაც, გარემოცვას ჰაერში, გარშემორტყმას, ძალვის გადატანას სხვა მიმართულებაზე, ძალვის გასაძლიერებლად სიღრმიდან მანევრს. დასავლეთის მთელ რიგ არმიებში **ო.მ.ფ**-ის მნიშვნელობით გამოიყენება ცნება „მანევრის ფორმები“.

ოპერატიული მარაბი, იხ. *მატერიალური საშუალებების მარაგი.*

ოპერატიული მართვა, სარდლის (მეთაურის) კერძო უფლებამოსილება, მისი სარდლობის დაქვემდებარებაში არმყოფი ფორმირებების ან სხვა ორგანიზაციული ერთეულების მოქმედების ხელმძღვანელობისათვის.

ოპერატიული მობილურობა, ჯარების და მათი ლოგისტიკური უზრუნველყოფის საშუალებების სწრაფი და ეფექტური გადაადგილებისა და გაშლის შესაძლებლობა ოპერაციის მომზადებისა და მსვლელობის პერიოდში.

ოპერატიული მომზადება, სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული და ოპერატიულ-ტაქტიკური რგოლების მართვის ორგანოებისა და გენერლების, ადმირალების, ოფიცრების მომზადების ძირითადი სახეობა. **ო.მ**-ის მთავარი მიზანია: მომზადების მონაწილეებმა შეიძინონ ღრმა ოპერატიულ-სტრატეგიული და ოპერატიულ-ტაქტიკური ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში მათი ხორცშესხმის უნართან ერთად. ჯარების (ძალების) მიერ ოპერატიული ამოცანების გადაწყვეტისას მათი ხელმძღვანელობისთვის მართვის ორგანოები იყოლიონ მუდმივ მზადყოფნაში. **ო.მ**. მოიცავს სამხედრო სტრატეგიისა და ოპერატიული ხელოვნების თეორიული საფუძვლების შესწავლას; შეიარაღებული ძალების მშენებლობის, სამხედრო გეოგრაფიის, სამხედრო მოქმედების თეატრებისა და მათი მოწყობის თავისებურებების, სხვა სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებების შესაძლო ხასიათისა და ხერხების შესწავლას; თანამდებობის პირთა პრაქიკული ჩვევების სრულყოფას ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის უმაღლეს ხარისხში მოყვანისას, ოპერაციების (საომარი მოქმედებების) გაშლის, მომზადებისა და წარმოების დროს; **ო.მ.** ითვალისწინებს აგრეთვე წვრთნებისა და იმ ღონისძიებების მომზადებისა და ჩატარების მეთოდიკის სწავლებას, რომლებიც ხორციელდება გენერლების, ადმირალების, ოფიცრებისა და ჯარების (ძალების) მართვის ორგანოების მოსამზადებლად.

ოპერატიული მოქნილობა, ამოცანების შესრულებისას ჩრდილოატლანტიკური კავშირის შეიარაღებული ძალების მიერ ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების შესაძლებლობა როგორც კოლექტიური დაცვის, ასევე პასუხისმგებლობის ზონის გარეთ გაშლის პერიოდში.

ოპერატიული ნახტომი, ოპერატიული ან ტაქტიკური მომზადების სასწავლო ღონისძიებების დროს ოპერატიული დროის ასტრონომიულთან მიმართებაში გვიან დროზე გადატანა. ხორციელდება ერთი ან რამდენიმე სასწავლო საკითხის დამუშავების შემდეგ თემის შემდგომ საკითხზე, ან სწავლების ეტაპზე გადასასვლელად.

ოპერატიული პაუზა, დროის შუალედი თავდაცვით ან შეტევით (კონტრშეტევით) ოპერაციებს შორის, ან იმ ოპერაციების დროს, რომლებიც თანამიმდევრულად ერთ მიმართულებაზე ხორციელდება. **ო.პ**-ს განაპირობებს ჯარების (ძალების) არსებული დაჯგუფებების საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდის, ასევე ახალი დაჯგუფებების შექმნის, მატერიალური საშუალებების მარაგის, დანაკარგების შევსების (ბრძოლისუნარიანობის აღდგენის) და მომდევნო ოპერაციის მომზადების აუცილებლობა. **ო.პ**-ის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს 1–2 დღიდან რამდენიმე კვირამდე. შეტევით (კონტრშეტევით) ოპერაციებში საუკეთესო შედეგებს აღწევდნენ მინიმალური პაუზის ან საეროდ ამ პაუზის არარსებობის პირობებში.

ოპერატიული პოტენციალის კონცეფცია, პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პოტენციალის ოპერატიული გაძლიერების შესაძლებლობებისა და მექანიზმების ერთობლიობა. მოიცავს ამ პროგრამის ოპერაციის ჩარჩოებში სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავებისა და აქტივიზაციის შესაძლებლობის ამაღლებას ნატოს ხელმძღვანელობით პარტნიორ სახელმწიფოთა ჯარების (ძალების) წვლილის შეტანის გზით.

ოპერატიული რეზერვი, იხ. *რეზერვი.*

ოპერატიული (საბრძოლო) სადაზვერვო მონაცემები, სადაზვერვო მონაცემები სტრატეგიული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად, რომლებზეც არსებობს მოთხოვნა საომარი კამპანიების და მთავარი ოპერაციების დაგეგმვის და ხელმძღვანელობის პროცესში.

ოპერატიული სამანევრო ჯგუფი, დაჯგუფების (არმიის) ჯარების ოპერატიული დაწყობის ელემენტი შეტევით ოპერაციაში. ის განკუთვნილი იყო მთავარი ძალების მოწყვეტით დარტყმის ძალის სწრაფი ზრდისა და ოპერატიული სარეიდო მოქმედებისთვის. **ო.ს.ჯ.** XX საუკუნის 70–80-იან წლებში გათვალისწინებული იყო ჯარების ოპერატიულ დაწყობაში. მისი პირვანდელი სახე II მსოფლიო ომის შეტევით ოპერაციებში იყო დაჯგუფების (არმიების) მოძრავი ჯგუფები. **ო.ს.ჯ**-ის ამოცანებია: გაანადგუროს ბირთვული თავდასხმის საშუალებები, ხელში ჩაიგდოს მნიშვნელოვანი ზღუდეები (რაიონები); მიაყენოს დარტყმები წინ წამოწეულ რეზერვებს, დაარღვიოს ოპერატიული ლოგისტიკის მუშაობა და ჯარების მართვა; მოახდინოს დეზორგანიზაცია, ჩაშალოს სამობილიზაციო ღონისძიებები და სხვა. წინსვლის ტემპია 100 *კმ*-მდე დღე-ღამეში, მთავარ ძალებს მოწყვეტა 200 *კმ*-მდე. ერთ-ერთი პრობლემური საკითხია **ო.ს.ჯ**-ის ლოგისტიკის უზრუნველყოფა. XX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ჩამოყალიბდა არმიის კორპუსები სპეციალურად **ო.ს.ჯ**-ების სახით მოქმედებისათვის. XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში ჯარების ოპერატიული დაწყობიდან ამოიღეს **ო.ს.ჯ.** მოხდა ცვლილებები ოპერაციების მომზადებისა და წარმოების ხერხებში. **ო.ს.ჯ**-ის საარმიო კორპუსებს მიზნად დაუსახეს სხვა ამოცანების შესრულება და მათი უმრავლესობა XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს დაიშალა.

ოპერატიული სარდლობა, სარდლის (მეთაურის) უფლებამოსილება, ამოცანა დაუსახოს ან დავალება მისცეს მასზე დაქვემდებარებულ სარდლებს (მეთაურებს) ნაწილების, ქვედანაყოფების გაშლის, ჯარების გადაქვემდებარების და ოპერატიული (ტაქტიკური) მართვის შენარჩუნების, ან დელეგირების შესახებ. არ მოიცავს ადმინისტრაციული და ლოგისტიკური უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას. ტერმინი ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს სარდლისთვის (მეთაურისთვის) მიკუთვნებული ძალების აღნიშვნისთვის.

ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფა, იმ ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური (ტაქტიკური) ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც იგეგმება, ეწყობა და ხორციელდება ყველა სახეობის ოპერაციებში (საბრძოლო მოქმედებებში) თავისი ჯარების (ძალების) შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის გამოყენებისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნის, აგრეთვე მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) და შეიარაღების გამოყენების ეფექტიანობის შემცირების მიზნით. **ო.(ს.)უ**-ის ძირითადი სახეობებია: დაზვერვა, ფსიქოლოგიური ბრძოლა, რადიოელექტრონული ბრძოლა, შენიღბვა, საინჟინრო უზრუნველყოფა, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვა, ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფა, სანავიგაციო, ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) უზრუნველყოფა, ხოლო ტაქტიკურ რგოლში – აგრეთვე დაცვა. შეიარაღებული ძალების სახეობების ჯარებს აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი **ო.(ს.)უ**-ის სახეობები: სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს – საშტურმანო, საძიებო-სამაშველო, რადიოტექნიკური უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს რადიოლოკაციურ და რადიოშუქტექნიკურ უზრუნველყოფას; სამხედრო-საზღვაო ძალებს – ნავსაწინააღმდეგო, ნაღმსაწინააღმდეგო, კატარღასაწინააღმდეგო და სანავიგაციო-ჰიდროგრაფიული უზრუნველყოფა.

ოპერატიული შენაერთი, სამხედრო კომპონენტი, შექმნილი ოპერატიული ფლოტის სარდლის ან ზემდგომი ინსტანციის მიერ გარკვეული ამოცანის ან ამოცანების შესასრულებლად.

ოპერატიული ცნობა, გაერთიანების (შენაერთის) შტაბის საბრძოლო საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც, ჩვეულებრივ, წინა დღე-ღამის ან საბრძოლო მოქმედების პერიოდის (შემაჯამებელი) ვითარების მონაცემებს შეიცავს. **ო.ც**-ში გაშუქებულია: მთლიანად გაერთიანებების (შენაერთების) მოქმედების ხასიათი, მდგომარეობა და მდებარეობა; მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფება, მდგომარეობა და მოქმედების ხასიათი; საკუთარი შენაერთების (ნაწილების) მდებარეობა და მდგომარეობა ორი საფეხურით დაბლა; დანაკარგი და ნადავლ-ნაალაფავი; მატერიალური უზრუნველყოფა; მოკლე ცნობები მეზობლების მდგომარეობისა და მოქმედებების, აგრეთვე სხვა მონაცემები საბრძოლო მოქმედებების მიმდინარეობის შესახებ.

ოპერატიული წარმატება, ოპერაციის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა რაიონში, (ზონაში, საოპერაციო მიმართულებაზე) გაერთიანების ჯარებით (ძალებით), საშუალებებით; ერთი ან რამდენიმე ოპერატიული ამოცანის შესრულების შედეგი. **ო.წ.** შეიძლება იყოს წარმატებული კონტრდარტყმის მიყენების, მოწინააღმდეგის თავდაცვითი ზღუდის გარღვევის, მსხვილი წყლისმიერი დაბრკოლების ფორსირების, მოწინააღმდეგის მტრის დაჯგუფების გარშემორტყმის, საჰაერო (საჰაერო თავდაცვის), საჰაერო-სადესანტო ან საზღვაო ოპერაციების შედეგი.

ოპერატიული ხელოვნება, შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებების მიერ ოპერატიული მასშტაბის საომარი მოქმედებების (ოპერაციები, ბატალია, საბრძოლო მოქმედებები, დარტყმები) მომზადების და წარმოების თეორია და პრაქტიკა; სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი. **ო.ხ**-ას შუალედური მდგომარეობა უკავია სამხედრო სტრატეგიასა და ტაქტიკას შორის. ექვემდებარება სტრატეგიას და თავის მხრივ, განსაზღვრავს ტაქტიკის განვითარების ამოცანებს და მიმართულებებს. **ო.ხ**-ის შინაარსის და განვითარების განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებს წარმოადგენენ: სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინა და სამხედრო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალების ტექნიკური აღჭურვილობა, მისი პირადი შემადგენლობის სწავლების სისტემა, შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების ხარისხი, უცხოეთის სახელმწიფოების ჯარების (ძალების) შეიარაღებით აღჭურვის დონე. აგრეთვე – სხვადასხვა ფორმის საომარ მოქმედებებში ჯარების (ძალების) გამოყენებაზე მათი შეხედულებების ცვლილებები; სამხედრო მოქმედების თეატრის სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები.

ო.ხ-ის ზ ო გ ა დ თ ე ო რ ი უ ლ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ე ბ ი განსაზღვრავენ **ო.ხ**-ის არსს, შინაარსს, ადგილს და როლს სამხედრო ხელოვნებაში, მის საგანსა და სტრუქტურას. **ო.ხ**-ის თეორიის ამოცანებში შედის აგრეთვე ოპერატიული მასშტაბის საომარი მოქმედებების ხასიათის, ფორმების, კანონზომიერებისა და შინაარსის კვლევა ომების გამოცდილების, ოპერატიული მომზადების პრაქტიკისა და სამხედრო (მათ შორის, სამხედრო-ტექნიკურ) დარგში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, როგორც საკუთარ ქვეყანაში ისე საზღვარგარეთ; ამ საფუძველზე – საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და წარმოების ახალი ხერხების ძებნა და შემუშავება, გაერთიანებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და შეიარაღებისადმი მოთხოვნების განსაზღვრა; მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის შენარჩუნების ღონისძიებების შემუშავება; ჯარების (ძალების) ურთიერთქმედების, მათი საბრძოლო მოქმედებების ყოველმხრივი უზრუნველყოფის საფუძვლების შემუშავება; სამხედრო მოქმედებების თეატრის ოპერატიული მოწყობის რეკომენდაციების შემუშავება; ოპერატიული მასშტაბის საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე სავარაუდო მოწინააღმდეგეების შეხედულებების კვლევა.

ო.ხ-ის თ ე ო რ ი ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი მდგომარეობს მისი სტრუქტურის შემუშავებაში, რომელიც შეიძლება წარმოდგენილი იყოს შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობის **ო.ხ**-ის ზოგადი საფუძვლებითა და თეორიით: საერთო-საჯარისო **ო.ხ**. (საერთო-საჯარისო გაერთიანების ოპერატიული ხელოვნება), სტრატეგიული დანიშნულების საარაკეტო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის სამხედრო-საზღვაო ძალების **ო.ხ**., აგრეთვე სამხედრო-კოსმოსური ძალების ოპერატიული გამოყენებისა და ოპერატიული ლოგისტიკის თეორია. შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობის **ო.ხ**-ის თეორია ხელმძღვანელობს ზოგადი საფუძვლებით, ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების თავისი სახეობის გაერთიანების (შენაერთის) ორგანიზაციის, შეიარაღების, მოქმედებების სფეროს სპეციფიკას, საბრძოლო შესაძლებლობებსა და ოპერატიული გამოყენების ხერხებს. ზოგადი საფუძვლები განიხილავს ზოგადთეორიულ დებულებებს (ყველა სახეობის შეიარაღებული ძალებისათვის); უმნიშვნელოვანესი კატეგორიების შინაარსს, ოპერატიული მასშტაბის საომარი მოქმედებების ფორმების კლასიფიკაციასა და დამახასიათებელ ნიშნებს, მათი მომზადებისა და წარმოების პრინციპებს; საომარ მოქმედებაში შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებების (შენაერთების) როლს, ადგილს, ამოცანებს და მათი შეთანხმებული გამოყენების ხერხებს, აგრეთვე ჯარების, (ძალების) მართვის საფუძვლებს.

ო.ხ-ის პ რ ა ქ ტ ი კ ი ს ა მ ო ც ა ნ ე ბ ი გამოიხატება და ხორციელდება სარდლობის, შტაბების, მართვის სხვა ორგანოებისა და ჯარების (ძალების) გაერთიანებების უშუალო საქმიანობით (ხელოვნებაში) საერთო-საჯარისო, საზღვაო, ერთობლივი და დამოუკიდებელი ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მომზადებისა და წარმოებისათვის.

ოპერატიული ჯგუფი, 1. დროებითი სამხედრო ფორმირება, რომელიც II მსოფლიო ომის დროს გაერთიანებაში ცალკეულ საოპერაციო მიმართულებაზე ან ფრონტის უბანზე იქმნებოდა. **ო.ჯ**. ყალიბდებოდა წინასწარ ან ოპერაციების დროს, ახალწამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად. **ო.ჯ**-ის საბრძოლო მოქმედების ხელმძღვანელობისთვის ინიშნებოდა სარდალი (მეთაური, უფროსი), მართვის ორგანოდ გამოიყენებოდა ჯგუფში შემავალი გაერთიანების (შენაერთის) ერთ-ერთი შტაბი; 2. ოფიცერთა ჯგუფი კავშირგაბმულობის საშუალებებით, რომლებსაც გაერთიანების (შენაერთის) შტაბი გზავნის იმ ჯარების საქმიანობის კოორდინაციისთვის, რომლებიც მთავარი ძალებისგან მოწყვეტით (გადაჯგუფების, ახალ რაიონში თავმოყრის, ფრონტის დაშორებულ უბანზე საბრძოლო მოქმედების წარმოების დროს და სხვა) რაიმე კერძო ამოცანას ასრულებენ, აგრეთვე მეზობელი გაერთიანებების (შენაერთების) შტაბებში მათთან კავშირის დასამყარებლად,

ურთიერთქმედების ორგანიზებისა და შენარ-ჩუნების, ამოცანების ერთობლივი შესრულე-ბის მიზნით; 3. მშვიდობიანობის დროს კადრი-რებულ შემადგენლობაში აყვანილი მართვის რგოლი, რომელიც განკუთვნილია სტრატეგ-იული მიმართულების ჯარების მართვის ორ-განოს ოპერატიული გაშლის უზრუნველ-საყოფად საშიშროების პერიოდში.

ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება, იხ. *გაერთიანება.*

ოპერატიულ-სტრატეგიული ტერიტორიული გაერთიანება, იხ. *გაერთიანება.*

ოპერატიულ-ტაქტიკური გაერთიანება, იხ. *გაერთიანება.*

ოპერატიულ-ტაქტიკური გათვლები, გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების მართვის პირადი შემად-გენლობის მიერ ჩასატარებელი გამოთვლები. მისი მიზანია რაოდენობრივი, ხარისხობრივი, დროის და სხვა მაჩვენებლების დადგენა ოპ-ერაციის (ბრძოლის) ჩატარების ან ჯარების გამოყენების და მართვის უზრუნველყოფის დაგეგმვის დასაბუთებისათვის. გაანგარიშებ-ები, რომლებიც ეხება ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების დროს, ჯარების (ძალების) საბ-რძოლო შესაძლებლობებს, ძალების და საშ-უალებების შეფარდებას. იგულისხმება ჯარე-ბის (ძალების) დაჯგუფების შექმნა, მატერი-ალური საშუალებების არსებული რაოდენობა, მათი მიღების ვადები და განაწილება; ჯარე-ბის (ძალების) საბრძოლო მოქმედებების რაი-ონში გასვლა; საცეცხლე დაზიანება; ძალების და საშუალებების მართვის პუნქტებსა და მო-რიგ ცვლებზე განაწილება; პირადი შემად-გენლობით და საბრძოლო ტექნიკით ჯარების (ძალების) დაკომპლექტება და სხვა.

ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფი, 1. დასმული ოპერატიულ-ტაქტიკური ამოცანის შესრულე-ბისთვის ერთი სარდლობის ქვეშ ნაწილების და ქვედანაყოფების დროებითი დაჯგუფება; 2. შექმნილი ამოცანის შესასრულებლად ერთი სარდლობის ქვეშ დროში შეუზღუდავად გაერთიანებული შედარებით მუდმივი დაჯგუ-ფება.

ოპერატიულ-ტერიტორიული გაერთიანება, იხ. *გაერთიანება.*

ოპერაცია (ლათინური operation – მოქმედება), მიზნების, ამოცანების, ადგილისა და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთ-დაკავშირებული ნაირგვაროვანი ჯარების (ძალების) ერთდროული ბატალიების, საბრ-ძოლო დარტყმებისა და მანევრის ერთობლ-იობა. ხორციელდება ერთიანი ჩანაფიქრითა და გეგმით სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრა-ტეგიული, ოპერატიული ან ოპერატიულ-ტაქ-ტიკური ამოცანების გადასაწყვეტად სამ-ხედრო მოქმედებების თეატრზე, სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე, ან რაიონში (ზონაში) დროის დადგენილ პერიოდში; სამ-ხედრო მოქმედებების ფორმა. **ო**-ებს განას-ხვავებენ საომარი მოქმედების მასშტაბის, ტიპის, სახეობისა და ჩატარების დროის კვა-ლობაზე. მასშტაბების მიხედვით **ო**. შეიძლება იყოს: სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატე-გიული (დაჯგუფების შეტევითი, დაჯგუფების თავდაცვითი, არმიების ჯგუფის, ფლოტის გაერთიანების, საჰაერო **ო**-ები), ოპერატიული დონის (არმიის შეტევითი „არმიის თავდა-ცვითი ოპერაცია.“); საჰაერო არმიის, საჰაერო თავდაცვის ცალკეული არმიის, ცალკეული საზღვაო **ო**-ები; ოპერატიულ-ტაქტიკური (კო-რპუსის, ფლოტილიის ნაირგვაროვანი ძალე-ბის **ო**-ები). **ო**-ის მასშტაბს განაპირობებს, აგრეთვე მისი მონაწილე ძალებისა და საშ-უალებების რაოდენობა და **ო**-ის გაქანება. ტიპების მიხედვით **ო**-ები შეიძლება იყოს: საერთო-საჯარისო (საერთო-საფლოტო), საჰა-ერო, საჰაერო თავდაცვის, ერთობლივი და დამოუკიდებელი. საომარი მოქმედების სახე-ობების მიხედვით განასხვავებენ შეტევითს (კონტრშეტევითს) და თავდაცვითს **ო**-ებს. მოწყობის დროის მიხედვით **ო**-ები არის პირველი (ომის დასაწყისში ან შეიარაღე-ბული ბრძოლის ახალ გახსნილ ფრონტზე) და მომდევნო.

ოპერაცია განსაკუთრებულ ვითარებაში, უპირატესად კრიზისული მართვის ან სამშვი-დობო ხასიათის სამხედრო ოპერაცია, განხორციელებული ჩრდილოატლანტიკური კავ-შირის მიერ გაეროს ეგიდით, ან ეუთოს იურისდიქციით. გაერთიანებული მრავალე-როვნული ოპერატიულ-ტაქტიკური ძალების გამოყენების კონცეფცია უფლებას აძლევს ნატოს და მასში არშემავალ პარტნიორ სახელმწიფოებს, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ მონაწილეობა ამ ოპერაციებში.

ოპერაცია მე-5 მუხლის ფარგლებში, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის (და გაეროს კოლექტიური დაცვის უფლების 51-ე მუხლის) შესაბამისად, შეიარაღებული თავდასხმის ობიექტად ქცეული ერთი ან რამდენიმე პარტნიორი სახელმწიფოს დასახ-მარებლად ჩატარებული სამხედრო ოპერაცია.

ოპერაციები შეზღუდული ხილვადობის პირობებში, ღამით ან დროის ისეთ მონა-კვეთში ჩატარებული ოპერაციები, რომლებსაც შეზღუდული ხილვადობა ახასიათებს.

ოპერაციების კვლევა, ოპტიმალური, დასაბუთებული გადაწყვეტილებების შესარ-ჩევად მათემატიკური და სხვა მეთოდების გამ-ოყენების სამეცნიერო-პრაქტიკული მიმარ-თულება. სამხედრო საქმეში მათი გამოყ-ენების ძირითადი სფეროებია: საბრძოლო მოქ-მედებების გადაწყვეტილებების დასაბუთება; შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ნიმ-უშების და სისტემების საბრძოლო ეფექ-ტიანობის განსაზღვრა; ჯარების (ძალების) გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების და

ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობების შეფასება; შეიარაღებული ძალების საჭირო შემადგენლობის და სტრუქტურის განსაზღვრა; ჯარების (ძალების) გვარეობების და შეიარაღებული ძალების სახეობების ოპტიმალური შემადგენლობის განსაზღვრა; ჯარების (ძალების) მართვის დასაპროექტებელი და მოქმედი სისტემების ეფექტიანობის შეფასება; სამხედრო-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა და სხვა.

ოპერაციის ბაზა, საოპერაციო ბაზისი, ზურგის ტერიტორია მოქმედ გაერთიანებათა ზოლში, რომელიც აღჭურვილია სამხედრო-ეკონომიკური და ოპერატიულ-ტექნიკური თვალსაზრისით იმ ოპერაციების უზრუნველსაყოფად, რომლებსაც ჯარები ახორციელებენ. ტერმინი „ოპერაციის ბაზა“ გამოიყენება XVIII საუკუნის ბოლოდან, ხანდახან გაიგივებული იყო ომის ბაზასთან. **ო.ბ.** უზრუნველყოფდა: ჯარების თავმოყრას, გაშლას და გადაჯგუფებას; მატერიალური საშუალებების შენახვა-დაგროვებას და მათთვის მიწოდებას; დაჭრილებისა და ავადმყოფების სამკურნალოდ განთავსებას და მათ ევაკუაციას სამხედრო მოქმედებების თეატრიდან; შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის რემონტს, გადასროლას და უტილიზაციას. ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ცნება „ოპერაციის ბაზის“ ნაცვლად იხმარება ოპერატიული ზურგი ან შეიარაღებული ძალების ზურგი. ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ტერმინი „ოპერაციის ბაზა“ გამოიყენება მხოლოდ იმ საექსპედიციო ძალების მიმართ, რომლებიც საომარი მოქმედების დაშორებულ თეატრში მოქმედებენ.

ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვა, ჯარების (ძალების) მიერ ოპერატიული და საბრძოლო ამოცანების შესრულების, ოპერაციის (ბრძოლის) და მართვის უზრუნველყოფის ყველა სახეობის შინაარსის, თანამიმდევრობის, ხერხების და ვადების, აგრეთვე მოქმედებების მიმართულების მიხედვით ჯარების (ძალების) ძალისხმევის განაწილება. ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების შემადგენელი ნაწილი. **ო.(ბ.)დ**-ის შედეგს წარმოადგენს ოპერაციის (ბრძოლის) გეგმა. ახორციელებს შტაბი ოპერაციის (ბრძოლის) გადაწყვეტილების და ზემდგომი სარდლობის (შტაბის) მითითებების საფუძველზე. **ო.(ბ.)დ.** ხორციელდება თანამიმდევრული ან პარალელური მუშაობის მეთოდით. პირველ შემთხვევაში ყველა ინსტანცია მუშაობაში ებმება მას შემდეგ, რაც ზემდგომ შტაბში დაგეგმვა დასრულდება (წარმოადგენს ძირითად მეთოდს ოპერაციის წინასწარ მომზადებისას). პარალელური მუშაობის მეთოდი გამოიყენება მომზადების შეზღუდული ვადების დროს. დაგეგმვა იწყება ზემდგომი უფროსის მიერ საბრძოლო ამოცანების დასმისთანავე (უმთავრესად მისი წინასწარი საბრძოლო განკარგულებების საფუძველზე) და მიმდინარეობს ერთდროულად რამდენიმე ინსტანციაში.

ოპერაციის (ბრძოლის) მომზადება, იმ ღონისძიებების კომპლექსი, რომლებსაც ოპერაციის (ბრძოლის) ორგანიზაციის და ყოველმხრივი უზრუნველყოფისთვის ახორციელებენ ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების სარდლები (მეთაურები), შტაბები, უფროსები. **ო.(ბ.)მ**-ის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებია: ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე გადაწყვეტილების მიღება, ჯარებისთვის (ძალებისთვის) ამოცანების დასახვა, ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვა, მოწინააღმდეგის საცეცხლე დაზიანების და ჯარების (ძალების) ურთიერთქმედების ორგანიზაცია; საბრძოლო ამოცანების შესრულებისთვის ჯარების (ძალების) და მართვის ორგანოების მომზადება; ძალების (ჯარების) დაჯგუფებების შექმნა და შეტევისთვის საწყისი რაიონების (თავდაცვის რაიონების, მონაკვეთების, ზოლების) მომზადება; ოპერაციის (ბრძოლის) და ჯარების (ძალების) მართვის უზრუნველყოფის ყველა სახეობის ორგანიზაცია; საბრძოლო მოქმედებისთვის ჯარების (ძალების) მზადყოფნის კონტროლი; მოწინააღმდეგის დაზვერვა, მატერიალური საშუალებების მოზიდვა და მარაგის შევსება.

ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრი, ჯარების (ძალების) დაჯგუფების მიერ დასახული საბრძოლო ამოცანის შესრულების ხერხის მთავარი იდეა; ოპერაციის (ბრძოლის) გადაწყვეტილების საფუძველი. **ო.(ბ).ჩ**-ით განისაზღვრება: ძირითადი ძალისხმევის (მთავარი და სხვა დარტყმების მიმართულებების) კონცენტრირების რაიონები; მოწინააღმდეგის განადგურების ხერხები (რა დაჯგუფებები, სად, რა თანამიმდევრობით და როგორ გაანადგურონ, საცეცხლე და ბირთვული დაზიანების წესი და მოწინააღმდეგის მოტყუების ღონისძიებები); ჯარების (ძალების) დაჯგუფება და მათი ოპერატიული დაწყობა (საბრძოლო წყობა).

ოპერაციის გაძანება, ძირითადი მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ ოპერაციას: მოქმედებების ზოლის (რაიონის) სიგანე და სიღრმე, ოპერაციის ხანგრძლივობა, შეტევის (შეტევითი ოპერაციის) საშუალო-სადღეღამისო ტემპი. განისაზღვრება ოპერაციის მიზნით და გაერთიანებისთვის დასახული ამოცანებით; დამოკიდებულია საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების საბრძოლო შემადგენლობასა და შესაძლებლობებზე; ურთიერთმოქმედი გაერთიანებების (შენაერთების) შემადგენლობაზე, ამოცანებსა და შესაძლებლობებზე; ჯარების დაკომპლექტებაზე; მატერიალური საშუალებების მარაგის და საბრძოლო მოქმედების უზრუნველყოფის შესაძლე-

ბლობათა არსებობაზე; ადგილმდებარეობის ხასიათსა და ვითარების პირობებზე.

ოპერაციის გეგმა, ცალკეული ან რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ოპერაციის გეგმა, რომელიც ხორციელდება ერთდროულად, ან თანმიმდევრულად. როგორც წესი, ეფუძნება გაცხადებულ ვარაუდებს და აქვს ზემდგომი ინსტანციის დირექტივის ფორმა. დაქვემდებარებულ მეთაურებს აძლევს საშუალებას მოამზადონ დამხმარე გეგმები და ბრძანებები. არეგლამენტირებს ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) მომზადებას და წარმოებას. ამუშავებს გაერთიანების შტაბი ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების სარდლობასთან (უფროსებთან) ერთად. მუშაობაში ასევე შეიძლება მონაწილეობდნენ შეიარაღებული ძალების სახეობების ურთიერთმოქმედი ძალები და სხვა. დოკუმენტების ნუსხას, მათი შინაარსის რეგლამენტირებას ახდენს დარიგებები, სახელმძღვანელო მითითებები და სხვა. **ო.გ**-ის შემუშავების სისრულეს და თანამიმდევრობას განსაზღვრავს ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) სახეობა და აზუსტებს სარდლობა კონკრეტული პირობების კვალობაზე.

ოპერაციის გეგმის დანართები, დამატებითი მითითებები, რომელთა შინაარსის, დიდი მოცულობის ან ტექნიკური ხასიათის გამო ჩართვა უშუალოდ ოპერაციის გეგმაში, ან ბრძანებაში არასასურველია.

ოპერაციის დასრულების პირობები, პოლიტიკური და/ან სამხედრო სიტუაცია, რომელიც უნდა შეიქმნას ოპერაციის დასრულების შემდეგ, რაც დასახული მიზნების მიღწევას მოწმობს.

ოპერაციის კონცეფცია, 1. ერთ ოპერაციასთან ან ოპერაციების სერიასთან დაკავშირებით მეთაურის ვარაუდის ან ჩანაფიქრის ზოგადი, საიდუმლო მონახაზის გადმოცემა სიტყვიერად, ან გრაფიკულად. 2. მეთაურის მიერ შერჩეული მოქმედებების კურსის მკაფიოდ, ნათლად გადმოცემა. სახმელეთო ჯარებისთვის – კონცეფცია, რომელშიც ასახულია, თუ როგორ ხედავს მეთაური თითოეული ქვედანაყოფის მოქმედებას და საერთო ამოცანის შესასრულებლად მათ ურთიერთქმედებას.

ოპერაციის რუკა, რუკა, რომელზეც მითითებულია ოპერაციაში მონაწილე საკუთარი ძალის ადგილმდებარეობა და სიმძლავრე. მასზე აღნიშნული უნდა იყოს ასევე მოწინააღმდეგის ადგილმდებარეობა და სავარაუდო გადაადგილების მიმართულება.

ოპერაციის სახეები, ტაქტიკური მოქმედებების ფართო სპექტრი, რომელთაგან თითოეულს აქვს საკუთარი დოქტრინული პრინციპები. **ო.ს**-ს განეკუთვნება: ტაქტიკური დაზვერვა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა; საწყისი, შეტევითი, თავდაცვითი, უკანდახევის, გადაადგილების და სპეციალური ოპერაციები.

ოპერაციის უსაფრთხოება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის უტყუარობის დადგენისა და სამხედრო ან სხვა სახის ოპერაციებში მონაწილე საკუთარი ძალების მოქმედებების თანამიმდევრული გაანალიზებისა და დამუშავების პროცესი, რომლის მიზანია: 1. იმ მოქმედებების განსაზღვრა, რომელთა თვალთვალი შესაძლებელია მოწინააღმდეგის დაზვერვის მხრიდან, 2. დადგინდეს, რა მონაცემების მოპოვება შეუძლია მოწინააღმდეგეს, რომლის თავმოყრის და დამუშავების შემდეგ მიიღებს თავისთვის მნიშვნელოვან, სასარგებლო ინფორმაციას. 3. მოქმედებების ისეთი მეთოდების შერჩევა, რომელიც აღკვეთს ან შეამცირებს მოწინააღმდეგის სადაზვერვო ორგანოების მხრიდან მათ დაფიქსირებას. სახმელეთო ჯარებისთვის – უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ტაქტიკური ოპერაციების მოულოდნელობის მისაღწევად გამოყენებული ნებისმიერი ხერხი.

ოპერაციის შეზღუდული ზონა (რაიონი), გარკვეული ზომის საჰაერო სივრცე, რომელიც განსაზღვრულია ავიაციის მოქმედების მართვის ორგანოს მიერ, კონკრეტული ოპერატიული გარემოებიდან (ოპერატიული მოთხოვნიდან) გამომდინარე. ამ ზონის (რაიონის) ფარგლებში შეზღუდულია საჰაერო სივრცის რამდენიმე გამომყენებლის ერთდროული მოქმედება.

ოპერაციის შეწყვეტის კრიტერიუმები, რისკის ანალიზის საფუძველზე წინასწარ დადგენილი გარემოებები, რომელთა გამო ოპერაციის წარმატებით გაგრძელება შეუძლებელი ხდება და ამიტომ მას წყვეტენ.

ოპერაციის ჩატარება, ჯარების (ძალების) სხვადასხვა მოქმედების გამოყენების და შეთანხმების ხელოვნება, რომლის მიზანია მოცემულ გეოგრაფიულ რაიონში გარკვეული სამხედრო მიზნების მიღწევა.

ოპერაციის ჩატარების პირობები, პირობების და გარემოების ერთობლიობა, რაც ზეგავლენას ახდენს შეიარაღებული ძალების გამოყენებაზე და მეთაურის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე. გარემოების სახეებია: 1. ხელშემწყობი პირობები – როცა მასპინძელი ქვეყნის სამხედრო და სამართლებრივ სტრუქტურებს აქვთ კონტროლის უნარი და სურვილი გააძლიერონ ოპერაციის ხელშეწყობა, რომლის ჩატარებასაც საბრძოლო ქვედანაყოფები აპირებენ. 2. არახელსაყრელი (გაურკვეველი) პირობები, როდესაც მასპინძელი ქვეყნის სამთავრობო ძალებს საბრძოლო მოქმედებების რაიონში არ შესწევთ უნარი სრული კონტროლი გაუწიონ ტერიტორიასა და მოსახლეობას, მიუხედავად იმისა, კეთილგანწყობილი არიან თუ არა ოპერაციის მიმართ, რომლის ჩატარებას აპირებს საბრძოლო ქვედანაყოფი. 3. არაკეთილსასურველი პირობები, როდესაც მტრულად განწყობილი ძა-

ლა აკონტროლებს საბრძოლო მოქმედებების რაიონს, აქვს განზრახვა და შესწევს უნარი ეფექტურად დაუპირისპირდეს საბრძოლო ქვედანაყოფის მოქმედებებს.

ოპტიკურ-ელექტრონული საშუალებები, ხელსაწყოები, რომლებიც ოპტიკური სპექტრის დიაპაზონის ელექტრომაგნიტურ ტალღებს აღიქვამენ. ისინი შესაბამისი ენერგიის გამოსხივებას თავდაპირველად გარდაქმნიან ელექტრონულ სიგნალად, ხოლო შემდგომ ხილვად გამოსახულებად. უზრუნველყოფენ ღამით და დღისით, ცუდი ხილვადობის დროს, ბრძოლის ველის თვალთვალს, იარაღის გამიზვნას, ფოტოგრაფირებას და სხვა. იყოფა ინფრაწითელ ხელსაწყოებად, რომლებიც ინფრაწითელ გამოსხივებას აღიქვამენ და სატელევიზიო ტექნიკად, რომლებიც სუსტ (მთვარის, ვარსკვლავის) ხილვად გამოსხივებას აღიქვამენ. სამხედრო საქმეში გამოიყენება თვალთვალის და დაზვერვის ხელსაწყოები (ღამის სათვალეები, ბინოკლი და სხვადასხვა ტიპის თვალთვალის, სამხედრო ტექნიკის ღამით გადაადგილების ხელსაწყოები, აქტიური შუქმანძილმზომები, თბოპელენგატორები, თბოლოკატორები და სხვა), ღამის სამიზნეები და იარაღის მართვის საშუალებები (ინფრაწითელი, სატელევიზიო და ლაზერული თვითდამიზნების თავები, უკონტაქტო ოპტიკური ამფეთქები, ლაზერული გიროკომპასები და სხვა).

ოპტიკურ-ელექტრონული შენიღბვა, შენიღბვის სახეობა, მოიცავს მოწინააღმდეგის დაზვერვის ტექნიკური საშუალებებისა და იარაღის გამიზვნის სისტემების საწინააღმდეგო საშუალებებისა და ღონისძიებების კომპლექსს, რომელიც მუშაობისათვის იყენებს ელექტრომაგნიტური ტალღების ოპტიკურ დიაპაზონს. **ო.-ე.შ**-ის არსია საკუთარი და ობიექტებიდან არეკლილი ოპტიკური დიაპაზონის ელექტრომაგნიტური ტალღების ნაკადის დასუსტება, როდესაც მოწინააღმდეგე იყენებს დაზვერვის სხვადასხვა ოპტიკურ-ელექტრონულ საშუალებებს (ღამის ხედვის ხელსაწყოებს, თერმოვიზორებს, თერმოპელენგატორებს, ოპტიკურ ლოკატორებს, თერმოვიზიულ აპარატურას) და დამიზნების ლაზერულ სისტემებს – მრავალფეროვანი შენიღბვის საშუალებების მეშვეობით.

ოპტიკური დაზვერვა, მოწინააღმდეგის ობიექტების (მიზნების) შესახებ მონაცემების მოპოვება დაზვერვის ოპტიკურ-ელექტრონული საშუალებების მეშვეობით.

ოპტიკური კავშირგაბმულობა, ინფორმაციის გადაცემა ოპტიკური დიაპაზონის ელექტრომაგნიტური ტალღების მეშვეობით. **ო.კ**. ხორციელდება **ო.კ**-ის ხაზებით, რომლებიც მოიცავენ გამომსხივებელს, ფოტოდეტექტორს და გამოსხივების გავრცელების ოპტიკურ არხს. ტიპის მიხედვით **ო.კ**. იყოფა ტალღის გამტარ და ღიად, რომლებშიც გამოსხივების გავრცელება ღია სივრცეში, ატმოსფეროში და წყალში ხორციელდება. **ო.კ**-ის ძირითად ღირსებად გვევლინება ინფორმაციის გადაცემის მაღალი სისწრაფე, დაბრკოლების და არასანქცირებული ხელმისაწვდომობისგან დაცვა.

ოპტიკური ხელსაწყოები, ხელსაწყოები, რომლითაც ობიექტების გამოსახულების მიღება ოპტიკური სისტემების (ლინზები, პრიზმები, სარკეები და სხვა) მეშვეობით ხდება. **ო.ხ**-ის ძირითადი ნაწილებია ობიექტივი და ოკულარი. მათი მახასიათებლებია: გადიდება, მხედველობის არე, შემავალი და გამომავალი გუგები, გამომავალი გუგის დაშორება, შუქძალა, მკაფიოობის უნარი, სტერეოსკოპიულობა, პერისკოპიულობა. **ო.ხ**. იყოფა: თვალთვალის, კუთხეების და მანძილის საზომ ხელსაწყოებად (ბინოკლი, პერისკოპი, სტერეომილი, ტეოდილიტი, ბუსოლი, მანძილმზომი და სხვა); სამიზნეებად და კოლიმატორებად; სანავიგაციო და ფოტოგრაფიულ ხელსაწყოებად (ფოტოაპარატები, ფოტოტელეოდოლიტები და სხვა).

ორბიტული სადგური, კოსმოსური აპარატი, რომელიც გაყვანილია დედამიწის ან სხვა პლანეტის ირგვლივ ორბიტაზე. განკუთვნილია ადამიანების ხანგრძლივად ყოფნისათვის და კოსმოსში სხვადასხვა ექსპერიმენტების (სამეცნიერო-საკვლევი, ტექნიკური, სამხედრო და ა.შ.) ჩასატარებლად.

ორდენი (ლათინური ordo, გერმანული orden – წესი, რიგი, თანრიგი), 1. წარჩინების ნიშანი, სახელმწიფო ჯილდო, ჩვეულებრივ, მოცემული ორდენისთვის ერთი ან რამდენიმე დამახასიათებელი ნიშნით, სახით (ვარსკვლავი, **ო**-ის ლენტი) ზედა ტანსაცმელზე სატარებლად. **ო**-ს აწესებს სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო ან მისი მეთაური (პრეზიდენტი, მონარქი); თითოეულ **ო**-ს აქვს თავისი სტატუსი; 2. კათოლიკური ცენტრალიზებული ბერმონაზვნური გაერთიანებები (VI საუკუნიდან), რომლებიც მოქმედებენ პაპის რეზიდენციის მიერ დამტკიცებული წესდებების თანახმად; 3. ზოგიერთი საიდუმლო საზოგადოების დასახელება, მაგალითად, მასონთა **ო**.

ორიენტირება (სამხედრო), ინფორმაცია ვითარების, მოსალოდნელი საბრძოლო ამოცანების და სხვა მონაცემების შესახებ. მათ ზემდგომი სარდლობა (შტაბი) აცნობებს ხელქვეითებს დახმარების აღმოჩენის მიზნით, რათა სწორად გაერკვნენ ვითარებაში და დროულად მოემზადონ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. **ო**. ხორციელდება აგრეთვე მეზობელ შენაერთებსა და ნაწილებს შორის ურთიერთქმედების უზრუნველყოფისთვის. შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური.

ორიენტირი (ფრანგული orientation – ორიენტაცია), უძრავი, ცალკე მდგომი საგანი (მა-

გალითად ხე, კოშკი და სხვა), რომელიც კარგად ჩანს და გამოდგება ადგილმდებარეობაში გასარკვევად. გამოკვეთილი, კარგად ხილვადი და იოლად ამოსაცნობი ადგილობრივი საგანი ან რელიეფის ელემენტი. იგი ჯარებში გამოიყენება ბრძოლაში და/ან სხვა ვითარებაში საკუთარი ადგილსამყოფლის და მიზნის მოძრაობის მიმართულების განსაზღვრისათვის. ასევე, მიზანჩვენების, ქვედანაყოფების და ცეცხლის მართვისთვის. ავიაციაში – თვითმფრინავის ტარებისათვის, სამხედრო-საზღვაო ძალებში – ნაპირთან ახლოს ცურვისას ხომალდის მდებარეობის განსაზღვრისათვის.

ორმაგი გამოყენების ნედლეული, ბიოლოგიური ან ქიმიური ნივთიერება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს არა მარტო მშვიდობიანი მიზნებისთვის მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში, არამედ საომარი მიზნებისთვის – ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის შესაქმნელად. ასეთი ნივთიერებების გამოფრქვევისათვის გამიზნული ტექნოლოგიების, სამრეწველო დანადგარების და ტექნიკის დიდი ნაწილი ასევე შეიძლება იყოს ორმაგი გამოყენების.

ორმო-მახე, არაასაფეთქებელი ღობურა, გადახურული და შენიღბული ორმოს სახით, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის საბრძოლო მანქანების (ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორების და ა.შ.) წინსვლის შესაჩერებლად. ითხრება 6–5 *მ* სიგანის, 8 *მ.* სიგრძის, 2–3 *მ.* სიღრმის. გამოიყენება მანქანების ყველაზე მოსალოდნელი გამოჩენის ადგილებში.

ოსმალეთის იმპერია, სულთნის ოსმალეთის ოფიციალური სახელწოდება (მომდინარეობს ოსმალთა დინასტიის დამაარსებლის ოსმან I-ის სახელიდან). შეიქმნა XV–XVI საუკუნეებში ოსმალთა დაპყრობების შედეგად აზიაში, ევროპასა და აფრიკაში. ძლიერების მწვერვალს მიაღწია XVI საუკუნეში. XVII საუკუნის დასასრულიდან თანდათან დაკარგა დაპყრობილი ტერიტორიები, ხოლო პირველ მსოფლიო ომში დამარცხების შემდეგ (1918) საბოლოოდ დაიშალა; 1922 წელს არსებობა შეწყვიტა ოსმალთა სასულთნომაც. მის ბაზაზე შეიქმნა თურქეთის რესპუბლიკა.

ოსმალთა დამპყრობლური ომები XIV–XVI, ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს (XV საუკუნიდან ოსმალეთის იმპერიის) ომები, რომელთა შედეგად ოსმალებმა დაიპყრეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის, დასავლეთ აზიისა და ჩრდილოეთ აფრიკის მრავალი ქვეყანა.

ოფიცერი (გერმანული offizier < ლათინური officium – თანამდებობა), პირი, რომელიც ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მეთაურების (ხელმძღვანელობის) შემადგენლობას განეკუთვნება. **ო**-ს აქვს მინიჭებული სამხედრო წოდება. არსებობს **ო**-თა უმცროსი და უფროსი შემადგენლობა.

ოფიცრის საშტაბო კულტურა, იმ პროფესიული და პიროვნული თვისებების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ჯარების მართვის ამოცანების გადაწყვეტისათვის ოფიცრის მომზადებისა და უნარის დონეს. **ო.ს.კ**-ის გამოხატულებაა პროფესიონალიზმი; ოპერატიული და შეთანხმებული მუშაობა; ინიციატივა; დიდი მოცულობის ამოცანების მოკლე ვადაში შესრულების უნარი; დოკუმენტების გაფორმების, გაცემული ბრძანებისა და განკარგულებების სიზუსტე, მკაფიოობა და ლაკონიურობა, მართვის ტექნიკური საშუალებების ეფექტური გამოყენება. **ო.ს.კ.** შტაბებისა და მართვის სხვა ორგანოების ოფიცრებისაგან მოითხოვს ვითარების მუდმივ ცოდნას და მისი სწრაფად გაანალიზების უნარს; ოპერატიულ-ტაქტიკური გაანგარიშებების ოპერატიულად და ხარისხიანად შესრულებას; გადაწყვეტილების მისაღებად დასკვნების გამოტანას; კავშირის დამყარებას ქვეშევრდომებთან და მართვის ზემდგომ ორგანოებთან; ჯარებამდე (ძალებამდე) საბრძოლო ამოცანების დროულად დაყვანას; საბრძოლო მოქმედებების ორგანიზებას, ბრძანებებისა და განკარგულებების შესრულების კონტროლს.

ო.ს.კ. იხვეწება ყოველდღიური სამსახურის პროცესში: მეცადინეობების, წვრთნების დროს, საბრძოლო მოქმედებების პერიოდში.

ოცდაათწლიანი ომი 1618–48, პირველი საერთო ევროპული ომი სახელმწიფოთა ორ დიდ კოალიციას შორის ევროპაში პირველობისათვის. კერძოდ, ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ჰაბსბურგთა ბლოკი (ესპანელი და ავსტრიელი ჰაბსბურგები, გერმანელი კათოლიკე მთავრები, რომის პაპებისა და პოლონეთის მხარდაჭერით) და ანტიჰაბსბურგული კოალიცია (გერმანელი პროტესტანტი მთავრები, საფრანგეთი, შვედეთი, დანია, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ინგლისი, ჰოლანდია და რუსეთი). ჰაბსბურგთა ბლოკი კათოლიციზმის დროშით გამოდიოდა, ანტიჰაბსბურგული კოალიცია (განსაკუთრებით დასაწყისში) – პროტესტანტიზმის დროშით. **ო.ო.** იყოფა 4 პერიოდად: ჩეხური (1618–23), დანიური (1625–29), შვედური (1630–35) და ფრანგულ-შვედური (1635–48), როდესაც საფრანგეთის ომში ჩაბმით აშკარად გამოიკვეთა ანტიჰაბსბურგული კოალიციის უპირატესობა. „მსოფლიო იმპერიის“ შექმნის ჰაბსბურგთა გეგმამ კრახი განიცადა და პოლიტიკური ჰეგემონია საფრანგეთის ხელში გადავიდა. **ო.ო**-მა დიდი გავლენა მოახდინა ევროპული არმიების ორგანიზაციისა და სამხედრო ხელოვნების განვითარებაზე. ომი დასრულდა *ვესტფალიის ზავით* (1648).

ოცეული, ქვედანაყოფი ასეულის, ბატარეის შემადგენლობაში. არის ცალკეული ოცეულებიც, რომლებიც შედიან ნაწილების, შენაერთების, სამმართველოების, დაწესებულებების და სხვათა შემადგენლობაში. ისინი არიან მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების ჯარების ყველა სახეობებში და სპეციალურ ჯარებში, ასევე უზრუნველყოფის და მომსახურების ნაწილებსა და ქვედანაყოფებში. როგორც წესი, შედგება 2–4 ათეულისგან (გათვლისგან, ეკიპაჟისგან).

პაგუოშის მოძრაობა, მეცნიერთა საზოგადოებრივი მოძრაობა მშვიდობისთვის, განიარაღებისთვის, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და მეცნიერული თანამშრომლობისთვის. მის ინიციატორებს შორის (1955) იყვნენ ა. აინშტაინი, ფ. ჟოლიო-კიური, ბ. რასელი. პირველი კონფერენცია გაიმართა 1957 წელს პაგუოშში (კანადა). **პ.მ.** გამოსცემს ბიულეტინს „პაგუოშის ამბები“. 1995 წელს მოძრაობას ნობელის მშვიდობის პრემია მიენიჭა.

პავია, ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც 1525 წლის 24 თებერვალს ესპანეთის მეფის და „საღვთო რომის იმპერიის“ იმპერატორის კარლ V-ის ჯარებმა (20 ათ. ქვეითი, 2,5 ათ. მხედარი; გენერალი ფ. პესკარა) **პ**-ის გარნიზონის (დაახლოებით 8 ათ.) დახმარებით დაამარცხეს საფრანგეთის მეფის ფრანსუა I-ის არმია (20 ათ. ქვეითი, 6 ათ. მხედარი). ვინაიდან ფრანგული რაზმები ნაწილ-ნაწილ ებმოდნენ ბრძოლაში, საიმპერიო ჯარებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ ბრძოლის ყველა ეტაპზე. იმპერიელთა გამარჯვებას ხელი შეუწყო აგრეთვე ესპანელი ქვეითების მიერ ახალი ცეცხლსასროლი იარაღის – *მუშკეტის* გამოყენებამ ფრანგების მძიმე კავალერიის (*ჟანდარმების*) წინააღმდეგ. ფრანგებმა დაკარგეს 10 ათ. კაცი, ფრანსუა I ტყვედ ჩავარდა და იძულებული გახდა უარი ეთქვა იტალიაში დაპყრობილ ტერიტორიებზე.

პაკისტანი (Pakistan – პაკისტანის ისლამური რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ აზიაში. ქვეყნას სამხრეთით ესაზღვრება ინდოეთის ოკეანის არაბეთის ზღვა. ფართობი 880,9 ათასი *კმ*². (პაკისტანის მიერ კონტროლირებადი ინდური შტატების ჯამუს და ქაშმირის ტერიტორიების გარეშე). მოსახლეობა 184,7 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ურდუ და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ისლამაბადი. ადმინისტრაციულად იყოფა 6 პროვინციად, 1 ტერიტორიად და დედაქალაქად. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტსა და მთავრობას. **პ**-ის სახელმწიფო წარმოიქმნა 1947 წელს, როდესაც რელიგიური ნიშნით ორად გაიყო ბრიტანეთის ინდოეთი. 1956 წელს გამოცხადდა რესპუბლიკად. 1971 წელს აღმოსავლეთ პაკისტანის ტერიტორიაზე შეიქმნა ბანგლადეშის სახელმწიფო. **პ**. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. აქვს ბირთვული მუხტების შექმნის ტექნოლოგია და რესურსები. 1998 წლის მაისში განახორციელა მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებები. საზღვაო პორტებია: კარაჩი, მუჰამედ-ბეი-ქასიმი, გვადარი. საერთაშორისო აეროპორტები: კარაჩი, ისლამაბადი, ლაჰორი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 617 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 555 ათ., სამხედრო-საჰაერო 45 ათ. და სამხედრო-საზღვაო 17 ათ. რეზერვი – 5 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

პალაუ (Palau – პალაუს რესპუბლიკა), სახელმწიფო წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში, მიკრონეზიაში. უკავია კაროლინის კუნძულების დასავლეთი ნაწილი. ფართობი 508 *კმ*². მოსახლეობა 20,8 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – პალაუ (ბელაუ) და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კოროორი. ადმინისტრაციულად იყოფა 16 შტატად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ეროვნულ კონგრესს (ორპალატიან პარლამენტს). აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოაცხადდა 1999 წლის 1 ოქტომბერს, აშშ-სთან თავისუფალი ასოციერების ფარგლებში. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, თევზჭერა, საერთაშორისო ტურიზმი. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. თავდაცვის საკითხებს განაგებს აშშ.

პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია, იხ. *პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა.*

პალესტინის წინააღმდეგობის მოძრაობა, პალესტინელი არაბების გამათავისუფლებელი მოძრაობა ეროვნული დამოუკიდებლობის და თავისი სუვერენული სახელმწიფოს შექმნისთვის. ამ მიზნებისთვის ბრძოლაში იყენებს როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო საშუალებებს. შექმნის ოფიციალურ თარიღად ითვლება 1965 წლის 1 იანვარი. **პ.წ.მ.** მოიცავს 10-ზე მეტ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციას. მისი პოლიტიკური სტრუქტურის ბირთვია 1964 წელს შექმნილი პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის განკარგულებაშია პალესტინის გათავისუფლების არმია. **პ.წ.მ**-ის სხვა ორგანიზაციების რიცხვს, რომლებიც გაეროს ფარგლებს გარეთ მოქმედებენ, განეკუთვნებიან: პალესტინის სახალხო პარტია (დაარსდა 1982 წელს, 1991 წლამდე – პალესტინის კომუნისტური პარტია), ისლამური ეროვნული ხსნის პარტია (დაარსა 1996 წელს ისლამურმა წინააღმდეგობის მოძრაობამ ჰამასმა), მოძრაობა „ჯიჰად ისლამი“ და სხვა.

პანამა (Panamá – პანამის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ქვეყანას ჩრდილოეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვა, სამხრეთით – წყნარი ოკეანე. ფართობი 78,2 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 3,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. პანამა. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად და 1 ტერიტორიად. 1903 წელს **პ.** გამოეყო კოლუმბიას და დადო ხელშეკრულება აშშ-თან ატლანტის და წყნარი ოკეანეების დამაკავშირებელი არხის მშენებლობასთან დაკავშირებით. 1977 წელს ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც XX საუკუნის ბოლოს პანამის არხი აშშ-ს სრულად უნდა გადაეცა **პ**-ისათვის. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. ძალაუფლება აქვს საკანონმდებლო ასამბლეას, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საფინანსო-საკრედიტო და ტრანზიტული სავაჭრო-სატრანსპორტო ოპერაციები. კონსტიტუციის შესაბამისად **პ**-ს არ ჰყავს შეიარაღებული ძალები. ქვეყნის უსაფრთხოებას განაგებს: ეროვნული პოლიცია, ეროვნული საზღვაო და საჰაერო სამსახურები.

პანამერიკანიზმი, იდეურ-პოლიტიკური დოქტრინა, ემყარება წარმოდგენას ამერიკის კონტინენტის ქვეყნების ისტორიული, გეოგრაფიული, ეკონომიკური და კულტურული ერთიანობის შესახებ. შეიქმნა აშშ-ში XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე. 1823 წელს **პ**-ის იდეები ოფიციალურად გაფორმდა მონროს დოქტრინად. II მსოფლიო ომის შემდეგ **პ**-ის პოლიტიკის გატარებაში აშშ ეყრდნობოდა 1948 წელს შექმნილ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციას.

პანაფრიკანიზმი, იდეურ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ემყარება აფრიკის ხალხის ეთნიკური და კულტურული სიახლოვის, ისტორიული ბედის ერთიანობის აღიარებას და მათ ბრძოლას რასიზმის, კოლონიალიზმის და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ. **პ.** აღმოცენდა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე; I პანაფრიკული კონგრესი გაიმართა 1919 წელს პარიზში. მისმა იდეებმა განვითარება პოვა 1963 წელს დაფუძნებულ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის საქმიანობაში.

პანგერმანიზმი, იდეოლოგიური მოძრაობა და პოლიტიკური დოქტრინა, რომელიც ემყარება წარმოდგენებს გერმანულენოვანი ჯგუფის ხალხთა ეთნოკულტურული და ისტორიული ერთობის და რასობრივი განსაკუთრებულობის შესახებ. წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოს. გამოხატავდა გერმანიის მსოფლიო ბატონობის იდეას, გახდა საფუძველი პოლიტიკისა, რომელმაც გამოიწვია ორი მსოფლიო ომი. XX საუკუნის დამლევს **პ**-ის იდეოლოგიას არ ჰქონდა საზოგადოებრივი მნიშვნელობა და არსებითი მხარდაჭერა გერმანულენოვან ქვეყნებში.

პანთურქიზმი, იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება თურქულენოვანი ჯგუფის ყველა ხალხის ერთ ერად აღიარებას და მტკიცებას, რომ ისინი უნდა შეკავშირდნენ „დიდი თურანის“ ერთიან სახელმწიფოდ, რომელიც ბალკანეთიდან ციმბირამდე გადაიჭიმება. წარმოიშვა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე. II მსოფლიო ომის დროს **პ**-ის ლოზუნგებით მოქმედებდნენ თურქული წარმოშობის პირთა გასამხედროებული ფორმირებები გერმანიის ჯარების შემადგენლობაში. XX საუკუნის დამლევს **პ.** გვევლინება თურქეთის და დსთ-ს ზოგიერთი ქვეყნის პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიურ ბაზად.

პანიკა (ბერძნული panikon – შეუცნობელი შიში), ცალკეული ადამიანის, ადამიანთა ჯგუფის ან მასის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, გამოწვეული ნამდვილი ან მოჩვენებითი საშიშროებით. იგი ხასიათდება გრძნობათა ძლიერი აფორიაქებით, ვითარების ფხიზელი და სწორი შეფასების და შესაბამისად მიზანდასახულად მოქმედების უნარის დაკარგვით. **პ**-ის აცილების გადამწყვეტ წინაპირობად გვევლინება მეომრების მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადება და საბრძოლო წრთობა, ჯარების უწყვეტი და ეფექტური მართვა. **პ**-ის აღკვეთა მეთაურების მტკიცე, მობილიზებული მოქმედებით ხორციელდება.

პანისლამიზმი, რელიგიურ-პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც ემყარება რწმენას მთელი მსოფლიოს მუსლიმანების ერთობის და ერთიან მუსლიმანურ სახელმწიფოდ შეკავშირების აუცილებლობის შესახებ. ჩამოყალიბდა XIX საუკუნის დამლევს. თავდაპირველად ჰქონდა ანტიკოლონიური მიმართულება. XX საუკუნის მეორე ნახევარში გახდა ისლამური სოლიდარობის მოძრაობის იდეური საფუძველი და ამავე დროს, არცთუ იშვიათად, ემსახურება ისლამური რევოლუციის ექსპორტის უკიდურესი ფორმების დასაბუთებას, ასევე საფუძვლად უდევს სეპარატისტული ძალების ბრძოლას კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ.

პანსლავიზმი, იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც ეფუძნება წარმოდგენებს სლავი ხალხების ეთნოკულტურული ერთიანობის და ისტორიული ბედის ერთობის შესახებ, ეროვნული, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი პრობლემების ერთობლივი გადაჭრისთვის მათი გაერთიანების აუცილებლობის რწმენას. ჩაისახა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე. XX საუკუნის ბოლოს საერთაშორისო ცხოვრებაში **პ.** ახალ ხარისხში აღორძინების იდეური საფუძველი გახდა. დასავლეთის იმ განვითარებული ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელთა პოლიტიკა ზოგ შემთხვევაში ეწინააღმდეგება მრავალი სლავი

ხალხის ინტერესებს, კრიზისული განვითარების პერიოდს განიცდის.

პაპუა-ახალი გვინეა (Papua New Guinea – პაპუა-ახალი გვინეის დამოუკიდებელი შტატები), სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით. უჭირავს კუნძულ ახალი გვინეის აღმოსავლეთი ნაწილი, ბისმარკის არქიპელაგი, სოლომონის კუნძულების ჩრდილოეთი მხარე და სხვა. ფართობი 462,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 6,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. პორტ-მორსბი. ადმინისტრაციულად იყოფა 19 პროვინციად და დედაქალაქის ოლქად. არის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელობა გამოცხადდა 1975 წლის 16 სექტემბრს. **პ.-ა.გ.** აგრარული ქვეყანაა, მოჰყავთ ქოქოსის კაკალი, ყავა და კაკაო. აწარმოებს კაუჩუკს. ძირითადი პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – პორტ-მორსბი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 3,1 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 2,5 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,2 ათ და სამხედრო საზღვაო 0,4 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

პარაგვაი (Paraguay – პარაგვაის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ცენტრალურ ნაწილში. ფართობი 406,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 6,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ესპანური და გუარანი. დედაქალაქი – ქ. ასუნსიონი. ადმინისტრაციულად იყოფა 19 დეპარტამენტად და დედაქალაქის ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი ეროვნული კონგრესი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობის დღე 1811 წელის 14 მაისი. **პ.** აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის საფუძველს წარმოადგენს მეცხოველეობა და ხე-ტყის დამუშავება. საერთაშორისო აეროპორტი – ასუნსიონი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10,6 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 7,6 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 1,1 ათ. და სამდინარო-სამხედრო ფლოტი 1,9 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

პარაშუტების მრავალგუმბათიანი სისტემა, მოწყობილობა მძიმე სამხედრო ტექნიკის დასამუხრუჭებლად სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავიდან მისი სპეციალური პლატფორმით გადმოსროლისას. შედგება რამდენიმე საპარაშუტო ბლოკისაგან. ძირითადი გუმბათების ფართობი **პ.მ.ს**-ის ტიპის კვალობაზე შეადგენს 760–1400 *კგ.მ*-ს, კუთრი მასა – 700–2500 *კგ*-ს, გადმოსასროლი ტვირთის მასა 8–16 *ტ*-ს. მიწასთან მიახლოების მომენტში პარაშუტები, ჩვეულებრივ, იხსნება და რეაქტიული ძრავები რბილ დაშვებას უზრუნველყოფენ.

პარაშუტი (ფრანგული – parachute), მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება საჰაერო სივრცეში დიდი სიჩქარით მოძრავი სხვადასხვა ობიექტის დასამუხრუჭებლად. გამოიყენება საფრენი აპარატებიდან გადმომხტარი ადამიანის, ჩამოგდებული ტექნიკის და ტვირთის სიჩქარის შესამცირებლად, ასევე დაფრენის დროს საფრენი აპარატის დასამუხრუჭებლად. ამის მიხედვით **პ**-ები არის: ადამიანებისთვის განკუთვნილი (სამაშველო, სადესანტო და სპეციალური), სატვირთო და სპეციალური (შტოპორსაწინაღმდეგოები, მასტაბილიზებელი, გამწოვი და სამუხრუჭო). **პ**-ის ძირითადი ნაწილებია: ზამბარებიანი გუმბათი, საკიდი სისტემა, გახსნადი და გამწოვი მოწყობილობები და ზურგჩანთა (კონტეინერი). **პ**-ის პირველი სქემის იდეა მეცნიერულად დაასაბუთა და წარმოადგინა ლეონარდო და ვინჩიმ (1495). **პ**-ით პირველად დაეშვა ვენეციელი ინჟინერ-მექანიკოსი ფ. ვერანციო (მაღალი კოშკის სახურავიდან 1617 წელს) და ფრანგი აერონაოსანი ა. ჟ. გარნერი (საჰაერო ბურთიდან 1797 წელს). 1911 წელს რუსმა გამომგონებელმა გ. კოტელნიკოვმა პირველი ზურგჩანთის ტიპის მაშველი **პ.** შექმნა.

პართიის სამეფო, ძველი სახელმწიფო ახლანდელი ირანის, ერაყისა და თურქმენეთის ტერიტორიებზე. მის ისტორიულ ბირთვს წარმოადგენდა პროვინცია პართია, მდებარე კასპიის ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს. შეიქმნა ძვ.წ. 250 წელს. ძლიერების მწვერვალს მიაღწია დაახლოებით ძვ.წ. I საუკუნეში. **პ.ს.** წარმოადგენდა რომაელთა მეტოქეს აღმოსავლეთში. რომის ლეგიონებს უჭირდათ ბრძოლა პართიელი მხედრების, განსაკუთრებით ცხენოსანი მოისრეების, წინააღმდეგ (იხ. *კარა*). ახ.წ. 224 წელს **პ.ს.** დაამხეს აჯანყებულმა *სასანიანებმა*. მისი ტერიტორია შევიდა სასანური ირანის შემადგენლობაში.

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია 1919–20, მოიწვიეს პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა დამარცხებულ ქვეყნებთან საზავო ხელშეკრულებების შესამუშავებლად. მუშაობდა 1919 წლის 18 იანვარიდან 1920 წლის 21 იანვარამდე ხანგამოშვებით. მონაწილეობდა 32 სახელმწიფო. გერმანია და მისი ყოფილი მოკავშირეები პარიზის საზავო კონფერენციაზე დაუშვეს მხოლოდ 1919 წლის 7 მაისს, როდესაც უკვე შემუშავებული იყო ხელშეკრულებების პროექტები, რუსეთი საერთოდ არ მიუწვევიათ. პარიზის საზავო კონფერენციაზე წამყვან როლს ასრულებდა „ოთხთა საბჭო“ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის დელეგაციების მეთაურების სახით. მომზადდა საზავო ხელშეკრულებები: გერმანიასთან (ვერსალის 1919), ავსტრიასთან (სენ-ჟერმენის 1919), ბულგა-

რეთთან (ნეიის 1919), უნგრეთთან (ტრიანონის 1920) და თურქეთთან (სევრის 1920). მიიღეს გადაწყვეტილება ერთა ლიგის შექმნის შესახებ და მოიწონეს მისი წესდება.

პარიზის სამშვიდობო კონფერენცია 1946, მიმდინარეობდა 1946 წლის 29 ივლისიდან 15 ოქტომბრამდე, საერთაშორისო კონფერენცია ფაშისტური გერმანიის ყოფილ მოკავშირეებთან – იტალიასთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოების საზავო ხელშეკრულებების პროექტების განსახილველად. ამ მასალებს ამზადებდნენ და ათანხმებდნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სესიებზე, აგრეთვე მოსკოვის 1945 წლის თათბირზე. ხელშეკრულებების მუხლების უმრავლესობა პარიზის საზავო კონფერენციამ მოიწონა; მათი მომზადება დასრულდა საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს ნიუ-იორკის სესიაზე 1946 წლის ბოლოს, ხოლო ხელმოწერა გაიმართა 1947 წლის 10 თებერვალს.

პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულება 1856, დაიდო 1856 წლის 18 მარტს, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთს, ოსმალეთს, სარდინიას, ავსტრიასა და პრუსიას შორის. რუსეთი უბრუნებდა ოსმალეთს ყარსს ციხესიმაგრითურთ და სანაცვლოდ იღებდა მის მიერ ხელში ჩაგდებულ, მის მმართველობაში მყოფ სევასტოპოლს, ბალაკლავას და ყირიმის სხვა ქალაქებს. შავი ზღვა ცხადდებოდა ნეიტრალურად, სადაც რუსეთს და ოსმალეთს ეკრძალებოდათ სამხედრო ფლოტების ყოლა და არსენალების ქონა. ცხადდებოდა დუნაიზე ნაოსნობის თავისუფლება. რუსეთი მოლდავეთის სამთავროს უთმობდა დუნაის შესართავს სამხრეთ ბესარაბიის ნაწილითურთ და კარგავდა მისთვის ქუჩუქ-კაინარჯის მშვიდობიანი ხელშეკრულებით მინიჭებულ უფლებას „ილაპარაკოს მოლდავეთის და ვლახეთის სასარგებლოდ“, დასტურდებოდა სერბეთის, მოლდავეთის და ვლახეთის ავტონომია ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში.

პარიზის შეთანხმებები 1954, დოკუმენტების კომპლექსი, რომლითაც გაფორმდა აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, კანადის, ბელგიის, ნიდერლანდებისა და ლუქსემბურგის სამხედრო კავშირი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ხელი მოაწერეს პარიზში 1954 წლის 23 ოქტომბერს (ძალაში შევიდა 1955 წლის 5 მაისს). პარიზის შეთანხმებებმა გააუქმეს შეზღუდვები, რომლებიც ეხებოდა დასავლეთ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალს, ლეგალური გახადეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღება და დართეს მას ნება შეექმნა 12 ქვეითი დივიზია, სამხედრო-საზღვაო ფლოტი და სამხედრო-საჰაერო ძალები. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა გამოცხადდა საერთაშორისო საქმეებში მთელი გერმანელი ხალხის ერთადერთ წარმომადგენლად. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უქმდებოდა საოკუპაციო რეჟიმი. პარიზის შეთანხმებების საფუძველზე იგი მიღებულ იქნა დასავლეთ ევროპის კავშირსა და ნატოში.

პარიზის შეთანხმება ვიეტნამის შესახებ 1973, ეხებოდა ვიეტნამში ომის შეწყვეტას და მშვიდობის აღდგენას. ხელი მოაწერეს 1973 წლის 27 იანვარს 4 მეომარი ქვეყნის: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის, ამერიკის შეერთებული შტატების და ვიეტნამის რესპუბლიკის (საიგონის ადმინისტრაციის) საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ითვალისწინებდა სამხრეთ ვიეტ ნამში საომარი მოქმედების და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ აშშ-ის ყველა ოპერაციის შეწყვეტას, სამხრეთ ვიეტნამიდან ყველა უცხოური ჯარის გაყვანას და იქ არსებული ამერიკის სამხედრო ბაზების დემონტაჟს, სამხედრო ტყვეების ორმხრივ დაბრუნებას, სამხრეთ ვიეტნამში საერთაშორისო კონტროლით არჩევნების ჩატარებას და ვიეტნამის თანამიმდევრულ მშვიდობიან გაერთიანებას. სპეციალურ თავში, რომელიც ლაოსსა და კამბოჯას ეძღვნებოდა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ამ ქვეყნების საშინაო პრობლემები უცხოეთის ჩაურევლად მის ხალხს უნდა გადაეჭრა.

პარლამენტიორი (ფრანგული parlementaire, parler – სასაუბრო, ლაპარაკი), პირი, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკება ერთ-ერთი მეომარი მხარის სახელით მეორე მხარესთან. **პ**-ის სტატუსი განსაზღვრულია 1907 წლის ჰაგის IV კონვენციის 32-ე მუხლით. იგი სარგებლობს ხელშეუხებლობის უფლებით, განმასხვავებელი ნიშანი, აუცილებელი ატრიბუტი – თეთრი დროშა.

პაროლი (ფრანგული parole – სიტყვა), საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა (როგორც წესი, ქალაქის დასახელება), რომლის დანიშნულებაა საყარაულო სამსახურის დროს პიროვნების უფლებამოსილების დადასტურება. დგინდება ყველა ყარაულისთვის ყოველდღიურად. **პ**-ს იყენებენ თავისიანების გამოსაცნობად სამხედრო სამსახურში ან კონსპირაციულ ორგანიზაციებში.

პარტიზანი (ფრანგული partisan – მეამბოხე), პირი, რომელიც ნებაყოფლობით იბრძვის მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ორგანიზებული შეიარაღებული ფორმირების შემადგენლობაში ან იმ მეამბოხე ძალების შემადგენლობაში, რომლებიც სახელმწიფო რეჟიმის წინააღმდეგ იბრძვიან (მეამბოხე).

პარტიზანების სამართლებრივ მდგომარეობას არეგულირებს საერთაშორისო სამართლის ნორმები (იხ. *ჰაგის კონვენციები 1899, 1907*).

პარტიზანული ბრძოლა, იხ. *პარტიზანული მოძრაობა.*

პარტიზანული მოძრაობა, შეიარაღებული ბრძოლა ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მტრის მიერ ოკუპირებულ ან კონტროლირებად ტერიტორიაზე, ან ქვეყანაში შიდასახელმწიფოებრივი სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნებისათვის (მეამბოხეების მოძრაობა). ამ ბრძოლის ძირითად ძალად გამოდიან პარტიზანები, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზებული შეიარაღებული ფორმირებების შემადგენლობაში და ეყრდნობიან ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერას. **პ.მ**-ში არცთუ იშვიათად მონაწილეობენ სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალების ნაწილებიც, რომლებიც მტრის ზურგში იბრძვიან. **პ.მ**. შეიძლება მიმართული იყოს როგორც უცხოელი დამპყრობლების, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში პარტიზანებს ხშირად უწოდებენ მეამბოხეებს. პარტიზანული მოქმედება დამახასიათებელია აგრეთვე ძალებისათვის, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ხალხის დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომების დროს. **პ.მ**-ის თავისებურებების მრავალფეროვნების მიუხედავად, მას აერთიანებს ბევრი საერთო მახასიათებელი, უწინარეს ყოვლისა, საბრძოლო, დივერსიული, სადაზვერვო მოქმედებები, აგრეთვე მათი სხვადასხვაგვარი შეხამება.

პარტიზანული მხარეები და ზონები, პარტიზანების ბაზირების რაიონები. პარტიზანულ მხარეებს უწოდებდნენ პარტიზანების მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიებს, რომლებსაც დიდხანს ინარჩუნებდნენ; პარტიზანულ ზონებს – ტერიტორიებს, რომლებიც ნაწილობრივ ჰქონდათ გათავისუფლებული და სისტემატურად აკონტროლებდნენ. **პ.მ.დ.ზ**. იქმნება მოწინააღმდეგისათვის ძნელად მისადგომ ადგილებში (ტყის მასივები, დაჭაობებული რაიონები, მთები და ა.შ.), რაც წარმატებით ბრძოლის საწინადარი იყო.

პარტიზანული ომი, არარეგულარული ფორმირებების შეიარაღებული ბრძოლის სახეობა ტერიტორიაზე, რომელიც დაკავებული აქვს მოწინააღმდეგეს. ძირითადად წარმოებს დაბალი ინტენსივობის საბრძოლო მოქმედებების, ასევე საბოტაჟის, დივერსიის ფორმით. გარკვეულ შემთხვევაში მოწინააღმდეგის ზურგში მას რეგულარული ჯარები აწარმოებენ.

პარტიზანული რეიდები, პარტიზანული ფორმირებების საბრძოლო მოქმედების ხერხი, რომელიც გულისხმობს სწრაფ შეჭრას მოწინააღმდეგის ზურგში მტრის ცოცხალი ძალის, ტექნიკის, მნიშვნელოვანი ობიექტების განადგურების, ლოგისტიკის მუშაობის, მართვის სისტემის დეზორგანიზაციის, კომუნიკაციების დარღვევის, აგრეთვე ახალ რაიონებში მტრისადმი წინააღმდეგობის აქტივიზაციის მიზნით.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“, ნატოს და მისი პარტნიორი ქვეყნების ერთობლივი პროგრამა, რომელიც მიმართულია ნდობისა და უსაფრთხოების ზომების გამყარებისაკენ. შეიმუშავეს 1994 წელს აშშ-ის ინიციატივით. 1995 წელს საქართველო შეუერთდა ამ პროგრამას. იგი მონაწილე ქვეყნებს შესაძლებლობას აძლევს გაამყაროს ურთიერთობები ნატოსთან. პროგრამის მიზანია ერთობლივი დაგეგმვა, სამხედრო წვრთნების ერთობლივი ჩატარება და ნატოს ჯარებთან ურთიერთქმედება ისეთ სფეროებში, როგორიცაა მშვიდობის შენარჩუნება, საძიებო – სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციები და სხვა. ყოველივე ეს შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე ხორციელდება.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ გაღრმავებული პროგრამა, 1997 წლის გაზაფხულზე შემუშავებული ღონისძიებების ფართო ჩამონათვალი. მიმართულია „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ 1994 წლის პროგრამის მნიშვნელოვნად გაძლიერებისაკენ. ამ პროგრამის ჩარჩოებში გათვალისწინებულია პოლიტიკური კონსულტაციები, ოპერატიულობის და წევრსახელმწიფოების მონაწილეობის გაფართოება გადაწყვეტილების მიღების და პარტნიორობის საკითხების დაგეგმვის სფეროებში.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ოპერატიული პროგრამა, ხელშეკრულებების ერთობლიობა, რომელიც პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში აძლიერებს პარტნიორი სახელმწიფოების ძალების და საშუალებების შესაძლებლობებს.

„პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამის ჩარჩოებში ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ოპერაცია, სამხედრო ოპერაცია, განხორციელებული დაინტერესებული მოკავშირეების და პარტნიორი სახელმწიფოების მიერ, რომელიც განეკუთვნება „მე-5 მუხლის გარე ოპერაციების“ კატეგორიას და მოიცავს ჩრდილოატლანტიკური კავშირის ახალი ამოცანების მთელ წრეს, მათ შორის, მშვიდობის მხარდაჭერის და კრიზისებზე რეაგირების ოპერაციებს.

პარტნიორობის ინდივიდუალური პროგრამა, ორ წელზე გათვლილი დოკუმენტი, რომელიც მზადდება ნატოს და მისი პარტნიორი სახელმწიფოს მიერ. მასში აისახება განაცხადი პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მონაწილე ქვეყნების პოლიტიკური მიზნების შესახებ, განისაზღვრება სამხედრო და სხვა რესურსები, რომლებიც გამოიყოფა ამ პროგრამისათვის. ასევე – სხვადასხვა სფეროში პარტნიორი სახელმწიფოების ნატოსთან თანამშრომლობის ფართო ამოცანები, ქმედებე-

ბის კონკრეტული სახეები, რომლებიც თანამშრომლობის ცალკეული მიმართულებით უნდა განხორციელდეს.

პარტნიორობის მიზნები, პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ დაგეგმვის და ანალიზის პროცესში მონაწილე ნატოსა და პარტნიორ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებული გეგმური ამოცანები. ნატოს ხელმძღვანელობით ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ოპერაციების პერიოდში **პ.მ.** ხელს უწყობს ჯარებს (ძალებს) შორის თავსებადობის მიღწევას. ასევე – პარტნიორ სახელმწიფოებში მსგავსი სამხედრო ოპერაციების ჩატარებისთვის საჭირო ძალების და საშუალებების შექმნას ან პოტენციურ არსებობას.

პარტნიორობის საკოორდინაციო ჯგუფი, პროგრამისთვის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ შექმნილი ადმინისტრაციული სტრუქტურა. მდებარეობს ქ. მონსში (ბელგია) და განლაგებულია ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის ტერიტორიაზე. პარტნიორობის სამუშაო პროგრამის სამხედრო ასპექტების შესრულებისთვის ჯგუფი მუშაობს ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ეგიდით და მის ამოცანებს წარმოადგენს პარტნიორობის პროგრამის ჩარჩოებში ერთობლივი სამხედრო ღონისძიებების კოორდინაცია, სამხედრო სწავლებების სფეროში სამხედრო დაგეგმვის განხორციელება.

პარტნიორობის სამუშაო პროგრამა, საქმიანობის სახეობების ჩამონათვალი, რომელსაც ნატო სთავაზობს პარტნიორ სახელმწიფოებს. მათგან თითოეულ პარტნიორს შეუძლია აირჩიოს ღონისძიებები, რომლებსაც შეიტანს პარტნიორობის ინდივიდუალურ პროგრამაში. ეს ჩამონათვალი გათვლილია ორ წელზე და გადაიხედება ყოველწლიურად პარტნიორი სახელმწიფოების სრულმასშტაბიანი მონაწილეობით.

პასიური თავდაცვა, ტერმინი აღნიშნავს იმ მეთოდებს და ხერხებს, რომლებსაც მიმართავენ ქვედანაყოფის ნაკლებად დაცული მხარეების დასაცავად და ჭურვებით გამოწვეული მოსალოდნელი ზარალის მინიმუმამდე დასაყვანად.

პასიური თავდაცვის მეთოდები, ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური შეტევის ალბათობის ან ეფექტურობის შესამცირებლად გამოყენებული ზომები.

პასუხისმგებლობის ზონა, 1. გეოგრაფიული ზონა, რომელიც თითოეულ სტრატეგიულ და რეგიონულ სარდლობაზეა მიმაგრებული. 2. სამხედრო-საზღვაო ტერმინოლოგიაში – წინასწარ განსაზღვრული მონაკვეთი მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ადგილმდებარეობაზე, სადაც მხარდამჭერი ხომალდები პასუხს აგებენ საცეცხლე დაფარვაზე. მათი ამოცანაა განსაზღვრული ან დაუგეგმავი მიზნების დაზიანება და თვალთვალი. 3. შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში ტერიტორიის განსაზღვრული მონაკვეთი, რომელშიც მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება იმ სამხედრო კონტინგენტის მეთაურს, რომელიც განლაგებულია ამ ზონაში.

პასუხისმგებლობის რაიონი, 1. სარდლობისთვის განსაზღვრული გეოგრაფიული რაიონი, რომლის ფარგლებში საბრძოლო ძალების სარდალს ოპერაციების დაგეგმვის და განხორციელების უფლებამოსილება აქვს. 2. სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედების სფეროში მოწინააღმდეგის წინასწარ განსაზღვრული რაიონი, რომლის ფარგლებშიც ცნობილი ან გამოვლენილი მიზნების მიმართ მხარდამჭერი ხომალდები პასუხისმგებლები არიან საცეცხლე დაფარვა განახორციელონ.

პატაკი, უფროსისთვის თანამდებობის პირის მიერ დაწესებული ფორმით წარდგენილი ზეპირი ან წერილობითი ოფიციალური მოხსენება. **პ**-ში გადმოცემული უნდა იყოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან, სამსახურის წარმართვასთან და სხვა. **პ**-ის სახით ფორმდება ასევე სამხედრო მოსამსახურეების განცხადებები, წინადადებები და პირადი თხოვნა. **პ**. პირდაპირ მეთაურებს დაქვემდებარების მიხედვით, ქვევიდან ზევით, წარედგინება.

პატრიოტიზმი, სამშობლოს, სახელმწიფოსა და თავისი ხალხის სიყვარული, მისწრაფება და ქმედება მათი ინტერესების დასაცავად. როგორც წესი, **პ**. გვევლინება სხვადასხვა სოციალური, ეროვნული, რელიგიური და თანამემამულეების ჯგუფების კონსოლიდაციის, ფაქტორად. **პ**-ის უმნიშვნელოვანესი მხარეა აუცილებლობის რწმენა სამშობლოს ყოველმხრივ დასაცავად. მის პრაქტიკულ გამოხატულებას წარმოადგენს მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური მზადყოფნა, მოიგერიოს შესაძლო გარე აგრესია, იზრუნოს ქვეყნის შეიარაღებულ ძალებზე.

პატრული (ფრანგული patrouille – მზირი, მეთვალყურე), 1. სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფი (ხანდახან მცირე ქვედანაყოფი), რომელიც მოწინააღმდეგის სათვალთვალოდ, გარკვეული რაიონების (ზოლების, მონაკვეთების) დაცვის და დაფარვისთვის ინიშნება. ზოგიერთ არმიაში **პ**-ს ეძახიან მზირს (სადაზვერვო, დაცვის და სხვა). 2. სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფი, რომელიც ბაზის, გარნიზონის ან სამხედრო ქალაქის პატრულირებისთვის არის დანიშნული.

პატრულირება (ფრანგული patrouiller – მზირით სვლა), 1. საპატრულო სამსახურის განხორციელება მოწინააღმდეგის თვალთვალის, ჯარების დაცვის და დაფარვის მიზნით. **პ**-ის ძირითადი ხერხებია: რაიონების (ზოლების,

მარშრუტების) შემოვლა ფეხით ან ტრანსპორტით, სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების შვეულმფრენებით შემოფრენა. XIX–XX საუკუნეებში ხორციელდებოდა ქვეითი და ცხენოსანი პატრულებით; 2. **პ**-ისთვის გათვალისწინებულ რაიონში (ზონაში) საავიაციო ქვედანაყოფების, ჯგუფების ან ცალკეული თვითმფრინავების (ვერტმფრენი) „ჰაერში მორიგეობის“ მდგომარეობაში ყოფნა; 3. შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის და გამიზვნის თვითმფრინავების და ავიაგამანადგურებლების მიერ საჰაერო სივრცის კონტროლი; 4. სამხედრო-საზღვაო ძალებში მარშრუტზე ან ზღუდეზე იარაღის გამოყენების დაწესებული მზადყოფნით ხომალდის, თვითმფრინავის ან მათი ჯგუფების სისტემატური მოქმედება (მანევრირება) ზღვის განსაზღვრულ რაიონში; 5. სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებში **პ**. გულისხმობს მობილური სარაკეტო კომპლექსების საბრძოლო მორიგეობას; 6. პატრულის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება გარნიზონებში; 7. საყარაულო სამსახურის ერთ-ერთი მეთოდი, დანიშნულ მარშრუტებზე დასაცავი ობიექტების შემოვლა.

პატრულის ბაზა, პატრულის ქვედანაყოფის კუთვნილი პუნქტი, სადაც ტოვებენ იმ აღჭურვილობას, რომელიც პატრულირებისათვის არ არის საჭირო.

პაციფიზმი (ლათინური pacificus – დამწყნარებელი, დამშოშმინებელი), იდეოლოგია, პოლიტიკა და საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლებიც პრინციპულად ილაშქრებენ ყოველგვარი ომების წინააღმდეგ. ანტისაომარი მოძრაობის ერთ-ერთი მიმართულება. **პ**. გმობს და უარყოფს ყოველგვარ ომს, როგორც აბსოლუტურ ბოროტებას; ასაბუთებს, რომ აუცილებელი და შესაძლებელია დამკვიდრდეს საყოველთაო მშვიდობა კაცობრიობის მორალური სრულყოფის მეშვეობით; ქადაგებს ნებაყოფლობით უარს ძალადობის ყოველგვარ ფორმაზე; გამოდის გამალებული შეიარაღების წინააღმდეგ, სახელმწიფოების სამხედრო აქტიურობის აღკვეთის მოთხოვნით საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის. თანამედროვე პაციფისტურ მოძრაობაში არსებობს რამდენიმე მიმართულება, რომლებიც განსხვავდებიან მსოფლმხედველობრივი პოზიციებით და პრაქტიკული საქმიანობის ფორმებით – ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობით დაწყებული და ბოროტებისადმი აქტიური, მაგრამ არაძალადობრივი წინააღმდეგობით დამთავრებული.

პაციფიკაცია (ლათინური pacification – დამშვიდება), 1. ზოგიერთ ქვეყანაში იმ დამსჯელი აქციების ოფიციალური სახელწოდება, რომლებიც მიმართულია სახალხო მოძრაობის ან შეიარაღებული გამოსვლების ჩასახშობად; 2. სამთავრობო ძალების მოქმედება შიდა დაძაბულობის, შიდა არეულობის და ძალადობის აქტების ძალისმიერი გზით ჩახშობისთვის. ისინი არ განეკუთვნებიან შეიარაღებულ კონფლიქტებს. საერთაშორისო სამართალი აღიარებს მთავრობის მოვალეობას, ყველა კანონიერი საშუალებით დაიცვას ან აღადგინოს მართლწესრიგი ქვეყანაში, ან დაიცვას ეროვნული ერთიანობა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა.

პელენგატორი, ხელსაწყო ობიექტისადმი კუთხის მიმართულების (პელენგის) განსაზღვრისთვის; ბგერისმზომი, ჰიდროაკუსტიკური, თბო და რადიოპელენგატორული სადგურების ელემენტი. განასხვავებენ: ვიზუალურ, აკუსტიკურ, ჰიდროაკუსტიკურ, სითბურ და რადიოპელენგატორს.

პელოპონესის ომი (ძვ.წ. 431–404), ძველი საბრძნეთის ისტორიაში უდიდესი ომი ბერძნულ პოლისთა კავშირებს შორის. ერთმანეთს ებრძოდნენ დელოსის კავშირი (სათავეში ედგა ათენი) და პელოპონესის კავშირი (სათავეში ედგა სპარტა). **პ.ო**-მა მოიცვა საბერძნეთის დიდი ნაწილი და სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ბერძნული ქალაქები. 404 წელს ზღვიდან და ხმელეთიდან ბლოკირებულმა ათენმა კაპიტულაცია გამოაცხადა. საზავო ხელშეკრულებით დელოსის კავშირი დაიშალა, ათენმა სპარტას მთელი თავისი ფლოტი გადასცა სანაპიროს დაცვის 12 ხომალდის გარდა. საბერძნეთში სპარტის ჰეგემონია დამყარდა.

პელტასტები (ბერძნული – peltastái), ძვ.წ. V–IV საუკუნეებში ძველ საბერძნეთში ქვეითი ჯარის გვარეობა, რომელშიც შეხამებული იყო მძიმე და მსუბუქი ქვეითობის თვისებები.

პენტაგონი, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს შენობა (გეგმით – ხუთკუთხედი) ვირჯინიის შტატის ქალაქ არლინგტონში. აშენდა 1940–50 წლებში. მასში განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სამხედრო მმართველობის ორგანოები – თავდაცვის მინისტრი და მისი აპარატი, შტაბების უფროსთა კომიტეტი გაერთიანებული შტაბითურთ, თავდაცვის სამინისტროს, სახმელეთო ჯარების (არმიის), სამხედრო-საზღვაო ძალების და სამხედრო-საჰაერო ძალების მთელი რიგი ცენტრალური სამმართველოები; გადატანითი მნიშვნელობით – აშშ-ის სამხედრო უწყება.

პერიმეტრის დაცვა, თავდაცვის ფორმა, როდესაც გამოკვეთილი ფლანგები არ არსებობს და თავდაცვის ძალები თავდაცვის რაიონის პერიმეტრის გასწვრივ არიან გაშლილი.

პერიოდული ბირთვული მონიტორინგი, ქვედანაყოფის განლაგების რაიონის პერიოდ-

ული შემოწმება ბეტა და გამა გამოსხივების დასადგენად.

პერუ (Perú – პერუს რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 1,300 მლნ. *კმ*². მოსახლეობა 30 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ესპანური, კეჩუა, აიმარა. დედაქალაქი – ქ. ლიმა. ადმინისტრაციულად იყოფა 25 რეგიონად და ერთ განსაკუთრებული სტატუსის მქონე ლიმის რეგიონად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს ორპალატიანი პარლამენტი (კონგრესი), აღმასრულებელს – პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო (მთავრობა). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1821 წელს. **პ.** აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა განვითარებული სამთომოპოვებითი მრეწველობით (ფერადი ლითონების, რკინის მადნის, ნავთობის და აირის მოპოვება). სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურებია: შაქრის ლერწამი, ყავა, მარცვლეული, კარტოფილი, ასევე საზღვაო თევზჭერა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო და ცეცხლსასროლ იარაღს, ტყვია-წამალს, ასაფეთქებელ ნივთიერებას, მნიშვნელოვანი დარგია მსუბუქი თვითმფრინავების და მცირე ხომალდების მშენებლობა. საზღვაო პორტებია: ჩიმბოტე, კალიაო, სან-ნიკოლასი, ტალარა, ილო, პაიტა. სამდინარო პორტი (ამაზონზე) – იკიტოსი. საერთაშორისო აეროპორტი – ხორხე ჩავესი (ლიმა). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 115 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 74 ათ., სამხედრო-საჰაერო 18 ათ და სამხედრო-საზღვაო 23 ათასი, სანაპიროს დაცვა 1 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრინციპით.

პეტრე I დიდი (1672–1725), რუსეთის მეფე 1682 წლიდან (დამოუკიდებლად მართავდა 1689 წლიდან), იმპერატორი 1721 წლიდან. რუსეთის გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. განახორციელა უმნიშვნელოვანესი გარდაქმნები სამხედრო და ეკონომიკურ სფეროებში, შემოიღო რეკრუტული სამსახური, შექმნა რეგულარული არმია და სამხედრო ფლოტი, დააარსა ახალი დედაქალაქი – პეტერბურგი, აშენებდა ციხესიმაგრეებს, არხებსა და სხვა. შვედებთან ომის დროს (1700–21) გამოიჩინა დიპლომატიური და სამხედრო ნიჭი, წარმატებით ხელმძღვანელობდა ჯარებს ნოტებურგის აღების დროს (1702), ლესნაიას (1708) და პოლტავის (1709) ბრძოლებში. **პ. I**-ის რეფორმები ძირითადად ხალხის მასების ექსპლუატაციის ხარჯზე ტარდებოდა, რამაც რუსეთში გამოიწვია სახალხო აჯანყებები, რომლებიც სასტიკად იქნა ჩახშობილი. **პ. I** დაუნდობლად უსწორდებოდა, აგრეთვე, მისი პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეებს რუსეთის გაბატონებული კლასიდან.

პიკეტი (ფრანგული piquet – პალო), 1. საგუშაგო დაცვის ელემენტი XVIII–XIX საუკუნეების ევროპის სახელმწიფოების ზოგიერთ არმიაში. **პ**-ში ინიშნებოდა ქვეითების ან კავალერიის ოცეულამდე; იგზავნებოდა მოწინააღმდეგის მხარეს, დასაცავი ჯარებისგან 2–4 *კმ*-ის დაშორებით, მის წინ გადაადგილდებოდა ავანპოსტი. 2. (გეოდეზიური) წერტილი ადგილმდებარეობაზე, რომელიც ლითონის ან ხის პალოთი აღინიშნება.

პიკირება (ფრანგული piqué – pique rune tête – თავდაყირა ჩამოვარდნა), თვითმფრინავის ძირს დაშვება დიდი სისწრაფით, თითქმის ვერტიკალურად; 45^0 კუთხემდე **პ**-ს ეწოდება დამრეცი, ხოლო 45^0 კუთხეზე მეტს – ციცაბო. იყენებენ მიზანში ყუმბარის ზუსტი მოხვედრის მიზნით.

პიკირების კუთხე, კუთხე საფრენი აპარატის კურსსა და ჰორიზონტს შორის.

პილოტაჟი (ფრანგულიდან pilotage – თვითმფრინავის ტარება), საფრენი აპარატის მანევრირება ჰაერში სხვადასხვა სახის ფიგურის შესასრულებლად. სირთულის ხარისხით განასხვავებენ მარტივ, რთულ და უმაღლეს **პ**-ს. საფრენი აპარატების რაოდენობით – ერთეულს და ჯგუფურს. **პ**. ხორციელდება სპორტული მიზნებისთვის, მფრინავების საჰაერო ბრძოლაში მანევრირებისთვის და სახმელეთო (საზღვაო) მიზნებზე შეტევის სავარჯიშოდ.

პილოტირება (ფრანგული piloter – თვითმფრინავის ტარება), ჰაერში საფრენი აპარატის მართვა. ხორციელდება მფრინავის (პილოტის, ეკიპაჟის) მიერ ან საბორტო ავტომატური მოწყობილობის კომპლექსით. **პ**. შეიძლება განხორციელდეს ხელის, ნახევრად ავტომატურ, ავტომატურ რეჟიმებში და დედამიწიდან, საჰაერო ან კოსმოსური მართვის პუნქტებიდან მართვით.

პილოტირებადი საფრენი აპარატების გამიზვნა, იხ. *გამიზვნა.*

პირადი იარაღი, მოკლე მანძილზე თვითდაცვის და თავდასხმის ინდივიდუალური იარაღი. მიეკუთვნება პისტოლეტი, რევოლვერი, ქორდიკი (დაშნა), ხმალი და სხვა.

პირადი საქმე, შეიარაღებული ძალების ოფიცრების, ზემსახურების პერსონალური აღრიცხვის ძირითადი დოკუმენტი. შეიცავს ნამსახურობის ნუსხას, ავტობიოგრაფიას, ფოტოსურათებს და სხვა მასალას.

პირდაპირი განათება, მიზნის უშუალო განათება პიროტექნიკური საშუალებებით ან პროჟექტორებით.

პირდაპირი დამიზნება, იხ. *სროლა.*

პირდაპირი დამიზნებით სროლა, წარმოებს ღია საცეცხლე პოზიციებიდან, როდესაც ქვემეხი უშუალოდ არის დამიზნებული; ტანკებიდან, ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან, ვერტმფრენებიდან და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიიდან სროლის ძირითადი ხერხი. ხასიათდება საცეცხლე ამოცანის შესრულების მა-

ღალი სიზუსტით და სისწრაფით. არტილერია **პ.დ.ს**-ს მიწისზედა და წყალზედა მიზნების გასანადგურებლად აწარმოებს. ტანკები (ქვეითთა საბრძოლო მანქანები) **პ.დ.ს**-ს აწარმოებენ ზარბაზნებიდან მოძრაობაში, მოკლე შეჩერებებით და ადგილიდან.

პირდაპირი ცეცხლი, დამმიზნებლის მხედველობის არეში მოქცეული მიზნისკენ მიმართული ცეცხლი.

პირველი ეშელონი, ჯარების (ძალების) ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტი, რომელიც პირველი ებმება ბატალიაში (ბრძოლაში) და, როგორც წესი, განკუთვნილია ოპერაციაში (ბრძოლაში) ძირითადი ამოცანების შესასრულებლად. **პ.ე**-ის შექმნა გათვალისწინებულია აგრეთვე სტრატეგიული მასშტაბით შეიარაღებული ძალების საომრად გაშლისას. როგორც I, ისე II ეშელონის შემადგენლობა და ამოცანები განისაზღვრება ოპერაციის შესახებ გადაწყვეტილებაში.

პირველი ეშელონის სადესანტო ჯარები, ფორმირება საზღვაო-სადესანტო ჯარების შემადგენლობაში, რომელსაც ჰყავს ერთიანი ტაქტიკური სარდლობა და მზად არის დესანტირების ამოცანების გადასაწყვეტად, ასევე საკუთარი და მოწინააღმდეგის გარკვეული პოზიციების დასაკავებლად.

პირველი მსოფლიო ომი 1914–18, იპერიალისტური ომი უდიდეს კაპიტალისტურ სახლმწიფოთა ორ ჯგუფს შორის მსოფლიოს ხელახალი გადანაწილებისათვის. ერთი ჯგუფის ბირთვს შეადგენდა „ცენტრალური სახელწიფოების“ ბლოკი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი), მეორისას – *ანტანტის* ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი). ანტანტის მხარეზე თავიდანვე აღმოჩნდნენ ბელგია, სერბია და ჩერნოგორია. დროის განმავლობაში მსოფლიო ომში კიდევ 30 სახელმწიფო ჩაება. აქედან ორი (ოსმალეთი და ბულგარეთი) ცენტრალური სახელმწიფოების მხარეზე, დანარჩენები კი (მათ შორის – აშშ, იაპონია, იტალია) – ანტანტის მხარეს. ომის დაწყების საბაბი გახდა სერბი ნაციონალისტების მიერ ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის, ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის მოკვლა. 1914 წლის 28 ივლისს ავსტრია-უნგრეთმა, გერმანიის წაქეზებით, ომი გამოუცხადა სერბიას, ხოლო ვინაიდან სერბიის დამცველად რუსეთი გამოვიდა, გერმანიამ 1 აგვისტოს ომი მასაც გამოუცხადა, 3 აგვისტოს კი – საფრანგეთს. 4 აგვისტოს ინგლისმა ომი გამოუცხადა გერმანიას, ხოლო 23 აგვისტოს ანტანტის მხარეს ომში ჩაება იაპონია. გერმანიის არმიები ბელგიის გავლით საფრანგეთში შეიჭრნენ და პარიზს მიუახლოვდნენ, მაგრამ ინგლის-საფრანგეთის ჯარებმა ქალაქი იხსნეს ერთობლივი ძალისხმევით (იხ. *მარნაზე ბრძოლა 1914*). ომმა დასავლეთის ფრონტზე პოზიციური ხასიათი მიიღო. რუსებმა 1914 წლის შემოდგომაზე დაამარცხეს ავსტრიელები, ხოლო 1914 წლის ბოლოს და 1915 წლის დასაწყისში – ოსმალები. 1915 წელს ცენტრალური სახელმწიფოების ძალებმა რუსები აიძულეს დაეტოვებინათ პოლონეთი და ბალტიისპირეთის ნაწილი, დაამარცხეს სერბია. 1915–16 წლებში ოსმალებმა მოიგერიეს ინგლის-საფრანგეთის ფლოტისა და ჯარების შეტევა (იხ. *დარდანელის ოპერაცია*). დასავლეთის ფრონტზე 1916 წელს, გერმანიის ჯარების უშედეგო მცდელობის შემდეგ გაერღვიათ საფრანგეთის არმიის პოზიციები ვერდენთან (იხ. *ვერდენის ბრძოლა*), ინიციატივა ანტანტის ხელში გადავიდა, თუმცა ინგლის-საფრანგეთის ჯარების სტრატეგიული შეტევა მდინარე სომაზე 1916 წლის ივლის-სექტემბერში, რომლის დროსაც ინგლისელებმა პირველად გამოიყენეს ბრძოლის ახალი საშუალება – ტანკები, ასევე უშედეგოდ დამთავრდა. 1917 წლის 6 აპრილს აშშ-მა ომი გამოუცხადა გერმანიას და ევროპაში 2 მლნ. ჯარისკაცი გაგზავნა. ახალი მოკავშირეების შეძენამ ანტანტის სასარგებლოდ შეცვალა სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ 1917 წელს ომს, ფაქტობრივად, გამოეთიშა ერთ-ერთი ძირითადი მეომარი ქვეყანა – რუსეთი (იქ მომხდარი რევოლუციის გამო), ძალთა შეფარდება მაინც ანტანტის მხარეს დარჩა. ამიტომ გერმანიისა და მისი მოკავშირეების ძალები უფრო მალე გამოიფიტა. 1918 წლის ბოლოსათვის მათ აღარ შეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება და იძულებული გახდნენ ზავი ეთხოვათ. 29 სექტემბერს კაპიტულაცია გამოაცხადა ბულგარეთმა, 30 ოქტომბერს – ოსმალეთმა, 3 ნოემბერს – ავსტრია-უნგრეთმა და 11 ნოემბერს – გერმანიამ. **პ.მ.ო**. თავისი მასშტაბებითა და შედეგებით ისტორიაში მანამდე ცნობილ ყველა ომს აღემატებოდა. ამ ომში ჩაბმული იყო 38 სახელმწიფო 1,5 მლრდ მოსახლეობით (დედამიწის მოსახლეობის $^{2}/_{3}$). დაპირისპირებული მხარეების არმიებში მობილიზებული იყო 74 მლნ ადამიანი. ომში დაიღუპა 9,5 მლნ ადამიანი, ხოლო დაიჭრა და დასახიჩრდა 20 მლნ-ზე მეტი. ეს იყო, აგრეთვე, მანქანების ეპოქის პირველი ომი. ამ პერიოდში დაიწყო არმიების მექანიზაცია და მოტორიზაცია, განვითარდა ახალი საბრძოლო საშუალებები: თვითმფრინავები, ტანკები, წყალქვეშა ნავები, საზენიტო და ტანკსაწინააღმდეგო არტილერია. გაუმჯობესდა შეიარაღების ძველი ნიმუშები, გამოყენეს ქიმიური იარაღი. დიდი ცვლილებები მოხდა არმიების ორგანიზაციაში, გაჩნდა ჯარების ახალი გვარეობები. სამხედრო ავიაცია დამოუკიდებელ გვარეობად გადაიქცა, რომელიც დაიყო მზვერავ, გამანადგურებელ, ბომბდამშენ და მოიერიშე ავიაციად. გაჩნდა სატანკო ჯარები, ქიმიური ჯარ-

ები, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები. საინჟინრო ჯარების ხვედრითი წონა 1,5–2-ჯერ გაიზარდა. შემცირდა კავალერიის მნიშვნელობა. ზღვაზე გაიზარდა წყალქვეშა ნავების, საზღვაო ავიაციის, სატორპედო იარაღის როლი. გაჩნდა ხომალდების ახალი კლასები. პირველმა მსოფლიო ომმა დაადასტურა შეიარაღებული ბრძოლის მზარდი დამოკიდებულება ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. **პ.მ.ო**-ის გამოცდილებამ შემდგომ პერიოდში (XX საუკუნის 20–30-ანი წლებში) დიდი გავლენა იქონია სამხედრო მშენებლობაზე ყველა სახელმწიფოში.

პიროგბითი ნიშნები, ადგილმდებარეობის ელემენტების და ობიექტების ოპერატიულ-ტაქტიკური და მეტეოროლოგიური ვითარების ამსახველი გრაფიკული ნიშნები და ციფრული აღნიშვნები, რომლებიც გამოიყენება ტოპოგრაფიულ და სხვა გეოგრაფიულ რუკებზე, აგრეთვე გრაფიკულ დოკუმენტებში. დანიშნულების კვალობაზე განასხვავებენ კარტოგრაფიულ, ტაქტიკურ და მეტეოროლოგიურ **პ.ნ**-ს.

კ ა რ ტ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი **პ.ნ.**, გამოიყენება რუკებზე სხვადასხვა ობიექტისა და მათი თვისებრივი და რაოდენობრივი მახასიათებლების აღსანიშნავად. კარტოგრაფიული **პ.ნ**-ის ფერები ერთია ყველა მასშტაბის რუკისათვის. ფერი, გარკვეულწილად, შეესაბამება ადგილობრივი საგნების შეფერილობას, რომელიც მათ ნამდვილად აქვთ ზაფხულში.

მ ე ტ ე ო რ ო ლ ო გ ი უ რ ი **პ.ნ.**, გამოიყენება მეტეოროლოგიური ვითარების იმ ელემენტების აღსანიშნავად, რომლებიც ახასიათებენ ატმოსფეროს ფიზიკურ მდგომარეობას და მასში მიმდინარე პროცესებს.

ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი **პ.ნ.**, გამოიყენება რუკებსა და სხვა გრაფიკულ დოკუმენტებზე ჯარების (ძალების), ობიექტებისა და ვითარების სხვა ელემენტების მდებარეობისა და მოქმედების ხასიათის აღსანიშნავად. ზოგიერთ ქვეყნაში წითლად იფერება საკუთარი ქვეითი სატანკო, საჰაერო-სადესანტო, საავიაციო და სამხედრო-საზღვაო შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების, ხომალდების) მდებარეობა, ამოცანები და მოქმედებები. მათი მართვის პუნქტები და ლოგისტიკის ნაწილები (ქვედანაყოფები, დაწესებულებები), გამმიჯვნავი ხაზები. შავი ფერით – სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის, საზენიტო-სარაკეტო ჯარებისა და საზენიტო არტილერიის საინჟინრო ჯარების შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების რადიაციული ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების, რადიოელექტრონული ბრძოლისა და რადიოდაზვერვის, კავშირგაბმულობის რადიო-ტექნიკური რკინიგზის მილსადენის ტექნიკური უზრუნველყოფის, საინჟინრო-სააეროდრომო, ტოპოგეოდეზიური, ჰიდრომეტეოროლოგიური სამხედრო-სამშენებლო ორგანიზაციების მდებარეობა და მოქმედება, სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დარტყმები და ცეცხლი, განმარტებითი წარწერები თავისი ჯარებისათვის. ლურჯი ფერით – მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) მდებარეობა და მოქმედება, აგრეთვე განმარტებითი წარწერები შეიარაღებულ ძალებში მიღებული **პ.ნ**-ისა და შემოკლებების გამოყენებით, ოღონდ მოწინააღმდეგესთან მიღებული დასახელების შესაბამისად. მწვანე ფერით – თავისი ჯარების (ძალების) დემონსტრაციული, საიმიტაციო მოქმედებები, დეზინფორმაციის ღონისძიებები, აგრეთვე ცრუ – რაიონები, ზღუდეები, ნაგებობები და ობიექტები. სხვა ქვეყნებში: ლურჯი ფერით დაიტანება საკუთარი ყველა სახის ძალები, გამყოფი ხაზები, გადაადგილება და განლაგება, ტაქტიკური მოქმედებები. შესაბამისად: უცნობი – ყვითლით, ნეიტრალური – მწვანით, მოწინააღმდეგე, სავარაუდო მოწინააღმდეგე – წითლით. იმ შემთხვევაში, თუ ტაქტიკური **პ.ნ**. დაიტანება მონოქრონულად (შავ-თეთრად), მოწინააღმდეგე აღინიშნება ორმაგი კონტურით ან განსხვავებული გეომეტრიული ფორმის მქონე ჩარჩოთი; საკუთარი ძალები – მართკუთხედით, უცნობი – ჯვრის ფორმით, ნეიტრალური – ოთხკუთხედით, მოწინააღმდეგე, სავარაუდო მოწინაარმდეგე – რომბით.

პიროვაზნა, ინიციაციის საშუალება სხვადასხვა შემსრულებელი მოწყობილობის (სარაკეტო ძრავების გაშვება, კატაპულტირებადი სავარძლის დენთის მუხტის აალება და სხვა) მოქმედებაში მოსაყვანად. მაქსიმალური ზომა, ჩვეულებრივ, 40 *მმ*-ს არ აღემატება, მუხტის მასა 0,5–2 *გ;* როგორც წესი, ამოქმედება ხდება ელექტროიმპულსისგან.

პიროსი (Pyrros) (ძვ.წ. 319–273), ეპირის მეფე ძვ.წ. 307–302 და 296–273 წლებში, ნიჭიერი მხედართმთავარი. 302 წელს, ტახტის დაკარგვის შემდეგ, მაკედონიის მეფე დემეტრიოს I პოლიორკეტს შეაფარა თავი და მის მხარეზე იბრძოდა. 296 წელს ეპირში ძალაუფლება დაიბრუნა. გააფართოვა თავისი სამეფოს საზღვრები. 280 წელს დაქირავებული არმიით (20 ათ. ქვეითი, 3 ათ. ცხენოსანი, 20 საბრძოლო სპილო) გადავიდა სამხრეთ იტალიაში და ჰერაკლეასთან დაამარცხა რომაელების ჯარი (30–40 ათ.). 279 წელს აუსკულუმთან ახალი გამარჯვება მოიპოვა რომაელებზე (70 ათ.), მაგრამ მძიმე ზარალის ფასად (აქედან მოდის გამოთქმა – „პიროსის გამარჯვება“). 278 წელს **პ**-მა დაამარცხა კართაგენელები და თითქმის მთელი სიცილია დაიპყრო, მაგრამ მოსახლეობის მხარდაჭერა დაკარგა და 276 წელს იძულებული გახდა იტალიაში დაბრუნებულიყო. 275 წელს რომაელებმა ძალთა დიდი უპირატესობით გაანად-

გურეს პიროსის არმია. **პ.** გაიქცა ეპირში. დაიღუპა მაკედონელებთან შეტაკებაში.

პიროტექნიკა (ბერძნული pyz – ცეცხლი და techne – ხელოვნება), მეცნიერების და ტექნიკის დარგი, რომელიც შეისწავლის, აწარმოებს და იყენებს პიროტექნიკურ შემადგენლობას და ამ შემადგენლობით აღჭურვილ ნაკეთობას. ადრე მოიცავდა ასევე ასაფეთქებელ ნივთიერებებს და დენთს, რომლებიც XIX საუკუნეში ცალკე დარგად გამოიყო.

პისტოლეტი, მოკლელულიანი სასროლი იარაღი უკონდახოდ. პირადი იარაღი ახლო მანძილზე სროლისთვის. თანამედროვე **პ**-ების უმეტესობა თვითდამტენია 7–15 ვაზნით და მოსახსნელი სავაზნე კოლოფით. სროლის პროცესის დროს გადატენა ხდება თავისუფალი საკეტის უკუქცევით უძრავი ლულის მიმართ. **პ**-ების ვაზნების მცირე სიმძლავრის მიუხედავად მათ ბლაგვთავიან ტყვიებს მძლავრი შემაჩერებელი მოქმედება აქვთ. საბრძოლო **პ**-ები ცოცხალ ძალას ეფექტურად აზიანებენ 50–70 *მ* მანძილზე, სწრაფსროლა 30–40 *გასრ/წთ* და მასა დაახლოებით 1 *კგ*. არსებობს სპეციალური საბრძოლო **პ**. წყალქვეშ სროლისთვის, აგრეთვე ე.წ. მოიერიშე, საბრძოლო, სამოქალაქო (კალიბრი 2,7–6,5 *მმ*), სპორტული და სანადირო. თვითდამტენი **პ**-ების სერიულმა გამოშვებამ ხელი შეუწყო მათ ფართო გავრცლებას.

პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი, ინდივიდუალური სასროლი ავტომატური იარაღი, რომელშიც პისტოლეტის ვაზნა გამოიყენება. მცირე გაბარიტები, მასა, სროლის მაღალი ტემპი (500–1000 *გასრ/წთ*) და ტყვიის შემაჩერებელი მოქმედება **პ.-ტ**-ს ახლო მანძილზე (200 *მ*-დე) ბრძოლის მოხერხებულ და ეფექტურ იარაღად აქცევს. სხვა სახეობის ავტომატური იარაღისგან განსხვავდება მარტივი კოსტრუქციით (ავტომატიკის მუშაობის პრინციპი – თავისუფალი ჩამკეტის უკუქცევა), შედეგის მაღალი საიმედოობით და იაფი დამზადებით. პირველად გაჩნდა I მსოფლიო ომის დროს, მაგრამ ფართოდ გავრცელდა მხოლოდ II მსოფლიო ომის დროს.

პლასტიკური ასაფეთქებელი ნივთიერებები, ბრიზანტული ასაფეთქებელი ნივთიერებები პლასტიფიცირებული დანამატებით ცომისებრი მდგომარეობის მისაღებად. გამოიყენება ასაფეთქებელი სამუშაოების ადგილებზე საჭირო ფორმის მუხტების დასამზადებლად, ჯავშანგამტან-ფუგასური ჭურვების აღჭურვისთვის და სხვა.

პლატეა, ძველი ქალაქი შუა საბერძნეთში, რომლის მახლობლად ძვ.წ. 479 წლის 26 სექტემბერს, *ბერძენ-სპარსელთა ომების* დროს, მოხდა ბრძოლა ბერძნული პოლისების გაერთიანებულ ძალებსა (დაახლოებით 60 ათ. კაცი, პავსანია) და სპარსელთა არმიას (70–80 ათ. კაცი, მარდონიოსი) შორის. სპარსელთა პირველი შეტევის მოგერიების შემდეგ ბერძნები კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მოწინააღმდეგე დაამარცხეს. ბერძენთა გამარჯვებებმა **პ**-სთან და საზღვაო ბრძოლაში მიკალეს კონცხთან სპარსელთა ბატონობისაგან იხსნა მათ მიერ დამორჩილებული საბერძნეთის ნაწილი და მცირე აზიის ბერძნული ქალაქები.

პლაცდარმი, საბრძოლო (საომარი) მოქმედების დროს ჯარების (ძალების) ხელში ჩაგდებული ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელსაც მომდევნო საბრძოლო ამოცანების შესრულების ინტერესებისთვის ინარჩუნებენ. ჯარების (ძალების) მიერ გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბის მიხედვით **პ**. შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული ან სტრატეგიული. შეტევის დროს **პ**-ს, როგორც წესი, ხელთ იგდებენ წყლისმიერი დაბრკოლებების ფორსირებისას. **პ**. შეიძლება აგრეთვე შეინარჩუნონ წყლისმიერ დაბრკოლებაზე ჯარების მოპირისპირე ნაპირზე უკან დახევისას. საზღვაო-სადესანტო ოპერაციების განხორციელებისას ზღვის სანაპიროზე დესანტის მთავარი ძალების გადასხმის და გაშლის უზრუნველყოფის მიზნით ხელში იგდებენ **პ**-ს. ასევე **პ**-ად მოიხსენიება ტერიტორია, რომელსაც რომელიმე სახელმწიფო იყენებს შეიარაღებული ძალების თავმოყრის და მომზადებისთვის მეორე სახელმწიფოში შეჭრის მიზნით.

პლაცდარმის ზღუდე, დესანტის გადმოსხმის რაიონში პლაცდარმის გაფართოების ზღვარი.

პლაცდარმის შემქმნელი ძალა, დესანტი, რომელიც მდინარეზე გადასვლის ოპერაციის დროს გადადის იმ ნაპირზე, რომელზეც განლაგებულია მოწინააღმდეგე და ალყის გამრღვევი ძალის განლაგებისა და წინსვლისთვის ქმნის პლაცდარმს.

პოზიცია (თავდაცვითი), ადგილმდებარეობის მონაკვეთი (ზოლი), რომელიც დაკავებულია ჯარებით წინასწარ ან საბრძოლო მოქმედების დროს და მოწყობილია თავდაცვითი ბრძოლის წარმოებისათვის. წარმოადგენს თავდაცვითი ზღუდის თავდაცვის ზოლის, თავდაცვის მონაკვეთის ან უზრუნველყოფის ზოლის ნაწილს. მათ რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე მეწინავე, შუალედური და წამკვეთი **პ**-ები. საბრძოლო დაცვის **პ**. არის აგრეთვე სათადარიგო და ცრუ. მის საფუძველს შეადგენენ ბატალიონის თავდაცვის რაიონები, რომლებშიც შედის ასეულების საყრდენი პუნქტები, ერთმანეთთან დაკავშირებული ცეცხლისა და ღობურების სისტემით. **პ**-ის სიღრმეა – 2–2,5 *კმ*. მათზე აწყობენ სანგრებს, საფრებს, ხოლო დროის არსებობისას აგრეთვე – ტრანშეებს, სანგარსავალებს (დარნებს) და თავშესაფრებს. ფრონტალური **პ**-ები ემსახურება არტილერიით გაძლიერებული ქვეითი და სატანკო ჯარების საბრძოლო წყობის განლაგებას. წამკვეთი **პ**-ები იქმნება თავდაცვის ზოლის „უბნის“ მთელ სიღრმეზე იმ მიზნით, რომ თავიდან აი-

ცილონ შემოჭრილი (სოლად შემოსული) მოწინააღმდეგის გადაადგილება ფლანგებისაკენ, შექმნან ცეცხლის ტომრები, აგრეთვე შებოჭონ მისი მოქმედება. მეწინავე **პ.** ეწყობა თავდაცვითი ზღუდის (თავდაცვის ზოლის) წინა ხაზის წინ უზრუნველყოფის ზოლის არარსებობის დროს. მისი მიზანია, შეცდომაში შეიყვანონ მოწინააღმდეგე თავდაცვის წინა ხაზის მოხაზულობისა და მისი წყობის თაობაზე, არ დაუშვან მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმა I ეშელონის ნაწილებზე (ქვედანაყოფებზე), მოიგერიონ მისი დაზვერვა ბრძოლით და აიძულონ, ნაადრევად გაშალოს მთავარი ძალები. საბრძოლო დაცვის **პ**-ები იქმნება ბატალიონის თავდაცვის ხაზის წინ, მოწინააღმდეგის შესაძლო მოქმედებების მიმართულებებზე, როდესაც არ არის მეწინავე **პ.** შუალედური **პ.** იქმნებოდა თავდაცვის პირველ და მეორე ზოლებს შორის, ეწყობოდა საინჟინრო თვალსაზრისით. მას იკავებდნენ პირველი ზოლიდან უკანდახეული, სიღრმიდან მოსული ან თავდაცვის იმ მონაკვეთებიდან მოხსნილი ჯარები, რომლებზეც იერიში ჯერ არ განხორციელებულა. მისი მიზნია მოწინააღმდეგის შემდგომი წინსვლის შეჩერება. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან შუალედური **პ**-ის შექმნა აღარ არის გათვალისწინებული.

პოზიციის გამაგრება, ახალდაკავებული პოზიციის მოწყობა და გაძლიერება ისე, რომ შეიძლებოდეს მისი ბრძოლის დროს გამოყენება (უწოდებენ გამაგრების ფაზასაც).

პოზიციის დადგენის გლობალური სისტემა, სატელიტური სისტემა, რომელიც პოზიციის (ადგილმდებარეობის) ზუსტად დასადგენად და სანავიგაციოდ გამოიყენება.

პოზიციური თავდაცვა, 1. თავდაცვის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მთავარი მიზანია ჯარების მიერ მომზადებული ადგილმდებარეობის ზღუდეების (რაიონების) მტკიცე და ხანგრძლივი შენარჩუნება. **პ.თ**-ის დამახასიათებელ თავისებურებებს განეკუთვნება: ფართო ფრონტზე დიდ სიღრმეზე განვითარებული და საინჟინრო თვალსაზრისით კარგად მოწყობილი თავდაცვითი ზღუდეების (ზოლების, პოზიციების) სისტემა; წრიული თავდაცვის ოსტატური აგება, უმთავრესად, მოწინააღმდეგის ტანკების და სხვა დაჯავშნული მანქანების დიდი მასის მოსაგერიებლად; ყველა სახეობის ცეცხლის სისტემის შექმნა და საინჟინრო ღობურებთან შეხამებით ეფექტური გამოყენება; ძალების და საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის თავმოყრა თავდაცვაში მყოფი ჯარების პირველი ეშელონების შემადგენლობაში, ძალების და საშუალებების დროული მანევრი იმ უბნებიდან, სადაც იერიში ჯერ არ განხორციელებულა. აშკარად გამოხატულ პოზიციურ ხასიათს ატარებდა თავდაცვა პირველ მსოფლიო ომში. ასევე დიდი ყურადღება ეთმობოდა II მსოფლიო ომში. 2. თავდაცვის ხერხი, რომელიც გათვალისწინებულია ნატოს და დასავლეთის ზოგი სახელმწიფოს არმიის წესდებით. გულისხმობს დაკავებული ზღუდის ან ადგილმდებარეობის რაიონის შეუპოვარ შენარჩუნებას, მოწინააღმდეგის შემოტევის მოგერიებას და მისთვის მაქსიმალური ზარალის მიყენებას. მაგალითად, აშშ-ის არმიაში, მოქმედი დოკუმენტების თანახმად, **პ.თ**-ს ეწოდება „რაიონის თავდაცვა“ და იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს უმთავრესად ტაქტიკური (ოპერატიულ-ტაქტიკური) მიზნებისთვის სხვადასხვა ძალების მიერ, ქვედანაყოფებიდან შენაერთებამდე.

პოზიციური ომი, შეიარაღებული ბრძოლა, რომელშიც უპირატესი ადგილი უკავია საომარ მოქმედებებს დიდი სიგრძის ერთიან ფრონტებზე, ღრმად ეშელონირებული თავდაცვით და ფრონტის ხანგრძლივი სტაბილურობით, ნელი და ნაკლებად შედეგიანი მეთოდური ფრონტალური შეტევითი მოქმედებებით. **პ.ო**-ის მაგალითია I მსოფლიო ომი 1914 წლის დამლევიდან დასავლეთის (საფრანგეთის) ფრონტზე და 1915 წლის დამლევიდან აღმოსავლეთის (რუსეთის) ფრონტზე.

პოზიციური რაიონი, 1. ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც განკუთვნილია სარაკეტო, საარტილერიო და ნაღმსარტყოცნი ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო წყობად გაშლისთვის. **პ.რ**-ებად აწყობენ სასტარტო (საცეცხლე) პოზიციებს, სამეთაურო პუნქტებს, საბრძოლო წყობის სხვა ელემენტების განლაგების ადგილებს და მანევრის გზებს. 2. გერმანიის არმიაში – სატანკო ასეულის, აგრეთვე ჯავშანტრანსპორტიორებით აღჭურვილი მოტოქვეითი ასეულის თავდაცვის რაიონი, რომელიც საბრძოლო მანქანებზე მოგერიებით ბრძოლას აწარმოებს. **პ.რ.** იქმნება ბატალიონის თავდაცვის რაიონში ან წამკვეთ პოზიციაზე.

პოლემოლოგია (ბერძნული polemos – ომი და logos – სწავლა, სიტყვა), მეცნიერება ომის შესახებ, რომლის ფარგლებშიც იკვლევენ ომებს, შეიარაღებულ კონფლიქტებს, სამხედრო ძალადობას. ჩამოყალიბდა II მსოფლიო ომის შემდეგ. ტერმინი „პოლემოლოგია“ შემოიღო ფრანგმა სოციოლოგმა გ. ბუტულმა. ეყრდნობიან რა სხვადასხვა მეცნიერების მეთოდებს და დასკვნებს, პოლემოლოგები სწავლობენ ბიოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ტექნიკურ, სოციოლოგიურ და სხვა ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ შეიარაღებული კონფლიქტების წარმოშობას და ხასიათს. ეძებენ მშვიდობის და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხერხებს და ფორმებს.

პოლიგონი (ბერძნული polygōnos – მრავალკუთხა), სპეციალურად გამოყოფილი და მოწყობილი ხმელეთის ან ზღვის მონაკვეთი მის თავზე მდებარე საჰაერო სივრცითურთ შეია-

რაღებისა და სამხედრო ტექნიკის ნიმუშებისა და კომპლექსების გამოსაცდელად (დასახვეწად), ჯარების (ძალების) საბრძოლო მომზადების ღონისძიებებისა და სამხედრო საქმის კვლევის განსახორციელებლად. **პ**-ები არის მუდმივი და დროებითი (ერთჯერადი კერძო ამოცანების შესასრულებლად); დანიშნულების მიხედვით არის: სამეცნიერო-კვლევითი (საცდელი), სასწავლო (საჯარისო, საზღვაო, საავიაციო) და საქარხნო; გამოსაცდელი საშუალებების გვარეობის მიხედვით – ბირთვული, სარაკეტო, საარტილერიო, საზენიტო, სატანკო, ქვეითი, საავიაციო, საზღვაო, სატორპედო, საინჟინრო, საავტომობილო, კავშირგაბმულობისა და ა.შ.

პ-ის მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა, დამოკიდებულია მის დანიშნულებაზე და შეიძლება მოიცავდეს: სათვალთვალო და მართვის პუნქტებს, სამიზნე დანადგარებს მექანიზებული ან ავტომატიზებული მართვით, საფრებს, კავშირგაბმულობის საშუალებებს, საცეცხლე პოზიციებს, პოზიციურ რაიონებს, საზომ და გამოთვლით კომპლექსებს. დაზიანების საშუალებების გამოყენების შედეგების კონტროლის და სატრანსპორტო საშუალებებს.

ს ა ა ვ ი ა ც ი ო **პ**-ები, განკუთვნილია მფრინავთა შემადგენლობის საცეცხლე და ტაქტიკური გაწვრთნილობის სრულყოფისათვის. იყოფა სახმელეთო (საზღვაო), საჰაერო და სპეციალურ **პ**-ებად. სახმელეთო (საზღვაო), საავიაციო **პ**-ები უზრუნველყოფენ დაზიანების საავიაციო საშუალებების გამოყენებას და სახმელეთო (საზღვაო) სამიზნეებზე დარტყმების მიყენების ტაქტიკური ხერხების დახვეწას. სპეციალური საავიაციო **პ**-ის დანიშნულებაა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უზრუნველყოფა, რომლებიც დაკავშირებულია საავიაციო ტექნიკის შეიარაღების სისტემებისა და დაზიანების საავიაციო საშუალებების ახალი ნიმუშების გამოცდასთან. საზღვაო **პ**. განკუთვნილია ხომალდების (თვითმფრინავების) მიერ საბრძოლო (სასწავლო-საბრძოლო) რაკეტების გაშვების განსახორციელებლად; სატორპედო-საარტილერიო და სხვა სროლისათვის, ბომბტყორცნისა და ნაღმების დაყენებისათვის; ხომალდების ფიზიკური ველის გაზომვისათვის; იარაღისა და ტექნიკური საშუალებების ნიმუშების გამოცდისათვის.

ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო - კ ვ ლ ე ვ ი თ ი **პ**. (ს ა ც დ ე ლ ი **პ**-ები), განკუთვნილია შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის საცდელი და სერიული ნიმუშების გამოსაცდელად (საპოლიგონო დახვეწისათვის), რაკეტების გაშვებისთვის, ბომბტყორცნისა და საბრძოლო მომზადების გეგმის მიხედვით სროლის მოწყობისათვის.

ს ა ს წ ა ვ ლ ო **პ**. (ს ა ჯ ა რ ი ს ო, ს ა ზ ღ ვ ა ო, ს ა ა ვ ი ა ც ი ო), განკუთვნილია ქვედანაყოფების ნაწილების, შენაერთების საბრძოლო მომზადების ღონისძიებათა განხორციელებისთვის; საბრძოლო (სასწავლო-საბრძოლო) რაკეტების გაშვების, ბომბმტყორცნის, სატორპედო, საარტილერიო და სხვა სროლის, ნაღმების დაყენების, აგრეთვე პირადი შემადგენლობის წვრთნებისათვის. ჯარებსა და სამხედრო სასწავლებლებში გამოიყენება აგრეთვე სხვადასხვა საიმიტაციო და მინიატიურული **პ**-ები.

ს ა ქ ა რ ხ ნ ო **პ**-ები, ეკუთვნის თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებს. გამოიყენება შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის კომპლექსთა ნიმუშების ან ცალკეული ელემენტების დასახვეწად და გამოსაცდელად, კონსტრუქციული და სქემური გადაწყვეტების ექსპერიმენტული შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, შესრულებული სამუშაოების, შეიარაღების ხარისხის შემოწმების, მისი გამიზვნისა და გამართვისათვის.

პოლიტიკური პოტენციალი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების მდგომარეობა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური ხელისუფლების შესაძლებლობებს და უნარს, გამოიყენოს მის ხელთ არსებული საშუალებები და რესურსები მშვიდობის, სტაბილურობის შენარჩუნებისთვის, ეროვნული ინტერესების რეალიზაციისა და დაცვისათვის. **პ.პ**-ის თვისებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს: ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური რეჟიმი, ხელისუფლების სოციალური შემადგენლობა, მისი ორგანიზაციის თავისებურებები, განხორციელების საშუალებები და მეთოდები; ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების თანამდებობის პირების პროფესიონალიზმი და პოლიტიკური კულტურა; უზენაესი ხელისუფლების პოლიტიკური მოწიფულობა (ქვეყნის ინტერესების სწორად გაგების უნარი) და პოლიტიკური ნება (მზადყოფნა, ამ ინტერესების მსახურება გაიხადოს თავისი საქმიანობის უცილობელ პრიორიტეტად) და სხვა. სახელმწიფოს **პ.პ**. გვევლინება მნიშვნელოვან, ხშირად გადამწყვეტ ფაქტორად, რომელიც ქვეყნის სამხედრო ძლიერებას განსაზღვრავს. სამხედრო თვალსაზრისით, **პ.პ**. განსაზღვრავს და ახასიათებს სახელმწიფოს უნარს, თავი მოუყაროს ქვეყნის საჭირო ძალებს წამოჭრილი სამხედრო ამოცანების გადასაწყვეტად, წარმართოს საზოგადოების ენერგია ახალი გამოწვევების და საფრთხეების მოსაგერიებლად.

პოლკი (ლეგიონი), სამხედრო ნაწილი, ძირითადი ტაქტიკური და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეული მრავალი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში. საბრძოლო შემადგენლობის მიხედვით შუალედური მდგომარეობა უკავია ბატალიონსა და ბრიგადას (დივიზიას) შორის. შედის შენაერთის შემადგენლობაში ან არის დამოუკიდებელი. კუთვ-

ნილების კვალობაზე **პ**-ს შეუძლია აწარმოოს საერთო-საჯარისო, საჰაერო (საჰაერო-თავდაცვითი) ბრძოლა, ან უზრუნველყოს საბრძოლო მოქმედებები. შედგება: სახმელეთო ჯარებში – ჯარების იარაღის ძირითადი გვარეობების რამდენიმე ბატალიონის (უფრო იშვიათად – ასეულის), დივიზიონის, სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, საბრძოლო, ტექნიკური და ლოგისტიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფებისგან; სამხედრო-საჰაერო ძალებში – ესკადრილიებისგან; საჰაერო თავდაცვის ჯარებში – დივიზიონებისაგან (ბატალიონებისაგან); სამხედრო-საზღვაო ძალებში – ბატალიონებისაგან (სანაპირო ჯარები); სპეციალურ ჯარებში – ბატალიონებისა და ასეულებისგან. სახმელეთო ჯარებში ცნობილია **პ**-ების შემდეგი ძირითადი ტიპები: მსროლელი (მოტომსროლელი), ქვეითი (მოტოქვეითი), მექანიზებული, სატანკო, თვითმავალი საარტილერიო, საპარაშუტო-სადესანტო (საჰაერო-სადესანტო), ჯავშანკავალერიის, კავალერიის, საარტილერიო, საზენიტო-საარტილერიო, საზენიტო-სარაკეტო, რადიოტექნიკური, ვერტმფრენების და სხვა. მეთოფეების (მსროლელების) **პ**. პირველად გაჩნდა 1888 წელს. არსებობდა ზოგიერთი ევროპული სახელმწიფოს არმიებში IX საუკუნის შუახანებში – XX საუკუნის დამდეგს. საზღვარგარეთის მეტწილ არმიაში მოტომსროლელის ანალოგიურ **პ**-ებს ეწოდებათ მოტოქვეითი **პ**-ები. ქვეითი **პ**-ები დღესაც არის საბერძნეთის, თურქეთის, იაპონიის და ზოგიერთი სხვა ქვეყნის არმიებში; მექანიზებული **პ**-ები არის თურქეთის არმიაში და სხვა. სატანკო ჯარებში ყველაზე უფრო გავრცელებულია სატანკო **პ**., ხოლო საჰაერო-სადესანტოში – საპარაშუტო-სადესანტო **პ**. ზოგიერთი სახელმწიფოს (აშშ, საფრანგეთი, იტალია და სხვა) არმიებში ჯავშანკავალერიის **პ**-ები წარმოადგენენ საერთო-საჯარისო ნაწილებს და განკუთვნილი არიან დაზვერვისა და შემაკავებელი (შემბოჭველი) მოქმედებებისთვის. სიტყვა „კავალერიის“ სახელწოდებაში ტრადიციულად არის დატოვებული და მიუთითებს ამ ნაწილების მობილურობაზე, რითაც წარსულში სწორედ კავალერია გამოირჩეოდა. საარტილერიო **პ**. შეიარაღების მიხედვით შეიძლება იყოს საზარბაზნე, საჰაუბიცე, რეაქტიული, გამანადგურებელ-ტანკსაწინააღმდეგო, ნაღმსატყორცნი და სხვა. ზოგიერთი ქვეყნის არმიაში არის შერეული შემადგენლობის საარტილერიო, მათ შორის, სარაკეტო-საზარბაზნე **პ**-ები. საჯარისო-საჰაერო თავდაცვაში საზენიტო-სარაკეტო **პ**-ებთან ერთად შენარჩუნებულია საზენიტო-საარტილერიო **პ**-ები, რომლებსაც შეუძლიათ ეფექტიანად დააზიანონ საჰაერო მიზნები მცირე სიმაღლეზე. სახმელეთო ჯარების ავიაციაში უშუალოდ საავიაციო მხარდაჭერისა და ჯარების საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფისათვის განკუთვნილია ცალკეული საბრძოლო, სატრანსპორტო-საბრძოლო ვერტმფრენების და ცალკეული ვერტმფრენების **პ**-ები. ზოგიერთი ქვეყნის არმიაში ანალოგიური დანიშნულების ვერტმფრენების **პ**. განეკუთვნება საარმიო ავიაციას. სამხედრო-საჰაერო ძალებში ავიაციის გვარეობისადმი კუთვნილების, შეიარაღებისა და დანიშნულების მიხედვით არის მძიმე ბომბდამშენი, ბომბდამშენი, შორს ბომბდამშენი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი, გამანადგურებელი, მოიერიშე, სადაზვერვო, სატრანსპორტო ავიაციისა და სხვა საავიაციო **პ**-ები. ბევრი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალებში (სამხედრო-საზღვაო ფლოტში) საპოლკო ორგანიზაცია აქვს საზღვაო ქვეით ჯარს. უმეტესი სახელმწიფოების სპეციალურ ჯარებსა და შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის შემადგენლობაში გამოიყენება უპირატესად ბრიგადული ორგანიზაცია. მაგრამ ბრიგადებთან ერთად არის სხვადასხვა დანიშნულების **პ**-ები კავშირგაბმულობის საინჟინრო, საავტომობილო ჯარებში და სხვა.

პოლკის არტილერია, იხ. *საჯარისო არტილერია.*

პოლკოვნიკი, უფროს ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდება. **პ.,** როგორც წესი, პოლკის და მასთან გათანაბრებული დანაყოფების მეთაურია. ინგლისურენოვან ქვეყნებში **პ**-ს ეწოდება „colonel“ (ინგლისური Colonel; გამოითქმის – „ქორნელ“). გერმანულენოვან ქვეყნებში – „oberst“ (გერმანული Oberst).

პოლონეთი (Poland – პოლონეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, მდინარეების ვისლისა და ოდერის აუზში. ქვეყანას ჩრდილოეთით ესაზღვრება ბალტიის ზღვა. ფართობი 312,7 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 39,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – პოლონური. დედაქალაქი – ქ. ვარშავა. ადმინისტრაციულად იყოდა 16 სავოევოდოდ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს სეიმს და სენატს (პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). **პ**. ნატოს წევრი ქვეყანაა. განვითარებულია ინდუსტრიულ-აგრარული დარგი. ძირითადი მრეწველობაა მანქანათმშენებლობა. **პ**-ს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიოში ქვანახშირის, გოგირდის, ვერცხლის, მოპოვებაში, თუჯის გამოდნობაში. წარმოადგენს ბრინჯაოს, თითბერის, ტყვიის, ალუმინის მსხვილ მწარმოებელს. განვითარებულია ქიმიური, მსუბუქი, და კვების მრეწველობა. ასევე – გემთმშენებლობა, ავიამშენებლობა და სამხედრო მრეწველობა. სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე. მსხვილი საზღვაო პორტებია: გდანსკი, გდინია, სვინოუისცე, შჩეცინი. საერთაშორისო აერო-

პორტია – ოკენცე (ვარშავა). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 100 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 50 ათ., სამხედრო-საჰაერო 18 ათ., სამხედრო-საზღვაო 9 ათ., სასაზღვრო 14,1 ათ. და შინაგანი ჯარები 8,9 ათ., რეზერვი – 240 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული მეთოდით.

პომპეუსი (Pompeius) გნეუს (ძვ.წ. 106–48), რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე. თავდაპირველად **პ**. სულას ბანაკში იყო. მონაწილეობდა სპარტაკის აჯანყების ჩახშობაში. 66 წლიდან სარდლობდა რომაელთა ჯარებს პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის წინააღმდეგ ომში; ილაშქრა კავკასიაშიც (იხ. *პომპეუსის ლაშქრობა სამხრეთ კავკასიაში*). 60 წელს კავშირი შეკრა *იულიუს კეისართან* და მარკუს კრასუსთან (I ტრიუმვირატი). ტრიუმვირატის დაშლის შემდეგ, 53 წელს, დაიწყო კეისართან ბრძოლა ხელისუფლებისათვის, მაგრამ 48 წელს ფარსალოსთან დამარცხდა და გაიქცა ეგვიპტეში, სადაც მოკლეს.

პომპეუსის ლაშქრობა სამხრეთ კავკასიაში ძვ.წ. 65, იმ ომების ეპიზოდი, რომელსაც აწარმოებდა ძველი რომის სახელმწიფო აზიაში გაბატონებისათვის. ამ დროს აღმოსავლეთში რომის მთავარი მეტოქე იყო პონტოს სამეფო. პონტოს მეფის, მითრიდატე VI-ის, მოკავშირეთა შორის იყვნენ სამხრეთ კავკასიის მფლობელები – დიდი სომხეთის, იბერიისა (ქართლი) და ალბანეთის მეფეები. 66 წელს რომაული არმიის მთავარსარდლად აზიაში დაინიშნა გნეუს *პომპეუსი*. მან მითრიდატე VI დაამარცხა და აიძულა გაქცეულიყო ჯერ კოლხეთში, მერე კი – ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. იმავე წელს პომპეუსი სომხეთში შეიჭრა, აიღო მისი დედაქალაქი. სომეხთა მეფე ტიგრან II იძულებული გახდა რომის ვასალად ეცნო თავი და კონტრიბუცია გადაეხადა. შემდეგ რომაელებმა მტკვრისკენ წაიწიეს, აქ დაამარცხეს ალბანელები და 65 წლის გაზაფხულზე იბერიაში შეიჭრნენ. იბერთა ლაშქარი ბრძოლაში დამარცხდა (ბერძენი ისტორიკოსის პლუტარქეს ცნობით, ბრძოლის ველზე დაეცა 9 ათ. ქართველი, ხოლო 10 ათ. ტყვედ ჩავარდა). იბერიის მეფე არტაგმა რომის უზენაესობა აღიარა. იბერიის დამორჩილების შემდეგ პომპეუსი გადავიდა კოლხეთში და ჩავიდა ფაზისამდე (ახლა – ფოთი), სადაც მას რომაელთა ფლოტი ელოდებოდა. კოლხეთის დაპყრობილი ნაწილის მმართველად პომპეუსმა ვინმე არისტარქე დანიშნა.

პონტონების პარკი, ტექნიკური საშუალებების და ღონისძიებების კომპლექსი მოტივტივე ხიდების გადებისა და გადასაზიდი ბორნების აწყობისათვის. მოიცავს საბორნე-ხიდურ კონსტრუქციებს (პონტონები, ხიდების მზიდი და სავალი ნაწილები, ნავმისადგომების ელემენტები), სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებებს (ჩვეულებრივ, მომეტებული გამავლობის ავტომობილებს), წყალზე მოტორიზაციის საშუალებებს (კატარღები, ბორტმიღმა აგრეგატები) და დამხმარე მოწყობილობას (ამწეები, ღუზები, ტაკელაჟი და სხვა). თვითმავალ **პ.პ**-ებში ყველა ძირითადი ნაწილი გაერთიანებულია საბორნე-ხიდურ მანქანად.

პონტონი (ფრანგული pontoon – ბრტყელძირიანი ნავი), 1. მცურავი საშუალება სხვადასხვა ტვირთის წყალზე გაჩერების და ტრანსპორტირებისთვის. **პ**-ები წყალზე მოძრაობენ საკუთარი ძრავის, ბორტსმიღმა აგრეგატების მეშვეობით, ბუქსირით ან ნიჩბებით. **პ**. კონსტრუქციის მიხედვით არის ღია ან დახურული (გემბანი). მზადდება სხვადასხვა მასალისგან; 2. ხისტი (ლითონის) ან რბილი (დარეზინებული ქსოვილისგან) მოცულობები, რომლებიც გამოიყენება ჩაძირული გემების ამოსაყვანად. **პ**-ის ტივტივი წყალზე ხორციელდება წყლიდან მისი ამომგდები ძალის საშუალებით, რომელიც მეტია თვით **პ**-ის წონაზე, ამდენად, იგი შეიძლება დამზადდეს წყალზე უფრო მსუბუქი მასალისაგან, ხისტი ან მოქნილი მასალისაგან, რომელშიც ჩატუმბულია ჰაერი. ხისტი მასალისგან დამზადებული **პ**-ები ასევე შეიძლება იყოს ღია ნავის ტიპის.

პორტი (ფრანგული – port), ადგილი, სადაც ხდება საზღვაო ხომალდების გადმოტვირთვა ან ჩატვირთვა. მდებარეობს ზღვის, ან სანავიგაციო მდინარის ნაპირას, ან ქვეყნის შიდა ტერიტორიულ წყლებში.

პორტუგალია (Portugal – პორტუგალიის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში, უჭირავს პირენეს ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილი, აზორის და მადეირის კუნძულები ატლანტის ოკეანეში. ქვეყანას დასავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით – ესპანეთი. ფართობი 92,1 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 10,7 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – პორტუგალიური და მირანდესი (ესპანურის და პორტუგალიური დიალექტების ნარევი). დედაქალაქი – ქ. ლისაბონი. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო – რესპუბლიკის კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. **პ**. ნატოს წევრი ქვეყანაა. განვითარებულია ინდუსტრიულ-აგრარული სექტორი. წამყვანი დარგებია: მსუბუქი, სამთო და ფერადი მეტალურგია, ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი, ხის დამმუშავებელი მრეწველობა. სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნის 50%-ს. მთავარი დარგი – მემცენარეობა. საზღვაო პორტებია: ავეირუ, ლისაბონი, პორტუ, ლაგუში, სეტუბალი, პორტიმანი, ფუნშალი (მადეირას კუნძული), ანგრა-დე-ეროიუმუ (აზორის კუნძული). საერთაშორისო აეროპორტებია: პორტელა,

ლისაბონი, პორტუ (მადეირას კუნძული), ფარუ (აზორის კუნძული). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 43,9 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 26,7 ათ., სამხედრო-საჰაერო 7,5 ათ. და სამხედრო-საზღვაო 9,7 ათ., რეზერვი – 2,1 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული პრინციპით.

პრაქტიკული საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

პრაქტიკული საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

პრევენციული გაშლა, მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციების დროს კრიზისის თავიდან ასაცილებლად სამხედრო და/ან სამოქალაქო ფორმირებებისგან შემდგარი ძალის გაშლა.

პრევენციული ომი, დამსწრები დარტყმებით გაჩაღებული ომი, რომელსაც სახელმწიფო მიმართავს მოწინააღმდეგის მხრიდან მოსალოდნელი აგრესიის აშკარა საფრთხის გათვალისწინებით. ამასთან, არცთუ იშვიათად ისახავენ მიზნად შენიღბონ საკუთარი შეტევითი განზრახვები, ხელთ იგდონ სტრატეგიული ინიციატივა, ჩაუშალონ მოწინააღმდეგეს სამხედრო გეგმები, თავს მოახვიონ საბრძოლო მოქმედებები არახელსაყრელ პირობებში და სხვა. სახელმწიფოთა უმრავლესობა თავის სამხედრო დოქტრინაში უარყოფს **პ.ო**-ის იდეას.

პრეტორიანელები, (ლათინური – praetoriani), პრეტორიული კოჰორტები, რომაული არმიის პრივილეგირებული ნაწილი. თავდაპირველად შეადგენდნენ მხედართმთავართა დაცვას. შემდეგ იმპერატორმა *ავგუსტუსმა* ჩამოაყალიბა პრეტორიანთა გვარდია (1000-კაციანი 12–14 კოჰორტა), რომელიც შედგებოდა მხოლოდ იტალიკებისაგან და ლეგიონერებთან შედარებით მეტი პრივილეგიით სარგებლობდა. **პ**-თა გვარდია განლაგებული იყო რომსა და იტალიაში და იმპერატორთა მნიშვნელოვან დასაყრდენს წარმოადგენდა. გაუქმდა IV საუკუნის დასაწყისში. გადატანითი მნიშვნელობით – დაქირავებული ჯარი, რომელიც ემსახურება ძალმომრეობაზე დამყარებულ ხელისუფლებას.

პრიორიტეტული მოთხოვნები სადაზვერვო ინფორმაციაზე, მოთხოვნები სამხედრო დაზვერვის მონაცემებზე, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მეთაურს მიაჩნია პრიორიტეტულად.

პრიორიტეტული მხარდაჭერა (უზრუნველყოფა), პრიორიტეტები, რომლებიც დადგენილია მეთაურის მიერ ოპერაციის კონცეფციაში და მისი შესრულების დროს. იგი განისაზღვრება, როგორც დაქვემდებარებული ქვედანაყოფის საბრძოლო მხარდაჭერის და საბრძოლო მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების უზრუნველყოფის პრიორიტეტები, საბრძოლო ამოცანის შესრულებაში მათი მონაწილეობის შედარებითი მნიშვნელობის მიხედვით.

პროგნოზირება სამხედრო საქმეში (ბერძნული prognōsis – წინასწარ ცოდნა), სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, შეიარაღებული ძალების, სამხედრო ტექნიკის და სამხედრო ხელოვნების განვითარების მოსალოდნელი პერსპექტივების ალბათობის განსაზღვრა, განჭვრეტის ერთ-ერთი ფორმა. ამასთან, პროგნოზული კვლევა მოიცავს სამხედრო-სოციალურ, სამხედრო-სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ, სამხედრო-ეკონომიკურ და სამხედრო-ტექნიკურ სფეროებს. განასხვავებენ მოკლევადიან (5 წლამდე), საშუალოვადიან (10 წლამდე) და გრძელვადიან (10 წელიწადზე მეტი) პროგნოზებს. სამხედრო საქმეში პროგნოზირების დროს გამოიყენება კვლევის მათემატიკური, ევრისტიკული და კომბინირებული მეთოდები.

პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ დაგეგმვის და ანალიზის პროცესი, პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ჩარჩოებში მოღვაწეობის ერთ-ერთი სფერო, შემუშავებული 1994 წლის ნოემბერში. სისტემა შექმნილია ნატოს იმ პარტნიორი სახელმწიფოებისთვის, რომლებსაც აქვთ ამ პროცესში მონაწილეობის სურვილი. მისი ამოცანაა ნატოს ქვეყნებსა და პარტნიორ სახელმწიფოებს (ძალებს) შორის სამხედრო დაგეგმვის ტრანსპარენტობის, ერთობლივად შეთანხმებული გეგმური ამოცანების შემუშავების და ანალიზის საშუალებით ოპერატიული შეთავსების მიღწევისთვის ხელის შეწყობა.

პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ კომპიუტერული მოდელირების და ტრენაჟორების ქსელი, სიტემა, რომელიც განკუთვნილია კომპიუტერული ტექნოლოგიების და კავშირგაბულბის საშუალებების გამოყენებით სწავლების დონის ასამაღლებლად. ის დაშორებულ პუნქტებში განთავსებულ ეროვნულ ან საერთაშორისო პირად შემადგენლობასთან დაკავშირების საშუალებას იძლევა. მთავარი ყურადღება ექცევა პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის” ჩარჩოებში ნატოს ხელმძღვანელობით ოპერაციების ჩატარებისთვის სარდლობების და შტაბების მომზადებას

პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მომზადების ცენტრი, მომზადების ეროვნული ცენტრი, რომელიც პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მონაწილე ქვეყნების სასწავლო და განათლების დონის ამაღლებას ახორციელებს. ამ ინიციატივას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 1999 წელს შეთანხმებული სწავლებისა და განათლების პროგრამის გაღრმავების საკითხებში.

პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელი კომიტეტი, ნატოს მთავარი კომი-

ტეტი, რომელიც კონსულტაციებს უწევს ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ საკითხებში და ამუშავებს სამხედრო-პოლიტიკურ დირექტივებს, რომლებსაც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ ნატოს ხელმძღვანელი სამხედრო ორგანოები, საერთაშორისო სამდივნო და სამხედრო საერთაშორისო სამდივნო.

პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ფარგლებში ნატოს ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერაციების სამხედრო-პოლიტიკური ჩარჩოები, პარტნიორების პოლიტიკურ კონსულტაციებსა და გადაწყვეტილების მიღებაში, ოპერატიული დაგეგმვისა და სარდლობის შეთანხმებებში პარტნიორების მონაწილეობის საკითხების, პრინციპების, პირობებისა და სხვა სახელმძღვანელო მითითებების ერთიანობა. ისინი საშუალებას აძლევენ პარტნიორ სახელმწიფოებს მიიღონ მაქსიმალური მონაწილეობა ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებული ოპერაციების დაგეგმვასა და ჩატარებაში.

პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ჩარჩო დოკუმენტი, ძირითადი დოკუმენტი, რომელიც გამოცხადდა 1994 წელს და ხელი მოაწერეს იმ სახელმწიფოებმა, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ მონაწილეობაზე. მასში ასახულია პარტნიორობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები, ასევე კონკრეტული მოვალეობები, რომლებიც უნდა იკისროს თოთოეულმა მონაწილემ. ამ ხელშეკრულებით ნატო ვალდებულებას იღებს ჩაატაროს კონსულტაციები ნებისმიერ აქტიურ პარტნიორ ქვეყანასთან, თუ ამ ქვეყნის უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას საფრთხე შეექმნება.

პროპაგანდა (ლათინური propaganda – გასავრცელებელი), ქვეყნის ეროვნული ინტერესების მხარდასაჭერად გამოყენებული კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა, რომლის დანიშნულებაა საზოგადოებრივ აზრზე, ემოციებზე გავლენის მოხდენა. საქართველო ჩარჩო დოკუმენტს შეუერთდა 1995 წელს.

პროტაზანი (გერმანული – partisane), შუბი წაგრძელებული და ბრტყელი ლითონის პირით. XVI საუკუნეში *ლანდსკნეხტების* იარაღი იყო. ევროპულ არმიებში XVIII საუკუნის ბოლომდე ორნამენტებით, გერბებით და ა.შ. შემკული **პ.**, ესპონტონის სახელწოდებით, ოფიცრების საპატიო იარაღად ითვლებოდა.

პრუსია, სახელმწიფო, შემდეგ მხარე გერმანიაში (1945 წლამდე). **პ**-ის ისტორიული ბირთვი იყო ბრანდენბურგი, რომელიც 1618 წელს გაერთიანდა პრუსიის საჰერცოგოსთან. ბრანდენბურგ-პრუსიის სახელმწიფომ 1701 წელს მიიღო სამეფოს სტატუსი (დედაქალაქი – ბერლინი). პრუსიის მეფეებმა ჰოენცოლერნების დინასტიიდან (*ფრიდრიხ II* და სხვა) XVIII–XIX საუკუნეების I ნახევარში მნიშვნელოვნად გააფართოვეს სახელმწიფოს ფარგლები. 1871 წელს **პ**-მ *ბისმარკის* ხელმძღვანელობით „რკინითა და სისხლით“ დაასრულა გერმანიის გაერთიანება; **პ**-ის მეფე გერმანიის იმპერატორი გახდა. 1918 წლის ნოემბრის რევოლუციის შედეგად, რაც პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებას მოჰყვა, **პ**-ის მონარქია გაუქმდა და გერმანიის ერთ-ერთი მხარე გახდა. II მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ **პ**. ცალკეულ ნაწილებად დაიყო (1945). 1947 წელს საკონტროლო საბჭომ გერმანიაში მიიღო კანონი **პ**-ის სახელმწიფოს ლიკვიდაციის შესახებ.

პუატიეს ბრძოლა 732, სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქებს – პუატიესა და ტურს შორის გამართულ ბრძოლაში, ფრანკთა ლაშქარმა (კარლოს მარტელი), რომლის მთავარ ძალას მძიმედ შეიარაღებული ცხენოსანი რაინდები წარმოადგენდნენ, დაამარცხა ესპანეთიდან შემოჭრილი არაბთა ჯარი (აბდ ალრაჰმანი). **პ.ბ**-მ შეაჩერა არაბთა წინსვლა დასავლეთ ევროპაში.

პუატიეს ბრძოლა 1356, *ასწლიანი ომის* დროს პუატიეს მახლობლად ერთმანეთს შეებნენ ინგლისელი უფლისწულის ედუარდ უელსელისა და საფრანგეთის მეფის იოანე II კეთილის ჯარები. გაიმარჯვეს ინგლისელებმა, რომლებმაც თავდაცვის დროს კარგად გამოიყენეს მშვილდოსნები, ხოლო შეტევის მომენტში უზრუნველყვეს ქვეითებისა და მხედრების თანამოქმედება.

პუნიკური ომები, ომები რომსა და *კართაგენს* შორის ხმელთაშუა ზღვის აუზში ბატონობისათვის. რომაელები კართაგენელებს უწოდებდნენ პუნებს, საიდანაც მოდის სიტყვა „პუნიკური“. 1. **პ.ო**. – ძვ.წ. 264–241 წლებში; 2. **პ.ო**. – ძვ.წ. 218–201 წლებში; 3. **პ.ო**. – ძვ.წ. 149–146 წლებში. უმნიშვნელოვანესი ბრძოლები: კონცხ მილესთან (260), ეგატესის კუნძულებთან (241) – რომაელთა საზღვაო გამარჯვებები; ტრაზიმენოს ტბასთან (217) და კანესთან (216) – კართაგენელთა გამარჯვებები, რომლებსაც *ჰანიბალი* სარდლობდა; ზამასთან (202) – რომაელთა გამარჯვება; რომაელთა მიერ კართაგენის გარემოცვა და აღება (149–146). **პ.ო**. დასრულდა რომაელთა გამარჯვებით. კართაგენის ტერიტორია გადაიქცა რომის პროვინციად.

პუტჩი (გერმანული – putsch), სახელმწიფო გადატრიალების ავანტიურისტული ცდა. შეთქმულთა ჯგუფის (მათ შორის სამხედრო შეთქმულების) გამოსვლა სახელმწიფო გადატრიალების და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. მასებში საყრდენის არარსებობის გამო შეთქმულები კომპენსირებას ახდენენ თავის მხარეზე სპეცსამსახურების, შეიარბული ძალების და სხვა სამხედრო ფორმირებების გადაბირებით.

ჟ

ჟანა დ'არკი (Jeanne d'Ark), ორლეანელი ქალწული (დაახლოებით 1412–31), საფრანგეთის ეროვნული გმირი. დაიბადა გლეხის ოჯახში. ასწლიანი ომის დროს სათავეში ჩაუდგა ფრანგი ხალხის ბრძოლას ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ, 1429 წელს ბლოკადისგან იხსნა ორლეანი. 1430 წელს ინგლისელებს ჩაუვარდა ხელში, რომლებმაც იგი ჯადოქრად გამოაცხადეს და საეკლესიო სასამართლოს გადასცეს. სასამართლო პროცესზე **ჟ.დ'ა**. მწვალებლად ცნეს და ქ. რუანში კოცონზე დაწვეს. 1456 წელს იგი რეაბილიტირებულ იქნა, ხოლო 1920 წელს კათოლიკურმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

ჟანდარმები (ფრანგული gens d'armes – იარაღის ხალხი), 1. მძიმე კავალერიის გვარეობა XIII–XVII საუკუნეების საფრანგეთში; 2. ჟანდარმერიის (სამხედრო წყობის პოლიცია, რომელიც ასრულებს დაცვით ფუნქციებს ქვეყანაში) პირადი შემადგენლობა.

ჟანდარმერია (ფრანგული gendarmerie – რაღაცის წინააღმდეგ გამოსვლა), 1. სამხედრო ორგანიზაციის მქონე პოლიცია, რომელიც ასრულებს დაცვით ფუნქციებს ქვეყნის შიგნით და არმიაში (საველე ჟანდარმერია ანუ სამხედრო პოლიცია). პირველად შეიქმნა 1791 წელს საფრანგეთში. 2. მთელი რიგი სახელმწიფოების (არგენტინის, საფრანგეთის, თურქეთის და სხვა) შეიარაღებული ძალების ნაწილი, რომელიც სამხედრო პოლიციის ფუნქციებს ასრულებს.

ჟენევის თათბირები 1955, 1. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და სსრ კავშირის მთავრობის მეთაურების თათბირი, მიმდინარეობდა 1955 წლის 27 ოქტომბრიდან 16 ნოემბრამდე. განიხილეს საკითხები: გერმანიის, ევროპის უსაფრთხოების, შეიარაღების შემცირების და ბირთვული იარაღის აკრძალვის, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონფლიქტების შესახებ. 2. ამ სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებმა განიხილეს იგივე საკითხები. თათბირი დამთავრდა ისე, რომ არ მიულიათ არავითარი გადაწყვეტილება.

ჟენევის კონვენციები 1949, მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებები ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ: 1. მოქმედ არმიებში დაჭრილების და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. ავალდებულებს კონვენციის მონაწილეებს, გამოიყვანონ ბრძოლის ველიდან და გაუწიონ დახმარება მოწინააღმდეგის დაჭრილებს და ავადმყოფებს, კრძალავს მათ ფიზიკურ დასახიჩრებას, მათზე სამედიცინო და სამეცნიერო ექსპერიმენტების ჩატარებას, მათთვის ქსოვილების ან ორგანოების ამოღებას გადასანერგად; 2.ზღვაზე გემის ჩაძირვის შედეგად შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან დაზარალებული პირების, დაჭრილების და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. განსაზღვრავს საზღვაო ომის დროს მოწინააღმდეგის დაჭრილებისა და ავადმყოფებისადმი მოპყრობის წესებს, რომლებიც პირველი კონვენციის ნორმების ანალოგიურია; 3. სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ. განსაზღვრავს ტყვეებისადმი მეომარი მხარეების მოპყრობის წესებს და პასუხისმგებლობას ამ წესების დაუცველობისთვის; 4. ომიანობის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ. მოითხოვს ჰუმანურ მოპყრობას ოკუპაციაში აღმოჩენილი პირების მიმართ, იცავს მათ უფლებებს, კრძალავს დაუცველი მშვიდობიანი დასახლებების განადგურებას, მათ ძარცვას, მძევლების აყვანას, მოსახლეობის იძულებას მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის.

ჟენევის ოქმი 1925, ომში მხუთავი, მომწამვლელი ან სხვა მსგავსი აირების და ბაქტერიოლოგიური საშუალებების გამოყენების აკრძალვის შესახებ. ძირითადი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც კრძალავს ქიმიურ, ბაქტერიოლოგიურ, ბიოლოგიურ და ტოქსიკურ იარაღს. ხელი მოაწერეს 1925 წელს 37 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა.

ჟენევის შეთანხმებები 1988, მიღებულ იქნა ავღანეთის ირგვლივ საბჭოთა სამხედრო ინტერვენციის შედეგად შექმნილი მდგომარეობის დასარეგულირებლად, ოთხი ურთიერთდაკავშირებული დიპლომატიური დოკუმენტის „პაკეტი". 1. ავღანეთისა და პაკისტანის შეთანხმება ორმხრივი ურთიერთობის პრინციპების შესახებ, და კერძოდ ჩაურევლობისა და ინტერვენციაზე უარის თქმის შესახებ (ხელი მოაწერეს ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა); 2. შეთანხმება იგივე ქვეყნებს შორის ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ; 3. ამერიკა-საბჭოთა კავშირის დეკლარაცია საერთაშორისო გარანტიების შესახებ (ხელი მოაწერეს აშშ-სა და სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელებმა); 4. შეთანხმება ავღანეთთან დაკავშირებული მდგომარეობის მოწესრიგებისთვის.

ჟენევის შეთანხმებები ინდოჩინეთის შესახებ 1954, მიღებულია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, სსრ კავშირის და ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე

(1954 წლის 26 აპრილი – 21 ივლისი) ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, კამბოჯის, ლაოსისა და სამხრეთ ვიეტნამის დელეგაციების მონაწილეობით. ამ შეთანხმებით უნდა დამთავრებულიყო რვაწლიანი ომი ინდოჩინეთში; ვიეტნამში განისაზღვრა მე-17 პარალელისაგან ოდნავ სამხრეთით დროებითი სადემარკაციო ხაზი და მისგან მეომარი მხარეების ჯარების გაყვანის ვადები; ლაოსიდან და კამბოჯიდან უნდა გასულიყვნენ საფრანგეთის ჯარები და ვიეტნამელი მოხალისეები, ხოლო პატეტ-ლაოს (გაერთიანება) წინააღმდეგობის შეიარაღებული ძალები გადადიოდნენ ლაოსის ჩრდილო-აღმოსავლეთით. იკრძალებოდა: სამხედრო ბაზების შექმნა ვიეტნამის, ლაოსისა და კამბოჯის ტერიტორიაზე, ხოლო ამ ქვეყნებს თავის, მხრივ, აეკრძალათ სამხედრო კავშირებში შესვლა.

ჟენევის შეთანხმებები ლაოსის შესახებ 1962, ხელი მოაწერეს აშშ-ის, ბირმის, დიდი ბრიტანეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდოეთის, კამბოჯის, ჩინეთის სრ-ის, ლაოსის, პოლონეთის, საფრანგეთის, სამხრეთ ვიეტნამის, სსრ კავშირის, ტაილანდის, ბირმის, კანადის და საიგონის მთავრობებმა საერთაშორისო თათბირზე (ჟენევა, 1961 წლის 16 მაისი – 1962 წლის 23 ივლისი). ითვალისწინებდნენ ლაოსში ერთიანი კოალიციური მთავრობის შექმნას, ლაოსის ერთიანობას, ტერიტორიულ მთლიანობას, ნეიტრალიტეტს და დამოუკიდებლობას, მის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო ბაზების და ჯარების დაუშვებლობას. ჩაიშალა ვიეტნამში საომარი მოქმედებების გაფართოებისა და მათი ლაოსის ტერიტორიაზე გადატანის შედეგად. ურთიერთკავშირის შესახებ ხელი მოაწერეს ავღანეთისა და პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრებმა. ხელმოწერები განამტკიცეს აშშ-ის და სსრკ-ის საგარეოპოლიტიკური უწყებების ხელმძღვანელებმა.

ჟიჟკა (Žižka) იან (დაახ. 1360–1424), ჩეხეთის ეროვნული გმირი, მხედართმთავარი, ჰუსიტური მოძრაობის მოღვაწე და სამხედრო ლიდერი. მონაწილეობდა 1410 წლის *გრიუნვალდის ბრძოლაში.* ხელმძღვანელობდა ჰუსიტების არმიას (იხ. *ჰუსიტური ომები*). 1420–22 წლებში მოიგერია ფეოდალურ-კათოლიკური ძალების სამი ჯვაროსნული ლაშქრობა. ბრძოლაში ფართოდ იყენებდა *ვაგენბურგის* სისტემას.

ჟომინი (Jomini) ანტუან ანრი (1779–1869), სამხედრო თეორეტიკოსი და ისტორიკოსი, რუსეთის არმიის ინფანტერიის გენერალი (1826). დაიბადა შვეიცარიაში. 1798 წლიდან იყო შვეიცარიის, 1804–13 წლებში საფრანგეთის, ხოლო 1813 წლიდან რუსეთის სამხედრო სამსახურში. იმპერატორ ალექსანდრე I-ის შტაბისა და ამალის წევრი. სამხედრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებელი (1832). ჟ-მ თავის ნაშრომებში განაზოგადა ნაპოლეონის მხედართმთავრული ხელოვნება, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხედრო-ისტორიული კვლევის მეთოდიკის შემუშავებაში და სხვა. მისი თეორიული დებულებები დიდ გავლენას ახდენდნენ სამხედრო აზროვნებაზე XX საუკუნის დასაწყისამდე.

ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე (1868–1953), სოციალ-დემოკრატი, ქართველი მენშევიკების ერთ-ერთი ლიდერი, პუბლიცისტი. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია. „მესამე დასის“ დამფუძნებელი წევრი. 1918–21 წლებში იყო მენშევიკური საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე. 1921 წლის მარტიდან ჟ. და მისი მთავრობის წევრები ემიგრაციაში წავიდნენ. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია ლევილის სასფლაოზე.

ჟუკოვი გიორგი კონსტანტინეს ძე (1896–1976), საბჭოთა სამხედრო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის მარშალი (1943). მონაწილეობდა *პირველ მსოფლიო ომში. წითელ არმიაში* შევიდა 1918 წელს. 1939 წელს ხელმძღვანელობდა იაპონიის ჯარების დამარცხებას მდინარე ხალხინ-გოლთან (მონღოლეთი). 1941 წლის იანვარ-ივლისში იყო გენშტაბის უფროსი, სსრ კავშირის თავდაცვის სახკომის მოადგილე. *გერმანია-სსრ კავშირის ომის (1941–45)* დროს სარდლობდა სარეზერვო, ლენინგრადის, დასავლეთის, I უკრაინულ და I ბელორუსულ ფრონტებს. 1942 წლის აგვისტოდან ომის ბოლომდე იყო უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე. ომის შემდეგ საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა შეიარაღებულ ძალებში. 1955 წლის თებერვალი – 1957 წლის ოქტომბერში – სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი. საბჭოთა სახელმწიფოს იმდროინდელ მეთაურთან, ნ. ხრუშჩოვთან, უთანხმოების გამო 1958 წლის მარტში ჟ. ყველა თანამდებობიდან მოხსნეს და თადარიგში გაუშვეს.

რ

დარი (ინგლისური radar – რადიოაღმოჩენა და მანძილის გაზომვა), პოპულარულ ლიტერატურაში გამოყენებული რადიოლოკაციური სადგურის დასახელება.

რადიაციის დოზა, იხ. *მაიონიზებელი გამოსხივების დოზა.*

რადიაციის დოზის ნორმა, რადიაციის დოზა, რომელიც აბსორბირებულია დროის გარკვეულ მონაკვეთში.

რადიაციული და ქიმიური დაზვერვის მანქანა, ჩვეულებრივ, ჯავშნიანი, მუხლუხა ან ბორბლებიანი მაღალი გამავლობის მანქანა, რომელიც აღჭურვილია ხელსაწყოებით და მოწყობილობებით რადიაციული, ქიმიური და არასპეციფიკური ბიოლოგიური დაზვერვისთვის. გარდა ამისა, აქვს 1–2 ტყვიამფრქვევი, რადიოსადგური, ნავიგაციური აპარატურა, მეტეოკომპლექტი, შეტყობინების სასიგნალო საშუალებები, დაცვის ინდივიდუალური და კოლექტიური საშუალებები და სხვა.

რადიაციული დაზვერვა, ადგილმდებარეობის, აკვატორიის, საჰაერო სივრცის, სამხედრო ტექნიკის, სხვა მატერიალური საშუალებების და ობიექტების რადიოაქტიური დასნებოვნების (დაბინძურების) ხარისხის და მასშტაბების შესახებ მონაცემების მოპოვება, შესწავლა და ანალიზი. ამოცანები: დასნებოვნების ფაქტის დადგენა; დასნებოვნებული რაიონების საზღვრების, დასნებოვნების ხარისხის, დასნებოვნებული პირადი შემადგენლობის, სამხედრო ტექნიკის და მატერიალური საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა. **რ.დ.** ხორციელდება რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების სადაზვერვო ქვედანაყოფებით, ვერტმფრენების (თვითმფრინავების) ეკიპაჟებით, უპილოტო საფრენი აპარატებით, აგრეთვე ჯარების ყველა გვარეობის და სპეციალური ჯარების სპეციალურად მომზადებული ათეულებით, გათვლებით (ეკიპაჟებით), დოზიმეტრიული ხელსაწყოების და რადიაციული კონტროლის ხელსაწყოების გამოყენებით.

რადიაციული ვითარება, რადიაციული ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც წარმოიშობა მოწინააღმდეგის მიერ ბირთვული იარაღის გამოყენების შედეგად, ბირთვული ობიექტების ექსპლუატაციის და ამ ობიექტებზე ავარიებისა და ნგრევის დროს. ხასიათდება მასშტაბებით (სივრცული და დროებრივი), რადიაციის დოზური დატვირთვითა და ადგილმდებარეობის, აკვატორიის, საჰაერო გარემოსა და ობიექტების ზედაპირის რადიაქტიული დასნებოვნების ხარისხით.

რადიაციული კონტროლი, პირადი შემადგენლობის რადიოაქტიური დასხივების დადასნებოვნების, იარაღის, ტექნიკის და სხვა მატერიალური საშუალებების დასნებოვნების ხარისხის განსაზღვრა. დასხივების კონტროლი არის საჯარისო და ინდივიდუალური. საჯარისო ხორციელდება ქვედანაყოფებში დოზის პირდაპირმაჩვენებელი საზომით, რომელსაც სამხედრო მოსამსახურეებს ურიგებენ. აღრიცხვა წარმოებს ქვედანაყოფებში და შტაბებში. ინდივიდუალური კონტროლისთვის ყოველ სამხედრო მოსამსახურეზე გაიცემა დოზების საზომი.

რადიაციული უსაფრთხოება, პირობები, რომლებშიც პირადი შემადგენლობის, მოსახლეობის და გარემოს მაიონიზებელი დასხივება და რადიაციული დასნებოვნება დადგენილი დოზის ზღვარს და დასაშვებ დონეს არ აღემატება. უზრუნველყოფენ დონისძიებების კომპლექსით, რომელიც მიმართულია რადიაციული უსაფრთხოების რეჟიმის დაწესებისა და შენარჩუნებისკენ, მაიონიზებელი გამოსხივების წყაროებზე მდგომარეობით კონტროლისა და რადიაციული ვითარების გაუარესების შემთხვევაში მისი ნორმალიზებისკენ.

რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაზვერვის ხელსაწყოები, არის: რადიაციული დაზვერვის – ადგილმდებარეობის რადიაციული დასნებოვნების (დოზის სიმძლავრის გამზომი) აღმოჩენისთვის; დასხივების კონტროლის – პირადი შემადგენლობის მიერ გამა და გამა-ნეიტრონული გამოსხივების შთანთქმული დოზის სიდიდის გაზომვისთვის; რადიოაქტიური დასნებოვნების კონტროლისთვის – წყლის, სურსათის, ფურაჟის სინჯის კუთრი ალფა და ბეტა-აქტიურობის, აგრეთვე სხვადასხვა ზედაპირებიდან (რადიომეტრი) გარე ბეტა-სხივების გასაზომად; ქიმიური დაზვერვის – ჰაერში, ადგილმდებარეობასა და სამხედრო ტექნიკაზე მომწამლავი ნივთიერებების აღმოჩენისთვის და ჰაერის უწყვეტი კონტროლისთვის; ბიოლოგიური დაზვერვის – ბიოლოგიური საშუალებების აღმოჩენის მიზნით ჰაერის უწყვეტი კონტროლისთვის.

რადიოამფეთქი, უკონტაქტო ამფეთქი, რომელშიც ჭურვის ასაფეთქებლად მიზნის მიერ გამოსხივებული ან არეკლილი რადიოტალღები გამოიყენება. მასში ერთ ბლოკადაა გაერთიანებული მინიატიურული რადიოგადამცემი და რადიომიმღები.

რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური დასნებოვნების რეგიონული საკოორდინაციო ცენტრი, დაკვირვების ზონაში ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური დაბინძურების (დასნებოვნების) ყველა ცენტრის საქმიანობის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ორგანო. რეგიონული ცენტრი პასუხისმგებელია მოხსენებების საბოლოო შერჩევასა და შეჯერებაზე, იმ ინფორმაციის გამოვლენაზე, დაზუსტებაზე, განზოგადებასა და შეფასებაზე, რომელიც შეიცავს მონაცემებს ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური გამოფრქვევის შესახებ, რაც ამ რეგიონში განახორციელა მოწინააღმდეგემ ან მოხდა გაურკვეველი მიზეზებით. გარდა ამისა, ასეთი ორგანო პასუხს აგებს ეროვნულ სამხედრო ორგანოებთან და სამოქალაქო ხელისუფლებასთან ინფორმაციის გაცვლაზე. იგი ასევე პასუხისმგებელია საკუთარ და მეზობელ ზონებში ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური ვითარების ტაქტიკურ შეფასებაზე.

რადიოაქტიური, ბიოლოგიური და ქიმიური დასნებოვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ცენტრი, ცენტრი, რომელიც პასუხს აგებს ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური თავდასხმის და სხვა ხასიათის თავდასხმის ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური გამოფრქვევის შესახებ მოხსენებების მიღებაზე, დამუშავებასა და შეფასებაზე. გარდა ამისა, ასეთი ცენტრი პასუხისმგებელია შესაბამისი შეტყობინების მომზადება-გადაცემაზე, მ.შ. ინფორმაციის გაცვლაზე.

რადიოაქტიური დასნებოვნება, დამაზიანებელი ფაქტორი, რომელიც ბირთვული აფეთქების, რადიოლოგიური იარაღის გამოყენების, რადიაციულად საშიში ობიექტების (ატომური ელექტროსადგურები და სხვა) ნგრევის ან ამ ობიექტებზე ავარიების შედეგად წარმოიქმნება. ყველაზე საშიში **რ.დ**. წარმოიქმნება მიწისქვეშა, მიწისზედა, წყალქვეშა და წყალზედა ბირთვული აფეთქებების დროს. მისი ზონები ვლინდება პროგნოზირებით ან რადიაციული დაზვერვით.

რადიოაქტიური დასხივება, რადიაციული დასხივება, მაიონიზებელი გამოსხივების ზემოქმედება სხვადასხვა ობიექტზე. განასხვავებენ **რ.დ**-ის ბუნებრივ (კოსმოსური რადიაცია, ბუნებრივი რადიონუკლიდები) და ტექნოგენურ (ხელოვნური და ადამიანის მიერ სპეციალურად კონცენტრირებული ბუნებრივი რადიონუკლიდები და სხვა) წყაროებს. **რ.დ**-ის ძირითადი მიზეზია ბირთვული აფეთქებები და ბირთვული კომპონენტების შემცველი ობიექტების ავარიები. ორგანიზმის **რ.დ**. შეიძლება იყოს გარე (ბირთვული აფეთქების დროს გამჭოლი რადიაციის ან რადიოაქტური დასნებოვნების ადგილზე ყოფნისას გამა-გამოსხივების ზემოქმედება) და შიდა (რადიოაქტიური პროდუქტების მოხვედრა ორგანიზმის შიგნით სასუნთქი ორგანოების, კუჭ-ნაწლავის, ჭრილობების გზით). **რ.დ**-ის დამაზიანებელი მოქმედება გამოწვეულია გამა, ბეტა, ალფა გამოსხივების და ნეიტრონების ცოცხალი ქსოვილების მოლეკულების იონიზების უნარით, რის შედეგადაც სხივური დაავადება წარმოიქმნება. სამხედრო ტექნიკის **რ.დ**-ის დროს ხდება რადიოელექტრონული აპარატების ელექტროპარამეტრების ცვლილებები, ოპტიკის დამუქება და სხვა.

რადიოაქტიური ნივთიერებები, ნივთიერებები, რომლებიც ბუნებრივ ან ხელოვნურ რადიოაქტიურ იზოტოპებს შეიცავენ. დიდი რაოდენობით წარმოიქმნება ბირთვული აფეთქების და ბირთვული რეაქტორების მუშაობის დროს. **რ.ნ**. გარემოში რადიოაქტიური ნალექის სახით მოხვედრისას იწვევენ ადგილმდებარეობის (აკვატორიის) და ატმოსფეროს რადიოაქტიურ დასნებოვნებას, რაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათოა.

რადიოგადაჭერა, რადიოდაზვერვის ხერხი, რადიოგამოსხივების აღმოჩენა, მიღება და რეგისტრაცია ინფორმაციის შინაარსის ან მოწინააღმდეგის დაჯგუფების (ობიექტების) მომუშავე რადიოსადგურების მიხედვით, შემდგომი გამოაშკარავების მიზნით.

რადიოდაზვერვა, კავშირგაბმულობის და რადიოტექნიკური დაზვერვის საშუალებებით წარმოებული დაზვერვის აღმნიშვნელი ტერმინი. გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებლობას არ წარმოადგენს დაზვერვის ამ ორი სახეობის გაყოფის ან მათი შერწყმის ხაზგასმა.

რადიოელექტრონული აღმოჩენისაგან დამცავი საშუალებები, ტექნიკური საშუალებები და მასალები, რომლებიც ამცირებენ მოწინააღმდეგის დაზვერვის რადიოლოკაციური, ოპტიკურ-ელექტრონული, აკუსტიკური და იარაღის მართვის საშუალებების ეფექტიანობას. შეიძლება იყოს პასიური და აქტიური. პასიურ დამცავ საშუალებებს განეკუთვნება: რადიოშთანმთქმელი და ჰიდროლოკაციურსაწინააღმდეგო დაფარვები და მასალები; კუთხოვან-ლინზური რადიო-ოპტიკური ამრეკლები; გადამსხივებელი ანტენური ცხაურები; ელექტრომაგნიტური ენერგიის განმბნევი ზედაპირები; დიპოლური ამრეკლები; აეროზოლური წარმონაქმნები; თბოსაიზოლაციო მასალები, ეკრანები და სხვა. აქტიურ დამცავ საშუალებებს განეკუთვნება: დაბრკოლებების სადგურები და გადამწოდები; ინფრაწითელი გამოსხივების გენერატორები და ლაზერები; ცრუშუქსამიზნეები; იმპულსური ელვანათურები; გამოსხივებისა და სიგნალების იმიტატორები და სხვა. დამცავი საშუალებები ფართოდ გამოიყენება როგორც სტაციონარულ პირობებში, ისე მოძრავ ობიექტებზე (თვითმფრინავებში, ხომალდებზე, რაკეტებზე, საბრძოლო მანქანებში და სხვა).

რადიოელექტრონული ბრძოლა, 1. მიზნების, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით ურთიერთდაკავშირებული ღონისძიებების და ჯარების (ძალების) მოქმედებების ერთობლიობა, რომლის მიზანია მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული საშუალებების და სისტემების აღმოჩენა, მათი ყველა სახის იარაღით განადგურება ან ხელში ჩაგდება (მწყობრიდან გამოყვანა) და რადიოელექტრონული ჩახშობა, ასევე საკუთარი რადიოელექტრონული სისტემების დაცვა; ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა. **რ.ბ.** ხორციელდება მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) მართვის დეზორგანიზაციის, დაზვერვის წარმოების, იარაღის და საბრძოლო ტექნიკის გამოყენების ეფექტურობის შემცირების მიზნით: გარდა ამისა, მისი მიზანია საკუთარი ჯარების და იარაღის მართვის სისტემებისა და საშუალებების მუშაობის მდგრადობის უზრუნველყოფა. 2. ელექტრომაგნიტური რყევების სპექტრის გამოყენების მიზნით ჯარების მიერ განხორციელებული მოქმედებები. მოიცავს ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროს, ელექტრომაგნიტური ენერგიის, მ.შ. მიმართული ენერგიის გამოყენებას, ძებნას, დაჭერას და ამოცნობას. მისი მიზანია მოწინააღმდეგის მიერ ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის გამოყენების თავიდან აცილება და საკუთარი ჯარების მიერ მისი ეფექტური გამოყენების უზრუნველყოფა.

რადიოელექტრონული დაბრკოლებებით ზემოქმედება, ელექტრომაგნიტური ენერგიის წინასწარგანზრახული გამოსხივება, გადამეტებული გამოსხივება ან არეკვლა მოწინააღმდეგის ელექტრონული მოწყობილობების, ტექნიკის ან სისტემათა ეფექტურობის შემცირების მიზნით.

რადიოელექტრონული დაბრკოლებების შექმნის ზონა (ჩახშობის ზონა), სივრცე ან ადგილმდებარეობა, რაიონი, რომლის ფარგლებშიც დაბრკოლებების სადგურები საიმედოდ ახორციელებენ მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული საშუალებებისა თუ სისტემების ფუნქცირების დეზორგანიზაციას. ზონის სიდიდე და ფორმები დამოკიდებულია გადამცემი მოწყობილობისა და ჩასახშობი სისტემის (საშუალების) გამოსხივების სიმძლავრეზე (საშუალებების), მათ შორის არსებულ მანძილზე, მათი ანტენების სისტემების გაძლიერების და ჩახშობის კოეფიციენტზე.

რადიოელექტრონული დაზვერვის მონაცემები, არასანქცირებული მიმღების ან მომხმარებლის მიერ არასაინფორმაციო არხებით გადაცემული ელექტრომაგნიტური სიგნალების ათვლისას მიღებული სადაზვერვო მონაცემები.

რადიოელექტრონული დაცვა, მოწინააღმდეგის მიერ რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოების პირობებში რადიოელექტრონული საშუალებების და სისტემების მდგრადი მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებების კომპლექსი; რადიოელექტრონული ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს დაცვას მოწინააღმდეგის თვითდამიზნებადი იარაღით რადიოელექტრონული დაზიანებისგან, ასევე – საკუთარი რადიოელექტრონული საშუალებების ელექტრომაგნიტური თავსებადობის უზრუნველყოფას. მიზანს აღწევს რიგი ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების გატარებით, ასევე რადიოელექტრონული საშუალებების გათვლების (ეკიპაჟების) სპეციალური მომზადების მაღალი დონით.

რადიოელექტრონული დაცვის ზომები, მოწინააღმდეგის მიერ ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოყენების პირობებში ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის ეფექტური გამოყენების ღონისძიებები. რადიოელექტრონული ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. განასხვავებენ **რ.დ.ზ**-ის ორ სახეობას: აქტიურს და პასიურს.

რადიოელექტრონული საშუალებების დაბრკოლების სადგური, კავშირგაბმულობის საშუალებების ლოკაციის, ნავიგაციის, იარაღის მართვის და სხვა საშუალებებისთვის აქტიური დაბრკოლების შემქმნელი მოწყობილობა. შეიძლება იყოს: შემნიღბავი და საიმიტაციო (მადეზინფორმირებელი). მოიცავს დაზვერვის დაბრკოლების შექმნის და გამოსხივების საშუალებებს. ცნობილია, ერთჯერადი გამოყენების ნიმუშები.

რადიოელექტრონული საშუალებების დაზვერვა, რადიოელექტრონული ბრძოლის ნაწილი, როდესაც მეთაურის პირდაპირი კონტროლით წინასწარგანზრახული ან განუზრახველი ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოსხივების წყაროს ადგილმდებარეობის განსაზღვრა და მყისიერი აღმოჩენა ხორციელდება.

რადიოელექტრონული შენიღბვა, შენიღბვის სახეობა. ორგანიზაციული და ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული დაზვერვის ეფექტიანობის შესამცირებლად. **რ.შ.** არის აკუსტიკური (ჰიდროაკუსტიკური, ბგერითი), მაგნიტომეტრული, ოპტიკურ-ელექტრონული, რადიოლოკაციური და რადიოშენიღბვადი, სითბურ და თერმოვიზუალური. **რ.შ**. წარმოებს აქტიური რადიოელექტრონული საშუალებების ენერგეტიკული და დროებითი ფარულობის ამაღლებით; სამხედრო ობიექტების და ტექნიკის ფიზიკური ველების ღონის შემცირებით. ასევე ადგილმდებარეობის რელიეფის, ბუნებრივი პირობების და ამინდის, ხელოვნური ნისლის, წვიმების, აეროზოლების ნიღბების და სატაბელო სანიღბავი კომპლექტების გამოყენებით. **რ.შ**. ხდება სითბური და რადიოსითბური დაზვერვის ხელსაწყოების „დაბრმავებით“; მოწინააღმდეგის რადიოელექ-

ტრონული დაზვერვის საშუალებების მართვის ხაზებისათვის აქტიური და პასიური დაბრკოლებების შექმნით; რადიოფარდის მეთოდების გამოყენებით.

რადიოელექტრონული შეტევა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც რადიოელექტრონული შეტევის დროს ხორციელდება. მას განეკუთვნება: 1. მოქმედებები, რომლებისც მიმართულია მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული სპექტრის ეფექტურობის შესამცირებლად ან მისი მოქმედებების თავიდან ასაცილებლად (ჩახშობა, აქტიური რადიოშეფერხებები, რადიოელექტრონული საშუალებების დეზორიენტაცია). 2. ისეთი იარაღის გამოყენება, რომელშიც რადიოელექტრონული ან მართვადი ენერგია არის განადგურების უპირველესი მექანიზმი (ლაზერები, მაღალი სიხშირის იარაღი).

რადიოელექტრონული ჩახშობა, მოქმედება, რომლის მიზანია ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოყენებით მოწინააღმდეგის ელექტრომაგნიტური გამოსხივების სპექტრის ეფექტურობის შემცირება; რადიოელექტრონული ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. არსებობს **რ.ჩ**-ის სამი სახე: რადიოელექტრონული დაბრკოლებების ზემოქმედება, მოწინააღმდეგის რადიოელქტრონული საშუალებების დეზორიენტაცია და ნაიტრალიზაცია.

რადიოლოგიური დაზიანება, იხ. *დაზიანება.*

რადიოლოკაციის საწინააღმდეგო რაკეტა, რაკეტა, რომელსაც უმიზნებენ რადიოლოკაციური გამოსხივების წყაროს (რადიოლოკაციური სადგურის ანტენების სისტემის ძირითადი ან ფონური გამოსხივების მიხედვით). იყენებენ რადიოლოკაციური სადგურების დასაზიანებლად.

რადიოლოკაციის საწინააღმდეგო საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

რადიოლოკაციური აღმოჩენის ზონა, სივრცე, რომლის ფარგლებშიც რადიოლოკაციური საშუალებები (მოწყობილობანი) აღმოაჩენენ მიზანს (ობიექტს). **რ.ა.ზ.** ხასიათდება მოცემულ სიმაღლეზე ქვედა და ზედა საზღვრების სიმაღლით.

რადიოლოკაციური აღმოჩენის ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, აკვატორიაზე, საჰაერო ან კოსმოსურ სივრცეში, რომელზეც მოწინააღმდეგის მიზნების (ობიექტების) გასვლისას მათ რადიოლოკაციური სადგური გათვალისწინებული ალბათობით აღმოაჩენს. ზღუდის დაშორება დამოკიდებულია რადიოლოკაციური სადგურის ტიპზე, სამიზნის ხასიათსა და აღმოჩენის პირობებზე.

რადიოლოკაციური დაბრკოლება, რადიოლოკაციის საწინააღმდეგო დაბრკოლება; განზრახ მოწყობილი დაბრკოლება, რომელიც აძნელებს ან არღვევს რადიოლოკაციური საშუალებების (რადიოლოკაციური სადგურების, მართვადი რაკეტების, ან ავიაბომბების თვითდაზიანების მოწყობილობები, რადიოამფეთქები და ა.შ.) ნორმალურ მუშაობას. განასხვავებენ აქტიურ და პასიურ **რ.დ**-ს. აქტიურ დაბრკოლებებს ქმნიან სპეციალურ მიმღებ-გადამცემი ან გადამცემი რადიომოწყობილობით – რადიოდაბრკოლების სადგურებით, ან გადამცემებით, პასიურს – რადიოტალღების სხვადასხვა ხელოვნური ამრეკლავებით.

რადიოლოკაციური მიზანჩვენების ზონა, სივრცე, რომლის ფარგლებშიც საჰაერო მიზნის კოორდინატებისა და პარამეტრების ამსახველი რადიოლოკაციური ინფორმაცია გადმოიცემა ისეთი სიზუსტით და პერიოდულობით, რომ უზრუნველყოფს მის აღმოჩენას და საცეცხლე საშუალებების გამოყენებით ცეცხლდაშენას.

რადიოლოკაციური სადგური, რადიოლოკატორი, რადარი, მოწყობილობა სხვადასხვა ობიექტების (მიზნების) რადიოლოკაციის მეთოდებით აღმოსაჩენად და კოორდინატების განსასაზღვრავად. **რ.ს**-ის ყველაზე დამახასიათებელი ძირითადი ელემენტებია: ანტენების სისტემა, რადიოგადამცემი და რადიომიმღები მოწყობილობები, გამომავალი მოწყობილობები (ინდიკატორები, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და სხვა), დაბრკოლებისაგან დამცავი აპარატურა, ელექტროკვების წყაროები. სამხედრო დანიშნულების **რ.ს**-ები იყოფა: მიზნების აღმოჩენის, იარაღის მართვის, საფრენი აპარატების ფრენის უზრუნველყოფის, მეტეოროლოგიური და სანავიგაციო უზრუნველყოფის სადგურებად და სხვა; არის: მეტრული, დეციმეტრული, სანტიმეტრული, მილიმეტრული და სხვა დიაპაზონებისა; იმპულსური და უწყვეტი გამოსხივებისა; სახმელეთო, საავიაციო, სახომალდო და კოსმოსური. სახმელეთო **რ.ს**-ები არის მოძრავი და სტაციონარული; ჰორიზონტსზედა და ჰორიზონტსმიღმა. ყველაზე ფართოდ არის გავრცელებული სადგურები: რაკეტების გამიზვნის; სახმელეთო-საარტილერიო დაზვერვის; აღმოჩენის, გამიზვნის და მიზანჩვენების; ქვემეხების გამიზვნის; მსროლელი არტილერიის დაზვერვის; სარაკეტო თავდასხმის შესახებ გაფრთხილების და სხვა. საავიაციო **რ.ს**-ები მეტწილად მრავალფუნქციურია. მათ ძირითად ტიპებს განეკუთვნება დაჭერის სადგურები და დედამიწის ზედაპირის ხედვის პანორამული **რ.ს**-ები. სახომალდო **რ.ს**-ები ერთობ მრავალფეროვანია (თანამედროვე ხომალდებზე არის დაახლოებით 30 სხვადასხვაგვარი **რ.ს.**) მათი მეშვეობით განისაზღვრება საკუთარი ხომალდისა და მოწინააღმდეგის ხომალდის ადგილსამყოფელი, აგრეთვე წყდება სახმელეთო **რ.ს**-ისთვის დამახასიათებელი ყველა ამოცანა. კოსმოსური **რ.ს**-ები გამოიყენება დედამიწისა და სხვა პლანეტების კვლევის, კოსმოსური აპარატების ფრენისა და დაშვების უზრუნველყოფისათვის. მათი გამოყე-

ნება შეიძლება აგრეთვე საჰაერო და კოსმოს-საწინააღმდეგო თავდაცვაში. **რ.ს**-ები გაჩნდა XX საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევარში.

რადიოლოკაციური უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც ახორციელებენ რადიოტექნიკური ჯარები საჰაერო ვითარების შესახებ არსებული, საჭირო ინფორმაციის დროული გაცემის მიზნით; საზენიტო-სარაკეტო ჯარებისა და ავიაციის ნაწილების (ქვედანაყოფების) უწყვეტი მართვის უზრუნველსაყოფად. რადიოტექნიკური უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს: რადიოლოკაციურ დაზვერვას, ჯარების მართვის **რ.უ**-ს, საზენიტო-სარაკეტო ჯარებისა და ავიაციის საბრძოლო მოქმედების **რ.უ**-ს. ახორციელებენ რა საჰაერო სივრცის (ან ბრძოლის ველის) უწყვეტ რადიოლოკაციურ თვალთვალს, **რ.უ**-ის საშუალებები სამეთაურო პუნქტებს აწვდიან ინფორმაციას მოწინააღმდეგის შესახებ ისეთი სიზუსტით, რომელიც აუცილებელია საზენიტო-საარტილერიო და საზენიტო-სარაკეტო ქვედანაყოფებისათვის მიზანჩვენების და საჰაერო (სახმელეთო) მიზნებზე საკუთარი ავიაციის გამიზვნის უზრუნველსაყოფად. XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს ტერმინი „რადიოლოკაციური უზრუნველყოფა“ ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტში შეიცვალა ცნებით „სადაზვერვო და საბრძოლო ინფორმაციის მიწოდება“.

რადიოსიჩუმე, რადიოსადგურების მუშაობის აკრძალვა გადაცემაზე. მისი მიზანია მოწინააღმდეგის რადიოდაზვერვისგან საკუთარი ჯარების ადგილმდებარეობის და მოქმედებების დაფარვა. **რ**-ის დროს დასაშვებია ცალკეული რადიოგადაცემები დაზვერვასთან და ავიაციასთან. ასევე, კავშირი საჰაერო თავდაცვის, შეტყობინების სისტემებთან და მარშზე საკომენდანტო სამსახურთან.

რადიოტექნიკური დაზვერვის სადგური, რადიოგამოსხივების მიღების და ანალიზის გზით მოწინააღმდეგის დაზვერვის რადიოტექნიკური საშუალებების ტიპის, დანიშნულების, პარამეტრების და ადგილმდებარეობის შესახებ მონაცემების მიღების საშუალება. გამოიყენება რადიოწინააღმდეგობის საშუალებების მართვისთვის და მოწინააღმდეგის მიერ აღმოჩენილი საშუალებების საცეცხლე განადგურებისთვის საწყისი მონაცემების გაცემის მიზნით.

რადიოტექნიკური შენიღბვა, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის რადიოტექნიკური დაზვერვის ეფექტიანობის შესამცირებლად; **რ.შ**-ას აღწევენ რადიოტექნიკური საშუალებების მუშაობის შეზღუდვით, ცრუ რადიოტექნიკური ვითარების შექმნით და სხვა ღონისძიებებით.

რადიოფიქსირება, 1. რადიოგადამცემის მდგომარეობა, რომელიც დადგენილია ურთიერთგადაკვეთის წერტილში ორი ან მეტი მიმართულების სადგურის მეშვეობით. 2. ხომალდის ან თვითმფრინავის ადგილმდებარეობის დადგენა იმ სიგნალების მიხედვით, რომელსაც მათ ორი, ან მეტი სადგური უგზავნის, რომელთა განლაგება ცნობილია.

რადიოშენიღბვა, ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის რადიოდაზვერვის ეფექტიანობის შესამცირებლად; რადიოელექტრონული შენიღბვის შემადგენელი ნაწილი. **რ**-ის მისაღწევად მიმართავენ საკუთარი რადიოსადგურების გამოსხივების, მათი გადაცემაზე მუშაობის დროის შეზღუდვას, გამოსხივების სიმძლავრის შემცირებას, იყენებენ მიმართულ ანტენებს, სწრაფი მოქმედების აპარატურას, ქმნიან ცრურადიოქსელებს და რადიომიმართულებებს, ახორციელებენ სხვა ღონისძიებებს.

რადიოჩახშობა, აქტიური და პასიური დაბრკოლებების შექმნით მოწინააღმდეგის ჯარების მართვის სისტემაში რადიოკავშირის მუშაობის ჩაშლის ღონისძიების კომპლექსი; რადიოელექტრონული ჩახშობის შემადგენელი ნაწილი.

რაველინი (ფრანგული – ravelin), ცალკე მდგომი, შეკრული, სამკუთხა ფორმის საფორტიფიკაციო ნაგებობა ციხესიმაგრის თხრილის წინ, ბასტიონებს შორის. იყენებდნენ XVI საუკუნიდან XX საუკუნემდე საცეცხლე საშუალებების განსათავსებლად, რომლებსაც უნდა დაეცვათ ციხესიმაგრის გალავანი მოწინააღმდეგის შეტევებისგან.

რაზმი (სამხედრო), 1. საშტატო ან არასაშტატო (დროებითი) სამხედრო ფორმირება, რომელიც იქმნება საბრძოლო ან სპეციალური ამოცანის შესასრულებლად. შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო ვითარების დროს შეიძლება შეიქმნას სადაზვერვო, შემომვლელი, მეწინავე, ნაკრები, საგუშაგო, მოიერიშე **რ**-ები, აგრეთვე გადამღობი, განღობვის, მოძრაობის უზრუნველყოფის და სხვა **რ**-ები. სამხედრო-საზღვაო ძალებში იქმნება სხვადასხვა შემადგენლობისა და დანიშნულების ხომალდების **რ**-ები: სადესანტო დაფარვის, საცეცხლე მხარდაჭერისა და სხვა. არსებობს ცალკეული სამხედრო ნაწილების ან მათი სტრუქტურული ქვედანაყოფების სახით: საავიაციო, საერტმფრენო, სამხედრო-სამშენებლო, სასწავლო-სამედიცინო **რ**-ები; სასაზღვრო ჯარებში – სასაზღვრო **რ**., შინაგან საქმეთა სამინისტროებში – განსაკუთრებული დანიშნულების პოლიციის რაზმი.

რაინდი, 1. ფეოდალიზმის ხანაში – სამხედრო-თავადაზნაურული წოდება; 2. გადატანითი მნიშვნელობით – უაღრესად პატიოსანი, კეთილშობილი ადამიანი. 3. უშიშარი, გმირი

მებრძოლი. ფეოდალური ხანის დასავლეთ ევროპაში სამხედრო-თავადაზნაურული ფენის წარმომადგენელი. ფართო გაგებით, **რ.** ეწოდებოდა თავადაზნაურული წოდების ყველა საერო ფეოდალს, ვიწრო გაგებით – მხოლოდ წვრილ ფეოდალ-მეომარს. ძველ საქართველოში ანალოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ტერმინებს – „მოყმე“, „ჭაბუკი“. VIII საუკუნიდან XV საუკუნემდე მძიმედშეიარაღებული ცხენოსანი **რ**-ების რაზმები დასავლეთ ევროპის ჯარების ბირთვს წარმოადგენდნენ. XV–XVI საუკუნეებში მუდმივი არმიების გაჩენისა და ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელებასთან დაკავშირებით **რ**-ების სამხედრო მნიშვნელობა შემცირდა. **რ**-ები, როგორც სოციალური კატეგორია, აზნაურებად გარდაიქმნენ, რომელთაგან შედგებოდა მუდმივი არმიების ოფიცერთა კორპუსი.

რაიონი (ფრანგული rayon – სიტყვასიტყვით სხივი, რადიუსი), 1. ტერიტორიის, წყლის, საჰაერო და კოსმოსური სივრცის ნაწილი. ადგილი ან ადგილმდებარეობის (ზღვის) მონაკვეთი, რომლის ფარგლებში შეიარაღებული ჯარების (ძალების) სახეობების და გვარეობების, სპეციალური ჯარების სხვადასხვა ფორმირებების (ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების, და ა.შ.), აგრეთვე სახელმწიფოს სხვა ძალისმიერი სტრუქტურების ფორმირებების ნებისმიერი მოქმედება ხდება. **რ.** ინიშნება ყველა სახეობის საბრძოლო მოქმედების და ჯარების (ძალების) ნებისმიერი სხვა საქმიანობის დროს და განისაზღვრება ზემდგომი მეთაურის (სარდლის, უფროსის) მიერ, გადააქვთ რუკაზე და აცნობენ ხელქვეითებს. სამხედრო-საზღვაო ძალებში, გარდა ამისა, განისაზღვრება: ფლოტის ძალების გაშლის **რ.**, სანაპიროს მონაკვეთი მიმდებარე ზღვის ტერიტორიით, სადაც განსაზღვრულია ხომალდების დაშორიშორებული დგომის, მომარაგების, გემების რემონტისა და სხვა პუნქტები (ადგილები) ძალების სრულ საბრძოლო მზადყოფნაში გადაყვანისა და საომარი მოქმედებების წარმოების დროს. საცეცხლე პოზიციების **რ**-ები, საცეცხლე პოზიცია არის ზღვის (ოკეანის) მონაკვეთი, რომელიც დაკავებულია ან მომზადებულია წყალქვეშა ნავებით დასაკავებლად იარაღის გამოსაყენებლად მიღებული ამოცანის და საბრძოლო მოქმედებების **რ**-ში შექმნილი პირობების შესაბამისად; 2. გეოსტრატეგიული სივრცის დაყოფის ერთეული, რომელიც მიღებულია ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში. **რ.** არის რეგიონის ნაწილი, ადგილმდებარეობის მონაკვეთი მიმდებარე ზღვის აკვატორიით და წყლის სივრცითურთ, რომლის ფარგლებშიც განლაგებულია დიდმნიშვნელოვანი ეკონომიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ცენტრები, რომლებსაც ოპერატიულ-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებათ სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის. **რ**-ში აგრეთვე იქმნება და მზადდება სტრატეგიული რეზერვები. სტრატეგიული კონტინენტური **რ.**, არის კონტინენტის ნაწილი ან მთლიანად კონტინენტი ზღვების და ოკეანეების სანაპირო წყლებით, შიდა ზღვებით და საჰაერო სივრცითურთ პირობითად განსაზღვრულ გეოსტრატეგიულ ფარგლებში. გარკვეულ პირობებში სტრატეგიული კონტინენტური **რ.** მთლიანად ან მისი ნაწილი შეიძლება წარმოადგენდეს საომარი მოქმედებების თეატრს. საოკეანო სტრატეგიული **რ.**, არის მსოფლიო ოკეანის აკვატორიის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი, მასში არსებული კუნძულებით, მიმდებარე ზღვებით, ხმელეთის სანაპირო ზოლებით და საჰაერო სივრცით პირობითად განსაზღვრულ ფარგლებში, სადაც ვლინდება ან შეიძლება შეხების ობიექტი გახდეს ქვეყნის ეროვნული ინტერესები; 3. ტაქსონომეტრიული ერთეული გეოგრაფიაში – სხვადასხვა ნიშნების მიხედვით (გეოლოგიური აგებულება, რელიეფის ტიპი, კლიმატი და ა.შ.) ფიზიკურ-გეოგრაფიული **რ**-ების უმდაბლესი ერთეული; 4. ადმინისტრაციული ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში.

რაიონის დაზვერვა, სადაზვერვო ოპერაციის ფორმა, რომელიც გულისხმობს მნიშვნელოვანი ადგილის (ქალაქი, მთა, უღელტეხილი, ტყე და სხვა) დაზვერვას, მოწინააღმდეგის მოქმედებების შესახებ ინფორმაციის მოსაპოვებლად.

რაიონის დაზიანების კონტროლი, მოწინააღმდეგის მიერ განხორციელებული მოქმედებების, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შედეგების ან მისი ალბათობის შემცირების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით გატარებული ზომები. სახმელეთო ჯარებისთვის – უწყვეტი დაგეგმვა და ქმედება საბრძოლო ოპერაციების შედეგად დაზიანების მინიმუმამდე დასაყვანად და მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.

რაიონის თავდაცვა, იხ. *პოზიციური თავდაცვა.*

რაიონის იზოლირების ოპერაცია, მოცემულ რაიონში მოწინააღმდეგის საბრძოლო მოქმედებების აღკვეთის ან მისი შეზღუდვის მიზნით განხორციელებული ოპერაცია.

რაიონის უსაფრთხოება, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპერაციები, რომელშიც შედის რაიონის დაზვერვა, ლოგისტიკის ოპერაციები და პირადი შემადგენლობის მომარაგების ძირითად მარშრუტზე მთავარი პუნქტების უსაფრთხოება.

რაიონის შეფასება, არაკონვენციური საომარი მოქმედებების დროს მიღებული სპეციფიკური ინფორმაცია, რომლის გამოყენება, მეთაურის მითითებით, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შედწევისთანავე იწყება.

რაკეტა (გერმანული rakete < იტალიური roccehetta, rocca – თითისტარი), უპილოტო საფრენი აპარატი, რომელიც განკუთვნილია ატმოსფეროში და მის ფარგლებს გარეთ რეაქტიული წევის მოქმედებებით ფრენისთვის. **რ**-ები გამოიყენება მსოფლიოს მრავალ არმიაში, აგრეთვე კვლევითი მიზნებისთვის (გეოფიზიკური, მეტეოროლოგიური, ასტროფიზიკური **რ**-ები), რაკეტა-მატარებლებად და სხვა. **რ**-ებს განეკუთვნება აგრეთვე რეაქტიული ჭურვები, რომლებიც პირობითად არიან გამოყოფილი ცალკე ნაირსახეობად. **რ**-ების დიდი მრავალფეროვნების მიუხედავად (მაგალითად, მათი მასა რამდენიმე კილოგრამიდან რამდენიმე ასეულ ტონამდე მერყეობს) მათთვის დამახასიათებელია ისეთი სავალდებულო ელემენტების არსებობა, როგორიც არის კორპუსი, სარაკეტო ძრავის დანადგარი, მართვის (**რ**-ის სამართავი) და მარგი დატვირთვის (საბრძოლო ნაწილის, სამეცნიერო აპარატურის, კოსმოსური აპარატის და სხვა) სისტემები. საბრძოლო **რ**-ები კლასიფიცირებულია: დამრტყმელ (სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ), სპეციალურ [რაკეტსაწინააღმდეგო, თვითმფრინავსაწინააღმდეგო (საზენიტო), ხომალდსაწინააღმდეგო, ნავსაწინააღმდეგო, ტანკსაწინააღმდეგო, რადიოლოკაციის საწინააღმდეგო] და დამხმარე (სადაზვერვო, მეტეოროლოგიური, რადიოელექტრონული ჩახშობის და სხვა); ბალისტიკურ და ფრთოსან; სახმელეთო („დედამიწა-დედამიწა“, „დედამიწა-ჰაერი“, „დედამიწა-ხომალდი“); საავიაციო („ჰაერი-დედამიწა“, „ჰაერი-ჰაერი“ „ჰაერი-ხომალდი“) და სახომალდო („ხომალდი-დედამიწა“, „ხომალდი – ჰაერი“, „ხომალდი-ხომალდი“); მართვად და უმართავ; ერთსაფეხურიან და მრავალსაფეხურიან **რ**-ებად. გარდა ამისა, ბალისტიკური დამრტყმელი **რ**-ები არის საკონტინენტთაშორისო – ფრენის სიშორე 5500 *კმ*-ზე მეტი, საშუალო სიშორის – 1000–5500 *კმ.* (ორივე სახეობა – სტრატეგიული **რ**-ები) და მცირე სიხშირის – 1000 *კმ*-მდე (ოპერატიულ-ტაქტიკური **რ**-ები – 150–1000 *კმ*, ტაქტიკური – 70–150 *კმ*). ფრთოსანი სტრატეგიული **რ**-ებისთვის დადგენილია სიშორე 1500 *კმ*-ზე მეტი, ოპერატიულ-ტაქტიკურისთვის – 150–1500 *კმ* და ტაქტიკურისთვის 150 *კმ*-მდე.

რაკეტამატარებელი, კოსმოსური რაკეტა, განკუთვნილი კოსმოსურ სივრცეში სასარგებლო ტვირთის (კოსმოსური აპარატის) გასაყვანად, მრავალსაფეხურიანი (ბალისტიკური რაკეტა). უზრუნველყოფს საჭირო კოსმოსური სიჩქარის მიღწევას დედამიწასთან ახლოს, საშუალო სიმაღლის, მაღალელიფსურ და მაღალწრიულ ორბიტებზე გაყვანისას. **რ**. არის: მსუბუქი მარგი ტვირთის მასა 5 *ტ*-მდე, საშუალო – 5–15 *ტ*, მძიმე – 15–50 *ტ*-ზე მეტი და ზემძიმე – 50 *ტ*-ზე მეტი. **რ**-ების უმრავლესობა წარმოადგენს საბრძოლო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების მოდიფიცირებულ ვარიანტებს.

რაკეტამზიდი ავიაცია, მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში უწოდებენ იმ თვითმფრინავ-რაკეტამზიდებით შეიარაღებულ სამხედრო ავიაციას, რომელსაც შეუძლია გამოიყენოს „ჰაერი-დედამიწის“, „ჰაერი-ჰაერის“ და „ჰაერი-ხომალდის“ კლასის მართვადი და უმართავი რაკეტები. XX საუკუნის 80-იან წლებში. სარაკეტო შეიარაღების დაყენება დაიწყეს საბრძოლო შვეულმფრენებზეც.

რაკეტა-ტორპედო, სახომალდო სარაკეტო იარაღი, რომელიც განკუთვნილია წყალქვეშა ნავებისა და წყალზედა ხომალდების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. არის ერთსაფეხურიანი მყარსათბობიანი რაკეტა, რომელსაც მიზნის რაიონში მიაქვს საბრძოლო ნაწილი – მცირე გაბარიტის თვითგასამიზნი ტორპედო. **რ.-ტ**. შედის კომპლექსის შემადგენლობაში, რომელიც შეიცავს გამშვებ დანადგარს, მართვის ხელსაწყოებს, რაკეტის შენახვისა და მიწოდების სისტემებს. საჰაერო სივრცეში **რ.-ტ**. მოძრაობს ბალისტიკური ტრაექტორიით ან იმართება თვითგასამიზნი სისტემით. გაანგარიშებულ წერტილში ტორპედო გამოეყოფა მატარებელს და წყალზე ეშვება. სამუხრუჭო პარაშუტით დაშვებისა და გათვალისწინებულ სიღრმეზე ჩასვლის შემდეგ ახორციელებს ძებნის დაპროგრამებულ მანევრს, სამიზნის აღმოჩენისას ახდენს თვითდამიზნებას და აზიანებს მიზანს. **რ.-ტ**-ს გაშვება ხდება წყალზედა ხომალდის გამშვები დანადგარიდან ან წყალქვეშა ნავების სატორპედო აპარატებიდან წყალქვეშ მდებარეობის დროს.

რაკეტების გამიზვნა, იხ. *გამიზვნა.*

რაკეტების გაშვების ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, რომლის მიღწევისას საავიაციო საფრენი აპარატები ახორციელებენ სახმელეთო (საზღვაო) მიზნებისკენ რაკეტების გაშვებას. განისაზღვრება რაკეტის ფრენის სიშორით, მისი მართვის სისტემების თავისებურებით, საფრენი აპარატის ფრენის სიმაღლით. ასევე რაკეტის ფრენაზე მოქმედი ფაქტორების (ჰაერის სიმკვრივის და სხვა) გათვალისწინებით.

რაკეტების დამიზნების სადგური, სარაკეტო (რაკეტსაწინააღმდეგო) კომპლექსის ელემენტი. უზრუნველყოფს მიზნის ძებნას (კოორდინატების განსაზღვრას), მიზნის და რაკეტის თანხლებას. ასევე – რაკეტის მართვის კომანდების ჩამოყალიბებას (ტელემართვად რაკეტებიან კომპლექსებში) ან სპეციალური სიგნალების გამოსხივებას რაკეტის დასამიზნებლად მათი მიზნისგან არეკვლით (კომპლექსებში რაკეტების ნახევრად აქტიური თვითდამიზნებით). თანამედროვე **რ.დ.ს**. არის ერთ და მრავალარხიანი (უზრუნველყოფს ერთდროუ-

ლად რაკეტების დამიზნებას რამდენიმე მიზანზე), სტაციონარული და მოძრავი.

რაკეტის გაშვება, გამშვებ დანადგარში და თვით რაკეტაში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესი კომანდის „გაშვება“ გაცემის მომენტიდან და გამშვები დანადგარიდან რაკეტის გამოსროლამდე. ყველაზე რთულია სტრატეგიული კომპლექსის **რ.გ**-ის ციკლოგრამა: ფრენის დავალების შეყვანა, გამშვები დანადგარის გადაყვანა ავტონომიის რეჟიმში, კვების ავტონომიური წყაროების ამოქმედება, დამცავი მოწყობილობის სახურავის ახდა, კვების საბორტო წყაროებზე გადასვლა, რაკეტის გამიზვნა, რაკეტის პირველი საფეხურის ძრავის დანადგარის ჩართვა და მისი გამშვები დანადგარიდან გამოსროლა.

რაკეტის მართვის სისტემა, სარაკეტო კომპლექსის მოწყობილობის ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს გაშვების წინა ოპერაციებს, რაკეტის გაშვებას და ფრენის დროს მის მართვას. რაკეტის ფრენის მართვის სისტემა, როგორც **რ.მ.ს**-ის შემადგენელი ნაწილი, შედგება სტაბილიზაციის (უზრუნველყოფს რაკეტის მოცემულ კუთხეს ან დაწესებული კუთხით მოძრაობის შენარჩუნებას) და დამიზნების (საზღვრავს რაკეტის მოძრაობის წესს და უზრუნველყოფს მის ფრენას ამ წესით) სისტემებისგან. რაკეტის დამიზნების სისტემა შეიძლება იყოს ავტონომიური, ტელემართვადი, თვითდამიზნებადი და კომბინირებული.

რაკეტის საბრძოლო ნაწილი, რაკეტის ელემენტი მიზნის უშუალო დაზიანებისათვის. ჩვეულებრივ, თავსდება რაკეტის სათავო ნაწილში. დანაწევრებად სათავო ნაწილში არის საბრძოლო ბლოკის ელემენტი. შედგება კორპუსისგან, საბრძოლო მუხტისგან, ამფეთქისა და დამცავ-შემსრულებელი მექანიზმისაგან. საბრძოლო მუხტის ტიპის მიხედვით, **რ.ს.ნ**. შეიძლება იყოს ბირთვული ან ჩვეულებრივი აღჭურვილობისა – ფუგასური, მსხვრევადი, კუმულაციური, ცეცხლგამჩენი, კასეტური და სხვა.

რაკეტის საფეხური, მრავალსაფეხურიანი რაკეტის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს მის გაქანებას ტრაექტორიის აქტიური მონაკვეთის გარკვეულ ეტაპზე. შედგება ერთი ან რამდენიმე სარაკეტო ძრავისაგან, საწვავის ნაკვეთურისგან საწვავის მარაგით, მართვის სისტემის და საფეხურის მოცილების მექანიზმისგან. საწვავის მარაგის დახარჯვის შემდეგ **რ.ს.** სცილდება მომდევნო საფეხურებს, რომლებიც განაგრძობენ რაკეტის გაქანებას.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა, ძალებისა და საშუალებების კომპლექსი, აგრეთვე ღონისძიებები და საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის სარაკეტო-ბირთვული დარტყმის მოსაგერიებლად მისი ბალისტიკური რაკეტების ან ამ რაკეტების ფრენის ტრაექტორიებზე ქობინების დაზიანების გზით. **რ.თ**-ის შემადგენლობაში შედის: ბალისტიკური რაკეტების (ბალისტიკური ნაწილების) შორი აღმოჩენის საშუალებები, სხვადასხვა სიშორის მოქმედების რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსები; გამოთვლითი საშუალებების კომპლექსი; ინფორმაციის გადაცემის საშუალებანი. **რ.თ**-ის სისტემა, დანიშნულების კვალობაზე, შეიძლება იყოს ტერიტორიული – მთელი ქვეყნის თავდაცვისათვის, ზონალური – მსხვილი რაიონების თავდაცვისათვის, ობიექტების – დიდმნიშვნელოვანი ადმინისტრაციული, სამრეწველო და სამხედრო ობიექტების თავდაცვისათვის, სტრატეგიული – სტრატეგიული ბალისტიკური რაკეტებისაგან თავდაცვისათვის (საკონტინენტთაშორისო, წყალქვეშა ნავების, საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტები) და არასტრატეგიული (ტაქტიკური) – საშუალო სიშორის ბალისტიკური რაკეტებისაგან, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური რაკეტებისაგან დასაცავად (**რ.თ**. საომარი მოქმედებების თეატრზე).

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გადალახვა, ღონისძიებების კომპლექსი და საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება მოწინააღმდეგის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ეფექტიანობის შესამცირებლად მის ობიექტებზე ბალისტიკური რაკეტების დარტყმების მიყენებისას. განასხვავებენ **რ.თ.გ**-ს საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და ატომური წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების დარტყმების მიყენებით და საომარი მოქმედების თეატრზე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის გადალახვას. საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და ატომური წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების დარტყმების მიყენებით **რ.თ.გ**. შეიძლება შეიცავდეს მოწინააღმდეგის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ინფორმაციით გადამეტებულ გაჯერებას; ბალისტიკური რაკეტის სტარტის აღმომჩენი კოსმოსური საშუალებების რადიოელექტრონულ ჩახშობას, რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების დამიზნებისა და აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურების რადიოელექტრონულ ჩახშობას, მოწინააღმდეგის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის რადიოელექტრონული საშუალებების ეკრანების გაშუქებას; რადიოლოკაციური სადგურებისა და რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსის ცეცხლით ჩახშობას და სხვა. საომარი მოქმედების თეატრზე **რ.თ.გ**. შეიძლება მოიცავდეს: ბალისტიკური რაკეტის სტარტის აღმომჩენი კოსმოსური საშუალებების რადიოელექტრონულ ჩახშობას; რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსების განადგურებას პოზიციებზე; ცრუ-მიზნების გამოყენებას; მოწინააღმდეგის კოსმოსური დაზვერვის შესუსტებას.

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საცეცხლე კომპლექსი, იხ. *რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი.*

რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები – იხ. *სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის ჯარები.*

რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსი, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საცეცხლე კომპლექსი, სარაკეტო კომპლექსის სახეობა, რომელიც განკუთვნილია მოიერიშე რაკეტებისა და მათი ქობინების დასაზიანებლად დასაცავი რაიონისაგან (ობიექტისაგან) უსაფრთხო მანძილზე. არის სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის შემადგენლობაში შემავალი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ნაწილების შეიარაღებაზე. უზრუნველყოფს: გაშვებული რაკეტების აღმოჩენას, მათ თანხლებას და ტიპების მიხედვით ამოცნობას; ქობინის ნაწილების სელექციას; მიზანგანაწილებას; სტარტისწინა მომზადებას, გაშვებას, გამიზვნას და ანტირაკეტის საბრძოლო ნაწილის აფეთქებას; საბრძოლო ამოცანის შესრულების შედეგების შეფასებას. **რ.კ**. არის: სახმელეთო, კოსმოსური, საავიაციო და საზღვაო; ბაზიდან გადასატანი და სტაციონარული; დიდი (200 *კმ*-ზე მეტი), საშუალო (60–200 *კმ*) და მცირე (60 *კმ*-მდე) დაჭერის სიშორის. **რ.კ**-ის ყველაზე დამახასიათებელი შემადგენლობაა: სამეთაურო-გამოთვლითი პუნქტი, გამშვები დანადგარები ანტირაკეტებით, მრავალფუნქციური რადიოლოკაციური სადგური, მონაცემების გადაცემის საშუალებები, დამხმარე საშუალებები.

რაკეტულ-ბირთვული იარაღი, სარაკეტო იარაღი, რომელშიც დაზიანების საშუალებას ბირთვული საბრძოლო მასალები წარმოადგენს; აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, საფრანგეთის და ჩინეთის ბირთვული იარაღის მთავარი შემადგენელი ნაწილი. იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ბაზირების იარაღად.

რაჯპუტები, სამხედრო-ფეოდალური კასტა-წოდება შუა საუკუნეების ინდოეთში; მაღალი სტატუსის კასტების ჯგუფი თანამედროვე ინდოეთში. **რ**-ის წინაპრები ცხოვრობდნენ ახლანდელ შტატ რაჯასტანისა და მისი მიმდებარე ოლქების ტერიტორიებზე. VIII–XI საუკუნეებში მათ დაიმორჩილეს ჩრდილოეთ ინდოეთის სახელმწიფოები ჰიმალაის მთებამდე, მაგრამ მუსლიმანი დამპყრობლების შემოჭრის შემდეგ (XII საუკუნის ბოლო – XIII საუკუნე) სამფლობელოების დიდი ნაწილი დაკარგეს. **რ**-ს თავი მიაჩნდათ ინდოეთის ძველი გმირებისა და მეფეების შთამომავლებად (აქედან მათი სახელწოდება **რ**., ანუ რაჯა-პუტრა, – მეფის შვილი).

რბილი დაფრენა, კოსმოსური საფრენი აპარატის დაჯდომა (დაფრენა), რომლის დროსაც აპარატის სიჩქარე პლანეტის ან სხვა ციური სხეულის ზედაპირთან შეხების მომენტში მინიმალურია (იდეალურ შემთხვევაში – ნულის ტოლი). საკმაოდ მკვრივატმოსფეროიან პლანეტებზე **რ.დ**. (მაგალითად, ფრთიანი საფრენი აპარატისა) ითვალისწინებს მცირე სიჩქარით ცურვასა და თვითმფრინავების მსგავსად დაფრენას. ღერძული სიმეტრიის ფორმის აპარატების **რ.დ**-ისათვის აუცილებელია გასაშლელი დასაჯდომი (დასაფრენი) სისტემები – მცურავი პარაშუტი, პარაპლანერი ან როტორული სისტემა. ისეთ ციურ ობიექტზე, რომლზეც ატმოსფერო სრულებით არ არის, **რ.დ**. ხორციელდება სამუხრუჭო რაკეტული ძრავის ან სპეციალური საამორტიზაციო მოწყობილობის მეშვეობით, დაშვების სიჩქარის ნულამდე დაყვანით.

რგოლი (სამხედრო), ავიაციის სხვადასხვა გვარეობის ტაქტიკური და საცეცხლე ქვედანაყოფი (3–4 თვითმფრინავი). რამდენიმე **რ**. შეადგენს ესკადრილიას. **რ**. საბრძოლო ამოცანებს ასრულებს ესკადრილიის შემადგენლობაში ან დამოუკიდებლად.

რეაბირების ძალები, ნატოს სტრატეგიული სარდლობის გაერთიანებული შეიარაღებული ძალების განკარგულებაში გამოყოფილი მაღალმობილური და საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი მრავალეროვნული სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო, სამხედრო-საჰაერო ფორმირებები, რომელთა ამოცანას წარმოადგენს კრიზისის დროს პირველი საპასუხო ზომების გატარება. ეს ძალები მოწოდებულია განახორციელონ ნატოს ერთიანობის და ნების დემონსტრირება. აუცილებლობის შემთხვევაში შეუძლიათ, კრიზისის რაიონში ჯარების დროული გადასროლა. შედგებიან შედარებით მცირერიცხოვანი მყისიერი რეაგირების და შედარებით მძლავრი სწრაფი **რ.ძ**-ისგან. ორივე ძალა შეიცავს საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო კომპონენტებს.

რეალური დრო, ამ ტერმინით აღინიშნება მონაცემების ან ინფორმაციის დროულად მიწოდება. **რ.დ**. გულისხმობს, რომ გზავნილი დაყოვნებულ იქნა მიწოდებული მხოლოდ ელექტროკომუნიკაციებისთვის აუცილებელ დროს.

რეაქტიული არტილერია (re და ლათინური activus – მოქმედი), 1. სახმელეთო არტილერიის სახეობა, რომელიც შეიარაღებულია ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით. 2. იარაღის სახეობა, რომელშიც ჭურვის სატყორცნად გამოიყენება რეაქტიული ძრავი, დაყენებული უშუალოდ ჭურვზე.

რეაქტიული იარაღი, ტაქტიკური იარაღის სახეობა, რომელიც მიზანს აზიანებს რეაქტიული ჭურვით. **რ.ი**-ის საფუძველია მიწისზედა, საავიაციო და საზღვაო ზალპური ცეცხლის რეაქტიული ჭურვები. მათი საბრძოლო ეფექტურობა უმართავი ჭურვების სროლის დროს (ახასიათებს არსებითი გაბნევა) უზრუნველყოფილია გამშვები დანადგარის მრავალ-

მუხტიანობით და საბრძოლო ნაწილების სიძლიერით. ერთი ზალპით დიდ ფართობზე მიზნის უეცარი დაზიანება შეუძლია. გამშვები დანადგარი გამოირჩევა იარაღის სხვა სახეობებისგან შედარებით მცირე გაბარიტებით, მასით და კონსტრუქციის სიმარტივით.

რეაქტიული საწვავი, საავიაციო რეაქტიული ძრავების საწვავი. ფართოდ იყენებენ ნავთობის იმ ფრაქციებს, რომლებსაც მცირე გოგირდოვანი და გოგირდოვანი ნავთობის პირდაპირი გამოხდით ღებულობენ. პირდაპირი გამოხდის ფრაქციებისაგან მაღალი თერმული სტაბილურობის მქონე საწვავს ღებულობენ ჰიდროგასუფთავებით. **რ.ს**-ის ძირითადი მახასიათებელია სიმკვრივე და კუთრი წვის სითბო, რომლებიც განსაზღვრავენ ფრენის სიშორეს (მანძილს). **რ.ს**-ს უნდა ახასიათებდეს მაღალი თერმული სტაბილურობა, რისთვისაც სათბობს ათავისუფლებენ არანახშირწყალბადოვანი მინარევებისგან. გასუფთავებულ საწვავს შენახვის დროს სტაბილურობის ასამაღლებლად უმატებენ ანტიმჟანგავებს, ლითონების დეაქტივატორებს და სხვა. **რ.ს**-ში გახსნილი წყალი (0.01%-მდე) პირობების შეცვლისას შეიძლება გამოიყოს, რაც იწვევს საწვავი აპარატურის კოროზიას; ზოგჯერ შესაძლებელია ყინულის კრისტალების წარმოქმნაც. ამის თავიდან ასაცილებლად **რ.ს**-ს უმატებენ კოროზიის ინჰიბიტორებსა და ანტიგამყინავებს, აგრეთვე სტატიკური ელექტროობის დაგროვებისა და საწვავის დაძველების საწინააღმდეგო დანამატებს.

რეაქტიული ძრავა, პირდაპირი რეაქციის ძრავა, რომელიც ქმნის რეაქტიულ წევას რეაქტიული ნაკადის გამოდინების ხარჯზე. სხვა ძრავებისგან განსხვავებით მას არ გააჩნია მამოძრავებელი (ბორბალი, საჰაერო ხრახნი და სხვა). **რ.ძ**-ის მუშაობისთვის საჭიროა პირველადი ენერგია და ქიმიური რეაქტიული საწვავი. ელექტრონული და ბირთვული **რ.ძ**-ის მუშა სხეულის წყაროდ გამოიყენება დაბალმოლეკულური ან ადვილად დისოცირებული აირები და სითხეები. **რ.ძ**-ის ძირითადი ნაწილია კამერა, რომელშიც ხდება სამუშაო სხეულის გენერაცია და პირველადი ენერგია (ქიმიური, ელექტრონული, ბირთვული) გარდაიქმნება მექანიკურ ენერეგიად. **რ.ძ**. იყოფა საჰაერო-რეაქტიულ და რაკეტულ ძრავებად.

რეაქტიული ჭურვი, ჭურვი, რომლის მიზანთან მიტანა რეაქტიული ძრავით ხდება. განკუთვნილია მტრის საბრძოლო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის გასანადგურებლად, აგრეთვე მისი თავდაცვითი ნაგებობების დასანგრევად. **რ.ჭ**.-ებს იყენებს რეაქტიული არტილერია. **რ.ჭ**. პირველად ყოფილ სსრ კავშირში შეიქმნა. მათი კალიბრი 37–300 *მმ*-მდეა. საბრძოლო დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ მსხვრევად-ფუგასურ, კუმულაციურ, ცეცხლგამჩენ, საკვამლე და სხვა **რ.ჭ**-ებს. მის საწვავად იყენებენ ნიტროგლიცერინიან დენთს. არსებობს აქტიურ-რეაქტიული ჭურვიც, რომელსაც საარტილერიო ქვემეხიდან ისვრიან. ეს ფრენის მანძილს 25–100%-ით ზრდის.

რეგიონი (ლათინური regio – ქვეყანა, ოლქი), სტრატეგიული რაიონის ნაწილი, რომლის ფარგლებში განლაგდება სახელმწიფოს (სახელმწიფოების ჯგუფის) სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი. საომარი მოქმედებების (აგრესიის) გაჩაღების შემთხვევაში შეიძლება მიმდინარეობდეს ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების დიდი მასშტაბის ოპერაციები და მიღწეულ იქნეს ომის ზოგიერთი ან ყველა სტრატეგიული მიზანი. **რ**-ის საზღვრებს ადგენს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა შედარებით ერთგვაროვანი ფიზიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და, უმთავრესად, სამხედრო-პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე. **რ**-ები იყოფა რაიონებად და სტრატეგიულ მიმართულებებად.

რეგიონული დაგეგმვის ხელმძღვანელობა, ოპერატიული დაგეგმვის დოკუმენტი, რომლის საფუძველზე ნატოს გაერთ იანებული შეიარაღებული ძალების რეგიონული სარდლობა, რეგიონული სამხედრო დაგეგმვის განსახორციელებლად სახელმძღვანელო მითითებებს იძლევიან. ოპერატიული დაგეგმვის და ფუნქციური დაგეგმვის დოკუმენტებში არსებულ სახელმძღვანელო მითითებებთან ერთად შესაძლებელია აისახოს, კონკრეტული პასუხისმგებლობის რაიონთან უშუალოდ დაკავშირებული დაგეგმვის ასპექტები. ამ შემთხვევაში რეგიონული სარდლობის სარდლებმა უნდა შეიმუშაონ სახელმძღვანელო დოკუმენტები რეგიონული დაგეგმვისთვის, რომელშიც მოცემული იქნება მითითებები დაქვემდებარებული სარდლობის დაგეგმვის ორგანოებისთვის და აღნიშნულ რეგიონში დაგეგმვის პროცესში ჩართული ყველა ორგანოსთვის. დამუშავების შემდეგ ეს სახელმძღვანელო დოკუმენტები ინფორმირებისთვის იგზავნება ნატოს გაერთიანებული შეირაღებული ძალების შესაბამის სტრატეგიულ სარდლობაში და მტკიცდება სამხედრო კომიტეტის მიერ.

რეგიონული ომი, ომი ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს მონაწილეობით, რომელიც შემოიფარგლება ერთი რეგიონის საზღვრებით და უპირატესად მასში განლაგებული ქვეყნების ინტერესებს ეხება. ახასიათებს მხარეების სამხედრო-პოლიტიკური და ოპერატიულ-სტრატეგიული მიზნების გადამჭრელი ხასიათი, შეიარაღებული ბრძოლა ყველა სფეროში, შეიარაღების თანამედროვე სახეობების გამოყენება და სხვა. შეიძლება იყოს როგორც ჩვეულებრივი, ისე ბირთვული, სწრაფი ან ხანგრძლივი.

რეგიონული სარდლობა, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სამხედრო სა-

რდლობის სტრუქტურის მეორე რგოლის საორგანიზაციო-სამეთაურო ერთეული. შედგება ჩრდილოატლანტიკური კავშირის შესაბამისი გაერთიანებული ძალებისა და საშუალებებისგან, რომლებითაც მას შეუძლია დაგეგმოს და განახორციელოს ყველა სახის სამხედრო მოქმედება როგორც სტრატეგიული სარდლობის მიერ განსაზღვრულ რაიონში, ასევე მის გარეთაც.

რეგიონული უსაფრთხოება, გარკვეული რეგიონის სოციალურ-ტერიტორიულ გაერთიანებებს შორის არსებული ურთიერთობის მდგომარეობა, რომლის დროსაც მისდამი მიკუთვნებული სახელმწიფოების, ხალხების, მოქალაქეების, საზოგადოებრივი ინსტიტუტების და ჯგუფებისთვის უზრუნველყოფილია მათი საარსებო ინტერესების დაცვა, საიმედო არსებობა და სტაბილური განვითარება. იგი ხორციელდება სხვადასხვა დონეზე: ქვეყნის ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში; სახელმწიფოს რამდენიმე მეზობელ რაიონში; გარკვეულ გეოგრაფიულ ზონაში შემავალი ქვეყნების ჯგუფის მასშტაბით. ნებისმიერ დონეზე ემყარება ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების ურთიერთკავშირს. ძირითად ელემენტებად მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ, სამხედრო და უსაფრთხოების სხვა ფაქტორებს. გაეროს წესდების და სხვა დოკუმენტების შესაბამისად, **რ.უ**-ის სფეროში შედის: დავის მშვიდობიანი მოგვარება, რეგიონული სისტემის წევრებს შორის კონფლიქტების თავიდან აცილება; აგრესიის აქტების აღსაკვეთად და მშვიდობისათვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად კოლექტიური ღონისძიებების ორგანიზაცია, პრევენციული დიპლომატია, მშვიდობის შენარჩუნება, დამყარება და დამკვიდრება. **რ.უ.**, როგორც წესი, ყალიბდება შეთანხმების საშუალებით. ასეთი შეთანხმებების, ორგანიზაციების და სტრუქტურების ერთობლიობით იქმნება უსაფრთხოების რეგიონული სისტემა.

რეგლამენტური სამუშაოები, სამხედრო ტექნიკის ზოგიერთი სახეობის პერიოდული ტექნიკური მომსახურება. **რ.ს**-ის ვადები, მოცულობა და ჩამონათვალი განისაზღვრება ნამუშევრის საექსპლუატაციო დოკუმენტაციით (დროის, სამუშაო ციკლების, გარბენის და სხვა), კალენდარული ან კალენდარულ-გამომუშავებით პრინციპს. **რ.ს**-ის შესრულება აღინიშნება სამხედრო ტექნიკის ნაკეთობის ფორმულარში (პასპორტში).

რეგულარული არმია, 1. მუდმივი არმია (შეიარაღებული ძალები), რომელსაც აქვს დადგენილი ორგანიზაცია, დაკომპლექტების, სამხედრო სამსახურის გავლის, პირადი შემადგენლობის სწავლების და აღზრდის სისტემა, ტიპობრივი შეიარაღება და სამხედრო მოსამსახურეების ფორმა (ტანსაცმელი), აგრეთვე ცენტრალიზებული მართვის და მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფის სისტემა. დასავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოსა და იაპონიაში **რ.ა**-ები შეიქმნა XVII–XVIII საუკუნეებში. თანამედროვე **რ.ა**-ებს, როგორც წესი, საკადრო მოწყობა აქვთ (იხ. *საკადრო სისტემა*) 2. ირეგულარული ჯარებისგან განსხვავებით, რეგულარული ჯარების დასახელება.

რეგულირების ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, რომელსაც ჯარები რამდენიმე მარშუტით მარშის შესრულებისას განსაზღვრულ დროს კოლონების პირველი მანქანებით უნდა მიადგნენ. სიღრმიდან ჯარების გამოყვანით შეტევის დროს **რ.ზ**-ებს განეკუთვნება ბატალიონების, ასეულების და ოცეულების კოლონებად გაშლის ზღუდეები. II მსოფლიო ომის წინა წლებში და ომის დროს ანალოგიური მიზნით ინიშნებოდა გამათანაბრებელი ზღუდეები.

რედანი (ფრანგული – redan), ღია ტიპის საველე საფორტიფიკაციო ნაგებობა, მოწინააღმდეგისაკენ 60–120 გრადუსიანი კუთხით გაშვერილი, რაც ალმაცერი ცეცხლის დაშენის საშუალებას იძლევა. ფართოდ გამოიყენებოდა XVIII–XIX საუკუნეებში. ბლაგვკუთხიან მომცრო **რ**-ს ეწოდება ფლეში.

რედუტი (ფრანგული redoute – მოძველებული სამხედრო ტერმინი), მიწური საველე სიმაგრე, სანგარი. დამოუკიდებელი თავდაცვისათვის მომზადებული შეკრული საველე საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელსაც აქვს კვადრატის, მართკუთხედის ან მრავალკუთხედის ფორმა. **რ**-ები გამაგრებული პოზიციების სისტემაში საყრდენ პუნქტებს წარმოადგენდნენ, მათი გარნიზონი 1–2 ასეულისგან შედგებოდა, რომელსაც ზოგჯერ არტილერიით აძლიერებდნენ. **რ**. გამოიყენებოდა XVI–XX საუკუნეების დასაწყისში.

რედუტ-კალე, ნავსადგური დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე XIX საუკუნის I ნახევარში. მდებარეობდა მდინარე ხობისწყლის შესართავში, ახლანდელი სოფელი ყულევის (ხობის რაიონი) ადგილზე. დაარსდა 1804 წელს, როცა ამ ადგილებში რუსეთის ჯარის ნაწილები განლაგდა და რედუტი მოეწყო. 1846 წელს სანავსადგურო ქალაქის სტატუსი მიიღო. ყირიმის ომის (1853–56) დროს, 1854 წელს, **რ.-კ**. თურქულმა ესკადრამ დაბომბა, შემდეგ რუსულმა ჯარებმა მისი ციხესიმაგრე ააფეთქეს და ქალაქიდან გავიდნენ. პლაცდარმი თურქებმა დაიკავეს. 1856 წლის პარიზის საზავო ხელშეკრულების თანახმად 21 მარტს თურქებმა დათმეს **რ.-კ**., მაგრამ ქალაქიდან გასვლისას გადაწვეს. ამის შემდეგ მისი მნიშვნელობა დაეცა და დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე დაწინაურდნენ ფოთის და სოხუმის ნავსადგურები.

რევანშიზმი (ფრანგული revanche – სამაგიეროს გადახდა, შურისძიება), იდეოლოგია და პოლიტიკა ძალებისა, რომლებმაც სამხედრო ან პოლიტიკური მარცხი განიცადეს და გამოდიან დაკარგული პოზიციების აღსადგენად. **რ**-ს ახასიათებს კონფრონტაციული და აგრესიული საგარეო პოლიტიკა, სამხედრო უპირატესობისაკენ მისწრაფება, საზოგადოებრივი ცნობიერების მილიტარიზაცია და სხვა.

რევოლვერი (ინგლისური – revolver), პისტოლეტი მბრუნავი სავაზნე ბლოკით და უძრავი ლულით. სავაზნეს ლულასთან დაფიქსირება ხდება ჩახმახის ფეხზე შეყენებით. ცნობილია ერთმაგი და ორმაგი მოქმედების **რ**-ები. პირველის შემთხვევაში ჩახმახის ფეხზე შეყენება ხდება სასხლეტ კაუჭზე დაწოლამდე, ხოლო ორმაგი მოქმედების შემთხვევაში სასხლეტ კაუჭზე დაჭერით ხდება ფეხზე თვითშეყენება და ჩახმახის თვითნებური დაშვება. თანამედროვე **რ**-ის წინაპრად ითვლება XIX საუკუნის 30 წლებში შექმნილი კაფსულიანი კოლტის **რ**., რომელმაც ბევრ არმიაში შეცვალა ერთმუხტიანი პისტოლეტები. თვითდამმუხტავი პისტოლეტების გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეზღუდა **რ**-ის გამოყენება, მაგრამ მათი გამოყენება გრძელდება. თანამედროვე **რ**.: ამერიკული – 9 *მმ* სმიტი და ვენსონი M64 (250 *მ/წმ*, 6 ტყვია, 0,86 *კგ*), 9 *მმ* პუგერი GP100 (250 *მ/წმ*, 6 ტყვია, 1,25 *კგ*); ფრანგული – 9 *მმ* MR73 (250 *მ/წმ*, 6 ტყვია, 0,95 *კგ*); იტალიური – 9, 65 *მმ* RF83 (230 *მ/წმ*, 6 ტყვია, 0, 68 *კგ*); რუსული – 9 *მმ* PCA (ტყვიის საწყისი სიჩქარე 300 *მ/წმ*, დოლის ტევადობა 6 ტყვია, მასა 0,8 *კგ*); 12,3 *მმ* „удар“ (250 *მ/წმ*, 5 ტყვია, 0,95 *კგ*).

რევოლუცია სამხედრო საქმეში, მოკლე ისტორიულ ვადებში განხორციელებული ღრმა ხარისხობრივი ცვლილებები შეიარაღებული ბრძოლის საშუალებებში, ომის და საომარი მოქმედებების წარმოების ხერხებში, შეიარაღებული ძალების მშენებლობასა და მომზადებაში, ჯარების მართვაში, სამხედრო კადრების სწავლებაში, ტერიტორიის, მოსახლეობის და ეკონომიკის სამხედრო მომზადებაში. სამხედრო საქმეში რევიოლუციის ფარგლებში მიმდინარე ცალკეული ქვეყნების სამხედრო სისტემის გარდაქმნები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებით ხორციელდება, წარმოგვიდგება როგორც სამხედრო რეფორმები. სამხედრო საქმეში რევოლუციური გარდაქმნის შესაძლებლობას ქმნის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მათი რეალიზება ხდება სახელმწიფოების მიზანმიმართული სამხედრო პოლიტიკის შედეგად.

რევოლუციური არმია, იმ შეიარაღებული ფორმირებების ერთობლიობა, რომლებსაც ქმნიან რევოლუციის განმახორციელებელი სოციალური კლასები, ფენები და ჯგუფები. შეიძლება ასრულებდეს სხვადსხვა ფუნქციას: რევოლუციური მასების პოლიტიკური გამოსვლების სამხედრო უზრუნველყოფა; შეიარაღებული გზით სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდება; მისი გავრცელება ქვეყნის ტერიტორიაზე; კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგობის ჩახშობა; სამხედრო ინტერვენციის შეიარაღებული უკუგდება; ქვეყანაში რევოლუციური მართლწესრიგის ხელშეწყობა და სხვა. რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში რ.ა., როგორც წესი, გამარჯვებული ხელისუფლების რეგულარულ შეიარაღებულ ძალებად გარდაიქმნება.

რეზერვი (ფრანგული reserve < ლათინური reservo – ვიზოგავ, ვინახავ), **1**. შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის ფორმირებები, ადამიანური რესურსები, შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და სხვა მატერიალური საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია ჯარების (ძალების) ახალი დაჯგუფებების შესაქმნელად და მოქმედთა გასაძლიერებლად, ომის (კამპანიის), ოპერაციის და ბრძოლის დროს ახალწამოჭრილი ამოცანების გადასაწყვეტად, მოქმედი არმიის და საზღვაო ძალების შესავსებად და უზრუნველსაყოფად; 2. ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტი, რომელიც განკუთვნილია ოპერაციის (ბრძოლის) დროს უეცრად წარმოშობილი ამოცანების გადასაწყვეტად. საერთო-საჯარისო გაერთიანებებში, შენაერთებსა და ნაწილებში, ჩვეულებრივ, იქმნება საერთო-საჯარისო, ტანკსაწინააღმდეგო და სპეციალური ჯარების **რ**., ხოლო თავდაცვაში – დესანტსაწინააღმდეგო **რ**. დანიშნულების და გამოყენების მასშტაბის მიხედვით **რ**-ები არის ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული.

ო პ ე რ ა ტ ი უ ლ ი **რ**., სხვადასხვა გვარეობის ჯარებისა და სპეციალური ჯარების შენაერთები და ნაწილები, რომლებიც დაჯგუფებების (არმიების ჯგუფის), არმიის სარდლობის (არმიის კორპუსის მეთაურის) უშუალო დაქვემდებარებაში არიან; ოპერატიული დაწყობის ელემენტი.

ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი **რ**., შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის, ჯარების გვარეობის, სპეციალური ჯარებისა და ლოგისტიკის სარეზერვო დაჯგუფებები, ცალკეული გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები, რომლებიც უმაღლესი სარდლობის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან; სამხედრო ტექნიკის, შეიარაღებისა და მატერიალური საშუალებების მარაგი არსენალებში, ბაზებსა და ცენტრალური დაქვემდებარების საწყობებში.

ტ ა ქ ტ ი კ უ რ ი **რ**., შენაერთის, ნაწილის, ქვედანაყოფის მეთაურის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი ნაწილები (ქვედანაყოფები); საბრძოლო წყობის ელემენტი.

რეზერვისტი, სამხედრო მოსამსახურე, რომელიც არ იმყოფება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, მაგრამ შეიძლება იყოს გაწვეული დროებით სამხედრო სამსახურში.

რეზიდენტი (ლათინური residens, ფრანგული résidant – ადგილზე დარჩენილი), 1. შუა საუკუნეებში – კონკრეტულ ქვეყანაში მყოფი დიპლომატიური წარმომადგენელი; 2. პროტექტორატში კოლონიური სახელმწიფოს წარმომადგენელი 3. ერთი ქვეყნის დაზვერვის არალეგალური წარმომადგენელი მეორე სახელმწიფოში, რომელიც აგენტურული ქსელის მუშაობას წარმართავს.

რეიდერი (ინგლისური raider – თავდასხმა), სამხედრო ხომალდი (კრეისერი, სახაზო ხომალდი) ან შეიარაღებული სავაჭრო გემი, რომელიც აწარმოებს დამოუკიდებელ სამხედრო ოპერაციებს საზღვაო კომუნიკაციებზე მტრის სამხედრო ტრანსპორტისა და სავაჭრო გემების ხელში ჩასაგდებად. **რ**-ებს ფართოდ იყენებდნენ I და II მსოფლიო ომების დროს.

რეიდერული მოქმედებები, ერთეული საბრძოლო და დამხმარე ხომალდების ან ამ ხომალდების რაზმების (ესკადრების) საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის საზღვაო და საოკეანო მიმოსვლის გზებზე (კომუნიკაციებზე) მისი ნაოსნობისა და მომარაგების სისტემის დარღვევის მიზნით. გულისხმობს მოწინააღმდეგის გემების და ნეიტრალური ქვეყნების იმ ტრანსპორტის განადგურებას, ხელში ჩაგდებას, რომლებსაც გადააქვთ ტვირთი მოწინააღმდეგე მხარისათვის. გამოიყენებოდა XVI საუკუნიდან.

რეიდი (ინგლისური raid – თავსდაცემა), 1. ზღვისპირა აკვატორია, რომელიც თავისი ზომებით, სიღრმით და გრუნტის შემაკავებელი ძალით უზრუნველყოფს ხომალდების და გემების საღუზე დგომას. ტალღისა და ქარისგან დაცვის ხარისხით განასხვავებენ დახურულ და ღია **რ**-ებს, პორტის მიმართ განლაგების მიხედვით – გარეს და შიდას. 2. სწრაფადმოძრავი (საჰაერო-სადესანტო, სატანკო, მექანიზებული, წინათ – კავალერიის) შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების) ან პარტიზანული რაზმების (შენაერთების) სწრაფი წინსვლა. საბრძოლო მოქმედებები ტარდება მოწინააღმდეგის ზურგში მისი ცოცხალი ძალის და ტექნიკის, დიდმნიშვნელოვანი ობიექტების გასანადგურებლად; ლოგისტიკის, მართვის პუნქტების, კავშირგაბმულობის კვანძების მუშაობის დეზორგანიზაციის, კომუნიკაციათა დარღვევის, პარტიზანული მოძრაობისთვის დახმარების გაწევის მიზნით. ფართოდ გამოიყენებოდა II მსოფლიო ომის წლებში.

რეიდული მოქმედებები (ინგლისური raid – თავსდაცემა), მოწინააღმდეგის თავდაცვის (ზურგის) სიღრმეში ჯარების მოქმედების ერთ-ერთი ხერხი, რომელსაც იყენებენ სწრაფადმოძრავი (მობილური) შენაერთები (ნაწილები, ქვედანაყოფები) ან ჯარების დაჯგუფებები, რომლებსაც უნარი შესწევთ, დამოუკიდებლად გადაწყვიტონ საბრძოლო ამოცანები თავიანთი მთავარი ძალებისგან მნიშვნელოვანი მოწყვეტით. **რ.მ**-ის მიზანია მოწინააღმდეგის ყველა მნიშვნელოვანი ობიექტის თანდათანობით ხელში ჩაგდება და განადგურება (მწყობრიდან გამოყვანა), მისი ჯარების მართვის და ლოგისტიკის მუშაობის დეზორგანიზაცია, კომუნიკაციების დარღვევა, დანიშნული რაიონების (ზღუდეების) დაუფლება, აგრეთვე სხვა ამოცანების შესრულება. ბოლო დროის ლოკალურ ომებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებში გავრცელება პოვა ვერტმფრენების აერომობილური ქვედანაყოფების **რ.მ**-მა ნაწილებს (ქვედანაყოფებს) გაძლიერების საშუალებებით, რომლებიც **რ.მ**-ის წარმოებისთვის ინიშნებიან, ეწოდება რეიდული რაზმები. ისინი საბრძოლო წყობის ელემენტს წარმოადგენენ.

რეიდული რაზმი, იხ. *რეიდული მოქმედებები.*

რეინჯერი (ინგლისური ranger – პიროვნება, რომელიც იცავს გარკვეულ ტერიტორიას), შეერთებული შტატების და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს სამხედრო მოსამსახურის განსაკუთრებული კატეგორია, რომელიც მომზადებულია მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე დივერსიულ-სადაზვერვო მოქმედებების წარმოებისთვის. შედის სპეციალური ოპერაციების ძალების სამხედრო ფორმირებების შემადგენლობაში. გაჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის კოლონიზაციის პერიოდში; აშშ-ის არმიაში არის 1942 წლიდან.

რეიტარები (გერმანული reiter – მხედარი), დაქირავებული მძიმე კავალერიის გვარეობა XVI–XVII საუკუნეების ევროპულ არმიებში. **რ.** ძირითადად გერმანელები იყვნენ.

რეიუნიონი, იხ. *დამოკიდებული ტერიტორიები.*

რეკვიზიცია (ლათინური requisitio – მოთხოვნა), 1. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეების (ორგანიზაციების) ქონების იძულებითი ანაზღაურებადი გასხვისება ან დროებით მიკუთვნება, რაც საგანგებო ვითარებაში ხორციელდება. წარმოებს სამხედრო ხელისუფლების გადაწყვეტილებით ადგილებში, სადაც საომარი მოქმედებაა გამოცხადებული; 2. საერთაშორისო სამართალში – მოწინააღმდეგე სახელმწიფოს სამხედრო სარდლობის მიერ საოკუპაციო ჯარების საჭიროებისთვის სხვადასხვა სახეობის ქონების იძულებითი ანაზღაურებადი ამოღება.

რეკოგნოსცირება (ლათინური recognosco – განხილვა, ცოდნის მიღება), მოწინააღმდეგისა და ადგილმდებარეობის ვიზუალური შესწავლა, პირადად მეთაურის (სარდლის) მიერ შტაბის ოფიცრების მოზიდვით გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაზუსტებლად საჭირო მონაცემების მოპოვების მიზნით; მეთაურის (სარდლის) იმ მუშაობის შემადგენელი ნაწი-

ლი, რომელსაც იგი ეწევა ადგილზე ბრძოლის (ოპერაციის) ორგანიზაციისათვის. ჩვეულებრივ, ეწყობა მთავარი ძალების მომავალი მოქმედების მიმართულებაზე. **რ**-ში მონაწილეობენ, აგრეთვე დაქვემდებარებული, მიკუთვნებული და მხარდამჭერი ქვედანაყოფების (ნაწილების, შენაერთების) მეთაურები, ჯარების გვარეობებისა და სამსახურების, სპეციალური ჯარების უფროსები. **რ**. ეწყობა აგრეთვე ჯარების (ძალების) შესაძლო განლაგების რაიონების (ზღუდეების), მათი წინ წაწევის მარშრუტების შესწავლის, ტოპოგრაფიული რუკების გასწორების (შევსების) მიზნით და ა.შ. ამისათვის იქმნება სპეციალური **რ**-ის ჯგუფები.

რეკონკისტა (ესპანური reconquista < reconquistar – ომით, ბრძოლით დაბრუნება), პირენეს ნახევარკუნძულის ხალხის ბრძოლა VIII–XV საუკუნეებში არაბთა და ბერბერთა (საერთო სახელწოდება „მავრები“) ბატონობისგან გასათავისუფლებლად. **რ.** დაიწყო 718 წელს კოვადონგასთან ბრძოლით და დასრულდა 1492 წელს ესპანელთა მიერ პირენეს ნახევარკუნძულზე მავრების უკანასკნელი სამფლობელოს – გრანადის საამიროს დაპყრობით.

რეკრუტი (გერმანული rekrut, ფრანგული rekruter – ჯარის შეგროვება), სამხედრო სამსახურში სამხედრო ბეგარით ან კონტრაქტით მიღებული (დაქირავებული) პირი.

რელიგიური ომები საფრანგეთში 1562–98 (სხვა წყაროებით, 1559–94, 1562–94), ჰუგენოტური ომები კათოლიკეებსა და კალვინისტებს (საფრანგეთში მათ ჰუგენოტებს უწოდებდნენ) შორის. რელიგიური შეფერილობის მიუხედავად თავისი ხასიათით და შინაარსით სამოქალაქო ომები, რომელთა მსვლელობაში ადგილი ჰქონდა რთულ დაპირისპირებას სხვადასხვა სოციალურ ძალებს შორის. **რ.ო**. ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა, რასაც თან ახლდა მასობრივი ურთიერთულტა.

რელიეფური რუკა, სპეციალური რუკები ადგილმდებარეობის რელიეფის მოცულობითი გამოსახულებით. განკუთვნილია გადაწყვეტილების მიღებისა და ურთიერთქმედების ორგანიზების დროს ადგილმდებარეობის რელიეფის შესწავლისა და შეფასებისათვის. მზადდება სასაზღვრო და სხვა რუკების საფუძველზე მასშტაბით 1:500000 და 1:1000000, ცალკეულ რაიონებზე – 1:200000. რელიეფის წარმოსახვის მეტი თვალსაჩინოებისათვის ვერტიკალურ მასშტაბს ყოველთვის ჰორიზონტალურზე უფრო მსხვილს იღებენ.

რემილიტარიზაცია (რე re და ლათინური militaris – სამხედრო), დემილიტარიზაციის შემდეგ სახელმწიფოს (ან მისი ტერიტორიის ნაწილის) სამხედრო ძლიერების, სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის აღდგენა.

რეპარაცია (ლათინური reparatio – აღდგენა), საერთაშორისო სამართლის მიხედვით ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც უხდის ომში დამარცხებული ქვეყანა გამარჯვებულს, მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. **რ**-ის ფორმები: მოწყობილობის, ჩარხების და სხვა საწარმოო სიმძლავრეების ერთჯერადი ამოღება, მოსახლეობის შრომის გამოყენება; ყოველწლიური სასაქონლო მოწოდებები; ფულადი გადახდები და სხვა. **რ**-ის მოცულობა უნდა იყოს მატერიალური ზარალის ტოლფასი.

რეპატრიაცია (ლათინური repatriation – სამშობლოში დაბრუნება), სამხედრო ტყვეების და ომის შედეგად საკუთარი ქვეყნის გარეთ აღმოჩენილი სამოქალაქო პირების, ასევე ემიგრანტების დაბრუნება სამშობლოში. **რ**-ის აუცილებლობას განსაზღვრავს ჟენევის 1949 წლის კონვენციები. სამხედრო ტყვეების ნაწილი (მძიმედ დაჭრილები და მძიმე ავადმყოფები) **რ**-ს ექვემდებარებიან სამხედრო მოქმედებების პერიოდში, დანარჩენები – მათი დამთავრების შემდეგ.

რეპერი (ფრანგული repere – ნიშანი, ნიშნული, საწყისი წერტილი), არტილერიაში – დამხმარე წერტილი, რომელზეც ხდება ქვემეხების გამიზვნა მიზანზე ცეცხლის შემდგომი გადატანით. **რ**. შეიძლება იყოს ნამდვილი და ფიქტიური. ნამდვილი **რ**. არის გამიზნული მიზანი ან ადგილობრივი საგანი. მისი კოორდინატები ცნობილია ან შესაძლებელია მათი განსაზღვრა მოთხოვნილი სიზუსტით. ფიქტიური **რ**-ად (მიწისზედა, წყალზედა ან საჰაერო) გამოიყენება აფეთქებების ჯგუფის ცენტრი, რომლის კოორდინატები განისაზღვრება საჭირო სიზუსტით, რადიოსალოკაციო სადგურების დაკვირვევებით. ასევე – ხმოვანი დაზვერვის ქვედანაყოფების მიერ. საჰაერო **რ**. იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც მიწისზედა **რ**-ის შექმნა შეუძლებელია.

რეპრესალია (ლათინური represalie – შეკვრა), საერთაშორისო სამართალში – ერთი სახელმწიფოს იძულებითი ღონისძიება მეორის არამართლზომიერი მოქმედების საპასუხოდ, ამ მოქმედების შეწყვეტის და ზარალის ანაზღაურების მიზნით. დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს აანაზღაუროს ზარალი. **რ**. უნდა შეწყდეს აღნიშნული ზარალის ანაზღაურებისთანავე.

რეჟიმი (ფრანგული régime), 1.სახელმწიფო წყობილება, მმართველობის წესი. 2. ცხოვრების, შრომის, დასვენების, კვების და სხვა მტკიცედ დადგენილი წესი, განაწესი. 3. რაიმე სამუშაოს, მოქმედების, არსებობის პირობები. მაგალითად, მანქანის მუშაობის **რ**., მდინარის რეჟიმი-პირობები, რომლებიც განსაზღვრავს წყლის დინების ცვალებადობას მრავალი წლის, სეზონისა თუ დღე-ღამის განმავლობაში. 4. რაიმე მიზნისათვის საჭირო წესთა, ღო-

ნისძიებათა სისტემა. მაგალითად, ეკონომიკის **რ**.

რესპირატორი (ლათინური respiro – ვსუნთქავ), ჰაერში არსებული მავნე ნივთიერებებისგან სასუნთქი ორგანოების დაცვის ინდივიდუალური საშუალება. **რ**-ები არის: მტვერსაწინააღმდეგო, აირსაწინააღმდეგო და აირ-მტვერდამცავი (უნივერსალური); უსარქველო, სარქველიანი; ერთჯერადი და მრავალჯერადი; ნახევრად ნიღაბის ფორმის და ვაზნიანი (ცალკეა სახის ნაწილი და ფილტრი).

რესტიტუცია (ლათინური restitutio – აღდგენა), საერთაშორისო სამართალში – მთელი იმ ქონების, კულტურული და სხვა ფასეულობების დაბრუნება, რომლებიც მეომარმა სახელმწიფომ მოწინააღმდეგის ტერიტორიიდან უკანონოდ ამოიღო და გაიტანა. იმ ფასეულობების **რ**-ის განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, რომლებიც გაიტანეს, დასაშვებია, მორიგების საფუძველზე, მსგავსი და ტოლფასი საგნების გადაცემა. **რ**-ს ექვემდებარება ქონება, რომელიც აღმოაჩნდა როგორც მეომარ სახელმწიფოს, ისე ნებისმიერ მესამე მხარეს. პრაქტიკულად, **რ**. (განსაკუთრებით – ხელოვნების ნაწარმოებების) მრავალი წლის მანძილზე ჭიანურდება ხოლმე.

რესურსი (ფრანგული – ressource), 1.რაიმეს მარაგი. 2. ფულადი სახსრები. 3. ტექნიკური მოწყობილობის (მანქანის, სისტემის) ნამუშევარი იქამდე, სანამ ეს მოწყობილობა მიაღწევს ზღვრულ მდგომარეობას, რომლის დროსაც მისი შემდგომი ექსპლუატაცია შეუძლებელია ან არ არის სასურველი ეფექტურობის შემცირების ან ადამიანისათვის გაზრდილი საფრთხის გამო (სხვანაირად: ტექნიკური რესურსი).

რესურსის გადანაწილება, მშვიდობიანობის დროს სარდლობის მიერ განსაზღვრული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენება. ხორციელდება უფლებამოსილების გადაცემის შემდეგ. ეს რესურსები გამოიყოფა ომის ან კრიზისის დროს და აუცილებელია სარდლის წინაშე დასახული საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად.

რესურსის გადაცემა, შესაბამისი სამხედრო ინსტანციის მითითებებით, ერთი ქვეყნის ჯარების (ძალების) მიერ სხვა ქვეყნის ჯარებისთვის (ძალებისთვის) მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გადაცემა.

რიგითი შემადგენლობა, სამხედრო მოსამსახურეების და რეზერვში მყოფი (სამხედრო ვალდებული) მოქალაქეების კატეგორია, რომლებსაც აქვთ რიგითის, მატროსის და ა.შ. სამხედრო წოდებები.

რიკოშეტი (ფრანგული – ricochet), წინაღობაზე მოხვედრის შემდეგ ჭურვის, ტყვიის და სხვა მკვრივი სხეულების არეკვლა. საარტილერიო ქვემეხებიდან მიწისზედა მიზნებისკენ სროლის დროს **რ**. ხდება, როდესაც ჭურვის დაცემის კუთხე არის 20^0-მდე ხოლო წყალზედა მიზნებისკენ – 10^0-მდე. ამფეთქის შენელებულ მოქმედებებზე დაყენების შემთხვევაში ჭურვი 3–5 *მ*-ის სიმაღლეზე ფეთქდება, რაც მის მსხვრევით მოქმედებას ზრდის. ეს მოვლენა საველე არტილერიაში გამოიყენება ღიად განლაგებული ცოცხალი ძალის და საცეცხლე საშუალებებისკენ სროლის დროს.

რისკი (ფრანგული risque – საშიშროება), 1. განსახორციელებელი მოქმედების მარცხით დასრულების შემთხვევაში მოსალოდნელი საშიშროება; თვითონ ქმედება, რომელიც ასეთ საშიშროებასთან არის დაკავშირებული. განასხვავებენ უგუნურ **რ**-ს, როდესაც მთელი იმედები დამყარებულია ალალბედზე, და გაცნობიერებულ **რ**-ს, რომელსაც საფუძვლად უდევს ვარაუდი და მას ემყარება წარმატების რწმენა. **რ**-ის ცნება გამოიყენება თამაშების და გადაწყვეტილებების მიღების თეორიებში. 2. უბედურების შედეგების ლიკვიდაციის ტერმინოლოგიაში – კონკრეტულ საფრთხესთან დაკავშირებული მოსალოდნელი დანაკარგები (სიკვდილის შემთხვევები, დაჭრა, ქონების დაზიანება და ეკონომიკური საქმიანობის მოშლა) განსაზღვრული რეგიონისთვის და საკონტროლო პერიოდში. **რ**. არის საფრთხის ფაქტორების და მოწყვლადობის წარმოებული და ეფუძნება მათემატიკურ გათვლებს.

რისკის მართვა, რისკის განსაზღვრის, შეფასების და კონტროლის პროცესი, რომლის საფუძველს წარმოადგენს ოპერატიული ფაქტორი და გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად ღირს გარისკვა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად და როგორ უნდა დაბალანსდეს ზარალი და წარმატება.

რისკის შეფასება, საფრთხის რეალობის განსაზღვრა და მოსალოდნელი შედეგების შეფასება.

რისკის ხარისხი, მდგომარეობა, როდესაც წინასწარ ცნობილმა მოვლენებმა შეიძლება გამოიწვიოს საბრძოლო ძალების დაბნეულობა ან მსხვერპლი, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მათ ბრძოლისუნარიანობას.

როკადა, როკადული გზა (ფრანგული rocade), საომარი მოქმედების რაიონში ფრონტის ხაზის პარალელურად გამავალი გზა (რკინიგზები ან გზატკეცილები), რომლის საშუალებით შესაძლებელია ჯარებისა და მატერიალური საშუალებების მანევრირება.

რომი ძველი, ძველი მონათმფლობელური სახელმწიფო, რომლის ისტორია იყოფა სამ პერიოდად: 1. მეფეთა პერიოდი (ძვ.წ. 754/753–510/509), 2. რესპუბლიკის ხანა (ძვ.წ. 510/509–30 ან 27), 3. იმპერიის ეპოქა (ძვ.წ. 30 ან 27–ახ.წ. 476). გადმოცემით, ქ. რომი დააარსეს ძმებმა რომულმა და რემმა ძვ.წ. 754/753 წლებში. ძვ.წ. III საუკუნის შუა ხანებისათვის რომმა მთელი იტალიის ტერიტორია დაიმორჩილა, ხოლო *პუნიკურ ომებში* კართა-

გენზე გამარჯვებით მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის ჰეგემონობას მიაღწია. ძველი რომის ტერიტორია განსაკუთრებით გაფართოვდა ახ.წ. I–II საუკუნეებში. შემდეგ გაიყო დასავლეთ (იარსება 476 წლამდე) და აღმოსავლეთ იმპერიებად. ამ უკანასკნელმა, ბიზანტიის სახელწოდებით, კიდევ იარსება დაახლოებით 1000 წელი. რომის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ არმია და მისი ბელადები. რომის არმიამ განვლო გზა სუსტად გაწვრთნილი მილიციიდან დახვეწილი სამხედრო ორგანიზაციის მქონე მუდმივ ჯარამდე. სახმელეთო ძალების ძირითადი გვარეობა იყო ქვეითი ჯარი, დამხმარე – კავალერია. ფლოტი უზრუნველყოფდა სახმელეთო ჯარების მოქმედებებს ზღვისპირა მიმართულებებზე და დესანტების გადასხმას მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. რომაულ არმიას კარგად მომზადებული მეთაურები ჰყავდა. ჰქონდა თავისი დროისათვის საუკეთესო საჭურველი, მტკიცე სამხედრო დისციპლინა და იმ დროისათვის მაღალი სამხედრო ხელოვნება. რომაელმა მხედართმთავრებმა შემოიღეს ლეგიონის ტაქტიკური დანაწევრება, რაც უზრუნველყოფდა ბრძოლის ველზე ჯარების მანევრირებას, ზრდიდა საშუალო მეთაურების როლს ბრძოლაში. რომის ჯარების საერთო რაოდენობა 100 ათ. კაცს აღწევდა, თუმცა იყო პერიოდები, როდესაც რაოდენობა 250–350 ათს აღემატებოდა. მნიშვნელოვან განვითარებას მიაღწია საინჟინრო საქმემ, ციხესიმაგრეების ალყის დროს იყენებდნენ ტექნიკურ მოწყობილობებს.

რუანდა (Rwanda – რუანდის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი – 26,4 ათ. *კმ*². მოსახლეობა 10,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – კინიარუანდა, ინგლისური და ფრანგული. დედაქალაქი – ქ. კიგალი. ადმინისტრაციულად იყოფა 12 პრეფექტურად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – დროებითი ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. 1962 წლის 27 ივნისს გაუქმდა მონარქია და **რ**. გამოცხადდა რესპუბლიკად. დამოუკიდებლობის დღე – 1962 წლის 1 ივლისი. **რ**. აგრარული ქვეყანაა. მოწინავე დარგებია: ყავის, ჩაის, ბამბის, შაქრის ლერწის, თამბაქოს მოყვანა. საერთაშორისო აეროპორტი – კიგალი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 33 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 32 ათ და სამხედრო-საჰაერო ძალები 1 ათ. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

რუზველტი (Roosevelt) ფრანკლინ დელანო (1882–1945), აშშ-ის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, ქვეყნის 32-ე პრეზიდენტი (1933–45). 1910 წელს არჩეული იყო ნიუ-იორკის შტატის სენატში დემოკრატიული პარტიიდან. 1921 წელს პოლიომიელიტის გამო დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი დაკარგა, მაგრამ 1928–32 წლებში აირჩიეს ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორად, ხოლო 1933 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა. პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის დროს გაატარა რეფორმები, რომელთაც „ახალი კურსი“ უწოდეს. საგარეო საქმეებში **რ**. ცდილობდა აშშ-ის გამოყვანას იზოლაციიდან. 1933 წელს მისმა მთავრობამ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა სსრ კავშირთან, დაგმო იაპონიის, გერმანიისა და იტალიის აგრესიული ქმედებები, გამოაცხადა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან კეთილმეზობლობის დოქტრინა. II მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ **რ**. მხარს უჭერდა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს, 1941 წლიდან კი – საბჭოთა კავშირსაც გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში. დიდი ღვაწლი მიუძღვის *ანტიჰიტლერული კოალიციის* ჩამოყალიბებაში. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გაეროს შექმნას და ომის შემდგომ პერიოდში საერთაშორისო თანმშრომლობის განვითარებას. **რ**. გარდაიცვალა სამი კვირით ადრე მესამე რაიხის სრულ კაპიტულაციამდე.

რუკის ნომენკლატურა, მრავალფურცლიანი გეოგრაფიული რუკების ცალკეული ფურცლების პირობითი აღნიშვნის სისტემა, რომელიც მოცემული რუკის სხვა ფურცლების მიმართ თითოეული ფურცლის ადგილს და მის მდებარეობას განსაზღვრავს. **რ.ნ.** შეიძლება იყოს ცხრილის (რუკების კრებსითი ცხრილის შესაბამისად, რუკის თითოეული ფურცელი აღინიშნება ასოებით, ციფრებით ან ასოციფრებით), კოორდინატების (რუკის თითოეული ფურცელი აღინიშნება მისი ერთ-ერთი წერტილის კოორდინატებით), ციფრული ან კოდირებული (რუკის თითოეული ფურცელი ღებულობს ციფრულ ან ასოციფრულ კოდს).

რუმინეთი (Romania), სახელმწიფო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, უმთავრესად ქვემო დუნაის აუზში. ქვეყანას აღმოსავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა. ფართობი 237,5 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 22,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – რუმინული. დედაქალაქი – ქ. ბუქარესტი. ადმინისტრაციულად იყოფა 41 ოლქად და ბუქარესტის მუნიციპალიტეტად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. **რ**-ის თანამედროვე საზღვრები დაადგინეს პარიზის სამშვიდობო ხელშეკრულებით 1947 წელს. 1947 წელს გაუქმდა მონარქია და გამოცხადდა სახალხო რესპუბლიკად. თანამედროვე დასახელება დამკვიდრდა 1989 წელს. **რ**. ნატოს წევრი ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, შავი და ფერა-

დი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა, ნავთობისა და ბუნებრივი აირის მოპოვება. სამხედრო მრეწველობას შეუძლია აწარმოოს საარტილერიო სისტემები და ცეცხლსასროლი იარაღი, ტყვია-წამალი, ტანკები, თვითმფრინავები, ვერტმფრენები, ხომალდები. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: სიმინდის, შაქრის ჭარხლის და მზესუმზირის მოყვანა. მთავარი საზღვაო პორტი: კონსტანცა. საერთაშორისო აეროპორტი – ბუქარესტი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 73,3 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 43 ათ., სამხედრო-საჰაერო 9,7 ათ., სამხედრო-საზღვაო 7,4 ათ., სასაზღვრო 13,2 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

რუსეთ-ავსტრია-საფრანგეთის ომი 1805, ომი მესამე ანტიფრანგულ კოალიციასა და საფრანგეთს შორის *ნაპოლეონის ომების* დროს. ნაპოლეონმა თავისი მთავარი ძალები (220 ათ. კაცი) დაძრა და ულმთან ბრძოლაში დაამარცხა ავსტრიის 80-ათასიანი არმია. შემდეგ შეუტია რუსეთის არმიას (50 ათ. კაცი, მ. კუტუზოვი). კუტუზოვმა მარშ-მანევრით უკან დაიხია და შეუერთდა ფ. ბუკსგევდენის რუსულ კორპუსს (30 ათ. კაცი), მაგრამ *აუსტერლიცის ბრძოლაში* დამარცხდა. ამის შემდეგ კოალიცია დაიშალა: ავსტრიამ ხელი მოაწერა სეპარატულ ზავს, კუტუზოვის არმია კი რუსეთში გაიყვანეს.

რუსეთი (Russia – რუსეთის ფედერაცია), სახელმწიფო ევროპის აღმოსავლეთ და აზიის ჩრდილოეთ ნაწილში. ესაზღვრება ჩრდილოეთ-ყინულოვანი ოკეანე, ბალტიის ზღვა, შავი და აზოვის ზღვები. ფართობი 17,8 მლნ. *კმ²*. მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო ტერიტორიის მიხედვით. ესაზღვრება 14 ქვეყანას, მათ შორის საქართველოს. მოსახლეობა – 143 მლნ. კაცი (2012). დასახლებულია 100-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლებით, მათგან რუსები 81,5%. ოფიციალური ენა – რუსული. დედაქალაქი – ქ. მოსკოვი. **რ**. ფედერაციული რესპუბლიკაა. ფედერაციაში შედის: 21 რესპუბლიკა, 55 მხარე, ფედერალური მნიშვნელობის 2 ქალაქი (მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი), 11 ავტონომიური მხარე. სახელმწიფოს მეთაურია ფედერაციის პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი ფედერალური კრება (ფედერაციის საბჭო და სახელმწიფო დუმა). აღმასრულებელ ძალაუფლებას ახორციელებს ფედერაციის მთავრობა. დღევანდელი რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორია 1917 წლამდე წარმოადგენდა ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიას, ხოლო 1917 წლიდან 1991 წლამდე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას. მასში **რ**. შედიოდა რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის სახით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ **რ**-ის ფედერაცია მისი კანონმემკვიდრე გახდა. არის გაეროს მუდმივი წევრი. 1991 წელს მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. საქართველოს მიმართ რუსეთის ფედერაცია ატარებდა აგრესიულ პოლიტიკას და მხარს უჭერდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების სეპარატისტულ მოძრაობას, რომელიც დასრულდა აგრესიით საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელს და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციით. **რ**. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. აქვს მსოფლიოში უდიდესი მინერალური რესურსები. მის წილად მოდის მსოფლიოს ბუნებრივი აირის 30%, ქვანახშირის 5-6% მარაგი. სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში წამყვანი ადგილი უჭირავს ნავთობს და ბუნებრივ აირს. ელექტროენერგიის დაახლოებით 10%-ს გამოიმუშავებენ ატომური ელექტროსადგურები. აქვს მნიშვნელოვანი სიმძლავრის მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ნავთობტექნიკური, ხე-ტყის, მსუბუქი, კვების მრეწველობა. ასევე – სამხედრო მრეწველობის მძლავრი სისტემა. აწარმოებს სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო შეიარაღებისა და ტექნიკის ყველა სახეს, მათ შორის სარაკეტო-ბირთვულ და სამხედრო-კოსმოსურს. **რ**-ს მეორე ადგილი უკავია მსოფლიოში იარაღის გაყიდვით. სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას და მცენარეული კულტურების მოყვანას, თუმცა სრულად ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნას. ძირითადი საზღვაო პორტებია: ნოვოროსიისკი, ტუაფსე, სოჭი – შავ ზღვაზე; სანქტ-პეტერბუგი, კალინინგრადი – ბალტიის ზღვაზე; მურმანსკი – ბარენცის ზღვაზე; ვლადივოსტოკი, ნახოდკა, კორსაკოვი, ხოლმსკი, ვანინო – შორეულ აღმოსავლეთში. საჰაერო მიმოსვლის კვანძებია: მოსკოვი, სანქტ-პეტერბურგი, ნოვოსიბირსკი, ხაბაროვსკი, მინერალური წყლები. აქვს მყარი ასაფრენ-დასაფრენ ბილიკიანი 600-მდე აეროდრომი. **რ**-ის შეიარაღებული ძალები მოიცავს სამ სახეობას (სახმელეთო ჯარებს, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს), მათგან დამოუკიდებელ სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებს და სამხედრო-კოსმოსურ ძალებს. სამხედრო-ძალოვან და გასამხედროებულ სტრუქტურებს განეკუთვნებიან: უსაფრთხოების ფედერალური სამსახური, საგარეო დაზვერვის სამსახური, ფედერალური სასაზღვრო სამსახური, სამოქალაქო თავდაცვის ჯარები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სარკინიგზო ჯარები. სამხედრო ოლქების რაოდენობა შემცირებულია 4-მდე (დასავლეთის, სამხრეთის, ცენტრის და აღმოსავლეთის). სამხრეთის სამხედრო ოლქში, რომელიც ესაზღვრება საქართველოს, შედის ყოფილი ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქი, შავი

ზღვის ფლოტი და კასპიის ფლოტილია. **რ**-ის შეიარაღებული ძალების რაოდენობაა: სახმელეთო ჯარები – 300 ათ. კაცი, სამხედრო-საჰაერო – 183 ათასი, სამხედრო-საზღვაო – 161 ათასი, კოსმოსური ძალები – 150 ათ., საჰაერო სადესანტო – 35 ათ., სტარტეგიული დანიშნულების – 120 ათ. (2012). სამხრეთის სამხედრო ოლქში (შტაბი დონის როსტოვში) შედის: 70 ათ. სამხედრო მოსამსახურე, სახმელეთო ჯარები – 56 ათ., სამხედრო-საჰაერო – 10 ათ., სამხედრო-საზღვაო – 4 ათ.. შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სახით (გაწვევით და დაქირავებული პირებით).

რუსეთ-იაპონიის ომი 1904–05, იმპერიალისტური ომი იაპონიასა და რუსეთის იმპერიებს შორის, კორეასა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ბატონობისათვის. ომი დაიწყო იაპონიამ, რომლის არმია (375 ათ. კაცი) და ფლოტი (80 საბრძოლო ხომალდი) თავდაპირველად აღემატებოდა რუსეთის ძალებს შორეულ აღმოსავლეთში. უმნიშვნელოვანესი მოვლენები იყო: რუსების დამარცხება მდინარე იალუსთან, ვაფანგოუსთან, ლაოიანთან, მდინარე შახესთან (1904); იაპონელთა მიერ ხანგრძლივი ბლოკადის შედეგად ციხესიმაგრე პორტარტურის აღება, რუსეთის არმიისა და ფლოტის მძიმე დამარცხებები 1905 წელს მუკდენთან და ცუსიმის კუნძულებთან (იხ. *ცუსიმის ბრძოლა*). პორტსმუთის საზავო ხელშეკრულებით (1905), რუსეთმა იაპონიას დაუთმო კუნძული სახალინის სამხრეთ ნაწილი, გადასცა საიჯარო უფლებები კვანტუნის ოლქზე პორტ-არტურითურთ, კორეა ცნო იაპონიის გავლენის სფეროდ. **რ.-ი.ო**. XX საუკუნის პირველი დიდი ომი იყო. მან ცხადყო რუსეთის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის, მორალური და სამეცნიერო-ტექნიკური ფაქტორების როლის გაზრდა. ომში გამოიყენეს: ტყვიამფრქვევები, სწრაფმსროლელი ზარბაზნები, ნაღმსატყორცნები, ხელყუმბარები, რადიო და პროჟექტორები. ახალი ნაბიჯი გადაიდგა ოპერატიული ხელოვნების (ჩაისახა საარმიო და საფრონტო ოპერაციები), საერთო-საჯარისო ბრძოლის ტაქტიკის, ჯარების მართვის საქმეში; მიიღეს გამოცდილება ღამით ზღვაზე საბრძოლო მოქმედებების წარმოებაში.

რუსეთ-ირანის ომი 1804–13, ომი დაიწყო ირანმა მას შემდეგ, რაც რუსეთმა უპასუხოდ დატოვა მისი ულტიმატუმი ამიერკავკასიიდან ჯარების გაყვანის შესახებ. რუსეთის ჯარებმა რამდენიმე გამარჯვება მოიპოვეს მოწინააღმდეგეზე და აზერბაიჯანის სახანოების ნაწილი დაიკავეს. 1813 წელს, გულისტანის საზავო ხელშეკრულებით, ირანი იძულებული გახდა ეცნო საქართველოს, ჩრდილოეთ აზერბაიჯანისა და დაღესტნის (ეს უკანასკნელი იმ დროს, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი იყო) რუსეთთან შეერთება.

რუსეთ-ირანის ომი 1826–28, ირანმა ინგლისელთა წაქეზებით ახალი ომი დაიწყო რუსეთთან. სამხედრო მოქმედებების მსვლელობაში რუსეთის ჯარებმა (12 ათ. კაცი) ადგილობრივი მილიციის (26 ათ. კაცი) დახმარებით დაამარცხეს ამიერკავკასიაში შემოჭრილი ირანის 60 ათ-ანი არმია. თურქმანჩაის ზავით (1828) რუსეთმა ირანს ჩამოართვა ერევნისა და ნახჭევანის სახანოები.

რუსეთის არმიის ქართველი გენერლები (1700–1918) იხ. *დანართი №1*.

რუსეთის იმპერია, რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება 1721 წლიდან, როდესაც *პეტრე I*-მა იმპერატორის ტიტული მიიღო, რუსეთის უკანასკნელი მეფის – ნიკოლოზ II-ის ტახტიდან გადადგომამდე (1917 წლის 2 (15) მარტი).

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1768–74, დაიწყო ოსმალეთმა, რომლის მიზანი იყო რუსეთის გავლენის შემცირება პოლონეთში. რუსეთის ჯარების გამარჯვებამ მდინარე ლარგასთან და კაგულთან (1770), დუნაისა და ბალკანეთის გადალახვამ (1774) და ხმელთაშუა ზღვაში რუსული ფლოტის წარმატებულმა მოქმედებებმა ოსმალეთის მთავრობა აიძულა საზავო მოლაპარაკებები დაეწყო. ქუჩუქ-კაინარჯას ზავით (1774) ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო შავ ზღვაზე გასასვლელი ციხესიმაგრეებით: ქერჩი, ენიკალე, კინბურნი; გარდა ამისა, აღიარა ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობა, რომელიც ამის შემდეგ რუსეთის მიერ იქნა ანექსირებული (1783). 1768–74 წლებში ომის შედეგად რუსეთმა გაიმყარა პოზიციები ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ ომში რუსეთის მხარეს იბრძოდნენ ქართლ-კახეთის მეფე *ერეკლე II* და იმერეთის მეფე *სოლომონ I* (იხ. *ასპინძის ბრძოლა*).

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1828–29, გამოწვეული იყო ევროპის სახელმწიფოების ბრძოლით დასუსტებული ოსმალეთის იმპერიის სამფლობელოების განაწილებისათვის. რუსეთის მიერ ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებული ბერძნებისათვის დახმარების აღმოჩენის გამო ოსმალეთმა 1827 წლის დეკემბერში ომი გამოუცხადა რუსეთის იმპერიას. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე რუსეთის ჯარებმა (95 ათ. კაცი) გადალახეს დუნაი, დაიკავეს ვარნა (1828), ადრიანოპოლი (1829) და კონსტანტინოპოლს მიუახლოვდნენ. კავკასიის ფრონტზე რუსეთის ჯარებმა (25 ათ. კაცი) ადგილობრივი მილიციის დახმარებით აიღეს ახალქალაქი, ახალციხე, ფოთი (1828), არზრუმი (1829) და მიაღწიეს ტრაპიზონს. ოსმალეთის მთავრობამ ზავი ითხოვა. ადრიანოპოლის ზავით რუსეთმა მიიღო სამცხე-ჯავახეთი და ზოგი სხვა ტერიტორია (იხ. *ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულებები 1713, 1829*). გარდა

ამისა, ოსმალეთმა ცნო საქართველოს, ერევნის და ნახჭევანის სახანოების რუსეთთან შეერთება.

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1853–56, იხ. *აღმოსავლეთის (ყირიმის) ომი 1853–56.*

რუსეთ-ოსმალეთის ომი 1877–78, დაიწყო რუსეთმა ბალკანეთის ნახევარკუნძულზე თავისი გავლენის გასამტკიცებლად. სამხედრო მოქმედებები გაიშალა ბალკანეთსა და კავკასიაში. როგორც ადრე, ამჯერადაც მთავარი იყო ბალკანეთის ფრონტი. აქ რუსეთის არმიამ (თავიდან 185 ათ. კაცი, შემდეგ – 377 ათ.) რუმინეთისა და ბალკანეთის სლავების (სერბები, ჩერნოგორიელები, ბულგარელები) მხარდაჭერით დაამარცხა ოსმალთა ჯარები (275 ათ.) და კონსტანტინოპოლს მიადგა (1878 წლის თებერვალში). კავკასიის ფრონტზე (რუსები – 100 ათ., ოსმალები – 90 ათ. კაცი) ოსმალები დამარცხდნენ ალაჯა-ავლიარის მიდამოებში და ციხესიმაგრეებში – ყარსსა და არზრუმში ჩაიკეტნენ. რუსებმა ყარსი იერიშით აიღეს (1877), ხოლო შეტევა არზრუმზე შეჩერდა დაზავებასთან დაკავშირებით. ომი დამთავრდა სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით (1878), რომლის გადაწყვეტილებები გადაიხედა ბერლინის კონგრესზე (1878). რუსეთმა მიიღო სამხრეთ ბესარაბია, აჭარა ქ. ბათუმით და ართვინი, არტაანი და ყარსი მიმდებარე ტერიტორიებით. ოსმალეთისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს რუმინეთმა, სერბიამ და ჩერნოგორიამ, ხოლო ბულგარეთმა მიიღო ეროვნული სახელმწიფოს შექმნის საშუალება. ომში გამოიკვეთა შეიარაღებული ბრძოლის მასშტაბების ზრდისა და ხასიათის შეცვლის ტენდენცია, რაც განპირობებული იყო არიათა რიცხოვნობის ზრდით, დაკუთხვილი შაშხანებისა და ქვემეხების, რკინიგზისა და საველე ტელეგრაფის გამოყენებით. სტრატეგიის კუთხით საინტერესოა რუსეთის არმიის მიერ დუნაის გადალახვა, განხორციელებული ფართო ფრონტზე, ყალბი გადასასვლელებისა და ნაღმების ღობურების მოწყობით. შემდგომი განვითარება პოვა მსროლელთა შარების ტაქტიკამ.

რუსეთ-საქართველოს ომი 1921 (ცნობილია, როგორც წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში, საბჭოებისა და საქართველოს ომი), სამხედრო მოქმედებები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებსა და საქართველოში შემოჭრილ საბჭოთა რუსეთის არმიებს შორის თებერვალ-მარტში. ბოლშევიკებმა 1920 წლისათვის ძირითადად გაანადგურეს თავისი მოწინააღმდეგეები რუსეთში და იმპერიის ყოფილი სამფლობელოების ხელახლა შემოკრებას შეუდგნენ. იმავე წელს ძალით გაასაბჭოეს აზერბაიჯანი და სომხეთი. საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებობდა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, რომლითაც რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა. სამაგიეროდ საქართველოს მთავრობამ ბოლშევიკებს ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალური მუშაობის ნებართვა მისცა. მაგრამ მალე გაირკვა, რომ 7 მაისის ხელშეკრულება რუსეთს სჭირდებოდა ქართველთა სიფხიზლის მოსადუნებლად. მოსკოვი ემზადებოდა სამხედრო ინტერვენციისათვის ამიერკავკასიის უკანასკნელი რესპუბლიკის გასაბჭოების მიზნით. 1921 წლის 12 თებერვალს სომხეთთან მოსაზღვრე რაიონში ბოლშევიკებმა მოაწყვეს გლეხთა აჯანყების იმიტაცია, 16 თებერვალს კი „აჯანყებულთა“ დახმარების საბაბით საქართველოში რუსეთის ჯარები შემოიჭრნენ. მთავარ დარტყმას თბილისის მიმართულებით აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიებიდან ახორციელებდა მე-11 საბჭოთა არმია (40,2 ათ. ხიშტი და ხმალი, 196 ქვემეხი, 1065 ტყვიამფრქვევი, 7 ჯავშანმატარებელი, 8 ტანკი და ჯავშნოსანი მანქანა, 50 თვითმფრინავი). ხოლო დამხმარე დარტყმებს – საბჭოთა მე-9 არმიის 31-ე მსროლელი დივიზია (სოხუმის მიმართულებით) და ჩრდილო კავკასიიდან თერგის ჯგუფის ჯარები (კობისა და ქუთაისის მიმართულებით). საქართველოს შეიარაღებული ძალების საერთო რაოდენობა, მოწინააღმდეგის დაზვერვის ცნობით, 50 ათ. კაცი იყო, რაც გადაჭარბებული უნდა იყოს. თებერვლის თოვლიან დღეებში თბილისის სამხრეთ მისადგომებთან ცხარე ბრძოლები გაიმართა. წითლებმა შეტევა მიიტანეს ტაბახმელა-კოჯრის მონაკვეთზე, მაგრამ ქართული ნაწილების კონტრიერიშმა ისინი უკუაგდო (18–20 თებერვალი). რუსებმა დამატებითი ძალებით განაახლეს შეტევა (23 თებერვალი), მაგრამ ამჯერად უკვე შემოვლითი გზებით – დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან – დაემუქრნენ საქართველოს დედაქალაქს. 24 თებერვალს, საღამოს, თბილისი უკვე სამი მხრიდნ იყო ალყაშემორტყმული და ჩანდა, რომ რკალი მალე მთლიანად შეიკვრებოდა. ქართველ სარდლობას რეზერვები აღარ ჰყავდა მდგომარეობის გამოსასწორებლად. სამობილიზაციო გეგმა არასაკმარისი სისწრაფით სრულდებოდა, ხოლო ახლად გაშლილ ნაწილებს არ ჰყოფნიდათ აღჭურვილობა. ამიტომ მიიღეს გადაწყვეტილება თბილისის დატოვების შესახებ. ღამით მთავრობამ და ჯარმა ქალაქი დატოვეს, 25 თებერვალს, დღისით, კი თბილისში წითელი არმია შემოვიდა. ქართული ჯარები სხვა მიმართულებებზეც უკან იხევდნენ. ხელისუფლებამ ვერ მოახერხა საერთო-სახალხო წინააღმდეგობის ორგანიზება. მდგომარეობა გართულდა თურქეთის საზღვარზეც. ქემალისტურმა მთავრობამ საქართველოს ულტიმატური ფორმით მოსთხოვა ქალაქების – ართვინისა და არტაანის (არდაჰანის) დაცლა. ეს მოთხოვნა შესრულდა, მაგრამ თურქები არ შეჩერებულან და მალე ბათუმსა და ახალციხეს მოადგნენ. 18 მარტს

საქართველოს მთავრობა ბათუმიდან საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა, ხოლო ქალაქში დარჩენილმა ქართულმა ნაწილებმა თურქებს ბრძოლა გაუმართეს და ქალაქი შეინარჩუნეს. ეს იყო საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების უკანასკნელი წარმატება. თურქების უკანდახევის შემდეგ ბათუმში რუსები შევიდნენ. 19 მარტისათვის საქართველოს ყველა ძირითად ქალაქში უკვე ბოლშევიკური დროშა ფრიალებდა. მანამდე კი, 16 მარტს, მოსკოვში რუსეთსა და თურქეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ართვინი, არტაანი და ზოგი სხვა ტერიტორია თურქეთს გადაეცა.

რუხი პროპაგანდა, პროპაგანდა, რომლის კონკრეტული წყაროც უცნობია.

რუხი სიები, სიები, რომელშიც აღრიცხულია იმ ადამიანების პერსონალური მონაცემები, ვისი შეხედულებები და დამოკიდებულება ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო მიზნებისადმი გაურკვეველია.

ს

სააბორდაჟო შეიარაღება, ცივი (შუბი, ხმალი, ხანჯალი, აფთი) და ცეცხლსასროლი (დამბაჩა, მუშკეტი) იარაღი. ასევე – სახომალდე ზარბაზნები, ლითონის ბირთვების და ქვის ლოდების მსროლელი მოწყობილობა. გამოიყენებოდა ნიჩბიან და აფრიან ფლოტებში აბორდაჟის დროს მოწინააღმდეგის ხომალდის (გემის) ხელში ჩასაგდებად.

სააგიტაციო საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

სააგიტაციო საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

სააეროდრომო სამსახური, იხ. *საინჟინრო-სააეროდრომო სამსახური.*

სააეროდრომო-ტექნიკური უზრუნველყოფა, აეროდრომებსა და დასაფრენ მოედნებზე განხორციელებული ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც იყენებენ საავიაციო ნაწილების, ქვედანაყოფებისა თუ ცალკეული საფრენი აპარატის ფრენების უზრუნველყოფის მიზნით. წარმოადგენს ლოგისტიკური უზრუნველყოფის სახეს. მოიცავს აეროდრომების (დასაფრენი მოედნების), საეროდრომო ნაგებობებისა და ფრენების სახმელეთო უზრუნველყოფის საშუალებების მომზადებას, მათ საექსპლუატაციო მზადყოფნაში შენარჩუნებას; თვითმფრინავების (ვერტმფრენების) დაზიანების საავიაციო საშუალებებით, საწვავით, აირით, ელექტროკვებით, კონდიცირებული ჰაერით და ა.შ. უზრუნველყოფას; ტექნიკური დახმარების აღმოჩენას და აეროდრომის რაიონში ავარიულად ან იძულებით დაშვებული საფრენი აპარატების ევაკუაციას. ხორციელდება საავიაციო-ტექნიკური ნაწილებით (ქვედანაყოფებით).

საავარიო-სამაშველო ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

საავიამზიდო ავიაცია, იხ. *საზღვაო ავიაცია.*

საავიაციო ბაზა, იხ. *სამხედრო ბაზა.*

საავიაციო ბომბი, საფრენი აპარატიდან ჩამოსაყრელი საავიაციო საბრძოლო მასალების სახეობა. ბომბდამშენი შეიარაღების ძირითადი სახეობა. იყოფა ძირითადი, სპეციალური და დამხმარე დანიშნულების ბომბებად. ძირითადი დანიშნულების **ს.ბ**. გამოიყენება მიზნის დასაზიანებლად ფუგასური, მსხვრევადი, დამრტყმელი, კუმულაციური, ცეცხლგამჩენი, ქიმიური და ბირთვული მოქმედებით; გასანათებლად, საკვამლე ფარდების აღსამართავად, ორიენტირებისა და სიგნალიზაციისთვის, საააგიტაციოლიტერატურის ჩამოყრის მიზნით და სხვა; დამხმარე – წვრთნის დროს ბირთვული აფეთქების იმიტაციისთვის, ბომბტყორცნის სწავლებისათვის და სხვა. პირველად **ს.ბ**-ები გამოიყენეს იტალიელებმა 1911–12 წლებში, იტალია-თურქეთის ომის დროს.

ბეტონგამტანი **ს.ბ.**, არის სქელკედლიანი ფუგასური **ს.ბ**. კალიბრი 250–500 *კგ*. ზოგიერთ ბომბს აქვს რეაქტიული ძრავა დაბრკოლებასთან შეხვედრის მომენტისათვის სიჩქარის გასაზრდელად.

ბურთულოვანი **ს.ბ.**, მსხვრევადი **ს.ბ**-ის ნაირსახეობა, რომელსაც აქვს დამაზიანებელი ელემენტები ფოლადის ან პლასტმასის ბურთულების სახით.

მანათობელი **ს.ბ**, აღჭურვილია ერთი ან რამდენიმე პარაშუტიანი პიროტექნიკური ჩირაღდნით. ანათებს ადგილმდებარეობას 5–7 წუთის განმავლობაში.

მართვადი (კორექტირებადი)**ს.ბ**, სტაბილიზატორის გარდა აქვს საჭეები, ზოგჯერ ფრთაც, აგრეთვე რადიო-ლაზერული სხივით, თვითდამიზნებით მართვის სისტემა და სხვა.

მსხვრევადი **ს.ბ.**, ნამსხვრევების რიცხვის ზრდისათვის ბომბის კორპუსს შეიძლება ჰქონდეს ნაჭდევები (დარაკები) ან აღიჭურვოს ბურთულებით – კალიბრი 0,5–100 *კგ*.

მსხვრევად-ფუგასური **ს.ბ.**, აქვს საკმაოდ ეფექტური მსხვრევადი და ფუგასური მოქმედება. კალიბრი 100–200 *კგ*.

ნავსაწინააღმდეგო **ს.ბ.**, აღჭურვილია ამფეთქით, რომელიც მოქმედებს წყალქვეშა ნავში მოხვედრისას ან გათვალისწინებულ სიღრმეზე.

პრაქტიკული **ს.ბ.**, აღჭურვილია პიროტექნიკური შემადგენლობით, სასწავლო ბომბტყორცნის დროს მისი დაცემის წერტილის მოსანიშნად სინათლის გაელვებით (ღამით) ან კვამლის ღრუბლით (დღისით).

საააგიტაციო **ს.ბ.**, აღჭურვილია დისტანციური მოქმედების ამფეთქით, რომლის ამოქმედების დროსაც გათვალისწინებულ სიმაღლეზე გამომგდები მუხტი უზრუნველყოფს საააგიტაციო ლიტერატურის გამოყრას და მიმოფანტვას.

საკვამლე **ს.ბ.**, აღჭურვილია თეთრი ფოსფორით, რომელიც მომოიფანტება 10–15 *მ* რადიუსით და იწვის. წვის დროს გამოყოფს დიდი რაოდენობის თეთრ კვამლს.

საიმიტაციო **ს.ბ.**, აღჭურვილია თხევადი საწვავით და თეთრი ფოსფორით. მსკდომი მუხტის ამოქმედებისას იმიტაციურად წარმოსახავს ბირთვული აფეთქების სოკოსებრ კვამლის ღრუბელს და მანათობელ არეს.

საორიენტაციო-სასიგნალო **ს.ბ.**, აღჭურვილია პიროტექნიკური შემადგენლობებით, რომლებიც წვის დროს წარმოშობენ კვამლის

ღრუბელს (დღისით) ან სხვადასხვა ფერის ალს (ღამით). ზღვაზე მოქმედებისათვის აღჭურვილია მანათობელი სითხით, რომელიც ბომბის ამოქმედებისას წყლის ზედაპირს განეფინება აფსკის სახით.

ტანკსაწინააღმდეგო **ს.ბ.**, კუმულაციური მოქმედების ბომბი. კალიბრი 0,5–5 *კგ*.

ფოტოგრაფიული **ს.ბ.**, აღჭურვილია მანათობელი შემადგენლობით (მაგალითად, ჟანგეულებიანი ალუმინ-მაგნიუმის ფხვნილების ნაზავი). ხანმოკლე გაელვება (0,1–0,2 *წმ*) წარმოშობს რამდენიმე მილიარდი *კდ* ძალის შუქს.

ფუგასური **ს.ბ.**, აქვს შედარებით თხელკედლიანი კორპუსი, კალიბრი 50–2000 *კგ* (ზოგჯერ 20 ათასამდე *კგ*.).

ფუგასურ-ცეცხლგამჩენი **ს.ბ.**, აღჭურვილია ფეთქებადი ნივთიერების მუხტით, პიროტექნიკური ან სხვა ცეცხლგამჩენი შემადგენლობებით.

ქიმიური **ს.ბ.**, აღჭურვილია მომწამვლელი ნივთიერებით და დისტანციური (უკონტაქტო) მოქმედების ამფეთქებით.

ცეცხლგამჩენი **ს.ბ.**, აქვს კალიბრი 0,5–500 *კგ*. მცირე კალიბრის ბომბები, ჩვეულებრივ, აღჭურვილია მყარი ნარევებით ლითონთა ჟანგეულების საფუძველზე (მაგალითად, თერმიტით), მსხვილი კალიბრისა – იოლადაალებადი შესქელებული ნივთიერებებით (მაგალითად, ნაპალმით).

ჯავშანგამტანი **ს.ბ.**, აქვს სალი კორპუსი (ჩვეულებრივ, სპეციალური ლეგირებული ფოლადისა), კალიბრი 100–1000 *კგ*.

საავიაციო დაზვერვა, იხ. *საჰაერო დაზვერვა*.

საავიაციო დამრტყმელი ჯგუფი, საავიაციო ქვედანაყოფის, ნაწილის, შენაერთის საბრძოლო წყობის ელემენტი შორეული დაჯგუფების, საზღვაო ავიაციის, სახმელეთო ჯარების ავიაციის შემადგენლობაში. განკუთვნილია მოწინააღმდეგის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ობიექტების (მიზნების) დაზიანების საავიაციო საშუალებებით (რაკეტებით, ბომბებით, ტორპედოებით, ნაღმებით და სხვა) განადგურებისათვის (დაძლევისათვის). შემადგენლობის მიხედვით ჯგუფები შეიძლება იყოს ერთგვაროვანი ან ნაირგვაროვანი. ჩვეულებრივ, მასში შედის დამრტყმელი თვითმფრინავები, მიზნების რაიონში საჰაერო თავდაცვის ჩახშობის თვითმფრინავები, დამატებითი დაზვერვისა და თვითმფრინავ-მზვერავები, დაბრკოლებების დამყენებლები. საზღვაო ავიაციაში იქმნება აგრეთვე საავიაციო საძიებო-დამრტყმელი ჯგუფები.

საავიაციო დოქტრინა, იმ ოფიციალურ შეხედულებათა სისტემა, რომლებიც მიღებულია სახელმწიფოში ომში ავიაციის როლსა და დანიშნულებაზე, მისი გამოყენების ფორმებსა და ხერხებზე, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალების მშენებლობის მიმართულებებსა და განვითარებაზე. უფრო ვიწრო, თვალსაზრისით, **ს.დ**-ად იგულისხმება ზოგიერთი სამხედრო მოღვაწის (დ. დუე – იტალია, ვ. მიტჩელი – ინგლისი და სხვა) შეხედულებები იმის თაობაზე, რომ წარმატება ომში შეიძლება მიღწეულ იქნეს ძირითადად ჰაერიდან, ბომბდამშენი ავიაციის დარტყმებით (იხ. *საჰაერო ომი*). სხვა სახეობების შეიარაღებული ძალების და ავიაციის გვარეობების მნიშვნელობა ასეთ თეორიებში დაკნინებული იყო. II მსოფლიო ომმა და მომდევნო ლოკალურმა ომებმა პრაქტიკულად მთლიანად გააქარწყლეს ასეთი თეორიები.

საავიაციო კომპლექსი, ავიაციის მიერ გამოყენებული საფრენი აპარატების (მისი სისტემებისა და მოწყობილობის), სახმელეთო მომსახურებისა და ინდივიდუალური დანიშნულების კონტროლის საშუალებების ერთობლიობა. ცალკეულ შემთხვევებში **ს.კ**-ის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს აგრეთვე სახმელეთო და სხვა საფრენ აპარატებზე განლაგებული მართვის, დამიზნებისა და მიზანჩვენების საშუალებები. **ს.კ**. არის დამრტყმელი, გამანადგურებელი, სადესანტო-სატრანსპორტო, სპეციალური (მაგალითად, სადაზვერვო) და სხვა.

საავიაციო კორპუსი, იხ. *კორპუსი*.

საავიაციო მხარდაჭერა, ოპერაციის (ბრძოლის) დროს მოწინააღმდეგის საცეცხლე დაზიანების შემადგენელი ნაწილი; სამხედრო-საჰაერო ძალების საბრძოლო მოქმედებები მოწინააღმდეგის საბრძოლო ტექნიკის, საცეცხლე საშუალებებისა და ცოცხალი ძალის დაზიანების მიზნით. სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფებთან, ნაწილებთან და შენაერთებთან ერთობლივი მოქმედების დროს წარმატებების მიღწევა ხდება ბომბების, რაკეტებისა და საავიაციო შეიარაღების სხვა სახეობების გამოყენებით. ეს არის დაჯგუფების (ტაქტიკური) ავიაციის და სახმელეთო ჯარების ავიაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა (იხ. *იერიშის ცეცხლით მომზადება, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერა, თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლება*).

საავიაციო რაზმი, საავიაციო ქვედანაყოფი, რომელიც განკუთვნილია ტაქტიკური ამოცანების შესასრულებლად. შედის უფრო მსხვილი საავიაციო ქვედანაყოფის ან ნაწილის შემადგენლობაში.

საავიაციო რაკეტა, რაკეტა, რომელიც გამოიყენება საფრენი აპარატიდან სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიზნების დასაზიანებლად; საავიაციო შეიარაღების ძირითადი კომპონენტი. როგორც წესი, არის ერთსაფეხურიანი მყარსათბობიანი. განასხვავებენ უმართავ **ს.რ**-ს (ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის ჭურვების ანალოგი) – ძირითადად სახმელეთო მიზნების გასანადგურებლად და „ჰაერი-ზედაპირის“, („ჰაერი-დედამიწა“, „ჰაერი-

ხომალდი“) და „ჰაერ-ჰაერის“ კლასების მართვად ფრთოსან რაკეტებს (უმრავლესობა). „ჰაერი-ზედაპირის“ **ს.რ**-ები იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ რაკეტებად, ხოლო „ჰაერი-ჰაერი“ – დიდი, საშუალო და მცირე (ახლო საჰაერო ბრძოლის) სიშორის რაკეტებად.

საავიაციო რესურსი, იხ. *საფრენი რესურსი.*

საავიაციო რუკა, სპეციალური რუკები, რომლებიც განკუთვნილია ფრენის დაგეგმვისთვის, ფრენისწინა მომზადებისა და თვითმფრინავის მართვისათვის, საჰაერო ოპერაციების გეგმების შემუშავებისათვის. იქმნება უნივერსალური სწორკუთხა კარტოგრაფიული პროექციის მასშტაბით 1:500000, 1:1000000, 1:2000000, 1:8000000, 1:32000000. 1:8000000 (ჩათვლით)-მდე. 1:8000000-ის ჩათვლით მასშტაბის რუკები იქმნება დედამიწის მთელ ზედაპირზე სამ ბლოკად: ძირითადი (ჩრდილოეთის განედის 72 გრადუსიდან სამხრეთის განედის 72 გრადუსამდე) და ორი პოლარული (არქტიკა და ანტარქტიდა); 1:32000000 მასშტაბისა – ცალკე ფურცლებად კონტინენტებსა და პოლარულ არეებზე. რუკების ფურცლებს აქვთ სწორკუთხა ჩარჩოები, შინაარსით შეთანხმებულია ტოპოგრაფიულ-საზღვაო და მიმოხილვით – გეოგრაფიულ რუკებთან. მაქსიმალურად შესაძლო სიზუსტით და დაწვრილებით ასახავენ ვიზუალურ და რადიოლოკაციურ ორიენტირებსა და დაბრკოლებებს. გამოდის ძირითადი და საბლანკო ვარიანტებით.

საავიაციო საართილერიო შეიარაღება, საავიაციო შეიარაღების სახეობა, რომელიც განკუთვნილია საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიზნების ჭურვით (ტყვიით, ყუმბარით) დაზიანებისათვის. მოიცავს ზარბაზნებს, ტყვიამფრქვევებსა და ყუმბარსატყორცნებს შესაბამისი დანადგარების შემადგენლობაში, დასამიზნებელ-სანავიგაციო სისტემას. **ს.ს.შ**. წარმოადგენს ავტომატურ იარაღს. ზარბაზნები არის ერთლულიანი და რამდენიმელულიანი (2–7 ლულიანები). ერთი და ორლულიანი ზარბაზნები შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან რევოლვერის მსგავსი (დოლურიანი). მრავალლულიანი, კი გაერთიანებულია ბლოკად, რომელიც სროლის დროს ბრუნავს უძრავ გარსაცმში (ერთი ბრუნის დროს სროლა წარმოებს რიგრიგობით ყოველი ლულიდან). ტყვიამფრქვევები კონსტრუქციით საავიაციო ზარბაზნების (რევოლვერულის გარდა) ანალოგიურია, ხოლო ყუმბარსატყორცნები – სახმელეთო ჯარების ავტომატური ყუმბარსატყორცნების.

საავიაციო სათბობი, საავიაციო საფრენი აპარატების ძრავების სათბობი. დგუშიანებისათვის უმთავრესად გამოიყენება ბენზინი, საჰაერო-რეაქტიული ძრავისათვის – რეაქტიული სათბობი. **ს.ს**-ად შეიძლება აგრეთვე სინთეზური საწვავის გამოყენება (მაგალითად, სინთეთიკური ეთილის სპირიტი). **ს.ს**-ს აქვს მისართები, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო თერმოსტაბილურობას, ქიმიურ მედეგობას და სხვა.

საავიაციო საძიებო-სამაშველო სამსახური, განკუთვნილია დაზიანებული საფრენი აპარატის ეკიპაჟის და მგზავრების მოსაძებნად და გადასარჩენად. ძებნის და გადარჩენის ღონისძიებების ჩატარებაში მონაწილეობენ თვითმფრინავები, ვერტმფრენები, ხომალდები (გემები), სახმელეთო ძებნის გუნდები და მედესანტე-პარაშუტისტთა ჯგუფები. სამსახურს შეიძლება აგრეთვე დაეკისროს საძიებო-სამაშველო სამუშაოების შესრულება სტიქიური უბედურებების დროს.

საავიაციო ტექნიკა, ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც საავიაციო ფორმირებების შეიარაღებაშია და განკუთვნილია საბრძოლო, სატრანსპორტო, სასწავლო და სხვა ამოცანების შესასრულებლად. მოიცავს: აეროსტატულ (საჰაერო-სანაოსნო) და აეროდინამიკურ საფრენ აპარატებს; საშუალებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ტექნიკის გამოყენებას, ტექნიკურ მომსახურებას და რემონტს, მის მართვას; სასწავლო-საწვრთნელ საშუალებებს. ზოგჯერ ეს ტერმინი იხმარება ვიწრო მნიშვნელობით – საავიაციო საფრენი აპარატების ერთობლიობა მათი მოწყობილობით და შეიარაღებით.

საავიაციო ტექნიკური ნაწილი, საავიაციო ლოგისტიკის ძირითადი ორგანიზაციული ერთეული, რომელიც განკუთვნილია საავიაციო შენაერთების და ნაწილების ლოგისტიკის და ტექნიკური უზრუნველყოფისათვის (ლოგისტიკის სამსახურების მიხედვით).

საავიაციო ტექნიკური ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

საავიაციო უზრუნველყოფა, ავიაციის საბრძოლო მოქმედებათა ერთობლიობა სახმელეთო (საჰაერო-სადესანტო) ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ინტერესებისათვის მათ მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს. ტერმინმა „საავიაციო უზრუნველყოფა“ გავრცელება პოვა ომამდელ პერიოდსა და II მსოფლიო ომში; ომის შემდგომ წლებში აღარ იხმარებოდა. მის შინაარსს მოიცავს ცნებები: „იერიშის საავიაციო მომზადება“, „საავიაციო მხარდაჭერა“, „იერიშის საავიაციო მხარდაჭერა“, „სიღრმიდან ჯარების წინწაწევის საავიაციო უზრუნველყოფა“, „საავიაციო დაფარვა“, „მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის საავიაციო თანხლება“.

საავიაციო უპირატესობა, საჰაერო ბრძოლაში ერთ-ერთი ძალის მიერ მოპოვებული უპირატესობა, რაც საშუალებას აძლევს მას მართოს საჰაერო ოპერაციები და გააკონტროლოს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცე მოცემულ დროსა და ადგილზე, ისე,

რომ გამორიცხული იყოს მოწინააღმდეგე ძალის მხრიდან ჩარევის შესაძლებლობა.

საავიაციო ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

საავიაციო შეიარაღება, შეიარაღების სახეობა, რომელსაც საავიაციო საფრენ აპარატებზე აყენებენ საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიზნების დასაზიანებლად. განასხვავებენ საავიაციო-საარტილერიო, საავიაციო-სარაკეტო (საავიაციო-სარაკეტო კომპლექსი) და ბომბდამშენ შეიარაღებებს. **ს.შ**-ის გამოყენებას უზრუნველყოფს შეიარაღების მართვის მრავალფუნქციური სისტემა და დამიზნებითი სისტემა, რომელიც ფუნქციურად არის დაკავშირებული სანავიგაციო (დამიზნებით-სანავიგაციო სისტემა) და საბორტო ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანებთან.

საავიაციო შესაძლებლობა, ყველა სახის მხარდაჭერა, რასაც საჰაერო ძალები სახმელეთო და საზღვაო ძალებს აღმოუჩენენ.

საავიაციო შეტევა, II მსოფლიო ომის დროს საერთო-საჯარისო ოპერატიული გაერთიანებების შეტევით ოპერაციებში სამხედრო-საჰაერო ძალების ნაწილებისა და შენაერთების გამოყენების ძირითადი ფორმა. მისი ამოცანა იყო სახმელეთო ჯარების შეტევითი ოპერაციების მთელ სიღრმეზე ავიაციის მასირებული და ეშელონირებული მოქმედებებით განუწყვეტელი მხარდაჭერა. **ს.შ**. იყოფოდა ორ პერიოდად: 1. იერიშის საავიაციო მომზადება და 2. ქვეითი ჯარისა და ტანკების იერიშის და შეტევის საავიაციო მხარდაჭერა მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში. II მსოფლიო ომის შემდეგ ტერმინი „საავიაციო შეტევა“ თანდათან გამოვიდა ხმარებიდან, ხოლო მისი შინაარსი შევიდა ცნებებში: „იერიშის საავიაციო მომზადება“, „იერიშის საავიაციო მხარდაჭერა“ და „ჯარების შეტევის საავიაციო თანხლება თავდაცვის სიღრმეში“, როგორც იერიშის საცეცხლე მომზადების, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერისა და მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის საცეცხლე თანხლების შემადგენელი ნაწილი.

საავიაციო ჯგუფი, 1. ავიაციის (მისი ერთი ან სხვადასხვა სახეობის) რამდენიმე ქვედანაყოფი, ნაწილი ან შენაერთი, რომელიც დროებით არის გაერთიანებული ზემდგომი საავიაციო მეთაურის საერთო მართვის ქვეშ განსაზღვრული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. **ს.ჯ**-ში II მსოფლიო ომის დროს შედიოდა 6–7 საავიაციო პოლკი. 2. სხვადასხვა სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალების საავიაციო ნაწილის (შენაერთის) საბრძოლო წყობის ელემენტი. ასხვავებენ დანიშნულების (დამრტყმელი, საძიებო-დამრტყმელი, სადესანტო) და უზრუნველყოფის (დაფარვის, საჰაერო დაცვის ჩახშობის, რადიოელექტრონული ბრძოლის, დაზვერვის და სხვა) მიხედვით. 3. სახომალდე ავიაციის ტაქტიკური ფორმირება, რომელიც ბაზირებულია ავიამზიდზე. 4. ზოგიერთ სახელმწიფოს (პორტუგალია, კანადა და სხვა) სამხედრო-საჰაერო ავიაციის საშტატო ნაწილი (შენაერთი), აგრეთვე საბაზო საპატრულო ავიაციის ნაწილი.

საავიაციო-სარაკეტო კომპლექსი, საავიაციო შეიარაღების სახეობა, რომელიც განკუთვნილია სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიზნების რაკეტებით დაზიანებისათვის. მოიცავს რაკეტებს, გამშვებ დანადგარებს, მართვის და დამიზნების სისტემებს, რომლებიც საფრენ აპარატებზეა განლაგებული, აგრეთვე – სახმელეთო მოწყობილობას რაკეტების მომზადების, ტრანსპორტირებისა და მდგომარეობის შემოწმებისათვის. კომპლექსში შეიძლება შედიოდეს აგრეთვე დაზვერვისა და მართვის საშუალებები, რომლებიც დედამიწაზე ან სხვა საფრენ აპარატებზეა განლაგებული.

საავიაციო-ტექნიკური ბაზა, 1. საავიაციო-ტექნიკური ნაწილი; 2.სამოქალაქო ავიაციის საინჟინრო-საავიაციო სამსახურის ქვედანაყოფი (გაერთიანებული ავიარაზმის, აეროპორტის, საწარმოო გაერთიანების), რომელიც ახორციელებს თვითმფრინავების და ვერტმფრენების მომზადებას ფრენისათვის, მათ მიმდინარე რემონტს და ა.შ.

საავტომობილო მომზადება, პირადი შემადგენლობის მიერ საავტომობილო ტექნიკის შესწავლა, მისი მომსახურების, რემონტისა და ექსპლუატაციის ჩვევების დაუფლება, რაც ხელს უწყობს ავტომობილის შასიზე დაყენებული შეიარაღების ეფექტიან გამოყენებას; საბრძოლო მომზადების შემადგენელი ნაწილი. **ს.მ**. არის სწავლების ძირითადი საგანი, რომელიც მოიცავს მანქანის მოწყობილობის, მისი ექსპლუატაციის, რემონტის, ევაკუაციის წესების, გზებზე მოძრაობის წესების შესწავლას, ტარებას; საავტომობილო გადაზიდვა-გადაყვანის, საავტომობილო კოლონის დაცვის და თავდაცვის ორგანიზაციის შესწავლას.

საავტომობილო (საავტომობილო-სატრაქტორო) ტექნიკა, თვლიანი და მუხლუხიანი ტექნიკა, რომელიც განკუთვნილია შეიარაღებული ძალების საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. მას განეკუთვნება ავტომობილები, თვლიანი და მუხლუხიანი გამწეები, სკრეპერები, ბულდოზერები, გრეიდერები, ტრანსპორტიორები, ავტოამწეები, მოძრავი სარემონტო სახელოსნოები, მისაბმელები, ნახევარმისაბმელები, საევაკუაციო მანქანები და სხვა.

საავტომობილო ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

სააკაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე (დ. 1967), საქართველოს პრეზიდენტი (2004–13), სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი (1992), სტრასბურგში ადამიანთა უფლებების საერთაშორი-

სო ინსტიტუტი (1992). მუშაობდა ოსლოში ადამიანის უფლებათა ნორვეგიულ ინსტიტუტში. დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი მაგისტრის ხარისხით (1994). საქართველოს პარლამენტის დეპუტატი „მოქალაქეთა კავშირის“ მანდატით (1995). პარლამენტის საკონსტიტუციო და იურიდიულ საკითხთა კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარე (1995–98). ფრაქცია საქართველოს „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარე (1998–99). იუსტიციის მინისტრი (2000). 2001 წლის ოქტომბერს კენჭი იყარა ვაკის საარჩევნო ოლქში დამოუკიდებელ კანდიდატად და კვლავ გახდა საქართველოს პარლამენტის წევრი. დააფუძნა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ (2001). 2002 წლის თვითმმართველობის არჩევნებში ბლოკმა გამარჯვება გაიყო ლეიბორისტულ პარტიასთან ერთად. პარტიებს შორის შეთანხმების შედეგად **ს**. გახდა თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე. 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში ბლოკი ალტერნატიული ხმის დათვლისა და ეგზიტპოლების შედეგებით გამარჯვებული იყო, თუმცა ოფიციალური მონაცემები კარდინალურად განსხვავდებოდა, ამან საპროტესტო აქციები გამოიწვია, დემონსტრაციები ვარდების რევოლუციით დამთავრდა, რასაც შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა. მიღებული აქვს საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის ჯილდოები.

სააკაძე გიორგი, **დ ი დ ი მ ო უ რ ა ვ ი** (დაახლოებით 1570–1629), საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი. წარმოშობით საშუალო ფეოდალი იყო, საგვარეული სამფლობელოები ჰქონდა თეძმის ხეობაში, რომლის ცენტრი, იყო სოფელ ნოსტეში. **ს**. დაწინაურდა ქართლის მეფეების – სიმონ I-ის, გიორგი X-ის, ლუარსაბ II-ის სამსახურში. 1608 წელს დაინიშნა თბილისის მოურავად. განსაკუთრებით თავი გამოიჩინა 1609 წელს ოსმალ-თათრებთან ბრძოლაში (იხ. *ტაშისკარის ბრძოლა*). **ს**-ის აღზევებას ვერ შეურიგდა ქართლის ძირძველი თავადების ჯგუფი, რომლმაც შეძლო ლუარსაბ II-ის მიმხრობა და **ს**-ის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა. შეთქმულები თავს დაესხნენ **ს**-ს, მაგრამ იგი გადარჩა და ირანს შეაფარა თავი (1612). მომდევნო რამდენიმე წელი **ს**-მ შაჰ *აბას I*-ის სამსახურში გაატარა, მონაწილეობდა მის ომებში. 1619 წელს შაჰმა ქართლის გამგებლის სიმონ II-ის ვექილად (რწმუნებულად) დანიშნა. 1625 წელს **ს**. სათავეში ჩაუდგა ქართველების აჯანყებას (იხ. *მარტყოფის ბრძოლა*). ქართლ-კახეთის მეფედ მოწვეული იყო თეიმურაზ I. ქართული ლაშქრის დამარცხების შემდეგ *მარაბდის ბრძოლაში* **ს**. ხელმძღვანელობდა პარტიზანულ მოძრაობას სეფიანთა ჯარების წინააღმდეგ. 1626 წელს ურთიერთობები **ს**-სა და თეიმურაზს შორის დაიძაბა და სამხედრო დაპირისპირებამდე მივიდა (იხ. *ბაზალეთის ბრძოლა*). დამარცხებული **ს**. მცირე რაზმით ოსმალეთში გაიქცა, სადაც პატივით მიიღეს და კონიის გამგებლად დანიშნეს. მონაწილეობდა სულთნთან ერთად ამბოხებული არზრუმის ფაშის წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ ოსმალეთში **ს**-ს მრავალი მტერი და მოშურნე გამოუჩნდა, მათ შორის დიდი ვეზირი ხუსრევ-ფაშა. მისი ბრძანებით **ს**. და მისი მხლებლები (40–50 კაცი) შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს.

საალყო არტილერია, არტილერია, რომლის დანიშნულებაა გამაგრებული პუნქტების (ციხესიმაგრეების) დაზიანება. მოძრაობის უნარისა და ცეცხლის გახსნისთვის მზადყოფნის მიმართ შემცირებული მოთხოვნები მსხვილი კალიბრის ქვემეხების გამოყენების საშუალებას იძლეოდა. ისინი ზოგ შემთხვევაში გარშემორტყმის ადგილზე დაშლილი გადაჰქონდათ. მიუხედავად ამისა, **ს.ა**-ის შეიარაღებაში საველე არტილერიის უფრო მსუბუქი ქვემეხებიც არსებობდა.

საალყო მანევრის ძალები, დევნის ოპერაციაში მონაწილე საბრძოლო ძალა, რომელიც მოექცევა მოწინააღმდეგის ზურგში, არ აძლევს უკუქცევის საშუალებას და პირდაპირი დამიზნების ცეცხლით ანადგურებს მას.

საარმიო ავიაცია, მთელი რიგი სახელმწიფოების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვა) სახმელეთო ძალების (არმიის) ჯარების გვარეობა. განკუთვნილია ჯარების საბრძოლო მოქმედებების უშუალო უზრუნველყოფისა და საავიაციო მხარდაჭერისათვის. ორგანიზაციულად გაერთიანებულია ბრიგადებში (ჯგუფებში), პოლკებში, ბატალიონებში, ესკადრონებში (ასეულებში), საერთოსაჯარისო შენაერთების და ნაწილების შემადგენლობაში ან წარმოადგენს სახმელეთო ძალების სარდლობის რეზერვს ზონაში (საომარი მოქმედებების თეატრზე). **ს.ა.** გამოჩნდა I მსოფლიო ომამდე, რომელშიც შემდგომ მიიღო საბრძოლო გამოცდილება. II მსოფლიო ომის დაწყების წინ წარმოდგენილი იყო, უმთავრესად, სადაზვერვო და გამანადგურებელი ავიაციის ქვედანაყოფებით. **ს.ა**. ფართოდ გამოიყენებოდა XX საუკუნის ყველა ლოკალურ ომში. 1983 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო შემდეგ სხვა ქვეყნებშიც გამოიყო ჯარების დამოუკიდებელ გვარეობად.

საარმიო კორპუსი, იხ. *კორპუსი*.

საარმიო ოპერაცია, არმიის შენაერთების და ნაწილების მიერ მიზნების, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული შეტევითი ან კონტრშეტევითი ბატალიების, ბრძოლების, დარტყმების და მანევრების ერთობლიობა. იგი ტარდება გარკვეულ სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე, როგორც საბრძოლო მოქმედებების თეატრზე დაჯგუფების

ოპერაციის შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება მხოლოდ მიკუთვნებულ შენაერთებთან და ნაწილებთან ერთად ან შეიარაღებული ძალების სახეობების, გვარეობების, სპეციალური ჯარების გაერთიანებებთან, ნაწილებთან და სხვა ფორმირებებთან. ისინი არმიის ინტერესებში მოქმედებენ შეთანხმებით. **ს.ო.** მოიცავს ყველა ეშელონის შენაერთების და ნაწილების, ოპერატიული მობილური რეზერვის სარაკეტო ჯარების და არტილერიის, ავიაციის, სახმელეთო ჯარების, საჰაერო თავდაცვის ჯარების, საარმიო რეზერვების საბრძოლო, სამხედრო დაქვემდებარების სპეციალური ჯარების მოქმედებას. **ს.ო**-ის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს საჰაერო და საზღვაო დესანტების გადასხმა. მომზადება მოიცავს: ოპერაციაზე გადაწყვეტილების მიღებას; ჯარებისთვის საბრძოლო ამოცანების დასახვას; ოპერაციის დაგეგმვას; მოწინააღმდეგის საცეცხლე დაზიანებას და სხვა ჯარებთან ურთიერთქმედებას, მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფის და მართვის ორგანიზებას; საბრძოლო მოქმედებებისთვის ჯარების და რაიონების მომზადებას, ჯარების გაშლას, მათ მიერ პოზიციების დაკავებას და სხვა ღონისიებებს.

საარმიო ჯგუფი, დროებითი საერთო-საჯარისო გაერთიანება. შედგება ჯარების ერთი ან რამდენიმე გვარეობის შენაერთისგან (ნაწილისგან), რომლის მიზანია ცალკეული ოპერატიული ამოცანის შესრულება დამოუკიდებლად ან დაჯგუფების (არმიების ჯგუფის) შემადგენლობაში.

საარტილერიო გასროლა, საბრძოლო მასალა საარტილერიო ქვემეხის გასროლისათვის. ერთი გასროლისათვის საჭირო ელემენტების კომპლექტი: ამფეთქიანი საარტილერიო ჭურვი; სატყორცნი მუხტი დამხმარე დანამატებით (ფლეგმატიზატორით, ალსაქრობით და სხვა) და მაინიცირებელი საშუალებით, რომელიც მოთავსებულია მასრაში ან მუხტის კარტუზში. გატენის ხერხების მიხედვით განასხვავებენ შემდეგ **ს.ბ**-ებს: უნიტარული გატენის – ჭურვი, სატყორცნი მუხტი და მაინიცირებელი საშუალება გაერთიანებულია ერთ მთელად (გამოიყენება საშუალო და მცირე კალიბრის ზარბაზნებში, რომლებიც ერთი მოქმედებით იტენება; მცირეკალიბრიან გასროლას აგრეთვე ეწოდება საარტილერიო ვაზნა); ცალკე – მასრული გატენის – მასრა სატყორცნი მუხტით და მაინიცირებელი საშუალებით არ არის შეერთებული ჭურვთან (გამოიყენება უმთავრესად საშუალო კალიბრის ქვემეხებში, რომლებიც ორი მოქმედებით იტენება); კარტუზული გატენის – ჭურვი, სატყორცნი მუხტი კარტუზში და მაინიცირებელი საშუალება. ისინი არ არან შეერთებული ერთმანეთთან (გამოიყენება საშუალო და მსხვილი კალიბრის ქვემეხებში, რომლებიც სამი მოქმედებით იტენება).

საარტილერიო დაზვერვა, ტაქტიკური და ოპერატიული დაზვერვის შემადგენელი ნაწილი; მოწინააღმდეგის ობიექტების (მიზნების) შესახებ ცნობების მოპოვება საარტილერიო ცეცხლის მომზადების და წარმოების, სარაკეტო დარტყმების მიყენების ინტერესებისათვის; სარაკეტო და სახმელეთო ჯარების არტილერიის საბრძოლო და ოპერატიული უზრუნველყოფის სახეობა. **ს.დ**-ის ამოცანებია: აღმოაჩინოს და განსაზღვროს მოწინააღმდეგის არტილერიის პოზიციების კოორდინატები, უწინარეს ყოვლისა – ბირთვული საბრძოლო მასალების გამომყენებლის. აგრეთვე – მაღალი სიზუსტის იარაღის ელემენტების, საჰაერო თავდაცვის საშუალებების, ტანკების, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანების, ჯავშანტრანსპორტიორების, ტანკსაწინააღმდეგო და სხვა საცეცხლე საშუალებების, მართვის სისტემების ობიექტების და რადიოტექნიკური საშუალებების კოორდინატები; აწარმოოს დასაზიანებლად შერჩეული ობიექტების (მიზნების) დამატებითი დაზვერვა; შეაგროვოს (დააზუსტოს) მონაცემები ადგილმდებარეობისა და მეტეოპირობების შესახებ; კონტროლი გაუწიოს თავისი არტილერიის (ნაღმსატყორცნების) სროლისა და ტაქტიკური რაკეტების დარტყმების შედეგებს; განსაზღვროს მონაცემები ცეცხლის კორექტირებისათვის. **ს.დ**-ის საწარმოებლად იქმნება სათვალთავლო, სამეთაურო-სათვალთვალო და მოძრავი სადაზვერვო საარტილერიო პუნქტების, დაზვერვის ტექნიკური საშუალებების საგუშაგოების (პოზიციების) ქსელი. **ს.დ**. იყოფა ბგერით, ოპტიკურ, რადიოლოკაციურ და რადიოტექნიკურ სახეობებად. მისი ამოცანების შესასრულებლად იყენებენ აგრეთვე სადეზვერვო-საკორექციო ვერტმფრენებს. ამისთვის ცალკეული ამოცანების შესასრულებლად იქმნება **ს.დ**-ის ჯგუფები.

საარტილერო ზალპის მასა, 1. საარტილერიო ჭურვების (ნაღმების) საერთო მასა, რომელიც არტილერიის ერთ ზალპში გამოიყენება. 2. ერთი გასროლის (გაშვების) დროს მთლიანად საარტილერიო ნაწილის (შენაერთის, არტილერიის დაჯგუფების) საარტილერიო ჭურვების (ნაღმების) საერთო მასა. რეაქტიული არტილერიის და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების ქვედანაყოფების **ს.ზ.მ.** ყოველთვის არ განისაზღვრება რეაქტიული ჭურვების, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების მასით, არამედ მხოლოდ მათი საბრძოლო (სათავო) ნაწილებით.

საარტილერიო კომპლექსი, საარტილერიო ჭურვებით მიზნების დაზიანებისათვის განკუთვნილი შეიარაღების კომპლექსის სახეობა. კონსტრუქციულად და ორგანიზაციულად აერთიანებს საარტილერიო ქვემეხებს, რომლებიც

აღჭურვილია საბრძოლო მასალებით და ცეცხლის მართვის, სროლის უზრუნველყოფისა და საარტილერიო დაზვერვის საშუალებებით. ტერმინი „საარტილერიო კომპლექსი“ ფართოდ გავრცელდა XX საუკუნის 80-იან წლებში, არტილერიის ზოგიერთი სახეობის კომპლექსურ განვითარებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. საჯარისო (საველე) არტილერიაში ტერმინი გამოიყენება, უმთავრესად, შეიარაღების შექმნის ეტაპზე. ამასთან **ს.კ**-ის შემადგენლობაში შეიძლება შეტანილ იქნეს წინათ შექმნილი ელემენტებიც. ჯარებში **ს.კ**-ის შემადგენელი ნაწილები საორგანიზაციო-საშტატო სტრუქტურის შესაბამისად არის განაწილებული.

საარტილერიო კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

საარტილერიო ნაღმი, ნაღმსატყორცნის გასროლის დამაზიანებელი ელემენტი. ფრენის დროს, **ს.ნ**. სტაბილიზაციის მიხედვით, არის ფრთიანი არამბრუნავი და მბრუნავი. ფრთიანი შედგება წვეთისებრი ფორმის კორპუსისაგან, აღჭურვილობისა და სტაბილიზატორისაგან. მბრუნავი **ს.ნ**-ის კორპუსს აქვს საარტილერიო ჭურვის ფორმა. ყველაზე მეტად გავრცელებულია მსხვრევადი, მსხვრევად-ფუგასური, ფუგასური, ცეცხლგამჩენი და საკვამლე **ს.ნ**-ები.

საარტილერიო შეიარაღება, შეიარაღების სახეობა, რომელშიც შედის საარტილერიო ქვემეხები საბრძოლო მასალებით, ცეცხლის მართვის და სროლის უზრუნველყოფის საშუალებებით. შეიძლება შეადგენდეს საარტილერიო კომპლექსებს. ჯარების (ძალების) მომარაგების ორგანიზებასთან დაკავშირებული უფრო ფართო მნიშვნელობით, **ს.შ**-ს მიაკუთვნებენ აგრეთვე სასროლ იარაღს და ყუმბარსატყორცნებს, ხელყუმბარებს, ცივ იარაღს, მოძრავ საარტილერიო-სარემონტო სახელოსნოებს, არსენალების, საარტილერიო ბაზების, საწყობების, პოლიგონების მოწყობილობას და სხვა. სახმელეთო ჯარებში **ს.შ**-ს განეკუთვნება აგრეთვე ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები.

საარტილერიო შეტევა, არტილერიის საბრძოლო მოქმედებების ხერხი ომის დროს, შეტევით ოპერაციაში (ბრძოლაში). **ს.შ**-ის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ მთელი შეტევის განმავლობაში ქვეით ჯარს და ტანკებს მხარს უჭერდა არტილერია უწყვეტი მასირებული ცეცხლით. **ს.შ**-ის თეორია შემუშავდა და პრაქტიკულად შემოწმდა II მსოფლიო ომის დროს. ომის შემდგომ პერიოდში (XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებიდან) ტერმინი **ს.შ**. ხმარებიდან გამოვიდა. შეტევაში არტილერიის საბრძოლო მოქმედებების შინაარსმა შემდგომი განვითარება პოვა, რაც გამოიხატებოდა სიღრმიდან ჯარების წინ წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფით, იერიშის საცეცხლე მომზადებით, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერითა და თავდაცვის სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლებით.

საარტილერიო ცეცხლის სახეები, საარტილერიო ცეცხლის კლასიფიცირება მოზიდული საარტილერიო საშუალებების რაოდენობის, მომზადების ან წარმოების, ტაქტიკური დანიშნულებისა და სხვა ნიშნების მიხედვით. ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მიღებულია საარტილერიო ცეცხლის შემდეგი სახეები: ცეცხლი ცალკეულ მიზანზე, წერტილოვანი ცეცხლი, უძრავი გადამღობი ცეცხლი, მოძრავი გადამღობი ცეცხლი, ცეცხლის ტალღა და მასირებული ცეცხლი.

საარტილერიო ჭურვი, საარტილერიო გასროლის ძირითადი ელემენტი, რომელიც ქვემეხის ლულის არხიდან ვარდება. დანიშნულების მიხედვით თანამედროვე **ს.ჭ**-ები იყოფა 3 ჯგუფად: ძირითად, სპეციალურ და დამხმარე დანიშნულების. ძირითადი დანიშნულების **ს.ჭ**-ები გამოიყენება მიზნის დაზიანებისათვის ფუგასური, მსხვრევადი, დარტყმითი, კუმულაციური, ცეცხლგამჩენი, ქიმიური და ბირთვული ზემოქმედებით; სპეციალური – ადგილმდებარეობის განათების და დაკვამლიანების, სააგიტაციო ლიტერატურის მიმოფანტვის, გამიზნისათვის და სხვა; დამხმარე – ქვემეხების გამოსაცდელად, მოწყობილობის შესასწავლად, სასწავლო სროლისათვის. კალიბრის სიდიდის მიხედვით შეიძლება იყოს კალიბრული (შეესაბამებოდეს ქვემეხის კალიბრს), ზეკალიბრული (ქობინის ნაწილის დიამეტრი მეტია ქვემეხის კალიბრზე) და ქვეკალიბრული (აქტიური ნაწილის დიამეტრი ქვემეხის კალიბრზე ნაკლებია), ხოლო კონტსრუქციის მიხედვით – აქტიური (ჩვეულებრივი ტიპის) და აქტიურ-რეაქტიული, მბრუნავი და ფრთიანი, უმართავი (უმრავლესობა) და მართვადი.

ბეტონგამტანი **ს.ჭ**., აქვს სალი კორპუსი, სკდომადი მუხტი და დაყოვნებული მოქმედების ფსკერის ამფეთქი, რომელიც ამოქმედდება დაბრკოლებაში ჭურვის ჩაღრმავების შემდეგ; კალიბრი არანაკლებ 152 *მმ*-ისა.

გასამიზნავ-მიზანმაჩვენებელი **ს.ჭ.,** აღჭურვილია პიროტექნიკური შემადგნლობით, რომელიც აფეთქების ადგილას წარმოშობს მკაფიოდ ხილულ ფერად ღრუბელს.

კასეტური **ს.ჭ**., იტენება უმართავი, თვითდამიზნებადი ან მიზანზე თავისით გამავალი კასეტური საბრძოლო ელემენტებით (მსხვრევადი, კუმულაციური, ან ჯავშანგამტანი მოქმედების), ან ნაღმებით (ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო, ან ტანკსაწინააღმდეგო). 203 *მმ* ჭურვი შეიძლება შეიცავდეს 200-მდე საბრძოლო ელემენტს, 40 ქვეით საწინააღმდეგო ან 10 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმს.

კუმულაციური **ს.ჭ**., მოქმედებს კუმულაციური ეფექტის საფუძველზე. ატანს 2-იდან (მბრუნავი) 5–6 უბრუნველი (არამბრუნავი) კალიბრების სისქის ჯავშანში.

მ ა ნ ა თ ო ბ ე ლ ი **ს.ჭ.**, შეიცავს ჩირაღდანს მანათობელი პიროტექნიკური შემადგენლობითა და პარაშუტით და გამომგდებ მუხტს. 122-*მმ* ჭურვის ამოქმედებისას 400–600 *მ* სიმაღლეზე უზრუნველყოფილია 500–750 *მ* რადიუსის ადგილმდებარეობის განათება 30–50 *წამის* განმავლობაში.

მ ს ხ ვ რ ე ვ ა დ ი **ს.ჭ.**, აზიანებს მიზანს ჭურვის კორპუსის გასკდომისას წარმოშობილი ნამსხვრევებით. ზოგიერთ ჭურვში, რომლებსაც მზა (მომაკვდინებელი) დამაზიანებელი ელემენტების ჭურვები ეწოდება, აღჭურვილობად გამოიყენება ისრები, ბურთულები, ღეროები და ა.შ.

მ ს ხ ვ რ ე ვ ა დ - ფ უ გ ა ს უ რ ი **ს.ჭ.**, აქვს ორმაგი მოქმედება. ამფეთქის ტიპის და დაყენების მიხედვით უფრო მეტად ვლინდება მსხვრევადი ან ფუგასური მოქმედება.

ნ ა ხ ე ვ რ ა დ ჯ ა ვ შ ა ნ გ ა მ ტ ა ნ ი **ს.ჭ.**, აქვს დარტყმითი და ფუგასური მოქმედება. ტერმინი გამოიყენება საზღვაო არტილერიაში.

პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი **ს.ჭ.**, განკუთვნილია სასწავლო სროლისათვის. აქვს ძირითადი ჭურვის მასა და ბალისტიკური მახასიათებლები. აღჭურვა ხდება ინერტული ნივთიერებით.

რ ა დ ი ო ლ ო კ ა ც ი ა ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო **ს.ჭ.**, არის დაბრკოლების წარმომშობი მოქმედებისა. აღჭურვილია რადიოლოკაციური ამრეკლებით, რომლებიც ტრაექტორიაზე გადმოყრება ჭურვით და მიმოიფანტება შემხვედრი ჰაერის ნაკადით.

ს ა ა გ ი ტ ა ც ი ო **ს.ჭ**, აქვს გამომგდები მუხტი, რომელიც უზრუნველყოფს ფურცლების მიმოფანტვას 30 ათ. *კგ.მ*-მდე ფართობზე (საშუალო კალიბრი).

ს ა კ ვ ა მ ლ ე **ს.ჭ.**, იტენება ასაფეთქებელი მოქმედების ან მბოლავი ტიპის აეროზოლწარმომშობი შემადგენლობით.

ს ი ს ტ ე მ ი ს გ ა მ ო ს ა ც დ ე ლ ი **ს.ჭ.**, განკუთვნილია საარტილერიო ქვემეხების სიმტკიცისა და მისი ძირითადი მექანიზმების ფუნქციონირების გამოსაცდელად. არის ინერტული, მასით შეესაბამება ძირითადი დანიშნულების ჭურვს.

ფ უ გ ა ს უ რ ი **ს.ჭ.**, აქვს მძლავრი მუხტი, რომელიც მასის 25 % შეადგენს, კონტაქტური მოქმედების ამფეთქი.

ც ე ც ხ ლ გ ა მ ჩ ე ნ ი **ს.ჭ.**, იტენება ცეცხლგამჩენი ნივთიერებით (ცეცხლგამჩენი ელემენტებით) და გამომგდები მუხტით. ამოქმედდება კონტაქტური ან დისტანციური ამფეთქის ზემოქმედებით.

ჯ ა ვ შ ა ნ გ ა მ ტ ა ნ ი **ს.ჭ.**, აზიანებს დამრტყმელი მოქმედებით. შეიძლება იყოს ასაფეთქებელნივთიერებიანი და მთლიანი, კალიბრული და ქვეკალიბრული, ბლაგვქობინიანი და წვეტიანქობინიანი.

ჯ ა ვ შ ა ნ გ ა მ ტ ა ნ - ფ უ გ ა ს უ რ ი **ს.ჭ.**, იწვევს ჯავშნის განგრევას ფუგასური მოქმედებით: პლასტიკური ასაფეთქებელი მასალა ჭურვის კორპუსის გარღვევისთანავე ზრდის დაბრკოლებასთან თავისი კონტაქტის ფართობს და აფეთქებისას იწვევს დაზიანებას ზურგის მხრიდან ჯავშნის ნამსხვრევების წარმოშობის გზი.

საარტილერიო ხელსაწყოები, ცეცხლის მართვის და სროლის უზრუნველყოფის საშუალებები. შედგება: თვალთვალის, კუთხეების და მანძილების საზომი (ბინოკლი, სტერეომილი, მანძილმზომი, ბუსოლი, თეოდოლიტი), სროლის საწყისი მონაცემების განმსაზღვრელი (ცეცხლის მართვის ხელსაწყო, კორექტურის გათვლის ხელსაწყო, საარტილერიო შესასწორებელი და სხვა), ბალისტიკური, ტექნიკური და მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის, ქვემეხის დამიზნების ხელსაწყოებისგან (საველე ბალისტიკური სადგური, მუხტის კამორის სიგრძის გასაზომი ხელსაწყო, ქვემეხის კვადრანტი, საქარე თოფი, საველე ქარმზომი, სადესანტო მეტეოროლოგიური კომპლექსი). საველე არტილერიის მოსამზადებლად გამოიყენება მართვის მანქანების კომპლექსი. საზენიტო, საავიაციო და სახომალდე არტილერიაში ამ მიზნით გამოიყენება რადიოლოკაციური სადგური, დამიზნების და თანხლების ოპერატიულ-ელექტრონული სისტემები, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები.

საარტილერიო ჯგუფი, რამდენიმე საარტილერიო ქვედანაყოფის (ნაწილის, შენაერთის) დროებითი ფორმირება, რომელიც ბრძოლის (ოპერაციის) დროისათვის არის გამოყოფილი საერთო-საჯარისო ნაწილის (შენაერთის, გაერთიანების) შესაბამისი ამოცანების შესასრულებლად. სათავეში უდგას ერთიანი სარდლობა. **ს.ჯ**-ს, ჩვეულებრივ, ეკისრება მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, მაღალი სიზუსტის სისტემების, ელემენტების, არტილერიის, ნაღმსატყორცნების, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების და მოქმედი ნაწილის (შენაერთის, გაერთიანების) ზოლში მოწინააღმდეგის სხვა საცეცხლე საშუალებებისა და ობიექტების დაზიანება-განადგურება.

საარტილერიო-ინსტრუმენტული დაზვერვა, საარტილერიო დაზვერვის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოებს აღმოჩენის და გაზომვის სხვადასხვა ხელსაწყოს დახმარებით. განსაზღვრავს ობიექტების (მიზნების) კოორდინატებს მოწინააღმდეგის განლაგებაში და ემსახურება საკუთარი არტილერიის სროლას, აგრეთვე აწარმოებს ფოტოგრამეტრიულ სამუშაოებს (იხ. *ფოტოგრამეტრიული დაზვერვა*). **ს.-ი.დ.** იყოფა ოპტიკურ, ბგერით, რადიოლოკაციურ და რადიოტექნიკურ დაზვერვად. შესაბამისად უწოდებენ ქვედანაყოფებსაც, რომლებიც **ს.-ი.დ**-ს აწარმოებენ (მათ რიცხვს განეკუთვნება სროლის ტოპოგეოდეზიური მიბმის და მეტეოროლოგიური უზრუნველყოფის ქვედანაყოფებიც).

საარტილერიო-ტექნიკური უზრუნველყოფა, ტექნიკური უზრუნველყოფის სახეობა. მოიცავს საინჟინრო-საარტილერიო უზრუნველყოფას, საინჟინრო-რადიოელექტრონულ უზრუნველყოფას, საინჟინრო-სარაკეტო უზრუნველყოფას.

საბაღრაგო სამსახური, სპეციალური სამსახური, რომელიც ასრულებს დაცვის და კონვოირების ამოცანებს. გადაჰყავს დაპატიმრებულები, სამხედრო ტყვეები, მისჯილები და სამხედრო საზღვრის დამრღვევები. აგრეთვე უცხოური გემები, რომლებმაც დაარღვიეს სახელმწიფო ტერიტორიული წყლები.

საბაზო ავიაცია, იხ. *საზღვაო ავიაცია.*

საბაზო ბანაკის დახურვის სტანდარტები, განსაკუთრებული კრიტერიუმები, გარემოს დაცვის პირობების ჩათვლით, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს საბაზო ბანაკის დახურვისათვის მზადება და დახურვა. ეს სტანდარტული კრიტერიუმებია: განსაკუთრებით მავნე ნარჩენი ნივთიერებების დადგენა, ადგილის საერთო შეფასება, საწვავ-საპოხი მასალებით დაბინძურებული რაიონების განსაზღვრა, გარემოს მდგომარეობის შესახებ მოხსენების შედგენა.

საბაზო მანქანა, თვლიანი ან მუხლუხიანი მანქანა, რომლის შასი შეიძლება გამოყენებული იქნეს საფუძვლად სხვადასხვა სახის სამხედრო ტექნიკის შექმნის დროს.

საბარკული, საწვივე აბჯარი, ბარკლის დასაფარავი საომარი ჩასაცმელი.

საბერძნეთი (Greece – საბერძნეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, ხმელთაშუაზღვისპირეთის აღმოსავლეთ ნაწილში. უჭირავს ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი და მიმდებარე კუნძულები (კრეტა, ევბეა, როდოსი, ლესბოსი). ფართობი – 128,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 11,3 მლნ. კაცი (2012), ბერძნები – 98% და მაკედონელები – 2%. ოფიციალური ენა – ბერძნული. დედაქალაქი – ქ. ათენი. ადმინისტრაციულად იყოფა 54 ნომად (მხარე) და ერთ განსაკუთრებულ ადმინისტრაციულ ერთეულად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – დეპუტატების პალატა (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. **ს**. ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფოა. ოსმალეთის უღლისგან განთავისუფლდა 1829 წელს. ნატოს წევრი ქვეყანაა. განვითარებულია ინდუსტრიულ-აგრარული და მრეწველობის წამყვანი დარგები – მანქანათმშენებლობა, ლითონდამუშავება, შავი და ფერადი მეტალურგია. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო სისტემებს და ცეცხლსასროლ იარაღს, ტყვია-წამალს, ქვეითთა საბრძოლო მანქანებს, მცირე ხომალდებს. **ს**-ის სავაჭრო ფლოტი ერთ-ერთი უმსხვილესია მსოფლიოში. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტებია: პირეოსი, სალონიკი, პატრი, კერკირა (კორფუ), ელევსისი. აქვს 22 საერთაშორისო აეროპორტი, ყველაზე დიდია ელინიკონი (ათენი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 138,9 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 64,5 ათ., სამხედრო-საჰაერო 34,5 და სამხედრო-საზღვაო 29,6 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

საბინაო ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

საბოლოო შედეგი, პოლიტიკური და/ან სამხედრო მდგომარეობა, რომელიც საბრძოლო ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) დასრულების შედეგად იქმნება და დასახული ამოცანის შესრულებას ადასტურებს.

საბორნე გადასასვლელი, იხ. *გადასასვლელი.*

საბორტე თავდაცვითი კომპლექსი, მოძრავ ობიექტზე (საფრენ აპარატზე, ხომალდზე, ტანკზე და სხვა) განლაგებული ცეცხლით დაზიანების (აქტიური თავდაცვა) და რადიოელექტრონული ჩახშობის საშუალებების ერთობლიობა. ისინი ფუნქციურად არიან დაკავშირებული და გამოიყენება თავდაცვისათვის. უზრუნველყოფს გამიზვნის და დამიზნების სადგურების, თვითგასამიზნი რაკეტის ქობინების მართვის სისტემების მუშაობის დარღვევას. აგრეთვე შეტევაზე გადმოსული მტრის თვითმფრინავების და რაკეტების დაზიანება-განდგურებას. მოიცავს საინფორმაციო უზრუნველყოფის, მართვის, შემსრულებელი მოწყობილობის და თავდაცვის საბორტო კომპლექსის საიმედოობისა და ეფექტიანობის კონტროლის სისტემებს.

საბორტე ჟურნალი, დოკუმენტი, განკუთვნილი ფრენის წინასწარი გათვლის, საცნობარო მონაცემების, ფრენის ელემენტების სანავიგაციო სიდიდეების, ფრენის დროს მათი ცვლილებების ჩასაწერად. არის საფრენი აპარატის ეკიპაჟის საანგარიშო დოკუმენტი.

საბორტე რუკა, აერონავიგაციური რუკა, რომლითაც ხელმძღვანელობენ თვითმფრინავების ტარებისას საზღვრებს მიღმა. მისი მასშტაბი ყოველთვის ნაკლებია საფრენი რუკის მასშტაბზე, თუმცა რუკების დაყოფა საფრენ და საბორტე რუკებად დამოკიდებულია ავიაციის სახეობაზე.

საბოტაჟი, ქმედებები, რომლებიც ხორციელდება ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის ზიანის მისაყენებლად, ხელისშემშლელი პირობების შესაქმნელად ან ობსტრუქციის მოსაწყობად. გულისხმობს ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების, ნაგებობების, ნებისმიერი მატერიალური ქონების განზრახვით დაზიანებას, მწყობრიდან გამოყვანას, ადამიანებისა და ბუნებრივი გარემოსთვის ზიანის მიყენებას.

საბრძოლო ავიაცია, უშუალოდ საბრძოლო ამოცანისთვის განკუთვნილი საავიაციო შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების ზოგადი დასახელება.

საბრძოლო ამოცანა, ჯარებისთვის (ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების, ზოგჯერ ჯგუფის ან ცალკეული სამხედრო მოსამსახურის) წინაშე დასახული ამოცანა, მიაღწიოს გარკვეულ მიზანს ბრძოლაში (ოპერაციაში) დადგენილი ვადისათვის. **ს.ა**-ს უსახავენ ზემდგომი სარდლები (მეთაურები). **ს.ა**-ის შინაარსი დამოკიდებულია სამხედრო მოქმედებების სახეობაზე, ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრზე, შეიარაღებული ძალების სახეობასა და ჯარების გვარეობაზე, რაოდენობაზე, საკუთარი ჯარებისა და მოწინააღმდეგის ბრძოლისუნარიანობასა და საბრძოლო შესაძლებლობებზე, მათი მოქმედებების ხასიათსა და ვითარების სხვა პირობებზე. **ს.ა**. შეიძლება იყოს ტაქტიკური (ახორციელებენ ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები), ოპერატიული (ახორციელებენ გაერთიანებები ოპერაციის დროს), სტრატეგიული (ახორციელებენ დაჯგუფებების ან არმიების ჯგუფები, უფრო იშვიათად – ერთი დაჯგუფება საომარი მოქმედებების თეატრზე მიმდინარე ოპერაციის დროს).

ჯარებში საერთო-საჯარისო გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის, ქვედანაყოფის) **ს.ა**-ის არსია თავდაცვის დროს მოწინააღმდეგის დარტყმების მოგერიება, მისთვის მაქსიმალური დანაკარგის მიყენება და დაკავებული ზღუდეების, ზოლების (პოზიციების), თავდაცვის რაიონების, მონაკვეთების შენარჩუნება. შეტევის (კონტრშეტევის) დროს საერთო-საჯარისო გაერთიანების (შენაერთის ნაწილის, ქვედანაყოფის) **ს.ა.**, ჩვეულებრივ, მდგომარეობს იმაში, რომ გაანადგუროს მოწინააღმდეგის თავდაცვაში მყოფი ან შეტევაზე გადმოსული დაჯგუფებები დანიშნულ ზოლში (მონაკვეთში, რაიონში), დაეუფლოს დიდმნიშვნელოვან ზღუდეებს (რაიონებს ობიექტებს) აღნიშნული დროისათვის. **ს.ა**. შეიძლება დაიყოს უახლოეს და მომდევნო ეტაპის ამოცანებად. გარდა ამისა, მიეთითება შემდგომი შეტევის მიმართულება, ხოლო შენაერთისათვის – დღის ამოცანაც. უახლოესი ამოცანა სრულდება, როგორც წესი, თავდაპირველი ოპერატიული მოწყობით და გულისხმობს მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანებას, გარკვეულ ზოლში (რაიონში) მისი ძალების განადგურებას და ზღუდეების (რაიონების, ობიექტების) დაუფლებას. ამით იქმნება პირობები მომავალი წარმატებული საბრძოლო მოქმედებებისათვის. მომდევნო ამოცანაა მოწინააღმდეგის დაპირისპირებული დაჯგუფების, მის დასახმარებლად მისული რეზერვების განადგურების დასრულება და დასახული ზღუდის (რაიონის) დაუფლება. გაერთიანებისთვის მომდევნო ამოცანის შესრულებისას მიღწეულ იქნება ოპერაციის მიზანი, ხოლო შენაერთისათვის იგი შეიძლება დაემთხვეს დღის ამოცანას, ე.ი. **ს.ა**-ს, რომელიც დღის ბოლოსათვის უნდა შესრულდეს. შემდგომი შეტევის მიმართულება განისაზღვრება იმ ვარაუდით, რომ უზრუნველყონ ზემდგომი გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) მიერ **ს.ა**-ის შესრულება.

შეიარაღებული ძალების სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებში ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების **ს.ა**. გულისხმობს მოწინააღმდეგის ობიექტების დაზიანება-განადგურებას მათთვის სარაკეტო დარტყმების (ბირთვული იარაღის გამოყენებისას – ბირთვული დარტყმების) მიყენებით. ავიაციის ქვედანაყოფებში, ნაწილებსა და შენაერთებში **ს.ა**-ის შინაარსი განისაზღვრება მოწინააღმდეგის ობიექტების დაცვის მიხედვით. გასათვალისწინებელია ავიაციის გვარეობა და ძალების შემადგენლობა, თვითმფრინავების (ვერტმფრენების) მოქმედების რადიუსი და საბრძოლო დამუხტვა, დაზიანების გამოსაყენებელი საშუალებების სახეობა, დაზვერვის მონაცემების სისრულე. ბომბდამშენი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი (ტაქტიკური), მოიერიშე ავიაციის და სახმელეთო ჯარების ავიაციის ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების **ს.ა**-ა, გაანადგურონ მოწინააღმდეგის ავიაცია აეროდრომებსა და ჰაერში. ასევე – საჰაერო თავდაცვის საშუალებები, მართვის პუნქტები, ობიექტები, ჯარების (ძალების) დაჯგუფებები. გამანადგურებელი ავიაციის ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების **ს.ა**-ა დაიცვან ჯარების (ძალების) დაჯგუფებები და სხვა ობიექტები საჰაერო მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან. სადაზვერვო ავიაციის **ს.ა**-ა საჰაერო დაზვერვის წარმოება, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის – საჰაერო დესანტების გადასხმა, ჯარების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა.

საჰაერო თავდაცვის ჯარებში ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების ძირითად **ს.ა**-ს წარმოადგენს საჰაერო და კოსმოსური სივრცის დაზვერვის უწყვეტი წარმოება, ამასთანავე მართვის უმაღლესი რგოლების გაფრთხილება და ჯარების ინფორმირება მოწინააღმდეგის საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის თაობაზე, ჯარების (ძალების) დაჯგუფებების, ობიექტების ჰაერიდან და კოსმოსიდან მოსალოდნელი დარტყმებისაგან დაცვა.

სამხედრო-საზღვაო ძალებში **ს.ა**. არის ხომალდების, ნაწილების, შენაერთების გაერთიანებების, საზღვაო ავიაციის და საზღვაო ქვეითი ჯარის ქვედანაყოფებისა და ნაწილების, ასევე მოწინააღმდეგის სარაკეტო წყალქვეშა ნავების, ფლოტის დამრტყმელი და ნავსაწინააღმდეგო დაჯგუფებების განადგურება. მათი საზღვაო (საოკეანო) გადაზიდვებისთვის ხელის შეშლა, ბადრაგის (სადესანტო რაზმების) განადგურება ზღვაში, დატვირთვისა და გადმოტვირთვის პუნქტებში, საკუთარი საზღვაო კომუნიკაციების და ფლოტის ბაზირების სისტემის დაცვა. ამასთან, სახმელეთო ჯარე-

ბისთვის ზღვისპირეთის მიმართულებებზე თავდაცვისა და შეტევის (კონტრშეტევის) წარმოებაში ხელის შეწყობა. სარდლების (მეთაურების) გადაწყვეტილებით, ზოგადი **ს.ა**. შეიძლება დაიყოს კერძო ამოცანებად. ფლოტის (ფლოტილიის) ოპერაციის განხორციელების დროს **ს.ა**., როგორც წესი, იყოფა უახლოეს და შემდგომი ეტაპის ამოცანებად. სამხედრო-საზღვაო ძალების გაერთიანების უახლოესი **ს.ა.** შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის ფლოტის დამრტყმელი დაჯგუფებების I ეშელონის განადგურება. მონაწილეობა გარკვეულ ზღუდეებამდე ზღვაზე ბატონობის მოპოვებაში, ზღვისპირა მიმართულებაზე მოქმედი სახმელეთო ჯარების დაჯგუფების მხარდაჭერა. შემდგომი ამოცანის არსი შეიძლება იყოს მოწინააღმდეგის ფლოტის დამრტყმელი დაჯგუფებების I ეშელონის და მისი რეზერვების განადგურების დასრულება. მთავარია ზღვაზე ბატონობის არეალის გაფართოება (უფრო შორეულ რაიონებზე), საზღვაო გადაზიდვების ჩაშლა, ზღვისპირა მიმართულებაზე მოქმედი სახმელეთო ჯარების დაჯგუფების მხარდაჭერის გაგრძელება. ასევე სხვა ამოცანების თანამიმდევრული შესრულება.

ზოგიერთი სახელმწიფოს არმიის ქვედანაყოფებში, ნაწილებსა და შენაერთებში შეიძლება დაისახოს საბოლოო ამოცანა, რომელიც სრულდება უახლოესი ამოცანის შესრულების შემდეგ. იგი მდგომარეობს დღის ბოლოსთვის თავდაცვის ტაქტიკურ სიღრმეში არსებული ობიექტის დაუფლებაში.

საბრძოლო ამოცანების დასახვა, სარდლების (მეთაურების) და შტაბების მიერ დაქვემდებარებული, მიკუთვნებული და მხარდამჭერი ძალების და საშუალებებისათვის მომავალ ოპერაციაში (ბრძოლაში) საბრძოლო ამოცანების მიზნების, შინაარსისა და შესრულების წესის გაცნობა. ჯარების (ძალების) მართვის პროცესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. **ს.ა.დ.** შეიძლება მოხდეს სიტყვიერად, პირადად სარდლობის (მეთაურის) მიერ რუკაზე, ადგილზე ან ადგილმდებარეობის რელიეფურ გეგმაზე (მაკეტზე) მითითებებით. ხორციელდება კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, ოღონდ, აუცილებლად უნდა იყოს დადასტურებული წერილობითი (გრაფიკული) დოკუმენტით. ქვედანაყოფებში საბრძოლო ამოცანებს მეთაური უსახავს ზეპირად (სიტყვიერად).

საბრძოლო აქტიურობა, სამხედრო მოსამსახურეების, ქვედანაყოფების, ნაწილების და მთლიანობაში ჯარების გადამწყვეტი მოქმედებები, რომლებიც მიმართულია ბრძოლის დროს ინიციატივის ხელში ჩაგდებისა და შენარჩუნებისკენ, საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებისთვის ყველა არსებული საშუალებით მოწინააღმდეგისთვის მაქსიმალური ზიანის მიყენებისკენ. **ს.ა**. გამარჯვების მიღწევის მნიშვნელოვანი პირობაა.

საბრძოლო ბრძანება, ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების პროცესში ჯარებისთვის (ძალებისთვის) საბრძოლო ამოცანის დასახვის ფორმა. **ს.ბ**-ში ყველა ფორმულირება გადმოცემულია მოკლედ და ერთმნიშვნელოვნად. მასში, ჩვეულებრივ, აღინიშნება: მოკლე დასკვნები მოწინააღმდეგის შეფასებიდან, შენაერთის (ნაწილის, ხომალდის, ქვედანაყოფის) საბრძოლო ამოცანა, უფროსი მეთაურის ხელთ არსებული დაზიანების საშუალებების გამოყენების თანამიმდევრობა და ამოცანები მომავალი მოქმედებების ზოლში (მონაკვეთზე, რაიონში, ზონაში), მეზობლების ამოცანები და მათთან გამმიჯნავი ხაზები. ასევე – ოპერაციის (ბრძოლის) ჩანაფიქრი, დაქვემდებარებული ქვედანაყოფების (ნაწილების, შენაერთების), მხარდამჭერი ძალების, საშუალებებისა და რეზერვების საბრძოლო ამოცანები. გასათვალისწინებელია ძირითადი საბრძოლო მარაგის ხარჯი, ამოცანის შესრულებისათვის მზადყოფნის ვადები, მართვის პუნქტების გაშლის ადგილი და დრო, ვის ევალება მართვა მეთაურის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში. **ს.ბ**. შეიძლება გაიცეს წერილობით (შენაერთში, გაერთიანებაში) და სიტყვიერად, ადგილმდებარეობაზე ან რუკაზე. შენაერთში და გაერთიანებაში სიტყვიერად გაცემული საბრძოლო ბრძანება შემდგომში იგზავნება წერილობითაც, ნაწილში – ფორმდება წერილობით, საბრძოლო დოკუმენტის სახით.

საბრძოლო გათვლა, 1. დროებითი სამხედრო ფორმირება, რომელიც განკუთვნილია საბრძოლო მორიგეობის, ჯარების (ძალების) საბრძოლო მართვის და სხვა ამოცანების შესასრულებლად; 2. საბრძოლო ვითარებაში, ტაქტიკურ სწავლებებზე, განგაშის დროს, ყარაულში და ა.შ. ქვედანაყოფის სამხედრო მოსამსახურეების განსაკუთრებული (დამატებითი) მოვალეობების განსაზღვრა. **ს.ბ**-ის შესაბამისად შეიძლება დაინიშნონ მეთვალთვალეები, მეკავშირეები, მზირები, საბრძოლო მასალების მიმწოდებლები და სხვა.

საბრძოლო გამოყენება, 1. ბრძოლაში (ოპერაციაში) შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის, ჯარების (ძალების) გვარეობის და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილებისა და შენაერთების ორგანიზებული გამოყენება საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით, როგორც დამოუკიდებლად, ისე ერთმანეთთან ურთიერთქმედებით. ტერმინი „საბრძოლო გამოყენება“ იხმარება აგრეთვე შეიარაღების კომპლექსების, ცალკეული სახეობის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის მიმართ და ნიშნავს ბრძოლაში დანიშნულების შესაბამისად მათ გამოყენებას; 2. სამხედრო-საჰაერო ძალებში – საფრენი მომზადე-

ბის სახეობა. **ს.ბ**. მოიცავს სხვადასხვა პირობებში საავიაციო საშუალებების, სახმელეთო (საზღვაო) და საჰაერო მიზნების დაზიანებას. ასევე – საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად მფრინავთა შემადგენლობისათვის საფრენი აპარატების მოწყობილობის გამოყენების სწავლებას.

საბრძოლო გამოცდილება, საბრძოლო მოქმედებების ხერხების (ილეთების) ცოდნა (უნარი, ჩვევა), მიღებული სამხედრო მოსამსახურეების, ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების მიერ ბრძოლებსა და ოპერაციებში. **ს.ბ**. ხელს უწყობს შემდგომ ბრძოლებში გამარჯვების მიღწევას. იგი წარმოადგენს სამხედრო საქმიანობის განვითარების თეორიისა და პრაქტიკის უმნიშვნელოვანეს წყაროს.

საბრძოლო განგაში, ნაწილის (ხომალდის) დაუყოვნებლივ მზადყოფნაში მოყვანა საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. მონაწილეობას იღებს მთელი პირადი შემადგენლობა მათზე განკუთვნილი იარაღით, საბრძოლო ტექნიკით და მატერიალური საშუალებებით. სამხედრო-საზღვაო ძალებში საომარ პერიოდში, აღნიშნულის გარდა, საბრძოლო განგაში ცხადდება ბაზაში შესვლის (გამოსვლის), ვიწრო გასასვლელებში, რთულ პირობებში ცურვის დროს.

საბრძოლო განკარგულება, ქვედანაყოფის, ნაწილის, ხომალდის, შენაერთის და გაერთიანებისთვის საბრძოლო ამოცანის დასახვის ფორმა. **ს.ბ**-ის გაცემა შეიძლება საბრძოლო ბრძანების მაგივრად როგორც ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების, ასევე მისი მსვლელობის დროს. **ს.ბ**-ში, ჩვეულებრივ, მიუთითებენ: მოწინააღმდეგის შეფასების შესახებ მოკლე დასკვნებს; საბრძოლო ამოცანას; ამოცანებს, რომლებიც სრულდება ზემდგომი მეთაურის მიერ ქვედანაყოფების (ნაწილების, შენაერთების, გაერთიანების) ინტერესებში; მეზობლების ამოცანებს და მათთან გამიჯვნის ხაზებს მოქმედებებისთვის მზადყოფნის დროს.

საბრძოლო გასროლის კომპლექტი, ფეთქებადი და არაფეთქებადი კომპონენტების ნაკრები, რომელმაც განსაზღვრულ დროს და სათანადო პირობებში გარკვეული ფუნქცია უნდა შეასრულოს.

საბრძოლო გაფრენა, საავიაციო ქვედანაყოფის (ნაწილის, შენაერთის) თვითმფრინავის (ვერტმფრენის) ეკიპაჟის გაფრენა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. მოიცავს: აფრენას, საბრძოლო მწყობრში ჩადგომას, მიზნისკენ მარშრუტით გაფრენას, საბრძოლო ამოცანის შესრულებას, მოქმედებების რაიონიდან გამოფრენას, საბრძოლო წყობის დაშლას და აეროდრომზე დაფრენას.

საბრძოლო გაწვრთნა, ჯარების (ძალების) პირადი შემადგენლობის ცოდნის, უნარების, ჩვევების, მორალურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური მახასიათებლების კომპლექსი; ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების), შენაერთების მართვის ორგანოების მომზადება და შერწყმა, მათი უნარი აწარმოონ საბრძოლო მოქმედებები სხვადასხვა პირობებში ან შეასრულონ სხვა ამოცანები დანიშნულების შესაბამისად. **ს.ბ**. წარმოადგენს საბრძოლო მზადყოფნის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს. მისი მიღწევა შესაძლებელია საბრძოლო მომზადების მთელი სისტემის საშუალებით. **ს.ბ**. მოიცავს საველე, საჰაერო და საზღვაო გაწვრთნას.

საბრძოლო და ოპერატიული მომზადების მეთოდიკა, საბრძოლო და ოპერატიულ მომზადებაში გამოყენებული სამხედრო სწავლების, ქვედანაყოფების, ნაწილების (შენაერთების) და ჯარების (ძალების) მართვის ორგანოების შერწყმის საშუალებების, ხერხების და ფორმების ერთობლიობა. **ს.დ.ო.მ.მ**-ის ძირითადი შინაარსია: პედაგოგიური მეცნიერების და სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევების გამოყენებით სწავლების მეთოდების და ფორმების დამუშავება; მოსამზადებელი კონტინგენტის აქტივაციის და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ინტენსიფიკაციის ხერხების მოძიება; მებრძოლების სწავლების და აღზრდის შეხამებითვის ოპტიმალური მეთოდების დამუშავება; სასწავლო-მატერიალური ბაზის გამოყენების ეფექტური ხერხების განსაზღვრა; ცოდნის და უნარ-ჩვევების შეფასების და კონტროლის სისტემის გამომუშავება; მეთაურების (უფროსების), სასწავლო ნაწილების, სამხედრო სკოლების, სასწავლებლების და აკადემიების პედაგოგების მეთოდური ოსტატობის ამაღლებისთვის ახალი ფორმების მოძიება და არსებულის სრულყოფა; დადებითი გამოცდილების გავრცელება.

საბრძოლო და რიცხობრივი შემადგენლობა, მოცემულ ფორმირებაში შემავალი ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების და გაერთიანებების რაოდენობა. ასევე პირადი შემადგენლობის რიცხოვნობა, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის რაოდენობა ქვედანაყოფში, ნაწილში, შენაერთში, გაერთიანებაში ჯარების (ძალების) გვარეობაში, შეიარაღებული ძალების სახეობასა და მთლიანად შეიარაღებულ ძალებში. განისაზღვრება გარკვეული თარიღისათვის როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს მთავრობის დადგენილებებით, უმაღლესი სამხედრო სარდლობის ბრძანებებით და დირექტივებით; ასევე – მათი შტატით და ტაბელით. არის საშტატო, მოცემული სიით და არსებული (ფაქტობრივი) შემადგენლობით. **ს.დ.რ.შ**-ის შესახებ მონაცემები გამოიყენება ოპერაციების (საბრძოლო მოქმედების) დაგეგმვის, ჯარების (ძალების) საბრძოლო მომზადების ორგანიზების დროს, პირადი შემადგენლობის დასაკომპლექტებლ-

ად; შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკით და სახეობების მატერიალური საშუალებებით უზრუნველსაყოფად. **ს.დ.რ.შ**. ოპერატიული გაანგარიშებებისათვის შეიძლება დაიყოს საბრძოლო (საბრძოლო მასალები, შეიარაღება და ტექნიკა) და რიცხობრივ შემადგენლობად (პირადი შემადგენლობა – კატეგორიების, იარაღის, სამხედრო ტექნიკის მიხედვით).

საბრძოლო დაზიანება, იხ. *დაზიანება.*

საბრძოლო დაზიანების შეფასება, სამხედრო ძალების ლეტალური და არალეტარული იარაღის გამოყენების შედეგად გამოწვეული დაზიანების დროული და ზუსტი შეფასება. სამხედრო მოქმედებების დროს **ს.დ.შ**. ხდება ყველა ტიპის (საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო და სპეციალური ძალების) იარაღის გამოყენება. **ს.დ.შ**. პირველ რიგში წარმოადგენს სადაზვერვო სფეროს პასუხისმგებლობას.

საბრძოლო დამუხტვა, იმ საშუალებების ერთობლიობა, რომელსაც საავიაციო საფრენი აპარატები მოიხმარენ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. საფრენი აპარატის დანიშნულების და მეთაურის მიერ დასახული ამოცანის კვალობაზე შეიძლება მოიცავდეს რაკეტებს, დაზიანების ბომბდამშენ საშუალებებს, საარტილერიო შეიარაღების საბრძოლო მასალებს, პასიური დაბრკოლებების საშუალებებს, რადიოჰიდროაკუსტიკურ ქერქეჭელებს და სხვა.

საბრძოლო დანაკარგები, პირადი შემადგენლობის, საერთო შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და სხვა მატერიალური საშუალებების დანაკარგი, რომელიც გამოწვეულია მოწინააღმდეგის ყველა სახის იარაღის ზემოქმედებით და თანმხვედრი დამაზიანებელი ფაქტორებით; სხვა დანაკარგები, დაკავშირებული ჯარების საბრძოლო მოქმედებებთან (მოყინვა, ავადმყოფობა, მოწამვლა, ტრავმები; ტექნიკის წყობიდან გამოსვლა, მატერიალური საშუალებების გაფუჭება და სხვა); ასევე დაკარგული და ტყვედ ჩავარდნილი სამხედრო მოსამსახურეები; საერთო საომარი დანაკარგების შემადგენელი ნაწილი. განასხვავებენ აღუდგენელ და აღდგენილ (დროებით) **ს.დ**-ს; ადამიანური **ს.დ**. – აღუდგენელი და სანიტარული დანაკარგები: აღუდგენელი დანაკარგები – მოკლული და გარდაცვლილები, დაკარგულები, ტყვედ ჩავარდნილები (სამხედრო ტყვეები), დათხოვნილები საბრძოლო ტრავმების და ავადმყოფობის გამო და სხვა; შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და სხვა მატერიალური საშუალებები, რომლებიც არ ექვემდებარებიან აღდგენას. აღდგენილი დანაკარგი არის პირადი შემადგენლობა, რომელიც ბრუნდება მწყობრში გამოჯანმრთელების შემდეგ; შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და სხვა მატერიალური საშუალებები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია მათი აღდგენის შემდგომ.

საბრძოლო დაცვა, იხ. *დაცვა.*

საბრძოლო დაძაბულობა, 1. ავიაციაში – თვითმფრინავის (ვერტმფრენის, ქვედანაყოფის, ნაწილის, შენაერთის, გაერთიანების) საბრძოლო რეიდების რაოდენობა, რომელიც დაწესებულია დროის გარკვეულ მონაკვეთში (დღე, ღამე, დღე-ღამე და მეტი) საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. **ს.დ**-ს განსაზღვრავს მეთაური საბრძოლო ამოცანის ხასიათის, საბრძოლო შემადგენლობის ეკიპაჟების მოსამზადებლად საჭირო დროის, ბაზირების პირობების, მეტეოპირობების, მატერიალური, საეროდრომო-ტექნიკური, საინჟინრო-საავიაციო უზრუნველყოფის პირობების გათვალისწინებით და სხვა; 2. სამხედრო-საზღვაო ფლოტში – დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხომალდების საბრძოლო გასვლების რაოდენობა. გამოითვლება შენაერთის (ხომალდის) გასვლის დღეების ან თვეში გასვლების რაოდენობით. ადგენს ზემდგომი მეთაური მთავარი მექანიზმების მოტორესურსის ხარჯის ნორმების, შენაერთის (ნაწილის, ქვედანაყოფის) საბრძოლო შემადგენლობის, საბრძოლო ამოცანების ხასიათის, პირადი შემადგენლობის მდგომარეობის, ბაზირების პირობების, ამინდის, წელიწადის დროის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით. წყალქვეშა ნავებისათვის **ს.დ**-ის ნაცვლად გამოიყენება ცნება „ოპერატიული დაძაბულობა“.

საბრძოლო დოკუმენტები, იხ. *სამხედრო დოკუმენტები.*

საბრძოლო დროშა, სამხედრო ნაწილის განსაკუთრებული საპატიო ნიშანი, რომელიც ასახავს მისი საბრძოლო დანიშნულების, ისტორიისა და სამხედრო დამსახურების თავისებურებებს, ასევე შეიარღებული ძალების კუთვნილებას. არის საბრძოლო პატივის, გმირობის და დიდების სიმბოლო. ახსენებს ყოველ სამხედრო მოსამსახურეს სამშობლოს დაცვისა და გმირული ტრადიციების ერთგულების შესახებ. სამხედრო ნაწილებს **ს.დ**. გადაეცემა მათი ფორმირების მომენტიდან და უნარჩუნდება სამუდამოდ მიუხედავად დასახელებისა და ნუმერაციის ცვლილებისა. იგი მუდმივად არის სამხედრო ნაწილის მუდმივი დისლოკაციის ადგილში, ხოლო ბრძოლის დროს – ნაწილის საბრძოლო მოქმედებების რაიონში.

საბრძოლო ეფექტიანობა, ჯარების (ძალების) და სამხედრო ტექნიკის გარკვეული შემადგენლობით შესრულებული საბრძოლო (საცეცხლე) ამოცანების შეფასების შედეგი. დგინდება გათვალისწინებული დროის მანძილზე სამხედრო ტექნიკის და გასროლების (გაშვებების) რაოდენობით; დასაზიანებელი ფართობის ან გასანადგურებელი მიზნების რიცხვის მათემატიკური ლოდინით; სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მასალების და დროის საჭირო რაოდენობით, რომელიც აუცილებელია განსაზღვრული ამოცანის შესრულები-

სათვის მიზნის დაზიანების და ჯარების მოქმედების უზრუნველყოფისათვის.

საბრძოლო ზემოქმედების ზონა, გეოგრაფიული რაიონი, რომელშიც მეთაური (სარდალი) მის დაქვემდებარებაში მყოფი მანევრირების ან საცეცხლე მხარდაჭერის კომპლექსების გამოყენებით პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე.

საბრძოლო თვითმფრინავები, თვითმფრინავები, რომლებიც განკუთვნილია საარტილერიო, ბომბდამშენი და სარაკეტო აღჭურვილობით მიზნების გასანადგურებლად. ასევე – საჰაერო დაზვერვის, რადიო-ელექტრონული ბრძოლის და სხვა საწარმოებლად. **ს.თ**-ს განეკუთვნება გამანადგურებლები, გამანადგურებელ-ბომბდამშენები, ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავები, მოიერიშეები, თვითმფრინავ-მზვერავები, რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავები.

საბრძოლო კვება, ქვეითი, სატანკო, საარტილერიო, აგრეთვე საზღვაო ქვეითთა მომარაგება საბრძოლო მასალით. ხორციელდება საწყობებიდან **ს.კ**-ის პუნქტების საშუალებით, რომლებიც იქმნება ბატალიონებსა და ასეულებში. ქვეით ოცეულებსა და ათეულებში ინიშნებიან საბრძოლო მასალის მიმტანები.

საბრძოლო კომპლექტი, იარაღის (ავტომატი, კარაბინი, ქვემეხი და ა.შ.) ან საბრძოლო მანქანის (ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი, თვითმფრინავი და სხვა) განსაზღვრული რაოდენობა საშტატო ერთეულისათვის. იგი ბრძანებითაა დაწესებული ჯარების საბრძოლო გამოცდილებიდან, იარაღის შესაძლებლობიდან და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე. **ს.კ**-ს იყენებენ საანგარიშო-სამომარაგებო ერთეულად, საბრძოლო ამოცანების შესრულებისათვის საჭირო მასალების გამოსათვლელად. **ს.კ**. მოიცავს ყველა სახის საშტატო შეიარაღებისათვის საჭირო მასალების შეჯამებულ ოდენობას.

საბრძოლო კოსმოსური სადგური (პლატფორმა, ფრანგული plate-forme – ბრტყელი ფორმა), საბრძოლო კოსმოსური სისტემის ძირითადი კომპონენტი (კოსმოსური აპარატი). სამხედრო სპეციალისტები მას განიხილავენ, როგორც სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის საიმედოობის ამაღლების შესაძლო საშუალებას. კერძოდ, მოწინააღმდეგის ბალისტიკური რაკეტების დასაზიანებლად ტრაექტორიის აქტიურ მონაკვეთებზე და მათი საბრძოლო ბლოკების დასაზიანებლად – პასიურ მონაკვეთებზე. **ს.კ.ს**-ის ძირითად შეიარაღებას განეკუთვნება დაზიანების საშუალებები (რაკეტები, კინეტიკური, ლაზერული, მაჩქარებელი და ახალ ფიზიკურ პრინციპებზე შექმნილი სხვა სახეობის იარაღი), საინფორმაციო-სამართავი სისტემა, დაცვისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის საშუალებები. **ს.კ.ს**-ის შექმნა არის რთული მეცნიერულ-ტექნიკური პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ დანახარჯებსა და დროს მოითხოვს.

საბრძოლო კურსი, მიმართულება, რომლითაც საბრძოლო თვითმფრინავები (ვერტმფრენები), წყალზედა ხომალდები და წყალქვეშა ნავები გადიან მიზანთან და იყენებენ იარაღს. სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები **ს.კ**-ზე ეძებენ დაფრენის მოედნებს და დესანტის გადასხმის ადგილებს.

საბრძოლო მანევრირება, 1. ავიაციაში – ცალკეული საფრენი აპარატის ან ჯგუფის ფრენის ტრაექტორიისა და რეჟიმის შეცვლა მარშრუტით ფრენისას, საბრძოლო მოქმედების დროს ისეთი მდგომარეობის დასაკავებლად, რომელიც უზრუნველყოფს იარაღის ყველაზე ეფექტურ გამოყენებას საჰაერო ბრძოლაში ან სახმელეთო (საზღვაო) მიზნებზე შეტევის განსახორციელებლად. მოიცავს საფრენი აპარატის მანევრს სიჩქარის, მიმართულებისა და სიმაღლის მიხედვით; 2. ფლოტში – ცალკეული ხომალდის ან მათი ჯგუფის გადაადგილება მოწინააღმდეგის ხომალდის (ობიექტების) მიმართ საზღვაო ბრძოლის, იერიშის, დარტყმის დროს. გულისხმობს: მოწინააღმდეგესთან მიახლოებას, იარაღის გამოყენების და მოწინააღმდეგის იარაღის საბრძოლო ეფექტიანობის შემცირების მიზნით ხელსაყრელი პოზიციის დაკავებას და შენარჩუნებას, პოზიციის შეცვლას ერთი ობიექტიდან მეორეზე ცეცხლის გადასატანად. **ს.მ**. სრულდება აგრეთვე უკან დახევის შემთხვევაში.

საბრძოლო მანქანები, დაჯავშნული მუხლუხა ან თვლიანი თვითმავალი მანქანები გაზრდილი გამავლობით და მათზე დაყენებული შეიარაღებით. მათ განეკუთვნება: ტანკი, დესანტის საბრძოლო მანქანა, ჯავშანტრანსპორტიორი, თვითმავალი საარტილერიო დანადგარი, თვითმავალი საარტილერიო ქვემეხი. ასევე – რეაქტიული ზალპური ცეცხლის სისტემა, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის დანადგარი და სხვა. **ს.მ**. აღჭურვილია საფილტრო-სავენტილაციო მოწყობილობით, რადიოსადგურით, შიდა სალაპარაკო მოწყობილობით, თვალთვალის საშუალებებით, ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობებით და სხვა.

საბრძოლო მანქანის ეკიპაჟის სიცოცხლისუნარიანობა, საბრძოლო მანქანის განყოფილებების (საბრძოლო, მართვის) შესაძლებლობა განათავსოს ეკიპაჟი (გათვლა, დესანტი) იმ დროის განმავლობაში, რომელიც საჭიროა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. **ს.მ.ე.ს**. უზრუნველყოფილია იმ არასასურველი მიკროკლიმატური (ტემპერატურა, სინესტე), მექანიკური, (ხმაური, ვიბრაცია და სხვა), ელექტრომაგნიტური, ქიმიური და სხვა ფაქტორებისგან დაცვის საშუალებებით, რო-

მლებიც წარმოიქმნებიან გარემოს ზემოქმედებით ან თვით მანქანის ფუნქციონირების შედეგად. ასევე უზრუნველყოფილია სამუშაო ადგილების რაციონალური მოწყობით; საკვების, წყლის, მედიკამენტების და სხვა მარაგით; საინჟინრო ფსიქოლოგიის და სამხედრო ერგონომიკის მოთხოვნების შესრულებით.

საბრძოლო მანქანების ტარება, 1. შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მომზადება საბრძოლო მანქანების (ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანების, ჯავშანტრანსპორტიორების და სხვა) მართვაში; საბრძოლო მომზადების საგანი. 2. მძღოლების (მძღოლ-მექანიკოსების) მიერ საბრძოლო მანქანის მართვის მიზნით განხორციელებული ქმედება.

საბრძოლო მართვის ცენტრი, სამეთაურო და სათადარიგო სამეთაურო პუნქტების ბრძოლის მართვის ჯგუფის ძირითადი ელემენტები შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის გაერთიანებაში. **ს.მ.ც**. განკუთვნილია ჯარების (ძალების) მუდმივი მართვისათვის ოპერაციის მომზადებისა და მსვლელობისას. აქ ხდება ინფორმაციის შეგროვება, მიმდინარეობს მუშაობა გადაწყვეტილების მისაღებად, ჯარებისათვის ამოცანების დასახვის, ოპერაციის დაგეგმვის და ჯარების უშუალო მართვისათვის.

საბრძოლო მასალები, შეიარაღების შემადგენელი ნაწილი, რომელიც განკუთვნილია მიზნების უშუალოდ დაზიანების ან ჯარების (ძალების) მოქმედების უზრუნველყოფისთვის. დანიშნულების მიხედვით არჩევენ ძირითად, სპეციალურ და დამხმარე **ს.მ**-ს. ძირითადი იყოფა ჩვეულებრივ და მასობრივი დაზიანების **ს.მ**-ად. ჩვეულებრივი არის – მთლიანი ან აღჭურვილი ფეთქებადი მუხტით, ან ცეცხლგამჩენი ნივთიერებით. მასობრივი დაზიანების **ს.მ**-ს განეკუთვნება ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური მარაგი. **ს.მ**-ის მოქმედება განისაზღვრება მისი დამუხტვის კონსტრუქციითა და ტიპით. სპეციალურ **ს.მ**-ს განეკუთვნება მანათობელი, სასიგნალო, გაკვამლიანების, მიზანმიმმართველი, წინაღობის წარმომქმნელი, სააგიტაციო და სხვა. იარაღის ტიპის მიხედვით **ს.მ**. იყოფა რაკეტებისა და ტორპედოების საბრძოლო ნაწილებად, საარტილერიო (საარტილერიო გასროლები, ნაღმსატყორცნების ნაღმები, ყუმბარსატყორცნების გასროლები), ცეცხლსასროლი იარაღის ვაზნებად, დაზიანების დასაბომბ საშუალებებად, საინჟინრო და საზღვაო ნაღმებად, ხელყუმბარებად. შეიარაღებული ძალების სახეობების მიხედვით იყოფა სახეობათაშორის (გამოიყენება რამდენიმე სახეობის და სპეციალური ჯარების მიერ), საავიაციო (საავიაციო შეიარაღების შემადგენელი ნაწილი) და საზღვაო (სახომალდე და სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარების შეიარაღების შემადგენელი ნაწილი) **ს.მ**-ად.

საბრძოლო მასალების გაუვნებელყოფა, საბრძოლო მასალების ისეთ მდგომარეობაში მოყვანა, რომელიც მათ არასანქცირებულ მოქმედებას გამორიცხავს. ხორციელდება ადგილმდებარეობის (აკვატორიის), სარემონტო (სარეგლამენტო) სამუშაოების ან გამოცდის, არასაშტატო ფუნქციონირების მიზეზების გამორკვევის, უტილიზაციის მიზნით. **ს.მ.ბ**-ს აღწევენ საბრძოლო მასალის მექანიკური ნგრევით (როგორც წესი – აფეთქებით), აღჭურვილობის მოცილებით, ინიცირებადი მოწყობილობების ამოღებით ან უსაფრთხო მდგომარეობაში გადაყვანით, კვების წყაროების მოხსნით და სხვა.

საბრძოლო მასალების დადაღვა, საბრძოლო მასალების ლითონის ნაწილებზე ასოებით, ციფრებით და პირობითი ნიშნებით დაღის დასმა ან მათი ამოტვიფვრა. დაღი საჭიროა კონტროლისთვის საბრძოლო მასალების აღჭურვის, აწყობის, შენახვის, რემონტის და ექსპლუატაციის დროს. ძირითადი დაღი პირობითად აღნიშნავს: მწარმოებელს, პარტიის ნომერს, დამზადების წელს და საბრძოლო მასალის შესაბამისი ელემენტის მარკას.

საბრძოლო მასალების მარკირება (გერმანული markiereh – ნიშნის დადება), საბრძოლო მასალების ელემენტებზე და მათ სახუფავებზე პირობითი ნიშნების და წარწერების სისტემა. საბრძოლო მასალების დადაღვასა და შეღებვასთან ერთად საშუალებას იძლევა განისაზღვროს საბრძოლო მასალების დანიშნულება და მახასიათებლები, რაც აუცილებელია მათი სწორი დაკომპლექტებისა და ექსპლუატაციისთვის (საბრძოლო მასალის და მისი ელემენტის დასახელება, აღმჭურველი ქარხნის და დენთის პარტიის ნომერი, აღჭურვის წელი, ასაფეთქებელი ნივთიერების შიფრი, ამფეთქის მარკა, აწყობის წელი და ბაზის ნომერი, რომელზეც აწყობა ხორციელდებოდა და სხვა).

საბრძოლო მასალების მოქმედება, ეფექტი, შექმნილი საბრძოლო მასალების მიერ მათი დანიშნულების შესაბამისად გამოყენების დროს. საბრძოლო მასალების ყველაზე დამახასიათებელი სახეებია: დ ა რ ტ ყ მ ი თ ი – მიზნის დაზიანება მოძრავი საბრძოლო მასალის კინეტიკური ენერგიის ხარჯზე (ხასიათდება საბრძოლო მასალის მასით, მოხვედრის სიჩქარით და მასალის მდგრადობით); კ უ მ უ ლ ა ც ი უ რ ი – მიზნის დაზიანება აფეთქების დროს გამოყოფილი ენერგიის მოცემული მიმართულებით კონცენტრაციით (იხ. *კუმულაციის ეფექტი*); მ ს ხ ვ რ ე ვ ა დ ი – მიზნის დაზიანება მასზე საბრძოლო მასალის კორპუსის გასკდომის შედეგად წარმოქმნილი ნამსხვრევებით ან საგანგებოდ გამოყენებული მზა მომაკვდინებელი ელემენტების მექანიკური ზემოქმედებით (ხასიათდება ნამსხვრევების რაოდენობით და მასით, მათი ფრენის

სისწრაფით); ფ უ გ ა ს უ რ ი – მიზნის დაზიანება მუხტის აფეთქების პროდუქტებითა და წარმოქმნილი დარტყმითი ტალღით (ხასიათდება წარმოქმნილი ძაბრის მოცულობით და დარტყმითი ტალღის ჭარბი წნევის სიდიდით); ც ე ც ხ ლ გ ა მ ჩ ე ნ ი – მიზნის დაზიანება ცეცხლის გაჩენით, საგანგებო ცეცხლგამჩენი შემადგენლობით.

საბრძოლო მასალების სიძლიერე, მიზანზე საბრძოლო მასალების მოქმედების ეფექტურობის მაჩვენებელი. საბრძოლო მასალების ტიპის მიხედვით მათი მოქმედება ფასდება: ფუგასური – ღრმულის მოცულობით გრუნტში (1 *კგ* ასაფეთქებელ ნივთიერებაზე საშუალოდ 1 m^3 გრუნტის ამოყრა), ჭარბი წნევის და დარტყმითი ტალღის იმპულსის სიდიდეებით; მსხვრევადი – დაზიანების დაყვანილი ზონის ფართობით, გაანგარიშებული მომაკვდინებელი ნამსხვრევების რაოდენობის, მასის და გაფანტვის რადიუსის გათვალისწინებით, ე.ი. ნამსხვრევებით არანაკლებ 4 *გ* და 100 *ჯ* კინეტიკური ენერგიით; ჯავშანგამტარი (დამრტყმელი, კუმულაციური) – დასანგრევი ჯავშნის (წინაღობის) სისქით; ცეცხლგამჩენი – შეზავებული შემადგენლობის წვის ტემპერატურით; მანათობელი – შუქის ძალით და ადგილმდებარეობის განათების ხანგრძლივობით; საკვამლე – არაგამჭვირვალე ფარდის სიგრძით და კვამლის წარმოქმნის დროით. ძირითადი საბრძოლო მასალების ეფექტურობის საერთო მაჩვენებელს მიზნის დაზიანების ალბათობა წარმოადგენს. ბირთვული **ს.მ.ს**. ტროტილური ეკვივალენტით ფასდება.

საბრძოლო მასალების შეფერილობა, საბრძოლო მასალების ლაქ-საღებავით დაფარვა. იცავს კოროზიისგან და იყენებენ საბრძოლო მასალების დანიშნულების ამოსაცნობად.

საბრძოლო მდგომარეობა, საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის (საბრძოლო გამოყენებისათვის) საბრძოლო სისტემების, შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის, აგრეთვე მათი ელემენტების სრული მზადყოფნის მდგომარეობა. **ს.მ**. გულისხმობს შეიარაღების კომპლექსების ყველა შემადგენელი ელემენტის მზადყოფნას მუშაობისათვის. შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის ნიმუშების ან კომპლექსების **ს.მ**-ში გადაყვანა ხდება შენახვის, ან სალაშქრო მდგომარეობის (ტრანსპორტირების მდგომარეობის) რეჟიმიდან. იგი მოიცავს მთელ რიგ ტექნოლოგიურ ოპერაციებს, რომელთა მოცულობა და ხასიათი დამოკიდებულია საბრძოლო ტექნიკის სახეობაზე, დანიშნულებაზე, გამოყენების პირობებზე, კონსტრუქციულ თავისებურებებსა და გარკვეულ მოთხოვნებზე, ინსტრუქციებსა და დარიგებებზე. მაგალითად, ინდივიდუალური სასროლი იარაღის ნიმუშების **ს.მ**-ში გადაყვანა გულისხმობს მათი გამართულობის და სავაზნე კოლოფების აღჭურვის შემოწმებას.

საბრძოლო მდგრადობა, ჯარების დაჯგუფებების და ფლოტის ძალების (შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების, ცალკეული ხომალდებისა და მათი ჯგუფების) მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ მოწინააღმდეგის აქტიური წინააღმდეგობის პირობებში შეინარჩუნონ ბრძოლისუნარიანობა და გამოიყენონ საბრძოლო შესაძლებლობები დასახული საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. დამოკიდებულია ჯარების (ძალების) დაჯგუფებების შემადგენლობაზე, მათ ბრძოლისუნარიანობასა და საბრძოლო უნარზე, აგრეთვე მართვის სისტემების, იმ ძალებისა და საშუალებების სიცოცხლისუნარიანობაზე, რომლებიც ყოველმხრივ უზრუნველყოფენ მათ მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

საბრძოლო მზადყოფნა, ჯარების (ძალების) მდგომარეობა, რომელიც საშუალებას აძლევს მათ დადგენილ ვადაში დაიწყონ საბრძოლო მოქმედებები და წარმატებით შეასრულონ დასახული ამოცანები. ჩვეულებრივ, შეიარაღებულ ძალებში გათვალისწინებულია **ს.მ**-ის რამდენიმე ხარისხი (დონე). მშვიდობიანობის დროს **ს.მ**-ის ხარისხი უზრუნველყოფს ჯარების (ძალების) დროულ გადაყვანას მშვიდობიანიდან საომარ მდგომარეობაზე, მათ გაშლას და ომში ჩაბმას. შენაერთების, ნაწილების (ხომალდების) **ს.მ**-ის ზრდა წარმოებს მათი თანამიმდევრული გადაყვანით საბრძოლო მზადყოფნის უდაბლესიდან უმაღლეს დონეზე. ასევე, უშუალოდ **ს.მ**-ის უმაღლეს დონეზე გადაყვანით. ეს შეიძლება მოხდეს შუალედურის გამოტოვებით, გეგმით დადგენილ ვადებში ორგანიზაციული, სამობილიზაციო, ტექნიკური და სხვა ღონისძიებების კომპლექსის განხორციელებით. რაც უფრო მაღალია ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის დონე, მით უფრო ნაკლები დრო ჭირდებათ მათ საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად მომზადებისათვის. **ს.მ**-ის უმაღლეს დონეს განსაზღვრავს ჯარების (ძალების) უნარი, დაუყოვნებლივ შეასრულონ საბრძოლო ამოცანები.

საბრძოლო მზადყოფნის დონის მიღწევის ვადა, ვადა, რომლის ფარგლებშიც ნაწილი ან ქვედანაყოფი შეიძლება მზადყოფნაში იყოს მოყვანილი საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. ეს ვადა დაწვრილებით ხასიათდება და იზომება იმ მაჩვენებლებით, რომლებიც მოცემულ მომენტში პირად შემადგენლობას, სამხედრო ტექნიკას და საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობას აქვს.

საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობა, დროის მოცემულ მომენტში ჯარების (ძალების) წინაშე დასახული ამოცანების შესრულების შესაძლებლობის შეფასება.

საბრძოლო მზადყოფნის ხარისხი, ჯარების (ძალების) შესაბამისი დოკუმენტებით დადგენილი მდგომარეობა, რომლის მიხედვითაც

მოთხოვნილ ვადაში შეიძლება მოემზადონ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. **ს.მ.ხ**-ის დადგენა ხდება, ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის უწყვეტად შესანარჩუნებლად, ხოლო საჭიროებისას – მომზადების დონის ასამაღლებლად. ჯარები (ძალები) თანამიმდევრულად გადაჰყავთ ერთი ხარისხიდან მეორე, უფრო მაღალ ხარისხში ან შემოჰყავთ დადგენილ ხარისხთაგან ნებისმიერი.

საბრძოლო მომზადება, დანიშნულების შესაბამისად, საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად და საბრძოლო მოქმედებების უზრუნველსაყოფად საჯარისო სწავლების და პირადი შემადგენლობის აღზრდის, ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთებისა და მათი მართვის ორგანოების საბრძოლო შერწყმის მიზანმიმართული, ორგანიზებული პროცესი. **ს.მ**-ის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ჯარების (ძალების) და მართვის ორგანოების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა და აამაღლოს მათი ბრძოლისუნარიანობა. **ს.მ**-ს აქვს ორი მხარე: სწავლების შინაარსი (რა ასწავლოს) და სწავლების მეთოდიკა (როგორ ასწავლოს). **ს.მ**-ის შინაარსს, რომლის საფუძველსაც შეადგენს ტაქტიკა, განსაზღვრავს საბრძოლო მოქმედებების ხასიათი, ამოცანები, რომელთა გადასაწყვეტად განკუთვნილია ქვედანაყოფი, ნაწილი, შენაერთი; მათი საბრძოლო გამოყენების ხერხები, საბრძოლო შესაძლებლობები და ბრძოლაში (ოპერაციაში) მოქმედებების ტაქტიკა. იგი გამოხატულებას პოულობს საბრძოლო წესდებებსა და დარიგებებში, სახელმძღვანელო მითითებებში, სხვა საწესდებო დოკუმენტებსა და **ს.მ**-ის პროგრამებში. **ს.მ**-ში მთავარია წესდებების და დარიგებების მოთხოვნების შესწავლა და პრაქტიკული ათვისება, იარაღის და სამხედრო ტექნიკის, საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და წარმოების ხერხების დაუფლება, ხოლო უმნიშვნელოვანესი პრინციპია იმის სწავლება, რაც საჭიროა ომში. **ს.მ**-ის მეთოდიკა განსაზღვრავს სწავლების ფორმებს და მეთოდებს. იგი გათვალისწინებულია **ს.მ**-ის პროგრამებსა და კურსებში, სროლის, მანქანის ტარების კურსებში და სხვა მეთოდიკურ დოკუმენტებში. **ს.მ**-ის საბოლოო შედეგს იძლევა საბრძოლო წვრთნა, რომელის მიღწევა ხდება თანამიმდევრულად სამხედრო მოსამსახურეების ერთეული მომზადების და ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთებისა და მათი მართვის ორგანოების საბრძოლო შერწყმის გზით მეცადინეობების, წვრთნებისა და სწავლებების დროს. ის ეწყობა რეალური საბრძოლო სინამდვილის პირობებთან მიახლოებულ ვითარებაში. ოფიცერთა შემადგენლობის **ს.მ**-ის შემადგენელი ნაწილია აგრეთვე სამეთაურო მომზადება, რომლის დროსაც ყალიბდება და იხვეწება ბრძოლაში ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების მართვის, დაქვემდებარებულთა სწავლებისა და აღზრდის უნარ-ჩვევები, პროფესიული და მეთოდური ოსტატობა. **ს.მ**-ის პროცესში სამხედრო მოსამსახურეებს გამოუმუშავდებათ მაღალი მორალური და საბრძოლო თვისებები, უნარი, წარმატებით შეასრულონ მომავალი ამოცანები, დაიცვან სამხედრო დისციპლინა. **ს.მ**. ემყარება მეცნიერულ ცოდნას, მათ შორის – სამხედრო სწავლებისა და აღზრდის თეორიას და სამხედრო მეცნიერების სხვა დარგებს. იგი წარმოებს როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს. მშვიდობიანობის დროს **ს.მ**. არის ჯარების (ძალების) ყოველდღიური საქმიანობის ძირითადი ნაწილი. საბრძოლო მოქმედებების ნაწილი, ფორმები და მეთოდები, უწინარესად, დამოკიდებულია შეიარაღებული ბრძოლის საშუალებებსა და საბრძოლო მოქმედებების წარმოების ხერხებზე. ახალი იარაღის დაუფლებას შედეგად მოსდევს ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებების და ორგანიზაციის ხერხების შეცვლა, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს ცვლილებების შეტანას **ს.მ**-ის შინაარსში. შეიარაღებული ძალების ყოველ სახეობაში, ჯარების (ძალების) გვარეობაში, სპეციალურ ჯარებში **ს.მ**-ს აქვს დამახასიათებელი თავისებურებები.

საბრძოლო მომზადების გეგმა, სამსახურებრივი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მართვის ორგანოების მომზადების, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების შერწყმის, პირადი შემადგენლობის სწავლების და აღზრდის, სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ღონისძიებები. მუშავდება ბრძანებების, დირექტივების, შეიარაღებული ძალების სახეობების, გაერთიანებების სარდლების მითითებათა საფუძველზე. **ს.მ.გ**-ები მუშავდება შენაერთებსა და ნაწილებში სასწავლო წლისთვის, ბატალიონში, დივიზიონში და მათთან გათანაბრებულ ქვედანაყოფებში – სასწავლო პერიოდისთვის. მათი დაზუსტება ხდება ყოველთვიურად ძირითადი ღონისძიებების გეგმით.

საბრძოლო მორიგეობა, სპეციალურად გამოყოფილი ძალებისა და საშუალებების მორიგეობის (საქმიანობის) განსაკუთრებული სახეობა. დაგეგმილი ან უეცრად წამოჭრილი ამოცანების გადაწყვეტის და საბრძოლო მოქმედებების წარმოების თვალსაზრისით სხვა ძალებთან და საშუალებებთან შედარებით საბრძოლო მზადყოფნის უფრო მაღალ დონეზე დგას. ეწყობა მოწინააღმდეგის თავდასხმის დაწყების დროული აღმოჩენის, ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების მყისიერად დაზიანების, ასევე სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო საზღვრების დარღვევის აღკვეთის მიზნით. **ს.მ**-ის ძალების და საშუალებების შემადგენლობაში შედის საბრძოლო გათვლები, ხომალდების და საფრენი აპარატების ეკიპაჟები, მართვის პუნქტების, საბრძოლო უზ-

რუნველყოფის და მომსახურების ძალებისა და საშუალებების მორიგე ცვლები. მორიგე ძალები და საშუალებები გამოიყენება ზემდგომი მეთაურების კომანდებით (სიგნალებით), ხოლო, დაუყოვნებლივ მოქმედების შემთხვევაში – მორიგე ნაწილების, ხომალდების ქვედანაყოფების მეთაურების გადაწყვეტილებით.

საბრძოლო მოქმედებები, 1. შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების ორგანიზებული მოქმედებები საბრძოლო (ოპერატიული) ამოცანების შესრულების დროს. **ს.მ**-ის ძირითად სახეობას წარმოადგენს თავდაცვა და შეტევა. ისინი ხორციელდება ხმელეთზე, ჰაერში, კოსმოსში და ზღვაზე ოპერაციების, ბატალიების, ბრძოლების და დარტყმების ფორმით, როგორც დაზიანების ჩვეულებრივი საშუალებების, ისე მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებით. შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობის **ს.მ**-ს ახასიათებს სპეციფიკური თავისებურებები. სარაკეტო ჯარებში **ს.მ**. წარმოებს პირველი მასირებული ბირთვულ-სარაკეტო (სარაკეტო) დარტყმის, შემდგომ კი ჯგუფური ან ცალკეული ბირთვულ-სარაკეტო (სარაკეტო) დარტყმების სახით. სახმელეთო ჯარებში **ს.მ**. წარმოებს ქვედანაყოფების (ნაწილებისა და შენაერთების) საერთო-საჯარისო ბრძოლების, დაჯგუფებების (არმიების) ოპერაციებისა და ბრძოლების ფორმით. სამხედრო-საჰაერო ძალების **ს.მ**-ის მიზანია საავიაციო დარტყმების მიყენება, საჰაერო ბრძოლების წარმოება და სპეციალური საბრძოლო ფრენების განხორციელება. სამხედრო-საზღვაო ძალები (ფლოტის) **ს.მ.** მოიცავს ბატალიებს ბრძოლებსა და დარტყმებს ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ამოცანების გადასაწყვეტად; 2. შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებების და შენაერთების ოპერატიული გამოყენების ფორმა ოპერაციების ფარგლებში ან ოპერაციებს შორის რამდენიმე თანამიმდევრულად წამოჭრილი ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ამოცანის გადასაწყვეტად.

საბრძოლო მოქმედებები ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით, მოსახლეობის, ფლორის, ფაუნისა და/ან ტექნიკისთვის ზიანის მიყენების მიზნით ბიოლოგიური საშუალებების გამოყენება.

საბრძოლო მოქმედებები სპეციალური მეთოდების გამოყენებით, ზოგადი ტერმინი, რომელიც გამოიყენება მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობის და რესურსების გამოყენებით სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად ჩატარებულ ოპერაციებში.

საბრძოლო მოქმედებები ქიმიური იარაღის გამოყენებით, მომწამლავი ნივთიერებების გამოყენება მოსახლეობის, ჯარების და ფაუნის გასანადგურებლად, დაზიანებისა და მწყობრიდან გამოყვანისთვის, მოწინააღმდეგის მიერ ტერიტორიის, ობიექტების, მატერიალური ნაწილის ან ქონების გამოყენებისთვის წინააღმდეგობების და დაბრკოლებების შექმნის მიზნით.

საბრძოლო მოქმედებების დინამიკურობა, ბრძოლის (ოპერაციის) დროს ვითარების, მდგომარეობის, ასევე ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) და შენაერთების მოქმედების ხასიათის და ხერხების, ურთიერთქმედების პირობების სწრაფი ცვლა; თანამედროვე საბრძოლო მოქმედებების დამახასიათებელი ნიშანი. **ს.მ.დ**. დამოკიდებულია ჯარების მობილურობაზე, საბრძოლო მანქანების მოძრაობის უნარზე, დაზიანების საშუალებების მოქმედების მანძილზე, სიმძლავრესა და სწრაფ სროლაზე, ასევე – პირადი შემადგენლობის მომზადებაზე, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების, მართვის ორგანოების შერწყმაზე, საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის შერჩეულ ხერხზე.

საბრძოლო მოქმედებების ზონა, საომარი მოქმედებების თეატრის ტერიტორიის ან საჰაერო სივრცის ნაწილი, სადაც განლაგებულია (ბაზირებულია) სახმელეთო ჯარების გაერთიანებები გაძლიერების და მხარდაჭერის საშუალებებით (მთელი რიგი სახელმწიფოების არმიებში), სადაც საბრძოლო მოქმედებებს აწარმოებენ აგრეთვე საჰაერო თავდაცვის ავიაცია, ძალები და საშუალებები.

ავიაციის **ს.მ.ზ**., ტერიტორიული და საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც ავიაციას შეუძლია გაანადგუროს მოწინააღმდეგის სახმელეთო (საზღვაო) და საჰაერო ობიექტები. მისი მდებარეობა და სიდიდე დამოკიდებულია ავიაციის გვარეობაზე, საავიაციო დაჯგუფების შემადგენლობაზე, საბრძოლო გამოყენების ჩანაფიქრსა და თვითმფრინავების (ვერტმფრენების) საფრენ-ტაქტიკურ მახასიათებლებზე. ეს განისაზღვრება საავიაციო გაერთიანებების, შენაერთებისა და სხვადასხვა გვარეობის ავიაციის ნაწილებისათვის და შეიძლება შემოიფარგლოს მეზობელი **ს.მ.ზ**-ის საზღვრებით, მინიმალური და მაქსიმალური სიმაღლეებით.

სახმელეთო ჯარების **ს.მ.ზ**. (ზოგიერთ სახელმწიფოთა არმიებში), შემოფარგლულია ფრონტიდან მხარეების ჯარების უშუალო შეხების ხაზით, ფლანგებიდან – საომარი მოქმედებების თეატრის საზღვრით, ზურგიდან – საზღვრით კომუნიკაციების ზონითურთ. თავდაცვაში **ს.მ.ზ**-ში იქმნება დაფარვისა და თავდაცვის ზონები – საინჟინრო თვალსაზრისით შექმნილი ბატალიის რაიონი (ზოლი). აქ შენაერთები (გაერთიანებები) განლაგდებიან საბრძოლო წყობით (ოპერატიული დაწყობა) და აწარმოებენ ბრძოლას (ბატალიას). **ს.მ.ზ**. შედგება მეწინავე, ერთი ან რამდენიმე შუალედური ზღუდის და თავდაცვის სტრატეგიული

ზღუდისაგან. **ს.მ.ზ**-ის სიღრმე შეიძლება იყოს 250–300 *კმ.* და მეტი. მის ფარგლებში განალაგებენ არმიების ჯგუფებს, საველე არმიებს, საარმიო კორპუსებს და დივიზიებს, აგრეთვე საარმიო ავიაციის, საინჟინრო ჯარების, კავშირგაბმულობის, დაცვის და თავდაცვის ჯარების ნაწილებს და ქვედანაყოფებს, ლოგისტიკის, საბრძოლო მასალებისა და სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების საწყობებს. **ს.მ.ზ**. იყოფა არმიათა ჯგუფების, საველე არმიების, საარმიო კორპუსებისა და დივიზიების მოქმედებების ზოლებად (რაიონებად).

საჰაერო თავდაცვის ძალებისა და საშუალებების **ს.მ.ზ**., ტერიტორია და ჰაერი, სადაც საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები განლაგდებიან საბრძოლო წყობით და ანადგურებენ საჰაერო მიზნებს. ზონის საზღვრების დადგენა ხდება: საზენიტო-სარაკეტო ჯარებისათვის – საზენიტო მართვადი რაკეტების გაშვების ზონების შორეული საზღვრით; საზენიტო არტილერიისათვის – საჰაერო მიზნებზე სროლის უმეტესი სიშორით (ცეცხლდაშენის ზონითა და ცეცხლის ზონით). ცეცხლდაშენის ზონა არის საზენიტო ქვემეხის ირგვლივ, რომელშიც შესაძლებელია სროლისთვის (მიზანზე საზენიტო მართვადი რაკეტის დამიზნების) საჭირო სიზუსტე, ხოლო ჭურვი (საზენიტო მართვადი რაკეტა) ინარჩუნებს საჰაერო მიზნის დაზიანების შესაძლებლობას. ცეცხლის ზონა კი სივრცე, რომლის ფარგლებშიც საბრძოლო წყობად განლაგებულ საზენიტო სარაკეტო ქვედანაყოფს (ნაწილს, შენაერთს, დაჯგუფებას) შეუძლია დააზიანოს საჰაერო მიზნები; საზენიტო არტილერიის დაჯგუფებისათვის – სივრცე, რომლის ფარგლებშიც მას შეუძლია აწარმოოს საჰაერო მიზნისთვის ცეცხლდაშენა. ცეცხლის ზონა ხასიათდება სიშორისა და სიმაღლის სიდიდით და გადაფარვის ჯერადობით.

საბრძოლო მოქმედებების რაიონის იზოლირება, რეზერვების მიწოდების ან მოწინააღმდეგის ძალების და საშუალებების, საბრძოლო ტექნიკის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებების (ზურგიდან ან ფრონტის სხვა რაიონებიდან) მანევრის არსებითი შეზღუდვა საბრძოლო მოქმედებების ზონაში; ტაქტიკური ავიაციის ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანა. **ს.მ.რ.ი** ხდება მოწინააღმდეგის რეზერვებზე დარტყმებით მისი თავმოყრის ადგილებში და მარშზე, სარკინიგზო და საავტომობილო კვანძებზე, აეროდრომებზე, საკომანდო პუნქტებზე, გაერთიანებების და შენაერთების კავშირგაბმულობის კვანძებზე, უზრუნველყოფის ბაზებზე, საზღვაო ბაზებსა და პორტებზე.

საბრძოლო მოხსენება, საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც ზემდგომ შტაბს წარედგინება. ჩვეულებრივ, **ს.მ**-ში მოცემულია გარკვეული პერიოდის მანძილზე საბრძოლო ამოცანის შესრულების შედეგები. აგრეთვე – აღნიშნულია დაქვემდებარებული შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების, მათი მეზობლების მდგომარეობა და მოქმედებების ხასიათი. ასევე შექმნილი მდგომარეობიდან, მოწინააღმდეგის მოქმედებების შეფასებიდან გამოტანილი დასკვნები, გადაწყვეტილება შემდგომი მოქმედებების შესახებ და საჭიროებისამებრ, თხოვნა საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად ხელშეწყობის თაობაზე. **ს.მ**. შეიძლება იყოს ან არ იყოს სასწრაფო.

საბრძოლო მუშაობა, 1. ჯარების სარდლობის, მართვის ორგანოების და პირადი შემადგენლობის მიერ იმ ღონისძიებების კომპლექსის შესრულება, რომელიც მიმართულია საბრძოლო ამოცანების მომზადებისა და შესრულებისკენ. **ს.მ**-ს განსაზღვრავს წესდებები, დარიგებები, ინსტრუქციები და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტები. **ს.მ**-ის შეფასების კრიტერიუმია მისი შესრულების დროებითი ნორმატივები და ხარისხი; 2. სარაკეტო ჯარების და არტილერიის პირადი შემადგენლობის სპეციალური მომზადების კარი. მისი შინაარსი განისაზღვრება საბრძოლო მომზადების პროგრამით.

საბრძოლო მხარდაჭერა, ქვედანაყოფების და ცალკეული ჯარისკაცების ქმედება, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულებისთვის. მხარდაჭერას ახორციელებენ ქიმიური, სამოქალაქო საქმეების, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის, სამხედრო პოლიციის, საკომუნიკაციო სამსახურები.

საბრძოლო მხარდაჭერის ჯარები (საბრძოლო უზრუნველყოფის ჯარები, გაძლიერების ჯარები), საბრძოლო ჯარების მოქმედების უზრუნველყოფისთვის განკუთვნილი ჯარების (იარაღის) გვარეობების ფორმირებების გამაერთიანებელი დასახელება. გერმანიის ჯარებში მათ განეკუთვნება: სარაკეტო და საარტილერიო დანაყოფები, საჯარისო საჰაერო დაცვა, საარმიო ავიაცია, საინჟინრო ჯარები; აშშ-ში – სამხედრო დაზვერვა და რადიოელექტრონული ბრძოლის დანაყოფები, კავშირგაბმულობის ჯარები, საინჟინრო და ქიმიური ჯარები, სამხედრო პოლიცია.

საბრძოლო ნაყოფიერება, ჯარების (ძალების) სხვადასხვა ფორმირების მიერ ან შეიარაღების საშუალებით დროის ერთეულში მოწინააღმდეგისათვის მიყენებული მაქსიმალური ზარალი. იზომება გასროლის (გაშვების) რაოდენობით, თვითმფრინავ-გაფრენებით, დაზიანებული, თანმხლები ან გამოვლენილი მიზნების რიცხვით, მომზადებული საბრძოლო მასალების რაოდენობით, გადებული ხიდების სიგრძით და ა.შ., რაც დროის ერთეულშია შესრულებული. **ს.ნ**-ის მაჩვენებლები გამოიყ-

ენება დარტყმების მისაყენებლად სამხედრო ტექნიკის ძალებისა და საშუალებების საჭირო რაოდენობის განსასაზღვრავად, საბრძოლო მასალების, მატერიალური საშუალებების ხარჯის საშუალო-სადღეღამისო ნორმების დასადგენად, საბრძოლო ეფექტურობის შესაფასებლად.

საბრძოლო ოპერაციების გეგმა, ნებისმიერი გეგმა (საბრძოლო ოპერაციის მთავარი ინტეგრირებული გეგმის გამოკლებით), რომელიც ეხება სამხედრო ოპერაციების წარმართვას. 1. ოპერაციის სრული გეგმა (OPLAN) – ერთობლივი ოპერაციების ჩატარების გეგმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბრძოლო ბრძანების შემუშავების საფუძვლად. მასში დადგენილია, თუ რა ძალები და რა სახის მომარაგებაა საჭირო უმაღლესი მთავარსარდლის სტრატეგიული კონცეფციის განსახორციელებლად. ასევე მოცემულია საბრძოლო მოქმედებების რაიონში ამ რესურსების გადაადგილების სქემა. 2. ოპერაციის კონცეპტუალური გეგმა შემოკლებული ფორმატით, რომელსაც შესაძლოა დასჭირდეს მნიშვნელოვანი გაფართოება ან შეცვლა იმისთვის, რომ გამოდგეს საბრძოლო ოპერაციის გეგმაში, ან საბრძოლო ბრძანებაში შესატანად. შეიცავს უმაღლესი მთავარსარდლის სტრატეგიულ კონცეფციას. აგრეთვე იმ დამატებებს და დანართებს, რასაც საბრძოლო მეთაურები აუცილებლად მიიჩნევენ დაგეგმვის პროცესის სრულყოფისთვის.

საბრძოლო პატრული (სახმელეთო ჯარებში), ტაქტიკური ქვედანაყოფი, რომელიც იგზავნება მთავარი ძალების წინ, რათა დამოუკიდებლად ჩაებას ბრძოლაში; მიმაგრებული ქვედანაყოფი, რომლის დანიშნულებაა მთავარი ძალის წინა ხაზის, ზურგის ან ფლანგის დაცვა, საჭიროების შემთხვევაში – ბრძოლითაც.

საბრძოლო პატრულირება, წყალქვეშა ნავის მოქმედება საბრძოლო სამსახურის დროს. იგი გამოიხატება უწყვეტი მანევრირებით ოკეანის (ზღვის) დანიშნულ რაიონში. ასევე მითითებული მარშრუტებით სამეთაურო პუნქტიდან მიღებული ბრძანების თანახმად დადგენილ მზადყოფნაში ან ვითარებიდან გამომდინარე საზღვაო (სახმელეთო) მიზნებზე იარაღის საბრძოლო გამოყენებისათვის. ჩვეულებრივ, ხორციელდება ნებისმიერი კურსით, ნაკლებად ხმაურიანი სიჩქარეებით და ისეთ სიღრმეზე, რომელიც უზრუნველყოფს ვითარების ფარულ თვალთვალს და სამეთაურო პუნქტთან საიმედო კავშირს. წყალქვეშა ნავების **ს.პ**-ის რაიონებს (მარშუტებს) ირჩევენ, როგორც წესი, მოწინააღმდეგის ეფექტური ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის ზონის ფარგლებს გარეთ. 1960 წლიდან ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალები **ს.პ**-ისთვის იყენებენ ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილ ატომურ წყალქვეშა ნავებს. **ს.პ**. ხორციელდება საერთაშორისო საზღვაო სამართლის ნორმების მკაცრი შესაბამისობით.

საბრძოლო პოტენციალი, იმ მატერიალური და სულიერი ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ შეიარაღებული ძალების მდგომარეობას და უნარს, შეასრულონ მათ წინაშე მდგარი ამოცანები, აწარმოონ საბრძოლო მოქმედება, შეიარაღებული ბრძოლა; სამხედრო პოტენციალის უშუალო რეალიზაციის საშუალება და ფორმა. **ს.პ**-ის მატერიალური საფუძველია პირადი შემადგენლობის რაოდენობა და ჯარების ტექნიკური აღჭურვილობა. მისი საბრძოლო გამოყენების ეფექტიანობას განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადება. მათ მაღალ პროფესიონალიზმს ქმნის სამხედრო მოსამსახურეების მხედრული ოსტატობა, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების საბრძოლო ურთიერთქმედება, ჯარების (ძალების) მტკიცე მართვა. ეს თვისებები ყალიბდება და იხვეწება საბრძოლო მომზადების პროცესში. **ს.პ**-ის კიდევ ერთი კომპონენტია არმიის მორალური სულისკვეთება, რომელსაც განსაზღვრავს პირადი შემადგენლობის მზადყოფნა და უნარი, გადაიტანოს ომის სიმძიმე და სიდუხჭირე და შეინარჩუნოს გამარჯვებისკენ სწრაფვა. ტექნიკური აღჭურვილობა, მხედრული ოსტატობა და მორალური სულისკვეთება **ს.პ**-ში ერთიანდება შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული ორგანიზებულობის მეშვეობით. შეიარაღებული ძალების საბრძოლო საქმიანობის ოპტიმიზაციას ემსახურება სამხედრო მეცნიერება, რომელიც შეიმუშავებს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მომზადების და საბრძოლო გამოყენების ყველაზე ეფექტიან გზებსა და მეთოდებს.

საბრძოლო პოტენციალის დაგეგმვა, იხ. *საბრძოლო შესაძლებლობების დაგეგმვა.*

საბრძოლო სადაზვერვო მანქანა, სადაზვერვო ნაწილებისა და ქვედანაყოფების ჯავშნოსანი მუხლუხა ან თვლიანი მანქანა საჯარისო დაზვერვის წარმოებისათვის. შეიძლება გამოყენებულ იქნეს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალასთან და საცეცხლო საშუალებებთან საბრძოლველად, რეკოგნოსცირებისათვის (დაზვერვა, დათვალიერება პირადად მეთაურის მიერ), ორიენტირებისათვის და სხვა. სადაზვერვო მოწყობილობაში შედის: სათვალთვალო ხელსაწყოები, მიწისზედა მოძრავი მიზნების დაზვერვის რადიოლოკაციური სადგურები, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაზვერვის ხელსაწყოები; ლაზერული, ინფრაწითელი და რადიოლოკაციური საშუალებებით მანქანის დასხივების დეტექტორები; სანავიგაციო საშუალებები.

საბრძოლო საინფორმაციო მართვის სისტემა, ხომალდზე არსებული ელექტრონულ-გამომთვლელი აპარატურისა და სხვა ტექ-

ნიკური საშუალებების კომპლექსი. განკუთვნილია სახომალდო იარაღის მართვის და ხომალდის საბრძოლო და ტექნიკური შესაძლებლობების ყველაზე ეფექტიანი გამოყენების მიზნით მანევრირების რეკომენდაციების ავტომატიზებული შემუშავებისათვის. **ს.ს.მ.ს**-ის ძირითად ამოცანებს შეადგენს: სხვადასხვა წყაროებიდან შემოსული ინფორმაციის დამუშავება და მათზე რეაგირება; სხვადასხვა სახეობის იარაღის გამოყენების ეფექტიანობის გაანგარიშება; საცეცხლე და ტექნიკური საშუალებების მიზანგანაწილება; საბრძოლო და სანავიგაციო გაანგარიშებების განხორციელება; საანგარიშო მონაცემების ავტომატიზებული გადაცემა მომხმარებლებისათვის; საკომანდო ინფორმაციის რეალიზაციის კონტროლი და სხვა. **ს.ს.მ.ს**-ის ძირითადი ელემენტებია: კომპიუტერული სისტემები, მართვის პულტები ინფორმაციის ამსახველი საშუალებებით, ინფორმაციის წყაროებთან და მართვის ობიექტებთან, იარაღისა და ტექნიკური საშუალებების კომპლექსებთან დამაკავშირებელი მოწყობილობები, ავტომატიზებული სამუშაო ადგილები სამეთაურო პუნქტებსა და საბრძოლო საგუშაგოებზე, დოკუმენტირების აპარატურა და სხვა.

საბრძოლო სარდლობა, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდლობა, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის საომარი მოქმედებების განსაზღვრულ რაიონებში ასრულებს ჯარების (ძალების) კოორდინაციის და ხელმძღვანელობის ფუნქციას.

საბრძოლო სარკინიგზო სარაკეტო კომპლექსი, სარკინიგზო ბაზირების მოძრავი სტრატეგიული სახმელეთო სარაკეტო კომპლექსი. წარმოადგენს სპეციალურ სარკინიგზო შემადგენლობას, რომლის ვაგონებშიც განლაგებულია საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, გაშვების მართვის პუნქტები, დაცვის საშუალებები, ტექნოლოგიური და ტექნიკური სისტემები, პირადი შემადგენლობა და სასიცოცხლო სისტემები. რაკეტების გაშვება შეიძლება ხდებოდეს, როგორც მუდმივი დისლოკაციის პუნქტიდან, ისე პატრულირების მარშრუტების მონაკვეთებიდან.

საბრძოლო საშუალებების მართვა, სარდლის (მეთაურის, უფროსის) საქმიანობა საბრძოლო საშუალებების ეფექტიანი გამოყენების მიზნით ბრძანებების (სიგნალების, განკარგულებების) შემუშავებასა და გადაცემისათვის. მართვის ობიექტები შეიძლება იყოს იარაღის ცალკეული ნიმუშები ან კომპლექსები, აგრეთვე გაერთიანებების ან შენაერთების საბრძოლო საშუალებების სისტემები. **ს.ს.მ.** ხორციელდება მართვის ავტომატიზებული, ავტომატური სისტემების ან მარტივი ტექნიკური საშუალებების მეშვეობით.

საბრძოლო საშუალებების მართვის ავტომატიზებული სისტემა, სისტემა „ადამიანი-მანქანა“, რომელიც უზრუნველყოფს საბრძოლო საშუალებების მართვის ოპტიმიზაციისათვის საჭირო ინფორმაციის ავტომატიზებულ შეგროვებას, დამუშავებას და გადაცემას. აერთიანებს მიზნების აღმოჩენისა და ამოცნობის, მიზანგანაწილების, გასაშვებად მომზადებისა და გაშვების, ნავიგაციის, დაზიანების საშუალებების დამიზნების, მიზნის რაიონში, დამატებით დაზვერვის დაზიანების, ტელეკომუნიკაციისა და ინფორმაციის კონტროლის საშუალებებს. **ს.ს.მ.ა.ს**. უზრუნველყოფს მიზნების ეფექტიან განადგურებას მაღალდინამიკური ვითარების პირობებში. მისი ცენტრალური ელემენტია გამომთვლელი ტექნიკის კომპლექსების სისტემა, რომელიც ამუშავებს საჭირო ინფორმაციას დროის რეალური მასშტაბით და ახორციელებს მართვის ყველა ავტომატიზებულ ფუნქციას. „ადამიანი-ოპერატორი“ (საბრძოლო ჯგუფეული) ახორციელებს მცირე მოცულობის მართვის ფუნქციებს, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ვითარების ანალიზთან და დაზიანების საშუალებების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებასთან.

ს.ს.მ.ა.ს-ები ინფორმაციულად ან ტექნიკურად უკავშირდება ჯარების (ძალების) ავტომატიზებული მართვის სისტემას. მას შეუძლია ერთდროულად მართოს არა მარტო ცალკეული საბრძოლო საშუალება ან მათი ჯგუფი, არამედ, ტაქტიკური, ოპერატიული, ოპერატიულ-სტრატეგიული, ან სტრატეგიული დანიშნულების დამრტყმელი საშუალებების მთელი კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ დაზვერვის, მიზანგანაწილების, დამიზნების მაღალეფექტიან საშუალებებს და დაზიანების მაღალი სიზუსტის საშუალებებს სროლის სხვადასხვა სიშორით (იხ. *მაღალი სიზუსტის იარაღი*). **ს.ს.მ.ა.ს**-ის მიერ გადასაწყვეტი ამოცანების მრავალფეროვნება და სირთულე განსაზღვრავს მის შემადგენლობაში დიდი რაოდენობის სხვადასხვაგვარი ტექნიკის, მათ შორის რადიოლოკაციურიჰიდროაკუსტიკური,ოპტიკურ-ელექტრონული, გამომთვლელი, კავშირგაბმულობის, ტელემეტრიის საშუალებების შეტანის საჭიროებას. **ს.ს.მ.ა.ს**-ის ტექნიკას უყენებენ ოპერატიულობის, დაბრკოლებამედეგობისა და სიცოცხლისუნარიანობის მკაცრ მოთხოვნებს.

საბრძოლო სიმძლავრე, გამანადგურებელი და/ან დამანგრეველი საშუალებები, რომელთაც იყენებენ საბრძოლო ქვედანაყოფები. სახმელეთო ჯარებისთვის არის მანევრის, ცეცხლის სიმძლავრის, დაცვის და ხელმძღვანელობის ეფექტური, კომბინირებული გამოყენების საშუალება.

საბრძოლო სროლა, საშტატო შეიარაღებიდან (ქვემეხი, ყუმბასატყორცნი, ცეცხლსას-

როლი იარაღი, სატორპედო აპარატი, საზენიტო და საავიაციო კომპლექსები და სხვა) წარმოებული გასროლები საშტატო საბრძოლო მასალის გამოყენებით; საცეცხლე მომზადების უმაღლესი ფორმა, გამოყენებული არმიისა და ფლოტის პირადი შემადგენლობის მიერ საბრძოლოსთან მიახლოებულ პირობებში იარაღის გამოყენების შესწავლის მიზნით. ხორციელდება მიზნების დასაზიანებლად, როგორც ცალკეული სამხედრო მოსამსახურეების მიერ, ასევე ქვედანაყოფისა თუ ნაწილის შემადგენლობაში; ჩვეულებრივ, ქვედანაყოფის (თვითმფრინავის, წყალზედა ხომალდის, წყალქვეშა ნავის და სხვა), ნაწილის და შენაერთის საბრძოლო შერწყმის ბოლო ეტაპზე, ასევე ტაქტიკურ სწავლებაზე. ამისათვის, როგორც წესი, გამოიყენება საბრძოლო მასალები (პრაქტიკული ჭურვები), მაგალითად: საარტილერიო, სარაკეტო, სატორპედო სროლების განხორციელების დროს. **ს.ს**. ფასდება დაზიანებული მიზნების რაოდენობის მიხედვით. შეიარაღების თანამედროვე სისტემებიდან **ს.ს**-ის წარმოებისას ფართოდ გამოიყენება კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც უზრუნველყოფს არა მარტო მათ ფუნქციონირებას, დამიზნებასა და ცეცხლის (გაშვების) მართვას, არამედ შედეგების შეფასებასაც.

საბრძოლო ტექნიკა, სამხედრო ტექნიკის ძირითადი ნაწილი, რომელიც განკუთვნილია საბრძოლო ამოცანების უშუალო გადაწყვეტისთვის. **ს.ტ**-ს განეკუთვნება როგორც შეიარაღების სახეობები და კომპლექსები (სისტემები), ასევე ტექნიკური საშუალებები, რომლებზეც აყენებენ ამ შეიარაღებას (საბრძოლო მანქანები, საბრძოლო თვითმფრინავები, საბრძოლო ხომალდები).

საბრძოლო ტრადიციები, არმიასა და საზღვაო ძალებში ისტორიულად დამკვიდრებული და თაობიდან თაობაში გადაცემული წესების, ჩვევების და ქცევის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია საბრძოლო ამოცანების შესრულებასთან, სამხედრო სამსახურთან. უმნიშვნელოვანეს **ს.ტ**-ს განეკუთვნება: სამხედრო ფიცის, მხედრული მოვალეობის და სამშობლოს ერთგულება, ვაჟკაცობა და გმირობა, მხედრული მეგობრობა, მეთაურის დაცვა ბრძოლაში და სხვა. შეიარაღებული ძალების საერთო **ს.ტ**-თან ერთად არსებობს შეიარაღებული ძალების სახეობების და ჯარების გვარეობების, შენაერთების, ნაწილების, ხომალდების საბრძოლო ტრადიციები. **ს.ტ**-ს დიდი მნიშვნელობა აქვს მეომრის მორალური და საბრძოლო თვისებების გამომუშავებისთვის.

საბრძოლო უზრუნველყოფა, იხ. *ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფა.*

საბრძოლო შერწყმა, სამხედრო მოსამსახურეების წვრთნა ქვედანაყოფის (ხომალდის, ნაწილის, შენაერთის, შტაბის) შემადგენლობაში ბრძოლის დროს. მისი მიზანია ფუნქციური ამოცანების შესრულებისთვის შეთანხმებული ერთობლივი მოქმედების, ჯგუფური შეიარაღების და ტექნიკის გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავება. ხორციელდება ტაქტიკურ-სამწყობრო, ტაქტიკური, ტაქტიკურ-სპეციალური წვრთნებისა და სწავლების, ფრენის, ლაშქრობის, საბრძოლო სროლის და ა.შ. დროს. **ს.შ**-ის საბოლოო მიზანია ქვედანაყოფის (ნაწილის, ხომალდის, შენაერთის, შტაბის) საბრძოლო ამოცანების შესრულებისთვის მომზადება.

საბრძოლო შესაძლებლობები, რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების), შენაერთების შესაძლებლობებს შეასრულონ გარკვეული საბრძოლო ამოცანები განსაზღვრულ ვადებსა და საბრძოლო გარემოს კონკრეტულ პირობებში. დამოკიდებულია პირადი შემადგენლობის რაოდენობაზე, მათი მომზადების დონესა და ფიზიკურ-მორალურ მდგომარეობაზე. ასევე – შეიარაღების და ტექნიკის არსებობასა და მდგომარეობაზე, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაზე, სამეთაურო შემადგენლობის მომზადებაზე, ფიზიკურ-გეოგრაფიულ, კლიმატურ, მეტეოროლოგიურ და სხვა პირობებზე, ოპონენტის წინააღმდეგობის ძალასა და ხასიათზე. საბრძოლო შესაძლებლობების განსაზღვრა ხდება მათემატიკური, გრაფიკული, გრაფოანალიტიკური და სხვა მეთოდებით ცხრილების, კომპიუტერების, გრაფიკების, ნომოგრამების და ა.შ. გამოყენებით. **ს.შ**-ის ყველაზე სრული და ობიექტური შეფასება შესაძლებელია მიღებულ იქნეს ბრძოლის (ოპერაციის) მოდელირების გზით.

საბრძოლო შესაძლებლობების დაგეგმვა, გარკვეული ვადის ფარგლებში საბრძოლო მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით გამოყენებული დაგეგმვის ძირითადი სახე. იწოდება ასევე „საბრძოლო პოტენციალის დაგეგმვად“.

საბრძოლო შეხება, 1. ხმელეთზე მეომარ მხარეთა ჯარების განლაგება, რომლის დროსაც შესაძლებელია ერთმანეთის დაზიანება; 2. ზღვაზე მეომარი მხარეების ხომალდების ურთიერთგანლაგება იარაღის სროლის მაქსიმალური სიშორის ფარგლებში, იმავდროულად ერთმანეთის თვალთვალთან ერთად; 3. ჰაერში მეომარ მხარეთა თვითმფრინავების (ვერტმფრენების) მიახლოება ერთმანეთთან „ჰაერი-ჰაერის“ რაკეტის გაშვების სიშორეზე ან საზარბაზნე შეიარაღების რეალური ცეცხლის სიშორეზე.

საბრძოლო ჩაწყობა, საბრძოლო მანქანის მოწყობილობების და მექანიზმების ერთობლიობა, რომლის დანიშნულებაა დატენის ხაზზე საბრძოლო მასალების განლაგება; დატენის

ავტომატის შემადგენელი ნაწილი. ზოგჯერ გვხვდება სხვადასხვა კონსტრუქციის არამექანიზებული **ს.ჩ**.

საბრძოლო ძებნა და გადარჩენა, კრიზისის ან ომის დროს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჩამოგდებული თვითმფრინავის ეკიპაჟის აღმოჩენის, ადგილმდებარეობის დადგენის, ამოცნობის და ევაკუაციის განხორციელებისთვის წარმოებული შეთანხმებული ქმედებები, რომლებიც წინასწარ არის დამტკიცებული ინსტრუქციით.

საბრძოლო ძლიერება, სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების შემადგენელი ნაწილი. იმ მატერიალური და სულიერი ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ შეიარაღებული ძალების მდგომარეობას და საბრძოლო ამოცანების შესრულების ოპერატიულ უნარს. განისაზღვრება შეიარაღებული ძალების რიცხობრივი და თვისებრივი ფაქტორებით, მათი დაკომპლექტებით და ტექნიკური აღჭურვილობით, ჯარების (ძალების) მომზადების დონით, საბრძოლო მზადყოფნით და ბრძოლისუნარიანობით, სამხედრო ხელოვნების განვითარებით და სხვა. **ს.ძ**. პირდაპირ ან ირიბად არის დამოკიდებული სახელმწიფოს ეკონომიკურ პოტენციალზე, პოლიტიკაზე, სამხედრო დოქტრინაზე. ჯარების **ს.ძ**. განისაზღვრება როგორც მათი უნარი, აწარმოონ საომარი მოქმედებები.

საბრძოლო წყობა, ბრძოლის წარმოებისათვის შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების დაწყობა (განლაგება) მათი გაძლიერების საშუალებებით. **ს.წ.** უნდა შეესაბამებოდეს მომავალი ბრძოლის ჩანაფიქრს, უზრუნველყოფდეს მის წარმატებულ განხორციელებას ყველა სახის იარაღის გამოყენებით, თავდაცვის სიმტკიცესა და აქტიურობას, ძალისხმევის მზარდ კონცენტრაციას ბრძოლის არჩეულ მიმართულებაზე (რაიონში) და მანევრის დროს; მოწინააღმდეგის გამანადგურებელ დამარცხებას საბრძოლო ამოცანის მთელ სიღრმეზე; ჰაერიდან მოწინააღმდეგის დარტყმების მოგერიებას, მისი აერომობილური და დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფების განადგურებას; ჩვეულებრივი, მაღალი სიზუსტის და მასობრივი დაზიანების იარაღის ზემოქმედებისაგან ჯარების (ძალების) მინიმალურ მოწყვლადობას; უწყვეტი ურთიერთქმედების და სტაბილური მართვის ხელშეწყობას. ყველა გვარეობის ჯარში (ძალებში) ბრძოლის სხვადასხვა სახეობაში გამოიყენება სპეციფიკური **ს.წ**. ჯარების (ძალების) სხვადასხვა გვარეობის შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც ერთობლივად ასრულებენ საბრძოლო ამოცანას ერთ რაიონში (ზოლში), როგორც წესი, განლაგდებიან ერთიან **ს.წ**-დ.

ს.წ. გაჩნდა პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის პერიოდში. მისი თავდაპირველი ფორმა იყო მწკრივები და რიგები. ძველი მსოფლიოს მონათმფლობელურ სახელმწიფოებში ჯარები იბრძოდნენ ღრმა მიჯრილი წყობით, კოლონების სახით. ძველ საბერძნეთში (VI საუკუნე ჩვ.წ-მდე) **ს.წ**-ის საფუძველი გახდა ფალანგა. დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ძველ რომში (IV საუკუნე ჩვ.წ-მდე) ლეგიონის დანაწევრება მანიპულებად, რომლებიც შემდეგ კოჰორტებად გაერთიანდა. აღმოსავლეთ სლავები IX–XI საუკუნეებში იყენებდნენ **ს.წ**-ს კედელს, ხოლო XI საუკუნიდან – **ს.წ**-ს, რომელიც შედგებოდა პოლკებისაგან (საგუშაგო, მეწინავე, დიდი, მარჯვენა და მარცხენა ფლანგის პოლკები, რეზერვები და სხვა). **ს.წ**-ის შემდგომ განვითარებაზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინა ევროპის ქვეყნებში XIV საუკუნეში ცეცხლსასროლი იარაღის გაჩენამ. მის ეფექტიან გამოყენებას შედეგად მოჰყვა სახაზო **ს.წ**-ის წარმოშობა. ცეცხლსასროლი იარაღის შემდგომმა განვითარებამ XVIII საუკუნეში განაპირობა კოლონების სახით **ს.წ**-ის გაჩენა, გაფანტულ მწყობრთან შეხამებით. XIX საუკუნის II ნახევარში არმიების აღჭურვამ კუთხვილი ცეცხლსასროლი იარაღით, რომელსაც სროლის გაცილებით მეტი მანძილი და ცეცხლის სიზუსტე ახასიათებდა, გამოიწვია მსროლელთა ჯაჭვების ჯერ სტიქიური, შემდეგ კი მიზანმიმართული გამოყენება. I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში მსოფლიოს ყველა არმიაში **ს.წ**-ის ცვლა მიმდინარეობდა ჯარებში ტანკების, არტილერიის, ავტომატური სასროლი იარაღის, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებისა და ავიაციის სწრაფი ზრდის ზემოქმედებით. II მსოფლიო ომის დროს გაიზარდა **ს.წ**-ის სიღრმე, წარმოიშვა მისი ახალი ელემენტები. ტანკების მასშტაბურ გამოყენებას შედეგად მოჰყვა **ს.წ**-ის ისეთი ელემენტების გაჩენა, როგორიც იყო საარტილერიო-ტანკსაწინაღო რეზერვი, მოძრავი გადამღობი რაზმი, ტანკსაწინააღმდეგო რაიონი და სხვა. ქვეითი ჯარის, ტანკების და არტილერიის უფრო მჭიდრო ურთიერთქმედებისათვის, შორეული მოქმედების და ქვეითი ჯარის მხარდამჭერი საარტილერიო ჯგუფების ნაცვლად იქმნებოდა პოლკის, დივიზიის და კორპუსის საარტილერიო ჯგუფები. შენაერთებში სულ უფრო ფართოდ გამოიყენებოდა მეწინავე რაზმები.

II მსოფლიო ომის შემდეგ ბრძოლის ახალი საშუალებების – ბირთვული იარაღის სარაკეტო კომპლექსების, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანების, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტების, საბრძოლო ვერტმფრენებისა და სხვა შეიარაღების შემოღებამ, ყველა სახეობის იარაღისა და სამხედრო ტექნიკის საბრძოლო თვისებების გაუმჯობესებამ განაპირობეს **ს.წ**-ის შემდგომი განვითარება, რომელშიც გაჩნდა თვისებრივად ახალი ელემენტები. ბევრი სახელმწიფოს საერთო-საჯარისო

შენაერთების **ს.Წ**-ში შეიყვანეს I და II ეშელონი ან საერთო-საჯარისო რეზერვი, სარაკეტო ნაწილი (ქვედანაყოფი), არტილერია, საზენიტო საშუალებები (საჰაერო თავდაცვის საშუალებები), სხვადასხვა დანიშნულების (ტანკსაწინააღმდეგო, საინჟინრო და სხვა) რეზერვები და მოძრავი გადამღობი რაზმი. სპეციალური ამოცანების გადასაწყვეტად **ს.Წ**-ში შეიძლება შეიქმნას ავანგარდები, მეწინავე, სადაზვერვო, მოიერიშე, სარეიდო, შემომვლელი და სპეციალური რაზმები, ტაქტიკური საჰაერო დესანტები, აერომობილური ფორმირებებისა და ავიაციის ქვედანაყოფები.

საბრძოლო Წყობად გაშლა, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების გადაწყობა სალაშქრო ან ბრძოლისწინა წყობიდან საბრძოლო მწყობრში. ხორციელდება მომავალ ბრძოლასთან დაკავშირებით, მეთაურის გადაწყვეტილების შესაბამისად.

საბრძოლო Წყობა სამხედრო-საზღვაო ძალებში, შენაერთის (ნაწილის) დაწყობა ბრძოლის წარმოებისათვის. XVII საუკუნის დამდეგამდე, ნიჩბიანი ფლოტის პერიოდში, შედგებოდა მთავარი ძალებისა და რეზერვისაგან, რომლებიც გამოიყენებოდა ფრონტის ან ფლანგებწამოწეული ნახევარწრის მწყობრში. იალქნიანი ხომალდებისა და არტილერიის სრულყოფასთან ერთად XVII საუკუნეში გაჩნდა სახაზო საბრძოლო წყობა, რომელიც გაბატონებული იყო XVIII საუკუნის ბოლომდე. II მსოფლიო ომში ფლოტის საბრძოლო წყობა შედგებოდა სხვადასხვა (დამრტყმელი და უზრუნველმყოფი) ჯგუფებისაგან, აგრეთვე საჰაერო თავდაცვისა და წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალებისაგან. ამ დროს ფლოტის საბრძოლო წყობაში გაჩნდა საავიამზიდო დამრტყმელი ჯგუფები. XX საუკუნის ბოლოს სახომალდო ნაწილების და შენაერთების საბრძოლო წყობა მოიცავდა ხომალდების ერთ ან რამდენიმე დამრტყმელ (საძიებო-დამრტყმელ) ჯგუფს მათი საბრძოლო დაცვით და უზრუნველყოფის ჯგუფებით.

საბრძოლო Წყობა სამხედრო-საჰაერო ძალებში, საავიაციო ნაწილების, ქვედანაყოფების და თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ურთიერთგანლაგება საბრძოლო ფრენის ერთობლივად შესრულების დროს. შეიძლება შედგებოდეს სხვადასხვა ტაქტიკური დანიშნულების ჯგუფებისაგან: ძირითადი (დამრტყმელი, საძიებო-დამრტყმელი, სადესანტო, სატრანსპორტო და სხვა), უზრუნველყოფის (დამატებითი დაზვერვის, საჰაერო თავდაცვის ჩახშობის, დაბრკოლებების დაყენების, მოწინააღმდეგის გამანადგურებლების იერიშებისაგან დაფარვის, რადიოელექტრონული ბრძოლის, ყურადღების გადასატანი) და სარეზერვო ჯგუფებისაგან. საბრძოლო ფრენის დროს ერთსა და იმავე ჯგუფს შეუძლია შეასრულოს რამდენიმე სხვადასხვა ამოცანა. საბრძოლო წყობა შეიძლება იყოს სამი სახეობის: მიჯრითი, გაშლილი და დაშორიშორებული.

საბრძოლო Წყობა სარაკეტო ჯარებში, შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო-სასტარტო პოზიციები და მართვის პუნქტები. საბრძოლო წყობა შეიძლება აგრეთვე მოიცავდეს პირადი შემადგენლობის, რაკეტების, სპეციალური შეიარაღების საბრძოლო მართვის, კავშირგაბმულობის სისტემების და საშუალებების, იმ ტექნიკისა და მატერიალური საშუალებების განლაგების ადგილებს, რომლებიც განკუთვნილია საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის.

საბრძოლო Წყობა საჰაერო თავდაცვის ჯარებში, ძალების და საშუალებების მრავალფეროვანი წყობა, რომელსაც შესაბამისი თავისებურება აქვს ჯარების თითოეულ გვარეობაში. საზენიტო-სარაკეტო (საზენიტო საარტილერიო) ნაწილში იგი მოიცავს საზენიტო რაკეტების (საზენიტო საარტილერიო) ქვედანაყოფების, ასევე ტექნიკური ქვედანაყოფებისა და სამეთაურო პუნქტების საბრძოლო წყობას. რადიოტექნიკურ ნაწილებში საბრძოლო წყობა შედგება რადიოტექნიკური (რადიოლოკაციური) ქვედანაყოფების, სამეთაურო პუნქტების და რეზერვების საბრძოლო წყობისაგან და შეიძლება იყოს ჯგუფური ან ხაზობრივი. გამანადგურებელი საავიაციო ნაწილის საბრძოლო წყობა ანალოგიურია სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაციის საბრძოლო წყობისა. საჰაერო თავდაცვის შენაერთების საბრძოლო წყობა შეიძლება შეიცავდეს საზენიტო რაკეტების და რადიოტექნიკური ნაწილების, გამანადგურებელი ავიაციის და სხვა ჯარების დაჯგუფებას, ძირითად და სათადარიგო სამეთაურო პუნქტებსა და რეზერვებს. საჰაერო თავდაცვის შენაერთის გამანადგურებელი ავიაციის დაჯგუფება, ჩვეულებრივ, შეიცავს ძირითად და სათადარიგო აეროდრომებზე ბაზირებულ გამანადგურებელ ავიაციას და გამიზვნის პუნქტებს. საჰაერო თავდაცვის შენაერთის რეზერვი შეიძლება იყოს საავიაციო, რადიოტექნიკური ჯარებისა და კავშირგაბმულობის.

საბრძოლო ხაზი, ჯავშანტრანსპორტიორებზე (ქვეითთა საბრძოლო მანქანებზე) მოქმედი ქვეითი (მექანიზებული) ასეულის (ოცეულის) და სატანკო ასეულის (ოცეულის) საბრძოლო წყობა შეტევაში მოქმედების დროს.

საბრძოლო ჯარები (შენაერთები, ნაწილები, ქვედანაყოფები), 1. იმ სამხედრო ფორმირებების კრებსითი სახელწოდება, რომლებიც განკუთვნილია უშუალოდ საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის (უზრუნველყოფის, მომსახურების და ა.შ. ფორმირებებისაგან განსხვავებით). **ს.ჯ**-ს აქვთ საბრძოლო შესაძლებლობები, აღჭურვილი არიან საბრძოლო ტექნიკით და დაზიანების საშუალებებით. 2. ბუნდესვერში – სახმელეთო ძალების მთავარი

გვარეობა და საფუძველი ის მოიცავს ქვეით და სატანკო ჯარებს.

საბრძოლო ჯგუფი, საშტატო ან დროებითი სამხედრო ფორმირება, რომელიც განკუთვნილია საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის. პირველად შეიქმნა 1917 წელს გერმანიის და საფრანგეთის არმიების ქვეითი ჯარის ოცეულებში. I მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ყველაზე დაბალი ტაქტიკური ერთეული. შედგებოდა მეტყვიამფრქვევების და მსროლელების ათეულის ან რგოლისგან (10–20 ადამიანი და ერთი ხელის ტყვიამფრქვევით). XX საუკუნის 30-იან წლებში ბევრ არმიაში **ს.ჯ.** გაუქმდა და ყველაზე დაბალ ქვედანაყოფად იქცა ათეული. 1957–58 წლებში აშშ-ისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის არმიაში **ს.ჯ.** შეიყვანეს ქვეით და საჰაერო სადესანტო დივიზიებში პოლკების ნაცვლად (გაუქმდა 1962 წელს). ამჟამად **ს.ჯ.**-ები არის კანადის, ფილიპინების ჯარებში, არგენტინის საზღვაო ქვეით ჯარში.

საგალერეო თავდაცვა, პოზიციური თავდაცვა, რომელიც გალერეების (გვირაბების) გამოყენებას ეფუძნება. თავდაცვაში მყოფი ჯარების პოზიციებს, მართვის პუნქტებს, თავშესაფრებსა და საფრებს შორის მიმოსვლისთვის, ძალების და საშუალებების მანევრის, სანაღმო და კონტრსანაღმო ბრძოლის წარმოების დროს და დაცვითი ნაგებობების ვენტილაციისათვის გალერეები ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, ციხესიმაგრეთა ალყის დროს, გამოიყენებოდა. ისინი (სიგანე 1,5–7 *მ* და სიმაღლე 1,8–3 *მ*, მათ თავზე მიწის დამცავი სისქე 30–50*მ*) უძლებდნენ 500 *კგ* და მეტი კალიბრის საავიაციო ბომბების და ჭურვების აფეთქებას.

საგანგებო მდგომარეობა, სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების საქმიანობის განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რომელსაც ქვეყანაში ან მის ცალკეულ რაიონებში აწესებენ გარე ან შიდა საფრთხისგან დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნების მიზნით. გულისხმობს მოქალაქეების, იურიდიული პირების უფლებების და თავისუფლების შეზღუდვას, აგრეთვე მათთვის დამატებითი მოვალეობების დაკისრებას. მთელ რიგ სახელმწიფოებში **ს.მ**-ას აწესებს ქვეყნის პრეზიდენტი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში.

საგანგებო მდგომარეობის ზონა, ადგილმდებარეობის ან ტერიტორიის ნაწილი, რომელზეც, კანონის შესაბამისად, შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა.

საგანგებო ოპერაციების ერთობლივი ოპერატიული დაჯგუფება, დაჯგუფება, ჩამოყალიბებული საგანგებო ოპერაციების ქვედანაყოფებისგან, რომლებიც გამოყოფილია ერთზე მეტი სახეობის ჯარებიდან განსაკუთრებული საგანგებო ოპერაციების განსახორციელებლად ან საომარი კამპანიის და სხვა ოპერაციების მხარდასაჭერად.

საგანგებო საჰაერო ოპერაცია, ხორციელდება საგანგებო, ფარული, საიდუმლო და ფსიქოლოგიური ოპერაციების მხარდასაჭერად.

საგანგებო სიტუაცია, იმ პირობების და გარემოებების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან ადამიანის სიცოცხლისათვის საშიშ ვითარებას კონკრეტულ ობიექტზე, ტერიტორიაზე (აკვატორიაში) და რაც ავარიის ან კატასტროფის, საშიში ბუნებრივი მოვლენის, აგრეთვე მოწინააღმდეგის მიერ თანამედროვე საბრძოლო საშუალებების გამოყენების შედეგია. საგანგებო სიტუაციები იყოფა ოთხ სახეობად: 1. ბუნებრივი – საშიში ბუნებრივი მოვლენები და პროცესები (გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და მეტეოროლოგიური, აგრეთვე ბუნებრივი ხანძრები); 2. ტექნოგენური – სამრეწველო ავარიები და კატასტროფები (რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური და ჰიდროდინამიკური ავარიები), ხანძრები და აფეთქებები, საშიში შემთხვევები ტრანსპორტზე ან სატრანსპორტო ავარიები; 3. ბიოლოგიური – მოსახლეობის, სასოფლო-სამეურნეო ცხოველებისა და მცენარეების ფართოდ და ერთდროულად გავრცელებული ინფექციური დაავადებები (ეპიდემიები); 4. სამხედრო – დამაზიანებელი საშუალებების ეფექტური (საომარი მოქმედებების, შეიარაღებული კონფლიქტების, დივერსიების ან ტერორისტული აქტების შედეგად გამოწვეული დაზიანება) გამოყენება. **ს.ს**-ის ლიკვიდაცია მისი მასშტაბის მიხედვით ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის ძალებით. თუ აღნიშნული ძალები არ არის საკმარისი, სალიკვიდაციო სამუშაოებში ერთვება რაიონული, რეგიონული და ცენტრალური საავარიო-სამაშველო ძალები. აუცილებლობის შემთხვევაში, ქვეყნის პრეზიდენტის ბრძანებულებით, ამ სამუშაოებში შეიძლება ჩაერთონ შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები. **ს.ს**-ის ლიკვიდაცია დასრულებულად ითვლება საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების დამთავრების შემდეგ.

საგანგებო სიტუაციების პრევენცია, ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც წინასწარ ხორციელდება და მიზნად ისახავს საგანგებო სიტუაციების რისკის მაქსიმალურ შემცირებას, ხოლო მისი წარმოქმნის შემთხვევაში ადამიანების ჯანმრთელობის დაცვას, გარემოს ზიანის და მატერიალური დანაკარგების შემცირებას.

საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაცია, საავარიო-სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოები, წარმოებული საგანგებო სიტუაციის წარმოქმნისას. მიმართულია ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობის შე-

ნარჩუნებისკენ, ასევე ბუნებრივი გარემოს, მატერიალური დანაკარგების, ზარალის ოდენობის შემცირებისკენ და საგანგებო სიტუაციების ზონების ლოკალიზაციისკენ.

საგემბანო ავიაცია, იხ. *საზღვაო ავიაცია.*

საგემბანო თვითმფრინავი, სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაციის თვითმფრინავი, რომელიც ავიამზიდ ხომალდზე (ავიამზიდზე) არის ბაზირებული. ახასიათებს კონსტრუქციული თავისებურებანი (ფრთების დასაკეცი კონსოლები, შემოკლებული ფიუზელაჟი, უფრო დაბალი კილი და სხვა), რომლებიც ავიამზიდ ხომალდზე მის განთავსებას, საფრენი გემბანიდან აფრენას და დაფრენას უზრუნველყოფენ. თავისი დანიშნულებით არის: ნავსაწინააღმდეგო, გამანადგურებელი, მოიერიშე-გამანადგურებელი, მოიერიშე, მოიერიშე-მზვერავი, შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის და დამიზნების თვითმფრინავები. **ს.თ**. შეიძლება იყოს მოკლე გარბენის, ვერტიკალური აფრენის და დაფრენის.

საგემბანო საარტილერიო დანადგარი, საფრიანი ან ღია სახომალდო საარტილერიო დანადგარი, რომლის უძრავი ძირი უშუალოდ გემბანზე მაგრდება. შედგება ერთი ან რამდენიმე ქვემეხისგან. ასეთ დანადგარებს კოშკურებიანთან შედარებით ნაკლები მასა და მოცულობა აქვთ, მაგრამ დაცვის და მექანიზაციის დონით მათ საგრძნობლად ჩამორჩებიან.

საგზაო ნაწილები, შედის საგზაო ჯარების შემადგენლობაში და განკუთვნილია სამხედრო-საავტომობილო გზების და მცირე ნაგებობების აღდგენისა და მშენებლობისათვის. **ს.ნ.** მონაწილეობენ გზების საექსპლოატაციო მოვლა-შენახვის დიდი მოცულობის სამუშაოებში.

საგზაო უზრუნველყოფა, სამხედრო-საავტომობილო გზების მომზადებისა და ექსპლუატაციის ღონისძიებების კომპლექსი; სატრანსპორტო უზრუნველყოფის ერთ-ერთი ელემენტი. **ს.უ**. მოიცავს: საგზაო დაზვერვის წარმოებას, სამხედრო-საავტომობილო გზების და მათზე არსებული ხიდების აღდგენას, მშენებლობას, რემონტს, მოვლა-შენახვას და ტექნიკურ დაფარვას.

საგზაო ქსელი, ადგილმდებარეობის გარკვეულ რაიონში (ზოლში) არსებული ან მოსაწყობი ურთიერთდაკავშირებული სარკინიგზო და საავტომობილო გზების სისტემა. **ს.ქ**-ის განვითარებას ახასიათებს სიმჭიდროვე (თითოეული სახეობის გზის საშუალო სიგრძე კილომეტრობით 100 *კვ.კმ* ფართობზე).

საგზაო ჯარები, ზოგიერთი შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის შემადგენლობაში შემავალი სპეციალური ჯარები, რომლებიც განკუთვნილია საგზაო უზრუნველყოფის ამოცანების შესასრულებლად. შედგება საგზაო-საკომენდანტო, ხიდების, პონტონ-ხიდების შენაერთებისა და ნაწილებისგან, საგზაო ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან.

საგზაო-საკომენდანტო სამსახური, საკომენდანტო სამსახურის ნაირსახეობა, რომელიც ეწყობა სამხედრო-საავტომობილო გზებზე ჯარების მოძრაობის უწყვეტი გადაადგილების, ამ გზებზე დისციპლინის დამყარების, საგზაო მოძრაობის წესების და შენიღბვის ღონისძიებების კონტროლის მიზნით. **ს.-ს.ს**. ხორციელდება სამხედრო პოლიციის ნაწილების (ქვედანაყოფების) ძალებითა და საშუალებებით. ამასთან გზებზე ინიშნება საგზაო-საკომენდანტო მონაკვეთები, იხსნება სადისპეტჩერო პუნქტები, რეგულირების საგუშაგოები და უზრუნველყოფის პუნქტები (სასურსათო, გასამართი, ტექნიკური და სამედიცინო დახმარების, დასვენების და სხვა).

საგუშაგო (ფრანგულიდან poste – დაყენებული), 1. ობიექტი, რომელიც ჩაბარებული აქვს გუშაგს დაცვის და თავდაცვისთვის. ასევე ადგილმდებარეობა ან ადგილმდებარეობის მონაკვეთი, სადაც იგი ასრულებს თავის მოვალეობას. 2. სამხედრო მოსამსახურე (ჯგუფი, პატარა ქვედანაყოფი), რომელიც ასრულებს სპეციალურ ამოცანას (შესაბამისად აღჭურვილი ადგილი ან პუნქტი). 3. განაწესისთვის ხომალდზე სპეციალურად მოწყობილი ადგილი (ოთახი, გემბანის მონაკვეთი).

სადაზვერვო ავიაცია, სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაციის გვარეობა, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის, ადგილმდებარეობის და საჰაერო დაზვერვისათვის; ზოგიერთ შემთხვევაში შეუძლია გაანადგუროს მოწინააღმდეგის ცალკეული ობიექტები. ზოგიერთი ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალები მოიცავს სადაზვერვო საავიაციო ნაწილებს და ქვედანაყოფებს, რომლებიც შედიან სამხედრო-საჰაერო ძალების და საჰაერო თავდაცვის გაერთიანებებისა და შენაერთების შემადგენლობაში. აღჭურვილია პილოტირებული მზვერავი თვითმფრინავებით და სადაზვერვო უპილოტო საფრენი აპარატებით.

სადაზვერვო მონაცემების პრიორიტეტული საჭიროება, სადაზვერვო მონაცემები, რომლებსაც მეთაურის (სარდლის) გათვლებით დაგეგმვის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ენიჭებათ პრიორიტეტი.

სადაზვერვო პასუხისმგებლობის რაიონი, რაიონი, რომელშიც მეთაური პასუხისმგებელია დაზვერვის ჩატარებაზე მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

სადაზვერვო რაზმი, ტაქტიკური დაზვერვის ორგანო, რომელიც საერთო-საჯარისო შენაერთისგან (ნაწილისგან) გამოიყოფა ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებაზე მოწინააღმდეგის და ადგილმდებარეობის შესახებ ცნობების მოსაპოვებლად, უმთავრესად შეტევაში და მარშზე შემხვედრი ბრძოლის მო-

ლოდინში. თავდაცვაში **ს.რ.** შეიძლება გაიგზავნოს მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების არარსებობის შემთხვევაში. **ს.რ**-ში, ჩვეულებრივ, ინიშნება ქვეითი (სატანკო, სადაზვერვო, საპარაშუტო-სადესანტო, საზღვაო ქვეითი ჯარის) ასეული ან ქვეითი ბატალიონი, რომელიც გაძლიერებულია ტანკებით, არტილერიით, მესანგრეებით და სხვა. თავის მხრივ, იგი გზავნის სადაზვერვო მზირებს. **ს.რ.** ეწევა დაზვერვას თვალთვალით, ადგილმდებარეობის დათვალიერებით, ჩასაფრებით, თავდასხმებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – ბრძოლითაც.

სადაზვერვო საფრენი აპარატები, განკუთვნილია საჰაერო და კოსმოსური დაზვერვისათვის. მათ რიცხვს განეკუთვნება სპეციალურად მოწყობილი პილოტირებული და უპილოტო თვითმფრინავები, ვერტმფრენები და კოსმოსური აპარატები, ავტომატური აეროსტატები. სადაზვერვო მოწყობილობად გამოიყენება: დღის და ღამის აეროფოტოაპარატები; ინფრაწითელი, ლაზერული და სატელევიზიო სადაზვერვო აპარატურა; სახმელეთო, სახომალდო და საჰაერო რადიოლოკაციური სადგურების დაზვერვის საბორტო სადგურები; ყველა სახეობის რადიოკავშირის სადაზვერვო აპარატურა; სახმელეთო და საჰაერო რადიაციული ვითარების სადაზვერვო აპარატურა და სხვა.

სადაზვერვო ცნობა, შენაერთის შტაბის საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მოწინააღმდეგეზე მონაცემებს დროის გარკვეულ პარიოდში, როგორც წესი დღე-ღამის განმავლობაში. წარედგინება ზემდგომ შტაბს სასწრაფო შეტყობინების ტაბელით დადგენილ ვადებში. აგრეთვე ეგზავნებათ ურთიერთმოქმედ და დაქვემდებარებულ შტაბებს ინფორმირების მიზნით.

სადაზვერვო-დამრტყმელი კომპლექსი, შეიარაღების ავტომატიზებული კომპლექსი, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი სახმელეთო და წყალზედა მიზნების აღმოჩენისთანავე დამრტყმელი საშუალებებით (სარაკეტო, საავიაციო) მათი დაუყოვნებლივ დაზიანებისათვის. **ს.-დ.კ**-ში შედის: დაზვერვის და დამიზნების, დაზიანების (მაღალი სიზუსტის იარაღი), რადიოელექტრონული ჩახშობის, სანავიგაციო-დროებითი უზრუნველყოფის მართვის საშუალებები. აშშ-ში შექმნილია **ს.-დ.კ.** (1986) 500 *კმ*-მდე სიგანისა და სიღრმის ზოლში რადიოსალოკაციო ობიექტების დასაზიანებლად. მასში შედის: 10 სადაზვერვო და სარეტრანსლაციო თვითმფრინავი (მორიგე ცვლა – 3 თვითმფრინავი); მართვის სახმელეთო ცენტრი; სახმელეთო რადიოსანავიგაციო ქსელის 12 პუნქტი; დამრტყმელი თვითმფრინავებისათვის განკუთვნილი საბორტო მოწყობილობის 100 კომპლექტი და „ჰაერი-დედამიწა“ და „დედამიწა-დედამიწა“ მართვადი იარაღის 500-მდე კომპლექსი. საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 60-იანი წლებში **ს-დ.კ.** განკუთვნილი იყო წყალზედა ხომალდების დაჯგუფებების დასაზიანებლად. მასში საინფორმაციო-ტექნიკური კავშირებით ერთიანდებოდნენ წყალქვეშა ნავები დიდი სიშორის ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებთან, ასევე სადაზვერვო თვითმფრინავის აღმოჩენისა და მიზანჩვენების რადიოლოკაციურ აპარატურასთან. ამ სახეობის **ს.-დ.კ**-ის მომდევნო თაობებში გაერთიანებულია წყალზედა ხომალდები და წყალქვეშა ნავები, საზღვაო კოსმოსური დაზვერვის და მიზანჩვენების სისტემითურთ, რომლებიც გამუდმებით აწარმოებენ წყალზედა ვითარების დაზვერვას მსოფლიო ოკეანის აკვატორიებზე.

სადაზვერვო-დამრტყმელი ჯგუფი, 1. სამხედრო-საჰაერო ძალებში – საავიაციო ქვედანაყოფის (ნაწილის) საბრძოლო წყობის ძირითადი ელემენტი, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ობიექტების აღმოსაჩენად და დასაზიანებლად. **ს.-დ.ჯ**-ის შემადგენლობაში შედის, ჩვეულებრივ, ერთი ტიპის სადაზვერვო-დამრტყმელი თვითმფრინავები (ვერტმფრენები), რომელთა ეკიპაჟები მომზადებულია მოწინააღმდეგის აღმოჩენის და გამოვლენილი მიზნების გასანადგურებლად. ზოგჯერ **ს.-დ.ჯ**-ის შემადგენლობაში შეჰყავთ სხვადასხვა საფრენი აპარატები – ერთნი დაზვერვის და მიზნების აღმოჩენისათვის, მეორენი – მათი დაზიანებისათვის. **ს.-დ.ჯ.** შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც სახმელეთო (საზღვაო), ისე საჰაერო მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად; 2. წყალქვეშა ნავების დროებითი ფორმირება, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ხომალდების შენაერთის (ბადრაგის, სადესანტო რაზმის), დაზვერვის, თვალთვალისა და მისთვის დარტყმების მიყენებისათვის.

სადაზვერვო-საცეცხლე კომპლექსი, სწრაფმოქმედი ავტონომიური საარტილერიო კომპლექსი, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო საარტილერიო დაზვერვის, დაზიანების (მაღალი სიზუსტის საბრძოლო მასალების საფუძველზე), ცეცხლის ავტომატიზებული მართვის და სროლის უზრუნველყოფის საშუალებები. ვიწრო სპეციალიზებული დანიშნულების გამო, რომელიც მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის საცეცხლე ამოცანის (ტანკების კოლონების, მსროლელი არტილერიის, რადიოგამომსხივებელი საშუალებების და ა.შ.) შესრულების საშუალებას იძლეოდა, **ს.-ს.კ**-მა პრაქტიკული რეალიზაცია ვერ პოვა. მაღალეფექტური საცეცხლე და უზრუნველმყოფი საშუალებების სრულყოფისა და დაგროვების გამო შესაძლებელია სარაკეტო და სახმელეთო ჯარების გადასვლა არტილერიის საერთო მრავალდონიან (ბატალიონიდან დაჯგუფებამდე) სადაზვერვო-საცეცხლე სისტემაზე.

სადამკვირვებლო მისია, მისია, რომელსაც აგზავნის გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო, ეუთოს, ევროკავშირის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მანდატის შესაბამისად, პოტენციური ან არსებული შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში. **ს.მ**-ის მიზანია დაპირისპირებული მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების და მიღწეული შეთანხმებების შესრულების შემოწმება და კონტროლი. მისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ სამხედრო და სამოქალაქო დამკვირვებლები.

სადარაჯო დაცვა, იხ. *დაცვა.*

სადეგაზაციო ნივთიერებები, ქიმიური ნივთიერება, რომელიც აქტიურად ურთიერთქმედებს მომწამვლელ ნივთიერებებთან და გარდაქმნის არატოქსიკურ შენაერთებად. განასხვავებენ დამჟანგავ-ქლორირებად (ჰიპოქლორიტი, ქლორქმინები) და ტუტირების (მძაფრი ტუტეები, სოდა, ამიაკი, ამონიუმის მარილები და სხვა) **ს.ნ**-ებს. გამხსნელად გამოიყენება წყალი და სხვადასხვა ორგანული სითხე (დიქლორეტანი, ბენზინი და სხვა).

სადეზაქტივაციო ნივთიერებები, სამხედრო ტექნიკის, სანივთე ქონების, ნაგებობების, ადგილმდებარეობის და წყლის სადეზაქტივაციო ქიმიური ნივთიერებები. **ს.ნ**-ები ფართოდ გამოიყენება: ზედაპირულ-აქტიური ნივთიერებების (მაგალითად, სულფანოლის), კომპლექსწარმომქმნელი შენაერთების (მაგალითად, ნატრიუმის ტრიპოლიფოსფატი) და სორბენტების (ბუნებრივი თიხა, ხის ნახშირი) საფუძველზე.

სადეზინფექციო ნივთიერება, ქიმიური ნივთიერება, რომელსაც მცირე კონცენტრაციაში აქვს ბაქტერიოციდური მოქმედების ფართო სპექტრი. გამოიყენება დეზინფექციერების ჩასატარებლად სხვადასხვა ნივთებზე (ტანსაცმელი, შენობა, ტექნიკა). **ს.ნ**-ის ძირითადი ჯგუფებია: შედედების უნარის მქონე ცილები (ფენოლი და მისი წარმონაქმნები, სპირტი, მძიმე ლითონების მარილები და სხვა), ცილების გაფართოების და გახსნის გამომწვევები (ტუტეები, მეოთხედური ამონიუმის საფუძვლები და სხვა), დამჟანგავები (ჰალოიდები, პერეკისი და სხვა), სხვა ალდეჰიდები და სილიკატები.

სადემარკაციო ხაზი, ხაზი, რომელიც აღნიშნავს ბუფერული ზონის საზღვარს. **ს.ხ.** შეიძლება განსაზღვრავდეს დაპირისპირებული ან მეომარი მხარეების განლაგების წინა ხაზსს, ყოველი ბრძოლის შეწყვეტის, ან დაშორიშორების შემდეგ.

სადენიანი კავშირი, ელექტროკავშირის სახეობა, რომელიც საველე, მუდმივი საჰაერო სადენებით, აგრეთვე წყალქვეშა და მიწისქვეშა კავშირის საკაბელო ხაზებით ხორციელდება. გამოიყენება ჯარების მართვისთვის და მართვის პუნქტის შიგნით კავშირისთვის. **ს.კ**-ის დადებითი თვისებებია: კავშირის ხაზების მაღალი ხარისხი, შედარებითი ფარულობა, შემჭიდროების აპარატურის მეშვეობით მრავალი არხის მიღების შესაძლებლობა, ადვილი გამოყენება. უარყოფითი: დიდი მოწყვლადობა, გაშლის დაბალი ტემპები, მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე და ძნელად მისადგომ ადგილებზე გაყვანის შეუძლებლობა.

სადესანტო გადასასვლელი, იხ. *გადასასვლელი.*

სადესანტო ოპერაცია, იხ. *საჰაერო-სადესანტო ოპერაცია, საზღვაო სადესანტო ოპერაცია.*

სადესანტო რაზმი, გადასხმის ძალების, ხომალდებისა და გემების დროებითი ფორმირება, რომელიც განკუთვნილია საზღვაო დესანტის გადაყვანისა და ნაპირზე გადასხმისათვის; საზღვაო დესანტის გადასხმის საბრძოლო წყობის ელემენტი. მოიცავს სადესანტო ხომალდებს (გემებს), დაცვის ხომალდებს, დესანტსაწინააღმდეგო დაბრკოლებების განღობვის გემებს. ზღვით გადასვლას **ს.რ**. ახორციელებს სალაშქრო ორდერით, რომელიც საბრძოლო წყობად გაშლას უზრუნველყოფს. მისი მიზანია ბრძოლის წარმოება გათვალისწინებული ტემპით დესანტის გადასასხმელად.

სადესანტო საბრძოლო მანქანა, საჰაერო-სადესანტო ჯარების ჯავშნიანი, მუხლუხა, მცურავი სატრანსპორტო საშუალება, განკუთვნილი საბრძოლო მოქმედებების წარმოების და პირადი შემადგენლობის გადაყვანისათვის. ქვეითთა საბრძოლო მანქანის ანალოგი, უფრო მეტად მისადაგებული ავიადესანტირების, შენიღბვისათვის და სხვა.

სადესანტო ხომალდი, სპეციალური აგებულების საბრძოლო ხომალდი, რომელიც განკუთვნილია საზღვაო დესანტის ტრანსპორტირებისა და გადასხმისთვის მოწინააღმდეგის ნაპირზე საზღვაო, საჰაერო, და სადესანტო ოპერაციის დროს. კონსტრუქციიდან გამომდინარე, **ს.ხ**-ს შეუძლია გადასხას დესანტი ნაპირზე უშუალოდ ან სადესანტო-გადასასხმელი საშუალებით. სადესანტო ხომალდს აქვს ანგარები და საგემბანო ასაფრენ-დასაფრენი მოედნები ვერტმფრენებისთვის და დოკ-კამერები კატარღებისთვის. აღჭურვილია სარაკეტო და საარტილერიო შეიარაღებით თავდაცვის და დესანტის მხარდაჭერისთვის. მრავალი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალები იყოფა მართვის ხომალდებად, უნივერსალურ (მრავალმიზნობრივ) და სადესანტო-საავერტმფრენო ხომალდ-დოკებად, სადესანტო-ვერტმფრენმზიდებად, სადესანტო-სატრანსპორტო დოკებად და სატანკო-სადესანტო ხომალდებად. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში მათ შეუძლიათ ერთდროულად მიიღონ, გადაისროლონ ოკეანის გაღმა 64 ათასამდე მედესანტე თავისი შეიარაღებით, საბრძოლო ტექნ-

იკით, აღჭურვილობით და უზრუნველყონ მათი გადმოსხმა საშტატო სადესანტო-გადასასხმელი საშუალებით.

სადესანტო ჯგუფი, პირველი ეშელონის სადესანტო ჯარების შემადგენლობაში ერთიანი ტაქტიკური სარდლობის დაქვემდებარებაში მყოფი ფორმირება, რომელიც მზადაა დესანტირების ამოცანების შესრულებისთვის და მოწინააღმდეგის პოზიციის ან პოზიციების დაკავებისთვის.

სადესანტო-საიერიშო მოქმედებები, მოწინააღმდეგის ჯარებსა და ობიექტებზე ერთიანი ჩანაფიქრით ორგანიზებული საიერიშო ქმედებების, ავიაციის, სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დარტყმების ერთობლიობა; სატრანსპორტო და სატრანსპორტო-საბრძოლო ვერტმფრენებიდან საჰაერო-სადესანტო (ქვეითი) ქვედანაყოფებისა და ნაწილების გადასხმა და საბრძოლო მოქმედებები; საჰაერო დესანტების საბრძოლო მოქმედებების, ჰაერში და ხმელეთზე მათი მანევრის მონაცვლეობა მოწინააღმდეგის ზურგში ურთიერთდაკავშირებული ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური ამოცანების შესასრულებლად. ტარდება დაჯგუფებების (არმიების ჯგუფების) და საარმიო (საკორპუსო) შეტევით ოპერაციებში იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ შეტევაზე გადასულ ნაწილებს მოწინააღმდეგის განადგურებაში. გადასხმის რაიონებისაკენ (ობიექტებისაკენ) დესანტები გადჰყავთ საჰაერო დერეფნებით, რომლებშიც წინასწარ ხდება მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის სისტემას ჩახშობა. საჰაერო დესანტების გადასხმას და საბრძოლო მოქმედებებს ჰაერიდან ფარავს გამანადგურებელი ავიაცია. ფრენა, როგორც წესი, სრულდება მცირე სიმაღლეზე – რამდენიმე მეტრიდან რამდენიმე ათეულ მეტრამდე; ღამით და რთულ მეტეოპირობებში ფრენის სიმაღლე იზრდება. იერიშის წინ, ჩვეულებრივ, მოწინააღმდეგეს მიაყენებენ სარაკეტო ჯარების და ავიაციის დარტყმებს საიერიშო ობიექტის (ზღუდის) რაიონში. სადესანტო-მოიერიშე ქვედანაყოფებს გადასხამენ უშუალოდ საიერიშო ობიექტზე (ზღუდეზე) ან მის მისადგომებზე. გადასხმის (ვერტმფრენებით დაშვების) ან გადასროლის (გადასხამენ პარაშუტებით) შემდეგ დესანტირებული ნაწილები და ქვედანაყოფები იკავებენ მათთვის დანიშნულ რაიონებს (ზღუდეებს, ობიექტებს), აყენებენ დარტყმებს მოწინააღმდეგის შემტევ ჯარებს, აღკვეთენ მისი რეზერვების ამოქმედებას და გაშლას, ასრულებენ სხვა ამოცანებს. საბრძოლო და სატრანსპორტო-საბრძოლო ვერტმფრენები სადესანტო მოქმედებებს ჰაერიდან ცეცხლით უჭერენ მხარს.

სადესანტო-საიერიშო ფორმირებები, ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც ძირითად საბრძოლო და სატრანსპორტო საშუალებად იყენებენ ვერტმფრენებს და განეკუთვნილი არიან სადესანტო-საიერიშო მოქმედებისათვის.

სადროშო, მსხვილი სამხედრო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ფეოდალურ საქართველოში, რომელიც ემორჩილებოდა სარდალს (სპასპეტს), მისი სიმბოლური ნიშანი იყო განსაკუთრებული დროშა. **ს**-დან გამოყვანილი ლაშქარი („დროშა“) წარმოადგენდა საორგანიზაციო-ტაქტიკურ ერთეულს და გარკვეული ადგილი ეკავა საბრძოლო წყობაში. **ს**-ს მსგავსი პირველი სამი გაერთიანება, როგორც ჩანს, გაჩნდა უკვე „აფხაზთა და ქართველთა სამეფოში“ (XI საუკუნე), ხოლო მას შემდეგ, რაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში კახეთ-ჰერეთიც შევიდა (XII საუკუნის დასაწყისი), **ს**-თა სისტემა საბოლოო სახით ჩამოყალიბდა. ერთიან სამეფოში ოთხი **ს**. იყო: 1. მეწინავე (მოიცავდა სამხრეთ საქართველოს საერისთავოებს), 2. მემარჯვენე (დასავლეთ საქართველო), 3. მემარცხენე (კახეთ-ჰერეთი) და 4. მეფისა (ქართლი). შესაბამისად კლასიკური ქართული საბრძოლო წყობა **ს**-თა სისტემას ეფუძნებოდა და ოთხი ელემენტისგან შედგებოდა: 1. ავანგარდი (მეწინავე დროშა), 2. მარჯვენა ფლანგი (მემარჯვენე დროშა), 3. მარცხენა ფლანგი (მემარცხენე დროშა) და 4. არიერგარდი (მეფის დროშა). XV საუკუნეში, ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ, **ს**-თა სისტემა შენარჩუნდა და იარსება XVIII საუკუნის ბოლომდე. ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებში ოთხ-ოთხი **ს.** იყო.

სადღესასწაულო დღეები, შეიარაღებულ ძალებში შესაბამისი სამხედრო ზეიმით და რიტუალებით აღსანიშნავი სამხედრო დღესასწაულები. ზოგიერთი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში საერთო-სახელმწიფო დღესასწაულებთან ერთად გამოცხადებულია სადღესასწაულო დღეებად. დღესასწაულია აგრეთვე მხედრული ფიცის დადების და ჯარის ნაწილის დაარსების დღეები. სამხედრო ნაწილებში, ჩვეულებრივ, დღესასწაულით აღინიშნება საბრძოლო დროშისა და სამთავრობო (სახელმწიფო) ჯილდოების გადაცემა, ქვედანაყოფებში შევსების განაწილება, პირადი შემადგენლობისთვის იარაღის და სამხედრო ტექნიკის გადაცემა, რეზერვში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეთა გაცილება და ა.შ.

სადღეღამისო სავალი, მანძილი, რომელსაც მარშის დროს ჯარები დღე-ღამეში გადიან. **ს.ს.** დამოკიდებულია კოლონების მოძრაობის სიჩქარეზე, მოძრაობის ხანგრძლივობაზე და საბრძოლო მანქანების და ავტომობილების მძღოლების ფიზიკურ შესაძლებლობებზე. **ს.ს.** ავტომობილების კოლონებისთვის შეიძლება აღწევდეს 400 *კმ*-ს, შერეული კოლონებისთვის – 300 *კმ*-ს. მთებში, ტყიან და დაჭაობებულ ადგილმდებარეობაზე, უდაბნოში და სხვა გან-

საკუთრებულ პირობებში მოძრაობის საშუალო სიჩქარე და **ს.ს.** სიდიდე მცირდება.

საევაკუაციო გადაზიდვები, იხ. *გადაზიდვები.*

საევაკუაციო რაზმი, იხ. *ევაკუაციის რაზმი.*

საერთაშორისო არბიტრაჟი, იხ. *საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა.*

საერთაშორისო არხები, ხელოვნური წყალსანაოსნო გზები, რომლებიც აკავშირებენ ზღვებს და ოკეანეებს. იყენებს ყველა სახელმწიფო ნაოსნობისათვის, საერთაშორისო სამართლის ნორმების და იმ სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, რომლებსაც ისინი ეკუთვნიან. **ს.ა**-ს წარმოადგენს სუეცის, პანამის, კილის, კორინთოს და საიმის არხები.

საერთაშორისო ატომური სამართალი, ატომური ენერგიის გამოყენების დარგში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების იურიდიული ნორმების და პრინციპების ერთობლიობა. წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარგს და არეგულირებს როგორც ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებს, ისე ატომური ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში საერთაშორისო თანამშრომლობის ნორმებს. **ს.ა.ს**-ის ნორმები და პრინციპები ეფუძნება საერთაშორისო სახელშეკრულებო პრაქტიკას. იგი ვითარდება და ივსება საერთაშორისო ორგანიზაციების (მაგატე, ევროპის ბირთვული ენერგიის სააგენტო და სხვა) სამართლებრივი აქტებით.

საერთაშორისო დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა, საერთაშორისო სამართლის ერთერთი ძირითადი პრინციპი, რომლის შესაბამისად სახელმწიფოებს შორის უთანხმოებები და დავა უნდა წყდებოდეს მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. პრინციპი ავალდებულებს ყველა სახელმწიფოს უთანხმოებების ან დავის წარმოშობისას არ მიმართოს ძალას და ძალის გამოყენების მუქარას. თავი შეიკავოს ყოველგვარი მოქმედებისგან, რომელმაც შეიძლება გაამწვავოს ვითარება. **ს.დ.მ.ბ**-ის პრინციპი პირველად ჩამოყალიბდა პარიზის 1928 წლის ხელშეკრულებაში, რომელიც ითვალისწინებდა საშინაო და საერთაშორისო კონფლიქტების მოგვარებისას უარის თქმას იარაღის გამოყენებაზე. ომის შემდგომ პერიოდში ეს პრინციპი დამკვიდრდა გაეროს წესდებით. გაეროს წესდების შესაბამისად, სახელმწიფოებს შორის მეგობრობის, ურთიერთობის და თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო სამართლის პრინციპების დეკლარაციით; ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის თათბირის დოკუმენტებით. გაეროს მანილის (1982) დეკლარაციით საერთაშორისო დავის გადაჭრა უნდა ეფუძნებოდეს სახელმწიფოების სუვენერულ თანასწორობას და მათ უფლებას, თავისუფლად აირჩიონ დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებები. მათ განეკუთვნება: მხარეებს შორის მოლაპარაკებები, კონსულტაციები, გამოკვლევა, შერიგება, კეთილი მომსახურება, შუამავლობა, საერთაშორისო არბიტრაჟი, სასამართლო გარჩევა.

საერთაშორისო დანაშაული, უმძიმესი საერთაშორისო კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც ხელყოფს სახელმწიფოების და ერების არსებობის საფუძვლებს, ძირს უთხრის საერთაშორისო ურთიერთობების მთელ სისტემას და საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას. **ს.დ.**, რომელსაც მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს უწოდებენ, განსაზღვრულია საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში. კანონმდებლობა ითვალისწინებს **ს.დ**-სთვის ფიზიკური პირების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

საერთაშორისო დაძაბულობის კერა, რეგიონი ან ტერიტორია, სადაც აღინიშნება მწვავე კონფრონტაცია სახელმწიფოებს, ან ძალებს შორის, რაც ართულებს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას რეგიონში, ან მთლიანად მსოფლიოში. **ს.დ.კ**-ში დაპირისპირებული მხარეები მზად არიან გამოიყენონ ან უკვე იყენებენ სამხედრო ძალას. ესკალაციის შემთხვევაში შეიძლება გახდეს მასშტაბური შეიარაღებული კონფლიქტის წარმოშობის ან ომის დაწყების წყარო.

საერთაშორისო კოსმოსური სამართალი, იურიდიული ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოების (საერთაშორისო ორგანიზაციების) საქმიანობას კოსმოსურ სივრცეში, მთვარეზე და სხვა პლანეტებზე. წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დარგს და ეფუძნება მის ზოგად და სპეციალურ პრინციპებს. ძირითადი დოკუმენტებია: 1967 წლის ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ, 1968 წლის შეთანხმება კოსმონავტების გადარჩენის შესახებ, 1979 წლის შეთანხმება მთვარეზე და სხვა პლანეტებზე სახელმწიფოების საქმიანობის შესახებ და სხვა.

საერთაშორისო მდინარეები, შიდა წყლის გზები (მდინარეები, მათ შორის ხელოვნური წყლის შეერთებები და ა.შ.), რომლებიც რამდენიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადის და გამოიყენება საერთაშორისო ნაოსნობაში. მათ რიცხვს განეკუთვნება მსოფლიოს 200-მდე უდიდესი მდინარე შენაკადებითურთ. ეს მდინარეებია: დუნაი, რაინი, ამაზონი, კონგო, ნიგერი, ნილოსი, ამური, განგი, მეკონგი და სხვა.

საერთაშორისო მეურვეობა, ზოგიერთი დამოკიდებული ტერიტორიის მართვის სისტემა, რომელიც ხორციელდება გაეროს სახელით და ხელმძღვანელობით. შეიქმნა II მსოფლიო ომის შემდეგ. კოლონიური სისტემის დაშლის გამო არასტრატეგიული სამეურვეო ტერიტორიები დამოუკიდებელი გახდნენ. წყნარი ოკე-

ანის ხალხებმა თვითგამორკვევის უფლება მიიღეს. ისინი უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით აშშ-ის მეურვეობის ქვეშ იმყოფებობდნენ. 1986 წელს მეურვეობის საბჭომ, ხოლო 1990 წელს – უშიშროების საბჭომ დაადასტურეს, რომ სამეურვეო შეთანხმება მთლიანად არის შესრულებული და მისი მოქმედება წყდება.

საერთაშორისო პოლიციური ძალები, დროებითი ფორმირება, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო პოლიციური პერსონალის და ტექნიკისგან შედგება. მას დავალებული აქვს ცალკეულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი უსაფრთხოების და წესრიგის კონტროლი, როგორც წესი, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მანდატის შესაბამისად. მის ამოცანებში შეიძლება შედიოდეს სამოქალაქო პოლიციის ძირითადი ვალდებულებების შესრულება, სასაზღვრო კონტროლი და ადგილობრივი სამოქალაქო პოლიციური ძალების შექმნა, მათ შორის პირადი შემადგენლობის დაკომპლექტება, მომზადება, აღჭურვა და მათზე კონტროლის განხორციელება. საერთაშორისო პოლიციური ძალები შეიძლება იყოს შეიარაღებული, უიარაღო ან შერეული.

საერთაშორისო საზღვაო სამართალი, იმ სამართლებრივი ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს მსოფლიო ოკეანის კვლევის და გამოყენების საქმეში. როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი, ეფუძნება მის საერთო დებულებებს, მაგრამ აქვს თავისი სპეციფიკური პრინციპები, როგორიცაა: სახელმწიფოების თანაბარი უფლება მსოფლიო ოკეანეების გამოყენების საქმეში, სახელმწიფოს განსაკუთრებული იურისდიქცია თავისი დროშის ქვეშ მცურავ გემებზე და სხვა. ძირითადი ყოვლისმომცველი დოკუმენტი – საზღვაო სამართლის 1982 წლის გაეროს კონვენცია. კონვენცია ვრცელდება სამხედრო გემებზეც. კერძოდ, იმუნიტეტით სარგებლობენ სამხედრო და სხვა ტიპის გემები, რომლებსაც გამოიყენებენ არაკომერციული მიზნებით. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც გემი არღვევს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების მშვიდობიანი გადალახვის ნორმებს. **ს.ს.ს**-ის სუბიექტები არიან სახელმწიფოები და საერთაშორისო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციები.

საერთაშორისო საკოორდინაციო ცენტრი, ცენტრი, რომელიც განლაგებულია (ქ. მონსი, ბელგია) ევროპაში, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბის ტერიტორიაზე, მაგრამ მის შემადგენლობაში არ შედის. ცენტრის ამოცანას წარმოადგენს ნატოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციებში ერთობლივი მონაწილეობა (მაგალითად, იუგოსლავიაში). **ს.ს.ც.** ხელს უწყობს ნატოს პარტნიორი ქვეყნების ურთიერთქმედებას და ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბთან დაგეგმვის ოპერაციების განხორციელებას.

საერთაშორისო სამართალი, იურიდიული პრინციპების და ნორმების სისტემა, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოების ურთიერთობებს, აწესებს მათ ორმხრივ უფლებებს და მოვალეობებს. ჩაისახა სახელმწიფოების წარმოშობის ეპოქაში. თავდაპირველად არეგულირებდა უმთავრესად სამხედრო ურთიერთობებს. XVI–XVII საუკუნეებში **ს.ს**-ით დამკვიდრებული იყო სახელმწიფოების სუვერენიტეტის და თანასწორუფლებიანობის, ზღვების თავისუფლების პრინციპები, დაწესდა უცხოელების სტატუსი და მუდმივი საელჩოების ინსტიტუტი. ახალ ხანაში **ს.ს**-ის თეორიამ და პრაქტიკამ შემდგომი განვითარება პოვა. XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს მან სისტემაში მოიყვანა ომის კანონები და ჩვეულებები. თანამედროვე **ს.ს**-ის ძირითადი პრინციპები და ნორმები დამკვიდრებულია გაეროს წესდებით, გაეროს 1970 წლის დეკლარაციით **ს.ს**-ის პრინციპების შესახებ, საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით. საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებია: მშვიდობიანი თანაარსებობა, თავდაუსხმელობა, ერების თვითგამორკვევა, დავის მშვიდობიანი გადაწყვეტა, განიარაღება, ადამიანის უფლებების პატივისცემა, ომის პროპაგანდის აკრძალვა, საერთაშორისო ხელშეკრულებების დაცვა. **ს.ს**-ის ნორმებს ნებაყოფლობით ასრულებენ მისი სუბიექტები. იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც აღნიშნულ ნორმებს არღვევენ, შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულება (ინდივიდუალური ან კოლექტიური).

საერთაშორისო სამართალი შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში, საერთაშორისო სამართებლივი ნორმების სისტემა, რომელიც ომის წარმოების ბარბაროსული საშუალებების და მეთოდების გამოყენების შეზღუდვის, მის მსხვერპლთა დაცვის და დარღვევებზე პასუხისმგელობის დაწესების მიზნით შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს არეგულირებს.

საერთაშორისო სამხედრო სამდივნო, პასუხისმგებელია სამხედრო სფეროში ნატოს პოლიტიკის დაგეგმვაზე, განხორციელებასა და სამხედრო კომიტეტისათვის განსახილველი რეკომენდაციების წარდგენაზე. აგრეთვე პასუხისმგებელია ნატოს სამხედრო კომიტეტის მითითებების სათანადო შესრულებაზე. სამდივნო აქტიურად მონაწილეობს თანამშრომლობის პროცესში ცენტრალური ევროპის ქვეყნებთან, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ინიციატივის ჩარჩოებში. **ს.ს.ს**-ს უფროსი ინიშნე-

ბა ნატოს წევრი ქვეყნების მიერ წარდგენილი კანდიდატებიდან. **ს.ს.ს**-ს უფროსს ჰყავს ხუთი მოადგილე, თითოეული მათგანი ცალკეულ მიმართულებას ხელმძღვანელობს. ეს მიმართულებებია: 1. დაგეგმვა და პოლიტიკა; 2. ოპერატიული სამსახური; 3. დაზვერვა, თანამშრომლობა და რეგიონული უსაფრთხოება; 4. ლოგისტიკა; 5. შეიარაღება და რესურსები.

საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, II მსოფლიო ომის მთავარი სამხედრო დამნაშავეების დევნისა და დასჯის სასამართლო ორგანო. შეიქმნა 1945 წლის 8 აგვისტოს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირის და საფრანგეთის მთავრობების ლონდონის შეთანხმებით ფაშისტური გერმანიის სამხედრო დამნაშავეების გასასამართლებლად (ნიურნბერგის პროცესი). 1946 წლის 19 იანვარს შეიქმნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი შორეული აღმოსავლეთისთვის (ტოკიოს პროცესი), რომელმაც გაასამართლა იაპონიის მთავარი სამხედრო დამნაშავენი. აღნიშნულ ტრიბუნალში წარმოდგენილი იყო 11 სახელმწიფო (აშშ, სსრკ, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, ავსტრალია, კანადა, საფრანგეთი, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, ინდოეთი, ფილიპინები).

საერთაშორისო საჰაერო სამართალი, იმ ნორმების და პრინციპების ერთობლიობა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს საერთაშორისო საჰაერო სივრცის გამოყენების დარგში. არის საერთაშორისო სამართლის დარგი, ეფუძნება მრავალმხრივ და ორმხრივ შეთანხმებებს, აგრეთვე საჰაერო ნაოსნობის სფეროში დამკვიდრებულ ნორმებს. ძირითადი დოკუმენტებია: ჩიკაგოს კონვენცია (1944), რომელიც ფუძემდებლური საერთაშორისო დოკუმენტია ამ სფეროში, რომისა (1962) და ტოკიოს (1963) კონვენციები, საჰაერო ხომალდების უკანონო გატაცების წინააღმდეგ ბრძოლის კონვენცია (ჰააგა, 1970), საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის კონვენცია (მონრეალი, 1977), ღია ცის ხელშეკრულება (1992) და სხვა. 1964 წელს შეიქმნა გაეროს სპეციალიზებული საგენტო – ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (იკაო).

საერთაშორისო სრუტეები, ბუნებრივი ზღვის ვიწრობები, რომლებიც საერთაშორისო ნაოსნობისათვის გამოიყენება და ღიაა გემების (ხომალდების) გასასვლელად ყველა დროშის თანასწორობის პრინციპის საფუძველზე (გიბრალტარის, ლა-მანშის, პა-დე-კალეს, სინგაპურის და სხვა). განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ ბალტიის და შავი ზღვის სრუტეები, რომელთა რეჟიმი განსაზღვრულია საერთაშორისო შეთანხმებებით. ს.ს-ის სამართლებრივი რეჟიმის სხვადასხვა სახეობა ასახულია გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციაში.

საერთაშორისო ტერორიზმი (ლათინური Terror – შიში), ორგანიზებული ძალადობა, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო სამართლის დაცვის ქვეშ მყოფი ცალკეული პირების, ობიექტების ან სახელმწიფოების წინააღმდეგ. როგორც წესი, მიმართავენ ექსტრემისტული ორგანიზაციები პოლიტიკური მიზნებით, რათა ზეწოლა მოახდინონ საერთაშორისო საქმიანობის სხვადასხვა სუბიექტზე, უწინარეს ყოვლისა – ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელისუფლებაზე. ზოგჯერ **ს.ტ**-ის აქტებს სჩადიან ან ამ აქტებში მონაწილეობენ (ექსტრემისტების წაქეზების ან ხელის დაფარების გზით) ცალკეული სახელმწიფოები. **ს.ტ**-ის ფორმებია: პოლიტიკური მკვლელობები, დიპლომატიური წარმომადგენლობის და სხვა ობიექტების აფეთქებები, მძევლების აყვანა, სატრანსპორტო სისტემების დაზიანება, საჰაერო და საზღვაო ხომალდების გატაცება და სხვა. **ს.ტ**-თან ბრძოლის მიზნით გაეროს ფარგლებში მიღებულია რეზოლუციები და კონვენციები. მასთან ბრძოლა ხორციელდება რეგიონული საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზეც (ნატო, ეუთო, ევროკავშირი, ინტერპოლი) XXI საუკუნის ყველაზე მასშტაბურ **ს.ტ**-ის აქტებად შეიძლება ჩაითვალოს 2001 წლის 11 სექტემბრის ნიუ-იორკში ალქაიდას მიერ განხორციელებული აფეთქებები.

საერთაშორისო უსაფრთხოება, საერთაშორისო მდგომარეობა, რომლის პირობებშიც უზრუნველყოფილია მსოფლიოს ხალხების, სახელმწიფოების, სახელმწიფოთაშორისი გაერთიანებების სტაბილური განვითარება და თანამშრომლობა, ყოველი მათგანის სასიცოცხლო ინტერესების საიმედო დაცვა. ყალიბდება ეროვნული და რეგიონული უსაფრთხოების საფუძველზე. საერთაშორისო უსაფრთხოება მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ეკოლოგიურ, სამხედრო და სხვა განზომილებებს. იგი გულისხმობს სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობას; ქვეყნების, ხალხების თავისუფალ და თვითმყოფად განვითარებას; გარემოს შენარჩუნებას და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას; ადამიანების, კაპიტალის, ინფორმაციის გადაადგილების თავისუფლებას; მოქალაქეების თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფას და სხვა. XXI საუკუნეში მდგრადი **ს.უ**-ის საფუძველია საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმის აქტივიზაცია, ყველა სახელმწიფოს მიერ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების და პრინციპების დაცვა, თანამედროვეობის ახალი საფრთხეების და გამოწვევების წინააღმდეგ ერთობლივი ქმედება.

საერთაშორისო წყლები, იხ. *ღია ზღვა.*

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი, იხ. *საერთაშორისო სამართალი შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში.*

საერთო გეგმა, შესაძლო საბრძოლო მოქმედებების გეგმის ძირითადი სახე, რომელშიც დაგეგმვის რამდენიმე საწყისი ფაქტორი ბოლომდე გარკვეული არ არის ან დაშვებას არ ექვემდებარება. ამ ტიპის გეგმაში ძალების და საშუალებების მხოლოდ ყველაზე ზოგადი საინფორმაციო მოთხოვნებია მითითებული.

საერთო დანიშნულების საზღვაო ძალები, 1. რუსეთში სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენელი ნაწილი (სტრატეგიული ბირთვული ძალების გამოკლებით). მოიცავს წყალზედა ძალებს, წყალქვეშა ძალების მრავალმიზნობრივ წყალქვეშა ნავებს, საზღვაო ავიაციას და სანაპირო ჯარებს; 2. ოპერატიულ-სტრატეგიული ორგანიზაციის მიხედვით აშშ-ისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს სამხედრო საზღვაო (ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების გამოკლებით) და საერთო დანიშნულების ძალების შემადგენელი ნაწილი. თავის ამოცანებს **ს.დ.ს.ძ**. შეიძლება წყვეტდნენ როგორც ჩვეულებრივი საშუალებებით, ისე ბირთვული იარაღის გამოყენებით.

საერთო დანიშნულების სამხედრო ბაზა, იხ. *სამხედრო ბაზა.*

საერთო დანიშნულების ძალები, აშშ-ის და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ნაწილი. განკუთვნილია შეზღუდული ომის წარმოებისათვის ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოუყენებლად ან გამოყენებით. ასევე სტრატეგიულ ძალებთან ერთად საომარი მოქმედების წარმოებისათვის კონტინენტური და საზღვაო საომარი მოქმედების თეატრში საყოველთაო ბირთვული ომის დროს. საერთო დანიშნულების ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისგან, ტაქტიკური ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისაგან (ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების გარდა). აშშ-ის შეიარაღებული ძალების განსაკუთრებული დანიშნულების ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება საზღვარგარეთ, მათ შორის დაახლოებით 300 ათ. – ევროპაში.

საერთო ინფრასტრუქტურა, 1. ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია ნატოს ჯარების (ძალების) საბრძოლო მომზადების ან ოპერატიული გეგმების შესრულებისათვის. ერთდროულად ფინანსდება ნატოს წევრი ქვეყნების მიერ გამოყენების ხარისხის, დაინტერესების, ასევე ნატოს მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად. 2. სახელმწიფოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული სამოქალაქო და სამხედრო ინფრასტრუქტურის ერთიანობა.

საერთო კურსი საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში, საგარეო პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის საერთო კურსის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო 1990-იან წლებში ყოფილ იუგოსლავიაში წარმოქმნილმა კონფლიქტებმა. საერთაშორისო მასშტაბით ევროკავშირის პოლიტიკის მთავარი პრინციპები ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა მაასტრიხტის ხელშეკრულებით (1993) და შემდგომ ამსტერდამის ხელშეკრულებით (2009). აღნიშნული კურსის რეალიზაციისათვის 2009 წელს შეიქმნა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის ინსტიტუტები. ევროპული კავშირის მიერ ამ კურსის რეალიზაციის ამოცანებია: 1. გაეროს წესდების პრინციპების შესაბამისად, საერთო ფასეულობების, ძირითადი ინტერესების, დამოუკიდებლობის და ევროპული კავშირის მთლიანობის დაცვა; 2. ევროპული კავშირის უსაფრთხოების განმტკიცება; 3. საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცება და მშვიდობის შენარჩუნება; 4. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა; 5. დემოკრატიის, სამართლის, ადამიანის უფლებების განვითარება და განმტკიცება.

საერთო მხარდაჭერა, ხორციელდება ერთიანი ძალის და არა მისი რომელიმე ცალკეული ქვედანაყოფის მხარდასაჭერად.

საერთო-საჯარისო (საერთო საფლოტო) ოპერაცია, ოპერაცია, რომელშიც მონაწილეობს შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების მთლიანი შემადგენლობა ან მათი უმრავლესობა სხვადასხვა ტიპის სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების ერთდროული გადაწყვეტის მიზნით. ამ ტიპის ოპერაციებს ხელმძღვანელობენ საერთო-საჯარისო მეთაურები. საჯარისო ოპერაციებს განეკუთვნება სტრატეგიული, დაჯგუფების, არმიის (კორპუსის) ოპერაციები. საერთო-საფლოტოს – სხვადასხვაგვაროვანი ძალების (ოპერატიული ესკადრების) ფლოტების და ფლოტილიების ოპერაციები.

საერთო-საჯარისო ბრძოლა, ბრძოლა, რომელშიც მონაწილეობენ სახმელეთო ჯარების სხვადასხვა გვარეობის და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობის ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები, რომელთაც აერთიანებს ერთიანი ჩანაფიქრი და გეგმა, შეთანხმებული მიზნის, დროისა და ადგილის მიხედვით. მოწინააღმდეგის განადგურებას აღწევენ ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით, ჯარების (ძალების) აქტიური და გადამწყვეტი მოქმედებით, პირადი შემადგენლობის მორალური და ფიზიკური ძალების მაქიმალური დაძაბვით. **ს-ს.ბ**. შეიძლება იყოს შეტევითი და თავდაცვითი.

საერთო-საჯარისო რეზერვი, საერთო-საჯარისო ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები, რომლებიც განკუთვნილია ძალისხმევის გასაძლიერებლად მთავარ მიმართულებაზე (ძირითადი ძალისხმევის თავმოყრის მი-

მარულებაზე), კონტრდარტყმების (კონტრიეერიშების) მოსაგერიებლად (მისაყენებლად), ფლანგების და პირაპირების უზრუნველსაყოფად და ოპერაციის (ბრძოლის) დროს წამოჭრილი სხვა ამოცანების გადასაწყვეტად. **ს.-ს.რ.** ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტი.

საერთო-საჯარისო ტაქტიკური ჯგუფები, დროებითი სამხედრო ფორმირებები, რომლებიც იქმნება ტაქტიკურ რგოლში საერთოსაჯარისო ბრძოლის საწარმოებლად. **ს.-ს.ტ.ჯ.**-ის შემადგენლობა დამოკიდებულია დასახულ საბრძოლო ამოცანაზე, ადგილზე საბრძოლო წყობაში, ვითარებაზე და სხვა. მათ საფუძველს, ჩვეულებრივ, შეადგენენ მოტოქვეითი (მექანიზებული), სატანკო (ჯავშანსატანკო), საჰაერო-სადესანტო, აერომობილური და ა.შ. ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც გაძლიერებულია ჯარების სხვა გვარეობის და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფებით. დივიზიაში შეიძლება შეიქმნას ბრიგადის, ბრიგადაში (პოლკში) – ბატალიონის, ბატალიონში – ასეულის ტაქტიკური ჯგუფები. ზოგიერთი სახელმწიფოს (აშშ, დიდი ბრიტანეთი) სახმელეთო ჯარებში **ს.-ს.ტ.ჯ.**-ის შექმნა განსაზღვრულია შენაერთების და ნაწილების ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურაში.

საექსპედიციო ჯარები (ძალები, არმია), სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) შეიარაღებული ძალების ნაწილი, რომელიც გადასროლილია, ჩვეულებრივ, საზღვაო (საჰაერო) ტრანსპორტით მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი რაიონის დასაუფლებლად, მოკავშირე ჯარების ხელშეწყობის ან სხვა სამხედრო-პოლიტიკური ამოცანების შესრულების მიზნით. **ს.ჯ.**-ის გამოყენების მაგალითია აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტების გადასხმა და მოქმედება ევროპაში, აზიასა და აფრიკაში I და II მსოფლიო ომების დროს. **ს.ჯ.**-ს იყენებდნენ საფრანგეთი და აშშ – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (1946–75), აშშ – კორეაში (1950–53). **ს.ჯ.**-ის I ეშელონს, ჩვეულებრივ, შეადგენენ საზღვაო ქვეითი ჯარი და აერომობილური (საჰაერო-სადესანტო, საჰაერო-მოიერიშე) ჯარები. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში იქმნება საექსპედიციო დივიზიები, ბრიგადები და ბატალიონები, რომლებიც მოიცავენ საზღვაო ქვეითი ჯარის, ავიაციის, უზრუნველყოფის და გაძლიერების ფორმირებებს.

სავარაუდო გადახრა, იხ. *საშუალო გადახრა*

სავარაუდო გეგმა, წინასწარი გეგმა, რომელშიც ზოგადად მითითებულია დეტალურ დაგეგმვამდე განსახორციელებელი მოქმედებების ძირითადი საკითხები ან მათი თანამიმდევრობის პრინციპები.

სავარაუდო დაზიანება (მიზნის), რიცხობრივი სიდიდე, რომელიც გამოხატავს მიზნის დაზიანების შესაძლებლობებს სროლის (დაბომბვის) მოცემულ პირობებში. ერთეული, წერტილოვანი მიზნების დაზიანების ეფექტურობის მაჩვენებელი. გამოიხატება 0-დან 1-მდე რიცხვით (0-დან 100 %-მდე). 0-ის ტოლი ალბათობის შემთხვევაში დაზიანება შეუძლებელია, 1-ის დროს აბსოლუტურად გარანტირებულია. დამოკიდებულია მიზნის ხასიათზე, გამოყენებული საბრძოლო მასალების რაოდენობაზე, ხარისხსა და საბრძოლო გამოყენების პირობებზე, გაფანტვის სიდიდეზე, სროლის მომზადების და წარმოების დროზე და სხვა. ძირითადად გამოიყენება მიზნის დაზიანებისთვის საჭირო საბრძოლო მასალების რაოდენობის გამოთვლის დროს, სროლის ეფექტურობის შეფასებისა და შედარებისთვის და ა.შ.

სავარაუდო მოწინააღმდეგე, სახელმწიფო ან სახელმწიფოების კოალიცია, რომლის სამხედრო პოლიტიკა სხვა სახელმწიფოსთვის (სახელმწიფოების კოალიციისათვის) წარმოადგენს ან შეიძლება პოტენციურად წარმოადგენდეს საფრთხეს.

სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსი, ძირითადი სახელმწიფოებრივი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს სავაჭრო ზღვაოსნობის ურთიერთობებს, ასევე გემებთან და მათ ეკიპაჟებთან, საზღვაო არასამხედრო ნავსადგურებთან, სახელმწიფო საზღვაო ლოცმანებთან ჩაძირულ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებს. არ ვრცელდება სამხედრო გემებზე. არასამხედრო გემებით საზღვაო-სამხედრო გადაზიდვების დროს გამოიყენება იმ ნაწილში, რომელსაც არ ითვალისწინებს სხვა სპეციალური კანონმდებლობა.

საველე არტილერია, არტილერიის სახეობა, რომელიც ბრძოლის ველზე ჯარებთან ერთობლივად მოქმედებს. **ს.ა-**ს განეკუთვნება საერთო დანიშნულების თვითმავალი და ბუქსირებადი არტილერია (ზარბაზნები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები), ასევე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები. ორგანიზაციულად თავმოყრილია საარტილერიო ბატარეებში, დივიზიონებში, პოლკებში, ბრიგადებში, დივიზიებში. წარმოიშვა XV საუკუნის ბოლოს, ბორბლებიანი ლაფეტის გაჩენისთანავე.

საველე არტილერიის ჯგუფი, ზოგიერთი ქვეყნის არტილერიის საშტატო ტაქტიკური შენაერთი, განკუთვნილი მთავარი მიმართულებით მოქმედი საარმიო კორპუსებისა და დივიზიების გასაძლიერებლად. შედგება შტაბის, საშტაბო ბატარეის, 3–4 საარტილერიო (ლულიანი, სარაკეტო, საზენიტო) დივიზიონის, უზრუნველყოფის და მომსახურების ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან. მასში შეიძლება შედიოდეს მართვადი რაკეტების დივიზიონიც. **ს.ა.ჯ.** შესაძლებელია იმყოფებოდეს მთავარსარდლის რეზერვში, შედიოდეს

არმიების ჯგუფში (საველე არმიაში) ან საარმიო კორპუსში.

საველე მართვა, ომის დროს ოპერატიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) გაერთიანების მართვის ორგანოების სისტემა. წარსული ომების გამოცდილებით, გაერთიანების (დაჯგუფების, არმიის) **ს.მ.,** ჩვეულებრივ, მოიცავდა სარდლობას, შტაბს (საველე შტაბს), ჯარების გვარეობების ლოგისტიკის, სპეციალური ჯარების და სამსახურების უფროსებს (მეთაურებს) შესაბამისი შტაბებით (სამმართველოებით, განყოფილებებით) და ზოგიერთ სხვა ორგანოს (კადრების სამმართველო, საფინანსო რგანო). ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მომზადების და მსვლელობის დროს განლაგდება შესაბამის მართვის პუნქტებში.

საველე სწავლება, სწავლება, რომელიც ხორციელდება საველე პირობებში, ინსცენირებულია საომარი მოქმედებების გარემოში, სადაც წარმოდგენილია ერთი მხარის ძალები და შეიარაღება, ხოლო მეორე მხარე მხოლოდ წარმოსახულია, ან იმიტირებულია ცალკეული ფრაგმენტებით.

საველე ფორტიფიკაცია, დროებითი ნაგებობა ან ბუნებრივად არსებული თავშესაფარი, რომელშიც შექმნილია ქვედანაყოფისთვის დაცვის მინიმალური პირობები, რაც ასევე მოითხოვს მცირე საინჟინრო სამუშაოებს და აღჭურვილობას.

საველე წესდება, ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების მიერ საერთოსაჯარისო ბრძოლის მომზადების და წარმოების, ჯარების მართვის, გადაადგილების, ადგილზე განლაგების, აგრეთვე საბრძოლო ვითარების სხვადასხვა პირობებში ყოველმხრივი უზრუნველყოფის ძირითად დებულებებს. ზოგიერთი მათგანი შეიცავს ოპერატიული გაერთიანებების საბრძოლო საქმიანობის დებულებებს, აგრეთვე სამხედრო სტრატეგიის საკითხებს. **ს.წ**. მუშავდება დოქტრინის დებულებების, სამხედრო საქმის, იარაღის და სამხედრო ტექნიკის, ჯარების (ძალების) ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურის მდგომარეობის და განვითარების პერსპექტივების, აგრეთვე ომების და შეიარაღებული ძალების გამოცდილების საფუძველზე. შინაარსის მიხედვით **ს.წ**. მჭიდროდ უკავშირდება საბრძოლო წესდებებს, ხოლო ზოგ სახელმწიფოში ის ერთადერთ ამგვარ დოკუმენტს წარმოადგენს. მეთაურები (სარდლები) და შტაბები **ს.წ**-ის მოთხოვნებით ხელმძღვანელობენ როგორც მშვიდობიანობის პერიოდში – ჯარების (ძალების) სწავლებისთვის, ასევე ომიანობის დროს – საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და წარმოებისათვის.

საზავო ხელშეკრულება, საერთაშორისო ხელშეკრულების სახე, რომლითაც ხდება საომარი მდგომარეობის შეწყვეტის აღიარება და მშვიდობის დამყარება. მეომარ სახელმწიფოებს ან სამხედრო კონფლიქტში მონაწილე ძალებს შორის. **ს.ხ**. შეიძლება იყოს წინასწარი (პრელიმინარული) ან საბოლოო; საერთო (როდესაც მისი მონაწილეა ყველა მეომარი სახელმწიფო) ან სეპარატული (როდესაც ხელშეკრულება ფორმდება ომში მონაწილე ცალკეულ სახელმწიფოებს შორის).

საზეიმო მარში, 1. სამხედრო ნაწილების (ქვედანაყოფების) სამწყობრო გავლა მუსიკის თანხლებით აღლუმზე, სამწყობრო დათვალიერებაზე და მხედრული რიტუალის ჩატარების დროს. **ს.მ**. ქვეითთა მწყობრში სრულდება სამწყობრო ნაბიჯით, ხოლო მანქანებზე – შეზღუდული სიჩქარით. 2. ჰეროიკული, საზეიმო ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები; მუსიკალური ჟანრი.

საზენიტო არტილერია, არტილერია, რომლის დანიშნულებაა საჰაერო მიზნების განადგურება. თანამედროვე არმიებში **ს.ა**., როგორც წესი, შედის საჯარისო საჰაერო თავდაცვაში და გამოიყენება საზენიტო სარაკეტო კომპლექსთან ერთად, რაც ჩქაროსნულ დაბლამფრინავ მიზნებთან მაქსიმალურად ეფექტური ბრძოლის გარანტიაა. **ს.ა**-ის შეიარაღებაში არის ბუქსირებადი, თვითმავალი და სტაციონარული საზენიტო ქვემეხები მცირე (20–60*მმ*), საშუალო (60–100*მმ*) და მსხვილი (100*მმ*-ზე ზევით) კალიბრის. **ს.ა**-მ ფართო გამოყენება პოვა სამხედრო-საზღვაო ძალებში. მისი გამოყენება ასევე შესაძლებელია სახმელეთო (წყალზედა) მიზნების მიმართ.

საზენიტო-საარტილერიო კომპლექსი, უმთავრესად საჰაერო სამიზნეების გასანადგურებლად განკუთვნილი საზენიტო ზარბაზნების (საარტილერიო ავტომატების) და საზენიტო-საარტილერიო ხელსაწყოების ერთობლიობა. განასხვავებენ სახმელეთო (ბუქსირებად და თვითმავალ) და სახომალდო **ს.-ს.კ**-ებს.

საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი, საჰაერო მიზნების გასანადგურებლად განკუთვნილი სარაკეტო კომპლექსი (სისტემა). მოიცავს საზენიტო მართვად რაკეტებს (ჩვეულებრივ, 8 *კგ*-დან 15 *ტ*-მდე წონის, 270–1700 *მ/წმ* და მეტი ფრენის სიჩქარის მყარსაწვავიანი ფრთოსანი რაკეტები), გამშვებ დანადგარებს, მიზნების აღმოჩენის, ამოცნობისა და თანხლების დანადგარებს საზენიტო მართვადი რაკეტების დამიზნების აპარატურითურთ. რამდენიმე **ს.-ს.კ**. ერთიანი სამეთაურო პუნქტით შეადგენს საზენიტო-სარაკეტო სისტემას. **ს.-ს.კ**. შეიძლება იყოს სახმელეთო (საჯარისო და ქვეყნის ტერიტორიის ობიექტებისა) და სახომალდო; სტაციონარული და მოძრავი. სროლის მაქსიმალური სიშორის (დაზიანების სიმაღლის) მიხედვით იყოფა: შორი მოქმედების **ს.-ს.კ**-ებად – 200 *კმ*-ზე მეტი (30 *კმ*-ზე მეტი), საშუალო სიშორის 50–200 *კმ* (20–30 *კმ*), მცირე სიშო-

რის – 10–50 *კმ* (6–20 *კმ*) და ახლო მოქმედების – 10 *კმ*-მდე (6 *კმ*-მდე), ხოლო დასაზიანებელი მიზნების ტიპის მიხედვით – თვითმფრინავსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექსებად.

საზენიტო-სარაკეტო ჯარები, საჰაერო თავდაცვის ჯარების გვარეობა, რომელიც განკუთვნილია ჯარების დაჯგუფებების მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრების, სამრეწველო-ეკონომიკური და სხვა ობიექტების საჰაერო თავდაცვისათვის. შეიარაღებულ ძალებში **ს.-ს.ჯ.** მეტწილად სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაშია. საზენიტო-სარაკეტო ნაწილები და ქვედანაყოფები არის აგრეთვე შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებში. **ს.-ს.ჯ**-ის შეიარაღებაზე არის სხვადასხვა სიშორის სტაციონარული, ნახევრად სტაციონარული და მოძრავი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები (სისტემები). ისინი ამოცანებს ასრულებენ საზენიტო არტილერიასთან, გამანადგურებელ ავიაციასთან, რადიოტექნიკურ ჯარებთან, რადიოელექტრონული ბრძოლის ნაწილებთან ურთიერთქმედებით და დამოუკიდებლად.

საზენიტო საშუალებათა ცეცხლის სისტემა, მიმართულებების, სიმაღლეების და ზღუდეების მიხედვით დაგეგმილი და ორგანიზებული საზენიტო-სარაკეტო, სარაკეტო-საარტილერიო, საზენიტო-საარტილერიო და საზენიტო-სატყვიამფრქვევო ქვედანაყოფების ცეცხლის სისტემა. იგი გამოიყენება საჰაერო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, ჯარების, ობიექტების და რაიონების დასაცავად. მას ექვემდებარება იქმნება საბრძოლო ამოცანის, საჰაერო თავდაცვის ჩანაფიქრის, არსებული ძალების, საშუალებების და ადგილმდებარეობის შესაბამისად.

საზოგადოებასთან ურთიერთობა, თავდაცვის სამინისტროს სათანადო დეპარტამენტების საინფორმაციო და საკომუნიკაციო საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან ურთიერთკავშირს.

საზოგადოებისთვის მისაწოდებელი ინფორმაცია, ცნობა, რომელიც განკუთვნილია საზოგადოების სრული ინფორმირებისათვის. მისი მეშვეობით ხდება საზოგადოებასთან ურთიერთობა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

საზღვაო ავიაცია, სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაცია, ზოგიერთ ქვეყანაში სამხედრო-საზღვაო ძალების გვარეობა, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ფლოტის ძალების და მისი საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებების განადგურებისა და ზღვაში სახომალდო დაჯგუფებების დაფარვისთვის, საომარი მოქმედებების საზღვაო და საოკეანო თეატრზე დაზვერვისა და სხვა ამოცანების შესასრულებლად. მოქმედებს დამოუკიდებლად და ფლოტის ძალების სხვა გვარეობებთან, აგრეთვე შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების შენაერთებთან (ნაწილებთან) ერთად. **ს.ა**-ის საფუძველია სხვადასხვა დანიშნულების თვითმფრინავები და ვერტმფრენები. შედის საერთო დანიშნულების საზღვაო ძალების შემადგენლობაში. ფუნქციურად იყოფა ავიაციის გვარეობებად: საზღვაო რაკეტმზიდი, ნავსაწინააღმდეგო, გამანადგურებლები, მოიერიშე (ბომბდამშენი), სადაზვერვო და დამხმარე დანიშნულების (შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის და გამიზნვის, რადიოელექტრონული ბრძოლის, ნაღმსაწინააღმდეგო, მართვის უზრუნველყოფის და კავშირგაბმულობის, ფრენის დროს საფრენი აპარატების სათბობით გამართვის, საძიებო-სამაშველო, სატრანსპორტო სანიტარული). ბაზირებულია აეროდრომებზე (ჰიდროაეროდრომებზე), აგრეთვე ავიამზიდ ხომალდებსა და გემებზე. ბაზირების ხერხის მიხედვით იყოფა სახომალდო ავიაციად და სანაპირო ბაზირების ავიაციად (საბაზო ავიაცია).

საავიამზიდო ავიაცია, იგივეა, რაც საგემბანო ავიაცია.

საბაზო ავიაცია, საგემბანო ავიაციისაგან განსხვავებით, ბაზირებულია სანაპირო (საბაზო) აეროდრომებზე. შეიარაღებულია, როგორც წესი, ფრენის დიდი სიშორის თვითმფრინავებით. აღჭურვილია ტორპედოებით, სიღრმული ბომბებითა და მართვადი რაკეტებით.

სახომალდო ავიაცია ბაზირებულია ხომალდებზე (გემებზე). მის ძირითად ნაწილს შეადგენს საგემბანო ავიაცია. მასში აგრეთვე შედის ისეთი სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავები და ვერტმფრენები, რომლებსაც არ გააჩნიათ ასაფრენი გემბანები. შესაძლებელია ვერტიკალური ან მოკლე აფრენა-დაფრენის თვითმფრინავების გამოყენება.

საგემბანო ავიაცია ბაზირებულია ხომალდებზე, რომლებსაც აქვთ ასაფრენ-დასაფრენი (საფრენოსნო) გემბანი (ავიამზიდები, ვერტმფრენმზიდები, წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო კრეისერები და სხვა).

საზღვაო არტილერია, ხომალდების შეიარაღებაში არსებული არტილერიის (სახომალდო არტილერია), აგრეთვე სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარებისა და ფლოტის სანაპირო თავდაცვის ჯარების (სანაპირო არტილერია) არტილერიის სახეობა.

სახომალდო არტილერია განკუთვნილია საზღვაო, სანაპირო და საჰაერო მიზნების დასაზიანებლად. იყოფა მსხვილი (მთავარი, 130 *მმ*-ზე მეტი), საშუალო (80–130 *მმ*) და მცირე კალიბრის (20–57 *მმ*) არტილერიად; შეიძლება იყოს საკოშკურო და საგემბანო (ღია და დაფარული). 50-იანი წლებიდან, ხომალდების შეიარაღებაში სარაკეტო იარაღის დამკვიდრების შემდეგ, მსხვილი კალიბრის არტილერიის როლი შემცირდა, ძირითადი ყურადღება ეთმობა უნივერსალურ არტილე-

რიას. თანამედროვე ხომალდებზე არტილერია წარმოადგენს ბატარეებისაგან (მთავარი კალიბრის, უნივერსალური, საზენიტო) შემდგარ რთულ საარტილერიო კომპლექსს, რომელიც ჩამოყალიბებულია დივიზიონებად (I რანგის ხომალდებზე) ან შედის სარაკეტო-საარტილერიო (საარტილერიო) საბრძოლო ნაწილის შემადგენლობაში; მოიცავს აგრეთვე ცეცხლის მართვის ხელსაწყოებსა და საბრძოლო მასალებს. ბატარეა შედგება 2–4 საარტილერიო (ავტომატური და ნახევრად ავტომატური) დანადგარისაგან.

სანაპირო არტილერია განკუთვნილია მოწინააღმდეგის წყალზედა ხომალდებთან და გემებთან ბრძოლისათვის დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემაში. იყოფა მსხვილ (130 *მმ*-ზე მეტი), საშუალო (100–130 *მმ*) და მცირე (100 *მმ*-მდე) კალიბრის არტილერიად; შეიძლება იყოს სტაციონარული (საკაზემატო, საკოშკურო და ღია) და მოძრავი (თვითმავალი და ბუქსირებადი). გაერთიანებულია საარტილერიო ბატარეებში, დივიზიონებსა და პოლკებში. სანაპირო არტილერიის შემადგენლობაში შედის აგრეთვე სამეთაურო პუნქტები, ცეცხლის მართვის, მიზნების აღმოჩენის, თანხლებისა და სროლისათვის საწყისი მონაცემების შემუშავების საშუალებები.

საზღვაო ბლოკადა, იხ. *სამხედრო ბლოკადა.*

საზღვაო ბლოკადის გარღვევა, შეიარაღებული ძალების სახეობების შენაერთების, ნაწილების საბრძოლო მოქმედებები, რომელთა მიზანია დარღვეული გარე კავშირების აღდგენა ზღვის გავლით. ასევე ფლოტის ძალების საზღვაო (საოკეანო) საბრძოლო მოქმედებების თეატრზე გაყვანა. მიზანს აღწევს ოპერაციების ან საბრძოლო მოქმედებების წარმოებით. მათი მსვლელობის დროს საზღვაო ბლოკადის განმახორციელებელი ანადგურებს ან ასუსტებს მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფებას.

საზღვაო ბრძოლა, იხ. *ბრძოლა.*

საზღვაო დაზვერვა, ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია მოიპოვოს და გააანალიზოს მონაცემები მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების პოტენციალის, შემადგენლობის, მდგომარეობის, მოქმედებების ხასიათის და განზრახვის, საომარი მოქმედებების საოკეანო და საზღვაო თეატრების ინფრასტრუქტურის შესახებ; სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალებით და საშუალებებით დაზვერვის სახეობა. **ს.დ**-ის ძალების მოქმედებების ძირითად ხერხებს წარმოადგენს ძებნა, დაპელენგება, დაჭერა, ამოცნობა, თვალთვალი და სხვა. გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით **ს.დ**. არის სტრატეგიული და ტაქტიკური, ხოლო მოქმედებების სფეროს მიხედვით – საზღვაო-კოსმოსური, საზღვაო-საჰაერო, სახომალდო, რადიოელექტრონული, სანაპირო და აგენტურული.

საზღვაო დესანტის გადასხმა, საზღვაო-სადესანტო ოპერაციის (ტაქტიკური დესანტის მოქმედებების) ეტაპი. მცირე სადესანტო ხომალდებიდან **ს.დ.ბ**. ხდება უშუალოდ ზღვის სანაპიროზე, ხოლო დიდი ხომალდებიდან და ტრანსპორტიდან – დესანტგადასასხმელი საშუალებების, მათ შორის, ვერტმფრენების მეშვეობით, რომლითაც ჯარები და ტექნიკა გადაადგილდება გადასხმის რაიონში სადესანტო რაზმების მისვლასთან ერთად. **ს.დ.ბ**-ის წარმატების მისაღწევად საჭიროა მოწინააღმდეგის დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვის საიმედო ჩახშობა, გადასხმის მაღალი ტემპი და ჯარების ეფექტური ქმედება.

საზღვაო დესანტის გადასხმის ბაზა, ფლოტის, სახმელეთო ჯარების ნაწილების და შენაერთების დროებითი ფორმირება, რომელიც იქმნება ბრძოლის პერიოდში საზღვაო დესანტის გადასასხმელად და ნაპირზე ამოცანების გადასაწყვეტად (შედის დესანტის გადასხმის ძალების შემადგენლობაში). განკუთვნილია დესანტის მთავარი ძალების გადასხმის უზრუნველყოფისთვის, მათი პირადი შემადგენლობით, იარაღით, სამხედრო ტექნიკით, ყველა სახეობის მატერიალური საშუალებით შევსებისთვის, პირველი სამედიცინო დახმარების გაწევის, დაჭრილების და ავადმყოფების ევაკუაციისათვის, ასევე დაზიანებული სამხედრო ტექნიკის რემონტისა და ევაკუაციისათვის. **ს.დ.ბ**-ის შემადგენლობაში, როგორც წესი, შედიან სანაპიროს ზღვიდან დაცვის ძალები, სამხედრო პოლიციის (საკომენდანტო სამსახურის) ქვედანაყოფები, ლოგისტიკის ბაზები (ჯგუფები), კავშირგაბმულობის, თვალთვალის ქვედანაყოფები (ჯგუფები), ფლოტის, სახმელეთო ჯარების ჰიდროგრაფიული და სხვა სპეციალური ნაწილები და სამსახურები.

საზღვაო დესანტის გადასხმის პუნქტი, სანაპიროს მონაკვეთი მიმდებარე აკვატორიით, რომელზეც წარმოებს დესანტის გადასხმა; საზღვაო დესანტის გადასხმის მონაკვეთის ელემენტი. საზღვაო დესანტის გადასხმის ყოველ პუნქტზე ინიშნება კომენდანტი. **ს.დ.პ.** შეიძლება იყოს ძირითადი, დამხმარე, დემონსტრატიული (ცრუ).

საზღვაო დესანტის გადასხმის ტემპი, იხ. *ტემპი.*

საზღვაო დესანტის გადმოსხმის მოსაგერიებელი ბრძოლა, იხ. *ბრძოლა.*

საზღვაო დესანტის მეწინავე რაზმი, საზღვაო დესანტის ძალების ნაწილი, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ნაპირზე გადასხმის პუნქტის ხელში ჩასაგდებად და I ეშელონის გადასხმის უზრუნველსაყოფად. **ს.დ.მ.რ**-ის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, შედის საზღვაო ქვეითი ჯარის გაძლიერებულ ბატალიონამდე. **ს.დ.მ.რ**-ის რაოდენობა განისაზღვრება გადასხმის პუნქტების რიცხვით.

საზღვაო დესანტის პლაცდარმი, რაიონი მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ზღვის ნაპირას, რომლის ხელში ჩაგდება და შენარჩუნება უზრუნველყოფს სადესანტო ნაწილების გადასხმას, საბრძოლო ტექნიკის და მასალის გადატვირთვას, რაც ქმნის სამანევრო სივრცეს მომდევნო დაგეგმილი ოპერაციების განსახორციელებლად.

საზღვაო დესანტის ჩასხდომის პუნქტი, სანაპიროს მონაკვეთი მიმდებარე აკვატორიით, სადაც სადესანტო ხომალდებზე (ტრანსპორტზე) დესანტის პირადი შემადგენლობის ჩასხდომა და სამხედრო ტექნიკის ჩატვირთვა წარმოებს. **ს.დ.ჩ.პ.**, ჩვეულებრივ, სამხედრო-საზღვაო ბაზის (პორტის) ფარგლებში ინიშნება.

საზღვაო დესანტის ჩასხმდომის რაიონი, სანაპიროს ნაწილი მიმდებარე აკვატორიით, სადაც ხორციელდება საზღვაო დესანტის ჩასხდომა სადესანტო ხომალდებზე და სატრანსპორტო გემებზე. მოიცავს ხომალდებზე (გემებზე) დესანტის ჩასხდომის ძირითად და სათადარიგო მონაკვეთებს.

საზღვაო ვითარება, იმ ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომელშიც ხორციელდება საბრძოლო მოქმედებისთვის მზადება და მისი წარმოება; საერთო ვითარების ელემენტი. მას განეკუთვნება: საკუთარი და მოწინააღმდეგის ძალების მდებარეობა, შემადგენლობა, მდგომარეობა, საბრძოლო შესაძლებლობები; მეზობლების (ურთიერთმოქმედი ძალების) მოქმედებების ამოცანები და რაიონები; საომარი მოქმედების თეატრის ოპერატიული მოწყობა; სანავიგაციო, ჰიდროგრაფიული, ჰიდრომეტეოროლოგიური, ჰიდროლოგიური, ფიზიკურ-გეოგრაფიული, ყინულის პირობები და სანაღმო ვითარება. მასშტაბის მიხედვით **ს.ვ**. შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური.

საზღვაო ზონა, სტრატეგიული და ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ერთი ან რამდენიმე შიდა და კონტინენტების მიმდებარე ზღვის აკვატორია მასში არსებული კუნძულებით, ხმელეთის სანაპირო ზოლითა და საჰაერო სივრცით. აქ ვლინდება ან შეიძლება შეხების ობიექტი გახდეს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები. **ს.ზ**. არის მშვიდობიანი დროის მსოფლიო ოკეანის თანამედროვე გეოსტრატეგიული დაყოფის ფრაგმენტი. ის საოკეანო სტრატეგიული რაიონის შემადგენელი ნაწილია. **ს.ზ**-ის საზღვრები, როგორც წესი, განისაზღვრება სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ, ერთი ან რამდენიმე ზღვის გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.

საზღვაო თავდაცვითი პოზიცია, რაიონი (ზონა, ზღუდე) საომარი მოქმედებების საზღვაო თეატრზე, რომელიც წინასწარ არის მოწყობილი გარკვეული მიმართულების (ობიექტის) დასაცავად მოწინააღმდეგის ხომალდების შემოღწევისაგან, მისი საზღვაო დესანტის გადმოსხმის გასართულებლად და სხვა ამოცანების შესასრულებლად. ამ პოზიციის საფუძველს შეადგენდნენ ნაღმური ღობურები, სანაპირო-საარტილერიო ბატარეები, მზირთა სამსახურის თვითმფრინავები და ხომალდები. II მსოფლიო ომის შემდეგ ტერმინი **ს.თ.პ.** აღარ იხმარება.

საზღვაო იერიში, იხ. *იერიში.*

საზღვაო კონვენცია, იმ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ერთ-ერთი ფორმა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს მსოფლიო ოკეანის გამოყენების სფეროში. ზოგიერთი **ს.კ**. ზღვაზე შეიარაღებული კონფლიქტის პერიოდში მეომარ, არამეომარ და ნეიტრალურ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს არეგულირებს.

საზღვაო მიმოსვლების თავდაცვა, ფლოტის ძალების საბრძოლო მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება დამოუკიდებლად ან შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების შენაერთებთან (ნაწილებთან) ურთიერთქმედებით. მათი მიზანია, უზრუნველყოს ზღვით ჯარების უსაფრთხო გადაყვანა, ასევე შეიარაღების, მატერიალური საშუალებების გადაზიდვა ზღვისპირა დაჯგუფების ჯარების, ფლოტის, ეკონომიკის ინტერესებისათვის. **ს.მ.თ**. ითვალისწინებს ისეთი სხვადასხვა გვარეობის ძალების მიზიდვას, როგორიცაა: წყალქვეშა ნავების და წყალზედა ხომალდების შენაერთები; საზღვაო ავიაციის ნაწილები; საზღვაო სადაზვერვო-დამრტყმელი სისტემები და კომპლექსები; სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარების ნაწილები; ფლოტის სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის შენაერთები და ნაწილები; ფლოტის და უმაღლესი მთავარსარდლობის საჰაერო არმიის შენაერთები და ნაწილები.

საზღვაო ნაღმი, საზღვაო იარაღის (საბრძოლო მასალის) სახეობა. განალაგებენ წყალში და მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის წყალქვეშა ნავების, წყალზედა ხომალდების, კატარღების, ხომალდების დაზიანება; ასევე – საზღვაო და საოკეანო სამხედრო მოქმედებების თეატრებზე, შიდა ტბის და სამდინარო სისტემებში მათი მოქმედების შებოჭვა სანაღმე მუქარის შექმნის მეშვეობით. შედგება ჰერმეტიზებული წყალგაუმტარი კორპუსისგან, ასაფეთქებელი ნივთიერების მუხტისგან, ამფეთქისა და დამატებითი ხელსაწყოებისგან (ვადის, თვითლიკვიდაციის და სხვა), კვების წყაროსგან. ასევე, მოწყობილობებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაღმის განლაგებას წყლის ზედაპირიდან მოცემულ სიღრმეზე ან გრუნტზე. **ს.ნ**-ის განლაგებას ახორციელებენ წყალქვეშა ნავები, წყალზედა ხომალდები და საფრენი აპარატები. არის: მატარებლების ტიპის მიხედვით – ნავის, საა-

ვიაციო და უნივერსალური; ასაფეთქებელი ნივთიერების მუხტის წონით – დიდი, საშუალო და მცირე (მცირეგაბარიტიანები); განლაგების სიღრმის და ადგილის შენარჩუნების მიხედვით – ღუზის, ძირის და მცურავი; ამფეთქის მოქმედების პრინციპით – კონტაქტური და არაკონტაქტური; განლაგების შემდეგ მართვის თვალსაზრისით – მართვადი და უმართავი; მოძრაობის ხარისხით – სტაციონარული და თვითმავალი; მოცემულ სიღრმეზე დადგმის ხერხით – დადგმული ზედაპირიდან, გრუნტიდან, შუალედური სიღრმიდან. **ს.ნ.** შეიძლება აღიჭურვოს ბირთვული მუხტით. XX საუკუნის 70–80-იან წლებში განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია სხვადასხვა სახის **ს.ნ**-მა, როგორიც არის თვითდამიზნებადი, რეაქტიულ-ამოტივტივებადი, თვითტრანსპორტირებადი (ნაღმ-რაკეტები, ნაღმ-ტორპედოები). განვითარება ხდება აფეთქების სიმძლავრის მომატების მიმართულებით ახალი ასაფეთქებელი ნივთიერებების გამოყენებით, ტრალსაწინააღმდეგო მდგრადობით და სხვა გზით.

საზღვაო ომი, საერთაშორისო საზღვაო სამართალში – საომარი მოქმედებების ყველა სახეობა, რომელიც წარმოებს საომარი მოქმედებების საოკეანო და საზღვაო თეატრებზე. **ს.ო**-ის დროს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები რეგულირდება როგორც სახელშეკრულებო პრინციპების და საერთაშორისო სამართლის ნორმების, ისე ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების საფუძველზე. უკანასკნელი სამხედრო-საზღვაო ოპერაციების შესაბამისად, შეიძლება ხორციელდებოდეს მხოლოდ მეომარი მხარეების შეიარაღებული ძალებით და მხოლოდ **ს.ო**-ის თეატრის ფარგლებში ანუ ღია ზღვაში, მეომარი სახელმწიფოების ტერიტორიულ წყლებსა და შიდა წყლებში, აგრეთვე მათ თავზე, საჰაერო სივრცეში. **ს.ო**-ის თეატრში არ შეჰყავთ ნეიტრალური სახელმწიფოების შიდა და ტერიტორიული წყლები, აგრეთვე საერთაშორისო სრუტეები და საერთაშორისო არხები, რომლებსაც ნეიტრალური სტატუსი აქვთ.

საზღვაო ომის სამართლის ლონდონის დეკლარაცია 1909 (26 თებერვალი), საზღვაო ომის წესების და ჩვეულებების პირველი სისტემატიზებული კრებული. ხელი მოაწერეს გერმანიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ავსტრია-უნგრეთმა, ესპანეთმა, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, იტალიამ, იაპონიამ, რუსეთმა და ნიდერლანდებმა, მაგრამ არ მოახდინეს მისი რატიფიკაცია. ამავე დროს, დეკლარაცია დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას როგორც დოკუმენტი, რომელშიც ჩამოყალიბებულია მთელი რიგი საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები.

საზღვაო ოპერაცია, მიზნის, ადგილისა და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული საზღვაო ბატალიების, ბრძოლებისა და დარტყმების ერთობლიობა. ახორციელებენ ფლოტის სხვადასხვა გვარეობების (ძალების) დაჯგუფებები დამოუკიდებლად ან შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების გაერთიანებებთან (შენაერთებთან ნაწილებთან) ურთიერთქმედებით, ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით ცალკეულ რაიონში (ზონაში), საომარი მოქმედების, საოკეანო ან საზღვაო თეატრზე. **ს.ო**. არის ომში სამხედრო-საზღვაო ძალების გაერთიანებების გამოყენების ფორმა. მიზნის და გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით სამხედრო-საზღვაო ძალების **ს.ო**-ებია: საოკეანო და საზღვაო გადაზიდვების დარღვევა (ჩაშლა); ბაზირების რაიონების და საზღვაო კომუნიკაციების თავდაცვა; დახურულ და სანაპიროს მიმდებარე ღია ზღვებსა და ოკეანის რაიონებში მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფებების განადგურება; მტრის სახმელეთო ობიექტების ნგრევა, მისი ავიამზიდების, ნაღმსაწინააღმდეგო ძალების დაჯგუფებების და სარაკეტო წყალქვეშა ნავების განადგურება. **ს.ო**-ებს შორის შუალედებში ზემოაღნიშნული ამოცანები შეიძლება სრულდებოდეს ფლოტის ძალების მიერ სისტემატური საბრძოლო მოქმედების წარმოების გზით.

ავიამზიდების დაჯგუფებების განადგურების **ს.ო**-ებს ახორციელებენ წყალქვეშა ნავები, საზღვაო ავიაცია, წყალზედა ხომალდები საბრძოლო მანევრირების რაიონებში და ზღვით გადასვლის დროს. ეს ოპერაცია ტარდება მოწინააღმდეგის ავიამზიდებზე შეთანხმებული დარტყმების მიყენებით, საკუთარი ავიაციის აფრენის ზღუდეებთან მისვლამდე.

ბაზირების რაიონების და საზღვაო კომუნიკაციების თავდაცვის **ს.ო**-ს ახორციელებენ წყალქვეშა ნავების, წყალზედა ხომალდების ავიაციის, სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარებისა და საზღვაო ქვეითი ჯარის, საჰაერო თავდაცვის ჯარების შენაერთები. მოწინააღმდეგის ძალები მოქმედებენ ბაზირების რაიონებში ფლოტის ძალების, ობიექტების და იმ ძალების წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან საზღვაო გადაზიდვებს. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბაზირების პუნქტების და მათში არსებული ფლოტის ძალების ტრანსპორტის, ბადრაგის და ტრანსპორტის დატვირთვა-გადმოტვირთვის პუნქტების დაცვას ზღვიდან და ჰაერიდან მოსალოდნელი დარტყმებისაგან ზღვით გადასვლის დროს.

დახურულ და სანაპიროს მიმდებარე ღია ზღვებში მოწინააღმდეგის სამხედრო-საზღვაო ძალების განადგურების **ს.ო**-ს ახორციელებენ საზღვაო ავიაციის, სარაკეტო-საარტილერიო და ნავსაწი-

ნააღმდეგო წყალზედა ხომალდების, წყალქვეშა ნავების შენაერთები და ნაწილები, სანაპიროს სარაკეტო-საარტილერიო ჯარების ნაწილები მოწინააღმდეგის ხომალდების დაჯგუფებებზე დარტყმების მიყენებით.

მოწინააღმდეგის საოკეანო (საზღვაო) გადაზიდვების ჩაშლის (დარღვევის) **ს.ო.**, ხორციელდება ფლოტის სხვადასხვა გვარეობის ძალებით, უმთავრესად – წყალქვეშა ნავებითა და ავიაციით დამოუკიდებლად ან სამხედრო-საჰაერო ძალების სარაკეტო ჯარების და არტილერიის ურთიერთმოქმედებით სახმელეთო ძალების შენაერთებთან და ნაწილებთან. იგი ტარდება ზღვით გადასასვლელზე და დატვირთვის (გადმოტვირთვის) პორტებში მოწინააღმდეგის ბადრაგების და ცალკეული ტრანსპორტის განადგურების, ნავსადგურების დანგრევის, ნაღმური ღობურების დაყენების გზით.

მოწინააღმდეგის სახმელეთო ობიექტების ნგრევის **ს.ო.**-ებს ახორციელებენ სარაკეტო წყალქვეშა ნავები და საზღვაო ავიაცია სამხედრო, სამრეწველო და ენერგეტიკულ ობიექტებზე, ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ და სამხედრო-სამეცნიერო ცენტრებზე, სტრატეგიული რაკეტების სასტარტო პოზიციებზე, სამხედრო-საზღვაო ბაზებზე, პორტებზე, აეროდრომებზე, სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის ცენტრებსა და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე დარტყმების მიყენებით.

ნავსაწინააღმდეგო ძალების დაჯგუფებების განადგურების **ს.ო.**, ხორციელდება წყალქვეშა ნავების, საზღვაო ავიაციის, წყალზედა ხომალდების ძალებით მოწინააღმდეგის სხვადასხვა გვარეობის და სამანევრო ნავსაწინააღმდეგო ძალების განადგურების, მისი სტაციონარული ჰიდროაკუსტიკური სისტემების ჩახშობისა და ნავსაწინააღმდეგო ძალების მართვის პუნქტების განადგურების გზით.

სარაკეტო წყალქვეშა ნავების განადგურების **ს.ო.**-ს ახორციელებენ ფლოტების სხვადასხვა გვარეობის ძალები საბრძოლო პატრულირების რაიონებში, ბაზებიდან გასასვლელებში და ბაზებიდან პატრულირების რაიონებში გადასასვლელებზე მოწინააღმდეგის სარაკეტო წყალქვეშა ნავების აღმოჩენის და განადგურების გზით. იმავდროულად ანადგურებენ მოწინააღმდეგის ძალებს, საშუალებებს და ობიექტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სარაკეტო წყალქვეშა ნავების საქმიანობას და ურთიერთმოქმედ ნავსაწინააღმდეგო ძალებს.

საზღვაო რაიონის იზოლაცია, მოწინააღმდეგის მიერ ზღვის რაიონის კონტროლის აღკვეთა მასზე საკუთარი კონტროლის დამყარების გარეშე.

საზღვაო რუკა, ზღვაოსნობის უზრუნველსაყოფად განკუთვნილი რუკა. არის სანავიგაციო, შიდა წყალსანაოსნო გზების ნავიგაციის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის განკუთვნილი სპეციალური, დამხმარე და საცნობარო რუკები.

სანავიგაციო **ს.რ.** (**ს.რ.**-ების ძირითადი ტიპი) განკუთვნილია ხომალდის მართვის სანავიგაციო ამოცანების გადასაწყვეტად. სანავიგაციო **ს.რ.**-ზე აისახება: სანაპირო ხაზი შრობის ზოლით, ნაპირების სიღრმე, ფსკერის რელიეფი და სანავიგაციო საშიშროებები; სანავიგაციო მოწყობილობა – ფარვატერები; სანაოსნოდ აკრძალული რაიონები; ღუზაზე დგომის ადგილები; მონაცემები მაგნიტური გადახრის, დინების, ყინულოვანი რეჟიმის, ფსკერის გრუნტის შესახებ. სანავიგაციო **ს.რ.**-ებს განეკუთვნება: 1.ზოგადსანავიგაციო რუკები: ა. გენერალური (მასშტაბი 1:1000000 – 1:5000000. ზოგადად წინასწარ შეისწავლის ნაოსნობის რაიონს, ხომალდის გზას და ნაპირიდან მნიშვნელოვანი დაშორებით მის გაყვანას); ბ. საგზაო (მასშტაბი 1:1000000 – 1:5000000, სამხედრო-საზღვაო ფლოტის საქმიანობისა და ზოგადი ზღვაოსნობის უზრუნველსაყოფად მსოფლიო ოკეანის ღია და სანაპირო რაიონებში); გ. კერძო (მასშტაბი 1:25000–1:75000, განსაკუთრებით რთული სანავიგაციო პირობების რაიონებსა და ბაზირების რაიონებში ხომალდის მართვის უზრუნველსაყოფად); დ. გეგმები (მასშტაბი 1:500–1:25000, ბაზირების ადგილებში ხომალდების და გემების შესასვლელად და გადასაადგილებლად); 2. რადიონავიგაციური და სანავიგაციო-ჰიდროაკუსტიკური; 3. სანავიგაციო-სარეწი რუკები.

შიდასანაოსნო გზების სანავიგაციო რუკები იყოფა: 1. გემსანაოსნო ტბების და მდინარეების შესართავთან სანავიგაციო უბნების; 2. სანავიგაციო-სამდინარო; 3. ლოცმანის სამდინარო რუკებად.

სამხედრო-საზღვაო ძალებისთვის განკუთვნილი სპეციალური რუკებია: 1. მიმოხილვითი და მიმოხილვით-გეოგრაფიული; 2. ზღვის ფსკერის გრუნტების; 3. გეოფიზიკურ – საზღვაო; 4. ეკრანული ოპერატორების პლანშეტებისათვის; 5. რუკები პელენგების და დისტანციების ბადეებით და სხვა.

საზღვაო დამხმარე და საცნობარო რუკებს განეკუთვნება: 1. რუკა-ბადეები; 2. რუკები ორთოდრომიების გასაყვანად; 3. რუკები სამაშველო საშუალებებისათვის; 4. საზღვაო ბლანკრუკები; 5. საათის სარტყლების რუკები;

საზღვაო სტრატეგიული ბირთვული ძალები, სტრატეგიული ბირთვული ძალების საზღვაო კომპონენტი, რომელიც განკუთვნილია სტრატეგიული ბირთვული ძალების ოპერაციებში ამოცანების გადასაწყვეტად. ჰყავს აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, რუსეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს. **ს.ს.ბ.ძ**-ის ძირითადი ელემენტია ბა-

ლისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავები. XX საუკუნის 90-იანი წლების დამლევს ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების საერთო რიცხვმა მიაღწია 73-ს, ბალისტიკური რაკეტების – 1200-ზე მეტი იყო, საბრძოლო მუხტებისა – 7200-ზე მეტი. **ს.ს.ბ.ძ**-ის განვითარება დაიწყო XX საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში.

საზღვაო ფეხოსანი, ზოგ ქვეყანაში სამხედრო-საზღვაო ძალების მადალმობილური ძალები. სპეციალურად არიან დანიშნული და მომზადებული საზღვაო, საჰაერო და საჰაერო-საზღვაო დესანტების შემადგენლობაში (დამოუკიდებლად ან სახმელეთო ჯარებთან ერთობლივად) საბრძოლო მოქმედებების საწარმოებლად.

საზღვაო ფლოტი, საზღვაო (საოკეანო) გემებისა და მცურავი საშუალებების კრებსითი სახელწოდება. შედის: სატრანსპორტო (სავაჭრო), სარეწაო, საექსპედიციო (საკვლევ) ფლოტები, აგრეთვე ზღვის ფსკერის წიაღიდან მინერალური რესურსების მოპოვებისათვის განკუთვნილი გემები და სხვა. ომიანობის დროს **ს.ფ**. სამხედრო-საზღვაო ძალების რეზერვია, აწარმოებს გადაზიდვებს შეიარაღებული ძალების და სამხედრო მრეწველობის ინტერესების შესაბამისად.

საზღვაო ფლოტილია, იხ. *ფლოტილია.*

საზღვაო ქვეითი ჯარი, მრავალი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების მადალმობილური გვარეობა. ზოგიერთ ქვეყანაში – სანაპირო ჯარების გვარეობა, რომელიც სპეციალურად არის განკუთვნილი და მომზადებული საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის საზღვაო, საჰაერო და საჰაერო-საზღვაო დესანტების შემადგენლობაში (დამოუკიდებლად ან სახმელეთო ჯარებთან ერთად). პირველად შეიქმნა ინგლისში (1664), რუსეთში – 1705 წელს, აშშ-ში 1775 წელს.

საზღვაო-სადესანტო ოპერაცია, მიზნის, ამოცანების, ადგილის და დროში შეთანმეხული მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე, ნაპირზე შესასრულებელი საბრძოლო ამოცანების ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით. სახმელეთო ძალების გაერთიანების და ფლოტის ძალების ერთობლივი ოპერაცია განხორციელებული შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან და ჯარების გვარეობებთან ურთიერთქმედებით. დაჯგუფების ოპერაციის (ფლოტის ოპერაციის) ან სტრატეგიული ოპერაციის შემადგენელი ნაწილი. **ს.-ს.ო**-ის მიზანი შეიძლება იყოს: ზღვის სანაპიროს სრუტიანი ზონების, მსხვილი კუნძულების და მნიშვნელოვანი რაიონების, სამხედრო-საზღვაო ბაზების, პორტების და სხვა სანაპირო ობიექტების ხელში ჩაგდება; სახმელეთო ჯარებისთვის ხელშეწყობა საზღვაო მიმართულებებზე მოწინააღმდეგის დაჯგუფების გასანადგურებლად, თავდაცვითი და შეტევითი მოქმედებების საწარმოებლად; ფლოტის ძალების ბაზირების გაუმჯობესება. **ს.-ს.ო**-ის მიზნიდან გამომდინარე, მისი წარმოების დროს შეიძლება გადაისხას ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში ოპერატიულ-სტრატეგიული საზღვაო დესანტები. **ს.-ს.ო**. მოიცავს: ოპერაციის წარმოების რაიონში ზღვაზე და ჰაერში ბატონობისთვის საბრძოლო მოქმედებებს; სადესანტო ჯარების და გადასხმის ძალების დანიშნულ რაიონებში თავმოყრას; ჯარების ჩასხდომას (ჩატვირთვას) სადესანტო-სატრანსპორტო საშუალებებში; დესანტის გადასვლას ზღვით; დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების, ძალების და ობიექტების ცეცხლით დაზიანებას, ბრძოლას გადასხმისთვის და ნაპირზე სადესანტო ჯარების მიერ საბრძოლო მოქმედებების წარმოებას და აუცილებელი პლაცდარმების ხელში ჩაგდებას. **ს.-ს.ო**-ის ხელმძღვანელობა ეკისრება საერთო-საჯარისო გაერთიანების სარდლობას, ცალკეულ შემთხვევაში – სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაერთიანების სარდლობას.

საზღვაო-სადესანტო ძალები, სადესანტო ხომალდების (ტრანსპორტის), საზღვაო ქვეითი ჯარის შენაერთების (ნაწილების), საზღვაო ავიაციის ნაწილების, აგრეთვე სხვა იმ ძალების კრებსითი სახელწოდება, რომლებიც განკუთვნილი არიან ან რომლებსაც იყენებენ საზღვაო (საჰაერო-საზღვაო) სადესანტო ოპერაციების ჩასატარებლად. ორგანიზაციულად შეიძლება შედიოდნენ **ს.-ს.ძ**-ის დივიზიებსა და ესკადრებში, სადესანტო ხომალდებისა და ტრანსპორტის ბრიგადებში.

საზღვრის დაცვის საგუშაგო, ზორიერთ ქვეყანაში სასაზღვრო ჯარების ძირითადი ქვედანაყოფი, რომლის დანიშნულებაა განსაზღვრულ მონაკვეთზე ქვეყნის საზღვრის დაცვა და კონტროლის პუნქტების ფუნქციონირების უზრუნველყოფა. შეიძლება მოქმედებდეს მუდმივი და დროებითი, სტაციონარული და მობილური, ცვალებადი ან მუდმივი პირადი შემადგენლობით.

საზღვრის დელიმიტაცია (ლათინური delimitation – დადგენა), მომიჯნავე სახელმწიფოებს შორის საზღვრის ხაზის განსაზღვრა, რაც დაფიქსირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებაში და გრაფიკულად არის გამოსახული თანდართულ რუკაზე. **ს.დ**-ის საფუძველზე ეწყობა საზღვრის დემარკაცია.

საზღვრის დემარკაცია (ლათინური demarcation – გამიჯვნა), სახელმწიფო საზღვრის ხაზის დაზუსტება ადგილზე სასაზღვრო ნიშნების დაყენებით. ახორციელებენ მომიჯნავე სახელმწიფოების შერეული კომისიები.

საზღვრისპირა ზოლი (ზონა), სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილი.

მისი სიღრმე შეიძლება შეადგენდეს რამდენიმე ათეულიდან 100 კმ-მდე და მეტს. მის ფარგლებში მშვიდობიანობის დროს განალაგებენ საბრძოლოდ გამზადებულ ჯარებს, ადგილმდებარეობას საინჟინრო თვალსაზრისით აწყობენ, ხოლო ომის დაწყების შემდეგ საზღვრისპირა ბრძოლებს აწარმოებენ. **ს.ზ.** ნორმატიული აქტებით არ არის დადგენილი.

საზღვრისპირა საზღვაო ზონა, ადგილი სახელმწიფოს ზღვის სანაპიროს გაყოლებაზე მისი მიმდებარე ტერიტორიული წყლებით. **ს.ს.ზ**-ის ფარგლებში სახელმწიფო საზღვრის დაცვის მიზნით წესდება სპეციალური რეჟიმი, ხოლო სასაზღვრო ჯარები ახორციელებენ ღონისძიებებს დამრღვევთა წინააღმდეგ.

სათადარიგო გეგმა (სახმელეთო ჯარისთვის), სხვადასხვა ამოცანის შესრულებისთვის განსაზღვრული გეგმა, რომელიც მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად ითვალისწინებს იმ ტიპურ მოვლენებს, რომლებიც შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ოპერაციის დაწყების წინ, მისი მიმდინარეობისას ან დასრულების შემდეგ.

სათადარიგო მართვის პუნქტი, მართვის პუნქტი, განკუთვნილი მართვის მდგრადობის, საიმედოობის და უწყვეტობის ამაღლებისთვის. **ს.მ.პ**-იდან ხორციელდება მართვა ძირითადი მართვის პუნქტის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ან მისი გადაადგილებისას, ასევე – გარემოებიდან გამომდინარე ცალკეული მართვის ამოცანების შესრულებისას. იქმნება შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებებსა და შენაერთებში; სამხედრო-საჰაერო ძალებში და საჰაერო – სადესანტო ჯარებში. ჩვეულებრივ **ს.მ.პ**-ის გაშლა ხდება სამეთაურო პუნქტის გაშლასთან ერთად და მის ხელმძღვანელად ინიშნება მეთაურის მოადგილე. პუნქტიდან ორგანიზებული უნდა იყოს უწყვეტი კავშირი მართვის პუნქტთან, დაქვემდებარებული და ურთიერთმოქმედი ჯარების (ძალების) მართვის პუნქტებთან. მეთაურის **ს.მ.პ**-ზე გადასვლის შემთხვევაში ეს უკანასკნელი ხდება მართვის პუნქტი, ხოლო ყოფილი მართვის პუნქტი ამ მომენტიდან ხდება **ს.მ.პ.** მისთვის შტაბიდან გამოიყოფა ძალები და საშუალებები, აგრეთვე კავშირგაბმულობის, უზრუნველყოფის და მომსახურების ნაწილები (ქვედანაყოფები). ის შეიძლება იყოს მოძრავი (საველე, საჰაერო, სახომალდო, სარკინიგზო) და სტაციონარული.

სათადარიგო რაიონი, ადგილმდებარეობის რაიონი, მომზადებული ან განსაზღვრული ქვედანაყოფის (ნაწილის, შენაერთის) მიერ დასაკავებლად განლაგების ადგილის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში. მისი დაკავება ხდება მოწინააღმდეგის დარტყმებისგან ჯარების (ობიექტების) გამოყვანის მიზნით, აგრეთვე ძირითადი რაიონის დატბორვის ან დასნებოვნების საფრთხის შემთხვევაში.

სათადარიგო ჯარები, შეიარაღებული ძალების სახეობების (ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების) შენაერთები და ნაწილები, რომელთა ფორმირებაც ხდება ომის წინ და მისი მსვლელობისას მოქმედი არმიისა და ფლოტის შესავსებად. **ს.ჯ**-ში ტარდება პირადი შემადგენლობის სამხედრო მომზადება (გადამზადება), ქვედანაყოფების და ნაწილების შერწყმა.

სათავო ნაწილი (რაკეტის), რაკეტის წინა ნაწილი, განკუთვნილი სასარგებლო ტვირთის (საბრძოლო ნაწილი, საბრძოლო ბლოკები) განთავსებისთვის. არის მონობლოკური (ერთმუხტიანი) და დანაყოფებიანი (მრავალმუხტიანი), უმართავი და მართვადი (მანევრირებადი). მონობლოკური **ს.ნ**. არსებობს გაუყოფელი (აქვთ ტაქტიკურ რაკეტებს) და გამოყოფადი, როგორც წესი, ტაქტიკური ტრაექტორიის პასიურ მონაკვეთში. დანაყოფებიანი **ს.ნ**. შედგება რამდენიმე მართვადი და უმართავი საბრძოლო ბლოკისგან, რომლებიც სცილდებიან რაკეტას ტრაექტორიის პასიური მონაკვეთის დასაწყისში. ასევე არსებობს გაფანტული (დიდი ზომის მიზნების დასაზიანებლად) და ბლოკების ინდივიდუალური დასამიზნებელი სახეობები. სტრატეგიული რაკეტების **ს.ნ**. შეიძლება აღიჭურვოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საწინააღმდეგო საშუალებებით.

სათავო რაზმი, მარშის დროს სალაშქრო დაცვის ორგანო, გამოყოფილი ავანგარდისგან მისი შეუფერხებელი გადაადგილების უზრუნველსაყოფად, მოწინააღმდეგის მოულოდნელი თავდასხმის თავიდან ასაცილებლად, ბრძოლაში შესვლის და ძალების გაშლისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. თანამედროვე პირობებში სათავო რაზმის ფუნქციები შეთვისებული აქვს ავანგარდს ან სალაშქრო საგუშაგოს.

სათავო სალაშქრო საგუშაგო, სალაშქრო დაცვის ორგანო, რომლის მიზანია უზრუნველყოს ძირითადი ძალების დაუბრკოლებელი გადაადგილება, არ დაუშვას დასაცავ ჯარებში მოწინააღმდეგის დაზვერვის შეღწევა, მათზე უეცარი თავდასხმა, შექმნას ხელსაყრელი პირობები გაშლის და ბრძოლაში ჩაბმისთვის. **ს.ს.ს.** მარშის დროს გამოიყოფა ავანგარდისგან (მეწინავე რაზმისგან) მოძრაობის მიმართულებით, ასევე ბრიგადებისგან (პოლკებისგან), რომლებიც გადაადგილდებიან მთავარი ძალების შემადგენლობაში ორი მარშრუტით. **ს.ს.ს**-ში ინიშნება, როგორც წესი, გაძლიერებული ქვეითი (სატანკო) ასეული.

სათავო სარკინიგზო უბანი, დაჯგუფების რკინიგზის ნაწილი, რომელზეც წარმოებს აღდგენითი სამუშაოები და მოძრაობენ მუშა მატარებლები საჭირო მასალების და ტექნიკის მისატანად.

სათავო შტაბი, ნატოს მიერ წინასწარ შექმნილი მრავალეროვნული სახეობათაშორისი შტაბი, რომელიც საბაზო შემადგენლობის მრავალეროვნულ ოპერატიულ-ტაქტიკურ ჯგუფებს შეიცავს.

სათავო ხომალდი, 1. სალაშქრო (საბრძოლო) წყობის შემადგენლობაში პირველ პოზიციაზე მიმავალი საფლაგმანო ხომალდი. 2. გემთმენებლობაში – მოცემული პროექტის მიხედვით მშენებარე პირველი ხომალდი.

სათვალთვალო პუნქტი, სპეციალურად მოწყობილი ადგილი, საიდანაც წარმოებს მოწინააღმდეგის, საკუთარი ჯარების მოქმედებებისა და ადგილმდებარეობის (აკვატორიის) განუწყვეტელი თვალთვალი; სამეთაურო პუნქტის ერთ-ერთი ელემენტი. ბრძოლის ცალკეულ ეტაპზე **ს.პ**-იდან შეიძლება ხორციელდებოდეს ქვედანაყოფების მართვა. საარტილერიო ქვედანაყოფებში, ნაწილებში, საარტილერიო ჯგუფებში მოწინააღმდეგის დაზვერვის, მიზნის აღმოჩენის და ცეცხლის კორექტირებისათვის ეწყობა საარტილერიო **ს.პ**-ები. საარტილერიო **ს.პ.** შეიძლება იყოს ძირითადი და დამხმარე (მეწინავე და გვერდითი); წარმოადგენს საარტილერიო ქვედანაყოფის (ნაწილის) საბრძოლო წყობის ელემენტს.

სათვალთვალო საგუშაგო, სპეციალურად მოწყობილი ადგილი, საიდანაც წარმოებს მიწისზედა და საჰაერო მოწინააღმდეგის თვალთვალი. საჯარისო დაზვერვის ორგანო.

საიდუმლო ოპერაცია, ოპერაცია, რომელსაც სპონსორობას უწევენ ან ხელმძღვანელობენ სამთავრობო ორგანიზაციები ან მათი წარმომადგენლები ისე, რომ დაცული იყოს საიდუმლოება. **ს.ო**. განსხვავდება ფარული ოპერაციისგან იმით, რომ უფრო მნიშვნელოვანია ოპერაციის გასაიდუმლოება, ვიდრე მისი სპონსორების ვინაობის გამჟღავნება.

საიდუმლოობის გრიფი (ფრანგული griffe – ბეჭედი), აღნიშვნა დოკუმენტზე, რაც მიუთითებს სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოს შემცველი ცნობების გასაიდუმლოების დადგენილ დონეს: „სამსახურებრივი სარგებლობისთვის“, „საიდუმლო“, „სრულიად საიდუმლო“, „განსაკუთრებული მნიშვნელობის“. ამ დონის მიხედვით წესდება ამ დოკუმენტებზე, შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკაზე მუშაობის, მათი შენახვის, მათდამი მოპყრობის რეჟიმი.

საიერიშო ცეცხლი, 1. შეტევაში მონაწილე ჯარების მიერ მოწინააღმდეგესთან მიახლოებისას გახსნილი ცეცხლი. 2. არტილერიაში – ზედმიწევნით ზუსტი, ახლო დისტანციის გამანადგურებელი ცეცხლი, მიმართული მითითებული მიზნებისკენ.

საიმედოობა (სამხედრო ტექნიკის), სამხედრო ტექნიკის თვისება, დადგენილ ვადაში შეინარჩუნოს ყველა ის პარამეტრი, რომელიც საჭიროა გათვალისწინებული რეჟიმით და ექსპლუატაციის პირობებით ფუნქციონირებისათვის. შეიძლება მოიცავდეს შეუფერხებლობას, გამძლეობის ხანგრძლივობას, სარემონტოდ ვარგისიანობას და შენახვისუნარიანობას, ცალცალკე ან გარკვეული ერთობლიობით. სამხედრო ტექნიკის **ს**-ის რაოდენობრივი მახასიათებლებისათვის გამოიყენება ერთეული (უმტყუნებო მუშაობის ალბათობა, საშუალო მტყუნებათშორისი ნამუშევარი, მტყუნებათა ინტენსივობა, საშუალო ხანგამძლეობა, აღდგენის დრო, საშუალო შენახვისუნარიანობის ვადა) და კომპლექსური (კოეფიციენტები – მზადყოფნის, ოპერატიული მზადყოფნის, ტექნიკური გამოყენებისა და სხვა) მაჩვენებლები.

საიმიტაციო საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

საიმიტაციო საშუალებები, შეიარღებისა და სამხედრო ტექნიკის გამნიღმბავი ნიშნების ამსახველი საშუალებები. ჩვეულებრივ ასახავენ სხვადასხვა დანიშნულების დაზიანების საშუალებების (ცეცხლსასროლი იარაღის სროლის, აფეთქების, მათ შორის ბირთვულის) მოქმედებას, სამხედრო ტექნიკისთვის დამახასიათებელ ხმაურს; ტექნიკის და ხელსაწყოების გამოსხივებას; ტექნიკის გარე იერსახეს. შესაბამისად **ს.ს**-ად ითვლება პიროტექნიკა, ოპტიკურ-ელექტრონული და რადიაციული მოწყობილობები, სამხედრო ტექნიკის მაკეტები და სხვა.

საინჟინრო დაზვერვა, იმ ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება მოწინააღმდეგის ადგილმდებარეობის და საინჟინრო მოწყობის, საინჟინრო ჯარების მდგომარეობის და შესაძლებლობების შესახებ მონაცემების მოპოვების მიზნით; დაზვერვის სახეობა. **ს.დ**. ავლენს მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული პოზიციების და რაიონების საინჟინრო მოწყობის ხასიათს და დონეს, მისი ღობურების სისტემას, ადგილმდებარეობის გამავლობას, საგზაო ქსლის და ხიდების მდგომარეობას, ნგრევის, ხერგილების, ხანძრების და დატბორვის რაიონებს, წყლის დაბრკოლებების ხასიათს და მათი ფორსირების პირობებს, ასევე – ადგილმდებარეობის შემნიღბავ და დამცავ თვისებებს, წყალმომარაგების წყაროებს, ადგილობრივი მასალებისა და იმ საშუალებების არსებობას, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ საინჟინრო უზრუნველყოფის ინტერესებისათვის და ა.შ. **ს.დ**-ს აწარმოებენ საინჟინრო ჯარების ქვედანაყოფები როგორც დამოუკიდებლად (საინჟინრო სათვალთვალო საგუშაგოები, სადაზვერვო მზირნი, ჯგუფები), ისე ჯარების სხვა გვარეობების სადაზვერვო ორგანოების შემადგენლობაში.

საინჟინრო ვითარება, იმ ფაქტორებისა და პირობების ერთობლიობა, რომლებიც ახასიათებენ ადგილმდებარეობას და მის საინჟინრო მოწყობას, საინჟინრო ჯარების (მოწინააღმდეგისა და საკუთარი) მდგომარეობას და შე-

საძლებლობას. ასევე სხვა ჯარების, ძალების და საშუალებების შესაძლებლობას და მოქმედებებს საინჟინრო უზრუნველყოფის ამოცანების შესასრულებლად. **ს.ვ**-ში შედის: საინჟინრო ჯარების (საკუთარი და მოწინააღმდეგის) შემადგენლობა და დაჯგუფება, ბუნებრივი დაბრკოლებებისა და ღობურების დახასიათება, ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობა საბრძოლო მოქმედებების ზოლში. ისინი გავლენას ახდენენ ჯარების მოქმედებებზე, დაზიანების საშუალებების ზემოქმედების შედეგად ადგილმდებარეობის ტაქტიკური თვისებების შეცვლაზე, აგრეთვე სხვადასხვა საშუალებებით და ხერხებით საინჟინრო ამოცანების შესრულების შესაძლებლობებზე.

საინჟინრო ნაგებობები, შენდება ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობის მიზნით. მათ რიცხვს განეკუთვნება: საფორტიფიკაციო ნაგებობები, სამხედრო გზები, ხიდები და აეროდრომები, არაასაფეთქებელი ღობურები, ე.წ. ცრუ ნაგებობები. შეიძლება იყოს რკინაბეტონის, ძელმიწური, ჯავშნიანი და სხვა. ფართოდ გამოიყენება სამრეწველო დამზადების ასაწყობ-დასაშლელი კონსტრუქციები.

საინჟინრო სამსახური, სპეციალური სამსახური ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში; ასრულებს საომარი მოქმედებების საინჟინრო უზრუნველყოფის, ჯარების (ძალების) საინჟინრო მომზადების, საინჟინრო შეიარაღების საშუალებებით მათი მომარაგების, სწორი გამოყენების და რემონტის უზრუნველყოფის ამოცანებს.

საინჟინრო ტექნიკა, საინჟინრო ჯარების მანქანები და მექანიზმები, რომლებიც განკუთვნილია საომარი მოქმედებების საინჟინრო უზრუნველყოფისათვის. მოიცავს სხვადასხვა დანიშნულების მანქანებს (სადაზვერვო, განღობვის, საგზაო, მიწის მთხრელი, ტვირთამწევი, ხე-ტყის დამამზადებელი, ხე-ტყის სახერხი, დესანტგადამყვანი, ნაღმების გადამღობი და ტრალები, პონტონური პარკები, მექანიზებული ხიდები, წყლის მოპოვების და წმენდა-გაფილტვრის დანადგარები და სხვა); ასევე – ელექტროტექნიკურ საშუალებებს (მოძრავი და სტაციონარული ელექტროსადგურები, სამუხტავი მოწყობილობები და სხვა), მომსახურებისა და რემონტის საშუალებებს.

საინჟინრო უზრუნველყოფა, იმ საინჟინრო ღონისძიებების და ამოცანების კომპლექსი, რომლებიც სრულდება ჯარებისათვის (ძალებისათვის) ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად, მათი დროული და ფარული დაწინაურების (წინ წაწევის), გაშლის, მანევრის მოწყობის, საბრძოლო ამოცანების შესრულების, დაზიანების სხვადასხვა საშუალებებისგან დაცვის გაძლიერების მიზნით, აგრეთვე მოწინააღმდეგისთვის დანაკარგის მისაყენებლად და მოქმედებების გასაძნელებლად. ის არის ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა. **ს.უ**-ში შედის: საინჟინრო დაზვერვა; ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობა; ღობურებში გასასვლელების გაყვანა და ამ გასასვლელების მოვლა-შენახვა; ბირთვული ნაღმების განადგურება (გაუვნებელყოფა); ადგილმდებარეობის და ობიექტების განაღმვა; მოწინააღმდეგის სადაზვერვო-სასიგნალო ხელსაწყოების განადგურება; მოძრაობის, მიწოდების და ევაკუაციის გზების მომზადება და მოვლა-შენახვა; წყლის დაბრკოლებების გადალახვის დროს გადასასვლელების მოწყობა და მოვლა-შენახვა; წყლის მოპოვება და წყალმომარაგების პუნქტების მოწყობა; შენიღბვის საინჟინრო ღონისძიებები; ჯარების მიერ ნგრევის, დატბორვის და ხანძრების რაიონების გადალახვის უზრუნველყოფა; მოწინააღმდეგის მაღალი სიზუსტის იარაღის სისტემების მოგერიება და მის მიერ მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების და ტექნოგენური კატასტროფების შედეგების ლიკვიდაცია და სხვა. **ს.უ**-ის ამოცანებს ასრულებენ ყველა გვარეობის ჯარების (ძალების), სპეციალური ჯარებისა და ლოგისტიკის ძალები. ყველაზე რთულ ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ მომზადებას, ასევე საინჟინრო-საბრძოლო მასალებისა და ტექნიკის გამოყენებას ასრულებენ საინჟინრო ჯარები.

საინჟინრო ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

საინჟინრო შეიარაღება, იმ საშუალებების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება ბრძოლის (ოპერაციის) საინჟინრო უზრუნველყოფისათვის. მოიცავს: საინჟინრო-საბრძოლო მასალებს (საინჟინრო ნაღმები, ასაფეთქებელი მუხტები, განაღმვის მუხტები) მათი საბრძოლო გამოყენების საშუალებებით (ნაღმგადამღობები, გამანაწილებლები და მიმომფანტველები, დისტანციური დანაღმვის სისტემები); საინჟინრო ტექნიკას; საინჟინრო ქონებას (სამრეწველო დამზადების შენიღბვის საშუალებები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, სასანგრო ინსტრუმენტები, განაღმვის კომპლექტები და სხვა).

საინჟინრო ჯარები, სპეციალური ჯარები, განკუთვნილი საინჟინრო უზრუნველყოფის იმ ყველაზე რთული ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც სპეციალურ მომზადებას და საინჟინრო შეიარაღების საშუალებების გამოყენებას მოითხოვენ. **ს.ჯ.** არის ბევრი სახელმწიფოს არმიებში. პირველად გაჩნდა საფრანგეთში – XVII საუკუნეში. II მსოფლიო ომის დროს **ს.ჯ.** აწყობდნენ ხერგილებს და იწვევდნენ ნგრევას მოწინააღმდეგის დამრტყმელი დაჯგუფებების შეტევის გზებზე, აწყობდნენ თავდაცვის ზღუდეებს, შეტევის დროს აწარმოებდნენ საინჟინრო დაზვერვას, გაჰყავდათ გასასვლელები მოწინააღმდეგის ღობურებში, უზრუნველყოფდნენ წყლის ზღუდეების ფორსირებას, გზების მომზადებას ჯარების

წინ წაწევის და მანევრისათვის, დაკავებული ზღუდეების გამაგრებას და სხვა. თანამედროვე არმიების **ს.ჯ.** შედგება სხვადასხვა დანიშნულების შენაერთებისგან, ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან: საინჟინრო-მესანგრეთა (მესანგრეთა), მოიერიშე, ღობურების დაყენების და განღობვის, საინჟინრო-საგზაო, ხიდმშენებელი (ხიდური), პონტონხიდური (პონტონები), დესანტგადამსხმელი (ამფიბიები), პოზიციური, შენიღბვის, საველე წყალმომარაგების (წყლის მოპოვებისა და გაწმენდის), საინჟინრო-სამშენებლო და სხვა. ზოგიერთ არმიაში არის საინჟინრო ნაწილები და ქვედანაყოფები ბირთვული ნადმების (ფუგასების) გამოსაყენებლად. ორგანიზაციულად **ს.ჯ.** შედიან გაერთიანებების, შენაერთებისა და ნაწილების შემადგენლობაში.

საინჟინრო-კოსმოსური უზრუნველყოფა, ტექნოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება კოსმოსური აპარატების მომზადების, დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე ან საპლანეტათშორისო ტრაექტორიაზე გაყვანის და ნორმალური ფუნქციონირების მიზნით; ტექნიკური უზრუნველყოფის სახეობა მოიცავს: კოსმოსური აპარატების შენახვის ორგანიზაციას; კოსმოსური აპარატების მომზადებას ფრენის ამოცანების შესასრულებლად; კოსმოსური სისტემების ტექნიკური მომსახურების მოწყობას; კოსმოსური აპარატების რემონტს დედამიწასა და ორბიტაზე; მრავალჯერადი კოსმოსური აპარატების შემდგომ აღდგენასა და მომდევნო ფრენისათვის მომზადებას; კოსმოსური აპარატების ავარიებისა და დაზიანებების შედეგების ლიკვიდაციისა და ლოკალიზაციის სამუშაოების შესრულებას.

საინჟინრო-რადიოელექტრონული უზრუნველყოფა, იმ რადიოელექტრონული საშუალებების მდგრადი მუშაობის ხელშემწყობი ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც წარმოადგენენ როგორც დამოუკიდებლად მოქმედი სამხედრო ტექნიკის ნიმუშებს, ისე საბრძოლო საშუალებების, შეიარაღების კომპლექსების და სისტემების შემადგენელ ნაწილებს; საარტილერიო-ტექნიკური უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. **ს.-რ.უ.** მოიცავს: ჯარების (ძალების) შეიარაღებაში შემოსული რადიოელექტრონული საშუალებების ამოქმედებას, მათი ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ორგანიზაციას. სრულდება, ჯარების ძალებით და საშუალებებით, ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილებით და დაწესებულებებით აგრეთვე ლოგისტიკის ძალებით და საშუალებებით.

საინჟინრო-სააეროდრომო სამსახური, სამხედრო-საჰაერო ძალების ლოგისტიკისა და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების ავიაციის ერთ-ერთი სამსახური. განკუთვნილია საომარი მოქმედებების საინჟინრო-სააეროდრომო უზრუნველყოფის და საავიაციო ნაწილების, შენაერთების საბრძოლო მომზადებისათვის. მის შემადგენლობაში შედის საინჟინრო-საეროდრომო და საეროდრომო-საექსპლუატაციო ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების მშენებლობის, მოვლა-შენახვის და მიმდინარე რემონტისათვის.

საინჟინრო-საეროდრომო უზრუნველყოფა, იმ ღონისძიებების კომპლექსი, რომელთა მიზანია აეროდრომების მომზადება და ექსპლუატაციისათვის მუდმივი მზადყოფნა მშვიდობიანობის და ომიანობის დროს. ასევე ავიაციის საბრძოლო მზადყოფნის, სიცოცხლისუნარიანობის და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა; ლოგისტიკური უზრუნველყოფის სახეობა. **ს.-ს.უ.** მოიცავს: აეროდრომების მშენებლობას, აღდგენას, რეკონსტრუქციას; მათი მისასვლელი გზების მომზადება-შენახვას და აეროდრომების შენახვას მუდმივი საექსპლუატაციო მზადყოფნის მდგომარეობაში; საავიაციო ნაწილების სიცოცხლისუნარიანობის ამაღლების და შენიღბვის საინჟინრო ღონისძიებების გატარებას. **ს.-ს.უ.** ახორციელებენ საინჟინრო-საეროდრომო ნაწილები და ქვედანაყოფები სხვა სამსახურებთან ურთიერთქმედებით.

საინჟინრო-საავიაციო სამსახური, სპეციალიზებული სამსახური ზოგი სახელმწიფოს სამხედრო-საავიაციო ძალებსა და სხვა სახეობების ავიაციაში. განკუთვნილია საომარი მოქმედებების საინჟინრო-საავიაციო უზრუნველყოფისთვის და სამხედრო ავიაციის, საავიაციო შენაერთების და ნაწილების საბრძოლო მომზადების, აგრეთვე ბორტინჟინრების, ტექნიკოსებისა და მექანიკოსების სწავლებისათვის.

საინჟინრო-საავიაციო უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ემსახურება საავიაციო ტექნიკის გამართულ შენახვას და მზადყოფნას საბრძოლო დანიშნულების შესაბამისად გამოყენებისათვის; ტექნიკური უზრუნველყოფის სახეობა სამხედრო-საჰაერო ძალებსა და შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ავიაციაში. **ს.-ს.უ**-ში შედის შემდეგი ამოცანები: საავიაციო ტექნიკის მუდმივად გამართულ მდგომარეობასა და საბრძოლო მზადყოფნაში შენახვისათვის; ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება; საავიაციო ტექნიკის მომზადება საბრძოლო ფრენისათვის გათვალისწინებულ ვადებში; დროული რემონტი იმ საავიაციო ტექნიკისა, რომელსაც მიღებული აქვს საბრძოლო და საექსპლუატაციო დაზიანებები; მფრინავების და საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის მიერ საავიაციო ტექნიკის სწორი ექსპლუატაციის ორგანიზება; მისი რაოდენობის და მდგომარეობის აღრიცხვა; საავიაციო ტექნიკის მიღების უზრუნველყოფა და სხვა. **ს.-ს.უ**-ს ახორციელებს

საინჟინრო-საავიაციო სამსახური სხვა სამსახურებთან ურთიერთქმედებით.

საინჟინრო-საარტილერიო უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს საბრძოლო და სასწავლო ამოცანების შესასრულებლად საარტილერიო შეიარაღების მუდმივი მზადყოფნის მდგომარეობაში შენახვას. საარტილერიო-ტექნიკური უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. **ს.-ს.უ**-ში შედის: შეიარაღების, საბრძოლო მასალების და საარტილერიო ქონების მიღების და ჯარებისთვის (ძალებისთვის) გაცემის (მიტანის) ორგანიზება; საბრძოლო მასალების დაწესებული ოდენობის მარაგის შექმნა, ხარჯის დროული შევსება; საარტილერიო შეიარაღების გამართულ მდგომარეობაში შენახვა, დაზიანების შემთხვევაში მისი რემონტი.

საინჟინრო-სადაზვერვო მანქანა, მუხლუხა, ჯავშნიანი მცურავი მანქანა, რომელიც აღჭურვილია საინჟინრო დაზვერვისა და ნავიგაციის საშუალებებით. აქვს სასროლი და საარტილერიო შეიარაღება. საშუალებას იძლევა, მიიღონ მონაცემები ადგილმდებარეობის გამავლობისა და დახრილობის, ნაღმასაფეთქებელი ღობურების არსებობის და ხასიათის შესახებ. ასევე – მონაცემების მიღება ადგილმდებარეობის დასნებოვნების და მისი გვერდის ავლის გზების, წყლისმიერი დაბრკოლებების სიგანის, სიღრმის, დინების სიჩქარისა და ფსკერის სიმკვრივის თაობაზე და სხვა.

საინჟინრო-სადაზვერვო მზირნი, იხ. *მზირნი, საინჟინრო დაზვერვა.*

საინჟინრო-სარაკეტო სამსახური, სამსახური ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალების საზენიტო-სარაკეტო ჯარებსა და სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო ჯარებში, რომელიც განკუთვნილია საინჟინრო-სარაკეტო უზრუნველყოფისათვის. ძირითადი ამოცანაა უზრუნველყოს რაკეტების, საზენიტო რაკეტებისა და რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების კომპლექსების, გამშვები დანადგარებისა და სპეციალური მანქანების მოვლა-შენახვა საბრძოლო მზადყოფნის პირობებში.

საინჟინრო-სარაკეტო უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ემსახურება გამშვები დანადგარების (მოწყობილობების), სარაკეტო, საზენიტო- სარაკეტო, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებისა და კოსმოსური საშუალებების მიწისზედა კომპლექსების, აგრეთვე სარაკეტო (საზენიტო-სარაკეტო) ჯარების, სარაკეტო-ტექნიკური ნაწილების საბრძოლო მზადყოფნას, ჯარების (ძალების) უზრუნველყოფას მატერიალური ნაწილით, დაზიანებული შეიარაღების აღდგენას. **ს.-ს.უ**. საარტილერიო-ტექნიკური უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილია.

საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობა (შეიარაღებულ ძალებში), სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც უკავიათ საშტატო ინჟინრების და ტექნიკოსების თანამდებობები ნაწილებში (ხომალდებზე), შენაერთებში, გაერთიანებებში, დაწესებულებებსა და სამხედრო სასწავლებლებში.

საინფორმაციო დომინირება, საინფორმაციო უპირატესობის ის ხარისხი, რომელიც მის მფლობელს უფლებას აძლევს კონფლიქტის დროს გამოიყენოს საინფორმაციო სისტემები და საშუალებები. **ს.დ**. ხდება სტაბილურობის და მხარდაჭერის ოპერაციებში ოპერატიული უპირატესობის მოსაპოვებლად ან სიტუაციის გასაკონტროლებლად ისე, რომ დაპირისპირებულ მხარეს არ მისცეს ამის საშუალება.

საინფორმაციო მოთხოვნილება, მოთხოვნილება ინფორმაციაზე, რომელიც ეხება მოწინააღმდეგეს და მის გარემოცვას. მისი შეგროვება და დამუშავება აუცილებელია მეთაურისათვის განკუთვნილი სრულყოფილი სადაზვერვო მონაცემებისათვის.

საინფორმაციო ომი (სახმელეთო ჯარებისთვის), საინფორმაციო უპირატესობის მოპოვების მიზნით მოწინააღმდეგის ინფორმაციაზე, ინფორმაციის დამუშავების პროცესზე და საინფორმაციო საშუალებებზე ზეგავლენის მოხდენა, იმავდროულად საკუთარი საინფორმაციო სისტემების დაცვა მოწინააღმდეგის მხრიდან მსგავსი ქმედებებისგან.

საინფორმაციო ოპერაციები, უწყვეტი ოპერაციები სამხედრო ინფორმაციაზე მოთხოვნილების არსებობის შემთხვევაში. მათი მიზანია საკუთარი ძალების დაცვა და მათთვის საშუალების მიცემა ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების შემდეგ იმოქმედონ ამ ინფორმაციის შესაბამისად. ეს მათ სამხედრო ოპერაციების განმავლობაში მოწინააღმდეგეზე უპირატესობას ანიჭებს. **ს.ო**. გულისხმობს გლობალურ საინფორმაციო ქსელში თანამშრომლობას და მოწინააღმდეგის შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გამოყენებას საკუთარი ძალების სასარგებლოდ ან მოწინააღმდეგის სავარაუდო ჩანაფიქრის და გადაწყვეტილების ჩასაშლელად.

საინფორმაციო სისტემები (სახმელეთო ჯარებისთვის), ინფრასტრუქტურა, პირადი შემადგენლობა და ქვედანაყოფები, რომლებიც დაკავებული არიან ინფორმაციის შეგროვებით, დამუშავებით, შენახვით, გადაცემით, გამჟღავნებით, გავრცელებით და მოქმედებენ ამ ინფორმაციის ხასიათის შესაბამისად.

საკვალიფიკაციო კომისია, სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სპეციალური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო მოსამსახურეების პროფესიულ მომზადებას და იბარებს გამოცდებს ამა თუ იმ კლასის კვალიფიკაციის მისანიჭებლად (დასადასტურებლად). შეიძლება იყოს საშტატო **ს.კ**-ები (შეიარაღებული ძალების სახეობებში) ან არასაშტატო – გაერთიანებებში, შენაერთებში,

სამხედრო ნაწილებში (ხომალდებზე), სამხედრო სასწავლებლებსა და სხვა.

საკვამლე საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

საკვამლე საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

საკვანძო პოზიცია, ადგილი, რომელიც თავისი ზომების ან მდებარეობის გამო ძირითადი პოზიციაა ტერიტორიაზე კონტროლის დასამყარებლად და საიდანაც შეიძლება ცეცხლის გახსნა ნებისმიერი მიმართულებით.

საკიდარი, საარტილერიო ქვემეხის ნაწილი, რომელიც გამიზნულია ლულის განთავსების და მისი უკუგორება-მიგორების მიმართვისათვის. თავისი სტაცით ეყრდნობა ზედა დაზგას და ლულასთან ერთად ქვემეხის მოქანავე ნაწილს წარმოადგენს. კონსტუქციის მიხედვით განასხვავებენ ცილინდრულ და ვარცლიან **ს**-ებს.

საკიდი მოწყობილობა, მექანიზმები, რომლებიც საბრძოლო ან სატრანსპორტო მანქანებზე ძირითადად საინჟინრო უზრუნველყოფისთვის მონტაჟდება. მოიცავს საბულდოზერო, საექსკავატორო, საგრეიდერო, საბურღ და სხვა მოწყობილობებს. **ს.მ**-ის გამოყენება ჯარებისთვის სპეციალური მანქანების საჭიროებას ამცირებს.

საკომენდანტო სამსახური, ღონისძიებათა სისტემა, რომელიც ეწყობა ჯარების დროული და ფარული გადაადგილების, თავმოყრის, გაშლის და განლაგების, მათი საბრძოლო მოქმედებების რაიონებში საერთო წესრიგის დამყარების მიზნით. მას ეკისრება: საბრძოლო მოქმედებების ზოლებში, მარშრუტებზე, გადასასვლელებზე, ღობურებში, ნანგრევებში და დასნებოვნებულ ადგილებში მოძრაობის რეგულირება; მართვის პუნქტების, ჯარების და ლოგისტიკის კოლონების ორგანიზებული გადაადგილების უზრუნველყოფა; განლაგების, გადაადგილების და მასკირების ზომების წესების დაცვის კონტროლი; ჩამორჩენილი სამხედრო მომსახურების, საბრძოლო ტექნიკის და შეიარაღების თავმოყრა და სამხედრო ნაწილში დაბრუნება; მარშრუტების და მათზე განლაგებული ობიექტების დაცვა; მოწინააღმდეგის საზღვაო-დივერსიულ ჯგუფებთან და აგენტურასთან ბრძოლის ორგანიზება; მარშრუტებზე რადიაციული და ქიმიური დაკვირვების წარმოება; ჯარების მოქმედების და განლაგების რაიონებში ადგილობრივი მოსახლეობის ქცევის და გადაადგილების ნორმების განხორციელება. ზოგიერთ სახელმწიფოში **ს.ს.** ხორციელდება სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფების ანალოგიურად.

საკომუნიკაციო ზონა, საბრძოლო მოქმედების რაიონის ზურგის ნაწილი (საბრძოლო მოქმედების ზონის უკანა, მაგრამ მომიჯნავე მხარე), სადაც გადის საკომუნიკაციო ხაზები, განლაგებულია მომარაგების, უზრუნველყოფის და საევაკუაციო დაწესებულებები და სხვა ნაგებობები, რომლებიც საჭიროა საველე (საბრძოლო) ნაწილების სხვადასხვა სახის მხარდაჭერისთვის და დაუყოვნებელი ტექნიკური მომსახურების უზრუნველსაყოფად.

საკომუნიკაციო ხაზები, ყველა მარშრუტი (სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო), რომლითაც სამხედრო ძალა დაკავშირებულია საბრძოლო მოქმედების რაიონთან და რომლებზეც ხდება სამხედრო ქვედანაყოფების და მარაგის გადაადგილება.

საკონტროლო პუნქტი, 1. წინასწარ დადგენილი პუნქტი, რომელიც გამოიყენება როგორც გადაადგილების კონტროლის, ცეცხლის კორექტირების ან ადგილმდებარეობის მითითების საშუალება. 2. დაზიანების ცენტრი (აფეთქების ცენტრი). 3. გეოგრაფიული პუნქტი ხმელეთსა ან წყალზე, საიდანაც შესაძლებელია მფრინავი ობიექტის აღმოჩენა თვალთვალით ან ელექტროხელსაწყოებით. 4. ადგილი, სადაც საბრძოლო მოქმედებების დროს სამხედრო პოლიცია აკონტროლებს ტრანსპორტის ან ქვეითების გადაადგილებას.

საკონცენტრაციო ბანაკები, პოლიტიკური, სოციალური, რასობრივი, რელიგიური და სხვა ნიშნის მიხედვით დაპატიმრებული ადამიანების ადგილსამყოფელი. დამახასიათებელია რეპრესიული რეჟიმებისთვის. გამოიყენება როგორც ძალადობრივი ანგარიშსწორების დაწესებულება. მისი დანიშნულებაა გარკვეული კატეგორიის პირების იზოლაცია ან მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის განადგურება. პირველად შეიქმნა ინგლისელების მიერ XX საუკუნის დასაწყისში, სამხრეთაფრიკელ ბურებთან ომის დროს. **ს.ბ**-ს ფართოდ იყენებდა II მსოფლიო ომის დროს ფაშისტური ერმანია. **ს.ბ**-ის სისტემა ლიკვიდირებულ იქნა ფაშიზმის განადგურების შემდეგ, დაიგმო ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის მიერ, როგორც კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

საკუთარ ძალებზე ინფორმაციის მოთხოვნა, ინფორმაცია ოპერაციაში მონაწილე ძალების შესახებ, რაზეც არსებობს მეთაურის ან შტაბის მოთხოვნა. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მონაცემებს პირადი შემადგენლობის, სარემონტო-ტექნიკური საშუალებების, მომარაგების, აღჭურვილობის, საწვავ-საპოხი მასალების შესახებ, გარდა ამისა, საბრძოლო ქვედანაყოფების გამოცდილების და ხელმძღვანელობის უნარიანობის შესახებ.

საკუთარი ძალების აღნიშვნა, ღონისძიებები და მოქმედებები, რომლებიც ადგილმდებარეობაზე, ზღვაში და ჰაერში წინასწარ დაწესებული სიგნალებით ჯარების (ძალების) ურთიერთამოცნობას უზრუნველყოფენ. მრავალი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო მოქმედებების და საჯარისო (ფლოტის) სწავლების დროს საკუთარ ჯარებზე (ძალებზე)

თავისივე საცეცხლე საშუალებებით დარტყმების გამორიცხვის მიზნით ხორციელდება. საკუთარი ძალების აღსანიშნავად გამოიყენება ვიზუალური, ხმოვანი, რადიო, რადიოტექნიკური და სხვა სიგნალები.

სალაშქრო დაცვა, იხ. *დაცვა.*

სალაშქრო ზყობა, მარშის შესრულებისთვის (ზღვით გადასვლისთვის) ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების, ხომალდების დაწყობა მათი გაძლიერების საშუალებებით. ნაწილების და შენაერთების **ს.ზ**. შედგება კოლონებისგან, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია საჯარისო ინსტანციის მასშტაბზე, მის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, მიღებულ საბრძოლო ამოცანაზე, მარშრუტების რაოდენობაზე. საერთო-საჯარისო ნაწილების და შენაერთების მარშის შესრულების დროს **ს.ზ**. ბრძოლაში ჩაბმის მოლოდინის პირობებში, ჩვეულებრივ, მოიცავს მეწინავე რაზმს, სალაშქრო დაცვას, მოძრაობის უზრუნველყოფის ჯგუფებს, მთავარი ძალების კოლონებს, ტექნიკური უზრუნველყოფის ნაწილების და ქვედანაყოფების კოლონებს და ლოგისტიკას. მოწინააღმდეგესთან შეხების საფრთხის გარეშე მარშის შესრულების დროს ავანგარდი არ იგზავნება. ხომალდების **ს.ზ**., ჩვეულებრივ, შედგება მთავარი ძალებისგან, ტაქტიკური დაზვერვის ჯგუფისგან, რადიოლოკაციური მზირისგან, დაფარვის გამანადგურებლებისგან; ასევე შორეული საჰაერო ნავსაწინააღმდეგო დაცვისგან, კატარღასაწინააღმდეგო დაცვის დამრტყმელი ჯგუფის ხომალდებისგან, სპეციალური დანიშნულების ჯგუფებისგან და სხვა.

სალვადორი (El-Salvador – ელ-სალვადორის რესპუბლიკა) სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე. **ფ**ართობი 21 ათ. *კმ*². მოსახლეობა 6,1 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. სან-სალვადორი. ადმინისტრაციულად იყოფა 14 დეპარტამენტად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი საკანონმდებლო კრება (პარლამენტი). დამოუკიდებლობა მოიპოვა 1821 წელს, რესპუბლიკად გამოცხადდა 1841 წელს. **ს**. აგრარული ქვეყანაა. მთავარი საექსპორტო კულტურებია: ყავა, ხილი, შაქრის ლერწამი, ბამბის ბოჭკო. საზღვაო პორტებია: აკახუტლა, ლა-ლიბერტადი, ლა-უნიონი, პუერტო-კუტეკო. საერთაშორისო აეროპორტია სან-სალვადორში. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 15,5 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 13,8 ათ. კაცი, სამხედრო-საჰაერო 0,95 ათ., სამხედრო-საზღვაო 0,75 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

სამამულო ომი, საყოველთაო-სახალხო ომი ქვეყნის, მისი ტერიტორიული მთლიანობის, დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის დასაცავად. **ს.ო.** მიზნად ისახავს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შენარჩუნებას, აღდგენას ან მოპოვებას. მიმდინარეობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის ან გარე აგრესორის წინააღმდეგ თავდაცვითი ომის სახით. **ს.ო**-ს ახასიათებს საზოგადოების მთელი ძალების და საშუალებების მაქსიმალური მობილიზაცია უცხოელი დამპყრობლის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის ისტორიაში II მსოფლიო ომის დროს ბრძოლა გერმანელი დამპრყრობლების წინააღმდეგ **ს.ო**-ად იქნა აღიარებული.

სამანევრო ჯგუფი, ზოგიერთი ქვეყნის სასაზღვრო ჯარებში საბრძოლო ქვედანაყოფი, რომელიც შედგება რამდენიმე სასაზღვრო საგუშაგოსგან, აგრეთვე სხვა საბრძოლო ქვედანაყოფებისა და საბრძოლო უზრუნველყოფის ქვედანაყოფებისგან. შეიძლება იყოს მოტოსამანევრო (ჯავშანტრანსპორტიორებზე და ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებზე) ან სადესანტო (მოიერიშე ვერტმფრენებზე). **ს.ჯ**-ის ძირითადი ამოცანებია დივერსიული ბანდების წინააღმდეგ ბრძოლა და საზღვრის მეორე მხრიდან უეცარი შემოჭრის მოგერიება, ბრძოლა სისხლისსამართლებლივ და პოლიტიკურ ბანდიტიზმთან, შეიარაღებულ კონტრაბანდასთან და საზღვრის მასობრივ დარღვევებთან, ცალკეული უბნების თავდაცვა საზღვარზე და სიღრმეში. ზოგიერთ შემთხვაში **ს.ჯ**. გამოიყენება სარეიდო მოქმედების წარმოებისათვის. საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად შეიძლება გაძლიერდეს არტილერიით, ტანკებით, სხვა ძალებითა და საშუალებებით.

სამართლებრივი აღზრდა (შეიარაღებულ ძალებში), სამხედრო მოსამსახურეების ცნობიერებასა და ყოფაქცევაზე მიზანმიმართული ზემოქმედება მათთვის ღირებული ორიენტაციების, შთამაგონებელი მოტივების და განწყობილების გამოსამუშავებლად. ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში უნდა იმოქმედონ იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრავენ მოქალაქეების უფლებებს და მოვალეობებს, არეგულირებენ სამხედრო საქმიანობას. აღმზრდელობითი მუშაობის შემადგენელი ნაწილი. მჭიდრო ურთიერთკავშირშია სამხედრო მოსამსახურეების აღზრდის ყველა სახობასთან. წარმოადგენს სამხედრო დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების საშუალებას.

სამარშო მომზადება, ჯარების სწავლება მარშის ორგანიზაციის და სრულყოფისთვის. **ს.მ**. მოიცავს: ოფიცრების მიერ სახელმძღვანელო დოკუმენტების შესწავლას და მათ ვარჯიშს მარშის ორგანიზაციისა და დაგეგმვისთვის; პირადი შემადგენლობის ვარჯიშს საბრძოლო (სატრანსპორტო) მანქანებში ჩატვირთვასა (ჩასხდომასა) და გადმოტვირთვაში (გადმოსხმაში); მოძრაობის დისციპლინის, უსაფრთხოების ზომების და მარშის ყოველმხრივი უზრუნველყოფის წესის დამუშავებას;

მოქმედებებს დასვენების, სხვადასხვა წინაღობის და ღობურების გადალახვისას, ასევე მოწინააღმდეგის თავდასხმის დროს; მოქმედებს დაცვის, დაზვერვის და სხვა ორგანოების შემადგენლობაში. **ს.მ**-ში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბრძოლო და სხვა მანქანების მძღოლ-მექანიკოსების (მძღოლების) სწავლებას, რომელიც მოიცავს – ტექნიკურ, ტაქტიკურ მომზადებას და ტარების შესწავლას. ძირითად და ყველაზე ეფექტურ ფორმას წარმოადგენს ტაქტიკური სწავლებები და მანევრები.

სამარშო ქვედანაყოფი, ომის დროს დროებითი სამხედრო ფორმირება (ბატალიონი, ასეული, გუნდი), რომელიც იგზავნება მოქმედი არმიის ნაწილების დასაკომპლექტებლად. ყალიბდება პირადი შემადგენლობისაგან, რომელსაც გავლილი აქვს მომზადება სასწავლო და სარეზერვო ნაწილებში, სასწავლო ცენტრებსა და პოლიგონებზე. პირადი შემადგენლობის გაგზავნის წინ **ს.ძ**. იღებს ეკიპირების სრულ კომპლექტს და საგზლად კვების პროდუქტებს.

სამასი არაგველი, *კრწანისის ბრძოლაში* გმირულად დაღუპული მეომრების რაზმი არაგვის ხეობიდან. მათი თავდადება ფართოდ აისახა ხალხურ სიტყვიერებაში.

სამასი სპარტელი, იხ. *თერმოპილე.*

სამაშველო სამუშაოები, იმ ღონისძიებების სისტემა, რომლებიც ტარდება სპეციალურად ფორმირებული ქვედანაყოფებით ადამიანების, კულტურული ფასეულობების, საგანგებო სიტუაციის ზონაში ბუნებრივი გარემოს დასაცავად. ასევე საგანგებო სიტუაციის ლოკალიზაციის, ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის მავნე ფაქტორების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით. **ს.ს**. მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: საგანგებო სიტუაციის ზონაში დაზვერვა, დაშავებულების ძებნა და დებლოკირება, მათთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა, დაზიანების ზონიდან ევაკუაცია და სასიცოცხლო უზრუნველყოფა. **ს.ს**-ში მონაწილეობენ სამოქალაქო თავდაცვის ჯარები და ფორმირებები, საძიებო-სამაშველო სამსახურის, კატასტროფის მედიცინის, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის, შსს-ს და შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები, აგრეთვე საუწყებო სამაშველო სამსახურების ფორმირებები.

სამდევრო, მცირე სამხედრო-ტერიტორიული ერთეული ქართლ-კახეთის სამეფოში, შეიქმნა *„ლეკიანობასთან“* ბრძოლის პერიოდში (XVIII საუკუნე). ზემო ქართლის სადროშო, მაგალითად, ოთხ **ს**-დ იყო დაყოფილი. მოთარეშეების გამოჩენის შემთხვევაში **ს**-ს სოფლების ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა წინასწარ დანიშნული სარქარდარების მეთაურობით დათქმულ ადგილებში იკრიბებოდა წინააღმდეგობის გასაწევად. ამავე დროს მაცნეებს აფრენდნენ მეზობელ **ს**-ებში, რათა იქაც მიეღოთ საჭირო ზომები. მდევარში უმიზეზოდ გამოუცხადებლობისთვის სათანადო სასჯელი იყო გათვალისწინებული.

სამდინარო ფლოტი, იმ გემების და მცურავი საშუალებების კრებსითი სახელწოდება, რომლებიც გამოიყენება ტვირთის და მგზავრების ტრანსპორტირებისათვის ძირითადად შიდა წყალსანაოსნო გზებზე (მდინარეები, ტბები, არხები, წყალსაცავები და სხვა), აგრეთვე პირდაპირი სამდინარო-საზღვაო გადაზიდვებისათვის („მდინარე-ზღვა“ კლასის გემები). **ს.ფ**. შეიცავს თვითმავალ და არათვითმავალ გემებს: სატრანსპორტო (სამგზავრო, სატვირთო-სამგზავრო, სატვირთო, მშრალტვირთიანი, ჩასასხმელი, მიმწოლი, ბუქსირი), ტექნიკურ (მიწახაპია აგრეგატები, გრუნტგადამტანი შალანდები და სხვა), დამხმარე (მცურავი სახელოსნოები და დოკები, სანიტარული, საწმენდი და სათბობ-გასამართი სადგურები, დებარკადერები, მცურავი ამწეები და სხვა) და სპეციალური დანიშნულების გემებს (ყინულმჭრელები, ბორნები, სახანძრო, სარეიდო გემები და სხვა).

სამდინარო ფლოტილია, იხ. *ფლოტილია.*

სამედიცინო დაზვერვა, იმ ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც მოქმედებენ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობაზე, ჯარების (ძალების) სანიტარიულ-ეპიდემიურ ვითარებაზე, მათი სამედიცინო უზრუნველყოფის ორგანიზაციასა და სამედიცინო სამსახურის საქმიანობაზე. **ს.დ**. იყოფა: სამედიცინო-ტაქტიკურ და სანიტარიულ-ეპიდემიურად. სამედიცინო-ტაქტიკური დაზვერვა აგროვებს ინფორმაციას ფაქტორებზე, რომლებიც მოქმედებენ სამედიცინო ქვედანაყოფების, ნაწილების და დაწესებულებების გაშლასა და საქმიანობაზე, ხოლო სანიტარიულ-ეპიდემიური ხორციელდება ჯარების (ძალების) ხელსაყრელი სანიტარიულ-ეპიდემიური და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის და პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობაზე, წყლის და კვების ადგილობრივ რესურსზე ინფორმაციის მოპოვების მიზნით. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის ჯარებში ჯანმრთელობის და მისი სამედიცინო სამსახურის მიერ გატარებული სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიური ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით.

სამედიცინო დახმარება, სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება დაჭრილების და ავადმყოფების სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მათი ჯანმრთელობის სწრაფად აღსადგენად. განასხვავებენ **ს.დ**-ის შემდეგ სახეებს: პირველადი – რომელიც ტარდება ადგილზე თვითდახმარების (ურთიერთდახმარების) სახით ან უმცროსი სამედიცინო პერსონალის მიერ; ექიმამდელი – საშუალო სამედიცინო

მუშაკების მიერ, როგორც წესი, ქვედანაყოფში; პირველადი საექიმო – საერთო პრაქტიკის ექიმის მიერ ნაწილში; კვალიფიციური – ქირურგების და თერაპევტების მიერ სამედიცინო სამსახურის ნაწილებსა და დაწესებულებებში; სპეციალიზებული – ექიმ-სპეციალისტების მიერ ჰოსპიტლებში.

სამედიცინო ვითარება, სამხედრო-სამედიცინო ხასიათის ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც გავლენას ახდენს სამედიცინო უზრუნველყოფაზე. **ს.ვ**-ის ძირითად ელემენტებს შეადგენს: პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ცვლილებების დინამიკა; საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების განთავსების (გადაადგილების) და მომავალი საბრძოლო მოქმედებების რაიონების სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიური მდგომარეობა; დაჭრილების და ავადმყოფების ყოფნა ჯარებში, სამედიცინო ქვედანაყოფებში, ნაწილებსა და დაწესებულებებში; სამკურნალო, პროფილაქტიკური და საევაკუაციო ღონისძიებების აუცილებლობა და მასშტაბები; სამედიცინო სამსახურის ძალების და საშუალებების არსებობა და მდგომარეობა; ადგილობრივი რესურსები და მათი გამოყენება.

სამედიცინო კონტროლი, პირადი შემადგენლობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სანიტარიულ-ჰიგიენური და ეპიდემიური ნორმების და წესების დაცვაზე სისტემატური მეთვალყურეობა. ხორციელდება პირადი შემადგენლობის ყოველწლიური საკონტროლო სამედიცინო გამოკვლევა, გასინჯვა და ყოველდღიური მეთვალყურეობა.

სამედიცინო სამსახური, განკუთვნილია ჯარების (ძალების) სამედიცინო უზრუნველყოფის ორგანიზება-განხორციელებისათვის. მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში შედგება სხვადასხვა სამედიცინო ქვედანაყოფების, ნაწილების, დაწესებულებებისა და მმართველი ორგანოებისაგან.

სამედიცინო უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნების, ჯანმრთელობის დაცვის, დროული სამედიცინო დახმარების გაწევის, დაჭრილების და ავადმყოფების რეაბილიტაციის მიზნით. ჯარების (ძალების) მოქმედებების უზრუნველყოფის სახეობა. **ს.უ.** მოიცავს: სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სამკურნალო-საევაკუაციო, სანიტარიულ-ჰიგიენურ და ეპიდემიურ ღონისძიებებს. ასევე ჯარების (ძალების) მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვის სამედიცინო ღონისძიებებს.

სამედიცინო ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

სამეთაურო ინსტანციები, იხ. *დაქვემდებარების წესი.*

სამეთაურო მომზადება, სასწავლო ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია გენერლების და ადმირალების, ოფიცრების, ზემდეგების და მიჩმანების, სერჟანტებისა და რიგითების (კაპრალების) პროფესიული და მეთოდიკური ოსტატობის ამაღლება; საბრძოლო და ოპერატიული მომზადების შემადგენელი ნაწილი. **ს.მ**-ის მაღალი ხარისხი მართვის ორგანოების მომზადების, ჯარების (ძალების) საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი პირობაა. **ს.მ**-ის მთავარი მიზნებია: მეთაურების შემადგენლობის ცოდნის და უნარის სრულყოფა, მაღალ საბრძოლო დონეზე ჯარების (ძალების), დაქვემდებარებული შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების მზადყოფნა საბრძოლო მოქმედებებისა და ცეცხლის მართვის ორგანიზების სრულყოფისთვის; ასევე **ს.მ**. მიზნად ისახავს: განუვითაროს ხელქვეითებს მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები, შემოქმედებითი აზროვნება, ინიციატივა, სამხედრო ეშმაკობა, გონივრული რისკის გაწევის უნარი; ასწავლოს ჯარების (ძალების) ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობა, მართლწესრიგისა და მაღალი მხედრული დისციპლინის დაცვა; დააუფლოს სწავლების და აღზრდის მოწინავე გამოცდილებას.

სამეთაურო პუნქტი, მართვის ძირითადი პუნქტი, რომლიდანაც ხორციელდება ჯარების (ძალების) ხელმძღვანელობა საომარი მოქმედებების მომზადების და მსვლელობის დროს. იქმნება შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ნაწილებში, შენაერთებსა და გაერთიანებებში. **ს.პ**-ები შეიძლება იყოს მოძრავი და სტაციონარული. **ს.პ**-ში სარდლობის (მეთაურის) გარდა იმყოფება შტაბის ძირითადი შემადგენლობა, ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების სარდლობა (უფროსები) საჭირო პირადი შემადგენლობით. მათ მუშაობას უზრუნველყოფს კავშირგაბმულობის კვანძი და უზრუნველყოფის ჯგუფი. საჭიროებისას მეწინავე გაერთიანებებში, გაერთიანებებსა და შენაერთებში იქმნება მართვის საჰაერო პუნქტები, ხოლო ნაწილებში – სათვალთვალო პუნქტები, რომლებიც სამეთაურო პუნქტების ელემენტებს შეადგენენ. **ს.პ**-ის გადაადგილება ხორციელდება ზემდგომი უფროსის ნებართვით იმ პრინციპით, რომ არ დაირღვეს ჯარების მართვა.

სამეთაურო-სადისპეჩერო პუნქტი, 1. ადგილი (სპეციალურად მოწყობილი სადგომი) აეროდრომზე, საიდანაც ხორციელდება თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ფრენის მართვა. 2. თანამდებობის პირთა ჯგუფები, რომლებიც ფუნქციურად მომზადებული არიან საჰაერო მოძრაობის მართვისთვის.

სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტი, ბრძოლაში ქვედანაყოფების მართვის პუნქტი. სახმელეთო ჯარებში იქმნება ბატალიონში, დივიზიონში, ასეულში, ბატარეაში და ოცე-

ულში. განთავსებულია საფარში ან მანქანაზე (ქსმ, ჯსმ, ტანკი) ისეთ ადგილზე, რომელიც უზრუნველყოფს უწყვეტ მართვას.

სამეთაურო-საშტაბო სამხედრო თამაში, ოპერატიული მომზადების ფორმა, რომლის მიზანია სრულყოს გენერლების, ადმირალების და ოფიცრების უნარჩვევები ოპერაციის მომზადების ორგანიზაციასა და ჯარების (ძალების) მართვაში საბრძოლო მოქმედებების დროს. ასევე მიაღწიოს მართვის ორგანოების შეთანხმებულ მუშაობას, გამოიკვლიოს სამხედრო ხელოვნების ახალი საკითხები, ჯარების (ძალების) ორგანიზაციული სტრუქტურა და მისი გამოყენების ხერხები. **ს.-ს.ს.თ.** ეწყობა რუკებზე. მისი არსი მდგომარეობს ოპერაციაში ჯარების მართვის ფუნქციური მოვალეობის შესრულებაში.

სამეთაურო-საშტაბო სწავლება, სარდლების (მეთაურების), შტაბების, ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარებისა და სამსახურების უფროსების ერთობლივი წვრთნის ფორმა ჯარების (ძალების) მართვისთვის. სწავლების მონაწილეები კონკრეტული ცვალებადი ვითარების პირობებში ასრულებენ ჯარების მართვის ფუნქციური მოვალეობების მთელ კომპლექსს. **ს.-ს.ს.**, როგორც წესი, ეწყობა ადგილზე (ზოგჯერ რუკებზე) ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების მმართველობებთან, შეიარაღებული ძალების სახეობების მთავარ შტაბებთან, ლოგისტიკის და სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან, უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების პედაგოგებთან და მსმენელებთან. **ს.-ს.ს**. ტარდება თემებზე, რომლებიც მოიცავენ საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის, ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მომზადებისა და წარმოების, მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფის საკითხებს, ჯარების (ძალების) მართვის სხვა საკითხებს. **ს.-ს.ს**. შეიძლება მოეწყოს, როგორც ერთმხრივი ან ორმხრივი, ისე ერთდონიანი და მრავალდონიანი.

სამეთაურო-საშტაბო წვრთნა, სარდლების (მეთაურების) და შტაბების ერთობლივი სწავლების ფორმა, რომელიც გამოიყენება თანამდებობის პირების მიერ თავიანთი ფუნქციების, მოვალეობების შესრულების დროს. წვრთნა ჩვევების შეძენის, სრულყოფის და მართვის ორგანოების შეთანხმების უზრუნველყოფის მიზნით. **ს.-ს.წ**-ის დროს შეიძლება დაიხვეწოს ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის უმაღლეს ხარისხში გადაყვანის, გადაწყვეტილებების მიღებისა და ხელქვეითებისათვის ამოცანების დასახვის ასევე ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) დაგეგმვის, ურთიერთქმედების ორგანიზების, სხვადასხვა ვითარების პირობებში ჯარების (ძალების) მართვის ყოველმხრვი უზრუნველყოფის საკითხები. ერთი **ს.-ს.წ**-ის დროს იხვეწება ერთი ან ორი საკითხი.

სამთა კავშირი, სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია. ჩამოყალიბდა 1879–82 წლებში. მის საპირწონედ 1904–07 წლებში შეიქმნა *ანტანტა* დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და რუსეთის შემადგენლობით. **ს.კ.** დაიშალა 1915 წელს, როდესაც იტალია I მსოფლიო ომში ჩაება ანტანტის მხარეზე.

სამთო არტილერია, სპეციალური არტილერია, რომელიც განკუთვნილია მთებში მოქმედებისათვის. იგი მოიცავს მსუბუქ ქვემეხებს, ჰაუბიცებს, ნაღმსატყორცნებს და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების გამშვებ დანადგარებს. მათ კონსტრუქციაში გათვალისწინებულია სწრაფი დაშლა შემადგენელ ნაწილებად, რაც შესაძლებელს ხდის ძნელად მისადგომ ადგილებში მათ ტრანსპორტირებას.

სამთო გასასვლელი, მთის სისტემაში არსებული ბუნებრივი გამჭოლი დადაბლება, რომელიც წარმოადგენს მთის გადასალახავად ყველაზე გამოსადეგ მიმართულებას. წარმოიქმნება უღელტეხილის უნაგირიანი ვიწრო ხეობებით და ხევებით. ხშირად აქვს სატრანსპორტო და სტრატეგიული მნიშვნელობა.

სამთო მომზადება, ჯარების მომზადება მთებში საბრძოლო მოქმედებებისათვის. **ს.მ**-ის ძირითადი ამოცანაა პირადი შემადგენლობისთვის სამთო წინაღობების გადალახვის ტექნიკის და ბრძოლაში იარაღის გამოყენების, ხოლო შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფებისთვის – მთაგორიან ადგილებში დღისით და ღამით მოქმედების ხერხების სწავლება.

სამთო ჯარები, საერთო საჯარისო, საარტილერიო, საინჟინრო და სხვა ნაწილები, რომლებიც სპეციალურად არიან მომზადებული მთაგორიან ადგილებში მოქმედებებისთვის. ევროპის ზოგიერთი ქვეყნის არმიების სამთო ჯარებს აქვთ განსაკუთრებული საშტატო ორგანიზაცია და ეწოდებათ ალპური (საფრანგეთი, იტალია და სხვა), სამთოქვეითთა (გერმანია, საბერძნეთი) და მსუბუქ ქვეითთა (ჩინეთი და სხვა) ძალები.

სამიზნე, საიმიტაციო საშუალება რეალური მიზნების აღმოჩენისა და დაზიანებისთვის, დაზვერვის და დაზიანების საშუალებების ეფექტურობის შეფასებისთვის, აგრეთვე სროლის შედეგების შედარების შესწავლისთვის. **ს**-ედ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სპეციალურად დამზადებული ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის პირობითი გამოსახულებები და ამ ტექნიკის ნამდვილი ნიმუშები. შექმნილ **ს**-ზე რეალური მიზნის ერთი უმთავრესი (მაგალითად, წყალქვეშა ნავის ხმაური) ან რამდენიმე (ფორმა, ფერი, მოძრაობის სიჩქარე და სხვა) ნიშნის იმიტაცია ხდება. **ს.** არის: სასწავლო, საგამოცდო და სპორტული; ბრტყელი და მოცულობითი; ერთჯერადი და

მრავალჯერადი; უძრავი, მოკლე დროით ხილული და მოძრავი; მართვადი და არამართვადი; სახმელეთო (ცეცხლსასროლი, საარტილერიო და სარაკეტო იარაღებისთვის), საჰაერო (რაკეტა, თვითმფრინავი, ვერტმფრენი, მართვადი ბომბი) და საზღვაო (წყალზედა ხომალდი, წყალქვეშა ნავი, მცურავი ფარი).

სამიზნე ვითარება, იმ მიზნების ერთობლიობა, რომლებიც სამიზნეებითაა აღნიშნული. მისი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის განსაზღვრული დაჯგუფების და ობიექტების განლაგების და მოქმედების იმიტაცია. იქმნება ჯარების (ძალების) სწავლებებზე (მეცადინეობებზე) მონაწილეებისთვის მოწინააღმდეგის დაზვერვის, მიზნების ადგილმდებარეობის განსაზღვრის, მათი დაზიანების საშუალებების და ხერხების შერჩევისთვის. ასევე მიზანჩვენების, საცეცხლე ამოცანების დასახვის, სროლის შედეგების, ბომბდაშენის და ცეცხლის კორექტირების თვალთვალისთვის.

სამინისტროს დირექტივა, ჯარების (ძალების) მართვის ოპერატიული (საბრძოლო) ან სამსახურებრივი დოკუმეტი, რომელიც შეიცავს სახელმძღვანელო მითითებებს ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მომზადების და წარმოების, ჯარების წვრთნის, საშტატო ორგანიზაციის, მომარაგების და ფუნქციონირების სხვა საკითხებზე. დირექტივა გამოიყენება უმთავრესად შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის სისტემაში სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული და ოპერატიული გაერთიანებების მართვისთვის. დირექტივაში ჩამოყალიბებულია განსახორციელებელი ღონისძიებების მიზანი, ამოცანები, შესრულების წესი და ვადები. **ს.დ**. შეიძლება იყოს ოპერატიული, საორგანიზაციო-სამობილიზაციო, ჯარების (ძალების) ოპერატიული და საბრძოლო მომზადების, ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოგისტიკისთვის განკუთვნილი.

სამკერდე ნიშნები, სხვადასხვა სახის ნიშნები, რომლებსაც მკერდზე ატარებენ და სამხედრო მოსამსახურეების განმასხვავებელ ფუნქციურ დამატებას წარმოადგენს. არის: დაჯილდოების – წარჩინებისთვის (საბრძოლო მოქმედებებში და საბრძოლო წვრთვნისთვის), სამახსოვრო (მ.შ. საიუბილეო), საკვალიფიკაციო (საკლასო სპეციალისტის, სპორტული), საინფორმაციო (სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შესახებ), პერსონიფიცირებული (მ.შ. თანამდებობრივი) და საწევრო. წესდება სამხედრო ხელმძღვანელობის და სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ. სხვადასხვა სახელმწიფოში სამკერდე ნიშნების რაოდენობა სხვადასხვაგვარია: რამდენიმე ათეულიდან რამდენიმე ასეულამდე.

სამკლავე, მკლავზე წამოსაცმელი ლითონის ფირფიტა, მკლავის საფარი, ხელნავი.

სამკლავური განმასხვავებელი ნიშნები, სამხედრო მოსამსახურეების სამოსზე ემბლემების, პირობითი აღნიშვნების სხვადასხვა სახის ფიგურების სახით სახელოზე დანაკერი, აგრეთვე ჰორიზონტალური ან კუთხიანი (შევრონები) გალუნის (ზორტის) ზოლები ფერადი მაუდის კლაპანზე. ბევრ ქვეყანაში დაწესებულია სამკლავური განმასხვავებელი ნიშნები სახომალდო შემადგენლობის ოფიცრებისთვის, შეიარაღებული ძალების, ჯარების გვარეობების, კონკრეტული სამხედრო ფორმირებებისადმი კუთვნილების მიხედვით.

სამოა (Samoa – სამოას დამოუკიდებელი სახელმწიფო), სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, პოლინეზიაში, იმავე დასახელების არქიპელაგის დასავლეთით. ფართობი 2,8 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 179 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. აპია. ადმინისტრაციულად იყოფა 14 ოლქად. **ს**-ში კონსტიტუციური მონარქიაა. არის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაური – ბელადი. საკანონმდებლო ორგანო – ფონო (ერთპალატიანი საკანონმდებლო ასამბლეა), აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1962 წლიდან. 1997 წლამდე იწოდებოდა დასავლეთ სამოად. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება (ქოქოსის პალმა, ყავა, ბანანი, ჩინური კარტოფილი და შაქრის ლერწამი) და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტია აპია. **ს**-ს არ ჰყავს შეიარაღებული ძალები. თავდაცვის საკითხებს განაგებს ახალი ზელანდია.

სამობილიზაციო ბაზა, ეკონომიკური, ტექნიკური, საორგანიზაციო და სამხედრო რესურსები, რომლებიც სახელმწიფოს მასშტაბით მობილიზაციის ჩატარების საფუძველს (ბაზას) წარმოადგენს. **ს.ბ**-ს პირველ რიგში განეკუთვნება: ხალხის რესურსი და მომზადების დონე, რომელიც საჭიროა მობილიზაციის გეგმის თანახმად სამხედრო-ფორმირებების დასაკომპლექტებლად. მშვიდობიანობის პერიოდში შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და სხვა მატერიალური საშუალებების მარაგების შექმნა. სამხედრო ვალდებულებათა კარგად დაყენებული აღრიცხვა, შეტყობინება და შეკრება. გარდა ამისა, სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების არსებობა, რომლებიც განკუთვნილია შეიარაღებული ძალებისთვის მისაწოდებლად.

სამობილიზაციო გადაზიდვები, იხ. *გადაზიდვები.*

სამობილიზაციო გაშლა, იმ ღონისძიებების სისტემა, რომლებიც ომიანობის პერიოდის ორგანიზაციასა და საშტატო რიცხოვნობაზე შეიარაღებული ძალების, დაწესებულებების გეგმაზომიერი გადაყვანის მიზნით ხორციელ-

დება. შეიარაღებული ძალების **ს.ბ**. არის მობილიზაციის შემადგენელი ნაწილი და მოიცავს: ჯარების (ძალების) გადაყვანას ომიანობის პერიოდის ორგანიზაციასა და შტატებზე, მათ დამატებით უზრუნველყოფას შეიარაღებით, ტექნიკით და სხვა მატერიალური საშუალებებით. შეიარაღებული ძალების **ს.ბ**-ის ყველა ღონისძიება მთლიანად და ცალ-ცალკე დეტალურად მუშავდება თითოეული შენაერთის, ნაწილის და დაწესებულების მიხედვით მშვიდობიანობის დროს და აისახება შესაბამის სამობილიზაციო გეგმებში.

სამობილიზაციო მზადყოფნა, სახელმწიფოს, მისი ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საწარმოების და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობა, განახორციელონ მობილიზაცია; ჯარების (ძალების) მდგომარეობა, რომელიც მათ საშუალებას აძლევს დადგენილ ვადებში განახორციელონ გადასვლა ომიანობის პერიოდის ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურაზე. ღონისძიებების მოცულობა, გადასვლის წესი და დროებითი ნორმატივები განსაზღვრულია მშვიდობიანობის დროს შემუშავებული სამობილიზაციო გეგმებით. ჯარების (ძალების) **ს.მ**-ის დონე დამოკიდებულია სახელმწიფოს სამობილიზაციო შესაძლებლობების მდგომარეობაზე; ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების პირადი შემადგენლობით დაკომპლექტების, მშვიდობიანობის დროის შტატების მიხედვით შეიარაღებით და სამხედრო ტექნიკით აღჭურვის დონეზე, მათ საბრძოლო შერწყმაზე, **ს.ბ**-ის და საბრძოლო მზადყოფნაში ჯარების (ძალების) მოსაყვანი ამოცანების შესასრულებლად მართვის ორგანოების მომზადების დონეზე.

სამობილიზაციო მომზადება, იმ ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება მშვიდობიანობის დროს, რათა სახელმწიფოს ეკონომიკა, სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, შეიარაღებული ძალები და ტერიტორია მოამზადონ შეიარაღებული თავდასხმისგან დაცვის უზნველსაყოფად, ომიანობის პერიოდში სახელმწიფოს და მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

სამოსი (სამხედრო), სამხედრო მომსახურეების ფორმის ტანსაცმლის კრებსითი დასახელება, რომელსაც განსაკუთრებული ნიშნები აქვს: დაწესებული ფერი, კოსტრუქცია, განმასხვავებელი ნიშნები, ღილები და სხვა. განასხვავებენ სააღლუმო, ყოველდღიურ და საველე **ს**-ს. ყოველი **ს**-ის კომპლექტში სამხედრო აღჭურვილობის შესაბამისი საგნები შედის. გამოყენება განისაზღვრება სამხედრო ფორმის ტარების წესებით.

სამოქალაქო ავიაცია, იხ. *ავიაცია*.

სამოქალაქო თავდაცვა, ზოგიერთ ქვეყანაში ღონისძიებების სისტემა, რომლის მიზანია დასაცავად მოამზადოს და დაიცვას მოსახლეობა, ქვეყნის მატერიალური და კულტურული ღირებულებები იმ საშიშროებებისგან, რომლებიც წარმოიშობა საომარი მოქმედებების დროს და მათ შედეგად. **ს.თ**-ის ძირითადი ამოცანებია: შეასწავლოს მოსახლეობას დაცვის ხერხები, გააფრთხილოს მოსახლეობა, გახიზნოს იგი უსაფრთხო რაიონებში, მისცეს თავშესაფარი და ინდივიდუალური დაცვის საშუალებები; განახორციელოს შუქშენიღბვის ღონისძიებები, საავარიო, სამაშველო სამუშაოები; ებრძოლოს ხანძრებს, გამოავლინოს და მონიშნოს რადიაქტიური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვაგვარი დასნებოვნების რაიონები. ამავე დროს უზრუნველყოს მოსახლეობის, ტექნიკის, შენობების, ტერიტორიის დასნებოვნებისგან დაცვა, აღადგინოს და დაიცვას წესრიგი დაზარალებულ რაიონებში, შეიმუშაოს და გაატაროს ღონისძიებები ეკონომიკის ობიექტების შესანარჩუნებლად. **ს.თ**. ეწყობა ტერიტორიული საწარმოო პრინციპის მიხედვით. მისი წარმართვისთვის მზადება ხდება წინასწარ, მშვიდობიანობის დროს. **ს.თ**-ის ღონისძიებების გახორციელება იწყება ომის გამოცხადების მომენტიდან, საომარი მოქმედებების ფაქტობრივი დაწყების ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემდეგ. XX საუკუნის 50–60 წლებში **ს.თ**. ჩამოყალიბდა მეტწილ დიდ სახელმწიფოებში (აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, შვედეთი, ნორვეგია და სხვა). **ს.თ**. საქმიანობას განსაზღვრავს სპეციალური კანონმდებლობა. მისი ხელმძღვანელობა ხორციელდება თავდაცვის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს მეშვეობით; ამერიკის შეერთებულ შტატებში მას ახორციელებს საგანგებო მართვის ფედერალური სააგენტო. ნატოში შექმნილია **ს.თ**-ის კომიტეტი. 1972 წლიდან არსებობს სამოქალაქო თავდაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის განვითარებად სახელმწიფოებს.

სამოქალაქო თავდაცვის საინჟინრო-ტექნიკური ღონისძიებები, იმ ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც ხორციელდება მოსახლეობის დაცვის მიზნით, ომიანობის დროს ეკონომიკის დარგებისა და ობიექტების სტაბილური მუშაობის უზრუნველსაყოფად, მოწინააღმდეგის მიერ დაზიანების თანამედროვე საშუალებების გამოყენების შედეგად შესაძლო ნგრევისა და მოსახლეობის დანაკარგების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად. ასევე დაზიანების კერებში, ავარიების, კატასტროფებისა და სტიქიური უბედურებების რაიონებში სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაების ჩასატარებლად. ზოგადი მოთხოვნებია: უზრუნველყოს მოსახლეობის დაცვა დაზიანების თანამედროვე საშუალებებისაგან, აგრეთვე ავარიების, კატასტროფებისა და სტ-

იქიური უბედურებების შედეგებისაგან; აამაღლოს სახანძრო უსაფრთხოება ობიექტებზე; ორგანიზაცია გაუწიოს ელექტროენერგიით, გაზით, წყლით სარეზერვო მომარაგებას; დაიცვას წყალმომარაგების ობიექტები დასნებოვნებისგან; განახორციელოს მომზადება ობიექტების შუქშენიღბვის მოსაწყობად და სხვა.

სამოქალაქო თავდაცვის სამოქალაქო ორგანიზაციები, ზოგიერთ ქვეყანაში ფორმირებები (ნაკრები რაზმები, გუნდები, ჯგუფები, რგოლები, საგუშაგოები), რომლებიც არ შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, აქვთ სპეციალური ტექნიკა და ქონება, მომზადებული არიან საომარი მოქმედებების დროს ან მათ შედეგად შექმნილი საფრთხისგან მოსახლეობის და ორგანიზაციების დასაცავად. იქმნება ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპით.

სამოქალაქო თავდაცვის ძალების დაჯგუფება, სისტემად გაერთიანებული ძალები და საშუალებები, განკუთვნილი საწარმოო ავარიების შედეგების ლიკვიდაციისთვის განსაკუთრებით ისეთ ობიექტებზე, როგორიცაა ატომური ელექტროსადგურები და საწარმოები, რომლებიც ძლიერმოქმედ მომწამლავ ნივთიერებებს იყენებენ. ამასთანავე **ს.თ.ძ.დ**-ს იყენებენ კატასტროფების, სტიქიური უბედურების და ომის დროს მოწინააღმდეგის მიერ თანამედროვე შეიარაღების გამოყენების შედეგების ლიკვიდაციის, გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი და სამაშველო სამუშაოების შესრულებისთვის.

სამოქალაქო თავდაცვის ძალების მოქმედების უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება სამოქალაქო თავდაცვის სისტემაზე დაკისრებული ამოცანების ორგანიზებული და წარმატებული შესრულების მიზნით. **ს.თ.ძ.მ.უ**-ის ძირითად სახეობებს მთელ რიგ სახელმწიფოებში წარმოადგენს: დაზვერვა; საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური, სამედიცინო, ხანძარსაწინააღმდეგო, სატრანსპორტო, მატერიალური, ტექნიკური, ჰიდრომეტეოროლოგიური უზრუნველყოფა. **ს.თ.ძ.მ.უ**-ის ღონისძიებების დაგეგმვას და ორგანიზაციას უძღვებიან სამოქალაქო თავდაცვის მართვის ორგანოები.

სამოქალაქო თავდაცვის ჯარები, შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც განკუთვნილია საგანგებო სიტუაციების (ავარიების, კატასტროფების, სტიქიური უბედურებების), დაზიანების თანამედროვე საშუალებების გამოყენების შედეგების ლიკვიდაციისათვის; სამაშველო, გადაუდებელი საავარიო-აღდგენითი და სხვა სამუშაოების განხორციელებისათვის.

სამოქალაქო ომი, ქვეყნის შიგნით სოციალურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა გადაწყვეტის ყველაზე მწვავე ფორმა; პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური, რელიგიური ძალებისა და ჯგუფების შეიარაღებული დაპირისპირება. გამოწვეულია სხვადასხვა ხასიათის და მასშტაბის მოუგვარებელი პრობლემებით. **ს.ო**-ში ჩართულ მხარეთა უპირველესი მიზანია ძალაუფლების ხელში ჩაგდება; ხოლო ძირითადი საშუალებაა – შეიარაღებული ბრძოლა, რომელსაც, როგორც წესი, ახასიათებს სიმწვავე, გაურკვევლობა, მეომარ მხარეთა შემადგენლობის ცვალებადობა. ხშირად **ს.ო**-ში, რეგულარული შეიარაღებული ფორმირებების გარდა, მონაწილეობენ მოსახლეობის შეიარაღებული მასები. XIX–XX საუკუნეებში **ს.ო**-ებს ადგილი ჰქონდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და ქვეყანაში. **ს.ო**. საკმაოდ იშვიათი მოვლენაა განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნებისათვის, ყველაზე მეტად გავრცელებულია განვითარებად ქვეყნებში, სადაც სამოქალაქო დაპირისპირების მრავალი მიზეზია. მათ შორის, მოსახლეობის სოციალურ ფენებად დაყოფის გაღრმავება, ეკონომიკური, სოციალურ-ეთნიკური პრობლემები და სხვა. XX საუკუნის მეორე ნახევარში მთელი რიგი **ს.ო**-ებისა კოლონიური იმპერიების და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგია. ხშირად **ს.ო**-ები სხვადასხვა სეპარატისტული მოძრაობისა და ძალის მიერ არის გაჩაღებული. კერძოდ ამას ადგილი ჰქონდა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. 1991–92 წლებში საქართველოში მომხდარმა **ს.ო**-მა უმძიმესი ჰუმანიტარული, პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები გამოიწვია.

სამოქალაქო ომი აშშ-ში 1861–65, ომი ბურჟუაზიულ ჩრდილოეთსა და მონათმფლობელურ სამხრეთს შორის. სამხრეთ შტატებში მონობის არსებობა ამუხრუჭებდა ქვეყანაში კაპიტალიზმის განვითარებას და დემოკრატიულ გარდაქმნებს. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება 1860 წლისათვის, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა აბრაამ ლინკოლნმა, რომელიც ჩრდილოეთის პროგრესული ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი იყო და მონობის შეზღუდვას მოითხოვდა. ლინკოლნის პრეზიდენტად არჩევა სამხრეთელებისათვის, რომელთა შორის გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ პლანტატორ-მონათმფლობელებს, აჯანყების საბაბი გახდა. მათ გამოაცხადეს სამხრეთის შტატების ჩრდილოეთისაგან გამოყოფა და მონათმფლობელური კონფედერაციის შექმნა, რომელშიც გაერთიანდა 11 შტატი აშშ-ის 34 შტატიდან (1861 წლის თებერვალში). ვინაიდან ლინკოლნი ქვეყნის დაშლას ეწინააღმდეგებოდა, სამხრეთელებმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს (1861 წლის აპრილში). მათი რესურსები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა ჩრდილოეთისას, მაგრამ მეამბოხეებმა პირველ ეტაპზე შეძლეს გარკვეული წარმატების მოპოვება. ლინკოლ-

ნის მთავრობამ ჩრდილოეთის ეკონომიკურ პოტენციალზე დაყრდნობით შეძლო მდგომარეობის გარდატეხა (1863). ჩრდილოეთის ნავსაშენებში აგებულმა ფლოტმა კონფედერაცია საზღვაო ბლოკადაში მოაქცია. ამავე დროს სახმელეთო ჯარებმა ხელთ იგდეს მდინარე მისისიპის სანაპირო გახდა, რითიც ორად გაყვეს მეამბოხეთა ტერიტორია, ხოლო 1864 წელს მისისიპის აუზიდან დაწყებული შეტევით ატლანტის ოკეანემდე გავიდნენ. 1865 წლის 3 აპრილს ჩრდილოელებმა აიღეს კონფედერაციის დედაქალაქი რიჩმონდი. მალე მეამბოხეთა არმიამ იარაღი დაყარა. ჩრდილოეთის გამარჯვებამ გაამყარა ბურჟუაზიის პოზიციები აშშ-ში, ხოლო პლანტატორთა ბატონობა და მონობა გაუქმდა (ოფიციალურად 1863 წლის 1 იანვარს). **ს.ო.აშშ**-ში ყველაზე სისხლისმღვრელი იყო ამ ქვეყნის ისტორიაში. მარტო მოკლულების, ჭრილობებისგან და ავადმყოფობით გარდაცვლილთა სახით ჩრდილოეთმა და სამხრეთმა 600 ათას ადამიანზე მეტი დაკარგეს, რაც მნიშვნად აღემატება ამერიკის დანაკარგს ორივე მსოფლიო ომში. ომმა ბევრი სიახლე მოიტანა სამხედრო საქმეში, რაც განპირობებული იყო ამერიკის მრეწველობის განვითარების მაღალი დონით. კერძოდ, ჯარების შეიარაღებაში პირველად გამოიყენეს მრავალმუხტიანი შაშხანები ლითონის მასრიანი ვაზნებით. გაჩნდა ახალი ტიპის არტილერია, გამოიყენებოდა ტელეგრაფი. სამხედრო-საზღვაო ძალების ისტორიისათვის მნიშვნელოვანია რკინით შეჯავშნული ხომალდების პირველი ორთაბრძოლა (1862) და წყალქვეშა ნავის პირველი, შედარებით წარმატებული, საბრძოლო გამოყენება (1864). დიდი განვითარება პოვა ბრძოლის პოზიციურმა ფორმებმა.

სამოქალაქო ომი ესპანეთში 1936–39, კონფლიქტი კონსერვატორ-ნაციონალისტებსა (სათავეში იდგა სამხედრო *ხუნტა* გენერალ ფრანკოს მეთაურობით) და ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის მომხრეებს შორის (ძირითადად მემარცხენე ძალები). ბრძოლაში ფრანკოს ეხმარებოდნენ ნაცისტური გერმანია და ფაშისტური იტალია, რესპუბლიკელებს – სსრ კავშირი და მოხალისეები დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. მათი მთავრობები ესპანეთის კონფლიქტში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდნენ. 1938 წელს ფრანკისტები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე გაიჭრნენ, რითიც ორად გახლიჩეს რესპუბლიკელთა კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიები. 1939 წლის მარტში ნაციონალისტების მიერ დედაქალაქ მადრიდის აღებით სამოქალაქო ომი დასრულდა. ესპანეთში დამყარდა ფრანკოს სამხედრო დიქტატურა. ომში 1 მლნ-ზე მეტი ესპანელი დაიღუპა.

სამოქალაქო ომი ჩინეთში 1946–49, გადამწყვეტი სამხედრო დაპირისპირება ჩინელ ნაციონალისტებსა (*ჩან კაიში*) და კომუნისტებს (*მაო ძედუნი*) შორის. იაპონელების განდევნის შემდეგ ჩინეთში (იხ. *ჩინეთ-იაპონიის ომი 1937–45*), ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა იყო. ქვეყნის ცენტრალურ და სამხრეთ პროვინციებს აკონტროლებდნენ ნაციონალისტები. მათ მხარს უჭერდა აშშ, ხოლო კომუნისტებს, რომელთა ძირითადი ბაზები ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში იყო, სსრ კავშირი ეხმარებოდა. ამ უძლიერესი სახელმწიფოების სწარფვამ, გაეზარდათ თავისი გავლენის სფერო აღმოსავლეთ აზიაში, მნიშვნელოვანწილად განაპირობა სამოქალაქო ომის აქტივიზაცია ჩინეთში. ჩან კაიშიმ, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში ჩინეთის აღიარებული ლიდერი იყო, 1946 წლის ივნისში დაძრა თავისი არმია (4 მლნ. კაცი) კომუნისტების წინააღმდეგ. კომუნისტების ჯარები (1,2 მლნ.) თავდაპირველად უკან იხევდნენ. 1947 წლის შუა პერიოდში, როდესაც მათი ძალები 2 მლნ-მდე გაიზარდა, ხოლო ნაციონალისტებისა 1 მლნ-ით შემცირდა, სტრატეგიულ კონტრშეტევაზე გადავიდნენ. 1948–49 წლებში ნაციონალისტების მთავარი ძალები გაანადგურეს. კომუნისტებმა 1949 წლის იანვარში აიღეს პეკინი, აპრილში – ნანკინი, მაისში – შანხაი. 1949 წლის 1 ოქტომბერს მაო ძედუნმა გამოაცხადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნა. იმავე წლის მიწურულს ქვეყნის ძირითადი ნაწილი უკვე მისი კონტროლის ქვეშ იყო ჩან კაიშიმ ნაციონალისტთა არმიის ნარჩენებით კუნძულ ტაივანს შეაფარა თავი.

სამოქალაქო პერსონალი (შეიარაღებული ძალების), მოსამსახურეები, რომლებიც შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე მუშაობენ შეიარაღებული ძალების სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საწარმოებში და არ იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში. შეიარაღებული ძალების **ს.პ**-ით დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპის საფუძველზე. შეიარაღებული ძალების **ს.პ**-ის საშტატო რიცხოვნობას აწესებს მთავრობა, ხოლო სამხედრო თანამდებობების ნუსხას – თავდაცვის მინისტრი. მათ სამართლებრივ სტატუსს (სამართლებრივ მდგომარეობას) არეგულირებს შრომის სამართლის ერთიანი ნორმები, აგრეთვე სპეციალური კანონმდებლობა შეიარაღებულ ძალებში სამოქალაქო პერსონალის შრომისა და ანაზღაურების შესახებ.

სამოქალაქო საქმეები, მეთაურის საქმიანობა, რომელიც ამყარებს, ინარჩუნებს და განავითარებს ურთიერთობებს სამხედრო ნაწილებს, ადგილობრივ მშვიდობიან მოსახლეობასა და სამოქალაქო ხელისუფლებას (სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები) შორის.

სამოქალაქო საქმეების ერთობლივი ოპერატიული ჯგუფი, შედგება ერთზე მეტი სამოქალაქო საქმეების ორგანიზაციისგან და შექმნილია საომარი კამპანიის ან სხვა ოპერაციების დროს განსაკუთრებული სამოქალაქო ოპერაციების ჩასატარებლად ან სამოქალაქო საქმეებში ჩასარევად.

სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობა, ურთიერთობები, რომლებიც შესაბამისი რესურსებით და ხელშეკრულებებით არის უზრუნველყოფილი. დამყარებულია ჯარების (ძალების) სამეთაურო შემადგენლობასა და ხელისუფლების ეროვნულ ორგანოებს, აგრეთვე სამოქალაქო მოსახლეობას შორის თანამშრომლობაზე. ეს თანამშრომლობა სახელმწიფოთა შორის ასევე, არასამთავრობო ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, უწყებებთან და ორგანოებთან სამხედრო სფეროში ურთიერთობასაც გულისხმობს.

სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობა, ურთიერთობა მთავრობასა და შეიარაღებული ძალებს, ასევე შეიარაღებულ ძალებსა და საზოგადოებას შორის.

სამსახური, 1. საშტატო მართვის ორგანოების და სამხედრო ფორმირებების სისტემა, რომლის დანიშნულებაა ჯარების (ძალების) უზრუნველყოფა და მომსახურება თავისი სპეციალიზაციის (მაგალითად, საავტომობილო, სანივთე, სასურსათო, სამედიცინო, სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღების და სხვა) შესაბამისად. 2. სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებში ყოველდღიური სამსახურებრივი საქმიანობა. 3. ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც ახორციელებენ მეთაურები და შტაბები ჯარების (ძალების) მიერ ამოცანების წარმატებულად გადაწყვეტის მიზნით. 4. სამხედრო მოვალეობების შესრულება.

სამურაები (იაპონური saburau – მსახურება), ფეოდალურ იაპონიაში, ფართო გაგებით, საერო ფეოდალები დაწყებული მთავრებიდან (დაიმიო) წვრილ აზნაურებამდე. ვიწრო გაგებით – წვრილ აზნაურთა სამხედრო-მსახურეული ფენა. **ს**-ის ზედაფენა იაპონიას განაგებდა XII საუკუნის დასასრულიდან 1868 წლამდე, თუმცა ამის შემდეგაც, II მსოფლიო ომის დასრულებამდე, **ს**-ის ტრადიციებს დიდი როლი ენიჭებოდა იაპონურ არმიაში.

სამშაო რუკა, ტოპოგრაფიული (სპეციალური) რუკა, რომელზეც მეთაური, უფროსი, შტაბის უფროსი პირობითი ნიშნების მეშვეობით ოპერაციის (ბრძოლის) დროს, ვითარებას და მის ცვლილებას ასახავს. **ს.რ**-ზე გადააქვთ მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც თანამდებობის პირისთვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის აუცილებელია. **ს.რ**-ს იყენებენ ვითარების შეფასებისთვის, გადაწყვეტილების მიღების, საბრძოლო ამოცანების დასახვის, ურთიერთქმედების ორგანიზების და ჯარების (ძალების) მართვის სხვა ამოცანების გადაწყვეტისთვის.

სამშვიდობო გასასვლელი, საერთაშორისო სამართლის ცნება, რომლის შესაბამისად, უცხო ქვეყნის ხომალდები უწყვეტად და სწრაფად მიცურავენ. 1. ზღვის გადაკვეთის მიზნით, შიდა წყლებში შეუსვლელად, რეიდზე ან საპორტო ნაგებობასთან დაუდგომლად; 2. შიდა წყლებში შესვლა-გამოსვლის მიზნით რეიდზე ან საპორტო ნაგებობასთან დგომისთვის.

სამშვიდობო ოპერაციები, იხ. *მშვიდობის დამყარება.*

სამშვიდობო საქმიანობა, საერთაშორისო ორგანიზაციების პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სხვა ხასიათის კოლექტიური ქმედებები, რომლებიც ტარდება საერთაშორისო სამართლის ნორმების და პრინციპების შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შორის დავების ან სხვადასხვა სახის კონფლიქტის გადასაწყვეტად.

სამშვიდობო საქმიანობაში თანამშრომლობის სპეციალური ჯგუფი, პარტნიორობის ძირითადი სტრუქტურა, რომლის დანიშნულებაა მშვიდობისმყოფელობასთან დაკავშირებულ პოლიტიკურ-კონცეპტუალურ საკითხებში კონსულტაციების ჩატარება და გამოცდილების გაზიარება. ქვეყნებს, რომლებიც მონაწილეობენ სპეციალური ჯგუფის სხდომებში, შეუძლიათ ურთიერთგაგების მიღწევისა და თანამშრომლობის განვითარების მიზნით გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ჯგუფი ასევე აფართოებს კონტაქტებს გაეროსთან და ეუთოსთან მშვიდობისმყოფელობის, ადრეული შეტყობინების და კონფლიქტების არიდების კონცეპტუალურ და პრაქტიკულ საკითხებში.

სამშვიდობო ღონისძიებებში ურთიერთქმედების ორგანიზების საგანგებო ჯგუფი, სამშვიდობო მოქმედებებთან დაკავშირებული პოლიტიკური და კონცეპტუალური საკითხების სფეროში პარტნიორების ძირითადი საკონსულტაციო, და ამ სფეროში თანამშრომლობის პრაქტიკული მიდგომების დამუშავების, გამოცდილების გაზიარების სტრუქტურა. საგანგებო ჯგუფის თათბირებზე ან სხვა ღონისძიებებში მონაწილე ქვეყნებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება. ეს გამოიხატება ურთიერთქმედების მიღწევის, საერთო პრაქტიკული მიდგომების და სამშვიდობო პროცესების მხარდაჭერის საკითხებში. ჯგუფი ასევე აფართოებს კონტაქტებს გაეროსა და ეუთოსთან სამშვიდობო ღონისძიებების კონცეპტუალური და პრაქტიკული საკითხების, ადრეული შეტყობინების ასპექტების, კონფლიქტების აღკვეთის სფეროში.

სამშვიდობო შეთანხმების შესრულების საბჭო, 1995 წლის დეკემბერში ლონდონის კონფერენციაზე დაფუძნებული საბჭო. მის ამოცანას წარმოადგენს ბოსნიასა და ჰერგო-

ვინაში დეიტონის სამშვიდობო შეთანხმების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

სამშვიდობო ძალები, იქმნება დაპირისპირებულ მხარეთა მიერ ცეცხლის შეწყვეტის, სამშვიდობო პროცესის ხელშეწყობისა და მონიტორინგის მიზნით, ხშირ შემთხვევაში კონფლიქტის მონაწილე მხარეთა მიერ გაფორმებული სამშვიდობო შეთანხმების შესაბამისად. გაეროს უშიშროების საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ქვეყანაში (ან რეგიონში) **ს.ძ**-ის გაგზავნის შესახებ, რომელთა დაკომპლექტება, როგორც წესი, ხდება რამდენიმე ქვეყნის (ან სახელმწიფოთა კოალიციის) სამხედრო კონტინგენტის, პოლიციისა და სამოქალაქო პირთა მიერ (ე.წ. ცისფერჩაფხუტიანები). გაეროს უშიშროების საბჭო ასევე უფლებამოსილია მიანიჭოს რეგიონალურ ორგანიზაციებს (ნატო, ევროკავშირი, აფრიკის კავშირი, დსთ) საკუთარი ძალების მეშვეობით სხვადასხვა სახის სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების უფლება.

სამშვიდობო ხელშეკრულება, იხ. *საზავო ხელშეკრულება*

სამწყობრო მომზადება, პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო მზადყოფნის, სიმარჯვის და ამტანობის, კომანდების სწრაფად და სწორად შესრულების, იარაღით და იარაღის გარეშე სამწყობრო ილეთების შესრულების შესწავლა. ასევე – ქვედანაყოფების, ნაწილების, ხომალდების სხვადასხვა მწყობრში შეთანხმებული მოქმედება. **ს.მ**. მოიცავს: ცალკეულ სამწყობრო მომზადებას, ქვეითი და მანქანებზე მყოფი ქვედანაყოფების, ნაწილების შეთანხმებულ სამწყობრო მოქმედებებს, სამწყობრო დათვალიერებას.

სამხედრო ადმინისტრაცია, საერთო-სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოადგენს: 1. სახელმწიფოს სამხედრო-ადმინისტრაციული ორგანოების ერთობლიობას, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას სამხედრო და შეიარაღებული ძალების მშენებლობის და მისი მართვის სფეროში; 2. სამხედრო მოქმედებების დროს დროებით დაკავებული (ოკუპირებული) ტერიტორიების სამხედრო მართვის ორგანო; 3. სამხედრო-იურიდიული მეცნიერების დარგი, სასწავლო დისციპლინა, რომელიც სწავლობს შეიარაღებული ძალების მოწყობასთან, მართვასთან, ჯარების შიდა სამსახურთან და ყოფასთან დაკავშირებული ურთიერთობების დარეგულირების სამართლებრივ საკითხებს.

სამხედრო ავიაცია, იხ. *ავიაცია.*

სამხედრო ავტოსაგზაო პოლიცია, პირადი შემადგენლობა, რომელსაც მეთაურის და/ან ეროვნული ხელისუფლების ორგანოების მიერ ეკისრება განსაზღვრული მოვალეობები. ისინი მოიცავენ ავტოსაგზაო მოძრაობის რეგულირების და/ან მოძრაობის წესების დარღვევების რეგისტრაციას.

სამხედრო აკადემია (ბერძნული akademia – ადგილის სახელწოდება ათენთან ახლოს, სადაც იყო პლატონის სკოლა), უმაღლესი სამხედრო-სასწავლო დაწესებულება; სამხედრო განათლების სისტემაში წამყვანი სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ცენტრი. ძირითადი დანიშნულებაა: უმაღლესი სამხედრო განათლების მქონე მაღალკვალიფიციური ოფიცრების მომზადება; უმაღლესი კვალიფიკაციის სამეცნიერო-პედაგოგიური და სამეცნიერო კადრების, ასევე სამხედრო ინსტიტუტების და უნივერსიტეტებისათვის პედაგოგების მომზადება. **ს.ა**. შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების და სამხედრო განათლების დახვეწის მიზნით აწარმოებს ფუნდამენტურ და გამოყენებით სამეცნიერო კვლევებს. პირველად შეიქმნა XVIII საუკუნის მიწურულს და XIX საუკუნის დასაწყისში. მრავალ სახელმწიფოში საწყის ეტაპზე ძირითადი დანიშნულება იყო გენერალური შტაბებისთვის ოფიცრების მომზადება. მოგვიანებით დაიწყეს ჯარებისთვის ოფიცრების მომზადება და სამხედრო თეორიების შემუშავება. **ს.ა.** და მისი მსგავსი სამხედრო-სასწავლო დაწესებულებები არსებობს მრავალ ქვეყანაში.

სამხედრო ამბოხება, სამხედრო დაჯგუფების შეიარაღებული გამოსვლა ქვეყანაში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. შეიძლება იყოს როგორც სამხედრო შეთქმულების, ისე სახელმწიფოს ცალკეული შეიარაღებული ფორმირების სტიქიური გამოსვლის შედეგი. სახელმწიფო გადატრიალების გამომწვევი **ს.ა**-ის წარმატების შემთხვევაში, როგორც წესი, ქვეყანაში სამხედრო მმართველობა მყარდება.

სამხედრო არქივები, 1. დოკუმენტური მასალების ერთობლიობა, რომელიც შეიქმნა სამხედრო ნაწილების და სხვა სამხედრო ფორმირებების საქმიანობის პროცესში. 2. დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამხედრო დოკუმენტაციის მიღებას, შენახვას, სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებას და გამოყენებას.

სამხედრო ატლასები, რუკების სისტემური ნაკრები, რომლებიც გამოიყენება სამხედრო გეოგრაფიის, მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკის და სამხედრო ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოდ.

სამხედრო აუცილებლობა, პრინციპი, რომლის შესაბამისად აუცილებელი სამხედრო მოქმედებების წარმატებით დასრულებისათვის მეომარ მხარეს აქვს უფლება გამოიყენოს ომის კანონებით დაშვებული ნებისმიერი ზომები.

სამხედრო აქცია, მიზნებით, ადგილით და დროში შეზღუდული სამხედრო ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული ორგანიზაციების

და ჯგუფების წინააღმდეგ. ხორციელდება ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ იმ შემთხვევაში, როდესაც დასახული მიზნები არ მოითხოვს შეიარაღებული ძალების მასშტაბურ გამოყენებას ან როდესაც ასეთი გამოყენება არასასურველია საგარეო და შიდა მიზეზების გამო. **ს.ა**-ის დროს გამოიყენება ქვეყნაში არსებული ძალების და საშუალებების უმნიშვნელო ნაწილი. **ს.ა**. შეიძლება გამოიყენონ ომის ან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დაძაბვის პერიოდში და ქვეყანაში შიდა კონფლიქტის დროს. ომის პირობებში **ს.ა**-ს იყენებენ საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების და მოსახლეობის მორალურ სულისკვეთებაზე ზემოქმედების, უმოკლეს ვადებში მსხვილი სამხედრო წარმატებების უზრუნველყოფისა და სხვა მიზნებისათვის. მშვიდობიანობის პერიოდში **ს.ა**. მოწმობს არასამხედრო საშუალებებით საერთაშორისო ან შიდა წინააღმდეგობების გადაწყვეტის უუნარობას, სახელმწიფოს სამხედრო ძალის იძულებით, ან შეგნებულად გამოყენებას. გლობალური ან რეგიონული მიზნების მისაღწევად ცალკეული სახელმწიფოების მიერ **ს.ა**-ის განხორციელება დიქტატის პოლიტიკის ინტერესებს ემსახურება. როგორც უკიდურესი ფორმა, **ს.ა**. შეიძლება განხორციელდეს მშვიდობის აღდგენისა და შენარჩუნების ოპერაციების ჩარჩოებში.

სამხედრო აღრიცხვა (მოქალაქეების), გასაწვევი და სამობილიზაციო რესურსების აღრიცხვის საერთო-სახელმწიფოებრივი სისტემა, სამხედრო ვალდებულების ერთ-ერთი ელემენტი. ჩვეულებრივ, ახორციელებენ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. **ს.ა**-ის დოკუმენტებით გათვალისწინებულია მოქალაქეების აღრიცხვა სამხედრო სამსახურის ხანგრძლივობის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, სამხედრო მოსამსახურეების შემადგენლობისა და სამხედრო წოდებების, სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობების, სამხედრო თანამდებობის მიხედვით და სხვა. **ს.ა**. აგრეთვე შეიცავს ცნობებს საცხოვრებელი ადგილის, ოჯახური მდგომარეობის, განათლების, სამოქალაქო სპეციალობის, ნასამართლობის შესახებ და ა.შ.

სამხედრო აღჭურვილობა, სამხედრო მოსამსახურის ეკიპირების საგნების ერთობლიობა, განკუთვნილი იარაღის, საბრძოლო მასალის და სხვადასხვა ქონების სატარებლად. ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო მოსამსახურეების მომარაგებაში შედის: საველე აღჭურვილობა (ქამარი, მხრის ჭაპანი), ლაბადა-კარავი, საველე ჩანთა, სანივთე ზურგჩანთა, შალითიანი მათარა, კარდალა და სხვა სანივთე ქონება. **ს.ა**-ს მიეკუთვნება ასევე პისტოლეტის ბუდე, სავაზნე ჩანთა, ჩანთა ხელყუმბარების და რეაქტიული ვაზნებისთვის და სხვა. ზოგიერთ არმიაში **ს.ა**-ს უწოდებენ ამუნიციას.

სამხედრო ბაზა, სპეციალურად მოწყობილი რაიონი (ადგილმდებარეობის მონაკვეთი), რომელსაც სამხედრო თვალსაზრისით ხელსაყრელი განლაგება აქვს და მოსახერხებელია შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის შენაერთების და ნაწილების (ძალებისა და საშუალებების) განლაგებისთვის, საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობისთვის. **ს.ბ**-ები იქმნება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებული მიზნების შესაბამისად, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზეც. **ს.ბ**-ები შეიძლება იყოს საავიაციო, სამხედრო-საზღვაო, სარაკეტო და ზოგადი დანიშნულების.

ზ ო გ ა დ ი დ ა ნ ი შ ნ ულ ებ ი ს **ს.ბ**, ტერიტორიის რაიონი, სადაც განლაგებულია სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების ჯარები (ძალები და საშუალებები). სახმელეთო ჯარების **ს.ბ**-ებს აქვთ მოწყობილი სასწავლო ველები, პოლიგონები, ტანკოდრომები, სასროლეთები, საწყობები, ყაზარმები, სახელოსნოები, ელსადგურები, თბოსადგურები და სხვა ნაგებობები. სახმელეთო ჯარების **ს.ბ**-ების ტიპის მიხედვით იქმნება საზღვაო ქვეითი ჯარის **ს.ბ**-ები. ზოგადი დანიშნულების ზოგიერთ **ს.ბ**-ში არ იგეგმება ჯარების დიდი კონტინგენტების განლაგება; აქ განალაგებენ მხოლოდ შეიარაღების, მატერიალური საშუალებების მარაგს და მორიგე ძალებს. ზოგჯერ ზოგადი დანიშნულების **ს.ბ**-ებს უწოდებენ ისეთ ობიექტებს, როგორიც არის სარაკეტო თავდასხმის შესახებ ადრეული შეტყობინების სისტემები, საჰაერო და კოსმოსური სივრცის კონტროლის სახმელეთო სადგურები, კავშირგაბმულობის ობიექტები, სადაზვერვო ცენტრები, ბირთვული იარაღის საწყობები და ა.შ.

ს ა ა ვ ი ა ც ი ო ბ ა ზ ა, ყველა ტიპის თვითმფრინავების განლაგების და მომსახურებისათვის მოწყობილი ტერიტორიის მნიშვნელოვარი მონაკვეთი. მოიცავს სამხედრო-საჰაერო ძალების (საჰაერო თავდაცვის, სახმელეთო ჯარების ავიაციის და საზღვაო ავიაციის) და საჰაერო თავდაცვის შენაერთებსა და ნაწილებს, ერთ ან რამდენიმე აეროდრომს, სატრანსპორტო საშუალებებს, კავშირგაბმულობის სისტემას, საწყობებს, ქარხნებს და სარემონტო სახელოსნოებს. საავიაციო ბაზები არის მოქმედი და სარეზერვო (სათადარიგო), მუდმივი და დროებითი. ზოგიერთი ქვეყნის, მაგალითად, აშშ-ის **ს.ბ**-ები ხშირად განლაგებულია სამხედრო-საზღვაო და სარაკეტო ბაზებთან ერთად;

ს ა მ ხ ე დ რ ო - ს ა ზ ღ ვ ა ო ბ ა ზ ა: 1. სანაპიროს და მიმდებარე ზღვის მონაკვეთის მოწყობილი რაიონი (ზონა), რომელიც უზრუნველყოფს ფლოტის ძალების ბაზირებას, მათ

ყოველდღიურ და საბრძოლო საქმიანობას. სამხედრო-საზღვაო ბაზა მოიცავს: ობიექტების კომპლექსს, რომელთაგან ძირითადია: მართვის ორგანოები და პუნქტები; ღუზაზე დგომის რაიონები; სათბობ-სატვირთო ტერმინალი; სამხედრო-საზღვაო ძალების და სამხედრო-საჰაერო ძალების საწვავის საწყობები; საბრძოლო მასალების საწყობები; კავშირგაბმულობის და რადიოდაზვერვის სადგურები; ენერგომომარაგების და წყალმომარაგების სისტემები; განმაგნიტების სადგურები; მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწყობები; მეტეოსადგურები; სატელევიზიო ცენტრი და ავტომატური სატელეფონო სადგური; დაცვის და თავდაცვის ძალები და საშუალებები; გემთშემკეთებელი და გემთსაშენი საწარმოები; სახომალდო შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის სხვადასხვა შემკეთებელი სახელოსნოები; ნავიგაციის საშუალებები; საცხოვრებელი კომპლექსები; საზღვაო პოლიგონები; სასწავლო ველები და პირადი შემადგენლობის მომზადების ცენტრები; 2. სამხედრო-საზღვაო ძალების სხვადასხვა გვარეობის ოპერატიულ-ტაქტიკური ტერიტორიული გაერთიანება, რომელიც განკუთვნილია თავის საოპერაციო ზონაში ხელშემწყობი ოპერატიული რეჟიმის შესაქმნელად, ფლოტის ძალების გაშლის და ბაზირების პუნქტებში მათი დაბრუნების, ბრძოლისუნარიანობის აღდგენის უზრუნველსაყოფად, აგრეთვე ფლოტის ძალების ნაოსნობის დაცვისა და ბაზირების ორგანიზებისათვის. სამხედრო-საზღვაო ბაზის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ნავსაწინააღმდეგო და ნაღმსატრალავი ხომალდების, წყლის რაიონის დაცვის ხომალდების ბრიგადები (დივიზიონები), სანაპირო და სპეციალური ჯარების ნაწილები, აგრეთვე ლოგისტიკის ნაწილები და დაწესებულებები; მოწყობილობის დანიშნულებისა და შემადგენლობის კვალობაზე განასხვავებენ მთავარ, სამანევრო (მობილურ), საოპერაციო, მეწინავე და ლოგისტიკის სამხედრო-საზღვაო ბაზებს. მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა არის მუდმივი სამხედრო-საზღვაო ბაზა, რომელზეც ბაზირებულია ფლოტის ძირითადი ძალები და სადაც, როგორც წესი, იმყოფება ფლოტის შტაბი.

ს ა რ ა კ ე ტ ო ბ ა ზ ა, ადგილმდებარეობის უბანი, რომელიც სპეციალურად არის მოწყობილი გარკვეული რაოდენობის გამშვები დანადგარების რაკეტებთან ერთად განლაგებისა და მათი გაშვების საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის. სარაკეტო ბაზის ძირითადი ელემენტებია: სარაკეტო გამშვები დანადგარები რაკეტებთან ერთად; რაკეტების გაშვების მართვის ცენტრები (პუნქტები); კავშირგაბმულობის კვანძები; მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და რემონტის ცენტრები, აეროდრომები, საცხოვრებელი კომპლექსები, საკაბელო ქსელი, დაცვისა და თავდაცვის ძალები, მისასვლელი გზები, საგზაო ქსელი და ა.შ.; სარაკეტო ბაზებში, როგორც წესი, ბაზირებულია სარაკეტო შენაერთები, სპეციალური ჯარებისა და ლოგისტიკის ნაწილები და ქვედანაყოფები რაკეტების, სათბობის, ქობინებისა და საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მარაგით; სარაკეტო ბაზები არის აშშ-ის, ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის, ჩინეთის და სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

სამხედრო ბეგარა, სამხედრო სამსახურში მოქალაქეების გაწვევის იძულებითი წესი, რომელიც ისტორიულად არის დამკვიდრებული ან შესაბამისი სახელმწიფო აქტებით განმტკიცებული. **ს.ბ**-ის ისტორიული ფორმებია: წოდებრივი, სათემო, საყოველთაო და მათი შეხამებები. საყოველთაო **ს.ბ**. პირველად იქნა შემოღებული საფრანგეთში 1798 წელს, ხოლო ბევრ სახელმწიფოში – XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვა). მშვიდობიანობის დროს შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობითი წესით (კონტრაქტით).

სამხედრო ბილეთი, უვადო დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სამხედრო მოსამსახურეების პიროვნებას, რეზერვში მყოფი მოქალაქეებისათვის განსაზღვრავს მათ სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობას და რეზერვისადმი კუთვნილებას, სხვა მოქალქეებისათვის – დამოკიდებულებას სამხედრო სამსახურისადმი. **ს.ბ**-ს გასცემს გამწვევი ორგანო სამხედრო სამსახურში გაწვევის (სამსახურის დაწყების, რეზერვში ჩარიცხვის ან სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის) დროს.

სამხედრო ბიუჯეტი, საკანონმდებლო წესით დამტკიცებული ფულადი სახსრების ფონდი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამხედრო საჭიროებებისათვის გამოიყოფა. **ს.ბ**., ჩვეულებრივ, განისაზღვრება მომავალი საფინანსო წლისათვის, მთელ რიგ სახელმწიფოებში – უფრო ხანგრძლივი ვადისათვის წლების მიხედვით. სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა მუხლებისაგან განსხვავებით, რომლებიც შეიცავენ შემოსავალ-გასავლის ბალანსს, **ს.ბ**-ში შემოსავლის ნაწილი, როგორც წესი, უმნიშვნელოა. მისი მთავარი კომპონენტია თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, რომლის წილადაც, ჩვეულებრივ, მოდის ოფიციალური სამხედრო ხარჯების არანაკლებ 90%-ისა. ბევრ ქვეყანაში თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი ითვალისწინებს ხარჯების დაყოფას როგორც მიზნობრივი დანიშნულების, ისე საუწყებო კუთვნილების მიხედვით. ჩვეულებრივ, მის სტრუქტურაში შედის დაფინანსების მთავარი მიზნობრივი მიმართულებები: სამხედრო მოსამსახურეების შენახვა; სამოქალაქო პერსონალის შენახვა; ჯარების საბრძოლო მომზადება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, შეიარაღების და სამხედრო ტექნი-

კის შესყიდვა; სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები; სამხედრო ობიექტების მშენებლობა. მსოფლიო პრაქტიკაში სახელმწიფოს იმისათვის მზადება ფასდება სამხედრო ხარჯების წილით ქვეყნის მთლიან შინაგან პროდუქტში. ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების განვითარებისათვის ზღვრულად დასაშვებმა სამხედრო ხარჯების დონემ XX საუკუნის ბოლოსთვის მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 2-5%. მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ **ს.ბ**-ის მოცულობის დაგეგმვა, შეიარაღებული ძალებისათვის დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, არის ნებისმიერი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის საიმედოობის უზრუნველმყოფი კანონი. ამ პრინციპის დაუცველობამ შეიძლება მოკლე ვადაში დაანგრიოს ეროვნული თავდაცვის სისტემა, რომელიც ათეული წლების მანძილზე ყალიბდება.

სამხედრო ბლოკადა, საომარი მოქმედებები, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის ობიექტის იზოლირება. **ს.ბ**-ის ობიექტი შეიძლება იყოს ცალკეული სახელმწიფო, ქალაქი, ჯარების მსხვილი დაჯგუფება, ეკონომიკური რაიონი, კუნძული, სრუტეების ზონა და სხვა. **ს.ბ**-ის მიზანია: სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალისთვის ძირის გამოთხრა, მოწინააღმდეგის ბლოკირებული შეიარაღებული ძალების გამოფიტვა და მისი შემდგომი განადგურებისათვის პირობების შექმნა, მოწინააღმდეგის იძულება კაპიტულაციაზე, აგრეთვე სხვა მიმართულებებით მისი ჯარების (ძალების) გადასროლის აღკვეთა. შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. შეიძლება ხორციელდებოდეს სტრატეგიული და ოპერატიული მასშტაბებით. ტაქტიკური მასშტაბის **ს.ბ**-ას, ჩვეულებრივ, უწოდებენ ბლოკირებას. სტრატეგიული მასშტაბის **ს.ბ**-ას შეიძლება წინ უძღოდეს (ან ხორციელდებოდეს მასთან ერთად) ეკონომიკური ბლოკადა.

ისტორიაში **ს.ბ**-ის მრავალი ფაქტია ცნობილი, მაგალითად, კონტინენტური ბლოკადა ინგლისის წინააღმდეგ ნაპოლეონთან ბრძოლის დროს; გერმანიის მიერ განხორციელებული დიდი ბრიტანეთის საზღვაო ბლოკადა და გერმანიის ბლოკადა I მსოფლიო ომში. II მსოფლიო ომში იყო შერეული სახის **ს.ბ**-ები. ცნობილია ლენინგრადის ბლოკადა, რომელიც 900 დღე გაგრძელდა. ბლოკადის ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობის, მოსაზიდი ძალების და საშუალებების შესაბამისად **ს.ბ.** შეიძლება იყოს სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო ან შერეული. სახმელეთო **ს.ბ**. გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ძველი მსოფლიოს ომებში (ტროას ომი). საზღვაო **ს.ბ**-ის მიზანია იზოლაციაში მოაქციოს მოწინააღმდეგის ფლოტის ძალები ბაზებში ან გააძნელოს მათი საბრძოლო გამოყენება, აგრეთვე უზრუნველყოს ხელშემწყობი ოპერატიული რეჟიმი საკუთარი სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედებისათვის. საზღვაო ბლოკადა ხორციელდება სანაპიროს მისადგომების პატრულირების, ნავსადგურების ბლოკადის გზით, მნიშვნელოვან სახმელეთო ობიექტებზე სარაკეტო-საავიაციო და საარტილერიო დარტყმების მიყენებით. **ს.ბ**-ის სამართლებრივი მხარე მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულებისა და კონვენციის საგანია.

სამხედრო ბლოკი, იხ. *სამხედრო პოლიტიკური კავშირი.*

სამხედრო გადატრიალება, სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლა, რომლის შედეგადაც ქვეყნის პოლიტიკური მმართველობა გადადის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა ხელში. სამხედრო გადატრიალება არის შეთქმულების შედეგი და მეტწილად ხორციელდება ჯარების შეზღუდული კონტინგენტების მოზიდვით (უფრო იშვიათად – მთელი შეიარაღებული ძალების გამოყენებით).

სამხედრო განათლება, სამხედრო სპეციალისტების მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების პროცესი. სამხედრო განათლების ძირითადი მიზანია სხვადასხვა სპეციალობის კვალიფიციური სამხედრო კადრებით შეიარაღებული ძალების (ჯარების) დაკომპლექტება.

სამხედრო გეოგრაფია, გეოგრაფიის სპეციალური დარგი, რომელიც იკვლევს პოლიტიკური ძალების განლაგებას, ქვეყნების (სახელმწიფოების კოალიციების) ეკონომიკურ და სამხედრო შესაძლებლობებს, ბუნებრივ პირობებს და მათ გავლენას ომის (საომარი მოქმედებების) მომზადებასა და წარმოებაზე.

სამხედრო-გეოგრაფიული რაიონი, დედამიწის გეოგრაფიულად განკერძოებული ნაწილი, რომელიც მოიცავს ცალკეულ კონტინენტს (კონტინენტის ნაწილს) მომიჯნავე აკვატორიის ზოლით, შიდა ზღვებით, ასევე საჰაეროკოსმოსური სივრცით. **ს.-გ.რ**-ის საზღვრები ძირითადად განისაზღვრება სამხედრო-გეოგრაფიული პირობებით. თითოეული რაიონისთვის დამახასიათებელია სპეციფიკური და შედარებით მდგრადი ფიზიკურ-გეოგრაფიული, სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური და ეთნოგრაფიული ვითარება, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს შესაძლო საბრძოლო მოქმედებების წარმოებაზე.

სამხედრო გზები, სახმელეთო გზები, რომლებიც განკუთვნილია ჯარების (ძალების) საკუთარი სვლით გადაადგილებისათვის ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების, მიმდინარეობის, მატერიალური საშუალებების მიზიდვისთვის, დაჭრილების და ავადმყოფების, აგრეთვე დაზიანებული სამხედრო ტექნიკის ევაკუაციისათვის. სამხედრო კომუნიკაციების

შემადგენელი ნაწილი. მოიცავს; სამხედრო-საავტომობილო და საჯარისო გზებს, რომლებსაც ამზადებენ და უვლიან საინჟინრო ჯარების ნაწილები და ქვედანაყოფები არსებული გზების მაქსიმალური გამოყენებით. **ს.ბ.** არის დაჯგუფების (ზურგიდან ფრონტისაკენ მიმავალი) და როკადული – (ფრონტის პარალელური); კუთვნილების მიხედვით იყოფა ცენტრალურ, დაჯგუფების, საარმიო (საკორპუსო) სამხედრო-საავტომობილო, აგრეთვე საჯარისო გზებად. სამხედრო-საავტომობილო გზები, ჩვეულებრივ, მოიცავენ: ძირითად და სათადარიგო მარშრუტებს მათზე მოწყობილი გასამართი და სასურსათო, ტექნიკური და სამედიცინო დახმარების პუნქტებით; ძირითად და სათადარიგო ხიდურ გადასასვლელებს; ლოგისტიკის ყველაზე მნიშვნელოვან ობიექტებთან მისასვლელ გზებს. ყოველ სამხედრო-საავტომობილო გზაზე ხორციელდება საგზაო უზრუნველყოფა. ყოველ სამხედრო-საავტომობილო გზას მიეკუთვნება ნომერი და დაენიშნება უფროსი.

სამხედრო დაგეგმვა, იხ. *ნატოს სამხედრო დაგეგმვის სისტემა.*

სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი, ნატოს ერთ-ერთი მთავარი სამხედრო-პოლიტიკური და ხელმძღვანელი ორგანო, რომელშიც წარმოდგენილია ალიანსის ყველა წევრი სახელმწიფო. კომიტეტის სხდომები, ჩვეულებრივ, მუდმივი წარმომადგენლების დონეზე ტარდება, ხოლო წელიწადში არანაკლებ ორისა – თავდაცვის მინისტრების დონეზე. სხდომებზე განიხილება სამხედრო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კოლექტიური თავდაცვის დაგეგმვასთან. გამოიცემა ნატოს სამხედრო ხელმძღვანელი ორგანოს დირექტივები.

სამხედრო დაზვერვა, სარდლობათა ყველა დონის შტაბების ღონისძიებათა და ჯარების (ძალების) მოქმედების ერთობლიობა. ხორციელდება ცალკეულ ქვეყნებსა და სახელმწიფოთა კოალიციებში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის, ჯარების (ძალების) დაჯგუფებების შემადგენლობის, მდებარეობის, მდგომარეობის, მოქმედების ხასიათისა და ზრახვების, აგრეთვე საომარი მოქმედების თეატრის შესახებ ცნობების მოპოვების მიზნით; ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა. გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბის მიხედვით **ს.დ.** არის სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. სახეობების მიხედვით **ს.დ.** არის: მოქმედების სფეროების მიხედვით – სახმელეთო, საჰაერო, საზღვაო და კოსმოსური; გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათის და დანიშნულების მიხედვით – აგენტურული, სპეციალური, რადიო და რადიოტექნიკური, საჯარისო, საარტილერიო-საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური (ბაქტეოროლოგიური), ტოპოგრაფიული, ჰიდროგრაფიული, ჰიდრომეტეოროლოგიური, ტექნიკური, ლოგისტიკური; დაზვერვის ტექნიკური საშუალებებიდან გამომდინარე – რადიოელექტრონული, ოპტიკურ-ელექტრონული, ოპტიკური, ბგერით-ჰიდროაკუსტიკური, სეისმოაკუსტიკური, მაგნიტომეტრიული და სხვა. **ს.დ.** ხორციელდება დაზვერვის ძალებითა და საშუალებებით. მათ განეკუთვნება ჯარების (ძალების) საშტატო სადაზვერვო შენაერთები და ნაწილები (ქვედანაყოფები), აგრეთვე მათი შემადგენლობიდან გამოყოფილი სადაზვერვო ორგანოები. დაზვერვის წარმოებისათვის შეიძლება მოზიდულ იქნეს ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების სხვა ნაწილები (ხომალდები), ქვედანაყოფები. დაზვერვა წარმოებს ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებების მთელ ზოლში (საოპერაცი ზონაში), ფლანგებზე და მათი საბრძოლო ამოცანების მთელ სიღრმეზე. დაზვერვის ინტერესის სფეროს განეკუთვნება მოწინააღმდეგის ყველა ობიექტი (შეიარაღებული ბრძოლის ძალები და საშუალებები, საინჟინრო ნაგებობები, ადგილობრივი საგნები), აგრეთვე საომარი მოქმედებების თეატრის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები. მნიშვნელობის მიხედვით ისინი იყოფა სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური დაზვერვის ობიექტებად. ოპერაციის (ბრძოლის) მიმდინარეობასა და შედეგზე გავლენის ხარისხის მიხედვით დაზვერვის ობიექტები არის მნიშვნელოვანი და რიგითი. ინფორმაციას, რომელსაც მოიპოვებენ დაზვერვის ძალები, ეწოდება სადაზვერვო ინფორმაცია. სადაზვერვო მონაცემების მოპოვების ძირითად ხერხებს წარმოადგენს: თვალთვალი, მიყურადება, ფოტოგრაფირება (სახმელეთო, საჰაერო, წყალზედა, წყალქვეშა, კოსმოსური), ხელში ჩაგდება, რადიოელექტრონული საშუალებების გამოსხივების ტექნიკური ანალიზი, პელენგაცია, ძებნა, საჰაერო თავდასხმა, ჩასაფრება, ბრძოლით დაზვერვა, ადგილობრივი მცხოვრებლების გამოკითხვა, ტყვეებისა და გადმოსულების დაკითხვა, მოწინააღმდეგისათვის ჩამორთმეული დოკუმენტების შესწავლა. სადაზვერვო ცნობებს მოიპოვებენ, ამუშავებენ და მოახსენებენ სარდლობას (მეთაურებს) დეტალიზაციის ისეთი ხარისხით, როგორიც მას სჭირდება ჯარების (ძალების) მოქმედებაზე გადაწყვეტილების მისაღებად.

სამხედრო დამკვირვებლები, ცალკეული ქვეყნების სამხედრო ან სამოქალაქო წარმომადგენლები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებით, ან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებით ახორციელებენ მეთვალყურეობას შეიარაღებული კონფლიქტების დარეგულირების, ან სამხედრო სფეროში დადებული შეთანხმებების შესრულებაზე. **ს.დ**-ის სტატუსს და ამოცანებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევებში განსაზღვრავს შე-

საბამისი საერთაშორისო ორგანიზაცია ან სახელმწიფოთაშორისი შეთანხმება.

სამხედრო დამნაშავეები, ორგანიზატორები, წამქეზებლები, ხელმძღვანებლები და შემსრულებლები, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული მშვიდობის, ადამიანურობის, სამხედრო კანონებისა და ომის წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ. **ს.დ**-ის პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ცალკეული სახელმწიფოების სისხლის სამართლის კანონმდებლობით, მრავალი საერთაშორისო შეთანხმებით, დამკვიდრებულია იმ საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალების წესდებით და განაჩენებით, რომლებმაც გაასამართლეს ფაშისტური გერმანიის და მილიტარისტული იაპონიის მთავარი სამხედრო დამნაშავეები. XX საუკუნის ბოლოს **ს.დ**-ად აღიარეს ყოფილ იუგოსლავიაში ომის მონაწილე სახელმწიფო და სამხედრო პირები.

სამხედრო დანაკარგები, ზარალი, რომელსაც მოპირისპირე მხარეები განიცდიან ომის (საომარი კონფლიქტის) შედეგად. მასში შედის: ადამიანების, საკუთრების, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის, მატერიალური საშუალებების დანაკარგი ფრონტზე და ზურგში. ეკოლოგიური ბალანსის დარღვევით გამოწვეული ზიანი იყოფა სხვადასხვა სახეობის იარაღის ზემოქმედებასთან დაკავშირებულ პირდაპირ და არაპირდაპირ დანაკარგებად. თავის მხრივ, პირდაპირი **ს.დ**. არის საბრძოლო და არასაბრძოლო (არასაბრძოლო ვითარებაში მიყენებული), აუნაზღაურებელი და ანაზღაურებადი (დროებითი).

სამხედრო დანაშაული, საზოგადოებრივად საშიში ქმედება ან უმოქმედობა სამხედრო სამსახურის დადგენილი წესების წინააღმდეგ, რომელიც ჩაიდინა სამხედრო მოსამსახურემ, ან სამხედრო ვალდებულმა. დანაშაულის ზოგადი ცნების ნაირსახეობა, რომელიც დამკვიდრებულია სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსში და აქვს ყოველგვარი დანაშაულისთვის დამახასიათებელი ნიშნები, ამასთან გამოირჩევა თავისი სპეციფიკით.

სამხედრო დაპირისპირება, სახელმწიფოთა (სახელმწიფოთა კოალიციების) ურთიერთოებები, რომლებიც ხასიათდება მათი სამხედრო დაპირისპირებით. სამხედრო დაპირისპირების შინაარსი დამოკიდებულია მიზნებზე, რომლებსაც სახელმწიფოები (სახელმწოფოთა კოალიციები) ისახავენ: სამხედრო უპირატესობის მიღწევა; ერთი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) მეორეზე პოლიტიკური ზეწოლა; აგრესიის მოგერიების დროს საკუთარი სუვერენიტეტის შეიარაღებული დაცვა; სამხედრო თავდასხმის მზადყოფნის დემონსტრირება.

სამხედრო დახმარება, მხარდაჭერა სამხედრო მშენებლობაში, შეიარაღებული ძალების მშენებლობასა ან საბრძოლო მოქმედებების წარმოებაში. **ს.დ.** ხორციელდება ორმხრივი ან მრავალმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების და შეთანხმებების საფუძველზე სხვადასხვა ფორმით. მაგალითად: კრედიტების გამოყოფა, შეიარაღების, სამხედრო ტექნოლოგიების, ტექნიკის და ქონების მიყიდვა ან უსასყიდლოდ გადაცემა; სამხედრო მრჩევლების, სპეციალისტების და ინსტრუქტორების მივლინება; სამხედრო კადრების მომზადება და სხვა. **ს.დ**-ს უწევენ არა მარტო სახელმწიფოები, არამედ ცალკეული პირები და ჯგუფები კერძო ინიციატივით, საზოგადოებრივი მოძრაობების პოლიტიკური ზომების ან სპეციალურად შექმნილი ორგანიზაციების კომერციული აქტივობის, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეების დაქირავების ფორმით. ზოგიერთ სახელმწიფოში **ს.დ**-ის გაწევა სახელმწიფოს პრეროგატივად არის მიჩნეული.

სამხედრო დემოგრაფია (ბერძნული demos – ხალხი, grapho – ვწერ), სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც იკვლევს მოსახლეობის პრობლემებს სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებით, აგრეთვე ომისა და საომარი კონფლიქტების უშუალო და ირიბ გავლენას ცალკეული ქვეყნების, რეგიონების, მსოფლიოს დემოგრაფიაზე. წარმოიშვა სამხედრო მეცნიერებისა და დემოგრაფიის მიჯნაზე. **ს.დ**-ის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: სახელმწიფოს სამობილიზაციო შესაძლებლობების, მათ შორის, შეიარაღებული ძალების და ეკონომიკის სამობილიზაციო რეზერვების, მობილიზაციის და დემობილიზაციის პროცესების შესწავლა; სამხედრო დანაკარგებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა, მოსახლეობის ომამდელი, ომიანობის და ომის შემდგომი წლების მიგრაციის განხილვა, რომელიც გამოწვეულია სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციით, მობილიზაციითა და დემობილიზაციით, მოსახლეობის, ჯარების, შრომითი რესურსების ევაკუაციითა და რეევაკუაციით; ომების დემოგრაფიული შედეგების (მეომარი სახელმწიფოების მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნობის კლება, ასაკობრივი და სქესობრივი სტრუქტურის ცვლილებები, შობადობის და ქორწინებების რაოდენობის შემცირება და სხვა) გაანალიზება.

სამხედრო დემოკრატია, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის უძველესი ფორმა, რომელიც კანონზომიერად ყალიბდებოდა პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და სახელმწიფოს შექმნის საწყის ეტაპზე. სახელწოდება „სამხედრო დემოკრატია“ პირველად გამოიყენა ამერიკელმა ეთნოლოგმა, მეცნიერმა ლ. გ. მორგანმა ნაშრომში „ძველი საზოგადოება“ (1877). იგი ნიშნავს სამხედრო ბელადების ძალაუფლებას პირველყოფილი კოლექტივიზმის და დემოკრატიის ნიშნების პირობებში: სახალხო კრებებს, უხუ-

ცესთა საბჭოებს და სხვა. ომის დროს მეომარი ხდებოდა ყველა მამაკაცი, რომელსაც შეეძლო იარაღის ტარება; მხედართმთავარს ირჩევდა სახალხო კრება. თანდათან რაზმი არმიის ბირთვად ყალიბდებოდა; მხედართმთავრის ამალა და უხუცესების საბჭო ახალჩასახული სახელმწიფოებრიობის საფუძველს წარმოადგენდა.

სამხედრო დიდაქტიკა (ბერძნული didaktikos – დამრიგებლობითი, სწავლებასთან დაკავშირებული), სამხედრო პედაგოგიკის დარგი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეების და სამხედრო კოლექტივების სწავლების, აღზრდის და ფსიქოლოგიური მომზადების თეორიას ამუშავებს; ასაბუთებს და აშუქებს მეომრის სწავლების მიზნებს, შინაარსს, პრინციპებს, მეთოდებსა და ფორმებს; განიხილავს მათ სოციალურ-პედაგოგიურ პროცესად, რომელშიც თავმოყრილია შემდეგი ფუნქციები: საგანმანათლებლო (დაკავშირებულია მეომრის უნარსა და ჩვევებთან); აღმზრდელობითი (სამხედრო მოსამსახურის ზნეობრივი და საბრძოლო თვისებების ჩამოყალიბება); მეომრის ინტელექტისა და ფიზიკური ძალის განვითარება; ფსიქოლოგიური მომზადება (საბრძოლო და სამსახურებრივი ამოცანების გადასაწყვეტად მეომრის ფსიქოლოგიური მზადყოფნის ჩამოყალიბება). ყველა ამ ფუნქციას **ს.დ**. ახორციელებს სამხედრო პედაგოგიკის სხვა ნაწილებთან და სამხედრო ფსიქოლოგიასთან ურთიერთქმედებით. ამასთან იყენებს სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიის, ლოგიკის, კიბერნეტიკისა და მათემატიკის მიღწევებს.

სამხედრო დისციპლინა, სამხედრო მოსამსახურეთა მიერ წესრიგის და იმ წესების განუხრელი დაცვა, რომლებიც დადგენილია კანონებით, სამხედრო წესდებით და მეთაურების (უფროსების) ბრძანებებით; ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნისა და ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ჩვეულებრივ, შეიარაღებულ ძალებში ემყარება თითოეული სამხედრო მოსამსახურის მიერ თავისი მხედრული მოვალეობის და სამშობლოს წინაშე პირადი პასუხისმგებლობის გაცნობიერებას, უსაზღვრო ერთგულებას მშობელი ერისადმი.

სამხედრო დიქტატურა, სოციალურ-პოლიტიკური ჯგუფის ან პირთა ვიწრო წრის ძალაუფლება, რომელიც ხორციელდება პირდაპირი ან არაპირდაპირი შეიარაღებული ძალადობის აქტიური გამოყენებით. როგორც წესი, არ სარგებლობს ხალხის ფართო მასების მხარდაჭერით. ახასიათებს დემოკრატიული უფლებების და თავისუფლებების შეზღუდვა ან სრული გაუქმება. ასევე შეიარაღებული ძალების ორგანოების და საშუალებების (არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური და სხვა) გაბატონება საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, შეუზღუდველი და უკონტროლო ძალაუფლება, ოპოზიციური ძალების აკრძალვა და ფიზიკური ტერორი თავისუფლად მოაზროვნეთა წინააღმდეგ და ა.შ. **ს.დ**. მყარდება გადატრიალების, ამბოხების, საგანგებო მდგომარეობის დაწესების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების შედეგად.

სამხედრო დოკუმენტები (ლათინური documentum – მოწმობა, საბუთი), სამხედრო ინფორმაციის მატარებელი საბუთები. განკუთვნილია სამხედრო მმართველობის ორგანოების განმკარგველ-აღმასრულებელი საქმიანობისათვის როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დორს. **ს.დ**. შეიძლება წარმოადგენდეს წერილობით ტექსტს, აგრეთვე ბგერით ინფორმაციას, ბარათს, იყოს დაფიქსირებული ფოტოფირზე (ფირფიტებზე), მაგნიტურ ლენტზე, პერფობარათებზე, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მეხსიერების ბლოკებში, მაგნიტურ დისკეტებზე, ელექტრონულ ფოსტზე (E-mail) და ა.შ.

არსებობს ოპერატიული (საბრძოლო), სამობილიზაციო და ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული (სამსახურებრივი) **ს.დ**., ცალკე ჯგუფს შეადგენენ საწესდებო დოკუმენტები. ასევე დოკუმენტები, რომლებიც განეკუთვნება ჯარების საბრძოლო საქმიანობას, საბრძოლო მოქმედებების (ოპერაციების) მომზადებას და წარმოებას; გარდა ამისა არის ოპერატიული (საბრძოლო) დოკუმენტები. დანიშნულების მიხედვით ისინი იყოფა ჯარების მართვის შესაბამისად: დამგეგმავ და დირექტიულ, საანგარიშგებო-საინფორმაციო, საცნობარო დოკუმენტებად; სამობილიზაციო, ანუ დოკუმენტები, რომლებიც განეკუთვნება სამობილიზაციო მუშაობის დაგეგმვას და ორგანიზებას (სამობილიზაციო მზადყოფნა, სამობილიზაციო მომზადება). ადმინისტრაციულ-ორგანიზაციულს უწოდებენ დოკუმენტებს, რომლებიც ასახავენ და განსაზღვრავენ შტაბების ყოველდღიურ ორგანიზატორულ, ადმინისტრაციულ და სამეურნეო საქამიანობას, ჯარების სამსახურსა და ყოფას. ფორმის მიხედვით დოკუმენტები შეიძლება იყოს ტექსტობრივი, გრაფიკული ან ცხრილის სახით. ტექსტის შინაარსი დამოკიდებულია დოკუმენტის სახეობასა და დანიშნულებაზე; გრაფიკული დოკუმენტები მუშავდება ვითარების, ჯარების მოქმედებების ხასიათის და სხვა მოვლენების თვალსაჩინო ასახვისათვის ტოპოგრაფიულ (საზღვაო) რუკაზე, ცვილანაზე (კალკაზე), პლასტიკატზე ან ქაღალდზე პირობითი ნიშნების მეშვეობით. დოკუმენტები ცხრილის სახით, ძირითადად, განკუთვნილია გაანგარიშების, გაფორმებისა და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემებისათვის. **ს.დ**. უნდა იყოს ზუსტი, ოპტიმალურად მოკლე, თვალსაჩინო და მუშაობაში მოსახერხებელი.

სამხედრო დოქტრინა, სახელმწიფოებში (სახელმწიფოების კოალიციაში) მოცემული დროისათვის ოფიციალური შეხედულებებით მიღებული სისტემა. ის გავლენას ახდენს პოლიტიკური მიზნით სამხედრო ძალადობის საშუალებების გამოყენებაზე, სამხედრო ამოცანების ხასიათსა და გადაწყვეტის ხერხებზე, ასევე სამხედრო მშენებლობის ძირითად მიმართულებებზე. მოცემულ ისტორიულ ეტაპზე **ს.დ**. კონცენტრირებული სახით გამოხატავს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შინაარსს, ახასიათებს სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის მთავარ მიმართულებებს. **ს.დ**-ის ფორმირებაზე განმსაზღვრელ გავლენას ახდენს ძალების განაწილება და თანაფარდობა სახელმწიფოთა შიგნით და გარეთ, მათი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური შესაძლებლობები, გეოპოლიტიკური მდებარეობის თავისებურებები, ასევე – იარაღისა და სამხედრო ტექნიკის წარმოების განვითარების დონე, შეიარაღებული ძალების მდგომარეობა, ხალხისა და არმიის სულიერ-ზნეობრივი ტრადიციები, მოკავშირე და მეტოქე სახელმწიფოების **ს.დ**-ების მიზანმიმართულება და სხვა. **ს.დ**-ის ფორმირებას ახორციელებს ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა. მის დებულებებს ენიჭება ნორმატიული ძალა და სავალდებულოა სახელმწიფო ორგანოებისა და სამხედრო კადრებისათვის. **ს.დ**-ის შინაარსი აისახება დოკუმენტებში: სამხედრო-პოლიტიკურ დეკლარაციებში სახელმწიფოს **ს.დ**-ის მიმართულების შესახებ; საკანონმდებლო და სამთავრობო იურიდიულ დოკუმენტებში ეროვნული უსაფრთხოების, თავდაცვისა და სამხედრო მშენებლობის საკითხებზე; შეიარაღებული ძალების საბრძოლო საქმიანობის განმსაზღვრელ დოკუმენტებში; საერთო-საჯარისო წესდებებსა და ფუძემდებლურ ბრძანებებში, დარიგებებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებში, რომლებიც განსაზღვრავენ შეიარაღებული ძალების ცხოვრებასა და საქმიანობას მშვიდობიანობის დროს. **ს.დ**-ებში განასხვავებენ ორ მჭიდროდ დაკავშირებულ და ურთიერთგანმაპირობებელ მხარეს – პოლიტიკურსა და საკუთრივ სამხედროს. პოლიტიკური მხარე მოიცავს საკითხებს, რომლებიც ეხება შეიარაღებული ძალადობის საშუალებების გამოყენებას პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, სახელმწიფოს დამოკიდებულებას ომისადმი, სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური მიზნების შინაარსს და მათი მიღწევის გზებს; შესაძლო ომისათვის მოსახლეობისა და არმიის მორალურ-იდეოლოგიური მომზადების ამოცანებს. **ს.დ**-ის საკუთრივ სამხედრო მხარე ეფუძნება მის პოლიტიკურ დებულებებს, აანალიზებს სახელმწიფოსათვის ომის საშიშროების დონეს, განსაზღვრავს შესაძლო ომის ხასიათს, მის ოპერატიულ-ტაქტიკურ თავისებურებებს, აწესებს შეიარაღებული ძალების მშენებლობის თვისებრივ-რაოდენობრივ პარამეტრებს, მათი დაკომპლექტების პრინციპებსა და საბრძოლო გამოყენების ხერხებს. იგი განსაზღვრავს ასევე სამხედრო-ტექნიკურ პოლიტიკას და ომისათვის ქვეყნის, მოსახლეობისა და შეიარაღებული ძალების ყოველმხრივი მომზადების ამოცანებს. XXI საუკუნის დამდეგს ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო დოქტრინები ვითარდება ნატოს კოალიციური სამხედრო დოქტრინის პოლიტიკური და სამხედრო დებულებების საფუძველზე. კოალიციურ **ს.დ**-ში ხაზგასმით არის აღნიშნული არსებული საშიშროებებისა და საფრთხეების მრავალმხრივი ხასიათი. ნატოს ერთ-ერთ პრიორიტეტულ ფუნქციად არის აღიარებული კრიზისების კონტროლი, მონაწილეობა მშვიდობის აღდგენა-შენარჩუნების ოპერაციებში, როგორც გაეროს ეგიდით, ისე ალიანსის ინიციატივით.

სამხედრო დროშა, ნიშანი, რომელიც აერთიანებს სამხედრო ნაწილს და მიუთითებს მის კუთვნილებაზე კონკრეტული სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისადმი; მხედრული პატივის სიმბოლო. ხომალდის დროშას ალამს უწოდებენ. გაჩნდა უძველეს დროში. თავდაპირველად **ს.დ**-ის როლს ასრულებდნენ გარკვეული ფიგურები (ბუ, არწივი; ჩვენში – სვანური ლემი), რომლებიც ტარს ზემოდან უკეთდებოდა, ხოლო IX საუკუნიდან ტარზე უკვე ქსოვილს ამაგრებდნენ.

სამხედრო დღესასწაულები, საზეიმოდ აღსანიშნავი თარიღები (დღეები), რომლებიც სახელმწიფოს მიერ არის დაწესებული ქვეყნის ისტორიის, შეიარაღებული ძალების ცხოვრებაში ღირშესანიშნავი მოვლენების აღსანიშნავად. ასეთი ყოველწლიური დღესასწაულების რიცხვს განეკუთვნება: საერთო-სახელმწიფოებრივი **ს.დ**. იმ თვალსაჩინო სამხედრო მოვლენების აღსანიშნავად, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს ერის ისტორიაში და მთლიანად ეროვნულ სამხედრო მშენებლობაში; შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ფლოტების) გვარეობების და ძალების **ს.დ.** უკავშირდება მათი ისტორიის ღირსსახსოვარ თარიღებს; ნაწილების (ხომალდების) ყოველწლიური **ს.დ**-ის გარდა არსებობს საიუბილეო **ს.დ**., ე.ი. პერიოდულად აღსანიშნავი წლისთავები. ისინი დაკავშირებულია რომელიმე მნიშვნელოვანი სამხედრო მოვლენის ან ცნობილი მხედართმთავრის ცხოვრების და მოღვაწეობის თარიღთან. შეიარაღებული ძალები და მათი პირადი შემადგენლობა მონაწილეობენ იმ საერთო-სახელმწიფოებრივი დღესასწაულების აღნიშვნაში, რომლებიც სამხედრო ისტორიასთან უშუალოდ არიან დაკავშირებული.

სამხედრო ეთიკა (ბერძნული ethikos – ეხება ზნეობას), ზოგადი ეთიკის შემადგენელი ნაწილი, რომელიც შესაბამისობაშია სამხედრო

მორალის ნორმებსა და პრინციპებთან, პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიურ და საბრძოლო თვისებებთან. **ს.ე.** ეყრდნობა სამხედრო მეცნიერების გარკვეულ ფილოსოფიურ პრინციპებს და სამხედრო ფსიოქლოგიას. სამხედრო-ეთიკური ცოდნა გვეხმარება, შევიმუშაოთ მწყობრი ზნეობრივ-მსოფლმხედველობრივი პოზიცია და მხედრული მოვალეობის შეგნება. ამავე დროს სწორად შევაფასოთ სამხედრო მოსამსახურეების ურთიერთობის სხვადასხვაგვარი ასპექტი, სწორი არჩევანი გავაკეთოთ მშვიდობიანობის და ომიანობის დროს ქცევის ნორმების განსაზღვრისას. **ს.ე**-ის დებულებამ ასახვა პოვა სამხედრო ფიცსა და სამხედრო წესდებაში.

სამხედრო ეკონომიკა, სამხედრო-სამეურნეო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს სამხედრო უსაფრთხოებას. განასხვავებენ **ს.ე**-ის ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ მხარეებს. პირველს შეადგენენ მისი მატერიალურ-ნივთობრივი ელემენტები და მასში დასაქმებული პერსონალი, მეორეს – ურთიერთობები, რომლებიც ადამიანებს შორის ყალიბდება სამხედრო მოთხოვნილებების ეკონომიკურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. **ს.ე**-ის რთულ სტრუქტურას განიხილავენ ფუნქციურ, ტერიტორიულ, ადმინისტრაციულ-საუწყებო და სხვა გეგმებში. ფუნქციური ანალიზი საშუალებას იძლევა, გავლებულ იქნეს მკაფიო მიჯნა სამოქალაქო და სამხედრო წარმოებას (საწარმოს, ორგანიზაციას) შორის მათი პროდუქციის ფაქტობრივი გამოყენების მხრივ, განისაზღვროს სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური დაძაბულობის დონე. ადმინისტრაციულ-საუწყებო თვალსაზრისით, **ს.ე.** წარმოგვიდგება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის და შეიარაღებული ძალების ერთიანი სამეურნეო სისტემის სახით. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის სამხედრო მიმართულებებზე ორიენტირებულ ნაწილს, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობის სამხედრო დარგებს. მრეწველობის საბაზისო დარგებს, აგრარულ სექტორს, ტრანსპორტს, კავშირგაბმულობას **ს.ე**-ს განაკუთვნებენ, მათ მიერ სახელმწიფოს სამხედრო მოთხოვნილებების მომსახურების ნაწილში. შეიარაღებული ძალების ეკონომიკა უზრუნველყოფს სამხედრო პროდუქციის განაწილებას, გაცვლას (მიმოქცევას) და მოხმარებას. იგი მოიცავს შეიარაღებული ძალების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, სამეურნეო სამსახურის ორგანოებს. XIX საუკუნის ომებში **ს.ე**-ის ფარგლებში იხარჯებოდა მეომარ სახელმწიფოთა ეროვნული შემოსავლის 8–14%, I მსოფლიო ომში – 33%-მდე, II მსოფლიო ომში – 50%. **ს.ე**-ის სიმძლავრეების ზრდას ხელი შეუწყო II მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებულმა გამალებულმა შეიარაღებამ. სამხედრო ალიანსებში შემავალი ქვეყნების სამხედრო-სამრეწველო საწარმოები ამუშავებდნენ და ახორციელებდნენ სამხედრო-სამეცნიერო კვლევის გრძელვადიან პროგრამებს, აღჭურვავდნენ შეიარაღებულ ძალებს სულ უფრო სრულყოფილი იარაღით. XX საუკუნის ბოლო ათწლეულში, სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, მთელ რიგ ქვეყნებში გაჩაღდა სამხედრო წარმოების კონვერსიის პროცესები. **ს.ე**-ის რეფორმირების პირობებში ქვეყნების წინაშე დგება ამოცანა, შეინარჩუნონ თავდაცვითი პოტენციალი არსებული და პოტენციური სამხედრო საშიშროებისადმი ადეკვატურ დონეზე. ამასთან, გაითვალისწინონ სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობა. **ს.ე**-ის, როგორც მეცნიერების, საგანია ეკონომიკური ურთიერთობები. მათი სირთულე და მრავალწახნაგა ხასიათი აისახება **ს.ე**-ის თეორიასა და ფუნქციური, დარგობრივი სფეროს კონკრეტულ სამხედრო-ეკონომიკურ დისციპლინებში.

სამხედრო ექსპანსია (ლათინური expansion – გაფართოება), შეიარაღებული გზით უცხო ტერიტორიების დაპყრობა, სხვა ხალხის დაკაბალება, მიწა-წყლის ანექსია საკუთრი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობის განმტკიცების, გავლენის სფეროების გაფართოების მიზნით. დამახასიათებელია ყველა ისტორიული ეპოქისათვის. **ს.ე**-ის პოლიტიკა ეწინააღმდეგება თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებს.

სამხედრო ვალდებულება, მოქალაქეების მიერ სამშობლოს დაცვის კონსტიტუციური ვალის და მოვალეობების რეალიზაციის კანონით დადგენილი წესი. **ს.ვ.** ითვალისწინებს: სამხედრო აღრიცხვას, სამხედრო სამსახურისთვის სავალდებულო მომზადებას, გაწვევას, სამხედრო სამსახურის გავლას, რეზერვში ყოფნას, რეზერვში ყოფნის პერიოდში გაწვევას და სამხედრო შეკრებების გავლას. იგი ასევე ითვალისწინებს გაწვევას, სამხედრო სამსახურის გავლას და სამხედრო სწავლებას მობილიზაციის, ომის მდგომარეობის და ომიანობის პერიოდში.

სამხედრო ვალები, სამხედრო დავალიანება, რომელიც წარმოიშვა სამხედრო ხარჯების ზრდის შედეგად. განასხვავებენ საგარეო და საშინაო **ს.ვ**-ს. საშინაო ვალები წარმოიშობა ქვეყნის შიგნით სამხედრო სესხების შედეგად, საგარეო **ს.ვ.** კი – სამხედრო საჭიროებისათვის სხვა სახელმწიფოებისაგან აღებული კრედიტების გამო. **ს.ვ**-ის დაფარვა ხორციელდება სახელმწიფო ხაზინაში საგადასახადო და სხვა შემოსავლების ხარჯზე.

სამხედრო ვეტერინარია, სწავლობს ცხოველების დაავადებებს და მათ გავლენას სამხედრო მოსამსახურეების ჯანმრთელობაზე. ამუშავებს შეიარაღებული ძალების ვეტერინარული უზრუნველყოფის წესს მშვიდობიანო-

ბის და ომიანობის პერიოდში. მიზნად ისახავს, დაიცვას პირადი შემადგენლობა ადამიანის და ცხოველების საერთო ინფექციური დაავადებებისაგან, უხარისხო, მათ შორის, რადიოაქტიური, ტოქსიკური ქიმიური ნივთიერებებით დასნებოვნებულ პროდუქტებთან დაკავშირებული დაზიანებებისაგან, აგრეთვე უზრუნველყოს ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკა და ლიკვიდაცია. II მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში კავალერიის, როგორც ჯარების, გვარეობის გაუქმების შემდეგ **ს.ვ.**-ის ამოცანები, პრინციპები და ორგანიზაცია შეიცვალა. წინა პლანზე გადმოვიდა ვეტერინარული ვითარების ანალიზი და კონტროლი.

სამხედრო თამაში, სამხედრო ოპერაციების ტრენინგი სხვადასხვა საშუალებებით.

სამხედრო თანამშრომლობა, 1. ორი ან მეტი სახელმწიფოს და მათი შეიარაღებული ძალების მონაწილეობა ერთობლივ სამხედრო საქმიანობაში, რომელიც მიმართულია საერთო სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. **ს.თ**. ხორციელდება როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს. **ს.თ**-ის ყველაზე გავრცელებული სახეობებია: სამხედრო მშენებლობაზე საერთო შეხედულებების შემუშავება და სამხედრო პოლიტიკის განხორციელება; სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობის კოორდინაცია, ერთობლივი საომარი (საბრძოლო) მოქმედებები; სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა; საბრძოლო მომზადების გამოცდილების გაზიარება; ურთიერთდახმარება სამხედრო კადრების მომზადებაში და სხვა. **ს.თ**. ხორციელდება ისეთი მრავალფეროვანი ფორმებით, როგორიცაა სამხედრო-პოლიტიკური კავშირების შექმნა და ფუნქციონირება; სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინების შეთანხმება; სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ორმხრივი მიწოდება; სამხედრო ინფორმაციის გაცვლა; ერთობლივი ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიულ-ტაქტიკური, ტაქტიკური და სამეთაურო-საშტაბო წვრთნები და ა.შ. **ს.თ.** ხორციელდება ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში. 2. დიალოგის და ღონისძიებების პროგრამის სამხედრო ასპექტები, რომლებიც ხორციელდება ჩრდილოატლანტიკური კავშირის (ან მისი ცალკეული წევრი სახელმწიფოს) და ქვეყნების მიერ, რომლებიც არ შედიან ნატოში. ჩრდილოატლანტიკური კავშირის სამხედრო-პოლიტიკურ სტრატეგიაში ამ პროგრამას უჭირავს ცენტრალური ადგილი. იგი ძირითად მიზნად ისახავს ნატოსთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის ზონაში სტაბილურობის გამყარებას.

სამხედრო თეორია, 1. ძირითადი იდეების სისტემა, განზოგადებული მონაცემები ომის წარმოების და სამხედრო საქმის შესახებ. წარმოადგენს სამხედრო პრაქტიკის გააზრებას, მისი დებულებებისა და ფორმების განსაზღვრას; არის სამხედრო საქმიანობის თეორიული საფუძველი და მისი შედეგების განზოგადება. **ს.თ**. ავლენს კანონზომიერებებს და ტენდენციებს, რომელთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია ეფექტიანად გადაწყდეს სამხედრო-პოლიტიკური, ოპერატიულ-სტრატეგიული, სამხედრო-ტექნიკური და სხვა პრობლემები. **ს.თ**-ის შეფასებები და დასკვნები ასახვას პოვებენ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიებში (სამხედრო დოქტრინებში), სამხედრო კონცეფციებში, სამხედრო წესდებებში და სხვა. ომის პრაქტიკა ხელს უწყობს **ს.თ**-ის განვითარებას. 2. მეცნიერული ცოდნა, რომელიც გვაძლევს ერთიან წარმოდგენას სამხედრო საქმის გარკვეულ დარგებს შორის კანონზომიერებებსა და კავშირებზე. სამხედრო საქმიანობის სახეობების და ფორმების მრავალფეროვნება განაპირობებს სხვადასხვა **ს.თ**-ების არსებობას (სამხედრო მშენებლობის თეორია, სამხედრო ხელოვნების თეორია, შეიარაღების თეორია, სროლის თეორია, სამხედრო სამართლის თეორია და სხვა).

„სამხედრო თეორია“ (ჟურნალი), სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი სამხედრო მეცნიერების დარგში. ჟურნალი გამოიცემოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიერ (2009–11). ჟურნალის რედაქტორი, დოქტორი ნ. წიგნაძე.

სამხედრო იდეოლოგია, შეხედულებების და იდეების სისტემა, რომელიც გამოხატავს პოლიტიკის სუბიექტების დამოკიდებულებას ომის და შეიარაღებული ძალადობის სხვა ფორმებისადმი, აგრეთვე არმიის, როგორც სამხედრო პოლიტიკის განხორციელების მთავარი იარაღისადმი. წარმოადგენს იდეოლოგიის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის, ნაწილს. **ს.ი**. გამოხატულებას პოულობს ქვეყნის კონსტიტუციასა და სამხედრო დოქტრინაში, სამხედრო წესდებებსა და სხვა დოკუმენტებში, არეგულირებს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობას. აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსის პირობებში **ს.ი**. ემსახურება ხალხებს შორის სიძულვილის გაღვივებას. მშვიდობიან კურსს შეესაბამება **ს.ი**., რომელიც ორიენტირებულია ომის თავიდან აცილებაზე, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე.

სამხედრო ინჟინრები (ლათინური ingenium – შესაძლებლობა, ტალანტი. გამომგონებლობის უნარი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ტექნიკური განათლების ადამიანი), სამხედრო მოსამსახურეები, რომლებსაც უმაღლესი სამხედრო-ტექნიკური (სპეციალური) განათლება აქვთ და საინჟინრო თანამდებობები უკავიათ ნაწილებში (ხომალდებზე), შენაერთებში, გაე-

რთიანებებში და სხვა. **ს.ი**-ის მოვალეობები დამოკიდებულია სპეციალობასა და დაკავებულ თანამდებობაზე.

სამხედრო ინსტიტუტი, სხავადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი, რომელიც ამზადებს ოფიცერ-სპეციალისტისტებს (უმაღლესი სამხედრო-სპეციალური განათლების ოფიცრებს) პირველადი საოფიცრო თანამდებობების დასაკავებლად ზემდგომ თანამდებობებზე დაწინაურების პერსპექტივით.

სამხედრო ინფორმაცია (ლათინური informatio – ახსნა, გადმოცემა), სამხედრო ხასიათის ცნობები, აგრეთვე მათი გადაცემისა და მიღების პროცესი. **ს.ი**-ას განეკუთვნება მონაცემები, რომლებიც ეხება სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინას; სამხედრო-ეკონომიკურ პოტენციალს; შეიარაღებული ძალების მშენებლობას და მათ საბრძოლო მზადყოფნას; ჯარების (ძალების) რაოდენობას, შემადგენლობას, მდგომარეობას, მათ საბრძოლო შესაძლებლობებს, საბრძოლო მოქმედებების წარმოების ხერხებსა და პირობებს; სამობილიზაციო რესურსების შემადგენლობას; სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების ხარისხს და პერსპექტივებს; სამხედრო ხელოვნების განვითარების დონეს, ტენდენციებს და ა.შ. **ს.ი**-ის მიღების შესაძლო წყაროებია: ზემდგომი და დაქვემდებარებული მეთაურები და მართვის ორგანოები; ყველა სახეობის დაზვერვის ძალები და საშუალებები; ადგილობრივი მცხოვრებნი; მეზობელი და სხვა ურთიერთმოქმედი ჯარების (ძალების) მართვის ორგანოები; ტყვეები, მოწინააღმდეგის მხარეზე გადასულები, დეზერტირები, მოწინააღმდეგის საბრძოლო დოკუმენტები, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის ნიმუშები, აგრეთვე სხვადასხვა ცნობარები, ტოპოგრაფიული რუკები, აღწერილობები და სხვა. სანდოობის ხარისხის მიხედვით **ს.ი**. იყოფა სანდო, შესაძლო, საეჭვო და ცრუ ინფორმაციად; მნიშვნელობის მიხედვით – განსაკუთრებით მნიშვნელოვან, დიდმნიშვნელოვან და ჩვეულებრივ ინფორმაციად; მასში შემავალი ცნობების ხასიათის მიხედვით შეიძლება იყოს საგანგებო, სასწრაფო და მიმდინარე.

სამხედრო ინფორმაციის კლასიფიკატორები, მართვის ავტომატიზებული სისტემის საინფორმაციო უზრუნველყოფის ნორმატიული დოკუმენტები, რომლებშიც ყველაზე არსებითი ნიშნების საფუძველზე მოცემულია სამხედრო დანიშნულების საინფორმაციო მონაცემების კლასიფიკაცია. კლასიფიკაციის ობიექტები შეიძლება იყოს: სამხედრო ერთეულები, სამხედრო ტექნიკა, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საშუალებები, სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები, საბრძოლო საქმიანობის სახეობები, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები, სამხედრო წოდებები, თანამდებობები და სხვა. **ს.ი.კ**. უზრუნველყოფენ სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, სამხედრო-სამეცნიერო, სამხედრო-ტექნიკური და სხვა სამხედრო ინფორმაციების ერთიან, უნიფიცირებულ და ფორმალიზებულ ასახვას.

სამხედრო ინფრასტრუქტურა (ლათინური infra – ქვეშ, structure – ნაგებობა, მშენებლობა), ქვეყნის (რეგიონის, საომარი მოქმედების თეატრის) სტაციონარული და არასტაციონარული ობიექტების სისტემა ჯარების განლაგების, სწავლების, გაშლის უზრუნველყოფის და ოპერაციების, საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის. სტაციონარული ობიექტებია: ჯარების დისლოკაციის ადგილები, მართვის პუნქტები, სარაკეტო-საავიაციო და სამხედრო-საზღვაო ბაზები, საჰაერო თავდაცვის სისტემები და კავშირგაბმულობის კვანძები, სამხედრო დაწესებულებები და სამხედრო სასწავლებლები, პოლიგონები, საწყობები, აეროდრომები, საავტომობილო გზატკეცილები და რკინიგზები, მილსადენები, შიდა სანაოსნო გზები, საზღვაო და სამდინარო ნავსადგურები, აგრეთვე ადგილმდებარეობის საინჟინრო მოწყობის ზოგიერთი ობიექტი. არასტაციონარული ობიექტებია: მოძრავი მართვის პუნქტები და კავშირგაბმულობის ობიექტები, დროებით მოწყობილი ასაფრენ-დასაფრენი ზოლები, ნავსადგურები, სამხედრო-საზღვაო ძალების ბაზირების პუნქტები, გადასასვლელები და სხვა.

სამხედრო ინციდენტი (ლათინური incidens – შემთხვევა), ხანმოკლე შეიარაღებული შეტაკება მცირე რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეების და სამხედრო ტექნიკის გამოყენებით. შეიძლება იყოს წინასწარ განზრახული ან სპონტანური. წინასწარ განზრახულ **ს.ი**-ს, ჩვეულებრივ, ამზადებენ და იყენებენ აგრესიული სახელმწიფოები საერთაშორისო ვითარების გასამწვავებლად, ომის გაჩაღების საბაბად. **ს.ი**-ის ნაირსახეობაა სასაზღვრო ინციდენტი.

სამხედრო ისტორია, 1. სამხედრო საქმის განვითარების პროცესი უძველესი დროიდან დღემდე. ომები და შეიარაღებული ძალები წარმოიშვა პირველყოფილ-თემური წყობილების რღვევის და მონათმფლობელური სახელმწიფოების ჩამოყალიბების პერიოდში. ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ქმნიდა თვისებრივად ახალ არმიას, რომელიც განსხვავდებოდა წინა საზოგადოებრივი წყობილების არმიისაგან დაკომპლექტების, სწავლებისა და აღზრდის სისტემით, ტექნიკური აღჭურვილობით, ორგანიზაციული სტრუქტურით, საბრძოლო მოქმედებების მომზადების და წარმოების ფორმებითა და ხერხებით. არმია წარმოადგენდა გაბატონებული კლასის იარაღს. XIX საუკუნეში სტრატეგიასა და ტაქტიკასთან ერთად შეიქმნა ოპერატიული

ხელოვნება. ჯერ კიდევ შორეულ წარსულში შეიარაღებული ძალები იყოფოდა არმიად (სახმელეთო ჯარებად) და ფლოტად, ხოლო პირველი დამოუკიდებელი ჯარის გვარეობა გახდა ქვეითი და ცხენოსანი ჯარი. მოგვიანებით სახმელეთო ჯარებში შეიქმნა არტილერია (XVI–XVIII საუკუნეები), ავიაცია და ჯავშანსატანკო ჯარები (XX საუკუნე), გაჩნდა სპეციალური ჯარები. საჰაერო თავდაცვის ჯარები გამოიყო შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელ სახეობად. ბირთვულ-სარაკეტო იარაღის გაჩენის შემდეგ წარმოიშვა შეიარაღებული ძალების სახეობა – სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები; 2. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის წარსულის ომებსა და შეიარაღებულ ძალებს, შეიარაღებული ბრძოლის წარმოების საშუალებების, ფორმებისა და ხერხების განვითარებას. წარმოადგენს მომიჯნავე მეცნიერებას. ჩაისახა კაცობრიობის ისტორიის ადრეულ ეტაპზე. XVIII–XIX საუკუნეებში სამხედრო-ისტორიული ცოდნა ჩამოყალიბდა შედარებით დამოუკიდებელ მეცნიერებად. სამხედრო ისტორიის შემადგენელი ნაწილებია: ომების ისტორია; სამხედრო აზროვნების ისტორია (იხ. *სამხედრო მეცნიერება*); სამხედრო ხელოვნების ისტორია (იხ. *სამხედრო ხელოვნება*); შეიარაღებული ძალების ისტორია; შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის ისტორია.

ს.ი-ის სპეციალური დარგებია: სამხედრო ისტორიოგრაფია, სამხედრო-ისტორიული წყაროთმცოდნეობა, სამხედრო არქეოგრაფია, სამხედრო არქეოლოგია და სამხედრო სტატისტიკა.

სამხედრო იუსტიცია, მრავალ ქვეყანაში – სამხედრო-სასამართლო, სამხედრო-საგამოძიებო, საპროკურორო და იმ ორგანიზაციათა სისტემა, რომლებიც შეიარაღებულ ძალებში სამართალდამცავ ფუნქციებს ასრულებენ. **ს.ი**. შეიარაღებულ ძალებში მოიცავს: იურიდიულ სამსახურს, სამხედრო სასამართლოს და სამხედრო პროკურატურას.

სამხედრო კადრები, სამხედრო პროფესიონალები, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ყველაზე კვალიფიცირებული ნაწილი, რომელსაც, აქვს შესაბამისი სამხედრო (სამხედრო-სპეციალური) მომზადება და სხვადასხვა საჯარისო ფორმირების, დაწესებულების, სამსახურის ხელმძღვანელობის, სწავლებისა და აღზრდის გამოცდილება; განკუთვნილი არიან შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა სამხედრო-ტექნიკური და სპეციალური ფუნქციის შესასრულებლად. **ს.კ**. შეიძლება იყვნენ მოქმედ შემადგენლობაში (სამხედრო კადრების ძირითადი ნაწილი) ან რეზერვში (თადარგში). უმეტესი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში **ს.კ**-ს განეკუთვნებიან, უწინარეს ყოვლისა, ოფიცრები, ზემდეგები და მიჩმანები; უფრო ფართო თვალსაზრისით – ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომელიც სამხედრო სამსახურს გადის კონტრაქტით, ასევე სამხედრო სპეციალისტები შეიარაღებული ძალების სამოქალაქო პერსონალის შემადგენლობიდან.

სამხედრო კანონმდებლობა, მოქმედი კანონებისა და სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების ერთობლიობა, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს შეიარაღებული ძალებში (მშენებლობის სფეროში, ცხოვრებასა და საქმიანობაში). მოიცავს სახელმწიფო, ადმინისტრაციული, საფინანსო და სხვა სამართლებრივი დარგების ნორმებს. ახასიათებს თანამდებობის პირების საქმიანობის, უფროსებსა და ხელქვეითებს შორის ურთიერთობების რეგულირების მაღალი დეტალიზაცია, ფართო უფლებების მინიჭება სამხედრო სარდლობისათვის და სამართალდარღვევებისათვის გაზრდილი იურიდიული პასუხისმგებლობის დაკისრება სამხედრო მოსამსახურეებზე.

სამხედრო კანონმდებლობის კოდიფიკაცია, სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა შეიარაღებული ძალების შესახებ მოქმედი კანონმდებლობის მოსაწესრიგებლად და გარკვეულ სისტემაში მოსაყვანად მისი უფრო ზუსტი გაგების და გამოყენების მიზნით. შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი (მაგალითად, სამხედრო წესდებების და სხვა იმ სამართლებრივი აქტების გამოცემა, რომლებიც არეგულირებენ ჯარების ცხოვრებისა და საქმიანობის ცალკეულ მხარეებს).

სამხედრო კაშხლები, ჰიდროტექნიკური საინჟინრო ნაგებობები, რომლებიც მდინარეს (არხს) გადაღობავენ ადგილმდებარეობის დასატბორად ან წყლის დასაკლებად მოწინააღმდეგის მოქმედებ**ებ**ის გაძნელების, ან საკუთარი ჯარების წინსვლის გაადვილების მიზნით.

სამხედრო კვალიფიკაცია, სამხედრო მოსამსახურის (რეზერვში მყოფი მოქალაქის) სპეციალიზაციის სახეობა და პროფესიული მომზადების დონე. მისი მახასიათებლებია სამხედრო, სამხედრო-ტექნიკური და სხვა სპეციალური ცოდნა, აგრეთვე პრაქტიკული ჩვევები. **ს.კ**. აუცილებელია სამხედრო სამსახურში გარკვეული სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად. მის მაჩვენებლებს წარმოადგენს, აგრეთვე სამხედრო განათლების დონე, სამხედრო სამსახურისა და სხვადასხვა თანამდებობაზე პრაქტიკული მუშაობის სტაჟი. **ს.კ**-ის უმეტესობა სამხედრო თანამდებობების და სპეციალობების მიხედვით განისაზღვრება სამხედრო მოსამსახურისათვის კლასის კვალიფიკაციის მიკუთვნებით.

სამხედრო კოალიცია, სახელმწიფოების დროებითი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, რომელიც იქმნება კოალიციური ომების მომზადებისა და წარმოებისათვის. **ს.კ**-ის სამხედრო და პოლიტიკურ მიზნებსა და თავისებუ-

რებებს განაპირობებს საერთაშორისო ვითარება, კოალიციის მონაწილე სახელმწიფოების სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობა, გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მდებარეობა და სხვა. **ს.ბ**-ის ფარგლებში, ჩვეულებრივ, გათვალისწინებულია მონაწილე ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და საკუთრივ სამხედრო საქმიანობის კოორდინაცია, ხოლო მთელ რიგ შემთხვევებში – კოალიციური შეიარაღებული ძალების შექმნა ერთიანი სარდლობით. **ს.ბ**-ები შეიძლება იყოს აგრესიული, დამპყრობლური ომების მომზადებისა და წარმოებისათვის შექმნილი ან თავდაცვითი, რომელთა მიზანიც არის აგრესიის მოგერიება.

სამხედრო კოლექტივი, ორგანიზებული, შედარებით კომპაქტური სოციალური ჯგუფი, რომელიც ყალიბდება სამხედრო სამსახურის ამოცანების შესასრულებლად მიზნების, ხელმძღვანელობის ერთიანობისა და ერთობლივი საქმიანობის საფუძველზე. დანიშნულებით და რიცხოვნობით განსხვავებული სამხედრო ფორმირებების პირადი შემადგენლობა. ახასიათებს: სტატუსის და პასუხისმგებლობის გაცნობიერების მაღალი დონე, უშუალო კავშირი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვასთან; საქმიანობის მრავალპროფილური ხასიათი; კოლექტივის წევრების მიერ სოლიდარობის, ერთიანობის განსაკუთრებული განცდა, მკაფიოდ გამოხატული მართვის ცენტრალიზაცია. **ს.ბ.** სამხედრო მოსამსახურეებს აზიარებს სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის საქმიანობას, მხედრულ დისციპლინას; ქმნის სოციალურ გარემოს სამხედრო მოსამსახურეების მიერ თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებების და მოვალეობების რეალიზაციისა და სამხედრო სპეციალისტის ჩამოყალიბებისათვის; ზეგავლენას ახდენს მეომრის პიროვნების ჩამოყალიბებაზე.

სამხედრო კოლეჯი (ინგლისური – college), სამხედრო სასწავლებელი ზოგიერთ სახელმწიფოში. განკუთვნილია ოფიცრთა კადრების მომზადებისთვის. შეიძლება შეესაბამებოდეს საშუალო ან უმაღლესი პროფესიული განათლების დონეს. 1-ლი ტიპის **ს.ბ**-ებში სწავლების ვადაა 2–4 წელია, მე-2 ტიპისაში – 6 თვიდან 2–3 წლამდე.

სამხედრო კომუნიკაციები (ლათინური communico – ვაკავშირებ), გზები, რომლებიც განკუთვნილია ჯარების (ძალების) გადაადგილების, სხვადასხვა სახეობების მატერიალური საშუალებების ტრანსპორტირების, ყველა სახეობის ევაკუაციის განხორციელებისათვის. განასხვავებენ სახმელეთო, წყლისა და საჰაერო **ს.ბ**-ს. სახმელეთო **ს.ბ**-ა რკინიგზის ხაზები, საავტომობილო გზატკეცილები და საბაგირო გზები, აგრეთვე მილსადენები. წყლის **ს.ბ**-ა ოკეანის, ზღვის, მდინარის, ტბისა და სხვა გზები თავისი ნავსადგურებით, ჰიდროტექნიკური ნაგებობებითა და სანავიგაციო საშუალებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ნაოსნობის უსაფრთხოებას. საჰაერო **ს.ბ**-ა თვითმფრინავებისა და ვერტმფრენებისათვის განკუთვნილი საჰაერო ტრასები, აეროდრომები (დასაფრენი მოედნები), თვითმფრინავის მართვის და ფრენის უზრუნველყოფის სახმელეთო რადიოტექნიკური საშუალებები.

მნიშვნელობის მიხედვით **ს.ბ**. იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ კომუნიკაციებად; კუთვნილების მიხედვით – ცენტრის (რომლებიც საომარი მოქმედებების თეატრს აკავშირებს ქვეყნის ეკონომიკურ რაიონებთან), დაჯგუფების (საფლოტო), საარმიო, საკორპუსო (სამხედრო-საზღვაო ბაზებისა) და საჯარისო (სადივიზიო, საბრიგადო, საპოლკო) კომუნიკაციებად; მიმართულების მიხედვით – ფრონტალურ (ზურგიდან ფრონტისაკენ) და როკადული (გარდიგარდმო, ფრონტის პარალელური) კომუნიკაციებად. **ს.ბ**-ის სისტემის განვითარება ხდება წინასწარ და მიმდინარეობს საომარი მოქმედებების დროს.

სამხედრო კონვენცია, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ადგენს სახელმწიფოების ორმხრივ უფლებებს და ვალდებულებებს სამხედრო საკითხებში. განასხვავებენ ორმხრივ და მრავალმხრივ, ვადიან და უვადო, სხვა სახელმწიფოთა შეერთებისათვის ღია და დახურულ **ს.ბ**-ებს.

სამხედრო კონტრაბანდა (საერთაშორისო სამართალში), მასალები და საგნები, რომლითაც ნეიტრალური სახელმწიფო ან მისი მოქალაქეები ამარაგებენ სამხედრო კონფლიქტში ჩართულ ერთ-ერთ მხარეს. **ს.ბ** ექვემდებარება კონფისკაციას, იგი გადააქვთ საკუთარ ან შეიარაღებული ძალების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე. შეიძლება განხორციელდეს **ს.ბ**-ის სატრანსპორტო საშუალებების კონფისკაციაც.

სამხედრო კონფლიქტი, სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი წინააღმდეგობების სამხედრო ძალადობის გზით გადაწყვეტის ფორმა. ცნება **ს.ბ.** მოიცავს სოციალურ-პოლიტიკური მიზნით მიმდინარე შეიარაღებული ბრძოლის ყველა სახეობას, მათ შორის მსოფლიო, რეგიონალურ, ლოკალურ ომებს და შეიარაღებულ კონფლიქტებს. თანამედროვე სამართალში ტერმინები „სამხედრო კონფლიქტი“ და „ომი“ იხმარება როგორც სინონიმები.

სამხედრო კონცეფცია, სამხედრო პოლიტიკასთან, ომის წარმოებასთან, შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებული შეხედულებების გარკვეული სისტემა. საკუთრივ, **ს.ბ.** შეიძლება შეიმუშაონ სახელმწიფოებმა, საზოგადოებრივმა მოძრაობებმა, პარტიებმა, სხვა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ამ კონცეფციაში აყალიბებენ თავიანთ დამოკიდებუ-

ლებას მთლიანად სამხედრო საქმიანობის და სამხედრო საქმის ან მათი ცალკეული ასპექტებისადმი.

სამხედრო მართლწესრიგი, შეიარაღებულ ძალებში საერთო და სამხედრო კანონმდებლობის ნორმების საფუძველზე ჩამოყალიბებული ურთიერთობების სისტემა. **ს.მ**-ის ხასიათს განსაზღვრავს შეიარაღებული ძალების დანიშნულება, რომელიც დამკვიდრებულია სახელმწიფოს კონსტიტუციით, სამხედრო დოქტრინით და სამხედრო კანონმდებლობით. **ს.მ**-ის შემადგენელ ნაწილს საწესდებო წესრიგი წარმოადგენს. მტკიცე **ს.მ**-ის შენარჩუნება გულისხმობს კანონდარღვევებთან, სამხედრო ფიცის და სამხედრო წესდებისგან გადახვევებთან ბრძოლას.

სამხედრო მედიცინა, სამეცნიერო ცოდნის და პრაქტიკული საქმიანობის სისტემა შეიარაღებული ძალების ჯანმრთელობის დაცვის და სამედიცინო უზრუნველყოფისთვის. მედიცინის სფერო.

სამხედრო მემუარები (ლათინური memoria – ხსოვნა), საბრძოლო მოქმედებების მონაწილე პირის წერილობითი მოგონებები, რომლებიც ემყარება პირად შთაბეჭდილებებს, ჩანაწერებს, დღიურებს, წერილებს, დოკუმენტებს. აქვს სამეცნიერო, შემეცნებითი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

სამხედრო მეცნიერება, ცოდნის სისტემა, კანონების, ომის სამხედრო-სტრატეგიული ხასიათის, მისი თავიდან აცილების გზების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, ამ ძალების და ქვეყნის საომრად მომზადების, შეიარაღებული ბრძოლის წარმოების ხერხების შესახებ. ომს, როგორც რთულ სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენას, სწავლობს ბევრი საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერება. **ს.მ**-ის ძირითადი საგანია შეიარაღებული ბრძოლა ომში. იგი იკვლევს შეიარაღებული ბრძოლის პრობლემებს, ითვალისწინებს მისი მიმდინარეობის და შედეგის დამოკიდებულებას მეომარი მხარეების ეკონომიკური, მორალურ-პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური და სამხედრო შესაძლებლობების თანაფარდობაზე. ასევე მის ფორმებს, სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური მომზადებისა და წარმოების ხერხებს. გარდა ამისა: შეიარაღებული ძალების შემადგენლობას, ორგანიზაციას და ტექნიკურ აღჭურვას; მხედრული სწავლების, აღზრდის, ომისათვის მოსახლეობის და სამობილიზაციო რესურსების მომზადების პრობლემებს; მშვიდობიანობის და ომიანობის დროს ჯარების (ძალების) მართვის (ხელმძღვანელობის) შინაარსს, ფორმებს და მეთოდებს; ომისა და შეიარაღებული ბრძოლის ურთიერთდამოკიდებულებას პოლიტიკასთან და ეკონომიკასთან, აგრეთვე მათ გავლენას შეიარაღებული ძალების მშენებლობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ უზრუნველყოფაზე, მომზადებასა და საბრძოლო გამოყენებაზე.

ს.მ-ის შინაარსსა და მიმართულებას განაპირობებს სამხედრო დოქტრინა; თავის მხრივ, მისი დასკვნები და რეკომენდაციები გამოიყენება სამხედრო დოქტრინის შემუშავების დროს. **ს.მ**-მ, რომელიც უძველეს დროში ჩაისახა, განვითარების რთული გზა განვლო. ისტორიის ადრეულ ეპოქაში გაჩნდა პირველი სამხედრო-ისტორიული და სამხედრო-თეორიული შრომები. ომებისა და ბრძოლების შესწავლის, მათი ანალიზის საფუძველზე ძველი საბერძნეთის, ძველი რომისა და ძველი ჩინეთის ისტორიკოსებმა, მწერლებმა, მხედართმთავრებმა, ფილოსოფოსმა მეცნიერებმა შექმნეს ნაწარმოებები (სამხედრო ლაშქრობების მატიანეები, ტრაქტატები, დარიგებები), რომლებშიც ჩამოყალიბდა რეკომენდაციები ომის და ბრძოლების მომზადებისა და წარმოებისათვის. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ძველი საბერძნეთის სამხედრო თეორეტიკოსების – ჰეროდოტეს, ფუკიდიდეს, ქსენოფონტეს, პოლიბიუსის შრომები.

ფეოდალიზმის ეპოქაში ევროპისათვის დამახასიათებელი იყო შეზღუდული მიზნების და მასშტაბების ომები, რომლებსაც მცირერიცხოვანი არმიები აწარმოებდნენ. ამან განაპირობა უძრაობა სამხედრო-თეორიული აზროვნების განვითარებაში. სამხედრო ცოდნის განვითარების გზაზე თვალსაჩინო ნაბიჯი გადაიდგა ფეოდალიზმის ნგრევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობების ჩასახვის პერიოდში. ამ დროის სამხედრო თეორეტიკოსებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ნ. მაკიაველის, რომელმაც ტრაქტატში „ომის ხელოვნება“ (1521) ჩამოაყალიბა ომის წარმოების პრინციპები და თავისი ეპოქის სამხედრო ხელოვნების განვითარების კანონზომიერება. XVI–XVII საუკუნეებში შემუშავდა სამხედრო წესდებები, რომლებშიც ასახულია ომების გამოცდილება და რეგლამენტირებულია სამხედრო ურთიერთობები. ერთ-ერთი პირველი წესდება შექმნა მორიც ნასაველმა ნიდერლანდში.

XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე შეიქმნა მასობრივი არმიები, გაჩნდა და ამოქმედდა შეიარაღებული ბრძოლის ახალი საშუალებები: ტანკები, თვითმფრინავები, სწრაფმსროლი ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები, წყალქვეშა ნავები. შეიცვალა საომარი მოქმედებების მასშტაბები და ხასიათი, რამაც განაპირობა ახალი ნახტომი სამხედრო-თეორიული აზროვნების განვითარებაში. ამ დროს გერმანელ სამხედრო თეორეტიკოსებს შორის გამოირჩეოდნენ კ. გოლცი და ა. შლიფენი. საფრანგეთში სამხედრო თეორეტიკოსი მარშალი ფ. ფოში შრომებში „ომის პრინციპების შესახებ“, „ომის წარმოების შესახებ“ და „მოგონებებში“ საომარი მოქმედებების ძირითად ხერხად ამკვ-

იდრებდა შეტევას. ინგლისელი და ამერიკელი თეორეტიკოსები (ფ. კოლომბი, ა. მეხენი და სხვები) შეიარაღებულ ბრძოლაში გადამწყვეტ როლს მიაკუთვნებდნენ სამხედრო-საზღვაო ძალებს და ზღვაზე ბატონობა მიაჩნდათ მოწინააღმდეგეზე გამარჯვების აუცილებელ პირობად.

I-მა მსოფლიო ომმა ახალი ბიძგი მისცა **ს.მ**-ის განვითარებას. იგი ხელს უწყობდა იმ კანონზომიერების გამოვლენას, რომელიც ასახავს ომის წარმოების დამოკიდებულებას პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, აგრეთვე სახელმწიფოს ზურგის მდგომარეობაზე. ომის დროს შეძენილ იქნა დაჯგუფების, საარმიო შეტევითი და თავდაცვითი ოპერაციების, აგრეთვე საზღვაო ოპერაციების მომზადების და განხორციელების, საერთო-საჯარისო, საზღვაო და საჰაერო ბრძოლის ორგანიზაციის გამოცდილება. დიდი განვითარება პოვა პოზიციური თავდაცვის გარღვევის თეორიამ. ამავე დროს, არ იყო სრულად გადაწყვეტილი გარღვევის განვითარების პრობლემა ოპერატიული და სტრატეგიული მასშტაბით.

ომებს შორის პერიოდში იქმნებოდა მრავალმილიონიანი არმიები. ვითარდებოდა შეიარაღებული ძალების ყველა სახეობა. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სატანკო ჯარებსა და ავიაციას. შეიარაღებული ძალების ფართო მოტორიზაციის გავლენით XX საუკუნის 20–30-იან წლებში გაჩნდა „მექანიზებული (სატანკო) ომის“ და „საჰაერო ომის“ თეორიები.

II მსოფლიო ომის დროს შეიარაღებული ძალების საომარი მოქმედებების ძირითად სახეობად გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში თეორიული დასაბუთება პოვა სტრატეგიულმა შეტევამ მექანიზებული არმიებისა და ავიაციის დიდი ძალების გამოყენებით. II მსოფლიო ომის შემდეგ **ს.მ** დასავლეთის ქვეყნებში კიდევ უფრო განვითარდა. ეს განაპირობა მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის ზრდამ, შეიარაღებული ბრძოლის ახალი მძლავრი საშუალებების, უწინარეს ყოვლისა, ბირთვულ-სარაკეტო იარაღისა და მასობრივი დაზიანების სხვა საშუალებების გაჩენამ. თანამედროვე სტრუქტურაში განასხვავებენ: **ს.მ**-ის ზოგად საფუძვლებს (ზოგად თეორიას), სამხედრო ხელოვნების, შეიარაღებული ძალების მშენებლობის, სამხედრო სწავლებისა და აღზრდის, შეიარაღების, შეიარაღებული ძალების მართვის, სამხედრო ეკონომიკისა და ლოგისტიკის, შეიარაღებული ძალების სახეობების თეორიას. აგრეთვე, სამხედრო (ომების) ისტორიის შესაბამის თავს. **ს.მ**-ის თითოეულ შემადგენელ ნაწილს აქვს თავისი სტრუქტურა, რომელშიც ცოდნის შესაბამისი დარგის საფუძვლების გარდა შეიძლება გამოიყოს რამდენიმე თავი (კერძო თეორია).

ს.მ-ის ზოგადი საფუძვლები (ზოგადი თეორია) მოიცავს ლოგიკურ-მეთოდურ და ზოგადთეორიულ პრობლემებს. მათ განეკუთვნება **ს.მ**-ის საგანი, სტრუქტურა, ამოცანები, შიდა და გარე კავშირები; მისი კატეგორიების და მეთოდების სისტემის განსაზღვრა; შეიარაღებული ბრძოლის, შეიარაღებული ძალების მშენებლობის კანონების და კანონზომიერების, სამხედრო საქმის, როგორც ომის ზოგადი კანონების სპეციფიკური გამოვლინების, სხვა მოვლენებისა და პროცესების კვლევა.

სამხედრო ხელოვნების თეორია მოიცავს სტრატეგიული, ოპერატიული ხელოვნებისა და ტაქტიკის თეორიებს. სტრატეგიის თეორია იკვლევს ომის სამხედრო-სტრატეგიულ ხასიათს, სტრატეგიული მასშტაბის შეიარაღებული ბრძოლის კანონებს, პრინციპებსა და ხერხებს. ოპერატიული ხელოვნების თეორია სწავლობს შეიარაღებული ძალების სახეობების ოპერატიული გაერთიანებების საერთო-საჯარისო (საერთო-საფლოტო) ერთობლივი და დამოუკიდებელი ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მომზადებისა და წარმოების ხერხებს. ტაქტიკის თეორია სწავლობს ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების მიერ ბრძოლის მომზადების და წარმოების საკითხებს. ამის შესაბამისად იგი მოიცავს საერთო-საჯარისო ბრძოლის ტაქტიკის თეორიას. ასევე შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობებისა და სპეციალური ჯარების ტაქტიკის თეორიას.

შეიარაღებული ძალების მშენებლობის თეორიის კვლევის საგანია: ჯარების და ფლოტის ძალების საბრძოლო მზადყოფნის მაღალი დონის უზრუნველყოფა საბრძოლო ამოცანების შესრულებისა და მობილიზაციისათვის; შეიარაღებული ძალების ყველაზე მიზანშეწონილი ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა; შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების, ტექნიკური აღჭურვის, რეზერვების მომზადების პრინციპებისა და მეთოდების დასაბუთება; სამხედრო კადრების მომზადების და მათ მიერ სამხედრო სამსახურის გავლის სისტემის განსაზღვრა; ჯარების სამსახურის ორგანიზაცია და სამხედრო დისციპლინის განმტკიცება; ჯარების (ძალების) დაბინავება მშვიდობისა და ომიანობის დროს და სხვა. სამხედრო სწავლების და აღზრდის თეორია ამუშავებს ოპერატიული და საბრძოლო მომზადების, მეომრებისათვის მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებების გამომუშავების, სამხედრო სამსახურის პროცესში მათი მხედრული აღზრდის, ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) და შენაერთების გაერთიანების ფორმებს და მეთოდებს. მისი მიზანია მათი მაღალი ბრძოლისუნარიანობის და საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფა.

შეიარაღების თეორია ამუშავებს მეცნიერულად დასაბუთებულ დასკვნებს და რეკომენდაციებს თავდაცვითი მშენებლობის გარკვეულ ეტაპებზე შეიარაღებულ ძალებში ერთიანი სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკის გასატარებლად. შეიარაღების თეორიის რეკომენდაციები და დასკვნები უზრუნველყოფენ საჭირო მეცნიერულ მიდგომას იმ პროგრამებისა და გეგმების რეალიზაციისადმი, რომლებიც ეხება თანამედროვე სახელმწიფოს შეიარაღებას გონივრულ დონემდე.

შეიარაღებული ძალების მართვის თეორია იკვლევს იმ მუშაობის კანონზომიერებებს, პრინციპებსა და მეთოდებს, რომელსაც სარდლობა, შტაბები და ჯარების (ძალების) მართვის სხვა ორგანოები ეწევიან საბრძოლო მოქმედებების (ოპერაციების) მომზადების დროს, აგრეთვე მშვიდობისა და ომიანობის დროს ჯარების (ძალების) საბრძოლო სწავლების, ცხოვრებისა და საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის. შეიარაღებული ძალების სამხედრო ეკონომიკის და ლოგისტიკის თეორია იკვლევს იმ მატერიალური საშუალებების ხასიათს, მოცულობას, დაგროვების და მოხმარების ხერხებს, რომლებიც საჭიროა შეიარაღებული ძალების საქმიანობის უზრუნველყოფისა და პროგნოზირებული ომის წარმოებისათვის. ასევე საომარ მდგომარეობაზე ქვეყნის გადაყვანის სამხედრო ასპექტებს, ეკონომიკის მდგრადობის ამაღლების გზებს ომიანობის დროს. შეიარაღებული ძალების სახეობების თეორია იკვლევს ამ სახეობების მომზადების და გამოყენების საფუძვლებს.

სამხედრო ისტორია **ს.მ**-ის საგნის ფარგლებში სწავლობს სამხედრო აზროვნების, სამხედრო ხელოვნების, შეიარაღებული ძალების შეიარაღების და სამხედრო საქმის სხვა დარგების ისტორიას.

ს.მ., სხვა მეცნიერებებთან ერთად სწავლობს სამოქალაქო თავდაცვის პრობლემებს. შეიარაღებული ბრძოლის ხასიათის შეცვლას შედეგად მოჰყვა **ს.მ**-ის და საზოგადოებრივი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების კავშირ-ურთიერთობის გაფართოება. ასევე მათში სამხედრო პრობლემატიკის გამოყოფა და ცოდნის იმ სპეციალური დარგების ჩამოყალიბება, რომლებიც ემსახურებიან ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების, ჯარების (ძალების) ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების ამოცანების გადაწყვეტას. საზოგადოებრივი მეცნიერებების დარგში შეიარაღებული ძალებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამხედრო სამართლის თეორიას, სამხედრო ფსიქოლოგიას, სამხედრო პედაგოგიკას და სხვა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სფეროში სამხედრო პრობლემატიკის განვითარებას შედეგად მოჰყვა ისეთი სპეციალური სამხედრო მეცნიერებების გაჩენა, როგორიც არის: სამხედრო გეოგრაფია, სამხედრო კარტოგრაფია, სამხედრო გეოდეზია, სამხედრო ტოპოგრაფია, სამხედრო ჰიდრომეტეოროლოგია, სამხედრო ნავიგაცია, სამხედრო მედიცინა და სხვა. ტექნიკური მეცნიერების სფეროში გამოვლინდა ცოდნის დარგები, რომლებსაც სამხედრო-ტექნიკურ მეცნიერებას უწოდებენ. ისინი, ყველა სხვა ტექნიკური მეცნიერების მსგავსად, გამოყენებით მეცნიერებებს წარმოადგენენ და იკვლევენ ტექნიკურ პრობლემებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ არიან დაკავშირებული სამხედრო მოთხოვნილებებთან. მათ რიცხვს განეკუთვნება სამხედრო კავშირგაბმულობის, სამხედრო რადიოელექტრონიკის თეორიები, სამხედრო კიბერნეტიკა, ბალისტიკა; სროლის, ბომბტყორცნის თეორიები და სხვა. **ს.მ**. და სხვა მეცნიერების სამხედრო თავი (პრობლემატიკა) შეიძლება მთლიანობაში განხილულ იქნეს როგორც ცოდნის ურთიერთდაკავშირებული სისტემა.

ს.მ. სამხედრო მშენებლობის ყოველ ეტაპზე ხელმძღვანელობს სამხედრო დოქტრინის პრინციპული დებულებებით და დასკვნებით. ასეთი მიდგომა შესაძლებლობას იძლევა ყოველმხრივ და ღრმად იქნეს გამოკვლეული ომის და მშვიდობის პრობლემები თანამედროვე ეპოქაში. ასევე შემუშავდეს რეკომენდაციები ომის თავიდან აცილების და ქვეყნის საიმედო თავდაცვის უზრუნველყოფისთვის.

„სამხედრო მეცნიერება. საქართველო“ (ჟურნალი), სამეცნიერო რეფერირებადი პერიოდული გამოცემა სამხედრო მეცნიერების დარგში. დაარსებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ 2015 წელს. ჟურნალის რედაქტორი, აკადემიკოსი, გენერალ-მაიორი ე. მეძმარიაშვილი.

სამხედრო მეცნიერების მეთოდები, სამხედრო-მეცნიერული კვლევის, სამხედრო ცოდნის სისტემის შემუშავების, დასაბუთებისა და განვითარების მეთოდების ერთობლიობა.

გამოიყოფა **ს.მ.მ**-ის სამი ჯგუფი. კერძოდ, ზოგად მეთოდოლოგიას ქმნიან შემდეგი ფილოსოფიური მეთოდები: დიალექტიკურ-მატერიალისტური, პოზიტივისტური, ბიჰევიორისტული, ეგზისტენციალური და სხვა. მეორე ჯგუფს განეკუთვნება ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია, შედარება, განზოგადება და ა.შ., რომლებიც კონკრეტდება სამხედრო მეცნიერებისთან მიმართებაში. მესამე ჯგუფს ქმნიან სპეციფიკური მეთოდები: სამხედრო-საისტორიო საველე მოგზაურობა, კვლევითი (საცდელი) სწავლება, სამხედრო ტექნიკის გამოცდა, სამეთაურო-საშტაბო „თამაში“, ოპერატიულ-ტაქტიკური გაანგარიშებები, სამხედრო-სოციოლოგიური გამოკითხვა და სხვა. აგრეთვე ოპერაციების კვლევა, სამხედრო საქმეში მოდელირება, სისტემური ანალიზი და ა.შ.

მიზნების, გადასაწყვეტი ამოცანების ხასიათის მიხედვით **ს.მ.მ.** არის: დოკუმენტების ანალიზი, დაკვირვება, გამოკითხვა, საგნობრივი გამოკვლევა და სხვა. ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების გამოყენებით ხდება ინფორმაციის შეგროვება და პირველადი დამუშავება. თეორიული მეთოდები (ისტორიული და ლოგიკური მიდგომები, ფორმალიზაცია, მოდელირება და სხვა) უზრუნველყოფენ მიღებული ინფორმაციის გაღრმავებულ კვლევას და მეცნიერულ ინტერპრეტაციას. ემპირიულ და თეორიულ მეთოდებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია სიტუაციის შეფასებას მოწინააღმდეგის პოზიციებიდან. ამოცანების კოლექტიური გადაწყვეტის ყველაზე მიღებული ფორმაა საექსპერტო შეფასების მეთოდი, პრობლემის „გონებრივი იერიში", მოვლენების განვითარების შესაძლო ვარიანტების განხილვა და ა.შ. მონაცემების შემოწმების, შევსების და იმავდროულად იდეებისა და ჰიპოთეზების შეფასების ეფექტიანი ხერხია სამხედრო ექსპერიმენტი, რომელიც გულისხმობს აქტიურ ზემოქმედებას შესასწავლ ობიექტებზე, მათი ფუნქციონირების პირობების შექმნას, სპეციალური ინსტრუმენტების, ხელსაწყოების, დანადგარების გამოყენებას.

სამხედრო მზადყოფნა, სახელმწიფოს (კოალიციის) სამხედრო ორგანიზაციის მზადყოფნა, თავისი ფუნქციური ამოცანების დაუყოვნებლივ შესასრულებლად. **ს.მ**-ის კომპონენტებს განეკუთვნება შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა, აგრეთვე სახელმწიფოსა და საზოგადოების სხვა ინსტიტუტების მზადყოფნა ომში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობისათვის (შეიარაღებული, ეკონომიკური, დიპლომატიური და სხვა), სამოქალაქო თავდაცვისათვის. **ს.მ.** მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება სამობილიზაციო მზადყოფნით. **ს.მ**-ის კომპლექსური კრიტერიუმია სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების მდგომარეობა.

სამხედრო მიმოსვლები, სახმელეთო, წყალსანაოსნო და საჰაერო მიმოსვლის გზები (კომუნიკაციები), რომლებიც გამოიყენება ჯარების გადაადგილებისა და სამხედრო გადაზიდვებისათვის. **ს.მ**-ის გზების მომზადება ძირითადად ხდება მშვიდობიანობის დროს. მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება გზების გამოსადეგობის ამაღლებას, მათი აღდგენისათვის საჭირო მასალების დაგროვებას, შემოსავლელი, სათადარიგო გზების მშენებლობას და სხვა.

სამხედრო მიმოსვლის ორგანოები, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მართვის სპეციალური ოპერატიულ-ლოგისტიკური ორგანოები, რომლებიც არიან თავდაცვის სამინისტროს სრულუფლებიანი წარმომადგენლები სარკინიგზო, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო ტრანსპორტზე. უზრუნველყოფენ სამხედრო სარდლობის ურთიერთქმედებას შესაბამის სატრანსპორტო ორგანიზაციებთან შეიარაღებული ძალების ინტერესებისათვის ტრანსპორტის გამოყენების მიზნით. ორგანიზაციას უწევენ ყველა სახეობის სამხედრო გადაზიდვებს. შეიმუშავებენ და წარადგენენ სპეციალურ მოთხოვნებს სამიმოსვლო გზების და ტრანსპორტის მომზადების და გამოყენების შესახებ, ახორციელებენ მათი შესრულების კონტროლს.

სამხედრო მისია, სახელმწიფოს სამხედრო უწყების წარმომადგენელი ან დელეგაცია, რომელიც იგზავნება მეორე სახელმწიფოში, ან მოკავშირე ქვეყნის გაერთიანებული სამხედრო სარდლობის შტაბბინაში მთავრობის სპეციალური დავალების შესასრულებლად. ასევე – თვით ამ წარმომადგენლის ან დელეგაციისთვის მიცემული დავალება.

სამხედრო მისიის ხელმძღვანელი, იხ. *ეროვნული სამხედრო მისია.*

სამხედრო მიწოდებები, სამხედრო პროდუქციის რეალიზაციის ფორმა. გამოხატავს სახელშეკრულებო ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და სამხედრო უწყებებს შორის, რომლებიც გამოდიან სამხედრო დანიშნულების პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) შემკვეთებად და დამამზადებლებად (მიმწოდებლებად). ზოგიერთ ქვეყანაში შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის, მათ შესაქმნელად სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების, აგრეთვე ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად წარმოების ახალი ტექნოლოგიების შემკვეთად შეიძლება გამოდიოდეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების სახელმწიფო ორგანო. მის შემადგენლობაში არიან ჯარები ან სხვა შეიარაღებული ფორმირებები. თავდაცვითი შეკვეთის შემსრულებლები და სამხედრო პროდუქციის მიმწოდებლები შეიძლება იყვნენ საწარმოები (ორგანიზაციები, ფირმები) მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმების მიუხედავად; მათ აქვთ ლიცენზია, შესაბამის სახეობათა საქმიანობისთვის.

სამხედრო მოთხოვნილება, დამტკიცებული სამხედრო მიზნების, საბრძოლო ამოცანების და დავალებების შესასრულებლად დადგენილი მოთხოვნილება.

სამხედრო მონოპოლიები, საწარმოო ან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები (საწარმოები, ფირმები), რომლებსაც მონოპოლიზებული აქვთ სამხედრო დანიშნულების პროდუქციის (საქონლის, მომსახურების) მნიშვნელოვანი ნაწილის დამზადება და რეალიზაცია. არსებობს ეროვნული (ცალკეული ქვეყნების) და საერთაშორისო **ს.მ.** ამ უკანასკნელთა რიცხვს განეკუთვნებიან ტრანსნაციონალური (ცალკეული ქვეყნების მონოპოლიები, რომელთა საქმიანობა ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით) და ეროვნებათშორისი

(საქმიანობის ხასიათით და მონაწილეთა შემადგენლობით – საერთაშორისო) **ს.მ.**. საკუთრების სახეობის მიხედვით შეიძლება იყოს: კერძო სამეურნეო, სახელმწიფო და შერეული. **ს.მ**-ის ძირითადი ფორმებია: სამხედრო კარტელები – ფირმათა (მესაკუთრეების) შეთანხმებები სამხედრო პროდუქციის წარმოებისა და გასაღების პირობების, ოდენობის შესახებ. კარტელების წევრები ინარჩუნებენ საწარმოო და კომერციულ დამოუკიდებლობას; სამხედრო სინდიკატები – საწარმოები, რომლებიც ინარჩუნებენ საწარმოო და იურიდიულ დამოუკიდებლობას, მაგრამ არ გააჩნიათ კომერციული დამოუკიდებლობა; სამხედრო ტრესტები – მათ მონაწილეებს არ აქვთ საწარმოო, კომერციული და იურიდიული დამოუკიდებლობა; სამხედრო კონცერნი – ახასიათებს საკუთრების და კონტროლის ერთიანობა; ეს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და გავრცელებული **ს.მ**-ის ფორმაა თანამედროვე პირობებში.

ს.მ. შეიქმნა წარმოების და კაპიტალის მაღალი კონცენტრაციის საფუძველზე XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს. I და II მსოფლიო ომებს შორის პერიოდში ევროპის შეიარაღების ბაზრებზე გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, ხოლო II მსოფლიო ომის შემდეგ – აშშ-ის **ს.მ**-ს. თანამედროვე **ს.მ**-ს აქვთ ყველა ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. 1. ისინი წარმოადგენენ მრავალდარგოვან კონცენრებს, რომლებშიც შეხამებულია სამხედრო და სამოქალაქო წარმოება; 2. მათი წარმოება ატარებს მრავალფუნქციურ ხასიათს (უშვებენ ტანკებს, ავიაგამანადგურებლებს, სარაკეტო კომპლექსებს და ა.შ.); 3. **ს.მ**-ის ხელში თავმოყრილია უზარმაზარი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი; 4. ისინი სამოქალაქო წარმოებისაგან განსხვავდებიან მეტი მდგრადობით, უფრო მაღალი მოგებით; 5. **ს.მ**-ს შორის მატულობს ტრანსნაციონალური და ეროვნებათშორისი სამხედრო-სამრეწველო მონოპოლიების რიცხვი. XXI საუკუნის დასაწყისში ყველაზე მეტად გავრცელებულია სამხედრო კორპორაციები (**ს.მ.** სააქციო კაპიტალით, რომელსაც მენეჯერები უძღვებიან).

სამხედრო მოსამსახურე, მოქალაქე, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად გადის სამხედრო სამსახურს.

სამხედრო მოსამსახურეების დაკრძალვა, ბრძოლებში დაღუპულების, დასახიჩრების (ჭრილობის, ტრვმის), დაავადების შედეგად და სხვა მიზეზებით გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების დასაფლავება მხედრული პატივის მიგების წესების დაცვით. სრულდება სამხედრო სასაფლაოებზე, საზოგადოებრივი სასაფლაოების მეომართა უბნებზე, ინდივიდუალურ და ძმათა სასაფლაოებზე; საბრძოლო ვითარებაში დასაშვებია **ს.მ.დ**. უშუალოდ ბრძოლის ველზე. სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებზე დაღუპულების (გარდაცვლილების) ნეშტი შეიძლება ზღვას მიაბარონ. დაკრძალულების სახელები, დაკრძალვის ადგილი და თარიღი შეაქვთ სპეციალურ წიგნებში (სავახტო ჟურნალებში).

სამხედრო მოსამსახურეების საპენსიო უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მიერ დაწესებული ყოველთვიური ფულადი გადასახადი ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით. ჩვეულებრივ, **ს.მ.ს.უ**-ს განაპირობებს ნამსახურობა, ინვალიდობის დადგენა და სხვა. მისი სისტემა აგებულია სამხედრო სამსახურის სახეობისა და ხასიათის, თანამდებობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.

სამხედრო მოსამსახურის სტატუსი, სამხედრო მოსამსახურეების უფლებების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ერთობლიობა, რომელიც დადგენილია ქვეყნის კანონმდებლობით. **ს.მ.ს**-ის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს კონსტიტუცია, **ს.მ.ს**-ის კანონი, სხვა სახელმწიფო კანონები და ნორმატიული აქტები, აგრეთვე საერთაშორისო სამართლის და ქვეყნის საერთაშორისო ხელშეკრულებების საყოველთაოდ აღიარებული ნორმები. **ს.მ.ს**-ს მოქალაქეები სამხედრო სამსახურის დაწყებით იძენენ და მისი დამთავრების შემდეგ კარგავენ (შეუნარჩუნდებათ ტყვედ ან მძევლად აყვანილ სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე ინტერნირებულებს). **ს.მ.ს**. სამხედრო მოსამსახურეებისათვის ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და შეღავათებს.

სამხედრო მოსამსახურეების უფლებები, იხ. *სამხედრო მოსამსახურეების შეღავათები.*

სამხედრო მოქმედებები, 1. მხარეების დაპირისპირება ომში; 2. შეიარაღებული ძალების სახეობების, სტრატეგიული და ოპერატიული დაჯგუფებების ძალების და საშუალებების ორგანიზებული გამოყენება საომარი მოქმედებების თეატრზე პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მისაღწევად. **ს.მ.** წარმოებს ხმელეთზე, ჰაერში, ზღვაზე ოპერაციების, ბატალიების, საბრძოლო მოქმედებების ფორმით. შეიძლება იყოს შეტევითი და თავდაცვითი. ომის საწყის პერიოდში სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოქმედებები ძირითადად თავდაცვითი ხასიათისაა და წარმოებს მოწინააღმდეგის აგრესიის მოსაგერიებლად. ჩვეულებრივი შეიარაღების გამოყენებით **ს.მ**-ის ძირითადი ხერხია მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) დაჯგუფებების თანამიმდევრული განადგურება. ამასთან, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ცეცხლით დაზიანების ორგანიზაციას, ძალების და საშუალებების მასირებას, უმნიშვნელოვანეს მიმარ-

თულებებზე ძალისხმევის ზრდას, ჯარების მკაფიო და უწყვეტ ურთიერთქმედებას, სტაბილურ მართვას. სამხედრო-საისტორიო შრომებში, ლიტერატურასა და ასევე ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „სამხედრო მოქმედება“ საბრძოლო მოქმედების ტერმინთან არის გაიგივებული.

სამხედრო მოქმედებების თეატრზე გადაზიდვების კოორდინაციის ცენტრი, ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია გადაზიდვების კოორდინაციის ეროვნული ცენტრის ფუნქციების, ამოცანების და მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე.

სამხედრო მოქმედებების კოორდინაცია, შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების შეთანხმებული მოქმედება საერთო მიზნების მისაღწევად. წარმოადგენს სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) შეიარაღებული ძალების სტრატეგიული ხელმძღვანელობის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას. **ს.მ.კ.**-ის დროს განისაზღვრება შესათანხმებელი მოქმედებების სახეობები და მიზნები, მონაწილე შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების შემადგენლობა, შესასრულებელი ამოცანების ხასიათი და მოცულობა, ხერხები, თანამიმდევრობა და შესრულების ვადები.

სამხედრო მოქმედებების ოპერატიული დონე, სამხედრო მოქმედებების დონე, რომლის დროსაც სამხედრო მოქმედებების თეატრზე ან საბრძოლო მოქმედებების რაიონში სტრატეგიული მიზნების მისაღწევად კამპანიების და მსხვილი ოპერაციების დაგეგმვა, ჩატარება და მხარდაჭერა ხორციელდება.

სამხედრო მოქმედებების საზღვაო თეატრი, კონტინენტის მიმდებარე ერთი ან რამდენიმე ზღვის აკვატორია, რომელიც არ შედის სამხედრო მოქმედებების საოკეანო თეატრში, კუნძულებით, მოსაზღვრე ხმელეთის ზოლით, მის თავზე მდებარე საჰაერო-კოსმოსური სივრცით. აქ ჯარები განლაგდებიან და შეუძლიათ, აწარმოონ ოპერაციები და საბრძოლო მოქმედებები სამხედრო-საზღვაო ძალების დაჯგუფებების, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების გაერთიანებებთან, შენაერთებთან ერთად ოპერატიულ-სტრატეგიული ან ოპერატიული ამოცანების შესრულების დროს. **ს.მ.ს.თ**-ის საზღვრებს ადგენს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა. საზღვაო თეატრზე შეიძლება გამოიყოს ცალკე მიმართულებები და ოპერატიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რაიონები (ზონები).

სამხედრო მოღვაწეობა, სახელმწიფოებრივი ან სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობის ნაირსახეობა შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების და სახელმწიფოს სამხედრო ძლიერების სხვა ელემენტების შექმნის, ხოლო საჭიროებისას – გამოყენებისათვის. **ს.მ**-ს ეწევიან სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციაში (ფუნქციურად და ორგანიზაციულად) მოღვაწე პირები. ესენი არიან: შეიარაღებული ძალების ან სხვა სახელმწიფო სამხედრო ფორმირებების მოსამსახურეები; სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ უძღვებიან ქვეყნის თავდაცვის და უსაფრთხოების საქმეს; საწარმო – დაწესებულებების მუშაკები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ არიან დასაქმებული იარაღის და საბრძოლო ტექნიკის შექმნით.

სამხედრო მოხმარება, საზოგადოებრივი პროდუქტის გამოყენება სამხედრო მიზნებისათვის. იგულისხმება საბოლოო სამხედრო პროდუქტის გამოყენება (მაგალითად, საკვებზე, ტანსაცმელზე პირადი შემადგენლობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და ა.შ.; იარაღის, საბრძოლო ტექნიკის გამოყენება საბრძოლო სწავლების, ომისთვის მზადების და მისი წარმოების პროცესში). ფართო თვალსაზრისით **ს.მ.** მოიცავს ურთიერთობების მთელ ერთობლიობას. ის უკავშირდება შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და სხვა სამხედრო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი წარმოების საშუალებების და შრომითი რესურსების გამოყენებას. XXI საუკუნის დასაწყისში განვითარებული ქვეყნების სამხედრო მოხმარების სტრუქტურაში იზრდება **ს.მ**-ის საგნების მრავალფეროვნება, სწრაფად მატულობს შეიარაღების, საბრძოლო ტექნიკის მოხმარება და იზრდება მაღალი ტექნოლოგიების პროდუქციის გამოყენება.

სამხედრო მრეწველობა, ქვეყნის სამრეწველო კომპლექსის ნაწილი, რომელიც აწარმოებს სამხედრო პროდუქციას. სახელმწიფოს სამხედრო ეკონომიკის და სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. მოიცავს მრეწველობის შემდეგ დარგებს: საარტილერიო, საბრძოლო მასალების, სასროლი იარაღის, სატანკო წარმოებას, სამხედრო გემთმშენებლობას, აგრეთვე სამხედრო პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებულ სიმძლავრეებს – საავიაციო, რადიოელექტრონულ, სარაკეტო-კოსმოსურ და სხვა. ბევრ განვითარებულ სახელმწიფოში სამხედრო მრეწველობა ფუნქციონირებს, როგორც ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ძირითადი კომპონენტი. სამხედრო საქმის განვითარებასთან ერთად იზრდება მოთხოვნები **ს.მ**-ის ეფექტიანობისადმი. I მსოფლიო ომის წლებში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ და რუსეთმა გამოუშვეს 9,2 ათ. ტანკი, დაახლოებით 140 ათ. ქვემეხი. II მსოფლიო ომის წლებში მისმა მთავარმა მონაწილეებმა – 10-ჯერ მეტი საარტილერიო ქვემეხი, 30-ჯერ მეტი ჯავშანსატანკო ტექნიკა.

სამხედრო მრჩეველი, სამხედრო სპეციალისტი, ჩვეულებრივ, ერთი სახელმწიფოს ოფიცერთა შემადგენლობიდან, რომელიც ორმხრი-

ვი შეთანხმების შესაბამისად სხვა სახელმწიფოში იგზავნება შეიარაღებული ძალების შესაქმნელად დახმარების აღმოჩენის მიზნით. მას ევალება სამხედრო კადრების მომზადება, ჯარების სწავლება, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის ათვისება. ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, საბრძოლო მოქმედებების ორგანიზებასა და წარმოებაში დახმარება.

სამხედრო მუსიკა, მუსიკა, რომელიც შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სამწყობრო სწავლების და მხედრული აღზრდის მიზნებს ემსახურება. მისი საშუალებით ხორციელდება ჯარების შეტყობინება და მართვა. იგი სრულდება პირველ რიგში სამხედრო ორკესტრების ან ცალკეული სამხედრო მუსიკოსის მიერ და სამხედრო რიტუალების განსაკუთრებულ ელემენტს წარმოადგენს. ძირითადი ჟანრია მარში (სამწყობრო, სალაშქრო). **ს.მ**-ის ჟანრს განეკუთვნება მხედრული ცერემონიალების მუსიკალური გაფორმება, აგრეთვე სამხედრო-პატრიოტული შინაარსის (სიმფონიები, უვერტიურები) საკონცერტო მუსიკალური ნაწარმოებები და მუსიკა სამხედრო სიმღერებისთვის.

სამხედრო მშენებლობა, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის შექმნის, განვითარების გეგმაზომიერი და მიზანმიმართული პროცესი; ქვეყნის სამხედრო ძლიერების შესანარჩუნებლად ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, სამართლებრივი, საკუთრივ სამხედრო და სხვა ღონისძიებების კომპლექსი. **ს.მ**-ის ზოგად მიზნებს, შინაარსს და ამოცანებს განსაზღვრავს სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკა და სამხედრო დოქტრინა. იგი დამოკიდებულია ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების დონეზე, სამხედრო კავშირებისადმი კუთვნილებაზე, მსოფლიოსა და რეგიონში არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე და სხვა. **ს.მ**., ჩვეულებრივ, მოიცავს: ომის საფრთხის და მუქარის პროგნოზირებას და შეფასებას; სამხედრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების და ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის (სამხედრო დოქტრინის) დებულებების შემუშავებას; სამართლებრივ რეგულირებას თავდაცვის სფეროში; შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის, ქონების მწარმოებელი და სამობილიზაციო სიმძლავრეების უზრუნველყოფას; იმ სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტების სისტემის შექმნას, რომლებიც ხელმძღვანელობენ ქვეყნის სამხედრო სფეროს; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ეკონომიკის და მოსახლეობის სამობილიზაციო მომზადებას; სამობილიზაციო რეზერვების შექმნას; სამოქალაქო და ტერიტორიული თავდაცვის ღონისძიებების დაგეგმვას და განხორციელებას; თავდაცვის მიზნებისათვის ტერიტორიის ოპერატიულ მოწყობას; თავდაცვის ინტერესებისათვის მეცნიერების განვითარებას; თავდაცვითი დანიშნულების იდეოლოგიური ინსტიტუტების შექმნას და მათი მუშაობის ორგანიზაციას; სამხედრო ხარჯების დაფინანსებას; სამხედრო დარგში საერთაშორისო თანამშრომლობას და სხვა. **ს.მ**-ის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, მის საფუძველს შეადგენს შეიარაღებული ძალების მშენებლობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს სამხედრო და გასამხედროებული ფორმირებების შექმნის, მომზადების და განმტკიცების ღონისძიებების სისტემას.

სამხედრო ნაწილი, ორგანიზაციულად დამოუკიდებელი საბრძოლო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეული შეიარაღებულ ძალებში, რომელსაც აქვს დადგენილი შტატები. ჩვეულებრივ, სამხედრო ნაწილს განეკუთვნება ყველა ბრიგადა (პოლკი), რანგის ხომალდები, ცალკეული ბატალიონები (დივიზიონები, ესკადრილიები), რომლებიც არ შედიან ბრიგადების (პოლკების) შემადგენლობაში, აგრეთვე ცალკეული ასეულები, რომლებიც არ შედიან ბატალიონებისა და ბრიგადების (პოლკების) შემადგენლობაში. სამხედრო ნაწილს ენიჭება სახელწოდება (საერთო-საჯარისო ნომერი, საშტატო დასახელება, მიკუთვნებული საპატიო წოდება, მიღებული სახელმწიფო ჯილდოების ჩამონათვალი) და პირობითი სახელი. ბრიგადებს (პოლკებს), ცალკეულ ბატალიონებს, დივიზიონებს და ესკადრილიებს გადაეცემათ საბრძოლო დროშა, ხოლო ხომალდებს – სამხედრო-საზღვაო დროშა.

სამხედრო ოკუპაცია, ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ძალადობრივი, დროებითი დაკავება მასზე სუვენერული უფლებების მოპოვების გარეშე.

სამხედრო ოლქი, ძირითადი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული ზოგიერთ სახელმწიფოში. შეიარაღებული ძალების საერთო-საჯარისო, ოპერატიულ-სტრატეგიული ტერიტორიული გაერთიანება. განკუთვნილია ქვეყნის შეიარაღებული დაცვისთვის მოსამზადებლად, სახელმწიფოს მთლიანობის და ტერიტორიის ხელშეუხებლობის შეიარაღებული დაცვისთვის (პასუხისმგებლობის დაწესებულ საზღვრებში). **ს.ო**-ის შემადგენლობაში შედიან: შეიარაღებული ძალების სამხედრო მმართველობის ორგანოები, გაერთიანებები, შენაერთები, სამხედრო ნაწილები, ორგანიზაცები, რომლებიც **ს.ო**-ის ტერიტორიაზე არიან განლაგებული, მას სათავეში უდგას **ს.ო**-ის ჯარების სარდალი.

სამხედრო ოპერაციები დასახლებულ რაიონში (სახმელეთო ჯარებისთვის), ყველა დაგეგმილი ან მიმდინარე საბრძოლო მოქმედება იმ ტოპოგრაფიულ კომპლექსში და მის მიმდებარე ბუნებრივ გარემოში, რომლის გამოკვეთილი დამახასიათებელი ნიშანია ადამიანის ხელით აგებული კონსტრუქცია. ამ ტერმინში

შედის ბრძოლა დიდ ან პატარა ქალაქებში, რაც ქალაქის ტიპის (ურბანულ) ტერიტორიაზე სამხედრო ოპერაციის ნაწილია და მოიცავს ბრძოლებს ქუჩებსა და შენობებში.

სამხედრო ორგანიზაცია (სახელმწიფოსი), შეიარაღებული სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო-სამეცნიერო და სახელმწიფოს სხვა ორგანოების, დაწესებულებების და ინსტიტუტების ერთობლიობა, რომლებიც ეწევიან სამხედრო საქმიანობას. **ს.ო**-ის ძირითად ელემენტს წარმოადგენს სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეიარაღებული ფორმირებები, აგრეთვე სამხედრო-ადმინისტრაციული, სამხედრო-სამართლებრივი ორგანოები. შეიარაღებული ორგანიზაციის ბირთვს შეადგენენ შეიარაღებული ძალები. **ს.ო**-ის მეორე ელემენტია სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაციის ფუნქციონირება. ამ სისტემის წამყვან რგოლს წარმოადგენს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ეკონომიკის და მეცნიერების სხვა დარგების ნაწილი, რომლებიც უპირატესად სამხედრო სფეროში მუშაობენ. **ს.ო**-ის მესამე ელემენტს შეადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და დაწესებულებები, პოლიტიკური ორგანოები და ორგანიზაციები, რომლებიც უშუალოდ უძღვებიან ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებს. **ს.ო**-ის დანიშნულება დამოკიდებულია სახელმწიფოს პოლიტიკის მიზნებსა და ხასიათზე. მის კონკრეტულ სტრუქტურას და ფუნქციებს განსაზღვრავენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინის, საერთაშორისო სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, ეკონომიკის, საზოგადოების სოციალური და სულიერი მდგომარეობის, ისტორიული და ეროვნული ტრადიციების, ასევე სხვა ობიექტური ფაქტორების შესაბამისად. **ს.ო**-ის საქმიანობა უზრუნველყოფს სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის, შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების საჭირო დონეს.

სამხედრო ორკესტრი, დადგენილი ინსტრუმენტული და მუსიკალური შემადგენლობის სპეციალური სამხედრო ქვედანაყოფი. მისი დანიშნულებაა სამხედრო რიტუალების, საღღესასწაულო ღონისძიებების, პირადი შემადგენლობის კულტურული, სპორტულ-მასობრივი, მუსიკალურ-ესთეტიკური, აღმზრდელობითი საქმიანობის და სხვა მუსიკალური გაფორმება.

სამხედრო ოსტატობა, სამხედრო მოსამსახურეების, ქვედანაყოფების და ნაწილების (ხომალდების) მაღალი პროფესიული და სპეციალური მომზადება საბრძოლო ამოცანების და სამხედრო სამსახურის შესასრულებლად. წარმოადგენს შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალის და საბრძოლო მზადყოფნის შემადგენელ მნიშვნელოვან ნაწილს. შინაარსით განასხვავებენ სამხედრო მოსამსახურეების ინდივიდუალური და კოლექტიური მოქმედებების **ს.ო**-ს.

სამხედრო პარიტეტი, ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) სამხედრო პოტენციალის ფარდობითი თანატოლობა, რომლის დროსაც არცერთ მხარეს სამხედრო უპირატესობის მიღწევის პერსპექტივა არ გააჩნია. იხ. აგრეთვე *სამხედრო წონასწორობა.*

სამხედრო პედაგოგიკა, მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სამხედრო მოსამსახურეების აღზრდის, სწავლების, განათლების, სამსახურებრივი და საბრძოლო ამოცანების წარმატებით შესრულების საკითხებს. ასევე – შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიერი მომზადების კანონზომიერებებს. სამხედრო-პედაგოგიური აზროვნება, რომელიც არმიების შექმნასთან ერთად ჩაისახა, ვითარდებოდა საზოგადოებასა და სამხედრო საქმეში მიმდინარე ობიექტური პროცესების ზემოქმედებით. **ს.პ**. სამხედრო და პედაგოგიკის მეცნიერებების მიჯნაზეა. მჭიდროდ არის დაკავშირებული ზოგად და სამხედრო ფსიქოლოგიასთან, მეომრის ეთიკასთან, ფიზიოლოგიასთან და ცოდნის სხვა დარგებთან. იყენებს კიბერნეტიკის, ზოგიერთი სხვა მათემატიკური მეცნიერების მიღწევებს და მეთოდებს. **ს.პ**-ის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლად გვევლინება ცოდნის სისტემა ომის და მთლიანად შეიარაღებული ძალების შესახებ.

სამხედრო პოლიტიკა, საზოგადოების და მისი სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტების შეხედულების, ურთიერთობისა და საქმიანობის სისტემა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სამხედრო ორგანიზაციის შექმნას, პოლიტიკური მიზნებისათვის შეიარაღებული ძალადობის საშუალებების მომზადებასა და გამოყენებას. **ს.პ**-ის ძირითადი სუბიექტია სახელმწიფო, მის მიერ შექმნილი ორგანიზაციები და დაწესებულებები, აგრეთვე სახელმწიფოთა კავშირები. გარკვეულ პირობებში დამოუკიდებელ სამხედრო-პოლიტიკურ აქტიურობას იჩენენ ხალხები, კლასები, ერები და სხვა სოციალური და ეროვნული ჯგუფები, პოლიტიკური მოძრაობები და პარტიები. **ს.პ**-ის სუბიექტები არიან პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელები და რიგითი მოქალაქეები, რომელთა უფლება-მოვალეობები თავდაცვის დარგში განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით. **ს.პ**. არის სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. მასში გამოხატულებას პოულობს ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობა, ეკონომიკური განვითარება, დემოგრაფიული ვითარება, პოლიტიკური ორგანიზაცია, სოციალურ-კულტურული ფაქტორები. **ს.პ**. მუდმივ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებზე. მათ უწევთ სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტის შე-

მთხვევაში სამხედრო ძალის გამოყენება. სწორად ამიტომ თვით **ს.პ**-ს აქვს მრავალწახნაგოვანი ხასიათი, მოიცავს საქმიანობის სამხედრო-ეკონომიკურ, სამხედრო-ტექნიკურ, სამხედრო-საკადრო და სხვა მიმართულებებს (**ს.პ**-ის სახეობებს).

ს.პ. წარმოადგენს თეორიული და პრაქტიკული მხარეების ორგანულ ერთიანობას. თეორიული – მოიცავს სამხედრო საქმიანობის კანონზომიერებების და პრინციპების წარმოჩენას, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ანალიზს, პროგნოზირებას და განჭვრეტას, სამხედრო მშენებლობის პრინციპების განსაზღვრას და სხვა. პოლიტიკური მიზნებისათვის სამხედრო ძალადობის საშუალებების გამოყენებაზე ჩამოყალიბებული ოფიციალური შეხედულებების სისტემა გამოიხატება სახელმწიფოს უსაფრთხოების სტრატეგიაში (სამხედრო დოქტრინაში), პარტიების და მოძრაობების საპროგრამო დოკუმენტებში. **ს.პ**-ის პრაქტიკული მხარე დაკავშირებულია ქვეყნის საჭირო სამხედრო ძლიერების შექმნა-შენარჩუნებასთან; შეიარაღებული ძალების მშენებლობასთან, საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფასთან; იარაღისა და სამხედრო ტექნიკის წარმოებასთან, თავდაცვითი ინფრასტრუქტურის შექმნასა და განვითარებასთან, ქვეყნის დასაცავად მოქალაქეების მორალურ-ფსიქოლოგიური მზადყოფნის ფორმირებასთან; სამობილიზაციო რეზერვების შექმნასა და დაგროვებასთან; საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობასთან და სხვა. **ს.პ**-ის ურთიერდაკავშირებულ ნაწილებად გვევლინება სამხედრო-პოლიტიკური ცნობიერება, ინსტიტუტები და დაწესებულებები, ურთიერთობები, საქმიანობა. სამხედრო-პოლიტიკურ ცნობიერებაში თავს იყრის საზოგადოების წარმოდგენები ისტორიაში სამხედრო ფაქტორის როლის შესახებ, სამშობლოს დაცვის და მხედრული მოვალეობის იდეები, დამოკიდებულება კონკრეტული ომებისა და სამხედრო-პოლიტიკური მოვლენებისადმი. სახელმწიფო თავისი **ს.პ**-ის ფართო სოციალური მხარდაჭერისათვის შეიმუშავებს და ნერგავს მასებში სამხედრო იდეოლოგიას. სამხედრო-პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და დაწესებულებებს განეკუთვნება: ხელისუფლების ორგანოები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სამხედრო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში (ძალოვანი სამინისტროები, კომიტეტები, შტაბები და სხვა); სახელმწიფო და არასახელმწიფო შეიარაღებული ფორმირებები; სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და სხვა ჯარები, გასამხედროებული სტრუქტურები და სხვა; დაწესებულებები და სამსახურები, რომლებიც შეადგენენ სამხედრო ორგანიზაციის სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემას (სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფა და სხვა). სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები მრავალფეროვანია. სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების რეალური მდგომარეობა არის **ს.პ**-ის შედეგი და ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მის ამოცანებს და შინაარს. სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობა წარმოადგენს **ს.პ**-ის სუბიექტის უშუალო ძალისხმევას სასურველი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ჩამოსაყალიბებლად. გადასაწყვეტი ამოცანებია ომის თავიდან აცილება, ნდობის ღონისძიებების განვითარება ან/და სამხედრო ექსპანსიისათვის მზადება. სახელმწიფოს ქმედებები შეიარაღებული თავდასხმის თავიდან აცილების, ჩაშლის ან მოგერიებისათვის შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, ორი ან მეტი სახელმწიფოს გაერთიანება სამხედრო საშუალებებით პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. შეიძლება ჰქონდეს დამპყრობლური, დამსჯელი, აგრესიული ან/და თავდაცვითი, გამათავისუფლებელი, სამშვიდობო ხასიათი. **ს.-პ.კ**-ის შექმნის კონკრეტული მიზნები შეიძლება იყოს კოლექტიური დაცვა, მშვიდობისმყოფლობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, მასობრივი ანტისამთავრობო მოძრაობების ჩახშობა, რეგიონული ან გლობალური ლიდერობა და სხვა. **ს.-პ.კ**-ის შექმნის ინიციატორად და წარმმართველ ძალად გამოდიან ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც წამყვან როლს ასრულებენ რეგიონში ან გლობალურ სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში. სხვა სახელმწიფოების მონაწილეობას განაპირობებს იდეოლოგიური სოლიდარობა, ეთნიკური ან კონფესიონალური (სარწმუნეობრივი) სიახლოვე, გეოპოლიტიკური ინტერესების ერთიანობა, ეკონომიკური დამოკიდებულება და სხვა. მიზნების, საერთაშორისო სამართლის დემოკრატიული ნორმებისადმი შესაბამისობის მიხედვით **ს.-პ.კ**-ები შეიძლება იყოს ღია, ნახევრად ღია და ფარული.

სამხედრო პოლიტოლოგია, სამხედრო მეცნიერების დარგი, სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა, რომელიც წარმოაჩენს სამხედრო ძალის როლს კაცობრიობის ისტორიაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, სახელმწიფოების საგარეო და საშინაო პოლიტიკაში. ასევე მისი ორგანიზაციის და გამოყენების ხერხებს. **ს.პ**. შეისწავლის სამხედრო ძალების მამოძრავებელ ფაქტორებს, სუბიექტებს და ფორმებს; თანამედროვე სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის მექანიზმს, სტრუქტურას და ინსტიტუტებს; სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების მდგომარეობას და განვითარების ტენდენციებს ცალკეულ ქვეყნებში და მთლიანად მსოფლიოში; სამხედრო მშენებლობის თეორიის და პრაქტიკის სოციალურ-პოლიტიკურ ასპექტებს; ძველ და თანამედროვე სამხედრო იდეოლოგიებს; სამხედრო-

პოლიტოლოგიური ცოდნის განვითარების ისტორიაში განასხვავებენ **ს.პ**-ის კვლევის 3 დონეს: 1. ზ ო გ ა დ ი **ს.პ.**, შეისწავლის ფუნდამენტურ თეორიულ პრობლემებს (სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების არსი, მათი კანონზომიერება და პრინციპები, განვითარების ფაქტორები და თავისებურებები და სხვა); 2. შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი **ს.პ.**, მიზნად ისახავს სხვადასხვა ქვეყნის და ეპოქის სამხედრო-პოლიტიკური რეალობების და მათი განვითარების შესაძლო ტენდენციების ანალიზს; 3. გ ა მ ო ყ ე ნ ებ ი თ ი **ს.პ**-ის, საგანია იმ საკითხების შესწავლა, რომლებიც ეხება სამხედრო მშენებლობის, სამხედრო-პოლიტიკური საქმიანობის პრაქტიკულ ამოცანებსა და პრობლემებს.

სამხედრო პოლიცია, სამართალდამცავი სამსახური ზოგიერთი სახელმწიფოს არმიაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ნიდერლანდი, შვედეთი, იაპონია და სხვა), რომელიც განკუთვნილია შეიარაღებულ ძალებში პოლიციური ფუნქციების შესასრულებლად. ძირითადი ამოცანებია: სამართალდარღვევების აღკვეთა, დეზერტირების დაკავება; წესრიგის დამყარების ხელშეწყობა სამხედრო გარნიზონებში, ადმინისტრაციის დახმარება არეულობის ლიკვიდაციის და სტიქიური უბედურებების დროს, მოძრაობის კონტროლი და რეგულირება გზებზე და სხვა. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და გერმანიაში წარმოადგენს სახმელეთო ჯარების გვარეობას, აგრეთვე ემსახურება შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებს.

სამხედრო პორტი, ზღვის (მდინარის, ტბის, წყალსაცავის) ნაპირის მონაკვეთი და მიმდებარე აკვატორია, რომელიც დაცულია ღელვისაგან, აქვს ხომალდების და გემების მშენებლობისთვის, რემონტისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისთვის აუცილებელი მოწყობილობები და საშუალებები.

სამხედრო პოტენციალი, სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) მაქსიმალური შესაძლებლობანი, რომლებიც შეიძლება მობილიზებულ და გამოყენებულ იქნეს მისი სამხედრო ძლიერებისათვის, სამხედრო ორგანიზაციის მშენებლობის, შენახვის და ომის წარმოებისათვის. **ს.პ**. არ არის თვითკმარი ცნება. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს სხვა პოტენციალის ხერხსა და ფორმას. **ს.პ**-ის შემადგენელი ელემენტების უმრავლესობა (სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო-დემოგრაფიული, სამხედრო-სამეცნიერო და სხვა.) შემოდის სხვა პოტენციალებიდან. მხოლოდ **ს.პ**-თვის დამახასიათებელ კომპონენტებს განეკუთვნება: სამხედრო სფეროში ქვეყნის ორგანიზაციულ-ტექნიკური, მმართველობითი, ოპერატიულ-სტრატეგიული და სხვა შესაძლებლობები.

სამხედრო პრაქტიკა, საზოგადოებრივი პრაქტიკის განსაკუთრებული სახეობა სამხედრო ძალის შექმნის და გამოყენების დარგში. მის სუბიექტებად გვევლინებიან სახელმწიფოები და მათი კოალიციები, ხალხები, ერები და სხვა სოციალური ინსტიტუტები (უწინარეს ყოვლისა, შეიარაღებული ძალები და სხვა ჯარები), სამხედრო სფეროსთან დაკავშირებული თანამდებობის პირები და მოქალაქეები. ომიანობის დროს **ს.პ**-ის ძირითადი სახეობაა სამხედრო (საბრძოლო) მოქმედებები. მშვიდობიანობის დროს **ს.პ.** შემოიფარგლება სამხედრო საქმიანობით და შეიარაღებული ძალების მშენებლობით, ჯარების მაღალი საბრძოლო მზადყოფნის ხელშეწყობით, სამხედრო სფეროში საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირებით, პირადი შემადგენლობის სწავლებითა და აღზრდით. **ს.პ**. არის სამხედრო თეორიის განვითარების საფუძველი და მამოძრავებელი ძალა.

სამხედრო პროდუქცია, ვიწრო გაგებით, პროდუქცია, რომელიც განკუთვნილია შეიარაღებულ ძალებისათვის (შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა, აღჭურვილობა და ა.შ.); ფართო გაგებით – ყოველგვარი საქონელი და მომსახურება, რომელიც გამოიყენება საზოგადოების სამხედრო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ფუნქციური როლით განასხვავებენ: საბოლოო **ს.პ**-ს, რომელიც შეიარაღებულ ძალებს უშუალოდ მიეწოდება და მათ მიერ მოიხმარება; წარმოების საშუალებებს, რომლებიც **ს.პ**-ის წარმოებისთვის გამოიყენება; სამხედრო წარმოებაში დასაქმებული თანამშრომლებისთვის მოხმარების საგნებს.

სამხედრო პროკურატურა, მრავალ სახელმწიფოში პროკურატურის ორგანოების სპეციალიზებული შემადგენელი ნაწილი, რომელიც შეიარაღებულ ძალებსა და სხვა ჯარებში საპროკურორო ზედამხედველობას ახორციელებს. **ს.პ**-ებს მათი კომპეტენციის ფარგლებში აქვთ უფლებამოსილებები, რომლებიც დაწესებულია კანონით პროკურატურის შესახებ. **ს.პ**. ახორციელებს ზედამხედველობას კანონების შესრულებასა და ადამიანის უფლებათა დაცვაზე სამხედრო მართვისა და კონტროლის ორგანოების საშუალებით. ასევე იმ ორგანოების მეშვეობით, რომლებიც ეწევიან ოპერეტიულ-სამძებრო საქმიანობას, მოკვლევას და წინასწარ გამოძიებას დროებითი დაკავების ადგილებში. აწარმოებს სისხლის სამართლებრივ დევნას სისხლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, კოორდინაციას უწევს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას შეიარაღებულ ძალებსა და სხვა ჯარებში.

სამხედრო რეაბილიტაცია, კრიზისების, დაძაბულობის ან ომის შემთხვევაში ნატოს კონსულტაციების, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისი დროული და შეთანხმებული ზომები.

სამხედრო რელიკვიები, განსაკუთრებით ღირსსახსოვარი საგნები ქვეყნის სამხედრო

ისტორიაში, მისი შეიარაღებული ძალების, შენაერთების, ნაწილების (ხომალდების) საბრძოლო საქმიანობაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების, იმ მეომართა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებმაც საგმირო საქმეები ჩაიდინეს ომიანობის და მშვიდობიანობის დროს. **ს.რ**. სიამაყის საგანია და აქვს აღმზრდელობითი ღირებულება, განსაკუთრებით სამხედრო მოსამსახურეებისთვის.

სამხედრო რეფორმა, სახელმწიფოს სამხედრო ორგანიზაციის არსებითი გარდაქმნების ერთობლიობა, რომელთა მიზნია, შეუსაბამონ იგი შეცვლილ გარე პირობებს. ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გადაწყვეტილებით, შემუშავებული პროგრამების შესაბამისად დროის გარკვეულ მონაკვეთში. **ს.რ**-ს განაპირობებს ობიექტური გარემოებები, რომლებიც დაკავშირებულია ომში დამარცხებასთან ან გამარჯვებასთან, სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის გარდაქმნასთან და მისი საერთაშორისო მდგომარეობის ცვლილებასთან, გარდა ამისა – ახალი სახეობების შეიარაღების გაჩენასთან, ფინანსურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან, შეიარაღებული ბრძოლის ფორმების, ხერხების შეცვლასთან და სხვა.

სამხედრო რიტუალები (ლათინური ritualis – წეს-ჩვეულებები), სამხედრო ღონისძიებები, მხედრული წეს-ჩვეულებები, საზეიმო ცერემონიები, რომლებიც სრულდება ჯარების ყოველდღიური საქმიანობისას, სადღესასწაულო ზეიმების დროს, სამხედრო სამსახურის მნიშვნელოვანი მოვლენების და სხვა დაწესებული თარიღების აღნიშვნისას. **ს.რ**. მოიცავენ: მხედრული ფიცის დადებას, სამხედრო ნაწილისთვის საბრძოლო დროშის, პირადი შემადგენლობისთვის შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის გადაცემას, ახალწვეულთა შევსების ქვედანაყოფებში განაწილებას, ყარაულის შეცვლას, საბრძოლო დროშის გამოტანას და გატანას (სამხედრო-საზღვაო დროშის აღმართვა და დაშვება), სალუტების მოწყობას, ჯარების სამხედრო დათვალიერებას, საზეიმო მარშებს, მხედრულ პატივდებას, სამხედრო მოსამსახურის პატივით დაკრძალვას, რეზერვში დათხოვნილი ან რეზერვის სამხედრო მოსამსახურეების გაცილებას.

სამხედრო-სააღრიცხვო სპეციალობა, სამხედრო აღრიცხვის კატეგორია, რომელიც აღნიშნავს სამხედრო მოსამსახურის (რეზერვში მყოფი მოქალაქის) სამხედრო სპეციალობას და მის კუთვნილებას შეიარაღებული ძალების სახეობისადმი, ჯარების (ძალების) გვარეობისადმი ან სამსახურისადმი. **ს.-ს.ს**-ს აქვს კუთვნილი სახელწოდება და ნომერი (ციფრული აღნიშვნა). აწესებენ მოქალაქეებისათვის, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი სამხედრო მომზადება და სწავლება, სამხედრო მომზადების არმქონე პირებისათვის კი – სამოქალაქო სპეციალობებში მათი სამხედრო აღრიცხვაზე აყვანის დროს.

სამხედრო (საბრძოლო) მოქმედებების ხერხები, სამხედრო მოქმედებების ინტერესებისთვის ოპერატიული და საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად ძალების და საშუალებების გამოყენების წესი. სამხედრო მოქმედებების თითოეულ სახეობას, შეიარაღებული ძალების სახეობას ჯარების (ძალების) გვარეობას ახასიათებს თავისი, სპეციფიკური **ს.(ს.)მ.ხ**. ისინი ითვალისწინებენ: მოწინააღმდეგის განადგურების თანამიმდევრობას; მთავარი და სხვა დარტყმების მიმართულებებს (შტევაში) ან იმ რაიონების (ზღუდეების) განლაგებას, რომელთა შესანარჩუნებლად თავმოყრილია ჯარების ძირითადი ძალისხმევა (თავდაცვაში); ჯარების (ძალების) ოპერატიულ დაწყობას (საბრძოლო წყობას); მათ მიერ გამოყენებული მანევრის ხასიათს. **ს.(ს.)მ.ხ**-ს განსაზღვრავს სარდალი (მეთაური) ოპერაციის ჩატარების დროს.

სამხედრო საბჭო, სამხედრო ხელმძღვანელობის სათათბირო ორგანო, რომელიც განიხილავს სამხედრო მშენებლობის, საბრძოლო მოქმედებების ორგანიზაციის, ჯარების მართვის მომზადების, უზრუნველყოფის და სხვა პრინციპულ საკითხებს და ზოგჯერ იღებს გადაწყვეტილებებს. ასევე მათ საფუძველზე შეიმუშავებს რეკომენდაციებს (დადგენილებებს), რომლებიც ხორციელდება შესაბამისი სარდლების ბრძანებით. მუდმივმოქმედი **ს.ს**-ები არსებობს მრავალი სახელმწიფოს უმაღლეს სამხედრო ინსტანციებში.

სამხედრო საიდუმლო, სამხედრო ხასიათის ინფორმაცია, რომელიც არ ექვემდებარება გამჟღავნებას. მისი ნაწილი, ქვეყნის შეიარაღებულ ძალების და თავდაცვისუნარიანობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, ზოგ შემთხვევაში განეკუთვნება სახელმწიფო საიდუმლოს, დანარჩენი – სამსახურებრივ საიდუმლოს. ასეთი მონაცემების ჩამონათვალს თავდაცვის სამინისტრო აქტებით აწესებს. ამის საფუძველზე შეიარაღებულ ძალებში შემუშავებულია სპეციალური წესები იმ დოკუმენტებთან და წყაროებთან მუშაობისა, რომლებიც **ს.ს**-ს შეიცავენ. ასეთი წესების დაცვა აუცილებელია ყველა სამხედრო მოსამსახურისთვის და პირდაპირ არის მითითებული სამხედრო ფიცში, სამხედრო წესდებებში, ინსტრუქციებში და სამხედრო მართვის ორგანოების სხვა აქტებში.

სამხედრო სამართალი, სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის ნაწილი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს სამხედრო მშენებლობის და შეიარაღებული ძალების საქმიანობის სფეროში. წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ დაწესებული ნორმების და წესების ერთობლიობას. იგი აუცილებელია სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორ-

განიზაციების, თანამდებობის პირების და მოქალაქეების, ქვეყნის უსაფრთხოების, მისი გაძლიერების უზრუნველყოფის და სამხედრო პოლიტიკის განხორციელებისათვის. **ს.ს**-ის წყაროებია ქვეყნის კონსტიტუცია და კანონები, პრეზიდენტის ბრძანებულებები და მთავრობის დადგენილებები, რომლებიც სამხედრო სფეროს ეხება. ასევე – თავდაცვის მინისტრის, სხვა მეთაურების, უფროსების ბრძანებები და დირექტივები, საერთაშორისო შეთანხმებები და ხელშეკრულებები, სახელმწიფოს მონაწილეობით. **ს.ს**-ს აქვს თავისებურებები, რომლებიც სამხედრო საქმიანობის სპეციფიკასთან არის დაკავშირებული. იგი სამართლის სხვა დარგთან შედარებით უფრო დეტალურია, სამხედრო სამართალურთიერთობის ყველა მონაწილეს გაზრდილ მოთხოვნებს უყენებს, ემსახურება შეიარაღებულ ძალებში კანონიერების დაცვას და შენარჩუნებას.

სამხედრო სამართლის თეორია, იურიდიული დისციპლინა, რომელიც სწავლობს სამხედრო (ომის) სამართლის ჩამოყალიბების და განვითარების ისტორიას, მის შინაარსს და როლს სამხედრო საქმესა და შეიარაღებული ძალების მშენებლობაში. ჩამოყალიბდა XX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს. **ს.ს.თ**-ის ფუნქციებია: 1. შ ე მ ე ც ნ ე ბ ი თ ი, სამხედრო ორგანიზაციაში უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი მოვლენების და პროცესების განზოგადება და ახსნა; 2. ე ვ რ ი ს ტ ი კ უ ლ ი, სამხედრო ურთიერთობების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი რეგლამენტაციის პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების გამოვლენა; 3. ა ქ ს ი ო ლ ო გ ი უ რ ი, შეიარაღებული ძალების ორგანიზაციისა და საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის მეცნიერული შეფასება; 4. პ რ ო გ ნ ო ს ტ ი კ უ ლ ი, სამხედრო სამართლის განვითარების მყარი ტენდენციებისა და პერსპექტივების განსაზღვრა.

სამხედრო სამაროვნები, სამშობლოს დაცვისას დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების დაკრძალვის ადგილები. **ს.ს**-ს განეკუთვნება სამხედრო სასაფლაოები, ცალკეული მეომრების დაკრძალვის უბნები საერთო სასაფლაოებზე, ინდივიდუალური და ძმათა საფლავები. ასევე კოლუმბარიუმები და ურნები დაღუპულთა ფერფლით, ზღვების და ოკეანეების აკვატორიაში დაკრძალვის, საბრძოლო ხომალდების, საზღვაო, სამდინარო და საჰაერო ხომალდების ეკიპაჟიანად დაღუპვის ადგილები. ამ სამაროვნებს პატრონობენ ჟენევის 1949 წლის კონვენციის დებულებების, საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

სამხედრო სამსახური, შეიარაღებულ ძალებში, სხვა ჯარებში, სამხედრო ფორმირებებსა და ორგანოებში მოქალაქეების სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახეობა; ხორციელდება სამხედრო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქალაქეები **ს.ს**-ს გადიან გაწვევით და ნებაყოფლობითი წესით (კონტრაქტების საფუძველზე).

სამხედრო სამღვდელოება, ეკლესიის წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ფორმირებებში მსახურობენ. მათი მიზანია პირადი შემადგენლობის სულიერი და მორალური მხარდაჭერა და რელიგიურ-ზნეობრივი აღზრდა. რელიგიური კონფესიისა და ქვეყნის ეროვნული თავისებურებების მიხედვით **ს.ს**-ში შემავალ პირებს ეწოდებათ სამხედრო მღვდლები, სამხედრო კაპელანები, სამხედრო რაბინები, სამხედრო მოლები და ა.შ. ისინი შეიძლება იყვნენ შეიარაღებული ძალების კადრებში და ჰქონდეთ სამხედრო წოდება ან რჩებოდნენ სამოქალაქო პირებად. ყველა შემთხვევაში ისინი ფინანსდებიან სამხედრო უწყების მიერ და სარგებლობენ შესაბამისი უფლებებით, როგორც წესი, ოფიცერთა შემადგენლობის სტატუსის მიხედვით. **ს.ს**-ის წარმომადგენლებს ნიშნავენ სამხედრო მმართველობის უმაღლესი ორგანოები ან ხელმძღვანელი საეკლესიო ორგანოები, მაგრამ ყველა შემთხვევაში – ამ ინსტანციებს შორის შეთანხმების საფუძველზე. არმიებში კულტის მსახურები შუა საუკუნეებში გაჩნდნენ. სამხედრო-რელიგიურმა სამსახურმა და **ს.ს**-ის სტატუსმა ოფიციალური სახელმწიფო-იურდიული დამკვიდრება პოვა XVI–XVIII საუკუნეებიდან. მაგალითად, XVI საუკუნიდან მოქმედებს სამხედრო კაპელანების სამეფო სამსახური ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში. პოლონეთის სეიმმა 1690 წელს პირველად დააწესა **ს.ს**-ის 36 თანამდებობა ქვეითი ჯარის და კავალერიისათვის. რუსეთში **ს.ს**-ის ადგილის და როლის იურიდიული დამკვიდრება მოხდა 1716 წელს; 1775 წელს სამხედრო კაპელენების სამსახური საკანონმდებლო წესით გაფორმდა აშშ-ში. XXI საუკუნის დამდეგს სამხედრო-რელიგიური სამსახურები არსებობს მეტწილ განვითარებულ და ბევრ განვითარებად ქვეყანაში.

სამხედრო სასაფლაო, ბრძოლის ველზე დაცემული, ჭრილობებისა და დაავადებებისაგან გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების დაკრძალვისთვის სპეციალურად გამოყოფილი ტერიტორია. არსებობს ძმათა **ს.ს**-ები და სასაფლაოები, რომლებზეც არის როგორც ძმათა, ასევე ცალკეული საფლავები. როგორც წესი, **ს.ს**-ები სახელმწიფოს დაცვის ქვეშაა, მრავალი მათგანი სამხედრო-ისტორიულ ძეგლს წარმოადგენს.

სამხედრო საქმე, მშვიდობის და ომის დროს სახელმწიფოს სამხედრო მშენებლობის და სამხედრო ორგანიზაციის, შეიარაღებული ძალების საქმიანობის, აგრეთვე ომის საწარმოებლად მოსახლეობის მომზადების თეორია და პრაქტიკა; სამხედრო საქმიანობის და მისი

შედეგების ერთიანობა. ცოდნის სისტემა, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებს და სამხედრო ვალდებულებს სჭირდებათ მხედრული მოვალეობის წარმატებით შესრულებისათვის. **ს.ს**-ის ერთობლივ შედეგს წარმოადგენს სახელმწიფოს სამხედრო ძლიერება, უწინარეს ყოვლისა, მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალი. **ს.ს**-ის ეფექტიანობის მთავარი კრიტერიუმია სახელმწიფო სუვერენიტეტის გარანტირებული დაცვა ან სხვა სამხედრო-პოლიტიკური შედეგების მიღწევა.

სამხედრო საწარმოები, დამოუკიდებელი სამეურნეო სუბიექტები იურდიული პირის უფლებით. ისინი შექმნილია შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით სამხედრო მნიშვნელობის პროდუქციის (სამუშაოების შესრულება და მომსახურების გაწევა) წარმოებისთვის.

სამხედრო სიმძიმის ცენტრი, მახასიათებლები და შესაძლებლობები, საიდანაც სახელმწიფოს სამხედრო ძალები იძენს მოქმედების თავისუფლებას, საბრძოლო-მორალურ პოტენციალს.

სამხედრო სოციოლოგია, სპეციალური სოციოლოგიური დისციპლინა. სწავლობს სამხედრო ურთიერთობებს და პროცესებს, რომლებიც მიმდინარეობს შეიარაღებულ ძალებში, როგორც შედარებით ერთიან ორგანიზმში და ამასთანავე საზოგადოების განუყოფელ ნაწილში. **ს.ს**. იკვლევს მშვიდობისა და ომიანობის დროს საზოგადოებასა და არმიას შორის ურთიერთობების კანონზომიერებას და მექანიზმებს. ასევე, შეიარაღებული ძალების შიგნით საჯარისო კოლექტივებსა და სამხედრო მოსამსახურეებს შორის დამოკიდებულებას. ამავდროულად, ზოგად თეორიულ მეთოდებთან ერთად, **ს.ს**. ფართოდ იყენებს მათემატიკური მეცნიერების, კიბერნეტიკის, სტატისტიკის სპეციალურ მეთოდებს, ემპირიულ კვლევებს და პროცედურებს. **ს.ს**. წარმოადგენს სოციოლოგიის დარგს და მჭიდროდ არის დაკავშირებული სამხედრო მეცნიერებასთან, სოციალურ და სამხედრო ფსიქოლოგიასთან და ცოდნის სხვა სფეროებთან. ჩვეულებრივ, **ს.ს**-ის სტრუქტურაში გამოყოფენ 3 დონეს: მის ზოგად, სპეციალურ (კერძო) და კონკრეტულ თეორიებს.

სამხედრო სუბსიდია, სახელმწიფოს მიერ სამხედრო დანიშნულების საგნების (სამუშაოების, მომსახურების) საკუთარი ან სხვა ქვეყნის მწარმოებლის ფინანსურ-ეკონომიკური მხარდაჭერის ერთ-ერთი მეთოდი. შეიძლება იყოს ფულადი (საკუთარი ბიუჯეტის ხარჯზე) და ნატურალური (საკუთარი ეკონომიკური რესურსების ხარჯზე).

სამხედრო სფერო, სახელმწიფოს ფუნქციონირების, საზოგადოების და ცალკეული პიროვნების მოღვაწეობის სფერო, რომელიც სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან არის დაკავშირებული.

სამხედრო სწავლება, სამხედრო მოსამსახურეებისთვის პრაქტიკული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო ცოდნის, უნარის, ჩვევების გადაცემის და დაუფლების ორგანიზებული, მიზანმიმართული პროცესი. **ს.ს.** ასევე გულისხმობს ეკიპაჟების (გათვლების), ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების), შენაერთების საბრძოლო შერწყმის და საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის მომზადების პროცესს. **ს.ს**. უმეტეს ქვეყნებში ხორციელდება სამხედრო დოქტრინის, ქვეყნის განათლებისა და სამხედრო სამსახურის სფეროში კანონების, სამხედრო წესდებების, დარიგებების საფუძველზე. გარდა ამისა – თავდაცვის მინისტრის ბრძანებების და დირექტივების, სასწავლო და საბრძოლო მომზადების პროგრამების, სასწავლო გეგმების, ჯარების (ძალების) და მართვის ორგანოების მომზადების გეგმების საფუძველზე. **ს.ს**. ეფუძნება განსაზღვრულ პრინციპებს და ხორციელდება სწავლების სხვადასხვა ფორმის და მეთოდის გამოყენებით. **ს.ს**-ის ძირითადი პრინციპებია: სწავლების და აღზრდის პროცესის ერთიანობა; იმის სწავლება, რაც აუცილებელია ომში; მოსწავლეების შეგნებულობა და აქტიურობა; სწავლების თვალსაჩინოება, სისტემატურობა, თანამიმდევრობა და ხელმისაწვდომობა; ცოდნის და უნარ-ჩვევების სიმტკიცე; სწავლებისადმი ინდივიდუალური და კოლექტიური მიდგომა. **ს.ს**-ის ფორმებია: ლექციები, სემინარები, სასწავლო ლიტერატურასთან დამოუკიდებელი მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობები და ვარჯიშები; ცალკეული ჯარისკაცის და ქვედანაყოფების შემადგენლობაში საბრძოლო სროლა; ტაქტიკურ-სამწყობრო (ტაქტიკურ-სპეციალური) და ტაქტიკური მეცადინეობები, ჯგუფური ვარჯიშები, სამეთაურო-საშტაბო ვარჯიშები და სხვა. სწავლების ძირითადი მეთოდებია: განმარტება, საუბარი (გასაუბრება), ჩვენება (დემონსტრაცია), ვარჯიში, პრაქტიკული მუშაობა, მასალის დამოუკიდებლად შესწავლა. პრინციპები, ფორმები და მეთოდები შეიარაღებული ძალების განვითარებასთან ერთად იხვეწება და დამოკიდებულია არმიის და ფლოტის ბრძოლისუნარიანობის და საბრძოლო მზადყოფნის მოთხოვნილებებზე.

სამხედრო ტანსაცმლის ფორმა, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობისთვის დაწესებული სამხედრო ჩაცმულობის, აღჭურვილობის საგნების და განმასხვავებელი ნიშნების კომპლექტი. შეიძლება იყოს სააღლუმო (მწყობრისთვის და მწყობრგარეშე), საყოველდღეო და საველე, საზაფხულო და საზამთრო. სამხედრო მოსამსახურის მიერ ამოცანების შესრულება ითვალისწინებს სპეციალური (საზაფხულო-ტექნიკური, დათბუნებული, სამუშაო და სხვა) სამხედრო ფორმის ტანსაცმლის ტარებას.

სამხედრო ტექნიკა, ტექნიკური საშუალებები, რომლითაც აღჭურვილია შეიარაღებული ძალები საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველსაყოფად. **ს.ტ**-ში შედის თვითმფრინავი, ხომალდი, ტანკი და სხვა, ასევე ჯარების (ძალების) მართვის, სპეციალური ტექნიკური, ლოგისტიკის, სწავლების საშუალებები და სხვა. „შეიარაღებას“ ზოგჯერ გამოყოფენ დამოუკიდებელ ცნებად (აქედან მომდინარეობს გამოთქმა „შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა“). **ს.ტ**-ის ძირითადი ნაწილია საბრძოლო ტექნიკა. **ს.ტ**. შეიძლება დაიყოს შეიარაღებული ძალების სახეობების ან ჯარების გვარეობებისადმი კუთვნილების (სახმელეთო, სარაკეტო ჯარები, სამხედრო-საჰაერო ძალები, სამხედრო-საზღვაო ძალები, არტილერია, საინჟინრო ჯარები და სხვა), ან იარაღის (საავიაციო, სახომალდო, ჯავშანსატანკო, სარაკეტო და სხვა) მიხედვით. **ს.ტ**. შეადგენს სახელმწიფოების სამხედრო ქონების მთავარ მატერიალურ კომპონენტს, ხოლო ამ ტექნიკის სწრაფი განვითარება მათი არმიების ბრძოლისუნარიანობის მაღალი დონის ერთ-ერთი პირობაა.

სამხედრო ტექნიკის გამოცდა, სამხედრო ტექნიკის საცდელი ან სერიული ნიმუშების მახასიათებლების ექსპერიმენტული განსაზღვრა ტაქტიკურ-ტექნიკურ მოთხოვნებთან მათი შესაბამისობის დასადგენად. სამხედრო ტექნიკის საცდელი ნიმუშების გამოცდა არის წინასწარი (საქარხნო) და მისაღები (საუწყებათაშორისო და სახელმწიფო). საუწყებათაშორისო გამოცდა არის მისაღები გამოცდა ნიმუშის შემადგენელი ნაწილებისათვის და წინ უძღვის მთლიანად ნიმუშის წინასწარ გამოცდას. სახელმწიფო (საპოლიგონო, საჯარისო) გამოცდას აწყობს შემკვეთი შეიარაღებაზე სამხედრო ტექნიკის მიღების მიზანშეწონილობის განსაზღვრის მიზნით. წარმოებისას ეწყობა: ნიმუშის მიღება-ჩაბარების გამოცდა, პერიოდული – წარმოებიდან გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ (უფრო სრული შემოწმება), ტიპობრივი – სამხედრო ტექნიკის კონსტრუქციაში ან წარმოების ტექნოლოგიაში ცვლილებების შეტანის შემდეგ.

სამხედრო ტექნიკის მაკეტი, სამხედრო ტექნიკის გამარტივებული წარმოსახვა. შეიძლება იყოს ტექნოლოგიური – დასამუშავებელი ნიმუშის ძირითადი კვანძების შედგენის შესამოწმებლად; გამოსაცდელი – ცალკეული მოწყობილობების შრომისუნარიანობის შესამოწმებლად; სასწავლო – ორიგინალის მოწყობილობის და ექსპლუატაციის შესასწავლად; საიმიტაციო – სამიზნე ვითარების შექმნის და ცრუ ობიექტად გამოყენებისათვის.

სამხედრო ტვირთი, შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა, საწვავი და სხვა მატერიალური საშუალებები, რომლებიც განკუთვნილია ჯარებისათვის და რომელთა გადაზიდვაც ხდება სხვადასხვა ტრანსპორტით. სამხედრო ტვირთი არის: სატრანსპორტო თვისებების მიხედვით – ცალკეული, დასაყრელი, ფხვიერი, ჩასასხმელი, შემკვრელი, მძიმეწონიანი, არაგაბარიტული; ფიზიკური თვისებების მიხედვით – არასაშიში და საშიში; შენახვის პირობების მიხედვით – ტვირთი, რომელსაც ესაჭიროება სპეციალური ან ჩვეულებრივი დახურული სათავსები, ან ტვირთი, რომლის შენახვა დასაშვებია სათავსების გარეშე.

სამხედრო ტოპოგრაფია, სპეციალური სამხედრო დისციპლინა, რომელიც სწავლობს ადგილმდებარეობის შეფასების, მასზე ორიენტირების და საველე გაზომვების ხერხებს და საშუალებებს ჯარების (ძალების) საბრძოლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად; მეთაურთა სამუშაო რუკების წარმოების და გრაფიკული საბრძოლო დოკუმენტების შემუშავების წესებს. ადგილმდებარეობის ელემენტების და ობიექტების, მათი კოორდინატების, ზომების, მოხაზულობის და სხვა რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების ამსახველი ინფორმაციის ძირითად წყაროს წარმოადგენენ ტოპოგრაფიული და სხვადასხვა სპეციალური რუკები, აგრეთვე ადგილმდებარეობის ფოტოდოკუმენტები. ადგილმდებარეობის შესწავლა ხდება მისი უშუალო დაზვერვის გზითაც. **ს.ტ**. მჭიდროდ არის დაკავშირებული ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფის ტაქტიკასთან, თეორიასა და პრაქტიკასთან.

სამხედრო ტრიბუნალი, ზოგიერთ ქვეყანაში სასამართლო, რომლის დანიშნულებაა ბრძოლა სახელმწიფოს უსაფრთხოების და მისი შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობების ხელყოფისთვის, სამხედრო დისციპლინისა და სამხედრო სამსახურის დაწესებული წესების უგულებელყოფის წინააღმდეგ. საქმის წარმოება ხორციელდება ისევე, როგორც საერთო სასამართლოში.

სამხედრო ტყვეები, ომის დროს მოწინააღმდეგის მიერ შეპყრობილი, დატყვევებული მებრძოლები და სხვა პირები, რომლებზეც ვრცელდება სამხედრო ტყვეობის რეჟიმი. **ს.ტ**-ად მიიჩნევიან ომის დროს მეომარი სახელმწიფოს მიერ მოწინააღმდეგე მხარის დროებით დაკავებული პირები. მას თან სდევს შეიარაღებული ბრძოლებიდან მათი გამოთიშვა. სამხედრო ტყვეობის რეჟიმს არეგულირებს ჟენევის 1949 წლის კონვენციები, დამატებითი ოქმები და სხვა საერთაშორისო შეთანხმებები. **ს.ტ**-ის სტატუსი არ ვრცელდება ჯაშუშებსა და დაქირავებულებზე.

სამხედრო უნივერსიტეტი, სამხედრო-სასწავლო დაწესებულება მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში. სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ამზადებს ოფიცერ-სპეციალისტებს ახალი მეთოდებით. გარდა სასწავლო პროცე-

სისა, აწარმოებს ფუნდამენტურ და სამეცნიერო კვლევებს.

სამხედრო უპირატესობა, ერთი სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) სამხედრო ძლიერების არსებითი უპირატესობა მეორესთან შედარებით. **ს.უ**. გამოხატავს მხარეთა სამხედრო, ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, მორალური და სულიერი შესაძლებლობების თანაფარდობას. ძირითადი მაჩვენებელია მხარეების შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების და ძალების თანაფარდობა. კონკრეტულ სიტუაციაში **ს.უ**-ის განმსაზღვრელი ფაქტორია სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობა.

სამხედრო უსაფრთხოება, საშინაო და საერთაშორისო ვითარება, რომელიც გამორიცხავს პიროვნების, საზოგადოების, სახელმწიფოს, მსოფლიო გაერთიანების წინააღმდეგ შეიარაღებული ძალადობის გამოყენებას. ის არის ნაწილი და ერთ-ერთი საფუძველი ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების. **ს.უ**. გულისხმობს: სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შეიარაღებული დაცვის უზრუნველყოფას; საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების სტაბილურობის სამხედრო გარანტიების შექმნას, სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებას, ტერორისტული და კრიმინალური ჯგუფების მოქმედების აღკვეთას. **ს.უ**-ს უზრუნველყოფს, უპირატესად, ეკონომიკური, პოლიტიკური, დიპლომატიური და სხვა არასამხედრო ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია საერთაშორისო და საშინაო წინააღმდეგობების მოგვარება, სამხედრო-ძალისმიერ დაპირისპირებაში მათი გადაზრდის აღკვეთა. **ს.უ**-ის მნიშვნელოვანი მხარეა სახელმწიფოს ძლიერების შენარჩუნება, რეალური და პოტენციური სამხედრო საფრთხეების შესაბამისად. **ს.უ**-ის ამოცანებს უშუალოდ წყვეტენ სხვადასხვა ძალისმიერი სტრუქტურები: შეიარაღებული ძალები, ჯარი, პოლიცია, უსაფრთხოების ორგანოები.

სამხედრო ფიცი, საზეიმო დაპირება (ფიცი), რომელსაც დებს ყოველი სამხედრო მოსამსახურე (მოქალაქე) სამხედრო სამსახურში გაწვევის (სამხედრო-სასწავლებელში მიღების) დროს. ერთ-ერთი სამხედრო რიტუალი. მრავალ სახელმწიფოში სამხედრო ფიცი არის მნიშვნელოვანი სამართლებრივი და მორალურ-პოლიტიკური აქტი. დადგენილი წესით **ს.ფ**-ის დადება არის კანონი, რომელიც ექვემდებარება უპირობო შესრულებას. **ს.ფ**-ის შინაარსი და დადების რიტუალი ასახავენ ერის, არმიის ისტორიულ და ეროვნულ ტრადიციებს. **ს.ფ**-ის ტექსტი უნდა იყოს მიღებული კანონმდებლობით.

სამხედრო ფორმირება, ახალორგანიზებული (ფორმირებული) ან უკვე არსებული სამხედრო ნაწილი (შენაერთი, გაერთიანება); შეიძლება იყოს აგრეთვე დროებითი დანიშნულების (სამარშო ქვედანაყოფები, გუნდები და სხვა).

სამხედრო ფსიქოლოგია, მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მშვიდობიანობის დროს და საბრძოლო ვითარებაში სხვადასხვა ამოცანის გადაწყვეტის დროს, ცალკეული სამხედრო მოსამსახურის და სამხედრო ფორმირების ფსიქიკის ფუნქციონირების კანონზომიერებას. შეიმუშავებს რეკომენდაციებს პირადი შემადგენლობის შესწავლის, შერჩევის, სწავლების, მორალურ-ფსიქოლოგიური მომზადების თეორიისა და პრაქტიკის, ჯარების მართვის, სამხედრო და სამხედრო-ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის. კავშირშია ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვა დარგებთან, სამხედრო მეცნიერებებთან, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო პედაგოგიკასთან, სამხედრო სტრატეგიასთან, ტაქტიკასთან, მეცნიერული ცოდნის სამხედრო-იურიდიულ და სამხედრო-ტექნიკურ დარგებთან.

სამხედრო ფული, საოკუპაციო ფული; სპეციალური ქაღალდის ფულის ნიშნები, რომელსაც მიმოქცევაში უშვებენ ერთი სახელმწიფოს სამხედრო ხელისუფალნი მეორის ტერიტორიაზე ომის პერიოდში ან ომის შემდგომ წლებში. **ს.ფ**-ის გამოშვება ოკუპირებული ქვეყნის ეკონომიკური რესურსების მობილიზაციის ერთ-ერთი მეთოდია. ეს ფული, ჩვეულებრივ, მიმოქცევაშია ეროვნულ ვალუტასთან ერთად. ზოგჯერ ერთადერთი საგადამხდელო საშუალებაა. მისთვის ყოველთვის აწესებენ კურსს, რომლის მიხედვითაც უთანაბრებენ ოკუპირებული ქვეყნის ვალუტას. ომის დამთავრების შემდეგ **ს.ფ**-ს, ჩვეულებრივ, გამოისყიდიან ხოლმე იმ ქვეყნების მთავრობები, რომელთა ტერიტორიაზეც ხდებოდა ამ ფულადი ნიშნების გამოშვება.

სამხედრო ქალაქი, ტერიტორია მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით, რომელზეც განთავსებულია ერთი ან რამდენიმე სამხედრო ნაწილი, დაწესებულება, საწარმო, სამხედრო-სასწავლო დაწესებულება. შედგება სამსახურებრივ-საყაზარმო, ტექნიკური, სასაწყობო და საცხოვრებელი ტერიტორიებისგან.

სამხედრო ქონება, სახელმწიფო ქონების ნაწილი, რომელიც მუდმივად ან დროებით არის გადაცემული სამხედრო უწყების განკარგულებაში და განკუთვნილია შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მშვიდობიანობის და ომიანობის პერიოდში. **ს.ქ**-ს განეკუთვნება ყველა სახეობის იარაღი და სამხედრო ტექნიკა, საწვავი (სათბობი), სურსათი, საავარიო – სამაშველო, საავიაციო, საავიაციო-ტექნიკური, საავტომობილო, ჯავშანსატანკო, სანივთე, სამხედრო-ტექნიკური, საინჟინრო, საბინაო, სამედიცინო, გადასაყვანი, საშკიპერო ქონება და სხვა მატერიალური საშუალებები, **ს.ქ**-ს ასევე განეკუ-

თვნება საცხოვრებელი, სასაწყობო, სამსახურებრივი ფონდები, სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები, რომლებიც ეკუთვნის სამხედრო უწყებას. ჩვეულებრივ, სხვადასხვა ქვეყანაში იარაღი, სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები და **ს.ძ**-ის ზოგიერთი სხვა სახეობა (განსაკუთრებული ნუსხის მიხედვით) სახელმწიფოს ქონებას წარმოადგენს და არ ექვემდებარება გასხვისებას, დაგირავებას, გადაცვლას, გაჩუქებას. **ს.ძ**. არის სახარჯო (საბრძოლო მასალები, საწვავი, სურსათი და სხვა) და ხანგრძლივი მოხმარების (შეიარაღება, ტექნიკა, სანივთე ქონება და სხვა).

გ ა დ ა ს ა ყ ვ ა ნ ი ქ ო ნ ე ბ ა (მოძველებულია) მოიცავდა ნავებს, საცურაო კოსტიუმებს, სამაშველო ჟილეტებს და სხვა.

ს ა ა ვ ა რ ი ო – ს ა მ ა შ ვ ე ლ ო ქ ო ნ ე ბ ა მოიცავს სამაშველო, ხანძარსაწინააღმდეგო, წყლის საქაჩი გადასატანი საშუალებები, ასევე დაზიანებების აღმოფხვრის საშუალებები.

ს ა ა ვ ა რ ი ო – ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ქ ო ნ ე ბ ა მოიცავს საფრენი აპარატის და ძალოვანი დანადგარის აგრეგატებს და სათადარიგო ნაწილებს, საწვავის საკიდ ავზებს, რადიოელექტრონულ, აერონავიგაციურ, ელექტრო, ფოტო და შუქტექნიკას, ხანძარსაწინააღმდეგო და ჟანგბადის მოწყობილობას, საკონტროლო შესამოწმებელ აპარატურას, საპარაშუტო-სადესანტო ქონებას და სამაშველო-საცურაო საშუალებებს.

ს ა ა ვ ი ა ც ი ო ქ ო ნ ე ბ ა მოიცავს საავიაციო ტექნიკას და შეიარაღებას, საფრენი აპარატების საეროდრომო-ტექნიკურ საშუალებებს, სპეციალური ტექნიკას, აეროდრომის ლითონის და რკინა-ბეტონის ფილებსა და სპეციალური მასალებს აეროდრომების მომზადების, ექსპლუატაციისა და რემონტისთვის.

ს ა ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ო ქ ო ნ ე ბ ა მოიცავს ავტომობილების, მუხლუხა და თვლიანი საწევარების და ტრაქტორების აგრეგატებს, მექანიზმებს, სათადარიგო ნაწილებს და დეტალებს, ინსტრუმენტებს, მაკეტებს და სხვა.

ს ა ბ ი ნ ა ო ქ ო ნ ე ბ ა მოიცავს საკაზარმო-საცხოვრებელ ფონდს, კომუნალურ ნაგებობებს, ავეჯს და საკაზარმო ინვენტარს, სახანძრო ქონებას, გასანათებელ ხელსაწყოებს, სამხედრო ქალაქების შენობებში და ტერიტორიაზე სისუფთავის დაცვის ინვენტარს და სხვა.

ს ა ი ნ ჟ ი ნ რ ო ქ ო ნ ე ბ ა მოიცავს საინჟინრო შეიარაღებას, საინჟინრო ტექნიკას, საფორტიფიკაციო ნაგებობებს, შემნიღბავ საშუალებებს, სასანგრე ინსტრუმენტს, სახარჯ და სატაბელო დამხმარე საშუალებებს, საინჟინრო ტექნიკის სათადარიგო ნაწილებს, სასწავლო-საწრთვნელ საშუალებებს და სხვა.

ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო ქ ო ნ ე ბ ა იყოფა სახარჯი (წამლები და გადასახვევი საშუალებები, ვიტამინები, სადეზინფექციო საშუალებები და სხვა) ან მოკვლევადიანი მოხმარების შემდეგ უვარგისი (ქირქურგიული და საინექციო შპრიცები, სინჯარები და სხვა) და საინვენტარო (აპარატები, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და სხვა).

ს ა მ ხ ე დ რ ო – ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ქ ო ნ ე ბ ა ჯარებში არსებული რამდენიმე სახის მატერიალური საშუალებების კრებითი დასახელება. მათ განეკუთვენება ქიმიური, კავშირგაბმულობის და სხვა ქონება.

ს ა ნ ი ვ თ ე ქ ო ნ ე ბ ა იყოფა პირადი მოხმარების (ჩასაცმელი, აღჭურვილობა, განმასხვავებელი ნიშნები და სხვა) და საინვენტარო (ლოგინის თეთრეული, სპეციალური და თბილი ტანსაცმელი, კარავი და სხვა); მიზნობრივი დანიშნულებით – მიმდინარე მომარაგების და ხელშეუხებელი მარაგი

ს ა შ კ ი პ ე რ ო ქ ო ნ ე ბ ა იყოფა სახარჯო (ბარგი, ტექნიკური მასალები, ქიმიური რეაქტივები და სხვა) და ხანგრძლივი შენახვის (სამეურნეო ინვენტარი, ხელსაწყოები და სხვა).

ჯ ა ვ შ ა ნ ს ა ტ ა ნ კ ო ქ ო ნ ე ბ ა მოიცავს ჯავსანსატანკო ტექნიკას, მის აგრეგატებს, მექანიზმებს, სათადარიგო ნაწილებს და დეტალებს, შესაბამის ინსტრუმენტს, მასალებს, აღჭურვილობას და მოწყობილობას.

სამხედრო ყოფა, სამხედრო მოსამსახურეების, ქვედანაყოფების და ნაწილების (ხომალდების) ყოფა, ყოველდღიური წესრიგი, ცხოვრების პირობები და მოღვაწეობა. **ს.ყ**-ის ძირითადი შემადგენელია პირადი შემადგენლობის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მათი დასვენების ორგანიზება და სხვა. მთავარი მიზანია სამხედრო ფორმირებების საერთო საბრძოლო მზადყოფნის და ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება. რეგლამენტირებულია სამხედრო კანონმდებლობით, წესდებით და ბრძანებით.

სამხედრო ყოფნა (ადგილსამყოფელი), სახელმწიფოს (კოალიციის) შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების განლაგება საკუთარი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური მიზნით. ისტორიულად, **ს.ყ**. უკავშირდება დამპყრობლურ ომებს, დამარცხებული მოწინააღმდეგის ტერიტორიის ოკუპაციას, აგრეთვე ასეთი პოლიტიკისადმი წინააღდგომის ორგანიზაციას სამხედრო თანამშრომლობის მეშვეობით. XX საუკუნეში ცალკეულმა სახელმწიფოებმა დაიწყეს **ს.ყ**-ის გამოყენება მომავალი საომარი მოქმედებების თეატრებზე შეიარაღებული ძალების საჭირო დაჯგუფებების შესაქმნელად, საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების დასაცავად, სამხედრო ძლიერების დემონსტრირების, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში საკუთარი ინტე-

რესების უზრუნველყოფის, მოკავშირეების სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის, არასასურველი პოლიტიკური რეჟიმების დესტაბილიზაციის მიზნით და სხვა. ფართო გავრცელება პოვა **ს.ყ**-ის ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა შეიარაღებული ძალების კონტინგენტების მუდმივი დისლოკაცია სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე; სამხედრო-საზღვაო ძალების პატრულირება მსოფლიო ოკეანის წყლებში; შეიარაღებული ძალების დროებითი ყოფნა ქვეყნის ფარგლებს გარეთ წვრთნის, მანევრების ან სამშვიდობო ოპერაციების დროს; სამხედრო ბაზების შექმნა და სხვა. ძირითადად, **ს.ყ**-ს ახორციელებენ სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი სახელმწიფოები, რომლებიც აქტიურ როლს ასრულებენ მსოფლიო საქმეებში. **ს.ყ**-ს ხასიათი დამოკიდებულია, უწინარესად, იმ სახელმწიფოს პოლიტიკაზე, რომლის ჯარებიც იმყოფებიან სხვა ქვეყნის ტერიტორიებზე, აგრეთვე ამ პოლიტიკის შესაბამისობაზე საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებზე. კერძოდ, სამართლებრივი თვალსაზრისით, ერთი ქვეყნის სამხედრო კონტინგენტის ყოფნა მეორე ქვეყნის ტერიტორიაზე დასაშვებია მხოლოდ ამ უკანასკნელის თანხმობით.

სამხედრო შეთქმულება, პირთა ვიწრო წრის ფარული შეთანხმება ან გაერთიანება შეიარაღებული ძალადობით არსებული ხელისუფლების დასამხობად (შესაცვლელად). წარმატების შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მთავრდება სამხედრო გადატრიალებით. **ს.შ**-ს მიმართავენ რეაქციული ანტიდემოკრატიული ძალები, რომლებსაც არ აქვთ მოსახლეობის საკმარისი მხარდაჭერის იმედი. შეიძლება განახორციელოს პროგრესული ეროვნულ-პატრიოტული იდეებით შთაგონებულ პირთა ჯგუფმაც.

სამხედრო შეკვეთები, სახელმწიფო ორგანოების, სამხედრო უწყების ეკონომიკური ურთიერთობის ფორმა, უწინარეს ყოვლისა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან, აგრეთვე იმ საწარმო-ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ შეიარაღებული ძალების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას მასალებზე, საშუალებებზე, სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე, მომსახურებაზე და სხვა. მისი საფუძველია სამხედრო უწყების (შემკვეთის) წინადადება ორგანიზაციის, ფირმის, თუ საწარმოსადმი (მეჯარე, შემსრულებელი), დაამზადოს და მიაწოდოს პროდუქცია რაოდენობის, ხარისხის, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების, ვადებისა და სხვა მოთხოვნების დაცვით ან შეასრულოს გარკვეული სამუშაო. **ს.შ**-ის ხასიათი განისაზღვრება სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკით და სამხედრო დოქტრინის შინაარსით. **ს.შ**-ის მოცულობასა და სტრუქტურაზე გავლენას ახდენს მსოფლიოში არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, სამხედრო-ტექნიკური პროცესი, ბირთვული იარაღისა და მასობრივი დაზიანების იარაღის სხვა სახეობების არსებობა, ტექნოლოგიების სრულყოფა, სამხედრო ტექნიკისა და იარაღის გაძვირება და სხვა. **ს.შ**-ის ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს მიერ სამხედრო ბიუჯეტიდან ან სამხედრო ხარჯებისთვის გამოყოფილი სახსრებიდან. კონტროლს უწევენ სახელმწიფო ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები. სხვადასხვა ქვეყანაში **ს.შ**-ის სისტემა განსხვავდება ფორმისა და შინაარსის მიხედვით.

სამხედრო ჩარევა, პირდაპირი ან არაპირდაპირი, რომელიც ეყრდნობა შეიარაღებულ ძალებს. ჩარევა სახელმწიფოს (ხალხის) საშინაო საქმეებში, რომელიც არღვევს ან აშკარა საფრთხეს უქმნის მის სუვერენიტეტს. შეიძლება განხორციელდეს ჩარევის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, დიპლომატიურ, იდეოლოგიურ და სხვა ფორმებთან ერთად. გამოიყენება ცალკეული ქვეყნების ან რეგიონების სოციალურ-პოლიტიკური დესტაბილიზაციის, არასასურველი პოლიტიკური რეჟიმების შეცვლის, კონფლიქტის ერთ-ერთი მხარისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით და სხვა. პირდაპირი **ს.ჩ**. ნიშნავს სამხედრო ძალის (აგრესია, ინტერვენცია და სხვა) დაუფარავ გამოყენებას. არაპირდაპირი ჩარევა შეიძლება შემოიფარგლოს მუქარით, რომ გამოიყენებენ შეიარაღებულ ძალადობას (ძალის დემონსტრაცია, ეკონომიკური ბლოკადა და სხვა). საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებელ პრინციპად აღიარებულია ჩაურევლობა სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში.

სამხედრო ცენზურა (ლათინური cenzura – აღწერა), სამხედრო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ ინფორმაციის (ბეჭდვითი სიტყვა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი, კინო, გამოფენების, მუზეუმების ექსპოზიციები და ა.შ.), ხოლო ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, ომიანობის დროს) კერძო მიმოწერის კონტროლის (ზედამხედველობის) ერთ-ერთი ფორმა. მისი მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ცნობების გამოქვეყნება და გაჟონვა, რომლებიც სამხედრო საიდუმლოს შეიცავენ. **ს.ც**. არის წინასწარი (ნებადართული) და შემდგომი (საკონტროლო-დამსჯელი).

სამხედრო ძალა, იძულების იმ საშუალებათა ერთობლიობა, რომლებსაც სახელმწიფო ან სხვა სუბიექტები იყენებენ შიდა და გარე პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მოიცავს შეიარაღებულ ძალებს და სხვა სამხედრო ფორმირებებს. მათ ქმნის სახელმწიფო, ხოლო ზოგ შემთხვევაში – პოლიტიკური პარტია და მოძრაობა. **ს.ძ**-ს შეიძლება მიმართონ უშუალოდ ან როგორც ძალის მუქარას. იგი ემსახურება საზოგადოების და სახელმწიფოს დაცვას შეიარაღებული ძალადობისაგან, შიდა ან

გარეშე სამხედრო ექსპანსიისაგან, ასევე – კანონიერი სახელმწიფო ხელისუფლების უსაფრთხოების უზრუნველყოფას. გაეროს წესდება მართლზომიერად ცნობს **ს.ძ**-ის გამოყენებას თავდაცვის მიზნით, ხოლო უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით – როდესაც საფრთხე ექმნება მშვიდობას, ირღვევა მშვიდობა ან ხორციელდება აგრესიის აქტი.

სამხედრო ძალადობა, იძულებითი ზემოქმედება რეალურ ან პოტენციურ მოწინააღმდეგეზე. მისი განმასხვავებელი ნიშნებია: მიზნების და შინაარსის პოლიტიკური ხასიათი; განსაკუთრებული ორგანიზაციის (არმია, სხვა შეიარაღებული ფორმირებები) და სპეციალური საშუალებების (იარაღის) გამოყენება; რეალიზაციის ფორმების მრავალფეროვნება. **ს.ძ**-ს შეიძლება ახორციელებდნენ: სახელმწიფოები (კოალიციები) და მათი სტრუქტურები; ადამიანთა სოციალური, ეროვნული და სხვა დაჯგუფებები; პოლიტიკური პარტიები; მოქალაქეთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები; ტერორისტული და კრიმინალური ჯგუფები. **ს.ძ**-ს შეიძლება მიმართონ აგრესის, დაპყრობის და დასჯის მიზნით. ზოგჯერ შეიძლება გამოიყენონ სამხედრო თავდასხმის თავიდან აცილების და მოგერიების, სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვის, ხალხთა თვითგამორკვევის უფლების რეალიზაციის საშუალებად. **ს.ძ**. შეიძლება მიმართული იყოს როგორც სახელმწიფოს შიგნით არსებული ცალკეული სოციალური წარმონაქმნების, ისე გარეშე ძალების წინააღმდეგ. **ს.ძ**-ის გამოყენება ქვეყნის შიგნით, როგორც წესი, დაკავშირებულია საზოგადოების განვითარების კრიზისულ პერიოდებთან, როდესაც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში რადიკალური პოლიტიკური ძალები გამოდიან შეიარაღებული აჯანყების, სამხედრო ამბოხების, სამხედრო გადატრიალების მოწოდებით, ხოლო მთავრობა ახორციელებს რეპრესიულ და ანტიტერორისტულ სამხედრო ქმედებებს. **ს.ძ**. საერთაშორისო წინააღმდეგობების გამწვავების შედეგია და ვლინდება აგრესიის, სამხედრო ბლოკადის, შეიარაღებული ინტერვენციის, საერთაშორისო ტერორიზმის და სხვა ფორმით. გამოყოფენ **ს.ძ**-ის ორ ძირითად სახეობას: სამხედრო ძალის უშუალო, ფიზიკურ გამოყენებას და ამ ძალის გამოყენებით დამუქრებას. პირველ შემთხვევაში **ს.ძ**-ის აქციები, როგორც წესი, აწყდება საპასუხო წინააღმდეგობას და თან სდევს სხვადასხვა მასშტაბის ომი ან შეიარაღებული ბრძოლა; მეორე შემთხვევაში – სამხედრო ძალა გვევლინება მორალურ-ფსიქოლოგიური ზეწოლის საშუალებად. ამ სახეობას განეკუთვნება ძალის დემონსტრაციის სხვადასხვა ფორმები. **ს.ძ**., რა მოტივებითაც უნდა ამართლებდნენ მას, დაკავშირებულია ადამიანთა მსხვერპლთან და მატერიალურ დანაკარგებთან. საერთაშორისო სამართალი გმობს და უარყოფს მის გამოყენებას აგრესიული ექსპანსიონისტური მიზნებისათვის.

სამხედრო ძლიერება (თავდაცვითი ძლიერება, თავდაცვითი ძლევამოსილება), სახელმწიფოს ან სახელმწიფოების კოალიციის მატერიალური და სულიერი ძალების გამოვლინება, რაც შეიძლება მოხმარდეს (ან ხმარდება) სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევას.

ს.ძ., მთლიანობაში ხასიათდება ორი ნიშნით: პოტენციური, აქტუალური (მოქმედი) და მათ შორის შუალედური. პოტენციური **ს.ძ**. (სამხედრო პოტენციალი) არის სახელმწიფოს მაქსიმალური შესაძლებლობა. მას აქვს უნარი, გადაიყვანოს **ს.ძ.** პოტენციური მდგომარეობიდან აქტუალურში, განსაზღვროს მისი მობილურობა. ს.ძ-ის უზრუნველყოფის სფეროს საფუძველს შეადგენს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი.

ს.ძ-ის დონის კრიტერიუმები ისტორიის მანძილზე ცვალებადია. მაგალითად, თუ XX საუკუნის შუა ხანებამდე სახელმწიფოს **ს.ძ**-ს, პირველ რიგში განსაზღვრავდა შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა, შეიარაღების რაოდენობა ან შეიარაღებაზე გაწეული დანახარჯების მაშტაბები, XXI საუკუნის დამდეგს სამხედრო ძლიერების შეფასებაში გადამწყვეტი ხდება სამხედრო ტექნოლოგიების, სახელმწიფო-სამხედრო ორგანიზაციის სხვადასხვა ელემენტის განვითარების დონე.

სამხედრო წარმოება, იხ. *სამხედრო ეკონომიკა.*

სამხედრო წარმოების კონვერსია (ლათინური convesio – შეცვლა, გარდაქმნა), მრეწველობის თავდაცვითი დარგების საწარმოო სიმძლავრეების, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის და შრომითი რესურსების ნაწილობრივი ან სრული ორიენტაციის შეცვლა და გამოთავისუფლება სამხედრო საჭიროებებისგან სამოქალაქოზე გადასასვლელად. მისი გამოხატულებაა მატერიალურ-ნივთიერი, საფინანსო, ადამიანების და სხვა რესურსების გამოყენების მასშტაბების მნიშვნელოვანი შემცირება სამხედრო დანიშნულების პროდუქციის შექმნისა და წარმოების პროცესში. ხორციელდება ომების დამთავრების შემდეგ პრაქტიკულად ყველა მეომარ ქვეყანაში.

სამხედრო წარმომადგენელი, შეიარაღებული ძალების წარმომადგენელი ან მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლება, გააკონტროლოს სამხედრო შეკვეთის შემსრულებელი მწარმოებლის მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. **ს.წ.** არსებობს მრავალ ქვეყანაში.

სამხედრო წარმომადგენლობები, 1. სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფები ან ცალკეული პირები, რომლებიც ოფიციალურად წარმოადგენენ თავისი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ინტერესს სხვა ქვეყნებში, ან საერთაშორისო ორგანიზაციებში. არის მუდმივი

(სამხედრო ატაშე) და დროებითი (სამხედრო მისიები, დამკვირვებლები, მრჩევლები და სხვა) **ს.ფ.** 2. ზოგიერთ ქვეყანაში იარაღის, სამხედრო ტექნიკის, ქონების შექმნის და წარმოების ხარისხის საუწყებო კონტროლის ორგანოები, რომლებიც ფუნქციონირებენ უშუალოდ სამხედრო შეკვეთების შესრულებაზე დასაქმებულ სამეცნიერო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებსა და საწარმოებში. ყოველ **ს.ფ**-ს მიკუთვნებული აქვს ნომერი. **ს.ფ**-თა რაოდენობა განისაზღვრება გასაკონტროლებელი შეკვეთის მოცულობით.

სამხედრო წესდებები, ოფიციალური ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ჯარების საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის ძირითად დებულებებს, განსაზღვრავენ სამხედრო მოსამსახურეების საერთო და თანამდებობრივ უფლებამოვალეობებს, მათ შორის ურთიერთდამოკიდებულებას, შინაგანი, საყარაულო სამსახურის წესს და სამხედრო სამსახურისა და ყოფის სხვა ასპექტებს.

სამხედრო წოდებები, წოდებები, რომლებიც პერსონალურად მიეკუთვნება სამხედრო მოსამსახურეებს და შეიარაღებული ძალების რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს. **ს.ფ**-ის მინიჭება განსაზღვრულია მათი სამსახურებრივი მდგომარეობით, სამხედრო ან სპეციალური მომზადებით, ნამსახურობით, შეიარაღებული ძალების სახეობის, ჯარების გვარეობის, სპეციალური ჯარების თუ სამსახურისადმი კუთვნილებით და დამსახურებით. **ს.ფ**. აუცილებელი პირობაა პირადი შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის, სამხედრო კადრების შერჩევის და განაწილების სწორი ორგანიზაციისათვის, მათი მყარი სამსახურებრივ-სამართლებრივი მდგომარეობისათვის. **ს.ფ**-ები განსაზღვრავენ ურთიერთობებს სამხედრო მოსამსახურეთა შორის დაქვემდებარების და უფროსობის მიხედვით, დაკავებული თანამდებობების შესაბამისად. სამხედრო სამსახურსა და რეზერვში ყოფნის ზღვრულ ასაკს. სხვადასხვა ქვეყანაში **ს.ფ**-ს აქვს ეროვნულ ტრადიციებთან დაკავშირებული თავისებურებები.

სამხედრო წოდების ვადამდელი მინიჭება, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების წახალისების ფორმა. ყენებენ იმ სამხედრო პირების მიმართ, რომლებმაც გამოიჩინეს თავი მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებებით სახელმწიფოს დაცვის, საბრძოლო მორიგეობის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობის შესრულებისას, მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს საბრძოლო მომზადებაში და სამხედრო დისციპლინის გამტკიცებაში.

სამხედრო წონასწორობა (სამხედრო პარიტეტი), დაპირისპირებული სახელმწიფოების (სახელმწიფოების კოალიციის) სამხედრო ძლიერების დაახლოებითი თანასწორობა, რომლის დროსაც არც ერთ მხარეს არ შეუძლია მიაღწიოს გადამწყვეტ სამხედრო უპირატესობას. მშვიდობის პირობებში **ს.ფ**-ის შენარჩუნება ხდება სამხედრო მშენებლობის დარგში მხარეების მიერ გაფორმებული შეთანხმებების განუხრელი შესრულებით ან განუწყვეტელი გამალებული შეიარაღებით.

სამხედრო ხარჯები, სახელმწიფოს დანახარჯები, რომლებიც ხმარდება შეიარაღებული ძალების მომზადებას, მათ ყოველმხრივ უზრუნველყოფას მშვიდობიანობის ან ომიანობის დროს.

სამხედრო ხელოვნება, ხმელეთზე, ზღვაზე და დედამიწის ირგვლივ სივრცეში საომარი მოქმედებების მომზადებისა და წარმოების თეორია და პრაქტიკა. **ს.ხ**-ის თეორია არის სამხედრო მეცნიერების შემადგენელი ნაწილი. **ს.ხ**-ის პრაქტიკა გულისხმობს სამხედრო ცოდნის და გამოცდილების გამოყენებას ოპერაციებისა და საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და წარმოების დროს. **ს.ხ**-ში შედის სტრატეგია, ოპერატიული ხელოვნება და ტაქტიკა, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. **ს.ხ**-ის განვითარებას, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრავს სახელმწიფოს პოლიტიკა, სამხედრო დოქტრინა, მობილიზებული რესურსების რიცხოვნობა, მეცნიერების და ტექნიკის მდგომარეობა, იარაღისა და სამხედრო ტექნიკის განვითარების დონე, სტრატეგიული ნედლეულის არსებობა. **ს.ხ**. აგრეთვე დამოკიდებულია შეიარაღებული ძალების რაოდენობრივ და თვისებრივ შემადგენლობაზე, სამხედრო ტრადიციებზე, ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებსა და სხვა.

მონათმფლობელურ საზოგადოებაში **ს.ხ**. ემყარებოდა შეზღუდულ ეკონომიკურ და ადამიანურ რესურსებს, რომლებიც შედარებით მცირერიცხოვანი არმიის შექმნის შესაძლებლობას იძლეოდნენ. ამ არმიის შეიარაღებაში იყო ცივი და სატყორცნი იარაღი, დამცავი შეიარაღება, საბრძოლო ეტლები, ნიჩბიანი და იალქნიან-ნიჩბიანი გემები. ამ პერიოდში უკვე გამოიკვეთა ომის და ბრძოლის წარმოების ხერხების – სტრატეგიისა და ტაქტიკის გამიჯვნა. სტრატეგია მოიცავდა ომისთვის მზადებას, ლაშქრობების მიმართულებისა და დროის, ბრძოლის ადგილების, დარტყმის მთავარი პუნქტის შერჩევას. ტაქტიკის სრულყოფა მიმდინარეობდა ჯარების უმარტივესი მწყობრიდან და ფრონტალური შეტაკებებიდან უფრო რთული საბრძოლო წყობისა და ბრძოლის ველზე მანევრირებისაკენ. ფეოდალიზმის ეპოქაში ძირითადი შეიარაღებული ძალა ევროპაში – მძიმედ შეიარაღებული (რაინდების) კავალერია, ქვეითი ჯარი – გადაიქცა ჯარების დამხმარე გვარეობად. ევროპაში ცენტრალიზებული სახელმწიფოების წარმოშობის პერიოდში, XVI საუკუნის მეორე ნახ-

ევარში, შეიქმნა პირველი მუდმივი დაქირავებული არმიები. **ს.ხ**-ის განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა არმიების აღჭურვამ ცეცხლსასროლი იარაღით, რომელიც XVI საუკუნეში სახაზო ტაქტიკის წარმოშობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. ბრძოლის შედეგი შეიძლებოდა გადაეწყვიტა არა მარტო ცოცხალი ძალის შეტევას, არამედ ცეცხლის ძლიერებას. ჩაისახა საცეცხლე მომზადება. XVII საუკუნის ევროპასა და აღმოსავლეთში მეომარი მხარეების სტრატეგიული ძალისხმევის მიზანი იყო შეძლებისდაგვარად აეცილებინათ თავიდან ბატალიები და მოეგოთ ომი მოწინააღმდეგის კომუნიკაციებზე მარჯვე მანევრირების გზით. აგრეთვე მისი ციხესიმაგრეების ბლოკადით და ხელში ჩაგდებით. გაჩნდა მუდმივი სამხედრო-საზღვაო ფლოტი, რომელიც ხომალდების ძირითადი კლასი გახდა არტილერიით შეიარაღებული იალქნიანი სახაზო გემები და ფრეგატები. ზღვაზე სტრატეგიული მოქმედებების მთავარ ხერხებად ითვლებოდა გენერალური ბრძოლა მოწინააღმდეგის ფლოტის გასანადგურებლად, ფლოტის ბლოკადა ბაზებსა და ნავსადგურებში, საზღვაო დესანტის გადასხმა. სახმელეთო ჯარებში ყალიბდებოდა სახაზო ტაქტიკა. ეს საშუალებას იძლეოდა, გამოეყენებინათ ხომალდებზე ბორტების გასწვრივ დაყენებული არტილერიის შესაძლებლობები.

ს.ხ-ში ცვლილებები მოხდა საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს, 1789–94 წლებში და XVIII–XIX საუკუნეების ეროვნულ-გამათავისუფლებელი ომების დროს. რევოლუციის შედეგად შექმნილი არმიის უპირატესობა ბრწყინვალედ გამოიყენა ნაპოლეონ ბონაპარტმა. მან უარი თქვა კორდონულ სტრატეგიაზე და ცდილობდა ბატალიებში მოწინააღმდეგის ტერიტორიების და ციხესიმაგრეების დაუფლების ნაცვლად მოწინააღმდეგის განადგურებას.

ს.ხ-ის შემდგომი ცვლილებები უკავშირდება XIX საუკუნეში რკინიგზების მშენებლობას, ტელეგრაფის, უკვამლო დენთის გამოგონებას, ჯარების მასობრივ აღჭურვას კუთხვილი ცეცხლსასროლი იარაღით. რკინიგზამ შესაძლებელი გახადა XIX საუკუნის მეორე ნახევარში დაეჩქარებინათ არმიების თავმოყრა და გაშლა, შეემსუბუქებინათ მათი მომარაგება. ტელეგრაფი უზრუნველყოფდა ჯარების უფრო ოპერატიულ მართვას. კუთხვილი იარაღის გამოყენებას შედეგად მოჰყვა ცეცხლის ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლება, რის გამოც იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ჯარების კოლონებად განლაგებაზე. დაიწყო გადასვლა საიალქნოდან ორთქლის ფლოტზე, რამაც გამოიწვია ძირეული ცვლილებები სამხედრო-საზღვაო ხელოვნებაში.

I და II მსოფლიო ომებს შორის ზოგიერთმა სამხედრო თეორეტიკოსმა, რომლებიც აზვიადებდნენ ახალი სახეობის იარაღის (ავიაციის, ტანკების) როლს და ეშინოდათ მასობრივი არმიების, მთელი ყურადღება დაუთმეს ომში მცირე არმიების მეშვეობით, ანუ ამა თუ იმ სახეობის ტექნიკის მასირებული გამოყენების („საჰაერო ომის“, „სატანკო ომის“) თეორიის შემუშავებას.

ს.ხ-ის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი იყო II მსოფლიო ომი. ამ ომის დროს შემუშავდა და განხორციელდა სტრატეგიული მოქმედების ახალი ფორმა – დაჯგუფებების ოპერაციები; სწორად გადაწყდა სტრატეგიული შეტევის წარმოებისთვის ხერხების შერჩევის პრობლემები; არჩეულ მიმართულებებზე მარჯვედ ქმნიდნენ ჯარების მძლავრ დამრტყმელ დაჯგუფებებს; გამოიყენეს მოწინააღმდეგის განადგურების სხვადასხვა ხერხი, მისი დიდი დაჯგუფებების ალყაში მოქცევა, გამკვეთი დარტყმების მიყენება დიდ სიღრმეზე, დამქაქსველი დარტყმების სერიები მოწინააღმდეგის ცალკეულ დაჯგუფებათა იზოლაციისა და მათი ნაწილ-ნაწილ განადგურების მიზნით და სხვა. წარმატებით გადაიჭრა სტრატეგიული რეზერვების შექმნის და გამოყენების პრობლემა. **ს.ხ**-ის დიდი მიღწევა იყო შეტევის ისეთი რთული ფორმის განხორციელება, როგორიც არის კონტრშეტევა. შემდგომში განუწყვეტლივ იხვეწებოდა შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების ოპერატიული ხელოვნება და ტაქტიკა.

II მსოფლიო ომის წლებში **ს.ხ**-ს შეემატა ჯარების სტრატეგიული კოალიციური ხელმძღვანელობის ორგანიზაციის, საბრძოლო მოქმედებების და განსაკუთრებით საზღვაო, საჰაერო და საჰაერო-სადესანტო ოპერაციების დაგეგმვისა და უზრუნველყოფის გამოცდილება. ომის შემდგომ პერიოდში ეკონომიკის და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებამ განაპირობა ღრმა ცვლილებები შეიარაღებული ბრძოლის საშუალებებში. XX საუკუნის 40–50-იან წლებში ზოგი სახელმწიფოს (აშშ, სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი) შეიარაღებულ ძალებში დაიწყო ბირთვული იარაღის და სარაკეტო ტექნიკის დანერგვა, სწრაფად ვითარდებოდა და იხვეწებოდა დაზიანების ყველა სხვა საშუალებები. სახმელეთო ჯარები აღიჭურვა ახალი ტანკებით, ჯავშანტრანსპორტიორებით, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებით. საჰაერო თავდაცვის ჯარებში საჰაერო მოწინააღმდეგესთან ბრძოლის ძირითადი საშუალება გახდა საზენიტო რეკეტები. სამხედრო-საჰაერო ძალებში დგუშიანი თვითმფრინავები შეიცვალა რეაქტიულით. სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შევიდა ატომური ძალური დანადგარების მქონე ხომალდები. შეიარაღებული ბრძოლის ახალი საშუალებების, განსაკუთრებით, ბირთვულ-სარაკეტო იარაღის

დანერგვამ ძირეული ცვლილებები მოახდინა **ს.ხ**-ში და შეეხო მის პრაქტიკულად ყველა დარგს. სტრატეგიული მოქმედებების ძირითად სახეობად გამოიკვეთა ბირთვულ-სარაკეტო დარტყმები მოწინააღმდეგის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ობიექტებზე. **ს.ხ**-ის განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო XX საუკუნის 80–90-იანი წლების მიჯნაზე. მაშინ საერთაშორისო წრეებში გაძლიერდა შესაძლო მსოფლიო ბირთვული ომის კატასტროფის მოლოდინი. სტრატეგიული მოქმედებების ძირითადი სახეობები გახდა სტრატეგიული თავდაცვა და კონტრშეტევა. **ს.ხ**-ის განვითარება XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა სამხედრო თეორიასა და პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებების, სამხედრო რეფორმების, შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების სრულყოფის, ლოკალური ომებისა და სამხედრო კონფლიქტების გამოცდილების გათვალისწინებით.

სამხედრო ხელოვნების პრინციპები (ლათინური principium – საფუძველი), საომარი მოქმედებების ორგანიზაციის და წარმოების დებულებები, წესები, უმნიშვნელოვანესი რეკომენდაციები, რომელთა პრინციპები გამოხატავენ შეიარაღებული ბრძოლის ობიექტურად არსებულ კანონებს და კანონზომიერებებს. სამხედრო ხელოვნების ძირითადი პრინციპებია ის დებულებები, რომლებიც სავალდებულოა მისი სამივე შემადგენელი ნაწილისათვის – ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სტრატეგიისათვის. მაგალითად, ძირითადი ძალისხმევის თავმოყრა უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე მთავარი საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად, მოქმედებების აქტიურობა და გადამჭრელი ხასიათი; უეცარი ინიციატივა, ხელში ჩაგდება და შენარჩუნება, მართვის სიმტკიცე, ძალების და საშუალებების მანევრი; საომარი (საბრძოლო) მოქმედებების ყოველმხრივი უზრუნველყოფა და სხვა. **ს.ხ.პ**-ის გამოყენების ცოდნა და უნარი აუცილებელია გამარჯვების მისაღწევად ნებისმიერ ვითარებაში.

სამხედრო ხიდი, ბუნებრივ დაბრკოლებებზე (მდინარეებზე, არხებზე, ხევებზე და ა.შ.) ჯარების გადასასვლელი დროებითი საინჟინრო ნაგებობა. **ს.ხ**-ები დანიშნულების მიხედვით არის: ავტოსაგზაო, სარკინიგზო და ქვეითად მოსიარულეების; კონსტრუქციის მიხედვით – ხისტსაყრდენიანი (წყალმაღალი, წყალდაბალი და წყალქვეშა), მოტივტივე და კიდული; მზაობის ხარისხის მიხედვით – სტაბელო (ლითონის მექანიზებული და დასაშლელი) და ადგილობრივი მასალებისაგან დამზადებული. **ს.ხ**-ს აგებენ საინჟინრო, საგზაო და სარკინიგზო ჯარების სხვადასხვა ფორმირებები, როგორც წინასწარ, ისე საბრძოლო მოქმედებების მსვლელობის დროს.

სამხედრო ხომალდების (გემების) იმუნიტეტი, საერთაშორისო სამართლის ცნება, რომლის შესაბამისად სამხედრო ხომალდები ღია ზღვაში ნებისმიერი სახელმწიფოს იურისდიქციით სრული იმუნიტეტით სარგებლობენ.

სამხედრო ხომალდის (საფრენი აპარატის) იმუნიტეტი, იმ უფლებების და პრივილეგიების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამხედრო ხომალდის (საფრენი აპარატის) ხელშეუხებლობას მისი ადგილსამყოფლის და კუთვნილების მიუხედავად. გამომდინარეობს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპიდან. იმუნიტეტი არ ათავისუფლებს სამხედრო ხომალდს (საფრენ აპარატს) მოვალეობისგან, დაიცვას ზღვისპირა სახელმწიფოში არსებული კანონები ნაოსნობის (ფრენის) შესახებ და საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც უცხოეთის ხომალდებთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობებს არეგულირებენ.

სამხედრო-ადმინისტრაციული დაყოფა, პასუხისმგებლობის საზღვრების (ზონების) დადგენის სისტემა, რომელთა ფარგლებში ფუნქციონირებენ ოპერატიულ-სტრატეგიული (ოპერატიული) ტერიტორიული გაერთიანებები. **ს.-ა.დ.** ხელს უწყობს სამხედრო ხელმძღვანელობის ჯარებთან დაახლოებას, სამხედრო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით უზრუნველყოფს ჯარების მოხერხებულ მართვას, საშუალებას იძლევა, ოპერატიულად გამოიყენონ ჯარები ექსტრემალურ სიტუაციებში. იგი ხშირად ემთხვევა ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას და დაკავშირებულია ტერიტორიულ თავდაცვასთან.

სამხედრო-გეოგრაფიული აღწერა, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ბუნებრივი პირობების კრებსითი მახასიათებლები. ასევე ცალკეული ქვეყნების, რეგიონების და მიმართულებების სამხედრო მოქმედებების თეატრის ტერიტორიის ოპერატიული მოწყობა. განკუთვნილია ტერიტორიის (აკვატორიის) შესასწავლად და შესაფასებლად ოპერატიულ-სტრატეგიული თვალსაზრისით. შესაძლებელია შეიქმნას საერთო და სპეციალური დანიშნულების **ს.-გ.ა.**

სამხედრო-ეკონომიკური ინტეგრაცია (ლათინური integration – აღდგენა, გაერთიანება), შრომის საერთაშორისო დანაწილების, გაღრმავების ბაზაზე ეროვნული სამხედრო ეკონომიკების ურთიერთმოქმედების და დაახლოების პროცესი. ხორციელდება სახელმწიფოების და მათი კავშირების სამხედრო პოტენციალის სრულყოფისათვის, სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგიისა და სამხედრო დოქტრინების შესაბამისად. გამოხატავს ეკონომიკური განვითარების ობიექტურ მოთხოვნილებებს. იმავდროულად წარმოადგენს კოალიციური სამხედრო პოლიტიკის იდეის ხორცშესხმას. **ს.-ე.ი**-ის დონე განისაზღვრება სახელმწიფოებს (სახელმწიფოების კავშირებს) შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის დონით. **ს.-ე.ი**-ის პროცესში

ყალიბდება ქვეყნებს შორის იმ ურთიერთობათა სისტემა, რომლებიც მოიცავენ სამხედრო-ეკონომიკური რესურსების, მატერიალური და ფინანსური საშუალებების და სახსრების კოორდინირებულ გამოყენებას, შეიარაღების ერთობლივ შემუშავებას და წარმოებას, საერთო სამხედრო ინფრასტრუქტურის მშენებლობას. იქმნება ცალკეული სახელმწიფოების, ქვეყნების ჯგუფების ინტერესების გარანტიების რეალიზაციის ეკონომიკურ-სამართლებრივი მექანიზმები.

სამხედრო-ისტორიული რუკები, 1. სპეციალური დანიშნულების თემატური რუკები, რომლებზეც ასახულია ომის სიტუაცია. განკუთვნილია სამხედრო ხელოვნების ისტორიის, ომების ისტორიის შესწავლისა და სამხედრო-ისტორიული ცოდნის გავრცელებისათვის. შინაარსის მიხედვით იყოფა სამხედრო-პოლიტიკურ, სამხედრო-ეკონომიკურ და საომარი მოქმედებების რუკებად. **ს.-ი.რ**-ის გეოგრაფიული ფონი, ჩვეულებრივ, მკრთალი ფერებით არის წარმოსახული; 2. ომიანობის დროის ე.წ. დედანი რუკები, რომლებიც შემუშავებულია მართვის ორგანოების მიერ.

სამხედრო-ისტორიული წყაროთმცოდნეობა, სამხედრო ისტორიის სპეციალური დარგი და ამავე დროს ზოგადი წყაროთმცოდნეობის ნაწილი, რომლის ამოცანაა სამხედრო ისტორიის წყაროების წარმოშობისა და მათში ასახული ფაქტების და პროცესების შესწავლა, კრიტიკული ანალიზი და სამხედრო-ისტორიული მეცნიერებისათვის პრაქტიკული მნიშვნელობის დადგენა.

სამხედრო-კოსმოსური ძალები, სპეციალური ჯარების გვარეობა, რომელიც განკუთვნილია კოსმოსში და კოსმოსიდან თავდასხმის მოსაგერიებლად, მოწინააღმდეგის მიერ კოსმოსურ ზონაში უპირატესობის მოპოვების თავიდან ასაცილებლად, კოსმოსური კომპლექსების და სხვადასხვა დანიშნულების სისტემების ჯარების (ძალების) დაჯგუფებების ინტერესების დასაცავად.

სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, სამხედრო პერსონალისა და ქვეყნის მოქალაქეების აღზრდა სამშობლოს სიყვარულის და მისი შეიარაღებული დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით. წარმოებს სახელმწიფოს კონსტიტუციის და სხვა მთავარი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. **ს.-პ.ა**-ის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს მოქალაქეებში პატრიოტული თვითშეგნების ჩამოყალიბება, ჯარის საბრძოლო და გმირული ტრადიციებისადმი ერთგულების ჩანერგვა. იგი ხორციელდება ოჯახის, სკოლის, საგანმანათლებლო ორგანიზაციების, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, საზოგდოებრივი კავშირების გაერთიანებული ძალისხმევით.

სამხედრო-პოლიტიკური არასტაბილურობა, სახელმწიფოთა შორის სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის არამდგრადი, კონფლიქტური ფორმა. შესაძლებელია კონფლიქტური სიტუაციის მოლაპარაკებების გზით დარეგულირება, ან მისი ესკალაცია და შეიარაღებულ კონფლიქტში შემდგომი გადაზრდა.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, სახელმწიფოებს (მათ კოალიციებს), პოლიტიკის სხვა სუბიექტებს ან შეიარაღებულ ძალებს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება. **ს.-პ.ვ**-ის არსებითი ნიშანია პოლიტიკური და საკუთრივ სამხედრო ფაქტორების ურთიერთკავშირი. ხასიათის მიხედვით **ს.-პ.ვ.** შეიძლება იყოს: სტაბილური, მყარი, დაძაბული, კრიზისული, შეიარაღებული ძალადობის ზღვრამდე მისული (ომისწინა), კონფლიქტური, საომარი და დაძაბულობის უმაღლეს დონეს მიღწეული. **ს.-პ.ვ**-ს, აგრეთვე განასხვავებენ მასშტაბის მიხედვით (სივრცობრივი) – მსოფლიოში (გლობალური, საერთაშორისო); რეგიონში, საომარი მოქმედებების თეატრზე, სტრატეგიულ და საოპერაციო მიმართულებებზე (რეგიონული); ქვეყანაში ან ქვეყნების ნაწილში; განვითარების პირობების მიხედვით – მშვიდობიანი დროის და ომიანობის პერიოდის.

სამხედრო-პოლიტიკური კონფრონტაცია, სახელმწიფოებს (სახელმწიფოთა კოალიციებს) ან ქვეყნის შიგნით სოციალურ ძალებს შორის პოლიტიკური ურთიერთობების გამწვავება, რომელსაც თან ახლავს შეიარაღებული კონფლიქტი, ან მისი წარმოშობის პოტენციური საფრთხე.

სამხედრო-პოლიტიკური კრიზისი, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის განვითარების მწვავე ფაზა, კონფრონტაცია ორ ან მეტ ქვეყანას შორის. კონფრონტაცია მიმდინარეობს ომის ან შეიარაღებული კონფლიქტის გაჩაღების დიდი ალბათობით. **ს.-პ.კ**-ის მნიშვნელოვანი ფაქტორია მონაწილეების (ან ერთი მათგანის) მიერ მეორე მხარის საარსებო მნიშვნელობის ინტერესებისათვის საფრთხის შექმნა. ასევე სამხედრო ძალის გამოყენება ხისტი პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად ოპონენტის წინააღმდეგ. ამასთან სამხედრო ძალა შეიძლება გამოყენონ როგორც არაპირდაპირი მოქმედების გზით (შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლება, მანევრებისა და წვრთნების მოწყობა, ჯარების გაშლა, სახელმწიფო საზღვარისკენ წაწევა და ძალის დემონსტრაციის სხვა ფორმები), ასევე ნაწილობრივი გამოყენებით (ჯარების მიერ სადავო რაიონების დაკავების დასწრება, საჰაერო სივრცის დარღვევა და ტერიტორიულ წყლებში შეჭრა, ცალკეული ობიექტების დაბომბვა მოპირისპირე მხარის ტერიტორიაზე, სამხედრო ინციდენტების პროვოცირება და სხვა). **ს.-პ.კ**-ის დამახასიათებელ ნიშნებს აგრეთვე განეკუთვნება: გარე საფრთხეების რაოდენობისა და მასშტაბის ზრდა; სამხედრო-პოლიტიკური ვითარების დინამიკურობა და

საგარეო-პოლიტიკური სიტუაციის შემდგომი განვითარების გაურკვევლობა; ინფორმაციის წინააღმდეგობრიობა; ოპონენტის შესაძლო მოქმედებების პროგნოზირების სირთულე. ასეთი ვითარება განაპირობებს შეიარაღებული კონფლიქტის საფრთხის ზრდას კრიზისული სიტუაციის ესკალაციის მიხედვით. **ს.-პ.ძ**-ის შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდის ნიშნებია: სახელმწიფო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის კონტროლის მოშლა სამხედრო ძალის გამოყენებაზე; კრიზისის ერთ-ერთი მონაწილის კატეგორიული უარი კომპრომისულ შეთანხმებაზე; უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის მზარდი გავლენა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობა, სახელმწიფოებს ან სახელმწიფოთა კოალიციებს შორის სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში ურთიერთობის მდგრადი მდგომარეობა რეგიონულ, ან გლობალურ დონეზე.

სამხედრო-სავალე სასამართლო, საგანგებო სამხედრო სასამართლო, რომელიც მოქმედებს გამარტივებული და დაჩქარებული წესით. იქმნება ომიანობის ან საგანგებო სიტუაციების დროს სამხედრო სარდლობის მიერ დანიშნული პირებისაგან. განაჩენი ძალაში შედის დაუყოვნებლივ და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

სამხედრო-საზღვაო ბაზა, იხ. *სამხედრო ბაზა.*

სამხედრო-საზღვაო ზონა, საოკეანო (საზღვაო) საბრძოლო მოქმედებების თეატრის ნაწილი, რომელიც მოიცავს მნიშვნელოვან ოპერატიულ-სტრატეგიულ აკვატორიას კუნძულებით, სანაპირო ზოლით და საჰაერო კოსმოსური სივრცით. მის საზღვრებში ხდება სამხედრო-საზღვაო ძალების (და სხვა ძალების) დაჯგუფებების ბაზირება, გაშლა და მოქმედება, რომლის დროსაც სრულდება ოპერატიული და ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანები. ამ ზონის საზღვრები დგინდება უმაღლესი სარდლობის (ეროვნული ან სამხედრო კოალიციის) მიერ.

სამხედრო-საზღვაო კამპანია, სამხედრო-საზღვაო ძალების (წყალზედა, წყალქვეშა, საჰაერო და სადესანტო ძალების) მიერ ჩატარებული ოპერაცია ან ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების სერია, რაც მიზნად ისახავს საზღვაო სივრცეზე კონტროლის დამყარებას, შენარჩუნებას, ან გაფართოებას.

სამხედრო-საზღვაო რაიონი, სხვადასხვა სამხედრო დანაყოფისა და დაწესებულების ტერიტორიული გაერთიანება. განკუთვნილია ფლოტის ძალების ბაზირების უზრუნველყოფისთვის, მათი ინტერესებისთვის სამობილიზაციო ღონისძიებების ჩასატარებლად, ბაზების ზღვიდან დაცვის ორგანეზებისთვის, გამოყოფილ ზონაში სათანადო ოპერატიული რეჟიმის დამყარება-შენარჩუნებისთვის.

სამხედრო-საზღვაო სარდლობები, იხ. *სარდლობები.*

სამხედრო-საზღვაო ძალები (მთელ რიგ სახელმწიფოებში სამხედრო-საზღვაო ფლოტი), შეიარაღებული ძალების სახეობა, რომელიც განკუთვნილია სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების გადასაწყვეტად საოკეანო და საზღვაო საომარი მოქმედებების თეატრებზე. თანამედროვე **ს.-ს.ძ**-ს შეუძლიათ მიაყენონ ბირთვული დარტყმები მოწინააღმდეგის მნიშვნელოვან სახმელეთო ობიექტებს, გაანადგურონ მისი ფლოტის ძალები ზღვასა და ბაზებში, ჩაშალონ საოკეანო და საზღვაო გადაზიდვები, მოიპოვონ უპირატესობა საზღვაო (საოკეანო) რაიონებში, ხელი შეუწყონ საკუთარი სახმელეთო ჯარების საომარ მოქმედებებს კონტინენტურ თეატრებზე, დაიცვან საოკეანო (საზღვაო) გადაზიდვები, გადასხან საზღვაო დესანტები, მონაწილეობა მიიღონ მოწინააღმდეგის დესანტების მოგერიებაში და სხვა. ძირითადი ბირთვული სახელმწიფოების **ს.-ს.ძ**. იყოფა სტრატეგიულ ბირთვულ და ზოგადი დანიშნულების ძალებად. აქვთ დიდი ბირთვულ-სარაკეტო პოტენციალი, ახასიათებთ სახომალდო და საავიაციო დაჯგუფებების მაღალი მობილურობა, მნიშვნელოვანი ავტონომიურობა, ოკეანის ნებისმიერ რაიონში მოქმედების უნარი, მუდმივი საბრძოლო მზადყოფნა, წყალქვეშა ძალებისა და საავიამზიდო დაჯგუფებების მაღალი საბრძოლო ეფექტურობა.

ფლოტის განვითარება დაიწყო უძველეს წარსულში. ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, რომსა და ჩინეთში თავდაპირველად შენდებოდა საავაჭრო გემები, ხოლო შემდეგ – სამხედრო ნიჩბიანი ხომალდები, რომლებიც იყენებდნენ ტარანს, აბორდაჟს, ხოლო მოგვიანებით – სატყორცნ მანქანებსაც. X–XII საუკუნეებში მთელ რიგ ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ასევე ჩრდილო ევროპაში უკვე ჰქონდათ იალქნიანი გემები, რომელთა ძირითადი იარაღი იყო არტილერია. XVI–XVII საუკუნეებში ინგლისში, საფრანგეთში, ესპანეთსა და ჰოლანდიაში შეიქმნა მუდმივი სამხედრო ფლოტები. XIX საუკუნის დამდეგს გაჩნდა პირველი ორთქლის ხომალდები. ორთქლის ფლოტზე გადასვლა დაემთხვა კუთხვილი არტილერიის დანერგვას. XIX საუკუნის 70-იან წლებში ნაღმების, შემდეგ კი ტორპედოების გაჩენამ განაპირობა ნაღმგადამღობებისა და ნაღმმზიდების შექმნა. XX საუკუნის დამდეგს გაჩნდა სახაზო ხომალდები, მაგრამ I მსოფლიო ომში ისინი შეზღუდულად გამოიყენებოდა, უმთავრესად, ნაღმების გაზრდილი საფრთხის გამო. ფართო გამოყენება პოვეს მსუბუქმა კრეისერებმა და საესკადრო ნაღმმზიდებმა. ძალების დამოუკიდებელ გვარეობად ჩამოყალიბდა წყალქვეშა ნავები, გაჩნდა ავიამზიდები, სადარაჯო ხომალდები, ტორპედული კატარღები. ზღვაზე საბრძოლო მოქმედებების დროს დაიწყეს საზღვაო ავიაციის

გამოყენება. II მსოფლიო ომის დროს სახაზო ხომალდებმა ავიამზიდებს დაუთმეს ზღვაზე შეიარაღებული ბრძოლის მთავარი დამრტყმელი ძალის როლი. ამავე პერიოდში ინტენსიური განვითარება პოვა საზღვაო ავიაციამ (საგემბანო და სახმელეთო ბაზირების). ფლოტების შემადგენლობაში გაჩნდა საჰაერო თავდაცვის ხომალდები. ომის შემდგომ პერიოდში ზოგი სახელმწიფოს **ს.-ს.ძ**-ის მშენებლობაში აქცენტი კეთდებოდა ჩვეულებრივი იარაღით და ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების, აგრეთვე ავიამზიდების შექმნაზე. წყალზედა ხომალდები აღიჭურვა ხომალდსაწინააღმდეგო, ნავსაწინააღმდეგო და საზენიტო რაკეტებით, ხოლო ატომური წყალქვეშა ნავები – სტრატეგიული რაკეტებით. გაჩნდა ნავსაწინააღმდეგო და სადესანტო ვერტმფრენმზიდები, წყალქვეშა ფრთიანი, საჰაერო ბალიშიანი ხომალდები, კატარღები და სხვა.

მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების **ს.-ს.ძ**-ის შემადგენლობაში არის: ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი წყალქვეშა ნავები, ავიამზიდები, სახაზო ხომალდები, მრავალმიზნობრივი წყალქვეშა ნავები, საესკორტო ხომალდები, ცეცხლით მხარდაჭერის სადესანტო ხომალდები და სხვა, აგრეთვე **ს.-ს.ძ**-ის ავიაცია და საზღვაო ქვეითი ჯარი. ზოგიერთი ქვეყნის **ს.-ს.ძ**.ის შემადგენლობაში შედის დიზელის წყალქვეშა ნავები, წყალზედა ხომალდები, ავიაცია, საზღვაო ქვეითი ჯარი და დამხმარე გემები.

სამხედრო-საზღვაო ძალების და საშუალებების გათვლა, დოკუმენტი ორგანიზაციულ-საშტატო განრიგით, რომელიც თან ერთვის განსაზღვრულ სამხედრო-საზღვაო დირექტივას. სახმელეთო ჯარების ტერმინოლოგიაში ნიშნავს განსაზღვრული ოპერაციების ჩასატარებლად დროებით საორგანიზაციო ერთეულს. შეიძლება დაერქვას დროებითი საბაზო ორგანიზაციული ნაწილი ან ქვედანაყოფი.

სამხედრო-საზღვაო ძალების მოქმედებების უზრუნველმყოფი ორგანიზაცია, სამხედრო-საზღვაო ძალების ტერმინოლოგიაში – ორგანიზაციული ერთეული, რომელიც დაგეგმილი მოქმედებების განხორციელებაზე პასუხისმგებელ სარდლობას დასახული ამოცანების შესრულებისთვის აუცილებელ საშუალებებს წარუდგენს.

სამხედრო-სამედიცინო მომზადება, საბრძოლო მომზადების საგანი. შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის მომზადება სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საკითხებში სხვადასხვა სახის საბრძოლო დაზიანების, ტრავმების, მოწამვლის და სხვა შემთხვევებში. ასევე – პირადი და კოლექტიური ჰიგიენის, ინფექციური დაავადებების პროფილაქტიკა.

სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობა, ურთიერთობები ჯარების (ძალების) სარდლობასა და ეროვნული ხელისუფლების სამოქალაქო და სამხედრო ორგანოებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსებით და სამართლებრივი დოკუმენტებით. იგი მოიცავს თანამშრომლობას არასამთავრობო და/ან საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან და ორგანოებთან.

სამხედრო-სამოქალაქო მზადყოფნა, ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების მზადყოფნას და უნარს მოსალოდნელი საფრთხის პირობებში განახორციელოს პროგნოზირების და გაფრთხილების წინასწარი ღონისძიებები, ასევე მოახდინოს რეაგირება და შედეგების ლიკვიდაცია. აღნიშნული ღონისძიებები შეიძლება განხორციელდეს ორგანიზებული, დროული და ეფექტური სამაშველო სამუშაოებით, გადაუდებელი დახმარების გაწევით და სხვა ფორმებით.

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები, ურთიერთობები ხელისუფლებასა და შეიარაღებულ ძალებს, ასევე შეიარაღებულ ძალებსა და საზოგადოებას შორის.

სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ქვეყნის (ქვეყნების ჯგუფის) სამრეწველო კომპლექსის ნაწილი, რომელიც სპეციალიზებულია იარაღის, სამხედრო ტექნიკის მეცნიერულ შემუშავებასა და წარმოებაზე, ასევე ამ იარაღით და ტექნიკით შეიარაღებული ძალების და სახელმწიფოს სხვა შეიარაღებული ფორმირებების უზრუნველყოფაზე. **ს.-ს.კ**-ის განვითარებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, სამხედრო-პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში, რეგიონში, სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკა, აგრეთვე ქვეყნის (ქვეყნების ჯგუფის) ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობები. თავის მხრივ, ომების მასშტაბის მატებამ, მეომარი მხარეების სამეცნიერო-ტექნიკური დაპირისპირების ზრდამ, გამალებულმა შეიარაღებამ და იარაღით ვაჭრობის გაფართოებამ ხელი შეუწყვეს **ს.-ს.კ**-ის სწრაფ განვითარებას, მის ფორმირებას ერთიან სოციალურ მოვლენად. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში განვითარებული ქვეყნების **ს.-ს.კ**-ებმა შეიძინეს მთელი რიგი მსგავსი ნიშან-თვისებები ორგანიზაციულ სტრუქტურაში, სამხედრო-ეკონომიკურ ინტეგრაციაში, მათ შორის არსებული სოციალური და ეროვნული განსხვავებების პირობებში.

სამხედრო-სანიტარიული სამსახური, იხ. *სამედიცინო სამსახური.*

სამხედრო-სასწავლო დაწესებულებები, პროფესიული განათლების სამხედრო-საგანმანათლებლო დაწესებულებები. ზოგ სახელმწიფოში სამხედრო განათლების პროგრამების მიხედვით იყოფა: დაწყებით, საშუალო, უმაღლეს და დამატებით **ს.-ს.დ**-ად. დაწყებითი სამ-

ხედრო პროფესიული განათლების **ს.-ს.დ**, ამზადებენ სამხედრო მოსამსახურეებს, ჯარისკაცებს, სერჟანტებს, მეზღვაურებს და მიჩმანებს შესაბამის თანამდებობებზე მოვალეობის შესასრულებლად. საშუალო პროფესიული განათლების **ს.-ს.დ**. ამზადებენ სამხედრო მოსამსახურეებს შესაბამისი კვალიფიკაციის ოფიცრის თანამდებობისათვის, ოფიცრებს უმაღლესი პროფესიული განათლებით ამზადებენ აკადემიები, სამხედრო უნივერსიტეტები და ინსტიტუტები, სამოქალაქო უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამხედრო ფაკულტეტები. გარდა ამისა, ამ **ს.-ს.დ**-ში ფუნქციონირებენ ქვედანაყოფები (ადიუნქტურა, დოქტურანტურა), რომლებიც ამზადებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ და სამეცნიერო კადრებს. დამატებითი განათლების **ს.-ს.დ**-ში ხდება სამხედრო მოსამსახურეების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება.

ზოგიერთ ქვეყანაში **ს.-ს.დ**. იყოფა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებად. საშუალოთა რიცხვს განეკუთვნება პირველადი ოფიცერთა სკოლები (სწავლების ვადა 2–3 წელი), რომელთა კურსდამთავრებულები იგზავნებიან სპეციალიზაციის სკოლებში ჯარების გვარეობების და სამსახურების მიხედვით (3 თვე – 1.5 წელი); უმაღლესთა რიცხვს განეკუთვნება საშტაბო სკოლები (1–2 წელი), შეიარაღებული ძალების სახეობების (ჯარების გვარეობების) სამხედრო აკადემიები, არმიის და ფლოტისთვის საერთო-ეროვნული თავდაცვის აკადემიები და ინსტიტუტები (6 თვე – 3 წელი). ზოგ ქვეყანაში საშუალო ან უმაღლესი **ს.-ს.დ**-ის ფუნქციებს ასრულებენ სამხედრო კოლეჯები. საშტაბო სკოლები და სამხედრო აკადემიები განკუთვნილია ნაწილების და შენაერთების მეთაურების თანამდებობებზე და საერთო-საჯარისო შტაბებში დასანიშნი ოფიცრების სამხედრო განათლების დონის ასამაღლებლად. ეროვნული თავდაცვის აკადემიებსა და ინსტიტუტებში ამზადებენ ხელმძღვანელ სამხედრო კადრებს არმიისა და ფლოტისთვის, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში – სახელმწიფო აპარატისა და მრეწველობისთვის. ხშირია ოფიცრების სასწავლებლად გაგზავნა პარტნიორი ქვეყნების **ს.-ს.დ**-ში.

სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი, თვითმფრინავი, რომელიც განკუთვნილია საჰაერო დესანტის გადასხმისთვის (გადმოსროლისთვის), ჯარების და სამხედრო ტექნიკის გადატანის, დაჭრილების და ავადმყოფების გადაყვანისთვის. შედის სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის შემადგენლობაში. მასში მოწყობილია სატვირთო ნაკვეთურები, ლიუკები, ამწე-სატრანსპორტო, სანიტარული მექანიზმები. **ს.-ს.თ**. შეიძლება იყოს მძიმე – 40 *ტ*-ზე მეტი, საშუალო სიმძიმის – 10–40 *ტ*. და მსუბუქი 10 *ტ*-მდე.

სამხედრო-სატრანსპორტო საავიაციო სარდლობები, იხ. *სარდლობები.*

სამხედრო-საჰაერო ძალები (ზოგ სახელმწიფოში – სამხედრო ავიაცია), შეიარაღებული ძალების სახეობა, რომელიც განკუთვნილია სხვა სახეობებთან ერთობლივი მოქმედებისათვის მოწინააღმდეგის საავიაციო, სახმელეთო და საზღვაო დაჯგუფებების გასანადგურებლად, მისი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის ძირის გამოთხრისთვის, სახელმწიფო და სამხედრო მმართველობის, ლოგისტიკის და ტრანსპორტის მუშაობის დეზორგანიზაციისათვის. აგრეთვე საკუთარი სახმელეთო ჯარების და ფლოტის ძალების მხარდაჭერისთვის, საჰაერო დესანტის გადასხმის, საჰაერო დაზვერვისა და საჰაერო გადაზიდვებისათვის. ზოგი ქვეყნის **ს.-ს.ძ**-ის შემადგენლობაში შედის საჰაერო თავდაცვის შენაერთები და ნაწილები, რომლებიც მოწინააღმდეგის საჰაერო შეტევებისგან იცავენ ქვეყნის ადმინისტრაციულ, სამრეწველო ცენტრებს და რაიონებს, შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებს, მნიშვნელოვან სამხედრო და სხვა ობიექტებს. ჩვეულებრივ, **ს.-ს.ძ**. მოიცავს სამხედრო მმართველობის, ავიაციის გვარეობის (ბომბდამშენი ავიაცია, გამანადგურებელ-ბომბდამშენი ავიაცია, გამანადგურებელი ავიაცია, მოიერიშე ავიაცია, სადაზვერვო ავიაცია, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაცია), საჰაერო თავდაცვის ჯარების გვარეობის (საზენიტო სარაკეტო ჯარები, რადიოტექნიკური ჯარები) ორგანოებს, სპეციალურ ჯარებს, ლოგისტიკის ნაწილებს და დაწესებულებებს, სხვა ნაწილებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. სამხედრო დანიშნულების პირველი თვითმფრინავები XX საუკუნის დამდეგს გაჩნდა. საფრანგეთის (1909), რუსეთის (1910) და სხვა ქვეყნების სამხედრო სამინისტროებმა დაიწყეს თვითმფრინავების შეძენა და სამხედრო მფრინავთა კადრების მომზადება. 1911 წელს იტალიამ პირველმა გამოიყენა ავიაცია მოწინააღმდეგის ჯარების დაზვერვისა და დაბომბვისათვის. I მსოფლიო ომის დასაწყისში ავსტრია-უნგრეთს ჰქონდა 65 სამხედრო თვითმფრინავი, გერმანიას – 232, რუსეთს 263, საფრანგეთს – 156. ომის წლებში მეომარი ქვეყნების თვითმფრინავების საერთო რაოდენობა 12-ჯერ გაიზარდა. ცალკე გამოიყო ავიაციის გვარეობები: სადაზვერვო, გამანადგურებელი, ბომბდამშენი. საავიაციო ტექნიკის რაოდენობრივმა და თვისებრივმა განვითარებამ გააძლიერა ავიაციის როლი სამხედრო ოპერაციებში. სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ჰაერში უპირატესობისათვის ბრძოლას.

სახელმწიფოთა უმრავლესობის **ს.-ს.ძ.** მოიცავენ საავიაციო სარდლობებს, რომლებიც აერთიანებენ ტაქტიკური გამანადგურებლების, მოიერიშეების, სადაზვერვო, სამხედრო-სატ-

რანსპორტო თვითმფრინავების და ვერტმფრენების შენაერთებს და ნაწილებს, ხოლო შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალები – აგრეთვე სტრატეგიული ავიაციისა და ბალისტიკური რაკეტების შენაერთებს. შეერთებულ შტატებს საავიაციო სარდლობები და სამხედრო-საჰაერო ძალები ჰყავს მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში. აშშ-ის **ს.-ს.ძ**. ევროპაში შეადგენს ნატოს გაერთიანებული **ს.-ს.ძ**-ის საფუძველს.

სამხედრო-სტრატეგიული სტაბილურობა, საერთაშორისო ურთიერთობების სტაბილური მდგომარეობა რეგიონულ და გლობალურ დონეზე, რომლის დროსაც სახელმწიფოები (სახელმწიფოების კოალიციები) სადავო საკითხების მოსაგვარებლად სამხედრო საშუალებებს არ მიმართავენ.

სამხედრო-სტრატეგიული უპირატესობა, ერთი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა კოალიციის შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალის მდგრადი უპირატესობა მეორე სახელმწიფოსთან ან სახელმწიფოების კოალიციასთან შედარებით.

სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა, სამხედრო თანამშრომლობის შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს: შეიარაღების და ტექნიკის მიწოდებას; ასევე საბრძოლო ტექნიკის ათვისებაში, ექსპლუატაციის ორგანიზებასა და საბრძოლო გამოყენებაში, მათი რემონტის და მოდერნიზაციის სფეროში მომსახურების გაწევას; სამხედრო ობიექტების შექმნას და სამხედრო ტექნიკის ბაზირებისთვის, ექსპლუატაციისა და საბრძოლო გამოყენებისთვის ტექნიკურ ხელშეწყობას; მათ წარმოებაზე ლიცენზიების და ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემას; შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის შექმნაზე სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობის შედეგების ექსპორტ-იმპორტს; ეროვნული სამხედრო და სამხედრო-საინჟინრო კადრების სწავლებას; შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის გამოფენებში მონაწილეობას და სხვა.

სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკა, სახელმწიფო ხელისუფლების და მართვის ორგანოების, სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების საქმიანობა, რომელიც უკავშირდება შეიარაღებული ძალების აღჭურვას სამხედრო და სპეციალური ტექნიკითა და ქონებით. მიმართულია შეიარაღებული ძალების სამხედრო-ტექნიკური აღჭურვილობის რაოდენობრივი და თვისებრივი შესატყვისებობისკენ. ამასთან გათვალისწინებულია ქვეყნის ეკონომიკური, დემოგრაფიული და სხვა შესაძლებლობები და შეიარაღების შეზღუდვის საერთაშორისო შეთანხმებები. **ს.-ტ.პ**-ის მთავარ ობიექტებად გვევლინება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი და შეიარაღებული ძალები, ხოლო მთავარ მიზნად – სამხედრო-სამეცნიერო, სამხედრო-ტექნიკური და სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის შექმნა, ჯეროვან დონეზე შენარჩუნება და ეფექტიანი გამოყენება. **ს.-ტ.პ**-ის ძირითად მიმართულებებს განეკუთვნება: სამხედრო-ტექნიკური დაზვერვა; შეიარაღების სფეროში – სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ორგანიზაცია; სამხედრო ტექნიკის გამოცდა; შეიარაღების გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება; შეიარაღებული ძალების აღჭურვისათვის შეიარაღების სისტემების და სამხედრო ტექნიკის შერჩევა; სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის სტრუქტურის და საქმიანობის ოპტიმიზაცია; შეიარაღების მწარმოებელი და სარემონტო სიმძლავრეების შექმნა და განვითარება; ეკონომიკის სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა; სამხედრო წარმოების დივერსიფიკაცია და კონვერსია; შეიარაღების, სამხედრო და სპეციალური ტექნიკის გეგმაზომიერი მოდერნიზაცია; შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის უტილიზაცია; სამხედრო-ტექნიკურ სპეციალისტთა კადრების მომზადება; შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ტექნიკური მომზადება; საერთაშორისო სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარება და სხვა. **ს.-ტ.პ**-ის კონკრეტული მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტები, როგორც წესი, განისაზღვრება სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტით, პერსპექტიული გეგმებით, სხვადასხვა ვადით გაანგარიშებული შეიარაღების პროგრამებით. ხასიათის და მიმართულების მიხედვით ექვემდებარება სახელმწიფოს ზოგადი და სამხედრო პოლიტიკის მიზნებს და ამოცანებს.

სამხედრო-ტექნიკური ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

სამხრეები, სამხედრო მოსამსახურეების მხრებზე სატარებელი განმასხვავებელი ნიშნები, რომლებიც ბევრ სახელმწიფოში სამხედრო ფორმის ტანსაცმლის სავალდებულო ელემენტს წარმოადგენს. მიუთითებს სამხედრო წოდებაზე, შეიარაღებული ძალების სახეობაზე, ჯარების (ძალების) გვარეობის ან სამსახურისადმი სამხედრო მოსამსახურის კუთვნილებაზე. **ს**-ს განასხვავებენ ფორმის ტანსაცმლის სახეობის, დამაგრების (დაკერებული, მოსახსნელი, ჩაკერებული) ხერხის, სამხედრო მოსამსახურეთა შემადგენლობის კუთვნილების მიხედვით; შეიძლება იყოს სწორკუთხა, ტრაპეციისებრი, სამკუთხა.

სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკა (South-Africa), სახელმწიფო აფრიკის სამხრეთ ნაწილში. აღმოსავლეთით ესაზღვრება ინდოეთის ოკეანე, სამხრეთ-დასავლეთით – ატლანტის ოკეანე. ფართობი 1,221 მლნ. *კმ*². მოსახლეობა 50,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ინგლისური და აფრიკანსი (ადგილობრივი 11 ძირითადი ტომის ენა). დედაქალაქი – ქ.

პრეტორია. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად. **ს.-ა.რ.** შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1961 წლის 31 მაისს. ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა აფრიკაში. მსოფლიოში უჭირავს მოწინავე ადგილი ალმასის, ოქროს, მარგანეცის, ურანის, აზბესტის და სხვა. მოპოვებაში. განვითარებულია მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური, საფეიქრო, კვების მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს თვითმფრინავებს, ტანკსაწინააღმდეგო და საჰაერო მართვად რაკეტებს, ჯავშანტექნიკას, ცეცხლსასროლ იარაღს, საარტილერიო სისტემებს, ასაფეთქებელ ნივთიერებებს და სხვა. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურებია: სიმინდი, ხორბალი, შაქრის ჭარხალი, თამბაქო, ციტრუსი. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეცხოველეობას. მსხვილი საზღვაო პორტებია: დურბანი, სალდანია, კეიპტაუნი, პორტ-ელიზაბეთი, რიჩადს-ბეი. საერთაშორისო აეროპორტები: იოჰანესბურგი, დურბანი, კეიპტაუნი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 62 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 39,8 ათ., სამხედრო-საჰაერო 14 ათ. და სამხედრო-საზღვაო 8,2 ათ.. რეზერვი – 15 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია (სეატო), სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ხელშეკრულებას შექმნის შესახებ ხელი მოაწერეს ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ტაილანდის, პაკისტანისა და ფილიპინების წარმომადგენლებმა 1954 წლის 8 სექტემბერს; ძალაში შევიდა 1955 წლის 19 თებერვალს. უმაღლესი ორგანო იყო მინისტრთა საბჭო, სამუშაო ორგანოები – რწმუნებულთა საბჭო და სამხედრო დაგეგმვის კომიტეტი. იგი დაიშალა 1977 წლის 30 ივნისს.

სანავიგაციო გაფრთხილება, იხ. *სანავიგაციო ინფორმაცია.*

სანავიგაციო ვითარება, 1. საზღვაო სანავიგაციო-ჰიდროგრაფიული და ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეროლოგიური) პირობების ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა ამოცანის შესრულების დროს ხომალდების ნაოსნობის უსაფრთხოების და სიზუსტის ხარისხს ახასიათებს. 2. საავიაციო ფაქტორები, რომლებიც საფრენი აპარატების მიერ ამოცანების შესრულების დროს ფრენის პირობებს განსაზღვრავენ. ამ ფაქტორებიდან ძირითადია: ბაზირების პირობები, ადგილმდებარეობის ხასიათი და ორიენტირების პირობები, მეტეოროლოგიური პირობები, საბრძოლო მოქმედებების რაიონის მოწყობა, რადიოტექნიკური უზრუნველყოფის მდგომარეობა. **ს.ვ.** საერთო ვითარების ელემენტია.

სანავიგაციო ინფორმაცია, ინფორმაცია სანავიგაციო ვითარების და მისი ცვლილებების შესახებ. **ს.ი**-ის წყაროებია: მეზღვაურების შეტყობინება, სანავიგაციო შეტყობინება, ცალკეული რაიონების სხვადასხვა სახის აღწერილობა, საზღვაო დარიგებები და ცნობარები, მეტეოკრებსები და სხვა.

სანავიგაციო კომპლექსი, ურთიერთდაკავშირებული საბორტო-სანავიგაციო საშუალებების ერთობლიობა. მისი დანიშნულებაა ნავიგაციის და იარაღის ეფექტური გამოყენების ამოცანების ერთდროული ავტომატური გადაწყვეტა. ნავიგაციური საშუალებების კომპლექსის შექმნა საბორტო კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით ხორციელდება. მისი მიზანია ნავიგაციური პარამეტრების გამომუშავების, მათი გაზომვის, შენახვის, დამუშავების, მომხმარებლისთვის გადაცემის, ასახვის და რეგისტრაციის სიზუსტის და მდგრადობის ამაღლება. **ს.კ**-ში შედის: საინფორმაციო-გასაზომი ხელსაწყოები, საბორტო კომპიუტერული ტექნიკა, კორექციის საშუალებები, მართვის ორგანოები, ინფორმაციის ასახვის და დოკუმენტირების მოწყობილობები, მონაცემების ტრანსლაციის და კონტროლის ხელსაწყოები.

სანავიგაციო მოწყობილობა (საზღვაო-საოკეანო საომარი მოქმედებების თეატრის), სპეციალური სანაპირო, მცურავი და წყალქვეშა ნაგებობების, კონსტრუქციების და მოწყობილობების სისტემა, რომლის დანიშნულებაა ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა. სანავიგაციო-ჰიდროგრაფიული უზრუნველყოფის შემადგენელი ნაწილი. მისი დანიშნულებაა: ზღვაში ხომალდის ან საფრენი აპარატის ადგილის განსაზღვრა, საზღვრისპირა და მცირეწყლიან რაიონებში ცურვისას სწორი ორიენტირება, არხების, ფარვატერების და ნავიგაციური საშიშროების დაფარვა, ზღვაში პოლიგონების, რაიონების და ცალკეული წერტილების აღნიშვნა. **ს.მ**-ები მოქმედების პრინციპით და გამოსაყენებელი ტექნიკური მოწყობილობების მიხედვით იყოფა: ხილვად, რადიოტექნიკურ, ბგერით-სასიგნალო, ჰიდროაკუსტიკურ და ელექტრომაგნიტურ მოწყობილობებად. **ს.მ.** შეიძლება იყოს სანაპირო, მცურავი და წყალქვეშა, მომსახურებადი და არამომსახურებადი, საშტატო და არასაშტატო, შორეული, საშუალო და ახლო მოქმედების, სტაციონარული და მანევრირებადი და სხვა.

სანავიგაციო საშუალებები, იმ ხელსაწყოების, მოწყობილობების და სისტემების კრებსითი დასახელება, რომლებიც საზღვაო, საჰაერო და კოსმოსურ ნავიგაციას, იარაღის

გამიზვნას და ეფექტურ გამოყენებას უზრუნველყოფენ. მოიცავს: სანავიგაციო ხელსაწყოებს, სისტემებს და კომპლექსებს, სანავიგაციო მოწყობილობებს (სახმელეთო, წყალზედა, წყალქვეშა, კოსმოსური), სანავიგაციო ინსტრუმენტებს, სპეციალურ გამოთვლით საშუალებებს. იყოფა ავტონომიურ (გეოსაინფორმაციო, რადიოტექნიკური, ასტრონომიული და სხვა) და არაავტონომიურ (რადიოტექნიკური, შუქტექნიკური და სხვა) **ს.ს**-ად.

სანავიგაციო სისტემა, 1. სახმელეთო, კოსმოსური (თანამგზავრული) ან წყალქვეშა სადგურების ქსელი ცნობილი კოორდინატებით, რომლებიც ასხივებენ სიგნალებს მათი დანიშნულების შესაბამისად. ასევე საბორტო სანავიგაციო აპარატურა ხომალდებზე (გემებზე, საფრენ აპარატებზე) და სხვა მოძრავ ობიექტებზე, რომელიც უზრუნველყოფს გამოსხივებული სიგნალების მიღებას (გადაცემას და მიღებას), დამუშავებას, სანავიგაციო პარამეტრების განსაზღვრას, ხოლო ამის მიხედვით – ხომალდის (გემის, საფრენი აპარატის და სხვა ობიექტების) კოორდინატების და/ან მათი მოძრაობის (ფრენის) პარამეტრების დადგენას. არის კოსმოსური, ჰიდროაკუსტიკური, რადიო და სხვა **ს.ს**-ები; 2. ხომალდზე (გემზე, საფრენ აპარატსა და სხვა ობიექტებზე) განლაგებული, ერთი ან რამდენიმე სანავიგაციო ამოცანის გადასაწყვეტად განკუთვნილი, ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებული სანავიგაციო მოწყობილობების (ხელსაწყოების) ერთობლიობა – ნავიგაციის ასტროინერციული სისტემა, ასტროსანავიგაციო სისტემა და სხვა.

სანავიგაციო შეტყობინება, იხ. *სანავიგაციო ინფორმაცია.*

სანავიგაციო ხელსაწყოები, იმ ტექნიკური მოწყობილობების საერთო დასახელება, რომლელთა დანიშნულებაა მოძრაობის ელემენტების გაზომვა, ხომალდის ან სხვა მოძრავი ობიექტის ადგილსამყოფელის განსაზღვრა, იარაღის გამოყენებისთვის საწყისი მონაცემების მიწოდება. ასევე – სანავიგაციო პარამეტრების გამომუშავება, ასახვა, რეგისტრაცია და გადაცემა სხვა სისტემებში და კომპლექსებში. **ს.ხ**. შეიძლება იყოს ავტონომიური, არაავტონომიური, აქტიური, პასიური, მექანიკური, ინერციული, გიროსკოპული, მაგნიტური, ჰიდრავლიკური, რადიოტექნიკური, ჰიდროაკუსტიკური და ოპტიკურ-ელექტრონული. ავტომატიზაციის ხარისხის მიხედვით იყოფა ხელის, ნახევარავტომატურ და ავტომატურ **ს.ხ**-ად. მას განეკუთვნება კომპასები, ექოლოტები, პელენგატორები, მიმღები ინდიკატორები და სხვა.

სანაპირო არტილერია, იხ. *საზღვაო არტილერია.*

სანაპირო ბაზა, სამხედრო ფორმირება, რომელიც განკუთვნილია ხომალდების შენაერთების ლოგისტიკური და ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. იქმნება ფლოტის ბაზირების პუნქტებში სამხედრო-საზღვაო ძალების შენაერთების ან გაერთიანებების შემადგენლობაში. ამარაგებს ხომალდებს ყველა სახეობის მატერიალური საშუალებით, ახორციელებს ტერიტორიის დაცვის ღონისძიებებს, ქმნის პირობებს პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადებისა და დასვენებისათვის. **ს.ბ**-ის მონაკვეთი უზრუნველყოფილია ნავმისადგომით, ელექტროსადგურებით, საქვაბეებით, წყალდასაწნეო სადგურებით, გემების დატვირთვის და ხომალდებზე ელექტროენერგიის, ორთქლის, წყლის მიწოდების საშუალებებით და ა.შ.

სანაპირო გამაგრებები, ხანგამძლე და საველე საფორტიფიკაციო ნაგებობების სისტემა, რომელიც სანაპირო თავდაცვის ნაწილს შეადგენს. იგება ზღვის სანაპიროს მნიშვნელოვან მონაკვეთებზე დასაცავი ობიექტების (სამხედრო-საზღვაო ბაზების, ნავსადგურების, სრუტეების, კუნძულების, სამხედრო-ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრების, ზღვისპირა კომუნიკაციების, ნაპირის ხაზის კონფიგურაციის და ადგილმდებარეობის რელიეფის) პოლიტიკური, სტრატეგიული და სამხედრო მნიშვნელობის გათვალისწინებით. თანამედროვე **ს.ბ**-ები მოიცავენ საცეცხლე ნაგებობების და პირადი შემადგენლობის, ტექნიკის და საბრძოლო მასალების საფრების კომპლექსებს. მათ შორის სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო, სახმელეთო ჯარების, საჰაერო თავდაცვის შენაერთების (ნაწილების) პოზიციებს ზღვისპირა გამაგრებულ რაიონებში და თავშესაფრებს მართვის პუნქტებში. ასევე საზღვაო (ზღვისპირა) სიმაგრეებსა და ფორტების საინჟინრო ნაგებობებს.

სანაპირო დაცვა, ზოგიერთ სახელმწიფოთა სპეციალიზებული სამხედრო სამსახური, რომელიც ახორციელებს კონტროლს ტერიტორიული და შიდა წყლების, საზღვაო ეკონომიკური ზონის და სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფი კონტინენტური შელფის სამართლებრივი რეჟიმის შესრულებაზე. **ს.დ**-ის ფუნქციაა: ზღვაოსნობის უსაფრთხოება, საჭიროების შემთხვევაში გემების და საფრენი აპარატების დახმარება, დაზვერვის და ამინდის სამსახურის წარმართვა, თევზჭერის ნორმების დაცვა, კონტრაბანდასთან ბრძოლა, აგრეთვე ზღვის აკვატორიაში გარემოს და რადიაციული ვითარების მონიტორინგი. მის შემადგენლობაში შედიან: საპატრულო ხომალდები და კატარღები, ყინულმჭრელები, გემსაწევები, ჰიდროგრაფიული ხომალდები, თვითმფრინავები და ვერტმფრენები, სანაპირო რადიოტექნიკური და სათვალთვალო საგუშაგოები. მაგალითად, აშშ-ის სანაპირო დაცვის ძალები ომის დროს სამხედრო-საზღვაო ძალების რეზერვს წარმოადგენენ და შესაძლოა მათი გამოყენება წყალქვეშა ნავებთან ბრძოლისათვის. ასევე სანაპირო ზოლის კომუნი-

კაციების დაფარვის, ბაზების, პორტების, საღუზე სადგომების აკვატორიების დაცვისა და საძიებო-სამაშველო ღონისძიებებისათვის.

სანაპირო თავდაცვა, სამხედრო-საზღვაო ძალები და საშუალებები, რომლებიც განლაგებულია ზღვის ნაპირის საინჟინრო თვალსაზრისით მომზადებულ რაიონებში (მონაკვეთებში) და განკუთვნილია სამხედრო-საზღვაო ბაზის დაცვისათვის ზღვიდან და ხმელეთიდან. **ს.თ**. გულისხმობს ასევე სანაპირო რაიონში (აკვატორიაში) მყოფი გემების ან იმ სახმელეთო ჯარების დახმარებას, რომლებიც მოქმედებენ ზღვისპირა მიმართულებებზე; უმრავლეს ქვეყანაში ეს ფუნქცია აკისრია სანაპირო ჯარებს. ზოგიერთ ქვეყანაში **ს.თ**. სამხედრო-საზღვაო ძალებს აქვთ დაკისრებული, აშშ-ში – სამხედრო-საზღვაო ოლქებს, სანაპირო დაცვას და სახმელეთო ჯარებს.

სანაპირო სამსახური, სამსახური, რომელსაც სამხედრო მეზღვაურები ეწეოდნენ ხმელეთზე ეკიპაჟების შემადგენლობაში ფლოტის საქმიანობის უზრუნველსაყოფად (იხ. *სანაპირო ჯარები*).

სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარები, ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო ჯარების გვარეობა. განკუთვნილია ზღვისპირა მიმართულებებზე მოწინააღმდეგის ხომალდების, სადესანტო რაზმების და საბადრაგო გემების განადგურებისთვის, ბაზირების პუნქტების, ფლოტის სანაპირო ობიექტების, სანაპირო საზღვაო კომუნიკაციებისა და ჯარების დაჯგუფებების დაფარვისათვის. შედგება სარაკეტო ნაწილებისა და სანაპირო არტილერიის ქვედანაყოფებისაგან.

სანაპირო ჯარები, ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების გვარეობა. განკუთვნილია მოწინააღმდეგის ხომალდების ზემოქმედებისაგან ფლოტის ძალების, ჯარების, მოსახლეობის და ზღვის სანაპიროზე განლაგებული ობიექტების დასაცავად; სამხედრო-საზღვაო ბაზების და ფლოტის სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვისათვის ხმელეთიდან, საზღვაო, საჰაერო-საზღვაო დესანტების მოქმედებისგან; დესანტსაწინააღმდეგო თავდაცვაში სახმელეთო ჯარების ხელშეწყობისათვის; მტრის ხომალდების, კატარღებისა და სადესანტო-სატანსპორტო საშუალებების განადგურებისათვის. მოიცავს ჯარების შემდეგ გვარეობებს: სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარებს, საზღვაო ქვეით ჯარს და სანაპირო თავდაცვის ჯარებს.

სანაპირო ჯგუფი, ორგანიზებული ქვედანაყოფი, რომელსაც ევალება საბრძოლო ამოცანის მოთხოვნის შესაბამისად ხმელეთზე გადმოსხმის უზრუნველყოფა. მისი დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს პირადი შემადგენლობის, აღჭურვილობის და მარაგის ხმელეთზე გადმოტანას და შემდგომ გადაადგილებას, საზღვაო გზით დაჭრილების და მოწინააღმდეგის სამხედრო ტყვეების ევაკუაციას.

სანაღმე ტრალი (ინგლისური trawe – ტრალური ქსელი)**,** სპეციალური მოწყობილობა (საშუალება) ნაღმების აღმოსაჩენად და გასანადგურებლად. **ს.ტ**. არის: სახომალდო, საავერტმფრენო (საავიაციო) და სატანკო; ნაღმებზე ზემოქმედების პრინციპის მიხედვით – საკონტაქტო და არასაკონტაქტო. სახომალდო **ს.ტ**. შედგება: ბორტისმიღმა ნაწილისაგან – ბუქსირი (კაბელ-ბუქსირი), საღრმავებელი, მტრალავი ნაწილები, სარინები, ტივტივები – საზღვრების მოსანიშნები და ტივტივების დამჭერები; სახომალდო მოწყობილობისაგან – სატრალო ჯალამბრები, ამწე ძელები, ელექტროკვების და მართვის აპარატურა, სატელევიზიო აპარატურა და ა.შ. განასხვავებენ ცალმაგ (ერთმხრივ და ორმხრივ) და დაწყვილებულ საკონტაქტო **ს.ტ**-ებს, რომელთა ბუქსირება ხდება შესაბამისად ერთი და ორი ხომალდით. საკონტაქტო **ს.ტ**-ების ნაირსახეობაა ბადიანი, ფსკერის და ფსკერისპირა **ს.ტ**-ები. არაკონტაქტური **ს.ტ**-ები შეიძლება იყოს აკუსტიკური, ელექტრომაგნიტური, ჰიდროდინამიკური და კომბინირებული (კომპლექსური). სახომალდო **ს.ტ**. გამოიყენება ნაღმების საძებნ-გამანადგურებლებთან ერთად. **ს.ტ**-ები გაჩნდა XIX საუკუნის დასასრულს. **ს.ტ**-ების ტრანსპორტირება, დაყენება და ბუქსირება ხდება ვერტმფრენებით. არაკონტაქტურ საავიაციო **ს.ტ**-ს აყენებდნენ აგრეთვე სპეციალურ თვითმფრინავებზე. სატანკო-სანაღმო ტრალი წარმოადგენს ტანკის (სატანკო საწევარის) კიდულ მოწყობილობას, რომელიც განკუთვნილია ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების გადასალახავად. იყოფა საგორავიან (დაწოლის მოქმედებისა), დანისებრ და კომბინირებულ **ს.ტ**-ებად.

სანაღმე-საარტილერიო პოზიცია, საზღვაო სანაღმე ღობურების და მათი დამფარავი სანაპირო საარტილერო ბატარეიების ერთობლიობა. მისი მიზანია მოწინააღმდეგის ხომალდების არდაშვება წყლიან დაცულ რაიონში. საზღვაო თავდაცვითი პოზიციის შემადგენელი ნაწილი. **ს.-ს.პ**-ს განეკუთვნებოდა წყლის რაიონიც, რომელშიც სანაპირო არტილერიასთან ურთიერთქმედებით განზრახული იყო ხომალდების შენაერთების (ჯგუფების) გაშლა და მანევრირება. ის გამიზნული იყო მოწინააღმდეგის ფლოტის მიერ სანაღმე ღობურების გარღვევის მცდელობის აღსაკვეთად.

სანგარი, ღია ტიპის საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც განკუთვნილია ტექნიკის და პირადი შემადგენლობის დასაცავად. განასხვავებენ ცეცხლსასროლ, საარტილერიო, სატანკო, საბრძოლო მანქანების, გასაშვები დანადგარების და სხვა **ს**-ებს. **ს**. შეიძლება იყოს პერსონალური, ჯგუფური, გათვლისა და ათე-

ულისთვის. მისი სიღრმე განისაზღვრება მსროლელის მდგომარეობით ცეცხლის წარმოების დროს, სამხედრო ტექნიკისთვის – ძირითადი იარაღის ცეცხლის ხაზის სიმაღლით. **ს**-ის გათხრა წარმოებს სასანგრე ხელსაწყოებით, ხელით, სპეციალური საბრძოლო ტექნიკით და სხვა. შენიღბვა ხდება ადგილმდებარობის გათვალისწინებით.

სანივთე ძონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

სანიტარიული დამუშავება, დამაავადებელი, მომწამვლელი მიკრობების და რადიოაქტიური ნივთიერებების მოცილება, მოსპობა და გაუვნებლება ხდება პირადი შემადგენლობის კანის, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აღჭურვილობის და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების სპეციალური დამუშავებით. შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი. სრული **ს.დ**. ითვალისწინებს დაბანას თბილი წყლის შხაპით და საპნით, კანის ღია უბნების გაუსნებოვნებას, სუფთა თეთრეულის გაცემას, დაბინძურებული ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აღჭურვილობის და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების დეზინფექციას ან შეცვლას. ტარდება საბრძოლო ამოცანის შესრულების და ქვედანაყოფის ბრძოლიდან გამოყვანის შემდეგ განლაგების რაიონში ან ამისათვის დანიშნულ სპეციალური დამუშავების რაიონში. ნაწილობრივი **ს.დ**. ითვალისწინებს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და დაცვის ინდივიდუალური საშუალებების მექანიკურ გაწმენდას, კანის ღია უბნების დამუშავებას ქიმსაწინააღმდეგო ინდივიდუალური პაკეტის შიგთავსით. ტარდება საბრძოლო ამოცანის შესრულების შეწყვეტის გარეშე.

სანიტარიული დანაკარგები, საბრძოლო დაზიანებების და ავადმყოფობის შედეგად პირადი შემადგენლობის დროებითი დანაკარგები. განასხვავებენ საბრძოლო სანიტარიულ დანაკარგებს (საბრძოლო მოქმედებების დროს დაჭრილები, კონტუზირებულები, დაავადებულები და სხვა) და არასაბრძოლოს (არასაბრძოლო ვითარებაში). საბრძოლო ტრავმები და დაავადებები, რომლებიც მწყობრიდან გამოყვანას არ იწვევს, სანიტარიულ დანაკარგებად არ ითვლება. საღრიცხვო პრაქტიკაში **ს.დ**-ებს, ჩვეულებრივ, განაკუთვნებენ იმ დაჭრილებს და ავადმყოფებს, რომლებსაც ბრძოლისუნარიანობა დაკარგული აქვთ არანაკლებ ერთი დღით ან მოთავსებული არიან სამედიცინო პუნქტში, ან სამკურნალო დაწესებულებაში.

სან-მარინო (San-Marino – სან-მარინოს რესპუბლიკა) სახელმწიო სამხრეთ ევროპაში, აპენინის ნახევარკუნძულზე, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. გარს აკრავს იტალიის ტერიტორია. ფართობი 61 *კმ²*. მოსახლეობა – 30 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – იტალიური. დედაქალაქი – ქ. სან-მარინო. ადმინისტრაციულად იყოფა 9 მხარედ (ციხესიმაგრე). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია ორი კაპიტან-რეგენტი. საკანონმდებლო ორგანო – დიდი გენერალური საბჭო. სახელმწიფოს დაარსების დღე აითვლება 301 წლიდან. **ს.-მ.**-ს. ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული იტალიასთან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმი და სოფლის მეურნეობა (მარცვლეულის წარმოება, მეღვინეობა, მეცხოველეობა), საფოსტო მარკების და მონეტების გამოშვება. **ს.-მ.**-ს შეიარაღებული ძალები არ გააჩნია, ქვეყნის დაცვის ფუნქციას ასრულებს იტალიის შეიარაღებული ძალები.

სან-მარტინი (San-Martin) ხოსე (1778–1850), ესპანეთის ამერიკული კოლონიების განმათავისუფლებელი ომის (1810–26) ერთ-ერთი ხელმძღვანელი. არგენტინის ეროვნული გმირი. სამხედრო განათლება მიიღო ესპანეთში, სადაც შემდეგ მონაწილეობდა *ნაპოლეონ I*-ის ჯარებთან ბრძოლაში. 1812 წელს დაბრუნდა სამშობლოში, იბრძოდა არგენტინის გასათავისუფლებლად ესპანელთა ბატონობისაგან, ანდების არმიის მთავარსარდალი. 1816–18 წლებში ესპანელები განდევნა ჩილედან. 1820–22 წლებში **ს.-მ**-მა ილაშქრა პერუში და გაათავისუფლა ესპანელთა ჯარებისაგან. 1821–22 წლებში სათავეში ედგა პერუს პირველ მთავრობას.

სან-ტომე და პრინსიპი (San-Tomé and Príncipe – სან-ტომესა და პრინსიპის დემოკრატიული რესპუბლიკა), სახელმწიფო აფრიკის დასავლეთ სანაპიროსთან, გვინეის ყურეში განლაგებულ სან-ტომეს, პრინსიპის და სხვა კუნძულებზე. ფართობი – 964 *კმ²*. მოსახლეობა – 160 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – პორტუგალიური. დედაქალაქი – ქ. სან-ტომე. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1975 წლის 12 ივლისს. ნაკლებად განვითარებული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა (კაკაო, ყავა, ბანანი და სიმინდი). საზღვაო პორტებია: სან-ტომე, სანტუ-ანტონიუ. საერთაშორისო აეროპორტი – სან-ტომე. ჰყავს მოძველებული სისტემით შეიარაღებული მცირე რაოდენობის სამხედრო ძალები. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

სან-ფრანცისკოს კონფერენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) დამფუძნებელი 50 სახელმწიფოს კონფერენცია. მიმდინარეობდა 1945 წლის 25 აპრილიდან 26 ივნისამდე; მოიწვიეს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, სსრ კავშირის და ჩინეთის სახელით გაეროს წესდების საბოლოო ტექსტის მომზადების თაობაზე ყირიმის კონფერენციის (1945) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.

სანქცია (ლათინური sanction – უმკაცრესი დადგენილება), საერთაშორისო სამართალში – ზემოქმედების იძულებითი ფორმა, რომელიც გამოიყენება სახელმწიფოს ან საერთა-

შორისო სამართლის სხვა სუბიექტის მიმართ. მისი მოქმედებები წარმოადგენს აგრესიის აქტს, საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობას და უსაფრთხოებას, არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. გაეროს წესდება ითვალისწინებს არასამხედრო და სამხედრო ხასიათის **ს**-ებს.

„საოკეანო სტრატეგია“, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც 70-იანი წლების დამდეგს შემუშავდა; შეკავების პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. „**ს.ს**“-ის მთავარი მიზანი იყო ამერიკის შეერთებული შტატების გლობალური სამხედრო ინტერესების დაცვა მსოფლიოს ძირითად რეგიონებში სამხედრო-საზღვაო ძალების მეშვეობით. ამ მიზნის მისაღწევად იგეგმებოდა სტრატეგიული ბირთვული ძალების ძირითადი სიმძლავრის გადატანა კონტინენტიდან მსოფლიო ოკეანის სივრცეებზე. ასევე – ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების წილის გადიდება ამ ძალების შემადგენლობაში, სამხედრო-საზღვაო ძლიერების გამოყენება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საგარეო-პოლიტიკური კურსის სამხედრო მხარდაჭერისთვის.

საოკეანო სტრატეგიული რაიონი, მსოფლიო ოკეანის აკვატორიის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი კუნძულებით, მიმდებარე ზღვებით, ოკეანისპირა ხმელეთის ზოლით და საჰაერო სივრცით პირობითად დადგენილ საზღვრებში. აქ ვლინდება ან შეიძლება საფრთხე შეექმნას სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს. **ს.ს.რ**. ფრაგმენტია მსოფლიო ოკეანის ზედაპირის თანამედროვე გეოსტრატეგიული დაყოფისა იმ საზღვრებში, რომლებსაც აწესებს სახელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა მშვიდობიანიობის დროისთვის. **ს.ს.რ**. იყოფა საოკეანო და საზღვაო ზონებად.

საოკუპაციო ფული, იხ. *სამხედრო ფული.*

საოკუპაციო ჯარები, ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები, რომლებსაც დროებით უკავიათ მეორე სახელმწიფოს ტერიტორია და ახორციელებენ ამ ტერიტორიაზე სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს. მაგალითად, რუსეთის საოკუპაციო ძალები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. საოკუპაციო ჯარების სამართლებრივ სტატუსს არეგულირებს ჰააგის (1899, 1907) კონვენციები.

საომარი (საბრძოლო) მოქმედებების უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობის, საბრძოლო უნარის შენარჩუნების და დასახული ამოცანების წარმატებული და დროული შესრულებისთვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად. გადასაწყვეტი ამოცანების და განსახორციელებელი ღონისძიებების მიხედვით **ს.(ს.)მ.უ**. შეიძლება იყოს ოპერატიული (საბრძოლო), მორალურ-ფსიქოლოგიური, ტექნიკური, ლოგისტიკური და სამედიცინო უზრუნველყოფისა.

საომარი (საბრძოლო) მოქმედებების ხერხები, იხ. *სამხედრო (საბრძოლო) მოქმედებების ხერხები.*

საომარი მდგომარეობა, განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რომელსაც აწესებს ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლება საგანგებო ვითარების (ომის, აჯანყების და ა.შ.) დროს. მრავალი სახელმწიფოს კონსტიტუციის თანახმად, მისი შემოღება ხდება პრეზიდენტის ბრძანებულებით ქვეყნის წინააღმდეგ აგრესიის ან უშუალო საფრთხის შემთხვევაში. **ს.მ**-ის დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფუნქციები თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის და სახელმწიფო უსაფრთხოების დარგში გადაეცემა სამხედრო ხელისუფლებას. მოქალაქეებს ეკისრებათ დამატებითი ვალდებულებები და ამავე დროს იზღუდება მათი უფლებები.

საომარი მოქმედებების თეატრი, კონტინენტის ვრცელი ტერიტორია მიმდებარე ზღვის ან ოკეანის (ზღვის) აკვატორიით, კუნძულებითა და კონტინენტის სანაპიროთი. აგრეთვე საჰაერო კოსმოსური სივრცე, რომლის ფარგლებშიც გაიშლება შეიარაღებული ძალების სტრატეგიული დაჯგუფებები და შეიძლება წარმოებდეს სტრატეგიული მასშტაბის საომარი მოქმედებები. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით **ს.მ.თ**. შეიძლება იყოს კონტინენტური, საოკეანო და საზღვაო. თითოეულ მათგანს აქვს გარკვეული სამხედრო-პოლიტიკური, სამხედრო-ეკონომიკური, სამხედრო ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური თავისებურებები. ასევე ტერიტორიის ოპერატიული მოწყობა, რომელიც გავლენას ახდენს სტრატეგიული მასშტაბის ოპერაციების და ომის მომზადებაზე. **ს.მ.თ**-ის საზღვრებსა და შემადგენლობას ადგენს სახელმწიფოების (სახელმწიფოების კოალიციის) სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა. მაგალითად, აშშ-სა და ნატოს სამხედრო-პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურებებიდან და გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ამოცანებიდან გამომდინარე, დასავლეთ ევროპის მთელი ტერიტორია დაყვეს სამ სახმელეთო **ს.მ.თ**-ად: ნატოს ჩრდილო-დასავლეთ ევროპული, ცენტრალურევროპული და სამხრეთევროპული. თითოეულ თეატრში მშვიდობის დროს შექმნილია ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების დაჯგუფებები ერთიანი სარდლობით; დაგეგმილია მათი შესაძლო გამოყენება, ჩამოყალიბებულია მართვის, ბაზირების და მომარაგების სისტემები. ისტორიულად დამკვიდრებულ საოკეანო **ს.მ.თ**-ებს წარმოადგენენ ატლანტის, წყნარი, ინდოეთის და ჩრდილო

ყინულოვანი ოკეანეები. შიდა და კონტინენტების მიმდებარე, სამხედრო-გეოგრაფიული თვალსაზრისით გამოცალკევებული ზღვების აკვატორიები მათში განლაგებული კუნძულებით, კონტინენტების სანაპირო ზოლითა და საჰაერო-კოსმოსური სივრცით შეიძლება მთელ რიგ ქვეყნებში ქმნიდეს საზღვაო **ს.მ.თ**-ებს. ტერმინის „საომარი მოქმედების თეატრის“ სინონიმად დასავლურ ლიტერატურაში იხმარება „ომის თეატრის“ ცნება. **ს.მ.თ**-ების შესწავლა და შეფასება შეიარაღებული ძალების და ტერიტორიის დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ის საშუალებას იძლევა, აწარმოონ საომარი მოქმედებები ნებისმიერ რეგიონში.

საომარი მოქმედებების თეატრის მომზადება, ორგანიზაციული, ტექნიკური, საინჟინრო და სხვა ღონისძიებების სისტემა, რომელიც ხორციელდება საომარი მოქმედებების თეატრზე ომში შეიარაღებული ძალების ან მათი ნაწილის ორგანიზებული ჩაბმის უზრუნველსაყოფად და საომარი მოქმედებების წარმატებით ჩასატარებლად. თავდაცვისათვის (ომისათვის) ქვეყნის (ქვეყნების კოალიციის) ტერიტორიის მომზადების საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი. ხორციელდება მშვიდობიანობის და ომის მსვლელობის დროს. ითვალისწინებს გამაგრებული რაიონების შექმნას; სარკინიგზო და საავტომობილო გზების, აეროდრომების ქსლის მშენებლობას და განვითარებას; სამხედრო-საზღვაო ბაზების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ბაზირების პუნქტების შექმნას; სანაპირო არტილერიის, საჰაერო თავდაცვის საშუალებების, სარაკეტო ჯარების, სათვალთვალო საგუშაგოების მართვის პუნქტებისათვის პოზიციების (რაიონების, პუნქტების) მოწყობას; კავშირგაბმულობის, მატერიალური უზრუნველყოფის სისტემის მომზადებას; სანავიგაციო, ჰიდროგრაფიული, მეტეოროლოგიური, ტოპოგეოდეზიური ღონისძიებების ჩატარებას და სხვა. სამხედრო ტექნიკის, ომის წარმოების ხერხების განვითარებამ განაპირობეს ის, რომ **ს.მ.თ.მ**. კიდევ უფრო რთული და შრომატევადი გახდა. იგი მოიცავს არა მარტო ტერიტორიას და აკვატორიებს, არამედ საჰაერო-კოსმოსურ სივრცეს. უკავშირდება მასობრივი დაზიანების იარაღისაგან მოსახლეობის დაცვას.

საომარი მოქმედებების საოკეანო თეატრი, მსოფლიო ოკეანის აკვატორიის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი კუნძულებით, მიმდებარე კონტინენტების ზოლითა და მათ თავზე არსებული საჰაერო-კოსმოსური სივრცით. იქ ბაზირებულია, იშლება, ხოლო ომის დროს აწარმოებენ საომარ მოქმედებას მოწინააღმდეგე მხარეების შეიარაღებული ძალების დაჯგუფებები (სამხედრო-საზღვაო ძალების, შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების გაერთიანებები). ისტორიულად ჩამოყალიბებულად ითვლება სამხედრო მოქმედებების ატლანტის, არქტიკის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების თეატრები. ზოგჯერ ლიტერატურაში ოკეანეთა აკვატორიებს, დიდი მასშტაბის გამო, განაკუთვნებენ არა სამხედრო მოქმედებების თეატრებს, არამედ ომის თეატრებს. **ს.მ.ს.თ**-ის საზღვრებს ადგენს სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობა პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული და საკუთრივ სამხედრო ფაქტორების გათვალისწინებით. **ს.მ.ს.თ**-ის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ოპერატიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რაიონები (ზონები) და ცალკეული მიმართულებები.

საომარი მოქმედებების უზრუნველყოფის გეგმები, საბრძოლო დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ საომარი (საბრძოლო) მოქმედებების უზრუნველყოფის წესს. ამ წესების გაერთიანებით ვღებულობთ ოპერაციის გეგმის შემადგენელ ნაწილს. **ს.მ.უ.გ**-ში აისახება საომარი მოქმედებების ძალები და საშუალებები, მათი გამოყენების ხერხები ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების და მსვლელობის დროს. მუშავდება, ჩვეულებრივ, რუკაზე ახსნა-განმარტებით ბარათთან ერთად. გეგმებს თან ერთვის საცნობარო დოკუმენტები (ცნობები, გაანგარიშებები, სქემები, გრაფიკები და სხვა). თითოეული გეგმის შემუშავების საფუძველია სარდლის (მეთაურის) გადაწყვეტილება ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე და მისი მითითებები უზრუნველყოფის სახეობის თაობაზე, აგრეთვე ზემდგომი შტაბის მითითებები.

საომარი მოქმედებების ფორმები, იხ. *საომარი მოქმედებების თეატრი.*

საომარი მოქმედებების შეწყვეტა, საერთაშორისო სამართალში გულისხმობს მეომარი მხარეების მიერ საბრძოლო ოპერაციების დასრულებას მთელ ფრონტზე ან მის ნაწილში. თან სდევს ცეცხლის შეწყვეტა, მხარეები შეიძლება დარჩნენ ომის მდგომარეობაში. **ს.მ.შ**-ის ძირითად ფორმებს წარმოადგენს საერთო ან კერძო დაზავება და კაპიტულაცია. **ს.მ.შ**-ის სპეციფიკური ფორმაა მეომარი მხარეების მიერ იმ გადაწყვეტილების შესრულება, რომელიც შესაძლებელია მიიღოს გაეროს უშიშროების საბჭომ შეიარაღებული ბრძოლის შეწყვეტის და კონფლიქტის დასარეგულირებლად მოლაპარაკების დაწყების შესახებ.

საომარი ხრიკი (სახმელეთო ჯარებისთვის), მოწინააღმდეგის შეცდომაში შესაყვანი ოპერაციების ერთ-ერთი მეთოდი. იგი ხორციელდება მოწინააღმდეგისათვის ცრუ ინფორმაციის მიწოდების გზით.

საოპერაციო ზონა, საოკეანო (საზღვაო) საომარი მოქმედებების თეატრის ნაწილი, რომელიც სამხედრო მოქმედებების წარმოების

პერიოდში სამხედრო-საზღვაო ძალების გაერთიანებას ენიშნება. **ს.ზ**-ში გაერთიანებები ახორციელებენ ოპერაციებს ან აწარმოებენ სისტემატურ საბრძოლო მოქმედებებს. **ს.ზ**-ის გამოყოფა და მისი ზომები დამოკიდებულია საომარი მოქმედებების თეატრზე არსებულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე, ძალების შეფარდებაზე, საკუთარი ფლოტის ძალების მოქმედებების რადიუსზე, შესასრულებელი ამოცანების ხასიათსა და თეატრის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე.

საოპერაციო მიმართულება, სტრატეგიული მიმართულების ნაწილი, რომელიც მოიცავს ადგილმდებარეობის ზოლს მიმდებარე ზღვების წყლებთან და საჰაერო სივრცესთან ერთად, რომელზეც მნიშვნელოვანი ოპერატიული ობიექტებია განლაგებული. **ს.მ**-ის საზღვრებში განთავსებული არიან, იშლებიან, ხოლო ომის დროს ახორციელებენ ოპერაციებს (აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებებს) შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებები, შენაერთები და ნაწილები.

საოპერაციო ხაზები, სამხედრო კამპანიის დაგეგმვის სფეროში – ხაზები, რომლებიც აერთიანებენ დროსა და სივრცეში სამხედრო სიმძიმის ცენტრისკენ მიმავალ კრიტიკულ წერტილებს.

საოპერაციო ხაზი, XVIII–XX საუკუნეების დასაწყისში სტრატეგიაში მიღებული ჯარების საბრძოლო მოქმედებების (ოპერაციის) ძირითადი იდეის (მიზნის და მიმართულების) აღნიშვნა. ერთ მიმართულებაზე ერთი ობიექტის წინააღმდეგ მოქმედებას ეწოდებოდა მარტივი **ს.ხ**., ხოლო ერთმანეთისგან დაშორებულ მიმართულებებზე რამდენიმე ობიექტის წინააღმდეგ მოქმედებას – რთული **ს.ხ**. იგი მოწინააღმდეგესთან მიმართებაში შეიძლება ყოფილიყო შიდა და გარე. I მსოფლიო ომის შემდეგ ტერმინი „საოპერაციო ხაზი“ აღარ იხმარება.

საორიენტაციო-სასიგნალო საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

საპარაშუტო-სადესანტო ჯარები, ჯარების გვარეობა ფაშისტურ გერმანიაში II მსოფლიო ომის დაწყების წინ და ომის დროს (1943-მდე); სინონიმი ტერმინისა „საჰაერო-სადესანტო ჯარები“. სსრ კავშირში არსებობდა XX საუკუნის 30-იან წლებში.

საპოლიგონო სამსახური, განკუთვნილია სპეციალიზაციის შესაბამისად პოლიგონების უზრუნველყოფის და მომსახურებისათვის.

სარაკეტო ბაზა, იხ. *სამხედრო ბაზა.*

სარაკეტო იარაღი, სხვადასხვა სარაკეტო კომპლექსის ერთობლიობა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მიზნების დასაზიანებლად. იყოფა დამრტყმელ და სპეციალური გამოყენების იარაღად. დამრტყმელი **ს.ი**. ძირითადად განკუთვნილია დარტყმების მისაყენებლად სხვადასხვა სახმელეთო მიზანზე და არის სტრატეგიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური. სტრატეგიული **ს.ი**-ის შეიარაღებაშია საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური და საშუალო სიშორის რაკეტები ბირთვული ქობინებით. აღნიშნული **ს.ი**. შეიარაღებაში აქვთ: აშშ-ისა და საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალებს, დიდ ბრიტანეთში – სამხედრო-საზღვაო ძალებს, რუსეთში – სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებს, სამხედრო-საჰაერო ძალებს (სტრატეგიულ ბომბდამშენებს) და სამხედრო-საზღვაო ფლოტს (სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო წყალქვეშა კრეისერებს). ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ **ს.ი**-ს აქვს რაკეტები ბირთვული და ჩვეულებრივი მუხტით. რუსეთის შეიარაღებულ ძალებში ძირითადად არის სარაკეტო ჯარების, სახმელეთო ჯარების არტილერიის და სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაზე. აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური **ს.ი**., როგორც წესი, შედის საველე არტილერიის შემადგენლობაში.

სარაკეტო კომპლექსი, ფუნქციურად დაკავშირებული ერთი გვარეობის რაკეტებისა და სპეციალური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ მოვლა-შენახვას, გაშვებას და ფრენის მართვას. თავისი დანიშნულებით **ს.კ**-ები არის დამრტყმელი (სტრატეგიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური) და სპეციალური გამოყენების (რაკეტსაწინააღმდეგო, საზენიტო, ხომალდსაწინააღმდეგო, ნავსაწინააღმდეგო, ტანკსაწინააღმდეგო), ხოლო ბაზირების ადგილის მიხედვით – სახმელეთო, საავიაციო და სახომალდო კომპლექსები. **ს.კ**-ების შემადგენლობა და კონსტრუქცია მრავალფეროვანია და დამოკიდებულია მათ დანიშნულებაზე, ორგანიზაციულ კუთვნილებაზე, საბრძოლო გამოყენების პირობებზე და ა.შ. მაგალითად, 16–20 *კგ.* მასის გადასაზიდი ტანკსაწინააღმდეგო **ს.კ**. ძირითადად უმარტივესი გამშვები დანადგარის და მსუბუქი რაკეტისგან შედგება, ხოლო სტრატეგიული სახმელეთო **ს.კ**., მრავალტონიანი რაკეტის და გამშვები დანადგარის გარდა, რომელიც საკმაოდ რთულ და დიდი ზომის ნაგებობას წარმოადგენს, ასევე მოიცავს სამეთაურო პუნქტს, კავშირგაბმულობის სისტემებსა და საშუალებებს, სატრანსპორტო-გადასატვირთ მოწყობილობას, გამართვის, საბრძოლო, მორიგეობის, და ტექნიკური უზრუნველყოფის, ელექტრომომარაგებისა და სხვა საშუალებებს. საავიაციო და სახომალდო კომპლექსებში სხვა სახეობის შეიარაღებისათვის დასაშვებია ერთიანი მოწყობილობის და სისტემების არსებობა. აგრეთვე მუშაობისათვის საავიაციო და საზღვაო ტექნიკური საშუალებების გამოყენება.

სარაკეტო პოზიცია, სტაციონარული ობიექტები ან ნაგებობები, რომლებიც რაკეტების შენახვის, წინასასტარტო მომზადებისა და გაშვებისთვის გამოიყენება.

სარაკეტო წყალქვეშა ნავების განადგურების საზღვაო ოპერაცია, იხ. *საზღვაო ოპერაცია.*

სარაკეტო ჯარები და არტილერია, ზოგიერთი ქვეყნის სახმელეთო ჯარების გვარეობა. დაჯგუფების და არმიის (საკორპუსო) ოპერაციებსა და საერთო-საჯარისო ბრძოლაში მოწინააღმდეგის საცეცხლე და ბირთვული დაზიანების ძირითადი საშუალება. ჩამოყალიბდა 1961 წელს არტილერიასა და სახმელეთო ჯარებში არსებული სარაკეტო ფორმირებების საფუძველზე. თანამედროვე სახმელეთო ჯარებში **ს.ჯ.დ.ა** შეიცავენ ტაქტიკური დანიშნულების სახმელეთო-სარაკეტო კომპლექსებს. ისინი მოიცავენ საშუალო კალიბრის ზალპური ცეცხლის შორსმსროლელი სარაკეტო სისტემის შენაერთებს და ბირთვულ-ტექნიკურ ნაწილებს. შედიან საერთო-საჯარისო გაერთიანების შემადგენლობასა და უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვში. არტილერია მოიცავს შენაერთებს, ნაწილებს და ქვედანაყოფებს, რომლებიც შეიარაღებულია ზოგადი დანიშნულების საარტილერიო იარაღით (ზარბაზნები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები), ზალპური ცეცხლის სარაკეტო სისტემებს, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნებს და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსებს, აგრეთვე საარტილერიო დაზვერვის ნაწილებს და ქვედანაყოფებს; იყოფა საჯარისო და უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის არტილერიებად. ზოგი ქვეყნების სახმელეთო ჯარების სარაკეტო შენაერთები და ნაწილები, ჩვეულებრივ, შედიან უმაღლესი მთავარსარდლობის რეზერვის საველე არტილერიის (ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტებით), მექანიზებული მოტოქვეითი (ქვეითი) და ჯავშანსატანკო დივიზიებისა და საარმიო კორპუსების (ტაქტიკური რაკეტებით) შემადგენლობაში.

სარაკეტო ჯარები, იმ სამხედრო ფორმირებების კრებსითი სახელწოდება, რომელთა შეიარაღების საფუძველს შეადგენს სხვადასხვა დანიშნულების სარაკეტო იარაღი. **ს.ჯ**-ის პირველსახე იყო სარაკეტო ქვედანაყოფები, რომლებიც ცალკეული ქვეყნების არმიებში არსებობდა XVIII–XIX საუკუნეებში. ზოგ ქვეყანაში XIX საუკუნეში იყო დროებითი და მუდმივი სარაკეტო ქვედანაყოფები – სახმელეთო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ძალების არტილერიის შემადგენლობაში შემავალი ასეულები და ბატარეები. **ს.ჯ**-ის შექმნას წინ უძღოდა რეაქტიული არტილერიის გაჩენა. მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში **ს.ჯ**-ს განეკუთვნება: სტრატეგიული დანიშნულების, ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების **ს.ჯ**-ები, საზენიტო-სარაკეტო ჯარები და სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარები.

სარაკეტო-ბირთვული იარაღი, სარაკეტო იარაღი, რომელშიც დაზიანების მთავარ საშუალებას ბირთვული საბრძოლო მასალები წარმოადგენს; აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, რუსეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის ბირთვული იარაღის მთავარი შემადგენელი ნაწილი. იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ, ტაქტიკურ, სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ბაზირების **ს.-ბ.ი**-ად.

სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვა, ძალების და საშუალებების, აგრეთვე ღონისძიებების, საინფორმაციო-სადაზვერვო საბრძოლო მოქმედებების კომპლექსი. ის ხორციელდება სარაკეტო-ბირთვული თავდასხმის შესახებ უმაღლესი სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობის დროული გაფრთხილებით კოსმოსში საბრძოლო მოქმედებების დაწყების გამოვლენის და სტრატეგიულ ობიექტებზე დარტყმების მოგერიების მიზნით; საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის შემადგენელი ნაწილი. **ს.-კ.თ**-ის საფუძველს შეადგენს სარაკეტო თავდასხმის გაფრთხილების სისტემა. იგი მოიცავს ჰორიზონტის ზემოთ რადიოლოკაციის სახმელეთო საშუალებების ქსელს, რომელიც მათი ფრენის ტრაექტორიების პარამეტრებს განსაზღვრავს.

სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის ჯარები, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ჯარების გვარეობა. მათი დანიშნულებაა ბალისტიკური რაკეტების გაშვების აღმოჩენა, მოწინააღმდეგის სარაკეტო თავდასხმის დასაწყისის განსაზღვრა, ამის შესახებ სახელმწიფოს უმაღლეს ორგანოების და ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობის, შეიარაღებული ძალების სახეობების მთავარი შტაბების ინფორმირება. ისინი მოიცავენ სარაკეტო თავდასხმის შესახებ გაფრთხილების, რაკეტსაწინააღდეგო თავდაცვის, კოსმოსური სივრცის კონტროლის და სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის ახალი საშუალებების ამოქმედების ძალებსა და საშუალებებს.

სარაკეტო საწვავის ნეიტრალიზაცია, თხევადი საწვავის აგრესიული და ტოქსიკური კომპონენტების გაუვნებელყოფა. ხორციელდება: ორთქლის ფაზაში – წვის შემდგომ დანადგარებში თერმული დაშლით და სორბენტების შთანთქმით; თხევად ფაზაში – ქიმიურ რეაგენტებთან ურთიერთქმედებით, წვის შემდგომ დანადგარებში დაწვით, გამხსნელების მოქმედებით და შემდგომი დაწვით, მყარი სორბენტების შთანთქმით შემდგომი რეგენერაციით.

სარაკეტო-ტექნიკური ნაწილები (ქვედანაყოფები), სპეციალური სამხედრო ფორმირებები, რომლებიც განკუთვნილია ჯარების (ძალების) სარაკეტო-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. არის შეიარაღებული ძალების

და ჯარების (ძალების) გვარეობებში, რომლებიც აღჭურვილია რაკეტებით და მათი ჩვეულებრივი აღჭურვის საბრძოლო ნაწილებით.

სარაკეტო-ტექნიკური უზრუნველყოფა, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს რაკეტების (რაკეტამატარებლების) და მათი ჩვეულებრივი აღჭურვის საბრძოლო ნაწილების დაგროვებას, ტექნიკურ გამართვას, დაწესებულ დონეზე მზადყოფნას. ასევე რაკეტებით ჯარების (ძალების) მომარაგებას, საბრძოლო გამოყენებისათვის მომზადებას, ექსპლუატაციის ყველა ეტაპზე მოქმედების და უსაფრთხოების საიმედოობას. არის ჯარების ტექნიკური უზრუნველყოფის სახეობა. **ს.-ტ.უ**-ის ღონისძიებებს ახორციელებენ სარაკეტო-ტექნიკური ნაწილები და ქვედანაყოფები.

სარგის I ჯაყელი (გ. 1285), საქართველოს სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე, მეჭურჭლეთ-უხუცესი, სამცხის სპასალარი, 1260–61 წლებში მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების ერთ-ერთი ლიდერი. „უამთააღმწერლის“ თქმით, „კაცი მხნე და შემმართებელი, მრავალ ბრძოლაში გამოცდილი და სახელოვანქმნილი“. მეფე დავით VII ულუმ **ს. I** საქართველოში შემოჭრილი მონღოლების (20 ათ. კაცი, არღუნი) წინააღმდეგ მებრძოლი ქართული ჯარის (8 ათ. კაცი) სარდლად დანიშნა. 1260 წელს მეწინავე რაზმების ბრძოლა ქართველთა სასარგებლოდ დამთავრდა, მაგრამ მთავარი ძალების შეტაკებაში (იხ. *შინდარას ბრძოლა*) გაიმარჯვა არღუნმა. მას ყაენის ერთგული ქართველი ფეოდალები ეხმარებოდნენ. 1261 წელს არღუნი სამცხეში შეიჭრა, მაგრამ ვერ მოახერხა აჯანყებულთა მთავარი საყრდენი პუნქტის – ციხისჯვრის აღება. 1262 წელს **ს. I** ურდოში გაჰყვა დავით VII-ს ჰულაღუ-ყაენთან და დაკითხვის დროს მეფის გადასარჩენად აჯანყების მოწყობა თვითონ დაიბრალა. ყაენმა აპატია ქართველებს აჯანყება, რადგანაც მას ამ დროს ომი ჰქონდა მონღოლთა ულუსთან – ოქროს ურდოსთან. **ს. I** ჰულაღუ-ყაენს გაჰყვა ლაშქრობაში ოქროს-ურდოელთა წინააღმდეგ და ბრძოლაში თავი გამოიჩინა, რის გამოც ყაენმა მას კარნუ-ქალაქი (არზრუმი) უწყალობა. **ს. I**-ის განდიდებით უკმაყოფილო დავით VII-მ დააპატიმრა იგი, მაგრამ ყაენის ბრძანებით მალე გაათავისუფლა. 1266 წელს **ს. I**-ის მფლობელობაში მყოფი ტერიტორია, ტაშისკარიდან არზრუმამდე, უშუალოდ ყაენს დაექვემდებარა. მოუხედავად ამისა, **ს. I**-სა და საქართველოს სამეფო კარს შორის ურთიერთობა მთლიანად არ გაწყვეტილა. **ს**-მა შეინარჩუნა სამცხის სპასალარის წოდება, ხოლო შემდეგ მეჭურჭლეთუხუცესობაც მიიღო.

სარდალი, ზოგიერთ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს დაჯგუფებებს, გაერთიანებებს, ჯარების (ძალების) გვარეობებს ან შეიარაღებული ძალების სახეობებს; ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური, სტრატეგიული მართვის რგოლის სამხედრო თანამდებობა. **ს.** იღებს სრულ და ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული ჯარების (ძალების) მდგომარეობაზე, მათ საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნაზე, მომზადებაზე, მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და სამხედრო დისციპლინაზე, სწორ გამოყენებასა და მათ მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებაზე, ასევე მათ ადმინისტრაციულ-სამეურნეო მოღვაწეობაზე.

სარდლობა, 1. ხელმძღვანელი შემადგენლობის თანამდებობის პირები, რომლებიც სათავეში უდგანან სამხედრო დაწესებულებებს. **ს**-ში შედიან მეთაური, მისი მოადგილეები და შტაბის უფროსი. 2. მმართველობითი პროცესი, საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს ჯარების (ძალების) ხელმძღვანელობა.

სარდლობა და ოპერატიული დაქვემდებარება, მეთაურების (სარდლების) უფლებამოსილება, მოვალეობა და მოღვაწეობა ჯარების სარდლობის და კოორდინაციის სფეროში, ასევე საბრძოლო მოქმედებების წარმოებასთან დაკავშირებული ბრძანებების შესრულებაში.

სარდლობები, ჯარების (ძალების) ორგანიზაციის ფორმა სტრატეგიული და ოპერატიული მასშტაბით. სამხედრო მართვის ორგანოები, რომლებიც აერთიანებენ ჯარების (ძალების) დაჯგუფებებს საომარი მოქმედებების თეატრზე, ზონაში (რეგიონში), სტრატეგიულ (უფრო იშვიათად – საოპერაციო) მიმართულებებზე. იქმნება მუდმივ ან დროებით საფუძველზე. **ს**-ში, რომლებიც სტრატეგიულ ამოცანებს ასრულებენ, შედის რეგიონული **ს**. ისინი მოიცავენ შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობების გაერთიანებებს და შენაერთებს. ოპერატიული **ს**. შედგება შეიარაღებული ძალების ერთი ან რამდენიმე სახეობის შენაერთების და ნაწილებისაგან, ასევე ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების ნაწილებისა და ქვედანაყოფებისაგან. არსებობს აგრეთვე შეიარაღებული ძალების სახეობების (სახმელეთო ჯარების, ავიაციის, ფლოტის) **ს**, რომლებიც შექმნილია ტერიტორიული და ფუნქციური პრინციპის მიხედვით, მაგრამ არ წარმოადგენენ გაერთიანებებს. პირველად **ს**. გაჩნდა დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში 1936 წელს; II მსოფლიო ომის დროს შეიქმნა დიდი ბრიტანეთის და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში. ომის შემდეგ **ს**. ჩამოყალიბდა სხვა, უწინარეს ყოვლისა, ნატოს წევრი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში. თვით ნატოს ფარგლებში შეიქმნა ორი სტრატეგიული (უმაღლესი) სარდლობა ევროპასა და ატლანტიკაში, მათ

დაექვემდებარა მთავარი სარდლობა საომარი მოქმედების თეატრში. ნატოს სახელმწიფოებს შორის **ს**-მა ყველაზე მეტი გავრცელება პოვა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში, სადაც ოპერატიული ორგანიზაციის ხაზით შექმნილია 7 გაერთიანებული და 2 სპეციალური სარდლობა, რომლებიც წყვეტენ სტრატეგიულ (ოპერატიულ) ამოცანებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ინტერესებისათვის. აშშ-ის შეიარაღებული ძალების სახეობებში შექმნილია ძირითადი (საბრძოლო), დამხმარე (უზრუნველყოფის) და სარეზერვო **ს**. დიდ ბრიტანეთში **ს**. არის შეიარაღებული ძალების ყველა სახეობაში, გერმანიაში – სამხედრო-საჰაერო ძალებსა და ტერიტორიულ ჯარებში, საფრანგეთში – სამხედრო-საჰაერო ძალებსა და სამხედრო-საზღვაო ძალებში.

ავიაციის **ს**. სტრატეგიული ან ოპერატიული გაერთიანება ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო და ნატოს ძალებში; სამხედრო-საჰაერო ძალების ამა თუ იმ სახეობის უზრუნველყოფის ნაწილების, დაწესებულებების და სამსახურების ერთობლიობა. მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ავიაციის **ს**. იყოფა საბრძოლოდ (ბირთვულ-სარაკეტო დარტყმების მისაყენებლად, საჰაერო ოპერაციების, ჯარებთან და ფლოტის ძალებთან ერთობლივი საბრძოლო მოქმედების მოსაწყობად) და დამხმარედ (მფრინავების და ტექნიკოსების კადრების მომზადების, ლოგისტიკის უზრუნველყოფის, სარაკეტო და საავიაციო ტექნიკის შემუშავების ხელმძღვანელობისათვის).

აშშ-კანადის ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის გაერთიანებული (კოალიციური) **ს**. (ნორადი), განკუთვნილია სტრატეგიული თავდაცვითი ძალების (რაკეტსაწინააღმდეგო, კოსმოსსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები სახმელეთო ჯარების და სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობიდან) საბრძოლო მოქმედების ხელმძღვანელობისათვის. შედგება აშშ-ის საჰაერო კოსმოსური თავდაცვის, კანადის ძალების და საშუალებების ნაწილის სარდლობებისაგან. ნორადის სარდლობა წარმოადგენს აშშ-ისა და კანადის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სარდლობას.

გაერთიანებული კოსმოსური **ს**., აშშ-ის შეიარაღებული ძალების კოსმოსური ოპერაციების ოპერატიული დაგეგმვისა და მართვის ორგანო. შეიქმნა 1985 წელს სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების კოსმოსური სარდლობების ბაზაზე. გაერთიანებულ კოსმოსურ **ს**-ებს ეკისრება კოსმოსური დოქტრინისა და კოსმოსში საბრძოლო მოქმედების წარმოების ხერხების შემუშავება, ორბიტაზე სამხედრო კოსმოსური სისტემების მართვის ამოცანები. ასევე კოსმოსური სისტემების კვლევის, შემუშავების და წარმოების ხელმძღვანელობა, კოსმოსური სივრცის სამხედრო მიზნით გამოყენების სხვა ამოცანები. გაერთიანებულ კოსმოსურ **ს**-ს ოპერატიულად ექვემდებარება შეიარაღებული ძალების სახეობების კოსმოსური **ს**-ები, რომლებიც უშუალოდ წყვეტენ ამ ამოცანებს თავიანთი სახეობის ფარგლებში.

გაერთიანებული **ს**., სახეობათაშორისი უმაღლესი გაერთიანებები (მართვის ორგანოები) აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში. გაერთიანებული **ს**-ები მოიცავს შეიარაღებული ძალების ორი და მეტი სახეობის გაერთიანებას და შენაერთებს. მისი მთავარსარდლები შტაბების უფროსთა კომიტეტის მეშვეობით ექვემდებარებიან აშშ-ის თავდაცვის მინისტრს. გაერთიანებული **ს**-ების შემადგენლობაში შემავალი გაერთიანებები (შენაერთები) გამოყვანილი არიან შეიარაღებული ძალების სახეობების ოპერატიული დაქვემდებარებიდან.

გაერთიანებული ტაქტიკური საავიაციო **ს**., ნატოს გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალების ოპერატიულ-სტრატეგიული (უმაღლესი ტაქტიკური) გაერთიანება. განკუთვნილია საჰაერო ოპერაციებისთვის, აგრეთვე გაერთიანებულ სახმელეთო ჯარებთან და სამხედრო-საზღვაო ძალებთან ერთობლივი საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის. შედგება ნატოს ქვეყნების მიერ გაერთიანებული სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობისთვის გამოყოფილი და ეროვნული ტაქტიკური ავიაციის სარდლობაში შეყვანილი ტაქტიკური ავიაციის შენაერთებისაგან (ნაწილებისაგან). ცენტრალური ევროპის საომარი მოქმედების თეატრზე ჩამოყალიბებულია II გაერთიანებული ტაქტიკური საავიაციო სარდლობა (დიდი ბრიტანეთი, გერმანია, აშშ, ბელგია, ნიდერლანდი) და IV გაერთიანებული ტაქტიკური საავიაციო სარდლობა (აშშ, კანადა, გერმანია); სამხრეთ ევროპის საომარი მოქმედების თეატრზე – V სარდლობა (აშშ და იტალია) და VI სარდლობა (საბერძნეთი, თურქეთი, აშშ).

დამრტყმელი **ს**., აშშ-ის სახმელეთო ჯარების და შეიარაღებული ძალების ტაქტიკური ავიაციის გაერთიანება, რომელიც განკუთვნილია საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში, ქვეყნის უმაღლესი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით. შეიქმნა 1961 წელს. XX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგს გარდაიქმნა მზადყოფნის ჯარების გაერთიანებულ სარდლობად, რომლის შემადგენლობაშიც მოგვიანებით შევიდა XX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს შექმნილი სწრაფი რეაგირების ძალების სარდლობა.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის **ს**., აშშ-ის სახმელეთო ჯარების (არმიის) ლოგისტიკის ცენტრალური ორგანო. მას ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა სახეო-

ბის შეიარაღებისა და სამხედრო ტექნიკის საშუალებებით სახმელეთო ჯარების უზრუნველყოფაზე. სარდლობა ასევე ტექნიკურ მომსახურებას უწევს ევროპაში განლაგებულ აშშ-ის ჯარებს. იგი მოიცავს სამეცნიერო-კვლევით ცენტრებს, ლაბორატორიებს, პოლიგონებს, სამხედრო ქარხნებსა და სარემონტო სახელოსნოებს, საწყობებს, არსენალებს, რომლებიც გაერთიანებულია 11 სპეციალურ სარდლობაში.

სამხედრო-საზღვაო **ს.**, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციული ორგანო. დაკავებულია ფლოტის ძალების საბრძოლო მომზადების და ბაზირების, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, პირადი შემადგენლობის მომზადების საკითხებით. მასში შედის შტაბი, სანაპირო დაწესებულებები და სამხედრო-საზღვაო ძალების სასწავლო ცენტრები, აგრეთვე ფლოტის რეზერვის მტრალავების დივიზიონი, სამხედრო-საზღვაო ძალების დამხმარე სამსახურის ძალები და საშუალებები, რომლებიც სამ სამხედრო-საზღვაო რაიონს (პორტსმუტის, პლიმუტის, შოტლანდიის) შორის არის განაწილებული.

სამხედრო-სატრანსპორტო საავიაციო **ს.**, აშშ-ის შეიარაღებული ძალების სპეციალური სარდლობა, რომელიც პასუხისმგებელია გლობალური მასშტაბით ჯარების და ტვირთის საჰაერო გადაზიდვებზე, ასევე საომარი მოქმედების თეატრის ფარგლებში – საჰაერო დესანტის გადასროლაზე (გადასხმაზე), დაჭრილების ევაკუაციაზე, მატერიალური საშუალებების მიწოდებაზე, სამაშველო-საძიებო ოპერაციების წარმოებაზე და სხვა. მასში შედის 3 საჰაერო არმია, მეტეოროლოგიური და კინოფოტოგრაფიული სამსახურები და სატრანსპორტო-სამედიცინო ავიაფრთა.

საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის **ს.**, უმაღლესი ოპერატიული ორგანო აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში, რომელსაც ეკისრება აშშ-ის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის ყველა ამოცანა; ჩრდილოეთ ამერიკის საჰაერო- კოსმოსური თავდაცვის გაერთიანებული სარდლობის შემადგენელი ნაწილი. ასრულებს საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის მთელი ძალების მართვის ფუნქციას. სარდლობას ოპერატიულად ექვემდებარება საჰაერო თავდაცვის დივიზია, ბირთვულ-სარაკეტო დარტყმის შესახებ გაფრთხილების, კოსმოსური სივრცის კონტროლის ცალკეული ესკადრილიები, სამმართველოები და დამხმარე ნაწილები. ძალების და საშუალებების ძირითადი დაჯგუფება განლაგებულია კანადის და აშშ-ის ტერიტორიაზე. გაფრთხილებისა და კოსმოსური სივრცის კონტროლის სისტემების ცალკეული საშუალებები განლაგებულია დიდ ბრიტანეთში, გრენლანდიასა და სხვა ქვეყნებში.

სპეციალური **ს.**, აშშ-ის შეიარაღებული ძალების უმაღლესი გაერთიანება, რომელშიც გაერთიანებული სარდლობისაგან განსხვავებით შედის შეიარაღებული ძალების მხოლოდ ერთი სახეობის – სამხედრო-საჰაერო ძალების შენაერთები და ნაწილები. სპეციალურ **ს**-ებს წარმოადგენს სტრატეგიული ავიაციისა და სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის სარდლობა. იქმნება აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით და ექვემდებარება მას თავდაცვის სამინისტროს და შტაბების უფროსთა კომიტეტის მეშვეობით. 1992 წელს სტრატეგიული ავიაციის, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის და ტაქტიკური ავიაციის **ს**-ის ბაზაზე შეიქმნა საბრძოლო-საავიაციო და საჰაერო გადაზიდვების **ს**-ები.

სტრატეგიული საავიაციო **ს.**, სპეციალური **ს.**, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში მნიშვნელოვანი სამხედრო და სამრეწველო ობიექტების, აგრეთვე ჯარების და ფლოტის ძალების საავიაციო მხარდაჭერისთვის, ჰაერში თვითმფრინავების კმაგაწყობის, საჰაერო დაზვერვის წარმოებისათვის. სტრატეგიული საავიაციო **ს**-ები შექმნილია აშშ-ის და საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალებში. აერთიანებენ ეროვნული ბირთვული ძალების ორ კომპონენტს: სახმელეთოს და საჰაეროს. აშშ-ის სტრატეგიულ- საავიაციო **ს**-ებში შედის 2 საჰაერო არმია, ცალკეული (სასწავლო) საჰაერო-კოსმოსური დივიზია და უზრუნველყოფის ნაწილები.

ტაქტიკური საავიაციო **ს.**, რამდენიმე სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალების ტაქტიკური ავიაციის გაერთიანება. ჩვეულებრივ, მოიცავს ტაქტიკური ავიაციის ფორმირებებს, სპეციალური და ლოგისტიკის უზრუნველყოფის შენაერთებს და ნაწილებს. განკუთვნილია ჯარებთან და ფლოტის ძალებთან ერთობლივი საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის.

ტერიტორიული **ს.**, გერმანიის ტერიტორიული ჯარების მართვის სისტემის მთავარი რგოლი. 1969 წელს ჩამოყალიბდა სამი ტერიტორიული სარდლობა: „ჩრდილოეთი“, „სამხრეთი“ და „შლეზვიგ-ჰოლშტაინის“ მხარისა, რომლებიც ექვემდებარება ბუნდესვერის სახმელეთო ჯარების ინსპექტორს (სარდალს). ტერიტორიული **ს**-ების პასუხისმგებლობის ზონა მოიცავს 1–3 სამხედრო ოლქის ტერიტორიას და შეესაბამება ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ოპერატიული სარდლობის საოპერაციო ზონას ევროპის ჩრდილო-დასავლეთ და ცენტრალურ საომარი მოქმედებების თეატრებზე. მშვიდობიანობის დროს ტერიტორიული **ს**-ები ახორციელებენ ტერიტორიული ჯარების ზოგად ხელმძღვანელობას და მათ მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. ომიანობის დროს – ტერი-

ტორიული ჯარების მობილიზაციას, სახმელეთო ჯარების ლოგისტიკის უზრუნველყოფას, სამხედრო ობიექტების დაცვას ზურგში და კომუნიკაციების აღდგენას, სამოქალაქო თავდაცვის ღონისძიებებს და სხვა.

სარდლობის ინტეგრირებული სტრუქტურა, სარდლობის სტრუქტურა, დაკომპლექტებული სამხედრო და სამოქალაქო პერსონალით, ნატოს ამოცანების და მოთხოვნების შესასრულებლად. შედგება ორი უმაღლესი სტრატეგიული სარდლობისგან: ატლანტიკაზე და ევროპაში. ატლანტიკაზე სტრატეგიული სარდლობის დაქვემდებარებაშია სამი რეგიონული სარდლობა, ხოლო ევროპაში სტრატეგიული სარდლობის დაქვემდებარებაში – ორი რეგიონული სარდლობა. შემდგომში სტრუქტურა იყოფა კომპონენტებად და სახეობათაშორის სუბრეგიონულ სარდლობებად. რეგიონული კანადურ-ამერიკული დაგეგმვის ჯგუფი **ს.ი.ს**-ის ნაწილია.

სარეზერვო არმია, იხ. *არმია.*

სარეზერვო ფლოტი, კრებითი სახელწოდება მოძველებული საბრძოლო და დამხმარე ხომალდებისა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია საგანგებო ვითარების პირობებში ან ომის დროს. **ს.ფ**-ის ხომალდების და გემების ნაწილი გამოიყენება სასწავლო მიზნებით, დანარჩენი კი კონსერვაციაშია.

სარეზერვო ჯარები, 1. ჯარები, რომლებიც მშვიდობიანობის დროს იქმნება და ომის დროს გამოიყენება შეიარაღებული ძალების სწრაფი მობილიზაციისათვის. ზოგიერთი ქვეყნის არმიაში მათ ძირითად კომპონენტებს განეკუთვნება: ეროვნული გვარდია, შეიარაღებული ძალების სახეობების რეზერვები, სასაზღვრო და სანაპირო დაცვის ჯარები (ძალები), აგრეთვე უსაფრთხოების ძალები, ჟანდარმერია და ზოგიერთი ნახევრად სამხედრო ფორმირება. კომპლექტდება პირადი შემადგენლობით, რომელსაც მოხდილი აქვს სამხედრო სამსახური ან გავლილი აქვს შესაბამისი სამხედრო სწავლება. **ს.ჯ**-ის ორგანიზაცია, როგორც წესი, რეგულარული ჯარების ორგანიზაციის ანალოგიურია. მშვიდობიანობის დროს **ს.ჯ**. გამოიყენება საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად, სტიქიურ უბედურებათა შედეგების სალიკვიდაციოდ და სხვა; 2. ავსტრია-უნგრეთის, რუსეთის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოების ჯარების კატეგორია XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დამდეგს. განკუთვნილი იყო ციხესიმაგრეებში და ქვეყნის შიგნით საგარნიზონო სამსახურისთვის, კომუნიკაციების დაცვისა და მოქმედი არმიის შევსებისათვის.

სარკინიგზო არტილერია, სპეციალურ სარკინიგზო პლატფორმაზე დაყენებული ქვემეხები. პლატფორმები წარმოადგენენ როგორც სატრანსპორტო საშუალებას, ასევე საბრძოლო დაზგას სროლის დროს. განკუთვნილია სახმელეთო ძალების მხარდაჭერისთვის, ხომალდებისგან და დესანტებისგან სანაპიროს დაცვისა და სხვა ამოცანების შესასრულებლად რკინიგზასთან ახლოს განლაგებულ რაიონებში. შესაძლებელია იყოს ღია ან დაჯავშნული (ჯავშანმატარებლებში). **ს.ა**-ში იყენებენ ქვემეხებს და ჰაუბიცებს 130–520 *მმ კალიბრის* ფარგლებში.

სარკინიგზო (წყალსანაოსნო) უბანი, რკინიგზის (წყალსანაოსნო გზის) ნაწილი მიმდებარე ადგილმდებარეობით (სანაპიროთი), რომელიც შემოფარგლულია საუბნო პორტებით ან საუბნო და დასახარისხებელი სადგურებით. გამოიყენება სხვადასხვა ტვირთის, სამხედრო ეშელონებისა და ტრანსპორტის ჩასატვირთად (გადმოსატვირთად). ხასიათდება მთავარი გზის სიგრძით, რაოდენობით (გემის სვლაგეზის სიღრმით და სიგანით), გამტარი, გადამზიდავი, დასატვირთი (გადმოსატვირთი, გადასატვირთი) შესაძლებლობებით და სხვა.

სარკინიგზო ჯარები, სპეციალური ჯარები, რომლებიც განკუთვნილია სამხედრო გადაზიდვებისთვის, რკინიგზების აღდგენის, მშენებლობის, ექსპლუატაციისა და ტექნიკური უზრუნველყოფისათვის. ორგანიზაციულად შედგება სპეციალური ნაწილების შენაერთების და სხვადასხვა სპეციალიზებული ნაწილებისაგან. **ს.ჯ**-ის ხელმძღვანელობას ახორციელებს სარდლობა სარკინიგზო ჯარების შტაბის მეშვეობით.

სარჩა, ისრის ერთ-ერთი სახეობა. იხ. *ისარი.*

სასაზღვრო გამაგრებული ხაზები, თავდაცვითი საფორტიფიკაციო ნაგებობების სისტემა, რომელიც შექმნილია სახელმწიფო საზღვრების და სასაზღვრო რაიონების დასაცავად. ცნობილია უძველესი დროიდან (ძველი ეგვიპტე, ძველი ჩინეთი, ძველი რომი). XV–XVII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში შეიქმნა საზღვრის დაფარვის სიმაგრეთა სისტემა, რომელმაც I მსოფლიო ომამდე იარსება, შემდეგ კი იგი შეცვალა გამაგრებული რაიონების, გამაგრებული ხაზების სისტემამ.

სასაზღვრო განაწესი, ერთი ან რამდენიმე შეიარაღებული მესაზღვრე, რომელიც სახელმწიფო საზღვრის დაცვის ბრძანებას ასრულებს. მთელ რიგ ქვეყნებში **ს.ბ**-ის სამსახური წარმოადგენს საბრძოლო ამოცანის შესრულებას და შეადგენს სასაზღვრო საგუშაგოზე სახელმწიფო საზღვრის დაცვის საფუძველს. **ს.ბ**-ის სახეობებია: მზირები, გუშაგები, სათვალთვალო, საკონტროლო საგუშაგოები, საფრენი და სხვა.

სასაზღვრო ზოლი, სახელმწიფოს საზღვრის ხაზის მიმდებარე ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს შემოსვლის, დროებითი ბინადრობის, გადაადგილების და სამუშაოთა წარმოების განსაკუთრებული რეჟიმი.

სასაზღვრო ზონა, სახელმწიფოს საზღვრის მიმდებარე ქვეყნის ტერიტორია, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს სასაზღვრო რეჟიმი. მონიშნულია გამაფრთხილებელი ნიშნებით. ცალკეული მონაკვეთები სასაზღვრო ზონის ფარგლებში შეიძლება არ იყოს მონიშნული.

სასაზღვრო ინციდენტი, უშუალოდ სახელმწიფო საზღვარზე ან საზღვრისპირა ზონაში პირთა ჯგუფის, ან რამდენიმე მესაზღვრის შეიარაღებული შეტაკება სამხედრო ტექნიკის შესაძლო გამოყენებით (ან გამოუყენებლად). **ს.ი**. შეიძლება იყოს წინასწარ განზრახული ან წარმოადგენდეს სამხედრო ინციდენტის ნაირსახეობას.

სასაზღვრო კონტროლი, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო საზღვრის და სასაზღვრო ზონის რეჟიმის უზრუნველყოფასთან. ხორციელდება ქვეყნის შიდა კანონმდებლობის და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად.

სასაზღვრო კონფლიქტი, მომიჯნავე ქვეყნების სამოქალაქო პირების ან სასაზღვრო ფორმირებების შეტაკება სახელმწიფო საზღვარზე. ზოგ შემთხვევაში ატარებს შეიარაღებულ ხასიათს და გადაიზრდება სამხედრო შეტაკებებში. **ს.კ**-ის მოგვარება ხდება სასაზღვრო წარმომადგენლების მეშვეობით ან დიპლომატიური გზით.

სასაზღვრო მდინარე, მიედინება ორი ან რამდენიმე ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის მთელ სიგრძეზე, ან მნიშვნელოვან მონაკვეთზე. ასეთ მდინარეზე სახელმწიფო საზღვარი წესდება მეზობელ სახელმწიფოთა შორის მიღწეული შეთანხმებით: სანაოსნო მდინარეებზე ტალვეგის (მაქსიმალური სიღრმის ხაზის) მიხედვით ან მთავარი ფარვატერის შუაში, არასანაოსნოზე – შუა მდინარეზე. საზღვრის რეჟიმი განისაზღვრება მომიჯნავე სახელმწიფოების შეთანხმებით და მათი შიდა კანონმდებლობით. სახელმწიფოს ტერიტორიაზე გამავალი **ს.მ**-ის ნაწილი შედის მისი შიდა წყლების სისტემაში. **ს.მ**-ის ტიპური მაგალითია ჭოროხი.

სასაზღვრო ნიშნები, სპეციალური ნაგებობები, რომლებიც შექმნილია ადგილზე სახელმწიფო საზღვრის აღსანიშნავად. შეიცავენ: სასაზღვრო ბოძებს, მიწის და ქვის ყორეებს, ბეტონის პირამიდებს, ყორღანებს, ტივტივებს, წყლის ნიშანსვეტებს და სხვა. შეიძლება იყოს დაწყვილებული, ცალკეული, დამატებითი (შუალედური), გარდამავალი. სამი სახელმწიფოს სახელმწიფო საზღვრის შესაყარზე აყენებენ სპეციალურ **ს.ნ**-ს. მისი აღწერილობა და დაყენების წესი განისაღვრება საერთაშორისო ხელშეკრულებით და მთავრობის გადაწყვეტილებით.

სასაზღვრო რაზმი (ოპერატიულ-საბძროლო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამხედრო ნაწილი), მთელი რიგი ქვეყნების სასაზღვრო ჯარების ძირითადი შენაერთი, განკუთვნილია სახელმწიფო საზღვრის გარკვეული მონაკვეთის დასაცავად. შედგება სასაზღვრო კომენდატურების, საგუშაგოების, საკონტროლო-გამშვები პუნქტების, ოპერატიული ორგანოს, საინჟინრო, კავშირგაბმულობის, ტექნიკური და ლოგისტიკის ქვედანაყოფებისაგან; **ს.რ**-ში შეიძლება შედიოდეს მოტოსამანევრო ჯგუფები, სადესანტო-მოიერიშე, საარტილერიო და სხვა ქვედანაყოფები, ზოგჯერ მიაკუთვნებენ ვერტმფრენებს და სადარაჯო ხომალდებს (კატარღებს).

სასაზღვრო რაიონი, გარკვეული ნიშნების მიხედვით გამოყოფილი ტერიტორია (აკვატორია), რომელიც ეკვრის სახელმწიფო საზღვარს და მოიცავს სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთს, საჰაერო სივრცეს და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რაიონს (ქალაქი, სოფელი, დაბა). **ს.რ**. შეიძლება შედიოდეს სასაზღვრო ზონის შემადგენლობაში.

სასაზღვრო რეჟიმი, იმ შემზღუდავი ღონისძიებების, წესების, ნორმების და ზომების სისტემა, რომელიც ემსახურება უშუალოდ სახელმწიფო საზღვრის დაცვისათვის საჭირო პირობების შექმნას. მოიცავს სასაზღვრო ზონის და ტერიტორიული წყლების რეჟიმს, მათ შორის გარკვეული პირების და სატრანსპორტო საშუალებების შესვლის, დროებითი ყოფნის, გადაადგილების, სამეურნეო-სარეწაო და სხვა საქმიანობის წესებს.

სასაზღვრო საგუშაგო, ზოგიერთ ქვეყანაში სასაზღვრო ჯარების ძირითადი ქვედანაყოფი, რომელიც განკუთვნილია გარკვეულ უბანზე სახელმწიფო საზღვრის უშუალო დაცვისათვის. ჩვეულებრივ, შედგება: მსროლელთა, რადიოსალოკაციო-საპროჟექტორო, სამსახურებრივი ძაღლების, კავშირგაბმულობის და უზრუნველყოფის რამდენიმე ათეულისაგან. შედის სასაზღვრო რაზმის, კომენდატურის ან მოტოსამანევრო ჯგუფის შემადგენლობაში.

სასაზღვრო წარმომადგენლები, მომიჯნავე სახელმწიფოების კომისრები, რწმუნებულები, წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფო საზღვრის განსაზღვრულ მონაკვეთებზე ასრულებენ ორმხრივ ფუნქციებს. იღებენ გადაწყვეტილებას სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვასთან და სასაზღვრო კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებულ საკითხებში. **ს.წ**. და მათი სამსახურებრივი დოკუმენტები ხელშეუხებლობის უფლებით სარგებლობენ.

სასაზღვრო ჯარები, სასაზღვრო დაცვა, სასაზღვრო საგუშაგოების სისტემა, რომელიც განკუთვნილია სახელმწიფო საზღვრის დასაცავად ხმელეთზე, ზღვაში, მდინარეებზე, ტბებზე და სხვა წყალსატევებზე. გაჩნდა ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნის ეპოქაში.

სასანგრე ტანკი, მრავალფუნქციური დაჯავშნული მანქანა საინჟინრო სამუშაოების საწარ-

მოებლად მოწინააღმდეგის საცეცხლე ზემოქმედების ზონაში. გამოიყენება არაფეთქებადი და ფეთქებადი დაბრკოლებების გადასალახავად და მოსაწყობად, საკოლონე გზების გასაყვანად, მიწის სამუშაოების, ტვირთის აწევის და სხვა სამუშაოების შესასრულებლად. ჩვეულებრივ წარმოადგენს ტანკის შასის, მასზე დამონტაჟებული მუშა მოწყობილობით (ბულდოზერი, ნაღმების დანისებრი ტრალი, ამწე და საბურღი მოწყობილობა, დანაღმულ ველებში გასასვლელების გასაყვანი და დისტანციური დანაღმვის მოწყობილობები, ისარი ჩვეულებრივი, მრავალმიზნობრივი ჩატვირთვის ჩამჩით, ჰიდროჩაქუჩი, შესადუღებელ-საჭრელი საშუალებები და სხვა). შეიარაღებაზეა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აშშ-ის, გერმანიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების არმიებში.

სასანიანები, სამეფო დინასტია III–VII საუკუნეების ირანში. თავდპირველად განაგებდნენ სპარსელებით დასახლებულ პროვინციას ფარსას სამხრეთით ირანში და *პართიის სამეფოს* ვასალები იყვნენ. 224 წელს **ს**-მა დაამხეს პართიის სამეფო დინასტია და ხელთ იგდეს მისი სამფლობელოები. 226 წელს მიიღეს ირანის და არა-ირანის მეფეთმეფის (შაჰინშაჰის) ტიტული. სასანიანთა სახელმწიფო (სასანური ირანი) მოიცავდა ტერიტორიებს კავკასიიდან ინდოეთამდე და ევფრატიდან ამუდარიამდე. იგი წარმოადგენდა რომისა და *ბიზანტიის* იმპერიების სერიოზულ მეტოქეს აღმოსავლეთში (იხ. *ირან-ბიზანტიის ომები VI–VII საუკუნეებში*). **ს**. ეომებოდნენ აგრეთვე ცენტრალური (შუა) აზიის მომთაბარე ტომებს და კავკასიის ხალხებს. ხანგრძლივმა ომებმა შეამცირეს სახელმწიფო რესურსები, გადასახადების ზრდამ კი ირანში სოციალური ფონი დაამძიმა. შექმნილი ვითარებით ისარგებლეს არაბებმა და 651 წელს სასანიანთა სახელმწიფოს ბოლო მიუღეს.

სასიგნალო საშუალებები, მოკლე კომანდების, შეტყობინებების და გადაცემის სხვა მხედველობითი და ხმოვანი კავშირის **ს.ს**. მხედველობითი **ს.ს**. შეიძლება იყოს საგნობრივი (სასიგნალო დროშები, ფიგურები, სემაფორი), შუქური (სასიგნალო ფარნები, პროჟექტორები და სასიგნალო შუქი) და პიროტექნიკა (სასიგნალო და გამანათებელ-სასიგნალო ვაზნები, საზღვაო-სასიგნალო მაშხალები). ხმოვანი **ს.ს.** – სირენები, მეგაფონები, საყვირები და სხვა. სიგნალების გადაცემა შესაძლებელია რადიოთი და სადენიანი კავშირით.

სასიგნალო შუქი, სხვადასხვა სიკაშკაშის და ფერის შუქსიგნალები, რომლებიც გადაიცემა კავშირგაბმულობის და სიგნალიზაციის შუქური საშუალებებით მუდმივ ან დისკრეტულ რეჟიმში. იგი განკუთვნილია სხვადასხვა ინფორმაციის გადასაცემად ხომალდების, თვითმფრინავების და სხვა ობიექტების ცურვის და მანევრირების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. **ს.შ**-ს აყენებენ საბრძოლო და სატრანსპორტო მანქანებზე (გაბარიტული, მუხრუჭსიგნალები), ასევე ყველა მაღლივ შენობაზე, სატელევიზიო და სატრანსლაციო კოშკებზე, ანძებსა და კოსმოსურ ხომალდებზე.

სასიკვდილო მოქმედება, ცოცხალ ორგანიზმზე ტყვიის, საარტილერიო ჭურვის (ნაღმის, გრანატის, ბომბის) ნამსხვრევის დამაზიანებელი მოქმედება. დამოკიდებულია ცოცხალ მიზანთან მათი შეხვედრის სიჩქარეზე, მასაზე და ფორმაზე. ადამიანის დაზიანებისთვის ტყვიას უნდა ჰქონდეს ენერგია არანაკლებ 78,5 *ჯ*-ისა (დაახლოებით 220 *მ/წმ* სიჩქარე 5,45-*მმ.* ავტომატის ტყვიისთვის), 4 *გ.* მასის ნამსხვრევისთვის – არანაკლებ 98 *ჯ.*

სასროლი იარაღი, ლულიანი იარაღი 20 *მმ*-მდე კალიბრით, ტყვიებით, საფანტით, ისრისებრი ელემენტებით სროლისათვის. უმეტეს შემთხვევაში არის ცეცხლსასროლი იარაღი. პნევმატური იარაღი ძალზე შეზღუდულად გამოიყენება (ძირითადად სავარჯიშო და სპორტული სროლებისთვის). არის სხვა სახის **ს.ი**. – მექანიკური, ელექტრო და რეაქტიული, რომლებმაც ფართო გამოყენება ვერ პოვეს. ასევე საბრძოლო, სამსახურის, სპორტული და სამოქალაქო; საერთო დანიშნულების და სპეციალური (საავიაციო, სახომალდო, საზენიტო, სატანკო, წყალქვეშა, უხმაურო და სხვა); მცირე (6,5 *მმ*-მდე), საშუალო (6,5–9 *მმ*) და მსხვილი (9 *მმ*-ზე მეტი) კალიბრის; შაშხანები, კარაბინები, რევოლვერები, ტყვიამფრქვევები, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები და ავტომატები; ერთ, ორ და მრავალლულიანი; გლუვლულიანი და კუთხვილიანი; პირადი, ინდივიდუალური და ჯგუფური; არაავტომატური (ერთდატენიანი და ვაზნისკოლოფიანი), თვითდამტენი და ავტომატური. **ს.ი**-ის უმრავლესობისთვის დამახასიათებელი ნაწილებია: ლულა, საკეტი, სასხლეტი მექანიზმი, ვაზნის კოლოფი, სამიზნე, კონდახი და/ან სახელური. **ს.ი**-ში გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულების ვაზნები. ხელის ცეცხლსასროლი იარაღი გაჩნდა XII–XIII საუკუნეებში. მისი განვითარების ძირითადი ეტაპებია: პატრუქიანი (XV საუკუნე) და კაჟიანი (XVI საუკუნე) საკეტის; ხიშტიანი (XVII საუკუნე), ლითონის კაფსულიანი (1818), შემდეგ კი კაფსულიანი იარაღი ქაღალდის ვაზნით (1840); ლითონის ვაზნით (XIX საუკუნის 60-იანი წლები) ერთდატენიანი, შემდეგ კი ვაზნისკოლოფიანი; უკვამლო დენთით (XIX საუკუნის 80-იანი წლები); თვითდამტენი და ავტომატური იარაღი (XIX საუკუნის ბოლო – XX საუკუნის დასაწყისი).

სასტარტო კომპლექსი, კოსმოდრომის შემადგენელი ნაწილი, რომელიც განლაგებულია სასტარტო პოზიციაზე. შეიცავს ტექნოლოგიურ მოწყობილობას ტექნიკურ საშუალებებ-

თან ერთად და ნაგებობებს. უზრუნველყოფს რაკეტამატარებლის მიტანას კოსმოსურ აპარატთან ერთად ტექნიკური პოზიციიდან სასტარტო რაკეტის დადგმას გამშვებ დანადგარზე, მის გამართვას საწვავით და გაზით, გაშვების მოსამზადებელი ოპერაციების შესრულებას და რაკეტის გაშვებას. აქვს ერთი ან რამდენიმე გამშვები დანადგარი.

სასტარტო პოზიცია, მონაკვეთი, რომელზეც განლაგებულია ერთი ან რამდენიმე გამშვები დანადგარი მოწყობილობა და სპეციალური ნაგებობები. განკუთვნილია გამშვები დანადგარის და ქვედანაყოფის გაშლისთვის, რაკეტების საბრძოლო მზადყოფნის გარკვეულ დონეზე შენარჩუნების და ტექნიკური მომსახურებისათვის, სტარტისწინა მომზადების, გაშვებისა და საბრძოლო მორიგეობისათვის. **ს.პ.** შეიძლება იყოს ძირითადი, სათადარიგო და დროებითი; დაცულობის ხარისხის მიხედვით – ღია, დაფარული და დახურული (სატრანშეო, საშახტო და ანგარული); ერთეული და ჯგუფური.

სასურველი ნულოვანი წერტილი, დედამიწის ზედაპირზე ან მისგან ვერტიკალურად ზევით, ან ქვევით მდებარე წერტილი, რომელიც წარმოადგენს დაგეგმილი ბირთვული აფეთქების ცენტრს.

სასურსათო უზრუნველყოფა, ზოგიერთი ქვეყნის არმიაში სასურსათო სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ჯარებს (ძალებს) სურსათით, ფურაჟით, სასურსათო სამსახურის ტექნიკით და ქონებით. ასევე – დაწესებული ნორმებით პირადი შემადგენლობის კვების ორგანიზაციას.

სასწავლო იარაღი, სპეციალურად დამზადებული ან საბრძოლო გამოყენებისთვის გამოუსადეგარი საშტატო იარაღი, განკუთვნილი სასწავლო მიზნებისთვის. **ს.ი.** შეიძლება იყოს გაჭრილი და გაუჭრელი. სასროლი იარაღიდან, ყუმბარმტყორცნიდან და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსიდან სროლის ილეთების შესასწავლად, გავრცელდა სასწავლო-მოქმედი იარაღი სროლისა და დაზიანების ლაზერული იმიტატორებით.

სასწავლო ცენტრი, სამხედრო ნაწილი სასწავლო ობიექტების კომპლექსით. მისი დანიშნულებაა ჯარების რამდენიმე სახეობის ქვედანაყოფების და ნაწილების პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ამოცანების პრაქტიკული დამუშავების და საველე წვრთნის დონის ამაღლება. **ს.ც**-ებს, დანიშნულებიდან გამომდინარე, აქვთ სასწავლო მინდვრები და ქალაქები, პოლიგონები, სასროლეთი, ტანკოდრომები და ავტოდრომები, აეროდრომები, სასწავლი-საკომანდო პუნქტები და სხვა ობიექტები. აქვთ ადმინისტრაციული შენობები სასწავლო ქვედანაყოფებისთვის, აგრეთვე პარკები, საწყობები, სახელოსნოები და სხვა. **ს.ც.** კუთვნილების მიხედვით არის შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობების, გაერთიანების, შენაერთების და ნაწილების.

სასწავლო-მატერიალური ბაზა, ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების მართვის ორგანოებია და ლოგისტიკის პირადი შემადგენლობის სწავლებისა და აღზრდისათვის გამოყენებული მატერიალური და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა. **ს.-მ.ბ.** იქმნება და ვითარდება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის საბრძოლო მომზადების მოთხოვნათა შესაბამისად.

სასწრაფო საავიაციო მხარდაჭერა, ბრძოლის დროს წარმოქმნილი განსაკუთრებული საავიაციო ამოცანის შესრულება, რომელიც გაუთვალისწინებელი გარემოების გამო ვერ იქნებოდა წინასწარ დაგეგმილი.

სატაბელო ბირთვული საბრძოლო კომპლექტი, ბირთვული იარაღის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია ამ იარაღის გამომყენებელი სამხედრო ფორმირებისთვის. საბრძოლო კომპლექტის შევსებაზე გადაწყვეტილებას იღებს სარდლობა და დამოკიდებულია ტაქტიკურ ვითარებაზე, ბირთვულ, ლოგისტიკურ უზრუნველყოფაზე, აგრეთვე ნაწილში არსებული ბირთვული საბრძოლო კომპლექტის გადატანისა და გამოყენების საშუალებებზე. საბრძოლო კომპლექტის შემადგენლობა ნაწილების და ქვედანაყოფებისთვის შეიძლება ყოველდღიურად იცვლებოდეს.

სატანკო ბრძოლა, იხ. *ბრძოლა.*

სატანკო იერიში, იხ. *იერიში.*

სატანკო კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

სატანკო ჯარები, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების გვარეობა, რომლის დანიშნულებაა საბრძოლო მოქმედების წარმოება დამოუკიდებლად, ასევე ჯარების სხვა გვარეობებთან და სპეციალურ ჯარებთან ურთიერთქმედებით. **ს.ჯ**-ის შეიარაღებას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის ტანკები. მრავალი ქვეყნის (აშშ, დიდი ბრიტანეთი და სხვა) ჯარების ანალოგიურ გვარეობას ეწოდება ჯავშანსატანკო ჯარები. ორგანიზაციულად **ს.ჯ**-ები შედგება სატანკო (ჯავშანსატანკო) შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფებისგან; მათ შემადგენლობაში სატანკოს (ჯავშანსატანკოს) გარდა შედის ქვეითი (მექანიზებული და სხვა), სარაკეტო, საარტილერიო, საზენიტო არტილერიის, საზენიტო-სარაკეტო, სპეციალური ჯარების და ლოგისტიკის ნაწილები და ქვედანაყოფები. სატანკო ნაწილები შედიან ასევე ქვეითი ჯარების და საზღვაო ფეხოსნების შემადგენლობაში. **ს.ჯ.** წარმოადგენენ სახმელეთო ჯარების ძირითად დამრტყმელ ძალას. გამოიყენება უმთავრესად ძირითად მიმართულებებზე მოწინააღმდეგისთვის მძლავრი და ღრმა დარტყმების მი-

საყენებლად. აქვთ რა დიდი საცეცხლე სიმძლავრე, საიმედო დაცვა, მაღალი მოძრავუნარიანობა და მანევრის უნარი, შეუძლიათ შედარებით სრულად გამოიყენონ ბირთვული და საცეცხლე დარტყმების შედეგები, მოკლე დროში მიაღწიონ ბრძოლის და ოპერაციის საბოლოო მიზნებს. სატანკო შენაერთების და ნაწილების საბრძოლო შესაძლებლობები მათ აძლევს საშუალებას აწარმოონ აქტიური შეტევითი მოქმედებები დღისით და ღამით, სხვა ჯარებისგან მოწყვეტით, გაანადგურონ მოწინააღმდეგის დაჯგუფებები შემხვედრ ბრძოლებში და ბატალიებში, შეუჩერებლად გადალახონ რადიოაქტიური დასნებოვნების ზონები და წყლის დაბრკოლებები. მათ, ასევე შეუძლიათ სწრაფად შექმნან მყარი თავდაცვა და წარმატებით აღუდგნენ წინ მოწინააღმდეგის ჭარბი ძალების შემოტევას.

სატევარი, ყ ე ლ ე, ხ ა ნ ჯ ა ლ ი, ყ ა მ ა, ახლო მანძილზე საბრძოლო და სანადირო ცივი იარაღი. ძველთაგანვე გავრცელებული იყო აღმოსავლეთის ქვეყნებში. **ს**. ორფხიანი, წვეტიანი, ბრტყელი, ღარიანი მოკლე მახვილია.

სატელეგრაფო კავშირი, კავშირგაბმულობის არხებით ასოებით და რიცხვებით შეტყობინების (დეპეშის) გადაცემა და მიღება მიღების პუნქტში მათი სავალდებულო რეგისტრაციით. ელექტრული კავშირის სახე. განასხვავებენ საბეჭდ და სასმენ **ს.კ**-ს, რომლითაც ოპერატიულად გადასცემენ ინფორმაციას. ხასიათდება საიმედოობით, გადაცემის დიდი სიჩქარით, გადასაცემი ინფორმაციის ფარულობით და ჭეშმარიტობით.

სატრანსპორტო კოსმოსური ხომალდი, იხ. *კოსმოსური სატრანსპორტო ხომალდი.*

სატრანშეო მანქანა, ჯარების საფორტიფიკაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მიწის სათხრელი მანქანა. **ს.მ**-ით ხდება ტრანშეების და სანგარ-სავალების გათხრა სწორი და მრუდხაზოვანი მოხაზულობის სხვადასხვა გრუნტში. ბრუსტვერში ტრანშეის ორივე მხარეს გრუნტის დაყრით. შედგება მუხლუხა ან თვლიანი მანქანისა და მოწყობილობისგან – როტორული ტიპის სამუშაო ორგანოსაგან ტრანსმისიით და ასაწევ-დასაწევი მექანიზმებით, დამცავი მოწყობილობისა და ბულდოზერული მოწყობილობისაგან დამხმარე სამუშაოებისათვის.

სატყორცნი იარაღი, იარაღის სახეობა, რომელშიც დაზიანების საშუალების სატყორცნელად გამოიყენება ადამიანის კუნთის ძალა. იგი მათზე უშუალოდ ან წინასწარ დაგრეხილი, გაჭიმული დრეკადი ელემენტების მეშვეობით ზემოქმედებს. განასხვავებენ ხელით სატყორცნ იარაღს (სატყორცნ შუბს, სულიცას და სხვა) და სატყორცნ მანქანებს (ბალისტა, კატაპულტა, ფრონდიბოლა). მრავალი მათგანი უხსოვარი დროიდან არის ცნობილი.

ს.ი. თანდათან ცეცხლსასროლმა იარაღმა შეცვალა.

საუდის არაბეთი (Saudi Arabia – საუდის არაბეთის სამეფო), სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, სამხრეთ-დასავლეთ აზიაში. სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება სპარსეთის ყურე, სამხრეთ-დასავლეთით –წითელი ზღვა. ფართობი 2,24 მლნ. *კმ²*. მოსახლეობა – 27,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ელ-რიადი. ადმინისტრაციულად იყოფა 4 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია მეფე, რომელსაც აქვს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასულიერო ძალაუფლება. სათათბირო ორგანო – საკონსულტაციო საბჭო. თანამედროვე საზღვრებში **ს.ა**. არსებობს 1926 წლიდან. 1932 წელს გამეფდა აბდელ აზიზ ას-საუდი. **ს.ა** ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მოწინავე ადგილი უკავია ნავთობის მოპოვების მხრივ, ფლობს მსოფლიო მარაგის 25%-ს. მრეწველობის წამყვანი დარგებია: ნავთობდამუშავება და ნავთობქიმია. სოფლის მეურნეობა თითქმის მთლიანად აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას. განვითარებულია რელიგიური ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტებია: ჯიდა, ჯიზანი (დასავლეთით), რას-ტანურა, დამამი (აღმოსავლეთით). საერთაშორისო აეროპორტებია: ელ-რიადი, ჯიდა, დაჰრანი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 233,5 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 75 ათ., სამხედრო-საჰაერო 36 ათ. და სამხედრო-საზღვაო 13,5 ათ.. მათ შორის 100 ათ. – ეროვნული გვარდია და სანაპიროს დაცვა 9 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

საფინანსო უზრუნველყოფა (შეიარაღებულ ძალებში), სისტემა ფულად სახსრებზე ჯარების (ძალების) მოთხოვნილებების დროულად და სრულად დასაკმაყოფილებლად. **ს.უ.** მოიცავს ფინანსურ დაგეგმვას და დაფინანსებას, ფულადი სახსრების გამოთხოვას, მიღებას, მომჭირნე და მიზანშეწონილ ხარჯვას, კონტროლს, აღრიცხვა-ანგარიშგებას.

საფლავების რეგისტრაცია (სახმელეთო ჯარისათვის), დამკრძალავი სამსახურის ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს მიცვალებულების ძებნას, ცხედრების პირველად იდენტიფიკაციას, დროებით დამარხვას, დროებითი დაკრძალვის ადგილების რეგისტრაციას და მოვლას, მიცვალებულების პირადი ნივთების შეგროვებას და შენახვას.

საფორტიფიკაციო ნაგებობები, საინჟინრო ნაგებობები, რომელთა დანიშნულებაა სამხედრო ტექნიკის გამოყენების ეფექტურობის ამაღლება, ჯარების მართვის საიმედოობის ზრდის უზრუნველყოფა, მათი დაცვა მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებებისაგან. არის: ცეცხლის წარმოების (სანგრები, თხრი-

ლები და სხვა), პირადი შემადგენლობის დაცვის (თავშესაფრები, ბლინდაჟები და სხვა), სამხედრო ტექნიკის და ინვენტარის და ფარული მიმოსვლის. **ს.ნ.** შეიძლება იყოს ღია და დახურული ტიპის, ხოლო აშენების პირობებით – ხანგრძლივი (როგორც წესი, შენდება მშვიდობიანობის პერიოდში გამძლე მასალებისგან) და საველე.

საფრანგეთი (France – საფრანგეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ ევროპაში. ჩრდილოეთით აკრავს პა-დე-კალესა და ლა-მანშის სრუტეები (ჩრდილოეთის ზღვა), დასავლეთით – ბისკაის ყურე (ატლანტის ოკეანე), სამხრეთით – ხმელთაშუა ზღვა, აღმოსავლეთით – ბელგია, ლუქსემბურგი, გერმანია, შვეიცარია, იტალია, მონაკო, სამხრეთით – ესპანეთი და ანდორა. ფართობი 551,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 65,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. პარიზი. ადმინისტრაციულად იყოფა 100 დეპარტამენტად (კუნძულ კორსიკის ჩათვლით). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტსა და მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). **ს.** ნატოს წევრი ქვეყანაა. 1958 წლიდან ქვეყანაში არსებული საპრეზიდენტო რესპუბლიკა ჩაანაცვლა საპარლამენტო რესპუბლიკამ. **ს.** განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მსოფლიოში უჭირავს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი სამრეწველო წარმოებაში. ახორციელებს ქვანახშირის, ნავთობის, ბუნებრივი აირის, რკინისა და ურანის მადნის მოპოვებას. მრეწველობის ძირითადი დარგებია: მანქანათმშენებლობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი. ელექტროენერგიის 75%-ს გამოიმუშავებს ატომური ელექტროსადგურები. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ყველა ტიპის სამხედრო ტექნიკასა და შეიარაღებას, მათ შორის ბირთვულ იარაღსაც. **ს.** არის შეიარაღების ექსპორტიორი მსოფლიო ბაზარზე. სოფლის მეურნეობა მრავალდარგობრივი და მაღალპროდუქტიული. მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას ძირითად პროდუქტებზე, ნაწილი გადის ექსპორტზე. **ს.** ევროპაში ხორბლის, ნაღების კარაქის, ყველის, ძროხის ხორცის უმსხვილესი მწარმოებელია. ერთ-ერთი წარმატებულ ქვეყანაა საერთაშორისო ტურიზმში. დიდი საზღვაო პორტებია: მარსელი, ჰავრი, დიუნკერკი, კალე, რუანი, ბორდო. საერთაშორისო აეროპორტებია: ორლი, შარლ დე გოლი (პარიზში), ბორდო, ლიონი, მარსელი, ნიცა, სტრასბურგი, ტულუზა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 238,5 ათ. კაცი (2012). სახმელეთო 130,5 ათ., სამხედრო-საჰაერო 65 ათ., სამხედრო-საზღვაო 43 ათ., სამხედრო ჟანდარმერია 81,7 ათ. დანიშნულების მიხედვით შეიარაღებული ძალები იყოფა ბირთვულ და საერთო დანიშნულების ძალებად. რეზერვი – 70 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

საფრანგეთის კამპანია 1940, გერმანიის ჯარების შეტევითი მოქმედებები საფრანგეთში II მსოფლიო ომის დროს, 1940 წლის 10 მაისი – 24 ივნისი. მაისში გერმანიის ჯარები, ბელგიისა და ლუქსემბურგის ტერიტორიების გავლით, ლა-მანშის ნაპირებზე გაიჭრნენ და დიუნკერკის რაიონში (იხ. *დიუნკერკის ოპერაცია 1940*) ალყაში მოაქციეს ინგლის-საფრანგეთ-ბელგიის ჯარები. 1940 წლის ივნისში გერმანელებმა დაიწყეს შეტევა სამხრეთისაკენ და გაანადგურეს საფრანგეთის არმია. 22–24 ივნისს საფრანგეთმა ხელი მოაწერა კაპიტულაციას გერმანიასა და იტალიასთან.

საფრანგეთის უცხოური ლეგიონი (ფრანგული – Legion etrangere), საფრანგეთის სახმელეთო ჯარების ერთ-ერთი ყველაზე ძველი და დამსახურებული ფორმირება. მასში ფრანგი ოფიცრების მეთაურობით მსახურობენ ძირითადად დაქირავებული უცხოელები. ლეგიონი შეიქმნა 1831 წელს საფრანგეთის საზღვრებს გარეთ საომრად; საბრძოლო ნათლობა მიიღო 1832 წელს ალჟირში. ს.უ.ლ. იბრძოდა აფრიკაში, აზიაში, ევროპაში, ლათინურ ამერიკაში. მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთის ომში, I და II მსოფლიო ომებში, ინდოჩინეთის I ომში, ქუვეითის ომში და სხვა. 1950–58 წლებში ლეგიონი ითვლიდა დაახლოებით 35 ათას კაცს, ლეგიონერთა რაოდენობა ამჟამად კი არ აღემატება 7,7 ათასს. თანამედროვე პირობებში ლეგიონის ძირითადი ამოცანაა ჰუმანიტარულ ოპერაციებში ან სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა გაეროსა და ნატოს ეგიდით. ამავე დროს **ს.უ.ლ.** ისევ მზად არის ბრძოლისათვის ჯუნგლებში, ღამის პირობებში სპეციალური ოპერაციების ჩასატარებლად ტერორისტების წინააღმდეგ, მძევლების გასათავისუფლებლად და სხვა.

საფრანგეთ-პრუსიის ომი 1870–71, ომი საფრანგეთსა და პრუსიას შორის. საფრანგეთი ცდილობდა შეენარჩუნებინა ჰეგემონია ევროპაში და არ დაეშვა გერმანიის გაერთიანება. ის მოქმედებდა ზოგიერთ სხვა გერმანულ სახელმწიფოსთან ერთად. ომის მსვლელობაში დაემხო საფრანგეთის ე.წ. მეორე იმპერია (1852–1870), რომლის სათავეში იდგა ნაპოლეონ III. დამთავრდა გერმანიის გაერთიანება პრუსიის ჰეგემონობით. პრუსიელებმა გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწიეს *სედანთან* (1870 წლის სექტემბერში). 19 სექტემბერს პრუსიის არმია უკვე პარიზთან იყო. **ს.-პ.ო.** დასრულდა 1871 წლის მაისში *ფრანკფურტის ზავით*, რომლის ძალითაც გერმანიამ საფრანგეთს ჩამოართვა ელზასი და აღმოსავლეთ

ლოთარინგია და გადაახდევინა კონტრიბუცია 5 მლრდ. ფრანკის ოდენობით.

საფრები, საფორტიფიკაციო ნაგებობები, ბუნებრივი საშუალებები და ადგილობრივი საგნები, რომლებსაც შეუძლიათ დაიცვან პირადი შემადგენლობა, სამხედრო ტექნიკა და ინვენტარი მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებების და დაზვერვისაგან, აგრეთვე უამინდობისაგან. ჯარების განლაგების პოზიციებზე და რაიონებში, ჩვეულებრივ, ეწყობა: პირადი შემადგენლობისათვის – ტრანშეები, ბლინდაჟები და თავშესაფრები; სამხედრო ტექნიკისა და ქონებისათვის – ქვაბულის ტიპის, სატრანშეო, მიწაყრილიანი აგრეთვე სარდაფები და ნიშები. ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო ტექნიკისათვის (თვითმფრინავები, წყალქვეშა ნავები და სხვა) შეიძლება მოეწყოს დახურული ტიპის **ს.**, მათ შორის წყალქვეშა.

საფრენი აპარატის მანევრირება, საფრენი აპარატის ფრენის პარამეტრების (მიმართულების, სიმაღლის, სიჩქარის, გადატვირთვების და სხვა) წინასწარ-განზრახული შეცვლა. გამოიყენება საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს. ასევე, პილოტირების, ნავიგაციის, საბრძოლო გამოყენების და საფრენ-ტაქტიკური მომზადების ტექნიკის ელემენტების დამუშავებისას.

საფრენი აპარატის საბორტე მოწყობილობა, საფრენი აპარატების ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც ეხმარება ეკიპაჟს ამოცანების შესრულებაში. **ს.ა.ს.მ**-ში შედის საბორტე კომპლექსი, დაფუძნებული საბორტე ელექტრონულ გამომრთველ მანქანაზე, რომელიც მოიცავს საპილოტაჟე და სამიზნე-სანავიგაციო სისტემებს, საბორტე დაცვის კომპლექსს და სხვა. ასევე საბორტე მოწყობილობას განეკუთვნება სიცოცხლის უზრუნველყოფის, შეიარაღების, მართვის, კავშირგაბმულობის, ენერგოკვების, ხანძარსაწინააღმდეგო, გაყინვის საწინააღმდეგო, რადიოწინააღმდეგობის, კონტროლის, პარამეტრების რეგისტრაციის, საჰაერო დაზვერვის და სხვა სისტემები.

საფრენი აპარატის (ხომალდის) შემოყინვა, ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების ზემოქმედებით საფრენი აპარატის (ხომალდის) ზედაპირზე ყინულის წარმოქმნა. თვითმფრინავის ზოგიერთი ნაწილის ზედაპირზე შემოყინვის ინტენსივობა შეიძლება აღწევდეს 30 *მმ/წთ*-მდე, ხომალდის – 6 *მმ/წთ*-მდე და მეტს. ამ დროს ყინულის სისქე შეიძლება იყოს შესაბამისად 100 *მმ*-მდე და 1000 *მმ*-მდე. შემოყინვა ცვლის საფრენი აპარატის აეროდინამიკას, ხომალდის მასის ცენტრის მდგომარეობას, საგრძნობლად ზრდის მათ მასას და შეიძლება ავარიის მიზეზი გახდეს. საფრენი აპარატების მნიშვნელოვანი ნაწილების შემოყინვის თავიდან ასაცილებლად შემოყინვის საწინააღმდეგო სისტემები გამოიყენება. საზღვაო საქმეში შემოყინვის თავიდან ასაცილებლად ტალღის მიმართ ხომალდის კურსს ცვლიან. წყალქვეშა ნავებისთვის კი მიღებულია პერიოდული ჩაყვინთვა, მოწყობილობების ადგილობრივი გათბობა და სხვა.

საფრენი დერეფანი, საჰაერო გადაადგილების შეზღუდული მარშრუტი, რომლის დადგენა აუცილებელია იმისათვის, რომ თვითმფრინავი საკუთარმა ძალებმა არ დააზიანონ. დერეფანი გამოიყენება საარტილერიო საცეცხლე პოზიციებიდან საავიაციო საშუალებების მიმართულებით სროლის თავიდან ასაცილებლად.

საფრენი რესურსი, ფრენის რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია საავიაციო გაერთიანებისათვის (შენაერთისათვის, ნაწილისათვის) საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. განსაზღვრავს უფროსი მეთაური ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) მიზნებიდან და ხანგრძლივობიდან, საბრძოლო ამოცანის მოცულობიდან და საავიაციო გაერთიანებების (შენაერთების, ნაწილების) შემადგენლობიდან, მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე.

საფრთხე, კატასტროფების მართვის სფეროში – განსაზღვრულ რაიონში და დროის მოცემულ პერიოდში საშიში ვითარება ან პოტენციური დამანგრეველი მოვლენის რისკი.

საფრთხის პერიოდი (მდგომარეობა), სხვადასხვა ხანგრძლივობის პერიოდი, რომელიც ჩვეულებრივ, წინ უძღვის ომის დაწყებას. ახასიათებს საერთაშორისო ვითარების და შესაძლო მოწინააღმდეგეებს შორის ურთიერთობათა უკიდურესი გამწვავება. **ს.პ.(მ)**-ში ენერგიულად ატარებენ ღონისძიებებს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ასამაღლებლად, ხორციელდება მათი სტრატეგიული გაშლა და ეკონომიკის საომარ მდგომარეობაზე გადაყვანა. შეიარაღებული ბრძოლის თანამედროვე საშუალებების და საომარი მოქმედებების თეატრებზე ჯარების და ძალების მსხვილი დაჯგუფებების განლაგების პირობებში **ს.პ.(მ)** შეიძლება არც არსებობდეს.

საფრის კუთხე, კუთხე საფრის ქიმის მიმართულებასა და ჰორიზონტს შორის. იხ. აგრეთვე *დაფარვის კუთხე*.

საქართველო (Georgia), ზ ო გ ა დ ი ც ნ ო ბ ე ბ ი, **ს**. მდებარეობს კავკასიაში, ევროპისა და აზიის გასაყარზე. დასავლეთით, მდინარე ფსოუდან სოფელ სარფამდე, ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით – რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით – სომხეთი და თურქეთი. მდებარეობს ჩრდილო განედის 41°07' და 43°35' და აღმოსავლეთ განედის 40°05' და 46°44' შორის. ქვეყნის ფართობი 69,7 ათ. *კმ*², საზღვრის სიგრძე – 2087 *კმ*, მათ შორის სახმელეთო – 1765 *კმ* (სომხეთთან – 214, აზერბაიჯანთან – 423, რუსეთთან – 862, თურქეთთან – 266) და საზღვაო – 322 *კმ*. სახმელეთო საზღვარი

წარმოდგენილ სამხედრო ენციკლოპედიურ ლექსიკონში დაბეჭდილი სტატია – "საქართველო", რომელიც სტატიების სხვა ვერსიებთან ერთად განიხილა სარედაქციო ჯგუფმა, დაწუნებულ იქნა მისი დიდი მოცულობის, რაც მთავარია, სამხედრო ენციკლოპედიური ლექსიკონის მოთხოვნებთან შეუსაბამობის და მოვლენათა არაკომპეტენტურად განხილვის გამო. ამასთან, იგი შეცდომით შევიდა წარმოდგენილ ენციკლოპედიურ ლექსიკონში. აღნიშნული შეცდომის გასწორების მიზნით, წიგნში ჩამატების სახით, წარმოგიდგენთ სტატიას – "საქართველო", რომელიც თავის დროზე მოწონებული იყო სარედაქციო ჯგუფის მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე ენციკლოპედიიდან ამოღებულ იქნა 466 – 478 გვერდები.

——— · ———

საქართველო (Georgia) – სახელმწიფო კავკასიაში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ესაზღვრება ჩრთილოეთიდან რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი. ტრანსკონტინენტური ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გასაყარზე მდებარეობს, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ევროპის ნაწილია.

ქვეყნის სახელწოდება "საქართველო" მომდინარეობს "ქართ" ძირისაგან, რაც უძველეს სტომო სახელს "ქართუ, კარდუ, ხალდუ"-ს უკავშირდება. 1918-1921 წლებში იწოდებოდა "საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკად", 1990-1995 წლებში – "საქართველოს რესპუბლიკად". ქვეყნის საერთაშორისო კოდია GE.

საქართველო ჩ.გ. 41°07′ და 43°35′ და ა.გ. 40°04′ და 46°44′-ს შორის მდებარეობს. ქვეყნის ფართობი შეადგენს 69 700 კვ. კმ-ს, საზღვრების სიგრძე – 1 771 კმ-ს, მათ შორის სახმელეთო – 1 461 კმ (სომხეთი 164, აზერ-ბაიჯანი 322, რუსეთი 723, თურქეთი 252) და საზღვაო – 310 კმ. ქვეყნის ტერიტორია ძირითადად მთებს უკავია, ბუნება მრავალფეროვანია – სუბტროპიკებიდან კავკასიონის მყინვარებამდე; უმაღლესი მწვერვალია მთა შხარა 5 068 მ, უდაბლესი წერტილი – შავი ზღვა (0 მ); სახნავ-სათესი მიწა – 16%, საძოვრები – 25%, ტყეები – 34%. მთავარი მდინარეები – მტკვარი და რიონი. ბუნებრივი რესურსებია: ტყეები, ჰიდროენერგია, მანგანუმი, რკინის მადანი, სპილენძი, ქვანახშირის და ნავთობის მცირე მარაგი; მთისა და ზღვის კლიმატური კურორტები.

საქართველო საპარლამენტო რესპიბლიკაა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, რომელიც ირჩევა 5 წლის ვადით პირდაპირი წესით. აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობს პრემიერ-მინისტრი. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა ერთპალატიანი პარლამენტი (150 წევრი), რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ირჩევა პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით.

საქართველოს დედაქალაქია თბილისი. სახელმწიფო ენაა ქართული, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აგრეთვე აფხაზური. დღევანდელი ტერიტორიული დაყოფით საქართველოში 2 ავტონომიური რესპუბლიკაა: აჭარისა და აფხაზეთის. ეს უკანასკნელი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ქვეყნის დანარჩენი ტერიტორია დაყოფილია პირობით მხარეებად, რომლებიც მეტ-ნაკლებად ემთხვევა საქართველოს ისტორიულ მხარეებს, თუმცა მხარეებს იურიდიული სტატუსი არ გააჩნიათ. კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის სახელმწიფო-ტერიტორიული მოწყობა უნდა განისაზღვროს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.

საქართველოში 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ცხოვრობენ: ქართველები – 86,8%; აზერბაიჯანელები – 6,3%; სომხები – 4,5%; რუსები 0,7%; ოსები – 0,4%; იეზიდები – 0,3%; უკრაინელები – 0,2%; ქისტები – 0,2%; ბერძნები – 0,1%; ასირიელები – 0,1%; სხვა 0,4%. მათ შორის, მართლმადიდებელი ქრისტიანები – 83,4%; მუსლიმანები – 10,7%; სომეხი გრიგორიანელები – 2,9%; კათოლიკეები – 0,5%; იეჰოვას მოწმეები – 0,3%; იეზიდები – 0,2%; პროტესტანტები – 0,1%; იუდეველები – 0,0%, სხვა 0,0%; ათეისტები – 0,5%.

საქართველოს შეიარაღებული ძალების დანიშნულებაა საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, აგრეთვე საქართველოს მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულება. მისი სახელმწიფო მართვის ორგანოა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ხოლო ოპერატიული მართვისა – გენერალური შტაბი. საქართველოს შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარებისაგან. შეიარაღებული ძალების რეზერვს აყალიბებს და ორგანიზაციას უწევს საქართველოს ეროვნული გვარდია.

2012 წლისთვის საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობა (სამხედრო მოსამსახურეთა შტატი) განსაზღვრულია არა უმეტეს 37000 კაცისა. მათ შეიარაღებაშია 240 ტანკი, 911 ჯავშანსატრანსპორტო საშუალებები და სხვა.

ს პ ო რ ტ ი. სპორტული თამაშები, შეჯიბრებები გავრცელებული იყო **ს**-ში ჯერ კიდევ 2500 წლის წინ (იბერია, კოლხეთი, ტაო, მესხები, ხალიბები და სხვა). ეს ვარჯიშები ხშირად სამხედრო-საწვრთნელ ხასიათს ატარებდა: მშვილდოსნობა, ფარიკაობა, შუბის ტყორცნა, დოღი, ჯირითი, ცხენბურთი (ჩოგანბურთი), ისინდი, ყაბახი, ლელობურთი, ჭიდაობა, ლახტი, ნადირობა და სხვა. ქართველები მონაწილეობას იღებდნენ ოლიმპიურ თამაშებში ანტიკურ საბერძნეთში. XII საუკუნიდან **ს**-ში ჩამოყალიბდა ფიზიკური მომზადების და სამხედრო აღზრდის რეგლამენტირებული სისტემა. ფართოდ დაინერგა სპორტული ვარჯიშები, რომელიც აღზრდის განუყოფელი ნაწილი გახდა. იმართებოდა კომპლექსური შეჯიბრებები. სულხან-საბა ორბელიანის ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონში „სიტყვის კონა“ განმარტებულია 800-ზე მეტი სპორტული ტერმინი, აღწერილია საბრძოლო და სპორტული სახეობის 20-ზე მეტი ისარი. XIX საუკუნეში განსაკუთრებით პოპულარული იყო ჭიდაობა, კრივი, ცურვა, ჯირითი, მარულა, თარჩია. აღსანიშნავია გურიიდან „კაზაკების“ სახელით ქართველი ცხენოსნების ტრიუმფული გამოსვლები ამერიკაში XX საუკუნის დასაწყისში. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში **ს**-ში გავრცელებას იწყებს სპორტის კლასიკური სახეობები (რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სპორტულმა საზოგადოებამ „შევარდენმა“): ველოსპორტი, ფეხბურთი, ალპინიზმი, ჩოგბურთი, კალათბურთი და სხვა.

XX საუკუნის II ნახევრიდან იქმნება ქართული საჭადრაკო სკოლა; ქართველი მოჭადრაკე ქალები 30 წელი ინარჩუნებდნენ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს (1962–78 წლებში ნონა გაფრინდაშვილი, 1978–91 წლებში მაია ჩიბურდანიძე); ქართველი მოჭადრაკე ქალები დამოუკიდებელი **ს**-ს სახელით 1992, 1994, 1996, 2008 წლებში გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები; ქართველი კალათბურთელები (თბილისის „დინამო“) 1962 წელს – ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელები, ქართველი ფეხბურთელები (თბილისის „დინამო“) კი – ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელები 1981 წელს. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართველი სპორტსმენები მონაწილეობენ ოლიმპიურ თამაშებში, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, სადაც მათ მიაღწიეს არაერთ დიდ წარმატებას. ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ოქროს 400-ზე მეტი მედალი; ოლიმპიურ თამაშებზე კი – 90-ზე მეტი ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ქართველი გენერლები (1918–21), იხ. *დანართი №2.*

საქართველოს თავდაცვის მინისტრები, იხ. *დანართი №3.*

საღამოს შემოწმება, ყოველ საღამოს ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობის მოწყობა მისი სახელდებით შემოწმების, ბრძანების გამოცხადების, მომდევნო დღის განწესის, საბრძოლო გათვლის დაზუსტებისთვის; ერთ-ერთი საჯარისო რიტუალი. წარმოებს ასეულებში (ათეულებში) და ხომალდებზე (საბრძოლო ნაწილებში და სამსახურებში). პერიოდულად ტარდება საერთო **ს.შ.** (ბრიგადებში).

„საღვთო რომის იმპერია“ 962–1806 (XV საუკუნის ბოლოდან – „გერმანული ნაციის საღვთო რომის იმპერია“), დააარსა გერმანიის მეფემ ოტონ I-მა. მოიცავდა იტალიის ნაწილს, ჩეხეთს, ნიდერლანდს, ბურგუნდიას, შვეიცარიის ტერიტორიას და სხვა. სამხედრო აქტივობა მიმართული იყო ძირითადად სამხრეთისკენ (იტალია) და აღმოსავლეთისკენ (სლავთა მიწები). იმპერატორების ხელისუფლება თანდათანობით ნომინალური გახდა, ხოლო 1648 წელს *ვესტფალიის ზავმა* იმპერია დამოუკიდებელი სახელმწიფოების კონგლომერატად აქცია. „**ს.რ.ი.**“ საბოლოოდ გაუქმდა *ნაპოლეონის ომების* დროს.

საყალნო, ისრის ერთ-ერთი სახეობა, იხ. *ისარი.*

საყოველთაო ფართომასშტაბიანი ომი, შეიარაღებული კონფლიქტი დიდ სახელმწიფოებს შორის, რომელშიც დაპირისპირებული მხარეები იყენებენ მთელ თავის სამხედრო პოტენციალს.

საყრდენი პუნქტი (ასეულის, ოცეულის), ადგილმდებარეობის მონაკვეთი, თავდაცვის რაიონის (თავდაცვითი პოზიციის) ნაწილი, რომელიც მოწყობილია საინჟინრო თვალსაზრისით, მომარჯვებულია წრიული თავდაცვისათვის და იცავს ასეული (ოცეული). ასეულის **ს.პ**-ს იცავს ქვეითი (სატანკო) ასეული. იგი შედგება ოცეულების **ს.პ**-ებისგან, საშტატო და მიკუთვნებული ქვედანაყოფების საცეცხლე საშუალებების პოზიციებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია ცეცხლის, ღობურების და სანგარ-სავალების (დარანების) ერთიანი სისტემით. **ს.პ**-ს შეიძლება ეკავოს ფრონტზე 1500 *მ*-მდე და სიღრმეში 1000 *მ*-მდე. ასეულების **ს.პ**-ს შორის შუალედები შეიძლება იყოს 1000 *მ*-მდე, ხოლო ოცეულების შორის – 300 *მ*-მდე. ოცეულის **ს.პ**-ს იცავს ქვეითი (სატანკო) ოცეული და უკავია ფრონტზე 400*მ*-მდე და სიღრმეში 300 *მ*-მდე, შედგება ათეულების ძირითადი და სათადარიგო პოზიციებისგან, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანების (ჯავშანტრანსპორტიორების, ტანკების) საცეცხლე პოზიციებისა და მიკუთვნებული საცეცხლე საშუალებებისაგან. ოცეულების **ს.პ**-ს შორის შუალედები შეიძლება იყოს 300 *მ*-მდე, ხოლო ათეულების პოზიციებს შორის – 50 *მ*-მდე.

საშიშროება, რეალური ან პოტენციური პირობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ ცოცხალი ძალის დაზიანება, ავადმყოფობა, სიკვდილი, აღჭურვილობის და ქონების დაზიანება ან დანაკარგი.

საშკიპერო ქონება, იხ. *სამხედრო ქონება.*

საშტაბო სწავლება, გაერთიანებების (შენაერთების) შტაბების სწავლების ფორმა, რომელიც გამოიკვეთება შექმნილი ვითარების ფონზე. სწავლების მონაწილეები ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. **ს.ს**-ის ძირითადი მიზანია შტაბების მუშაობის შერწყმა და პრაქტიკული ჩვევების სრულყოფა ჯარების (ძალების) მართვაში. ძირითადად ტარდება სამეთაურო-საშტაბო სწავლების ან სამეთაურო-საშტაბო სამხედრო თამაშის მოსამზადებლად.

საშტაბო ზვრთნა, იმ ჩვევების შეძენის და სრულყოფის ფორმა, რომლებიც უნდა ჰქონდეთ შტაბის ოფიცრებს, რათა შეასრულონ თავიანთი მოვალეობები ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების და წარმოების დროს. აგრეთვე, სამსახურების, სამმართველოების, განყოფილებების და მთლიანად შტაბის შერწყმისთვის; ეწყობა რუკაზე ან ადგილზე.

საშტატო განრიგი, ოფიციალური ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პირადი შემადგენლობის რიცხოვნობას და სტრუქტურას, სამხედრო ნაწილში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, რომლის შენახვაც ნებადართულია სამხედრო სასწავლებელში დაფინანსების დადგენილი წყაროების ხარჯზე. **ს.გ**. მუშავდება შტატის, ფულადი კმაყოფის და ხელფასის ფონდების, აგრეთვე დამტკიცებული სამუშაოების მოცულობის და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების საფუძველზე. **ს.გ.** ექვემდებარება ყოველწლიურად დამტკიცებას და რეგისტრაციას.

საშტურმანო უზრუნველყოფა, ავიაციაში ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს თვითმფრინავებისა და სხვა პილოტირებული საფრენი აპარატების ფრენის სიზუსტეს, საიმედოობას და უსაფრთხოებას, მათ დროულ გაყვანას გათვალისწინებული ობიექტების თავზე და მიზნის ზუსტ დაზიანებას; ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა. გულისხმობს საცნობარო მონაცემებისა და საშტურმანო გაანგარიშებების მომზადებას; სახმელეთო რადიოტექნიკური და შუქტექნიკური საშუალებების გამოყენების ორგანიზაციას; **ს.უ**-ის სფეროში სარდლობისათვის (მეთაურისათვის) წინადადებების შემუშავებას; საშტურმანო ამოცანების გადაწყვეტას საბრძოლო მოქმედებების დროს და სხვა. **ს.უ**-ს ახორციელებს საშტურმანო სამსახური. სამხედრო-საზღვაო ფლოტში ასეთ ამოცანებს (სანავიგაციო-ჰიდროგრაფიული უზრუნველყოფა) ასრულებს ჰიდროგრაფიული სამსახური.

საშუალო გადახრა (გადახრის ალბათობა), ჭურვების (ტყვიების, ნაღმების, ავიაბომბების, რაკეტების და სხვა) გაბნევის სიდიდე. წარმოადგენს გადახრის ისეთ აბსოლუტურ მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც როგორც დიდი, ასევე მცირე გადახრების აბსოლუტური მოცემულობის მიღების ალბათობა ტოლია ნახევრის.

საცერე, ცერზე ჩამოსაცმელი ლითონის იარაღი.

საცეცხლე ამოცანა, მოწინააღმდეგის დაზიანების ან საბრძოლო მოქმედების უზრუნველყოფის ამოცანა, რომელიც ხორციელდება ცეცხლის დაშენით (სროლით). **ს.ა**-ის დასახვის დროს განისაზღვრება: სროლის მიზანი, ამოცანა (დაზიანება, განადგურება, დაკვამლიანება და ა.შ.), ცეცხლის გახსნის (შეწყვეტის) დროს; მოსაზიდი საშუალებების (ქვედანაყოფების) რაოდენობა; ცეცხლის სახეობა და **ს.ა**-ის (ცეცხლდაშენის) ხერხი; საბრძოლო მასალების სახეობა და ხარჯი; **ს.ა**-ის შესრულების და ცეცხლის დაშენის წესი (ჯერით, მეთოდური ცეცხლით, ზალპით და ა.შ.).

საცეცხლე კავშირი, ბრძოლაში მეზობელი ქვედანაყოფების ან საცეცხლე საშუალებების ურთიერთმხარდაჭერა ცეცხლით.

საცეცხლე მომზადება, პირადი შემადგენლობის და ქვედანაყოფების გაწვრთნა ბრძოლის დროს მიზნის დასაზიანებლად იარაღის გამოყენებაში. ჯარების საბრძოლო მომზადების საგანი. **ს.მ**. მოიცავს იარაღის მატერიალური ნაწილის, მისი შენახვის და მოვლის, ბალისტიკის საფუძვლების, სროლის და ხელყუმბარების ტყორცნის, მიზნების დაზვერვის და ამ მიზნებამდე არსებული მანძილის განსაზღვრის, ცეცხლის მართვის წესებისა და ხერხების სწავლებას. სამხედრო-საზღვაო ძალებში **ს.მ**. მოიცავს აგრეთვე საარტილერიო, სარაკეტო, სატორპედო და სხვა სროლის სწავლებას. ავიაციაში ამ საგანს ეწოდება საჰაერო-საცეცხლე მომზადება.

საცეცხლე მხარდაჭერა, სახმელეთო ჯარების შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საბრძოლო მოქმედებების წარმატებისთვის მოწინააღმდეგის სახმელეთო ობიექტების განადგურება (დაზიანება) საველე და სახომალდო არტილერიის, ნაღმსატყორცნების ცეცხლით და საჰაერო საშუალებებით. **ს.მ.** ითვალისწინებს ბირთვული იარაღის გამოყენებასაც. იხ. აგრეთვე *ცეცხლით მხარდაჭერა.*

საცეცხლე მხარდაჭერის კოორდინაციის ცენტრი, ცენტრალიზებული კავშირგაბმულობის საშუალებების და პირადი შემადგენლობის კონკრეტული განლაგება ყველა სახის საცეცხლე მხარდაჭერის კოორდინირებისთვის.

საცეცხლე მხარდაჭერის რაიონი, ხომალდების მანევრირებისთვის საცეცხლე მხარდაჭერის მიზნით გამოყოფილი შესაბამისი რაიონი,

საიდანაც საზღვაო-სადესანტო ოპერაციების დროს მათ შეუძლიათ აწარმოონ საცეცხლე მხარდაჭერა.

საცეცხლე მხარდაჭერის ხომალდების რაზმი, უპირატესად სარაკეტო და საარტილერიო შეიარაღების მქონე ხომალდების დროებითი ფორმირება, რომელიც განკუთვნილია საზღვაო დესანტის გადასხმისთვის ან ზღვისპირა მიმართულებაზე მოქმედი სახმელეთო ჯარების მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. **ს.მ.ხ.რ**-ის ამოცანაა: გადასხმული ძალების გაშლის საცეცხლე უზრუნველყოფა, გადასხმის საცეცხლე მომზადება და საცეცხლე მხარდაჭერა, ნაპირზე დესანტის მოქმედებების საცეცხლე თანხლება.

საცეცხლე მხარდაჭერის ჯგუფი, ერთი მეთაურის დაქვემდებარებაში მყოფი ხომალდების დროებითი დაჯგუფება, რომელიც პასუხს აგებს ნაპირზე და ზღვაში მოქმედი ძალების მხარდაჭერაზე. შემდგომში **ს.მ.ჯ**. შესაძლებელია დაიყოს საცეცხლე ქვედანაყოფად და საცეცხლე მხარდაჭერის ელემენტად.

საცეცხლე ნაგებობა, საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც აღჭურვილია ქვეითი, სატანკო, სარაკეტო, საარტილერიო და საზენიტო ქვედანაყოფების იარაღით და საბრძოლო ტექნიკით. განასხვავებენ ღია (სანგრები, ტრანშეები) და დახურული ტიპის **ს.ნ**-ებს. დახურული **ს.ნ**-ები არის საველე (იგება ადგილობრივი მასალებისაგან) და ხანგამძლე (სამრეწველო დამზადების მაღალი სიმტკიცის ელემენტების – რკინაბეტონის, ჯავშნის ფილებისაგან), აქვთ სავენტილაციო სისტემა, წყალმომარაგება, ელექტრომომარაგება, გათბობა და სხვა). ტყვიამფრქვევების ცეცხლის წარმოებისათვის დახურული **ს.ნ**-ების ნაირსახეობაა კარკასული კონსტრუქციის ძელმიწურის ნაგებობა, ასაწყობი რკინაბეტონის ნაგებობა და სხვა.

საცეცხლე ოცეული, საცეცხლე (საბრძოლო) ქვედანაყოფი, რომელიც შედის ბატარეის შემადგენლობაში. **ს.ო**-ები არის ქვემეხების, ნაღმსატყორცნების, ტანკსაწინააღმდეგო, აგრეთვე ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის, თვითმავალი და სხვა. მოიცავს 2 და მეტ ქვემეხს (ნაღმსატყორცნებს, საბრძოლო მანქანებს). ჩვეულებრივ ბრძოლაში მოქმედებს ბატარეის შემადგენლობით ან მიეკუთვნება ქვეით ქვედანაყოფს და მოქმედებს მასთან ერთად.

საცეცხლე პოზიცია, 1. ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც დაკავებული ან მომზადებულია ქვემეხებით, ნაღმსატყორცნებით, ტყვიამფრქვევებით, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებითა და სხვა საცეცხლე საშუალებებით, აგრეთვე საარტილერიო, სატანკო ქვედანაყოფებით ცეცხლის დასაშენად. განასხვავებენ ძირითად, დროებით და სათადარიგო **ს.პ**-ებს. ისინი შეიძლება იყოს დახურული და ღია. **ს.პ**-ებს, ჩვეულებრივ, ამზადებენ წინასწარ, ქვედანაყოფების მიერ მათ დაკავებამდე; 2. ზღვის (ოკეანის) რაიონში მონაკვეთი, რომელიც დაკავებულია ან მომზადებულია წყალქვეშა ნავის (წყალზედა ხომალდის, ხომალდთა ჯგუფის) მიერ სარაკეტო და საარტილერიო შეიარაღების გამოყენებისათვის.

საცეცხლე სიმძლავრე, არაოფიციალური ტერმინი, იგულისხმება იარაღის ნიმუშების (კომპლექსების, სისტემების), საბრძოლო ტექნიკის ცალკეული სახეობის (ტანკები, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები და ა.შ.) ფორმირების შესაძლებლობა. იარაღის ნიმუშის (სისტემის, კომპლექსის) **ს.ს**-ს განსაზღვრავს მისი სროლის (გაშვების) მანძილი, საბრძოლო სწრაფსროლა, საბრძოლო მასალების ძლიერება. ნაწილების, ხომალდების, შენაერთებისა და გაერთიანებების **ს.ს**-ის მაჩვენებლები შეიძლება იყოს მოწინააღმდეგისათვის მიყენებული ზარალი ან მათი საცეცხლე შესაძლებლობები. **ს.ს**. ვლინდება ყველა საცეცხლე საშუალების მიერ განკუთვნილი რაოდენობის საბრძოლო მასალის (ერთი საბრძოლო კომპლექტის) დახარჯვის დროს.

საცეცხლე ტალღა, 1. მოიერიშე ჯარების ფრონტის წინ ერთიანი საცეცხლე ფარდა ერთ (ერთმაგი **ს.ტ**.) ან ერთდროულად ორ (ორმაგი **ს.ტ**.) ზღუდეზე, თანამიმდევრულად გადატანილი სიღრმეში მათი წინსვლის შესაბამისად. არტილერიის ცეცხლის სახეობა. შეტევის საცეცხლე მხარდაჭერის მეთოდი. გამოიყენება მოწინააღმდეგის მომზადებული თავდაცვის გარღვევის დროს. ხორციელდება ძირითად და შუალედურ ზღუდეებზე. ცეცხლის გადატანა ერთი ზღუდიდან მეორეზე ხდება შეტევაში მყოფი ნაწილის მეთაურის სიგნალით; 2. ცეცხლის ღობურა, რომელიც მზადდება მოწინააღმდეგის შეტევის მიმართულებაზე ხელთ არსებული საწვავი მასალებისგან (მორები, თივა და სხვა). მახასიათებლები: სიმაღლე 1–1,5 *მ*, სიგანე 2–3 *მ*, სიგრძე დამოკიდებულია მასალების რაოდენობაზე (100–600 *მ* და მეტი).

საცეცხლე უპირატესობა, საცეცხლე საშუალებების უნარი წარმატებით შეასრულონ თავიანთი ამოცანები ისე, რომ არ დაუშვან მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებების ორგანიზებული უკუქმედება. **ს.უ**-ის მიღწევა ხდება მოწინააღმდეგეზე რიცხობრივი და ხარისხობრივი უპირატესობის შექმნით, მოულოდნელობით და მაღალი ეფექტურობით, გადამწყვეტ მიმართულებებზე მასირებით, ძალების, საშუალებების და ცეცხლის (დარტყმების) მანევრით, მოწინააღმდეგის საცეცხლე საშუალებებთან უწყვეტი ბრძოლით. ის შეიძლება იყოს ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული.

საცეცხლე ურთიერთქმედება, მოწინააღმდეგეზე შეიარაღებული ძალების სახეობების

(ჯარების გვარეობების) დაზიანების ყველა საცეცხლე საშუალების (ან მათი ნაწილის) ამოცანების (ობიექტების, მიზნების), მიმართულებების, ზღუდეების (რაიონების, მონაკვეთების), სივრცის (ზონების) და დროის მიხედვით შეთანხმებული კომპლექსური ურთიერთქმედება. **ს.შ**-ის მისაღწევად ანაწილებენ მიზნებს, განსაზღვრავენ ცეცხლის დაშენის (დარტყმების მიყენების) დროს და თანამიმდევრობას, აგრეთვე თავს უყრიან და აძლიერებენ ცეცხლს (დარტყმებს) მნიშვნელოვანი ობიექტების დასაზიანებლად. **ს.შ.** შეიძლება იყოს ტაქტიკური და ოპერატიული (სტრატეგიული).

საცეცხლე ქვედანაყოფი, არტილერიის ან ნაღმსატყორცნების უმცირესი საორგანიზაციო სტრუქტურა, რომელიც შედგება ერთი ან მეტი იარაღის სისტემისგან, რომელიც საცეცხლე ამოცანის შესრულებისთვის გამოიყენება.

საცეცხლე შესაძლებლობები, საცეცხლე ამოცანების მოცულობა, რომელიც შეიძლება შესრულდეს ქვედანაყოფის, ნაწილის, ხომალდის, შენაერთის ან ჯარების (ძალების) დაჯგუფების საცეცხლე საშუალებების გარკვეული შემადგენლობით გარკვეულ დროს ან გარკვეული რაოდენობის საბრძოლო მასალით. წარმოადგენს ჯარების და ფლოტის ძალების საბრძოლო შესაძლებლობების ერთერთ მაჩვენებელს. **ს.შ**. შეიძლება გამოიხატებოდეს განადგურებული მიზნების რაოდენობით (განადგურებული საჰაერო მიზნების საშუალო მოსალოდნელი რაოდენობით), დაზიანებული ფართობის სიდიდით, ცეცხლის ტალღის ან გადამღობი ცეცხლის ფრონტის სიგრძით და ა.შ.

საცეცხლე ძალა, 1. პოზიციიდან ფორმირების ან იარაღის სისტემიდან განხორციელებული გასროლების რაოდენობა. 2. ცეცხლის წარმოების შესაძლებლობა.

საცეცხლე ძალის ჭოლგა, ზღვაში მყოფი სამხედრო-საზღვაო ძალების საჰაერო თავდაცვის სისტემებისთვის ცეცხლის წარმოების განსაზღვრული სივრცე. ამ სისტემებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნან საფრენ აპარატებს ამიტომ მათ ფარგლებში აუცილებელია საკუთარი საფრენი აპარატების იდენტიფიცირების და მოქმედების საგანგებო პროცედურები.

საცეცხლე წერტილი, პირობითი სახელწოდება საცეცხლე საშუალებისა (ტყვიამფრქვევი, ცეცხლსატყორცნი, ქვემეხი და სხვა), რომელიც განლაგებულია პოზიციაზე საყრდენ პუნქტში (თავდაცვის რაიონში) ან მათ შორის, საფარში (სანგარი, ჯავშანხუფი), ან ადგილმდებარეობის დამცავი თვისებების გამოყენებით საბრძოლო მოქმედებების წარმოების დროს.

საცხენოსნო იერიში (იერიში საცხენოსნო წყობით), იხ. *იერიში.*

საძმო საფლავები, ბრძოლაში დაღუპული, ჭრილობებისგან გარდაცვლილი ან სტიქიური უბედურებების დროს დაღუპული მებრძოლების (სამოქალაქო პირების) საერთო დასაფლავების ადგილი. ჩვეულებრივ, **ს.ს**-ს აქვს ნომერი და დაკრძალვის თარიღი. გაფორმების შემდეგ აქტებით გადასცემენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლებს. **ს.ს**-ის ადგილმდებარეობა აღინიშნება ტოპოგრაფიულ რუკებზე, რომლებიც თან ერთვის აქტებს და ინახება არქივში.

საწესდებო დოკუმენტები, ისეთი ნორმების, წესების, მითითებების და მოთხოვნების შემცველი ოფიციალური ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების კრებული, რომლებიც არეგულირებენ შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ცხოვრებას და ყოფას, სწავლებას და აღზრდას. **ს.დ**. აშუქებენ საომარი მოქმედებების მომზადების და წარმოების საფუძვლებს. მათ რიცხვს განეკუთვნება სამხედრო წესდებები, დარიგებები, სახელმძღვანელო მითითებები, ინსტრუქციები.

საწყის რაიონებში ჯარების მომზადება, მომზადების ყველა სახეობა გამოყოფილ რაიონებში, რომელიც ოპერაციის ჩატარების წინ ხორციელდება. მათ განეკუთვნება: თავმოყრა, მომზადება და ტექნიკური უზრუნველყოფა, სატრანსპორტო საშუალებებში განთავსების პუნქტებისაკენ გადაადგილება და შემდგომ ამ საშუალებებში განთავსება.

საწყისი მდგომარეობა, მდგომარეობა, რომელიც ჯარებს უკავიათ მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების დროს შეტევაზე (კონტრშეტევაზე) გადასასვლელად. **ს.მ**-ში ჯარები განლაგდებიან დაჯგუფებაში, რომელიც გაშლილია მეთაურის (სარდლის) გადაწყვეტილების შესაბამისად მომავალი მოქმედებებისათვის, იმყოფებიან საფრებში და განუხრელად ასრულებენ შენიღბვის და დაცვის ღონისძიებებს. ამასთან, I ეშელონის ქვეითი ქვედანაყოფები განლაგდებიან ტრანშეებში, საფრებში, სანგარსავალებში (დარანებში) და სხვა საინჟინრო ნაგებობებში; სატანკო ქვედანაყოფები (ნაწილები) – საწყის ან ლოდინის პოზიციებზე; II ეშელონები (რეზერვები) – მათ მიერ დანიშნულ თავმოყრის რაიონებში. **ს.მ**-ში ფარულად ეწყობა ღონისძიებები შეტევისათვის მოსამზადებლად (მომზადების დასასრულებლად), მკაცრად იცავენ ჯარების საქმიანობის დადგენილ რეჟიმს.

საწყისი სიჩქარე (ჭურვის, ტყვიის), ჭურვის ყველაზე დიდი სიჩქარე, რომელიც მას ეძლევა ლულის არხში მოძრაობის დროს და დენთის აირების შემდგომი მოქმედების პერიოდში, ე.ი. ლულის ჭრილიდან გარკვეულ მანძილზე. **ს.ს.** ცეცხლსასროლი იარაღის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია: განსაზღვრავს ჭურვის ფრენის მანძილს, მის მომაკვდინებელ

მოქმედებას, პირდაპირი დამიზნებით სროლის ეფექტურობას და სხვა.

საჭურველი, იარაღი.

სახაზო ტაქტიკა, ბრძოლის წარმოების თეორია და ტაქტიკა, რომელიც ემყარება ხაზად გამწკრივებული საბრძოლო წყობის გამოყენებას. **ს.ტ**-ის ჩასახვა და განვითარება (XVII–XVIII საუკუნეები) განაპირობა ცეცხლსასროლი იარაღის სრულყოფამ და მასობრივმა დანერგვამ ჯარებში. სახმელეთო ჯარების **ს.ტ**-ის ამოცანა იყო ჯარების თანაბარი განაწილება ფრონტზე, ბრძოლისათვის (ბატალიებისათვის) მათი დაწყობა 2–3 ხაზად (3–4 მწკრივად, თითოეულში ხაზებს შორის 50–200 ნაბიჯის დისტანციის პირობებში), რათა სწრაფად ეწარმოებინათ ბრძოლა უპირატესად ცეცხლით. უპირეტესობა ენიჭებოდა ზალპურ ცეცხლს. ჯარების სახაზო წყობამ მკვეთრად აამაღლა ცეცხლსასროლი იარაღის ეფექტიანობა და ქვეითი ჯარის ცეცხლის როლი. ამავე დროს დაქირავებული ჯარისკაცების მოქმედებებს და მჭიდროდ შეკრულ წყობას ბრძოლის დროს ახასიათებდა მცირე მობილურობა, სწრაფი გაშლის და მანევრის შეზღუდულობა, უინიციატივობა. ბრძოლის (ბატალიებს) ბედს, ჩვეულებრივ, წყვეტდა ცეცხლი. სამხედრო-საზღვაო ძალების **ს.ტ**-ის არსი იყო საზღვაო ბრძოლის (ბატალიების) წარმოება კილვატერულ მწყობრში. მხარეების ხომალდები ერთმანეთს უახლოვდებოდნენ საარტილერიო გასროლის მანძილზე და პარალელურ კურსებზე მანევრირების ან ღუზაზე დგომის დროს უშენდნენ ცეცხლს მოწინააღმდეგეს. XVIII საუკუნის დამლევს და XIX-საუკუნის დამდეგს არმიის **ს.ტ**. შეცვალა უფრო სრულყოფილმა კოლონების და გაფანტული წყობის ტაქტიკამ, ხოლო საფლოტო – სამანევრო ტაქტიკამ.

სახაზო ხომალდი (ლინკორი), 1. იალქნიან ფლოტში ყველაზე დიდი სამანძიანი ხომალდი. საბატარეო გემბანების (დეკების) რიცხვის მიხედვით **ს.ხ**-ები იყოფოდა ორ და სამდეკიანად. გაჩნდა არტილერიის განვითარებასა და საარტილერიო ბრძოლის სახაზო ტაქტიკაზე გადასვლასთან ერთად. წყალწყვა – 5000 *ტ*-მდე, შეიარაღება – 120–130 ზარბაზანი, ეკიპაჟი 800-მდე კაცი. ორთქლის ძრავების, წევის ხრახნების, კუთხვილი არტილერიის და ჯავშნის გაჩენას XIX საუკუნის 60-იან წლებში მოჰყვა იალქნიანი სახაზო გემების შეცვლა დაჯავშნული ხომალდებით; 2. დიდი საბრძოლო ხომალდი XX საუკუნის პირველ ნახევარში, მძლავრი არტილერიით და დაჯავშნული დაცვით, რომელიც განკუთვნილი იყო საზღვაო ბრძოლაში ყველა კლასის წყალზედა ხომალდების გასანადგურებლად და სანაპირო ობიექტებზე საარტილერიო დარტყმების მისაყენებლად. საესკადრო ჯავშნოსნებისაგან გამოირჩეოდა გაძლიერებული საარტილერიო შეიარაღებით და დაჯავშნით, მეტი სიჩქარითა და გამოყენების ვადით. წარმოადგენდა მრავალი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების საბრძოლო ძლიერების საფუძველს.

სახაზო ჯარები, 1. მძიმე ქვეითი ჯარის და კავალერიის შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები რუსეთის და დასავლეთ ევროპის არმიებში, სახაზო, კოლონების და გაფანტული მწყობრის ტაქტიკის პერიოდში; 2. რუსეთის არმიის ჯარები (სახაზო ბატალიონები), რომლებიც იცავდნენ სახელმწიფო საზღვრებს და სასაზღვრო სიმაგრეებს (XIX–XX საუკუნის დასაწყისი). XX საუკუნის დამდეგს რუსეთის არმიის მთელი **ს.ჯ**. გარდაიქმნა მსროლელთა და სარეზერვო ჯარებად; 3. ლიტერატურაში ასეთი სახელწოდებით გვხვდება სამხედრო ფორმირებები, რომლებიც განკუთვნილია საბრძოლო მოქმედების წარმოებისათვის, სარეზერვოთაგან განსხვავებით.

სახალხო გვარდია, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918–21) შეიარაღებული ძალების მშენებლობის პროცესში რეგულარული ჯარის პარალელურად შეიქმნა ქვეყნის ყველაზე გავლენიანი – სოციალ-დემოკრატიული პარტიის შეიარაღებული ფორმირება – **ს.გ.,** რომელიც მალე სახელმწიფო სამხედრო ორგანიზაციად გადაიქცა. იგი შედგებოდა მუდმივი ქვედანაყოფების და სარეზერვო ბატალიონებისაგან, თავისი არტილერიით, ჯავშანმატარებლებით, საინჟინრო ნაწილით და სხვა. **ს.გ**. იყო ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლის მებრძოლებს, როგორც წესი, არ ევალებოდათ ყაზარმებში ცხოვრება. გვარდიელები უმეტეს დროს თავის სახლებსა და სამოქალაქო სამსახურში ატარებდნენ, სამხედრო მწყობრში დგებოდნენ მხოლოდ წვრთნისა და ომის დროს. გვარდიაში სამსახური უსასყიდლო იყო, მაგრამ გვარდიელის მიერ სამსახურის შესრულების დროს მის ოჯახს მთავრობისაგან გარკვეული დახმარება ეძლეოდა. ჯამაგირს იღებდნენ მხოლოდ გვარდიის ოფიცრები და ინსტრუქტორები, ვინაიდან, რიგითი გვარდიელებისაგან განსხვავებით, ეს მათი ძირითადი სამსახური იყო. რეგულარული არმიისაგან განსხვავებით, რომელიც ემორჩილებოდა სამხედრო სამინისტროს, **ს.გ**. ემორჩილებოდა გვარდიის მთავარ შტაბს. შეიარაღებული ძალების ამ ორი ჯგუფის ერთიანი სარდლობის ქვეშ გაერთიანება მხოლოდ ომის დროს ხდებოდა, როდესაც ინიშნებოდა მთავარსარდალი. იხ. *ეროვნული გვარდია და გვარდია.*

სახარჯი მარაგი, იხ. *მატერიალური საშუალებების მარაგები.*

სახელმძღვანელო დოკუმენტი, საწესდებო დოკუმენტი, რომელიც მოიცავს მითითებებს საბრძოლო მოქმედებების მომზადების და ჩატარების, სამხედრო ტექნიკის, მისი მოწყობილობის და ექსპლუატაციის, სამხედრო ქო-

ნების შენახვის, საქმის წარმოების, სამსახურებრივი მიმოწერის და სხვა საკითხების შესახებ.

სახელმწიფო, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ბირთვი, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს კლასებს, ერებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის. ასევე გამოხატავს საერთაშორისო ასპარეზზე მათ ინტერესებს; როგორც წესი, წარმოადგენს გაბატონებული კლასის ან რომელიმე სხვა სოციალური ჯგუფის ნების იარაღს და ამავე დროს კისრულობს საზოგადოების, როგორც მთლიანი სოციალური სისტემის, ზოგადი და სასიცოცხლო საკითხების გადაწყვეტას. **ს**-ს ძირითადი ნიშნებია: **ს**. ხელისუფლების ფუნქციების განმახორციელებელი და ამ მიზნით მის განკარგულებაში მყოფი რეალური ძალების, საშუალებების, ორგანოების და დაწესებულებების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სამხედრო, სამართალდამცველი, კონტროლის და სხვა) განსაკუთრებული სისტემის არსებობა; **ს**. სამართალი წარმოდგენილია სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების, ნორმების და კანონების საფუძველზე. **ს**-ს ხელისუფლება ვრცელდება გარკვეულ ტერიტორიაზე (მასზე მცხოვრებ მოსახლეობაზე), რომელიც მისი იურისდიქციის ქვეშ იმყოფება. **ს**., რომელიც ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგს წარმოადგენს, თანდათან გახდა თანამედროვე ცივილიზაციის კუთვნილება. თავისი განვითარების პროცესში კაცობრიობამ შეიმუშავა **ს**. მოწყობის სხვადასხვა ფორმა – კონფედერაცია, ფედერაცია, უნიტარული; **ს**. მმართველობის – მონარქია (აბსოლუტური, საკონსტიტუციო და სხვა), რესპუბლიკა (საპრეზიდენტო, საპარლამენტო და სხვა); პოლიტიკური რეჟიმი – დემოკრატია, დიქტატურა, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი. **ს**-ს ფორმა და მისი საქმიანობის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსი გამოხატულებას პოვებს **ს**-ს ფუნქციებში. საზოგადოების ცხოვრების სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სფეროების მართვის და ხელმძღვანელობის ფუნქციებთან ერთად **ს**. წყვეტს სპეციფიკურ საკითხებს. ასეთია საზოგადოებრივი წესრიგის, **ს**. უშიშროების და ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა. ამ მიზნით სპეციალურად შექმნილი ორგანოების, სტრუქტურებისა და ორგანიზაციების მეშვეობით შეიმუშავებს და ახორციელებს უსაფრთხოების სამხედრო პოლიტიკას. მის მიმართულებას განსაზღვრავს **ს**-ს სამხედრო-პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც პოლიტიკურად არის გამოხატული მის სამხედრო დოქტრინაში და ეფუძნება სამხედრო იდეოლოგიას. სამხედრო პოლიტიკის განსახორციელებლად **ს**. ქმნის სამხედრო ორგანიზაციას, რომლის ძირითად ელემენტებს წარმოადგენენ შეიარაღებული ძალები, სახელმწიფო და ეროვნული უსაფრთხოების ორგანოები, პოლიცია (ან მილიცია) და სხვა ფორმირებები. **ს**. განაგებს სამხედრო ორგანიზაციების ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, სამართლებრივი, დიპლომატიური უზრუნველყოფის, ხელმძღვანელობისა და მართვის სფეროებს. **ს**. მისთვის მინჭებული უფლებების ფარგლებში გამოხატავს საზოგადოების ნებას, განსაზღვრავს თავისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელების ყველაზე მიზანშეწონილ და ეფექტურ საშუალებებს. ეს საშუალებები ატარებენ მშვიდობიან პოლიტიკურ ხასიათს ან შეიძლება ემყარებოდნენ სამხედრო-პოლიტიკურ ძალადობას. **ს**., როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, აცხადებს ომს, კისრულობს ვალდებულებებს საზოგადოების და საშუალებების დასარაზმავად ომის წარმოებისთვის, დებს საზავო და სხვა სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ხელშეკრულებებს, შედის სამხედრო პოლიტიკურ კოალიციებში, კავშირებში და ა.შ. თავის სამხედრო-პოლიტიკურ საქმიანობას ქვეყნის შეგნით და საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც წესი, ახორციელებს სამართლებრივი ნორმების და კანონების საფუძველზე. ის შემუშავებული და დამტკიცებულია საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების მიერ და სავალდებულოა **ს**-ს მთელ ტერიტორიაზე შესასრულებლად. ასეთი ხასიათის ყველა სამართლებრივი აქტი დემოკრატიულ, ცივილიზებულ საზოგადოებაში, როგორც წესი, შეესაბამება საერთაშორისო სამართლას ან საერთაშორისო ნორმებსა და ტრადიციებს.

სახელმწიფო გერბი, სახელმწიფოს ოფიციალური ემბლემა; კონსტიტუციით ან სპეციალური კანონით დადგენილი ამოსაცნობ-სამართლებრივი ნიშანი, რომელიც პირობითი ფორმით გამოხატავს სახელმწიფოს ეროვნულ, ეკონომიკურ, ისტორიულ და სხვა თავისებურებებს. **ს.ბ**. სახელმწიფოს სუვერენიტეტის სიმბოლოა. მას განათავსებენ სახელმწიფო ბლანკებზე, ბეჭდებზე, მოქალაქეების პასპორტებზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ოფიციალურ რეზიდენციებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე, სასაზღვრო პუნქტებში და ფულის ნიშნებზე, დროშებზე, ალმებზე, სამხედრო მოსამსახურეების განმასხვავებელ ნიშნებზე, ორდენებზე, მედლებზე და სხვა.

სახელმწიფო დროშა, სახელმწიფო ხელისუფლების ოფიციალური სიმბოლო, რომელიც განასახიერებს სახელმწიფოს სუვერინიტეტს. **ს.დ**-ის აღწერილობა, როგორც წესი, ფიქსირებულია კონსტიტუციაში ან სპეციალურ კანონში. **ს.დ**. აღიმართება სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის უზენაესი ორგანოების, დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების და სახ-

ელმწიფოს სხვა ოფიციალური წარმომადგენლობების შენობებზე. ასევე სახელმწიფოს მეთაურის, სახელმწიფო და სამთავრებო დელეგაციების, საზღვარგარეთ დიპლომატიური და სხვა წარმომადგენლობების სატრანსპორტო საშუალებებზე, გემებზე, რომლებიც დაცურავენ ღია ზღვაში და უცხოეთის სახელმწიფოების ტერიტორიულ წყლებში და ა.შ.

სახელმწიფო კუთვნილების ამოცნობის სისტემა, ტექნიკური საშუალებების და მეთოდების კომპლექსი გარკვეულ მანძილზე ხილვადი ობიექტების – საფრენი აპარატების და ხომალდების სახელმწიფო კუთვნილების დასადგენად. ამოცნობის ყველაზე მეტად გავრცელებული რადიოლოკაციური სისტემა შედგება შემკითხველისა და მოპასუხისგან. ამოცნობის სისტემის იმიტირებული სიგნალების მიმართ დაბრკოლებამდგრადობის და არაამთვისებლობის მიღწევა ხდება (შემკითხველი და მოპასუხე სიგნალების) ენერგეტიკული პოტენციალების შედარებით მაღალი დონით. ასევე ელექტრონული გამომთვლელი მანქანების მეშვეობით მათი პერიოდული კოდირებით. ამოცნობის სისტემაში რადიოტალღების გარდა (ჩვეულებრივ დეციმეტრულ დიაპაზონში) შეიძლება ლაზერული გამოსხივების სიგნალების გამოყენება. სახელმწიფო კუთვნილების ამოცნობის საშუალებას ამოცნობის ნიშნებიც წარმოადგენენ.

სახელმწიფო საზღვარი, ხაზი და ამ ხაზზე გამავალი ზედაპირი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ტერიტორიის – ხმელეთის, წყლის, წიაღის, საჰაერო სივრცის ფარგლებს; სახელმწიფო სუვერენიტეტის სივრცობრივი ზღვარი. **ს.ს.** წესდება მომიჯნავე სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, ზღვაზე – ზღვისპირა სახელმწიფოების შინაგანი საკანონმდებლო აქტებით. სახელმწიფოებს შორის ტერიტორიული გამიჯვნა ხორციელდება ეტაპობრივად. **ს.ს**-ის ხაზზე აყენებენ სასაზღვრო ნიშნებს. **ს.ს**-ს იცავენ სასაზღვრო ფორმირებები.

სახელმწიფო საზღვრის დარღვევა, პირის, ობიექტის, ნებისმიერი ტექნიკური ან სხვა საშუალების მიერ სახელმწიფოს სახმელეთო, სანავიგაციო, ან საჰაერო საზღვრის უნებართვოდ, ან დადგენილი წესის დარღვევით გადაკვეთა. საზღვრის დამრღვევებს ეკისრებათ სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სახელმწიფო საზღვრის დაფარვა, ღონისძიებები, რომლებსაც ახორციელებს საზღვრისპირა სამხედრო და სასაზღვრო სარდლობა, რათა მოიგერიონ ან შეასუსტონ მოწინააღმდეგის დარტყმები ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან, უზრუნველყონ ხელშემწყობი პირობები ჯარების გაშლის და საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის, აღკვეთონ მოწინააღმდეგის აგენტურის, დივერსიულ-სადაზვერვო და სხვა სპეციალური ძალების, აგრეთვე ტერორისტული ჯგუფების და ბანდიტური ფორმირებების საზღვრიდან შემოჭრა.

სახელმწიფო ტერიტორია, საერთაშორისო სამართალში – სახელმწიფოს სუვერენიტეტს დაქვემდებარებული ტერიტორია. გამოყოფილია სხვა სახელმწიფოების ტერიტორიისაგან სახელმწიფო საზღვრით. მოიცავს ხმელეთს, შიდა წყლებს, წიაღისეულს, ტერიტორიულ წყლებსა და საჰაერო სივრცეს. **ს.ტ**-დ ითვლება აგრეთვე ხომალდები და გემები, რომლებიც სახელმწიფოს დროშით დაცურავენ. ასევე მისი საჰაერო ხომალდები. სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია.

სახელმწიფო ჰიმნი, საზეიმო საგალობელი, სახელმწიფოს ერთ-ერთი უმაღლესი ოფიციალური სიმბოლო. სრულდება საზეიმო ცერემონიების და სახელმწიფო ორგანოების მიერ მოწყობილი ზოგიერთი სხვა ღონისძიების დროს, აგრეთვე კანონმდებლობითა და სამხედრო წესდებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში. პირველ სახელმწიფო ჰიმნებს განეკუთვნება ნიდერლანდის (1570) და ინგლისის (1742) ჰიმნები, რომლებიც ასევე სხვა ქვეყნებშიც გამოიყენებოდა.

სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, ქვეყნის, მისი მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების მომზადების დონე და პოტენციალი გარეშე აგრესიის მოსაგერიებლად, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის და დამოუკიდებლობის დასაცავად. **ს.თ**. დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: ომის საფრთხის ხასიათი და მასშტაბი; ქვეყნის ჩართულობა საერთაშორისო კოლექტიური უსაფრთხოების სტრუქტურებში, ქვეყნის სამხედრო პოტენციალი, მისი ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური განვითარება და ადამიანური რესურსები; საზოგადოების სოციალური და ეროვნებათშორისი ერთიანობა და მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური მზადყოფნა, პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის უნარი ეფექტიანად გამოიყენოს არსებული შესაძლებლობები. **ს.თ**-ის საფუძველს შეადგენს შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალი, მათი უნარი, თავიდან აიცილონ შეიარაღებული თავდასხმა, ხოლო აგრესიის შემთხვევაში – მოიგერიონ და დაამარცხონ მოწინააღმდეგე.

სახელმწიფოს სამობილიზაციო შესაძლებლობები, ქვეყნის ეკონომიკის მშვიდობიანიდან ომიანობის მდგომარეობაზე გადსვლის დროს ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოიყენების უნარი შეიარაღებული ძალების სამობილიზაციო გაშლის, ფრონტის და ზურგის საჭიროებების სტაბილური უზრუნველყოფისათვის. ეფუძნება წინაპირობების დროულ შექმნას ომის წარმოებისთვის და

არმიის დაკომპლექტებისათვის მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. **ს.ს.შ**-ის ზოგადი შეფასება გულისხმობს ყველა იმ ძირითადი ფაქტორის აღრიცხვას და ანალიზს, რომლებიც უზრუნველყოფენ ომის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამოსავალი წინაპირობაა ომის მატერიალური მოთხოვნილებების და ეკონომიკის შესაძლებლობების განსაზღვრა, რათა დაკმაყოფილდეს მოთხოვნილებები არსებული სამხედრო მრეწველობის გაზრდის გზით. დროებითი ნიშნების მიხედვით **ს.ს.შ**-ები შეიძლება შეიქმნას წინასწარ ან ომის პროცესში. **ს.ს.შ**-ის შექმნა, მათი რეალიზაცია უმთავრესად დამოკიდებულია სახელმწიფოს მარეგულირებელ როლზე, საზოგადოების ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოდელზე.

სახელმწიფოს შეიარაღებული ორგანიზაცია, სამხედრო ორგანიზაციის ძირითადი ელემენტი, რომლის ბირთვს შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ. **ს.შ.ო**-ში ასევე შედის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შეიარაღებული ფორმირებები.

სახელობითი იარაღი, 1. დასაჯილდოებელი ან საპრიზო იარღი წარწერით, ვისთვის და რა დამსახურებისათვის იყო გადაცემული; 2. საპატიო ჯილდო შეიარაღებულ ძალებში განსაკუთრებულად გამორჩეული ჩადენილი სამხედრო გმირობისათვის, სახელმწიფოს და შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის.

სახეობათაშორისი, იხ. *გაერთიანებული.*

სახეობათაშორისი სუბრეგიონული სარდლობა, სუბრეგიონული სარდლობის ორგანიზაციული ერთეული, ნატოს სამხედრო სარდლობას დროებით მიმაგრებული პასუხისმგებლობის ზონით. ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით: 1. მის შემადგენლობაში არის შეიარაღებული ძალების სამი სახეობის ძალების და საშუალებების შესაბამისობა; 2. სუბრეგიონულ დონეზე პასუხისმგებელია საბრძოლო მომზადებაზე და სწავლებაზე; 3. ერთობლივი ოპერაციების ჩასატარებლად მუდმივ საფუძველზე წარადგენს დაგეგმვის, სარდლობის და მართვის ძალებს და საშუალებებს.

სახეობათაშორისი შტაბი, შტაბი, რომელიც ფორმირებულია ერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების ორი ან მეტი სახეობის პირადი შემადგენლობისგან.

სახმელეთო არტილერია, არტილერიის სახეობა, რომელიც ირიცხება სახმელეთო ჯარების შეიარაღებაში. მისი დანიშნულებაა სახმელეთო მიზნების დაზიანება. მოიცავს საერთო დანიშნულების (ზარბაზნები, ჰაუბიცები, ნაღმსატყორცნები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები) და ტანკსაწინააღმდეგო არტილერიას (ზარბაზნები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი). ზოგი ქვეყნის არმიაში საერთო დანიშნულების არტილერიას საველე არტილერია ეწოდება.

სახმელეთო არტილერიის დაზვერვის სადგური, მოძრავი სახმელეთო (საზღვაო) მიზნების (საბრძოლო მანქანები, ავტომობილები, ხომალდები და სხვა) და მათკენ საარტილერიო სროლების უზრუნველყოფის რადიოსარელეო სადგური. **ს.ა.დ.ს**-ის გამოყენებით შეიძლება განხორციელდეს დამატებითი სროლა და სროლის კონტროლი, შეიქმნას ფიქტიური რეპერი და სხვა. **ს.ა.დ.ს**-ის შემადგენლობაში შედის რადიოლოკაციური აპარატურა, ელექტრონული გამომთვლელი მანქანები, ტოპოგრაფიული მიბმის, ნავიგაციის და კავშირგაბმულობის საშუალებები. ისინი განლაგებულია მუხლუხა, მცურავ, მსუბუქად დაჯავშნულ შასიზე.

სახმელეთო ბლოკადა, იხ. *სამხედრო ბლოკადა.*

სახმელეთო დაზვერვა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ტარდება სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო მოწინააღმდეგის ადგილმდებარეობის და ამინდის შესახებ მონაცემების მოპოვების მიზნით; სამხედრო დაზვერვის სახეობა. წარმოებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის სახმელეთო ქვედანაყოფების და ნაწილების მიერ რადიო, რადიოლოკაციური, რადიოტექნიკური, საარტილერიო, საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური, მეტეოროლოგიური დაზვერვის ხელსაწყოების გამოყენებით.

სახმელეთო ეშელონი (ავიაციაში), უზრუნველყოფის ქვედანაყოფები, საავიაციო ნაწილის მართვის ქვედანაყოფების ძალების და საშუალებების ნაწილი, რომელიც ბაზირების ახალ რაიონში (ახალ აეროდრომზე) გადაადგილდება თავისი სვლით (ავტოტრანსპორტით) ან რკინიგზით.

სახმელეთო მოწყობილობა (სარაკეტო კომპლექსების), დედამიწაზე (გრუნტში) განლაგებული სარაკეტო კომპლექსების შემადგენელი ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს რაკეტების მზადყოფნას და საბრძოლო გამოყენებას. სახმელეთო რაკეტების და სახმელეთო საზენიტო რაკეტების კომპლექსების **ს.მ**. განკუთვნილია მათი ტრანსპორტირების, შენახვის, გადატვირთვის, ტექნიკური მომზადების, დაყენების, დამიზნებისა და გაშვებისათვის. გარდა ამისა, ტელემართვადი **ს.მ**. უზრუნველყოფს რაკეტების გამიზვნას ფრენისას, ხოლო საზენიტო კომპლექსების **ს.მ.** – მიზნის აღმოჩენას და თანხლებას. ძირითადი ობიექტები, რომლებზეც განლაგებულია ამ კომპლექსების **ს.მ**. არის გამშვები დანადგარი, სასტარტო და ტექნიკური პოზიციები. საავიაციო და სახომალდო სარაკეტო კომპლექსების **ს.მ**. უზრუნველყოფს რაკეტების საჭირო მარაგის შენახვას, ტექნიკურ მომსახურებას და ამ რაკეტებით საფრენი აპარატებისა და ხომალდების აღჭურვას. თავსდება აეროდრომების და ბა-

ზების ტექნიკური ქვედანაყოფებისა და ტექნიკური პოზიციების სპეციალურ ნაგებობებში.

სახმელეთო სარაკეტო კომპლექსი, სახმელეთო (საზღვაო) მიზნების გასანადგურებლად განკუთვნილი სახმელეთო ბაზირების სარაკეტო კომპლექსი. მოიცავს რაკეტებს და სახმელეთო მოწყობილობას. განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ **ს.ს.ძ**-ებს. სტრატეგიული **ს.ს.ძ**. შედის სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარების შეიარაღებაში. აქვთ საშუალო სიშორის (1000–5500 *კმ*) მართვადი ბალისტიკური რაკეტები და კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები (5500 *კმ*-ზე მეტი). ისინი აღჭურვილია რამდენიმე მეგატონა სიმძლავრის ბირთვული მუხტებით და აქვთ სტაციონარული (გამშვები დანადგარების მიწისზედა, საშახტო და მიწისქვეშა განლაგებით) ან მოძრავი ბაზირება. ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური **ს.ს.ძ**-ები შედის სახმელეთო ჯარების, სარაკეტო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარების შეიარაღებაში. აქვთ, როგორც წესი, ბირთვული ან ჩვეულებრივი აღჭურვილობის საბრძოლონაწილებიანი რაკეტები, რომელთა ფრენის სიშორე შეადგენს, შესაბამისად, 150–1000 *კმ*-ს და 150-მდე *კმ*-ს. განალაგებენ მუხლუხა ან თვლიან შასიზე.

სახმელეთო ძალების საჰაერო-სახმელეთო სისტემა, სახმელეთო ძალების სისტემა, რომელიც ახორციელებს ურთიერთქმედებას სახმელეთო ძალებსა და სხვა სახეობების საჰაერო ტაქტიკური მხარდაჭერის ქვედანაყოფებთან ოპერაციების დაგეგმვის, შეფასების, განხორციელების და კოორდინაციის დროს.

სახმელეთო ჯარები (მთელ რიგ სახელმწიფოებში – არმია, გერმანიაში – სახმელეთო ძალები), შეიარაღებული ძალების სახეობა, რომლის დანიშნულებაა საომარი მოქმედებების წარმოება უპირატესად ხმელეთზე. მეტწილ სახელმწიფოებში **ს.ჯ**. წარმოადგენს შეიარაღებული ძალების ყველაზე მრავალრიცხოვან, შეიარაღების და საბრძოლო მოქმედების ხერხების მიხედვით ყველაზე მრავალფეროვან სახეობას. საბრძოლო შესაძლებლობებით **ს.ჯ**-ს შეუძლიათ დამოუკიდებლად და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებით აწარმოონ შეტევა მოწინააღმდეგის გასანადგურებლად. ასევე მისი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად, მიაყენონ საცეცხლე დარტყმები დიდ სიღრმეზე, მოიგერიონ მოწინააღმდეგის, მისი მსხვილი საჰაერო და საზღვაო დესანტების შეტევა, მტკიცედ შეინარჩუნონ დაკავებული ტერიტორიები, რაიონები და ზღუდეები. **ს.ჯ**-ის შემადგენლობაში, ჩვეულებრივ, შედის სხვადასხვა გვარეობების ჯარები, სპეციალური ჯარები და სამსახურები.

ს.ჯ. წარმოიშვა ჯერ კიდევ უძველეს ხანაში. მონათმფლობელური წყობილების ეპოქაში შედგებოდა ორი გვარეობის – ქვეითი და ცხენოსანთა ჯარისაგან ან მხოლოდ ერთ-ერთი მათგანისაგან. ძველ ეგვიპტეში, ასურეთსა და ძველ საბერძნეთში გაჩნდა ქვეითი და ცხენოსანი ჯარის ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც შეესაბამებოდა მათი მოქმედებების ხასიათს (ათეულები, ასეულები და სხვა). **ს.ჯ**-ის ორგანიზაცია მნიშვნელოვნად განვითარდა ძველ რომში, სადაც შეიქმნა ლეგიონები, მანიპულები, ცენტურიები და კოჰორტები. VIII–XIV საუკუნეების ევროპულ ქვეყნებში **ს.ჯ**-ის მთავარი გვარეობა იყო ცხენოსანი ჯარი, ხოლო ქვეითი ჯარი დამხმარე როლს ასრულებდა. XIV საუკუნეში დაიწყო ქვეითი ჯარის, როგორც **ს.ჯ**-ის ძირთიადი გვარეობის აღორძინება და გაჩნდა არტილერია. **ს.ჯ**-ის ცეცხლსასროლი იარაღით და ზარბაზნებით აღჭურვამ მკვეთრად გაზარდა მათი საბრძოლო ძლიერება, გამოიწვია ცვლილებები ჯარების მოქმედების ტაქტიკასა და ორგანიზაციაში. XV საუკუნეში **ს.ჯ**-ში შეიქმნა ასეულები, შემდეგ პოლკები, XVI–XVII საუკუნეებში – ბატალიონები და ბრიგადები. I მსოფლიო ომის დაწყებისას **ს.ჯ**. შეადგენდნენ მოპირისპირე კოალიციების წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ძირითად მასას. ამ დროისათვის **ს.ჯ**. აღიჭურვნენ სავაზნეკოლოფიანი ხიშტიანი შაშხანებით, ტყვიამფრქვევებით, სწრაფმსროლი ქვემეხებით, ნაღმსატყორცნებით, ჯავშანავტომობილებით, ხოლო ომის ბოლოს – ტანკებითაც. ჯარების გვარეობების და მათი ორგანიზაციის მიხედვით მსხვილი სახელმწიფოების **ს.ჯ**-ს დიდი მსგავსება ჰქონდათ. ისინი შედგებოდნენ ქვეითი ჯარისაგან (ჯარების მთავარი გვარეობა), კავალერიისგან, არტილერიისა და სპეციალური (საინჟინრო და კავშირგაბმულობის) ჯარებისაგან. ჯარები გაერთიანებული იყო არმიებად, რომლებიც შედგებოდნენ კორპუსების და დივიზიებისაგან, ხოლო შემდეგ საერთო-საჯარისო შენაერთებად იქცნენ. ომის დროს ახალი სახეობების შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის შექმნამ და ჯარებში მათმა დანერგვამ გამოიწვია **ს.ჯ**-ის სტრუქტურის არსებითი ცვლილებები. მათ შემადგენლობაში გაჩნდა ჯავშანსატანკო, ქიმიური, საავტომობილო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები. შეიქმნა დაჯგუფებები და არმიების ჯგუფები.

II მსოფლიო ომის შემდეგ **ს.ჯ**-ის განვითარება მიმდინარეობდა შეძენილი საბრძოლო გამოცდილების ათვისების და მათი ორგანიზაციული სტრუქტურის და შეიარაღების შემდგომი სრულყოფის გზით. ყველაზე არსებითი ცვლილებები **ს.ჯ**-ში მოხდა XX საუკუნის 60-იან წლებში ბირთვული იარაღის გაჩენასთან დაკავშირებით. შემდგომში **ს.ჯ**. ვითარდებოდა

უახლესი სამხედრო ტექნიკის და სამხედრო მეცნიერების მიღწევების ბაზაზე. **ს.ჯ**-ში შესაბამისი პროპორციებით არის წარმოდგენილი ყველა თანამედროვე გვარეობის ჯარები და სპეციალური ჯარები, რომელთა შეთანხმებული გამოყენებაც უზრუნველყოფს **ს.ჯ**-ზე დაკისრებული ამოცანების გადაწყვეტას.

ნატოს ქვეყნებს შორის რიცხოვნობითა და ტექნიკური აღჭურვილობით გამოირჩევა აშშ-ის **ს.ჯ**. (არმია), რომელშიც შედის რეგულარული ჯარები და ორგანიზებული რეზერვი (არმიისა და ეროვნული გვარდიის **ს.ჯ**-ის რეზერვი). ჯარების გვარეობებს განეკუთვნება ქვეითი (მოტოქვეითი) ჯარი, ჯავშანსატანკო ჯარები, საველე და საზენიტო არტილერია და საარმიო ავიაცია. ასევე – საბრძოლო უზრუნველყოფის ნაწილები და ქვედანაყოფები – სამხედრო დაზვერვა და რადიოელექტრონული ბრძოლა, კავშირგაბმულობის ჯარები, საინჟინრო, ქიმიური ჯარები და სამხედრო პოლიცია; სამსახურებს – სამედიცინო, საფინანსო, კვარტირმაისტერული, სამხედრო მღვდლების, სამხედრო-იურიდიული და საარტილერიო-ტექნიკური. მსგავსი სტრუქტურა აქვთ დიდი ბრიტანეთის **ს.ჯ**-ს. გერმანიაში სახმელეთო ძალები შედგება სახმელეთო და ტერიტორიული ჯარებისაგან. ჯარების გვარეობებად ითვლება მართვის ჯარები, საბრძოლო ჯარები, საბრძოლო მხარდაჭერის ჯარები და ჯარების სტაციონარული გვარეობები; მოიცავენ იარაღის გვარეობებს – ქვეითი ჯარის, ტანკების, არტილერიის, საარმიო ავიაციის, ტექნიკური დაზვერვის, რადიოტექნიკურ, სამხედრო პოლიციის და სხვა ქვედანაყოფების.

რუსეთის **ს.ჯ**-ში შედის მოტომსროლელი, სატანკო, სარაკეტო ჯარები და არტილერია, საჰაერო თავდაცვის ჯარები და ავიაცია, რომლებიც **ს.ჯ**-ის გვარეობებს წარმოადგენენ; ასევე – სპეციალური ჯარების შენაერთები და ნაწილები (სადაზვერვო, კავშირგაბმულობის, რადიოელექტრონული ბრძოლის, საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის და სხვა), ზურგის ნაწილები, დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები. ორგანიზაციულად შედგება საერთო-საჯარისო (სატანკო) არმიების, საარმიო კორპუსების, მოტომსროლელი (სატანკო), საარტილერიო და სატყვიამფრქვევო, საარტილერიო დივიზიების, გამაგრებული რაიონების ბრიგადების, ცალკეული ნაწილების, გაერთიანებების და შენაერთებისაგან.

სახმელეთო ჯარების ავიაცია, შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების გვარეობა, რომელიც განკუთვნილია უშუალოდ საერთო-საჯარისო (სატანკო) გაერთიანებების, შენაერთებისა და ნაწილების ინტერესებში სამოქმედოდ. მოიცავს სამხედრო დაჯგუფებების, საერთო-საჯარისო (სატანკო) არმიების კორპუსების ავიაციას. ძირითადი ორგანიზაციული ერთეულებია სავერტმფრენო პოლკები და ესკადრილიები. გაჩნდა I მსოფლიო ომის წინ და ეწოდა სახმელეთო ავიაცია (საზღვაო ავიაციისაგან განსხვავებით).

სახმელეთო ჯარების საბრძოლო მოქმედებების ზონა, იხ. *საბრძოლო მოქმედებების ზონა.*

სახმელეთო ჯარების საჰაერო თავდაცვის ჯარები, ზოგ ქვეყნაში სახმელეთო ჯარების გვარეობა, რომლის დანიშნულებაა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის მოგერიება, ჯარების დაჯგუფებების და ლოგისტიკის ობიექტების დაცვა ჰაერიდან. შედგება საზენიტო სარაკეტო, საზენიტო სარაკეტო-საარტილერიო, საზენიტო საარტილერიო და რადიოტექნიკური შენაერთების ნაწილებისა და ქვედანაყოფებებისგან.

სახმელეთო-საჰაერო ეშელონი, გაერთიანებების (შენაერთების) ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტი. პირველად ეს ტერმინი ლიტერატურაში გაჩნდა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ზოგიერთი ქვეყნის არმიებში მობილური ძალების შექმნის და გამოყენების კონცეფციის შემუშავებისას. **ს.-ს.ე.** განკუთვნილია არჩეულ მიმართულებებზე (რაიონებში) დარტყმების მისაყენებლად (ამოცანების შესასრულებლად) ხმელეთიდან და ჰაერიდან; ასევე – სწრაფი მანევრისათვის ახალ მიმართულებებზე (რაიონებში) საშტატო და მიკუთვნებული ავიაციით ძალების და საშუალებების ჰაერით გადასროლის გზით.

სახომალდო ავიაცია, იხ. *საზღვაო ავიაცია.*

სახომალდო არტილერია, იხ. *საზღვაო არტილერია.*

საჯარისო ავიაცია, საავიაციო ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც ორგანიზაციულად შედიან საერთო-საჯარისო (სატანკო) გაერთიანებებისა და შენაერთების შემადგენლობაში. ჩაისახა I მსოფლიო ომის წლებში. ზოგიერთ სახელმწიფოში ცნებას „საჯარისო ავიაცია“ შეესაბამება „საკორპუსო ავიაცია“ ან იგი გაიგივებულია საარმიო ავიაციასთან. ზოგჯერ **ს.ა**-ში იგულისხმება მთელი ავიაცია, რომელიც შეიარაღებული ძალების სარდლობის დაქვემდებარებაშია.

საჯარისო არტილერია (ზოგიერთი ქვეყნის არმიებში – საველე არტილერია), არტილერია, რომელიც შედის საერთო-საჯარისო გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების შემადგენლობაში. საორგანიზაციო-საშტატო კუთვნილების მიხედვით იყოფა არმიის, კორპუსის, დივიზიის, პოლკის და ბატალიონის არტილერიად.

ა რ მ ი ი ს ა რ ტ ი ლ ე რ ი ა, საარტილერიო ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან არმიის სარდლობას. შეიარაღებაში აქვთ შორსმსროლელი საარტილერიო სისტემები, ზალპური ცეცხლის

რეაქტიული სისტემები, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები. განკუთვნილია არმიის მთავარი დაჯგუფების საცეცხლე ამოცანების გადასაწყვეტად, მოწინააღმდეგის არტილერიასთან ბრძოლისათვის და მთავარ მიმართულებებზე მოქმედი დივიზიების გასაძლიერებლად.

ბ ა ტ ა ლ ი ო ნ ი ს ა რ ტ ი ლ ე რ ი ა, საშტატო საარტილერიო ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან ბატალიონის მეთაურს. შეიარაღებაში აქვთ ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, ნაღმსატყორცნები და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები, რომლებიც გამოირჩევიან მცირე მასით და გაბარიტით, მაღალი მობილურობით და სწრაფსროლით. განკუთვნილია ბრძოლაში ქვეითი ქვედანაყოფების უშუალო მხარდაჭერისათვის.

დ ი ვ ი ზ ი ი ს ა რ ტ ი ლ ე რ ი ა, საშტატო-საარტილერიო ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან დივიზიის მეთაურს. შეიარაღებაში აქვთ თვითმავალი და საბუქსირე საარტილერიო ქვემეხები (ნაღმსატყორცნები), ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები. მოქმედებს დივიზიის მთავარი დაჯგუფების საცეცხლე ამოცანების გადასაწყვეტად და ქვეითი (მოტოქვეითი), სატანკო პოლკების (ბრიგადების) გაძლიერებისათვის მთავარ მიმართულებაზე.

კ ო რ პ უ ს ი ს ა რ ტ ი ლ ე რ ი ა, საარტილერიო ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან კორპუსის მეთაურს. შეიარაღებაში აქვთ შორსმსროლელი საარტილერიო სისტემები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები. განკუთვნილია კორპუსის მთავარი დაჯგუფების საცეცხლე ამოცანების გადასაწყვეტად, მოწინააღმდეგის არტილერიასთან ბრძოლისათვის და მთავარ მიმართულებებზე მოქმედი დივიზიების გასაძლიერებლად.

პ ო ლ კ ი ს ა ნ ბ რ ი გ ა დ ი ს ა რ ტ ი ლ ე რ ი ა, საშტატო საარტილერიო ქვედანაყოფები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან პოლკის მეთაურს. შეიარაღებაში აქვთ უპირატესად თვითმავალი საარტილერიო ქვემეხები და ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები. განკუთვნილია მთლიანად პოლკის ინტერესებში შემავალი შესაბამისი საცეცხლე ამოცანების გადასაწყვეტად, აგრეთვე მთავარ მიმართულებაზე ბატალიონების გაძლიერებისათვის.

საჯარისო დაზვერვა, მოწინააღმდეგის სახმელეთო ჯარების დაჯგუფების საბრძოლო შემადგენლობის, მდებარეობის, მდგომარეობის და განზრახვის, ძლიერი და სუსტი მხარეების, აგრეთვე მის მიერ დაკავებული რაიონების და პოზიციების საინჟინრო მოწყობის დონის და ხასიათის, გადამღობი სისტემის, ბრძოლის ახალი საშუალებების შესახებ ცნობების მოპოვება, შეკრება და განზოგადება. წარმოებს ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების ინტერესებისათვის. **ს.დ**-ის წარმოებისათვის სადაზვერვო ქვეითი, სატანკო და საპარაშუტო-სადესანტო ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების შემადგენლობიდან შეიძლება დააყენონ მეთვალთვალეები, სათვალთვალო საგუშაგოები და სათვალთვალო პუნქტები; გაგზავნონ ცალკეული სადაზვერვო მზირთა ჯგუფები, სადაზვერვო რაზმები, საბრძოლო-სადაზვერვო მზირები, მზირთა ათეულები (ტანკები), ოფიცერთა სადაზვერვო ჯგუფები, ძებნის ჩასაფრების მოწყობის, ბრძოლით დაზვერვის წარმოების ქვედანაყოფები. **ს.დ.** წარმოებს აგრეთვე რადიოტექნიკური, ზოგიერთ შემთხვევაში კი საჰაერო დაზვერვის ძალებითა და საშუალებებით. **ს.დ**-ის წარმოების ხერხებია: თვალთვალი, მიყურადება, ძებნა, თავდასხმა, ჩასაფრება, ბრძოლით დაზვერვა, ფოტოგრაფირება, რადიოელექტრონული საშუალებების გადაჭერა და პელენგაცია, ადგილობრივი მცხოვრებლების გამოკითხვა, მოპოვებული დოკუმენტების, შეიარაღების, ტექნიკის შესწავლა და სხვა.

საჯარისო ეშელონი, საჯარისო ნაწილი (ერთი ან რამდენიმე ქვედანაყოფი) ან საომარი ტექნიკის პარტია, გადაყვანილი ერთი მატარებლით, ერთი გემით. ხომალდები და გემები, რომლებიც გადაჰყავთ გემთსავალი გზებით, ქმნიან **ს.ე**-ს. საჰაერო ტრანსპორტით ჯარების გადაყვანისას თითოეული საჰაერო საშუალებისთვის ხდება საჯარისო გუნდის (რაზმის, დანაყოფის) დაკომპლექტება. **ს.ე.** შეიძლება შედგებოდეს მატარებლის ერთი ვაგონისგან ან მთლიანი შემედგენლობისგან, გემის ერთი სათავსისგან ან მთლიანი გემისგან. ერთი მატარებლით (გემით) შეიძლება გადაადგილდეს რამდენიმე **ს.ე.**

საჯარისო ლოგისტიკა, ლოგისტიკის ნაწილები და ქვედანაყოფები. ისინი ორგანიზაციულად შედიან შეიარაღებული ძალების ან ყველა სახეობის შენაერთების და ნაწილების შემადგენლობაში და განკუთვნილი არიან ლოგისტიკის უზრუნველყოფისათვის; შეიარაღებული ძალების **ს.ლ**. პირველადი რგოლია. კუთვნილების და გადასაწყვეტი ამოცანების მოცულობის მიხედვით **ს.ლ**. არის ბრიგადის, პოლკის, ბატალიონის და დივიზიის.

საჯარისო მარაგი, იხ. *მატერიალური საშუალებების მარაგი.*

საჯარისო მეგობრობა, სამხედრო მოსამსახურეთა ურთიერთობები, რომელიც ხასიათდება ურთიერთ დახმარებით და კოლექტიურობით. დაფუძნებულია სამსახურებრივი ინტერესებისა და მიზნების ერთიანობაზე, სამხედრო შრომის კოლექტიურ ხასიათზე. **ს.მ**-ს აღწევენ სამხედრო აღზრდით, სამხედრო კოლექტივე-

ბის დარაზმვით, ქვედანაყოფებში და ნაწილებში მკაცრი საწესდებო მოთხოვნებით. **ს.მ.** ჯარის ერთერთი საუკეთესო ტრადიციაა.

საჯარისო სამსახური, სამხედრო ნაწილებსა და ბაზებში (გარნიზონებში) ჯარების ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს ყოფა-ცხოვრების და სწავლის საჭირო პირობებს, საწესდებო წესრიგის და მაღალი სამხედრო დისციპლინის დაცვას. **ს.ს**-ს ორგანიზებას უწევენ სათანადო მეთაურები (უფროსები) და შტაბები. ისინი მოქმედებენ დებულებების, წესდებების და ინსტრუქციების საფუძველზე, ზემდგომი მეთაურების ბრძანებების (განკარგულებების) მოთხოვნათა შესაბამისად.

საჯარისო საჰაერო თავდაცვა, საჰაერო თავდაცვის ძალები და საშუალებები, რომლებიც ორგანიზაციულად შედიან საერთოსაჯარისო (სატანკო) გაერთიანებების, შენაერთების და ნაწილების შემადგენლობაში. ისინი იმყოფებიან უშუალოდ ჯარებში და ასრულებენ საბრძოლო მოქმედებების დროს მოწინააღმდეგის საჰაერო დარტყმებისაგან მათი დაცვის ამოცანებს (ობიექტის საჰაერო თავდაცვისაგან განსხვავებით, რომელიც იცავს ობიექტებს, რაიონებს). **ს.ს.თ**-ის შეიარაღებაში არის მოძრავი საზენიტო რაკეტები, მცირე და საშუალო მოქმედების რადიუსის საზენიტო საარტილერიო კომპლექსები, საზენიტო თვითმავალი და საზენიტო ტყვიამფრქვევების დანადგარები, გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსები.

საჰაერო ბლოკადა, იხ. *სამხედრო ბლოკადა.*

საჰაერო ბრძოლა, იხ. *ბრძოლა.*

საჰაერო განბაში, საჰაერო თავდაცვის საშუალებების სწრაფი გადაყვანა მზადყოფნაში საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად. ასევე ჯარების (ძალების) პირადი შემადგენლობის და მოსახლეობის მიერ ყველა საშუალების მზადყოფნაში მოყვანა საჰაერო დარტყმების მოსაგერიელებლად. სიგნალი „საჰაერო განგაში“ გაიცემა ტექნიკური საშუალებებით და ხმით საჰაერო თავდასხმის საფრთხის ან თავდასხმის დროს.

საჰაერო დაზვერვა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელსაც გეგმავს და ახორციელებს ყველა დონის შტაბი და სარდლობა მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების), ობიექტების, საომარი მოქმედებების თეატრის ინფრასტრუქტურის, ადგილმდებარეობის, ამინდის, რადიაციული და ქიმიური ვითარების შესახებ ცნობების მოპოვების მიზნით; დაზვერვის სახეობა. **ს.დ.** წარმოებს შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ჯარების (ძალების) გვარეობების ინტერესებისათვის პილოტირებული და უპილოტო (დისტანციურად პილოტირებული) მზვერავი თვითმფრინავების, ჰაერსანაოსნო საშუალებების ეკიპაჟის, ქვედანაყოფის, ნაწილის მიერ, აგრეთვე თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ეკიპაჟების მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს. **ს.დ.** იყოფა სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დაზვერვად. **ს.დ**-ის ძირითადი სახეობებია: ვიზუალური თვალთვალი, ოპტიკურ-ელექტრონული და რადიოელექტრონული დაზვერვა.

საჰაერო დერეფანი, შეზღუდული საჰაერო მარშრუტი, რომელიც გამოყოფილია საგანგებოდ მხოლოდ საკუთარი ძალების თვითმფრინავების გადაადგილებისათვის. არმიაში – სივრცე, რომლის საზღვრებშიც საარტილერიო პოზიციებიდან ცეცხლი არ გაიხსნება საავიაციო საშუალებებისკენ, უპილოტო საჰაერო ტრანსპორტის ჩათვლით.

საჰაერო დესანტი, საჰაერო-სადესანტო ოპერაციის ეტაპი, რომელიც იწყება დესანტირების რაიონში საჰაერო დესანტის I ეშელონის გადასროლით. გამოიყენება დესანტირების საწყისი პლაცდარმის ხელში ჩასაგდებად და მასზე გამაგრებისთვის.

საჰაერო დესანტირების ეტაპი, იხ. *საჰაერო დესანტი.*

საჰაერო დესანტის გადასხმა, იხ. *დესანტირება.*

საჰაერო ეშელონი, 1. პირადი შემადგენლობა და მატერიალური საშუალებები, რომლებიც ავიაციის მიერ ბაზის შეცვლისას სატრანსპორტო თვითმფრინავებით (ვერტმფრენებით) გადაიზიდება. **ს.ე**-ის შემადგენლობა დამოკიდებულია ბაზის შეცვლისთვის გამოყოფილ დროზე, ბაზის ძველ და ახალ ადგილებს შორის მანძილზე. 2. ზოგჯერ **ს.ე**-ს უწოდებენ დაჯგუფებას, რომელიც იქმნება ერთი ან რამდენიმე საავიაციო გაერთიანებით ჰაერში მოწინააღმდეგის ობიექტებზე მასირებული საავიაციო დარტყმების განსახორციელებლად. ასეთი დაწყობა, ჩვეულებრივ, შეიცავს უზრუნველყოფის, დამრტყმელ ეშელონებს და რეზერვს.

საჰაერო ვითარება, ფაქტორების და პირობების ერთობლიობა, რომელიც შეიქმნა დაპირისპირებული მხარეების ავიაციის და საჰაერო თავდაცვის ძალების საბრძოლო მოქმედებების შედეგად ან მათი ყოველდღიური საქმიანობის დროს. მისი ძირითადი ელემენტებია: დაპირისპირებული ძალების და საშუალებების შემადგენლობა, მდგრადობა ერთმანეთის და მოქმედების ობიექტების (მიზნების) მიმართ; მათი საბრძოლო წყობა, ფრენის მიმართულებები და სიმაღლეები, მხარეების ავიაციის მოქმედების ხასიათი და ხერხები; მოწინააღმდეგის ავიაციის საჰაერო თავდაცვის ძალებისა და საშუალებების რაოდენობა, საბრძოლო შესაძლებლობები, მოქმედების ხასიათი და ხერხები.

საჰაერო თავდაცვა, ღონისძიებების, ძალების, საშუალებების და მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის მოსაგერიებლად. ასევე – ობიექტების, მოსახლეობის და ჯარე-

ბის ჰაერიდან მოსალოდნელი დარტყმებისაგან დასაცავად. ტარდება ქვეყნის (ქვეყნების კოალიციის) ან ცალკეული რეგიონების, სამრეწველო რაიონების, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ცენტრების, შეიარაღებული ძალების დაჯგუფების და უმნიშვნელოვანესი ობიექტების მასშტაბით. **ს.თ.** ხორციელდება საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით და სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფის) შეიარაღრებული ძალების შემადგენლობიდან დანიშნული ჯარებით (ძალებით) და საშუალებებით. ამასთან, განასხვავებენ აქტიურ (ძალების და საშუალებების მოქმედებებს მოწინააღმდეგის დარტყმების მოგერიების ან მათი ეფექტიანობის შემცირების მიზნით) და პასიურ **ს.თ**-ს (ითვალისწინებს მოწინააღმდეგის ავიაციის თავდასხმების ეფექტიანობის შემცირებას). მშვიდობიანობისას **ს.თ**-ის ძალები და საშუალებები უთვალთვალებენ საჰაერო სივრცეს, ხოლო აგრესიის დაწყების შემთხვევაში იძლევიან გამაფრთხილებელ ინფორმაციას საჰაერო (სარაკეტო) თავდასხმის შესახებ და აწარმოებენ საბრძოლო მოქმედებებს დარტყმების მოსაგერიებლად.

საჰაერო თავდაცვის ავიაცია, გამანადგურებელი ავიაცია ქვეყნის ადმინისტრაციულ-პოლიტიკური, სამრეწველო-ეკონომიკური ცენტრების (რაიონების), მნიშვნელოვანი სამხედრო და სხვა ობიექტების საჰაერო თავდაცვის სისტემაში, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის, დაზვერვის და თვალთვალის საშუალებების, აგრეთვე მისი საჰაერო დესანტებისა და აერომობილური ჯარების ჰაერში განადგურებისათვის.

საჰაერო თავდაცვის ბრძოლა, მიზნის, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული საზენიტო-სარაკეტო (საზენიტო-საარტილერიო) შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების საცეცხლე მოქმედებები. იყენებენ საჰაერო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად დამოუკიდებლად ან გამანადგურებელი ავიაციის ცალკეულ თვითმფრინავებთან (ტაქტიკურ ჯგუფებთან) ერთად. როგორც წესი, მიმდინარეობს შეზღუდულ რაიონში ხანმოკლე დროის მანძილზე და შეიძლება იყოს საჰაერო თავდაცვის ბატალიის და საჰაერო თავდაცვის ოპერაციის ნაწილი.

საჰაერო თავდაცვის გადალახვა, ორგანიზაციული ღონისძიებები და ავიაციის, რადიოელექტრონული ბრძოლის და დაზიანების სხვადასხვა საშუალების საბრძოლო მოქმედება. მისი მიზანია შეამციროს მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ეფექტიანობა, უზრუნველყოს საკუთარი ავიაციის მიერ ამოცანების წარმატებით შესრულება. მოწინააღმდეგის **ს.თ.ბ.** ყოველი საბრძოლო გაფრენის დროს ხორციელდება უზრუნველმყოფი მოქმედებით და სხვადასხვა ტაქტიკური ხერხით. უზრუნველმყოფ მოქმედებებს განეკუთვნება: მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების დაზვერვა გაფრენის ზოლსა და სამიზნის რაიონში; საჰაერო თავდაცვის ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტების შერჩევითი დაზიანება; მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ჰაერში განადგურება; საჰაერო თავდაცვის მართვის სისტემათა რადიოელექტრონული ჩახშობა; შენაერთების, ნაწილების, საკუთარი ავიაგამანადგურებლების ძალებით ქვედანაყოფების საბრძოლო წყობის დაცვა მოწინააღმდეგის ავიაგამანადგურებელთა იერიშებისაგან; მტრის გამანადგურებელი ავიაციის აეროდრომების ბლოკირება და სხვა. ძირითად ტაქტიკურ ხერხებს განეკუთვნება: საბრძოლო ფრენის შესრულება ჩახშობილი საჰაერო თავდაცვის სისტემის თავზე ან იმ რაიონების (ობიექტების) გვერდის ავლით, რომლებსაც ფარავენ საზენიტო საშუალებები და ავიაგამანადგურებლები; ფრენა ოპტიმალური საბრძოლო წყობით მაქსიმალურად ხელსაყრელ სიმაღლეზე და სიჩქარით; გამანადგურებელსაწინააღმდეგო, რაკეტსაწინააღმდეგო და ზენიტსაწინააღმდეგო მანევრირების შესრულება; საჰაერო თავდაცვის გარღვევა.

საჰაერო თავდაცვის დაჯგუფება, საჰაერო თავდაცვის ჯარების გაერთიანება, რომლის დანიშნულებაა დადგენილ საზღვრებში ჰაერიდან მოსალოდნელი დარტყმებისგან დაიცვას უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული, სამრეწველო ცენტრები და რაიონები, შეიარაღებული ძალების დაჯგუფებები, მნიშვნელოვანი სამხედრო და სხვა ობიექტები.

საჰაერო თავდაცვის დროს ცეცხლის მართვის სტატუსი, ცეცხლის მართვის განსაკუთრებული ხარისხი, განხორციელებული საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების მიმართ, რომლებსაც აქვთ მიკუთვნებული ან საშტატო იარაღი. ცეცხლის მართვის ტერმინებია: 1. „თავისუფალი სროლა“ – ანუ ცეცხლი საჰაერო მიზნების მიმართ შეუზღუდავია. 2. „შეზღუდული სროლა“ – ანუ ცეცხლი ნებადართულია, მხოლოდ ამოუცნობი საჰაერო ობიექტების მიმართ. 3. „შეჩერებული სროლა“ – ცეცხლის გახსნა აკრძალულია.

საჰაერო თავდაცვის კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

საჰაერო თავდაცვის ოპერაცია, მიზნების, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული საჰაერო თავდაცვის და საჰაერო ბრძოლების, ბატალიებისა და დარტყმების ერთობლიობა, რომელიც ეწყობა ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით მოწინააღმდეგის საჰაერო შეტევითი ოპერაციის მოსაგერიებლად და ჩასაშლელად შესაბამის საჰაერო ან კოსმოსურ მიმართულებაზე (ერთ ან რამდენიმე საჰაერო-საოპერაციო მიმართულებაზე). ჩვეულებრივ, წარმოადგენს მოწინააღმდეგის საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის მოსაგერიებელი სტრატეგიული ოპერაციის შემადგენელ ნაწილს. **ს.თ.ო.** შეიძლება მოიცავდეს

საჰაერო თავდაცვის ზონის საბრძოლო მოქმედებებს (ოპერაციას), საჰაერო თავდაცვის (საჰაერო) ბატალიონებსა და ბრძოლებს; ასევე – სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის ჯარების საინფორმაციო-სადაზვერვო და საბრძოლო მოქმედებებს, ავიაციის, სარაკეტო ჯარებისა და არტილერიის დარტყმებს. გარდა ამისა, მოიცავს დაჯგუფების სადაზვერვო-დამრტყმელი კომპლექსების, ფლოტის ძალების დამსწრებ და საპასუხო შეტევებს. **ს.თ.ო**-ის ყველაზე მკაფიოდ გამოხატულ ხასიათს ატარებდა საჰაერო თავდაცვის ჯარების და ძალების საბრძოლო მოქმედებები II მსოფლიო ომის დროს.

საჰაერო თავდაცვის რაიონი, საჰაერო თავდაცვის ჯარების (ძალების) ტერიტორიული გაერთიანება ობიექტების და ჯარების (ძალების) დაჯგუფებების დადგენილ საზღვრებში საჰაერო მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან დასაცავად. თავდაცვა ხორციელდება ერთიანი ხელმძღვანელობით. საჰაერო თავდაცვის ზონის ნაწილი ან დამოუკიდებელი ელემენტი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) საჰაერო და საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სისტემაში. პირველად შეიქმნა სსრ კავშირში 1941 წელს (საჰაერო თავდაცვის კორპუსის, დივიზიისა და ბრიგადის **ს.თ.რ.**). აშშ-ში არის საჰაერო თავდაცვის აღმოსავლეთის, ცენტრალური და დასავლეთის **ს.თ.რ**-ები; ამერიკა-კანადის საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სარდლობის შემადგენლობაში არის სამი **ს.თ.რ.** (კონტინენტური, ალიასკის და კანადის). ნატოს ევროპის გაერთიანებულ საჰაერო თავდაცვის სისტემაში არის შვიდი **ს.თ.რ.**, რომლებიც ემთხვევა გაერთიანებული ან ეროვნული ტაქტიკური საავიაციო სარდლობების პასუხისმგებლობის საზღვრებს.

საჰაერო თავდაცვის საზღვაო რაიონი, 1. ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების საჰაერო თავდაცვის ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთი. 1944–54 წლებში განკუთვნილი იყო ზღვისპირა ადმინისტრაციული და სამრეწველო ცენტრების, სამხედრო-საზღვაო ბაზების, ნავსადგურების, მიმდებარე სანაპირო რაიონების და საზღვაო აკვატორიების დასაცავად; 2. შიდა და სანაპიროს მიმდებარე ზღვების აკვატორიის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც სპეციალურად შექმნილი საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების დაჯგუფება ახორციელებს ფლოტის სხვადასხვა გვარეობის ძალების დაფარვას საჰაერო მოწინააღმდეგის დარტყმებისაგან. დაშორებულ საზღვაო (საოკეანო) ზონებში იქმნება საჰაერო თავდაცვის საზღვაო-სამანევრო რაიონები.

საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების ადრიანად გაფრთხილება, იხ. *ადრიანი გაფრთხილება.*

საჰაერო თავდაცვის ძალების და საშუალებების საბრძოლო მოქმედებების ზონა, იხ. *მოქმედების რადიუსი.*

საჰაერო თავდაცვის ჯარები, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სახეობა, რომელიც განკუთვნილია ჰაერიდან და კოსმოსიდან მოსალოდნელი დარტყმებისაგან ქვეყნის ადმინისტრაციული, სამრეწველო-ეკონომიკური ცენტრების და რაიონების, შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების, მნიშვნელოვანი სამხედრო და სხვა ობიექტების დასაცავად. თავის ამოცანებს ასრულებენ დამოუკიდებლად და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებით, მოწინააღმდეგის საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის საშუალებების ჰაერში და უახლოეს კოსმოსში განადგურების გზით. **ს.თ.ჯ**-ს აგრეთვე ევალება სახელმწიფო საზღვრის დაცვა საჰაერო სივრცეში, ბალისტიკური რაკეტების შესაძლო სტარტების რაიონებზე თვალთვალი, კოსმოსური სივრცის კონტროლი, საჰაერო სივრცის გამოყენების წესის კონტროლი.

ს.თ.ჯ-ის ჩამოყალიბება დაკავშირებულია პირველ მსოფლიო ომში ავიაციის საბრძოლო გამოყენებასთან. გერმანიაში, საფრანგეთსა და რუსეთში შეიქმნა საზენიტო ზარბაზნები, რომლებმაც დასაბამი მისცეს საზენიტო არტილერიას. დიდი ქალაქების დასაცავად ჩამოყალიბდა სპეციალური ავიარაზმები, იყენებდნენ გადამღობ აეროსტატებს და პროჟექტორებს, ჩამოყალიბდა საჰაერო თვალთვალის და შეტყობინების სამსახური. ომის შემდგომ პერიოდში გრძელდებოდა საჰაერო თავდაცვის ჯარების სრულყოფა და აღჭურვა თანამედროვე გამანადგურებელი თვითმფრინავებით, საზენიტო არტილერიით და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით, რადიოტექნიკურმა ჯარებმა მიიღეს რადიოსალოკაციო ტექნიკა. ზოგიერთი სახელმწიფოს არმიებში **ს.თ.ჯ.** არ არის გამოყოფილი შეიარაღებული ძალების დამოუკიდებელ სახეობად; ქვეყნის საჰაერო თავდაცვის ამოცანების შესრულება ეკისრებათ სამხედრო-საჰაერო ძალებს.

საჰაერო ომში, იხ. *ომში.*

საჰაერო კოდექსი, საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებს სახელმწიფოს ავიაციის საქმიანობას და მისი საჰაერო სივრცის გამოყენების წესს. **ს.კ**-ში საერთაშორისო საჰაერო სამართლის საფუძველზე დადასტურებულია სახელმწიფოს სრული სუვერენიტეტი კუთვნილ საჰაერო სივრცეზე, განსაზღვრულია სახელმწიფოსა და მოქალაქეების ინტერესების დასაცავად ავიაციის საქმიანობის წესი.

საჰაერო კომპონენტი, 1. სამხედრო სარდლობის და შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში არსებული ყველა საავიაციო ძალა და საშუალება: საფრენი აპარატები, პირადი შემადგენლობა, ტექნიკური მომსახურების ობ-

იექტები და ა.შ. ისინი რეგიონული, სუბრეგიონული, გაერთიანებული საავიაციო ან სამხედრო კომპონენტის დაქვემდებარებაში არიან. 2. საომარი მოქმედებების ნაწილი, რომლებშიც ავიაციის ძალები და საშუალებები მონაწილეობენ. 3. მცირემასშტაბიანი კონფლიქტების ზონაში – მრავალეროვნული ოპერატიული ძალების ნაწილები და საშუალებები, რომლებიც თავისი მეთაურის დაქვემდებარებაში იმყოფებიან.

საჰაერო კოსმოსური თავდაცვა, 1. კოსმოსურ სივრცეში თავდაცვის ყველა ზომის გამოყენება მოწინააღმდეგის მოიერიშე თვითმფრინავების და რაკეტების გასანადგურებლად ან დასაზიანებლად, ასევე მისი კოსმოსური სისტემების გასანეიტრალებლად. 2. მრავლისმომცველელი ტერმინი, რომელშიც შედის საჰაერო, ბალისტიკური და კოსმოსური თავდაცვა.

საჰაერო ლოგისტიკური მხარდაჭერის ოპერაცია, საჰაერო ტრანსპორტით პირადი შემადგენლობის გადაყვანა და ევაკუაცია, შეიარაღების და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გადატანის უზრუნველყოფა.

საჰაერო მართვის პუნქტი, ეწყობა თვითმფრინავზე (ვერტმფრენზე) ჯარების (ძალების) მართვისათვის, ძირითადად ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებისას; სამეთაურო პუნქტის ელემენტი. ზოგ ქვეყანაში უწოდებენ საჰაერო-სამეთაურო პუნქტს და წარმოადგენს უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის ორგანოს.

საჰაერო მიზნების განადგურების ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, რომლის მიღწევამდე იგეგმება მოწინააღმდეგის საბრძოლო საშუალებების ხელში ჩაგდება და განადგურება თვითმფრინავ-გამანადგურებლებით.

საჰაერო მიზნების ხელში ჩაგდების ზღუდე, იხ. *საჰაერო მიზნების განადგურების ზღუდე.*

საჰაერო მიზნის გაყვანა, 1. საჰაერო მიზნის ფრენაზე უწყვეტი რადიოლოკაციური თვალთვალი. 2. სხვადასხვა სახეობის დაზვერვის მონაცემების საფუძველზე პლანშეტებზე (რუკებზე, ინდიკატორებზე) საჰაერო მიზნის ფრენის მარშრუტის თანამიმდევრობით ასახვა.

საჰაერო მიზნის მანევრი, პილოტირებული ან უპილოტო საფრენი აპარატის ფრენის პარამეტრების (მიმართულების, სიმაღლის, სიჩქარის) შეცვლა მოწინააღმდეგის მიერ აღმოჩენის, ან მისი მართვადი რაკეტებით (რაკეტსაწინააღმდეგო მანევრით), საზენიტო არტილერიის ცეცხლით, ან გამანადგურებლების საცეცხლე საშუალებებით დაზიანების ალბათობის შესამცირებლად.

საჰაერო მიზნის ხელში ჩაგდება, მოცემულ საჰაერო მიზნისკენ გამანადგურებლების (გამანადგურებლების ჯგუფის) ფრენა დედამიწიდან გამიზვნით ან გამიზვნის გარეშე და მოქმედებები მის გასანადგურებლად. ხორციელდება მდგომარეობიდან – მორიგეობა აეროდრომზე (ხომალდზე) და მორიგეობა ჰაერში.

საჰაერო მისიის მეთაური, საჰაერო იერიშის მხარდამჭერი ყველაზე მსხვილი საავიაციო ქვედანაყოფის მეთაური, რომელიც პასუხისმგებელია თვითმფრინავში მყოფ სამხედრო პერსონალზე და მთელ მხარდამჭერ ოპერაციაზე.

საჰაერო მოძრაობის მართვის ცენტრი, ორგანო, რომელიც ითავსებს რეგიონული სადისპეტჩერო პუნქტის და ფრენის საინფორმაციო ცენტრის ფუნქციებს.

საჰაერო ომი, სამხედრო-სტრატეგიული კონცეფცია, რომელიც საბრძოლო მოქმედებებში სამხედრო-საჰაერო ძალებს ანიჭებდა მთავარ როლს და აღიარებდა მის შესაძლებლობებს დამოუკიდებლად მიეღწია ომის მიზნებისათვის. მხარს უჭერდნენ დასავლეთ ევროპაში XX საუკუნის 30-იან წლებში (ფუძემდებელი იტალიელი გენერალი ჯ. დუე). II მსოფლიო ომში პრაქტიკული განხორციელება ვერ პოვა.

საჰაერო ოპერაცია, მიმდინარეობს შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების (ჯარების, გვარეობების) შენაერთებთან (ნაწილებთან) ურთიერთმოქმედებით. რამდენიმე საავიაციო გაერთიანების მიერ წინასწარ მომზადებული მასირებული საავიაციო დარტყმების, საჰაერო ბრძოლების და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა. ხორციელდება ერთიანი ჩანაფიქრითა და გეგმით მოკლე ვადაში ოპერატიული ან სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. **ს.ო**-ის მიზანია: დააზიანოს მოწინააღმდეგის ძალების დიდი დაჯგუფებები (სატანკო და მოტოქვეითი, საზღვაო, საავიაციო, ბირთვულ-სარაკეტო, საჰაერო თავდაცვის); დაანგრიოს სამხედრო-სამრეწველო ობიექტები, მოშალოს სამხედრო და სახელმწიფო მართვა; გაანადგუროს ოპერატიული და სტრატეგიული რეზერვები; ჩაშალოს მოწინააღმდეგის გადაზიდვები. **ს.ო.,** როგორც წესი, არის ერთობლივი ოპერაცია სამხედრო-საჰაერო ძალების გადამწყვეტი როლის პირობებში. ამ ოპერაციის დამახასიათებელი ნიშნებია: მიზანდასახულობა და ავიაციის ძალების კონცენტრაცია; ოპერაციებში შეიარაღებული ძალების სხვა სახეობის (ჯარების გვარეობების) შენაერთების ნაწილების აქტიური მონაწილეობა და მათ შორის მკაფიო ურთიერთქმედება; დიდი სივრცობრივი გაქანება; ინტენსიური რადიოელექტრონული ბრძოლის პირობებში ძირითადი ამოცანების გადაწყვეტის ხერხების მრავალფეროვნება; განუწყვეტელი, საგულდაგულოდ ორგანიზებული ბრძოლა მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის გასანადგურებლად; მოწინააღმდეგის ობიექტების (მიზნების) დაზვერვის, დანაღმვის და დაზიანებისათვის უპილოტო საფრენი აპარატების

და მაღალი სიზუსტის საავიაციო და სარაკეტო იარაღის ფართო გამოყენება.

საჰაერო პარიტეტი, მოწინააღმდეგის და საკუთარი საჰაერო ძალების სიძლიერის და უნარიანობის ფუნქციური ტოლფასობა, შეტევისა და მიზნების განადგურების თვალსაზრისით.

საჰაერო პატრულირება, მოცემული საჰაერო სივრცის კონტროლის მიზნით გამანადგურებელ-დამჭერების გამოყენება.

საჰაერო პორტი, აეროდრომი, რომელიც ემსახურება ცოცხალი ძალის და ტექნიკის უწყვეტ საჰაერო გადაზიდვებს.

საჰაერო რეჟიმი, სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში ფრენის მკაცრად რეგლამენტირებული წესი. მისი დადგენა ხდება საფრენი აპარატების ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან აპარატების მიერ საფრენი ზონების და სახელმწიფო საზღვრის დარღვევის თავიდან ასაცილებლად; ასევე – საჰაერო სივრცის გასაკონტროლებლად. **ს.რ.** არის: ზოგადი – ქვეყნის მთელი ტერიტორიის თავზე; განსაკუთრებული – საზღვრისპირა ზოლში, სახელმწიფო საზღვარზე გადაფრენის დერეფნებში და საჰაერო ხომალდების ფრენისთვის საშიში ან მნიშვნელოვანი ობიექტების მქონე ცალკეული რაიონების თავზე; ადგილობრივი და ხანმოკლე შეზღუდვებით – წვრთნების, მანევრების, საჰაერო აღლუმების, კოსმოსური ხომალდების გაშვების და დაჯდომის, რაკეტების გაშვების, საავიაციო და სარაკეტო ტექნიკის გამოცდის, აეროსტატების ჰაერში გადაადგილების რაიონებში.

საჰაერო სარდლობის და მართვის სისტემა, ნატოს საჰაერო სარდლობის და მართვის მომავალი სისტემა, რომელიც ამჟამად დამუშავების და დანერგვის სტადიაშია. **ს.ს.დ.მ.ს.** შეცვლის ნატოს არსებულ საჰაერო თავდაცვის სისტემას და ავიაციის ამოცანების რეალიზებასთან ერთად საბრძოლო გაფრენების დაგეგმვის და ამოცანების დასახვის ფუნქციებსაც შეასრულებს. ასევე სტანდარტიზებული სააპარატო პროგრამული საშუალებებით უზრუნველყოფს საავიაციო სარდლობის და მართვის ინსტანციის მესამე დონეს.

საჰაერო სივრცის კონტროლი, პროცესი ბრძოლის ზონაში, რომელიც ემსახურება ბრძოლის მეტ ეფექტიანობას, რაც გულისხმობს საჰაერო სივრცის უსაფრთხო გამოყენებას. **ს.ს.კ.** ხორციელდება საკუთარი ძალების დაზიანების თავიდან ასაცილებლად, საჰაერო თავდაცვითი ოპერაციების გასაძლიერებლად და მათთვის მეტი მოქნილობის მისანიჭებლად.

საჰაერო სივრცის კოორდინირების რაიონი, ცეცხლით მხარდაჭერის მოქმედებებში შეზღუდული მხარდაჭერის კოორდინაცია. ადგენს სამგანზომილებიანი საჰაერო სივრცის ბლოკს ბრძოლის რაიონის თავზე. აქ თვითმფრინავები სავსებით დაცული იქნებიან საკუთარი ძალების მიერ ხმელეთიდან გახსნილი ცეცხლით დაზიანებისგან.

საჰაერო სივრცის მაღალი სიმჭიდროვის კონტროლირებადი ზონა, საჰაერო სივრცე, რომელიც აღნიშნულია საჰაერო სივრცის კონტროლის გეგმაში ან საჰაერო სივრცის კონტროლის ბრძანებაში. ეს სივრცე გადატვირთულია მის ფარგლებში მრავალრიცხოვანი და სხვადასხვა სახის იარაღით.

საჰაერო სროლა, სროლა საფრენი აპარატებიდან, რომელიც წარმოებს საავიაციო ქვემეხებიდან, ტყვიამფრქვევებიდან, ყუმბარმტყორცნებიდან და უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარებიდან. ასევე – საფრენ აპარატში მყოფი პირადი შემადგენლობის ცეცხლსასროლი იარაღიდან საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო მიზნების გასანადგურებლად. **ს.ს-**ისას იმ იარაღიდან, რომელიც უძრავად არის დამაგრებული, დამიზნება ხდება საფრენი აპარატის მანევრით.

საჰაერო ტრასა, კორიდორი საჰაერო სივრცეში, რომელიც საჰაერო ხომალდების ფრენისათვის არის განკუთვნილი და შეზღუდულია სიმაღლესა და სიგანეში. **ს.ტ.** აღჭურვილია მართვის, კონტროლისა და ნავიგაციის საშუალებებით. **ს.ტ**-ის სიგანე შეადგენს 10–20 *კმ*-ს (დამოკიდებულია დამონტაჟებულ ნავიგაციის საშუალებებზე). **ს.ტ**-ებზე ფრენას აწარმოებს სამოქალაქო ავიაციის ხომალდები და სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავები (ვერტმფრენები) წინასწარ წარდგენილი განაცხადების შესაბამისად. **ს.ტ**-ზე ორგანიზება უკეთდება ცალმხრივ (პარალელური საჰაერო ტრასების შემთხვევაში) და ორმხრივ შემხვედრ მოძრაობას. ორივე შემთხვევაში საჰაერო ხომალდების შეტაკების თავიდან ასაცილებლად ხდება მათი ეშელონირება.

საჰაერო შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენა და კონტროლი, საჰაერო თვალთვალი და კონტროლი, რომელსაც ახორციელებენ შორ მანძილზე დამფიქსირებელი თვითმფრინავები. ისინი აღჭურვილი არიან მიზნების აღმოსაჩენი რადიოლოკაციური სადგურის კომპლექსებით, რადიოსიმაღლემზომებით და შეიარაღების სისტემის მართვის კავშირგაბმულობის მოწყობილობებით.

საჰაერო ჩარევა, საჰაერო ოპერაციების ჩატარება მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალის გასანეიტრალებლად, შესაფერხებლად ან გასანადგურებლად, მანამდე ვიდრე იგი მოახერხებს მის ეფექტურ გამოყენებას საკუთარი ინტერესებისათვის.

საჰაერო ხიდი, საჰაერო-სატრანსპორტო ოპერაცია ან სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის მოქმედება, განხორციელებული შორეული საომარი მოქმედებების თეატრზე პირადი შემადგენლობის და მატერიალური საშუალებების გადასროლის ან ჯარების ახალი დაჯგუფების შექმნის მიზნით; ასევე ალყაშემორტ-

ყმული (იზოლირებული) დაჯგუფებების მომარაგებისთვის ან საევაკუაციოდ. **ს.ხ**-ით იქმნება საჰაერო-სატრანსპორტო ავიაციის დაჯგუფება, გამოიყოფა ერთი ან რამდენიმე საჰაერო ტრასა და მარშრუტი.

საჰაერო-თავდაცვითი საბრძოლო მოქმედებები, ზომები, რომლებიც მიმართულია საფრენი აპარატებიდან, ხომალდებიდან, წყალქვეშა ნავებიდან და სახმელეთო ბაზირების სასტარტო კომპლექსებიდან გაშვებული საჰაერო საშუალებების დარტყმებისაგან სამხედრო-საზღვაო შენაერთების დასაცავად.

საჰაერო-კოსმოსური თავდაცვის სარდლობები, იხ. *სარდლობები.*

საჰაერო-კოსმოსური მიმართულება, საჰაერო-კოსმოსური სივრცის ზოლი, რომელშიც საავიაციო და სარაკეტო ძალების დამრტყმელი საშუალებები ბაზირების (გაშლის) ადგილებიდან უმოკლესი გზით გაჰყავთ უმნიშვნელოვანესი სამხედრო ობიექტებისა და სამრეწველო ცენტრებისაკენ. სტრატეგიული **ს.-კ.მ.** მოიცავს საჰაერო-კოსმოსურ სივრცეს 1–2 და მეტი კონტინენტური (საოკეანო) საომარი მოქმედებების თეატრის ტერიტორიის (აკვატორიის) თავზე; საოპერაციო **ს.-კ.მ.** განლაგებულია საომარი მოქმედებების თეატრის ერთი სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში.

საჰაერო-კოსმოსური ხომალდი, კოსმოსურ სივრცეში ფრენისა და დედამიწაზე თვითმფრინავის მსგავსად დასაშვებად შექმნილი მრავალჯერადი გამოყენების ორბიტალური ხომალდი. საჰაერო-კოსმოსური თვითმფრინავისგან განსხვავებით სტარტს ახორციელებს რაკეტის მსგავსად (პერსპექტივაში შესაძლებელია თვითმფრინავიდან და კოსმოსური აპარატიდან სტარტის განხორციელება). აქვს აეროდინამიკური მატარებელი (მიმართულების მიმცემი) ზედაპირი, ფრენის სტაბილიზაციის და სამართავი ნაწილები (ფრთები, კუდი და სხვა), შასი, საფრენ-სანავიგაციო სისტემა. გამოიყენება სატრანსპორტო ოპერაციებისთვის, ორბიტაზე კოსმოსური ხომალდების ტექნიკური მომსახურებისთვის, კოსმოსური ექსპერიმენტებისთვის, დედამიწის ბუნებრივი რესურსების დაზვერვისთვის და ა.შ. 1981 წლიდან ფუნქციონირებს ამერიკული „სპეის შატლი“. რუსულმა „ბურანმა“ 1988 წელს განახორციელა დედამიწის გარშემო ორი წრე და აეროდრომზე დაშვება.

საჰაერო-მოიერიშე ფორმირებები, აერომობილური შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები ვერტმფრენებზე, რომლებიც განკუთვნილია საჰაერო-მოიერიშე (სადესანტო-მოიერიშე) მოქმედებებისათვის. შეიქმნა XX საუკუნის 60-იან წლებში აშშ-ში, შემდეგ – სხვა ქვეყნებში. აშშ-ში 1974 წელს 101-ე აერომობილური (საჰაერო-სადესანტო) დივიზია გარდაიქმნა საჰაერო-მოიერიშე დივიზიად, რომლის მთავარ დამრტყმელ ძალასაც შეადგენს საარმიო ავიაციის ბრიგადა. დივიზიას შეუძლია ერთ გაფრენაზე მოწინააღმდეგის ზურგში გადასხას საბრძოლო შემადგენლობის მესამედი, მიაყენოს დარტყმები ჰაერიდან, იმოქმედოს, როგორც ქვეითმა ჯარმა ვერტმფრენების მხარდაჭერით.

საჰაერო-სადესანტო კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

საჰაერო-სადესანტო მომზადება, საჰაერო-სადესანტო ჯარების პირადი შემადგენლობის მომზადება მოწინააღმდეგის ზურგში საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად. საჰაერო-სადესანტო ჯარების საბრძოლო მომზადების ერთ-ერთი წამყვანი საგანი. შედგება ორი ძირითადი ეტაპისგან: 1. პარაშუტით ხტომის და საბრძოლო ტექნიკის (ტვირთების) დესანტირების მომზადება მიწაზე. 2. ხტომა და საბრძოლო ტექნიკის (ტვირთების) პრაქტიკული დესანტირება. მიწაზე მომზადებაში შედის: პარაშუტით ხტომის თეორიული საფუძვლები, სადესანტო პარაშუტის მატერიალური ნაწილი და დაკეცვის წესები, საპარაშუტო ხელსაწყოების მოწყობილობა და ექსპლუატაციის წესები, პარაშუტისტ-მედესანტის სპეციალური მოწყობილობა და იარაღის დამაგრების წესები. ასევე პარაშუტით ხტომის ელემენტების, თვითმფრინავებში (ვერტმფრენებში) პირადი შემადგენლობის ჩასხდომის და სამხედრო ტექნიკის ჩატვირთვის დამუშავება, ჟანგბადის მოწყობილობის მოხმარების წესები; ხტომისთვის მომზადების, თვითმფრინავიდან (ვერტმფრენიდან) გადმოხტომის წინ და შემდეგ საწყისი მდგომარეობის დაკავების სიგნალების და კომანდების შესწავლა; დაშვების პროცესში და მიწაზე დახტომის მომენტში, (მათ შორის სხვადასხვა წინაღობის პირობებში – ტყე, ნაგებობები და ა.შ.), წყალზე დაშვებისას, ასევე საგანგებო პირობებში მედესანტის მიერ პარაშუტის მართვა; მაღალ სიმაღლეზე ფრენისთვის მომზადება. მეორე, დამამთავრებელი ეტაპის საფუძველს წარმოადგენს ყველა იმ წესის და მოთხოვნილების ზუსტი, უნაკლო შესულება, რომლებიც შეისწავლეს მიწაზე მომზადების დროს, ნახტომების და ტვირთების დესანტირების პრაქტიკული შესრულების პროცესში.

საჰაერო-სადესანტო ოპერაცია, საჰაერო-სადესანტო ჯარების ავიაციის და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების მიზნის, ადგილის, დროის მიხედვით შეთანხმებული, ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით მიმდინარე საბრძოლო მოქმედებები. **ს.-ს.ო**. მიმდინარეობს მოწინააღმდეგის ზურგში მრავალრიცხოვანი საჰაერო დესანტების გადასხმის და მათ მიერ დასახული საბრძოლო ამოცანების შესრულების მიზნით. **ს.-ს.ო**., ჩვეულებრივ, ეწყობა სტრატეგიული ან დაჯგუფების შეტევითი ოპერაციის ფარგლებში იმ საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად, რომლებსაც ვერ განახორციელებენ სხვა ძალები. **ს.-ს.ო**-ის

მიზნებია: ხელი შეუწყოს ჯარებს შეტევის მაღალი ტემპით განვითარებაში, დიდი ბუნებრივი დაბრკოლებების შეუჩერებლივ ფორსირებაში, ძნელად გასავლელი რაიონების გადალახვაში, მოპირისპირე დაჯგუფებების ალყაში მოქცევასა და განადგურებაში; ხელში ჩაიგდოს მოწინააღმდეგის უმნიშვნელოვანესი ობიექტები, მოშალოს მისი ჯარების მართვა და ლოგისტიკა; საზღვაო დესანტებთან ურთიერთქმედებით ან დამოუკიდებლად დაეუფლოს კუნძულებს, სრუტის ზონებს და სხვა.

პირველად **ს.-ს.ო**. განხორციელდა II მსოფლიო ომში. გერმანელ ფაშისტთა ჯარები **ს.-ს.ო**-ებს აწყობდნენ ჰოლანდიაში, ბელგიასა და ნორვეგიაში (1940), ასევე კრეტას კუნძულის ხელში ჩასაგდებად. ინგლის-ამერიკის ჯარებმა **ს.-ს.ო**. განახორციელეს სიცილიის კუნძულის გასათავისუფლებლად (იტალიასა და საფრანგეთის სამხრეთში დესანტის გადასხმის დროს), ჩრდილოეთ საფრანგეთში შეჭრის და ჰოლანდიის ოპერაციის მსვლელობის დროს, რურის შეტევით ოპერაციაში.

საჰაერო-სადესანტო ტექნიკა, თვითმფრინავებიდან და ვერტმფრენებიდან პარაშუტებით (პირადი შემადგენლობის, სამხედრო ტექნიკისა და სხვა) დესანტირების საშუალებები. მათ შორის: სადესანტო პარაშუტები – პირადი შემადგენლობისათვის; მრავალგუმბათიანი სისტემების მქონე საპარაშუტო პლატფორმები – მძიმე ტვირთისათვის; საპარაშუტო-რეაქტიული, საპარაშუტო-უპლატფორმო – საჰაერო-სადესანტო ჯარების მუხლუხა საბრძოლო ტექნიკისათვის; საპარაშუტო-სატვირთო სისტემები – 500 *კგ*. მასის ტვირთისათვის. დამხმარე საშუალებებს განეკუთვნება სატვირთო კონტეინერები, საპარაშუტო-სადესანტო ტარა და სამაშველო-საცურაო საშუალებები (ნავები, ჟილეტები).

საჰაერო-სადესანტო ჯარები, ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მაღალმობილური ჯარების გვარეობა, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ზურგში საბრძოლო მოქმედებებისათვის. მოიცავს საჰაერო-სადესანტო (საპარაშუტო-სადესანტო) შენაერთებს და ნაწილებს, სპეციალურ ჯარებსა და ლოგისტიკას. ძირითადი ორგანიზაციული ერთეულია საჰაერო-სადესანტო დივიზია (ბრიგადა). გამოიყენება ოპერატიულ-სტრატეგიული, ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური საჰაერო დესანტების შემადგენლობაში. **ს.-ს.ჯ**. ამოცანებს ასრულებს სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების და ჯარების გვარეობების შენაერთებთან და ნაწილებთან ურთიერთქმედებით. ზოგი სახელმწიფოს არმიაში **ს.-ს.ჯ**. შეიქმნა II მსოფლიო ომის წინ. ყველაზე მეტი განვითარება პოვეს გერმანიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და საბჭოთა კავშირში. ომის შემდგომ პერიოდში გამოიყენება ლოკალურ ომებსა და სამხედრო კონფლიქტებში.

საჰაერო-საზღვაო სადესანტო ოპერაცია, მოწინააღმდეგის მიერ დაცულ ტერიტორიაზე კომბინირებული ოპერატიული (ოპერატიულ-სტრატეგიული) მოქმედება. საზღვაო და ოპერატიული საჰაერო დესანტების გადასხმისათვის მიზნის მისაღწევად ჩანაფიქრითა და გეგმით განხორციელებული მოქმედებების ერთობლიობა. დაჯგუფებების ოპერაციის ან საომარი მოქმედებების თეატრზე სტრატეგიული ოპერაციის შემადგენელი ნაწილი. აწარმოებენ სახმელეთო ჯარების და ფლოტის გაერთიანებები (შენაერთები) სარდლობის ერთიანი სისტემის დაქვემდებარებაში სამხედრო-საჰაერო ძალებთან ურთიერთქმედებით. **ს.-ს.ს.ო**-ის მიზნებია: სრუტის ზონების, სანაპიროს მნიშვნელოვანი რაიონების, მსხვილი კუნძულოვანი რაიონების დაუფლება; ჯარების შეტევის (კონტრშეტევის) ხელშეწყობა მოწინააღმდეგის ზღვისპირა დაჯგუფებათა განადგურებაში. **ს.-ს.ს.ო**. გულისხმობს: საბრძოლო მოქმედებების წარმოებას ოპერაციის ჩატარების სავარაუდო რაიონში ჰაერში და ზღვაზე ბატონობის მოსაპოვებლად; საჰაერო და საზღვაო დესანტების გადასხმას; მათ მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულებას დამოუკიდებლად და ერთობლივად (შეერთების შემდეგ). **ს.-ს.ს.ო**-ის მომზადების და ჩატარების ხელმძღვანელობა, ჩვეულებრივ, ეკისრება შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს საომარი მოქმედების თეატრზე, ცალკეულ შემთხვევებში – დაჯგუფების ჯარების სარდალს, ხოლო ზოგჯერ შეიძლება სპეციალურად დაინიშნოს **ს.-ს.ს.ო**-ის სარდალი.

საჰაერო-სამეთაურო პუნქტი, იხ. *საჰაერო მართვის პუნქტი.*

საჰაერო-საცეცხლე მომზადება, საფრენოსნო შემადგენლობის მომზადება ბრძოლაში დაზიანების საავიაციო საშუალებების გამოყენებისთვის. მოიცავს საჰაერო სროლის, რაკეტების გაშვების, ბომბდაშენის თეორიის შესწავლასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია (ბატალეა), ხმელეთზე განლაგებული ჯარების საჰაერო დესანტის და სამხედრო-საჰაერო ძალების მიზნების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული მანევრული საბრძოლო მოქმედებები. ისინი ხორციელდება I ეშელონის არმიების ოპერატიული დაწყობის მთელ სიღრმეზე მოწინააღმდეგის ერთდროული განადგურების მიზნით. იყენებენ სხვადასხვა სახეობის იარაღს, საბრძოლი ტექნიკასა და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებს. აშშ-ის სახმელეთო ძალების და სამხედრო-საჰაერო ძალების სხვადასხვა გვარეობის ძალების და საშუალებების საბრძოლო გამოყენების კონცეფცია. **ს.-ს.ო.(ბ.)**-ის მიზანია,

საერთო-საჯარისო შენაერთების (ნაწილების) და ტაქტიკური ავიაციის გადამჭრელი მოქმედებების უზრუნველყოფა უშუალოდ მოწინააღმდეგის გასანადგურებლად და იმავდროულად მისი II ეშელონის (რეზერვების) ღრმა საცეცხლე (ბირთვული) დაზიანება. **ს.-ს.ო.(ბ.)**-ის კონცეფციის მატერიალური საფუძველია დაზვერვის და მიზანჩვენების მაღალეფექტური საშუალებები; მძლავრი საცეცხლე საშუალებები, რომლებიც გამოირჩევა სროლის მაღალი სიზუსტით და დიდი სიშორით; მართვის და კავშირგაბმულობის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯარების (ძალების) ხელმძღვანელობას და მონაცემების გადაცემას დროის რეალური მასშტაბით. **ს.-ს.ო.(ბ.)**-ის ფუძემდებლური პრინციპებია: ინიციატივა, სიღრმე, სისწრაფე და შეთანხმებული მოქმედებები.

სეატო, *იხ. სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ხელშეკრულების ორგანიზაცია.*

სედანი, ქალაქი ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთში, XIX საუკუნის ბოლომდე იყო ციხესიმაგრე. *საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს,* 1870 წლის 1–2 სექტემბერს, საფრანგეთის შალონის არმია (120 ათას კაცზე მეტი, 393 ქვემეხი, მარშალი მაკ-მაჰონი) გარკვეული წინააღმდეგობის შემდეგ ბლოკირებულ იქნა **ს**-ში. საფრანგეთის იმპერატორის ნაპოლეონ III-ის გადაწყვეტილებით, რომელიც იმჟამად **ს**-ში იმყოფებოდა, ტყვედ დანებდა გერმანიის ჯარებს (188 ათ. კაცი, 813 ქვემეხი, გენერალი ჰ. მოლტკე). ბრძოლაში დაეცა 17 ათ. ფრანგი და 9 ათ. გერმანელი. ტყვედ ჩავარდნილ ფრანგებს შორის (დაახლოებით 100 ათ. კაცი) იყო აგრეთვე იმპერატორი ნაპოლეონ III.

სეიშელის კუნძულები (République des Seychelles – სეიშელის რესპუბლიკა), სახელმწიფო აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, ინდოეთის ოკეანის სეიშელის, მაეს, ამირანტის, ალდაბრის, კოსმოლედოს, ფარკუარის და სხვა კუნძულებზე. ფართობი 455 *კმ²*. მოსახლეობა – 87,6 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – კრეოლური, ინგლისური და ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ვიქტორია. ადმინისტრაციულად იყოფა 23 ოლქად. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადდა 1976 წლის 28 ივნისს. ეკონომიკის წამყვანი დარგებია: საერთაშორისო ტურიზმი, ტროპიკული მიწათმოქმედება და მეთევზეობა. ძირითადი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი ვიქტორია (კუნძული მაე). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 470 კაცი (2012), სახმელეთო 200, საჰაერო 20 და სანაპირო დაცვა 250.

სელჩუკები, თურქულ-ოღუზური ტომების შტო. **ს**. ეწოდათ მათი წინამძღოლის, სელჩუკის, (X–XI საუკუნის დასაწყისი) მიხედვით. XI საუკუნის I ნახევარში **ს.** შუა აზიის ტრამალებში მომთაბარეობდნენ. 1040 წლის შემდეგ დაიწყო მათი დამპყრობლური ომები, რომელთა შედეგად წარმოიშვა **ს**-თა იმპერია (1040–1194). მისი მაქსიმალური ძლიერების მწვერვალია მალიქ-შაჰის სულთნობის პერიოდი (1072–92), როდესაც **ს**-თა სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცეული იყო ვრცელი ტერიტორია არალის ზღვიდან ხმელთაშუა ზღვამდე და კავკასიის მთებიდან სპარსეთის ყურემდე. მალიქ-შაჰის შემდეგ იწყება **ს**-თა იმპერიის დაშლა, რის შედეგადაც წარმოიშვა **ს**-თა ცალკეული სახელმწიფოები ანატოლიაში, ერაყში, ხორასანში და სხვა. მათგან ყველაზე მეტ ხანს იარსება ანატოლიის (რუმის) სასულთნომ (1307 წლამდე). საქართველოს XI–XIII საუკუნეებში მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონდა **ს**-თან. საქართველოში **ს**-თა შემოსევები დაიწყო 1064 წლიდან და განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო 1080 წლისათვის (იხ. *„დიდი თურქობა“*). მალიქ-შაჰის დროს საქართველო **ს**-ის მოხარკე ქვეყანა იყო. თბილისსა და ზოგ სხვა მნიშვნელოვან ციხე-ქალაქში თურქთა გარნიზონები იდგა. **ს**-თა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა *დავით IV აღმაშენებელი*, რომელმაც განდევნა ისინი საქართველოდან და მისი მეზობელი ტერიტორიებიდან.

სენეგალი (Sénégal – სენეგალის რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი – 196,7 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 12,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. დაკარი. ადმინისტრაციულად იყოფა 10 ოლქად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1960 წლის 20 აგვისტოს. **ს**. აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობა უზრუნველყოფს ადგილობრივი მოთხოვნილების 1/3-ს. მთავარი საექსპორტო კულტურაა არაქისი, განვითარებულია თევზჭერა. საზღვაო პორტებია: დაკარი, სენ-ლუი, კაოლაკი, ზიგინშორი. საერთაშორისო აეროპორტი – დაკარი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 13,6 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 11,9 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,8 ათ. და სამხედრო-საზღვაო 0,9 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

სენტ-ვინსენტი და გრენადინები (Saint-Vincent and the Grenadines), სახელმწიფო კარიბის ზღვის კუნძულ სენტ-ვინსენტსა და მცირე ანტილის კუნძულების გრენადინის არქიპელაგზე. ფართობი – 389 *კმ²*. მოსახლეობა – 120 ათ.

კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კინგსტაუნი. არის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – კრების პალატა, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1979 წლის 27 ოქტომბრიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ტროპიკული მიწათმოქმედება და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტი – კინგსტაუნი. საერთაშორისო აეროპორტი – კუნძულ სენტ-ვინსენტზე. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. თავდაცვის საკითხებს განაგებს დიდი ბრიტანეთი.

სენტ-კიტსი და ნევისი (Saint - Kitts and Nevissen – სენტ-კიტსის და ნევისის ფედერაცია), სახელმწიფო სენტ-კრისტოფერის და ნევისის კუნძულებზე კარიბის ზღვის მცირე ანტილის კუნძულების არქიპელაგში. ფართობი 261,6 *კმ²*. მოსახლეობა – 51,3 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ბასტერი. ეს კუნძულები აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1983 წლის 19 სექტემბრიდან. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – ბასტერი. სახელმწიფოს არ გააჩნია შეიარაღებული ძალები. თავდაცვის საკითხებს განაგებს დიდი ბრიტანეთი.

სენტ-ლუსია (Saint – Lucia), სახელმწიფო იმავე დასახელების კუნძულზე, კარიბის ზღვის მცირე ანტილის არქიპელაგში. ფართობი – 616 *კმ²*. მოსახლეობა – 173 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კასტრი. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1979 წლის 22 თებერვლიდან. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა, მეთევზეობა და საერთაშორისო ტურიზმი. მთავარი საზღვაო პორტებია: კასტრი, ვიე-ფორი, დენერი და მიკუ. საერთაშორისო აეროპორტი: კასტრი და ვიე-ფორი. სახელმწიფოს არ გააჩნია შეიარაღებული ძალები. თავდაცვის საკითხებს განაგებს დიდი ბრიტანეთი.

სენტო, *იხ. ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია.*

სეპარატიზმი (ფრანგული separatisme – გამოყოფა, განცალკევება), მოძრაობა სახელმწიფოს ნაწილის გამოყოფის ან ახალი სახელმწიფოს შექმნის მიზნით. ჩვეულებრივ, გამოხატავს ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის და ვიწრო სოციალურ-პოლიტიკური დაჯგუფებების ინტერესებს. არცთუ იშვიათად ხდება მისი გარედან ინსპირირება მოცემული სახელმწიფოსადმი მტრული ძალების მიერ, რაც იწვევს შეიარაღებულ კონფლიქტებს.

სეპარატული ზავი (ლათინური separatus – ცალკეული), საზავო ხელშეკრულება (დაზავება), რომელსაც მოწინააღმდეგესთან დებს მეომარ კოალიციაში შემავალი ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო, დანარჩენი მოკავშირეების მონაწილეობისა და მათი თანხმობის გარეშე.

სერბეთი (Србија – ლათინური Serbia, სერბეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში. მდებარეობს კარპატების და ბალკანეთის ცენტრალურ ნაწილში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი – 102,3 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 10,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – სერბული. დედაქალაქი – ქ. ბელგრადი. ადმინისტრაციულად იყოფა 2 ავტონომიურ ოლქად (კოსოვო და ვოევოდინა). **ს.** საპარლამენტო რესპუბლიკაა. სახელმწიფოს ხელმძღვანელობს პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ეროვნულ ასამბლეას, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც იუგოსლავიის ფედერაციულ-სოციალისტური რესპუბლიკა დაიშალა ეთნიკურ წარმონაქმნებად, **ს**-მა და მონტენეგრომ (ჩერნოგორიამ) შექმნეს იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა. 2006 წელს ურთიერთშეთანხმებით და რეფერენდუმის საფუძველზე იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკა დაიშალა **ს**-ისა და მონტენეგროს (ჩერნოგორიის) დამოუკიდებელ რესპუბლიკებად. **ს.** ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია ექსპორტზე. არის ხილის კონსერვების მოწინავე ექსპორტიორი ევროპაში. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. სამდინარო პორტები (დუნაიზე): ბელგრადი, ნოვი-სადი. საერთაშორისო აეროპორტი – ბელგრადი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 29 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 24,5 ათ., სამხედრო-საჰაერო 4,5 ათ. და რეზერვი – 100 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

სერჟანტი (ფრანგული sergent – ლათინური serviens – მოსამსახურე), მსოფლიოს ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში უმცროსი მეთაურის სამხედრო წოდება. გაჩნდა XV საუკუნეში საფრანგეთში, შემდეგ – გერმანიასა და ინგლისში.

სეფიანთა სახელმწიფო, ყიზილბაშების სახელმწიფო, ფეოდალური სახელმწიფო ცენტრით ირანში (1502–1736). მისი დამაარსებელი იყო ისმაილ I, არდებილის სუფიურ-დერვიშული ორდენის შეიხის – სეფი ად-დინ ისჰაკის შთამომავალი. **ს.ს**-ს შემადგენლობაში შედიოდა ამიერკავკასიის და ავღანეთის ნაწილი, პერიოდულად – არაბული ერაყი და ზოგი სხვა ტერიტორია. **ს.ს.** წარმოადგენდა ფეოდალურ დესპოტიას. მის სათავეში იდგა შაჰი სეფიანთა დინასტიიდან. პირველი შაჰების მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდნენ შიიტური მომთაბარე თურქულენოვანი ტომები (*ყიზილბაშები*). **ს.ს**-მ ძლიერების მწვერვალს მიაღწია *აბას I*-ის ხანაში (1587–1629). მის მიერ ჩამოყალიბებული მუდმივი ჯარი (კავალერია, ქვეითები, არტილერია) მნიშვნელოვნად ჩაენაცვლა მომთაბარეთა ლაშქარს. სეფიანთა დინასტიის შაჰები განუწყვეტელ ომებს აწარმოებდნენ მეზობელ სახელმწიფოებთან (იხ. *ირან-ოსმალეთის ომები*) და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ხალხებთან (ქართველები, ავღანელები და სხვა). განუწყვეტელმა ომებმა და სახალხო აჯანყებებმა დაასუსტეს **ს.ს**. 1722 წელს მისი დედაქალაქი – ისპაანი ავღანელმა ფეოდალებმა აიღეს. ამავე დროს ამიერკავკასია და დასავლეთ ირანი დაიპყრეს ოსმალებმა, ხოლო კასპიისპირეთის მიწები – რუსებმა. ოსმალებთან და ავღანელებთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა სეფიანთა მხედართმთავარმა ნადირმა (იხ. *ნადირ-შაჰ აკშარი*), რომელმაც დაამხო სეფიანთა დინასტია და ბოლო მოუღო **ს.ს**-ს არსებობას.

სეფქა, ისრის ერთ-ერთი სახეობა, იხ. *ისარი.*

სექტორი, 1. ვრცელი რაიონი, რომლის ფარგლებშიც მოქმედებს ქვედანაყოფი და რომელზეც ის არის პასუხისმგებელი. 2. სანაპირო საზღვრის ერთ-ერთი მონაკვეთი. სახმელეთო ჯარებისთვის, ჩვეულებრივ, **ს**-ებს იყენებენ თავდაცვით ოპერაციებში და ისინი წარმოადგენენ თავდაცვითი მთავარი რაიონის მეწინავე მიჯნას, რომელსაც ადგენს ზემდგომი მეთაური.

სვაზილენდი (Swaziland – სვაზილენდის სამეფო), სახელმწიფო სამხრეთ აფრიკაში, ესაზღვრება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა და მოზამბიკი. ფართობი 17,4 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 1,1 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. მბაბანე. ადმინისტრაციულად იყოფა 4 ოლქად. ქვეყანაში კონსტიტუციური მონარქიაა. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია მეფე, რომელსაც აქვს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ძალაუფლება. დამოუკიდებელი სამეფოა 1986 წლიდან. **ს**. სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა და სამთომოპოვებითი მრეწველობა. მსოფლიოში მე-4 ადგილი უკავია აზბესტის წარმოებაში. საერთაშორისო აეროპორტი – ქ. მბაბანე. შეიარაღებული ძალებს წარმოადგენს სახმელეთო ჯარები 3 ათ. კაცის შემადგენლობით (2012).

სვლის მარაგი, მანძილი, რომელიც შეუძლია გაიაროს მანქანამ საწვავის ერთი გამართვით; მანქანის ერთ-ერთი ტექნიკური მახასიათებელი.

სიგნალები (ფრანგული signal – ლათინური signum – ნიშანი), წესდებით ან მეთაურის (უფროსის) მიერ დადგენილი პირობითი ნიშნები (მნიშვნელობები), რომელთა დანიშნულებაა გადასცენ მცირე მანძილებზე მოკლე შეტყობინებები, ბრძანებები, განკარგულებები და სხვა დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებს, ნაწილებს, შენაერთებს და მიიღონ ინფორმაცია მეორე მხარისაგან. **ს**. შეიძლება იყოს ხმოვანი, მხედველობითი და რადიოტექნიკური საშუალებების დახმარებით გადასაცემი. დანიშნულების მიხედვით **ს**. იყოფა მართვის, ურთიერთქმედების, შეტყობინების, ამოცნობის, მიზანჩვენების **ს**-ად და სხვა.

ამოცნობის **ს**. განკუთვნილია „შენიანი-უცხოს“ ნიშნის მიხედვით ჯარების, ხომალდების (გემების), საფრენი აპარატების კუთვნილების განსაზღვრისათვის. მათ აწესებენ მხოლოდ დროის გარკვეული პერიოდისათვის.

მართვის **ს**. განკუთვნილია დაქვემდებარებული ჯარებისათვის (ძალებისათვის) კომანდების, ბრძანებების, განკარგულებების სწრაფი და ფარული შეტყობინებისათვის. გამოიყენება ჯარების (ძალების) მართვისათვის საბრძოლო მოქმედების წარმოებისას და ყოველდღიურ პირობებში. მართვის **ს**. შეიძლება იყოს სასწავლო და საბრძოლო.

მიზანჩვენების **ს**. გამოიყენება ბრძოლის ველზე ქვეითი ჯარის, არტილერიის, ტანკების, ავიაციის საცეცხლე ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად. მიზანჩვენების **ს**. გეზს აძლევენ ტყვიებს, ჭურვებს, საკვამლე ჭურვებს, სასიგნალო ვაზნებს, საორიენტირო-სასიგნალო ბომბებს და სხვა.

ურთიერთქმედების **ს**. ემსახურება ინფორმაციის გაცვლას ჯარებს (ძალებს) შორის, რომლებიც საერთო საბრძოლო ამოცანას ასრულებენ. მათ აწესებენ სარდლები (მეთაურები), რომლებიც ორგანიზაციას უწევენ ურთიერთქმედებას.

შეტყობინების **ს**-ს იყენებენ იმისათვის, რომ დროულად აცნობონ ჯარებს (ძალებს) რადიოაქტიური, ქიმიური, ბიოლოგიური დასნებოვნებისა და მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის შესახებ. გაერთიანებაში აწესებენ შეტყობინების ერთიან **ს**-ს, რომლებსაც აცნობენ მთელ პირად შემადგენლობას. სამხედრო-საზღვაო ძალებში, გარდა ამისა, შეტყობინების **ს**-ის გადაცემა ხდება მოწინააღმდეგის ხომალდების აღმოჩენის, ნაღმური საფრთხის

წარმოქმნის, ნავიგაციური ვითარების შეცვლის დროს და სხვა შემთხვევებში.

სიგნალების საერთაშორისო კრებული, სიგნალების კრებული, რომელიც შეიცავს საზღვაო პრაქტიკაში გამოსაყენებელი ცალკეული სიტყვების და წინადადებების ნუსხას. მას იყენებენ ხომალდებს (გემებს) შორის და სხვადასხვა სახელმწიფოს სანაპირო-სასიგნალო სადგურებიდან მოლაპარაკების დროს. გამოიყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვან შემთხვევებში, რომლებიც უკავშირდება ნაოსნობის უსაფრთხოებას, დახმარების გაწევას, ადამიანების გადარჩენას და ენობრივი ბარიერების დაძლევას. **ს.ს.კ**. უნივერსალური ხასიათისაა. იგი საშუალებას იძლევა საუბარი წარმოებდეს დროშების, სემაფორის, პროჟექტორის, რადიო-ტელეგრაფის და სხვა საშუალებების გამოყენებით. პირველი **ს.ს.კ.** შეადგინეს 1855 წელს, შემდეგ არაერთგზის გადამუშავდა და მოწონებულია სპეციალურ საერთაშორისო კონფერენციებზე.

სიერა-ლეონე (Sierra Leone – სიერა-ლეონეს რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი – 72,3 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 5,1 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ფრიტაუნი. ადმინისტრაციულად იყოფა 3 პროვინციად და 1 ოლქად. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი ქვეყანა. დამოუკიდებლობა აღიარა 1961 წელს, 1971 წლიდან რესპუბლიკაა. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება. **ს.-ლ**. აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია სამთომოპოვებითი დარგი (ალმასი, ბოქსიტი და სხვა). საზღვაო პორტებია: ფრიტაუნი, ბონთე, პეპელი. საერთაშორისო აეროპორტი – ფრიტაუნი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10,5 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 10 ათ. და სამხედრო-საზღვაო 0,5 ათ..

სითბური გამოსხივება, სხეულის ელექტრომაგნიტური გამოსხივება მისი შიდა ენერგიის ხარჯზე. დამოკიდებულია მხოლოდ გამომსხივებელი სხეულის აბსოლუტურ ტემპერატურასა და ოპტიკურ თვისებაზე. სამხედრო საქმეში გამოიყენება მიზნების გამოსავლენად მათი საკუთარი გამოსხივების საშუალებით.

სიმამაცე, ადამიანის მორალური თვისება, რომელიც გამოხატავს მის შესაძლებლობას ნებისმიერ საშიშ სიტუაციაში შეინარჩუნოს ნებისყოფა, იმოქმედოს მტკიცედ, გაბედულად, უშიშრად. მეომრის **ს**. გამოიხატება სამხედრო მოვალეობის შესრულებაში და მაღალი საბრძოლო აქტიურობის მკაცრ და აუცილებელ გამოვლენაში. **ს**. დაკავშირებულია მორალურ და საბრძოლო თვისებებთან. ს-ის უმაღლესი გამოვლენაა გმირობა.

სიმონ I (1537–1611), ქართლის მეფე 1556–69 და 1578–99 წლებში, *ლუარსაბ I*-ის ძე. როგორც მხედართმთავარმა თავი გამოიჩინა ჯერ კიდევ ლუარსაბის სიცოცხლეში. გამეფების შემდეგ **ს. I** სათავეში ედგა ქართლის სამეფოს ბრძოლას სეფიანთა ჯარების წინააღმდეგ, სანამ ღალატის გამო ტყვედ არ ჩავარდა 1569 წელს, ფარცხისის ბრძოლაში. ირანში ჩაყვანილმა **ს. I**-მა სასტიკი უარი განაცხადა ისლამის მიღებაზე და 1569–78 წლები ტყვეობაში გაატარა. 1578 წელს, მორიგი ირან-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ, როდესაც გამარჯვების სასწორი ოსმალთა მხარეს იხრებოდა (იხ. *ჩილდირის ბრძოლა*), შაჰმა **ს. I** ტყვეობიდან გაათავისუფლა და ოსმალებთან საბრძოლველად სამშობლოში გამოისტუმრა. მეფემ ოსმალებს ქართლის არაერთი მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე წაართვა და რამდენიმეჯერ დაამარცხა სულთნის მხედრობა. 1588 წელს **ს. I** და ოსმალები დაზავდნენ. **ს. I**-მა სულთნის უზენაესობა აღიარა, სანაცვლოდ იგი ოსმალებმა ქართლის ქრისტიან მეფედ ცნეს. 1598 წელს **ს. I** კვლავ აჯანყდა, ალყა შემოარტყა გორის ციხეს, რომელშიც ოსმალთა გარნიზონი იდგა და სასტიკი ბრძოლით აიღო იგი. პასუხად სულთანმა ქართლში დიდი ლაშქარი გამოგზავნა ჯაფარ-ფაშას სარდლობით. ფიცხელი ბრძოლის შემდეგ (იხ. *ნახიდურის ბრძოლა*), ქართველებს უკან დახევა მოუხდათ, რომლის დროსაც **ს. I** ტყვედ ჩავარდა (1599). იგი სტამბოლში წაიყვანეს და იედიყულეს (შვიდკოშკა) ციხეში გამოკეტეს. ქართველთა მცდელობა დაეხსნათ მეფე, უშედეგი აღმოჩნდა და იგი ტყვეობაში გარდაიცვალა.

სინგაპური (Singapore – სინგაპურის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, კუნძულ სინგაპურსა და მალაკის ნახევარკუნძულის მიმდებარე მცირე ზომის კუნძულებზე. ფართობი 704 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 4,8 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები: მალაიური, ინგლისური, ჩინური და ტამილური. დედაქალაქი – ქ. სინგაპური. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – პრეზიდენტი და მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1965 წელს. **ს**. მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო-სამრეწველო, საფინანსო და სატრანსპორტო ცენტრია. განვითარებულია ელექტრონული, ნავთობგადასამუშავებელი მრეწველობა, გემთმშენებლობა, ბიოტექნიკური წარმოება და ხელოსნობა. სამხედრო მრეწველობა ამზადებს ცეცხლსასროლ იარაღს, კატარღებს, რადიოაპარატურას, ტყვია-წამალს. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. ძირითადი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – სინგაპური. შეიარაღებ-

ული ძალები საერთო შემადგენლობით 72,5 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 56 ათ., საჰაერო 13,5 ათ. და სამხედრო-საზღვაო 3 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

სინოპტიკური რუკა (ამინდის რუკა), ზოგადგეოგრაფიული რუკა, რომელზეც სპეციალური პირობითი ნიშნებით არის ასახული მეტეოროლოგიური ინფორმაცია. არის დედამიწისპირა (მათზე ნაჩვენებია დედამიწის ზედაპირთან მეტეოროლოგიური დაკვირვების შედეგები) და მაღლივი (ატმოსფეროს ზონდირების შედეგებით) რუკები. **ს.რ**. გამოიყენება ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) უზრუნველყოფის ამოცანების გადაწყვეტის დროს.

სიოგუნი (შემოკლებული ფორმა ტერმინის „სეი-ი-ტაი-სიოგუნ“ – ბარბაროსთა დამსჯელი დიდი სარდალი), ძველად იაპონიაში **ს**-ს უწოდებდნენ ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრები ებისუს ტომების წინააღმდეგ გაგზავნილ სამხედრო ექსპედიციების წინამძღოლებს. 1192 წელს **ს**-ის ტიტული მიიღო მინამოტოს ფეოდალური სახლის მეთაურმა – მინამოტო იორიტომომ. ამ დროიდან **ს**-ს უწოდებდნენ იაპონიის სამხედრო დიქტატორებს, რომლებიც იმპერატორების სახელით მართავდნენ ქვეყანას. არსებობდა **ს**-თა სამი ფეოდალური დინასტია: მინამოტო (1192–1333), ასიკაგა (1335 ან 1338–1573) და ტოკუგავა (1603–1867).

სიპაები (ინგლისური sepoy – ჰინდი, ურდუ და სპარსული – სიფაჰი – მეომარი, ჯარისკაცი), ადგილობრივი მოსახლეობიდან გამოსული დაქირავებული ჯარისკაცები კოლონიურ ინდოეთში, რომლებიც მსახურობდნენ ევროპელ კოლონიზატორთა (პორტუგალიელები, ფრანგები, ინგლისელები) არმიებში. განსაკუთრებით ფართოდ იყენებდნენ **ს**-ის ფორმირებებს ინგლისელები. 1947 წელს, დამოუკიდებელი სახელმწიფოების – ინდოეთისა და პაკისტანის ჩამოყალიბების შემდეგ, **ს**-მა, როგორც დაქირავებულმა კოლონიზატორების ჯარებმა, არსებობა შეწყვიტეს.

სირია (Syria – სირიის არაბთა რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აზიაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება თურქეთი, დასავლეთით – ხმელთაშუა ზღვა. ფართობი 185,2 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 22,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. დამასკო. ადმინისტრაციულად იყოფა 12 მუჰაფაზად (გუბერნია). სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლებას ფლობს ერთპალატიანი სახალხო საბჭო, აღმასრულებელს – პრეზიდენტი და მინისტრთა საბჭო. დამოუკიდებლობა მიიღო 1941 წელს. 1958–61 წლებში შედიოდა გაერთიანებულ არაბთა რესპუბლიკაში (ეგვიპტესთან ერთად). **ს**. აგრარული ქვეყანაა, სწრაფი ტემპით განვითარდა მრეწველობის შემდეგი წამყვანი დარგები: ნავთობგადასამუშავებელი, ნავთობქიმია, სამშენებლო მასალების წარმოება. ასევე კვების პროდუქცია და სამკერვალო ნაწარმი. მთავარი საზღვაო პორტებია: ტარტუსი, ლატაკია, ბანიასი. საერთაშორისო აეროპორტებია: დამასკო, ალეპო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 295 ათ. კაცი (2012); სახმელეთო ჯარები 220 ათ., სამხედრო-საჰაერო 70 ათ. და სამხედრო-საზღვაო 5 ათ.. მომზადებული რეზერვი – 330 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

სისტემასაცდელი საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

სისტემატური საბრძოლო მოქმედებები, ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედების ნაირსახეობა. გამოიყენება შუალედებში სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ძალების მიერ განხორციელებულ ოპერაციებს შორის. წარმოებს მხოლოდ შეზღუდული მიზნებით – მოწინააღმდეგეზე უწყვეტი ზემოქმედების, მისი მოქმედებების შებოჭვისა და მისთვის ზიანის მისაყენებლად.

სიტუაციური წინაღობა, დაგეგმილი წინაღობა, რომელიც ქვედანაყოფმა შესაძლოა მოაწყოს ოპერაციის დაწყების წინ, მაგრამ არ გამოიყენოს სათანადო გარემოს შექმნამდე.

სიფაჰები (თურქული sipahi – სპარსული – სიფაჰი – მეომარი, ჯარისკაცი), ოსმალთა იმპერიაში: 1. ფეოდალი მეომრები, რომლებსაც სამხედრო სამსახურისათვის მიღებული ჰქონდათ სამხედრო ლენი, ანუ პირობით ნაწყალობევი მიწა – თიმარი ან ზეამეთი (თიმარიდან შემოსავალი 20 ათ. ახჩამდე იყო, ზეამეთიდან – 20–100 ათ. ახჩა). ამის სანაცვლოდ **ს**. ვალდებული იყვნენ გამოსულიყვნენ ცხენოსან ფეოდალთა ლაშქარში და გამოეყვანათ შეიარაღებული მხედრები. მათი რაოდენობა განისაზღვრებოდა ლენის შემოსავლიდან (ყოველ 3–5 ათ. ახჩაზე ერთი მხედარი). XV–XVI საუკუნეებში **ს**. ოსმალთა შეიარაღებული ძალების მთავარ ნაწილს წარმოადგენდნენ, მაგრამ სამხედრო-ლენური სისტემის დაცემასთან ერთად მათი მნიშვნელობაც დაეცა. **ს**-ის ინსტიტუტი გაუქმდა 1834 წელს. 2. სულთნის მუდმივი ჯარის ცხენოსანი კორპუსის მხედრები, რომლებიც სამსახურის სანაცვლოდ იღებდნენ ულუფას და ჯამაგირს.

სიღრმიდან ჯარების წინ წაწევის საარტილერიო უზრუნველყოფა, იხ. *სიღრმიდან ჯარების წინ წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფა.*

სიღრმიდან ჯარების წინ წაწევის საავიაციო უზრუნველყოფა, იხ. *სიღრმიდან ჯარების წინ წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფა.*

სიღრმიდან ჯარების წინ წაწევის ცეცხლით უზრუნველყოფა, საცეცხლე ზემოქმედება მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების პერიოდში შეუჩერებლივი შეტევის დროს. წინწა-

წევის ცეცხლით უზრუნველყოფის პერიოდში გათვალისწინებულია მასობრივი დაზიანების საშუალებების, მაღალი სიზუსტის იარაღის სისტემების სახმელეთო ელემენტების, ტაქტიკური მეწინავე აეროდრომებზე (მოედნებზე) ავიაციის, შორსმსროლელი არტილერიის, გამშვები დანადგარების, ზალპური ცეცხლის და დისტანციური დანაღმვის სისტემების განადგურება და დაზიანება; ასევე ჯარების და იარაღის მართვის პუნქტების, საჰაერო თავდაცვის, დაზვერვის, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების, ჯარებისა და იარაღის მართვის პუნქტების განადგურება. წინწაწევის ცეცხლით უზრუნველყოფა შეიძლება დაიწყოს უშუალოდ საწყისი რაიონებიდან ჯარების წინ წაწევამდე, მათი დაწინაურების დასაწყისში ან პროცესში და გაგრძელდეს იერიშის საცეცხლე მომზადების დაწყებამდე. მოიცავს ჯარების წინ წაწევის საარტილერიო და საავიაციო უზრუნველყოფას.

სიღრმითი ბომბდაშენა, სიღრმითი ბომბების გამოყენება წყალქვეშა ნავებისა და სხვა წყალქვეშა ობიექტების განადგურების მიზნით. ხორციელდება ხომალდებიდან, ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავებიდან და ვერტმფრენებიდან. ხომალდები იყენებენ რეაქტიულ ბომბდამშენ დანადგარებს, გაზოდინამიკურ ბომბმტყორცნებს და საბორტო ბომბგამშვებებს. დაზიანების ალბათობის გაზრდის მიზნით ბომბდაშენა ხორციელდება სერიებით (ზალპებით) აფეთქებების წერტილების ფართობსა და სიღრმეში ხელოვნური გაშლით.

სიღრმისეული ბომბი, საბრძოლო მასალა, რომლის დანიშნულებაა წყალქვეშა მიზნების დაზიანება. იყოფა: სახომალდე და საავიაციო **ს.ბ**-ად. შეიძლება ჰქონდეს ჩვეულებრივი ან ბირთვული აღჭურვა, კონტაქტური, უკონტაქტო ან დისტანციური ამფეთქი. თანამედროვე რეაქტიული **ს.ბ**-ის კალიბრია 203–375 *მმ*, მასა 120–250 *კგ*, ჩაძირვის სიჩქარე 13 *მ/წმ* – მდე.

სიცოცხლის უზრუნველყოფის საშუალებები, გარემოსაგან იზოლირებულ დაბანაკების ადგილებში (საფრენი აპარატი, წყალქვეშა ნავი, ტანკი, ხანგამძლე საცეცხლე ნაგებობა და სხვა) პირადი შემადგენლობის ქმედების უზრუნველყოფის საშუალებები. ადამიანის ნორმალური ქმედებისთვის საჭირო პირობაა ბარომეტრული წნევის, ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის დასაშვები დონე, აირგარემოს ნორმალური პარამეტრები, საკვების, წყლის და სხვა გარკვეული მარაგი, აგრეთვე გადატვირთვის, ხმაურის, ვიბრაციისაგან დაცვა. ყველაზე გავრცელებულ **ს.უ.ს**-ს განეკუთვნება ფილტრსავენტილაციო დანადგარები, კონდიციონერები, ჰაერის რეგენერაციისა და ჰერმოკაბინების (ნაკვეთურების) ჩასაბერი მოწყობილობები, წყლის გამამტკნარებელი დანადგარები, მფრინავის (კოსმონავტის) აღჭურვილობა, ჟანგბადის საბორტო წყაროები, ჟანგბადსასუნთქი აპარატურა და სხვა.

სიცოცხლისუნარიანობა, ჯარების (ძალების) და სამხედრო ტექნიკის უნარი, შეინარჩუნონ ან სწრაფად აღიდგინონ ბრძოლისუნარიანობა. ჯარების **ს**-ს აღწევენ, უწინარეს ყოვლისა, სტაბილური მართვით, ძალების და საშუალებების დროული განაწილებით და ჯარების განლაგების რაიონების შეცვლით, ჯარების (ძალების) შენიღბვით, მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვით, ძალებისა და საშუალებების რეზერვის შექმნით და სხვა. სამხედრო ტექნიკის **ს**-ს განსაზღვრავს მისი შემუშავების ტაქტიკურ-ტექნიკური დავალება. სამხედრო ტექნიკის თითოეულ სახეობას აქვს **ს**-ის საკუთარი პარამეტრები. მაგალითად, საარტილერიო ქვემეხის **ს**. ფასდება გასროლის იმ რაოდენობით, რომელსაც უძლებს ლულა სროლის და მანძილის მნიშვნელოვანი შემცირების გარეშე (ქვემეხის სიმძლავრის მიხედვით იგი მერყეობს რამდენიმე ასეულიდან რამდენიმე ათას გასროლამდე).

სლოვაკეთი (Slovensko – სლოვაკეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ყოფილი ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ნაწილი. ფართობი 49 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 5,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – სლოვაკური. ადმინისტრაციულად იყოფა 8 მხარედ. დედაქალაქი – ქ. ბრატისლავა. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული საბჭო, აღმასრულებელი – მთავრობა. ნატოს წევრი ქვეყანა. სუვერენიტეტი გამოაცხადა 1992 წლის 17 ივლისს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან გამოსვლით. **ს**. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, საფეიქრო, კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგია მიწათმოქმედება (მარცვლეული კულტურები, შაქრის ჭარხალი და სხვა). სამხედრო მრეწველობა აწარმოებს ტანკებს, საარტილერიო სისტემებს და ტყვია-წამალს. საერთაშორისო აეროპორტი – ბრატისლავა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 16,5 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ჯარები 12,4 ათ., სამხედრო-საჰაერო 4,1 ათ. და რეზერვი – 20 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

სლოვენია (Slovenija – სლოვენიის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ადრიატიკის ზღვის ვენეციის ყურეზე გასასვლელით. ფართობი 20,3 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – სლოვენური. დედაქალაქი – ქ. ლიუბლიანა. ადმინისტრაციულად იყოფა 182 მუნიციპალიტეტად და 11 ქალაქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. ნატოს წევრი ქვე-

ყანაა. სუვერენიტეტი გამოცხადდა 1991 წლის 25 ივნისს, იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკიდან გამოსვლის შემდეგ. **ს.** ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. განვითარებულია შავი და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, ხის დასამუშავებელი, საფეიქრო და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგებია: მესაქონლეობა, მიწათმოქმედება (მარცვლეული კულტურები, მევენახეობა და სხვა). საზღვაო პორტებია: პირანი, კოპერი. საერთაშორისო აეროპორტებია ლიუბლიანა, მარიბორი. შეიარაღებული ძალები, საერთო შემადგენლობით 7,2 ათ. კაცი (2012), ორგანიზებულია ტერიტორიულ-მილიციური პრინციპით, შედგება სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ჯარებისაგან. რეზერვი – 20 ათ. კაცი. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული მეთოდით.

სნაიპერი (ინგლისური sniper – სანგრიდან მსროლელი), მსროლელი, რომელიც დაუფლებულია მარჯვე სროლის, შენიღბვის და თვალთვალის ხელოვნებას. სახელწოდება „სნაიპერი“ პირველად გაჩნდა ინგლისის არმიაში I მსოფლიო ომის (1914–18) დროს. **ს.** შეიარაღებულია ოპტიკური სამიზნის მქონე შაშხანით. მიზანს აზიანებს, როგორც წესი, პირველივე გასროლიდან.

სოლისებრი (V-სებრი) მოწყობა, ქვედანაყოფის საბრძოლო დაწყობა ისე, რომ დაქვემდებარებული ელემენტები მოეწყონ V-სებურად და „სოლი“ არ იყოს მიმართული სავარაუდო მოწინააღმდეგისკენ. ასეთი მოწყობის ორიენტირების შეცვლა ძნელია, გართულებულია აგრეთვე მისი კონტროლი ტყით დაფარულ ტერიტორიაზე, მაგრამ ის მოსახერხებელია მძლავრი ცეცხლის წარმოებისთვის წინა ხაზსა და ფლანგებზე.

სოლომონ I (1735–84), იმერეთის მეფე 1752–84 წლებში, ალექსანდრე V-ის ძე. იბრძოდა ოსმალო დამპყრობლებისა და ზოგიერთი მსხვილი ფეოდალის წინააღმდეგ, რომლებიც სამეფო ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ. 1757 წელს დაამარცხა ოსმალები *ხრესილის ბრძოლაში.* 1759 წელს, **ს. I**-ის ინიციატივით, საეკლესიო და საერო კრებებზე იმერეთის, ოდიშის, გურიის სასულიერო და საერო ხელისუფლებმა ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვის პირობა დადეს. გაძლიერებული **ს. I**-ის წინააღმდეგ ოსმალებმა 1760 წლიდან არაერთი ლაშქრობა მოაწყვეს, მაგრამ მეფის ლაშქარმა მოიგერია მტერი. **ს. I** აქტიურად მონაწილეობდა 1768–74 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომში, რომლის მსვლელობის დროს ოსმალთა გარნიზონები განდევნეს იმერეთის ციხეებიდან. მეფემ დაიმორჩილა მსხვილი ფეოდალები და იმერეთის სამეფოს ორბიტაში მოაქცია ოდიშისა და გურიის სამთავროები. **ს. I**-ის უკანასკნელი ლაშქრობა ოსმალთა მიერ დაპყრობილი ქვემო გურიის გასათავისუფლებლად შედგა 1784 წლის მარტში. მეფის 6 ათ-ანმა ლაშქარმა ბათუმამდე მიაღწია, მაგრამ უკანა გზაზე, ციხისძირთან, მტრის მოულოდნელი თავდასხმის გამო დამარცხდა. ამის შემდეგ **ს. I** მალე გარდაიცვალა, 1784 წლის აპრილში.

სოლომონის კუნძულები (Solomon Islands), სახელმწიფო ოკეანეთში. განლაგებული წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე კუნძულთა ჯგუფში. ფართობი 28,9 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 552,4 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ინგლისური და მალანეზიური. დედაქალაქი – ქ. ჰონიარა. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად და 1 – დედაქალაქის ტერიტორიად. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1978 წლის 7 ივლისს. სახელმწიფოს მეთაურია დიდი ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. მთავრობის მეთაური – პრემიერ-მინისტრი. ეკონომიკის საფუძველია სოფლის მეურნეობა, მეთევზეობა და ხე-ტყის მრეწველობა. საზღვაო პორტებია: აუკი, კია, გიზო, ნორო, ტოვი-ტოვი, ჰონიარა, იანდინა. აქვს 2 აეროპორტი. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. ფუნქციონირებს სადაზვევრვო ძალები და სამეფო პოლიცია.

სომაზე ბრძოლა 1916, I მსოფლიო ომის ერთ-ერთი უდიდესი ბრძოლა, 1 ივლისი – 18 ნოემბერი; მდინარე სომაზე (ჩრდილო საფრანგეთი) ინგლის-საფრანგეთის ჯარები უშედეგოდ ცდილობდნენ გერმანიის პოზიციების გარღვევას, რათა ვერდენთან (იხ. *ვერდენის ბრძოლა*) ფრანგული არმიის მდგომარეობა შემსუბუქებულიყო. **ს.ბ.** ძალიან სისხლისმღვრელი აღმოჩნდა. ორივე მხარემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა 1,3 მლნ. კაცზე მეტი (ინგლისელები – 456 ათ., ფრანგები – 341 ათ., გერმანელები – 538 ათ. კაცი). მძიმე ზარალმა ორივე მხარეს შეარყია ჯარების მორალური მდგომარეობა. **ს.ბ**-მ ცხადყო პოზიციური თავდაცვის გარღვევის შეუძლებლობა ფრონტის ერთ, შედარებით ვიწრო (40 *კმ*) მონაკვეთზე მეთოდური დარტყმების მეშვეობით. **ს.ბ**-ში 1916 წლის 15 სექტემბერს ინგლისელებმა პირველად გამოიყენეს ტანკები.

სომალი (Somali – სომალის დემოკრატიული რესპუბლიკა), სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, სომალის ნახევარკუნძულზე. ჩრდილოეთით ესაზღვრება არაბეთის ზღვის ადენის ყურე, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – ინდოეთის ოკეანე. ფართობი 637,7 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 9,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – სომალი და არაბული. დედაქალაქი – ქ. მოგადიშო. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – სახალხო კრება. **ს.** დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1960 წლიდან, ბრი-

ტანული და იტალიური **ს**-ის გაერთიანების შედეგად. **ს**. სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს სამომთაბარეო მეცხოველეობა, სამთომოპოვებითი მრეწველობა. ნაკლებად განვითარებულია შინამრეწველურ-ხელოსნური წარმოება. საზღვაო პორტებია: მოგადიშო, ბერბერა, კისიმაიო, მერკა. საერთაშორისო აეროპორტი – მოგადიშო. სამოქალაქო ომის გამო 1991 წლიდან რეგულარული შეიარაღებული ძალები გაუქმებულია. სხვადასხვა კლანს ჰყავს თავისი შეიარაღებული ფორმირებები. სომალილენდის და პუნტლენდის რეგიონულ მთავრობებთან ფუნქციონირებს პოლიცია და უსაფრთხოების ძალები.

სომხეთი (Armenia – სომხეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამიერკავკასიაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება საქართველო, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანი, სამხრეთით – ირანი, დასავლეთით – თურქეთი. ფართობი 29,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 3,2 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – სომხური. დედაქალაქი – ქ. ერევანი. ადმინისტრაციულად იყოფა 11 მარზად (მხარე). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭო (მთავრობა). **ს**. მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. XIX საუკუნის დასაწყისში შეუერთდა რუსეთს. 1918 წელს გამოცხადდა **ს**-ის დამოუკიდებლობა. 1920 წელს დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება და შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში. 1991 წლის 25 სექტემბერს მიიღეს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. **ს**. არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) წევრი. მის ტერიტორიაზე განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზა. **ს**. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. აქვს ატომური ელექტრო-სადგური, ეკონომიკა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ენერგომატარებლების მიწოდებაზე. მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა (ელექტროტექნიკური, დაზგების, ხელსაწყოების), ფერადი მეტალურგია, ქიმიური, კვების მრეწველობა, საშენი მასალების წარმოება. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მევენახეობა, მეხილეობა, მეცხოველეობა. საერთაშორისო აეროპორტი – ზვარტნოცი (ერევანი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 43,6 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 40,4 ათ., სამხედრო-საჰაერო 3,2 ათ. და რეზერვი 210 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

სოციალური მუშაობა შეიარაღებულ ძალებში, სამართლებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, აღმზრდელობითი, სოციალური ღონისძიებების სისტემა, რომელიც ხორციელდება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი მოქალაქეების, სამხედრო მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრების, სამოქალაქო პერსონალის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების და შეღავათების უზრუნველსაყოფად. პირადი შემადგენლობის სოციალური დაცვის საშუალება.

სოციალური პოტენციალი, საზოგადოების სოციალური განვითარების ხასიათი და დონე, მისი შემადგენელი ჯგუფების და ფენების შინაგანი ერთიანობის ხარისხი. ისინი განსაზღვრავენ სახელმწიფოს შესაძლებლობებს და უნარს, გადაწყვიტოს მის წინაშე მდგარი ამოცანები. **ს.პ**-ის სფეროებს წარმოადგენს: საზოგადოების სოციალური სტრუქტურა, სოციალური კავშირები, ცხოვრების დონე და ხარისხი, პიროვნების სტატუსი.

სამხედრო სფეროში **ს.პ.** გამოიხატება მოსახლეობის ფართო მასების დამოკიდებულებით სახელმწიფოს სამხედრო პოლიტიკის და მშენებლობისადმი, მისი თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისადმი; საზოგადოებაში არმიის ადგილით, სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების შინაარსით და ხასიათით, სამხედრო სამსახურისა და სამხედრო მოსამსახურეების პრესტიჟით; ქვედანაყოფების და ნაწილების სამხედრო კოლექტივების, მთლიანად შეიარაღებული ძალების შინაგანი შეკავშირებით. სხვა პოტენციალებისაგან განსხვავებით, **ს.პ**. სახელმწიფოს იმ შესაბამისი მატერიალური და სულიერი ძალების ნაწილი კი არ არის, რომლებიც ხმარდება სამხედრო-პოლიტიკური მიზნების მიღწევას, არამედ წარმოადგენს საფუძველს, რომელზეც ყალიბდება სამხედრო ძლიერების კომპონენტები. მათ განეკუთვნება სახელმწიფოს თავდაცვითი ამოცანების გადასაწყვეტად მასების მობილიზაციის და ორგანიზაციების შესაძლებლობა, მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აქტიურობა.

სოხოისტას ბრძოლა 1545, ბრძოლა ქართველებსა და ოსმალებს შორის. 1543 წლის *ქარადაქის ბრძოლაში* დამარცხების შემდეგ ოსმალებმა უფრო დიდი ძალებით კვლავ გამოიალაშქრეს სამცხე-საათაბაგოში, რომელიც 1535 წლიდან იმერეთის მეფის *ბაგრატ III*-ის (1510–65) სამფლობელო იყო. ბაგრატმა დახმარებისათვის მიმართა ქართლის მეფე *ლუარსაბ I*-სა და თავის ვასალებს – ოდიშის და გურიის მთავრებს. დადიანმა ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო. იმერეთ-გურიისა და ქართლის გაერთიანებული ლაშქარი მტრის შესახვედრად ბასიანისკენ გაემართა. ბრძოლა მოხდა სოხოისტასთან. ბრძოლის წინ ქართულ ბანაკში უთანხმოებამ იჩინა თავი. მესხებმა იმ საბაბით, რომ ქართლელები მათ მეწინავეობას არ უთმობდნენ, ბრძოლის ველი მიატოვეს. **ს.ბ**. დილიდან საღამომდე გაგრძელდა; ქართველები დამარცხდნენ. ოსმალებმა მესხი ფეოდალების დახმარებით სამცხე-საათაბაგოს ციხეები დაიკავეს და ათაბაგად ქაიხოსრო III (1545–73) დასვეს. ამრიგად, **ს.ბ**-

ის შედეგად სამცხე-იმერეთის გაერთიანებას ბოლო მოეღო. ამ დროიდან გაძლიერდა ოსმალეთის გავლენა სამხრეთ საქართველოში, რასაც შემდეგ მისი სრული დაპყრობა მოჰყვა.

სპა, ჯარის აღმნიშვნელი ტერმინი შუა საუკუნეების საქართველოში, შემოვიდა სპარსულიდან შუა საუკუნეების დასაწყისში და შეცვალა ქართული ტერმინი „ერი“. **ს**-სთან ერთად ქართულში შემოვიდა სარდლის აღმნიშვნელი სპარსული ტერმინები: სპასპეტი და *სპასალარი,* რომლებიც ერისთავის სინონიმები გახდა. **ს**-ს ორნაირი მნიშვნელობა ჰქონდა: ვიწრო – რაინდების აღმნიშვნელი და ფართო – ყოველგვარი ჯარის აღმნიშვნელი. **ს**-ის ერთ-ერთი სახეობა იყო *მონასპა* – სამეფო გვარდია, აგრეთვე როქის სპა – დაქირავებული ჯარი.

სპარსეთი ძველი, იხ. *აქემენიდების სახელმწიფო.*

სპარსეთის ყურის ომი 1991, ქუვეითის ომი 1991 წლის 17 იანვარი–6 მარტი, გაეროს 34 წევრი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული ოპერაცია ერაყის არმიის წინააღმდეგ მისი განადგურებისა და ქუვეითის დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით. ომის მიზეზი იყო ერაყის მიერ ქუვეითის ტერიტორიის დაპყრობა (1990 წლის აგვისტო). გაეროს უშიშროების საბჭომ, აშშ-ის ინიციატივით, ერაყის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები შემოიღი, ხოლო 29 ნოემბერს სამხედრო ძალების გამოყენების ნება დართო ქუვეითის გათავისუფლების მიზნით. გაეროს ეგიდით გამოსული მრავალეროვანი ძალების (აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ზოგიერთი არაბული ქვეყნებისა და სხვა კონტინგენტები) სტრატეგიული გაშლისათვის სამხედრო მოქმედებების ასპარეზზე 1991 წლის აგვისტო-იანვრის I ნახევარში ჩატარდა ოპერაცია „ფარი უდაბნოში“. ქუვეითის და ერაყის სამხრეთ საზღვართან და მიმდებარე საზღვაო თეატრზე გაიშალა 16 დივიზია (დაახლოებით 800 ათ. კაცი, 3,7 ათ. ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 4 ათ. ტანკი, 4 ათ. თვითმფრინავი და შვეულმფრენი, 170 ხომალდი; ამერიკელი გენერალი ნ. შვარცკოპფი). მრავალეროვანი ძალების სტრატეგიული ოპერაცია „გრიგალი უდაბნოში“ დაიწყო საჰაერო მომზადებით (1991 წლის 17 იანვარი – 23 თებერვალი), რომლის დროს ავიაციამ მასირებული დარტყმებით დაანგრია ერაყელთა მართვისა და ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის სისტემები, დააზიანა უმნიშვნელოვანესი სამხედრო-ეკონომიკური და სამხედრო ობიექტები ერაყის ტერიტორიაზე. 24 თებერვალს დაიწყო საჰაერო-სახმელეთო ოპერაცია. მრავალეროვანი ძალების დამრტყმელმა დაჯგუფებებმა მოკლე ხანში გაათავისუფლეს ქუვეითის ტერიტორია და ერაყის სამხრეთ რაიონებში შეიჭრნენ. 28 თებერვალს, აშშ-ის ინიციატივით, საბრძოლო მოქმედებები შეჩერდა, ხოლო 6 მარტს მოხდა დაზავება. ერაყის არმიამ მძიმე დამარცხება განიცადა. მოკლული იყო 50 ათ-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, დაჭრილი – 50 ათ., ტყვედ ჩავარდა 60 ათ. კაცი. საბრძოლო მოქმედებათა ზონაში ერაყელთა მთელი მძიმე ტექნიკა განადგურდა ან მოწინააღმდეგეებს ჩაუვარდა ხელთ. ასეთ ზარალთან შედარებით კოალიციის დანაკლისი უმნიშვნელო იყო. მთლიანობაში მოკლულთა და დაჭრილთა სახით მათ დაკარგეს, შესაბამისად, 149 და 513 ადამიანი. საბრძოლო დანაკარგების ასეთი შეფარდება ერაყელთა დაბალი ბრძოლისუნარიანობისა და კრიზისული მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის მაჩვენებელია, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი არმია ცოცხალი ძალის, ტანკებისა და ლულიანი არტილერიის რაოდენობით რამდენადმე სჭარბობდა მოწინააღმდეგეს, ეკავა გამაგრებული პოზიციები და აწარმოებდა მოგერიებით ბრძოლას.

სპარტა, ლაკედემონი, ქალაქ-სახელმწიფო, ხოლო ძვ.წ. VI–I საუკუნეებში – სახელმწიფო, პელოპონესში, სამხრეთ საბერძნეთში. ძვ.წ. VI საუკუნის ბოლოს **ს**. სათავეში ჩაუდგა პელოპონესის კავშირს, მონაწილეობდა *ბერძენ-სპარსელთა ომებში* (ძვ.წ. 500–449). *პელოპონესის ომში* (ძვ.წ. 431–404) დაამარცხა ათენი და მიაღწია საბერძნეთში ჰეგემონობას, რაც დაკარგა თებელებთან ომში დამარცხების შემდეგ (იხ. *ლევქტრა*). 146 წელს **ს**. რომის მორჩილებაში მოექცა შეზღუდული უფლებებით, ხოლო ძვ.წ. 27 წლიდან შევიდა რომის პროვინციის აქაიის შემადგენლობაში.

სპასალარი (სპარსული sefahsalar – სარდალი), სამხედრო უწყების მოხელე ძველ საქართველოში. **ს**. ადგილობრივი მხედართმთავარი იყო. ყოველ კუთხესა და თემს („ქუეყანაჲ“) თავ-თავისი სარდალი უნდა ჰყოლოდა. ლეონტი მროველის ცნობით, **ს**-ნი ფარნავაზ მეფემ „ერისმთავთა ქუეშე, ადგილთა და ადგილთა, განაჩინნა“ („მიმსგავსებულად სამეფოსა სპარსთასა“). მეწინავე ჯარს „სამცხის სპასალარი“ სარდლობდა. **ს**. სპასპეტის, ამირსპასალარის სახელისუფლოში შედიოდა.

სპასპეტი, სარდალი, მხედართმთავარი, იგივეა რაც *სპასალარი.*

სპეციალური ავიაცია, სავიაციო ნაწილები და ქვედანაყოფები, რომელთა შეიარაღებაშია თვითმფრინავები (პილოტირებული და უპილოტო) და ვერტმფრენები. განკუთვნილია შემდეგი სპეციალური ამოცანების შესასრულებლად: მართვის და კავშირგაბმულობის უზრუნველყოფა, საარტილერიო ცეცხლის კორექტირება, ყველა სახის საჰაერო დაზვერვა, რადიოელექტრონული შეფერხებების შექმნა, თვითმფრინავების ჰაერში კმაგამართვა, მფრინავთა ეკიპაჟების ძებნა და გადარჩენა, და-

ჭრილების და ავადმყოფების ევაკუაცია და სხვა.

სპეციალური დაზვერვა, ოპერატიული დაზვერვის სახეობა; იმ ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებსაც გაერთიანებების შტაბები, სპეციალური დანიშნულების შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები ახორციელებენ. მათი მიზანია მოწინააღმდეგის შესახებ ცნობების მოპოვება, სპეციალური ღონისძიებების გატარება და პარტიზანული მოძრაობის ორგანიზებაში დახმარების გაწევა. **ს.დ**-ის ძირითადი ამოცანებია: ცნობების მოპოვება მოწინააღმდეგის ბირთვული თავდასხმის საშუალებების, სადაზვერვო-დამრტყმელი კომპლექსების, რეზერვების, ჯარების ფორმირებების, მართვის პუნქტების, აეროდრომების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების, ოპერატიული ზურგის ობიექტებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების შესახებ; მტრის მოქმედებების ხასიათის და განზრახვების, აგრეთვე საომარი მოქმედებების თეატრის (ოპერაციის რაიონის) ოპერატიული მოწყობის გამოვლენა.

სპეციალური დამუშავება, ჯარების, რომლებმაც განიცადეს რადიოაქტიური, მომწამვლელი ნივთიერებით დასნებოვნება, პირადი შემადგენლობის, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის გაუსნებოვნების (დეგაზაცია, დეზაქტივაცია და დეზინფექცია) ჩატარება და მათი ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება. შეიძლება იყოს ნაწილობრივი და სრული. ნაწილობრივი **ს.დ**. ტარდება დასახული ამოცანების შესრულების შეწყვეტის გარეშე – ადამიანის კანის ღია ადგილების, დაცვის საშუალებების, ტანსაცმლის, აღჭურვილობის, აგრეთვე პირადი იარაღის და ტექნიკის დეტალების, (რომლებთანაც მომსახურე პერსონალს უშუალი შეხება ჰქონდა) გაუსნებოვნებით. სრული **ს.დ**. ტარდება დასახული ამოცანის შესრულების შემდეგ და ჯარების გაყვანით სუფთა რაიონში. ხორციელდება მთელი ქონების, შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და ჯარების გაუსნებოვნებით და პირადი შემადგენლობის სრული სანიტარიული დამუშავებით.

სპეციალური დამუშავების პუნქტი, მისი მიზანია სამხედრო ტექნიკის, შეიარაღების, ტრანსპორტის და სხვა მატერიალური საშუალებების დეგაზაციის, დეზაქტივაციის, დეზინფექციის და პირადი შემადგენლობის სანიტარიული დამუშავების ჩატარება.

სპეციალური დამუშავების რაიონი, რაიონი, რომელიც განკუთვნილია იმ ჯარების, სამოქალაქო თავდაცვის ფორმირებების და მოსახლეობის სრული სპეციალური დამუშავების ჩასატარებლად, რომლებმაც განიცადეს ძლიერი (საშიში) ქიმიური, რადიოაქტიური ან ბაქტერიოლოგიური დასნებოვნება. **ს.დ.რ**-ის ძირითადი ელემენტებია: ლოდინის რაიონი, სპეციალური დამუშავების ერთი ან რამდენიმე პუნქტი, სპეციალური დამუშავების შემდეგ შეკრების რაიონი.

სპეციალური დანიშნულების ძალების საბრძოლო მოქმედებები, სპეციალური ოპერაციების დროს სპეციალური დანიშნულების ძალების მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება დამოუკიდებლად ან ჩვეულებრივი საბრძოლო მოქმედებების მხარდასაჭერად და მიმართულია მკაცრად განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, ხშირ შემთხვევაში მოკლე ვადებში.

სპეციალური დანიშნულების ხომალდი, მისი დანიშნულებაა სპეციალური ამოცანების შესრულება როგორც მშვიდობიანობის პერიოდში, ასევე ომის დროს. **ს.დ.ხ**-ებს განეკუთვნება: სადაზვერვო; ფლოტის ძალების მართვის; ვითარების ამსახველი (საჰაერო, წყალზედა, წყალქვეშა); სასწავლო; მცურავი ლოგისტიკის და სპეციალური უზრუნველყოფის ხომალდები; მცურავი ტექნიკური ბაზები სახომალდო ატომური რეაქტორების გადატენისთვის; გასაზომი კომპლექსების ხომალდები; სპეციალური – ფლოტის ძალების საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფისთვის და სხვა. **ს.დ.ხ**-ებს ზღვაში მოქმედებისას რამდენიმე ამოცანის შესრულება შეუძლიათ. მათი წყალწყვა, ზომები, შეიარაღება და აღჭურვილობა კონკრეტული დანიშნულების და დასახული ამოცანებისგან გამომდინარეობს.

სპეციალური დანიშნულების ჯარები, ზოგ ქვეყანაში შეიარაღებული ძალების შანაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც განკუთვნილია უცხოეთის სახელმწიფოების ტერიტორიაზე დივერსიულ-სადაზვერვო, ძირგამომთხრელი და სპეციალური მოქმედების წარმოებისათვის. ომიანობის დროს, გარდა ამისა, შეუძლიათ მოწინააღმდეგის ზურგში გადაწყვიტონ დაზვერვის, მნიშვნელოვანი ობიექტების ხელში ჩაგდების ან განადგურების, ფსიქოლოგიური ოპერაციების მოწყობისა და აჯანყების ორგანიზაციის ამოცანები. მოიცავენ **ს.დ.ჯ**-ის ცალკეულ ბრიგადებს, ბატალიონებს და ასეულებს, რომლებიც შედიან დაჯგუფებების, ფლოტების და არმიების (საარმიო კორპუსების) დაზვერვის ძალებისა და საშუალებების შემადგენლობაში. აშშ-ში მათ აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი – სპეციალური ოპერაციების ძალები.

სპეციალური თვალთვალი და დაზვერვა, სპეციალური დანიშნულების ძალების მიერ წარმოებული დაზვერვა და თვალთვალი, რომლის მონაცემების შევსებას სადაზვერვო ძალები სამხედრო მოქმედებების თეატრზე სტრატეგიული და ოპერატიული ინფორმაციის მოპოვების მეშვეობით ახორციელებენ. ეს ოპერაციები ითვალისწინებენ სპეციალური მეთოდების, მოწყობილობების, ადგილობრივი ძალების და საშუალებების გამოყენებას.

სპეციალური მომზადება, სპეციალური ჯარების (ძალების) და ზოგიერთი გვარეობის ჯარების (ძალების) პირადი შემადგენლობისათვის იარაღის (სამხედრო ტექნიკის) გამოყენების და ბრძოლაში ფუნქციურ მოვალეობათა შესრულების, აგრეთვე ქვედანაყოფის შემადგენლობაში შერწყმული მოქმედებების სწავლება. **ს.მ**-ში გამოიყენება სწავლების ფორმები და მეთოდები, რომლებიც საყოველთაოდ არის მიღებული საბრძოლო მომზადებაში. ძირითადი ყურადღება ეთმობა პრაქტიკულ მეცადინეობას, რომელზეც ღრმავდება იარაღის (სამხედრო ტექნიკის) ცოდნა, იხვეწება მისი გამოყენების ხერხები, ურთიერთშეცვლა გათვლებში (ეკიპაჟებში), უმჯობესდება ფუნქციური მოვალეობებისა და ნორმატივების შესრულების უნარ-ჩვევები.

სპეციალური ოპერაციები, საგანგებოდ ორგანიზებული, გაწვრთნილი და აღჭურვილი სამხედრო და არასამხედრო ქვედანაყოფების მიერ ჩატარებული ოპერაციები სამხედრო, პოლიტიკური, ეკონომიკური ან ფსიქოლოგიური მიზნების მისაღწევად.

სპეციალური ოპერაციების ძალები, მთელი რიგი სახელმწიფოების სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალების სპეციალურად შექმნილი, გაწვრთნილი და აღჭურვილი ფორმირებები. განკუთვნილი არიან დივერსიული, სადაზვერვო და ტერორისტული მოქმედებების საწარმოებლად, მეამბოხეთა საქმიანობის, პროპაგანდისა და ძირგამომთხრელი მოქმედებების ორგანიზაციისათვის. **ს.ო.ძ**-ს იყენებენ მტრის ტერიტორიაზე ან მოწინააღმდეგის ზურგში ფსიქოლოგიური ომის წარმოებისათვის. ეს ძალები მუდმივ მზადყოფნაში ჰყავთ დაუყოვნებლივ გამოყენებისათვის. მათ შეუძლიათ, გადაწყვიტონ ამოცანები მშვიდობიანობის პერიოდში, კონფლიქტურ სიტუაციებში და ომის დროს; იმოქმედონ, როგორც სხვადასხვა გვარეობის ძალების შემადგენლობაში საომარი მოქმედებების თეატრზე, ისე დამოუკიდებლად. ყველაზე მრავალრიცხოვანი **ს.ო.ძ**. შექმნილია აშშ-ში. მოიცავენ რეგულარულ ნაწილებს და ქვედანაყოფებს, არმიის რეზერვისა და ეროვნული გვარდიის ფორმირებებს. ორგანიზაციულად შეყვანილი არიან სპეციალური ოპერაციების გაერთიანებულ სარდლობაში. შეიარაღებაში აქვთ სასროლი იარაღი, ასაფეთქებელი მოწყობილობების კომპლექტები, ოპტიკურ-ელექტრონული აპარატურა, რადიო-თანამგზავრული კავშირის საშუალებები, მსუბუქი ავტომობილები და საპარაშუტო-სადესანტო აღჭურვილობა, პროპაგანდის ტექნიკური საშუალებები. **ს.ო.ძ**-ის პირადი შემადგენლობა სწავლებას გადის სპეციალურ ცენტრებსა და სკოლებში.

სპეციალური რუკა, ზოგადგეოგრაფიული ან თემატიკური რუკები, რომლებიც განკუთვნილია გარკვეული სპეციალური ამოცანების გადასაწყვეტად. სამხედრო საქმეში – საომარი მოქმედების თეატრის შესწავლისთვის, ჯარების მართვისათვის, ავიაციის ფრენისა და ხომალდის მართვის სანავიგაციო უზრუნველყოფისთვის. **ს.რ**-ების შექმნა და სრულყოფა ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფის ძირითადი ნაწილია. **ს.რ**-ებს განეკუთვნება მიმოხილვით-გეოგრაფიული, საავიაციო, კოსმოსურ-სანავიგაციო, საზღვაო, რელიეფური, გრავიმეტრიული, მიმოსვლის გზების, გეოდეზიური მონაცემების, საჰაერო თავდაცვის ბადიანი, სადაზვერვო, ადგილდებარეობის, მდინარეების მონაკვეთების, მთის გადასასვლელებისა და უღელტეხილების რუკები, აგრეთვე ქალაქების გეგმები.

სპეციალური სარდლობები, იხ. *სარდლობები.*

სპეციალური ჯარები, სამხედრო ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც განკუთვნილია შეიარაღებული ძალების საბრძოლო საქმიანობის უზრუნველსაყოფად და მათი სპეციალური ამოცანების გადასაწყვეტად. **ს.ჯ**-ის სახელწოდება, შემადგენლობა, ორგანიზაცია, შეიარაღება და ტექნიკური აღჭურვა განისაზღვრება მათი დანიშნულების მიხედვით. შეიარაღებული ძალების მეტწილ სახეობებში **ს.ჯ**-ს განეკუთვნებიან: დაზვერვის, კავშირგაბმულობის ჯარების, რადიოელექტრონული ბრძოლის, ფსიქოლოგიური ოპერაციების, საინჟინრო ჯარების, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის, ბირთვულ-ტექნიკური უზრუნველყოფის შენაერთები, ნაწილები, დაწესებულებები და ორგანიზაციები; ჰაერნაოსნობის, საინჟინრო-სააეროდრომო და საავიაციო-ტექნიკური ნაწილები; საძიებო-სამაშველო სამსახურის შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები; მეტროლოგიური, ტოპოგეოდეზიური, ჰიდროგრაფიული, ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) ნაწილები; ჯარების მშენებლობისა და დაბინავების ორგანიზაციები და სამხედრო ნაწილები. შეიარაღებული ძალების ზოგიერთ სახეობას ჰყავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი **ს.ჯ**., მაგალითად, სამხედრო-საჰაერო ძალებს – საინჟინრო-სააეროდრომო ნაწილები. შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე ისეთი **ს.ჯ**., როგორიც არის საავტომობილო, საგზაო და სამილსადენო ჯარები. სხვადასხვა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში ასევე არსებობს ანალოგიური დანიშნულების ჯარები, რომელთა დასახელებას, ორგანიზაციას, ტექნიკურ აღჭურვილობას და ამოცანებს სპეციფიკური თავისებურებები ახასიათებს.

სპეციალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს ჯარების (ძალების) იარაღით, სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალებით მომარაგებას. ასევე მიზნად ისახავს შეიარა-

ღების მტყუნების თავიდან აცილებას, დაზიანების შემთხვევაში მის სწრაფ აღდგენას (რემონტს) და მწყობრში დაბრუნებას. **ს.-ტ.უ**-ის ძირითად სახეობებს წარმოადგენს: ბირთვულ-ტექნიკური, სარაკეტო-ტექნიკური, ტექნიკური და მეტროლოგიური უზრუნველყოფა.

სროლა, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასახული ამოცანის გადასაწყვეტად. არის საბრძოლო, სასწავლო-სავარჯიშო, სპორტული და იმიტაციური (ფუჭი გასროლა, სხვადასხვა სახეობის იარაღის სროლის გარეგნული ეფექტის შექმნა) სროლა. მოიცავს სროლისთვის მომზადებას (საცეცხლე პოზიციის დაკავება, მიზნების დაზვერვა, იარაღის, საბრძოლო მასალის, სროლის მონაცემების მომზადება), დამიზნებას (სამიზნე მოწყობილობების დაყენება ცეცხლის დასაშენად) და მიზნის განადგურებას. **ს**-ის პროცესში შედის იარაღის მომზადება, დამიზნება, გასროლისა და ხელახალი გატენა. იარაღის მომდევნო დატენის მიხედვით **ს**. შეიძლება იყოს ავტომატური და არაავტომატური. **ს**-ის მონაცემების მომზადება მოიცავს: მიზნამდე მანძილის განსაზღვრას, იარაღის მიმართ მიზნის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ განლაგებას, აგრეთვე შესწორებებს მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, მიზნის და იარაღის მოძრაობას. ერთმანეთისაგან განარჩევენ სასროლი იარაღის (ავტომატი, ტყვიამფრქვევი, შაშხანა, კარაბინი, პისტოლეტი), არტილერიის (სახმელეთო, საზენიტო, სახომალდე), აგრეთვე ტანკებიდან, ხომალდებიდან თვითმფრინავებიდან და შვეულმფრენებიდან **ს**-ს. იარაღის ყოველი სახეობა ხასიათდება **ს**-ის თავისებურებებით.

სროლა სვლით, შეტევის და კონტრშეტევის დროს ტანკებიდან სროლის ძირითადი ხერხი. ტანკების ზარბაზნებიდან და ტყვიამფრქვევებიდან სროლის მომზადება, წარმოება და კორექტირება ხორციელდება მოძრაობაში.

სროლა ხანმოკლე გაჩერებებით, წარმოებს ტანკებიდან (თვითმავალი საარტილერიო დანადგარებიდან, ქვეითთა საბრძოლო მანქანებიდან, ჯავშანტრანტრანსპორტიორებიდან) შეტევის დროს, როდესაც სვლით სროლა შეუძლებელია მიზნამდე დიდი მანძილის ან მანქანის კორპუსის რყევის გამო, რაც ვერ უზრუნველყოფს მიზნის საიმედო დაზიანებას. ყოველი გაჩერების დროს წარმოებს ერთი გასროლა ზარბაზნიდან და რამდენიმე ჯერი ტყვიამფრქვევიდან. სროლის მომზადება ხორციელდება გადაადგილებისას.

სროლის ბალისტიკური მომზადება, იხ. *სროლის მომზადება.*

სროლის თეორია, სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა პირობებში სროლის ეფექტურობის კვლევას. მისი მიზანია სროლის მომზადების, წარმოების და შეფასების რაციონალური წესების და ხერხების შემუშავება. **ს.თ**-ის კანონზომიერება აისახება შიდა და გარე ბალისტიკის, ალბათობის და შეცდომების თეორიების, მათემატიკური სტატისტიკის დამოკიდებულებაში.

სროლის მანძილი, უმოკლესი მანძილი ჭურვის (ტყვიის, ნაღმის) გატყორცნის წერტილიდან ვარდნის (აფეთქების) წერტილამდე. სახმელეთო მიზნებზე სროლისას განარჩევენ: სრულ ჰორიზონტალურს – მანძილი გამოსროლის წერტილიდან იარაღის ჰორიზონტის ტრაექტორიის გადაკვეთამდე; დამიზნებულს – მანძილი გამოსროლის წერტილიდან დამიზნების ხაზის ტრაექტორიის გადაკვეთამდე; დახრილს – მანძილი გამოსროლის წერტილიდან შეხვედრის წერტილამდე (მიზნამდე); ჰორიზონტალურს – დახრილი მანძილის პროექცია იარაღის ჰორიზონტზე; გეოდეზიურს (ტოპოგრაფიულს) – მანძილი ქვემეხიდან მიზნამდე, რომელიც განსაზღვრულია რუკაზე (ხელსაწყოებით) ან ანალიტიკური ხერხით; გამოთვლილს – გეოდეზიური (ტოპოგრაფიული) სროლის მანძილი, რომელშიც შეტანილია სროლის პირობების შესწორებები; მორტირულს – საცეცხლე მანძილი, რომელიც გათვლილია 45^0-ზე მეტი სროლის კუთხისთვის; გამიზნულს – სროლის შედეგად განსაზღვრული; რიკოშეტულს – საცეცხლე მანძილი, რომელიც გათვლილია 20^0-მდე და სხვა. სროლის პროცესში **ს.მ**-ის კორექტირება ხდება ვარდნის კუთხის ცვლილებით. საზენიტო არტილერიაში განასხვავებენ დახრილ და ჰორიზონტალურ **ს.მ**-ს, რომელზეც ჭურვის (ტყვიის) დამაზიანებელი თვისებები საკმარისია მიზნის ეფექტური დაზიანებისთვის და უწოდებენ ეფექტურ **ს.მ**-ს.

სროლის მეტეოროლოგიური მომზადება, იხ. *სროლის მომზადება.*

სროლის მომზადება, ღონისძიებები, რომელთა მიზანია საცეცხლე ამოცანების ეფექტური შესრულებისთვის შეიარაღების მზადყოფნის უზრუნველყოფა. სროლის თავისებურებებიდან და იარაღის სახეობიდან გამომდინარე, მოიცავს: მიზნების დაზვერვას და მათი კოორდინატების განსაზღვრას; ტოპოგეოდეზიურ, ბალისტიკურ, მეტეოროლოგიურ, ტექნიკურ მომზადებას; სროლისთვის მონაცემების განსაზღვრას და ცეცხლის მართვის ორგანიზებას. საზენიტო-სარაკეტო ჯარებში და საზენიტო არტილერიაში სროლის მომზადება არის: წინასწარი და უშუალო, სანაპირო და სახომალდე; არტილერიაში – წინასწარი და საბოლოო.

მ ი ზ ნ ე ბ ი ს დ ა ზ ვ ე რ ვ ა და კ ო ო რ დ ი ნ ა ტ ებ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა, მონაცემების განსაზღვრა მიზნების და მათი კოორდინატების შესახებ. მიზნის შესახებ მონაცემებია: მიზნის ნომერი და ხასიათი, მისი ზომები, ცოცხალი ძალის და ტექნიკის დაცულობის ხარისხი, აღმოჩენის დრო და საშუალებები.

სროლის ბალისტიკური მომზადება, სროლის ბალისტიკური პირობების გადახრის განსაზღვრა და გათვალისწინება. მოიცავს: ჭურვების საწყისი სიჩქარის, ქვემეხების შეუთახმებლობის გადახრის, მუხტების ტემპერატურის და ჭურვების სხვა ბალისტიკური მახასიათებლების ჯამურ გასაზღვრას; ასევე საბრძოლო მასალების განაწილებას ქვედანაყოფებსა და ქვემეხებს შორის და ბალისტიკური მახასიათებლებით მათ დახარისხებას.

სროლის მეტეოროლოგიური მომზადება, მეტეოროლოგიური პირობების განსაზღვრა, რომლებსაც სროლის დროს ითვალისწინებენ. მოიცავს: მეტეოროლოგიური ბიულეტენების მიღებას და ქვედანაყოფებამდე მათ დაყვანას; აქტიურ-რეაქტიული და რეაქტიული ჭურვებისთვის ტრაექტორიის (აქტიურ მონაკვეთზე), ქარის სიჩქარის და მიმართულების განსაზღვრას.

სროლის ტექნიკური მომზადება, სროლისათვის შეიარაღების და საბრძოლო მასალების მომზადება. მოიცავს: შეიარაღების და საბრძოლო მასალების დათვალიერებას; მექანიზმების, დასამიზნებელი საშუალებების, თვალთვალის და ცეცხლის მართვის ხელსაწყოების შემოწმებას; გაუმართაობის აღმოფხვრას, სროლის დროს ქვემეხის და ხელსაწყოების ინდივიდუალური შესწორებების განსაზღვრას; ჭურვების საპოხი მასალებისგან გაწმენდას და სხვა.

სროლის ტოპოგეოდეზიური მომზადება, ღონისძიებების კომპლექსი ტოპოგეოდეზიური მონაცემების მოსაპოვებლად. რაკეტების გაშვების, არტილერიის სროლის და საარტილერიო დაზვერვის საშუალებების უზრუნველსაყოფად. მოიცავს: საცეცხლე პოზიციების, სამეთაურო პუნქტების და სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტების, საგუშაგოების (პოზიციების), საარტილერიო დაზვერვის საშუალებების კოორდინატების და სიმაღლეების, აგრეთვე საორიენტირო მიმართულებების *დირექციული* კუთხეების განსაზღვრას.

სროლისათვის მონაცემების განსაზღვრის ორგანიზება მოიცავს: საერთო-საჯარისო ნაწილის (ქვედანაყოფის) საბრძოლო ამოცანის და უფროსი მეთაურის მიერ საცეცხლე ამოცანების გარკვევას; სროლისათვის დასაყენებელი მონაცემების შერჩევას, გადახრაზე შესწორებების განსაზღვრას და მათ სისწორის შემოწმებას. სროლისათვის დასაყენებელი მონაცემების განსაზღვრა, მონაცემების გათვლა დასამიზნებელი მოწყობილობების და ამფეთქისათვის, რომლებზეც ცეცხლი წარმოებს. ცეცხლის მართვის ორგანიზება მოიცავს: მუშაობის ორგანიზაციას სამეთაურო პუნქტზე, სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტზე (სათვალთვალო პუნქტზე), ცეცხლის მართვის პუნქტებზე და საცეცხლე პოზიციებზე: კავშირგაბმულობის ორგანიზებას; დაზვერვის მიკუთვნებულ ქვედანაყოფებთან და საერთო-საჯარისო ნაწილებთან (ქვედანაყოფებთან) ურთიერთქმედების ორგანიზებას; საცეცხლე ამოცანების შესრულების კონტროლს. სროლის წინასწარი მომზადება ხდება საზენიტო, სანაპირო და სახომალდო არტილერიაში საცეცხლე ამოცანის (მიზანჩვენების) მიღებამდე. მოიცავს: ბალისტიკურ, მეტეოროლოგიურ და ტექნიკურ მომზადებას საზენიტო არტილერიაში, გარდა ამისა – სროლის ტოპოგრაფიული პირობების განსაზღვრას დგომის წერტილის ფარდობით. სროლის უშუალო მომზადება ხდება საზენიტო-სარაკეტო ჯარებში და საზენიტო არტილერიაში საცეცხლე ამოცანის (მიზანჩვენების) მიღების შემდეგ. ის მდგომარეობს საჰაერო მიზნის მოძრაობის პარამეტრების და მახასიათებლების განსაზღვრაში. ასევე დაბრკოლებების არსებობის, ინტენსიურობის, სროლის ხერხის ამორჩევის დროს. ის გამოიყენება საჭირო რაოდენობის რაკეტების გაშვების, ცეცხლის გახსნის მომენტის, კომპლექსის მუშაობის რეჟიმის და დამიზნების მეთოდის შემუშავებაში. სროლის საბოლოო მომზადება გულისხმობს სანაპირო და სახომალდო არტილერიაში. მდგომარეობს სროლისათვის საწყისი მონაცემების (მიზნის კოორდინატები, მოძრაობის პარამეტრები, ცხრილის მოთხოვნებიდან სროლის პირობების გადახრაზე შესწორებები და სხვა) განსაზღვრას.

ცეცხლის მართვის ორგანიზება მოიცავს: სამეთაურო, სამეთაურო-სათვალთვალო (სათვლთვალო), ცეცხლის მართვის და საცეცხლე პოზიციების პუნქტებზე მუშაობისა და კავშირგაბმულობის ორგანიზებას; მიკუთვნებულ დაზვერვას ქვედანაყოფებთან, საერთო-საჯარისო ნაწილებთან ურთიერთქმედების ორგანიზებასა და საცეცხლე ამოცანების კონტროლს.

სროლის სიზუსტე, მიზნის მიმართ ჭურვების, რაკეტების, ტყვიების აფეთქების წერტილების შესაძლო მდებარეობის შეფარდებითი შეფასება. ხასიათდება სროლის სიმარჯვით და სროლის სიმჭიდროვით. **ს.ს**-ს აღწევენ სროლის მომზადების ღონისძიებების შესრულებით, მონაცემთა განსაზღვრით და სროლის კორექტირებით.

სროლის სიმარჯვე, ჭურვის (ნაღმის, ტყვიის) ვარდნის საშუალო ტრაექტორიის შეთავსება მიზანთან (მიზანზე დანიშნულ წერტილთან); სროლის სიზუსტის ერთ-ერთი მახასიათებელი. დამოკიდებულია მსროლელის ოსტატობაზე, აგრეთვე იარაღის, საბრძოლო მასალების, სროლის და თვალთვალის ხელსაწყოების სრულყოფასა და ტექნიკურ მდგომარეობაზე.

სროლის ტემპი, იხ. *ტემპი.*

სროლის ტექნიკური მომზადება, იხ. *სროლის მომზადება.*

სროლის ტოპოგეოდეზიური მომზადება, იხ. *სროლის მომზადება.*

სროლის შეცდომა, ჭურვის (რაკეტის, ნაღმის, ტყვიის და ა.შ.) ვარდნის (გასკდომის) წერტილის ან წერტილების ჯგუფის ცენტრის გადახრა დამიზნების (მიზნის) წერტილიდან. **ს.შ.** წარმოადგენს სროლის მომზადების და დამიზნების, გაფანტვის, იარაღის და საბრძოლო მასალების ტექნიკური მახასიათებლების შეცდომების შედეგს.

სროლის ძირითადი მიმართულება, 1. ერთიანი საარტილერიო ნაწილის (ქვედანაყოფის) ქვემეხების და დაზვერვის ხელსაწყოების ორიენტირება. 2. ერთიანი მიმართულება პოლიგონზე, სასროლეთზე, რომელშიც ნებადართულია სროლის წარმოება.

სროლის წესები, ძირითადი დებულებები და რეკომენდაციები სხვადასხვა სახეობის იარაღიდან სროლის მომზადებისა და წარმოებისთვის. წარმოადგენს ოფიციალურ გამოცემას და სროლების ჩატარების დროს სავალდებულოა შესასრულებლად. **ს.წ**-ით ხელმძღვანელობენ პირადი შემადგენლობის და ქვედანაყოფების სხვადასხვა პირობებში მიზნებზე სროლის სწავლის დროს. **ს.წ**-ს გამოსცემენ ყველა სახეობის იარაღისთვის და მოიცავს ზოგად დებულებებს (ცეცხლის სახეობები, მიზნის შერჩევა, საცეცხლე ამოცანის შესრულების წესი და ა.შ.), რეკომენდაციებს მოცემული იარაღიდან სროლის ტიპობრივი შემთხვევებისთვის, საცნობარო მონაცემებს, გათვლებს, **ს.წ**-ის გამოყენების მაგალითებს და სხვა. განიხილება ღამით, მთებში და წყალზედა მიზნების დასაზიანებელი სროლის და ცეცხლის მართვის თავისებურებები, აგრეთვე ცეცხლის მართვის ავტომატიზებული კომპლექსების გამოყენება და სხვა.

სროლისათვის დასაყენებელი მონაცემების განსაზღვრის ორგანიზება, იხ. *სროლის მომზადება.*

სროლისგან თავისუფალი ზონა, ზონა, რომელშიც აკრძალულია სროლა. არსებობს ორი გამონაკლისი: 1. როცა შტაბი დროებით გასცემს სროლების ნებართვას, ამოცანის მოთხოვნის შესაბამისად. 2. თუ მოწინააღმდეგე დაარღვევს სროლისგან თავისუფალი ზონის რეჟიმს, ქვედანაყოფის მეთაურმა შეიძლება გასცეს სროლის ბრძანება თავდაცვის უზრუნველსაყოფად.

სრული დაკომპლექტება, ძალების და ინფრასტუქტურის არსებული სრულმასშტაბიანი ან ნაწილობრივი მწყობრში შეყვანა, დაკომლექტების, შეიარაღების, ტექნიკის და მარაგის დანიშნულ დონემდე შევსების ჩათვლით.

სრული სამხედრო სარდლობა, ზემდგომი მეთაურის მიერ თავისი ხელქვეითების მიმართ ბრძანების გაცემის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა. მოიცავს საბრძოლო და ადმინისტრაციულ-ლოგისტიკური საქმიანობის ყველა ასპექტს და არსებობს მხოლოდ ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში. ტერმინი „სარდლობა" ნატოს ეროვნულ კონტექსტში მის მნიშვნელობასთან შედარებით ძალაუფლების ნაკლებ ხარისხს აღნიშნავს. სარდალს ჯარების სრული მოცულობით სარდლობის უფლებამოსილება არ გააჩნია. სახელმწიფოები, რომლებიც ჯარებს ნატოში გადასცემენ, გადასცემენ მხოლოდ ოპერატიულ სარდლობაში ან ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

სრუტის ზონის თავდაცვა, ჯარების, ფლოტის ძალების ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა მოწინააღმდეგის მიერ სრუტის ზონის ხელში ჩაგდებისაგან დასაცავად და მისი ხომალდების გარღვევის აღსაკვეთად. გულისხმობს საზღვაო სანაპიროს თავდაცვას. **ს.ზ.თ**-ის თავისებურება გამომდინარეობს კონკრეტული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობებიდან.

ს-საათი, შემტევი ნაწილების (ქვედანაყოფების) მიერ მოწინააღმდეგის წინა ხაზის მიღწევის, წყლის წინაღობის ფორსირებისა და საჰაერო (საზღვაო) დესანტის გადმოსხმის დაწყების პირობითი დრო; დგინდება შეთანხმებული მოქმედებების და სხვადასხვა სახის იარაღით ერთდროული დარტყმების მიყენების მიზნით. **ს-ს**-დან, როგორც დროის ნულოვანი მოცემულობიდან, წარმოებს ჯარების (ძალების) მოქმედებების დაგეგმვა და მომზადება იმ შემთხვევაში, როდესაც რეალური დრო არ არის დადგენილი ან საიდუმლოს დაცვის მიზნით არ ხმაურდება.

სსრ კავშირ-ფინეთის ომი 1939–40, ზამთრის ომი, საბჭოთა კავშირის აგრესია ნეიტრალური ფინეთის წინააღმდეგ სამხედრო-პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოსაქცევად. ომის დაწყების საბაბად საბჭოთა მხარემ გამოიყენა მის მიერვე პროვოცირებული სასაზღვრო ინციდენტი, რის შემდეგ, 1939 წლის 30 ნოემბერს, ომი გამოუცხადა ფინეთს. საბჭოთა ავიაციამ მეორე დღესვე დაბომბა ფინეთის ქალაქები, ხოლო სახმელეთო ძალები შეტევაზე გადავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ წითელი არმია ცოცხალი ძალითა და საბრძოლო ტექნიკით მნიშვნელოვნად აღემატებოდა ფინეთის შეიარაღებულ ძალებს (მთავარსარდალი კ. *მანერჰაიმი*), მათ მაინც მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. საბჭოთა ჯარების ძლიერ დაჯგუფებას, ტანკებით და არტილერიით, რომელიც ქ. ოულუს მიმართულებით მიიწევდა, დათოვლილ ტყეში ალყა შემოარტყეს და გაანადგურეს მსუბუქად შეიარაღებულმა ფინელმა მეთხილამურეებმა. დაიღუპა 27 ათ-ზე მეტი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე, 1,3 ათ. ტყვედ ჩავარდა (1939 წლის დეკემბერი). სტალინის ბრძანებით ფრონტზე გაიგზავნა ახალი დივიზიები, სატანკო და

საარტილერიო რეზერვები. უმძიმესი ბრძოლები გაიმართა კარელიის ყელზე, სადაც ფინელებს შექმნილი ჰქონდათ სასაზღვრო გამაგრებების სისტემა, ე.წ. „მანერჰაიმის ხაზი“. წითელმა არმიამ 1940 წლის თებერვალ-მარტში დიდი ზარალის ფასად გაარღვია გამაგრებული ხაზი და 25–200 *კმ*-ით შეიჭრა ფინეთის სიღრმეში. ფინურმა მხარემ, რომელსაც ამოეწურა სამხედრო რესურსები, ზავი ითხოვა. ომის გაგრძელება აღარც *სტალინს* აწყობდა. 1940 წლის 13 მარტს დაიდო მოსკოვის საზავო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ფინეთს მოუხდა ტერიტორიულ დათმობებზე წასვლა (ქ. ვიბორგი და სხვა). სამთვიან ომში ფინეთმა მხოლოდ მოკლულთა სახით დაკარგა 24 ათ. კაცი. საბჭოთა დანაკარგის რაოდენობა ოფიციალურად არ გამოქვეყნებულა, თუმცა ვარაუდით იგი ფინელთა ზარალს რამდენიმეჯერ აღემატებოდა.

სტაბილიზაციის ძალები, მრავალეროვნული სამშვიდობო ძალები, რომლებსაც დაევალათ ნატოს ხელმძღვანლობით სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება ბოსნიაში, ე.წ. დეიტონის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ამოცანების შესასრულებლად. კერძოდ, 1. უსაფრთხოების პირობების შექმნის ხელშეწყობა, რაც აუცილებელია მშვიდობის დამყარებისთვის; აუცილებლობის შემთხვევაში – საბრძოლო მოქმედებების განახლების ან ახალი საფრთხის ნეიტრალიზებისთვის. 2. **ს.ძ**-ის მიერ მიღწეული წარმატების განმტკიცება და ისეთი ვითარების შექმნა, რომელიც აუცილებელია სამშვიდობო პროცესის განვითარებისთვის. 3. ისეთი ვითარების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანოების მიერ მშვიდობის შენარჩუნების ვალდებულებების აღებას, რასაც მანამდე იძულების სამხედრო ორგანოები ასრულებდნენ. 4. სამხედრო კონტინგენტის ფუნქციების როლის და მნიშვნელობის თანდათანობით შემცირების უზრუნველყოფა.

სტალინგრადის ბრძოლა 1942–43, *გერმანია-სსრ კავშირის ომის* (1941–45) დროს. მოიცავს საბჭოთა ჯარების მიერ ჩატარებულ თავდაცვით (1942 წლის 17 ივლისი – 18 ნოემბერი) და შეტევით (1942 წლის 19 ნოემბერი – 1943 წლის 2 თებერვალი) ოპერაციებს. თავდაცვით ბრძოლებში სტალინგრადთან და თვითონ ქალაქის ტერიტორიაზე წითელმა არმიამ მძიმე დანაკლისის ფასად შეაჩერა გერმანელთა ჯარების შეტევა, ხოლო შეტევით ოპერაციაში, რომელშიც რამდენიმე საბჭოთა ფრონტის ძალები მონაწილეობდნენ, მოწინააღმდეგის თავდაცვა გაარღვია და ალყაში მოაქცია 22 გერმანული დივიზია (დაახლოებით 300 ათასი კაცი) მე-6 არმიის სარდლის გენერალ-ფელდმარშალ ფ. პაულიუსის მეთაურობით. გერმანელთა ცდამ, ალყისაგან გამოეხსნათ მე-6 არმია (1942 წლის დეკემბერი), შედეგი ვერ მოიტანა. 31 იანვარს – 2 თებერვალს ალყაშემორტყმული ჯარების ნარჩენები (91 ათ. კაცი) საბჭოელებს დანებდნენ. ტყვედ ჩავარდა ფ. პაულიუსიც. **ს.ბ**-ს უდიდესი პოლიტიკური, სტრატეგიული და საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ითვლება *გერმანია-სსრ კავშირის ომის* გარდამტეხ მომენტად, მისი შედეგები აისახა აგრეთვე *მეორე მსოფლიო ომის* მსვლელობაზეც.

სტალინი (ნამდვილი გვარი ჯუღაშვილი) იოსებ ბესარიონის ძე (1879–1953), საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწე, გენერალისიმუსი (1945), დიქტატორი. 1898 წლიდან მონაწილეობდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში. 1902–13 წლებში ექვსჯერ იყო დაპატიმრებული, ოთხჯერ გაიქცა გადასახლებიდან; 1903 წლის შემდეგ ბოლშევიკებს შეუერთდა. 1917 წლიდან მაღალი პოსტები ეკავა პარტიულ და სახელმწიფო აპარატში. 1922–53 წლებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი. XX საუკუნის 20-იან წლებში სახელმწიფოში ლიდერობისთვის ბრძოლაში პარტიულ აპარატზე დაყრდნობით და პოლიტიკური ინტრიგებით გზიდან ჩამოიშორა მოწინააღმდეგეები და თავისი პირადი ძალუფლების რეჟიმი დაამყარა. ფორსირებული ტემპებით ატარებდა ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციასა და იძულებით კოლექტივიზაციას. პოლიტიკურმა რეპრესიებმა პიკს მიაღწიეს 30-იან წლებში. მხოლოდ საბჭოთა ბანაკებში ამ დროს 5 მლნ-ზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა. 1941 წლიდან **ს**. სახალხო კომისართა საბჭოს (1946 წლიდან – მინისტრთა საბჭო) თავმჯდომარე გახდა. *გერმანია-სსრ კავშირის ომის* (1941–45) დროს იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, თავდაცვის სახალხო კომისარი და სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. მეთაურობდა სსრ კავშირის დელეგაციებს თეირანის (1943), ყირიმის (1945) და პოტსდამის (ბერლინი, 1945) კონფერენციებზე. დიდი დამსახურება მიუძღვის სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცებასა და გერმანიაზე გამარჯვებაში. სკკპ XX ყრილობაზე ნ. ხრუშჩოვმა მკვეთრად გააკრიტიკა **ს**-ის ე.წ. პიროვნების კულტი.

სტანდარტიზაცია, ოპერატიულ, პროცედურულ, მატერიალურ-ტექნიკურ, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ სფეროებში თავსებადობის მიღწევის მიზნით კონცეფციების, დოქტრინების, მეთოდების და პროექტების შემუშავება და განხორციელება ურთიერთქმედების ან უნიფიცირებულობის საჭირო დონის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისთვის. აღმავალი რიგით **ს**-ის სამ დონეს წარმოადგენს: შეთანხმება, ჩანაცვლება და უნიციფიცირება.

სტანდარტიზაციის მიზანი, ნატოს დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს კონკრეტულ

მიზნებს სტანდარტიზაციის მოთხოვნების შესაბამისად.

სტანდარტიზების მოთხოვნები, დოკუმენტი, შემუშავებული ნატოს სტრატეგიული სარდლობის მიერ ნატოს წევრი ქვეყნების და ორგანოებისთვის. მასში დეტალურადაა განსაზღვრული სტანდარტიზაციის ობიექტები და დონე. იგი აუცილებელია მიღწეულ იქნეს ოპერატიულ, პროცედურულ, სამხედრო-ტექნიკურ და ადმინისტრაციულ-ლოგისტიკურ სფეროებში.

სტატუს-კვო (ლათინური status-quo – მდგომარეობა), არსებული ან გარკვეულ მომენტამდე არსებული სამხედრო, პოლიტიკური, სამართლებრივი, ან სხვაგვარი მდგომარეობა. მოლაპარაკების დროს და საზავო ხელშეკრულებების შედგენისას იხმარება „სტატუს-კვო“-ს ცნება „ანტე ბელუმ“ – მდგომარეობა, რომელიც არსებობდა ომის დაწყებამდე და **ს.-კ.** „პოსტ ბელუმ“ – მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ომის შემდეგ.

სტაციონარული არტილერია, საარტილერიო ქვემეხები, რომლებიც რომელიმე ნაგებობაში უძრავ საფუძველზეა დაყენებული. **ს.ა**-ს განეკუთვნებოდა ციხესიმაგრის არტილერიის ქვემეხები, განლაგებული დახურული ტიპის ნაგებობებში (ჯავშნიან თალფაქში, კოშკში, კაზემატებში და სხვა), ასევე საკაზემატო არტილერია, რომელსაც შეეძლო შეზღუდულ სექტორში პირდაპირი დამიზნებით ცეცხლის გახსნა. თანამედროვე **ს.ა**. შეიარაღებაზეა გამაგრებული რაიონებსა და სანაპირო არტილერიაში, გამაგრებულია საფრებში ან ღიად.

სტერეომილი (ბერძნული stereos – მოცულობითი და მილი), საარტილერიო ბინოკულარული, პერესკოპული ოპტიკური ხელსაწყო საკუთარი არტილერიის ჭურვების აფეთქების თვალთვალისთვის, ასევე სროლის კორექტირების მიზნით კუთხეების და მანძილების გასაზომად. **ს**-ს აქვს ათმაგი გადიდება, ხილვადობის ველი 5^0, მაქსიმალური პერისკოპულობა 323 *მმ.*

სტილეტი (იტალიური – stileto), მჩხვლეტავი იარაღი თხელი, ბასრი, მოკლე 3 ან 4 წახნაგიანი პირით და ჯვრისებრი სახელურით. ზოგიერთ **ს**-ს აქვს ამოსაგდები პირები. **ს**. გაჩნდა დასავლეთ ევროპაში შუა საუკუნეებში როგორც იარაღი, რომლითაც შესაძლებელი იყო აბჯრიანი მოწინააღმდეგის დაზიანება.

სტიქიურ უბედურებაზე და კატასტროფაზე რეაგირების ევროატლანტიკური საკოორდინაციო ცენტრი, ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს ქვეყნებისათვის ფართომასშტაბიანი უბედურების დროს დახმარების აღმოჩენის ცენტრი. აქვს უბედურებაზე რეაგირების უფლებამოსილება გაეროს ჰუმანიტარული კოორდინაციის სამმართველოსთან მუდმივი კონსულტაციის პირობებში.

სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციაზე პასუხისმგებელი ადგილობრივი ორგანო, სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის ტერმინოლოგიაში – ეროვნული, რეგიონული ან ადგილობრივი ორგანოს აღმნიშვნელი ტერმინი, რომელიც პასუხისმგებელია საგანგებო სიტუაციის, ან უბედურების ლიკვიდაციაზე.

სტრატეგი (ბერძნული strategos, stratos – ჯარი და ago – მომყავს), ძველ საბერძნეთში უმაღლესი სამხედრო თანამდებობა. მხედართმთავარი, ჯარის მეთაური, რომელსაც აქვს ფართო სამხედრო და პოლიტიკური უფლემოსილება. ირჩევდა სახალხო კრება ერთი წლით. თანამედროვე შესატყვისი ტერმინი – სარდალი.

სტრატეგია (ბერძნული stratus – ჯარები და ago – წარმართვა), სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი, მისი უმაღლესი დარგი. მოიცავს ქვეყნის სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ომის თავიდან აცილების, აგრესიის მოსაგერიებლად ქვეყნის და შეიარაღებული ძალების მომზადების თეორიას და პრაქტიკას; სტრატეგიული ოპერაციების და მთლიანად ომის დაგეგმვასა და წარმოებას. **ს**. სწავლობს და განსაზღვრავს ომების შესაძლო ხასიათს და სამხედრო საშუალებებით მათი თავიდან აცილების გზებს; შეიარაღებული ძალების მიზნებს და ამოცანებს ომში, სტრატეგიული მასშტაბის საომარ მოქმედებებში; მათი წარმოებისათვის საჭირო საშუალებებს; მთლიანად ომის და სტრატეგიული მოქმედებების სხვადასხვა ფორმის მომზადების და წარმოების შინაარსს, ხერხებსა და პირობებს; ომსა და სტრატეგიულ ოპერაციებში შეიარაღებული ძალების გამოყენების დაგეგმვას, მათში შეიარაღებული ძალების სახეობების გამოყენებას; შეიარაღებული ძალების მოქმედებების სტრატეგიული, მორალურ-ფსიქოლოგიური, ტექნიკური და ლოგისტიკური უზრუნველყოფის საფუძვლებს; შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობას მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს; შეიარაღებული ძალების მშენებლობისადმი, საომრად ქვეყნის ეკონომიკის, მოსახლეობისა და ტერიტორიის მომზადებისადმი სტრატეგიული მოთხოვნების შემუშავებას; წამყვანი სახელმწიფოების და კოალიციების სტრატეგიულ შეხედულებებს, მათ შესაძლებლობებს სტრატეგიული მასშტაბის ომის და საომარი მოქმედებების მომზადების, გაჩაღებისა და წარმოებისათვის.

ს-ის ძირითად ამოცანებს და მისი განვითარების მიმართულებებს განსაზღვრავს სახელმწიფო პოლიტიკა და ქვეყნის ეკონომიკა. ზოგადად ისინი ჩამოყალიბებულია კონსტიტუციასა და სამხედრო დოქტრინაში. პოლიტიკა განსაზღვრავს შესაძლო ომისათვის მზადების წესს, მისი წარმოების საშუალებებს და

ხერხებს, რაზმავს ადამიანებს და მატერიალურ რესურსებს ომში გამარჯვების მისაღწევად, ქმნის ხელშემწყობ საშინაო და საგარეო-პოლიტიკურ პირობებს **ს**-ისთვის. თავის მხრივ, **ს**. ზემოქმედებას ახდენს პოლიტიკაზე. სტრატეგიული კვლევის შედეგები გადაიცემა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების განკარგულებაში, რომლებიც მათ იყენებენ სამხედრო მშენებლობის, ომის მომზადებისა და წარმოების საკითხების გადასაწყვეტად.

სტრატეგიული ავიაცია, ზოგიერთი სახელმწიფოს (აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და სხვა) სამხედრო-საჰაერო ძალების ავიაციის სახეობა. სტრატეგიული შეტევითი ძალების კომპონენტი. მის საფუძველს შეადგენენ დიდი ტვირთამწეობის და მოქმედების რადიუსის ბომბდამშენები, რომლებსაც შეუძლიათ მიაყენონ დარტყმები სტრატეგიულ ობიექტებს მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში. **ს.ა**-ის იარაღია დიდი სიშორის საავიაციო რაკეტები, რომლებიც საშუალებას იძლევიან, დარტყმები მიაყენონ თვითმფრინავების შეუსვლელად მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის საშუალებათა მოქმედების ზონაში.

სტრატეგიული ამოცანა, მნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც უნდა გადაწყდეს ომის (კამპანიის) მსვლელობისას. მის შესრულებას მოსდევს საომარი მოქმედებების თეატრზე (სტრატეგიულ მიმართულებაზე) ვითარების მკვეთრი შეცვლა. ხორციელდება ჯარების (ძალების) სტრატეგიული დაჯგუფების მიერ, რომელიც შედგება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის გაერთიანებისა და შენაერთისაგან.

სტრატეგიული გადასროლა, სამხედრო მოქმედებების თეატრის ფარგლებში სამხედრო მოსამსახურეების და ტექნიკის ტრანსპორტირება. **ს.გ.** ჰაერით, ზღვით ან ხმელეთით გულისხმობს დიდი მანძილის გადალახვას და სპეციალური სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას.

სტრატეგიული გაერთიანება, იხ. *გაერთიანება.*

სტრატეგიული გაშლა შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ძ ა ლ ე ბ ი ს ა, ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია საომარ მდგომარეობაზე შეიარაღებული ძალების გადაყვანა, ომის წარმოებისათვის შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების შექმნის და საომრად უშუალო მომზადების დასრულება. ამ დროს ხდება შეიარაღებული ძალების გადაყვანა საომარ მდგომარეობაზე (სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა მობილიზაციის ჩატარებით), ჯარების დაჯგუფებების ოპერატიული გაშლა საომარი მოქმედებების თეატრზე, ჯარების (ძალების) სტრატეგიული გადაჯგუფება ქვეყნის სიღრმიდან და საომარი მოქმედებების თეატრებს შორის და სტრატეგიული რეზერვების გაშლა. სამხედრო-პოლიტიკური ვითარების, ომში სახელმწიფოს მიზნების და სხვა ფაქტორების კვალობაზე **ს.გ.** შეიძლება ხორციელდებოდეს ერთდროულად ან თანამიმდევრულად, ფარულად, ან ღიად.

დროული **ს.გ**-ის მისაღწევად ხდება საგულდაგულო დაგეგმვა ომის გაჩაღების შესაძლო ხერხების გათვალისწინებით, ჯარების (ძალების) მუდმივი მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის შენარჩუნებით, ქვეყნის ტერიტორიის (საომარი მოქმედების თეატრის) წინასწარი ოპერატიული მომზადებით, შეიარაღებული ძალების ყოველმხრივი უზრუნველყოფით, ჯარების (ძალების) მართვის მწყობრი ორგანიზაციით და მათი საიმედო ოპერატიული დაფარვით.

სტრატეგიული დაგეგმვა, ომში ზიგიერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების და სხვა ჯარების მომზადების, გამოყენებისა და ყოველმხრივი უზრუნველყოფის წესის, ხერხების განსაზღვრა; თავდაცვისათვის ქვეყნის და შეიარაღებული ძალების, სტრატეგიული მოქმედებების სხვადასხვა ფორმის მომზადების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. ახორციელებს შეიარაღებული ძალების შტაბების კომიტეტი (გენერალური, მთავარი შტაბი) შეიარაღებული ძალების სახეობების, ლოგისტიკის, ჯარების გვარეობების მართვის ორგანოებთან ერთად. **ს.დ.** ხორციელდება შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის მიერ დასახული ამოცანების, სამხედრო დოქტრინის, უსაფრთხოების კონცეფციის დებულებების, თავდაცვის კანონისა და სამხედრო უსაფრთხოების დარგის სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარები, რუსეთის შეიარაღებული ძალების სახეობა და მისი სტრატეგიულ-ბირთვული ძალების მთავარი კომპონენტი. განკუთვნილია მოსალოდნელი აგრესიის შეკავებისა და განადგურებისათვის სტრატეგიული ბირთვული ძალების შემადგენლობაში ან დამოუკიდებლად. მისი ამოცანაა: დროული გაფრთხილება სარაკეტო-კოსმოსური თავდასხმის შესახებ; კოსმოსური სივრცის უწყვეტი კონტროლი, მოწინააღმდეგის კოსმოსური ობიექტებისა და ბალისტიკური რაკეტების დაზიანება; უცხოეთის სადაზვერვო და სხვა კოსმოსური აპარატების ფრენის შესახებ ინფორმაციის შეტყობინება; შეიარაღებული ძალების დაჯუფებების ოპერატიული და საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფა, სტრატეგიულ-კოსმოსურ ზონაში წინასწარ გაშლილი კოსმოსური კომპლექსების და სისტემების გამოყენების გზით. **ს.დ.ს.ჯ**-ს აქვთ დიდი დამაზიანებელი ძალა, მაღალი საბრძოლო მზადყოფნისა და საბრძოლო ამოცანების უმოკლეს ვადებში შესრულების უნარი, პრაქტიკულად ნებისმიერ დისტანციაზე ზუსტი დარტყმების მიყენების პოტენციალი, მოქმედების უნარი

ნებისმიერი ამინდის პირობებში, მაღალი სიცოცხლისუნარიანობა. **ს.დ.ს.ჯ**-ზე მოდის ბირთვული მუხტების მატარებელთა დაახლოებით ორი მესამედი და სტრატეგიული ბირთვული ძალების ბირთვული მუხტების კრებსითი სიმძლავრის სამი მეოთხედი. მოიცავს სამხედრო მართვის ორგანოებს, სარაკეტო გაერთიანებებს (შედგება სარაკეტო დივიზიებისა და პოლკებისაგან), სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის გაერთიანებებს და შენაერთებს, კოსმოსური აპარატების გაშვების და მართვის დაწესებულებებს, საწარმოებს, სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებსა და სამხედრო სასწავლებლებს. მათ შეიარაღებაშია საბრძოლო სარაკეტო კომპლექსები სტაციონარული და მოძრავი გამშვები დანადგარებით, ბალისტიკური რაკეტების სტარტის კოსმოსური აღმოჩენის საშუალებები, ფრენისას რაკეტების ჰორიზონტსზედა აღმოჩენის რადიოლოკაციური საშუალებები, კოსმოსური სივრცის კონტროლის, რაკეტების დაზიანების, კოსმოსური აპარატების მომზადების, გაშვების და მართვის საშუალებები. **ს.დ.ს.ჯ**-ის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სარაკეტო იარაღის განვითარებასთან.

სტრატეგიული ვითარება, იხ. *ვითარება.*

სტრატეგიული თავდაცვა, შეიარაღებული ძალების საომარი მოქმედებების სახეობა, რომელიც გამოიყენება მოწინააღმდეგის სტრატეგიული დაჯგუფებების შეტევის მოსაგერიებლად და მათთვის დიდი დანაკარგების მისაყენებლად, ასევე – საკუთარი სახელმწიფოს (სახელმწიფოთა კოალიციის) ტერიტორიის საარსებო მნიშვნელობის რაიონების შესანარჩუნებლად, სტრატეგიული ინიციატივის ხელში ჩაგდებისთვის (შეტევაზე გადასასვლელად) პირობების შესაქმნელად. ამავე დროს **ს.თ**. გულისხმობს შეიარაღებული ძალების გაშლის დასრულებას, ჯარების (ძალების) დაჯგუფებების ბრძოლისუნარიანობის აღდგენისათვის დროის მოგებას, საომარი მოქმედებების მეორეხარისხოვან თეატრებზე (სტრატეგიულ მიმართულებაზე) ძალების დაზოგვას, მთავარ მიმართულებაზე უპირატესობის მოსაპოვებლად. **ს.თ**. შეიძლება წარმოებდეს ომის დასაწყისში ან მსვლელობისას, მთელ ფრონტზე, ან სტრატეგიულ მიმართულებაზე.

სტრატეგიული თავდაცვითი საჰაერო-კოსმოსური ოპერაცია, მიზნების, ამოცანების, ადგილის, დროის მიხედვით შეთანხმებული, ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა. ახორციელებენ შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებები (შენაერთები) ერთიანი ჩანაფიქრითა და გეგმით სტრატეგიული ამოცანების კომპლექსის შესასრულებლად. ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებული ძალების სტრატეგიული მოქმედების ფორმა. **ს.თ.ს.-კ.ო**-ის მიზანი შეიძლება იყოს: მოწინააღმდეგის სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური შეტევითი (სტრატეგიული საჰაერო შეტევითი) ოპერაციის ჩაშლა (მოგერიება); მისი საავიაციო, ბირთვულ-სარაკეტო და საჰაერო თავდაცვის დაჯგუფების განადგურება (დასუსტება); მტრის შემოჭრის ჩაშლა; მისი სტრატეგიული და ოპერატიული რეზერვების განადგურება და სხვა. **ს.თ.ს.-კ.ო**-ში მონაწილეობის მისაღებად იზიდავენ: უმაღლესი მთავარსარდლობის საჰაერო არმიებს (სტრატეგიული დანიშნულების); სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის დაჯგუფებებს, არმიას, ცალკეულ კორპუსს, ფლოტებს, სამხედრო დაჯგუფებებს; სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებს; სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის ჯარებს; სპეციალური ჯარების შენაერთებსა და ნაწილებს. პირველი **ს.თ.ს.-კ.ო**. მზადდება მშვიდობიანობის დროს. დანარჩენი ოპერაციები იგეგმება და ხორციელდება ვითარებისა და წინა ოპერაციის შედეგების შეფასების შემდეგ.

სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტი, გაერთიანებული არასამთავრობო საინფორმაციო და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომელიც სწავლობს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და შეიარაღების კონტროლის, მსოფლიოს ქვეყნების სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის, სამხედრო დოქტრინების და შეიარაღებული ძალების მდგომარეობის პრობლემებს. შედგება მთელი რიგი სახელმწიფოების, ძირითადად, დასავლეთ ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ინდივიდუალური და კორპორაციული წევრებისგან (მოქალაქეები და ორგანიზაციები). შეიქმნა 1958 წელს, მდებარეობს ლონდონში. თანამშრომლობს მრავალ სამთავრობო, საერთაშორისო და კერძო ორგანიზაციასთან. სათავეში უდგას პრეზიდენტი, რომელსაც ჰყავს მოადგილე. კონტროლს უწევს საბჭო, რომელშიც შედის სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი 36 ექსპერტი.

სტრატეგიული მარაგი, იხ. *მატერიალური საშუალებების მარაგი.*

სტრატეგიული მიზანი, საომარი მოქმედებების დაგეგმილი შედეგი ომში, კამპანიაში, სტრატეგიულ ოპერაციაში. მისი მიღწევა იწვევს სამხედრო-პოლიტიკური და სტრატეგიული ვითარების ძირეულ ცვლილებებს, ხელს უწყობს ომის შემდგომ წარმატებულ წარმოებას და ძლევამოსილ დამთავრებას. განისაზღვრება სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ. დამოკიდებულია გლობალური და რეგიონული მასშტაბის სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე, საომარი მოქმედებების თეატრზე და ცალკეულ სტრატეგიულ მიმართულებებზე შექმნილ სიტუაციაზე, მათ ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებზე, შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე

მოპირისპირე მხარეების სახელმწიფოებში, შეიარაღებული ძალების პროფესიულ მომზადებასა და გამოყენებულ იარაღზე.

სტრატეგიული მიმართულება, 1. რეგიონის ტერიტორიის ნაწილი მიმდებარე აკვატორიებით და საჰაერო სივრცით, რომლის ფარგლებშიც მდებარეობს სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ცენტრები. აქ ომის (შეიარაღებული კონფლიქტის) დროს შეიძლება განლაგდნენ და აწარმოონ საომარი მოქმედებები შეიარაღებული ძალების ოპერატიულ-სტრატეგიულმა დაჯგუფებებმა. მშვიდობიანიობის დროისათვის გეოსტრატეგიული სივრცის თანამედროვე დაყოფის ელემენტი. **ს.მ**. იყოფა მიმართულებებად. 2. საომარი მოქმედებების თეატრის ნაწილი, რომლის ფარგლებშიც განლაგდებიან და გაიშლებიან, ხოლო ომის დროს აწარმოებენ ოპერაციებს მეომარი მხარეების შეიარაღებული ძალების სახეობების მსხვილი დაჯგუფებები.

სტრატეგიული მობილურობა, სამხედრო მოქმდებების თეატრებს, რეგიონებს შორის ან ნატოს პასუხისმგებლობის ზონის გარეთ (შორ მანძილებზე) ჯარების და მათი ლოგისტიკური უზრუნველყოფის გადაადგილების სწრაფი და ეფექტური შესაძლებლობები.

სტრატეგიული მოძნილობა, სამხედრო ძალების ხელმძღვანელობის, მართვის, ტრანსპორტირების, გადაზიდვების მართვის, ლოგისტიკური მხარდაჭერისა და ინფრასტუქტურის სწრაფი პროექტირების შესაძლებლობა.

სტრატეგიული ნედლეული, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის პროდუქცია, რომელიც საჭიროა შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის წარმოების, შეიარაღებული ძალების აღჭურვის, მომარაგებისა და სასურსათო მარაგის შექმნისათვის. იყოფა სამრეწველო, მატერიალურ, ხელოვნურ, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულად. **ს.ნ**-ის არსებობა, მისი წარმოების და მოპოვების მასშტაბი განაპირობებს სახელმწიფოს სამხედრო-ეკონომიკური უსაფრთხოების დონეს.

სტრატეგიული ოპერაცია, შეიარაღებული ძალების სახეობების გაერთიანებების და შენაერთების მიზნის, ამოცანების, ადგილისა და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული დარტყმების, ოპერაციებისა და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა. **ს.ო**. ხორციელდება ერთდროულად და თანამიმდევრულად, ერთიანი ჩანაფიქრითა და გეგმით სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. შეიარაღებული ძალების სტრატეგიული მოქმედებების ფორმა. **ს.ო**-ის მოწყობა დაიწყო I მსოფლიო ომის წლებში. II მსოფლიო ომის დროს განვითარდა სტრატეგიული მოქმედების ახალი ფორმა – დაჯგუფების ოპერაცია (ზოგი ქვეყნის არმიაში – არმიების ჯგუფის ოპერაცია). ის მოიცავდა ერთიანი ჩანაფიქრითა და უმაღლესი მთავარსარდლობის ხელმძღვანელობით გაერთიანებულ რამდენიმე დაჯგუფების (არმიის) ერთდროულ ოპერაციას. სტრატეგიული შეტევითი ოპერაციის მიზნებს აღწევდნენ სხვადასხვა ხერხით, როგორიც არის მოწინააღმდეგის დიდი დაჯგუფებების ალყაში მოქცევა და თანამიმდევრული განადგურება; სტრატეგიული ფრონტის გაკვეთა და იზოლირებული დაჯგუფებების ნაწილ-ნაწილ განადგურება და სხვა.

შეიარაღებული ძალების ბირთვული იარაღით, რაკეტებით, რაკეტმზიდი ავიაციით, ბირთვული წყალქვეშა ნავებითა და სხვა ტექნიკით აღჭურვამ, ჯარების მობილურობის მკვეთრმა ზრდამ, დამრტყმელი დაჯგუფებების თავმოყრის ვადების შემცირებამ განაპირობა ის, რომ სტრატეგიული მოქმედებების წინანდელი ფორმები აღარ შეესაბამებოდა ახალ პირობებს. სტრატეგიული მოქმედებების ძირითად ფორმად უკვე განიხილავდნენ **ს.ო**-ს საომარი მოქმედებების კონტინენტურ (საოკეანო) თეატრზე. მის განსახორციელებლად საჭირო იყო რამდენიმე დაჯგუფების (ფლოტის, არმიების ჯგუფის), სტრატეგიული ბირთვული ძალების, საავიაციო გაერთიანებების, საჰაერო თავდაცვის ჯარების ძალისხმევა. საომარი მოქმედებების კონტინენტურ თეატრზე **ს.ო**-ის დროს თითოეული დაჯგუფების (არმიების) ძალებით შეიძლება თანამიმდევრულად განხორციელდეს ორი და მეტი ოპერაცია. გარდა ამისა, შეიძლება განხორციელდეს **ს.ო**. მოწინააღმდეგის საჰაერო-კოსმოსური თავდასხმის მოსაგერიებლად, ბირთვული ძალების ოპერაცია ბირთვულ ომში, საჰაერო, საომარი მოქმედების საოკეანო თეატრის **ს.ო**-ები და სხვა.

სტრატეგიული რაიონი, პლანეტის ზედაპირის გეოგრაფიულად განცალკევებული ნაწილი, რომლის ფარგლებშიც ვლინდება ან შეიძლება შეხების ობიექტი გახდეს სახელმწიფოს ინტერესები. **ს.რ**. არის მშვიდობიანი დროისათვის გეოსტრატეგიული სივრცის თანამედროვე დაყოფის ელემენტი იმ პირობების და ფაქტორების შესწავლის მიზნით, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ შეიარაღებული ბრძოლის მიმდინარეობასა და შეიარაღებული ძალების გამოყენების კონკრეტულ დაგეგმვაზე. **ს.რ**-ები არის კონტინენტური (კონტინენტის ნაწილი ან კონტინენტი მთლიანად სანაპირო აკვატორიებითა და საჰაერო-კოსმოსური სივრცით) და საოკეანო. კონტინენტური **ს.რ**-ები იყოფა რეგიონებად.

სტრატეგიული რეზერვი, იხ. *რეზერვი.*

სტრატეგიული საავიაციო სარდლობები, იხ. *სარდლობები.*

სტრატეგიული სარდლობა, ნატოს სამხედრო სარდლობის სტრუქტურის უმაღლესი რგოლის საორგანიზაციო-სამეთაურო ერთეული. შეიცავს ყველა გაერთიანებულ ძალას და საშუალებას. თავისი პასუხისმგებლობის ზონა-

ში და მის გარეთ, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ან ნატოს სამხედრო კომიტეტის მითითებების შესაბამისად, ასრულებს ხელმძღვანელობას დაგეგმვის და მართვის სფეროში; ასევე – ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ყველა სამხედრო საქმის ან ღონისძიების ხელმძღვანელობის და განხორციელების საერთო ფუნქციებს.

სტრატეგიული საჰაერო-კოსმოსური მიმართულება, დედამიწის სფეროს საჰაერო-კოსმოსური სივრცის, ტერიტორიის და აკვატორიის პირობითად განსაზღვრული ზოლი. მის ფარგლებში ბაზირებულია და ერთმანეთს უპირისპირდებიან სტრატეგიული სარაკეტო-ბირთვული, საჰაერო-კოსმოსური ძალების, საშუალებების შეტევითი და თავდაცვითი დაჯგუფებები. **ს.ს.-კ.მ.**, როგორც შეიარაღებული ბრძოლის წარმოების მოცულობითი სფერო და სამხედრო ხელოვნების კატეგორია, ცალკე ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც შეიარაღებაში მიღებულ იქნა სტრატეგიული ბომბდამშენები, სარაკეტო-ბირთვული იარაღი და საბრძოლო-კოსმოსური საშუალებები. ერთი ან რამდენიმე **ს.ს.-კ.მ**-ის ფარგლებში შეიძლება მოეწყოს სტრატეგიული ბირთვული ძალების შეტევითი და თავდაცვითი საჰაერო-კოსმოსური ოპერაცია. ის მოიცავს რამდენიმე საჰაერო (საჰაერო-კოსმოსურ საოპერაციო) მიმართულებას.

სტრატეგიული სტაბილურობა, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა სამხედრო-სტრატეგიული ურთიერთობების მდგომარეობა, რომლის დროსაც არც ერთი მხარე არ განიხილავს სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას.

სტრატეგიული ფსიქოლოგიური ღონისძიებები, მშვიდობიან პერიოდში, კრიზისის დროს და ომის შემთხვევაში დაგეგმილი ფსიქოლოგიური ღონისძიებები, რომელთა მიზანია მეგობრული და ნეიტრალური ქვეყნების მოსახლეობის მხარდაჭერა, აგრეთვე მტრული და პოტენციურად მტრულად განწყობილი ქვეყნების ომის წარმოების ნების შესუსტება.

სტრატეგიული შეიარაღება, იარაღის სახეობები, სპეციალური საინფორმაციო-მმართველობითი სისტემები და უზრუნველმყოფი ტექნიკური საშუალებები სტრატეგიული ამოცანების გადასაწყვეტად. იყოფა სტრატეგიულ შეტევით (სახმელეთო-სარაკეტო კომპლექსები საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებითა და საშუალო სიშორის რაკეტებით, სტრატეგიული წყალქვეშა ნავები და სტრატეგიული ბომბდამშენები) და სტრატეგიულ თავდაცვით (რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის, საჰაერო თავდაცვის, ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის და სარაკეტო-კოსმოსური თავდაცვის სარაკეტო კომპლექსები) შეიარაღებად. **ს.შ**-ის საინფორმაციო-მმართველობით სისტემებს განეკუთვნება საბრძოლო მართვის და კავშირგაბმულობის, საინფორმაციო-საანგარიშო, რაკეტული თავდასხმის შესახებ გაფრთხილების, კოსმოსური და საჰაერო სივრცის კონტროლის, დაზვერვის კოსმოსურ სისტემებს და სხვა. თანამედროვე **ს.შ**-ის საფუძველს შეადგენს ბირთვული, სარაკეტო-ბირთვული და მაღალი სიზუსტის იარაღი, ხოლო მათი განვითარების მთავარი მიმართულებაა სახმელეთო და საზღვაო ბაზირების დიდი სიშორის მართვადი ბალისტიკური რაკეტების შექმნა, რომლებიც აქვთ აშშ-ს, დიდ ბრიტანეთს, რუსეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს. სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების გამოყენების შესაძლო გლობალური კატასტროფული შედეგები იწვევს საომარი კონფლიქტების შეკავების ფორმებისა და ხერხების ძებნის საჭიროებას.

სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვა და შემცირება, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც მიზნად ისახავს ბირთვულ-სარაკეტო იარაღის წარმოების და არსებული პოტენციალის შემცირებას. ბირთვული ომის თავიდან აცილების, ნდობის და უსაფრთხოების განსამტკიცებლად საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება. სტრატეგიულ შეიარაღებას განეკუთვნება: სახმელეთო საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები; წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტები; სხვადასხვა ბაზირების დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტები; მათი გამშვები დანადგარები; სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო წყალქვეშა კრეისერები; მძიმე ბომბდამშენები; საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების, წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების და ფრთოსანი რაკეტების საბრძოლო მუხტები, მძიმე ბომბდამშენების შეიარაღება; საჰაერო თავდაცვის საშუალებები; კოსმოსსაწინააღმდეგო თავდაცვის საშუალებები; სარაკეტო თავდასხმის აღმოჩენის და გაფრთხილების სისტემები და სხვა. 1972 წელს სსრ კავშირმა და აშშ-მა დადეს ხელშეკრულება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ (SALT I). 1979 წელს სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის დაიდო სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის მორიგი ხელშეკრულება (SALT II). 1987 წლის საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულების თანახმად, სსრ კავშირისა და აშშ-ის არსენალებიდან მთლიანად იქნა ამოღებული ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტები, რომელთა ფრენის სიშორე იყო 500-დან 5500 კმ-მდე. 1991 წელს სსრ კავშირმა და აშშ-მა დადეს ხელშეკრულება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების და შეზღუდვის შესახებ (ძალაში შევიდა 1994 წელს). ლისაბონში 1992 წელს ხელი მოეწერა ოქმს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების და შეზღუდვის ხელშეკრულების რეალიზა-

ციის შესახებ, რომლის თანახმადაც ყოფილი სსრ კავშირის ბირთვული იარაღი, რომელიც განთავსებული იყო ბელორუსიის, ყაზახეთის და უკრაინის ტერიტორიებზე, ექვემდებარებოდა ლიკვიდაციას ან რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე გადატანას. 1993 წელს რუსეთმა და აშშ-მა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომი შემცირების და შეზღუდვის შესახებ. 1997 წელს ხელი მოეწერა მთელ რიგ დოკუმენტებს რუსეთსა და აშშ-ს შორის სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის და შემცირების საკითხებზე, მათ შორის მემორანდუმს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეზღუდვის ხელშეკრულების მიმართ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უფლებამონაცვლეობის შესახებ. 2010 წელს აშშ-მა და რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შემდგომი შემცირების შესახებ.

სტრატეგიული შეტევა, შეიარაღებული ძალების სტრატეგიული მოქმედებების ძირითადი სახეობა, რომელიც გამოიყენება სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ხორციელდება ყველა სახეობის ოპერატიული გაერთიანების და შენაერთის მიერ სტრატეგიული შეტევითი ოპერაციების წარმოების გზით. საომარი მოქმედებები ხორციელდება ერთ ან რამდენიმე თეატრზე (სტრატეგიულ მიმართულებაზე) უმაღლესი სარდლობის ერთიანი ჩანაფიქრისა და გეგმის მიხედვით. **ს.შ**-ის შედეგად აღწევენ მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) სტრატეგიული დაჯგუფების განადგურებას, ზოგჯერ ომიდან ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს გასვლას და სტრატეგიული რაიონების ხელში ჩაგდებას, რაც განაპირობებს ძირეულ ცვლილებებს სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ან ომის დამთავრებას.

სტრატეგიული ძალები, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ნაწილი, რომელიც განკუთვნილია ომში ბირთვული იარაღის გამოყენებით სტრატეგიული ამოცანების უშუალო გადაწყვეტისათვის. **ს.ძ.** არის: 1. სტრატეგიულ-შეტევითი მას განეკუთვნება საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავების და სტრატეგიული ავიაციის ნაწილები, შენაერთები და გაერთიანებები. 2. სტრატეგიული თავდაცვითი ძალები (საჰაერო-კოსმოსური თავდაცვა). მასში შედის ბირთვულსარაკეტო დარტყმის შესახებ გაფრთხილების სისტემები, კოსმოსსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალები და საშუალებები.

სტრატეგიული ხელმძღვანელობა, უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ორგანოების საქმიანობა შეიარაღებული ძალების მართვისათვის. **ს.ხ**-ის ობიექტია მთლიანად შეიარაღებული ძალები და მათი სტრატეგიული დაჯგუფებები. ძირითადი არსია: გადაწყვეტილებების მომზადება და მიღება შეიარაღებული ძალების საქმიანობის ყველა დარგში მშვიდობიანობის და ომიანობის დროს (მიზნებისა და ამოცანების, მათი შესრულების ხერხების განსაზღვრა, ადამიანების, მატერიალური და საფინანსო რესურსების უზრუნველყოფა); ამოცანების დასახვა შეიარაღებული ძალებისა და მათი სტრატეგიული დაჯგუფებებისათვის; გადაწყვეტილებათა სარეალიზაციოდ მომზადება (შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების შექმნა, მათი მომზადება, ურთიერთქმედებისა და ყოველმხრივი უზრუნველყოფის ორგანიზაცია); შეიარაღებული ძალების მართვა საომარი მოქმედებების დროს, მათი ძალისხმევის წარმართვა დასახული მიზნების მისაღწევად.

სუბრეგიონული სარდლობა, ტერმინი, რომელიც გამოიყენება ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის მესამე რგოლში სარდლობის ორი ტიპის, კერძოდ, კომპონენტური და სუბრეგიონული სარდლობების აღსანიშნავად.

სუდანი (Sudan – სუდანის რესპუბლიკა), სახელმწიფო ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში. ქვეყანას ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაღვრება წითელი ზღვა. ფართობი 2,5 მლნ. *კმ²*. მოსახლეობა 41 მლნ. კაცი (2012). აქედან არაბები 50 %, დანარჩენი – ნუბიელები და სხვა. ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ხართუმი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 შტატად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა, თანამედროვე **ს**-მა დამოუკიდებლობა მოიპოვა 1956 წელს. დაპირისპირებამ ჩრდილოეთში მცხოვრებ მუსლიმანთა და სამხრეთელ ქრისტიანებს შორის გამოიწვია სამოქალაქო ომი, რომელიც პერმანენტულ სამხედრო გადატრიალებებსა და სამოქალაქო შეტაკებებში გადაიზარდა. **ს.** სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მცენარეული კულტურების მოყვანა. საზღვაო პორტებია: პორტ-სუდანი, სუაკინი. საერთაშორისო აეროპორტი – ხართუმი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 109,3 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 105 ათ., სამხედრო-საჰაერო 3 ათ. და სამხედრო-საზღვაო 1,3 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

სუვერენიტეტი, (ფრანგული souveraineté – უმაღლესი ხელისუფლება), სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრებში სახელმწიფო ხელისუფლების უზენაესობა და საერთაშორისო ურთიერთობებში მისი დამოუკიდებლობა. **ს**-ის პატივისცემა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომელიც დაფიქსირებულია გაეროს წესდებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ფუძემდებლურ დოკუმენტებში.

სულა (Sulla) ლუციუს კორნელიუს (ძვ.წ. 138–78), ძველი რომის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. თავი გამოიჩინა ჩრდილო აფრიკის დაპყრობასა და იტალიელი ტომების აჯანყების ჩახშობაში. 88 წელს გახდა კონსული და მთავარსარდლად დაინიშნა პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის წინააღმდეგ ომში. **ს**-მ პონტოელთა ჯარები დაამარცხა, მითრიდატესთან ზავი დადო, 83 წელს რომში დაბრუნდა და თავისი დიქტატურა დაამყარა. სასტიკად უსწორდებოდა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, ატარებდა მასობრივ რეპრესიებს. 79 წელს **ს**-მ დიქტატორის რწმუნებანი მოიხსნა.

სულეიმან I კანონი, სულეიმან კანონმდებელი (1495–1566), ოსმალეთის სულთანი 1520–66 წლებში. მისი მმართველობის დროს ოსმალთა იმპერიამ ძლიერების პიკს მიაღწია. დაიპყრო უნგრეთის დიდი ნაწილი, ამიერკავკასიის ნაწილი, მესოპოტამია, კუნძული როდოსი, ტრიპოლიტანია, ალჟირი და სხვა ტერიტორიები. მის დროს შედგა კანონები (კანუნნამე) ადმინისტრაციული წყობისა და ფინანსების, ცალკეული პროვინციების მდგომარეობის, სამხედრო-ლენური სისტემის რეგლამენტაციის, მიწათმფლობელობის ფორმების, მოსახლეობის ბეგარისა და მიწაზე გლეხების მიმაგრების შესახებ.

სულიერი პოტენციალი, საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობა. განსაზღვრავს სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) მაქსიმალურ შესაძლებლობებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და სხვა მიზნების მისაღწევად მოსახლეობის მობილიზაციისა და ორგანიზაციისათვის. **ს.პ.** წარმოადგენს საზოგადოებრივი ცნობიერების ყველა ფორმის – პოლიტიკის, სამართლის, ფილოსოფიის, მეცნიერების, ხელოვნების, მორალის, რელიგიის თავისებურ სინთეზს.

ს.პ-ში გამოიყოფა ორი დონე: იდეოლოგიურ დონეს წარმოშობს შეხედულებების და იდეების სისტემა. ისინი გამოხატავენ და ამკვიდრებენ ადამიანთა შეფასებით დამოკიდებულებას არსებული სინამდვილისადმი; სოციალურ-ფსიქოლოგიური დონე მოიცავს გრძნობას, განწყობას, სხვა სოციალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობასა და პროცესს. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან და შედარებითი დამოუკიდებლობით ხასიათდებიან.

როგორც სამხედრო პოტენციალის შემადგენელი ნაწილი, **ს.პ**. განსაზღვრავს მასების სამხედრო-პოლიტიკური აქტიურობის მიმართულებასა და ხასიათს, სახელმწიფოს თავდაცვითი ამოცანების გადაწყვეტაში მათი მონაწილეობის ხარისხს. საბრძოლო პოტენციალში **ს.პ**. ვლინდება როგორც არმიის მორალური სულისკვეთება. **ს.პ**-ის ფორმირების ძირითადი მიმართულებაა მოსახლეობის, განსაკუთრებით წვევამდელი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა.

სუნ-ძი, სუნ-უ, ძვ.წ. VI–V საუკუნეების ჩინელი მხედართმთავარი და სამხედრო თეორეტიკოსი. ავტორი ტრაქტატისა სამხედრო ხელოვნების შესახებ, რომელშიც გადმოცემულია მისი შეხედულებები სტრატეგიასა და ტაქტიკაზე; ასევე ნაჩვენებია კავშირი ომსა და პოლიტიკას შორის და განსაზღვრულია გამარჯვების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები.

სურინამი (Suriname – სურინამის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის ჩრდილოაღმოსავლეთ ნაწილში, ატლანტის ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 163,3 ათ. კმ². მოსახლეობა 524,3 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ჰოლანდიური. დედაქალაქი – ქ. პარამარიბო. ადმინისტრაციულად იყოფა 9 ოლქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა, აღმასრულებელი – მთავრობა. **ს**. დამოუკიდებელი ქვეყანაა 1954 წლიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ბოქსიტის მოპოვება და დამუშავება, ალუმინიუმის წარმოება. ძირითადი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტია პარამარიბო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 1,84 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 1,4 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,2 ათ. და სამხედრო-საზღვაო 0,24 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობით.

სქემა [(სამხედრო) (ბერძნული schema – ნიმუში, ფორმა)], გრაფიკული მოდელი ტოპოგრაფიულ რუკაზე ან ბლანკ-რუკაზე (ქაღალდის ფურცელზე), რომელიც ზოგადად ასახავს რომელიმე ობიექტის ელემენტების ფორმას, სტრუქტურას, შინაარსს, კავშირს ან საქმიანობას. **ს**-ზე, როგორც საბრძოლო დოკუმენტზე, შეიძლება ნაჩვენები იყოს ჯარების (ძალების), ცეცხლის სისტემის, ორიენტირების, მიზნების, კავშირგაბმულობის განლაგება და სხვა. **ს**-ზე, როგორც სასწავლო თვალსაჩინოების საშუალებაზე, ჩვეულებრივ, აისახება შეიარაღების ნიმუშები, საინჟინრო ნაგებობის მოწყობა, კვანძებისა და აგრეგატების მუშაობა და სხვა.

სწავლება, შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების, მართვის ორგანოების საველე, საჰაერო, საზღვაო გაწვრთნილობა. სარდლების (მეთაურების), შტაბების და სხვა სამმართველოების ოფიცრების ტაქტიკური და ოპერატიული მომზადების მაღალი დონის მიღწევის და სრულყოფის ძირითადი, ყველაზე ეფექტური ფორმა. ტარდება შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ჯარებში (ძალებში), ჯარების (ძალების) გვარეობებში, სპეციალურ ჯარებში და წარმოადგენს მათი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლების მნიშვნელოვან საშუალებას. მასშტაბების მიხედვით არის: სტრატეგიული (ოპერატიულ-სტრატეგიული), ოპე-

რატიული (ოპერატიულ-ტაქტიკური) და ტაქ-ტიკური; მიზნობრივი დანიშნულების მიხ-ედვით – ჩვეულებრივი (გეგმური), საბრძოლო (ოპერატიული) მომზადების, საკონტროლო (შესამოწმებელი), საჩვენებელი, კვლევითი (სა-ცდელი); მოსამზადებელი შემადგენლობის მიხედვით – **ს**. ჯარებთან (ძალებთან), სამ-ეთაურო-საშტაბო და საშტაბო; ჩატარების მეთოდიკის მიხედვით – ორმხრივი და ცალ-მხრივი, ხოლო სამეთაურო-საშტაბო და საშტაბო **ს**-თვის გარდა ამისა – ერთ, ორ და მრავალსაფეხურიანი. შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების **ს**-ს განასხვავებენ სპეციფიკური დანიშნულებით, მომზადების და ჩატარების პირობებით. მაგალითად, ქვეით და სატანკო ჯარებთან საერთო-საჯარისო ტაქტი-კური **ს**. ტარდება. მასში შეიარაღებული ძა-ლების სხვა გვარეობების ჯარების (ძალების) და სპეციალური ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალების, ხოლო ზღვისპირა მიმართულებებზე სამხედრო-საზღვაო ძალების ნაწილები და ქვედანაყოფები მონაწილეობენ.

სტრატეგიული მასშტაბის **ს**-ს შეიარაღებული ძალების რამდენიმე დაჯგუფების, გაერთია-ნების, შენაერთის და სხვა სახეობების მო-ნაწილეობით მანევრები ეწოდება. სარაკეტო ჯარებში და არტილერიაში ტაქტიკური **ს**-ის გარდა არის **ს**. ცეცხლის მართვაში. სპე-ციალურ ჯარებთან ტაქტიკურ-სპეციალური **ს.** ტარდება, რომელსაც ამავე დროს შეიძლება ეწოდოს დაზვერვის, რადიოელექტრონული ბრძოლის, ლოგისტიკის **ს**. და სხვა. სამ-ხედრო-საჰაერო ძალებში ტარდება საავიაციო **ს.,** მათ შორის საფრენ-ტაქტიკური, ხოლო სამხედრო-საზღვაო ფლოტში – საერთო, კერძო, სახომალდო **ს**. და სხვა. **ს**. შეიძლება ჩატარდეს საბრძოლო სროლებით, რაკეტების გაშვებით და ბომბდაშენით. აქ ნაწილები (ხომალდები) და ქვედანაყოფები ამუშავებენ მოწინააღმდეგის განადგურების ხერხებს, ბრძოლაში სამხედრო ტექნიკის გამოყენებას, საბრძოლო შერწყმას, საბრძოლო მოქმედებ-ების უზრუნველყოფას. სარდლები (მე-თაურები) სრულყოფენ სამხედრო ხელოვნების ცოდნას, ვითარების დამოუკიდებლად შეფას-ებას, გადაწყვეტილების მიღების და ჯარების (ძალების) მართვას. შტაბები და მართვის სხვა ორგანოები – ვითარების შესახებ მონაცემების შეკრების, დამუშავების და ანალიზის უნარ-ჩვევებს, სარდლისთვის (მეთა-ურისთვის) გადაწყვეტილების მისაღებად ოპ-ერაციის (ბრძოლის) დაგეგმვისათვის მო-ნაცემების მომზადებას. ლოგისტიკის ორ-განოები ასრულებენ როგორც სასწავლო, ასევე რეალურ ამოცანებს ჯარების მატერ-იალური, სატრანსპორტო და სხვა საშუალ-ებებით უზრუნველყოფისთვის. **ს**. ხელს უწ-ყობს ჯარისკაცების და მეზღვაურების მომ-ზადებას, მათ ფიზიკურ და მორალურ გაკაჟ-ებას. **ს**-ის თემები, როგორც წესი, კომპ-ლექსურია (მოიცავენ რამდენიმე სახეობის საბრძოლო მოქმედებას). **ს**-ის მომზადების და ჩატარებისთვის იქმნება ხელმძღვანელობა, ინ-იშნებიან შუამავლები, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში – კვლევის, საკონტროლო და სხვა ჯგუფები, განისაზღვრება მატერიალური საშუალებების და რესურსების ხარჯები. **ს**. გამოყოფილი დროის ფარგლებში უწყვეტად ტარდება. საბრძოლო მოქმედებები თამაშდება სწავლებაში ჩაბმული მონაწილეების გადაწყ-ვეტილების შესაბამისად. **ს**. გარჩევით მთ-ავრდება.

სწავლების ეტაპი, სწავლების ნაწილი (პერ-იოდი), რომლის დროსაც მუშავდება შემდ-გომი სასწავლო-საბრძოლო ამოცანა. მოიცავს ზოგიერთ სასწავლო საკითხს. **ს.ე.** შეიძლება იყოს ოპერაციის ან ბრძოლის მომზადება, თა-ვდაცვის გარღვევა, წყლის წინაღობის ფორ-სირება და სხვა.

სწავლების მომზადების გეგმა, სამსახურე-ბრივი დოკუმენტი, განკუთვნილი სწავლების მიზანმიმართული და დროული მომზადებ-ისთვის. **ს.მ.გ**-ში ასახულია სწავლების დოკუ-მენტების დამუშავების წესი და ვადები (ჩან-აფიქრი, ჩატარების გეგმა, ოპერატიული მონა-ცემები, სწავლების ხელმძღვანელის სამუშაო გეგმა, მისი თანაშემწეების კერძო გეგმები); სწავლების რაიონის მომზადება; სწავლების ხელმძღვანელების, ხელმძღვანელობის შტა-ბის, შუამავლების, აგრეთვე სწავლების მონა-წილე მეთაურების, შტაბების და მოზიდული ჯარების მომზადება; კავშირგაბმულობის, საკ-ომენდანტო სამსახურის ორგანიზაცია და სხვა.

სწავლების ტექნიკური საშუალებები, სპეციალისტების სწავლების ხარისხის და ეფ-ექტურობის ამაღლების საშუალებები. გან-ასხვავებენ ხელით მართვის, ნახევრად ავტ-ომატურს, პროგრამული ავტომატიკით და რო-ბოტიზებულ **ს.ტ.ს**-ს. ასევე – სპეციალურს, კომბინირებულს და უნივერსალურს. პრაქტიკ-ული სწავლების დროს **ს.ტ.ს** უზრუნველყოფენ პრაქტიკული ჩვევების ათვისებას მოსახე-რხებელი და ეკონომიური ხერხებით, სამ-ხედრო ტექნიკის რესურსის დაზოგვას. ისინი აწარმოებენ ოპერატიულ ანალიზს და სწრ-აფად გამოასწორებენ მოსწავლეების შეც-დომებს.

სწავლების ჩანაფიქრი, სწავლების ჩატარებ-ის შინაარსის და თანამიმდევრობის განმ-საზღვრელი ძირითადი დოკუმენტი. მის საფ-უძველზე მუშავდება ყველა სხვა საბუთი (ორგანიზაციული, სასწავლო-მეთოდური, ოპ-ერატიული და სხვა). **ს.ჩ**. მუშავდება რუკაზე, რომელსაც ერთვის განმარტებითი ბარათი. რუკაზე აისახება სწავლების დასახელება, სწავლების თემა, მიზნები, დრო, ეტაპები და

მათი ხანგრძლივობა; ასევე საწყისი ოპერატიული ვითარება, მხარეების მოქმედებების ჩანაფიქრი და უფროსი მეთაურის მიერ დასახული ამოცანები; მეზობლების და ურთიერთმოქმედი გაერთიანებების (შენაერთების, ნაწილების) მდგომარეობა და ამოცანები; მოსალოდნელი გადაწყვეტილების ძირითადი ელემენტები და სხვა. განმარტებით ბარათში აისახება: სწავლების თემა, სასწავლო და კვლევითი მიზანი, მოზიდული მართვის ორგანოების, ჯარების და მხარეების შემადგენლობა; ასევე ძალების და საშუალებების თანაფარდობა, სასწავლო საკითხების, მთლიანად თემის დამუშავების თანამიმდევრობა და მეთოდები, სწავლების შედეგების ანალიზის ადგილი, დრო და წესი. განიხილება მთავარი და სხვა დარტყმების მიმართულებები, ძირითადი ძალის თავმოყრა, თავდაცვის ზღუდეების სისტემა, კონტრდარტყმების (კონტრშეტევის) მიმართულებები, ზუსტდება მხარეების მდგომარეობა ოპერატიული ნახტომის დროს. მონაწილე გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) მაჩვენებლები.

სწავლების ჩატარების გეგმა, ხელმძღვანელის (ხელმძღვანელობის) ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია სწავლების ხელმძღვანელის, შუამავლების და მონაწილეების მოქმედებების შინაარსი და თანამიმდევრობა. ასევე ღონისძიებები, როლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო საკითხების და სწავლების მიზნების მიღწევას. **ს.ჩ.გ.** მუშავდება ტექსტობრივად ან რუკებზე (სქემაზე) ახსნა-განმარტებითი ბარათის სახით და მოიცავს საწყის მონაცემებს, სწავლების ოპერატიულ-ტაქტიკურ ჩანაფიქრს, მისი ჩატარების კალენდარს და სხვა.

სწრაფი გადაადგილება, გადაადგილების მეთოდი. მას იყენებენ სისწრაფის აუცილებლობის შემთხვევაში და როდესაც მოსალოდნელი არ არის მოწინააღმდეგესთან შეხება. ქვედანაყოფის ყველა შემადგენელი ნაწილი გადაადგილდება ერთდროულად, ხოლო მეთაური იმყოფება იქ, საიდანაც უკეთ შეძლებს ვითარების გაკონტროლებას.

სწრაფი გარღვევა, გარღვევის მანევრის სახე, რომელსაც იყენებენ სამანევრო ქვედანაყოფები მოულოდნელად აღმოჩენილი ან მცირედ დაცული ტაქტიკური წინაღობების გადასალახავად.

სწრაფი რეაგირების ძალები (სწრაფი გაშლის ძალები), ნატოს ქვეყნების ეროვნულ და გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში სპეციალურად მომზადებული ფორმირებები. განკუთვნილია საგანგებო გამოყენებისათვის მსოფლიოს სტრატეგიული მნიშვნელობის რაიონებში კრიზისული სიტუაციების წარმოქმნისას. **ს.რ.ძ.** შექმნილია აშშ-ის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, იტალიის, საფრანგეთის, შეიარაღებულ ძალებში, აგრეთვე ნატოს გაერთიანებულ შეიარაღებულ ძალებში. **ს.რ.ძ**-ში შეჰყავთ სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალების შენაერთები (ნაწილები). მათ აქვთ მაღალი საბრძოლო მზადყოფნა, სტრატეგიული და ოპერატიული მობილურობა, მომზადებული არიან საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის ოპერატიული თვალსაზრისით სუსტად მოწყობილ საომარი მოქმედებების თეატრებზე და რთულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში. **ს.რ.ძ.** შეიქმნა აშშ-ში XX საუკუნის 70-იანი წლების დამლევს, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში და იტალიაში – XX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს, სხვა ქვეყნებში – XX საუკუნის 90-იან წლებში. მათი შემადგენლობა თითოეულ ქვეყანაში რამდენიმე ათეული ათასიდან რამდენიმე ასეულ ათასამდეა (აშშ). XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ნატოში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, შეექმნათ სწრაფი რეაგირების გაერთიანებული ძალები. მათი სახმელეთო ნაწილის საფუძველი უნდა შეედგინა ე.წ. „ევროკორპუსს“ სხვადასხვა ეროვნული კუთვნილების ხუთი დივიზიის შემადგენლობით (სამი მექანიზებული, ჯავშანსატანკო და აერომობილური). **ს.რ.ძ**-ის გადასროლა განსაზღვრულ რაიონში უნდა განხორციელდეს საავიაციო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებებით, ხოლო საბრძოლო მოქმედებების მხარდაჭერა – ავიამზიდებით, სამხედრო-საზღვაო ძალებით, სხვა ძალებით და სტრატეგიული ავიაციით. თავიანთი არსებობის მანძილზე **ს.რ.ძ**-ს, განსაკუთრებით, აშშ-ის შეიარაღებული ძალების, არაერთგზის იყენებდნენ მოწინავე ზონებში განხორციელებული ოპერაციების დროს. ყველაზე დიდ ოპერაციებს განეკუთვნება: „ჯასტ კოზი“ (პანამა, 1989), „უდაბნოს ფარი“ და „უდაბნოს ქარიშხალი“ (სამხრეთ-დასავლეთი აზია, 1990–91), „იმედის განახლება“ (სომალი, 1992–93).

სწრაფი შეტევა, შეტევა სადესანტო ოპერაციებში, რომლის მომზადება დროის უმოკლეს ვადებში ხდება. აქ გადამწყვეტია სისწრაფე და ხელსაყრელი მომენტის გამოყენება. სახმელეთო ჯარებისთვის – შემხვედრი ბრძოლა, რომელიც უნდა გაიმართოს ხელთ არსებული ძალებით, მოსამზადებლად მინიმალური დროის მანძილზე, რაც მოწინააღმდეგეს არ მისცემს ძალების შეკრების და თავდაცვის ორგანიზების საშუალებას.

სხივური დაავადება, წარმოიქმნება ორგანიზმზე მაიონიზებელი გამოსხივების დასაშვებზე მეტ დოზებში ზემოქმედებით. ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მწვავე (დიდ დოზებში დასხივების შედეგად) და ქრონიკული (მცირე დოზებით სისტემატურად დასხივებისას) **ს.დ.** ძირითადად ვლინდება სისხლის წარმომქნელი ორგანოების, ნერვული სისტემის, კუჭ-ნაწლავის დაზიანებით.

სხივური დაზიანება, იხ. *დაზიანება.*

სხივური იარაღი, იხ. *მიმართული ენერგიის იარაღი.*

ტაბელური ბირთვული საბრძოლო კომპლექტი, ბირთვული იარაღის განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც განკუთვნილია ბირთვული იარაღის გამომყენებელი ნაწილის ან ქვედანაყოფისთვის. საბრძოლო კომპლექტით მომარაგების და საბრძოლო მასალების ყოველი ხარჯვის შემდეგ მისი შევსების საკითხებს წყვეტს სარდლობა. ის დამოკიდებულია ტაქტიკურ ვითარებაზე, ბირთვულ-ლოგისტიკურ უზრუნველყოფაზე, ასევე – ნაწილში არსებულ ტრანსპორტირების საშუალებებსა და საბრძოლო კომპლექტის გამოყენებაზე. ერთნაირი ნაწილების და ქვედანაყოფებისთვის, რომლებიც ბირთვულ იარაღს იყენებენ, საბრძოლო კომპლექტი შეიძლება ყოველდღიურად იცვლებოდეს.

ტაბელური საშუალებები, სამხედრო ნაწილის (ხომალდის) შტატების ტაბელით (მატერიალური საშუალებების სია) გათვალისწინებული მატერიალური საშუალებები (სამხედრო ტექნიკა, ხელსაწყოები, ინსტრუმენტები, ხარჯვითი საშუალებები და სხვა). არსებობს საშტატო და დამატებითი ხარჯვითი საშუალებები (საბრძოლო მასალა, საწვავი, სურსათი და სხვა), რომლებიც შეაქვთ ტაბელში შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მითითებით. მისი ნომენკლატურა და რაოდენობა განისაზღვრება ტაბელებით, მომარაგების ნორმებით და კომპლექტებით.

ტაბელური შეიარაღება, შეიარაღება, რომელიც გათვალისწინებულია სამხედრო ნაწილის შტატის ტაბელით (ნომენკლატურულ-რაოდენობრივი ჩამონათვალი). ტაბელში მითითებულია თითოეული სახეობის იარაღის დასახელება და რაოდენობა პირადი შემადგენლობის საშტატო დანიშნულების შესაბამისად; ასევე – საშუალებები, რომლებიც აუცილებელია ამ იარაღის გამოსაყენებლად საბრძოლო მოქმედებების, მისი მომსახურების და საბრძოლო მომზადების უზრუნველყოფის დროს. იარაღის გასახარჯი საშუალებების (საბრძოლო მასალები, საწვავი და სხვა) რაოდენობის დადგენა ხდება შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების გათვალისწინებით.

ტაივანი (Taiwan – ჩინეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე იმავე დასახელების კუნძულზე. ფართობი 36 ათ. კმ². მოსახლეობა 23 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ჩინური. დედაქალაქი – ქ. ტაიბეი. **ტ**-ის მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო უფლებამოსილება აქვს ეროვნულ კრებას და საკანონმდებლო იუანს (ორგანო), აღმასრულებელი – იუანის მთავრობას. ჩინეთის რესპუბლიკა **ტ**-ს თვლის თავის ერთ-ერთ პროვინციად და გამოცხადებული აქვს მასთან გაერთიანების კურსი შემდეგი პრინციპის საფუძველზე – „ერთი სახელმწიფო – ორი სისტემა“. **ტ**. წარმოადგენს აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს დინამიკურად მზარდი ეკონომიკით, ამ რეგიონის უმსხვილეს ინვესტორს. მთავარი საზღვაო პორტებია: გაოსიუნი, სუაო, ცზილუნი, ხუალიანი. საერთაშორისო აეროპორტი – ტაიბეი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 290 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 200 ათ., სამხედრო-საჰაერო 50 ათ. და სამხედრო-საზღვაო 40 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ტაილანდი (Thailand – ტაილანდის სამეფო), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყანას სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება სამხრეთ ჩინეთის ზღვა სიამის ყურით, ხოლო უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით – ანდამანის ზღვა. ფართობი 514 ათ. კმ². მოსახლეობა – 68,1 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ტაილანდური. დედაქალაქი – ქ. ბანგკოკი. ადმინისტრაციულად იყოფა 73 ჩანგვადად (პროვინცია). **ტ**-ში კონსტიტუციური მონარქიაა. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა, აღმასრულებელი – მთავრობა. კონსტიტუციური მონარქია გამოცხადდა 1932 წელს. თანამედროვე **ტ**. განვითარებადი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მთავარი საზღვაო პორტებია: ბანგკოკი, პუკეტი, სატაჰიპი. საერთაშორისო აეროპორტები: ბანგკოკი, ჰატიაი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 305 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 200 ათ., სამხედრო-საჰაერო 55 ათ. და სამხედრო-საზღვაო 50 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ტანზანია (Tanzania – ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკასა და ინდოეთის ოკეანის ახლომდებარე კუნძულებზე, მათ შორის კუნძულ ზანზიბარზე. ფართობი 945,1 კმ². მოსახლეობა 45 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – სუაჰილი, ინგლისური. დედაქალაქი – ქ. დოდომა. ადმინისტრაციულად იყოფა 25 მხარედ. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება. **ტ**-ის გაერთიანებული რესპუბლიკა მოიცავს მატერიკულ ნაწილს ტანგანიკას და კუნძულ ზანზიბარს, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1961 (ტანგანიკა) და 1963 (ზანზიბარი) წლებში. მათი

გაერთიანება მოხდა 1969 წლის 26 აპრილს. **ტ.** სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურებია: ყავა, ბამბა, მიხაკ-დარიჩინი. საზღვაო პორტებია: დარ-ეს-სალამი, ტანგა, ლინდი. საერთაშორისო აეროპორტებია: დარ-ეს-სალამი, ზანზიბარი, არუშა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 27 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 23 ათ., საჰაერო თავდაცვა 3 ათ., სამხედრო-საზღვაო 1 ათ. და რეზერვი 80 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ტანკების სიმჭიდროვე, ტანკების საშუალო რაოდენობა 1*კმ* ფრონტზე. განისაზღვრება ჯარების მოქმედებების მთელ ზოლზე და დარტყმების (მთავარი ძალისხმევის თავმოყრის) მიმართულებებზე. როგორც წესი, განიხილავენ ტანკების ტაქტიკურ და ოპერატიულ სიმჭიდროვეს. ტაქტიკურში ითვალისწინებენ I ეშელონის ნაწილების და შენაერთების ტანკებს, ხოლო ოპერატიულში – I, II ეშელონების და რეზერვის შენაერთების, გაერთიანებების ტანკებს.

ტანკების წყალქვეშ გადასასვლელი, იხ. *გადასასვლელი.*

ტანკების ჰერმეტიზაციის რაიონი, უბანი, სადაც მიმდინარეობს წყალქვეშ ან ღრმა ფონით ტანკების გადასასვლელად მომზადება. **ტ.ჰ.რ**-ში ხდება ტანკების საკონტროლო დათვალიერება, მათი ჰერმეტიზაცია წყალქვეშ ტარების მოწყობილობის გამოყენებით, საბუქსირე გვარლების (კანაფის ან ფოლადის ბაგირი) ჩაბმა და ჩაწყობა, ჰაერმიმწოდებელი მილების აწყობა და დაყენება, საწვავით გამართვა.

ტანკი (ინგლისური tank – ცისტერნა, ავზი), მთლიანად დაჯავშნული მუხლუხიანი, მაღალი გამავლობის საბრძოლო მანქანა. აქვს მბრუნავ კოშკურაში ჩამონტაჟებული მძლავრი ზარბაზანი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სროლა პირდაპირი დამიზნებით. თანამედროვე **ტ**-ების მასა არის 46–62 *ტ*, შუბლის ჯავშნის სისქე 500–600 *მმ*, მაქსიმალური სიჩქარე 60–70 *კმ/სთ*-ში. **ტ**-ს ძირითადი ელემენტებია: კორპუსი კოშკურით, ძრავა 1500 ცხენის ძალამდე, ტრანსმისია, სავალი ნაწილი, კაბშირგაბმულობის საშუალებები, რომელთაც აქვთ მასობრივი დაზიანების იარაღისგან დაცვის სისტემა, მოწყობილობა წყალქვეშ ტარებისთვის, საზენიტო საშუალებები და სხვა. პირველი **ტ**-ები შეიქმნა დიდ ბრიტანეთში და საფრანგეთში 1916 წელს. იყენებდნენ I მსოფლიო ომში. მასობრივი გამოყენება პოვა II მსოფლიო ომში.

ტანკსაწინააღმდეგო არტილერია, სახმელეთო ჯარების არტილერიის სახეობა, რომლის დანიშნულებაა ტანკების და ჯავშნიანი მიზნების დაზიანება. ყველა სახის საბრძოლო მოქმედებაში უზრუნველყოფს ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვას. ასევე იყენებენ მოწინააღმდეგის თავდაცვითი ნაგებობების დასანგრევად, ცოცხალი ძალის და საცეცხლე საშუალებების დასაზიანებლად. მოიცავს საერთოსაჯარისო ფორმირებების ტანკსაწინააღმდეგო ქვედანაყოფებს და ნაწილებს. შეიარაღებაში აქვს ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები, არაუკუმგორავი ქვემეხები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები.

ტანკსაწინააღმდეგო დაბრკოლებები, ტანკსაწინააღმდეგო ღობურები და ბუნებრივი დაბრკოლებები ადგილმდებარეობაზე, რომლებსაც შეუძლიათ შეანელონ ან შეაჩერონ ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის მოძრაობა.

ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვა, ორგანიზაციული ღონისძიებების და ჯარების საბრძოლო მოქმედების კომპლექსი მოწინააღმდეგის ტანკების და სხვა დაჯავშნული საშუალებების იერიშების მოსაგერიებლად და გასანადგურებლად. **ტ.თ**. შეიქმნა I მსოფლიო ომში, როდესაც ბრძოლის ველზე გამოჩნდა ტანკები. II მსოფლიო ომის წლებში შემუშავდა **ტ.თ**-ის მწყობრი სისტემა. იგი მოიცავდა: ასეულების ტანკსაწინააღმდეგო საყრდენ პუნქტებს, რომლებიც გაერთიანებული იყო ბატალიონების ტანკსაწინააღმდეგო კვანძებში, ტანკსაწინააღმდეგო რაიონებს, სატანკო საფრებს. ასევე – საარტილერიო-ტანკსაწინააღმდეგო რეზერვებს, მოძრავ გადამღობ რაზმებს, არტილერიას დახურულ საცეცხლე პოზიციებზე, ტანკსაწინააღმდეგო ღობურებსა და დაბრკოლებებს. ომის შემდგომ წლებში **ტ.თ**. საბრძოლო უზრუნველყოფის სახეობიდან გადაიზარდა თავდაცვის შემადგენელ ნაწილად. **ტ.თ**-ის სისტემა მოიცავს: მოწინააღმდეგის სატანკო დაჯგუფებებზე ავიაციის, სარაკეტო ჯარების მომზადებულ დარტყმებსა და არტილერიის ცეცხლს დახურული საცეცხლე პოზიციებიდან; ნაწილებისა და შენაერთების ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებს; ყველა სახეობის ტანკსაწინააღმდეგო ცეცხლის სისტემას მეწინავე ხაზის წინ, ფლანგებზე, პირაპირებზე (შუალედებში) და თავდაცვის სიღრმეში; ტანკსაწინააღმდეგო ღობურების სისტემას, ტანკსაწინააღმდეგო რეზერვებსა და მოძრავ გადამღობ რაზმებს.

ტანკსაწინააღმდეგო თხრილი, ტანკსაწინააღმდეგო ღობურა ღრმა და განიერი ორმოს სახით, რომელიც ეწყობა ტანკისთვის რთული პირობების შესაქმნელად. შეიძლება იყოს სამკუთხა და ტრაპეციული პროფილის, 2 *მ*-მდე სიღრმით და ზემოდან 5–7 *მ* სიგანით. **ტ.თ**-ის მისასვლელებს, ჩვეულებრივ, ნაღმავენ და ფარავენ ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით. **ტ.თ**-ები II მსოფლიო ომში სასაზღვრო სიმაგრეების სისტემაში გამოიყენებოდა.

ტანკსაწინააღმდეგო რაიონი, საინჟინრო თვალსაზრისით მოწყობილი ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელიც დაკავებულია გა-

მანადგურებელ-ტანკსაწინააღმდეგო ან საზარბაზნე არტილერიის ნაწილებით (ქვედანაყოფებით), სხვა ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებით, რომლებსაც აქვთ ცეცხლის საერთო სისტემა და ერთიანი მართვა; II მსოფლიო ომის წლებში ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთ-ერთი ელემენტი. **ტ.რ**. იქმნებოდა მსროლელთა პოლკებში, დივიზიებში, კორპუსებსა და არმიებში. ამ რაიონებში შედიოდა არტილერიის რამდენიმე დანაყოფი ბატარეიდან მაქსიმუმ პოლკამდე, ბრიგადამდე, ხოლო ზოგჯერ ტანკები, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები, ცეცხლსატყორცნების, მეტყვიამფრქვევეთა და მესანგრეთა ქვედანაყოფები. **ტ.რ**-ის სიდიდე შეადგენდა ფრონტზე 1 *კმ*-დან 4–6 *კმ*-მდე და 2–3 *კმ*-მდე სიღრმეში.

ტანკსაწინააღმდეგო რეზერვი, საერთოსაჯარისო ნაწილების, შენაერთების და გაერთიანებების საბრძოლო წყობის (ოპერატიული დაწყობის) ელემენტი, რომლის დანიშნულებაა ბრძოლის (ოპერაციის) დროს საშიშ მიმართულებებზე ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის გაძლიერება. იქმნება ყველა სახის საბრძოლო მოქმედებების დროს ტანკსაწინააღმდეგო არტილერიის და სხვა ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების ერთგვაროვანი ან შერეული შემადგენლობის ნაწილებისა და ქვედანაყოფებისგან.

ტანკსაწინააღმდეგო საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, სპეციალური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსის სახეობა პირდაპირი დამიზნებით მოწინააღმდეგის ჯავშნიანი მიზნების დაზიანებისთვის. **ტ.ს.კ**-ის ძირითადი შემადგენლობაა: გამშვები დანადგარი (სატრანსპორტო-გამშვები დანადგარი) გამიზვნის აპარატურით, ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა და საკონტროლო-შესამოწმებელი აპარატურა. **ტ.ს.კ**. არის: ხელით გამიზვნის (კომანდების გაცემა სადენებით ან რადიოთი), ნახევრად ავტომატური (საკმარისია, რომ ოპერატორმა რაკეტის ფრენის დროს კორის მარკა მიზანს არ მოაშოროს) და ავტომატური (ოპერატორი მხოლოდ წინასწარ გამიზვნას და რაკეტის გაშვებას ახორციელებს), გადასატანი, თვითმავალი და ვერტმფრენის. პირველ ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსად გერმანული „Rotkappchen“ (1945) ითვლება.

ტანკსაწინააღმდეგო ღობურები, ტანკსაწინააღმდეგო და შერეული დანაღმული ველები, დასანგრევად მომზადებული გზების მონაკვეთები, ხიდები და ა.შ., თხრილები, *ესკარპები* (კონტრესკარპები) და სხვა ღობურები, რომლებიც განკუთვნილია ტანკების, ჯავშანტრანსპორტიორებისა და სხვა სამხედრო ტექნიკის დასაზიანებლად, მათი წინსვლის შესაფერხებლად. **ტ.ღ**. შეადგენს თავდაცვაში შექმნილი ღობურების სისტემის საფუძველს.

ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება, შეიარაღების სახეობა ჯავშანტექნიკის დაზიანებისთვის. თანამედროვე **ტ.შ**-ის სახით გამოიყენება სპეციალურად ამ მიზნისთვის შექმნილი საშუალებები. ესენია: ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები, ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზნები, საავიაციო ბომბები, საინჟინრო ნაღმები, ყუმბარსატყორცნები, ხელყუმბარები; ასევე – საერთო დანიშნულების საშუალებები – საველე არტილერია, ჯავშანსატანკო შეიარაღება და სხვა. დიდ მანძილზე ტანკებთან ბრძოლისთვის შესაძლოა გამოიყენონ ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, სახმელეთო დამრტყმელი რაკეტები, ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური კომპლექსები. მათი რაკეტების (რეაქტიული ჭურვების) საბრძოლო ნაწილები აღჭურვილია ტანკსაწინააღმდეგო კასეტური საბრძოლო ელემენტებით ან ნაღმებით დისტანციური დანაღმვისთვის. **ტ.შ**-ისთვის ძირითადი მოთხოვნებია: ჯავშანგამტარიანობა, ნამდვილი ცეცხლის მანძილი და მიზნის დაზიანების ალბათობა.

ტარანი, 1. ეკიპაჟის (მფრინავის) მიერ საფრენი აპარატის, ტანკის, ხომალდის კორპუსით (ან მისი ნაწილით) წინასწარგანზრახული მექანიკური ზემოქმედება მოწინააღმდეგის ანალოგიურ ობიექტზე მისი განადგურების ან მწყობრიდან გამოყვანის მიზნით. ხორცილდება, როგორც წესი, ექსტრემალურ პირობებში, როდესაც ბრძოლის სხვა საშუალებები ამოწურულია. **ტ**. არის მამაცობის, ოსტატობის და ნებისყოფის უმაღლესი გამოვლინება საჰაერო, სატანკო და საზღვაო ბრძოლებში. 2. ნიჩბიანი და ჯავშნიანი ფლოტის ხომალდის შვერილი წყალქვეშა ნაწილზე, რომლის დანიშნულებაა ტარანული დარტყმის მიყენება. 3. ქვემეხი, რომელსაც იყენებდნენ ალყის შემორტყმის დროს ჭიშკრის, ციხესიმაგრეების და კოშკების კედლების გასანგრევად.

ტარლე ევგენი ვიქტორის ძე (1875–1955), სამხედრო ისტორიის გამოჩენილი სპეციალისტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1927). მას ეკუთვნის ისტორიული შრომები: „ნაპოლეონი“, „ტალეირანი“, „საფრანგეთის ბუჟუაზიული რევოლუცია 1789–94“, „დიპლომატიის ისტორია“ და სხვა. ასევე შრომები ნახიმოვზე, უშაკოვზე, კუტუზოვსა და სხვა.

ტაქტიკა (ბერძნული taktike – ჯარების დაწყობის ტაქტიკა), სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილი. მოიცავს სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) და შენაერთების მიერ ბრძოლის მომზადების, წარმოების თეორიასა და პრაქტიკას. **ტ**-ის თეორია იკვლევს ბრძოლის კანონზომიერებას, ხასიათს და შინაარსს; შეიმუშავებს მისი მომზადების და წარმოების ხერხებს. **ტ**-

ის პრაქტიკა მოიცავს მეთაურების, შტაბების და ჯარების (ძალების) საქმიანობას ბრძოლის მომზადების და წარმოებისათვის. მასში შედის: ვითარების მონაცემების მუდმივი შესწავლა; გადაწყვეტილების მიღება; ხელქვეითებისათვის ამოცანების დასახვა და ურთიერთქმედების ორგანიზაცია; ბრძოლის დაგეგმვა და ჯარების (ძალების) მომზადება საბრძოლო ამოცანის შესრულებისათვის; ბრძოლის წარმოება და ქვედანაყოფების და ნაწილების მართვა; საბრძოლო მოქმედების ყოველმხრივი უზრუნველყოფა. **ტ**-ის განვითარებაზე გამუდმებით ახდენს გავლენას შეიარაღების და ჯარების პირადი შემადგენლობის ხარისხის შეცვლა. **ტ.** დიალექტიკურ კავშირშია ოპერატიულ ხელოვნებასა და სტრატეგიასთან, რომლის დებულებებითაც იგი ხელმძღვანელობს. **ტ**. წარმოიშვა შეიარაღებული ძალების გაჩენასთან ერთად. მისი განვითარება ძველი წელთაღრიცხვის VI–V საუკუნეებიდან XX საუკუნის დამდეგამდე, ფაქტობრივად, ასახავდა სახმელეთო ჯარების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის განვითარებას; შეიარაღებული ძალების ახალი სახეობების, ჯარების გვარეობებისა და სპეციალური ჯარების გაჩენის შემდეგ შემუშავდა თითოეული მათგანის **ტ**.

ტაქტიკური ავიაცია, ავიაციის სახეობა მრავალი სახელმწიფოს სამხედრო-საჰაერო ძალებში. განკუთვნილია ტაქტიკური (ოპერატიულ-ტაქტიკური) ამოცანების გადასაწყვეტად სახმელეთო ჯარებთან და სამხედრო-საზღვაო ძალებთან ურთიერთქმედებით ან დამოუკიდებლად. **ტ.ა.** შეადგენს ჯარების (ძალების) დაჯგუფებების საბრძოლო ძლიერების უმნიშვნელოვანეს კომპონენტს, არის საჰაერო მოწინააღმდეგესთან ბრძოლის, საჰაერო დაზვერვის წარმოების, რადიოელექტრონული ბრძოლის ძირითადი საშუალება და სხვა. **ტ.ა**-ის შეიარაღებაშია მრავალმიზნობრივი ტაქტიკური გამანადგურებლები, გამანადგურებელ-ბომბდამშენები, მოიერიშეები, ტაქტიკური მზვერავები, რადიოელექტრონული ბრძოლის თვითმფრინავები. **ტ.ა**-ის ფორმირებები ორგანიზაციულად გაერთიანებული არიან ტაქტიკურ საავიაციო სარდლობაში. ნატოს წევრი ქვეყნების **ტ.ა**-ის ნაწილი შეყვანილია გაერთიანებულ **ტ.ა**-ის სარდლობებში, რომლებიც ევროპაში შეიქმნა. მისი ძირითადი ორგანიზაციული ერთეულია საავიაციო ფრთა, ესკადრა და სხვა.

ტაქტიკური ამოცანა, ამოცანა, რომელიც ქვედანაყოფს, ნაწილს, შენაერთს აქვს დასახული ბრძოლაში; იხ. აგრეთვე *საბრძოლო ამოცანა.*

ტაქტიკური გადაადგილება, გადაადგილება ან მანევრი მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხებამდე.

ტაქტიკური დანაღმული ველი, დაგეგმილი წინაღობების ნაწილი, რომელიც მოწყობილია მოწინააღმდეგის წინსვლის დასაბრკოლებლად, მიმართულების შესაცვლელად ან შესაწყვეტად.

ტაქტიკური ვითარება, იხ. *ვითარება.*

ტაქტიკური ინფორმაცია, ინფორმაცია, რომელიც კრიტიკული სიტუაციის გამო მოპოვებისთანავე შეფასების და გადამუშავების გარეშე მიეწოდება უშუალოდ ტაქტიკურ მეთაურს.

ტაქტიკური მართვა, ადგილობრივ დონეზე ჯარების გადაადგილების და მანევრის დეტალური ხელმძღვანელობა და მართვა, რაც საჭიროა მათ წინაშე დასახული საერთო ან კერძო ამოცანების შესასრულებლად.

ტაქტიკური მობილურობა, მთავარი ამოცანის შესრულების უნარის შენარჩუნებით ჯარების ერთი ადგილიდან მეორისკენ გადაადგილება.

ტაქტიკური მომზადება, ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების), შენაერთების, მართვის ორგანოების პირადი შემადგენლობის სწავლება საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და ჩატარებისთვის, სამხედრო მომზადების უმნიშვნელოვანესი საგანი. მოიცავს: ბრძოლის თეორიის, ორგანიზაციის, შეიარაღების, საკუთარი ჯარების (ძალების) და სავარაუდო მოწინააღმდეგის ბრძოლის ხერხების და საბრძოლო შესაძლებლობის შესწავლას; მეთაურების და მართვის ორგანოების ცოდნისა და ჩვევების პრაქტიკულ სრულყოფას ჯარების (ძალების) მართვის და საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფაში; საბრძოლო მზადყოფნის საკითხების დამუშავებას და საბრძოლო დანიშნულების შესაბამისად ამოცანების გადაჭრას; საბრძოლო ვითარებაში პირადი შემადგენლობის ინდივიდუალური და ჯგუფური იარაღის, სამხედრო ტექნიკის კარგად გამოყენების შესწავლას; ჯარების სხვადასხვა გვარეობის ქვედანაყოფების, ნაწილების შერწყმას ბრძოლის სხვადასხვა სახეობაში შეთანხმებული და გადამწყვეტი მოქმედებებისთვის.

ტაქტიკური ოპერაციების ცენტრი, სახმელეთო ჯარების საერთო და სპეციალური შტაბების იმ ქვედანაყოფების დაჯგუფებები, რომლებსაც ეხებათ ტაქტიკური ოპერაციების წარმართვა და მათი საბრძოლო უზრუნველყოფა.

ტაქტიკური პირობითი ნიშნები, იხ. *პირობითი ნიშნები.*

ტაქტიკური რეზერვი, შენაერთის, ნაწილის, ქვედანაყოფის მეთაურის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული ნაწილები (ქვედანაყოფები); საბრძოლო წყობის ელემენტი. იხ. *რეზერვი.*

ტაქტიკური საავიაციო სარდლობა, იხ. *სარდლობები.*

ტაქტიკური საავიაციო შენაერთი, სამხედრო-საჰაერო ძალების ფორმირება, რომლის ამოცანას წარმოადგენს სახმელეთო ან სამხედრო-საზღვაო ძალებთან ურთიერთქმედებით ტაქტიკური საჰაერო ბრძოლების წარმოება.

ტაქტიკური სწავლება საბრძოლო სროლით, სწავლება ცეცხლის რეალური წარმოებით, ბომბდაშენით და რაკეტების გაშვებით. ქვედანაყოფების, ნაწილების (ხომალდების) და შენაერთების საბრძოლო გაწრთვნის უმაღლესი ფორმა. ტარდება პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების სრულყოფის შემოწმების მიზნით; ასევე – ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების საბრძოლო შერწყმის, მეთაურების და მართვის ორგანოების საბრძოლო მოქმედებების, ჯარების მართვის ჩვევების დასახვეწად. საბრძოლო სროლა, ბომბდაშენა და სხვა ტარდება სწავლების ერთ ან რამდენიმე ეტაპზე. მოწინააღმდეგე მოინიშნება სამიზნეებით, მაკეტებით, ჩამოწერილი ტექნიკით და სხვა საიმიტაციო საშუალებებით. ეს კეთდება იმ მიზნით, რომ შესაძლებელი იყოს მათკენ არტილერიის, ტანკების, ქვეითთა საბრძოლო მანქანების ცეცხლის გახსნა, რაკეტების გაშვება, ბომბდაშენა, სროლა ყველა სახის სასროლი იარაღიდან და ხელის ყუმბარების ტყორცნა.

ტაქტიკური წარმატება, ტაქტიკური მასშტაბის მოქმედებების შედეგი, რომლის დროსაც დროულად და სრულად ხდება ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთებისთვის ბრძოლაში დასახული ტაქტიკური ამოცანების შესრულება.

ტაქტიკური წინაღობები, წინაღობები, რომელთა დანიშნულებაა მოწინააღმდეგის დაბრკოლება, მისი ქვედანაყოფების ჩვენთვის სასურველ რაიონში გადაადგილების იძულება; ასევე – მათი შეკავება პირდაპირი და არაპირდაპირი ცეცხლის ქვეშ და საკუთარ პოზიციებზე შეღწევის აღკვეთა.

ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები, კონკრეტული სამხედრო კრიტერიუმები, რომლებსაც უნდა შეესატყვისებოდეს ტექნიკის ესა თუ ის სახეობა, რათა შესრულდეს შესაბამისი საექსპლუატაციო მოთხოვნები. ძირითად **ტ.-ტ.მ**-ს წარმოადგენს: იარაღისთვის – კალიბრი, საწყისი (მაქსიმალური) სიჩქარე, სროლის სიჩქარე და შექუჩებულობა, სწაფსროლა, დაზიანების ალბათობა; საავიაციო საფრენი აპარატის – აეროდინამიკური და საფრენოსნო – ტაქტიკური მონაცემები, მდგრადობის და მართვის მაჩვენებლები; საზღვაო ხომალდის – წყალწყვა, სიჩქარე, ცურვის მანძილი, ჩაძირვის (წყალქვეშა ნავებისთვის) ზღვრული სიღრმე. ყველა სახის სამხედრო-ტექნიკა **ტ.-ტ.მ**-ს განეკუთვნება: მასა – გაბარიტული მახასიათებლები, მუშაობის ტემპერატურული დიაპაზონი, სიცოცხლისუნარიანობა, საიმედოობა და სხვა.

ტაშისკარის ბრძოლა 1609, ბრძოლა ქართლის ლაშქარსა და ოსმალ-თათრებს შორის. 1609 წლის ივნისში ქართლის სამეფოში მოულოდნელად შემოიჭრნენ ყირიმელი თათრებისა და თურქ-ოსმალთა ცხენოსანი რაზმები. მათი ამოცანა ქვეყნის დარბევა და ნადავლის ხელში ჩაგდება იყო. მომხდურები სწრაფად მოადგნენ მანგლისს და იქიდან ცხირეთის ციხესთან სურდათ მისვლა, სადაც ქართლის მეფე ლუარსაბ II ეგულებოდათ, მაგრამ გზის მაჩვენებლად აყვანილმა ხუცესმა თევდორემ მოატყუა მტერი და სხვა მიმართულებით წაიყვანა. ამასობაში ქართლის ლაშქარიც მოვიდა. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სოფლებში მოკრებილი მეომრებით *გიორგი სააკაძე* და ზაზა ციციშვილი სოფელ ნიაბთან შეებნენ მტერს და საგრძნობლად დააზარალეს. მომხდურები მტკვარს აღმა აუყვნენ და მდინარის მარცხენა ნაპირზე, ტაშისკართან, დაბანაკდნენ. აქ გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ქართლის სამეფოს მთავარ ძალებთან. ქართველებმა, რომლებიც უკეთ იყვნენ შეიარაღებული (მოწინააღმდეგეს ცეცხლსასროლი იარაღი არ ჰქონდა), სრული გამარჯვება მოიპოვეს. მტრის მხოლოდ მცირე ნაწილმა უშველა თავს გაქცევით.

ტაძრეული (ტაძრობილი), მეფის ან მთავრის კარის არათავისუფალი მსახურეული პირი, „შინაური პირი“ ძველ საქართველოში. ფეოდალიზაციის პროცესში **ტ**-თა რიგებს შეემატნენ არისტოკრატიის წრის წარმომადგენლები. XI–XV საუკუნეებში **ტ**-ები ეჯიბის ხელქვეითები იყვნენ. **ტ**-ები შეადგენდნენ მუდმივ ჯარს მეფის კარზე და წარმოადგენდნენ მეფის ძირითად სამხედრო დასაყრდენს. **ტ**-საგან შედგებოდა მეფის პირადი თანმხლები რაზმი. მაგალითად, 1110 წელს დავით აღმაშენებელს თრიალეთში სელჩუკებთან ბრძოლის დროს 1500 **ტ.** ახლდა. ტერმინი მომდინარეობს ძველი ქართული სიტყვისგან „ტაძარი“, რაც ამ შემთხვევაში ნიშნავს „რეზიდენციას“, „სასახლეს“.

ტაჯიკეთი (Tajikistan – ტაჯიკეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო შუა აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ფართობი 143,1 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 7,6 მლნ. კაცი (2012), აქედან 68% ტაჯიკები, 25% უზბეკები. ოფიციალური ენა – ტაჯიკური. დედაქალაქი – ქ. დუშანბე. ადმინისტრაციულად იყოფა: 2 მხარედ, ერთ ავტონომიურ ოლქად და რესპუბლიკური დაქვემდებარების რამდენიმე რაიონად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – მეჯლისი ოლი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. თანამედროვე **ტ**-მა, რომელიც შედიოდა სსრ კავშირში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 9 სექტემბერს. **ტ.** დსთ-ს წევრი ქვეყანაა. ინდუსტრი-

ულ-აგრარული ქვეყანა. მრეწველობის საფუძველია: ფერადი მეტალურგია, სამთოდ-ასამუშავებელი, ქიმიური, მსუბუქი და კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: ბამბის წარმოება, მეხილეობა, მეაბრეშუმეობა. მსხვილი აეროპორტი – დუშანბე. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8,8 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 8 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 0,8 ათ. შეიარაღებულ ფორმირებებში შედის სასაზღვრო ჯარები 1,2 ათ. და შინაგან საქმეთა – 3,5 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ტბის ფლოტილია, იხ. *ფლოტილია.*

ტემპი (ლათინური tempus – დრო), რომელიმე პროცესის, მოვლენის განხორციელების სიჩქარე (ზოგჯერ სიხშირე), განვითარების ინტენსივობა. სამხედრო საქმეში გამოიყენება ცნებები: იერიშის შეტევის, დესანტირების, საზღვაო დესანტის გადასხმის, სროლის **ტ**-ები და სხვა.

გ ა დ ა ზ ი დ ვ ი ს **ტ.**, დღე-ღამეში სამხედრო ფორმირებებით (მატერიალური საშუალებებით) დატვირთული, დანიშნულების ადგილზე მისული და გადმოტვირთული ეშელონების (მატარებლების, გემების, თვითმფრინავების) რაოდენობა.

დ ე ს ა ნ ტ ი რ ე ბ ი ს **ტ.**, დროის ერთეულში დესანტირების რაიონში გადასროლილი პირადი შემადგენლობის (ქვედანაყოფების, ნაწილების), სამხედრო ტექნიკის და მატერიალური საშუალებების რაოდენობა.

ი ე რ ი შ ი ს **ტ.**, იერიშზე გადასული ჯარების დაწინაურების სიჩქარე; იზომება *კმ/სთ.* დამოკიდებულია მოწინააღმდეგის თავდაცვის დაძლევის საიმედოობაზე, საკუთარი ჯარების ბრძოლისუნარიანობაზე, შეტევის სახეზე (სატანკო, შეტევა ქიმიური საბრძოლო მასალის გამოყენებით, ქვეითად და ა.შ.), ადგილმდებარეობის ხასიათზე და სხვა.

ს ა ზ ღ ვ ა ო დ ე ს ა ნ ტ ი ს გ ა დ ა ს ხ მ ი ს **ტ.**, დროის ერთეულში განსაზღვრულ უბანზე გადასხმული პირადი შემადგენლობის, სამხედრო ტექნიკის და მატერიალური საშუალებების რაოდენობა.

ს რ ო ლ ი ს **ტ.** (ცეცხლის ტემპი), 1. დროის შუალედი ქვემეხების (ნაღმსატყორცნების) გასროლებს, ბატარეების ჯერებს ან ზალპებს შორის, რომლებიც ხორციელდება მოცემული კომანდით (გასროლების, ზალპების რაოდენობა დროის ერთეულში). ინიშნება მიზნის ხასიათის, საბრძოლო მასალის ხარჯვის, საცეცხლე ამოცანის შესრულების დროის და ჭურვების აფეთქების თვალთვალის პირობების გათვალისწინებით. 2. ავტომატური იარაღის სწრაფსროლა.

შ ე ტ ე ვ ი ს **ტ.**, შეტევაზე გადასული ჯარების მოძრაობის სიჩქარე, *კმ/დღე-ღამე;* ოპერაციის გაშლის ერთ-ერთი მაჩვენებელი. დამოკიდებულია საკუთარი და მოწინააღმდეგის ჯარების რაოდენობასა და ბრძოლისუნარიანობაზე, თავდაცვის და ადგილმდებარეობის ხასიათზე, შეტევის შეუპოვრობაზე და სხვა. შეტევის მაღალი **ტ.** ურთულებს მოწინაამღდეგეს შუალედურ ზღვრებზე თავდაცვის ორგანიზაციას, ხელს უწყობს ოპერაციის მიზნების სწრაფ მიღწევას. I მსოფლიო ომის დროს შეტევის **ტ.** იყო დაბალი და იშვიათად აღწევდა 5–6 *კმ/დღე-ღამეში,* ზოგ ოპერაციებში კი – 15–25 *კმ*-ს (სატანკო ჯარებისთვის 40–50 *კმ/დღე-ღამეში,* ზოგჯერ 80 *კმ-მდე*) და მეტს.

ტერიტორიული თავდაცვა, სამხედრო და საერთო-სახელმწიფოებრივი ღონისძიებების შემადგენელი ნაწილი, რომელიც ხორციელდება ზოგიერთი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის მოქმედებისაგან, ტერორისტული და დივერსიული აქტებისაგან ობიექტების და კომუნიკაციების დასაცავად, აგრეთვე – საომარი მდგომარეობის დასამყარებლად და ხელშესაწყობად. **ტ.თ**-ის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება: მნიშვნელოვანი სამხედრო, ეკონომიკის ობიექტების და კომუნიკაციების საიმედო დაცვა; ბრძოლა მოწინააღმდეგის დივერსიულ-სადაზვერვო და ტერორისტულ ძალებთან, საომარი მდგომარეობის რეჟიმის დამყარება და შენარჩუნება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ რაიონებში. ქვეყნის შემადგენლობაში შემავალი ერთეულების სახელმწიფო ხელისუფლების და თვითმმართველობის ორგანოები სამხედრო მმართველობის ორგანოებთან ურთიერთქმედებით უზრუნველყოფენ ქვეყნის საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესრულებას, რომლებიც **ტ.თ**-ს ეხება. ისინი მონაწილეობენ **ტ.თ**-ის ღონისძიებების დაგეგმვასა და უზრუნველყოფაში; განსაზღვრავენ დასაცავი ეკონომიკის და საკომუნიკაციო ობიექტების ნუსხას და ახორციელებენ ღონისძიებებს მათი დაცვისათვის; განსაზღვრავენ საჭირო ძალებსა და სახსრებს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე; უზრუნველყოფენ კანონიერების და წესრიგის დაცვას თავიანთ ტერიტორიაზე, იმ ადგილებში, სადაც საომარი მდგომარეობაა გამოცხადებული; მუშაობენ ომიანობის დროის ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მიერ ჩამოყალიბებული სახელმწიფო მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელობით და მოქმედებენ საომარი მდგომარეობის შესახებ კანონის შესაბამისად.

ტერიტორიული სარდლობა, იხ. *სარდლობები.*

ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა), სახელმწიფოს სუვერენულ დაქვემდებარებაში არსებული ნაპირის და კუნძულების მიმდებარე ზღვის (ოკეანის) ზოლი, რომელიც შეადგენს მისი ტერიტორიის ნაწილს. **ტ.წ**-ის სიგანე, როგორც წესი, არ აღემატება 12

საზღვაო მილს. **ტ.ზ**-ის რეჟიმს არეგულირებს გაეროს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენცია და სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობა.

ტერიტორიულ-პოლიციური სისტემა (შეიარაღებული ძალების მოწყობის), სისტემა, რომელიც ეფუძნება სამხედრო ნაწილების და შენაერთების შენახვას მშვიდობიანობის დროს მინიმალურად საჭირო რაოდენობის კადრის სამხედრო მოსამსახურეებით (უმთავრესად, სამეთაურო შემადგენლობის). ასევე ამ შენაერთებსა და ნაწილებს მიწერილი ცვლადი შემადგენლობის სწავლებას. **ტ.-პ.ს**-ის დროს რიგით და უმცროს მეთაურთა (სერჟანტთა) შემადგენლობის სამხედრო ვალდებულები (რეზერვისტები) იმყოფებიან სამხედრო აღრიცხვაზე. მათი მომზადება ხდება ხანმოკლე სასწავლო შეკრებებზე ტერიტორიულ-პოლიციურ ფორმირებებში, რომლებიც კომპლექტდებიან ტერიტორიული (დისლოკაციის ადგილების მახლობლად ცხოვრების) პრინციპით. ასეთ დროს გამოყენებული ჯარების დაკომპლექტების სისტემას ზოგჯერ პოლიციურს უწოდებენ.

ტერორისტებთან ბრძოლა, აქტიური მოქმედებები ტერორიზმის წინააღმდეგ. განასხვავებენ ანტიტერორიზმს (თავდაცვითი ზომები ტერორისტული აქტების წინააღმდეგ) და კონტრტერორიზმს (ტერორისტული აქტების თავიდან აცილება, აღკვეთა ან მათზე რეაგირება).

ტერორიზმთან ბრძოლის ოპერაცია, შეიარაღებული ძალების ნაწილების და ქვედანაყოფების, სხვა ჯარების, ასევე ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული მოქმედება. ისინი პასუხისმგებელი არიან ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. მიმართულია უმთავრესად მსხვილი ტერორისტული დაჯგუფებების და ორგანიზაციების მოქმედებების აღსაკვეთად.

ტერორიზმი, წინასწარი განზრახვით ძალადობის ან მისი მუქარის გამოყენება შიშის დასანერგად, ხელისუფლების, ან საზოგადოების იძულება საკუთარი მიზნების მისაღწევად. როგორც წესი, ეს არის რადიკალური პოლიტიკური, რელიგიური ან იდეოლოგიური ხასითის მიზნები. **ტ.** თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს.

ტექნიკური დაზვერვა, ჯარების (ძალების) ტექნიკური უზრუნველყოფის ორგანიზაციისა და განხორციელებისათვის საჭირო ცნობების მოპოვება. ადგენს ბრძოლის ველზე და ზურგის ზოლში დაზიანებული (დარჩენილი) სამხედრო ტექნიკის არსებობას და ადგილსამყოფელს, მის მდგომარეობას და დაზიანებული მანქანების შეკრების პუნქტში ევაკუაციის შესაძლებლობებს, აზუსტებს მათი გაშლის ადგილებს, ადგილობრივი სარემონტო საშუალებებისა და მასალების არსებობას, მოიპოვებს სხვა მონაცემებს.

ტექნიკური დაფარვა (მიმოსვლის გზების), ღონისძიებების კომპლექსი, მიმართული გზების დაზიანების ან დანგრევის შემთხვევაში მათი აღდგენის უზრუნველსაყოფად; სატრანსპორტო უზრუნველყოფის ერთ-ერთი ელემენტი. **ტ.დ**-ს ექვემდებარება სარკინიგზო და საავტომობილო კვანძები, ხიდური გადასასვლელები, გვირაბები, საზღვაო და სამდინარო პორტები, ჰიდროტექნიკური ნაგებობები შიდა წყალსანაოსნო გზებზე, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის ბაზირების აეროდრომები, საველე მაგისტრალური და სტაციონარული მილსადენების ხაზები. **ტ.დ**-ის ძირითად ღონისძიებებს განეკუთვნება: მოწინააღმდეგის მხრიდან ყველაზე მოსალოდნელი თავდასხმის ობიექტების განსაზღვრა და **ტ.დ**-ის უზრუნველყოფის ძალებსა და საშუალებებზე სავარაუდო მოთხოვნილების პროგნოზირება; ძალების განაწილება და სარემონტო-აღდგენითი მასალების და კონსტრუქციების მარაგის შექმნა **ტ.დ**-ის ობიექტების მახლობლად; ობიექტების ტექნიკური დაზვერვა; სამშენებლო-აღდგენითი სამუშაოების წარმოება; ამ სამუშაოების შემსრულებელი ქვედანაყოფების დაცვის ორგანიზაცია. ხორციელდება შესაბამისი სამინისტროების და უწყებების ძალებით და საშუალებებით (რკინიგზაზე – სარკინიგზო ჯარებით; სამხედრო-საავტომობილო გზებზე – საგზაო ჯარებით; სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის სამხედრო აეროდრომებზე – საინჟინრო-სააეროდრომო და საავიაციო-ტექნიკური ნაწილების ძალებით; საველე მაგისტრალურ მილსადენებზე – სამილსადენო ქვედანაყოფების ძალებით).

ტექნიკური დახმარების მანქანა, მაღალი გამავლობის სპეციალური მუხლუხა ან ბორბლებიანი მანქანა, რომლის დანიშნულებაა მძღოლებისთვის დახმარების აღმოჩენა სამხედრო ტექნიკის დაზიანების აღმოფხვრაში, მათი საწვავით და საპოხი მასალებით კმაგამართვა, დაზიანებული ტექნიკის ევაკუაცია და სხვა.

ტექნიკური მისია, მისია, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების ორგანოს მიერ იგზავნება პოტენციური ან არსებული კონფლიქტის ზონაში. **ტ.მ.** გამოიყენება ვითარების განსაზღვრისთვის, მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის მასშტაბის, შესაძლო ვადების, ჩატარების მიზანშეწონილობის რეკომენდაციების მომზადებისთვის.

ტექნიკური მომსახურება, სამხედრო ტექნიკური ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სამხედრო ტექნიკის საიმედოობის შენარჩუნებისთვის, ექსპლუატაციის და შენახვის პროცესში გამოყენების მზადყოფნისთვის. შეიძლება იყოს პერიოდული და არაპერიოდული. სამხედრო ტექნიკის **ტ.მ**-ის მიზანია: მისი გა-

მართულობის და დაკომპლექტების შემოწმება, გაწმენდა, შეზეთვა, გამართვა, რეგულირება, მიმდინარე რემონტით გაუმართაობის აღმოფხვრა, კვანძებში დეტალების შეცვლა და სხვა.

ტექნიკური მომსახურების მანქანა, მაღალი გამავლობის სპეციალური ბორბლებიანი მანქანა სამხედრო ტექნიკის ტექნიკური მომსახურებისთვის და გაუმართაობის აღმოსაფხვრელად. აღჭურვილია სპეციალური მოწყობილობების და ინსტრუმენტის კომპლექტით.

ტექნიკური მომსახურების სტატუსი, 1. მატერიალური ქონების საფუძვლიანად შემოწმების შედეგად შესაბამისი პერსონალის მიერ უვარგისობის ადრეული დადგენა. 2. მატერიალური ქონების მდგომარეობა, რომელიც ადმინისტრაციის მიერ კლასიფიცირებულია როგორც გამოსაყენებლად უვარგისი და სასწრაფოდ გასარემონტებელი.

ტექნიკური მომსახურების ჯგუფი, უშუალო მხარდაჭერის მიზნით შექმნილი ჯგუფი, რომელიც გარკვეული დროით გამოყოფილია ქვედანაყოფების ტექნიკური მომსახურებისთვის.

ტექნიკური რესურსი, სამხედრო ტექნიკის ჯამური ნამუშევარი საკონსტრუქტორო დოკუმენტაციით დადგენილ ზღვრულ მდგომარეობამდე. გამოისახება საათებში ან კილომეტრებში (მაგალითად, მოტორესურსი), გასროლების რაოდენობით (ცეცხლსასროლი იარაღის სიცოცხლისუნარიანობა), ჩართვების რაოდენობით და სხვა. ტექნიკის ზღვრული მდგომარეობა განისაზღვრება მისი ეფექტურობის შემცირებით დასაშვებზე დაბლა, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნებით მისი ტექნიკური მდგომარეობის მიუხედავად (დანიშნული **ტ.რ**.). აღსადგენი ტექნიკისთვის სრული **ტ.რ**. განისაზღვრება რემონტამდე, რემონტთაშორისი და რემონტის შემდგომი **ტ.რ**-ის ჯამით. სრული **ტ.რ**-ის ფარგლებში განისაზღვრება საგარანტიო რესურსი – ტექნიკის ნამუშევარი, რომლის დასრულებამდე დამამზადებელი უზრუნველყოფს მის რემონტს, ტექნიკის ექსპლუატაციის წესების დაცვის შემთხვევაში.

ტექნიკური უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯარების (ძალების) სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალებით, სამხედრო-ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფისათვის; ასევე – სამხედრო ტექნიკის ეფექტიანობის და ექსპლუატაციის საიმედოობის ამაღლების, მისი სწრაფი აღდგენის (რემონტის) და დაზიანების დროს მწყობრში დაბრუნების მიზნით. საომარი (საბრძოლო) მოქმედებების უზრუნველყოფის სახეობა. **ტ.უ**-ის სახეობებს განეკუთვნება: ბირთვულ-ტექნიკური, სარაკეტო-ტექნიკური, საარტილერიო-ტექნიკური, სატანკო-ტექნიკური, ავტოტექნიკური, საინჟინრო-საავიაციო, საინჟინრო-ტექნიკური, ქიმიურ-ტექნიკური, კავშირგაბმულობისა და ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზებული სისტემების ტექნიკური, ლოგისტიკის სამსახურების ტექნიკური, მეტროლოგიური უზრუნველყოფა. სამხედრო-საზღვაო ძალებში **ტ.უ**-ის სახეობებს განეკუთვნება აგრეთვე ხომალდების (გემების) და მათი სპეციალური შეიარაღების ტექნიკური, ტორპედო-ტექნიკური უზრუნველყოფა. ხომალდების (გემების) და მათი სპეციალური შეიარაღების **ტ.უ**. ხორციელდება იმ მიზნით, რომ მუდმივი საექსპლუატაციო მზადყოფნის მდგომარეობაში ჰქონდეთ ხომალდების (გემების) ენერგეტიკული დანადგარები, სისტემები და მოწყობილობები, კორპუსი, ნაღმტორპედოების, ნაღმსაწინააღმდეგო, ნავსაწინააღმდეგო და სხვა შეიარაღება, აგრეთვე გაარემონტონ და მწყობრში დააბრუნონ დაზიანებული ხომალდები. **ტ.უ**. იგეგმება, ეწყობა და ხორციელდება ოპერატიულ და ლოგისტიკურ უზრუნველყოფასთან მჭიდრო ურთიერთქმედებით. **ტ.უ**-ის სისტემის საფუძველს შეადგენენ მოძრავი ორგანოები და ჯარების მოქმედების ზოლში არსებული მისი სტაციონარული ძალები და საშუალებები. **ტ.უ**-ის ინტერესებისათვის ეწყობა ტექნიკური დაზვერვა.

ტექნოლოგიური ტერორიზმი, ტერორისტების მიერ ბირთვული, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღის, მაღალტოქსიკური და ბიოლოგიური ნივთიერებების გამოყენება ან გამოყენების საფრთხე; ასევე ბირთვული, ქიმიური და სხვა სამრეწველო ობიექტების ხელში ჩაგდება ან ამის მცდელობა, რომელთა დაზიანებამ, ან მწყობრიდან გამოყვანამ შეიძლება ხალხის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას.

ტვირთდასაცლელი ბაზა, ლოგისტიკის დაწესებულება, რომელიც ორგანიზაციას უწევს და ახორციელებს სამხედრო ტვირთის გადატანას. **ტ.ბ**-ს ეკისრება: სამხედრო ტრანსპორტის გადატვირთვა, გადასაზიდი შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის სატრანსპორტო დოკუმენტაციის გაფორმება და სხვა. ასევე მათი გადატვირთვის შემდეგ დანიშნულებისამებრ გაგზავნა.

ტიპური გეგმა, გეგმის ძირითადი სახეობა, რომელიც შესაძლო საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის არის შემუშავებული. მასში დაგეგმვის ზოგიერთი საწყისი ფაქტორი სრულად არ არის გარკვეული ან დაშვებას არ ექვემდებარება. ასეთ გეგმაში მიუთითებენ ძალების და საშუალებების ყველაზე ზოგად მოთხოვნებს.

ტიურენი (Turenne) ანრი დე ლა ტურ დ'ოვერნი, ვიკონტი დე (1611–75), საფრანგეთის მარშალი (1660). წარმატებით სარდლობდა საფრანგეთის ჯარებს *ოცდაათწლიან ომში* (1618–48), *დევოლუციურ ომში* (1667–68), ჰოლანდიის წინააღმდეგ ომში (1672–78). **ტ.** თავისი დროის ერთ-ერთი გამოჩენილი მხედ-

ართმთავარი იყო. კარგად ფლობდა მანევრის ხელოვნებას და ერთმანეთს უფარდებდა მანევრსა და გადამწყვეტ ბრძოლას. ტაქტიკის სფეროში მან უარი თქვა ფრონტზე ძალების თანაბრად განაწილების პრინციპზე, რაც იმ დროს მიღებული იყო, და, როგორც წესი, აძლიერებდა ერთ-ერთ ფრთას. დაიღუპა მოწინააღმდეგის პოზიციების რეკოგნოსცირების დროს. **ტ**-ის სამხედრო ხელოვნებას მაღალ შეფასებას აძლევდა ნაპოლეონ ბონაპარტი.

ტოგო (Togo – ტოგოს რესპუბლიკა), სახელმწიფო დასავლეთ აფრიკაში. ქვეყანას სამხრეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანის გვინეის ყურე. ფართობი 56,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 6,7 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ლომე. ადმინისტრაციულად იყოფა 5 მხარედ. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1960 წელს. **ტ**. აგრარული ქვეყანაა. მთავარი საექსპორტო კულტურებია: კაკაო, ყავა, ზეთის პალმა. საზღვაო პორტებია: ლომე, ანეხო. საერთაშორისო აეროპორტი – ლომე. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 8,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 8,1 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,2 ათ. და სამხედრო-საზღვაო 0,2 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ტონგა (Tonga – ტონგას სამეფო), სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, პოლინეზიაში, ტონგის კუნძულებზე (მეგობრობის კუნძულები). ფართობი 748 *კმ²*. მოსახლეობა 119,0 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ტონგა და ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ნუკუალოფა. ადმინისტრაციულად იყოფა 5 მხარედ. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. კონსტიტუციური მონარქია. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი საკანონმდებლო ასამბლეა, აღმასრულებელი – მეფე და მთავრობა. დამოუკიდებლობა მოიპოვა 1970 წელს. **ტ**. სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. მთავარი საექსპორტო კულტურებია: ქოქოსის კაკალი, ბანანი. საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი: ნუკუალოფა, ნეიაფუ, ოჰონუა. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია. სამეფო გვარდია და სამეფო საზღვაო ქვეითები – 115 კაცი (2012).

ტოპოგეოდეზიური სამსახური, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში მოქმედი სამსახური, რომელიც განკუთვნილია საწყისი გეოდეზიური და გრავიმეტრიული მონაცემების მოსამზადებლად ავიაციის, სარაკეტო ჯარების, არტილერიის მიერ შემდგომი საბრძოლო გამოყენებისათვის, რადიოტექნიკური, სანავიგაციო უზრუნველყოფის საშუალებების პოზიციების ტოპოგეოდეზიური მიბმისათვის და სხვა. არსებობს სამხედრო-საჰაერო ძალებში, აგრეთვე შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებსა და ჯარების (ძალების) გვარეობებში. თავის ამოცანებს ასრულებს ტოპოგრაფიული სამსახურის შესაბამისი ორგანოების მეშვეობით.

ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის საჭირო ტოპოგრაფიული მონაცემების მოსამზადებლად და შტაბებსა და ჯარებში დასაგზავნად; ოპერატიული (საბრძოლო) უზრუნველყოფის სახეობა. მოიცავს: საწყისი ასტრონომიულ-გეოდეზიური და გრავიმეტრიული მონაცემების მომზადებას და ჯარებისათვის დაგზავნას; ტოპოგრაფიული რუკების მარაგის შექმნას, მათ პერიოდულ განახლებას, დაგროვებას, ამ რუკებით შტაბებისა და ჯარების უზრუნველყოფას, ადგილმდებარეობის სპეციალური რუკების და ფოტოდოკუმენტების დამზადებას, გამოცემას და ფოტოდოკუმენტებით ჯარების უზრუნველყოფას; ტოპოგრაფიულ დაზვერვას. **ტ.უ**-ს ორგანიზაციას უწევენ შტაბები, ახორციელებენ ტოპოგეოდეზიური სამსახურები, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალებში – ჰიდროგრაფიული ქვედანაყოფები.

ტოპოგრაფიული დაზვერვა, ჯარების ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფის ამოცანების გადასაწყვეტად საჭირო მონაცემების შეგროვება და დამუშავება. ეწყობა ადგილმდებარეობის რეალურ მდგომარეობასთან ტოპოგრაფიული რუკების შესატყვისობის დასადასტურებლად და გეოდეზიური პუნქტების შენარჩუნების მიზნით. ასევე მოწინააღმდეგის ტოპოგრაფიული სამსახურის ორგანიზების, შეიარაღების და საქმიანობის შესასწავლად. მისი ტოპოგრაფიული და სპეციალური რუკების, ადგილმდებარეობის ფოტოდოკუმენტების, ასტრონომიულ-გეოდეზიური და გრავიმეტრიული მონაცემების გამოყენებით ჯარების ტოპოგეოდეზიური ვითარების უზრუნველყოფას. **ტ.დ**-ს აწყობს გაერთიანების ტოპოგრაფიული სამსახურის უფროსი. მისი მონაცემები შეაქვთ ოპერაციის დროს ჯარების ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფის გეგმაში.

ტოპოგრაფიული მომზადება, საბრძოლო მომზადების საგანი. ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში გულისხმობს პირადი შემადგენლობისათვის ადგილმდებარეობის შესწავლა-შეფასების, ორიენტირების, ტოპოგრაფიული, ციფრული, ელექტრონული და სპეციალური რუკების, გეოდეზიური მონაცემების და ფოტოდოკუმენტების, ნავიგაციის საშუალებების გამოყენების, საველე გაზომვების წარმოების სწავლებას. იგი ხორციელდება საბრძოლო მოქმედების ორგანიზაციის, წარმოებისა და ჯარების მართვის დროს; **ტ.მ**-ის ორგანიზაციულ-მეთოდურ ხელ-

მძღვანელობას ახორციელებს ტოპოგრაფიული სამსახური. **ტ.მ**-ში მეცადინეობა წარმოებს პირადი შემადგენლობისათვის უცნობ ადგილზე დღისით და ღამით.

ტოპოგრაფიული რუკები, უნივერსალური დანიშნულების ზოგადგეოგრაფიული რუკა, რომელზეც მასშტაბის შესაბამისად პირობითი ნიშნებით ზუსტად და სრულად არის ასახული ადგილმდებარეობის რეალური მდგომარეობა. **ტ.რ**. შედგება ცალკეული ფურცლებისგან, რომლებიც გაერთიანებულია რუკების დაგრაფვის ერთიანი სისტემით, ჰაუსის ტოლკუთხა განივცილინდრული პროექციით. თითოეულ ფურცელს აქვს პირობითი აღნიშვნა. მთელ რიგ სახელმწიფოებში ტოპოგრაფიული რუკა საერთო-სახელმწიფოებრივია და იქმნება მასშტაბით 1:10000, 1:25000, 1:50000, 1:100000, 1:200000, 1:500000, 1:100000. შეიარაღებულ ძალებში გამოიყენება ადგილმდებარეობის შესწავლის და შეფასებისთვის, ოპერაციების დაგეგმვის, ურთიერთქმედების ორგანიზაციის, ჯარების მართვისთვის; მეთაურის სამუშაო რუკებად, საბრძოლო წყობის მიბმის, თავდაცვითი ხასიათის სხვადასხვა ღონისძიებების შემუშავების და მოწყობისთვის. **ტ.რ** არის სპეციალური რუკების საფუძველი, მათ შინაარსს პერიოდულად განაახლებენ.

ტოპოგრაფიული სამსახური, სამსახური, რომელიც ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში განკუთვნილია ჯარების ტოპოგეოდეზიური უზრუნველყოფისათვის. **ტ.ს**-ის ცენტრალურ ორგანოს წარმოადგენს სამხედრო-ტოპოგრაფიული სამმართველო, რომელსაც ჰყავს ტოპოგეოდეზიური და აეროფოტოტოპოგრაფიული რაზმები, აქვს სამხედრო-კარტოგრაფიული ფაბრიკები, ბაზები და საწყობები, ოპტიკურ-მექანიკური ქარხანა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და სხვა. სპეციალური ხაზით მას ექვემდებარება შეიარაღებული ძალების სახეობების **ტ.ს**-ები (სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო ჯარებში – დამიზნების კონტროლის და ასტრონომიულ-გეოდეზიური უზრუნველყოფის სამსახური, სამხედრო-საჰაერო ძალებში – ტოპოგეოდეზიური სამსახური, სამხედრო-საზღვაო ძალებში – ჰიდროგრაფიული სამსახური), აგრეთვე ჯარების გვარეობებისა და სამხედრო დაჯგუფებების **ტ.ს**-ები.

ტოპომიმბმელი, თვლიანი ან მუხლუხა სპეციალური მანქანა სანავიგაციო აპარატურით. განკუთვნილია საცეცხლე პოზიციების, სათვალთვალო პუნქტების, საარტილერიო დაზვერვის პოსტების და მათი კოორდინატების ავტომატური დადგენისათვის; შეზღუდული ხილვადობის პირობებში კოლონების მოძრაობის მარშრუტის ტოპოგრაფიულ რუკაზე დატანისათვის. **ტ**. შეიცავს: ჰიდროკურსმაჩვენებელს, გზის მაჩვენებელს, სათვალ-საანგარიშო მოწყობილობა-კურსგამყვანს, ორიენტირების და შერჩეული ორიენტირების მიმართულების სადირექციო კუთხეების განმსაზღვრელ მართვის პულტს, კავშირგაბმულობის და სხვა საშუალებებს. კოორდინატების განსაზღვრის სიზუსტე – 0,15–0,6% განვლილი მანძილიდან. **ტ**-ზე შესაძლებელია დაიდგას კოსმოსური სანავიგაციო სისტემის მომხმარებლის აპარატურა, რომლის დახმარებით დამატებით განისაზღვრება წერტილების გეოდეზიური კოორდინატები, მათი აბსოლუტური სიმაღლეები და სხვა. წერტილების კოორდინატები განისაზღვრება როგორც ადგილზე, ასევე მოძრაობის დროს საშუალო ცდომილებით შესაბამისად 15-დან 25 *მ*-მდე.

ტორპედო (ლათინური torpedo – ელექტრული სკაროსი – თევზი), თვითმოძრავი, თვითმართვადი ან ტელემართვადი წყალქვეშა სიგარისმაგვარი ჭურვი ჩვეულებრივი, ან ბირთვული საბრძოლო მუხტით. განკუთვნილია წყალზედა ხომალდების და გემების, წყალქვეშა ნავების, მისადგომების, დოკების, სანაპირო ობიექტების დასანგრევად. ის იმყოფება წყალქვეშა ნავების, ხომალდების, ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავების და ვერტმფრენების შეიარაღებაში. გამოიყენება, აგრეთვე, როგორც ნაღმების და რაკეტების საბრძოლო ნაწილები. პირველი **ტ**-ები (თვითმოძრავი) შეიქმნა 1865–75 წლებში რუსი გამომგონებლის ი.ფ. ალექსანდროვსკის და ინგლისელი რ. უაიტხედის მიერ. თანამედროვე **ტ**-ები განსხვავდება გაბარიტებით (კალიბრი 324–650 *მმ*, სიგრძე 2,5–6,5 *მ*, ზოგჯერ მეტიც); მატარებლით – საავიაციო, სახომალდო; დანიშნულებით – ნავსაწინააღმდეგო, გემსაწინააღმდეგო, უნივერსალური; ენერგოძალური დანადგარებით – ორთქლაირიანი, ელექტრული, რეაქტიული და სხვა; მართვის სისტემებით – თვითდამიზნებადი, მავთულგამტარებით მართვადი, პროგრამით თვითმართვადი; თვითდამიზნების სისტემის მოქმედების პრინციპით – აკუსტიკური, ქვენაკადური. **ტ**. შედგება სათავო ნაწილისგან, რომელშიც განთავსებულია ასაფეთქებელი ნივთიერება, ამფეთქებლებისგან (კონტაქტური, არაკონტაქტური), მართვის აპარატურისა და თვითდამიზნების სისტემებისგან; შუა ნაწილში – ენერგიის წყაროები; კეჩოს ნაწილში – ძრავა, საჭის მოძრაობაში მომყვანი ნაწილები; ბოლო ნაწილში – წევის ხრახნები ჰორიზონტალური და ვერტიკალური საჭეებით.

ტორპედოების გამიზვნა, იხ. *გამიზვნა.*

ტოქსიკურობა, მომწამლავი ნივთიერებების მიერ ადამიანის და ცხოველის ორგანიზმის დაზიანების უნარი. ფასდება ტოქსიკური დოზით.

ტრაექტორია, იხ. *ჭურვის ტრაექტორია*

ტრაექტორიების კონა, მოცემული იარაღიდან და მოცემულ პირობებში სროლის დროს

გაბნევის შედეგად მიღებული ტრაექტორიების ერთობლიობა.

ტრალების უკან ხომალდების გაყვანა, ფლოტის ძალების ნაღმსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის ერთ-ერთი ელემენტი. ხორციელდება მტრალავების მეშვეობით, რომლებიც გასაყვანი ხომალდების (გემების) წინ გადაადგილდებიან. ისინი მოძრაობენ ერთეულებად ან წყვილებად. ხომალდები ტრალვის ზოლში კილვატერულ (წყლის ჭავლი, რომელსაც ტოვებს მიმავალი გემი) კოლონაში იმყოფებიან და მანძილი მათ შორის არანაკლებ 0,5 კაბელტოვისაა (92,6 *მ*).

ტრალვა, 1. ნაღმების ძებნა და განადგურება ხომალდების და გემების უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის მიზნით. ახორციელებენ მტრალავი ხომალდები, ნაღმური ღობურების გამრღვევები, ტრალ-კარჭაპები, მტრალავი შვეულმფრენები. **ტ**-ისთვის გამოიყენება სხვადასხვა ასაფეთქებელი საშუალება (ზონრიანი მუხტები, სიღრმული ბომბები) და ნაღმსაძებნები. ნაღმების და გამოყენებული **ტ**-ების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ კონტაქტურ, უკონტაქტო და კომბინირებულ **ტ**-ს. ნაღმური ღობურების აღმოსაჩენად და მათი საზღვრების დასადგენად წარმოებს სადაზვერვო და საკონტროლო **ტ.** ნაღმური ღობურების სრული განადგურება ხორციელდება მოგვიანებით, ვითარებიდან გამომდინარე; 2. დანაღმულ ველებში გასასვლელების გაყვანა სატანკო ტრალების მეშვეობით.

კ ო მ ბ ი ნ ი რ ებ უ ლ ი **ტ**., უცნობი კონსტრუქციის ან კომბინირებული ამფეთქიანი ნაღმების **ტ**-ის ხერხი. ხორციელდება ერთობლივად ბუქსირებადი ელექტრომაგნიტური, აკუსტიკური, მაგნიტურ-ჰიდროდინამიკური ან აკუსტიკურ-ჰიდროდინამიკური ტრალებით.

კ ო ნ ტ ა ქ ტ უ რ ი **ტ**., კონტაქტური ტრალით ღუზიანი ნაღმის **ტ**-ის მეთოდი. მისი ბუქსირება ხდება გათვალისწინებულ სიღრმეზე. ტრალით ნაღმსაბამზე ღუზასთან ნაღმის შემაერთებელი გვარლის (ბაგირის) მოდებისას მტრალავს ბუქსირით მიაქვს ნაღმები თავთხელ (დაბალი წყალი) რაიონებში, სადაც ისინი თავისუფლდებიან ტრალისგან და წყლის ზედაპირზე ამოტივტივდებიან. თუ ტრალს აქვს დანები, ისინი გადაჭრიან ნაღმსაბამებს, რის შემდეგ ნაღმები ასევე ამოტივტივდება. ორივე შემთხვევაში მცურავ ნაღმებს ანადგურებენ მცირეკალიბრიანი ქვემეხების ცეცხლით ან ასაფეთქებელი ვაზნების მეშვეობით.

უ კ ო ნ ტ ა ქ ტ ო **ტ**., ფსკერის არაკონტაქტური ნაღმების ტრალების დახმარებით **ტ**-ის ხერხი, რომლებიც ახდენენ ენერგიის გენერირებას. იგი ანალოგიურია ხომალდის ფიზიკური ველების ენერგიისა, რომელიც იწვევს ნაღმების ამფეთქთა (მაგნიტური, ინდუქციური, აკუსტიკური, ჰიდროდინამიკური და კომბინირებული) ამოქმედებას და მათ აფეთქებას.

ტრალი (ინგლისური trawl), 1. ტომრისებური დიდი ბადე გემიდან ზღვაში თევზის საჭერად. 2. მოწყობილობა ზღვის ფსკერის გამოსაკვლევად, იქიდან მცენარეებისა და ცხოველების ამოსაზიდად. 3. მოწყობილობა წყალქვეშა ნაღმების აღმოსაჩენად და გასანადგურებლად.

ტრანსატლანტიკური კავშირი, სტრატეგიული კავშირი ჩრდილო ამერიკის (აშშ, კანადა) და ნატოს წევრ ევროპის ქვეყნებს შორის. **ტ.კ**-ის მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბდა 1949 წელს, ნატოს შექმნის შემდეგ.

ტრანსპორტი (ლათინური transporto – გადამაქვს, გადავაადგილებ, გადავიტან), ყველა სახეობის მიმოსვლის გზების, სატრანსპორტო საშუალებების, ტექნიკური მოწყობილობის და ნაგებობების ერთობლიობა. ისინი უზრუნველყოფენ ადამიანების და სხვადასხვა დანიშნულების ტვირთის გადაადგილების პროცესს. არის მატერიალური წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგი. ზოგადი სარგებლობის **ტ.** – სარკინიგზო, საავტომობილო, წყალსანაოსნო, საჰაერო – გამოიყენება შეიარაღებული ძალების ინტერესებისათვის. მნიშვნელოვანია მილსადენი ტრანსპორტი. განასხვავებენ სამრეწველო **ტ**-ს (ახორციელებს გადაზიდვებს წარმოების სფეროში), სამხედრო და პირადი სარგებლობის **ტ**-ს. სამხედრო **ტ**-ს განეკუთვნება სამხედრო ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების, დაწესებულებების, ბაზებისა და არსენალებს კუთვნილი **ტ**. სატრანსპორტო საშუალებებს განეკუთვნება ავტომობილები, საავტომობილო საწევარები, ტრანსპორტიორები, საავტომობილო მისაბმელები, ტრაილერები, ყველა ტიპის სარკინიგზო ვაგონები, ლოკომოტივები, ელმავლები, საზღვაო და სამდინარო გემები, თვითმფრინავები, მილსადენები და სხვა. მიმოსვლის გზებს წარმოადგენენ სარკინიგზო და საავტომობილო, წყალსანაოსნო, საჰაერო ტრასები, კიდული ბაგირგზების მზიდი არხები.

ტ. არსებით გავლენას ახდენს საომარი მოქმედებების და მთლიანად ომის მომზადებასა და წარმოებაზე. ტრანსპორტმა ომიანობის დროს უნდა შეძლოს ქვეყნის ეკონომიკის და შეიარაღებული ძალების მოთხოვნილების დაკმაყოფილება. მისი მომზადება ხდება წინასწარ საომარი მოქმედებების შესაძლო ხასიათის გათვალისწინებით. ომის დაწყებიდან **ტ**. ახორციელებს გადაზიდვებს, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის მშვიდობიანი მდგომარეობიდან საომარ მდგომარეობაზე გადასვლის დასრულებასთან; ასევე – გადაზიდვებს შეიარაღებული ძალების მობილიზაციის, გაშლისა და თავმოყრისათვის საომარი მოქმედებების თეატრზე, მატერიალური საშუალებების მიტანისათვის. საომარი მოქმედებების დროს **ტ**. ასრულებს გადაზიდვებს შეიარაღებული ძალების შემდგომი გაშლისათვის. ის უზრუნველყოფს ჯარების (ძალე-

ბის) სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ მანევრს, მატერიალური საშუალებების ტრანსპორტირებას, აგრეთვე დაჭრილთა და ავადმყოფთა, დაზიანებული სამხედრო ტექნიკის, ზედმეტი ქონების და ნაალაფევის ევაკუაციას. იმავდროულად **ტ.** ასრულებს დიდი მოცულობის გადაზიდვებს ეკონომიკის უზრუნველსაყოფად. ტექნიკური პროგრესი ტრანსპორტზე საშუალებას იძლევა უფრო სრულად გამოიყენონ მისი შესაძლებლობები შეიარაღებული ძალების ინტერესებისათვის.

ტრანსპორტირების და გადაზიდვების უზრუნველყოფის ცენტრი, შტაბი, რომელიც დაგეგმვის, კონტროლის, მართვის, შეთანხმების და ურთიერთქმედების ამოცანებს ასრულებს მრავალეროვნული შტაბის მუდმივი ბაზირების ადგილიდან ჩასხდომის (ჩატვირთვის) პორტებში გადაზიდვის და ტრანსპორტირების ორგანიზების დროს; ხოლო მისი დისლოცირების დროს გადმოსხმის (გადმოტვირთვის) ადგილებსა ან პორტებში ახორციელებს კონტროლს. ამ ამოცანებს შტაბი მიღებული მითითებების და მინიჭებული პასუხისმგებლობის შესაბამისად ასრულებს.

ტრანშეა (ფრანგული – tranchee), თხრილის ფორმის ღია საფორტიფიკაციო ნაგებობა ერთი ან ორმხრივი ბრუსტვერით, სასროლი და სხვა უჯრედით (მოედნით). სრული პროფილის **ტ**-იდან ცეცხლს აწარმოებენ ფეხზე მდგარი, ფარული გადაადგილებისას – მოხრილ მდგომარეობაში 110 *სმ.* სიღრმის **ტ**-ში, ხოლო გამართული – 150 *სმ.* სიღრმისაში. **ტ**. პირველად გამოიყენეს 1418 წელს ინგლისელებმა, ქ. რუანის ალყის დროს.

ტრასერი, მოწყობილობა საარტილერიო ჭურვებში (ტყვიებში, ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტებში და სხვა) ტრაექტორიის ხილვადობის მისაღწევად. წარმოადგენს ლითონის გარსს ან ჭურვის ძირში პიროტექნიკური შემადგენლობით შევსებულ არეს, რომლის წვის შედეგად იქმნება ფერადი ცეცხლოვანი ტრასა. განკუთვნილია კონტროლისთვის, მიზანჩვენებისა და სხვა გაადგილებისათვის. გამოიყენება უმთავრესად საზენიტო, ტანკსაწინააღმდეგო არტილერიაში, სასროლ იარაღში.

ტრაფალგარის ბრძოლა 1805, ბრძოლა ტრაფალგარის კონცხთან 1805 წლის 21 ოქტომბერს, ქ. კადისის მახლობლად (ესპანეთი), *ნაპოლეონის ომების* დროს. ინგლისის ფლოტმა ადმირალ ჰ. *ნელსონის* მეთაურობით (ბრძოლაში დაიღუპა) გაანადგურა ფრანგულ-ესპანური ფლოტი (ადმირალი პ. ვილნევი), რითიც უზრუნველყო ინგლისის ბატონობა ზღვებზე.

ტრენაჟორი (ინგლისური train – წვრთნა), სხვადასხვა სპეციალობის პირადი შემადგენლობის პროფესიული ჩვევების პრაქტიკული ფორმირების, სრულყოფის და კონტროლის შემსწავლელი მოწყობილობა. განსაკუთრებით საჭიროა იქ, სადაც პრაქტიკული ჩვევების მიღება რეალურ პირობებში შეუძლებელია ან ეკონომიკურად არახელსაყრელია (კოსმონავტების, მფრინავების, მერაკეტეების და სხვა). თანამედროვე **ტ**., ჩვეულებრივ, იქმნება საპროგრამო-მათემატიკური უზრუნველყოფის მქონე ელექტრონული საშუალებების ბაზაზე. ქმნის შესაძლებლობას ობიექტების ფუნქციური სისტემების მართვის სპეციფიკასთან ერთად მოახდინოს არასაშტატო სიტუაციების იმიტაცია (სახიფათო რეჟიმი, ავარია და ა.შ.). ახდენს სასწავლო პროცესის ინტენსიფიკაციას, ამაღლებს მომზადების დონეს, ინახავს სამხედრო ტექნიკას, რესურსის, საწვავის, საბრძოლო მასალის ეკონომიასთან ერთად.

ტრიერი, ტ რ ი რ ე მ ი (ლათინური triremis < tres, tria – სამი და remis – ნიჩბები), საბრძოლო ხომალდი ძველ საბერძნეთსა და რომში, რომლის მთავარი იარაღი იყო ტარანი – წვეტიანი ქიმი, დამატებითი – სატყორცნი მანქანები (ბალისტები, კატაპულტები). ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა ორივე გვერდზე სამ რიგად განლაგებული ნიჩბები.

ტრინიდადი და ტობაგო (Trinidad and Tobago – ტრინადადისა და ტობაგოს რესპუბლიკა), სახელმწიფო კარიბის ზღვის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტრინიდადის, ტობაგოს და 5 სხვა კუნძულზე. ფართობი 5,1 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 1,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. პორტ-ოვ-სპეინი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 საგრაფოდ. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1962 წელს. **ტ.დ.ტ**. ეკონომიკურად კარიბის აუზის ქვეყნების ერთ-ერთი განვითარებული სახელმწიფოა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობმოპოვება და ნავთობგადამუშავება. განვითარებულია სოფლის მეურნეობა და საერთაშორისო ტურიზმი. საზღვაო პორტებია: პორტ-ოვ-სპეინი, პუენტ-ა-პიერი, პოინტ-ფორტინი, სკარბორო. საერთაშორისო აეროპორტი – პიაკრო (პორტ-ოვ-სპეინი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 4 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 3 ათ. და სანაპირო დაცვა 1 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ტროპოსფერული კავშირის სადგური, რადიოკავშირის საშუალება, რომელიც იყენებს დეციმეტრული და სანტიმეტრული დიაპაზონის რადიოტალღების ჰორიზონტმიღმა ტროპოსფერულ გავრცელებას. ხასიათდება სიგნალის დიდი დანაკარგებით. ამიტომ მდგრადი მუშაობის უზრუნველსაყოფად უნდა ჰქონდეს მაღალი ენერგეტიკული მაჩვენებლები. მაგალითად: გადამცემის სიმძლავრე

4–12 *კვტ*, ანტენის დიამეტრი 4,5 *მ-მდე*. მოძრავი სადგურები განკუთვნილია მართვის სტრატეგიული რგოლის კავშირგაბმულობაში გამოსაყენებლად, დაჯგუფების კავშირგაბმულობის სისტემაში და პირდაპირი კავშირის ქსელებში.

ტუვალუ (Tuvalu), სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, პოლინეზიაში. უჭირავს 9 მარჯნის კუნძული (ატოლი). ფართობი 26 *კმ²*. მოსახლეობა 12 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. ფუნაფუტი. ადმინისტრაციულად იყოფა 8 მუდმივ დასახლებულ კუნძულად. **ტ.** დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრია. სახელმწიფოს მეთაურია ბრიტანეთის მონარქი, წარმოდგენილი გენერალ-გუბერნატორით. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1978 წლიდან. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს მიწათმოქმედება და თევზჭერა. სოფლის მეურნეობის განვითარებას აძნელებს ნიადაგის დაბალი ნაყოფიერება. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – ფუნაფუტი. თავდაცვის საკითხებს განაგებს დიდი ბრიტანეთი.

ტუნისი (Tunisia – ტუნისის რესპუბლიკა), სახელმწიფო ჩრდილოეთ აფრიკაში. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ხმელთაშუა ზღვა. ფართობი 163,6 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 10,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ტუნისი. ადმინისტრაციულად იყოფა 24 გუბერნიად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს დეპუტატთა პალატას (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. თანამედროვე **ტ**-მა დამოუკიდებლობა მოიპოვა 1956 წელს. **ტ.** აგრარული ქვეყანაა შედარებით განვითარებული ეკონომიკით. წარმოებს ნავთობის, გაზის და ფოსფორიტების მოპოვება. განვითარებულია კვების, მსუბუქი, ქიმიური, ელექტროტექნიკური მრეწველობა. სოფლის მეურნეობა 80%-ით უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებას. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ტურიზმს. საზღვაო პორტებია: ბიზერტა, სფაქსი, ტუნისი, გაბესი, სუსი, ჯარჯისი. საერთაშორისო აეროპორტი – კარტაჟი (ტუნისი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 35,8 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 27 ათ., სამხედრო-საჰაერო 4 ათ. და სამხედრო-საზღვაო 4,8 ათ.. დაკომპლექტება ხორციალდება გაწვევით.

ტურმა (ლათინური – turma), ძვ.წ. IV–I საუკუნეებში რომაული კავალერიის ქვედანაყოფი *ლეგიონის* შემადგენლობაში. შედგებოდა 30–32 კაცისაგან. **ტ.** იყოფოდა 3 *დეკურიად* (უმცირესი ქვედანაყოფი).

ტყვია, დამაზიანებელი ელემენტი. მისი გასროლა ხდება სასროლი იარაღიდან. ცეცხლსასროლ იარაღში შედის ვაზნის შემადგენლობაში, ხოლო არაცეცხლსასროლ იარაღში (მაგალითად პნევმატური) ცალკეულ ხარჯვით ელემენტს წარმოადგენს. **ტ.** არის ჩვეულებრივი და სპეციალური. ცალკე სახეობას განეკუთვნება ფეთქებადი, პლასტიკური და სხვა. **ტ**-ის მომაკვდინებელი და დამაზიანებელი მოქმედება ხასიათდება მისი კინეტიკური ენერგიის მარაგით მიზანთან შეხების მომენტში. ჯავშანგამხვრეტი **ტ**-სთვის საჭიროა მისი გულის საკმარისი სიმკვრივე. კუთხვილ იარაღზე გადასვლამდე (XIX საუკუნის შუა წლები) **ტ**-ს სფერული ფორმა ჰქონდა.

ტყვიამფრქვევი, ჯგუფური ავტომატური სასროლი იარაღი სპეციალური საყრდენით (დაზგა, სადგარი და ა.შ.). გრძელი, მასიური ლულის და მკვებავი მოწყობილობის მეტი მოცულობის ხარჯზე სხვა სახეობის სასროლ იარაღს აღემატება საბრძოლო შესაძლებლობებით, სროლის მანძილით და ინტენსივობით. თანამედროვე **ტ**-ების უმეტესობის ავტომატიკა დაფუძნებულია სროლის დროს დენთის აირების ენერგიის გამოყოფილი ნაწილის ან ლულის უკუცემის გამოყენებაზე. არის: მცირეკალიბრიანი (6,5 *მმ*-მდე), საშუალო კალიბრის (6,5–9,0 *მმ*) და მსხვილკალიბრიანი (9,0-ზე მეტი – 15,5 *მმ*); ასევე – ქვეითების (ხელის, დაზგიანი და ერთეული) და სპეციალური (საავიაციო, სახომალდო, საზენიტო, სატანკო, კაზემატური და სხვა), რომლებსაც, ჩვეულებრივ, ქვეითები იყენებენ.

ტყვიის მოქმედება, ეფექტი, წარმოქმნილი ტყვიის მიზანში მოხვედრისას. განასხვავებენ: მომაკვდინებელს – ტყვიის უნარი დააზიანოს ცოცხალი ძალა ლეტალური შედეგით ან ბრძოლისუნარიანობის დაკარგვით; გამტარს – ტყვიის უნარი შეაღწიოს სხვადასხვა წინაღობაში.

უ

უალო გასროლა, გასროლა, რომლის დროსაც ცეცხლსასროლი იარაღის ლულიდან ალი არ ჩანს. უპირველეს ყოვლისა მიიღწევა ოპტიმალური ბალისტიკური პროექტირების ხარჯზე, რაც უზრუნველყოფს დენთის მუხტის სრულ წვას ლულაში მისგან ჭურვის (ნაღმის, ტყვიის) გამოვარდნამდე. გარდა ამისა, შესაძლებელია მუხტის შემადგენლობაში ალისჩამხშობი დანამატების გამოყენება და ლულაზე ალისჩამხშობი მოწყობილობის დაყენება.

უახლოესი ამოცანა, იხ. *საბრძოლო ამოცანა.*

უბედურება, საზოგადოების ფუნქციონირების სერიოზული დარღვევა, რომელიც ადამიანების დიდ მსხვერპლს და ფართომასშტაბიან მატერიალურ ან ეკოლოგიურ ზიანს იწვევს. ამასთან **უ**-ით გამოწვეული ზიანი აღემატება საზოგადოების შესაძლებლობას, საკუთარი რესურსებით გაუმკლავდეს მას. განვითარების სისწრაფით უბედურება შეიძლება იყოს უეცარი და ნელი, წარმოშობის წყაროთი – ბუნებრივი და ანთროპოგენური.

უბედურებაზე რეაგირება, გადაწყვეტილებების და მოქმედების ერთობლიობა, რომელსაც უბედურების პერიოდში და მის შემდგომ ახორციელებენ, მათ შორის გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა, აღდგენა და სხვა.

უბედურების არიდება, მოიცავს ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია უბედურებისგან დაცვის უზრუნველყოფისკენ. მათ განეკუთვნება ტექნიკური და სხვა ფიზიკური დაცვის ზომები, აგრეთვე საკანონმდებლო ხასიათის ზომები, რომლებიც მიწით სარგებლობას და ქალაქმშენებლობას არეგულირებენ.

უბედურების შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებების მართვა, პოლიტიკური და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების, აგრეთვე ყველა დონეზე ოპერატიული ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც უბედურების სხვადასხვა ეტაპს განეკუთვნება.

უბედურებისთვის მზადყოფნა, ღონისძიებები ადამიანების მსხვერპლის და ზიანის მინიმუმამდე დასაყვანად, საშიშროების რაიონებიდან ხალხის და ქონების დროებით გასაყვანად და გადარჩენისთვის დროული, ეფექტური დახმარების აღმოჩენა და აღდგენის ღონისძიებების ხელშეწყობა.

უბედურებისთვის მზადყოფნის გეგმა, მოქმედების გეგმა, გათვლილი საზოგადოების მზადყოფნაზე და უნარზე მოახდინოს პროგნოზირება და წინასწარ გაატაროს შესაბამისი ზომები, აგრეთვე – უბედურების შედეგებზე რეაგირებასა და მათ ლიკვიდაციაზე, დროული და ეფექტური საავარიო-სამაშველო მოქმედებების ჩატარებაზე, უბედურების შემდგომ დახმარების აღმოჩენასა და სხვა შესაბამისი სახის ხელშეწყობაზე.

უბირთვო ზონა, ტერიტორია, რომელზეც აკრძალულია ბირთვული იარაღის წარმოება, განთავსება, შენახვა, ტრანზიტი და გამოყენება. **უ.ზ**-ების წარმოშობა ამცირებს ბირთვული იარაღის გავრცელების და კონფლიქტის შესაძლებლობას, აძლიერებს მასში შემავალი ქვეყნების, რეგიონების ეროვნულ და საერთაშორისო უსაფრთხოებას. **უ.ზ**. იქმნება საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე ან ცალკეული სახელმწიფოს (სახელმწიფოთა ჯგუფის) მიერ საკუთარი ტერიტორიის **უ.ზ**-დ გამოცხადებით. ამ იდეის პირველი ხორცშესხმა იყო 1959 წლის ანტარქტიდის საერთაშორისო ხელშეკრულება.

უგანდა (Uganda – უგანდის რესპუბლიკა), სახელმწიფო აღმოსავლეთ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 236 ათ. *კმ*². მოსახლეობა 33,7 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ინგლისური და სუაჰილი. დედაქალაქი – ქ. კამპალა. ადმინისტრაციულად იყოფა 4 ოლქად. დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობის წევრი. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კრება (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1962 წელს. რესპუბლიკად გამოცხადდა 1967 წლის 8 სექტემბერს. **უ**. სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. აქვს სპილენძის, რკინის, ვოლფრამის საბადოები. სოფლის მეურნეობის ძირითადი კულტურებია: ყავა, ჩაი, თამბაქო. საერთაშორისო აეროპორტი – ენტებე (კამპალა). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 45 ათ. კაცი (2012), სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო ჯარები და ტბის ფლოტი (ტბა ვიქტორია). დაკომპლექტება ხორციელდება ნებაყოფლობით.

უგზო-უკვლოდ დაკარგული, პირი, რომლის უგზო-უკვლოდ დაკარგვა დადასტურებულია სასამართლოს წესით. თუ გარკვეული ვადის მანძილზე, მიღებული ყველა ღონისძიებების მიუხედავად, ვერ მოხერხდა იმის დადგენა, ცოცხალია თუ არა **უ.-უ.დ.**, სასამართლო მას გარდაცვლილად აცხადებს. **უ.-უ.დ**-თა შინმოუსვლელად ან გარდაცვლილად ცნობა იწვევს იურიდიულ შედეგებს (უფლებების და მოვალეობების გადასვლა მემკვიდრეებზე, პენსიის დანიშვნა ოჯახის წევრებისთვის და ა.შ.).

უზბაში (თურქული – yuzbasi), ასეულის მეთაური, ასისთავი. ვახტანგ V-ის მიერ დაწესებული მეთოფეთა 120-კაციანი რაზმი 3 წოდებისაგან – თავადიშვილების, აზნაურების და აზნაურ-მსახურებისაგან შემდგარ 40 კაციან ქვერაზმებად იყოფოდა და თითოეულს **უ.** მეთაურობდა. სამივე **უ.,** ვახტანგ მეფის დასტურლამალის მიხედვით, ყულარაღასს, ხოლო XVIII საუკუნის II ნახევარში მინბაშს ემორჩილებოდა.

უზბეკეთი (Uzbekistan – უზბეკეთის რესპუბლა), სახელმწიფო შუა აზიაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 447,6 ათასი *კმ*². მოსახლეობა 27,6 მლნ კაცი (2012), მათ შორის 75% უზბეკი. ოფიციალური ენა – უზბეკური. დედაქალაქი – ქ. ტაშკენტი. ადმინისტრაციულად იყოფა 12 მხარედ და ყარაყალპაკისტანის რესპუბლიკად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ოლი მეჯლისი (პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. თანამედროვე **უ**-მა, რომელიც შედიოდა სსრ კავშირში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 31 აგვისტოს. **უ.** დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრია. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. მრეწველობის მოწინავე დარგებია: სამთო-მოპოვებითი, მანქანათმშენებლობა, ფერადი მეტალურგია, ბამბის მოყვანა, მეცხვარეობა. საერთაშორისო აეროპორტი – ტაშკენტი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 55 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 40 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 15 ათ. და ეროვნული გვარდია. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

უზრუნველმყოფი მოქმედებები, ღონისძიებები ჯარების (ძალების) ძირითადი დაჯგუფებების მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის (ბრძოლისუნარიანობის) და საბრძოლო მოქმედებების უზრუნველსაყოფად საბრძოლო მოქმედების დანიშნულ ზოლებში (მათი პასუხისმგებლობის ზონებში). გულისხმობს დაზვერვას, პირადი შემადგენლობის დაცვას მასობრივი დაზიანების იარაღისაგან, რადიოელექტრონულ ბრძოლას, აგრეთვე ჯარების დაცვას, შენიღბვას და საინჟინრო დაფარვას. **უ.მ**-ს აწარმოებენ შესაბამისი სპეციალური ჯარები, ცალკეულ შემთხვევებში – სატანკო, მოტოქვეითი და საარტილერიო ნაწილები, ხოლო ზღვისპირა მიმართულებებზე – აგრეთვე ფლოტის ძალები.

უზრუნველმყოფი ხომალდი, ხომალდი, რომელსაც ბორტზე მარაგის შევსების აუცილებელი სპეციალური მოწყობილობა აქვს.

უზრუნველსაყოფი ხომალდი, ხომალდი, რომელიც თავის ბორტზე მარაგით შევსებისას აუცილებელ სპეციალურ მოწყობილობას ღებულობს.

უზრუნველყოფის ბაზა, მატერიალური უზრუნველყოფის საშტატო ან არასაშტატო დაწესებულება ზოგ სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ლოგისტიკის შემადგენლობაში. იქმნება ტრანსპორტის რაციონალური და კომპლექსური გამოყენების, მატერიალური საშუალებების დროული მიწოდების, აგრეთვე ჯარებიდან ევაკუირებული ქონების მიღების მიზნით და სხვა. აქვს მართვის ორგანოები, საწყობები მატერიალური საშუალებების მარაგით და უზრუნველყოფის ნაწილები (ქვედანაყოფები). შეიძლება იყოს სტაციონარული (იხ. *სანაპირო ბაზა*), მოძრავი და მცურავი.

უზრუნველყოფის ეშელონი, საავიაციო დაჯგუფების ოპერატიული დაწყობის ელემენტი ჰაერში მასირებული დარტყმის მიყენებისას. მისი ფორმირება ხდება დამრტყმელი ეშელონის მოქმედების ხელშემწყობი პირობების შექმნის მიზნით. მასში შეიძლება შედიოდეს: დამატებითი დაზვერვის, რადიოელექტრონული ბრძოლის, მოწინააღმდეგის საჰაერო თავდაცვის საშუალებათა განადგურების (ჩახშობის), მიზნის ძებნის, მონიშვნის (გაშუქების), საკონტროლო დაზვერვის, ყურადღების გადასატანი მოქმედებების, დამრტყმელი ეშელონის საბრძოლო წყობის დაფარვის და საჰაერო სივრცის გაწმენდის ჯგუფები.

უზრუნველყოფის ზოლების გადალახვა, ჯარების წინსვლა, მოწინააღმდეგის მიერ დაკავებული ადგილმდებარეობის ზოლის და მის წინ მდებარე თავდაცვის წინა ხაზის გადასასვლელად. მთავარი ძალების მოძრაობის უზრუნველყოფა ხდება მეწინავე რაზმებისა და ავანგარდების მოქმედებებით. მეწინავე რაზმებს გზავნის შენაერთი ისე, რომ იგი არ ებმება ბრძოლაში მტრის ჯარებთან, რომლებიც თავს იცავენ უზრუნველყოფის ზოლში (დაფარვის ზონაში), გვერდს უვლიან მათ საყრდენ პუნქტებს, სწრაფად მიიწევენ მოწინააღმდეგის ძირითადი თავდაცვითი ზღუდის ხელში ჩასაგდებად. I ეშელონის ნაწილების ავანგარდები ანადგურებენ მოწინააღმდეგის დაფარვის ჯარების ქვედანაყოფებს და უზრუნველყოფენ მთავარი ძალების წინსვლას და გაშლას. მეწინავე რაზმების და ავანგარდების მოქმედებას მხარს უჭერენ ავიაციის და რაკეტების დარტყმებით, არტილერიის ცეცხლით, საჰაერო დესანტების მოქმედებებით. შემტევი ჯარების მთავარი ძალები მიჰყვებიან მეწინავე რაზმებს და ავანგარდებს ბრძოლისწინა წყობით (მეწინავე რაზმების და ავანგარდების ძალისხმევის გაძლიერების და საბრძოლო წყობად გაშლის მზადყოფნით). მათი მიზანია შეუჩერებლივ ჩაიგდონ ხელში ძირითადი თავდაცვითი ზღუდე.

უზრუნველყოფის ზოლი, ადგილმდებარეობის ზოლი, რომელსაც გაერთიანება ქმნის თავდაცვის წინა კიდის საწყის ხაზზე. ეწყობა თავდაცვაზე გადასვლისას მოწინააღმდეგესთან შეუხებლად იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანონ იგი თავდაცვის ჭეშმარიტი მიზნის

თაობაზე, შეაფერხონ მისი წინსვლა და მოიგონ დრო თავდაცვის მომზადებისათვის. გარდა ამისა, აიძულონ მოწინააღმდეგე, დროზე ადრე გაშალოს მთავარი ძალები, გამოავლინოს მათი შემადგენლობა და მთავარი დარტყმის მიმართულება, მიაყენონ მოწინააღმდეგეს ზარალი თავდაცვის ზოლის მთავარი ზღუდის წინა ხაზთან გასვლამდე. **უ.ზ.** მოიცავს რამდენიმე პოზიციას, თავდაცვის რაიონს (საყრდენ პუნქტს) და ღობურების სისტემას. ზოლს იცავენ მეწინავე რაზმები ან დაფარვის ჯარების ნაწილები. ზოგიერთი ქვეყნის არმიებში **უ.ზ**. დაფარვის ზონის ნაწილს წარმოადგენს.

უკან დახევა, ჯარების მიერ დაკავებული ზღუდეების (რაიონების) დატოვება და მათი გადაყვანა ახალ ზღუდეებზე (რაიონებში) საკუთარი ტერიტორიის სიღრმეში შემდგომი საომარი მოქმედებებისთვის ძალებისა და საშუალებების ახალი დაჯგუფების შექმნის მიზნით. **უ.დ**. შეიძლება ხორციელდებოდეს სტრატეგიული ან ოპერატიული მასშტაბით. იგი ნებისმიერ ვითარებაში ხორციელდება მხოლოდ ზემდგომი მეთაურის (უფროსის) ბრძანებით ან ნებართვით. გაერთიანებას **უ.დ**-ის დროს მოენიშნება **უ.დ**-ის ზოლი, მოქმედებების წესი, ბოლო ზღუდე (რაიონი) და მისი დაკავება-შენარჩუნების ამოცანები, ურთიერთქმედების და ყოველმხრივი უზრუნველყოფის ძირითადი საკითხები. მთავარი ძალების **უ.დ**-ის შერჩეული მიმართულება უნდა უზრუნველყოფდეს მისთვის ყველაზე ხელშემწყობ პირობებს **უ.დ**-ის და საბოლოო (დანიშნულ) ზღუდეზე თავმოყრისას ჯარების ბრძოლისუნარიანობის უცილობელი შენარჩუნების პირობებში. ჯარების ოპერატიული დაწყობა შეიძლება მოიცავდეს დაცვის ეშელონს, მთავარი ძალების ერთ-ორ ეშელონს და უზრუნველყოფის ეშელონს. დაფარვის ეშელონში შედის დაფარვის ჯარები (შემაკავებელი ჯარები), არიერგარდები, ჯარები მნიშვნელოვანი ობიექტების დასაკავებლად. მისი ამოცანაა, უზრუნველყოს ბრძოლიდან გამოსვლა, გაერთიანების მთავარი ძალების **უ.დ** და მოწინააღმდეგის შორს ჩამოტოვება. სალაშქრო ეშელონები მოიცავენ ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების გაერთიანებების, შენაერთებისა და ნაწილების მთავარ ძალებს. ისინი **უ.დ**-ს იწყებენ უზრუნველყოფის ეშელონის შემდეგ. ამ ეშელონში შედიან: სალაშქრო დაცვის შენაერთები, ნაწილები, სადაზვერვო ნაწილები, შენაერთების საჰაერო თავდაცვის, რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებების ნაწილები, საინჟინრო, დაცვის, კავშირგაბმულობის, ტექნიკური და ლოგისტიკის უზრუნველყოფის ჯარები. ეს ეშელონი **უ.დ**-ს პირველი იწყებს ბრძოლიდან გამოსვლით. მთავარი ძალების მოწყვეტის უზრუნველსაყოფად მოწინააღმდეგეს შეიძლება მიაყენონ საცეცხლე დარტყმები, ხოლო ზოგჯერ განხორციელდეს კონტრიერიშები (კონტრდარტყმები) გამოყოფილი ძალებით და საშუალებებით. **უ.დ**-ის უზრუნველყოფა ხდება დაფარვის ჯარების თანამიმდევრული გაშლით წინასწარ დასახულ ზღუდეებზე. მთავარი ძალები, ჩვეულებრივ, გადაადგილდებიან თავიანთი სვლით, ხოლო მათი ნაწილი ზოგჯერ შეიძლება რკინიგზით, წყალსანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტით გადაიყვანონ.

უკან დახევის (უკუქცევის) ზოლი, ადგილმდებარეობის ზოლი, რომელიც ენიშნება გაერთიანებას (შენაერთს) უკუქცევის განსახორციელებლად. **უ.დ.(უ.).ზ**-ებში ინიშნება და ეწყობა მოძრაობის მარშრუტები, სარაკეტო ჯარების და არტილერიის პოზიციური რაიონები, მართვის პუნქტების ადგილები, თავდაცვის (უკუქცევის) შუალედური და საბოლოო მიჯნები, წარმოებს ნგრევა და ეწყობა ღობურები.

უკანმავალი, არიერგარდი.

უკონტროლო ტრალვა, იხ. *ტრალვა*.

უკრაინა (Ukraine), სახელმწიფო ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყანას სამხრეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთ-აღმოსავლეთით – აზოვის ზღვა. ფართობი – 603,7 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 47,8 მლნ. კაცი (2012), მათ შორის 73% უკრაინელი. ოფიციალური ენა – უკრაინული. დედაქალაქი – ქ. კიევი. ადმინისტრაციულად იყოფა: 24 მხარედ, ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკად და ორ ქალაქის მხარედ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – რადა (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მინისტრთა კაბინეტი (მთავრობა). თანამედროვე **უ**-მ, რომელიც შედიოდა სსრ კავშირში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 24 აგვისტოს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყანა. განვითარებულია ინდუსტრიულ-აგრარული მეურნეობა. მრეწველობის მოწინავე დარგებია: სამთომოპოვებითი, ჰიდროელექტრო ენერგეტიკა, ფერადი და შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, კოქსოქიმიური, ნავთობქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობა სპეციალიზებულია ხორბლის, ტექნიკური კულტურების მოყვანასა და მეცხოველეობაზე. მთავარი საზღვაო პორტებია: ოდესა, სევასტოპოლი, ილიჩოვსკი, ფეოდოსია, მარიუპოლი, იზმაილი, ნიკოლაევი, ხერსონი, ქერჩი, იალტა, ევპატორია. ავიახაზების უმნიშვნელოვანესი ცენტრებია: კიევი, ხარკოვი, დნეპროპეტროვსკი, ოდესა, ლვოვი და სხვა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 159 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 88,6 ათ., სამხედრო-საჰაერო 55 ათ., სამხედრო-საზღვაო 15,4 ათ. უმაღლესი მთავარსარდალია პრეზიდენტი, რომელიც მართავს შეიარაღებულ ძალებს თავდაცვის სამინისტროს, გენშტაბისა და შეიარაღებული

ძალების სახეობების შტაბების საშუალებით. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

უკუქცევა, ჯარების (ძალების) მიერ დაკავებული ზღუდეების (რაიონების) წინასწარგანზრახული ან იძულებითი დატოვება და მათი გამოყვანა ძლიერი მოწინააღმდეგის დარტყმების თავიდან ასაცილებლად, შემდგომი მოქმედებისათვის უფრო ხელსაყრელი მდგომარეობის დაკავებით. წინასწარგანზრახული **უ.**, ჩვეულებრივ, ეწყობა ფრონტის მეზობელ უბნებზე ან ზურგში ვითარების გაუარესების გამო. იძულებით **უ**-ს ახორციელებენ შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები ისეთ პირობებში, როდესაც არსებული ძალებით შეუძლებელია დაკავებული ზღუდის (რაიონის) შენარჩუნება და საბრძოლო მოქმედებების გაგრძელებას შეიძლება მოჰყვეს თავდაცვაში მყოფი ჯარების დამარცხება. **უ**. ნებისმიერ ვითარებაში ხორციელდება მხოლოდ ზემდგომი უფროსის ბრძანებით ან ნებართვით, ორგანიზებულად და ფარულად იმ მიზნით, რომ დროულად გამოიყვანონ ჯარები ბრძოლისუნარიან მდგომარეობაში. **უ**. იწყება ჯარების ბრძოლიდან გამოსვლით და მოწინააღმდეგის უკან ჩამოტოვებით. ბრძოლიდან გამოსვლის და **უ**-თვის შენაერთებსა და ნაწილებს უჩვენებენ **უ**-ის ხოლს ან მარშრუტებს, **უ**-ის საწყის და საბოლოო ზღუდეს და მათი დაკავების წესს, სარაკეტო ნაწილების პოზიციურ რაიონებს და არტილერიის საცეცხლე პოზიციებს, მართვის პუნქტების გაშლის ადგილებს. გარდა ამისა, შენაერთების (ნაწილების) მეთაურებს აცნობენ **უ**-ის შემდეგ მომავალი მოქმედებების ხასიათს. **უ**-ის დროს ჯარების საბრძოლო წყობა, ჩვეულებრივ, მოიცავს ნაწილებს (ქვედანაყოფებს), რომლებიც გამოყოფილია ბრძოლიდან გამოსვლის დასაფარავად, მთავარ ძალებს და ლოგისტიკას. ლოგისტიკის ნაწილები და ქვედანაყოფები უკან იხევენ პირველ რიგში. ბრძოლიდან გამოსვლა იწყება მას შემდეგ, რაც შენაერთების (ნაწილების) არიერგარდები დაიკავებენ აღნიშნულ ზღუდეებს და დასრულდება მთავარი ძალების მიერ ამ ზღუდეების გავლა. ბრძოლიდან გამოსვლის და მოწინააღმდეგის უკან ჩამოტოვებისათვის, ჩვეულებრივ, იყენებენ ღამეს და ცუდი ხილვადობის პირობებს. I ეშელონის შენაერთები და ნაწილები გამოჰყავთ მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხების ზღუდიდან მთელ ფრონტზე წინა ხაზზე დატოვებული ქვედანაყოფების დაფარვით. ბრძოლიდან გამოსვლისას მთავარი ძალები არიერგარდების დაფარვით ეწყობიან სალაშქრო კოლონებად, აღარ ყოვნდებიან შუალედურ ზღუდეებზე და გადადიან მათთვის დანიშნულ რაიონებში. დაფარვისათვის გამოყოფილი ნაწილები (ქვედანაყოფები) ინარჩუნებენ საბრძოლო საქმიანობის წინანდელ რეჟიმს და არ აძლევენ მოწინააღმდეგეს ორგანიზებული დევნის საშუალებას. მათი გამოყვანა იწყება, ჩვეულებრივ, მას შემდეგ, რაც მთავარი ძალები გაივლიან არიერგარდების მიერ დაკავებულ ზღუდეს. **უ**. ხორციელდება უეცრად, როგორც წესი, მთელი ძალებით ერთდროულად. არიერგარდები თანამიმდევრულად იკავებენ ზღუდეებს და აქტიური, გადამწყვეტი მოქმედებებით ბოჭავენ ფრონტიდან გამოდევნებულ მოწინააღმდეგეს, უზრუნველყოფენ მთავარი ძალების ორგანიზებულ **უ**-ს. არიერგარდების მანევრი ერთი ზღუდიდან მეორეზე ხორციელდება მათი მეთაურების ნებართვით. მთავარ ძალებს ან მათ ნაწილს შეუძლიათ, ვითარების მიხედვით, გაიშალონ ბრძოლისათვის შუალედურ ზღუდეებზე, თუ არიერგარდების და სალაშქრო დაცვის სხვა ორგანოების ძალები არ არის საკმარისი მდევარი მოწინააღმდეგის შეკავებისათვის. საბოლოო ზღუდეზე ან დანიშნულ რაიონში უკუქცეული ჯარები გადაჰყავთ დაჯგუფებაში, რომელიც შეესაბამება მომავალი მოქმედებების ხასიათს. სამხედრო-საზღვაო ძალებში უკან დახევა არის სახომალდო ძალების მოქმედებები, რომლებიც წარმოებს საბრძოლო ამოცანის შესრულების ან ბრძოლიდან წინასწარ განზრახული (იძულებითი) გამოსვლის შემდეგ ბაზაზე (ზღვის დადგენილ რაიონში) გადასასვლელად. მისი მიზანია ხელახალი გაშლისათვის ახალი ან წინათ დასახული ამოცანის გადაწყვეტა, მოწინააღმდეგის უპირატესი ძალებისაგან გამორიდება და სხვა. ზოგი ქვეყნის არმიაში **უ**-ს 1982 წლამდე ეწოდებოდა „უკუქცევითი მოქმედებები“. განასხვავებენ უკან დახევის სამ ხერხს: შემაკავებელი მოქმედებები, ბრძოლიდან გამოსვლა, **უ**. მოწინააღმდეგესთან შეუხებლად.

უკუქცევის საბოლოო ზღუდე, უკანასკნელი თავდაცვითი ზღუდე, რომელიც დანიშნულია უკან დახევის (უკუქცევის) დროს დასაკავებლად. ზღუდეზე ჯარები გაჰყავთ მომავალი მოქმედების ხასიათის შესაბამისი დაჯგუფებით.

ულანები (თურქული oğlan – ბიჭი, ჭაბუკი), მსუბუქი კავალერია XVI–XX საუკუნეების ევროპულ არმიებში, შეიარაღებული იყო შუბებითა და ხმლებით; შემდეგ მათ აღჭურვილობას დაემატა დამბაჩები და კარაბინები.

ულტიმატუმი (ლათინური ultimatum – ბოლო), 1. საერთაშორისო სამართალში – კატეგორიული მოთხოვნა, რომელსაც წერილობითი ან სიტყვიერი ფორმით უყენებს ერთი სახელმწიფო მეორეს ზემოქმედების შემდგომი ღონისძიებების გამოყენების მუქარით იმ შემთხვევაში, თუ ეს მოთხოვნა გარკვეული ვადისთვის არ შესრულდება. გაეროს წესდება კრძალავს ულტიმატუმის ფორმას, თუ იგი შეიცავს ძალის გამოყენების, ომის გაჩაღების მუქარას. 2. ომის პირობებში **უ**. შეიძლება სამხედრო სარ-

დლობამ წაუყენოს მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფებას და ამავე დროს შესთავაზოს, შეწყვიტოს უიმედო წინააღმდეგობა, რათა თავიდან აიცილოს არასასურველი სისხლისღვრა.

უმართავი რაკეტა, რაკეტა, რომელიც ფრენის მართვის სისტემით არ არის აღჭურვილი. ძრავის მუშაობის შეწყვეტის შემდეგ სივრცეში გადაადგილდება როგორც თავისუფლად ნატყორცნი სხეული. **უ.რ**-ის სროლის სიზუსტე დამოკიდებულია სროლის დანადგარების მომზადების სიზუსტეზე, გარე ამგზნებებზე, რომლებიც მოქმედებენ მასზე გაშვების და ფრენის დროს და ა.შ. მართვადი რაკეტების გამოჩენასთან ერთად **უ.რ**-ის გამოყენება შეიზღუდა.

უმაღლესი აკადემიური კურსები, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები.

უმაღლესი მთავარსარდალი, სახელმწიფოს მეთაური. სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც სახელმწიფოს წარმოადგენს საშინაო თუ საგარეო ურთიერთობებში. აღჭურვილია ფართო უფლებამოსილებით, არის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.

უმაღლესი მთავაღსარდლობა (უმაღლესი სარდლობა), სახელმწიფოს (სახელმწიფოების კოალიციის) შეიარღებული ძალების უმაღლესი სტრატეგიული ხელმძღვანელობის ორგანო. იქმნება, ჩვეულებრივ, ომიანობის დროს და ხელმძღვანელობს უმაღლესი მთავარსარდალი. ზოგჯერ იქმნება მშვიდობიანობის დროსაც, მაგალითად, ევროპაში და ატლანტიკაში ნატოს შეიარაღებული ძალების სტრატეგიული (უმაღლესი) სარდლობა. II მსოფლიო ომის დროს გერმანიის **უ.მ.** აერთიანებდა სამხედრო სამინისტროს, შეიარაღებული ძალების შტაბს და ა. ჰიტლერის პირად შტაბს (არსებობდა 1938 წლის თებერვლიდან 1945 წლის მაისამდე). დასავლეთ ევროპაში მოკავშირეებს საექსპედიციო ძალების **უ.მ**. ხელმძღვანელობდა ინგლის-ამერიკის კოალიციურ შეიარაღებულ ძალებს (1943 წლის დეკემბერი – 1945 წლის ივლისი).

უმაღლესი სამხედრო აკადემია, იხ. *გენერალური შტაბის სამხედრო აკადემია.*

უმნიშვნელო რისკი (ბირთვული), რისკის ის ხარისხი, როდესაც პირადი შემადგენლობა ძირითადად დაცულია დროებითი სიბრმავის ან დამით ხედვის უნარის მცირე ხნით დაკარგვისგან.

უნგრეთი (Hungary – უნგრეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, მდინარე დუნაის აუზში. ფართობი 93 ათ. *კმ*². მოსახლეობა 9,9 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – უნგრული. დედაქალაქი – ქ. ბუდაპეშტი. ადმინისტრაციულად იყოფა 19 მედიედ (მხარე), ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფილია ქ. ბუდაპეშტი. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს სახელმწიფო კრებას (ერთპალატიან პარლამენტს), აღმასრულებელი – მინისტრთა საბჭოს (მთავრობას). თანამედროვე **უ**. დამოუკიდებელი სახელმწიფოა 1918 წლიდან. 1949-იდან 1990 წლამდე იწოდებოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკად. არის ნატოს წევრი ქვეყანა. **უ.** განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა ინტენსიური სოფლის მეურნეობით. საერთაშორისო აეროპორტია ფერიჰედი (ბუდაპეშტი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 28,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 10,9 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 5,7 ათ., სასაზღვრო ჯარები 11,9 ათ. და რეზერვი 44 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

უნივერსალური არტილერია, სახომალდო არტილერია, რომელსაც შეუძლია სროლა აწარმოოს საჰაერო, საზღვაო და სანაპირო მიზნებზე. თანამედროვე **უ.ა**-ის კალიბრია 20–130 *მმ.* გამოიყენება კოშკურა და საგენბანო ავტომატური საარტილერიო დანადგარები (ჩვეულებრივად მცირეკალიბრიანი, მრავალლულიანი 57 *მმ.* კალიბრის ზევით, ერთ ან ორ ქვემეხიანი).

უნივერსალური დრო, დროის საზომი ერთეული, რომელიც მიახლოებულია დედამიწის სადღეღამისო ბრუნვის საშუალო მაჩვენებელთან და წარმოადგენს სამოქალაქო დროის ათვლის საფუძველს.

უნივერსალური თავდაცვის ზონა, წყლიანი (ზღვა, მდინარე, ტბა) რაიონი და საჰაერო სივრცე, რომლის ფარგლებშიც ეწყობა საბრძოლო მოქმედებები და ღონისძიებები ხომალდების შენაერთების (ჯგუფების) ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად ზღვით გადასასვლელზე, საბრძოლო ამოცანების შესრულების რაიონში ან ბაზირების პუნქტში. **უ.თ.ზ**-ში გათვალისწინებულია ყველა სახეობის თავდაცვის და დაცვის, აგრეთვე დაზვერვის, შენიღბვისა და რადიოელექტრონული ბრძოლის წარმოება დაცვის ძალებით და დასაცავი ხომალდებით. **უ.თ.ზ**. იყოფა შორეულ, ახლო და თვითდაცვის ზონებად. თავდაცვის შორეული ზონა განკუთვნილია მოწინააღმდეგის აღმოსაჩენად, მის შესახებ შენაერთების ინფორმირებისათვის, საბრძოლო მასალების შემცველთა გასანადგურებლად და შენაერთებზე დარტყმების მიყენების გასართულებლად. მასში მოქმედებენ ტაქტიკური დაზვერვის, რადიოლოკაციურ მზირთა ჯგუფები, ცალკეული ნავსაწინააღმდეგო წყალქვეშა ნავები, ხომალდების სადაზვერვო-დამრტყმელი ჯგუფები, ნავსაწინააღმდეგო და მოიერიშე ავიაცია. თავდაცვის ახლო ზონის დანიშნულებაა, გაანადგუროს თვითმფრინავები, წყალქვეშა ნავები, კატარღები, შეტევაზე გადმოსული შენაერთები, მათ მიერ გამოშვებული

რაკეტები, მართვადი ავიაბომბები და ტორპედოები. ასევე ეძებოს ნაღმები შენაერთების მარშრუტზე დამრტყმელი ჯგუფის ხომალდების, საძიებო-დამრტყმელი ჯგუფის ხომალდების, ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავების (ვერტმფრენების) და სახომალდო (საავერტმფრენო) მტრალავი ჯგუფების ძალებით. თვითდაცვის ზონა განკუთვნილია მოწინააღმდეგის რაკეტების, მართვადი ავიაბომბების, ტორპედოების, თვითმფრინავების, წყალქვეშა ნავების და კატარღების, აგრეთვე ნაღმების გასანადგურებლად შენაერთების ხომალდების საცეცხლე საშუალებებით, მტრალავებითა და ნავსაწინააღმდეგო ვერტმფრენებით.

უნიფიკაცია (ლათინური unio – ერთიანობა და facio – ვაკეთებ), ტექნიკის ერთი და იმავე კონკრეტული დანიშნულების ობიექტების რაციონალური შემცირება. სამხედრო ტექნიკაში **უ.** განისაზღვრება სხვადასხვა სახის ნაკეთობების, საშუალებების და მათი წარმოების დაყვანით მინიმალური რაოდენობის ტიპოზომებთან, მარკებთან, კორპუსებთან და თვისებებთან. **უ.** წარმოადგენს სტანდარტიზების მნიშვნელოვან მეთოდს, რომელიც ემსახურება სამხედრო ტექნიკის დამუშავების, წარმოების, ჯარებში ათვისების და რემონტის დროის და სახსრების შემცირებას, მოძრაობის და ექსპლუატაციის გამარტივებას.

უნიფიცირება, ერთიანი დოქტრინების, სტანდარტების, ინსტრუქციების და/ან ერთნაირი ტექნიკის გამოყენების შედეგი.

უნტერ-ოფიცერი (გერმანული – unteroffizier), ზოგიერთი ქვეყნის არმიაში – ჯარისკაცებისგან გამოსული უმცროსი მეთაურების შემადგენლობის წოდება. ცნობილია, **უ.-ო**-ის შემდეგი წოდება: ფელდფებელი, ვახმისტრი, კონდუქტორი, უფროსი და უმცროსი **უ.-ო.**, კაპრალი სერჟანტი და სხვა.

უპატრონოდ მიტოვებული ტექნიკა, დაზიანებული, მიტოვებული, გასანადგურებელი ან უმეთვალყურეოდ დატოვებული ტექნიკა (საკუთარი ან მოწინააღმდეგის), მათ შორის ხომალდები, სატრანსპორტო, ან საბრძოლო მცურავი საშუალებები, რომლებსაც შემდგომი გამოყენების მიზნით აწყობენ.

უპილოტო საფრენი აპარატები, საფრენი აპარატები, რომლებიც იმართება უეკიპაჟოდ. მათ განეკუთვნება დისტანციურად პილოტირებადი და ავტონომიურად მართვადი უპილოტო თვითმფრინავის სქემის საფრენი აპარატები. ისინი შეიძლება იყოს საბრძოლო (დამრტყმელი), სადაზვერვო, ერთი ან მრავალჯერადი გამოყენების.

ურთიერთმოქმედება, შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების საბრძოლო წყობის ელემენტებისა და სხვადასხვა სახეობის იარაღის შეთანხმებული, ერთობლივი მოქმედებები. ყოველივე ეს ხორციელდება ობიექტების მიმართულებების, ზღუდეების (რაიონების), დროისა და ხერხების მიხედვით ბრძოლის (ოპერაციის) მიზნების მისაღწევად. საომარი მოქმედებების მასშტაბის მიხედვით განასხვავებენ სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ **უ**-ს. სტრატეგიული **უ**. არის შეიარაღებული ძალების იმ დიდი დაჯგუფებების შეთანხმებული მოქმედებები, რომლებიც ოპერაციებს ახორციელებენ ერთ ან რამდენიმე საომარი მოქმედების თეატრზე (სტრატეგიულ მიმართულებაზე) სტრატეგიული ოპერაციის ან მთლიანად ომის მიზნის მისაღწევად. კოალიციურ ომებში სტრატეგიული **უ**. შეიძლება ხორციელდებოდეს აგრეთვე მოკავშირე სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებსა და მათ ცალკეულ დაჯგუფებებს შორის. ისინი მონაწილეობენ ერთობლივ ოპერაციაში კონტინენტურ და საოკეანო საომარი მოქმედების თეატრზე. ოპერატიული **უ.** არის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის და ჯარების (ძალების) გვარეობების ოპერატიული (ოპერატიულ-ტაქტიკური) გაერთიანებების და შენაერთების შეთანხმებული მოქმედება ერთ ან რამდენიმე მომიჯნავე საოპერაციო მიმართულებაზე მიმდინარე ოპერაციის (საბრძოლო მოქმედების) მიზნის მისაღწევად. ტაქტიკური **უ**. წარმოადგენს შენაერთების, ნაწილების, ქვედანაყოფების შეთანხმებულ, ერთობლივ მოქმედებებს ერთმანეთთან, მეზობლებთან, აგრეთვე იმ ძალებთან (საშუალებებთან), რომლებსაც ზემდგომი უფროსი იყენებს, საერთოსაჯარისო, საზღვაო და საჰაერო ბრძოლაში მიზნის მისაღწევად.

უ-ის ორგანიზაციის საფუძველია ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებაზე გადაწყვეტილება და ზემდგომი სარდლობის მითითებები **უ**-ის თაობაზე. **უ**-ის ორგანიზაცია შეიძლება მოეწყოს რუკებზე, მაკეტებზე და უშუალოდ ადგილმდებარეობაზე. სახმელეთო ჯარების ტაქტიკურ რგოლში **უ**-ის ყველა საკითხს, როგორც წესი, ხვეწენ ადგილზე, ოპერატიულში – ადგილმდებარეობის მაკეტებზე ან რუკებზე მათემატიკური მოდელების გამოყენებით, რომლებიც იმიტაციურად წარმოსახავენ ჯარების მოქმედებას დროსა და სივრცეში, ხოლო საკმარისი დროის არსებობისას – აგრეთვე ადგილმდებარეობაზე, ჩვეულებრივ, მთავარი დარტყმის (ძირითადი ძალისხმევის თავმოყრის) მიმართულებებზე (რაიონებში). **უ**-ს ორგანიზაციას უწევს მეთაური (სარდალი) დაქვემდებარებული, მიკუთვნებული და მხარდამჭერი ნაწილების (შენაერთების) მეთაურებთან ერთად. ასევე შტაბის ძირითადი თანამდებობის პირების, ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების (სამსახურების) უფროსების, აგრეთვე მეზობლებისა და **უ**-ის ჯარების და შეიარაღებული ძალების სხვა სახეო-

ბის წარმომადგენლების მონაწილეობით. **უ**-ის წესი ნაწილებსა და შენაერთებში ფორმდება დოკუმენტურად **უ**-ის გეგმის ცხრილის სახით, ხოლო გაერთიანებებში – **უ**-ის გეგმის მეშვეობით, რომლებიც წარმოადგენენ ძირითად სამუშაო დოკუმენტებს **უ**-ის ორგანიზაციის დროს. ისინი გამოიყენება ბრძოლის (ოპერაციის) დროს ჯარების პრაქტიკული მართვისა და **უ**-ის ხელშეწყობის შენარჩუნებისათვის.

ურთიერთმოქმედების გეგმა, ოპერაციის გეგმის ერთ-ერთი ძირითადი დოკუმენტი, რომელშიც ასახულია საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს ჯარების (ძალების) ერთობლივი მოქმედებების წესი. ამუშავებს გაერთიანების (შენაერთის) შტაბი თანამოქმედი ჯარების (ძალების), ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარების შტაბებთან, აგრეთვე შესაბამისი განყოფილებებისა და სამსახურების უფროსებთან ერთად. **უ.გ.**, ჩვეულებრივ, მუშავდება რუკაზე ახსნა-განმარტებითი ბარათით. **უ.გ**-ში აისახება: ოპერატიული დაწყობა (საბრძოლო წყობა), ძირითადი ამოცანები, მათი შესრულების თანამიმდევრობა მიმართულებების, ზღუდეების (რაიონების), დროის მიხედვით; საბრძოლო მოქმედებების უზრუნველყოფა, ჯარების (ძალების) მართვის ორგანიზაცია, ორმხრივი ინფორმაციის, შეტყობინების, ამოცნობის, მიზანჩვენების წესი. გაერთიანებაში **უ.გ**-ს თან ერთვის საბრძოლო მართვის გრაფიკი ოპერაციის პირველი დღისათვის.

ურთიერთმოქმედი ინსტიტუტები, საერთაშორისო ინსტიტუტების ურთიერთგაძლიერების ქსელი, რომლებიც დაკავებული არიან უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტით. ასეთი ინსტიტუტები ერთმანეთს მხარს უჭერენ, არ პაექრობენ და სხვების საქმიანობის დუბლირებას არ ახდენენ.

ურთიერთმხარდაჭერა, მხარდაჭერა, რომელსაც ქვედანაყოფები აღმოუჩენენ ერთმანეთს, თუ მათ აქვთ ურთიერთდაკავშირებული საბრძოლო ამოცანები. ასევე ერთმანეთის და მოწინააღმდეგის მიმართ გარკვეული განლაგება და მხარდაჭერის შესაძლებლობა. სახმელეთო ჯარებისთვის – 1. ჩვეულებრივ, ეს ტერმინი უკავშირდება ცეცხლით და გადაადგილებით მხარდაჭერას. 2. შექმნილი პირობა, როდესაც განლაგება იძლევა ქვედანაყოფების მიერ ერთმანეთის მხარდაჭერის საშუალებას პირდაპირი ცეცხლით, რაც ხელს უშლის მოწინააღმდეგეს იერიში მიიტანოს ერთ-ერთ პოზიციაზე ისე, რომ არ მოხვდეს ერთ ან რამდენიმე მომიჯნავე პოზიციიდან გახსნილი ცეცხლის ქვეშ.

ურთიერთქმედების სიგნალები, იხ. *სიგნალები.*

ურთიერთცვალებადობა, ნაკეთობის, პროცესის ან მომსახურების ვარგისიანობა, იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს სხვა ნაკეთობის, პროცესის ან მომსახურების ნაცვლად, ერთი და იმავე მოთხოვნების შესასრულებლად.

URUGUAY (Uruguay – ურუგვაის აღმოსავლეთი რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ქვეყანას სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანე. ფართობი 176,2 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 3,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. მონტევიდეო. ადმინისტრაციულად იყოფა 19 დეპარტამენტად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – გენერალური ასამბლეა (ორპალატიანი პარლამენტი). **უ**. დამოუკიდებელი რესპუბლიკაა 1828 წლიდან. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, მეცხოველეობის პროდუქციის მსხვილი მწარმოებელი და ექსპორტიორი. მთავარი საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – მონტევიდეო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 24,6 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 16,2 ათ., სამხედრო-საჰაერო 2,9 ათ და სამხედრო-საზღვაო 5,5 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

უსაფრთხო დაშორება, უმცირესი მანძილი ბირთვული აფეთქების ცენტრიდან (ეპიცენტრიდან), ჩვეულებრივი აღჭურვილობის საბრძოლო მასალების აფეთქების ადგილიდან ან ჭურვების (ტყვიების) დაცემის წერტილებიდან ჯარების (ძალების), სამხედრო და სამრეწველო დანიშნულების ობიექტების განლაგების ადგილამდე, სადაც არ ხდება პირადი შემადგენლობის დაზიანება, ტექნიკის მწყობრიდან გამოყვანა და ობიექტების ნგრევა. **უ.დ**. დამოკიდებულია საბრძოლო მასალის მიტანის სიზუსტესა და დაზიანების რადიუსზე. **უ.დ**. ბირთვული აფეთქებების დროს განისაზღვრება დარტყმითი ტალღის, გამოსხივების და გამჭოლი რადიაციის ზემოქმედებისგან პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირობებიდან გამომდინარე.

უსაფრთხო დაშორების ზღუდე, პირობითი ხაზი, რომელიც გადის საკუთარი საბრძოლო მასალების აფეთქების (დაცემის წერტილის) მონიშნული რაიონებიდან მინიმალურ მანძილზე, სადაც საკუთარი ჯარების მეწინავე ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობა არ ზიანდება.

უსაფრთხო ცურვა, პირობები, რომლის დროსაც ხომალდის (გემის) ეკიპაჟს, შეიარაღებას და მატერიალურ საშუალებებს ცურვის ნებისმიერ გარემოში საფრთხე არ ემუქრება. ამის მიღწევა შესაძლებელია ხომალდის (გემის) მატერიალური ნაწილის საიმედო მუშაობით; საბრძოლო, ტექნიკური და ლოგისტიკური ზომების დროული მიღებით; ხომალდის (გემის) კვალიფიციური მართვით; მაღალი საზღვაო მომზადებით; საწესდებო დოკუმენტების, ცურვის საერთაშორისო და ადგილობ-

რივი წესების დაცვით; ნავიგაციური მდგომარეობის ცოდნით. იხ. აგრეთვე *ნაოსნობის უსაფრთხოება.*

უსაფრთხოება, პირობები და მდგომარეობა, როდესაც ქვეყანას (ქვეყნების ჯგუფს) აქვს საგარეო თუ საშინაო საფრთხეების და რისკებისგან თავდაცვის უნარი. უკანასკნელი შეიძლება იყოს სამხედრო ან არასამხედრო ხასიათისა, გამომდინარეობდეს სხვადასხვა ფაქტორიდან და ხშირად ძნელად ექვემდებარებოდეს პროგნოზირებას. **უ.** ყველაზე ოპტიმალურად უზრუნველყოფილია მრავალმხრივი მიდგომით და ითვალისწინებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ბუნების დაცვის ფაქტორებს, ასევე ტრადიციულ სამხედრო ასპექტებს. ამ ვითარებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თანამოაზრე სახელმწიფოებს შორის პარტნიორობას, თანამშრომლობას და დიალოგს.

უსაფრთხოება თანამშრომლობის საფუძველზე, უსაფრთხოების განმტკიცება თანამშრომლობის განვითარების, დიალოგისა და ნდობის ფაქტორის ზრდის, აგრეთვე ერთობლივი ინიციატივის მეშვეობით.

უსაფრთხოება საგანგებო სიტუაციების დროს, საგანგებო სიტუაციაში დამაზიანებელი ფაქტორების ზემოქმედებისაგან მოსახლეობის, სხვადასხვა ობიექტის და გარემოს დაცვის მდგომარეობა და ხარისხი.

უსაფრთხოების განუყოფლობა, კონცეფცია, რომლის შესაბამისად ერთი სახელმწიფოს მოქმედება გავლენას ახდენს რეგიონის სხვა ქვეყნის ან ქვეყნების უსაფრთხოებაზე.

უსაფრთხოების და თავდაცვის ევროპული შემადგენელი, ნატოში მიღებული კონცეფცია, რომელიც ასახავს ევროპელი მოკავშირეების სწრაფვას საკუთარ თავზე აიღონ მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა თავდაცვის და უსაფრთხოების სფეროში, ასევე ევროატლანტიკურ რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში. ამ გზით იგი უზრუნველყოფს მოკავშირეების უსაფრთხოებას და მოიცავს იმ შეთანხმებებს და მექანიზმებს, რომლებიც: 1. საშუალებას აძლევს ყველა ევროპელ მოკავშირეს შეიტანოს თანამიმდევრული და ეფექტური წვლილი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობაში. 2. განამტკიცებს ტრანსატლანტიკურ პარტნიორობას. 3. ეხმარება ევროპელ მოკავშირეებს აუცილებლობის შემთხვევაში იმოქმედონ დამოუკიდებლად, ნატოს მზადყოფნიდან გამომდინარე კონსენსუსის პრინციპით ერთჯერად საფუძველზე ევროპული ხელმძღვანელობით ოპერაციების ჩასატარებლად გამოყოს თავისი ძალები, საშუალებები და რესურსები.

უსაფრთხოების ზომები, 1. მოქმედებების ერთობლიობა, რომელიც ხორციელდება ეროვნულ დონეზე პოტენციური და რეალური საფრთხეებისგან ქვეყნის დაცვის უზრუნველსაყოფად. 2. პირობების შექმნა, იმისათვის, რომ გამოირიცხოს ეროვნული უსაფრთხოების და თავდაცვის სფეროს განკუთვნილ საიდუმლო ინფორმაციაზე არასანქცირებული ხელმისაწვდომობა. 3. სწავლებებზე ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება პირადი შემადგენლობის უსაფრთხოების, იარაღის და საბრძოლო ტექნიკის დაცულობის უზრუნველსაყოფად. მას განეკუთვნება: სწავლების რაიონის გაწმენდა საბრძოლო მასალებისგან, ჯარების გადაადგილებისთვის სარისკო ადგილებში საკომენდანტო სამსახურის, ხოლო წყლის წინაღობებზე – საძიებო-სამაშველო სამსახურების ორგანიზება, ადგილმდებარეობის საშიში მონაკვეთების (ხევები, ჭაობები, სარკინიგზო გადასასვლელები, გვირაბები, ნავთობის მილები, გაზსადენები და სხვა) შემოღობვა (აღნიშვნა) და მათზე ჯარების გატარების წესის განსაზღვრა, ცეცხლის იმიტაციის, ბომბების და ფუგასების გასასკდომი მონაკვეთების გამოყოფა და შემოღობვა (დაცვა), სწავლების დამთავრების შემდეგ აუფეთქებელი ჭურვების, გამოუყენებელი საიმიტაციო საშუალებების შეკრება და განადგურება. სამხედრო-საზღვაო ძალებში სწავლების რაიონი სხვა ხომალდებისა და თვითმფრინავებისათვის (ვერტმფრენებისათვის) ცხადდება სახიფათო ზონად.

უსაფრთხოების ზონა (საერთაშორისო საზღვაო სამართალში), განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმის მქონე ზონა, რომელიც იქმნება კონტინენტური შელფის დაზვერვისა და დამუშავებისათვის აგებული ხელოვნური დანადგარებისა და ნაგებობების ირგვლივ. ასევე სანაპირო რაიონი, რომელიც მოწინააღმდეგის თავდასხმის თვალსაზრისით უსაფრთხოდ ითვლება და სადაც, ბრძანების შესაბამისად, სავაჭრო გემები შეიძლება გაგზავნონ მათი გადაადგილების განსაკუთრებული რეჟიმის განხორციელების დროს. **უ.ზ**-ის დაწესება პირველად დაფიქსირდა ჟენევის 1958 წლის კონვენციაში კონტინენტური შელფის შესახებ. რაც შეეხება გაეროს საზღვაო სამართლის 1942 წლის კონვენციას, იგი ითვალისწინებს მსგავსი ზონების დაწესებას არა მარტო კონტინენტურ შელფზე, არამედ განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაშიც. **უ.ზ.** ვრცელდება ზემოთ აღნიშნული დანადგარებისა და ნაგებობების გარე ნაწილის ყოველი წერტილიდან 500 მ-ის მანძილზე.

უსაფრთხოების საგარეო და საერთო პოლიტიკა, მაასტრიხის ხელშეკრულებაში გაფორმებული კურსი ევროკავშირის მიერ შეტანილი დაზუსტებებით. ამ პოლიტიკის განსაზღვრის და რეალიზების ამოცანებს წარმოადგენენ: გაეროს წესდების პრინციპების შესაბამისად, ევროკავშირის საერთო ფასეულობის, ძირითადი ინტერესის, დამოუკიდებლობისა და ერთიანობის დაცვა; ასევე ევროკავში-

რის უსაფრთხოების განმტკიცება, მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება; საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისთვის ხელშეწყობა; დემოკრატიის, კანონიერების, ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებების განვითარება და გაძლიერება.

უტილი, 1. ინვენტარი, რომელსაც აქვს გარკვეული ფასეულობა, მაგრამ მისი გამოყენება შეუძლებელია და არც პრაქტიკული თვალსაზრისით არ არის მიზანშეწონილი მისი გარემონტება. 2. ქონების გადარჩენა – უვარგისი, ჩამოწერილი ან მოწინააღმდეგის მიერ მიტოვებული, ნაალაფევი ქონების შეგროვება შემდგომ გასარემონტებლად, გადასაკეთებლად ან ჯართისთვის გამოსაყენებლად.

უტილიზაცია, რისამე სასარგებლოდ მოხმარება, გამოყენება, გადამუშავება.

უფლებამოსილების გადაცემა, მოქმედებები, რომლის შედეგად ნატოს წევრი სახელმწიფო ან სარდლობა გამოყოფილ ძალებს ნატოს სხვა სარდლობას გადასცემს ოპერატიულ დაქვემდებარებაში.

უფლებამოსილების დელეგირება, მოქმედება, რომლის მეშვეობით მეთაური (სარდალი) თავისი უფლებამოსილების მკაფიოდ განსაზღვრულ ნაწილს ხელქვეითს გადასცემს.

უფლისციხე, კლდეში ნაკვეთი ციხე-ქალაქი. მდებარეობს გორის აღმოსავლეთით 10 *კმ*-ში. საქართველოს ერთ-ერთი უძველესი დასახლებული და გამაგრებული პუნქტი. აღმოცენდა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. IX–XI საუკუნეებში ქართლის ადმინისტრაციული და პოლიტიკური ცენტრი იყო. არაერთხელ მოიხსენიება წერილობით წყაროებში სამხედრო მოქმედებებთან დაკავშირებით. **უ**-ის, როგორც სამხედრო-სტრატეგიული პუნქტის, არსებობა მონღოლთა შემოსევების პერიოდში (XIII საუკუნე) დამთავრდა.

უშროსი (სამხედრო), 1. თანამდებობის პირი, რომელსაც ხელქვეითების მიმართ განმკარგულებელი და დისციპლინური ძალაუფლება აქვს. **უ**., რომელსაც სამხედრო პირები სამსახურებრივად, თუნდაც დროებით ექვემდებარებიან, არიან პირდაპირი **უ**-ები. ხელქვეითისათვის უახლოეს პირდაპირ **უ**-ს უშუალო **უ**. ეწოდება. **უ**. შეიძლება იყოს ასევე სამხედრო წოდებაც. 2. საშტატო თანამდებობა და თანამდებობის პირი, რომელიც ხელმძღვანელობს მმართველობის ორგანოს, სპეციალურ ჯარებს, სამსახურს, სამხედრო-სასწავლო დაწესებულებას და სხვა.

უშიშროების საბჭო (გ ა ე რ ო ს ი), უმთავრესი მუდმივმოქმედი ორგანო, რომელსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის საქმეში ძირითადი პასუხისმგებლობა აკისრია.

უშუალო დაცვა, იხ. *დაცვა*.

უშუალო თანხლების ქვემეხი, საარტილერიო ქვემეხი, რომელიც პოლკის (ბრიგადის), ტანკსაწინააღმდეგო ან თვითმავალი არტილერიისგან გამოიყოფა. მისი მიზანია შეტევაზე მყოფი ქვეითი (მსროლელი, სატანკო) ქვედანაყოფებისთვის უშუალო მხარდაჭერის აღმოჩენა. ფართოდ გამოიყენებოდა II მსოფლიო ომში.

უშუალო მხარდაჭერა, ერთი სამხედრო ნაწილის მიერ მეორე სამხედრო ნაწილის ან ქვედანაყოფის მხარდაჭერა. იგი, მიკუთვნებული და დაქვემდებარებული ნაწილებისგან განსხვავებით, საკუთარი სარდლობის დაქვემდებარებაში რჩება და პირველ რიგში ასეთი ნაწილის ან ქვედანაყოფისთვის აუცილებელი მხარდაჭერის ამოცანებს ასრულებს.

უშუალო მხარდაჭერის არტილერია, საარტილერიო ფორმირება, რომლის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მხარდამჭერი ქვედანაყოფის (ნაწილის) მოთხოვნების შესაბამისად ცეცხლის წარმოება.

უშუალო მხარდაჭერის ცეცხლი, ცეცხლი, განხორციელებული ძალების ნაწილის მხარდასაჭერად. განსხვავდება საერთო საცეცხლე მხარდაჭერისგან, რომელიც მთელი ძალების მხარდაჭერის მიზნით ხორციელდება.

„უძლეველი არმადა“, დ ი დ ი ა რ მ ა დ ა, ინგლის-ესპანეთის 1586–1604 წლების ომის დროს ესპანეთის მიერ ინგლისის დასაპყრობად შექმნილი ფლოტი (130 დიდი და 30 მცირე ხომალდი). 1588 წლის 30 მაისს „**უ.ა.**“ ლისაბონის ნავსადგურიდან გავიდა, რათა ინგლისში დესანტი (27 ათასი კაცი) გადაესხა, მაგრამ ლა-მანშის სრუტეში ინგლისის ფლოტთან შეჯახებისა და ძლიერ ქარიშხალში მოხვედრის გამო მძიმე დანაკლისი განიცადა და ესპანეთში დაბრუნდა. „**უ.ა**“-ის დამარცხებამ ესპანეთის საზღვაო ძლიერება საფუძვლიანად შეარყია.

უწონადობა, მატერიალური სხეულის მდგომარეობა, რომლის დროსაც მასზე მოქმედი გარე ძალები მისი ნაწილაკების ერთმანეთზე ურთიერთდაწოლას არ იწვევენ. წარმოიქმნება მიზიდულობის ველში (მაგალითად, ვერტიკალური ვარდნა, ორბიტაზე დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის მოძრაობა, კოსმოსური კომპლექსის ფრენა) სხეულის თავისუფალი წინსვლით მოძრაობის დროს. **უ**-ის მოკლევადიანი პირობები შეიძლება შეიქმნას პარაბოლურ ტრაექტორიაზე თვითმფრინავის ფრენის დროს, აგრეთვე სხვადასხვა დანადგარებში (მაგალითად, ჰიდრობასეინებში), რომლებიც კოსმონავტების ვარჯიშისთვის და კოსმოსური ტექნიკის გამოცდებისთვის გამოიყენება. **უ**. ადამიანის ორგანიზმზე არსებით გავლენას ახდენს, განსაკუთრებით ვესტიბულარულ აპარატზე, ნივთიერებათა ცვლის და სხვა სისტემებზე.

უწყვეტი ფრონტი, დიდ სიგრძეზე გადაჭიმული თავდაცვითი ზღუდე, რომელიც დაკავებულია ჯარებით, ხოლო მათ შორის არსე-

ბული შუალედები დაფარულია არტილერიის, ტანკების, სასროლი და სხვა იარაღის ცეცხლით, აგრეთვე საინჟინრო ღობურებით. **Უ.Ფ**-ის გაჩენა უკავშირდება პოზიციური თავდაცვითი ზღუდის შექმნას.

ᲣᲮᲛᲝ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ, ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც აღჭურვილია გასროლის დროს ხმის ჩამხშობი მოწყობილობით. ძირითადად ამის მიღწევა ხდება გასაფართოებელი მარყუჟის (ავზაკის) მეშვეობით ლულიდან გამოსული აირების მოცულობის გაზრდით. მარყუჟი ეგება იარაღის ლულის თავზე. იარაღის ასეთ მდგომარეობაში მოყვანა შესაძლებელია სპეციალური კონსტრუქციის და საბრძოლო მასალის ხარჯზე.

ფ

ფალანგა (ბერძნული phalanx – სიტყვასიტყვით მოგრძო), ძველი საბერძნეთის, მაკედონიის, სხვა ელინისტური სახელმწიფოების ჯარების საბრძოლო წყობა. წარმოადგენდა ხაზში მჭიდროდ მოწყობილ მძიმედ შეიარაღებულ ქვეითებს (გოპლიტები, ლეგიონერები, სარისოფორები). **ფ**. პირველად მოიხსენიება ჩ.წ. VI საუკუნის დასაწყისში. სიღრმეში შედგებოდა 8–24 მწკრივისგან, თითოში 800–1000 მეომრით. ჰქონდა დიდი დარტყმითი ძალა, მაგრამ იყო ნაკლებად მოძრავი, შეეძლო მოქმედება მხოლოდ სწორ ადგილმდებარეობაზე. **ფ**-ის სუსტი ადგილები იყო ფლანგები და ზურგი. მათი დაცვა ევალებოდათ ცხენოსნებს და მსუბუქ ქვეითებს.

ფალია, ამფეთქი მუხტის დეტონატორის ინიცირებადი საშუალება ძირითადად საინჟინრო ნაღმებსა და ხელყუმბარებში. ძირითადად შედგება ორი კაფსულისაგან: კაფსულა-აალებადი და კაფსულა-დეტონატორი, რომლებიც განთავსებულია ლითონის ან პლასტმასის მასრაში. ამნთების დისტანციური მოქმედების ხელყუმბარაში **ფ**-ს აქვს დენთის შემანელებელი, ხოლო დარტყმითი პრინციპის ხელყუმბარებში – კაფსულა-აალებადის ნაცვლად განთავსებულია დეტონატორები. **ფ**. მოქმედებაში მოჰყავთ დარტყმითი მექანიზმით.

ფალკონეტი (იტალიური – falconetto), XVI–XVIII საუკუნეების არმიებსა და ფლოტებში 45–100 *მმ* კალიბრის ქვემეხი. როგორც წესი, ისროდა ტყვიის ბურთულებს.

ფანფარა (იტალიური fanfara – სიტყვასატყვით – სასულე მუსიკალური საკრავი), 1. სამხედრო ან საზეიმო ხასიათის ხმოვანი სიგნალი, რომელიც ამცნობს დღესასწაულის, აღლუმის, ტურნირის და სხვა დაწყებას. 2. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლითაც ფანფარისტი ახმოვანებდა სიგნალებს. 3. იყენებენ სიმფონიურ და საოპერო მუსიკაში.

ფარი, ცივი იარაღისაგან თავდასაცავი საომარი საჭურველი. მზადდებოდა ხისგან, ტყავისგან, აგრეთვე ლერწმისგან, ლითონის და სხვა მასალისგან. სხვადასხვა ხალხს სხვადასხვა ფორმის ფარი ჰქონდა, რაც იცვლებოდა ეპოქების მიხედვითაც. ძველ შუამდინარეთში ჰქონდათ ხის, სპილენძის ფირფიტებგადაკრული ოთხკუთხა **ფ**-ები, რომში გავრცელდა ცილინდრული ფორმის **ფ**. IX–X–XIII საუკუნეებში ევროპაში შემოიღეს ადამიანის სიმაღლის ნუშის ფორმის **ფ**-ები, რომლებზეც გამოსახული იყო მებრძოლის საკუთარი ემბლემა. თქმულების თანახმად, კოლხეთის მეფე აიეტს ტყავის **ფ**. ჰქონდა.

ფართობითი დაბომბვა, ერთ საერთო ფართობზე განლაგებულ მიზნების ჯგუფზე განხორციელებული ბომბური დარტყმა, წერტილოვან ობიექტზე დამიზნების გარეშე.

ფარნავაზ I (ძვ.წ. IV საუკუნის II ნახევარი – III საუკუნის დასაწყისი), „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ქართლის (იბერიის) პირველი მეფე და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი. წარმოშობით იყო მცხეთელ წარჩინებულთა წრიდან. კოლხი დინასტის ქუჯისა და ჩრდილოკავკასიელი ტომების დახმარებით მან ძვ.წ. IV საუკუნის ბოლოს დაამარცხა თავისი მოწინააღმდეგე აზო, რომელიც ბრძოლაში დაეცა, ხოლო შემდეგ დალაშქრა აზოს მოკავშირეთა სამფლობელოები მდინარე ევფრატზე. მატიანე **ფ I**-ს მიაწერს აგრეთვე სამხედრო-ადმინისტრაციულ რეფორმას – ქართლის დაყოფას საერისთავოებად.

ფარსალოსი (ახლანდელი ფარსალა), ქალაქი საბერძნეთში, ლარისას სამხრეთით. რომში სამოქალაქო ომის დროს, ძვ.წ. 48 წლის 6 ივნისს, *იულიუს კეისარმა*, რომლის არმია 30 ათ. ქვეითსა და 1–2 ათ. მხედარს ითვლიდა, დაამარცხა გნეუს *პომპეუსის* ჯარები (30 ათ. ქვეითი, 3–4 ათ. მხედარი). პომპეუსის დამარცხებაში მთავარი როლი შეასრულა კერძო რეზერვმა (3 ათ. ლეგიონერი), რომელიც კეისარმა მიწინააღმდეგის ძლიერი კავალერიის წინააღმდეგ გამოიყვანა. **ფ**-თან კეისრის გამარჯვებამ დააჩქარა რომის რესპუბლიკის დაცემა.

ფარსმან I, ქართლის (იბერიის) მეფე (ახ.წ. I საუკუნე). 35 წელს დაიპყრო სომხეთი და მის ტახტზე დასვა თავისი ძმა მითრიდატე. პართიის მეფემ სომხეთის დასაბრუნებლად ჯარი გამოგზავნა თავისი ვაუის, ოროდის, სარდლობით. **ფ. I**-მა დაამარცხა ოროდი და ორთა ბრძოლაში დაჭრა იგი. 51 წელს ფარსმანის ვაუმა რადამისტმა მამის ნებართვით მითრიდატე სომხეთის ტახტიდან ჩამოაგდო და მოკლა, მაგრამ სომხეთი ვერ შეინარჩუნა, რადგან მას დაუპირისპირდნენ როგორც სომეხი დიდებულები, ასევე პართიის მეფე. 58 წელს **ფ. I**-მა სამხედრო დახმარება აღმოუჩინა რომაელ სარდალს კორბულონს, რომელიც სომხეთში პართელებს ეომებოდა. სამაგიეროდ რომაელებმა ქართლის სამეფოს გადასცეს სომხეთის მოსაზღვრე ოლქები.

ფარსმან II, ქართლის (იბერიის) მეფე ახ.წ. 30–50-იან წლებში ჩრდილო კავკასიის ტომებ-

ის დახმარებით იბრძოდა ამიერკავკასიაში ქართლის ჰეგემონობის დასამყარებლად, რასაც მოჰყვა ურთიერთობის გამწვავება რომის იმპერიასთან. მდგომარეობა გაუმჯობესდა რომში იმპერატორ ანტონიუს პიუსის (138–161) მმართველობის დროს, რომელმაც დააკმაყოფილა **ფ. II**-ის ტერიტორიული პრეტენზიები.

ფარული საცეცხლე ფერტილი, ნაგებობა 1–2 ტყვიამფრქვევით, რომელიც განკუთვნილია მოწინააღმდეგის ტანკების უკან მოძრავ ქვეითებზე უეცარი ცეცხლის გასახსნელად. ფარულ მდგომარეობაში იგი მიწის დონეზე მაღლა არ მდებარეობს. საბრძოლო მდგომარეობაში გადაყვანა და უკან დაბრუნება ხორციელდება რამდენიმე წამში.

ფარცხისის ბრძოლა 1074, სოფელ ფარცხისთან (ახლანდელი ქვემო ქართლში) საქართველოს მეფემ გიორგი II-მ (1072–89) დაამარცხა განჯის სელჩუკთა გამგებლის – სავთეგინის ლაშქარი.

ფაშიზმი, პოლიტიკური მიმდინარეობა და იდეოლოგია, რომელიც ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში წარმოიშვა I მსოფლიო ომის შემდეგ. ტოტალიტარიზმის ფორმა, აშკარად ტერორისტული დიქტატურა, რომელიც ფეხქვეშ თელავს დემოკრატიულ უფლებებს და თავისუფლებას. ფაშისტური იდეოლოგიის საფუძველს წარმოადგენს დოქტრინები, რომლებიც ჯერ კიდევ **ფ**-ის გაჩენამდე წარმოიშვა: რასიზმი, შოვინიზმი და აგრესიული გეოპოლიტიკა. პოლიტიკურ სფეროში **ფ**-სათვის დამახასიათებელია: სახელმწიფოს შიგნით – უმკაცრესი ხელისუფლება, რომელიც ეყრდნობა სამხედრო ძალადობას, მილიტარიზმს, მასობრივ ტერორს და რეპრესიების სისტემას, ბელადის კულტს, სოციალურ დემაგოგიას; საერთაშორისო ასპარეზზე აგრესია და დამპყრობლური ომები, პოლიტიკური მუხანათობა და საერთაშორისო სამართლის იგნორირება, სხვა ხალხების გენოციდი. **ფ**-ის იდეებმა კონცენტრირებული სახით პოვეს გამოატულება ადოლფ ჰიტლერის წიგნში „მაინ კამპ“ („ჩემი ბრძოლა“, 1925). პირველი ფაშისტური ორგანიზაცია იტალიაში შეიქმნა 1925 წელს, ბენიტო მუსოლინის ხელმძღვანელობით. 30-იანი წლების დამლევს ფაშისტური რეჟიმი დამყარდა იტალიაში, გერმანიაში, პორტუგალიაში, ესპანეთში, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში. გერმანიის **ფ**-მა (ხელისუფლების სათავეში იყო 1933–45) იტალიის **ფ**-თან (ხელისუფლების სათავეში იყო 1922–43) და მილიტარისტულ იაპონიასთან ერთად გააჩაღა II მსოფლიო ომი, რომელიც მათი მარცხით დამთავრდა. **ფ**-ის ლოზუნგები, რომლებიც ახალი ვითარების შესაბამისად არის შეცვლილი, ამჟამად ზოგიერთ ქვეყნებში ნეოფაშიზმად არის რეანიმირებული.

ფელდეგერი (გერმანული feld – ველი, Jager – მონადირე), სამხედრო ან სამთავრობო კურიერი უნტერ-ოფიცრის წოდებით. მისი დანიშნულებაა, როგორც წესი, მნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტების ადრესატამდე მიტანა. **ფ**-ები პირველად გაჩნდნენ *პრუსიაში* 1796 წელს.

ფენილი სროლა, არტილერიის სროლა 20^0-მდე ლულის ამაღლების კუთხის დროს. ძირითადად გამოიყენება პირდაპირი დამიზნებით დაზიანებისთვის. **ფ.ს**-ის მანძილის ფარგლებში განასხვავებენ: პირდაპირი გასროლის მანძილზე სროლას და რიკოშეტულ სროლას.

ფენილი ცეცხლი, ცეცხლი, რომლის ტრაექტორია მიწის ზედაპირის პარალელურია.

ფერლ-ჰარბორი, აშშ-ის სამხედრო საზღვაო ბაზა ჰავაის კუნძულებზე. 1941 წლის 7 დეკემბერს, დილით, იაპონური ავიამზიდებიდან ცაში აჭრილმა თვითმფრინავებმა ომის გამოუცხადებლად იერიში მიიტანეს **ფ.-ჰ**-ზე, სადაც იმყოფებოდა 70-მდე საბრძოლო ხომალდი და 394 თვითმფრინავი. ჩაძირეს და მძიმედ დააზიანეს 18 გემი, მათ შორის 8 სახაზო ხომალდი; გაანადგურეს 188 თვითმფრინავი, დაიღუპა 3,6 ათ. კაცი. იაპონელებმა დაკარგეს დაახლოებით 100 თვითმფრინავი და 6 წყალქვეშა ნავი (მათ შორის 5 ზემცირე). ამ ოპერაციის შედეგად წყნარ ოკეანეში დროებით იაპონიის შეიარაღებული ძალები გაბატონდნენ. ამ მდგომარეობამ მათ საშუალება მისცა განევითარებინათ ფართომასშტაბიანი შეტევითი მოქმედებები.

ფილაკვანი, ლოდის სატყორცნი მანქანა.

ფილთა-თოფი, ფ ი ლ თ ა ი, გ ლ უ ვ ლ უ ლ ი ა ნ ი, საფანტის სასროლი იარაღი. გავრცელდა XV საუკუნის II ნახევრიდან. ტენიდნენ ლულიდან ზუმბით, ხოლო დენთს აფეთქებდნენ საფალიედან მბჟუტავი, დაგრეხილი და გასანთლული ფილთა ჭრაქით – პატრუქით. **ფ.-თ**-ს უპირატესად ფრინველზე სანადიროდ ხმარობდნენ.

ფილიპინები (Philippines – ფილიპინების რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ფილიპინების არქიპელაგის კუნძულებზე (7.000-ზე მეტი, მათგან მხოლოდ 800 დასახლებული). ფართობი 300 ათ. *კმ²*. მოსახლეობა – 93,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ტაგალური. დედაქალაქი – ქ. მანილა. ადმინისტრაციულად იყოფა 75 პროვინციად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობის პირველი აღიარება მოხდა 1898 წელს, მეორე 1943 წელს. **ფ.** აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. განვითარებულია სამთომოპოვებითი (რკინა, სპილენძი, ქრომი, ნიკელი, ოქრო, ვერცხლი, ქვანახშირი), ქიმიური, ნავთობგადასამუშავებელი, მეტალურგიული, ელექტრონული და სხვა მრეწველ-

ობა. სოფლის მეურნეობის მთავარი კულტურებია: ქოქოსის პალმა, შაქრის ლერწამი, თამბაქო, ციტრუსი და ტროპიკული ხილი. მსხვილი საზღვაო პორტებია: მანილა, ბატანგასი, ლეგასპი, სებუ, დავაო, ილოილო. საერთაშორისო აეროპორტი – მანილა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 125 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 86 ათ., სამხედრო-საჰაერო 15 ათ. და სამხედრო-საზღვაო 24 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებით.

ფიზიკური აღზრდა (შეიარაღებულ ძალებში), სამხედრო მოსამსახურეების აღზრდის ნაწილი, რაც მიზნად ისახავს ჯანმრთელობის გაკაჟებას, ადამიანის ორგანიზმის ჰარმონიულ განვითარებას. პირადი შემადგენლობის ფიზიკური კულტურის მდგომარეობის ერთ-ერთი მაჩვენებელი. **ფ.ა**-ის ძირითადი საშუალებაა ფიზიკური ვარჯიში, ორგანიზმის გაწვრთნა, გაკაჟება და მეომრის პირადი ჰიგიენა.

ფიზიკური მომზადება, ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური სრულყოფა საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. ამავე დროს არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების საგანი. ეწყობა და ხორციელდება შეიარაღებული ძალების სახეობის, დანიშნულების და იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებსაც განაპირობებს სამხედრო სამსახური.

ფინდიხი, *კარტეჩი*, 1. ახლო მანძილზე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დასაზიანებელი საარტილერიო ჭურვი. XIV–XVI საუკუნეებში მზადდებოდა წვრილი ქვებისა და რკინის ნაჭრებისაგან. XVII–XIX საუკუნეებში – ტყვიის ან თუჯის ბურთულებით სავსე ჭურვი, რომლის კორპუსი მზადდებოდა ლითონის ან მუყაოსაგან. 2. მსხვილ დიამეტრიანი (5 *მმ*-ზე მეტი) სანადირო საფანტი.

ფინეთი (Finland – ფინლანდიის რესპუბლიკა), სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში. ქვეყანას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ბალტიის ზღვის ბოტნიის, ხოლო სამხრეთით – ფინეთის ყურეები. ფართობი 338 ათ. *კმ*². მოსახლეობა 5,3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფინური და შვედური. დედაქალაქი – ქ. ჰელსინკი. ადმინისტრაციულად იყოფა 12 ლიანად (გუბერნია). საკანონმდებლო ძალაუფლებას ფლობს პრეზიდენტი და ერთპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელს – პრეზიდენტი და მთავრობა. **ფ**-მა დამოუკიდებლობა აღიარა 1917 წელს რუსეთის იმპერიიდან გამოსვლით. რესპუბლიკად გამოცხადდა 1919 წელს. **ფ**. განვითარებული ინდუსტრიალ-აგრარული ქვეყანაა. მისდევენ მეცხოველეობას და თევზჭერას. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ხე-ტყის დამუშავება, ცელულოზა-ქაღალდის წარმოება. განვითარებულია მეტალურგია, ქიმიური, კვების მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო და ცეცხლსასროლ სისტემებს, საბრძოლო აღჭურვილობას. ძირითადი საზღვაო პორტებია: ჰელსინკი, კოტკა, ტურკუ, ჰამინა. საერთაშორისო აეროპორტი – ვანტა (ჰელსინკი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 22,6 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 16 ათ., სამხედრო-საჰაერო 2,7 ათ., სამხედრო-საზღვაო 3,9 ათ.; რეზერვი 350 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

ფირცხალაიშვილი ჯონი მიხეილის ძე (დ. 1947), საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1991–92), გენერალური შტაბის უფროსი (1998–2003). გენერალ-მაიორი (1988), გენერალ-ლეიტენანტი (1999). დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი (1970), მოსკოვის მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემია. სამხედრო მრჩეველი ეთიოპიაში. მსახურობდა საბჭოთა არმიაში (1972–91), საქართველოს სამხედრო კომისარი (1989–91). სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე ქართულ ჯარში (1994–2003). „ვახტანგ გორგასლის“ ორდენის სრული კავალერი (I, II, III ხარისხის, 2003).

ფიჯი (Fiji – ფიჯის კუნძულების რესპუბლიკა), სახელმწიფო ფიჯის კუნძულებზე, წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში (სულ 300 კუნძული, მათგან 100 დაუსახლებელი). ფართობი 18,3 ათ. *კმ*². მოსახლეობა – 854 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ინგლისური. დედაქალაქი – ქ. სუვა. ადმინისტრაციულად იყოფა 4 ოლქად. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1970 წელს. **ფ**-ს კუნძულები აღმოაჩინეს ევროპელებმა, ჰოლანდიელმა ა. ტასმანმა 1643 წელს და ინგლისელმა ჯ. კუკმა 1774 წელს. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო ტურიზმი და შაქრის მრეწველობა. განვითარებულია საფეიქრო, ხის დამამუშავებელი მრეწველობა, მეთევზეობა. საზღვაო პორტებია: სუვა, ლაუტოკა, ლევუკა, ლამბასა. საერთაშორისო აეროპორტი – ნანდი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 3,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 3,2 ათ. და სამხედრო-საზღვაო 0,3 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ფლანგების და პირაპირების უზრუნველყოფა, ოპერატიულ-ტაქტიკური ღონისძიებები და ჯარების მოქმედებები, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის უეცარი შეტევების და დარტყმების აცილება ნაწილების, შენაერთების და გაერთიანებების ფლანგებზე და მათ შორის პირაპირებაზე. ასევე – ამ შეტევების და დარ-

ტყმების მოგერიება საბრძოლო (ოპერატიული) ამოცანის შესრულების დროს, **ფ.დ.პ.უ**-ის საიმედოობის მიღწევა თითოეულ ფლანგზე და პირაპირებაზე პასუხისმგებლების დანიშვნით; ფლანგური ნაწილების, შენაერთების და გაერთიანებების ურთიერთქმედებით და მათ შორის უწყვეტი კავშირის არსებობით; დაზვერვის უწყვეტი წარმოებით; ფლანგების და პირაპირების დაფარვისთვის მანევრის ძალების და საშუალებების გამოყოფით; საცეცხლე დარტყმების დაგეგმვით, ფლანგების და პირაპირების მიმართულებით საცეცხლე სისტემის ორგანიზებით; საინჟინრო ღობურების შექმნით; ჩასაფრების და საბრძოლო დაცვის ორგანიზაციით.

ფლანგი (ფრანგული – flanc), მწყობრის მარჯვენა ან მარცხენა განაპირა მხარე, ჯარების (ძალების) საბრძოლო წყობის (ოპერატიული დაწყობის) მარჯვენა, ან მარცხენა მხარე. **ფ.**, როგორც წესი, წარმოადგენს საბრძოლო წყობის (ოპერატიული დაწყობის) შედარებით სუსტ ნაწილს, ამიტომ საბრძოლო მოქმედებების დროს მხარეები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ მოწინააღმდეგის **ფ**-ები და მიაყენონ მას დარტყმა. განსაკუთრებით საშიშია მოწინააღმდეგის გასვლა ღია **ფ**-ზე.

ფლანგური ცეცხლი, იხ. *ცეცხლი.*

ფლანგური დარტყმა, მოწინააღმდეგის ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ფლანგზე დარტყმა მისი მთავარი დაჯგუფების ზურგში შემდგომი გასვლით. გამოიყენება მოწინააღმდეგის ღია ფლანგების ან ოპერატიულ დაწყობაში (საბრძოლო წყობაში) რღვეულის (გარღვევის) არსებობის შემთხვევაში. **ფ.დ**-ის მიყენება, როგორც წესი, წარმოებს ძალებით, რომლებიც ახორციელებენ შემოვლას.

ფლოტი (ფრანგული – flotte, ჰოლანდიური – vloot), 1. ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება მთელი რიგი დიდი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და სამხედრო-საზღვაო ძალებში. განკუთვნილია სტრატეგიული, ოპერატიულ-სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების შესასრულებლად მისთვის დანიშნულ საოპერაციო ზონაში, ასევე საომარი მოქმედებების საოკეანო (საზღვაო) თეატრზე დამოუკიდებლად და/ან შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების გაერთიანებებთან და შენაერთებთან ურთიერთმოქმედებით. ორგანიზაციულად **ფ**. შედგება სხვადასხვა გვარეობის ძალებისაგან (წყალქვეშა, წყალზედა, საზღვაო ავიაცია და სანაპირო ჯარები), რომლებიც გაერთიანებული არიან ფლოტილიებად, ესკადრებად, დივიზიებად, ბრიგადებად და სხვა. გარდა ამისა, **ფ**-ის შემადგენლობაში შედის სპეციალური ჯარების შენაერთები და ნაწილები (სადაზვერვო, საზღვაო-საინჟინრო, რადიაციული, ქიმიური, ბიოლოგიური დაცვის, რადიოტექნიკური და სხვა). **ფ**-ს სათავეში უდგას სარდალი (ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალებში – მთავარსარდალი). **ფ**-ს აქვს მართვის, ბაზირების სისტემები (სამხედრო-საზღვაო ბაზები, ბაზირების პუნქტები, აეროდრომები და სხვა), აგრეთვე უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სანაპირო ნაწილს, დაწესებულებას და სამსახურს (**ფ**-ის ლოგისტიკის, კავშირგაბმულობის, შეიარაღების, გემსარემონტო, ტექნიკური უზრუნველყოფის, საძიებო-სამაშველო და სხვა). **ფ**-ის შემადგენლობაში შეჰყავთ უზრუნველყოფის გემები. დიდ სახელმწიფოებს (აშშ-ს, რუსეთს და სხვებს) რამდენიმე **ფ**. ჰყავთ. ქვეყნებში, რომლებსაც შედარებით მცირე სამხედრო-საზღვაო ძალები ჰყავთ, **ფ**-ები, ჩვეულებრივ, არ იქმნება; 2. სხვადასხვა ხომალდების, გემების და მცურავი საშუალებების კრებითი (ზოგადი) სახელწოდება. ამა თუ იმ უწყებისადმი კუთვნილების მიხედვით განასხვავებენ სამხედრო-საზღვაო, საზღვაო (სატრანსპორტო, სარეწაო, საექსპედიციო და სხვა), სამდინარო **ფ**-ებს; ენერგეტიკული დანადგარების და ტექნიკური აღჭურვის მიხედვით – ატომურ, ორთქლის, ნიჩბიან, იალქნიან **ფ**-ებს. ტერმინი „ფლოტი“ იხმარება აგრეთვე მთლიანად ავიაციის ან საავიაციო გაერთიანებების კონტექსტში.

ფლოტილია, 1. ოპერატიული გაერთიანება, ოპერატიულ-ტაქტიკური შენაერთი მთელი რიგი სახელმწიფოების სამხედრო-საზღვაო ფლოტში (სამხედრო-საზღვაო ძალებში). გამოყენების რაიონის მიხედვით განასხვავებენ ზღვის, ტბის და მდინარის **ფ**-ებს. ორგანიზაციის მიხედვით – ცალკეულ ან ფლოტის შემადგენლობაში შემავალს; შემადგენლობის მიხედვით – სხვადასხვა გვარეობის ან ერთი გვარეობის ძალების **ფ**-ებს. არსებობს სხვა **ფ**-ებიც: მაგალითად, საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო ძალების ავიაციაში **ფ**. ეწოდება ნავსაწინააღმდეგო თვითმფრინავების (შვეულმფრენების) რამდენიმე ქვედანაყოფის ფორმირებას.

ს ა ზ ღ ვ ა ო **ფ.**, მთელი რიგი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებში განკუთვნილია ოპერატიული ამოცანების შესასრულებლად საომარი მოქმედებების საოკეანო (საზღვაო) თეატრის ერთ საოპერაციო მიმართულებაზე, აგრეთვე დახურულ ზღვაში, როგორც დამოუკიდებლად, ისე სამხედრო-საზღვაო ძალების და შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების შენაერთებთან (გაერთიანებებთან) ურთიერთქმედებით. შეიძლება შედგებოდეს შენაერთების, წყალქვეშა ნავების, წყალზედა ხომალდების და კატარღებისაგან, სანაპირო ჯარების, სპეციალური ჯარების ნაწილებისაგან, ლოგისტიკის შენაერთების ნაწილებისაგან. **ფ**-ს ოპერატიულ დაქვემდებარებაში შეიძლება გადაეცეს საზღვაო ავიაციის ნაწილები. სამხედრო-საზღვაო ფლოტში (სამხედრო-საზღვაო ძალებში) შეიძლება გაერთი-

ანდეს ძალების ერთი გვარეობის რამდენიმე შენაერთი: წყალქვეშა ნავების, საესკადრო ნაღმოსნების, ნავსაწინააღმდეგო ხომალდების **ფ**-ები და სხვა.

ს ა მ დ ი ნ ა რ ო **ფ**., განკუთვნილია სახმელეთო ჯარების ხელშეწყობისათვის საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას მდინარეების აუზებში მოწინააღმდეგის სამდინარო ხომალდების, გემების და სადესანტო საშუალებების განადგურების, მის ობიექტებსა და ჯარებზე დარტყმების მიყენების, დესანტის გადასხმის, ჯარების გადაყვანის და სხვა ამოცანების შესრულების გზით. **ფ**-ის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს სამდინარო ხომალდების რამდენიმე ბრიგადა და ლოგისტიკის ნაწილები. 2. სამოქალაქო გემების გაერთიანება საქმიანობის მიხედვით – თევზსაჭერი, ვეშაპსანადირო **ფ**-ები და სხვა.

ტ ბ ი ს **ფ**., განკუთვნილია სახმელეთო ძალების ხელშეწყობისათვის ტბისპირა რაიონებში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს, მოწინააღმდეგის ხომალდების და გემების განადგურების, მისი სამხედრო გადაზიდვების ჩაშლის, სანაპირო ობიექტებზე დარტყმების მიყენების, საკუთარი კომუნიკაციების დაცვის, დესანტის გადასხმისა და სხვა ამოცანების შესრულების დროს. **ფ**-ის შემადგენლობაში შეჰყავთ სხვადასხვა კლასის ხომალდების და კატარღების შენაერთები, ლოგისტიკის ნაწილები და დაწესებულებები; ზოგჯერ – სანაპირო არტილერიის ნაწილები. საომარი მოქმედებების დაწყებისას ტბის **ფ**-ს, ჩვეულებრივ, დაჯგუფების ოპერატიულ დაქვემდებარებაში გადასცემენ. იქმნება, როგორც წესი, ომიანობის დროს.

ფლოტის ლოგისტიკა, ლოგისტიკის შენაერთები და ნაწილები, რომლებიც უშუალოდ ექვემდებარებიან **ფ.ლ**-ის მართვის ორგანოებს და განკუთვნილი არიან ფლოტის ძალების ლოგისტიკური და სხვა სახეობის უზრუნველსაყოფად.

ფლოტის ოპერაცია, ფლოტილიების და ესკადრების მიზნების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების – ასევე ფლოტის გაერთიანებების და შენაერთების ცალკეული საზღვაო ოპერაციების და საბრძოლო მოქმედებების ერთობლიობა. **ფ.ო**. ტარდება შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების გაერთიანებებთან და შენაერთებთან ურთიერთქმედებით, ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით საოკეანო (საზღვაო) საბრძოლო მოქმედებების თეატრზე ოპერატიულ-სტრატეგიული ან ოპერატიული ამოცანების გადასაწყვეტად.

ფლოტის სახომალდო ძალების დაცვა, საბრძოლო მოქმედებების და ღონისძიებების კომპლექსი თავდაცვის და დაცვის ყველა სახეობის სისტემაში. მისი მიზანია, არ დაუშვან მოწინააღმდეგის ავიაციის, წყალქვეშა ნავების და წყალზედა ხომალდების უეცარი თავდასხმა; უზრუნველყონ საკუთარი სახომალდო ძალებისათვის საჭირო დრო და ხელშემწყობი პირობები საბრძოლო წყობად განლაგებისა და საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის. მისი ორგანიზება ხდება ხომალდთა შენაერთების ყოფნისას ბაზაში, ზღვით გადასვლის და ბრძოლის დროს. შედგება ახლო და შორი დაცვისაგან, ხორციელდება მზირი (მზვერავი) ხომალდების, ავიაციის, ტაქტიკური დაზვერვის ჯგუფების, რადიოლოკაციური მზირების, საჰაერო თავდაცვის, ნავსაწინააღმდეგო თავდაცვის, კატარღასაწინააღმდეგო და ნაღმსაწინააღმდეგო უზრუნველყოფის, რადიოელექტრონული ბრძოლის შემადგენლობაში გამოყოფილი ძალებით.

ფლოტის ძალების ბაზირება, ფლოტის ნაწილების (ხომალდების), შენაერთების (გაერთიანებების) მიერ სამხედრო-საზღვაო ბაზების, ნავსადგურების, აეროდრომებისა და სხვა იმ ობიექტების გამოყენება, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო პირობებს მათი განლაგების და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისთვის, ყოველდღიური საქმიანობის და საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის. **ფ.ძ.ბ**. შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი (მანევრული), ძირითადი (ზურგისა) და მეწინავე. მისი საშუალებები არის: სტაციონარული და მოძრავაი (სანაპირო და მცურავი). საომარი მოქმედებების საზღვაო (საოკეანო) თეატრზე მოწყობილი ობიექტების ერთობლიობა შესაბამის ძალებთან, სტაციონარულ და მოძრავ საშუალებებთან შეადგენს **ფ.ძ.ბ**-ის სისტემას.

ფლოტის ძალების ბაზირების რაიონი (ზონა), სანაპიროს ნაწილი მიმდებარე აკვატორიით, რომელიც მოწყობილია ფლოტის ძალების ბაზირებისათვის. მოიცავს სამხედრო-საზღვაო ბაზას, ბაზირების ძირითად და სამანევრო პუნქტებს, ხომალდების დაშორიშორებული დგომის პუნქტებს, სააეროდრომო კვანძებს.

ფლოტის ძალების საჰაერო თავდაცვა, ორგანიზაციული ღონისძიებების და საბრძოლო მოქმედებების კომპლექსი, რომლის მიზანია მოიგერიოს საჰაერო მოწინააღმდეგის თავდასხმა, დაფაროს ძალები ზღვაში და ბაზირების პუნქტებში. ასევე დაიცვას ფლოტის სანაპირო ობიექტები ჰაერიდან მოსალოდნელი დარტყმებისაგან. ხორციელდება სამხედრო-საზღვაო ძალების გაერთიანებების, შენაერთების დაჯგუფებების მიერ წარმოებული ოპერაციებით და საბრძოლო მოქმედებებით, ზღვაზე გადასვლის დროს (ცალკეული ხომალდების, შენაერთების, ტაქტიკური ჯგუფების). ასევე – ფლოტის ძალების ყოველდღიურ საბრძოლო საქმიანობაში საზენიტო საცეცხლე საშუალებებით, დაზვერვის, რადი-

ოელექტრონული ბრძოლისა და ხომალდების, სანაპირო ნაწილების, ქვედანაყოფების შენიღბვის საშუალებებით და ფლოტის სახომალდო ბაზირების გამანადგურებელი ავიაციით. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების ზღვისპირა გაერთიანებების საჰაერო თავდაცვის ძალებთან და საშუალებებთან ურთიერთქმედებით. **ფ.ძ.ს.თ**-ის ინტერესებისათვის წარმოებს დაზვერვა და თვალთვალი საჰაერო მოწინააღმდეგეზე. იქმნება გამანადგურებელი ავიაციის დაფარვის და საზენიტო ცეცხლის, რადიოელექტრონული ბრძოლის მართვის და კავშირგაბმულობის სისტემა. ხდება ურთიერთქმედების ორგანიზება ფლოტის საჰაერო თავდაცვის საშუალებებსა და სხვადასხვა გვარეობის ძალებს შორის. ასევე – შეიარაღებული ძალების სხვა სახეობების ზღვისპირა გაერთიანებების საჰაერო თავდაცვის საშუალებებსა და ძალებს შორის.

ფლოტის ძალების ხელახალი გაშლა, საომარი მოქმედების საზღვაო თეატრზე გაერთიანებების (შენაერთების) ადრე არსებული ძალების დაჯგუფების შეცვლა. ხორციელდება ცალკეული ხომალდების და ფლოტის ნაწილების ერთი რაიონიდან სხვა რაიონებში გადაადგილების გზით. მისი მიზანია ახალი დაჯგუფებების შესაქმნელად ან არსებულთა გასაძლიერებლად ცალკეულ მიმართულებებზე ძალების თანაფარდობის თავის სასარგებლოდ შეცვლა.

ფოლკლენდის ომი (ინგლისური Falklands War, ესპანური Guerra de las Malvinas), სამხედრო კონფლიქტი დიდ ბრიტანეთსა და არგენტინას შორის ფოლკლენდის კუნძულებისათვის. ატლანტის ოკეანის სამხრეთ ნაწილში (650 *კმ.* სამხრეთ ამერიკის სანაპიროდან) მდებარე ამ არქიპელაგს დიდი სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ფოლკლენდის კუნძულები (არგენტინაში მათ მალვინის კუნძულებს უწოდებენ) სადავო ტერიტორიაა 1833 წლიდან, მას შემდეგ, რაც ინგლისელებმა აქედან განდევნეს არგენტინელი მოახალშენეები, ხოლო არქიპელაგი თავის კოლონიად გამოაცხადეს. 1963 წლის გაეროს რეზოლუციით, ფოლკლენდის არქიპელაგი დეკოლონიზაციას ექვემდებარება. ბრიტანეთმა ამ გადაწყვეტილების განხორციელებაზე უარი განაცხადა. 1982 წლის 2 აპრილს ომის გამოუცხადებლად კუნძულებზე არგენტინის ჯარები გადასხდნენ და სწრაფად განაიარაღეს მცირერიცხოვანი ბრიტანული გარნიზონი. პასუხად, ინგლისმა კონფლიქტის რაიონში საბრძოლო ხომალდების რაზმი გაგზავნა 8-ათასიანი დესანტით. ინგლისის ჯარებმა ზღვიდან და ჰაერიდან ბლოკადაში მოაქციეს არქიპელაგი და 21 მაისს დესანტი გადასხეს მის ტერიტორიაზე. დესანტის ძალებმა 13 ივნისს დაიკავეს ფოლკლენდის კუნძულების ადმინისტრაციული ცენტრი პორტ-სტენლი და არგენტინული სამხედრო დაჯგუფება აიძულეს კაპიტულაცია ეღიარებინა.

ფონი, მდინარის ან ნებისმიერი წყლიანი გადასასვლელის წყალდაბალი ადგილი, რომლის გადალახვა შეიძლება ხიდის, ნავის, ტივის ან ბორნის გამოუყენებლად.

ფონით გადასასვლელი, იხ. *გადასასვლელი.*

ფორმირება, სამხედრო ძალების ორგანიზება ცალკეული ამოცანის მიხედვით, რომელთა საბოლოო მიზანია განსაკუთრებული დავალების შესრულება.

ფორმულარი, იარაღის ან სამხედრო ტექნიკის ნიმუშის ძირითადი ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე დოკუმენტი, რომელიც ასახავს მათ ტექნიკურ მდგომარეობას ექსპლუატაციის პროცესში. სამხედრო-საზღვაო ძალებში აწარმოებენ ხომალდის ტაქტიკურ **ფ**-ს.

ფორსირება (ფრანგული force – გაძლიერება), 1. ნებისმიერ საქმიანობაში რისამე დაჩქარება, დაძაბულობის ან ტემპის გაძლიერება. 2. სამხედრო ხელოვნებაში – ბუნებრივი დაბრკოლებების, უმეტესად წყლისმიერი, ჯარების მიერ ბრძოლით გადალახვა. წყალქვეშა ნავების, ხომალდების მიერ ნაღმური წინაღობების ან წყალქვეშა ნავების მიერ მოწინააღმდეგის ნავსაწინააღმდეგო ზღუდის გადალახვა. ზოგიერთ ქვეყანაში ტერმინი „ფორსირება“ გამოიყენება სახმელეთო ჯარების მიერ წინაღობების და დაბრკოლებების (ნაღმების ველი, დასნებოვნების, ნგრევის ზონები და სხვა) გადალახვის დროს.

ფორტი (ფრანგული fort, ლათინური fortis – ძლიერი), ღია ან დახურული ტიპის ცალკეული სიმაგრე, რომელიც შედგება ერთი, ან რამდენიმე საფორტიფიკაციო ნაგებობისგან. **ფ**-ის მშენებლობა დაიწყეს XVIII საუკუნეში. პირველად იქმნებოდა როგორც ციხესამაგრის ან საველე გამაგრებული პოზიციის ნაწილი. ღია ტიპის **ფ**-ს, ფართობით 4–5 *ჰა*, ჰქონდა 1–2 მიწაყრილი, რომლის წინ თხრილები ეწყობოდა. მიწაყრილების უკან თავსდებოდნენ საარტილერიო ქვემეხები და ქვეითები. დახურული ტიპის **ფ**. XVIII საუკუნეში შენდებოდა მრავალსართულიანი ქვის კოშკების სახით, რომლებსაც ჰქონდათ ქვემეხების ამბრაზურები. მოგვიანებით დაიწყეს ბასტიონის ტიპის **ფ**-ის შენება (მაგალითად, ფრანგული **ფ**. შედგებოდა 4–5 ბასტიონისგან 40–50 ქვემეხისთვის). I მსოფლიო ომის შემდეგ **ფ**. გამოიყენებოდა როგორც გამაგრებული რაიონის ნაწილი.

ფორტიფიკაცია (ლათინური fortificatio – გამაგრება, სიმაგრე), სამხედრო-საინჟინრო ხელოვნების დარგი, რომელიც მოიცავს ადგილმდებარეობის გამაგრების (საფორტიფიკაციო მოწყობის) თეორიას და პრაქტიკას როგორც ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებების და ტერიტორიის წინასწარი სამხედრო-

საინჟინრო მომზადების დროს, ისე ომის მსვლელობისას. ამის მიხედვით **ფ.** არის ხანგრძლივი და საველე (საჯარისო).

ფოტოგრამმეტრია (ბერძნული photos – სინათლე, gramma – ჩაწერა და metreo – ვზომავ), სამეცნიერო-ტექნიკური დისციპლინა, რომელიც სწავლობს ობიექტების ფორმის, ზომის, მდებარეობის განსაზღვრის თეორიას და პრაქტიკულ ხერხებს მათი ფოტოგრაფიული გამოსახულებებით. სურათების მიღების ხერხების მიხედვით განასხვავებენ სახმელეთო და აეროფოტოგრამმეტრიას. სამხედრო საქმეში **ფ.** გამოიყენება სპეციალური რუკების, ფოტოდოკუმენტების, მიზნების და ჯარების განლაგების კოორდინატების, სამხედრო ობიექტების ზომების და განლაგების განსაზღვრისა და სხვა მიზნებისთვის.

ფოტოგრამმეტრიული დაზვერვა, სადაზვერვო მონაცემების მიღების ხერხი დედამიწის ზედაპირის და ობიექტების ფოტოგრაფიული (ფოტოსატელევიზიო), რადიოლოკაციური, სითბური და სხვა გამოსახულებების დამუშავების გზით. **ფ.დ.** წარმოებს ძირითადად არტილერიის და სარაკეტო ჯარების შტაბების ინტერესებისათვის. **ფ.დ**-ის შედეგები გამოიყენება სპეციალური რუკების, ფოტოდოკუმენტების შექმნისას; ფოტოგადაღებების მიხედვით – მიზნების და ჯარების საბრძოლო წყობის კოორდინატების განსაზღვრისას; სამხედრო ობიექტების ზომების და მდებარეობის შესახებ ცნობების მისაღებად, საინჟინრო ნაგებობების დეფორმაციის განსაზღვრისათვის. ასევე იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომლებიც უკავშირდება ზუსტ გაზომვებს ფოტოსურათების მიხედვით.

ფოტოგრაფიული საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ფოტოდაზვერვა, სადაზვერვო მონაცემების მიღება მოწინააღმდეგის საცეცხლე დაზიანების, ავიაციის და ფლოტის ძალების, ჯარების და ლოგისტიკის ობიექტების განლაგების, ადგილმდებარეობის ხასიათის, მისი საინჟინრო მოწყობის შესახებ და სხვა. იგი ხორციელდება დედამიწიდან, საფრენი აპარატებიდან და ხომალდებიდან.

ფრაგმენტული ბრძანება, ოპერატიული ბრძანების მოკლე ფორმა, რომელიც გაიცემა შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე და მიზნად ისახავს ძირითადი ოპერატიული ბრძანების შევსება-დამატებას.

ფრანგული, ფეოდალურ საქართველოში, ძირითადად ხევსურეთში, გავრცელებული ხმლის სახე, სწორი და ცალფხიანი *ხმალი*, ხშირად ლათინური წარწერებით. ასეთი ხმლის პირები გვიანდელ შუა საუკუნეებში შემოჰქონდათ დასავლეთ ევროპიდან („ფრანგის ქვეყნიდან“ – აქედანაა სახელწოდება), ხოლო ვადასა და ქარქაშს ადგილობრივ ამზადებდნენ. ტერმინი „ფრანგული“ პოპულარული იყო ქართულ ხალხურ პოეზიასა და ლიტერატურაში.

ფრანკფურტის ზავი 1871, საზავო ხელშეკრულება გერმანიასა და საფრანგეთს შორის, რითაც დასრულდა *საფრანგეთ-პრუსიის ომი.* ხელმოწერილ იქნა 1871 წლის 10 მაისს მაინის ფრანკფურტში. **ფ.ზ**-ის მიხედვით, გერმანიამ საფრანგეთს ჩამოართვა ელზასი და აღმოსავლეთ ლოთარინგია და დააკისრა კონტრიბუცია 5 მლრდ ფრანკის ოდენობით, რომლის გადახდამდე საფრანგეთში რჩებოდა გერმანიის საოკუპაციო ჯარი. **ფ.ზ**-მა ევროპაში შექმნა ძალთა ახალი განლაგება და დაძაბულობის გამწვავების ფაქტორად იქცა. **ფ.ზ**-ის პირობები გაუქმდა 1919 წლის *ვერსალის საზავო ხელშეკრულებით.*

ფრეგატი (ჰოლანდიური fregat, ფრანგული frégate), 1. XVIII–XIX საუკუნეებში აფრიან სამხედრო ფლოტში სამანძიანი ხომალდი მძლავრი შეიარაღებით (60 ქვემეხი), რომლის მთავარი დანიშნულება იყო საზღვაო კომუნიკაციებზე მოქმედება. 2. II მსოფლიო ომში **ფ.** ეწოდებოდა აშშ-ში აშენებულ საპატრულო (საესკორტო) ხომალდებს (წყალწყვა 1500 *ტ*-მდე). 3. თანამედროვე **ფ**-ის წყალწყვა აღწევს 8000 *ტ.*, სიჩქარე აღემატება 30 *კვანძს* (55,5 *კმ/სთ*), მისი დანიშნულებაა წყალქვეშა ნავების აღმოჩენა და განადგურება, ხომალდებისა და ტრანსპორტის (ნავსაწინააღმდეგო, ჰაერსაწინააღმდეგო და რაკეტსაწინააღმდეგო) დაცვა. არის დაახლოებით 50 სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში.

ფრენის გეგმა, კონკრეტული ინფორმაცია საფრენი აპარატის დაგეგმილი ფრენის ან ფრენის ეტაპის შესახებ, რომელიც საჰაერო მოძრაობის მართვის ორგანოს გადაეცემა.

ფრენის დრო (საჰაერო თავდაცვაში), მოწინააღმდეგის საჰაერო თავდასხმის საშუალებების ფრენის დრო მათი აღმოჩენის მომენტიდან საზენიტო-სარაკეტო დივიზიონების (ბატარეების) საბრძოლო მოქმედებების ან გამანადგურებელ-დამჭერით საჰაერო მიზნების განადგურების საზღვრამდე; სამხედრო-საჰაერო ძალებში – საფრენი აპარატის ფრენის დრო აეროდრომიდან, გაშვების ზონიდან (რაიონიდან) მოცემულ მიზნამდე.

ფრენის ინფორმაციის ცენტრი, ფრენის ინფორმაციის სამსახურის და ავარიული შეტყობინების სამსახურების საინფორმაციო უზრუნველყოფის ორგანო.

ფრენის მანძილი, მანძილი, რომელსაც საფრენი აპარატი ფარავს ფრენის დაწყებიდან დამთავრებამდე. საწვავის მარაგის მიხედვით აეროდინამიკური საფრენი აპარატების **ფ.მ.** დამოკიდებულია მის ტექნიკურ მონაცემებზე, აეროდინამიკურობის ხარისხზე, ფრენის რეჟიმზე (სიჩქარესა და სიმაღლეზე ზღვის დონიდან), გარეთ ჰაერის ტემპერატურაზე, საფრენი აპარატის მასაზე, შეიარაღების და

საწვავის ავზების რაოდენობაზე, ასევე ქარის სიჩქარესა და მიმართულებაზე. ბალისტიკური რაკეტის **ფ.მ.** ძირითადად დამოკიდებულია ფრენის სიჩქარესა და სიმაღლეზე.

ფრენის მართვის ავტონომიური სისტემა, საფრენი აპარატის ბორტზე განლაგებული ფრენის ავტომატური მართვის საშუალებებით წინასწარ მიცემული პროგრამით ფრენა. შეიცავს: მოძრაობის რეგულირებადი პარამეტრების პროგრამულიდან გადახრის საზომ ხელსაწყოებს; გამოთვლით მოწყობილობებს, რომლებიც გაზომილ გადახრებს მართვად კომანდებში გარდაქმნის; საფრენი აპარატის აღმასრულებელ მოწყობილობებს. თანამედროვე **ფ.მ.ა.ს**-ის უმრავლესობა ეფუძნება მართვის ინერციული სისტემების გამოყენებას. მისი უპირატესობა სხვა სისტემებთან შედარებით მდგომარეობს მაღალ დაბრკოლებამედეგობაში.

ფრენის რეჟიმი, ფრენის პარამეტრების მოცემული (მფრინავის მიერ შერჩეული) მნიშვნელობების შედარებით მდგრადი შეთავსება, რომელიც განსაზღვრავს საფრენი აპარატის გადაადგილების ხასიათს და მდგომარეობას ჰაერში (სიმაღლე, სიჩქარე, გადატვირთვები, შეტევის კუთხეები, ძრავის ბრუნვის სიხშირე და სხვა).

ფრენის რუკა, აერონავიგაციური რუკა მარშრუტის შერჩევის, გაყვანის, ფრენის გათვლის, ვიზუალური, რადიოლოკაციური ორიენტირების, გზის კონტროლის, გათვლის საწარმოებლად და სხვა. **ფ.რ**-ად სხვადასხვა მასშტაბის გეოგრაფიული რუკები გამოიყენება.

ფრენის სიმაღლე, ვერტიკალური მანძილი საფრენი აპარატიდან ნულოვანი ზედაპირის დონემდე. შეიძლება იყოს: აბსოლუტური – ზღვის დონის მიხედვით: ფარდობითი – იზობარული ზედაპირის დონემდე (760 *მმ.* ვ.წ. სვეტის); ჭეშმარიტი – ზედაპირამდე, რომლის ზევით მიფრინავს საფრენი აპარატი. **ფ.ს.** იყოფა: ზღვრულად მცირე – 200 *მ*-დე, მცირე – 1000 *მ*-დე, საშუალო – 1000–4000 *მ*-დე, დიდი – 4000–12000 *მ*-დე,; სტრატოსფერული – 12000–40000 *მ*-დე და მეზოსფერული – 40000–80000 *მ*-დე.

ფრენის უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, მიმართული ფრენის დავალებების წარმატებით შესრულებისა და ფრენის უსაფრთხოების მისაღწევად. მოიცავს: საშტურმანო, სააეროდრომო-ტექნიკურ, რადიო-ტექნიკურ, მეტეოროლოგიურ, სამედიცინო, საძიებო-სამაშველო, საპარაშუტო-სამაშველო, ორნიტოლოგიურ უზრუნველყოფას, კავშირით და სანავიგაციო ინფორმაციით უზრუნველყოფას, აგრეთვე ფრენისთვის საავიაციო ტექნიკის და პირადი შემადგენლობის მომზადებას.

ფრენის უსაფრთხოება (საფრენი აპარატების), პირობები, რომლის დროსაც ფრენის შესრულებას არაფერი ემუქრება.

ფრენის ხელმძღვანელობა, საფრენი აპარატების მართვის, მათ მიერ ამოცანების შესრულების და უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებების კომპლექსი. მოიცავს საფრენი აპარატების მოძრაობის მართვას მიწაზე და ჰაერში; საფრენი აპარატების ეკიპაჟების ინფორმაციას საჰაერო, მიწისზედა, მეტეოროლოგიური, ორნიტოლოგიური, რადიაციული და ნავიგაციური ვითარების შესახებ; სათადარიგო აეროდრომების, კავშირგაბმულობის, რადიოტექნიკური უზრუნველყოფის და ფრენის ყველა ეტაპზე საფრენი აპარატის მოძრაობის კონტროლს. **ფ.ხ.** ხორციელდება საკომანდო-სადისპეტჩერო პუნქტიდან, აგრეთვე სასტარტო საკომანდო პუნქტიდან.

ფრენისთვის აკრძალული ზონა, სახელმწიფოს ხმელეთის ზედაპირის და ტერიტორიული წყლების თავზე არსებული გარკვეული საჰაერო სივრცე, რომელშიც საფრენი აპარატების გადაადგილება იზღუდება.

ფრენისთვის მომზადება, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ფრენის დავალების დროულ და უსაფრთხო შესრულებას უზრუნველყოფს. მოიცავს საფრენი აპარატის, ეკიპაჟის, ფრენის მართვის და უზრუნველყოფის საშუალებების მომზადებას. **ფ.მ**-ის მიხედვით განასხვავებენ: საერთოს, წინასწარს, ფრენისწინას და უშუალოს. თითოეული სახეობის რეგლამენტირება ხდება შესაბამისი დოკუმენტებით ან უფროსი მეთაურების მითითებებით.

ფრიდრიხ II *დიდი* (1712–86), პრუსიის მეფე 1740 წლიდან, მხედართმთავარი. მისი დაპყრობითი პოლიტიკის შედეგად (სილეზიის ომები, *შვიდწლიანი ომი*, პოლონეთის პირველი დანაწილება) პრუსიის სამეფოს ტერიტორია თითქმის ორჯერ გაიზარდა. **ფ. II**. თავისი ეპოქის დიდი სამხედრო მოღვაწე იყო. შექმნა დასავლეთ ევროპაში უძლიერესი და საუკეთესო არმია (180–200 ათ. კაცამდე). როგორც მხედართმთავარმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გვიანდელი ფეოდალიზმის ხანის სამხედრო ხელოვნების განვითარებაში. ტაქტიკაში შემოიღი ე.წ. „ირიბი“ საბრძოლო წყობა (ველზე ჯარების ისეთი მოძრაობა, რომ მთელი მასით დარტყმა განხორციელებულიყო მოწინააღმდეგის ერთ-ერთ ფლანგზე), შექმნა ცხენოსანი არტილერია. **ფ. II**-ის სტრატეგიის საფუძველი იყო მანევრირება სამხედრო მოქმედებათა თეატრზე მოწინააღმდეგის თავისივე ბაზებისაგან მოწყვეტის მიზნით. მისმა სამხედრო სისტემამ XIX საუკუნის დამდეგამდე იარსება ევროპაში, სრული მარცხი განიცადა საფრანგეთის რევოლუციურ, შემდეგ კი ნაპოლეონის არმიასთან ბრძოლაში.

ფრონტალური ცეცხლი, ცეცხლი, რომელიც წარმოებს საცეცხლე საშუალებებით, მიზნის (მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობის) ფრონტის პერპენდიკულარულად. იხ. *ცეცხლი.*

ფრონტალური შეტევა, შეტევა, რომლის დროსაც მთავარი მოქმედება ხორციელდება მოწინააღმდეგის ფრონტის პერპენდიკულარულად.

ფრონტების ჯგუფების ოპერაცია, სტრატეგიული მიზნების მისაღწევად წარმოებული შეტევითი ან თავდაცვითი ოპერაცია. დაჯგუფების ოპერაციების მიზნებს, ჩვეულებრივ, წარმოადგენდა: მოწინააღმდეგის სტრატეგიული დაჯგუფებების განადგურება, სტრატეგიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების) დაუფლება, მტრული კოალიციის სახელმწიფოთა ომიდან გამოყვანა. ისინი ეწყობოდნენ 300–1000 *კმ*-იან ზოლებში 200–600 *კმ* სიღრმეზე 12-დან 30 დღემდე და უფრო მეტი ხნის განმავლობაში. ფრონტების ჯგუფის თავდაცვითი ოპერაციების განხორციელების მიზანი იყო ჩაეშალათ მოწინააღმდეგის დაჯგუფებების შემოტევა, მიეყენებინათ მათთვის მნიშვნელოვანი ზარალი, შეენარჩუნებინათ სტრატეგიული თვალსაზრისით დიდმნიშვნელოვანი რაიონები (ზღუდეები) და შეექმნათ პირობები შეტევაზე (კონტრშეტევაზე) გადასასვლელად. **ფ.ჯ.ო** ეწყობოდა 500–800 *კმ* ზოლებში და გრძელდებოდა 20-დან 100 დღემდე და უფრო მეტ ხანს.

ფრონტი (ლათინური front – შუბლი, წინა მხარე), 1. შეიარაღებული ძალების ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება, რომელიც, ჩვეულებრივ, იქმნება ომის დაწყების დროს ჯარების, ზოგჯერ მოკავშირეთა არმიების შესაბამისი გაერთიანებების (შენაერთების) ბაზაზე. იგი განკუთვნილია ოპერატიულ-სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად საომარი მოქმედებების კონტინენტურ თეატრზე ერთ სტრატეგიულ ან რამდენიმე საოპერაციო მიმართულებებზე. სათავეში უდგას **ფ**-ის ჯარების სარდალი (მთავარსარდალი). იგი ახორციელებს ხელმძღვანელობას **ფ**-ის საველე მართვის ორგანოს და **ფ**-ის შტაბის მეშვეობით. ამოცანებს ასრულებს საფრონტო ოპერაციების მოწყობის გზით, როგორც წესი, სხვა **ფ**-ებთან, შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის გაერთიანებებთან (შენაერთებთან) ურთიერთმოქმედებით. ხორციელდება საომარი მოქმედებების თეატრზე შეიარაღებული ძალების სტრატეგიული დაჯგუფების შემადგენლობაში ან დამოუკიდებლად. **ფ**-ის ჯარების საბრძოლო შემადგენლობა განისაზღვრება დასახული ამოცანების, იმ მიმართულებების მნიშვნელობის და ოპერატიული ტევადობის მიხედვით, რომლებზეც ისინი მოქმედებენ, აგრეთვე სხვა პირობებით. ერთი სარდლობით რამდენიმე არმიის გაერთიანება მოხდა რუსეთ-იაპონიის 1904–05 წლების ომში. II მსოფლიო ომის დროს ფრონტის შემადგენლობაში შედიოდა 3–4-დან 8–9-მდე საერთო-საჯარისო, 1–3 სატანკო, 1–2 საჰაერო არმია, რამდენიმე სატანკო, მექანიზებული, კავალერიის კორპუსი და ჯარების სხვადასხვა გვარეობის და სპეციალური ჯარების რამდენიმე ათეულამდე შენაერთი და ნაწილი, აგრეთვე ლოგისტიკის შენაერთები და ნაწილები. გარდა ამისა, ფრონტი შეიძლება გაძლიერდეს მთავარსარდლობის რეზერვის სხვადასხვა შენაერთით და ნაწილით. II მსოფლიო ომის დროს **ფ**-ები იქმნებოდა იაპონიის შეიარაღებულ ძალებშიც, სადაც ისინი ოპერატიულ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ და განკუთვნილი იყვნენ გარკვეულ რეგიონებში მოქმედებისათვის. გერმანიის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის არმიებში ოპერატიულ-სტრატეგიულ გაერთიანებებს წარმოადგენდნენ არმიების ჯგუფები; 2. ხაზი, რომელზეც გაშლილი არიან მეწინავე ქვედანაყოფები (მოწინააღმდეგესთან მათი შეხების ხაზი საომარი მოქმედებების თეატრზე); 3. რაიონი (ზოლი), ზონა, რომელშიც წარმოებს საომარი მოქმედება (ცნებებში „ფრონტი“ და „ზურგი“); 4. ჯარების საბრძოლო წყობის (ოპერატიული დაწყობის) მხარე, რომელიც მოწინააღმდეგისაკენ არის მიმართული. საბრძოლო მოქმედების წარმოებისას განასხვავებენ: შეტევის, იერიშის, მოწინააღმდეგის თავდაცვის გარღვევის **ფ**-ებს და ა.შ.; 5. მწყობრის მხარე, რომელშიც სამხედრო მოსამსახურეები (ასევე საბრძოლო ტექნიკა) პირისპირ დგანან.

ფრონტის ავიაცია, მთელი რიგი ქვეყნების სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენელი ნაწილი, რომელიც გადაიცემა ფრონტების ჯარების სარდლობის ოპერატიულ დაქვემდებარებაში. განკუთვნილია ოპერატიული (ოპერატიულ-ტაქტიკური) ამოცანების გადასაწყვეტად საფრონტო, საარმიო (საკორპუსო) ოპერაციებსა და საერთო-საჯარისო ბრძოლაში, აგრეთვე საჰაერო და საჰაერო თავდაცვის ოპერაციებში საომარი მოქმედების თეატრზე, დესანტსაწინააღმდეგო, საჰაერო-სადესანტო, საზღვაო (საჰაერო-საზღვაო) სადესანტო ოპერაციებში. შედგება სხვადასხვა გვარეობის ავიაციის შენაერთებისა და ნაწილებისაგან (ბომბდამშენი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი, გამანადგურებელი, მოიერიშე, სადაზვერვო და სატრანსპორტო), სპეციალური ჯარების, ლოგისტიკის ნაწილების, ქვედანაყოფებისაგან და სხვა. **ფ.ა.** შეიქმნა I მსოფლიო ომის წლებში. II მსოფლიო ომის დროს მასზე მოდიოდა ჰაერში ბატონობის მოპოვების (შენარჩუნების) და ფრონტების ჯარების საავიაციო მხარდაჭერის ამოცანების ძირითადი მოცულობა.

ფრთოსანი რაკეტა, მართვადი რაკეტა აეროდინამიკური მზიდი ზედაპირებით (ფრთით). განასხვავებენ: სტრატეგიულ (ფრენის მანძილი 1500 *კმ*-ზე მეტი), ოპერატიულ-ტაქტიკურ (150–1500 *კმ*) და ტაქტიკურ (150 *კმ*-მდე), ბგერამდელ და ზებგერით **ფ.რ**-ს. ასევე – სახმელეთო, საზენიტო, საავიაციო, ტაკსაწინააღმ-

დეგო, ხომალდსაწინააღმდეგო, ნავსაწინააღმ-დეგო, რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო და სხვა **ფ.რ**-ებს. მზიდი და მართვადი ზედა-პირების ურთიერთგანლაგების და ზომების მიხედვით შეიძლება ჰქონდეს თვითმფრინავის (ძველი სახელწოდება „თვითმფრინავ-ჭურვი“) ან სარაკეტო აეროდინამიკური სქემა. თვითმ-ფრინავის სქემა, ჩვეულებრივ, გამოიყენება მცირე სიმაღლეზე, დიდ მანძილზე მფრინავ ფრთოსან რაკეტებზე. დიდი გავრცელება პოვა ტრაექტორიის ბოლო მონაკვეთზე მართვის ინერციულმა სისტემამ ადგილმდებარეობის რელიეფის და თვითდამიზნების კორექციით. პირველ ფრთოსან რაკეტად ითვლება გერ-მანული ფაუ-1 (1944). თანამედროვე სტრატე-გიულ ფრთოსან რაკეტებს განეკუთვნებიან: „ტომაგავკი“ (1981) სახმელეთო (BGM – 109G) და საზღვაო (BGM – 109A) ბაზირების, საავი-ციო (AGM – 86B) აშშ-ის, რუსეთის საავი-აციო X–55 (1984) და სახომალდო „გრანატი“ (1987).

ფსიქოლოგიური ბრძოლა, მოწინააღმდეგე მხარეების აქტიური მოქმედება საინფორ-მაციო-ფსიქოლოგიურ სფეროში. წარმოებს მშვიდობიანობის და ომიანობის დროს. **ფ.ბ.** მოიცავს ღონისძიებების კომპლექსს მიმარ-თულს ადამიანების გარკვეული ჯგუფების და ცალკეული პირების რიგ საკითხებზე სასურ-ველი მიმართულებით ქცევითი და ემოციური განწყობის შესაცვლელად. შეიარაღებულ ძა-ლებში ეს ღონისძიებები ხორციელდება მოწი-ნააღმდეგის ჯარების და მოსახლეობის მო-რალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ზეგ-ავლენის მოხდენის მიზნით. ანალოგიური აქ-ციებისადმი წინააღმდეგობის გაწევის, საკუ-თარი ჯარების და მოსახლეობის მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებების განმტკიცებისათ-ვის. მათ განიხილავენ, როგორც სპეციფიკურ იარაღს, რომლის მეშვეობითაც მაღლდება საბრძოლო მოქმედებების ეფექტურობა. **ფ.ბ.** წარმოებს ფსიქოლოგიური ზემოქმედების გან-ხორციელების გზით. მის ძირითად ფორმებს წარმოადგენს: პროპაგანდა ბეჭდვითი, ტელე-რადიო და ინტერნეტ საშუალებებით და სხვა. XXI საუკუნის დასაწყისში **ფ.ბ**-ის საშუალ-ებად იქცა ე.წ. საინფორმაციო იარაღი (რადი-ოელექტრონული ბრძოლის სხვადასხვა საშუ-ალება, ზემაღალი სიხშირის გენერატორები, კომპიუტერული ვირუსები და სხვა). ბევრი განვითარებული სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში არსებობს სპეციალური ორგანოები და ქვედანაყოფები, რომლებიც **ფ.ბ**-ის ამო-ცანების გადაწყვეტაზე მუშაობენ.

ფსიქოლოგიური მუშაობა შეიარაღებულ ძალებში, მეთაურების, შტაბების საქმიანობა სამხედრო მოსამსახურეებისათვის იმ ფსიქ-ოლოგიური თვისებების ჩამოსაყალიბებლად და გასავითარებლად, რომლებიც საჭიროა საბრძოლო მოქმედებების წარმოების, სამსახ-ურებრივი და სასწავლო – საბრძოლო ამო-ცანების შესასრულებლად, ასევე მათი ფსიქ-იკური ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. **ფ.მ.შ.ძ.** არის ჯარების საქმიანობის მორალ-ურ-ფსიქოლოგიური უზრუნველყოფის შემადგ-ენელი ნაწილი.

ფსიქოლოგიური ოპერაცია, მოწინააღმდეგის ჯარებსა და მოსახლეობაზე საინფორმაციო-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც შეთანხმებულია მიზნების, ამოცანების, ადგილისა და დროის მიხედვით. ფსიქოლოგიური ბრძოლის წარმო-ების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი. გამოიყენება დაპირისპირებული მხარის დეზორიენტაციის და დემორალიზაციის, მისი ნების და წინააღ-მდეგობის შემცირებისთვის, აგრეთვე თავისი და მეგობარი სახელმწიფოების მოსახლეობის და შეიარაღებული ძალების პირადი შემად-გენლობის კონსოლიდაციისა და მორალური სულისკვეთების განმტკიცებისათვის. მიზნე-ბის, მასშტაბების და ამოცანების კვალობაზე **ფ.ო**-ები ხორციელდება სტრატეგიულ, ოპერა-ტიულ და ტაქტიკურ დონეზე. მათ განსახ-ორციელებლად იზიდავენ მასობრივი ინფორ-მაციის საშუალებებს, დიპლომატიურ და სადაზვერვო ორგანოებს, სამხედრო ფორ-მირებების მეთაურებს და შტაბებს, შეიარაღე-ბული ძალების ფსიქოლოგიური ბრძოლის სპეციალურ აპარატს.

ფუგასურ-ცეცხლგამჩენი საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ფუგასური საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

ფუგასური საავიაციო ბომბი, იხ, *საავიაციო ბომბი.*

ფუნქციური სარდლობა, ჯარების ორგანიზა-ციის ფორმა, რომელიც მის ფუნქციურ და არა ტერიტორიულ-გეოგრაფიული ნიშნით და-ყოფას ეფუძნება.

ფუჭი საბრძოლო მასალები, საბრძოლო მას-ალები, რომლებიც გამოიყენება საარტილერ-იო ქვემეხებში ან სასროლ იარაღში და რომ-ლის დანიშნულებაა სროლის ხმის იმიტაცია. გამოიყენება სწავლების დროს, საზეიმო ღონ-ისძიებების ჩატარებისას, ფეიერვერკების ხმო-ვანი თანხლებისთვის და მხედრული პატივის მიგებისთვის. წარმოადგენს უკვალო დენთის მუხტს, რომელიც მჭიდროდ არის ჩატენილი საშტატო მასრაში.

ქ

ქალაქში ბრძოლა, იხ. *ბრძოლა.*

ქალები სამხედრო სამსახურში ომებსა და საომარ კონფლიქტებში, სამხედრო სამსახური საუკუნეების მანძილზე მიიჩნეოდა მხოლოდ და მხოლოდ მამაკაცის საქმედ. ქალების სამხედრო სამსახურში მიღება ბევრ ქვეყანაში დაიწყო მასობრივი არმიების გაჩენის შემდეგ. თანამედროვე პირობებში, მშვიდობიანობის დროს, ქალების სამხედრო სამსახურში შესვლა ბევრ ქვეყანაში ხორციელდება ნებაყოფლობით საფუძველზე, კონტრაქტის მიხედვით.

ქარადაქის ბრძოლა 1543, ქართველების ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ სამცხე-საათაბაგოში, რომელიც 1535 წლიდან იმერეთის მეფის, *ბაგრატ III*-ის, სამფლობელოებში შედიოდა. ოსმალთა 22 ათ-ანი ლაშქარი, რომელსაც არზრუმის გამგებელი მუსა-ფაშა სარდლობდა, ოლთისის ციხეს მიადგა. ბაგრატ მეფემ სალაშქროდ მიიწვია თავისი ძლიერი ვასალები – ოდიშისა და გურიის მთავრები, მაგრამ ოდიშის მთავარმა, განაწყენებულმა იმით, რომ მეფემ ჭანეთი და აჭარა გურიელს დაუთმო, ომში მონაწილეობა არ მიიღო. მიუხედავად ამისა, იმერეთის და გურიის ჯარებმა დაამარცხეს ოსმალები და დიდი ალაფი იგდეს ხელთ. მუსა-ფაშა ბრძოლაში მოკლეს.

ქართველთა დასავლეთის ლაშქრობა 1204, ლაშქრობა ბიზანტიაში, XII საუკუნის ბოლოს და XIII საუკუნის დასაწყისში. ბიზანტიის იმპერიაში დაძაბული შიდა ბრძოლა მიმდინარეობდა, რაც იმის საშიშროებას ქმნიდა, რომ კონსტანტინოპოლის მოშორებით მდებარე და საქართველოს მოსაზღვრე სამხრეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიები (მთავარი ქალაქი ტრაპიზონი) თურქ-სელჩუკებს ჩაუვარდებოდა ხელში. ვითარება დაიძაბა 1204 წლისათვის, როდესაც კონსტანტინოპოლს ჯვაროსნები მიადგნენ. მათ 13 აპრილს აიღეს ქალაქი და ხელთ იგდეს იმპერიის ცენტრალური პროვინციები. ამ დროისათვის ქართული ლაშქარი (მემარჯვენე სადროშოს ძალები – „აფხაზნი და იმერნი“) უკვე ტრაპიზონისკენ მიემართებოდა. გალაშქრების ოფიციალურ საბაბად ქართულმა მხარემ გამოაცხადა იმპერატორ ალექსი V-ის მიერ ქართველი ბერების გაძარცვა, რომლებსაც უცხოეთში ქართული სავანეებისათვის თამარ მეფის მიერ შეწირული ფულადი თანხა მიჰქონდათ (1204 წლის დასაწყისში). 1204 წლის აპრილში ქართველებმა ტრაპიზონი დაიკავეს, შემდეგ აიღეს ქალაქები კერასუნტი, ლიმანა, სინოპი, ამასტრიდა და სხვა. ქართულმა ჯარმა მიაღწია ქ. ჰერაკლეას (ახლანდ. ერეგლი), რომელიც მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. დაპყრობილ ტერიტორიებზე თამარმა ცალკე სამეფო – ტრაპიზონის იმპერია – შექმნა, რომლის სათავეში თავისი ნათესავი, წარმოშობით ბერძენი უფლისწული და საქართველოში გაზრდილი ალექსი კომნენოსი დასვა.

ქართველთა სამხრეთ-აღმოსავლეთის ლაშქრობა 1210, ლაშქრობა ირანში მოპოვებული წარმატებების განმტკიცების, პოლიტიკური გავლენის გაფართოებისა და ალაფის შოვნის მიზნით. *შამქორის ბრძოლაში* ილდენიზიანთა ძალების განადგურების შემდეგ (1195) ქართულ ჯარს სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებაზე აღარ ჰყავდა სერიოზული მოწინააღმდეგე. ეს მთელი სიცხადით გამოჩნდა 1208 წელს, არდებილზე ლაშქრობის დროს. ამიტომ 1210 წელს სამხედრო წრეების შეთავაზებით ქართულ სამეფო კარზე გადაწყდა შორეული ლაშქრობა ირანში. ეს ექსპედიცია ამირსპასალარ ზაქარია მხარგრძელის სარდლობით წარმატებით განახორციელეს, მიუხედავად ცალკეულ პუნქტებში გაწეული წინააღმდეგობისა. ქართველებმა აიღეს აზერბაიჯანისა და სპარსული ერაყის ცნობილი ქალაქები – მარანდი, თავრიზი, უჯანი, მიანე, ზენჯანი, ყაზვინი და სხვა. მიაღწიეს ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს – ხორასანსა და გორგანს.

ქართველთა სამხრეთის ლაშქრობები 1204–10, ლაშქრობები სამხრეთ სომხეთში, რომელიც მაჰმადიანი მფლობელების ხელში იყო. 1204–05 წლებში ქართველებმა დალაშქრეს შაჰარმენთა დინასტიის სამფლობელოები ვანის ტბის მიდამოებში, მიაღწიეს ქალაქებს მანასკერტსა და არჭეშს, მაგრამ შაჰარმენმა მუჰამედმა არზრუმის ამირას დახმარებით ეს თავდასხმა მოიგერია. მიუხედავად ამ დამარცხებისა, ქართულმა ჯარმა 1206 წელს აიღო ციხე-ქალაქი ყარსი, რითაც, ფაქტობრივად, დაასრულა მდინარე არაქსის ჩრდილოეთით მდებარე შაჰარმენთა სამფლობელოების დაპყრობა. შემდეგ ქართველები ისევ გადავიდნენ არაქსზე, 1206–07 წლებში ილაშქრეს ვანის ტბის მიდამოებში. 1208 წელს შაჰარმენთა სახელმწიფოს ტერიტორია ხელთ იგდეს ეგვიპტე-სირიისა და ჩრდილო მესოპოტამიის მფლობელმა აიუბიანებმა. პასუხად ქართველებმა კვლავ ილაშქრეს ვანის ტბის მიმართულებით და 1209 წელს აჯანყებული სომხების დახმარებით დაიკავეს ქალაქი არჭეში (ვანის ტბის ჩრდილო სანაპირო). 1210 წელს ქართულმა ჯარმა ალყა შემოარტყა ქ.

ხლათს (ვანის ტბის დასავლეთ სანაპირო), რომელიც აიუბიანთა მთავარი საყრდენი პუნქტი იყო სომხეთში, მაგრამ ქართველი სარდლის, ივანე მხარგრძელის, ტყვედ ჩავარდნამ მოწინააღმდეგეთა დაზავება დააჩქარა. საქართველოს სამეფოსა და აიუბიანთა სამფლობელოებს შორის საზღვარი მდინარე არაქსზე დაიდო (1210).

ქართველი გენერლები და ადმირალები 1992 წლიდან დღემდე, იხ. *დანართი №4.*

ქართველი გენერლები და სამხედრო მოღვაწეები მსოფლიოს ქვეყნებში, იხ. *დანართი №5.*

ქართველი სამხედრო მოღვაწეები უძველესი დროიდან 1801 წლამდე, იხ. *დანართი №6.*

ქართველიშვილი ალექსანდრე (ალექსანდრე ქართველი) (1896–1974). ქართველი ავიაკონსტრუქტორი, მოღვაწეობდა აშშ-ში (გ. ნიუიორკიში). აშშ-ის საავიაციო ისტორიაში **ქ.** მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო და მოწინავე ავიაკონსტრუქტორად. დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი (1914). 1919 წელს გაემგზავრა საფრანგეთში საწავლებლად. საქართველოს ანექსიის შემდეგ საქართველოში აღარ დაბრუნებულა. 1924 წელს მისი მონაწილეობით შექმნილმა თვითმფრინავმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა ფრენის სიჩქარეში. **ქ**-მა II მსოფლიო ომის წლებში შექმნა ავიაგამანადგურებელი „P-47 Thunderbolt“, რომელსაც იყენებდნენ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალები და მისი მოკავშირეები. **ქ**-ის მიერ ომის შემდეგ შექმნილი თვითმფრინავები „F-84 THundejet“ და „F-1057 Thunderchief“ დღესაც დაფრინავენ აშშ-ის სამხედრო ავიაციაში. 2013 წლის 9 სექტემბერს პირველად საქართველოში ქ. თბილისში ჩატარდა საჩვენებელი ავიაშოუ **ქ**-ის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით. თბილავიამშენის ქარხანას (ყოფილი საავიაციო 31-ე ქარხანა) ეწოდა **ქ**-ის სახელი.

ქარის თოფი, საცეცხლე (სასტარტო) პოზიციაზე ქარის სიჩქარის და მიმართულების დასადგენი მოწყობილობების კომპლექტი; სროლების მოსამზადებელი მეტეოროლოგიური საშუალება. კომპლექტში შედის: დგარზე დამაგრებული სპეციალური თოფი მაზონდირებელი ვაზნებით (ვერტიკალურად ზევით გასროლილ ვაზნას აქვს წითელი ბაბთა ან მანათობელი პიროტექნიკური შედგენლობა დღისით და ღამით დაკვირვებისთვის), ლიმბი სამიზნებლით ქარის მიმართულების დასადგენად, საზომი ბაბთა და წამმზომი ტყვიების ვარდნის წერტილის და დროის დასადგენად.

ქარის მიმართულების დროული შეტყობინება, ცნობა, რომელიც იძლევა ინფორმაციას ქარის მიმართულების და სიჩქარის შესახებ.

ქარის მიმართულებით მომწამლავი ნივთიერების გავრცელების რაიონი, რაიონი, რომელიც მოექცა ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ზემოქმედების ქვეშ, სადაც შეიძლება საფრთხე შეექმნას იქ განლაგებულ ჯარებს.

ქვიბური, ისრის ერთ-ერთი სახე.

ქიბორჯი, ისრის ერთ-ერთი სახეობა.

ქიმიური ბრძოლა, იხ. *საბრძოლო მოქმედებები ქიმიური იარაღის გამოყენებით.*

ქიმიური დაზიანება, იხ. *დაზიანება.*

ქიმიური ვითარება, ფაქტორები და პირობები, რომლებიც წარმოიქმნება მოწინააღმდეგის მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგად. ხასიათდება: მომწამლავი ნივთიერებების სახეობებით, მათი გამოყენების მასშტაბებით, ადგილმდებარეობის, წყალსაცავების და სხვადასხვა ობიექტის დასნებოვნების სიმჭიდროვით; ასევე მომწამლავი ნივთიერებების ორთქლის (აეროზოლების) გავრცელების ზონის მასშტაბებით, დაზიანებული და დასნებოვნებული პირადი შემადგენლობის, მოსახლეობის, სამხედრო ტექნიკის და სხვა მატერიალური საშუალებების რაოდენობით.

ქიმიური იარაღი, მასობრივი დაზიანების იარაღის სახეობა, რომლის მოქმედება ეფუძნება საბრძოლო მომწამვლელი ნივთიერებების, ტოქსინების და ფიტოტოქსინების გამოყენებას. მოიცავს ერთჯერადი გამოყენების ქიმიურ საბძოლო მასალებს (საარტილერიო ჭურვებს, საავიაციო ბომბებს, კოჭებს და სხვა) და მრავალგზის გამოყენების ე.წ. ქიმიურ საბრძოლო ხელსაწყოებს (გადასასხმელი საავიაციო ხელსაწყოები, თერმომექანიკური და მექანიკური გენერატორები). **ქ.ი**-ის მიტანის საშუალებებს წარმოადგენს ავიაცია, რაკეტები, არტილერია, ქვეითი ჯარის საშუალებები, საინჟინრო და ქიმიური ჯარები. **ქ.ი**-ის ძირითადი თვისებებია: მაღალი ტოქსიკურობა, რომელიც მცირე დოზითაც კი იწვევს ცოცხალი ძალის მძიმე ან მომაკვდინებელ მასობრივ დაზიანებას; დიდი შემღწევი უნარი არაჰერმეტულ ნაგებობებში, სამხედრო ტექნიკის ობიექტებში და ა.შ.; **ქ.ი**-ის გამოყენების ფაქტის დროული აღმოჩენის და მომწამვლელი ნივთიერების ტიპის ამოცნობის სირთულე; მოქმედების დიდი ხანგრძლივობა. **ქ.ი**-ის გამოყენება აკრძალულია ჟენევის 1925 წლის ოქმით. 1993 წელს პარიზში ხელი მოაწერეს „კონვენციას ქიმიური იარაღის შემუშავების, წარმოების, დაგროვების, გამოყენების აკრძალვის და მისი განადგურების შესახებ“ (ამოქმედდა 1997 წლის აპრილში).

ქიმიური საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ქიმიური საბრძოლო მასალები, საბრძოლო მასალები, რომლებიც შეიცავენ საბრძოლო მომწამლავ ნივთიერებებს, ტოქსინებს და ფიტოტოქსინებს. საბრძოლო მდგომარეობაში

გადაყვანის ხერხით **ქ.ს.მ**. შეიძლება იყოს ასაფეთქებელი მოქმედების (საარტილერიო ჭურვები, ნაღმები, საავიაციო ბომბები, რაკეტის საბრძოლო ნაწილები), გადმოსასხმელი (საავიაციო ხელსაწყოები), მტვერის გამავრცელებელი (საავიაციო ხელსაწყოები), თერმული (კოჭები) და მექანიკური (აეროზოლების გენერატორები). განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს ბინარული **ქ.ს.მ**., რომელიც მათი მიტანის საშუალებებთან ერთად წარმოადგენს ქიმიურ იარაღს.

ქიმიური სამსახური, სპეციალური სამსახური, მთელი რიგი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში, რომელიც უზრუნველყოფს ჯარების (ძალების) მოქმედებას რადიაქტიური, ქიმიური და ბიოლოგიური დასნებოვნების პირობებში; ჯარების მომზადებას მასობრივი დაზიანების იარაღისაგან, ცეცხლსატყორცნი, ცეცხლგამჩენი საშუალებებისა და კვამლის გამოყენებისაგან დასაცავად; აგრეთვე ნაწილების და შენაერთების შესაბამისი ქონებით მომარაგების, მისი სწორი გამოყენების უზრუნველყოფის, შენახვისა და რემონტისათვის. **ქ.ს**. შეიქმნა I მსოფლიო ომის წლებში.

ქიმიური ჯარები, მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში სპეციალური ჯარები, რომლებიც განკუთვნილია მოქმედებისათვის რადიაქტიური, ქიმიური და ბიოლოგიური დასნებოვნების პირობებში. ზოგიერთი ქვეყნის არმიებში ნაწილებსა და ქვედანაყოფებს, რომლებიც ანალოგიურ ამოცანებს ასრულებენ, ეწოდებათ ABC ჯარები, მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვის ჯარები და სხვა. **ქ.ჯ**. შეიქმნა I მსოფლიო ომის დროს.

ქვედანაყოფი, 1. სამხედრო ფორმირება, რომელსაც აქვს მუდმივი ორგანიზაცია და ერთგვაროვანი შემადგენლობა. შედის უფრო მსხვილ **ქ**-ებში ან სამხედრო ნაწილებში. **ქ**-ებს განეკუთვნება: ბატალიონი, დივიზიონი, ესკადრილია, ასეული, ბატარეა, რგოლი, ხომალდის საბრძოლო ნაწილი, ოცეული, ათეული, გათვლა, ეკიპაჟი და სხვა. **ქ**-ის ორგანიზაციული სტრუქტურა, რიცხოვნობა და შეიარაღება მათი დანიშნულების შესაბამისად განისაზღვრება შტატებითა და ტაბელებით; 2. მართვის ორგანოების, სამხედრო ნაწილის, დაწესებულების (სასწავლებლის) სტრუქტურული ერთეულების სახელწოდება, რომელიც გამოიყენება მათი ორგანიზაციის საიდუმლოდ შენახვის მიზნით და აღნიშვნის სიმარტივისათვის.

ქვეითი კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

ქვეითი ჯარი, სახმელეთო ჯარების გვარეობა, რომელიც განკუთვნილია საერთო-საჯარისო ბრძოლაში მოწინააღმდეგისათვის დაზიანების მისაყენებლად, მისი ტერიტორიის ხელში ჩასაგდებად და საკუთარი ტერიტორიის დასაცავად. აწარმოებს ბრძოლას ქვეითი წყობით ან საბრძოლო მანქანებით სხვა გვარეობის (სატანკო ჯარებთან, არტილერიასთან) ჯარებთან ურთიერთქმედებით, სასროლი და სხვა სახეობის შეიარაღების გამოყენებით. წარმოადგენს მსოფლიოს მრავალი არმიის ჯარების ყველაზე მრავალრიცხოვან გვარეობას. მთელ რიგ არმიებში ინფანტერიას უწოდებენ. **ქ.ჯ**-ის ნაირსახეობას ბევრ არმიაში მოიხსენიებენ მოტოქვეით ან მოტორიზებულ ქვეით და მოტომსროლელ ჯარებად. ზოგ არმიაში არსებობს საჰაერო (აერომობილური, საჰაერო-სადესანტო) და საზღვაო **ქ.ჯ**-ები.

ქ.ჯ. შორეულ წარსულში შეიქმნა. მომთაბარე ხალხების გარდა, არმიების ძირითადი მასა ყოველთვის შედგებოდა ქვეითი მეომრებისაგან. დიდი განვითარება პოვა **ქ.ჯ**-მა ძველ ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთში, ძველ რომში და სხვა. იყოფოდა მსუბუქ, საშუალო და მძიმე **ქ.ჯ**-ებად. ფეოდალურ წყობას მოჰყვა **ქ.ჯ**-ის როლის შემცირება და მძიმედ შეიარაღებული რაინდების ცხენოსანი ჯარის წარმოშობა. I ათასწლეულის დამლევს ჯარების მთავარი გვარეობა დასავლეთ ევროპაში გახდა კავალერია, რომელიც განსაზღვრავდა ბრძოლის ბედს. იგი, ტრადიციულად, ასეთივე პრიორტეტულ როლს ასრულებდა აღმოსავლეთში. ამავე დროს აღმოსავლეთ ევროპაში **ქ.ჯ**. მნიშვნელობას ინარჩუნებდა. დასავლეთ ევროპაში მისი განვითარება უკავშირდება იმ ქალაქების აღორძინებას, რომელთაგან ბევრმა XII–XIII საუკუნეებში თვითმმართველობას მიაღწია და გაიჩინა საკუთარი ჯარები, რომლებიც უმთავრესად ქვეითებისაგან შედგებოდა. XVI–XVII საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში გაჩნდა დაქირავებული არმიები, რომლებიც სანახევროდ ან უმთავრესად **ქ.ჯ**-ისაგან შედგებოდა. XV–XVI საუკუნეებში **ქ.ჯ**-ის ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვამ გამოიწვია მისი მოქმედებების მნიშვნელოვანი შეცვლა. XII საუკუნეში არმიების კუთხვილიანი იარაღით აღჭურვამ ხელი შეუწყო მსროლელთა ჯარების გამოყენებას. I მსოფლიო ომში გრძელდებოდა **ქ.ჯ**-ის აღჭურვა თანამედროვე საცეცხლე საშუალებებით. საბრძოლო წყობის საფუძველს შეადგენდა მსროლელთა ჯაჭვი, შემდეგ ჯაჭვების „ტალღები“, ხოლო 1916 წლიდან ჯგუფური საბრძოლო წყობა. II მსოფლიო ომის დროს ყველა არმიაში **ქ.ჯ**. წარმოადგენდა მრავალრიცხოვანი ჯარების გვარეობას. ომის მსვლელობის დროს მისი აღჭურვა ხდებოდა უფრო სრულყოფილი იარაღით და ტექნიკით. წამყვანი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში **ქ.ჯ**-ის განვითარება ომის შემდგომ პერიოდში გრძელდებოდა მისი საცეცხლე ძლიერების და სამანევრო შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით.

ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანა, მოტომსროლელი ჯარების (მოტოქვეითების) ჯავშნოსანი, როგორც წესი, მუხლუხა და

მცურავი მანქანა საბრძოლო მოქმედებების წარმოებისთვის და პირადი შემადგენლობის გადასაყვანად. ჯავშანტრანსპორტიორთნ შედარებით აქვს უფრო მძლავრი შეიარაღება და ჯავშნიანი დაცვა, მაღალი მობილურობა ბრძოლის ველზე. პირველად გამოჩნდა XX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან.

ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ღობურები, ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო და შერეული დანაღმული ველები, მახე-ნაღმები, დაელექტროებული მავთულის და სხვა არაასაფეთქებელი ღობურები. განკუთვნილია მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის დასაზიანებლად და წინსვლის შესაჩერებლად.

ქვეითსაწინააღმდეგო ორკაპი, გადასატანი ქვეითსაწინააღმდეგო ღობურა. თავდაპირველად წარმოადგენდა მორს მასში ჯვარედინად რამდენიმე მწკრივად ჩატანებული მარგილებით. I და II მსოფლიო ომებში გამოიყენებოდა ხარიხები, რომლებიც შედგებოდა 3*მ*მდე სიგრძის განივი ჭოკით გამაგრებული სამი ჯვარედინისაგან და შემოწნული ჰქონდა ეკლიანი მავთული.

ქვემეხი (საარტილერიო), 20 *მმ* და მეტი კალიბრის ცეცხლსასროლი იარაღის სახეობა. მისი დანიშნულებაა ცოცხალი ძალის და სამხედრო ტექნიკის განადგურება, თავდაცვითი ნაგებობების და მართვის პუნქტების დანგრევა, დანაღმულ ველებზე და მავთულხლართებში გასასვლელების გარღვევა. თანამედროვე **ქ**-ების ძირითადი სახეობებია: ზარბაზნები, ჰაუბიცები და ნაღმსატყორცნები. **ქ**-ები არის: დანიშნულების და გამოყენების ადგილის მიხედვით – სახმელეთო (საერთო დანიშნულებას, სატანკო, ტანკსაწინააღმდეგო, სამთო), საზენიტო, საავიაციო და საზღვაო; მოძრაობის უნარის მიხედვით – სტაციონარული, თვითმავალი, ბუქსირებადი (მათ შორის თვითმავალი), მანქანით და ხელით სატარებელი; კალიბრის მიხედვით – მცირე (სახმელეთო – 75 *მმ*მდე, საზენიტო – 60 *მმ*მდე, სახომალდო – 60 *მმ*მდე, სანაპირო – 100 *მმ*მდე), საშუალო (75–155, 60–100, 60–130 და 100–130) და მსხვილი (155-ზე 100-ზე, 130-ზე და 130-ზე მეტი) კალიბრიანი; ლულის არხის მოწყობით – კუთხვილიანი და გლუვლულიანი; დატენის და დამიზნების პროცესის ავტომატიზაციის ხარისხის მიხედვით – ავტომატური, ნახევრად ავტომატური და არაავტომატური. **ქ.** შედგება ლულის, ხაზინისა და ლაფეტისგან. ძირითადი საბრძოლო მახასიათებლები: სროლის მანძილი, საბრძოლო მასალების სიძლიერე, სწრაფ-სროლა, სროლის შექუჩება და სროლის მანევრირება.

ქვემეხის გამიზვნა, ქვემეხის ლულისთვის მდგომარეობის მიცემა, როდესაც სროლის დროს ჭურვის ფრენის საშუალო ტრაექტორიის მიზანზე გავლა იქნება უზრუნველყოფილი. არის პირდაპირი, არაპირდაპირი და ნახევრად პირდაპირი გამიზვნა. დახურული საცეცხლე პოზიციიდან სროლის დროს ქვემეხის არაპირდაპირი გამიზვნა – მიზნამდე მისი მანძილის და სიმაღლის შესაბამისი ამაღლების კუთხით, რომელიც მიეცემა კორის და თარაზოს მეშვეობით; ქვემეხის ჰორიზონტალური გამიზვნა – პანორამის ოპტიკური ღერძის, რომელზედაც დაყენებულია მიზნის ადგილის კუთხე, გამიზვნის წერტილთან ან კოლიმატორთან შეთავსება. ქვემეხის ნახევრად პირდაპირი გამიზვნის დროს კი, ჰორიზონტალური გამიზვნა ხორციელდება მიზანზე ვიზირებით; ამაღლების კუთხე – კორით და თარაზოთი (იხ. *დამიზნება*).

ქვემეხის დამიზნების სადგური, საჰაერო მიზნების ძებნის, მათი მიმდინარე კოორდინატების უწყვეტი განსაზღვრის რადიოსარეცხვო სადგური, რომელიც მონაცემებს გადასცემს საარტილერიო-საზენიტო ცეცხლის მართვის ხელსაწყოს. შეუძლია მიზნის თანხლება ხელის და ავტომატურ რეჟიმში. ის უზრუნველყოფს საზენიტო არტილერიის სროლას ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში.

ქვემეხის ნომერი, ქვემეხის გათვლაში შემავალი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც საარტილერიო ქვემეხის მომსახურების, სროლის მომზადების და წარმოების განსაზღვრულ მოვალეობებს ასრულებს.

ქვეყნის ფუნქციური სპეციალიზება, ერთი სახელმწიფოს მიერ თავის თავზე აღებული პასუხისმგებლობა. ის ითვალისწინებს მონაწილე მხარეებს შორის კომპენსაციის და/ან ანაზღაურების შესახებ მოლაპარაკებას; ასევე მრავალეროვნული დაჯგუფების ან მისი ნაწილების გარკვეული კატეგორიის მომარაგების უზრუნველყოფას.

ქვეყნის საშინაო უსაფრთხოება, პოლიტიკური ფაქტორების და ღონისძიებების ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სტაბილურობას. მთელი ძალები მიმართულია ქმედითუნარიანი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამხედრო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისაკენ საზოგადოების ინტერესების დასაცავად.

ქვეყნის შიგნით ადგილნაცვალი პირი, მოქალაქე, რომელიც იძულებულია დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი შეიარაღებული კონფლიქტის, სამოქალაქო დაპირისპირების, ადამიანის უფლებების სისტემატური დარღვევის, ბუნებრივი ან ანთროპოგენური ხასიათის უბედურების დროს. ასეთ ვითარებაში ის არ გადაკვეთს სახელმწიფო საზღვარს, რომელიც საერთაშორისო დონეზეა აღიარებული.

ქსენოფონტი (დაახ. 430–355/354) (Xenophōn), ძველი ბერძენი მწერალი, ისტორიკოსი და მხედართმთავარი, სოკრატეს მოწაფე. 401 წელს ხელმძღვანელობდა 10 ათ. ბერძენი მეო-

მრის უკანდახევას ბაბილონიდან ტრაპიზონამდე (აღწერილი აქვს „*ანაბასისში*“). *სპარტის* მხარეზე მონაწილეობდა კორინთის ომში (395–387). დაწერილი აქვს შრომები სამხედრო ისტორიისა და სამხედრო საქმის შესახებ.

ქსნის ბრძოლა 1625, ქართველების ბრძოლა სეფიანთა ჯარებთან. *მარაბდის ბრძოლაში* გამარჯვების შემდეგ ირანელთა სარდალმა ისა-ხან ყორჩიბაშმა 12 ათ. მეომარი აზერბაიჯანის ბეგლარბეგის შაჰბენდე-ხანის, შირვანის ბეგლარბეგის ყაზაყ-ხან ჩერქეზისა და უფლისწულ ხოსრო-მირზას (შემდეგში ქართლის მეფე როსტომი) მეთაურობით გაგზავნა არშის ციხის წინააღმდეგ, ხევში, სადაც ქართველებს პატიმრობაში ჰყავდათ ირანული ორიენტაციის თავადი ანდუყაფარ ამილახვარი და მისი მეუღლე – ისა-ხანის ასული. ირანელებმა ტყვეები გაათავისუფლეს და ქსნის ხეობით გამობრუნდნენ უკან, მაგრამ აქ მათ ქართველთა ლაშქარი დახვდა გიორგი სააკაძის მეთაურობით. სამდღიან ბრძოლაში ყიზილბაშთა დიდი ნაწილი გაანადგურეს. შაჰბენდე-ხანი მოკლეს, ყაზაყ-ხანი ტყვედ ჩავარდა. მხოლოდ ხოსრო-მირზამ მოახერხა მცირე რაზმით ალყის გარღვევა და თბილისში ჩამოსვლა. მან ისა-ხანს მიჰგვარა ანდუყაფარი და მისი მეუღლე. **ქ.ბ**-მ მნიშვნელოვნად გააქარწყლა ის უპირატესობა, რაც ირანელებმა მოიპოვეს მარაბდასთან გამარჯვებით. ისა-ხან ყორჩიბაშმა მალე დატოვა ქართლი, თუმცა თბილისში და ზოგ სხვა სტრატეგიულ პუნქტში ირანელთა გარნიზონები დატოვა.

ქუვეითი (Kuwayt – ქუვეითის სახელმწიფო), სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთში, არაბეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სპარსეთის ყურის სანაპიროზე. ფართობი 17,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 3 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – არაბული. დედაქალაქი – ქ. ელ-ქუვეითი. კონსტიტუციური მონარქია. სახელმწიფოს მეთაურია ამირა. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ამირას და ეროვნულ კრებას, აღმასრულებელი – ამირას და მთავრობას. **ქ.** 1969 წლიდან დამოუკიდებელი ქვეყანაა. ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს ნავთობის მოპოვება და დამუშავება. ნავთობის მარაგით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა კაპიტალისტურ სამყაროში. საზღვაო პორტებია: მინა-ელ-აჰმადი, მინა-აბდალაჰი, ელ-ქუვეითი, მინა-საუდი. საერთაშორისო აეროპორტი – ელ-ქუვეითი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 15,5 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 11 ათ., სამხედრო-საჰაერო 2,5 ათ., სამხედრო-საზღვაო 2 ათ და ეროვნული გვარდია. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ქუვეითის ომი, იხ. *ომი სპარსეთის ყურეში 1991.*

ქუთათელაძე ჯემალ ალექსანდრეს ძე (1937–97), შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი (1991–92), პოლკოვნიკი. საქართველოს შსს შინაგანი ჯარების შტაბის უფროსის მოადგილე (1993–94), 1994 წელს გავიდა თადარიგში.

ღ

ღაზავათი (არაბული ღაზავათ – მრ.რ., ღაზვა – მხ.რ., ლაშქრობა, თავდასხმა, დაპყრობა, ბრძოლა), მუსლიმანთა საღვთო ომის ერთ-ერთი სახელწოდება. იხ. *ჯიჰადი.*

ღამის ხედვის ხელსაწყოები, იხ. *ინფრაწითელი ტექნიკა.*

„ღერძი ბერლინი-რომი-ტოკიო“, ფაშისტური ქვეყნების ალიანსი, რომელიც გაფორმდა 1936 წლის 25 ოქტომბერს ბერლინის შეთანხმებით. იმ ქვეყნების გაერთიანება, რომლებიც მოკავშირეთა (სსრ კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთი) წინააღმდეგ გამოდიოდნენ II მსოფლიო ომში. ღერძის სამი წამყვანი ძალა იყო ნაცისტური გერმანია, იაპონია და ფაშისტური იტალია, რომლებიც თავიანთ ალიანსს „რომი-ბერლინი-ტოკიოს ღერძს“ უწოდებდნენ. II მსოფლიო ომი მათი ტოტალური დამარცხებით დასრულდა. ღერძის წევრობა ცვალებადი იყო – ზოგიერთი ქვეყანა თავდაპირველად მათ შეუერთდა, თუმცა ომის მსვლელობის პერიოდში მოკავშირეთა მხარეზე გადავიდა.

ღია ზღვა, საზღვაო სივრცე, რომელიც არ ექვემდებარება რომელიმე სახელმწიფოს სუვერენიტეტს. ის არის ტერიტორიული, არქიპელაგური და შიდა წყლების ფარგლებს გარეთ, რომლითაც ყველა ქვეყანა სარგებლობს. ზოგჯერ უწოდებენ საერთაშორისო ან ნეიტრალურ წყლებს, მაგრამ ეს ტერმინები არ დამკვიდრდა საერთაშორისო სამართალში. **ღ.ზ**-ის გამოყენებას საფუძვლად უდევს მისი თავისუფლების (ნაოსნობის, ფრენის, თევზჭერის, მეცნიერული კვლევის, წყალქვეშა კომუნიკაციებისა და ხელოვნური კუნძულების აგების თავისუფლება) პრინციპი.

ღია ზღვის თავისუფლება, საერთაშორისო სამართლის ცნება, რომლის თანახმად ზღვისპირა სახელმწიფოს ან სახელმწიფოს, რომელსაც არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი. მინიჭებული აქვთ სხვადასხვა უფლებები, კერძოდ: გემთმიმოსვლის, ფრენის, წყალქვეშა კაბელების, მილების გაყვანის, თევზჭერის და სამეცნიერო კვლევების თავისუფლება.

ღია ნავსადგური, 1. უცხოური გემების და იმ სამამულო გემების შესვლისათვის თავისუფალი ნავსადგური, რომლის ბორტზეც არიან უცხოელები. საერთაშორისო ტრადიციებისამებრ, სახელმწიფოები აქვეყნებენ თავიანთი **ღ.ნ**-ების ნუსხას „ზღვაოსნის უწყებებში“. უცხოეთის სამხედრო ხომალდებს ღია ნავსადგურში შესასვლელად უნდა ჰქონდეთ ზღვისპირა სახელმწიფოს მიწვევა ან წინასწარი ნებართვა; 2. პორტი, რომლის აკვატორიას აქვს უშუალო კავშირი ზღვასთან და ამასთანავე მუდამ ერთნაირი წყლის დონე.

ღია საცეცხლე პოზიცია, საცეცხლე პოზიცია, რომელზეც განლაგებული იარაღის სამიზნე უშუალოდაა მიმართული მიზნისკენ. სახმელეთო ჯარებში, ჩვეულებრივ, გამოიყენება ნაღმსატყორცნებთან დაკავშირებით და არტილერიაში.

ღია ფლანგი, ფლანგი, რომელიც გარშემორტყმის მანევრის ჩატარებისას ყველაზე სუსტია და ნაკლებად არის დაცული ან ნაკლები საბრძოლო წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია.

ღია ქალაქი, საერთაშორისო სამართალში – დასახლებული პუნქტი, რომელსაც ერთ-ერთი მეომარი მხარე აცხადებს დაუცველად მისი დაზიანების თავიდან ასაცილებლად. **ღ.ქ**-ის სამართლებრივი მდგომარეობა ასახულია ჰაგის კონვენციაში და 1907 წლის კანონებში ომის წეს-ჩვეულებების შესახებ, ხოლო შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურულ ღირებულებათა დაცვის 1954 წლის კონვენციაში. **ღ.ქ**-ში არ უნდა იყოს სამხედრო ობიექტები და ჯარები, აკრძალულია ასეთ ქალაქზე იერიშის მიტანა და დაბომბვა. II მსოფლიო ომის დროს **ღ.ქ**-ებად იყო გამოცხადებული პარიზი და რომი.

ღია ცა, საჰაერო სივრცესთან დაკავშირებული საერთაშორისო სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც შექმნილია განიარაღების შესახებ არსებული ხელშეკრულებების შესრულების კონტროლის მიზნით. ითვალისწინებს სამხედრო საქმიანობის კონტროლის მიზნით თვითმფრინავების გადაადგილებას იმ ქვეყნების ტერიტორიაზე, რომლებიც შეთანხმდნენ გაეხსნათ თავიანთი საჰაერო სივრცე ერთმანეთისათვის. 1992 წელს ჰელსინკში დაიდო მრავალმხრივი ხელშეკრულება **ღ.ც**-ის შესახებ.

ღობურები, მოწყობილობები, ნაგებობები და ნანგრევები ჯარების (ძალების) მოძრაობის აღსაკვეთად ან გასართულებლად. იქმნება მოწინააღმდეგის დასაზიანებლად, რათა შეაკავონ ან გააძნელონ მისი მოძრაობა და მოქმედება, შებოჭონ მანევრი, ან აიძულონ იაროს მოწინააღმდეგის ჯარებისათვის ხელსაყრელი მიმართულებით. ზემოქმედების ხასიათის მიხედვით განასხვავებენ ასაფეთქებელ (შეიძლება იყოს ნაღმასაფეთქებელი და ბირთვულ-ნაღმიანი), არაასაფეთქებელ, დასამუხტ და კომბინირებულ **ღ**-ს; გამოყენების ადგილის და დანიშნულების მიხედვით – სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო **ღ**-ს; მასშტაბის მიხედვით – ოპერატიულ და ტაქტიკურ **ღ**-ს. მჭიდროდ

უკავშირდება ცეცხლის სისტემას, დაზიანების სხვადასხვა საშუალებების დარტყმებს.
სახმელეთო **ღ**. იქმნება ხმელეთზე და არის: ტანკსაწინააღმდეგო, ქვეითსაწინააღმდეგო, შერეული და ტრანსპორტსაწინააღმდეგო, ასევე საჰაერო დესანტსაწინააღმდეგო. საჰაერო (თვითმფრინავსაწინააღმდეგო და ვერტმფრენსაწინააღმდეგო) და წყლის დაბრკოლებების **ღ**. იქმნება დედამიწის ირგვლივ სივრცეში იმ მიზნით, რომ აღკვეთონ მოწინააღმდეგის თვითმფრინავების (ვერტმფრენების) ქმედება, აგრეთვე გაართულონ ბომბტყორცნა, განსაკუთრებით, მცირე სიმაღლიდან და პიკირებიდან. ისინი შეიძლება იყოს დანაღმული, გვარლის და ბადეების, მისაბმელი აეროსტატებით ან საჰაერო ბურთებით ასატანი და სხვა. საზღვაო **ღ**-ს აგებენ ზღვის აკვატორიებში, ზედაპირულ შრეში, წყლის სისქეში და ფსკერზე. მისი მიზანია მოწინააღმდეგის ხომალდების და გემების დაზიანება, საკუთარ სანაპიროსთან ზღვიდან მისადგომების დაფარვა, სრუტეებსა და ვიწრო ადგილებში მოწინააღმდეგის ხომალდების გავლის დაბრკოლება. ასევე წყალქვეშა ნავების, კატარღების, წყალქვეშა დივერსანტების, ტორპედოების სამხედრო-საზღვაო ბაზებში, ნავსადგურებში, რეიდებზე, ღუზის სადგომებში შემოღწევის თავიდან აცილება და ა.შ. **ღ**. შეიძლება იყოს ნაღმური (აქტიური და თავდაცვითი), ბადის, ბონების და კომბინირებული. კომბინირებული **ღ**-ის განსაკუთრებული სახეობაა დესანტსაწინააღმდეგო **ღ**.

ღობურების და დაბრკოლებების გადალახვა, ჯარების ორგანიზებული გასვლა ღობურებში, ნანგრევებში, ბუნებრივ და ხელოვნურ დაბრკოლებებში, როდესაც შეუძლებელია მათი შემოვლა. ტრალიანი ტანკები გადალახავენ ნაღმასაფეთქებელ ღობურებს საბრძოლო (ბრძოლისწინა) წყობით; უტრალო ტანკები და სხვა ტექნიკა – გასასვლელებით; ქვეითი ჯარი ფეხით გადაადგილებისას – გასასვლელებით ან ტანკების მიერ გატრალური კალაპოტით. ბუნებრივ დაბრკოლებებს და არაასაფეთქებელ ღობურებს, ჩვეულებრივ, გადიან კიდული (ჩაშენებული) ბულდოზერული მოწყობილობით. ისეთ დაბრკოლებებს, როგორიც არის ხევები, ვიწრო მდინარეები, არხები, ფლატენაპირიანი ნაკადულები და ა.შ., გადალახავენ გადასასვლელებით და ფონით. ისინი ეწყობა ხიდგამდებების, ლიანდიანი მექანიზებული ხიდების, გზაგამყვანების მეშვეობით და ა.შ. საჭიროების შემთხვევაში აშენებენ წყალდაბალ ადგილებში ხის ხიდებს. საზღვაო ნაღმურ ღობურებს გადალახავენ გატრალური ფარვატერით ან ხომალდების (გემების) ტრალებს უკან გატარებით.

ღობურების ზოლი, ადგილმდებარეობის ზოლი, რომლის ფარგლებშიც იქმნება სხვადასხვაგვარი ღობურები მოწინააღმდეგის შეტევის შეკავების და მისთვის ზარალის მიყენების მიზნით. ღობურების დაფარვა ხდება ყველა სახეობის ცეცხლით. **ღ.ზ**-ში არსებულ ობიექტებს ამზადებენ დასანგრევად.

ღობურების სიმჭიდროვე, ღობურების საერთო სიგრძის (*კმ*-ობით) თანაფარდობა დასაფარავი მიმართულების (ზოლის, ზღუდის, მონაკვეთის) ფრონტის სიგანესთან. განსაზღვრავენ ცალ-ცალკე – ტანკსაწინააღმდეგო, ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღმების და არაასაფეთქებელი ღობურებისთვის. **ღ.ს**. შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს თავდაცვის წინა ხაზის წინ ტაქტიკურ და ოპერატიულ სიღრმეზე.

ღობურების სისტემა, სხვადასხვაგვარი ღობურების კომპლექსი, რომელიც თავდაცვაში ერთიანი გეგმის მიხედვით იქმნება. **ღ.ს**. მოიცავს ღობურებს, რომლებიც იქმნება უზრუნველყოფის ზოლში, მეწინავე პოზიციაზე, მეწინავე ხაზის წინ და საკუთარი თავდაცვის სიღრმეში. იქმნება ოპერაციის (ბრძოლის) გადაწყვეტილების შესაბამისად ბუნებრივ დაბრკოლებებთან შეხამებით, ჯარების მანევრის გათვალისწინებით და საგულდაგულოდ უკავშირდება ცეცხლის სისტემას. ახასიათებს ღობურების სიმჭიდროვე. **ღ.ს**-ის საფუძველია ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო დანაღმული ველები, ხოლო საზღვაო სანაპიროს თავდაცვისას – დესანტსაწინააღმდეგო ღობურები. იქმნება ძირითადად საინჟინრო ჯარების ძალებით. საბრძოლო მოქმედებების დროს **ღ.ს**-ის ზრდა ხორციელდება მოძრავი გადამღობი რაზმების ძალებითა და დისტანციური დანაღმვის საშუალებებით.

ღობურებში გასასვლელები, ადგილმდებარეობის (აკვატორიის) ზოლები, რომლებიც გაყვანილია ღობურებში ან სპეციალურად არის დატოვებული ღობურებისაგან თავისუფალი საკუთარი ჯარების (ხომალდების, დესანტის გადასასხმელი საშუალებების) გასატარებლად. გასასვლელის სიგანე ქვეითებისათვის არის 1-დან 1,5 *მ*-მდე, ტანკებისათვის – არანაკლებ 6 *მ*, ჯარების მოძრაობის გზებზე გაყვანილი გასასვლელებისა – 8–12 *მ*. წყლისმიერ დაბრკოლებებზე ღობურების გასასვლელები დესანტის გადასასხმელი საშუალებებისათვის შეადგენს არა ნაკლებ 40 *მ*. გასასვლელის სიგანე დესანტსაწინააღმდეგო ღობურებში – წყალზე 40–60 *მ*, ნაპირზე – 6–8 *მ*. გასასვლელები შეიძლება გაყვანილ იქნეს ხელით, განნაღმვის მუხტების, ასაფეთქებელი ნივთიერებების მუხტების აფეთქებით, მექანიკური და კომბინირებული ხერხებით. გასასვლელები საზღვაო ნაღმურ ღობურებში გაჰყავთ მტრალავ ხომალდებს, ხოლო დესანტსაწინააღმდეგო ღობურებში წყალზე – განღობვის გემებს (კატარღებს), უეკიპაჟო ბუქსირ-კატარღებს, ვერტმფრენებს და მსუბუქ მყვინთავებს.

ღრმა ბრძოლა, მოწინააღმდეგის ტაქტიკური თავდაცვის ერთდროული ჩახშობა მთელ სიღრმეზე, სწრაფი ტემპით მისი გარღვევა ქვეითი ჯარით და ტანკებით არტილერიის და ავიაციის მხარდაჭერით; შენაერთის, ნაწილის საბრძოლო მოქმედებების ფორმა. თავდაცვის გარღვევისათვის გათვალისწინებული იყო საბრძოლო წყობაში შენაერთების და ნაწილების დამრტყმელი და შემბოჭავი ჯგუფების, რეზერვების და საცეცხლე (საარტილერიო) ჯგუფების შექმნა. დამრტყმელი ჯგუფი (მთელი ძალების სულ ცოტა ორი მესამედი) განკუთვნილი იყო მთავარი დარტყმის მიმართულებაზე შეტევისათვის, ხოლო შემბოჭავი ჯგუფი – დამხმარე დარტყმის მიმართულებაზე მოქმედებებისათვის. თავდაცვის გარღვევასა და სიღრმეზე შეჭრაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ტანკებს. ისინი იყოფოდნენ სამ ჯგუფად: ქვეითი ჯარის უშუალო მხარდაჭერის, ქვეითი ჯარის დისტანციური მხარდაჭერის და დისტანციური მოქმედების. დივიზიებში იქმნებოდა ქვეითი ჯარის მხარდაჭერის საარტილერიო ჯგუფები – მსროლელთა პოლკების რიცხვის მიხედვით, ხოლო კორპუსებში – შორი მოქმედების ჯგუფები – I ეშელონის დივიზიების რიცხოვნობის მიხედვით. II მსოფლიო ომის წინა პერიოდში წესდებაში **ღ.ბ**-ის ცნება შევიდა, როგორც „საერთო-საჯარისო ბრძოლა“. **ღ.ბ**-ის თეორიამ, რომელიც ოპერატიული ხელოვნების მთელ რიგ კარდინალურ პრობლემებსაც ეხებოდა, ხელი შეუწყო 30-იან წლებში ღრმა ოპერაციის თეორიის შემუშავებას.

ღრმა თავდაცვა, თავდაცვითი მანევრის სახე, რომლის გამოყენება აიძულებს მოწინააღმდეგეს განახორციელოს შეტევა ურთიერთმხარდამჭერი საკუთარი ძალების პოზიციებზე გავლით, რაც გამოიწვევს მისი მთავარი შემტევი ძალის დასუსტებას და მის მხარდამჭერ ძალებს არ მისცემს თავმოყრის საშუალებას.

ღრმა ოპერაცია, ერთდროული დარტყმების მიყენება მოწინააღმდეგის ჯარების დაჯგუფებების მთელ სიღრმეზე. მოწინააღმდეგის თავდაცვის ტაქტიკური ზოლის გარღვევა შერჩეულ მიმართულებაზე და ტაქტიკური წარმატების სწრაფი განვითარება ოპერატიულ წარმატებად. ამისათვის ბატალიაში შეჰყავთ წარმატების განვითარების ეშელონი – მოძრავი ჯგუფები (ტანკები, მოტოქვეითი, ცხენოსანი ჯარი) და გადასხამენ საჰაერო დესანტებს; ოპერატიული გაერთიანების საბრძოლო მოქმედებების ფორმა. **ღ.ო**-ის თეორია შეიმუშავეს XX საუკუნის 30-იან წლებში. იგი მიუთითებდა გამოსავალზე პოზიციური ჩიხიდან, რომელიც სამხედრო ხელოვნებაში წარმოიშვა I მსოფლიო ომის დროს, როდესაც თავდაცვის შესაძლებლობები შეტევით შესაძლებლობებზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ამან კი გამოიწვია მხარეების ფრონტების პოზიციური უძრაობა. **ღ.ო**. იყო თვისებრივი ნახტომი სამხედრო ხელოვნების განვითარებაში.

თავდაპირველად **ღ.ო**. ჩაფიქრებული იყო, როგორც დაჯგუფების მთავარი დარტყმის მიმართულებით მოქმედი მოიერიშე არმიის ოპერაცია. მისი ოპერატიული წყობა მოიცავდა იერიშის ეშელონს, გარღვევის განვითარების ეშელონს, რეზერვებს, არმიის ავიაციას (არმიის სამხედრო-საჰაერო ძალებს) და საჰაერო-სადესანტო ჯარებს. იერიშის ეშელონი (ტანკებითა და არტილერიით გაძლიერებული მსროლელთა კორპუსები) განკუთვნილი იყო თავდაცვის ტაქტიკური ზონის გარღვევისათვის. გარღვევის განვითარების ეშელონი (რამდენიმე მექანიზებული სატანკო ან კავალერისტთა კორპუსისაგან შემდგარი მოძრავი ჯგუფი) ემსახურებოდა ტაქტიკური წარმატების სწრაფ გადაზრდას ოპერატიულ წარმატებაში, ავიაციის მხარდაჭერითა და დესანტებთან ურთიერთქმედებით.

დაჯგუფებების რამდენიმე მანევრზე **ღ.ო**-ის თეორიის შემოწმების შემდეგ დაასკვნეს, რომ **ღ.ო**. შეიძლება განახორციელოს დაჯგუფებამ ან რამდენიმე ურთიერთმოქმედმა დაჯგუფებამ ავიაციის დიდი ძალების მონაწილეობით, ხოლო ზღვისპირა მიმართულებებზე – სამხედრო-საზღვაო ძალების მონაწილეობით. **ღ.ო**-ის თეორიის ძირითადი დებულებების სისწორე დადასტურდა II მსოფლიო ომის დროს. შემდგომში ტერმინი „ღრმა ოპერაცია“ აღარ გამოიყენება. ამ თეორიის პრინციპებს არ დაუკარგავთ მნიშვნელობა, სწორედ მათ ეფუძნება შეტევითი ოპერაციების ომისშემდგომი თეორიები, მათ შორის აშშ-ის არმიის „საჰაერო-სახმელეთო ოპერაციის (ბატალიის)“ კონცეფცია.

ღრჯა, ისრის ერთ-ერთი სახეობა, იხ. *ისარი.*

ღულამები (არაბული – ყმაწვილი, მონა), 1. მონები შუა საუკუნეების მუსლიმანურ ქვეყნებში. 2. შუა საუკუნეების მუსლიმანი მმართველების ცხენოსანი გვარდია, შემდგარი მონებისაგან (სინონიმი – *მამლუქები*). ხშირად სამსახურში დაწინაურებული **ღ**. სახელმწიფოს უმაღლეს სამოხელეო თანამდებობებს, ზოგჯერ კი სამეფო ტახტსაც იკავებდნენ.

ყ

ყაზარმა (იტალიური caserma – სახლი, ფართი), სამხედრო ნაწილის საცხოვრებლად განკუთვნილი შენობა. აქვს საძილე, საყოფაცხოვრებო, სამსახურებრივი და სასწავლო დანიშნულების ოთახები სამხედრო ქვედანაყოფის პირადი შემადგენლობის განსათავსებლად.

ყაზახეთი (Kazakhstan – ყაზახეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო ევრაზიის ცენტრალურ ნაწილში. მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი მდებარეობს ევროპაში, დანარჩენი – აზიაში. სამხრეთ-დასავლეთი გადის კასპიის ზღვაზე. ფართობი 2,725 მლნ. *კმ²*., მოსახლეობა – 16,6 მლნ. (2012), აქედან 51% ყაზახი. ოფიციალური ენა – ყაზახური, რუსული წარმოადგენს ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ენას. დედაქალაქი – ქ. ასტანა. ადმინისტრაციულად იყოფა: 14 მხარედ და 3 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მინისტრთა კაბინეტი. თანამედროვე **ყ**-მა, რომელიც შედიოდა სსრ კავშირში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 16 დეკემბერს. **ყ**. დსთ-ის წევრი ქვეყანაა. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა მძლავრი მენერალური ნედლეულის ბაზით. მრეწველობის მოწინავე დარგებია: სამთომოპოვებითი, ფერადი და შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური და ნავთობქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა. სოფლის მეურნეობის – მარცვლეული კულტურები და მეცხოველეობა. საზღვაო პორტებია: აქტაუ, ატირაუ (კასპიის ზღვა), პავლოდარი, სემიპალატინსკი (მდინარე ირტიში). საერთაშორისო აეროპორტებია: ალმა-ათა, ასტანა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 49 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 24 ათ., სამხედრო-საჰაერო 19 ათ., სამხედრო-საზღვაო 3 ათ და რესპუბლიკური გვარდია 3 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული ფორმით (გაწვევით და დაქირავებით).

ყარაული (თურქული – დარაჯი), შეიარაღებული ქვედანაყოფი, რომლის დანიშნულებაა სამხედრო მოსამსახურეების მიერ დაცვის (საბრძოლო დროშების, სამხედრო და სახელმწიფო ობიექტების, ტვირთების და სხვა) საბრძოლო ამოცანის შესრულება.

ყარაულის შეცვლა, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში ძველი და ახალი ყარაულების მიერ დასაცავი ობიექტების (პოსტების), საყარაულო შენობის, მასში არსებული მოწყობილობის და სხვა ქონების ორგანიზებული გადაცემა. ხორციელდება ყოველ დღე-დამეს ყარაულების დაგზავნის შემდეგ და რეგულირდება წესდებით.

ყარყარაშვილი გიორგი ნოდარის ძე (დ. 1966), გენერალ-მაიორი (1993), საქართველის თავდაცვის მინისტრი (1993–94). დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი (1987), სწავლობდა მოსკოვში მ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში (1994–95). ქართული ჯარის ეროვნული გვარდიის „თეთრი არწივის“ ბატალიონის მეთაური, ეროვნული გვარდიის სარდლის მოადგილე, ქართული ჯარების სარდალი აფხაზეთში, თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის ძალების სარდალი (1990–95). საქართველის პარლამენტის წევრი (1999–2004). ვეტერანთა სამოქალაქო კავშირის „საქართველოს ლეგიონი“ თავმჯდომარე. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ყივჩაყები, თურქულენოვანი ხალხი, რომელიც XI საუკუნისათვის გავრცელდა ევრაზიის სტეპების ზონაში, ტიან-შანიდან დუნაის შესართავამდე. ერთიანი სახელმწიფო არ შეუქმნიათ, იყოფოდნენ ცალკეულ ტომთა კავშირებად. ძირითადი საქმიანობა – მომთაბარე მესაქონლეობა. ამასთან, **ყ**-თა გვარტომული არისტოკრატია ხშირად აწყობდა მძარცველურ თავდასხმებს მეზობელ ხალხებზე. **ყ**., როგორც კარგი მეომრები, დაქირავებულების და სამხედრო კოლონისტების სახით მსახურობდნენ უცხო ქვეყნების (ხვარაზმი, რუსეთი, საქართველო, უნგრეთი, ბულგარეთი და სხვა) ჯარებში. XIII საუკუნეში **ყ**. მონღოლებმა დაიპყრეს. ყივჩაყები საქართველოში, დავით აღმაშენებელმა 1118–19 წლებში, *სელჩუკებთან* ბრძოლის პროცესში საქართველოში გადმოიყვანა **ყ**-თა დიდი ურდო (40 ათ. მეომარი ოჯახებით). ამ ძალებისაგან მეფემ მუდმივი ჯარი კი არ ჩამოაყალიბა, როგორც ზოგჯერ წერენ, არამედ „მარჯვე“ (ხელსაყრელ) ადგილებში დაასახლა (როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ საზღვრებზე) და დააკისრა სალაშქრო სამსახური. მაქსიმალური ძალა, რომელიც მათ შეეძლოთ ველზე ერთდროულად და ერთ მიმართულებაზე გამოეყვანათ, ალბათ არ აღემატებოდა 15–20 ათ. კაცს, რაც იმ დროისათვის ცოტა არ იყო. **ყ**-მა აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1120–24 წლების სამხედრო კამპანიებში, მაგრამ დავითის გარდაცვალები

შემდეგ მათი უმრავლესობა სამშობლოში დაბრუნდა. მიუხედავად ამისა, XII საუკუნეში საქართველოში კიდევ გადმოდიოდნენ სამხედრო სამსახურში მონაწილეობის მისაღებად **ყ**-თა ახალი ჯგუფები. მათი უკანასკნელი ხსენება საქართველოს ტერიტორიაზე XIV საუკუნის დასაწყისით თარიღდება.

ყიზილბაშები (თურქული – წითელთავა; 12-გრაგნილიანი წითელი ჩალმების გამო, რაც სიმბოლურად 12 შიიტ იმამს აღნიშნავდა), თურქულენოვანი შიიტი მომთაბარე ტომების საერთო სახელწოდება (ტერმინი „ყიზილბაშები“ ცნობილია XV საუკუნის II ნახევრიდან), რომლებიც ცხოვრობდნენ ჯერ ძირითადად ანატოლიაში, მაგრამ ოსმალთა სულთნებთან მტრობის გამო აზერბაიჯანსა და ირანში გადასახლდნენ. **ყ**. XV საუკუნეში წარმოადგენდნენ არდებილის სუფიურ-დერვიშული ორდენის – სეფევიეს, შემდეგ კი *სეფიანთა სახელმწიფოს* მთავარ სამხედრო დასაყრდენს (XVII საუკუნემდე). ზოგჯერ უცხოელები სახელწოდება **ყ**-ს სეფიანთა სახელმწიფოს ყველა ქვეშევრდომზე ავრცელებდნენ.

ყინულზე გადასასვლელი, იხ. *გადასასვლელი.*

ყირგიზეთი (Kyrgyzstan – ყირგიზეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო შუა აზიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 199,9 ათ. *კმ*². მოსახლეობა 5,4 მლნ. კაცი (2012), მათ შორის 60% ყირგიზი. ოფიციალური ენა – ყირგიზული. დედაქალაქი – ქ. ბიშკეკი. ადმინისტრაციულად იყოფა 6 მხარედ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი, აღმასრულებელი – მთავრობა. თანამედროვე **ყ**-მა, რომელიც შედიოდა სსრ კავშირში, დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 15 დეკემბერს. დსთ-ის წევრი ქვეყანა. **ყ**. აგრარულ-ინდუსტრიული ქვეყანაა. მრეწველობის მოწინავე დარგებია: სამთომოპოვებითი, ჰიდროენერგეტიკა, ფერადი და შავი მეტალურგია, ბამბა, მეცხოველეობა. საერთაშორისო აეროპორტი – ბიშკეკი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10,9 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 8,5 ათ. და სამხედრო-საჰაერო 2,4 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული ფორმით (გაწვევით და დაქირავებით).

ყირიმის (იალტის) კონფერენცია 1945 (4–11.02), აშშ-ის (ფ. რუზველტი), დიდი ბრიტანეთის (უ. ჩერჩილი) და სსრ კავშირის (ი. სტალინი) ხელმძღვანელების შეხვედრა საგარეო საქმეთა მინისტრების, უმაღლესი შტაბების უფროსების და მრჩევლების მონაწილეობით. კონფერენციაზე შეათანხმეს ანტიჰიტლერული კოალიციის სამი წამყვანი სახელმწიფოს გეგმები, ფაშისტური გერმანიის და მისი მოკავშირეების განადგურების შესახებ, შეიმუშავეს მსოფლიოს ომის შემდგომი მოწყობის ძირითადი პრინციპები. კერძოდ, შეთანხმდნენ გადაექციათ გერმანია ომის შემდეგ დემილიტარიზებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ; განეიარაღებინათ და დაეშალათ მისი შეიარაღებული ძალები; გაეუქმებინათ გენერალური შტაბი და სამხედრო მრეწველობა; გაეუქმებინათ ფაშისტური კანონები და აეკრძალათ ნაცისტური პარტია; სამართალში მიეცათ სამხედრო დამნაშავეები; გერმანიის ტერიტორია დაეყოთ სამ საოკუპაციო ზონად; დაეკისრებინათ გერმანიისთვის ომის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურება; შეექმნათ აღნიშნული ოპერაციებისთვის სპეციალური კომისია. კონფერენციამ განიხილა გაეროს შექმნის პრობლემა და გადაწყვიტა, 1945 წლის 25 აპრილს მოეწვია სან-ფრანცისკოში გაეროს წესდების შემუშავების დამფუძნებელი კონფერენცია. მიღწეულ იქნა შეთანხმება პოლონეთის საზღვრებისა და მისი მთავრობის შესახებ. შეთანხმდნენ, მოეხდინათ დროებითი მთავრობის რეორგანიზაცია ფართო წარმომადგენლობით საფუძველზე, მათ შორის საზღვარგარეთ მყოფი მოღვაწეების მონაწილეობით; გაეტარებინათ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის საზღვარი „კერზონის ხაზზე“ პოლონეთის სასარგებლოდ 5–8 *კმ*-ის გადახრით. ამასთან, არსებითად გაეფართოებინათ პოლონეთის ტერიტორია ჩრდილოეთით და დასავლეთით. განიხილეს საკითხები იუგოსლავიის მთავრობის შექმნის თაობაზე. შეთანხმება შორეული აღმოსავლეთის საკითხებზე ითვალისწინებდა ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ სსრ კავშირის ჩაბმას იაპონიის წინააღმდეგ ომში.

ყირხბულახის ბრძოლა 1751, ბრძოლა ქართლ-კახეთის ჯარებსა და აზატ-ხანის ლაშქარს შორის, რომელიც ირანის შაჰობის ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო. აზატ-ხანმა ერევნის სახანოს დასაპყრობად ჯარი შეუსია 1751 წლის ივნისში. ერევნის ხანმა დახმარება სთხოვა ქართლის და კახეთის მეფეებს – თეიმურზ II-სა და ერეკლე II-ს. ქართველმა მეფეებმა იცოდნენ, რომ აზატ-ხანის მიერ ერევნის დაპყრობა ამიერკავკასიაში ძალთა ბალანსს შეცვლიდა, ამიტომ ერევნის ხანის დასახმარებლად გალაშქრება გადაწყვიტეს. ჯარს ერეკლე II ჩაუდგა სათავეში. ქართველთა მიახლოებისთანავე აზატ-ხანის სარდლებმა ერევნის ციხის ალყა მოშალეს და უკუიქცნენ. ქართველები დაედევნენ მტერს და მდინარე არაქსის სანაპირო ნახჭევანამდე დაარბიეს. განრისხებული აზატ-ხანი 18 ათ. მეომრით ერეკლეს წინააღმდეგ წამოვიდა. ქართველი მხედრობა 3–4 ათ. მეომარს ითვლიდა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა ივლისში, ყირხბულახთან (ერევნის ახლოს). მოწინააღმდეგის რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად პირველი წარმატება ქართველებს ხვდათ, მაგრამ აზატ-ხანმა კონტრშეტევით მდ-

გომარეობა გამოასწორა. მისმა ჯარებმა ქართველთა მარცხენა ფრთა უკუაგდეს და ერეკლეს მთავარი ძალები ალყაში მოაქციეს. ასეთ პირობებში ერეკლემ ჯარს ჩამოქვეითება უბრძანა. ქართველები ერთ ნასოფლარში გამაგრდნენ. როდესაც მათ პოზიციებს მოწინააღმდეგე გარს შემოერტყა, ერეკლემ თოფის გასროლით მტრის ერთი სარდალი ცხენიდან ჩამოაგდო. ეს იყო ნიშანი, რომ ქართველ მეომრებსაც დაეცალათ თოფები. შემდეგ მეფე ცხენს მოახტა და ლაშქარს შეტევაზე გადასვლა უბრძანა. აზატ-ხანის ჯარმა ქართველთა შეტევას ვერ გაუძლო და გაიქცა. **ყ.ბ**-ის შედეგად გაძლიერდა ქართლ-კახეთის პოლიტიკური გავლენა ერევნის სახანოში, ხოლო ქართული გავლენის სფეროში დროებით ნახჭევანის სახანოც მოექცა.

ყოდალი, ისრის ერთ-ერთი სახეობა.

ყორჩიბაში, ყ ურ ჩ ი ბ ა შ ი (თურქული – მცველთა უფროსი), 1. სეფიანთა სახელმწიფოში შაჰის ყორჩების (ყურჩიების), *ყიზილბაშური* ტომების ზედაფენებიდან გამოსული მეომრებისგან შემდგარი ცხენოსანი გვარდიის მეთაური. 2. აღმოსავლეთ საქართველოში მეფის პირადი სამსახურის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საქართველოში ტერმინი „ყორჩიბაში“ სეფიანთა ირანის გავლენით დამკვიდრდა XVII საუკუნეში და ჩაანაცვლა ძველი „მსახურთუხუცესი“.

ყულარაღასი (თურქული – მონების უფროსი, ყული – მონა, აღა – უფროსი), 1. სეფიანთა სახელმწიფოში შაჰის მონებისაგან (*ღულამები*) შემდგარი ცხენოსანი გვარდიის მეთაური (ეს თანამდებობა ირანში ყოველთვის ქართველებს ეკავათ). 2. XVII–XVIII საუკუნეებში საქართველოში მეფის მცველი მეთოფეების უფროსი (საქართველოში ეს ტერმინი სეფიანთა ირანის გავლენით დამკვიდრდა და ჩაანაცვლა შესაბამისი ტერმინი „მონათუხუცესი“). მეფის მცველ მეთოფეთა უფროსი გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. **ყ.** მეფეს თავს ადგა და ყორჩიბაშთან ერთად მის პირად სამსახურს ხელმძღვანელობდა. ამასთანავე, იგი სასახლის დიდი მოხელე იყო და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა სამეფოს მართვაში. XVIII საუკუნის II ნახევარში ყულარაღასობამ დაკარგა რეალური შინაარსი და მხოლოდ ტიტულად შემორჩა.

ყუმბარა (იტალიური – granata), 1. საბრძოლო მასალა ახლო ბრძოლის საწარმოებლად. განასხვავებენ ხელის **ყ**-ს, ყუმბარსატყორცნის გასროლას და შაშხანის **ყ**-ს. 2. 1 ფუთამდე (16,38*კგ*) მასის საარტილერიო მსხვრევადი და მრსხვრევად – ფუგასური ჭურვების ძველი დასახელება.

ყუმბარსატყორცნი, ახლო ბრძოლის იარაღი ყუმბარით მიზნის დასაზიანებლად. არის: აქტიური (ყუმბარის ტყორცნა ლულაში დამწვარი მუხტის ხარჯზე), აქტიურ-რეაქტიული (აქტიური ტყორცნა ერწყმის ყუმბარის რეაქტიული ძრავის მუშაობას) და რეაქტიული (წარმოადგენს მიმმართველს მხოლოდ რეაქტიული ყუმბარების სროლისათვის). ასევე ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითთა საწინააღმდეგო; არაავტომატური, თვითდამტენი და ავტომატური, ხელის, დაზგის და ხრახნიანი. **ყ**-ის პირველი ნიმუშები II მსოფლიო ომის დროს გაჩნდა.

ყუმბარსატყორცნის გასროლა, ყუმბარსატყორცნიდან სროლის საბრძოლო მასალა. შედგება ყუმბარის და გამტყორცნი (დენთის) მუხტისგან (რეაქტიული ძრავისგან). შეიძლება იყოს ტანკსაწინააღმდეგო (კუმულაციური), ქვეითსაწინააღმდეგო (მსხვრევადი, მსხვრევად-ფუგასური და მსხვრევად-კუმულაციური), ცეცხლგამჩენი, კვამლის გამომშვები, გამანათებელი, სასიგნალო, აქტიური, აქტიურ-რეაქტიული და რეაქტიული. შედგება სათავო ნაწილისგან საბრძოლო მუხტით ან პიროტექნიკური აღჭურვით, ამფეთქისგან, სტაბილიზატორისგან და რეაქტიული ძრავისგან. გამტყორცნი მუხტი აალების საშუალებით გამოიყენება აქტიური და აქტიურ-რეაქტიული ყუმბარებისთვის.

ყურადღების გადატანა, 1. ძირითადი ოპერაციისთვის მოწინააღმდეგის ყურადღების მიმპყრობი მოქმედება (შეტევა, განგაში ან ცრუ იერიში), რომელიც ყურადღებას ადუნებს. 2. დადგენილ მარშრუტში ოპერატიული ან ტაქტიკური მოსაზრებით შეტანილი ცვლილება, რომელიც არ იწვევს დანიშნულების ადგილის შეცვლას. 3. მგზავრობის და ტვირთის გადატანის მარშრუტის შეცვლა ახალი პუნქტისკენ ან ტრანსპორტირების სხვა საშუალებების გამოყენება დანიშნულების საბოლოო ადგილამდე მისაღწევად.

შ

შავი პროპაგანდა, პროპაგანდა, რომლის შინაარსი არ შეესაბამება სიმართლეს. იხ. აგრეთვე *რუხი პროპაგანდა.*

შავი სია, იხ. *რუხი სია.*

შალვა ახალციხელი (გ. 1226), XII საუკუნის დასასრულსა და XIII საუკუნის I ნახევრის ქართველი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, მხედართმთავარი. თამარ მეფის ვაზირი, ერისთავთერისთავი, მონაპირე. თავი ისახელა 1195 წელს *შამქორის ბრძოლაში*, სადაც ხელთ იგდო ხალიფას დროშა. 1202 წელს *ბასიანის ბრძოლაში* **შ.ა**. ქართული ლაშქრის მეწინავე რაზმის ერთ-ერთი სარდალი იყო. 1225 წელს ჯალალედინთან *გარნისის ბრძოლაში* იგი, თავის ძმა ივანესთან (იხ. *ივანე ახალციხელი*) ერთად, კვლავ მეწინავე რაზმს სარდლობდა. ქართულ ლაშქარში არსებული შიდა დაპირისპირების გამო ახაციხელებმა ბრძოლაში დროული მხარდაჭერა ვერ მიიღეს, რაც, შესაძლოა, ქართველთა დამარცხების მთავარი მიზეზი გახდა. **შ.ა**. ტყვედ ჩავარდა. ჯალალედინის მემატიანის ცნობით, სულთანს იგი თავის ბანაკში ჰყავდა, მაგრამ როდესაც შეიტყო, რომ შალვა საიდუმლო ცნობებს აწვდიდა ქართველებს, სიკვდილით დასაჯა.

შამილი (1797–1871), კავკასიის მთიელი ხალხების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლიდერი (1834–59), დაღესტნისა და ჩეჩნეთის ეროვნული გმირი. **შ**. დაიბადა სოფელ გიმრიშში (დაღესტანი), ავარელი უზდენის (თავისუფალი გლეხის) ოჯახში. ისლამური განათლება სასულიერო პირებთან მიიღო. იგი მჭევრმეტყველი, ნიჭიერი და მამაცი ადამიანი იყო. XIX საუკუნის 20-იან წლებში **შ**. ჩაება ჩრდილოეთ კავკასიასა და დაღესტანში რუსეთის სამხედრო-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ *ღაზავათის* ლოზუნგით გაჩაღებულ ბრძოლაში (იხ. *კავკასიის ომი*), იყო იმამების ღაზი-მუჰამედისა (მოკლეს 1832) და ჰამსათ-ბეგის (მოკლეს 1834) თანამებრძოლი. 1834 წელს თვითონ **შ**. აირჩიეს იმამად. მისი ხელმძღვანელობით იმამატი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც სამხედრო-თეოკრატიული სახელმწიფო, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა კავკასიის წინააღმდეგობის მოძრაობაში. **შ**-ის მაქსიმალური წარმატებების ხანაა 1840-იანი წლები, როდესაც მან რამდენიმე მძიმე დამარცხება მიაყენა რუსეთის ჯარებს და განდევნა ისინი მთიანი დაღესტნიდან და ჩეჩნეთიდან. რუსული მონაცემებით, ამ დროისათვის **შ**-ის განკარგულებაში იმყოფებოდა 5 ათ-ანი მუდმივი ჯარი და 48 ათ-ანი მილიციური ლაშქარი, თუმცა ამ შემთხვევაში იმამატის მთელი ბრძოლისუნარიანი მოსახლეობა უფრო იგულისხმება. ის ძალები, რომლებიც **შ**-ს ერთდროულად და ერთი მიმართულებით გამოჰყავდა სალაშქროდ, არ აღემატებოდა 12–15 ათ. მეომარს. 1853–56 წლებში, *აღმოსავლეთის ომის* შემდეგ, რუსეთის მთავრობამ კავკასიაში 360 ათ-ან არმიას მოუყარა თავი. ამ ძალების დიდი ნაწილი (200 ათ. კაცი) იმამატის წინააღმდეგ მოქმედებდა. რუსეთის ჯარებმა ძალთა უდიდესი დაძაბვის ფასად მოახერხეს **შ**-ის დამარცხება, რომელიც 400 მეომრით ალყაშემორტყმულ იქნა ღუნიბის ციხესიმაგრეში და 1859 წლის 26 აგვისტოს დანებდა რუსებს საპატიო პირობებზე. იგი ოჯახითურთ კალუგაში გადაასახლეს. 1870 წელს **შ**-ს ნება დართეს მექაში გამგზავრებულიყო. გარდაიცვალა და დაკრძალულია მედინაში (ახლანდელი საუდის არაბეთი).

შამქორის ბრძოლა 1195, ქართულ ლაშქარსა და ილდენიზიანთა ათაბეგის ჯარებს შორის. XII საუკუნეში საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მეტოქე სამხრეთ-აღმოსავლეთით იყო ილდენიზიანთა ფეოდალური სახელმწიფო, რომლის მეთაური ათაბეგის ტიტულს ატარებდა. 1190-იანი წლების I ნახევარში ილდენიზიანთა სახელმწიფოში ატეხილი შიდა ბრძოლის შედეგად ათაბეგობა ხელთ იგდო აბუ ბაქრმა, რომლის ძმამ, ამირ მირანმა, საქართველოს სამეფო კარს სთხოვა დახმარება. თამარმა ამირ მირანს ოფიციალურად მფარველობა აღუთქვა, რის შემდეგ სამხედრო შეჯახება აბუ-ბაქრთან გარდაუვალი გახდა. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1 ივნისს, ქ. შამქორთან. ქართულ ლაშქარს სარდლობდა *დავით სოსლანი*, ილდენიზიანთა ჯარებს – ათაბეგი აბუ ბაქრი. გააფთრებული ბრძოლა ქართველთა სრული გამარჯვებით დამთავრდა. აბუ ბაქრი გაიქცა. ქართველებმა ხელთ იგდეს 12 ათ. ტყვე და დიდი ნადავლი, მათ შორის ბაღდადის ხალიფის მიერ „საღვთო ომისათვის“ გამოგზავნილი დროშაც. **შ.ბ**-ის შემდეგ ილდენიზიანთა სახელმწიფო საქართველოსათვის სერიოზულ სამხედრო მოწინააღმდეგეს აღარ წარმოადგენდა.

შარაშენიძე ლევან ლევანის ძე (1931–2012), გენერალ-ლეიტენანტი (1989), საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1992). დაამთავრა ალმა-ათის საჰაერო-სადესანტო სამხედრო სასწავლებელი (1955), ვილნიუსის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაუსწრებელად და სამხედრო-პოლიტიკური აკადემია (1971). უკანასკნელი ქართველი საბჭოთა გენერალ-

ლეიტენანტი (1989), მსახურობდა საბჭოთა ჯარში ხელმძღვანელ თანამდებობებზე, საქართველოს სამხედრო კომისრი (1979–89), მთავარი სამხედრო მრჩეველი (1992–93), თავდაცვის მინისტრის მოადგილე რუსეთთან ურთიერთობებისა და საერთო საკითხებში (1993–94). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

შარტავა ჟიული კალისტრატეს ძე (1944–93), პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე, გენერალ-მაიორი (1993). ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1992). დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (1966), ასპირანტურა (1973) და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემია. მუშაობდა ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1993 წელს დანიშნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. წამებით მოკლეს 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმში, ქალაქის დაცემის დღეს. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (გარდაცვალების შემდეგ), მიენიჭა ეროვნული გმირის წოდება.

შასი (ფრანგული – chassis), 1. საფრენი აპარატის საყრდენების ერთობლიობა, რომლებიც საჭიროა ხმელეთის, წყლის, თოვლის და ყინულის ზედაპირიდან აფრენის დროს გაქანებისთვის, ხოლო დაფრენისას – გარბენისა და დამუხრუჭებისთვის. ყველაზე დიდი გავრცელება პოვა თვლიანმა **შ**-მ (სამსაყრდენიანი, ველოსიპედური და მრავალსაყრდენიანი). შეიძლება გამოიყენონ აგრეთვე თხილამურებიანი ან თავკავიანი (მსუბუქ ვერტმფრენებზე). 2. თვლიანი ან მუხლუხა მანქანის ჩარჩო (კორპუსი) ტრანსმისიის აგრეგატებით, სავალი ნაწილით და მართვის მექანიზმებით.

შაშხანა, ინდივიდუალური ცეცხლსასროლი იარაღი გრძელი კუთხვილი ლულით, რომელიც შექმნილია შაშხანის მძლავრი ტყვიის სასროლად. ავტომატიზაციის ხარისხის მიხედვით ასხვავებენ ერთვაზნიან (ბერდანის სისტემა), მჭიდიან, თვითდამტენ და ავტომატურ **შ**-ს. ყველაზე ფართო და ხანგრძლივი გავრცელება პოვა მჭიდიანმა **შ**-მ, რომელიც გამოჩნდა XIX საუკუნის 80-იან წლებში და წარმატებით გამოიყენებოდა II მსოფლიო ომის დასრულებამდე. ჰქონდათ 6,5–8 *მმ* კალიბრი, სიგრძე ხიშტის გარეშე (ხიშტით) 1,1–1,3 *მ* (1,4–1,8 *მ*), მასა 3,7–4 *კგ* (4–4,5 *კგ*), მჭიდის ტევადობა 5–6 ვაზნა, სროლის სისწრაფე 10–12 *გასრ/წთ*-ში, დამიზნებითი სროლის მანძილი 1,5–2 *კმ*. XX საუკუნის პირველ ნახევარში გავრცელებულ თვითდამტენ შ-ებს ჰქონდათ სროლის სისწრაფე 25 *გასრ/წთ*-ში, ხოლო ავტომატურებს – 40 *გასრ/წთ*-ში, თუმცა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის არმიაში ვერ მოხერხდა მათი მასობრივად დანერგვა წარმოების სირთულის გამო. **შ**-ებთან ერთად იქმნებოდა მათი სახესხვაობაც – კარაბინი. II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ბევრი არმიის შეიარაღებაში მიღებული იყო შუალედური ვაზნებისთვის შექმნილი უფრო მსუბუქი და სანდო ავტომატები და საიერიშო **შ**-ები. მათი განვითარება პრაქტიკულად შეწყდა. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ სნაიპერის რამდენიმე ტიპის **შ**.

შაშხანიდან სასროლი ყუმბარა, საბრძოლო მასალა, რომელიც გამოიყენება შაშხანის ყუმბარსატყორცნიდან სროლისათვის. არის აქტიური და აქტიურ-რეაქტიული, კუმულაციური, მსხვრევადი და მსხვრევად-კუმულაციური. კალიბრი 40–75 *მმ*, მასა 200–800 *გრ*, სროლის მანძილი 500 *მ*-მდე, ჯავშანგატანა 300 *მმ*-მდე.

შებოჭვის მიმართულება, მეორეხარისხოვანი, დამხმარე მიმართულება, რომელზეც, ჩვეულებრივ, მოქმედებდა შებოჭვის ჯგუფი.

შევარდნაძე ედუარდ ამბროსის ძე (1928–2014), საქართველოს პრეზიდენტი, სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი (1995–2003). დაამთავრა ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი (1959). ქართველი პოლიტიკოსი, 1957–61 წლებში იყო საქართველოს სსრ-ის კომკავშირის პირველი მდივანი. 1958 წლიდან იყო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი. 1961–64 წლებში კომპარტიის მცხეთის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი, თბილისის პირველი მაისის რაიონის რაიკომის მდივნი (1964). საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი (1965–72), 1972 წლის ივლისიდან სექტემბრამდე საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. საქართველოს სსრ-ის ცკ კომპარტიის პირველი მდივანი (1972–85), საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი (1985–90), აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის გაერთიანებაში. 1992 წელს საპარლამენტო არჩევნებით მოხდა შევარდნაძის ხელმძღვანელობის ლეგიტიმაცია. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავჯდომარე (1992–95), საქართველის თავდაცვის მინისტრი (შეთავსებით 1994). 1995 წელს შექმნა პარტია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც წამყვანი პარტია გახდა საქართველოში (1995–2002). 1995 წლის ნოემბერში აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად ხმათა 74%-ით. 2000 წლის 9 აპრილს ხმათა 82%-ით ხელმეორედ აირჩიეს საქართველოს პრეზიდენტად. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან (2003 წლის 23 ნოემბერი).

შეკვლების ძალები, ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების სამხედრო ფორმირებები, რომლებიც არ შედიან თავდაცვის მთავარი ძალების ან რეაგირების ძალების შემადგენ-

ლობაში. მათი დანიშნულებაა რეგიონული ან ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების საზღვაო სარდლობების გაძლიერება და შემაკავებელი ღონისძიებების გადაწყვეტის, კრიზისის დარეგულირების და თავდაცვის ხელშეწყობა.

„შეზღუდული ბირთვული ომის“ დოქტრინა, კონცეფცია, რომელიც განსაზღვრავს შეზღუდულ ომებში ბირთვული იარაღის გამოყენების პრინციპებს. წამოაყენეს აშშ-ში 50-იანი წლების II ნახევარში. ევროპაში შეზღუდული ბირთვული ომი, „მოქნილი რეაგირების“ სტრატეგიის თანახმად, განიხილებოდა როგორც საყოველთაო ბირთვული ომის ეტაპი. 70-იანი წლების დამდეგიდან სტრატეგიული მიზნების მისაღწევად რეგიონულ ომში თანდათან შემოიღეს საბრძოლო მასალების რაოდენობის და სიმძლავრის შეზღუდვები გასანადგურებელი მიზნების მიხედვით ბირთვული იარაღის დარტყმების სიღრმის და რაიონების გათვალისწინებით. ამერიკის სამხედრო თეორია შეზღუდულ ბირთვულ ომებს მიაკუთვნებს მაღალი ინტენსიურობის ომებს.

შეზღუდული სროლის წარმოების ბეგმა, სიფრთხილის ზომა საკუთარი საფრენი აპარატებისთვის, რომლის შესაბამისად საკუთარი სახმელეთო არაბირთვული ცეცხლის დროს საჰაერო სივრცის მონაკვეთი გამოიყენება შედარებით უსაფრთხო ხარისხის უზრუნველსაყოფად.

შეთანხმება ჯარების სტატუსის შესახებ, საერთაშორისო შეთანხმება, რომლის თანახმად ნატოს წევრი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების, ნატოს სხვა წევრი სახალმწიფოს ტერიტორიაზე ყოფნისას იურიდიული სტატუსი განისაზღვრება.

შეიარაღება, 1. იარაღის და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მის გამოყენებას. განასხვავებენ იარაღის ტიპის (საარტილერიო, სარაკეტო და სხვა), მატარებლის სახის (საავიაციო, სახომალდო და სხვა), საორგანიზაციო კუთვნილების (პოლკის, სახმელეთო ჯარების და სხვა) მიხედვით. 2. ჯარების (ძალების) იარაღით აღჭურვის პროცესი. 3. განსაზღვრული დანიშნულების ელემენტების ერთობლიობა (საიალქნე, დაცვითი და სხვა).

შეიარაღებაზე კონტროლი, ქვეყნებს შორის ურთიერთქმედების პროცესი შეიარაღების შეზღუდვის, შემცირების, გაუვრცელებლობის, წარმოების, შეიარაღებული ძალების გაშლის და/ან გამოყენების საკითხებში.

შეიარაღებაში მიღება, ოფიციალური გადაწყვეტილება (ბრძანება) ახალ- შექმნილი ან მოდერნიზებული სამხედრო ტექნიკის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების საშტატო საშუალებების შემადგენლობაში შეტანის შესახებ. მთელ რიგ ქვეყნებში ხორციელდება თავდაცვის სამინისტროს ბრძანებით მას შემდეგ, რაც შემკვეთი სამმართველო დაადასტურებს საცდელი ნიმუშების მისაღები გამოცდების შედეგებს. ზოგიერთ სახელმწიფოში **შ.მ.** წარმოებს სამხედრო უწყებების მიერ სამხედრო ტექნიკის შესყიდვის პროგრამების ფარგლებში.

შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის უტილიზაცია, საორგანიზაციო-ტექნიკური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და ეკოლოგიური ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც უზრუნველყოფს სამხედრო ტექნიკის გადამუშავებას ან მისთვის სხვა ფუნქციების მინიჭებას სამოქალაქო ტექნიკად გამოყენების მიზნით. უტილიზაციას ექვემდებარება სამხედრო ტექნიკა, რომელიც შემცირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, მოხსნილია შეიარაღებიდან, გამოიმუშავა დადგენილი რესურსი და მოძველებულია. უტილიზაციის ყველაზე დამახასიათებელი სახეობებია: სამოქალაქო მიზნებისთვის გამოყენება საბოლოო დამუშავების და კომპლექტის დაშლის გარეშე (ავტომობილები, საინჟინრო ტექნიკა და ა.შ.), შეიარაღების დემონტაჟის და შესაბამისი საბოლოო დამუშავების შემდეგ. ასევე მოიცავს საყოფაცხოვრებო მოხმარების საგნების გადამუშავებას.

შეიარაღების კომპლექსი, ფუნქციურად დაკავშირებული დამაზიანებელი და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მათ საბრძოლო გამოყენებას. დამაზიანებელ საშუალებებს განეკუთვნება საბრძოლო მასალები (რაკეტების და ტორპედოების საბრძოლო ნაწილები, საავიაციო ბომბები, საარტილერიო ჭურვები და ა.შ.) და მიზანთან მათი მიტანის საშუალებები (რაკეტები, ტორპედოები, თვითმფრინავები, საარტილერიო ქვემეხები და სხვა); უზრუნველყოფის საშუალებებია: რაკეტების სასტარტო მოწყობილობა, დაზვერვის, ცეცხლის მართვისა და სროლის უზრუნველყოფის, სატრანსპორტო-დამმუხტველი, საკონტროლო-შემმოწმებელი და სხვა საშუალებები. ყველაზე გავრცელებულია სარაკეტო კომპლექსები – საზენიტო, სახომალდო, სახმელეთო, ნავსაწინააღმდეგო, რაკეტსაწინააღმდეგო, ტანკსაწინააღმდეგო.

შეიარაღებული აჯანყება, გარკვეული სოციალური ძალების აშკარა გამოსვლა იარაღით არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. **შ.ა**. მიმართულია პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისკენ, როგორც წესი, მიმდინარეობს ქვეყნის მოსახლეობის ფართო მასების მონაწილეობით, არსებითი ცვლილებების მოთხოვნებით. **შ.ა** განსხვავდება პუტჩის, ამბოხებისა და სამხედროების შეთქმულებებისგან. ის შეიცავს სოციალურ რევოლუციად ან სამოქალაქო ომად გადაზრდის შესაძლებლობას.

შეიარაღებული ბრძოლა, ომებში, სამხედრო კონფლიქტებში, შეიარაღებულ აჯანყებებში, ამბოხებებში, პუტჩებში და ა.შ. წინააღმდეგობის გაწევის ძირითადი სახეობა სხვადასხვა მასშტაბის საომარი მოქმედებების წარმოებას ძალებისა და საშუალებების გამოყენებით. კონკრეტულ საომარ სიტუაციებში **შ.ბ.** უკავშირდება წინააღმდეგობის გაწევის სხვა სახეობებს: ეკონომიკურს, სამეცნიერო-ტექნიკურს, დიპლომატიურს, იდეოლოგიურს და ა.შ. ომში **შ.ბ**-ის მიმდინარეობასა და შედეგზე გავლენას ახდენენ: მისი მიზნების სოციალურ-პოლიტიკური ხასიათი; **შ.ბ**-ის მონაწილე შეიარაღებული ძალისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების საბრძოლო ძლიერების მდგომარეობა; სამხედრო ხელოვნების განვითარების დონე. ეს და სხვა ფაქტორები განსაზღვრავენ **შ.ბ**-ის ხერხების და ფორმების თავისებურებებს. მაგალითად, ომში **შ.ბ.** გამოირჩევა უფრო დიდი მასშტაბით, ძალადობის საშუალებების ფართო სპექტრის გამოყენებით, წარმოების ხერხების მრავალფეროვნებით. დღეისათვის დღის წესრიგში დგას ისეთი პოლიტიკური და საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, რომლებიც გამორიცხავენ **შ.ბ**-ს პოლიტიკური არსენალიდან და შექმნიან პირობებს სადავო პრობლემების მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით გადასაწყვეტად.

შეიარაღებული ინციდენტი, შეზღუდული მასშტაბის მცირევადიანი შეიარაღებული შეტაკება; მოულოდნელი, შემთხვევითი ან წინასწარგანზრახული შეიარაღებული ინციდენტი ან პროვოკაცია. (იხ. აგრეთვე *სამხედრო ინციდენტი*).

შეიარაღებული კონფლიქტი, სახელმწიფოებს შორის ან სახელმწიფოებში სოციალურ სფეროებს შორის შეიარაღებული დაპირისპირების სახეობა, რომლის მიზანია ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნულ-ეთნიკური და სხვა წინააღმდეგობების სამხედრო ძალის გამოყენებით გადაწყვეტა. ომთან შედარებით **შ.კ**-ის თავისებურებებს წარმოადგენს: მოწინააღმდეგე მხარეების პოლიტიკური მიზნებისა და ხასიათის შეზღუდულობა; წინა პლანზე არა ძირეული, არამედ უფრო კერძო, სიტუაციური ფაქტორების წამოწევა; სამხედრო ძალის გამოყენების რაოდენობრივი და თვისებრივი შეზღუდვა; დაპირისპირების შედარებით მცირე ტერიტორიული მასშტაბი; დროის მიხედვით ხანმოკლე ან ფეთქებადი ხასიათი; კონფლიქტი, როგორც წესი, გულისხმობს არა მთელი საზოგადოების, არამედ მხოლოდ სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობას; კონფლიქტის პირობებში ომის მდგომარეობისათვის დამახასიათებელი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების უგულებელყოფა. **შ.კ.** შეიძლება გადაიზარდოს ომში, ხოლო ეს უკანასკნელი, პირიქით, დეესკალაციის შედეგად ჩაცხრეს კონფლიქტის დონემდე. გარდა ამისა, დიდი სახელმწიფოსათვის შეზღუდული **შ.კ.** მცირე ტერიტორიის ქვეყანამ, შეიძლება აღიქვას როგორც ომი. XX საუკუნეში **შ.კ**-ებს დიდი სახელმწიფოები იყენებდნენ გეოპოლიტიკური და სხვა უპირატესობის მოსაპოვებლად, ძალების ლოკალური მოსინჯვისათვის. II მსოფლიო ომის შემდეგ, „ცივი ომის“ ეპოქაში, ბევრი შეიარაღებული კონფლიქტი იქცა ორი დაპირისპირებული ბანაკის ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების თავისებურ პოლიგონად. XXI საუკუნის დამდეგს **შ.კ**-ების წინასწარ განჭვრეტა კიდევ უფრო მეტად გაძნელდა, ვინაიდან გაქრა დიდი სახელმწიფოების შემაკავებელი ფაქტორების ბალანსი. ახალი ცენტრები აქტიურად იყენებენ ძალას რეგიონებში გავლენის მოსაპოვებლად. გაძლიერდა ექსტრემისტული ძალების ქმედება და ბირთვული შანტაჟის საფრთხე, რომლებიც **შ.კ**-ებს თავისი ინტერესებისათვის იყენებდენ. ეს თავისებურებები **შ.კ**-ს ანიჭებს საერთაშორისო მშვიდობისათვის საშიშ ხასიათს და მოითხოვს აქტიურ ქმედებებს მათი პრევენციისა და მოგვარებისათვის.

შეიარაღებული კონფლიქტის ლოკალიზაცია, მოქმედებების ერთობლიობა, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებით, რომელიც მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტის მასშტაბების შეზღუდვისკენ, მშვიდობიანი ხერხებით მისი შეწყვეტისათვის პირობების შექმნის მიზნით.

შეიარაღებული ნეიტრალიტეტი, მეომარი სახელმწიფოების მოქმედებებისაგან საკუთარი სავაჭრო ნაოსნობის შეიარაღებული დაცვის პოლიტიკა, რომელსაც ატარებს ნეიტრალური სახელმწიფო (სახელმწიფოების ჯგუფი) და რაც ოფიციალურად არის განცხადებული. **შ.ნ**-ის პრინციპები აისახა პარიზის 1856 წლის დეკლარაციაში საზღვაო ომის შესახებ, ჰაგის 1907 წლის კონვენციაში, ნიონის 1937 წლის შეთანხმებაში სავაჭრო გემებზე წყალქვეშა ნავების მეკობრულ თავდასხმებთან ბრძოლის შესახებ.

შეიარაღებული პროვოკაცია, სახელმწიფოს ან სხვა სუბიექტის მიერ შეზღუდული მასშტაბის სამხედრო ძალის სანქცირებული გამოყენება. მისი მიზანია სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამწვავება, მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დადგენა, მეორე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევის გამართლება, სამხედრო ინციდენტის შექმნა და ომის დაწყების საბაბად გამოყენება და ა.შ. **შ.პ**-ის წინასწარ განზრახული ხასიათის დამტკიცების შემთხვევაში იგი კვალიფიცირდება, როგორც აგრესიის აქტი და საერთაშორისო დანაშაული.

შეიარაღებული ფორმირებები, შეიარაღებული ადამიანების ჯგუფი მეთაურების ხელმძღ-

ვანელობით, რომლებსაც აქვთ ფორმის ტანსაცმელი ან განმასხვავებელი ნიშნები და ეკუთვნიან სახელმწიფო, რელიგიურ და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სტრუქტურას. არსებობს კანონიერი და უკანონო **შ.ფ.** კანონიერი იქმნება და მოქმედებს სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად. უკანონოს არათუ არასახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს, არამედ შეიძლება არსებული ხელისუფლების და სახელმწიფო სტრუქტურების წინააღმდეგაც იბრძოლოს. კანონიერ **შ.ფ**-ს განეკუთვნებიან: სახელმწიფოს რეგულარული არმიის გაერთიანებები, შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები, ასევე არარეგულარული ჯარები. **შ.ფ.**, რომლებშიც შეხამებულია რეგულარული ან არარეგულარული (სხვადასხვა ობიექტების დასაცავი გასამხედროებული ფორმირებები, სპეციალური სამაშველო რაზმები, მილიცია და პოლიცია, სახანძრო დაცვის ნაწილები და სხვა) და არასახელმწიფოებრივი ფორმირებები, რომლებსაც ქმნიან პარტიები, სოციალური ჯგუფები ან **შ.ფ.,** რომელთაც სახალხო ხასიათი აქვთ (მაგალითად პარტიზანული რაზმები). არაკანონიერ **შ.ფ**-ს განეკუთვნებიან ფორმირებები, რომლებსაც ქმნიან ეროვნებები, სოციალური ჯგუფები და პროგრესული მიზნების დამცველები (ეროვნულ-განმათავისუფლებელი და სახალხო-რევოლუციური არმიები, წინააღმდეგობების მოძრაობები და სხვა); ფორმირებები, რომლებიც ასახავენ ვიწროჯგუფურ, ნაციონალისტურ ან რელიგიურ ინტერესებს და მხოლოდ ინიღბებიან პროგრესული ლოზუნგებით („სიკვდილის ესკადრონები“, „წითელი ბრიგადები“ და სხვა); მაფიოზურ-დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც შეიძლება მნიშვნელოვან რაოდენობას აღწევდნენ, გააჩნდეთ თანამედროვე შეიარაღება და მსხვილი ფულადი სახსრები. არაკანონიერ **შ.ფ**-თან ბრძოლაში მართლწესრიგის ორგანოების გარდა შეიძლება ჩაბმული იყოს არმია.

შეიარაღებული შეჭრა, ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შეჭრა ხმელეთით, ჰაერით ან ზღვით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე მისი მთავრობის თანხმობის გარეშე. წარმოადგენს აგრესიის აქტს, როგორც წესი, ხორციელდება უეცრად.

შეიარაღებული ძალები, სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ჯგუფის შეიარაღებული ორგანიზაცია. XX საუკუნემდე შედგებოდა სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან. თანამედროვე **შ.ძ.** ბევრ სახელმწიფოში შედგება **შ.ძ**-ის სხვადასხვა სახეობის, ჯარების გვარეობების, მართვის უმაღლესი და ლოგისტიკის ორგანოებისაგან. ცალკეულ სახელმწიფოებში **შ.ძ**-ის შემადგენლობაში შეჰყავთ აგრეთვე ეროვნული უსაფრთხოების (აშშ), სამხედრო ჟანდარმერიის (საფრანგეთი), ეროვნული გვარდიის (ჩინეთი) ჯარები და სხვა. მისი დანიშნულება განისაზღვრება მშენებლობის, პირადი შემადგენლობის სწავლების და აღზრდის პრინციპების სახელმწიფოს სამხედრო დოქტრინით, ქვეყნის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური შესაძლებლობებით, სამხედრო-გეოგრაფიული მდებარეობის თავისებურებებით და სხვა.

შეიარაღებული ძალების არატრადიციული მოქმედებები, მოქმედებები, რომლებიც მიმართულია დაპირისპირებული ძალების დასაშორიშორებლად, ცეცხლის შეწყვეტაზე დაკვირვების ან პოლიტიკური შეთანხმებების სხვა პირობების დაცვისკენ; უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებისკენ, დემილიტარიზაციის და ბუფერული ზონების რეჟიმის უზრუნველყოფისკენ, ასევე ტერიტორიის კონტროლი (საკონტროლო-გამშვები პუნქტების, ბლოკპოსტების ორგანიზება და სხვა). **შ.ძ.ა.მ**-ის მიზანია კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარული აქციების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აქციების განხორციელება, რომლებიც ხელს უწყობენ სამოქალაქო სტრუქტურების ორგანიზებას ან აღდგენას, დაპირისპირებულ მხარეებს შორის მოლაპარაკებების დაწყების ხელშეწყობას.

შეიარაღებული ძალების განვითარების დაგეგმვა, ნატოს წევრი ქვეყნების სამხედრო მოთხოვნების ეკონომიკურ და საფინანსო რესურსებთან შესაბამისობაში მოყვანის პროცესი.

შეიარაღებული ძალების გაშლა, იხ. *სტრატეგიული გაშლა.*

შეიარაღებული ძალების და სამოქალაქო თავდაცვის რესურსები, უბედური შემთხვევის დროს დახმარებისთვის განკუთვნილი პირადი შემადგენლობა, ტექნიკა, მატერიალური საშუალებები და სხვადასხვა სამსახური, რომელსაც უცხოეთის შეიარაღებული ძალები და სამოქალაქო თავდაცვის ქვედანაყოფები გამოყოფენ.

შეიარაღებული ძალების დაკომპლექტება, იმ ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებსაც სახელმწიფო ახორციელებს პირად შემადგენლობაზე, უფრო ფართო გაგებით კი – შეიარაღებაზე, სამხედრო ტექნიკასა და სხვა მატერიალურ საშუალებებზე შეიარაღებული ძალების მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სახელმწიფოში მიღებული **შ.ძ.დ**-ის სისტემა წარმოადგენს სამხედრო მშენებლობის და მისი შეიარაღებული ძალების მოწყობის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს მათი საბრძოლო მზადყოფნის და ბრძოლისუნარიანობის მდგომარეობას. მშვიდობიანობის დროს **შ.ძ.დ**-ის ამოცანაა, იყოლიოს შტატებით დადგენილი რიცხოვნობის არმია და ფლოტი, დააგროვოს სამხედრო საქმეში საჭირო რაოდენობის განსწავლული რეზერვი; შეიარაღებული ძალების სამხედრო მდგომარეობაზე გადაყვანი-

სას – უზრუნველყოს დროული და სრული სამობილიზაციო გაშლა; ომის პირობებში – უმთავრესად შეავსოს მოქმედი არმიის და ფლოტის დანაკარგები, აგრეთვე პირადი შემადგენლობით უზრუნველყოს ახალი ფორმირებები. **შ.ძ.დ**-ის ძირითადი ელემენტებია: დაკომპლექტების ხერხები, გასაწვევი ასაკი, გასაწვევი კონტინგენტების შერჩევა და განაწილება, დაკომპლექტების პრინციპები და სამხედრო სამსახურის ვადები, სამხედრო სამსახურში მოქალაქეების გაწვევის რაოდენობა. **შ.ძ.დ**. ხორციელდება ორი ძირითადი გზით: მოქალაქეთა სავალდებულო (იძულებითი) სამხედრო ბეგარის (ვალდებულების) საფუძველზე, რომელსაც ისინი იხდიან გაწვევით (მობილიზაციით) და ნებაყოფლობით საწყისებზე – დაქირავებით, კონტრაქტით ან იდეური მოტივაციით. კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ეს ხდებოდა დაქირავების, მოხალისეების, ფეოდალური და სახალხო ლაშქრების, სარეკრუტო ბეგარის, საყოველთაო ან ნაწილობრივი (გამონაკლისებით) სამხედრო ბეგარის (ვალდებულების) გზით და სხვა. აგრეთვე სხვადასხვა ხერხის შეხამებით. **შეიარაღებული ძალების კომბინირებული გამოყენება**, სხვადასხვა სახეობის ჯარების სინქრონული ან ერთდროული გამოყენება, რაც გაცილებით მეტ ზიანს აყენებს მოწინააღმდეგეს, ვიდრე თითოეული სახეობის ქვედანაყოფის ბრძოლაში თანამიმდევრული ჩართვა. **შეიარაღებული ძალების კომბინირებული ჯგუფი,** ორი ან მეტი სახეობის ქვედანაყოფი, რომელიც ბრძოლის დროს ახორციელებს ურთიერთმხარდაჭერას. ასეთი კომბინირებული ჯგუფი, ჩვეულებრივ, შედგება ქვეითი ჯარების, ჯავშანტექნიკის, ავიაციის, საველე არტილერიის, საჰაერო თავდაცვის და საინჟინრო ქვედანაყოფებისაგან.

შეიარაღებული ძალების ლოგისტიკა, შეიარაღებულ ძალებში არმიის და ფლოტის ლოგისტიკური უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ყველა დონეზე აერთიანებს ლოგისტიკის მართვის ორგანოებს, ძალებსა და საშუალებებს. არის სახელმწიფოს თავდაცვითი პოტენციალის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი და მისი ეკონომიკური კომპლექსის და შეიარაღებული ძალების შემაკავშირებელი რგოლი, ასრულებს ამოცანებს ყველა სახეობის შეიარაღებული ძალებისა და გვარეობების ჯარების ინტერესებისათვის. **შ.ძ.ლ**-ის შემადგენლობაში შედიან სპეციალური ჯარების შენაერთები, ნაწილები და დაწესებულებები (საავტომობილო, საგზაო, სამილსადენო, საინჟინრო-სააეროდრომო), მატერიალური და სამედიცინო უზრუნველყოფის შენაერთები, ნაწილები, საწარმოები, ორგანიზაციები და ქვედანაყოფები ლოგისტიკის სამსახურების მიხედვით (საწვავის, სურსათის, სანივთო, საველტერინარო) და სხვა. აგრეთვე ლოგისტიკის მართვის ორგანოები, პუნქტები და საშუალებები. ლოგისტიკის მუშაობის უზრუნველსაყოფად მის შემადგენლობაში შეჰყავთ საინჟინრო ჯარების, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის, კავშირგაბმულობის ჯარების ნაწილები და ქვედანაყოფები და სხვა. ორგანიზაციულად ლოგისტიკის ძალები და საშუალებები შედიან სამხედრო დაჯგუფებების (ფლოტების), გაერთიანებების, შენაერთების და შეიარაღებული ძალების სახეობების ნაწილების შემადგენლობაში, იმყოფებიან მართვის ცენტრალური ორგანოების უშუალო დაქვემდებარებაში. **შ.ძ.ლ**. იყოფა: შესასრულებელი ამოცანების მასშტაბის და ხასიათის მიხედვით – სტრატეგიულ, ოპერატიულ და საჯარისოდ; კუთვნილების მიხედვით – ცენტრის, დაჯგუფების, საფლოტო, არმიის, კორპუსის, ფლოტილიის, ესკადრის სამხედრო-საზღვაო ბაზის, დივიზიონის (ბრიგადის), პოლკის, ბატალიონის (დივიზიონის) ლოგისტიკად.

შ.ძ.ლ-ის პირველი ელემენტები მუდმივი სამხედრო აღალების (ურმების, საზიდრების, საბარგო ავტომანქანების და მისთანების ქარავანი) სახით გაჩნდა XVII საუკუნის 70-იან წლებში. მანამდე მის ამოცანებს უმეტეს არმიებში ასრულებდნენ არასამხედრო უწყებები და კერძო მეწარმეები, ხოლო ლაშქრობებში ჯარებს მიჰყვებოდნენ ვაჭრები (მარკიტანტები). რეგულარული არმიების შექმნის, საომარი მოქმედებების მასშტაბის ზრდის და მისი წარმოების ხერხების შეცვლის შემდეგ, XVIII–XIX საუკუნეებში, ნაწილების, შენაერთების, გაერთიანების შემადგენლობაში და სამხედრო უწყების ცენტრალური ორგანოების განკარგულებაში თანდათან ჩამოყალიბდა საშტატო ქვედანაყოფები (ნაწილები) და დაწესებულებები, რომლებიც განკუთვნილი იყო ჯარების (ძალების) ცენტრალიზებული უზრუნველყოფისათვის ცალ-ცალკე, ლოგისტიკის თითოეული სამსახურის მიხედვით. სამხედრო საქმის შემდგომმა განვითარებამ, მეტადრე XX საუკუნის ომებში ტანკების და ავიაციის გამოყენებამ, ჯარების მოტორიზებამ და მექანიზაციამ მოითხოვეს ტექნიკური, საგზაო, სააეროდრომო უზრუნველყოფის, საწვავით მომარაგების ძალების და სხვა საშუალებების შექმნა. შეიარაღებული ძალების სარაკეტო ტექნიკით დიდძალი რაოდენობის რადიოელექტრონული საშუალებებით და სხვა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვამ განაპირობა ახალი ცვლილებების შეტანა **შ.ძ.ლ**-ის სისტემაში.

შეიარაღებული ძალების მშენებლობა, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შექმნის, მომზადების და განმტკიცების ღონისძიებების სისტემა; სამხედრო მშენებლობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. **შ.ძ.მ**. განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკით, ეკონომიკით და სამხედრო დოქტრინით. **შ.ძ.მ**-ზე

გავლენას ახდენს სამრეწველო წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების დონე, მოსახლეობის რიცხოვნობა და შემადგენლობა, მისი კულტურის დონე და მომზადებული კადრების არსებობა. ასევე ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ინფრასტრუქტურა, შეიარაღების განვითარების მიღწეული დონე, სამხედრო მეცნიერებისა და სამხედრო ხელოვნების წარმატება და სხვა ფაქტორები. **შ.ძ.მ**-ის ძირითად ღონისძიებებს წარმოადგენს: შეიარაღებული ძალების ორგანიზაციული სტრუქტურის, მათი სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარების და სამსახურების ორგანიზაციული სტრუქტურის, შემადგენლობის, თანაფარდობის დადგენა და სრულყოფა; არმიის და ფლოტის ტექნიკური აღჭურვა; შეიარაღებული ძალების დაკომპლექტების წესის და ხერხების დადგენა; საბრძოლო და ოპერატიული მომზადების ორგანიზაცია და მოწყობა; სამხედრო-სამეცნიერო თეორიის, წესდებების, სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება; სამხედრო სამსახურის გავლის და კადრების მომზადების ორგანიზაცია; ჯარების (ძალების) დაბინავება; მათი ყოველმხრივი უზრუნველყოფის ორგანიზაცია და განხორციელება, ფლოტის და ავიაციის ძალების ბაზირების სისტემის შექმნა; სამხედრო საქმეში განსწავლული რეზერვების და სამობილიზაციო მარაგის მომზადება და სხვა. ამ ღონისძიებების შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის და ბრძოლისუნარიანობის საჭირო დონეზე შენარჩუნებისათვის.

შეიარაღებული ძალების სახეობა, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემადგენელი ნაწილი, რომელიც განკუთვნილია გარკვეულ სფეროში (ხმელეთზე, ზღვაზე, საჰაერო სივრცეში) საომარი მოქმედებების წარმოებისათვის. შეიარაღებული ძალების თითოეული სახეობა შედგება ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარების და ლოგისტიკისაგან. სათავეში დგას მთავარსარდალი (სარდალი), მმართველობის ძირითადი ორგანო – მთავარი შტაბი (შტაბი). ბევრ სახელმწიფოში შეიარაღებული ძალები შედგება სამი სახეობისაგან: სახმელეთო ჯარების (სახმელეთო ძალები, არმია), სამხედრო-საჰაერო ძალებისა და სამხედრო-საზღვაო ძალებისგან (სამხედრო-საზღვაო ფლოტი).

შეკავება, 1. უნარი, დაარწმუნოს პოტენციური აგრესორი, რომ აგრესიის და/ან სამხედრო კონფლიქტის შედეგები გადაწონიან გამარჯვების შესაძლო შედეგებს. **შ**-ის პოლიტიკის განხორციელება მოითხოვს საკმარისი სამხედრო პოტენციალის შენარჩუნებას, საიმედო სამხედრო სტრატეგიას, ნათლად გამოხატულ პოლიტიკურ ნებას და მოქმედების სურვილს. 2. სახმელეთო ოპერაციების დროს – კუთვნილი პოზიციის ან რაიონის ძალით შენარჩუნება.

შეკავების პოლიტიკა, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა ღონისძიებების კომლექსი, რომელიც მიმართულია მეორე მხარის დასარწმუნებლად, რომ შეუძლებელია პოლიტიკური მიზნების მიღწევა თავდასხმის ან შეიარაღებული ზემოქმედების გზით.

შეკრება გასვლის წინ, 1. პროცესი, რომლის დროს საზღვაო-სადესანტო ან საჰაერო-სადესანტო ოპერაციებში მონაწილე ქვედანაყოფები ერთად დაჯგუფდებიან ან თავს მოიყრიან. თუ შესაძლებლობის შემთხვევაში გადაადგილდებიან დროებითი დაბანაკების ადგილებისკენ, რომლებიც განლაგებულია ჩატვირთვის პუნქტებთან ახლოს, საბოლოოდ მოემზადებიან ბრძოლისთვის ან ტრანსპორტში ჩასასხდომად. 2. მარაგის და/ან აღჭურვილობის შეგროვების და ორგანიზების პროცესი. განსაკუთრებით ეს შეეხება სატრანსპორტო საშუალებებს, რომლებსაც იყენებენ გადაადგილებისთვის.

შეკრების პუნქტი, ადგილი, სადაც თავს უყრიან სამხედრო ქვედანაყოფებს, ცალკეული კატეგორიების სამხედრო მოსამსახურეებს (რეზერვში მყოფ მოქალაქეებს), საბრძოლო ტექნიკას, სამხედრო ქონებას და სხვა. იმ ქვედანაყოფების შეკრებისათვის, რომლებიც საბრძოლო განგაშით გამოდიან, ინიშნება სპეციალური **შ.პ**-ები, სადაც თავს იყრიან თავიანთი შეიარაღებით, სამხედრო ტექნიკით, საბრძოლო მასალებითა და სხვა მატერიალური საშუალებებით. ისინი მზად არიან გადაადგილდნენ ნაწილის (შენაერთის) თავმოყრის რაიონში ან შეასრულონ საბრძოლო ამოცანები.

შეკრების რაიონი, რაიონი, სადაც ხდება ჯარების თავმოყრა შემდგომი მოქმედებებისათვის მომზადების მიზნით. ტერიტორია, რომელიც ენიშნება: ნაწილს – სტიქიური უბედურებების შედეგების ლიკვიდაციის დროს; ბატალიონს – სარკინიგზო, წყალსანაოსნო და საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანის შემდეგ გადმოტვირთვისას; ბატალიონს და ასეულს – ჯარების შეცვლისა და დესანტირების დროს. სამხედრო-საზღვაო ძალებში **შ.რ**-ები ენიშნებათ სადესანტო ხომალდებს დესანტის ფორმირების რაიონებში მათ გაშლამდე.

შელფი (კონტინენტური შელფი), 1. მსოფლიო ოკეანის ფსკერის სანაპირო ნაწილი, ნაპირიდან კონტინენტურ ფერდობამდე (გეოლოგიური კონტინენტის მეჩეჩი) 1500 *კმ*-მდე სიგანის (საშუალო სიგანე 65 *კმ*), 200 *მ*-მდე (ადგილებში მეტი) სიღრმით. **შ**-ის საერთო ფართობია 31194 ათ. *კვ/კმ*, მსოფლიო ოკეანის ფსკერის ფართობის 8,6%), 2. საერთაშორისო სამართალში ზღვის ფსკერის ზედაპირი და წიაღი სანაპირო სახელმწიფოების ტერიტორიული წყლების ფარგლებს გარეთ. გარე

საზღვარი – 200 მილის მანძილზე (მაქსიმალური – 350 მილამდე), გადაითვლება იმავე საწყისი ხაზებიდან, რაც ტერიტორიული წყლები. სანაპირო სახელმწიფო ინარჩუნებს ზღვის ფსკერის ზედაპირის და წიაღის დამუშავების სუვერენულ უფლებას თავისი კონტინენტური **შ**-ის ფარგლებში ისე, რომ არ შეეხოს **შ**-ის გამავალი წყლის და მასზე საჰაერო სივრცის სამართლებრივ სტატუსს. **შ**-ის სამართლებრივ რეჟიმს არეგულირებს 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენცია და სახელმწიფოს შიდა კანონები.

შემადგენლობაში შეყვანა, ნაწილების, ქვედანაყოფების და სამხედრო-მოსამსახურეების შედარებით მუდმივი დროით საორგანიზაციო ერთეულში შეყვანა. ამ ორგანიზაციული ერთეულის ჩარჩოებში ასეთი ნაწილების, ქვედანაყოფების ან სამხედრო მოსამსახურეების ოპერატიული მართვის და ლოგისტიკური უზრუნველყოფის განხორციელება. **შ.შ.** ხდება მათ მიერ ძირითადი ამოცანის ან მათ წინაშე დასმული ამოცანების დიდი ნაწილის შესრულების მიზნით.

შემაკავებელი მოქმედება, 1. პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა სფეროებში ზომების ერთობლიობა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო (სახელმწიფოების კოალიცია) აგრესიის ან საერთაშორისო ნორმების სხვა დარღვევების აღკვეთის მიზნით. 2. თანამიმდევრული ბრძოლების წყება დაფარვის ზოლში (ზონაში), რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის შეტევის შეკავების და მისთვის მაქსიმალური დანაკარგის მიყენების მიზნით. **შ.მ**-ის წარმოება გათვალისწინებულია აშშ-ის, გერმანიის და მთელი რიგი სხვა ქვეყნების არმიების წესდებებით. აშშ-ის არმიაში **შ.მ**-ს განიხილავენ როგორც უკანდახევით სახეობას და იმავდროულად მოგერიებითი მოქმედებების ნაირსახეობას. გერმანიის არმიაში ითვლება საბრძოლო მოქმედებების დამოუკიდებელ სახეობად.

შემაკავებელი პოზიცია (შემაკავებელი ზღუდე), პოზიცია, რომელიც განკუთვნილია შემაკავებელი მოქმედებების წარმოებისათვის. **შ.პ**-ის საფუძველს შეადგენენ ოცეულის და ასეულის საყრდენი პუნქტები. აშშ-ის არმიის წესდებების შესაბამისად, იმართება ძირითადი, რამდენიმე შუალედური და საბოლოო შემაკავებელი პოზიციები ერთმანეთისაგან 10–15 *კმ* მანძილზე.

შემაკავებელი ძალები, მნიშვნელოვანი ჩვეულებრივი და ბირთვული ძალები და საშუალებები, რომლებიც გამოხატავენ მტკიცე პოლიტიკურ ნებას იმოქმედონ ნებისმიერი პოტენციური აგრესორის დასარწმუნებლად იმაში, რომ მისი მხრიდან ზეწოლის ან შეიარაღებული კონფლიქტის შედეგები გადაწონიან შესაძლო სარგებელს. ჩრდილოატლანტიკური კავშირის ბირთვული ძალების დაწყობის შესაბამისად, ეს ძალები მინიმალურ დონეზე არიან, რაც საკმარისია მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის.

შემაწუხებელი ცეცხლი, იხ *ცეცხლი.*

შემდგომი ამოცანები, იხ. *საბრძოლო ამოცანა.*

შემთხვევითი დაზიანება, მშვიდობიანი მოსახლეობის და მისი ქონების არაგანზრახული და არასასურველი დაზიანება, რომელიც თან ახლავს საკუთარი ძალების მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულებას.

შემთხვევითი დაზიანების მანძილი, მეტრებში გამოხატული მინიმალური მანძილი, რომლითაც განისაზღვრება ბირთვული აფეთქების ეპიცენტრის დაშორება მშვიდობიანი დასახლებისგან, რომელიც უნდა ქმნიდეს 99%-იან გარანტიას, რომ მოსახლეობის შემთხვევითი დაზიანების და მატერიალური ზარალის მიყენების ალბათობა არ გადააჭარბებს 5%-ს.

შემოვლა, 1. მანევრი, რომელიც ხორციელდება მოწინააღმდეგის განლაგებაში ჯარების (ძალების) ღრმა შეღწევისა და მისთვის ზურგიდან დარტყმების მიყენების მიზნით. ხორციელდება მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობაში ღია ფლანგის ან შუალედების (რღვევულების) არსებობის დროს იმ ჯარებთან (ძალებთან) ურთიერთქმედებით, რომლებიც მოქმედებენ ფრონტიდან, აგრეთვე საჰაერო დესანტების მონაწილეობით. **შ**. გამოიყენება მოწინააღმდეგის დაჯგუფების ალყაში მოსაქცევად და გასანადგურებლად, ჯარების მართვის მოსაშლელად, მნიშვნელოვანი ობიექტების (ზღუდეების) ხელში ჩასაგდებად. სამხედრო-საზღვაო ძალებში **შ**. ხორციელდება ხელსაყრელი პოზიციის დასაკავებლად და მოწინააღმდეგის მთავარ დაჯგუფებაზე (ობიექტზე) დარტყმის მისაყენებლად მისი დაფარვის ძალებთან (მეწინავე რაზმთან) საცეცხლე შეხებაში ჩაუბმელად. ზოგიერთ შემთხვევაში **შ**. შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯარების გასაყვანად (გამოსაყვანად) ახალ პოზიციებზე (ზღუდეებზე, რაიონებში) საკუთარი ჯარების განლაგების სიღრმეში; 2. დასნებოვნების, ნგრევის, ხანძრის, წყალდიდობის და სხვა უბნების გადალახვის ერთ-ერთი ხერხი.

შემომვლელი რაზმი, სპეციალურად შექმნილი ფორმირება, რომელიც იგზავნება მოწინააღმდეგის შემოსავლელად, მისთვის ზურგიდან ან ფლანგში დარტყმის მიყენების, მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში მნიშვნელოვანი ობიექტების ხელში ჩაგდების და შენარჩუნების მიზნით. არის საბრძოლო წყობის ელემენტი საბრძოლო მოქმედებების დროს, რომელიც წარმოებს მთაში, უდაბნოში, ტყიან, ჭაობიან ადგილებში, ხოლო ზოგჯერ – ჩვეულებრივ პირობებში. **შ.რ**. იქმნება საერთოსაჯარისო ნაწილების და სხვა გვარეობების ჯარების გაძლიერებული ქვედანაყოფებისაგან.

შემორტყმა, მანევრი, რომელიც ეწყობა შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების) გასაყვანად მოწინააღმდეგის განლაგებაში მისი დაჯგუფების ფლანგზე (ფლანგებზე) იერიშის მისატანად. ხორციელდება საბრძოლო ან წინასაბრძოლო წყობით, ძალების ნაწილით, ან მთავარი ძალებით საცეცხლე და ტაქტიკური ურთიერთქმედებით ჯარებთან, რომლებიც ფრონტიდან მოქმედებენ.

შემცირებული შემადგენლობის სამხედრო ნაწილი, სამხედრო ფორმირებების მშვიდობიან პერიოდში შენახვის კატეგორია, რომლის დროსაც პირადი შემადგენლობის საშტატო რაოდენობა მნიშვნელოვნად ნაკლებია ომის დროს განსაზღვრულ რაოდენობაზე. იგი განისაზღვრება საჭირო დონეზე საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის შენარჩუნების, აგრეთვე ყოველდღიური საქმიანობის უზრუნველყოფის გათვალისწინებით. შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და სხვა მატერიალური საშუალებები საომარი პერიოდის შტატის შესაბამისად ხანგრძლივი ვადით ინახება ნაწილებში, ცალკეული სახეები – ბაზებსა და საწყობებში.

შემხვედრ-ბადამკვეთი კურსი, კურსი, რომლის შენარჩუნებამ შესაძლებელია გამანადგურებელ-დამჭერის და მიზნის შეტაკება გამოიწვიოს.

შემხვედრი ბატალია, მხარეთა ჯარების ოპერატიული დაჯგუფებების შეტევითი მოქმედების განსაკუთრებული სახეობა, რომლის დროსაც ისინი ცდილობენ შეტევით მიაღწიონ დასახულ მიზნებს. შეიძლება წარმოიშვას: ომის საწყის პერიოდში თავდაცვის მიზნით, გაერთიანების წინ წაწევის დროს; თავდაცვაში – გაშლის ზღუდეზე კონტრდარტყმის მისაყენებლად; აერომობილურ (საჰაერო-მოიერიშე) ფორმირებებთან, სარეიდო რაზმებთან, ოპერატიულ საჰაერო და საზღვაო დესანტებთან და მოწინააღმდეგის სხვა მაღალმობილურ ოპერატიულ დაჯგუფებებთან II ეშელონის (ოპერატიული რეზერვის) შეტაკებისას, რომლებიც თავდაცვის სიღრმეში შემოიჭრნენ. **შ.ბ.** შეიძლება წარმოიშვას კონტრშეტევაზე ჯარების გადასვლის დროს, მოწინააღმდეგის კონტრდარტყმების მოგერიების, რეზერვების განადგურებისას და სხვა. ჩვეულებრივ, **შ.ბ.** წარმოებს არმიის, საარმიო კორპუსების მასშტაბით. გულისხმობს: მხარეების დაახლოებას, ბატალიის დაწყებას (საცეცხლე დარტყმების მიყენებას შემხვედრი დაჯგუფებისათვის, მეწინავე რაზმების, აერომობილური ჯარების, ავანგარდების, დაფარვის ნაწილების მოქმედებას ხელსაყრელი მიჯნების დასაპყრობად), მთავარი ძალების მოქმედებას (მათ გაშლას, ბატალიებსა და შეტევაში შეყვანას), საომარი მოქმედებების დასრულებას (თავდაცვაზე გადასვლას ან ერთი მხარის ჯარების უკან დახევას, შეტევის განვითარებას, ან მეორე მხარის ჯარების დევნაზე გადასვლას). **შ.ბ**-ის დროს, განსაკუთრებით მისი დაწყებისას, ქვედანაყოფები, ნაწილები და შენაერთები აწარმოებენ შემხვედრ ბრძოლებს. მათი ერთობლიობა შეადგენს **შ.ბ**-ის დედაარსს.

შემხვედრი ბრძოლა, შეტევითი ბრძოლის ნაირსახეობა, რომელშიც ორივე მხარე ისწრაფვის დასახული ამოცანები შეასრულოს შეტევით, რათა მოკლე ვადაში გაანადგუროს მოწინააღმდეგე, ხელთ იგდოს ინიციატივა და შექმნას პირობები შემდგომი წარმატებისათვის. **შ.ბ.** წარმოიშობა მარშზე მოწინააღმდეგესთან შეხვედრისას; თავდაცვაში – კონტრშეტევების მოწყობის და კონტრდარტყმების მიყენების დროს; ქვედანაყოფების და ნაწილების წინ წაწევისას ახალი მიჯნის დასაკავებლად ან I ეშელონის ჯარების შესაცვლელად მოწინააღმდეგის აერომობილურ ნაწილებთან, ტაქტიკურ საჰაერო და საზღვაო დესანტებთან ბრძოლის დროს. კონტრშეტევაში (შეტევაში) **შ.ბ**. შეიძლება წარმოიშვას ბატალიაში ჯარების შეყვანის, კონტრიერიშების (კონტრდარტყმების) მოგერიების, წარმატების განვითარების დროს. ასევე რღვეულების (ხვრელების) დასაფარავად ან ხელსაყრელი მიჯნების დასაკავებლად მოწინააღმდეგესთან შეტაკების დროს, მისი თავდაცვის სიღრმეში სამანევრო მოქმედებისას. **შ.ბ**. გულისხმობს: მხარეების დაახლოებას, ბრძოლის დაწყებას, მთავარი ძალების ბრძოლას და დამაგვირგვინებელ მოქმედებას. მხარეთა ძალების ზრდის პირობებში **შ.ბ**. შეიძლება გადაიზარდოს ზოგადად შემხვედრ ბატალიაში.

შენაერთი, სამხედრო ფორმირება, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისა ან ნაკლები შემადგენლობის შენაერთისაგან, ჩვეულებრივ, ჯარების (ძალების) სხვადასხვა გვარეობის, სპეციალური ჯარების (სამსახურების), აგრეთვე უზრუნველყოფის და მომსახურების ნაწილების და ქვედანაყოფებისაგან. გაერთიანებებისაგან განსხვავებით, **შ**-ს, როგორც წესი, აქვს მუდმივი შემადგენლობა და საშტატო ორგანიზაცია. შემადგენლობის და გადასაწყვეტი ამოცანების მიხედვით განასხვავებენ ოპერატიულ, ოპერატიულ-ტაქტიკურ და ტაქტიკურ შენაერთებს. ოპერატიულ **შ**-ებს, მაგალითად, განეკუთვნება ავიამზიდების დამრტყმელი **შ**-ები აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებში; ოპერატიულ-ტაქტიკურ **შ**-ებს II მსოფლიო ომის წლებში განეკუთვნებოდა მსროლელი, სატანკო, მექანიზებული, კავალერიის და სხვა კორპუსები, ზოგჯერ ხომალდების ესკადრები. ზოგი სახელმწიფოს თანამედროვე შეიარაღებულ ძალებში არმიის კორპუსი განისაზღვრება როგორც უმაღლესი ტაქტიკური **შ**. ტაქტიკურ **შ**-ებს ეკუთვნის სხვადასხვა ტიპის დივიზიები, ბრიგადები და სხვა.

შენიღბვა, ღონისძიებების კომპლექსი, რომლის მიზანია, დაფაროს მოწინააღმდეგის ჯარე-

ბი (ძალები) და ობიექტები, შეცდომაში შეიყვანოს იგი ჯარების (ძალების) განლაგების, მათი შემადგენლობის, მდგომარეობის, მოქმედებისა და განზრახვების, აგრეთვე სარდლობის გეგმების შესახებ. საბრძოლო (ოპერატიული) უზრუნველყოფის სახეობა. **შ.** ხელს უწყობს ჯარების (ძალების) მოქმედებების მოულოდნელობის მიღწევას, მათი ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას და სიცოცხლისუნარიანობის ამაღლებას. გამოყენების მასშტაბების და ამოცანების ხასიათის მიხედვით იყოფა სტრატეგიულ-ოპერატიულ და ტაქტიკურ **შ**-დ. სტრატეგიული **შ.** ხორციელდება უმაღლესი მთავარსარდლობის გადაწყვეტილებით და მოიცავს მოწინააღმდეგისაგან კამპანიების, სტრატეგიული ოპერაციების მომზადების დაფარვის, აგრეთვე შეიარაღებული ძალების ჭეშმარიტ განზრახვებთან და მოქმედებებთან დაკავშირებით დეზორიენტაციის ღონისძიებების კომპლექსს. ოპერატიული **შ.** ხორციელდება ოპერაციების მომზადების გასაიდუმლოების, ოპერატიული მოულოდნელობის მიღწევის, მოწინააღმდეგისათვის ჯარების (ძალების) მოქმედებების მთავარი მიმართულების დაფარვის მიზნით. ხორციელდება დაჯგუფების ჯარების (არმიის) მიერ, ფლოტის (ფლოტილიის) სარდლის გადაწყვეტილებით. ტაქტიკური **შ.** ეწყობა და ხორციელდება შენაერთებში, ნაწილებსა და ქვედანაყოფებში და ცალკეულ ობიექტებზე. მისი მიზანია დაფაროს ჯარების (ძალების) არტილერიის და რაკეტების საცეცხლე (სასტარტო) პოზიციების, მართვის პუნქტებისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ობიექტების ბრძოლისათვის მზადება ან საერთოდ არსებობა (განლაგება). იგი ხორციელდება საბრძოლო (ოპერატიული) უზრუნველყოფის სხვა სახეობებთან შეთანხმებულად შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების) მეთაურების გადაწყვეტილებით, მთელი პირადი შემადგენლობის მიერ თავისი ძალებით და საშუალებებით. მათგან ყველაზე რთულ ამოცანებს, რომლებიც მოითხოვენ სპეციალური საშუალებების და ტექნიკის გამოყენებას, ასრულებენ სპეციალური ჯარების ნაწილები და ქვედანაყოფები.

იმის მიხედვით, თუ დაზვერვის რა საშუალებების წინააღმდეგ ხორციელდება **შ.**, იგი შეიძლება იყოს ოპტიკური, ოპტიკურ-ელექტრონული, რადიოლოკაციური, რადიოელექტრონული, ბგერითი (აკუსტიკური), ჰიდროაკუსტიკური და სხვა. დიდი ეფექტის მიღწევა ხდება მოწინააღმდეგის დაზვერვის ყველა საშუალების წინააღმდეგ შენიღბვის ერთდროული გამოყენებით. ხორციელდება საბრძოლო მოქმედებების მომზადებისა და მსვლელობისას საიდუმლოდ. ასევე ჯარების და ობიექტების ფარული განლაგებით, ადგილმდებარეობის შემნიღბველი თვისებებისა და შეზღუდული ხედვის პირობების, შენიღბვის ტექნიკური საშუალებების და იმიტაციის, კვამლის, აეროზოლების გამოყენებით. ამასთანავე, დემონსტრაციული მოქმედებებით, ჯარების, პოზიციებისა და ობიექტების განლაგების ცრუ რაიონების შექმნით, შეიარაღებისა და ტექნიკის შემნიღბავი შეფერვით, მოწინააღმდეგის დეზინფორმაციით.

შენიღბვის საშუალებები, სამრეწველო და საჯარისო დამზადების საშუალებები ჯარების (ძალების) და სამხედრო ობიექტების შესანიღბად. იყოფა შენიღბვის და იმიტაციის საშუალებებად. **შ.ს.** შეიძლება იყოს ზოგადი (ნიღბები, პირადი შემადგენლობის საშუალებები, შემნიღბავი შეფერილობა, აეროზოლური, ქაფწარმომქმნელი) და სპეციალური დანიშნულების (შესანიღბავი შალითები და მოსასხამები, ნიღბები, საბორტო აეროზოლური, შუქსანიღბავი, მაყუჩები და სხვა). იმიტაციის საშუალებები იყოფა სამხედრო ტექნიკის მაკეტებად (მაკეტების კომპლექტებად) და ფიზიკური ველების (რადიოლოკაციური, სითბური, მაგნიტომეტრიული, ბგერითი, რადიაციული და სხვა) იმიტატორებად.

შერეული კოლონა, სალაშქრო კოლონა, რომელიც შედგება სხვადასხვა გვარეობის ჯარების ქვედანაყოფებისაგან (ნაწილებისაგან) ან ერთი ქვედანაყოფისაგან (ნაწილისაგან), რომლის შემადგენლობაშიც არის გამავლობის და მოძრაობის სიჩქარის მხრივ განსხვავებული ტიპის მანქანები. **შ.კ.**, საშუალებას იძლევა, შეინარჩუნონ ნაწილების (ქვედანაყოფების) ორგანიზაციული სტრუქტურა და სწრაფად განახორციელონ მათი გაშლა საბრძოლო წყობად.

შესასრულებელი დირექტივა, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს დირექტივა, რომლის შესაბამისად ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სტრატეგიული სარდლობის სარდალს განსაზღვრული, წინასწარ დამტკიცებული ოპერატიული გეგმის შესრულების უფლებამოსილება ეძლევა.

შესაძლო იერიშების არე, საჰაერო სივრცის ნაწილი. მასში მყოფ თვითმფრინავს (ვერტფრენს) ან დაზიანების საშუალებების შემცველ სხვა საფრენ აპარატს შეუძლია გავიდეს დამიზნების ტრაექტორიაზე და შეასრულოს დამიზნებით სროლა (რაკეტების გაშვება, ბომბების, ტორპედოების ჩაყრა) მიწისზედა, წყალზედა, წყალქვეშა ან საჰაერო მიზნებზე.

შეტევა, ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებების ძირითადი სახეობა, რომელიც გამოიყენება მოწინააღმდეგის განადგურების და მნიშვნელოვანი რაიონების (ზღუდეების, ობიექტების) დაუფლების მიზნით. მისი მიზანია მოწინააღმდეგის დამარცხება ყველა არსებული საშუალებით, გადამწყვეტი იერიშით, მოწინააღმდეგის განლაგების სიღრმეში ჯარების სწრაფი წინსვლით, ცოცხალი ძალის განადგურებით (დატყვევებით), იარაღის, სამხე-

დრო ტექნიკის და ადგილმდებარეობის დასახული რაიონების (ზღუდეების) ხელში ჩაგდებით. **შ.** შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური, მიმდინარეობდეს ბატალიების, ოპერაციების, ბრძოლებისა და სხვა ფორმის საომარი მოქმედებების განხორციელების გზით. ხმელეთზე **შ.** შეიძლება განხორციელდეს მოწინააღმდეგეზე, რომელიც თავს იცავს, მოწინააღმდეგეზე რომელიც ცდილობს თავისი **შ**-ის ამოცანების გადაწყვეტას (შემხვედრი ბრძოლა, შემხვედრი ბატალია) ან მოწინააღმდეგეზე, რომელიც უკან იხევს (დევნა). **შ**-ის ნაირსახეობაა კონტრშეტევა. **შ.** შეიძლება დაიწყოს მოწინააღმდეგესთან უშუალო შეხებით ან შეუჩერებლივ, სიღრმიდან ჯარების გამოყვანით, მოწინააღმდეგის უზრუნველყოფის ხაზის გადალახვით, თავდაცვის, მათ შორის, გამაგრებული რაიონის გარღვევით ან შემხვედრი ბრძოლის (ბატალიების) წარმოებით. **შ**. შეიძლება განხორციელდეს მტრის აგრესიის მოგერიებისას, აგრეთვე თავდაცვითი ოპერაციების წარმატებით განხორციელების შემდეგ. **შ**-ის პერიოდებია: იერიშის საცეცხლე მომზადება, იერიშის საცეცხლე მხარდაჭერა, თავდაცვის სიღრმეში ჯარების **შ**-ის საცეცხლე თანხლება. ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მოეწყოს სიღრმიდან ჯარების გამოყვანის საცეცხლე უზრუნველყოფა. **შ**-ის ხერხები იცვლება შეიარაღებული ბრძოლის ძალების და საშუალებების სრულყოფის გავლენით. **შ**. განსაკუთრებულ პირობებში (სამრეწველო რაიონში, ქალაქში, მთებში, ტყეში, უდაბნოში, ჩრდილოეთის რაიონებში, ზამთარში) ხორციელდება იმავე პრინციპებით, ოღონდ სპეციფიკური თავისებურებებით.

შეტევა კოსმოსური თავდაცვის საშუალებებზე, საბრძოლო ოპერაციები, რომლებიც მიმართულია მოწინააღმდეგის კოსმოსური სისტემის შემადგენელი მიწისზედა და კოსმოსური საბრძოლო ან უზრუნველყოფის კომპლექსების წინააღმდეგ.

შეტევა საჰაერო თავდაცვის საშუალებებზე, საბრძოლო ოპერაციები, რომლებიც მიზნად ისახავენ მოწინააღმდეგისთვის საავიაციო-კოსმოსურ სივრცეში მოქმედებების უნარის წართმევას. მიმდინარეობს ატმოსფეროში მოქმედ საბრძოლო და/ან უზრუნველყოფის სისტემებზე შეტევის განხორციელებით.

შეტევითი ბრძოლა, ჯარების (ძალების) ტაქტიკური მოქმედებების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოწინააღმდეგეზე გამარჯვების მისაღწევად; გამოიყენება დაპირისპირებული ტაქტიკური დაჯგუფების განადგურების და მნიშვნელოვანი რაიონის (ზღუდის, ობიექტის) დაზიანების მიზნით, რაც უზრუნველყოფს ხელსაყრელ პირობებს შემდგომი მოქმედებებისათვის. მისი მიზანია, მოწინააღმდეგის დაზიანება ყველა არსებული საშუალებით, გადამწყვეტი იერიში, ჯარების სწრაფი წინსვლა მისი განლაგების სიღრმეში, ცოცხალი ძალის განადგურება და დატყვევება, იარაღის, სამხედრო ტექნიკის, სხვადასხვა ობიექტისა და დასახული რაიონის (ზღუდის) ხელში ჩაგდება.

შეტევითი ოპერაცია, მიზნის, ამოცანების, ადგილის და დროის მიხედვით შეთანხმებული და ურთიერთდაკავშირებული ოპერაციების, ბატალიების, ბრძოლების, დარტყმებისა და მანევრის ერთობლიობა, რომელსაც ახორციელებენ გაერთიანებები ერთიანი ჩანაფიქრით და გეგმით. მოწინააღმდეგის დაჯგუფებების განადგურების და მისი ტერიტორიის დაუფლების მიზნით ტარდება საომარი მოქმედებების კონტინენტური თეატრის სტრატეგიულ ან საოპერაციო მიმართულებაზე. მასშტაბის მიხედვით **შ.ო**. შეიძლება იყოს: სტრატეგიული, დაჯგუფებების (არმიების ჯგუფის), არმიის (კორპუსის); დროის მიხედვით – პირველი და მომდევნო; ჩვეულებრივ, **შ.ო**. ხორციელდება შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სახეობის გაერთიანების (შენაერთის) ერთობლივი ძალისხმევით. **შ.ო**-ის ძირითადი მაჩვენებლებია მონაწილე ჯარების (ძალების) რაოდენობა და ოპერაციის მასშტაბი.

შეტევის დასწრება, შეტევა, რომლის დაწყება გამოწვეულია უტყუარი მინიშნებებით ან ინფორმაციით, რომ გარდაუვალია შეტევა მოწინააღმდეგის მხრიდან.

შეტევის დრო, საათი, რომელზეც დანიშნულია შეტევის დაწყება. თუ საწყისი ზღუდე წინასწარაა დადგენილი, მაშინ ეს არის შეტევის მეწინავე ქვედანაყოფების მიერ მისი გადაკვეთის დრო.

შეტევის ზოლი, ადგილმდებარეობის ზოლი, რომლის ფარგლებშიც გაერთიანება (შენაერთი, ნაწილი) ასრულებს ოპერატიულ (საბრძოლო) ამოცანებს შეტევის დროს. შემოფარგლულია მარჯვნიდან და მარცხნიდან გამმიჯვნელი ხაზებით. **შ.ზ**-ის სიგანე დამოკიდებულია საბრძოლო ამოცანის შინაარსზე, საკუთარი ჯარების შემადგენლობაზე, მათი გაძლიერების საშუალებებზე, მოწინააღმდეგის შემადგენლობაზე, განლაგებასა და მოქმედებების ხასიათზე, ადგილმდებარეობის თავისებურებებზე, ჰიდრომეტეოროლოგიურ და კლიმატურ პირობებზე. II მსოფლიო ომის დროს **შ.ზ**-ის სიგანე მსროლელი პოლკისათვის იყო 2 *კმ*-მდე, მსროლელი დივიზიისა – 2–4 *კმ*, საერთო-საჯარისო არმიისა – 35–50 *კმ*, დაჯგუფების (ფრონტის) – 200–300 *კმ*.

შეტევის საარტილერიო მომზადება, საარტილერიო ცეცხლის გახსნა შეტევის წინ მოწინააღმდეგის თავდაცვის შესასუსტებლად ან კავშირგაბმულობის საშუალებების ჩასახშობად.

შეტევის საწყისი ზღუდე, სახმელეთო ჯარების საბრძოლო მოქმედებების ხაზი. მისი და-

ნიშნულებაა მოძრაობის დაწყების კოორდინაცია შეტევაში მყოფი ქვედანაყოფების იერიშზე გადასვლის მიზნით.

შეტევის ტემპი, იხ. *ტემპი.*

შეტევის ჩაშლა, მოწინააღმდეგის საავიაციო, საჰაერო თავდაცვის, სახმელეთო და სხვა დაჯგუფებაზე, ასევე მართვის და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემებზე ისეთი ზემოქმედება, რომლის შედეგადაც იგი იძულებული გახდება უარი თქვას არჩეულ მიმართულებაზე დასახული მიზნის განხორციელებაზე. **შ.ჩ**-ის მიზანია, წაართვას მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა გააგრძელოს შეტევა ჯარების (ძალების) დაჯგუფებების შემადგენლობაში. **შ.ჩ**-ს აწარმოებენ საერთოსაჯარისო გაერთიანებები, შეიარაღებული ძალის სახეობების შენაერთებთან ურთიერთქმედებით.

შეტყობინება, მართვის ორგანეობის და ჯარებისათვის (ძალებისათვის) სამხედრო სარდლობის სიგნალების, ბრძანებების (განკარგულებების), მოწინააღმდეგის და საკუთარი ჯარების (ძალების) მოქმედების ამსახველი ინფორმაციის მოკლე ვადებში მიწოდება; საგანგებო ვითარებაში მყოფი მოსახლეობისათვის სახელმწიფო და სამხედრო ხელმძღვანელობის ორგანოების მიერ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სიგნალებისა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთი ფორმა. საჰაერო თავდაცვის ჯარებში სამხედრო მმართველობის უმაღლესი ორგანოების, შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) **შ**. ხორციელდება საჰაერო ვითარების სარაკეტო და საჰაერო თავდასხმის საფრთხისა და დაწყების შესახებ. სამხედრო-საზღვაო ძალებში, გარდა ამისა – მოწინააღმდეგის, მისი დანაღმული ღობურების, მცურავი ნაღმების აღმოჩენის, საკუთარი ძალების ზღვაში გასვლისა და გადასვლის შესახებ და სხვა.

შეტყობინება მფრინავებისათვის, შეტყობინება, რომელიც მოიცავს ინფორმაციას მოქმედებაში მოყვანის, მდგომარეობის ცვლილების, მომსახურების და პროცედურების ან შესაძლო საფრთხეების შესახებ. ყოველივე ამის თაობაზე დროულ გაფრთხილებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ფრენის შემსრულებელი პერსონალისთვის.

შეტყობინების ზღუდე, პირობითი ხაზი, რომელთანაც საჰაერო მოწინააღმდეგის მოახლოებისას იწყება ჯარების და ობიექტებისათვის ინფორმაციის შეტყობინება. **შ.ზ**-ის დაშორება საკუთარი ჯარების და ობიექტებისაგან დამოკიდებულია აღმოჩენილი საჰაერო მიზნების სიშორეზე, მათი კოორდინატების, ფრენის მიმართულების განსაზღვრის, აგრეთვე შეტყობინების სიგნალების გადაცემის დროზე.

შეტყობინების სიგნალები, იხ. *სიგნალები.*

შეღავათები სამხედრო მოსამსახურეებისთვის, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით სამხედრო სამსახურში მყოფი მოქალაქეებისთვის გათვალისწინებული დამატებითი უფლებები და უპირატესობები. სამხედრო მოსამსახურეებისთვის შეღავათები დაწესებულია შრომის, დასვენების, საბინაო, ჯანმრთელობის დაცვის, საკუთრებისა და გადასახადების, დაზღვევის და ზარალის ანაზღაურების, განათლების, კულტურის, სატრანსპორტო და საფოსტო სფეროებში. სამხედრო მოსამსახურეებისთვის შეღავათების მოცულობა და შინაარსი დამოკიდებულია მათ კატეგორიაზე, სამხედრო წოდებაზე, სამსახურის ხანგრძლივობაზე და მისი გავლის სხვა თავისებურებებზე.

შეცდომაში შეყვანა, სამხედრო ეშმაკობის გამოვლინების ფორმა. მოწინააღმდეგის დეზორიენტირება საბრძოლო მოქმედებების მომზადების და წარმოების დროს, მისთვის სარდლობის გეგმებსა და განზრახვებზე, ჯარების (ძალების) მდგომარეობასა და მოქმედების ხასიათზე ცრუ წარმოდგენის შექმნა. ღონისძიებები, რომლებიც მოწინააღმდეგის მოსატყუებლად ხორციელდება, უნდა გამოიყურებოდეს უტყუარად, იყოს მრავალფეროვანი. მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანა ხორციელდება დეზინფორმაციის, დემონსტრაციული მოქმედებების და იმიტაციის მეშვეობით. **შ.შ**. ხდება მოწინააღმდეგისთვის საბრძოლო მოქმედებების წარმოების უცნობი ფორმების და მეთოდების, დაზიანების ახალი საშუალებების გამოყენებასთან შეხამებით.

შეცდომაში შეყვანა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, რადიო-ელექტრონული ბრძოლის კონტრზომების სფეროში ელექტრომაგნიტური ენერგიის გამოყოფა. შთანთქმის, ცვლილებების ან არეკვლის მიზანმიმართული გამოყენება მოწინააღმდეგის რადიოელექტრონული სისტემების შეცდომაში შეყვანის, ყურადღების გადატანის ან დაბნევის მიზნით.

შეჭრა, 1. ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შესვლა ხმელეთით, ჰაერით, ან ზღვიდან მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე, მისი ხელისუფლების თანხმობის გარეშე. **შ**. არის აგრესიის აქტი. ხორციელდება, როგორც წესი, უეცრად. სახელმწიფო საზღვრის (საჰაერო სივრცის, ტერიტორიული წყლების) დარღვევა, მისი გადაკვეთა სხვა ქვეყნის სამხედრო ქვედანაყოფების, ცალკეული თვითმფრინავების ან ხომალდების მიერ დაზვერვის, ან დივერსიის მიზნით ასევე ითვლება შეჭრად; 2. სტრატეგიული მასშტაბის საზღვაო-სადესანტო ოპერაციის სახეობა, რომელიც საომარი მოქმედებების თეატრზე ხორციელდება საომარი მოქმედებების მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადასატანად ახალი ფრონტის შექმნის მიზნით და მთელი

მისი ტერიტორიის ან მნიშვნელოვანი ნაწილის დასაკავებლად. **შ**-ის ძალების შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ერთი ან მეტი საველე არმია, საზღვაო ქვეითი ჯარის რამდენიმე დივიზია, საჰაერო-სადესანტო დივიზიები, ფლოტის და ავიაციის დიდი ძალები. ტერმინი იხმარება აშშ-ის და ნატოს სხვა ქვეყნების შეიარღებული ძალებში.

შეჯრის არმია, სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ნაწილი, რომელიც გათვალისწინებულია სხვა ქვეყანაზე უეცარი თავდასხმისთვის, დაფარვის ჯარების და მთავარი ძალების ნაწილის განადგურებისთვის, მობილიზაციის ჩაშლისთვის, სტრატეგიული ინიციატივის ხელში ჩაგდებისთვის, ტერიტორიის ნაწილის დაკავებისთვის, ხოლო ხელსაყრელ პირობებში ქვეყნის ომის მდგომარეობიდან გამოყვანისთვის. **შ.ა**. იქმნებოდა II მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანიაში, იტალიაში და იაპონიაში.

შეხება, 1. უცნობი ობიექტის მიერ ფრენის კურსის გადაკვეთის შემთხვევაში მფრინავის მიერ გამოყენებული ტერმინი, რაც ნიშნავს „ვხედავთ დაუდგენელ მიზანს“. 2. სამედიცინო მომსახურებაში იგივე ტერმინი გულისხმობს, რომ პიროვნებას ჰქონდა უშუალო **შ**. ინფიცირებულ ავადმყოფთან. ამუამინდელი მისი მდგომარეობა დადგენილი არ არის, მაგრამ ივარაუდება, რომ ის შესაძლოა იყოს ინფექციის გადამტანი. სახმელეთო ჯარისთვის – 1. **შ**. არის ის ვითარება, როცა ორი ან მეტი საკუთარი ქვედანაყოფი ერთმანეთს უკავშირდება კავშირგაბმულობის საშუალებებით, ან მხედველობითი კავშირით, ან უშუალოდ ხვდებიან ერთმანეთს. 2. როცა საკუთარი ძალა ებმება მოწინააღმდეგესთან ხელჩართულ ბრძოლაში ან მიუახლოვდება მას იარაღის მაქსიმალური გამოყენების მანძილზე.

შეხვედრის ზღუდე, 1. პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, სადაც ნავარაუდებია ან იმართება შეხვედრა იმ ჯარების, რომლებიც უტევენ მოწინააღმდეგეს (წინ წაიწევენ) ერთმანეთთან შეხვედრის მიზნით. ინიშნება ისეთი მოქმედებების დროს, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის გარშემორტყმა, მისი დაჯგუფებების დანაწევრება და შემუსვრა. **შ.ზ**-ზე ხორციელდება საჰაერო, საზღვაო დესანტებთან და მოწინააღმდეგის თავდაცვის სიღრმეში მოქმედ სხვა ძალებთან შეხვედრა. აგრეთვე, საკუთარი ჯარების ალყიდან გამოსვლისას იმ დაჯგუფების შესახვედრად, რომელიც დებლოკირებას ახდენს. 2. ადგილმდებარეობის ზოლი (მონაკვეთი), სადაც ნავარაუდებია ან მოხდა მხარეების შეტაკება შემხვედრი ბრძოლის (ბატალიის) დროს.

შეხვედრის კუთხე, კუთხე მიზანთან შეხვედრის წერტილში ჭურვის ტრაექტორიის შემხებსა და მიზნის ზედაპირთან შემხებ სიბრტყეს შორის.

შვედეთი (Sweden – შვედეთის სამეფო), სახელმწიფო ჩრდილოეთ ევროპაში, სკანდინავიის ნახევარკუნძულზე. ქვეყანას აღმოსავლეთით და სამხრეთით ესაზღვრება ბალტიის ზღვა, სამხრეთ-დასავლეთით – ბალტიის და ჩრდილოეთის ზღვის დამაკავშირებელი სრუტეები. ფართობი 450 ათ. კმ². მოსახლეობა 9,4 მლნ. კაცი (2012), 90% შვედი. ოფიციალური ენა – შვედური. დედაქალაქი – ქ. სტოკჰოლმი. ადმინისტრაციულად იყოფა 21 ლენად (ოლქი). კონსტიტუციური მონარქია. სახელმწიფოს მეთაურია მეფე. საკანმდებლო ორგანო – რიქსდაგი (ერთპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – მთავრობა. XX საუკუნის მსოფლიო ომებში შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი. **შ**. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა ინტენსიური სოფლის მეურნეობით. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, ცელულოზა-ქაღალდის წარმოება, ხის დამუშავება, შავი და ფერადი მეტალურგია, კვების მრეწველობა. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს სარაკეტო და საარტილერიო სისტემებს, ჯავშანტექნიკას და საავიაციო ტექნიკას, ხომალდებს, ელექტროაპარატურასა და ხელსაწყოებს. სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს ადგილობრივი მოთხოვნილების 80%-ს. ძირითადი საზღვაო პორტებია: გეტებორგი, ჰელსინგბორგი, ლულეო, სტოკჰოლმი, მალმე. საერთაშორისო აეროპორტებია: არლანდა (სტოკჰოლმი), ლანდვეტერი (გეტებორგი). შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 21 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 13,3 ათ., სამხედრო-საჰაერო 4,3 ათ. და სამეფო სამხედრო-საზღვაო 3,4 ათ.. სანაპირო დაცვა, რეზერვი 262 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება შერეული სისტემით.

შვეიცარია (Switzerland – შვეიცარიის კონფედერაცია), სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ალპებში. დასავლეთით ესაზღვრება საფრანგეთი, ჩრდილოეთით – გერმანია, აღმოსავლეთით – ავსტრია და ლიხტენშტაინი, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით – იტალია. ფართობი 41,3 ათ. კმ². მოსახლეობა 7,9 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – გერმანული, ფრანგული, იტალიური და რეტორომანული. დედაქალაქი – ქ. ბერნი. ადმინისტრაციულად იყოფა 23 კონტონად. ფედერაციული საპარლამენტო რესპუბლიკა. სახელმწიფოს და პარლამენტის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ფედერალური კრება (ორპალატიანი პარლამენტი), აღმასრულებელი – ფედერალური საბჭო (მთავრობა). **შ**-ის შექმნის თარიღად ითვლება 1291 წელი. XX საუკუნის ომებში შეინარჩუნა ნეიტრალიტეტი, რომელიც გამოაცხადა 1814–15 წლებში. **შ**. განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა ინტენსიური სოფლის მეურნეობით. წარმოადგენს მსოფლიოს საფინანსო ცენტრს. მრეწველობის წამყვანი დარ-

გებია: მანქანათმშენებლობა, საათების წარმოება, ქიმიური, შავი და ფერადი მეტალურგია, ფარმაცევტული და კვების მრეწველობა. განვითარებულია საერთაშორისო ტურიზმი. სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს ადგილობრივი მოთხოვნილების 60%-ს. საერთაშორისო აეროპორტებია: ციურიხი, ჟენევა. შეიარაღებული ძალები შედგება სახმელეთო ჯარების და სამხედრო-საჰაერო ძალებისგან – 25,6 ათ. კაცი (2012). სახმელეთო ძალების მობილიზების შემთხვევაში 197 ათ. კაცი, დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევის მილიციური სისტემით.

შვიდწლიანი ომი 1756–63, კოალიციური ომი ევროპის სახელმწიფოებს შორის. ერთ მხარეს იყვნენ: ავსტრია, საფრანგეთი, რუსეთი, ესპანეთი, საქსონია და შვედეთი, მეორე მხარეს – პრუსია, დიდი ბრიტანეთი და პორტუგალია. სამხედრო მოქმედებები მიმდინარეობდა როგორც ევროპის კონტინენტზე, ასევე კოლონიებში და საზღვაო თეატრზე. პრუსიის მეფე *ფრიდრიხ II*-მ ომის პირველ პერიოდში ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა, მაგრამ შემდეგ რამდენჯერმე დამარცხდა რუსებთან და ავსტრიელებთან მათი ჯარების რიცხობრივი უპირატესობის გამო. ომის შედეგად ინგლისმა ხელთ იგდო ვრცელი ტერიტორიები ჩრდილო ამერიკასა და ინდოეთში. **შ.ო**-ის მთავარი შედეგი იყო დიდი ბრიტანეთის გამარჯვება საფრანგეთზე კოლონიებისა და სავაჭრო პირველობისათვის ჭიდილში.

შიდა ლაშქარი, შიდა სპა, ლიხთ-იმერეთის (ყოფილი აფხაზთა სამეფოს) შეიარაღებული ძალები, რომლებიც საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში (XI საუკუნე – XII საუკუნის დასაწყისი) სამეფო ხელისუფლების მთავარ სამხედრო დასაყრდენს წარმოადგენდნენ. საქართველოს 4 სადროშოდ დაყოფის შემდეგ **შ.ლ**-ის საფუძველზე ჩამოყალიბდა მემარჯვენე სადროშო.

შიდა შეიარაღებული კონფლიქტი, შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტი შეიარაღებული ძალადობის გამოყენებით. მიზეზი შეიძლება იყოს: ექსტრემისტული, ნაციონალისტური, რელიგიური, სეპარატისტული, ტერორისტული მოძრაობების და სტრუქტურების ქმედებები.

შიდა წყლები (საერთაშორისო სამართალში), მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში ყველა წყლები: მდინარეები, ტბები, არხები, წყალსაცავები და სხვა. **შ.წ**-ად ითვლება, აგრეთვე, შიდა ზღვები, რომლებსაც ყოველი მხრიდან გარს აკრავს ხმელეთი, რომელიც ერთი სახელმწიფოს ტერიტორიას წარმოადგენს; საზღვაო სივრცე ნაპირსა და სახელმწიფოს ტერიტორიული წყლების საწყის ხაზს შორის, მათ შორის – ნავსადგურების, ყურეების წყლები (რომელთა შესვლის სიგანეა არა უმეტეს 24 საღვაო მილი – 44,4 *კმ*, ხოლო „ისტორიული ყურეების“ შემთხვევაში უფრო მეტიც). უცხოეთის არასამხედრო გემებს და სამხედრო ხომალდებს შეუძლიათ შევიდნენ შიდა წყლებში მოცემული სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად; ეს ეხება აგრეთვე თვითმფრინავების ფრენას.

შინაგანი ჯარები, ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო ფორმირებები შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში, რომლებიც მოწოდებული არიან, დაიცვან საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესები, მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები და თავისუფლება დანაშაულებრივი და სხვაგვარი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ხელს უწყობენ შინაგან საქმეთა ორგანოებს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფაში. ომიანობის დროს მონაწილეობენ ტერიტორიული თავდაცვის სისტემაში ცალკეული ამოცანების შესასრულებად და სხვა.

შინდარას ბრძოლა 1260, ბრძოლა ქართველებსა და მონღოლებს შორის 1260–61 წლების აჯანყების დროს (იხ. *სარგის I ჯაყელი*). მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებულ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს დავით VII ულუს (1247–70) მხოლოდ 8 ათ. მეომარი ჰყავდა (ძირითადად მესხები) სამცხის სპასალარის, სარგის ჯაყელის, მეთურობით. წინა აზიის მონღოლმა მბრძანებელმა ჰულაგუ-ყაენმა აჯანყებულთა წინააღმდეგ 20 ათ-ანი ლაშქარი დაძრა არღუნ-ნოინის სარდლობით, რომელსაც მრავალი ქართველი ფეოდალი შეუერთდა. ახალდაბასთან მეწინავე რაზმების (მესხი – 1,5 ათ., მონღოლი – 6 ათ.) შეტაკებაში გამარჯვება ქართველებს დარჩათ, მაგრამ მთავარი ძალებით ბრძოლაში შინდარასთან (მდინარე შუა ფრონეზე) მონღოლებმა გაიმარჯვეს (1260 წლის დეკემბერი). მიუხედავად ამისა, არღუნმა, რომელმაც გამოსცადა აჯანყებულთა ძალა, უფრო ფრთხილად გააგრძელა მოქმედებები. სტრატეგიული შეტევა მან 1261 წლის ზაფხულში განაახლა.

შიფრი (ფრანგული chiffre – ციფრი), საიდუმლო ინფორმაციის შინაარსის გარდაქმნის ხერხი, რომლის გამოყენებითაც არაკანონიერი მომხმარებლისთვის მიუწვდომელი ხდება ინფორმაცია კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებებით ან საფოსტო გზავნილების სახით გადაცემის დროს. **შ**-ის რეალიზაციისთვის გამოიყენება დასაშიფრი მანქანები, გამოთვლითი ტექნიკის აპარატულ-პროგრამული საშუალებები და სხვა. ღია ტექსტის კონკრეტული გარდაქმნა დახურულ ტექსტად განისაზღვრება გასაღებით – **შ**-ის ცვლადი ელემენტით.

შლიფენის გეგმა 1905, გერმანიის ჯარების სტრატეგიული გაშლისა და ორ ფრონტზე (საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ) ომ-

ის დაწყების გეგმა. 1905 წელს შეიმუშავა გენერალური შტაბის უფროსმა ალფრედ ფონ შლიფენმა (1833–1913), რომელიც 1911 წლიდან იყო გენერალ-ფელდმარშალი. **შ.ბ**-ის მიხედვით, პირველი დარტყმა საფრანგეთის წინააღმდეგ მთავარი ძალებით (სახმელეთო ჯარების 85%) უნდა განხორციელებულიყო მარჯვენა ფრთიდან ნეიტრალური სახელმწიფოების – ბელგიის, ნიდერლანდისა და ლუქსემბურგის ტერიტორიების გავლით. გერმანელთა არმიებს სწრაფად უნდა შემოევლოთ პარიზისათვის დასავლეთიდან და ალყაში მოექციათ და გაენადგურებინათ საფრანგეთის ჯარები. ამის შემდეგ დაგეგმილი იყო მთავარი ძალების გადასროლა აღმოსავლეთის ფრონტზე და რუსეთის არმიის განადგურება. I მსოფლიო ომის დაწყების დროს გენერალური შტაბის ახალმა უფროსმა, ფონ მოლტკე უმცროსმა, რამდენადმე შეცვალა **შ.ბ**., შეასუსტა დამრტყმელი მარჯვენა ფრთა, რათა ფრონტის დანარჩენი უბნები არ დარჩენილიყვნენ სათანადო დაცვის გარეშე. ეს, სავარაუდოდ, პარიზთან გერმანელების დამარცხების მიზეზი გახდა (იხ. *მარნაზე ბრძოლა* 1914). II მსოფლიო ომის დროს **შ.ბ**. (გარკვეული ცვლილებებით) კვლავ გამოიყენეს საფრანგეთის წინააღმდეგ (1940).

შოვინიზმი, უაღრესად აგრესიული ნაციონალიზმის იდეოლოგია და პოლიტიკა. **შ**. ქადაგებს ერთი ერის ეროვნულ სწორუპოვრობას (გამორჩეულობას), რომელიც მოწოდებულია სხვა, არასრულფასოვან რასებსა და ხალხებზე ბატონობისთვის. იგი ამართლებს ეკონომიკურ ექსპანსიას, პოლიტიკურ ზეწოლას, კულტურულ დომინირებას და აღვივებს საზოგადოებაში ეროვნულ მტრობას და სიძულვილს. **შ**-ის განუყოფელი მხარეა რომელიმე ერის ან სახელმწიფოს სამხედრო უპირატესობის იდეის მიმდევრობა. შოვინისტური განწყობილება ყალიბდება როგორც აგრესიის და გამარჯვების ან, პირიქით, როგორც დამარცხების და რევანშის იმედის შედეგი. თეორიასა და პრაქტიკაში **შ**. მჭიდროდ ერწყმის მილიტარიზმს, აგრესიას და ომებს. ყველაზე მეტად ვლინდება ფაშიზმის პოლიტიკაში.

შორეული კავშირი, სხვადასხვა სახის ინფორმაციის გადაცემა სადენური, რადიოსარელეო და თანამგზავრული ხაზებით ერთმანეთისგან დიდი მანძილით (პრაქტიკულად შეზღუდვების გარეშე) დაშორებული კორესპონდენტების ჯგუფებს შორის. **შ.კ**-სთვის გამოიყენება მრავალარხიანი სისტემა (იხ. მრავალარხიანი კავშირი). გადაცემის სისტემები იყოფა: გამოყენებული კავშირის ხაზების მიხედვით – საჰაერო, საკაბელო (ელექტრონული ან ბოჭკოვან-ოპტიკური კაბელი), რადიოსარელეო, ტროპოსფერულ და თანამგზავრულ კავშირებად. რადიო-სარელეო და თანამგზავრული კავშირის ხაზების შემთხვევაში გამოიყენება სიგნალის რეტრანსლაცია.

შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენა, 1. საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების და კოსმოსური ობიექტების აღმოჩენა 3000 *კმ*-ზე მეტ მანძილზე. ხორციელდება მთავარ რაკეტსაწინააღმდეგო მიმართულებებზე განლაგებული შორეული აღმოჩენის სახმელეთო სადგურების, ჰორიზონტსმიღმა რადიოლოკაციური სადგურების და სხვა საშუალებებით. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის საჰაერო-კოსმოსური დაცვის **შ.რ.ა**-ის სისტემის საფუძველს წარმოადგენს სარაკეტო დარტყმის გაფრთხილების სისტემა „ბიმიუსი“, განლაგებული ტულეში (გრენლანდია), კლირეში (ალასკა) და ფაილინგდეილზმურეში (დიდი ბრიტანეთი). წყალქვეშა ნავის „პეივ პოს“ მიერ გაშვებული ბალისტიკური რაკეტების აღმოჩენის და გაცილების შორეული აღმოჩენის სადგური განთავსებულია ავიაბაზებზე ბილი (კალიფორნიის შტატი), ოტისი (მასაჩუსეტის შტატი), რობინსი (ჯორჯიის შტატი), გუდფელოუ (ტეხასის შტატი). ასევე რადიოლოკაციური საგუშაგო, განკუთვნილი „სპეისტრეიკ“-ის და „სპასურ“-ის სისტემის კოსმოსურ ობიექტებზე თვალთვალის საწარმოებლად, მდებარეობს გრანდ-ფორსკის ავიაბაზაზე. 2. საჰაერო მიზნების აღმოჩენა 4.000 *კმ* მანძილამდე ჰორიზონტსმიღმა რადიოელექტრონული სადგურებით და 300–500 *კმ* მანძილზე რადიო-ლოკაციური სადგურით, რომელიც გაშლილია სახმელეთო შორეული აღმოჩენის საგუშაგოებზე და სხვა **შ.რ.ა**-ის თვითმფრინავების და ხომალდების გამოყენების ხარჯზე (მაგალითად, AWAKS, A-50), მისი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იზრდება.

შორეული რადიოლოკაციური აღმოჩენის და დამიზნების თვითმფრინავი, ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზებული მობილური სისტემის შემადგენილი ნაწილი. აღჭურვილია შორეული აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურით, ხელში ჩაგდების და სხვადასხვა მიზნის თანხლების, მათი კოორდინატების გამოთვლის საშუალებებით, ასევე – სახმელეთო საკომანდო პუნქტებთან და სხვა საფრენ აპარატებთან დაშიფრული კავშირით, მიზანგანაწილების ავტომატიზებული სისტემით, დაბრკოლებების დაყენების საშუალებებით. შეუძლია ფრენა 8–11 *კმ* სიმაღლეზე, მოწინააღმდეგესთან შეხების ხაზის გასწვრივ, 300 *კმ* დაშორებით განლაგებული მიზნების აღმოჩენა და ერთდროულად 100-ზე მეტი მიზნის ხელში ჩაგდება და თანხლება.

შორეული საცეცხლე თავდასხმა, საარტილერიო ჩაწერტებული ცეცხლის სახესხვაობა, რომელსაც იყენებდნენ I და II მსოფლიო ომებში მოწინააღმდეგის დასაზიანებლად თავდაცვასა და შეტევაში. **შ.ს.თ**-ისთვის წინასწარ განსაზღვრავდნენ ჩაწერტებული ცეცხლის

მონაკვეთებს მოწინააღმდეგის სავარაუდო თავმოყრის და გადაადგილების რაიონებში. ძირითადად იყენებდნენ შორსმსროლელ ქვემეხებს, რომლებიც გადაადგილდებოდნენ წინა ხაზთან ახლოს განლაგებულ დროებით პოზიციებზე. 1975 წლიდან ზოგიერთ ქვეყანაში მის ნაცვლად იყენებენ ტერმინს – „შორეული საცეცხლე ბრძოლა“.

შორი მოქმედების ავიაცია, 1942–44 წლებში საბჭოთა შორი ავიაციის დასახელება. 1942 წლის თებერვლამდე ეწოდებოდა შორეული ბომბდამშენი ავიაცია.

შორი ცეცხლით ბრძოლა, იხ. *ბრძოლა.*

შრაპნელი (ინგლისური shrapnel), საარტილერიო ჭურვი მზა დამაზიანებელი ელემენტებით (სფეროსმაგვარი ტყვიებით, ღეროებით და მისი მსგავსი ელემენტებით). გამოიგონა 1803 წელს ინგლისელმა ოფიცერმა გ. შრაპნელმა. გათვალისწინებული იყო ცოცხალი ძალის დასაზიანებლად. შედგებოდა ძირითადად დამაზიანებელელემენტებიანი კორპუსისგან, გამომგდები მუხტისა და დისტანციური ამფეთქისგან, რომელიც უზრუნველყოფდა ჭურვის აფეთქებას მიზნის თავზე. XX საუკუნის 40-იან წლებში **შ**-მა ადგილი დაუთმო მსხვრევად და მსხვრევად-ფუგასურ ჭურვებს. XX საუკუნის 60-იან წლებში კვლავ გაჩნდა ჭურვები მზა დამაზიანებელი ელემენტებით ფრთიანი ისრების სახით სიგრძით 25 *მმ* და მასით 0.5 *გრ.,* მაგრამ ტერმინი „შრაპნელი“ მათ მიმართ არ გამოიყენება.

შრი-ლანკა (Sri Lanka – შრი-ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ აზიაში, ინდოეთის ოკეანეში მდებარე იმავე სახელწოდების კუნძულზე. ფართობი 65,6 ათასი *კმ²*. მოსახლეობა 20,7 მლნ კაცი (2012). ოფიციალური ენები – სინჰალური, ტამილური, ინგლისური. დედაქალაქი – ქ. კოლომბო. ადმინისტრაციულად იყოფა 9 პროვინციად და 24 ოლქად. შედის დიდი ბრიტანეთის თანამეგობრობაში. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს პრეზიდენტს და ერთპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – პრეზიდენტს და მთავრობას. დამოუკიდებლობას მიაღწია 1948 წელს ცეილონის სახელით. 1972 წელს გამოცხადდა **შ.-ლ**-ის რესპუბლიკად, 1978 წელს მიიღო თანამედროვე დასახელება. **შ.-ლ.** აგრარული ქვეყანაა განვითარებადი მრეწველობით. საზღვაო პორტებია: კოლომბო, ტრინკომალი, გალე. საერთაშორისო აეროპორტი – კოლომბო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 160 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 78 ათ., სამხედრო-საჰაერო 28 ათ., სამხედრო-საზღვაო 15 ათ და სამხედრო პოლიცია 39 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

შტაბების მომზადება, მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს ჯარების (ძალების) მართვისთვის შტაბების პირადი შემადგენლობის და ქვედანაყოფების სწავლება; ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთი ელემენტი. **შ.მ.** მოიცავს ოფიცრების მომზადებას, შტაბების ქვედანაყოფების (განყოფილებების, სამმართველოების) მომზადებას და შერწყმას. ხორციელდება საშტაბო და სამეთაურო-საშტაბო ვარჯიშებზე, საშტაბო და სამეთაურო-საშტაბო სწავლებებზე, სამეთაურო-საშტაბო სამხედრო თამაშებზე, (მ.შ. კომპიუტერულ) და ჯარებთან (ძალებთან) სწავლებებზე.

შტაბების სამსახური, მართვის ორგანოების საქმიანობა მშვიდობიანობის და ომიანობის პირობებში ჯარების (ძალების) მართვის უზრუნველყოფის მიზნით. **შ.ს**-ის შინაარსი სრული მოცულობით განსაზღვრულია წესდებებით და სპეციალური დარიგებებით. **შ.ს**-ის ცალკეული დებულებები მოცემულია სხვა მარეგლამენტირებელ დოკუმენტებში. **შ.ს**-ს ხელმძღვანელობს შტაბის უფროსი, მეთაურის ბრძანებების და განკარგულებების შესაბამისად, აგრეთვე ზემდგომი შტაბი.

შტაბების უფროსთა კომიტეტი, აშშ-ის უმაღლესი მთავარსარდლის (პრეზიდენტის) და თავდაცვის მინისტრის ძირითადი სამუშაო ორგანო შეიარაღებული ძალების ოპერატიული ხელმძღვანელობისთვის. შეიქმნა 1942 წლის თებერვალში. მასში შედიან თავმჯდომარე და წევრები – არმიის, სამხედრო-საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ძალების შტაბების უფროსები და საზღვაო ქვეითი ჯარის კომენდანტი. თავის მხრივ, **შ.უ.კ**-ის სამუშაო ორგანოს წარმოადგენს გაერთიანებული შტაბი. **შ.უ.კ.** საფრანგეთში წარმოადგენს თავდაცვის მინისტრთან არსებულ საკონსულტაციო ორგანოს, ბრიტანეთში – თავდაცვის შტაბის კოლეგიურ ორგანოს.

შტაბი (გერმანული – Stab), ჯარების (ძალების) მართვის ძირითადი ორგანო, რომელიც განკუთვნილია მათი საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის ხელმძღვანელობისათვის. **შ**-ები არის ყველა სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში და სამხედრო მმართველობის ყველა რგოლში. **შ**-ის ძირითადი ამოცანებია: უზრუნველყოს ჯარების (ძალების) საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნა, ორგანიზაცია გაუწიოს მათი საბრძოლო და ყოველდღიური საქმიანობის ყველა სფეროს; მოიპოვოს, შეაგროვოს, შეისწავლოს და შეაფასოს მონაცემები ვითარების შესახებ; მოამზადოს გაანგარიშებები და წინადადებები სარდლის (მეთაურის) მიერ გადაწყვეტილებების მისაღებად; დაგეგმოს ოპერაციები (საბრძოლო მოქმედებების); გააცნოს ამოცანები

ჯარებს (ძალებს) და გააკონტროლოს მათი შესრულება; უზრუნველყოს ურთიერთქმედება; ორგანიზება გაუწიოს ოპერატიულ (საბრძოლო), ტექნიკურ და ლოგისტიკურ უზრუნველყოფას; აწარმოოს პირადი შემადგენლობის, შეიარაღების, სამხედრო ტექნიკის და სხვა მატერიალური საშუალებების აღრიცხვა; ორგანიზება გაუწიოს საკომენდანტო სამსახურს, ჯარების სამსახურებს და სხვა. დასახული ამოცანების მასშტაბის მიხედვით არის: გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილებისა და ქვედანაყოფების **შ**-ები; საქმიანობის მიხედვით – საერთო-საჯარისო (საერთო-საფლოტო), შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარებისა და ლოგისტიკის. დაჯგუფებების, საერთო-საჯარისო და სატანკო არმიების, არმიის კორპუსების **შ**-ები – საერთო-საჯარისოა, ხოლო ფლოტების, ფლოტილიების **შ**-ები – საერთო-საფლოტო. მათ ეკუთვნით წამყვანი როლი საერთო-საჯარისო (საერთო-საფლოტო) ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) დაგეგმვასა და ორგანიზაციაში.

შტაბის გაძლიერებისთვის გამოყოფილი პირადი შემადგენლობა, დამატებითი პირადი შემადგენლობა, რომლის დანიშნულებაა მრავალეროვნული გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების შტაბის საბაზო ჯგუფების დამატებითი დაკომპლექტება. ასეთი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც მშვიდობიანობის დროს სამხედრო სამსახურს გადიან ნატოს ერთ-ერთ შტაბში ან ნებისმიერი ქვეყანა, რომელმაც უნდა გამოყოს სამხედრო კონტინგენტი, დროებით მიეწერებიან მრავალეროვნული გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების განსაზღვრულ შტაბს. მათი დანიშნულებაა ასეთი შტაბის ორგანიზაციულ-საშტატო განრიგით ისეთი თანამდებობების დაკავება, რომლებიც გათვლილია კრიზისის დროს მრავალეროვნული გაერთიანებული ოპერატიულ-ტაქტიკური ჯგუფების ოპერაციების ჩატარებაზე.

შტაბის მომზადება, შტაბის პირადი შემადგენლობის და ქვედანაყოფების სწავლება, ასევე მათი შერწყმა, როგორც მთლიანობაში მართვის ორგანო ჯარების (ძალების) მართვისთვის მშვიდობიანობის და ომიანობის პერიოდში. ჯარების (ძალების) საბრძოლო მზადყოფნის ერთ-ერთი ელემენტი. **შ.მ.** მოიცავს: ოფიცრების მომზადებას, ქვედანაყოფების (განყოფილებების, სამმართველოების) მომზადებას და შტაბების შერწყმას. ოფიცრების მომზადება ითვალისწინებს მათ მიერ სამხედრო ხელოვნების ცოდნის გაფართოებას და გაღრმავებას, უნარჩვევების სრულყოფას, პროფესიული ოსტატობის ამაღლებას საკუთარი და მომიჯნავე ფუნქციური მოვალეობების შესრულების კუთხით.

შტატი (ლათინური status – მდგომარეობა), ოფიციალური ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სამხედრო ნაწილის (ხომალდის), დაწესებულების, ორგანიზაციის, სამხედრო სასწავლებლის ორგანიზაციულ სტრუქტურას. შეიცავს შემდეგ მონაცემებს: ნაწილის და მის შემადგენლობაში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების დასახელებას, მათ შემადგენლობას და რიცხოვნობას; სამხედრო მოსამსახურეების და სამოქალაქო პერსონალის თანამდებობების დასახელებას და რაოდენობას; სამხედრო წოდებებს, სამხედრო-საადრიცხვო (საადრიცხვო) სპეციალობებს, თანამდებობრივ სარგოებს (სტარიფო თანრიგებს); შეიარაღების და ტექნიკის ძირითადი სახეობების დასახელებას და რაოდენობას. **შ**-ებისთვის მუშავდება ტაბელი, რომელიც წარმოადგენს შეიარაღების, ტექნიკის და სხვა მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების დაწვრილებით ნომენკლატურულ-რაოდენობრივ ნუსხას.

შტილი (ჰოლანდიური – Stil), უქარობა ან ძალიან სუსტი ქარი სიჩქარით 0,2 *მ/წამ* (0 ბალი). **შ**-ის დროს წყალს გლუვი სარკისებრი ზედაპირი აქვს.

შტუცერი (გერმანული – Stutzen), დამოკლებული დაკუთხვილლულიანი თოფ-შაშხანა. იყენებდნენ XVI–XIX საუკუნეებში. თავდაპირველად გაჩნდა გერმანიაში. გლუვლულიან თოფებთან შედარებით **შ**-ს უფრო დიდი სროლის სიშორე და დარტყმის ჯგუფური ძალა ჰქონდა, მაგრამ დატენის ხანგრძლივობისა და დაბალი სროლის სიხშირის გამო XVII–XVIII საუკუნეებში შედარებით იშვიათად გამოიყენებოდა ჯარებში. შემდეგ პერიოდში **შ**-ებით იარაღდებოდნენ საუკეთესო მსროლელები და განსაკუთრებული მსროლელი ბატალიონები. XIX საუკუნის II ნახევარში მთელი არმიების შაშხანებით გადაიარაღებასთან დაკავშირებით, სახელწოდება „შტუცერი“ შემორჩა დაკუთხვილლულიან სანადირო თოფებს.

შუბი, ლახვარი, ხის გრძელ ტარზე დაგებული ლითონისწვეტიანი უძველესი იარაღი. იყენებდნენ საძგერებლად და სატყორცნად. თავდაპირველად წვერწაწვეტებულ ჯოხს ხმარობდნენ. მომდევნო ხანებში მას ქვის, ძვლის, ობსიდიანის წვერს უკეთებდნენ, შემდეგ კი – ლითონისას. გრძელტარიან **შ**-ებს ხმარობდნენ ცხენოსნები, შედარებით მოკლეტარიანს კი – ქვეითები. ასევე გავრცელებული იყო მოკლეტარიანი სატყორცნი ხელშუბები.

შუბლაძე თენგიზ შალვას ძე (დ. 1953), გენერალ-მაიორი (1995), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1998). დაამთავრა თბილისის უმაღლესი სამხედრო საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელი (1975), მოსკოვის სამხედრო-საინჟინრო აკადემია (1989). არის მრავალი მონოგრაფიის, სამეცნიერო ნაშრომის და სტატიის ავტორი. მსახურ-

ობდა სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (1975–87), საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის მოადგილე (1989–90), თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სამხედრო კათედრის უფროსი (1990–91), საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერთა დახელოვნების კურსების უფროსი (1991–93). მონაწილეობდა ქართილ-აფხაზურ კონფლიქტში, იყო მძიმედ დაჭრილი (1992). ჩამოაყალიბა გაერთიანებული სამხედრო აკადემია და იყო მისი პირველი რექტორი (1993–2000). ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების სარდალი საქართველოს მხრიდან (2000–02), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების და სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე (2002–04). თბილისის აგრარული უნივერსიტეტის სამხედრო კათედრის უფროსი (2004–05), საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნაგებობების, სპეციალური სისტემებისა და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტში საინჟინრო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი (2005 წლიდან). დაჯილდოებულია „ვახტანგ გორგასლის“ III ხარისხის ორდენით (1993) და ოთხი მედლით.

შუქურა, მიწისზედა (ჰიდროტექნიკური) კოშკურის ტიპის ნაგებობა ან სპეციალური ხომალდი (მცურავი შუქურა). **შ**. მოწყობილია შუქოპტიკური სისტემით (აპარატით) წრიული, მიმართული სექტორული მოქმედების თეთრი ან ფერადი შუქით და სხვა ტექნიკური საშუალებებით. ხომალდების და გემებისთვის წარმოადგენს დღის და ღამის ნავიგაციურ ორიენტირს. საზღვაო (საოკეანო) საომარი მოქმედებების თეატრზე ნავიგაციური მოწყობილობის ელემენტი. დანიშნულების მიხედვით არის მიმღები (ბაზების და პორტების ახლოს), მაჩვენებელი (ამოცნობის) და გამაფრთხილებელი. დადგმის ადგილის მიხედვით შეიძლება იყოს სანაპირო, საზღვაო, ჰიდროტექნიკურ საფუძველზე ან მცურავი (ღუზაზე სპეციალური ხომალდის სახით). **შ**. არის მოქმედი და არამოქმედი. მათ გააჩნიათ ინდივიდუალური არქიტექტურა, განმასხვავებელი შეფერილობა და სიგნალების სხვადასხვა მახასიათებლები (ხილვადობის ოპტიკური სიშორე, შუქის ფერი, პერიოდულობა და სხვა), რომლებიც აღწერილია სპეციალურ სანავიგაციო დარიგებებში. შუქოპტიკური სისტემის გარდა **შ**-ზე შესაძლოა დაიდგას რადიოშუქურები, რადიოლოკაციური **შ**-ები და სხვადასხვა ხმოვანი, სასიგნალო საშუალებები (სირენა, დიაფონი და სხვა). ნავიგაციური მოწყობილობების თანამედროვე სისტემებში აგრეთვე გამოიყენება წყალქვეშა ხმოვანი შუქურები, მოპასუხე შუქურები (ჰიდროაკუსტიკური, რადიოლოკაციური) და სხვა. საფრენი აპარატების ორიენტირებისთვის გამოიყენება აეროშუქურები. ომის დროს **შ**-ები შეიძლება გამოირთოს ან შეიცვალოს მუშაობის რეჟიმი, შუქების მახასიათებლები და შუქოპტიკური მოწყობილობები.

შუქური გამოსხივება (ბირთვული აფეთქების), ოპტიკური დიაპაზონის ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რომელიც შეიცავს სპექტრის ულტრაიისფერ, ხილვად და ინფრაწითელ სფეროებს; ბირთვული იარაღის ერთ-ერთი ძირითადი დამაზიანებელი ფაქტორი. **შ.ბ**. არის აფეთქების შუქური არე, რომელიც წარმოადგენს გარემოს აირების და ორთქლის მაღალ ტემპერატურაზე გახურებულ (10^5 K), აგრეთვე ბირთვული მასალების ქიმიური რეაქციების და მათი აორთქლების შედეგად მიღებულ პლაზმურ წარმონაქმს. **შ.ბ**. ახდენს დამაზიანებელ გავლენას ცოცხალ ძალაზე (კანის, მხედველობის ორგანოების დამწვრობა), წვავს სამხედრო ტექნიკას, შენობებს, მცენარეულ საფარს და სხვა. მისი მოქმედების შეფასება ხდება დასხივების იმპულსით და შუქური იმპულსით. **შ.ბ**-ისგან დაცვის საშუალებაა შუქდამცავი მოწყობილობები.

შუქური იმპულსი, ბირთვული აფეთქების პირდაპირი შუქური გამოსხივების შედეგად ფართობის ერთეულზე მოსული ენერგიის რაოდენობა არეკლილი გამოსხივების გარეშე. იზომება *ჯ/კვ.მ* ან *კალ/კვ. სმ* (1 *კალ/ კვ.სმ* მიახლოებით 4,2. 10^4 *ჯ/კვ.მ*).

შუქური უზრუნველყოფა, ტერმინი გულისხმობს ღონისძიებების კომპლექსს, რომელიც მიმართულია ხილვადობის გასაუმჯობესებლად და ღამით ჯარების (ძალების) საბრძოლო მოქმედებებისთვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად, საინჟინრო და სხვა სამუშაოების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად. მოიცავს: ადგილმდებარეობის და მოწინააღმდეგის ობიექტების განათებას, მოწინააღმდეგის დაბრმავებას და მისი განათების საშუალებებთან ბრძოლას, შუქური ორიენტირების შექმნას და სიგნალიზაციის მოწყობას.

შუქშენიღბვა, შუქის გამნიღბავი ნიშნების დაფარვა საკუთარი ჯარების (ძალების) განლაგების და მოძრაობის დროს. ასევე ლოგისტიკის და სამოქალაქო ობიექტების დაფარვის მიზნით. **შ**-ისათვის გამოიყენება შუქშემნიღბველი მოწყობილობები საბრძოლო, სატრანსპორტო და სპეციალური მანქანების ფარებზე, სპეციალური ავტომანქანების, ნაგებობების, შენობების კარ-ფანჯრებზე, მილებზე, ანძებზე და სხვა.

შუქშენიღბვის ხაზი, დადგენილი ხაზი, რომელთანაც ღამით მოახლოებისას, სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა გამოიყენონ შუქშენიღბვა.

ჩ

ჩაბალახი, იხ. *მუზარადი.*

ჩადი (Chad – ჩადის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 1,284 მლნ. *კმ*². მოსახლეობა 11,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – ფრანგული, არაბული. დედაქალაქი – ქ. ნჯამენა. ადმინისტრაციულად იყოფა 14 პრეფექტურად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ორპალატიანი პარლამენტი. დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1960 წელს. **ჩ.** ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა, ერთ-ერთი უღარიბესი აფრიკის კონტინენტზე. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგია მეცხოველეობა, თევზჭერა (ჩადის ტბა). საერთაშორისო აეროპორტი: ნჯამენა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 25,3 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 17 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 0,3 ათ., რესპუბლიკური გვარდია 5 ათ და ჟანდარმერია 3 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ჩაკეტილი ზღვა, ორი ან მეტი სახელმწიფოს მიერ გარშემორტყმული ზღვა, რომელიც მთლიანად, ან ძირითადად შედგება ტერიტორიული ზღვებისგან და ორი, ან მეტი ნაპირის მოსაზღვრე სახელმწიფოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონებისაგან.

ჩამოქვეითების ზღუდე, პირობითი ხაზი (ზოლი) ადგილმდებარეობაზე, რომლის მიღწევის დროსაც ქვეითი ქვედანაყოფები იწყებენ ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებიდან (ჯავშანტრანსპორტიორებიდან) გადმოსვლას, რათა იერიშის ზღუდეზე გავიდნენ ქვეითად.

ჩამორჩენის კონტროლი, იმ დანაწევრებული საკუთარი ძალების მართვის ოპერაციები, რომლებიც ბრძოლის ველზე შექმნილი პირობების გამო ჩამორჩნენ საკუთარ ქვედანაყოფებს.

ჩან კაიში, ძიან ძეში (1887–1975), ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწე, ნაციონალისტი. ჩინეთის მთავრობის მეთაური. 1927 წელს ხელთ იგდო ძალაუფლება და დაამყარა პირადი დიქტატურა, დევნიდა კომუნისტებს. 1935 წლიდან ჩინეთის ჯარების მთავარსარდალი, მარშალი. II მსოფლიო ომის დროს ჩერჩილთან, რუზველტთან და სტალინთან ერთად ითვლებოდა მოკავშირეთა ერთ-ერთ ლიდერად, „დიდი ოთხეულის“ წევრად. 1949 წელს **ჩ.ძ.** დამარცხდა ჩინელ კომუნისტებთან ბრძოლაში და ნაციონალისტთა ჯარების ნარჩენებით თავი შეაფარა კუნძულ ტაივანს, რომელიც აშშ-ის დახმარებით შეინარჩუნა. შემდგომ პერიოდში აშშ-ისა და იაპონიის ეკონომიკური მხარდაჭერით დაიწყო ტაივანის განვითარება.

ჩანიშვნა, მიზნის ადგილმდებარეობაზე წერტილის, ჭურვის აფეთქების და სხვა კოორდინატების განსაზღვრის ხერხი. ხორციელდება ერთ ან რამდენიმე პუნქტიდან ფიქსირებულ მიმართულებებსა და ჩასანიშნ წერტილზე გამვლელ მიმართულებას შორის კუთხის ან წერტილამდე. კუთხის და მანძილის გაზომვა ხდება დაზვერვის ხელსაწყოების გამოყენებით.

ჩასაფრება, 1. საბრძოლო მოქმედების ხერხი. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოსახერხებელ ადგილას წინასწარ დამალული ქვედანაყოფი (ჯგუფი, ვერტმფრენი, კატარღა) უეცრად ესხმის თავს მოწინააღმდეგეს ხელსაყრელ მომენტში. 2. წინასწარ და მალულად განლაგებული ქვედანაყოფის (ჯგუფის, ვერტმფრენის, კატარღის) დანიშნულებაა უეცარი თავდასხმა მოწინააღმდეგეზე. ქვედანაყოფები, რომლებიც დაზვერვას აწარმოებენ, აწყობენ **ჩ**-ს ტყვეების, დოკუმენტების, იარაღისა და ტექნიკის ნიმუშების ხელში ჩასაგდებად. **ჩ**-ში ინიშნება სადაზვერვო (ქვეითი, სატანკო) ქვედანაყოფი ოცეულამდე ან სპეციალურად შერჩეული სამხედრო მოსამსახურეების ჯგუფი. **ჩ.** ეწყობა იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგეს მიაყენონ მაქსიმალური ზარალი ახლო მანძილიდან უეცრად გახსნილი ცეცხლით და ნაღმასაფეთქებელი ღობურების გამოყენებით. ასეთი **ჩ**-ისთვის გამოიყოფა ქვეითი, სატანკო, საარტილერიო, ტანკსაწინააღმდეგო, საზენიტო, სავერტმფრენო, საინჟინრო-მესანგრეების და სხვა ქვედანაყოფები. **ჩ**-ის პოზიციას იმ ვარაუდით ირჩევენ, რომ უზრუნველყონ ფარული განლაგება და კარგი პირობები თვალთვალის, ცეცხლის წარმოებისა და იერიშზე გადასვლისათვის.

ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) პუნქტი, სანაპიროს მონაკვეთი მიმდებარე აკვატორიით, განკუთვნილი იმ ხომალდების და ტრანსპორტის სატვირთო ოპერაციების წარმოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო და სახალხო-სამეურნეო გადაზიდვას. **ჩ.(გ.)პ**-ში სატვირთო ოპერაციები შეიძლება შესრულდეს ამწეებით აღჭურვილ ნავმისადგომებთან. ასევე სანაპიროს გაუმართავ უბნებსა და რეიდებზე ხომალდების (გემების) ჩასატვირთ-გადმოსატვირთი მოწყობილობის და მცურავი საშუალებების მეშვეობით.

ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) რაიონი, ტერიტორია, სადაც წარმოებს ჯარების და მატერიალური საშუალებების ჩატვირთვა (გადმოტვირთვა). მოიცავს: რამდენიმე რკინიგზის სადგურს (პორტს, ნავმისადგომს, აეროდრომს, ვერტმფრენის მოედანს); ჩატვირთვის წინ ლო-

დინის რაიონებს (ჩატვირთვის შემდეგ – შეკრების რაიონს); საავტომობილო მისასვლელ გზებს, ხოლო ზღვით გადაზიდვებისას – ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) სარეიდო და საპორტო პუნქტებს.

ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) სადგური (პორტი, აეროდრომი), რკინიგზის სადგური (პორტი, აეროდრომი), სარდლობის მიერ დანიშნული პუნქტი, სადაც გათვალისწინებულია, სამხედრო გადაზიდვების დროს ჯარების და მატერიალური საშუალებების, ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) სამუშაოების კომპლექსის ჩატარება. ამ სადგურში ეწყობა რამდენიმე სტაციონარული (დროებითი) ჩასატვირთ-გადმოსატვირთი ადგილი, თითოეული – ჩასატვირთ-გადმოსატვირთი პლატფორმით (ბაქნით), ეწყობა მისასვლელი გზები, ხდება კავშირგაბმულობის, დაცვის და თავდაცვის ორგანიზება.

ჩატვირთვის (გადმოტვირთვის) წერტილი, წერტილი, სადაც ერთი საფრენი აპარატი შეიძლება ჩაიტვირთოს ან გადმოიტვირთოს.

ჩატვირთვის ბეგმა, დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია დეტალური ინსტრუქციები, როგორ უნდა განლაგდეს პირადი შემადგენლობა და აღჭურვილობა მოცემული ტიპის თვითმფრინავის ბორტზე ან სატრანსპორტო საშუალებაზე.

ჩატვირთვის საჰაერო პორტი, აეროდრომი უწყვეტი საჰაერო გადაადგილებისთვის, რომლის დროსაც ცოცხალი ძალა და ტექნიკა გადაადგილდება საჰაერო გზით. **ჩ.ს.პ.** გამოიყენება როგორც გადმოტვირთვის პორტი უკან დაბრუნებული მგზავრებისა და ტვირთისათვის.

ჩაურევლობა, თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების პირდაპირ ან არაპირდაპირ ჩარევა სხვა ქვეყნების და ხალხების საშინაო საქმეებში. დამკვიდრებულია გაეროს წესდებით და მთელი რიგი საერთაშორისო აქტებით. კრძალავს პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა ღონისძიებებით მეორე სახელმწიფოს დამორჩილებას ან მისგან რაიმე უპირატესობის მოპოვებას. ისეთი შეიარაღებული, ძირგამომთხრელი და ტერორისტული საქმიანობის დახმარებას, წახალისებას, რომელიც მიზნად ისახავს სხვა სახელმწიფოს არსებული წყობილების შეცვლას ან სხვა სახელმწიფოში მიმდინარე შიდა ბრძოლაში ჩარევას.

ჩაფხუტი, ლითონისაგან დამზადებული მაღალი თავსარქველი, რომელსაც ომის დროს თავდაცვის მიზნით იხურავდნენ. ძველად **ჩ**-ს ცხვირის დასაცავად გაკეთებული ჰქონდა გრძელი, მოძრავი საცხვირე. ყბებსა და კისერს იცავდა **ჩ**-ის კიდეებზე მიმაგრებული ჯაჭვის საფენი, რომელიც მხრებამდე იყო ჩამოშვებული. ტერმინი „ჩაფხუტი“ ქართული წარმოშობისაა, X საუკუნიდან შეცვალა მუზარადმა.

ჩაჩიბაია ვლადიმერ ბორისის ძე (დ. 1971), საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსი (2008–09), ბრიგადის გენერალი (2014). დაამთავრა თბილისის სამხედრო აკადემია (1994), აშშ-ის სამეთაურეო და გენერალური შტაბის ოფიცერთა კურსი (2002–03), აშშ-ის არმიის ომის კოლეჯი (2007–08). მსახურობდა საქართველოს ეროვნულ გვარდიაში (1991–92), ცალკეული დაზვერვის ბატალიონის S-3 ტოპოგრაფიული სამსახურის უფროსი (1998–99), სპეციალური დანიშნულების ბრიგადის G-2-ის უფროსი (2001–02), პირველი ქვეითი ბრიგადის შტაბის უფროსი (2003–05), ქართული სამშვიდობო კონტიგენტის მეთაური ერაყში (2004–05), გენერალური შტაბის J-3 დეპარტამენტის უფროსი (2005–08), სახმელეთო ჯარების შტაბის უფროსი და სახმელეთო ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელი. გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე (2006), საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის განათლების დეპარტამენტის უფროსი (2008), მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები. 2016 წელს ხელახლა დაინიშნა საქართველოს შეარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსად.

ჩაჩქანი, ლითონის ძველებური საბრძოლო თავსაბურავი. (იხ. აგრეთვე *აბჯარი*).

ჩაძირვის სიჩქარე, წყალქვეშა ნავის ჩაძირვის სიღრმის ცვალებადობა დროის ერთეულში; წყალქვეშა ნავის ტაქტიკურ-ტექნიკური ერთ-ერთი მახასიათებელი. განისაზღვრება წყალქვეშა ნავის მოცემულ სიღრმეზე ჩასვლის დროით. განასხვავებენ **ჩ.ს**-ს ზღვის ზედაპირიდან პერისკოპულ ან სატარანო დარტყმისგან უსაფრთხო სიღრმემდე და წყალქვეშ სვლის დროს. დრო აითვლება მთავარი ბალასტის ცისტერნის სავენტილაციო სარქვლის გახსნის მომენტიდან ან ჩაძირვაზე კომანდის გაცემიდან მოცემული სიღრმის მიღწევამდე. დამოკიდებულია სვლის სიჩქარეზე და წყალქვეშა ნავის დიფერენტზე, ზღვის მდგომარეობაზე. ასევე ეკიპაჟის განსწავლულობაზე, მანევრის ხერხზე (სწრაფი ჩაძირვის ცისტერნის შევსებით და შეუვსებლად), წყალქვეშა ნავის კონსტრუქციულ თავისებურებებზე, წყალწყვაზე და სხვა ფაქტორებზე.

ჩახშობა, იარაღის სისტემის დროებით მწყობრიდან გამოსვლა, რაც გამოწვეულია მოწინააღმდეგე ძალის ზემოქმედებით. სახმელეთო ჯარებისათვის – პირდაპირი ან არაპირდაპირი დამიზნების ცეცხლის, ელექტრონული საშუალებებით შეტევის, ან კვამლის გამოყენება. მიმართულია მოწინააღმდეგის პირადი შემადგენლობის შესაფერხებლად, რათა მან ვერ შეძლოს ცეცხლის გახსნა და

თვალთვალის განხორციელება ან იარაღის და აღჭურვილობის მწყობრიდან გამოყვანა.

ჩელტი, ლ ა ს ტ ი, თავდასაცავი იარაღი.

ჩერჩილი (Churcill) უინსტონ ლეონარდ სპენსერ (1874–1965), დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, არისტოკრატიული გვარის შთამომავალი. 1904 წლამდე კონსერვატორი, შემდეგ ლიბერალი, XX საუკუნის 20-იანი წლებიდან კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. 1908–10 წლებში იყო ვაჭრობის მინისტრი, 1910–11 – შინაგან საქმეთა მინისტრი, 1911–15 – სამხედრო-საზღვაო მინისტრი. დარდანელის წარუმატებელი ოპერაციის შემდეგ (იხ. *დარდანელის ოპერაცია*) ჩ. თანამდებობიდან გადააყენეს. 1917 წელს კვლავ შევიდა მთავრობაში, დაიკავა სამხედრო მომარაგების მინისტრის პოსტი. 1919–21 წლებში იყო სამხედრო მინისტრი და ავიაციის მინისტრი. შემდეგ წლებში (1929 წლამდე) კვლავ ხელმძღვანელობდა სხვადასხვა სამინისტროს. 1929–39 წლებში სახელმწიფო პოსტები არ ეკავა, მაგრამ არაერთხელ გამოსულა პარლამენტში გერმანული ექსპანსიონიზმის საფრთხის შესახებ. II მსოფლიო ომის დასაწყისში ჩ-მა სამხედრო-საზღვაო სამინისტრო ჩაიბარა, 1940 წლიდან კი მიიღო პრემიერ-მინისტრის პოსტი. იყო *ანტიჰიტლერული კოალიციის* შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. ომის წლებში ჩ. ბრიტანელი ხალხის სიმტკიცის სიმბოლო გახდა. ხელისუფლებიდან წავიდა 1945 წელს, როდესაც კონსერვატიულმა პარტიამ არჩევნებში მარცხი განიცადა. 1946 წლის 5 მარტს ქ. ფულტონში (აშშ) პრეზიდენტ ტრუმენის თანდასწრებით ჩ. გამოვიდა სიტყვით, რომლითაც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს მოუწოდა ჩამოეყალიბებინათ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი საბჭოთა ჰეგემონიზმის შესაკავებლად. 1951 წელს კვლავ აირჩიეს პრემიერ-მინისტრად. ჩ. ისტორიულ-მემუარული ხასიათის თხზულებათა ავტორია.

ჩეჩნეთ-რუსეთის კონფლიქტი (1994 წლიდან), შეიარაღებული ბრძოლა რუსეთის ფედერალური ჯარების დაჯგუფებასა და ჩეჩენთა სამხედრო ფორმირებებს შორის. 1991 წელს ჩეჩნეთის ეროვნულმა ძალებმა გენერალ ჯ. დუდაევის ხელმძღვანელობით გამოაცხადეს ჩეჩნეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტი და მისი გასვლა რუსეთის ფედერაციიდან და საბჭოთა კავშირიდან. 1992 წლის 7 ივლისისათვის მათ გააყვანინეს ჩეჩნეთიდან იქ დისლოცირებული სამთავრობო ჯარები (ეს იყო პირველი ასეთი შემთხვევა ყოფილი სსრ კავშირის ტერიტორიაზე), ხოლო მათი შეიარაღება და საბრძოლო მასალები ხელთ იგდეს. 1994 წლის დეკემბრისათვის ჩეჩნური სამხედრო ფორმირებები ითვლიდნენ 13 ათ. კაცს, ჰქონდათ 40 ტანკი, 50 ჯავშანტრანსპორტიორი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა, დაახლოებით 100 ქვემეხი, ნაღმსატყორცნი, სხვა ტექნიკა და მზად იყვნენ დაეცვათ თავისი სუვერენიტეტი.

ჩ ე ჩ ნ ე თ ი ს I ო მ ი. რუსეთის ხელისუფლებამ პრეზიდენტ ბ. ელცინის დროს, გადაწყვეტილება მიიღო ძალისმიერი გზით აღედგინათ რუსეთის იურისდიქცია ჩეჩნეთში. 1994 წლის ბოლოსათვის მეამბოხე რესპუბლიკის წინააღმდეგ დაძრული საჯარისო დაჯგუფება ითვლიდა 38 ათ. კაცს, ჰქონდა 230 ტანკი, 454 ჯავშანტრანსპორტიორი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა, 388 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი. ოპერაციის საჰაერო მხარდაჭერას ახორციელებდა მძლავრი საჰაერო არმადა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საფრონტო ბომბდამშენები და გამანადგურებლები, მოიერიშე თვითმფრინავები, დამრტყმელი და სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენები და სხვა. 1994 წლის დეკემბერში დაწყებული საბრძოლო მოქმედებები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ჩეჩნური ფორმირებები ოსტატურად უთავსებდნენ ერთმანეთს რეგულარული ჯარებისა და პარტიზანული რაზმების მოქმედებათა მეთოდებს. ომის შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, რომ რუსეთის არმიამ ვერ შეძლო ბოლომდე შეწყობოდა ასეთ კომბინირებულ მოქმედებებს. შედეგი არ გამოიღო ჩეჩნეთში მოქმედი ფედერალური დაჯგუფების გაზრდამაც, რომლის ძალებმა 1995 წლის ბოლოს 462 ათ. კაცს მიაღწია შორეული საცეცხლო დაზიანების საშუალებათა დიდი რაოდენობით. 1996 წლის აგვისტოში რუსები იძულებული გახდნენ დაეტოვებინათ წინა წელს აღებული გროზნო. მალე ქ. ხასავიურთში (დაღესტანი) ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ხოლო 1997 წლის მაისში მოსკოვში ბ. ელცინმა და ჩეჩნეთის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ა. მასხადოვმა (ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტი ჯ. დუდაევი ამ დროისათვის უკვე მოკლული იყო 1996 წელს მიზანმიმართული რაკეტული დარტყმით) ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას რუსეთის ფედერაციასა და ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის (იხ. *მოსკოვის ხელშეკრულება 1997*). ოფიციალური რუსული მონაცემებით, 1994–96 წლების მოვლენებში ფედერალური ძალების დანაკარგი მოკლულების, დასახიჩრებულებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახით აღემატებოდა 5,5 ათ. კაცს, სანიტარული დანაკარგი – 51 ათ. კაცს. ჩეჩნური სამხედრო ფორმირებების დანაკარგი (არასრული მონაცემებით) აღემატებოდა 2,7 ათ. კაცს. განსაკუთრებით დიდი იყო მსხვერპლი ჩეჩნეთის მშვიდობიან მოსახლეობაში. აქ დაღუპულთა რიცხვი ათეულობით ათასს აღწევდა.

ჩ ე ჩ ნ ე თ ი ს II ო მ ი. მიუხედავად სამშვიდობო ხელშეკრულებისა, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა კვლავ ცდილობდა

ჩეჩნეთში თავისი კონტროლის აღდგენას. მოსკოვს შესანიშნავი საბაბი მიეცა 1999 წლის აგვისტოში, როდესაც ჩეჩნეთის მხრიდან დაღესტანში შეიარაღებული ფორმირებები შეიჭრნენ. თუმცა არავითარი დამადასტურებელი საბუთი არ არსებობდა, რომ ა. მასხადოვს რაიმე კავშირი ჰქონოდა ამ ფაქტთან, რუსეთის ხელისუფლებამ ჩეჩნეთის მხარეს ხელშეკრულების დარღვევასა და აგრესიაში დასდო ბრალი. 1996–97 წლების ხელშეკრულებები დენონსირებული იქნა და ფედერალური არმია ისევ შეიჭრა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე, ამჯერად ტერორიზმთან ბრძოლის ლოზუნგით, 1999 წლის სექტემბერში. II ომისთვის რუსეთის მხარე გაცილებით უკეთ მომზადებული აღმოჩნდა არა მარტო სამხედრო, არამედ პოლიტიკური, იდეოლოგიური და პროპაგანდისტული თვალსაზრისითაც. ჩეჩენთა წინააღმდეგობამ პარტიზანული ომის ხასიათი მიიღო. ა. მასხადოვისა და სხვა ცნობილი სამხედრო ლიდერების დაღუპვის შემდეგ ჩეჩენთა წინააღმდეგობის ინტენსიურობა საგრძნობლად დაეცა, თუმცა მთაში კიდევ მოქმედებდნენ დაცალკევებული რაზმები. გარდა პირდაპირი სამხედრო აქციებისა, მოსკოვი დაადგა **ჩ.-რ.ბ**-ის „ჩეჩენიზაციის“, ანუ ცალკეული ლიდერებისა და მებრძოლების გადაბირების გზას. ამ საქმეში რუსეთის ხელმძღვანელობას დიდი მხარდაჭერა აღმოუჩინა ჩეჩნეთის სასულიერო ლიდერმა ა. კადიროვმა, რომელიც ჯ. დუდაევის დროს რუსეთის წინააღმდეგ გამოდიოდა. 2000 წელს ვ. პუტინმა იგი ჩეჩნეთის პრორუსული ადმინისტრაციის მეთაურად დანიშნა. 2004 წლის მაისში ა. კადიროვი დაიღუპა მის წინააღმდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად, მაგრამ მისი საქმის გამგრძელებელი აღმოჩნდა მისივე ვაჟი – რ. კადიროვი (ჩეჩნეთის პრეზიდენტი 2007 წლიდან). მიიჩნევენ, რომ რ. კადიროვის ჩეჩნეთის სათავეში მოსვლის შემდეგ რესპუბლიკაში მდგომარეობა შედარებით სტაბილური გახდა. 2009 წლის 15 აპრილს მოსკოვმა ოფიციალურად გამოაცხადა ჩეჩნეთში კონტრტერორისტული ოპერაციის დასრულება. მაგრამ რესპუბლიკის სამხრეთ რაიონებში კვლავ გრძელდება დაბალი ინტენსივობის პარტიზანული მოძრაობა, რომელიც გავრცელდა აგრეთვე მეზობელ ინგუშეთსა და დაღესტანში.

ჩეხეთი (Czech – ჩეხეთის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ ევროპაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 78,9 ათ. კმ². მოსახლეობა 10,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ჩეხური. დედაქალაქი – ქ. პრაღა. ადმინისტრაციულად იყოფა 14 მხარედ. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. **ჩ.** 1948 წლიდან შედიოდა ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკაში, 1960 წლიდან – ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში, 1990 წლის 20 აპრილიდან – **ჩ**-ისა და სლოვაკეთის ფედერაციაში, 1993 წლის 1 იანვარს გამოვიდა აღნიშნული ფედერაციიდან. არის ნატოს წევრი ქვეყანა. **ჩ.** განვითარებული ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: შავი მეტალურგია, ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ხე-ტყის დამუშავება, ცელულოზა-ქაღალდის წარმოება. სამხედრო მრეწველობა აწარმოებს საარტილერიო და ცეცხლსასროლ სისტემებს, საბრძოლო აღჭურვილობას, თვითმფრინავებს, რადიოელექტრონულ აპარატურას. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მარცვლეული კულტურების, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის მოყვანა და მეცხოველეობა. საერთაშორისო აეროპორტი – პრაღა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 23,4 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 7 ათ., სამხედრო-საჰაერო 5,2 ათ და შეიარაღებული ძალების ცალკეული გვარეობები. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ჩვეულებრივი იარაღი, იარაღის ტრადიციული სახეობები, რომელთა საბრძოლო გამოყენებას არ მოსდევს უშუალოდ მასობრივი დანაკარგები და ნგრევა. ტერმინი წარმოიშვა XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ზოგიერთი არმია აღიჭურვა ბირთვული იარაღით და ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ტერმინი „მასობრივი დაზიანების იარაღი“. **ჩ.ი**-ს განეკუთვნება: ცეცხლსასროლი, რეაქტიული, სარაკეტო, ბომბდამშენი, სატორპედო და ცეცხლგამჩენი იარაღი, საინჟინრო და საზღვაო ნაღმები და იარაღის სხვა სახეობები. მათი დაზიანების საშუალებები აღჭურვილია ბრიზანტული ასაფეთქებელი ან აალებადი ნივთიერებებით, ან არ გააჩნიათ აღჭურვა (ერთიანი ჯავშანგამტანი ჭურვები, ჩვეულებრივი ტყვიები). **ჩ.ი**-ს განეკუთვნება, აგრეთვე, სატყორცნი და ცივი იარაღი.

ჩილე (Chile – ჩილეს რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ამერიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, წყნარი ოკეანის სანაპიროზე. ფართობი 756,6 ათ. კმ². მოსახლეობა 17,1 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. სანტიაგო. ადმინისტრაციულად იყოფა 13 რეგიონად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული კონგრესი (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1810 წელს. **ჩ.** ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: სამთომოპოვებითი (სპილენძი, სელიტრა, მოლიბდენი, რკინა, ნიკელი, ვერცხლი, ოქრო და ა.შ.), მეტალურგია, ნავთობქიმიური, ხის დამამუშავებელი და კვებითი. სოფლის მეურნეობა სრულად უზრუნველყო-

ფს ადგილობრივ მოსახლეობას და ნაწილობრივ გადის ექსპორტზე. დიდი საზღვაო პორტებია: ანტოფაგასტა, ვალპარაისო, კოკიმბო, იკიკე, არიკა, ტალკაუანო, პუნტა-არენასი. საერთაშორისო აეროპორტი – სანტიაგო. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 59 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 35 ათ, სამხედრო-საჰაერო 7,7 ათ. და სამხედრო-საზღვაო 16,3 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ჩინგიზ-ყაენი, ჩინგიზ-ხანი (საკუთარი სახელი – თ ე მ უ ჩ ი ნ ი დაახლოებით 1155–1227), მონღოლი ყაენი და მხედართმთავარი. გააერთიანა მომთაბარე ტომები და შექმნა იმპერია. 1206 წელს მონღოლთა გვაროვნული და ფეოდალური ზედაფენის ყრილობაზე აირჩიეს სრულიად მონღოლეთის ხანად და ეწოდა ჩინგიზი (დიდი ყაენი). მის მიერ ჩამოყალიბებული ცხენოსანი ლაშქარი აერთიანებდა ყველა ბრძოლისუნარიან მამაკაცს და გამოირჩეოდა მაღალი დისციპლინითა და მოძრაობის უნარით. ორგანიზაცია ათეულებით სისტემაზე იყო დამყარებული (ათეული–ასეული–ათასეული–ათიათასეული). 1207 წელს **ჩ.-ყ**-მა დაიმორჩილა სამხრეთ ციმბირი, 1211–15 – ჩრდილოეთ ჩინეთი, ხელთ იგდო დიდი ალაფი და ჩინური საალყო ტექნიკით გააძლიერა თავისი ლაშქარი. 1219–21 წლებში **ჩ.-ყ**-ის ჯარებმა დაანგრიეს და დაიპყრეს ხვარაზმშაჰთა სახელმწიფო შუა აზიაში, 1220–23 წლებში დალაშქრეს ჩრდილო ირანი, კავკასია (1221 წელს დაამარცხეს ქართული ლაშქარი), აღმოსავლეთ ევროპის ველები (1223 წელს დაამარცხეს რუსებისა და ყივჩაყების გაერთიანებული ძალები). მონღოლთა ლაშქრობებს თან სდევდა დაპყრობილი ქვეყნების აოხრება და მათი მოსახლეობის აწიოკება-განადგურება. **ჩ.-ყ**-ის მიერ შუა აზიის დამორჩილებით დასრულდა მონღოლთა დაპყრობების I ეტაპი (იხ. *მონღოლთა დაპყრობები*). სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე **ჩ.-ყ**-მა დაპყრობილი მიწები თავის შვილებს დაუნაწილა.

ჩინეთი (China – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში. ქვეყანას აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ესაზღვრება ყვითელი, აღმოსავლეთ ჩინეთის და სამხრეთ ჩინეთის ზღვები. ფართობი 9,6 მლნ. *კმ²*. მოსახლეობა 1,354 მლრდ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ჩინური. დედაქალაქი – ქ. პეკინი. ადმინისტრაციულად იყოფა: 23 პროვინციად (ტაივანის ჩათვლით), 5 ავტონომიურ რაიონად, 4 ცენტრალური დაქვემდებარების ქალაქად და სიანგანის სპეციალურ ადმინისტრაციულ რაიონად. უმაღლესი ხელისუფლება და საკანონმდებლო ორგანო – სრულიად **ჩ**-ის სახალხო წარმომადგენელთა კრება. სახელმწიფოს მეთაურია ამ კრების მიერ არჩეული თავმჯდომარე. აღმასრულებელი ორგანო – სახელმწიფო საბჭო (მთავრობა). 1911 წელს შეიქმნა **ჩ**-ის რესპუბლიკა. 1949 წლის 1 ოქტომბერს გამოცხადდა **ჩ**-ის სახალხო რესპუბლიკა. გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, ბირთვული სახელმწიფო. **ჩ**. ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა. ფლობს ნედლეულის მნიშვნელოვან მარაგს. მრეწველობის წამყვანი დარგებია: მანქანათმშენებლობა, საფეიქრო მრეწველობა. განვითარებულია: მეტალურგია, ქვანახშირის, ნავთობის მოპოვება, სამხედრო მრეწველობა. წარმატებით ხორციელდება კოსმოსური კვლევა. სოფლის მეურნეობა ძირითადად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე. **ჩ**-ს უჭირავს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი მსოფლიოში მარცვლეულის, ბამბის, ხორცის, ბრინჯის წარმოებაში. მის ტერიტორიაზე განთავსებულია 116 საზღვაო პორტი, მათგან უმსხვილესია: შანხაი, დალიანი, გაოსიუნი, ცინდაო, ნანკინი, გუანჩჯოუ. 110-ზე მეტი აეროპორტი, მათგან 58-ს შეუძლია მიიღოს მძიმე ლაინერები. შეიარაღებული ძალები (სახალხო-განმათავისუფლებელი არმია) საერთო შემადგენლობით 2,2 მლნ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 1,6 მლნ, სამხედრო-საჰაერო 0,4 მლნ და სამხედრო-საზღვაო 0,2 მლნ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ჩინეთ-იაპონიის ომი 1937–45, დაიწყო იაპონიის ჩინეთზე თავდასხმით 1937 წლის 7 ივლისს. იაპონიას, რომელსაც 1931 წლიდან ოკუპირებული ჰქონდა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (მანჯურია), გამიზნული ჰქონდა ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიის ხელში ჩაგდებაც. ომის პირველ ეტაპზე (1937 წლის ივლის-აგვისტო) იაპონელებმა დაიკავეს ჩრდილო და ცენტრალური ჩინეთის ვრცელი რაიონები დედაქალაქ ნანკინის ჩათვლით. *ჩან კაიშის* მთავრობამ ჩუნცინში გადაინაცვლა. იაპონიას მხარს უჭერდნენ გერმანია და იტალია. სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი და აშშ იაპონელთა ქმედებების წინააღმდეგ გამოვიდნენ. წყნარი ოკეანის აუზში (იხ. *წყნარი ოკეანის კამპანიები 1941–45*) იაპონიის სამხედრო მდგომარეობის გართულების შემდეგ (განსაკუთრებულად 1944 წლიდან) იაპონიის სარდლობამ გააძლიერა ჩინეთზე შეტევა და დიდ წარმატებებს მიაღწია. 1945 წლის აგვისტომდე იაპონიის ჯარები ჩინეთის ფროტზე სტაბილურ მდგომარეობას ინარჩუნებდნენ, მაგრამ II მსოფლიო ომში იაპონიის საერთო დამარცხებისა და კაპიტულაციის გამო **ჩ.-ი.ო** ჩინეთის სასარგებლოდ დასრულდა.

ჩინეთის დიდი კედელი, გამაგრებული კედელი ჩრდილოეთ ჩინეთში, ძველი ჩინური საინჟინრო ხელოვნების გრანდიოზული ძეგლი. კედლის სიგრძე განსუს პროვინციიდან (დასავლეთში) ლაოდუნის ყურემდე (აღმოსავ-

ლეთში) შეადგენს დაახლოებით 4 ათ. *კმ*ს (ცალკეული განშტოებების ჩათვლით 8 ათ. *კმ*ზე მეტს), სიმაღლე – 5-დან 10 *მ*-მდეა, სიგანე – 5–8 *მ*. გამაგრებათა სისტემა შეიქმნა მომთაბარე ტომთა თავდასხმების შესაკავებლად, თუმცა მას ყოველთვის ეფექტურად ვერ იყენებდნენ. კედლის ცალკეული მონაკვეთები სხვადასხვა პერიოდებშია აშენებული (ძვ.წ. III საუკუნიდან ახ.წ. XVI საუკუნემდე). **ჩ.დ.კ.** ადმინისტრაციული და სტრატეგიული თვალსაზრისით იყოფოდა 9 მონაკვეთად. გარდა ძირითადი, თავდაცვითი, ფუნქციისა, იგი აიოლებდა საზღვრისპირა მოსახლეობის კონტროლს, ხოლო მასზე გატარებული გზა უსაფრთხო გასავლელი იყო.

ჩოლოყაშვილი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (1922–2013), ისტორიკოსი, პროფესორი, 1942 წლიდან საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომელი, ქართული და აღმოსავლეთის ქვეყნების საომარი იარაღის სპეციალისტი. ძირითადი შრომები: „საჭურველი“ (ალბომი, 1964), „თოფი ქართული წარწერით“ (1953), „ქვემეხები ქართული ასომთავრული წარწერით“ (1987), „ბრძოლა და მისი ანარეკლი ქართულ ყოფაში“ (2002), „საბრძოლო იარაღი, შეწირულობა ქართულ ტაძრებს“ (2004), „იარაღი, როგორც სამკაული საქართველოში“ (2007).

ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) (1888–1930), ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი, თავადი, ეროვნული გმირი. 1907 წელს დაამთავრა თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზია. შემდეგ გაიწვიეს ჯარში და მსახურობდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, მიიღო ოფიცრის წოდება. 1912 წელს დატოვა სამხედრო სამსახური, მაგრამ I მსოფლიო ომის დაწყების გამო კვლავ ჯარში გაიწვიეს (1914). იბრძოდა დასავლეთის (ავსტრია-უნგრეთის) და კავკასიის (ოსმალეთის) ფრონტებზე. თავი გამოიჩინა სარიყამიშის ბრძოლაში (1914 წლის დეკემბერი – 1915 იანვარი), რისთვისაც ოქროს ხმლით დააჯილდოვეს. შემდეგ მონაწილეობდა გენერალ ბარათოვის ექსპედიციაში სპარსეთში. ორჯერ დაჭრა. თებერვლის რევოლუციის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა. მონაწილეობდა ქართული ჯარის მშენებლობაში, იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1919). იბრძოდა 1921 წლის *რუსეთ-საქართველოს ომში*. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შექმნა პარტიზანული რაზმი და 1922–24 წლებში იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ. 1924 წლის *აგვისტოს აჯანყების* ჩახშობის შემდეგ თავის თანამებრძოლებთან ერთად თურქეთში გადავიდა. შემდეგ ცხოვრობდა საფრანგეთში. გარდაიცვალა ტუბერკულოზით. დაკრძალული იყო ლევილის ქართველთა სასაფლაოზე. 2005 წელს სამშობლოში გადმოასვენეს. განისვენებს მთაწმინდის პანთეონში.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო, ნატოს ხელმძღვანელი ორგანო, რომლის შემადგენლობაში შედიან ალიანსის წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლები. საბჭო, როგორც წესი, იკრიბება კვირაში ერთხელ და აქვს ნატოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლება. საბჭოს სხდომებს უძღვება ნატოს გენერალური მდივანი ან მისი მოადგილე. საბჭო პერიოდულად ატარებს უფრო მაღალი დონის შეხვედრებს, სადაც იკრიბებიან ნატოს წევრი სახელმწიფოების თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები ან სახელმწიფოს მეთაურები. ასეთ შეხვედრებზე იღებენ სხვადასხვა სახის განცხადებებსა და დეკლარაციებს, რომლებიც ცნობილი ხდება ფართო საზოგადოებისათვის. საბჭოს სხდომებზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება ნატოს პოლიტიკასა და საქმიანობასთან დაკავშირებით კონსესუსის საფუძველზე, რაც ალიანსის მართვის დემოკრატიული პრინციპის საფუძველია.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში ხელმოწერილი დოკუმენტის თანახმად შეიქმნა ალიანსი (ნატო), რომელიც მიზნად ისახავს გაეროს წესდების 51-ე მუხლით განსაზღვრული კოლექტიური თავდაცვის განხორციელებას. ხელშეკრულება არის უვადო და აერთიანებს ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის 28 ქვეყანას. ხელის მოწერის დადასტურებით წევრი ქვეყნები მიისწრაფიან ჩრდილოატლანტიკურ რეგიონში სტაბილურობისა და მშვიდობისკენ, აგრეთვე დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე ხალხთა თავისუფალი განვითარებისკენ. ასევე იწოდება „ვაშინგტონის ხელშეკრულებად“. ხელშეკრულების მიხედვით, ნატოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების დაცვა გარეშე აგრესიისგან. ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად, რაც ვაშინგტონის ხელშეკრულების V მუხლით არის გათვალისწინებული.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 1949 წლის 4 აპრილს. წარმოადგენს ჩრდილოეთ ამერიკის (აშშ, კანადა) და ევროპის 28 სახელმწიფოსგან შემდგარ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ნატოს ძირითადი ამოცანაა მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. იგი იცავს მოკავშირეების საერთო დემოკრატიულ ფასეულობებს, კანონის უზენაესობას და მოქმედებს საერთაშორისო სამართლისა და გაეროს წესდების თანახმად. ნატოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს წევრი ქვეყნების დაცვა გარეშე აგრესიისგან. ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად, რაც 1949 წლის ვაშინგტონის ხელშეკრულების V მუხ-

ლით არის გათვალისწინებული. ნატო არის სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია, სადაც წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ სრულ დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. ალიანსში ყველა გადაწყვეტილება მიიღება წევრი ქვეყნების მიერ კონსესუსის საფუძველზე. ნატოში გადაწყვეტილების მიღების პროცესი განისაზღვრება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულებით და სხვა არსებული დოკუმენტებით. ალიანსის ყველა წევრი სახელმწიფო აგზავნის დელეგაციას ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში. თითოეული დელეგაციის ხელმძღვანელი არის მუდმივი წარმომადგენელი. მუდმივი წარმომადგენლები ქმნიან ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს, რომელიც იკრიბება კვირაში ერთხელ და აქვს ნატოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლება. ნატოს გენერალური მდივანი ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამსახურს. იგი უძღვება ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სხდომებს. ასევე კოორდინაციას უწევს სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის საქმიანობას. ნატოს სამხედრო სტრუქტურის უმაღლესი ორგანოა სამხედრო კომიტეტი. ჩრდილოატლანტიკური საბჭო პერიოდულად ატარებს შეხვედრებს, სადაც იკრიბებიან სახელმწიფოს მეთაურები, ასევე თავდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრები. ნატოს „ღია კარის პოლიტიკა“ ემყარება ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების X მუხლს. ნატოში გაერთიანება შეუძლია ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მზადაა შეასრულოს წევრობისთვის საჭირო ვალდებულებები და ხელი შეუწყოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. 1949 წლიდან ნატოს წევრი ქვეყნების რაოდენობა გაფართოების ექვსი საფეხურის გავლით 12-დან 28 ქვეყნამდე გაიზარდა. 2008 წლის აპრილში ბუქარესტში გამართულ ნატოს სამიტზე შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი. ეს დებულება მომდევნო წლებშიც არაერთხელ დადასტურდა ალიანსის მიერ.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ზონა, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების VI მუხლის თანახმად, ზონა, რომელიც მოიცავს ევროპის და ჩრდილო ამერიკის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების, ასევე თურქეთის ტერიტორიას, ხმელთაშუა ზღვას და ჩრდილოატლანტიკურ რეგიონს რაკის ტროპიკის ჩრდილოეთით.

ჩრდილოეთ აფრიკის კამპანიები, საომარი მოქმედებები ინგლის-ამერიკისა და იტალია-გერმანიის ჯარებს შორის ჩრდილოეთ აფრიკაში II მსოფლიო ომის დროს (1940 წლის 13 სექტემბერი – 1943 წლის 13 მაისი). 1940 წლის სექტემბრიდან 1942 წლის ოქტომბრამდე ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. 1942 წლის ოქტომბერში ინგლისის მე-8 არმია გენერალ ბ. მონტგომერის სარდლობით ელ-ალამაინთან შეტევაზე გადავიდა და გაარღვია იტალია-გერმანიის ჯარების ფრონტი (იხ. *ელ-ალამაინი*). ამავე დროს კასაბლანკაში (მაროკო) გადმოსხდნენ აშშ-ის ჯარები გენერალ დ. *ეიზენჰაუერის* სარდლობით. იტალია-გერმანიის ჯარები ბლოკირებული იქნენ ტუნისში და კაპიტულაცია გამოაცხადეს (1943 წლის მაისი). ტყვედ ჩავარდა დაახლოებით 250 ათ. კაცი. **ჩ.ა.კ**-ის ასეთი დასასრული ფაშისტური ბლოკის მძიმე მარცხი იყო, რამაც შემდეგ ეტაპზე შესაძლებელი გახადა დასავლელი მოკავშირეების იტალიაში შეჭრა (იხ. *იტალიის კამპანია*).

ჩრდილოეთის ომი 1700–21, შვედეთის ომი კოალიციის წინააღმდეგ, რომელშიც შედიოდნენ რუსეთი, დანია, საქსონია და პოლონეთი (ომის ბოლო ეტაპზე შვედეთის წინააღმდეგ ომში ჩაება პრუსიაც). თავდაპირველად შვედეთის მეფემ *კარლოს XII*-მ ერთანეთის მიყოლებით დაამარცხა მოწინააღმდეგენი, მაგრამ რუსეთის მეფე პეტრე I არ წყვეტდა სამხედრო მოქმედებებს. კარლოს XII შეიჭრა რუსეთის სახელმწიფოს სიღრმეში, მაგრამ მოსწყდა თავის მომარაგების ბაზებს, რის გამოც მძიმე მარცხი იწვნია პოლტავასთან 1709 წელს. ამის შემდეგ ომში აშკარად გამოიკვეთა რუსეთის უპირატესობა, რომელიც პეტრე I-ის რეფორმებმა ევროპის ერთ-ერთ უძლიერს სახელმწიფოდ აქცია. ნიშტადტის ზავით 1721 წელს შვედეთმა რუსეთს დაუთმო აღმოსავლეთ ბალტიისპირეთი.

ჩუგლუგი, მცირე წერაქვის მაგვარი იარაღი.

ცენ

ცალკეული სარაკეტო კორპუსი, იხ. *კორპუსი.*

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (Central African Republic), სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში, ზღვაზე გასასვლელის გარეშე. ფართობი 623 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 4,5 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ბანგი. ადმინისტრაციულად იყოფა 16 პრეფექტურად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ნაციონალურ კრება. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1960 წლის 13 აგვისტოს. **ც.ა.რ.** აგრარული, ერთ-ერთი ღარიბი ქვეყანაა აფრიკის კონტინენტზე. სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია: ყავის მოყვანა, ხე-ტყის დამუშავება. წარმოებს ალმასის და ოქროს მოპოვება. საერთაშორისო აეროპორტი: ბანგი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 3,1 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 2 ათ., სამხედრო-საჰაერო ძალები 0,1 ათ. და რესპუბლიკური გვარდია 1 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ცენტრალური სახელმწიფოები (გერმანული – Mittelmächte), თავდაპირველად გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის საერთო სახელწოდება, რომლებმაც 1882 წელს ჩამოაყალიბეს *სამთა კავშირი.* 1883 წელს ალიანსს შეუერთდა რუმინეთი, მაგრამ I მსოფლიო ომის დაწყებისას იტალია და რუმინეთი გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან ერთად ბრძოლაში არ ჩაბმულან, შემდეგ კი ყოფილი მოკავშირეების წინააღმდეგ გამოვიდნენ. სამაგიეროდ გერმანულ ბლოკს შეუერთდნენ ოსმალეთის იმპერია (1914) და ბულგარეთი (1915). საბოლოოდ სახელწოდება **ც.ს.** ამ ოთხ ქვეყანას შერჩა, რომლებიც ებრძოდნენ *ანტანტის* სახელმწიფოებს.

ცენტრალური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ინგლისური centreal treaty organization – CENTO), ე.წ. ბაღდადის პაქტი, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ახლო და შუა აღმოსავლეთში. შეიქმნა 1955 წელს დიდი ბრიტანეთის და ამერიკის შეერთებული შტატების ინიციატივით. დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, ერაყის, ირანისა და პაკისტანის შემადგენლობით. 1958 წელს კავშირიდან ერაყის გასვლამდე ეწოდებოდა ბაღდადის პაქტი. აშშ არ შევიდა ბლოკში და დასჯერდა მეთვალყურის სტატუსს, მაგრამ ფაქტობრივად ხელმძღვანელობდა მის მუშაობას. სენტოს მთავარი ორგანოები იყო მუდმივი მინისტრთა საბჭო, სამდივნო და 4 კომიტეტი (სამხედრო, „ძირგამომთხრელი საქმიანობის“ წინააღმდეგ ბრძოლის, ეკონომიკის და კავშირგაბმულობის). ჰქონდა სამხედრო დაგეგმვის გაერთიანებული შტაბი, მთელი რიგი ქვეკომიტეტები და ტექნიკური ჯგუფები. რეგულარულად ეწყობოდა შეიარაღებული ძალების ერთობლივი წვრთნები და მანევრები. ბლოკის შიგნით არსებულმა, აგრეთვე მის დასავლელ და აღმოსავლელ პარტნიორებს შორის წამოჭრილმა წინააღმდეგობებმა 1979 წელს გამოიწვიეს სენტოს დაშლა.

ცენტურია (ლათინური centuria < centum – ასი), 1. ძველ რომში მოქალაქეთა სამხედრო-პოლიტიკური დაყოფის ერთეული ძვ.წ. VI–II საუკუნეებში. სამხედროვალდებული მამაკაცები ქონებრივი ცენზის მიხედვით იყოფოდნენ 5 ჯგუფად, რომელთაც ევალებოდათ **ც**-ების (ასეულების) გარკვეული რაოდენობის გამოყვანა. 2. რომის შეიარაღებული ძალების ძირითადი საორგანიზაციო ერთეული ძვ.წ. VI–IV საუკუნეებში და ლეგიონის მცირე საორგანიზაციო ერთეული (60 კაცი) ძვ.წ. IV საუკუნიდან. ორი **ც.** შეადგენდა *მანიპულას.* **ც**-ის სათავეში იდგა *ცენტურიონი.*

ცენტურიონი, *ცენტურიის* ან *მანიპულის* მეთაური ძველი რომის არმიაში. **ც**-ად, როგორც წესი, ინიშნებოდნენ ყველაზე გამოცდილი და მამაცი მეომრები. მათ საკმაოდ მნიშვნელოვანი უფლებები ჰქონდათ და დიდ როლს ასრულებდნენ სამხედრო დისციპლინის შენარჩუნებაში.

ცერემონიალური მარში, ჯარების გავლა მკაცრად დადგენილი რეგლამენტის (ცერემონიალის) მიხედვით, მუსიკის (დოლის) თანხლებით აღლუმებზე, დათვალიერებებზე, ზეიმების, დღესასწაულების დროს და ა.შ. ჯარებისთვის **ც.მ**-ის სწავლებას დიდი ყურადღება ეთმობოდა XVIII–XIX საუკუნეებში, განსაკუთრებით – პრუსიის არმიაში.

ცეცხლგამტარი ზონარი, ბიკფორდის ზონარი, ცეცხლის იმპულსის გადაცემის საშუალება დროის გარკვეულ შუალედში კაპსულდეტონატორის ან დენთის მუხტის ასამუშავებლად. შედგება დენთის შუაგულისა და წყალგაუმტარი დაფარვის მრავალფენიანი გარსისგან. **ც.ზ**-ის დიამეტრია 5–6 *მმ,* წვის სიჩქარე დაახლოებით 10 *მმ/წმ* (წყალქვეშ, 5 *მ* სიღრმემდე, მეტი სისწრაფით იწვის). გამოიგონა 1831 წელს ინგლისელმა მეცნიერმა უ. ბიკფორდმა.

ცეცხლგამჩენი, ნაერთი, რომელსაც ახასიათებს საკმარისი სიმხურვალე, რომ ცეცხ-

ლი წაუკიდოს მიზანს, გამოიწვიოს აღჭურვილობის დნობა ან აალება.

ცეცხლგამჩენი იარაღი, იარაღი, რომელიც მოწინააღმდეგეზე ზეგავლენას ახდენს უშუალოდ ცეცხლგამჩენი ნივთიერებებით და მის მიერ გამოწვეული ხანძრით. შეიცავს ცეცხლგამჩენ საბრძოლო მასალას (ცეცხლმსროლელი ნარევები) და მათი მიზანთან მიტანის საშუალებებს. საბრძოლო მასალას განეკუთვნება: დაზიანების, ცეცხლგაჩენის ბომბური საშუალებები, (ცეცხლგამჩენი ავიაბომბები, ბაკები, ბომბური კასეტები, კონტეინერები), ცეცხლგამჩენი საარტილერიო ჭურვები და ნაღმები, რაკეტების ცეცხლგამჩენი საბრძოლო ნაწილი, ყუმბარები, კაფსულები, ტყვიები, საცეცხლე ფუგასები და ცეცხლწყლიანი წინაღობები. მიტანის საშუალებებად გამოიყენება თვითმფრინავები, ვერტმფრენები, საარტილერიო ქვემეხები, გამშვები დანადგარები, ყუმბარმტყორცნები, ცეცხლსასროლი იარაღი და ა.შ.

ცეცხლგამჩენი მილი, ფეთქებადი ნივთიერების მუხტის (საცეცხლე ხერხით) დეტონაციის გამომწვევი ინიცირებადი საშუალება. სტანდარტული **ცმ**. შედგება კაფსულ-დეტონატორისგან, ცეცხლგამტარი ზონრის მონაკვეთისგან (50 ან 150 *სმ* სიგრძის) და ამაალებლიდან (ხახუნით, დარტყმით ან ელექტრონულად). **ცმ.** შესაძლებელია დამზადდეს ჯარებში ცეცხლგამტარი ზონრიდან სპეციალური ამაალებლის გარეშე (აალება შეიძლება განხორციელდეს ასანთით ან სხვა სახელდახელო საშუალებით).

ცეცხლგამჩენი ნივთიერებები, სპეციალური ნივთიერებები (ნარევები), რომლებიც წვის დროს გამოყოფენ დიდი რაოდენობით სითბოს. გამოიყენება ცეცხლგამჩენ იარაღში. წვა შეიძლება მიმდინარეობდეს ჟანგბადის გამოყენებით (საცეცხლე ნარევები, თეთრი ფოსფორი, ნარევი „ელექტრონი“) და ჰაერის მიწოდების გარეშე – მყარი პიროტექნიკური შემადგენლობით, საწვავისა და დამჟანგავის შემცველობით (ტერმიტები, ცირკონიუმი, სხვა მეტალები, ჟანგბადის შემცველი მარილები).

ცეცხლგამჩენი საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ცეცხლგამჩენი საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალები, საარტილერიო ჭურვები (ნაღმები), საავიაციო ბომბები, ხელყუმბარები, ტყვიები, რომელთა დანიშნულებაა აალებადი ობიექტების, საბრძოლო ტექნიკისა და ცოცხალი ძალის განადგურება. ცეცხლგამჩენი საარტილერიო ჭურვები (ნაღმები) და საავიაციო ბომბები დატენილია ცეცხლგამჩენი ნივთიერებებით (თერმიტი, ფოსფორი, ნაპალმი და სხვა). არის აგრეთვე მსხვრევად-მანათებელი ჭურვები, ჯავშანგამტანი ცეცხლგამჩენი ჭურვები და სხვა, რომელთა დასამზადებლად ცეცხლგამჩენ ნივთიერებებთან ერთად ფეთქებად ნივთიერებებსაც იყენებენ.

ცეცხლდაშენა არაგანადგურების მიზნით, ნებისმიერი სახის ცეცხლდაშენა, რომლის დანიშნულებაა არა განსაზღვრული მიზნის განადგურება, არამედ მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობის დასუსტება და მასში არეულობის შეტანა, მათი საბრძოლო მოქმედებების შეზღუდვა, დამხმარე საშუალებების გამოყენება (ფსიქოლოგიური ოპერაციები, საგანგებო ოპერაციები, რადიოელექტრონული ომი).

ცეცხლდაშენის სექტორი, ადგილმდებარეობის მონაკვეთი, რომელსაც საცეცხლე საშუალებებს (ტყვიამფრქვევს, ტანკს, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანას, ქვემეხს, ყუმბარსატყორცნს და სხვა) უნიშნავენ მოწინააღმდეგის დასაზიანებლად პირდაპირი დამიზნების ცეცხლით; სამხედრო-საზღვაო ძალებში მიღებულია ტერმინი „სროლის სექტორი“ – აკვატორიის ან ნაპირის ნაწილი, რომელიც შემოიფარგლება კიდურა მიმართულებებით (პელენგებით) და ხომალდის (ხომალდების რაზმის) არტილერიის, ბატარეის (დივიზიონის) სროლის მაქსიმალური სიშორით.

ცეცხლი, საბრძოლო მოქმედებების დროს მოწინააღმდეგის განადგურების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება; სხვადასხვა სახეობის იარაღის სროლა მიზნების დასაზიანებლად. **ცეცხლის** ეფექტიანობას აღწევენ მისი მაღალი სიზუსტით (სისხარტით), უეცარი გახსნით, უმნიშვნელოვანეს სამიზნეებზე მასირებით; ფართო მანევრით, მსროლელების ოსტატობისა და გონივრული მართვის მეშვეობით.

გამოყენებული იარაღის მიხედვით განასხვავებენ: არტილერიის (ქვემეხები, ნაღმსატყორცნები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, არაუკუმგორავი ქვემეხები); სარაკეტო კომპლექსების, ტანკების (ქვემეხები და ტყვიამფრქვევები); ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანების (ქვემეხები, ტყვიამფრქვევები, ტანსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები), სასროლი იარაღის, ყუმბარსატყორცნების, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების, საზენიტო დანადგარების, საზენიტო არტილერიის, საზენიტო ტყვიამფრქვევების, ავიაციის (რაკეტები, ზარბაზნები, ტყვიამფრქვევები); ხომალდების (ქვემეხები, სარაკეტო კომპლექსები, ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, საზენიტო არტილერია და სხვა); სანაპირო სარაკეტო-საარტილერიო ჯარების (ქვემეხები, სარაკეტო კომპლექსები) და სხვა სახეობის იარაღის **ცს**-ს. **ცს**. შეიძლება წარმოებდეს იმ ამოცანით, რომ გაანადგუროს, დაანგრიოს, დააზიანოს მიზანი ან ძალა გამოაცალოს, კვამლით გაგუდოს, დააბრმავოს მოწინააღმდეგე; პირდაპირი დამიზნებით ან დახურული

საცეცხლე პოზიციებიდან ცალკეული გასროლით, მარდი ან მეთოდური ცეცხლით, ზალპით. შეტევაში ცეცხლი წარმოებს ცეცხლით დაზიანების პერიოდების მიხედვით, თავდაცვაში იქმნება კომპლექსური ცეცხლით დაზიანების სისტემა, მათ შორის, ცეცხლის სისტემა. სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდები ცეცხლს უშენენ საზღვაო, სანაპირო და საჰაერო მიზნებს მოძრაობისას ან ღუზაზე (ნავსაბმელზე) დგომისას.

შეიძლება იყოს შემდეგი სახეობების:

ალმაცერი ცეცხლი, (მოძველებული), წარმოებდა ფრონტისადმი დაახლოებით 45^0-ანი კუთხით მიმართული ქვემეხებიდან და სასროლი იარაღიდან, თანამედროვე პირობებში ასეთ ცეცხლს ფლანგური ეწოდება.

თავმოყრილი ცეცხლი, 1. საარტილერიო ცეცხლის სახეობა, რომელიც წარმოებს ერთდროულად რამდენიმე ბატარეის, დივიზიონის ან ხომალდის მიერ ერთ სამიზნისკენ, ან მიზნების ჯგუფისკენ. სახმელეთო არტილერიას დაენიშნება თავმოყრილი ცეცხლის მონაკვეთები; საზენიტო არტილერია თავმოყრილ ცეცხლს აწარმოებს მნიშვნელოვან საჰაერო მიზანზე რამდენიმე ქვედანაყოფის ძალებით ერთდროულად ან თანამიმდევრულად. სატანკო ოცეული, ასეული თავმოყრილ ცეცხლს აწარმოებენ პირდაპირი დამიზნებით; 2. სასროლი იარაღის ცეცხლის სახეობა – ერთდროულად რამდენიმე ტყვიამფრქვევით, ყუმბარსატყორცნით, ავტომატით, ერთ ან რამდენიმე ოცეულით (ასეულით) ერთ, ან რამდენიმე მიზანზე.

მარდი ცეცხლი, წარმოებს ერთი ან რამდენიმე ქვემეხიდან; გასროლები ერთიმეორეს მიჰყვება მაქსიმალური ტემპით ცეცხლის რეჟიმის დაურღვევლად და არა გამიზვნის სიზუსტის საზიანოდ.

მასირებული ცეცხლი, საარტილერიო ცეცხლის სახეობა, რომელიც ერთდროულად წარმოებს საარტილერიო შენაერთის ყველა ან უმეტესი ძალებით უმოკლეს ვადაში მოწინააღმდეგის ობიექტის საიმედო დაზიანების მიზნით.

მეთოდური ცეცხლი, ცეცხლი, რომლის დროსაც ერთი ბრძანებით ყოველი მომდევნო გასროლა ხდება დროის თანაბარი შუალედების შემდეგ.

ფლანგური ცეცხლი, წარმოებს საცეცხლე საშუალებებით მიზნის (მოწინაამდეგის საბრძოლო წყობის) ფლანგში. წინათ ასეთი ცეცხლის დაშენას ფლანკირება ეწოდებოდა.

ფრონტალური ცეცხლი, წარმოებს საცეცხლე საშუალებებით მიზნის (მოწინააღმდეგის საბრძოლო წყობის) ფრონტის პერპენდიკულარულად.

ხანჯლისებრი ცეცხლი, წარმოებს ტყვიამფრქვევებიდან, ცალკეული ქვემეხებიდან, ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანებიდან ან ტანკებიდან; ცეცხლს უეცრად უშენენ მოწინააღმდეგეს ახლო მანძილებიდან ერთი მიმართულებით.

შემაწუხებელი ცეცხლი, წარმოებს ნელი ტემპით შეზღუდული რაოდენობის საცეცხლე საშუალებებით და საბრძოლო მასალით მოწინააღმდეგისათვის ქანცის გაცლის მიზნით; გასროლები ერთმანეთს მისდევს დროის არათანაბარი შუალედებით.

ჯვარედინი ცეცხლი, წარმოებს ერთი მიზნისკენ სულ ცოტა ორი მიმართულებიდან.

ცეცხლით გადაფარვა, ტაქტიკური ხერხი, როდესაც ერთი ქვედანაყოფი განლაგებულია ისე, რომ თვალყურს ადევნებს მოწინააღმდეგის განლაგებას. ამავე დროს ახორციელებს მეორე ქვედანაყოფის ცეცხლით მხარდაჭერას, რათა მოწინააღმდეგემ ვერ შეუშალოს ხელი მის წინსვლას.

ცეცხლით დაზიანება, მოწინააღმდეგის განადგურება (დაზიანება) სხვადასხვა სახეობის იარაღის ცეცხლით, სარაკეტო ჯარების, ავიაციისა და სადაზვერვო-საცეცხლე კომპლექსების მიერ ჩვეულებრივი და ცეცხლგამჩენი საბრძოლო მასალების გამოყენებით განხორციელებული დარტყმებით. ხორციელდება მთელი ოპერაციის (ბრძოლის) მანძილზე. შეტევაში (კონტრშეტევაში) წარმოებს პერიოდების მიხედვით (სიღრმიდან ჯარების წინ წაწევის საცეცხლე უზრუნველყოფა, იერიშის საცეცხლე მომზადება, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერა, სიღრმეში ჯარების შეტევის ცეცხლით თანხლება). თავდაცვაში მოწინააღმდეგის ცდ-ისთვის იქმნება ცდ-ის კომპლექსური სისტემა, რომელიც მოიცავს სარაკეტო ჯარების, არტილერიისა და ავიაციის მომზადებულ საცეცხლე დარტყმებს; სადაზვერვო, საცეცხლე კომპლექსების დარტყმებს; არტილერიის, სატანკო, ტანკსაწინააღმდეგო და სასროლი იარაღის საცეცხლე სისტემას.

ცეცხლით დაფარვა, ქვედანაყოფების მოქმედებების მხარდაჭერის, აგრეთვე ფლანგების და პირაპირების არტილერიისა და სხვა საშუალებების ცეცხლით უზრუნველყოფის ხერხი. მიმართავენ ძებნით დაზვერვის წარმოების, ღობურებში გასასვლელების გაყვანის (თავდაცვის წინა ხაზის წინ), ღობურების დაყენების, ბრძოლიდან გამოსვლის დროს და სხვა შემთხვევებში.

ცეცხლით თავდასხმა, არტილერიის საცეცხლე ამოცანების შესრულების ხერხი, რომელსაც ახასიათებს ცეცხლის უეცარი გახსნა და დიდი სიმჭიდროვე. შეიძლება იყოს დადგენილი ან დაუდგენელი ხანგრძლივობის. წარმოებს მარდი ან მეთოდური ცეცხლით.

ცეცხლით თვალთვალი, საარტილერიო ცეცხლი საცეცხლე თავდასხმებს შორის შუალედებში, რომელიც ხორციელდება მიზნებისკენ, მათი მოქმედების განახლების აღსაკვეთად მეთოდური და მარდი ცეცხლით ან მათი შეხამებით.

ცეცხლით მანევრი, ცეცხლის გადატანა ფრონტზე და სიღრმეში ერთი მიზნიდან (ობიექტებიდან, ზღუდეებიდან, უბნებიდან) მეორეზე საცეცხლე პოზიციების შეუცვლელად.

გამოიყენება ბრძოლის (ოპერაციის) დროს ცეცხლის თავმოყრის (მასირების) მიზნით მოკლე ვადაში დიდმნიშვნელოვანი ობიექტების დასაზიანებლად, ცეცხლის გასანაწილებლად რამდენიმე ობიექტის (დაჯგუფების) ერთდროული ან თანამიმდევრული დაზიანებისათვის. აგრეთვე საცეცხლე ძალისხმევის ერთი მიმართულებიდან მეორეზე გადატანისათვის. **ც.მ.** მოწინააღმდეგეზე საცეცხლე უპირატესობის მოპოვების ერთ-ერთი ფაქტორია.

ცეცხლით მხარდაჭერა, საველე და სახომალდო არტილერიის, ნაღმსატყორცნების ცეცხლით და საჰაერო საშუალებების დარტყმებით მოწინააღმდეგის სახმელეთო ობიექტების განადგურება (დაზიანება) საერთოსაჯარისო შენაერთების, სახმელეთო ჯარების ნაწილების და ქვედანაყოფების მიერ საბრძოლო მოქმედების წარმატებით განხორციელების მიზნით. **ც.მ**. ითვალისწინებს აგრეთვე ბირთვული იარაღის გამოყენებას.

ცეცხლით მხარდაჭერის ბაზა, გარკვეული ადგილი, პოზიცია ზღვაში, საიდანაც გემმა უნდა გახსნას ცეცხლი სახმელეთო ჯარების მხარდასაჭერად.

ცეცხლით მხარდაჭერის კოორდინაცია, ცეცხლით მხარდაჭერის დაგეგმვა და შესრულება ისე, რომ მიზნები თანაბრად დაიფაროს ყველა სახის იარაღიდან დაშენილი ცეცხლით.

ცეცხლით მხარდაჭერის ქვედანაყოფი, ტაქტიკური ოპერაციის ცენტრში განლაგებული ფუნქციური ქვედანაყოფი, რომელიც უზრუნველყოფს იმ საბრძოლო ძალის მიერ ცეცხლის დამიზნებას, კოორდინაციასა და ინტეგრაციას, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს და მის კონტროლსაც ექვემდებარება.

ცეცხლის გადატანა, 1. ერთ მიზანზე ცეცხლის შეწყვეტა და სხვაზე ცეცხლის გახსნა საცეცხლე პოზიციების შეუცვლელად. ხორციელდება როგორც ცალკეული ტყვიამფრქვევით, ქვემეხით, ტანკით და ა.შ., ისე ქვედანაყოფის (საარტილერიო ჯგუფის) მიერ; 2. რეპერის ან სხვა გამიზვნის შედეგების გამოყენებით მიზნის დასაზიანებლად არტილერიის სროლისათვის მაჩვენებლების განსაზღვრის ერთ-ერთი ხერხი. **ც.ბ**-ს მიმართავენ, როდესაც საჭიროა უზრუნველყონ ცეცხლის მაღალი სიზუსტე, ხოლო გამიზვნა შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი (მაგალითად, მოულოდნელობის ფაქტორის მისაღწევად).

ცეცხლის გახსნის (ცეცხლის შეწყვეტის) ზღუდე, პოლიგონზე, სასროლეთზე, ადგილმდებარეობაზე გამავალი პირობითი ხაზი, რომლის მიღწევის შემდეგაც ნებადართულია (აკრძალულია) ცეცხლის დაშენა ყველა სახეობის იარაღიდან. **ც.ბ.(ც.შ.)ზ.**, ჩვეულებრივ, მოინიშნება წითელი ალმებით (ფარნებით), შეწყვეტის ზღუდე – თეთრი ალმებით.

ცეცხლის დაგეგმვა, ბრძოლასა და ოპერაციაში მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების არსის, წესის და თანამიმდევრულობის შემუშავება. უნდა განისაზღვროს: დასაზიანებლად დასახული მოწინააღმდეგის დაჯგუფებები, მისი ცალკეული ობიექტები და ამ ობიექტების დაზიანების ხარისხი; მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების საერთო წესი ჯარების მიერ ტაქტიკური და ოპერატიული ამოცანების შესრულების დროს; ცეცხლით დაზიანების პერიოდები; დაზიანების საშუალებების მოზიდვის და განაწილების მოთხოვნილებები; საცეცხლე მომზადების ხანგრძლივობა, თანამიმდევრობა და იერიშის საცეცხლე მხარდაჭერის მეთოდები; საცეცხლე დაზიანების საშუალებების ამოცანები; საბრძოლო მასალების მოთხოვნილება და განაწილება ჯარების ამოცანებისა და ცეცხლით დაზიანების პერიოდების მიხედვით, აგრეთვე ურთიერთქმედება, მართვის ორგანიზაცია, შესაბამისი და მაგეგმარებელი დოკუმენტების შემუშავება. ზოგადი **ც.დ**. ხორციელდება დაჯგუფების და არმიის შტაბებში, დეტალური – შენაერთებში, ნაწილებში, საარტილერიო ჯგუფებსა და ქვედანაყოფებში.

ცეცხლის ზოლი (თავდაცვაში), ადგილმდებარეობის ზოლი, რომელშიც გათვალისწინებულია მოწინაარღმდეგის დაზიანება ქვეითი (სატანკო) ქვედანაყოფის (ასეულის, ოცეულის, ათეულის) ცეცხლით. ინიშნება მეთაურის მიერ ცეცხლის სისტემის ორგანიზების დროს. **ც.ზ**-ში ეწყობა თვალთვალი, განისაზღვრება საცეცხლე საშუალებების ამოცანები, ინიშნება **ც.ზ**-ები და ქვედანაყოფების თავმოყრილი ცეცხლის უბნები, აგრეთვე ცეცხლდაშენის ძირითადი და დამატებითი სექტორები ტყვიმფრქვევების, ქვემეხების, ტანკებისა და სხვა საცეცხლე საშუალებებისათვის.

ცეცხლის ზონა, იხ. *საბრძოლო მოქმედებების ზონა.*

ცეცხლის ზღვარი, 1. საზღვარი, რომლითაც გამოიყოფა საარტილერიო ცეცხლდაშენის რაიონი. 2. უსაფრთხოების კუთხეების საზღვრები საზენიტო ქვემეხიდან სროლის დროს. სახმელეთო ჯარებისათვის – ტაქტიკური აღნიშვნები, რომლებიც გამოიყენება ცალკეული ჯარისკაცისთვის, იარაღისთვის ან ქვედანაყოფისთვის ცეცხლის სექტორის დასადგენად, რაც ხელს უწყობს საკუთარი ძალების დაზიანების თავიდან აცილებას და მოწინააღმდეგის განადგურებას.

ცეცხლის ზღუდე, ადგილმდებარეობის მონაკვეთი (პირობითი ხაზი), რომელზეც იშლება სატანკო, ქვეითი (ქვეითი ჯარის საბრძოლო მანქანები) ქვედანაყოფები (ნაწილები) მოწინააღმდეგის ტანკების და ქვეითი ჯარის იერი-

შის (კონტრიერიშის) პირდაპირი დამიზნების ცეცხლით მოგერიების მიზნით.

ცეცხლის თავმოყრის რაიონი, ადგილმდებარეობის შეზღუდული მონაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ხანმოკლე მასირებული ცეცხლის ზემოქმედების ობიექტს.

ცეცხლის თანამიმდევრული თავმოყრა, თავმოყრილი ცეცხლი და ცეცხლი ცალკეული მნიშვნელოვანი მიზნებისკენ. ისინი განლაგებული არიან ერთ ზღუდეზე, შეტევაში მყოფი ჯარების ფრონტის წინ და ფლანგებზე. ცეცხლი თანამიმდევრულად გადადის ერთი ზღუდიდან მეორეზე მათი წინ წაწევის პარალელურად. **ც.თ.თ** არის საარტილერიო ცეცხლის სახეობა, იერიშის საარტილერიო მხარდაჭერის მეთოდი. ცეცხლის გადატანა ხდება საერთო-საჯარისო მეთაურის სიგნალით. გამოიყენება შეტევაში, თავდაცვის გარღვევის და თავდაცვაში კონტრდარტყმის განხორციელების დროს.

ცეცხლის თანამიმდევრული თავმოყრის ზღუდე, ადგილმდებარეობაზე პირობითი ხაზი, რომელიც გადის ტანკსაწინააღმდეგო საშუალებებზე, მართვის პუნქტებსა და სხვა მიზნებზე. მათი მიმართულებით ლულიანი არტილერიით და ნაღმტყორცნებით ცეცხლის თანამიმდევრული თავმოყრის სისტემაში ხდება ცეცხლის მომზადება და გახსნა.

ცეცხლის კორექტირება, ჭურვის (ნაღმის) აფეთქების გადახრის განსაზღვრა და შესწორებების (კორექტირების) შეტანა იარაღის სამიზნე ხელსაწყოების მონაცემებში, დისტანციურ ამფეთქში ან ცეცხლის მართვის ხელსაწყოში. წარმოებს მიწისზედა მართვის პუნქტებიდან, ვერტმფრენებიდან და თვითმფრინავებიდან გამიზვნის და დაზიანებაზე სროლის დროს.

ცეცხლის მართვის და სროლის მომსახურების ხელსაწყოები, სახმელეთო არტილერია მოიცავს: სროლისათვის მონაცემების გათვლის, ცეცხლის მართვის, კორექტირების გათვლის, საარტილერიო შესწორების ხელსაწყოებს და სხვა. ასევე ქვემეხის გამიზვნის (კოლიმატორი), ბალისტიკური (საველე ბალისტიკური სადგური, მუხტის კამორის სიგრძის საზომი ხელსაწყო, საბატარეო თერმომეტრი), მეტეოროლოგიური (საველე ქარმზომი) და ტოპოგეოდეზიური მომზადების (გიროაზიმუტი, კურსისგამტარი) ხელსაწყოებს. სროლის ამოცანების უფრო ზუსტი და სწრაფი გადაწყვეტის აუცილებლობამ გამოიწვია მართვის მანქანების კომპლექსების შექმნა, რომელიც აღმოჩენიდან 40*წმ*-ში უზრუნველყოფს არაგეგმურ მიზანზე ცეცხლის გახსნას.

ცეცხლის მართვის ორგანიზება, იხ. *სროლის მომზადება.*

ცეცხლის მართვის ცენტრი, სამეთაურო-სათვალთვალო პუნქტი, რომელიც შედგება არტილერიის, კავშირგაბმულობის პერსონალისა და აღჭურვილობისაგან, რომელის საშუალებითაც მეთაური აწარმოებს ცეცხლის მართვას და/ან ცეცხლის კონტროლს.

ცეცხლის მასირება, შენაერთის, გაერთიანების მთელი არტილერიის ან არტილერიის და სხვა საცეცხლე საშუალებების მეტი ნაწილის ცეცხლის თავმოყრა მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) მნიშვნელოვანი დაჯგუფების და სხვა ობიექტების უმოკლეს ვადაში საიმედო დაზიანების მიზნით.

ცეცხლის რეჟიმი, ცეცხლსასროლი იარაღიდან მაქსიმალურად დასაშვები გასროლების რაოდენობა დროის მოცემულ მონაკვეთში იარაღის მატერიალური ნაწილის დაზიანების გარეშე სროლის სიზუსტის და უსაფრთხოების დაცვით. განისაზღვრება გაანგარიშება – საცდელი გზით და მოცემულია სროლის წესებში; შესასარულებელი ამოცანის და მიზნის ხასიათიდან გამომდინარე მეთაურის მიერ ზუსტად დადგენილი ცეცხლის წარმოების წესი.

ცეცხლის სექტორი, საჰაერო სივრცის ნაწილი, რომელიც ენიშნებათ საჰაერო თავდაცვის საცეცხლე საშუალებებს (კომპლექსებს) მოწინააღმდეგის ცეცხლით დასაზიანებლად. **ც.ს.** იზღუდება მარჯვნიდან და მარცხნიდან ორიენტირებზე (ადგილობრივ საგნებზე) მიმართულებებით. ძირითადი **ც.ს.** შეირჩევა მოცემული საცეცხლე საშუალებისათვის (კომპლექსისათვის) მთავარ მიმართულებაზე; სხვა მიმართულებებზე შეიძლება დაინიშნოს დამატებითი **ც.ს**-ები.

ცეცხლის სიმძლავრე, იარაღის, რაკეტების ან სამხედრო ძალების დამანგრეველი შესაძლებლობა (გამოიყენება იარაღის რაოდენობის და ზომის განმარტებასთან ერთად). იხ. აგრეთვე *საცეცხლე სიმძლავრე.*

ცეცხლის სიმჭიდროვე, ჭურვების (ნაღმების, ტყვიების) ხარჯი 1 წუთში სამიზნის ერთეულ ფართობზე ან ფრონტის (მოძრაობის მარშრუტის) სიგრძეზე; მიზანზე ცეცხლის ზემოქმედების ინტენსივობის მახასიათებელი. არტილერიის **ც.ს.** განისაზღვრება იმ ჭურვების რაოდენობით, რომლებსაც არტილერია უშვებს 1 *წთ*-ში მიზნის ფრონტის 100 *მ*-ზე ან 1 *ჰა* ფართობზე; სახენიტო არტილერიისა – საჰაერო მიზანზე ჭურვების გასკდომის (გასროლის) რაოდენობით ცეცხლის ზონაში გავლილი გზის ყოველ *კმ*-ზე. სასროლი იარაღისა – ტყვიების რაოდენობით 1 *მ* ფრონტზე, რომლებსაც ისვრიან ყველა სახეობის სასროლი იარაღიდან 1 *წთ*-ში.

ცეცხლის სისტემა, მოგერიებითი ბრძოლის ჩანაფიქრის შესაბამისად, ყველა სახეობის ჩვეულებრივი იარაღის განლაგება და გამოყენება მოწინააღმდეგის დასაზიანებლად თავდაცვის მისადგომებზე, წინა ხაზის წინ, ფლანგებსა და თავდაცვაში მისი სოლად შემოჭრის დროს; თავდაცვის დაწყობის ელემენ-

ტი. მოიცავს არტილერიის და ნაღმსატყორცნების მასირებული, თავმოყრილი და გადამღობი ცეცხლის რაიონებს, მონაკვეთებს და ზღუდეებს; ყველა სახეობის იარაღის ერთიანი, მრავალშრიანი ცეცხლის და ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების ცეცხლის ზონები; მომზადებული ცეცხლით მანევრი, რომლის მიზანია თავი მოუყაროს ცეცხლს მოკლე ვადაში ნებისმიერ საშიშ მიმართულებაზე ან მონაკვეთზე; მოწინააღმდეგის მოქმედების თვალთვალის და შეტყობინების სისტემას. **ც.ს**-ის აგებისას მხედველობაში იღებენ ქვედანაყოფის, ნაწილის, შენაერთის და მიკუთვნებული საცეცხლე საშუალებების ცეცხლისმიერ შესაძლებლობებს, მათ მჭიდრო ურთიერთქმედებას ადგილმდებარეობის ხასიათის და საინჟინრო ღობურების გათვალისწინებით.

ცეცხლის (სროლის) ქმედითობა (ეფექტურობა), ცეცხლის (სროლის) შედეგების შესაბამისობის ხარისხი დასმული საცეცხლე ამოცანის შესრულებასთან. მისი მაჩვენებლები შეიძლება იყოს: მიზნის დაზიანების შესაძლებლობა, დაზიანებული მიზნების რაოდენობის მათემატიკური მოლოდინი (მიზანში მოხვედრის რაოდენობა), ამოცანის შესრულებისთვის საჭირო საბრძოლო მასალების ხარჯი და საჭირო დრო, მსროლელების მომზადების ხარისხი და სხვა. ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლის დროს აგრეთვე გასათვალისწინებელია ტყვიის (ყუმბარის) მომაკვდინებელი და გატანის უნარი. ცეცხლის ქმედითობის ამაღლების მიზნით ზრდიან საბრძოლო მასალის სიმძლავრეს, იარაღის სროლის სისწრაფეს, აუმჯობესებენ სროლის თავმოყრას, ხვეწენ ცეცხლის მართვის საშუალებებს და მეთოდებს.

ცეცხლის ტალღა, 1. ერთიანი ცეცხლის ფარდა ერთ (ცალმაგი **ც.ტ.**) ან ერთდროულად ორ (ორმაგი **ც.ტ.**) ზღუდეზე მოიერიშე ჯარების ფრონტის წინ, რომელიც თანამიმდევრულად გადადის სიღრმეში მათი წინსვლის კვალობაზე; საარტილერიო ცეცხლის სახეობა, იერიშის ცეცხლით მხარდაჭერის მეთოდი. გამოიყენება მოწინააღმდეგის მიერ მომზადებული თავდაცვის გარღვევისას. წარმოებს ძირითად და შუალედურ ზღუდეებზე. ცეცხლის გადატანა ერთი ზღუდიდან მეორეზე ხდება შემტევი პოლკის (ბატალიონის) მეთაურის სიგნალით; 2. ცეცხლის ღობურა, რომელიც იქმნება სახელდახელო საწვავი მასალებისაგან (ძელების, ნამჯა-ჩალის, ფიჩხისაგან და ა.შ.) მოწინააღმდეგის იერიშების მიმართულებებზე. ტალღის სიმაღლეა 1–15 *მ*, სიგანე 2–3 *მ*, სიგრძე – მასალების არსებული რაოდენობის კვალობაზე 100–600 *მ* და მეტი. ცეცხლს უკიდებენ სხვადასხვაგვარი ხერხით ერთდროულად, მთელ სიგრძეზე, მოწინააღმდეგის იერიშის დაწყებისთანავე. იხ. აგრეთვე *საცეცხლე ტალღა.*

ცეცხლის ტალღის ზღუდე, პირობითი ხაზი ადგილმდებარეობაზე, რომელზეც ცეცხლის ტალღის სისტემაში მზადდება და წარმოებს არტილერიის ცეცხლი. ცეცხლის ტალღის ძირითადი ზღუდეები ინიშნება მოწინააღმდეგის საყრდენი პუნქტების, ტრანშეების, ტანკსაწინააღმდეგო საშუალებების პოზიციების და სხვა მიზნების განლაგების ხაზებზე; ძირითად ზღუდეებს შორის ინიშნება ცეცხლის ტალღის შუალედური ზღუდეები.

ცეცხლის ტომარა, ადგილმდებარეობის მონაკვეთი თავდაცვის მეწინავე ხაზის წინ ან სიღრმეში. მასზე ფლანგებიდან და ფრონტიდან მობილიზებულია ქვედანაყოფის ყველა საცეცხლე საშუალება ან მათი მეტი ნაწილის მაღალი სიმჭიდროვის ცეცხლი. მისი მიზანია შეტევაში მყოფი მოწინააღმდეგისათვის მაქსიმალური დანაკლისის მიყენება. იქმნება ცეცხლის სისტემის ორგანიზების დროს.

ცეცხლის უწყვეტი რეჟიმი, ცეცხლის რეჟიმი, რომლის წარმოება განუსაზღვრელი დროის მანძილზეა შესაძლებელი იარაღის სერიოზული გადახურების და სხვა სახის მექანიკური დაზიანების გარეშე.

ცეცხლის შეწყვეტა, 1. საომარი მოქმედებების შეჩერების ან შეწყვეტის ერთ-ერთი ფორმა. მიმართულია უპირატესად ადგილობრივი დაზავების პირობების უზრუნველსაყოფად და შეზღუდულია დროის, სივრცისა და მიზნების მიხედვით. გამოიყენება კონკრეტული ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიც არის დაჭრილთა აყვანა და გაცვლა, პარლამენტიორთა გაგზავნა და სხვა. ცალკეული პირების მიერ ცეცხლის შეწყვეტის პირობის დარღვევა ითვლება ომის კანონებისა და წეს-ჩვეულებების დარღვევად; 2. პოლიგონებზე, სასროლეთზე და ა.შ. ბრძანების შესაბამისად სროლის შეწყვეტა.

ცეცხლის ცრუ გადატანა, ხორციელდება მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი პოზიციის ობიექტებიდან მის სიღრმეში ერთდროულად იერიშის საცეცხლე (საარტილერიო) მომზადების მონაწილე მთელი არტილერიის მიერ იმ მიზნით, რომ შეცდომაში შეიყვანონ მოწინააღმდეგე იერიშის დაწყების დროის თაობაზე და აიძულონ, ნაადრევად გამოიყვანოს ცოცხალი ძალა და საცეცხლე საშუალებები საფრებიდან დარტყმის მოსაგერიებლად. ცრუ გადატანის შემდეგ ცეცხლი კვლავ გადააქვთ მოწინააღმდეგის თავდაცვის პირველი პოზიციის ობიექტებზე.

ცეცხლის ცხრილი, საბრძოლო დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საარტილერიო ქვედანაყოფების (ნაწილების) მიერ მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების ამოცანებს და მათი შესრულების თანამიმდევრობას. შეტევაში **ც.ც.** დგება მოწინააღმდეგის ცეცხლით დაზიანების პერიოდების და საერთო-საჯარისო ნაწილების (ქვედანაყოფების) ამოც-

ანების მიხედვით, თავდაცვაში – მოწინააღმ-დეგის განადგურების (მოწინააღმდეგის წინ წაწევის და გაშლის ცეცხლით ხელის შეშლა, შეტევის ცეცხლით მოგერიება, თავდაცვაში მყოფი ჯარების ცეცხლით მხარდაჭერა) და საერთო-საჯარისო ნაწილების (ქვედანაყოფე-ბის) ამოცანების მიხედვით.

ცეცხლის წარმოების ბეგმა, ქვედანაყოფის (ნაწილის) ან სხვა ფორმირების იარაღის გა-მოყენების კოორდინირებისთვის შემუშავებუ-ლი ტაქტიკური გეგმა.

ცეცხლის წარმოების შეზღუდვის ბეგმა, სა-კუთარი სახმელეთო არაბირთვული საშუალე-ბებიდან ცეცხლის წარმოების უსაფრთხოების ზომა, რომელიც საკუთარი საფრენი აპარატე-ბისთვის არის შემუშავებული. გამოიყოფა სა-ჰაერო სივრცის მონაკვეთი უსაფრთხოების შესაბამისი ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ცეცხლის წარმოების წესი, სროლის დროს გასროლის განხორციელების თანამიმდევრობა. არტილერიაში – ერთეული გასროლები, მე-თოდური ცეცხლი, მარდი ცეცხლი, ზალპური ცეცხლი, ასევე ზალპური და მეთოდური (მარ-დი) ცეცხლის თანხვედრა. ცეცხლსასროლი იარაღიდან – ერთდროული გასროლა, ჯერი (მოკლე – 3 – 6 გასროლა, გრძელი – 7 – 10), უწყვეტი ცეცხლი და ზალპებით ცეცხლი.

ცეცხლსასროლი იარაღი, პირობალისტიკური იარაღი, იარაღის სახეობა, რომელშიც დამა-ზიანებელი ელემენტის (ჭურვი, ნაღმი, ყუმბა-რა, ტყვია და სხვა) გასროლისათვის გამოიყე-ნება ძლიერ შეკუმშული და გახურებული აი-რის ენერგია, რომელიც წარმოიქმნება ლუ-ლის არხში სასროლი მუხტის უსწრაფესი წვის შედეგად. იყოფა: საარტილერიო ქვემეხე-ბი, სასროლი იარაღი და ყუმბარსატყორცნი. შეიარაღებაზე გაჩნდა XII–XIII საუკუნეებში.

ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლის წარმოების სახეები, კლასიფიცირდება ტაქტიკური დანიშნულების, მიმართულების, დაძაბულობისა და სროლის ხერხის მიხე-დვით. განასხვავებენ ტაქტიკური დანიშნ-ულების მიხედვით – ხანჯლურს და თავმ-ოყრილს; სროლის მიმართულების მიხედვით – ფლანგურს, ფრონტალურს და ჯვარედინს; დაძაბულობის მიხედვით – ერთჯერადი გას-როლებით, მოკლე და გრძელი ჯერებით, უწყვეტს; ტყვიამფრქვევიდან სროლისას ემატ-ება: წერტილში სროლა, სროლა ფრონტზე გაშლით, სიღრმეში გაშლით, ფრონტსა და სიღრმეში ერთდროული გაშლით.

ცეცხლსატყორცნი, ცეცხლგამჩენი იარაღის სახეობა ცეცხლნარევის გამიზნული ტყორცნ-ისთვის. აზიანებს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას და მატერიალურ საშუალებებს, აგრ-ეთვე საბრძოლო მოქმედების რაიონებში აჩენს ხანძარს. იყოფა: ჭავლიან და კაფსულიან **ც**-ებად. ჭავლიან **ც**-ებში ცხელი ჭავლის სახით ცეცხლნარევის ტყორცნა ხორციელდება შეკ-უმშული ჰაერის (აზოტის) ან დენთის აირის ხარჯზე, რომლებიც წარმოიქმნებიან სპეცი-ალური სატყორცნი მუხტის (ფუგასური **ც**-ები) წვის შედეგად. კაფსულიან **ც**-ებში კაფ-სულებში (ამპულებში) განთავსებული ცეცხ-ლნარევი მიზანთან მიაქვთ რეაქტიული ძრა-ვის (რეაქტიული **ც**.) ან სატყორცნი მუხტის (ამპულასატყორცნის) მეშვეობით. **ც**. პირ-ველად გერმანიაში I მსოფლიო ომის დროს გაჩნდა.

ცეცხლსაძრობი ნივთიერებები, ნივთიე-რებები, რომლებიც ხანძრის შეწყვეტისთვის (აღკვეთისთვის) გამოიყენება. არის სხვადა-სხვა სახის: ატმოსფერული ჟანგბადის წვის ზონის მაიზოლირებელი და ცეცხლის გავრ-ცელების დამაბრკოლებელი (ქიმიური და საჰაერო-მექანიკური ქაფი, ცეცხლსაქრობი ფხვნილები და სხვა); წვის ზონაში ჟანგბადის შემამცირებელი (წვრილად გაფრქვეული წყა-ლი, წყლის ორთქლი, აირწყლიანი ნარევები, ინერტული აირები); წყლის ზონის გამაგრი-ლებლები (წყალი, მარილიანი წყლის ნარ-ევები); ატომურ-მოლეკულურ დონეზე (ჰალო-იდირებული ნახშირწყალბადი) წვის ქიმიური რეაქციის სიჩქარის შემნელებელი.

ცივი იარაღი, საბრძოლო იარაღი, რომლის გამოყენება არ არის დაკავშირებული ფეთ-ქებად ნივთიერებებთან. კონსტრუქციის მიხ-ედვით უბრალოა და ხელჩართულ ბრძოლაში იყენებენ. **ც.ი**-ის მოქმედება დაფუძნებულია მეომრის კუნთების შესაძლებლობაზე და იმაზე, თუ როგორი ხასიათის იქნება ეს მოქმ-ედება, იყოფა დამრტყმელ (კომბალი, კისტენი, გურზი და სხვა), მჩხვლეტავ (დაშნა, რაპირა, სარისა, კინენი, ხიშტი, შუბი, სტილეტი და სხვა), მჩეხავ (საბრძოლო ნაჯახი, დარაბჩანი, შუბნაჯახი, ისარა და სხვა), აგრეთვე ისეთი იარაღად, რომელიც ერთდროულად ითავსებს რამდენიმე ზემოჩამოთვლილ ნიშანს (მაგალი-თად, მჩხვლეტ-მჩეხავი ან მჩეხავ-მჩხვლეტი) და მათგან ერთ-ერთი მთავარია (მახვილი, ხანჯალი, ხმალი, იატაგანი და სხვა).

„ცივი ომი“, მსოფლიო ასპარეზზე, ერთი მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატების და მის მოკავშირეებს ხოლო, მეორე მხრივ, სსრ კავშირსა და მის მოკავშირეებს შორის მწვავე პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამხედრო კონფრონტაციისა და დაპირის-პირების მდგომარეობა. გამოაცხადა უ. ჩერ-ჩილმა ფულტონში (აშშ) 1946 წლის 5 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში, რომელშიც მოუწოდა, შეექმნათ ინგლის-ამერიკის კავშირი „აღმ-ოსავლეთის კომუნიზმის“ წინააღმდეგ საბრძო-ლველად. „**ც.ო**“-სთვის დამახასიათებელი იყო: საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გა-მოყენება ან ძალის გამოყენების მუქარა; დიქ-ტატისადმი მისწრაფება; გამალებული შეი-არაღების და საომარი სამზადისის ყოველმხ-რივი დაჩქარება, სამხედრო ხარჯების მკვეთ-

რი ზრდა; სამხედრო კავშირების სისტემის შექმნა, რომელთაგან მთავარი იყო ერთმანეთისადმი დაპირისპირებული ნატო და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია; საერთაშორისო კრიზისების პროვოცირება; სამხედრო ბაზების შექმნა უცხოეთის სახელმწიფოებში; „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოება; განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემების და ტექნიკის დარგში მათი კონტაქტების მკვეთრი შემცირება და სხვა. „**ცო**.“, რომელიც დროდადრო მწვავდებოდა, შედეგად მოსდევდა საერთაშორისო დაძაბულობის მნიშვნელოვანი ზრდა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის გაძლიერება. XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევს – 90-იანი წლების დამდეგს საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს, მათ შორის ვარშავის ხელშეკრულების დაშლას და საბჭოთა კავშირის რღვევას შედეგად მოჰყვა „**ცო**“ დასრულება, თანამშრომლობის განვითარება სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის.

ციტადელი (ფრანგული citadelle < იტალიური citadella სიტყვასიტყვით – პატარა ქალაქი), შიდა ციხე. 1. ქალაქის ან ციხესიმაგრის ძალიან კარგად, საიმედოდ გამაგრებული ნაწილი, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებელი თავდაცვა. **ც**-ში, როგორც წესი, მდებარეობდა მმართველის სასახლე, ადმინისტრაციული და საკულტო შენობები. დაგეგმარება გაპირობებული იყო ადგილის რელიეფით. საქართველოში **ც**-ის ნიმუშებია უჯარმის, გრემის ხუროთმოძღვრული ანსამბლები. ფეოდალური ქალაქის **ც**-ს წარმოადგენდა, მაგალითად, *თბილისის ციხე*, რომლის ერთ-ერთი სახელწოდება – ნარიყალა, წარმოდგება აღმოსავლეთში გავრცელებული ტერმინიდან – ნარინყალა, რაც **ც**-ს ნიშნავს. 2. გადატანითი მნიშვნელობით, რომელიმე ორგანიზაციის მთავარი პუნქტი (ცენტრი), ბურჯი, საყრდენი.

„ციტადელი“, 1943 წლის ივლისში კურსკის შვერილზე გერმანიის ჯარების შეტევითი ოპერაციის კოდური სახელწოდება (იხ. *კურსკის ბრძოლა 1943*).

ციური კოორდინატები, კუთხოვანი სიდიდეები, რომლის მეშვეობით ციური სფეროს (მანათობლის) წერტილების მდგომარეობა განისაზღვრება. გამოიყენება ჰორიზონტალური, პირველი და მეორე ეკვატორული, ეკლიპტიკური და გალაქტიკური სისტემების **ც.კ**. ისინი განისაზღვრებიან დაკვირვებით, ეკლიპტიკური და გალაქტიკური გამოთვლებით. სისტემებს შორის მათემატიკური დამოკიდებულება სფერული ტრიგონომეტრიის ფორმულების მეშვეობით წესდება. გათვლის მონაცემები გამოიყენება რაკეტების გაშვების, არტილერიის სროლის, საზღვაოსნო, საავიაციო და გეოდეზიური ასტრონომიის, ასტრონომოგეოდეზიური მომზადების დროს აერონავიგაციაში და საზღვაო ნავიგაციაში.

ციფრული რუკა (ადგილმდებარეობის), ადგილმდებარეობის ციფრული მოდელი, რომელიც შექმნილია კარტოგრაფიული წყაროების დანომვრის (დიგიტალიზაციის) ან დისტანციური ზონდირების მონაცემთა ფოტოგრამმეტრიული დამუშავების გზით. იყოფა ტოპოგრაფიულ, მიმოხილვით-გეოგრაფიულ, საზღვაო, საავიაციო და სხვა **ც.რ**-ებად. გამოიყენება ელექტრონულ-გამომთვლელ მანქანაზე ჯარების საბრძოლო მოქმედების მოდელირების, ადგილმდებარეობის თვისებების განსაზღვრის, ფრთოსანი რაკეტების საფრენი დავალებების მომზადების, მიზანზე გაყვანის დროს და სხვა.

ციხედიდის ბრძოლა 1561, ქართველების ბრძოლა ყიზილბაშებთან სიმონ I-ის მიერ თბილისის გასათავისუფლებლად დაწყებული ოპერაციის დროს. ქართლის ლაშქარი და მის დასახმარებლად მოსული კახთა რაზმი ბატონიშვილ გიორგის მეთაურობით გამაგრებულ ბანაკში იდგა ციხედიდთან (მცხეთის რაიონში), რომლის მისადგომებს იცავდა მუხათგვერდში განლაგებული საყარაულო რაზმი. 1561 წლის 6 აპრილს ყარაულის უფროსი თავისი მეომრებით სოფლის ეკლესიაში ავიდა სააღდგომო წირვის მოსასმენად. ამით ისარგებლეს ყიზილბაშებმა და მოულოდნელად თავს დაეცნენ ქართულ ბანაკს. ფიცხელ ბრძოლაში ბატონიშვილი გიორგი მოკლეს, რამაც კახელებში არეულობა შეიტანა და ისინი გამოეთიშნენ ბრძოლას. ქართველები დამარცხდნენ. სიმონ მეფემ დარჩენილი ლაშქრით გორისკენ დაიხია, მაგრამ თბილისისთვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია.

ციხესიმაგრე, სამხედრო თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გამაგრებული პუნქტი (ქალაქი) მუდმივი გარნიზონით, რომელსაც შეუძლია ხანგრძლივი თავდაცვა ბლოკადის პირობებში. პირველი პრიმიტიული **ც**-ები, შემოღობილი დასახლებების სახით, გვაროვნული წყობილების ხანაში გაჩნდა. მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა **ც**-ებს მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოების ომებში. I მსოფლიო ომის დასაწყისისათვის ევროპაში 150-მდე სხვადასხვა **ც**. იყო. დიდი **ც**-ის გარნიზონი მშვიდობიანობის დროს 40–50 ათ. კაცს ითვლიდა, ომის დროს – 100 ათ-ს. 1920-იანი წლებიდან **ც**-ები შეიცვალა სიმაგრეების ახალი ტიპით – გამაგრებული რაიონებითა და გამაგრებული ხაზებით (იხ. „*მაჟინოს ხაზი*“).

ცნობა მფრინავებისთვის, ცნობა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას, რა ცვლილებები შეიძლება მოხდეს შექმნილ პირობებში აეროსანავიგაციო მონაცემებში, მომსახურებაში და სხვა პროცესებში ან ინფორმაციას მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რომლის დროულ

ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საბრძოლო გაფრენაში მონაწილეებისთვის.

ცნობა ქარის მიმართულების შესახებ, ადგილმდებარეობის ქიმიური დაბინძურების შემთხვევაში ცნობა ამინდის შესახებ, რომელიც განისაზღვრება დღე-ღამეში სამჯერ და ცხადდება ყოველი ორი საათის ინტერვალით. მასში მოცემულია ქარის მიმართულების, სიჩქარის, ჰაერის შემადგენლობის, ტენიანობის და ტემპერატურის პროგნოზი ან ამინდის სხვა მაჩვენებლები.

ცოცხალი ძალა (სამხედრო), სამხედრო ფორმირებების პირადი შემადგენლობა, რომელიც ბრძოლაში (ოპერაციაში) მონაწილეობს. ტერმინი „ცოცხალი ძალა“ უმთავრესად გამოიყენება მოწინააღმდეგის ჯარების პირადი შემადგენლობის, როგორც დაზიანების ობიექტის, მიმართ (იარაღის, სამხედრო ტექნიკის და სხვათაგან განსხვავებით).

ცრუ გადასასვლელი, იხ. *გადასასვლელი.*

ცრუ დანაღმული ველი, საზღვაო ნაღმური ომის სფეროში, დანაღმული რაიონი, რომელიც არასაბრძოლო ნაღმებს შეიცავს და მხოლოდ ფსიქოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენს.

ცრუ მანევრი, მოწინააღმდეგის დეზორიენტირებისთვის განხორციელებული შეტევა, მთავარი შეტევის რაიონიდან მისი ყურადღების გადასატანად.

ცურვა (ხომალდის), რაიმე ამოცანის შესასრულებლად ხომალდის (გემის) გასვლა ერთი პუნქტიდან ან რაიონიდან მეორეში. ხორციელდება ოპტიმალური მარშრუტებით **ცურ**-ის უსაფრთხოების და ხომალდისთვის დასახული ამოცანების ეფექტურად შესრულებისთვის, ხომალდზე ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შეფასების გათვალისწინებით. **ცურ**-ის პროცესში განისაზღვრება ხომალდის მოძრაობის ელემენტები, მისი ადგილმდებარეობა.

ცუსიმის ბრძოლა 1905, რუსეთ-იაპონიის ომის (1904–05) დროს 14–15 (27–28) მაისს, ბრძოლა რუსეთისა და იაპონიის საზღვაო ძალებს შორის ცუსიმის კუნძულთან (კორეის სრუტეში). გაიმარჯვეს იაპონელებმა. რუსეთის ფლოტის განადგურებამ **ცბ**-ში საბოლოოდ განაპირობა ომში რუსეთის დამარცხება.

ცქიტიშვილი ავთანდილ ლევანის ძე (1950–2013), გენერალ-მაიორი (1993) გენერალური შტაბის უფროსი (1993–94). დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი (1972), ლენინგრადის საარტილერიო აკადემია (1981). მსახურობდა საბჭოთა ჯარში (1972–91), ეროვნული გვარდიის პირველი ბრიგადის მეთაური (1991), საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე (1992–93), სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსი, სასაზღვრო ძალების სარდლის მოადგილე (1997–99). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ძ

ძალები, სამხედრო ნაწილების (ხომალდების), შენაერთების, გაერთიანებების და სხვა მუდმივი თუ დროებითი საჯარისო ფორმირებების ერთიანი დასახელება მიკუთვნების ნიშნის ან ამოცანების ერთობლიობის მიხედვით. ტერმინი „ძალები“ სახელმწიფოს არმიის და ფლოტის (შეიარაღებული და თავდაცვის **ძ**.), შეიარაღებული **ძ**-ის სახეობების (სახმელეთო, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო **ძ**-ის), საომარი მოქმედებების თეატრებზე შეიარაღებული **ძ**-ის სტრატეგიული გაერთიანებების, ფლოტის **ძ**-ის გვარეობების (წყალზედა და წყალქვეშა **ძ**-ის), სტრატეგიული ბირთვული, სამშვიდობო, სწრაფი რეაგირების **ძ**-ის და სხვა საერთო დასახელებისთვის გამოიყენება.

ძალები და საშუალებები (სამხედრო), ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების და გაერთიანებების პირადი შემადგენლობა და სამხედრო ტექნიკა, რომელიც განკუთვნილია საბრძოლო მოქმედებების წარმოებისა და უზრუნველყოფისათვის. ამ მნიშვნელობით იხმარება აგრეთვე ტერმინი „ძალები“ (მაგალითად გადასხმის ძალები). სხვადასხვა გაანგარიშების (**ძ.დ.ს**-ის თანაფარდობის) წარმოებისას ცალ ცალკე განიხილავენ ძალებს (ქვედანაყოფების, ნაწილების, შენაერთების რაოდენობას) და საშუალებებს (შეიარაღების – ქვემეხების, ტანკების, თვითმფრინავების, გამშვები დანადგარების, საბრძოლო მასალების რაოდენობას და სხვა).

ძალების და საშუალებების განაწილება, ჯარების (ძალების) სხვადასხვა მოქმედებებისთვის დადგენილი პრიორიტეტების მიხედვით ძალების და საშუალებების რაოდენობის განსაზღვრა და მათი პროცენტულად განაწილება. ოპერაციისათვის (ბრძოლაში) აისახება სარდლის (მეთაურის) გადაწყვეტილებაში ოპერაციების (ბრძოლების) თაობაზე. ამასთან, განისაზღვრება ჯარების (ძალების) დაჯგუფებები, რომლებმაც უნდა იმოქმედონ მთავარ და სხვა მიმართულებებზე, I და II ეშელონების, რეზერვების შემადგენლობა და ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) სხვა ელემენტები.

ძალების და საშუალებების დაშორიშორება, გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების, ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტების, შეიარაღების ცალკეული ერთეულების (გამშვები დანადგარების, თვითმფრინავების, ქვემეხების, ტანკებისა და სხვა) ადგილმდებარეობაზე განლაგება. ასევე – ხომალდების (გემების) ბაზირება გარკვეული ინტერვალით რაიონებსა და ზღვაში, ფრონტზე და სიღრმეში. ეს კეთდება მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებათაგან მოსალოდნელი დანაკარგების მაქსიმალური შემცირების მიზნით. ამასთანავე, დაშორიშორება არ უნდა აძნელებდეს ჯარების (ძალების) მართვას და ურთიერთქმედებას. იგი უარყოფითად არ უნდა მოქმედებდეს მათ უნარზე, შეასრულონ დასახული ამოცანები: დროულად მოუყარონ თავი საჭირო ძალვას არჩეულ მიმართულებებზე; სწრაფად გაზარდონ ძალისხმევა სიღრმიდან; უზრუნველყონ მოწინააღმდეგის თავდაცვის წარმატებული გარღვევა და შეტევის განვითარება; შექმნან სტაბილური თავდაცვა და შეინარჩუნონ ადგილმდებარეობის მნიშვნელოვანი მონაკვეთები.

ძალების და საშუალებების თანაფარდობა, საკუთარი ჯარების (ძალების), მოწინააღმდეგის ძალების და საშუალებების (ქვედანაყოფები, ნაწილები, შენაერთები, იარაღი, სამხედრო ტექნიკა და სხვა) რაოდენობრივი და ხარისხობრივი შედარების მაჩვენებლები. საშუალებას იძლევა განისაზღვროს დაპირისპირებული მხარეებიდან ერთ-ერთის ობიექტური უპირატესობის ხარისხი. დიდ (ხანდახან გადამწყვეტ) გავლენას ახდენს ოპერაციის (ბრძოლის) მომზადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე და საბრძოლო მოქმედებების დროს ამ გადაწყვეტილების დაზუსტებაზე (შეცვლაზე). გათვლა წარმოებს სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ მასშტაბებში შესაბამისი შტაბების მიერ მოქმედებების მთელ ზოლში, მთავარ და სხვა მიმართულებებზე.

ძალების და საშუალებების კომპლექსი, ინფრასტრუქტურის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც ჯარებთან შეხამებით ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების სარდალს ჩრდილოატლანტიკური კავშირისთვის საჭირო სამხედრო პოტენციალის შექმნის საშუალებას აძლევს. ინფრასტრუქტურის ასეთი ობიექტების და მათთან დაკავშირებული საექსპლუატაციო ხარჯების დაფინანსება ხორციელდება როგორც ნატოს მიერ, ასევე ეროვნული წყაროებიდან.

ძალების და საშუალებების მასირება, მთავარ, გადამწყვეტ მიმართულებებზე (მოქმედების რაიონებში) ძალების, საშუალებების და დარტყმების თავმოყრა მოწინააღმდეგეზე უპირატესობის უზრუნველყოფისთვის, მისი განადგურებისა და ოპერაციის (ბრძოლის) მიზნის მისაღწევად; სამხედრო ხელოვნების პრინციპი. **ძ.დ.ს.მ**-ის ძირითადი მაჩვენებელია იმ ძალების და საშუალებების სიმჭიდროვე, რომელიც იქმნება დარტყმების მიმართულებებზე შეტევაში და უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე (რაიონებში) თავდაცვაში.

ძალების და საშუალებების სიმჭიდროვე, ჯარებით და სამხედრო ტექნიკით საბრძოლო მოქმედებების რაიონის (მიმართულების, მონაკვეთის) გაჯერების ხარისხი, რომელსაც ანგარიშობენ 1 *კმ* ფრონტზე ძალების და საშუალებების საშუალო რაოდენობით. წარმოადგენს ძალების და საშუალებების მასირების დონის მაჩვენებელს, აგრეთვე საანგარიშო მაჩვენებელს ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვისას. **ძ.დ.ს.**-ს განსაზღვრავს შტაბი საბრძოლო მოქმედებების მთელ ზოლზე და დარტყმების მიმართულებაზე (ძირითადი ძალვის თავმოყრა) ძალების და საშუალებების თანაფარდობის გაანგარიშების საფუძველზე. განასხვავებენ ქვეითი (მოტოქვეითი) ჯარის, არტილერიის, ტანკების და ღობურების, ხოლო მასშტაბების მიხედვით – ოპერატიულ და ტაქტიკურ სიმჭიდროვეებს.

ძალების და საშუალებების წარმატება, ნაწილების და ქვედანაყოფების დადგენილი რიცხოვნობის და საჭირო რაოდენობის სატრანსპორტო საშუალებების, შეიარაღების და სამხედრო ტექნიკის, ქონების და მატერიალური საშუალებების მიღწევის პროცესი.

ძალების დაცვა, უსაფრთხოების დაცვის პროგრამა, რომლის დანიშნულებაა ჯარისკაცების, სამოქალაქო მოსამსახურეების, მათი ოჯახის წევრების, ქონების და აღჭურვილობის დაცვა ყველგან და ნებისმიერ ვითარებაში. პროგრამის განხორციელება ხდება დაგეგმილი და ურთიერთშეთანხმებული მოქმედებებით: ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლით, ფიზიკური უსაფრთხოების დაცვით, საბრძოლო მოქმედებების უსაფრთხოების დაცვით, პირადი დაცვის სამსახურით. სახმელეთო ჯარებისთვის – იმ ოთხი ელემენტიდან ერთ-ერთი, რომელთა კომბინირება ქმნის საბრძოლო სიმძლავრეს, რაც იცავს საბრძოლო ქვედანაყოფების პოტენციალს. **ძ.დ**-ის ოთხი შემადგენელია: ოპერაციის უსაფრთხოების დაცვა, შეცდომაში შეყვანის ოპერაციები, ჯარისკაცის ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე, უსაფრთხოება და საკუთარი ძალების დაზიანების თავიდან აცილება.

ძალების ფორმირება, უფლებამოსილების გადაცემის შემდეგ განხორციელებული პროცესი, რომლის მეშვეობით ნატოს წევრი სახელმწიფოები ჩრდილოატლანტიკური კავშირის განკარგულებაში გამოყოფენ ჯარებს. ვაშინგტონის ხელშეკრულების V მუხლის თანახმად, გარე ოპერაციების დროს ქვეყნებს, რომლებიც ნატოში არ შედიან, შეუძლიათ ამ პროცესში მონაწილეობა ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების შესაბამის სარდალსა და ამ ქვეყანას შორის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.

ძალვის გადატანა, ოპერაციის (ბრძოლის) დროს ჯარების (ძალების) მთავარი დაჯგუფების მოქმედებების მიმართულების არსებითი შეცვლა. ხორციელდება, როგორც წესი, გადაჯგუფების ან მანევრის მოწყობით. **ძ.ბ**-ის მიზანია: შეტევაში – იმ ჯარების (ძალების) დაჯგუფების გაძლიერება, რომლის მოქმედებების მიმართულებაზე გამოიკვეთა წარმატება; თავდაცვაში – იმ ჯარების ძალვის გაძლიერება, რომლებიც თავს იცავენ მიმართულებაზე, სადაც მოწინააღმდეგე მთავარ დარტყმას აყენებს.

ძალვის გაზრდა ბრძოლაში (ოპერაციაში), ბრძოლის (ოპერაციის) დროს I ეშელონის გასაძლიერებლად, წარმატების განვითარებისთვის და ბრძოლის (ოპერაციის) მიზნის მისაღწევად განხორციელებული ღონისძიებები. სამხედრო ხელოვნების პრინციპი. უზრუნველყოფა ბრძოლაში II ეშელონის (რეზერვის) შეყვანით, ფრონტის სხვა მონაკვეთებიდან მოხსნილი, საჰაერო (საზღვაო) დესანტების და სადესანტო-მოიერიშე (აერომობილური) ნაწილების (შენაერთების) გამოყენებით, მოწინააღმდეგისთვის საცეცხლე (ბირთვული) და სხვა დარტყმების მიყენებით.

ძალვის თავმოყრის მონაკვეთი (რაიონი), ტანკსაშიშ მიმართულებაზე შენაერთის (გაერთიანების) თავდაცვის ზოლის ნაწილი. მის ფარგლებში იკავებს თავდაცვით პოზიციებს ჯარების (ძალების) და საშუალებების დიდი ნაწილი, ხორციელდება მოწინააღმდეგის დამრტყმელი დაჯგუფების შემოტევის მოგერიების მიზნით. ამ მონაკვეთის (რაიონის) თავდაცვისათვის ასევე გათვალისწინებულია ყველა სახეობის იარაღის ცეცხლის თავმოყრა, ძალების წარმატება თავდაცვის სიღრმიდან და სხვა მიმართულებებიდან მანევრის გზით, მომეტებული სიმჭიდროვის ღობურების შექმნა.

ძალის გამოყენების წესები, შესაბამისი სამხედრო ინსტანციის მიერ გამოცემული დირექტივები, რომლებშიც განისაზღვრება ის გარემოება და შეზღუდვები, რომლის დროსაც ჯარები (ძალები) მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებებში სხვა ჯარებთან (ძალებთან) ერთად.

ძალის დემონსტრირება, რომელიმე სახელმწიფოს (სახელმწიფოების ჯგუფის) შეიარაღებული ძალების მოქმედებები, რომლებიც მეორე სახელმწიფოსადმი (სახელმწიფოებისადმი) მუქარის გამომხატველია. ხორციელდება ზეწოლით და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა დათმობებზე მისი (მათი) იძულებით. ისტორიისთვის ცნობილია **ძ.დ**-ის ისეთი ფორმები, როგორიც არის „ზარბაზნების დიპლომატია“, „ალმის დემონსტრაცია“. II მსოფლიო ომის შემდეგ **ძ.დ**. ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში ან რეგიონებში, როგორც პოლიტიკური სიტუაციის განვითარებაზე ზემოქმედების საშუალება. ის შეიძლება ხორციელდებოდეს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ხარისხის

ამაღლებით, შეიარაღების მკვეთრი გაძლიერებით, ჯარების (საზღვაო ძალების) გაშლის და სახელმწიფო საზღვრისკენ წინ წაწევით, მანევრირებით, წვრთნებით, თვითმფრინავების ფრენის მოწყობით და ა.შ. მშვიდობას და ხალხთა უსაფრთხოებას განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნის **ძ.დ.** ბირთვული იარაღის და მასობრივი დაზიანების სხვა სახეობების იარაღის გამოყენების მუქარით.

ძალისხმევა, ქვეყნის უნარი გამოიყენოს ეროვნული პოტენციალი (დიპლომატიური, ეკონომიკური, ინფორმაციული ან სამხედრო) კრიზისის დასაძლევად, საომარი მოქმედებების აღსაკვეთად და რეგიონში სტაბილურობის გასამტკიცებლად.

ძალისხმევის პრიორიტეტი, ქვედანაყოფი (ელემენტი), რომელსაც შეარჩევს მეთაური საბრძოლო მხარდაჭერის საშუალებებით იმ დროის მანძილზე, სანამ ის რჩება საბრძოლო ოპერაციაში პრიორიტეტულ ძალად.

ძებნა (სამხედრო), 1. სახმელეთო ძალებში – საჯარისო დაზვერვის წარმოების ხერხი, რომელიც გულისხმობს ქვედანაყოფის (ჯგუფის) ფარულ მიახლოებას (მიპარვას) და უეცარ თავდასხმას დასახულ ობიექტზე ტყვეების ასაყვანად, დოკუმენტების და შეიარაღების ნიმუშების ხელში ჩასაგდებად. 2. რადიოტექნიკურ ჯარებში – მოწინააღმდეგის რადიოსაშუალებების აღმოჩენის და ჩანიშვნის ხერხი სპეციალური მიმღებების და სხვა აპარატურის გამოყენებით მათი დაფიქსირების, სიხშირის, დროის და სივრცითი მახასიათებლების განსაზღვრის გზით; 3. სამხედრო-საჰაერო ძალებში – დამოუკიდებელი **ძ.**, ცალკეული თვითმფრინავის ან თვითმფრინავების ჯგუფის მოქმედებები მოწინააღმდეგის ავიაციის, ან მნიშვნელოვანი სახმელეთო ობიექტების აღმოსაჩენად და გასანადგურებლად; მოწინააღმდეგის მიერ დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული საფრენი აპარატების აღმოჩენის ხერხი მათთვის დახმარების გასაწევად და ეკიპაჟების გადასარჩენად; 4. საჰაერო თავდაცვის ნაწილებში (შენაერთებში) – მოქმედებები საჰაერო მიზნების აღმოსაჩენად და ამოსაცნობად, მათი კოორდინატების და მოძრაობის პარამეტრების განსასაზღვრავად და მოწინააღმდეგის აღმოჩენილი თვითმფრინავების გასანადგურებლად. 5. სამხედრო-საზღვაო ძალებში – დაზვერვის წარმოების ხერხი. აწარმოებენ სპეციალურად გამოყოფილი ძალები მოწინააღმდეგის ხომალდების დაჯგუფების აღმოჩენის, ამოცნობის, კლასიფიცირების, შემადგენლობის განსაზღვრის, თვალთვალის ან განადგურების მიზნით, აგრეთვე საკუთარი დაზიანებული (ავარიაში მოხვედრილი) ხომალდების და საფრენი აპარატების აღმსაჩენად და დასახმარებლად (ეკიპაჟების გადასარჩენად); 6. კოსმონავტიკაში – დედამიწაზე (წყალზე) დაშვებული გასაშვები კოსმოსური აპარატების აღმოჩენის, ეკიპაჟების დახმარებისა და ევაკუაციის ხერხი; 7. სასაზღვრო ჯარებში სახელმწიფო საზღვრის დამრღვევების აღმოსაჩენად და დასაკავებლად მოქმედებების ხერხი.

ძებნა და გადარჩენა, 1. ავიაციის, წყალზედა მცურავი საშუალებების, წყალქვეშა ნავების სპეციალური ჯგუფების და მოწყობილობების გამოყენება ხმელეთსა და ზღვაში ხიფათში მყოფი პირადი შემადგენლობის გადასარჩენად. 2. კატასტროფის მსხვერპლთა ადგილმდებარეობის მოძიების და გადარჩენის პროცესი, ასევე საჭიროების შემთხვევაში პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.

ძებნა და შეტევა, მცირე, მსუბუქი, ადვილად მანევრირებადი ქვედანაყოფების, საავიაციო ქვედანაყოფების ან საჰაერო მოიერიშე ძალების შემხვედრი გადაადგილების სახეობა. ფართომასშტაბიან რაიონებში მოწინააღმდეგის გასანადგურებლად, მისთვის ტერიტორიის წასართმევად ან ინფორმაციის შესაგროვებლად.

ძირგამომთხრელი საქმიანობა, მოქმედება, რომელიც მიმართულია არსებული რეჟიმის სამხედრო, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური ან პოლიტიკური ძლიერების შესასუსტებლად და მორალურად გასატეხად.

ძირითადი სადაზვერვო მონაცემები, სადაზვერვო მონაცემები, რომლებიც შესაძლებელია გამოიყენონ დაგეგმარების საწყის მასალად და შემდგომი ინფორმაციის ან მონაცემების მომზადების საფუძვლად.

ძირითადი სამხედრო მოთხოვნა, სამხედრო მოთხოვნა, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ნატოს მორიგი ამოცანების და მისი სტრატეგიული მიზნების შესრულებისთვის. ემსახურება ეროვნულ სამხედრო დაგეგმვის ჰარმონიზაციას, სამხედრო დაგეგმვის მნიშვნელოვანი ამოცანების დასახვას და ნატოს სამხედრო ხელმძღვანელი ორგანოების მიერ კონცეფციების და გეგმების შემუშავებას.

ძირითადი ქვემეხი, საცეცხლე პოზიციაზე განლაგებული ბატარეის ერთ-ერთი ქვემეხი, როგორც წესი, შუა ნაწილში. მისთვის ცეცხლის საწარმოებლად დანადგარებს გაიანგარიშებენ და კოორდინატებს საცეცხლე პოზიციის კოორდინატებად მიიღებენ. **ძ.ქ**-ს სროლის ძირითად მიმართულებას მიაკუთვნებენ და მის მიმართ ბატარეის მარაოს აგებენ.

ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებები, მრეწველობაში, ტრანსპორტზე და ჯარებში დიდი რაოდენობით არსებული ტოქსიკური ქიმიური შენაერთები, რომლებიც ობიექტების დაზიანების შემთხვევაში ადვილად გამოიყოფა ატმოსფეროში. იწვევს ჯარების და სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ დაზიანებას. **ძ.შ.ნ**-ს მიეკუთვნება: ამიაკი, არასიმეტრიული დიმეთილჰიდრამიზინი, ნახშირბად-

ის ჟანგი, გოგირდნახშირბადი, ქლორი, აზოტის ჟანგები და მათი ნარევები.

ძნელაძე ირაკლი მირონის ძე (დ. 1968), გაერთიანებული შტაბის უფროსი (2012), პოლკოვნიკი. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი (1992), გერმანიის ბუნდესვერის ჯავშანსატანკო სკოლა, ასეულის მეთაურის კურსი (1998), გაერთიანებული სამხედრო აკადემია (ექსტერნად 1999), გერმანიის ბუნდესვერის ჯავშანსატანკო სკოლა, ბატალიონის მეთაურის კურსი (2002), აშშ-ის არმიის სამხედრო კოლეჯი (2009). მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში (1993–98), გაერთიანებულ გენერალურ შტაბში ხელმძღვანელ თანამდებობებზე (1998–2006). სახმელეთო ჯარების სარდლობის შტაბის G-3 ოპერატიული სამმართველოს მართვის ცენტრის უფროსი (2006), გაერთიანებული შტაბის J-3 ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე (2006–09). სახმელეთო ჯარების სარდლობის შტაბის G-3 ოპერატიული სამმართველოს უფროსი (2009–11), გაერთიანებული შტაბის J-3 ოპერატიული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი (2011), გაერთიანებული შტაბის J-2 დაზვერვის დეპარტამენტის უფროსი (2011–12), თავდაცვის ატაშე უკრაინაში, მოლდოვას რესპუბლიკასა და ბელორუსიის რესპუბლიკაში (2012). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ᲬᲐᲛᲙᲕᲔᲗᲘ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ, თავდაცვითი პოზიცია, რომელიც ისე არის შერჩეული, რომ მოწინააღმდეგეს არ მიეცეს მოცემულ რაიონში შეღწევის ან მოცემული მიმართულებით წინსვლის საშუალება.

ᲬᲐᲛᲫᲕᲐᲜᲘ, თვითმფრინავების, ვერტმფრენების ჯგუფის (წყვილის, რგოლის, რაზმის, ესკადრილიის) მეთაური (უფროსი), რომელიც ახორციელებს ფრენას საერთო საბრძოლო წყობაში.

ᲬᲐᲛᲫᲕᲐᲜᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ, სხვადასხვა კატასტროფის შემთხვევაში დახმარების აღმოჩენის ტერმინოლოგიაში მოიხსენიება, როგორც დახმარების კოორდინაციის მოვალეობების შესრულებისთვის გამოყოფილი გაეროს ჰუმანიტარული ორგანიზაცია.

ᲬᲐᲛᲫᲕᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ქვეყანა, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს ჯარების გაშლაზე, ტრანსპორტირებაზე, ხანგრძლივ მოქმედებაზე (მარაგის შევსება), გადაჯგუფების დაგეგმვასა და მართვაზე, ასევე – საერთაშორისო მრავალეროვნული საშტაბო ჯგუფების და/ან ნაწილების და ქვედანაყოფების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფაზე. აგრეთვე ქვეყანა, რომელიც ამოცანების და მოვალეობის შესრულებისას საკუთარ თავზე იღებს მიმღები ქვეყნის წამყვან როლს ან ქვეყანა, რომელიც პასუხისმგებელია გადაზიდვების და ტრანსპორტირების ამოცანების შესრულებაზე.

ᲬᲐᲛᲫᲕᲐᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲚᲝ�გᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ, სახელმწიფოს (წამყვანი ქვეყნის სტატუსის მქონე) მიერ მრავალეროვნული დაჯგუფების, მისი ნაწილის და/ან შტაბის მომარაგების და ლოგისტიკური უზრუნველყოფის ფართო კომპლექსის განხორციელების საკუთარ თავზე აღება. ასეთი სამუშაოსთვის ხარჯების ანაზღაურება მონაწილე ქვეყნებს შორის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს. ასეთი მოვალეობა შეიძლება მოიცავდეს წამყვანი ქვეყნის პასუხისმგებლობის ზონაში სხვა სახელმწიფოების ჯარების (ძალების) ლოგისტიკის კოორდინაციას.

ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ, ორდენები, მედლები, ჯვრები და ჯილდოს სხვა ნიშნები, აგრეთვე დროშები, ალმები და სახელობითი იარაღი, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებს და სამხედრო ნაწილებს (ხომალდებს) ომიანობის და მშვიდობიანობის პერიოდში დამსახურებისთვის ჯილდოდ გადაეცემა. **ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ,** 1. ბრძოლის დროს უპირატესობის მოპოვება და მისი შემდგომი განვითარება. 2. ხელთარსებული ინფორმაციის სრულად გამოყენება ტაქტიკური, ოპერატიული ან სტრატეგიული მიზნებისთვის. 3. შეტევითი მოქმედებები, რომლებიც თან სდევს წარმატებულ საიერიშო ოპერაციას და გამიზნულია მოწინააღმდეგის დეზორგანიზებისთვის მისი განლაგების სიღრმეში.

ᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲘᲗᲘ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ, საბრძოლო ან სამსახურებრივი საანგარიშო-საინფორმაციო დოკუმენტი, შემუშავებული შტაბების და მართვის სხვა ორგანოების მიერ მშვიდობიანობის და ომიანობის დროში გარკვეული მონაცემების ზემდგომი მეთაურების (ხელმძღვანელების) ან შტაბისთვის მისაწოდებლად. თავისი დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს საბრძოლო და სპეციალური მშვიდობიანობის პერიოდში მუშავდება **ᲬᲐ**-ები ოპერატიულ და სამობილიზაციო, საჯარისო სამსახურის, სამხედრო დისციპლინის მდგომარეობის, შეიარაღებით, ტექნიკით უზრუნველყოფის და სხვა საკითხებზე. მასში შეტანილი მონაცემების მიხედვით **ᲬᲐ**. შესაძლებელია იყოს სასწრაფო და არასასწრაფო, მიმდინარე და შემაჯამებელი. სასწრაფო **ᲬᲐ**-ები მიეწოდება დადგენილ ვადებში. არასასწრაფო – გარემოებიდან გამომდინარე ან ზემდგომი შტაბის მოთხოვნის შესაბამისად. სასწრაფო საბრძოლო **ᲬᲐ**-ში გადმოიცემა: გაერთიანების (შენაერთის, ნაწილის) მიერ საბრძოლო ამოცანის შესრულების შედეგები დაქვემდებარებული ჯარების (ძალების) მდგომარეობის მითითებით; მოწინააღმდეგის მოკლე შეფასება; მიღებული გადაწყვეტილება შექმნილ მდგომარეობაში და თხოვნა ზემდგომი მეთაურის მიმართ. არასასწრაფო საბრძოლო **ᲬᲐ**-ები შეიცავენ მონაცემებს მიღებული საბრძოლო განკარგულებების (ბრძანებების), გარემოების ცვლილებების, მეთაურის მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების, საბრძოლო ამოცანის შესრულების დაწყების შესახებ. შემაჯამებელი საბრძოლო **ᲬᲐ.** შეიცავს მონაცემებს მოცემული დროის, დღე-ღამის ბოლოს ან დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში არსებული მდგომარეობის, მოქმედებების და ჯარების უზრუნველყოფის შესახებ. შემაჯამებელი და ვადიანი საბრძოლო **ᲬᲐ.,** რომელშიც გადმოცემულია გადაწყვეტილება, წარედგინება ზემდგომ შტაბში მეთაურისა და შტაბის უფროსის ხელმოწერით.

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ, 1. განსაკუთრებით მცირე ზომის მიზანი, რომლის განადგურება საგანგებო სიზუსტით დამიზნებას მოითხოვს. 2. ბირთვული იარაღის გამოყენებისას – მიზანი, რომლის აფეთქების შემდეგ დაზიანების რადიუსის შეფარდება მიზნის რადიუსთან 5-ის ტოლია ან 5-ზე მეტია.

ᲬᲕᲔᲕᲐᲛᲓᲔᲚᲘ, მოქალაქე, რომელიც სამხედრო სამსახურში გაწვევას ექვემდებარება სახელმწიფოში, სადაც სამხედრო ვალდებულება (ბეგარა) ითვალისწინებს გაწვევით სამსახურს.

ᲬᲕᲠᲗᲜᲐ, სამხედრო მანევრი ან სიმულირებული საბრძოლო ოპერაცია, რომელშიც შედის დაგეგმვის, მომზადების და შესრულების ოპერაციები. იგი ტარდება ვარჯიშის და განვითარების მიზნით. მონაწილე ქვედანაყოფების სურვილის მიხედვით შეიძლება ჩატარდეს კომბინირებული, ერთობლივი ან ცალკეული Წ-ის ოპერაციები.

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ, მუშურ-გლეხური წითელი არმია, 1918–46 წლებში საბჭოთა რუსეთის და შემდეგ საბჭოთა კავშირის სახმელეთო ჯარებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ოფიციალური სახელწოდება. 1946 წლის თებერვლიდან ეწოდებოდა საბჭოთა არმია.

ᲬᲘᲜᲐ ᲒᲐᲛᲛᲘᲯᲜᲐᲕᲘ ᲮᲐᲖᲘ, მოწინააღმდეგის მიმართულებით განლაგების უკიდურესი საზღვარი, რომლის ფარგლებში ვრცელდება სამხედრო ფორმირებების პასუხისმგებლობა სიღრმისეულ ოპერაციებში.

ᲬᲘᲜᲐ ᲖᲦᲣᲓᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲐ, თავდაცვითი მანევრის ერთ-ერთი სახე, როცა ქვედანაყოფის საბრძოლო ძალის უმეტესობა განლაგებულია ერთ ეშელონად თავდაცვის რაიონის წინა ზღუდის გასწვრივ ან მასთან ახლოს.

ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲖᲦᲣᲓᲔ, საბრძოლო პოზიციის მეწინავე თავდაცვის მიჯნაზე შექმნილი ზღუდე, რომელზეც ხდება ყველა სახის – ძირითადი თუ მხარდამჭერი, მათ შორის საჰაერო და საზღვაო არტილერიის ცეცხლის კოორდინირება.

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲒᲐᲜᲚᲐᲒᲔᲑᲐ, წინასწარ დაგეგმილი მოქმედებების რაიონში ან მის ახლოს, ან სხვა დანიშნულ ადგილას მოწინააღმდეგის მოქმედებაზე სწრაფად რეაგირების და დროული დახმარების უზრუნველყოფა. ასევე ოპერაციის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული დანიშნულების ძალების მხარდასაჭერად სამხედრო ნაწილების და ქვედანაყოფების, საბრძოლო ტექნიკის, აღჭურვილობის ან მარაგის განლაგება.

ᲬᲘᲜᲐᲦᲝᲑᲐ, ნებისმიერი ბუნებრივი ან ხელოვნური შეფერხება, გამოყენებული მოწინააღმდეგის ძალების გადაადგილების შეფერხების, ფიქსირების, შემობრუნების ან ბლოკირებისთვის, ასევე მოწინააღმდეგის ძალების პირადი შემადგენლობისთვის, დროის და აღჭურვილობის დამატებითი დანაკარგის მიყენებისთვის.

ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲘ, ადვილად ამოსაცნობი ბუნებრივი ორიენტირი (ადგილის მახასიათებელი), რომლის იქით შემტევი ძალა წინ აღარ უნდა გადაადგილდეს.

ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲖᲐ, ბაზა, რომელიც განლაგებულია საკუთარ ტერიტორიაზე ან წყალზე. მისი დანიშნულებაა მართვის, კონტროლის ან საკომუნიკაციო საშუალებების ფართოდ გამოყენება, აგრეთვე საწვრთნელი და ტაქტიკური ოპერაციების მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

ᲬᲧᲐᲚᲑᲐᲓᲘᲡ ᲑᲝᲛᲑᲘ, იხ. *ᲑᲝᲛᲑᲘ.*

ᲬᲧᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ, 1. ჯარების მიერ წყლისმიერი დაბრკოლების (მდინარის, არხის, ტბის, ლიმანის, ყურის, სრუტის, წყალსაცავის და ა.შ.) გადალახვა; 2. წყლისმიერი დაბრკოლების მონაკვეთი, რომელიც მოწყობილია მისი გადალახვის მიზნით. გადასასვლელზე საინჟინრო ჯარების ძალებით ტექნიკური და სამედიცინო უზრუნველყოფის ძალებთან ერთად ეწყობა საკომენდანტო, საევაკუაციო და სამაშველო სამსახურები. იხ. აგრეთვე *გადასასვლელი (წყლით)*

ᲬᲧᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲓᲒᲐᲜᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ, წყლისმიერ და უწყლო დაბრკოლებებზე ჯარების გადასაყვანი საშუალებები. სატაბელო გადამყვან-გადასასვლელი საშუალებები არის სხვდასხვა სახის დესანტგადამყვანი (სადესანტო ნავები, თვითმავალი ბორნები, საბორნე-ხიდური მანქანები და ა.შ.), პონტონის პარკები, მექანიზებული ხიდები, ხისტსაყრდენიანი დასაშლელი ხიდები და სხვა. გადამყვან-გადასასვლელ საშუალებებს ადგილობრივი რესურსებიდან განეკუთვნება მებადურთა და სასეირნო ნავები, კატარღები და ბორნები, მოტივტივე ხიდები ბარჟებისგან (კარჭაპებისგან) და ა.შ.. იხ. აგრეთვე *გადასასვლელი საშუალებები.*

ᲬᲧᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲛᲢᲐᲠᲣᲜᲐᲠᲘᲐᲜᲝᲑᲐ, იმ ქვედანაყოფების, პირადი შემადგენლობის ან სამხედრო ტექნიკის მაქსიმალური რაოდენობა, რომლის გადაყვანა-გადატანა შეიძლება წყლისმიერ დაბრკოლებაზე დროის ერთეულში (საათში, დღეში). იხ. აგრეთვე *გადასასვლელის გამტარუნარიანობა.*

ᲬᲧᲐᲚᲖᲔᲓᲐ ᲮᲝᲛᲐᲚᲓᲘ, სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში შემავალი საბრძოლო ხომალდი ან სპეციალური დანიშნულების ხომალდი. წყალზე ტივტივის პრინციპის მიხედვით იყოფა ტივტივის წყალწყვითი (ტივტივებენ კორპუსის წყალში ჩასულ ნაწილზე წყლის დაწნევის ჰიდროსტატიკური ძალების ხარჯზე) და ტივტივის დინამიკური პრინციპების მიხედვით – გლისერებად, ჰაერბალიშიან (კავერნიან), წყალქვეშაფრთიან, ეკრანმცურავ ხომალდებად. ენერგეტიკული დანადგარის ტიპის მიხ-

ედვით იყოფა ატომურ, ორთქლტურბინიან, დიზელიან, აირტურბინიან და კომბინირებულ ენერგეტიკულ დანადგარებად. კორპუსის მასალის მიხედვით შეიძლება იყოს ფოლადის, მსუბუქი შენადნობების, პლასტმასის, ხისა და სხვა. ამძრავის ტიპის მიხედვით – ხრახნიანი, ფრთიანი ან წყალსატყორცნმოძრავიანი, კორპუსის არქიტექტურის მიხედვით – ერთი, ორი და სამკორპუსიანი (კატამარანები, ტრიმარანები). დანიშნულების, შეიარაღების, წყალწყვის და სხვა ტაქტიკურ-ტექნიკური ელემენტების მიხედვით **წ.ხ**-ები იყოფა ჯგუფებად, კლასებად, ქვეკლასებად და ტიპებად, აგრეთვე რანგებად. თანამედროვე ფლოტების შემადგენლობაში არის ავიამზიდი ხომალდები, სარაკეტო-საარტილერიო, ნავსაწინააღმდეგო, ნაღმსატრალავი, სადესანტო (ამფიბიური), სპეციალური დანიშნულების ხომალდები და სხვა. **წ.ხ**-ის შეიარაღებაში არის სარაკეტო, სარაკეტო-სატორპედო, საარტილერიო, საზენიტო-სარაკეტო, სარაკეტო-საარტილერიო, ნავსაწინააღმდეგო და ნაღმსაწინააღმდეგო კომპლექსები. ისინი აღჭურვილია ნავიგაციის, მართვის და კავშირგაბმულობის მრავალფუნქციური რადიოელექტრონული საშუალებებით, წყალქვეშა ნავების ძებნის და აღმოჩენის ჰიდროაკუსტიკური კომპლექსებით, საჰაერო თავდაცვისა და რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებებით. მათ აქვთ მაღალი საზღვაოსნო თვისებები, დიდი ავტონომიურობა და სიცოცხლისუნარიანობა. შეადგენენ სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების წყალქვეშა ძალებს და წარმოადგენენ საერთო დანიშნულების საზღვაო ძალების საფუძველს.

წყალქვეშა აპარატები, ტექნიკური საშუალებები წყალქვეშ სხვადასხვა სამუშაოებისა და კვლევის განსახორციელებლად (წყალქვეშა ობიექტების ძებნა, სამაშველო და დოკზე ყოფნის სამუშაოები, წყალქვეშა საბადოების, ზღვის ფლორის და ფაუნის მეცნიერული კვლევები, ფსკერის ტექნიკური ნაგებობების და სისტემების დაყენება და მომსახურება და ა.შ.). **წ.ა**. არის: პილოტირებული და უპილოტო; მისაბმელი და ავტონომიური, ბუქსირებადი, ჩასაშვები, მოდრეიფე და თვითმავალი; დანიშნულების მიხედვით **წ.ა**. შეიძლება იყოს საძიებო, კვლევითი, სამაშველო, მყვინთავებისა და სხვა.

წყალქვეშა დივერსიის საწინააღმდეგო უზრუნველყოფა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ხომალდების (გემების), ჰიდროტექნიკური ნაგებობების და სანაპირო ობიექტების წინააღმდეგ მოწინააღმდეგის დივერსიულ-სადაზვერვო მოქმედებების ჩაშლის მიზნით; ფლოტის ძალების მოქმედების საბრძოლო უზრუნველყოფის სახეობა. ხორციელდება სტაციონარული სისტემებით, აგრეთვე წყალქვეშა დივერსანტების აღმოჩენა-განადგურების სახომალდო და საავიაციო ძალებით და საშუალებებით, სპეციალური ფორმირებებისა და სანაპირო პატრულების ძალებით.

წყალქვეშა დივერსიული საშუალებები, მზვერავ-დივერსანტთა დანიშნულების ადგილზე მიყვანის ტექნიკური საშუალებები, მათი აღჭურვილობა, ასაფეთქებელი საშუალებები, ჰიდროაკუსტიკური სადგურები, პირადი იარაღი, წყალქვეშა ბგერითი კავშირგაბმულობის საშუალებები, ტელემეტრიული ჰიდროაკუსტიკური აპარატურა და სხვა. განკუთვნილია დაზვერვის საწარმოებლად, დივერსიული და ტერორისტული აქტების შესასრულებლად მოწინააღმდეგის ზურგში, მის სანაპირო რაიონებში, ნავსადგურებსა და სამხედრო-საზღვაო ბაზებში. ტრანსპორტირების ტექნიკური საშუალებებია: ზემცირე წყალქვეშა ნავები, ერთი და მრავალადგილიანი წყალქვეშა მოძრაობის საშუალებები, წყალქვეშა აპარატ-ბუქსირები და სხვა. ასაფეთქებელი საშუალებებია: სპეციალური ნაღმები და ასაფეთქებელი ნივთიერებების მუხტები. მზვერავ-დივერსანტთა შეიარაღებაა: წყალქვეშა რეაქტიული თოფები, პნევმატური პისტოლეტები, დანები და სხვა.

წყალქვეშა დივერსიული ძალები, ზოგიერთი სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების დივერსიულ-სადაზვერვო ქვედანაყოფები (დივერსანტ-მზვერავთა, მყვინთავ-ამფეთქებელთა რაზმები), აგრეთვე სპეციალური ოპერაციების ძალების გარკვეული ქვედანაყოფები, რომლებიც განკუთვნილია საზღვაო და სანაპირო ობიექტების წინააღმდეგ მოქმედებებისათვის (სამხედრო-საზღვაო ბაზებში, პორტებში, ბაზირების პუნქტებში, რეიდებზე, ღუზაზე დგომის ადგილებში, სანაპირო რაიონებში და სხვა). **წ.დ.ძ**-ის ძირითადი ამოცანებია: დიდი წყალზედა ხომალდების, წყალქვეშა ნავების, სანაპირო სარაკეტო კომპლექსების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, დესანტსაწინააღმდეგო ღობურების განადგურება; აგენტურული ჯგუფების ნაპირზე გადასხმის და უკან დაბრუნების, მოწინააღმდეგის წყალქვეშა დივერსიულ ძალებთან ბრძოლის წარმოების უზრუნველყოფა. გამოიყენებოდა I და II მსოფლიო ომებში, ყველა შემდგომი ლოკალური ომის და საომარი კონფლიქტის დროს.

წყალქვეშა ნავების ლოდინის რაიონი, ზღვის მონაკვეთი (რაიონი), რომლის ფარგლებშიც წყალქვეშა ნავები საბრძოლო ამოცანის შესრულების შემდეგ ელოდებიან მატერიალური საშუალებებით შევსებას ან ხელახალ განლაგებას სხვა მიმართულებებით მოქმედებებისათვის. ინიშნება, როგორც წესი, მოწინააღმდეგის აქტიური ნავსაწინაღო თავდაცვის ზონის ფარგლებს გარეთ.

წყალქვეშა ნავი, ხომალდი, რომელსაც შეუძლია ჩაყვინთვა (ამოყვინთვა) და ხანგრძლივი დროის განმავლობაში წყალქვეშ მოქმედება; მნიშვნელოვანი ტაქტიკური თვისება – ფარულობა. მისი დანიშნულებაა მნიშვნელოვანი სამხედრო-სამრეწველო და ადმინისტრაციული ცენტრების, სამხედრო-საზღვაო ბაზების, პორტების და სხვა მიწისზედა ნაგებობების დაზიანება, მოწინააღმდეგის **წ.ნ**-ების, ხომალდების და გემების განადგურება, ნაღმების ღობურების შეუმჩნევლად დაყენება, დაზვერვის წარმოება, დივერსიულ-სადაზვერვო ჯგუფების გადასხმა და სხვა საბრძოლო და სპეციალური ამოცანების შესრულება. სამხედრო-საზღვაო ძალებში **წ.ნ**-ები ფლოტის წყალქვეშა ძალებს შეადგენენ. საბრძოლო ამოცანებს ასრულებენ ცალ-ცალკე, ჯგუფებად **წ.ნ**-ების დაჯგუფებებში და სხვადასხვაგვაროვან ძალებთან, დამოუკიდებლად ან შეიარაღებული ძალების სხვა სახეობებთან ურთიერთქმედებით. ისინი შეიარაღებული არიან ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტებით, ტორპედოებით, ნაღმებით, ჰიდროაკუსტიკური მოქმედების საწინააღმდეგო საშუალებებით, შეიძლება ჰქონდეთ სახენიტო-სარაკეტო კომპლექსი. ენერგეტიკული დანადგარის ტიპის მიხედვით არის: ატომური და დიზელ-ელექტრონული; წყალწყვის მიხედვით – წყალქვეშა კრეისერები, საკრეისერო, დიდი, საშუალო, მცირე და ზემცირე; დანიშნულების მიხედვით იყოფა: სტრატეგიული, მრავალმიზნობრივი და სპეციალური დანიშნულების; ძირითადი შეიარაღების მიხედვით – სარაკეტო, სატორპედო და სარაკეტო-სატორპედო.

წყალქვეშა ნავის გამიზვნა, იხ. *გამიზვნა.*

წყალქვეშა სარაკეტო კრეისერი, ზოგიერთი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტში ატომური წყალქვეშა ნავი დიდი სიშორის ბალისტიკური ან ფრთოსანი რაკეტებით, რომლის ძირითადი დანიშნულებაა მოწინააღმდეგის მნიშვნელოვანი სახმელეთო და საზღვაო ობიექტებისთვის სარაკეტო-ბირთვული დარტყმების მიყენება. მასზე დაყენებული სარაკეტო კომპლექსები ბალისტიკური და ფრთოსანი რაკეტების ცალ-ცალკე და ზალპურად, წყალქვეშა და წყალზედა მდგომარეობიდან გაშვების საშუალებას იძლევიან.

წყალქვეშა ძალები, 1. სახელმწიფოს სამხედრო-საზღვაო ძალების ან მისი ერთ-ერთი ფლოტის ყველა წყალქვეშა ნავის კრებითი სახელი; 2. მრავალი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების გვარეობა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული დანიშნულების სარაკეტო, მრავალმიზნობრივ და სპეციალური დანიშნულების წყალქვეშა ნავებს. ორგანიზაციულად გაერთიანებულია დივიზიონებად, ბრიგადებად და დივიზიებად, რომლებიც შედიან წყალქვეშა ნავების (სხვადასხვა გვარეობის ძალების) ესკადრების, ფლოტილიების, ფლოტების შემადგენლობაში. მათი ისტორია იწყება 1906 წლიდან, როდესაც სამხედრო გემების კლასიფიკაციაში შეიტანეს წყალქვეშა ნავების თანრიგი; 3. წყალქვეშა ნავების ოპერატიული გაერთიანება ერთ-ერთ საოკეანო ან საზღვაო საომარი მოქმედებების თეატრზე. ჩვეულებრივ, შედგება წყალქვეშა ნავების რამდენიმე შენაერთისაგან (ესკადრისაგან) და მათი უზრუნველმყოფი სანაპირო და მცურავი ბაზებისაგან.

წყლიდან მხარდაჭერა, ნავსადგურის საზღვრებს მიღმა ტერიტორიიდან მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა. საბრძოლო მოქმედებებში მყოფი ძალების მხარდასაჭერად საწვავის, საბრძოლო მასალის და მარაგის მიწოდება ხდება ზღვით გადაადგილებისას ან ნავსადგურში ღუზის ჩაშვების დროს.

წყლისმიერი დაბრკოლება, ბუნებრივი ან ხელოვნური წყლის წინაღობა (მდინარე, ტბა, სრუტე, არხი, წყალსაცავი და სხვა). ხასიათდება სიგანით, სიღრმით, დინების სიჩქარით, ფსკერის და ნაპირების ხასიათით, ფონების, ხიდების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, გადასალახავად ხელსაყრელი ადგილების არსებობით. **წ.დ**. სიგანით პირობითად იყოფა ვიწრო – 100 *მ*-მდე, საშუალო – 100-დან 250 *მ*-მდე, ფართო – 250-დან 600 *მ*-მდე, მსხვილ 600 *მ*-ზე მეტ **წ.დ**-ად.

წყლისმიერი დაბრკოლების დაზვერვა, წყლისმიერი დაბრკოლების და მიმდებარე ადგილმდებარეობის ხასიათის ამსახველი მონაცემების მოპოვება, შეგროვება და განზოგადება. **წ.დ.დ**-ის მიზანია, შეარჩიოს ადგილები წყლისმიერ დაბრკოლებასთან ფარული გასვლისთვის, გადასასვლელების მოწყობისა და დაბრკოლების ფორსირებისათვის. ეკისრება საჯარისო ან საინჟინრო დაზვერვას. **წ.დ.დ**. ადგენს წყლისმიერ დაბრკოლებასთან გასასვლელი გზების არსებობას, ადგილმდებარეობის გამავლობას და შემნიღბავ თვისებებს მისადგომებზე, ღობურებისა და დასნებოვნების ზონების არსებობას; ნაპირების ხასიათს, დინების სიგანეს, სიღრმეს, სიჩქარეს, წყლის ზედაპირის ღელვის ინტენსივობას, გრუნტების მზიდ უნარს, ფსკერის და ნაპირების პროფილს, ფონის, ყინულის (ყინულსვლის) და თოვლის, წყალში არსებული დაბრკოლებების არსებობას და მახასიათებლებს; ყველაზე მოსახერხებელ ადგილებს გადასასვლელების მოსაწყობად და დასაცავად, არსებული ხიდების და გადასასვლელების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების, ადგილობრივი მცურავი საშუალებების და მასალების არსებობასა და მდგომარეობას. **წ.დ.დ**-ისათვის გამოიყენება საინჟინრო-სადაზვერვო მანქანები, მცურავი ტრანსპორტიორები, კატარღები, ნავები, წყალქვეშა ბუქსირები, სათვალთვალო და მანძილის გასაზომი ხელსაწყოები, ექოლოტები, კუთხსაზომები, ფოტო

აპარატურა, ნაღმასაფეთქებელი, დაბრკოლებებისა და დასნებოვნების სიდიდის აღმოჩენის საშუალებები. **წ.დ.დ**-ს ორგანიზაციას უწევენ შენაერთების, ნაწილების (ქვედანაყოფების) მეთაურები და შტატები, აგრეთვე ჯარების გვარეობების (ძალების), სპეციალური ჯარებისა და სამსახურების უფროსები.

წყლისმიერი დაბრკოლების თავდაცვა, თავდაცვითი მოქმედებები, რომელიც ეწყობა და წარმოებს წყლის ზღუდის (მდინარის, არხის, ტბის, ლიმანის, ყურის) შენარჩუნებისა და მოწინააღმდეგის მიერ მისი ფორსირების (გადალახვის) არდაშვების მიზნით. წარსული ომების გამოცდილება მოწმობს, რომ წყლისმიერი დაბრკოლებების გამოყენება მტკიცე, მდგრადი თავდაცვის შესაქმნელად ხშირი მოვლენა და განმსაზღვრელი ფაქტორი იყო თავდაცვის მთავარი ზღუდის შერჩევისას. XX საუკუნის 90-იან წლებშიც, მიუხედავად იმისა, რომ შემტევს გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვს ფართო ფრონტზე წყლისმიერი დაბრკოლებების მოკლე ვადაში ფორსირებისათვის, საჰაერო დესანტების გადმოსასხმელად, წყლისმიერი დაბრკოლებები კვლავინდებურად წარმოადგენენ ყველაზე ხელსაყრელ ბუნებრივ ზღუდეებს. ისინი საშუალებას იძლევიან, დაცვა განვახორციელოთ ნაკლები ძალებით და უფრო წარმატებით. წყლისმიერი დაბრკოლების, როგორც შეტევაზე გადმოსული მოწინააღმდეგის შემაკავებელი ზღუდის, მნიშვნელობას განსაზღვრავს დინების სიგანე, სიღრმე, სიჩქარე, ფსკერის, ნაპირების, ჭალის ხასიათი, ჰიდროტექნიკური ნაგებობების არსებობა, აგრეთვე წელიწადის დრო და ამინდის მდგომარეობა. **წ.დ.თ.**, ჩვეულებრივ, ორივე ნაპირზე ეწყობა. თავდაცვა ერთ ნაპირზე იქმნება, როგორც წესი, ფართო წყლისმიერ დაბრკოლებებზე, ძალების და საშუალებების ნაკლებობის შემთხვევაში, აგრეთვე მიმართულებებზე, სადაც შემდგომში შეტევაზე გადასვლა არ არის გათვალისწინებული. თავდაცვის წინა ხაზი შეიძლება ნაპირზე გადიოდეს, ხოლო დაბალი ნაპირის და ღია დაჭაობებული ადგილის შემთხვევაში, შესაძლოა, მისი სიღრმეში გადატანა. ამ შემთხვევაში ნაპირზე, ჩვეულებრივ, მეწინავე პოზიცია ეწყობა. წყლისმიერი დაბრკოლების მისადგომებზე მეწინავე პოზიციები იქმნება და შეიძლება მათგან კონტრშეტევების მოსაწყობად პლაცდარმები დატოვონ. წყლისმიერ დაბრკოლებასთან კუნძულის არსებობის შემთხვევაში მათზე საყრდენ პუნქტებს ქმნიან და მათ სპეციალურად გამოყოფილი ქვედანაყოფები იცავენ. **წ.დ.თ**-ის დროს ხდება ოპერატიული დაწყობა ერთ ან ორ ეშელონად. II ეშელონს (რეზერვს) განალაგებენ რაიონებში, რომლებიც ფორსირებისთვის ხელსაყრელ მონაკვეთებთან სწრაფ და ფარულ, აგრეთვე საჰაერო დესანტის შესაძლო რაიონებთან გასვლას უზრუნველყოფენ. **წ.დ.თ**-ზე გადასვლის დროს ძირითადი ყურადღება ეთმობა მონაკვეთების შენარჩუნებას, რომლებიც ხელსაყრელია ფორსირებისთვის და მათზე ცეცხლის მჭიდრო სისტემის და ღობურების შექმნისთვის. ცეცხლის სისტემა ისეთნაირად იქმნება, რომ წყლისმიერ დაბრკოლებასთან მისასვლელები, წყლის სარკე, განსაკუთრებით ფორსირებისთვის ხელსაყრელი მონაკვეთები ფლანგური და ჯვარედინი ცეცხლის ქვეშ მოექცეს, იქმნება ტანკსაწინააღმდეგო ცეცხლის უმეტესი სიმჭიდროვე. ორივე ნაპირზე **წ.დ.თ**-ის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საცეცხლე მხარდაჭერას და საჰაერო თავდაცვის ჯარებს. ისინი მოპირისპირე ნაპირზე იმყოფებიან, იცავენ საკუთარ ნაპირს, მათ ურთიერთქმედებას სამდინარო ხომალდებთან და ჯარებთან, გადასასვლელების მოწყობას და შენახვას. იმავდროულად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საკომენდანტო სამსახურს, რომელიც ორივე ნაპირზე იქმნება. საინჟინრო ღობურების შექმნისას, ჩვეულებრივი ღონისძიებების გარდა, გათვალისწინებულია სპეციალური დესანტსაწინააღმდეგო ნაღმების დადგმა, მათ შორის ფსკერის, საღუზე და ნაპირების ესკარპირება. **წ.დ.თ**-ის დროს კონტრშეტევები ჩვეულებრივ პირობებთან შედარებით შეიძლება ჩატარდეს უფრო ადრე, რომ მოწინააღმდეგეს საკუთარ ნაპირზე გამაგრების საშუალება არ მიეცეს.

წყნარი ოკეანის კამპანიები 1941–45, საომარი მოქმედებები იაპონიას, აშშ-სა და მათ მოკავშირეებს შორის წყნარი ოკეანის აუზში (მათ შორის ინდოჩინეთსა და ბირმაში) II მსოფლიო ომის დროს. 1941–42 წლებში იაპონიამ წყობიდან გამოიყვანა აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ძალები რეგიონში (იხ. *ფერლ-ჰარბორი*) და ხელთ იგდო ფილიპინები, მალაია, ინდონეზია, ბირმა და წყნარი ოკეანის მრავალი კუნძული. აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა 1943 წლისთვის აღიდგინეს საბრძოლო ძალები და კონტრშეტევაზე გადავიდნენ, 1944–45 წლებში განდევნეს იაპონელები მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიებიდან და იაპონიის კუნძულებს მიადგნენ. 1945 წლის 8 აგვისტოს იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩაება სსრ კავშირი 1945 წლის 6 და 9 აგვისტოს *ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომურმა დაბომბვამ* ამერიკელების მიერ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის ისტორიაში და იაპონიის მთავრობა აიძულა დათანხმებულიყო უპირობო კაპიტულაციაზე. კაპიტულაციას ხელი მოეწერა 1945 წლის 2 სექტემბერს. **წ.ო.კ**-ში განხორციელებული იყო მრავალი სადესანტო და დესანტსაწინააღმდეგო ოპერაცია, რომელთა მიმდინარეობა და შედეგი დამოკიდებული იყო ზღვასა და ჰაერში გაბატონებული მდგომა

რეობის მოპოვებაზე. სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარი დამრტყმელი ძალა იყო საავიამზიდო გაერთიანებები, ბრძოლის ძირითადი საშუალებები საზღვაო კომუნიკაციებზე – საავიამზიდო ავიაცია და წყალქვეშა ნავები. პირველად გამოიყენეს რადიოლოკატორები, ნაპალმი, რეაქტიული თვითმფრინავები, ხოლო ომის ბოლი დღეებში – ბირთვული იარაღი. მხარეთა დანაკარგი: იაპონელების – დაახლოებით 1,86 მლნ. კაცი, 200-მდე ხომალდი, 131 წყალქვეშა ნავი; ამერიკელების – 160 ათზე მეტი კაცი, 93 ხომალდი, 56 წყალქვეშა ნავი.

ჭ

ჭანკოტაძე დევი ვახტანგის ძე (დ. 1961), გენერალ-ლეიტენანტი (2012), გაერთიანებული შტაბის უფროსი (2009–12). დაამთავრა თბილისის უმაღლესი საარტილერო სამეთაურო სამხედრო სასწავლებელი (1982). მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში (1982–90), გორის მე-11 ბატალიონის შტაბის უფროსი (1991–92), ეროვნული გვარდიის საარტილერიო პოლკის მეთაური (1992–94), ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსი (1994–95), მეთაურობდა მთავარსარდლის რეზერვის საარტილერიო ბრიგადას (1996–99), არტილერიის სარდალი (1999–2000), გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე (2000–04). იყო სამხედრო წარმომადგენლი დსთ ქვეყნების სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბში, სამხედრო ატაშე რუსეთის ფედერაციაში (2004–05), სახმელეთო ჯარების საარტილერიო ბრიგადის მეთაური (2007–08). მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები.

ჭურვის სიჩქარე, საარტილერო ჭურვის წინსვლითი და ბრუნვითი (თუ სროლა წარმოებს კუთხვილიანი ქვემეხით) მოძრაობა. ლულიდან გამოსვლის მომენტში **ჭ.ს**. აღწევს 1000–1500 *მ/წმ*. ჭურვის ბრუნვის კუთხური სიჩქარე, რომელიც უზრუნველყოფს მისი ფრენის მდგრადობას, ლულის ბოლოს აღწევს მაქსიმალურ დონეს (200–250 *ბრ/წმ*). შემდეგ კი ტრაექტორიაზე თანდათან მცირდება ისევე, როგორც წინსვლითი სიჩქარე.

ჭურვის ტრაექტორია, უწყვეტი სივრცობრივი ხაზი, რომელსაც მოხაზავს საარტილერიო ჭურვის მასის ცენტრი ლულიდან გამოფრენის შემდეგ. არის ბალისტიკური, რაომელიც მსგავსია თავისუფლად გადაგდებული სხეულის ტრაექტორიისა (ჭურვი გამოფრენის შემდეგ მოძრაობს სიმძიმის ძალის და აეროდინამიკური წინაღობის ზემოქმედებით). პირობითად მიღებულია ტრაექტორიას ერქვას დამრეცი, თუ ლულის ჰორიზონტთან დახრის კუთხე არ აღემატება 20^0 და ციცაბო, თუ კუთხე აღემატება 20^0. **ჭ.ტ**. შეიძლება განისაზღვროს ცდების გზით, სატრაექტორიო გაზომვებით ან თეორიულად, ელექტროგამომთვლელი მანქანის საშუალებით ჭურვის ფრენის მათემატიკური მოდელის საფუძველზე. **ჭ.ტ**. განლაგებული სროლის ცხრილების პირობებში ეწოდება ცხრილური, ხოლო მის ელემენტები შეადგენს სროლის ცხრილების საფუძველს. ბალისტიკური რაკეტის ტრაექტორია შედგება აქტიური და პასიური უბნებისაგან. აქტიურ უბანზე რაკეტა იღებს მოცემულ სიჩქარესა და დახრის კუთხეს, პასიური უბნის გარე ატმოსფერულ მონაკვეთზე მოძრაობს როგორც თავისუფლად ვარდნილი სხეული, ატმოსფერულ მონაკვეთზე კი სტაბილურდება და მიზნისკენ მიფრინავს.

ჭურვის ჯავშნის მიღმა მოქმედება, ჭურვის დამაზიანებელი მოქმედება ჯავშნის შიგნით, რომელიც წარმოიქმნება ჯავშნის და ჭურვის ნამსხვრევებით, მუხტის აფეთქების პროდუქტებით ან კუმულაციური ნაკადით.

ხ

ხაზოვანი ტაქტიკა, ბრძოლის მომზადების და წარმოების ტაქტიკა ხაზოვანი საბრძოლო წყობით (ჯარების 2–3 ხაზი, თითოში 3–4 მწკრივი), ფრონტზე ძალების თანაბარი განაწილებით. გამოიყენებოდა XVII–XVIII საუკუნეების ყველა ევროპულ არმიაში. XVIII საუკუნის ბოლოდან დაიწყო მისი შეცვლა კოლონებისა და გაფანტული წყობის ტაქტიკით, თუმცა **ხ.ტ**-ის ელემენტები ზოგიერთ არმიაში XX საუკუნემდე შემორჩა. იხ. აგრეთვე *ხაზო ტაქტიკა.*

ხალხის გადაყვანა, იხ. *გადაადგილებული პირები, გადახიდვები.*

ხალხის მასები ომში, მეომარი ქვეყნის (სახელმწიფოების კოალიციის, ოკუპირებული ან დამოკიდებული ტერიტორიების) მოსახლეობის ქმედითუნარიანი ნაწილი. წარმოადგენს გადამწყვეტ ძალას ომში, რადგან მათი შემადგენლობიდან კომპლექტდება არმიები; ისინი არიან შეიარაღებული ბრძოლის, საბრძოლო მოქმედებების წარმოებისათვის აუცილებელი მატერიალური საშუალებების უშუალო მწარმოებლები; აფასებენ ომის იდეებს და განწყობას, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და არმიის სულისკვეთებას. ხალხის მასების ომისადმი დამოკიდებულება, მასში მონაწილეობის ხარისხი და მეთოდები დამოკიდებულია სხვადასხვა გარემოებაზე (ომის ხასიათი და მიზნები, საზოგადოებრივი წყობის ბუნება, სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობა, მხარეების სამხედრო შესაძლებლობები, ფსიქოლოგიური ბრძოლის მიმდინარეობა) და შეიძლება იცვლებოდეს, მათ შორის ომის დროსაც.

ხალხის რესურსები, მოსახლეობის ქმედითუნარიანი ნაწილი, რომელიც დაკავებულია ეკონომიკაში ან სამხედრო სამსახურში, ან აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამოიყენონ შეიარაღებული ძალების შესავსებად, ეკონომიკის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად და ეკონომიკური მობილიზაციის ჩასატარებლად, სახელმწიფოს სხვა თავდაცვითი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. დანიშნულების მიხედვით განასხვავებენ შრომით რესურსებს, რომლებიც განკუთვნილია სამუშაო ძალით ეკონომიკის ყველა სფეროს შესავსებად. ასევე სამობილიზაციო რესურს, რომელიც მიმართულია შეიარაღებული ძალების სამობილიზაციო გაშლისათვის და მათი დანაკარგების შესავსებად. **ხ.რ**-ში სახელმწიფოს მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობები დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობაზე და სოციალურ სტრუქტურაზე, მის კულტურულ-ტექნიკურ დონეზე. სახელმწიფოს ფიქსირებული დემოგრაფიული შესაძლებლობების პირობებში **ხ.რ**-ის ფარდობითი ზრდის უზრუნველყოფა ხდება მათი განაწილების და გამოყენების მეთოდების და ფორმების ცვლილებებით, მოსახლეობის ჩაბმით შეიარაღებულ ძალებში და სამხედრო წარმოებაში.

ხანგრძლივი მოქმედებების უნარი, სამხედრო ფორმირების უნარი, შეინარჩუნოს საბრძოლო ძლიერება იმ დროის განმავლობაში, რომელიც აუცილებელია მის წინაშე დასმული ამოცანების განსახორციელებლად.

ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა, ტექნიკური, ორგანიზაციული და სახანძრო-პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა ხანძრების პროფილაქტიკა და ჩაქრობა.

ხანჯალი, იხ. *საბელარი.*

ხანჯლისებრი ცეცხლი, იხ. *ცეცხლი.*

ხარჯვის ნორმები (მატერიალური საშუალებების), მატერიალური საშუალებების (გათვლით-მომარაგების ერთეულებში, ცალობით, მასის, მოცულობის ერთეულებში და სხვა) რაოდენობა, რომელიც დაწესებულია ერთ მომხმარებელზე (სამხედრო მოსამსახურეზე, იარაღის, სამხედრო ტექნიკის ერთეულზე, ქვედანაყოფზე, სამხედრო ნაწილზე, შენაერთსა და გაერთიანებაზე) ხარჯვისთვის დროის ერთეულში ან განსაზღვრული ამოცანის შესრულების დროს.

ხელმეხა, იხ. *თოფი.*

ხელსაწყოები, აუცილებელი ინფორმაციის მიღების, გათვლის პროცესების დაჩქარების, რეგულირების და მართვის უზრუნველყოფის ტექნიკური საშუალებები. განასხვავებენ: თვალთვალის (სადაზვერვო), გასაზომ, საკონტროლო, გასათვლელ, მართვის და სხვა **ხ**-ს; ასევე მექანიკურ, ელექტრომექანიკურ, ოპტიკურ, ოპტიკურ-ელექტრონულ, ელექტრონულ, რადიოლოკაციურ და სხვა **ხ**-ს. სამხედრო **ხ**-ის ყველაზე დამახასიათებელი დანიშნულების ჯგუფებია: საზენიტო-საარტილერიო, თვალთვალის, კუთხის და მანძილის მზომი, რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაზვერვის, ცეცხლის მართვის, სროლის მართვის, სატორპედო სროლის მართვის.

ხელყუმბარა, საბრძოლო მასალის სახეობა, რომელსაც ხელით ისვრიან. განასხვავებენ: ქვეითთა საწინაღო (მსხვრევადი, მსხვრევადფუგასური), ტანკსაწინააღმდეგო (კუმულაციური, ფუგასური), ცეცხლგამჩენ **ხ**-ს. ქვეითთა

საწინააღმდეგო **ხ.** შეიძლება იყოს შეტევითი (დამაზიანებელი ნამსხვრევების გაბნევის რადიუსი 20–25 *მ*), თავდაცვით (200 *მ*-მდე) და შეტევით-თავდაცვითი (აქვს ცვლადი მსხვრევადი გარსი), როგორც წესი, ქვეითსაწინააღმდეგო **ხ.** დისტანციური ქმედებისაა (შეკავება 3–5 *წმ*) ან დამრტყმელ-დისტანციური, ტანკსაწინააღმდეგო-დამრტყმელი.

ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ 1963, ცნობილია, როგორც მოსკოვის ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ სამ სფეროში. ხელმოწერილია მოსკოვში 1963 წლის 5 აგვისტოს სსრ კავშირის, აშშ-ის და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლების მიერ. ძალაში შევიდა 1963 წლის 10 ოქტომბერს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების მიერ მისი რატიფიკაციის და სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის შემდეგ. ხელშეკრულება არის უვადო და ღია ყველა სახელმწიფოსათვის ხელმოსაწერად. ხელშეკრულება შედგება პრეამბულისა და ხუთი მუხლისაგან, გარდა ბირთვული იარაღის გამოცდის აკრძალვისა ზემოაღნიშნულ სამ სფეროში, ხელშეკრულება კრძალავს ბირთვული იარაღის გამოცდას ნებისმიერ სფეროში, თუკი ასეთი აფეთქება გამოიწვევს რადიკალურ დაბინძურებას იმ ქვეყნის ტერიტორიული საზღვრების გარეთ, რომლის იურისდიქციითაც ან კონტროლქვეშ განხორციელდა ეს აფეთქება. გარდა ამისა, ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა ხელი არ უნდა შეუწყონ, არ უნდა წააქეზონ ან მონაწილეობა არ უნდა მიიღონ ამგვარ აფეთქებებში. ხელშეკრულების ხელმოწერამ ხელი შეუწყო გარემოს რადიაქტიური დაბინძურების თავიდან აცილებას.

ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ 1968, მრავალმხრივი საერთაშორისო აქტი, ხელი მოაწერეს 1968 წლის 1 ივლისს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, ყოფილმა სსრ კავშირმა და სხვა სახელმწიფოებმა. XXI საუკუნის დასაწყისისთვის მონაწილეთა რიცხვმა 140-ს გადაამეტა. ხელშეკრულება ავალდებულებს ბირთვულ სახელმწიფოებს, არ გადასცენ არაბირთვულ ქვეყნებს ბირთვული იარაღი და მისი კონტროლის ფუნქცია, არ დაეხმარონ მათ აღნიშნული იარაღის შეძენაში ან წარმოებაში. არაბირთვული სახელმწიფოები ვალდებული არიან, არ გამოიყენონ ბირთვული იარაღი, არ აწარმოონ, არ გამოცადონ იგი და არ ეცადონ ამ მიზნით ვინმეს დახმარების მოპოვებას. ასევე გააფორმონ ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოსთან შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს ამ სააგენტოს მიერ მთელი მათი ბირთვული საქმიანობის კონტროლს. ხელშეკრულება არ უშლის ხელს არც ერთ ქვეყანას, მშვიდობიანი მიზნით ბირთვული ენერგიის კვლევაში, წარმოებასა და გამოყენებაში.

ხელშეკრულება გერმანიის საბოლოო მოწესრიგების შესახებ 1990 (მოსკოვის ხელშეკრულება), ხელი მოაწერეს II მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოების – აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ყოფილი სსრ კავშირის, აგრეთვე ყოფილი – გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა. არეგულირებდა გერმანიის გაერთიანების პრობლემებს. განსაზღვრავდა ერთიანი გერმანიის საზღვრებს და აფიქსირებდა მის უარს რაიმე ტერიტორიულ პრეტენზიაზე სხვა სახელმწიფოების მიმართ. გაერთიანებული გერმანია აცხადებდა, რომ მისი ტერიტორიიდან არავის დაემუქრებოდა ომის საფრთხე; უარს ამბობდა ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის წარმოებაზე, ფლობასა და განკარგვაზე; ვალდებულებას კისრულობდა, რომ 3–4 წლის განმავლობაში შეიარაღებული ძალები შეემცირებინა 370 ათ-მდე, რის შემდეგაც, 1994 წლის ბოლომდე, ყოფილ საბჭოთა კავშირს მისი ტერიტორიიდან უნდა გამოეყვანა თავისი ჯარები. ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე იკრძალებოდა უცხოეთის ჯარების და ბირთვული იარაღის განლაგება.

ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ 1990, დაიდო ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების (ბულგარეთი, პოლონეთი, რუმინეთი, სსრ კავშირი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია) ჯგუფსა და ბრიუსელის 1948 წლისა და ვაშინგტონის 1949 წლის ხელშეკრულებაში შემავალ ქვეყნებს (ბელგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საბერძნეთი, დანია, ისლანდია, ესპანეთი, იტალია, კანადა, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, ნორვეგია, პორტუგალია, დიდი ბრიტანეთი, აშშ, თურქეთი და საფრანგეთი) შორის. დაწესდა შეზღუდვები ჩვეულებრივ შეიარაღებაზე და სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის ავიაციის სამხედრო ტექნიკის რაოდენობაზე ევროპაში. სახელმწიფოთა ორი ჯგუფიდან თითოეულმა ვალდებულება იკისრა, რომ ექნებოდა არა უმეტეს 20 000 საბრძოლო ტანკი, 30 000 საბრძოლო ჯავშნიანი მანქანა, 20 000 საარტილერიო სისტემა, 6 800 საბრძოლო თვითმფრინავი და 2000 დამრტყმელი ვერტმფრენი, აქედან რეგულარულ ნაწილებში – არა უმეტეს 16 500 ტანკი, 27 300 დაჯავშნული მანქანა და 17 000 საარტილერიო სისტემა.

ხელშეკრულება კოსმოსის შესახებ 1967 (კოსმოსური სივრცის, მათ შორის, მთვარის და სხვა ციური სხეულების კვლევის და გამოყენებისთვის სახელმწიფოების საქმიან-

ობის პრინციპების შესახებ), ხელი მოაწერეს დეპოზიტორმა ქვეყნებმა (აშშ, დიდი ბრიტანეთი, ყოფილი სსრ კავშირი) 1967 წლის 27 იანვარს; ღიაა სხვა სახელმწიფოების მიერ ხელმოწერისთვის; ძალაში შევიდა იმავე წლის 10 ოქტომბერს. მონაწილეთა რიცხვი XXI საუკუნის დასაწყისისათვის აღემატებოდა 127-ს. არის საერთაშორისო კოსმოსური სამართლის ფუძემდებელი აქტი. კრძალავს კოსმოსში ბირთვული იარაღით ან სხვა სახეობის მასობრივი დაზიანების იარაღით აღჭურვილი ობიექტების განლაგებას, სამხედრო ბაზების შექმნას და განმტკიცებას, ნებისმიერი ტიპის იარაღის გამოცდას. მთვარე და სხვა ციური სხეულები უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით, ყველა ქვეყნის ინტერესების და კეთილდღეობისთვის. კრძალავს ციური სხეულების და კოსმოსური სივრცის მითვისებას.

ხელშეკრულება ლათინურ ამერიკაში ბირთვული იარაღის აკრძალვის შესახებ, ფლატელკოს ხელშეკრულება 1967, იხ. *არა-ბირთვული ზონა.*

ხელშეკრულება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეზღუდვის შესახებ 1972, დაიდო აშშ-სა და ყოფილ სსრ კავშირს შორის. შეიზღუდა: რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის რაიონების რიცხვი თითოეული ქვეყნისთვის ორამდე (დედაქალაქის ირგვლივ და საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების პოზიციურ რაიონში); ასევე – გამშვები დანადგარების და თვით რაკეტსაწინააღმდეგო საშუალებების რაოდენობა სასტარტო პოზიციებზე (არა უმეტეს 100 ერთეულისა), ორივე რაიონიდან თითოეულის რადიუსი (არა უმეტეს 150 *კმ*-ისა). მხარეებს აქვთ რადიოლოკაციური სადგურების გამოყენების უფლება, რომ განეხორციელონ საზღვაო, საჰაერო, კოსმოსური ან მობილურ-სახმელეთო ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის მოდერნიზება. ამავე დროს შეეცვალათ მისი სისტემები ან კომპონენტები. ხელშეკრულება უკრძალავდა მხარეებს შეექმნათ, გამოეცადათ და განელაგებინათ საზღვაო, საჰაერო, კოსმოსური ან მობილურ-სახმელეთო ბაზირების რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემები-/კომპონენტები/. ასევე შეექმნათ და გამოეცადათ თითოეული გამშვები დანადგარიდან ერთზე მეტი რაკეტის ერთდროული გაშვების სისტემები და გამშვები დანადგარის ჩქაროსნული გადამუხტვის სისტემები. ხელშეკრულების დაცვის კონტროლი დაეკისრათ ეროვნულ-ტექნიკურ საშუალებებს საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე. ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მხარეებმა ერთობლივად უნდა განიხილონ ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობა. 1974 წელს რაკეტსაწინაღო თავდაცვის რაიონების რაოდენობა თითოეული მხარისათვის ერთამდე შეიზღუდა.

ხელშეკრულება საზღვაო ფსკერის შესახებ 1971 (ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და მის წიაღში ბირთვული იარაღის და მასობრივი დაზიანების სხვა სახეობების იარაღის განლაგების აკრძალვის შესახებ), შეიმუშავა გაეროს განიარაღების კომიტეტმა. მონაწილე სახელმწიფოებმა, რომლებიც აღიარებდნენ კაცობრიობის საერთო დაინტერესებას ზღვის ფსკერის კვლევასა და მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისაში. ვალდებულება იკისრეს, არ განალაგონ და არ დააყენონ ზღვების და ოკეანეების ფსკერზე 12 *მილიან* სანაპირო ზონის ფარგლებს გარეთ მასობრივი დაზიანების იარაღი. ასევე – ნაგებობები, გამშვები დანადგარები და სხვა მოწყობილობები, რომლებიც განკუთვნილია ასეთი იარაღის შენახვის, გამოცდის ან გამოყენებისათვის. ხელშეკრულების დაცვის შემოწმება ხორციელდება საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად.

ხელშემშლელი ცეცხლი, ცეცხლი, რომელიც წარმოებს მოწინააღმდეგის გადაადგილების და/ან ცეცხლის წარმოების ხელის შეშლის და შეფერხებისთვის.

ხელშეუხებელი მარაგი, მოიცავს საჯარისო მარაგის ნაწილს, რომლის გახარჯვაც ხდება განსაკუთრებულ შემთხვევებში შესაბამისი მეთაურის (უფროსის) ნებართვით. იხ. აგრეთვე *მატერიალური საშუალებების მარაგი.*

ხელში ჩაგდება, დადგენილი რაიონის მოწინააღმდეგის ძალებისაგან გაწმენდა და მასზე კონტროლის მოპოვება.

ხელშუბა, მოკლე შუბი, სათხედი, იხ. *შუბი, ლახვარი.*

ხელჩართული ბრძოლა, ახლო მანძილიდან ბრძოლა, რომელშიც მხარეები ერთმანეთს უპირისპირდებიან ცივი იარაღით, ხელის სასროლი იარაღით, ხელყუმბარებით, აგრეთვე სახელდახელო საშუალებებითა და საბრძოლო შერკინების ხერხებით.

ხერბი, ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო არაფეთქებადი დაბრკოლება. მისი მოწყობა ხდება მოჭრილი ხეებით, ქვებით, თოვლით და სხვა. მოწინააღმდეგის მოსალოდნელი გადაადგილების გზებზე, იქ, სადაც შემოვლა გაძნელებულია. **ხ**-ების გასამაგრებლად წაქცეულ ხეებს შემოავლებენ მავთულხლართებს, აყენებენ ტანკსაწინააღმდეგო და ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმებს.

ხვრელი, თხრილის ფორმის საფორტიფიკაციო ნაგებობა 3 – 6*მ.* სიგრძის და 1,5 – 1,8*მ.* სიღრმის. იგი განკუთვნილია პირადი შემადგენლობის მოწინააღმდეგის დაზიანების საშუალებებისგან დასაცავად. შეიძლება იყოს ზევიდან ღია ან მორებით (ფიცრებით, რკინაბეტონის ფილებით და ა.შ.) გადახურული,

მასზე განთავსებული 0,5 – 0,6 *მ* გრუნტის ფენით.

ხიდგამდები, იხ. *მექანიზებული ხიდი.*

ხიდი, ხელოვნური ნაგებობა, გადაჭიმული მდინარეზე, ხეობაზე, ტბაზე ან ნებისმიერ სხვა ფიზიკურ დაბრკოლებაზე; კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი საინჟინრო გამოგონება. გზაზე გადებულ **ხ**-ს გზამკვლევს უწოდებენ, ხოლო ხეობაზე ან ვარდნილზე გადაჭიმულს – ვიადუკს. **ხ**-ის კონსტრუქცია დამოკიდებულია მის ფუნქციაზე და ლანდშაფტზე, სადაც ეს **ხ**. უნდა გაიდოს.

ხიდმშენებლობის საშუალებები, ხისტსაყრდენიანი სამხედრო ხიდების აგების დროს ძირითადი ოპერაციების ჩასატარებელი სპეციალური საშუალებები. მათ რიცხვს განეკუთვნება ცალკეული ოპერაციების (ხიმინჯების ჩასასობი და ჩასახრახნი დანადგარები, საავტომობილო ამწეები და სხვა) და კომპლექსური სამუშაოების შესასრულებელი (სამხედრო ხიდების კომპლექტები ხიმინჯსასობ-სამშენებლო ბორანი მოწყობილობითურთ, ელექტროსადგურები, ძრავიანი ხერხები, ჯალამბრები, მოტორიანი ნავები, სატრანსპორტო ავტომობილები და სხვა) **ხ.ს.**

ხიდური გადასასვლელი, იხ. *გადასასვლელი.*

ხირიმული, თოფის სახეობა.

ხიშტი, ცეცხლსასროლი იარაღის (შაშხანა, კარაბინი, ავტომატი, თოფი) ლულის ტუჩთან მისამაგრებელი საჩხვლეტი და მკვეთელი ცივი იარაღი, რომელსაც ხელჩართულ ბრძოლაში იყენებენ. გაჩნდა საფრანგეთში XVII საუკუნის შუა ხანებში. პირველად იყო მოკლე შუბი ან დანა, რომელიც ხის ტარით ლულაში მაგრდებოდა. XVII საუკუნის ბოლოდან დაიწყეს ხიშტის ლულაზე ჩამოცმა, რაც იმავდროულად თოფის სროლის საშუალებას იძლეოდა. იხ. *ლახვარი.*

ხიშტით ბრძოლა, იხ. *ბრძოლა.*

ხმალი, წელზე შემოსაკრავი გრძელი (0,9–1,2*მ*) ცალფხიანი მკვეთელ-საჩხვლეტი ცივი იარაღი სწორი ან მოხრილი პირით (იხ. *ფრანგული ხმალი, გორდა*). გაჩნდა აღმოსავლეთის ქვეყნებში VI–VII საუკუნეებში, როგორც ცხენოსანი ჯარის იარაღი. საქართველოში იმთავითვე იყო ცნობილი, მაგრამ **ხ**-ით მახვილის საბოლოო შეცვლა XIV–XV საუკუნეებში მოხდა. საჩეხ-საჩხვლეტი, მოგრძო, ოდნავ მოღუნული ცივი იარაღი. ცალპირიანი, წინა ნაწილი ორმხრივია, სახელური ჯვარედინი ან უჯვარედინო. მასის და სიგრძის მიხედვით ხმლის ანალოგია. XIX საუკუნეში სავალდებულო იყო ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელების, რეგულარული კავალერიის და ცხენოსანი არტილერიის ყველა ოფიცრისთვის. კავალერიის და ცხენოსანი არტილერიის გაუქმების შემდეგ გამოიყენება მხოლოდ როგორც საადლუმო იარაღი.

ხმაურის პელენგატორი (ხმაურის პელენგაციის სადგური), ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყოების და მოწყობილობების კომპლექსი, რომელიც ხმაურის წყაროს აღმოჩენის და მასზე მიმართულების განსაზღვრის საშუალებას იძლევა. შედგება მიმღები აკუსტიკური ანტენისგან, გამაძლიერებლისგან, სიგნალების დამუშავების სისტემის და ინდიკატორული მოწყობილობისაგან. განასხვავებენ სახომალდე, საავიაციო და სანაპირო **ხ.პ**-ებს.

ხმაურსაწინააღმდეგო მოწყობილობები, მომუშავე მექანიზმების და მანქანების ხმაურის შემამცირებელი საშუალებები. **ხ.მ**. არის: ს ა ე რ თ ო – შენობების შიდა კედლების დაფარვა ხმის საიზოლაციო და ხმის შთანმთქმელი მასალებით (აკუსტიკური დაფარვა); ა დ გ ი ლ ო ბ რ ი ვ ი – ხმის საიზოლაციო გარსაცავები, აკუსტიკური კაბინები, ეკრანები, პასიური ჩამხშობები და სხვა. ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი – ხმის საიზოლაციო ყურსასმენები და ჩაფხუტები, აქტიური ჩამხშობები და სხვა. ფართოდ გამოიყენება სამხედრო დანიშნულების ობიექტებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყალქვეშა ნავებზე და ნავსაწინააღმდეგო ხომალდებზე.

ხმელეთიდან ბრძანების შესაბამისად დასაფრენად შესვლის სქემა, ტექნიკური ილეთი, რომლის დროსაც გამოიყენება ხედვის და დაჯდომის რადიოლოკატორები, საჰაერო ხომალდების პილოტებისთვის რადიოკავშირების მეშვეობით დაჯდომისთვის აუცილებელი მითითებების გასაცემად.

ხმელთაშუა ზღვის დიალოგი, 1995 წელს ნატოს მიერ წამოყენებული ინიციატივა, რომლის მიხედვით ალიანსმა მოუწოდა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს დაეწყოთ დიალოგი უსაფრთხოების საკითხებზე. დღეისათვის მასში მონაწილეობენ ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო და ტუნისი. დიალოგის მიზანია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისათვის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის საკითხებში დახმარების გაწევა, ურთიერთგაგების განმტკიცება, ნატოს და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოება.

ხომალდ-გამმართველის კიჩოდან საწვავით კმაგამართვა, დია ზღვაში საწვავით კმაგამართვა, რომლის დროსაც გასამართი ხომალდები გამმართველის კიჩოს მიღმა იმყოფებიან.

ხომალდების ბაზირების მეწინავე პუნქტი, ნავსადგური (ნავსაყუდელი, უბე), რომელიც სხვა პუნქტებზე უფრო ახლოს მდებარეობს საბრძოლო მოქმედებების სავარაუდო რაიონებთან და საშუალებას აძლევს ბაზირებულ სახომალდო ძალებს სწრაფად გაიშალონ საბრძოლო ამოცანების გადასაწყვეტად. ხომალდების სადგომს და ლოგისტიკურ უზრუნ-

ველყოფას **ხ.ბ.მ.პ**-ში ახორციელებენ ბაზირების მოძრავი საშუალებების გამოყენებით.

ხომალდების მეწინავე რაზმი, წყალზედა ხომალდების გაერთიანების (შენაერთის) სალაშქრო ან საბრძოლო წყობის ელემენტი, რომელსაც მთავარი ძალებისაგან გამოყოფენ და წინ წაწევენ სარისკო მიმართულებაზე. ამის მიზანია დროულად აღმოაჩინონ მოწინააღმდეგის ხომალდები, აცნობონ მათ შესახებ თავიანთ ძალებს და აიძულონ მოწინააამდეგეს გაშლა. ასევე დაზვერონ მისი სუსტი ადგილები, მიაყენონ ამ ადგილებზე დარტყმები, მოაგებინონ მთავარ ძალებს დრო ბრძოლისათვის მოსამზადებლად ან ბრძოლისაგან თავის ასარიდებლად.

ხომალდების უზრუნველყოფა ზღვაში, ხომალდების შევსება მატერიალური საშუალებებით (საბრძოლო მასალები, საწვავი, სურსათი და სხვა) ნავსადგურებში შეუსვლელად. ხორციელდება დანიშნულ ადგილებში უზრუნველყოფის გემებით. ხდება მოძრაობის დროს, დრეიფში ან ზღუდის სადგომზე. საგანგებო შემთხვევაში შეიძლება შესრულდეს თვითმფრინავებით ხომალდების სიახლოვეს კონტეინერების ჩამოყრით და ვერტმფრენებით ხომალდების ბორტზე ტვირთის მიტანით.

ხომალდების შენაერთების თავდაცვა და დაცვა, ღონისძიებების და მოქმედებების კომპლექსი, რომელის მიზანია მოწინააღმდეგის საჰაერო, წყალქვეშა და წყალზედა თავდასხმის მოგერიება და შენაერთის ხომალდების ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნება. ხორციელდება ზემდგომი უფროსის განკარგულებით გამოყოფილი ძალებით, შენაერთების ძალებით და საშუალებებით. იქმნება დასაცავი ძალების მოქმედ ძალებთან შეთანხმებით.

ხომალდის ავტონომიურობა, ხომალდის შესაძლებლობა შეასრულოს ამოცანები მატერიალური საშუალებების შევსების და პირადი შემადგენლობის შეცვლის გარეშე. ზოგადად იზომება დღე-ღამეების რაოდენობით. **ხ.ა.** სხვადასხვა კლასის და ჩვეულებრივი ენერგეტიკული დანადგარებით შეადგენს 90 დღე-ღამეს (წყალქვეშა ნავების 60–120 დღე-ღამეს). ბირთვული ენერგეტიკული დანადგარებიანი ხომალდებისთვის ავტონომიურობა განისაზღვრება ძირითადად ეკიპაჟის ფსიქოფიზიკური შესაძლებლობებით.

ხომალდის ბაბირით მიბმა, ხომალდის მისვლა, დაყენება და მისამაგრი მოწყობილობებით პირსთან (მისადგომთან) ან სხვა ხომალდის ბორტთან მიბმა. განასხვავებენ ხომალდების ბორტით და კიჩოთი მიბმას.

ხომალდის ეკიპაჟის სიცოცხლისუნარიანობა, კომპლექსური დახასიათება, რომელიც ადამიანის ცხოველქმედებისთვის ცურვის პირობებში ხომალდის შეგუების ხარისხს აჩვენებს. **ხ.ე.ს.** გარემოს რიგი ფაქტორების ერთობლიობით ხასიათდება: სოციალური (ეკიპაჟის წევრების განთავსება საბრძოლო საგუშაგოებზე და საცხოვრებელ ადგილებში, ხომალდზე სამსახურის ორგანიზება, პირადი შემადგენლობის შრომის და დასვენების პირობები და ა.შ.), ფიზიკური (შენობების მიკროკლიმატი და განათება, ხმაური, ვიბრაცია, ელექტრომაგნიტური დასხივება), ქიმიური (ოთახის საჰაერო გარემო, მისი დასუფთავების საშუალებები და ხარისხი) და ბიოლოგიური (ეკიპაჟის უზრუნველყოფა წყლით და საკვებით, მიკროფლორის არსებობა). ხომალდის ეკიპაჟის სიცოცხლისუნარიანობისთვის არასასურველი პირობების ძირითადი მაჩვენებლებია ჰიგიენური ნორმატივებისგან გარემოს ფაქტორების გადახრის ხარისხი, ხოლო მისი ინტეგრალური ასახვა – მეზღვაურების სუბიექტური მდგომარეობა, შრომისუნარიანობა და ჯანმრთელობა.

ხომალდის იძულებითი შესვლა, წესი, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო ხომალდების შესვლის უფლებას უცხო ქვეყნების წყლებში და პორტებში საგანგებო გარემოებაში (ავარია, ძლიერი შტორმი, აუცილებელი სამედიცინო დახმარების მიღება და სხვა) წინასწარი ნებართვის გარეშე, მაგრამ მოცემული სახელმწიფოს საპორტო ხელისუფლების შეტყობინებით.

ხომალდის კურსიდან გადახრა, ხომალდის (გემის) მოცემული კურსიდან გადახრა ჰიდრომეტეოროლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად. განასხვავებენ დინებით, ჯამურ (ქარი, ტალღები, დინება), მოდრეიფე ყინულის ზემოქმედებით გამოწვეულ გადახრას კურსიდან. გადახრის სიდიდე განისაზღვრება კუთხით ნამდვილ კურსსა და ხომალდის ფაქტობრივი მოძრაობის ხაზს შორის.

ხომალდის მანევრირება, 1. ხომალდის მოძრაობის მიმართულების და სიჩქარის შეცვლა (ხოლო წყალქვეშა ნავებისთვის ჩაყვინთვის სიღრმისაც) რაიმე მიზნის მისაღწევად. მაგალითად: ნავსაყუდელთან მისვლა და მისგან გამოსვლა, ღუზაზე დაყენება, ღუზიდან მოხსნა, ზღვაში სხვა გემებისგან დაშორება, ერთობლივი ნაოსნობისთვის ორდერში დაწყობა მოწინააღმდეგის ძებნის დროს, მოწინააღმდეგესთან მიახლოება და პოზიციის დაკავება მის მიმართ იარაღის გამოყენების მიზნით და სხვა. 2. სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც ხომალდის მანევრის მართვის საკითხებს სწავლობს.

ხომალდის ნაოსნობა, ხომალდის მიერ ნაოსნობის უნარის და ყველა სახის იარაღის და ტექნიკის საბრძოლო გამოყენების შესაძლებლობის შენარჩუნება რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში (ინტენსიური ზღვის ღელვა, ქარი და ა.შ.). **ხ.ნ.** განისაზღვრება: ცურვის შესაძლებლობით, რყევის სიმდოვრით და ამპლიტუდით, სტატიკური და დინამიკური მდგრადობით, სიმტკიცით, მანევრირების უნ-

არით და ღელვის დროს მოცემული კურსის და სიჩქარის შენარჩუნებით. **ხ.ნ**-ის ძირითადი ელემენტები განისაზღვრება პროექტირების პროცესში თეორიული გათვლებით, მოწმდება ცდების ჩასატარებელ აუზებში და სანაოსნო გამოცდების პროცესში.

ხომალდის სვლის ხარისხი, საზღვაოსნო თვისებების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ხომალდის მოძრაობის და მანევრირების შესაძლებლობებს. მათ მიეკუთვნება: სვლის უნარი, ხომალდის მოცემული სიჩქარის განვითარების და შენარჩუნების მთავარი ენერგეტიკული დანადგარის სიმძლავრის გარკვეული ხარჯვის პირობებში. ასევე მართვა, ინერცია, მოცემული კურსის მდგრადობა, ღელვის დროს სიჩქარის შენარჩუნება, ინერციის ჩახშობის დრო და მანძილი, რომელსაც გაივლის ხომალდი სრული უკუსვლის ჩართვის შემდეგ. **ხ.ს.ხ.** ფასდება დაპროექტებისას, განისაზღვრება ხომალდის სვლის გამოცდის დროს.

ხომალდის სტატიკა (ბერძნული statike – სწავლება წონასწორობის შესახებ), ხომალდის თეორიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის წყალში მცურავი ხომალდის წონასწორობას სტატიკურად მიყენებული ძალების და მომენტების მოქმედების შედეგად. ზოგჯარ **ხ.ს.** მოიცავს წყალში ჩაშვების თეორიას, ასევე შეისწავლის ცურვის, მდგრადობის, ჩაძირვის წინააღმდეგ თეორიას, რომლებიც ხომალდის ძირითადი საზღვაოსნო თვისებებია. გარდა ამისა, მათემატიკურ დამოკიდებულებას ხომალდის ზომების, ფორმის, დატვირთვის და ზღვაოსნობის ელემენტებს შორის, რომლებიც ახასიათებენ ამ თვისებებს. იგი ამუშავებს მოცემული ელემენტების გაანგარიშების პრაქტიკულ მეთოდებს, ხომალდის პროექტირების და ექსპლუატაციის დროს ითვალისწინებენ ჩამოთვლილ ძირითად დებულებებს.

ხომალდის შუქი და ნიშნები, ფარნის და შავი ფერის ფიგურის (სფერო, კონუსი, ცილინდრი, რომბი) სახის ტექნიკური მოწყობილობები. იყენებენ ხომალდებზე ერთმანეთის ადგილსამყოფელის, მანძილის, მოძრაობის მიმართულების გასარკვევად, ასევე – საქმიანობის ხასიათის და მანევრის შესაძლობების ინფორმირების მიზნით. შუქის და ნიშნების განლაგებას, მათ ფერს, ტექნიკურ მახასიათებლებს და გამოყენების წესს არეგულირებს ზღვაში ხომალდების შეჯახების გაფრთხილების 1972 წლის საერთაშორისო წესები. ზოგიერთ სამხედრო ხომალდზე (ავიამზიდებზე, წყალქვეშა ნავებზე, კატარღებზე და სხვა) შესაძლოა დამატებითი შუქი და ნიშნები დაწესდეს. მახასიათებლებს და გამოყენების წესებს ატყობინებენ მეზღვაურებს.

ხომალდის ჩაძირვის საწინააღმდეგო თეორია, 1. წყალზედა ხომალდის თვისება შეინარჩუნოს ცურვის უნარი და აუცილებელი მდგრადობა საბრძოლო ან ავარიული დაზიანების, კორპუსში წყლის შესვლის დროს. წყალქვეშა ნავისთვის განასხვავებენ წყალზედა და წყალქვეშა ცურვის შესაძლებლობას. უზრუნველყოფა ხდება ცურვის შესაძლებლობის მარაგით, კორპუსის განსაკუთრებული ტექნიკური მდგომარეობით, ხომალდის ქმედითუნარიანობა ბრძოლის ტექნიკური საშუალებებით და ეკიპაჟის (პირადი შემადგენლობის) სწორი მოქმედებებით ხორციელდება. 2. თეორია, რომელიც ხომალდის ფართის წყლით დაფარვის დროს დახრილობის, დიფერენტის, მდგრადობის და სხვა პარამეტრების გათვლების მეთოდებს ამუშავებს.

ხომალდის ცურვის შესაძლებლობა, განსაზღვრულ მდგომარეობაში ცურვის შესაძლებლობა, როდესაც ბორტზე არის საშტატო იარაღი და ტვირთის განსაკუთრებული რაოდენობა. **ხ.ც.შ.** განისაზღვრება ჰიდროსტატიკური წნევის და ხომალდის სიმძიმის ძალის ტოლობით. მათი მოქმედებები საწინააღმდეგო მიმართულებისაა, ხოლო მოდების წერტილები ერთ ვერტიკალზე მდებარეობენ. წყალქვეშა ნავის ცურვა არის წყლის ზედაპირთან მიმართებაში სხვადასხვა მდგომარეობაში სხვადასხვა ამოცანის შესრულებისთვის საჭირო ტვირთით სტატიკურ წონასწორობაში ცურვის შესაძლებლობა. **ხ.ც.შ** ხომალდის სტატიკის ნაწილია, რომელიც შეისწავლის ხომალდის წყალწყვის გამოანგარიშების მეთოდებს და ნახაზის თეორიულ მახასიათებლებს.

ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი, სარაკეტო კომპლექსის სახეობა, განკუთვნილი ძირითადად წყალზედა ხომალდების, აგრეთვე სანაპირო ობიექტების და სახმელეთო რადიოკონტრასტული მიზნების დასაზიანებლად. **ხ.ს.კ.** შეიძლება იყოს: ოპერატიული, ოპერატიულ-ტაქტიკური და ტაქტიკური; სახომალდო, სანაპირო და საავიაციო; არის წყალზედა ხომალდების და წყალქვეშა ნავების, სამხედრო-საზღვაო ძალების სანაპირო სარაკეტო ნაწილების, თვითმფრინავებისა და ვერტმფრენების შეიარაღებაში. **ხ.ს.კ**-ის შემადგენლობაში შედის მართვადი რაკეტები (ჩვეულებრივ, ფრთოსანი), გამშვები დანადგარები (მოწყობილობები), სროლის მართვის ავტომატიზებული სისტემები, ყოველდღიური და სტარტისწინა მომსახურების საშუალებები და სხვა. რაკეტის მართვის სისტემა, ჩვეულებრივ, იგება ავტონომიური (ინერციული) მართვის და ფრენის საბოლოო უბანზე თვითგამიზვნით.

ხორვატია (ინგლისური – Croatia, ხორვატული – Hrvatska, ხორვატიის რესპუბლიკა), სახელმწიფო სამხრეთ ევროპაში, ყოფილი იუგოსლავიის შემადგენელი რესპუბლიკა. ქვეყანას სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ადრიატიკის ზღვა. ფართობი 56,5 ათ. *კმ²*. მოსახლეობა 4,4 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა –

ხორვატული. დედაქალაქი – ქ. ზაგრები. ადმინისტრაციულად იყოფა 20 ჟუპანად (პროვინცია). სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ძალაუფლება აქვს სობორს (კრება) – ორპალატიან პარლამენტს, აღმასრულებელი – მთავრობას. **ხ.** II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, 1945 წლიდან 1991 წლამდე, შედიოდა იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში. 1991 წლის 25 ივნისს გამოვიდა აღნიშნული ფედერაციიდან და გამოაცხადა დამოუკიდებლობა. არის ნატოს წევრი ქვეყანა. **ხ.** განვითარებული ინდუსტრიული ქვეყანაა. მრეწველობის წამყვანი დარგებია: ქიმიური, მსუბუქი, კვების მრეწველობა. განვითარებულია სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: მარცვლეული კულტურის, კარტოფილის, შაქრის ჭარხლის მოყვანა. ასევე – საერთაშორისო ტურიზმი. ძირითადი საზღვაო პორტებია: რიეკა, დუბროვნიკი, სპლიტი, შიბენიკი (ადრიატიკის ზღვა) და ვუკოვარი (მდინარე დუნაი). საერთაშორისო აეროპორტი – ზაგრები. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 19,6 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 14,3 ათ., სამხედრო-საჰაერო 3,5 ათ. და სამხედრო-საზღვაო 1,8 ათ.. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ხრესილის ბრძოლა 1757, ქართველთა ლაშქრის ბრძოლა *სოლომონ I*-ის სარდლობით ოსმალებთან ხრესილის ველზე (იმერეთის ჩრდილო მთისწინეთში). ოსმალები ვერ ურიგდებოდნენ სოლომონის პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო იმერეთის სამეფოს გაძლიერებისა და დასავლეთ საქართველოში ტყვეთა სყიდვის აკრძალვისაკენ. ისინი დაუკავშირდნენ მეფის ცენტრალიზებული კურსის მოწინააღმდეგე თავადებს როსტომ რაჭის ერისთავისა და ლევან აბაშიძის მეთაურობით და მათი დახმარებით იმერეთში შემოიჭრნენ. ოსმალთა ჯარი ხრესილის ველზე იყო დაბანაკებული, როდესაც გათენებისას, 1757 წლის 14 დეკემბერს, მას სოლომონ I-მა შეუტია იმერლებით; მეფეს მხარში ედგა აგრეთვე ოდიშ-გურიისა და სამურზაყანოს ფეოდალური რაზმები. თავგანწირულ ბრძოლაში ოსმალები დამარცხდნენ, მათი სარდალი ბრძოლის ველზე დაეცა. ასევე დაიღუპა ლევან აბაშიძე. როსტომ რაჭის ერისთავმა გაქცევით უშველა თავს. მეფის ლაშქარმა ოსმალებთან შედარებით ნაკლები, მაგრამ მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა. მოკლულთა შორის იყო სამურზაყანოელთა მეთაური ხუტუნია შარვაშიძე, რომელმაც ბრძოლაში საარაკო გმირობა გამოიჩინა.

ხუთი სახელმწიფოს ხელშეკრულება 1922 (აშშ, დიდი ბრიტანეთი, იაპონია, იტალია და საფრანგეთი), საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ხელი მოაწერეს ვაშინგტონის 1921–22 წლის 6 თებერვლის კონფერენციაზე. განსაზღვრავდა ხუთი ქვეყნის ფლოტების საერთო ტონაჟს 5 : 5 : 3 : 1, 75 : 1, 75 თანაფარდობით; ცალკე – სახაზო ხომალდების და ავიამზიდის ტონაჟს; სახაზო ხომალდის, ავიამზიდის, კრეისერის წყალწყვის ნორმებს და მათი არტილერიის ზღვრულ კალიბრს. დანარჩენი ტიპის გემებისთვის შეზღუდვები არ დაუწესებიათ.

ხუთმხრივი შეთანხმება თავდაცვის შესახებ 1971 (ანზიუსი), დიდი ბრიტანეთის, ავსტრიის, ახალი ზელანდიის, მალაიზიის და სინგაპურის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. სახელი ეწოდა ძირითადი მონაწილე სახელმწიფოების სახელწოდების საწყისი ასოების მიხედვით. ხუთმხრივი შეთანხმება დაიდო ამ ქვეყნების ლონდონის თათბირზე (1971 წლის 15–16 აპრილს) თავდაცვის მინისტრების ერთობლივი კომუნიკეს ფორმით. ძალაში შევიდა 1971 წლის 1 ნოემბერს. ხუთმხრივი შეთანხმების მიზნად გამოცხადდა „მალაიზიის და სინგაპურის დაცვა გარეშე თავდასხმისგან“. ხუთმხრივი შეთანხმების შესაბამისად შეიქმნა ანზიუსის გაერთიანებული შეიარაღებული ძალები. იხ. აგრეთვე *თავდაცვის შესახებ ხუთმხრივი შეთანხმება (ANZIUK) 1971 წლის.*

ხუნტა (ესპანური junta – საკრებულო, გაერთიანება), საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების, სახელმწიფო ორგანოებისა და სამხედრო მთავრობის სახელწოდება ესპანურენოვან ქვეყნებში. ხშირად ქარაგმულად ასე უწოდებენ აგრეთვე სამხედრო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსულ მთავრობას ზოგიერთ ქვეყანაში.

ჯ

ჯავშანგამტანი საავიაციო ბომბი, იხ. *საავიაციო ბომბი.*

ჯავშანგამტანი საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

ჯავშანგამტან-ფუგასური საარტილერიო ჭურვი, იხ. *საარტილერიო ჭურვი.*

ჯავშანი, იარაღის ზემოქმედებისგან დამცავი საშუალება. წარმოადგენს მდგრად წინაღობას და დამზადებულია სპეციალური მასალისგან. ყველაზე ფართო გავრცელება პოვა ფოლადისგან დამზადებულმა ჯ-მა. ის საჭირო სიმაგრეს აღწევს ლეგიტიმირებული ელემენტების (ნიკელის, ქრომის, მარგანეცის, კაუსა და მოლიბდენის) შერჩევით, გამოდნობის ტექნოლოგიით და თერმოდამუშავებით; მაღალი მდგრადობის შენადნობებიდან ალუმინის საფუძველზე მაგნიუმის, თითბრის, მარგანეცისა და ქრომის დამატებით, აგრეთვე ტიტანის შენადნობების საფუძველზე. საჯავშნე მასალებად იყენებენ პლასტმასებს, კერამიკას, კომპოზიციური მასალებს. ჯ. შეიძლება იყოს გლინვით მიღებული და ჩამოსხმული, ტყვიაგაუმტარი (30 *მმ*-მდე სისქის) და ჭურვგაუმტარი, ჰომოგენური და ჰეტეროგენური, მონოლითური და მრავალშრიანი. ჯ-მა განსაკუთრებით ფართო გამოყენება პოვა საბრძოლო მანქანებში, საფორტიფიკაციო ნაგებობებზე, ხომალდებზე და სხვა.

ჯავშანმატარებელი, ჯავშნიანი მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა, რომელზეც დამონტაჟებულია საარტილერიო შეიარაღება და ტყვიამფრქვევები. მისი დანიშნულებაა ჯარების ცეცხლით მხარდაჭერა და რკინიგზის ზოლში დამოუკიდებელი საბრძოლო მოქმედებების წარმოება. ორგანიზაციულად ჯ. სამხედრო ფორმირებაა, რომელიც შედგება თავად ჯ-ისა და ბაზისგან. ჯ. შედგება ჯავშანლოკომოტივისგან, ორი ჯავშანვაგონის ან ჯავშანმოედნისგან და 2 – 4 დაფარვის პლატფორმისგან (აყენებენ ჯ-ს წინ და უკან). იყენებდნენ I და II მსოფლიო ომებში.

ჯავშანშლემი, საბრძოლო სამოსი, რომელიც იცავს მებრძოლს ტყვიისა და ნამსხვრევებისაგან. თანამედროვე ჯ. მრავალფენოვანი პოლიამიდის ქსოვილისგან მზადდება, რომლის დამატებით ელემენტებს წარმოადგენს ფოლადისგან დამზადებული დაჯავშნული ფირფიტები, ალუმინის ან ტიტანის შენადნობები და სხვა.

ჯავშანსატანკო ტექნიკა, თვლიანი და მუხლუხა საბრძოლო და დამხმარე მანქანების ტიპები, რომლებსაც აქვთ ჯავშნიანი დაცვა. მათ რიცხვს განეკუთვნება ტანკები, ქვეითი ჯარის საბრძოლო და საბრძოლო-სადესანტო მანქანები; ასევე ჯავშანტრანსპორტიორები, ჯავშნიანი სადაზვერვო-მზირთა მანქანები, საბრძოლო სადაზვერვო მანქანები, მართვის მანქანები ჯ.ტ-ის ბაზაზე, ჯავშნიანი სარემონტო-საევაკუაციო მანქანები, საწევრები, მოტოციკლები და სხვა.

ჯავშანსატანკო ძონება, იხ. *სამხედრო ძონება.*

ჯავშანსატანკო შეიარაღება, შეიარაღება, რომელსაც აყენებენ საბრძოლო მანქანებზე. ყველაზე გავრცელებულ თანამედროვე ჯ.შ-ს შეადგენს: ტანკების – 115 *მმ* და 125 *მმ* გლუვლულიანი ზარბაზნები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები, 7,62 *მმ* და 12,7 *მმ* ტყვიამფრქვევები; სხვა საბრძოლო მანქანების – 20–30 *მმ* ავტომატური ზარბაზნები, ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსები 7,62 *მმ,* 12,7 *მმ* და 14,5 *მმ* ტყვიამფრქვევები და ყუმბარსატყორცნები. ჯ.შ-ის გამოყენების ეფექტიანობას უზრუნველყოფენ იარაღის სტაბილიზატორები, ბალისტიკური გამომთვლელები, აქტიური ტიპის მანძილმზომები და სხვა.

ჯავშანსატანკო ჯარები, ბევრი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების გვარეობა. ჯ.ჯ-ში შედის ჯავშანსატანკო დივიზიები, ჯავშანკავალერიის პოლკები, მექანიზებული და ქვეითთა დივიზიების სატანკო ბატალიონები.

ჯავშანტრანსპორტიორი, ჯავშნიანი, თვლიანი ან მუხლუხა საბრძოლო მანქანა, რომელიც განკუთვნილია ქვეითების ტრანსპორტირებისა და ბრძოლაში ცეცხლით მხარდაჭერისათვის. გამოიყენება, აგრეთვე, დაზვერვის, დაცვისა და პატრულირებისათვის. თანამედროვე ჯ-ები მეტწილად არის: მცურავი, ავიატრანსპორტაბელური, ადგილმდებარეობის რადიაქტიური, ქიმიური და ბაქტერიოლოგიური დასნებოვნების აღმომჩენი აპარატურით აღჭურვილები.

ჯავშნიანი კოშკურა, დახურული, მბრუნავი, ჯავშნიანი კონსტრუქცია, რომელიც თავსდება საბრძოლო მანქანებზე, ხომალდებზე, საფორტიფიკაციო ნაგებობებზე პირადი შემადგენლობის, შეიარაღების და შიდა მოწყობილობის დასაცავად. მზადდება მთლიანი ჩამოსხმით ან ცალკეული ჯავშნის ფურცლებისგან შედუღებით. ჯ.კ-ის მიმართ ძირითადი მოთხოვნებია ჭურვმედეგობა და ტყვიაგაუმტარობა.

ჯალალედინის ლაშქრობები საქართველოში 1225–30, ხვარაზმშაჰ ჯალალედინის შემოსევები საქართველოში. მონღოლებს გამოქცეულმა ჯალალედინმა ირანის მნიშვნელოვანი ნაწილის გაერთიანება მოახერხა. მან

ბოლო მოუღო ილდენიზიანთა სახელმწიფოსაც და დიდი ჯარით საქართველოსკენ წამოვიდა. გარნისთან (ერევნის აღმოსავლეთით) მოხდა სისხლისმღვრელი ბრძოლა, რომელშიც ქართულმა ლაშქარმა (სხვადასხვა ცნობით 30-დან 70 ათ. მეომრამდე) მძიმე მარცხი განიცადა (იხ. *გარნისის ბრძოლა*). ეს გამოწვეული იყო მტრის ძალების არასწორი შეფასებით და ქართულ სარდლობაში არსებული წინააღმდეგობებით. 1226 წელს ჯალალედინი თბილისს მოადგა და 9 მარტს ადგილობრივი მაჰმადიანების დახმარებით ქალაქი აიღო. მოსახლეობის დიდი ნაწილი მომხდურებმა გაჟლიტეს. ხვარაზმელებმა დაიპყრეს აგრეთვე სომხეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს ბევრი სხვა ქალაქი და ციხე. 1227 წელს ქართველებმა ისარგებლეს ჯალალედინის ომში ჩაბმით ჩრდილოეთ მესოპოტამიისა და ხლათის მფლობელ აიუბიანებთან და უეცარი თავდასხმით თბილისი გაათავისუფლეს. ხვარაზმშაჰი თავისი მთავარი ძალებით კვლავ საქართველოსკენ წამოვიდა, დაამარცხა 40 ათ-ანი ქართული ლაშქარი (იხ. *ბოლნისის ბრძოლა*) და ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი დაარბია. თბილისი ისევ მომხდურთა ხელში აღმოჩნდა. ხვარაზმელთა თარეში საქართველოსა და სომხეთში 1230 წლამდე გაგრძელდა, ვიდრე ჯალალედინი მონღოლებმა არ დაამარცხეს. ლტოლვილი ხვარაზმშაჰი ქურთებმა მოკლეს (1231).

ჯანგო (მეომარი სამეფოები), ჩინეთის ისტორიის პერიოდი (ძვ.წ. 403–221), რომელიც ხასიათდება პირველობისათვის ბრძოლის გამწვავებით უმსხვილეს სახელმწიფოებს შორის. ამავე დროს ეს იყო ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ხანა. **ჯ**-ს პერიოდის ომები ჩინეთის ისტორიაში დასრულდა ცინის ცენტრალიზებული იმპერიის (ძვ.წ. 221–207) ჩამოყალიბებით.

ჯარები, ამოცანების ერთობლიობის ან კუთვნილების ნიშნის მიხედვით სამხედრო ნაწილების, შენაერთების, გაერთიანებების და სხვა მუდმივი, ან დროებითი სამხედრო ფორმირებების კრებითი სახელწოდება.

ჯარების ადგილზე განლაგება, შენაერთების, ნაწილების და ქვედანაყოფების საწყის, თავმოყრის, დასვენებისა და სხვა რაიონებში განთავსება. ჯ.ა.გ-ის რაიონი უნდა უზრუნველყოფდეს ჯარების და ლოგისტიკის ორგანოების განაწილებას და ფარულ განთავსებას, სწრაფ შეკრებას და მანევრის მოწყობას საჭირო მიმართულებით, ასევე პირადი შემადგენლობის განთავსების და დასვენების მოსახერხებელ პირობებს. დასახულ რაიონში ჯარების ჩასვლისას ეწყობა საჰაერო თავდაცვა, მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვა, საკომენდანტო სამსახური, საგუშაგო დაცვა, შენიღბვა და უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებები.

ჯარების ბაზირება, ნაწილების და შენაერთების (გაერთიანებების) მიერ განლაგების ტერიტორიის, ნაგებობების, ბაზების და მატერიალურ საშუალებების მარაგის (საწყობების) გამოყენება საბრძოლო მზადყოფნის უზრუნველყოფის და ყოველდღიური საქმიანობისათვის მშვიდობიანობის დროს და საბრძოლო მოქმედებების წარმოებისას. ცნება „ჯარების ბაზირება“ გაჩნდა XVIII საუკუნის ბოლოს. ამ პერიოდში ჯარების მატერიალური უზრუნველყოფა ხდებოდა ოპერატიული ბაზების მეშვეობით. II მსოფლიო ომის დროს **ჯ.ბ**-ის ძირითადი შემადგენელი ელემენტები იყო: გზები და სატრანსპორტო საშუალებები, საწყობები, ბაზები, არსენალები, სარემონტო, საევაკუაციო, სამედიცინო ნაწილები და სხვა დაწესებულებები; ასევე – ადგილობრივი სასურსათო რესურსი, სამედიცინო, სარემონტო და სხვა სამოქალაქო დაწესებულებები. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ტერმინი „ჯარების ბაზირება“ აღარ იხმარება. ამჟამად მატერიალური, ტექნიკური, სამედიცინო და ზოგიერთი სხვა სახის უზრუნველყოფის საკითხები განეკუთვნება ლოგისტიკის სფეროს.

ჯარების გადაადგილება, ჯარების ერთი რაიონიდან მეორეში გადაადგილება საკუთარი სვლით (მარშით), რკინიგზის, საჰაერო, საზღვაო, სამდინარე ტრანსპორტით ან კომბინირებული ხერხით. **ჯ.ბ**-ის ხერხი შეირჩევა ჯარების რაოდენობის, გადაადგილების მანძილის, ტრანსპორტის არსებობის და სხვა პირობების გათვალისწინებით.

ჯარების გადაზიდვების კოორდინაციის გაერთიანებული ცენტრი, რეგიონული სარდლობის ორგანო, რომელიც პასუხს აგებს შესაბამის რეგიონში ოპერატიული გადაზიდვების ორგანიზებაზე.

ჯარების გაერთიანებული ჯგუფის საჰაერო კომპონენტის სარდალი, სარდალი, დანიშნული განსაზღვრული ამოცანის შესასრულებლად და პასუხისმგებელი ნატოს გაერთიანებული ავიაციის მოქმედებების დაგეგმვასა და კოორდინაციის შესახებ რეკომენდაციების მიწოდებაზე, აგრეთვე მასზე დაკისრებული ოპერატიული ამოცანების შესრულებაზე. მინიჭებული აქვს აუცილებელი უფლებამოსილება საერთო და კერძო ამოცანების შესრულებაზე, რომელიც ზემდგომი სარდლის მიერ არის განსაზღვრული.

ჯარების განთავსება, სამხედრო ნაწილების, შენაერთების, დაწესებულებების და სამხედრო სასწავლებლების განთავსება მათთვის გამოყოფილ ადგილებში (დასახლებულ პუნქტებში, სამხედრო ქალაქებში, ბანაკებში, პოლიგონებზე და სხვა), სადაც უზრუნველყოფილი იქნებიან საჭირო პირობებით ყოველ-

დღიური ცხოვრებისთვის; ასევე საქმიანობისა და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებისთვის.

ჯარების დაწყობა, შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების (ძალების) გვარეობების და სპეციალური ჯარების გაერთიანებები, შენაერთები, ნაწილები და ქვედანაყოფები, რომლებიც მზადყოფნაში არიან დასახული ამოცანების შესასრულებლად მოსალოდნელი მოქმედებების ჩანაფიქრის შესაბამისად. **ჯ.დ.** შეიძლება იყოს სტრატეგიულ-ოპერატიული და ტაქტიკური. განასხვავებენ I და II სტრატეგიულ ეშელონებს. ოპერატიულ დონეზე გამოყოფენ ოპერატიულ დაწყობას. ტაქტიკურ დონეზე **ჯ.დ** შეიძლება განხორციელდეს სალაშქრო, წინასაბრძოლო და საბრძოლო წყობის სახით.

ჯარების დისლოკაცია, სამხედრო ნაწილების (შენაერთების), დაწესებულებებისა და სამხედრო სასწავლებლების განლაგება მათთვის მიჩენილ ადგილებში (სპეციალურ სამხედრო ქალაქებში, ბანაკებში, დასახლებულ პუნქტებში და ა.შ.) მშვიდობიანობის დროს. ომიანობის დროს ცნება „ჯარების დისლოკაცია“, ჩვეულებრივ, იხმარება საჯარისო ფორმირებების მიმართ, რომლებიც არ შედიან მოქმედი არმიის, ფლოტის შემადგენლობაში. ზოგჯერ ხმარობენ საავიაციო ნაწილების (შენაერთების) აეროდრომებზე და ხომალდების (სახომალდო შენაერთების) – სამხედრო-საზღვაო ბაზებსა და ფლოტის ძალების ბაზირების სხვა პუნქტებში განლაგების (განაწილების) მნიშვნელობით.

ჯარების ეშელონირება, საბრძოლო წყობაში ან ოპერატიულ დაწყობაში ჯარების (ძალების) დაშორიშორებული განლაგება სიღრმეში. საბრძოლო (ოპერატიულ) დაწყობაში შესაძლოა იყოს ერთიმეორის უკან განლაგებული ჯარების ერთი ან რამდენიმე ეშელონი: I ეშელონი, II ეშელონი და ა.შ.

ჯარების კოალიციური დაჯგუფება, ძალების და საშუალებების დროებითი გაერთიანებები, რომლებიც მომავალი საბრძოლო მოქმედებების ჩანაფიქრის შესაბამისად არიან გაშლილი ან განლაგებული.

ჯარების კონტინგენტის გამომყოფი ქვეყანა, ნატოს წევრი ქვეყანა ან მისი პარტნიორი სახელმწიფო, რომელიც გამოყოფს სამხედრო კონტინგენტს ნატოს ხელმძღვანელობით განხორციელებულ ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად. სარდლობის განხორციელების მიზნით მზადაა, ოპერატიული დაქვემდებარების სისტემის შესაბამისად, გამოყოფილ ძალებზე უფლებამოსილება გადასცეს ნატოს. კონტინგენტი შეიძლება შეიცავდეს ცალკეულ სამხედრო მოსამსახურეებს, სამხედრო ფორმირებებს ან სამსახურებს. მაგალითად, სამედიცინო, მატერიალურ-ტექნიკურ, სატრანსპორტო ან კავშირგაბმულობის სამსახურს. ნატოს არაწევრი ქვეყნების ძალები უფლებამოსილების გადაცემის წინ, ნატოს ძალებთან ერთობლივი მოქმედების მზადყოფნის დასადასტურებლად, ჩვეულებრივ, ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების უმაღლეს მთავარსარდლობაში გადიან სერტიფიცირებას.

ჯარების მართვის ავტომატიზებული სისტემების ტექნიკური საშუალებები, უზრუნველყოფენ ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზაციის პროცესს. მოიცავენ გამომთვლელ კომპლექსებს, რომელთა საფუძველს შეადგენენ ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები და მათთან შერწყმული სპეციალური ელექტრონული მოწყობილობები; ასევე ავტომატიზებულ სამუშაო ადგილებს, სააბონენტო პუნქტებს, გამოსახულების მიღების, გადაცემის, დოკუმენტაციის და ინფორმაციის დაცვა-შენახვის უზრუნველყოფის აპარატურას; ჯარების მართვის ავტომატიზებული სისტემების ფუნქციონირების კონტროლსა და მართვის საშუალებებს.

ჯარების მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურები, ზოგიერთ ქვეყანაში მართვის ორგანოების და სამხედრო ფორმირებების საშტატო ორგანოების სისტემა, რომლის დანიშნულებაა ჯარების მატერიალური უზრუნველყოფა. როგორც წესი, აქვთ **ჯ.მ.უ.ს.**: საავტომობილო, სურსათ-სანოვაგის, სამედიცინო, სარაკეტო-საარტილერიო შეიარაღების და სხვა. წარმოადგენს ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სახეობას. გულისხმობს მატერიალური საშუალებების მოთხოვნას, მიღებას და მარაგის შექმნას, მის აღრიცხვას, შენახვას, გაცემას, ხარჯის და დანაკარგის შევსებას, მომხმარებლებთან გაგზავნას და სხვა.

ჯარების პრევენციული გაშლა, პოტენციური შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში ან მის საზღვრებთან ჯარების კონტინგენტის წინასწარი განლაგება, რომლის მიზანია კონფლიქტის თავიდან აცილება და აუცილებლობის შემთხვევაში ძალის გამოყენებისთვის მზადყოფნა.

ჯარების საინჟინრო მომზადება, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების პირადი შემადგენლობის სწავლება საინჟინრო უზრუნველყოფის ამოცანების შესასრულებლად საბრძოლო მოქმედებების მომზადების, წარმოების, ჯარების გადაადგილებისა და ადგილზე განლაგების დროს. ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების საბრძოლო მომზადების საგანი. პირად შემადგენლობას ასწავლიან, როგორ ააშენონ ნაგებობები ცეცხლის წარმოებისათვის, საფრები ადამიანებისა და ტექნიკისათვის; მოაწყონ და გადალახონ ღობურები; გაუკვალონ გზა ჯარების მოძრაობას; მოახდინონ წყლის დაბრკოლებების ფორსირება და სხვა. სწავლება ხდება სპეციალურ მეცადინეობებზე და იხვე-

წება ტაქტიკური და ტაქტიკურ-სპეციალური წვრთნების დროს.

ჯარების ტარება, მხედარმთავრის ხელოვნება, რომელსაც შეუძლია გაიყვანოს ჯარები ბრძოლის ადგილზე, განალაგოს ისინი მოწინააღმდეგის მიმართ ხელსაყრელ პოზიციაში და მართოს საბრძოლო მოქმედების დროს. **ჯ.ტ**. გამოიყენებოდა მრავალი ქვეყნის არმიაში XX საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც მის მაგივრად გაჩნდა ტერმინი – „ჯარების მართვა“.

ჯარების ფარული მართვა, ღონისძიებების კომპლექსი მოწინააღმდეგისაგან იმ ინფორმაციის საიდუმლოდ შესანახად, რომელსაც ჯარების (ძალების) მართვის სისტემაში იყენებენ მშვიდობიანობის და ომიანობის დროს. გულისხმობს: მუშაობას ჯარების (ძალების) ორგანიზაციის, მათი მდგომარეობის და განლაგების, შეიარაღების შესახებ ცნობების გაჟონვის გამოსარიცხად; ღონისძიებებს ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზებულ სისტემაში ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად; საბრძოლო მოქმედებების ჩანაფიქრის შესახებ ინფორმირებულ პირთა შეზღუდვას; მართვის პუნქტების ფარულ განლაგებას. კავშირგაბმულობის არხებისათვის გამოიყენება დამშიფრავი და კოდირების აპარატურა, კოდირებული კავშირგაბმულობის დოკუმენტები (კოდური, სასიგნალო-კოდური, ნომენკლატურული, მოლაპარაკების და სიგნალების ცხრილები, კოდირებული რუკები); ღია, არასაიდუმლო კავშირგაბმულობის არხებით მოლაპარაკების წარმოების წესების დადგენა.

ჯარების შეცვლა, ქვედანაყოფების, ნაწილების და შენაერთების მიერ დაკავებული პოზიციების, რაიონების (ზღუდეების), უბნების, ზოლების, ორგანიზებული მიღება და გადაცემა საბრძოლო ვითარებაში. **ჯ.შ**-ის დროს გადაიცემა: ადგილმდებარეობის დაკავებული რაიონები (პოზიციები, ზღუდეები და ა.შ.); ცნობები მოწინააღმდეგის შესახებ; ცეცხლის სისტემისა და მართვის ორგანიზაციის შესახებ; ადგილმდებარეობის, მისი საინჟინრო მოწყობის და ღობურების თაობაზე; კავშირგაბმულობის ორგანიზაციის შესახებ, ტოპოგრაფიული მიბმის და ქვემეხების გამიზვნის მონაცემები და სხვა. **ჯ.შ**-ისას დანიშნულ რაიონებში პირველ რიგში წინ წაიწევიან სადაზვერვო ქვედანაყოფები, სარაკეტო ნაწილი, სადაზვერვო-საცეცხლე კომპლექსი, არტილერია, საჰაერო თავდაცვის და I ეშელონის ნაწილები (ქვედანაყოფები). ამავე დროს, მოწინააღმდეგის შეტევაზე გადმოსვლის შემთხვევაში, მისი მოგერიება ხდება შესაცვლელი შენაერთის (ნაწილის, ქვედანაყოფის) მეთაურის ხელმძღვანელობით. **ჯ.შ**. ფორმდება აქტით. შეცვლის დასრულების მომენტად ითვლება შესაცვლელი შენაერთის (ნაწილის, ქვედანაყოფის) მეთაურის მოხსენება შეცვლის შესახებ თავისი უშუალო მეთაურისადმი.

ჯარების (ძალების) გადაჯგუფება, ჯარების (ძალების) არსებული დაჯგუფებების და ოპერატიული დაწყობის შეცვლა საომარი მოქმედების თეატრზე, სტრატეგიულ (საოპერაციო) მიმართულებაზე, შეტევის (თავდაცვის) ზოლში, მონაკვეთზე. ეწყობა გარკვეული ჩანაფიქრით, იმ მიზნით, რომ შეიქმნას (შეიცვალოს, ხელახლა დაეწყოს) დაჯგუფება და ოპერატიულად დაეწყოს ჯარები (ძალები) ოპერაციის (ბრძოლის) წარმოებისათვის, გაძლიერდეს მთავარი მიმართულებით მოქმედი ჯარები, დაიხუროს თავდაცვაში წარმოშობილი ხვრელები, გადატანილ იქნეს ძალისხმევა ახალ მიმართულებაზე, აღდგეს მეორე ეშელონი (რეზერვი) და ა.შ. **ჯ.(ძ.)გ**. შეიძლება იყოს სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური. სტრატეგიულია გადაჯგუფება, რომელიც ხორციელდება ახალ სტრატეგიულ მიმართულებებზე ან საომარი მოქმედების ახალ თეატრზე; ჯარების (ძალების) ოპერატიული გადაჯგუფება ხორციელდება ოპერაციების მომზადების ან მსვლელობის დროს; ტაქტიკური – ბრძოლის (მაგალითად, თავდაცვის მდგომარეობიდან შენაერთის შეტევის) მომზადების დროს. **ჯ.(ძ.)გ**. შეიძლება განხორციელდეს საკუთარი სვლით (მარშით) გადაადგილებით, სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტით გადაყვანით და კომბინირებული ხერხით.

ჯარების (ძალების) გაშლის დაფარვა, შეიარაღებული ძალების სტრატეგიული გაშლის შემადგენელი ნაწილი. ჯარების საზღვრისპირა დაჯგუფებების სარდლების მიერ ჩატარებული ღონისძიებები. ისინი მიმართულია ომის საწყის პერიოდში თავდაცვითი (შეტევითი) ოპერაციის გეგმის შესაბამისად ოპერატიულ-სტრატეგიული დაჯგუფებების ორგანიზებული და დროული გაშლისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად.

ჯარების (ძალების) გვარეობა, შეიარაღებული ძალების სახეობის შემადგენელი ნაწილი. მოიცავს სამხედრო ფორმირებებს, რომლებსაც აქვთ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ძირითადი შეიარაღება, სამხედრო ტექნიკა და მათი საბრძოლო გამოყენების ხერხები. მთელი რიგი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში ჯარების გვარეობას განეკუთვნება: სტრატეგიული დანიშნულების ს ა რ ა კ ე ტ ო ჯ ა რ ე ბ შ ი – სტაციონარული და მობილური ბაზირების ჯარები, საჰაერო-კოსმოსური ჯარები; ს ა ხ მ ე ლ ე თ ო ჯ ა რ ე ბ შ ი – ქვეითი, სატანკო ჯარები, სარაკეტო ჯარები და სახმელეთო ჯარების არტილერია, სახმელეთო ჯარების ავიაცია (საჰაერო-სადესანტო ჯარები დამოუკიდებელი ჯარის გვარეობად არის გამოყოფილი); ს ა მ ხ ე დ რ ო - ს ა ჰ ა ე რ ო ძალებში (ავია-

ციის გვარეობა) – ბომბდამშენი, გამანადგურებელ-ბომბდამშენი, მოიერიშე, გამანადგურებელი, სადაზვერვო, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაცია, აგრეთვე საჰაერო, საზენიტო-სარაკეტო, რადიოტექნიკური ჯარები; ს ა მ ხ ე დ რ ო - ს ა ზ ღ ვ ა ო ძალებში – წყალზედა, წყალქვეშა ძალები, საზღვაო ავიაცია, აგრეთვე სანაპირო ჯარები. ბრძოლასა და ოპერაციაში **ჯ.(ძ.)ბ**-ებს იყენებენ, როგორც წესი, ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთქმედებით.

ჯარების (ძალების) დარტყმიდან გამოყვანა (გამოსვლა). იხ. *დარტყმიდან ჯარების (ძალების) გამოსვლა (გამოყვანა).*

ჯარების (ძალების) დაქვემდებარების შეცვლა, სამხედრო ფორმირებების გადაცემა ერთი მეთაურისგან (სარდლისგან) მეორის დაქვემდებარებაში. ხორციელდება ზემდგომი უფროსის განკარგულებით როგორც საომარი (საბრძოლო) მოქმედებების მომზადებისას, ისე მისი განხორციელების დროს იმ მიზნით, რომ შეიქმნას ან შეიცვალოს ჯარების (ძალების) დაჯგუფება, ოპერატიული დაწყობა, საბრძოლო წყობა.

ჯარების (ძალების) დაჯგუფება, მომავალი მოქმედებების გეგმის შესაბამისად, საომარი მოქმედებების თეატრზე (სტრატეგიულ, საოპერაციო მიმართულებებზე ან რომელიმე რაიონში) გაშლილი (განლაგებული) შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარების ნაწილები. მათში შედის ლოგისტიკის გაერთიანებები და შენაერთები, რომლებიც განკუთვნილია ოპერაციებში (საბრძოლო მოქმედებებში) საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად. **ჯ.(ძ.)დ**. მასშტაბის მიხედვით შეიძლება იყოს: სტრატეგიული, ოპერატიული და ტაქტიკური; დანიშნულების მიხედვით – მთავარი (განკუთვნილია რაიონის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებაზე მოქმედებებისათვის), ჩვეულებრივ მოიცავს ძალებისა და საშუალებების მეტ ნაწილს და სხვა მეორეხარისხოვან მიმართულებებზე (რაიონებში) ამოცანების შესასრულებლად. საომარი მოქმედებების სახეობების მიხედვით განასხვავებენ: თავდაცვით, კონტრდარტყმის, კონტრშეტევის (შეტევის) **ჯ.(ძ.)დ**-ებს შესაბამისად თავდაცვითი, კონტრშეტევითი (შეტევითი) ოპერაციების მოსაწყობად. შეიარაღებული ძალების სახეობების და ჯარების გვარეობების მიხედვით განასხვავებენ: სახმელეთო ჯარების, სამხედრო-საჰაერო ძალების, ფლოტის ძალების, სარაკეტო ჯარების, არტილერიის, სპეციალური ჯარებისა და სხვა დაჯგუფებებს. 80-იანი წლების დამდეგიდან სამხედრო სპეციალისტები დიდ ყურადღებას უთმობენ ჯარების განსაკუთრებული დაჯგუფების შექმნასთან დაკავშირებული საკითხების შემუშავებას. ისინი მოწინააღმდეგის ზურგში, მათ შორის თავდაცვით ოპერაციებში, აქტიურად ასრულებენ მოქმედი დაჯგუფების ამოცანებს.

ჯარების (ძალების) თავმოყრა, გაერთიანებების, შენაერთების, ნაწილების (ხომალდების) შეკრება და განლაგება დანიშნულ რაიონებში. მასშტაბის შესაბამისად შეიძლება იყოს: სტრატეგიული, ოპერატიული ან ტაქტიკური. **ჯ.(ძ.)თ**-ის წარმატება დამოკიდებულია ჯარების (ძალების) გადაადგილების ხერხების, სვლის მარშრუტების და თავმოყრის რაიონების სწორ არჩევანზე, მოქმედებების სისწრაფესა და ფარულ ხასიათზე.

ჯარების (ძალების) ინსპექტირება, შეიარაღებული ძალების მართვის ორგანოების, გაერთიანებების, შენაერთებისა და ნაწილების (ხომალდების) კონტროლის უმაღლესი ფორმა. დანიშნულების შესაბამისად, იგი გულისხმობს ამოცანების შესრულებისათვის მზადყოფნას.

ჯარების (ძალების) მართვა, სარდლების, მეთაურების, შტაბებისა და მართვის სხვა ორგანოების საქმიანობა ჯარების (ძალების) მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის შესანარჩუნებლად, ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მოსამზადებლად და ჯარების (ძალების) სახელმძღვანელოდ მათთვის დასახული ამოცანების შესრულების მიზნით. გულისხმობს: ვითარების მონაცემების უწყვეტ მოპოვებას, შეგროვებას, შესწავლას, ასახვას, ანალიზს და შეფასებას; ოპერაციაზე (ბრძოლაზე) გადაწყვეტილების მიღებას; ჯარებისათვის (ძალებისათვის) ამოცანების დასახვას; ოპერაციის (ბრძოლის) დაგეგმვას; ურთიერთქმედებას და ყველა სახის უზრუნველყოფის ორგანიზაციას და ხელშეწყობას; მართვის ორგანიზაციას; დაქვემდებარებული მართვის ორგანოების და ჯარების (ძალების) მომზადებას საბრძოლო მოქმედებებისათვის; კონტროლის ორგანიზაციას და დახმარების გაწევას დაქვემდებარებული სარდლების (მეთაურების), შტაბებისა და ჯარებისათვის (ძალებისათვის); ჯარების (ძალების) მოქმედებების უშუალო ხელმძღვანელობას მათ მიერ საბრძოლო ამოცანების შესრულებისას. **ჯ.(ძ.)მ**. ხორციელდება სარდლის (მეთაურის) გადაწყვეტილების საფუძველზე პირადად და შტაბის, სარდლის მოადგილეების, ჯარების გვარეობების, სპეციალური ჯარებისა და სამსახურების უფროსების მეშვეობით. **ჯ.(ძ.)მ**-ის ძირითადი პრინციპებია: ერთმმართველობა, კონკრეტულობა, მართვის ცენტრალიზაცია, სიმტკიცე და შეუპოვრობა მიღებული გადაწყვეტილებების გატარებაში; ოპერატიული რეაგირება ვითარების შეცვლაზე, უწყვეტობა და ფარულობა; სარდლის (მეთაურის) პირადი პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებებზე, დაქვემდებარებული ჯარების (ძალების) გამოყენება და ამოცანების შესრულება. **ჯ.(ძ.)მ**-ის განსახორციელებლად იქმნება მარ-

თვის სისტემა – ფუნქციურად დაკავშირებული მართვის ორგანოების, მართვის პუნქტებისა და მართვის საშუალებების ერთობლიობა (კავშირგაბმულობის სისტემა, მართვის ავტომატიზებული სისტემა და სხვა სპეციალიზებული სისტემები).

ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზაცია, შტაბების, მართვის პუნქტების, საბრძოლო კომპლექსების კომპიუტერული ტექნიკით ან მომიჯნავე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვის და მართვის ორგანოების მუშაობაში მათი გამოყენების პროცესი. ჯარების (ძალების) მართვაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულება. **ჯ.(ძ.)მ.ა.** მოიცავს ჯარების (ძალების) მართვის კავშირგაბმულობის ავტომატიზებული სისტემების და სხვა ტექნიკური მოწყობილობების შექმნას; ასევე მეთაურების, შტაბების ოფიცრების მუშაობის მეთოდების დამუშავებას და ათვისებას ავტომატიზაციის სისტემების და საშუალებების გამოყენებით. კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენება შემდეგ ძირითად პროცესებში: ინფორმაციის შეკრება, დამუშავება, ოპერაციის გადაწყვეტილების მისაღებად მონაცემების მომზადება, ამოცანის დასახვა, ჯარებისთვის ბრძანებების, განკარგულებების და კომანდების გადაცემა, საბრძოლო მოქმედებების დაგეგმვა, დასახული ამოცანების შესრულებაზე კონტროლი და თანამდებობის პირებისთვის საჭირო ინფორმაციის გაცემა. მთელი რიგი ქვეყნების არმიებში უკვე მიღწეულია წარმატებები სხვადასხვა ავტომატიზებული სისტემის შექმნაში. ამან აამაღლა მართვის ეფექტურობა და ხარისხი, მნიშვნელოვნად შეამცირა გადაწყვეტილების მიღების, ჯარების (ძალების) საბრძოლო შესაძლებლობების გამოყენების პირობების შექმნის, ძალების და საშუალებების მინიმალური დანახარჯებით საბრძოლო მოქმედებებში წარმატების მიღწევის დრო.

ჯარების (ძალების) მართვის ავტომატიზებული სისტემა, რთული სისტემა, რომლითაც მართვის ობიექტის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გადაცემა ხორციელდება. მართვის ობიექტებში მოისაზრება: ჯარები, ძალები, გაერთიანებები, შენაერთები, ნაწილები, ხომალდები, ქვედანაყოფების დაჯგუფებები და საბრძოლო საშუალებები. მართვის ორგანოების ფუნქციების რეალიზება ხდება გამომთვლელი და სპეციალური ტექნიკის გამოყენებით. ის არის ჯარების (ძალების) მართვის სისტემის ნაწილი.

ავტომატიზებული სისტემა ზრდის მართვის ოპერატიულობას და ხარისხს მისი ისეთი ძირითადი ფუნქციების შესრულების გზით, როგორიცაა: ინფორმაციის შეკრება, დაგროვება, შენახვა, დამუშავება და ვითარების ასახვა, ასევე ოპერატიულ-ტაქტიკური გაანგარიშებების ჩატარება ჯარების (ძალების) დაჯგუფებების, ოპერატიული დაწყობის (საბრძოლო წყობის) ელემენტებს შორის ოპერაციის (საბრძოლო მოქმედებების) ამოცანების (ეტაპების) მიხედვით; მონაცემების მომზადება ოპერაციის (ბრძოლის) ნებისმიერ მომენტში ვითარების შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის; ოპერაციების (საბრძოლო მოქმედებების) მოდელირება (იხ. *მოდელირება* სამხედრო საქმეში). **ჯ.(ძ.)მ.ა.ს**-ს უყენებენ ოპერატიულ-ტექნიკურ მოთხოვნებს, რომლებიც მთლიანად ჯარების (ძალების) მართვის მოთხოვნების ანალოგიურია. მათგან ძირითადია ოპერატიულობა, საიმედოობა, მოქნილობა და ფარულობა. სისტემის ოპერატიულობა იძლევა შესაძლებლობას სწრაფად განახორციელონ საჭირო ინფორმაციის მომზადების, დამუშავებისა და გადაცემის ყველა პროცესი. იგი განისაზღვრება იმ დროის მიხედვით, რომელიც ხმარდება ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას, მონაცემების მომზადებას გადაწყვეტილებების მისაღებად და ამოცანების დაყვანას ჯარებამდე. სისტემის საიმედოობა არის, ფუნქციების რთულ, სწრაფად ცვალებად ვითარებაში შესრულების უნარი. მოქნილობა გამოიხატება სწრაფი ადაპტაციით ჯარების (ძალების) ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებებისადმი. მართვის ახალი პუნქტების შემცირების, გაშლის და მეთოდებისადმი. სისტემის ფარულობა ხასიათდება მოწინააღმდეგის მიერ მისი ელემენტების აღმოჩენის, სისტემაში არსებული ინფორმაციის ხელში ჩაგდების სიძნელის ხარისხით და იმ დროით, რომელიც აუცილებელია მოპოვებული ინფორმაციის კოდის მოხსნისათვის. **ჯ.(ძ.)მ.ა.ს**-ები იგება შეიარაღებული ძალების დაჯგუფებების ორგანოების და მართვის პუნქტების, სამხედრო ფორმირებების ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად. ამასთან მხედველობაში იღებენ სისტემის გამოყენების შესაძლებლობას როგორც ერთი სახეობის შეიარაღებული ჯარების (ძალების) დაჯგუფების შიგნით, ისე სხვადასხვა სახეობის შეიარაღებული ძალების დაჯგუფებებს შორის და მეზობელ დაჯგუფებებთან ურთიერთქმედების განხორციელებისას, მართვის ზემდგომი ორგანოს გვერდის ავლით. სისტემის ტექნიკური საფუძველია ავტომატიზაციის საშუალებების კომპლექსები მართვის პუნქტებში. ისინი შედგება გამომთვლელი კომპლექსების (საშუალებების), თანამდებობის პირების ავტომატიზებული სამუშაო ადგილების, ინფორმაციის მიმღები და გადამცემი საშუალებებისაგან. დამატებით – მისი ასახვისა და დოკუმენტირების აპარატურის, სისტემაში ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფის სპეციალური საშუალებებისგან, ჯარების მართვის ავტომატიზე-

ბული სისტემის ფუნქციონირების, მართვისა და კონტროლის საშუალებებისაგან.

ჯარების (ძალების) მომზადება (საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად), იმ ღონისძიებების კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჯარების (ძალების) დროულ მზადყოფნას საბრძოლო მოქმედებებისათვის. გულისხმობს: შენაერთების (ნაწილების, ქვედანაყოფების), ხომალდების დამატებით დაკომპლექტებას პირადი შემადგენლობით, იარაღითა და სამხედრო ტექნიკით; მატერიალური საშუალებების მარაგის შევსებას ჯარებში (ძალებში) დადგენილ ნორმებამდე; იარაღის და სამხედრო ტექნიკის მომზადებას ბრძოლაში გამოსაყენებლად; საბრძოლო მანქანების გამავლობის ამაღლებას; მეცადინეობის (სწავლების) ჩატარებას იმ ამოცანების შესრულებით, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ მომავალი საბრძოლო მოქმედებების დროს; საბრძოლო ამოცანების დაყვანას პირადი შემადგენლობამდე.

ჯარების (ძალების) ოპერატიული გაშლა, ღონისძიებების კომპლექსი, რომელიც ხორციელდება ჯარების (ძალების) დაჯგუფებების შექმნისა და დაწყობისათვის ომის (საომარი მოქმედებების) თეატრებზე, სტრატეგიულ და საოპერაციო მიმართულებებზე. ჯარების (ძალების) სტრატეგიული გაშლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. მიზნად ისახავს, საომარი მოქმედებების ორგანიზებული და დროული დაწყების უზრუნველყოფას, აგრესიის მოგერიებას და ოპერაციების ჩატარებას შეიარაღებული კონფლიქტების ლოკალიზაციისათვის. **ჯ.(ძ.)ო.ბ**. ხორციელდება, როგორც წესი, წინასწარ, ომის წინ, ხოლო მოწინააღმდეგის უეცარი თავდასხმის შემთხვევაში – მისი დაწყებისთანავე; შეიძლება მოხდეს ერთდროულად ან თანამიმდევრულად.

ჯარების (ძალების) ოპერატიული შესაძლებლობები, რიცხობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ერთობლიობა, რომელიც ახასიათებს ჯარებს (ძალებს), მიაყენოს მოწინააღმდეგეს ზარალი და განსაზღვრულ ოპერატიულ-ტაქტიკურ ვითარებაში შეასრულოს დასახული ოპერატიული ამოცანა. გაერთიანების ოპერატიული შესაძლებლობები განისაზღვრება მის შემადგენლობაში შემავალი შეიარაღებული ძალების სახეობების, ჯარების გვარეობების და სპეციალური ჯარების შენაერთების და ნაწილების საბრძოლო შესაძლებლობების შეჯამების გზით. გაერთიანების ან ჯარების (ძალების) დაჯგუფების ოპერატიული შესაძლებლობები დამოკიდებულია საბრძოლო შემადგენლობაზე, დაკომპლექტებაზე, გაწრთვნილობაზე, პირადი შემადგენლობის მორალურ-ფსიქოლოგიურ და საბრძოლო მდგომარეობაზე, არსებული იარაღის ხარისხსა და ეფექტურობაზე. ასევე – მოწინააღმდეგის ძალისა და წინააღმდეგობის ხასიათზე, ფიზიკურ-გეოგრაფიულ, კლიმატურ და სხვა პირობებზე.

ჯარების (ძალების) ორგანიზაცია, შეიარაღებული ძალების, სამხედრო ფორმირებების სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს მათ ყველაზე ხელსაყრელ შემადგენლობას, ჯარების (ძალების) გვარეობების და იარაღის სახეობების ყველაზე მიზანშეწონილ შეხამებას და თანაფარდობას, მაღალ საბრძოლო მზადყოფნას და უნარს, წარმატებით აწარმოონ საბრძოლო მოქმედებები. არის შეიარაღებული ძალების მშენებლობის ნაწილი და მდგომარეობს მათ დაყოფაში შეიარაღებული ძალების სახეობების ქვედანაყოფებად, სამხედრო ნაწილებად, შენაერთებად და გაერთიანებებად, აგრეთვე ჯარების (ძალების) გვარეობების, სპეციალური ჯარებისა და სამსახურების ფორმირებებად. ზოგიერთი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის პრაქტიკაში ცნობილია ჯარების ორგანიზაციის შემდეგი ძირითადი ფორმები: ს ა ხ მ ე ლ ე თ ო ჯ ა რ ე ბ შ ი (სამხედრო-საზღვაო ფლოტის სანაპირო ჯარებში) – ათეული (ეკიპაჟი, გათვლა), ოცეული, ასეული (ბატარეა), ბატალიონი (დივიზიონი), პოლკი, ბრიგადა, დივიზია, კორპუსი, არმია, ჯარების დაჯგუფება (ფრონტი); ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა ჰ ა ე რ ო ძ ა ლ ე ბ შ ი – ეკიპაჟი, რგოლი, ესკადრილია, პოლკი (ფრთა, ესკადრა), დივიზია, კორპუსი, არმია საჰაერო ფლოტი; ს ა მ ხ ე დ რ ო-ს ა ზ ღ ვ ა ო ძ ა ლ ე ბ შ ი – ათეული, ჯგუფი, საბრძოლო ნაწილი, გუნდი, ეკიპაჟი, ხომალდი, დივიზიონი, ბრიგადა, ხომალდების დივიზია, ესკადრა, ფლოტილია, ფლოტი. სამხედრო ფორმირებების ორგანიზაციული სტრუქტურა ბატალიონიდან, მისი ტოლფასი ქვედანაყოფებიდან და ზევით, როგორც წესი, შედგება შტაბის, საბრძოლო ქვედანაყოფების (ნაწილების, შენაერთების), უზრუნველყოფის და მომსახურების ქვედანაყოფებისაგან (ნაწილებისაგან). სამხედრო ნაწილის თითოეულ ქვედანაყოფს, შენაერთს და გაერთიანებას ფორმირებისას მიეკუთვნება ნომერი და სახელწოდება ჯარების გვარეობის მიხედვით. **ჯ.(ძ.)ო**. ვითარდება სამხედრო ხელოვნების მოთხოვნების გავლენით, ჯარების (ძალების) ამოცანების შესაბამისად და სახელმწიფოს ეკონომიკური შესაძლებლობების მიხედვით. მასზე უშუალო გავლენას ახდენენ საომარი მოქმედებების წარმოების ხერხები, ჯარების (ძალების) შეიარაღების რაოდენობა და ხარისხი. ჯარების (ძალების) ძირითად, ისტორიულად ჩამოყალიბებულ პრინციპებს წარმოადგენს: **ჯ.(ძ.)ო**-ის შესაბამისობა მოსალოდნელი საომარი მოქმედებების ხასიათსა და ბრძოლაში (ოპერაციაში) ჯარებზე (ძალებზე) დაკისრებულ ამოცანებს შორის. ნაწილების, შენაერთების და გაერთიანებების მაქსიმალური დამოუკიდებლობის

უზრუნველყოფა საბრძოლო ამოცანების შესრულების დროს; შეიარაღებული ბრძოლის საშუალებების ეფექტური გამოყენება ჯარების (ძალების) მიერ; სამხედრო ფორმირებების წარმატებით გამოყენება მათ საშტატო ორგანიზაციაში საომარი მოქმედებების სხვადასხვა თეატრის პირობებში; მოსახერხებელი მართვის მაღალი დონე საბრძოლო მოქმედებების დროს; **ჯ.(ძ.)ო**-ში უპირატესობის მოპოვება შესაძლო მოწინააღმდეგეზე.

ჯარების წინ წაწევა, ჯარების გადაადგილება ზურგიდან ფრონტისკენ საბრძოლო მოქმედებების რაიონში, საომარი მოქმედებების თეატრზე, სტრატეგიულ ან საოპერაციო მიმართულებებზე ახალი დაჯგუფებების შექმნის, ან არსებული დაჯგუფებების გაძლიერების მიზნით. **ჯ.წ.წ.** შეიძლება განხორციელდეს თავდაცვითი ოპერაციების დროს აგრესორის შემოჭრის მოსაგერიებლად, თავდაცვითი ზღუდეების დასაკავებლად, კონტრდარტყმების და კონტრიერიშების მოსაწყობად, აგრეთვე კონტრშეტევის (შეტევის) მოსამზადებლად და მისი მსვლელობის დროს. **ჯ.წ.წ.** შეიძლება ხორციელდებოდეს საკუთარი სვლით, სარკინიგზო, საჰაერო და წყალსანაოსნო ტრანსპორტის გამოყენებით ან კომბინირებული ხერხით.

ჯარების წყლით მომარაგება, დაწესებული ნორმებით ჯარების წყლით უზრუნველყოფა. გულისხმობს: წყაროების დაზვერვას, წყლის მოპოვებას, გაწმენდას, შენახვას, მიწოდებას და გაცემას, მისი ხარისხის კონტროლს. **ჯ.წ.მ**-ის მიზნით ეწყობა წყალმომარაგების პუნქტები. ჯარებისთვის წყლის მიწოდება, მისი შენახვა, ქვედანაყოფებსა და ნაწილებში ტრანსპორტირება ხორციელდება ცისტერნებით, რეზერვუარებით და სხვა.

ჯარების ხელმძღვანელობა, იხ. *ჯარების (ძალების) მართვა.*

ჯარების ჯგუფი, შეიარაღებული ძალების ოპერატიული ან ოპერატიულ-ტაქტიკური გაერთიანება. იქმნებოდა II მსოფლიო ომის წლებში იზოლირებულ მიმართულებებზე ჯარების სხვა დაჯგუფებებისგან მოწყვეტით მოქმედი რამდენიმე შენაერთის ან ნაწილის ძალისხმევის გაერთიანებისთვის, ან სპეციალური ამოცანების შესასრულებლად. **ჯ.ჯ.** შეიძლება შეიქმნას ომში დამარცხებული მტრული სახელმწიფოების ტერიტორიაზე საოკუპაციო რეჟიმის განსახორციელებლად, ხოლო მშვიდობიანობის დროს – მოკავშირე ქვეყნების ტერიტორიებზე სამოკავშირეო ვალდებულებების შესასრულებლად.

ჯაშუშობა (გერმანული Spion – ჯაშუში), სახელმწიფო და სამხედრო საიდუმლოების შემცველი მონაცემების შეგროვება, მოტაცება და გადაცემა უცხო სახელმწიფოსთვის ან ორგანიზაციისთვის ქვეყნის უსაფრთხოების საზიანოდ. სახელმწიფოს სადაზვერვო ორგანოების საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა. სისხლის სამართლით მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

ჯაჭვის პერანგი, ფოლადის მავთულის რგოლებისაგან ასხმული მოკლესახელოებიანი პერანგი, რომელსაც ძველად ბრძოლის დროს იცვამდნენ. რგოლების შეკვრის წესის მიხედვით განასხვავებენ უფარეშო, ფარეშიან (ფარეში მცირე ლურსმანია, რითაც ჯაჭვის თვალი იკვრება) და დადუღებულ **ჯ.პ**-ს. სხვადასხვანაირი იყო ჯაჭვის რგოლის ფორმაც. არსებობდა მრგვალი, თევზის ფარფლისებური, წვეტიანი და კომბინირებული რგოლები. საქართველოში გავრცელებული იყო სხვადასხვა სახის **ჯ.პ**. ს ა მ ა ნ ქ ა ნ უ რ ი, ზ ე დ ა ლ უ რ ი, ქ ი რ ა ფ ქ ა და ა.შ. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემდეგ **ჯ.პ**. ხმარებიდან გამოვიდა.

ჯგუფი (სამხედრო), 1. შენაერთები, ნაწილები, ქვედანაყოფები ან ცალკეული სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც ოპერაციებში (ბრძოლებში) გარკვეული ამოცანების შესასრულებლად დროებით არიან გაერთიანებული ერთიანი სარდლობის დაქვემდებარებაში. 2. ოპერაციის მომზადების პერიოდში დროებითი სამუშაო **ჯ**-ები ოპერატიულ შტაბებში. 3. მომზადების და გაშვების **ჯ**. სარაკეტო ჯარებში – საბრძოლო ქვედანაყოფი, რომელიც ასრულებს საბრძოლო მორიგეობას. 4. ზოგიერთი ქვეყნის საზღვაო ძალებში – ხომალდების დროებითი ტაქტიკური ფორმირება. 5. ქვედანაყოფი სამხედრო სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. 6. ზოგიერთი ქვეყნის არმიებში – ოპერატიულ-სტრატეგიული გაერთიანება (არმიების **ჯ**.); საშტატო ფორმირება (საველე არტილერიის **ჯ**.); ჯარების საბრძოლო წყობის ელემენტი – საერთო-საჯარისო ტაქტიკური **ჯ**. 7. კრებითი სახელწოდება (ჯარისკაცების, ტანკების და სხვა **ჯ**.).

ჯგუფი რიცხვი-საათი, ჯგუფი ექვსი ციფრისგან. ასოები, რომლებიც საათის სარტყელს მიუთითებენ, და თვის დასახელების სტანდარტული შემოკლება. პირველი ორი ციფრი მიუთითებს დღეს, შემდგომი ორი – საათს, ხოლო ბოლო ორი – წუთებს. თვის მითითების შემდეგ შესაძლოა წლის ბოლო ორი ციფრის დამატება. აღნიშნული ტერმინი გამოიყენება სამხედრო და სხვა დოკუმენტებში სხვადასხვა მოვლენის თარიღისა და დროის აღსანიშნავად.

ჯგუფური იარაღი, იარაღი (ტყვიაფრქვევი, საარტილერიო ქვემეხი და სხვა), რომლის მომსახურება ბრძოლაში ხორციელდება ჯგუფის (გათვლის) მიერ, რომლის შემადგენლობაში შედის 2 და მეტი მებრძოლი.

ჯგუფური ტაქტიკა, ბრძოლის წარმოების ხერხები და საშუალებები, დაფუძნებული ჯგუფური საბრძოლო წყობის გამოყენებაზე

(შეიქმნა ქვეითთა უწყვეტი ჯაჭვების დანაწევრების შედეგად). **ჯ.ტ.** შემუშავდა I მსოფლიო ომის დროს. გულისხმობდა მცირე ქვეითთა ჯგუფების (ათეული, ოცეული) მოქმედებას. ისინი, როგორც წესი, უტევდნენ მხარდამჭერი ქვემეხების, ტყვიამფრქვევების, ხოლო მოგვიანებით – ტანკების უკან. სიღრმითი ბრძოლის თეორიის გაჩენის შემდგომ **ჯ.ტ**-მ დაკარგა თავისი მნიშვნელობა.

ჯვარედინი ცეცხლი, იხ. *ცეცხლი.*

ჯვაროსნული ლაშქრობები 1096–1270, დასავლეთევროპელი ფეოდალებისა და კათოლიკური ეკლესიის მიერ ორგანიზებული ლაშქრობები ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში, ქრისტიანული წმინდა ადგილების მუსლიმანთა ბატონობისაგან გათავისუფლების ლოზუნგით. I **ჯ.ლ.** (1096–99) დასრულდა სირიის სანაპირო ხაზისა და პალესტინის დაპყრობით და იქ ქრისტიანული იერუსალიმის სამეფოს ჩამოყალიბებით. II (1147–49) და III (1189–92) ლაშქრობების მიზანი იყო შეტევაზე გადმოსული მუსლიმანების შეჩერება, რომლებმაც იერუსალიმის სამეფოს მნიშვნელოვანი ტერიტორიები წაგლიჯეს. IV **ჯ.ლ.** (1202–04) მიმართული აღმოჩნდა (ვენეციელი ვაჭრების ძალისხმევით) *ბიზანტიის* წინააღმდეგ, რომლის ნაწილზე (1204 კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ) წარმოიქმნა ე.წ. ლათინთა იმპერია (1204–61). უკანასკნელი, **ჯ.ლ.** – V (1217–21), VI (1228–29), VII (1248–54) და VIII (1270), ფაქტობრივად, უშედეგოდ დამთავრდა. ჯვაროსანთა უკანასკნელი სამფლობელოები აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე და სავაჭრო გზები მუსლიმანებმა 1291 წელს დაიპყრეს.

ჯიბუტი (Djibouti – ჯიბუტის რესპუბლიკა), სახელმწიფო აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქვეყანას აღმოსავლეთით ესაზღვრება ადენის ყურე. უჭირავს სტრატეგიული მდებარეობა ბა-ელ-მანდების სრუტესთან, რომელიც აერთებს წითელ ზღვას არაბეთის ზღვასთან. ფართობი 23,4 ათ. *კმ*². მოსახლეობა 879,5 ათ. კაცი (2012). ოფიციალური ენები – არაბული, ფრანგული. დედაქალაქი – ქ. ჯიბუტი. ადმინისტრაციულად იყოფა 4 ოლქად და დედაქალაქის რაიონად. სახელმწიფოს მეთაურია პრეზიდენტი, საკანონმდებლო ორგანო – ერთპალატიანი ეროვნული კრება, აღმასრულებელი – მთავრობა. დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1977 წლის 27 ივნისს. ჯ. სუსტად განვითარებული აგრარული ქვეყანაა. დიდ როლს თამაშობს მომსახურების სფერო და სატრანსპორტო მომსახურება. საზღვაო პორტი და საერთაშორისო აეროპორტი – ჯიბუტი. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 10,45 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 10 ათ., სამხედრო-საჰაერო 0,25 ათ. და სამხედრო-საზღვაო 0,2 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება დაქირავებული პირებით.

ჯირითი, 1. მოკლე, წვრილი სატყორცნი შუბი; 2. საცხენოსნო სპორტის სახეობა.

ჯიჰადი (არაბული – გულმოდგინება, მონდომება), თავგამოდებული ბრძოლა ისლამისათვის. **ჯ.** რამდენიმე სახისაა: „გულის ჯიჰადი“ (ბრძოლა საკუთარ მავნე ჩვევებთან), „ხელის ჯიჰადი“ (დამნაშავეთა დასჯა), „მახვილის ჯიჰადი“ (ანუ *ღაზავათი*, საღვთო ომი, შეიარაღებული ბრძოლა „ურწმუნოებთან“) და სხვა.

ᰰᲐᲐᲒᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲐ 1954, შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევებში კულტურულ ფასეულობათა დაცვის შესახებ. მიიღო ᰰᲐᲐᲒᲘᲡ საერთაშორისო კონფერენციამ (21 აპრილი – 14 მაისი) ე.წ. „რერიხის პაქტის“ საფუძველზე. კონვენციის მონაწილეა 80-ზე მეტი სახელმწიფო. მათ იკისრეს ვალდებულება, უპატრონონ და დაიცვან კულტურული ფასეულობები როგორც საკუთარ, ისე მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. დაცული კულტურული ფასეულობების (არქიტექტურის, ხელოვნების, ისტორიის ძეგლები, არქეოლოგიური ადგილები) მარკირება ხდება სპეციალური ნიშნით (ქვემოთ წაწვეტებული ფარი, რომელიც დაყოფილია ლურჯი და თეთრი ფერის 4 ნაწილად).

ᰰᲐᲐᲒᲘᲡ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ 1899, 1907, კონვენციები ომის კანონების და წეს-ჩვეულებების შესახებ. მიიღეს ᰰᲐᲐᲒᲘᲡ საერთაშორისო კონფერენციებზე. 1899 წელს 27 სახელმწიფომ მიიღო სამი კონვენცია: საერთაშორისო შეტაკებების მშვიდობიანი გადაწყვეტის შესახებ; სახმელეთო ომის კანონების და წეს-ჩვეულებების შესახებ; საზღვაო ომისადმი ჟენევის დაჭრილების და სნეულების კონვენციის (1864) საწყისების გამოყენების შესახებ. 1907 წელს 44 სახელმწიფომ მიიღო 13 კონვენცია. სამი მათგანი (1, 4, 10) ავსებდა 1899 წლის კონვენციებს და ატარებდა იმავე სახელწოდებებს. დანარჩენ 10-ს ეწოდება: 2. სახელშეკრულებო სასესხო ვალდებულებების გადახდის მიზნით ძალის გამოყენების შემთხვევების შეზღუდვის შესახებ. 3. საომარი მოქმედებების გახსნის შესახებ; 5. სახმელეთო ომში ნეიტრალური სახელმწიფოების და პირების უფლება – მოვალეობების შესახებ; 6. საომარი მოქმედებების დაწყებისას მოწინააღმდეგის სავაჭრო გემების მდგომარეობის შესახებ; 7. სავაჭრო გემების სამხედრო დანიშნულებისთვის გამოყენების შესახებ; 8. ავტომატური კონტაქტური წყალქვეშა ნაღმების დაყენების შესახებ; 9. ომის დროს საზღვაო ძალების მიერ დაბომბვის შესახებ; 11. საზღვაო ომში დაპყრობის უფლებით სარგებლობის ზოგიერთი შეზღუდვის შესახებ; 12. საერთაშორისო საპრიზო სასამართლოს შემოღების შესახებ (ძალაში არ შესულა); 13. საზღვაო ომში ნეიტრალური სახელმწიფოების უფლება-მოვალეობების შესახებ.

ᰰᲐᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲡᲮᲛᲐ (ᲒᲐᲓᲛᲝᲧᲠᲐ), საფრენი აპარატიდან პირადი შემადგენლობის გადმოსხმა ან ტვირთის გადმოყრა.

ᰰᲐᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲡ�წᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲘᲚᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ, წინასწარ გამოთვლილი პოზიცია ᰰᲐᲔᲠᲨᲘ, საიდანაც ხდება პირველი საპარაშუტო დესანტის ან ტვირთის დაშვება მიწაზე, გარკვეულ წერტილში.

ᰰᲐᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ, სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედებები, რომელთა მიზანია მოწინააღმდეგის ჯარების (ძალების) განადგურება, დაზიანება ან შეკავება. ხორციელდება საკუთარი ჯარებიდან ისეთ დაშორებაზე, რომლის დროსაც თითოეულ საბრძოლო გაფრენა საცეცხლე ზემოქმედების და საკუთარი ჯარების გადაადგილებასთან შეთანხმებას არ საჭიროებს.

ᰰᲐᲔᲠᲨᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲝᲑᲐ, ერთ-ერთი მეომარი მხარის ავიაციის გადამწყვეტი უპირატესობა საბრძოლო მოქმედებების თეატრის ან სტრატეგიული (ოპერატიული) მიმართულების (რაიონის) საჰაერო სივრცეში. ის საშუალებას აძლევს სახმელეთო ჯარებს, საზღვაო, საავიაციო ძალებს და ქვეყნის (ქვეყნების კოალიციის) ზურგს შეასრულონ თავისი მოვალობები მოწინააღმდეგის ავიაციის და საჰაერო თავდაცვის უკუქმედების გარეშე. **ᰰ.Ბ.** შეიძლება მოპოვებულ იქნეს ერთ ან ერთდროულად რამდენიმე საბრძოლო მოქმედებების თეატრზე ხანგრძლივად – ს ტ რ ა ტ ე გ ი უ ლ ი ბატონობა, ხოლო ცალკეულ სტრატეგიულ, ან ოპერატიულ მიმართულებაზე ოპერაციის პერიოდში – ო პ ე რ ა ტ ი უ ლ ი ბატონობა. საავიაციო ქვედანაყოფების ნაწილების ან ცალკეული შენაერთების მიერ განსაზღვრულ რაიონში ინიციატივის ხელში ჩაგდებას უწოდებენ ᰰᲐᲔᲠᲨᲘ ტ ა ქ ტ ი კ უ რ ბატონობას.

ᰰᲐᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲠᲘᲒᲔᲝᲑᲐ, საბრძოლო მოქმედების ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში საავიაციო ქვედანაყოფების საფრენი აპარატების ეკიპაჟების ᰰᲐᲔᲠᲨᲘ გათვალისწინებულ რაიონში (სამორიგეო ზონაში) განლაგება. ისინი უნდა იყვნენ საჰაერო, სახმელეთო, საზღვაო მიზნების განადგურების შესახებ კონკრეტული საბრძოლო ამოცანის შესრულების ბრძანების მიღების მოლოდინში. საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად საფრენი აპარატების, ეკიპაჟების და საავიაციო ქვედანაყოფების მზადყოფნის უმაღლესი დონის უზრუნველყოფის ხერხი. გამანადგურებელ ავიაციაში გამოიყენება საჰაერო მოწინააღმდეგის გასანადგურებლად გათვალისწინებულ ზღუდეებზე, საჰაერო ბრძოლაში ძალების სწრაფი ზრდის

მისაღწევად. ბომბდამშენ, გამანადგურებელ-ბომბდამშენ, მოიერიშე ავიაციაში – ახალგამოვლენილ სახმელეთო ან საზღვაო მიზნებზე დარტყმების მისაყენებლად.

ჰაერში საბრძოლო პატრულირება, საავიაციო პატრულირება, რომელიც ხორციელდება მიზნის მდებარეობის რაიონის, დასაცავი ჯარების და საბრძოლო მოქმედებების მიდამოებში, ასევე – განსაკუთრებული მნიშვნელობის რაიონის თავზე ან საჰაერო თავდაცვის ზონაში. მიმართულია მოწინააღმდეგის თვითმფრინავების ხელში ჩასაგდებად და გასანადგურებლად მანამ, სანამ ისინი თავის მიზანს მიაღწევენ.

ჰაიტი (Haiti, კარიბელ ინდიელთა ენაზე – მთაგორიანი, ჰაიტის რესპუბლიკა), სახელმწიფო კუნძულ ჰაიტის დასავლეთ ნაწილსა და მიმდებარე დიდი ანტილის კუნძულების ჯგუფში, ვესტინდოეთში. ფართობი 27,8 ათ. *კმ*². მოსახლეობა 10,1 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ფრანგული. დედაქალაქი – ქ. პორტ-ო-პრენსი. ადმინისტრაციულად იყოფა 9 დეპარტამენტად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა (ორპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებელი რესპუბლიკა 1804 წლიდან. **ჰ.** აღმოაჩინა ქრისტეფორე კოლუმბმა 1492 წელს და ესპანიოლა უწოდა. ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ლათინურ ამერიკაში. შეიარაღებული ძალები არ გააჩნია, თუმცა კონსტიტუციით არ არის გაუქმებული.

ჰანიბალი (Hannibal) ბარკა (ძვ.წ. 247 ან 246–183), კართაგენელი მხედართმთავარი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამხედრო ხელოვნების განვითარებაში. II პუნიკური ომის დროს (218–201) (იხ. *პუნიკური ომები*) მრავალრიცხოვანი არმიით გადალახა ძნელმისადგომი ალპები, შეიჭრა იტალიაში და რამდენიმე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა რომაელებზე (იხ. *კანე*). ბოლოს, *ზამასთან* ბრძოლაში, რომაელებმა დაამარცხეს (202).

ჰაუბიცა (გერმანული haubitze, მისი პირველადი დანიშნულება – ქვის სატყორცნი ქვემეხი), საარტილერიო იარაღის ტიპი, რომლის დანიშნულებაა დახურულ საცეცხლე პოზიციაზე იერიშის მიტანა. **ჰ.** შედის საბრძოლო არტილერიის ჯგუფში, მისი *კალიბრი* 100 *მმ* და მეტია, აქვს შედარებით მოკლე ლულა (15–30 *კალიბრი*), ცვალებადი ჭურვები, სროლის საკმაოდ მაღალი სიჩქარე – 0,5–1-დან 6 გასროლამდე წუთში (კალიბრიდან გამომდინარე), სროლის მანძილი 17 *კმ.* თანამედროვე **ჰ.** არის თვითმავალი, ხოლო მოძველებულ მოდელს აქვს მექანიკური ბუქსირი. თანამედროვე **ჰ**-ის ლულის სიგრძე არის 50 და უფრო მეტი *კალიბრის*, სროლის სიჩქარე 10–12 *გასროლა/წთ*-ში, სროლის მანძილი 50 და მეტი *კმ.* ევროპაში პირველი **ჰ.** გამოჩნდა XIV საუკუნეში (იტალია, გერმანია) და მისი დანიშნულება იყო ქვის ბირთვის სროლა. **ჰ.** დღემდე თანამედრო არმიის, საარტილერიო იარაღის ძირითადი ტიპია. მსოფლიოში ყველაზე დიდი **ჰ.**, მოსკოვის „მეფე-ზარბაზანი“, შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში. ამ იარაღის სიგრძე 5,34 *მ*, ლულის გარე დიამეტრი – 1 200 *მმ*, სანიმუშო საპირე სარტყლის დიამეტრი – 1 340 *მმ*/*კალიბრი* – 900 *მმ*, მასა – 39 312 *კგ.* ასევე არსებობს ამ იარაღის ასლი უკრაინის ქალაქ დონეცკში. **ჰ**-მ ფართო გამოყენება პოვა I და II მსოფლიო ომებში.

ჰაუპტვახტი (გერმანული – hauptwache), სპეციალური შენობა, სადაც დაპატიმრებულ სამხედრო მოსამსახურეს ათავსებენ. **ჰ**-ში ათავსებენ დისციპლინარული წესით, სამძებრო ორგანოების მიერ დაპატიმრებულ, სამართალში მიცემულ სამხედრო მოსამსახურეს და მას, ვისაც სამხედრო ტრიბუნალმა **ჰ.** მიუსაჯა.

ჰაუსის კოორდინატები, ბრტყელი, სწორკუთხა კოორდინატების სისტემა, რომელიც დედამიწის ელიფსოიდის მონაკვეთების გამოსახვისთვის იხმარება. გამოიყენება ტოპოგრაფიული რუკების შედგენისას, გეოდეზიური პუნქტების კოორდინატების გამოთვლისთვის.

ჰეგემონიზმი (ბერძნული hegemonia – ხელმძღვანელობა, ბატონობა), იდეოლოგია და პოლიტიკა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოების კავშირების, პოლიტიკური სისტემების, რელიგიების მიერ მთელ მსოფლიოზე, ან მის ცალკეულ რეგიონზე ბატონობის დამყარებისკენ. **ჰ**-ის იდეოლოგია წარმოადგენს ხედვების, კონცეფციების სისტემას, რომელიც გამოიყენება მსოფლიოში ბატონობის დამყარების, ძალმომრეობის გამართლების და იმპერიული მიზნების მიღწევისთვის. **ჰ**-ის პოლიტიკა დაფუძნებულია ძალაზე და არის ეკონომიკური ექსპანსიის, სხვა სახელმწიფოების და ხალხების შინაურ საქმეებში სამხედრო და სხვა სახის ჩარევის საშუალება. II მსოფლიო ომის შემდეგ **ჰ**-ის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს წარმოადგენდნენ: ნეოკოლონიალიზმი, რასიზმი, სხვადასხვა სახის სამხედრო ჩარევები, აგრესია, სახელმწიფო ტერორიზმი, ოკუპაცია, მსოფლიოს დანაწილება გავლენის სფეროებად, სამხედრო ბლოკები და ა.შ. XX საუკუნის დასასრულიდან ცალკეული სახელმწიფოების პოლიტიკაში **ჰ**-ის არსებობა მნიშვნელოვანი წინაღმდეგობაა ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბების გზაზე, ქმნის საერთაშორისო კრიზისებისა და კონფლიქტების ალბათობას, საფრთხეს უქმნის მშვიდობას და ხალხების უსაფრთხოებას. გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1979 წელს მიიღო რეზოლუცია „საერთაშორისო ურთიერთობებში ჰეგემონიზმის მიუღებლობის შესახებ“.

ჰიდროაკუსტიკური კომპლექსი, ობიექტზე (წყალქვეშა ნავი, ხომალდი, საავიაციო და სანაპირო ობიექტები) განთავსებული სხვადასხვა დანიშნულების და მუშაობის რეჟიმის მქონე ჰიდროაკუსტიკური საშუალებების ერთობლიობა. ისინი გაერთიანებულია საერთო სქემით და კონსტრუქტორული გადაწყვეტილებით უზრუნველყოფენ ჰიდროაკუსტიკის ამოცანების ყველაზე ეფექტურ გადაწყვეტას. განკუთვნილია ობიექტების (მიზნების) აღმოჩენისა და კლასიფიცირებისთვის, მათი კოორდინატების და მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრისთვის, იარაღის გამოყენების მიზნით მონაცემების გაცემისთვის, ასევე – ჰიდროაკუსტიკური კავშირის დამყარებისთვის, ურთიერთმოქმედი ძალების დადგენის და კომანდების გადაცემისთვის, ცურვის სანავიგაციო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, სხვადასხვა ჰიდროლოგიურ პირობებში სხვა ამოცანების შესასრულებლად. **ჰ.კ**-ები მუშაობენ პასიურ და აქტიურ რეჟიმში და შეიძლება შეიცავდნენ ხმის პელენგატორს, ჰიდროლოკატორს, ჰიდროაკუსტიკური სიგნალების აღმოჩენის, წყალქვეშ-ხმოვან და ურთიერთდადგენის, მანძილის გაზომვის, ნაღმების აღმოჩენის და სხვა სადგურებს (არხებს).

ჰიდროაკუსტიკური საშუალებები, სხვადასხვა დანიშნულების და მოქმედების პრინციპის მქონე რადიოტექნიკური, ელექტრონული, ტექნიკური ხელსაწყოები და მოწყობილობები. **ჰ.ს**. დაფუძნებულია აკუსტიკური ტალღების წყლის გარემოში გავრცელების მოვლენის გამოყენებაზე. განკუთვნილია წყლის გარემოში არსებული მოძრავი და უძრავი ობიექტების (მიზნების) ძიებისთვის, აღმოჩენისთვის, ადგილმდებარეობის და მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრისათვის. ასევე – კავშირის და ინფორმაციის გადაცემისთვის, მიზანმიმართვის, ცურვის უსაფრთხოების სანავიგაციო უზრუნველყოფისთვის, იარაღის თვითდამიზნების ჰიდროაკუსტიკური სისტემას, ჰიდროაკუსტიკური წინააღმდეგობების საშუალებების შექმნისთვის და სხვა. მათ განეკუთვნება ჰიდროაკუსტიკური სადგურები და კომპლექსები, იარაღის თვითდამიზნების სისტემები, ჰიდროლოკატორები, აკუსტიკური ტრალები, ექოლოტები, ექოლოდომერები, სხვა ხელსაწყოები და მოწყობილობები. მუშაობის პრინციპის მიხედვით არის პასიური და აქტიური, დაყენების ადგილის მიხედვით – სახომალდე, საავიაციო, სტაციონარული (სანაპირო, ფსკერული) და პოზიციური (ჰიდროაკუსტიკური ბუი და სხვა).

ჰიდროთვითმფრინავი, თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია ცურვა, აფრენა და დაფრენა წყლის ზედაპირზე. სამხედრო **ჰ.** გამოიყენება ზღვაზე საჰაერო დაზვერვისთვის, წყალზედა ხომალდების და წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლველად, ზღვაზე ადამიანების გადასარჩენად. ასხვავებენ **ჰ**-ის 3 ტიპს: ტივტივებიანს, მფრინავ ნავებს და თვითმფრინავ-ამფიბიებს (ამ უკანასკნელებს შეუძლიათ სახმელეთო აეროდრომებზე დაჯდომაც).

ჰიდროლოგიური მახასიათებლები, წყლის გარემოს განმასხვავებელი ნიშნები: ზედაპირული და სიღრმული დინებების მიმართულება და სიჩქარე, ტემპერატურა, წყლის მარილიანობა, ჰიდროსტატიკური წნევა, წყალში ბგერის გავრცელების სიჩქარე, ფსკერის მდგომარეობა; ასევე – ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს ურთიერთქმედება, წყლის ქიმიური შემადგენლობა და რადიოაქტიურობა, წყლის ელექტრონული და ოპტიკური თავისებურებები და სხვა. **ჰ.მ.** გამოიყენება ჰიდროაკუსტიკური დაზვერვის (თვალთვალის) საწარმოებლად. ჰიდრომეტეოროლოგიაში **ჰ.მ**-ის საფუძველზე დგება ამინდის და წყლის რეჟიმის პროგნოზი. აღნიშნული სეზონური და დღეღამური ცვლილებები გამოიყენება ჰიდროაკუსტიკური საშუალებებით წყალქვეშა ნავების ძიებისთვის.

ჰიდროლოგიური პროგნოზი, წყლის ობიექტების რეჟიმის შეცვლის სამეცნიერო წინასწარმეტყველების მეთოდი, მათი ვადების და პარამეტრების განსაზღვრა ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების საფუძველზე. **ჰ.პ**. არის: მოკლევადიანი (15 დღემდე) და გრძელვადიანი (რამდენიმე თვე), ხოლო მიზნობრივი დანიშნულებით – ყინულოვანი, წყლის, ჰიდროენერგეტიკის, ხომალდების და გემებისთვის.

ჰიდროლოკაციური სადგური, ჰიდროაკუსტიკური სადგურის ნაირსახეობა. რადიოელექტრონული აპარატურის კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა წყალზე და წყალქვეშა ობიექტებზე ინფორმაციის მიღება მათგან არეკლილი ჰიდროაკუსტიკური სიგნალის საშუალებით. **ჰ.ს**. გამოიყენება საზღვაო მიზნების (ობიექტების) აღმოსაჩენად, კლასიფიკაციისათვის, მოძრაობის კოორდინატების და პარამეტრების განსაზღვრისათვის, საწყისი მონაცემების მიღების და იარაღის მართვის სისტემებში გადაცემისათვის, ნაოსნობის ნავიგაციური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის და სხვა. **ჰ.ს**-ები იყოფა: დაყენების ადგილის მიხედვით – სახომალდე, საავიაციო, სტაციონარულ და პოზიციურ სადგურებად; ხედვის ხერხების მიხედვით არის: დისკრეტული გარემოს ბიჯური, უწყვეტი წრიული და სექტორული თვალთვალის. შეიძლება იყოს ჩასაშვები, ბუქსირებადი და ავტონომიური. ჰიდროლოკატორის ნაირსახეობას წარმოადგენენ ეხოლოტები და ეხოყინულმზომები.

ჰიდრომეტეოროლოგიური საშუალებები, საშუალებები, რომლებიც გამოიყენება დედამიწის ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს პარამეტრების გასაზომად. ეს აუცილებელია მათში მიმდინარე ფიზიკური პროცესების და მოვლენების ანალიზის და შეფასებისათვის.

სამხედრო საქმეში გამოიყენება ჯარების (ძალების) მოქმედების ჰიდრომეტეოროლოგიური (მეტეოროლოგიური) უზრუნველყოფისთვის. ჰ.ს. არის: მეტეოროლოგიური, აეროლოგიური და ჰიდროლოგიური. ისინი გამოიყენება ატმოსფეროს პარამეტრების განსაზღვრისათვის ხმელეთისპირა (წყლისპირა) ფენებში, თავისუფალ ატმოსფეროში რამდენიმე დონეზე და წყლის მასების კვლევისათვის სხვადასხვა სიღრმეზე.

ჰიდროტექნიკური ნაგებობები, სამხედრო-საზღვაო და სამდინარო სპეციალური საინჟინრო ნაგებობები, რომლებითაც აღიჭურვება ნავსადგურები, ხომალდების და ჰიდროავიაციის ბაზირების, ასევე ფლოტის, საავიაციო ძალების და სახმელეთო ჯარების საბრძოლო საქმიანობის უზრუნველყოფის პუნქტები. მოიცავს ნავმისადგომ, შემომსაზღვრელ და გემსაამწეო ნაგებობებს. ჰიდროტექნიკური ნაგებობების რიცხვს განეკუთვნება ნაპირსამაგრი, წყლის ამომღები, წყალგამოსაშვები, საკანალიზაციო და ჰიდროგრაფიული ნაგებობები; სპეციალური საფრები ხომალდებისათვის; კაშხლები და ზღუდეები წყლისმიერი დაბრკოლებებისათვის; ხელოვნური კუნძულები, პლატფორმები და სხვა.

ჰიმნი (ბერძნული – hymnos), საპროგრამო ხასიათის ტექსტზე შექმნილი საზეიმო საგალობელი, რომელიც განკუთვნილია კოლექტიური შესრულებისათვის. ცნობილია სახელმწიფო (ეროვნული), რელიგიური, სამხედრო, რევოლუციური, კორპორაციული და სხვა ჰ-ები. ყველაზე ძველია რელიგიური ჰ-ები (საგალობლები). XVI–XVII საუკუნეებში გაჩნდა ე.წ. საერო ჰ-ები, რომლებსაც ეროვნული შეფერილობა ჰქონდათ. ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესში, სახელმწიფო გერბთან და დროშასთან ერთად, მეტი მნიშვნელობა მიენიჭა ოფიციალურ სახელმწიფოებრივ სიმბოლოებს. ჰ-ებს ასრულებდნენ ზეიმებზე, მეფის კარზე გამართულ ცერემონიებზე, დარბაზობაზე და ა.შ. რევოლუციური ჰ-ების მაგალითია ფრანგული „მარსელიოზა“ (1792), რომელიც საფრანგეთის ეროვნული ჰ. გახდა, და იტალიური „ჰარიბალდელთა ჰიმნი“ (1848–58), პროლეტარული ჰ. „ინტერნაციონალი“ (1887).

ჰიროსიმასა და ნაგასაკის ატომური დაბომბვა 1945, აშშ-ის ავიაციის მიერ II მსოფლიო ომის დროს (ბირთვული იარაღის პირველი გამოყენება). 26 ივლისს ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და ჩინეთის მთავრობებმა იაპონიის მისამართით გამოაქვეყნეს კაპიტულაციის მოთხოვნა, რასაც იაპონურმა მხარემ უარით უპასუხა. მაშინ, 6 და 9 აგვისტოს, იაპონიის ქალაქებში ჰიროსიმასა და ნაგასაკში ჩამოაგდეს 2 ბირთვულმუხტიანი ბომბი, თითო 20 *ტ* ტროტილის ეკვივალენტური. საერთო ჯამში დაზარალდა დაახლოებით 300 ათ. ადამიანი. მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ამ საშინელი იარაღის გამოყენებით ამერიკელებმა დააჩქარეს იაპონიის კაპიტულაცია (1945 წლის 2 სექტემბერი). ამასთან ისინი უდავოდ ცდილობდნენ ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენას საბჭოთა კავშირზე, რომელსაც გერმანიაზე გამარჯვების შემდეგ უძლიერესი სახმელეთო არმია ჰყავდა და მზად იყო გაეგრძელებინა შეტევა დასავლეთ ევროპის ხელში ჩაგდების მიზნით.

ჰიტლერი (Hitler) (ნამდვილი გვარი – შიკლგრუბერი) ადოლფ (1889–1945), გერმანიის ნაცისტი დიქტატორი 1933–45 წლებში. დაიბადა ავსტრიაში. მონაწილეობდა I მსოფლიო ომში. 1921 წლიდან გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის ლიდერი (ფიურერი). 1933 წლიდან გერმანიის სახელმწიფოს მეთაური (რაიხსკანცლერი, 1934 წელს ეს თანამდებობა გააერთიანა პრეზიდენტის პოსტთან), 1941 წლიდან შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. ატარებდა აგრესიულ საგარეო პოლიტიკას (დაიწყო ტერიტორიული ექსპანსიით ცენტრალურ ევროპაში) და გახდა II მსოფლიო ომის გაჩაღების მთავარი ინიციატორი. საბჭოთა ჯარების ბერლინში შესვლის შემდეგ, 1945 წლის 30 აპრილს, თავი მოიკლა.

ჰონდურასი (Honduras – ჰონდურასის რესპუბლიკა), სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში. ჩრდილოეთით ესაზღვრება ატლანტის ოკეანის კარიბის ზღვა, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – წყნარი ოკეანე, ფონსეკის ყურე. ფართობი 112,1 ათ. *კმ*². მოსახლეობა 7,6 მლნ. კაცი (2012). ოფიციალური ენა – ესპანური. დედაქალაქი – ქ. ტეგუსიგალპა. ადმინისტრაციულად იყოფა 18 დეპარტამენტად. სახელმწიფოს და მთავრობის მეთაურია პრეზიდენტი. საკანონმდებლო ორგანო – ეროვნული ასამბლეა (ერთპალატიანი პარლამენტი). დამოუკიდებლობის დღეა 15 სექტემბერი 1821 წლიდან. ჰ. ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანაა (მთავარი საექსპორტო კულტურაა ბანანი, ყავა და შაქრის ლერწამი). მისდევენ თევზჭერას და ხეტყის დამუშავებას. მსხვილი საზღვაო პორტებია: პუერტო-კორტესი, ლა-სეიბა, ტელა, ტრუხილიო (კარიბის ზღვა) და ჩოლუტეკა (წყნარი ოკეანე). საერთაშორისო აეროპორტი – ტეგუსიგალპა. შეიარაღებული ძალები საერთო შემადგენლობით 12 ათ. კაცი (2012), სახმელეთო ჯარები 8,3 ათ., სამხედრო-საჰაერო 2,3 ათ. და სამხედრო-საზღვაო, სანაპირო დაცვა 1,4 ათ. დაკომპლექტება ხორციელდება გაწვევით.

ჰოპკალიტური ვაზნა, ლითონის ყუთი, აღჭურვილი ჰოპკალიტით (მარგანეცის ან სხვა ლითონის ორმაგმჟავას საფუძველზე არსებული კატალიზატორი). გამოიყენება ხელსაწყოებში ჰაერში არსებული ნახშირორჟანგის შემცველობის კონტროლისთვის. ასევე მფილტრავ აირწინაღებში ნახშირორჟანგის ზემოქმ-

ედებისგან სასუნთქი ორგანოების დასაცავად (მაგალითად, თვითმავალი საარტილერიო დანადგარიდან სროლის დროს საბრძოლო განყოფილებაში გაზის გამოყოფის პირობებში).

ჰოპლიტი (ბერძნული – hoplitai), მძიმედ შეიარაღებული ქვეითი მეომარი ძველ საბერძნეთში. შეიარაღებული იყო გრძელი შუბითა და მოკლე მახვილით. დამცავი აღჭურვილობა შედგებოდა ფარის, მუზარადის, მოკლე ჯავშნისა და საჩერნეებისაგან. **ჰ**-ები იბრძოდნენ მჭიდრო ხაზოვანი წყობით (იხ. *ფალანგი*). **ჰ**-ბი ბერძნული ქალაქ – სახელმწიფოების მილიციის მთავარ ძალას წარმოადგენდნენ.

ჰოსპიტალი, სამხედრო (სამოქალაქო) სამკურნალო, პროფილაქტიკური დაწესებულება, რომლის დანიშნულებაა სამხედრო მოსამსახურეებისთვის კვალიფიციური და სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენა და მათი სტაციონარული მკურნალობა.

ჰუმანიტარული აქცია, საერთაშორისო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელთა მიზანია სხვადასხვა სახის კონფლიქტებში და სამხედრო მოქმედებების დროს სამოქალაქო მოსახლეობის მდგომარეობის შემსუბუქება ან მათი გადარჩენა.

ჰუმანიტარული დახმარება, მისიები, განხორციელებული ადამიანთა დახმარების მიზნით, განსაკუთრებით იმ ვითარებაში, როდესაც რეგიონში ხელისუფლების ორგანოები უძლური არიან ან არ სურთ უზრუნველყონ მოსახლეობის საკმარისი მხარდაჭერა. **ჰ.დ.** შეიძლება განხორციელდეს მშვიდობის მხარდაჭერის ოპერაციასთან ერთად ან მთლიანად დამოუკიდებული ქმედების სახით.

ჰუმანიტარული ოპერაცია, ოპერაცია, რომელიც ხორციელდება ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ეგიდით შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილების და სამოქალაქო მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის მიზნით.

ჰუნები, ცენტრალური აზიის ტრამალებიდან გამოსული თურქულენოვანი მომთაბარე ტომები. დასავლეთისკენ მოძრაობის დროს მათ შეერწყნენ უნგრული და სარმატული მოდგმის ჯგუფები. V საუკუნის 70-იან წლებში **ჰ**-მა ვოლგა გადმოლახეს და თავს დაესხნენ აღმოსავლეთ ევროპის სტეპებში მცხოვრებ ალანებსა და გუთებს. ზოგიერთი გერმანული და სხვა ტომების დამორჩილებით **ჰ**-მა ჩამოაყალიბეს დიდი ტომთა კავშირი, რომელმაც *ატილას* დროს ძლერების მწვერვალს მიაღწია. **ჰ**-ის დასავლეთისკენ წინსვლა შეაჩერა 451 წელს *კატალაუნის ბრძოლაში* დამარცხებამ. ატილას სიკვდილის შემდეგ (453) ტომთა კავშირი დაიშალა. მალე **ჰ**. გაქრნენ როგორც ეთნიკური ჯგუფი.

ჰუსარები (უნგრული huszár, მხ.რ.), მსუბუქი კავალერია XVII–XX საუკუნეების ევროპულ არმიებში (შეიარაღება – ხმალი, კარაბინი, დამბაჩა). **ჰ**. გაჩნდნენ უნგრეთში XV საუკუნეში, როგორც აზნაურთა ცხენოსანი ლაშქარი. პოლონეთში XVI–XVII საუკუნეებში **ჰ**. მძიმე კავალერიას წარმოადგენდნენ.

ჰუსიტური ომები 1419–34, ჩეხეთის ბრძოლა (რელიგიური, სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი) გერმანიის იმპერატორთა უზენაესი ძალაუფლების, გერმანელი ფეოდალებისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. სახელწოდება მოდის ჩეხეთის ეროვნული გმირის იან ჰუსის (1371–1415) სახელიდან. **ჰ.ო**-ის მსვლელობაში ჰუსიტების არმიამ (1424 წლამდე სარდლობდა იან *ჟიჟკა*) 1420–31 წლებში მოიგერია 5 ჯვაროსული ლაშქრობა და თვითონაც დალაშქრა მეზობელი ქვეყნები. ჰუსიტურ მოძრაობაში იყო 2 ძირითადი მიმართულება: რადიკალური (ტაბორიტები) და ზომიერი (მებარძიმეები). განხეთქილება მათ შორის სამხედრო დაპირისპირებამდე მივიდა, ტაბორიტები დამარცხდნენ (1434). მათი უკანასკნელი ციხესიმაგრე 1437 წელს დაეცა. ზომიერებმა კომპრომისულ შეთანხმებას მიაღწიეს იმპერატორთან და კათოლიკურ ეკლესიასთან. **ჰ.ო**-ის შედეგად ჩეხეთმა ფაქტობრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა, თუმცა შიდა წინააღმდეგობები არ იყო გადალახული. **ჰ.ო**-ის პროცესში შემუშავდა დასავლეთ ევროპაში მანამდე უცნობი სამხედრო ორგანიზაცია და ტაქტიკა, გამოჩნდა მსუბუქად შეიარაღებული ქვეითი ჯარის უპირატესობა მძიმე კავალერიასთან შედარებით.

დანართი №1
რუსეთის არმიის ქართველი გენერლები
(1700–1918)



აბაშიძე გრიგოლ ივანეს ძე,
თავადი, გენერალ-მაიორი (1878).
აბაშიძე დავით ნიკოლოზის ძე (1821–99),
თავადი, გენერალ-მაიორი (1869).
აბაშიძე დიმიტრი როსტომის ძე (1856–1920),
თავადი, გენერალ-მაიორი (1913),
1914–15 მე-12 მსროლელი დივიზიის მეთაური.
აბაშიძე კონსტანტინე გიორგის ძე (1856–1917),
თავადი, გენერალ-მაიორი (1912).
აბაშიძე როსტომ ნიკოლოზის ძე (1816–83),
თავადი, გენერალ-მაიორი (1878).
აბელიშვილი (აბელოვი) ალექსანდრე ბესარიონის ძე (1853–1912),
გენერალ-მაიორი (1907).
აბელიშვილი (აბელოვი) ვასილ დავითის ძე (1835–1905),
გენერალ-მაიორი (1891),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1864).
აგიაშვილი გიორგი თეიმურაზის ძე (1831–1911),
თავადი, გენერალ-მაიორი (1902).
ავალიშვილი (ავალოვი) ალექსანდრე სიმონიეს ძე (1852–1916),
თავადი, გენერალ-მაიორი (1910).
ავალიშვილი (ავალოვი) ზურაბ დიმიტრის ძე (1818–84),
თავადი, გენერალ-მაიორი (1877).
ავალიშვილი (ავალოვი) ივანე სოლომონის ძე (1796–1860),
თავადი, გენერალ-მაიორი (1854),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1841) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1827).
ალექსი-მესხიშვილი (ალექსეევ-მესხიევი) აპოლონ სარდიონის ძე (1850–1909),
გენერალ-მაიორი.
ალხაზიშვილი (ალხაზოვი) იაკობ ქაიხოსროს ძე (1826–96),
ინფანტერიის გენერალი (1891),
1885–94 კავკასიის III საარმიო კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV (1877) და III ხარისხის (1877),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1889).
ალხაზიშვილი (ალხაზოვი) ივანე გრიგოლის ძე (1835–1900),
გენერალ-მაიორი (1878).
ამაშუკელი ზაქარია ვასილის ძე (1862–1920 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1917),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916).
ამბრაზანცევი (ამბერსაძე) ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1754–1813),
გენერალ-ლეიტენანტი (1798),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1803).
ამბრაზანცევი (ამბერსაძე) ალექსანდრე სერგის ძე (1841–99 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1896).
ამბრაზანცევი-ნეჩაევი (ამბერსაძე) ალექსი სერგის ძე (1832–97),
გენერალ-ლეიტენანტი (1881).
ამილახვარი (ამილახორი) გივი ივანეს ძე (1874–1943),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916) და
„წმ. გიორგი“ ოქროს იარაღი (1917).
ამილახვარი (ამილახორი) ივანე გივის ძე (1829–1905),
თავადი, კავალერიის გენერალი (1896), გენერალ-ადიუტანტი (1901),
1893–97 კავკასიის I საარმიო კორპუსის სარდალი,

„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1877) და
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1899).
ამილახვარი (ამილახორი ვასილ) ვახტანგ (გ. 1728),
თავადი, გენერალ-მაიორი (1725),
1725 წლამდე ზემო ქართლის სადროშოს სარდალი.
ამილახვარი (ამილახორი) ოთარ რევაზის ძე (1756–1827),
თავადი, გენერალ-მაიორი (1803),
1801 წლამდე ზემო ქართლის სადროშოს სარდალი.
ამილახვარი (მილოხვაროვი) (ელისეი პოტაპის ძე) ედიშერ პაატას ძე,
(გ. 1788), თავადი, გენერალ-ლეიტენანტი.
ამირეჯიბი (ამირაჯიბოვი-კარსკი), მიხეილ ქაიხოსროს ძე (1833–1903),
თავადი, კავალერიის გენერალი (1899),
1899–1903 კავკასიის I საარმიო კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV (1877), III ხარისხის (1878) და
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1901).
ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი), ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, (გ. 1915),
თავადი,გენერალ-მაიორი (1907).
ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ალექსანდრე სიმონის ძე (1871–1923),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917),
1917–18 მე-20 საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი,
1918–21 გენერალური შტაბის უფროსი და
სამხედრო სკოლის უფროსი,
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1916).
ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) იასე იოსების ძე (1798–1863),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1850),
გენერალ-ადიუტანტი (1852).
ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე ზაალის ძე (1760–1831),
თავადი, გენერალ-მაიორი (1825).
ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ივანე მალხაზის ძე (1793–1868),
თავადი, კავალერიის გენერალი (1867),
1849–56 თბილისის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1830), III ხარისხის (1853),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1854) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) ნიკოლოზ ილიას ძე (1795–1850),
თავადი, გენერალ-მაიორი, (1846)
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1832).
ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) რევაზ ივანეს ძე (1814–77),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1860),
გენერალ-ადიუტანტი (1877),
1877 წელს კახეთში განლაგებული ჯარების სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1855).
ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) სპირიდონ ნიკოლოზის ძე (1848–1915),
თავადი, გენერალ-მაიორი (1907).
ანდღულაძე გიორგი ბეჟანის ძე (1866–1948),
გენერალ-მაიორი (1917), გენერალ-ლეიტენანტი (1920),
1919–20 მე-13 და 34-ე ქვეითი დივიზიების მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1918).
ართმელაძე დავით ადამის ძე (1865–1935),
გენერალ-მაიორი (1917),
1917–18 127-ე ქვეითი დივიზიის მეთაური,
1918–21 მეთაურობდა ქართული კორპუსის I და II ქვეით დივიზიებს,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1916).
არჯევანიძე გიორგი პავლეს ძე (1863–1940),
გენერალ-მაიორი (1916),
1916–18 123-ე ქვეითი დივიზიის მეთაური,
1918–21 ქართული არმიის ცხენოსანი დივიზიის მეთაური,
1921–28 ამიერკავკასიის ქვეითი სკოლის უფროსი,

„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916).
აფხაზი (აფხაზოვი) ივანე ნიკოლოზის ძე (1764–1832),
თავადი, გენერალ-მაიორი (1826),
1832 წელს ვარშავის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1813) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1812).
აფხაზი (აფხაზოვი) დავით ილიას ძე (1866-1918 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1918),
ახვლედიანი იასონ ალექსანდრეს ძე (1852–1940),
გენერალ-მაიორი (1910),
1908–11 ყარსის ოლქის სასაზღვრო ჯარების სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1905).



ბაგრატიონ-დავიდოვი (ბაგრატიონ-დავითისშვილი) მიხეილ მიხეილის ძე (1732–81),
გენერალ-მაიორი (1779).
ბაგრატიონ-დავიდოვი (ბაგრატიონ-დავითისშვილი) სიმონ მიხეილის ძე (1730–92),
გენერალ-მაიორი (1780).
ბაგრატიონი ადარნასე (აფანასი) ლევანის ძე (1707–84),
უფლისწული, გენერალ-ანშეფი (1771),
1755–63 ქ. მოსკოვის ობერ-კომენდანტი,
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ ორდენი.
ბაგრატიონი ბაქარ ვახტანგის ძე (1700–50),
უფლისწული, მეფე ვახტანგ VI შვილი
გენერალ-ლეიტენანტი (1729), გენერალ-პორუჩიკი (1745)
1727–49 მოსკოვის ოლქის არტილერიის სარდალი,
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ (1726) და
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1734).
ბაგრატიონი გიორგი ვახტანგის ძე (1712–86),
უფლისწული, მეფე ვახტანგ VI შვილი,
გენერალ-ანშეფი (1762),
1756–63 რუსეთ-პრუსიის ომის დროს II დივიზიის სარდალი,
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი (1758) და ოქროს ხმალი.
ბაგრატიონი ალექსანდრე პეტრეს ძე (1862–1920),
გენერალ-მაიორი (1916).
ბაგრატიონი დავით გიორგის ძე (1767–1819),
უფლისწული, მეფე გიორგი XII შვილი,
1800–01 წქართლ-კახეთის გამგებელი,
გენერალ-ლეიტენანტი (1800),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი.
ბაგრატიონი დიმიტრი პეტრეს ძე (1863–1919),
გენერალ-ლეიტენანტი (1916),
1917 წელს ცხენოსანი კორპუსის სარდალი,
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1916).
ბაგრატიონი ივანე ვახუშტის ძე (1725–81),
გენერალ-პორუჩიკი, (1777)
1774–81 ციმბირის კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1778).
ბაგრატიონი კირილე ალექსანდრეს ძე (1749–1828),
გენერალ-მაიორი (1797),
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ ორდენი.
ბაგრატიონი მირიან ირაკლის ძე (1767–1834),
უფლისწული, მეფე ერეკლე II შვილი,
გენერალ-ლეიტენანტი (1798), გენერალ-ადიუტანტი (1803).
ბაგრატიონი პეტრე ივანეს ძე (1765–1812),
ინფანტერიის გენერალი (1809),
1812 წელს II არმიის სარდალი,

„წმ. ალექსანდრე ნეველის“ (1799),
„წმ. გიორგის“ II ხარისხის (1806),
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ ორდენები (1808)
და „წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (მამაცობისათვის 1807).
ბაგრატიონი პეტრე რომანის ძე (1809–76),
გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძმისშვილი,
გენერალ-ლეიტენანტი (1865),
1870–76 ბალტიისპირეთის გენერალ-გუბერნატორი.
ბაგრატიონი რომან (რევაზ) ივანეს ძე (1778–1834),
გენერალ პეტრე ბაგრატიონის ძმა,
გენერალ-ლეიტენანტი (1829),
„წმ. გიორგის“ IV (1810), III ხარისხის ორდენები (1814)
და ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ბაგრატიონ-იმერეტინსკი ალექსანდრე არჩილის ძე (1674–11),
უფლისწული, მეფე არჩილის შვილი,
არტილერიის გენერალი (1698),
1700–11 რუსეთის არტილერიის I გენერალ-ფელდცოიხმაისტერი.
ბაგრატიონ-იმერეტინსკი ალექსანდრე გიორგის ძე (1796–1862),
გენერალ-ადიუტანტი (1852),
კავალერიის გენერალი (1860),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1840).
ბაგრატიონ-იმერეტინსკი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (1837–1900),
თავადი, გენერალ-ადიუტანტი (1878),
ინფანტერიის გენერალი (1891),
1881–92 მთავარი სამხედრო სამმართველოს უფროსი
და მთავარი სამხედრო პროკურორი,
1897–1900 ვარშავის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი
და ვარშავის გენერალ-გუბერნატორი,
„წმ. გიორგის“ IV (1877), III ხარისხის ორდენები (1877) და
ოქროს იარაღი (1877).
ბაგრატიონ-იმერეტინსკი დიმიტრი გიორგის ძე (1799–1845),
გენერალ-მაიორი (1836),
1837–45 ულანთა II დივიზიის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1842).
ბაგრატიონ-იმერეტინსკი კონსტანტინე დავითის ძე (1789–44),
უფლისწული, გენერალ-მაიორი (1817),
1838 წლამდე მეთაურობდა ჰუსართა I დივიზიას.
ბაგრატიონ-იმერეტინსკი ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (1830–94),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1880).
ბაგრატიონ-მუხრანსკი ალექსანდრე ირაკლის ძე (1853–1918),
გენერალ-მაიორი (1904), გენერალ-ლეიტენანტი (1917),
1917 წელს მე-3 ცხენოსანი კორპუსის სარდალი.
ბაგრატიონ-მუხრანსკი გრიგოლ ივანეს ძე (1787–1861),
გენერალ-მაიორი (1850),
1861 წლამდე კავკასიის სასაზღვრო ხაზის
მარჯვენა ფლანგის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1847).
ბაგრატიონ-მუხრანსკი ივანე კონსტანტინეს ძე (1812–95),
გენერალ-ლეიტენანტი (1858),
1856–61 მეთაურობდა მე-18 ქვეით დივიზიას,
„წმ. გიორგის“ IV (1851), III ხარისხის (1854),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1871)
და ოქროს ხმალი (1844, 1847).
ბაგრატიონ-მუხრანსკი კონსტანტინე ივანეს ძე (1782–1842),
გენერალ-ლეიტენანტი (1838).
ბაგრატიონ-მუხრანსკი კონსტანტინე ივანეს ძე (1838–1905),
გენერალ-მაიორი (1874).
ბარათაშვილი (ბარატოვი) კონსტანტინე თევდორეს ძე, (1858–1906 შემდ.)
თავადი, გენერალ-მაიორი (1906),ოქროს იარაღი (1906).
ბარათაშვილი (ბარატოვი) ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1865–1932),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1912), კავალერიის გენერალი (1917)

1917–18 რუსეთის საექსპედიციო კორპუსის სარდალი სპარსეთში,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916) და ორი ოქროს იარაღი.
ბარათაშვილი (ბარატაევი) პეტრე მელქისედექის ძე (პეტრე მიხეილის ძე, 1734–89), თავადი,
გენერალ-პორუჩიკი (1786).
ბარათაშვილი (ბარატაევი) სერგი გივის ძე,
თავადი, გენერალ-მაიორი.
ბარათაშვილი (ბარატაევი) სიმონ მელქისედექის ძე (სიმონ მიხეილის ძე, 1745–98), თავადი,
გენერალ-მაიორი (1789),
1792–96 ყაზანის სამეფისნაცვლოს მმართველი,
„წმ. გიორგის“ IV (1785) და III ხარისხის ორდენები (1789).
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის 1828).
ბეგთაბეგიშვილი (ბეკტაბეკოვი) ალექსანდრე იასეს ძე (1819–76),
თავადი, გენერალ-მაიორი (1869),ოქროს იარაღი (1862).
ბენაშვილი (ბენაევი) ანდრია მიხეილის ძე (1867–1941),
გენერალ-მაიორი (1917),
1917–18 32-ე საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი
და 105-ე ქვეითი დივიზიის უფროსი,
1918–21 სამხედრო სკოლის უფროსი.
ბუჯყიაშვილი (ბუჩკიევი), ალექსანდრე ბეჟანის ძე (ალექსანდრე ბორისის ძე 1825–1902), გენერალ-ლეიტენანტი (1893),
1887–93 ფინეთის სამხედრო ოლქის არტილერიის სარდალი.
ბუჯყიაშვილი (ბუჩკიევი) დიმიტრი ივანეს ძე (1789–1849),
გენერალ-მაიორი (1829),
1829–49 ალექსანდროპოლის ციხესიმაგრის
სამხედრო კომენდანტი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1830) ორდენი.
ბუჯყიაშვილი (ბუჩკიევი) ვახტანგ ბორისის ძე (1820–1901),
გენერალ-მაიორი (1897),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1849).



გაბაშვილი (გაბაევი) ვასილ დავითის ძე (1853–1933),
გენერალ-ლეიტენანტი (1913),
1915–16 კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1915) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1917).
გაბაშვილი (გაბაევი) ალექსანდრე გიორგის ძე (1875–1937),
გენერალ-მაიორი (1917),
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1915).
გაბაშვილი (გაბაევი) იასონ გიორგის ძე
გენერალ-მაიორი (1867),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1859).
გაბაშვილი (გაბაევი) ფრანგისტან ანდრიას ძე (1853–1928),
გენერალ-მაიორი (1917),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1915).
გამსახურდია გიორგი ნიკოლოზის ძე (1866–1920 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1915),
1919 წელს მეთაურობდა ომსკის სამხედრო ოლქის სახალხო
არმიის კავალერიის I დივიზიას,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1915).
გამსახურდია სერგი ლევანის ძე (1862–1920 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1916).
განგებლიშვილი (განგებლოვი) სიმონ გიორგის ძე (1757–1827),
გენერალ-მაიორი (1799),
1818 წელს მე-13 ქვეითი დივიზიის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1813).
გარსევანიშვილი (გერსევანოვი) ნიკოლოზ ბორისის ძე (1809–71),

თავადი, გენერალ-მაიორი (1855),
1854–55 ყირიმის არმიის შტაბის უფროსი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1855)
და ოქროს ხმალი (მამაცობისათვის 1855).
გეგელაშვილი დავით კონსტანტინეს ძე (1852–1935),
გენერალ-მაიორი.
გედევანიშვილი (გედევანოვი) ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (1870–1933),
თავადი, გენერალ-მაიორი (1916),
1917 წელს 51-ე ქვეითი დივიზიის მეთაური.
გვათუა გიორგი კონსტანტინეს ძე (1829–1919),
გენერალ-მაიორი (1912),
ოქროს იარაღი (1877).
გველესიანი ალექსანდე ნიკოლოზის ძე (1857–1920 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1917).
გოგნიაშვილი (გოგნიევი) ნიკოლოზ რევაზის ძე (1844–1913),
გენერალ-მაიორი (1899).
გრუზინოვი ივანე სიმონის ძე,
გენერალ-მაიორი (1918),
გოთუა გიორგი სიმონის ძე (1871–1936),
გენერალ-მაიორი (1918),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915).
გუნცაძე დავით კონსტანტინეს ძე (1861–1925),
გენერალ-მაიორი (1914), გენერალ-ლეიტენანტი (1917)
1917–18 მე-12არმიის სარდალი და
43-ე საარმიო კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1914).
გურგენიძე ივანე პაატას ძე (1841–1907),
თავადი, გენერალ-მაიორი (1903)
გურიელი გრიგოლ დავითის ძე (1819–92),
თავადი, გენერალ-მაიორი (1882).
გურიელი დიმიტრი ქაიხოსროს ძე (1822–82),
თავადი, გენერალ-მაიორი (1875).
გურიელი ლევან დავითის ძე (1824–88),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1879).
გურიელი (მამია V) მამია სიმონიეს ძე (1789–1826),
თავადი, გენერალ-მაიორი (1811).
გურიელი (გურიალოვი) ივანე სტეფანეს ძე (1770–1818),
თავადი, გენერალ-მაიორი (1803),
1816–18 27-ე ქვეითი დივიზიის მეთაური,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
გურიელი (გურიალოვი) სტეფანე ქრისტეფორეს ძე (1730–1812),
თავადი, გენერალ-მაიორი (1800),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1787).

დადეშქელიანი (დადიშკილიანოვი) ალექსანდრე მიხეილის ძე (1828–87),
თავადი, გენერალ-მაიორი (1874).
დადეშქელიანი (დადიშკილიანოვი) გიორგი თენგიზის ძე (1858–1921),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917),
1915–17 დაღესტნის გუბერნატორი.
დადიანი გიორგი ლევანის ძე (ეგორ ლეონტის ძე დადიანი, 1683–1765),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი.
დადიანი გრიგოლ გრიგოლის ძე (1798–1851),
თავადი, გენერალ-მაიორი.
დადიანი გრიგოლ კაციას ძე (1770–1804),
თავადი, გენერალ-მაიორი (1803),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი.

დადიანი გრიგოლ ლევანის ძე (1814–1901),
თავადი, გენერალ-ადიუტანტი (1880),
ინფანტერიის გენერალი (1883).
დადიანი დავით ლევანის ძე (1812–53),
თავადი, სამეგრელოს მთავარი (1840–53),
გენერალ-მაიორი (1845).
დადიანი კონსტანტინე ლევანის ძე (1819–89),
თავადი,გენერალ-ლეიტენანტი (1887),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი.
დადიანი (ლევან V) ლევან გრიგოლის ძე (1793–1846),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1820),
1804–46 სამეგრელოს მთავარი,
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი (1818) და
ოქროს ხმალი (1829).
დადიანი (მინგრელსკი) ანდრია დავითის ძე (1850–1910),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1879).
დადიანი (მინგრელსკი) ნიკოლოზ დავითის ძე (ნიკოლოზ I) (1847–1903),
თავადი, გენერალ-მაიორი (1878),
სამეგრელოს უკანასკნელი მთავარი (1853–66),
ოქროს ხმალი (1878).
დადიანი ნიკოლოზ გრიგოლის ძე (1764–1834),
თავადი, გენერალ-მაიორი (1804),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი.
დადიანი ოტია ელიზბარის ძე (1836–1915),
თავადი, გენერალ-მაიორი (1891).
დევდარიანი ზაქარია დავითის ძე (1832–1901 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1901).
დანიბეგაშვილი (დენიბეკოვი) ალექსანდრე იაკობის ძე,
გენერალ-ლეიტენანტი (1882),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1877).
დონაური (დანაუროვი) ალექსი პეტრეს ძე (1830–97),
გენერალ-ლეიტენანტი (1885), ოქროს ხმალი (1879).
დონაური (დანაუროვი) მიხეილ ივანეს ძე (1757–1817),
გენერალ-მაიორი (1796),
1797–99 რუსეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე,
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი.
დუმბაძე ივანე ანტონის ძე (1851–1916),
გენერალ-მაიორი (1907),
1907–16 იალტის მთავარმართებელი
და იალტის ქალაქის თავი.
დუმბაძე იოსებ ანტონის ძე (1865–1914 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1914).
დუმბაძე ნიკოლოზ ანტონის ძე (1854–1927),
გენერალ-ლეიტენანტი (1912).
დუმბაძე სამსონ ანტონის ძე (1866–1919 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1915), 1917 წელს ომსკის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი.

ე

ერეკლე II (**ბაგრატიონი**) **ერეკლე** თეიმურაზის ძე (1720–98),
გენერალ-პორუჩიკი (1769),
1744–62 ქართლის მეფე,
1762–98 ქართლ-კახეთის მეფე,
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ ორდენი (1769).
ერისთავი (ერისტოვი) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1873–1955),
თავადი, გენერალ-მაიორი (1915), გენერალ-ლეიტენანტი (1917),
1917 წელს კავკასიის III საარმიო კორპუსის სარდალი,
1918–21 საქართველოს სამხედრო ატაშე თურქეთში,

„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1914) და
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1915).
ერისთავი (ერისტოვი) გიორგი გიორგის ძე (1824–1909),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1890).
ერისთავი (ერისტოვი) გიორგი დავითის ძე (გარდ. 1805),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1800).
ერისთავი (ერისტოვი) გიორგი იასეს ძე (1760–1863),
თავადი, ინფანტერიის გენერალი (1846),
1826–28 21-ე ქვეითი დივიზიის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1804),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ (1827) და
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ ორდენები (1861).
ერისთავი (ერისტოვი) გიორგი რომანის ძე (1812–91),
თავადი, კავალერიის გენერალი (1881),
1849–52 კავკასიის ცენტრალური სასაზღვრო
ხაზის ჯარების სარდალი,
1858–61 ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი და ქუთაისის
გუბერნიის ჯარების სარდალი,
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ (1861) და
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1883).
ერისთავი (ერისტოვი) დავით ესტატეს ძე (1843–1910),
თავადი, კავალერიის გენერალი (1906),
1895–1901 მე-5 კავალერიის დივიზიის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1881) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1878).
ერისთავი (ერისტოვი) დიმიტრი ალექსის ძე (1797–1858),
თავადი, ვიცე-ადმირალი
ერისთავი (ერისტოვი) ივანე დავითის ძე (1730–1804),
თავადი, გენერალ-მაიორი (1798).
ერისთავი (ერისტოვი) ელიზბარ შანშეს ძე (1810–72),
თავადი გენერალ-მაიორი (1870)
ერისთავი (ერისტოვი) კონსტანტინე ბიძინას ძე (1836–97),
თავადი, გენერალ-მაიორი,
1878–87 გორის მაზრის ჯარების სარდალი.
ერისთავი (ერისტოვი) მიხეილ ბიძინას ძე (1827–94),
თავადი, გენერალ-მაიორი (1877).
ერისთავი (ერისტოვი) ნიკოლოზ ბიძინას ძე (1834–1912),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1894),
1878–89 ბათუმის გარნიზონის ჯარების სარდალი,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1878).
ერისთავი (ერისტოვი) სტეფანე დავითის ძე (1740–1804),
თავადი, გენერალ-მაიორი (1798).
ესაძე სპირიდონ იოსების ძე (1813–75),
გენერალ-მაიორი (1874),
1865–75 თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის
სამმართველოს უფროსი.



ვაშაკიძე ტარასი დავითის ძე (1876–1937),
გენერალ-მაიორი (1918)
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916) და
საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდო „Medaille Militaire“ (1915).
ვაჩნაძე აბრამ გიორგის ძე (1853–1941), თავადი,
გენერალ-ლეიტენანტი (1914),
1913–17 პეტერგოფის სამხედრო კომენდანტი
და გარნიზონის ჯარების სარდალი.
ვაჩნაძე ალექსანდრე ივანეს ძე (1844–1901 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1915).

ვაჩნაძე ალექსანდრე ივანეს ძე (1855–1915 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1915).
ვაჩნაძე დავითი თამაზის ძე (1844–1901 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1901).
ვაჩნაძე ლეონტი თამაზის ძე (1858–1916 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1916).
ვახვახიშვილი (ვახვახოვი) აგათონ გარსევანის ძე (1837–1909),
თავადი, გენერალ-მაიორი (1892).
ვეზირიშვილი (ვიზიროვი) დიმიტრი გიორგის ძე (1825–98),
თავადი, გენერალ-მაიორი (1879).

ზ

ზაალიშვილი (ზაალოვი) მიხეილ ზაქარიას ძე (1858–1914 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1914).
ზუმბულიძე (ზემბულატოვი) იაკობ მიხეილის ძე (გ. 1800),
გენერალ-მაიორი (1781),
1781–84 ეკატერინბურგის ობერ-კომენდანტი,
1784–94 ორენბურგის ობერ-კომენდანტი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1770).

თ

თარხან-მოურავი გიორგი იორამის ძე (1841–1911),
თავადი, გენერალ-მაიორი (1890),
1881–90 გენერალური შტაბის მთავარი
სამობილიზაციო სამმართველოს უფროსი.
თარხან-მოურავი იოსებ დავითის ძე (1819–78),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1866),
გენერალ-ადიუტანტი (1871),
1868–76 კავკასიის გრენადერთა დივიზიის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV (1854), III ხარისხის ორდენები (1859)
და ოქროს იარაღი (1854).
თარხან-მოურავი კონსტანტინე დავითის ძე (1811–69),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1865),
1862–63 ბაქოს გუბერნიის გუბერნატორი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1851) და
ოქროს იარაღი (მამაცობისათვის, 1839).
თარხან-მოურავი რომან დიმიტრის ძე (1806–66),
თავადი, გენერალ-მაიორი (1860),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1842) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1829).
თარხნიშვილი (ტარხანოვი) გენადი ნიკოლოზის ძე (1854–1920),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1916),
1912–17 კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების
საბინაო სამმართველოს უფროსი.
თაყაიშვილი ვარლამ სიმონის ძე (1857–1934),
გენერალ-მაიორი (1905),
1903–05 ბაქოს და განჯის გუბერნატორი.
თეთრუაშვილი (ტეტრუევი) ვასილ გაბრიელის ძე (1872–1915),
გენერალ-ლეიტენანტი (გარდაცვალების შემდეგ 1915),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (გარდაცვალების შემდეგ 1916)
და „წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915).
თეთრუაშვილი (ტეტრუევი) ნიკოლოზ გაბრიელის ძე (1864–1920),
გენერალ-მაიორი (1916).
1917–18 55-ე ქვეითი დივიზიის მეთაური,

1919 წელს ურალის ცალკეული არმიის
ურალ-ასტრახანის კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1916).
თოფურია დიმიტრი სოლომონის ძე (სამსონის ძე) (1861–1924),
გენერალ-მაიორი (1915),
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1916).
თულაშვილი (ტულაევი) გიორგი ლევანის ძე (1867–1918 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1917).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) ალექსანდრე გიორგის ძე (1821–72),
თავადი, გენერალ-მაიორი (1870),
1870–72 მე-20 ქვეითი დივიზიის მეთაური,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1860).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) გიორგი ალექსანდრეს ძე (1856–1918),
თავადი, კავალერიის გენერალი (1916),
1916–17 კავალერიის მე-7 კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917) და
ოქროს ხმალი (1906).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) გიორგი იასეს ძე (1839–1901),
თავადი, ინფანტერიის გენერალი (1891).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) გიორგი ნიკოლოზის ძე (1880–1917),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917),
1917 წელს სამხედრო მინისტრის თანაშემწე.
თუმანიშვილი (ტუმანოვი) დიმიტრი გიორგის ძე (1821–88),
თავადი, გენერალ-მაიორი (1883).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) ისაკ შიოშის ძე (1803–80),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1869),
1860–69 კავკასიის სამხედრო ოლქის საველე ტრიბუნალის
თავმჯდომარე, „წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1848) და
ოქროს იარაღი (1856).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (1862–1933),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1916),
1917–18 კავალერიის II კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917) და
ოქროს ხმალი (1906).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) მიხეილ გიორგის ძე (1848–1905),
თავადი, გენერალ-მაიორი (1902).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) ნიკოლოზ გიორგის ძე (1848–1918 შემდ.),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1911).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) ნიკოლოზ იასეს ძე (1844–1917 შემდ.),
თავადი, ინჟინერ-გენერალი (1907),
1915–16 პეტროგრადის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი,
„წმ. ალექსანდე ნეველის“ორდენი (1911).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) ნიკოლოზ ივანეს ძე (1868–1917 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1914).
თურქესტანიშვილი (ტურკისტანოვი) (ეგორ ბორისის ძე)
გიორგი ბაადურის ძე (1730–95), თავადი,
გენერალ-მაიორი (1789),
სამხედრო კოლეგიის გენერალ-კონტროლიორი.
თურქესტანიშვილი (ტურკისტანოვი) მიხეილ ბორისის ძე
(ბაადურის ძე), (გ. 1791),
თავადი, ბრიგადირი (1777),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1777).

ი

იაშვილი ვლადიმერ ვლადიმეის ძე (1815–64),
თავადი, გენერალ-მაიორი (1858),
1863–64 ვილნოს სამხედრო გუბერნატორი.

იაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე (1764–1815),
თავადი, გენერალ-მაიორი (1800),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1794).
იაშვილი ლევან მიხეილის ძე (1772–1836),
თავადი, არტილერიის გენერალი (1819),
1816–36 I არმიის არტილერიის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV (1795), III ხარისხის (1808),
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ (1833),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ორდენები (1813) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1806, 1807).
იაშვილი მიხეილ ალექსის ძე (1748–1811),
თავადი, გენერალ-მაიორი,
სესტრორეცკის და სანქტ-პეტერბურგის
დენთის ქარხნების უფროსი.
იმნაძე ევგენი სიმონიეს ძე (1875–1944 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1916),
1919–20 ოდესის სამხედრო სასწავლებლის უფროსი,
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1915).
იოსელიანი დიმიტრი ზაქარიას ძე (1820–1900),
გენერალ-მაიორი (1882).
იოსელიანი ზაქარია ონისიმეს ძე (1786–1866),
გენერალ-მაიორი (1828),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1831) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1813).
ისარლიშვილი (ისარლოვი) იოსებ ლუკას ძე (1862–1915 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1914).

კ

კვანჭხაძე ვასილ ალექსის ძე (1858–1919 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1913),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1905).
კვინიტაძე (ჩიქოვანი) გიორგი ივანეს ძე (1874–1970),
გენერალ-მაიორი (1917),
1917 წელს ქართული კორპუსის სარდალი,
1918 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამხედრო მინისტრი
და არმიების მთავარასარდალი, 1918–21 ქართული კორპუსის I დივიზიის მეთაური, აფხაზეთის
გენერალ-გუბერნატორი, შავი ზღვის სანაპიროს ჯარების სარდალი, სამხედრო სკოლის უფროსი,
ქართული ჯარის მთავარსარდლი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1917).
კობიაშვილი (კობიევი) ალექსანდრე იოსების ძე (1857–1918),
გენერალ-მაიორი (1910),
1909–13 იუევსკის საიარაღო ქარხნის უფროსი.
კობიაშვილი (კობიევი) მიხეილ ანდრიას ძე (1862–1931),
გენერალ-მაიორი (1916),
„წმ. გიორგის“ იარაღი (1916).
კობიაშვილი (კობიევი) ნიკოლოზ გრიგოლის ძე (1822–80),
გენერალ-მაიორი (1868), ოქროს ხამლი (1860).

ლ

ლაფერაშვილი (ლაპეროვი) ივანე ნიკოლოზის ძე (1855–1913 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1913).
ლაშკარევი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე,
გენერალ-მაიორი (1862).
ლაშკარევი ალექსანდრე გრიგოლის ძე (1823–98),
გენერალ-ლეიტენანტი (1867),

1860–65 პერმის გუბერნატორი.
ლაშკარევი ალექსანდრე სერგის ძე,
გენერალ-ლეიტენანტი (1833),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1812).
ლაშკარევი გრიგოლ ალექსანდრეს ძე (გ. 1902),
გენერალ-ლეიტენანტი (1878),
1877–78 IV კორპუსის კავალერიის სარდალი,
1878–84 მე-9 კავალერიის დივიზიის II ბრიგადის მეთაური.
ლაშკარევი გრიგოლ სერგის ძე (1788–1849),
გენერალ-ლეიტენანტი (1844),
1833–34 კიევის გუბერნატორი,
1839–49 ვოლინის გუბერნატორი.
ლაშკარევი ნიკოლოზ გრიგოლის ძე (1822–98),
გენერალ-მაიორი (1860).
ლაშკარევი პავლე სერგის ძე (1776–1857),
გენერალ-მაიორი (1814),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1812),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ლაშკარევი პავლე სერგის ძე,
გენერალ-ლეიტენანტი (1879).
ლიონიძე ალექსანდრე სოლომონის ძე,
თავადი, გენერალ-მაიორი (1915).
ლიონიძე ვასილ დიმიტრის ძე (1864–1929),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917).

მ

მაზნიაშვილი (მაზნიევი) გიორგი ივანეს ძე (1870–1937),
გენერალ-მაიორი (1918),
1918 წლის ოქტომბერიდან თბილისის გენერალ-გუბერნატორი
და I ქართული დივიზიის უფროსი,
1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთთან ბრძოლის დროს
სარდლობდა თბილისის (სოღანლუღის სექტორი) ფრონტს,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917),
საქართველოს ეროვნული გმირი (2013).
მამაცაშვილი (მამაცევი) იოსებ ქრისტეფორეს ძე (1810–74),
გენერალ-მაიორი (1870).
მამაცაშვილი (მამაცევი) კონსტანტინე იოსების ძე (1849–1908 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1907).
მამაცაშვილი (მამაცევი) კონსტანტინე ქრისტეფორეს ძე (1814–90),
გენერალ-მაიორი (1869), 1869 წელს კავკასიის არმიის არტილერიის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1854) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1860).
მამაცაშვილი (მამაცევი) ლევან კონსტანტინეს ძე (1863–1916),
გენერალ-მაიორი (1916),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (გარდაცვალების შემდეგ 1916).
მამაცაშვილი (მამაცევი) ქრისტეფორე იოსების ძე (1839–1909),
გენერალ-მაიორი (1900).
მანველიშვილი (მანველოვი) ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1824–1906),
თავადი, კავალერიის გენერალი (1885),
1869–71 მე-8 კავალერიის დივიზიის მეთაური,
ოქრის ხმალი (მამაცობისათვის, 1878).
მანველიშვილი (მანველოვი) ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1816–89),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1868),
ოქროს ხმალი (1855).
მანსურაძე (მანსურაძევი) ივანე დავითის ძე,
გენერალ-მაიორი (1872),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1852) და

ოქროს ხმალი (1858).
მარკოაზაშვილი (მარკოზოვი) ვასილ ივანეს ძე (1838–1908),
ინფანტერიის გენერალი (1897).
მარკოზაშვილი (მარკოზოვი) ივანე პავლეს ძე (1799–1877),
გენერალ-მაიორი (1869),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1841).
მარღანია კაცო ბეჟანის ძე (1766–1866),
თავადი, გენერალ-მაიორი (1844).
მარღანია მალაქია კვაჯის ძე (1859–1937),
თავადი, გენერალ-მაიორი (1913),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1916).
მაძარაშვილი ილია საყვარელას ძე (1854–1912),
გენერალ-ლეიტენანტი (1908),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878).
მაღალაშვილი (მაგალოვი) დავით იოსების ძე (1820–78 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1878).
მაღალაშვილი (მაგალოვი) ლევან (ლენკო) ლუარსაბის ძე (1879–1926),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917),
1919–21 მეთაურობდა მოხალისეთა ქართულ კორპუსს.
მაყაშვილი (მაკაევი) აბელ გაბრიელის ძე (1860–1920),
თავადი, გენერალ-მაიორი (1916),
1918–19 ახალციხის გენერალ-გუბერნატორი,
და თბილისის სამხედრო კომენდანტი,
1920 წელს განჯის სამხედრო სკოლის უფროსი,
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1917).
მაყაშვილი (მაკაევი) დიმიტრი სოლომონის ძე (1840–1906),
თავადი, გენერალ-მაიორი (1891).
მაყაშვილი (მაკაევი) ვლადიმერ ათანასეს ძე (1839–1911)
თავადი, გენერალ-მაიორი (1900).
მაყაშვილი (მაკაევი) ზაალ დიმიტრის ძე (1831–1922),
თავადი, გენერალ-მაიორი.
მაყაშვილი (მაკაევი) ივანე რამაზის ძე (1848–1921 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1907),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1906).
მაყაშვილი (მაკაევი) ილია ზაქარიას ძე (1857–1917 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1914),
1917 წელს ციმბირის მე-8 მსროლელი დივიზიის მეთაური,
ოქროს ხმალი (1906).
მაყაშვილი (მაკაევი) რევაზ მანის ძე (1805–56),
თავადი, გენერალ-მაიორი (1856).
მაყაშვილი (მაკაევი) სოლომონ ზაქარიას ძე (1855–1920),
თავადი, გენერალ-მაიორი (1913),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1906).
მაჩაბელი გიორგი მიხეილის ძე (1862–1917 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917).
მაჩაბელი დავით გიორგის ძე (გ. 1776),
თავადი, გენერალ-მაიორი (1775),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1774).
მაჩაბელი ვასილ რევაზის ძე (1854–1913 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1913),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
მაჭავარიანი დავით მიხეილის ძე (1864–1924),
გენერალ-მაიორი (1917).
მაჭავარიანი სპირიდონ სიმონიეს ძე,
გენერალ-მაიორი (1869).
მაჭავარიანი მიხეილ მერაბის ძე (1838–1902),
გენერალ-მაიორი (1899).
მახათაძე ბორის ალექსანდრეს ძე (1865–1912 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1909).
მდივანი ზაქარია ასლანის ძე (1867–1933),

გენერალ-მაიორი (1915),
1917–18 39-ე ქვეითი დივიზიის შტაბის უფროსი
და კავკასიის სამხედრო ოლქის მთავარი უფროსი,
1918–21 ბათუმის სამხედრო კომენდანტი და
ბათუმის ოლქის ჯარების სარდალი.
მელიქიშვილი (მელიკოვი) დავით ზაქარიას ძე (1856–1909),
თავადი, გენერალ-მაიორი (1897).
მელიქიშვილი (მელიკოვი) ივანე ქრისტეფორეს ძე (1779–1850),
თავადი, გენერალ-მაიორი (1829),
1827–29 ერევნის სამხედრო კომენდანტი.
მელიქიშვილი (მელიკოვი) ლევან ივანეს ძე (1817–92),
თავადი, გენერალ-ადიუტანტი (1861),
კავალერიის გენერალი (1869),
1877–78 იყო დაღესტნის ოლქის ჯარების სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1845),
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ (1883),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1871) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1859).
მელიქიშვილი (მელიკოვი) ნიკოლოზ ლევანის ძე (1867–1924),
თავადი, გენერალ-მაიორი (1916),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915).
მელიქიშვილი (მელიკოვი) პეტრე ლევანის ძე (1862–1934),
თავადი, გენერალ-მაიორი (1909).
მიქელაძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე (1863–1919),
თავადი, გენერალ-მაიორი (1914),
1917 წელს ცხენოსანი, ბრიგადას მეთაური.
მიქელაძე ალექსანდრე პლატონის ძე (1867–1928),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1915).
მიქელაძე ალმასხან ოტიას ძე (1834–1915),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1895),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1877).
მიქელაძე დიმიტრი ოტიას ძე (1836–1910),
თავადი, გენერალ-მაიორი (1906),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1877).
მიქელაძე ვიაჩესლავ არტემის ძე (1875–1951),
თავადი, გენერალ-მაიორი (1916),
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი (1934), პროფესორი,
1935–51 ლენინგრადის სამხედრო-მექანიზირებული
ინსტიტუტის დირექტორი,
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1916).
მიქელაძე კონსტანტინე ალმასხანის ძე (1866–1914),
თავადი, გენერალ-მაიორი (1913).
მიქელაძე ნიკოლოზ რომანის ძე (1841–98),
თავადი, გენერალ-მაიორი (1893).
მუსხელიშვილი (მუსხელოვი) ალექსანდრე ივანეს ძე (გ. 1897),
გენერალ-მაიორი,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1878).
მუსხელიშვილი (მუსხელოვი) გიორგი ივანეს ძე (1844–1929),
გენერალ-მაიორი (1902).
მუსხელიშვილი (მუსხელოვი) დიმიტრი ივანეს ძე (გ. 1913),
გენერალ-მაიორი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1877).
მუსხელიშვილი (მუსხელოვი) ეფრემ სოლომონის ძე (1852–1920),
გენერალ-მაიორი (1912),
„წმ. გიორგის“ IV ხარიხსის ორდენი (1905).
მუსხელიშვილი (მუსხელოვი) იაკობ ლევანის ძე (1865–1936),
გენერალ-მაიორი (1918),
1917 წელს ბათუმის ციხესიმაგრის არტილერიის და
მიხეილის საციხოვნო არტილერიის სარდალი.
მუსხელიშვილი (მუსხელოვი) ივანე ლევანის ძე (1859–1940),
გენერალ-მაიორი (1914),

აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მამა (1891–1976)
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915).
მღებრიშვილი (მგებროვი) აბესალომ ივანეს ძე (1845–1916 შემდ.),
გენერალ-ლეიტენანტი (1914).

ნ

ნათიშვილი (ნატიევი) ალექსანდრე გიორგის ძე (1873–1919),
გენერალ-მაიორი (1917),
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1918).
1917 წლის ბოლოს მე-6 საარმიო კორპუსის მეთაური.
ნათიშვილი (ნატიევი) დავით სოფრომის ძე (1859–1940),
გენერალ-მაიორი (1917),
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1917).
ნაკაშიძე ალექსანდრე დავითის ძე (1837–1905),
თავადი, კავალერიის გენერალი (1897),
1880–97 ელისავეტპოლის გუბერნიის გუბერნატორი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1878).
ნაკაშიძე ივანე ალექსანდრეს ძე (1848–1919)
თავადი, გენერალ-მაიორი (1909).
ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი) დავით მალაქიას ძე (გ. 1915),
გენერალ-მაიორი (გარდაცვალების შემდეგ 1915),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (გარდაცვალების შემდეგ 1916) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1916).
ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი) დიმიტრი დიმიტრის ძე (1837–1911),
გენერალ-მაიორი (1896),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ნაცვლიშვილი (ნაცვალოვი) ნიკოლოზ გიორგის ძე (1884–1919),
გენერალ-მაიორი (1918),
1918–19 ამურისპირეთის მე-5 კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915).
ნემსაძიევი (ნემსაძე) ვლადისლავ,
გენერალ-მაიორი (1866).
ნიშარაძე (ნიშერაძე) კონსტანტინე კონსტანტინეს ძე (1869–1939),
თავადი, გენერალ-მაიორი (1916),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1907).
ნიშარაძე (ნიშერაძე) დავით ოტიას ძე (1853–1922),
თავადი, გენერალ-მაიორი (1916),

ო

ოდიშელიძე ილია ზურაბის ძე (1865–1925),
გენერალ-ლეიტენანტი (1914),
1917–18 მე-15 საარმიო კორპუსის და I არმიის სარდალი,
1917 წელს სარდლობდა მე-3 არმიას,
1917 წელს კავკასიის არმიის სარდალი და
1920 წელს ქართული არმიის მთავარსარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1907).
ოდიშელიძე ზურაბ ალექსანდრეს ძე (1821–92)
გენერალ-მაიორი,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ორბელიანი (ორბელიანოვი) ალექსანდრე ივანეს ძე (1847–1919),
თავადი, გენერალ-მაიორი (1899).
ორბელიანი (ორბელიანოვი) გიორგი ილიას ძე (1863–1924),

თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1910).
ორბელიანი (ორბელიანოვი) გრიგოლ დიმიტრის ძე (1804–83),
თავადი, გენერალ-ადიუტანტი (1857), ინფანტერიის გენერალი (1862),
1855–59 კასპიისპირეთის ჯარების სარდალი,
1860–62 თბილისის გენერალ-გუბერნატორი,
ტფილისის იუნკერთა ქვეითი სასწავლებლის დამაარსებელი (1863)
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1854),
„წმ. ანდრია პირველწოდებულის“ (1871) და
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები (1861),
ოქროს ხმალი (1847), ოქროს ხმალი (მამაცობისათვის 1857, 1872).
ორბელიანი (ორბელიანოვი) დიმიტრი ზაქარიას ძე (1763–1827),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1827),
1811 წელს მე-20 ქვეითი დივიზიის ბრიგადის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1804).
ორბელიანი (ორბელიანოვი) დიმიტრი თომას ძე (1797–1868),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1856),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1867).
ორბელიანი (ორბელიანოვი) ვახტანგ ვახტანგის ძე (1812–90),
თავადი, გენერალ-მაიორი (1860), ოქროს იარაღი (1854).
ორბელიანი (ორბელიანოვი) თომა (თამაზ) დიმიტრის ძე (1769–1815),
თავადი, გენერალ-მაიორი (1812).
ორბელიანი (ორბელიანოვი) ივანე დავითის ძე (1822–93),
თავადი, გენერალ-მაიორი (1881).
ორბელიანი (ორბელიანოვი) ივანე თომას ძე (1809–66),
თავადი, გენერალ-მაიორი (1858).
ორბელიანი (ორბელიანოვი) ივანე კონსტანტინეს ძე (გ. 1892),
თავადი, გენერალ-მაიორი (1846).
ორბელიანი (ორბელიანოვი) ივანე მაკარის ძე (1845–1919),
თავადი, კავალერიის გენერალი (1906),
1905-06 22-ე და მე-18 საარმიო კორპუსების სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხი ორდენი (1878).
ორბელიანი (ორბელიანოვი) იოანე დავითის ძე (1765–1808),
თავადი, გენერალ-მაიორი (1803).
ორბელიანი (ორბელიანოვი) ილია დიმიტრის ძე (1818–53),
თავადი, გენერალ-მაიორი (1851),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1845).
ორბელიანი (ორბელიანოვი) ილია დიმიტრის ძე (1825–79),
თავადი, გენერალ-მაიორი (1868),
1877–78 ალაზნის ველზე განლაგებული ჯარების სარდალი.
ორბელიანი (ორბელიანოვი) მაკარ თომას ძე (1800–71),
თავადი, გენერალ-მაიორი (1856),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1848),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენები და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1837).

ქ

ქლენტი ალექსი სამსონის ძე (1860–1915),
გენერალ-მაიორი (1915).

რ

რატიშვილი (რატევი) ივანე დავითის ძე (გ. 1725),
თავადი, გენერალ-მაიორი (1799),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1794).
რატიშვილი (რატიევი) ზურაბ გიორგის ძე (1819–91),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1882).

რატიშვილი (რატიევი) ნიკოლოზ იურის ძე (1731–1803 შემდ.),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1787).
რუსიშვილი-ყორჩიბაშიშვილი (რუსიევი-ყორჩიბაშევი) კონსტანტინე სოლომონის ძე, (1840–1915),
თავადი, გენერალ-მაიორი.



სავარსამიძე (სევარსემიძევი) ლეონტი იაკობის ძე (1778–1838),
გენერალ-მაიორი (1827),
1826 წელს სარდლობდა ჯარებს სპარსეთის საზღვარზე,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1823).
სალაღაშვილი (სალაგოვი) სიმონ ივანეს ძე (1756–1820),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1800),
1805 წელს გენერალ-აუდიტორატი (სამხედრო-სასამართლო უწყების უფროსი),
„წმ. ალექსანდრე ნეველის“ ორდენი.
სარაჯიშვილი (სარაჯევი) ვასილ ალექსანდრეს ძე (1839–1916),
თავადი, გენერალ-მაიორი (1901).
საღინაშვილი (საგინოვი) ალექსანდრე დიმიტრის ძე (1808–87),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1881),
1865–69 კავკასიის არმიის გენერალ-გუბერნატორი
(სამხედრო პოლიციის უფროსი),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1849)
და ოქროს ხმალი (1839).
საღინაშვილი (საგინოვი) ივანე ბესარიონის ძე (1834–1909),
თავადი, გენერალ-მაიორი (1892),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878).
სუმბათაშვილი (სუმბატოვი) დავით ალექსანდრეს ძე (1831–1920),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1890),
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1879).
სუმბათაშვილი (სუმბატოვი) მიხეილ ლუარსაბის ძე (1822–86),
თავადი, გენერალ-მაიორი (1883).



ტატიშვილი (ტატიევი) ნიკოლოზ როსტომის ძე (გ. 1920),
გენერალ-მაიორი (1917),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917).
ტერიაშვილი (ტერიევი) ზაალ შალვას ძე (1840–1916),
გენერალ-მაიორი (1900),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1859).

ფავლენიშვილი (პავლენოვი) ესტატე ალექსანდრეს ძე (1844–1909),
თავადი, გენერალ-მაიორი (1898).
ფანჩულიძე (ფაჩულიძევი) ევგენი ალექსის ძე (1853–1917),
გენერალ-ლეიტენანტი (1912),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878).
ფანჩულიძე (ფანჩულიძევი) ივანე დავითის ძე (1759–1815),
გენერალ-ლეიტენანტი (1813),
„წმ. გიორგის“ IV (1811), III ხარისხის ორდენები (1813) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ფანჩულიძე (ფანჩულიძევი) სიმონ დავითის ძე (1767–1817),
გენერალ-მაიორი (1807),

„წმ. გიორგის“ IV (1806), III ხარისხის ორდენები (1813)
და ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1812).
ფიცხელაური (ფიცხელაურავი) ალექსანდრე პეტრეს ძე (1878–1928),
გენერალ-მაიორი (1918), გენერალ-ლეიტენანტი (1919),
1918–19 სტარობელსკის რაიონის
გენერალ-გუბერნატორი და ჯარების სარდალი,
დასავლეთის ფრონტის ჩერტკოვსკის რაიონის სარდალი.
ფურცელაძე გიორგი მიხეილის ძე (1867–1924),
გენერალ-მაიორი (1916),
1918–21 ბათუმის ციხის კომენდანტი და
ფოთის რაიონის ნაწილების სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1915) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915).
ფურცელაძე მიხეილ ნიკოლოზის ძე (1834–1912),
გენერალ-მაიორი (1903).
ფხეიძე (ფხეიძევი) პავლე დავითის ძე (გ. 1831),
თავადი, გენერალ-მაიორი (1822),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1824).



ქავთარაძე (კავტარაძევი) ალექსანდრე ივანეს ძე (1866–1933 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1916),
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1916).
ქავთარაძე (კოვტორაძე) ალექსი გაბრიელის ძე (1821–1907),
ინფანტერიის გენერალი (1900),
1890–94 IX ქვეითი დივიზიის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV (1854), III ხარისხის ორდენები (1879) და
ოქროს ხმალი (1878).
ქავთარაძე ნიკოლოზ ალექსის ძე (1861–1931),
გენერალ-მაიორი (1917),
1901–17 ქ. გატჩინოს პოლიცმაისტერი.
ქოგულაშვილი (კოგულოვი) დავით ესტატეს ძე,
თავადი, გენერალ-მაიორი (1864).
ქოგულაშვილი (კოგულოვი) ევგენი დავითის ძე (1856–1915),
თავადი, გენერალ-მაიორი.
ქონიაშვილი (კონიევი) გრიგოლ ალექსანდრეს ძე,
გენერალ-მაიორი (1910).
ქორქაშვილი გიორგი პეტრეს ძე (1865–1916),
გენერალ-მაიორი (1909),
1910 წელს მეთაურობდა ვიბორგის და სევასტოპოლის
საციხოვნო არტილერიებს.
ქუთათელაძე კირილე პეტრეს ძე (1861–1929),
გენერალ-ლეიტენანტი (1916),
1909–10 მე-4 სარეზერვო საარტილერიო დივიზიის მეთაური.
ქუთათელაძე სიმონ ივანეს ძე (1858–1918),
გენერალ-მაიორი (1914).
ქუთაისოვი (კუტაისოვი) ალექსანდრე ივანეს ძე (1784–1812),
გრაფი, გენერალ-მაიორი (1806),
1812 წელს დასავლთის არმიის არტილერიის სარდალი,
„წმ. გიორგის“ III ხარისხის ორდენის (1807) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ქუთაისოვი (კუტაისოვი) იპოლიტე ანდრიას ძე (1814–78),
გრაფი, გენერალ-მაიორი (1856).
ქუთაისოვი (კუტაისოვი) კონსტანტინე პავლეს ძე (1876–1918),

გრაფი, გენერალ-მაიორი (1916),
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1914).
ქუთაისოვი (კუტაისოვი) პავლე იპოლიტეს ძე (1837–1911),
გრაფი, ინფანტერიის გენერალი (1900),
1903–05 ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი.

ღლონტი მიხეილ ალექსანდრეს ძე (1858–1924),
გენერალ-მაიორი (1917).
ღოღობერიძე ივანე ალმასხანის ძე (1858–1916),
გენერალ-მაიორი (1915),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (გარდაცვალების შემდეგ 1917).



ყაზბეგი გაბრიელ ნიკოლოზის ძე (გ. 1907),
გენერალ-მაიორი.
ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე (1840–1921),
გენერალ-ლეიტენანტი (1907),
1905–06 ვლადივოსტოკის ციხესიმაგრის
სამხედრო კომენდანტი, ოქროს ხმალი (1877).
ყაზბეგი ივანე ნიკოლოზის ძე (1860–1944),
გენერალ-მაიორი (1916).
ყაზბეგი მიხეილ გაბრიელის ძე (1805–76),
გენერალ-მაიორი (1859),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1852).
ყაზბეგი (ჩოფიკაშვილი) გაბრიელ დიმიტრის ძე (გ. 1817),
გენერალ-მაიორი.
ყარანგოზიშვილი (კარანგოზოვი) კონსტანტინე ადამის ძე (1852–1907),
გენერალ-მაიორი (1904),
1905–07 დროებით ოდესის გენერალ-გუბერნატორი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878).
ყიფიანი მიხეილ ზაალის ძე (1836–1901),
თავადი, გენერალ-მაიორი (1886),
კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო მხაზველთა უფროსი.



შალიკაშვილი (შალიკოვი) ივანე იოსების ძე (1813–66),
თავადი, გენერალ-მაიორი (1860),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1851).
შალიკაშვილი (შალიკოვი) მიხეილ იაკობის ძე (1831–1909),
თავადი, ინფანტერიის გენერალი (1898),
1890–98 ქუთაისის გუბერნიის სამხედრო
გუბერნატორი და ჯარების სარდალი.
შალიკაშვილი (შალიკოვი) სიმონ იოსების ძე (1808–63),
თავადი, გენერალ-მაიორი (1859),
1858–60 ლეკთა სასაზღვრო ხაზის მარჯვენა
ფლანგის ჯარების სარდალი,
1860–63 ზემო დაღესტნის სამხედრო ნაწილის უფროსი.

შალიკაშვილი (ჩალიკოვი) ანტონ სტეფანეს ძე (1754–1821),
თავადი, გენერალ-მაიორი (1807),
1818–21 მსუბუქი კავალერიის გვარდიული დივიზიის მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV (1808), III ხარისხის ორდენები (1814)
და ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1805).
შალიკაშვილი (ჩალიკოვი) ბორის ანტონის ძე,
თავადი, გენერალ-მაიორი (1864),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1851).
შანშიაშვილი (შანშიევი) ნიკოლოზ შანშეს ძე (1862–1933 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1915).
შარვაშიძე (შერვაშიძე) გიორგი დიმიტრის ძე (1846–1918),
თავადი, გენერალ-ადიუტანტი (1899),
1889–97 თბილისის გუბერნიის გუბერნატორი.
შარვაშიძე (შერვაშიძე) გრიგოლ ალექსანდრეს ძე (1818–98),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1890).
შარვაშიძე (შერვაშიძე) მიხეილ (ჰამუტ-ბეი) გიორგის ძე (1806–66),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1837),
გენერალ-ადიუტანტი (1849).
შარვაშიძე (შერვაშიძე) პროკოფი ლევანის ძე (1840–1914),
თავადი, გენერალ-მაიორი (1900),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1878) ორდენი.

ჩ

ჩივაძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (1866–1918 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1908),
1918 წელს უკრაინის სახალხო რესპუბლიკის მთავარი
სამხედრო იურიდიული სამმართველოს უფროსი და
მთავარი სამხედრო პროკურორი.
ჩიკოიძე როსტომ გიორგის ძე (1848–1925),
გენერალ-მაიორი (1905).
ჩიქოვანი ბესარიონ პავლეს ძე (1856–1920 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1914),
წმ. გიორგის ოქროს იარაღი (1916).
ჩიქოვანი დავით ნიკოლოზის ძე,
თავადი, გენერალ-მაიორი (1909).
ჩიქოვანი ნიკოლოზ მერაბის ძე (1833–92),
თავადი, გენერალ-მაიორი (1887),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878).
ჩოლოყაშვილი (ჩელოკაევი) ბიძინა ოთარის ძე (1829–1902),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1901).
ჩოლოყაშვილი (ჩელოკაევი) გრიგოლ პაატას ძე (1846–1916 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1904).
ჩოლოყაშვილი (ჩელოკაევი) ილია ზაალის ძე (1823–77),
თავადი, გენერალ-მაიორი (1872).
ჩოლოყაშვილი (ჩელოკაევი) ლევან ედიშერის ძე (გ. 1864),
თავადი, გენერალ-მაიორი (1858).
ჩრდილელი (ჩერდილელევი) მიხეილ ჩრდილელის ძე (1841–1911),
გენერალ-მაიორი (1893),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878).
ჩხეიძე კონსტანტინე დავითის ძე (1853–1920),
თავადი, გენერალ-მაიორი (1910),
1918–20 ბაქოს იუნკერთა სასწავლებლის უფროსი.
ჩხეიძე მიხეილ საჩინოს ძე (1847–1916 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1907).
ჩხეტიანი ქრისტეფორე პავლეს ძე (1873–1933),
გენერალ-მაიორი (1917)

„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915)
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917)



ციციშვილი (ციციანოვი) ივანე დავითის ძე (1865–1921 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916)
და „წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1917).
ციციშვილი (ციციანოვი) მიხეილ დიმიტრის ძე (1767–1841),
თავადი, ბრიგადირი (1799).
ციციშვილი (ციციანოვი) პავლე დიმიტრის ძე (1754–1806),
თავადი, ინფანტერიის გენერალი (1804),
1804–06 კავკასიის ჯარების მთავარსარდალი,
„წმ. გიორგის“ III ხარისხის ორდენი (1794) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).

წერეთელი დიმიტრი ასლანის ძე (1830–1909),
თავადი, გენერალ-მაიორი (1900).
წერეთელი ზურაბ ქაიხოსროს ძე (1747–1823),
თავადი, გენერალ-მაიორი (1811),
1820 წელს იმერეთის მმართველობის პირველი წევრი (მინისტრი).
წერეთელი ნესტორ დიმიტრის ძე (1829–83),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1881).
წერეთელი როსტომ გრიგოლის ძე (1848–1921),
თავადი, გენერალ-მაიორი (1908),
1921 წლის თებერვალში სარდლობდა
ვლადიკავკაზ-დარიალის მიმართულების ჯარებს.
წითლიძე (წითლიაძევი) გიორგი პავლეს ძე (1827–83),
გენერალ-მაიორი (1874),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878).
წიკლაური (ციკლაუროვი) ვალერიან მიხეილის ძე (1854–1917 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1916).
წულუკიძე გიორგი დავითის ძე (1860–1923),
თავადი, გენერალ-მაიორი (1915),
1917–18 174-ე და 67-ე ქვეითი დივიზიების მეთაური,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916).
წულუკიძე ვარდენ გრიგოლის ძე (1865–1923),
თავადი, გენერალ-მაიორი (1915),
1918–21 ბორჩალოს მაზრის გენერალ-გუბერნატორი
და მაზრის ჯარების სარდალი,
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1917).



ჭავჭავაძე ალექსანდრე გარსევანის ძე (1786–1846),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1841),
1829–30 კახეთის სამხედრო-სასაზღვრო
დაცვის ჯარების სარდალი.
ჭავჭავაძე ალექსანდრე ზაქარიას ძე (1870–1930),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917).

ჭავჭავაძე ალექსანდრე იოსების ძე (1860–1910),
თავადი, გენერალ-მაიორი (1910).
ჭავჭავაძე არჩილ გულბაათის ძე (1841–1902),
თავადი, გენერალ-მაიორი (1896),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1879)
და ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ჭავჭავაძე დავით ალექსანდრეს ძე (1817–1884),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1881).
ჭავჭავაძე ზაქარია გულბაათის ძე (1825–1905),
თავადი, კავალერიის გენერალი (1891), გენერალ-ადიუტანტი (1898),
1879–85 კავკასიის I საარმიო კორპუსის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV (1854), III ხარისხის ორდენები (1877) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის 1857, 1877, 1877).
ჭავჭავაძე იასონ ივანეს ძე (1803–57),
თავადი, გენერალ-მაიორი (1852),
„წმ. გიორგის“ IV (1843), III ხარისხის ორდენები (1853) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის 1826, 1828).
ჭავჭავაძე ივანე სულხანის ძე (1826–1913),
თავადი, გენერალ-მაიორი (1878),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1878) ორდენი.
ჭავჭავაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე (1830–97),
თავადი, გენერალ-ადიუტანტი (1892),
კავალერიის გენერალი (1896),
1880–93 დაღესტნის ოლქის ჯარების სარდალი
და სამხედრო გუბერნატორი,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1877).
ჭავჭავაძე სპირიდონ ივანეს ძე (1809–72),
თავადი, გენერალ-ლეიტენანტი (1868),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1845) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1854).
ჭავჭავაძე სპირიდონ მიხეილის ძე (1878–1952),
თავადი, გენერალ-მაიორი (1917),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1916)
ჭაჭიკაშვილი (ჩაჩიკოვი) ზაქარია ქაიხოსროს ძე (გ. 1872),
გენერალ-მაიორი.
ჭილაშვილი (ჩილაევი) ბეჟან (ბორის) გაბრიელის ძე (1798–1850),
გენერალ-მაიორი (1848),
1849–50 ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის უფროსი
და ლეკთა სასაზღვრო ხაზის ჯარების სარდალი.
ჭილაშვილი (ჩილაევი) სერგი გაბრიელის ძე (1803–64),
გენერალ-მაიორი (1850),
1850–57 შემახის სამხედრო გუბერნატორი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1840) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1828).
ჭილაშვილი (ჩილაევი) სერგი გაბრიელის ძე (1847–1906 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1897),
მონაწილეობდა ბულგარეთის ჯარის ფორმირებაში,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1878).
ჭიჭინაძე მიხეილ კონსტანტინეს ძე (1870–1919),
გენერალ-მაიორი (1918),
1919 წელს მე-4 ქვეითი დივიზიის სარდალი.
ჭყონია კონსტანტინე ასანის ძე (1849–1913)
გენერალ-მაიორი (1913),
1901–13 თერგის კაზაკთა ჯარის ცხენსაშენის უფროსი,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1877).

ხ

ხერხეულიძე (ხერხულიძევი) ზაქარია სიმონის ძე (1798–1856),
თავადი, გენერალ-მაიორი (1841),
1850–52 სმოლენსკის სამხედრო გუბერნატორი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1847) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1828).
ხვაბულოვი (ქობულაშვილი) მათე ათანასეს ძე (1721–89),
თავადი, გენერალ-მაიორი (1780),
1781 წელს ორენბურგის გენერალ-გუბერნატორი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1772).
ხიმშიაშვილი (ხიმშიევი) გიორგი სპირიდონის ძე (1836–1917),
თავადი, არტილერიის გენერალი (1908),
1899–1905 კავკასიის I საარმიო კორპუსის არტილერიის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1878).
ხიმშიაშვილი (ხიმშიევი) ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (გ. 1860),
თავადი, გენერალ-მაიორი (1852),
1855–56 მე-12 ქვეით დივიზიის მეთაური.
ხიმშიაშვილი (ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ადჟარსკი) შერიფ-ბეგ, (1833–92),
თავადი, გენერალ-მაიორი (1879),
პირველი აჭარელი გენერალი.

ჯ

ჯავახიშვილი (ჟევახოვი) ივანე სიმონიეს ძე (1762–1837),
თავადი, გენერალ-მაიორი (1813),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხი ორდენი (1807) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის).
ჯავახიშვილი (ჟევახოვი) სპირიდონ ერასტის ძე (1768–1815),
თავადი, გენერალ-მაიორი (1813),
„წმ. გიორგის“ IV (1807), III ხარისხის ორდენები (1814) და
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1812).
ჯავახიშვილი (ჟევახოვი) ფილიპე სიმონის ძე (1752–1817 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1801).
ჯავრიშვილი (ჯავროვი) ილია დიმიტრის ძე (1841–1901)
გენერალ-მაიორი (1890).
ჯავრიშვილი (ჯავროვი) ტარიელ კონსტანტინეს ძე (1853–1910),
გენერალ-მაიორი (1910).
ჯაიანი ილია თომას ძე (1854–1916),
თავადი, გენერალ-მაიორი (1912).
ჯანდიერი ლევან გიორგის ძე, (1845–1922),
თავადი, გენერალ-მაიორი (1909),
1900 წლამდე თბილისის პოლიცმაისტერი,
1900–06 თბილისის მაზრის უფროსი.
ჯომარჯიძე (ჯემარჯიძევი) თომა გრიგოლის ძე (1838–1907),
გენერალ-მაიორი (1896).
ჯომარჯიძე (ჯემარჯიძევი) მიხეილ გრიგოლის ძე (1822–89),
გენერალ-ლეიტენანტი (1876),
1881–86 კავკასიის მე-2 საარმიო კორპუსის სარდალი,
ოქროს ხმალი (მამაცობისათვის, 1848).
ჯორჯაძე იოსებ რევაზის ძე, (1813–79),
თავადი, გენერალ-მაიორი (1878).

დანართი №2
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ქართველი გენერლები (1918–21)



აბაშიძე ასლან იბრაჰიმის ძე (ასლანბეგი) (1877–1924),
თავადი, გენერალ-მაიორი (1918).
ამირეჯიბი გიორგი სარდიონის ძე (1880–1919),
გენერალ-მაიორი (1918).
აფხაზი კონსტანტინე (კოტე) ნიკოლოზის ძე (1867–1922),
თავადი, გენერალ-მაიორი (1919).
ახმეტელი (ახმეტელაშვილი) სტეფანე გიორგის ძე (1877–1921),
გენერალ-მაიორი (1918),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1917)
და „თამარ მეფის“ ნიშანი (1918).



ბაქრაძე ზაქარია დიმიტრის ძე (1868–1939),
გენერალ-მაიორი (1918),
„წმ. გიორგის“ IV (1915) და
III ხარისხის ორდენები (1915).
ბალუაშვილი ლავრენტი იოსების ძე (1868–1919 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1919)



გედევანიშვილი იოსებ კონსტანტინეს ძე (1872–1932),
თავადი, გენერალ-მაიორი (1918),
„გიორგის ჯვრის“ IV ხარისხის ორდენი (1918).
გელოვანი კონსტანტინე ლევანის ძე (1873–1932),
თავადი, გენერალ-მაიორი (1919),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1915) და
„გიორგის ჯვრის“ III ხარისხის ორდენები (1918),
დიდი ბრიტანეთის „სამხედრო ჯვარი“.



ერისთავი (ქსნის) გიორგი (გიგუშა) ნიკოლოზის ძე (1875–1947),
თავადი, გენერალ-მაიორი (1918).
ესაძე სიმონ სპირიდონის ძე (1868–1927),
გენერალ-მაიორი (1918).



ვეზირიშვილი ირაკლი იოსების ძე (1866–1921 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1919),
მთავარი სამხედრო პროკურორი.



ზაქარიაძე ალექსანდრე ყარამანის ძე (1884–1957),
გენერალ-მაიორი (1919),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915) და
გიორგის ჯვარი (დაფნის მტევნით და ბაფთით 1917).



თავაძე გიორგი ვახტანგის ძე, გენერალ-მაიორი (1919),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1918).
თაყაიშვილი გიორგი კონსტანტინეს ძე (1881–1921),
ინჟინერ-გენერალი (1918).



კონიაშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე (1873–1951),
გენერალ-მაიორი (1919),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1916).



მიქაშავიძე არკადი ნიკოლოზის ძე (1876–1971),
გენერალ-მაიორი (1920),
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1917).

რატიშვილი დავით ბეჟანის ძე (1881–1937),
თავადი, გენერალ-მაიორი (1918).
როინიშვილი იოსებ ნიკოლოზის ძე (1874–1921),
გენერალ-მაიორი (1918).
სამხედრო სასამართლო მთავარი სამმართველოს უფროსი



სუმბათაშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე (1882–1921 შემდ.),
თავადი, გენერალ-მაიორი (1918),
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის ორდენი (1915) და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1915).



ქავთარაძე გიორგი მიხეილის ძე (1858–1921 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1919).



ყარალაშვილი სოლომონ გაბრიელის ძე (1870–1924),
თავადი, გენერალ-მაიორი (1919).
ყიფშიძე ზაქარია თევდორეს ძე (1873–1938),
გენერალ-მაიორი (1918).



ჯაფარიძე ივანე დავითის ძე (1867–1934),
თავადი, გენერალ-მაიორი (1920).
ჯიჯიხია არტემ მურზაყანის ძე (1874–1938),
გენერალ-მაიორი (1919).
ჯუღელი ვალერიან (ვალიკო) ანთიმოზის ძე (1887–1924),
1918–21 სახალხო გვარდიის სარდალი.

დანართი №3
საქართველოს თავდაცვის მინისტრები

ალასანია ირაკლი მამიას ძე (დ. 1973), პოლკოვნიკი,
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2012–14)
ახალაია ბაჩანა როლანდის ძე (დ. 1980),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2009–12).
ბარამიძე გიორგი აივენგოს ძე (დ. 1968),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2004 ივნისი – დეკემბერი).
ბეჭუაშვილი გელა რობერტის ძე (დ. 1967),
საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის მინისტრი (2004).
თევზაძე დავით დავითის ძე (დ. 1949), გენერალ-ლეიტენანტი (1998),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1998–2004).
იზორია ლევან ვახტანგის ძე (დ. 1974),
საქართვერლოს თავდაცვის მინისტრი 2016 წლიდან
კეზერაშვილი დავით შოთას ძე (დ. 1978),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2006–08).
კიტოვანი თენგიზ კალისტრატეს ძე (დ. 1938),
ეროვნული გვარდიის სარდალი (1991–93),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1992–93).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993).
ნადიბაიძე ვარდიკო მიხეილის ძე (დ. 1939), გენერალ-ლეიტენანტი (1993),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1994–98).
ოძრუაშვილი ირაკლი კობას ძე (დ. 1973),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2004–06).
სიხარულიძე ვასილ ვლადიმერის ძე (დ. 1968),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2008–09).
ფირცხალაიშვილი ჯონი მიხეილის ძე (დ. 1947), გენერალ-ლეიტენანტი (1999),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1991–92),
ყარყარაშვილი გიორგი ნოდარის ძე (დ. 1966), გენერალ-მაიორი (1993), საქართველის თავდაცვის მინისტრი (1993–94).
შარაშენიძე ლევან ლევანის ძე (1931–2012), გენერალ-ლეიტენანტი (1989), საქართველოს თავდაცვის მინისტრი (1992).
შაშკინი დიმიტრი ნიკოლოზის ძე (დ. 1975),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2012).
ჯანელიძე მინდია (დ. 1978), პოლკოვნიკი,
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2014–15),
მიღებული აქვს ღირსების ორდენი და
მედალი „მაღალი პროფესიონალიზმისთვის“.
ხიდაშელი თინათინი ანზორის ასული (დ. 1973),
საქართველოს თავდაცვის მინისტრი (2015–16).

დანართი №4
ქართველი გენერლები და ადმირალები 1992 წლიდან დღემდე.



აბაშიძე ლერი ივანეს-ძე (1935–94),
გენერალ-ლეიტენანტი (1993).
აბაშიძე დიულა ვაჟას ძე (1941–2004),
გენერალ-მაიორი (1993).
აბულაძე თენგიზ ესტატეს ძე (დ. 1953),
გენერალ-მაიორი (2003).
ადამია გენო აკაკის ძე (1936–93),
გენერალ-მაიორი (1993).



ბაიაძე შოთა მიხეილის ძე (1944–2011),
გენერალ-მაიორი (1995).
ბერიძე ალექსანდრე მიხეილის ძე (1917–96),
გენერალ-მაიორი (1993),
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1956), პროფესორი (1984).
ბიწაძე ბადრი რევაზის ძე (დ. 1960),
იუსტიციის გენერალ-მაიორი (1998), გენერალ-ლეიტენანტი (2005),
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი (1991),
საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (1997–2001).
ბიწაძე რაჟდენ ბესარიონის ძე (1937–96),
გენერალ-მაიორი (1994).
ბუცხრიკიძე ელგუჯა აკაკის ძე (1947–2010),
შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1992).



გამყრელიძე ლევანი ავთანდილის ძე (დ. 1970)
ბრიგადის გენერალი (2014).
გოგავა ზაზა ზურაბის ძე (დ. 1970),
ბრიგადის გენერალი (2008), პოლიციის გენერალ-მაიორი (2008).
გოგაშვილი გიორგი რევაზის ძე (დ. 1960),
ბრიგადის გენერალი (2003).
გოგიტიძე ნიკოლოზ ჯემალის ძე (დ. 1960),
იუსტიციის გენერალ-მაიორი (1995),
საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (1994–97)
სრულუფლებიანი და საგანგებო დესპანი (2005).
გრიგორაშვილი ბორის არკადის ძე (1933–93),
გენერალ-მაიორი (1993).
გურგენიძე ივანე გრიგოლის ძე (1941–2012),
გენერალ-მაიორი (1992), გენერალ-ლეიტენანტი (1993).
გურგენიძე რეზო აფრიკოს ძე (1951–2012),
გენერალ-მაიორი (1997).

დათუაშვილი პაატა ნასყიდას ძე (1954–95),
გენერალ-მაიორი (1992).
დუმბაძე თამაზ სევერიანის ძე (1936–2016),
ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993)
გენერალ-ლეიტენანტი (1999),
„ვახტანგ გორგასლის“ I, II, III ხარისხის ორდენები (1998).
დუმბაძე რომან ნოდარის ძე (1964–2012),
გენერალ-მაიორი (1998).



ეპიტაშვილი თენგიზ ვასილის ძე (1935–2003),
გენერალ-მაიორი (1995),
სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1977).



ვაშაკიძე გიორგი გიულის ძე (დ. 1967),
გენერალ-მაიორი (1993).



ზარიძე ჯიმი შალვას ძე (დ. 1952),
ბრიგადის გენერალი (2005).



თათარაშვილი ნოდარ ივანეს ძე (დ. 1941),
გენერალ-მაიორი (1994), გენერალ-ლეიტენანტი (1996).
თათუხაშვილი გიორგი არსენის ძე (დ. 1959),
პოლიციის გენერალ-მაიორი (2003),
შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (2003) და
გენერალ-ლეიტენანტი (2004).
თევზაძე დავით დავითის ძე (დ. 1949),
გენერალ-მაიორი (1998), გენერალ-ლეიტენანტი (1998),
ფილოსოფიის დოქტორი.
თორაძე გიორგი ედუარდის ძე (დ. 1957),
გენერალ-მაიორი (1995).



იმნაძე ვლადიმერ გურამის ძე (დ. 1954),
ბრიგადის გენერალი (2003).
ირემაძე გიგლა აკაკის ძე (1960–2004),
გენერალ-მაიორი (2001), ვიცე-ადმირალი (2003),
ადმირალი (გარდაცვალების შემდეგ 2004).

ᲘᲣᲙᲣᲠᲘᲫᲔ გიორგი ლუარსაბის ძე (დ. 1956),
გენერალ-მაიორი (2002).

კ

ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ გიორგი ზურაბის ძე (დ. 1980),
ბრიგადის გენერალი (2012).
ᲙᲐᲛᲙᲐᲛᲘᲫᲔ ანატოლი მიხეილის ძე (1936–99),
გენერალ-პოლკოვნიკი (1992), შეიარაღებული ძალების სარდალი
ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ ვახტანგ მიხეილის ძე (დ. 1960),
ბრიგადის გენერალი (2004), გენერალ-მაიორი (2013)
საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი (2013–16).
„ღირსების“ ორდენის პირველი კავალერი (1992).
ᲙᲕᲘᲜᲘᲙᲐᲫᲔ გიორგი ლევანის ძე (დ. 1946),
გენერალ-მაიორი (1996).
ᲙᲘᲢᲝᲕᲐᲜᲘ თენგიზ კალისტრატეს ძე (დ. 1939),
ეროვნული გვარდიის სარდალი (1991–93),
„ვახტანგ გორგასლის“ I ხარისხის ორდენი (1993)
ᲙᲝᲑᲐᲚᲐᲫᲔ კობა თენგიზის ძე (დ. 1969),
გენერალ-მაიორი (2001),
„ვახტანგ გორგასლის“ I, II, III ხარისხის ორდენები (2002).
ᲙᲝᲜᲪᲔᲚᲘᲫᲔ თენგიზ შუქრის ძე (დ. 1954),
გენერალ-მაიორი (2000).
ᲙᲣᲞᲐᲢᲐᲫᲔ შალვა თენგიზის ძე (დ. 1956),
ბრიგადის გენერალი (2003).

ლ

ᲚᲐᲜᲩᲐᲕᲐ გელა მიხეილის ძე (1951–2006),
შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1993),
„ვახტანგ გორგასლის“ I, II, III ხარისხის ორდენები (1994).
ᲚᲔᲙᲕᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ომარ დავითის ძე (დ. 1942),
გენერალ-მაიორი (1997), გენერალ-ლეიტენანტი (2000).
ᲚᲔᲨᲐᲕᲐ დიმიტრი იუზას ძე (დ. 1955),
ბრიგადის გენერალი (2003).
ᲚᲝᲠᲘᲐ თემურ უშანგის ძე (დ. 1951),
გენერალ-მაიორი (1996)

მ

ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ დავით ესტატეს ძე (1936–93),
გენერალ-მაიორი (1993).
ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ თამაზ იასონის ძე (1936–2003),
გენერალ-მაიორი (1995).
ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ზურაბ სანდროს ძე (1936–2015),
გენერალ-მაიორი (1996), გენერალ-ლეიტენანტი (1997).
ᲛᲔᲛᲛᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ ელგუჯა ვიქტორის ძე (დ. 1946),
გენერალ-მაიორი (1999), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1994),
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001), აკადემიკოსი (2013).
ᲛᲣᲡᲔᲠᲘᲫᲔ ნოდარ ომარის ძე (1932–2004),
გენერალ-მაიორი (1995).
ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ალექსანდრე ლევანის ძე (დ. 1961),
ბრიგადის გენერალი (2003).

ნ

ნადარეიშვილი თამაზ ვლადიმერის ძე (1954–2004),
გენერალ-მაიორი (1993).
ნაირაშვილი დავით შალვას ძე (დ. 1963),
ბრიგადის გენერალი (2008),
„წმ. გიორგის გამარჯვების“ ორდენი (2009).
ნაირაშვილი ზურაბ შალვას ძე (1941–93),
ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993).
ნაყოფია ვალერიან დავითის ძე (დ. 1942),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1996).
ნიკოლაიშვილი გურამ გიორგის ძე (დ. 1953),
გენერალ-მაიორი (1993), გენერალ-ლეიტენანტი (1996).

ო

ოშხერელი თენგიზ გრიგოლის ძე (დ. 1951),
გენერალ-მაიორი (2001).

რ

რაზმაძე თენგიზ გორგასლანის ძე (1937–2015),
გენერალ-მაიორი (1995).
რამიშვილი ვაჟა ამბროსის ძე (დ. 1945),
საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე (1999),
იუსტიციის გენერალ-მაიორი (2000).
რუსაძე ზაზა უჩას ძე (დ. 1951),
ბრიგადის გენერალი (2003).

ს

სალია კორნელი კირილეს ძე (დ. 1965),
ბრიგადის გენერალი (2005).
სალუქვაძე ამირან სერგოს ძე (დ. 1965),
ბრიგადის გენერალი (2003).
სოხაძე დავით ირაკლის ძე (დ. 1960),
გენერალ-მაიორი (1997),
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი (2004).
სურმავა გიორგი გივის ძე (დ.1958)
ბრიგადის გენერალი (2014)

უ

უღრელიძე გელა გენადის ძე (დ. 1960),
ბრიგადის გენერალი (2003).
უჩავა გიორგი ალექსანდრეს ძე (1954–2016),
გენერალ-მაიორი (1993).

უჩაძე ზაურ გიორგის ძე (დ. 1952),
გენერალ-მაიორი (1993).

ფირცხალაიშვილი ჯონი მიხეილის ძე (დ. 1947),
გენერალ-მაიორი (1988), გენერალ-ლეიტენანტი (1999),
სამ ვარსკვლავიანი გენერალი (2002).



ქავთარაძე თეიმურაზ სტეფანეს ძე (1937–2002),
გენერალ-მაიორი (1995).
ქევხიშვილი ნუგზარ გიორგის ძე (დ. 1957),
გენერალ-მაიორი (2001),
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (1999).
ქვარაია ვალერი ლავრენტის ძე (დ. 1950),
გენერალ-მაიორი (1993).
ქუთათელაძე სამსონ თენგიზის ძე (დ. 1964),
ბრიგადის გენერალი (2003).
„ვახტანგ გორგასლის“ III ხარისხის ორდენი,
საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის“ ორდენი (2008),
საქართველოს ეკლესიის წმ. გიორგის ოქროს ორდენი (2010).



ყარყარაშვილი გიორგი ნოდარის ძე (დ. 1966),
ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993)
ყურაშვილი გუჯარ ამირანის ძე (დ. 1951),
შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1993).
ყურაშვილი მამუკა ნოდარის ძე (დ. 1970),
ბრიგადის გენერალი (2007).



შარტავა ჟიული კალისტრატეს ძე (1944–93),
გენერალ-მაიორი (1993), საქართველოს ეროვნული გმირი,
(გარდაცვალების შემდეგ 2004).
შერვაშიძე გიორგი სერგოს ძე (დ. 1955),
შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1997),
გენერალ-ლეიტენანტი (2003).
შუბლაძე თენგიზ შალვას ძე (დ. 1953),
გენერალ-მაიორი (1995),
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1998), პროფესორი (1998).
შურღაია მერაბ ვალიკოს ძე (დ. 1958),
ბრიგადის გენერალი (2003).
შუშანაშვილი ალექსანდრე ამირანის ძე (1935–2000),
იუსტიციის გენერალ-მაიორი (1993),
საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (1992–94).



ჩაჩიბაია ვლადიმერ ბორისის ძე (დ. 1971),
ბრიგადის გენერალი (2014).
ჩიგოგიძე მირონ ვიქტორის ძე (დ. 1955),
ბრიგადის გენერალი (2003).
ჩიქოვანი ვლადიმერ ოქროპირის ძე (დ. 1938),
შინაგანი ჯარების გენერალ-მაიორი (1993).
ჩხეიძე ვალერი სერგოს ძე (დ. 1948),
გენერალ-მაიორი (1994), გენერალ-ლეიტენანტი (1998),
პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატი (2000).



ცქიტიშვილი ავთანდილ ლევანის ძე (1950–2013),
ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993)



ძაგანია გივი ვლადიმერის ძე (1929–2012),
იუსტიციის გენერალ-მაიორი (1994),
საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის პირველი მოადგილე (1992–97).



ჭანკოტაძე დევი ვახტანგის ძე (დ. 1960),
გენერალ-მაიორი (1961), გენერალ-ლეიტენანტი (2012).
წმ. გიორგის გამარჯვების ორდენი (2009).
ჭოჭუა ემზარ სიმონიეს ძე (დ. 1951),
გენერალ-მაიორი (1996).
ჭუმბურიძე ჯემალ ალექსანდრეს ძე (დ. 1938),
ბრიგადის გენერალი (1992), გენერალ-მაიორი (1993),
გენერალ-ლეიტენანტი (1999).



ხითარიშვილი ტარიელ გაბრიელის ძე (დ. 1948),
გენერალ-მაიორი (1995).



ჯავახიშვილი ალექსანდრე დავითის ძე (დ. 1932),
კონტრ-ადმირალი (1996).
ჯახუტაშვილი პაატა გურამის ძე (დ. 1962),
იუსტიციის გენერალ-მაიორი (2003),
საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (2003–04).
ჯიქია გიორგი დავითის ძე (დ. 1950),
იუსტიციის გენერალ-მაიორი (2002),
საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორი (2001–03)

დანართი №5
ქართველი გენერლები და სამხედრო მოღვაწეები მსოფლიოს ქვეყნებში

აზერბაიჯანი

კარგარეთელი ვასილ დიმიტრის ძე (1880–1938),
გენერალ-მაიორი (1920).

ამერიკის შეერთებული შტატები

შალიკაშვილი ოთარ დიმიტრის ძე (დ. 1933),
კოლონელი (პოლკოვნიკი),
2001 წლიდან იყო აშშ-ის თავდაცვის მინისტრის
მრჩეველი საქართველოს საკითხებში.
შალიკაშვილი ჯონ (მალხაზ) დიმიტრის ძე (1936–2011),
გენერალი (1993).

გერმანიის რაიხი

მაღლაკელიძე შალვა ნიკოლოზის ძე (1894–1976),
ვერმახტის გენერალ-მაიორი (1944).

მთიელთა რესპუბლიკა

კერესელიძე ლეო მათეს ძე (1883–1943),
გენერალ-მაიორი (1919).

ოსმალეთის იმპერია

ალი რიზა ფაშა (თავდგირიძე) (1854–1921),
გენერალ-ლეიტენანტი.
ალი-საიფ-ფაშა (თავდგირიძე) (1827–91),
მარშალი.
ალი-ფაშა ალ-ტარაბულუსი,
ადმირალი (1807).
ალი-ფაშა (თავდგირიძე) (1828–1911),
გენერალ-ლეიტენანტი.
აჰმედ ავნი-ფაშა (ლორთქიფანიძე) (1874–1930),
გენერალ-ლეიტენანტი.
ვასიფ მეჰმედ-ფაშა (გუჯაბიძე) (გ. 1865),
დივიზიის გენერალი (1830).
ზია-ფაშა (თავდგირიძე) (1870–1940),
გენერალ-ლეიტენანტი.
თემურ-ფაშა (ხიმშიაშვილი) (1860–1921),
გენერალ-მაიორი (1918).
მაჰმუდ-ფაშა ჩურუქსელი (თავდგირიძე) (1864–1931),
გენერალ-ლეიტენანტი.
მეჰმედ შაქირ ფაშა (თავდგირიძე) (1854–1918),
მარშალი (1905).
ოსმან ნური-ღაზი-ფაშა (თავდგირიძე) (1840–98),
მარშალი (1881).
საიდ-ფაშა ალ-ტარაბულუსი (გ. 1826),
ადმირალი (1807).
ჰალილ რიფათ-ფაშა (გ. 1855),
ადმირალი.
ჰასან ფაშა ჯიზაირლი (1714–90),
ადმირალი (1770).

პარაგვაი

თუმანიშვილი (ტუმანოვი) იაზონ კონსტანტინეს ძე (1883–1955),
თეთრი არმიის ფლოტის I რანგის კაპიტანი (1920),
პარაგვაის სამდინარო ძალების სარდალი.

პოლონეთი

ბაძრაძე ზაქარია დიმიტრის ძე (1868–1939),
დივიზიის გენერალი (1926).
ზაძარიაძე ალექსანდრე ყარამანის ძე (1884–1956),
დივიზიის გენერალი (1927).
თუმანიშვილი (ტუმანოვი) გიორგი (იეზი) პავლეს ძე (1916–2010),
კონტრ-ადმირალი (2008),
პოლონეთის სამხედრო საზღვაო მოღვაწე.
ქონიაშვილი ალექსანდრე გრიგოლის ძე (1873–1951),
ბრიგადის გენერალი (1926).
ქუთათელაძე კირილე პეტრეს ძე (1861–1929),
დივიზიის გენერალი (1926).
ყაზბეგი ივანე ნიკოლოზის ძე (1860–1944),
ბრიგადის გენერალი (1926).
ჩხეიძე ალექსანდრე დავითის ძე (1873–1941),
თავადი, ბრიგადის გენერალი (1923).

რუსეთი



აბრამიშვილი ნიკოლოზ გიორგის ძე (1918–1942),
ავიაციის კაპიტანი
რუსეთის ფედერაციის გმირი (1995).
ადამია ნოე პეტრეს ძე (1917–42),
საბჭოთა კავშირის გმირი (1942)
ავალიანი ლავრენტი ივანეს ძე (1923–43),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
ავალიშვილი (ავალოვი) სიმონ ნიკილოზის ძე (1880–1920),
თავადი, გენერალ-მაიორი (1919),
1919 ცხენოსანი არტილერიის სარდალი,
„წმ. გიორგის“ IV ხარისხის (1917) ორდენი და
„წმ. გიორგის“ ოქროს იარაღი (1916).
ავალიშვილი (ავალოვი) ილია ნიკილოზის ძე (1882–1920),
თავადი, გენერალ-მაიორი (1919),
1920 კავალერიის I დივიზიის მეთაური.
ალანია ლევან
გიორგის ჯვარი I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ალფაიძე გალაქტიონ ელისეს ძე (1916–2006),
გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ამილახვარი ალექსანდრე ვლადიმერის ძე (1879–1968, ნიუ-იორკი),
თავადი, იმპერატორ ნიკოლოზ II-ის პირადი ბადრაგის პოლკოვნიკი,
„წმ. გიორგის“ იარაღი (1915),
მსახურობდა ესპანეთის და პერუს არმიებში.
ანდრონიკაშვილი ვლადიმერ მიხეილის ძე (1878–1942, მიუნხენი),
თავადი, ლაიბ-გვარდიის ულანთა პოლკის პოლკოვნიკი,
მსახურობდა იუგოსლავიის არმიაში,
„წმ. გიორგის“ იარაღი (1914).
ანჩაბაძე დიმიტრი,
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).

ასლამაზაშვილი სურენ არტემის ძე (1914–70),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
აფაქიძე თემური ავთანდილის ძე (1954–2001),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1996),
რუსეთის ფედერაციის გმირი (1995).
აფხაზავა ევგენი,
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ახალაია ლუკიანე,
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).

ბ

ბაბილოძე დავითი იოსების ძე (1875–1959),
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ბაგრატიონ-იმერეტინსკი გიორგი მიხეილის ძე (1872–1932, ლოს-ანჯელესი),
პოლკოვნიკი, მწერალი და ფილოსოფოსი.
ბაძრაძე დავით ილიას ძე (1912–77),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ბახტაძე გიორგი გიორგის ძე (1916–57),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944).
ბაჯელიძე ასლან უსუფის ძე,
1944–45 მე-17 არმიის 284-ე მსროლელთა დივიზიის მეთაური,
პოლკოვნიკი, „კუტუზოვის“ II, წითელი დროშის IV,
მონღოლეთის „ჩრდილოეთის ვარსკვლავის“ ორდენები.
ბენდელიანი ჭიჭიკო ყაისარის ძე (1913–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943).
ბენდიანიშვილი პროფილე,
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ბერდაშვილი გიორგი ივანეს ძე (1916–44)
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
ბერია ნიკოლოზ დიტოს ძე (1925–48),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
ბერია (გეგეჭკორი) სერგო ლავრენტის ძე (1924–2000),
ინჟინერ-პოლკოვნიკი (1948),
ინჟინერ-კონსტრუქტორი რადიოლოკაციურ და სარაკეტო სისტემების დარგში,
სსრკ სტალინური პრემია (1950)
ტექნიკის მეცნიერებთა დოქტორი (1952).
ბეროშვილი ვლადიმერ ლევანის ძე (1906–43),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
ბერუაშვილი გიორგი ივანეს ძე (1916–43),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ბიბილაშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე (1916–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945).
ბიბილური ლეონტი ივანეს ძე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ბილანიშვილი გიორგი ივანეს ძე (1917–70),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ბუაჩიძე გრიგოლ მიხეილის ძე (1916 გ. წ. უცნ.)
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
ბუკია აკაკი კონსტანტინეს ძე (1914–75),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)

გ

გაბრიაძე გრიგოლ ივანეს ძე (1917–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945).

გაბუნია ნიკანდრო
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
გალუსტაშვილი სოკრატე ალექსის ძე (1920–81),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
გამცემლიძე შოთა ლევანის ძე (1921–45),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945).
გარდაფხაძე ვარლამი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
გახოკიძე მიხეილ ლევანის ძე (1909–72),
საბჭოთა კავშირის გმირი (1942)
გეგელაშვილი სოლომონ დავითის ძე (1885–1973, ბუენოს-აირესი),
პოლკოვნიკი, გენერალ-მაიორ დავით გეგელაშვილის ვაჟი,
მსახურობდა ჩეხოსლოვაკიის და არგენტინის არმიებში,
„წმ. გიორგის“ იარაღი (1917).
გეგეშიძე არკადი სპირიდონის ძე (1902–73),
საბჭოთა კავშირის გმირი (1942).
გვანცელაძე ვლადიმერ ვასილის ძე (1919–70),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944).
გვენცაძე ივანე ნიკოლოზის ძე (1907–70),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944).
გელაძე ვარლამ
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
გერგედავა რომან იოსების ძე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
გერსამია ტროფიმე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915).
გზირიშვილი ივანე ვლადიმერის ძე (1920–73)
დიდების ორდენი I, II, III ხარისხის კავალერი (1945).
გოგიტიძე ალექსანდრე იოსების ძე (გ. პარიზში 1933),
ქართული არმიის პოლკოვნიკი (1918),
1918–21 ავტოასეულის მეთაური,
ანას ხმალი (მამაცობისათვის), ჯვარი „პორტ-არტურის დაცვისათვის“.
გოგიჩაიშვილი ილია
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
გოგიჩაიშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე (1903–45),
საბჭოთა კავშირის გმირი (1942)
გოცირიძე გიორგი გიორგის ძე (1910–77),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943).
გრიგოლია ლავრენტი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
გუგელაძე ვლადიმერ იასონის ძე (1921–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
გურგენიძე ალექსანდრე ერმალოზის ძე (1916–75),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945).
გურგენიძე ალფესი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916)

დ

დადიანი ილია კონსტანტინეს ძე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1917).
დავითაია ალექსანდრე იოანეს ძე (დ. 1920)
დიდების ორდენის I, II, III ხარისხის კავალერი (1946).
დათუნაშვილი კონსტანტინე ალექსის ძე (1911–44)
დიდების ორდენის I, II, III ხარისხის კავალერი (1945).
დანელია ამირან იოსების ძე (1923–79),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
დემეტრაშვილი ივანე გაბრიელის ძე (1908–45),

საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
დიასამიძე მიხეილი სტეფანეს ძე (1913–92),
საბჭოთა კავშირის გმირი (1942)
დუმბაძე ნოე იოსების ძე (1912–83)
დიდების ორდენის I, II, III ხარისხის კავალერი (1945).



ელიაძე გიორგი ვასილის ძე (დ. 1955),
გენერალ-ლეიტენანტი (1999).
ელიაძე ვარლამ
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ესებუა ვლადიმერ მიხეილის ძე (1917–71),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943).



ვალიშვილი ნიკოლოზი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ვაშაძე ვასილ ნიკოლოზის ძე (1892–1927, პარიზი),
გვარდიის პოლკოვნიკი,
მსახურობდა იუგოსლავიის ჯარში.
ვაჩნაძე ვახტანგ დავითის ძე (დ. 1929),
სარაკეტო-კოსმოსური სისტემების წარმოების ორგანიზატორი
და ხელმძღვანელი, ლენინური პრემია (1960),
სსრკ სახელმწიფო პრემია (1989).



ზუმბულიძე ბაგრატ ზაქარიას ძე (1905–2000),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)



თაგვიაშვილი პოლიკარპე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
თავაძე დავით ელისბარის ძე (1916–79),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
თვაური გიორგი ივანეს ძე (1920 გ. წ. უცნ.),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)



ინასარიძე გიორგი მოსეს ძე (1920–84),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ინაური ალექსი ნიკოლოზის ძე (1908–93),
გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი (1985)
იოსელიანი იაროსლავ კონსტანტინეს ძე (1912–78),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)



კავთელაძე იასონ რაჟდენის ძე (დ. 1929),
I რანგის კაპიტანი,
П-5, П-5Д, П-7, РСМ-52, РСМ-54 მფრინავი და ბალისტიკური რაკეტების ცდების სახელმწიფო კომისიების წევრი.
კანანაძე ალექსანდრე გიორგის ძე (1916–99),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
კანკავა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე (1916–42),
საბჭოთა კავშირის გმირი (1942).
კაპანაძე ანდრო პავლეს ძე (1907–1983)
აჭარის სახ. უიშროების სახალხო კომისარი (1943)
კეთილაძე სერგო პოლიკარპეს ძე (1910–42),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943).
კვაჭანტირაძე მიხეილ შალვას ძე (1907–50),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
კვიპარიძე ნესტორი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
კილასონია გერმანე ვლადიმერის ძე (1913–69),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
კოგალაძე იური გიორგის ძე (დ. 1949),
გენერალ-მაიორი (1995).
კობერიძე ერმალოზ გრიგოლის ძე (1904–74),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945).
კობიაშვილი სპირიდონ ანდრიას ძე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
კოკაია დავითი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
კოზმავა კესკინჯი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
კოღონია კონსტანტინე კონსტანტინეს ძე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
კრავეიშვილი მიხეილ
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
კუკუტარია მიხეილ ნიკოლოზის ძე (1900–62),
პოლკოვნიკი (1943), 1945–48 აჭარის ასსრ სახ. უშიშროების სახალხო კომისარი
1946 წლიდან მინისტრი
კუპავა ბაგრატი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).

ლელაძე გიორგი დავითის ძე (1919–93),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ლეჭავა ვახტანგ აკაკის ძე (1923–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ლეჭავა პლატონ ირაკლის ძე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ლესელიძე ვიქტორ ნიკოლოზის ძე (1907–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ლესელიძე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (1903–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1971)
ლოლაძე ილია
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).

ლურსმანაშვილი ვლადიმერ სამსონის ძე (1909–87),
საბჭოთა კავშირის გმირი (1942)



მაგია ვასილ ასლანის ძე (გ. 1937)
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
მაისურაძე გიორგი ვასილის ძე (1908–66),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
მამრიკაშვილი დიომიდე უკას ძე (გ. 1945 შემდ.),
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
მანაგაძე სიმონ დიმიტრის ძე (გ. 1945 შემდ.),
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
მახაროგლიძე რევაზ იასონის ძე (1900–87),
დიდების ორდენის I, II, III ხარ. კავალერი (1945).
მატარაძე გრამიტონ
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915).
მატარაძე შალვა
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
მეგაღიშვილი კარლო ალექსანდრეს ძე (1920–49),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
მეგრელაძე ამბაკო
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
მერკვილაძე გარი ალექსანდრეს ძე (1923–71),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
მერკვილაძე დავით სერგოს ძე (1918–67),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945).
მიქაუტაძე კონსტანტინე ოქროპირის ძე (1906–50),
პოლკოვნიკი (1943),
1944–45 აჭარის ასსრ სახ. უშიშროების სახალხო კომისარი.
მიქელაძე ანტონ ივლიანეს ძე (1900–57), თავადი,
1921–46 მსახურობდა ირანის ჯარში,
მეთაურობდა ცხენოსან პოლკს და იყო ირანის შაჰის
რეზა-ფეხლევის ამალის წევრი,
„წმ. გიორგის“ იარაღი (1916).
მოსულიშვილი ფორე (ქრისტეფორე) ნიკოლოზის ძე (1916–44),
იტალიის ეროვნული გმირი (1970), საბჭოთა კავშირის გმირი (1990).
მტირალიშვილი გიორგი სიკოს ძე (დ. 1923)
დიდების ორდენის I, II, III ხარ. კავალერი (1946).



ნადიბაიძე ვარდიკო მიხეილის ძე (დ. 1939),
გენერალ-მაიორი (1989),
გენერალ-ლეიტენანტი (1993).
ნადირაძე ალექსანდრე დავითის ძე (1914–87),
ოპერატიულ-ტაქტიკური და სტრატეგიული ტიპების სარაკეტო იარაღის
და მოძრავი სარაკეტო კომპლექსების შემქმნელი და მკვლევარი,
1961–87 თბოტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი
და მთავარი კონსტრუქტორი,
სოციალისტური შრომის გმირი (1976, 1982),
ლენინური პრემია (1966),
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1969),
სსრკ სახელმწიფო პრემია (1987).
ნანეიშვილი ვლადიმერ ვარდენის ძე (1902–78),
პირველი ქართველი საბჭოთა კავშირის გმირი (1940),

ავიაციის გენერალ-მაიორი (1944).
ნემსაძე იოსები
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915).
ნიკოლაძე რაჟდენ
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
ნოზაძე ივანე სარდიონის ძე (1911–67), პოლკოვნიკი (1953)
1951–52 აჭარის ასსრ სახ. უშისროების მინისტრი

ო

ოდიშარია თევდორე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).

პ

პაპიძე ვლადიმერ ივანეს ძე (1900–75),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
პაპუაშვილი გიორგი იოსების ძე (1922–45),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
პირმისაშვილი ალექსი ზაქარიას ძე (1913–86),
საბჭოთა კავშირის გმირი (1942)

ჟ

ჟორჟოლიანი ლავრენტი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915).
ჟღენტი იასონი ამბროსის ძე (1902–54), პოლკოვნიკი (1943),
აფხაზეთის ასსრ სახ. უშიშროების სახალხო კომისარი (1941)

რ

რაზმაძე გალაქტიონი სამსონის ძე (1913–88),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
რუხაძე როსტისლავ ალექსანდრეს ძე (დ. 1937),
სარაკეტო, საზღვაო-სამეცნიერო და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სპეციალისტი.
როსტიაშვილი შოთა პეტრეს ძე (1925–45),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)

ს

საბეკია ნესტორ ნავროზის ძე (1865– გ. წ. უცნ.),
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
სამხარაძე გრიგოლ სევასტის ძე (1917– გ. წ. უცნ.),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945).
საჯაია ალექსი ნიკოლოზის ძე (1898–1942),
სახელმწიფო უშიშროების III რანგის კომისარი (1940),
1941 უზბეკეთის სსრ სახ. უშიშროების სახალხო კომისარი.
სებისკვერაძე ფილარეტი დავითის ძე (1904–68), პოდპოლკოვნიკი,

1950–51 აჭარის ასსრ სახ. უშიშროების მინისტრი.
სეფიაშვილი ილია დავითის ძე (1904–71),
დიდების ორდენის I, II, III ხარისხის კავალერი (1946).
სორდია ბონძი აქვსენტის ძე (1911–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
სტალინი (ჯუღაშვილი) იოსებ ბესარიონის ძე (1878–1953),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945),
სულაბერიძე ალექსანდრე სერგოს ძე (1916–58),
საბჭოთა კავშირის გმირი (1940)
სურამელაშვილი გრიგოლ თევდორეს ძე (1915–91),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
სხულუხია გრიგოლ პეტრეს ძე (1909–42),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)

ტ

ტაბიძე ივანე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915)
ტატიშვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე (1979–99),
რუსეთის ფედერაციის გმირი (2000).
ტერელაძე აკაკი ლუკას ძე (1923–43),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ტიბუა შოთა პლატონის ძე (1920–45),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ტულუში ელისე სიმონის ძე (1913–82),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ტყაბლაძე კონსტანტინე ესტატეს ძე (1910–80),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)

უ

უკლება კირილე ნიკიფორეს ძე (1913–97),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ურუშაძე ნოე ალექსანდრეს ძე (1920–43),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)

ფ

ფარცხალაძე ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე (1896–1952),
პოლკოვნიკი (1949),
1948–49 აწარის ასსრ სახ. უშიშროების მინისტრი.
ფიცხელაური (ფიცხელაუროვი) ალექსანდრე პეტრეს ძე (1878–1928),
გენერალ-ლეიტენანტი (1919),
1918–19 სტარობელსკის რაიონის
გენერალ-გუბერნატორი და ჯარების სარდალი,
დასავლეთის ფრონტის ჩერტკოვსკის რაიონის სარდალი.
ფხაკაძე სიმონ
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916)

ქ

ქანთარია მელიტონ ვარლამის ძე (1920–93),
საბჭოა კავშირის გმირი (1946)

ქარქაშაძე არსენი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915).
ქირია შალვა ნესტორის ძე (1912–88),
გენერალ-მაიორი, საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ქოქოზაშვილი გრიგოლ იოსების ძე (1912– გ. წ. უცნ.),
დიდების ორდენის I, II, III ხარისხის კავალერი (1946)
ქუთათელაძე ნიკოლოზი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1913)

ყ

ყანჩაველი ემილიანე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915)

შ

შარიქაძე შალვა
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916).
შელია დავითი სიმონის ძე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1905)
გიორგის ოქროს იარაღი (1916)
შენგელია გიორგი დავითის ძე (1908–81),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
შიშინაშვილი აბიბო ერასტის ძე (1920–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
შოთაძე დავითი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916)
შურღაია ტერენტი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1913).
შურღაია შოთა იოსების ძე (1920–2005),
საბჭოთა კავშირის გმირი (1946)

ჩ

ჩანჩიბაძე ნიკოლოზი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916)
ჩანჩიბაძე **პორ**ფილე გიორგის ძე (1901–50),
გენერალ-პოლკოვნიკი, საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ჩეჩელაშვილი ოთარ გრიგოლის ძე (1923–59),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ჩილაჩავა შალვა ილიას ძე (1911–81),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ჩიქოვანი ვახტანგ ვლადიმერის ძე (1919–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944).
ჩიქოვანი ტიტე სამსონის ძე, პოლკოვნიკი
1954–74 აჭარის ასსრ სახ. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე
ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო იოსების ძე (1888–1930),
ქართველი სამხედრო მოღვაწე, პოლკოვნიკი (1918),
1922–24 ხელმძღვანელობდა პარტიზანულ ბრძოლას
საბჭოთა ოკუპაციის წინააღმდეგ,
ითვლება საქართველოს ეროვნულ გმირად.
ჩუბინიძე გაიოზ გიორგის ძე პოლკოვნიკი
1947–79 აჭარის ასსრ სახ. უშიშრიების კომიტეტის თავმჯდომარე
ჩუბინიძე ლევან ვარლამის ძე (1916–43),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)

ჩხაიძე ვლადიმერ მიხეილის ძე (1922–43),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
ჩხაიძე სერგო ალისტრახოს ძე (1919–71),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ჩხეიძე ნიკოლოზი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916)
ჩხეიძე შალვა
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1916)

ცაციშვილი

ციციშვილი გაბრიელი
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915)
ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის ძე (1918–2001),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
ცუცქირიძე კონსტანტინე ზაქარიას ძე (1912–45),
საბჭოთა კავშირის გმირი (1946)

წ

წერეთელი ზინობი ფილიმონის ძე (1881–1920),
თავადი, გენერალ-მაიორი (1919),
1919–1920 სტერლიტამაკის V საარმიო კორპუსის სარდალი.
წიქორიძე პლატონ ლუკას ძე (1918–94),
საბჭოთა კავშირის გმირი (1943)
წულაია იროდიონ ნესტორის ძე (1920–79),
დიდების ორდენის I, II, III ხარ. კავალერი (1946)
წულუკიძე ბორის აბესალომის ძე (1917–81),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
წურწუმია ალექსანდრე პეხუს ძე (1908–41),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944).

ჭ

ჭიღლაძე სერგო გედევანის ძე (1920–44),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)

ხ

ხაშომია ბესარიონ
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915)
ხვედელიანი ნიკიფორე მათეს ძე
გიორგის ჯვრის I, II, III, IV ხარისხის კავალერი (1915)
ხიტალიშვილი ზაქარია სოლომონის ძე (1922–86),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ხმალაძე ილია გიორგის ძე (1916–41),
საბჭოთა კავშირის გმირი (1940)

ჯაბიძე დავით ვასილის ძე (1916–82),
საბჭოთა კავშირის გმირი (1946)
ჯანჯღავა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე (1907–82),
გენერალ-ლეიტენანტი, საბჭოთა კავშირის გმირი (1945)
ჯაფარიძე თენგიზ ივანეს ძე (1925–98),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ჯაფარიძე მურმან დავითის ძე (1925–83)
დიდების ორდენის I, II, III ხარ. კავალერი (1945)
ჯინჭარაძე ისრაფილ ქემალის ძე (1916–43),
საბჭოთა კავშირის გმირი (1944)
ჯორჯაძე დიმიტრი გიორგის ძე (1976–95),
რუსეთის ფედერაციის გმირი (1995).

საფრანგეთი

ამილახვარი დიმიტრი გიორგის ძე (1906–42),
პოდპოლკოვნიკი (1942),
საფრანგეთის არმიის ქართველი მოღვაწე,
უცხოეთის ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადის მეთაური,
„განთავისუფლების ჯვარი“ (1940),
„საპატიო ლეგიონის“ ორდენი (გარდაცვალების შემდეგ 1942).

სპარსეთი

სააკაძე როსტომ-ხან (1588–1643),
1632–33 სპარსეთის ჯარის სარდალი,
1634–35 სპასალარი და აზერბაიჯანის ბეგლარბეგი.
უნდილაძე ალავერდი-ხანი (გ. 1614),
სპარსეთის ჯარის პირველი ყულარადასი და ფარსის ბეგლარბეგი.
უნდილაძე დაუდ-ხანი (გ. 1632 წლის შემდეგ),
სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწე, განჯისა და
ყარაბაღის ბეგლარბეგი.
უნდილაძე იმამ ყული-ხანი (გ. 1633),
სამხედრო მოღვაწე, სარდალი.

უკრაინა

რატიევი (რატიშვილი) სერგეი (დ. 1957),
გენერალ-მაიორი (2010).
ჩივაძე კონსტანტინე ალექსანდრეს ძე (1866–1918 შემდ.),
გენერალ-მაიორი (1908),
1918 წლიდან უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ჯარების
სამხედრო-იურიდიული სამმართველოს უფროსი.

ჩინეთი

სიდამონიძე გიორგი კონსტანტინეს ძე (სი და მა) (1896–1971),
გენერალ-მაიორი (1923).



აბაშიძე ლერი ივანეს ძე (1935–94),
გენერალ-მაიორი (1976),
„ვახტანგ გორგასლის“ III ხარისხის ორდენი.
აბაშვილი გიორგი სიმონის ძე (1910–82),
კონტრ-ადმირალი (1951), ვიცე-ადმირალი (1956),
სამხედრო-საზღვაო მეცნიერებათა კანდიდატი (1971),
დოცენტი (1965), „ნახიმოვის“ II ხარისხის ორდენი (1945) და
სახელობითი დაშნა.

აბრამიძე პავლე ივლიანის ძე (1901–89),
გენერალ-მაიორი (1940),
პირველი ქართველი საბჭოთა გენერალი.
ალფაიძე გალაქტიონ ელისეს ძე (1916–2006),
არტილერიის გენერალ-მაიორი (1967),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945),
„ალექსანდრე ნეველის“ ორდენი (1944),
სსრკ სახელმწიფო პრემია (1977).
ანანიაშვილი ბორის ანატოლის ძე (დ. 1927),
კონტრ-ადმირალი (1978).
აფაძიძე ვალენტინ ანდრიას ძე (1904–69),
გენერალ-მაიორი (1945).



ბაბალაშვილი ივანე პავლეს ძე (1906–83),
გენერალ-მაიორი (1945),
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (1969).
ბარათაშვილი (ბარატოვი) ლეონიდე ვიქტორის ძე (1894–1951),
გენერალ-მაიორი (1943).
ბერია ლავრენტი პავლეს ძე (1899–1953),
საბჭოთა კავშირის მარშალი (1945),
სოციალისტური შრომის გმირი (1943),
„სუვოროვის“ I ხარისხის ორდენი (1943),
სსრკ სტალინური პრემია (1949).
ბერიაშვილი (ბერიევი) გიორგი მიხეილის ძე (1903–79),
საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი (1951),
სსრკ სტალინური პრემია (1947),
სსრკ სახელმწიფო პრემია (1968),
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი (1961)
ბზიავა კონსტანტინე პავლეს ძე (1905–72)
გენერალ-მაიორი (1945).



გაგუა ილარიონ აქვსენტის ძე (1900–51)
გენერალ-მაიორი (1945)
გელოვანი არჩილ ვიქტორის ძე (1915–78),
გენერალ-მაიორი (1962)
გენერალ-ლეიტენანტი (1965)
გენერალ-პოლკოვნიკი (1975),

საინჟინრო ჯარების მარშალი (1977),
ლენინური პრემია (1968), სსრკ სახელმწიფო პრემია (1977),
რსფსრ დამსახურებული მშენებელი.
გვარამაძე ნიკოლოზ ლევანის ძე (1892–59)
გენერალ-მაიორი (1945)
გვიშიანი მიხეილ მაქსიმეს ძე (1905–66)
გენერალ-ლეიტენანტი (1945)
გიორგაძე პანტელეიმონ ივანეს ძე (1925–2010),
გენერალ-მაიორი (1971).
გირგოლავა სიმონ სიმონის ძე (1881–1957),
სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (1943),
პროფესორი (1953),
სსრკ სტალინური პრემია (1943).
გოლიაძე ლავრენტი ალექსის ძე (1909–73),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1958),
„კუტუზოვის“ III ხარისხის ორდენი.
გომელაური ვალერიან ბაგრატის ძე (დ. 1933),
გენერალ-მაიორი (1982),
„ვახტანგ გორგასლის“ III ხარისხის (2001) ორდენი.
გოცირიძე ილარიონ დავითის ძე (1897–1968)
არმიის გენერალი (1943)
გოცირიძე ოთარ დავითის ძე (1919–2010)
გენერალ-მაიორი (1966)
გუგუჩია ალექსანდრე ილარიონის ძე (1905–81)
გენერალ-მაიორი (1945)
გუჯაბიძე ნოდარ აკაკის ძე (დ. 1929),
გენერალ-მაიორი (1976).

დ

დავლიანიძე სერგო სიმონიეს ძე (1905–67)
გენერალ-მაიორი (1945)
დალაქიშვილი ნარიმან ვარლამის ძე (1906–82),
საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი (1954).
დანელია ნიკოლოზ დიმიტრის ძე (1902–81)
გენერალ-მაიორი (1945)
დეკანოზოვი (დეკანოზიშვილი) ვლადიმერ გიორგის ძე (1898–1953)
სრუფლებიანიო და საგანგებო ელჩი (1943),
გენერალ-მაიორი (1952)

ე

ეგნატაშვილი ალექსანდრე იაკობის ძე (1887–1948)
გენერალ-ლეიტენანტი (1945)
ელბაქიძე მიხეილ (მუხტარ) სიმონის ძე (1931–2011),
გენერალ-მაიორი (1982)
გენერალ-ლეიტენანტი (1988)
ესაკია ნიკოლოზ მიხეილის ძე (1906–87)
გენერალ-ლეიტენანტი (1949)
სიციალისტური შრომის გმირი (1949)

ზ

ზამთარაძე აკაკი იოაკიმეს ძე (1919–91),
გენერალ-მაიორი (1970).

ზარდალაშვილი შოთა ივანეს ძე (1922–66)
გენერალ-მაიორი (1977)
ზარელშა ვლადიმერ ექვთიმეს ძე (1903–79),
გენერალ-მაიორი (1944),
სამამულო და საზღვარგარეთის ქვეყნების ჯილდოები.



თავართქილაძე ნიკოლოზ ტარიელის ძე (1905–89),
გენერალ-მაიორი (1942),
„სუვოროვის“ II ხარისხის ორდენი და
ჩეხოსლოვაკიის ორდენი.
თავაძე რობერტ გერონტის ძე (1930–2004),
გენერალ-მაიორი (1976).
გენერალ-ლეიტენანტი (1979)
„ვახტანგ გორგასლის“ I, II, III
ხარისხის ორდენების კავალერი (2000)



ინაური ალექსი ნიკოლოზის ძე (1908–93),
გენერალ-მაიორი (1944).
გენერალ-ლეიტენანტი (1957).
გენერალ-პოლკოვნიკი (1967),
1954–88 საქართველოს სსრ სახელმწიფო
უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე,
საბჭოთა კავშირის გმირი (1985).



კაკუჩაია ვარლამ ალექსი ძე (1906–82),
გენერალ-მაიორი (1945)
კალაძე ნიკოლოზ ივანეს ძე (1909–97),
გენერალ-მაიორი (1945),
„სუვოროვის“ II ხარისხის ორდენი
კამკამიძე ანატოლი მიხეილის ძე (1936–99),
გენერალ-მაიორი (1976)
გენერალ-ლეიტენანტი (1984),
გენერალ-პოლკოვნიკი (1992).
კაპანაძე სეიდ ამბაკოს ძე (1900–56),
კონტრ-ადმირალი (1951),
„ნახიმოვის“ II ხარისხის ორდენი
კარანაძე გრიგოლ თეოფილეს ძე (1902–70),
გენერალ-ლეიტენანტი (1945)
კიკნაძე გრიგოლ სერგოს ძე (1897–1978),
გენერალ-პოლკოვნიკი (1943),
სოციალისტური შრომის გმირი (1943).
კიკნაძე მიხეილ გერონტის ძე (1905–73),
გენერალ-მაიორი (1944).
კიკნაძე ოთარ ივანეს ძე (1928–80),
გენერალ-მაიორი (1979),
რუსეთის დამსახურებული მშენებელი,
სსრკ მინისტრთა საბჭოს პრემია –
სამხედრო მშენებლობის წარჩინებული.
კობერიძე ერმალოზ გრიგოლის ძე (1904–74),

გენერალ-მაიორი (1943),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945),
„სუვოროვის“ II ხარისხის ორდენი
კომოშვილი გრიგოლ იორდანეს ძე (1925–93)
გენერალ-მაიორი (1980)
კოჭლამაზაშვილი ალექსანდრე ივანეს ძე (1906–77)
გენერალ-მაიორი (1945)
კუპუტარია მიხეილ ნიკოლოზის ძე (1900–62), პოლკოვნიკი (1943)
1945–48 აწარის ასსრ სახ. უშიშროების სახალხო კომისარი (1946 მინისტრი)

ლაბაძე ნესტორ დარისპანის ძე (1899–1957),
გენერალ-მაიორი (1940)
გენერალ-ლეიტენანტი (1944),
„სუვოროვის“ II ხარისხის ორდენი.
ლეშავა ვლადიმერ ნესტორის ძე (1901–68),
კონტრ-ადმირალი (1951)
ლესელიძე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე (1903–44),
გენერალ-მაიორი (1942),
გენერალ-ლეიტენანტი (1942),
გენერალ-პოლკოვნიკი (1943),
საბჭოთა კავშირის გმირი (გარდაცვ. შემდ. 1971),
„სუვოროვის“ I ხარისხი (1943), „კუტუზოვის“ I ხარისხი (1943),
„ბოგდან ხმელნიხკის“ I ხარისხის ორდენები (1944)
ლეშკაშელი ვლადიმერ თევდორეს ძე (1929–91),
გენერალ-მაიორი (1974).
ლორქიფანიძე ტარიელ ვლადიმერის ძე (1938–2001),
გენერალ-მაიორი (1990)



მაისურაძე ნოდარ შალვას ძე (1924–97),
გენერალ-მაიორი (1972)
მარინაშვილი (მარინოვი) ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (1915–90),
გენერალ-მაიორი (1962),
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
„რუსეთის კულტურის დამსახურებული მუშაკი“
მარღანიძე ლეონიდე გრიგოლის ძე (1920–95),
გენერალ-ლეიტენანტი (1968).
მაჭავარიანი კონსტანტინე დავითის ძე (დ. 1929),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1973),
სსრკ დამსახურებული მფრინავი (1951).
მერკვილაძე გარი ალექსანდრეს ძე (1923–71),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1966),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945),
„ალექსანდრე ნეველის“ ორდენი.
მიქელაძე მიხეილ გერასიმეს ძე (1899–1975),
გენერალ-მაიორი (1942),
„სუვოროვის“ და „ბოგდან ხმელნიცკის“ II ხარისხის ორდენები.
მოდებაძე ვლადიმერ კონსტანტინეს ძე (1915–85),
გენერალ-მაიორი (1967).
მშავანაძე ვასილ პავლეს ძე (1902–88)
გენერალ-ლეიტენანტი (1944),
სოციალისტური შრომის გმირი (1962),
1953–72 საქართველოს სსრ-ის ცკ კომპარტიის პირველი მდივანი,
1941–45 42-ე არმიის, II დამრტყმელი არმიის და

21-ე არმიის სამხედრო საბჭოების წევრი,
„სუვოროვის“ II (1945), „კუტუზოვის“ I (1943)
და II ხარისხის ორდენები (1944)
მურუსიძე ვახტანგ იასონის ძე (1918–2010),
გენერალ-მაიორი (1967).



ნადიბაიძე ვარდიკო მიხეილის ძე (დ. 1939),
გენერალ-მაიორი (1989),
გენერალ-ლეიტენანტი (1993)
ნამგალაძე დიმიტრი ბაგრატის ძე (1905–57),
გენერალ-მაიორი (1949),
„ნახიმოვის“ II ხარისხის ორდენი
ნანეიშვილი გაიოზ ვლადიმერის ძე (1929–90),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1972)
ნანეიშვილი ვლადიმერ ვარდენის ძე (1903–78),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1944),
საბჭოთა კავშირის პირველი ქართველი გმირი (1940),
1950–51 34-ე საჰაერო არმიის სარდალი,
1952–57 სამხედრო-საჰაერო აკადემიის სამეთაურო
ფაკულტეტის უფროსი,
„ბოგდან ხმელნიცკის“ I (1944), „სუვოროვის“ II (1944) და
„კუტუზოვის“ II ხარისხის ორდენები (1944, 1945).
ნაჭყებია ოთარ მელქისედექის ძე (1925–94),
გენერალ-მაიორი (1981).
ნიბლაძე ირაკლი ილიას ძე (1906–84)
გენერალ-მაიორი (1945)



ორჯონიკიძე გივი პავლეს ძე (1931–2003),
გენერალ-მაიორი (1985)



ჟიჟილაშვილი შალვა ნიკოლოზის ძე (1914–93),
საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი (1954)
საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (1962),
სოციალისტური შრომის გმირი (1943).

რაზმაძე ილია ომაინის ძე (1899–1953),
გენერალ-მაიორი (1945).
რამიშვილი ალექსანდრე ფილიპეს ძე (1921–96),
სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი (1982),
„ვახტანგ გორგასლის“ III ხარისხის (1995) ორდენი.
რამიშვილი სიმონ სპირიდონის ძე (1903–73),
კონტრ-ადმირალი (1941),
პირველი ქართველი საბჭოთა კონტრ-ადმირალი,

„ნახიმოვის“ II ხარისხის (1945) ორდენი და
სახელობითი დაშნა (1953).
რაფავა აქვსენტი ნარიკის ძე (1899–1955)
გენერალ-ლეიტენანტი (1945).
როსტომაშვილი მიხეილ ენუქის ძე (1902–87)
გენერალ-მაიორი (1943)
რუხაძე ნიკოლოზ მაქსიმეს ძე (1905–55)
გენერალ-მაიორი (1943)
გენერალ-ლეიტენანტი (1944).

ს

სილაგაძე ისიდორე ანდრიას ძე (1898–1970),
გენერალ-მაიორი (1944).
სოღორაშვილი გიორგი სტანისლავის ძე (1929–99)
შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი (1974)
სტალინი ვასილ იოსების ძე (1921–62),
ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი (1947),
„სუვოროვის“ II ხარისხის და
„ალექსანდრე ნეველის“ ორდენები
სტალინი (ჯუღაშვილი) იოსებ ბესარიონის ძე (1878–1953),
საბჭოთა კავშირის მარშალი (1943),
საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი (1945),
სოციალისტური შრომის გმირი (1939),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945),
„გამარჯვების“ (1944, 1945) და „სუვოროვის“
I ხარისხის ორდენები (1943)
სულაქველიძე ვიქტორ სამსონის ძე (1919–84),
საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი (1962),
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (1959), პროფესორი (1960),
რუსეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.
სუმბათოვი (თოფურიძე) იუველიან დავითის ძე (1889–1960)
გენერალ-ლაიტენანტი (1945)
სუხიაშვილი კონსტანტინე დავითის ძე (1902–55),
კონტრ-ადმირალი (1951).

ტ

ტარიელაშვილი თენგიზ სიმონის ძე (1925–95),
გენერალ-მაიორი (1982)
ტატანაშვილი ესტატე ზაქარიას ძე (1902–58),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1944),
„ალექსანდრე ნეველის“, „სუვოროვის“ II და
„კუტუზოვის“ II ხარისხის ორდენები

ფ

ფირცხალაიშვილი ჯონი მიხეილის ძე (დ. 1947),
გენერალ-მაიორი (1988), გენერალ-ლეიტენანტი (1999),
„ვახტანგ გორგასლის“ I, II, III ხარისხის სრული კავალერი (2003).
ფიფია გიორგი ვლადიმერის ძე (1926–2001),
გენერალ-მაიორი (1975),
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი (1974), პროფესორი (1988).

ქ

ქავთარაძე ოთარ ალექსანდრეს ძე (1921–92),
შინაგანი სამსახურის III რანგის გენერალი (1962)
ქირია შალვა ნიკოლოზის ძე (1912–88),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1957),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945),
„სუვოროვის“ II ხარისხის ორდენი,
პირველი კლასის სამხედრო მფრინავი (1952).

ღ

ღარიბაშვილი ივანე იოსების ძე (1908–89)
გენერალ-მაიორი (1958),
საქართველოს სახ. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (1954–58),
ღლონტი მიხეილ ვარლამის ძე (1904–55),
გენერალ-მაიორი (1945),
გენერალ-ლეიტენანტი (1954),
„კუტუზოვის“ II ხარისხის ორდენი.

ყ

ყურაშვილი გიორგი გაბრიელის ძე (1900–78),
გენერალ-მაიორი (1944),
„სუვოროვის“ II ხარისხის ორდენი.
ყუფარაძე გიორგი ივანეს ძე (1897–1954),
გენერალ-მაიორი (1942)

შ

შაიშმელაშვილი ივანე დიმიტრის ძე (1910–92),
გენერალ-მაიორი (1962),
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.
შანშაშვილი დიმიტრი გიორგის ძე (1907–84),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1946).
შარაშენიძე ლევან ლევანის ძე (1931–2012),
გენერალ-მაიორი (1980)
გენერალ-ლეიტენანტი (1989).
შიოშვილი პანტელეიმონ შიოს ძე (1906–2001),
გენერალ-მაიორი (1953),
„სუვოროვის“ III ხარისხის ორდენი.

ჩ

ჩაგელიშვილი შალვა ილიას ძე (1916–81),
გენერალ-მაიორი (1969).
ჩანჩიბაძე პორფილე გიორგის ძე (1901–50),
გენერალ-მაიორი (1942)
გენერალ-პოლკოვნიკი (1943)
გენერალ-პოლკოვნიკი (1945),

საბჭოთა კავშირის გმირი (1945),
II ხარისხის ორდენები (1943),
„სუვოროვის“ I ხარისხი (1944),
„კუტუზოვის“ II და „ბოგდან ხმელნიცკის“ II ხარისხის ორდენები.
ჩაჩიბაია ზურაბ ვლადიმერის ძე (1907–59),
საინჟინრო ტექნიკური სამსახურის გენერალ-მაიორი (1951).
ჩიგოგიძე გიორგი ივანეს ძე (1917–79),
კავშირგაბმულობის ჯარების გენერალ-მაიორი (1962).
ჩიგოგიძე ნიკოლოზ ივანეს ძე (1919–92),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1965).
ჩიქოვანი სამსონ სამსონის ძე (1915–75),
სამედიცინო სამსახურის გენერალ-მაიორი (1972)
ჩხობაძე პეტრე იოსების ძე (1908–85),
გენერალ-მაიორი (1953).



ცანავა (ჯანჯღავა) ლავრენტი თომას ძე (1902–55)
გენერალ-ლეიტენანტი (1945)



ძაბახიძე ვალერიან სერგოს ძე (1903–86),
გენერალ-მაიორი (1943),
„სუვოროვის“ III ხარისხის ორდენი
ძებაშვილი ბორის აბრამის ძე (1929–2010),
არტილერიის გენერალ-მაიორი (1975),
არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი (1979).

ღერეთელი შალვა ოთარის ძე (1894–1955),
გენერალ-მაიორი (1945).



ჭანკოტაძე შალვა ლავრენტის ძე (1902–65),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1944),
პირველმა გადაუფრინა კავკასიონს.
ჭინჭარაძე მიხეილ ზაქარიას ძე (1904–81),
კონტრ-ადმირალი (1949),
„ნახიმოვის“ II ხარისხის ორდენი.



ხარიტონაშვილი ილარიონ ალექსის ძე (1922–83),
ავიაციის გენერალ-მაიორი (1967).
ხატიაშვილი ოთარი გიორგის ძე (1928–2007),
გენერალ-მაიორი (1983)

ხუბულური ვლადიმერ დავითის ძე (1908–82),
გენერალ-მაიორი (1953).



ჯაიანი ანზორ გიორგის ძე (1934–2005),
გენერალ-მაიორი (1986)
ჯანელიძე იუსტინე ივლიანის ძე (1883–1950),
სამედიცინო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი (1943),
მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (1911), პროფესორი (1921),
პირველმა მსოფლიოში გაკერა ასწვრივი აორტის ჭრილობა გულზე (1913).
სსრკ მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1944),
სოციალისტური შრომის გმირი (1945),
სსრკ სტალინური პრემია (1949).
ჯანჯღავა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე (1907–82),
გენერალ-მაიორი (1944),
გენერალ-ლეიტენანტი (1953),
საბჭოთა კავშირის გმირი (1945),
„კუტუზოვის“ II ხარისხის ორდენი.
ჯახუა კირილე კოჩიას ძე (1902–69),
გენერალ-მაიორი (1943),
„ალექსანდრე ნეველის“, „კუტუზოვის“ II ხარისხის ორდენები და
ორი აშშ-ის ორდენი.
ჯინჭარაძე გიორგი მიხეილის ძე (1899–1982),
გენერალ-მაიორი (1946),
„კუტუზოვის“ II ხარისხის ორდენი (1944).
ჯორბენაძე გივი შალვას ძე (1925–2003)
გენერალ-მაიორი (1980)
ჯორჯაძე ირაკლი ივანეს ძე (1917–92),
არტილერიის გენერალ-ლეიტენანტი (1975),
სამხედრო მეცნიერებათა დოქტორი (1956),
პროფესორი (1959), საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის ნამდვილი წევრი (1979).

დანართი №6
ქართველი სამხედრო მოღვაწეები
უძველესი დროიდან 1801 წლამდე



ადამ ფარსმანის ძე, 129–132
ადარნასე ბაკურის ძე, 619–639
ადრეკი, ძვ.წ 2–1.
აზონი, ძვ.წ 322–202.
აზორკი არმაზელი, 87–103
ამაზსაპ II, 182–186
არჩილ I მირდატის ძე, 410–434.
არჩილ II სტეფანოზის ძე, 668–718
არტაგ არშაკის ძე, ძვ.წ 81–66
არშაკ I, ძვ.წ. 93–81
არშაკ II მირვანის ძე, ძვ.წ. 23–2
ასფაგურ მირდატის ძე, 262–265



ბაკურ I ვაჩეს ძე, 231–246
ბაკურ II დაჩის ძე, 514–528
ბაკურ III ფარსმანის ძე, 557–560
ბარტომ არტაგის ძე, ძვ.წ. 66–33
ბარტომ II, 55–72
ბაძარ I მირიანის ძე, 342–364



გვარამ I კუროპალატი, 575–600
(პირველი წარმომადგენელი ბაგრატიონთა დინასტიიდან)

დაჩი ვახტანგის ძე, 502–514
დეროკი და ამაზსაპ I, 103–113



ვარაზ-ბაძარ II მირდატის ძე, 378–379
ვაჩე რევის ძე, 213–231
ვახტანგ I გორგასალი, 446–502



იოანე არჩილის ძე, 718–786



მითრიდატე, 393–405
მირდატ II ბაკურის ძე, 246–262
მირდატ III ბაქარის ძე, 364–379
მირდატ I და ფარსმან II, 113–129
მირდატ IV ვარაზ ბაქარის ძე, 408–410
მირვან I, ძვ.წ. 162–112
მირვან ფარნაჯომის ძე, ძვ.წ. 32–33
მირიანი, 265–342
მირდატ V არჩილის ძე, 434–446
მირი სტეფანოზის ძე, 663–68

რევი, 186–213



სამარა, ძვ.წ. 322
საურმაგ ფარნავაზის ძე, ძვ.წ. 237–162
სტეფანოზ I გვარამის ძე, 600–619
სტეფანოზ II ადარნასეს ძე, 639–663

ფარნავაზი, ძვ.წ 302–237.
ფარნაჯომი მირვანის ძე, ძვ.წ. 112–93
ფარსმან III ადამის ძე, 131–182
ფარსმან IV ვარაზ ბაქარის ძე, 405–408
ფარსმან V ბაკურის ძე, 528–542
ფარსმან VI 542–557



ქაოსი და ფარსმანი, 72–87

ქართლის და ტაო-კლარჯეთის მეფეები
(ბაგრატიონთა დინასტია)

ადარნასე III ბაგრატის ძე კუროპალატი, 958–961
ადარნასე II დავითის ძე მეფე, 888–923
აშოტ II ადარნასეს ძე კუროპალატი, 937–954
აშოტ I ადარნასეს ძე კუროპალატი, 786–836
ბაგრატ II აშოტის ძე კუროპალატი, 836–876
ბაგრატ II სამბატის ძე მეფე, 961–994
გურგენ I ადარნასეს ძე კუროპალატი, 881–891
გურგენ II ბაგრატის ძე მეფე, 1008
დავით II ადარნასეს ძე მეფე, 923–937
დავით I ბაგრატის ძე კუროპალატი, 876–881
დავით III ადარნასეს ძე მეფე და კუროპალატი, 1001
სამბატ I ადარნასეს ძე კუროპალატი, 954–958

საქართველოს მეფეები

ალექსანდრე I კონსტანტინეს ძე, 1411–43
ბაგრატ III გურგენის ძე, 975–1014
ბაგრატ IV გიორგის ძე, 1027–72
ბაგრატ V დავითის ძე, 1360–93
გიორგი VIII ალექსანდრეს ძე, 1446–66
გიორგი I ბაგრატის ძე, 1014–27
გიორგი II ბაგრატის ძე, 1072–89
გიორგი III დემეტრეს ძე, 1156–84
გიორგი IV (ლაშა) დავითის ძე, 1215–22
გიორგი VI დავითის ძე, 1311–13
გიორგი V ბრწყინვალე დიმიტრის ძე, 1314–46
გიორგი VII ბაგრატის ძე, 1393–1407
დავით IV გიორგის ძე აღმაშენებელი, 1089–1125
დავით IX გიორგის ძე, 1346–60
დავით V დემეტრეს ძე, 1156
დავით VIII დიმიტრის ძე, 1293–1311
დავით VI ნარინი, 1245–93
დავით VII ულუ გიორგის ძე, 1257–70
დემეტრე I დავითის ძე, 1125–56
დიმიტრი II თავდადებული დავით ულუს ძე, 1271–89
ვახტანგ IV ალექსანდრეს ძე, 1412–46
ვახტანგ II დავით ნარინის ძე, 1289–92
ვახტანგ III დიმიტრის ძე, 1302–08
თამარ გიორგის ასული, 1184–1215
კონსტანტინე I ბაგრატის ძე, 1407–11
რუსუდან დავითის ასული, 1222–45

ქართლის მეფეები

ალექსანდრე დავითის ძე, 1736
არჩილ იესეს ძე, 1736
ბაგრატ VI გიორგის ძე, 1466–78
ბაგრატ ვახტანგის ძე, 1717–19
ბაგრატ VII დავითის ძე, 1615–19
გიორგი IX კონსტანტინეს ძე, 1525–34
გიორგი II ვახტანგის ძე, 1676–88 და 1703–09
გიორგი XII ერეკლეს ძე, 1798–1800
გიორგი X სიმონიეს ძე, 1601–06
დავით II ლუარსაბის ძე, 1564–79
დავით X კონსტანტინეს ძე, 1505–25

ერეკლე I დავითის ძე, 1688–1703
ერეკლე II თემურაზის ძე, 1762–44
ვახტანგ V თეიმურაზის ძე, 1658–75
ვახტანგ V ლევანის ძე, 1703–24
თეიმურაზ ერეკლეს ძე, 1709–15 და 1733–34
იესე, 1714–16 და 1724–27
კონსტანტინე II დიმიტრის ძე, 1479–1505
ლუარსაბ I დავითის ძე, 1534–58
ლუარსაბ II გიორგის ძე, 1606–15
როსტომ დავითის ძე, 1632–58
სიმონ II ბაგრატის ძე, 1619–31
სიმონ I დავითის ძე, 1558–64
ქაიხოსრო ლევანის ძე, 1701–11

კახეთის მეფეები

ალექსანდრე I, 1476–1511
ალექსანდრე II, 1602–05
არჩილ II, 1664–75
გიორგი II, 1511–13
გიორგი XII, 1798–1800
დავით X, 1513–18
დავით II, 1709–22
ერეკლე II, 1744–62
თეიმურაზ I, 1589–1663
თეიმურაზ II, 1700–62
კონსტანტინე I, 1605
ლევან კახეთის მეფე, 1518–74

იმერეთის მეფეები

ალექსანდრე I, 1372–89
ალექსანდრე II, 1484–1510
ალექსანდრე III, 1639–60
ალექსანდრე IV, 1691–95
ალექსანდრე V, 1741–46 და 1749–52
არჩილ II, 1678–79 და 1698
ბაგრატ I, 1329–72
ბაგრატ II, 1463–78
ბაგრატ IV, 1660–61
ბაგრატ IV, 1679–81
გიორგი I, 1389–92
გიორგი II, 1565–83
გიორგი III, 1604–39
გიორგი V აბაშიძე, 1702–07
გიორგი III გურიელი, 1681–83
გიორგი IV გურიელი, 1716–19
გიორგი VI, 1703–11, 1714–16 და 1719–20
დავით II, 1784–89
დავით VI ნარინი, 1259–93
ვამეყ III დადიანი, 1660
ვახტანგ ჭუჭუნიაშვილი, 1660
თეიმურაზ, 1766–68
კონსტანტინე I, 1293–1327
კონსტანტინე II, 1396–1401
ლევანი, 1583–90
მამია III გურიელი, 1701–02, 1711–14
მამუკა, 1746–49
მიქელი, 1327–29
როსტომი, 1590–1604
სიმონი, 1698–1701

სოლომონ I, 1752–84
სოლომონ II, 1789–1810

სამცხე-საათაბაგოს ათაბაგები

ასლან-ფაშა, 1659–80
აღბუღა I, 1389–95
ბეჭა I, 1285–1306
იბრაჰიმ-ფაშა, 1759–61
ივანე II, 1391–1444
ისაყ-ფაშა, 1701–41
იუსუფ-ფაშა I, 1635–47
იუსუფ-ფაშა II, 1680–90
იუსუფ-ფაშა III, 1741–47
მანუჩარ I, 1515–18
მანუჩარ II, 1581–1607
მანუჩარ III, 1607–28
მზეჭაბუკი, 1500–15
როსტომ-ფაშა, 1647–59
სალიმ-ფაშა, 1690–1701
სარგის I, 1268–79
სარგის II, 1306–34
საფარ-ფაშა ბეჭა ჯაყელი, 1628–35
სულეიმან-ფაშა, 1767–95
ქაიხოსრო I, 1498–1500
ქაიხოსრო II, 1535–73
ყვარყვარე I, 1334–61
ყვარყვარე II, 1451–98
ყვარყვარე III, 1518–35
ყვარყვარე IV, 1573–81
შალვა, 1372–89
ჰასან-ფაშა, 1758–59 და 1761–67
ჰაჯი აჰმედ-ფაშა, 1747–58

საქართველოს სადროშოების სარდლები

ამილახვარი ანდუყაფარ,
1636–89 ზემო ქართლის სადროშოს სარდალი
ამილახვარი გივი,
1656–92 ზემო ქართლის სადროშოს სარდალი.
ამილახვარი გივი ანდუყაფარის ძე (1689–1754),
ზემო ქართლის სადროშოს სარდალი, 1744 წელს სპარსეთის
გვარდიის ყულარაღასი (მთავარსარდალი).
ამილახვარი ბეჟან,
1619–44 ზემო ქართლის სადროშოს სარდალი.
ამილახვარი ვახტანგ (ვასილ ამილახორი, გ. 1728),
თავადი, 1725 წლამდე ზემო ქართლის სადროშოს სარდალი,
რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1725).
ამილახვარი იასე (გ. 1787),
ქიზიყის მოურავი, სარდალი.
ამილახვარი იოთამ,
1638 წელს ზემო ქართლის სადროშოს სარდალი.
ამილახვარი იოთამ,
1692–98 ზემო ქართლის სადროშოს სარდალი.
ამილახვარი ოთარ რევაზის ძე (1756–1827),
1801 წლამდე ზემო ქართლის სადროშოს სარდალი,
რუსეთის არმიის გენერალ-მაიორი (1803).
ანდრონიკაშვილი ზაქარია (1740–1802),
1801 წლამდე ქიზიყის მოურავი, სარდალი.
ანდრონიკაშვილი იოსებ
(1765–1830), ქიზიყის და სიღნაღის მოურავი, სარდალი,

რუსეთის არმიის პოლკოვნიკი.
ასლამაზ-ხანი (ორბელიანი),
ნადირ-შაჰის სარდალი, გამაჰმადიანებული ქართველი,
1735 წელს ქართლ-კახეთის მმართველის ალექსანდრეს მოადგილე.
ახალციხელი ივანე (გ. 1225),
საქართველოს XII–XIII საუკუნეების სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სარდალი, 1225 წელს გარნისის ბრძოლაში ძმასთან ერთად სარდლობდა მესხთა მეწინავე ჯარს.
ახალციხელი შალვა (გ. 1225),
საქართველოს XII–XIII საუკუნეების სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, თამარ მეფის ვაზირი, ერისთავთერისთავი, ჯავახეთის მონაპირე (სასაზღვრო ჯარების სარდალი), 1225 წელს გარნისის ბრძოლაში ძმასთან ერთად სარდლობდა მესხთა მეწინავე ჯარს.
ბაგრატიონი ლევან ერეკლეს ძე(1756–81),
უფლისწული, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური მოღვაწე,
მორიგე ჯარის სარდალი (1774–81).
ბარათაშვილი ბარათა (გ. 1626),
ქვემო ქართლის (სომხით-საბარათიანოს) მეწინავე სადროშოს სარდალი.
გელოვანი ბერი ქაიხოსროს ძე (1766–1851),
ლეჩხუმის სარდალ-მოურავი,
რუსეთის არმიის პოლკოვნიკი.
გელოვანი ქაიხოსრო (გ. 1799),
ლეჩხუმის სარდალ-მოურავი.
გიორგი დავითის ძე გურიის ერისთავი (1788–1818 შემდ.),
1818 წელს სარდალი და მდივანბეგი.
გრიგოლ ბაკურიანის ძე (გ. 1086),
XI საუკუნის ქართველი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე,
ბიზანტიის იმპერიის ჯერ აღმოსავლეთის, შემდგომ დასავლეთის დომესტიკოსი (სარდალი), სევასტოსი (მთავარსარდალი).
ერისთავი შანშე იესეს ძე ქსნის (1765–1831),
ეშიკაღაბაში (გენერალ-ადიუტანტი 1798),
რუსეთის არმიის პოლკოვნიკი (1811),
ოქროს ხმალი (რწმენისა და ერთგულებისათვის 1803).
მუხრანბატონი აშოთან ბაგრატის ძე (გ. 1561),
შიდა ქართლის სადროშოს სარდალი.
მუხრანბატონი ვახტანგ ბაგრატის ძე (გ. 1756),
შიდა ქართლის სადროშოს სარდალი.
მუხრანბატონი ქაიხოსრო (გ. 1629),
შიდა ქართლის სადროშოს სარდალი 1625–26
მხარგრძელი ივანე სარგისის ძე (გ. 1227),
ზაქარია მხარგრძელის ძმა, ათაბაგი,
მეწინავე სადროშოს ერთ-ერთი სარდალი.
მხარგრძელი ზაქარია II სარგისის ძე (გ. 1212),
სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე XII–XIII საუკუნეების მიჯნაზე,
ამირსპასალარ-მანდატურთუხუცესი (თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრი), სარდლობდა მეწინავე სადროშოს.
ორბელიანი დავით რევაზის ძე (გ. 1796),
1772 წლიდან ქვემო ქართლის მეწინავე სადროშოს სარდალი.
ორბელიანი რევაზ ქაიხოსროს ძე,
1741 წლიდან ქვემო ქართლის მეწინავე სადროშოს სარდალი.
ორბელიანი ქაიხოსრო ქაიხოსროს ძე (გ. 1748),
1731 წლიდან ქვემო ქართლის მეწინავე სადროშოს სარდალი.
სააკაძე გიორგი სიავუშის ძე (1580–1629),
საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწე,
მხედართმთავარი და სამხედრო სტრატეგი.
სოსლანი დავით (გ. 1204),
თამარ მეფის მეუღლე, სარდლობდა ქართველთა ლაშქარს თითქმის ყველა დიდ ბრძოლაში (1195 წელს შამქორის და 1203 წელს ბასიანის ბრძოლები).
ციციშვილი ბაადურ (გ. 1625),
ქვემო ქართლის (სომხით-საბარათიანოს) მეწინავე სადროშოს სარდალი.
ციციშვილი ზაზა XVII საუკუნის შუა ხანებში ქვემო ქართლის
(სომხით-საბარათიანოს) მეწინავე სადროშოს სარდალი.
ციციშვილი ფარსადან პაპუნას ძე (ციციანოვი, გ. 1733),

თავადი, გენერალ-მაიორი (1725),
ქვემო ქართლის (სომხით-საბარათიანოს) მეწინავე სადროშოს სარდალი.
წერეთელი პაპუნა (1740–90),
ზემო იმერეთის სადროშოს სარდალი.
წერეთელი ქაიხოსრო
1639–73 ზემო იმერეთის სადროშოს სარდალი.
წერეთელი ქაიხოსრო (გ. 1769),
ზემო იმერეთის სადროშოს სარდალი.
წერეთელი ქაიხოსრო პაპუნას ძე (1772–1828),
1791–1810 ზემო იმერეთის სადროშოს სარდალი,
რუსეთის არმიის პოლკოვნიკი (1828).
წერეთელი ქველი,
1639–63 ზემო იმერეთის სადროშოს სარდალი.
ჭავჭავაძე გარსევან რევაზის ძე (1757–1811),
ეშიკაღაბაში (გენერალ-ადიუტანტი 1783),
ქართლ-კახეთის პირველი მუდმივი წარმომადგენელი (მინისტრი)
რუსეთის სამეფო კარზე 1783–1801.

ქართული საშინაო
ენციკლოპედიური ლექსიკონი

აკადემიკოსის, გენერალ-მაიორ ელგუჯა მეძმარიაშვილის
საერთო რედაქციით

თარგმანი: **შ. ბაიაძე გ. ლეფონავა**
ა. მანჯგალაძე, ა. ღუდუშაური.

რედაქტირება: ი. გოგოლაშვილი
ლიტერატურული კონტროლი: ლ. კინწურაშვილი, ზ. ჭელიძე.

ტექნიკური შემსრულებლები: ს. ბიბაშვილი, კ. კახიძე, ე. მეგრელიშვილი,
ნ. ნადარეიშვილი, ვ. ოკმელაშვილი, ა. რეხვიაშვილი,
ა. ჯახუა **მ. მელაძე**
დამკაბადონებელი: ნ. კასრაძე